

ჭაბუკი ქირია
ლალი ეზუგბაია
ომარ მეშიშიში
მერაბ ჩუხუა

ლაზურ-მეგრული გრამატიკა.
I. მორფოლოგია

გამომცემლობა მერიდიანი
თბილისი, 2015

თსუ არნ. ჩიკობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

პროექტი – ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა. I. მორფოლოგია (ძირ-ფუძეთა ინდექსითურთ) (11/07) – განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The Project – **The Comparative Grammar of Laz and Megrelian (I part, Kartvelology) with the index of common stems and roots** (11/07) – has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation. All the ideas expressed herewith are those of the authors, and may not represent the opinion of the Foundation itself.

რედაქტორი – პროფ. მერაბ ჩუხუა

© გამომცემლობა მერიდიანი, 2015

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

www.rustaveli.org.ge


უფასო გამოცემა

შესავალი

ლაზურ-მეგრული (იგივე ზანური) ენა შედის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის სამხრეთ-კავკასიურ (იბერიულ) ჯგუფში, რომელსაც ქართველურ ენებს უწოდებენ. სამეცნიერო ლიტერატურაში, გარდა ზანურისა და ლაზურ-მეგრულისა, ამ ქართველური ენის აღსანიშნავად სხვა ტერმინიც გამოიყენება – კოლხური ენა (ა. შანიძე, კ. დანელია, ზ. ჭუმბურიძე...); ეს უკანასკნელი გახაზავს მეგრულ-ლაზთა ენა-ტომობრივ ერთიანობას კოლხური ეპოქიდან.

მეგრულ-ლაზურის ახლომონათესავე ენებია: ქართული და სვანური. ქართველურ ენებთან ლაზურ-მეგრულს აახლოებს ფორმალურ-ფუნქციური შესატყვისობები ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე, რაც შესაძლებელს ხდის ამ ენათა საერთო ენიდან მომდინარეობის დაშვებას და ერთი ფუძე-ენის (საერთოქართველურის) პოსტულაციას.

ნათესაობის თვალსაზრისით, ქართველურ ენა-კილოთა ურთიერთმიმართების სქემატურად გამოსახვის ცდა გერჰარდ დეეტერსს ეკუთვნის:



ამ სქემის რეალურობა ცხადი ხდება მის სვანურ ნაწილში, რაც სვანური ენის (resp. დიალექტის) ფუძეენიდან დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულად ჩასახვა-გამოყოფას გულისხმობს, მაგრამ იმავე სქემის ქართულ-ზანური შემადგენელი (ერთიანობა?) ვერ ასახავს პრეისტორიულ სურათს, რადგანაც ბგერათშესატყვისობათა ჩვენება (როგორც სიბილანტებში, ისევე ხმოვნებში) მხარს უჭერს საერთოქართველური ენის წიაღში სულ მცირე სამი დამოუკიდებელი ენობრივი ერთეულის (ქვესისტემის) არსებობას; ესენია: ქართული, ზანური და სვანური. შეიძლება იყოს გვეფიქრა, რომ წინარეისტორიულ ხანაში არსებობდა მეოთხე ქართველური ენობრივი მონაცემიც. ამგვარ დაშვებას ამყარებს ზოგი ისეთი ლექსიკური ერთეული, რომელიც ქართული ენის სამხრულ (მესხურ-ჯავახურ) დიალექტებში იჩენს თავს, მაგრამ, მისი სინონიმურობიდან გამომდინარე, სხვა დიალექტური წრისგან (მეოთხე ქართველური ენისგან) წარმომავალი გვეგონია. ასეთი ჩანს ჯავახური სიტყვა **ზადარ-** „მემებარი ძაღლი“, რომელიც, თუ ქართველურ ენებს შორის არსებულ ფონემათმომართებებს გავითვა-ლისწინებთ, დახასიათდებოდა ა-გახმოვანების ენად, ისევე, როგორც ქართული და სვანური (ქართ. ძაღლ-, სვან. ჟაღვ- „ძაღლი“); მისი თავკიდური **ზ** სპირანტიზაციის სვანურ მაჩვენებელთან დგას ახლოს (შდრ. ჯ → ჟ სვანურში და ძ → ზ სავარაუდო ქართველურ დიალექტში), მაგრამ **სისინა** გახმოვანება ქართულისებურია. რაც

შეეხება ზანურ (მეგრულ-ლაზურ) თვისებებს, სავარაუდო დიალექტში (ენაში?) ფუძის უკუმშველობა (სრულხმოვნობა **ზადარ-**) ზანურისას ემთხვევა; ზანურისებურია **ლ → რ** ფონეტიკური გარდაქმნაც, გატარებული ფუძის ბოლოში (**ზადარ-/ჯოლორ-**).

თითქოს ამგვარივე ნიშნები ჩანს მეორე სავარაუდო ლექსიკურ ერთეულშიც. როგორა-დაც ქართ. **ახორ-** „ბოსელი“ გვესახება; აქაც ქართულისებური ვოკალიზმი, სიტყვის თავში ამოსავალი **ა** (ახორ-/სახლ-) შენარჩუნებულია, მაგრამ მეგრულ-ლაზურით ანლაუტური **ს** (resp. **შ**) დაკარგული ჩანს და კვლავ დადასტურდება ზანურისებური ფუძის უკუმშველობა (სრულხმოვნობა), ისევე, როგორც **ლ → რ** გადაბგერება (შდრ. **სახლ-/ოხორ/ ახორ-**). ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუ ჩვენი დაშვება რეალურია, საერთოქართვე-ლურ არქეტიპებად ორ აღწერილ სიტუაციაში აღსადგენია ***მაღალ-** „მაღლი“ და ***სახოლ-** „სახლი“.


მომავალში, მსგავსი მასალის სიუხვის პირობებში, შესაძლებელი გახდებოდა მსჯელობა კიდევ ერთი **სისინა** ტიპის ენის (მეოთხე ენა-ტომობრივი ერთეულის) არსებობაზე ქართველური ენობრივი სამყაროსათვის, რომელიც სხვა პარამეტრებითაც უფრო ქართულისებური უნდა ყოფილიყო, ვინაიდან **მ → ზ** სპირანტიზაცია-დეზაფრიკატიზაციის ნიშნები ძველ ქართულშიც შეინიშნებოდა: **ზროხა/ძროხა, ზახილ-ი/მახილ-ი** და ა. შ.

ლინგვისტური თვალსაზრისით, ქართველურ ენა-კილოებს შორის საზღვრებს ადგენს ამ ენობრივი ჯგუფის წევრებს შორის გამოვლენილი **რეგულარული, კანონზომიერი და სისტემური** ბგერათშესატყვისობების არსებობა. ქართველურ სინამდვილეში ამოსავალი (საერთოქართველური) ფონოლოგიური სისტემის გარდაქმნა სამ ქვესისტემად ნიშნავს სამი ენობრივი ერთეულის (თავიდან დიალექტის, შემდგომ ენის) წარმოქმნას და წარმომშობი ენის (პროტოქართველურის) თავდაპირველ ქართველურ დიალექტებში რეალიზება/კვდომას. უსაფუძვლოა ამ შემთხვევაში ქართველური ენობრივი პარამეტრების უარყოფა სხვა ენის (ხუნძურის) მონაცემთა საფუძველზე. უკვე დროა ლინგვისტურ ფაქტოლოგიას მიეცეს ლინგვისტური კვალიფიკაცია: ქართველურ ენა-კილოებს შორის ენა/დიალექტის განმსაზღვრელი უტყუარი კლასიფიკატორი არის ბგერათშესატყვისობათა ჩვენება, სწორედ ის ადგენს საზღვრებს ქართულსა, ზანურსა და სვანურს შორის, ვინაიდან ამ სამწევროვანი სისტემის ნებისმიერ წევრს საერთოქართველური ფუძე-ენის დაშლის მომდევნო საფუძველზე უკვე გააჩნდა საკუთარი ლინგვისტური ფიზიონომია (ფონოლოგია-მორფოლოგიის დონეზე).

რაც შეეხება დალესტნური ენის (ხუნძურის) ჩვენებას, კერძოდ, ანწუხური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავების ურთიერთმიმართებას, სადაც ამ ორი კილოკავის სიბილანტური თანხმოვნები თითქოს ისეთსავე შესატყვისობას გვიჩვენებენ როგორც ქართული და ზანურ-სვანური (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, გ. კარტოზია...), ჩვენს ენებში, მართალია, არსებობს ანგარიშგასაწევი სიბილანტური ოპოზიცია **სისინა : შიშინა**, მაგრამ ქართველურ ენათა სიბილანტური მიმართება არ დგას მხოლოდ სისინა/შიშინა ოპოზიციაზე, ჩვენს სინამდვილეში გადამწყვეტ როლს **სისინა : შიშინა** კორესპონდენციასთან ერთად **შიშინა : შიშინა + უკანაენისმიერი ხშული** (ქართ. შვიდი : ზან. შქვითი : სვან. იშგვიდ) მიმართება თამაშობს, თორემ სისინა → შიშინა ხუნძურის კილოკავებში კი არა, თვით ძველი ქართულის ფარგლებშიც შეინიშნება, შდრ.: **ფრცხილი / ფრჩხილი, სხამი / შხამი** და მრავალი სხვა, თუმცა არცერთი შემთხვევა არ ფიქსირდება **ჯ/ჯგ, ჩ/ჩქ, ჭ/ჭკ, შ/შქ** ურთიერთჩანაცვლებისა არც ძველ ქართულში და არც სხვა რომელიმე იბერიულ-კავკასიურ ენაში. საერთოდაც დალესტნურ და ნახურ სისტემებში ენისა და დიალექტის განსაზღვრისას ფონემური მიმართებები ანგარიშ-გასაწევია, მაგრამ ძირითად (გადამწყვეტ) როლს იქ მაინც

მორფოლოგია (სტრუქტურა) თამაშობს. მაგალითისათვის შეიძლება მოვიხმოთ არჩიბული ენა, რომლის ფონოლოგიური სისტემა (ლატერალების არსებობის გამო) ხუნძურ-ანდიურ-დიდოურს ეკედლება, მაგრამ მორფოლოგიური მახასიათებლების (სტრუქტურის) მიხედვით მას დადესტნურ ენათა ლეზგიურ ქვეჯგუფში აერთიანებენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართველურ ენათა ურთიერთმიმართება, ვფიქრობთ, შემდეგი სქემით უნდა გამოიხატოს:



ანუ, ამოსავალში, დიფერენციაციის წინა საფეხურზე, საერთოქართველურ ფუძე-ენას ჰქონდა სულ მცირე სამი დიალექტი – ქართული, ზანური, სვანური, საიდანაც შემდგომში, როდესაც თავი იჩინა ძირეულმა მორფოლოგიურ-ლექსიკურმა სხვაობებმა (ფონოლოგიურ ტრანსფორმაციასთან ერთად), მოხდა ამ დიალექტთა დამოუკიდებელ (ისტორიულად ფიქსირებულ) ენებად ჩამოყალიბება.

ბგერათმესატყვისობათა სისტემა განსაზღვრავს ასევე ლაზურისა და მეგრულის, როგორც ლინგვისტური ერთეულების, ურთიერთმიმართებას, კერძოდ, იმას, არის თუ არა დამოუკიდებელი ენები ქართველურ ენობრივ ჯგუფში ლაზური და მეგრული.

ვინაიდან ლაზურსა და მეგრულს ერთი და იგივე ფონეტიკური შესატყვისობები გააჩნია ქართულ-სვანურის მიმართ, ისინი ერთი ენის ორ დიალექტს წარმოადგენენ, ანუ საერთოქართველური ფუძე-ენიდან კოლხური (ზანური) ენის ცალკე ენად ჩამოყალიბებას სიბილანტურ გადაწევასთან (სისინა → შიშინა, შიშინა → შიშინა + უკანაენისმიერი ხშული) ერთად ხელი შეუწყო საერთოქართველური ვოკალური სისტემის ტრანსფორმაციამ ზანურში, რასაც სამართლიანად ეწოდა **არტიკულაციის უკან გადაწევა** (არნ. ჩიქობავა), იმავე ხმოვანთა **ზანური გადაწევა** (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში ლაზური და მეგრული ერთნაირ სურათს აჩვენებენ, ენობრივი (ფონოლოგიური) სისტემა აქ ერთია.

რაც შეეხება მორფოლოგიას: უნდა აღინიშნოს, რომ რიგ შემთხვევებში არის მსჯელობა სხვაობაზე მეგრულსა და ლაზურს შორის, მაგრამ ყოველთვის საკუთრივ ლაზურს არ არის მონოლითური, კერძოდ: ა) დრო-კილოთა მესამე ჯგუფის წარმოება ხოფურში შესაძლებელია **-ერე, -ერე-ტ-ი, ერე-ტ-ა** სუფიქსაციით, მაშინ, როდესაც იგივე დრო-კილოები **დო-რ-ენ, დო-რ-ტ-უნ, დო-რ-ტ-ა-ს** მეშველი ზმნის გამოყენებით მიიღწევა ათინურში, ვიწურსა და არქაბულში; ბ) მასდარი მეგრულში იწარმოება **-უ-ა** ძირითადი მაწარმოებლით, რაც ასევე ერთადერთია ლაზურის ჩხალურ თქმაში, ამავდროულად, მეგრულშიც ბუნებრივია **ო-უ** წარმოების მასდარი, ხოლო ლაზურის გასუბსტანტივებულ მასდარებში აშკარად იკითხება **-ვ-ა** (**← -უ-ა**) მასდარის კვალი, შდრ. ლაზ. ტახ-ვ-ა „სიმინდის კრეფა, ოქტომბერი“ (მეგრ. ტახ-უ-ა), ცინ-ვ-ა / ყინ-ვ-ა „ზამთარი, ცივი ამინდი“ (მეგრ. ცინ-უ-ა „ყინვა“), წილ-ვ-ა „ნოემბერი, კრეფა“ (მეგრ. წილ-უ-ა „კრეფა“); გ) ნ. მარის მიერ ერთ-ერთ განმასხვავებელ ფაქტორად გამოყოფილი აორისტის **ი-** დაბოლოება ლაზურში მეგრულ ვითარებასთან დისონანსს ვერ

შექმნის, რადგანაც აორისტის -ე მარკერთან ერთად, არაკაუზატიური შინაარსის ზმნებში, -ი სუფიქსი მეგრულშიც ერთად-ერთია. უფრო მეტიც, მართალია, არნ. ჩიქობავაც მარის კვალდაკვალ აორისტის წარმოე-ბასთან დაკავშირებით შენიშნავდა, რომ „აორისტში მეგრულს ორი სუფიქსი აქვს გამოყენებული: -ე და -ი... ამით მეგრული შორდება ჭანურს, რომელსაც მხოლოდ ერთი მაწარმოებელი -ი გააჩნიაო“ [ჩიქობავა, 1936, 135-136], მაგრამ ჟ. დიუმევილის არქაბულ ტექსტებში ხშირია შემთხვევები, როდესაც ი- პრეფიქსიან ზმნებში აორისტის წარმოებისას, ისევე, როგორც ქართულსა და მეგრულში, ე- დაბოლოებიანი ფორმები ფიქსირდება: ბ-ი-შინახ-ე „შევიწახე“, ელე-ბ-ი-სვარ-ე „ჩამოვითალე“, ბ-ი-ქჩან-ე „გავთეთრდი“, ბ-ი-შუვ-ე „დავსველდი“, ბ-ი-ღურძულ-ე „გავძეხი“...

მეგრულისა და ლაზურის განმასხვავებელ მორფოლოგიურ ნიშნად ითვლებოდა ასევე მყოფადის წარმოების სპეციფიკა. ერთ-ერთი სიახლე, რაც წარმოდგენილია ამ ნაშრომში, არის სწორედ ის, რომ წარმოების წესის მიხედვით ლაზურსა და მეგრულს (ასევე ქართულს) შორის არანაირი განსხვავება არ ჩანს, თუკი ანალიზისას არსებულ ენობრივ ფაქტებს სათანადო ლოგიკური კვალიფიკაცია მიეცემა (ამ საკითხთან დაკავშირებულ მსჯელობასა და არგუმენტაციას მკითხველი ნაშრომში გაეცნობა).

ამავდროულად, ვფიქრობთ, რომ დიალექტური დიფერენციაციის თვალსაზრისით დღეს ზანურში არსებული ვითარება ანარეკლია უძველესი მდგომარეობისა, როდესაც განსხვავება მეგრულსა და ლაზურს შორის კი არ ქმნიდა ენობრივ დაპირისპირებას, არამედ რეალურად ზანური (კოლხური) ენის (რომელიც ქართულ-ავხაზურ-სვანურთან ერთად მაშინდელი მსოფლიოს პარამეტრებით უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა შავიზღვისპირეთში – სინოპ-სამსუნ-ტრაპიზონიდან მდინარე ფსოუს ჩათვლით) სხვაგვარი დიალექტური შედგენილობა იყო წარმოდგენილი.

დამოუკიდებელ ენად ჩამოყალიბების მომდევნო ეტაპზე, როგორც ენობრივი ფაქტებით ირკვევა, ზანური (იგივე კოლხური) ენა სამ ძირითად დიალექტად იყო დიფერენცირებული. ესენია: 1. ათინურ-ვიწურ-არქაბული, 2. გარდამავალი ხოფური ტიპის ქვესისტემა და 3. მეგრულ-ლი. აქედან პირველი (ათინურ-ვიწურ-არქაბული) დიალექტი ვრცელდებოდა თანამედროვე ხოვამდე, მეორე (ხოფური ტიპის დიალექტი), რომელიც უფრო შერეული სახეობა ჩანს, მოიცავდა ტერიტორიას თანამედროვე გურია-სამეგრელოს ადმინისტრაციულ ზოლამდე, ხოლო მეგრული, ანუ მესამე დიალექტი ზანური (კოლხური) ენისა, ცხენისწყალ-რიონ-ფიჩორიდან მდინარე ფსოუმდე ვრცელდებოდა.

და რომ თანამედროვე გურია-აჭარის ტერიტორიაზე ხოფური ტიპის დიალექტი (და არა მეგრული) იყო გავრცელებული, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ტოპონიმიში თავს იჩენს ხოფური (და არა მეგრული) თავისებურებანი. ასე მაგალითად, გურიაში დასტურდება ტოპონიმიკური კოლხიზმები (ზანიზმები) სუ-ხჩე და ტობა-ხჩე (ტობა-ხჩა), სადაც გამოყოფილი -ხჩე/-ხჩა ძვ. ქართ. ჯცე (მჯცე) ძირის შესატყვისი ჩანს და უდრის ლაზური ქჩე და მეგრული რჩე/რჩე „თეთრი“ ზედსართავს. საკუთრივ პროტოზანური *ჯჩე-დან ქჩე საფეხურის გავლით (ქჩ → რჩ) მივიღეთ მეგრული რჩე/ჩე ვარიანტი, მაგრამ იმავე ქჩე საფეხურიდან ხოფურში სპირანტიზებული ხჩე ალომორფი განვითარდა და სწორედ ეს ხჩე „თეთრი“ ფიქსირდება გურია-იმერეთში სუ-ხჩე-ს სახით. ფაქტია, რომ ხჩე-დან მეგრულ რჩე-ს ფონეტიკურად ვერ მივიღებდით (ხ → რ ტრანსფორმაცია ნებისმიერ კომბინაციაში აკრძალული ჩანს მეგრულში). და თუ მეგრულში ხჩე გვექნებოდა, მისი სუპერაცია-დაძლევის აუცილებლობაც არ წარმოიშობოდა, გამომდინარე მეგრული ფონო-ტაქტიკიდან. ამიტომაც ვთვლით, რომ სწორედ ე. წ. ისტორიული ხოფურის მაგვარი დიალექტი იყო გავრცელებული

ძველ დროში თანამედროვე აჭარა-გურიის ტერიტორიაზე, რომლის კვალიც ადგილის სახელებშია შემოვრჩა. მოგვიანებით, მეგრულთან უშუალო კონტაქტის დაკარგვის შემდეგ, გარდამავალი დიალექტის (ხოფური ტიპისა) გავრცელება იზღუდება გურია-აჭარის ტერიტორიაზე, იგი ნაწილობრივ კარგავს მეგრულისებურ თავისებურებებს და თანდათანობით ათინურ-ვიწურ-არქაბულ მეტყველებას ეკედლება, ასე ვთქვათ, უფრო ლაზური ხდება.

ამგვარ დაშვებას მხარს უჭერს ძველი სომხურის ჩვენებაც, სადაც ფიქსირებული ზანიზმები უფრო მეგრულია, ვიდრე ლაზური. მაგალითისათვის ავიღოთ ქართული **მწერ**-ის შესატყვი-სები: ლაზური **მჭაჯ**-ი და მეგრული **ჭანჯ**-ი. ზანურიდან ძველ სომხურში შესული **ჭანჭ** სწორედ მეგრულ ვარიანტთან ავლენს მეტ სიახლოვეს, ვინაიდან მას მეგრულივით თავში **მ** აქვს დაკარგული და ასევე მეგრულივით **ნ** ფონეტიკურად არის ჩართული ფუძის შიგნით. **ბაყაყის** აღმნიშვნელი ძველსომხური **გორდ** ასევე მეგრულ **გორდ**-ი ფორმასთან ავლენს ერთიანობას, რადგანაც ლაზურ კილოკავებში **გორდ**- ფუძე არ ჩანს... ამით კიდევ ერთხელ გვსურს იმის ხაზგასმა, რომ ე. წ. *ისტორიული ხოფური* გარდამავალი ტიპის შერეული (ნარევი) დიალექტი იყო ზანური (კოლხური) ენისა და სწორედ მას ჰქონდა უშუალო შეხება ძველ სომხურთან, რაც გრაბარში ლექსიკური ზანიზმებით არის გამოხატული.

თანამედროვე ზანური (მეგრულ-ლაზური) ენა განარჩევს ორ ძირითად დიალექტს – **ლაზურს** (**ჭანურს**) და **მეგრულს**. ლაზური თავის მხრივ იყოფა შემდეგ კილოკავებად: **ათინური**, **ვიწური**, **არქაბული** და **ხოფური**. ათინურში გამოსაყოფია **ბულიფურ-არტაშენური** თქმა, ხოლო ხოფურში ცალკე თქმას წარმოადგენს **ჩხალური** მეტყველება. ჩვენი თვალსაზრისით, ვიწური და არქაბული დამოუკიდებელი კილოკავებია, მათ ვიწური და არქაბული თქმების შენაერთად არ განვიხილავთ. არქაბულს რამდენიმე ისეთი თავისებურება ახასიათებს, რაც გამოარჩევს მას ვიწურისაგან: ა) ერთი თავისებურება თურმეობითის **დორენ** მეშველი ზმნის რედუცირებული **დონ** ვარიანტიან წარმოებასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, რეგულარულად თურმეობით პირველში, რომელიც ლაზურში საზოგადოდ აორისტის ფუძეს ეყრდნობა, განსხვავებით ვიწურისაგან, შემოკლებული ზუმ-ეს-**დონ**, ძირ-ეს-**დონ**, ჭარ-ეს-**დონ** ალომორ-ფები ვლინდება ნაცვლად ზუმ-ეს-**დორენ**, ძირ-ეს-**დორენ**, ჭარ-ეს-**დორენ** სრული ფორმებისა. ბ) სხვა თავისებურებად უნდა ჩაითვალოს -ე დაბოლოებიანი აწმყოს წარმოება არქაბულში, რაც საკმაოდ ხშირია, მდრ.: მე-ბ-ა-გ-ე „ვხვდები“, ოკო-ბ-ი-ხვ-ე „ვიშლები“, დო-ბ-ა-რჩ-ე „მივრბივარ“, თოლი ო-ბ-უ-დუმ-ე „თვალს ვუხუჭავ“; აქ აწმყოს ფუძის გამარტივებასთან გვაქვს საქმე და ბოლოკიდური **რ** დაბოლოება არის უკვალოდ გაუჩი-ნარებული, ანუ უნდა გვქონოდა სტატიკური ზმნებისთვის დამახასიათებელი **რ** სუფიქსი პირველ სამ ზმნაში: მე-ბ-ა-გ-ე-რ, ოკო-ბ-ი-ხვ-ე-რ, დო-ბ-ა-რჩ-ე-რ; ხოლო ო-ბ-უ-დუმ-ე „ვუხუჭავ“ მოქმედებითი გვარის ზმნა აქ ისევე კარგავს **რ** (resp. მერ) დაბოლოებას, როგორც სხვა შემთხვევებში: დოვუწუმე ← დოვუწუმერ „ვეტყვი“, ქიშიმე ← ქიშიმერ „ამოიღებ“, დობდუმე ← დობდუმერ „დავდებ“. გ) როგორც უკვე აღინიშნა, არქაბული კილოკავის, მეგრულ-ქართულთან საერთო თავისებურებად, კვალიფი-ცირდება -ე დაბოლოებიანი აორისტი: ბ-ი-შინახ-ე „შევიწახე“, ელე-ბ-ი-სვარ-ე „ჩამოვითალე“, ბ-ი-ქჩან-ე „გავთეთრდი“, ბ-ი-შუვ-ე „დავსველდი“, ბ-ი-ღურძულ-ე „გავძეხი“. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ **მეგრულ-ლაზური**

დიალექტოლოგიის საფუძვლიანი შესწავლით, რაც ქართველოლოგიის გადაუდებელ ამოცანად გვესახება, სხვა კილოკავური თავისებურებანიც უხვად გამოჩნდება.

ლაზური მეტყველება შედგენილობის თვალსაზრისით არც საქართველოში ყოფილა ერთგვაროვანი. როგორც ცნობილია, სარფში ხოფური კილოკავია გავრცელებული, მაგრამ თხირნალში ათინურის ართაშნული თქმისათვის დამახასიათებელი თვისებები შენიშნა არნ. ჩიქობავამ, ხოლო ს. მახოში კი – ვიწური მეტყველება. აფხაზეთში სოფელ შაწკვარაში, ფაჩანთასა და ფშალთილულში, ასევე წარა-შუბარაში (ემერის თემი), არქაბული და ათინური მეტყველება ვლინდებოდა.

ზანური (კოლხური) ენის მეგრულ დიალექტში სამი კილოკავი გამოიყოფა: **სენაკურ-მარტვილური**, **ზუგდიდურ-ჯვარული** და **სამურზაყანოული**. სენაკურ-მარტვილური კილოკავი მოიცავს აბაშა-სენაკის, ფოთის, ხობის, მარტვილისა და ჩხოროწყუს მეტყველებას. აქ ცალკე თქმებად გამოვყოფთ **ბანძა-მარტვილისა** და **ჩხოროწყუს** მეტყველებას. ბანძურ-მარტვილურის თქმად კვალიფიკაცია ტრადიციულ დაყოფას მისდევს; რაც შეეხება ჩხოროწყუს მეტყველებას, იგი, როგორც ნარევი ენობრივი ერთეული, ცალკე გამოსაყოფია, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში მეტად ავლენს ზუგდიდურ-ჯვარულის თავისებურებებს. ზუგდიდურ-ჯვარულ კილოკავში იგულისხმება ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები, სადაც ჯვარული მეტყველება (თქმა) ტრადიციულად გამოიყოფა. მეგრული დიალექტის მესამე კილოკავს ქმნის ენგურს გაღმა სამეგრელოს (სამურზაყანოს) მეტყველება, იგი გავრცელებულია თანამედროვე საქართველოს ოკუპირებულ რეგიონში, აფხაზეთში და მთლიანად მოიცავს გალის რაიონს, ნაწილობრივ – ოჩამჩირესა და ტყვარჩელს. ოკუპაციამდე აფხაზეთში მეგრული მეტყველება ვრცელდებოდა გულრიფშისა და სოხუმის რაიონებში, სადაც ეთნოწმენდამდე მეგრელები კომპაქტურად მოსახლეობდნენ.

მეგრულისა და ლაზურის (ჭანურის), ასევე მეგრელებისა და ლაზ-ჭანების მოხსენიება წყაროებში უძველესი პერიოდიდან არის ცნობილი. არნოლდ ჩიქობავას მიერ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილ **ზან-** ფუძეს (ზან-ებ-ი, ზან-ურ-ი) საფუძველი ძველი ბერძენი მწერლების ნაწერებში ეძებნება, კერძოდ, პროკოფი კესარიელის მიერ ნახსენები **სან-**ები უნდა ასახავდეს თანამედროვე **ზან-** ფუძეს, რომელიც ჩანს სვანურში: **ზან/ზა•ნ** „სამეგრელო“, **მგზა•ნ/მგ-ზნ-ი** „მეგრელი“, **ზან-ა•რ/ზან-არ** „მეგრელები“, **ლუ-ზნ-უ** „მეგრული“.

ა. ღირის ჩვენებით, ეგვე **ზან** სეგმენტი შემორჩენილი იყო ყაზარდოელთა მეტყველებაში, რომლებიც სამეგრელოს აღსანიშნავად **ზან-ზანე** ფორმას ხმარობდნენ [ღირი, 1909, 5].

ზან ტერმინის რეალურობას ამტკიცებს სამეგრელოში გავრცელებული ადგილის სახელებიც: **ზან-ა**, **ზან-ათ-ი** და სხვ., რომელსაც იმერული **სა-ზან-ო** ეხმიანება. უფრო მეტიც, **ზან** გამოჩნდა თურქეთის ლაზეთშიც: **ო-ზან-ეთ-ი**, **ზან-ათ-ი** (ათინა), **ზან-ურუბა** (შანგული, არტაშენი). და თუ მეგრულ-ლაზური **ზან** იგივეა, რაც ქართულ **ზან-ავ-**ში თავჩენილი **ზან-**ძირი (გ. ბედომვილი), ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ სვანური **მგ-ზა•ნ** იმავე შინაარსზე დაყრდნობით არის აგებული, როგორადაც ქართ. მ-ეგრ-ელ-ი გვევლინება, ე. ი. **ზან-**, ისევე, როგორც **ეგურ-**, არის მდინარეთა სახელი (ჰიდრონიმი) და მის სანაპიროზე მცხოვრებ მეგრულ-ლაზებს ეძახდნენ **მ-ეგურ-ელ-ს** (=ენგურ-ელ-ს) და **მგ-ზან-ს** (=ზან-ელ-ს).

ამ თვალსაზრისით, ღირებულია სომხური **ეგერ** (← **ეგურ**) და აფხაზური **აგრ-უა** „მეგრელი“ სიტყვა, სადაც აშკარად ჩანს **ენგურ-**ისა და **მეგრელ-**ის საერთო წარმომავლობა. მასვე ეხმიანება ჩერქეზული **ეგერუ-**ყვა სატომო სახელი (შდრ. **ჭანუ-**ყვა).

ძველქართული **მ-ეგრ-ი/მ-ეგრ-ელ-ი** ტერმინთა საკუთრივზანური შესატყვისები უნდა ჩანდეს სტრაბონისეულ **მ-აკრ-ონ-**ში (არნ. ჩიქობავა), რომელიც გლოტალიზებული სახეობაა

*მ-აგრ-ონ-ისა. ამ უკანასკნელში -ონ იმავე ღირებულებისაა, რაც თანამედროვე ლაზ-ონ-ა „ლაზეთი“ (შდრ. აქიდან გვარსახელი მა-ლაზ-ონ-ია). ე. ი. არსებობდა ადგილის (კუთხის) სახელი *არგ-ონ-ა (=ეგრ-ის-ი), საიდანაც ნაწარმოებია *მ-აგრ-ონ-ი/მ-აკრ-ონ-ი (შდრ. ლაზ-ონ-ა → *მა-ლაზ-ონ-ი). ქართული მეგრულ-ის შესატყვისი მეგრულ-ლაზური მარგალ-ი უნდა ჩანდეს უფრო ძველი (არამეტათეზირებული) სახეობით ძველბერძნულ მანრალ-ში, რომელიც მხოლოდ გრაფიკული ლაფსუსია (ნ-სა და გ-ს აღრევა ბერძნულად ჩაწერისას) და რეალურად მაგრალ-ს წარმოაჩენს (ა. ურუშაძე, ა. ტულუში).

ძველქართულ წერილობით ძეგლებშიც დოკუმენტურად ყველაზე ადრე მეგრულ-სახელი დასტურდება: „ადესრულა კურთხეული მამფალი სტეფანოზ... მეგრელთა ერისთავ-ერისთავთა უფალი“, ატენის წარწ., 835 წ. [სარჯველაძე, 2000, 21].

ქართული წყაროები ლაზ-/ჭან-ის აღსანიშნავადაც მეგრულ ტერმინს ხმარობენ, ამიტომაც არ ჩანს ძველ ხელნაწერებში სუბეთნიკური სახელები ჭანი (ზანი), ლაზი, ხოლო ტრაპეზუნდი სამეგრელოდ არის მოაზრებული: „მიიწია ტრაპეზუნდად, ქალაქსა მას სამეგრელომასას“ [სარჯველაძე, 2000, 23].

უცხოური წყაროები, პირიქით, ლაზ/ჭან-ს ანიჭებენ უპირატესობას. ასე, მაგალითად, ბერძნულ-რომაულსა და სომხურში ჩვეულებრივია ლაზ-/ჭან-ის გამოყენება, თურქეთის ქართველობაც (ჩვენებურების მეტყველება) ლაზების აღსანიშნავად მხოლოდ ჭან ტერმინს იცნობს. ურარტულ წყაროებში ლაზის შესატყვისად ლომა/ლუმა ტერმინს ვარაუდობენ (გ. მელიქიშვილი).

ვფიქრობთ, ურარტული ფორმა ასახავს ქართული ლაზ-ის ზანურ (მეგრულ-ლაზურ) შესატყვისს – ქართ. ლაზ-ი : ზან. *ლოჟ-ა (= ურარტ. ლომ-ა/ლუმ-ა).

საყურადღებოა ასევე ეთნიკური სახელ აღზ-ის ხმარება უძველეს წყაროებში, რაც, ჩვენი აზრით, ქართული ლაზ-ის აფხაზურენოვანი ფორმის რედუცირებული ვარიანტი ჩანს (შდრ. აფხაზ. ა-ლაზ „ლაზი“). თავის მხრივ, ქართ. ლაზ- : ზან. *ლოჟ- „ლაზი“ ფუძეთა ერთიანობის თვალსაზრისი გამორიცხავს ნიკო მარის ვარაუდს იმის შესახებ, რომ ლაზ-სახელი შეიძლება დავიყვანოთ ზან- ტერმინამდის სვანური ლა- (=ქართ. სა-) პრეფიქსის მეშვეობით, თითქოს: ლა-ზან → ლა-ზ(ი) [მარი, 1910, 607].

საზოგადოდ, ჩვენთვის ამოსავალია დებულება, რომელიც ამტკიცებს, რომ ლაზ-ი ისტორიულად აღნიშნავდა ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ მეგრულ-ლაზს, ხოლო ჭან-ი მიემართებოდა უფრო მთისწინა ზოლში ან მთაში მცხოვრებ კოლხებს. ამის კვალი უნდა ჩანდეს თანამედროვე ლაზურშიც, როდესაც არცერთი ლაზი საკუთარ თავს ჭან-ად არ მოიხსენიებს, მაგრამ მისი საცხოვრისიდან მოშორებით, მთაში მცხოვრებს, იმავე ლაზს ზღვისპირელი ლაზი ჭან-ს უწოდებს, ხოლო ის, ვისაც ზღვისპირელი ჭანს ეძახის, მასზე მაღლა სოფელში მოსახლე ლაზს ასევე ჭან-სახელით მიმართავს.... სახელები ლაზი და ჭანი საუკუნეების მანძილზე ურთიერთმონაცვლეობდა, მაგრამ, ცხადია, ისტორიულად ტერმინ ჭანს უფრო ვიწრო მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც ეტყობა, თავდაპირველად ჭანი მიემართებოდა მთაში მცხოვრებ ზანს (ანუ ჭანი = მთიელი კოლხი).

ზანური (კოლხური) ენის ლაზურ დიალექტში ფიქსირებული ურთიერთმონაცვლე სუბეთნონიმების – ლაზ-ი/ჭან-ი ლოკალიზაცია იმაზე მიგვითითებს, რომ ოპოზიცია მთიელი (ჭან-ი) : არამთიელი (ლაზი) დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მეგრული დიალექტისათვის-საც. კერძოდ, მთაში მცხოვრებ მეგრელებსაც ისტორიულად წან-/ჭან-ი უნდა რქმეოდათ, შესაბამისად, მათ საცხოვრებელ მიწა-წყალს – წან-ია <- *წან-ე-ა, შდრ. მეგრ. შონ-ე „სვანეთი“, ყაზ. ზან-ე „სამეგრელო“. და ეს წან-ია ფორმა უკანასკნელ დრომდე დაცული

იყო სამურზაყანოულ კილოკავში. ამავე წან- ძირს ხედავენ სამხრეთის ქარის მეგრულ სახელწოდებაშიც – წან(ი)-ბორია (ს. ჯანაშია).

არქანჯელო ლამბერტიდან მოყოლებული დღემდე ჭან- ეთნონიმს გამოყოფენ ჰიდრონიმ ჭანისწყლის შემადგენლობაშიც, რომელიც მეგრულად მე-19 საუკუნემდე ჭან-ი-წყარ-ი ფორმით გამოიყენებოდა (გრიგოლ დადიანი). დღევანდელ მეგრულ მეტყველებაში საბოლოოდ დამკვიდრდა წენ-წყარ-ი „ჭანისწყალი“. ჩვენი დაკვირვებით, ამ ჰიდრონიმში გამოყოფილი ჭან-წან- ვერანაირად ვერ დაუკავშირდებოდა ლაზეთის ჭან-ებ-ს; მდინარის სახელების საფუძველი ადგილობრივია, ანუ მეგრული. ამასთან, ცნობილია, რომ თანამედროვე აფხაზეთისა და სამეგრელოს მთიან ნაწილში მცხოვრებ ერთ-ერთ ქართველური მოდემის ტომს უხსოვარი დროიდან მოიხსენიებენ, როგორც წან-ებ-ს. რამდენადაც მდ. ჭან-(ი)წყარ-ი სწორედ მთიან სამეგრელოში იღებს სათავეს, ამიტომაც მას წან-/ჭან-ების წყალი ეწოდა, შდრ. მეგრ. ჭან-ი-წყარ-ი / წან-ი-წყარ-ი → წენ-წყარ-ი.

ქართული წანარ-ებ-ის წყაროდაც მეგრული წან-არ-ი უნდა დასახელდეს; წან-არ-ი უდრის წან-ელ-ს, ანუ წან-ის ტომის ერთ-ერთ წარმომადგენელს. ამ თვალსაზრისით საყურადღებო პარალელია უკვე ძველი ქართულიდან კარგად ცნობილი აფს-არ- ეთნონიმი, რომელიც მეგრულად გაფორმებული აფს(უ)-ელ-ი ჩანს (ქ. ლომთათიძე). მეგრული წან-არ-სახეობა ჩანს პტოლემეოსის ბერძნულ ◈⚡⚡◻◻◈◻✠ ფორმაშიც.

მეგრული წან- სახეობის ფუძე ასევე დაცულია აფხაზურ ა-წან ფორმაში. აფხაზთა ხალხური გადმოცემით, ა-წან-ებ-ი აფხაზეთის მთებში ცხოვრობდნენ. წან-ებ-ი (აფხ. მრ. რ. ფორმა წან-აა) მეჯოგეები იყვნენ და მოსახლეობდნენ ბზიფიდან ენგურამდე. მათი საცხოვრებელი სახლების ნაშთები გვხვდება 2133-დან 2286 მეტრის სიმაღლეზე, აფხაზები მათ სადგომებს წან-იგვარა-ს ეძახიან (ნ. ალბოვი, ს. ჯანაშია).

თუ ქართველურ ენათა შედარებითი ფონეტიკის მონაცემებით ვისარგებლებთ, მეგრულ-ლაზურ წან-/ჭან- ალომორფებს ქართულში შესატყვისად წენ- გახმოვანების ფუძე უნდა ჰქონოდა, რაც თანხვედნილია საერთოქართველური ფუძე-ენის *წენ- არქტიპულ მონაცემთან. სამწუხაროდ, ქართულში დღეს წენ- ფუძე არ იძებნება, ისტორიულად კი მისი არსებობის კვალი ჩანს ძვ. სომხურ წენ „ლაზი“ ეთნონიმში, რომლის წყაროდაც მეგრულ-ლაზურ ალომორფებს ვერ ვივარაუდებთ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კოლხურ ენაში ე გახმოვანების წენ- არ დასტურდება და არც უნდა ყოფილიყო, შდრ. ბერათმესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა (ს.-ქართვ. *ე).

საერთოქართველური (ფუძე-ქართული) არქტიპის რეკონსტრუქციისათვის მეტად ღირებული ჩანს ნართული ეპოსის ოსური ვარიანტი, სადაც ერთ-ერთი მითიური ხალხის აღსანიშნავად აფხაზური ა-წან-ის (მრ. რ. წან-აა) ადგილს ოსურ ტექსტში ბწენ (მრ. რ. ბწენ-თა) ფორმა იკავებს. ჩვენი თვალსაზრისით, ოსური ბწენ ეთნონიმისთვის ამოსავალია საერთო-ქართველური *წენ- არქტიპისთვის სავარაუდო სვანური კანონზომიერი შესატყვისი, რომელიც გაფორმებული იქნებოდა საკუთრივ სვანური მგ- პრეფიქსით და, ალბათ, ჟღერდა როგორც მგ-ჭენ. სიტყვის თავში ფიქსირებული სვანური მჭ- ბერათთანმიმდევრობა ოსურში ზეპირი გზით სესხების დროს *მგჭენ → ბწენ სახეობად იქნა ადაპტირებული (შდრ. ჭ → // წ მონაცვლეობა ოსურ ენაში).

ამრიგად, ქართველური, აფხაზური, ოსური, სომხური და ბერძნული ენების ფაქტობრივი მასალის მიხედვით შესაძლებელი ხდება საერთოქართველური *წენ- ძირის რეკონსტრუქცია, რომელიც, ალბათ, მთიელ ქართველს თუ აღნიშნავდა. უძველეს ისტორიულ პერიოდში ქართველის (მთიელი ქართველის) აღსანიშნავად *წენ- ტერმინის

არსებობის უტყუარ კვალს ჩვენ ვხედავთ დაღესტნურ მონაცემშიც, სადაც წორ ძირი ქართულის ტოლფარდია და ქრონოლოგიურად წინ უსწრებს გურჯი / გურჯი ალომორფებს. აქიდან დასკვნა: მეგრულ-ლაზურის ორსავე დიალექტში ბარში (ზღვისპირას) მცხოვრებს ეწოდებოდა ლაზი, ხოლო მთაში მცხოვრებს (მთიელს) – ჭანი → // წანი.

მეგრულ-ლაზური მეტყველების გავრცელების არეალი დღითიდღე მცირდება. როგორც ცნობილია, ზანური მეტყველება ისტორიულად ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა როგორც დასავლეთ-, ისე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. სავარაუდოდ, მეგრულსა და ლაზურს შორის გარდამავალი დიალექტი (ნარევი მეტყველება) ვრცელდებოდა თანამედროვე გურია-აჭარაში, რასაც სამხრეთ-დასავლეთით საკუთრივ-ლაზური მეტყველება ემეზობლებოდა, ხოლო მეგრული გავრცელებული იყო იმერეთში შორაპანდის (გ. მაჭავარიანი), რასაც ამოწმებს მეგრული ტიპის ფუთ-ი ტოპონიმი შორაპანთან (შდრ. ქ. ფოთ-ის მეგრული დასახელება – ფუთ-ი/ფუთ-უ, რომელიც ლაზურად ფონთ-ო(→ უკუსესხებით პონტო) უნდა ყოფილიყო – ქ. ლომთათიძე), მეგრულივე მოიცავდა თანამედროვე ლეჩხუმის რეგიონს, შავი ზღვისპირეთიდან ვიდრე რაჭა-სვანეთ-აფხაზეთის მთიან ზოლამდის (შდრ. სვან. დალ- : მეგრ. დოუ „უღელტეხილი აფხაზეთში“).

შემთხვევითი არც ის არის, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თითქმის ყველა მსხვილი ტოპონიმი მეგრულის მეშვეობით იხსნება, ზანური ეტიმოლოგია აქვს: დიო-სქურ-ია „სოხუმი“ უნდა ნიშნავდეს ბევრ/დიდ წყარო-ს, რაც სოხუმის ადგილმდებარეობისთვის ბუნებრივი ჩანს (დიო = ქართ. დია „ბევრი, ძალიან“ რუსთაველთან + სქურ- „წყარო, ღელე“); ეგევე სქურ- „წყარო, ღელე“ იკითხება კელა-სურ-ი (←*კელა „თან“ + სქურ-ი, შდრ. მსგავსი ლაზური ტოპ. კლა-სქურ-ი თურქეთის საქართველოში), რომელიც შედგენილობით ქართულ ტბა-თანა-ს მისდევს; ოჩე-მჩირე (ოჩე „ყანა/ხოდაბუნი“ + მჩირე „ვრცელი“) → ოჩამჩირე (გ. როგავა), ტკვარჩელ-ი „ხის ფენილი კიბე“, ან ტკვარჩელ-ია „მცენ. ყოჩივარდა“ (ი. ყიფშიძე, თ. გვანცელაძე), გაგრა ← მეგრ. გაგურ-ა „თავმოჭრილმთებიანი ადგილი“, ო-ქუმ-ი „წისქვილი; მარცვლეული ყანა“, ოხურეი „წყალუხვი მდინარე“, გუდა-უთ-ი (გუდა-ვა, გუდა-ურ-ი, ხოლო -უთ სუფიქსისთვის შდრ. კვა-უთ-ი სოფელი სენაკში) და ა. შ.

დღევანდელი მდგომარეობით ზანური (კოლხური) ენის მეგრულ დიალექტზე საუბრობენ სამეგრელოში (აბაშა, ზუგდიდი, მარტვილი, სენაკი, ქ. ფოთი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხობი) სამურზაყანო (გალი, ოჩამჩირე, ტკვარჩელი); ჩრდილო-აღმოსავლეთით მეგრული მეტყველება ვრცელდება მდ. დალიძგამდის, ჩრდილო-აღმოსავლეთით საზღვარია ეგრისის ქედი (სოფლები თოთანი და ხუბერი მესტიის რ-ნში), სამხრეთ-აღმოსავლეთით – იმერეთ-ლეჩხუმი, ცხენისწყალი და რიონის მარცხენა სანაპირო (აბაშის რ-ნის სოფლები: გაღმაკოდორი, გულეიკარი, კეთილარი), ხოლო სამხრეთით მდინარე ფიჩორი მიჯნავს მეგრულ დიალექტს გურულისაგან.

ფაქტია, რომ უკანასკნელი ცამეტი საუკუნის განმავლობაში მეგრულის გავრცელების არეალი არ შეცვლილა. ამის დამადასტურებელი და, საერთოდ, ანგარიშგასაწევი ფაქტები მეგრულის (და მეგრელების) შესახებ წარმოდგენილია ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლში „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“, რომელიც აღწერს არაბთა შემოსევის (მურვან-ყრუს) ამბებს დასავლეთ საქართველოში და გვაწვდის ძვირფას ინფორმაციას „ქვეყანა მეგრელ-თასა“-ს ლოკალიზაციის შესახებ. ძეგლში ნათქვამია: {მურვან-ყრუ} „ალიძრა და დაიბანაკა ქალაქსა ჯიხანქუჯისასა, ქუეყანასა მეგრელთასა, სანახებსა ჭყონდიდისა, რომელ

არს მეგრუ-ლითა ენითა მუხა დიდი, და რამეთუ იყო ბანაკი მათი ცხენისწყლითგან ვიდრე აფხაზეთამდის“ (აგიოგრაფიული ძეგლები, თბ., 1971, გვ. 258). ისევე როგორც დღეს მეგრული (მეგრულთა ქუეყანა) არაბთა შემოსევის დროსაც, მერვე საუკუნეში (737-741 წწ.) ცხენისწყლიდან აფხაზეთამდის ვრცელდებოდა.

ისტორიულ ლაზიკას (ბერძნულად **ლაზიკე**, ხოლო საკუთრივ-ლაზურად **ლაზონა** „ლაზეთი“) ეჭირა შავი ზღვის სანაპირო ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ყველა დროში (დღესაც) უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

აქ გადიოდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო საქარავნო გზა, რის გამოც ლაზეთი ხშირად იყო მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავების მიზეზი. ლაზეთის ტერიტორიის საერთო ფართობი მოიცავს 7 000 კვ. კილომეტრზე მეტს. მისი საზღვრებია: ჩრდილოეთით შავი ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით და აღმოსავლეთით – მდინარე ჭოროხი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – მდინარე სამანსუ. თურქეთში ლაზურენოვანი მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა ძნელი დასადგენია. მე-19 საუკუნის ინგლისელი კონსულის ჯიფორდ პალ გრევის სიტყვით ლაზისტანში 1872 წლის ოფიციალური მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 850 000 აღწევდა (რაც აშკარად გადაჭარბებული ჩანს). მათში 56 000 ქრისტიანია. მეოცე საუკუნეში, 1935 წლიდან 1965 წლამდე, თურქეთის რესპუბლიკაში მოსახლეობა აღიწერებოდა დედაენისა და მეორე ენის მაჩვენებლების მიხედვით, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ ლაზურენოვანი მოსახლეობის ზრდა-კლების დინამიკას:

აღწერის წლები	1935	1945	1950	1955	1960	1965
ლაზური- დედა ენა	63 253	46 987	70 423	27 016	21 703	26 007
ლაზური-მეორე ენა	5 061	4 956	-	22 667	38 267	59 101
სულ	68 314	51 943	70 423	49 683	59 970	85 108

1965 წლის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის სტატისტიკური ორგანოებისთვის დამახასიათებელი მეორე ენის აღწერის პრაქტიკა აიკრძალა, რაც აძნელებს ლაზურენოვანი მოსახლეობის ზუსტი რაოდენობის დადგენას, მაგრამ, თუ ავიღებთ ლაზური მოსახლეობის 1965 წლის საერთო რაოდენობას (85,1 ათასი) და მოვახდენთ მის ექსტრაპოლაციას თურქეთის მოსახლეობის მატების საშუალო კოეფიციენტის გამოყენებით, 50 წლის შემდეგ ლაზურენოვანი მოსახლეობის საერთო რაოდენობა, ალბათ, ნახევარმილიონიან ზღვარს მიუახლოვდებოდა. ლაზური დიალექტის გავრცელების არეალი მეტად თავისებურია. იგი მოიცავს ტერიტორიას შავიზღვისპირეთში სოფ. სარფიდან ქ. ტრაპიზონამდე. საინტერესოა ლაზთა იმ ნაწილის მეტყველებაც, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დასავლეთ ანატოლიაში რომ გადასახლდნენ. მათმა დიდმა ნაწილმა ლაზური დღესაც იცის და უფრო ტრადიციონალისტები არიან, ვიდრე ისტორიულ ლაზეთში მცხოვრები თანამომხეები. ხოლო ტრაპიზონსა და მის შორიახლო ტერიტორიებზე მცხოვრებმა ლაზებმა დიდი ხნის წინ განიცადეს ელინიზაცია. მათ დავიწყებული აქვთ ლაზური, მაგრამ ახსოვთ თავიანთი ლაზური წარმოშობა. ასევე დაკარგული აქვთ ლაზური ქ. ტრაპიზონიდან ქ. ზონგულდაქამდე მცხოვრებ ლაზებსაც, ისინი თურქულად მეტყველებენ, თუმცა იციან, რომ წარმოშობით ლაზები არიან. სტამბოლში, ანკარასა და სხვა დიდ ქალაქებში ახალგადასახლებული ლაზები, რომლებიც მხოლოდ წელიწადში ერთხელ და ისიც

დასასვენებლად ჩადიან თავიანთ კუთხეში, ლაზურად ვერ ლაპარაკობენ და მეტად მჭიდროდ არიან ინტეგრირებულნი თურქულ საზოგადოებაში.

თანამედროვე ლაზური მეტყველების გავრცელების არეალი, მეგრულთან შედარებით, მცირეა. **ლაზები (ჭანები)** მოსახლეობენ შავი ზღვის სანაპირო ზოლში სარფიდან ქემერამდის, მდ. ჩხალის ხეობა მურღულისაკენ წარმოდგენილია ასევე ლაზური მეტყველებით (რვა სოფელში). ლაზური მოსახლეობა კომპაქტურია სარფიდან ქემერამდის, ათინის რაიონის ხუთ სოფელში ჰემინები ცხოვრობენ, რომლებიც სომხურად საუბრობენ. სავარაუდოა, ეს სოფლებიც ლაზური იყოს წარმოშობით, ვინაიდან ირკვევა, რომ ადრეულ ეტაპზე, ლაზთა გაქრისტიანებისას, მოსახლეობის ნაწილმა მონოფიზოტობა მიიღო (აღიარა), რითაც სომხური ეკლესიის მრევლი ხდებიან ლაზები და, ცხადია, თანდათანობით ივიწყებენ მშობლიურ ლაზურს და გადადიან სომხურზე. აქ დაახლოებით ისეთივე ვითარება უნდა გვექონდეს, როგორც სტამბოლში, სადაც ქრისტიანი მართლმადიდებელი ლაზები ლაპარაკობენ ბერძნულად და თავს ბერძნებად თვლიან (ჰრ. აჭარიანი). უფრო მეტიც, გაბერძნებული ლაზები, რომლებსაც ენა დავიწყებული ჰქონდათ, XIX-XX საუკუნეებში საქართველოში არიან მიგრირებული, როგორც ბერძნები (მაგრამ უკვე თურქულენოვანნი), ისინი წალკაში სახლდებიან როგორც ურუმელი ბერძნები, მაშინ, როდესაც ისინი ეთნიკურად, რა თქმა უნდა, ლაზები არიან და ამას მათი ყოფაც განსაზღვრავს (წათე ბაწაში).

XX საუკუნეში ლაზების მოსახლეობა ფიქსირდებოდა აფხაზეთშიც: გუდაუთა, ოჩამჩირე, სოხუმი, ასევე სოფლები: შაწკვარა, ფაჩანთა, ხარუტა, ფშალთილული, წარაშუბარა, აძიუბჟა ნაწილობრივ ლაზურად მეტყველებდნენ [ჩიქობავა, III, 2008, 29]. საკმაოდ იყო ამ დროისათვის ლაზური წარმოდგენილი კურორტ ანაკლიაში, ანაკლიური ლაზური ტექსტები მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩაწერილი აქვს პროფ. ირინე ასათიანს. ანაკლიელ ლაზებს დღესაც კარგად ახსოვთ საკუთარი წარმომავლობა, მაგრამ თანდათანობით კარგავენ ლაზურ თავისებურებებს და გადადიან მეგრულზე.

მეგრულ-ლაზურ კილოთა შესწავლის ისტორიიდან ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ XVII საუკუნის სამეგრელოში, ლევან მეორის მმართველობის დროს, არაერთი ათეული წელი გაატარა იტალიელმა კათოლიკე მისიონერმა არქანჯელო ლამბერტიმ, რომელმაც თავისი ცხოვრებისეული ჩანაწერები ცალკე წიგნად გამოსცა და მას „სამეგრელოს აღწერა“ უწოდა (ა. ლამბერტის წიგნი ქართულადაც ითარგმნა ილ. ჭყონიას მიერ). ლამბერტის ჩანაწერებში მნიშვნელოვანია მეგრული ზნე-ჩვეულებები და ლექსიკა. ზოგი მეგრული სიტყვა-ფორმა ამ ჩანაწერების წყალობით ხდება ჩვენთვის ცნობილი; ნიმუშად **ზუთხის** აღმნიშვნელი მეგრული **ანჯაქია** „ზუთხი“ გამოდგება, რომელიც სწორედ ლამბერტიზე მითითებით აღმოჩნდა ი. ყიფშიძის ლექსიკონში.

ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“ [იხ.: ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“: ნაკვ. I, თარგმანი, თბ., 1971; ნაკვ. II, გ. ფუთურიძე, გამოკვლევა, თბ., 1973], რომელიც იწერებოდა XVII საუკუნის 70-80-იან წლებში, საყურადღებო ცნობებს შეიცავს, მაგრამ ენობრივი უზუსტობანი მასში ჭარბად იჩენს თავს (ი. ყიფშიძე, ს. ჯიქია).

ი. გიულდენშტედტის „მოგზაურობა რუსეთსა და კავკასიაში“, რომელიც ორ ტომად გამოქვეყნდა, იცნობს მხოლოდ მეგრულ მასალას, ლაზური ნიმუშები მისთვის უცნობია [იხ.: ი. გიულდენშტედტი, *Reisen durch Rußland und im caucasischen Gebürge*, St.-Peterburg. Bd. I, 1787; Bd. II, 1791];

მნიშვნელოვანია ი. კლაპროთის მასალები, რომელიც წინამორბედთა ჩანაწერებსაც იმეორებს [იხ.: ი. კლაპროთი, *Détails sur dialecte georgien usité en Mingrélie, Journal asiatique, 1829 février*]. საყურადღებოა, რომ ი. კლაპროთმა ლაზურში ჯერ ორი დიალექტი – ქემერული და ხოფური გამოყო, ხოლო მოგვიანებით სხვა ნაშრომში [*Asia Polyglotta, Zweite Auflage, Paris 1831*] ტრაპიზონული დიალექტის არსებობის შესახებაც მიუთითა.

ლაზურის პირველი გრამატიკული მიმოხილვა გეორგ როზენს ეკუთვნის, იგი ათინურ კილოკავს იკვლევდა, ვინაიდან ინფორმატორი ათინელი ლაზი იყო [იხ.: გ. როზენი, *Über die Sprache der Lazen, Berlin, 1844*]. ორი წლის შემდგომ, 1946 წელს იგივე ავტორი ქმნის მოკლე ნარკვევს მეგრულის შესახებ [იხ.: გ. როზენი, *Ossetische Sprachlehre nebst einer Amhandlung über das Mingrelische, Suanische, Berlin, 1846*].

მეგრულის შესწავლაში ახალი ეტაპი იწყება ა. ცაგარელის მოღვაწეობით, მისი ეტიუდების ორივე ტომი ღირებულია დღესაც, მას მნიშვნელობა არ დაუკარგავს [იხ.: ა. ცაგარელი, *Мингрельские этюды, вып. I: Мингрельские тексты с переводом и объяснениями, вып. II: Опыт фонетики мингрельского языка, С.-Пб., 1880*]; უფრო ადრე იგივე ავტორი ქმნის შედარებითი ხასიათის ნაშრომს – „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“, რომელიც 1872 წელს პეტერბურგში დაიბეჭდა ლითოგრაფიულად და შეიცავს ასევე მეგრულ-ლაზურ მასალას [იხ.: ა. ცაგარელი, *Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, С.-Пб., 1872*].

ზანური მონაცემები მოხმობილი აქვს თავისი წიგნის ორივე ნაწილში, როგორც ლექსიკურ, ისე გრამატიკულ მიმოხილვაში რ. ერკერტს შრომაში „კავკასიური ძირის ენები“ [იხ.: რ. ერკერტი, *Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895, Th. I, VI, 204, Th. II, XII, 391*].

ამავე პერიოდს ემთხვევა პ. ჭარაიას გამოსვლა სამეცნიერო ასპარეზზე, რომელმაც თავის დროზე მეტად ღირებული ლექსიკონები შექმნა და წინ წასწია მეგრულის შედარებითი შესწავლა ქართულთან მიმართებით [იხ.: პ. ჭარაია, *მეგრული დიალექტის ნათესაური დამოკიდებულება ქართულთან. – მოამბე, XXII, 1895, I, II*].

წინამორბედ მკვლევართა ნაღვაწს ეფუძნება ჰრ. აჭარიანის „ეტიუდები ლაზური ენის შესახებ“, რომელსაც ავტორის ჩანაწერებიც ემატება [იხ.: ჰრ. აჭარიანი, *Etude sur la langue Laze: Extrait des Mémoires de la Societe de linguistique de Paris, t. X, 1899*].

ნიკო მარის „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა“ 1909 წელს თურქეთის ლაზეთში შეკრებილ მასალებს ეფუძნება [იხ.: ნ. მარი, *Из поездки в турецкий Лазистан. Впечатления и наблюдения, Изд. АН, С.-Пб., 1910*]. ავტორის დამსახურებაა ლაზურ კილოკავებზე ცალ-ცალკე სპეციალური დაკვირვება ჯერ ვიწეში, შემდეგ არქაბეში და ბოლოს ხოფაში. ნ. მარი ითვალისწინებს კილოკავურ სხვაობებს როგორც გრამატიკულ მიმოხილვაში, ისე ლექსიკონში [იხ.: ნ. მარი, *Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб., 1910*].

ლაზურის ხოფური კილოკავის ჩხალურ თქმაზე 1911 წელს სპეციალურ ნაშრომს აქვეყნებს ი. ყიფშიძე ნაშრომში – „დამატებითი ცნობები ჭანურის შესახებ“ [იხ. ი. ყიფშიძე, *Дополнительные сведения о чанском языке (из лингвистической экскурсии в русской Лазистан), С.-Пб., 1911*]. 1917 წელს ლაზეთში ყოფნისას ი. ყიფშიძემ მოიპოვა ძვირფასი საველე მასალა, რომლის გადარჩენილი ნაწილი არნ. ჩიქობავამ გამოაქვეყნა „ჭანური ტექსტების“ სახით 1939 წელს. იმავე ავტორის მიერ 1909-1912 წლებში სამეგრელოში შეგროვილი ენობრივი მასალის ბაზაზე იქმნება „მეგრულის გრამატიკა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ“, რომელიც

1914 წელს გამოქვეყნდა და, მიუხედავად მარისეული პრინციპებისა, დღემდე ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ნაშრომად ითვლება [იხ.: ი. ყიფშიძე, *Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем*, С.-Пб., 1914].

ანგარიშგასაწევია თ. კლუგეს მოღვაწეობა მეგრულისა და ლაზურის შესწავლის თვალსაზრისით. მას ეკუთვნის ვრცელი წერილები ზანური ენის დიალექტების შესახებ. მეგრულს ეძღვნება ავტორის ნაშრომი: „Beiträge zur mingrelischen Grammatik, Zeitschrift f. die Kunst und Kultur-Geschichte des alten Orients, Vol. VII, H. 1/2, 1913. იმავე წელს ქვეყნდება უფრო მოცულობითი ნაშრომი ლაზური გრამატიკის საკითხებზე ტექსტებითურთ: *Materialien zu einer Lazischen Grammatik nach Aufnahmen des Dialekts von Trapezunt; Aus den Nachrichten der K. Gesellschaft der Wissenschaften zu Göttingen. Phil.-historische Klasse*, 1913. თ. კლუგეს ტრაპიზონულ დიალექტზე საუბარი გაგრძელება ჩანს ი. კლაპროთის მცდელობისა. ეს უკანასკნელი, როგორც აღინიშნა, ტრაპიზონული დიალექტის არსებობის შესახებ მიუთითებდა. ოდნავ მოგვიანებით, 1916 წ. თ. კლუგე კვლავ უბრუნდება მეგრულის კვლევას და აქვეყნებს გრამატიკას, სახელწოდებით: „Beiträge zur mingrelischen Grammatik von Theodor Kluge; Verlag von W. Kohlhammer, Berlin-Stuttgart-Leipzig, 1916.

დღემდე შეუსწავლელია რობერტ ბლაიხშტაინერის მეგრული ტექსტები, რომელიც მან ქართულთან ერთად გამოსცა ვენაში 1919 წელს [იხ.: R. Bleichsteiner, *Kaukasische Forschungen. Th. 1. Georgische und mingrelische Texte (Sprichwörter, Rätsel, Sagen, Märchen etc. nebst systematischer Wörtersammlung der georgischen und mingrelischen Sprache in latein. Transkription mit Übersetzung und Kommentar)*; Wien (Osten und Orient, Reihe 1. Bd. 1/1, CLX), 308 გვ.]

მეგრულ-ლაზურის მეცნიერული შესწავლის გზაზე ეპოქალური მნიშვნელობისა იყო არნ. ჩიქობავას კაპიტალური მონოგრაფიის „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ (თბ., 1936), რომელსაც გვერდს უმშვენებს იმავე ავტორის მიერ შედგენილი „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (თბ., 1938). „ჭანურის გრამატიკულ ანალიზს ერთვის 300 გვერდზე მეტი მოცულობის ლაზური ტექსტები, რომელთა მცირე ნაწილი ჩაწერილია ს. ჯიქიას მიერ, რაზეც წიგნში სათანადოდაა მითითებული.

განსაკუთრებული წვლილი ლაზური ტექსტების შეგროვება-გამოცემაში მიუძღვის ფრანგ ლინგვისტს ჟორჟ დიუმეზილს, რომლის პირველი ნაკვეთი („Contes Lezes“) 1937 წელს, მეორე („Documents Anatoliens sur les langues et les traditions du Caucase, IV, Récits lazés en dialecte d’Avhavi (Parler de Şenköy)“) 1967 წელს, ხოლო მესამე („Pexes en lase d’Arseş en, Bedi Kartlisa, Revue de kartvélogie“, vol. XXIX-XXX) 1972 წელს დაიბეჭდა პარიზში; ლაზური ტექსტების მეოთხე განაკვეთიც ასევე პარიზში გამოქვეყნდა 1986 წელს. იგივე ტექსტები ქართულად ფრანგულთან ერთად ცალკე წიგნად თბილისში გამოსცა 2009 წელს პროფ. მანანა ბუკიამ [იხ.: ჟორჟ დიუმეზილი, *ლაზური ზღაპრები და გადმოცემები (რედაქტორი პროფ. მ. ჩუხუა)*].

1938 წელს პროფ. ს. ჟღენტი აქვეყნებს მის მიერ შეგროვებულ ჭანურ ტექსტებს [ს. ჟღენტი, *ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, ტფილისი*, 1938], რომელსაც ერთვის ავტორის მიერ შედგენილი საკმაოდ ვრცელი ლექსიკონი (გვ. 177-219).

უფრო ადრე, 1920 წელს, თბილისშივე გამოიცა შ. ბერიძის საყურადღებო ნაშრომი „მეგრული (ივერიული) ენა“.

ამავე პერიოდში, 1921 წლიდან, იწყებს მ. ხუბუა მეგრული მასალის მოძიებას და მოგვიანებით, 1937 წელს, გამოდის მისი „მეგრული ტექსტები“.

საგულისხმო ენობრივი მასალა მოიპოვება ისქანდერ ჭითაშის მიერ შედგენილ ლაზურ სახელმძღვანელოში, რომელიც აფხაზეთში გამოიცა მე-20 საუკუნის ოცდაათიან წლებში [Chitaşi Isqenderi, „Okitxuşeni Supara“, სოხუმი, 1937]. აქ წარმოდგენილი ლექსიკა ჯერ-ჯერობით მხოლოდ პროფ. ირინე ასათიანის ლაზურ ლექსიკონშია გათვალისწინებული, ისიც მხოლოდ ზმნური ძირ-ფუძეები.

თითქმის ორმოცწლიანი პაუზის შემდგომ, XX საუკუნის 70-იანი წლებიდან საქართველოში კვლავ განახლდა მეგრულ-ლაზურის შესწავლა. კერძოდ, 1972 წ. დაიბეჭდა გ. კარტოზიას „ლაზური ტექსტები“, რომელიც ლაზურის ორი კილოკავის – ხოფურისა და ვიწურ-არქაბულის – მასალას წარმოადგენს [გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1972]. 1993 წელს იგივე ავტორი გამოსცემს „ლაზური ტექსტების“ მეორე ნაწილს, სადაც თავმოყრილია გ. კარტოზიას მიერ თურქეთის ლაზეთში ორმოცდაათ ლაზურ სოფელში ჩაწერილი ჭანური მეტყველების ნიმუშები სამივე კილოკავის მიხედვით [გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბ., 1993]. უფრო გვიან გამოქვეყნდა იმავე ავტორის მიერ ასევე ადგილზე მოძიებული ტექსტების კრებული [გ. კარტოზია, მეგრული და ლაზური ტექსტები, თბ., 2008 წ.].

1974 წელს ირინე ასათიანმა თბილისში გამოსცა „ჭანური (ლაზური) ტექსტები“; ასათიანის ტექსტებს თან ახლავს სალიტერატურო ქართულ ვარიანტებთან ერთად ავტორისეული კომენტარი, რაც ზრდის წიგნის ფასეულობას [იხ.: ირ. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, I, ხოფური კილოკავი, თბ., 1974]. ამავე ავტორმა 2012 წელს გამოსცა „ლაზური ლექსიკონი (ზმნური ძირ-ფუძეები)“ და „ლაზური (ჭანური) ტექსტები – ვიწურ-არქაბული და ათინური კილოკავები (რედ. პროფ. ლალი ეზუგბაია)“.

1994 წელს გამოვიდა რ. შეროზიასა და ო. მემიშიშის წიგნი – „ხალხური სიბრძნე, I, მეგრული და ლაზური ანდაზები“. კრებულში თავმოყრილია როგორც ადრე გამოქვეყნებული, ისე შემდგენელთა მიერ სავსე სამუშაოების დროს მოძიებული ენობრივი მასალები.

ამ მხრივ ასევე საყურადღებო ჩანს ლაზი ავტორების – მ. ვანილიშის და ა. თანდილაგას ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევი, რომელშიც აგრეთვე შევიდა ლაზური პროზაული ტექსტები და პოეზიის ნიმუშები [იხ.: მ. ვანილიში, ა. თანდილაგა, „ლაზეთი“, თბ., 1964].

თავის დროზე სერგი ჟღენტმა მონოგრაფიულად შეისწავლა და დაამუშავა მეგრულ-ლაზურის ფონეტიკა [ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953].

მრავალრიცხოვან წერილებთან ერთად მეგრულ-ლაზური ფონეტიკის უმნიშვნელოვანესი პრობლემები განიხილება პროფ. გიორგი როგავას მონოგრაფიებში: „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“, I, თბ., 1962; „ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები“, II, თბ., 1984. ამ მიმართულებით მუშაობა მომდევნო პერიოდშიც გაგრძელდა.

მეტად ფასეულია ნ. ქუთელიას ძიებანი ჭანური (ლაზური) ფონეტიკური სტრუქტურის კვლევის მიმართულებით, რაც შეჯამებულია ავტორისავე 1986 წარმოდგენილ საკვალიფიკაციო (სადოქტორო) ნაშრომში. მისი გადამუშავებული საბოლოო ვერსია გამოქვეყნდა თსუ გამომცემლობის მიერ 2005 წელს. უფრო ადრე, 1982 წელს ს. ჯიქიასთან ერთად მან გამოსცა „ლაზური პარამითეფე“.

თურქულ-ლაზურ ურთიერთობებს ეძღვნება აკად. სერგი ჯიქიას გამოკვლევათა სერია: „ევლია ჩელები ლაზებისა და ლაზურის შესახებ“. – იკე, VI, თბ. 1954; „თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან“, I, თსუ შრომები, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია IV, თბ. 1964;

„თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან“, II, თსუ შრომები, 164, თბ. 1974; „თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან“, III, თსუ შრომები, 8-9, თბ. 1975.

მე-20 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან განახლდა მეგრული ტექსტების ბეჭდვა. კ. სამუშია სამ განაკვეთად აქვეყნებს მეგრული პოეზიის ნიმუშებს: 1). „ქართული ხალხური პოეზიის მასალები: მეგრული ნიმუშები“, თბ., 1971; 2). „ქართული ხალხური პოეზიის საკითხები: მეგრული ნიმუშები“, თბ. 1979; 3). „ქართული ზეპირსიტყვიერება: მეგრული ნიმუშები“, თბ. 1990.

პროფ. ტ. გუდავამ 1975 წელს გამოსაცემად მოამზადა მეგრული პოეზიის ნიმუშები წინასიტყვაობითა და თანდართული გამოკვლევებითურთ: „ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, I. პოეზია“, თბ., 1975.

მოგვიანებით უკვე კორნელი დანელია ფოლკლორისტ ა. ცანავასთან ერთად გამოსცემს მეგრული ზღაპრებისა თუ სხვა ჟანრის ტექსტებს, რომელსაც ერთვის შენიშვნები და სპეციალური გამოკვლევა [კ. დანელია, ა. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ), ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, თბ., 1991].

XX საუკუნის ოთხმოციანი წლებში მეგრულ-ლაზურის ბგერით (ფონემურ) ინვენტარს ერთმანეთის მიყოლებით ორი ექსპერიმენტული სახის გამოკვლევა მიემდგვნა; კერძოდ, 1980 წელს გამოქვეყნდა ნ. კიზირიას „ჭანურის ბგერითი შედგენილობა“ [ექსპერიმენტული გამოკვლევა სოფელ სარფის მეტყველების მიხედვით, თბ., 1980], ხოლო 1981 წელს ანალოგიური ხასიათის ნაშრომი მეგრული დიალექტის შესახებ გამოსცა ნ. იმნაძემ: „ზანური ენის მეგრული დიალექტის ბგერითი შედგენილობა“ (ექსპერიმენტული გამოკვლევა), თბ., 1981].

ამირან ლომთაძის მონოგრაფია ემდგნება სახელის ბრუნებას მეგრულში, რომელიც ავტორმა საკანდიდატო დისერტაციად წარმოადგინა 1974 წელს, ხოლო 1987 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა: „ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში“ (თბ. 1987 წ.).

მეგრულ-ლაზური ბრუნების საკითხები გამოწვლილვით არის შესწავლილი პროფ. მერაბ ნაჭყებიას მონოგრაფიებში: მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა ქართველურ ენებში (თბ., 2005); სახელის ბრუნების პარადიგმა მეგრულ-ლაზურში (თბ., 2006 წ.).

ლაზურის შესწავლის თვალსაზრისით, საყურადღებოა გ. კარტოზიას მონოგრაფია, რომელიც 2005 წელს დაბეჭდა გამომცემლობა ნეკერმა. ნაშრომში განვითარებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლაზური დამოუკიდებელი ენაა, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით. მიუხედავად ამისა, აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მასში დაფიქსირებულია არაერთი საინტერესო ფაქტი ლაზურის ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა თუ სინტაქსის სფეროდან.

2007 წელს შვეიცარიის საელჩოს მხარდაჭერით ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი (ICCL) აქვეყნებს შრომას „კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა“ (შემდგენლები: რ. ნიშნიანიძე (რედაქტორი), ნანა დანელია, ინგა დუნდუა), სადაც პირველ ნაწილად (გვ. 11-175) შევიდა პროფ. კორნელი დანელიას „კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი“, რომელსაც საფუძვლად დაედო კ. დანელიას სალექციო კურსი, – ამ კურსს თსუ პროფესორი წლების განმავლობაში უძღვებოდა ძველი ქართული ენის კათედრაზე მოღვაწეობისას.

2010 წელს გამოიცა მონოგრაფია: „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (ავტორები: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია). ი. ყიფშიძის და შ. ბერიძის შემდეგ შეიქმნა საკმაოდ მომცველობითი და სოლიდური სპეციალური ნაშრომი, სადაც შედარებით სრულად არის შესწავლილი ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიის, ლექსიკოლოგიის, სინტაქსის

მირითადი საკითხები მეგრულში. მრავალწლიანი სტაგნაციის შემდეგ ამ ფუნდამენტური ნაშრომის შექმნა უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

მრავალწლიანი პაუზის შემდეგ 1997 წელს ერთდროულად ქვეყნდება ორი ლექსიკონი მეგრულის შესახებ: პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ. 1997 და გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ. 1997. ორი წლის დაგვიანებით სტამბოლში ქვეყნდება ეთნიკური ლაზების ი. ბუჯაქლიშისა და პ. უზუნჰასან-ოღლის „ლაზურ-თურქული ნენაფუნა (ლექსიკონი)“, სტამბოლი 1999. ამ ლექსიკონის უფრო ვრცელი ვერსია ამჯერად მესამე ლაზი ავტორის, ირფან ალექსივას მონაწილეობით გამოვიდა 2007 წელს – „დიდი ლაზური ნენაფუნა (ლექსიკონი)“. ლექსიკონის ღირსებას ზრდის ის ფაქტი, რომ აქ თითოეულ სიტყვა-ფორმას მითითებული აქვს, თუ რომელ კილო-თქმას ეკუთვნის იგი, რითაც გრძელდება ნ. მარისა და არნ. ჩიქობავას ლექსიკონებში აპრობირებული ტრადიცია.

ლაზური ლექსიკონის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა გამოჩენილი ლექსიკოგრაფის ალი თანდილაგას თითქმის ათასგვერდიანი „ლაზური ლექსიკონი“, რომელიც შეიქმნა ავტორის თავდადებული შრომით 1949-1985 წლებში (წიგნი ავტორის გარდაცვალების შემდეგ 2013 წელს გამოსაცემად მოამზადა მ. ჩუხუამ).

მეგრულის შესახებ არსებული ტექსტების გამოწვლილვითი შესწავლის შემდგომ გახდა შესაძლებელი ოთარ ქაჯაიას მეგრულ-ქართული ლექსიკონის გამოცემა, სადაც ავტორის მიერ მოძიებული მნიშვნელოვანი ლექსიკაც იყრის თავს; მეგრულ-ქართული ლექსიკონი ოთხ მოზრდილ ტომად ქვეყნდებოდა 2001-2009 წლებში.

ო. ქაჯაიას ლექსიკონს გვერდს უმშვენებს ერთ-ერთი ყველაზე სრული ლექსიკონი ქართ-ველურ ენა-კილოებში, ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“ (თბ. 2010 წ.), რომელშიც ოთხმოცდაათი ათასზე მეტი სალექსიკონო ერთეული შევიდა.

მეგრული ტოპონიმის შესწავლის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პროფ. პაატა ცხადაიას მოღვაწეობა, რომელმაც სპეციალური მონოგრაფიები მიუძღვნა სამურზაყანოს [პ. ცხადაია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003], ზუგდიდის, წალენჯიხის, მარტვილის (ორ წიგნად), ჩხოროწყუს, აბაშის, სენაკის, ხობისა და ფოთის ტოპონიმის. საინტერესოა ასევე ავტორის მონოგრაფია „გვარები და გვართა დასახელებანი სამეგრელოში“, რომელიც 2000 წელს გამოიცა.

საყურადღებოა, რომ იგივე ამოცანა საკმაო სიზუსტით არის შესრულებული ლაზი ავტორების წიგნში – „სვაჯოხო“ (=ადგილის სახელი) – Irfan Aleksiva, Ismail Avci Bucaklışi, Svacoço, Kolkhis, 2009, რომელიც მოიცავს ლაზური მეტყველების არეალს თურქეთში.

* * * *

როგორც ვნახეთ, ლაზურისა და მეგრულის შესწავლას დიდი ხნის ისტორია აქვს და მაინც, მისი სტრუქტურისა და ისტორიის მრავალი საკითხი ჯერ კიდევ მოითხოვდა დაზუსტებასა და გაღრმავებულ კვლევას.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) ისწავლება ქართველური ენები. უნდა აღინიშნოს ქართველ და უცხოელ ლინგვისტ-ქართველოლოგთა დიდი დაინტერესება ამ ენებით. ამასთან, ქართველურ ენათა სრულყოფილი შედარებითი გრამატიკის შექმნა თითოეული ქართველური ენის გამოწვლილ-ვით შესწავლის გარეშე შეუძლებელია.

დროთა განმავლობაში ქართველოლოგიის სამწიხარო ხარვეზი გახდა ქართველურ ენათა თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი ფუნდამენტური ნაშრომების სიმწირე. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად ლაზურისა და მეგრულის ასორმოცდაათი და მეტი ხნის მანძილზე მეცნიერული შესწავლისა, დღემდე ქართულ ენაზე არ მოგვეპოვებოდა ფუნდა-მენტური გამოკვლევა, სადაც აღწერილი იქნებოდა მათი ენობრივი მიმართებების ამსახველი **კომპლექსური** სურათი.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში შედარებით ინტენსიურად მიმდინარეობს ლაზურისა და მეგრულის ლექსიკური მარაგის შესწავლა, მაგრამ მორფოლოგიისადმი ინტერესი ერთგვარად შენედა.

ბოლო დრომდე მართლაც რომ სავალალო მდგომარეობა იყო: ლაზურისა და მეგრულის პრობლემატიკაზე მომუშავე და დაინტერესებული სპეციალისტების (სტუდენტების...) განკარგულებაში იყო მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გამოცემული ნ. მარისა და ი. ყიფშიძის გრამატიკები, ასევე, არნ. ჩიქობავას ნაშრომი – „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“; ეს უკანასკნელი 70-ზე მეტი წლის წინ გამოქვეყნდა.

ფაქტია, ლაზურისა და მეგრულის პრობლემატიკაზე მუშავდება ცალკეული საკითხები, იწერება მონოგრაფიები (ზემოთ დასახელებული: „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“, „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“), სტატიები, იკითხება მოხსენებები, მაგრამ ნაკლებად გვხვდება კომპლექსური, შეპირისპირებითი სისტემური კვლევა, რაც წარმოაჩენდა ლაზურისა და მეგრულის ენობრივ მიმართებებს, სიახლოვე-მსგავსებასა და განსხვავებას, – მნიშვნელოვან აუცილებლობად ჩანდა სწორედ ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი ანალიზით შესრულებული ფუნდამენტური ნაშრომის შექმნა. დროის გამოწვევად იქცა ისეთი მონოგრაფიის შექმნა, რომელშიც გამოწვლილვით, კომპლექსურად იქნებოდა განხილული და გაანალიზებული ლაზურისა და მეგრულის სისტემური გრამატიკის საკითხები, შეჯამდებოდა ის, რაც გაკეთებულა, ახლებურად გადაწყდებოდა რიგი საკვანძო საკითხებისა. არადა, ამ მიმართულებით კვლევის დიდი ტრადიცია არსებობს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, სადაც დღესაც ფუნქციონირებს ქართველურ ენათა განყოფილება და სტრატეგიულ ამოცანად რჩება ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის შექმნა.

მწვავედ დადგა სწორედ **ფუნდამენტური ნაშრომის შექმნის აუცილებლობის საკითხი**. ენათმეცნიერული კვლევის დღევანდელი დონე და მიმართულება მოითხოვდა ლაზურისა და მეგრულის სრულ და ამომწურავ შეპირისპირებით ლინგვისტურ ანალიზს, რაც (სისტემური კვლევა) მნიშვნელოვანი ეტაპი გახდებოდა **ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის** შესაქმნელად. მუშაობის **პირველ ეტაპზე** ჩვენი მიზანი **მორფოლოგიური სისტემების შედარება** იყო. გაანალიზდა ასევე ძირეული ლაზურ-მეგრული ლექსიკა, რომელიც ჩვენს მონოგრაფიას დაერთვის **ძირ-ფუძეთა ინდექსის** სახით და სადაც მხოლოდ ისეთმა ლექსიკურმა ერთეულებმა მოიყარა თავი, რომელიც საერთოა ლაზურისა და მეგრულისთვის (თვალსაჩინოებისათვის, ვთქვათ, **ლაზ.** არგუნი / **მეგრ.** არგუნი „ნაჯახი“ ტიპის სიტყვები).

შეიძლება თამამად ითქვას: ქართველოლოგიის განვითარების ისტორიაში პირველად დაიწერა ლაზური და მეგრული დიალექტებისთვის ახალი ტიპის – შეპირისპირებითი გრამატიკა, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისია.

მონოგრაფიაში ერთდროულად არის განხილული როგორც ლაზურის, ისე მეგრულის მონაცემები. რანგობრივი ანალიზის ყველა დონეზე გამოჩნდა ის საერთო და განმასხვავებელი

ნიშან-თვისება, რაც ახასიათებს ლაზურსა და მეგრულს. ვრცელ ენობრივ მასალაზე დაყრდნობით და სისტემური კვლევით წარმოჩინდა ის ტენდენციები, რაც ბოლო რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში გამოიკვეთა ლაზურისა და მეგრულის ურთიერთმიმართების თვალ-საზრისით.

ნაშრომი სამ ნაწილად არის დაყოფილი: **პირველ ნაწილში** წარმოდგენილია ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა – სახელის მორფოლოგია, **მეორე ნაწილი** დაეთმო ზმნის მორფოლოგიას, ხოლო **მესამე ნაწილში** გაერთიანდა ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები

როგორც აღინიშნა, მონოგრაფიას აქვს დართული ძირ-ფუძეთა ინდექსი (რაც მნიშვნელოვანი სიახლეა საზოგადოდ ქართველოლოგიაში), ასევე, მეგრულ-ლაზურისა და, საერთოდ, ქართველური ენების შესახებ არსებული ძირითადი ლიტერატურის საკმაოდ სოლიდური ბიბლიოგრაფია.

პროექტით გათვალისწინებული ამოცანები მკაფიოდ ჩამოყალიბდა და შემდეგნაირად გადაწყდა:

ა) სახელის მორფოლოგიაში გამოიყო თითოეული მეტყველების ნაწილისთვის გრამატიკულად თუ სემანტიკურად ღირებული ჯგუფები, აღიწერა ფორმაწარმოებისა და სიტყვაწარმოების თავისებურებანი;

ბ) სახელდახელოდ შემუშავდა ზმნათა მორფოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპები; აღიწერა ზმნის კატეგორიები: დრო-კილოთა სისტემა, ნაზმნარი სახელები (მასდარი და მიმლეობა);

გ) ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები დამუშავდა და განხორციელდა ლაზურისა და მეგრულის მონაცემთა ურთიერთშედარებით.

დ) შეიქმნა მეგრულისა და ლაზურის საერთო ძირ-ფუძეთა ინდექსი (სინამდვილეში შედარებითი ლექსიკონი).

და ყველაფერი ეს დამუშავდა საერთოსა და განსხვავებულის ჩვენების აუცილებლობით, პარალელების გავლებით ქართულთან.

პროექტის მიზანი იყო ლინგვისტური ქართველოლოგიის სერიოზული ხარვეზის დაძლევა – ლაზურისა და მეგრულის სისტემური შეპირისპირებითი გრამატიკის შექმნა, სადაც სრულად იქნებოდა წარმოდგენილი მორფონოლოგია-მორფოლოგიისა და ლექსიკის საკითხები (ამ ეტაპზე); მომავალში ავტორთა კოლექტივი უკვე შემუშავებული პრინციპების (მიდგომების) საფუძველზე ფიქრობს ცალკე მონოგრაფიებად დაამუშავოს **სინტაქსისა** და **ფონეტიკა/ფონოლოგიის** საკითხები.

პროექტი („ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებითი გრამატიკა (პირველი ნაწილი. მორფოლოგია) საერთო ძირ-ფუძეთა ინდექსითურთ“) წარდგენილი იყო რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსში 2012 წელს; იგი ქართველოლოგიის მიმართულ-ლებით წარმოდგენილი პროექტებიდან პირველ ადგილზე გავიდა, მეტიც: დაფინანსდა, როგორც კონკურსში გამარჯვებული ერთადერთი „ქართველოლოგიური“ პროექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მნიშვნელობა სათანადოდ იქნა აღქმული რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ექსპერტთა მიერ. ცხადია, ამისთვის მადლიერები ვართ მათი.

პროექტი დასრულდა 2015 წლის მარტში.

ლაზურისა და მეგრულის შეპირისპირებით გრამატიკაში განხილული საკითხები დამუშავდა როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული (ისტორიული) თვალსაზრისით.

სამეც-ნიერო კვლევისას გამოვიყენეთ დესკრიფციული (აღწერითი) და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები, რაც განსაზღვრული იყო დასახული ამოცანების არსით.

ნაშრომის ყველა ნაწილი შესრულდა ლაზურისა და მეგრულის კილოკავურ თავისებურებათა გათვალისწინებით და ჩვენ დღეს ხელთა გვაქვს ლაზური და მეგრული დიალექტების შეპირისპირებითი გრამატიკა, რომელშიც აისახა როგორც დღემდე წარმოებული კვლევა-ძიების შედეგები, ისე ახალი არგუმენტაციები რიგ პრობლემატურ საკითხთა გადაჭრისას. ამით ნაწილობრივ მაინც აღმოიფხვრა ლინგვისტური ქართველოლოგიის ნაკლი, რაც ქართველური ენების შესახებ თანამედროვე ენათმეცნიერებაში აღიარებულ მეთოდებზე დამყარებული სათანადო გრამატიკის არქონით გამოიხატებოდა.

მონოგრაფიას დაერთვის ბიბლიოგრაფია, საკმაოდ ვრცელი რეზიუმე ინგლისურ ენაზე და საძიებლები.

ავტორები, ბუნებრივია, არ ფიქრობენ, რომ მონოგრაფიაში ყველა საკითხი ერთნაირად ამომწურავად არის დამუშავებული ან საბოლოოდ გადაწყვეტილი.

სიამოვნებით მივიღებთ დასაბუთებულ შენიშვნებსა და მითითებებს.

I ნ ა წ ი ლ ი . ს ა ხ ე ლ ე ბ ი

I . 1. სახელთა ფორმაწარმოება ლაზურსა და მეგრულში

I . 1. 1. ბრუნვები. ბრუნვათა რაოდენობა ლაზურსა და მეგრულში. ბრუნვათა რიგი.

ფორმაწარმოება (ფლექსია) გულისხმობს სიტყვის ფორმის ცვლილებას, – ამ დროს უცვლელი რჩება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა.

ბრუნების კატეგორია ისეთი ფლექსიური სისტემაა, რომლის წევრებსაც აერთიანებთ ლექსიკური მნიშვნელობა, ხოლო გრამატიკული მნიშვნელობა განასხვავებთ და აპირისპირებთ ერთმანეთთან (ეს სისტემა იმდენი წევრისგან შედგება, რამდენი ბრუნვაც არსებობს ამა თუ იმ ენაში).

სალიტერატურო ქართულში დღეს გრამატიკული ფუნქციონირებისთვის საჭირო **შვიდი** ფლექსიური ერთეული დასტურდება (ისტორიულად მეტი იყო), ლაზურსა და მეგრულში ბრუნების სისტემაში განსხვავებულია ამგვარ ერთეულთა რაოდენობა.

ლაზურსა და მეგრულში ყველა ის ბრუნვა გვაქვს, რაც ქართულშია, წოდებითის გამოკლებით. წოდებითი ბრუნვა აქ არაა, მის ფუნქციას სახელობითი ბრუნვა ასრულებს (ასეთ შემთხვევაში სახელს ხშირად **ო, ვო** უძღვის წინ: **ვო, პეტრე, კოჩი // ო, კოჩი...** „კაცო“).

მეგრულსა და ჭანურში ქართულთან შედარებით მეტია: **დაშორებითი** (კოჩიშე / კოჩიშენ) (ჭან.) და **მიმართულებითი** (კოჩიშა). მხოლოდ მეგრულშია **დანიშნულებითი** (კოჩიშოთ), **გარდაქცევითი**¹ (კოჩ-ო(თ) „კაცად“, ბაღანა-თ „ბაღლად“, მაყარე-თ „მაყარად“)... თვით ჭანურის შიგნით კილოკავები ბრუნვათა შემადგენლობის მხრივ ერთგვარ რყევას განიცდიან: არქაბულში (და ნაწილობრივ ათინურშიც) არა გვაქვს **დაშორებითი** ბრუნვა და მისი როლი ეკისრება სწორედ საწინააღმდეგო მნიშვნელობის მქონე ბრუნვას – **მიმართულებითს**. რაც შეეხება ვნებითს, ანუ გარდაქცევითს, მეგრულშიც იგი ნაკლებ აქტუალურია, სპორადულად ჭანურშიც გვხვდება: **დიდო** – „ძალიან“: **დიდო კაი** – „ძალიან კარგი“, ე. ი. დიდად კარგი... ასე რომ ვნებითი ჭანურისთვისაც პრინციპულად უცხო არ არის [ჩიქობავა, 1936, 51]. (ამასთან დაკავშირებით იხ. ქვევით).

მეგრულსა და ლაზურში გამოყოფილი სპეციფიკური ბრუნვები (მიმართულებითი და დაშორებითი) შეიძლება ნათესაობითის თანდებულებიან ფორმებადაც კვალიფიცირდეს: **-შ(ი) + ა > -შა, -შ(ი) + ე > -შე**. ამგვარი კვალიფიკაციის გაზიარების შემთხვევაში ლაზურში ფაქტობრივად ხუთბრუნვიანი პარადიგმა ივარაუდება, თუმცა ტრადიციის გათვალისწინებით ამ ბრუნვებს დამოუკიდებელ ბრუნვებად (და არა ბრუნვის თანდებულებიან ფორმებად) განიხილავენ; ამგვარ პოზიციას ისიც განაპირობებს, რომ ეს ფორმები, თავის მხრივ, დაირთავენ დამოუკიდებლად მდგარ თანდებულებს. მორფემული ანალიზის პრინციპების მიხედვით ასეთი კვალიფიკაციაც სავსებით მისაღებად მიიჩნევა [ასათიანი, 2011].

ტრადიციულად, ლაზურში **შვიდ ბრუნვას** გამოყოფენ; ესენია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მიმართულებითი, დაშორებითი, მოქმედებითი.

რამდენად მართებულია **ვითარებითი ბრუნვის** სრული იგნორირება ლაზურში? – მწირი ენობრივი მასალის გამო ეს ბრუნვა, როგორც ჩანს, უფრო ისტორიული ვითარების ნაშთად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე თანამედროვე ფლექსიური სისტემის სრულფასოვან წევრად, მაგრამ ჩვენ მიერ აგებული სისტემის წევრად მაინც რჩება თუნდაც დაბალი სიხშირული კოეფიციენტი.

¹ **გარდაქცევითია** ის ბრუნვა, რომლის შესაბამისიც ქართულში **ვითარებითია**. ბრუნვის სახელდების საკითხი პრინციპული არ არის და თუ მეგრულისა და ლაზურისთვისაც პრიორიტეტს მაინც **„ვითარებით ბრუნვას“** ვანიჭებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ გვინდა ტერმინოლოგიური სიჭრელე ავიცილოთ თავიდან. მით უმეტეს, რომ **გარდაქცევითის** პარალელურად ამ ბრუნვას **ვნებითსაც** უწოდებენ.

მეორე მხრივ, ძნელი გასაზიარებელია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „მეგრულშიც იგი ნაკლებად აქტუალურია“, მეგრულში იგი საკმაოდ პროდუქტიული ბრუნვაა.

მეგრულში **ცხრა ბრუნვას** გამოყოფენ. აქედან ექვსი საერთოა ქართულისა და მეგრულისთვის, ხოლო დანარჩენი სამისთვის საყრდენად მიჩნეულია ნათესაობითი და ქართულში ძირითადად თანდებულისანი ფორმებით გადმოიცემა (იხ. ქვევით). ეს ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მიმართულებითი, დაშორებითი, დანიშნულებითი, მოქმედებითი, ვითარებითი.

მეგრულში გამოყოფენ **ძირითად, ნანათესაობითარ და თანდებულისანი** ბრუნვებს:

ძირითადი ბრუნვები: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი.

ნანათესაობითარი ბრუნვები: დანიშნულებითი, მიმართულებითი, დაშორებითი.

თანდებულისანი ბრუნვები:

დაშორებითი	კოჩ-იმ-ე	
	ჩქიმ-დე	„ჩემგან“
თანაობითი	კოჩ-იწ-კელა	
	კოჩ-იწ-კალა	
	კოჩ-იწ-კუმა	
	კოჩ-იწ-კგმა	
მსგავსებითი	კოჩ-იჯ-გურა	
	კოჩ-იჯ-გუა	
შედარებითი	კოჩ-იმ-ორ-ო	„კაცივით“
მიწვევითი	კოჩ-იმ-ა-ხ(ი)	
	კოჩ-იმ-ა-ხ(გ)	„კაცამდის“
მიზნის	კოჩ-იმ-ე-ნი	„კაცისთვის“ [ლომთაძე, 1987, 99].

ასეთივე სისტემა აქვს წარმოდგენილი ო. ქაჯაიასაც, – იმ განსხვავებით, რომ დაშორებითი ბრუნვა ნანათესაობითარ ბრუნვებშია და არა თანდებულისანებში (იხ.[ქაჯაია, 2001, 58]).

ა. ლომთაძე ნანათესაობითარ (ნაწარმოებ) ბრუნვებად **დანიშნულებითსა და მიმართულებითს** მიიჩნევს, ხოლო **დაშორებითი** (კოჩ-იმე) მისთვის თანდებულისანი ბრუნვაა და სხვა „თანდებულისანი ბრუნვათა“ რიგშია წარმოდგენილი.

უნდა ითქვას, რომ ე. წ. **თანდებულისანი ბრუნვები ცალკე ჯგუფად გამოყოფა გაუმართლებელი ჩანს**. ბუნებრივი იქნება, თუ ამ შემთხვევაში ვიმსჯელებთ **თანდებულისანი ბრუნვების ფუნქციურ თავისებურებებზე და არა ბრუნვათა კიდევ ერთ ჯგუფზე**.

ამგვარი საანალიზო „პრინციპით“ შეიძლება ქართულ ბრუნვათა სისტემასაც დავამატოთ არამხოლოდ ლოკალური ბრუნვები (გამოსვლითი, მიწვევითი, სადაობითი), არამედ სხვაც; მაგ.: **თანაობითი** (კაც-თან...), **მსგავსებითი**, თანაც ორი: **მსგავსებითი-1** (კაც-ი-ვით...) და **მსგავსებითი-2** (კაც-ს-ა-ვით...), **მიზნის** (კაც-ის-თვის...) და სხვ.

ასე შეიძლება „აღმოგვაჩინდეს“ უთანდებულო, „ჩვეულებრივი“ სახელობითიც (კაც-ი) და თანდებულისანი სახელობითიც – **მსგავსებითი-1** (კაცი-ვით) და ა. შ. მორფოლოგიური ანალიზის ეს გზა მიუღებელია საზოგადოდ: როგორც ქართულისთვის, ისე ლაზურისა და მეგრულისთვის.

ნანათესაობითარ (მეორეულ) ფორმათაგან სტრუქტურულად გამოირჩევა **დანიშნულებითი**. არნ. ჩიქობავა დანიშნულებით ბრუნვას ხან **მიმართულებითის** დიფერენციაციის ნიმუშად მიიჩნევს, ხან **ნათესაობითის**:

„ჭანურში ბრუნვათა რაოდენობა ნაკლებია მეგრულთან შედარებით; მეგრულში მეტია **დანიშნულებითი** (კოჩიშო-თ) და **ვნებითი** ანუ გარდაქცევითი (კოჩო); ამათგან პირველი მიმართულებითი ბრუნვის (კოჩიშა) დიფერენციაციას უნდა წარმოადგენდეს, ამდენად, წარმოების მხრივ პრინციპულად ახალს არაფერს შეიცავს; ფუნქციის თვალსაზრისით მისი როლი ჭანურში დაშორებითს ეკისრება“ [ჩიქობავა, 1936, 51];

შდრ.:

„თანდებულებიან ბრუნვათა ნაცვლად ჭანურსა და მეგრულში ხმარებული დაშორებითი, მიმართულებითი და დანიშნულებითი ნათესაობითი ბრუნვის დიფერენციაციას წარმოადგენენ“ [იქვე, 52].

ლაზურში პრაქტიკულად მოშლილია „ვნებითი“ – ვითარებითი ბრუნვა; ბუნებრივია, რომ სწორედ ამიტომ არ ჩანს **დანიშნულებითიც**: ეს **ხომ ვითარებითის ვარიანტია**, **სტრუქტურულად გართულებული ფორმაა**, ვითარებითია, რომელსაც ფუძედ ნათესაობითი ბრუნვის ფორმა აქვს: შდრ.: **კოჩ-ო(თ)** „კაცად“ და **კოჩ-იშ-ო(თ)** „კაცისთვის“ – ზედმიწევნ. **კაც-ის-ად** (ხევესურულში ეს ჩვეულებრივი ფორმაა).

„მეგრულის ლინგვისტურ ანალიზში“ წარმოდგენილ ბრუნების პარადიგმაში ნათესაობითს მოსდევს ნანათესაობითარი ბრუნვები, შემდეგ მოქმედებითი და ვითარებითი, – და ეს ბრუნვათა სტრუქტურული თავისებურებების გათვალისწინებით უფრო ლოგიკურია, ვიდრე ის, რომ ნანათესაობითარი და ძირითადი ფორმები ერთმანეთში იყოს არეული (მკვლევართა უმეტესობას რიგი ასე აქვს წარმოდგენილი):

ლაზ.:

- სახელობითი
- მოთხრობითი
- მიცემითი
- ნათესაობითი
- მიმართულებითი
- დაშორებითი
- მოქმედებითი

მეგრ.:

- სახელობითი
- მოთხრობითი
- მიცემითი
- ნათესაობითი
- მიმართულებითი
- დაშორებითი
- მოქმედებითი
- დანიშნულებითი
- ვითარებითი

მეგრულში ერთ-ერთ სისტემას ასეთი სახე აქვს:

სახელობითი	ორტვინ-ი	„ბოსტანი“
მოთხრობითი	ორტვინ-ქ	„ბოსტანმა“
მიცემითი	ორტვინ-ს	„ბოსტანს“
ნათესაობითი	ორტვინ-იშ	„ბოსტნის“
დანიშნულებითი	ორტვინ-იშო(თ)	„ბოსტნისთვის“
მიმართულებითი	ორტვინ-იშა	„ბოსტნისკენ“
დაშორებითი	ორტვინ-იშა	„ბოსტნიდან“
მოქმედებითი	ორტვინ-ით	„ბოსტნით“
ვითარებითი	ორტვინ-ო	„ბოსტნად“

[კარტოზია..., 2010, 117].

მაგრამ აქაც ირღვევა წარმოების ლოგიკური ხაზი; თუ გავითვალისწინებთ ბრუნვის ფორმათა (ფუძეთა და ბრუნვის მორფემათა) სტრუქტურის სპეციფიკას, ყველაზე ოპტიმალური ჩანს ბრუნვათა სისტემის ორ ჯგუფად წარმოდგენა: ერთი მხრივ, გვექნება ძირითადი ბრუნვები (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი), ხოლო მეორე მხრივ, ნანათესაობითარი (მეორეული) ბრუნვები (დანიშნულებითი, მიმართულებითი, დაშორებითი).

მისაღები და გასაზიარებელი ჩანს ტ. გუდავას განცხადება: „მეგრულში ძირითად ბრუნვათა რიგში ათავსებენ ნათესაობითისგან ნაწარმოებ კიდევ სამ ბრუნვას (მიმართულებითს, დაშორებითს, დანიშნულებითს), რაც სადავოა – ეს სამი ბრუნვა ვერც ფორმით (resp. წარმოების წესით), ვერც შინაარსით ზემოთ ჩამოთვლილ ბრუნვათა რიგში ვერ ჩადგება [გუდავა, 1969, 108].

ცხადია, ეს არ ეხება მხოლოდ მეგრულს; ანალოგიურად შეიძლება ლაზური ბრუნვების კლასიფიცირებაც. აქაც გამოიყოფა ორი ტიპის ფლექსიური ერთეულები, ძირითადი და მეორეული.

უდავოა, რომ როგორც მეგრულში, ისე ლაზურში გამოიყოფა მარტივი სტრუქტურის ფუძეები, რომელთაც დაერთვის სათანადო ბრუნვის ნიშნები. ასეთი ფუძე ექვსია მეგრულში, ხოლო ლაზურში – ხუთი.

ნათესაობითის ბაზაზე კიდევ სამი ბრუნვის, სამი მეორეული ბრუნვის (მიმართულებითის, დაშორებითისა და დანიშნულებითის) გამოყოფა შეიძლება მეგრულში, ხოლო ლაზურში – ორის (მიმართულებითისა და დაშორებითის).

არის მოსაზრება ნათესაობითზე დამყარებული კიდევ ერთი ბრუნვის გამოყოფის თაობაზე მეგრულში: „ზანური ნათესაობითი ბრუნვის -იშ ფორმანტიანი ყალიბით ნაწარმოები რთული შედგენილობის ბრუნვათა არსებობა მკვლევართა უმრავლესობაში დიდი ხანია, ეჭვს არ იწვევს. მეგრულისა და ლაზურის მიხედვით ვითარებითი ბრუნვის უქონლობის გამო -იშ ყალიბიან ბრუნვათა რიცხვი განსხვავებულია. მეგრულში სამი ადგილობითი ბრუნვა გვაქვს:

მიმართულებითი	ხოჯ-იშ-ა	„ხარისკენ“
დაშორებითი	ხოჯ-იშ-ე	„ხარისგან“
დანიშნულებითი:	ხოჯ-იშ-ო(თ)	„ხარისთვის“

ლაზურში გვაქვს:

მიმართულებითი

ხოჯ-იშ-ა

„ხარისკენ“

და

დამორებითი

ხოჯ-იშ-ე || ხოჯ-იშ-ე(ნ)

„ხარისგან“

-ნი დაბოლოებიან ფორმათა შესახებ არნ. ჩიქობავა წერს: „-ნი დამორებითს ბრუნვას დაერთვის და ქართულის „თვის“ თანდებულს უდრის; მეგრულში საამისოდ დანიშნულებითი ბრუნვა იხმარება (-იშოთ), მაგრამ -ნი-ც გვხვდება ოდნავი სემასიოლოგიური დიფერენციაციით: **ჯიმაშო** „ძმისთვის“, **ჯიმაშენი** – ძმის გულისათვის...“ [ჩიქობავა, 1936, 65].

არნ. ჩიქობავას მიხედვით, ლაზურ-მეგრული -ნი-დაბოლოებიანი ფორმა თანდებულიანი ბრუნვა გამოდის (ეს ელემენტი მას თანდებულებთან ერთად აქვს წარმოდგენილი).

ლაზურისებური, ოღონდ უფრო გართულებული, ნარ-იანი დამორებითი დასტურდება სამურზაყანოულში, სადაც ტოპონიმებიდან ნაწარმოებ დამორებითში მხოლოდ გალ-იშენო „გალიდან, გალისგან“ ტიპია გამეფებული.

მსგავს სიტუაციაში სპეციალურ კვალიფიკაციას ითხოვს როგორც ლაზურში, ისე მეგრულში -იშ-ენ(ი) დაბოლოებიანი ფორმების არსებობა; მხედველობაშია ჩქიმ-იშენ(ი) „ჩემზე, ჩემთვის“, ემუ-შენ(ი) „მასზე, მისთვის“, ხოჯ-იშენ(ი) „ხარის გამო, ხარისთვის“, გურ-იშენ(ი) „გულის გამო, გულისთვის“ და მრავალი სხვა, როცა ეს -იშენ(ი) დაბოლოება ერთნაირად გამოიყენება ყველა სახელში, მათ შორის ნაცვალსახელებშიც, რომლებიც, როგორც ცნობილია, მიმართულებით-დამორებითში -იშ-ა/-იშ-ე დაბოლოებათა ნაცვლად -და-ა/დ-ე-ს დაირთავს; შდრ.: ჩქიმ-დ-ა „ჩემკენ“, ჩქიმ-დ-ე „ჩემგან“; შდრ.: მუ-შენი „რატომ, რისთვის“, ი-შენი „იმისთვის, იმიტომ“, მაინც“, ჩქიმ-იშენი „ჩემთვის, ჩემ გამო“...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ლოგიკური ჩანს, რომ -იშ-ენ(ი) ფორმანტიანი სახეობები ასევე მივიჩნიოთ რთული შედგენილობის ბრუნვად და ჩავსვათ ნათესაობითზე დაყრდნობილ -იშ ყალიბიან რთული შედგენილობის ბრუნვათა რიგში. აქედან გამომდინარე, მეგრულში გვექნება ოთხი, ხოლო ლაზურში სამი ნანათესაობითარი ბრუნვის ფორმა.

I. 1. 2. ძირითადი ბრუნვები.

I. 1. 2.1. ფუძის საკითხი. სახელობითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

ფუძე ის ნაწილია სიტყვისა, რომელიც უცვლელია ფორმაწარმოებისას (ბრუნებისას), ბრუნვის ნიშანია ის, რაც იცვლება და აძლევს სიტყვის ფუძეს ამა თუ იმ ბრუნვის ფორმის გრამატიკულ სტატუსს.

სახელის ფუძე შეიძლება იყოს მარტივი (კოჩ-ი, ოსურ-ი...), წარმოქმნილი (კოჩ-ან-ა „კაცობა“, კოჩ-ან-იერ-ი „კაც-ურ-ი“, უ-კოჩ-ო „უკაცო“...), რთული ოსურკოჩ-ი „დედაკაც-ი“, ქომოლკოჩ-ი „მამაკაც-ი...).

ბრუნებისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ერთსა და იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარება მარტივი ფუძეც, წარმოქმნილიც და რთულიც. რელევანტური შეიძლება იყოს მხოლოდ სახელის ფუძის დაბოლოება.

სპეციალურ ლიტერატურაში ყველა ლაზურ სახელს **სინქრონიულ დონეზე** ხმოვან-ფუძიანად მიიჩნევენ (ჩიქობავა, კარტოზია...).

სახელობითი **ისტორიულად** გამოყოფენ **-ე/-ი** ალომორფებს: სახელობითი ბრუნვა ჭანურში ხმოვნებზე ბოლოვდება. ეს ხმოვნებია: **ი, ე, ა, ო, უ**. ამათგან **ი** სახელობითი ბრუნვის დაბოლოებაა, **ა, ო, უ** კი ფუძის ბოლოკიდური ხმოვნებია, **ე** კი ფუძის დაბოლოებაც შეიძლება იყოს და სახელობითი ბრუნვის ნიშანიც [ჩიქობავა, 1936, 49].

ფუძისეულია ბოლოკიდური **-ი** ლაზური სახელების ერთ ნაწილში. ესაა უცხო ენებიდან (ბერძნულიდან და თურქულიდან) ნასესხები² ის სიტყვები, რომლებიც იმ ენებშიც ხმოვანფუძიანები არიან: **ექენდი, გჟურჯი, დემირჩი...** დანარჩენი **ი-ფუძიანი** სახელები ისტორიულად თანხმოვანფუძიანებად ითვლება: ამ ფუძეებთან ბოლოკიდური **-ი** წარმოშობით სახელობითის ნიშანია [კარტოზია, 2004, 57].

კ. დანელია წერს: „სახელობითი ბრუნვის ნიშანი ლაზურში მხოლოდით რიცხვში ჩვეულებრივ **ი** არის, როგორც ეს ქართულსა და მეგრულშია, მაგრამ შენახულია ქართული **ი-ს** ზანური შესატყვისი **ე**: ბერ-ე „ბავშვი“, კუჩხ-ე „ფეხი“, ქოთუმ-ე „ქათამი“... ამ სახელებში **-ე** სახელობითი ბრუნვის ნიშანია და არა ფუძის. ლაზურში **ე-ზე** ფუძეგათავებული სახელები ისევე არ მოიპოვება, როგორც **ი-ზე** ფუძეგათავებული სახელები ქართულში (ნაწარმოებ სახელებში **ე** მაწარმოებელია: მამცუდალე, ონცამურე, ნოპინწკალე „ცეცხლის წინწკლები“), ნასესხებში კი **ე** ფუძისეულია: **დეკიკე** „წუთი“, **მეფე** „ხილი“, **მეზარე** „საფლავი“. ლაზურში პირველადი სახელებიც ბოლოვდება ალბათ **ე-ზე**, მაგრამ იგი აირია სახელობითი ბრუნვის **ე-ში**, როგორც ქართული **ი** (ფუძისა) აირია სახელობითი ბრუნვის **ი-ში** (ძველი ქართ.: **გრიგოლი**, ახალი ქართ. **გრიგოლ**) და, ამდენად, **ე-ზე** დაბოლოებული ფუძეები გადაშენდა. სახელობითი ბრუნვის **ი/ე** ისე გადაჰყვება ყველა ბრუნვაში, როგორც სხვა ფუძისეული **ა, ო, უ** ხმოვნები“ [დანელია, 1986, 107].

ნ. მარი **-ი-ს** სახელობითის ქართულ დაბოლოებად თვლიდა, ძველ ლაზურ თუბალ-კაინურ მაწარმოებლად კი **-ე** მიაჩნდა: ბერ-ე „ბიჭი“, ნოთ-ე „კვარი“, ოსურ-ე „ქალიშვილი“.

ნ. მარი სახელობითის ამ **-ე** ნიშნისგან განასხვავებდა სიტყვამაწარმოებელ **-ე** სუფიქსს, რომელიც **ო-, მა-, ნო-** პრეფიქსებთან ერთად გვხვდება წარმოქმნილ სახელებსა და მიმღეობებში: **ო-ფუტ-ე** „ადგილი სახლის გარშემო, ეზო“, **ო-ქოსალ-ე** „ცოცხი“, **მა-ლულ-ე** „მელედვია“, **მა-პაზულ-ე** „ციცინათელა“, **ნო-ცინცხალ-ე** „ნაპერწკალი“, **ნო-ცქიპოლ-ე** „ნაფოტი“ [მარი, 1910].

ასევე სხვადასხვა ოდენობაა ფუძის ბოლოკიდური **-ე** არნ. ჩიქობავასთვის: **ნასესხებ** (დეკიკე „წუთი“, მეფე „ხილი“...) და **ნაწარმოებ** (მამცუდალე „მატყუარა“, ონცამურე „ღომის საცხველი“, ნოპინწკალე „ცეცხლის წინწკლები“) სიტყვებში ეს **-ე** ფუძისეულია, ხოლო სახელობითის ოდინდელი, მეგრულ-ლაზური დაბოლოებაა **-ე** პირველად (არანაწარმოებ) ლაზურ სახელებში: **კუჩხე** „ფეხი“, **ბერე** „ბავშვი“, **დამთირე** „დედამთილი, სიდედრი“, **ჩელამურე** „ცრემლი“, **ქოთუმე** „ქათამი“, **ლადრე** „ნედლი“.

თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, მიმღეობა **ო-ჭკომ-ალ-ე** „საჭმელი“ სახელობითის **-ე** დაბოლოებას შეიცავს [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 92]

ო-ჭკომ-ალ-ე ტიპის მიმღეობებში ფუძის ბოლოკიდური **-ე-სთვის** ასეთი კვალიფიკაციის მიცემა ალბათ იმ ფაქტორის გათვალისწინებით მოხდა, რომ მეგრულში ამათი შესატყვისია: **ო-ჭკუმ-ალ-ი** „სა-ჭმ-ელ-ი“, **ო-შუმ-ალ-ი** „სა-სმ-ელ-ი“, **ო-ფორ-ალ-ი** „სა-ფარ-ებ-ელ-ი“ და სხვ.

² ქართულშიც ნასესხები სიტყვებია **ი-ფუძიანი** საზოგადო სახელები.

ლაზურში დანიშნულების სახელებისთვის ამ შემთხვევაში გამოყენებულ ინვენტარს ქართული სა- ე (სა-მტრედ-ე, სა-მშვილდ-ე, სა-ქათმ-ე...) წარმოების (და არა სა-ჭმელ-ი, სა-სმელ-ი ტიპის ანუ სა- პრეფიქსიანი მიმდებარის) შესაბამისად თუ ჩავთვლით, ეს საკითხი ავტომატურად მოიხსნება.

საერთოდ კი, ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრებების მიხედვით გამოდის, რომ ლაზური სახელის ბოლოკიდური -ე შეიძლება სხვადასხვა მორფოლოგიური ღირებულებისა იყოს: ერთ შემთხვევაში (ბერ-ე...) იგი ბრუნვის ნიშანია, მეორე შემთხვევაში (ნოპიწკალე...) – დერივაციული

აფიქსი, რაც რატომღაც გამორიცხავს მის კავშირს ბრუნვის მარკირებასთან, თუმცა ამგვარი გააზრება სიტყვამაწარმოებელი ელემენტის სტატუსისა ძნელად მისაღები ჩანს: სიტყვამაწარმოებელ აფიქსს ფლექსიურ სისტემაში იმავე როლის შესრულება უწევს, რაც აქვს პირველადი სახელის შესაბამის ელემენტს; ანუ: არ შეიძლება **მერძევე/სარძევე, მტყევე/სატყევე** ტიპის დერივატებისა და **რძე, ტყე** ტიპის პირველადი სახელის ბოლოკიდური ე განსხვავებულად შევაფასოთ **ფლექსიური სისტემის** ფარგლებში, **ამ სისტემისთვის აბსოლუტურად არარელევანტურია** ისეთი წმინდა სემანტიკური პროფილის პარამეტრები, რაც ამ შემთხვევაში **მე-** – **ე** აფიქსებს უკავშირდება.

ე-სა და **ი-ს** სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა დიაქრონიული კვალიფიკაცია ეძლევა: **-ე-ს** (რომელიც ლაზურ სახელთა ბოლოკიდურად დასტურდება მრავლობითი რიცხვის ფორმაში – რეგულარულად, ხოლო მხოლობითში – არარეგულარულად) მიიჩნევენ სახელობითის უძველეს ნიშნად, ქართული **ი-ს** ფუნქციურ-ფონემურ შესატყვისად, **-ი** სუფიქსი კი ქართულიდან ნასესხებად მიიჩნევა (ჰ. ფენრიხი და ზ. სარჯველაძე ფიქრობენ, რომ ლაზ. **-ე** და სვან **-ე** სახელობითის ნიშნის ალომორფია, რომლის შესატყვისი ქართულსა და მეგრულში არ არის შემონახული) [ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 183].

მაგრამ საქმე ის არის, რომ სახელობითის ალომორფად **-ე-ს** დაშვება პრობლემატურია სვანურშიც: მ. ქალდანმა ახსნა, რომ სვანური პოეზიის ენაში დადასტურებული **-ე** დაბოლოება, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშნად იყო მიჩნეული, მიღებულია ა ხმოვნის (ფუძის ბოლოკიდურის ან მრავლობითის სუფიქსის) და სახელობითის **-ი** დაბოლოების შერწყმის შედეგად: სახელობითის ნიშნად სვანურშიც **-ი** გამოიყოფა [ქალდანი, 1974, 148-165]].

გ. კლიმოვი თვლის, რომ შესაძლოა ლაზური **-ე** ზოგი სახელური ფუძის ბოლოში არ იყოს ძველი მოვლენა, არამედ პირიქით, მას განედევნა ძველისძველი **-ი**: ეს **-ე** შეიძლება გვიან გამოყოფილიყო სახელთა მრავლობითი რიცხვის **-ეფე||-ფე** მორფემიდან. მისი საბოლოო დასკვნა ასეთია: არ შეიძლება საბოლოოდ გადაწყვეტილად იქნეს მიჩნეული საკითხი სახელობითი ბრუნვის ძველისძველი ნიშნის შესახებ ზანურში, რადგანაც ამგვარი პრეტენზიის გარკვეული საფუძველი აქვს როგორც **-ი-ს**, ისე **-ე-ს** [კლიმოვი, 1962, 18].

მტკიცებას **-ე** ნიშნის უძველესობის შესახებ სერიოზული წინააღმდეგობები ახლავს, პირველ რიგში, იმის გამო, რომ არ არის გათვალისწინებული შემდეგი გარემოება: ქართ. **ი-ს** მეგრულ-ლაზური ფონემური შესატყვისობა არის არა **-ე**, არამედ **-ი**. ეს თავისთავად ხსნის ამ **-ი-ს** ქართულიდან ნასესხობის საკითხს, იგი ფუძეენიდან მომდინარედ უნდა ჩაითვალოს... სათანადო დიაქრონიული კვალიფიკაცია სჭირდება ლაზური სახელების ბოლოში დადასტურებულ **-ე** ელემენტს. იგი საკუთრივ ლაზურ (და არა მეგრულ-ლაზურ) მოვლენად უნდა მივიჩნიოთ [ონიანი, 1989, 92].

არის კი დღეს **-ეფე/-ფე** ალომორფების **-ე** სახელობითის სუფიქსი? ან რა საბუთი არსებობს საიმისოდ, რომ ეს **-ე** რომელიმე ბრუნვას გამოხატავდა თუნდაც ისტორიულად?

ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი ვითარებით ფაქტია, რომ ეს **-ე** ფუძესაა შეხორცებული და ყველა ბრუნვაში გადაჰყვება სახელს (იხ. ჩიქობავას პარადიგმა: კუჩხე, კუჩხე-ქ, კუჩხე-ს... მრ.: კუჩხ-ეფ-ე, კუჩხ-ეფ-ე-ქ, კუჩხ-ეფ-ე-ს... **ე-ზე** დაბოლოებული სახელები კ. დანელიას ხმოვანფუძიანებში აქვს (**ა, ო, უ-ზე** დაბოლოებულებთან ერთად და სათანადო პარადიგმაც არის წარმოდგენილი (ბერე-ქ, ბერე-ს... ფუჯ-ეფ-ე, ფუჯ-ეფ-ე-ქ, ფუჯ-ეფ-ე-ს...), თუმცა ამავე დროს ეს **ე** სახელობითი ბრუნვის ნიშნად მიიჩნევა [დანელია, 2006, 106-107]. წინააღმდეგობა ამკარაა.

სპორადულად მეგრულშიც შეიძლება დაიმეზნოს **ე-ფუძიანი** ფორმა ქართული **ი-სუფიქსიანი** ფორმის შესაბამისად, რომელიც ლაზურისებურ **-ე** დაბოლოებას ეხმიანება და ამტკიცებს აზრს იმის შესახებ, რომ სახელობითის **-ე** მარკერი საერთო იყო ზანური ენის ორივე დიალექტისთვის:

ონტოფუს² ტოფი ხე დო წყარი პის **კოკობე** (ყიფშ., 113) „ონტოფოში ტოფი ზის და წყლის პირად **კოკობე** (კაკაბი)“; წყარისინდი წყარს² გეხე, მიკორდე – **კოკობე** (ქხს, 1, 138) „გარეული იხვი (წყლის ჩიტი) წყალზე ზის, ნაპირთან **კოკობი**“; დუდი იშენი ნუ მორწონს, ბოში რეჟი **კოკობე** (ეკური, 385) „თავი იმიტომ ნუ მოგწონს, ბიჭი (რომ) ხარ კობტა (**კოკობი**)“; მაყარე ვორეჟ „მაყარი ვარ“...

ნოთე მეგრულშიც დასტურდება:

„ნოთე (ნოთეს) 1. ჩირაღდანი, ნათურა, კვარი; სხივი. 2. ღამით სათევზაო ერთი ან ორფითილა ჭრაქი, რომელსაც აქვს ხის ტარზე დასამაგრებელი. **ნოთეთი** ღამე ანათებენ მდინარეს და პოულობენ მდინარე თევზებს, რომლებსაც კლავენ ჭვირთით ან კოპულით. ირდისაშე ელექტრონიში **ნოთე** ინაბარჩხალანც: მასალ., გვ. 116 „ყოველი მხრიდან ელექტრონის ნათურა ქათქათებს“. ჟინი ჰავას **ნოთეთე** დგე ქე : კ. სამუშ., ქართ. ზეპ., გვ. 27 „ზევით ცაზე (ჰაერზე) ჩირაღდნად დგახარ“. ელექტრონი მიღუნა დო **ნოთე** ვამკიჭვიტოლუნი: კ. სამუშ., ქხპს, გვ. 166 „ელექტრონი გვაქვს და კვარი არ ბჟუტავს“. შდრ. ლაზ. **ნოთე** კვარი (ნ. მარი)“.

[ქაჯაია, 2002, 394].

ი-ფუძიანი სახელები ქართულშიც გვაქვს. სპეციალურ ლიტერატურაში ამის ნიმუშად ასახელებენ ორიოდე საზოგადო სახელს: **ჩაი, პაი, ტრამვაი**.

უნდა დაზუსტდეს, რომ ამგვარ შემთხვევებში სახელების ფუძე ხმოვანზე კი არა, **ხმოვნებზე ბოლოვდება** – მსგავსი (**-vv**) დაბოლოების მქონე ნებისმიერი სახელი ხმოვანფუძიანია (ჰანტი, ჟოკეი... დისნეი, ტოლსტოი...), ამაში უჩვეულო არაფერია და, ამდენად, არც გამონაკლისად შეიძლება მათი მიჩნევა.

ყოველ შემთხვევაში, **ი-ფუძიანი** სახელების მაგალითად უფრო გამოდგება უცხო ენიდან შემოსული ასეთი ნიმუშები: ბრენდი (ბრენდი-მ), ცუნამი (ცუნამი-მ), ჟიური (ჟიური-მ), ტაქსი (ტაქსი-მ), ჰობი (ჰობი-მ), ლობი (ლობი-მ), ჰარაკირი (ჰარაკირი-მ), შასი (შასი-მ)...

საკმაოდ დიდია **ი-ფუძიანი** საკუთარი სახელების სია: გიორგი (გიორგი-მ), აკაკი (აკაკი-მ), ავესენტი (ავესენტი-მ), ალექსი (ალექსი-მ), ანატოლი (ანატოლი-მ), ბადრი (ბადრი-მ), გერონტი (გერონტი-მ), დიმიტრი (დიმიტრი-მ), გოდერძი (გოდერძი-მ), ვალერი (ვალერი-მ), ნანული (ნანული-მ), ლეონტი (ლეონტი-მ), ლავრენტი (ლავრენტი-მ)... ვერდი (ვერდი-მ), პუჩინი (პუჩინი-მ), როსინი (როსინი-მ), მასტროიანი (მასტროიანი-მ), გარიბალდი

(გარიბალდი-მ), გორკი (გორკი-მ)... ჰელსინკი (ჰელსინკი-მ), დელი (დელი-მ), ჰაიტი (ჰაიტი-მ), ესენტუკი (ესენტუკი-მ)...

საკითხი იმის შესახებ, საკუთარი (და ზოგი საზოგადო) სახელის ამოსავალ ფორმაში წარმოდგენილი -ი ბრუნვის ნიშანია თუ ფუძის კუთვნილება, ქართულში **სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით წყდება**. ასეთი ნორმები არა აქვს მეგრულს – აქ პროცესებს არსებული და მოქმედი ზოგადი ენობრივი კანონზომიერებები წარმართავს.

მეგრულში სახელის ფუძე ბოლოვდება როგორც ხმოვანზე, ისე თანხმოვანზე, – ამაზე არავინ დავობს.

ხმოვანფუძიანი სახელების ფუძის ბოლოს **ა, ე, ო, უ** დასტურდება (ლაზურისა და ქართულის ანალოგიურად).

თანხმოვანფუძიანებს სახელობითის ნიშნად -ი მოუდით (ისევე, როგორც ქართულში).

ხშირ შემთხვევაში **ი** ჩანს სხვა ბრუნვებში ფუძის ბოლოს. ამ შემთხვევაში მსჯელობენ სახელობითის მორფემის ფუძესთან შეხორცებაზე.

სტაბილურობითა და სიმყარით გამოირჩევა სონორებით (**ლ,მ,ნ,რ**) ფუძედამთავრებული სახელები (ოსურ-ი – ოსურ-ქ – ოსურ-ს/ც... ჩხომ-ი – ჩხომ-ქ – ჩხომ-ს/ც... ტან-ი – ტან-ქ – ტან-ს/ც... წყარ-ი – წყარ-ქ – წყარ-ს/ც...), რომლებიც მიჰყვებიან თანხმოვანფუძიანთა ფორმაწარმოებას.

ასეთი სტაბილურობა არ ახასიათებს **დ, თ, ტ, ჯ, ჩ** თანხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებს (ა. ლომთაძე თვლის, რომ ამ თანხმოვნებსა და სონორებზე დაბოლოებულ ფუძეებს სახელობითის -ი სუფიქსი ხან გადაჰყვებათ და ხან – არა [ლომთაძე, 1987, 131]:

დუდე/დუდიქ, დუდის/დუდს > დუს/დუს, ღორონთიქ/ღორონთქ, ღორონთის/ღორონთს > ღორონც (მაგრამ შდრ.: კითი „თითი“ – კითიქ და არა კითქ, ართი „ერთი“ – ართიქ და არა ართქ...), **ჯ** – ქომონჯი „ქმარი“ – ქომონჯიქ/ქომონჯქ/ქომონჯქ, კოჩი „კაცი“ – კოჩიქ/კოჩქ (მაგრამ შდრ.: ეჩი „ოცი“ – ეჩი-ქ და არა ეჩ-ქ, ოჩი „ვაცი“ – ოჩი-ქ და არა ოჩ-ქ...)

როდის გვაქვს მეგრულში სახელობითის -ი-ს შეხორცება ფუძესთან? – მხოლოდით რიცხვში სახელობითის -ი მორფემას ყოველთვის ინარჩუნებს სახელი, თუ ის **ბ, ფ, პ, ძ, ც, წ, ჭ, გ, ქ, კ, ყ, ც, ვ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, ჰ** თანხმოვანზე ბოლოვდება [იქვე, 129].

ტ თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძე, რომელიც მოთხრობითსა და მიცემითში -ი-ს არ დაირთავს, არ იძებნება. ამდენად, ამ ჩამონათვალს **ტ-ც** უნდა დაემატოს (შდრ. ლომთაძე, 131): გვაქვს: ჩიტი – ჩიტი-ქ და არა ჩიტ-ქ, ბატი – ბატი-ქ და არა ბატ-ქ...

გ. კლიმოვის დაკვირვებით, **მ, ნ, რ, ლ** სონორებზე დაბოლოებული ფუძეები წარმოადგენენ თანხმოვანფუძიანთა პარადიგმას, სახელობითის **ი** აქ ფუძეებს არ უხორცდება აღნიშნულ თანხმოვანთა სონორობის გამო [კლიმოვი, 1962, 51, 114].

ამ მოსაზრებას არ იზიარებს ა. ლომთაძე: „ფაქტიურ ვითარებას არ შეესაბამება გ. კლიმოვის შეხედულება, თითქოს მეგრულში ამგვარი ბრუნება ბუნებრივი იყოს მხოლოდ **მ, ნ, ლ** და **რ** თანხმოვნებზე დასრულებული ფუძეებისთვის. არაა სარწმუნო არც ის, თითქოს სახელობითის -ი ფუძეებს არ უხორცდებოდეს აღნიშნულ თანხმოვანთა სონორობისა გამო“ [ლომთაძე, 1987, 132].

არადა, ამკარად იკვეთება სურათი, როდესაც სონორებით დაბოლოებული ფუძეები თანხმოვანფუძიანთა ბრუნების წესს მიჰყვებიან, დანარჩენ შემთხვევათაგან აბსოლუტურ უმეტესობაში (როდესაც ფუძის ბოლოვიდურად გვაქვს **ბ, ფ, პ, ტ, ძ, ც, წ, ჭ, გ, ქ, კ, ყ, ც, ვ, ზ, ს, ჟ, შ, ღ, ხ, ჰ** ვლინდება **ი**. რაც შეეხება **დ, თ, ჯ, ჩ** თანხმოვნებს, ესენი ერთი ბგერის მქონე და

ყრუ ვარიანტებად უნდა განვიხილოთ: **დ/თ, ჯ/ჩ** (სწორედ ფონეტიკური ტრანსფორმაციით ვიღებთ **დ**-სგან **თ**-ს და **ჯ**-სგან **ჩ**-ს).

სხვა საკითხია განცხადება იმის შესახებ, რომ სახელობითის **-ი** ფუძეებს **მ, ნ, რ, ლ** თანხმოვანთა სონორობის გამო არ უხორცდება.

რა არის მოთხრობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშნის წინ გამოვლენილი **-ი**?

არის თუ არა ერთი და იგივე ოდენობა **-ი**, რომელიც სახელობითის ნიშანია და **-ი**, რომელიც სხვა ბრუნვების ფუძის ბოლოკიდურად გვევლინება?

ესენი სხვადასხვა ღირებულების ელემენტებია, სხვა არის **-ი**, რომელიც სახელობითის მარკერია და სხვა არის დანარჩენ ფორმებში წარმოდგენილი **ი**, რომლის მორფოლოგიურ ფუნქციაზე მსჯელობა შეუძლებელია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მას ასეთი ფუნქცია არ გააჩნია.

სპეციალურ ლიტერატურაში მსჯელობენ ამ **ი**-ს გაჩენის ფონეტიკურ საფუძველზე (ასე ფიქრობენ: ი. ყიფშიძე, ა. ჩიქოვავა, ე. გიგიბერია, ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, კ. დანელია, ც. ჯანჯღავა, მ. მადუაშვილი...).

რატომ ჩნდება **ი**? – მოთხრობითსა და მიცემითში ბრუნვის ნიშნად გვაქვს თანხმოვნები: **-ქ** და **-ს**. თანხმოვნებს შორის **ი** ხმოვნის ჩართვით დაიდლევა არაკანონიკური, არაბუნებრივი კომბინაცია, – ამდენად, ამ **ი**-ს არაფერი აქვს საერთო სახელობითის **-ი**-სთან.

არსებობს ფონეტიკური ტრანსფორმაციების სხვა გზებიც (ასიმილაცია, ბგერის დაკარგვა, ფონემის პოზიციური ცვლა...);

სონორების, „მარცვლოვანი“ თანხმოვნების შეხვედრა ბრუნვის ნიშნებთან არ საჭიროებს დამატებით ტრანსფორმაციებს, ფუძის ბოლოკიდური თანხმოვნების სონორობა აქ პრაქტიკულად ხმოვნის ფუნქციას ასრულებს, სონორობა ნამდვილად ჩანს მნიშვნელოვანი ფაქტორი ფონოლოგიური კომბინაციის კანონიკურობის განსაზღვრაში (ერთადერთი ფონეტიკური პროცესი, რაც ამ შემთხვევაში ხდება, არის **ლ > რ** თანხმოვნის წინ. ეს საერთოდ არის დამახასიათებელი მეგრულისთვის და თანაც ამით სტატუს კვო არ ირღვევა იმ მხრივ, რომ თანხმოვანთა მიმდევრობა **-S-C** – იგივე რჩება). ამდენად, კლიმოვის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სახელობითის **-ი** ფუძეებს არ უხორცდება აღნიშნულ თანხმოვანთა სონორობის გამო, მისაღებია ერთი დაზუსტებით: ამ შემთხვევაში უნდა ვიმსჯელოთ არა სახელობითის **ი**-ზე, არამედ, ფონეტიკურ ჩანართზე, ამ ფონეტიკური ჩანართის ქცევაზე ფუძის ნაწილად.

რამდენიმე თანხმოვანი (**დ, თ, ჯ, ჩ**) **ი**-ს ჩართვის გარეშე შეიძლება „შეეგუოს“ **-ქ** და **-ს** თანხმოვნებთან უშუალო „თანაარსებობას“ ან მიმართავს ამ გზასაც და ყალიბდება პარალელური ფორმები (კოჩქ/კოჩიქ...).

საიდან ჩანს, რომ სახელობითის **-ი** და მოთხრ.-მიცემითში გამოვლენილი **ი** სხვადასხვა ოდენობაა? – თანხმოვანთგამყარი **ი**-ს ჩართვა მხოლოდ ორ ბრუნვაში ხდება, – ეს ჩანს მრავლობითის პარადიგმასა (სადაც უნდა გვქონდეს **ბერგიეფი** და არა **ბერგეფი**) და თანხმოვანფუძიანთა ვითარებითი ბრუნვის ფორმაში; **ი**-ს ფუძესთან შეხორცების შემთხვევაში უნდა ყოფილიყო **ბერგით** და არა **ბერგო**: **ბერგიქ || ბერგის** ფორმებში **ი** ფონეტიკური ჩანართია, **ბერგიშ || ბერგით** ფორმებში კი – ბრუნვის ნიშნის ნაწილი და მორფოლოგიური ღირებულებისა [დანელია, 1986, 109-110].

ეს არგუმენტაცია სავსებით ლოგიკურია და მისაღები.

შეიძლება დავამატოთ, რომ **-ი**, როგორც ბრუნვის ნიშნის კომპონენტი, უნდა გამოიყოს როგორც **ნათესაობითსა** და **ნანათესაობითარ** ბრუნვებში, ასევე **მოქმედებითში**. ამის

საფუძველს იძლევა ამ ბრუნვათა ნიშნების სტრუქტურა: ბრუნვის სუფიქსი ხმოვნით იწყება, ე. ი. აქ არ შეიძლება დადგეს საკითხი თანხმოვანთგამყარის შესახებ.

-ი რომ ფუძისეული იყოს, ლაზურშიც გვექნებოდა კოჩი-ფე (შდრ. დემირჩი – დემირჩი-ფე...)-...

ცნობილია, რომ ლაზურში, განსაკუთრებით ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში, რ სუსტდება და იკარგება კიდეც. მრავლობითის ფორმებში სუფიქსისეული -ე ხმოვანი ფუძისეული ხმოვნის გვერდით აღმოჩნდება ხოლმე: **ოხორი** „სახლი“: **ოხორ-ეფე** > **ოხო-ეფე** (და არა **ოხო-ფე**), **მანძაგერი** „მეზობელი“ – **მანძაგე-ეფე** (და არა **მანძაგე-ფე**), **მგერი** „მგელი“ – **მგე-ეფე** (და არა **მგე-ფე**), **ჯოდორი** „ძალი“ – **ჯოდო-ეფე** (და არა **ჯოდო-ფე**)...

საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში პრაქტიკულად ხმოვანფუძიან სახელებს გრამატიკული ინერციით მაინც თანხმოვანფუძიანთა აფიქსი -ეფე დაერთვის და არა -ფე. ანუ: ეს სახელები მაინც თანხმოვანფუძიანებად გაიაზრებიან.

ამასთან, გასათვალისწინებელი იქნება ლაზურის ვითარებითის ფორმები, რომლებიც მართალია, ცალკეულ შემთხვევებში, ცალკეულ სიტყვებთან, მაგრამ სტაბილურად ვლინდება, – და ამ ფორმებში -ი არ ჩანს: **დიდო** „ძალიან“, **მჯვეშოთ** „ძველად“, **ართოთ** „ერთად“, **ლაზუროთ** „ლაზურად“...

ფაქტია, რომ ლაზურსა და მეგრულს შორის განსხვავება მხოლოდ იმ თვალსაზრისით არის, რომ ვითარებითი ლაზურში ნაკლებადპროდუქტიული, უფრო სწორად, არაპროდუქტიული ბრუნვაა, თუმცა იგი მაინც გამოიყენება და მისი მონაცემის იგნორირება მიზანშეწონილი ვერ იქნება, – პირიქით, მის მონაცემს (როგორც დამატებით არგუმენტს) დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონკრეტული მორფოლოგიური საკითხის გადაწყვეტისას; რაც შეეხება მრავლობითს, აქ ვითარება აბსოლუტურად იდენტურია.

ბუნებრივია, რომ ამ ორი აბსოლუტური იდენტური მორფოლოგიური მოცემულობის შეფასებისას მიდგომა, ანალიზი და არგუმენტაციაც ერთნაირი უნდა იყოს; არ შეიძლება მეგრულის ვითარების ახსნა ლაზურისთვისაც არ გამოვიყენოთ. ამით ელემენტარული ლოგიკა ირღვევა.

ანუ: თუ მეგრულში ორ სხვადასხვა ი-ზე ვიმსჯელებთ, ასევე უნდა ვიმსჯელოთ ორ სხვადასხვა ი-ზე ლაზურში; თუ არადა, უნდა ჩავთვალოთ, რომ მეგრულშიც ყველა სახელი ხმოვანფუძიანია, ისევე როგორც ლაზურში, რაც გაცილებით წინააღმდეგობრივია.

„ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ **კოჩი** („კაცი“) სახელის პარადიგმას ლაზურსა და მეგრულში ასეთი სახე აქვს:

	ლაზ.	მეგრ.
სახ.	კოჩი	კოჩი
მოთხრ.	კოჩი-ქ	კოჩ-ქ
მიც.	კოჩი-ს	კო-ს
ნათ.	კოჩი-შ(ი)	კოჩი-შ(ი)
მიმართ.	კოჩი-შა	კოჩი-შა
დაშორ.	კოჩი-შე(ნ)	კოჩი-შე
მოქმ.	კოჩი-თე(ნ)	კოჩი-თ(ი)
დანიშნ.		კოჩი-შო(თ)
ვნებ. ანუ		კოჩ-ო
გარდაქც.		

პარადიგმის მიხედვით ლაზური კოჩი ხმოვანფუძიანი გამოდის; სახელობითის ფორმის მიხედვით ასევე ხმოვანფუძიანი ჩანს მეგრული სათანადო ფორმაც, მაგრამ აქ მისი თანხმოვანფუძიანობა ვლინდება მოთხრობითისა და ვითარებითის („ვნებით“- „გარდაქცევითის“) მიხედვით. ერთი სიტყვით, მეგრულის პარადიგმის მიხედვით პრაქტიკულად არ ჩანს, ხმოვანფუძიანია ეს სახელი თუ თანხმოვანფუძიანი, შერეული გამოდის.

მრავლობითში სურათი ნათელია, აქ ჩანს ამ სახელის თანხმოვანფუძიანობა ლაზურშიც და მეგრულშიც:

	ლაზ.	მეგრ.
სახ.	კორ-ეფ-ე	კორ-ეფ-ი
მოთხრ.	კორ-ეფ-ე-ქ	კორ-ენ-ქ
მიც.	კორ-ეფ-ე-ს	კორ-ენ-ს
ნათ.	კორ-ეფ-ე-შ(ი)	კორ-ეფ-იშ(ი)
მიმართ.	კორ-ეფ-ე-შ(ა)	კორ-ეფ-იშა
დაშორ.	კორ-ეფ-ე-შე(ნ)	კორ-ეფ-იშე
მოქმ.	კორ-ეფ-ე-თე(ნ)	კორ-ეფ-ით(ი)
დანიშნ.	–	კორ-ეფ-იშო(თ)
ვნებ. ანუ	–	კორ-ეფ-ო ³
გარდაქც.		

თუ გავითვალისწინებთ, რომ ნათესაობითისა და ნანათესაობითარი ბრუნვების, ასევე, მოქმედებითისა და ვითარებითის სუფიქსები **-VC** სტრუქტურისაა, რაც თანხმოვანთკომპლექსების წარმოქმნისა და აქედან გამომდინარე, თანხმოვანთკომპლექსების სუპერირების საკითხს ხსნის, მაშინ პარადიგმის კორექტირებაც გახდება საჭირო და ის ასეთ სახეს მიიღებს:

	ლაზ.	მეგრ.
სახ.	კორ-ი	კორ-ი
მოთხრ.	კორი-ქ	კორ-ქ კორი-ქ
მიც.	კორი-ს	კორი-ს კოს
ნათ.	კორ-იშ(ი)	კორ-იშ(ი)
მიმართ.	კორ-იშა	კორ-იშა
დაშორ.	კორ-იშე(ნ)	კორ-იშე
მოქმ.	კორ-ითე(ნ)	კორ-ით(ი)
დანიშნ.	–	კორ-იშო(თ)
ვნებ. ანუ	–	კორ-ო

³ წიგნის აწყობისას გაპარული მექანიკური უზუსტობის ბრალია, რომ დანიშნულებითისა და ვითარებითის („ვნებით“- „გარდაქცევითის“) მეგრულისთვის დამახასიათებელი ფორმები ლაზურის ფორმებად არის წარმოდგენილი. ამ უზუსტობას ვასწორებთ და ისე წარმოვადგენთ ჩიქობავას პარადიგმას.

გარდაქც.

პრაქტიკულად ამგვარადაა წარმოდგენილი ვ. დანელიას პარადიგმა [იხ. დანელია, 2006, 104], თუმცა არის ერთი ნიუანსი: მოთხრობითისა და მიცემითის ფორმები ლაზურში ასეა სეგმენტირებული: კორ-ი-ქ, კორ-ი-ს. სხვაგანაც ი ელემენტი ცალკეა – **არც ფუძეში შედის და არც ბრუნვის ნიშნის ნაწილია**: კორ-ი-შ(ი), კორ-ი-შე(ნ), კორ-ი-თე(ნ). ასევეა მეგრულშიც: კორ-ი-შ(ი), კორ-ი-შა, კორ-ი-შე, კორ-ი-თ(ი), კორ-ი-შ-ოთ.

მოთხრობითისა და მიცემითის ი მკვლევრის მიერ სამართლიანადაა კვალიფიცირებული, როგორც თანხმომავანთგამყარი, – ამდენად მისი წარმოდგენა ფუძის ნაწილად ბუნებრივი იქნება; ასევე ბუნებრივი იქნება, მეორე მხრივ, თუ სხვა შემთხვევებში წარმოდგენილ ი-საც მიცემული კვალიფიკაციის მიხედვით მივუჩინთ ადგილს, – ამჯერად სათანადო ბრუნვის ნიშანთან, მის შემადგენელ ნაწილად. სეგმენტირებისას უნდა ჩანდეს ფორმის შემადგენელი სტრუქტურული ელემენტების მორფოლოგიური სტატუსი.

ორიოდე სიტყვით საკუთარი სახელების შესახებ: ლაზურსა და მეგრულში, ქართულისგან განსხვავებით, საკუთარ სახელებს სპეციფიკური, რაიმე ნიშნით გამორჩეული პარადიგმა არა აქვთ. აქ თანაბრად შეიძლება **ლევანიქ და ლევანქ, ვალერიქ და ვალერქ...** ქართულში სალიტერატურო ენის ნორმებით ხდება პარადიგმათა დიფერენცირება, მეგრულსა და ლაზურს ნორმები არ არეგულირებს, – ამით აიხსნება ეს (და ბევრი სხვა) მოვლენა. **საკუთარი და საზოგადო სახელები ერთნაირად იბრუნება მეგრულსა და ლაზურში.**

ი. ყიფშიძეს მოაქვს სახელობითი ბრუნვის ი ხმოვნის დასუსტების (გ-ში გადასვლის) მაგალითი: **ბალი || ბაღ.**

თითქოს ასეთივე შემთხვევაა მეგრულში **ოთახ** „ოთახი“ სახელთანაც. ი. ყიფშიძეს ეს სიტყვა თავის ლექსიკონში მხოლოდ ამ სახით აქვს შეტანილი.

ორსავე შემთხვევაში ი-ს ადგილას აქ გ-ს გაჩენას სხვაგვარი ახსნა უნდა ჰქონდეს. აქ ზანური ბაღ < ბაღუ, ოთახგ < ოთახუ. ასეთი უ მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში გადადის გ-ში. რომ აქ ორსავე შემთხვევაში ფუძისეულ ბოლოხმოვნად უ ივარაუდება, დასტურდება შემდეგით: როცა ამ გ-ს მოსდევს რომელიმე ხმოვნით დაწყებული სუფიქსი, გ შეიცვლება უ-თი: საბაღუო ადგილი „საბაღე ადგილი“ [როგავა, 1962, 45].

უ-ფუძიანი ფორმა შეიძლება პირვანდელი სახით იყოს წარმოდგენილი (სხვა ბრუნვებშიც ამ – სრული სახით გადადის):

ხამუ „დანა“:

ჩხოუ გოტყაბარესია დო **ხამუ** კუდეღს მიკატახესია (გან., 127) „ძროხა გაატყავესო და დანა კუდეზე მიატეხესო“; **ხამუ** პიც ვაუნჯანსია (ხალხ. სიბრ., 1, 181) „დანა პირს არ უხსნისო“.

ბაღუ „ბალი; ბეღელი“:

ჭუკი **ბაღუს** შქირენით ვაღურუნია (ხალხ. სიბრ., 1, 179) „თაგვი ბეღელში შიმშილით არ მოკვდებო“.

ოთახუ „ოთახი“:

ოთახუმა მინოილებ (ქხს, 1, 123) „ოთახში შესულხარ“; არმა **ოთახუეფი** დილუ (ხუბ., 7) „ყველა ოთახები დაიარა“.

სქირუ „მშრალი“:

სქირუ მინდორს წიმოჩანს (ქხს, 1, 318) „მშრალ მინდორზე ხარობს“.

დასტურდება უ-ს დავიწროების პირველი საფეხური: **უ > ი**:

ბალუ > „ბალი, ბელელი“ > **ბალი**:

მიწონებუ სქვამი **ბალი** (ენგური, 248) „მეგულეზა ლამაზი ბალი“.

ხამუ > **ხამი** :

თე ბოშის **ხამი** ქოთხუ (ყიფშ., 24) „ამ ბიჭს დანა სთხოვა“; **ხამი** ქიმეჩე ძალამო კვათირი (ყიფშ., 54) „დანა მისცა ძლიერ მჭრელი“; **ხამი** ულუ, დიდი **ხამი** ჯამპიში ოცხონტალი (ხუბ., 113) „დანა აქვს, დიდი დანა თუთის (ხის) გასასხლავად (გადასაბელად)“; შდრ. ლაზ. **ხამი** „დანა“ (ნ. მარი).

ასევე უ-ს დასუსტების შედეგია გ ა მ ნ ი მ უ შ ე ბ შ ი (ს უ ს ტ დ ე ბ ა ამოსავალ, სახელობით ბრუნვაში, და სხვა ბრუნვებშიც უ-ს რეფლექსი ჩანს):

ბალუ „ბალი“ > **ბაღე**:

ბაღე ს ვორდი, ვარდი ბძირი...(მასალ., 32) „ბაღში ვიყავი, ვარდი ვნახე...“

ჩვილი „ჩვილი“ > **ჩქე ჩქე** :

ართის **ჩქე ჩქე** მონოე ვე (ყიფშ., 62) „ერთს ჩვილი (ბავშვი) მოჰყავდა თურმე“; ისე ქე დუტალეზუ **ჩქე ჩქე** ტყასე (ყიფშ., 62) „იმას დაუტოვებია ჩვილი ტყეში“.

ჭკადუ „მ ქ ე დ ე ლ ი “ > **ჭკადე** :

მიიპეჯ **ჭკადე** : (ხუბ., 179) „მიიპატიჟა მჭედელი“.

ოთახუ „ო თ ა ხ ი “ > **ოთახე** :

მუჭო გოტახი ჩქიმი **ოთახე** ში კარია? (ყიფშ., 81) „როგორ გატეხე ჩემი ოთახის კარიო?“

ლილუ „ჩვილი“ > **ლე ლე** :

ლე ლე (ლე ლე ს) იგივეა, რაც ლილუ, „ჩვილი; თოთო“ (ყიფშ.).

დიდაშ ომბოლ ქე დოუტე ართი **ლე ლე** ბაღანა (სამუშ. 86) „დედის ობოლი დავუტოვე ერთი ჩვილი ბავშვი“.

კიდუ „კოდალა“ > **კე დე** :

კე დე ჯას მიკიკაკე , ხანგა, გინოლასირია (ყიფშ., 147) „კოდალა ხეს უკაკუნებს, გიჟი, გადარეულიო“.

სქირე „მ შ რ ა ლ ი “ > **სქირე** :

წყარიშე გემასხაპუ დო **სქირე სე** ქიგიანთხე (ცაგ., 39) „წყლიდან ამოხტა და მშრალზე დაეცა“.

ოლუ „სავალი“ > **ოლე** :

მიდართ ხვალე გვერდი დღაში **ოლე** (ცაგ., 47) „წავიდა მარტო ნახევარი დღის სავალი“.

უ შეიძლება ამ დასუსტების შედეგად დაიკარგოს (იკარგება ამოსავალ, სახელობით ბრუნვაში, – არ ჩანს სხვა ბრუნვებშიც):

ბალუ „ბელელი“ > **ბალ**:

ბალ გეუდგე ართი (ხუბ., 105) „ბელელი უდგას ერთი“.

ხამუ „დანა“ > **ხამ**:

ე **ხამე** თე ბოშეშიქ იე უუ (ყიფშ., 24) „ეს დანა ამ ბიჭისა იქნა“.

სქირუ „მშრალი“ > **სქირ**:

ასე ვორწყეე გვალო **სქირს** (ქხს, 1, 318) „ახლა ვხედავ მთლად მშრალს“.

მაძირაფუ „მნახელი“ > **მაძირაფ**:

თემ **მაძირაფ** მუთუნს ვაძირუნს თერიგის (ხუბ., 105) „ამის მნახელი ვერაფერს ნახავს ამნაირს“.

ბოლოკიდური უ-ს გადასვლა ირაციონალურ ბგერაში და შემდგომ დაკარგვა ჩვეულებრივია ზმნაშიც: აქ მესამე სუბიექტური პირის ნიშანი სუსტდება სიტყვის

აბსოლუტურ ბოლოში (ეს საკამოდ გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, ბუნებრივი პროცესია):

ქე დნაჩქვარქე „ჩაჩეჩვა“, > **ქე დნაჩქვარქე**, **ეკილუ** „ამოვიდა“ > **ეკილგ** :

ათაქ **ქე დნაჩქვარქე** თე რაშიქ დო **ეკილგ** (ხუბ., 23) „აქ ჩაჩეჩვა ამ რაშმა და ამოვიდა“;

მართედუ > მოვიდოდა“ > **მართედგ** დოხთურს ჩქიმდა სო **მართედგ** (ყიფშ., 161) „ექიმს ჩემთან როგორ შეეძლო მოსვლა“;

ვახვადუ „არ ხვდება“ > **ვახვად**:

იმ ჩქიჩქუნს სქანი ძუბუ **ვახვად** (ქხს, 1, 38) „მის ბალღებს (ჩვილებს) შენი ძუბუ არ ხვდება“.

ქათატახუ „მომატვრია“ > **ქათატახ**, **ოყ ოთუ** „ესროლა“ > **ოყ ოთ**, **მგ კოჯანუ** „მიწოლილია“ > **მგ კოჯან**:

შუმილი კოჩი **მგ კოჯან** სტოლსგ ნ, თეს **ოყ ოთ** დო ბორკეფ **ქათატახ** (ხუბ., 58) „მთვრალი კაცი მიწოლილი რომ არის მაგიდასთან, ამას ესროლა და ფეხები (ბარკლები) მოამტვრია“.

მიდართუ „წავიდა“ > **მიდართ**:

მიდართ ხვალე გვერდი დღაში ოლგ (ცაგ., 47) „წავიდა მარტო ნახევარი დღის სავალი“...

გ. როგავას დაკვირვებით, ზანურის კილოკავებში **ი** ხმოვანი არ შეიძლება გადავიდეს სპონტანური გზით **გ** -ში. მაგალითად, ბრუნვისეული **ი** არ შეიძლება შეიცვალოს **გ** ხმოვნით: კოჩ-ი || კოჩ-იშ-ი || კოჩ-ით, ოსურ-ი || ოსურ-იში || ოსურ-ით და სხვ. [როგავა, 1962, 44].

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ მაგალითებში ნათესაობითისა და მოქმედებითის **ი** ნამდვილად ინარჩუნებს სტაბილურობას, მაგრამ სხვაგვარად შეიძლება დადგეს სახელობითი ბრუნვის -**ი** სუფიქსის საკითხი (ი. ყიფშიძის დებულება სახელობითის **ი**-ს დასუსტების შესახებ საფუძვლიანია, სხვა საკითხია, რომ ამ დებულების საილუსტრაციო მასალა არ იყო სათანადო).

საქმე ის არის, რომ მეგრულ-ლაზურს ბოლოკიდურ ხმოვანთა დაკარგვა საერთოდ ახასიათებს. ჩვეულებრივია -**ი**-ს დაკარგვა მეგრულში (აქ სუსტდება და იკარგება ბოლოკიდური **უ** და **გ** ხმოვნებიც). ლაზურში განსაკუთრებით ვიწურ-არქაბულს ახასიათებს **ი**-ს მოკვეცა, არც ათინურ-ართაშენულისთვის არის უცხო ეს მოვლენა. ასე რომ, სახელობითის **კოჩ** „კაცი“, **ოხორ** „სახლი“, **კაპიკ** „კაპიკი“, **მჭკუდ** „მჭადი“ და მსგავსი ფორმების ამოსავლად **ი**-ბოლოკიდურიანი ფორმები (კოჩი, ოხორი, კაპიკი, მჭკუდი) ივარაუდება [ქლენტი, 1953, 173; კარტოზია, 2004, 71]; ნიმუშები ტექსტებიდან:

წარ ამბინუ (ჩიქ., II, 90) „წყალი მოუნდა“; **სად** ონუ (ჩიქ., II, 87) „სადი არის“; **გარ** ჭკომუ (ჟღ., 45) „საქმელი ჭამა“; **შარვალ** დო ბლუზაფე (ჟღ., 87) „შარვალი და ბლუზები“; **დიცხირ** ჰექ გონდუნუ (ჟღ., 107) „სისხლი (კვალი) იქ დაიკარგა“; **ონჯღორ** ავუ (ჟღ., 111) „შერცხვა“ („სირცხვილი შეექნა“)...

ეს მოვლენა მასობრივად არის დადასტურებული დიუმეზილის მიერ 1937 წელს გამოქვეყნებულ „ჭანურ ზღაპრებში“. ამ მხრივ ეს ტექსტები გამოირჩევა ყველა დღემდე გამოქვეყნებული ტექსტებიდან [ქლენტი, 1953, 175]:

თხირ დო **ნემ** ქომულუ (დიუმეზ., დიუმეზ., 1937, 104) „თხილი და ნიგოზი მიუტანა“; **გურ** მუხთუ (დიუმეზ., 1937, 3) „გული მოუვიდა“; **ჭუტა უფ** (დიუმეზ., 36) „ცოტა ოფლი“; მაჟურა დღას ოთხუ **დივ** დულაშა იგზალეს (დიუმეზ., 36) „მეორე დღეს ოთხი დევი საქმეზე წავიდა“; ოხორის **არ დივ** დო **მემეტ** ქოდოსქიდუ (დიუმეზ., 36) „სახლში ერთი დევი და მემეტი დარჩა“;

არ **კობ** გამახთუ (იქვე, 28) „ერთი კაცი გამოვიდა“; არ წუკა ხარხალერ **წკარ** (დიუმეზ., 36) „ერთი ქვაბი ადუღებული წყალი“...

დიუმეზილის „ჭანურ ზღაპრებში“ ხშირია შემთხვევა, როდესაც მრავლობითი რიცხვის ფორმებში ბოლოკიდური ე ხმოვანია მოკვეცილი:

ჰენტეფ დიდო ფუკარა ტეს (დიუმეზ., 58) „ისინი ძალიან ღარიბები იყვნენ“; **სათეფ** გოლილუ (იქვე, 20) „სათები გავიდა“; **კოჩეფ** ქოკოპწვი (იქვე, 28) „კაცები გავაშველე“...

თანხმოვანფუძიანებში სახელობითის ი-ს დასუსტება აბსოლუტურ ბოლოში ან სულაც გაუჩინარება არ არის დიდად გასაკვირი და რთულად ასახსნელი მოვლენა (ი ამ პოზიციაში სუსტია), უფრო მოულოდნელია ე-ს დაკარგვა მრავლობითის ფორმებში – ხომ არ მიანიშნებს ეს ფაქტი იმაზე, რომ აქაც ისტორიულად გვექონდა -ი სუფიქსი (კობ-ეფ-ე < კობ-ეფ-ი)?

ს. ჟდენტის შეფასებით ე. წ. უტყვი ხმოვნები აბსოლუტურ ბოლოში ლაზურში ახალია, – განსხვავებით სვანურისაგან, სადაც იგი უფრო დასრულებული სახისაა... მეგრულში სულ სხვა ვითარება გვაქვს, ვიდრე ლაზურში. მეგრულს მიდრეკილება აქვს სიტყვის ბოლოს გააჩინოს ე. წ. „პარაზიტული“ ხმოვნები: **ი, გ** ან **ოქუ** [ჟდენტი, 1953, 177].

მეგრულ გამოცემულ ტექსტებში გაცილებით და შეუდარებლად მეტია ფორმები, სადაც სახელობითის ნიშანი სრული სახით დასტურდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ხშირ შემთხვევაში ფორმათა ზუსტად დაფიქსირების საკითხი უნდა დადგეს: ი-მოკვეცილი ან მისი დასუსტებული, ირაციონალური ვარიანტით წარმოდგენილი სახელობითი იმის გამო ჩანს ნაკლებად, რომ „ზედმეტად გულდასმით“ ხდება **მორფოლოგიური ფაქტის დეკლარირება** (სახელობითის ნიშანია -ი, - ე. ი. ეს -ი უნდა დაფიქსირდეს) – ფონოლოგიური ნიუანსების გათვალისწინების გარეშე.

ბუნებრივია: **კობ** მეურს „კაცი მიდის“, **დედ** მოწონს „თავი მოსწონს“, **შურ** გოტუ „სული განუტევა“, **შალვარ** მამუ „შარვალი აცვია“, **ღვინ** გემუ „რვინო დალია“, **გურ** მალე „გული მოსდის“, **ჯგირ** დო ფური „კარგი და ცუდი“... არადა, ტექსტებში ეს სახელები, ჩვეულებრივ, -ი სუფიქსითაა წარმოდგენილი.

აქა-იქ მაინც ჩანს სახელობითის ფორმები დასუსტებული -ი-ს (ანუ, გ -ს) სახით ან ნულოვანი მორფემით:

მუ ორე, **ძღაბგ**, მუ გონგარუნსია? (ქხს, 2, 148) „რა არის გოგო, რა გატირებსო?“; თენა დუო სქანი **რაგადგ**, სი ნწყვირი დღაში დინაზადგ (ყიფშ., 115) „ეს იყო შენი ლაპარაკი, შე უბედურ (დაქცეულ) დღეს დანაზადო!“; ქვილითიში გერღვაფაშა **შურ(ი)** მიგალე (სამუმ., 46) „ქვირითის დაყრაზე სული გელტვის (მიგდის)“; **ყ ვალ** დო მარწვინ თინეფიში რე (ქხს, 1) (211) „ყველი და მაწონი მაგათია“; **შურ** დო გური მეწუხებუ (ქხს, 1, 56) „სული და გული მიწუხს“; **ოსურ** უსხუნ ქიანაშა, მუდგას მიკუფწაწუნი?! (სამუმ., 107) „ცოლი ურჩევნია ქვეყანაზე, რა ტკბილეულსაც მიაგნო?! (რალაცას მიეკარა)“; კავკაციაში ეჭოფუას **შურ** დო გურით ნოცადუე (სამუმ., 114) „კავკასიის აღებას სულით და გულით ცდილობდა თურმე“; გეგეგებუ **ჯგირ** დო ფური (ქხპს, 142) „გაგეგება ავ-კარგი“; ნამუ ქულუნი, არძენც ფარას დო **ძუმ**-კიდირით უხვამანც შარას (აია, 1, 19) „თუ რამ ფული აქვს, აძლევს (ფულს) და მუძუ-მკერდით ულოცავს გზას“; თოფი დო **ლეკურ(ი)** ხეს დაკე (ქხს, 1, 243) „თოფი და ხმალი ხელში დაიჭირე“; **კისერ** გიგა ქადარდიშა (სამუმ., 30) „კისერი გიგავს ქალაღდს“.

უნდა დავაზუსტოთ, რომ ლაპარაკია სახელობითის მარკერზე, სახელობითი ბრუნვის ფუნქციურ აფიქსზე, რომელიც სხვა ბრუნვაში არ გადადის (იმიტომ, რომ მისი მორფოლოგიური დანიშნულებაა სახელობითი ბრუნვის აღნიშვნა). ამ თვალსაზრისით

საინტერესო ფორმა, ვთქვათ, **კვ რცხვ**, მაგრამ არ არის საინტერესო **კვ რცხვ ს** ფორმა, - აქ მიცემითის ნიშნის წინ, ცხადია, სახელობითის ნიშანი არ ვლინდება (ო. ქაჯაიას თავის ლექსიკონში აქვს წარმოდგენილი: „კირცხ-ი, **კვ რცხვ** (კირცხის, **კვ რცხვ ს**) „სეტყვა“, „ხომკაკალი“ [ქაჯაია, 2002, 151]).

ასევე: საინტერესოა: **ძღვ**, **ძვ ღვ** :

ძღვ (ძღვ ს) „ქონი“ (კვირტია).

ძვ ღვ (ძვ ღვ ს) „ჭიჭყინა; ძუნწი; ეჭვიანი“ (მაძ., 1, 12).

არ არის საინტერესო: **ძღვ ს**, **ძვ ღვ ს**.

ჩქი ნაცვალსახელი არ იბრუნვის, ამდენად, მისი ბრუნვის ფორმასა და ნიშანზე საერთოდ არ შეიძლება მსჯელობა და თუ იქცევს ეს სიტყვა ყურადღებას, იმით, რომ ი აქვს ბოლოში და ეს ი შეიძლება დავიწროვდეს:

ჩქვ აწვ ნე მის ვოკოთე? (ყიფშ., 124) „ჩვენ აწი ვის ვუნდივართ?“ მითინქვ ვა დომირინეხვ **ჩქვ** (ვაგ., 30) „არავინ არ დაგვიყენა ჩვენ“.

ალბათ მაინც უფრო გამართლებული იქნება, თუ თანხმობანფუძიანი სახელების სახელობითი ბრუნვის ძირითად ნიშნად -ი-ს მივიჩნევთ, ხოლო მისი დასუსტების შედეგად ჩავთვლით **0**-ს (ნულს), ანუ, გამოვყოფთ ორ ნიშანს: -ი / **0** (გ <). ძნელი დასაფიქსირებელია ეს გარდამავალი საფეხური (გ).

რაც შეეხება „პარაზიტულ ხმოვნებს“: როგორც ზევით არის ნაჩვენები, ეს ხმოვნები დამახასიათებელია არამხოლოდ მეგრულისთვის, არამედ ლაზურისთვისაც (იხ. ქვევით).

ლაზური სახელობითი ბრუნვის მოდელია:

ა) ფუძე + **Ø** (ნული):

ბუცხა... ორძო... კატუ... კუჩხე... დემირჩი...

ბ) ფუძე + ი:

კორ-ი...

მეგრული სახელობითი ბრუნვის მოდელია:

ა) ფუძე + **Ø** (ნული):

ბირცხა... ორქო... კატუ... წუდე...

ბ) ფუძე + ი / გ / **Ø** (ნული):

კორ-ი / კორ-გ / კორ...

I. 1. 3. მოთხრობითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

როგორც აღინიშნა, ლაზურ-მეგრულში ქართულისგან განსხვავებული სამი ბრუნვაა, დანარჩენი ბრუნვები კი საერთოა.

საერთო ბრუნვების ნიშნების სახით დადასტურებული მასალა საერთოქართველურია: ეს არის ფონოლოგიური შესატყვისები ან ნასესხობები.

საერთო სისტემიდან ამოვარდნილია მხოლოდ მოთხრობითი ბრუნვა: ქართულში მოთხრობითს აწარმოებს -მა /-მ ალომორფები, ხოლო ლაზურსა და მეგრულში -ქ სუფიქსი

ასრულებს ამ გრამატიკულ ფუნქციას (იმის მიუხედავად, ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეს დაერთვის ეს -ქ თუ თანხმოვანზე დაბოლოებულს):

ლაზ.: -ქ: კოჩი-ქ „კაცმა“, კატუ-ქ „კატამ“, ბუცხა-ქ „ფრჩხილმა“, ორძო-ქ „სკამმა“, ბერე-ქ „ბავშვმა“...

ასევეა მეგრულშიც.

მოთხრობით ბრუნვას ი. ყიფშიძე „ნაცვალსახელოვან მიცემითს“ უწოდებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას -ქ სუფიქსი ნაცვალსახელიდან მომდინარედ მიაჩნია (მხოლოდ, არ აზუსტებს, კერძოდ რომელ ნაცვალსახელს გულისხმობს ამოსავლად).

„ნაცვალსახელობითი“ ბრუნვაა მოთხრობითი ნიკო მარისთვისაც.

არნ. ჩიქობავა -ქ-ს გ-ს უკავშირებს: მოთხრობითის ნიშანი წარმოშობით ნაცვალსახელობითი ძირი უნდა იყოს; ეს თანაბრად ეხება როგორც ქართულ ნ-ს, ისე ჭანურისა და მეგრულის -ქ-ს და სვანურ დ-ს... ეს ქ იგივე -გ-ა, რაც ი-გ-ი, ე-გ-ე ნაცვალსახელებში გვაქვს, ოღონდ ფონეტიკურადაა სახეცვლილი: გაქ (მჟღერი შეცვლილია სათანადო რიგის მფშვინავით. რომ ეს ასეა, ჩანს ადგილის ზმნისართებიდან, რომლებიც იმავე ნაცვალსახელოვან ფუძეს იყენებენ:

შდრ. ა-გ- (აგ-რე) და ზმნისართები: აქ [მეგრ., ქართ., ჭან. (ხოფ.), ჰაქ || ჰაქო (ვიწ.-არქ. და ათინ. კილოკავები ჭანურისა).

ი-გ (იგ-ი) და ზმნისართები: იქ (ქართ.), ჰიქ || ჰიქო ვიწ.-არქ. და ათინ. კ. ჭანურ.); ექ [მეგრ., ჭან. (ხოფ.)].

მა-გ- (მაგ-ის) და ზმნისართები: მა-ქ (დიალექტ., დას. კილოებში) [ჩიქობავა, 1939].

ამჟამად ქართულში მოთხრობითის ნიშანია -მა || -მ, რომელიც მან-ისგან არის მიღებული; თვით ამ -მან-ში მოთხრობითის ნიშანია -ნ; მან- მოთხრობით ბრუნვაში დასმული ნაცვალსახელია მესამე პირისა; ამგვარად, მოთხრობითის ნიშანი ქართულში ისტორიულად -ნ- არის, მეგრულსა და ჭანურში კი – -ქ; მათი შეპირისპირება ახლაც შეიძლება ზოგ სიტყვაში: „მიქ თქუ? – „ვინ თქვა?“ „მუქ ქიმინუ“ „მან ქნა“... ქ და ნ სულ სხვადასხვა ფონეტიკური ოდენობაა, ისინი მხოლოდ მორფოლოგიურად შეესატყვისებიან ერთმანეთს.

განსხვავება არამხოლოდ ამ მხრივაცაა: -ქ აწარმოებს მოთხრობითს ყველა სახელში; მიქ, მუქ, კატუქ, კოჩიქ || კოჩქ... ნ ქართულში მოთხრობითს აწარმოებს მხოლოდ ორ სახელში; ესენია: ვინ და მან. ყველა სხვა სახელი მზამზარეულ, მოთხრობითში დასმულ ნაცვალსახელს დაირთავს: კატა-მ(ან), მზე-მ(ან), ძმა-მ(ან), შვილ-მ(ან)... [ჩიქობავა, 1936, 56].

აღსანიშნავია, რომ ათინურის ართაშენულ თქმაში მოშლილია მოთხრობითი: ავეჯი „მონადირე“ (= ავეჯიქ) მთუთი დოილუ „მონადირე(მ) დათვი მოკლა...“

„მოთხრობითის ადგილს ყველგან სახელობითი იჭერს; ართაშენელი ამის საჭიროებას სრულებით არა გრძნობს (იხ. II, 110-117); ქართველურ (და სხვა კავკასიურ) ენათათვის სპეციფიკური ბრუნვის, მოთხრობითის მოშლა ჭანურის მორფოლოგიურ-სინტაქსური სისტემის რღვევის დაწყების მომასწავებელია. ეგევე მოვლენა დასტურდება ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში (II, 118-138)“ [ჩიქობავა, 1936, 63]:

მოთხრობითის მოშლა ლაზურის გრამატიკული სისტემის რღვევის დაწყებას ნიშნავს [დანელია, 2006, 110].

ამდენად, ლაზურში -ქ-სთან ერთად მოთხრობითის ალომორფად ნულიც უნდა მივიჩნიოთ.

მეგრულში მოთხრობითის ნიშანი იმსგავსებს ფუძისეულ დ, ძ, ჯ-ს და აქცევს შესაბამისად თ, ც, ჩ თანხმოვნებად (მაგ., დუდ-ქ > დუთ-ქ თავმა, ნემ-ქ > ნეცქ ნიგოზმა, ხოჯ-ქ

> ხოჩ-ქ ხარმა...). შედარებით ნაკლებად დასტურდება შემთხვევები, როცა არც ი ხმოვანია ფუძეს შეხორცებული და არც ასიმილაციაა მომხდარი (დუდ-ქ, ნემ-ქ, ხოჯ-ქ...).

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანს მეგრულში ხშირად დაერთვის უფუნქციო ი,უ ან გ ხმოვნები; მნიშვნელობა არა აქვს, საკუთარია სახელი თუ საზოგადო. ასე, მაგ., ეგი-ქ-ი/უ/გ ეგნატემ, ოსურ-ქ-ი/უ/გ ქალმა...

ზუგდიდურ-სამურზაყანოულში ლ თანხმოვანზე ფუძედამთავრებული სახელები (მიმღეობაც) მოთხრობით ბრუნვაში ინარჩუნებენ ლ-ს, სენაკურში კი ხშირად ენაცვლება რ.

მაგ.:

ზუგდიდურ-სამურზ.

სენაკური

სოფელ-ქ

სოფელ-ქ/სოფერ-ქ „სოფელმა“

მეგრულში მრავლობითი რიცხვის -ეფ ნიშანი მოთხრობითსა და მიცემითში იქცევა -ენ-ად (სენაკურში უფრო) ან -ემ-ად (-ემ/-ეფ უფრო ზუგდიდურ-სამურზაყანოულშია) (იხ. ქვევით).

მეგრულში განსაკუთრებით საინტერესოა სახელის ფუძის საკითხი, რაც ი ხმოვნის ჩართვას გულისხმობს ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის. ი ხმოვანი ფონეტიკურ ნიადაგზე ჩნდება მხოლოდ ორ ბრუნვაში – მოთხრობითსა და მიცემითში და ერთ-ერთი ხერხია, ასიმილაციისა და ბგერის დაკარგვის გვერდით, არაკანონიკური ბგერათკომპლექსების დასამღევად. ერთნაირი დაბოლოების სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები კი, რომელთაგან ერთში ჩართულია ი, ხოლო მეორეში – არა, „სხვადასხვა ქრონოლოგიური დონის ფაქტებია“ [დანელია, 1986, 109].

ლაზური მოთხრობითი ბრუნვის მოდელია:

ფუძე + -ქ / Ø (ნული):

ბუცხა-ქ... ბუცხა (< ბუცხა-ქ)... ავჯი (< ავჯი-ქ)...

მეგრული მოთხრობითი ბრუნვის მოდელია:

ფუძე + -ქ:

დიდა-ქ... სუმარ-ქ...

I. 1. 4. მიცემითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

ლაზურშიც და მეგრულშიც მიცემითი ბრუნვის ნიშანია -ს (ისევე, როგორც ქართულში). მოსალოდნელი იყო -შ, მაგრამ ასე არ არის. შეიძლება ეს -ს ნასესხები იყოს ან დიფერენციაციამდელი საერთო მონაცემი: მიცემითი ბრუნვა ერთი უძველესთაგანია; სესხების საკითხი დადებითად გადაწყდებოდა, თუ რომელიმე კილოკავში (ყველაზე უფრო ეს ლაზურშია მოსალოდნელი) -შ-თი ნაწარმოები ზანური მიცემითი დადასტურდებოდა.

ჭანურისა და მეგრულის მიმართულებითის (კოჩიშა) მიჩნევა წარმოშობის მიხედვით ამგვარ მიცემითად (იხ. აკად. ნ. მარის: ჭანური ენის გრამატიკა“, პარ. 15a: „მიმართულებითში შემონახულია წმინდა მიცემითი – -შა დაბოლოებით“..., აგრეთვე ი. ყიფშიძის „მეგრ. ენის გრ.“, პარ. 17 a) სწორი არაა; ჭანურში სახელობითის -ი ყველა ბრუნვაში გადაჰყვება სახელს ისევე, როგორც მრავლობითში – -ე, ამიტომ ჭანური „კოჩიშა, კოჩეფიშა“ თავისუფლად გამოგვაყოფინებს -შა-ს, მაგრამ მეგრული კოჩიშა, კოჩეფიშა“ ამის შესაძლებლობას არ იძლევა: კოჩ-ი, კოჩ-ქ, კოს, კოჩ-იშ(ი), კოჩ-იშა, კოჩ-იშე, კოჩ-იშო(თ), კოჩ-ით(ი) – „კოჩ-იშა“ – ნათესაობითი ბრუნვის დერივატია, -შ- აქ ნათესაობითის ნიშანია და წინა ი-ც მას ეკუთვნის. ამგვარად, მიცემითზე ლაპარაკი მეტია [ჩიქობავა, 1936, 53].

წარმოდგენილი დამოწმებიდან საინტერესოა იმის დეკლარირებაც, რომ უნდა გამოიყოს -იშ(ი), -იშა, -იშე, -იშო მორფემები და არა -ი-შ(ი), -ი-შა, -ი-შე, -ი-შო, როგორც ეს პარადიგმებშია. მხოლოდ, ეს ეხება არამხოლოდ მეგრულის, არამედ ლაზურის სათანადო ბრუნვათა გაფორმებასაც, – ამაზე ზევით იყო მსჯელობა.

იშვიათად არის -ას: ძვირას „ძვირად“, ნწარას „მწარედ“, შხირას „ხშირად“, ეფას „იაფად“. ვარაუდობენ, რომ ეს -ას არის არქაული ბრუნვის ნიშანი ქართული მიცემითისა (ყიფშიძე). როგორც ჩანს, იგულისხმება ალაგას, ადგილას... ტიპი.

თვალშისაცემია, რომ ამ შემთხვევაში მეგრული მიცემითი ფუნქციურად ქართულ ვითარებით ბრუნვას უდრის (ეს ჩანს თარგმანში).

მეგრულში მიცემითი ბრუნვის ნიშნის (-ს/-ც) წინ გარკვეული თანხმოვნები (დ, თ, ტ, ძ, ჩ, ჯ) უჩინარდებიან. ხშირად სახელობითი ბრუნვის ნიშნის (ი-ს) ფუძესთან შეხორცებით განპირობებულია პარალელურ ფორმათა არსებობა. მაგ.:

ზუგდიდურ-სამურზ.	სენაკური	
კოც < კოჩ-ც	კოს//კოჩი-ს	„კაცს“

ასევე პარალელური ფორმები გვხვდება მრავლობით რიცხვშიაც:	
კოჩ-ეფ-ს/ც // კოჩ-ემ-ს/ც	კოჩ-ემ-ს // კოჩ-ენ-ს „კაცებს“

მეგრულის სენაკურ კილოკავში მიცემითის ნიშნად როგორც ბოლოხმოვნთან, ისე ბოლოთანხმოვნთან სახელებთან მხოლოდ -ს მორფემა გვაქვს.

ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში, როგორც წესი, -ს ყოველთვის შენარჩუნებულია მხოლოდ ბოლოხმოვნთან სახელებში და ი-შემომტკიცულ ფუძეებში: ოზეს „ეზოს“, კოტოს „ქოთანს“, მუმას „მამას“... ძღაბის „გოგოს“.

ბოლოთანხმოვნებთან ზუგდიდურ-სამურზაყანოულში -ს მორფემაც დასტურდება და -ც-ც. დაბეჭდილი მეგრული ტექსტების მიხედვით მიცემითში -ს-სა და -ც-ს პარალელურად ვხვდებით ერთგვარ კოპლექსებში: რს, ლს, ნს, მს, ფს, დს, თს, ჯს... რც, ლც, ნც, მც, ფც, დც, თც, ჯც... შეიძლება ამგვარი პარალელიზმი დასტურდებოდეს ერთი და იმავე პირის მეტყველებაშიც. უდავოა, რომ -ც მეგრულში ახალია, მეორეულია, -ს-ს აფრიკატიზაციის შედეგია [ლომთაძე, 1987, 10].

უნდა გაირჩეს ორი შემთხვევა:

1. ფუძის ბოლოკიდური სონორები და ხშული ფ ჩქამიერი თანხმოვანი -ს-ს აფრიკატიზაციისას ცვლილებას არ განიცდის:

ოსურ-ი	„ქალი“	ოსურ-ც < / ოსურ-ს
--------	--------	-------------------

ჩხომ-ი „თევზი“ ჩხომ-ც < / ჩხომ-ს...

2. ხშულები (დ, თ, ტ, ჯ, ჩ) ს-ს წინ იკარგება. ამის შედეგად ეს -ს ხან სონორების მომდევნო პოზიციაში აღმოჩნდება, ხან ხმოვნების შემდეგ:

ჩხვინდ-ი	„ცხვირი“	ჩხვინ-ს / ჩხვინ-ც
ქომონჯ-ი	„ქმარი“	ქომონ-ს / ქომონ-ც
დუდ-ი	„თავი“	დუ-ს / დუ-ც
კოჩ-ი	„კაცი“	კო-ს / კო-ც

იქნებ -ს-ს აფრიკატიზაციამდე მოხდა აღნიშნულ ხშულთა დაკარგვა? არა. ამაზე, პირველ რიგში, მიუთითებს მრავლობითის სუფიქსისეული ბოლოკიდური ფ: ის არასდროს იკარგება, -ს-ს აფრიკატიზაცია კი ხდება: ცირ-ეფ-ი „ქალიშვილები“ – ცირ-ეფ-ც... [ლომთაძე, 1987, 15-16].

ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია -ფ-ს დაკარგვის შემაკავებელი გარემოება: ეს არის მორფოლოგიური ფუნქციის მქონე მორფემა.

-ს სპირანტის აფრიკატიზაცია (ს > ც) მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ის ხშულ თანხმოვნებს ხვდება. მართალია, -ს მორფემის ადგილას -ც გვხვდება ხმოვნების შემდეგაც, მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ფუძის ბოლოს უნდა გვექონოდა რომელიმე ზემოდასახელებული ხშული თანხმოვანთაგანი, რომელიც დაიკარგა [ლომთაძე, 1987, 17-18].

პოზიციური ცვლით ფუძის ბოლოკიდური -ლ მიცემით ბრუნვაში რ-დ იქცევა: ბული – ბურს „ბალს“, თოლი – თორს „თვალს“, ბურჭული – ბურჭურს „წალდს“, კუდელი – კუდერს „კუდს“, დუდელი – დუდერს „თავთავს“...

მიცემითი ბრუნვის ნიშანს მეგრულში ხშირად დაერთვის უფუნქციო ი,უ ან გ ხმოვნები; მნიშვნელობა არა აქვს, საკუთარია სახელი თუ საზოგადო. ასე, მაგ., ეგი-ს-ი/უ/გ ეგნატეს; ოსურ-ს-ი/უ/გ ქალს.

ზევით აღნიშნული იყო, რომ ართაშენულში მოთხრობითი ბრუნვა მოშლილია; ასევე საგულისხმოა და სიმპტომატური, რომ იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანიც („ართაშენულში (ნაწილობრივ ათინურშიც) ფორმალურად არ განსხვავდება სახელობით-მოთხრობით-მიცემითი და სამივე ბრუნვის შესაბამისი ფუნქციების გამოსახატავად სახელობითის ფორმა (= ფუძე) ფიქსირდება“ [რ. ასათიანი, 2011, 19]: კოჩი (= კოჩის) უწუმერს ოხორმა „კაცს ეუბნება ცოლი“...

ლაზური მიცემითი ბრუნვის მოდელია:

ფუძე + -ს / Ø (ნული):

ბერე-ს... კოჩი (<კოჩი-ს)...

მეგრული მიცემითი ბრუნვის მოდელია:

ფუძე + -ს / ც:

ჯიმა-ს..., კო-ს (< კოჩ-ს), ხუ-ს (<ხუჯ-ს) ... კითი-ს... ოსურ-ც... ცხენ-ც... ჩხვინ-ც (<ჩხვინდ-ს...).

I. 1. 5. ნათესაობითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

„ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია -**იმ**, კანონზომიერი ზანური შესატყვისი ქართული -**ის**-ისა; ნათლად დაჩნდება ის მხოლოდობითში – თანხმოვანფუძიან მეგრულ სახელებში: კოჩ-**იმ**(ი), მრავლობითში – ყველგან: -**ეფ** სუფიქსის დამატების გამო მრავლობითში ყველა სახელი თანხმოვანფუძიანი ხდება – კოჩ-**ეფ-იმ**(ი), ბირცხ-**ეფ-იმ**(ი), კოტუ-**ეფ-იმ**(ი)... ჭანურს მხოლოდ -**შ**(ი) შერჩენია: წინამავალი ფუძისეული -**ა**, -**ო**, -**უ** და დაბოლოების -**ი**, -**ე** იწვევს -**ი**-ს დაკარგვას ისევე, როგორც მოქმედებითში. ბოლოკიდური -**ი** (კოჩში) უფრო ხშირია მეგრულში, ვინემ ჭანურში“ [ჩიქობავა, 1936, 54].

გ. კარტოზია ლაზურში -**შ** და -**ში** ალომორფებს გამოყოფს: „ისტორიულად ლაზურშიც, ისევე როგორც მეგრულში, ნათესაობითის ფორმანტის ალომორფთა ორი წყვილია სავარაუდებელი: -**იმ**||-**იში** (ბოლოთანხმოვნიან ფუძეებთან) და -**შ** || -**ში** (ბოლოხმოვნთან): ოხორ-**იმ** || ოხორ-**იში** „სახლის“ და ჯა-**შ** || ჯა-**ში** „ხის“. ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ლაზურ-მეგრულის -**იმ** და -**შ** (<*-**შ**) დაბოლოებები ქართულის -**ის** და -**ის** ნიშნებს შეესატყვისება [თოფურია, 1927, 314; ჩიქობავა, 1936, 54; 1942a, 92]. რაც შეეხება ბოლოკიდურ **ი**-ს, მისი რაობა გარკვევას მოითხოვს“ (კარტოზია, 58).

ნ. მარის ვარაუდით, ლაზურში ნათესაობითის ნიშანი -**ში** მიღებულია -**იმ**-ისგან **ი**-ს გადასმით: ნოლაში < *ნოლა-**იმ** „ბაზრის“. მკვლევრის აზრით, **ი**-ს გადასმა განაპირობა იმან, რომ ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი (-**იმ**) მუდამ ხმოვანს მოსდევდა. ეს ხმოვანი ან ფუძის დაბოლოება იყო (*ნოლა-**იმ**), ან სახელობითის **ი/ე**, რომელიც ირიბ ბრუნვებში გადაჰყვება ფუძეს (მდლთ-**ი**-**იმ** „თუთის“, *ბერ-**ე**-**იმ** „ბავშვის“) [მარი, 1910, 10].

ასეთივე ანალიზი აქვს ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის შედგენილობასთან დაკავშირებით მეგრულში **ი**. ყიფშიძეს [ყიფშიძე, 1914, 019-020].

სახელობითის -**ი** ირიბ ბრუნვებში არ გადადის, – და თუ ჩანს ზოგიერთ ბრუნვაში, კერძოდ, მოთხრობითსა და მიცემითში **ი**, ეს არის ფონეტიკური ჩანართი, თანხმოვანთგამყარი; სხვა არის დანარჩენ ბრუნვებში გამოვლენილი **ი** – ეს არის ბრუნვის ნიშნის კომპონენტი (იხ. ზევით).

-**შ**(ი) || -**იმ**(ი) მორფემაზე დართული ბოლოკიდური -**ი** ემფატიკური ხმოვანი ჩანს (იხ. ქვევით).

ზოგჯერ ლაზურში ნათესაობითის ნიშნად -**ს** ვლინდება, ამდენად, მიცემითისა და ნათესა-ობითის ნიშნები იდენტური ჩანს.

რ. ერკერტი ნათესაობითის ნიშნად ლაზურში **შ**-სთან ერთად -**ს**-ს მიიჩნევს და მოჰყავს სათანადო საილუსტრაციო მასალა: ბინჯი-**ს** ღობერი „ვენახის ღობე“, ბაბა-**ს** ონტულე (ორტულე) „მამის ბოსტანი“, ბაბა-**ს** ჯუმა „მამის ძმა“, ჯუმა-**ს** და „ძმის და“, ბაბა-**ს** ცხენი „მამის ცხენი“ და სხვ. [ერკერტი, 1895, 347, 350].

ამას ახსნას ვერ უძებნის ნ. მარი, გაუგებრობად ან გაქართველებული ლაზებისთვის დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნევს [მარი, 1910, 12].

-**ს**-ნიშნის ნათესაობითის ილუსტრაციები მოჰყავს გ. კარტოზიას:

მუსტავას შუი მოლადგინ გუდას (კარტ. II, 36) „მუსტავას სულია („სული დგას“) გუდაში“; შეეფე მუსტავას ოხოს ჰოდოოდვეს (კარტ. II, 37) „ნივთები მუსტავას სახლში დადეს“; არ ზენგინის ოხოს იხალიშეფს (კარტ. II, 24) „ერთი მდიდრის სახლში მუშაობს“; მაჟუანი ნდლას ქომულუნან თურჯაის ოხოიშა (კარტ. II, 23) „მეორე დღეს მოვლენ ვაჭრის სახლში“; ანშ თანე კავი თურჯაის ბიჭის მეჩაფს (კარტ. II, 23) „ექვს გემს ვაჭრის ვაჟს მისცემს“; ართუნის ბურთი

(კარტ. II, 27-28) „ოქროს ბურთი“; ონდღე იყვეტუ-ქი, ფათიშაის ოხოის ქონოდგითუ, ნეკნას ბექჩეფექ ვარ ამომჩქევს კოჩი (კარტ. II, 27) „შუადღე იქნებოდა, რომ ხელმწიფის სახლს მიადგა. კარის მცველებმა არ შეუშვეს კაცი“; მუში ნეკნას კოჩეფეს დუჯოხუ (კარტ. II, 28) „თავის კარისკაცებს დაუძახა“; ია კოჩის ჯოხო დო ოღლი ქოდილაჭაეს (კარტ. II, 28) „იმ კაცის სახელი და გვარი ჩაიწერეს“ სეიზ (სეის: მომდევნო მქდერის მეზობლობაში) გვერდის დევეფე ქისელეს (კარტ. II, 37) „შუადამეს (დამის ნახევარზე) დევები ადგნენ“; არ დღას ჯუმა-მუმის წოხლე ქაგონტუხუ (კარტ. II, 22) „ერთ დღეს თავის ძმას გამოუტყდა („თავისი ძმის წინ გამოტყდა“)

[კარტოზია, 2004, 72].

„ამგვარი ნათესაობითი, – წერს გ. კარტოზია, – დასტურდება სხვადასხვა დროს სხვადასხვა კილოს წარმომადგენელთაგან სხვადასხვა პირის მიერ ჩაწერილ ტექსტებში. უცნაურია, მაგრამ ამ მხრივ გამონაკლისს არც ნ. მარის ჩანაწერები წარმოადგენს... ა. ჩიქობავას მის მიერ გამოცემულ ტექსტებში (მათ შორის – მისი რედაქციით გამოცემულ ი. ყიფშიძის ტექსტებშიც) -ს-ნიშნიან ნათესაობითთან ზოგჯერ კითხვის ან გაკვირვების ნიშანი აქვს დასმული“ [კარტოზია, 2004, 73]. საილუსტრაციოდ მკვლევარს მოჰყავს -ს-ნიშნიანი ნათესაობითის მაგალითები ადრე გამოცემული ტექსტებიდან:

ნამ კირალის კოჩი რე? (მარი, 109, 21) „რომელი ხელმწიფის კაცი ხარ?“; რუსის კოჩი სი რე ნა, პიჯი ვარ გიღუნ სარი (მარი, 109, 21) „შენ თუ რუსის კაცი ხარ, პირი არა გაქვს ყვითელი“; კირალის კოჩი რე (მარი, 112, 22) „ხელმწიფის კაცი ხარ“; ჩიჩელი დოკორობუმს, წიფრის დუდის ქეილამს (მარი, 103, 15) „ყვავილებს შეაგროვებს, წიფლის წვერზე აიტანს“; მაჟურანი ნდღას ურუსის (?) ასკერი ჭოროხიშა იმტუ (ყიფშ., 2) „მეორე დღეს რუსის ჯარი ჭოროხისკენ გაიქცა“; ენჩერეფე გონიას კალეს ქომულიბღეს (ყიფშ., 3) „იანიჩარები გონიოს ციხეში შეცვივდნენ“; არ ტაქიმიქ ზაფთიეფემ ოღას კურშუმის (!) ოსტომილუთე თოლი ვარ გონწკაფეს (ყიფშ., 10) „ერთმა ჯგუფმა პოლიციელთა ოთახში ტყვიის სროლით თვალი არ გაახელინა“; სქანი-სთერი კოჩიშ აქ დოხუნუ ონჯღორე ვა-რენ-ი სქანდა, ოშ კოჩის ბედელი-ნა რე? (ყიფშ., 11) „შენისთანა კაცის აქ დაჯდომა სირცხვილი არ არის შენთვის, ასი კაცის ბადალი რომ ხარ?“; ამსერი გიჭანდეფ! – სო მონჯირაფ? – ხინჯის (?) თის (ყიფშ., 17) „ამაღამ გპატიჟებ!“ სად დამაწვენ? – ხიდის თავში“... (კარტ., 73).

-ს-ნიშნიანი ფორმები დასტურდება თანდებულების წინაც: არ საათის კულე (ჟღ. 42) „ერთი საათის შემდეგ“; კაქისის დოლოხე (ჟღ., 151) „გალიაში“; ხუთ წანას დოლოხე „ხუთ წელიწადში“; მთვირის დოლოხე (ჟღ., 18) „თოვლში“; კუის დოლოხე (ჟღ., 78) „ორმოში“; ოხოროის დოლოხე (ყიფშ., 2) „სახლში“; მეზარეს დოლოხე (ჩიქ., II, 93) „საფლავეში“; ფიმფილის თუდე (ჩიქ., II, 10) „წვერს ქვემოთ“; დასტულის თუდე (ჩიქ., II, 16) „ბალიშის ქვეშ“; ქვას თუდე (ჩიქ., II, 58) „ქვის ქვეშ“; ჟურ დღას წოხლე (ჩიქ., II, 148) „ორი დღის წინ“...

[კარტოზია, 2004, 74].

უნდა დავაზუსტოთ, რომ ამ შემთხვევაში ნათესაობითის ნიშნად გვაქვს: ხმოვანფუძიანებთან – -ს, ხოლო თანხმოვანფუძიანებთან – -ის (ანუ, ეს არ არის მხოლოდ -ს-ნიშნიანი ნათესაობითის მაგალითები).

ჩნდება ბუნებრივი კითხვა: როგორ უნდა აიხსნას ეს მოვლენა? რასთან გვაქვს აქ საქმე?

გ. კარტოზია ფიქრობს, რომ „-ს-ნიშნიანი ნათესაობითი -შ-ფორმანტიანი ნათესაობითის ფონეტიკურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს. იგი შედეგი ჩანს ბოლოკიდური შ თანხმოვნის ს-ში გადასვლისა. შ > ს პროცესი ლაზურში ანალოგიური უნდა იყოს ქართულის კილოებში

(კახურში, ქართლურში...) მოქმედი ს > ძ პროცესისა. როგორც ცნობილია, ქართულის ზოგიერთ დიალექტში სიტყვის ბოლოკიდური ს თანხმოვანი (კერძოდ, ნათესაობითის ფორმანტიც) იოტად იქცევა. რაც შეეხება არაბოლოკიდურ ს ბგერას, იგი მხოლოდ გარკვეულ პოზიციასში, გარკვეულ თანხმოვანთა, კერძოდ, წინაენისმიერთა წინ იქცევა იოტად. მაგ., ბოსტანი > ბოძტანი, ნასწავლი > ნაძწავლი... მსგავს ცვლილებას განიცდის -შ მეგრულში. იგი ხშირად სუსტდება და ძ-დ იქცევა: კამეჩიშ ცვალი > კამეჩიძ ცვალი „კამეჩის ყველი“ [ლომთაძე, 1954, 220 შმდ.]. კომპოზიტებში ეს ძ-ც დაკარგულია: ზღვა-პიჯი < ზღვაშ პიჯი „ზღვის პირი (ყიფშიძე, 1914, 29). ასევე არამდგრადია შთ/შტ და სთ/სტ კომპლექსები მეგრულშიც, მეგრულიც ამარტივებს მათ, მაგრამ სხვა გზით: კარგავს კომპლექსის მეორე წევრს: სუმარი < სტუმარი, შერი < შტერი [ჟღენტა, 1953, 165]“ [კარტოზია, 2004, 75].

ის, რომ ს და შ შეიძლება დასუსტდეს და ძ-ს სახით გამოვლინდეს, ცხადია, არ არის პასუხი კითხვაზე – რატომ გვაქვს შ-ს ნაცვლად ს?

არც ის ჩანს დამაჯერებელი, რომ „-ს-ნიშნის ნათესაობითი -შ-ფორმანტიანი ნათესაობითის ფონეტიკურ ვარიანტს უნდა წარმოადგენდეს“, რომ „იგი შედეგი ჩანს ბოლოკიდური შ თანხმოვნის ს-ში გადასვლისა“.

შ გადავიდა ს-ში? – თუ ასეა ამ შემთხვევაში, მაშინ ამგვარი გადასვლის სხვა ნიმუშებიცაა წარმოსადგენი. მეორე მხრივ, ს და შ რომ ძ-ში გადადის, ეს არ ნიშნავს, რომ შ > ს ბუნებრივად მივიჩნიოთ.

არც შთ/შტ და სთ/სტ კომპლექსების მდგრადობა-არამდგრადობის საკითხია ამ შემთხვევაში აქტუალური.

არ შეიძლება არ გაგვახსენდეს, რომ ლაზურსა და მეგრულში მიცემითის ნიშანია -ს და არა -შ, როგორც უნდა იყოს საერთოქართველური ფონემათშესატყვისობათა კანონებით. ანუ: მიცემითში გვაქვს -ს, რომელიც არ არის ქართული -ს-ს შესატყვისი;

მეორე მხრივ, ასევე ნათესაობითში დასტურდება -ს, რომელიც არ არის ქართული -ს-ს ბგერათშესატყვისი, თუმცა, ამასთან ერთად, გვაქვს (ძირითად ვარიანტად გვაქვს) შესატყვისობაც: ქართ. -ს : ლაზ.-მეგრ. -შ.

ნათესაობითი ბრუნვის -იშ სუფიქსი ხმოვანფუძიანებთან კარგავს ი-ს და რჩება -ში: თომა-შ(ი), კატუ-შ(ი), ცუდე-შ(ი), კოტო-შ(ი)... თომა-შ(ი) < თომა-იშ(ი). თანხმოვანფუძიან სახელებთან, როგორც აღინიშნა, -იშ რჩება: კოჩ-იშ(ი), ხოჯ-იშ(ი)...

მრავლობით რიცხვში -იშ დაცულია: კოჩ-ეფ-იშ(ი). ეს ასეა მეგრულში, სადაც მრავლობითის ფუძე ყოველთვის თანხმოვანზე ბოლოვდება: კოჩეფ-... დიხეფ-...

ხოლო ლაზურში შ არის დარჩენილი, ფუძის ბოლო ხმოვნის გავლენით იშ-ის ი იკარგება: ასეთი ვითარება გვაქვს როგორც ხმოვანფუძიან, ისე თანხმოვანფუძიან სახელებში; ამის მიზეზია ის, რომ მრავლობითი რიცხვი -ფე/-ეფე მორფემებით იწარმოება, ანუ, ყველა შემთხვევაში გვაქვს ხმოვანზე დაბოლოებული ფუძე: კატუ-ფე-: ნათ. – კატუფე-შ(ი) „კატების“, კოჩეფე-: ნათ. – კოჩ-ეფე-შ(ი) „კაცების“...

ი. ასათიანის დაკვირვებით, „გაბმულ მეტყველებაში ხშირია მეგრულის მსგავსად ნანათესაობითარი მსაზღვრელისთვის ბრუნვის ნიშნისეული შ- თანხმოვნის მოკვეცა. მსაზღვრელი თანხმოვანფუძიანიც შეიძლება იყოს და ხმოვანფუძიანიც: ეშშელი მეკიუშენი (1,18) „ვირის მისაბმელად“; ალთუნი ფარა (46,55) „ოქროს ფული“; ალთუნი მაწკინდი (55,42) „ოქროს ბეჭედი“; მჩხუი ფოსთი (55,52) „ცხვრის ტყავი“; ღალი ჩხომი (65,10) „მდინარის თევზი“; მითი ჯუმა (77,12) „ქმრის ძმა“; კვინჩი ოყვილუშენი (100,168) „ჩიტის მოსაკლავად“; ლაზური ოგურუშენი (100,78) „ლაზურის სასწავლად“; მუარებე ხვენეი (4,2) „ომის კეთებით“; ყოყოე კელემა (100, 191) „გოგრის

ლერწი“; **მაკაინა** გონთხიმუ (43, 78) „მაკარონის გათხელება“; **სიჯა** პარტია (77, 39) „სიძის მხარე“; **ქორკა** ოჭუ (83,4) „კაბის შეკერვა“; **მზოლა** პიჯი (7,4) „ზღვის პირი“; **გოწო** წოხლე (84,1) „მარშანწინ“... [ასათიანი, 1974, 11].

გ. კარტოზიას მოაქვს **-შ > ე** ნიმუშები („**V + ში > Vi** (ინტერვოკალურ პოზიციაში **შ-ს** დაკარგვით) > **V-ე** (დამავალი დიფთონგიზაციით“):

ალი-აღა ხუსენი (306) „ალი-აღას ჰუსენი“; **ჩხალა** დუზი (313) „ჩხალის დაბლობი“; **გაურჯეფე** ქოის (311) „ქართველების სოფელში“; **აობიძე** ბაბა (311) „იობიძის მამა“; **გაური** მექთების (311) ურჯულოს სკოლაში“; **უმქირი** ყაეფეს (112) „ვაშლის ტოტებზე“; **ემუ** კოჩეფე (307) „იმისმა კაცებმა“; **ტუქელი** ოსთოლაძე (312) „თოფის სასროლი (სროლის) ადგილი“; **ემუ** დოლოხე „იმის შიგნით“; **ჩეჩმე** თუდე (305) „ჩეჩმის ქვეშ“; **მეხარი** ჟინ (307) საფლავზე“; **ემუ** წოხლე (309) „მასზე უწინ“; **მოღარდუ** უკულე (306) „როცა დაიღალა („დაიღალა-ს შემდეგ“); **ემუკულე** (304) „იმის შემდეგ“.

[კარტოზია, 2004, 76].

ე ფაკულტატიურად იკარგება ფუძისეული **ი-ს** შემდეგ (დამავალი **იე** დიფთონგი მარტივდება):

ფათიში (<ფათიშია) კულანი (308) „ხელმწიფის ქალიშვილი“; **ცხენი** (<ცხენი) ხუშქი (310) „ცხენის ჩონჩროკი“; **გოლი** (გოლი) უკვაჩხე (308) „ტბასთან („ტბის უკან““ (კარტოზია, 2004, 76).

ამ შემთხვევაში ნათესაობითი ნულოვანი მორფემით აღინიშნება.

საბოლოოდ ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა სისტემა ლაზურში ამ სახით შეიძლება წარმოვადგინოთ: **-იშ(ი) || -შ(ი) || -ს(ი) || ე || 0** (შდრ. გ. კარტოზიას სისტემა: **-ში || -შ || -ს || 0 || ე**).

მეგრულშიც შეიძლება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დაიკარგოს რთულ სიტყვებში – კომპოზიტებში: **ზღვა-პიჯი < ზღვამ(ი) პიჯი** „ზღვისპირი“, **ჭუბურხინჯი < ჭუბურიშხინჯი** „წაბლის ხიდი“... თუმცა ამგვარი შემთხვევები მორფემული ანალიზისთვის საინტერესო ვერ იქნება, – მსაზღვრელ-საზღვრულის ჩვენებისგან განსხვავებით.

ლაზურში, კერძოდ, სარფულში ი. ასათიანი ადასტურებს შემთხვევებს, „სადაც ხმოვან-ფუძიან სახელთან ნათ. ბრ. ნიშანი მთლიანად არის დაცული ხმოვანმოუკვეცავად, რაც ჭანურისა და მეგრულისთვის სრულიად უცხოა. საკითხავია, ქართულის მსგავსი შემობრუნებაა ჭანური ბრუნების პროცესში, თუ ამოსავალი ვითარება შემოგვრჩა: **კატუიშ** (<კატუ-იშ) ნენა (100, 32) „კატის ენა“; **წანაიშ-კულე** (<წანა-იშ-კულე) (77, 33) „წლის შემდეგ“; **სიჯამშ** (<სიჯა-იშ) ჯუმა (77, 12) სიძის („სიძის“) ძმა; **მაღაზაიში** (მაღაზა-იშ-ი) (<68,27) „მაღაზისა“ [ასათიანი, 1974, 11].

რამდენიმე ასეთი ფორმა შემორჩენილია ტოპონიმებში: **ჯიხა-იში** („ციხისი“), **ცა-იში** („ცისი“), **ქუთეში** < ლაზ. ქუთა-იში („ქუთაისი“), **ხე-ში** < ხა-იში...

ბუნებრივია, ამგვარი ფორმები ძველი ვითარების ამსახველად მივიჩნიოთ და სინქრონიული დონის პარადიგმულ სისტემაში ეს მონაცემი არ ჩავრთოთ, მაგრამ, საკითხის ისტორიიდან გამომდინარე, უნდა გავითვალისწინოთ; მით უფრო, როცა ის ძველ ქართულში არსებული ვითარების ანალოგიურია: **ღვინო-ის**, **წყარო-ის**...

ლაზური ნათესაობითი ბრუნვის მოდელია:

ა) **ფუძე + -იშ(ი) ||-ის(ი) || ე || 0:**

კოჩ-იშ(ი)... კოჩ-ის(ი)... კოჩი... კოჩი...

ბ) ფუძე + -შ(ი) || -ს(ი) || ე || Ø:

ბერე-შ(ი), კოჩეფე-შ(ი)... ბერე-ს(ი), კოჩეფე-ს(ი)... ბერე-ე, კოჩეფე-ე... ბერე, კოჩეფე...

მეგრული ნათესაობითი ბრუნვის მოდელია:

ა) ფუძე + -შ(ი):

დიდა-შ(ი)...

ბ) ფუძე + -იშ(ი):

კოჩ-იშ(ი)...

I. 1. 6. მოქმედებითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

ლაზურ ხმოვანფუძიან სახელებთან მოქმედებითი ბრუნვა **-თე/-თე(ნ)** ნიშნებით გამოიხატება; გამოქვეყნებულ ათინურ-ართაშენულ ტექსტებში სპორადულად დასტურდება **-თ**:

ოფუტემ კოჩეფ დო ოხორჯალეფ ირ ხოლ ხეფეს ქუფეფ დო **კუკუმაფეთ**, წკარიშ მოხთიმუ ჩუმერტეს (დიუმეზ., I, 937) „სოფლის კაცები და ქალები, ყველანი ხელში ქვევრებითა და თუნგებით, წყლის მოსვლას უცდიდნენ“; ინჯილი **ქვათ** იფშუ (ჩიქ.,II, 124) „მარგალიტის თვლით (ქვით) აივსო“.

გ. კარტოზია აღნიშნავს: „არქაბულ კილოკავს (უფრო სწორად, მის ზოგ თქმას) სიტყვის აუსლაუტში ხმოვნის (მათ შორის ე-ს) მოკვეცა ახასიათებს (შდრ. თუნდაც წინამდებარე ფრაზაში: კოჩეფ < კოჩეფე, ოხორჯალეფ < ოხორჯალეფე< ქუფეფ < ქოუფეფე, ირხოლ < ირხოლო), ამიტომ ამ შემთხვევაში **-თ** ალომორფის სიძველეზე საუბარი გაჭირდება, მაშინ როცა ათინურ-ართაშენულში მოქმედებითს არქაული (საერთო ქართულ-ზანური) დაბოლოების შემონახვა უფრო სააღბათოა“; ამასთან დაკავშირებით მკვლევარი იხსენებს ერკერტის განცხადებას, „ლაზურში მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **-თ** არისო“ [ერკერტი, 1895, 351]“ [კარტოზია, 2004, 78], – ამ ფაქტს (ისევე როგორც ნათესაობითის **-ს** ნიშნით გამოხატვის ფაქტს) ვერაფრით ვერ ხსნის ნიკო მარი, ლაზური **ცხენით** ფორმა, რომელიც ქართული ჟღერადობისგან არაფრით განსხვავდება, მისთვის გაუგებრობაა ან „გაქართველებული“ ლაზების მეტყველების ნიმუში (იხ. [მარი, 1910, 12]).

გასაკვირი არაფერია ამ ფაქტში: ქართული მოქმედებითი ბრუნვის **-ით** ნიშანი მეგრულ-ლაზურში სათანადო მორფოლოგიურ-ფონეტიკური შესატყვისობით არის წარმოდგენილი, ხმოვანფუძიანებში მხოლოდ **-თ** რჩება, თანხმოვანფუძიანებში სრულად გვაქვს ნიშანი **-ით**; ასეთი განაწილება გვაქვს მეგრულშიც.

„ასე რომ, ერკერტი არ ცდებოდა, როცა ნათესაობითის ნიშნად **-ს** ფორმანტს მიუთითებდა ლაზურისთვის. როგორც ჩანს, არც მოქმედებითის ნიშნის შემთხვევაშია მისი ცნობა უგულებელსაყოფი“ [კარტოზია, 2004,78-79].

თანხმოვანფუძიანებში -ით-ე/-ით-ე(ნ) გვაქვს:

დოფცონი **ლემშით(ე)** (ჩიქ.,II, 106) „ავაცვი ნემსით“; ხოჯი დო **საფანით** ხონუმტეს (კარტ., II, 181) „ხართა და სახნისით ხნავდნენ“; **გოდორით** მობიკიდამტით (კარტ.,II, 181) „გოდორით მოვიკიდებდით“.

არნ. ჩიქობავა ლაზურის (ი)თე(ნ)-ის ე-ს ქართულის ი-სთან კავშირზე მიგვითითებს თითქოს (ქალაქ-ით-ი „ქალაქად“), მაგრამ მათი იგივეობის მტკიცება ძნელია. ნ ბოლოკიდურის ფუნქციაც არაა ნათელი, იგი ნი ნაწილაკის ნარჩენი არ უნდა იყოს.

-ით/-თ მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია მეგრულში; -ით თანხმომავანფუძიან სახელთან დასტურდება, -თ – ხმომავანფუძიანთან:

ოსურ-ით ქომორთუ „ცოლით (ქალით) (კი) მოვიდა“. მუში ხეთ დააშქვიდუუ „თავისი ხელით დაახრჩო“; მუთ შიილეზე ზუგიდიშა ულა? – ცხენ-ით, მარა უჯგუშიე ფაიტონ-ით, ვარდა დერეჟან-ით (ყიფშ.,1) „რით შეიძლება ზუგიდიშში წასვლა? – ცხენით, მაგრამ უკეთესია ეტლით ან დილიჟანით“; მეუ ე აზახი, ომაგე კუჩხითია – უჩაშენქ უწის (ხუბ., 46) „წადი, კაცი, წაჩანჩალდი ფეხითო – უფროსებმა უთხრეს“; მოურს ჭკოლა ცხენით (ხუბ., 234) „მოდის მჭლე ცხენით“; ამუდლარენ იში უჯგუში ჭუმე რე ე ბოში, ჭუმე რენ იში უჯგუში გედანი რე დო ირდუ თაშთაში თე ძლაბიში ხანდათ (ხუბ., 54) „დღეს რომ არის იმაზე უკეთესი ხვალ არის ეს ბიჭი, ხვალ რომ არის, იმაზე უკეთესი ზეგ არის და იზრდება ასე ამ გოგოს შრომით“.

ლაზური მოქმედებითი ბრუნვის მოდელია:

ა) ფუძე + -თ-ენ / -თ-ე / -თ:

ქვა-თ-ენ / ქვა-თე / ქვა-თ...

ბ) ფუძე + -ით-ენ: -ით-ე / -ით:

ცხენ-ით-ენ / ცხენ-ით-ე / ცხენ-ით...

მეგრული მოქმედებითი ბრუნვის მოდელია:

ა) ფუძე + -თ(ი):

დიდა-თ(ი)...

ბ) ფუძე + -ით(ი):

ცხენ-ით (ი)...

I. 1. 7. ვითარებითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

ვითარებითი სპორადულად ჭანურშიც გვხვდება: დიდო – „ძალიან“: დიდო კაი – „ძალიან კარგი“, ე. ი. დიდად კარგი... ასე რომ ვნებითი ჭანურისთვისაც პრინციპულად უცხო არ არის [ჩიქობავა, 1936, 51].

ვითარებითი (ისევე როგორც დანიშნულებითი) ბრუნვა ლაზურში დღეს პრაქტიკულად არა გვაქვს. მისი ნაშთილა შემოგვრჩა თითო-ოროლა სიტყვაში:

დიდოთ „ძალიან“ [ჩიქობავა, 1936, 51];

მოთ „რატომ, რად“: ფადიშალიქ ოჭკომუ გაა დო უწუ: „მა სი ჰენნი პატი მიხენი-მა ნა გიწვიშ აეის დაჰა კაა გააა მოთ მიხენიან?“ (კარტ.,II) „მეფემ შეჭამა საჭმელი და უთხრა: „მე შენ ყველაზე უარესი გამიმზადე-მეთქი გითხარი და ყველაზე უკეთესი საჭმელი რატომ (რად) გამიმზადეო?“ მამულის კითხეს: „მუ აენ, აკო ზორი მოთ დიყირი?“ (კარტ.,II) მამალს ჰკითხეს: „რა არის, ამხელა რატომ (რად) დაიყვილე?“

მჯვეშოთ „ძველად“: **მჯვეშოთ** ქორტეენან სუმ ჯიმა დო სუმ და (კარტ., II, 6) „ძველად ყოფილან სამი ძმა და სამი და“;

ართოთ „ერთად“: დოტახითჲ აწი **ართოთჲ** ოკოვირელია! (კარტ., II, 77) „დალენეთ ახლა ერთადო შეკრულიო!“ **ართოთ** იყვანთი, დუმმანის ვა აჯგინენ თქვანდაა (კარტ., II, 78) „ერთად თუ იქნებით, მტერი ვერ მოგერევათ“;

ლაზუროთ „ლაზურად“: მა ლაზუი (||ლაზუროთ) ვულარდალტი (კარტ., II, 80) „მე ლაზურად ველაპარაკებოდი“; **ლაზუროთ** მიწვი! (კარტ., II, 80) „ლაზურად მითხარი!“

შემორჩენილი ნიმუშები იმის მანიშნებელია, რომ ისტორიულად ვითარებითს ლაზურის ბრუნვათა სისტემაში სათანადო ადგილი ეკავა, თუმცა შემდეგ (საფიქრებელია, თურქულის სისტემური დაწოლის შედეგად) იგი პრაქტიკულად მოიშალა და მისი ფუნქცია სახელობითმა შეითავსა (აღსანიშნავია და მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ **სახელობითი არამხოლოდ ვითარებითი ბრუნვის ფუნქციას ითავსებს**). მაგ.:

არ კაა **არაბა** დივუ (დიუმეზ., 168) „ერთ კარგ ეტლად იქცა; ზედმიწ.: „ერთ კარგ ეტლი იქცა“; გოზაპუში **ცხენი** დიჟეს (დიუმეზ., 168) „რომ გადაუჭირა, ცხენად იქცა“; ზედმიწ.: „ერთ კარგ ცხენი იქცა“; **პაპუწი** დიჟუ „(დიუმეზ., 168) „ფეხსაცმლად აქცია“; ზედმიწ.: „ფეხსაცმელი იქცა“; **დელი** იჟეტუ (დიუმეზ., 170) „გიჟად იქცა“ - ზედმიწ.: „გიჟი იქცა“; ჰაა **ევლადი** დიხენუ (დიუმეზ., 202) „ეს შვილად აიყვანა“; ...არ დოდრამიჯის **ჩირადი** ქელუხუნუ-დორენ (დიუმეზ., 180) „ერთი დურგ-ლისთვის შეგირდად მიუბარებია [მიუსვამს]“; ...ჰა ბერე არ ქარმატეს **ჩირადი** ქელუხუნუ-დორენ (დიუმეზ. 180) „ეს ბიჭი ერთ წისქვილში შეგირდად დაუსვამს“...

მეორე მხრივ, დებულება – „ვნებითი (=ვითარებითი) ჭანურისთვისაც პრინციპულად უცხო არ არის“ – არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს იმას, რომ ამ სისტემაში ვითარებითი ბრუნვა არსებობს. მაგალითების სიმწირე მხოლოდ იმაზე შეიძლება მეტყველებდეს, რომ ეს ბრუნვა აქტუალური არ არის (მოშლის ტენდენცია ამკარად გამოკვეთილია და თავად პროცესი ალბათ ბოლო სტადიაშია), თუმცა ამით მისი მორფოლოგიური სტატუსი ეჭვის ქვეშ არ უნდა დადგეს (ძნელი სათქმელია, რა **რაოდენობის** ფაქტობრივი მასალა უნდა არსებობდეს, რომ ამის საფუძველზე შესაძლებელი იყოს მსჯელობა სათანადო კვალიფიკაციაზე).

არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, ვნებითი, ანუ გარდაქცევითი (=ვითარებითი), მეგრულშიც ნაკლებ აქტუალურია [ჩიქობავა, 1936, 51], თუმცა მასალის მიხედვით ნამდვილად გაჭირდება ამ თვალსაზრისის გაზიარება, მეგრული ვითარებითი ისეთივე აქტუალური ჩანს, როგორცაა ქართული შესაბამისი ბრუნვის ფორმები. ჩვეულებრივი წარმოება:

კოჩ-ო „კაც-ად“, ბოშ-ო „ბიჭ-ად“, ოსურ-ო „ქალ-ად“, გერ-ო „მგლ-ად“, ჯვეშ-ო „ძველად“...
ბაღანა-თ „ბავშვად“, დიდა-თ „დედად“, სქუა-თ „შვილად“, კიდალა-თ „კედლად“, ჭირქა-თ „ჭიქად“...
მაბირე-თ „მომდერლად“, ობერწულე-თ „საბროწეულოდ“, ცუდე-თ „სახლად“, ოგვაჯე-თ „საბუდრად“, ობინეხე-თ „ვენახად“...
ოქრო-თ „ოქროდ“, კოტო-თ „ქოთნად“, ხურო-თ „ხუროდ“...
ძუძუ-თ „ძუძუდ“, კატუ-თ „კატად“, ბაბუ-თ „ბაბუად“, ჟვაბუ-თ „გომბეშოდ“...

როგორც წარმოდგენილი მაგალითებიდან ჩანს, თანხმოდგენილიანებთან გვაქვს -ო (< -ოთ); ხმოდგენილიანებთან ბრუნვის ნიშნის თანხმოდგენიანია (-თ) წარმოჩენილი – ისევე, როგორც ეს არის ქართულში: ოქრო-დ, დედა-დ, ძუძუ-დ, კლდე-დ...

მკაცრია და ზუსტი ამგვარი დისტრიბუცია.

თანხმოვანზე დაბოლოებული ფუძეები **-ო-ს** დაირთავენ. **-თ**, ჩვეულებრივ, არ ჩანს, მოკვეცილია.: კოჩ-ო („კაცად“), ბოშ-ო („ბიჭად“)...

ამ **-თ-ს** დაკარგვას შესაძლებელს ხდის ის გარემოება, რომ ბრუნვის ნიშნის დარჩენილი კომპონენტით – ხმოვნით უმტკივნეულოდ ხდება მორფოლოგიური ფუნქციის გამოხატვა – სათანადო ბრუნვის მარკირება.

ფუძის დაბოლოება ბრუნვის ნიშანთა განაწილების წესის განმსაზღვრელი ქართულშიც: ბოლოთანხმოვნიან ფუძეებში ბრუნვის ნიშანი (**-ად**) სრული სახით დასტურდება, ხოლო ბოლოხმოვნიანებში მხოლოდ თანხმოვანი (**-დ**) გვხვდება (გამონაკლისია კუმშვად-კვეცადი სახელი: მოყვარე – მოყვრ-ად).

აღსანიშნავია, რომ ვითარებითის წარმოება მხოლოდ ხმოვნით – **-ა-თი** ქართულმაც იცის: **მაღლა, დაბლა, ნელა, ჩქარა...** ამ ტიპის ზმნისართები წარმოშობით ვითარებითის ფორმებია, ისეთივე როგორცაა: მაგრად, სწრაფად, წითლად... გარდა ამისა, დიალექტებში, კერძოდ, ზემო იმერულში ჩვეულებრივია ასეთი ფორმები: **ცოლშვილიანა, ძირფესვიანა, სახლკარიანა...**

ვითარებითის **-თ** ქართული **-დ-ს** მეგრული დაყრუებული ვარიანტია (თვით ქართულის კილოებში და, შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ, ქართულ ზეპირ მეტყველებაში **-თ** სუფიქსი დომინირებს ვითარებითში **-დ-ს** პოზიციური სისუსტის გამო).

ვითარებით ბრუნვაში პარალელური ფორმები (**კოჩი-ქ/კოჩ-ქ** ტიპისა) არ დასტურდება. ბრუნვის ნიშანი **-ო** უშუალოდ დაერთვის ფუძეს. აქ გამორიცხულია ფუძეს შეხორცებული **ი-ს** არსებობა (**კოჩ-ო, დუდ-ო, ხოჯ-ო...**); ამასთან, **-ო** სუფიქსი ფუძეში ცვლილებას არ იწვევს.

აღსანიშნავია, რომ საყოველთაოდ ცნობილი **-ო/-ოთ** დაბოლოების გვერდით დადასტურდა **-აშ-ე** რთული შედგენილობის მარკერი, **ჯგირ-ო(თ)** ფორმის პარალელურად გვექნება **ჯგირ-აშ-ე**; ორივე ფორმის შესატყვისად სალიტერატურო ქართულში გვექნება **კარგ-ად**, ანუ **-ად** ბრუნვის ნიშნით გამოხატული გრამატიკული სემანტიკა.

რა წარმოშობისაა მეგრული **-აშ-ე** დაბოლოება?

ამის გასარკვევად ძვირფას ინფორმაციას გვაწვდის მეგრულის სამურზაყანოული კილოკავი, სადაც ამოსავალი **-აშ-ო** სახეობა ჩანს დაცული: **ჯგირ-აშ-ო „კარგად“, ჭკვერ-აშ-ო ჭკვიანად“, ეფ-აშ-ო „იაფად“, ბონ-აშ-ო „სწორად“, გგნმ-აშ-ო „გრძლად“...**

ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ბოლოკიდური **-ო** საკუთრივ ვითარებითი ბრუნვის ნიშანია, ხოლო საყრდენი **-აშ** შიშინა სახეობა უნდა იყოს მეგრულში კარგად ცნობილი **-ას** (**ჯგირ-ას, ჭკვერ-ას, ეფ-ას, ბონ-ას...**) დაბოლოებისა. ფონეტიკურად ამგვარი ახსნა შესაძლებელია, ვინაიდან სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში განშიშინების **შ > ს** პროცესი განხორციელდა, მაგრამ **ო** ხმოვნის წინა პოზიციამ ისტორიული **შ** შენარჩუნდა [ჩუხუა, 2012, 70].

ამ ვარაუდს ამყარებს ლაზურში **-აშ-ა** (< სამურზ. **-აშ-ო**) დაბოლოების პოვნეირება: **ჭიფ-აშ-ა „წვრილად“, გუნმ-აშ-ა „გრძლად“, ჭკვერ-აშ-ა „ჭკვიანად“...**

ეს ფორმები ერთობ საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მიცემითის ნიშნად საერთო-ქართველური **ს-ს** პირვანდელ **-შ** შესატყვისობას წარმოაჩენს.

ხმოვანფუძიანთა ბრუნების პარადიგმაში ყურადღებას იქცევს **მოქმედებითი და ვითარებითის ბრუნვათა იდენტური ფორმები**.

რომ არა თანხმოვანფუძიანთა პარადიგმა, თავისუფლად შეიძლება დამდგარიყო ამ ორი ბრუნვის ერთ ბრუნვამდე დაყვანის საკითხი და ამ მოქმედებით-ვითარებითის (ანუ, ერთი ბრუნვის) ფუნქციებზე მსჯელობა. მაგრამ ამას, როგორც აღინიშნა, ხელს უშლის

თანხმოვანფუძიან სახელთა სისტემა: არის გარკვეული გრამატიკული ფუნქციები, რომელთა გამოსახატავად გამოიყენება ერთი კონკრეტული ფორმა – **მოქმედებითი ბრუნვის ფორმა** და არა **ვითარებითი**, და პირიქით.

ამ ფორმათა ნებისმიერი ჩანაცვლება სხვა ფორმით თანხმოვანფუძიანი სახელების მიხედვით შეუძლებელია და სწორედ ეს ფაქტორია სისტემაში მათი ცალ-ცალკე წარმოდგენის საფუძველი (ასეთი საფუძველი არ ჩანს ლაზურში, ვითარებითის ფუნქცია სახელობითმა შეითავსა, სახელობითმა ვითარებითი ბრუნვა პრაქტიკულად ამოაგდო სისტემიდან).

მეგრული ვითარებითი ბრუნვის მოდელია:

ა) ფუძე + -თ(ი)

დიდა-თ(ი), მუმა-თ(ი)...

ბ) ფუძე + -ო(თ)(ი)

კოჩ-ოთ(ი), ბოშ-ოთ(ი)...

I. 1. 8. „ნათესაობითარი“ (მეორეული) ბრუნვები ლაზურსა და მეგრულში.

ძირითად ბრუნვებს **საერთო, საზიარო ფუძე** აქვთ, ნიშნები კი საკუთარი, ერთმანეთისგან განსხვავებული.

ასევე საერთო, საზიარო ფუძე აქვთ მეორეულ ბრუნვებს, მაგრამ ეს **ფუძე განსხვავდება ძირითადი ბრუნვების ფუძისგან.**

მიმართულებითი, დაშორებითი და დანიშნულებითი ბრუნვები ნათესაობითი ბრუნვის ბაზაზეა ჩამოყალიბებული; ამ ბრუნვებს აქვთ **საერთო** – ნათესაობითის ფუძე.

ეს იმასაც ნიშნავს, რომ სათანადო ბრუნვათა ნიშნების წარმოდგენა **-იშა, -იშე, -იშო(თ)** სახით (იხ. მაგ., [კარტოზია..., 2010, 117]) არ უნდა იყოს გამართლებული: მიმართ. **ორტვინიშა**, დაშორ. **ორტვინიშე** და დანიშნ. **ორტვინიშო(თ)** ფორმებს აქვთ საერთო ფუძე – **ორტვინიშ-**, ხოლო რაც ამ მონაცემს მოსდევს, ის უნდა გამოიყოს, როგორც ბრუნვის ნიშანი.

ნათესაობითისგანაა ნაწარმოები მიმართულებითი (კოჩიშა), დაშორებითი (კოჩიშე) და დანიშნულებითი (კოჩიშოთ) ბრუნვები: **-იშ-** (ჭანურში **-შ**) ყველგან ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებისაა. რაც შეეხება სადიფერენციაციო მასალას, ესენია **-ა** – მიმართულებითში, **-ე(ნ)** – დაშორებითში, **-ოთ** – დანიშნულებითში [ჩიქობავა, 1936, 54].

განვიხილოთ ეს ბრუნვები.

I. 1. 8.1 მიმართულებითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

მიმართულებითი ბრუნვის საყრდენი მორფემა ნათესაობითის ბრუნვის ფორმა: **კოჩ-იშ** – **კოჩიშ-ა...** ნათესაობითის ბრუნვის ფორმა **ფუძეა მიმართულებითი ბრუნვისთვის.**

ვ. თოფურიაჩი წერილში „ზოგიერთი ბრუნვის გენეზისისათვის მეგრულ-ჭანურში“ წამოაყენა მოსაზრება, რომ მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვის დაბოლოება **ა** და **ე** მოდის ნაცვალსახელებში დაცულ **-და** და **-დე/-დე(ნ)** ნაწილაკისაგან: **კოჩიშა < *კოჩიშდა, კოჩიშე < კოჩიშდე(ნ).**

მკვლევარმა მეგრული მიმართულებითი ბრუნვა (კოჩ-იშ-ა „კაცთან“... თომა-შ-ა „თმასთან“, ჩქიმ-და „ჩემთან“ „ნაგენეტივარ ნაწილაკიან“ ბრუნვად მიიჩნია, ფუძედ გამოყო **კოჩ-იშ, თომა-შ, ჩქიმ** ნათესაობითის ფორმები, ხოლო ბრუნვის ნიშნებად -ა და -და (იხ. [თოფურია, 1937, 182]).

ჩქიმ-და... კოჩ-იშ-ა (<*კოჩ-იშ-და) ფორმები ვ. თოფურიამ **ნანათესაობითარ ვითარებითად** (resp. მიმართულებითად) ჩათვალა ისევე, როგორც ქართ. დანიშნულებითის ფორმები: ჩემ-და... მ-ის-ა < * მ-ის-და... იმ-იზ-ა < *იმ-ის-და [თოფურია, 1956, 32].

მიმართულებითის -ა შეიძლება ქართული ემფატიკური დაბოლოების ა-დ მიგვეჩნია, მაგრამ სხვა ბრუნვები ამას მხარს არ უჭერს: ემფატიკური დაბოლოებისათვის -ა ჭანურსა და მეგრულში არ იხმარება, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად, – წერს არნ. ჩიქობავა [იხ. ჩიქობავა, 1936, 54].

-შ-ა-ს პარალელურად -იშ-ა-ს გამოყოფა **თანხმოვანფუძიან** სახელებში ლაზურშიც არის შესაძლებელი: ამ თვალსაზრისით ლაზურსა და მეგრულს შორის განსხვავება არ არის (იხ. ზევით).

მიმართულებით ბრუნვაში -იშ-ა ზოგჯერ მარტივდება – ხმოვნებს შორის მოქცეული -შ-თანხმოვანი იკარგება:

დემირჯია (<დემირჯიშა) მინდახთუ (307²⁵) „მჭედელთან წავიდა“; **ქეშიძია** (<ქეშიძიშა) ეშაფთათა, გოვოწკედათა (307³⁴) „გამოსარკვევად ავიდეთო, შევხედოთო“; **მაჰქემეა** (<მაჰქემეშა) მინდახთუ (309²⁷) „სასამართლოში წავიდა“; აა **ოხორია** (<ოხორიშა) მინდილია, ხანუმის მინდულია (309³⁶) „ეს სახლში წაიღეო, ქალბატონს მიუტანეო“; ბაბა-მუშითი **მტკობაა-მტკობაა** (მტკობაშა-მტკობაშა) **კალივია** (კალივიშა) ნულუნ (310³⁰⁻³¹) „მამამისი მალულად (მალულად-მალულად) კარვისკენ მიდის“; ემ ვახთის **თრაბუზანია** (<თრაბუზანიშა) მენდოჩქუ ბაბა-მუშიქ (311¹⁸) „მამინ ტრაპიზონში გააგზავნა მამამისმა“.

[კარტოზია, 2004, 77].

საყრდენი ფუძე ლაზურშიც და მეგრულშიც თანხმოვანზე – -შ-ზე (კოჩიშ-, დიდაშ-...) ბოლოვდება, ანუ ფუძე ყოველთვის ბოლოთანხმოვანიანია, თუმცა ამას არა აქვს მნიშვნელობა, – ბრუნვის ნიშანი ერთია: -ა სუფიქსი.

ლაზური მიმართულებითი ბრუნვის მოდელია:

ფუძე + -ა:

კოჩიშ-ა... კატუმ-ა...

ასეთივე მოდელია მეგრულშიც:

ფუძე + -ა -

კოჩიშ-ა... კატუმ-ა...

I. 1. 8.2. დაშორებითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

დაშორებითი ბრუნვის საყრდენი მორფემა ნათესაობითის ბრუნვის ფორმა: კოჩ-იშ – კოჩიშ-ე... ნათესაობითის ბრუნვის ფორმა ფუძეა დაშორებითი ბრუნვისთვის.

არქაბულსა და ათინურში მიმართულებითი ბრუნვისთვის ცალკე ფორმა არ არსებობს; მიმართულებითის ნაცვლად **დაშორებითი** იხმარება: დაშორებითი ორი ბრუნვის როლს ასრულებს. უცნაური ისაა, რომ ეს ორი ბრუნვა მნიშვნელობით ერთმანეთის საწინააღმდეგოა: **ოხორიშა – შინისკენ**, შინ („სახლისკენ“), **ოხორიშე – შინიდან** (სახლიდან“). ასეა ზოგადი ნორმების მიხედვით, არქაბულში კი **ოხორიშე** ნიშნავს ორივეს: „შინისაკენ“ და „შინიდან“ [ჩიქობავა, 1936, 51].

ციფშიძის ათინურ ტექსტებში ჩიქობავას შეუნიშნავს საპირისპირო მოვლენა: დაშორებით ბრუნვად გამოყენებულია მიმართულებითი: ათინაშა წუკიტიშა „ათინიდან წუკიტამდის“... **ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ჯერ კიდევ ჭანურში დამთავრებული არაა ამ ორი ბრუნვის დიფერენცია** [ჩიქობავა, 1936, 51].

ან იქნებ ეს ამ ორი ბრუნვის მოშლა-ნიველირების პროცესის მაუწყებელია?

საინტერესოა, რომ იმავე არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში **მიმართულებით-დაშორებითის** ფუნქცია შეიძლება გამოიხატოს **ნათესაობითის** ფორმითაც [კარტოზია, 2004, 76]:

შკიმი პაპუში პაპუ **კირიში**ში პოლიში მოხთეს (კარტ., II, 331¹²) „ჩემი პაპის პაპა ყირიშიდან სტამბოლში მოვიდა („მოვიდნენ“)(კარტ., II, 331¹³) **ისტანბოლიში** გულეთითი მოხთეს ჰაქო „სტამბოლიდან დიდი ნავით მოვიდნენ აქ“; ჯუმა-მუში **სურმინათიში** მოხთუ [...], ა კუმა-მუში **ჩაელიში** მოხთუ, **ფერკამიში** ეშახთუ (კარტ., II, 331¹⁵⁻¹⁷) „ერთი ძმა სურმინათში მოვიდა [...], ერთი ძმა ჩაელიში მოვიდა, ფერკამში ავიდა“; ა ბერე-მუში და **სურმინათიში** **მელიათიში** ჯეხთუ (კარტ., II, 331²²) „ერთი შვილი კი **სურმინათიდან მელიათში** ჩამოვიდა“; **დულია-შკიმიში** ვულუ-მოვულუ (კარტ., II, 331²⁷) „ჩემს საქმეზე მივდი-მოვდივარ“.

საყრდენი ფუძე ლაზურშიც და მეგრულშიც თანხმოვანზე – **-შ-ზე** (კოჩიშ-, დიდაშ-...) ბოლოვდება, ანუ ფუძე ყოველთვის ბოლოთანხმოვნია, – ამ შემთხვევაშიც ამას არა აქვს მნიშვნელობა, – ბრუნვის ნიშანი ერთია: ამჯერად **-ე** სუფიქსი.

ლაზური დაშორებითი ბრუნვის მოდელია:

ფუძე + -ე:

კოჩიშ-ე... კატუმ-ე...

ასევეა მეგრულშიც:

ფუძე + -ა -

კოჩიშ-ე... კატუმ-ე...

I. 1. 8.3. დანიშნულებითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

დანიშნულებითი ბრუნვის საყრდენი მორფემა ნათესაობითის ბრუნვის ფორმა: კოჩ-იშ – კოჩიშ-ო(თ)... **ნათესაობითის ბრუნვის ფორმა ფუძეა დანიშნულებითი ბრუნვისთვის.**

დანიშნულებითი უდრის ნათ. ბრ. + გარდაქცევითი ბრუნვის ნიშანი **-ოთ**: კოჩ-იშ-ოთ (გარდაქც: კოჩ-ოთ და ფარავს ქართულის „კაც-ის-ად“-ს. ხევსურულშია ასე: ქმრისად (<

ქომონჯიშოთ), გურულში: იმიზა < იმისდა. -ად ქართულის მეგრულ-ლაზური შესატყვისია: *-ოდ > ოთ (დ დაყრუვდა).

დანიშნულებითი ბრუნვა უცხოა ლაზურისთვის. იგი მხოლოდ მეგრულში გვხვდება. დანიშნულებითიც ნათესაობითის ფუძეს ემყარება. მისი ნიშანია -ო(თ): კოჩიშ-ო(თ) „კაცისთვის“... ჯიმაშ-ო(თ) „ძმისთვის“...

სალიტერატურო ქართული იყენებს ფორმებს: „კაცისათვის, ძმისათვის, ამხანაგისათვის“... ხევსურულში იხმარება: „კაცისად, ძმისად, ამხანაგისად“... ამგვარი წარმოების ზუსტი ფონეტიკური და მორფოლოგიური ეკვივალენტია მეგრული დანიშნულებითი: კოჩიშო(თ), ჯიმაშო(თ), ამხანაგიშო(თ).

დანიშნულებითი ბრუნვა, ამგვარად, ქართულშიც მოიპოვება, ოღონდ სალიტერატურო ქართულში არა გვაქვს [ჩიქობავა, 1936, 52].

საყრდენი ფუძე ლაზურშიც და მეგრულშიც თანხმოდანზე – -შ-ზე (კოჩიშ-, ბერეშ-...) ბოლოვდება, ანუ ფუძე ყოველთვის ბოლოთანხმოვნია, – ამ შემთხვევაშიც ამას არა აქვს მნიშვნელობა, – ბრუნვის ნიშანი ხომ ერთია: ამჯერად -ო(თ) სუფიქსი.

საინტერესოა, რომ ვითარებითი და დანიშნულებითი ბრუნვის ნიშნები ერთნაირია, როცა ვითარებითიც თანხმოდანზე (დანიშნულებითი ხომ ყოველთვის თანხმოდანზეა): კოჩ-ო(თ), შდრ.: კოჩიშ-ო(თ).

ამ შემთხვევაში გრამატიკული მნიშვნელობების გასარჩევად რელევანტური და აქტუალური ხდება საყრდენ ფუძეთა სტრუქტურა.

ფუძის გაფორმების თვალსაზრისით ვითარებითი და დანიშნულებითი ბრუნვები ერთი და იგივე ბრუნვებია.

ლაზური დანიშნულებითი ბრუნვის მოდელია:

ფუძე + -ო(თ):

კოჩიშ-ო(თ)... ბერეშ-ო(თ)...

ასევეა მეგრულშიც:

ფუძე + -ო(თ):

კოჩიშ-ო(თ)... დიდაშ-ო(თ)...

1.1.8.4. მიზეზ-მიზნობითი ბრუნვა ლაზურსა და მეგრულში.

როგორც ზევით აღინიშნა, ნანათესაობითარ ბრუნვათა რიგშია მოსააზრებელი -იშ-ენ(ი) დაბოლოებიანი ფორმები, რომელთაც (ფუნქციის გათვალისწინებით) შეიძლება ვუწოდოთ მიზეზ-მიზნობითი ბრუნვის ფორმები.

მიზეზ-მიზნობითი ბრუნვის საყრდენ მორფემად ივარაუდება, ისევე როგორც სხვა ნანათესაობითარ ბრუნვებში, -იშ დაბოლოებიანი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა + -ენ; ამგვარ წარმოებას ანალოგი არ გააჩნია არც ქართულსა და არც სვანურში. მიზეზ-მიზნობითი ბრუნვა ერთნაირად არის დამახასიათებელი ზანური დიალექტებისთვის. სხვაობას ქმნის მისი გავრცელების შედარებით ფართო არეალი ლაზურში, გამომდინარე იქიდან, რომ ლაზურს არ

გააჩნია მოქმედი ვითარებითი ბრუნვა, რომელსაც დანიშნულებითობის ფუნქციაც გააჩნია მეგრულში.

ლაზურში მიზეზ-მიზნობითის ფორმები მეგრულისაგან განსხვავებით ხშირია **ო- -უ** კონ-ფიქსიან მასდარებში: **ო-გორ-უ-შ-ენ(ი)** = მეგრ. **ო-გორ-უ-შა**, **ო-ჭოფ-უ-შ-ენ(ი)** = მეგრ. **ო-ჭოფ-უ-შა** „დასაჭერად, დაჭერისთვის“, **ო-კითხ-უ-შენ(ი)** = **ო-კითხ-უ-შა** „წასაკითხად“...

მეგრულში ჩვეულებრივია ამგვარი წარმოება სახელებში: **კოჩ-იშ-ენ(ი)** „კაცის გამო“, „კაცისთვის“, **ოსურ-იშ-ენ(ი)** „ქალის გამო“, „ქალისთვის“, **ბაღანა-შ-ენ(ი)** „ბავშვის გამო“, „ბავშვისთვის“...

შენიშვნა: **-(ი)შ-ენი** გამოიყენება კუთვნილებით ნაცვალსახელებში: **მუშენი** „რატომ“, **ჩქიმშენი** „ჩემთვის“...

მიზეზ-მიზნობითი ბრუნვის მოდელი:

ლაზურში:

ფუძე + -ენ(ი):

ოგორუშ-ენ(ი), ოჭოფუშ-ენ(ი)...

მეგრულში:

ფუძე + -ენ(ი):

კოჩიშ-ენ(ი), ოსურიშ-ენ(ი)...

ბაღანაშ-ენ(ი), ბაბუშ-ენ(ი)...

1.1.8.5. ნანათესაობითარი ინსტრუმენტალისი მეგრულში.

საინტერესოა, რომ მეგრულში დანიშნულებითი ბრუნვის ანალოგიური მოდელით არის ნაწარმოები ნანათესაობითარი ინსტრუმენტალისი, რომელიც ეყრდნობა ნათესაობითის **-იშ** მორფემიან ყალიბს და ემატება მოქმედებითი ბრუნვის **-ით** ინსტრუმენტალისის ფუნქციით; მაგ. **ღორონთ-იშ-ით** = „ღვთის“ + ინსტრუმენტალისის **-ით** („ღვთისით“, „ღვთის წყალობით“), **კოჩ-იშ-ით** „კაცისით“, „კაცის წყალობით“...

მეგრულშიც გვაქვს ქართული **დღისით** ფორმის ანალოგია **დღაშით**, რაც ნანათესაობითარი ინსტრუმენტალისია შედგენილობითაც და შინაარსითაც.

განსხვავებით ქართულისაგან, ზანურში ამგვარივე წარმოება ჩანს ნაცვალსახელებში: **არძო/არძა** „ყველა“ > **არძაშით/არძოშით** „ყველას წყალობით“...

1.1.8.5. წოდებითის საკითხი ლაზურსა და მეგრულში.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ლაზურ-მეგრულში დღეს წოდებითი ბრუნვის ნიშანი დაკარგულია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არავის უცდია წოდებითი ბრუნვის შემოტანა მეგრულ-ლაზური ბრუნების სისტემაში.

მართალია, რელიქტის სახით, მაგრამ მეგრულ გლოსოლალიაში წოდებითი ბრუნვის ნიშნად ფიქსირდება -უ ბოლოსართი ქართული -ო-ს შესატყვისად. მაგ.: დიდო-უ||დიდუ > იმერ.-გურ. დიდუ||ტიტუ: დიდო-უ ნანა; ქართ. ვაი, მეგრ.-ლაზ.: ვოი: სიმღერაში გვაქვს: ვოუ.

ამავე რიგისა ჩანს მეგრული დოუ, დოუ (ნანა). ქართულ-სვანური დალის შესატყვისი მეგრულში შემორჩენილია სიმღერებში გლოსოლალიის სახით, სახელდობრ, წოდებითი ბრუნვის ფორმით. თუ სახელობითი იქნებოდა დო, სიმღერებში წოდებითის სახით მას ვხედავთ დოუ ფორმით, სადაც, ისევე როგორც წინა შემთხვევებში, გამოიყოფა -უ მარკერი, რომელიც ყველა ზემოთ აღწერილ შემთხვევებში ფუძეს არის შეხორცებული.

I. 1. 9. რიცხვის გრამატიკული კატეგორია.

რიცხვის გრამატიკული კატეგორია თავისი უნივერსალურობით გამოირჩევა – სახელსაც მოეპოვება და ზმნასაც. ამავე დროს, მისი ფუნქციონირება, ერთი მხრივ, სახელსა და, მეორე მხრივ, ზმნაში მნიშვნელოვნად განსხვავებულია. ამას განაპირობებს თავად ამ კატეგორიის არსი: რიცხვი, როგორც ენის ონტოლოგიური მოცემულობა, როგორც ენის სტრუქტურისა და სისტემის შემადგენელი წევრი და არა ლოგიკური/ფილოსოფიური და მათემატიკური მოცემულობა.

ლოგიკური თვალსაზრისით, რიცხვის კატეგორია გულისხმობს სემანტიკურ ოპოზიციას: ერთი ~ ერთზე მეტი. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ორი, სამი, ოთხი და ა. შ. გარდა ამისა, არსებობს ჯგუფი ე. წ. უთვლადი საგნებისა, სადაც რიცხვის გაგება განსხვავებულია თვლად საგნებში რიცხვის გაგებისაგან.

გრამატიკული თვალსაზრისით, რიცხვის კატეგორია გულისხმობს სემანტიკურ ოპოზიციას მხოლობითი ~ მრავლობითი, რაც ენათა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი. ზოგიერთ ენაში გვაქვს ორობითი და სამობითი რიცხვიც.

ლოგიკური კატეგორიის გამომხატველია კრებითი სახელი: გრამატიკულად მხოლობითის ფორმა, შინაარსით სიმრავლის აღმნიშვნელი. სწორედ ეს ასახავს ენისა და აზროვნების მიმართების პარადოქსულობას. საქმეც ისაა, რომ კრებით სახელებად არ მიიჩნევა ისეთი სახელები, როგორიცაა ტყე, ხალხი, ჯარი და ა. შ. რადგან ისინი მრავლობითობას გამოხატავენ ლექსიკური მნიშვნელობით და არა გრამატიკული ფორმით. ამიტომაც ხშირია ამ ტიპის სახელებზე მრავლობითობის მარკერის დართვა: ტყეები, ხალხები, ჯარები...

სამაგიეროდ, ნამდვილ კრებითებად ჩაითვლება ისეთი წარმოქმნილი სახელები, როგორიცაა: ნამკნარი, ხილნარი, პროფესურა, ახალგაზრდობა, სამეგობრო, საქალეთი, ტოპონიმები: კახეთი, თუშეთი, ლაზეთი...

მაშასადამე, კრებითობა მჭიდროდაა დაკავშირებული, ერთი მხრივ, გრამატიკულ რიცხვ-

თან, მეორე მხრივ, ლექსიკური რიცხვის კატეგორიასთან [ლელ, 1990, 473].

კიდევ ერთი გზა ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოქმნისა არის მრავლობითის ფორმათა სემანტიკური გადააზრება. ამგვარი პროცესი დამახასიათებელია მთელი რიგი ენებისთვის. მაგალითად, რუსულსა და სხვა სლავურ ენებში ე. წ. პლურალია ტანტუმ სახელები თავის დროზე მიღებულ იქნა მრავლობითი რიცხვის გრამატიკულ ფორმათა ლექსიკალიზაციის შედეგად, ანუ არსებულ დენოტატთა ხელახალი ნომინაცია მოხდა [დეგტიარევი 1982, 68-72].

გრამატიკული რიცხვის კატეგორია მიჩნეულია ენობრივი აზროვნების ობიექტთა (საგანთა) რაოდენობრივ მახასიათებლად, რომელიც მხოლოდ არსებით სახელებსა და პირის ნაცვალსახელებს შეიძლება ჰქონდეს. რიცხვი არ არის საგანი, ის წარმოდგენაა საგნის რაოდენობის შესახებ, ამიტომაც დანარჩენ მეტყველების ნაწილებს რიცხვი სინტაქსურად ეწარმოება [იესპერსენი 1958, 217; ლელ, 1990, 583], კერძოდ, სახელის ან ნაცვალსახელის რიცხვის ფორმას ეთანხმება ზმნის ფორმა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზმნა გვიჩვენებს მოცემული პროცესის მიმართებას ერთი ან რამდენიმე სუბიექტისადმი. ასევე, ზედსართავი სახელის ფორმაც შეიძლება გამოხატავდეს მიმართებას არსებითი სახელის რიცხვის ფორმისადმი [ახმანოვა, 1966, 516].

ორსავე შემთხვევაში გვაქვს რიცხვში **შეთანხმება**, რაც სინტაქსური კატეგორიაა და არა ლოგიკური.

განცალკევებით დგას რიცხვითი სახელები, რომლებსაც არ ეწარმოება მრავლობითის ფორმები და დგანან ამ კატეგორიის მიღმა. ამავე დროს სიტყვები: *ათეულობით*, *ათასობით*, *ერთი ზის*, *ორჯერ*, *ორიანი*, *სამიანი* არც ითვლება რიცხვით სახელებად...

ასევე აღსანიშნავია სუპლექტივიზმი ნაცვალსახელებში: *მე-ჩვენ*, *შენ-თქვენ*, მაგრამ გვაქვს: *ის-ისინი*, რაც ადასტურებს დებულებას, რომ მესამე პირის ნაცვალსახელები ისტორიულად ჩვენებითი ნაცვალსახელებია და მიუთითებს ენისა და აზროვნების მიმართების ეგოცენტრულობას: **მე და შენ**, მაგრამ **მე+შენ** და **ის**.

შენიშვნა: პირველი პირის სიმრავლის აღმნიშვნელი *ჩვენ* გრამატიკულად და ლოგიკურადაც გულისხმობს **მე** (პირველი პირი) + **სხვა პირს**, რა თქმა უნდა, „სხვა ადამიანს“, რომელიც შეიძლება იყოს *შენ* და *ის*. ეს კარგად ჩანს იმ ენებში, სადაც ინკლუზივი და ექსკლუზივი გარჩეულია. **თქვენ** შესაბამისად იქნება *შენ* (მეორე პირი) + *ის* (მესამე პირი) ან *ისინი* (*ის* + *ისინი*, მესამე პირები).

ამ კომბინაციებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ **ის** – **მესამე პირი** ისეთივე პერსონალური პირია, როგორც, **მე** და **შენ**. მაგრამ არსებობს მეორე კატეგორიის (თუ რიგის) მესამე პირი, უფრო სწორად, ინპერსონალური პირი. იგულისხმება სწორედ სახელთა ის სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც ადამიანს არ აღნიშნავენ. შესაბამისად, ნაცვალსახელი **ისინი** თავისი არსით ორგვარია:

(1) ისინი = ის (ადამიანი) + ის (ადამიანი) : მესამე პირი

(2) ისინი = ის (არაადამიანი) + ის (არაადამიანი) : მესამე არაპირი

თავისთავად, **ისინი** ნაცვალსახელის „ორმაგი“ ბუნება კარგად ჩანს მორფოსინტაქსურ დონეზე. კერძოდ, უსულო სახელებით გადმოცემული ქვემდებარის რიცხვის მარკირება ზმნა-შემასმენელში არ ხდება.

როგორც ჩანს, **მესამე** პირის სემანტიკურმა „დუალიზმმა“ განაპირობა მორფოლოგიურ დონეზე რიცხვის გამოხატვისას გარკვეული ასიმეტრია, რაც კარგად გამოჩნდა მეგრულ-

ლაზურის მაგალითზეც.

ცხადია, მხოლობითისა და მრავლობითის ბინარული დაპირისპირება გამოხატავს გრამატიკული რიცხვის რელაციურ ბუნებას. რიცხვის კატეგორიის სინტაქსური და ლექსიკური გამოხატვის ფორმა აფიქრებინებს მკვლევართა ნაწილს, რომ რიცხვის კატეგორია სიტყვაწარმოებით სფეროს განეკუთვნება და მრავლობითი და მხოლობითი უნდა განიხილებოდეს ორ სხვადასხვა სიტყვად.

ლოგიკურად გაუმართლებელია ამგვარი მიდგომა, რადგანაც არსებით სახელებს ნამდვილად ეწარმოება რიცხვის ფორმები არასინტაქსურად, ანუ მორფოლოგიური გამოხატვის პლანში. არსებითის მრავლობითის წარმოება არ განეკუთვნება დერივაციას, ის ფლექსიაა.

ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი და მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად რიცხვის გამოხატვის უნარით უკვე თავიანთი სიტყვათა კლასის ვითარებას კი არ გვიჩვენებენ, არამედ – არსებითთა კლასისა, რაც სინტაქსური ასიმილაციის საფუძველზე სიტყვათა კლასის შენაცვლებით არის გამოწვეული [დავითიანი, 1973, 52].

ამგვარი სინტაქსური გარდაქმნა შეიძლება შეფასდეს **ტრანსლაციად**. ხშირად გასუბსტანტივების პროცესი ე. ი. სიტყვათა ერთი კლასიდან მეორე კლასში გადასვლა, ანუ **ტრანსლაცია სიტყვის სემანტიკურ გადაწევას იწვევს**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რიცხვის ფორმანტის დართვით ატრიბუტული სახელი ნიშან-თვისებაზე კი არ მიუთითებს (თვისების სიმრავლე ბუნებაში არ არსებობს), არამედ საგანზე, რომელიც ამ თვისების მატარებელია.

ფუნქციის ამგვარი ცვლა უკვე ნიშნავს მნიშვნელობის ცვლას, რამდენადაც საგანსა და თვისებას შორის ვერ დავსვამთ ტოლობის ნიშანს. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვსაუბრობთ ტრანსლაციის პროცესზე და არა წარმოქმნაზე.

ცხადია, გრამატიკული რიცხვის კატეგორიის შესწავლა მრავლობითობის წარმოების ანალიზს უკავშირდება, რადგანაც ორ ოპოზიციურ ერთეულს – მხოლობითსა და მრავლობითს – შორის მარკირებულია მრავლობითი რიცხვი, ანუ მხოლობითის ფორმა მრავლობითის ფორმას თავისი უნიშნობით უპირისპირდება.

I. 1. 9.1. მრავლობითის -ეფ სუფიქსი და მისი ალომორფები.

მეგრულსა და ლაზურში სახელთა მრავლობითის წარმოება ხდება -ეფ სუფიქსით. გატარებულია სახელის რიცხვის წარმოების აგლუტინაციური პრინციპი: ყოველი ბრუნვის ნიშანი რიცხვისგან დამოუკიდებელ აფიქსს წარმოადგენს და რიცხვის ნიშნის შემდეგ დაერთვის სახელს.

მეგრული		ლაზური
სახ.	კოჩ-ეფ-ი	კოჩ-ეფ-ე
მოთხრ.	კოჩ-ენ-ქ კოჩ-ემ-ქ კოჩ-ეფ-ქ	კოჩ-ეფ-ე-ქ
მიც.	კოჩ-ენ-ს კოჩ-ემ-ს კოჩ-ეფ-ს	კოჩ-ეფ-ე-ს
ნათ.	კოჩ-ეფ-იმ(ი)	კოჩ-ეფ-ე-შ(ი)

მოქმ.	კოჩ-ეფ-ით(ი)	კოჩ-ეფ-ე-თე(ნ)
ვით.		-
მიმართ.	კოჩ-ეფ-იმ-ა	კოჩ-ეფ-ე-შა
დაშორ.	კოჩ-ეფ-იმ-ე	კოჩ-ეფ-ე-შე(ნ)
დანიშნ.	კოჩ-ეფ-იმ-ო(თ)	-
მიზ.-მიზნ.	კოჩ-ეფ-იმ-ენ(ი)	კოჩეფ-ე-შენ(ი)

როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში -**ეფ** რიცხვის ნიშანს ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფები გააჩნია. თუმცა ალომორფთა წარმოქმნის საფუძველი განსხვავებულია.

I.1.9.2. რიცხვის ნიშნის ალომორფები მეგრულში.

ორ ბრუნვაში – მოთხრობითსა და მიცემითში გვხვდება **-ენ** და **-ემ** ალომორფები, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში **-ეფ** ფორმანტი უცვლელად რჩება.

მრავლობითობის **-ეფ** სუფიქსზე მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ნიშნების დართვისას წარმოიქმნება **ფქ**, **ფს** თანხმოვანთკომპლექსები, რომლებიც მეგრულის ფონოტაქტისთვის არაბუნებრივია და ხდება მათი ბუნებრივ **-ნქ** და **-ნს** კომპლექსებად გარდაქმნა, რასაც ემყარება მრავლობითის **-ეფ** მორფემის ფონოლოგიურად მონაცვლე **-ემ** და **-ენ** ვარიანტები [გუდავა, გამყრელიძე, 1981, 212; ჯანჯღავა 1999, 15]. თუმცა ეს პროცესი არაა აბსოლუტური ხასიათისა, ანუ **-ენ**, **-ემ** მორფემათა გვერდით **-ეფ** სუფიქსიც იხმარება. ითვლება, რომ სენაკურში მეტია **-ენ** სუფიქსის ხვედრითი წილი, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანოულში სჭარბობს **-ემ** ალომორფი.

შენიშვნა: მარტვილურ-სენაკურ კილოკავში მოთხრობით ბრუნვაში მრავლობითის მაჩვენებლად შენიშნულია მხოლოდ **ე (<ენ)**. ეს ფაქტი განსაკუთრებით აბაშის რაიონის მეტყველებაში იგრძნობა: ჩქიმ **მეზობელექ** ე გაჭირებას ძამ მემოხვარეს „ჩემი მეზობლები („მეზობლებმა“) ამ გაჭირვების დროს ძალიან დამეხმარნენ“, ყურზენ **ჩიტექ** ქემკაჭკომეს ჯას „ყურძენი ჩიტებმა შეჭამეს ხეზე“

[ლომთაძე, 1987, 145].

აქ ბოლოკიდურ პოზიციაში თანხმოვანთკომპლექსის მოშლის ტენდენცია იჩენს თავს, რაც ასევე ბუნებრივი პროცესია ცოცხალ მეტყველებაში.

მკვლევართა მიერ 60-იანი წლების შემდგომ ჩაწერილ ტექსტებში [გუდავა 1975; სამუშია 1990], რომელთა უმეტესობა ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავს განეკუთვნება, შეინიშნება ერთი ტენდენცია – **-ეფ** მორფემა პოზიციას იმყარებს.

კ. სამუშიას მიერ გამოქვეყნებულ მასალაში ფაქტობრივად არც გვხვდება **-ემ**-იანი ან **-ენ**-იანი ფორმები. ჩვენი დაკვირვებითაც, სამურზაყანოს სოფლებში **/-ეფ/** სუფიქსიანი ფორმებია გაბატონებული.

ამგვარი ტენდენცია ქართველურ ენათა ფონოტაქტიკის კანონზომიერებთა გამოვლინებაა. ქართულშიც ჩვეულებრივია **ფქ**, **ფს** კომპლექსები – ნულოვანი და მზარდი ნა-

პრალოვნების თანხმობის შემთხვევაში [უთურგაიძე 1976, 98-105].

როგორც ჩანს, მე-20 საუკუნის დასაწყისში მეგრულენოვან რესპონდენტთა მეტყველება უფრო „ბუნებრივი“ იყო. ბოლო ათწლეულების, საყოველთაო განათლების პირობებში ორენოვნება (მეგრულ-ქართული) ალბათ გარკვეულწილად „ზღუდავს“ ენობრივ ჩვევას. შესაბამისად, ინოვაცია ჩანს **-ებ-**იანი ფორმები. მაგ., ი. ყიფშიძის ტექსტში ფორმა **აფხანაკ-ებ-ს** – ენა ქოგემუცხადეს ჯირხოლო აფხანაკებს (ყიფ. 5, 5) „ეს გამოუცხადეს ორივე ამხანაგებს“ – შეიძლება შეცდომად ჩაგვეთვალოს, რომ არა სხვა მსგავსი შემთხვევები კ. სამუშაოს ტექსტებში:

ნაბიჟ-ებ-ც: დაიკუნტარენც **ნაბიჟებც** (სამ. 12, 6-8) „დაგიმოკლებს ნაბიჯებს“;

ჩვენს ტექსტებშიც გვაქვს ასეთი მაგალითები:

გერ-ებ-სია: ჰავა, აქიან ჯოლორიმ მელალუა მუს ოხვარუდუა თქვან სამეფო[შ] **გერებსია...**

„ჰაიო, აქაური ძაღლების ყეფა რას უშველიდაო თქვენი სამეფოს მგლებსაო“;

შობილ-ებ-ს: ქე მურთუმე ნა **შობილებს**, გაჭირებულეფს, თე რხვილე კათამ... „მოსულან ამ დახვრეტილი ხალხის მშობლები, საწყლები“...

აბრაგებს: ოჭკომალ ნოკობუნა გაჭირებულ **აბრაგებს...** „საჭმელი ნდომებიათ გაჭირვებულ აბრაგებს“...

ცხადია, ყველა ეს შემთხვევა ინდივიდუალური მოვლენაა, რომელსაც ლაზურშიც ვხვდებით. ს. ჟღენტი „ლაზური ტექსტების“ შესავალ ნაწილში აღნიშნავს, რომ ორ მთქმელთან დაადასტურა მრავლობითის მაწარმოებელი **-ებ** სუფიქსი **-ეფ-**ის ნაცვლად: **ნყალებე** (ტექ. 105, 24) ხეები; **ჟუმალეებესთერი** ბორტით (ტექ. 104, 6) „მმებივით ვიყავით“; **ორძობე** (ტექ. 103, 32) „სკამები“; **ბიჭებე** (ტექ. 103, 23) „ბიჭები“; **გზალეებე** (ტექ. 103, 12) „გზები“; **ჰენთებე** (ტექ. 103, 24) „ისინი“; **ოხოებე** (ტექ. 103, 3) „სახლები“; **ოდაბე** (ტექ. 103, 4) „ოთახები“; **კიბიებეთე** ხე ქოგომინწყუ-მა (ტექ. 55, 10) „კბილებით ხელი გამიხსნაო“.

ეს ინდივიდუალური ფაქტებია როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში, თუმცა ერთი რამ ცხადია: მეგრულში **-ებ** ფორმანტის გავრცელების პირობები არსებობს, განსხვავებით ლაზურისგან, რომელიც ქართულის ნაცვლად თურქულის გავლენას განიცდის.

ამდენად, მეგრულში მრავლობითის ალომორფები წარმოქმნილია რიცხვისა და ბრუნვის ნიშანთა ზღვარზე ფონეტიკური ცვლილებების შედეგად. ძირითადი ნიშნებია: **-ეფ**, **-ემ**, **-ენ**. ფაკულტატიურად შეიძლება ჩაითვალოს **-ე** და **-ებ** სუფიქსები.

I.1.9.3. რიცხვის ნიშნის ალომორფები ლაზურში.

მრავლობითის ალომორფები მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონეტიკური გარდაქმნებით მიიღება, მაგრამ მეგრულისგან განსხვავებით, ცვლილებები ხდება სახელური ფუძისა და **-ეფ** მორფემის ურთიერთგავლენის შედეგად. ეს პროცესი ზოგადად დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის და კვეცა-კუმშვის სახელითაა ცნობილი, თუმცა არაერთგვაროვანი ვითარებაა ერთი მხრივ, ქართულსა და, მეორე მხრივ, მეგრულ-

ლაზურში. კერძოდ, მეგრულში მრავლობითობის -ეფ სუფიქსის დართვისას იკვეცება ფუძისეული ა, ე ხმოვნები: აე → ე ცირა „ქალიშვილი“ – ცირ-ეფ-ი, თუმა „თმა“ – თუმ-ეფ-ი... ეე → ე: კირდე „კლდე“ – კირდ-ეფ-ი, მე/ოშარე „მგზავრი“ – მე/ოშარ-ეფ-ი, თუმცა ე-ზე დაბოლოებული სახელები პარალელურად წარმოდგენილია ორი ე-თი, ანუ უკვეცელი ფორმებითაც: მო/ეშარე-ეფ-ი, მოჯგირე-ეფ-ი „მოკეთები“... [კარტოზია..., 2010, 110].

ო-ზე დაბოლოებულ სახელებში შეინიშნება ფონეტიკური პროცესი ოე → უე: კოტო „ქოთან“ – კოტუ-ეფ-ი, ბორო „სულელი“ – ბორუ-ეფ-ი... ეს უკანასკნელი პროცესი არაა აბსოლუტური ხასიათისა, რაც იმას ნიშნავს, რომ მრავლობითში პარალელურად დასტურდება ამოსავალი ფუძეც: კოტო-ეფ-ი, ბორო-ეფ-ი... ყველა აღნიშნული შემთხვევა განიხილება, როგორც მეგრულისთვის არაბუნებრივი ხმოვანთმიმდევრობების (აე, ეე, ოე) დაძლევის ცდა [ჯანჯღავა, 1999, 16].

ერთხმოვნობისაკენ სწრაფვა ლაზურსაც ახასიათებს, მაგრამ პროცესი აქ პირუკუ მიმდინარეობს, ანუ ფუძის დაბოლოება ახდენს გავლენას მრავლობითის სუფიქსზე და იკარგება სუფიქსისეული -ე ხმოვანი. კერძოდ, ა, უ, ო ბოლოხმოვნისანი სახელები მრავლობითში ინარჩუნებენ დაბოლოებას, რის გამოც მრავლობითის სუფიქსად -ფე (<ეფ-ე) ფორმანტი გვაქვს: თომა „თმა“ – თომა-ფე, ნენა „სიტყვა, ენა“ – ნენა-ფე... ორძო „სკამი“ – ორძო-ფე, ბოზო „გოგო“ – ბოზო-ფე... მუ „იგი (თვითონ)“ – მუ-ფე, დოლოქუნუ „ტანსაცმელი“ – დოლოქუნუ-ფე.

აღსანიშნავია, რომ ხოფურ-ჩხალურ კილოკავში ო და უ ხმოვნებზე დაბოლოებულ არსებით სახელებს -ეფე სუფიქსიც დაერთვის: მტკო-ეფე „მტკაველები“, მწკო-ეფე „წყავები“, თუმცა იმავე ფუძეებს ვიწურ-არქაბულსა და ათინურში -ფე დაბოლოება გააჩნიათ: მტკო-ფე/მტუ-ფე, მწკო-ფე / მწუ-ფე [კარტოზია, 2005, 87].

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ ხოფურ-ჩხალურსა და მეგრულის სენაკურ-აბაშურ მეტყველებას საერთო მორფონოლოგიური პროცესები ახასიათებს, რაც რიცხვის კატეგორიის იზოგლოსებითაც დაჩნდება. ამ შემთხვევაში ლაზ. მტკო-ეფე ფორმა არსებითად მეგრ. კოტო/უ-ეფი ფორმასთან ერთიანდება.

ლაზურში ი და ე-ზე დაბოლოებულ სახელებში უნდა გავარჩიოთ საკუთრივ ზანური ლექსიკა, ერთი მხრივ, და ნასესხები ლექსიკა, მეორე მხრივ. ეს უკანასკნელი, როგორც ზევით აღინიშნა, ემორჩილება საერთო წესს, ანუ მრავლობითობის სუფიქსის დართვისას ინარჩუნებს ი და ე დაბოლოებას. მაგალითად, დუგუნჯი „მექორწილე“ – დუგუნჯი-ფე, კონქში „მეზობელი“ – კონქში-ფე... მამცუდალე „მატყუარა“ – მამცუდალე-ფე, დეკიკე „წუთი“ – დეკიკე-ფე...

ი-ზე დაბოლოებული საკუთრივ ლაზური სახელები თითქმის არ არსებობს, ხოლო ე-ზე დაბოლოებულების შესატყვისები მეგრულში ყველა თანხმოვანფუძიანია. მაგ., ლაზ. კუჩხე, მეგრ. კუჩხი „ფეხი“; ლაზ. ოსურე, მეგრ. ოსურ-ი „ქალი, ცოლი“; ლაზ. ჩილამრე, მეგრ. ჩილამური „ცრემლი“...

როგორც ჩანს, -ფე სუფიქსისთვის ამოსავალი უნდა იყოს -ეფ მორფემა. ეს პროცესი ჰგავს ქართულში ხმოვნის მომდევნოდ ნათესაობითი ბრუნვის მორფემის ფონეტიკური ცვლილების იმგვარ ფაქტს, როგორიცაა ძვ. ქართ. ოქრო-მს(ა)/ ოქრო-ის(ა) – თან. ქართ. ოქრო-სი. ლაზურის განვითარების რომელიღაც საფეხურზე სახელთა მრავლობითობის მორფემას უნდა ჰქონოდა ფონოლოგიურად შეპირობებული ორი ალომორფი: ხმოვნების მომდევნოდ – -ფე, ხოლო თანხმოვნების მომდევნოდ – -ეფ [ონიანი, 1989, 92].

როგორც ცნობილია, ლაზურში, განსაკუთრებით ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში, სახელის ბოლოკიდური რ სუსტდება და იკარგება კიდევ. ეს მოვლენა თვალსაჩინოა მრავლობით-

თის ფორმებში, სადაც სუფიქსისეული -ე ხმოვანი ფუძისეული ხმოვნის გვერდით აღმოჩნდება ხოლმე – **ოხორი** „სახლი“: **ოხორ-ეფე > ოხო-ეფე, მანძაგერი** „მეზობელი“ – **მანძაგე-ეფე, მგერი** „მგელი“ – **მგე-ეფე, ჯოლორი** „ძალი“ – **ჯოლო-ეფე...**

როგორც ვხედავთ, ამგვარ შემთხვევებში ფუძის აქტიურობა სუსტდება და მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი მეორეული ხმოვანთმიმდევრობა ასატანია: **-ეფე** სუფიქსი მყარ პოზიციას ინარჩუნებს.

ამრიგად, ლაზურში ხმოვანფუძიანი სახელები დაირთავს **-ფე** სუფიქსს, ხოლო თანხმოვანფუძიანები – **-ეფე** სუფიქსს. სინქრონიულ დონეზე **-ფე და -ეფე** მარკერების ბოლოკიდური ხმოვანი არ გამოიყოფა, რადგან დამოუკიდებელი ფუნქცია (ბრუნვის ნიშანი) არ გააჩნია. ლაზურში ფუძე არასდროს იკვეცება, ხოლო მეგრულში ა-ბოლოხმოვნიანები კვეცადი სახელებია, ხოლო **ო** ბოლოხმოვნიანი სახელები რედუქციის იმ საფეხურს მოგვაგონებს, როგორცაა ქართულში **მაწონი – მაწვნის, მინდორი – მინდვრის**. თუმცა ფუძის კუმშვა უცნობია როგორც მეგრულისათვის, ასევე ლაზურისთვის.

ცხადია, მეგრულ-ლაზურში სახელთა რიცხვის გამოხატვის ერთიანი სისტემაა იმ თვალსაზრისით, რომ **-ეფ** მორფემა ამოსავალი და სხვა ტიპის მარკერები არ ახასიათებს განსხვავებით ქართულისაგან, სადაც დღემდე სახელთა რიცხვის მარკერებად რჩება სამი ნიშანი: **-ებ, -ნ, -თ**. **ნარ-თანიანი** მრავლობითის შესატყვისი ზანურ სახელებში არ დაიძებნება, მიუხედავად იმისა, რომ ზმნაში მათი შესატყვისი ფორმანტები გვაქვს⁴.

ქართული **-ებ**-ის მორფოლოგიური და ფონეტიკური შესატყვისია მეგრულ-ლაზურში **-ეფ** სუფიქსი, რომელიც თავის მხრივ ალომორფების სახითაა წარმოდგენილი. მეგრულისა და ლაზურის ალომორფების შეპირისპირებამ აჩვენა, რომ ფონოტაქტიკის წესები ამოქმედდა მორფემათა საზღვარზე იმ სხვაობით, რომ მეგრულში რიცხვისა და ბრუნვის ნიშნების ურთიერთქმედებამ გამოიწვია გარდაქმნა, ხოლო ლაზურში – ფუძისა და რიცხვის ნიშნის ურთიერთგავლენამ.

აღსანიშნავია, რომ მეგრული უფრო ახლოს დგას ქართულის ვითარებასთან, რამდენადაც რიცხვის ნიშანი იწვევს ხმოვანფუძიანი სახელების რედუქციას, ხოლო ლაზურში ფუძის რედუქცია არასდროს არ ხდება. შეიძლება ითქვას, რომ მეგრულსა და ლაზურს რიცხვის გამოხატვის სისტემაში დიალექტური ნაირგვარობა ახასიათებს.

I.1.9.4. ერთი ტიპის მრავლობითის ფორმები.

მეგრულსა და ლაზურში სინქრონიულ დონეზე ცალკე გამოიყოფა რიცხვის წარმოების ერთი ტიპი, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში **„დალეფი“ ტიპის** სახელითაა ცნობილი. მეგრულსა და ლაზურში დასტურდება ორ ათეულზე მეტი სახელი, რომელიც მხოლოდობითი ბოლოხმოვნიანია, ხოლო მრავლობითში **-ეფ** მორფემის წინ დაირთავს **-ლ-** თანხმოვანს: **და** „და“ – მეგრ. **და-ლ-ეფ-ი**, ლაზ. **და-ლ-ეფე**, **ხე** „ხელი“ – მეგრ. **ხელ-ეფ-ი**, ლაზ. **ხე-ლ-ეფე**, **ჯა** „ხე“ – მეგრ. **ჯა-ლ-ეფ-ი**, ლაზ. **ჯა-ლ-ეფე**... აღსანიშნავია, რომ ეს **ლ** ყოველთვის არ დასტურდება მოსალოდნელ ფორმებში. ჯერ კიდევ ი. ყიფშიძემ შენიშნა, რომ მეგრულში **სუა / ფსუა** „ფრთა“ შეიძლება შეგვხვდეს მრავლობითში **ლ-**ს გარეშე: **სუ-ეფ-ი** (შდრ. **სუალ-ეფ-ი**), ხოლო **ხე** „ხელი“ ასეთი ფორმითაც – **ხე-ეფ-ი** (შდრ. **ხელ-ეფ-ი**). ამგვარი პარალელიზმი სხვა

⁴ გამონაკლისი შეიძლება იყოს ჩვენებითი ნაცვალსახელები **ჰანი, ჰინი, ნანი**, (იხ. ქვევით).

ფუძეებთანაც დასტურდება, მაგრამ განსაკუთრებით თვალშისაცემია ლაზურის ხოფურ კი-
ლოკავში [ჩიქობავა, 1936, 62].

მაგალითად:

ჟაეფე || ნჟაფე: „ძელები“, შდრ. **ჟალეფე||ნჟალეფე:** ქიმოლიქ დალიშენ **ჟაეფე** ქომულუ (ჩიქ. I, 39, 19) „ქმარმა ტყიდან შემა („ხეები“) მოუტანა“; ... **ნჟაეფე**, დიშქაფე ჰოდობლეს ოხოიკალა (კარტ. 1968, 150, 16) „ხეები, შეშები დაყარეს სახლთან“; ... ქვა დო **ნჟაფე** გეგაბლას (ყიფშ. II, 47, 27) „ქვა და ხეები დაცვივდეს“.

ქვაეფე: „ქვები“, შდრ. **ქვალეფე:** აწი-თი მეზარემ **ქვაეფე** იძირენ (ყიფ. II, 4, 32) „საფლავის ქვები ახლაც ჩანს“; სი მჭიფე **ქვაეფე** მასთოლია ანნი-ჩქიმის (კარტ. 1972, 92, 14) „შენ წვრილი ქვები ისროლეო ჩემს მხარეს“.

ხეეფე || ხეფე: „ხელები“, შდრ. **ხელ-ეფ-ე:** ა ჩქვა დოყვი, მეგოტრუხას **ხეეფე!** (ყიფ. II, 21, 29) „სხვა ქენი, მოგტყდეს ხელები!“; ხეში ოქოსალეფეთე ... **ხეფე** იქოსამტეს (ჩიქ. II, 65, 6) „ხელის გასამშრალელებელი (ტილოთი) ხელებს იწმენდენ“.

მოთაფე: „შვილიშვილები“, შდრ.: **მოთალეფე:** მთუგეფეში **მოთაფეკალა** სი თეშენ ბეი მან-მაგეე ვოე-მა (ჩიქ. I, 75, 15) „თაგვების შვილიშვილებთან მიმინოს შვილი მეზობლად იყო“; ია კართალიშ **მოთაფე** ჰკომასინტერენ (კარტ. 1972, 84, 34) „იმას არწივის ბარტყები შეჭამენ“.

ყაეფე: „ტოტები“, შდრ.: **ყალეფე:** მან **ყაეფე** ... ლეტაშა ქაგევიონჭაფ! (ჩიქ. I, 76, 8) „მე ტოტები მიწას მივაწვდენ“.

მსვაეფე || მსვაფე: „ფრთები“, შდრ. **მსვალეფე:** **მსვაეფე** (მსვაფე) მუში ნუნკუს ქომოთხუ (კარტ. 1972, 77, 18) „ფრთები მის ნიკაპს შეახო“; გიხუნავს სვას (/სვაეფეს) დო ბაბა-მუშიში დეიშა მინდიყონოფს (კარტ. 1972, 101, 23) „დაისვამს ფრთებზე და მამამისთან წაიყვანს“.

აღსანიშნავია, რომ ანალოგიით **ლ** სონორი ისეთ სახელშიც გაჩენილა, რომელშიც არ იყო მოსალოდნელი. ასეთია **დიშქა** „შემა“ არსებითი სახელი, რომელიც კრებითობის გამომხატველია და იშვიათად თუ იხმარება მრავლობითის ფორმით, ლაზურში კი შეგვხვდა **დიშქალე-ფე:**

დიშქალეფე (სტოლბეფე) ქოდვოცონარ (ჩიქ. II, 115, 31) „შეშები (ბოძები) დაყარე“; **დიშქალეფეთე** დოჰკარუმთ (დიშქა ბიტურთ შქუ დო ჰეშო გიწვი) (ჩიქ. II, 114, 15) „შეშებით დავამარებთ (შემას ვიტყვით ჩვენ და ისე გითხარი)“.

ამგვარი ანალოგიით მეგრულშიც შეგვხვდება **პაპალ-ეფ-ი** „მღვდელი“ ფორმა (შდრ. **პაპალ-ურ-ი** „მღვდლის ნათქვამი“, „მღვდელივით ლაპარაკი“).

შეიძლება ითქვას, **ლ** სონორი ლაზურში, **რ** სონორის მსგავსად, მიდრეკილია გაქრობისაკენ, რის შედეგად სახელური ფუძე ბოლოხმოვნთანად აღიქმება და მრავლობითობის ნიშნად ჩნდება **-ფე:**

ნჯალ-ეფ-ე → ნჯაეფე → ნჯაფე შდრ. ოხორ-ეფ-ე → ოხოეფე
ხელ-ეფ-ე → ხე-ეფე → ხეფე მგერ-ეფე → მგეეფე
დალ-ეფ-ე-ქ → და-ეფექ → დაფექ ამბარ-ეფ-ე → ამბა-ეფე

[ჩიქობავა, I, 133, 32].

განსხვავება ისაა, რომ **რ** ფუძიან სახელებში ფონეტიკური გარდაქმნის მეორე საფეხური (მგეფე, ოხოფე) არ დასტურდება.

საყურადღებოა გ. კარტოზიას შენიშვნა, რომ **ჯაეფე** ტიპის წარმოება ძირითადად დამახასიათებელია ხოფურისთვის, ხოლო ვიწურ-არქაბულსა და ათინურისთვის – **ჯაფე** ფორმა. თუმცა ეს კილოკავური სხვაობა მორფოლოგიკური ცვლილების დინამიკასაც

გვიჩვენებს მეგრულთან შეპირისპირებით. კერძოდ, მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოვანებაში გვაქვს მხოლოდ **ჯალეფი** ტიპის წარმოება, სენაკურ-მარტვილურში **ჯალეფი** ფორმის გვერდით თავს იჩენს **ქაფეფი** ფორმაც, რომლის ლოგიკური გაგრძელებაა ხოფურ-ჩხალურის ვითარება, სადაც პარალელურად იხმარება **ჯალეფე** || **ჯაეფე** ტიპის სახელები, ხოლო უფრო სამხრეთით, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში **ჯალეფე**-ს გვერდით გვაქვს **ჯაფე** წარმოებაც.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხოფურ-ჩხალური კილო უფრო ახლოს დგას მეგრულთან, ვიდრე ლაზურის დანარჩენ კილოებთან, რაც **დალეფი** ტიპის სახელთა ფონეტიკური ანალიზითაც გამოჩნდა [კარტოზია, 2005, 11-12].

გ. კარტოზიამ სწორედ ხოფურ-ჩხალური კილოს მონაცემების საფუძველზე ლაზურში გამოყო ანალოგიური წარმოების ზედსართავი სახელები და კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც. იგულისხმება **მჭითაფე** || **მჭითალეფე** „წითლები“, **ჩქიმეფე** || **ჩქიმილეფე** „ჩემები“ **გინძეფე** „გრძელები“, **მჭიფეფე** „წვრილები“, **თითხულებე** „თხელები“, **ჩიჩქულებე** „ჩვილები“, **უჩალებე** „შავები“, **მონკალებე** „მძიმეები“, **ჭიტალებე** „პატარები“, **კაი/ლეფე** „კარგები“ ფორმები [კარტოზია 2004, 89].

აღსანიშნავია, რომ მეგრულში ძირეულ ზედსართავ სახელებში მხოლოდ **ჭიჭელებე** „პატარები“ ფორმა დასტურდება. როგორც წესი, მეგრულში ჩვეულებრივია ფორმები: **ჭითეფი**, შდრ. ლაზ. **მჭითაფე**; **გინძეფი**, შდრ. ლაზ. **გინძეფე**; **ჭიფეფი**, შდრ. ლაზ. **მჭიფეფე**; **დიდეფი**, შდრ. ლაზ. **დიდეფე**; **ჩქიმეფი**, შდრ. ლაზ. **ჩქიმეფე** და ა. შ.

ისტორიულად **-ლ-** ელემენტის დანიშნულების შესახებ არაერთი მოსაზრება გამოთქმულა. ერთი მხრივ, ის მიჩნეულ იქნა ფუძისეულ ელემენტად, რომელიც მხოლოდობითში დაიკარგა; მეორე მხრივ, ამ ტიპის სახელებიდან გამოიყო მცირე ჯგუფი სადაც ისტორიულად მოსალოდნელი ჩანდა **ლ-**ს ფუძისეულად მიჩნევა: მეგრ.-ლაზ. **ჯალ-** და ქართ. **ძელ-**, შდრ. **ჯალ-ეფი/ე**; **ძელ-ებ-ი**, მეგრ.-ლაზ. **ხელ-ეფი/ე** და ქართ. **ხელ-ებ-ი**, ასევე ზედსართავებში: მეგრ. **ჭითალ-**, ლაზ. **მჭითალ** და ქართ. **წითელ-**... დანარჩენ სახელებში **ლ** ელემენტი ანალოგიით გაჩნდა ხმოვანთმიმდევრობის თავიდან ასარიდებლად [მარი 1910, 14; ყიფშიძე 1914, 78-79; ჩიქობავა 1942, 9; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965, 149; არაბული 1997, 181].

რა კვალიფიკაცია ენიჭება **-ლ-ეფ-ი/ე** მიმდევრობაში **ლ** ელემენტს სინქრონიულ დონეზე?⁵

სტრუქტურული ანალიზი მოთხოვს **ლ** ელემენტის კვალიფიკაციას ან დამოუკიდებელ მორფემად, ან სხვა მორფემის შემადგენელ ნაწილად. არის თუ არა დამოუკიდებელი მორფემა? რა თქმა უნდა, არა, რადგანაც ის არ გამოხატავს რაიმე მორფოლოგიურ კატეგორიას. რომელი მორფემის ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ?

როგორც ჩანს, ლაზურის ხოფურ-ჩხალურ კილოსა და ნაწილობრივ დასავლურ კილოებში **-ლეფე** დაბოლოებიან ფორმებში **ლ** ფუძისეულად უნდა მივიჩნიოთ.

⁵ ცხადია, მეგრულში **-ეფ-**ის ალომორფების გათვალისწინებით მოთხრობითსა და მიცემითში გვექნება **-ლ-ენ-/-ლ-ემ-** მიმდევრობები. აქვე გაერთიანდება მარტვილურში დადასტურებული იოტიზებული **-მ-ეფ-**, **-მ-ენ-**, **-მ-ემ-** მიმდევრობები [კარტოზია..., 2010, 109].

I.1.9.5. რიცხვი, როგორც ტრანსლაციური კატეგორია ლაზურსა და მეგრულში.

არსებობს საფუძველი ზედსართავი სახელის, რიცხვითი სახელისა და მათი ეკვივალენტი ნაცვალსახელების დამოუკიდებლად რიცხვის გამოხატვა შეფასდეს **ტრანსლაციად**, ანუ ისეთ გარდაქმნად, როდესაც ნიშან-თვისების თუ სიმრავლის აღმნიშვნელი სახელების გასუბს-ტანტივება ხდება. მაგალითად, ლაზ. **მჟვეში**, მეგრ. **ჟვეში** „ძველი“ ატრიბუტული სახელის მრავლობითი რიცხვის ფორმა გამოხატავს როგორც საკუთრივ მნიშვნელობას „ძველები“ – **მჟვეშეფე|ჟვეშეფი**, ასევე მნიშვნელობას – „წინაპრები“.

მაგ.:

მეგრული: ისტორიით განაგონგ , **ჟვეშეფიში** დგ ნაჩინა (სამ. 71, 48-202) „საისტორიოდ გაგონილი, წინაპრების („ძველების“) მიერ დაბარებული“.

ლაზური: ჩქინ **ჟვეშეფეშე** მიგნაფუნან-ქი... (ყიფ. II, 4, 20) „ჩვენი წინაპრებისგან („ძველებისგან“) გაგვიგონია“; **მჟვეშეფე** ზოპონტეს (ყიფ. II, 12, 23) „წინაპრები („ძველები“) ამბობდნენ“.

შევნიშნავთ, რომ მეგრულში მხოლოდობითის ფორმაც – **ჟვეში** – შეიძლება შეგვხვდეს „წინაპრის“ მნიშვნელობით. ვფიქრობთ, რომ ამგვარი სემანტიკა თავდაპირველად მრავლობითის ფორმად შეიძინა და შემდგომ გავრცელდა მხოლოდობითის ფორმაზეც.

ლაზურში გვაქვს **დიდილეფე**, რომელიც თავისი მნიშვნელობით ბადალია მეგრული **უნჩაში** „უფროსი“ და ქართული **უხუცესი** სიტყვებისა. **დიდი** ქართულისა და ზანურის საერთო კუთვნილებაა [კლიმოვი 1964, 73; ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 103]. **-ლეფე** მრავლობითის სუფიქსის დართვით სიტყვის მნიშვნელობა ნაწილობრივ შეიცვალა და **დიდილეფე** დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს.

მაგალითები:

აწი ხოლო-თი **დიდილეფე** არ ეერის ქოკუიბდეს (ყიფშ., II, 6,1) „ახლა კიდევ უფროსები ერთ ადგილას შეგროვდნენ“;

დიდილეფე ნა ზოპონტეს, {მ}თირი ტერენ (ყიფშ., II, 12, 26) „უფროსები რომ ამბობდნენ, ისეთი თოვლი ყოფილა“;

დიდილეფე კაი დობახეს ჭიტა ჯუმა (კარტ., 1968, 153, 3-9) „უფროსებმა კარგად სცემეს უმცროსი ძმა“;

დიდილეფე ჰემუს ნომიცეს (დიუმ. 57, IV-31) „უფროსებმა იმას დასცინეს“...

დიდილეფე-ს მნიშვნელობით უპირისპირდება **ჭიტალეფე** „უმცროსები“ შემდეგ კონტექსტში:

ჭიტალეფე **დიდილეფეს** გუი ვა მუჩქვინა უნონან (ჩიქ. I, 73, 25) „უმცროსებმა უფროსებს გული არ უნდა გადააყოლონ“;

ჭიტალეფე-ს მსგავსი წარმოება მეგრულშიც გვხვდება. უმცროსი ასაკის ბავშვების აღსანიშნავად იხმარება ჭიჭელეფი (შდრ. ლაზ. ჭიტა, მეგრ. ჭიჭე „მცირე, პატარა“):

დიდიში გიმმაჯერებელ(ი) დო **ჭიჭელეფიში** მარდუალი! (სამ. 84, 61-3) „დიდთა გამომკვე ბავო და პატარების გამზრდელი“.

ასევე ზემოთ განხილული **-ლეფე** / **-ლეფ** დაბოლოებიანი ზედსართავი და კუთვნილებითი სახელები უნდა განვიხილოთ ტრანსლაციის შემთხვევად, რადგან იცვლება მათი გრამატიკული სტატუსი – არსებით სახელად გვევლინებიან. მაგალითად, წინადადებაში: **„მჩხუე-**

ლეფე ჯინ გესქიდუნ, მყიფელეფე თუდე გამულუნ ღორმაშენ“ (ჩიქ. I, 138, 18) „მსხვილები ზევით და-რჩება, წვრილები ქვევით გამოვა საცერიდან“ – მჩხუელეფე და მჭიფელეფე მორფოლოგიურ დონეზე რა ჯგუფის არსებითი სახელია, სინტაქსურ დონეზე – ქვემდებარეები. აღსანიშნავია, რომ მჩხუელეფე, მჭიფელეფე ფორმებში გამოიყოფა მ- პრეფიქსული ელემენტი ისევე, როგორც მყვეში ფორმაში. სავარაუდოა, რომ ეს ელემენტი სულაც არ იყოს განვითარებული სონორი, არამედ სწორედაც მასუბსტანტივებული მ- პრეფიქსი იმავე რიგისა, როგორიცაა ლაზურში მიმღეობის მაწარმოებელი მ- ისეთ სიტყვებში, როგორიცაა: მ-შინ-ე „მხსენებელი“, მე-მ-ჟღონ-ი „მომღვარი“ ... სხვათა შორის, ქართულშიც ბუნებრივია ატრიბუტული და სუბსტანტიური სახელების წარმოება ერთი და იმავე ფუძისგან მ- პრეფიქსის დართვა-არდართვით: წით-ელ-ი > მ-წით-ურ-ი [ჩიქობავა 1942, 140; 200]. არ გამოვრიცხავთ, რომ მ- პრეფიქსიც იყოს მასუბსტანტივებელი.

შეიძლება ითქვას, რომ მრავლობითის აფიქსი ოდენ ფლექსიური ელემენტია არსებით სახელებში, ხოლო ზედსართავ, რიცხვით სახელებსა და კუთვნილებით, რაოდენობით ნაცვალ-სახელებში მატრანსლირებელი, ანუ გარდამქნელი ელემენტია.

-ეფ მორფემის ამგვარი დანიშნულება კარგად გამოჩნდა ლაზურში, სადაც არა მარტო სახელის სახელად ტრანსლაცია ხდება, არამედ ზმნიზედისა და ზმნისა – სახელად. მაგალითად, შქა „შუა, შუაში“ გამოიყენება როგორც კავშირად, ასევე ზმნიზედად. წინადადებაში „ჰეფხე-სთერი მუფერ დრუკუნ სევდა ჩქიმი შქალეფე (ყიფშ. II, 44, 29) „ტოტებივით როგორ ირხევა სევდა ჩემში“ – შქალეფე ფორმაში -ლეფე სუფიქსი მასუბსტანტივებელია. ასევე საინტერესოა დიდოფე „ძალიანები“ (ყიფშ. II, 43, 33), შდრ. დიდო „ძალიან“.

-ფე ლაზურში ზმნიზედებთანაც დაჩნდება. მაგ.: ჰაშოფე დუწუ დო ჰე ბოზო იგზალუ (ჩიქ. II, 48-1) „ესეები“ უთხრა და ეს ქალი წავიდა“.

როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, „ზუსტად რომ ვთქვათ, ჰაშოფე არ არის „ესეები“. ჰაშო ნიშნავს „ასე“, „ამგვარად“ და ამ უკანასკნელის მრავლობითია ჰაშოფე“ [ჩიქობავა 1936, 65]. თავის მხრივ, ჰაშოფე ფორმამ შეიძლება ბრუნვის ნიშანიც დაირთოს. მაგალითად, არქაბულში დასტურდება ჰაშოფეთე – მოქმედებითი ბრუნვის ფორმა:

„ჰაშოფეთე დიდო გზას იდემ-ქულე არ ბადი ქონაგეს (ჟდ. 27, 5) „ამგვარად („ამგვარებით“) დიდი გზის გავლის შემდეგ ერთი მოხუცი შემოხვდათ“; ჰაშოფეთე ირი ხოლო ოკიკათეს დო ბადი-ნა ჯანტუ, ძერიშა იგზალეს (ჟდ. 27, 9) „ამგვარად („ამგვარებით“) ყველა მოგროვდა და მოხუცი რომ იწვა, იმ ადგილისკენ წავიდნენ“.

ლაზურში -ეფ მორფემა ზმნის პირიან ფორმებთანაც დაჩნდება ხოლმე. ამ ფაქტს პირველად ყურადღება მიაქცია არნ. ჩიქობავამ. თავის „ლაზურის გრამატიკულ ანალიზში“ მას მოჰყავს ერთი მაგალითი – ჰა-ნა გიწვი-ფე დოგახენენ-ნა, ბოზო ჩქიმი მექჩარე (II, 62, 27) „რაც რომ გითხარი, თუ შეგიძლია გააკეთო, ჩემს ქალს მოგცემ“ – და შენიშნავს: „გიწვი ნიშნავს „გითხარი (მე შენ)“; გიწვი-ფე იქნებოდა „გითხარ-ებ-ი“, ე. ი. „ნათქვამები“. ზმნა აქ კონტექსტში სახელის მნიშვნელობას ატარებს, თუმცა ორდინარული პირიანი ფორმაა“ [ჩიქობავა 1936, 65].

აღსანიშნავია, რომ არაერთი მაგალითი დასტურდება მსგავსი წარმოებისა, როგორიცაა:

შქუ-ნა მოწვეტეს-ფე, ღორმოთი ვროსი ოწკედას (ყიფ. II, 74, 2) „ჩვენს მნახველებს ღმერთი უკეთესად ხედავს“; სქანდენ წოხლე-ნა იდეს-ფე, ვარ მოხთუ დო სი აკო ორდო მოთ მოხთი? (ყიფ. II, 11, 15) „შენზე ადრე წასულები („წავიდნენ-ები“) არ მოსულან და შენ ასე ადრე როგორ მოხვედი?“ ნა დოსქიდუ-ფეს ჯოხონტეს, ართელის – ლია, მაჯურას – კოსტა (ყიფ. II, 7, 13) „და-რჩენილებს („რომ დარჩა-ებს“) ერქვათ: ერთს – ლია, მეორეს – კოსტა“; ფარა-ნა ვარ უდუნან-ფეს, ფიცარიში ოხორი უდუნან (ყიფ. II, 74, 8) „ფულის არ მქონეებს („არ აქვთ-ებს“) ხის სახლი

აქვთ“; ნა **მოხთეს-ფე** ჯუმა-თქვანი რენ-მა (დიუმ. 25, 1-193) „მოსულები („რომ მოვიდნენ-ები“) თქვენი ძმა არისო“; ჰაქ ნა **ტეს-ფე** გომმაშეს (დიუმ. 102, XIV-28) „აქ მყოფნი („რომ იყვნენ-ები“) გაცდნენ“.

ყველა კონტექსტში **-ფე** დართული ზმნის პირიანი ფორმა სახელის ფუნქციის მქონეა: პირველ წინადადებაში (აგრეთვე არნ. ჩიქობავას მიერ მოყვანილ მაგალითშიც) ობიექტური პირის გამომხატველია მრავლობით რიცხვში, ხოლო დანარჩენ შემთხვევაში – რეალური მოქმედი პირის რიცხვის აღმნიშვნელია. ამავე დროს, **დოსქიდუ-ფეს** და **გიწვი-ფე** ფორმების გარდა, ყველგან წარმოდგენილია **სა**-ის რიცხვის ნიშანი (**-ან, -ეს**). მამასადამე, **-ფე** ვერ იქნება პირის მრავლობითობის გამომხატველი – ორი მორფემა ერთი და იმავე ფუნქციით ერთ ფორმაში არ შეიძლება იყოს.

ცხადია, **-ფე** მორფემას ერთი დანიშნულება აქვს: ზმნის პირიანი ფორმის გასუბსტანტივება. აქედან გამომდინარე, ზმნის პირიან ფორმას **-ფე**-ს შემდეგ შეიძლება დაერთოს ბრუნვის ნიშანი, ამის მაგალითი დაადასტურა გ. კარტოზიამ ათინურ კილოკავში: ნა **ბიგზალითუ-ფეში** (კარტ. 1970, 1-8) „წასულების (ზედ. რომ წავედით-ებ-ის)“. აგრეთვე, ზემოთნახსენები **დოსქიდუ-ფე-ს** მიცემითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული. როგორც ვხედავთ, ზმნის პირიანი ფორმა ახალ შინაარსს იძენს: ზმნის კლასიდან გადადის სახელის კლასში.

შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში მრავლობითის აფიქსი არის ფლექსიურიც და გარდამქმნელი. ეს არაა წარმოქმნა ლექსიკურ-სემანტიკური გაგებით, არამედ ერთი კლასის სიტყვის ტრანსლაცია მეორე კლასის სიტყვად. კერძოდ, **არსებითი სახელის** კლასში მოექცევა ყველა დანარჩენი სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილი.

მეგრულში, ლაზურისაგან გასხვავებით, ამგვარი გარდაქმნა შეჩერდა სახელის დონეზე ისევე, როგორც ქართულში, თუმცა აშკარაა ტენდენცია უპირო ზმნის, ანუ საწყისების გაფორმებისა მრავლობითობის სუფიქსით: წერები, ცეკვები, ჩხუბები, ლაპარაკები... ფაქტია, რომ ტერმინოლოგიაშიც გააქტიურდა ამგვარი წარმოება.

I.1.10. ემფატიკური ხმოვნების საკითხი. პარაზიტი ხმოვნები.

ქართულში სახელთა ბრუნვის ფორმას, ზოგ ფორმაუცვლელ სიტყვას (იშვიათად ზმნებს) შეიძლება დაერთოს **-ა** ხმოვანი, რომელსაც **მავრცობ** ხმოვანს (**სავრცობს**), **პროსოდულ** ხმოვანს, **ნართაულ ა-ს** ან **მარცვალთლიაობის -ა**-საც უწოდებენ. ასეთ ელემენტად მიიჩნევენ ასევე **-ი**-ს, რომელიც დაერთვის ფუძეუკვეციელი სახელების ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის (წყარო-ს-ი, წყარო-თ-ი) ფორმებს.

ლაზურში „პარაზიტული“ **ო, უ, გ** ხმოვნები მეტად შეზღუდულად იხმარება. დღესდღეობით ისინი მხოლოდ ათინურ-ართაშენულ კილოშია დადასტურებული, ნათესაობითში კი **-ი** ჩვეულებრივია ყველა კილოსთვის. ერთსა და იმავე პოზიციაში, ვთქვათ, **-თი** „ცა“ ნაწილაკის წინ, სხვა ირიბ ბრუნვებში **ი, ო, უ, გ** არ ჩანს, ნათესაობითში კი **-ი** აუცილებლად გავქვს: კოჩიქ-თი „კაცმაც“, კოჩის-თი „კაცსაც“, მაგრამ - კოჩიშ-ი-თი „კაცისაც“.

ლაზურში ემფატიკური -ი სპორადულად თუ ამოტივტივდება მიცემითში. ამის მაგალითია ათინურში დადასტურებული ბექს-ის-ი „გამზრდელს“.

ასე რომ, ემფატიკურ ხმოვნად ლაზურ-მეგრულში **ო, უ, გ** და **ი** გვხვდება. ამათგან **ო** მეგრულმა არ იცის, **გ** და **ი** კი მეტად შეზღუდულად იხმარება ლაზურში [კარტოზია, 2004, 62].

მეგრულის ემფატიკური **უ, გ** და **ი** ხმოვნებიდან **გ** ძირითადად ზუგდიდურ-სამურზაყანო-ულში გვხვდება, **ი** სენაკურ-მარტვილურში. **უ** ორივე კილოში დასტურდება, - უმთავრესად მაშინ, როცა ფუძე **უ** ან **ო** ხმოვანს შეიცავს (დუსუ „თავს“, კოსუ „კაცს“) [კარტოზია, 2004, 63].

გ. კლიმოვის აზრით, ემფატიკური **უ** მიღებულია **გ** და **ი** ხმოვნებისგან ფუძისეულ **უ** და **ო** ხმოვნებთან ასიმილაციით [კლიმოვი, 1962, 25].

გ. კარტოზია თვლის, რომ საქმის ვითარება სხვაგვარად უნდა იყოს: **უ, გ** და **ი** ხმოვანთაგან ამოსავალი **უ** უნდა იყოს, რომელიც გარკვეულ ფონეტიკურ პოზიციაში (ფუძეში **უ** ან **ო** ხმოვნის არსებობისა) შენარჩუნებულ იქნა, უცვლელად იქნა დაცული, სხვა შემთხვევებში კი **გ** და **ი**-დ იცვალა [კარტოზია, 2004, 63].

ასევე **უ** ითვლება ამოსავლად ემფატიკური **გ** და **ი** ხმოვნებისათვის ლაზურში. ლაზურისა და მეგრულის **უ**, რომელიც, თავის მხრივ **ო**-სგან მომდინარეობს, ქართული ა ხმოვნის შესატყვისი ჩანს [კლიმოვი, 1962, 25].

გამოდის, რომ ქართულის ა ხმოვანს ლაზურსა და მეგრულში **ო, უ, გ** და **ი** ხმოვნები შესატყვისება. ეს **ო** გარკვეულ პოზიციებში ვიწროვდება და გადადის **უ, ი, გ**-ში [გამყრელიძე-მაჭავარიანი, 1965, 158].

სწორედ ერთ-ერთ ასეთ პოზიციაშია ემფატიკური **ო** ხმოვანი, სახელდობრ, სიტყვის ბოლოში (პაუზის წინ) არის მოქცეული. ლაზური, როგორც ჩანს, ამოსავალ **ო**-ს უცვლელად იცავს. შდრ. მესამე სუბ. პირის ნიშნის ანალოგიური სახეცვლილებანი ლაზურსა და მეგრულში: ქართ. -ა სუფიქსის შესატყვისად ლაზურში -**უ** გვაქვს, მეგრულში - **-უ** და **გ**. ამასთან, ლაზურში (ათინურში) დასტურდება ამოსავალი -**ო** ხმოვანიც: კრიო (ჩიქ., II, 121) „იკვილა“, დუხენო (ჩიქ., II, 121) „გაუკეთა“, იგზალო (ჩიქ., II, 121) „წავიდა“ (კრიუ, დუხენუ, იგზალუ ფორმების ნაცვლად) [კარტოზია, 2004, 63].

მორფოლოგიურად უფუნქციო **ო**-ს ხმარების შემთხვევები **ი**. ყიფშიძისა და ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ათინურ ტექსტებში საგანგებოდ აქვს აღნიშნული და წარმოდგენილი არნ. ჩიქობავას. მაგ.:

ო:

სერის(ო) დიდაქ(ო) თხვერი შუმტუ (ყიფშ., 78) „ღამე დედაბერი ნართით („ნართს“) ქსოვდა; ჰიმდოს ჰიმ დიდაქო ჰამუს უკიოუ (ყიფშ., 83) „მაშინ იმ დედაბერმა ამას უკივლა“; უკაჩხე ჭუმანი დიოუ. მოისელესო, - „ჩოის ჩქიმიშა ვიდარე“, - თქუ დილენჩიქ (ყიფშ., 76) „მერე გათენდა. ადგენ. „ჩემს სოფელში წავალ“, - თქვა მათხოვარმა“; ოფშა ნეძი ულუნო, მევიხირათერე! (ყიფშ., 77) „ბევრი ნიგოზი აქვს, მოვიპართ“...

უ:

„ბოზუმოთა მი მეზუშქვათუ“, თქვეს(უ), „ჩოური იმამი მეზუშქვათუ“ (ჩიქ., II, 118) „გოგო ვის დავუტოვოთ? - თქვეს. სოფლის იმამს დავუტოვოთ; ხაჯილულიშა მენდახთესუ (ჩიქ., II, 118) „ჰაჯობაზე წავიდნენ“; ბოზომოთა სქანი ოროსპილული იქუმსუ (ჩიქ., II, 118) „შენი ქალიშვილი უსაქციელობს („ბოზობას იქმს“; ქე, და შქიმი, ბაბა შქიმი გიოსამსუ, ჭუმანი ბიდათენუ“ (ჩიქ., II, 118) „ჰე, ჩემო დაო, მამაჩემი გეძახის, ხვალ წავიდეთ“; დალი ქა დაჩხური

ოგზენუ (ჩიქ., II, 118) „ტყეში ცეცხლი ანთია“; **წირი იგზალესუ** (ჩიქ., II, 119) „ყველა წავიდა“; **ოშქური ქომეჩესუ** (ჩიქ., II, 118) „ვაშლი მისცეს“...

ი:

ჰიმ **ბექჩისი** წარ ბოზუმოთა-თი ქუცონუ (ჩიქ., II, 124) „იმ გამზრდელს ერთი ქალიშვილიც ჰყავს“; **ცამანი ვროსი წორდითი!** (ჩიქ., II, 125) „იცოდეთ, კარგად გაზარდეთ!“; არ გარი **ოფშკომათი** (ჩიქ., II, 127) „ერთი საჭმელი შევჭამოთ“...

გ:

ჰუს **დელიქე** მორდერი კუკმათე წარი ქონობუ (ყიფშ., 79) „ახლა გიჟმა დიდი თუნგით წყალი ჩამოკიდა“; ჰინდოს ა გამატახერი კალათი **დელიქე** ქეჭოფუ (ყიფშ., 79) „მაშინ ერთი გამოტე-ხილი კალათი აიღო გიჟმა“...

მეგრულში ირიბ ბრუნვებს (ნათესაობითის გამოკლებით) რომ ი-ს პარალელურად გ და უ დაერთვის, ეს შენიშნული აქვს ი. ყიფშიძესაც. იგი მიუთითებს, რომ ი, გ, უ ხმოვნები თანხმოვნით დამთავრებულ ზმნურ ფუძეებსაც დაერთვის, მაგ.: ჭარუნს-ი || ჭარუნს-გ || ჭარუნსუ „წერს“. ეს ხმოვნები როგორც სახელებში, ისე ზმნებში მას უფუნქციო ელემენტებად მიაჩნია და თვლის, რომ ისინი გამოთქმის გასაადვილებლად ჩნდება სახელისა და ზმნის თანხმოვნურ დაბოლოებებში.

მეგრულში ემფატიკური ხმოვნის ფუნქციით გხვდება ი, უ, გ მოთხრობითთან, მიცემითთან, მოქმედებითთან, ვითარებითთან და დანიშნულებითთან.

ამდენად, ძირითად ფორმებთან ერთად ფაკულტატიურად შეიძლება გვქონდეს პარალელური ფორმები: კოჩქი || კოჩქე || კოჩქუ „კაცმა“, კოსი || კოსგ || კოსუ „კაცს“...

სახელთა ყველა ირიბ ბრუნვას არ ერთვის გ და უ. ნათესაობითის -შ ელემენტს მხოლოდ ი ხმოვანი ერთვის და მას არ შეიძლება შეენაცვლოს გ ან უ. შეუძლებელი ფორმებია: კოჩიშე, კოჩიშუ.

მაგ.:

-უ:

სქანი ჭირი ჩქიმი **დუსუ** (ქხს, 1, 41) „შენი ჭირი ჩემს თავს“; **დუცუ** ჭიჭე ორკე ქიმეჩეს (ყიფშ., 106) „თავზე პატარა სარკმელი (სარკე) მისცეს“; ვავორეჟე ჩქიმი **ხუსუ** (ყიფშ., 125) „არ ვარ გუნებაზე, ხასიათზე (ჩემს მხარზე)“...

-ი:

დიასკანქი მუშა რხუ? (ქხს, 1, 128) „დედაშენმა რად გშვა?“; **დორონთი** აკეთენსო კოსუ დო ეშმაკი? (ყიფშ., 6) „დმერთი აკეთებს კაცს თუ ეშმაკი?“; უბადო **შურიში** წგ რდეს ოჩხუპუ, ჯვემე მოძუნა ნირზება დო წყინი (ეგრისი, 132) „ბოროტი სული წმინდანს ებრძვის, ძველთაგან მოსდგამთ ჟინი და წყენა“.

-გ :

ლეკური გეშანწყე დო **ქარქაშისე** ქედილააგე (ცაგ., 13) „ლეკური ამოიღო და ქარქაშში ჩააგო“. მურქუ **ბოშიქე** ლეკური დო შქააბანსე გოჭკირე (ცაგ., 11) „მოუქნია ბიჭმა ლეკური და შუა ადგილას გაჭრა“; **კოცე არგუნე** უკებუ დო **დიშქასე** კვათე ნცე „კაცს ცული უჭირავს (ხელში) და შეშას ჭრის“; უწუუ **ახვალამირი კოჩქე** (ყიფშ., 23) „უთხრა შეხვედრილმა კაცმა“; მუზარბიში **გეჟ ვენჯქე** ხათე ხოლო გაგმიჟ უნუ რაში (ქხს., 2, 48) „მუზარბიის მემკვიდრემ (მიმყოლმა) მაშინათვე გამოიყვანა რაში“; **დემქე** იხუ (ცაგ., 60) „დევმა იუკადრისა“; **ხოჩქე** მუჭო **მორჯგინასე** ? (ყიფშ., 171) „ხარმა როგორ მაჯობოს?“; დარიბი კოჩიში **ხოცე** ქა ვეაღენია (ხალხ. სიბრ., 1, 147) „დარიბი კაცის ხარს რქა არ ამოუვაო“; სუმი **შხურქე** სუმი ხუუ (ყიფშ., 185) „სამმა ცხვარმა სამი დაბადა“; **გურსე** მაჭუ, **დუდსე** მაჭუ (ყიფშ., 118) „გულში მტკივა, თავში მტკივა“; **დუცე** მერკვათ ნინათია (ხალხ. სიბრ., 1, 41) „თავს მოგჭრი ენით“; ჯაში **ჯინცე** ართი კოჩი ქიგიტორე თუდო (ყიფშ., 14) „ხის ძირას ერთი კაცი (კი) დგას ქვევით“.

გ. კარტოზიას აზრით, ნათესაობითი ბრუნვის ფორმაზე დართული **ი** ხმოვანი არ შეიძლება გავუტოლოთ სხვა ირიბ ბრუნვებში მოცემულ **ი-ს**, რადგან მას ამ პოზიციაში არასოდეს არ ცვლის **უ** და **გ...** **ი** არ უნდა იყოს ემფატიკური დაბოლოება. საქმე ის არის, რომ ჯერ ერთი, ნათესაობითში წარმოჩენილი **ი** სულ სხვა ოდენობაა, ვიდრე დანარჩენ ირიბ ბრუნვებში გამოვლენილი **ი** (კოჩ-**ი**-თი, კოს-**ი**-თი); მერეა და, თვით ქართულში ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითის (წყაროს-**ი**) -**ი** არ უნდა წარმოადგენდეს ემფატიკურ ხმოვანს [კარტოზია, 2004, 63].

მაგრამ რამდენად შეიძლება იყოს ხმოვნის ემფატიკურობის განმსაზღვრელი ის ფაქტორი, თუ რამდენად იცვლის იგი ფონეტიკურ იერს?

მეორეც: რა უნდა იყოს ეს **ი**, თუ არა ემფატიკური (ნართაული, პროსოდიული) ხმოვანი?

ქართულ ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობით ბრუნვაზე დართულ **-ი-ს** (წყარო-**ს-ი**) ა. შანიძე სახელობითის ბრუნვად მიიჩნევს [შანიძე, 1953, 68].

ასევე სახელობითის ნიშნად მიიჩნევს გ. კარტოზია ნათესაობითი ნიშნის შემდეგ წარმოდგენილ **ი-ს** მეგრულსა და ლაზურში (ჯა-შ-**ი**).

ქართულისთვისაც და ლაზურ-მეგრულისთვისაც ამგვარ დაკავშირებას წინააღმდეგობამდე მივყავართ: მორფოლოგიური სისტემისთვის დაუშვებელია ორი იდენტური ფორმამაწარმოებელი ფუნქციის მორფემათა გვერდიგვერდ არსებობა, ფუნქციური დუბლირება: ამ შემთხვევაში წინა მორფემა სიტყვამაწარმოებელ მორფემად რეინტერპრეტირდება („ბრუნვიან ფორმათა მთლიან სისტემაში, როდესაც ბრუნვის ნიშნის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი მოექცევა, ეს უკანასკნელი ბრუნვის გამოხატვის ფუნქციას კარგავს და მაშინვე რეინტერპრეტირდება წარმოქმნის ელემენტად“ [უთურგაიძე, 1983, 6]. ამის ნათელი მაგალითია წარმოქმნილ სახელთა ის ჯგუფი, რომელთაც **ბრუნვის აფიქსებით წარმოქმნილ სახელებს** უწოდებენ: პურ-**ი** – პურ-ად / პურად-**ი**, გულ-**ი** – გულ-ად / გულად-**ი**... პურ-**ი** - პურ-ად, გულ-**ი** – გულ-ად... ფლექსიური სისტემის წევრებია, ხოლო პურადი და გულადი დერივაციული სისტემისა.

ამ პრინციპს თუ ბოლომდე მივყვებით, ძალიან გართულდება, ვთქვათ, სუბსტანტიური შებრუნებული რიგის მსაზღვრელის მორფოლოგიური სტატუსის დადგენა კიზიქ ჯაშიქ „კოვზმა ხისამ“, ბეჭედიქ ორქოშიქ „ბეჭედმა ოქროსამ“... ტიპის ფორმებში. აქ ჯა-შ-**ი-ქ**, ორქო-შ-**ი-ქ**... უნდა განვიხილოთ, როგორც ნათესაობით-სახელობით-მოთხრობითი ბრუნვა, რაც ნამდვილად არ იქნება რაციონალური გადაწყვეტა საკითხისა.

ნათესაობითის ფორმებში დადასტურებული ბოლოვიდური **-ი**, არნ. ჩიქობავას შეფასებით, ემფატიკური ხმოვანია, იგივე ოდენობა, რაც არის **-ი** ქართულის ფუძეუკვეცელი სახელების ნათესაობითში (წყაროს-**ი**, ყრუს-**ი**, პეტრეს-**ი**, შოთას-**ი**) და ფუნქციურად ემფატიკური **ა-ს** (მდინარის-**ა**) ტოლფასია. მკვლევრის აზრით, ემფატიკური **-ი** მეგრულ-ლაზურში ნათესაობითის მსგავსად დაერთვის სხვა, ირიბ ბრუნვებსაც: „მეგრულში ასევე ხშირია ის მოქმედებითში, არ არის უცხო მიცემითისა და მოთხრობითისათვის: კოჩით(ი), კოს(ი), კოჩქ(ი). დამოუკიდებელივ აღებულ ბრუნვებში ეს **-ი** უფრო მკვიდრია, სხვა სიტყვასთან ხმარებისას კი იჩრდილება; მეტადრე ეს ითქმის ნათესაობითი ბრუნვის შესახებ; მაგრამ საკმარისია **-ცა** ნაწილაკი დაუშვამათ და **-ი** ყველა ხსენებულ ბრუნვაში ნათლად იგრძნობა: კოჩი-თი (კაციც), კოჩიში-თი (კაცისაც), კოსი-თი (კაცსაც), კოჩქი-თი (კაცმაც)... ეს **-ი** მეგრულისა (და ჭანურის) ემფატიკური დაბოლოებაა, ე. ი. იმავე ღირებულების მქონეა, როგორც ქართული **-ა**: კაც-ისა, კაც-ითა, კაც-სა“ [ჩიქობავა, 1936, 54].

ფუნქციის თვალსაზრისით თუ შევადარებთ ერთმანეთს ქართულ ემფატიკურ -ა-სა და ფუძეუკვეცელთა ნათესაობითის ფორმაზე დართულ -ი-ს, მსგავსებას ნამდვილად დავინახავთ. ასეთივე მსგავსებაა ლაზურ-მეგრულში ნათესაობითის ფორმაზე დართულ -ი-სა და სხვა, ერთსულოვნად ემფატიკურად ჩათვლილ -ი-ს შორის ფუნქციის თვალსაზრისით.

ლაზურ-მეგრული **ო/უ >/ გ/ი** იგივე მონაცემი ჩანს, რაც ქართულში არის ემფატიკური ა ბრუნვის ნიშნის შემდგომ და შესატყვისობაც დაცულია: ქართ. **კაცის(ა) : ზან. კოჩიშ(გ)/ი...**

აღბათ არ იქნება ალოგიკური, თუ ქართული ნათესაობითის ემფატიკურ -ი-ს ლაზურ-მეგრულ -ი-სთან დავაკავშირებთ და ჩავთვლით, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება ქართული **ყალიბის სესხებასთან** გვექონდეს საქმე, ყალიბისა, რომელსაც ასეთი სახე აქვს: **უკვეცილი ფუძე +ნათ. ბრ. ნიშ. + ი.**

შეიძლება სწორედ ამით აიხსნას ის ფაქტი, რომ ლაზურში **ო, უ, გ** ხმოვნები შეზღუდულად გამოიყენება, მხოლოდ ათინურ-ართაშენულ კილოში გვაქვს, – ეს იმ დროს, როცა ნათესაობითში -ი ჩვეულებრივია ყველა კილოსთვის. ერთსა და იმავე პოზიციაში, ვთქვათ, -თი „-ცა“ ნაწილაკის წინ, სხვა ირიბ ბრუნვებში **ი, ო, უ, ი, გ** არ ჩანს, ნათესაობითში კი -ი აუცილებლად გვაქვს: კოჩიქთი „კაცმაც“, კოჩის-თი „კაცსაც“, მაგრამ კოჩიშთი „კაცისაც“ [კარტოზია, 2004, 61].

აღსანიშნავია, რომ ქართულ ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითში -ი აუცილებელი დაბოლოებაა, ხოლო ლაზურსა და მეგრულში იგი ფაკულტატიურად გვხვდება: **ჯაში/ჯაშ.** ამას აღბათ ის გარემოებაც უწყობს ხელს, რომ ქართულისგან განსხვავებით აქ არ დგას მიცემითისა და ნათესაობითის ფორმოზრივი დამთხვევის საშიშროება; შდრ.: მიც. **ჯას**, ნათ.: **ჯაში/ჯაშ.**

ქართულში ემფატიკური ხმოვნის გამოვლინება გარკვეული ფაკულტატიურობით ხასიათდება: ამას არა აქვს სისტემური და რეგულარული ხასიათი, გამოკვეთილი ფუნქციური დატვირთვა. მაგრამ ეს არის შემთხვევათა მხოლოდ ერთი წყებაში.

შეიძლება მსჯელობა მის ფუნქციაზეც: ეს შესაძლებელია მაშინ, როდესაც ამ ელემენტის გამოყენება აუცილებლობით არის ნაკარნახევი: თანხმომავანფუძიან სიტყვებში -ც ნაწილაკის წინ (კაცმაც), -ვით თანდებულიან მიცემითის ფორმებთან – ხმომავანფუძიანებთან (მმასავით); ნათ. ბრუნვაში დასმულ სახელთან, თუ ის საზღვრულს მოსდევს (ძალა სიყვარულისა); შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილთან (კარგადაა) და სხვ.

ასევე იკვეთება ემფატიკური ხმოვნების ფუნქცია ლაზურსა და მეგრულშიც.

ი. ყიფშიძე **ი, გ, უ** ხმოვნებს როგორც სახელებში, ასევე ზმნებში მორფოლოგიურად უფუნქციო ელემენტებს უწოდებს და თვლის, რომ ისინი გამოთქმის გასაადვილებლად ჩნდება სახელისა და ზმნის თანხმომავან დაბოლოებებში [ყიფშიძე, 1914, 012].

ს. ჟღენტი ეთანხმება ი. ყიფშიძეს იმასთან დაკავშირებით, რომ **ი, გ, ო||უ** ხმოვნები მორფოლოგიურად უფუნქციოა, მისთვის ეს არის „პარაზიტული“ ხმოვნები [ჟღენტი, 1953, 177].

პროსოდული ხმოვნების მეშვეობით ლექსებში მარცვლის რაოდენობა იზრდება (იხ. მარი, 1910), ანუ ხდება მარცვალთრაოდენობის რეგულირება საჭიროების მიხედვით;

მაგ:

ვალურედათ იში მეტი, ჩქიმდე სახელქ **ვაგადასი** (სამუშ., 1, 264) „არ მომიკვდეთ (იმის მეტი), ჩემგან სახელი ვერ წაიღო“; უბედურ დო ბედნიერც ართო **ნოღვედესგ** შარა (სამუშ., 1, 116) „უბედურსა და ბედნიერს ერთად ჰქონიათ გზა“...

ამავე მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს, ვთქვათ, ზმნის პირის ნიშნის – უ-ს მოკვეცა.

სხვა უფრო ხელშესახები და არსებითი (არამორფოლოგიური) ფუნქციაც ეძებნება ემფატიკურ ელემენტებს, რის გამოც (ისევე როგორც ქართულში) ისინი აუცილებლად დასტურდება სათანადო ფორმაში; ასეთია, ვთქვათ, **ნაწილაკების** დართვის შემთხვევა: კოჩქია „კაცმაო“, ოსურცია „ქალსაო“... კოჩქით/კოჩქე თ „კაცმაც“, ოსურსით/ოსურსე თ „ქალსაც“... მეურსია „მიდისო“, ჭარუნსია „წერსო“... მაგ.:

ათე **კოსე თი** შევაგონი (ყიფშ., 6) „ამ კაცსაც შევაგონე“; ნანავა, ათაშინეჲ ქიმინუა ართი **კოჩქია** (ხუბ., 233) „შვილო (დედაო), ასე (ასეთნაირად) გააკეთაო ერთმა კაცმა“; ჩქიმი **მუმაქია** ათაშინეჲ მიწუა (ხუბ., 223) „ჩემმა მამამო ასე მოთხრაო“...

I.1.11. სახელთა ბრუნება და ბრუნების ტიპები

ლაზურში გვაქვს თანხმოვანფუძიანი და ხმოვანფუძიანი სახელების პარადიგმები (შდრ.: [ჩიქობავა; კარტოზია...]);

ერთი შეხედვით (სახელთა მხოლოდობითი რიცხვის ფორმაწარმოებიდან გამომდინარე), ისე ჩანს, თითქოს ხმოვანფუძიანებსა და თანხმოვანფუძიანებს შორის ფორმალური სხვაობა არ იყოს, თითქოს არის **მხოლოდ ერთი** – ხმოვანფუძიანთა ბრუნების პარადიგმა:

	„კაცი“	„ფეხი“	„მიწა“	„სკამი“	„კატა“
სახ.	კოჩი	კუჩხე	ლეტა	ორძო	კატუ
მოთხრ.	კოჩი-ქ	კუჩხე-ქ	ლეტა-ქ	ორძო-ქ	კატუ-ქ
მიც.	კოჩი-ს	კუჩხე-ს	ლეტა-ს	ორძო-ს	კატუ-ს
ნათ.	კოჩი-შ(ი)	კუჩხე-შ(ი)	ლეტა-შ(ი)	ორძო-შ(ი)	კატუ-შ(ი)
მოქმ.	კოჩი-თე(ნ)	კუჩხე-თე(ნ)	ლეტა-თე(ნ)	ორძო-თე(ნ)	კატუ-თე(ნ)

მიმართ.	კოჩიმ-ა	კუჩხემ-ა	ლეტამ-ა	ორძომ-ა	კატუმ-ა
დაშორ.	კოჩიმ-ე(ნ)	კუჩხემ-ე(ნ)	ლეტამ-ე(ნ)	ორძომ-ე(ნ)	კატუმ-ე(ნ)
მიზ.-მიზნ.	კოჩიმ-ენ(ი)	კუჩხემ-ენ(ი)	ლეტამ-ენ(ი)	ორძომ-ენ(ი)	კატუმ-ენ(ი)

შდრ.:

ხმოვანფუძიანთა ბრუნების პარადიგმა **მეგრულში**:

	„მიწა“	„სახლი“	„ოქრო“	„კატა“
სახ.	დიხა	წუდე	ორქო	კატუ
მოთხრ.	დიხა-ქ	წუდე-ქ	ორქო-ქ	კატუ-ქ
მიც.	დიხა-ს	წუდე-ს	ორქო-ს	კატუ-ს
ნათ.	დიხა-შ(ი)	წუდე-შ(ი)	ორქო-შ(ი)	კატუ-შ(ი)
მოქმ.	დიხა-თ(ი)	წუდე-თ(ი)	ორქო-თ(ი)	კატუ-თ(ი)
ვით.	დიხა-თ(ი)	წუდე-თ(ი)	ორქო-თ(ი)	კატუ-თ(ი)

მიმართ.	დიხაშ-ა	სუდეშ-ა	ორქოშ-ა	კატუშ-ა
დაშორ.	დიხაშ-ე	სუდეშ-ე	ორქოშ-ე	კატუშ-ე
დანიშნ.	დიხაშ-ო(თ)	სუდეშ-ო(თ)	ორქოშ-ო(თ)	კატუშ-ო(თ)
მიზ.-მიზნ.	დიხაშ-ენ(ი)	სუდეშ-ენ(ი)	ორქოშ-ენ(ი)	კატუშ-ენ(ი)

ზევით, სახელის ფუძესთან დაკავშირებით იყო მსჯელობა იმაზე, თუ რა სტატუსი უნდა ჰქონდეს ლაზურ-მეგრულ კოჩი ტიპის სახელებს. ეს არის **თანხმოვანფუძიანი** სახელები, რაც კარგად ჩანს მრავლობითისა (ლაზურშიც და მეგრულშიც) და ვითარებითი ბრუნვის მონაცემებით (ლაზური ვითარებითის კანტიკუნტად გამოვლენილ ფორმებს ამ შემთხვევაში მაინც აქვს არგუმენტის ძალა).

ერთი სიტყვით, ბრუნვათა წარმოდგენილ სისტემიდან **კოჩი** სახელის პარადიგმა ამოსაღებია (მისი სახელობითია კოჩ-ი და არა კოჩი), ის წარმოსადგენია თანხმოვანფუძიანთა ბრუნების პარადიგმაში.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ **ბრუნების ერთ ტიპში ვერ მოექცევა ყველა სახელი ლაზურშიც.**

ხმოვანფუძიანი სახელი ფუძეუკვეცელია ლაზურში: მხოლობითსა და მრავლობითში.

მეგრულში -ა, -ე, -ო, -უ ხმოვნებზე ფუძეგათავებული სახელები უცვლელად ინარჩუნებენ ფუძეს **მხოლოდ მხოლობით რიცხვში**, მრავლობითში კი მათ შორის სხვაობაა: -ა-ფუძიანები **ფუძეუკვეცადებია**, ხოლო ე-, ო- და უ-ფუძიანები **ფუძეუკვეცელები**:

	„მიწები“
სახ.	დიხ-ეფ-ი
მოთხრ.	დიხ-ეფ-ქ ⁶
მიც.	დიხ-ეფ-ს
ნათ.	დიხ-ეფ-იშ(ი)
მოქმ.	დიხ-ეფ-ით(ი)
ვით.	დიხ-ეფ-ო(თ)
მიმართ.	დიხ-ეფ-გშ-ა
დაშორ.	დიხ-ეფ-გშ-ე
დანიშნ.	დიხ-ეფ-გშ-ო(თ)
მიზ.-მიზნ.	დიხეფ-გშ-ენ(ი)

	„სახლები“	„ოქროები“	„კატები“
სახ.	სუდე-ეფ-ი	ორქო-ეფ-ი	კატუ-ეფ-ი
მოთხრ.	სუდე-ეფ-ქ	ორქო-ეფ-ქ	კატუ-ეფ-ქ
მიც.	სუდე-ეფ-ს	ორქო-ეფ-ს	კატუ-ეფ-ს
ნათ.	სუდე-ეფ-იშ(ი)	ორქო-ეფ-იშ(ი)	კატუ-ეფ-იშ(ი)
მოქმ.	სუდე-ეფ-ით(ი)	ორქო-ეფ-ით(ი)	კატუ-ეფ-ით(ი)
ვით.	სუდე-ეფ-ო(თ)	ორქო-ეფ-ო(თ)	კატუ-ეფ-ო(თ)

⁶ ამ ეტაპზე ყურადღებას არ ვამახვილებთ იმ ფონეტიკურ პროცესებზე, რაც შეიძლება მოსდევდეს მრავლობითისა და ბრუნვის ნიშნების შეხვედრას.

მიმართ.	სუდე-ეფ-გშ-ა	ორქო-ეფ-გშ-ა	კატუ-ეფ-გშ-ა
დაშორ.	სუდე-ეფ-გშ-ე	ორქო-ეფ-გშ-ე	კატუ-ეფ-გშ-ე
დანიშნ.	სუდე-ეფ-გშ-ო(თ)	ორქო-ეფ-გშ-ო(თ)	კატუ-ეფ-გშ-ო(თ)
მიზ.-მიზნ.	სუდე-ეფ-გშ-ენ(ი)	ორქო-ეფ-გშ-ენ(ი)	კატუ-ეფ-გშ-ენ(ი)

ეს იმას ნიშნავს, რომ მეგრულში ხმოვანფუძიანებშიც არის სხვაობა ბრუნების თვალსაზრისით: განსხვავებულ სურათს წარმოადგენენ ა-ფუძიანები და დანარჩენები (-ე, -ო, -უ-ფუძიანები).

თანხმოვანფუძიანებშიც ორი ტიპი უნდა გამოიყოს (ბრუნების ტიპების, მოდელების დადგენისას ყველა იმ დეტალს უნდა მიექცეს ყურადღება, რაც რელევანტურია ტიპიზაციისთვის): თანხმოვანფუძიანები და ი-ჩანართიანი⁷ თანხმოვანფუძიანები (ეს ის სახელებაა, რომელთაც -ი-ს გარეშე არ ეწარმოებათ მოთხრობითისა და მიცემითის ფორმები). ამ ორი კატეგორიის სახელებს შორის ზოგჯერ მკვეთრი ზღვარი არ არის: სახელი შეიძლება ერთ შემთხვევაში ჩვეულებრივი თანხმოვანფუძიანის პარადიგმით იბრუნებოდეს, ხოლო მეორე შემთხვევაში (შეიძლება ითქვას, პარალელურად), ი-ფუძიანების ბრუნების წესით. ამის კლასიკური მაგალითია კოჩი, რომლის მოთხრობითში გვექნება კოჩი-ქ || კოჩ-ქ, თუმცა მიცემითში თავს იჩენს სუპერაციის განსხვავებული რესურსის გამოყენების საჭიროება და ამის შედეგია კო-ს (< კოჩ-ს) ფორმა.

თანხმოვანფუძიანთა ბრუნება:

	„გული“	
სახ.	გურ-ი	გურ-ეფ-ი
მოთხრ.	გურ-ქ	გურ-ეფ-ქ
მიც.	გურ-ს	გურ-ეფ-ს
ნათ.	გურ-იშ(ი)	გურ-ეფ-იშ(ი)
მოქმ.	გურ-ით(ი)	გურ-ეფ-ით(ი)
ვით.	გურ-ო(თ)	გურ-ეფ-ო(თ)
მიმართ.	გურ(ი)შ-ა	გურ-ეფ-(ი)შ-ა
დაშორ.	გურ(ი)შ-ე	გურ-ეფ-(ი)შ-ე
დანიშნ.	გურ(ი)შ-ო(თ)	გურ-ეფ-(ი)შ-ო(თ)
მიზ.-მიზნ.	გურ(ი)შ-ენ(ი)	გურ-ეფ-(ი)შ-ენ(ი)

შდრ. ი-ჩანართიანთა ბრუნება:

სახ.	ძღაბ-ი	ძღაბ-ეფ-ი
მოთხრ.	ძღაბი-ქ	ძღაბ-ეფ-ქ
მიც.	ძღაბი-ს	ძღაბ-ეფ-ს
ნათ.	ძღაბ-იშ(ი)	ძღაბ-ეფ-იშ(ი)
მოქმ.	ძღაბ-ით(ი)	ძღაბ-ეფ-ით(ი)
ვით.	ძღაბ-ო(თ)	ძღაბ-ეფ-ო(თ)

⁷ ასე ვუწოდებთ სახელებს, რომელთაც მოთხრობითსა და მიცემითში თანხმოვანთგამყარი -ი- უდასტურდებათ.

მიმართ.	ძღაბ(ი)შ-ა	ძღაბ-ეფ-გშ-ა
დაშორ.	ძღაბ(ი)შ-ე	ძღაბ-ეფ-გშ-ე
დანიშნ.	ძღაბ(ი)შ-ო(თ)	ძღაბ-ეფ-გშ-ო(თ)
მიზ.-მიზნ.	ძღაბ(ი)შ-ენ(ი)	ძღაბ-ეფ-გშ-ენ(ი)

ბრუნების ტიპებად სახელთა კლასიფიცირებას ფუძისა და ბრუნვის აფიქსთა ურთიერთ-მოქმედების წესები ედება საფუძვლად. ქართულში სახელთა ბრუნებისას სამ შემთხვევაზე ამახვილებენ ყურადღებას: ა) არც ბრუნვის ნიშანი მოქმედებს ფუძეზე და არც ფუძე ბრუნვის ნიშანზე; ბ) ბრუნვის ნიშანი მოქმედებს ფუძეზე; გ) ფუძე მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე.

ეს შემთხვევები შეიძლება ზოგად პრინციპებად მივიღოთ და ლაზურ-მეგრულ მასალაზეც განვაზოგადოთ. ანუ, მთავარი მომენტებია: პირველი – რამდენად უცვლელია სახელის ფუძე და თუ იცვლება, როგორ: კუმშვის თუ კვეცის თვალსაზრისით; მეორე – რამდენად იცვლება ბრუნვის ნიშანი.

ეს ერთი შეხედვით მარტივი საკითხი საკმაოდ ბევრ ნიუანსს წარმოაჩენს.

კვეცის დეფინიცია გავიხსენოთ: კვეცა არის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის რედუცირება ბრუნვის ნიშნის გავლენით. ფუძე, რომელმაც შეიძლება ბოლოკიდური ხმოვანი დაკარგოს, არის კვეცადი, ანუ, **კვეცადობა არის ფუძის პოტენციალი, რომელიც გარკვეულ შემთხვევებში რეალიზდება.**

კუმშვის დროსაც რედუცირდება ხმოვანი, მაგრამ ეს ხმოვანი ფუძის შიგნითაა (ქართ. მამალ-ის > მამლ-ის). კუმშვა და კვეცა ერთი და იგივე ფონეტიკური მოვლენაა, ორივე ფუძე – კვეცადიც და კუმშვადიც **რედუცირებადი ფუძეა.** განსხვავება მხოლოდ რედუცირებადი ხმოვნის პოზიციამია, – თუ ფუძის ბოლო ხმოვანი იკარგება, ამას **კვეცას** ვუწოდებთ, სხვა შემთხვევაში **კუმშვა** გვაქვს.

აკაკი შანიძე წერს: „კვეცა ხდება მხ. რიცხვის ორ ბრუნვაში: ნათ.-სა და მოქ.-ში და ებ-იანი მრავლობითის ყველა ბრუნვაში. მხ. რიცხვის ორი დასახელებული ბრუნვისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ა მოუდის ფუძეს ბოლოში, თუ ე; ებ-იანი მრავლობითის წარმოებისათვის კი ამას მნიშვნელობა აქვს: თუმცა აქ ორივე ხმოვნით გათავებული ფუძეები თანხმოვნიან სახელთა ჯგუფში გადადის, მაგრამ განსხვავება მათ შორის ის არის, რომ ა იკვეცება, ე კი – არა. ამის მიხედვით ე-ნიანი სახელები ფუძე-უკუმშველ სახელებს ეკედლება, ა-ნიანი კი ფუძე-კუმშვადებს“ [შანიძე, 1980, 61].

ამგვარი ანალიზით, ქართულში ა-ფუძიანები **მხოლოდობითში კვეცადები გამოდის, ხოლო მრავლობითში – კუმშვადები:** გვაქვს მიწ-ებ-ი < მიწ-ა-ებ-ი... ე. ი. ფუძეა მიწებ - დაკარგული ა ხმოვანი ფუძის შიგნით იყო და არა ფუძის ბოლოს (საზოგადოდ, ფუძე არის სახელის ის ნაწილი, რომელიც ბრუნვის ნიშნის წინ ჩანს. სრულად სახელის ფუძე ჩანს მოთხრობითში ან მიცემითში).

ე-ფუძიანები მხოლოდობითში კვეცადებია, ხოლო მრავლობითის მიხედვით – ფუძეუკუმშველები.

თუმცა ერთიცა და მეორეც ფუძეკვეცადი სახელების ჯგუფში შედის, ანუ: კვალიფიკაციის მიცემისას მეტი ყურადღება ექცევა მხოლოდობითის ჩვენებას, რაც ალბათ ამგვარი ანალიზის რაციონალურობაზე ნაკლებად მეტყველებს.

მრავლობითის პარადიგმამ ერთი შეხედვით ნათელი და მარტივი სიტუაცია წინააღმდეგობრივი გახადა (გამოდის, რომ ა-ფუძიანი სახელები კვეცადიც არის და კუმშვადიც –

რიცხვის მიხედვით, ხოლო ე-ფუძიანები კვეცადი და უკუმშველი – შეფასება „უკუმშველი“ იქიდან მომდინარეობს, რომ -ებ-იან მრავლობითში ყველა სახელი თანხმოდანფუძიანია).

ლაზური კოჩი ფორმის -ი-, როგორც აღინიშნა, არ ჩანს მრავლობითის ფორმაში. „ერთადერთი შემთხვევა გვაქვს მრავლობითში, როდესაც -ეფ-სუფიქსის ზეგავლენით იკარგება ბოლოკიდური -ი და -ე (კოჩ – კოჩეფე; კუჩხე – კუჩხეფე); მაგრამ ეს -ი და -ე ფუძისეული არ არის, სახელობითის დაბოლოებაა“, – წერს არნ. ჩიქობავა [ჩიქობავა, 1936, 57-58].

ლოგიკის მიხედვით, თუ მხოლოდობითის ფუძეში დადასტურებული ი დაბოლება მრავლობითის ფუძეში აღარ ჩანს, ბუნებრივია ამას მიეცეს კვეცის კვალიფიკაცია: კვეცა არის ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის დაკარგვა ბრუნვისა და რიცხვის აფიქსის გავლენით.

მაგრამ ასე შეიძლება გვეფიქრა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მრავლობითისთვის ამოსავლად არა მხოლოდობითის ფუძეს, არამედ მხოლოდობითის სრულ ფორმას დავუშვებდით.

სხვაგვარად: მრავლობითის ნიშანი ერთვის არა სახელობითი ბრუნვის ფორმას, არამედ სახელის ფუძეს მხოლოდობით რიცხვში.

გავრცელებული თვალსაზრისით, „არც კუმშვა, არც შეკვეცა ჭანურში სახელის ფუძემ არ იცის: არც ფუძის შიგნით, არც ფუძის ბოლოს ბრუნების პროცესში ხმოვანი არ იკარგება“ [ჩიქობავა, 1936, 57-58].

ეს იმას ნიშნავს, რომ სახელის ფუძე ფორმაუცვლელია. თუმცა, როგორც ჩანს, არის საფუძველი, ვიმსჯელოთ განსხვავებულ ფუძეებზე იმის მიხედვით, ფუძის ბოლოს ხმოვანი გვაქვს თუ თანხმოდანი.

ლაზურში ბრუნების ორი ტიპის გამოყოფა შეიძლება: ხმოვანფუძიანების (ფუძეუკვეცელებისა) და თანხმოდანფუძიანების.

პირველ ჯგუფში შედის სახელები, რომელთაც ფუძე უმთავრდებათ ო-ზე, უ-ზე, ა-ზე, ე-ზე:

ოქრო... შდრ.: ოქრო-ფე...

კატუ... შდრ.: კატუ-ფე...

დიხა... შდრ.: დიხა-ფე...

ძუძუ... შდრ.: ძუძუ-ფე...

ფუძეუკვეცელთა ჯგუფში შედის ნასესხები ი-ფუძიანი სახელებიც; გვაქვს:

დუღუნჯი „მეკორწილე“, შდრ. დუღუნჯი-ფე, კონქში „მეზობელი“ შდრ. კონქში-ფე...

მეორე მხრივ, გვაქვს: კოჩ-ი; შდრ. კოჩ-ეფე

მეგრულში შემდეგი ტიპები გამოიყოფა:

1. ხმოვანფუძიანი ფუძეუკვეცელები (სახელები, რომელთაც ფუძე უმთავრდებათ ო-ზე, უ-ზე, ე-ზე):

ორქო... შდრ. ორქო-ეფ-ი...

კატუ... შდრ. კატუ-ეფ-ი...

წუდე... შდრ. წუდე-ეფ-ი...

2. ხმოვანფუძიანი ფუძეკვეცადები (-ა-ფუძიანები):

დიხა, ცირა... შდრ. დიხ-ეფ-ი, ცირ-ეფ-ი...

3. თანხმოდანფუძიანები:

ოსურ-ი „ცოლი“, ჩხომ-ი „თევზი“... ოსურ-ქ, ჩხომ-ქ..., ოსურ-ეფ-ი, ჩხომ-ეფ-ი...

ამ ჯგუფში შედის ი-ჩანართიანი სახელებიც (მოთხრობითსა და მიცემითში ფუძის ბრუნვის ნიშნის წინ წარმოდგენილი -ი- სახელის ფუძეში შედის):

თუნთი „დათვი“, ჩიტო „ჩიტი“... თუნთი-ქ - ჩიტო-ქ... თუნთი-ს, ჩიტო-ს... შდრ.: თუნთ-ეფ-ი, ჩიტ-ეფ-ი...

I.1.12. თანდებულიანი ბრუნვები.

თანდებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსია, რომელიც დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას მდებარეობის, მიმართულების, დანიშნულების ან დასახელებულ საგანთან სხვა რაიმე დამოკიდებულების აღსანიშნავად [შანიძე, 1980, 598].

თანდებული დაერთვის არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს, ნაცვალ-სახელებს, ზმნისართებსა და სახელზმნას.

ზანურის თავისებურებას ქართულთან შედარებით შეადგენს თანდებულთა სიმცირე. სულ რამდენიმე თანდებული გვაქვს.

როგორც ზევით აღინიშნა, ზოგიერთ მკვლევარს ცალკე ჯგუფად აქვს წარმოდგენილი თანდებულიანი ბრუნვები: ა. ლომთაძე ექვს თანდებულთან ბრუნვას გამოყოფს: დაშორებითს, თანაობითს, მსგავსებით, შედარებითს, მიწევნითს, მიზნისას. ხუთი თანდებულიანი ბრუნვაა ო. ქაჯაიას სისტემაში – ა. ლომთაძისგან განსხვავებით მან დაშორებითი ნანათესაობითარ ბრუნვებში წარმოადგინა, დანარჩენი იგივეა.

თანდებულიანი ბრუნვები:

დაშორებითი	კოჩ-იმ-ე ჩქიმ-დე „ჩემგან“
თანაობითი	კოჩ-იწ-კელა კოჩ-იწ-კალა კოჩ-იწ-კუმა კოჩ-იწ-კგმა
მსგავსებითი	კოჩ-იჯ-გურა კოჩ-იჯ-გუა
შედარებითი	კოჩ-იმ-ორ-ო „კაცივით“
მიწევნითი	კოჩ-იმ-ა-ხ(ი) კოჩ-იმ-ა-ხ(გ) „კაცამდის“
მიზნის	კოჩ-იმ-ე-ნი „კაცისთვის“

[ლომთაძე, 1987, 99].

ასეთივე სისტემა აქვს წარმოდგენილი ო. ქაჯაიასაც, – იმ განსხვავებით, რომ დაშორებითი ბრუნვა აქ ნანათესაობითარ ბრუნვებშია და არა თანდებულიანებში [იხ. ქაჯაია, 2001, 58].

ა. ლომთაძე ნანათესაობითარ (ნაწარმოებ) ბრუნვებად **დანიშნულებითსა** და **მიმართულებითს** მიიჩნევს, ხოლო **დაშორებითი** (კოჩ-იმე) მისთვის თანდებულიანი ბრუნვაა და სხვა „თანდებულიან ბრუნვათა“ რიგშია წარმოდგენილი.

არნ. ჩიქობავა ლაზურში შემდეგ თანდებულებს გამოყოფს: **-კალა, -კელე,-ნი, -ქის.**

კალა:

„-**კალა** ნათესაობით ბრუნვას დაერთვის; ნიშნავს: „თან“, ჩვეულებრივად ასეთ შემთხვევაში ნათესაობითის ნიშანი იკარგება და ნათესაობითი სახელობითს წააგავს. პირველ და მეორე პირის ნაცვალსახელებთან მაინც ცხადი ხდება, რომ ეს სახელობითი არ არის: ბერე-**კალა** < ბერემ-**კალა** „ბავშვთან“; ჯუმა-**კალა** < ჯუმამ-**კალა** „მმასთან“... ჩქიმ-**კალა** „ჩემთან“, სქანი-**კალა** „შენთან“... თაზე ქაფრა გეტალანი ტუცა მჭკუდი**კალა** მუფეი კაი რენ! II, 627-8 „შემწვარი ნედლი ხამსა ცხელ მჭადთან როგორი კარგია!“ აჩქვა ქორენ ჩქიმ**კალა** არქადაში II, 79 „ერთიც („ერთი სხვაც“) არის ჩემთან ამხანაგი“... მეგრულში ეს თანდებული „**წკუმა||წკელა||წკალა**“ სახით გვაქვს; ჯიმა**წკუმა||ჯიმაწკელა**... „მმასთან“; ეს იგივე „**კალა**“-ა **წ**-დართული; ეს **წ**, ალბათ, ისეთივე წარმოშობისაა, როგორც ჭანურ „ჭკულე“-ში [ჩიქობავა, 1936, 65].

წ წარმოდგარია ნათ. ბრუნვის **შ**-სგან **კ**-ს მეზობლობაში (შდრ. მოხთუშ-კულე < მოხთუჭკულე)... მეგრული ბაღანა**წკუმე** (< ბაღანა**შკუმე**) „ბავშვთან“ **შკ** > **წკ** (ბუნებრივი კომპლექსების შექმნის ტენდენციით), ამას ადასტურებს ქვემოიძერული: ტყიწყენ, ცეცხლიწყენ (< ცეცხლისკენ), ამეიყვანოწყე (ამეიყვანოსყე) [თოფურია].

კელე:

კელე- ლაზურში გვხვდება. მას ქართულ **-კენ** თანდებულს უკავშირებენ ფუნქციითაც და „ბგერითი შედგენილობითაც“:

ასლანიშ ბიჭიმ-**კელე** აღუ ქუკათეს (II, 3819-20) „ლომის ბიჭის მხარეს („ბიჭისაკენ, ბიჭის კერძ“) საწამლავი გაურიეს... იხვეწანორენ ნოლამისაშ-**კელე** (II, 6512-13) „ხვეწნას დაიწყებენ პატარძლის მხრივ („პატარძლისკენ“)... კოჩი რენ – ქესერისთერი მუში-**კელე** კვათუმს (II, 691) „კაცი არის, (რომ) ეჩოსავით თავისკენ ჭრის (თლის)“... ჩქიმდე**კელე**... სკანდე**კელე** (II, 3825, 26) „ჩემკენ, შენკენ“.

[ჩიქობავა, 1936, 66].

ეს თანდებული დაშორებით ბრუნვასაც დაერთვის: სკანდე**კელე** „შენკენ“, ჩქიმდე**კელე** „ჩემკენ“. მეგრულში მის ნაცვლად არის „**გაინშე**“ (= კენ „გასწვრივ“), ცუდემ **გაინშე**“ სახლისკენ...

-**კალა** (ქართ. -თან) / -**კელე** (ქართ. -კენ) / -**კულე||ქულე** (ქართ. შემდეგ) დიუმეზილის ტექსტებში ბოლოკიდური ა-სა და ე-ს გარეშეა წარმოდგენილი [ჟღენტი, 1953, 176]:

ჩქიმ**კალ** (დიუმეზ., 56) „ჩემთან“; ბადი**კალ** (იქვე, 56) „ბერიკაცთან“; ნეკნაფე**კალ** (იქვე., 12) „კარებთან“; ოფუტემე**კელ** (იქვე, 7) „სოფლისკენ“; არ **კელ** (იქვე, 74) „ერთ მხარეზე“; ბადიშე**კელ** ქვა დივუ, ბოზო დო ბიჭიშ**კელ** დუზი ტუ (ჟღ., 142) „ბერიკაცის მხარეზე ქვა გაჩნდა („იქნა“) გოგოსა და ბიჭის მხარეზე მინდორი („იყო“);

-ქის:

მისი ქართული ფუნქციური შესატყვისია **-მდე/-მდის**.

დაერთვის **მიმართულებით** ბრუნვას:

ახჩამიშა-**ქის**... ქომოხთეს (II, 5120) საღამომდის მოვიდნენ... სუმ წანაშა-**ქის** შქითოში მანათი ქომეჩუდორენ (II, 3825, 26) „სამ წლამდე შვიდასი მანეთი მიუცია“... სუმ თუთაშ-**ქის** ვა მოფთინა-აა (II, 3630) „სამ თვემდე თუ არ მოვიდე-ო...“

[ჩიქობავა, 1936, 66].

მეგრულში გვაქვს **-ხ(ი/ე)** (იოსებ ყიფშიძე **-ხ**-ს პარალელურ ფორმებად გამოყოფს **ხი || ხე** ვარიანტებს (იხ. [ყიფშიძე, 1914, 0122]). ეს **ი** და **ე** ე. წ. „პარაზიტული“ ხმოვნები ჩანს:

ქუდემახი/ქუდემახ მიდაქუნუ „სახლამდე გაჰყვა“; თეშახ, აიშახ ვამიჩქულუ „აქამდე არ ვიცოდი“.

-იშ-ახ(ე) მორფემის **-ხ** საკუთრივ ზანური მონაცემი ჩანს და არა აფხაზურ-ადილეური ენებიდან ნასესხები; **-ხ** სუფიქსი ბუნებრივია მეგრულ ზმნისართებში: გოწო > გოწო-ხ, წუმო > წუმო-ხ, კინო > კინო-ხ...

-სთერი:

მისი ქართული ფუნქციური შესატყვისია **-ვით**;

დაერთვის ნათესაობითს (ბრუნვის ნიშანი არ ჩანს):

ჩქიმი-სთერი (ჩემსავით), სქანი-სთერი (შენსავით), ჯუმასთერი „ძმასავით“; იმ კოჩი-სთერი „იმ კაცსავით“, ასთერი „ასეთი“.

„უფრო ზუსტი იქნებოდა, – წერს არნ. ჩიქობავა, – ზემოხსენებული მაგალითები გადმოგვეთარგმნა, როგორც: „ჩემი მსგავსი, ჩემისთანა... შენი მსგავსი, შენისთანა... ძმის მსგავსი, ძმისთანა... იმ კაცის მსგავსი, იმ კაცისთანა... მართალი თანდებულის შესახებ აქ ლაპარაკი მხოლოდ პირობით შეიძლება [ჩიქობავა, 136, 66].

ხოფური **რ**-ს კარგავს: კოჩისთერი „კაცივით“, სქანისთერი „შენსავით“, ბერესთერი „ბავშვივით“... თალიბეფე ქოთუმესთერი გოხთიმუს ქოგოჰკეს, ჰემ ქოთუმესთერი კარკალაფან, აწი ხოჯა ნუსრედინიქ მუ ყვას? მაქვალი ვა ულუნ-ქი, ენთეფესთერი დოსქვას (ჩიქ., I, 226-28) „მოწაფეებმა ქათამივით (ქათამის მსგავსად) სიარული დაიწყეს, თან ქათამივით (ქათამის მსგავსად) კაკანებენ. ახლა ხოჯამ რა ქნას? კვერცხი არა აქვს, რომ მათსავით (მათ მსგავსად) დადოს“.

კ. დანელია მართებულად მიიჩნევდა ნ. მარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თანდებულია **თერი**, ხოლო **-ს** მიცემითი ბრუნვის ნიშანი: **კოჩის-თერი** („კაცივით, კაცისთანა“)... და არა **კოჩი-სთერი** [დანელია, 2006, 112].

თუ გავიხსენებთ, რომ ლაზურში **-ს** შეიძლება ნათესაობითშიც ჩანდეს ბრუნვის ნიშნად (იხ. ზევით), **თერი** მაინც ნათესაობითის ფორმაზე დართულ თანდებულად უნდა მივიჩნიოთ (შდრ. [ჩიქობავა, 1936, 66]).

ნ. მარს ლაზურში ნათ. ბრუნვაზე დართულ თანდებულად დასახელებული აქვს **თერე**: შქიმი **თერე** მოხთა (ათინ.) „მოდი ჩემთან“.

ლაზურში **თერი**-ი უნდა გამოიყოს, ვინაიდან **-ს** ნათესაობითი ბრუნვის ნიშანია და **შთ > სთ** კომპლექსად გარდაქმნას ექვემდებარება, ანუ: კოჩ-იშ-თერ-ი > კოჩ-ის-თერ-ი, შდრ.: ლაზურში თუთა-ს-თე < თუთა-შ-თე „მთავრის შუქი“, ქართ. ბუშტი > ლაზ. ბუსთი, ტაშტი > ტასთი...

ბუნებრივია, ეს თანდებული **თერი**-ს ვარიანტად მივიჩნიოთ.

ლაზური **-თერი**-ს ფუნქციით მეგრულში ნახმარია **ჯგურა/ჯგუა** თანდებული:

დაჩხირიჯგურა ჭითა „ცეცხლივით წითელი, ცეცხლისმაგვარი“, ჩქიმიჯგურა „ჩემისთანა, ჩემგვარი“... დაჩხირიჯგუა, ჩქიმიჯგუა, თიჯგუა „ისეთი, იმგვარი“...

როგორც ზევით აღინიშნა, ძირითად და ნანათესაობითარ ბრუნვებთან ერთად ზოგი მკვლევარი გამოყოფს თანდებულიან ბრუნვებსაც (დაშორებითს, თანაობითს, მსგავსებითს, შედარებითს, მიზნისას), რაც არ ჩანს გამართლებული.

შეიძლება დავასკვნათ, რომ **ლაზურსა და მეგრულში თანდებული დაერთვის ნათესაობით ბრუნვას ან ნათესაობითის ფუმეს**, – რომელსაც, თავის მხრივ, ემყარება მეორეული ბრუნვები (თანდებულების საკითხს ქვემოთ კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით).

I.1.13. ნაწილაკიანი სახელები.

ნაწილაკი შეიძლება ნებისმიერ სახელს დაერთოს.

მეგრულ-ლაზურში არის ნაწილაკი **თ(ი)**, რომელიც ქართული **ც(ა)**-ს ეკვივალენტად არის მიჩნეული: კაც-ი-ც, კაც-მა-ც, კაც-ს-ა-ც, კაც-ის-ა-ც... შდრ. კოჩი-თი, კოჩიქ-თი (ლაზ.), კოჩიქით (მეგრ.), კოცის-თი (ლაზ.), კოსი-თი (მეგრ.), კოჩიშ-ი-თი (მეგრ.-ლაზ.)...

ც/თ მონაცვლეობა მეგრულსა და ქართულში შეინიშნება: თიკანი და ციკანი, ქართ. ზარმაცი და მეგრ. ზარმათი [ჩიქობავა, 1936, 67].

მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ მეგრულ-ლაზური **თ(ი)** მორფოლოგიური (და არა ფონეტიკური) შესატყვისი იყოს „იგი“ ნაწილაკისა (მგ. ქართ. ესე, ეგე, იგი): რომელი-იგი, რომელმან-იგი, რომელსა-იგი... ე. ი. ესე, ეგე, **იგი**-ს ბადად მეგრულ-ლაზურში იქნებოდა **თე, თი. თე** ზმნების I სერიაშია შერჩენილი (ე-თე-მე-ჭარუნს „წა-ცა-წერს“, ე-თე-მე-დირთუ „წა-ცა-დგება“, მო-თე-მოხვად-უ „წა-ცა-ხვდება“. ყიფშიძით, **თი/მა** (= თე-მე) უსრულ ასპექტზე მიუთითებს, ხოლო მ. ხუბუათი: **თე** = ცა: გე-თე-დოხოდუ „წა-ცა-ჯდება“) [დანელია, 2006, 114].

-**თ(ი)** ნაწილაკი ქართული **-ც**-ს ანალოგიურად, დაერთვის კითხვით სიტყვას და აქცევს მიმართებითად: მი(ნ)? „ვინ?“ – მი-თ „ვინც“; მუ? „რა?“ – მუ-თ „რაც“; ნამუ? „რომელი?“ – ნამუ-თ „რომელიც“; მუჭო? „როგორ?“ – მუჭო-თ „როგორც“; მუჟამს//მუჟამც? „როდის, რა-ჟამს?“ – მუჟამსით // მუჟამცე **თ** „როდესაც, რა-ჟამსაც“...

ნაწილაკი, თანდებულის მსგავსად, დაერთვის არა სახელის ფუმეს, არამედ ბრუნვის სრულ ფორმას; ანუ, იქნება: კოჩით(ი) და არა კოჩთ(ი), კოჩიქ-თი და არა კოჩთიქ ან კოჩითიქ:

ლაზ.:

უკულ დიციხირის ქონათხოზეს სუმი-**თ** ხოლო (ჟღ., 107) „შემდეგ სისხლს გამოედევნენ სამივემ კვლავ“; ოხორჯა დო ვეზირი-**თ** ჟური-**თ** ქებონჭათ (დიუმეზ., 2) „ქალი და ვეზირიც ორივეც ჩამოვკიდოთ (ჩამოვახრჩოთ)“...

მეგრ.:

უკული თქვა-**თი** ქეგიმაჲ უნითია (ყიფშ., 31) „შემდეგ თქვენც გამომყევითო (უკან). არმოქ გალე გიმილეს: რჩინუქი-**თი** დო ახალგაზდაქი-**თი**, კოჩიქ-**თი** დო ოსურქი-**თი**, ოსურსქუაქი-**თი** დო ქომოლსქუაქი-**თ** (ქაჯაია) „ყველა გარეთ გამოვიდა: ბებერიცა და ახალგაზრდაც, კაციცა და ქალიც, ქალიშვილიცა და ვაჟიშვილიც“.

თ(ი) ნაწილაკი ლაზურში შესაძლებელია ბრუნვის ნიშანსა და ფუმეს შორისაც მოექცეს, ე. ი. სახელმა ნაწილაკის შემდეგ დაირთოს ბრუნვის ნიშანი; ამის ნიმუშს იძლევა ათინური:

ფათიშა-**თი**-ქ უწუ-ჩი (II, 984) „ხელმწიფემაც უთხრა, რომ... **ხელმწიფემ** მოთხრობით ბრუნვაშია: **ფათიშა-ქ**; ქ-ს წინ **-თი** ნაწილაკი გვაქვს; ქართულში არ შეიძლება: ხელმწიფე-**ცა**-მ, **ცა** უთუოდ ბოლოს უნდა იყოს: „ხელმწიფემა-**ც**“, მაგრამ **-მე, -ვე** ნაწილაკები ბრუნვის ნიშანს წინ უძღვიან ჩვეულებრივად: ვინმე – ვინ-**მე**-მ – ვინ-**მე**-ს||ვი-ს-**მე**... ორივე – ორი-**ვე**-მ – ორი-

ვე-ს ||ორ-სა-ვე: ...თილჩი-თი-ქ უწუ-ქი (II, 99¹⁸) „მელიამაც უთხრა, რომ... თილჩი-თი-ქ... ..
ოხორძა მუში-თი-ქ უწუ-ჩი (II, 100⁶) „მისმა ცოლმაც უთხრა, რომ... მუში-თი-ქ... ფადიშაიშ
ბოზომოთა-თი-ქ იბგასს (II, 100¹⁸) „ხელმწიფის ქალიშვილიც ტირის: ბოზომოთა-თი-ქ.
ყველგან -თი- უსწრებს მოთხრობით ბრუნვას, მაგრამ მიცემით ბრუნვას კი არა: ფადიშაის-თი
მთ უწოლემ (II, 100³⁶) „ხელმწიფეს არ უთხრა; ბაბა შქიმის-თი უშქუტუ-ჩი (I, 100³¹) მამა
ჩემსაც ეგონა, რომ... (მამა ჩემმაც იცოდა, რომ...)

[ჩიქობავა, 1936, 67].

საინტერესოა, რომ ხმოვანფუძიანი სახელების შემთხვევაში **მოქმედებითს,**
ვითარებითსა და -თ(ი) ნაწილაკიან სახელობითს მხოლოდ კონტექსტით თუ გავარჩევთ:

დიდათ:

დიდათ მოიჩქუ „დედად მიაჩნია“;

დიდათ უდგუ შური „დედით უდგას სული“;

დიდათ პუნს დო მუმათ „დედაც მყავს და მამაც“.

I.1.14. ზედსართავი სახელის ფორმაწარმოება.

ზედსართავი, როგორც სახელი, ბრუნებადი სიტყვაა.

არსებობს ზედსართავ სახელთა ტრადიციული დაყოფა ორ დიდ ჯგუფად – **ვითარებით**
და **მიმართებით** ზედსართავებად. **ვითარებითა** ზედსართავი, რომელიც საგნის ნიშან-
თვისებას უშუალოდ გამოხატავს, ხოლო **მიმართებითი** – რომელიც ამავე შინაარსს სხვა
საგანთან მიმართებით იძლევა.

წარმომავლობის მხრივ, ზედსართავთა ერთი ნაწილი (რაოდენობრივად უფრო მცირე)
პირველადი, ძირეული სიტყვებია; უფრო სწორად, ისეთი სიტყვებია, რომლებიც ენის
ფუნქციონირების სინქრონიულ დონეზე დაუშლელი ოდენობაა. ასეთებია წარმომავლობით
პირველადი, ძირეული სიტყვები ან ოდინდელი დერივატები (უჩა „შავი“, ჩე „თეთრი, ხცე“,
დიდი „დიდი“...). სწორედ ეს მონაცემები ერთიანდება ე. წ. ვითარებითი ზედსართავების
ჯგუფში.

ვითარებით ზედსართავ სახელთა მნიშვნელოვანი ნაწილის ეტიმოლოგიზაცია
შესაძლებელია წარმოქმნილი ფუძეების სახით, მაგრამ ეს მათ **მიმართებითებად** ვერ აქცევს.
„ვითარებითობა-მიმართებითობა“ განისაზღვრება ენის ფუნქციონირების დონეზე მოქმედი
(და არა – ისტორიული) პარადიგმატიკით. მიმართებით ზედსართავ სახელებში ერთიანდება
სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მოდელით მიღებული სიტყვები. ამგვარ ზედსართავ
სახელთა წარმოებას საფუძვლად უდევს როგორც წარმოქმნა, ისე თხზვა [გოგოლაშვილი...,
2011, 148].

წარმოქმნა ხდება სხვადასხვა სადერივაციო ფორმანტებით, – ამაზე ყურადღება
გამახვილდება სახელთა სიტყვაწარმოების საკითხებზე მსჯელობისას.

ვითარებითი ზედსართავებისათვის მიმართებებისაგან განსხვავებული ენობრივი
ნიშნებია დამახასიათებელი, მაგრამ ფორმაწარმოებისას ეს ნიშნები არარელევანტურია,
არსებითი და ღირებული მორფოლოგიური ნიშანი მხოლოდ სახელის ფუძის დაბოლოება

შეიძლება იყოს, ბრუნების თვალსაზრისით არანაირი სხვაობა არ არის დიდი – უდიდაში, ჭითა – მაჭითა... ფორმებს შორის.

არარელევანტურია ფლექსიური სისტემისთვის ზედსართავის დერივაციული თავისებურებები, ისევე როგორც არსებითი სახელის ბრუნებისას ხდება დერივაციული პარამეტრების იგნორირება და ერთ დონეზე დგება, ვთქვათ, ქუდ-ი და ქუდიან-ი.

ზედსართავი სახელის ფუნქციონირების ბუნებრივი ფორმაა მისი გამოყენება არსებით (ან სხვა) სახელთან ერთად.

ზედსართავი სახელის პარადიგმატული უნარის აღსაწერად აუცილებელია ორი მომენტის გათვალისწინება:

- ა) ფუძეთანხმოვნია თუ ფუძეხმოვნიანი ზედსართავი სახელი;
- ბ) რა პოზიცია უკავია ზედსართავს არსებითის მიმართ – პრეპოზიცია თუ პოსტპოზიცია.

ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელი მისდევს მორფონოლოგიის (კუმშვა-კვეცის) იმავე წესებს, რაც არსებითი სახელებისათვის არის ნიშანდობლივი [გოგოლაშვილი..., 2011, 151].

ბრუნების თვალსაზრისით არსებით სახელსა და ცალკე აღებულ ზედსართავს შორის განსხვავება არ არის, ზედსართავი ისე იბრუნვის, როგორც სათანადო ფუძის საზოგადო არსებითი სახელი:

	„კარგი“	„წითელი“	„წვრილი“	„სულელი“	„უმეცარი“
სახ.	ჯგირ-ი	ჭითა	ჭიფე	ბორო	ცურუ
მოთხრ.	ჯგირ-ქ	ჭითა-ქ	ჭიფე-ქ	ბორო-ქ	ცურუ-ქ
მიც.	ჯგირ-ს	ჭითა-ს	ჭიფე-ს	ბორო-ს	ცურუ-ს
ნათ.	ჯგირ-იმ	ჭითა-შ	ჭიფე-შ	ბორო-შ	ცურუ-შ
მოქ.	ჯგირ-ით	ჭითა-თ	ჭიფე-თ	ბორო-თ	ცურუ-თ
ვით.	ჯგირ-ო(თ)	ჭითა-თ	ჭიფე-(თ)	ბორო-თ	ცურუ-თ
მიმართ.	ჯგირშ-ა	ჭითაშ-ა	ჭიფეშ-ა	ბოროშ-ა	ცურუშ-ა
დაშორ.	ჯგირშ-ე	ჭითაშ-ე	ჭიფეშ-ე	ბოროშ-ე	ცურუშ-ე
დანიშნ.	ჯგირშ-ო(თ)	ჭითაშ-ო(თ)	ჭიფეშ-ო(თ)	ბოროშ-ო(თ)	ცურუშ-ო(თ)
მიზ.-მიზნ.	ჯგირ(ი)შ-ენ(ი)	ჭითაშ-ენ(ი)	ჭიფეშ-ენ(ი)	ბოროშ-ენ(ი)	ცურუშ-ენ(ი)

ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ არსებით სახელს ახლავს და საზღვრავს მას (ჭიჭე ცუდე „პატარა სახლი“).

მსაზღვრელი შეიძლება იყოს: ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, არსებითი სახელი, საწყისი, მიმღობა.

ლაზურსა და მეგრულში მსაზღვრელი ჩვეულებრივ წინ უძღვის საზღვრულს. იგი ფორმა-უცვლელია: ამოსავალი, სახელობითი ბრუნვის ფორმით ან ფუძის სახით (ხმოვანფუძიანებთან) გვხვდება ყველა ბრუნვაში; ამ შემთხვევაში სურათი ისეთივეა, როგორცაა ქართულში მართული მსაზღვრელის შემთხვევაში (ძმის სახლი...).

ამ თვალსაზრისით ატრიბუტულსა და მართულ მსაზღვრელს შორის განსხვავება არ არის.

ერთი სიტყვით, ლაზურსა და მეგრულში პრეპოზიციული მსაზღვრელი უცვლელი რჩება ბრუნებისას, თანხმოვანფუძიანი იქნება ის თუ ხმოვანფუძიანი, ატრიბუტული თუ მართული – მაშინ როდესაც ქართულში მხოლოდ ხმოვანფუძიანი პრეპოზიციული მსაზღვრელი რჩება უცვლელი ბრუნებისას.

ლაზ.

	„დიდი სახლი“	„ლამაზი სახლი“	„ხის სახლი“
სახ.	დიდ(ი) ოხორ-ი	მსქვა ოხორ-ი	ჯამ(ი) ოხორ-ი
მოთხრ.	დიდ(ი) ოხორი-ქ	მსქვა ოხორი-ქ	ჯამ(ი) ოხორი-ქ
მიც.	დიდ(ი) ოხორი-ს	მსქვა ოხორი-ს	ჯამ(ი) ოხორი-ს
ნათ.	დიდ(ი) ოხორ-იმ	მსქვა ოხორ-იმ	ჯამ(ი) ოხორ-იმ
მოქმ.	დიდ(ი) ოხორ-ითე(ნ)	მსქვა ოხორ-ითე(ნ)	ჯამ(ი) ოხორ-ითე(ნ)
მიმართ.	დიდ(ი) ოხორიმ-ა	მსქვა ოხორიმ-ა	ჯამ(ი) ოხორიმ-ა
დაშორ.	დიდ(ი) ოხორიმ-ე(ნ)	მსქვა ოხორიმ-ე(ნ)	ჯამ(ი) ოხორიმ-ე(ნ)
მიზ.-მიზნ.	დიდ(ი) ოხორიმ-ენ(ი)	მსქვა ოხორიმ-ენ(ი)	ჯამ(ი) ოხორიმ-ენ(ი)

მეგრ.

	„დიდი ოჯახი“	„სავსე ოჯახი“	„ხის კოვზი“
სახ.	დიდ(ი) ოჯახ-ი	ევშა ოჯახ-ი	ჯამ(ი) კიზ-ი
მოთხრ.	დიდ(ი) ოჯახი-ქ	ევშა ოჯახი-ქ	ჯამ(ი) კიზი-ქ
მიც.	დიდ(ი) ოჯახი-ს	ევშა ოჯახი-ს	ჯამ(ი) კიზი-ს
ნათ.	დიდ(ი) ოჯახ-იმ	ევშა ოჯახ-იმ	ჯამ(ი) კიზ-იმ
მოქმ.	დიდ(ი) ოჯახ-ით	ევშა ოჯახ-ით	ჯამ(ი) კიზ-ით
ვით.	დიდ(ი) ოჯახ-ო(თ)	ევშა ოჯახ-ო(თ)	ჯამ(ი) კიზ-ო(თ)
მიმართ.	დიდ(ი) ოჯახ(ი)შ-ა	ევშა ოჯახ(ი)შ-ა	ჯამ(ი) კიზიმ-ა
დაშორ.	დიდ(ი) ოჯახ(ი)შ-ე	ევშა ოჯახ(ი)შ-ე	ჯამ(ი) კიზიმ-ე
დანიშნ.	დიდ(ი) ოჯახ(ი)შ-ო(თ)	ევშა ოჯახ(ი)შ-ო(თ)	ჯამ(ი) კიზიმ-ო(თ)
მიზ.-მიზნ.	დიდ(ი) ოჯახ(ი)შ-ენ(ი)	ევშა ოჯახ(ი)შ-ენ(ი)	ჯამ(ი) კიზიმ-ენ(ი)

ერთ საზღვრულთან შეიძლება რამდენიმე მსაზღვრელი იყოს დაკავშირებული: მსქვა, აღნე ქითაბი „ლამაზი, ახალი წიგნი“. ამ შემთხვევაშიც მხოლოდ საზღვრული იბრუნება.

თუ რიგს შევცვლით, საზღვრულთან ერთად მსაზღვრელიც იბრუნება:

ლაზ.

	„სახლი დიდი“	„სახლი ლამაზი“	„სახლი ხისა“
სახ.	ოხორ-ი დიდ-ი	ოხორ-ი მსქვა	ოხორ-ი ჯამ-ი
მოთხრ.	ოხორი-ქ დიდი-ქ	ოხორი-ქ მსქვა-ქ	ოხორი-ქ ჯამი-ქ
მიც.	ოხორი-ს დიდი-ს	ოხორი-ს მსქვა-ს	ოხორი-ს ჯამი-ს
ნათ.	ოხორ-იმ დიდ-იმ	ოხორ-იმ მსქვა-შ	ოხორ-იმ ჯამ-იმ
მოქმ.	ოხორ-ითე(ნ) დიდ-ითე(ნ)	ოხორ-ითე(ნ) მსქვათე(ნ)	ოხორ-ითე(ნ)/

მიმართ.	ობორიშ-ა დიდ(ი)შ-ა	ობორიშ-ა მსქვაშ-ა	ობორიშ-ა ჯამიშ-ა
დაშორ.	ობორიშ-ე(ნ) დიდ(ი)შ-ე(ნ)	ობორიშ-ე(ნ) მსქვაშ-ე(ნ)	ობორიშ-ე(ნ)/ ჯამიშ-ე(ნ)
მიზ.-მიზნ.	ობორიშ-ენ(ი) დიდ(ი)შ-ენ(ი)	ობორიშ-ენ(ი) მსქვაშ-ენ(ი)	ობორიშ-ენ(ი) ჯამიშ-ენ(ი)

მეგრ.

	„დიდი ოჯახი“	„სავსე ოჯახი“	„ხის კოვზი“
სახ.	ოჯახ-ი დიდ-ი	ოჯახ-ი ეფშა	კიზ-ი ჯამ-ი
მოთხრ.	ოჯახი-ქ დიდი-ქ	ოჯახი-ქ ეფშა-ქ	კიზი-ქ ჯამი-ქ
მიც.	ოჯახი-ს დიდი-ს	ოჯახი-ს ეფშა-ს	კიზი-ს ჯამი-ს
ნათ.	ოჯახ-იშ დიდ-იშ	ოჯახ-იშ ეფშა-შ	კიზ-იშ ჯამ-იშ
მოქმ.	ოჯახ-ით დიდ-ით	ოჯახ-ით ეფშა-თ	კიზ-ით ჯამ-ით
ვით.	ოჯახ-ო(თ) დიდ-ო(თ)	ოჯახ-ო(თ) ეფშა-თ	კიზ-ო(თ)
	ჯამ-ო(თ)		

მიმართ.	ოჯახ(ი)შ-ა დიდიშ-ა	ოჯახ(ი)შ-ა ეფშაშ-ა	კიზიშ-ა ჯამიშ-ა
დაშორ.	ოჯახ(ი)შ-ე დიდიშ-ე	ოჯახ(ი)შ-ე ეფშაშ-ე	კიზიშ-ე ჯამიშ-ე
დანიშნ.	ოჯახ(ი)შ-ო(თ) დიდ(ი)შ-ო(თ)	ოჯახ(ი)შ-ო(თ) ეფშაშ-ო(თ)	კიზიშ-ო(თ)/ ჯამიშ-ო(თ)
მიზ.-მიზნ.	ოჯახ(ი)შ-ენ(ი) დიდ(ი)შ-ენ(ი)	ოჯახ(ი)შ-ენ(ი) ეფშაშ-ენ(ი)	კიზიშ-ენ (ი) ჯამიშ-ენ(ი)

მრავლობითში შებრუნებულ რიგს აქვს მხოლოდ სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვები.

აღსანიშნავია, რომ მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული რიგი როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში ძალზე იშვიათად, გამონაკლისის სახით (უმთავრესად პოეზიაში) გვხვდება.

რით აიხსნება მსაზღვრელის უცვლელობა ბრუნვასა და რიცხვში? შინაარსობრივი მომენტით: როცა მსაზღვრელი წინაა და საზღვრული მომდევნო, მათ შორის კავშირი აშკარაა და ცხადია, რადგან მსაზღვრელი სხვა სიტყვას ვერ დაუკავშირდება. ამიტომ ბრუნების პროცესში ასეთი მსაზღვრელი დუნდება, კარგავს ბრუნვის ნიშნებს (უკეთ რომ ვთქვათ, არ იბრუნება) – ეს პროცესი მეგრულ-ლაზურში დასრულებულია (ქართულში დაწყებულია: ხმოვანფუძიან მსაზღვრელებთან...).

მაგრამ როდესაც მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, კავშირი მათ შორის ისე ნათელი არაა, რადგან მომდევნო მსაზღვრელი შეიძლება შემდგომ სიტყვას მიეკედლოს: ოხორი აღნე მანმაგერეში რე. აქ მსაზღვრელი „აღნე“ „ოხორის“ განსაზღვრავს, მაგრამ კონტექსტში იგი შეიძლება „მანმაგერეს“ განსაზღვრავდეს (1. „სახლი ახალი მეზობლისაა“; 2. სახლი ახალი მეზობლისაა“). რომ ნათელი იყოს, რომელს ეკუთვნის მსაზღვრელი, ამიტომ იგი უთანხმდება იმ სახელს, რომელსაც განსაზღვრავს [ჩიქობავა, 1936, 71].

შესაძლებელია მომდევნო მსაზღვრელმა მიიღოს ბრუნვის ნიშნები, საზღვრული კი უცვლელი დარჩეს:

სახ. ოსურ(ი) სქვამ-ი
მოთხრ. ოსურ(ი) სქვამ-ქ
მიც. ოსურ(ი) სქვამ-ს
ნათ. ოსურ(ი) სქვამ-იშ
მოქმ. ოსურ(ი) სქვამ-ით
ვით. ოსურ(ი) სქვამო(თ)

მიმართ. ოსურ(ი) სქვამ(ი)შ-ა
დაშორ. ოსურ(ი) სქვამ(ი)შ-ე
დანიშნ. ოსურ(ი) სქვამ(ი)შ-ო(თ)
მიზ.-მიზნ. ოსურ(ი) სქვამ(ი)შ-ენ(ი)

I.1.15. რიცხვითი სახელის ფორმაწარმოება.

რიცხვითი სახელის გრამატიკული დანიშნულებაა საგანთა რაოდენობის, რიგის ან ნაწილის გამოხატვა. ამის მიხედვით გვაქვს **რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი** რიცხვითი სახელები.

ენობრივი წარმომავლობის თვალსაზრისით ლაზურსა და მეგრულში რიცხვით სახელთა სისტემა თორმეტ დამოუკიდებელ ლექსიკურ ერთეულს ემყარება (ისევე, როგორც ქართულში):

ლაზ.	მეგრ.
არ/ართ(ი)	ართ(ი)
ჟურ(ი)/ჯურ(ი)	ჟირ(ი)
სუმ(ი)	სუმ(ი)
ოთხო	ოთხ(ი)
ხუთ(ი)	ხუთ(ი)
ანშ(ი)	ამშვ(ი)
შქვით(ი)	შქვით(ი)
ოვრო	(ბ)რუო
ჩხორო	ჩხორო
ვით(ი)	ვით(ი)
ეჩ(ი)	ეჩ(ი)
ოშ(ი)	ოშ(ი)

ესენი მარტივი სტრუქტურის სახელებია. დანარჩენი რიცხვითი სახელები ამ ერთეულთა კომბინაციით ან აფიქსური დერივაციის წესით მიიღება (ამდენად, მათზე სიტყვაწარმოების ნაწილში გვექნება მსჯელობა).

სახელები 11-დან 20-მდე ათობითი თვლის პრინციპზეა აგებული (სახელი იწარმოება 10-ზე დაყრდნობით), დანარჩენები კი ოცობით სისტემას ეფუძნება, – ისევე, როგორც ქართულში.

მარტივი შედგენილობის რიცხვითი სახელებიდან ლაზურში სამია ხმოვანფუძიანი: ოთხო „ოთხი“, ოვრო „რვა“, ჩხორო „ცხრა“, ხოლო მეგრულში – ორი: (ბ)რუო „რვა“ და ჩხორო „ცხრა“.

ბრუნებისთვის არა აქვს მნიშვნელობა ფუძის შედგენილობას: მარტივია იგი თუ რთული სტრუქტურის – ორი ან მეტი ფუძისაგან მიღებული; მთავარია ფუძის დაბოლოება. ამის მიხედვით გამოიყოფა ორი – ხმოვანფუძიანთა და თანხმოვანფუძიანთა ჯგუფები.

ცალკე აღებული რიცხვითი სახელი იბრუნება ისევე, როგორც სათანადო (ფუძის დაბოლოების თვალსაზრისით) არსებითი (ან გასუბსტანტივებული ზედსართავი) სახელი);

მარტივი რიცხვითი სახელის ბრუნება არაფრით განსხვავდება მსგავსი ფუძის მქონე რთული (ნაწარმოები) რიცხვითის ბრუნებისაგან; ბრუნების ნიმუში:

	მეგრ.	ლაზ.
სახ.	ართ-ი „ერთი“	ოთხო „ოთხი“
მოთხრ.	ართი-ქ	ოთხო-ქ
მიც.	ართი-ს	ოთხო-ს
ნათ.	ართ-იმ	ოთხო-მ
მოქმ.	ართ-ით	ოთხო-თე(ნ)
ვით.	ართ-ო(თ)	-
მიმართ.	ართი(შ-ა	ოთხოშ-ა
დაშორ.	ართიმ-ე	ოთხოშ-ე
დანიშნ.	ართიმ-ო(თ)	-
მიზ.-მიზნ.	ართიმ-ენ(ი)	ოთხოშ-ენ(ი)

რიცხვითი სახელი, რომელიც ჩვეულებრივ, მსაზღვრელის როლში გვხვდება არაფრით განსხვავდება ამავე ფუნქციის მქონე ზედსართავი სახელისაგან.

	მეგრ.	ლაზ.
სახ.	ართ(ი) კოჩი „ერთი კაცი“	ოთხო კოჩ-ი „ოთხი კაცი“
მოთხრ.	ართ(ი) კოჩ(ი)-ქ	ოთხო კოჩი-ქ
მიც.	ართ(ი) კოჩი-ს	ოთხო კოჩი-ს
ნათ.	ართ(ი) კოჩ-იმ	ოთხო კოჩ-იმ
მოქმ.	ართ(ი) კოჩ-ით	ოთხო კოჩ-ით
ვით.	ართ(ი) კოჩ-ოთ	-
მიმართ.	ართ(ი) კოჩიმ-ა	ოთხო კოჩიმ-ა
დაშორ.	ართ(ი) კოჩიმ-ე	ოთხო კოჩიმ-ე
დანიშნ.	ართ(ი) კოჩიმ-ო(თ)	-
მიზ.-მიზნ.	ართ(ი) კოჩიმ-ენ(ი)	ოთხო კოჩიმ-ენ(ი)

რიცხვითი სახელები გრამატიკული შინაარსით ატრიბუტებს მიეკუთვნება, ამიტომ მისი ფორმაწარმოებაც და სინტაგმატური უნარიც ძირითადად თავსდება ზედსართავი სახელებისთვის დამახასიათებელ თავისებურებებში [გოგოლაშვილი..., 2011, 156]

11-დან 19-ის ჩათვლით თვლა ათობით პრინციპზეა აგებული (სახელი იწარმოება ათ-ზე დაყრდნობით).

სხვა შემთხვევაში კი თვლის ოცობითი პრინციპი გვაქვს, ანუ, მთლიანობაში, თვლის სისტემა ლაზურსა და მეგრულში შერეული ტიპისაა.

I.1.16. ნაცვალსახელები.

I.1.16.1. პირის ნაცვალსახელები.

მეგრულსა და ლაზურში, მსგავსად დანარჩენი ქართველური ენებისა, ნაცვალსახელთა სისტემის საფუძველია პირის ნაცვალსახელები. პირველი და მეორე პირი ერთნაირად გადმოიცემა, მცირეოდენი ფონეტიკური ვარიაციით.

პირველი პირის ნაცვალსახელება:

მეგრ.: მა, ჩქი/ჩქე,

ლაზ. მან/მა, ჩქინ/შქუ/შკუ/ჩქუ/ჩქუნ

მეორე პირის ნაცვალსახელება:

მეგრ.: სი, თქვა,

ლაზ.: სინ/სი, თქვან/თქვა/ტკვა

ლაზურში წარმოდგენილია -ნ ბოლოთანხმოვნის ვარიანტები როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში: მან, სინ, ჩქინ/ჩქუნ, თქვან. აღსანიშნავია, რომ ეს ფორმები კილოკავური დიფერენციაციის მაჩვენებელია. ი. ყიფშიძე ჩხალურში აფიქსირებდა მხოლოდითის ფორმებს: მან, სინ, ხოლო მრავლობითი ნ-ს გარეშე დასტურდებოდა. ნ-იანი ფორმები მრავლობითში დამახასიათებელია უფრო მეტად ხოფურისა და ვიწურ-არქაბულისთვის: ჩქინ, ჩქუნ, თქვან, ხოლო ათინურში ბოლოხმოვნის ვარიანტებია მხოლოდ: შქუ, თქვა.

მეგრულში მხოლოდითსა და მრავლობითში ბოლოხმოვნის ვარიანტებია: მა, სი, ჩქი/ჩქე, თქვა. ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში მოსალოდნელია ჩქე ვარიანტი, რაც სავსებით ეხმიანება ამ კილოკავისთვის დამახასიათებელ ტენდენციას: ერთი მხრივ, უ და ი ხმოვნებით გავრცობილი ბრუნვის ფორმების რედუქცია: დუდსუ>დუდსე, დუდსი>დუდსე „თავსა“, მეორე მხრივ, მწკრის ნიშნის ი-სა და პირის ნიშნის -უ-ს დავიწროება: ჭარუნდი>ჭარუნდე „წერდი“, დოჭარუ>დოჭარე „დაწერა“.

როგორც ჩანს, ლაზურში ჩქინ ვარიანტი მიღებულია ჩქუნ-ისგან. სავარაუდოდ, იგივე გზა გამოიარა მეგრულმა ჩქი ფორმამ. ათინურში წარმოდგენილია შქუ ფორმა, რომელიც ასევე ჩქუნ-ისგანაა მიღებული. ამას მხარს უჭერს ქართულის ჩვენება, შდრ. ჩქუნ და ჩვენ<ჩუნ. ზოგადად, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები მეგრულ-ლაზურსა და ქართულში გვამლევენ კანონზომიერ შესატყვისობას.

მესამე პირის ნაცვალსახელი მეგრულსა და ლაზურში ორი რიგისაა: ერთი მხრივ, გვაქვს საკუთრივ პირის ნაცვალსახელი **მუ/მუქ**, მეორე მხრივ, ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაც გამოიყენება. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია სხვადასხვა სტრუქტურული და ფონეტიკური ვარიანტებით (იხ. ჩვენებითი ნაცვალსახელი).

III პირის ნაცვალსახელი **მუ** მეგრულსა და **მუქ** ლაზურში, რომელიც ქართული **მან** ნაცვალსახელის შესატყვისია, იშვიათად იხმარება. განსაკუთრებით ეს ითქმის მეგრულზე, სადაც ჩვენებითმა ნაცვალსახელმა თითქმის გამოაძევა იგი და თავად იკისრა III პირის გამოხატვა. შეიძლება ამ ფაქტორმაც შეუწყო ხელი **მუ** ნაცვალსახელის მნიშვნელობის დავიწროებას და უკუქცევითობის სემანტიკით შემოფარგვლას. ზოგადად, უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციით მეგრულში იხმარება **დუდი** „თავი, თვითონ“ ფორმა [ყიფშიძე 1914, 98], ლაზურში კი ამ ფუნქციით გამოიყენება **თი** „თავი“ (იხ. უკუქცევითი ნაცვალსახელი).

მუ „მან“ ნაცვალსახელისათვის უკუქცევითობის სემანტიკის მეორეულობაზე ისიც მეტყველებს, რომ თანამედროვე მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში არცთუ იშვიათად იხმარება ქართულიდან შესული **თვითონ** უკუქცევითი ნაცვალსახელი უმთავრესად პირველი პირის ნაცვალსახელის მსაზღვრელად. მაგ.:

მა გაქუნუქ **თვითონ** (ხუბ., 10, 36) „მე გამოგყვები თვითონ“;

მუქ **თვითონ** თაშ ზოჯუ... „მან თავად ასე ბრძანა“...

აღსანიშნავია, რომ მეგრულსა და ლაზურში **მუ** ნაცვალსახელის უკუქცევითობა თვალშისაცემია შერწყმულ და რთულ წინადადებებში, თუმცა მსგავსი სემანტიკა მოსალოდნელია მარტივ წინადადებებშიც. ფუნქციური ანალიზი ცხადყოფს, რომ: მეგრულში „როდესაც **მუ** ნაცვალსახელი სახელობით, მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში დგას, ანუ უთანდებულოა და ზმნასთან შეწყობილ პირს აღნიშნავს, **თვითონ** განსაზღვრებით ნაცვალსახელთან ავლენს სემანტიკურ სიახლოვეს, ხოლო ნათესაობითსა და დანიშნულებით, მიმართულებით, დაშორებით ბრუნვებში ნაწილობრივ ფარავს **თავი** ნაცვალსახელის სემანტიკას“ [კარტოზია]. ლაზურში საკუთრივ ბრუნვის ფორმების გვერდით დასტურდება ერთადერთი თანდებულიანი ფორმა **მუშიშენი** „თავისთვის“, რაც მხოლოდ მესამე პირთან მიმართებით იხმარება, ისევე როგორც გვექნება: **ჩქინიშენი/ჩქუნიშენი/შქუნიშენი, ჩქიმიშენი** „ჩემთვის“, **სკ/ქანიშენი** „შენთვის“.

მუ ნაცვალსახელი მეგრულსა და ლაზურში პირის აღმნიშვნელია. მაშინაც კი, როცა ის სულიერ ან უსულო სახელების ნაცვლად იხმარება, კონტექსტი ყოველთვის გულისხმობს ადამიანისთვის დამახასიათებელ ქმედებას, ანუ გაპიროვნება ხდება. ეს ლოგიკურია, რადგან პირის ცნება ადამიანს უკავშირდება. პირველი და მეორე პირები ყოველთვის ადამიანის აღმნიშვნელია. შესაბამისად, პირის კატეგორიის სამწევრა სისტემაში თავდაპირველად მესამე პირადაც მხოლოდ ადამიანი მოიაზრებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ლაზურისა და მეგრულის მიხედვით, ქართულშიც უნდა აღდგეს თავდაპირველი სამწევრა სისტემა:

მეგრ.ლაზ.

ქართ.

მა/მან ----- სი/სინ

მე -----შენ

მუ(<მუნ)/მუქ

მან

მხოლოდ მას შემდეგ, რაც განვითარდა ზმნის უღლების სისტემა, პირის ნაცვალსახელთა

სისტემაშიც მოხდა ცვლილება: მესამე პირი არ უდრიდა მხოლოდ ადამიანს, არამედ „სხვას“-აც, რაც შეიძლება ყოფილიყო ზმნური ქმედებით/მდგომარეობით შექმნილი სიტუაციის მონა-წილე, ანუ აქტანტი. ვფიქრობთ, რომ ქართველურ ენებში „პირი“ – „არაპირი“ დიქტომია მეორეული მოვლენაა, ამიტომაც მოხდა მესამე პირის ნაცვალსახელის სემანტიკის დიფერენ-ცირება და სამწევრა სისტემაში შემოიჭრა ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომელთა სტრუქტურა ლაზურში კარგად ასახავს ამ პროცესის ისტორიულ გზას.

I.1.16.2. ბრუნვა და რიცხვი.

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელების ბრუნების სისტემა წარმოდგენილია ორ-ორი ფორმით როგორც მხოლოდით, ასევე მრავლობით რიცხვში. სახელობით, მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში გვაქვს: მეგრულში – **მა, ჩქი/ჩქგ, სი, თქვა**, ლაზურში – **მა/მან, ჩქუნ/შქუნ/ჩქინ, სი/სინ, თქვან** ფორმები, ხოლო ნათესაობითა და მისგან ნაწარმოებ სპეციფიკურ ბრუნვებში – მეგრულში: **ჩქიმ-, სქან-/სკან-**, ლაზურში: **ჩქიმ-/შქიმ-, ჩქუნ-/შქუნ-/ჩქინ, სკან-** ფორმები ფონეტიკური ვარიანტების გათვალისწინებით. წარმოვადგენთ პარადიგმას:

ლაზური

სახ.	მა მა-ნ	სი სი-ნ
მოთხრ.	მა მა-ნ	სი სი-ნ
მიც.	მა მა-ნ	სი სი-ნ
ნათ.	ჩქიმ- შქიმინდ-ე	სკან-
მოქმ.	-	-
მიმართ.	ჩქიმ-დ-ა შქიმ-დ-ა შქიმინ-დე	სკან-დ-ა
დაშორ.	ჩქიმ-დ-ე(ნ) შქიმ-დ-ე(ნ)	სკან-დ-ე(ნ)

მეგრული

ქართული

სახ.	მა	სი	მე	შენ
მოთხრ.	მა	სი	მე	შენ
მიც.	მა	სი	მე	შენ
ნათ.	ჩქიმ-	სკან-	ჩემ-	შენ-
მოქმ.	-	-	-	-
ვით.	-	-	-	-
მიმართ.	ჩქიმ-დ-ა	სკან-დ-ა	ჩემ-და	შენ-და

დაშორ.	ჩქიმ-დ-ე	სკან-დ-ე	[ჩემ-გან	შენ-გან]
დანიშნ.	ჩქიმ-ო(თ)	სკან-ო(თ)	[ჩემ-თვის	შენ-თვის]

მეგრულსა და ლაზურში ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში, I და II პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმები სუპლექტური წარმოებისაა. გამოითქვა ვარაუდი, რომ ქართულსა და ზანურში პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირველი და მეორე პირისა ორსავე რიცხვში შეიცავს ზე ელემენტს, რომელიც უშუალოდ მოსდევს თავკიდურ ძირეულ თანხმოვანს ან თანხმოვანთა კომპლექსს [გამყრელიძე, 2000, 38-45].

ნ. მარი ქართულის I და II პირის ნაცვალსახელებში გამოყოფდა მრავლობითობის მაწარმოებელ -ენ და -ემ სუფიქსებს, ასევე ლაზურის პირის ნაცვალსახელებშიც ნ ბოლოკიდურს რიცხვის სუფიქსად თვლიდა. თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ I და II პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის ფორმებში (ასევე მხოლოდობითიც) -ნა დაბოლოება ქართულში და -ნ ზანურში სადეტერმინაციო ელემენტია [ჩიქობავა, 2008/1, 89], რომელიც თანდებულებსა და ზმნისართებშიც გვხვდება ქართულში, და როგორც ჩანს, ისტორიულად ლოკატიური მნიშვნელობის მქონე დეიქტურ ნაწილაკს წარმოადგენდა [მარტიროსოვი, 1964, 86].

მრავლობითი რიცხვი:

ლაზური

სახ.	ჩქუ ჩქუნ ჩქინ შქუ	თქვა თქვან
მოთხრ.	ჩქუ ჩქუნ ჩქინ შქუ	თქვა თქვან
მიც.	ჩქუ ჩქუნ ჩქინ შქუ	თქვა თქვან
ნათ.	ჩქუნ ჩქინ შქუნ-	თქვან-
მოქმ.	-	-
მიმართ.	ჩქუნ-და ჩქინ-და შქუნ-და შქუნინ-დე	თქვან-და თქვანინ-დე
დაშორ.	ჩქუნ-დე(ნ) ჩქინ-დე(ნ) შქუნ-დე...	თქვან-დე(ნ)

მეგრული

ქართული

სახ.	ჩქი ჩქე	თქვა	ჩვენ	თქვენ
მოთხრ.	ჩქი ჩქე	თქვა	ჩვენ	თქვენ
მიც.	ჩქი ჩქე	თქვა	ჩვენ	თქვენ
ნათ.	ჩქინ ჩქენ-	თქვან-	ჩვენ-	თქვენ-
მოქმ.	-	-	-	-
ვით.	-	-	-	-
მიმართ.	ჩქინ-და ჩქენ-და	თქვან-და	ჩვენ-და	თქვენ-და
დაშორ.	ჩქინ-დე ჩქენ-დე	თქვან-დე	[ჩვენ-გან	თქვენ-გან]

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებისაგან განსხვავებით, მესამე პირის მრავლობითი იწარმოება -**ეფ** სუფიქსის დართვით, მაგრამ თვალშისაცემია მის წინ გაჩენილი ელემენტები: ლაზურში – **თ: მუ-თ-ეფ-ე** „მათ, თვითონ“, მეგრულში – **ნ: მუ-ნ-ეფ-ი** „მათ, თვითონ“.

ამ თანხმონი თი ელემენტების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები:

ა) ნ. მარმა თავის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკაში“ მუ-თე-ფე და ნამ-თე-ფე ფორმებში გამოყო **თე** და **ფე** ელემენტები, როგორც მრავლობითობის სუფიქსები. შესაბამისად, ამგვარი ფორმები „ორმაგი მრავლობითობის“ გამომხატველად მიიჩნია.

ბ) ი. ყიფშიძემ მეგრულში მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმაში მხოლოდობითი რიცხვისთვის **მუ** ნაცვალსახელური ფუძე გამოყო, მაგრამ მრავლობითი რიცხვის პარადიგმაში – **მუნ** ფუძე (მუნ-ეფ-ი, მუნ-ეფ-ქ / მუნ-ენ-ქ / მუნ-ემ-ქ...). ასევე პირის ნაცვალსახელთა სქემამიც მესამე პირის ნაცვალსახელი ასეთი სახითაა წარმოდგენილი: „მუ<მუნ „იH, сам“, მუნეფი „они, сами“.

გ) მონოგრაფიაში „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“ ივ. ჯავახიშვილმა ნაცვალსახელთა ანალიზისას გამოთქვა ვარაუდი, რომ მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელი **თინა** თავდაპირველად უკუქცევითი უნდა ყოფილიყო და მისი კვალი უნდა ჩანდეს მეგ. **მუნეფი** და ლაზ. **მუთეფე** ფორმებში.

არნ. ჩიქობავამ როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში მიუთითა **მუ** ნაცვალსახელურ ფუძეზე და აღნიშნა: „მრავლობითში ლაზური ფუძეც განიცდის ცვლილებას და მეგრულიც: ლაზურში -**თ-** დაერთვის, მეგრულში -**ნ...** „ეს ელემენტები „ერთი და იმავე ღირებულების მორფოლოგიური ოდენობა უნდა იყოს, ოღონდ სხვადასხვა ენობრივი ფენიდან. მათი მორფოლოგიური ფუნქცია და სადაურობა გარკვევას საჭიროებს“.

როგორც ჩანს, არის საფუძველი, ამ (და სხვა) შემთხვევაში ვიმსჯელოთ ნართანიან ფორმებზე: ლაზურში ჰი-ნ-ი „ისინი“, ჰა-ნ-ი „ესენი“... შდრ.: მეგრ. მუ-ნ-ეფ-ი: ლაზ. მუ-თ-ეფე... შდრ. მეტად გავრცელებული მეგრული ფორმები: ჯი-თა ჯინჯი „ძირთა ძირი“, წვა-თა წვანჯი „წვერთა წვერი“, ტყუ-თა ტყურა „ტყუილთა ტყუილი“...

მეგრულში, საერთო წესის თანახმად, მოთხრობითსა და მიცემითში რიცხვის ფორმანტი წარმოდგენილია -**ენ||-ემ** ვარიანტებით: მუნენქ/მუნემქ, მუნენს/მუნემს. შეიძლება ითქვას, რომ მეგრულში **მუ-ნ-ეფ-ი** ფორმა არანაირ ცვლილებას არ განიცდის.

ლაზურში საინტერესო ვითარებაა. როგორც არნ. ჩიქობავა შენიშნავს, **მუთეფე** ფორმაში შეიძლება ჩავარდეს რიცხვის ფორმანტისეული თანხმონი -**ეფ→ე** და მივიღოთ **მუთეე** ფორმა [ჩიქობავა, 1936, 82], მაგ.:

მუთეექ-თი ვა იფხონან (ჩიქ., I, 38, 20) „თვითონაც არ ჭამენ“; **მუთეექ** სოდე ჭკომანენ, სითი ჰექოლე ჭკომი-ა (ჩიქ., I, 38, 12) „მათ სადაც უჭამიათ, შენც იქ ჭამეო“.

-**ეფ** ფორმანტის თანხმონი შეიძლება მიცემითის ფორმაშიც დაიკარგოს. მაგ.:

მა ვარ ვიდი **მუთეშ-კალა** (ყიფ. II, 1, 8) „მე არ წავედი მათთან“: მუთეფეს → მუთეეს → მუთეს + კალა → მუთეშ-კალა.

ყველა ზემოთ ნახსენებ შემთხვევაში -**თ-** ელემენტი აუცილებლად წარმოდგენილია **მუ-** ნაცვალსახელური ფუძის მომდევნოდ. მაგრამ არის ორი ფორმა, რომლებშიც **ნ** თანხმონი იჩენს თავს. ერთ შემთხვევაში **თ** ბგერის ნაცვლად **ნ** დგას -**ფე** ფორმანტის წინ:

გვი მენდახტეს ქოი-მუთეფეშიმა. ნე-თი მიჩქინ **მუნეფეშ** საღლუდი... (ასათ. 191, 168-36, 37) „უკან გაბრუნდნენ („წავიდნენ“) თავიანთ სოფელში. არც „ვიცი მათი სიცოცხლე“...

მეორე შემთხვევაში **მუნთეფე** ფორმა, სადაც ერთბაშად ორივე **ნ** და **თ** ელემენტი წარმოდგენილი. მოვიყვანთ მაგალითებს:

ჰენთეფეში ათმაჯაქ ნა ჭოფუმს ბულდუჯინი **მუნთეფეში** ივენ (ჩიქ. I, 12, 29) „მათი მიმინო რომ იქერს... ის მათი იქნება“;

ჩქიმი მალი **მუნთეფეს** ჰოდოსქიდუნან ჩქიმი ოღუშუკულე (კარტ. 1968, 171, 23) „ჩემი ქონება მათ დარჩებათ ჩემი სიკვდილის შემდეგ“;

მუნთეფეში ფათიშათი ეჩდოჯურ წანეი ეენ (კარტ. 1972, 114, 10) „მათი ხელმწიფე ოცდაორი წლის იქნება“;

ქომოხთუ **მუნთეფეში** კაულიში ორა (კარტ. 1972, 98, 2) „მოვიდა თავიანთ დათქმულ დროს“.

მაშასადამე, ლაზურში გვაქვს ოთხი ფორმა – **მუთეფე**, **მუთეე**, **მუნეფე**, **მუნთეფე**. ეს ორი უკანასკნელი ხოფური კილოკავისთვისაა დამახასიათებელი და მეგრულთან სიახლოვე აქაც იჩენს თავს. ხომ არ არის ლაზურშიც ამოსავალი ფორმა **ნ**-არიანი ვარიანტი? საყურადღებოა, რომ III პირის ნაცვალსახელთან წარმომავლობით დაკავშირებული კითხვითი ნაცვალსახელი **მუ** „რა“ [კლიმოვი, 1964, 124; მარტიროსოვი, 1964, 187-188; ფენრიხი, სარჯველაძე, 1990, 206] უდევს საფუძვლად განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს **მუთხა**, **მუთხანი** „რადაც“ ,რომლის ფონეტიკური ვარიანტი **მუნთხანი** დასტურდება ვიწურ-არქაბულ კილოკავში. ასევე გვაქვს **ნამუნთხა** „ვილაცა“ ნაცვალსახელიც, რომელიც მხარს უჭერს **ნ**-არიან ფორმას. ცხადია, ამ ფორმებში აღდგება **ნ** დეტერმინანტი სუფიქსი, რომელიც მხოლოდით რიცხვში გვაქვს ხოლმე;

მაგ.:

ორჭაიქ უჯოხუ: „**მუნ** ორენ“-და (ჟღ., 99, 35) „ორჭელმა (სოფელია არქაბეში) დაუძახა: რა არისო“; სი ხე-ნა ოკონდრიკი დო ნოგური, **მუნ** ორტუ? (ჟღ., 36, 25) „შენ ხელი რომ მოდრიკე და გაბრაზდი, რა იყო?“

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ლაზური ფონოტაქტიკის მიხედვით **ნთ** დეცესიური მიმდევრობის ნაზალური კომპლექსი დასაშვებია [ქუთელია], შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **მუნთეფე** ფორმაშიც შენარჩუნებულია **ნ** დეტერმინანტი თანხმოვანი, რომელიც სახეზეა მეგრულში **მუ-ნ-ეფ-ი** ფორმაში.

როგორც ჩანს, ისტორიულად მესამე პირის ფუძეს ერთვოდა **ნ** დეტერმინანტი თანხმოვანი – მუ-ნ. შდრ. ქართ. მა-ნ. მხოლოდით რიცხვში ეს ელემენტი დაიკარგა როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში, რაც განაპირობა მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის ფუნქციური როლის გაზრდამ: ერთი მხრივ, -ქ- ელემენტი გაჩნდა ზმნებში მეგრულში, ხოლო ერგატიული კონსტრუქციის გაბატონებამ ლაზურში (გარდამავალი ზმნის სამსავე სერიაში სუბიექტი დგას მოთხრობითში) გამოიწვია მუ-ქ მოთხრობითის ფორმის „ჩასმა“ სახელობითშიც [ეზუგბაია, 2010, 142-145].

თ ელემენტი ლაზურის ფორმაში ბადებს კითხვას: ხომ არ არის ის ნაშთი **თი** „თავი“ არსებითი სახელისა, რომელსაც უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობაც აქვს [მარი, 1910, 147]. აღსანიშნავია, რომ მეგრულშიც დასტურდება ეს **თი** ოდნავი სემანტიკური გადაწვეით: „თავის სახლში, თავისთან“ მნიშვნელობის მქონეა.

მაგ.,

მიდევნო მუში თიშა (ყიფშ., 7, 22) „წაიყვანა თავისთან“; ჭიჭე ხანიში უკული მუში თიშა გუუტუ (ყიფშ., 7, 24) „ცოტა ხნის შემდეგ თავის სახლში („თავისთან“) გაუშვა“...

როგორც ვხედავთ, თი ძირითადად თან ახლავს მუში „მისი, თავისი“ კუთვნილებით ნაცვალსახელს. ასევეა ლაზურში, მხოლოდ ინვერსიული წყობით (იხ. უკუქცევითი ნაცვალსახელი). შესაძლოა ლაზურში თი მიერთვოდა მუ(<მუნ) III პირის ნაცვალსახელსაც და აძლიერებდა უკუქცევითობის სემანტიკას: მუ[ნ] თი „მან თვითონ“...

შეიძლება ითქვას, რომ ლაზ. მუ-თ-ეფ-ე და მეგრ. მუ-ნ-ეფ-ი ფორმათა თ და ნ ელემენტები ისტორიულად განსხვავებული წარმომავლობისა ჩანს. ისინი მრავლობითობის ფორმებმა შემოინახა იმდენად, რამდენადაც მათ ხმოვანთგამყარი თანხმოვნის ფუნქცია შეასრულეს. წარმოვადგენთ სრულ პარადიგმას:

მხოლობითი რიცხვი:			
	ლაზური	მეგრული	ქართული
სახ.	მუ	მუ	(ის, იგი)
მოთხრ.	მუ-ქ	მუ-ქ	მა-ნ
მიც.	მუ-ს	მუ-ს	მა-ს
ნათ.	მუ-შ(ი)	მუ-შ(ი)	მ-ის
მოქმ.	მუ-თე(ნ)	მუ-თი	მ-ით
ვით.	-	-	[მ-ად]
მიმართ.	მუ-შ-ა	მუ-შა	[მ-ის-და]
დაშორ.	მუ-შ-ე(ნ)	მუ-შე	[მ-ის-გან]
დანიშნ.	-	მუ-შო(თ)	[მ-ის-თვის]
მიზ.-მიზნ.	მუ-შენ(ი)	მუშ-ენ(ი)	[მ-ის-თვის, მის გამო]

მრავლობითი რიცხვი:			
	ლაზური	მეგრული	ქართული
სახ.	მუ-თ-ეფ-ე მუ-თ-ე-ე	მუ-ნ-ეფ-ი	(ისინი, იგინი)
მოთხრ.	მუ-თ-ეფ-ე-ქ მუ-თ-ე-ე-ქ	მუ-ნ-ენ-ქ	მა-თ
მიც.	მუ-თ-ეფ-ე-ს მუ-თ-ე-ე-ს	მუ-ნ-ენ-ს	მა-თ
ნათ.	მუ-თ-ეფ-ე-ში მუ-თ-ე-ე-ში	მუ-ნ-ეფ-იში	მა-თ
მოქმ.	მუ-თ-ეფ-ე-თე(ნ) მუ-თ-ე-ე-თე(ნ)	მუ-ნ-ეფ-ითი	-
ვით.	-	[მუ-ნ-ეფ-ო]	-
მიმართ.	მუ-თ-ეფ-ე-შა მუ-თ-ე-ე-შა	მუ-ნ-ეფ-იშა	[მა-თ-და]
დაშორ.	მუ-თ-ეფ-ე-შე(ნ) მუ-თ-ე-ე-შე(ნ)	მუ-ნ-ეფ-იშე	[მა-თ-გან]

დანიშნ. -
მიზ.-მიზნ.
მათ გამო]

მუ-ნ-ეფ-იშოთ [მათ-თვის]
მუ-ნ-ეფ-იშ-ენ(ი) [მათ-თვის,

I .1.17.1. ჩვენებითი ნაცვალსახელი.

მეგრულსა და ლაზურში ჩვენებითი ნაცვალსახელები ქმნიან ორ ჯგუფს: ნაცვალსახელები, რომლებიც მესამე პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოიყენება, და საკუთრივ ჩვენებითი ნაცვალსახელები. სტრუქტურული თვალსაზრისით, ისინი იყოფა ძირეულ და წარმოქმნილ ნაცვალსახელებად.

პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელები ქმნიან საკმაოდ გრძელ რიგს როგორც სტრუქტურული, ასევე ფონეტიკური თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლაზურში კილოკაური სხვაობაც განაპირობებს ფორმათა სიმრავლეს. ჯერ ცალ-ცალკე განვიხილოთ მეგრულსა და ლაზურში.

მეგრულში გვაქვს შემდეგი ფორმები: **ათენა/თენა/ენა, ეთინა/თინა/ინა, ათე/თე/ე, ეთი/თი/ი.** გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამოსავალია ორი სრული ფორმა **ათენა** და **ეთინა**, რომლებიც გვაძლევენ შეკვეცილ, არასრულ ვარიანტებს. ერთი მხრივ, ცვლილება ხდება სიტყვის თავკიდურა მარცვლების მოკვეცივით: **ათენა>თენა>ენა, ეთინა>თინა>ინა**, მეორე მხრივ, პროცესი მიმდინარეობს საპირისპირო მიმართულებით: **ათენა>ათე, ეთინა>ეთი**, ან ერთდროულად ხდება კვეცა ორივე პოზიციაში: **ათენა>ათე>თე>ე, ეთინა>ეთი>თი>ი** [ყიფშიძე, 1994, 94-95; დანელია, 2006, 122].

არსებობს განსხვავებული მიდგომა, რომლის თანახმად, **ათენა, ეთინა** ფორმები რთული აგებულებისაა და ორი ნაცვალსახელური ძირის – **-თ-ს** და **-ნ-ს** შეერთებით ჩანს მიღებული, რომლებსაც წინ ერთვის დეიქსისები **ა** და **ე**, რომლებიც ასევე უკავშირდებიან ლაზურის ჩვენებით ნაცვალსახელებში დადასტურებულ **ჰა, ჰი** ელემენტებს [მარი, 1925, 18,22; ჩიქობავა, 1936, 81; ჩართოლანი, 1985, 140].

ფუნქციური თვალსაზრისით, ამ ნაცვალსახელთა შეფასება სპეციალურ ლიტერატურაში ასეთია: „სინქრონიულ დონეზე **ათე/თე/ე, ეთი/თი/ი** უნდა განვიხილოთ როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელები, ხოლო **ათე ნა/თენა/ენა** (მრ.რ. **ათენეფი/თენეფი/ენეფი**) და **ეთინა/თინა/ინა** (მრ. რ. **ეთინეფი/თინეფი/ინეფი**) როგორც პირის ნაცვალსახელები (რომლებიც წარმომავლობით ჩვენებითი ნაცვალსახელებია) და არა ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც გარკვეულ კონტექსტში პირის ნაცვალსახელის ფუნქციას ასრულებენ“ [კარტოზია, 2010, 139].

ამ მოსაზრებას სჭირდება კორექტირება პირველ ნაწილში, რადგანაც **ათე/თე და ეთი/თი** ნაცვალსახელები არ გამოიყენება მხოლოდ მსაზღვრელის ფუნქციით, რითაც ჩვენებითობის სემანტიკაა გამოხატული: **ათე** კოჩი „ეს კაცი“, **თე** კოჩი „ეს კაცი“... მეგრულ გაბმულ მეტყველებაში ჩვეულებრივია მათი გამოყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაც, მაგალითად:

მა ათე კოჩიქ მეჩუ თე ამბე, მარა თიქ სოვრეუე გეგე? „ მე ეს კაცი მომიყვა ამ ამბავს, მაგრამ მან საიდან გაიგო?“ თე ბაღანა ჯგირო გურაფლენს. ვარენო გამოცდებს ხოლო თექ დუდგ გეგმირჩქინდა, ართო ჯგირობუა იქი „ეს ბავშვი კარგად სწავლობს. თუ გამოცდებზეც ეს თავს

გამოიჩენს, დიდი სიკეთე იქნება“.

ასევე ბუნებრივია: **ათეს** ვაირაგადუდიო „ამას არ გეუბნებოდი“, **ეთის** ეკოთხოზუ „იმას დასდევს“ და სხვ. ამდენად, მხოლოდ ე და ი გამოიყენება ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, ხოლო **ეთი/თი, ათე/თე** გამოხატავს პირსაც და ჩვენებითობასაც, რითაც ის განსხვავდება **ათენა/თენა/ენა და ეთინა/თინა/ინა** ნაცვალსახელებისაგან. არის ერთი სხვაობაც: **ეთი/თი, ათე/თე** ნაცვალსახელებს აქვთ დამოუკიდებლად ბრუნვის უნარი, მაგრამ სისტემა ნაკლულია: არ გააჩნია სათანადო მრავლობითის ფორმები (იხ. პარადიგმები).

ლაზურში ჩვენებითი ნაცვალსახელები კილოკავური ვარიანტებითაა წარმოდგენილი. ესენია: ვიწურ-არქაბული ფორმები – **ჰადა//ჰაჰ/ჰა, ჰეა/ჰეჰა, ხოფური – აჰა, ეჰა, იჰა/ია/ჰა, ამ/ამუქ, ემ/ემუქ**, ათინური – **ჰიმ/ჰიმუ, ჰამ/ჰამუ/, ჰემ/ჰემუ/ემუ**, თუმცა არქაბულშიც არცთუ იშვიათად გვხვდება **ჰემუ>ჰემ**, ასევე **ჰენ ფორმები**. გარდა ამისა, ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში გვაქვს ა და ე მარტივი ჩვენებითი ნაცვალსახელები.

ერთი შეხედვითაც ცხადია, რომ ამ ნაცვალსახელების ჩვენებითობა დაკავშირებულია **ჰა/ა და ჰე/ე, ჰი** ნაწილებთან, რომლებიც ისტორიულად დეიქტური ნაწილებია. აღსანიშნავია, რომ ქართულში გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა სამწევროვანი სისტემა, სადაც ორი ფუნქციაა განვითარებული: ერთი მხრივ, მიმართება პირებთან არის დაკავშირებული (პირველ პირთან მყოფი **ეს**, მეორე პირთან მყოფი **ეგ**, მესამე პირთან მყოფი **ის**), ხოლო, მეორე მხრივ, გადმოცემულია საგნის სიახლოვე-სიშორე [ჩართოლანი, 1985, 7];

ზანურში, ასევე სვანურშიც, გვაქვს ჩვენებით ნაცვალსახელთა ორწევროვანი სისტემა, ანუ მიმართება პირებთან არ არის დაკავშირებული. სივრცეში ორიენტაცია, ანუ სიშორე-სიახლოვის აღნიშვნა მეგრულ-ლაზურში ემყარება დეიქტურ ხმოვანთა ოპოზიციას: ა – ახლოს მყოფი, ი/ე – შორს მყოფი.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ლაზურში (ჩართოლანი). რაც შეეხება წარმოდგენილი ნაცვალსახელების მეორე ნაწილს, ვიწურ-არქაბულსა და ხოფურში **ია/ჰა/ა** მიჩნეულია სადეტერმინაციო ღირებულების მქონე ნაწილებად მსგავსად **ნ/ნა** ელემენტებისა პირველ და მეორე პირში, ხოლო ათინურის -**მ** ნაცვალსახელურ ძირად [ჩიქობავა, 2008/1, 97-98].

ჩვენებით ნაცვალსახელებში წარმოდგენილი **მ<მუ** იგივე უნდა იყოს, რაც მესამე პირის ნაცვალსახელშია **მუ/მუქ**. ამას მხარს უჭერს როგორც **ამუქ, ემუქ** ფორმები, ასევე **ჰამუ, ჰემუ, ჰიმუ** ფორმები.

გამოითქვა ვარაუდი **ნ-/ნა-** ნაცვალსახელური ძირის გამოყოფისა ლაზურშიც. კერძოდ, ათინურში დადასტურებული მრავლობითის ფორმები **ჰანი „ესენი“, ჰინი „ისინი“ და ნანი „რომლები“ შესაძლო საფუძველია ნ** ძირის გამოსაყოფად (ჩართოლანი). რიცხვის მიხედვით ოპოზიციურ წყვილებს ქმნიან: **ჰამუ – ჰანი, ჰიმუ – ჰინი, ნამუ – ნანი**. იქმნება შთაბეჭდილება, რომ **მუ** ნაცვალსახელური ფუძის საპირისპიროდ გვაქვს **ნი** ნაცვალსახელური ფუძე, რომელსაც ამჯერად სიმრავლის გამოხატვა აკისრია [ეზუგბაია, 2010, 46].

ჩნდება კითხვა, შესაძლებელია თუ არა, რომ **ჰამუ, ჰიმუ, ნამუ** ფორმებს -**ეფ** სუფიქსით ეწარმოებინათ მრავლობითი რიცხვი. ცხადია, რომ ათინურში ასევე დადასტურებული ფორმებია **ჰანეფე, ჰინეფე, ნამთეფე ფორმები, რომლებიც სემანტიკურად სახეცვლილია და ნიშნავს „ეს ადგილები“, „ის ადგილები“, „რომელი ადგილები“**. ამ შემთხვევაში ან დაჩრდილულია **ჰან-ი** ფორმის მრავლობითობის სემანტიკა და რიცხვის გამოხატვა -**ეფ** მორფემას ეკისრება, რამაც გამოიწვია მნიშვნელობის გადაწვევაც, ან **ჰან-ი** ფორმას არც ჰქონია თავდაპირველად მრავლობითობის გაგება და მასში წარმოდგენილია **ნ** ნაცვალსახელური ძირი

ჰა||ჰი დეიქსისების მომდევნოდ.

***ჰან და *ჰინ** ფორმების დაშვებას გვაფიქრებინებს ასევე ყიფშიძისეულ ათინურ ტექსტებში დადასტურებული **ჰინ** ფორმა:

ჰინ ბოზო-მოთა, სევდა-მუშიშენი მერალი-ნა უ-თე, **ჰამ** დესტანი გამილუ (ყიფშ. II, 90, 2-3) „იმ შვილიშვილმა, თავისი სევდის გამო ბნელი ფიქრებით შეპყრობილმა, ეს პოემა გადმოიღო“...

როგორც ვხედავთ, კონტექსტში ერთდროულად ჩვენებითობის ფუნქციით იხმარება **ჰინ** „იმ, ის“ და **ჰამ** „ეს, ამ“ ნაცვალსახელები. ცხადია, ორივე მხოლოდობით რიცხვშია, რამდენადაც მსაზღვრელის ფუნქციით ხმარებისას ჩვენებით ნაცვალსახელებს მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ.

***ჰინ** ფორმა ისევე დასაშვები ჩანს ათინურში, როგორც **ჰიმ**, **ჰამ** ფორმები.

ერთი მხრივ, ათინურის ***ჰინ** ნაცვალსახელი, მეორე მხრივ, არქაულში დადასტურებული **ჰენ** ფორმა საფუძველს იძლევა საერთო მეგრულ-ლაზურ დონეზე გამოიყოს **ნ** ნაცვალ-სახელური ძირი. შეიძლება თუ არა ამ რიგში ჩადგეს კიდევ ერთი ნაცვალსახელური ძირი, რომელიც გვაქვს მეგრულში: **ათე/თე, ეთი/თი**. აქ ყურადღებას იპყრობს ჩვენებითი ნაცვალ-სახელების მრავლობითის ფორმები: **ჰანთეფე/ანთეფე/ჰათეფე, ჰამთეფე/ამთეფე, ჰენტეფე/ჰენთეფე/ჰეთეფე/ენტეფე/ენტეფე**. დეიქსური ნაწილის მომდევნოდ გვაქვს **თ** ელემენტი, რომელსაც ერთვის მრავლობითობის -**ეფ** სუფიქსი. **თ-ს** წინ ფონეტიკურადაა განვითარებული **მ/ნ** თანხმოვნები, რასაც ადასტურებს პარალელური ფორმები ამ ელემენტების გარეშე. ამოსავალ ფორმებად უნდა მივიჩნიოთ: **ჰათეფე, ჰეთეფე**, რომლებშიც რიცხვის ნიშნის წინ გამოყოფილი ნაწილი სიტყვის მხოლოდობითის ფუძედ უნდა ჩაითვალოს. **ჰა-თ/ა-თ, ჰე-თ/ე-თ** იგივე მასალაა, რაც მეგრულს გააჩნია [ჩიქობავა, 2008/1, 98].

შესაძლოა, ლაზურის ჩვენებით ნაცვალსახელებში მეგრულთან საზიარო ნაცვალ-სახელური ძირები **ნ, თ** შემოინახა მრავლობითის ფორმებმა.

ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუნქციური გადაწინააღმდეგება მეგრულისებურია. კერძოდ, **ჰა/ა და ჰე/ე** დეიქსური ნაწილი ყოველთვის მსაზღვრელის ფუნქციითაა: **ჰა** კოჩი „ეს კაცი“, **ჰე** კოჩი „ის კაცი“. შდრ. მეგრულში: **ე** კოჩი „ეს კაცი“, **ი** კოჩი „ის კაცი“. **ჰაა, ჰაჲ, ჰეა, ჰეჲ, აა, ეა, ია, ამუ, ემუ, ჰიმუ, ჰამუ, ჰემუ** სრული ფორმები ყოველთვის პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაა გამოყენებული. არასრული ფორმები: **ია/აა, ჰემ, ჰიმ, ჰამ, ამ, ემ** ძირითადად მსაზღვრელია, მაგრამ შეიძლება პირსაც გამოხატავდეს, მაგალითად, **ჰიმ ჰეჲ ხენ... ჰამ ჰაჲ ხენ... „ის იქ ზის“, ეს აქ ზის“** [ჩიქობავა, 2008/1, 340, 27].

ამრიგად, ლაზურში სრული ჩვენებითი ნაცვალსახელები სტრუქტურულად ორსეგმენტია: თავში წარმოდგენილია ჩვენებითი დეიქსისები შესაძლო ვარიანტებით: **ჰა>ა, ჰე>ე, ჰი>ი**, ხოლო მეორე სეგმენტად ნაცვალსახელური ძირები: **ია/აა, მუ** შესაბამისი ფონეტიკური ვარიანტებით, ასევე სავარაუდო ნაცვალსახელური ძირები **ნ** და **თ** მრავლობითის ფორმებში. მეგრულში ჩვენებითი ნაცვალსახელი სტრუქტურულად ასე გამოიყურება: სამსეგმენტია – თავში დეიქსისები **ა** და **ე**, მეორე და მესამე სეგმენტებად ნაცვალსახელური ძირები **თ, ნ**: **ა-თე-ნა, ე-თი-ნა**; ორსეგმენტია – დეიქსისები **ა, ე, ი** და ნაცვალსახელური ძირი: **ა-თე, ე-თი, ე-ნა, ი-ნა** ან: ნაცვალსახელური ძირები – **თე-ნა, თი-ნა**; ერთსეგმენტია – შეიძლება განვიხილოთ **თე** და **თი** ვარიანტები ისევე, როგორც დეიქსისები. როგორც ვხედავთ, სინქრონიულ დონეზე სხვადასხვა ფორმები გამოიყენება, თანაც, მეგრულისგან განსხვავებით, ლაზურში ნაცვალსახელები დიალექტურ ვარიანტებად არის წარმოდგენილი.

ისტორიულად ლაზურში დადასტურებული **მუ**- ნაცვალსახელური ფუძე დაიყვანება საერთო მეგრულ-ლაზურ **მუ<*მო** ძირამდე, რომელიც გვაქვს პირის ნაცვალსახელში **მუ/მუქ** და კითხვით ნაცვალსახელშიც **მუ** „რა“. აღსანიშნავია, რომ **ჰამ/ჰამუ, ჰიმ/ჰიმუ, ჰემუ/ემუ** ნაცვალსახელები ადამიანსაც აღნიშნავს და არაადამიანსაც, განსხვავებით **მუქ** საკუთრივ პირის ნაცვალსახელისაგან. თითქოს დეიქსისების დართვით **მუ** ნაცვალსახელურმა ძირმა შეიძინა პოლივალენტობა: გამოხატა პირიც და „არაპირიც“. მსგავსი რამ არ მომხდარა მეგრულში. სტრუქტურული თვალსაზრისით, მეგრულშიც თავდაპირველად უნდა გვექონოდა ორსეგმენ-ტიანი ჩვენებითი ნაცვალსახელები ყალიბით: **დეიქსისს + ნაცვალსახელური ძირი**. მით უმეტეს, რომ სწორედ ასეთ ფორმებშია წარმოდგენილი **ი** დეიქტური ხმოვანი (**ინა**), რითაც ლაზურის გვერდით აღმოჩნდება. მეგრულში ყველა სხვა ფორმა ამ სტრუქტურის მოდიფიკაციით ჩანს მიღებული.

I.1.17.2. ბრუნვა და რიცხვი.

ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნვა ორ სისიტემას ქმნის: ერთი მხრივ, გვაქვს სრული პარადიგმა, რომელშიც წარმოდგენილია ფორმები ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებით, მეორე მხრივ, პარადიგმა, რომელშიც მხოლოდ ფუძის ფორმითაა წარმოდგენილი და არ დაირთავს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს. პირველ შემთხვევაში ნაცვალსახელები გამოიყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციით და დამოუკიდებელი წევრია ზმნური შესიტყვებისა, ხოლო მეორე შემთხვევაში საკუთრივ ჩვენებითი ნაცვალსახელია და მსაზღვრელია სახელურ შესიტყვებაში. ეს კანონზომიერება საერთოა არა მარტო მეგრულ-ლაზურისათვის, არამედ ქართველური ენებისთვისაც. მიუხედავად ამისა, არის გარკვეული სხვაობები ამ პარადიგმების სტრუქტურაში.

მეგრულში **ათენა, თენა, ენა, ეთინა, თინა, ინა, ე, ი, ათე, თე, ეთი, თი** ნაცვალსახელები დამოუკიდებლად იბრუნვის, მიუხედავად იმისა, რომ **ე** და **ი** იშვიათად შეიძლება დადასტურდეს პირის აღმნიშვნელად. თითოეული მათგანი ბრუნვის ნიშანს დაირთავს და იბრუნვის როგორც ხმოვანფუძიანი სახელი, ანუ მხოლოდით რიცხვში ფუძე არასდროს არ იკვეცება. რაც შეეხება მრავლობითს, მეგრულში სახელთა ბრუნების საერთო წესის თანახმად, **ა-ზე** დაბოლოებული **ათენა, თენა, ენა, ეთინა, თინა, ინა** ნაცვალსახელების ფუძე იკვეცება ყველა ბრუნვაში, ხოლო მოთხრობით და მიცემით ბრუნვებში რიცხვის ნიშნები წარმოდგენილია შესაბამისი ვარიანტებით: **-ეფ/-ემ/-ენ**. რაც შეეხება **ათე, თე, ე, ეთი, თი, ი** ნაცვალსახელებს, რეალურად მათ მრავლობითის პარადიგმა არ გააჩნიათ. ზოგადად, **ე-ზე** დაბოლოებულ სახელებს მრავლობითში პარალელური ფორმები აქვთ – ფუძეუკვეცელი და ფუძეუკვეცადი: მაყარე – მაყარე-ეფ-ი, მაყარ-ეფ-ი, შესაბამისად, მოსალოდნელი იყო: ათე –*ათე-ეფ-ი, *ათ-ეფ-ი. იგივე ითქმის **ი** ფუძიანებზეც.

თითქოს ფონოლოგიურ დონეზე ხელის შემშლელი პირობები არ ჩანს და მაინც მრავლობითის ფორმები მეგრულში რეალიზებული არ არის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **ათენა, თენა, ეთინა, თინა** რთული, ანუ შედგენილი ნაცვალსახელებია, რომლის ბოლო კომპონენტი ყოველთვის **ნა** ნაცვალსახელური ძირია, შეიძლება ითქვას, რომ **თ** ნაცვალსახელური ძირისთვის პირის ნაცვალსახელის ფუნქციის მინიჭება აშკარად

მეორეულია და მხოლოდობითშიც მხოლოდ მას შემდეგ დაიტვირთა ამ ფუნქციით, როცა ათენა, თენა, ეთინა, თინა ჩამოყალიბდა პირის ნაცვალსახელებად. შეიძლება ითქვას, რომ ფუნქციურმა შეზღუდვამ განაპირობა სრული და არასრული მორფოლოგიური პარადიგმების ჩამოყალიბება. სინქრო-ნიულ დონეზე გვაქვს: ათენა, თენა, ეთინა, თინა, ენა, ინა ნაცვალსახელების სრული პარადიგმა მხოლოდობითსა და მრავლობითში; ეთი, ათე, თე, თი, ე, ი ნაცვალსახელების არასრული პარადიგმა, ანუ მხოლოდობითის ფორმებით მხოლოდ. ორივე შემთხვევაში ეს ნაცვალსახელები პირის ნაცვალსახელებია. აქვე ათე, თე, ეთი, თი, ე, ი ნაცვალსახელები ქმნიან მესამე, შეიძლება ითქვას ნულოვან პარადიგმას, როცა სახელურ შესიტყვებაში, რომლის პირველი წევრია ყოველთვის (ინვერსიული წყობა იშვიათია მეგრულში), ფუძის სახითაა წარმოდგენილი.

მხოლოდობითი რიცხვი:

მეგრული

ქართული

სახ.	ე-ნა- თ-ე-ნა ა-თე-ნა	(ისინი, იგინი)
მოთხრ.	ე-ქ თ-ე-ქ ა-თ-ე-ქ	ე-სე (ე-გ-ე)
მიც.	ე-ს თ-ე-ს ა-თ-ე-ს	ა-მა-ნ
ნათ.	ე-ში თ-ე-ში ა-თ-ე-ში	ა-მა-ს
მოქმ.	ე-თი თ-ე-თი ა-თ-ე-თ-ი	ა-მ-ის...
ვით.	ე-თ თ-ე-თ ა-თ-ე-თ	ა-მა-დ
მიმართ.	ე-შა თ-ე-შა ა-თ-ე-შა	ა-მის-და
დაშორ.	ე-შე თ-ე-შე ა-თ-ე-შე	[ა-მ-ისა-გან]
დანიშნ.	ე-შო(თ) თ-ე-შო(თ) ა-თ-ე-შო(თ)	[ა-მ-ის-თვის]
მიზ.-მიზნ.	ე-შენ(ი)	[ამისთვის]

მრავლობითი რიცხვი:

მეგრული

ქართული

სახ.	ე-ნ-ეფ-ი თ-ე-ნ-ეფ-ი ა-თ-ე-ნ-ეფ-ი	ე-სე-ნი ე-გე-ნი
მოთხრ.	ე-ნ-ენ-ქ თ-ე-ნ-ენ-ქ ა-თ-ე-ნ-ენ-ქ	ა-მა-თ
მიც.	ე-ნ-ენ-ს თ-ე-ნ-ენ-ს ა-თ-ე-ნ-ენ-ს	ა-მა-თ
ნათ.	ე-ნ-ეფ-იში თ-ე-ნ-ეფ-იში ა-თ-ე-ნ-ეფ-იში	ა-მა-თ
მოქმ.	ე-თი თ-ე-თი ა-თ-ე-თ-ი	[„ამეებით“]
ვით.	ე-თ თ-ე-თ ა-თ-ე-თ	[„ამეებად“]
მიმართ.	ე-შა თ-ე-შა ა-თ-ე-შა	[ა-მათ-და, ამათ-კენ]
დაშორ.	ე-შე თ-ე-შე ა-თ-ე-შე	[ამათ-გან]
დანიშნ.	ე-შო(თ) თ-ე-შო(თ) ა-თ-ე-შო(თ)	[ამათთვის]
მიზ.-მიზნ.	ე-შენ(ი)	[ამათთვის]

მხოლოდობითი რიცხვი:

მეგრული

ქართული

სახ.	ი-ნა თ-ი-ნა ე-თ-ი-ნა	ი-ს(ი) იგი
მოთხრ.	ი-ქ თ-ი-ქ ე-თ-ი-ქ	ი-მა-ნ
მიც.	ი-ს თ-ი-ს ე-თ-ი-ს	ი-მა-ს
ნათ.	ი-ში თ-ი-ში ე-თ-ი-ში	ი-მ-ის
მოქმ.	ი-თი თ-ი-თი ე-თ-ი-თი	ი-მ-ით
ვით.	ი-თ თ-ი-თ ე-თ-ი-თ	ი-მ-ად
მიმართ.	ი-შა თ-ი-შა ე-თ-ი-შა	[ი-მ-ის-კენ]
დაშორ.	ი-შე თ-ი-შე ე-თ-ი-შე	[ი-მ-ის-გან]
დანიშნ.	ი-შო(თ) თ-ი-შო(თ) ე-თ-ი-შო(თ)	[ი-მ-ისა-თვის]
მიზ.-მიზნ.	ი-შენ(ი)	[ი-მ-ისა-

თვის]

მრავლობითი რიცხვი:

მეგრული

ქართული

სახ.	ი-ნ-ეფ-ი, თ-ი-ნ-ეფ-ი, ე-თ-ი-ნ-ეფ-ი	ი-სი-ნი ი-გი-ნი
მოთხრ.	ი-ნ-ენ-ქ, თ-ი-ნ-ენ-ქ, ე-თ-ი-ნ-ენ-ქ	ი-მა-თ
მიც.	ი-ნ-ენ-ს, თ-ი-ნ-ენ-ს, ე-თ-ი-ნ-ენ-ს	ი-მა-თ
ნათ.	ი-ნ-ეფ-იში, თ-ი-ნ-ეფ-იში, ე-თ-ი-ნ-ეფ-იში	ი-მა-თ-
მოქმ.	ი-ნ-ეფ-ითი, თ-ი-ნ-ეფ-ითი, ე-თ-ი-ნ-ეფ-ითი	[„იმეებით“]
ვით.	ი-ნ-ეფ-ო, თ-ი-ნ-ეფ-ო, ე-თ-ი-ნ-ეფ-ო	[„იმეებად“]
მიმართ.	ი-ნ-ეფ-იშა, თ-ი-ნ-ეფ-იშა, ე-თ-ი-ნ-ეფ-იშა	[ი-მათ-და, ი-მათ-

კენ]

დაშორ.	ი-ნ-ეფ-იშე, თ-ი-ნ-ეფ-იშე, ე-თ-ი-ნ-ეფ-იშე	[ი-მათ-გან]
დანიშნ.	ი-ნ-ეფ-იშო(თ), თ-ი-ნ-ეფ-იშო(თ), ე-თ-ი-ნ-ეფ-იშო(თ)	[ი-მათ-თვის]
მიზ.-მიზნ.	ი-ნ-ეფ-იშენ(ი)	[ი-მათ-თვის]

ლაზურში ბრუნების სისტემა მეგრულისგან განსხვავდება, რადგან ყველა ძირითადი ჩვენებითი ნაცვალსახელი მხოლოდ სახელობით ბრუნვაშია წარმოდგენილი, ხოლო დანარჩენ ბრუნვებში ყველას ენაცვლება **მუ-** ფუძე შესაბამისი დეიქსის დართვით. შეიძლება ითქვას, რომ ხოფურსა და ვიწურ-არქაბულში მხოლოდით რიცხვში ორფუძიანობა გვაქვს, რაც ქართულის ვითარების ანალოგიურია. მაგალითად,

სახ.	ა-მა	ჰა-მა	შდრ. ქართ.	ეს
მოთხ.	ა-მუ-ქ	ჰა-მუ-ქ		ა-მა-ნ
მიც.	ა-მუ-ს	ჰა-მუ-ს		ა-მა-ს

მაგრამ ვიწურისთვის ასევე დამახასიათებელია მეგრულისებური ბრუნვაც, ანუ ყველა ბრუნვაში წარმოდგენილია ნაცვალსახელოვანი ფუძე **ჰადა: ჰა-მა-ქ, ჰა-მა-ს...** როგორც ჩანს, ეს მოვლენა მერმინდელია.

ათინურში **ჰამ**, **ჰიმ** ფორმებს აქვთ პარალელური **ჰამუ**, **ჰიმუ** ვარიანტები და სრულიად ლოგიკურია, რომ ბრუნების პარადიგმა ამავე ფუძეს ემყარება: **ჰა-მუ-ქ**, **ჰა-მუ-ს...** **ჰი-მუ-ქ**, **ჰი-მუ-ს...**

რაც შეეხება ხოფურ **ია** და ვიწურ-არქაბულ **ჰეა** ნაცვალსახელებს, ისინიც ორფუძიანებია არიან: **ია**, **ე-მუ-ქ**, **ე-მუ-ს...** **ჰეა**, **ჰე-მუ-ქ**, **ჰე-მუ-ს...** რამდენადაც **ია-ს** რიგში **ე** დეიქტური ხმოვანია, სავარაუდოა, რომ ისტორიულად **ია** მომდინარეობს **ეა** ფორმიდან, რაც სავსებით ეთანხმება **ჰეა** ფორმას [ჩიქობავა, 2008/1, 97-98].

ბრუნების პარადიგმების ანალიზი აჩვენებს, რომ ლაზურში ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნების სისტემა მთლიანად ემყარება **მუ** მესამე პირის ნაცვალსახელის ბრუნებას და მხოლოდ დეიქტური ხმოვნები ჰქმნიან სხვაობას. ამ თვალსაზრისით ლაზური მთლიანად განს-ხვავდება მეგრულისგან, რომელიც ჩვენებითი ნაცვალსახელების დამოუკიდებელ სისტემას წარმოგვიდგენს, მაგრამ უახლოვდება ქართულს, რაც ლაზურის ვითარების სიძველეზე მიუთითებს.

მრავლობითის ფორმების ანალიზისას აღვნიშნეთ ის თავისებურება, რაც **-თ** ნაცვალსახელური ძირით ჩანაცვლებას უკავშირდება. რეალურად მხოლობითის ფორმებიდან მხოლოდ დეიქტური ნაწილი რჩება უცვლელად და მთელს პარადიგმაში გვაქვს: ხოფურში – **ა/ე-ნ-თ-**, ვიწურ-არქაბულში – **ჰა/ე-მ-თ-//ჰა/ე-თ-** ფუძეები, რომლებსაც დაერთვის რიცხვის **-ეფ** ნიშანი და ბრუნვის ნიშნები. აღსანიშნავია, რომ არცთუ იშვიათად ხდება რიცხვის ნიშნის თანხმოვანი ელემენტის დაკარგვა და ასეთ ფორმებში ბოლოში თავს იყრის ორი **ე**: ხოფ. **ანთეე**, **ენტეე**, ვიწ. **ჰათეე**, **ჰეთეე**. ჯერ კიდევ არნ. ჩიქობავა შენიშნავდა: „ზოგჯერ თითქოს **-რ-** ისმის **ეე-ს** შორის: **ჰათ-ე(რ)-ე**, **ჰეთ ე(რ)-ე**; თუ ხმოვნებს შორის **-რ-** აღმოჩნდებოდა დაკარგული, მაშინ მრავლობითობის მაწარმოებლად **-ერ-** წარმოგვიდგებოდა“ [ჩიქობავა 2008/1, 99].

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში ლაზების მიერ გამოცემულ ლექსიკონში „ლაზური-თურქული ნენაფუნა“ არქაბულ ფორმებად დადასტურებულია **ჰანთერე**, **ჰენტერე**, ასევე კუთვნილებითი **ჰენტერეში** „იმისი“ და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **მინთერე** „ვინმეები“ ფორმები.

ჩვენი აზრით, ასეთ ფორმებში **-ერ** სუფიქსის გამოყოფა რიცხვის ნიშნად მართებულია. ეს ერთგვარ ინოვაციად არ გვესახება; პირიქით, აქ შემორჩენილია სვანურისებური **-არ** (შდრ. ქართ. წაბლ-ნ-არ-ი, ბუჩქ-ნ-არ-ი...) მრ. რიცხვის ნიშანი, რომელიც მეგრულში საერთოდ გაუჩინარდა. სამებნია მისი კვალი მეგრულ ტოპონიმებში.

განსხვავებით ხოფურისა და ვიწურ-არქაბულისგან, ათინურში მრავლობითის ფორმები არ დაირთავენ **-ეფ** მრავლობითის ნიშანს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ძირითადად, **ჰამუ** და **ჰიმუ** ფორმები ჩანაცვლებულია **ჰანი** და **ჰინი** ნაცვალსახელური ფორმებით.

მხოლობითი რიცხვი:

ლაზური

სახ.	ა-მა, ჰა-მა, ჰა-მ
მოთხრ.	ა-მუ-ქ ჰა-მუ-ქ, ჰა-მა-ქ
მიც.	ა-მუ-ს ჰა-მუ-ს, ჰა-მა-ს
ნათ.	ა-მუ-ში ჰა-მუ-ში, ჰა-მა-ში
მოქმ.	ა-მუ-თე(ნ) ჰა-მუ-თე(ნ), ჰა-მა-თე(ნ)

მიმართ. ა-მუ-შა || ჰა-მუ-შა, ჰა-და-შა
დაშორ. ა-მუ-შე(ნ) || ჰა-მუ-შე(ნ), ჰა-და-შე(ნ)
მიზ.-მიზნ. ა-მუ-შენ(ი)

**მრავლობითი რიცხვი:
ლაზური**

სახ. ა-ნ-თ-ეფ-ე || ჰა-მ-თ-ეფ-ე || ჰა-თ-ეფ-ე || ჰა-თ-ე-ე || ჰა-ნი
მოთხრ. ა-ნ-თ-ეფ-ე-ქ || ჰა-მ-თ-ეფ-ე-ქ || ჰა-თ-ეფ-ე-ქ || ჰა-თ-ე-ე-ქ || ჰა-ნი-ქ
მიც. ა-ნ-თ-ეფ-ე-ს || ჰა-მ-თ-ეფ-ე-ს || ჰა-თ-ეფ-ე-ს || ჰა-თ-ე-ე-ს || ჰა-ნი-ს
ნათ. ა-ნ-თ-ეფ-ე-ში || ჰა-მ-თ-ეფ-ე-ში || ჰა-თ-ეფ-ე-ში || ჰა-თ-ე-ე-ში || ჰა-ნი-ში
მოქმ. ა-ნ-თ-ეფ-ე-თე(ნ)||ჰა-მ-თ-ეფ-ე-თე(ნ)||ჰა-თ-ეფ-ე-თე(ნ)||ჰა-თ-ე-ე-თე(ნ)||ჰა-ნი-თე(ნ)
მიმართ. ა-ნ-თ-ეფ-ე-შა || ჰა-მ-თ-ეფ-ე-შა || ჰა-თ-ეფ-ე-შა || ჰა-თ-ე-ე-შა || ჰა-ნი-შ-ა
დაშორ. ა-ნ-თ-ეფ-ე-შე(ნ)||ჰა-მ-თ-ეფ-ე-შე(ნ)||ჰა-თ-ეფ-ე-შე(ნ)||ჰა-თ-ე-ე-შე(ნ)||ჰა-ნი-შ-ე(ნ)
მიზ.-მიზნ. ა-ნ-თ-ეფ-ე-შენ(ი)||ჰა-მ-თ-ეფ-ე-შენ(ი)||ჰა-თ-ეფ-ე-შენ(ი)||ჰა-თ-ე-ე-
შენ(ი)||
ჰა-ნი-შ-ენ(ი)

**მხოლოდითი რიცხვი:
ლაზური**

სახ. ი-ა || ჰე-ა || ჰი-მ
მოთხრ. ე-მუ-ქ || ჰე-მუ-ქ, ჰე-ა-ქ || ჰი-მუ-ქ
მიც. ე-მუ-ს || ჰე-მუ-ს, ჰე-ა-ს || ჰი-მუ-ს
ნათ. ე-მუ-ში || ჰე-მუ-ში, ჰე-ა-ში || ჰი-მუ-ში
მოქმ. ე-მუ-თე(ნ) || ჰე-მუ-თე(ნ), ჰე-ა-თე(ნ) || ჰი-მუ-თე(ნ)
მიმართ. ე-მუ-შა || ჰე-მუ-შა, ჰე-ა-შა || ჰი-მუ-შა
დაშორ. ე-მუ-შე(ნ) || ჰე-მუ-შე(ნ), ჰე-ა-შე(ნ) || ჰი-მუ-შე(ნ)
მიზ.-მიზნ. ე-მუ-შენ(ი)||ჰე-მუ-შენ(ი), ჰე-ა-შენ(ი) || ჰი-მუ-შენ(ი)

**მრავლობითი რიცხვი:
ლაზური**

სახ.	ე-ნ-თ-ეფ-ე ჰე-მ-თ-ეფ-ე, ჰე-თ-ეფ-ე, ჰე-თ-ე-ე ჰი-ნი
მოთხრ.	ე-ნ-თ-ეფ-ე-ქ ჰე-მ-თ-ეფ-ე-ქ, ჰე-თ-ეფ-ე-ქ, ჰე-თ-ე-ე-ქ ჰი-ნი-ქ
მიც.	ე-ნ-თ-ეფ-ე-ს ჰე-მ-თ-ეფ-ე-ს, ჰე-თ-ეფ-ე-ს, ჰე-თ-ე-ე-ს ჰი-ნი-ს
ნათ.	ე-ნ-თ-ეფ-ე-ში ჰე-მ-თ-ეფ-ე-ში, ჰე-თ-ეფ-ე-ში, ჰე-თ-ე-ე-ში ჰი-ნი-ში
მოქმ.	ე-ნ-თ-ეფ-ე-თე(ნ) ჰე-მ-თ-ეფ-ე-თე(ნ), ჰე-თ-ეფ-ე-თე(ნ), ჰე-თ-ე-ე-თე(ნ) ჰი-ნი-თე(ნ)
მიმართ.	ე-ნ-თ-ეფ-ე-შა ჰე-მ-თ-ეფ-ე-შა, ჰე-თ-ეფ-ე-შა, ჰე-თ-ე-ე-შა ჰი-ნი-შა
დაშორ.	ე-ნ-თ-ეფ-ე-შე(ნ) ჰე-მ-თ-ეფ-ე-შე(ნ), ჰე-თ-ეფ-ე-შე(ნ), ჰე-თ-ე-ე-შე(ნ) ჰი-ნი-შე(ნ)
მიზ.-მიზნ.	ე-ნ-თ-ეფ-ე-შენ(ი) ჰე-მ-თ-ეფ-ე-შენ(ი), ჰე-თ-ეფ-ე-შენ(ი), ჰე-თ-ე-ე- შენ(ი) ჰი-ნი-შენ(ი)

შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმები მხოლოდითა და მრავლობითი ფუნქციურად შეიძლება განვიხილოთ ერთ სისტემად. ფორმა-ლური თვალსაზრისით, ესაა სხვადასხვა ნაცვალსახელურ ძირთა პარადიგმები მხოლოდ მხოლოდით რიცხვში ან მხოლოდ მრავლობით რიცხვში.

პირის ნაცვალსახელის ფუნქციით გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნების სისტემა მეგრულსა და ლაზურში გამოავლენს ბრუნვისა და რიცხვის ფორმანტა საერთო ინვენტარსა და ბრუნების წესს, მაგრამ სრულიად განსხვავდება ნაცვალსახელური ფუძეებითა და პარადიგმებში მათი განაწილების წესებით. ამ თვალსაზრისით ლაზურს მეტი საერთო აქვს ქართულთან, ვიდრე მეგრულთან.

მეგრულსა და ლაზურში ჩვენებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელადაც გამოიყენება. როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში მათ მრავლობითი არ გააჩნიათ და არც იბრუნვიან, თუმცა არის რამდენიმე ნიუანსი, რითაც მეგრულისგან განსხვავდება ლაზური.

მეგრულში მსაზღვრელად გამოიყენება მხოლოდ **ათე, თე, ეთი, თი, ე** და **ი** ჩვენებითი ნაცვალსახელები და უცვლელად მიერთვის სახელს ყველა ბრუნვაში. ლაზურში დიალექტების მიხედვით ასე გადანაწილდება:

ხოფურში – **აა, ეა, ია, ია, აა, ამ, ემ, ა, ე;**

ვიწურ-არქაბულში – **ჰა, ჰე, ა, ე, ამ, ემ, ჰამ, ჰემ ;**

ათინურში – **ჰამ, ჰიმ, ჰემ.**

როგორც ვხედავთ, ლაზურში თითქმის ყველა ჩვენებითი ნაცვალსახელი დასტურდება მსაზღვრელის ფუნქციითაც, გამონაკლისია მხოლოდ ვიწურ-არქაბული, სადაც **ჰაა, ჰეა, ჰეა** ნაცვალსახელები გამოიყენება პირის ნაცვალსახელებად, თუმცა მსაზღვრელის ადგილს იჭერს **ჰამ** და **ჰემ** ფორმები, რომლებიც ირიბი ბრუნვის შეკვეცილი ფორმებია (იხ. პარადიგმა). აღსანიშნავია, რომ **ამ, ემ** ფორმებიც დეიქსისით გაფორმებული **მუ** ნაცვალსახელის შეკვეცილი ვარიანტებია, რომლებიც ასეთი სახით მიერთვის სახელს ყველა ბრუნვაში. მოსალოდნელი იყო, რომ ისინი მოთხრობითი ბრუნვიდან ჩანაცვლებოდნენ შესაბამისად **აა, ეა, ჰაა, ჰეა, ჰეა** ფორმებს, თუმცა ასეთი რამ არ ხდება.

მეგრული:

სახ. ათე//თე//ე//ეთი//თი//ი თოლი//თოლეფი

		ეს თვალი//თვალები
მოთხრ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლქ//თოლექჟ ამ თვალმა//თვალებმა
მიც.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლს //თოლეს ამ თვალს//თვალებს
ნათ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიში//თოლესში ამ თვალის//თვალების
მოქმ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლით//თოლესით ამ თვალით//თვალებით
ვით.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლო//თოლესო ამ თვალად//თვალებად
მიმართ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიშა//თოლესიშა ამ თვალთან//თვალებთან
დაშორ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიშე//თოლესიშე ამ თვალისგან//თვალებისგან
დანიშნ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიშო(თ)//თოლესიშო(თ) ამ თვალისთვის//თვალებისთვის
მიზ.-მიზნ.	ათე//თე//ე//ეთი//თი//ი	თოლიშენ(ი)//თოლესიშენ(ი) ამ თვალის /თვალების გამო

ლაზური:

სახ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ,	თოლი//თოლესე ეს თვალი//თვალები
მოთხრ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ,	თოლიქ//თოლესექ ამ თვალმა//თვალებმა
მიც.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ,	თოლის //თოლესეს ამ თვალს//თვალებს
ნათ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ,	თოლიში//თოლესეში ამ თვალის//თვალების
მოქმ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ,	თოლითე(ნ)//თოლესეთე(ნ) ამ თვალით//თვალებით
მიმართ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ,	თოლიშა//თოლესეშა ამ თვალთან//თვალებთან
დაშორ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ,	თოლიშე(ნ)//თოლესეშე(ნ) ამ თვალისგან//თვალებისგან
მიზ.-მიზნ.	ჰა//ადა//ა//ჰამ//ამ,	თოლიშენ(ი)//თოლესეშენ(ი) ამ თვალის/თვალების გამო

წარმოქმნილი ჩვენებითი ნაცვალსახელები მეგრულში მიღებულია ათე, თე, ე, ეთი, თი, ი ნაცვალსახელებზე დერივატების -გვარი, -ჯგურა/ჯგუა, -ზუ/გმა, -ნერი/-ნერი, -ფერი, -სხი,

-ცალი დართვით. ამათგან ნაწილი ნასესხებია ქართულიდან (-გვარი, -ფერი, -ცალი, -ნერი), ნაწილი ფონეტიკური შესატყვისია (-ჯგურა, -ზუ/გმა), ზოგიც მეგრულის ნიადაგზეა განვითარებული (-სხი) [კარტოზია..., 2010, 124].

აღსანიშნავია, რომ წარმოქმნაში არ მონაწილეობს ენა, ინა ნაცვალსახელური ფუძეები, რაც მათი პერსონალიზაციის შედეგია.

წარმოქმნილი ნაცვალსახელები ქმნიან ორ სემანტიკურ ჯგუფს: თვისების მაჩვენებელი ნაცვალსახელებია – ათეჯგურა, თეჯგურა, ეჯგურა „ამისთანა, ამის მსგავსი“, ეთიჯგურა, თიჯგურა, იჯგურა „იმისთანა, იმის მსგავსი“, ათეცალი, თეცალი, ეცალი „ასეთი, ამნაირი“, ეთიცალი, თიცალი, იცალი „ისეთი, იმნაირი“, ათენერი, თენერი, ენერი „ამნაირი“, ეთინერი, თინერი, ინერი „იმნაირი“, ათეგვარი, თეგვარი, ეგვარი „ამგვარი“, ეთიგვარი, თიგვარი, იგვარი „იმგვარი“, ათეფერი, თეფერი, ეფერი „ამნაირი“, ეთიფერი, თიფერი, იფერი „იმნაირი“; რაოდენობის მაჩვენებელი ნაცვალსახელებია – ათეზუ/გმა, თეზუ/გმა, ეზუ/გმა „ამდენი“, ეთიზუ/გმა, თიზუ/გმა, ეზუ/გმა „იმდენი“, ათესხი, თესხი, ესხი „ამდენი“, ეთისხი, თისხი, ისხი „იმდენი“.

როგორც წესი, ეს ნაცვალსახელები პრეპოზიციულად მიერთვის სახელებს და არ იბრუნვის. საზღვრულის ჩავარდნის შემთხვევაში კი თითოეული მათგანი იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი მხოლოდობითა და მრავლობით რიცხვში: ათეჯგურა, ათეჯგურა-ქ, ათეჯგურა-ს... ათეცალ-ი, ათეცალ-ქ, ათეცალ-ს...

ლაზურში წარმოქმნილი ნაცვალსახელები უფრო მწირია. ერთი მხრივ, გვაქვს თვისების მაჩვენებელი ჰასთერი, ასთერი/ასტერი, ჰასთეი, ასთეი, ასევე ვიწურში ჰადასთერი, ათინურში ჰამუსთერი „ასეთი, ამისთანა“, ჰისთერი, ისთერი/ისტერი, ისთეი, „ისეთი“ და მეორე მხრივ, რაოდენობის მაჩვენებელი ჰაკუ/ჰაკო, აკო, აკონო, აკონაი/აკონაი, აკონარი, ჰაკონერი, ჰაკონური „ამდენი“, ჰეკო, ეკო, ჰიკო/ჰიკუ, ჰეკონარი „იმდენი“. ეს ნაცვალსახელები სტრუქტურული თვალსაზრისით მეგრულისგან განსხვავდებიან. ჰა-სთერი, ა-სთერი, ჰამუსთერი... ნაცვალსახელებში გამოიყოფა სთერი/სტერი, სთეი ელემენტი, რომელიც არსებით სახელებთან და პირის ნაცვალსახელებთანაც გამოიყენება მსგავსების გამოსახატავად: ჩქიმი-სთერი, სქანი-სთერი, ჯუმა-სთერი, იმ კოჩი-სთერი, ქოთუმე-სთეი, ენთეფე-სთეი... ის ასევე ვით თანდებულის ბადალია: „წოხლენი-სტერი დოვიყოფურთ!“ (ყიფშ. 6,13) „წელანდელივით ვიზამთ“.

როგორც აღინიშნა, სთერი ფუნქციურად ქართ. თანა და მეგრ. ჯგურა-ს ბადალია. ეტიმოლოგიურად შეიცავს ქართ. -თანა (სვან. -თე) საერთო ძირს; ს ნაშთია ნათესაობითი ბრუნვის შ ნიშნისა, ვინაიდან შთ კომპლექსი ლაზურში ვერ ძლებს, იგი გარდაიქმნება სთ სისინა თანმიმდევრობად: ჰა-შ-თერ-ი > ჰა-ს-თერ-ი, ჰამუს-შ-ფერ-ი > ჰამუს-ს-თერ-ი, ჰადა-შ-თერ-ი > ჰადა-ს-თერ-ი „ამისთანა“...

რაოდენობის მაჩვენებელ ნაცვალსახელებში დეიქტური ელემენტების მომდევნოდ გამოიყოფა კონ ელემენტი, რომელიც სრულად იკითხება ფორმებში: ა-კონ-ა[რ]-ი, ჰა-კონ-ერ-ი, ჰა-კონ-ურ-ი, ჰე-კონ-ა[რ]-ი, ხოლო შეკვეცილი სახითაა არასრულ ფორმებში: ჰა-კო, ა-კო, ჰი-კო, ჰე-კო, ე-კო... აღსანიშნავია, რომ იგივე ელემენტი გვაქვს რაოდენობით კითხვით ნაცვალსახელში ნა-კო „რამდენი?“ (იხ. კითხვითი ნაცვალსახელები).

შესაძლებელია კო-კონ რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვიდან მომდინარეობდეს და დეიქსისებისა თუ ნაცვალსახელური ძირის მიერთებით წარმოიქმნა ახალი ნაცვალსახელური ფორმა. შეადარეთ მეგრ. მუსხე/ი? „რამდენი“ და თესხე/ი, ესხე/ი „ამდენი“ ნაცვალსახელები, სადაც ასევე გამოიყოფა -სხე/ი ელემენტი, რომელსაც აკავშირებენ

ოდენობის -სხეი ფუძესთან [კარტოზია..., 2010, 124].

დავაზუსტებთ იმას, რომ კილოკავური ვარიაციით წარმოდგენილი არის როგორც -სხი დაბოლოება, რომელიც მიღებულია შემდეგი გარდაქმნებით: **სხეი>სხიი>სხი**, ასევე **-სხე<-სხეი** შეკვეცილი ვარიანტი.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ნაცვალსახელებიც ძირითადად მსაზღვრელის ფუნქციით გამო-იყენება და ასეთ დროს არ იბრუნვის, თუმცა საზღვრულის ჩავარდნის შემთხვევაში ისევე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი.

ნაწარმოები ნაცვალსახელების სტრუქტურული ანალიზი გვიჩვენებს, რომ მათი წარმოქმნის პროცესი დამოუკიდებლად განვითარდა მეგრულსა და ლაზურში და განსხვავებული დერივანტები იქნა გამოყენებული, თუმცა სემანტიკურ-ფუნქციური მოცემულობა, ასევე ბრუნების წესი საერთოა.

I.1.18.1. კითხვითი ნაცვალსახელები.

მეგრულსა და ლაზურში პირის ნაცვალსახელების მსგავსად კითხვითი ნაცვალსახელები წარმოაჩენენ საერთო მასალას. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ ნაცვალსახელებზე, რომლებიც კითხვის სახით მიემართებიან არსებით სახელებს, იმავე ზმნურ აქტანტებს და შესაბამისად ენაცვლებიან პირის ნაცვალსახელებს. ესენია:

მეგრ.	მი/მინ/მინი	ლაზ.	მი/მინ	„ვინ?“
	მუ/მუდ		მუ/მუნ/მუდა/მიდა	„რა?“
	ნამუ/ნამგ		ნამუ/ნამ, ნადა	„რომელი?“

აღსანიშნავია, რომ ფონეტიკური ვარიანტები დიალექტურია არა მარტო ლაზურში, არამედ მეგრულშიც. მაგალითად, **მინი**, **მუდ** ფორმები უფრო მარტვილურ-სენაკური მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო **ნამგ** ფორმა სამურზაყანოლისთვის. ასევე, **მუდა/მიდა**, **ნადა** ფორმები ჩვეულებრივ ათინურში გვხვდება. **მი<მინ**, **მუ<მუნ** ნაცვალსახელები ბოლოკიდურ **-ნ** თანხმოვანს კარგავენ, უფრო მეტად ეს დამახასიათებელია მეგრულისთვის. როგორც წესი, ლაზურისგან განსხვავებით, მრავლობითში აღდგება **-ნ**: **მინ-ეფ-ი**, ხოლო ლაზურში **მი** და **მუ** ნაცვალსახელები ხმოვანფუძიანებად მოიაზრება, რასაც ადასტურებს მრავლობითში **-ფე** სუფიქსის დართვა: **მი-ფე** „ვინმეები“, **მუ-ფე** „რანი, რაები“. მეგრულში დასაშვებია ჩანს **-ნ**-ს აღდგენა **ნამუ<ნამუნ** ნაცვალსახელშიც, რადგან მრავლობითის ფორმად დასტურდება **ნამუნ-ეფ-ი**, თუმცა უფრო გავრცელებულია შეკვეცილი ფორმები: **ნამუ-ეფ-ი** და **ნამ-ეფ-ი**. ეს უკანასკნელი სამურზაყანოლისთვისაა დამახასიათებელი. თავის მხრივ, **ნამუ** ნაცვალსახელი რთული აგებულებისაა და შედგება **ნა-** ელემენტისა და მესამე პირის ნაცვალსახელისაგან **მუ/მუქ**. არნ. ჩიქობავა მას თარგმნის, როგორც „რა-ვინ?“ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორიულად **ნა-** ნაცვალსახელური ძირია და ქართ. **რა**-ს ბადალია. ამ მნიშვნელობით ზანურში დამკვიდრდა **მუ**, რომლის შესატყვისი ძირი ქართულში არ იძებნება განსხვავებით **მი** ნაცვალსახელისაგან, რომელიც ქართ. **ვი-ნ** ფუძის შესატყვისია.

აღნიშნული ნაცვალსახელები მეგრულსა და ლაზურში საერთო წესისამებრ იბრუნვის,

რა თქმა უნდა, კილოკავური ვარიანტების გათვალისწინებით. სხვაობა თვალსაჩინოა მრავლო-ბითში. ჯერ ერთი, **მუ** ნაცვალსახელს მეგრულში მრავლობითი არ ეწარმოება, ხოლო ლაზურ-ში **ნამუ** ნაცვალსახელის მრავლობითი წარმოდგენილია ორი ფორმით: ათინურში **ნამუ**-ს ენაცვლება **ნანი**, ხოლო დანარჩენ კილოებში – **ნამთეფე**. ეს უკანასკნელი მიღებულია **ნა-მუ-თ-ეფე** ფორმისაგან. ჩვენებითი ნაცვალსახელების **ჰამ/ჰამუ**, **ჰიმ/ჰიმუ** ანალიზისას აღვნიშნეთ, რომ მათი მრავლობითის ფორმები **ჰანი**, **ჰინი**, **ნანი**-სთან ერთად შესაძლებელს ხდის **ნ-ნი**-ნაცვალსახელური ძირის გამოყოფას, რომელსაც მოგვიანებით მრავლობითის გამოხატვა დაეკისრა. საერთოდ, მეგრულსა და ლაზურში პირისა და მათ შემცვლელ კითხვით ნაცვალ-სახელებში ძირითადად წარმოდგენილია **მ** თანხმოვნითი ძირები: **მა** „მე“, **მუ/მუქ** „მან“, **მი** „ვინ“, **მუ** „რა“, **ნა-მუ** „რომელი“. ასევე ისტორიულად დასაშვები ჩანს **ნ** თანხმოვნითი ძირები.

**ლაზურის პარადიგმა
მხოლობითი რიცხვი**

სახ.	მი(ნ) „ვინ“	მუ მუ-ა „რა“	ნამუ „რომელი“
მოთხრ.	მი-ქ	მუ-ქ მუ-ა-ქ	ნამუ-ქ
მიც.	მი-ს	მუ-ს მუ-ა-ს	ნამუ-ს
ნათ.	მი-ში	მუ-ში მუ-ა-ში	ნამუ-ში
მოქმ.	მი-თე(ნ)	მუ-თე(ნ) მუ-ა-თე(ნ)	ნამუ-თე(ნ)
მიმართ.	მი-შ-ა	მუ-შა მუ-ა-შა	ნამუ-შა
დაშორ.	მი-შე(ნ)	მუ-შე(ნ) მუ-ა-შე(ნ)	ნამუ-შე(ნ)
მიზ.-მიზნ.	მი-შენ(ი)	მუ-შენ(ი) მუ-ა-შენ(ი)	ნამუ-შენ(ი)

მრავლობითი რიცხვი

სახ.	მი-ფ-ე „ვინმეები“	მუ-ფ-ე „რანი“ (ბვ. ქართ. „ვიეთნი“)	ნა-ნი „რაები“	ნამ-თ-ეფ-ე „რომლები“
მოთხრ.	მი-ფ-ე-ქ	მუ-ფ-ე-ქ	ნა-ნი-ქ	ნამ-თ-ეფ-ე-ქ
მიც.	მი-ფ-ე-ს	მუ-ფ-ე-ს	ნა-ნი-ს	ნამ-თ-ეფ-ე-ს
ნათ.	მი-ფ-ე-შ(ი)	მუ-ფ-ე-შ(ი)	ნა-ნი-შ(ი)	ნამ-თ-ეფ-ე-შ
მოქმ.	მი-ფ-ე-თე(ნ)	მუ-ფ-ე-თე(ნ)	ნა-ნი-თე(ნ)	ნამ-თ-ეფ-ე-თე(ნ)
მიმართ.	მი-ფ-ე-შა	მუ-ფ-ე-შ-ა	ნა-ნი-შა	ნამ-თ-ეფ-ე-შ-ა
დაშორ.	მი-ფ-ე-შე(ნ)	მუ-ფ-ე-შ-ე(ნ)	ნა-ნი-შე(ნ)	ნამ-თ-ეფ-ე-შ-ე(ნ)
მიზ.-მიზნ.	მი-ფ-ე-შენ(ი)	მუ-ფ-ე-შ-ენ(ი)	ნა-ნი-შენ(ი)	ნამ-თ-ეფ-ე-შ-ენ(ი)

**მეგრულის პარადიგმა:
მხოლობითი რიცხვი:**

სახ.	მი(ნ)	ვი-ნ	ნამუ	რომელ-ი
მოთხრ.	მი-ქ	ვი-ნ	ნამუ-ქ	რომელ-მა
მიც.	მი-ს	ვი-ს	ნამუ-ს	რომელ-ს
ნათ.	მი-შ(ი)	ვი-სი	ნამუ-შ(ი)	რომელ-ის
მოქმ.	მი-თ	-	ნამუ-თ	რომელ-ით
ვით.	მი-თ	-	ნამუ-თ	რომელ-ად
მიმართ.	მი-შ-ა	ვისთან	ნამუ-შ-ა	რომელ-თან
დაშორ.	მი-შ-ე	ვისგან	ნამუ-შ-ე	რომლის-გან
დანიშნ.	მი-შ-ო(თ)	ვისთვის	ნამუ-შ-ო(თ)	რომლის-თვის
მიზ.-მიზნ.	მი-შ-ენ(ი)	ვისთვის	ნამუ-შ-ენ(ი)	რომლის-

თვის

მრავლობითი რიცხვი:

სახ.	მინ-ეფ-ი	ვინებ-ი	ნამუ-ეფ-ი	რომლებ-ი
მოთხრ.	მინ-ეფ/-ემ/-ენ-ქ	ვინებ-მა	ნამუ-ეფ/-ემ/-ენ-ქ	რომლებ-მა
მიც.	მინ-ეფ/-ემ/-ენ-ს	ვინებ-ს	ნამუ-ეფ/-ემ-ენ-ს	რომლებ-ს
ნათ.	მინ-ეფ-იში	ვინებ-ის	ნამუ-ეფ-იში	რომლებ-ის
მოქმ.	მინ-ეფ-ით	ვინებ-ით	ნამუ-ეფ-ით	რომლებ-ით
ვით.	მინ-ეფ-ო	ვინებ-ად	ნამუ-ეფ-ო	რომლებ-ად
მიმართ.	მინ-ეფ-იშ-ა	ვინებ-თან	ნამუ-ეფ-იშ-ა	რომლებ-თან
დაშორ.	მინ-ეფ-იშე	ვინების-გან	ნამუ-ეფ-იშე	რომლების-გან
დანიშნ.	მინ-ეფ-იშო(თ)	ვინების-თვის	ნამუ-ეფ-იშო(თ)	რომლების-თვის
მიზ.-მიზნ.	მინ-ეფ-იშენ(ი)	ვინების-თვის	ნამუ-ეფ-იშენ(ი)	რომლების-თვის

სახ.	მუ//მუდ	რა
მოთხრ.	მუ-ქ	რა-მ
მიც.	მუ-ს	რა-ს
ნათ.	მუ-შ	რ-ის
მოქმ.	მუ-თ	რ-ით
ვით.	მუ-თ	რა-დ

მიმართ.	მუ-შ-ა	რის-კენ
დაშორ.	მუ-შ-ე	რის-გან
დანიშნ.	მუ-შ-ო(თ)	რის-თვის
მიზ.-მიზნ.	მუ-შენ(ი)	რატომ

კითხვით ნაცვალსახელთა მეორე ჯგუფს ქმნის ნაწარმოები ნაცვალსახელები, რომლებიც მსაზღვრელის ფარდია სახელურ შესიტყვებაში. როგორც წესი, ისინი მიუთითებენ საგნის თვისებაზე ან რაოდენობაზე მსგავსად ჩვენებითი ნაცვალსახელებისა. მეგრულში მანარმო-

ებლად გამოიყენება იგივე დერივატები, რაც ჩვენებით ნაცვალსახელებშია: **-ნერ, -ფერ, -სხე/ი**, ასევე **-ზმა(ზუმა-ზომა)**. ისინი მიერთვის **მუ** „რა?“ ნაცვალსახელს და გვაქვს შემდეგი ფორმები: **მუნერი/ე** „რანაირი, როგორი?“ **მუფერი/ე** „რანაირი, რაფერი?“ **მუსხი/ე** „რამდენი?“ **მუზმა/მუზუმა** „რამდენი?“ მიუთითებენ **მუეფერი** ფორმაზეც, რომელიც **მუ თეფერი** სინტაგმის შეერთების შედეგი ჩანს [ლომია, 2005, 22] და მნიშვნელობით ქართულის **რა ამფერი** შესიტყვების ბადალია. **მუ** კითხვითი ნაცვალსახელისა და **თეფერი** ჩვენებითი ნაცვალსახელის კომბინაცია დასტურდება შემდეგი ვარიანტითაც: **მუთაფერი/ე**, რომლის მნიშვნელობაც უფრო ნეიტრალურია სივრცითი მიმართების თვალსაზრისით. მეგრულში რაოდენობის აღსანიშნავად კიდევ ერთი კითხვითი ნაცვალსახელი გამოიყენება: **მუდა** „რამდენი?“ შესამღებელია, მეგრული **მუ-და** შეიცავდეს **-და** ელემენტს, რაც ჩანს ქართულ **-დენ** დაბოლოებაში (რამ-დენ-, ამ-დენ-, იმ-დენ-...). ამ მოსაზრებას განაპირობებს **-და** სუფიქსის პოზიტივობა სხვაგანაც: **ი-და** „იმდენი“, **ან-და** „რამდენიმე“... [შდრ.: ლომია, 2005, 22-23].

მუდა-ს დაერთვის **-ნერ** დერივანტიც და მსგავსების აღმნიშვნელ ნაცვალსახელს ვიღებთ: **მუდანერი** „რამდენნაირი?“ არის კიდევ ერთი დერივანტი **-კა/-კალ**, რომელიც „ერთის, ცალის“ აღმნიშვნელია და **მუდა** ნაცვალსახელზე დართვით მიიღება ახლი ფორმები: **მუდაკა/მუდაკალი** „რომელი ერთი, რამდენი რამ“ და **მუდაკანერი** „რამდენნაირი, როგორი და რანაირი“. მეგრულში თვისების აღმნიშვნელია კიდევ ერთი ნაცვალსახელი **მუჭომი** „როგორი?“, რომელიც უკავშირდება კითხვით ზმნიზედას **მუჭო** „როგორ?“ აქაც გამოიყოფა დერივანტი **-ჭომ/-ჭო**, რომლის წარმომავლობაზე განსხვავებული თვალსაზრისები არსებობს [კარტოზია ..., 2010, 126].

ეს ლაზურ-მეგრული **-ჭო** (მუ-ჭო „როგორ“) იგივე ჩანს, რაც ინგილოური რამ-წო. ამას ქართ. **წ**: ზან. **ჭ** ბგერათესაეატყვისობა მხარს უჭერს.

ლაზურში თვისების აღმნიშვნელი კითხვითი ნაცვალსახელი წარმოდგენილია ფონეტიკური ვარიანტებით: **მუფერი>მუფევი, მუიფერი** „რანაირი, რაფერი, როგორი?“ ხოლო ნ. მარი არქაბულში მიუთითებს **მუჭომფერი** ფორმასაც, თუმცა თანამედროვე მეტყველებას და ლექსიკონებში ასეთი ფორმა არ იძებნება.

არ არის გამორიცხული, რომ მეგრულის გავლენით გაჩენილიყო ეს ფორმა. ცხადია ლაზურისა და მეგრულის თანხვედრა ქართულთან მიმართებითაც. განსხვავებულ მასალას გვიჩვენებს რაოდენობის აღმნიშვნელი კითხვითი ნაცვალსახელი შესაბამისი ვარიანტებით: **ნაკო/ნაკუ**, ვიწური **მუკო** „რამდენი?“ ნ. მარი ხოფურში მიუთითებს **ნაკონ** ფორმასაც: „ნაკონ ნენა გიჩქინი?“ „რამდენი ენა იცი?“ [მარი, 1911, 116-13].

ეს მხარს უჭერს ამ ნაცვალსახელებშიც **-კო/-კუ** ელემენტის **-კონ** ფორმისგან წარმომავლობას და იგივე შემთხვევაა, რაც გვქონდა ჩვენებით ნაცვალსახელებში (იხ. ზემოთ). **-კო/-კუ** ელემენტი მიერთვის **ნა-**, **მუ-** ნაცვალსახელურ ძირებს. **ნანი** და **ნამუ** ნაცვალსახელების ანალიზისას უკვე აღვნიშნეთ, რომ **ნა-** ელემენტი ფუნქციურად იგივე ოდენობა ჩანს, რაც მეგრ.ლაზ. **მუ** „რა?“ და ქართ. **რა**. ამას ადასტურებს ვიწურის **მუკო**, რომელიც სტრუქტურულად და მნიშვნელობითაც იმავე მოდელისაა, როგორც **ნაკუ**.

არსებობს ერთი ჯგუფი კითხვითი ნაცვალსახელებისა, რომლებიც საგანს ახასიათებენ ადგილისა და დროის ნიშნით, ესენია: მეგრულში – **სონი** „სადაური?“ **მუდროში** ან მისი შეკვეცილი ვარიანტი **მუდროში** „როდინდელი?“ ერთი მხრივ, ისინი გვევლინებიან შედგენილი შემასმენლის სახელურ ნაწილად: **სონი რე?** „სადაურია?“ **მუდროში რე?** „როდინდელია?“ , მეორე მხრივ, მსაზღვრელად სახელურ შესიტყვებაში: **სონი/ე კოჩი**

„სადაური კაცი“, **მუდროშური/მუდროში ამბე** „როდინდელი ამბავი“.

ლაზურში ადგილის აღმნიშვნელი კითხვითი სიტყვებია: **სონი, სონური არქ. ნაკ/ქონური ათინ. სოკ/ქონური** „სადაური“, ხოლო დროის აღმნიშვნელია **მუნდენერი** „როდინდელი?“ ფუნქციურად მეგრულის ანალოგიური ვითარებაა.

ლაზურში საყურადღებოა **სონური** ფორმა, რომელიც სტრუქტურულად ქართული მოდელის მსგავსია: **სონ-ურ-ი** ფორმაში გამოიყოფა დერივანტი **-ურ** მსგავსად ქართულისა: **სონური?** „სადაური?“ – **ხოფური** „ხოფელი“. შედარებით რთული წარმოებისაა **ნაკ/ქონური** და **სოკონური**. **ნაქ/ნაკ** კითხვითი ზმნიზედაა და ნიშნავს „სად?“ შესაბამისად, ადგილის ზმნიზედებისაგან **ჰაქ** „აქ“, **ჰიქ** „იქ“ **-ონ** მქონებლობის სუფიქსით იწარმოება ფორმები: **ჰაქონი** „აქაური“, **ჰიქონი** „იქაური“, თუმცა ხდება მათი მეორეული სუფიქსაციაც სადაურობის ფორმანტით და ვიღებთ ფორმებს: **ჰაქონური** „აქაური“, სიტყვასიტყვით: „აქიანური“, **ჰიქონური** „იქაური“, სიტყვასიტყვით: „იქიანური“. ამგვარი ორმაგი სუფიქსაციის შედეგია **ნაქ/კ-ონ-ურ-ი**, რომელიც სიტყვასიტყვით ასე გადმოიცემა – „სადიანური“. ანალოგიური სტრუქტურისაა **სოკონური** იმ სხვაობით, რომ **ნაკ/ქ-ს** ადგილს იჭერს **სოკ/ქ**. ჩვენი აზრით, **სოკ/ქ** ფუძეში გვაქვს იგივე **სო** ელემენტი **სონი, სონური** ნაცვალსახელებისა, ასევე **ნაკ/ქ** ფუძეშიც გამოიყოფა **ნა-ელემენტი**, შდრ. **ნაკო, ნამუ, ნანი**. შესაბამისად, ეს ელემენტები მიერთვის ადგილის ზმნიზედის **ქ/კ** ძირს, შდრ. **ჰა-ქ** „აქ“, **ჰი-ქ** „იქ“.

დროის აღმნიშვნელი მეგრული **მუდროშური** და ლაზური **მუნდენერი** „როდინდელი“ სტრუქტურულად საერთო ყალიბს იყენებს: **მუ/მუნ** „რა“ კითხვით ნაცვალსახელს მიერთვის დროის აღმნიშვნელი სიტყვები: მეგრულში **დრო-ს** ნათესაობითის ფორმა **დროშ** და ლაზურში – **დლა** სიტყვის მიცემითის ფორმა და მიღებული რთული ფუძე გაფორმებულია დერივანტებით, კერძოდ, **მუ-დროშ-ურ-ი** ფორმაში **-ურ** სუფიქსი ერთვის ნანათესაობითარ ფუძეს, სიტყვასიტყვით ითარგმნება, როგორც „რადროისური“, ლაზურში **-ერ** დერივანტი ერთვის ფონეტიკური გარდაქმნებით მიღებულ ფუძეს: **მუნ-დლას>მუნდას>მუნდეს**, რომელიც კითხვითი ზმნიზედაა „როდის“, ზედმიწევნით: „რა დღეს?“

ლაზ. **მუნდეს** ტიპი ჩანს მეგრულ **მუდის** „როდის“ ნაცვალსახელში.

თვისების, რაოდენობის, ადგილის, დროის ნაცვალსახელები, როგორც წესი, მსაზღვრელად ახლავს არსებით სახელებს და მათთან ერთად ბრუნებისას ფუძის სახითაა წარმოდგენილი. დამოუკიდებლად თითოეული მათგანი ისევე იბრუნვის, როგორც მსგავსი ფუძის ზედსართავი სახელი.

I.1.19.1. კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები პირისადმი კუთვნილებით დამოკიდებულებას გამოხატავენ, შესაბამისად, მეგრულ-ლაზურშიც გვაქვს პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები, რომელთაგან პირველი და მეორე სუბლექტური წარმოებისაა, ხოლო მესამე პირისა – ფლექსიური. ისევე, როგორც პირის ნაცვალსახელების შემთხვევაში, პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები საერთო მასალას წარმოგვიდგენს მეგრულსა და ლაზურში. ამ უკანასკნელში ჩვეულებისამებრ გვაქვს დიალექტური ფონეტიკური ვარიანტები.

პირველი	მეგრული	ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური
მხოლობითი	ჩქიმი	ჩქიმი	ჩქიმი	შქიმი/შკიმი
მრავლობითი	ჩქინი	ჩქინი	ჩქუნი	შქუნი/შკუნი

მეორე	მეგრული	ხოფური	ვიწურ-არქაბული	ათინური
მხოლობითი	სკანი/სქანი	სკანი	სკანი	სკანი
მრავლობითი	თქვანი	თქვანი	თქვანი/ტკვანი	თქვანი

მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიღებულია მესამე პირის, ამავე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან. ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი გამოდის დერივანტის ფუნქციით. საერთო ფორმა მეგრულსა და ლაზურს აქვს მხოლოდ ერთი, ესაა **მუ/მუქ** მესამე პირის ნაცვალსახელისაგან მიღებული ფორმა **მუში** „თავისი“ სათანადო მრავლობითის ფორმებით: მეგრ. **მუნეფიში/გ**, ლაზ. **მუნთეფეში/მუთეფეში**.

რაც შეეხება სხვა ფორმებს, ისინი განსხვავებულია, რადგანაც მასალობრივად განსხვავდება ჩვენებითი ნაცვალსახელები მეგრულსა და ლაზურში (იხ. ზემოთ).

მეგრულში მესამე პირის კუთვნილებას გამოხატავენ შემდეგი ნაცვალსახელები:

ათეში-ი/გ, თეში-ი/გ, ეში-ი/გ „ამისი“, **ათენეფიში-ი/გ, თენეფიში-ი/გ, ენეფიში-ი/გ** „ამათი“
ეთიში/გ, თიში/გ, იში/გ „იმისი“, **ეთინეფიში/გ, თინეფიში/გ, ინეფიში/გ** „იმათი“.

აღსანიშნავია, რომ **ენა** და **ინა** ნაცვალსახელები მხოლობითის ფორმებით არ გამოიყენება: ***ენაში, *ინაში**, თუმცა მრავლობითში ჩვეულებრივია: **ენეფიში, ინეფიში**.

ლაზურში მხოლობითში კუთვნილებითი ნაცვალსახელები წარმოდგენილია როგორც სახელობითის ფუძით, ასევე ირიბი ბრუნვების **მუ** ფუძითაც, რომელსაც ერთვის სათანადო დეიქსისები, შესაბამისად კუთვნილებითი ნაცვალსახელებია: ხოფ. **აააში-ი** „ამისი“, **ემუში** „იმისი“, ვიწ.-არქ. **ჰაააში-ი** „ამისი“, **ჰემუში** „იმისი“, ათინ. **ჰამუში-ი** „ამისი“, **ჰიმუში** „იმისი“. მრავლობითში მათ ენაცვლება: ხოფ. **ანთეფეში, ენთეფეში-ი**, ვიწ. **ჰანთეფეში/ჰათეფეში-ი, ჰენთეფეში/ჰეთეფეში**, არქ. **ჰენთერეში**, ათინ. **ჰანიში, ჰინიში**.

ზოგადად, მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელების წარმოება პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ფლექსიის გზით კიდევ ერთხელ მიუთითებს მესამე პირის განცალკევებულ და დაქვემდებარებულ სტატუსზე პირველ და მესამე პირებთან მიმართებით. მესამე პირის და მასთან დაკავშირებული ნაცვალსახელების ჩამოყალიბების პროცესი მოსდევს პირველი და მეორე პირთა სისტემის ჩამოყალიბების პროცესს. შესაბამისად, ნებისმიერი ნაცვალსახელი, რომელიც შესაძლოა მესამე პირის მონაცვლე იყოს, ნათესაობითი ფორმით მიუთითებს კუთვნილებაზე. მაგალითად, განუსაზღვრელი ნაცვალსახელი მეგრ. **შხვა**, ლაზ. **ჩქვა** „სხვა“ ნათესაობითში გვაძლევს ფორმებს: მეგრ. **შხვაში**, ლაზ. **ჩქვაში** „სხვისი“.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მსაზღვრელად ახლავს სახელს. თუ ის წინ უსწრებს საზღვრულს, ბრუნებისას ფუძის სახითაა წარმოდგენილი, ხოლო პოსტპოზიცივაში პირიქით: სახელი უბრუნველია და ნაცვალსახელი იბრუნვის. საერთოდ, მეგრულისა და განსაკუთრებით ლაზურისთვის დამახასიათებელია პოსტპოზიციური წყობა, რის გამოც ხშირად სინტაგმა იქცევა კომპოზიტად. ხშირად ეს ხდება ერთ-ერთი ფუძის შეკვეცის გზით. კერძოდ, მეგრულში ცვლილება ეხება არსებითი სახელის ფუძეს: დიამუში < დიადამუში,

და ლაზურ მეტყველებაში მისი მნიშვნელობა დავიწროებულია და უკუქცევითობის სემანტიკით მქონეა. იოს. ყიფშიძე შენიშნავს, რომ საკუთრივ უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციით მეგრულში იხმარება **დუდი** „თავი, თვითონ“ ფორმა [ყიფშიძე, 1994, 98]. მაგ.:

ჰოდ, ჩქიმ ჯაგა, ჩქიმი ჩელა, **დუდი** მაფუ ონგარალი (ტ. I, 294, 13) „ჰოი, ჩემო ჯაგა, ჩემო ჩელა, თავი მაქვს დასატირი“; იმა ვაგისხუნუნანო, **დუდი** ვადილორათინი (ტ. I, 292, 19) „იმას არ გირჩევნიათ, თავი არ მოიტყუოთ“; მუმ **დუს** კოჩი ლოლანსგნი, ინა ნტერს ვალოლენია (ყიფშ., 98) „თავის თავს კაცი რომ დამართებს, იმას მტერი არ უზამსო“...

მუ „მან“ ნაცვალსახელისათვის უკუქცევითობის სემანტიკის მეორეულობაზე ისიც მეტყველებს, რომ თანამედროვე მეგრულ ზეპირსიტყვიერებაში არცთუ იშვიათად იხმარება ქართულიდან შესული **თითონ/თვითონ** უკუქცევითი ნაცვალსახელი, რომელიც სამივე პირისთვის გამოხატავს უკუქცევითობას. მაგ.:

მა გაქუნუქ **თვითონ** (ხუბ. 10, 36) „მე გამოგყვები თვითონ“; **მუქ თვითონ** თამ ზოჯუ... „მან თავად ასე ბრძანა“...

ცხადია, რომ **დუდი** და **თითონ/თვითონ** ფორმების გამოყენება უკუქცევითობის ფუნქციით ქართულის გავლენაა და ბოლომდე მაინც ვერ ჩაანაცვლა **მუ** ნაცვალსახელი.

ლაზურში **მუქ** ნაცვალსახელის უკუქცევითობა გაცილებით სუსტადაა გამოხატული, ვიდრე მეგრულში. ამ მნიშვნელობით გამოიყენება **თი** „თავი“ არსებითი სახელი, რომელიც კუთვნი-ლებით ნაცვალსახელებთან ერთად იხმარება აუცილებლად წინა პოზიციაში და შესაბამისად, გამოხატავს პირის კუთვნილებასაც: თი ჩქიმი/შქიმი „ჩემი თავი“, თი სკანი „შენი თავი“, თი მუში „თავისი თავი“, თი ჩქუნი „თავი ჩვენი“, თი თქვანი „თავი თქვენი“, თი მუთეფემ „თავი მათი“, თინიში ფორმა ათინურია და მომხდარია შერწყმა: თი ჰინიში>თინიში [მარი, 1910, 147].

აღსანიშნავია, რომ მეგრულშიც დასტურდება ეს **თი** ოდნავი სემანტიკური გადაწვეით: „თავის სახლში, თავისთან“ მნიშვნელობის მქონეა. მაგ.,

მიდექონუ მუში **თიშა** (ყიფ. 7, 22) „წაიყვანა თავისთან“; ჭიჭე ხანიში უკული მუში **თიშა** გუუტუ (ყიფშ., 7, 24) „ცოტა ხნის შემდეგ თავის სახლში („თავისთან“) გაუშვა; მუში **თიშა** ქემორთუ თე კოჩქე (ყიფშ., 13, 2) „თავის სახლში მოვიდა ეს კაცი“; ინტგ მუში **თიშა** (ყიფ. 9, 13) „გაიქცა შინ („თავისთან“)“...

როგორც ვხედავთ, მეგრულშიც **თი** ძირითადად ახლავს კუთვნილებით ნაცვალსახელს. შესაძლოა ის უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით გაცილებით ადრე იხმარებოდა – დუდი სიტყვის ჩანაცვლებამდე. ამას გვაფიქრებინებს მეგრულ-ლაზურ-ქართულის საერთო მასალა: ლაზ. თ-ი, მეგრ. თუ-ში, ქართ. თ-ავ-ი [ჩიქობავა, 2008, 61-62].

I.1.21.1. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები.

მეგრულსა და ლაზურში წარმოდგენილია განსაზღვრებითი ნაცვალსახელების ორი ფენა: საკუთრივ ზანური და ნასესხები. შეიძლება ითქვას, რომ საკუთრივ ზანური მასალა წარმოდგენილია სამი ერთეულით: მეგრ.-ლაზ. **ირი** „ყოველი, ყველა, ყველაფერი“, მეგრ.

შხვა, ლაზ. ჩქვა „სხვა“, მეგრ. არძო „ყველა“. ამათგან ირი და **შხვა/ჩქვა** კანონზომიერ შესატყვისებს გვიჩვენებს ქართულთან: ზან. **ირ-ყირ** და ქართ. **ყოვლ**, ზან. **შხვა>ჩქვა** და ქართ. **სხვა** [ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 542, 426]. ამავე დროს ეს ერთეულები გარკვეული ვარიაციებითაა წარმოდგენილი მეგრულსა და ლაზურში.

ლაზურში ირი გვამღევს ფონეტიკურ ვარიანტებს: **ირრი არდ. იდი არქ.** ასევე რთულ ფორმებს: **ირიხოლო/იდი-ხოლო** „ყველა“ („ყველავე“), **ირი-თული/იდი-თურლი არქ. ირი-მუთუ, ირი-თევული ათინ.** „ყველაფერი“. თავისთავად რ>დ პროცესი დამახასიათებელია ლაზურისთვის, რაც შეეხება **ირ-ხოლო** ფორმას, **-ხოლო** ნაწილაკი იგივე ოდენობაა, რაც ლაზურსა და მეგრულში რიცხვით სახელებთან: ლაზ. **ჟურიხოლო**, მეგრ. **ჟირხოლო** „ორივე“, ანუ ქართ. **-ვე** ნაწილაკის ფუნქციური შესატყვისია. თუმცა მეგრულში ეს ნაწილაკი ერთვის პირის, ჩვენებით და კუთვნილებით ნაცვალსახელებსაც ქართ. **ც-** ნაწილაკის ფუნქციით: **თინახოლო** „ისიც“, **მახოლო** „მეც“, **ჩქიმხოლო** „ჩემიც“... ლაზურში კი დასტურდება განსაზღვრებით ნაცვალსახელებთან: **ირიხოლო, მთელიხოლო** „ყველა“(ყველავე). ლაზურში ცალკე იხმარება ფორმები **მ/ნთელი/პთელი/თელი** „ყველა“-ს მნიშვნელობით და მასალობრივად იგივეა, რაც ქართულში **მთელი**: **მთელი ხალხი**, სემანტიკურად იგივეა, რაც **ყველა**. სავარაუდოდ, ეს სიტყვა მეგრულსა და ლაზურში ქართულიდანაა ათვისებული.

ირი-თული/ირი-თურლი და **ირი-თევული** ფორმები წარმოდგენილია თურქული დერივანტებით. **ირი-მუთუ** ფორმა კი მოგვაგონებს მეგრულის სამურზაყანოულ კილოკავში დადასტურებულ **ირმუთუნი** „ყოველივე, ყველაფერი“ ფორმას. ცალკე აღებული **მუთუ/მუთუნ** „რადაც“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია, რომელიც უკავშირდება **ირი** ფორმას და სიტყვასიტყვით შეიძლება ითარგმნოს როგორც „ყველა რადაც“, რაც სემანტიკურად „ყველაფერს“ უტოლდება.

საკუთრივ თურქული ნასესხობაა ფორმები: **კატა** „ყოველი, ყველა“, **კატა-შედი** „ყველაფერი“.

მეგრულში **ირი** ნაცვალსახელი დაირთავს **-ფელი<ფერი, -ნერი** დერივანტებს და ვიღებთ შემდეგ განსაზღვრებით ნაცვალსახელებს: **ირიფელი/ირფელი** „ყველაფერი“, **ირფელნერი** „ყოველნაირი“, **ირნერი** „ყოველნაირი, ყოველგვარი“. ასევე გვაქვს კომპოზიტური წარმოების **ირკოჩი** „ყველა, ყველა კაცი“ მიცემითში **ირკოს** რედუცირებული ფორმით.

მეგრულში **შხვა** „სხვა“ ნაცვალსახელიც დაირთავს **-ნერი, -ცალი** დერივანტებს: **შხვანერი** „სხვანაირი“, **შხვაცალი** „სხვისი მსგავსი, სხვასავით“. ქართულის მსგავსად მეგრულშიც ხდება ფუძის რედუპლიკაცია და ვიღებთ **შხვადოშხვა** „სხვადასხვა“ ფორმას, რომელიც, თავის მხრივ, დაირთავს **-ნერი** და **-ფერი** მაწარმოებლებს: **შხვადოშხვანერი** „სხვადასხვანაირი“, **შხვადოშხვაფერი** „სხვადასხვაფერი, სხვადასხვაგვარი“.

ლაზურში გვაქვს **ჩქვა**, **არდ. შკვა** ფორმა, რომელიც გვამღევს რედუპლიკაციით **ჩქვადოჩქვა** „სხვადასხვა“ ერთეულს. გვაქვს კომპოზიტური ფორმებიც, კერძოდ **არ** „ერთი“ ფუძე მიერთვის თავში: **არჩქვა/არჩქვა** „ერთი სხვა, სხვა ვინმე“. სწორედ ამ ერთეულებს ემატება დერივანტები: **-კათი, -ნერი**: **არჩქვაკათი, არჩქვანერი** „ერთისხვანაირი“. **ჩქვა** ნაცვალსახელის მნიშვნელობით ლაზურში ფართოდ გამოიყენება თურქულიდან ნასესხები ლექსიკა: **ბაშქა, დაბანჯი, ად(რ)ი**. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ლაზურში რიგობითი რიცხვითი სახელის მრავლობითის ფორმა **მაჟურანეფე** ნიშნავს „სხვები, სხვანაირები“, თუმცა ზედმიწევნით ითარგმნება როგორც „მეორეები“.

მეგრულში **არძო/არძა** „ყველა“ ვარიანტებია, რომელსაც **-ნერი** და **-ფერი** დერივანტებით ეწარმოება ფორმები: **არძა/ონერი** „ყველანაირი“, **არძაფერი** „ყველაფერი“. განსაკუთრებით

საინტერესოა არმა/ო/ ართო ფორმა, რაც ნიშნავს „ყველა ერთად“: არმაართო მიშე „ყველა ერთად მოდიოდა“.

ლაზურში დასტურდება ო-ზე დაბოლოებული არძო ერთეული, რომელიც გვაძლევს ფონეტიკურ ვარიანტებს: არსო არდ. არწო. ასევე გვაქვს არწოი და არძოი ფორმები.

საინტერესო ფორმებია: არ-ხი „ზოგიერთი“, არხი-მარხი „ზოგ-ზოგიერთი“.

მეგრულში გამოიყენება ქართულიდან შესული ნაცვალსახელები: თვითონ/თითონ „თვითონ“, თითო, თითოეული.

მოცემული მეგრულ-ლაზური ნაცვალსახელების ბრუნების წესი მიუყვება საერთო წესს. რაც შეეხება მრავლობითის ფორმებს, ის ეწარმოება ნაცვალსახელს მეგრ. შხვა ლაზ. ჩქვა, ასევე -ნერი დერივანტით წარმოქმნილ ნაცვალსახელებს: ირნერეფი, შხვანერეფი. რაც შეეხება მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებას, გამოწვეულია მეგრულში ირკოჩი ნაცვალსახელი, რომელიც მხოლოდ აქტანტის ფუნქციას ითავსებს.

I.1.22.1. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი.

მეგრულსა და ლაზურში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სისტემა ქართულის მსგავსად ემყარება კითხვით ნაცვალსახელებს: მუ „რა?“, მი „ვინ?“, ნამუ „რომელი?“ მათი გაფორმება ხდება როგორც ნაწილაკებით, ასევე მეშველი ზმნით და საკავშირებელი სიტყვითაც, რის გამოც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები რთული აგებულებისაა და ზოგჯერ გამჭვირვალეც კი არის რთული დამოკიდებული წინადადების კონსტრუქცია მოცემულ ნაცვალსახელურ ფორმაში. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია მეგრულში, რომელიც მეტი ვარიაციულობითაც გამოირჩევა ლაზურთან შედარებით.

მეგრულში ჯერ კიდევ ი. ყიფშიძე გამოყოფდა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების სამ რიგს [ყიფშიძე, 1914, 049]. თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა.

1. ეს არის ჯგუფი, სადაც კითხვით ნაცვალსახელს მიერთვის -თი „-ცა“ ნაწილაკი, რომელსაც ისტორიულად მოსდევდა იფი „იქნება“ მეშველი ზმნა და -ნი „რომ“ კავშირი [როგავა, 1988, 224]. ამ კონსტრუქციის შერწყმის შედეგად მიღებული ფორმებია: მითინი<მითი/გ იფი ნი „ვინმე“ (ვინც რომ იქნება); მუთუნი < მუთი/გ იფი ნი „რამე“ (რაც რომ იქნება), ნამუთინი < ნამუთი/გ იფი ნი „რომელიმე“ (რომელიც რომ იქნება). ეს უკანასკნელი წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტით: ე-დაბოლოებით – ნამუთიმე, ნამუ-ს შეკვეცილი ვარიანტებით – ნამთინი, ნამთინე. -ე დაბოლოებიანი ფორმები უფრო მეტად იხმარება „ზოგი, ზოგ-ზოგი, მავანი“ ნაცვალსახელების მნიშვნელობით. მუთუნი დაირთავს -ნერი დერივანტსაც და ატრიბუტულ ნაცვალსახელად იქცევა: მუთუნნერი „არანაირი, ვერანაირი, რამენაირი“.

უნდა ითქვას, რომ ამ ნაცვალსახელების მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით. ეს უპირველესად დამოკიდებულია ზმნაზე. კერძოდ,

ა) ნაცვალსახელი თუ უკავშირდება დადებითი მოქმედების გამოხატველ ზმნას, მაშინ მათ აქვთ განუსაზღვრელი ნაცვალსახელის ფუნქცია:

მითინქ ქოთქუას „ვინმემ თქვას“, მუთუნი ქიმილას „რამე მოიტანოს“, ნამუთინი/ნამთინი

დოხანტუნს „რომელიმე დახატავს“.

ბ) თუ ნაცვალსახელი უკავშირდება უარყოფითი მოქმედების აღმნიშვნელ ზმნას, მაშინ მათ აქვთ უარყოფითი ნაცვალსახელის მნიშვნელობა:

მითინი ვაირჩქილე „არავინ არ გისმენს“, **მუთუნ ვამაკეთებე** „ვერაფერს ვერ გავაკეთებ“, **ნამთინქ ვევილეგ ხონარი** „არც ერთმა არ ამოიღო ხმა“, **ნამთინს ვეკალინგ ხონარ** „ვერც ერთმა ვერ ამოიღო ხმა“.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: არის თუ არა მეგრულში **არავინ**, **არარა**, **არაფერი** ნაცვალსახელების მსგავსი წარმოება? ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ შესიტყვებები: **მითინ ვარი < მითინ ვარე** „არავინ“ (ვინმე არ არის) და **მუთუნ ვარი < მუთუნ ვარე** „არაფერი“ (რაიმე არ არის).

2. მეორე ჯგუფი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებისა წარმოდგენილია ნაწილაკებით: **-გი <-გა** ქართ. **-ლა** ნაწილაკის ფუნქციური შესატყვისია, **-და <- თა <-თი** ქართ. **-ცა** ნაწილაკის ფუნქციური შესატყვისია. მაშასადამე, ქართულის ვი-ლა-ცა, რა-ლა-ცა, რომელი-ლა-ცა მასალის გათვალისწინებით ისტორიულად ასე უნდა ყოფილიყო: ***მი-გა-თი, *მუ-გა-თი, *ნამუ-გა-თი**, მაგრამ განვითარების რაღაც ეტაპზე მომხდარა ნაწილაკების გადასმა, რასაც მოჰყვა **-თ-ს** გამჟღერება **-გა-ს** წინა პოზიციაში: ***მი-თი-გა > *მითგა >მიდგა** „ვიღაცა“, ***მუ-თი-გა > *მუთგა >მუდგა** „რაღაცა“, ***ნამუ-თი-გა > *ნამუთგა >ნამუდგა >ნამდგა** „რომელიღაცა“. აღსანიშნავია, რომ ლაზურში ფონეტიკური გარდაქმნების ბოლო ეტაპი საპირისპირო მიმართულებით წავიდა (იხ. ქვემოთ). ამდენად, მივიღეთ **მიდგა, მუდგა, ნამდგა** ფორმები, თუმცა შემდგომ ამათი ვარიაციებიც გვაქვს: **მიგიდა** „ვიღაც, ვინმე“, **მიდა** „იმანო“, **მუდგია** „რაღაცა, რამე“, **მუდეფი** „რამეები, რამე-რუმეები“, **ნამდგია** „რომელიღაცა“.

ამავე ჯგუფში შემოდის მუჭომი „როგორი“ ნაცვალსახელისგან ნაწარმოები ნაცვალსახელები: **მუჭომდგია/მუჭოიდგა/მუჭოდგია/მუჭოდგა** „როგორიღაცა“.

3. მესამე ჯგუფი ემყარება მეორეს, ანუ **მიდგა, მუდგა, ნამდგა** ნაცვალსახელები ქმნიან რთულ კონსტრუქციას ორი მოდელით: 1. ჩვენთვის უკვე ნაცნობი – ნაცვალსახელურ ფუძეს + **იცი** „იქნება“ ზმნა + **ნი** კავშირი, 2. ნაცვალსახელურ ფუძეს + **ორე** „არის“ ზმნა + **ნი** კავშირი. შესაბამისად, გვაქვს შემდეგი ნაცვალსახელები: 1. **მიდგაინი < მიდგა იცი ნი** „ვიღაც, ვინმე“, **მუდგაინი < მუდგა იცი ნი** „რაღაცა, რამე“, **ნამდგაინი < ნამდგა იცი ნი** „რომელიმე, რაიმე, ვინმე“; 2. **მიდგარენი < მიდგა ორე ნი** „ვიღაცა, ვინმე, მავანი“ (ვინც რომ არის), **მუდგარენი < მუდგა ორე ნი** „რაღაცა“ (რაც რომ არის), **ნამდგარენი < ნამდგა ორე ნი** „ვიღაც, ვინმე“. უნდა ითქვას, რომ მეორე მოდელით ნაწარმოებ ნაცვალსახელთა ვარიანტებიც არსებობს.

-ნერი დერივანტითაა გაფორმებული ნაცვალსახელი **მუდგანერი** „რაღაცნაირი“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაცვალსახელი **მუდგადუნი** ჯერ კიდევ ინარჩუნებს დამოკიდებული წინადადების შინაარსს: **მუდგა** რდუ ნი გურ გამკომითუ „რაღაცამ (რაც რომ იყო) გული ამომიგდო“.

ლაზურში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები მეგრულთან შედარებით მცირერიცხო-ვანია წარმოების მოდელების მიხედვით, თუმცა არსებული სტრუქტურა მთლიანად მიუყვება მეგრულს. ძირითადია მეორე ტიპის წარმოება, ანუ წარმოდგენილია ნაწილაკებით: **-გა** და **-თი**, იმ განსხვავებით, რომ ფონეტიკური გარდაქმნა საპირისპირო მიმართულებით წარიმართა, კერძოდ, ნაწილაკთა მეტათეზისის გარეშე **თი-ს** რედუქციის შედეგად წარმოქმნილ მიმდევრობაში მოხდა მჟღერი **გ-ს** დაყრუება: **-თგა > -თხა**. შესაბამისად,

ამ მოდელით ნაწარმოები ძირითადი ნაცვალსახელებია: **მიტხა/მინტხა < *მინტგა<*მინ-თი-გა** „ვილაცა, ვინმე“, **მუტხა/მუნტხა < *მუნტგა <*მუნ-თი-გა** „რალაცა, რაიმე“. ამ ნაცვალსახელების ახალ ვარიაციებს ჰქმნის **-ნი** დაბოლოება, რომელიც იგივე ნაწილაკი ჩანს, რაც მეგრულში (შდრ. მითი-ნი, მუთუ-ნი...) : **მიტხანი** „ვილაცა“, **მუტხანი** „რალაცა“, **ნამუტხანი** „რომელიდაცა“. ეს უკანასკნელი მხოლოდ ამ ფორმითაა ლაზურში დადასტურებული, ანუ ვერ დაიძებნა ***ნამუტხა**.

რაც შეეხება მეშველი ზმნით ნაწარმოებ ფორმებს, მეგრულისგან განსხვავებული მოდელია იმ თვალსაზრისით, რომ **მითი** „ვინც“, **მუთი** „რაც“, **ნამუთი** „რომელიც“ მიმართებით ნაცვალსახელებს მიერთვის **რენ** ზმნა. შედეგად გვაქვს ნაცვალსახელებური ფორმები: **მითირენ/მითიენ** „ვინმე“ (ვინც არის), **მუთურენ/მუთუენ** „რამე“ (რაც არის). ასეთი წარმოება ვიწურისათვისაა დამახასიათებელი. პარალელურად დასტურდება **-ერე<ორე** ზმნური წარმოშობის დერივანტით გაფორმებული ფორმები: **მინთეე < მინთერე** „ვინმე, ვილაცა“, **ნამთერე** „რომელიდაცა“, ხოლო **მიტიკერე/მიტიკორე < მითი-ქ-ორე** „ვინმე“, **მუტიკერე/მუტიკორე < მუთი-ქ-ორე** „რალაც, რამე“ ფორმები დამახასიათებელია ათინური კილოკავისთვის და მიღებულია მიმართებითი ნაცვალსახელების მოთხრობითი ფორმისთვის **ერე-ს** მიერთებით. ამგვარი წარმოება მეგრულსაც ახასიათებს, შდრ. **მუდგაქიენი < მუდგა-ქი/გ რენ** „რალაცა“.

შეიძლება ითქვას, რომ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის წარმოების საერთო ქართველური მოდელის გვერდით მეგრულსა და ლაზურში გამოყენებულია მეშველზმნიანი ფორმები, რომელთა სტრუქტურა შედარებით უფრო მარტივია ლაზურში. მეგრული მეტი ვარიაციულობით ხასიათდება.

I .1.22.2. ბრუნვა და რიცხვი.

მეგრულსა და ლაზურში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების ბრუნვა დამოკიდებულია ფუძის დაბოლოებასა და სტრუქტურაზე. კერძოდ, **ა-ზე** და **ე-ზე** დაბოლოებული ნაცვალსახელები იბრუნვის როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელები, ხოლო დანარჩენი – როგორც თანხმოვანფუძიანი სახელები. განსხვავება თავს იჩენს მეშველზმნიან ნაცვალსახელ-თა ბრუნვაში. ერთი მხრივ, გვაქვს შეხორცებული ტიპის ბრუნვა, მეორე მხრივ, შეუხორ-ცებელი – ბრუნვის ნიშნები მეშველი ზმნის წინ დაერთვის ნაცვალსახელურ ფუძეს.

მეგრულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ძირითადად აქტანტების ფუნქციით გამოიყენება, მაგრამ მრავლობითის ფორმები ზოგიერთ მათგანს ეწარმოება. კერძოდ, მეგრულში მრავლობითი ფორმებია: **მიდეფი** „ვილაცები“, **მუდეფი** „რალაცები“, **მიდგარენეფი** „ვინმეები“, **მუდგარენეფი** „რამეები“, **ნამდგარენეფი** „რომელიდაცები“. პირველი ორი ფორმა წარმოადგენს შეკვეცილ ვარიანტებს: **მიდგა > მიდა**, **მუდგა > მუდა**, ხოლო დანარჩენი **რენ** მეშველზმნიანი ფორმებია. ლაზურში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიდან მრავლობითი ეწარმოება **-ნი** ნაწილაკიან ფორმებს: **მიტხანეფე** „ვილაცები“, **მუტხანეფე** „რალაცები“, **ნამუტხანეფი** „რომელიდაცები“. იგივე ნაცვალსახელები მსაზღვრელადაც გვხვდება.

მეგრულში კი მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება ნაცვალსახელები: **მუდგანერი** „რალცნაირი“, **მუთუნერი** „არანაირი, ვერანაირი, რამენაირი“, **მუჭომდგია/მუჭოიდგა/მუჭოდგია/მუჭოდგა** „როგორიღაცა“. არსებით სახელთან ერთად ბრუნებისას ეს ნაცვალსახელები ფუძის სახით გადაჰყვება ყველა ბრუნვაში.

მეგრული:

სახ.	მიდგარენი/მიდგაენი/მიდგარენი/მიდგაენი
მოთხრ.	მიდგა-ქი (უ,გ) რენი/მიდგა-ქი(უ,გ)-ენი/ მიდგარენქ/მიდგაენქ(ი,უ, გ)
მიც.	მიდგა-სი (უ,გ)-რენი/მიდგა-სი(უ, გ)-ენი მიდგარენ-ს/მიდგაენ-ს(ი,უ, გ)
ნათ.	მიდგა-ში-რენი/მიდგა-ში-ენი მიდგარენ-იშ(ი)/მიდგაენ-იშ(ი)
მოქმ.	მიდგა-თი-რენი/მიდგა-თი-ენი მიდგარენ-ით(ი)/მიდგაენ-ით(ი)
ვით.	მიდგა-თ-რენი/მიდგა-თ-ენი მიდგარენ-ო/მიდგაენ-ო
მიმართ.	მიდგა-შა-რენი/მიდგა-შა-ენი მიდგარენ-იშა/მიდგაენ-იშა
დაშორ.	მიდგა-შე-რენი/მიდგა-შე-ენი მიდგარენ-იშე/მიდგაენ-იშე
დანიშნ.	მიდგა-შოთ(ი)-რენი/მიდგა-შოთ(ი)-ენი მიდგარენ-იშო(თ)/ მიდგაენ-იშო(თ)
მიზ.-მიზნ.	მიდგა-შენ(ი)/მიდგარენ-იშენ(ი)/მიდგაენ-იშენ(ი)

ლაზური

სახ.	მინთხა	მინთერე//მიტიკორე	ვილაცა
მოთხრ.	მინთხა-ქ	მინთერე-ქ//მიტიკორე-ქ	ვილაცა-მ
მიც.	მინთხა-ს	მინთერე-ს//მიტიკორე-ს	ვილაცა-ს
ნათ.	მინთხა-ში	მინთერე-ში//მიტიკორე-ში	ვილაც-ის
მოქმ.	მინთხა-თე(ნ)	მინთერე-თე(ნ)//მიტიკორე-თე(ნ)ქ	ვილაც-ით
მიმართ.	მინთხა-შა	მინთერე-შა//მიტიკორე-შა	ვილაცას-თან/კენ
დაშორ.	მინთხა-შე(ნ)	მინთერე-შე(ნ)//მიტიკორე-შე(ნ)	ვილაც-ით
მიზ.-მიზნ.	მინთხა-შენ(ი)	მინთერე-შენ(ი)//მიტიკორე-შენ(ი)	ვილაცისთვის

I.1.23. უარყოფითი ნაცვალსახელები.

მეგრულსა და ლაზურში ძირითადად გვაქვს შემდეგი უარყოფითი ნაცვალსახელები: მეგრ. **მითა/მითი(ნი)**, ლაზ. **მითი** „არავინ“, მეგრ. **მუთა**, ლაზ. **მუთუ/მუთი** „არარა, არაფერი, ვერაფერი“. როგორც ვხედავთ, ორივეგან ფორმები ნაწარმოებია **-თი > თა** ნაწილაკის დართვით **მი** „ვინ?“ და **მუ** „რა?“ კითხვით ნაცვალსახელებზე. გარკვეულ წილად, ეს ფორმები ემთხვევა მიმართებით ნაცვალსახელებს, თუმცა მოულოდნელიც არაა, რადგან ზემოთ უკვე აღინიშნა **მითინი** და **მუთუნი** განუსაზღვრელი ნაცვალსახელების ორგვარი მნიშვნელობა (იხ. ზემოთ).

I.1.24. მიმართებითი ნაცვალსახელები.

მიმართებითი ნაცვალსახელების ფუნქციით მეგრულსა და ლაზურში კითხვითი და კუთვ-ნილებითი ნაცვალსახელები გამოიყენება როგორც **-თი** ნაწილაკდართული, ასევე უნაწილაკო ფორმებით. მეგრულში ამ ფუნქციას ასრულებს განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიც, რაც მეგრული ჰიპოტაქსის თავისებურებაა [ლომია, 2005, 24]. რამდენადაც მიმართებითი ნაც-ვალსახელები მასალობრივად არ განსხვავდება აღნიშნული ჯგუფების ნაცვალსახელებისგან და თავისთავად მისი არსებობა სინტაქსითაა შეპირობებული, ამჯერად არ შევჩერდებით ამ საკითხზე.

ბრუნების თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ **-თი** ნაწილაკი ბრუნვის ნიშნის შემდეგ ერთვის ყველა ფორმას, ანუ შეუხორცელებელი ბრუნების სისტემაა მეგრულში.

მეგრული:

სახ.	ნამუ-თ[ი]	რომელიც
მოთხრ.	ნამუ-ქ(ი,უ,გ)-[ი]	რომელმაც
მიც.	ნამუ-ს(ი,უ,გ)-[ი]	რომელსაც
ნათ.	ნამუ-ში-თ[ი]	რომლისაც
მოქმ.	ნამუ-თი-თ[ი]	რომლითაც
ვით.	ნამუ-თ-თი	რომლადაც
მიმართ.	ნამუ-შა-თ[ი]	რომელთანაც/რომლისკენაც
დაშორ.	ნამუ-შე-თი	რომლისგანაც
დანიშნ.	ნამუ-შო-თი	რომლისთვისაც
მიზ.-მიზნ.	ნამუ-შენ(ი)	რომლისთვისაც

I. 25. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები.

ამ ჯგუფის ნაცვალსახელებსაც საფუძვლად უდევს კითხვითი ნაცვალსახელების **მი** „ვინ“, **მუ** „რა“, **ნამუ** „რომელი“ ნათესაობითი ბრუნვის ფორმები. შესაბამისად, გვაქვს შემდეგი ნაცვალსახელები: **მიში** „ვისი?“, **მუში** „რისი?“ **ნამუში** „რომლისა?“

სახ.	მიშ-ი	ვის-ი
-------------	--------------	--------------

მოთხრ.	მიში-ქ	ვის-მა
მიც.	მიში-ს	ვისა-ს
ნათ.	მიში (// მიში-ში)	–
მოქმ.	მიში-თ	ვის-ით
ვით.	მიშ-ო	ვის-ად
მიმართ.	მიშ-იშა	–
დაშორ.	მიშ-იშე	–
დანიშ.	მიშო(თ)	–
მიზ.-მიზნ.	მი(შ)-შენ(ი)	

I . 26.1. ურთიერთობითი ნაცვალსახელები.

ურთიერთობითი ნაცვალსახელები მეგრულში წარმოდგენილია ორი ფორმით **ართიანი**, **ართიმაჟირა//ართმაჟირა//ართმაჟია**. ეს უკანასკნელი მიღებულია ორი ფუძის გაერთიანებით: **ართი** „ერთი“, **მაჟირა** „მეორე“. ამ ტიპის წარმოება უცხო არაა ლაზურისთვის, სადაც დასტურდება **ართი მაჟურა**-ს სახით. ძირითადი ფორმაა **ართი-ართი** დიალექტური ვარიანტებით: **ართიკათი//ართიკართი** არქ. **ართიქათი** ათინ. **ქართიქართი**.

ურთიერთობითი ნაცვალსახელები იბრუნვის საერთო წესის თანახმად და მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ.

მეგრული:

სახ.	ართიან-ი	ერთმანეთი	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა	ერთიმეორე
მოთხრ.	ართიან-ქ (ი, უ, გ)	–	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-ქ (ი, უ, გ)	ერთიმეორემ
მიც.	ართიან-ს/ც (ი, უ, გ)	ერთმანეთს	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-ს (ი, უ, გ)	ერთიმეორე-ს
ნათ.	ართიან-იში(ი)	ერთმანეთის	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-ში	ერთიმეორ-ის
მოქმ.	ართიან-ით	ერთმანეთით	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-თი	ერთიმეორ-ით
ვით.	ართიან-ო	ერთმანეთად	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-თ	ერთიმეორე-დ
მიმართ.	ართიან-იშ-ა	ერთმანეთთან	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-შ-ა	ერთიმეორეს-თან
დაშორ.	ართიანი-შ-ე	ერთმანეთისგან	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-შ-ე	ერთიმეორის-გან

დანიშნ.	ართიან-იშ-ო(თ)	ერთმანეთისთვის	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-შ-ო(თ)	ერთიმეორის-თვის
მიზ.-მიზნ.	ართიან-იშენ(ი)	ერთმანეთისთვის	
		ართ[ი]მაჟი[რ]ა-შენ(ი)	ერთიმეორის-თვის

ლაზური

სახ.	ართიკათი-ი	ერთმანეთ-ი
მოთხრ.	ართიკათი-ქ	ერთმანეთ-მა
მიც.	ართიკათი-ს	ერთმანეთ-ს
ნათ.	ართიკათი-ში	ერთმანეთ-ის
მოქმ.	ართიკათი-თე(ნ)	ერთმანეთ-ით
მიმართ.	ართიკათი-შა	ერთმანეთ-თან
დაშორ.	ართიკათი-შე(ნ)	ერთმანეთის-გან
მიზ.-მიზნ.	ართიკათი-შენ(ი)	ერთმანეთისთვის

I. 2. სახელთა სიტყვაწარმოება ლაზურსა და მეგრულში.

I. 2.1. სიტყვაწარმოება. სიტყვაწარმოების არსი.

სიტყვაწარმოება სემანტიკურად ახალი სიტყვის წარმოების პროცესს გულისხმობს. ფორმაწარმოების დროს სიტყვის ფორმა იცვლება, შინაარსობრივი პლანი უცვლელი რჩება. ფორმა სიტყვაწარმოების (resp. დერივაციის) დროსაც იცვლება, – ფორმაში ჩნდება აფიქსი, რომელთანაც არის დაკავშირებული სიტყვის სემანტიკური ტრანსფორმაცია. ერთი სიტყვით, ფორმაწარმოებისას (resp. ბრუნებისას) მხოლოდ ფორმა იცვლება, ხოლო **სიტყვაწარმოებისას იცვლება როგორც ფორმა, ისე სემანტიკაც.**

აფიქსური სიტყვაწარმოება ორი საენათმეცნიერო დარგის – მორფოლოგიისა და ლექსიკოლოგიის შესასწავლი ობიექტია: მორფოლოგია შეისწავლის დერივაციული აფიქსის სტრუქტურას, წარმომავლობას, მორფონოლოგიურ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს, ხოლო ნაწარმოებ სიტყვათა ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს ლექსიკოლოგია სწავლობს.

სახელები ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრივ, გვაქვს **ძირეული ანუ პირველადი** სახელები, მეორე მხრივ – **მეორეული, ნაწარმოები, წარმოქმნილი** სახელები.

პირველადი სახელებია: კოჩი „კაცი“, ოსური „ქალი“ („ასული“), და „და“, ჯიმა „ძმა“, თოლი „თვალი“, ხე „ხელი“, დუდი „თავი“, ჩხვინდი „ცხვირი“, თუმა „თმა“, წყარი „წყალი“, ოზე „ეზო“, თხა „თხა“, ჩხოუ „ძროხა“...

პირველად სახელებზე სიტყვამაწარმოებელი აფიქსების დართვით ვიღებთ ნაწარმოებ სახელებს: კოჩანა „კაცობა“, უკოჩე „უკაცო“, კოჩური „კაცური“... უოსურე „უქალო, უცოლო“, საოსურო „საცოლო“, ნაოსური „ნაცოლარი“, ოსურამი „ცოლიანი“...

ძირეულ სიტყვასაც და წარმოქმნილსაც ერთნაირი ფორმაცვალება ახასიათებთ: ბრუნვათა მიხედვით სიტყვის ცვლილებისას სიტყვის სემანტიკურ მახასიათებლებს არ ექცევა ყურადღება, მთავარია ფორმა, სიტყვის სტრუქტურა.

მეორე მხრივ, სიტყვაწარმოებითი მოდელების შესწავლას თავისი სპეციფიკა აქვს. გრამატიკული ფლექსიისაგან განსხვავებით, რომლისთვისაც, ჩვეულებრივ, მნიშვნელობა არა აქვს მაწარმოებელი ფუძეების სემანტიკას, სიტყვაწარმოებითი საშუალებების გამოყენების სფერო მკაცრად შეზღუდულია სწორედ სემანტიკით [ქობალავა, 1979, 109].

დერივატს აქვს საკუთარი ფუძე, რომელიც განსხვავებულია ძირეული სიტყვის ფუძისაგან, გართულებულია დერივაციული აფიქსებით.

სიტყვაწარმოება გულისხმობს არამხოლოდ აფიქსურ სიტყვათქმნადობას: ეს არის ორი ან მეტი სიტყვის კომბინაციით, სინთეზით მიღებული რთული სიტყვების სისტემა, სხვაგვარად: **კომპოზიცია.**

პირველ რიგში განვიხილავთ აფიქსურ სიტყვაწარმოებას:

ფორმის მიხედვით გვაქვს: **სუფიქსიანი** და **პრეფიქს-სუფიქსიანი** წარმოება. ეს არის ძირითადი წარმოება (ისევე როგორც სალიტერატურო ქართულში): დუდ-ა „თავა“... სოფელ-არ-ი „სოფელი“... ჭუბურ-ონ-ი „წაბლნარი“...

შედარებით ნაკლებად **ოდენპრეფიქსული** წარმოების ტიპიც დასტურდება: ოსურ-ი „ცოლი“ - ნა-ოსურ-ი „ნაცოლარი“, ბულ-ი „ბალი“ - ნო-ბულ-ი „ნაბალი“... რუ „რვა“ - მა-რუო „მერვე“...

სიტყვამაწარმოებელი აფიქსებით მარკირების მიხედვით **დერივაციულ ფუძეთა სამი მოდელი** შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. R_F (ფლექსიური ფუძე) + S_n (დერივაციული სუფიქსი): დუდ-ამ- „თავ-იან“-“...

2. P_n (დერივაციული პრეფიქსი) + R_F (ფლექსიური ფუძე): ელა-გინძე „მო-გრძ-ო“...

3. P_n (დერივაციული პრეფიქსი) + R_F (ფლექსიური ფუძე) + S_n (დერივაციული სუფიქსი): მე-შხურ-ე „მე-ცხვარ-ე“ / P_n (დერივაციული პრეფიქსი) + R_F (ფლექსიური ფუძე) + S_n (დერივაციული სუფიქსი) + S_n (დერივაციული სუფიქსი): მე-შხურ-ე-ობა „მე-ცხვარ-ე-ობა“

სიტყვაწარმოების პროცესში შეიძლება სიტყვის გრამატიკული სტატუსი შეიცვალოს, შეიძლება დარჩეს.

სტატუსი უცვლელია, როცა:

სახელისაგან იწარმოება სახელი:

ა) არსებითისგან – არსებითი:

ქობალი „პური“ – მექობალე „მეპურე“...

ბ) რიცხვითისაგან – რიცხვითი:

სუმი-ი „სამი“ – მასუმა „მესამე“, სუმი – ნასუმორი „მესამედი“...

გ) ზედსართავისგან – ზედსართავი:

დიდი – უდიდაში „უდიდესი“... ბორო „სულელი“ – ელაბორო „მოსულელი“...

სტატუსი იცვლება, როცა იწარმოება:

არსებითისგან ზედსართავი: კუჩხი „ფეხი“ – კუჩხამი „ფეხიანი“...

ზედსართავისგან – არსებითი: გინძე „გრძელი“ – სიგინძა „სიგრძე“...

რიცხვითისგან – არსებითი: სუმი „სამი“ – სუმიანი „სამიანი“...

ზმნისართისგან – ზედსართავი: თაქ „აქ“ – თაქიანი „აქაური“...

შინაარსის მიხედვით შემდეგი ჯგუფები დასტურდება:

I.2.2.ქონების სახელები.

ქართულში ქონების სახელებს აწარმოებს შემდეგი სუფიქსები: -იან, -იერ, -ოსან, -ოვან, -ა, -ედ.

მეგრულშიც სუფიქსები გვაქვს: -ამ, -იან, -ონ, -უან, -ა, -(ი)ერ/-(ი)ელ,-ე(ნ)დ/-ენჯ, -ოსან.

ქონების სახელთა ისტორიულ მაწარმოებლად უნდა განვიხილოთ მეგრული -ონ სუფიქსიც, რომელიც დღეს დაცლილია ამ ფუნქციისგან, თუმცა ლაზურში იგი ახლაც საკმაოდ გავრცელებული დერივაციული მორფემაა.

ყველაზე პროდუქტიული მაწარმოებელია -ამ სუფიქსი, იგი ქართული -(ი)ან-ის ფუნქციური ბადალია. ეს სუფიქსი დაერთვის როგორც მარტივ ფუძეებს, ისე კომპოზიტებს (კომპოზიტების ნიმუშები იხ. ქვევით).

ნიმუშები:

ჭკიდი ჭკომი **ტუტამია**, შქაღვინი შვი **შურამია**, ჩვარა ნეძი – **ჭირამია** (ცაგ., 8) „მჭადი ჭამე ნაცრიანო, შუაღვინო სვი სუნიანო, ფუტურო კაკალი – ჭირიანო“; ამბექ მორთე : თურქი მოურც **ცხენამი** დო **თოფამეფი** (სამუშ., 98) „ამბავი მოვიდა: თურქი მოდის ცხენიანი და თოფიანები“; სუკიმ წვანცე **ფუთქურამი** ცხიმურეფი მუკორშვინე (მასალ., 18) „სერის თავზე ხავსიანი რცხილება მიჯარული“; **ფუთქურამ(ი)** დიხას მუთუნ ვეე იი (მასალ., 81) „ხავსიანი მიწაზე არაფერი არ მოვა (იქნება)“; ჰატ, სი **ბუძღამი** ნდი! (ხუბ., 4) „ჰატ, შე ბინძურო (სუნიანო) მდეგო!“; იშენი-იშენი **ბუხარამი** ოკო ორდასია ე ანჭიმ ოთახუ (ქაჯაია) „მინცდამინც ბუხრიანი უნდა იყოსო ყაჭის ოთახი“; **გურამ-ი** „გულიანი, გულითადი“ (შდრ. ლაზ. **გურონი** „მამაცი, მხნე, გულიანი“ (ნ. მარი)); **დუღამი** კოჩიე „თავიანი კაცია“; ართი ჯოღორი პუნსია **ე ვაჯამია**, მაჟირა – ჯუავა „ერთი ძალი მყავსო ყვერიანი (მამალი), მეორე – ძუო“...

ე-ფუძიანებზე -ამ სუფიქსის დართვამ შეიძლება ე-ს დავიწროება გამოიწვიოს - ე > ი:

მინჯე-ამ-ი, მინჯი-ამ-ი „პატრონიანი“. ინა მანგარი **მინჯამი** რე „ის მაგარი პატრონიანია“ (ქაჯაია).

ე უდე-ამ-ი „სახლიანი“;

შდრ.:

ე უდიამ-ი „იგივეა, რაც ე უდეამი“. ე უდიამი < ე უდე-ამ-ი (ეა -> ია).

ბადე „ბადე“ – ბადეამი > **ბადი-ამ-ი** „ბადიანი“;

მიდეეე ონე ოში **ბადიამი** კოჩი (ყიფშ., 36) „წაიყვანა ასი ბადიანი კაცი“.

ასევე შეიძლება -ამ/-ან სუფიქსმა ფუძის ბოლოკიდური ო დავიწროოს: **კოტო-ამ-ი > კოტუ-ამ-ი...**

გემო-ამ-ი < გემუ-ან-ი:

მუ ორდუა, სი **გემუანი** მილამჭკომევე? (ხუბ., 306) „რა იყოვო, შენ გემრიელი რომ მაჭამეო?“ გემუანი მაფუ რინა (ქხს., 1, 42) „საამური (გემრიელი) მაქვს ყოფნა“.

ა-ფუძიანებზე -ამ სუფიქსის დართვით ორი ა მიიღება, მათი შერწყმა საბოლოოდ ერთ ა-ს იძლევა: **ტუტა-ამ-ი > ტუტამი, დიხა-ამ-ი > დიხამი...**

ტუტამი, დიხამი... ფორმებში შერწყმულია სხვადასხვა გრამატიკული ღირებულების ორი ა: ერთი ფუძისეულია, მეორე – დერივაციული.

შეიძლება ამ ორ ა-ს შორის **ლ** განვითარდეს (ისევე, როგორც სახელთა ბრუნებისას, კერძოდ, მრავლობითის ფორმებში გვაქვს: დიდა „დედა“- დიდა-**ლ**-ეფ-ი „დედები“, ჯა „ხე“ - ჯა-**ლ**-ეფ-ი ხეები“...): ჯა „ხე“ - **ჯა-ლ-ამ-ი** „ხიანი“, დიდა „დედა“ - **დიდა-ლ-ამ-ი** „დედიანი“, მუმა - **მუმა-ლ-ამ-ი** „მამიანი“...

უ-ფუძიანები უცვლელი რჩება -ამ სუფიქსის დართვისას:

ჯიმუ „მარილი“ – **ჯიმუამი** „მარილიანი“: ნაბეტანი **ჯიმუამი** რე ე ვალი „ნამეტანი მარილიანია ყველი“. **ჯიმუამი** სიტყვა ქოუწია კოჩის „მარილიანი სიტყვა მინც უთხარიო კაცს“. **ჯიმუამი** კვარი „მარილიანი კვერი“. შდრ. ლაზ. **ჯუმონი** „მარილიანი“ (ნ. მარი) (ქაჯაია); **უფუამი** „ოფლიანი“; შდრ. ლაზ. **უფონი** „ოფლიანი“...

-იან:

-ამ-ის პარალელურად (შედარებით იშვიათად) დასტურდება მისი ქართული ეკვივალენტი – -იან:

ერბ-ი „ეშხი“– **ერზიანი** „ეშხიანი“: **ერზიანი**, გოფაჩილი ზუაში ნარდი, მესიშ(ი) ჭვიმათ გობონილი, ჩხაპალერი (სამუშ., 18) „ეშხიანი, გადაშლილი მზის ნაზარდი, მაისის წვიმით განზანილი და მორწყული“.

ერი „იერი“ – **ერიანი** „ლამაზი, სახიერი“ (ქაჯაია).

მარდი „მადლი“ – **მარდიანი** „მადლიანი“: ოკო ორდე **მარდიანი** (ქხს, 1, 66) „უნდა იყო მადლიანი“. მუ კოჩი რე თე **მარდიანიში** მუმაჲ ონაფალია (ხუბ., 18) „რა კაცია ამ მადლიანის მომყვანიო“. დობღური, სი **მარდიანი!** (სამუშ., ქხპს, 124) „მოვკვდი, შე მადლიანო!“;

გემოიანი-ი იგივეა, რაც **გემუანი**, – „გემრიელი“: **გემოიანქ** ქიმაჲ ი{ი}-და, ზითის ვამგოლაღაფუა (ქხს., 1, 191) „გემრიელი თუ მექენი, მზითევს არ მოგატანინებ“;

ალაბი „არშინი, ადლი“ – **ალაბიანი** „ადლის ოდენა“: ალაბიანი ქუა გემჲ თაქ (ქაჯაია) „ადლის ოდენა ქვა დევს აქ“.

ონჯლორე „სირცხვილი“– **ონჯლორიანი**-ი (< **ონჯლორეიანი**-ი) „სირცხვილიანი, მორცხვი“: **ონჯლორიანი** რინას ურინუობა (ვარდენ) უჯგუნია (ქაჯაია, 439) „სირცხვილიან ყოფნას არყოფნა (რომ არ იყო) სჯობიაო“.

ასე რომ, მეგრულში გვაქვს:

1. ქართ. -იან სუფიქსი;
2. -იან სუფიქსის ფუნქციური ეკვივალენტი: -ამ;
3. -იან სუფიქსის ფონეტიკური შესატყვისი: -ონ;

ლაზურში მხოლოდ -ონ სუფიქსი დასტურდება ქონების გამოხატვის ფუნქციით. მეგრული -ონ ფუნქციურადაც შეიძლება ლაზური -ონ-ის გვერდით დადგეს, მაგრამ მხოლოდ ისტორიულად.

-უან:

-უან სუფიქსი ქართული **-ოვან** სუფიქსის სახეცვლილი ვარიანტი ჩანს [ჩიქოზავა, 2008, 548];

სინთელუანი (შდრ. სინთელე „სიმრთელე“) „ჯანმრთელი, ჯანსაღი“;

სახელუანი (შდრ. სახელი „სახელი“) „სახელოვანი“;

გემუანი (შდრ. გემო „გემო“) „გემრიელი“;

ქონებუანი (შდრ. ქონება „ქონება“) ქონებიანი;

შელებუანი (შდრ. შელება „შეძლება“) „შეძლებიანი, შეძლებული“...

მეგრულში **-ოვან** სუფიქსსაც გამოყოფენ [იხ. შონია, 2006], თუმცა ამის საილუსტრაციო მასალა არ ჩანს. ფაქტია, რომ **-უან**, რომელიც მოქმედი დერივაციული სუფიქსია მეგრულში, **-ოვან** სუფიქსიდან მომდინარეობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ **-ოვან** სუფიქსიც აუცილებლად უნდა დასტურდებოდეს, როგორც მოქმედი დერივაციული ელემენტი.

უ > ი (**-ოვან > -უვან > -უან > -იან**); ზოგჯერ გამოვლენილი **-იან** სუფიქსი სწორედ ქართ. **-ოვან** მორფემის ტრანსფორმაციის ბოლო საფეხური ჩანს; გვაქვს პარალელური წარმოება: **-უან || -იან**:

ჲ **ოროფიანი**-ი იგივეა, რაც ჲ **ოროფუანი**, – „მოსიყვარული“ (ქაჯაია)

ჲ **ოროფუანი**-ი იგივეა, რაც ჲ **ოროფიანი**. ჲ **ოროფუანი** კოჩი რე „მოსიყვარულე კაცია“.

ლესუანი-ი „იგივეა, რაც **ლესიანი**, „ავადმყოფი, ვისაც ავადობა სჩვევია“: ოკო დოუთხინუათი **ლესუანი** ფურცელეფი (ყაზაყ., 1.06.1930, 3) „უნდა მოვაცილოთ დაავადებული (ავადმყოფი) ფოთლები“; **ლესუანი** კოჩიე (ქაჯაია) „ავადმყოფი კაცია“...

შდრ.:

ლესიანი „სნიანი, ავადმყოფი“ (ყიფშიძე, 273); „ლესიანი ვაზოჯგნო, ჯგერო მოგიფიქრებუნა“ (ბერ.,114) „ავადმყოფი არ ბრძანდებით, კარგად მოგიფიქრებით“;

-ა:

ქონების სახელებს ქართულის ანალოგიურად აწარმოებს -ა სუფიქსი: **ე უჯ-ა** (= ე უჯამი) „ყურა, ყურიანი“⁸; **ჩხვინჯ-ა** „ცხვირა“, „დიდცხვირა“, **გურ-ა** „გულადი“; „გულიანი, ბრაზიანი, დიდგულა“: **გურა** კოჩი რე (ქაჯაია) „გულადი კაცია“; **ე ვაჯ-ა** „თიაქრიანი, ტრიკიანი; ცალყვერა“.
ე ვაჯა კოჩი „(ყვერა) ტრიკიანი (ცალყვერა) კაცი“ (ქაჯაია).

-ა სუფიქსიანი წარმოება პროდუქტიულია ბგერწერულ ფორმებთან:

ფუცქინ-ა „ვისაც ჩურჩული სჩვევია“: **ფუცქინა** კოჩი „მოჩურჩულე კაცი“.

პირჭა-ა „ფართო“; „ღია“; „ფართოდ გახელილი. თოლიპირჭა[ლი] თვალეზფართო; თვალეზგადმოკარკლული, დაჭყეტილთვალეზა.

ყირჭა-ა „მაღალი და სუსტი (გამხდარი)“.

დღვირ-ა, ნდღვირ-ა „ვინც მოღუმულად იყურება, ბღვირა“.

დღუდღინ-ა „ვინც დღუდღუნით ლაპარაკობს, დღუდღუნა“.

დგიდგ-ა „ძლიერ მსუქანი, მსხვილი“.

პირჭა, ყირჭა, დღვირა... ფორმათათვის ამოსავალია **პირჭალი, ყირჭალი, დღვირალი...**

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ გამარტივების შემდეგ გარკვეული თვისების ქონა -ა სუფიქსის პოვნეირებას უკავშირდება.

კიდევ უფრო პროდუქტიულია -ა სუფიქსი რთულ ფუძეებთან – ისევე, როგორც ქართულში (ამის ილუსტრაციები ქვევით იქნება წარმოდგენილი).

არის შემთხვევები, როცა სადერივაციო აფიქსი მხოლოდ ერთ ნაწარმოებ სიტყვაშია შემორჩენილი. ასე მაგალითად, ქართული ოდენ ა-ხმოვნიაანი დერივაცია ლურჯ-ა, თეთრ-ა, შავ-ა, წაბლ-ა ტიპისა მეგრულ-ლაზურში -ო სუფიქსური შესატყვისით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (შდრ. ბგერათშესატყვისობა ქართ. ა : ზან. ო) და დასტურდება კიდევაც მეგრულში, მაგრამ მხოლოდ ერთ წარმოქმნილ სახელში – ჭუბურ-ო = წაბლ-ა. შეკითხვის დროს: მუფერიე (რა ფერისაა)? პასუხობენ: ჭუბურ-ო (წაბლ-ა, წაბლისფერი).

-ა უნდა გამოიყოს -ია/-უა დაბოლოების მქონე სახელებთან:

გურმეჭვია 1. ზოოლ. გულწითელა (ჩიტია). {მაფშალია}... ზოთონც **გურმეჭვია** რე დო ზარხულც თხოზჲ ფარფალიას (მასალ., 198) „[ზულზული]... ზამთარში გულწითელაა და ზაფხულში დასდევს პეპელას. შდრ. „გურიჭითა“. 2. იგივეა, რაც გურიმოჭვე, - „გასაჭირის გულთან მიმტანი“. **ქერქეთია** „თაკარა სიცხე, - პაპანაქება“: ე **ქერქეთია** სინჩხეს ე ვანაშა ვამაღინე „ამ თაკარა (პაპანაქება) სიცხეში ყანაში ვერ წავალ“. **ქერქეტია** იგივეა, რაც ქერქეთია, - პაპანაქება. **ქერქეტია** ონდღეს მურთუო ე ვანაშა ულაქ? (ქაჯაია) „პაპანაქება შუადღეს მოუნდა (მოუვიდა) ყანაში წასვლა?“ **ბარბანჩია** „გიზგიზა“: **ბარბანჩია** დაჩხირი „გიზგიზა ცეცხლი“; **ბამგანია** (ბამგანიას) ბანჯგვლიანი. **ბამგანია** „ბანჯგვლიანი“: **ბამგანია** კუჩხეფი ეთოდგუ (ქაჯაია) „ბანჯგვლიანი ფეხები აქვს (უდგას ქვევიდან)“; **ქურჭურია** „იგივეა, რაც ქურჭურა“; **ქურჭურა** „ქოჩორა“: მიე ორს, მიე ორს თი ბაღანა, **ქურჭურა**, ჩქიმ მახანა (ქაჯაია) „მიყვარს, მიყვარს ის ბავშვი, ქოჩორა, ჩემი ხნისა“; ჟი ჯალეფი **ქურჭურა**, თუდო თიფი შვაშვალია (აია, 1, 25) „ზევით ვარჯიანი (ქოჩორა) ხეები, ქვევით მდელი (თივა) შრიალა“. შდრ. ტოპონ. **ქურჭურა**

⁸ ი. ყიფშიძეს შენიშნული აქვს, რომ -ა აწარმოებს დამამცირებელ მეტსახელს არსებითი სახელისგან და ამის მაგალითად მოაქვს **ე უჯა**. ამ ფორმაში -ა ქონების სახელს აწარმოებს, **ე უჯა** ნიშნავს, „ყურა“-ს, „დიდყურა“-ს.

წიფური (ცხად., ტოპონ., 118) „ქორორა წიფელი“; **ქურურია** ქურურა, ხუჭუჭა; *გადატ. ანთროპ.* ხუჭუჭთმიანი ქალის სახელი (ზედწოდება). თუმა გოჩანს **ქურურია** (ყიფშ., 90) „თმა აქვს ხუჭუჭა. *შდრ.* კუჭუჭია“. **კუჭუჭია** (თომა) ხუჭუჭი თმა. *იხ.* ქურურია, ხუჭუჭია. **ხუჭუჭია** „ხუჭუჭა“; **ხუჭუჭია** თუმა ულუ „ხუჭუჭა თმა აქვს“; **ქუცუცია** „ქუცუცის (ეკლის) მქონე“; **ხოკორია**: **ხოკორია** კოპეშია „მეჭეჭიანი გოგრა“ (ა. მაყ.)...

-(ი)ერ/-(ი)ელ:

კუთვნილების (ქონების) აღმნიშვნელია **-(ი)ერ/-(ი)ელ:**

ხანიერ-ი იგივეა, რაც ხანერი.

ქონებ-იერ-ი კოჩი „ქონებიანი კაცი“, **დუდ-იერ-ი** თავიანი, **ჩხონჩხ-იერ-ი** ჯიგრიანი, **პიჯ-იერ-ი** პირიანი, სიტყვის კაცი...

ქონებ-იერ-ი კოჩი „ქონებიანი კაცი“, **დუდ-იერ-ი** „თავიანი“, **ჩხონჩხ-იერ-ი** „ჯიგრიანი“, **პიჯ-იერ-ი** „პირიანი, სიტყვის კაცი“... (ქაჯაია).

სინთიერ-ი „სინათლიანი“. სინთიერი არდგილი (მასალები, ტ. 4, ნაწ. 3, 62) „სინათლიანი (ნათელი) ადგილი“;

ოჭიშიერ-ი „წელიანი, წელგამართული“. მა იმა **ოჭიშიერო** ქიმიფშია „მე მასთან წელგამართულად (წელიანად) მივიდოდით“;

ჩხენჭიერ-ი იგივეა, რაც **ჩხანჭიერი**, „ვარგისიანი“; „გაბედული“; „მონდომებული“. **ჩხენჭიერო** ათე საქვარიში ხეში მეთხე მათ ჩქე ქიმოჭირინუანთ მიზანც „გაბედულად ამ საქმის ხელის მოკიდებით ჩვენ მივალწევთ მიზანს“ (ქაჯაია);

ჯინჯიერი „ფესვიანი“: თასმომბეთ გემასე როტ ჩქინი ჯარქ **ჯინჯიერქ** (სამუშ.,103) „სათესურად ამოყლიტა ჩვენმა ჯარმა, ფესვმაგარმა“; **ჯინჯიერი** სქანი გვარი! (ქაჯ.) „ძირმაგარი შენი გვარი!“;

ჭყანიერი „ღონიერი“: **ჭყანიერ** დიხას ოკო დაარგუენი პამინდორი (ქაჯაია) „ვარგის (ღონიერ) მიწაზე უნდა დარგო პამიდორი“; ჯგირი **თოლიერი** ცირა რე (ქაჯაია) „კარგი თვალადი გოგონა“...

მარდ-იელ-ი (< **მარდ-იერ-ი**) „მადლიერი, მადლობელი“. მუჭო ზოჯუნს მუასქანი? **მარდიელი**, ჯუმა (ქხს, 1, 217) „როგორ ბრძანდება მამაშენი? მადლობელი (გმადლობ), ძმაო“.

-იერ სუფიქსის დართვისას ფუძის ბოლოკიდური ა იკვეცება: ქონება - *ქონებაიერი > ქონებიერი, *ჭყანაიერი > ჭყანიერი...

„საინტერესოა ჭანურში ორიოდე შემთხვევა **-იარ**-ით წარმოებისა: **ნოლასიარი** = ბრძენი, გონიერი, ჭკვიანი (თუმცა იქვე გვხვდება: ფელი **ნოსონი**: ძალიან ჭკვიანი); **თომალარი** = თმიანი (იხმარება **თომონი**-ც, მაგრამ იშვიათად; ცხადია, ეს **-იარ** || **-იარ** და მთის კილოთა და ფერეიდნულის **-იარ** ერთი და იგივეა“ [ჩიქობავა, 2008/1, 548].

ჭკვ-ერ-ი „ჭკვიანი“, **ხან-ერ-ი** „ხნიერი“, **წან-ერ-ი** „წლის, წლიანი“, **ჭუმენ-ერ-ი** „ხვალინდელი“, **გოწონ-ერ-ი** „შარშანდელი“, **გოდან-ერ-ი** „გუმინდელი“.

ხანი „ხანი“ – **ხანელ/რ-ი** „ხნიერი“:

თეზმა **ხანელი** ვორექუნი, ძამს მიკვირს, მუთ ვაბღური (ქხს, 1, 51) „ამდენი ხნისა (ხნიერი) რომ ვარ, ძალიან მიკვირს, რად არ მოგვკვდი“. **ხანერი** კოჩიე – „ხნიერი კაცია“.

ე უჯი „ყური“ – **ე უჯელ-ი** „ყურიანი“; „ყურიანი დიდი ქოთანი, დიდი ქილა“:

სქვერიში ჭე, შხურიში ჭე ინვოკუჭი **ე უჯალცე** „შელის ნაწლავი, ცხვრის ნაწლავი ჩავტენე ქილაში (ყურიან ქოთანში)“ (ქაჯაია).

ჭურჭულერ-ი „იგივეა, რაც ჭურჭულამი, – დაწინწკლული, წინწკლებიანი“.

-ერ-ი-ა:

ბეჩხერია „სინათლიანი“: **ბეჩხერია** ძღაბი (ქაჯაია) „სინათლიანი გოგო“. *შდრ. ხვეჩერია. ქვეჩერია* იგივეა, რაც **ქვეჩერე**. ჩქიმი **ქვეჩერია** ცირა (ქაჯაია) „ჩემი ქოჩორა გოგონა“; **ქვეცერია** იგივეა, რაც **ქვეცერე**, - „პატარა ტანის, ჩია (პიროვნება)“; პატარა რამ საერთოდ“ (ქაჯაია)...

გვხვდება ქართული **-ოსან** სუფიქსიც, რომელიც არც ქართულშია დიდად პროდუქტიული; შეზღუდულია მისი ფუნქციონირების არე მეგრულშიც, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი მოდელი და დერივაციული რესურსი აქ არსებობს; მაგ.: **ჟირ-ოსან-ი, სუმ-ოსან-ი, ხუთ-ოსან-ი...**

-ონ საწარმოებელი აფიქსი ლაზურისათვის ლამის ერთადერთია, მას, ამ თვალსაზრისით, გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს; თუმცა აქვე დასტურდება **-მარ** მორფემა, რომელიც ქართულის **-იერ-ს** შეესატყვისება, *შდრ. ლაზ.: ღნოს-მარ-ი „გონიერი“ (ღ)ნოს-ი „გონება“*, თომალ-**მარ-ი** „თმიანი“ (თომა(ლ) „თმა“ და სხვ. [ჩიქობავა, 2008, 548].

ნიმუშები:

დაჩხერონი დიშქა ქაგამილუ (ჩიქ. 11. 35) „ცეცხლიანი შუმა გამოიტანა“; კუდელი **ჰანჭახონი** უღუტუ (საქ. 214) „კუდი ტალახიანი ჰქონდა“; **ცხენონი** კოჩი მოხთუ (კარტ. II, 56) „ცხენიანი კაცი მოვიდა“; **ცხენონი** კოჩიქ უცხენე კოჩის ეკაზიცუ (ლექს. 936) ცხენიანმა კაცმა უცხენო კაცს დასცინა“; **მენჯელონი** დივეფე რენან-ა (დიუმეზ., 128) „ლონიერი დევები არიან“; **ალონი (ყალონი)** (ლექს. 35) „ყელიანი“; **მტუტონი** რე, არ ხურა დოგიბონა (ქდენტი, 196) „ჭუჭყიანი ხარ, ერთი ტანი დაგბანო“; **კომონი** (ლექს. 431) „კვამლიანი“; **ტუტელონი** კოჩიქ ადა თემბელის უწუ (ჩიქ. II, 431) „თოფიანმა კაცმა ამ ზარმაცს უთხრა“; **ჟურ კოხონი** კოჩი ქორტუ (კარტ. II, 148) „ორკუზიანი კაცი იყო“; **ბუტკოლონი** ყა თის გეჩაფს (კარტ. I, 20) „ფოთლიან ტოტს თავში ურტყამს“; **თოფუონი** ფოსტის ნა გეხედუ (ასათ. 61) „თაფლიან ტყავზე რომ დაჯდა“; უკუჩხელე, უხეელე, **ართოლონი** (კარტ. I. 196) „უფეხო, უხელო, ცალთვალა“; **ბინეხონი** ნჯაშენ მეღესში, უბინეხეს ახვამეს (ლექს. 925) ვენახიან ხიდან რომ ჩამოვარდნენ, უვენახო ხე დალოცეს...

თუ ლაზურში **-ონ** სუფიქსი გაბატონდა, მეგრულში ამგვარ პოზიციას, როგორც აღინიშნა, ინარჩუნებს გაურკვეველი წარმომავლობის **-ამ** ბოლოსართი: **კუჩხ-ამ-ი** „ფეხიანი“, **ქუდ-ამ-ი** „ქუდიანი“, **კაბ-ამ-ი** „კაბიანი; ქალი“ და ა. შ. ცხადია, ამა თუ იმ სუფიქსური წარმოების გაბატონებამ ხელი შეუწყო სხვა, ნაკლებგავრცელებული სპეციფიკური წარმომავლობის სუფიქსთა დისტრიბუციის შეზღუდვას.

ორიოდე ფორმაში **-ე(ნ)დ/-ოდ/-ენჯ** გამოხატავს ქონებას:

ცხენენდ-ი, ცხენენჯ-ი ცხენოსანი (გ. როგავა). **ცხენენჯ** კოს ქვილითი კოჩი გეამიცანდუა (სახოკ., 266) „ცხენოსანს ქვეითი დასცინოდაო“.

ცხენოდ-ი იგივეა, რაც **ცხენენდი, ცხენენჯი**, - ცხენოსანი, ცხენიანი (ქაჯაია). **ცხენოდ** არაბიში არივი (ხუბ., 249) „ცხენოსანი არაბის არაკი“; **„ცხენოდ** არაბი“ ჯოხოოდ სახელი ართ კოს (ხუბ., 249) „ცხენოსანი არაბი“ ერქვა ერთ კაცს“. **ცხენოდ** არაბია ართი უბედური კოჩი რენია (ხუბ., 250) „ცხენოსანი არაბი ერთი უბედური კაციოა“.

-ედ სუფიქსი მეგრულში დასტურდება **წვერა || წვერე(ნ)დი || წვერედა || წვერე(ნ)დია** „წვერა“ ფორმებში [სალია, 2003, 23].

ამავე რიგისა ჩანს აგრეთვე მეგრულში შემორჩენილი თოლ-**ენჯ-ი** „თვალადი, თვალმშვენიერი“, მაგრამ აქ გამოყოფილი **-ენჯ (/ენდ/-ოდ)**, მიუხედავად ფონემური მსგავსებისა, აბსოლუტურად სხვა მონაცემია, ვიდრე **-ენჯ/-ანჯ/ინჯ** მიმღეობის საწარმოებელი სუფიქსები.

როგორც ცნობილია, ზანური მიმღეობის მაწარმოებელი **-ენჯ / -ინჯ** სუფიქსები სპეციალურ ლიტერატურაში ქართული **-არ** ბოლოსართის მორფოლოგიურ და ფონეტიკურ შესატყვისად არის მიჩნეული [თოფურია, 1938, 142].

მაგრამ აქვე ღირსსაცნობია ის ფაქტიც, რომ **-ენჯ||-ინჯ** ალომორფებში იმთავითვე ვარაუდობდნენ **ნ** დენტალის უფუნქციობას, მას ფონეტიკურ დანართად მიიჩნევდნენ. **ნარ**-ის განვითარება დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენაა მეგრულში, ასე მაგალითად, **-ონჯ** სუფიქსში **ნ** გვიან არის ჩართული, შდრ. მეგრ. ქომონჯ-ი / ლაზ. ქომოჯ-ი : ქართ. ქმარ-ი, მაგრამ **-ენჯ/-ინჯ**-ის შემთვევაში სულ სხვა ვითარებასთან უნდა გვქონდეს საქმე. ვვარაუდობთ, რომ ამ სუფიქსებში **ნ** არ არის ფონეტიკური დანართი, იგი თემისნიშნისეული მონაცემია და თავს იჩენს ზმნებში, მასდარებშიც. ნიმუშისთვის ავიღოთ **ოშქურუ** „ემინია“ ზმნის მასდარული ფორმა **შქურ-ინ-ი**, სადაც **-ინ** თემის ნიშანია და, ჩვეულებრივ, როგორც ქართულში, მასდარის მაწარმოებ-ლადაც იხმარება. იგი მყოფადის ზმნურ წარმოებაშიც იჩენს თავს – ა-შქურ-ინ-ე „შეემინდება“, ამ ზმნური ფორმისგან იწარმოება მყოფადის მიმღეობაც **ო-შქურ-ინ-ჯ-ი** // **ო-შქურ-ენ-ჯ-ი** „საშიში“, სადაც, თუ დაშვებიდან ამოვალთ, სუფიქსი **-ენჯ // -ინჯ** კი არ იქნება გამოსაყოფი, არამედ **-ჯ**. როგორც მოსალოდნელი იყო, ამდაგვარი დერივაცია უდასტურდება თითქმის ყველა **-ინ** თემისნიშნიან ზმნას:

თხოზ-ინ-ი „დევნა“ → **ო-თხოზ-ინ-ჯ-ი** // **ო-თხოზ-ენ-ჯ-ი** (შდრ. პარალელიზმი **ო-თხოზ-ინ-ალ-ი**) „სადევნი“;

რ-ინ-ი „ყოფა“ → **ო-რ-ინ-ჯ-ი** // **ო-რ-ენ-ჯ-ი** (და-**რ-ინ-ალ-ი**) „სამყოფი“; ჩამ-ინ-ი „კბენა“ → **ო-ჩამ-ინ-ჯ-ი** // **ო-ჩამ-ენ-ჯ-ი** (**ო-ჩამ-ინ-ალ-ი**) „საკბენი“;

რტ-ინ-ი „გაქცევა“ → **ო-რტ-ინ-ჯ-ი** // **ო-რტ-ენ-ჯ-ი** (**ო-რტ-ინ-ალ-ი**) „გასაქცევი“...

აქ გამოყოფილი **-ჯ**- სუფიქსის ფუნქციის ნათელსაყოფად ძვირფას ჩვენებას იძლევა ძველი ქართული სამწერლო ენის ძეგლები, სადაც ოდენთანხმოვნური დერივაცია წარმოდგენილია **-რ** სუფიქსის სახით: **მ-კუეთ-რ-**, **მ-ძლავ-რ-**, **მ-ვედ-რ-**, **მ-წუხ-რ-** და სხვ. რაც შეეხება ქართ. **რ** : ზან. **ჯ**. მიმართებას, მისი კანონზომიერება საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია (**პირ-ი** / **პიჯ-ი**, **ყურ-ი** / **ყუჯ-ი**...).

ჩვენს ვარაუდს მეგრულში **-ჯ**-ს ცალკე სეგმენტად გამოყოფის თაობაზე მხარს უჭერს ლაზური მონაცემებიც, სადაც ამგვარი წარმოება პროდუქტიული არ არის, მაგრამ მოქმედებითი გვარის მიმღეობებში თავდაპირველი ვითარება ნათლად არის თავჩენილი, შდრ.:

ლაზ.	მეგრ.
მ-გარ-ინ-აჯ-ე	მა-ნგარ-ინ-ჯ-ე „მტირალი“
მ-შქურ-ინ-აჯ-ე	მა-შქურ-ინ-ჯ-ე „მშიშარა“
მ-ტყორ-ინ-აჯ-ე	მა-ტყორ-ინ-ჯ-ე „მკუანა“
მ-თხოზ-ინ-აჯ-ე	მა-თხოზ-ინ-ჯ-ე „მდევარა (მაგ. ძალი)“

ცხადია, მოქმედებითი გვარის მიმღეობათა **-ინ-** მეგრულის ვნებითი გვარის მიმღეობაშიც ცალკე უნდა გამოიყოს: **ო-ნგარ-ენ-ჯ-ი** „სატირალი“, **ო-შქურ-ენ-ჯ-ი** „საშიში“, **ო-თხოზ-ენ-ჯ-ი** „სადევნი, გამოსაკიდებელი“...

იგივე პროცედურას ითხოვს უთემისნიშნო **ხირ-** „მოპარვა“ ზმნისგან ნაწარმოები მიმღეობაც, სადაც **-ინჯ**-ის გამოყოფა ყოვლად დაუშვებელია.

შდრ.:

ლაზ.-მეგრ. ხირ-:

„მოპარვა“ → ლაზ. მ-ხირ-აჯ-ე, მეგრ. მა-ხინ-ჯ-ი ← *მა-ხირ-ჯ-ი „ქურდი“.

ზემოთ წარმოდგენილი ვრცელი ანალიზი იმისთვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა სახელური თოლ-ენჯ-ი „თვალადი, კარგი თვალისა“ და ზმნური შქურ-ენ-ჯ-ი „მშიშარა“ ფორმათა -ენჯ სხვადასხვა წარმომავლობის სუფიქსებია, კერძოდ, სახელებში მათი უძველესი სახეობა დონიანი ფორმები უნდა ყოფილიყო: წვერ-ენდ-ი → წვერ-ენჯ-ი „წვერიანი“, ცხენ-ოდ-ი → // ცხენ-ენჯ-ი „ცხენიანი“, მაშინ, როდესაც მიმდებარეებში ამოსავალია ისტორიული *-ინ-არ (→ ინ-ჯ // -ენ-ჯ) თანმიმდევრობა, ანუ სახელებში სავარაუდოდ დ → ჯ, ხოლო ზმნებში რ → ჯ ფონეტიკური გადაბგერება, რაც თავისთავად გამორიცხავს მათ საერთო წარმომავლობას.

I.2.3. უქონლობის სახელები.

უქონლობა ქართულში უ- -ო და უ- -ურ აფიქსებით გამოიხატება. ლაზურში ამ ფუნქციის ორი ძირითადი კონფიქსი დასტურდება:

უ- -ე:

ულნოსე კოჩეფეში დულა აშო ოვენ (ჟღენტი, 3) „უჭკუო ადამიანების საქმე ასე იქნება“; **უგუნახე** ოხორჯა მუჭო ფეინჭენ (დიუმეზ, 18) „უცოდველი ქალი როგორ შეიძლება ჩამოახონ“; **უძელუკე** ვარ მაყონეტუ (კარტ. I, 39) „უნავოდ ვერ წავიყვანდი“; **უქიმოლე** ოხორჯალეფე (კარტ. II, 183) „უქმრო ქალები“; ცხენონი კოჩიქ **უცხენე** კოჩის ეკაზიცუ (ლექს. 936) „ცხენიანმა კაცმა უცხენო კაცს დასცინა“; **ულორმოთე** (ლექს. 929) „ულმერთო“; **უჩილე** (ლექს. 927) „უცოლო“; ბინეხონი ნჯაშენ მელესში, **უბინეხეს** ახვამეს (ლექს. 925) „ვენახიან ხიდან რომ ჩამოვარდნენ, უვენახო ხე დალოცეს“; **უდაჩხერე** ვარ დოსქიდუნ (ლექს. 928) „უცეცხლოდ არ დარჩება“...

უ- -ელ:

უხორცელი ძალანჩი სარმა (ასათ. 111) „უხორცო ტყუილი ტოლმა“; **უნანელი** დობუტა-ლა (კარტ. I, 188) „უდედო დავტოვო“; **უკუჩხელე, უხეელე**, ართოლონი (კარტ. I, 196) „უფეხო, უხელო, ცალთვალა“; **უგაელი-უწკაელი** აქოლენ მითი ვარ მევაშქვამინონ (კარტ. I, 133) „უჭმელი-უწყლო აქიდან არავინ არ უნდა გავუშვა“; **უთოკელე** ქოგელახედეენან (ყიფ. 3) „უთოკოდ ჩამომსხდარან“; **უბაბელი** ბერე (ლექს. 925) „უმამო ბავშვი“; არ ოხორჯა ქორტუ **უბერელი** (ლექს. 925) „ერთი ქალი იყო უშვილო“; ბერე **უჯოხელე** ვარ ივენ (ლექს. 926) „ბავშვი უსახელო არ იქნება“; **უმითელი** დო **უმუთელი** ვით წანა ხვალა დოსქიდუ (ლექს. 932) „ობოლი (არავინმქონე) ღარიბი (არაფრისმქონე) ათ წელს მარტო იცოცხლა“...

დასტურდება პარალელური ფორმებიც:

უდიცხირე/უდიცხირელი „უსისხლო“, **უდიშქე/უდიშქელი** „უშემო“ **უჭიბრე/უჭიბირელი** „უჭიბლო“, **უთოლე/უთოლელი** „უთვალო“, **უპიჯე/უპიჯელი** „უპირო“, **უჩხუნდე/უჩხუნდელი** „უცხვირო“...

უქონლობას, ცხადია, უ- პრეფიქსი გამოხატავს, ხოლო სუფიქსური ნაწილი ცვალებადია. თუმცა ამასთანავე ლაზურში გამოიყოფა გარკვეული ჯგუფი სახელებისა, სადაც უქონლობის გამომხატველი თავსართი არის არა უ-, არამედ ა-. ამგვარი დერივაცია უცხოა სხვა ქართველური ენა-კილოებისათვის:

ა- -ე:

ა-გურ-ე „უგულო“ (შდრ. უ-გურ-ელ-ი id), ა-მენჯელ-ე „უძღური, უღონო“ (შდრ. უ-მენჯელ-ე id, სადაც მენჯელ-ი ნიშნავს „ძალას, ღონეს“), ა-პარკ-ე „უშვილო, ბერწი“ (შდრ. უ-პარკ-ე // უ-პარკალ-ე „უქმრო“)...

ა- -ელ:

ა-კიბირ-ელ-ი „უკბილო“ (შდრ. უ-კიბირ-ე // უ-კიბირ-ელ-ი „id“).

ა- -ელ წარმოება ჯერჯერობით მხოლოდ ამ მაგალითში დასტურდება, მაგრამ შემდგომი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით, ადვილი შესაძლებელია, პროდუქტიული აღმოჩნდეს. აქვე შევნიშნავთ, რომ უქონლობის ზოგი კონფიქსის მხოლოდ თითო-თითო შემთხვევა ფიქსირდება სხვა კონფიქსებშიც, ასეთებია ლაზურში:

უ- -ო:

უ-პიჯ-ო „უპირო“ (შდრ. პარალელური დერივაცია უ-პიჯ-ე // უ-პიჯ-ელ-ი „id“);

უ- -ურ:

უ-დუდ-ურ-ი „თავაშვებული, უთავბოლო“ (შდრ. მეგრ. უ-დუდ-ურ-ი „უთავო, უთავბოლო, თავგზაარეული“).

ლაზურის მსგავსად, მეგრულისთვისაც დამახასიათებელია უქონლობის სახელებში ცირკუმფიქსული წარმოება უ- ე და უ- -ელ კონფიქსების მეშვეობით, მაგრამ აქვე თავს იჩენს (სუფიქსურ ნაწილში) განსხვავებული ვითარება, რომელიც ზოგ შემთხვევაში ჩანაცვლებადია. დამოუკიდებელი სუფიქსებიც საკმაოდ ვლინდება:

უ- -ე:

უასულე „უასულო; უქალიშვილო“: **უასულე** კოჩი რდუ (ხუბ., 26) „უასულო კაცი იყო“; **უბარგე** „უტანსაცმლო“: ბადანენქ **უბარგეთ** ტყას ქე დოსქიდეს (ხუბ., 208) „ბავშვები უტანსაცმლოდ ტყეში დარჩნენ“; **უბჟე** „უშზეო“, **უჰავე** „უჰაერო“: ვარდის ფერს მუ მეჩანს **უბჟეთე** დო **უჰავეთე** (ხალხ. სიბრ., 46) „ვარდის ფერს რა მისცემს უშზეოდ და უჰაეროდ“; **უდაჩხირე** „უცეცხლო“: მოლე წყურგილ რენია, **უდაჩხირეთ** გვარგვალანცია (ხუბ., 183) „გამოდმა წყარო არისო, უცეცხლოდ თუხთუხებსო“; **უზომე** „უზომო“: ენენს პატის ცენა **უზომეთე** (ხუბ., 27) „ამათ უზომოდ პატის სცემენ“; **უთოლე** „უთვალო“: სინთე მუოთე გოკო, **უთოლე** რექე -და? (ცაგ., 83) „სინათლე რად გინდა, უთვალო თუ ხარ?“ **უიარადე** „უიარადო“: დოუჯერე დო მიდართე **უიარადეთ** (ყიფშ., 106) „დაუჯერა და წავიდა უიარადოდ“; **უიმენდე** „უიმედო“: **უიმენდო** ტერი ე ოფედასია (ხალხ. სიბრ., 1, 133) „უიმედო მტერი ყოფილიყოსო“; **უკარე** „უკარო“: ბროლიმ ე უდე გემდგე დას, მუშო მოკო **უკარეთე**? (სამუშ., ქართ.ზეპ., 52) „ბროლის სახლი რომ მედგას, რად მინდა უკაროდ?“ **უკვალე** „უკვალო“: ტურაქ ჯაჭვამო მენტე დო **უკვალეთე** მემიდინე (ქაჯაია) „ტურა ჯაჭვიანად გამექცა და უკვალოდ დამეკარგა“; **უკიბირე** „უკბილო“: ხომლა ე ვალი ქოე ოფენო **უკიბირემ** მუქნაქინჩა? (ქხს, 1, 178) „ხმელი ყველი თუ ყოფილა, უკბილოს მოეკბირს?“ **უკილე** 1. „უნაკლო“. ჟირხოლო **უკილეთ** მორდუ (ქხს, 1, 214) „ორივე უნაკლოდ გაზარდა“. 2. უმკლავო. ართი **უკილე** კოჩი რენია (ქაჯაია) „ერთი უმკლავო კაციაო“; **უკმაყოფილე** „უკმაყოფილო“: ასე **უკმაყოფილეს** უღირ დროქ მომეწონე (ყიფშ., 1290) „ახლა უკმაყოფილოს წარსული დრო მომეწონა“; **უკოჩე** „უკაცო“: კოტო **უკოჩეთ** დე მოხვამილუნანია ხაშირი ლეზიას (ხუბ., 192) „ქოთანი უკაცოდ დაგვახვედ-რებსო მოხარშულ ლობიოს“; **უკუჩხე** „უფეხო“, **უხელე** „უხელო“: დიფმაყარათ სუმ-ხოლოქია: **უკუჩხე**, თოლჭუ, **უხელე** (ხუბ., 186) „შევიკრიბოთო (შევიყაროთო) სამივე: უფეხო, ბრმა (და) უხელო“; **უხანე** „უხანო“: ჩქიმი ე ოროფილი **უხანე** (ქხს, 1, 252) „ჩემი შეყვარებული უხანო“; **უოსურე**

„უცოლო; უქალო“: **უოსურე** კოჩი უჯგუ ოსურამც მუზმათე ნი (სამუშ., ქართ.ზეპ., 108)
„უცოლო კაცი სჯობს ცოლიანს რამდენადმე“...

ფუძის ბოლოკიდური ა იკვეცება:

უკურთე „უნიფხვო“ გადატ. „ძალიან ღარიბი“ (შდრ. **კურთა** „ნიფხავი“): მუ ოკო ჩქიმდა ე **უკურთეს!** „რა უნდა ჩემთან ამ უნიფხვოს (არაფრის მქონეს)!“ (ქაჯაია); **უფენდო** „უბარაქო“ (შდრ. **ფენდა** „ბარაქა“): ნაბეტანი **უფენდო** კოჩი რე „ნამეტანი უხვაური კაცია“ (ქაჯაია); **უფარე** „უფულო“ (შდრ. **ფარა** „ფული“): ართი კუჩხის ვაგოდგუნდ ეიშახ ექიმი **უფარეთი** (ქხს, 1, 330) „(ერთ) ფეხს არ გადადგამდე ძველად ექიმი უფულოდ“; **უპაპე** „უმღვდლო“ (შდრ. **პაპა** „მღვდელი“): უპაპე ქეჟ ანას მელა გილაპარპალანც (ყიფშ., 177) „უმღვდლო ქვეყანაში მელა დაპარპაშებდაო“; **უხეცე** „უჭმელი“ (შდრ. **ხეცა** „საჭმელი, ლუკმა“); **უჭყანე** „უძალო, უღონო“ (შდრ. **ჭყანა** „ძალა“) უჭყანე კოჩიე „სუსტი (უღონო) კაცია“...

ა-სთან ერთად შეიძლება მისი წინამავალი უ-ც დაიკარგოს:

უსკუე // უსქუე იგივეა, რაც **უსკე**, „უშვილო“ (ქაჯაია).

უსქუე იგივეა, რაც **უსკუე, უსკე** (ქაჯაია).

შდრ.:

უსკე/უსქე „უშვილო, უძეო“. ათე ოსური უსკეე (ქაჯაია) „ეს ქალი უშვილოა.“

უსქე იგივეა, რაც **უსკე, უსქე** კოჩის ქუმჭვილი ვეიწუოლუნია ხეშე (ხალხ. სიბრ., 1, 137) „უშვილო კაცს შემწვარი ქუმელი არ გაუვარდებაო ხელიდან“; **უსქე** კოჩი ღიმისქი რენია (იქვე, 137) „უშვილო კაცი ძუნწიაო“.

ფუძის ბოლოკიდური -უ შენარჩუნებულია:

ულუმუე „უღომო“ (შდრ. **ღუმუ** „ღომი“). ღორონთი ღუმუ რენია, უღორონთეთ ქიბრგუთ დო **ულუმუეთ** ვებრგუთია (ცან., 123) „ღმერთი ღომიაო, უღმერთოდ ვვარგივართ და უღომოდ კი – არაო“.

უოღალუე „უტვირთო“. გირინ **უოღალუეთ** მიქ ძირუა (ხალხ.სიბრ., 1, 28) „ვირი უტვირთოდ ვინ ნახაო“.

თუმცა ზოგჯერ ეს -უ იკარგება:

ხამუ: უხამე „უდანო“: **უხამეთ** ღურელი ორინჯი ვეიჭკომე „უდანოდ მკვდარი საქონელი არ შეიძლება იჭამოს“ (ქაჯაია).

შდრ.:

უხამურ-ი იგივეა, რაც **უხამო. უხამურო** ღურელი გინი „უდანოდ მკვდარი ხბო“ (ქაჯაია);

-ე სუფიქსის წინ, ო-ს მომდევნოდ ვითარდება ვ:

უდროვე „უდროო“. **უდროვე** დროს ქეგესური „უდროო დროს გესტუმრე“. **უდროვეთ ზმნზ.** „უდროოდ“. **უდროვეთ** გეთხიებუთ (სამუშ., 121) „უდროოდ გეთხოვებით“. **უდროვეით ზმნზ.** უდროოდ. ჩქიმი ცოდა გილუდასე , **უდროვეით** დოპილინი (ხუბ., 319) „ჩემი ცოდვა გქონდეს უდროოდ რომ მომკალი“.

ე-ფუძიან სახელებში ორი ე-ს შეხვედრისას ვიღებთ გრძელ ხმოვანს, რომელიც შემდეგ ერთ ხმოვანში გადადის:

უონჯღორე „უსირცხვილო“ (შდრ. **ონჯღორე** „სირცხვილი“): **უონჯღორეს უონჯღორე** მოჟ უნსია (ხალხ. სიბრ., 1, 134) „უსირცხვილოს უსირცხვილო მოჰყავსო“; **უოსარე** „უპერანგო“ (**ოსარე** „პერანგი“): **უოსარეს** ოსარე მუკუოქუნე (აია, 1, 20) „უპერანგოს პერანგი ჩავაცვი“;

უოსერშე „უვახშმო“ (ოსერშე „ვახშამი“): უოსერშე ჯოდორიცალო უმიძგანს კიბირი (ხალხ.სიბრ., 1, 134) „უვახშმო ძალივით დაუხრქენია (დაუკრეჭია) კბილი“; უსარკე „უსარკო“ (შდრ. სარკე „სარკე“): დუს უსარკეთ ვადირუნქია (ხალხ. სიბრძნე, 1, 41, 332) „თავს უსარკოდ ვერ ნახავო“; უქვინჯე „უძირო, უფსკერო“: ქოძირე უქვინჯე რუმე ნთხორილი (ქხს, 2, 30) „ნახა უძირო ბნელი თხრილი“; უჸ უდე „უსახლო“ (შდრ.: უ უდე სახლი“)...

უ- ელ:

უ-ცუჯ-ელ-ი „უყურადღებო“ (შდრ. ცუჯ-ი „ყური“), უ-ცუდ-ელ-ი „უსახლკარო, უსახლო“, უ-მუთ-ელ-ი „უპოვარი, უარაფრო“ (შდრ. ლაზ. უ-მუთ-ელ-ი „არაფრისმქონე, დარიბი“), უ-კოჩ-ელ-ი „უკაცო, უკაცრიელი“, უ-ნოს-ელ-ი „უქალრძლო“, უ-სქან-ელ-ი „უმენო“ (შდრ. უ-სქან-ე „id“), უ-მუმ-ელ-ი „უმისო“...

უ- ალ-ე:

უ-დუდ-ალ-ე „უთავო, უსათაურო“ (შდრ. უ-დუდ-ე „id“), უ-ჭურ-ალ-ე „უბალახო; ადგილი, სადაც ჭურ-ია (ბალახის სახეობა) არ იზრდება“.

უ- -ო:

უბადო „ავი, ცუდი, უბედური, უგვანი, ბოროტი“: უბადო რაგადი უბადო ძღვენიენია (სახოკ., 259) „ავი (ცუდი) ლაპარაკი ავი (ცუდი) ძღვენიას“. მითი კლასის ემმაკენსი, ირო ორთე უბადოს (ყიფშ., 116) „ვინც კლასში ემმაკობს, (ის) ყოველთვის შვება ცუდს“; უნაკო „უნაკლო“: ჯაპიში ფურცელი ოკო ორდას უნაკო (ქაჯაია) „თუთის (ხის) ფოთოლი უნდა იყოს უნაკლო“; უნძორო „უმძორო“: თეში მორთი უნძორეთ (სამუმ., ქართ.ზეპ., 121) „ისე მოდი უმძოროდ“; ურიგო „ურიგო“: ქიიჩინე , მუჭო ურიგო კოჩიში სქუა ვა რდე ნი (ყიფშ., 91) „იცნო, როგორც ურიგო კაცის შვილი არ იყო“; უსამართო „უსამართლო“: უ ოროფა რე უსამართო (ქხს, 1, 48) „სიყვარული უსამართლოა“. უსამართო პატონეფი (ყიფშ., 149) „უსამართლო ბატონები“...

საინტერესო წარმოებების ფორმებია:

უ-ზეკ-ო „უმიზეზო“, უ-მუმ-ო „უმისო“, უ-ნგვარ-ო „თევზის სახეობა“; „ადამიანის გვარი, ანთროპონიმი“, უ-ნჯ-ო ← *უ-უნჯ-ო „უნჯის არ მქონე, უბადრუკი“, უ-მენც-ო „ცოდნის არ მქონე“, უ-ბად-ო „უბედო“; „ბედის არქონა, სიავე“...

საკმაოდ პროდუქტიულია უ- -ურ/-ულ წარმოება (უ- -ურ ხშირად დაჩნდება უ- ე დერივაციის პარალელურად):

უმინჯურ-ი „უპატრონო“: მა ვორექია, სი უმინჯური ღურელი იე იდიე (ხუბ., 224) „მე ვარო, შენ რომ უპატრონო მკვდარი იყიდიო“. ვოჯანე დი ჩქიმ ჯარგვალცე კარკე ლერო, უმინჯურო (მასალ., 33) „ვიწექი ჩემს ჯარგვალში კარჩაკეტილად, უპატრონოდ“. თხალეფქ ქედოსქე დე უმინჯურო (ხუბ., 306) „თხები დარჩა უპატრონოდ“; უბედური-ი „უბედური“: უბედური ჩქიმი დუდი (ყიფშ., 120) „უბედური ჩემი თავი“. უბედურ დო ბედნიერც ართო ნოდვედესე შარა (სამუმ., ქხპს., 116) „უბედურს და ბედნიერს ერთად ჰქონიათ შარა (გზა)“. მარა დიო თე ერთობა ვა მიღუნა უბედურ-რემს (ყიფშ., 168) „მაგრამ ჯერ ეს ერთობა არ გვაქვს უბედურებს“; უგემურ-ი „უგემური“: გემოს მეჩანს უგემურს (ყიფშ., 181) „გემოს მისცემს უგემურს“; უგუნურ-ი „უგუნური“: უგუნური დიდა დო მუმას სქუა ჭიაქ დუშქვიდუუა (ქაჯაია) „უგუნურ დედ-მამას შვილი ჭიამ დაუხრჩოო“; უზურ-ი „უზნეო“: უზურს ზომა გედვალირი, ხესე ფარა მიირთვითი (ხუბ., 349) „უზნეოს ზომადადებული, ხელში ფული მიირთვით“; უკუჩხურ-ი გადატ. უბედური, ცუდი, ნავსი ფეხის(პირი); მოუსვენარი, მარცხიანი: უკუჩხური კოჩი რენია (ქაჯაია) „ნავსი ფეხის, მარცხიანი კაციაო“; უმანგურ-ი

უგვანი, უმსგავსო: **უმანგური** ცხენოსანი (ქაჯაია) „უგვანი (უებარი) ცხენოსანი“; **უსქვამურ-ი** „ულამაზო“: მოიყონაფუდუკო **უსქვამური** ოსური (ხუბ., 41) „მოგეყვანა ულამაზო ქალი“; **უკვათურ-ი** „ბლაგვი, ჩლუნგი“ (ქაჯაია)... **უბირულ-ი** „დაუსახლებელი“: გიშებლი **უბირული** ადგილიშა, კოჩი ვახორანდგ ნ ეფერ ადგილიშა (ხუბ., 44) „გამოვედი დაუსახლებელ ადგილზე, კაცი რომ არ სახლობდა ისეთ ადგილზე“; **უგვერდული-ი** „სანახვერო[დაც] (არამადლიერი). ეშენ **უგვერდული** მარდობასით ვაიწიინქ (ქაჯაია) „ამაზე სანახვერო მადლობასაც არ გეტყვი“; **უმარდულ-ი** „უმადური“: სი გობლახი დო **უმარდული** რექ ჩქვიმიწკე მა! (ხუბ., 66) „შენ მცემე და უმადური ხარ ჩემთან!“ **უმარდული** წაქა ჭკიდიში მაჰამებელია (ხალხ. სიბრ., 1, 133) „უმადური შრატი მჭადის მაგემრიელელებელიო“...

უ-კუჩხ-ურ-ი „ცუდი ფეხისა“ ← ეტ. „უფეხო“, **უ-კოჩ-ურ-ი** „უკაცრიელი“, **უ-თემ-ურ-ი** „უთემო“, **უ-დუდ-ურ-ი** „უთავო, უთავბოლო“ (შდრ. **მე-დუდ-ურ-ი** „მეთაური“, **ო-დუდ-ურ-ი** „სამეთაურო“), **უ-პაპ-ურ-ი** „უმღვდლო ადგილი (სოფელი)“, **უ-ჟამ-ურ-ი** „ჟამისგან შეუვალი, დაცული“ (შდრ. **უ-ჟამ-ე** „id“), **უ-ქვინჯ-ურ-ი** „უფსკერო“ (**უ-ქვინჯ-ე** „id“), **უ-ბერ-ულ-ი** „უძეო“ (შდრ. **ბერ-ულ-ი**, **ბერ-ულ-ავა**), **უ-გვარ-ულ-ი** „უგვარო“...

საერთოდ, საკმაოდ ხშირია აფიქსთა მონაცვლეობა ერთსა და იმავე ფუძეებთან (რის გამოც, ცხადია, დისტრიბუციის წესები ვერ დადგინდება; მეორე მხრივ, ეს არ ნიშნავს, რომ ნებისმიერ ფუძესთან, სადაც, ვთქვათ, **უ- -ო** აწარმოებს უქონლობას, მას მექანიკურად ჩაენაცვლება, ვთქვათ, **უ- -ე** ან პირიქით).

განსაკუთრებით ხშირია **უ- -ე** || **უ- - -ო** დერივაციული პარალელიზმები:

უჭკუე „უჭკუო“. დუდი მექინძუ ბედიში მაგორალი **უჭკუე** კოს (ხუბ., 25) „თავი წაგლიჯა ბედის მძებნელ უჭკუო კაცს“.

შდრ.:

უჭკუო „უჭკუო“: **უჭკუო** კოჩიში ტვინი ოჭკომი (ხუბ., 25) „უჭკუო კაცის ტვინი შეჭამე“.

ურჯულე, ურჯულო: **ურჯულე ურჯულე** იე ინია ირო (ხალხ. სიბრ., 1, 136) „ურწმუნო ურწმუნო იქნებაო ყოველთვის (მუდამ)“

შდრ.:

ურჯულოს მუთუნი ვამარჯულენსია (იქვე, 136) „ურჯულოს არაფერი არ მოარჯულესო“. **ურჯულოქ** მოლართუ დო ქირსიანექ დოხვადე : (სამუშ., 113) „ურჯულო წამოვიდა და ქრისტიანი დახვდა“.

უსაქვარო იგივეა, რაც **უსაქვარე**, „უსაქმური“. **უსაქვაროს** თანავას მურთუა თუხუაქ (სახოკ., 260) „უსაქმურს ადდგომას მოაგონდაო ძაფის დართვა“ (ქაჯაია).

უსახელე, უსახელო „უსახელო“. **უსახელე** კოჩიე „უსახელო კაცია“ (ქაჯაია).

უიმენდე/უიმენდო „უიმედო“: **უიმენდო** ტერი ე ოფედასია (ხალხ.სიბრ., 1, 133) „უიმედო მტერი ყოფილიყოსო“.

ერთი და იმავე ფუძეების სხვადასხვა აფიქსებით გაფორმების ნიმუშებია ასევე:

უპაპე, უპაპურ-ი „უმღვდლო“. **უპაპური** (**უპაპე**) ქე ანას მელა გილაპარპალანც (ყიფშ., 177);

უმინჯურ-ი იგივეა, რაც **უმინჯე**, „უპატრონო“: თხალეფქ ქედოსქე დე უმინჯურო (ხუბ., 306) „თხები დარჩა უპატრონოდ“;

შდრ.:

უმინჯე, უმინჯურ-ი „უპატრონო“. **უმინჯე** ხომ ვაგირქუ? (ქაჯაია) „უპატრონო ხომ არ გგონია?“

უდუდე, უდუდურ-ი „უთავო“: **უდუდე** კოს დუდიში მანგიერო ოსური გეხენია დუს (ქაჯაია) „უთავო კაცს თავის ნაცვლად ცოლი აზისო თავზე“.

უდუდურ-ი იგივეა, რაც **უდუდე** (ქაჯაია).

უქვინჯელა იგივეა, რაც **უქვინჯე** (ქაჯაია).

უქვინჯე „უძირო, უფსკერო“: მახორობა **უქვინჯე** ლაგვანი რენია (ხალხ. სიბრ., 1, 85) „ოჯახი უძირო ქვევრიაო“.

უმუმე, უმუმო, უმუმალო „უმამო“. **უმუმე** ბადანა (ქაჯაია) „უმამო ბავშვი“. ამდღა-ჭუმე იმენი ობჟკუმუნა ნდემეფი **უმუმალოთ** (ყიფშ., 55) „დღეს-ხვალ მაინც შეგჭამენ დევები უმამოდ“.

უმუმოლ-ი იგივეა, რაც **უმუმე, უმუმალო**, „უმამო“ (ქაჯაია).

უ- -ოლ:

უ-დიდ-ოლ-ი „უდედო“, **უ-ჯიმ-ოლ-ი** „უძმო“, **უ-მუმ-ოლ-ი** „უმამო, მამით ობოლი“, **უ-კუმ-ოლ-ი** „უკვამლო“, **უ-დიშქ-ოლ-ი** „უშეშო“, **უ-დის-ოლ-ი** „უძიწო, უძიწაწყო“, **უ-ნიშ-ოლ-ი** „უნავო“, **უ-ჯიმ-ოლ-ი** „უმარილო“...

უ- -ოლ კონფიქსური წარმოების პარალელურია **უ- -ე** ალომორფი იმავე ძირების მონაწილეობით, მაგრამ აქ განსხვავებას სხვასთან ერთად ისიც ქმნის, რომ მარტივ ფუძეებში ისტორიულად დაკარგული ძირეული **ლ** შენარჩუნებულია:

უ-დიდალ-ე „უდედო“, **უ-ჯიმალ-ე** „უძმო“, **უ-მუმალ-ე** „უმამო“, **უ-სინჯალ-ე** „უსიძო“, **უ-რქალ-ე** „ურქო“, **უ-ფსუალ-ე** „უფროთ“, **უ-სქუალ-ე** „უშვილო“, **უ-ტყალ-ე** „უტყეო“, **უ-ცალ-ე** „უტოტო“ (შდრ. ქა „ტოტი“), **უ-ჯალ-ე** „უხეო, ტრიალი ადგილი“ (შდრ. ჯა „ხე“)...

უ- -ა:

უ-რჯულ-ა „ურჯულო“.

უ- -არ:

უ-ცოდ-არ-ი „ცოდვის არმქონე“.

ბოლოს, ასევე მეტად საყურადღებო ჩანს ლაზურში თავჩენილი ოდენსუფიქსური წარმოება უქონლობის სახელებისა, რომელთაც ქართველურ სინამდვილეში პირობითად შეიძლება სვანური ტიპი ეწოდოს, ვინაიდან ამგვარი დერივაცია დღეს მხოლოდ სვანურშია პროდუქტიული:

ხეხ-ურ „უცოლო“, შდრ. ხეხვ „ცოლი“

დი-ურ „უდედო“, შდრ. დი „დედა“

ნიც-ურ „უწყლო“, შდრ. ნიც „წყალი“...

თავის დროზე სვანურთან ანალოგიური წარმოების ერთადერთი ნიმუში ინგილოური დიალექტიდან მოიხმო მ. ჯანაშვილმა, როდესაც მიუთითა ინგილ. კუდ-ურ „უკუდო“ ფორმაზე [ჯანაშვილი, 1906, 28].

დღეს უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგილოურში ფიქსირებულ უნიკალურ მოვლენას პარალელები ეძებნება ლაზურში, სადაც ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში უდავო ჩანს უქონლობის გამომხატველი **-ურ** სუფიქსის არსებობის კვალი:

ლაზ. ტიმ-ურ-ი „უიღბლო“, შდრ. ტიმ-ი „იღბალი“

ლაზ. ბედ-ურ-ი „უბედო“, შდრ. ბედ-ი „ბედი“

ვიცოდით რა მსგავსი დერივაციის ერთადერთი ნიმუშის არსებობის შესახებ მეგრულში, თავს ვიკავებდით მეგრ. ბედ-ურ-ი „უბედო“ ფორმის კვალიფიკაციაზე, ვინაიდან ბედ-ურ-ის

წინაპარ სახეობად სალიტერატურო უ-ბედ-ურ-ი სრული სახეობა მიგვაჩნდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლაზურის ორ მაგალითში რეალურად დადასტურდა ინგილოური კუდ-ურ-ი „უკუდო“ დერივაციის უტყუარი იზომორფები, ცხადია, მეგრული ბედ-ურ-ი „უბედო“ ფორმაც ამ ერთიან ქართველურ კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

მეგრულშივე ყურადღებას იქცევს -გა privativum სუფიქსი, რომელიც სიტყვათა საკმაო რაოდენობას მოიცავს:

ტვინ-გა „უტვინო“, შდრ. ტვინ - „ტვინი“;

ხან-გა „გიჟი“, შდრ. ხან- : ძვ. ქართ. ხელ-ი „გიჟი“;

ნირ-გა „უზრდელი“, შდრ. ნირ- „ნირი = წესი,რიგი, ზნე“;

ხორ-გა „დაუსახლებელი ადგილი“, ტოპ., შდრ. ხორ- „სახლი“, ტოპ. ქვა-შ-ხორ-ი = ქვის

სახლი;

ოჩა-გა „დაკოდილი მამალი თხა დაბადებიდან მეორე წელს“, შდრ. ოჩ-ი „მამალი თხა“, ე.ი. ოჩა-გა = არამამრი, უმამრო, დაკოდილი; შდრ. გვარ-სახელი ოჩ-ი-გა-ვა;

ცუნ-გა „ყრუ“ <- * ცურ-გა, შდრ. პარალელური ფორმა ცურ-უ „ყრუ, უყურო“;

ჩინ-გა „უაზროდ მაღალი“, შდრ. მეგრ. ჩინ- = ცნობა, ცნება“...

ზოგან, სიტყვის უარყოფითი შინაარსიდან გამომდინარე, ასევე შესაძლებელი ჩანს -გა სუფიქსის გამოყოფა, მაგრამ ჭირს გამონაწევრებული ძირეული ელემენტის მნიშვნელობის დადგენა, მაგ.: ჩვი-გა „მოსულელო“, ზირ-გა „დიდი და მოუქნელი“, რუნ-გა „დიდთავა, ხისთავიანი“ (= ქართ. რეგენი(?))...

რა წარმოშობისაა მეგრული -გა privatum სუფიქსი?

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ორმოციან წლებში პროფ. გიორგი როგავამ აღწერა -გა სუფიქსიანი დერივაცია მეგრულში და, ვინაიდან ამ ტიპის სუფიქსური წარმოება ვერ მოიძია ლაზურ (ჭანურ) დიალექტში, ივარაუდა -გა ელემენტის არაზანური წარმომავლობა. ავტორი დაასკვნიდა, რომ -გა სუფიქსი შეთვისებულია აფხაზურ-ადილური ენებიდან, რადგანაც დასახელებულ ენებში -გა დერივატი გამოხატავს ნაკლს, არქონას, უვარგისობას: ადილ. ბზა-გა „ავი, უზრდელი“, ადილ. კუჭა-გა „უღონო“, შდრ. შესაბამისად: ბზა „ენა“, კუჭა „ძალა, ღონე“... [როგავა, 1942, 625-629]

მართალია, -გა სუფიქსი არ ჩანს ზანური ენის ლაზურ დიალექტში, მაგრამ, შეიძლება, ეს მეორეული მოვლენაა და ასახავს არა თავდაპირველ, არამედ მეორეულ ვითარებას, როცა ლაზურში საერთოდ წაიშალა ძველი კოლხური -გა ფორმიანი წარმოების კვალი, განსხვავებით მეგრულისაგან, რომელმაც შემოინახა ამგვარი დერივაციის არაერთი ნიმუში. ვფიქრობთ, არ უნდა იყოს აუცილებელი გა-ს წარმომავლობის დასადგენად სხვა ენობრივი სამყაროდან მისი შეთვისების დაშვება. ამაში გვარწმუნებს ძველქართულსა და „ვეფხისტყაოსანში“ შემორჩენილი ჯერჯერობით ერთადერთი ნიმუში -გამო სუფიქსური წარმოებისა.

ასეთად ჩვენ მივიჩნევთ წვერ-გამო „უწვერული“ ლექსიკურ ერთეულს, რომელიც ვეფხისტყაოსანში დასტურდება:

„ავთანდილ ახლოს კვლა ნახა სახე მისივე კაცისა,

ულვამ-აშლილი, წვერ-გამო, „ნუ-თუ მზეაო“, თქვა, „ცისა?“

აქ მოხმობილ ამონარიდში წვერ-გამო მნიშვნელობით უწვერულს (წვერის არმქონეს) უდრის (ა. შანიძე), რასაც ადასტურებს ძველქართული ძეგლი „დავით და კონსტანტინეს მარტვილობა“. კერძოდ, ტექსტის ავტორი მოგვითხრობს, რომ დავითი იყო „ჰაეროვან და სპეტაკ ხორცითა, მოწაბლე თმითა, შუენიერ გუამითა და ხშირ წვერითა“, ხოლო

კონსტანტინე – „შუენიერ გუამითა, მოწაბლე თმითა... წვერ-გამო“, ანუ დავითი იყო წვერ-გამო (ხშირ წვერითა), კონსტანტინე კი - უწვერული (წვერ-გამო).

საყურადღებო ფაქტია, რომ ფილოლოგმა ქეთევან ჯერვალიძემ სცადა უძველესი დერივაციის გაცოცხლება და ძველბერძნული ძეგლის (ქსენოფონის „ნადიმის“) თანამედროვე თარგმანში წვერგამო სიტყვა გამოიყენა. კონტექსტში იგი „ვაჟკაცი“-ს (დავაჟკაცებულების) ანტონიმადაა ნახმარი: ვაჟკაცი - წვეროსანი, ხოლო წვერგამო – ბავშვები/ჭაბუკები.

გამოყოფილი სიტყვა რთული შედგენილობისაა, კერძოდ, წვერ-გამო-ში უარყოფითობას -გამო სუფიქსი გადმოგვცემს, ანუ თავისი ფუნქციით, გრამატიკული მნიშვნელობით ქართ. -გამო = მეგრ. -გა „უქონლობის სუფიქსი“, შდრ. ქართ. წვერ-გამო „უწვერო/უწვერული“ : მეგრ. ტვინ-გა „უტვინო“... როგორც ვხედავთ, სიტუაცია იგივეობრივია, მაგრამ მაინც განსხვავებული, რადგანაც მეგრულში -მო გვაკლია, რომელზეც შეგვეძლო გვეთქვა, რომ ამოსავალი სახეობა გამარტივდა, ანუ -მო სეგმენტი დაიკარგაო.

ამ თვალსაზრისს ჩვენ არ გამოვრიცხავთ, მაგრამ აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ არა -მო-ს გაუჩინარებაზე, არამედ სხვა შესაძლებლობაზეც. მხედველობაში გვაქვს მეგრულ-შივე -გა სუფიქსიანი ფორმების პარალელურად უფრო სრული (და შესაძლოა ამოსავალი) დერივაციის ნიმუშების პოვნის რეზულტი, შდრ.:

ტვინ-გა / ტვინ-გალ-ი „უტვინო“

ჩვი-გა / ჩვი-გალ-ი „მოსულელო“

ზირ-გა / ზირ-გალ-ი „დიდი და მოუქნელი“

ჩინ-გა / ჩინ-გალ-ი „უაზროდ მაღალი“...

დაშვებიდან გამოდის, რომ ქართული -გამო უფრო სრული (ძველი) საფეხურია მეგრული -გა სუფიქსისთვის და მეგრულისთვისაც ძველ სახეობად -გალ არქემორფის არსებობას გულისხმობს. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ გვიდასტურდება ქართ. -გამო: ზან. (მეგრ.) -გალ-ი მიმართება, რომელიც ანალოგიას პოვებს ქართ. ხომა : ხოლო „ხომ“ ნაწილაკთა შეპირისპირებაში, სადაც მნიშვნელოვანია მ : ლ (ზანურში მ →ლ) ბგერათფარდობა.

I.2.4. აბსტრაქტული სახელები.

აბსტრაქტულ სახელებს ქართულში სი- -ე პრეფიქს-სუფიქსი და -ობა, -ება სუფიქსები აწარმოებს. მეგრულსა და ლაზურში ძირითად აფიქსებად ეს მაწარმოებლები მეორდება, -ე სუფიქსის ქართული ნასესხობის პარალელურად დასტურდება მისი ფონეტიკური შესატყვისობა -ა სუფიქსის სახით.

სი- -ე:

სიავე „სიავე“: დუდი მეზჩი სიავეს (ყიფშ., 157) „სიავეს ჩავდიოდი (თავი მივეცი სიავეს)“; სიალალე „სიალალე“: ოსურქ თქუა: ჩქიმ სიალალექ (/ალალობაქ) ჩქიმი დუდი ჩქიმ ქომონს ვაჭარუა (სახოკ., 256) „ქალმა (ცოლმა) თქვაო: ჩემმა სიალალემ ჩემი თავი ჩემს ქმარს არ აღირსაო“; სიბოშე „სიჭაბუკე“: ძალამი სიბოშეში სიჩქარეთე გურიში ბამე გალქე გეუოლე (ქხს, 2, 18) „ძლიერი ახალგაზრდული სიჩქარით გულის ფანცქალი (ძგერა) აუვარდა“. ჩქე ნით ვა მომწონუანა, სიბოშეთე გევერათი (ყიფშ., 126) „ჩვენებიც არ მოგვიწონებენ, სიჭაბუკით რომ გავგიჟდეთ“; სიგერგეზე, სიქომოლე „სივაჟკაცე, სიძლიერე; გოლიათობა“: სიგერგეზე,

სიქომოლე ვეთქუე დო ვერაგადე (ქაჯაია) „სიმლიერე, სივაჟკაცე არ შეიძლება ითქვას“; **სიკვარჩხე** „მარცხიანობა, უკუღმართობა“: გინუვლა დროს მუში **სიკვარჩხე** ირო ქიგოუხუნუვაფუ (სამუშ., ქართ. ზეპ., 110) „გასვლის დროს თავისი უკუღმართობა მაინც დაუმჩნევია“; **სიმაწგარე** „სიმაგრე“: გური გილუ ქომოლური, **სიმაწგარე** - ფულანდიში (ქაჯაია) „გული გაქვს ვაჟკაცური, სიმაგრე -ფოლადისა“; **სირგილე** „სიგრილე“... **სიპატიოსნე** „სიპატიოსნე“: სქანი სიპატიოსნე მუჟანსე თ ქორჩქინდგ ნ..., აშო დიფრთუთ (ხუბ., 17) „შენი სიპატიოსნე როდესაც გამოჩნდება..., აქეთ დავბრუნდებით“; **სიზარმაცე** „სიზარმაცე“: **სიზარმაცექ** ორჭოფუ-და, უჩქე აზრიში წაჲ უნება (სამუშ., ქხპს, 117) „სიზარმაცემ თუ შეგიპყრო, იცის აზრის წახდენა“; **სითგ ნჩე** „სიჩუმე, სიწყნარე“ (ი. ყიფშ.).

-ე-ე > -ე:

სიჩიჩიე „სიგლახე“ (შდრ.: ჩიჩიე „გლახა“): ვარა მუთუ ეინწყინე... ჩქინი **სიჩიჩიე**-დაბალობა? (ქაჯაია) „ანდა რითი შეიძლება აიხსნას... ჩვენი სიგლახე-სულმდაბლობა?“ **სილაამე** „სინოტივე, სინესტე“ (შდრ. ლამე „ნოტიო“): თუდო თირს დიშვოხეთ დო ჟი ირზენს **სილაამეს** (ხუბ., 359) „ქვევით თოვლზე ვზივართ და ზევით იძლევა სინესტეს“; **სინჩხე** „სიცხე“ (შდრ. ჩხე „ცხელი“): ართ ე ოროფას **სინჩხე** უჩქე (ქხს, 1, 87) „ერთმა სიყვარულმა სიცხე იცის“; **სინწარე** „სიმწარე“ (შდრ. მ/წარე „მწარე“): და ჯიმაში **სინწარეს** გეგენსე ნი, თექ დოლო ვეფალუნცია (ხალხ. სიბრ., 34) „(სადაც) და ძმის სიკვდილს გაიგებს, იქ (იმ ადგილას) ბალახი არ ამოვაო“; **სიე ვერე** „სიბრმავე“ (შდრ. ე ვერე „ბრმა“): მიოჯინალო უჩა რე, სიე ვერე აბრკოლენსია (ბერ., 172) „შესახედავად შავია, სიბრმავე აბრკოლებსო“; **სირუმე** „სიბნელი“ (შდრ. რუმე „ბნელი, მუქი“). ათეთ დებოლუ სერიშ **სირუმემ** დროთ გინოჰყვადილჲ დღამ მორიაქე (ქაჯაია) „ამით დამთავრდა (დაბოლავდა) ღამის სიბნელის დროს გადაწყვეტილმა დღის (სინათლის) მორევა“.

სი- -ა:

სიდიდა „სიდიდე“: დახარბებუ თიშ **სიდიდა** (ყიფშ., 171) „დახარბებია იმისი სიდიდე“; **სითხილა** „სიფრთხილე“: საჭირო რე **სითხილა** (ქაჯაია) „საჭიროა სიფრთხილე“; **სისქა** „სისქე“; **სისერა** „სიბნელი“: **სისერაქ** ქიმმოჰიშუ (ხუბ., 42) „სიბნელემ მომისწრო“; ბჟა დო თუთას აჩაკრენს, მანათ[ლ]ებელს **სისერაში** (ყიფშ., 164) „მზესა და მთვარეს ჩაგრავს, გამნათებელს სიბნელისა“; **სიშორა** „სიშორე“: ართი ალაბიში **სიშორას** (ქაჯაია) „ერთი არშინის სიშორეზე“; **სიცერქა** „სიცელქე“ (შდრ. ცერქი „ცელქი“)...

დასტურდება დერივაციული პარალელიზმი: სი- ე || სი- -ა:

სიეფა/ე „სიიაფე“: ბამარს **სიეფე** ვარე (ქაჯაია, 596) „ბაზარში სიიაფე არ არის“; **შდრ.:** **სიეფათი** დუდი გაგმირჩქინუ (იქვე) „სიიაფით თავი გამოიჩინა“;

სისქვამა/ე „სილამაზე“: ამსერიში მოჰყუდუსი, ნა, მუშ **სისქვამა** გოჰყუდუნსი (ქხს, 1, 17) „ამალამდელ პატარმალს, ნა, თავისი სილამაზე გაამზითვებს“; **სისქვამაქე** დაალორჲ (ყიფშ., 173) „სილამაზემ მოატყუა“; **შდრ.:** **სისქვამე** დო ტანადობაზე ჩქიმდა ძღაბის მართენო? (სამუშ., ქართ. ზეპ., 55) „სილამაზითა და ტანადობით ჩემთან გოგო მოვა?“ **სისქვამემ** ღორონცე მოწყე ნაფუ ცასე რინა (სამუშ., ქართ. ზეპ., 20) „სილამაზის ღმერთს მოსწყენია ცაში ყოფნა“.

სიმტყუნა/ე „სიმტყუნე“: სიმართლეში შარა ცაშა მიონჰე, **სიმტყუნე** ირო აწოკუნტა რე (სამუშ., ქართ. ზეპ., 118) „სიმართლის გზა ცასა სწვდება, სიმტყუნისა მუდამ მოკლეა“.

სინტერა/ე „მტრობა, სიმტერე“: შური დო ხორცი ნირზენანი, ჯვეში ულუნა **სინტერე** (სამუშ., ქართ. ზეპ., 8) „სული და ხორცი რომ ქიშპობენ, ძველთაგან მოსდგამთ მტრობა“.

სიქექა/ე „სიმსუბუქე“: წყარი **სიქექაში** გემა ჟი ქიმნოდოხოლო (ქაჯაია) „წყალი სიმსუბუქის გამო ზევით მოექცევა (მოაჯდება)“.

სიშერა/ე „სიგიჟე“; „სიმტერე“: სიშერაშა მუთა მირკე, ღორონთუმე, გეევხანგი (ყიფშ., 109) „სიგიჟეს არაფერი მიკლია, ღმერთმანი, გადავირიე“.

სილულა/ე „სიმრუდე“; **გადატ.** დამნაშავეობა: სქუა, იში გაგიკვირდუ **სილულე** ბრელი (ყიფშ.,137) „შვილო, იმისი ბევრი დანაშაული (სიმრუდე) გაგიკვირდება“. სითინუე ჭიჭე უჩქე , **სილულე** ბრელი ულუ (ბერ., 158) „სიმართლე (სისწორე) ცოტა იცის, სიმრუდე (დანაშაული) ბევრი აქვს“.

სიჩქარა/ე „სიჩქარე“: სიბოშეში **სიჩქარეთე** გურიშ ბამე გალქე გეუოლე (ცაგ., 18) „სიჭაბუკის (სიბიჭის) სიჩქარით გულის ფანცქალი აუვარდა“;

სიწკონდა/ე „სიწმინდე“: მიოდინეს ართი წუთო ჭკუაში **სიწკონდე** დო საქვარიშა კურცხაშო მერიანა (ყაზაყ., 6.03.1930, 1) „დაკარგეს ერთ წუთში (წუთად) ჭკუის სიწმინდე და საქმისადმი ფხიზლად მიდგომა“;

სიწგ რდა/ე „სიჯანსაღე, სიწმინდე“: საჭირო რე შურიში **სიწგ რდე**, სე ნთელე (სამუშ., ქართ. ზეპ., 8) „საჭიროა სულის სიწმინდე (სიჯანსაღე), სიმრთელე“;

სიჭვახა/ე „სიმჟავე, სიჭმახე“ (**შდრ.**: სიჭვახიე იგივეა, რაც სიჭვახე. **სიჭვახიე** ქუგორკუ-და, მეგიჯლონანქ აინჩას (ქხს, 1, 141) „სიმჟავე თუ გაკლია, გამოგიგზავნი ალუჩას“).

სიჭითა/ე „სიწითლე“ (**შდრ.**: **სიჭითარე** იგივეა, რაც **სიჭითა**) (ქაჯაია).

სიჯგირა/ე „სიკარგე“: მოწონება დო **სიჯგირე** მუშ დუდიშო გილოურსუ (ხალხ. სიბრ., 1, 96) „მოწონება და სიკარგე თავის ნებაზე (თავისთავად) დადის“...

გაორმაგებული პრეფიქსაცია გვაქვს ამ შემთხვევაში:

სისინთელე „სიჯანმრთელე; ჯანმრთელობა, სიმთელე ტანისა“ (ქაჯაია); **შდრ.** **მ/ნთელი** „მთელი“ > **სი-მ/ნთელ-ე** „სი-მთელ-ე“;

სისგ ნთა „სინათლე“: თოლც **სისგ ნთა** ვა ულუ დო ე უცუ ვაპალუუ რჩქილა (სამუშ., ქართ. ზეპ., 15) „თვალთ სინათლე არ აქვს და ჩამქრალია ყურთასმენა“; **შდრ.** **სი-ნთ-ე** „სი-ნათლ-ე“.

სისინთა იხ. სისგ ნთა (ქაჯაია).

-ა-ა > -ა:

სიმონკა „სიმძიმე“ (**შდრ.** **მონკა** „მძიმე“). სქე ბ დო ტკიბირიშ **სიმონკა** ართიანიშა ველეზე მე (ქხს, 1, 206) „დოლაბისა და საცრის სიმძიმეს ერთმანეთს ვერ გაუტოლებ“; მუში **სიმონკათი** ათე მარკინექ პარკიშორო ვა ქიგეხორცქუო (ხუბ.,1) „თავისი სიმძიმით ეს მოჭიდავე პარკივით არ დაეხეთქა“; **სიტობა** „სიღრმე“ (**შდრ.** **ტო(მ)ბა** „ღრმა“): რადანგ დიხაში **სიტობა** ვა რდგ ნი დო... გოხომუ (ცაგ., 87) „რადგან მიწის სიღრმე არ იყო და... გახმა“...

შეიძლება განვითარდეს თანხმოვანთგამყარი:

-ა-ა > -ა-ლ-ა / -ე-ე > -ე-ლ-ე:

სირჩელა/ე სითეთრე (**შდრ.** **ჩე, ჩელა**).

შდრ. ასევე: **სირჩელია** იგივეა, რაც **სირჩელა** (ქაჯაია); **სირჩია** იგივეა, რაც **სირჩელა**; **სირჩიოლე** იგივეა, რაც **სირჩელა, სირჩია**, „სითეთრე“ (იქვე).

სიმონალა „მონობა“ (**შდრ.** მონა „მონა“); **შდრ.**

სიმონე, სიმონუე იგივეა, რაც **სიმონალა**, - „მონობა“ (ქაჯაია)

-ა-ე > -ა-რ-ე:

სიურარე „სიშავე“ (**შდრ.** **ურა** „შავი“).

სიჭითარე იგივეა, რაც **სიჭითა**, - სიწითლე (**შდრ.** **ჭითა** „წითელი“);

სიჭიჭარე იგივეა, რაც სიჭიჭა, - სიპატარავე (**შდრ.** **ჭიჭე** „პატარა“)

ე-ს წინ -ო > -უ:

სიბორუე „სისულელე“: **სიბორუექ** ქუმალოლუ, ასე გვიანთე (ქაჯაია) „სისულელე მომივიდა, ახლა გვიანთა“ (შდრ. ბორო „სულელი“).

-ს წინ შეიძლება ეს **-ო** დაიკარგოს:

სიინწრა „სივიწროვე“ (შდრ. ინწრო „ვიწრო“);

-უ-ფუმიანებზე -ე-სა და -ა-ს დართვა არ იწვევს ფონეტიკურ ცვლილებას:

სითინუე „სიმართლე, სისწორე“ (შდრ. **თინუ** „სწორი“): **სითინუე** ჭიჭე უჩქე, სილულე ბრელი ულუ (ბერ.,158) „სიმართლე (სისწორე) ცოტა იცის, სიმრუდე ბევრი აქვს“; **სიჯღარუე** „სიჭრელე“: კოც გინამიცებუ-თოლიმ **სიჯღარუეში** მეტი-ირფელი ართუნია (ხალხ. სიბრ., 1, 77) „კაცს დანაცინი – თვალის სიჭრელის მეტი ყველაფერი მოუბრუნდებაო. შდრ. ჯღარუ „ჭრელი“).

შეიძლება **-უ-სა და -ე-ს** შორის ხმოვანთგამყარი გაჩნდეს:

სირჩინუე, სირჩე ნუვე იგივეა, რაც **სირჩინა, სირჩინე**, „სიბერე“: **სირჩინუე** ბჯოგუდუ დო ასე ე უჩა მინომილუ (ქხს, 1, 163) „სიბერე მძულდა და ახლა სახლში შემომვიდა“; **სირჩინუე** თე ოხერი, თე ლახალა უჩურცხელი (ეგრისი, 131) „სიბერე ეს ოხერი, ეს ავადმყოფობა (სატკივარი) განუყრელი“; სქან **სირჩე ნუვეს** შეხვადი (სამუშ., ქართ. ზეპ., 16) „შენს სიბერეს შეხვდი“ (შდრ. **რჩინუ** „მოხუცი, ბებერი“); **სისქირუა, სისქე რუა** „სიმშრალე“ (შდრ. **სქი/გ რუ** „მშრალი“); **სიმხუა** „სიმსხო, სიმსხვილე“ (შდრ. **შხუ** „მსხვილი“).

შეიძლება ეს **-უ** დაიკარგოს **-ა-სა და -ე-ს** წინ:

სირჩინა, სირჩე ნა „სიბერე“: ჩქიმი ბოშალა ვავძირე ნ თის, ჩქიმი სირჩინა ნიმ ოძირი (ეგრისი,131) „ჩემი ბიჭობა ვისაც არ უხილავს, ნურც ეხილოს ჩემი სიბერე“; ჩქიმ **სირჩე ნა** ნე მ ოძირე (სამუშ., ქართ. ზეპ., 17) „ჩემი სიბერე ნუ აჩვენა“; **სირჩინე** იგივეა, რაც სირჩინა, „სიბერე“. **სირჩინე** რე დიდ ლახალა (ქხს, 1, 164) „სიბერე დიდი ავადმყოფობაა“; **სითხე თხა** „სითხელე“ (შდრ. **თხითხუ** „თხელი“); **სიტბა/სიტუბა** „სითბო“. ზარხულს **სიტბა** კოს ვააწუხენს (ქაჯაია) „ზაფხულში სითბო კაცს არ აწუხებს“; ბჟას **სიტუბას** ოცილუდუ იმ თოლეფი ჩხანა დღასუ (ბერ., 65) „მზეს სითბოში ეცილებოდა მისი თვალეხი მზიან დღეს“ (შდრ. **ტიბუ/ტუბუ** „თბილი“); **სილიბა** „სირბილე“ (შდრ. **ლიბუ** „რბილი“)...

-ა-ე > -ე:

სიბუგე „სიბეცე, სიჩლუნგე“: ნული ნორმა **სიბუგე** რე (სამუშ., ქართ. ზეპ., 13) „ნული ნორმა სიბეცეა (სიჩლუნგე“ (შდრ. **ბუგა** „ჩლუნგი“); სიბადანე „სიბავშვე“ (შდრ. **ბადანა** „ბავშვი“); **სიგლახე** „სიგლახე, სიცუდე“ (შდრ. გლახა „გლახა, ცუდი“); სითინუე ჭიჭე უჩქე, **სილულე** ბრელი ულუ (ბერ.,158) „სიმართლე (სისწორე) ცოტა იცის, სიმრუდე ბევრი აქვს“ (შდრ. **ლულა** „მრუდე“); **სისუფთე** „სისუფთავე“ (შდრ. სუფთა „სუფთა“)...

შდრ.:

სიჭკოლუა/ე „სიგამხდრე, სიმჭლევე“: **სიჭკოლუმენი** (//**სიჭკოლუეთ**) ჩხოუ ვედიწონინენთა (ქაჯაია) სიგამხდრისთვის (სიგამხდრით) ძროხა არ დაიწუნება (შეიძლება დაწუნებულ იქნას). იხ. ჭკოლა...

-ე-ა > -ა:

სიქექაში გემა ჟი ქიმნოდოხოლუ (ქაჯაია) „წყალი სიმსუბუქის გამო ზევით მოექცევა (მოაჯდება“ (შდრ. **ქექე** „მსუბუქი“); მიოდინეს ართი წუთო ჭკუაში **სიწკონდე** დო საქვარიშა კურცხაშო მერინა (ყაზაყ., 6.03.1930, 1) „დაკარგეს ერთ წუთში (წუთად) ჭკუის სიწმინდე და

საქმისადმი ფხიზლად მიდგომა“ (შდრ. წკონდა „წმინდა“); **სიგინმა**, **სიგირქმა** „სიგრძე“: თიში **სიგინმა** კოჩიშ მაძირაფუ ვავორექ (ქაჯაია) „იმის სიგრძის კაცის მნახველი არ ვარ“ (შდრ. **გინ/რძე** „გრძელი“); **სიკურცხა** „სიფხიზლე“: თოლს **სიკურცხა** ოკო გილუდას (ქაჯაია) „თვალში სიფხიზლე უნდა გქონდეს“ (შდრ.: **კურცხე** „ფხიზელი“); **სიფართა** „სიფართოვე“ (შდრ. ფართე „ფართო“); **სიჭიფა** „სივიწროვე; სიწვრილე“ (შდრ. **ჭიფე** ვიწრ, წვრილი“); **სიჭიჭა** „სიპატარავე“ (შდრ. **ჭიჭე** „პატარა“).

-ობა:

ჯიუშობა „სიჯიუტე, ჯიუტობა“: „მუში **ჯიუშობათ** ოჯახი ქევიდინუ (ქაჯაია) „თავისი სიჯიუ-ტით ოჯახი დაღუპა“; **ალალობა** „ალალობა“: ალალობა სარალობა რენია (ხალხ. სიბრ., 1, 7): „ალალობა საბრალობა არისო“; **ხანობა** „ხნობა“: თე **ხანობას** ეჯგურა მუთა გამიგონებუ (ქაჯაია) „ამ ხნობას ამნაირი არაფერი გამიგონია“; **ახალობა** „ახალგაზრდობა, ყმაწვილობა; სიყრმე“. ახალობას მუთ ბწანდგ ნ ი, ირფელი ართო გამომტერ (სამუშ., 17) „ახალგაზრდობაში რაც მწამდა, ყველაფერი ერთად (სუყველა) გადამამტერა“; **ქომოლობა** „ვაჟკაცობა“: მიქე თ **ქომოლობა** დიციქუნ, ქიანა თიქე გიტუ (ხალხ. სიბრ., 1, 94) „ვინც ვაჟკაცობა დაიკვება, ქვეყანაც იმან დაიტოვა“; სქანი **ქომოლობას** ქიგვალე (ქაჯაია) „შენს ვაჟკაცობას შემოვევლე“; **ქომოლსქუა-ლობა** „ვაჟიშვილობა“. **გადატ. ვაჟკაცობა** (ქაჯაია); **მუმასქუალობა** „მამაშვილობა“: კოჩი ვერგუ-და, **მუმასქუალობა** მუ მოლე რენია (ხალხ. სიბრ., 1, 72) „კაცი თუ (თვითონ) არ ვარგა, მამაშვილობა არარას ჰრგებსო (რა მაქნისიაო)“; **ქომო[ნ]ჯობა** „ქმრობა“: თინა იე ინია ღირსი თი ცირაში ქომონჯობაშია (ყიფშ., 64) „ის იქნებაო ღირსი იმ გოგოს ქმრობისაო“; **გერობა** „მგლობა“: გერსე **გერობაქე** გიოსქიდუა დო ტურაქე ქიე ანა დონწყუა (ყიფშ., 176) „მგელს მგლობა დარჩა და ტურამ ქვეყანა ამოგდო“; გერი გერობას დღას ვემიშალუნსია (ხალხ. სიბრ., 1, 24) „მგელი მგლობას არასოდეს არ მოიშლისო“; **ჩილობა** „ცოლობა“: სი ჩქიმი ჩილობაში ვარიას ვა თქუანქე (ყიფშ., 80) „შენ ჩემი ცოლობის (ცოლობაზე) უარს არ იტყვი“; ძღაბალაქ ქოიფურინუ, ანწი **ცირობას**; ვაუნჭუა! (ქაჯაია) „ქალიშვილობა გაგიფრინდა, აწი ცირობას არ ესწრაფო (უჩქარო)!“; **დიდობა** „დიდობა“: დიდობას ვალოლე ათეჯგურა (ქაჯაია) „დიდი რომ გახდება (დიდობაში), არ დაემართება ასეთი“; **ვეზირობა** „ვეზირობა“: კინი იე უუ ვეზირობაქე (ყიფ., 95) „ისევ იქნა ვეზირობა“; **დიაკონობა** „დიაკვნობა“: **დიაკონობას** იბგურუანქია (ხუბ., 263) „დიაკვნობას ვსწავ-ლობო“; **თავადობა** „თავადები; თავადობა“: **თავადობას** ოსქუდუო ობორკალიში ითოხუნა? (ქაჯაია) „თავადებს შვენოდა ბორკილების ქვეშ ჯდომა?“; **ჩიტობა** „ჩიტობა“. „ანფერ სქან ჩიტობას (ყიფშ., 119) „აფერუმ შენს ჩიტობას“; აბა, სქან **ჩიტობას**, მუს მომიღა დე ნართის (სამუშ., ქართ. ზეპ., 56) „აბა, შენს ჩიტობას, რას მომიტან დანაბრუნებზე?“; **დიანთილობა** „დედამთილობა“: **დიანთილობა** დო ნოსალა ჟირხოლო გუმომირსებუნია (ცან., 104) „დედამთილობა და რძლობა - ორივე გამომიცდიაო“; **რჩინუობა** იგივეა, რაც სირჩინუე (ქაჯაია); **თირობა**, **თე რობა** „თოვლობა“. **თირობას** თირს კოს ვემეჩანსია (ხალხ. სიბრ., 1, 52) „თოვლობას კაცს თოვლს არ მისცემსო“...

-ა-ობა > -ა-ლ-ობა:

დალობა „დობა“: შურო ქორწანს **დალობა**-და, გურს ქორჭუნდა უბედური (ბერ., 141) „სულ თუ გწამს დობა, გულს გწავდე უბედური“; **ჯიმალობა** „ძმობა“: **ჯიმალობა** ქორწანცია-და, მართახი ქე მომიღია (ყიფშ., 14) „ძმობა თუ გწამსო, მართახი მომიტანეო“; **ჯიმალობას** გიფურუანქ (ქაჯაია) „ძმობას გეფიცები“. **ჯიმალობა** მილუდანი (სამუშ., ქხპს., 159) „ძმობა გვექონდეს“; **სქუალობა** „შვილობა“: რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი: **დასქუალობა** დისშვილობა; **დიდასქუალობა** დედაშვილობა; **მუმასქუალობა** მამაშვილობა; **ჯიმასქუალობა** ძმისშვილობა. **დიდასქუალობა** ქორწანსე -და, აკა ქობალი მალამჯუმე „დედაშვილობა თუ გწამს, ერთი პური წამომიდღვანიე“ (ქაჯაია); **ოსურსქუალობა**, **ოსურსკუალობა** „ქალიშვილობა“:

ოსურსქუალობა სოფელს გატარუ „ქალიშვილობა სოფელში გაატარა“; **ნოსალობა** „რძლობა“: **ნოსალობათ** მიჩქე დო დიანთილობათია (ხალხ. სიბრ., 1, 1060 „რძლობაც ვიცი და დედამთილობაცო“; **დიდალობა** „დედობა“: მუს გოხვარე ნია ჩქიმი **დიდალობავა?** (ხუბ., 244) „რას გიშველისო ჩემი დედობაო?“ **დიდასკუალობა** „დედაშვილობა“: დიდასკუალობას, ეთი კარანჩხა ქომომილი! (ქაჯაია) „დედაშვილობას, ის პატარა კალათი მომიტანე!“ **მუმალობა** „მამობა“: **მუმალობა** ქორწანსი-და, ვაბლოლუა მა თენავა! (ქაჯაია) „მამობა თუ გწამს, არ მიქნა (გამიკეთო) მე ესო“.

-ე-ობა > -ე-ლ-ობა:

ჭიჭელობა „პატარობა, სიპატარავე“: თეურე დე მახვამესო **ჭიჭელობა**, ყაზახობა?! „მასალ., 79) „იქიდან დაგვილოცეს პატარობა, ყაზახობა?!“ ართი ჯვეში ფილუკა, **ჭიჭელობას** აკეთესე ნი თინა..., ქომირუ (ყიფშ., 5) „ერთი ძველი ნავი, პატარობისას რომ გააკეთეს ის..., ნახა“;

მდრ.

ჭიჭალობა „პატარობა, სიპატარავე“.

ლ-ს მონაცვლე ხმოვანთა გათიშვისას შეიძლება იყოს **ნ:**

ჭიჭანობა იგივეა, რაც **ჭიჭიანობა** // **ჭიჭიანობა**, - „პატარობა“: **ჭიჭანობას** გეგნოხვატუ დუდი ჯასუ-და, ინა სადიშქოთ გინირთუ“ (ქაჯაია) „პატარობისას თუ გადაკვნიტა თავი ხეს, ის საშეშედ გადაიქცევა“.

რელიგიური დღესასწაულები -ობა სუფიქსის საშუალებით გამოიხატება:

ბარბალობა *რელიგ.* 4 დეკემბერს (ძვ. სტილით) წმინდა ბარბალებს დღესასწაული. ხალხის აზრით, 4 დეკემბრიდან სამი დღის მანძილზე მზე არ იძვრის, ხოლო შემდეგ დღე მატებას იწყებსო. „ნაყოფიერების მომცემი ღვთაების დღესასწაული“ (ელიავა, ალბ., 84).

კობინჯრობა *რელიგ.* ნაკრძალი დღე იყო და 13 მაისს უქმობდნენ, არავინ მუშაობდა, რომ კობმა და ავდარმა ნათესი არ გააფუჭოსო (მაკალ., 331).

სუნთაობა *რელიგ.* სულთმოფენა, - სულების მოსაგონებლად განკუთვნილი დღე (მაკალ., 292); **სუნთობა** იგივეა, რაც სუნთაობა.

ქენჯერობა *რელიგ.* დღესასწაული, იცოდნენ თეკლათში, ხორშში (ქაჯაია).

ქირსიანობა „ქრისტიანობა“: ურიას **ქირსიანობას** არზენდესია დო ჭიჭე კითით უარს რაგადანდუა (სახოკ., 260) „ებრაელს ქრისტიანობას ამლევდნენო და პატარა თითით უარს ლაპარაკობდაო (ამბობდაო)“.

მარიობა „მარიამობა“ *რელიგ.* თუთაშხა რე **მარიობა** „ორშაბათია მარიამობა“ (ქაჯაია).

-ობ-უ-ა:

ჩილობუა იგივეა, რაც **ჩილობა**, - „ცოლობა“: მუმამა ქიმიე ონ დო **ჩილობუა** მოთხუ (ხუბ., 46) „მამასთან მიიყვანა და ცოლობა მოსთხოვა“; **კობტობუა** „კობტაობა, სიკობტავე“ (ქაჯაია); **ბორობუა** „სისულელე, ბრიყვობა“: თეცალ **ბორობუაშენი** ბრელშა გაკოდუქეს (მასალ., 98) „ასეთი სისულელისათვის ბევრჯერ დაიჭირეს“; **ხილობუა**: „ხილის მწიფობის დრო“ (ცხადაია, 2001, 129); **თხირობუა**: თხილის შეგროვების დრო (ცხადაია, 2001, 129); **ჯგირობუა** „კარგობა, ბედნიერება, სიკეთე, კარგად ყოფნა“: **ჯგირობუას** **ჯგირობუა** მოჸ უნსია (ხალხ. სიბრ., 191) „სიკეთეს სიკეთე მოჰყვებაო“; მუმულეფიში ე იონუა, მენძელეფიში **ჯგირობუა** (ქხს, 1, 9) „მამლების ყივილი, მასპინძლების სიკეთე (კარგობა)“; **ოსურკათობუა** „ქალების კრებული, -- ქალები“: სოფელური **ოსურ-კათობუა** (ყაზაყ., 01.08.1930, 3) „სოფელური (სოფლის) დედაკაცობა“; **გვალობუა** „მთიანობა, მთაზე ყოფნის დრო“ (მასალები, ტ. ვ, 140): ართი **გვალობუა** სუმი თუთა რე (ქაჯაია) „ერთი მთიანობა სამი თვეა“...

ლაზურში აბსტრაქტულ ცნებათა სახელებს ძირითადად -ობა სუფიქსი აწარმოებს:

უნჯირობა (ლექს. 923) „უძილობა“, **აბრეკობა** (ლექს. 30) „აბრაგობა“, **აღანობა** (ლექს. 31) „ახალობა“, **არობა** (ლექს. 48) „ერთობა“, **აბჯობა** (ლექს. 29) „ნადირობა“, **ბადობა** (ლექს. 54) „სიბერე, მოხუცობა“, **ბერობა** (ლექს. 62) „ბავშვობა“, **ნანობა** (ლექს. 617) „დედობა“, **ქიმოლობა** ხოლო მაქოხომსქიდუ (დიუმეზ. 220) „ვაჟკაცობა კიდევ მე შემრჩა“; **ზენგინობა** დო **ფუკარობა** (ვარტ. I, 71) „მდიდრობა და ღარიბობა“; მუში **მსქვანობა** ვარ გონდინუ (ვარტ. I, 61) „თავისი სილამაზე არ დაკარგა“; **კირალობა** ჰა ბერეს ქომეჩუ (სჟ. 40) „მეფობა ამ ბავშვს მისცა“; **დიდინობა** (ლექს. 143) „დიდობა“, **გუნძენობა** (ლექს. 350) „გრძელობა“, **კოჩინობა** ჩქარ ვარ უღუნ (ლექს. 428) „კაცობა სულ არა აქვს“; მითიში **ვორსინობა** ვარ უძირაფუნ (ლექს. 942) „არავის კარგობა არ უნახავს“...

ა. შანიძის მიხედვით, -ობა საწყისური წარმოშობისაა და რთულია [შანიძე, 1980, 130], - - **ობ** თემის ნიშნის შესატყვისია ზანურში -ოფ, რომელიც რამდენიმე საწყისის აუსლაუტში დასტურდება: **ყოროფა** „სიყვარული, ყვარობა“ [მაჭავარიანი, 15-16; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 364]. ე.ი. -ობა სუფიქსს, რომელიც წარმოშობით ზმნური მაწარმოებელია, ზანურში შეესატყვისება -ოფა, -ობა კი ქართულიდან ნასესხები აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელია.

-ანა:

კოჩანა „კაცობა“: კოს **კოჩანა** გიღუდას, სახელი მუდგა რჯოხოდას (ცან., 109) „კაცს კაცობა გქონდეს, სახელი რაც გინდა გერქვას“; აბა, სი გიჩქუ დო სქანი **კოჩანასია** (ხუბ., 55) „აბა, შენ იცი და შენმა კაცობამო“; ირი კოჩი გახარებული ორდუ... მუში ჯგირი **კოჩანაშენი** (ხუბ., 14) „ყველა გახარებული იყო... მისი კარგი კაცობისათვის“; **ქომოლ[ი]კოჩანა** „ვაჟკაცობა, მამაცობა“: ე კოჩქ **ქომოლიკოჩანას** გუუდირთ (ყიფშ., 46) „ეს კაცი შეუდგა ვაჟკაცობის გამოჩენას“; **დიდკოჩანა** „დიდკაცობა“: უც ორს **დიდკოჩანა** (ქაჯაია) „უყვარს დიდკაცობა“.

-ალა:

ბოშალა „ახალგაზრდობა, სიყრმე, ჭაბუკობა, ბიჭობა“. ჩქიმ **ბოშალა** სი გოგირთუ (ქხს, 1, 51) „ჩემი ვაჟკაცობა შენ გაგიყვია“. ჩქიმ(ი) **ბოშალა** ვავძირუ ნ თის, ჩქიმ სირჩუ ნა ნუ მ ოძირუ (სამუშ., ქართ. ზეპ., 17) „ჩემს სიყრმეს ვინც არ მოსწრებია, ნუ იხილოს ჩემი სიბერე“; **ქომოლ[ნ]ჯალა** „ქმრობა“; **სინდალა**, **სინჯალა** „სიძეობა“ (შდრ. **სინდა**, **სინჯა** „სიძე“). იში **სინდალა** ვარე ანდვილი (ქაჯაია) „იმისი სიძეობა არ არის ადვილი“; თირა, **თირალა** // თე რა, **თე რალა** „თოვლობა“ (ქაჯაია); **ნოსალა** „რძლობა“: დიანთილობა დო **ნოსალა** ჟირხოლო გუმომირსებუნია (ცან., 104) „დედამთილობა და რძლობა ორივე გამომიცდიაო“; **ბორალა** „სისულელე“, სიბრიყვე. შდრ. სიბორუე (ქაჯაია); **ძლაბალა** „ქალიშვილობა, გოგობა“: **ძლაბალაქ** ქოიფურინუ, ანწი ცირობას ვაუნჭუა! (ქაჯაია) „ქალიშვილობა გაგიფრინდა, აწი ცირობას არ ესწრაფო (უჩქარო)!“ ჩქიმი **ძლაბალაში** გური შკაშა გომიკვათიო? (ბერ., 181) „ჩემი ქალიშვილობის გული შუაზე გამიჭერიო?“; **დიდალა** „დედობა“: **დიდალას** მუთუნ ვეწუუდირთუ „დედობას არაფერი არ დაუდგება“; **უნჩაშ-უკლაშალა** „უფროს-უმცროსობა: **უნჩაში-უკლაშალა** კითენს მიოხენია (მერჩქუნია) (ხალხ.სიბრ., 1, 134) „უფროს-უმცროსობა თითებს ემჩნევიაო“; **თურქალა** „თურქობა“: დიდი **თურქალაში** ანბეს მუგომინა (ხუბ., 14) „დიდი თურქობის ამბავს მოგახსენებ“...

-ობა / -ალა:

ქომონჯალას ვე ელუდა, ე უდეს ქინუ გორჩინუა (ხუბ., 315) „ქმრობას არ ელოდო, სახლში ჩაგაბერებ“;

შდრ.:

ჩილი დო ქომონჯობა იგივეა, რაც ჩილი დო ქომონჯალა, „ცოლქმრობა“: წვეულენქ თინენს ჩილი დო ქომონჯობა ქიმიახვამეს (ქაჯაია) „მოწვეულებმა იმათ ცოლქმრობა მიულოცეს“; ჩილი დო ქომონჯობაში გორჩქინუ ღორონთი! (აია, 1, 26) „ცოლქმრობის გამჩენო ღმერთო!“

ყაზაყალა, ყაზახალა „ვაჟკაცობა, გამბედაობა“: ხოლო ყაზაყალა ოკო (ყიფშ., 161) „კიდევ ვაჟკაცობა უნდა“. სი ქომუჩი მოწონება, მოხერხა დო ყაზახალა (ყიფშ., 108) „შენ მომეცი მოწონება, მოხერხება და ვაჟკაცობა“.

შდრ.:

ყაზაყობა, ყაზახობა „გლეხობა“; გადატ. „ვაჟკაცობა, გამბედაობა“. თეურე დუმახვამესო ჭიქელობა, ყაზახობა! (ქაჯაია) „იქიდან დამილოცეს პატარობა, გლეხად ყოფნა (გლეხობა)“.

ცირობა იგივეა, რაც ცირალა, „ქალიშვილობა“: ძღაბალაქ გინოგილუ (ქიოფურინ), ანწ ცირობას ვაუნჭუა (ქხს, 1, 820 „ქალიშვილობა (გოგობა) გაგივიდა (გაგიფრინდა), აწი ქალიშვილობას (ცირობას) არ უჩქარო“;

შდრ.:

ცირობა დო ოსურობა სი წამე უნი (სამუშ., ქართ. ზეპ., 34) „ქალიშვილობა და ქალობა შენ წამიხდინე“.

უნჩაშალა „უფროსობა“: თურქიმ ჯარიში უნჩაშალა ომერ-ფაშას ნოვალუე (სამუშ., ქხპს, 114) „თურქის ჯარის უფროსობა ომარ-ფაშას ევალეობდა თურმე“

შდრ.:

უნჩაშობა „უფროსობა“. თენეფიში თაქ მოულა უნჩაშობაქ ქე გეგეს: კ.სამუშ., ქართ.ზეპ., გვ. 101 -- ამათი აქ მოსვლა უფროსობამ (კი) გაიგეს.

ოსურალა „ქალობა“. ქოგულაქ იში ოსურალას (ქაჯაია) „შემოვევლე იმის ქალობას“...

შდრ.:

ოსურობა „ქალობა“: მუმოჯინი ოსურობას, კოჩური ქუდი გიითვინი (ხუბ., 349) „შემომხედე ქალობას, კაცური ქუდი რომ დაიხურე“; ტფუ, სქანი ოსურობას (ხუბ., 141) „ფუი, შენს ქალობას“.

I.2.5. უქონლობა-აბსტრაქტულობის სახელები.

რიგ შემთხვევებში გამოიხატება არა მხოლოდ უქონლობა ან არა მხოლოდ აბსტრაქტულობა, არამედ ერთიცა და მეორეც.

ფორმაში უქონლობა გამოიხატება უ- პრეფიქსის საშუალებით, ხოლო აბსტრაქტულობას -ობა გამოხატავს:

უკოჩობა „უკაცობა“: ოში კოჩი რდუა დო, ვაი, უკოჩობასია (ხალხ. სიბრ., 1, 112) „ასი კაცი იყო დო, ვაი, უკაცობასო“; უკოჩობაში კოჩი რენია (ქაჯაია) უკაცობის კაცი არისო; უკოჩობაში კოჩიმა მუთუნი ვამმახვარინენია (ხუბ., 199) „უკაცობის კაცს ვერაფრით ვერ დავეხმარებო“; უმაყ ალობა „უმეგობრობა“: თის მოყ უნცუ უკული ცილობა, სადდემუშოთ უმაყ ალობა (სამუშ.,118) „შემდეგ მას მოსდევს მარტობა, სამუდამოდ უმეგობრობა“; უოსურობა „უცოლობა“: უბადო ოსურე უოსურობა უჯგუნია (ხალხ. სიბრ., 1, 131) „უბადო (ავ) ცოლს უცოლობა სჯობიაო“; უსამართობა უსამართლობა: უსამართობაქ გომოჩქუ ნტერეფიში სანწყალოთი (ყიფშ., 152) „უსამართლობამ გადამაქცია მტრების სამოწყალოდ“; უხეცობა „უზმოობა, უხემსობა“ (ქაჯაია); უბადობა „სიავე, სიცუდე, უბედურება“: ირი ჯვეში უბადობა

მოსპეს (ქაჯაია) „ყოველი ძველი სიავე მოსპეს“; ქიანას მუ მოხვადე **უბადობა** ჩხუპიცალი? (სამუშ., 87) „ქვეყანაზე რა მოხდება სიავე ომის მაგვარი?“, **უხორცობა** „უხორცობა“: **უხორცობაზე** ჯოდორიში ხორცი ვეჭკომენია (ხალხ. სიბრ., 1, 139) „უხორცობის გამო ძაღლის ხორცი არავის შეუჭამიაო (არ შეიძლება იჭამოსო)“; **უარზობა** „უაზრობა“: ბრელი ვერჩქილე ტე **უარზობაში** „ბევრს ვერ მოუსმენ ამ უაზრობას“; **უარდგილობა**: ქემეხვადუ მუშ ნარაგადიმ **უარდგილობას**: „მიხვდა თავისი ნათქვამის უადგილობას“; **უონჯლორობა**: თემნერ **უონჯლორობას** ვემეხვალამუქ „ასეთ უსირცხვილობას არ შევხვედ-რივარ“; **უფარობა**: **უფარობა** ძამ ძნელიე „უფულობა ძალიან ძნელია“; **უსუფთობა**: **უსუფთობა** მუთუნით ვეშილებე „უსუფთაობა არაფრით არ შეიძლება“; **უმანგობა** „უმსგავსობა“: მითმოხვადუ თეცალი **უმანგობა** „ხდება ასეთი უმსგავსობა“; **უდულობა**: ირფელი მუში **უდულობაში** ოჭირუ „ყველაფერი თავისი უთავობისგან სჭირს“; **უწესობა**: **უწესობა** ბადანაში ხოლო ვემითმინებე ირო „უწესობას ბავშვსაც ვერ მოუთმენ სულ“; **უჭკუობა** „უჭკუობა“: **უჭკუობას** ქომიმტკიცე (ხუბ., 311) „უჭკუობას კი მიმტკიცებ“; **ამდღარიშობა** „დღევანდელიობა“: **ამდღარიშობა** ვამინწყუნა ხეს (ქაჯაია) „დღევანდელიობა არ გვიწყობს ხელს“...

-ობა დაერთვის **უ-** **ურ** აფიქსებით ნაწარმოებ უქონლობის სახელებსაც:

უბედურება „უბედურება“; **გადატ.** „საოცარი, უცნაური“. ათაქ დაჩხე რ რზე **უბედურება** „აქ ცეცხლი ანთია საოცარი“; **შდრ.**: **უბედურობა** იგივეა, რაც **უბედურება**, „უბედურება“. იყ უუ **უბედურობა** ანბექე (ცაგ., 14) „შეიქნა უბედური ამბავი“. ტყა მიცვენა შხვა-დო-შხვა **უბედურობაში** (ყაზაყ., 21.03.1930, 3) „ტყე გვიცავს სხვადასხვა უბედურებისაგან“; **უმინჯურობა**: ირო მუშ **უმინჯურობას** ინგარდუ „სულ თავის უპატრონობას ტიროდა“; **უსაქმურობა**: **უსაქმურობა** მუთუნით ვემულებუ „უსაქმურობა არაფრით არ შეუძლია“; **უმარდულობა** (<**უმარდურობა**): **უმარდულობა** ირფელიშ უარესიე „უმადურობა ყველაფერზე უარესია“...

უქონლობის **უ-** და აბსტრაქტულობის **-ობა** გვაქვს ნაცვალსახელებთანაც:

უთქვენობა „უთქვენობა“: დოპილუნა **უთქვენობა**, მუ ფქიმინათ ვა მიჩქუნა (ხუბ., 325) „მოგვკლავს უთქვენობა, რა ვქნათ, არ ვიცით“.
უმუშობა „უმისობა, უიმისობა“: **უმუშობა** ვენალინე „უმისობას ვერ გადაიტანს“;
უსქანობა „უშენობა“: **უსქანობას** თი ვემიფთვინენქე (სამუშ.,151) „უშენობასაც ვერ მოვითმენ“....

I.2.6. წარმომავლობის სახელები.

წარმომავლობა-სადაურობის სემანტიკა სუფიქსების საშუალებით გადმოიცემა; ეს სუფიქსებია: **-ურ**, **-არ**, – ჩვეულებრივ, **-იან**, **-ერ**, – ნაკლებად, **-ორ** – ერთადერთ ფორმაში.

სადაურობა-წარმომავლობის აღსანიშნავად ქართული ენა ძირითადად ორ სუფიქსს იყენებს: **-ელ** და **-ურ**. ამ აფიქსებს შორის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაა: პირველი აღნიშნავს **ადამიანთა**, ხოლო მეორე – **არაადამიანთა** სადაურობა-წარმომავლობას.

ლაზურსა და მეგრულში ორივე სუფიქსის მორფო-ფონეტიკური შესატყვისობები დასტურდება: **-ელ: -არ** და **-ურ:-ურ**.

დამატებით დისტრიბუციაზე მსჯელობა მეგრულის მიხედვითაც შეიძლება: **-ურ** სუფიქსიანი შეიძლება იყოს როგორც ადამიანთა, ისე არაადამიანთა კლასში შემავალი სიტყვები (**კახათური** ნიშნავს როგორც „კახათელს“, ისე „კახათურს“...), მაგრამ **-არ** სუფიქსი **მხოლოდ** ადამიანთა კლასის აღმნიშვნელ სიტყვებთან გამოიყენება (**კახათარი** – „კახათელი“, **კახათარეფი** – „კახათელები“...);

მხოლოდითის ფორმებში **-ურ** და **-არ** თავისუფლად მონაცვლეობენ:

ოდიშარ-ი „ოდიშელი“: **ოდიშარ** სუმარს დიდ პატი ქოცეს „ოდიშელ სტუმარს დიდი პატივი სცეს“;

შდრ.:

ოდიშური-ი „ოდიშელი“: **ოდიშური** დიხა-წყარი (ქაჯაია) „ოდიშის მიწა-წყალი“; ჟირი წანას ვეკოროცხე **ოდიშური** ჟინოსკუა (ქაჯაია) „ორ წელიწადს არ შეიძლება დაითვალოს (დათვლილ იქნეს) ოდიშელი აზნაურიშვილი“;

ხორგალი „ხორგელი“: **ხორგალქ** უწუ[უქ]ა სუმარს (სახოკ., 269) „ხორგელმა უთხრაო სტუმარს“;

შდრ.:

ხორგული „ხორგელი“: **ხორგულ** კოს შორიშე მუკოლუაფა უსხუნუნია (სახოკ., 269) „ხორგულ (ზარმაც) კაცს შორიდან მოვლა ურჩევნიაო“...

მრავლობითში **-არ** დომინირებს, – ამ შემთხვევაში გამორიცხული არ არის **-ურ** წარმოებაც, მაგრამ ეს უფრო იშვიათი გამონაკლისია, ვიდრე წესი.

ნიშანდობლივია **-არ** სუფიქსის გამოყენება ადამიანთა კლასის აღმნიშვნელ სიტყვებთან, – ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ, რომ შესაბამისი ქართული სუფიქსი (**-ელ**) სწორედ ადამიანთა ვინაობა-წარმომავლობას გამოხატავს (ლაზურში ქართულიდან შეთვისებული - **ელ** სუფიქსიც ჩანს: **არქაბ-ელ-ეფე**, **აჭარ-ელ-ეფე** [შონია, 2006, 48]).

ასეთი **-ელ** მეგრულშიც არაიშვიათია, თუმცა ეს არ არის საკუთრივ ლაზურ-მეგრული გრამატიკული აფიქსი და ამ შემთხვევაში ქართული აფიქსი სათანადო ქართულ ფუძესთან ერთადაა შეთვისებული; მაგ.: **კახ-ელ-ი**, **იმერ-ელ-ი**, **რაჭვ-ელ-ი**...).

მეორე მხრივ, არც **-ურ** სუფიქსის ფუნქციური არეალის გაფართოებაა მოულოდნელი, თუ ისევ და ისევ ქართულის ვითარებას მივიღებთ მხედველობაში: **„ურ (ულ)“** ზოგჯერ ადამიანთა სადაურობასაც აღნიშნავს ზოგ-ზოგ კილოში (კახურში, ფშაურში): „სანათაი ვარ მე, შვილო, აფხუმური ქალია“ (ვაჟა, „ბახტრიონი“). აფხუმო სოფელია ფშავში. ეს **ურ** საყოველთაოდ გატარებულია ზმნიზედებისგან ნაწარმოებ სახელებში: **სადა-ურ-ი**, **აქა-ურ-ი**, **მანდა-ურ-ი**, **იქა-ურ-ი**, რომლებიც ადამიანზედაც ითქმის და არაადამიანზედაც. მსგავსადვე გაურჩევლად ითქმის: **გურ-ულ-ი** (გური-ულისაგან: „გურული ქალი“, „გურული სიმღერა“), რადგანაც ადამიანთათვის წესებრივად ნაწარმოები „გური-ელ-ი“ მარტოოდენ გურიის ყოფილ მფლობელთა საგვარეულოს მიეკუთვნა. ასევე გაურჩეველია ქუთათ-ურ-ი-ც („ქუთათ-ელ-ი“ ქუთაისის მიტროპოლიტთა ტიტულად იქცა).

აღნიშნული **ურ (ულ)** სუფიქსი გვარების მაწარმოებლადაც არის გამოყენებული: **ბექა-ურ-ი**, **ცაბა-ურ-ი**, **წიკლა-ურ-ი**, **გოგოლა-ურ-ი**, **ლომა-ურ-ი** (ა-ს ნაწილობრივი ასიმილაციით:

ლომოური), გომელა-ურ-ი და მისთ.; ჭინჭარა-ულ-ი, თურმანა-ულ-ი, ქერა-ულ-ი და მისთ.“ [შანიძე, 1980, 128].

ა. შანიძის აზრით, **-არ** სუფიქსი „ქართულ-მეგრული ფონეტიკური ფონეტიკური კანონების მიხედვით წმინდა შესატყვისია, ნამდვილი შესაფერისია ქართული **-ელ** სუფიქსისა“ [შანიძე, 1981, 34].

მას წარმოდგენილი აქვს **-არ/-ალ** სუფიქსიანი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმები, ერთი მხრივ:

ბანძ-არ-ი, ზუგიდ-არ-ი, სენაკარი, ონტოფ-არ-ი, ლეჩხუმ-არ-ი, მარტვილ-არ-ი, ჭალადიდ-არ-ი, ბარდ-ალ-ი, წაჩხურ-ალ-ი, ჯვარ-ალ-ი, ინჩხირ-ალ-ი, ხორგ-ალ-ი;

მეორე მხრივ: ბანძ-არ-ეფ-ი, ზუგიდ-არ-ეფ-ი, სენაკ-არ-ეფ-ი, ონტოფ-არ-ეფ-ი, ლეჩხუმ-არ-ეფ-ი, მარტვილ-არ-ეფ-ი, ჭალადიდ-არ-ეფ-ი, ბარდ-ალ-ეფ-ი, წაჩხურ-ალ-ეფ-ი, ჯვარ-ალ-ეფ-ი, ინჩხირ-ალ-ეფ-ი, ხორგ-ალ-ეფ-ი.

მხოლობითის ფორმები ვარსკვლავებითაა აღნიშნული, რადგანაც, ავტორის აზრით, ესენი „აღარ იხმარება“, თუმცა იქვე აღნიშნულია, რომ „ამ სუფიქსით ნაწარმოები სიტყვები ძალიან იშვიათად იხმარება“ [შანიძე, 1981, 34].

„როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, – წერს მკვლევარი, – მხოლობით რიცხვში უკვე აღარ იხმარება ბანძ-არ-ი, სენაკ-არ-ი, ბარდ-ალ-ი და სხვა მისთანა, არამედ მხოლოდ ბანძ-ურ-ი, სენაკურ-ი, ბარდ-ულ-ი და სხვ. მაშასადამე, **-არ** სუფიქსი **-ურ** სუფიქსს თითქმის სრულებით განუდევნია მხოლობითი რიცხვიდან“ [შანიძე, 1981, 34-35].

ამგვარი კვალიფიკაციის გაზიარება გაჭირდება, რადგან **-არ** დღესაც მოქმედი დერივაციული სუფიქსია სახელთა ორსავე რიცხვში.

საინტერესოა მკვლევრის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ოდიშ-არ-ი, სომხით-არ-ი, ოპიზ-არ-ი, ოლთის-არ-ი, ვიხიკ-არ-ი, მტბევ-არ-ი რიგის ფორმებში დადასტურებულ **-არ** სუფიქსი ქართულში მეგრულ-ლაზურიდანაა შესული [იქვე, 35], თუმცა მ. ქალდანი ეჭვქვეშ აყენებს ამ თვალსაზრისს; მისი აზრით, ქართ. **-ელ**-ის კანონზომიერი ფონეტიკურ-მორფო-ლოგიური შესატყვისი **-არ** სუფიქსია; მეორე მხრივ, ქართული **-არ** სუფიქსის შესატყვისია ლაზური **-ორ** სუფიქსი; ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ქართულში **-ელ**-ის პარალელურად წარმომავლობის სახელებს მისი დიალექტური ვარიანტი **-არ** სუფიქსიც ჰქონდა. ქართულსა და ლაზურში **-არ** მხოლობითი რიცხვის სახელებს ერთვის (ოპიზ-არ-ი, ჭან. სადერ-არ-ი „სადერელი“, მეგრულში კი ახლა მრავლობითი რიცხვის სახელებში გვხვდება [ქალდანი, 1981, 92-93].

როგორც ვხედავთ, აქაც არის გატარებული აზრი, რომ მეგრულში **-არ** მხოლობითი რიცხვის სახელებთან არ გვხვდება. არადა, „მეგრულში **-არ** სუფიქსი იხმარება არა მარტო მრავლობითში, არამედ აწარმოებს სახელებს მხოლობით რიცხვში და ხშირ შემთხვევაში მეტად პროდუქტიულია: „**ზუგიდ-არ-ი** „ზუგდიდელი“, **კახათ-არ-ი** „კახათელი“, **კოკ-არ-ი** „კოკელი“. ამ განცხადების საფუძველს იძლევა განხილული მასალა [იხ. შონია, 2006, 48] (ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში **-არ** სუფიქსის შესახებ წერია: „**-არ** წარმომავლობის სუფიქსია, ქართული **ელ**-ის შესატყვისი. **ბანძ-არ-ი** „ბანძ-ელ-ი“. **ბანძარს** ოხირალქ ვაშუ დო შვამ ლობერს ქუდი ქემნაჲ ოთუ დო მიხირუა: თ. სახოკ., გვ. 243 „ბანძელმა მოსაპარი ვერ იშოვა და სხვის ლობეზე ქუდი გადააგდო და მოიპარაო“).

-ურ აწარმოებს ტოპონიმებს, რომელთა ამოსავალი ფუძეა სახელი ან გვარები: **ხახური** (შდრ. ხახუ სახელია), **გუდური** (შდრ. გუდუ), **კიჭილური** (შდრ. კიჭილო), **ფაღური** (შდრ.

ფაღვა < ფაღვა), ფოჩური (შდრ.ფოჩურა), ჯანაშური (შდრ.ჯანაშია), კეკელი (შდრ. კეკელია), შონური (შდრ. შონია) (შდრ. პ. ცხად., ტოპონ., 80).

-ურ/-ულ წარმოების ნიმუშები:

(ზუგიდი >) **ზუგიდური** „ზუგიდელი“: **ზუგიდური** ოსურეფი (ყიფშ., 113) „ზუგიდელი ქალები“; (გეჯეთი >) **გეჯეთური** „გეჯეთელი“: ბოშ გეთხოზ **გეჯეთური** (ქსს, 1, 33) „ბიჭი მისდევს გეჯეთელი“; (ჯვარი >) **ჯვარული** კოჩი მისი ოკო (ქსს, 1, 171) „ჯვარელი კაცი ვის უნდა“; (ბარღეფი >) საბაია **ბარღეფული** (ქსს, 1, 206) „საბაია ბარღეფელი“; (მარგალი >): **მარგალური**-ი „მეგრული“: ჩქიმი **მარგალურით** გაგშებლი დუდი (ხუბ., 259) „ჩემი მეგრულით ვიხსენ (გამოვიტანე) თავი“; **მარგალური** რაგადანს „მეგრულად ლაპარაკობს“; (ფუთი >) **ფუთური**: **ფუთური** კოჩი „ფოთელი კაცი“; ათე **ფუთური** ვაჭარენს მუ დლაქე აჭარეს (ქაჯაია) „ეს ფოთელი ვაჭრები რა დღესაა, რომ მოესწრნენ“; (ქუთეში >) **ქუთეშური**-ი „ქუთაისური“: **ქუთეშური** კოჩი „ქუთაისელი კაცი“; (კოკი >) **კოკური** „კოკელი“, „კოკური“; (დარჩელი >) **დარჩელური** „დარჩელელი“, „დარჩელური“; (ჯვარი >) **ჯვარული**-ი „ჯვარული“: **ჯვარული** ქარი (ბორია) **ჯვარული**, ჩრდილოეთის ქარი. **ჯვარული** დურქენსინი, ჭვიმას ელუდავა (ქაჯაია) **ჯვარული** (ქარი) რომ დაუბერავს, წვიმას ელოდეთ. შდრ. გვალაში ქარი, ჟინი ქარი, მასკური; **ჯვარული** ხონუა (ქაჯაია) „გარდიგარდმო ხვნა“...

ასევე -ურ/-ულ სუფიქსიანი წარმოება გვაქვს არაადამიანის ვინაობა-წარმომავლობის სახელებში, მხოლოდ ადამიანთა წარმომავლობის შესაბამისი ფორმები მარტივია, უაფიქსო (ეს ქართული მოდელია):

(ქორთუ >) **ქორთული**-ი „ქართული“: ეგებ **ქორთული** ვა გარჩილე (ყიფშ., 147) „ეგების ქართული (ენა) არ გესმის“; პატე ნც მაშინეს **ქორთული** თე ნაჩიებუ (აია, 2, 72) „ბატონს მოახსენეს ქართულად ეს ნათქვამი“. შდრ. ლაზ. **ქორთული** ყომური „ქართული ქლიავი“ (ნ. მარი); (თურქი >) **თურქული** „თურქული“: **თურქული** ძე გგ რ-ი „თურქული ეკალი“; (ფრანგი >) **ფრანგული** „ფრანგული“: **ფრანგული** ნინა „ფრანგული ენა“; (შონი >) **შონური**-ი „სვანური“: **შონური** ქუდი „სვანური ქუდი“; **შონური** ნაბადი სვანური ნაბადი; ცხენი შურო ვა გითორჩქე ინეფიში **შონური** ნაბადისე (ყიფშ., 149) „ცხენი სრულებით არ {გამო}ჩანდა იმათი სვანური ნაბდიდან“; (რუსი >) **რუსული** „რუსული“: **რუსული** ჭუბურ-ი *ბოტან.* წვრილყვავილა, ცხენისწაბლა...

-ია-ურ > (უ)-ურ:

კიწია „სოფელია მარტვილის რაიონში“. **კიწური**-ი კიწიელი < **კიწუ-ური**-ი < **კიწი-ური**-ი. მრ. რიცხ.: **კიწიარ-ეფ-ი//კიწუ-ური-ეფ-ი** კიწიელები (ქაჯაია); სოკომ თოფიმ მაყ ოთამალი **კიწურეფი** (ყიფშ.,122) „სოკოს თოფის მსროლელი კიწიელები“; (ანარკია >) **ანარკული** „ანაკლიელი“, ანაკლიური“; (ორსანტია >) **ორსანტული** „ორსანტიელი“, „ორსანტიული“...

შდრ. გურ-ია > გურ-ი-ულ-ი > გურ-ულ-ი.

შეიძლება -ია მთლიანად არ დაიკარგოს: -ია-ურ > -ი-ურ:

(ჩხორია >) **ჩხორიული** „ჩხორიელი“, „ჩხორიული“...

-ა-ურ > -ურ:

(სუჯუნა >) **სუჯუნური** „სუჯუნელი“: **სუჯუნური** ქადაგი (ყიფშ., 121) „სუჯუნელი ქადაგი“; (ხეთა >) **ხეთური** „ხეთელი“: **ხეთური** გორდი (ყიფშ., 149) „ხეთის (ხეთური) ბაყაყი“; (წენდიხა >) **წენდიხური** „წალენჯიხელი“: **წენდიხური** უტუ მიქა (მასალ., 71) „წალენჯიხელი უტუ მიქავა“; (ლაკადა >): **ლაკადური** „მთიელი“: **ლაკადური** კათა, **ლაკადარეფი** „მთა-გორიან

ადგილას მცხოვრები ხალხი, მთიელები“; **ლაკადური** თხა „მთის თხა“ (ქაჯაია); (**ჯეგეთა** >) **ჯეგეთური** „ჯეგეთელი“, „ჯეგეთური“; (**აბაშა** >) **აბაშური** „აბაშელი“, „აბაშური“; (**ხორგა**>) **ხორგული** „ხორგელი“, „ხორგული“: **ხორგულ** კოს შორიშე მუკოლუაფა უსხუნუნია (სახოკ., 269) „ხორგულ (ზარმაც) კაცს შორიდან მოვლა ურჩევნიაო“; (**ერგეტა** >) **ერგეტული** „ერგეტელი“, „ერგეტული“...

ან:

-ა-ურ > ა-ლ-ურ (ეს პროცესი შეიმჩნევა არაგეოგრაფიულ სახელებში):

(**დიდა-სქუა** >): **დიდასქუალური-ი** „დედაშვილური“: ნანდული **დიდასქუალური** უ როფა უღუნა (ქაჯაია) „ნამდვილი დედაშვილური სიყვარული აქვთ“; (**მუმასქუა** >) **მუმასქუალური-ი** „მამაშვილური“: **მუმასქუალური** უ როფამა მუთუნს ვაწარინე (ქაჯაია) „მამაშვილურ სიყვარულს წინ არაფერი დაუდგება (არ შეიძლება დაუდგეს)“; უკული **მუმასქუალური** გოდურჯოლეს ართიანი (აია, 1, 22) „შემდეგ მამაშვილურად გადაკოცნეს (გადაეხვივნენ) ერთმანეთი“; **ჯიმალური-ი** „ძმური“: **ჯიმალური** უ როფათ ირო ვორდათ წორო-წორო (ქაჯაია) ძმური სიყვარულით ყოველთვის ვიყოთ თანასწორად; იცხოვრეს **ჯიმალური** (ხუბ., 185) „იცხოვრეს ძმურად“...

აია-არ/-ალ > არ/-ალ:

(**ოტობაია** >) **ოტობარი-ი** „ოტობაიელი“: **ოტობარეფი** მინიშეს (ქხს, 1, 193) „ოტობაიელები გადმოვიდოდნენ“; შდრ. ტოპ. **ოტობაია**.

-ა-არ/-ალ > -არ/-ალ:

(**ხორგა** >) **ხორგალი** „ხორგელი“: **ხორგალე** უწუ[უ]ა სუმარს (სახოკ., 269) „ხორგელმა უთხრაო სტუმარს“; (**თორსა** >) **თორსალი** „თორსელი“; (**ორსანტია** >) **ორსანტალი** „ორსანტიელი“...

ე-ურ/-ულ > -ურ/-ულ:

(**რიყე**>) **რიყული** „რიყული“, „რიყელი“

-ო-ურ/-ულ > -ურ/-ულ:

(**ონტოფო** >) **ონტოფური** „ონტოფოელი“, „ონტოფოური“...

უ-ურ/-ულ > -ურ/-ულ:

(**ჩხოროწყე** >) **ჩხოროწყელი** „ჩხოროწყელი“, „ჩხოროწყული“; (**ორულუ** >) **ორულური**: „ორულუელი“, „ორულური“...

-არ და -ურ სუფიქსები გვხვდება ადგილის აღმნიშვნელ საზოგადო (და არა საკუთარ) სახელებში:

მელენარეფი „გადმელები“: ქოთი ათე **მელენარეფი** ძალამ წგ მოძინელიდ... (ქხს., 1, 193) „კიდეც ეს გადმელები ძალიან წარმატებაში (წარმატებულები) იყვნენ“; **ტყარი** „ტყიური, გარეული, ველური“: **ტყარი** ჩიტი, მუშენი რე, ხუჯერთელო გილურქინი? (ქხს, 1, 98) „გარეულო ჩიტო, რატომაა, მხარაქვეული რომ დადიხარ?“ სერი **ტყარიში** დო აბრაგიში რენია (ხალხ. სიბრ., 1, 121) „ღამე ტყიურისა და ყაჩაღისა არისო“; ჩქი ვემმოკორდუნა მუთუნ **ტყარიში** ხორცია (ხუბ., 186) „ჩვენ არ დაგვაკლდება არც ერთი ტყიურის ხორცია“; ეთი სუმი-ხოლო ბაღანეფი თი **ტყარენქ** მორდეს ძუმუთ (ხუბ., 208) „ის სამივე ბავშვი იმ გარეულებმა (ტყიურებმა) გაზარდეს ძუმუთი“; **ლაკადური** „მთიელი“: **ლაკადური** კათა, **ლაკადარეფი** „მთა-გორიან ადგილას მცხოვრები ხალხი, მთიელები“; **ლაკადური** თხა „მთის თხა“ (ქაჯაია);

გვალურ-ი „მთის, მთიური“: ფაჩუნს სუალენს ქარი **გვალური** (ქაჯაია) „შლის ფრთებს მთის ქარი“; **ელახონური** „ზემოური“; „ადმოსავლური“: **გელახონური** „დასავლური“...

წარმომავლობის -ურ სუფიქსები საზოგადო არსებითი სახელებისგან, ნაცვალსახელებისა და ზედსართავებისგანაც აწარმოებს ახალ სიტყვებს (ამ შემთხვევაში მისი მონაცვლე არ შეიძლება -არ მორფემა იყოს):

(**ხოჯი >**) **ხოჯური** „ხარული“: **ხოჯური** ქაქიმინაფუუ (მასალ., 62) „ხარული აქნევიანა“; (**ქომოლი >**) **ქომოლური** „ვაჟკაცური“: **ქომოლური** ირო ქორდა (ქაჯაია) „ვაჟკაცურად მუდამ იყავი“; (**ჯიმაკოჩი >**) **ჯიმაკოჩური**-ი „მმაკაცური“: **ჯიმაკოჩური** შექას გობრთათ (ქაჯაია) „მმაკაცურად შუაზე გავყოთ“; (**ოსური >**) **ოსურული**-ი „ქალური, დიაცური“: **ოსურული** ანბე (ქაჯაია) „ქალური ამბავი“; **ოსურული** ამბე ქომადოლუ (ქაჯაია) „ქალური ამბავი მომივიდა (დამემართა)“; **ჯვემებური**-ი, **ჯვემობური** „ძველებური“: იშენი ვადაართინუ იშა **ჯვემებური** სახე ქაჯაია) „მინც ვერ დაუბრუნა იმას ძველებური სახე“; იბცხოურათ **ჯვემებური** (ყიფშ., 163) „ვიცხოვროთ ძველებურად“; **ჯვემობური** ვახვალუნა (ქხს, 1, 36) „ძველებურად არ ახველებენ“; ვარე იში ოჰკადგ რეს **ჯვემობური** ხანდა-ბირა (მასალ., 72) „არაა მის სამჭედლოში ძველებურად შრომა-სიმღერა“; **მუმობური** „მისებური“: **მუმობური** დროს ატარენს (ქაჯაია) „მისებურ დროს ატარებს“; **სქანობური**-ი, **სქანობური** „შენებური“: **სქანობურათ** ავა მეთუნ სიტყვა ქუმკუკალულე (ხუბ., 317) „შენებურად ერთი რაიმე სიტყვა ერთმანეთზე გადააბი (გადაახვიე)“; ჰე, ჩონგური, ქე დიბჰყათ **სქანობურათ** ღურჰული (ქხს, 1, 339) „ჰე, ჩონგურო, დავიწყით შენებურად ჰიკჰიკი“; **თქვენებური**, **თქვენობური** „თქვენებური“; **ჩქინებური**, **ჩქინობური**, **ჩქე ნობური**: „ჩვენებური“. ჰკუა შელასირი მაფუ, ვა მარჩილე **ჩქინობური** (სამუმ., ქართ. ზეპ., 38) „ჰკუა შერყეული მაქეს, არ მესმის ჩვენებური; **ჩქინებური** კოპეშია „ჩვენებური კვახი“ (ა. მაყ.); **ჩქიმობური** „ჩემებური“: **ჩქიმობური** კოჩიე „ჩემებური კაცია“...

-იან სუფიქსი წარმომავლობის სახელებს აწარმოებს დროის ან ადგილის ზმნისართთაგან (საერთოდ, ეს სუფიქსი, როგორც ცნობილია, სხვა ფუნქციით, კერძოდ, ქონების სახელთა მაწარმოებლად გვხვდება):

ასეიანი-ი, **ასეიანი**-ი ახლანდელი: **ასეიანი** მუნერი რე? (ყიფშ., 128) „ახლანდელი როგორია?“; **ასეიანი** დროებას პატის ცენა ქონებას (ენგური, 250) „ახლანდელ დროში პატის სცემენ ქონებას. შდრ. თიწკმაიანი“; **თიწკმაიანი**-ი „მაშინდელი“: **თიწკმაიანი** ამბე ასე ხოლო შუ „მაშინდელი ამბავი ახლაც ახსოვს“;

თუდოიანი-ი „ქვევითა, ქვედა“: ათე ლაბაშა ქიმიოგე ლოგინიშ **თუდოიანი** კოც (ხუბ., 260) „ეს შუბი ჰკრა ლოგინის ქვემოთ მყოფ კაცს“;

შდრ.:

თუდოლიანი-ი „ქვემო მხრისა, ქვემოური“.

შდრ.:

თუდონი-ი „ქვემოთა, ქვემო, ქვემოური“. **თუდონი** ქე ანაში ხენწე ფე (ქხსპ, 2, 28) „ქვემო ქვეყნის ხელმწიფე“.

რიგ (ზმნისართებისგან ნაწარმოებ) ფორმებში მხოლოდ -ნ ჩანს:

თუდოლენი-ი „ქვემოური, ქვედა“: ჟიმოლენქ მოლართუ დო **თუდოლენქ** ქაუხვადუ (ქაჯაია) „ზემოური წამოვიდა და ქვემოური შეხვდა“; ქოთი **თუდოლენარევი** ძალამ წიმოძინელი რე (სამუმ., ქხპს., 144) „კიდევაც ქვემოურები ძალიან გამდიდრებულია“; **ჟინი**-ი „ზენა, ზემო, ზედა, ზევითა“: **ჟინი** ქარი ურქენს (ქაჯაია) „ზენა ქარი უბერავს“; გემახოხე **ჟინი** ქე ანაშა (ყიფშ., 67) „ამოხოხდა ზემო ქვეყანაში“; ჰყოლოფუათ მილი **ჟინო** (ყიფშ., 171) „წყალობად მიიღე ზევიდან“; **ჟიდონი**-ი „ზემოთა, ზემოური“: **ჟიდონი** გეჰოფი (ქაჯაია)

„ზემოური (ზემო მხარისა) აიღე“; **ჟიმოლენ-ი** „ზემოური“: **ჟიმოლენარევი** არმა თეურეე, ე უდე გიმოკილერი რე (სამუშ., ქხპს, 144) „ზემოურები ყველა იქითაა, სახლები გამოკეტილია“; **ჟიმონ-ი** „იგივეა, რაც **ჟიმოლენი**, - ზემოური“: **ჟიმონარევი** „ზემოურები“; **ჟიმოხონ-ი** „ზემოური“: **ჟიმოხონარევი** „ზემოურები, ზემო მხარისანი; **აურენ-ი** აქაური, აქეთური: **აურენი** მითინი ვანოკათუე (ქაჯაია) „აქეთური არავინ ერია“; **ეურენ-ი** იქაური, იქითა მხრისა: **ეურენი** ვაგოხლოლ ე ბომი (ქაჯაია) „იქაური(იმ მხრისა) არ გახლავს ეს ბიჭი“; **თეურენ-ი** „იქაური, იქითა მხრისა“: იჩის **თეურენი**, თაურენი (ხუბ.,20) „ილაპარაკეს (ისაუბრეს) იქითური, აქეთური“; **თაურენ-ი** აქაური, აქეთა მხრისა: **თაურენი** თოფევი ღანჯამი ვარე (მასალ., 98) „აქაური თოფევი ჟანგიანი არაა“; **აურენობა** „აქაურობა“; **სოურენ-ი** „სადაური“: **სოურენი** ზოჯუნთ თქვა? (ქაჯაია) „სადაური ბრძანდებით თქვენ?“

-ერ:

-ერ დაერთვის დროის ზმნისართებს და ზედსართავად აქცევს (ეს **-ერ** ქართ. **-დელ** სუფიქსის შესატყვისია: „წარმოშობით ეს სუფიქსი რთულია: **დ-ელ**, რომლის პირველი ნაწილი მიღებულია **დდ-ისაგან** (დდ-ელ-ი). იხმარება დროის აღმნიშვნელ სიტყვებთან: გუშინ-დელ-ი, შარშან-დელ-ი, წელან-დელ-ი, უწინ-დელ-ი“ [შანიძე, 1980, 130].

საინტერესოა, რომ ლაზურის არქაბულ კილოკავში **-დელ** სუფიქსი ვლინდება: მა ჰაწი ჰა ჩხომი ოხორიშა მენდებილა დო ჭუმენ **ჭუმენდელე** ორდოშა გებთა დო ხოლო ჩხომი ქეშებილარე „მე ამ თევზს სახლში წავიღებ და ხვალ ხვალინდელი სადილისთვის წავალ და კიდევ თევზს მოვიტან“ (იხ. [გოგოხია, 2001, 44]);

-ერ სუფიქსიანი წარმოების ნიმუშები:

(**გოლა >**) **გოლანერი** „გუშინდელი“: **გოლანერი** სადილს ამდლარი საკაკალო უჯგუნია (ხალხ. სიბრ., 1, 32) „გუშინდელ სადილს დღევანდელი საუზმე სჯობიაო“; **გოლანერი** უარესი დოლო (ხუბ.,187) „გუშინდელზე უარესი უქნა“. შდრ. ლაზ. **დომანერი** „გუშინდელი“ (ნ. მარი); (**დუმა >**) **დუმანერი** „წუხანდელი“: **დუმანერი** ამბეს მოგომინანთ (ქაჯაია) „წუხანდელ ამბავს მოგახსენებთ“. შდრ. ლაზ. **დომანერი** „გუშინდელი“ (ნ. მარი); (**გოწონ >**) **გოწონერი** „შარშანდელი“: შქირენ დღასი ვამიძირუ, **გოწონერ** დო წირიმ მეტი (ქხს, 1, 298) „შიმშილი არასდროს მინახავს შარშანდელისა და წლევეანდელის მეტი“; მარა წგ ბრელ(ი) აშენგარც **გოწონერ** ნაჲ ვანგ ს (სამუშ., ქხპს, 145) „მაგრამ წელს ბევრი ტირის შარშანდელ ნაყანეში“; (**ჭუმან >**) **ჭუმანერი-ი** „ხვალინდელი“: **ჭუმანერი** ქოთომიშა ამდლარი კვერცხი მისხუნუნია (ცან., 129) „ხვალინდელ ქათამს დღევანდელი კვერცხი მიჩვენიაო“; (**ჭუმე >**) **ჭუმენელ/რ-ი** იგივეა, რაც **ჭუმანერი**, „ხვალინდელი“: **ჭუმენერი** სახარჯოს ამსერ ივშინქ მა სარალო (ქხს, 1, 218) „ხვალინდელ საზრდოს (სახარჯოს) ამელამ ვიშოვი მე საბრალო“; **ჭუმენერი** დო გელანიში ულაშენი ვარია ქარაგადაფუე (ხუბ., 36) „ხვალინდელ და ზეგინდელ წასვლაზე უარი ათქმევინა“; (**გელან >**) **გელანერი** „ზეგინდელი“: **გელანერ** გეგმეფი დიო ვაფუ გენწყილი „ზეგინდელი გეგმევი ჯერ არა აქვს დაწყობილი“; (**გოლაწო >**) **გოლაწონერი** „გუშინწინდელი“: თენა **გოლაწონერიე** დო ამდლა ოკკომალო ვერგ (ქაჯაია) „ეს გუშინწინდელია და დღეს საჭმელად არ ვარგა“; **აურენ-თეურენ-ი**, **აურენი დო თეურენ-ი** „აქაურ-იქაური, აქეთური და იქითური“; იხ. **ათაურენ-ეთეურენი** (ქაჯაია);

(**ამდლა >**) **ამდლანერი**: **ამდლანერ** კვერცხი „დღევანდელი კვერცხი“;

შდრ.:

(**ამდლა >**) **ამდლარ-ი** „დღევანდელი“: **ამდლანერ** სადილს **ამდლარი** საკაკალო უჯგუნია (ხალხ. სიბრ., 1, 239) „გუშინდელ სადილს დღევანდელი საუზმე სჯობიაო“; წანამოწანაში **ამდლარ** დღას მა თაქ იპუაფუქია (ხუბ., 250) „მომავალი წლის დღევანდელ დღეს მე აქ ვიქნებიო“;

(გოწოხ >) გოწოხოხონერ-ი „შარშანწინდელი“: გოწოხოხონერი ღვინი (ქაჯაია) „შარშანწინდელი ღვინო“;

შდრ.

გოწოხოხონ-ი „შარშანწინდელი“;

გამოყოფენ -შარ/-იშარ სუფიქსებს: „-შარ/-იშარ სუფიქსი აღნიშნავს წარმომავალს. ხენწჷ ფეში ე უდეშარენს მააშინეს: მ. ხუბ., გვ. 76 – ხელმწიფის ოჯახის წევრებს მოახსენეს. ე უდეშარეფი ე უდე-შ-არ-ეფ-ი სახლ-ის-ელ-ებ-ი. შდრ. -არ; იმერ. -ის-ან-ები//-ის-იან-ებ-ი. იქილენ-ი „იქეთა“ (ქაჯაია); ბაბუშარ-ი „ბაბუას შთამომავალი“: ბაბუშარეფიშა მეურქ „ბაბუასანებთან (ბაბუას ოჯახის წევრებთან) მივდივარ [ქაჯაია, 2002].

ცხადია, ამ შემთხვევაში -შ(-იშ) ნათესაობითის ფორმანტად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო საკუთრივ სიტყვამაწარმოებელ აფიქსად -არ დარჩება.

-ორ:

-ორ წარმომავლობის მაწარმოებელი სუფიქსი (იშვიათად იხმარება, ქართული ეულ-ის ფუნქციური შესატყვისი): ჩილ-ორ-ი „ცოლეური“ (შდრ. ჩილი „ცოლი“).

ლაზურში წარმომავლობის სახელთა საწარმოებლად გამოყენებულია -ურ, -ორ და რელიქტის სახით – -არ სუფიქსი.

-ურ/-ულ:

ჭარმათული ღალი გულუნწირუ (ჟღენტი, 4) ჭარმათული ღელე გადაკვება; იდუ მაკრიალური ოხოიშა (კარტ., 11, 20) „წავიდა მაკრიალურ სახლში“; ვიწური კოჩეფე იჩინავს (მარი, 99) „ვიწელ კაცებს ცნობს“; მა თორდოვათური ვორე (კარტ., 11, 222) „მე თორდოვათელი ვარ“; ძღემური დო დუთხური (კარტ., 11, 182) „ძღემელი და დუთხელი“; სარფულეფე ვა ნუსიმინტეენან (კარტ., 11, 54) „სარფელები არ ემორჩილებოდნენ“; არ ჩხალური პოლიშა მენდახთუ (ყიფშ., 14) „ერთი ჩხალელი სტამბულში წავიდა“; მან მამანათური ვორე (ყიფშ., დამატ. ცნ. 645) „მე მამანათელი ვარ“; ტრამტული ღაზი (ყიფშ., 4) „ტრამტული (ტრაპიზონელი) ღაზი“...

-ორ სუფიქსი ნაკლებპროდუქტიულია ლაზურშიც:

დუთხორიქ მოიღამს მინჯი დო კვალი (მარ, 110) „დუთხელი მოიტანს ხაჭოსა და ყველს“; მა ვიწური ბორე (ჩიქ., II, 11) „მე ვიწელი ვარ“; მტკორი ბერეს ოპირამითუ (დიუმეზ., 128) „ტყიურ ბავშვს ელაპარაკა“.

-არ || >ა:

თიმჩხუ ნოდარი (მარი, 109) „თავმსხვილი ქალაქელი“; მურღულარეფექთი იჩალიშამან მან (ყიფშ. დამ. ცნ. 645) „მურღულელებიც მუშაობენ“; არ ნოღაი დო ორჭაი (ჟღ., 99) „ერთი ქალაქელი და ორჭელი“; არ ოფუტარი ბერე ქორტუ (ჟღ., 15) „ერთი სოფლელი ბავშვი იყო“; ნოღედარი (ლექს. 330) „ნოღედელი“...

რთულ -ებ-ურ სუფიქსში -ებ ქართულიდან ნასესხები თემატური სუფიქსია:

ბერებური დულაა იქუმს (ლექს., 61) „ბავშვურ საქმეებს აკეთებს“; ბოზოფექთი ბიჭებური დილიქუნამან (ლექს., 64) „გოგოებიც ბიჭურად იცვამენ“; ხოლოთი ჯოჯგვოჭრით ბადებური ხორონის (ლექს., 54) „კვლავ დავიწყეთ მოხუცებული ცეკვა“; ჩქუნებურა ბიბირათ (ლექს., 111)

„ჩვენებურად ვიმდგომოთ“; ჩქიმებურა ბისინაფამ (ლექს., 111) „ჩქიმებურად ვლაპარაკობ“; კოჩინებური ა მუთხა გიშკუნა, თქვი (ლექს. 428) „კაცურად თუ რამე იცი, თქვი“...

I.2.7. დანიშნულების სახელები.

ქართულში გვაქვს პრეფიქს-სუფიქსური წარმოება; მაწარმოებლებია: **სა-** **-ო**, **სა-** **-ე**, **სა-** **-ურ**.

საკუთართან ერთად მეგრული ინტენსიურად იყენებს ქართულ სათანადო დერივაციულ ინვენტარს; მასალის მიხედვით, **სა-** **-ე** წარმოებაზე პროდუქტიული ჩანს **სა-** **-ო** წარმოება (პრეფიქსი ქართულია, სუფიქსი – შესატყვისობა):

სა- **-ო**:

საარაკო, **საარიკო**, **სარიკო**, **სარკო** „საარაკო“: მოთ ქიმინი **საარაკო**? (ყიფშ., 124) „რატომ ჰქენი საარაკო?“; ეჯგურა **საარკო** ვოლმირჲ კოს (ხუბ., 66) „ასეთი საარაკო არ უნახავს კაცს“; ე უჯი **საარიკოს** (უბადოს) ვაგეგონენდასჲ ნი, ნისორიში (ქიანაში) მაფართა ქიე ინია (ხალხ. სიბრ., 1, 156) „ყური საარაკოს (სიავეს) რომ არ ისმენდეს, გობის (ქვეყნის) სიფართე იქნებოა“; **სარიკო** ქობძირი (ყიფშ., 161) „საარაკო კი ვნახე“; მუდგარენი **სარკო** ორდუ (ქხს, 1, 23) „რადაც საოცარი იყო“; ბრელი **სარკო** შეფხვალამუ (სამუშ., ქხპს, 142) „ბევრი საოცარი შემხვედრია“; სააფუნო „საგაზაფხულო“. შდრ. **საზარხულო** „საზაფხულო“, **სადამორჩილო** „სამემოდგომო“, **საზოთო** „საზამთრო“; **საარგუნო** „სანაჯახო“, **საბურჭულო** „საწალდე“: **საბურჭულო** **საარგუნოთ** ვეგნართინუავა! (ქაჯაია) „საწალდე სანაჯახოდ არ გადააქციოო!“; **საბარო** „საბარო (ბარისთვის განკუთვნილი)“: ართი მუთუნ გეჭოფი დო მოლაძეუმე **საბაროთი** (ქხს, 1, 96) „ერთი რამე აილე და წამომილე გზად (საბაროდ)“; **საგვერდო** „სანახვერო“: **საგვერდოთ** მუშენდეს (მასალ., 114) „სანახვეროდ მუშაობდნენ“; **საგინო** „სახბო, სახბორე“; **საქაცარო** „ადგილი, სადაც ციკანი (ქაცარი) ჰყავთ, „საციკნე“; **საკე რე ბო** „საბატკნე“; **საგურგინო** „საქორწილო, საგვირგვინო“: სქანი **საგურგინო** კაბა პარიჟის იქუაფუ (სამუშ., ქხპს, 140) „შენი საქორწილო კაბა პარიჟში იკერება“; **სადიდკოჩო** „სადიდკაცო“: **სადიდკოჩო** მუკოქუნალით გაგე მანწყუ (ყიფშ., 52) „სადიდკაცო ჩასაცმლით გამოაწყუ“; **სავეზე რო** „სავეზირო“: ათე კოჩია ნანდვილო **სავეზე რო** კოჩი რენია (ხუბ., 215) „ეს კაციო ნამდვილად სავეზირო კაციაო“; **სათმო**, **სათუთუმო** „ჩიბუხი, სათუთუნე“: მა თის შორიშე უჯინედე, **სათმოთ** თუთუმც შუნდასჲ ნი (მასალ., 93) „მე მას შორიდან ვუყურებდე, ჩიბუხით თამბაქოს რომ ეწეოდეს“; ნოწირუნეც თე კოჩქე **სათუთუმო** გიინწყუ (ყიფშ., 12) „წირვის შემდეგ (ნაწირვეს) ამ კაცმა ჩიბუხი გაიწყო (გაიმზადა)“; **საიმენდო** „საიმედო“: ორდჲ **საიმენდო** ბოში (ყიფშ., 157) „იყო საიმედო ბიჭი“; **საკაბო** „საკაბე“: **საკაბო** ჩინთი „საკაბე ჩითი“; **სათოლჲ უჯო** „საგულისყურო, საყურადღებო“: იში აზრი, იში სიტყვა **სათოლჲ უჯოთ** ჰკადილი რე (მასალ., 71) „მისი აზრი, მისი სიტყვა საგულისყუროდ ნაჭედია“; **საკოჩანო** „საკაცო; სავაჟკაცო“: **საკოჩანო** თის მუთა წანს, მუში ჯიბე დო კუჭიშ მეტი (ქაჯაია) „საკაცო მას არაფერი სწამს, მისი ჯიბისა და კუჭის მეტი“; **სალაგამო** (კიბირ-ი) „სალაგმე (კბილი)“; **სამარძგვანო** „მარჯვნივ, მარჯვენა მხარე“: თენა **სამარძგვანოე**, ათენა - **საკვარჩხანო** (ქაჯაია) „ეს მარჯვენა მხარეა, ესეც - სამარცხენო (მარცხენა მხარე)“; **სამოსკილქო** „სამომავლო, საშვილიშვილო“: თენეფი ართკაკალი ვარდუ **სამოსკილო** (ქაჯაია) „ესენი არც ერთი არ იყო სამომავლო (საშვილიშვილო)“; **სასქილო** „საშვილიშვილო“; **საორინჯო** „საქონლის სადგომი, ბოსელი“. 2. „სამომავლო“: ათე რაშის ჯოხო **საორინჯო** რაში (ხუბ., 29) „ამ რაშს ჰქვია სამომავლო რაში“; **საოსურო** „საქალო, საცოლე“: ათენავა თიში **საოსურო** რენია (ხუბ., 153) „ესაო მისი საცოლე არისო“; საქომონჯო „საქმარო“: მუმაქ მიგორუუ **საქომონჯო** კოჩი

(ხუბ., 43) „მამამ მოიძებნა საქმარო კაცი“; **საქომონჯოქე** თეურეშე ოკო მალაჲ ოთასგ (ცაგ., 40) „საქმარომ იქიდან უნდა გამოსროლოს“; **სარახო** „არყის გამოსახდელი სპილენძის ან თუჯის დიდი ქვაბი, სარახე“ (მასალები, ტ. 3, ნაწ. 2, 209); **სარწუმალო** „საწვრილმანო“: ჭიჭე **სარწუმალო** ქუე იდეს მუმალეფქ (ყიფშ., 3) „ცოტა საწვრილმანო (კი) უყიდეს მამებმა“; **საუჯგუშო** „საუკეთესო“: ჩქე ნი **საუჯგუშო** ბედი (ხუბ., 343) „ჩვენი საუკეთესო ბედი“; **საჭკვერო** „ჭკვიანური, საჭკვიანო“; **სასქანო** „საშენო“; **საქვირო** (ცხენ-ი) „დედალი ცხენი: ქიმეჩითგ **საქვირო** ცხენი (ყიფშ.,94) „მიეცით დედალი ცხენი“...

სა- -ე:

საგურე, სანგურე „საგულე“; კოჭობიში **საგურე** (ქაჯაია) „ჭრაქის საგულე“; **სადადულე** „სადედლედ დატოვებული ვარია“ (ქაჯაია); **სარწყე** „იგივეა, რაც ხეშქოსალი, „ხელსახოცი“; **სამინდე** „ქირა წისქვილში დაფქვისათვის, სამინდე“; **საშურე** „სასულე“; **სალებიე** „სალობიო“: **სალებიე** კიზი „სალობიო კოვზი“; **სალებიე** კოტო „სალობიო ქოთანო“; **საბერტე** „ჭერი შუაცეცხლსზევით“ (კვირტია): ომპაზე კერის ზევით დაწყობილი ფიცრები ან ისე გათლილი ხეები; კერის პირდაპირ გადებული ორი დირე და მათზე დაწყობილი ე.წ. **საბერტე** (მასალები, ტ. 1, 380, 383). მარტიქ **საბერტე** დოჭუა (ხალხ. სიბრ., 1, 830 „მარტმა საბერტე დაწვაო“; **საბერტყე** „იგივეა, რაც საბერტე“; **საბერწე** „ადგილი, სადაც ნაჭა, კაჩა ჰკიდია“; **საბერწეს** უმახუნა კაჩა, ლანჩა მიკობუნნი თი არდგილს (ქაჯაია) „საბერწეს“ ემახიან ნაჭა რომ ჰკიდია, იმ ადგილს; **საჯინჯე** „სამირე“: წულის შეკერვის დროს გამოსჭრიან **საჯინჯე**-ს (მასალები, ტ. 3, ნაწ. 1, 249); **საფულე, საფლე** „საფლავი“: დომითხორი **საფულე** (ქხს, 1, 138) „გამითხარე საფლავი“; თითო მარას **საფულეს** ქომიდარაჯითია (ყიფშ., 26) „თითო კვირას საფლავზე მიყარაულეთო“. გილვორექ **საფლემ** ძგას „სამუმ., ქართ. ზეპ., 78) „ვდგავარ საფლავის გვერდით (კიდეზე)“; ჩქე ნ **საფლე** ტახილი რე (იქვე, 78) „ჩვენი საფლავი გატეხილი არის“; **საქვირე** „საფქვილე“: „წისქვილის ნაწილი: გრძელი ყუთი ტრაპეზის გასწვრივ, სადაც ფქვილი იყრება“ (მასალები, ტ. 4, 3, 224); **საჯოლორე** „სამაღლო“, **საღეჯე** „სალორე“: **საჯოლორეთ** დო **საღეჯეთ** გინართინუა საქმე „სამაღლედ და სალორედ გადააქციაო საქმე (ხ.ს. 1, 120)...

სათვალე „სათვალე“;

შდრ.:

სათოლე 1. თვალში საცემი. 2. სათვალე (ქაჯაია).

ზოგჯერ გვაქვს მონაცვლეობა: სა- -ო / სა- -ე:

საყალე, საყ ალე „საყვედური, ყვედრება“: ვა მიჭირდას, ღორონს უჩქუ, **საყალესგ** დღას ვა ვთქუა! (ყიფშ., 108) „რომ არ მიჭირდეს, ღმერთმა იცის, საყვედურს არასოდეს ვიტყვი!“; საყალეში ჩიება „საყვედურის თქმა“; ურაგადუ **საყ ალეს** თე ძღაბის (ხუბ., 139) „ეუბნება საყვედურს ამ გოგოს“;

შდრ.

საყალო „ცულის თქმა ვინმეზე“ (დ. ფიფია);

საკიდირე, საკიდრო, საკე დგ რო „სამკერდე; სამკერდული“.

სარსულე, სარსულო „სასულე, სასუნთქი იარაღი“ (პ. ჭარ.).

-ა-ო > -ო, -ა-ე > -ე:

(ბაღანა >) **საბაღანო** „საბავშვო“: **საბაღანო** ე უდე „საბავშვო სახლი“ (ქაჯაია); (დიშქა >) **სადიშქო** „საშემე“: **სადიშქო** ჯა „საშემე ხე“ (ქაჯაია); (მაფა >) **სამაფო** „სამეფო“: ორდგ ართი **სამაფოს** ძალიერი ნდიი (ყიფშ., 20) „იყო ერთ სამეფოში ძლიერი დევი; (კაკა >) **საკაკო** „გრეხილი ძაფი, სალილკილო მკედი“ (ქაჯაია); (ქინოსქუა >) **საჟინოსქუო** „სააზნაურიშვილო“ (ქაჯაია); (ქიანა >) **საქიანო** „საქვეყნო“: **საქიანო** ეიონწყე მუ დუცუ მეუძე ორთუმელო (სამუმ., ქართ. ზეპ., 13) „საქვეყნო ასახსნელი თავქვეშ უძევს სასთუმლად“; **საქიანო** გერძუ ვალი (იქვე,

13) „ქვეყნის გაძევს ვალი“; (ყ ვანა >) **საყ ვანო** „საყანე“: **საყ ვანო** დიხა „საყანე მიწა“: აკობიამ **საყ ვანო** სადიაროთ დანიშნეს (სამუშ., ქართ. ზეპ., 89) „აკობიას საყანე საბალახოდ დანიშნეს (აქციეს)“; (ქილა >) **საქი[ლ]ო** „საქილე“: ბოში მეურს სარხინოშა, დელმეჯინე **საქილოშა** (ქაჯაია) „ბიჭი მიდის სალხინოში, იყურება საქილეში (ჩოხის)“; (ნძალა >) **სანძალო** „საძალო“: კუჩხი რკინათ დომიჭკადეს, ხე ვა მილუ **სანძალოთ** (ყიფშ., 152) „ფეხი რკინით დამიჭედეს, ხელი არ მაქვს საძალოდ (ხელში ძალა არ მაქვს)“; (ღალა >) **საღალე** „ღალა“: კოჩქ ვაგოზურდა ხანდა დო ლე მათ, რინას დაღალი თია **საღალე** (სამუშ., ქართ. ზეპ., 9); „კაცი არ შედრკე (შეშინდე) შრომითა და ომით, ყოფნას აართვი ღალა წილ-ხვედრი“...

-ა-ო > -ა-ლ-ო, -ა-ე > -ა-ლ-ე:

სანოსალო „სარძლო“: ჩქიმ დიდას სქანი მეტი მითინი ვაკო **სანოსალო** (სამუშ., ქართ. ზეპ., 32) „ჩემს დედას შენს მეტი არავინ უნდა სარძლო“; **საჯიმალო** „საძმო“: ჩქინი **საჯიმალოთ** ქირგუნიავო (ხუბ., 2) „ჩვენ საძმოდ ივარგებსო“; **საჯიმალოს** ქუჟუე ორდი (ყიფშ., 155) „საძმოს ვუყვარდი“; (**ტყა >**) **სატყალო** „იგივეა, რაც ოტყალე, „სატყეო“;

სასინდალო „იგივეა, რაც **სასინჯალო**“; **სასინჯ[ა]ლო** „სასიძო“: **სასინჯალოთ** ჯგირი ბოში რე „სასიძოდ კარგი ბიჭია“;

შდრ.:

სასინჯოს გინულებუ მაცარამო ჯართითა (სამუშ., ქხპს, 131) „სასიძო გადმოსულა მაცარიანად ჯართითაო“. მარა ი **სასინჯო** მაფაში სქუას ვეიაჭოფუ (ყიფშ., 48) „მაგრამ იმ სასიძო მეფის შვილმა ვერ შეძლო აეწია“;

(ბჟა >) **საბჟალე** (ჯერღვი) სარძევე (მარღვი)“;

(სკ/ქუა >) **სასკ/ქუალე**, **სასკ/ქუე**, **სასკუო** „საშვილოსნო“...

-ე-ო > -ო:

(მოჯგირე >) **სამოჯგირო** „სამოყვრო“; ართიანი ვამოვლასუდანი **სამოჯგიროთ**, ოფუჩურო (ქხს, 1, 140) „ერთმანეთი არ მოგვშლოდეს სამოყვროდ, საფიცავად“; (მუარხე >) **სამუარხო** „სამოახლო“: ოხორს ფულუნდესია დო **სამუარხოს** იჩიებუდესია (ყიფშ., 1770) „სასახლეში მალავდენ და სამოახლოში კი ლაპარაკობდენო“; (ნათესე >) **სანათესო** „სანათესაო“; (ონჯლორე >) **საონჯლორო** „სასირცხვილო“: ენა ვარე **საონჯლორო** (ეკური, 382) „ეს არ არის სასირცხვილო“; (ოსარე >) **საოსარო** „საპერანგე“: ირფელი ე იდირებული აფუ საკაბო დო **საოსარო** (სამუშ., ქართ. ზეპ., 32) „ყველაფერი ნაყიდი აქვს საკაბე და საპერანგე“; (სინთე > სინდე >) **სასინდო** „კედელში ჰქონდათ ოთხკუთხედად ამოჭრილი, საიდანაც შედიოდა შუქი. ამას **სასინდოს** ეძახდენ“ (მასალები, ტ. 1, 394); (სიმთელე >) **სასიმთელი** „სიმთელისათვის, ჯანმრთელობისათვის განკუთვნილი“: ჩქიმი თოლიმ **სასიმთელით** ვხვამულენქ (მაკალ., 302) „ჩემი თვალის სიმრთელისათვის ვლოცულობ“; (ჯეგე >) **საჯეგეო** *რელიგ.* „რიტუალი სრულდებოდა შემოდგომაზე. ჯეგეს მიუჩენდენ ერთ ძროხას. როდესაც ეს ძროხა პირველ სახარე ხბოს მოიგებდა, მას ჯეგეს (წმინდა გიორგის) სწირავდენ“ (მაკალ., 320-321)“...

-უ-ა-ო > უ-ო, -უ-ა-ე > -უ-ე:

(ჯგგ რობუა >) **საჯგგ რობუო** „საკარგადყოფნო“;

(სკ/ქუა >) **სასკ/ქუე**, **სასკუო** „საშვილოსნო“...

-ე-ს და ო-ს წინ ფუძის ბოლოკიდური უ შენარჩუნებულია:

(ულუ >) **საულუე** „საულელო“: „მუშა საქონლის კისრის დასასრულისა და ზურგის დასაწყისის საზღვრის ამაღლებული ადგილი, - ქედი“ (ქაჯაია);

(ორტყაფუ >) **საორტყაფუო** „სასარტყლე“: **საორტყაფუოშა** დემქ დორაჟე გ დო ბოშიქით დორაჟე გ თე დემი (ხუბ., 297) „სარტყლამდე ჩაასო დევმა (ბიჭი) და ამ ბიჭმაც ჩაასო დევი“;

საინტერესოა ფუძის შეკუმშვის შემთხვევები:

- (ხატი >) **სახტე** „სახატე“: ქიანას აკა სი რექ, მუთუნს გე ქე დო **სახტე** რექე ნი (ბერ., 146) „ქვეყანაზე ერთი შენ ხარ, რასმე რომ ჰგავხარ და სახატე ხარ“;
- (წყარი > საწყარი > საწყრე >) **სარწყე** „იგივეა, რაც ხეშქოსალი, „ხელსახოცი“;
- (ხარი >) **სახგ რე** „სახრე“: ჯგუნჯგი ირო გიდგ რიკანც ჭიფე ჭგ ნგ -**სახგ რეს** (სამუშ., ქართ. ზეპ., 90) „სარი ყოველთვის შემოიღუნავს წვრილ წნელ-სახრეს“;

მხოლოდ პრეფიქსული წარმოება გვაქვს:

- (კვეცი >) **საკვეცი** „საკვეცი“: ქიიე იდგ ... **საკვეცი** დო აბედი (ცაგ., 38) „იყიდა საკვეცი და აბედი“; გელელე **საკვეცი** დო ოკო დაკვეცასე ნ (ხუბ.,114) „ამოიღო საკვეცი და რომ უნდა დააკვეცოს“; ობედ ვაჭვე **საკვეცის** (ქხს, 1, 43) „აბედს ვერ დაწვავს საკვეცი“; (ბანძლი >) **საბანძლი** „სადაო“; (ბინა >) **საბინა** „საბინო, ბინის დასადგმელი ადგილი“: ჯგირი **საბინა** არდგილი ნოღვენია (ქაჯაია) „კარგი საბინო ადგილი ჰქიონიაო“; (თითი >) **სათითი** „სათითური“: გეშედეგს **სათითში** ეფშა დო მიდეეჯუმესე (ქხს., 2, 24) „ამოიღეს სათითურის სავსე და წაიმძღვანიეს“; (ორკე >) **საორკე** „მინა, რომელიც ჩასმულია პატარა ფანჯარაში“...

როგორც ჩანს, ქართ. სა- -ე წარმოების სუფიქსური შესატყვისობაა წარმოდგენილი შემდეგ ფორმებში:

- საკარა** „საკარვე (ადგილი)“: მწყემსის დროებითი სადგომის (კარეს) დასადგმელად ვარგისი ადგილი; სამოვარი“ (ცხად., ტოპონ., 129)“; **კარეს** დასადგმელი ადგილი (მასალები, ტ. 1, 384). შდრ. ტოპონ. **გადასაკარა** (< გამ საკარა) საკარვე ადგილი სერზე (ქაჯაია).
- საბოლა** „ბოლო, საბოლოო“: ათენა ე ოფედას თქვან ოჯახის **საბოლა** (ქაჯაია) „ ეს ყოფილიყოს თქვენს ოჯახში ბოლო“; შვადლოშხვაში გინოჲ უნა მიე ოთანც **საბოლას** (სამუშ., ქართ. ზეპ., 31) „სხვადასხვაზე აყოლა (გადაყოლა) დაგიკარგავს მომავალს“; ომერ-ფაშას მუში ჯარქ **საბოლათ** მეუდინე (სამუშ., ქხპს, 114“ „ომარ-ფაშას თავისი ჯარი საბოლოოდ დაეკარგა“;
- საგარა** „საგარეო“: **საგარა** ტანსამოსი (ქაჯაია) „საგარეო ტანსაცმელი“;

ო- პრეფიქსით (ცალკე ან -ე სუფიქსთან ერთად) შეიძლება აღნიშნოს: 1. ადგილი, სადაც არის ერთგვარი საგნების სიმრავლე, ან 2. ადგილი, რომელიც რაღაცისთვის არის განკუთვნილი, დანიშნული (ნაგვისთვის – სანაგვე...), საგანი, ნივთი, რომელიც ვიღაცისთვის ან რაღაცისთვის არის განკუთვნილი, დანიშნული (დათვი – სადათვე...)... ანუ, გადაკვეთის წერტილი ამ ორ რაღაცას შორის არის ადგილი; ამის გამო ზოგჯერ შეიძლება გაჭირდეს (კონტექსტის გარეშე) სიტყვის ზუსტი შინაარსის დადგენა (ქეგლ).

შესატყვისობის თვალსაზრისით წმინდა ლაზურ-მეგრული იქნებოდა **ო-** -ა წარმოება; მაგრამ გვაქვს კონტამინირებული, ჰიბრიდული აფიქსაცია: **ო-** - -ე (**ო-** ქართული -**სა** პრეფიქსის შესატყვისია, ხოლო -**ე** შეთვისებულია ქართულიდან):

- ოთოლე** „სათვალე“; „თვალის ბუდე“; თოლეფც ვაშაჲ უნდას ომქათ ჩხვინდინი, თოლი **ოთოლეს** ვედინტე რინე (სამუშ., ქართ. ზეპ., 9) „თვალეებს რომ არ ჩაჰყვებოდეს შუაში ცხვირი, თვალი სათვალეში (ბუდეში) არ დაეტეოდანო“ (შდრ.: **სათვალე, სათოლე**); **ოლეზე** „ადგილი, სადაც ლეზი (მიწაა ერთგვარი) მოიპოვება“ (პ. ცხად., ტოპონ., 62-63); **ომიგირე** „საეკლო; ეკალნარი“; **ოლეკე** „ადგილი, სადაც ლეკია (შლამია), - სალეკე“ (ქაჯაია); **ოლაგვანე** „საქვევრე“: **ოლაგვანე** დიხა „საქვევრე მიწა“; **ოკუჩხე** „საქსოვი დაზვის ნაწილი, - საფეხე (მასალები, ტ. 2, ნაწ. 2, 219); ნიჩაბის მსგავსი იარაღია. მოქსოვილ ფარჩას სამ-ოთხჯერ გარეცხვენ და **ოკუჩხეთი** სცემენ (მასალები, ტ. 3, ნაწ. 1, 240) (შდრ. **ოკუჩხურ-ი** „საფეხე, - რაც ფეხობის დღისათვისაა დანიშნული“ (ქაჯაია); **ოთუთუმე** „სათუთუნე“; **ოცხემურე** „სარცხილე

(ადგილი)“; **ოთუნთე** „სადათვე (ადგილი)“: მუ გოკო ათე **ოთუნთეს**, მუქ გიდინუ? (ქაჯაია) „რა გინდა ამ სადათვეში, რა დაგეკარგა?“ **ოირემე** „საირმე, - ადგილი, სადაც ბევრი ირემია“; **ოისირე** „საისლე“; **ოკალმახე** „საკალმახო“: **ოკალმახეშა** ქიმერთე ნი, ჯვარული ხატეფქ ქე მაჭიშოლუ (ქხს, 1, 256) „ოკალმახესთან რომ მივიდა, ჯვარული ხატები წამოეწივნენ“; **ოკამბეშე** „საკამეჩე“; **ომირსე** „სამირსო“: **ომირსე** ლეჯი „სამირსო ღორი, - საგანგებოდ გასუქებული ღორი, რომელსაც ჰკლავდნენ მირსობა დღეს (ს. მაკალ., 301); **ომუნჩქე** „სამაჩვე“ (პ. ცხად., ტოპონ., გვ. 65); **ონერგე** „სანერგე“: ჯაპიშ **ონერგე** ნოდვენა (ქაჯაია) „თუთის ხის სანერგე ჰქონიათ“; **ონიორე** „სანივრე“: დიხა **ონიორეთ** მერჩქინელი მაფუ (ქაჯაია) „მიწა სანივრედ მიჩენილი მაქვს“; **ოპრასკე** „ადგილი, სადაც პრასი სთესია, - საპრასე“; **ოყ უჯე** „საყურე“: ბირბილაში **ოყ უჯეფი** ე უცუ კილურღვათი (ქაჯაია) „ბირბილიანი საყურეები ყურზე ჩამოვკიდოთ“; **ოფურკე** „საკვამლე“; **ოქაცარე** „საციკნე“; **ოჯგირე** „საკარგო; კარგი ყოფა, მდგომარეობა“: ჯამუ ვარე **ოჯგირეს** (ქხს, 1, 310) „ჯამუ არაა კარგ ყოფაში (საკარგოში)“; **ოჯგუნჯგე** „ადგილი, სადაც იზრდება საყრდენად გამოსაყენებელი ხეები, - მსხვილი სარისათვის გამოსადეგი“ (ქაჯაია); **ომესე** (სხულ-ი) „სამაისო (მსხალი); **ოდაბადე** „სამშობლო“: **ოდაბადეშო** მოკო ბლურენი „სამშობლოსათვის მინდა რომ მოვკვდე“; ჩქიმი **ოდაბადე** ქიყ ანა მოკონია, ქობძირევე (აია, 1, 26) „ჩემი სამშობლო ქვეყანა მინდაო, რომ ვნახოო“;

შდრ.

ასევე შერეული წარმოების: **სადაბადო** „სამშობლო“...

ზოგჯერ **ო-** -ე აფიქსების პარალელურად ჩანს **ო-** -ურ მაწარმოებელიც (სწორედ ეს წარმოება შეიძლება ჩაითვალოს საკუთრივ მეგრულ წარმოებად):

ო- -ე /**ო-** -ურ:

ოქოთომე „საქათმე“: ტურა ღურუდუ დო **ოქოთომეშე** მეულუდუ დუდი (ხალხ. სიბრ., 1, 129) „ტურა კვდებოდა და საქათმისკენ მიჰქონდა თავი“. შდრ. ლაზ. **ოქოთუმალე** საქათმე (ნ. მარი).

შდრ.

ოქოთომურ-ი „იგივეა, რაც **ოქოთომე**, - ქათმისათვის განკუთვნილი ადგილი, საქათმე“;

ოთიფე „სათივე“: ცხენქ **ოთიფეშა** ირტუა (სახოკ., 266) „ცხენი სათივეში გაიქცაო“;

შდრ.

ოთიფურ-ი/ოთიფურე „იგივეა, რაც **ოთიფე**, - სათიბი, სათივე“: ათეშ ხასილას **ოთიფურე** რე (ხუბ., 170) „ამის გვერდით სათიბია“; სი ჭოფიო **ოთიფურეს** ჩქიმი ჩხოლუ? (ქხს, 1, 306) „შენ დაიჭირე სათიბში ჩემი ძროხა?“; **ოთიფურცუ** ჭარგა პირემც გაფარფალ ფარფალია (აია, 1, 25) „სათივეში სხვადასხვა (მოვარდისფრო) კოკრებს დაჰფარფატებს პეპელა“;

ოთანაფე „სააღდგომო“: **ოთანაფე** კირიბი „სააღდგომო ბატკანი“. კუჩხმოდვალი **ოთანაფეთ** უყ იდი ბალანემს (ქაჯაია) „ფეხსაცმელი სააღდგომოდ ვუყიდე ბავშვებს“;

შდრ.:

ოთანაფურ-ი „იგივეა, რაც **ოთანაფე**, - სააღდგომო“;

ოხოჯე „სახარე; ხარებისთვის განკუთვნილი რამ“ (ქაჯაია);

შდრ.

ოხოჯურ-ი „იგივეა, რაც **ოხოჯე**, - სახარე“;

უნდა ითქვას, რომ **ო-** -ურ/ლ წარმოება არც ისე იშვიათია:

ომოჭყულურ-ი „მზითევი“, საპატარძლო რამ“ (**ჭყულა**: „მზითევი“, **მოჭყულუ**: „პატარძალი,“); *შდრ.:* **ოჭყულურ-ი** „საპატარძლო, სადედოფლო მზითევი“ (მაკალ., 263);

ონდლურ-ი „სამხარი (ჭარ., კვირტია); სადილ-ვახშამს შუა საქმელი: *ზედმიწ.*: „შუაღლეური“;

ოფურურ-ი „იგივეა, რაც **ოფურალი**, „საფიცარი“: **ოფურური** საქორთუო (ქხს, 1, 314) „საფიცარი საქართველო“; შვენიერო სი მიმოჩქუქ **ოფურური** ხატი ჯგურა (ხუბ., 341) „მშვენიერად შენ

მიმაჩნხარ საფიცარი ხატავით“; **ოჲ ონურ-ი** „საყანე, - სიმღერა, რომელსაც მღეროდნენ ყანის თოხნის დროს (მაკალ.,187); **ოჩხამურ-ი** „იგივეა, რაც **ოჩხომური**; **ოციცურ-ი** „ციცის ჩასაყენებელი თავხეზე“ (ქაჯაია); **ოჭკადურე, ოჭკადგ რე** „იგივეა, რაც ოჭკადირე, - სამჭედლო“; **ჯოლორს ოჭკადგ რეშე** მუ აღინენია (ხალხ. სიბრ., 1, 195) „ძალს სამჭედლოდან რა წაეღებო“; **ოჭკადგ რე** გაჩაღებუ (მასალ.,62) „სამჭედლო გაჩაღებულა“; **ოჭკადგ რეშე** ათე შვანს სქვამი ბირა ირჩილედგ (მასალ., 62) „სამჭედლოდან ამ (ასეთ) დროს ლამაზი სიმღერა ისმოდა“; **ოთუთაშხურ-ი, ოთუთაშხურე** იგივეა, რაც **ოთაშხირი**, - საორშაბათო დიდმარხვის სალოცავი. შდრ. თუთაშხა (ქაჯაია); **ოჯუმაშხურ-ი რელიგ.** ნერჩის სალოცავი, რომელიც სრულდებოდა დიდი მარხვის დაწყებამდე 25 დღით ადრე, ოთხშაბათ დღეს (ო. ჭურდულია, კრიტ. წერ., 2, 292). იხ. ჯუმაშხა (ქაჯაია); **ობერგულ-ი** „სათოხე„ (შდრ. **ობერგე**); **ოკუჩხურ-ი** „საფეხე, - რაც ფეხობის დღისათვისაა დანიშნული“ (ქაჯაია)...

-ა-ე > ე:

(კოლონა >) **ოკოლონე** „საკოლო“: **ოკოლონე-ოლეტედ** ჭალადიდი გიონწყვალი (ქსს, 1, 338) „საკოლო-სატალახო იყო ჭალადიდი დასაქცევი“; (ლეტა >) **ოლეტე** „სატალახო ადგილი“: **ოკოლონე-ოლეტედ** ჭალადიდი გიონწყვალი (ქსს, 1, 338) „საკოლო-სატალახო იყო ჭალადიდი დასაქცევი“; (ტურა >) **ოტურე** „სატურე“; (ფურჩა >) **ოფურჩე** „საფურჩეო“; (ყ ვანა >) **ოყ ვანე** „საყანე“; (ჩხანა >) **ოჩხანე** „სამზეო, მზიანი (ადგილი)“; (ციმუა >) **ოციმუე** „სამარწყვე“ ...

-უ-ე კომბინაცია ფონეტიკურ ტრანსფორმაციებს არ იწვევს:

(კატუ >) **ოკატუე** „საკატე“;
 (ღუ >) **ოღუე** „საბუე“;
 (ყვაბუ >) **ოყვაბუე** „საბაყაყო“: ოწყარე დო **ოყვაბუე** ართო გაკოქვიშუ (ქსს, 1, 319) „ჭონჭყო (საწყლე) და საბაყაყო ერთად დააშრო (მოქვიშა)“;

-უ-ე > -უ-ლ-ე:

(თუ >) **ოთულე** „საგოჭე“: **ოთულე** ღეჯი „საგოჭე ღორი“; **ოთულემა** მითუხვილუ თულეფი (ქაჯაი) საგოჭეში ჰყავს ჩამწყვედიული გოჭები; (ჩხოლ >) **ოჩხოვლე, ოჩხოულე** „სამროხე“;

შეიძლება -უ დაიკარგოს:

(ჭინუ >) **ოჭინე, ოჭინუე** „საწკნელე“: ჯამუ ძირეს **ოჭინეს** (ხუბ., 350) „ჯამუ ნახეს საწკნელეში“.

-უ-ე დაბოლოება შეიძლება გვეკონდეს თანხმოვანფუძიანებთანაც:

(ტყები >) **ოტყებუე** „ტყავის დასამუშავებელი ამოღრმავებული ლოდი (ქაჯაია).“

-ე-ე > ე:

(ყ უდე >) **ოყ უდე** „სასახლე, - სახლისათვის განკუთვნილი ადგილი (მიწა, მასალა...); (წვირე >) **ოწვირე** „ნეხვის (ნაკელის) მოსაგროვებელი ადგილი“...

-ო-ე > -ო-უ:

(ორო >) **ოორუე** „საჩრდილო“: **ოორუეშე** ობჟათეშა მიფშვათ (ყაზაყ.,26.05.1930, 2) „საჩრდილოდან (ჩრდილოეთიდან) სამზეოზე (აღმოსავლეთში) წავიდეთ“; **ოორუე** ქიანეფი (ყაზაყ.,6.03.1930, 1) „ჩრდილოეთი ქვეყნები“.

-ო-ა-ე > -ო-ა-ლ-ე:

ოჯიმალე „სამძო“: თენა ვარე ჯგირი **ოჯიმალეში** დინახალე (ქაჯაია) „ეს არაა კარგი სამძოს შიგნით“; **ოთხალე** „სათხე“; პაპას **ოთხალე** გეუდგუდგ (ხუბ., 287) „მღვდელს სათხე ედგა“; **ოსინდალე** „სასიმო“: ჯგირი **ოსინდალე** ბოში რე (ქაჯაია) „კარგი სასიმო ბიჭია“; **ოსქალე** „საფუტ-კრე“: თუნთის **ოსქალეს** აბარენდესია (ქაჯაია) „დათეს საფუტკრეს აბარებდენო“; **ოტყალე** „სატყეო (ადგილი); ადგილი, სადაც ტყის ცხოველი ბინადრობს“: ე. ოფე... **ოტყალე** დო კაკლა-რონი (მასალ., 120) „ყოფილა... ტყიანი, ბარდ-ეკლიანი (ადგილი)“; **ობჟალე**, **ობჟარე** (ობჟალ/რეს) სამზეო (ადგილი). იხ. ბჟა. შდრ. ტოპონ. **ობჟალე**, **ობჟარე** (ცხად., ტოპონ., 66); **ლაზ. ომყოუ** გამზეურება (აჭარ. დიალექტ. ლექსიკ., 4, 66).

შეიძლება ხმოვნებს შორის **ლ-ს** პარალელურად **-რ** განვითარდეს:

(**ბჟა >**) **ობჟალე**, **ობჟარე** „სამზეო (ადგილი)“ (ქაჯაია);

(**კუმა >**) **ოკუმარ-ი** „იგივეა, რაც **ოკუმოლი**, **ოკუმური**, - საკვამლე (ქაჯაია).

გვხვდება **ო- -ოლ/-ოლ-ე** წარმოებაც:

ოდიშქოლი „სამეშე (ხე). **ოდიშქოლი** ჯალეფი უჩანს (ქაჯაია) სამეშე ხეები აქვს (უდგას). (შდრ. დიშქა).

ოდუდოლი იგივეა, რაც **ოდუდალე**, **ოდუდე**.

ოდუმოლი „სალომე“; *ტოპონ.* ადგილი, სადაც ღომს თესენ ან თესია (შდრ. ნალუმუ) (იხ. ცხად., ტოპონ., გვ. 64).

ოჩიტოლე „საჩიტე, ჩიტისათვის განკუთვნილი ადგილი, - ბუდე“. ჩიტი **ოჩიტოლესგ** დო მაღალური ღალიძგას (ქხს, 1, 1720 – „ჩიტი ბუდეში (საჩიტეში) და მოღალური ღელის პირას“.

ონიშოლი, **ონიშოლე** „სანიშე, ნავის (ნიშის) დასაყენებელი ადგილი, - ნავსადგური, ნავით გასასვლელი ადგილი მდინარეში“ (ქაჯაია);

ოკუმო[ლ]ი იგივეა, რაც **ოკუმარი**, - საკვამლე. შუაცეცხლი რომ ინთება ისეთ სახლს (ქუხნას), გადახურვისას ზევით საკვამლეებს (**ოკუმოლ-ს**) უტოვებენ (შდრ. **ოკუმარი**, **ოკუმური**); *შდრ.*: **ოკუმური** იგივეა, რაც **ოკუმარი**, **ოკუმო[ლ]ი**.

ოჯიმოლ-ი „სამარილე“. იხ. **ოჯიმოლე**.

ოჯიმოლე/გ „სამარილე“. იხ. ჯიმუ. *შდრ.* **ლაზ. ჯუმუ**: **ონჯუმალე/ოჯუმალე** „სამარილე“ (ნ. მარი).

ო- -ალ-ე:

ოდუდალე „სათაური; სასთუმალი“: **ოდუდალე** ქვა „წლის თავზე მიცვალებულის საფლავზე დადებული ქვა (მაკალ., 290), - სათა[ც]ო ქვა“; ხუმლა კოჩქ... **ოდუდალეშე** ქუმწუდოხოდ ძღაბ დო ბოშის (აია, 1, 25) „ხმელი კაცი... (თავ)სასთუმალთან დაუჯდა გოგოსა და ბიჭს“ (შდრ.: **ოდუდე**); **ობიჯალე** „საპირო; საქსოვი დანადგარის ნაწილი (მასალები, ტ. 2, ნაწ. 2, 217);

ერთი რიგის ფორმებს დანიშნულების სახელები ნაწარმოები აქვთ **ნათესაობითის ბაზაზე**, **საყრდენია ნათესაობითის ფუძე**, - ეს მოვლენა არც ქართულისთვისაა უცხო, მაგრამ, როგორც ჩანს, მეგრულში მეტად დასტურდება მსგავსი წარმოების ფორმები:

ოდგიშ-ი „**სადგისი**“: ართი **ოდგიშ**ი ქომუჩია (ყიფშ., 40) „ერთი სადგისი მომეციო“; **ოდგიშიშა** უგგ წვანდი (ქხს, 1, 173) „სადგისს მიუგავს წვერი“;

ოყ უჯეშ-ი „იგივეა, რაც **ოყ უჯე**, - საყურე (ზედმიწ.: **საყურისი**): **ოყ უჯეშ**იშ გილაბუმალი (ქაჯაია) საყურის ჩამოსაკიდი (მ. კვირტია);

ოჭუბურეშ-ი იხ. **ოჭუბურე** - **საწაბლისი**: **ოჭუბურეშ**ი დიხა *ტოპონ.* „საწაბლეს მიწა. ამ მიწას იყენებენ თიხის ჭურჭლის გასაკეთებლად. **ოჭუბურეშ**ი არის სოფელ თამაკონში

(მარტვილის რაიონი). გადმოცემით, ადრე ამ ადგილას ბევრი წაბლის ხე ყოფილა, შემდეგ გაუჩეხავთ (ქაჯაია);

ოცხენეშ-ი „იგივეა, რაც **ოცხენე**, - თავლა (ზედმიწ.: *საცხენისი*): **ოცხენეშ**ში გიმოწიმინდულს მიფხვარუა (ყიფშ., 90) „თავლის (საცხენის) გამოსაწმენდად მოვიშველიებ“; მინილენქ **ოცხენეშავე**, დუხარჭალევა (ხუბ., 1210 „რომ შეხვალ თავლაშიო, დააწკარუნეთ“;

ოდუდეშ-ი „იგივეა, რაც **ოდუდე**“ (ზედმიწ. *სათავისი*);

ოლეკეშ-ი „იგივეა, რაც **ოლეკე**, - შლამიანი ადგილი (ცხად., ტოპონ., 63), ლურჯი მიწის (ლეკის) ამოსაღები ადგილი;

ოჭკადურეშ-ი, **ოჭკადგ რეშ-ი** „იგივეა, რაც **ოჭკადურე** - სამჭედლო;

ოთულეშ-ი „იგივეა, რაც **ოთულე**“.

ოყ ალეშ-ი „საყელო“: **ოყ ალეში** ინწრო ხო ვაგაფუ? (ქაჯაია) საყელო ვიწრო ხომ არ გაქვს?

ოლუეშ-ი „იგივეა, რაც **ოლუე** (*შდრ. ცხად., ტოპონ., 63*);

ოთუნთეშ-ი „იგივეა, რაც **ოთუნთე**“. *შდრ. ტოპონ. ოთუნთია* „სადათვია“ (ცხად., ტოპონ., 66).

ოჩხომეშ-ი „სათევზაოდ განკუთვნილი ადგილი“. იგივეა, რაც **ოჩხომე**, **ოჩხომულე** (ქაჯაია);

ოკარიეშ-ი „იგივეა, რაც **ოკარიე** (ქაჯაია);

ოჩხანეშ-ი „სამზეო (ადგილი)“; სამხრეთი ფერდობი. *გადატ. სამხრეთი. შდრ. ობჟათე.*

ოჭინკეშ-ი „ჭინკების სამყოფი (ადგილი)“.

ოთხირეშ-ი „იგივეა, რაც **ოთხირე**, - სათხილე; ადგილი, სადაც ბევრი თხილის ხე დგას“ (ქაჯაია).

ორგილეშ-ი „საგრილი“ (ქაჯაია);

ოქირეშ-ი „საქორე (ადგილი)“ (ქაჯაია);

ონჯალეშ-ი „მალლარი“. *შდრ. ოჯალეში.*

ჩვეულებრივ, წარმოების მრავალფეროვნებას ფუნქციური ცვლილება არ ახლავს:

ოზოთე „საზამთრო“: **ოზოთე** უშქური „საზამთრო ვაშლი“; **ოზოთეთ** ირფელი მოხაზირებული მათუ (ქაჯაია) საზამთროდ ყველაფერი მომარაგებული მაქვს“;

შდრ.

ოზოთურ-ი „საზამთრო“: ირფელი **ოზოთურო** მათუ მოწყილი (ქაჯაია) „ყველაფერი საზამთროდ მაქვს მოწყობილი“;

შდრ.

საზოთო „საზამთრო“: **საზოთო** უშქური „საზამთრო ვაშლი“; **საზოთოთ** დიშქა მიიხაზირუ (ქაჯაია) „საზამთროდ შეშა მოიმარაგა“.

ოჩხომეშ-ი „სათევზაოდ განკუთვნილი ადგილი“. იგივეა, რაც **ოჩხომე**, **ოჩხომულე**.

ოჩხომულე იხ. **ოჩხომე**, **ოჩხომეში**.

ოჩხამურ-ი „იგივეა, რაც **ოჩხომური** (ქაჯაია);

ობუჯალ-ი, **ობუჯალე** „სამხრე, მხარზე ჩამოსაკიდი; საგანგებოდ მოწნული კალათი“.

ობუჯალი კალათი „სამხრე კალათი“.

ობუჯე იხ. **ობუჯალი**, - სამხრე (კალათი) (ქაჯაია).

ოდუდოლი იგივეა, რაც **ოდუდალე**, **ოდუდე**.

ოჯიმუ/ოჯიმურ-ი იგივეა, რაც **ოჯიმოლუ/გ** .

ლაზურში დანიშნულების სახელთა მაწარმოებლები **ო-** -**ე**, **ო-** -**ალ-ე** ქართული **სა-** -**ე**, **სა-** -**ო** კონფიქსების ფარდია.

ო- -**ე**:

ოთიე „სათავე“, ოკვინჩე „საჩიტე“, ოჩხე „ქარქაში“, ოწკარე „საწყლე“, ომქვირე „საფქვილე“, ოცხონე „სხვენი“, ოთხე „სათხილე“, ოტოროჯე „სამტრედე“...

ო- -ალ-ე:

ოჩხაპულე „საჩხვეპელი“, ოჩხოტალე (მარი, 213) დაკბილული ფირფიტა, ოჩჩახულე (მარი, 209) „სადღებელი“, ოჩჩხაკალე „კაკლის საბერტყი ჯოხი“, ოკიზალე „საკოვზე“, ომცქალე მუს უწუმენან (ჩიქ. II, 82) „ომცქალეს რას ეძახიან“...

I.2.8. წინა ვითარების სახელები.

მეგრულში წინა ვითარების სახელთა მაწარმოებლად ი. ყიფშიძე ნა- და ნო- პრეფიქსებს გამოყოფს, წარმოდგენილი აქვს ასეთი ფორმები: ნა-შარ/ე „ნამგზავრი“, ნაჲ ონა || ნოჲ ონიი „ნაყანევი“, ნოქალაქევი, ნოქალაქენი „ნოქალაქევი“, ნო-ჯიხენი „ნაციხარი“, ნა/ნო-ჩილი „ნაცოლარი“, ნა-ქომონჯი/ე „ნაქმრევი“ [ყიფშიძე, 1914, 0129].

მეგრულში ფუნქციონირებს როგორც ქართულიდან შეთვისებული ნა-, ისე მისი შესატყვისი ნო- პრეფიქსები.

ნო- სინქრონიულ დონეზე პროდუქტიულობით არ გამოირჩევა, მაგრამ, საფიქრებელია, რომ ისტორიულად მას გაცილებით მეტი დატვირთვა ჰქონოდა.

მაწარმოებელია -ნო:

(ქური >) ნო-ქური „კვალი; ნაქუსლარი, ნატერფალი; ნაკვალევი“: ცხენიში გინასოფა შარასია ასე ძირე ნქია თიმ ნოქურისია (ხუბ., 251) „ცხენის განაგლეჯ გზაზეო ახლა ნახავო იმის ნაქუსლსო (ნაკვალევსო)“; გიმათილს, ნოქურს თუდო წყარიში რაჩხალი აზარუდუ (ქხს, 1, 315) „ჩამოთოვლილზე, ბილიკს ქვემოთ წყლის ჩხრიალი ეგებებოდა“.

შდრ.:

ნო-ქურილი „იგივეა, რაც ნოქური“.

(ჩილი >) ნოჩილი-ი „ნაცოლევი, ნაცოლარი“: ჯგირი კოჩიშ ნოჩილი (სახოკ., 270) „კარგი კაცის ნაცოლევი“;

(გიმ- >) ნო-გიმერ-ი: „ნოგიმერს ზმწზ. იგივეა, რაც გიმათუთას (ოქტომბრის) გასვლის შემდეგ“;

(გვარი > გორი >) ნო-გორ-ი „მოდგმა; შთამომავლობა“: გეშალუ იში ნოგორქ! (ქაჯაია) „ამოწყდა (ამოვარდა) იმისი შთამომავლობა!“

ნოჭკედ-ი, ნოჭკიდ-ი „ნამჭადარი“: კოჩი რენ დო ნოჭკედინი, ქუმორთას აშო „კაცია თუ რალაც მჭადის მსგავსი, მოვიდეს აქეთ“ (ქაჯაია);

შდრ.:

ნოჭკიდუ „ნამჭადარი. იხ. ჭკიდი.

ნო-ქობალი „ნახორბლარი, ნაპურალი“: ნოქობალი ადგილი რე (ელიავა, 250) „ნახორბლარი ადგილია“...

საფიქრებელია, რომ აქ ნო- -ენ წარმოების გავლენა გვექონდეს; მაგრამ უფრო თითქოს ფუძისეული ა-ს აბლაუტი (ა > ე) გვაქვს ამ შემთხვევაში, რომელიც მეგრულ მიმღეობებშიც დასტურდება:

(დუქან-ი >) ნოდუქენ-ი „დუქანყოფილი, ნადუქნარი“;
(პიჩუანი >) ნოპიჩუენი, ნოპიჩუენს „ნამარხულევს“;

ნო- -ენ წარმოების ნიმუშებია:

(თანაფა >) ნოთანაფენ-ი „ნაადღომევი“: ნოთანაფენს აკიფშაყარათ დო ქიმუაკათათ (ქაჯაია) „ნაადღომევს შევიყაროთ და ვესტუმროთ (მივუვარდეთ)“;

შდრ.:

ნოთანაფუერს იგივეა, რაც ნოთანაფენს: ნოთანაფუერს ქოიძირუანთ (ქაჯაია) „ნაადღომევს გინახულუბთ“.

(შქასერი >) ნოშქასერებენი, ნოშქასერებენს „ნაშუალამევს“: ნოშქასერებენს აკიფშაყარო მავალუ ხალხიქ (ქაჯაია) „ნაშუალამევს შევიყარა წამსვლეელი ხალხი“. იხ. შქასერი. შდრ.

ნაშქასერენ-ი „ნაშუალამევი“: ნაშქასერენს იჲ უუ ე ოთამაქ (ქაჯაია) ნაშუალამევს შეიქნა სროლა;

(სერი >) ნოსერებენი, ნოსერებენს „ნალამევს“;

(ყაშხა >) ნოყაშხენი, ნოყაშხენს „ნაკვირევს“;

ნოკუჩხენ-ი „ფეხის მხარე, ფეხითი“: ბაღანაქ ნოკუჩხენიშე ქამთააჯირუ (ქაჯაია) „ბავშვი ფეხის მხრიდან (ფეხითი) შეუწვა“. შდრ. ლაზ. ნოკუჩხენი ნაკვალევი (ნ. მარი);

(ქი(რ)სე >) ნოქისენი, ნოქისენს „ნაშობევს“: კაკრაზ ნოქისენი რდუ, თე ამბექ მოხვადუნ (ქაჯაია) „ზუსტად შობის შემდეგ იყო, ეს ამბავი რომ მოხდა“. იხ. ქირსე, ქისე;

(ბართა(ია) >) ნაბართენ-ი „ტოპონ. ბართაიას (გვარია) ნასახლარი ადგილი“.

ნაოჩენ-ი „ადგილი, სადაც ოჩე იყო, - დიდი ნაყანარი“; შდრ.: ნაოჩუ „იგივეა, რაც ნაოჩენი“.

ნოქალაქენ-ი „ნაქალაქარი“;

(ჯიხა >) ნოჯიხენ-ი „ნაციხარი“;

შდრ.

(ჯიხა >) ნოჯიხუ „იგივეა, რაც ნოჯიხენი“.

ლოგიკური ჩანს ამ -ენ სუფიქსის დაკავშირება ქართ. -ევ (ასევე წინა ვითარების სახელთა წარმოების პროცესში ჩართულ) სუფიქსთან და მთლიანად ნო- -ენ წარმოების მიჩნევა ქართ. ნა- -ევ წარმოების ანალოგიურად: ნოქი(რ)სევს „ნაშობევს“ > ნოქირსენს...

-გ-ს > -ნ-ს ბუნებრივი პროცესია, ამ გადასვლის პირობები არ ჩანს ხმოვნის წინა პოზიციაში (ნოთანაფ-ევ-ი „ნაადღომევი“ > ნოთანაფ-ენ-ი, ნოქალაქ-ევ-ი > ნოქალაქ-ენ-ი...), მაგრამ -ენ, როგორც ფუნქციურად დატვირთული აფიქსი, განზოგადებული ჩანს სხვა შემთხვევებშიც, ანუ, ერთგვარი აფიქსური უნიფიკაცია უნდა გვექონდეს.

ნო-ო- > ნო-:

ნოოსორიშენი „ნავახშმევი“: ნოოსორიშენს აკიფშაყარათ დო იბჩუათ (ქაჯაია) ნავახშმევს შევიკრიბოთ და ვისაუბროთ. იხ. ოსორიშო/ე.

შდრ.:

ნოსორიშენ-ი „ვახშმობის შემდეგი დრო“; ნოსორიშენს ქომორთუ (ქაჯაია) „ნავახშმევს მოვიდა“.

ნო- პრეფიქსთან ერთად შეიძლება სხვადასხვა სუფიქსი დადასტურდეს, მაგ. -უ. ამ უ-ს წინ შესაძლებელია ა-სა და ე-ს რედუცირება;

-ა-უ > -უ:

(დიხა >) ნოდიხუ „ნამიწარი“;

(**ც უანა, ე გ ანა >**) **ნოყ უან-ი, ნოყ ვანი** „ნაყანევი“: ჯგირი კოჩიმ ნოჩილი, ჯგირ კოჩიში **ნოყ უანი**, ჯგირ კოჩიმ ნოკარუ (სახოკ., 270) „კარგი კაცის ნაცოლევი, კარგი კაცის ნაყანევი, კარგი კაცის ნაკარვევი“;

შდრ.:

ნოყ უნ-ი, ნოყ უნე „იგივეა, რაც **ნოყ უანი**, - ნაყანევი“: გგ რძე **ნოყ უნი** „გრძელი ნაყანევი“ (ცხად., კატალ., 119). ბარდლუიში **ნოყ უნე** „ბარდლუიას ნაყანევი“ (ცხად., კატალ., 137).

-ე-უ > -უ

(**კარე >**) **ნოკარუ** „ნაკარვევი“: ჯგირი კოჩიმ **ნოკარუ** (სახოკ., 270) „კარგი კაცის ნაკარვევი“.

ნო- -ერ/-ელ:

ნოლიმერ-ი, ნოლგ მერ-ი, ნოლიმურ-ი „ნაომარი“: ცქვაფა **ნოლიმერს** ოკონია (ყიფშ.,179) „ქება (ტრაბახი) ომის (ბრძოლის) შემდეგ უნდაო“.

ნოწანიერ-ი „ნაწლევი“;

ნოახალწანერი „ნაახალწლევი“: ჯვეშით **ნოახალწანერს** გინოწირუნა ღვინს, ჩიჩოლუნა სიმინს (ქაჯია) ძველით ნაახალწლევის გადაწურავენ ღვინოს, ფშენიან სიმინდს...

ნოყ უდერ-ი „ნასახლარი“;

-ონ სუფიქსი, როგორც ზევით აღინიშნა, ქართ. **-(ი)ან** სუფიქსის ფარდია ფორმითა და ფუნქციით; მისი ერთ-ერთი (მეორეული) დანიშნულებაა მცენარეთა კრებულის აღნიშვნა; ტოპონიმიზაციისთვის **-ონ** სუფიქსი საკმარისია, მაგრამ ჩნდება **ნო-** პრეფიქსი, წინა ვითარების სახელთა მაწარმოებელი მორფემა, – შესაბამისად ხდება სემანტიკური ტრანსფორმაცია და თუ ამგვარ სახელებს, **წინა ვითარებით-ქონების** სახელებს ცალკე ჯგუფად არ გამოვყოფთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სათანადო მასალა მეტად მწირია; ასეთია, მაგ.:

ნოსხულონ-ი „ნამსხლარი“, ზედმიწევნით: „ნამსხალნარი“;

ნობულონ-ი „ნაბალარი“, ზედმიწევნით: „ნაბალნარი“.

ასე, **წინა ვითარებით-წარმომავლობის** გამოდის შემდეგი ფორმა:

(**ტყა >**) **ნოტყელ-ი, ნონტყელ-ი** „ ტყიური; მხეცი“, *ზედმიწ.* „ნატყიური“; მუჭოთ **ნონტყელი** ომანეს, ართ დიხას დობხვილით (სამუშ., ქხპს, 113) „როგორც მხეცი ბუნაგში, ერთგან დავამწყვდიეთ“; ქაჯი რენო, ნჯილო რენო? **ნონტყელ** რე დო ვარი კოჩი? (მასალ., 71) „ქაჯი არის, ჯიქი არის? მხეცია თუ კაცი ვინმე?“; თაქ ისე მე **ნონტყელეფიში** ღგ რინი ირ დიხასე (სამუშ., ქართ. ზეპ., 69) „აქ ისმის მხეცთა ღრენა ყველგან“. იხ. ნტყა.

შდრ.:

(**ტყა >**) **ნოტყ-ი** „ნადირი“ (დ. ფიფია): **ნოტყი** რენ დო ვარი კოჩი (აია, 2, 76) „ნადირია თუ კაცი“. ბადიდი ორთ ოჭკომალც, **ნოტყიში** ხორცი შხვაშხვანერც (აია, 1, 22) „მოხუცი აკეთებს საჭმელს, ტყიურის ხორცისაგან სხვადასხვანარის“.

შდრ.:

(**შონ-ურ-ი >**) **ნაშონურ-ი** „ნასვანური“: „ცხვრის ჯიშია, თეთრი ფერისა, საშუალო ტანის, პატარა დუმა, მატყლი - კარგი ხარისხის“ (მაკალ.,193).

(პირველ ფორმაში კიდევ ის არის საინტერესო, რომ მეგრულ **ნო-** პრეფიქსთან კომბინაციაში ქართული **-ელ** სუფიქსი გვაქვს):

მეგრ. **ნო-** თითქმის გამოდევნა ქართულიდან ნასესხებმა **ნა-** პრეფიქსმა [Deeters, 1930, 227]; ოდენ **ნა-** პრეფიქსიანი წარმოება შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება; მაგ.:

ნა-:

(ქური >) **ნაქურ-ი, ნაქური-ი**, „ნაკვალევი, ნაქუსლარი, ნაფეხური“. მეურს დო **ნაქური** ვამიოხე (ცან., 141) „მიდის და ნაფეხური არ ჩანს (გამოცანა: ნავი, გემი). თინეფიში **ნაქური** ვეპალუ (ხუბ., 178) „იმათი ნაკვალევი არ ჩანს“;

(ურემი >) **ნაურემი** „ნაურმალი“. ურემქ გამნირთჲ დო **ნაურემქ** უკული იძირუა (ხალხ. სიბრ., 1, 134) „ურემი გადაბრუნდა და ნაურმალი შემდეგ გამოჩნდაო“;

(ღვინი >) **ნაღვინ-ი** „ნაღვინევი, ცოტა ნასვამი“;

შდრ.:

ნაღვინე „იგივეა, რაც ნაღვინი“ (ქაჯაია).

(თია >) **ნათია** „ულუფა“. ეზმა კოჩიში **ნათია** გჲ ნასქილადი ირო იჲ იი: (ხუბ., 276) „ამდენი კაცის ულუფის ნარჩენი ყოველთვის იქნება!“ *შდრ. თია*.

(დერგი >) **ნადერგი/გ** „დერგში ჩანადები, ნადერგალი“: **ნადერგ** ე ვალი „დერგში ჩანადები ყველი“;

(გურგინი >) **ნაგურგინი/გ** „ნაგვირგვინევი“; **ნაგურგინე** მანათეფი სტოლცე გილაცენდასჲ ნი (სამუმ., ქართ. ზეპ., 46) „ნაგვირგვინევი მანეთები მაგიდაზე ცვივოდეს“;

(ჟღამი >) **ნაჟღამ-ი** „ნაშხამი“ (ქაჯაია);

(კირკოლა >) **ნაკირკოლა** „კურკლი“: კურდღელიში **ნაკირკოლა** „კურდღლის კურკლი“ (მასალები, ტ. ვ, 139);

(კვალი >) **ნაკვალ-ი** „ნაკვალევი“; იში ნაკვალი ვამიძირუ (ქაჯაია) „იმის ნაკვალევი არ მინახავს“;

(ჩილი >) **ნაჩილი/გ**, „ნაცოლარი“: **ნაჩილ** კოჩი მა ვა მოკო (სამუმ., ქართ. ზეპ., 30) „ნაცოლარი კაცი მე არ მინდა“; ნაჩილჲ კოჩი (ყიფშ., 113) „ნაცოლარი კაცი“;

(ბარბალი >) **ნაბარბალი/გ** „ნაბორბლარი“: ხი, ჩელა, **ნაბარბალც** (ქხს, 1, 37) „ხი, ჩელავ, ნაბორბლარზე“;

(მოზვი >) **ნამოზვი-ი** (გინი) „მოზრდილი (ხბო)“, - ხბო ერთ წლამდე: **ნამოზვიში** გინი ე უნს დო დღაშე ართმახ პჷვალუნქ ჩხუს (ქაჯაია) „მოზრდილი ხბო ჰყავს და დღეში ერთხელ ვწველი ძროხას“.

(ჯვეში >) **ნაჯუემ-ი** „დამველებული“. *შდრ. ძვ. ქართ. ნამუელი* (ი. აბულ., ლექსიკ.) (ქაჯაია);

(ზნითი >) **ნაზზე თ-ი** „ნამზითევი, ნამზითვი“: თქვან კოჩანა მიქ ძირას, **ნაზზე თ** ფარათ იხორუთ (მასალ., 103) „თქვენნი კაცობა ვინ ნახოს, ნამზითევი ფულით სახლდებით“;

შდრ.:

ნამზითუ იგივეა, რაც ნაზზე თი, „ნამზითევი“; **ნამზითუთ** იხორუნა, მუმ ხეთ მუთუნს ვაცადუნა (ქხს, 1, 192) „ნამზითვით სახლდებიან, თავისი ხელით არაფერს აკეთებენ (არ ცდილობენ)“.

-ო-ა > -ა:

(ხურო >) **ნახურან-ი** „ნაოსტატარი“; სი მიქ მერჩუა სქანი **ნახურანი?** (ქაჯაია) „შენ ვინ მოგცაო შენი ნაოსტატარი?“

ყველაზე პროდუქტიულია **ნა- -უ** წარმოება (**ნა-** ქართული პრეფიქსია, **-უ / > გ** კი ქართ. - ავ სუფიქსის შესატყვისი [იხ. ფენრიხი-სარჯველაძე, 351]); ხშირ შემთხვევაში იგი ოდენპრეფიქსიან წარმოებასაც ავიწროებს, პარალელურად გვხვდება ან ერთმანეთში ირევა პრეფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი ფორმები. ეს საკითხი შეიძლება დადგეს თანხმოვანფუძიან სახელებთან, ხმოვანფუძიანებში უფრო მარტივად არის საქმე.

(აბრაგი >) **ნააბრაგუ/ი/გ** „ნააბრაგევი“;

(ქობალი >) **ნაქობალუ/ი/გ** „ნაპურალი“.

(ქომონჯი >) **ნაქომონჯუ/ი/გ** „ნაქმარევი“: **ნაქომონჯგ** მა ვამოკო (ქაჯაია) „ნაქმარევი მე არ მინდა“;

(ქუთეში >) **ნაქუთეშუ/ი/გ** „ნაქუთაისარი“;

(ისირი >) **ნაისირუ/ი/გ** „ნაისლარი“;

(ჭყეში >) **ნაჭყეშუ, ნაჭყიშუ/ი/გ** „ნამწყემსარი“;

(დიხა >) **ნადიხუ, ნადიხგ** „ნამიწარი“. სორდიეფიშ **ნადიხ** სორდიების ნამიწარი; მიწა, რომელიც ეკუთვნოდა სორდიებს. შდრ. **ნოდიხუ/გ** (ქაჯაია).

(ღარიბი >) **ნაღარიბუ/ი/გ** „ნაღარიბალი“: **ნაღარიბუ** კოჩი ვორდი „ნაღარიბალი კაცი ვიყავი“;

(დამორჩილი >) **ნადამორჩილუ/ი/გ** „ნაშემოდგომარი“;

(ზარხული >) **ნაზარხულუ/ი/გ** „ნაზაფხულარი“;

(ზოთონჯი >) **ნაზოთონჯუ/ი/გ** იგივეა, რაც **ნაზოთუ**, „ნაზამთრალი, ნაზამთრევი“;

(ნადაჩხგ /ი რი >) **ნადაჩხგ რუ/ი/გ** „ნაცეცხლარი“;

(ცხენი >) **ნაცხენუ/ი/გ** „ნაცხენარი“: შარაშიაში **ნაცხენუ** რენია (სახოკ., 263) „შარაშიას ნაყოლი ცხენიაო“.

(დუქანი >) **ნადუქანუ/ი/გ** „ნადუქნარი“; შდრ. **ნადუქენი**;

(მარგალი >) **ნამარგალუ/ი/გ** „ნამეგრელარი“;

(მართახი >) **ნამართახუ/ი/გ** „ნამათრახალი“;

(კიფი >) **ნაკიფუ/ი/გ** „ადგილი, სადაც კიფი (კანაფი) ეთესა, „ნაკანაფარი“; *ტოპონ.* **ნაკიფუ** - სოფელი წალენჯიხის რაიონში.

(კოჩი >) **ნაკოჩუ/ი/გ** „ნაკაცარი“;

შდრ.:

(კოჩანა >) **ნაკოჩანუ/ი/გ** „ნაყმევი“; „ნაკაცარი“: პატონიში **ნაკოჩანუ** ვორექია (ქაჯაია) „პატონის ნაყმევი ვარო“.

(კურტანი >) **ნაკურტანუ/ი/გ** „ნაკურტანალი“: მუჭო **ნაკურტანუ** ცხენს ქოგუ (ქაჯაია) „როგორ ნაკურტანალ ცხენს ჰგავს“.

(მესი >) **ნამესუ/ი/გ** „ნამაისარი“: **ნამესუ** გინი რე (ქაჯაია) „ნამაისარი (მაისში დაბადებული) ხბოა“;

(ფარეში >) **ნაფარეშუ/ი/გ** „ნაფარეშალი“: **ნაფარეშუეფი** ინგარა (ქხს, 1, 287) „ნაფარეშალნი ტირიან“;

(წისქვილი >) **ნაწისქვილუ/ი/გ** „ნაწისქვილარი“;

(ჩილამური >) **ნაჩილამურუ/ი/გ** „ნაცრემლი“: მუშენ გილუ თოლი **ნაჩილამურუ?** (ქაჯაია) „რად გაქვს თვალი ნაცრემლი?“;

(ოსური >) **ნაოსურუ/ი/გ** „ნაცოლარი“: ჯგირი კოჩიში ნაყ ვანუ დო ჯგირი კოჩიში **ნაოსურუა** (ქაჯაია) „კარგი კაცის ნაყანევი და კარგი კაცის ნაცოლარიო“.

(პატონი >) **ნაპატონუ/ი/გ** „ნაბატონარი“: **ნაპატონუ** სახე ულუ (ქაჯაია) „ნაბატონარი (ნაყვავილარი) სახე აქვს“;

(პიჩვანი >) **ნაპიჩვანუ/ი/გ** „ნამარხულევი“

(კარი >) **ნაკარუ** „ნაკარალი“...

ფუძე ერთია, დერივაციული გაფორმება განსხვავებული, სემანტიკა - უცვლელი:

ნალახარუ „ნაავადმყოფარი“.

ნალახე, ნალახეე „ავადმყოფი, ნაავადმყოფარი“ (პ. ჭარ., ი. ყიფშ.): ნალახე კოჩი გებდგ რთი, საარკო ქობძირი (ყიფშ., 161) „ავადმყოფი კაცი ავდექი, საარაკო (კი) ვნახე“.

ნალეხუ „იგივეა, რაც ნალახარუ, - ნაავადმყოფარი“.

ნაუფერ-ი „ნაოფლარი“;

ნაუფუ „იგივეა, რაც ნაუფერი, ნაუფი, - ნაოფლარი“.

ნაუფი-ი „იგივეა, რაც ნაუფერი, - ნაოფლარი“. ძოკოში ხანდა - ნაუფი, ენა აკა მუში ვარე (მასალ., 60) „ძოკოს შრომა - ნაოფლარი, ეს მისი არც ერთი არაა“;

-უ-ა > -ა:

(ჩქიჩქუ >) **ნაჩქიჩქა, ნაჩქე ჩქა** „ჩვილი“, *გადატ.* „ნაადრევი“: **ნაჩქიჩქა** სიმინდი უჩანს „ჩვილი სიმინდი აქვს“;

ნა- -ა:

(ჯინჯი >) **ნაჯინჯა** „ნაძირალი“; ეში **ნაჯინჯა** ხომაფილი, მუ ბლოლა (ქაჯაია) „ამის ძირი გამხმარი, რა ვუქნა“;

(ბაჟი >) **ნაბაჟა** „ნაბაჟი“;

(კიბირი >) **ნაკიბირა** „ნაკბილარი“: **ნაკიბირა** გიოხედუ ხეს (ქაჯაია) „ნაკბილარი აჩნდა ხელზე“;

(ბურჭული >) **ნაბურჭულა** „ნაწლადარი, წალდნაკრავი“: თურქი მეურს შარასუა, ბაბა-სქანიშ **ნაბურჭულა** (ქხს, 1, გვ. 258) „თურქი მიდის გზაზედაო, მამაშენის წალდნაკრავი“;

(გური >) **ნაგურა** „ნაგულა“: ტკეციშ **ნაგურა** ღეროს ტკეცს რომ ახსნიან, რჩება გული, რომელსაც ნაგურას ეძახიან (მასალები, ტ. 2, ნაწ. 1, გვ. 232). შდრ. გური.

(დუდი >) **ნადუდა** (მაფი) 1. პირველად ამოღებული აბრეშუმის მაფი (მასალები, ტ. 2, ნაწ. 2, გვ. 219). შდრ. ნათაა მაფი. 2. თავთავა, პირველად გამოსული, მაგარი არაყი (მასალები, ტ. 3, ნაწ. 2, გვ. 210);

(უკულაში >) **ნაუკულაში** „ნაუმცროსალი“;

(ქომონჯი >) **ნაქომონჯა** „ნაქმარევი“: ნაჩილ კოჩი მა ვამოკო, **ნაქომონჯას** ქოყ უნდას (ქხს, 1, 248) „ნაცოლარი კაცი მე არ მინდა, ნაქმარევეს ჰყავდეს“.

(გურგინი >) **ნაგურგინა** „ნაგვირგვინევი“: ოსური ახალი **ნაგურგინა** ყ უდეს პუნდუ (ყიფშ., 156) „ცოლი ახალჯვარდაწერილი სახლში მყავდა“;

-ა-უ > -უ:

(ბოგა >) **ნაბოგუ** „ნაბოგარი“: პეტრემ **ნაბოგუ/გ** „პეტრეს ნაბოგარი“ (პ. ცხად., კატალ. 138).

(მოჭვა >) **ნამოჭვე** „ნაკრუხალი“: **ნამოჭვე** რე დო ძალამ ჭკოლა რე (ქაჯაია) „ნაკრუხალია და ძალიან განხდარია“;

(ქესა, ქისა >) **ნაქისუ** „ნაქისარი“: ხვალე სქანი ჯვეში **ნაქისუ** ქომუჩიშო, - უწია (ხუბ., 242) „მარტო შენი ძველი ნაქისარი მომეცი-თქო, - უთხარიო“;

(გვალა >) **ნაგვალ[უ]** „ნამთევი, მთაში ნამყოფი“: ჰაი, შური, საყვარელი, **ნაგვალ** ცხენიშ მინოხუნა (მასალ., 50) „ჰოი, სულო საყვარელო, ნაიალადარ (ნამთევი) ცხენზე შეჯდომა“;

ნა- -ე წარმოება:

-ე-ე > -ე:

(მაყალე >) **ნამაყ ალე**: „**ნამაყ ალე** კოჩი“ (ყიფშ., 51) „ნაამხანაგარი კაცი“; *შდრ.*: **ნამაყ ალ, ნამაყ ალუ/გ** „ნაამხანაგარი: ვაყ უნს სანდო კოჩი თე მუში **ნამაყ ალ** ბერიჯგურა (ხუბ., 74) „არ ჰყავს სანდო კაცი მისი ნაამხანაგარი ბერის მსგავსი“.

-ე-უ > (-ო-უ > უ-უ >) -უ:

(ბამბე >) **ნაბამბუ, ნაბანბუ** „ნაბამბარი“;

(ოზე >) **ნაოზუ** „ნაეზოვარი, ეზოყოფილი“;

(ონდლე >) **ნაონდლე** „ნაშუადლევი“;

(ოსარე >) **ნოსარუ/გ** „ნაპერანგალი“: ქესაში რე ცალი განი, **ნოსარე შ** გითნაკვათა (ხუბ., 356) „ქისისაა ერთი მხარე, ნაპერანგალის ჩამონაჭერი“;

(ე უდე >) **ნაე უდუ/გ** „ნასახლარი“: **ნაე უდუს** ქიგედგუ ახალი ე უდე (ქაჯაია) „ნასახლარზე დადგა ახალი სახლი“;

(დოხოზე >) **ნადოხოზუ** „ნასახლარი“;

(ოხვამე >) **ნაოხვამუ/გ** „ნასაყდრალი“: ჭითა გვალა, თუდო სქური, **ნაოხვამუ** ობუჯური (მასალ., 19) „წითელი მთა, ქვევით სქური, ნასაყდრალი ობუჯური“;

(კარე > კარე >) **ნაკარუ, ნაკაროუ** „ნაკარავი“: აფხაზა **ნაკარუს** გიხვამანდუა (ყიფშ., 179) „აფხაზი ნაკარავზე ლოცულობდაო“;

(ჭვე >) **ნაჭუუ** „ნაჭვავარი“. შდრ. **ნაჭვე; ნაჭვეუ**.

-ა-უ >(-ო-უ >-უ-უ >) -უ:

(ტყა >) **ნატყუ[უ]** „ნატყევარი“: ათაქ დიხა გეძუნი, ჯვეში **ნატყუ[უ]** რე (ქაჯაია) „აქ მიწა რომ დევს, ძველი ნატყევარი არის“. ჩქიმი **ნატყუ[უ]** დო ივანეში **ნატყუ[უ]**თი გოჭკირუ (ქაჯაია) „ჩემი ნატყევარი და ივანეს ნატყევარიც გაჭრა“;

(ჩალა >) **ნაჩალუ/გ** „ნაჩალევი, სიმინდის ყანა ჩალის მოჭრის შემდეგ: ორინჯი ქაარაჲ უ **ნაჩალუშა** (ქაჯაია) „სასქონელი გარეკა ნაჩალევიში“;

(ჯიხა >) **ნაჯიხუ** „ადგილი, სადაც ციხე იყო, - ნაციხარი“: ჯვეშ **ნაჯიხუ** თაქირენ დო (ქხს, 1, 327) „ძველი ნაციხარი აქაა“; შდრ.: **ნაჯიხურ-ი** „იგივეა, რაც ნაჯიხუ, - ნაციხარი“.

(შარა >) **ნაშარ[უ/გ]** „ნაგზაური, ნაგზური“: შარა - **ნაშარსგ (ნაშარუს)**, წყარი - **ნაწყარსგ (ნაწყარუს)** (ცაგ., 81; ყიფშ., 176) „გზა-ნაგზურზე, წყალი-ნაწყარზე“; შდრ.: **ნაშარა** „იგივეა, რაც **ნაშარუ/გ**, - ნაგზაური“; შარა **ნაშარას**, წყარი **ნაწყარას** (ყიფშ., 176) „გზა ნაგზურზე, წყალი ნაწყარზე“).

(ერვა >) **ნაერუ** „ნაერვარი, - ეროს დანარტყამი ადგილი“ (ქაჯაია);

(ე ვანა >) **ნაე ვანუ/გ** „ნაყანევი“: ათენა ბესოიაში **ნაე ვანუე** (ქაჯაია) „ეს ბესოიას ნაყანევია“; წგ ბრელი აშენგარც გოწონერი **ნაე ვანგ ს** (სამუშ., ქხპს, 145) „წელს ბევრი ტირის შარმანდელ ნაყანევიში“.

(ტუტა >) **ნატუტუ** „ნანაცრალი“: გუდას გემნართინუანა, ნატუტუშე ვალოლანა (ქაჯაია) „გუდას გადმოაბრუნებენ, ნანაცრალი მხრიდან არ იზამენ“;

(ე ონა >) **ნაე ონუ/გ** „იგივეა, რაც **ნაე ვანუ/გ**, - ნაყანევი (ქაჯაია);

(ჟინოსკუა >) **ნაჟინოსქუ, ნაჯინოსკუ, ნაჯინოსქუ** „ნაზნაურალი“;

(ზღვა >) **ნაზღუ[უ]** „ნაზღვაური“;

(ინჭა >) **ნაინჭუ/გ** „ადგილი, სადაც ადრე ჭა იყო“: ათე ნაინჭუ ს გეერთჲ ფერ ჯაქ, მუთუნ მოსავალს მიდანდჲ ნ ფერ ჯაქ (ხუბ., 230) „ამ ადრე ჭის ადგილზე აღმოცენდა ისეთი ხე, რაიმე მოსავალს რომ მოიტანდა ისეთი ხე“

(ნისა, ნოსა >) **ნანისუ, ნანოსუ** „ნარძლევი, რძალყოფილი“: ჩქიმი ნანისუ რე (ქაჯაია) „ჩემი ნარძლევია“;

(სქუა >) **ნასქუუ** „ნაშვილევი“;

-ო-ა > -უ-ა:

(ბოლო >) **ნაბოლუა** „ნაბოლარა“: **ნაბოლუა** ბადანას ირო მეტი მიკმაჯინე ე უნს (ქაჯაია) „ნაბოლარ ბავშვს ყოველთვის მეტი მზრუნველი (მომხედი) ჰყავს“;

-ი-ა-უ > -ი-ლ-უ:

(ტყვია >) **ნატყვი[ლ]უ, ნატყვიდუ** „ნატყვიარი“: ჯარიშე რე **ნატყვიდუ** (ქაჯაია) „ჯარიდან არის ნატყვიარი“.

ან:

-ი-უ > -უ-უ:

(ბორია >) **ნაბორულუ** „ნაქარი“. **ნაბორულუ** თირიშორო ტვერი დილაბცენს₂ თოლსუ (ყიფშ., 151) „ნაქარალი თოვლის მსგავსად (თოვლივით) მტვერი მეყრება თვალში“;

-უ-უ > -უ:

(ოსქუ >) **ნაოსქუ** „ადგილი, სადაც ოსქუ (საღორე) იდგა“;

(წყუ >) **ნაწყულუ** „ადგილი, სადაც ადრე წყუ (წყარო) იყო“;

(ღუმუ >) **ნაღუმუ** „ნაღომარი“; ადგილი, სადაც ადრე ღომი იყო დათესილი.

-ო-უ > -უ-უ > -უ

(ეზო >) **ნაეზულუ** „ნაეზოვარი“: ყარაშ **ნაეზულ** გინებლი (ქაჯაია) „ყარამანის ნაეზოვართ გადავედი“. *ტოპონ.* ფეტეახემ **ნაეზულ** „ფეტელავას (ქალის) ნაეზოვარი“ (პ. ცხად., კატალ., 127).

(ფოლო >) **ნაფოლე** „ნაჩლიქარი“: ართი რაშიში **ნაფოლე** დიხას გიოხე (ყიფშ., 98) „ერთი რაშის ნაჩლიქარი მიწაზე აჩნია“; ქინიქოსეს რაშიში **ნაფოლუს** (ყიფშ., 99) „ჩაცვივდენ რაშის ნაჩლიქარში“;

-ა-ა > -ა:

(გუ(ნ)გა >) **ნაგუგა/ნაგუნგა** „ნაქუჩი, სიმინდგაცლილი ტარო“: სიმინდი დოჩიჩოლეს დო ბრელ **ნაგუგაქ** დოსქიდუ დაჩხირიში დაარზამალო (ქაჯაია) „სიმინდი დაფშენეს და ბვერი ნაქუჩი დარჩა ცეცხლის დასანთებად“;

ნა- -ე:

ნა-თოლ-ე „ნათვალევი, თვალნაკრავი, თვალნაცემი“: ჰავა რენი ვამიჩქუ დო ვამიჩქ გვალა **ნათოლე** (ქხს, 1, 24) „არ ვიცი ჰავაა, თუ (არ ვიცი) სულაც გათვალული (ნათვალევი)“. მიდგაქურენ გომიზაკუ, ქომიჭკომუნსუ **ნათოლე** (ქხს, 1, 223) „ვიდაცამაა გამითვალა, შემიჭამა ავმა თვალმა (ქე მიჭამს ავი თვალი)“.

შდრ.:

ნათოლუ „იგივეა, რაც ნათოლე“ (ქაჯაია).

ნა- -ერ/-ელ:

(ტყა >) **ნატებ-ერ-ა** „ნატყევარი“. *შდრ.* *ტოპონ.* **ნატებერუ** (ქაჯაია);

(ზითი >) **ნაზით-ერ-ი** „ნამზითევი, მზითევი მიცემული“: ათენენს ულუნია არძასია თითო ჯვეში ქესეფია, მუაჩქიშიში **ნაზითერია** (ხუბ., 49) „ამათ აქვსო ყველასო თითო ძველი ქისებო, მამაჩემის ნამზითევი“;

(ონდლე >) **ნაონდლ-ერ-ი** „ნაშუადლევი“: ღორონთი ონდლემა თაურე იჯინენია დო **ნაონდლერს** თეურეშე (ხალხ. სიბრ., 1, 150) „ღმერთი შუადლემდე აქეთ იყურებაო და ნაშუადლევს - იქით“;

(უფი >) **ნაუფ-ერ-ი** „ნაოფლარი“;

(ლიმა >) **ნალიმ-ერ-ი** „ნაომარი“: ცქვაფა ნალიმერსია (სახოკ., 266) „ვეენა ნაომევსო“.

(ახალ წანა >) **ნახალწან-ერ-ი, ნახალწანუ** „ნახალწლევი, ახალი წლის მომდევნო დღეები“: ბრელ **ნახალწანერს (ნახალწანუს)** ქომიძირუდა, ჩილ დო სქუამო ჯგირო ორდენ თეში (ქაჯაია) ბვერ ნახალწლევს მენახო, ცოლ-შვილით კარგად რომ იყოთ ისე“. *შდრ.* **ნახალწანერი.**

(ჭყუდა >) **ნაჭყუდ-ერ-ი** „ნაპატარძლევი“; „ნამზითევი“;

(ბურში >) **ნაბურმ-ელ-ა** „ნაბუმარი“: მა მიძირუნია, თქუასჷ ნ, **ნაბურმელა** იპიქია (ხუბ., 257) „მე მინახავსო, რომ თქვას, ნაბუმარი ვიქნებო“;

(ღუმუ >) **ნალუმ-ელ-ა** „ნალომარი“;

ნა- -არ/-ალ:

(ბიჭი >) **ნაბიჭ-არ-ი** „ნაბიჭვარი“ (პ. ჭარ.).

(ბუში >) **ნაბუმ-არ-ა** „ნაბუმარი“; *შდრ.* **ნაბურმელა**.

(გური >) **ნაგურ-ალ-ი** „ვაჟკაცი, გულიანი“: **ნაგურალენქ** ებყარითჷ, მონძალუნა ყანთარეფი (ხუბ., 358) „ვაჟკაცები ავიყარენით, გვმეტობენ ქალები“ (პ. ჭარ.).

ნა- -ურ/ულ:

ნაძუმურ-ი „საჩუქარი, რომელიც მიაქვს სიძეს სიდედრთან“ (ყიფშ.), სიძე სიდედრს აძლევდა ნაძუმურს 10-20 მანეთამდე (ს. მაკალ., გვ. 269);

ნაბურდლულ-ი „ბურტყლი“: იში **ნაბურდლული** ვეპალუუ, თეში ქიმკოდინუ (ქაჯაია) „იმისი ბუნდლა (ბურტყლი) არ ჩანს (იპოვება), ისე დაიკარგა“;

ნაბურძგულა „ბუნდლა (ბურტყლი)“: უკული ათე მხარეს სქანი **ნაბურძგულა** ვა ბძირავა, - უწყუ (ყიფშ., 81) „მერე ამ მხარეში შენი ფეხი (ბუნდლა) არ ვნახო, -- უთხრა“;

ლაზურში წინა ვითარების სახელთა საწარმოებლად გამოიყენება **ნო-** პრეფიქსი და **ნო- -ენ** პრეფიქსს-სუფიქსი. **ნო-** ქართული **ნა-** პრეფიქსის ადეკვატია.

ნო-:

ნოკალივე (ლექს. 631) „ნაქოხევი“, **ნოდუდე** (ლექს. 630) „კენწერო“, **ნოტალახე** (სარგ. მეტყვ.) „ნატალახევი“, **ნოჩილე** (სარგ. მეტყვ.) „ნაცოლევი“, **ნოქიმოჯე** (სარგ. მეტყვ.) „განათხოვარი, ნაქმრევი“...

ნო- -ენ:

ნოკუჩხენი (ლექს. 631) „ნაკვალევი“, **ნომჭიმენი** (სარ. მეტყვ.) „ნაწვიმარი“, **ნოდობელი** (ლექს. 629) „ნაწვიმევი“, **ნოპიჯენი** (სარგ. მეტყვ.) „ნაპირები“...

ნო- პრეფიქსი პროდუქტიულია წარსული დროის მიმდევობის ფორმებში (**ნოჭარე** „ნაწერი“, **ნოხვენე** „გაკეთებული“...).

I.2.9. წინა ვითარება-კნინობითობის სახელები.

ამ შემთხვევაში სინთეზირებულია ორი სემანტიკა: წინა ვითარებისა და კნინობითობა-აგდებისა. ნიმუშები:

ნადართია, ნოდართია „ნაჩოხარი, ძველი ჩოხა“: სქანი ქომონჯი ოკო რდას **ნადართიაში** მაშჷ რალი (სამუშ., 58) „შენი ქმარი უნდა იყოს ძველი ჩოხის მცვეთელი“; **ნობაწარია** „უვარგისი ბაწარი“: მუთუნი **ნობაწარია** გაღვენუუ დო ქომომილი! (ქაჯაია) „რაიმე ძველი ბაწარი (უვარგისი) გექნება და მომიტანე“; **ნობერგია** „უვარგისი თოხი“: ართი **ნობერგია** მიკუპონუდუ კიდაშა (ქაჯაია) „ერთი ძველი თოხი (უვარგისი) ჰქონდა მიყუდებული კედელზე“; **ნოდუქანია** „პატარა დუქანი, დუქნის მსგავსი“; **ნოშქართუნია** „უვარგისი (ძველი) საბანი“; **ნოკუჩხმოდვალა** „ძველი, უვარგისი ფეხსაცმელი, ფეხსაცმლის მაგვარი რაღაც“. **ნოდართია**

„ძველი (უვარგისი) ჩოხა“. **ნოქუდია** „ქუდის მსგავსი რაღაც, უვარგისი ქუდი, ნაქუდარი“: დუდიშა თე **ნოქუდია** ვეგირთვე, ქუდიქ (//ქუთქ) ვაგაშულო? (ქაჯაია) „თავზე ეს უვარგისი ქუდი არ დაიხურო, ქუდი ვერ იშოვე?“, **ნოღობია** „რაღაც ნაღობი; ნაღობის მსგავსი“...

-ია სუფიქსის დართვისას ფუძის ბოლოკიდური -ა, -ე და -ო იკარგება:

(კაბა >) **ნოკაბია** „ძველი კაბა, კაბის მსგავსი, რაღაც კაბა“: თეზმა ხანს ვაგაჭენუო ართი **ნოკაბიაქ** (ქაჯაია) „ამდენ ხანს ვერ შეკერე ერთი რაღაც კაბა“.

(ჩაფულა >) **ნოჩაფულია** „დაგლეჯილი, უვარგისი წულა“.

(ქისა >) **ნოქისია** „ძველი (უვარგისი) ქისა“;

(ზადურა >) **ნობადურია** „უვარგისი (ძველი) ზადურა“;

(ქ უდე >) **ნოყ უდია** „პატარა სახლი, სახლუკა; გადატ. ძველი სახლი“: ართი **ნოყ უდია** ქიგეუდგუ (ქაჯაია) „ერთი პატარა სახლი უდგას“.

(კოტო >) **ნოკოტია** „უვარგისი ქოთან“...

I.2.10. ხელობა-ქონების სახელები.

ამ ჯგუფის სახელებთან დაკავშირებით აკაკი შანიძე წერს: „ხელობის გამოსახატავად გვაქვს ორი წყვილი აფიქსი: მე - ე და მე - ურ“ [შანიძე, 1980, 135].

ერთი ჯგუფი სახელებისა აღნიშნავს სახელის ფუძით გამოსატულ საგანთან ან მოვლენასთან დაკავშირებულ ადამიანს: მე-ნავ-ე, მე-ანაბრ-ე, მე-ოცნებ-ე, მე-ბად-ურ-ი, მე-ზღვა-ურ-ი, მო-ვალ-ე... ამ ჯგუფში შესულია შინაარსობრივად მრავალფეროვანი სახელები: რაიმე საქმიანობის მიმდევარი (მე-ბალ-ე, მე-თევზ-ე, მე-ვენახ-ე...), რაიმეს მფლობელი (მე-დუქნ-ე, მე-მამულ-ე, მეწილ-ე...), რაიმე ნიშნით გამორჩეული (მე-წინავ-ე, მე-ძვირ-ე...). მათგან ყველაზე მეტია საქმიანობის, პროფესიის გამომხატველი სახელები და ამიტომ ამ ჯგუფის სახელებს **ხელობის** სახელებს უწოდებენ [გოგოლაშვილი..., 2010, 230].

საკუთრივ ზანური წარმომავლობის ხელობის სახელები ორსავე ენობრივ ერთეულში სპეციალურად არის მოსაძიებელი, ვინაიდან ლაზურში უცხოენოვანი ტერმინები დამკვიდრებულა, ძირითადად თურქული (მაგ. **დემირჩი** „მჭედელი“, **კალაიჯი** „მკალავი“, **დერემენჯი** „მეწისქვილე“), ხოლო მეგრულში ქართული სალიტერატურო ენის მოდელები იკავებენ ისტორიულად ცნობილ მაწარმოებელთა ადგილს.

გამოვლინდა საკმაოდ მდიდარი პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება:

მა- - ე:

ლაზური:

მა-ბუტკუჯ-ე „მეფუტკრე“, **მა-ნჯალ-ე** „ხეზე მოსიარულე; მეშეშე“, **მა-ქუდ-ე** „მექუდე“, **მა-ბგარ-ე** „მომტირალი“, **მა-ჩხომ-ე** „მეთევზე“, **მა-ლულ-ე** „მელელვე (ჩიტი)“, **მა-წიფურ-ე** ეტ. „მეწიფლე“ → „ციყვი“, **მა-ფშალ-ე** „იადონი“ ← ეტ. „მესვიე“, **მა-წიწილ-ე** „მეგველე“, **მა-ჯუმალ-ე** „მომძე, ძუძუმტე“...

აღდგენილია -ლ:

მა-ნჯალ-ლ-ე (მარი, 234) „შემის მზიდავი (მეხევე)“; **მა-გზალ-ლ-ე** „მგზავრი“...

მა- ე კონფიქსური წარმოების თავისებური -ია დაბოლოებიანი სახეობა უფრო ხშირად დასტურდება მეგრულში, მა- -ია ძირითადად ანთროპონიმებში, როგორც ისტორიულად ხელობის აღმნიშვნელ სახელებში, შემოგვრჩა. ასეთებია:

მა-სხულ-ია „მემსხლე“, მა-კალათ-ია „მეკალათე“, მა-ქაცარ-ია „მეთიკნე“, მა-მფორ-ია „მეფარე“ (შდრ. ქართ. მე-ფარ-ი-ძე), მა-ხუნჯ-ია „მეხუნდე“, მა-სქალ-ია „მეფუტკრე“, მა-ფატ-ია „მეფეტვე“, მა-რხულ-ია „მემხლე“...

იგივე წარმოება გვაქვს ფრინველებისა და მცენარეების აღმნიშვნელ სახელებშიც:

მა-თირ-ია „მეთოვლია, თოლია“, მა-ლულ-ია „მელეღია“, მა-ფშალ-ია „ბულბული“ ← ეტ. „მესვიე“, მა-ბჟალ-ია „მერძევე“ (მცენ.), მა-ჯარღ-ია „მეძარღვე“, „მრავალძარღვა“ (მცენ.)...

მაბჟალია ბოტან. რძიანა (ა. მაყ.): **მაბჟალიას** ნასიმინდგ დიხას უჩქე რდულა (ქაჯაია) „რძიანამ ნასიმინდარ ადგილზე იცის ზრდა“. შდრ. ლაზ. **მჟაილა** (ნ. მარი). იხ. **მავჯალია**; **მებჟალიე**.

შდრ.

მებჟალიე „იგივეა, რაც მაბჟალია, - რძიანა“ (ქაჯაია); **მავჯალია** „იგივეა, რაც მაბჟალია“ (მაყ.).

მალულა 1. ზოოლ. მელეღვიე, - ჩიტია ერთგვარი, რომლის გამოჩენას ემთხვევა ლელვის დამწიფება;

შდრ.:

მელულა ზოოლ. „მელეღვიე, - ჩიტია ერთგვარი, გამოჩნდება ლელვის დამწიფებისას“. შდრ. ლული; **ლაზ. მალულე** მელეღვე (მარი).

მაისირაია ბოტან. ისლი (მაყ.);

მაღახია ენტომ. „დიდი ბუზი, - სნოულა. ხალხის რწმენით, ის ოჯახში ავადმყოფობის მომტანია, ამიტომ თუ სახლში შემოფრინდა, ცდილობენ მოკლან“; შდრ. **ლეხი**.

მაჯარღვალია ბოტან. მრავალძარღვა (მაყ.). იხ. **მაჯარღვია**, **მაჯერღვაია**.

მაჯარღვია, **მაჯერღვაია** ბოტან. მრავალძარღვა (ა. მაყ.). იხ. **მაჯარღვალია**.

მაჯერღვაია იხ. **მაჯარღვალია**, **მაჯარღვია**.

მაპალურაია ბოტან. მსუქანა. იხ. ჯი[ნ]ჭითა (მაყ.).

(ღუმუ > მალუმულია >) **მადმელია** ბოტან. ბალახია ერთგვარი; ღომის მსგავს თავთავს იკეთებს.

მაწირღია ენტომ. ბზიკი, კრაზანა. იხ. **მაწე რღია**; მარწუხი, მასქალია. შდრ. ლაზ. აწირღე; მაწულღე, მაწურღე კრაზანა, ბზიკი (მარი).

მაყ ურზენე ბოტან. მაღალი მოცვი. იხ. ბაჟა, მელიშიაში ჯა; ჯაშმელიშია, ცინყა (მაყ.).

შდრ.:

მაყ ურძენაია ბოტან. მეჭეჭა (მაყ.). იხ. ღვინჭა, მეჭეჭიში ტყა.

მაჭუჭელია ბოტან. ჯინჭრისდედა (მაყ.). იხ. ოწოწია; ჭუჭელემ დიდა.

მაჭკიღია ბოტან. მჭადა (მაყ.). იხ. მაფატია.

მაბშალია იხ. მაფშალია, მავშაია/მაფშაია...

ლაზური:

მაინჭირე (მარი, 149), მეანწლე (ფრინგ.), **მაბუტუჯე** (ლექს. 465) მეფუტკრე (ფრინგ.), **მაბუზალე** (მარი, 132) „პატარა ჩიტი“ („მებუზე“), **მანწიფურე** (სარფ. მეტყვ.) „ციყვი“ („მეწიფლია“)...

საინტერესო ფორმებია (არც ანთროპონიმებია, არც მცენარეთა და ფრინველთა სახელები):

მაცირია „მალიან ახალგაზრდა გოგო. ცირა გასათხოვარი ქალიშვილია, უფრო ახალგაზრდას **მაცირია** ჰქვია“ (სამუშ., ქხპს, 125).

მაზოშია: „მალიან ახალგაზრდა ბიჭი, მოზარდი, რომელიც უკვე ბიჭობს“;

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ **-ია** დაბოლოება ასახავს ისტორიული **ე+ა** თანმიმდევრობის მომდევნო საფეხურს, ე. ი. მაგალითისთვის ანთროპონიმებში გვქონდა შემდეგი სახის გარდაქმნები: ***მა-ქაცარ-ე-ან** → ***მა-ქაცარ-ე-ა** → **მა-ქაცარ-ი-ა** „მეთიკნე“.

მა- -ერ-:

ლაზური:

მაქარმატერი ბერე (ჟღ., 39) „მეწისქვილე ბავშვი“.

მეგრული:

მა-ჩხომ-ერ-ი „მეთევზე“.

მა- -ურ-:

ლაზური:

მა-ქუდ-ურ-ე // მა-ქუდ-ულ-ე „მხურავი“

აქ ლაზურის ბოლოკიდური **-ე** სახელობითი ბრუნვის საკუთრივ ლაზური ნიშანია, მეგრული **ი-ს** ბადალი.

მეგრული:

მა-ქუდ-ურ-ი „მხურავი, გადახურული“; **მა-ლიმ-ურ-ი** „მეომარი“, **მა-პიჩ-ურ-ი** „მომარბულე“.

მა- -ალ-ე:

ლაზური:

მა-ჩხომ-ალ-ე „მეთევზე“, **მა-გვერდ-ალ-ე** „მენახვერე“, **მა-მცქვ-ალ-ე** „მოტრაბახე“, **მა-მცუდ-ალ-ე** „მატყუარა“, **მა-ბუმ-ალ-ე** „მეტუმური“, **მა-პიჩვ-ალ-ე** „მომარბულე“, შდრ. მეგრ. **მა-პიჩ-ურ-ი** „id“;

მეგრული:

მა-პიჯ-ალ-ე „პირობის მიმყოლი“ ← ეტ. „მეპირობე“.

შენიშვნა: მეგრულის ეს ერთადერთი ნიმუში, ლაზურისებური წარმოებისა, მეტად ღირებულ-ია ორივე ენობრივი ერთეულისათვის, ვინაიდან აქ ნათლად ჩანს **-ალ-ე** დაბოლოების გენეზისი, კერძოდ, ის მასდარულ **-ალ-ა** რთული შედგენილობის სუფიქსს ასახავს, ანუ სავარაუდოა, რომ მსგავს შემთხვევებში ლაზურ-მეგრული **მა- -ე** დერივაცია ეყრდნობა **-ალ** მასდარიან ყალიბებს.

მა- -ულ-ე:

ლაზური:

მა-ჭაფ-ულ-ე „ერთგვარი ჩიტი“, **მა-პაზ-ულ-ე** „ციცინათელა“, **მა-პატ-ულ-ე** „ერთგვარი ფრინველი“, **მა-ჭაბ-ულ-ე** „ხვლიკის სახეობა“, **მა-მჟვებ-ულ-ე** „ბაყაყიჭამია ცხოველი“, „შევარდენი“.

მეგრული:

მა-ჟვებ-ულ-ე/ა / მა-ჟვებ-გლ-ა „ბაყაყა, მებაყაყე ფრინველი“.

ხელობა-პროფესიის სახელთა სემანტიკური ანალიზი ერთ საინტერესო ნიუანსს ავლენს: ტრადიციულად ჩვენ ვამბობთ: **მექუდე, მეპურე...** არის ხელობის სახელები.

არადა, **მექუდე** არის სახელი პირის, ადამიანის, რომელმაც იცის **მექუდეობა**, პროფესია **მექუდეობა**.

მექუდე, მექობალე... ვინ ჯგუფის სახელია. **მექუდე** უნდა გავიაზროთ არა როგორც პროფესია, ხელობა, არამედ **პირი, ადამიანი**, რომელსაც აქვს გარკვეული პროფესია, რომელმაც იცის რაღაც პროფესია (ქუდის კერვა = მექუდეობა, პურის გამოცხობა = მექობალეობა...).

რამდენად არის **მექუდე, მეურემე, მექობალე, მეჩექმე...** ტიპის ფორმები ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სახელები რეალურად (ბუნებრივია, საკითხი მხოლოდ მეგრულის მიმართ არ დგას ასე)?

სხვათა შორის ამ გრამატიკული ორწარმოვნიდან გამომდინარეა პარალელიზმი და გაურკვეველობა კითხვის ფორმულირებისას: **ვინ გინდა გამოხვიდე? თუ რა გინდა გამოხვიდე?**

ლოგიკურია კითხვა: **ვინ გინდა გამოხვიდე?** - ექიმი, მედუქნე, მეპურე... ესენი ვინ ჯგუფის სახელებია.

ვფიქრობთ, ხელობა-პროფესიის გამომხატველი სახელებია: **მექუდეობა, მეურემეობა, მექობალეობა, მეჩექმეობა, ექიმობა...**

მე- -ე:

მელექსე „მელექსე“: ჯგირ **მელექსე** ზაზანდარი (ყიფშ., 129) „კარგი მელექსე ზაზანდარი“; (შდრ.: **მელერსე** „მელექსე“); **მემარანე** „მემარნე“: ართი **მემარანეთ** ქე დეკე ნ (ხუბ., 114) „ერთ მემარანედ დაიყენა“; **მელეჯე** „მელორე“: **მელეჯექე** მუში ე უდეშა ქიმერთე (ყიფშ., 90) „მელორე თავის სახლში მივიდა“; **მეორტვინე** „მეოსტნე“; **მეოჯახე** „მეოჯახე“; „მეულლე“; **მესანთელე, მესანთელია** „მესანთლე“; ელია, მელია - **მესანთელია** (ცაგ., 69) „ელია, მელია, მესანთლე“; **მესაფულე** „მესაფლავე“; **მეშხურე** „მეცხვარე“: წიე, წიევა, - დიიძახუ **მეშხურექ** (ხუბ., 69) „ბიჭო, ბიჭო, -- დაიძახა მეცხვარემ“; **მეურემე** „მეურმე“: გამარჯობა სქანია, - უწუუ თე არწივიში სქუაქ თე **მეურემეს** (ხუბ., 48) „გამარჯობა შენიო, - უთხრა ამ არწივის შვილმა ამ მეურმეს“; **მეგინე** „მეხბორე, მეხბე“: ჩხორო **მეგინე** ჩხოლუ ე უნდუ (ხუბ., 174) „ცხრა ხბოიანი ძროხა ჰყავდა“; **მეგურგინე** „მეგვირგვინე“: **მეგურგინე** მორდია „მეჯვარე, მეგვირგვინე ნათლია“; **მედაჩხირე** „მეცეცხლე“: **მედაჩხირე** მეზობელი ჯიმას უჯგუნია(ხალხ. სიბრ., 1, 86) „მეცეცხლური მეზობელი ძმას სჯობიაო“; **მეკვარტე, მეკვარტიე** „მეწიხლე“: **მეკვარტიე** საქონელი „მეწიხლე საქონელი“; **მეკვარჩხანე** „მემარცხენე, ცაცია“; **მემარძგვანე** „მემარჯვენე“; **მეკვერცხე** „მეკვერცხე“: ჯგირი **მეკვერცხე** ქოთომიე (ქაჯაია) „კარგი მეკვერცხე ქათამია“; **მეკუდელე** „მეკუდე, - ცხვრის ფარის კუდში მიმყოლი (მყოფი) მწყემსი“ (მასალ., ტ. 4, ნაწ. 1, 215); **მეორინჯე** „მესაქონლე“: დიფუჩუნდგ ორთას **მეორინჯე** კოჩინ, უკული ვარია ვეე იიდგ (ხუბ.,176) „რომ დაიფიცებდა ორთას მესაქონლე კაცი, შემდეგ უარი არ იქნებოდა“; **მესოფელე** „მესოფლია“: **მესოფელე** ჯოლორიზუმა პატი გემუნია (ცან., 112) „მაწანწალა ძაღლის ოდენა პატივი ადევსო“; **მექოთომე** „მექათმე“; **მეე ანჭე** „მეყაჭე“; **მეჩონგურე** „მეჩონგურე“: ჭაბუკუმ დიდა **მეჩონგურე** დგ (ხუბ., 241) „ჭაბუკის დედა მეჩონგურე იყო“; **მეჩხომე** „მეთევზე“: ზღვას დინორენა **მეჩხომე** კათეფი (ხუბ., 70) „ზღვაში დგანან მეთევზე ხალხი“; **მეწამალე** „მეწამლე“: **მეწამალექ** მიდართე მაფაში სქუაში ოწამალუმა (ყიფშ., 11) „მეწამლე წავიდა მეფის შვილის სამკურნალოდ (საწამლაგად)“; **მეწყარე** „მეწყლე“: ლურც ჩქე ნ **მეწყარეს** (ხუბ., 272) „სძინავს ჩვენს მეწყლეს“; **მეტკიბირე** „მესაცერე“: მუმა სქანი - მესქიბოლი, დიდა სქანი - **მეტკიბირე** (მასალ., 101) „მამაშენი - მედოლაზე, დედაშენი - მესაცერე“; **მეჭიფაშე** „მეწვრილე“. ლარჭემის

ერთ-ერთი ღეროს სახელწოდება, - ის წვრილ ხმას გამოსცემს (მაკალ., 256); **მედუდე**, „მეთავე“, **შდრ. მედუდელე**...

-ა-ე > -ა-ლ-ე:

(სქა >) **მესქალე, მესკალე** „მეფუტკრე“: **მესქალე** კოჩიე (ქაჯაია) „მეფუტკრე კაცია“; (ორე) ჯგირო გერინაფილი ოსქალე რჩქინელი **მესქალეში** ხეს (ქაჯაია) „(არის) კარგად დაყენებული საფუტკრე მცოდნე მეფუტკრის ხელში“;

(ბჟა >) **მეზჟალე** „მერძევე“:

(თხა >) **მეთხალე** „მეთხე“: კარვის უფროსი ანაწილებდა მწყემსებს: **მეშხურეს** „მეცხვარეს“, **მეთხალეს** „მეთხეს“ (მასალები, ტ. 4, ნაწ. 1, 214).

(ტყა >) **მეტყალე** „მეტყევე“: **მეტყალეჟ** კითხე (ცაგ., 29) „მეტყევემ ჰკითხა“;

(დლა >) **მედლალ(ი)ე** „მედლევე, დლევანდელი დღით მცხოვრები“: მედლალე კოჩიე (ქაჯაია) „მედლევე კაცია“...

-ა-ე > -ე:

(ჩაფულა >) **მეჩაფულე** „მექალამნე“;

(გოლა >) **მეგოლე** „მემთე, მთიელი“: **მეგოლეს** არმა უჩქუ (ქხს, 1, 228) „მთიელმა ყველა იცის“; მა, **მეგოლეჟ**, თენა ჰჭარი (ბერ., 114) „მე, მთიელმა, ეს დაწვერე. **შდრ. მეგვალე**.

(თია >) **მეთიე** „მწყემსისათვის კუთვნილი საჭმლის („თია“-ს) მიმტანი (მასალები, ტ. 4, ნაწ. 1, 214): უფროსი ყოველდღიურად ნიშნავდა მეთიე-სა და მეშეშე-ს;

(ლერჭყვა >) **მერჭყვე** „მენერწყვე“: ნინა **მერჭყვე** მუშო მოკო დო დუგორძლე სი ნიორით? (ხუბ., 354) „ენა მენერწყვე რისთვის მინდა და გაგაძლო შენ ნივრით?“

(ც ვანა >) **მეც ვანე** „მეყანე“: ჯგირი ჩხოლე **მეც ვანე** რე (სახოკ., 270) „კარგი ძროხა მეყანეა“;

(შარა >) **მეშარე** „მგზავრი“; „მეგზური“: მიდაც უნე **მეშარეჟ** პაპას (ყიფშ., 7) „წაჰყვა მგზავრი მღვდელს“. ურაგადუ **მეშარეს** (ხუბ., 350) „ეუბნება მგზავრს“; შარას გილარე **მეშარეფი** (ყიფშ., 170) „გზაზე დგას მგზავრები“;

(წანა >) **მეწანე** „მეწლე“: ჩქიმი უშქური **მეწანე** რე (ქაჯაია) „ჩემი ვაშლი მეწლეა“;

(ტყურა >) **მეტყურე, მეტყურია** „ტყულის მთქმელი, მეტყუილე“: უშრომელი ცურდუტი რე, მახინჯი დო **მეტყურე** (სამუშ., ქხპს, 159) „არამშრომელი ცულდუტია, ქურდი და მატყურა“; **მეტყურეს** ქოუჩქე დე (ხუბ., 191) „მატყურამ (კი) იცოდა“. **მეტყურეს** მართალსით ვა დუუჯერენა (ყიფშ., 178) „მატყურას მართალსაც არ დაუჯერებენო“.

-უ-ე > -უ-ლ-ე:

(ჩხოლე, ჩხუ >) **მეჩხოლლე/მეჩხულე** „მემროხე“: **მეჩხოლლეჟ** პირველაშო ოკო გიდგას კარე (ქაჯაია) „მემროხემ პირველად უნდა დაიდგას კარავი“;

(დუმუ >) **მედუმულე** „მედომე, ღომის მოყვარული“;

შდრ. (შხუ >) **მეშხულე** „მემსხვილე“: ბანის მთქმელი სიმღერის დროს, - მეზანე (ქაჯაია);

-ე-ე > -ე:

(ამბე >) **მეანბე** „მოამბე“: სუმი **მეანბეთე** გუუტუ (ცაგ., 22; ყიფშ., 33) „სამი მოამბედ გაუშვა“;

-ო-ე > -უ-ე:

(კოტო >) **მეკოტუე** „მეკოტნე“: **მეკოტუე** კოტოს ხეს სოურე ოკონ, თეურე მიკოდგუნსია (ქაჯაია) „მეკოტნე ქოთანს ხელს საითკენაც უნდა, იქით მხარეს მიადგამსო“;

იშვიათად გვხვდება მე-ურ: წარმოება:

მეხატური „მეხატე“ (პ. ჭარ.);

მეჩხომური „იგივეა, რაც მეჩხომე“ (ქაჯაია);

მეძუძური „ძიძა“: ჟირ **მეძუძურ** შქასია ბალანაქ (მორდილე) შქირენს ქემშალურუა (ხალხ. სიბრ., 1, 117) „ორ ძიძას შორის ბავშვი შიმშილით მოკვდაო“;

მე-ოლ:

მენიშოლ-ი, მენიშოლე „იგივეა, რაც მენიშე“: **მენიშოლქ** თაში ეჩიუ თინემც (აია, 1, 23) „მენავემ ასე უამბო მათ“; ნიშის ქიგედოხოდი-და, **მენიშოლც** ვენირზავა (ხალხ. სიბრ., 1, 103) „ნავში თუ ჩაჯექი, მენავეს ნუ შეეკამათებო“;

შდრ.

მენიშე „მენავე“: ნიშის ქიგედოხოდუქია-და, **მენიშეს** დუუჯერია (ქაჯაია) „ნავში თუ ჩაჯდებო, მენავეს დაუჯერეო“.

მესქიბოლ-ი „მედოლაბე“: მუმა სქანი - **მესქიბოლი**, დიდა სქანი - მეტკიბირე (რდუ) (ქხს., 1, 206) „მამაშენი - მედოლაბე, დედაშენი - მესაცრე (იყო)“.

ქართულის დარად, გვხვდება **მო - ე** მაწარმოებლიანი სახელებიც; ეს სახელები წარმოებით და მნიშვნელობით იმდენად ახლოს არიან საშუალო გვარის მიმდებობთან (მო-ბიბინ-ე, მო-ცურავ-ე, მო-ციგავ-ე...), რომ სახელისა და ზმნისაგან მიღებული ფორმების გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება (არნ. ჩიქობავა).

ამ მიმდებობათა ნაწილი გასუბსტანტივებულია (მოყვარ-ე, მო-ნადირ-ე...), რამაც ხელი შეუწყო **მო - ე** კონფიქსიან ხელობის სახელთა ჯგუფის ზრდას (მ. ტუსკია).

გვხვდება არამხოლოდ ნაზმნარი ფორმის გასუბსტანტივების შემთხვევები; არცთუ იშვიათად წმინდა სახელურ ფუძესთან გვაქვს **მო -ე**:

მოსამართე „მოსამართლე“: ე **მოსამართექ** სამართალს იშენი ვეგინუკინგ (ყიფშ., 44) „ამ მოსამართლემ სამართალს მაინც არ გადაუხვია“; **მოუბადე** „შტერი“ (დ. ფიფია); „ავის მქნელი“; **მოშუალე** „საშუალო“. *შდრ.* ოშქარი; **მოჯგირე, მოჯგვ რე** „მოყვარე, მოკეთე, ნათესავი, კარგის მსურველი: ახალი **მოჯგირეშენი** ჯვეშის ნუ მიოჲ ოთა (ხალხ. სიბრ., 1, 16) „ახალი მოყვრის გამო ძველს ნუ დაკარგავ“; თინა არძო **მოჯგირე** მაფუ (ქხს, 1, 50) „ის ყველა (ჩემი) მოკეთეა“; ნათესე დო **მოჯგირეფი** უჲ ორდგ (ყიფშ., 157) „ნათესავი და მოკეთეები უყვარდა“; **მოჩხვიჩხვე** *გადატ.* მეძკვიდრე, შთამომავალი; **მოჯალაბე** „მცხვავი ყმა“: მოჯალაბენი სამეგრელოში ეკუთვნოდნენ ყველაზე დაბალ და დამცირებულ კატეგორიას (მაკალ., 184); **მოჯალაბე** ჭკორიში ე ავავა (მასალ., 60) „მოჯალაბე ყმის გოდებაო“; **მოჯამაგირე** „მოჯამაგირე“: **მოჯამაგირეთ** ე უნდუ სუმ წანას (ქაჯაია) „მოჯამაგირედ ჰყავდა სამი წელი“; (**კისერი >**) **მოკისერე** „მოკისრე“. *გადატ.* „თავდები“: ხუთ თუმანიშ **მოკისერეთ** ბამალუა მიაართვეს (ქხს, 1, 311) „ხუთი თუმნის თავდებად ბამალუა მიაართვეს“; **მოლადირე** ჭანდ/ჯ-ი „კვერცხების მიმყრელი ბუზი“: **მოლადირე** ჭანჯის უმახუთი ხორციშა მიკმასქუალარი ჭანს (ქაჯაია) „მოლადირე ბუზს“ ვეძახით ხორცზე კვერცხების მიმყრელ ბუზს“; **მონადირე** „მონადირე“; *შდრ.* **მონადირე** „მონადირე“: მა, რხენიში **მონადირე**, დო ხუბერული ჭურუ ქარდა (მასალ., 109) „მე, ბარის მონადირე, და ხუბერელი ჭურუ ქარდა(ვა)“; **მოლერსე** „მელექსე, პოეტი“: დადიას ე უნდუ **მოლერსე** კოჩი (ყიფშ., 160) „დადიანს ჰყავდა მელექსე კაცი“; **მოდანოზე/მოდანოსე** „მდანოსებელი, დამსმენი“: ულორონთე **მოდანოზე** თაქ მუშენი ემირჩქინდი (ბერ., 81) „უღმერთო დამსმენი აქ რატომ აღმომიჩნდი“; **მოზისხარე** „მოსისხლე“: ოკო რსურებუდას მოზისხარე ტერი (ყიფშ., 141) „უნდა გსტუმრებოდა მოსისხლე მტერი“;

მოზისხირე იხ. მოზისხარე; *შდრ.* **მოზე სხე** „მოსისხლე“: გულადი დო უშიშარი, **მოზე სხე** დო მტერიანი (ყიფშ.,157) „გულადი და უშიშარი, მოსისხლე და მტერიანი“; **მოვალე** „მოვალე“: **მოვალეს** ვალიშა ნოშქერი ეუჭოფია (ხალხ. სიბრ., 1, 94) „მევალეს ვალის ნაცვლად ნახშირი აულეო“...

მო- -ი-ე:

მოგვერდე იგივეა, რაც **მოგვერდო**, „მონახვერე“;

მოვარიე *ბოტან.* სათოვლია (ა. მაყ.). მთის ერთგვარი ყვავილი, რომელიც ამოდის აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში ქრება, ცოცხლობს ორ კვირამდე. მისი ამოსვლა მალე თოვლის მოსვლის მომასწავებელია და მწყემსებრიც ტოვებენ მთას (ქაჯაია);

მე- -ე ||მო- -ე:

მოთოე უჯე „მეთვალყურე“: ბოშენქ, ნამე თ თეში მოთოე უჯე რდესე ნი (ხუბ., 74) „მოცვივდენენ ბიჭები, რომლებიც ამის მეთვალყურე იყვენენ“; *შდრ.:* **მეთოლე უჯე** „მეთვალყურე“.

მოშარე „იგივეა, რაც **მეშარე**, - „მგზავრი“: ქიმერთ თე **მოშარე** კოჩქ (ხუბ., 23) „მივიდა ეს მგზავრი (მეგზავრე) კაცი). გესორეს **მოშარემქ** (აია, 1, 23) „გაოცდენენ მგზავრები“.

მო- -ურ:

მოლაღური-ი „იგივეა, რაც მალაღური, - მელეღვიე“ (ვ. დანელია). *იხ.* **მელუღიე**.

I.2.11. ხელობა-აბსტრაქტულობის (resp. ხელობის) სახელები.

თუ დავაკვირდებით ამ ფორმათა სტრუქტურას, შევამჩნევთ, რომ აქ გვაქვს **ფუნქციურად დატვირთული** ორმაგი წარმოება: პირველი რიგის დერივაციას (მე-ქუდ-ე...) მოსდევს მეორე რიგის დერივაცია (მე-ქუდ-ე- +ობა...); შენარჩუნებულია პირველადი დერივაციის სემანტიკური პარამეტრები, მას ემატება ახალი სემანტიკურ-ფუნქციური ნიუანსი, შემოტანილი აბსტრაქტულობის სუფიქსის მიერ; მაგ.:

მესქალობა „მეფუტკრეობა“: ჭიჭიობაზე **მესქალობას** მეფთხოზუდი (ქაჯაია) „პატარობიდან მეფუტკრეობას მივსდევდი“; **მეზალობა** „მეზაღეობა“; **მეზალობა** მასქვანდღ დო მხიარულო დინე ვორდი (ბერ., 74) „მეზაღეობა მშვენოდა და მხიარულად ვიდექი (შიგნით)“; **მეორინჯობა** „მესაქონლეობა“: არძაშე უფრამო გერე **მეორინჯობაში** საქვარი (ქაჯაია) „ყველაზე ცუდად დგას მესაქონლეობის საქმე“; **მეორტვინეობა** „მეზოსტვინეობა“: ბოლოს **მეორტვინეობას** ქუმოკიდეს ხე (ქაჯაია) „ბოლოს მეზოსტვინეობას მოჰკიდეს ხელი“; **მექოთომობა** „მექათმეობა“: **მექოთომობას** ოკო ქიმოჰკიდათ ხე მანგარას (ყაზაყ., 6.03.1930, 4) „მექათმეობას უნდა მოჰკიდოთ ხელი მაგრად“...

ხელობა-აბსტრაქტულობის სახელებია: მე-ლეჯ-ე-ობა, მე-ქუდ-ე-ობა, მე-ლერს-ე-ობა, მე-შხურ-ე-ობა...

მექუდე... ტიპის ფორმებს ალბათ რაღაც სხვაგვარი სახელდება სჭირდებათ, ვთქვათ, **ხელობის მქონეთა სახელები**; მათგან განსხვავდება ფორმითაც და შინაარსითაც **მექუდეობა** ტიპის სახელები, რომელთაც ტრადიციული კვალიფიკაციით აბსტრაქტული სახელები ჰქვიათ, არადა, ვფიქრობთ, სწორედ ესენია **ხელობა-პროფესიის სახელები**.

I.2.12. მცენარეთა კრებულის სახელები.

წარმოქმნილ სახელებს შორის ერთი ჯგუფი ადგილის გამომხატველი სახელებია. სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი სახელების ნაწილს (მაგ., **-ობ** სუფიქსიან სახელებს) ზოგჯერ გეოგრაფიულ სახელებთან ერთად განიხილავენ (მ. ტუსკია), ნაწილს კი (**-ნარ** სუფიქსიან სახელებს) ცალკე ჯგუფად გამოყოფენ მცენარეთა კრებულის სახელებად (ა. შანიძე, მ. ტუსკია).

რამდენადაც როგორც **-ობ** სუფიქსიანი, ისე **-ნარ**-ით ნაწარმოები სახელები ადგილს აღნიშნავენ, მათ ცალკე გამოყოფენ ადგილის გამომხატველ სახელებად [გოგოლაშვილი..., 2011, 231].

-ნარ დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს და გამოხატავს ადგილს, სადაც მრავლად მოიპოვება ფუძით აღნიშნული საგანი. ეს სუფიქსი გვხვდება ძირითადად მცენარეთა სახელებთან: მუხ-ნარ-ი, ნამძნ-არ-ი, კოპიტ-ნარ-ი, ვარდ-ნარ-ი, წაბლ-ნარ-ი, არყ-ნალ-ი, იფნ-(ნ)არ-ი, ბუჩქ-ნარ-ი, ყვავილ-ნარ-ი, ბალ-ნარ-ი... ასეთივე წარმოება გვაქვს რაიმე სხვა საგნის სიმრავლით გამორჩეული ადგილის აღმნიშვნელ სახელებშიც: ქვიშ-ნარ-ი, თიხ-ნარ-ი, ქვავ-ნარ-ი... გვაქვს არაერთი შემთხვევა, როცა **-ნარ** მაწარმოებლით მიღებული სახელი იქცა გეოგრაფიულ სახელად: დაფნარი, ბარდნალა, ქვარნალა (ქვალ-ნარა), მუხრანი (მუხ-ნარ-ი) და ა. შ. [გოგოლაშვილი..., 2011, 231].

-ონ სუფიქსი, მისი ქართული ფუნქციური ანალოგის **-ნარ** სუფიქსის მსგავსად სიმრავლეს, კერძოდ (და პირველ რიგში) მცენარეთა სიმრავლეს, იმ ადგილს აღნიშნავს, სადაც ბევრი (ჩვეულებრივ რომელიმე ერთი სახეობის) ბევრი მცენარეა; უფრო ნაკლებად მას შეუძლია გამოხატოს ცხოველების ან რაიმე საგნების კრებითობა-სიმრავლეც.

ბუნებრივია, ასე ნაწარმოები სახელები ადვილად განზოგადდებიან გეოგრაფიულ სახელებად, მაგრამ მათი თავდაპირველი და ამოსავალი, სპეციფიკური გრამატიკული მნიშვნელობა მაინც სიმრავლის, კრებითობის აღნიშვნაა. ამდენად, უფრო ლოგიკური ჩანს მათი გამორჩევა ცალკე ჯგუფად (და არა გეოგრაფიულ სახელებში) წარმოდგენა, როგორც ეს აკაკი შანიძეს აქვს.

ონა იგივეა, რაც **ონ-ი**, ოღონდ ა'ს აქვს მასუბსტანტივებელი ფუნქცია. **ონ-ი** და **ონა** ერთმანეთს ენაცვლებიან. **ნემ-ონა** და **ნემ-ონ-ი** ნიგვზნარი (შდრ. ნემი „კაკალი“, „ნიგოზი“); **ნუზ-ონ-ი** და **ნუზ-ონა** ნამძნარი (შდრ. ნუზუ „ნამძვი“).

-ონ სუფიქსზე სპეციალურად მსჯელობს არნ. ჩიქობავა; „ორიოდე შემთხვევაში მეგრულშიც აქვს ადგილი **-ონ** სუფიქსის ხმარებას; ასეთია: **გვიმარონი** (ადგილი, სადაც გვიმრა იზრდება); **ჭუბურონა** (წაბლნარი; ტყის სახელია ეკის მთის კალთაზე, ძვ. სენაკის თემში); **ჭორთონა** (ადგილი, სადაც ახლად აყრილი წვრილი ხეები იზრდება, მაგ., მურყნისა ანუ თხმელასი თუ სხვა რისამე); აქვე უნდა მოვიგონოთ „**ჭველეთონა**“ (პატარა სოფლის სახელი ჯვარის თემში, სვანეთის საზღვრისკენ, ზუგდიდის მაზრაში). აღნიშნავს „ჭველ“-ი რომ ხარობს ისეთ ადგილს. საკუთარი სახელი **ქვალონ-ი**ც (დაბა ახალ-სენაკიდან ათიოდე ვერსზე) ამ სუფიქსით წარმოებული უნდა იყოს **ქვალ-ისგან** (ქვალ || ქვა: ქვალეფი – მრავლ. რიცხვ.)... მეგრულში **-ონ** სუფიქსს ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა; საკუთარ სახელებში მისი ხმარება ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს; ამჟამადაც შეუძლებელი არაა წარმოება:

ლანჯონი, თხომურონი და სხვ., მაგრამ ჩვეულებრივია ქართულისებური წარმოება პრეფიქსით: „ოლანჯე“, „ოთხომე“ და მაგვც.“ [ჩიქობავა, 1926, 548].

-ონ სუფიქსიანი წარმოება მეგრულში არც ისე იშვიათია და ამაზე წარმოდგენილი ილუსტრაციებიც მეტყველებს:

ჰვაჰა (მცენარეა ერთგვარი) > **ჰვაჰონია** „ადგილი, სადაც ბევრი ჰვაჰა ხარობს“ (ცხად., ტოპონ., 77). **ქუალონ-ი** „ქვიანი ადგილი, – ქვალნარი“. შდრ. ტოპონ. სოფ. **ქვალონი** (ხობის რაიონი) (ქაჯაია); **ჰველეფონ-ი** „თხმელნარი“ (ცხად., ტოპონ., გვ. 76); **ჰველონ-ი** „ნორჩი თხმელის ტყე, – თხმელნარი; ზოგადად ახალგაზრდა მცენარეთა ტყე“. თხომულში ინაშქვერთა ჩანსინი, ფერი არდგილს **ჰველონს** უმახუნა „თხმელის ახალამონაყარი სადაც ხარობს, ამ ადგილს თხმელნარს ემახიან“ (ქაჯაია); **ჰყენჰყონ-ი** იგივეა, რაც ჰენჰყო, – ჰანჰრობი, ჰაობიანი ადგილი (პ. ჰარ.); **ჰყენჰყონა** იგივეა, რაც ჰყენჰყონი, ჰყენჰყო (ქაჯაია); **ჰყენჰყონა** იგივეა, რაც **ჰყენჰყონა**, – ჰაობიანი ადგილი; ჰყონა მუხნარი. ჰა, გჰ თიბლით **ჯალონც**, ჰყონას – აჰა, გამოვედით ხენარიდან, მუხნარიდან; **ჰყოჰყონა** იგივეა, რაც ჰყენჰყონა, – ჰანჰრობი; წყლიანი ადგილი. ისირს **ჰყოჰყონა** უჰ ორს „ისლს წყლიანი ადგილი უყვარს (მასალეები, ტ. 1, 88); **ჯალონ-ი/ჯალონა** ტყე; ადგილი, სადაც ბევრი ხეა, ტყიანი ზონა. თხა **ჯალონს** იდიარს, შხური – შუმელს „თხა ტყიან ადგილას ბალახობს, ცხვარი – უტყეო ადგილზე (შიშველზე) (მასალეები, ტ. 4, ნაწ. 1, 213); **ქუცონ-ი** იგივეა, რაც **ქირცხონი**, „ეკალბარდიანი ადგილი“ (ქაჯაია); **კაკლარონ-ი** შამზნარი, ეკალნარი. **კაკლარონს** მითვორექ (ქხს, 1, 74) „შამზნარში (//ეკალნარში) ვდგავარ“. **კაკლარონი** გეგნოჰვარეს (სამუშ., ქხპს, 160) „ეკლიანი გადაკაფეს“. შდრ. ტოპონ. **კაკლონი**; **ელონ-ი** ტოპონ. იელიანი ადგილი. ელი ჩანსინი, თი არდგილს უმახუნა **ელონს** „იელი რომ ხარობს, იმ ადგილს ემახიან იელიანს“ (ქაჯაია); **შქერონ-ი** „ადგილი, სადაც ბევრი შქერია“; **ცხემურონ-ი** „რცხილნარი“; **სურონა** „ადგილი, სადაც ბევრი სურო ხარობს“; **სკალონა** „ადგილი, სადაც ბევრი სკაა“; **ქურცხონი** „ქაცვნარი“. შდრ. გურ. **ქურცხი** გაუვალი ტყე (პ. ჯაჯან., ა. ლლ.); **ქუცონი** „იგივეა, რაც **ქირცხონი**, – ეკალბარდნარი; **ქურონა** „ბუჩქნარი“...

ო- ა კონფიქსიცი მოქმედებდა ისტორიულად: **ო-ხოჯ-ა, ო-ზჩ-ა...**

ქართულისებური (პრეფიქს-სუფიქსიანი) წარმოება ნამდვილად გვაქვს სუფიქსიანი წარმო-ებასთან ერთად:

ო-ტყალ-ე „სატყეო, ტყიანი (ადგილი)“; ე ოფე... **ოტყალე** დო კაკლარონი (მასალ., 120) „ყოფილა... ტყიანი, ბარდ-ეკლიანი (ადგილი)“.

ტყალ-ონ-ი „ტყიანი ადგილი; ბუჩქნარი“. მუკე-მუკე გვალეფი რე, **ტყალონი**, მინ ტკილი ფალო (მასალ., 109) „გარშემო მთებია, ტყიანი (ადგილი), ზოგი ხალასი ტკილი; ჰიჰე **ტყალონი** ბუჩქნარი“ (ყიფშ.).

ო-ბერწულ-ე „საბროწეულო, - ადგილი, სადაც ბროწეულის ხეები დგას (ქაჯაია).

ბერწულ-ონა ადგილი, სადაც ბროწეულის ბევრი ხე დგას (ქაჯაია);

ო-ცხემურ-ე, ო-ცხიმურ-ე „რცხილნარი, რცხილიანი (ადგილი)“.

ცხემურ-ონ-ი, ცხიმურ-ონ-ი „რცხილნარი, რცხილიანი (ადგილი)“.

ო-გვიმარ-ე „გვიმრიანი (ადგილი)“

გვიმარ-ონ-ი გვიმნარი, გვიმრიანი ადგილი. დიიშუმუნა დო უკული მითოძუნა გვიმარონს „დათვრებიან და შემდეგ გვიმრიან ადგილზე წვანან“. იხ. **გუმარონი** (ქაჯაია);

ო-თხირ-ე „თხილნარი, თხილიანი (ადგილი)“.

თხირ-ონა იგივეა, რაც **თხინა**, – „თხილნარი“; ადგილი, სადაც ბევრი თხილის ხე დგას.

თხირონაშა მიფშით ონანკვერუშა წილუაში უკული „თხილნარში მივდიოდით სარჩევად (ნარჩენის მოსაგროვებლად) თხილის მოკრეფის შემდეგ“ (ქაჯაია);

ო-ჰუბურ-ე „ადგილი, სადაც ბევრი წაბლის ხეა, საწაბლე, წაბლიანი (ადგილი)“.

ჰუბურონა იგივეა, რაც **ოჰუბურე**, – ტოპონ. წაბლის ხეებიანი ადგილი, წაბლნარი (ქაჯაია);

ო-ჭუჭელ-ე „ადგილი, სადაც ბევრი ჭინჭარია, საჭინჭრე, ჭინჭრიანი (ადგილი)“. ოჭუჭელეს ქემუნთხი (ქაჯაია) „საჭინჭრეში ჩავვარდი (დავეცი).“

ჭუჭელონ-ი *ტოპონ.* ადგილი, სადაც ბევრი ჭინჭარი ხარობს (არის) (ქაჯაია);

ო-თხომუ-ე ადგილი, სადაც ბევრი თხმელა (მურყანი) არის (ხარობს), - თხმელნარი, თხმელიანი (ადგილი)“.

თხომურონ-ი იგივეა, რაც **თხომულონი**, – „თხმელნარი“, „მურყნარი“...

მაგრამ ყოველთვის არ არის შესაძლებელი ამგვარი პარალელიზმი და სუფიქსიანი ფორმა ერთადერთი ჩანს; ასე, მაგალითად, **ქვალონი** (არ არის **ოქვალე**), **ელონი** (არ არის **ოელე**), **ჯალონი** (არა გვაქვს **ოჯალე**)...

მეორე მხრივ, ასევე უალტერნატივო ფორმებია: **ომანდარინე**, **ოლიმონე**, **ოჩაიე**...

ორდინარულ ფორმებთან ერთად დასტურდება ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტები:

ერთი მხრივ,

ო-ჭყონ-ე „ადგილი, სადაც ბევრი მუხაა, მუხიანი“. ეკიბლი გვალაშა დო ქეგნოჯინი **ოჭყონეს** (ქხს, 1, 180) „ავედი მთაზე და გადმოვხედე სამუხეს (ტყეს)“.

შდრ.:

ჭყონონ-ი „იგივეა, რაც **ჭყონა**, მუხნარი“ (პ. ჭარ.).

ჭყონა „მუხნარი“. ჰა, გგ თიბლით **ჯალონც**, **ჭყონას** „აჰა, გამოვედით ხენარიდან, მუხნარიდან“ (ქაჯაია).

თხირონა იგივეა, რაც **თხინა**, – „თხილნარი“; ადგილი, სადაც ბევრი თხილის ხე დგას (ქაჯაია).

თხინა „თხილნარი“. დგ კი რზენი მომიძე ნ დო ჟიმოლეშე ტყა დო **თხინა** (ხუბ., 345) „ქვევით დაბლობი მომევს და ზემო მხარეს ტყე და თხილნარი“. ჩქიმ ტორონჯი გატყარებე, ქუფურინუ **თხინაშა** (ქხს, 1, 108) „ჩემი მტრედი გაველურებულა, გაფრენილა თხილნარისაკენ“.

თხომლონ-ი//თხომულონ-ი „ადგილი, სადაც ბევრი თხმელა (მურყანი) ხარობს, – თხმელნარი, თხმელის ტყე.

შდრ.:

თხომნა < თხომუ-ნა < თხომუ-ონა (ცხად., კატალ. 77);

იშვიათად გვაქვს ორმაგი წარმოების შემთხვევებიც, – **-ონ** სუფიქსთან ერთად პრეფიქსიც დასტურდება:

ოთხირონ-ი *ტოპონ.* თხილნარი (გ. ელიავა, კატალ., გვ. 76).

ოლაკაცონ-ი „სააკაციო. იგივეა, რაც **ლაკაცონი**, – ადგილი, სადაც აკაციები დგას (ცხად., ტოპონ., გვ. 65).

ომუნჩქვონი: **ომუნჩქვე** *ტოპონ.* „სამაჩვე“. *შდრ.* მუნჩქვი. *ტოპონ.* **ომუნჩქვონი** (ცხად., ტოპონ., 65).

-ონ სუფიქსი ქონების სახელთა გავრცელებული მაწარმოებელია ლაზურში: „**ონ-ი** (>ონ-ი) იხმარება არსებით სახელთაგან ზედსართავ სახელთა საწარმოებლად, რომელნიც აღნიშნავენ რისამე ქონებას ანდა რისამე სიჭარბეს, მაგალ.: **ბულუტონი** „ღრუბლიანი“, **ილონი** „ძვლიანი“, **შექერონი** „შაქრიანი“, **ჯუმონი** „მარილიანი“, **ნოსონი** „ჭკვიანი“, **ნოსტონი** „გემრიელი“, **დოხონი** „სახელოვანი“. ზმნისეული ფუძისაგან **-ონ** სუფიქსის შემწეობით მიიღება მოქმედი სახელი: **ჭარონი** (= მწერალი) [მარი, 1914, 73].“

თავის ლექსიკონში (რომელიც „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკას“ ერთვის), მარს შემდეგი ფორმები აქვს წარმოდგენილი:

გურონი „გულადი“, „გულიანი“, თოლონი „თვალიანი“, კანჩონი „კავიანი“, კიბირონი „კბილიანი“, კომონი „კვამლიანი“, ლეზონი „ტალახიანი“, ყალონი „ყელიანი“ (ფეხსაცმელი), კვავილონი „ყვავილიანი“, ყუჯონი, უჯონი „ყურიანი“, შურონი „სუნიანი“, ჩილამურონი, ჩილამბრონი „ცრემლიანი“, წკარონი „წყლიანი“, ხვანჩონი „ხვანჩიანი“ (ავადმყოფობა), ჩონი „თეთრტანისამოსიანი“, ჯირონი „ძილიანი“, კინონი „ინიანი“ და სხვ.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ განხორციელებული ცვლილებების შემდეგ ქონების სემანტიკის გადმოცემა -ა სუფიქსის მეშვეობით ხდება.

-ა-ონ- > ა-ლ-ონ:

ტყა-ონ-ი > ტყა-ლ-ონი

სკა-ონ-ა > სკა-ლ-ონა

ჯა-ონ-ი > ჯა-ლ-ონი

ქუა-ონ-ი > ქუა-ლ-ონი...

საკმაოდ პროდუქტიულია ლაზურში შემდეგი წარმოება:

ო - ა:

ო-ბიჯან-ა

ო-ჭადან-ა

ო-ქურ-ა

ო-მჯორ-ა

ო-ნჩხურ-ა

ო- ე:

ო-ბალულ-ე

ო-ჭეფ-ე

ო-ისირი-ე

ო-იხ-ე

ო-მოხალ-ე

ო- -ონ-ი:

ო-ჯუბალ-ონ-ი

ო-ქანგილ-ონ-ი

ო-კანწურ-ონ-ი

ო-სვარაფ-ონ-ი

ო-ხრამბ-ონ-ი

ო- -ონა:

ო-ბარაშ-ონა

ო-ჭორ-ონა

ო-კინჩ-ონა

ო-შკურ-ონა

შდრ.: მეგრ.:

ო -ონ-ი

ო-თხირ-ონ-ი

ო-ლაკაც-ონ-ი

ო-მუნჩქე-ონ-ი...

არნ. ჩიქობავა სამართლიანად თვლის, რომ მეგრული და ლაზური -ონ სუფიქსი ერთი და იგივეა არამხოლოდ მასალობრივად: „რომ ეს -ონ სუფიქსი ხსენებული ჭანური სუფიქსია, ზედმეტად მტკიცდება ჭანურის ასეთი მაგალითებით: „ბინეხონა“, „ბინეხეფუნა“ „много лоз“, ზვარი; ბულონი; ლიმხანაფუნა; ლიმხვანაფუნა; ლიმხონონა (ლიმხონა = გვიმრა!) „место, поросшее папоротниками; пустыня“ თხირეფუნა, თხირონა, თხიონა, ონთხირა „орешник“. ამ შემთხვევაში -ონ სუფიქსს იგივე მნიშვნელობა აქვს ჭანურში, როგორც მას აღმოაჩნდა მეგრულში ნაშთის სახით ხმარებულ შემთხვევებში“ [ჩიქობავა, 2008/1, 549].

არნ. ჩიქობავა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს წარმოების ერთგვაროვნებას ლაზურსა და მეგრულში: „ბინეხონა (=ვენახოვანი ადგილი, ვენახნარი), თხირონა (= თხილოვანი ადგილი, თხილნარი), ლიმხონონა (=გვიმროვანი ადგილი, „გვიმნარი“) – ისეთივე წარმოება მთლიანად, როგორცაა მეგრული: ჭუბურონა, გვიმარონა, ჭორთონა...“ [იქვე].

მაგრამ იგი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ „ჭანურ სამსავე ხსენებულ მაგალითს პარალელებიც მოეპოვებათ: ბინეხეფუნა – ბინეხონა-ს გვერდით; თხირეფუნა – თხირონა-ს გვერდით; ლიმხანეფუნა, ლიმხვანეფუნა – ლიმხონონა-ს წილ“ [იქვე].

ეს ფორმები, პირველ რიგში, საინტერესოა იმ მხრივ, რომ აქ გვაქვს -უნ-ა (<-ონ-ა): ამის მიზეზი ბაგისმიერი ფ უნდა იყოს: ო-ს უ-დ დავიწროებისათვის მას უნდა შეეწყოს ხელი [იქვე].

რა არის ეს ფ? – მრავლობითი რიცხვის სუფიქსისეული კომპონენტი. ჩვეულებრივ, დერივაციული მორფემა მხოლობითის ფუძეს დაერთვის, თუმცა ამ შემთხვევაში დერივაციის ფორმალურ საყრდენად სრულიად აშკარად გამოყენებულია მრავლობითის რიცხვის ფუძე.

მკვლევარი აანალიზებს მეგრ. „ჭველეთონა“ სიტყვის შედგენილობას: „ჭველ“-ი ჯვარში ამჟამადაც იხმარება „ჭორთ“-ის მნიშვნელობით; ცხადია, ამ სიტყვაში -ეთ და -ონ მაწარმოებელი სუფიქსებია... -ეთ სიმრავლეს გვიჩვენებს... -ეთ სუფიქსი ქვეყნების დაბოლოებათა გარდა (ამ შემთხვევაში -ეთ მოსახლის სახელს ემატება: კახ-ეთ-ი, სვან-ეთ-ი, ოს-ეთი, რუს-ეთ-ი...) მრავლად გვხვდება, საერთოდ, ადგილთა სახელების მაწარმოებლად... არსებითად მართებულია აკად. ნ. მარის შეხედულება და -ეთ სუფიქსი რისამე ანუ ვისამე მრავლად მყოფობის ადგილს აღნიშნავს... „ჭველეთონა“-ში, ამრიგად, უნდა გვქონდეს ორმაგი წარმოება: 1. ჭველეთ“-ი უკვე აღნიშნავდა იმ ადგილს, სადაც „ჭველი“ ბლომად ხარობს (შდრ. თელეთი, წკნელიეთი, ვაშლიეთი, ბჟოლიეთი...). აქედან 2. გამეორებით აწარმოებს -ონ-ის საშუალებით: ჭველეთონა, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს. ამის მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ -ეთ, როგორც მაწარმოებელი, მკვდარი იყო და მისი ფუნქციის აღმასრულებლად აწვიეს -ონ სუფიქსი, – იმ ეთნიური წრისათვის ცოცხალი“ [იქვე].

არნ. ჩიქობავა დასაშვებად მიიჩნევს სხვანაირ ახსნასაც: „შეიძლება სხვაგვარადაც წარმოგვედგინა საქმე: -ეთ მრავლობითის სუფიქსად მიგვეჩნია და წარმოებაში: „ჭველეთონა“ დაგვენახა ანალოგიური წარმოება ჭანურ „თხირეფუნა“, „ბინეხეფუნა“, „ლიმხვანეფუნა“... [იქვე].

ეს მოსაზრება უფრო დამაჯერებელი და მისაღები ჩანს და მის საფუძველზე გაანალიზებული ფორმები ქართული ზუსტი ინტერპრეტაციითურთ ასეთი იქნება:

ლაზ.: **ბინეხეფუნა** „ვენახებიანი (ადგილი)“, **თხირეფუნა** „თხილებიანი (ადგილი)“, **ლიმხანაფუნა** „გვიმრებიანი (ადგილი)“;

მეგრ.: **ჭველეთონა** „ჭველებიანი (ადგილი)“.

მეგრულ **ჭველეთონა**-ში დადასტურებული -**ეთ** ქართულიდან ნასესხები ფორმანტია, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს; ფაქტია, რომ **-ონ** სუფიქსი მრავლობითის ფუძეს დაერთვის, – სწორედ ეს არის უჩვეულო, რამდენადაც, ჩვეულებრივ, დერივაციული ტრანსფორმაციისთვის გამოყენებულია მხოლოდითი რიცხვის ფუძე (უჩვეულოა ეს როგორც ლაზურისთვის, ისე მეგრულისთვის).

ბინეხეფუნა, **თხირეფუნა** ტიპის მაგალითები არნ. ჩიქობავას აფიქრებინებს, რომ ქართულშიც ამ შემთხვევაში ანალოგიური წარმოება: **-ნ** მრავლობითობის სუფიქსია, **-არ** კი მეორე სუფიქსი, რომელიც თავის მნიშვნელობით შეიძლება ჰქონდეს **-ონ**-ისათვის გაგვეთანაბრებინა“ [იქვე, 552].

ამგვარი ახსნის გაზიარებას ართულებს, ერთი მხრივ, ის, რომ „ასეთი მნიშვნელობით არ სუფიქსი ქართულში არ გვხვდება“ [იქვე];

მეორე მხრივ, კარგად იკვეთება ქართ. **-(ი)ან**-ისა და ლაზ.-მეგრული **-ონ**-ის მასალობრივი და ფუნქციური კავშირი: **ჭუბურ-ონ-ი**, **თხირ-ონ-ი**, **ბინეხ-ონ-ი**... ფორმების გრამატიკული ეკვივალენტებია: **თელ-იან-ი**, **შამბ-იან-ი**, **ვაზ-იან-ი**, **ბირკ-იან-ი**, **ნიგვზიანი**, **პანტიანი**, **მუხიანი**... (შდრ. ასევე ქაჯაია, ლექსიკონი).

მეგრული **-ონ** ტოპომორფმად ქცევის ტენდენციას ავლენს, – შედარებით ნაკლებად, მაგრამ მაინც აქვს ეს ფუნქცია ლაზურ **-ონ** აფიქსს, ისევე როგორც მათ მორფო-ფონეტიკურ ქართულ ეკვივალენტს – **-იან** სუფიქსს:

ჭუბრონა (კარტ. II, 359) „წაბლიანი“, **თხირონა** (კარტ. II, 360) „თხილიანი“, **დანძონა** (კარტ. II, 358) „ეკლიანი“, **ცხემზონა** (კარტ. II, 359) „რცხილიანი“, **ჭკონუნა** (კარტ. II, 354) „მუხიანი“, **თხომზონა** (კარტ. II, 362) „თხმელიანი“, **მშქერონა** (კარტ. II, 361) „შქერიანი“, **სქინდონა** (სარგ. მეტყ.) „შინდიანი“...

ლაზურში, როგორც აღინიშნა, მრავლობით რიცხვში ბაგისმიერი ბგერის მეზობლობაში **-ონ-ა** სუფიქსი **-უნ-ა** სუფიქსითაა წარმოდგენილი და ქართული **-ნ-არ** სუფიქსის შესატყვისია და ქართული **-ნ-არ** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელების შესაბამისი ფუნქციით გადმოიცემა:

კაკაღეფუნა (კარტ. II, 353) „კაკლნარი“, **უშქიეფუნა** (კარტ. II, 353) „ვაშლნარი“, **მწკოეფუნა** (კარტ. II, 357) „წყაენარი“, **მთხერეფუნა** (სარგ. მეტყვ.) „თხილნარი“, **ინჭირეფუნა** (კარტ. II, 359) „ანწლნარი“...

სხვა სახელთაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: **მაყაყონა** (კარტ. II, 353) „მაყაყებიანი“, **ქვალონა** (კარტ. II, 358) „ქვიანი“, **ჭანჭახონა** (კარტ. II, 362) „ჭანჭრობიანი“...

მცენარეთა კრებულს აღნიშნავს **-ერა**:

წიფ-ერა / ოწიფურე (შდრ. წიფური „წიფელი“) ადგილი, სადაც ბევრი წიფელი ხარობს. **ლულ-ერა** (შდრ. ლული „ლეღვი“) ადგილი, სადაც ბევრი ლეღვი ხარობს. **ცხემ-ერა** (შდრ. ცხემური „რცხილა“) ადგილი, სადაც ბევრი რცხილაა (შდრ. ცხად., ტოპონ., 78).

I.2.13. გეოგრაფიული სახელები.

გეოგრაფიული სახელები ქართულში სხვადასხვა წარმოშობისაა: ნაწილს საფუძვლად უდევს მცენარის, ცხოველის, ფრინველის, მინერალის თუ სხვა საგნის სახელი, ნაწილი ამა თუ იმ გვარისაგან არის წარმომდგარი.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ყოველგვარი საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე დასახლებულ პუნქტს და იქცეს გეოგრაფიულ სახელად.

ასევე შეიძლება საკუთარი (ადამიანის) სახელიც იქცეს სპეციალური მაწარმოებლების გარეშე გეოგრაფიულ სახელად; მაგ.: **გუდავა** (სოფელი გალის რ-ში), **მიქავა** (სოფელი წალენჯიხის რ-ში), **მუჟავა** (სოფელი წალენჯიხის რ-ში), **წერეთელი** (სოფელი მარნეულის რ-ში)...

მცენარის სახელი გარდაიქმნება გეოგრაფიულ სახელად ყოველგვარი დამატებითი მარკირების გარეშე; მაგ.: **ცაცხვი** „ცაცხვი“ (სოფელი ზუგდიდის რ-ში), **ბია** (სოფელი ხობის რ-ში)...

საერთოდ, ტოპონიმიზაციის გამოკვეთილი პოტენციალი და რესურსი აქვს წინა ვითარების, სიმრავლის აღმნიშვნელ, დანიშნულების, კნინობითობის სახელებს; ბევრი გეოგრაფიული სახელი **ნაგენეტივარია**.

უფრო ხშირია და გავრცელებული სინტაგმური (მსაზღვრელ-საზღვრულიანი) ტოპონიმები („დასახლებული პუნქტების ერთი წყება წარმოადგენს კომპოზიტს, რომლის მეორე ნაწილია საზოგადო სახელი: ქალაქი, დაბა, სოფელი, უბანი, ციხე, ჯვარი, წყარო, ყანა, ხიდი და სხვ., პირველი ნაწილი კი მსაზღვრელია: ახალ-ქალაქი, ახალ-სოფელი, ახალ-დაბა... [შანიძე, 1980, 137].

ამათ შეიძლება ვუწოდოთ **გეოგრაფიული კომპოზიტები ან ტოპოკომპოზიტები**, - გამომდინარე იქიდან, რომ მათ **შინაარსი** გეოგრაფიული სახელებისა აქვთ, **ფორმა** კი რთული სახელებისა, რომელთაც არა აქვთ სპეციალური მატოპონიმიზებული აფიქსები (იხ. ქვევით):

დიდინეძი, დიდნეძი „დიდინიგოზი“ (სოფ. ზუგდიდის რ-ში), **დიდი ჭყონი** (სოფ. მარტვილის რ-ში), **შდრ. დიდმუხა** (სოფ. ზნაურის რ-ში), **დიდი წიფური** „დიდი წიფელი“ (სოფ. დიხაზურგის ძველი სახელწოდება), **ჭყონხუმლა** „მუხახმელი“ (სოფ. გალის რ-ში), **ჩეგოლა** „თეთრმთა“ (მთა ჩხოროწყუს რ-ში); **შდრ. შაველე** (მდ. ხობის რ-ში)...

უნდა გამოიყოს, ერთი მხრივ, საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებლები, მეორე მხრივ კი ის აფიქსები, რომელთა პირვანდელი ფუნქცია სხვა არის, მაგრამ რეინტერპრეტაციის შედეგად მათ შეუძლიათ გეოგრაფიული სახელების აღნიშვნა.

ქართულში საკუთრივ გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ აფიქსებად გამოიყოფა: - **ეთ**, **-ით**, **სა-** **-ეთ**, **სა-** **-ის** აფიქსები.

ს. ჯანაშია და ვ. თოფურია **-ეთ** მაწარმოებელს გენეტურად მრავლობითობის **-თ(ეთ)** დაბოლოებას უკავშირებენ. ვ. თოფურიას აზრით, გეოგრაფიულ სახელად გვქონდა მსაზღვრელ-საზღვრული, რომლის პირველი კომპონენტი **თანიანი** მრავლობითის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა იყო და საზღვრულის დაკარგვის შემდეგ ტოპონიმად მხოლოდ იგი დარჩა.

ქართულ **-ეთ** ტოპონიმთა საწარმოებელ სუფიქსს კანონზომიერად შეესატყვისება მეგრულ-ლაზურში **-ათ** [ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, 12].

-ათ სუფიქსი ყველაზე პროდუქტიულია ლაზეთის გეოგრაფიულ სახელთა ნუსხაში. იგი გამოიყენება სოფლების, უბნების, ადგილების აღმნიშვნელ სახელებთან:

ჭარმათი (კარტ. II. 355), **კიტრათი** (კარტ. II, 353), **ბოგათი** (კარტ. II. 354), **მამანათი** (კარტ. II, 355), **კუკულათი** (კარტ. II, 364) **ზანათი** (კარტ. II. 365), **პაპათი** (კარტ. 366) **ხინჯათი** (კარტ. II, 367) **ტალვათი** (კარტ. II. 366), **ხემშილათი** (კარტ. II, 357) **ბაჩივათი** (კარტ. II, 363), **კომათი** (კარტ. II, 363); **დურმათი**, **ჭუკალვათი**, **იანივათი**, **პალივათი**, **დუდუვათი**, **თორდოვათი**, **მამაკივათი**||**მამაჭივათი** (შონია, 79).

მოძიებული მასალის მიხედვით -ით სუფიქსიანმა გეოგრაფიულმა სახელმა ლაზეთის ტოპონიმიაში სამ ათეულს მიაღწია და დასტურდება სოფლების, უბნების ადგილების აღმნიშვნელ სიტყვებში:

ღინკითი (კარტ. II, 354), **ფოთელითი** (კარტ. II, 359), **პერონითი** (კარტ. II, 354), **ვარდვანითი** (კარტ. II, 354), **თკორითი** (კარტ. II, 354), **კორდელითი** (კარტ. II, 355), **ავრამითი** (კარტ. II, 364).

-ეთ სუფიქსი ქართულში ცნობილი ტოპოფორმანტია და ყველაზე პროდუქტიულია ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში, არაიშვიათია ლაზეთის ტოპონომიაშიც:

ცხუეთი (კარტ. II, 355), **მანიაკეთი** (კარტ. II, 353), **ჭანეთი** (კარტ. II, 353), **ისიეთი** (კარტ. II, 355), **ფილარგეთი** (კარტ. II, 356), **ამგვანეთი** (კარტ. II, 359), **სულეთი** (კარტ. II, 336), **თოლიქრეთი**, **ჭამპეთი**||**ჭანპეთი**||**ჭანაპეთი**, **ფილარგეთი** (შონია, 79)...

-ეთ და -ით მონაცვლე სახელების ნიმუში იქნება:

ვანეთი/ვანითი (კარტ. II, 355), **კოსტანეთი/კოსტანითი** (კარტ. II, 355).

-ეთ, -ით/-თ ჩანს მეგრულ გეოგრაფიულ სახელებშიც;

-ეთ:

გულუხეთი (სოფ. აბაშის რ-ი), **ბოგვეთი** (სოფ. გალის რ-ში), **გეჯეთი** (სოფ. სენაკის რ-ში), **შეშელეთი** (სოფ. გალის რ-ში), **სერგიეთი** (სოფ. მარტვილის რ-ში), **სეფიეთი** (სოფ. აბაშის რ-ში), **ერგეტა** < ***ერგ-ეთ-ა** (სოფ. ზუგდიდის რ-ში)...

-ათ:

კახათი (სოფ. ზუგდიდის რ-ში), **თეკლათი** (სოფ. სენაკის რ-ში), **აბედათი** (მთა და სოფ. მარტვილის რ-ში), **გუგუნაყათი** (სოფლები აბაშის რ-ში), **ყორათი** (სოფ. ხობის რ-ში)...

-ით/-თ:

ჯუმითი (სოფ. ჩხოროწყის რ-ში), შდრ.: **ჯუმათი** (სოფ. ოზურგეთის რ-ში); **ბობოთი** (სოფ. მარტვილის რ-ში), **ჟინოთა** (სოფ. მარტვილის რ-ში)...

I.2.13.1. დანიშნულების სახელთა აფიქსები ტოპომორფემებად.

გეოგრაფიულ სახელებში გამოყენებულია დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი აფიქსები: **ო-** -**ე**:

ოჯოლორე (მდ. გალის რაიონში); **ოირემე** (სოფ. ზუგდიდის რაიონში); **ოკალმახე** (მდ. წალენიხის რაიონში); **ოჩხამური** (დაბა ქობულეთის რაიონში); **ოჩხომური** მდ. ხობისა და ჩხოროწყუს რაიონში, სოფ. ჩხოროწყუს რ-ში); **ოკვინორე** (მდ. და სოფ. გალის რაიონში); **ოფაჩხაფუ** (სოფ. ზუგდიდის რაიონში); **ოფიცარე** (მთა მარტვილის რაიონში); **ოქაჯე** (მდ. ჩხოროწყუს რაიონში); **ოცარცე** (სოფ. გალის რაიონში); **ოჭუბურე** (სოფ. სოხუმის რაიონში); **ოისირე** (მთა გალის რაიონში)...

ლაზეთის გეოგრაფიულ სახელთა ნომენკლატურაში წარმოქმნის საშუალებებს შორის გარკვეული ადგილი უჭირავს პრეფიქსულ წარმოებას, რომელიც ნაკლები სიხშირით ხასიათდება, როგორც ეს საერთოდ ქართველურ ტოპონიმშია.

პრეფიქსები **ო-** (ქართ. **სა-**) და **ნო-** (ქართ. **ნა-**) რეალიზებულია წინა ვითარებისა და დანიშნულების სახელებში. ამ ელემენტთა ფუნქცია სპეციალურ ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი. პრეფიქსულ-სუფიქსური თუ კონფიქსური მორფემების დართვით ზმნურფუძიანი წარმოქმნილი გეოგრაფიული სახელები წარმოადგენს ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმდევრებს, სახელურფუძიანი კი წინავითარების, დანიშნულების, წარმომავლობის სახელებს. დერივაციული ტოპონიმები ან ზმნებისაგან მომდინარეობენ ან სახელებისაგან.

ლაზეთის ტოპონიმისათვის ნიშანდობლივია პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება.

ო- ე (ქართ. **სა- ე**) წარმოება მეტწილად მიკროტოპონიმიაში შეინიშნება:

ოტოროჯე (კარტ. II, 353) „სამტრედე“, **ომქიდე** (კარტ. II, 353) „საფქვილე“, **ოისიდე** (კარტ. II, 353) „საისლე“, **ოლიმხონე** (კარტ. II, 363) „საგვიმრე“, **ომოხოლე** (კარტ. II, 359) „სამახე“ (მახა - ხორბლის ჯიში), **ობუბე** (სარგ. მეტყვ.) „საღამურე“, **ოჭალანე** (სარგ. მეტყვ.) „საკვიბორჩხლე“, **ოთხეე** (სარგ. მეტყვ.) „სათხილე“...

ო- ურა: **ო-ქორთ-ურა**... „საქართველო“;

შდრ.:

ქორთოლ-**ონა** „საქართველო“, **ლაზ-ონა** „ლაზეთი“...

მეგრულში გეოგრაფიულ სახელთა გავრცელებული მაწარმოებელია **სა- -ო**; **სა-** პრეფიქსთან კომბინაციაშია **-ო** სუფიქსი, ქართ. **ო-**ს მეგრულ-ლაზური შესატყვისი; ანუ, გვაქვს შერეული წარმოება: ქართულიდან შეთვისებული **სა-** პრეფიქსი და ქართველური შესა-ტყვისობა **-ო** სუფიქსის სახით:

სამარგალო „სამეგრელო“; **სამარგალო** - ოდაბადე ჩქიმი (ქაჯაია) „სამეგრელო - სამშობლო ჩემი“; **საქორთულო** „საქართველო“: გიგ ორდასგ კუნთხუ სქანი, სქანი კუნთხუ **საქორთულო** (სამუშ., 112) „გიყვარდეს კუთხე შენი, შენი კუთხე საქართველო“; **საჭყონდო** რელიგ. სამეგრელოს ეპარქია, - **საჭყონდიდო**; **სააფხაზო** „აფხაზეთი“: **სააფხაზოშე** ახალი მული რე (ქაჯაია) „აფხაზეთიდან ახალი მოსულია“; **სამურზაყანო**: ისტორიული მხარე დასავლეთ საქარ-თველოში, მოიცავდა ძირითადად ახლანდელი გალის რაიონის ტერიტორიას; **სადადიანო**: დადიანების სამფლობელო...

-ონა მეგრულშიც უნდა ყოფილიყო, რაზეც ცალსახად მიუთითებს ტოპ. აფხაზ-**ანა** < *აფხაზ-**ონა**; შდრ. ჯაპ-**ანა** < ჯაპ-**ონა**.

-ი-ა-ო > **-ი-ო** (ია-ზე დაბოლოებულ გვარებში):

საადამიო (სოფ. სენაკის რ-ში); **საალანიო-საფაჩულიო** (სოფ. ხობის რ-ში); **საბერიო** (სოფ. გალის რ-ში); **საბესელიო** (სოფ. სენაკის რ-ში); **საბუკიო** (სოფ. ხობის რ-ში); **საბულისკერიო**

(სოფ. გალის რ-ში); **საგაბესკერიო** (სოფ. სენაკის რ-ში); **საგვარამიო** (სოფ. სენაკის რ-ში); **საგვიჩიო** (სოფ. სენაკისა და ხობის რ-ში); **საგუნთიო** (სოფ. სენაკის რ-ში); **საესებუო** (სოფ. სენაკის რ-ში); **საკვიკვინიო** (სოფ. ხობის რ-ში); **საკილასონიო** (სოფ. სენაკის რ-ში); **სამესხიო** (სოფ. წალენჯიხის რ-ში); **სანაჭყებიო** (სოფ. მარტვილის რ-ში); **საოდიშარიო** (სოფ. სენაკის რ-ში); **საქირიო** (სოფ. ხობის რ-ში); **საქორქიო** (სოფ. ხობის რ-ში); **საშარანგიო** (სოფ. მუხურის ძველი სახელწოდება); **საჩოჩიო** (სოფ. აბაშისპირის ძვ. სახელწოდება); **საჭოჭუო** (სოფ. ხობის რ-ში); **სახარბედიო** (სოფ. სენაკის რ-ში); **სახახუბიო** (სოფ. გალის რაიონში); **სამელიო** (სოფ. გალის რ-ში)...

აია-ზე დაბოლოებულ ფუძეში ცვლილებები არ ხდება:

(**ადანაია >**) **საადანაიო** (სოფ. სენაკის რ-ში); (**ბეჭვაია >**) **საბეჭვაიო** (სოფ. ზუგდიდის რ-ში); (**შურღაია >**) **საშურღაიო** (სოფ. სენაკის რ-ში)...

ავა-ზე დაბოლოებულ ფუძეებში -ო-ს დართვა ცვლილებებს არ იწვევს (თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ზეპირ მეტყველებაში ო-ს წინ ჩვეულებრივია ვ-ს დაკარგვა):

(**ბერულავა >**) **საბერულავო** (სოფ. მარტვილის რ-ში); (**ბოკურავა >**) **საბოკურავო** (სოფ. აბაშის რ-ში); (**გვაზავა >**) **საგვაზავო** (სოფ. აბაშა რ-ში); (**გუგუნავა >**) **საგუგუნავო** (სოფ. სენაკის რ-ში); (**ელღავა >**) **საელღავო** (სოფ. მარტვილის რ-ში); (**კუკავა >**) **საკუკავო** (სოფ. ხობის რ-ში); (**მიქავა >**) **სამიქავო** (სოფ. აბაშის რ-ში); (**ტყებურავა >**) **სატყებურავო** (სოფ. სენაკის რ-ში); (**ღვამიჩავა >**) **საღვამიჩავო** (სოფ. ხობის რ-ში); (**ჩიქობავა >**) **საჩიქობავო** (სოფ. სენაკის რ-ში); (**ცხვიტავა >**) **საცხვიტავო** (სოფ. სენაკის რ-ში); (**ხოჭოლავა >**) **სახოჭოლავო** (სოფ. ხობის რ-ში)...

იშვიათად ოდენპრეფიქსული წარმოება გვაქვს:

(**ჩაჩხალია >**) **საჩაჩხალია** (სოფ. ოჩამჩირის რ-ში);

ლე- პრეფიქსი -ე სუფიქსთან გვარებისაგან აწარმოებს ადგილის სახელებს (ტოპონიმებს): **ლე-სიჭინა-ე** (შდრ. გვარი **სიჭინა**), **ლე-გაგუ-ე** (შდრ. **გაგუა**), **ლე-კაჭარ-ე** (შდრ. **კაჭარა**), **ლე-კეკელ-ე** (შდრ. **კეკელია**), **ლე-პატარ-ე** (შდრ. **პატარაია**), **ლე-დგები-ე** (შდრ. **დგებია**), **ლე-ქაჯაი-ე** (შდრ. **ქაჯაია**)...

სავარაუდოა, რომ ადრე ის საზოგადო სახელებსაც ერთოდა: **ლე-ფშალ-ე** (შდრ. **ფშალე/ფშაე** „სვია“), **ლე-გვიმარ-ე** (შდრ. გვიმარა „გვიმრა“), **ლე-შქიშქილ-ე** (შდრ. **შქიშქილი** „ლორთქო, ნორჩი ბალახი, ყლორტი“), **ლე-ბაღ-ე** (შდრ. **ბაღი/ბაღე** „ბედელი“) [ცხად., ტოპ., 72]. **ლე-გინ-ე** (შდრ. **გინი** „ხბო“) [ელიავა, კატ., 40].

ლე- -ე პრეფიქს-სუფიქსი **სა-** -**ო** აფიქსების ფუნქციური ეკვივალენტია. **ლე-** პრეფიქსი სვანური ჩანს (იხ. [ცაგარელი; ყიფშიძე; ჯანაშვილი; თოფურია...]).

ლე- -ე წარმოება ძველია, **სა-** -**ო** - ახალი. ორივე ტიპის წარმოებისას ამოსავალია გვარი, რომლითაც იყო დასახლებული სოფელი [ჩიქობავა, 1974, 70].

ლე- პრეფიქსთან კომბინაციაში, როგორც წესი, არის -ე სუფიქსი. **ლე-** -ე და **სა-** -**ო** აფიქსაცია, ჩვეულებრივ, სხვადასხვა ფუძეებთან (გვარებთან) გვხვდება, მაგრამ იშვიათად ერთსა და იმავე ფუძესთანაც დასტურდება (განსხვავებული გეოგრაფიული დასახლებების აღსანიშნავად):

საშამუგო (სოფ. გალის რ-ში);

ლეშამუგე (სოფ. წალენჯიხის რ-ში).

სხვათა შორის ამავე ფუძით (გვარით) წარმოდგენილია **ნო-** -ე აფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელი: **ნა-შამგ-უ** (სოფ. წალენჯიხის რ-ში).

ამავე ფორმაში ყურადღებას იქცევს რედუცირებული შამგ (<შამგ) ფუძე).

-აია-ე > აი-ე

(კოკაია >) **ლეკოკაიე** (სოფ. სენაკის რ-ში); (საჯაია >) **ლესაჯაიე** (სოფ. სენაკის რ-ში);
(ქაჯაია >) **ლექაჯაიე** (სოფ. მარტვილის რ-ში); (ჭარაია >) **ლექარაიე** (სოფ. გალის რ-ში);
(ციცხვაია >) **ლევციცხვაიე** (სოფ. მარტვილის რ-ში)...

-აია-ე > -ე:

ლესახალე (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში);

ასევეა:

(ფანცულაია >) **ლევანცულე**, (ბასილაია >) **ლებასილე**, (ჩოკორაია >) **ლეროკორე**...

ია-ე > -ე

(ბადათურია >) **ლებადათურე** (სოფ. სენაკის რ-ში); (გახარია >) **ლევახარე** (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში); (დარსალია >) **ლედარსალე** (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში); (დგებია >) **ლედგებე** (სოფ. მარტვილის რ-ში); (ვახანია >) **ლევახანე** (სოფ. მარტვილის რ-ში); (კაკულია >) **ლევაკულიე** (სოფ. მარტვილის რ-ში); (კველია >) **ლევკველე** (სოფ. მარტვილის რ-ში); (სხულუხია >) **ლესხულუხე** (სოფ. მარტვილის რ-ში); (შამუგია >) **ლემამუგე** (სოფ. წალენჯიხის რ-ში); (ჯიქია >) **ლექიქე** (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში); (ძამამია >) **ლემამამე** (სოფ. სენაკის რ-ში); (ქობალია >) **ლექობალე** (სოფ. მარტვილის რ-ში); (წურწუმია >) **ლევწურწუმე** (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში)...

ზოგჯერ გვარის -ია დაბოლოება მთლიანად არ არის მოკვეცილი, -ი შენარჩუნებულია;

-ია -ე > -ი-ე:

(ყვანია >) **ლევყვანიე** (სოფ. მარტვილის რ-ში); (გოგია >) **ლევგოგიე** (სოფ. სენაკის რ-ში);
(ფილია >) **ლევფილიე** (სოფ. ხონის რ-ში)...

ავა დაბოლოებიანი გვარები ჩვეულებრივ, შემოკლებულად წარმოითქმის; ჩვეულებრივია: **სიჭინა, ქარდა, ქარჩა...** სწორედ ამგვარ მოკლე ფორმებს, ანუ გვარის აღმნიშვნელ ფუძეებს, უშუალოდ ფუძეებს (გაფორმების გარეშე) დაერთვის -ე სუფიქსი. ამ დროს -ა-ე > -ე:

(სიჭინავა > სიჭინა >) **ლესიჭინე** (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში);
(ქარდავა > ქარდა >) **ლექარდე** (სოფ. წალენჯიხის რ-ში);
(ქარჩავა > ქარჩა >) **ლექარჩე** (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში);
(ჯოლოხავა > ჯოლოხა >) **ლევჯოლოხე** (სოფ. წალენჯიხის რ-ში)...

ავა-სთან ერთად შეიძლება მოიკვეცოს მის წინა -ილ კომპონენტიც (რომელიც სუფიქსი ჩანს):

(ბაჩილავა > ბაჩილა >) **ლებაჩე** სოფ. მარტვილის რ-ში;

შდრ.:

(ხარჩილავა > ხარჩილა >) **ლესარჩილე** სოფ. წალენჯიხის რ-ში;

მოკლე ფორმა ყოველთვის არ გვაქვს:

(გულორდავა >) **ლევგულორდავე** (სოფ. მარტვილის რ-ში);
(მიქავა >) **ლემიქავე** (სოფ. მარტვილის რ-ში);
(ცაავა >) **ლევცავე** (სოფ. მარტვილის რ-ში)...

იმვითად **ლე- -ო** აფიქსაცია დასტურდება (როგორც ჩანს **-ვ-ე >-ვ-ო**, რაც ზეპირ მეტყველებაში **-ვ-ო > -ო** პროცესით მთავრდება):

(ხაინდრავა >) **ლებაინდრაგო** (სოფ. მარტვილის რ-ში);

შდრ. პარალელურად: **ლებაინდრე**

-უა -ე > -უ-ე:

(ფოჩხუა >) **ლეფოჩხუე** (სოფ. მარტვილის რ-ში).

ლე- პრეფიქსის დართვა **ე-**თი დაწყებულ ფუძეებთან იწვევს ამ ორი **ე-**-ს შერწყმას:

ლე-სართიე < **ლე-ესართი-ე**, **ლეფსიე** < **ლე-ეფსიე**... [შონია, 84].

შესაძლოა გეოგრაფიულ სახელად იქცეს კნინობითი სახელიც:

გვალაია (მთა წალენჯიხისა და გალის რ-ნების საზღვარზე, ოხაჩქუეს ქედზე).

I.2.13.2. ნაგენტივარი გეოგრაფიული სახელები.

ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი **-იმ/-ში**, რომელიც გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულებას (ისევ, როგორც მისი ქართული შესატყვისი **-ის**, სიტყვაწარმოებითი ფუნქციით არის აღჭურვილი - ამას ადასტურებს ტოპონიმია: **ჩხოუშია**, **ცაიში**, **გრიგოლიში**, **ჭკადუაში**, **ღუმურიში**, **ოდიში**, **ონწეიში**, **ფოქვეში**, **ოხვამეში**, **ოხურიში**...

წულიში „მთა ჩრდილოეთ სამეგრელოში (ყიფშ.)“: **წულიში** ყანწო გემაფთოლე დო ინგე რი ღვინი რდასე , ხარხის თეში ოხვამალო ხოლო ვაუბაღე დდასე „წულიში ყანწად რომ ამოვთალო და ენგური ღვინო იყოს, ხალხს ისე (უბრალოდ) დასალოცადაც არ ეყოფა არასოდეს“.

-იმ/-ში ფორმანტი ლაზეთის ადგილის სახელებში ერთობ მცირეა და მეტწილად მიკროტოპონიმიაში შეინიშნება:

ტიბაში „ტბისა“, **მელეში** (გალმა) და **მოლეში** (გამოდმა) სარფის გამყოფი ღელის ქვემო წელი, **კვეტაში** „ადგილი სარფში“; **ჩებელეში** „ადგილი სარფში“, **არანაში** (კარტ. II, 364), **ჩებინაში**, **თემელიში** ჰიდრონიმებია.

I.2.13.3. წინა ვითარების სახელთა აფიქსები ტოპომორფემებად.

ქართულ ტოპონიმიაში წინა ვითარების სახელებს აწარმოებს **ნა-** პრეფიქსი სხვადასხვა სუფიქსთან ერთად. ლაზურში ამავე ფუნქციით შეესატყვისება **ნო-** **-ენ** ცირკუმფიქსი და მეტწილად მიკროტოპონიმიაშია დადასტურებული:

ნობრინჯენი (კარტ. II.353) „ნაბრინჯალი“, **ნობოჯენი** (კარტ. II, 355) „ნახარევი“, **ნოჩხომენი** (კარტ. II, 357) „ნათევი“, **ნოდიკენი** (კარტ. II, 357) „ნახორბლევი“, **ნომანდრენი** (კარტ. II, 358) „ნაბოსლევი“, **ნოფატენი** (კარტ. II, 357) „ნაფეტვარი“, **ნოლეჯენი** (კარტ. 359) „ნაღორევი“...

ოდენპრეფიქსული წარმოების ნიმუშები:

ნოტოროჯე (კარტ. II, 358) „ნამტრედი“, **ნომკაფულე** (კარტ. II, 358) „ნატურევი“, **ნობაგენე** (კარტ. II, 358) „ნანალიევი“, **ნობალულე** (კარტ. II, 353) „ნაბელლევი“, **ნოლივადე** (კარტ. II, 360) „ნაბოსტნევი“.

ბოლოკიდური -ე ხმოვანი იმავე ფუნქციის მქონე ელემენტია, როგორც ნამყო დროის მიმდებარის ფორმებშია რეალიზებული (**ნოჭარე** „ნაწერი“, **ნოწილე** „ნაკრევი“) და შეესაბამება სხვა ქართველური ენების სახელობით ბრუნვას.

წინა ვითარების **ნო-** პრეფიქსი მართო ან -ევ-, -ენ- სუფიქსებთან ერთად (**ნო-** -ევ-, **ნო-** -ენ-) ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს: **ნო-ქალაქი/ნო-ქალაქ-ენ-ი** „ნაქალაქარი“, **ნო-ჯიხ-ენ-ი** „ნაციხარი“ (შდრ. **ჯიხა** ციხე); **ნო-ბულ-ი/ნო-ბულ-ევ-ი/ნო-ბულ-ენ-ი** „ნაბლევი, - სადაც ბლის ხე იდგა“ (ცხად., კატალ., 56).

გეოგრაფიული სახელების მაწარმოებლად გვხვდება **ნა-** -ო/-უ აფიქსები, რომლებიც ზუსტი სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისია სვან. (>მეგრ.) **ლე-** -ე კონფიქსისა, უბრალოდ, **ნა-** -ო/უ, ისევე როგორც **ო-** -ე კარგავს ფუნქციას და რელიექტად შემოგვენახა, მის ადგილს სვან. **ლე-** და ქართ. **სა-** იჭერს. პროცესი დასრულდა **ნა/ო** გამიჯვნით.

ნა- -ო/უ აფიქსებით, მათი პირვანდელი ფუნქციიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს ის ადგილი, სადაც ცხოვრობდნენ ამა თუ იმ გვარის წარმომადგენლები.

ანუ: **ნაფიჩხოუ** ასე უნდა გავიაზროთ: ადგილი, სადაც ადრე **ფიჩხაიები** ცხოვრობდნენ, **ნაგვაზავო||ნაგვაზოუ||ნაგვაზუუ** „ადგილი, სადაც ადრე **გვაზავები** ცხოვრობდნენ და ა. შ.

თუკი **ნაგვაზაო** იმას ნიშნავს, რომ აქ **გვაზავები** ცხოვრობდნენ, მაგრამ აღარ ცხოვრობენ, მაშინ ეს შემდეგ დასახლებულთა თვალსაზრისს უნდა გამოხატავდეს. ეს შესაძლებელია, მაგრამ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ძველი მოსახლის გვარი დაეტოვებინა მერე დასახლებულს [ჩიქობავა, 1942, 272].

ყოველ შემთხვევაში, **სტრუქტურულად** ეს არის წინა ვითარების სახელი, თუმცა ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს დასახლებულ გეოგრაფიულ პუნქტს, სოფელს.

მაგ.:

(გვაზავა >) **ნაგვაზუ[უ]** სოფელი ნაგვაზაო (სოფ. მარტვილის რ-ში) „**ნაგვაზუს** გიმანთხეს ნი, ყარამანი ოკათე დე “ (მასალ., 87) „ნაგვაზაოში რომ დამესხნენ, ყარამანი ერია“; **შდრ.:** **ნაგვაზავო:** სოფლების - ზემო ნაგვაზავოსა და ქვემო ნაგვაზავოს გავრცელებული სახელწოდება; **შდრ.:** **ნაგვაზუ** (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში).

(ესაკია >) **ნაესაკაო** (სოფ. აბაშის რ-ში);

(ლეფსაია >) **ნალეფსაო** (სოფ. მარტვილის რ-ში);

(მიკოლავა >) **ნამიკოლაო** (სოფ. მარტვილის რ-ში);

(ფიჩხაია >) **ნაფიჩხოო** (სოფ. ჩხოროწყუს რ-ში);

(ხარებავა >) **ნახარებავო** (სოფ. მარტვილის რ-ში);

(ხურცილავა >) **ნახურცილაო** (სოფ. მარტვილის რ-ში);

(ჯავახია >) **ნაჯავახო** (სოფ. მარტვილის რ-ში)

(შამუგია >) **ნაშამუგუ** (სოფ. წალენჯიხის რ-ში)...

ხმოვანთა ასიმილაცია მორფემათა საზღვარზე ფართოდ არის წარმოდგენილი ქართულ ენაში. მეგრულ ტოპონიმებშიც გვხვდება ანალოგიური პროცესები. დასტურდება როგორც ნაწილობრივი, ისე სრული ასიმილაციის მაგალითები:

ყუფუნია > ნაყუფუნოუ > ნაყუფუნუ > **ნაყუფუნუ**, ფირცხალავა > ლეფირცხალავე > ლეფირცხაე > ეფირცხე > **ეფირცხე**, ლეფსაია > ნალეფსაიო > ნალეფსაუ > ნაიესუუ > **ნაესუ**, ჩაგინავა > ნაჩაგინაო > ნაჩაგინაუ > ნაჩაგინაუუ > **ნაჩაგინუ...** დასტურდება დისიმილაციის მაგალითებიც: ონჩხოლია > საონჩხოლიაო > საონჩხოლიო > **საანჩხალიო**, ორზოლია > საორზოლიაო > საორზოლიო > **საარზალიო** (შონია, 84).

ქართულ ტოპონიმიაში წინავითარების სახელებს აწარმოებს **ნა-** პრეფიქსი სხვადასხვა სუფიქსებთან ერთად. ლაზურში ამავე ფუნქციით შეესატყვისება **ნო-** **-ენ** ცირკუმფიქსი და მეტწილად მიკროტოპონიმიაშია დადასტურებული:

ნობრინჯენი (კარტ. II.353) „ნაბრინჯალი“, **ნობოჯენი** (კარტ. II, 355) „ნახარევი“, **ნოჩხომენი** (კარტ. II, 357) „ნათეზვევი“, **ნოდიკენი** (კარტ. II. 357) „ნახორბლვევი“, **ნომანდრენი** (კარტ. II, 358) „ნაბოსლვევი“, **ნოფატენი** (კარტ. II, 357) „ნაფეტვარი“, **ნოდეჯენი** (კარტ. 359) „ნაღორვევი“...

ოდენპრეფიქსული წარმოების ნიმუშები:

ნოტოროჯე (კარტ. II, 358) „ნამტრედი“, **ნომკაფულე** (კარტ. II, 358) „ნატურევი“, **ნობაგენე** (კარტ. II, 358) „ნანალიევი“, **ნობაღულე** (კარტ. II, 353) „ნაბელევი“, **ნოლივადე** (კარტ. II, 360) „ნაბოსტნევი“.

ბოლოკიდური **-ე** ხმოვანი იმავე ფუნქციის მქონე ელემენტია, როგორც ნამყო დროის მიმღეობის ფორმებშია რეალიზებული (**ნოჭარე** „ნაწერი“, **ნოწილე** „ნაკრევი“).

I.2.13.4. კრებულის სახელთა აფიქსები ტოპომორფემადა.

ლაზურში **-ონ-ა/-უნ-ა** სუფიქსი პროდუქტიულია გეოგრაფიულ სახელებში და ძირითადად აწარმოებს მცენარეთა სახელებისგან წარმოქმნილ ტოპონიმებს. იგი აღნიშნავს ადგილს, სადაც რომელიმე მცენარე ხარობს და მიუთითებს ერთგვაროვან მცენარეთა სიმრავლეზე:

ჭუბრონა (კარტ. II, 359) „წაბლიანი“, **თხირონა** (კარტ. II. 360) „თხილიანი“, **დანძონა** (კარტ. II. 358) „ეკლიანი“, **ცხემზონა** (კარტ. II, 359) „რცხილიანი“, **ჭკონუნა** (კარტ. II. 354) „მუხიანი“, **თხომზონა** (კარტ. II, 362) „თხმელიანი“, **მშქერონა** (კარტ. II, 361) „შქერიანი“, **სქინდონა** (სარგ. მეტყ.) „შინდიანი“... **კაკალეფუნა** (კარტ. II. 353) „კაკლნარი“, **უმქიეფუნა** (კარტ. II, 353) „ვამლნარი“, **მწკოეფუნა** (კარტ. II, 357) „წყავნარი“, **მიხერეფუნა** (სარგ. მეტყ.) „თხილნარი“, **ინჭირეფუნა** (კარტ. II, 359) „ანწლნარი“...

სხვა სახელთაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებია:

მაყაყონა (კარტ. II, 353) „ბაყაყეიანი“, **ქვალონა** (კარტ. II, 358) „ქვიანი“, **ჭანჭახონა** (კარტ. II, 362) „ჭანჭრობიანი“...

მეგრ.:

ქვიზონა (სოფ. გალის რაიონში); **ქვიზონა** (სოფ. პირველი ოტობაის ძვ. სახელი); **ომუნჩქეკონი** ტოპონ. „სამაჩვე“(ცხად., ტოპონ., 65); **ქვალონი** (სოფ. ოჩამჩირის, რაიონში; სოფ.

სენაკის რაიონში); **ჭუბურონა** (წაბლნარი; ტყის სახელია ეკის მთის კალთაზე, ძვ. სენაკის თემში); **„ჭველეთონა“** (პატარა სოფლის სახელი ჯვარის თემში, სვანეთის საზღვრისკენ, ზუგდიდის მაზრაში)

[ჩიქობავა, 2008/1, 548]...

I.2.13.5. კნინობითობის სახელთა აფიქსები ტოპონიმებზე.

კნინობითობას უნდა აღნიშნავდეს -ია შემდეგ ტოპონიმებში:

ტყაია || **ტყეია** (სოფელია) ნიშნავს „პატარა ტყეს“ ([ყიფშიძე 1914, 330], იხ. ტყა); **ქვიბია** (მთა სამეგრელოსა და სვანეთში) < ქვიბი „გამოქვამული“ ([იქვე, 343], იხ. ქვიბი); **თაია** (პატარა მთა და სოფელი ჩხოროწყუს რ-ში) < თა „მთა“; **ზღვია** „მცირე ზღვა“, **ტობაია** „მცირე ტბა“ (ჰიდრონიმია სამეგრელოში), **ფოქვია** „მცირე მღვიმე“ (მღვიმის სახელწოდება) < ფოქვა „მღვიმე“ [ცხადია, 1999, 23-24, კარტოზია..., 2010, 434].

I.2.14. დერივაციული პარალელიზმები.

რიგ შემთხვევებში მოქმედებს დერივაციული რესურსების გამოყენების არცთუ მკაცრი წესები (თუმცა მთლიანობაში, ცხადია, ეს სფეროც ზოგადი ენობრივი წესებისა და კანონების მიხედვით რეგულირდება).

საკმაოდ ხშირია ერთი და იმავე ფუძეების სხვადასხვა აფიქსებით გაფორმების (დერივაციული პარალელიზმების) შემთხვევები (ამის ნიმუშები ზემოთ იყო წარმოდგენილი).

პირველადი დერივაციაა: **თხირონი, ლაკაცონი, მუნჩქვონი...**

-**ონ** სუფიქსის ფუნქციური სისუსტის შედეგი ჩანს ის გარემოება, რომ ამ ფორმებმა დამატებით სინქრონიულ დონეზე უფრო აქტიური **ო-** პრეფიქსი დაიმეტეს, დამატებით დაირთეს:

ოთხირონი-ი *ტოპონ.* თხილნარი (ელიავა, კატალ., 76).

ოლაკაცონი-ი „საკაცო. იგივეა, რაც **ლაკაცონი**, – ადგილი, სადაც აკაციები დგას (ცხად., ტოპონ., 65).

ომუნჩქვონი: *ომუნჩქვე ტოპონ.* „სამაჩვე“. *მდრ.* მუნჩქვი. *ტოპონ.* **ომუნჩქვონი** (ცხად., ტოპონ., 65).

ამავე ტიპის საინტერესო ლაზური ფორმაა **უთომოლიფერი:**

თომალფარი, თომოლფარი „თმიანი“; თომონი „თმიანი“ (ნაკლებად გამოიყენება);
უთომოლიფერი „უთმო“ (მარი);

ამ სიტყვის ზედმიწევნითი თარგმანი იქნება: „უთმიანო“: -იერ ქონების სუფიქსის
სემანტიკური ფუნქცია დაჩრდილა საპირისპირო ფუნქციის – უქონლობის უ- პრეფიქსმა,
ამიტომ ამ წინააღმდეგობრივი ფორმის სემანტიკურ გაგებაში მხოლოდ ფუძით
გამოხატული ფუნქციის უქონლობაა აქცენტირებული.

ორმაგი დერივაციის მაგალითია ორსაფეხურიანი წარმოების შემთხვევები, რასაც
შესაბამისი სემანტიკური ცვლილებები მოჰყვება.

I.2.15. კნინობითი სახელები.

„კნინობითია სახელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ საგანი, რომელსაც ის აღნიშნავს,
ზომით ან სიდიდით ნაკლებია, ვიდრე ძირეული სახელით აღნიშნული... კნინობითი ფორმა
შეიძლება გამოყენებულ იქნეს ერთი მხრით ალერსის გამოსახატავად (ალერსობითი სახელი)
და მეორე მხრით დამცირების მიზნით (დამცირებითი სახელი)... კნინობითი ფორმების
წარმოება ქართულში მაინცდამაინც გავრცელებული არ არის, მიუხედავად იმისა, რომ
რამდენიმე მაწარმოებელი გავქვს: ა, იკ, ილ, უკ, უნ... კნინობითის ფორმები არსებითად
დაკარგა სალიტერატურო ქართულმა: ისეთი სახელები, როგორცაა: თავი, ხელი, ფეხი,
თვალი, კბილი, სახლი, კარი, ეზო, ხე, ბაღი და მრავალი სხვა, კნინობითის ფორმებს ვერ
აწარმოებენ. ამიტომ იძულებული ვართ ხოლმე, რომ სათანადო აზრი აღწერილობით
გამოვთქვათ: პატარა თავი, პაწაწა თითები, პატარა ეზო და მისთ... კნინობითის ა დაერთვის
ფუძეს, თუ ის თავდება თანხმოვნით ან ო უ ხმოვნებით; მაგრამ თუ ფუძე თავდება ა-თი,
მაშინ მაწარმოებელია ია: და-ია (ძველი ძამა'საგან), ბიძია (შემოკლებით: ძია)... კაცია, ბიჭია“
[შანიძე, 1980, 120-122].

სწორედ ეს -ია ჩანს კნინობით-ალერსობითი სახელების ძირითად მაწარმოებლად
მეგრულში.

ი. ყიფშიძის აზრით, კნინობითობის მაწარმოებელი -ა სუფიქსია, ხოლო -ი სახელობითი
ბრუნვის ნიშანია, რომელიც შემონახულია როგორც თანხმოვანფუძიანებში, ისე
ხმოვანფუძიანებშიც.

მხოლოდ -ა სუფიქსიანი წარმოება ერთობ იშვიათია:

კოჩა ანთროპ. კოჩა. კოჩაია (=კაცოია) კნინ. კაცის სახელი. კოჩა < კოჩ-ა „კაცა“; კვეკვა
„კვერი“; ხის (პატარა) ჩაქუჩი: ხილიში ოჭყანჭყალი კვეკვა ქიმომილია! (ქაჯაია) „ხილის
დასაჭყეჭყი ჩაქუჩი (ურო) მომიტანეო“; თხომუმ ჯაშე თოლუნდეს კვეკვას დო როფეს,
დინააჭყანჭყანდეს საონტკოს დო უკული ლაგვანს დინნარღვანდეს (ქაჯაია) „მურყნის ხისგან
თლიდნენ ხის უროსა და როფს (გეჯას), ჩაჭეჭყდნენ საარაყოს (ხილს) და შემდეგ ქვევრში
ყრიდნენ“; შდრ.: კვეკვ-ი „იგივეა, რაც კვეკვა“.

ქ. ლომთათიძე ფიქრობს, რომ ია < ინა (იშვიათად ია < ილა): ბიძია < ბიძაინა, პაპია <
პაპინა, მამია < მამაინა, ძაბია < ძაბინა... მკვლევარი ეთანხმება ვ. თოფურას და ასკვნის, რომ:
სუფიქსი -ია მარტივი არ არის; სათანადო ფუძეებში ჩავარდნილია ნ სონანტი ხმოვნებს
შორის. -ინ-ა-ს გამარტივებით მიღებული -ია თავდაპირველად გამოხატავდა მსგავსება-

კუთვნილებას, ხოლო კნინობითობა-მოფერებითობის გადმოცემის ფუნქცია გვიან აქვს შეძენილი [ლომთათიძე, 1989, 60-73].

ზევით წარმოდგენილ **ხუჭუჭია**, **ქუცუცია**... ფორმებში სწორედ -ია სუფიქსის პირვანდელი ფუნქცია უნდა ჩანდეს (ფუნქცია მსგავსება-კუთვნილება-მქონებლობისა).

-ინ-ა > -ი-ა დაშვებასთან დაკავშირებით საინტერესო ჩანს ასევე ფორმები:

კოკინია¹ „კონკილა; ურმის ქვესადგამი; საყენი. შდრ. ქასადგამი, ქესადგუმე, ოხოხოჯი“ (ი. ყიფში., 3. ჭარ.); **კოკინია**² „იგივეა, რაც კოკია, - ხბო, ეძახიან ძროხასაც“. შდრ. **კოკია** „ხბო“: ჩქიმი კოკია ხო ვაიძირუ? (ქაჯაია) „ჩემი ხბო ხომ არ გინახავს?“ კოკობინა „კობტა, ტურფა“: დუს ხეს გინმომისვანდას ჟირიხოლო **კოკობინა** (ბერ.,141) „თავზე ხელს მისვამდეს ორივე ტურფა“; **კოკორინა** „პატარა, კობტა და ლამაზი რამ; შდრ. **კვეკვერია**: **კვეკვერია** „იგივეა, რაც **კვარკვალა**, - მრგვალი რამ, პატარა და კობტა“: **კვეკვერია** ჭკიდი (ქაჯაია) „მრგვალი მჭადი, კვერი“. შდრ. ქვექვერია.

-ი-ა სუფიქსიანი წარმოებების ნიმუშები:

ბოშია „ბიჭუნა“: ახ, მიში რექ, მიშ ბედიში, მი ბედნიერ ბოშიაში?: მასალ., გვ. 32 - ახ, ვისი ხარ, ვისი ბედისა, ვინ ბედნიერი ბიჭუნასი? **ბოჩორია** „პატარა და ბუნჩულა“: **ბოჩორია** კოჩიე - პატარა კაცია. იხ. ბოცორო; **ძღაბაია** „გოგონუკა“: მიდამილეს **ძღაბაია** (სამუშ., ქხპს, 1, 133) „წაგვართვეს გოგონუკა“; **დადაია** „დაიკო“: ჩქიმი **დადაია**, გამიხარი გური! - ჩემო დაიკო, გამიხარე გული ! **ბაბაია** „ბაბაია, მამიკო“, **ნანაია** „დედიკო“: ჩქიმი **ბაბაია** ქორექი-და, მიდამიჯუმე ე ვანაშა! (ქაჯაია) „ჩემი ბაბაია თუ ხარ, წამიყვანე ყანაში“. **ნანაიას ბაბაია** ტყურათ ვაჯუდუნია (სახოკ., 254) „დედიკოს მამიკო ტყულიად არ აკოცებსო“; **ნოსაია** „რძალუკა“; **ბოროია** მოსულელო, მობრიყვო: **ბოროია** კოჩი რე „მოსულელო კაცია“; **ბოტორია** „ჩურჩუტი; მოსულელო“: გვალო **ბოტორია** კოჩიე (ქაჯაია) „მთლად ჩურჩუტი კაცია“; **ომბოლია** „ობოლა“: **ომბოლია**ქ ბრელი ენდურე თე ცირას (ხუბ., 54) „ობოლა ბევრი ემდურა ამ გოგოს“; **ლაკვატია** „პატარა ჯოხი“; **ბაწარია** „ბაწარი“: ართი ჩქიმი **ბაწარია** ვხეშე (ყიფში., 183) „ერთი ჩემი ბაწარი ვკეცე“; **ჩუვანია** „პატარა ქვაბი“: ჩქიმი ჭიჭე **ჩუვანია**შე ჟირი ჩოგანია ღუმუს ეშუვოგანქი (ყიფში., 183) „ჩემი პატარა ქვაბიდან ორი ჩოგანი ღომი ამომაქვს (გამოცანა: კაკალი)“; **ორტვინია** „პატარა ბოსტანი“: ჩქიმი ჭიჭე **ორტვინიას** დაჩხირ ინიფავალ (ქაჯაია) „ჩემს პატარა ბოსტანში ცეცხლი ლაპლაპებს (გამოცანა: ჩიბუხი)“; **არგუნია** „პატარა ნაჯახი“, **ბურჭულია** „პატარა წალდი, წალდუნა“: **არგუნიას ბურჭულია** გეუძინესია (ხალხ. სიბრ., 1, 8) „პატარა ცულს პატარა წალდი (წალდუნა) დაუმატესო“; **ბოქურია** „ლეკვი, პატარა ძალი“; **ჯოდორია** *ანთროპ.* **ჯოდორია** გეგელუუ, მუჭო ბეთქ დეგელუუ (ქაჯაია) „ჯოდორია გეგელიავ, როგორ ბედი დაგელია“; **ხოჯალია** „პატარა ხარი“; **ორკოლია** „პატარა დოქი, დოქუნა“; **კოტოია** „პატარა ქოთანია“; **კარაია** „ხუხულა, პატარა კარავი“: **კარაიაცალო** ეკოცუუ (ხალხ. სიბრ., 1, 64) „ხუხულასავით დაიშალაო“; **ოსურია** „პატარა ქალი“; **გადატ.** ქალაჩუნა: **ოსურია** კოჩიე (ქაჯაია) „ქალაჩუნა კაცია“; **ბოწოწია კნინ.** ბუწუწი. თხას ქვარას **ბოწოწია** გითაბუ (ქაჯაია) „თხას მუცელზე ბუწუწი ჰკიდა“. შდრ. გურ. ბოწოწო სიმინდის ფოჩვი (ვ. ბერ.); ბოხოხ-ი, **ბოხოხია** „ბოხოხი, ცხვრის ტყავის ქუდი“: დუცუ გიორთუ **ბოხოხია** „თავს ახურავს ბოხოხი“; **ჩეფერია** „უმარილი (თეთრი ფერი)“: ქალაქიშა მიდაფრთი დო ქოუე იდი **ჩეფერია** (ქხს, 1, 181) „ქალაქში წავედი და ვუყიდე უმარილი (თეთრი ფერი)“; შდრ.: **ჩელაია** „თეთრი; თეთრონი, თეთროსანი“: ჩე ქოთომი, **ჩელაია!** (ქხს, 1, 32) „თეთრო ქათამო, თეთრონავ!“ მეჯინელო ჩელაია (მასალ., 105) „შესახედად თეთრი ფერისა“.

„მეგრულის ლინგვისტურ ანალიზში“ აღნიშნულია, რომ კნინობითობას 35-მდე, ხოლო ალერსს ან დამცირებას 45-მდე ერთეული გამოხატავს [კარტოზია..., 2010, გვ. 434].

საქმე ის არის, რომ ამგვარი სტატისტიკა ერთობ პირობითია. ესა თუ ის წარმოება შეიძლება იყოს იშვიათი, საშუალო გავრცელებისა ან მეტად გავრცელებული; როდესაც სინქრონიის დონეზე არსებობს ესა თუ ის მოქმედი მოდელი (რაც იმას ნიშნავს, რომ არსებობს სიტყვა-წარმოების რესურსი), მნელია ფორმათა კონკრეტული რაოდენობის დადგენა. ამგვარი სტატისტიკის წარმოება მხოლოდ გარკვეული დიაქრონიული ანალიზის დროს ან სხვა უფრო კონკრეტული მიზნებისთვის შეიძლება იყოს რაციონალური.

ნიმუშები:

უკ-ია:

მოზუკია „მოზვერუკა“: **მოზუკია** ჯას ქიმკაკირეს „მოზვერუკა ხეზე მიაბეს“...

-იკ-ია:

ხოჯიკია „მოზვერუკა“: **ხოჯიკია** იდიარს „მოზვერუკა ბალახობს“...

-ი-ა საკმაოდ ხშირად გვხვდება მცენარეთა სახელებში:

ქუტია „იგივეა, რაც **ქუთია**, - რაღაც თეთრი ყვავილი (ყიფშ.); მცენარეა ერთგვარი, რომელსაც ძლიერ ეტანებიან თხები“; **ქუჩმანია** *ბოტან.* შალამანდილი. იხ. ფურჩუმალე (მაყ.); **ქუჩუბენია** *ბოტან.* ბუსკანტურა. იხ. კვატალა (მაყ.); **ქუჩუმონია** *ბოტან.* ბალახია ერთგვარი (მასალები, ტ. 4, ნაწ. 3, გვ. 153); **ბაძგარია** *ბოტან.* ბირკა. იხ. მციგუა, ბაკარია (მაყ.). შდრ. საბა: ბაძგარი ეკლიანი ბარდნარი; **ბაწკარია** *ბოტან.* ორკბილა. იხ. **მაკიფია**, მალაკიფა, მალიკიფა, უჩა **ბაწკარია** (მაყ.); **ტყვარჩელია** *ბოტან.* ქართული ყოჩივარდა. იხ. კარაკუნჩხა, **ტკვარჩელია** (მაყ.); **ტყვატყვაცია** *ბოტან.* ონტკოფა. იხ. ყუაში მაპაშქინია (მაყ.); **ბარდონ-ი/ა** „ბარდნარი, ბარდით დაფარული ადგილი“ (ქაჯაია)...

-ი-ა აწარმოებს თამაშობათა სახელებს:

ქულაია „თამაშის სახეობაა, ასკინკილა, - ცალფეხით გაქცევა“ (მაკალ., 280); **ტყობინჯობაია** „დამალობანა“: ბაღანეფი **ტყობინჯობაიას** ლაქაფენა „ბავშვები დამალობანას თამაშობენ“; **ჭუკობია** „თაგობანა“ (ელიავა, 1997, 379)...

-ია აწარმოებს დაავადებათა სახელებს:

ფიღვია 1. „ყბაყურა ბატონები“ (ჭარ.). 2. **ფიღვია** ქოთომი გაფოფრილი ქათამი; ბურტყელიანი, კისერზე ბევრი ბუმბული რომ აქვს ისეთი, ქათამი; ყურის ძირებში წითელი წანაზარდის მქონე.

-ჩ-ი-ა:

ბოჩოჩია „ბიჭუნა“: ჩქიმი **ბოჩოჩია**, მორთი აშო! (ქაჯაია) „ჩემო ბიჭუნავ, მოდი აქეთ!“**ბაბაჩია** „მამიკო“: სო მეზოჯუნქ, **ბაბაჩია?** (ქაჯაია) „სად მიბრძანდები, მამიკო?“ ჩქიმი **ბაბაჩია** ქორექი-და, ქომორთი ჩქიმდა (ქაჯაია) „ჩემი მამიკო თუ ხარ, მოდი ჩემთან“. შდრ. **მამაჩია**, **მამუჩი[ა]**. იხ. **-ჩია**; **ბაბუჩია** „ბაბუკო“;

-ლე სუფიქსი ზოგჯერ კნინობითს აწარმოებს: **მუნჩქვი-ლე** „მაჩვ-უნა“ (ქხს, 1, 222);

-უნია სუფიქსი კნინობითი სახელების ერთი ჯგუფის მანარმოებელია: **მაბ-უნია** (შდრ. **მაბ-ი** გოგო) გოგონა; **აკაბუცუც-უნია** (შდრ. **აკაბუცუცა/ია** „ძალიან პატარა“) ძალიან პატარა, უპატარავესი (ქაჯაია)...

-**უტა**, -**უტია**//**-ტია** სუფიქსი აწარმოებს კნინობითი სახელების ერთ ჯგუფს. **ჯიკ-უტია** (შდრ. ჯიკი „ჯირკი“) „პატარა ჯირკი“; **მაბ-უტია** (შდრ. მაბი// ძღაბი „გოგო“) „პატარა გოგო, გოგონა“ (ქაჯაია)...

ულ-ი-ა-ს გამოყოფენ **ბაბულია**-ში, რომელიც რუსულიდან შეთვისებული ფორმა ჩანს.

ნიკო მარი კნინობითი სახელების მაწარმოებლად **ლაზურში** რამდენიმე სუფიქსს გამოყოფს და სათანადო საილუსტრაციო ფორმებსაც წარმოადგენს:

-**იკ-ა**:

ხოჭიკინა „პატარა ხარი“...

-**ეწ-ა/იწ-ა**:

ბერუწა „პატარა ბავშვი“, **კუკმიწა** „პატარა ქოთანი“ (მარი, 70). გამოცემულ ტექსტებში მკრთალადაა წარმოდგენილი კნინობითი სახელების ფორმები. ცოცხალ მეტყველებაში გამოიყოფა სუფიქსები, რომლებიც მიუთითებენ კნინობით-საალერსო სემანტიკაზე:

-**კინ-ა**:

ღეჯიკინა „გოჭი“; **ჭაბუკინა** ლუდითე ოფშუ (ლექს. 103) „პატარა კალათა ლედვით გაავსო“...

-**კა**:

ჯუმ-აკ-ა (ლექს. 100) „მამიკო“...

-**ალ-ა**:

ჯუმ-ალ-ა (ლექს. 100) „მამიკო“, **დალა** „დაიკო“...

-**ი**:

ნანაი „დედიკო, დედილო“, **ბაბაი** „მამიკო, მამილო“...

I.2.16. წინა ვითარება-კნინობითობის სახელები.

ორმაგი ფუნქციური დერივაციის ნიმუშია წინავითარება-კნინობითობის სახელები; ამ შემთხვევაშიც სინთეზირებულია ორი სემანტიკა: წინა ვითარებისა და კნინობითობა-ავდებისა. ნიმუშები:

ნაღართია, **ნოღართია** „ნაჩოხარი, ძველი ჩოხა“: სქანი ქომონჯი ოკო რდას **ნაღართიაში** მაშგ რალი (სამუშ., 58) „შენი ქმარი უნდა იყოს ძველი ჩოხის მცვეთელი“; **ნობაწარია** „უვარგისი ბაწარი“: მუთუნი **ნობაწარია** გაღვენუუ დო ქომომილი! (ქაჯაია) „რამე ძველი ბაწარი (უვარგისი) გექნება და მომიტანე“; **ნობერგია** „უვარგისი თოხი“: ართი **ნობერგია** მიკუპონუდუ კიდაშა (ქაჯაია) „ერთი ძველი თოხი (უვარგისი) ჰქონდა მიყუდებული კედელზე“; **ნოდუქანია** „პატარა დუქანი, დუქნის მსგავსი“; **ნოშქართუნია** „უვარგისი (ძველი) საბანი“; **ნოკუჩხმოდვალა** „ძველი, უვარგისი ფეხსაცმელი, ფეხსაცმლის მაგვარი რაღაც“. **ნოღართია** „ძველი (უვარგისი) ჩოხა“. **ნოქუდია** „ქუდის მსგავსი რაღაც, უვარგისი ქუდი, ნაქუდარი“:

დუდიშა თე ნოქუდია ვეგირთვე, ქუდიქ (/ქუთქ) ვაგაშულო? (ქაჯაია) „თავზე ეს უვარგისი ქუდი არ დაიხურო, ქუდი ვერ იშოვე?“, ნოლოზია „რაღაც ნალოზი; ნალოზის მსგავსი“...

-ია სუფიქსის დართვისას ფუძის ბოლოკიდური -ა, -ე და -ო იკარგება:

(კაბა >) ნოკაბია „ძველი კაბა, კაბის მსგავსი, რაღაც კაბა“: თეზმა ხანს ვაგაჭენუო ართი ნოკაბიექ (ქაჯაია) „ამდენ ხანს ვერ შეკერე ერთი რაღაც კაბა“.

(ჩაფულა >) ნოჩაფულია „დაგლეჯილი, უვარგისი წულა“.

(ქისა >) ნოქისია „ძველი (უვარგისი) ქისა“;

(ბადურა >) ნობადურია „უვარგისი (ძველი) ბადურა“;

(ც უდე >) ნოც უდია „პატარა სახლი, სახლუკა; გადატ. ძველი სახლი“: ართი ნოც უდია ქიგეუდგუ (ქაჯაია) „ერთი პატარა სახლი უდგას“.

(კოტო >) ნოკოტია „უვარგისი ქოთან“...

I.2.17. ხარისხის სახელები.

ხარისხის სახელი, აკაკი შანიძის დეფინიციით, ისეთი სახელია, რომელიც საგნის ნიშანს გვიჩვენებს მეტი ან ნაკლები ოდენობით. ეს მეტ-ნაკლებობა დამყარებულია ძირეულისა და წარმოქმნილის შედარებაზე. შედარების დროს ამოსავლად აღებული ფორმა მიჩნეულია დადებით ხარისხად („შავი“), რომელთანაც შედარებით მასზე მეტი ოდენობის გამომხატველი ფორმა იქნება უფროობითი („უმშავესი“) და მასზე ნაკლები კი – ოდნაობითი („მომშავო“) [შანიძე, 1980, 140].

ისტორიულად ფიქსირებულ ქართველურ ენა-კილოებში ზედსართავი სახელის ხარისხის რაოდენობა (და აქედან გამომდინარე თვისობრიობაც) განსხვავებულია. სალიტერატურო ქართულში (ასევე დიალექტებში) ხარისხის სამი ფორმაა ბუნებრივი: დადებითი (ნეიტრალუ-რი), უფროობითი და შედარებითი; ზანურ კილოებში ხარისხის ოთხი ფორმა დასტურდება, აქ დამატებით ვლინდება თანაბრობითი ხარისხის ორგანული წარმოება: მეგრ. მა-შხუ-ა / მა-შხვ-ა „ისე მსხვილი, როგორც..“, ლაზ. მა-პეჯან-ა „id“. სვანურშიც ასევე ოთხით შემოიფარგლება ზედსართავ სახელთა ხარისხის მაჩვენებლები, ოღონდ სვანურ დიალექტებში, მეგრულ-ლაზური თანაბრობითი ხარისხის ნაცვლად, მკვეთრად გამოხატული აღმატებითი ხარისხის ფორმათა პროდუქტიული წარმოება შეინიშნება, შდრ.: სგელ „სქელი“, ხ-ო-ნსგლ-ა „უსქესი“, სგელ-არა „მოსქელო“, მა-ნსგლ-ე „ყველაზე სქელი“.. ანუ სვანურში, როგორც ვხედავთ, აღმატებითი ხარისხის ნიშნად ცალკე მა- ე კონფიქსი გამოიყოფა.

დადებითი ხარისხის ფორმებია: უჩა „შავი“, ჩე „თეთრი“, ჭითა „წითელი“, ყვინთელი „ყვინთელი“... სქვამი „ლამაზი“, ჯგირი „კარგი“, ფართო „ფართო“, ჭიფე „წვრილი, ვიწრო“, გირ/ნძე „გრძელი“, კუნტა „მოკლე“, დიდი „დიდი“, ჭიჭე „პატარა“...

ეს არის ძირეული, ამოსავალი, ე. წ. ვითარებითი ზედსართავი სახელები. ხარისხის ფორმები სისტემურად ვითარებით ზედსართავებს ეწარმოება.

მიმართებითი ზედსართავი სახელები მეორეულია, ნაწარმოებია, ძირეულ სახელთაგან სხვადასხვა სიტყვაწარმოებითი მოდელით მიღებული ფორმებია. მეგრულსა და ლაზურში ზედსართავის საწარმოებელი ძირითადი სადერივაციო აფიქსებია:

-ამ:	დუდ-ამ-ი „თავიანი“...
-იან:	მარდ-იან-ი „მადლიანი“...
-(ი)ერ:	დუდ-იერ-ი „თავიანი“... გოდან-ერ-ი „გუშინდელი“...
-უან:	გემ-უან-ი „გემრიელი“...
-ა:	დუდ-ა „თავიანი“...
-ონ:	ცხენ-ონ-ი „ცხენიანი“...
-ენდ/ჯ, -ოდ:	ცხენ-ენჯ-ი, ცხენ-ოდ-ი „ცხენიანი“...
-ურ/-ულ:	აბაშ-ურ-ი „აბაშური“, ქორთ-ულ-ი „ქართული“...
უ-:	უ-დუდ-ე „უთავო“...
უ- -ო:	უ-ბად-ო „უბედო“...
უ- -ურ:	უ-მინჯ-ურ-ი „უპატრონო“...
სა- -ო:	სა-ზოთ-ო „საზამთრო“...
სა- -ე:	სა-ლები-ე „სალობიო“...
ო- -ე:	ო-ქუჯ-ე „საყურე“...
ნა-:	ნა-ღვინი „ნაღვინევი“...
ნა- -ერ/-ელ:	ნა-ლიმ-ერ-ი „ნაომარი“...
ნა- -უ/ი:	ნამესუ/ი „ნამაისარი“...
მო- -ე:	მოზისხირე „მოსისხლე“...

ვითარებითი ზედსართავი სახელების დერივაცია ძირითადად მის ხარისხის ფორმებში ვლინდება. გვაქვს ამოსავალი ფორმა (**რომელსაც სპეციალური მაწარმოებელი არა აქვს**) და მნიშვნელობა, - სპეციალური დერივაციული აფიქსებით ვიღებთ **ახალ ფორმებს, რომელთაც ახალი მახასიათებლები შემოაქვთ სიტყვის სემანტიკაში**, განსხვავებული ამოსავალი ფორმის ლექსიკურ-სემანტიკური მახასიათებლებისგან.

ძირეული ფორმები დადებითი ხარისხისაა; მათგან ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებში განსხვავებული სემანტიკური მიმართებები, საფეხურები, გრადაციები, საგნის ნიშან-თვისების განსხვავებული ხარისხი ჩანს.

გამოიყოფა **უფროობითის ანუ აღმატებითის** (სადაც საგნის ნიშან-თვისება დადებით ფორმასთან შედარებით მეტი ან მაქსიმალური ხარისხით ჩანს) და **ოდნაობითის** (სადაც საგნის ნიშან-თვისება დადებით ფორმასთან შედარებით ნაკლები ხარისხით ჩანს) ფორმები.

I.2.17.1. უფროობითი (აღმატებითი) ხარისხი.

უფროობითის ფორმებს მეგრულში აწარმოებს უ- -ამ, ქართული უ- -ეს პრეფიქს-სუფიქსის ზუსტი მორფოლოგიური და ფონეტიკური შესატყვისობა (სემანტიკური თვალსაზრისითაც სრული თანხვედრაა):

უდაბალაშ-ი „უდაბლესი“, **უმაღალაშ-ი** „უმაღლესი“: კოჩიმ **უმაღალაშ-ი**, კატუმ **უდაბალაშ-ი** (ქაჯაია) „კაცზე უმაღლესი, კატაზე უდაბლესი“; **უდიდაშ-ი** „უდიდესი“: **უდიდაშ-ი** გეეჰოფი! (ქაჯაია) „უდიდესი აილე“; **უმანგარაშ-ი** „უმანგარესი“: არძაშ **უმანგარაშ-ი**ენია, უკახალე მოურს თი ჯიმავა (ხუბ.,254) „ყველაზე უმაგრესი არისო, უკან რომ მოდის ის ძმაო“; **უეფაშ-ი** „უიფესი“: სო **უეფაშ-ი** გიმიჩამუ-მაქი სიმიდი? (ყიფშ., 1) „სად უიფესად იყიდება-მეთქი სიმიდი?“; **უძალაშ-ი** „უძლიერესი“: ქარწყეჰო, ძალურიში **უძალაშ-ი** ირო ქოჸ ოფე (ყიფშ., 22) „ხედავ, ძლიერზე უძლიერესი ყოველთვის (კი) ყოფილა“; **უნწარაშ-ი** „უმწარესი“: თიშე **უნწარაშ-ი** ოფე (ქხს, 1, 81) „იმაზე უმწარესი ყოფილა“; **უსკვამაშ-ი** // **უსქვამაშ-ი** „ულამაზესი“: ზაფანაში უმწარაში პატონსქუაში **უსქვამაშ-ი** (ქაჯაია) „ზაფრანაზე უმწარესი ბატონიშვილზე ულამაზესი; ირფელიში **უსქვამაშ-ი** სამოთხეში ნარდი რექ (ქხს, 1, 110) „ყველაფერზე ულამაზესი სამოთხეში გაზრდილი ხარ“; **უსქაშ-ი** „უსქესი, უსქელესი“. შდრ. **უსქაშეში**; **უმარჩხაშ-ი** „უწყალმცირესი“; **უთარაშ-ი** „უმთავრესი“; უმაღალაშ „უმაღლესად“: დიხაქე თი **უმაღალაშ-ი** გოტე ბე (ქაჯაია) „მიწაც სწრაფად გათბა“; **უმეტაშ-ი** „უმეტესი“: **უმეტაშ-ი** ლე მას გოჰყორდ (სამუშ., ქართ.ზეპ., 114) „უმეტესობა ომში გაწყდა“; **უმხირაშ-ი** „უმხირესი“: **უმხირაშ-ი** ათე ლახალა რჩქინდგ (ქაჯაია) „უფრო ხშირად ეს ავადმყოფობა ჩნდება“; **უჯვეშაშ-ი** „უძველესი“: **უჯვეშაშ-ი** დროში რენი, ბაღანათი ქიმეხვადგ (ქაჯაია) „უძველესი დროის რომ არის, ბავშვიც მიხვდება“; **უძვირაშ-ი** „უძვირესი“; **უფ(უ)რაშ-ი** „უარესი“: იშო **უფრაში** ქოლოლეს (სამუშ., ქართ.ზეპ., 102) „იქით უარესი უქნეს“; უჯგუმ მანგარალს **უფრაში** ქეშეხვადუა (სახოკ., 260) „უკეთეს მოტირალს უარესი შეხვდაო“; **უფრაშის** ბლოლანანია (ხუბ., 244) „უარესს გვიზამენო“; სერი იშენ სერი მაფუ, დლაში - ხოლო **უფურაში** (ქხს, 155) „ღამე მაინც ღამეა ჩემთვის, დღე - კიდევ უარესი“; აწი იჸ იი **უფურაში** (ხუბ.,216) „აწი იქნება უარესი“; **უწინარაშ-ი** „უწინარესი“: ირფელიშ **უწინარაშ-ი** - სქანი ძირაფა ძვირი მაფუ (ქხს, 1, 76) „ყველაზე უწინარეს - შენი ნახვაა ჩემთვის ძვირი“...

-ა-ა > -ა:

- (ნძალა >) **უნძალაშ-ი** „უძლიერესი“: თემის ნაჰყა ხატიში **უნძალაშ-ი** რენია (ხალხ. სიბრ., 1, 52) „თემის ნაწყველი ხატისაზე უძლიერესი არისო“;
- (ცოდა >) **უცოდაშ-ი** „უსაცოდავესი“: ვავორდით **უცოდაშ-ი** (სამუშ., ქხპს., 154) „არ ვიყავით უფრო საცოდავი“;
- (მონკა >) **უმონკაშ-ი** „უმძიმესი“: ჰაერიშე **უმონკაშ-ი** რე „ჰაერზე უმძიმესია“;
- (ტომბა >) **უტომბაშ-ი** „ულრმესი“;
- (ჭითა >) **უჭითაშ-ი** „უწითლესი“;
- (უჩა >) **უუჩაშ-ი** „უშავესი“...

-ე-ა > -ა:

- (გირ/ნძე >) **უგირმაშ-ი** „უგრძესი“;
- (ნწარე >) **უნწარაშ-ი** „უმწარესი“: მართახი ქიგიაშქვი, **უნწარაშ-ი** ვეჸ იდასე ნი, ევერი (ყიფშ., 88) „მართახი დაარტყი, უმწარესი რომ არ იქნება, ისეთი“;
- (ჭიჭე >) **უჭიჭაშ-ი** „უმცირესი, უპატარავესი“: ირი სხეულშე **უჭიჭაშ-ი** რე (ქხს, 1, 159) „ყოველ სხეულზე უმცირესია“.
- (ჭიფე >) **უჭიფაშ-ი** „უწვრილესი“...

ან

-ე-ა > -ი-ა:

- (ჩე >) **ურჩიაშ-ი**, **ურჩიალაშ-ი** „უთეთრესი“: თე რიმ **ურჩიაშ-ი** რექი (ყიფშ., 164) „თოვლზე უთეთრესი ხარ“; თირიში **ურჩიალაშ-ი** რექი (ქხს, 1, 123) „თოვლზე უთეთრესი ხარ“;

-ო-ა > -ა:

(კოლო >) **უკოლაში** „უმწარესი“: ხინაში **უკოლაში** მუთა იჲ იი (ქაჯაია) „ქინაქინზე უმწარესი არაფერი იქნება“;

(ჰამო >) **უჰამაში** გადატ. „უტკბესი“: ირფელიშე **უჰამაში**, ირფელიშე უნწარაში (ქაჯაია) ყველაფერზე უტკბესი, ყველაფერზე უმწარესი;

(ხოლო >) **უხოლაში** „უახლოესი“: ვითოჟირი ვერსიში **უხოლაშისჲ** მითინი ვემიოთინანცია (ქხს, 2, 28) „თორმეტ კილომეტრზე უფრო ახლოს ვერავინ ვერ მიბედავსო“.

შდრ.: უხოლოში-ი „უახლოესი“.

-უ-ა > -ა:

(ტიბუ >) **უტიბაში** „უთბესი“;

(სქირუ >) **უსქირაში** „უმშრალესი“;

(რგილუ >) **ურგილაში** „უგრილესი“...

-უ-ა არ გადადის **-ა-ში**, **-უ** არ იკარგება:

(შხუ >) **უმხუაში** „უმსხვილესი“: თი თუმა არძაში უმხუაში რენია (ყიფშ., 102) „ის თმა ყველაზე უმსხვილესი არისო“;

(რჩინუ >) **ურჩინუაში** „უხუცესი, უბებრესი“ (ქაჯაია)...

საინტერესოა **უსქაში** ფორმის პარალელურად გამოვლენილი **უსქაშეში**: აქ გვაქვს ორმაგი წარმოება – ჯერ მეგრული შესატყვისობა **-აშ** დაერთვის სიტყვის ფუძეს, შემდეგ კი (როგორც ჩანს, ეს **-აშ** ფუძისეულად გადააზრიანების გამო) ხელმეორედ ხდება სუფიქსაცია, ამჯერად ჰიბრიდული (ქართულ-მეგრული) **-ემ** მორფემის დართვით:

უსქაშეში-ი იგივეა, რაც **უსქაში**, - უსქესი; უსქელესი (ქაჯაია).

ამის საპირისპირო მოვლენა გვაქვს ფორმაში **უმვირფაში**, სადაც ფუძისეული **-აშ** გაიზარება ხარისხის მაწარმოებელ მორფემად და მას ეს მაწარმოებელი „განმეორებით“ აღარ დაერთვის, გაგება უფროობითი ხარისხისა აქვს:

უმვირფაში-ი „უმვირფასესი“ (ქაჯაია).

განსხვავებულ წარმოებას აჩვენებს ზედსართავი სახელი **ჯგირი** „კარგი“, - მისი უფროობითის ფორმაა **უჯგუში** „უკეთესი“:

უჯგუში-ი „უკეთესი“: უფრაში ვადირენი, თეში **უჯგუში** ვამგეწონებუნია - უარესი რომ არ ნახო, ისე უკეთესი არ მოგეწონებაო“; **უჯგუშიში** **უჯგუშის** ირო ძირუქია (ხალხ.სიბრ., 1, 139) „უკეთესის უკეთესს ყოველთვის ნახავო“; სი ხომ ვარდიშ(ი) **უჯგუში** რექ (ქხს, 1, 79) „შენ ხომ ვარდზე უკეთესი ხარ“; ოსურ გათხინედანი ვარა, მა **უჯგუშო** მახიოლენია (ხუბ.,161) „ქალი შეძლოთ ითხოვოთ თორემ, მე უკეთესად გამიხარდებაო“. შდრ. ლაზ. **უჯგუში**.

საფიქრებელია, რომ ორივე **-უ** (პრეფიქსიც და სუფიქსიც) ზმნის პირის ფორმიდან მომდინარეობდეს: **უ-ჯგ-უ** სჯობია > **უ-ჯგ-უ-ში-ი** „უმჯობე“ (ზმნის პირიან ფორმაზე სახელური მორფემების დართვა ლაზურისთვისაა ერთობ დამახასიათებელი).

ყურადღებას იქცევს ამ ფორმის ლაზური ვარიანტი: **უჯგუში**.

როგორც ცნობილია, ლაზურში ხარისხის ფორმების გამოხატვა არ ხდება მორფოლოგიურად, აფიქსაციით; ხარისხის მიხედვით ფორმათა დიფერენცირება ხდება ლექსიკური საშუალებით: აია ემუშენი დიდი რე „ეს იმაზე დიდია“. **უჯგუში** ფორმაში სწორედ უფროობითის მაწარმოებლები ჩანს: პრეფიქსი **უ-** და სუფიქსი **-ში**.

ასევე საინტერესოა უ- ე წარმოების ნიმუში ლაზურში: უ-მჩან-ე „უფროსი“; შდრ. სვან. მეჩი „მოხუცი“.

საერთოქართველურში აღმატებითი ხარისხის მაწარმოებლად, სვანური მონაცემის გათვალისწინებით, *მა- -ე პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება აღდგება, რასაც, შესაძლებელია, ზანური ენის მეგრულ დიალექტში ერთადერთ რელიქტად შემორჩენილმა მაგალითმაც დაუჭიროს მხარი. ჩვენი დაკვირვებით, ასეთ ბედნიერ გამონაკლისად უნდა ვაღიაროთ მო-ტოლუ-ა ფორმა მეგრულში. შინაარსით მო-ტოლუ-ა აღნიშნავს სწორუპოვარს, აღმატებულს, ყველაზე მეტს. ზეპირ მეტყველებაში გავრცელებულია მყარი შესიტყვება: „ირფელიში//ირკოჩიშ მო-ტოლუ-ა რენ“ – ყველაფერზე (ყველა კაცზე, ადამიანზე) უმეტესია. მოცემული სიტყვის ფორმალური ანალიზით, ზედსართავი სახელის დადებით (ნეიტრალურ) ფორმად (ფუძედ) ტოლუ გამოიყოფა, რომელიც კანონზომიერად ჩადგება მსგავსი აგებულების -უ დაბოლოებიან ზედსართავ სახელთა რიგში: შხუ „მსხვილი“, თითხუ „თხელი“, ჭირკუ „წვრილ-კენკროვანი“... ხოლო გამონაწევრებული მო- -ა კონფიქსი კი გამოიყოფოდა აღმატებითი ხარისხის ნიშნად, რაც კანონზომიერი მორფო-ფონეტიკური შესატყვისი იქნებოდა რთული შედგენილობის სვანური მა- ე მარკერისა აღმატებითი ხარისხის ზედსართავებში, შდრ. ბგერათშესატყვისობა სვან. ა : ზან. ო, სვან. ე : ზან. ა... ფაქტია, აღმატებითი ხარისხის გამომხატველი ეს ერთადერთი ფორმაც მყარი გამონათქვამების წყალობით შემოგვენახა, თუმცა აქ გამოყოფილი მო- -ა კონფიქსის მიხედვით ადვილად აღდგებოდა ის რეალური ვითარება, რაც ისტორიულად დამახასიათებელი იყო მეგრული მორფოლოგიისათვის. ანალოგიის წესით რეკონსტრუირდება თეორიულად შესაძლებელი შემდეგი ენობრივი ფორმები: შხუ „მსხვილი“ - *მო-შხუ-ა „ყველაზე მსხვილი“, თითხუ „თხელი“ - *მო-თითხუ-ა „ყველაზე თხელი“, ჭირკუ „წვრილ-კენკროვანი“ - *მო-ჭირკუ-ა „ყველაზე წვრილ-კენკროვანი“ და ა. შ.

უნდა ვივარაუდოთ, რომ აღმატებითი ხარისხის ფორმათა მოშლა მეგრულ-ლაზურში გამოწვეულია რთული ენობრივი სისტემის გამარტივების საერთო ტენდენციით ქართველურ ქვესისტემებში, რაც ყველაზე მეტად ქართულს შეეხო, სადაც უცვლელად ძველი ქართულიდან დღემდე მხოლოდ სამწევროვანი სისტემა ფუნქციონირებს.

I.2.17.2. ოდნაობითი ხარისხი.

ოდნაობით ხარისხის ძირითადი მაწარმოებლებია აფიქსები: მო- -ე, მო- -ო.

მო- -ე:

მოლომე „ოდნავ ლომა ფერისა“: მოლომე კამბეში ე უნს (ქაჯაია) „ფერად ოდნავ ლომა ფერის კამეჩი ჰყავს“; მომაღალო „მომაღალო“: მომაღალო კოჩი „მომაღალო კაცი“; მორუმე „მოზნელო, მორუმე“; მორჩე „მოთეთრო“: ღურჭულუ ზესქვი უჩაქ, ნგ ნმგ მორჩექ, კუდეღ'ფიჩაქ! (ყიფშ.,148) „იჭიკჭიკა შავმა შაშვმა, ნისკარტ-მოთეთრომ, კუდეღაშლილმა“; უჩა უღუ გერდგ დგ ნი, მორჩეთ დოილაფესია (სამუშ., 75) „შავი უღელი რომ გედგა, მოთეთროდ შეგიღებესო“; მორჩიალე „იგივეა, რაც მორჩე, - მოთეთრო“; მოყვინთელე „იგივეა, რაც მოყ ვინთელე, - მოყვითალო“; შდრ. მოყ ვინთე „მოყვითალო“...

-ო-ე > -უ-ე:

(ბორო >) **მოზორუე** „მოსულელო“ ...

ჩვეულებრივ, **-უ-ე** კომბინაცია ცვლილებას არ განიცდის (შეიძლება **-უ-** დავიწროვდეს):

მოტიბუე „ოდნავ თბილი, მოთბო“: ჭიჭე **მოტიბუე** წყარი მოკო „ცოტა მოთბო წყალი მინდა“; **მოშხუე** „იგივეა, რაც **მოშხვე**, - ცოტათი მსხვილი, - მომსხვილო“; **მოშხვე** იხ. **მოშხუე** (ქაჯაია);

-ა-ე > -ე:

(უჩა >) **მოუჩე** „მოშავო“: ძუა-ფაფარი მოუჩე რე (ქაჯაია) ძუა და ფაფარი მოშავო აქვს (არის);

(ჭითა >) **მოჭითე** „მოწითალო“ ...

-ე-ე > -ე:

(ჭიჭე >) **მოჭიჭე** „შედარებით მცირე, პატარა, -- მომცრო“;

(რჩე >) **მორჩე** „მოთეთრო“;

(გინ/რძე >) **მოგინ/რძე** „მოგრძო“: **მოგგ რძე** ცხენი „მოგრძო ცხენი“;

(გიჟე >) **მოგიჟე** „განელებული წყალი, მოთბილო“ ...

(ჯორე >) **მოჯორე** „მოწაბლისფრო“: ნიჩვი **მოჯორე** აფუ „პირი მოწაბლისფრო აქვს“ ...

მო- -ო:

მო- -ო და **მო- -ე** პარალელურად გვხვდება:

მოდიდე, მოდიდო „მოდიდო“; ჭე **მოდიდე** ქიმგაჩინე-და, უჯგუში იჲ უაფუ (ქაჯაია) „ცოტა მოდიდოს თუ მომცემ, უკეთესი იქნება“; **მოკაბეტე, მოკაბეტო** „მოდიდო“;

გვხვდება **მო- -ა** წარმოებაც:

(ღულა > მო-ღულა-ა >) **მოღულა** „ოდნავ მოხრილი, მოღუნული“: კოჩი... **მოღულა** კეტიც ქალაჲ აფუნან ხეს (ხუბ., 24) „კაცი... მოხრილ ჯოხს (ქე) ათამაშებს ხელში“... ქიდეკინ **მოღულა** კეტი მეჩ თი კოჩქინი თინა (ხუბ., 25); **მოფერდა** „მოფერდობო“: **მოფერდია** „პატარა, მოფერდობო ადგილი“: მიდართჲ ბოშიქ, ჭე **მოფერდია** ადგილიე, თაქ (ხუბ., 176) „წავიდა ბიჭი, ცოტა გვერდობი ადგილი რომ არის, იქ“ ...

მო- -ო:

მო-რუხ-ო „მორუხო“; **მო-დოლოშფერ-ო** „მომდელოსფრო“, **მო-ტუტ-აშ-ფერ-ო** „მონაცრისფრო“, **მო-ქვიშა-შ-ფერ-ო** „მოქვიშისფრო“, **მო-ვარდიშფერ-ო** „მოვარდისფრო“ ...

ზოგჯერ ხარისხის, კერძოდ, ოდნაობითი ხარისხის ფორმა ეწარმოება არა ზედსართავ სახელს, არამედ არსებითს:

(ხანი >) **მოხანო** „ოდნავ (ცოტა) ხნიერი“;

(ფერდი >) **მოფერდია** „მოფერდობო“;

(გოთანა >) **მოგოთანე** „გამთენია, მოგათენებო“: **მოგოთანეთ** დიირთეს დიარაშე „გამთენიისას დაბრუნდნენ ქორწილიდან“; **მოგოთანე** ბორჯის გამთენიისას: ართიანიშ ხასლას ქიდინჯირეს **მოგოთანე** ბორჯის (აია, 1, 26) „ერთმანეთის გვერდით დაწვნენ გამთენიისას“;

(ონჯუა >) **მოონჯუეთ(ი)** „მოსადამოვებულზე“: ართმახ ქოჩორაქ **მოონჯუეთ** მინიილჲ ბაღჲ შა (ქხს, 2, 72) „ერთხელ ქოჩორა მოსადამოვებულზე შევიდა ბაღში“ ...

ოდნაობითის ფუნქციას გადმოსცემს ელა- პრეფიქსი:

((რ)ჩე>) ელა-რჩე „ოდნავ თეთრი, მოთეთრო“; ჭითა > ელა-ჭითე „ოდნავ წითელი, მოწითალო“

(ზორო >) ელაზორო „ოდნავ სულელი, მოსულელი“.

(გინ/რძე >) ელაგინძა „მოგრძო“; ჭე ელაგინძა ქორე (ქაჯაია) „ცოტა მოგრძო კი არის“;

(ფოჩო >) ელაფოჩო „მოსულელი“: ე ელაფოჩო ოსურქ მუთუნი ვეგეგუ: ამ მოსულელი ქალმა ვერაფერი გაიგო“...

იშვიათად ჩანს გე- -ე/ გო- -ე:

გელურჯე „ოდნავ ლურჯი. შდრ. გოლურჯე.

გოლურჯე „ოდნავ ლურჯი“;

გორჩე „ოდნავ თეთრი“. შდრ. მორჩე.

გემანჯეთ, გემანჯეს(უ) „მოსადამოვებულზე“: გემანჯეთ მიდართეს (ქაჯაია) მოსადამოვებულზე წავიდნენ.

ასევე იშვიათია მე-ე:

მე-რჩ-ე „ოდნავ თეთრი“, თეთრგარეული;

მე-ურჩ-ე ოდნავ შავი, შავგარეული“... (შდრ. მო-ურჩ-ე მოშავო) (ქაჯაია).

ლაზურში გვაქვს: მო-გინძ-ორა/დო-გინძ-ორა „მოგრძო“, მო-მჭით-ორა/დო-მჭით-ორა „მოწითალო“, მო-მჭუტ-ორა/დო-მჭუტ-ორა „მომცრო, მოპატარავო“...

საყურადღებო ჩანს სვანური ოდნაობითი ხარისხის -არა (სგელ-არა „მოსქელო“) სუფიქსური წარმოებაც, რაც ქართულსა და მეგრულში თავჩენილი /მო- -ო/ : /მო- -ე/ (მო-შავ-ო – მო-ურჩ-ე) კონფიქსური დერივაციისაგან მატერიალურად აბსოლუტურად განსხვავებული ჩანს. მისი წარმომავლობის დადგენის თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს ლაზური მასალა, სადაც სვანური -არა სუფიქსის ზუსტი შესატყვისი გამოვლინდა: (მო-//დო-)მჭით-ორა „მოწითალო“. ლაზურის შემთხვევაში ისიც არის საინტერესო, რომ თავკიდურ პოზიციაში ვითარება ქართულ-მეგრულისებურია, ზმნისწინი გამოიყენება, ხოლო ბოლოკიდურა აფიქსი სვანურისას ემთხვევა და საერთოქართველური ფუძეების *-არა მორფემას ასახავს.

I.2.17.3. თანაბრობითი ხარისხი.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებული თვალსაზრისის მიხედვით თანაბრობითი ხარისხის ფორმები მხოლოდ მეგრულშია. იგი არ გააჩნია არც ლაზურს, არც სვანურს და არც ქართულს. მაწარმოებელია მა- -ა.

ლაზურში თანაბრობითი შინაარსის გადმომცემად მიიჩნევენ „შესადარებელ საგანზე დართულ თანდებულებს“: კონაჲ, სთერი „ვით“, ოხორიშკონაჲ(სთერი) მჩხუ დივი „სახლივით მსხვილი დევი, სახლის სიდიდის დევი“, ჭუქირისთეი მსქვა კულანი „ყვავილის სილამაზის გოგო“ [დანელია, 2006, 119]

ოდესღაც ლაზურსაც უნდა ჰქონოდა თანაბრობითი ხარისხი, – წერს კ. დანელია და ამის ნიმუშად მოჰყავს მაგალითები: **მაპეჯანა**: „ოთხო კითიმ მაპეჯანა ფიცარიში იქიფან ბალუ „ოთხი თითის სისქის ფიცრის ბელელს აკეთებენ“ (ჩიქ., 1, 148). **მაპეჯანა** ნაწარმოებია **პეჯ-ი** (= „სქელი“) სიტყვისაგან: **მა-პეჯ-ან-ა** (შდრ. მა-შხვ-ა) „სიმსხო“... **მამაჩხვარა**: ემუშ მამაჩხვარა „იმის სიმსხო“ [დანელია, 2006, 119].

გამოდის, რომ **მა- ა, მა- -ან-ა, მა-არ-ა დღესაც მოქმედი წარმოებაა** და, აქედან გამომდინარე, გაუმართლებელი ჩანს განცხადება, რომ „ლაზურს **ოდესღაც უნდა ჰქონოდა** თანაბრობითი ხარისხი“. ამ შემთხვევაში სტატისტიკური მონაცემები არაფერს ნიშნავს: ყველა სიტყვამაწარმოებელი აფიქსი ერთნაირად პროდუქტიული არცერთ ენობრივ სისტემაში არ არის.

სპეციფიკური ნიაუნის გამო თანაბრობითი ხარისხის ფორმების ქართულად ინტერპრეტირება და გადმოცემა საკმად რთულია. უნდა აღინიშნოს, რომ ო. ქაჯაის ლექსიკონში მთლად იდეალური ვითარება არ არის ამ ფორმათა გააზრებისა და, შესაბამისად, პერიფრაზირების ადეკვატურობის თვალსაზრისით, განმარტებების ოპტიმალური და მეტნაკლებად ზუსტი ფორმულირებების სახით წარმოდგენის მხრივ. **მა-პრეფიქსის ფუნქციური დახასიათებისას** მეგრულ-ქართულ ლექსიკონში წერია: **მა-** „ზედსართავი სახელისაგან აწარმოებს გამთანაბრებელ ფორმას (შესადარებელ საგნებს შორის):

მა-სქვამ-ა (შდრ. სქვამი ლამაზი) ლამაზებს შორის უფრო ლამაზი;

მა-გირძ-ა//მა-გინძ-ა (შდრ. გინძე// გირძე გრძელი) გრძელთა შორის უფრო გრძელი; ისე გრძელი, როგორც...;

მა-კუნტ-ა (შდრ. კუნტა მოკლე) მოკლეთა შორის უფრო მოკლე;

მა-ჭიფ-ა (შდრ. ჭიფე წვრილი) წვრილთა შორის უფრო წვრილი;

მა-შხვ-ა (შდრ. შხუ მსხვილი) მსხვილთა შორის უფრო მსხვილი;

მა-რჩელ-ა (შდრ. რჩელა//რჩე//ჩე თეთრი) თეთრთა შორის უფრო თეთრი;

მა-რჩხელ-ა (შდრ. რჩხელი//ჩხე ცხელი) ცხელთა შორის უფრო ცხელი (ი. ყიფში.).

ლამაზებს შორის უფრო ლამაზი **ულამაზესია** (**უსქვამაში-ა**), გრძელთა შორის უფრო გრძელი **ურძესია** (**უგინძაში-ა**), მოკლეთა შორის უფრო მოკლე **უმოკლესია** (**უკუნტაში-ა**), წვრილთა შორის უფრო წვრილი **უწვრილესია** (**უჭიფაში-ა**), მსხვილთა შორის უფრო მსხვილი **უმსხვილესია** (**უმშხუვაში-ა**), თეთრთა შორის უფრო თეთრი **უთეთრესია** (**ურჩიაში-ა**), ცხელთა შორის უფრო ცხელი **უცხელესია** (**ურჩხიაში-ა**).

ამ ფორმათა სემანტიკის გადმოსაცემად ოპტიმალური ჩანს ამ ფორმულის გამოყენება: **ისე ..., როგორც ...** (მასქვამა = ისე ლამაზი, როგორც...).

თანაბრობითი ხარისხის მნიშვნელობით ქართულში გამოყენებულია ზედსართავი სახელისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი: ვარდიმ **მასქვამა** „ვარდის სილამაზის“ [დანელია, 2006, 118].

ნიმუშები:

მალარიბა „ისე ღარიბი, როგორც...“: მუქე ეგოფშე სქანი **მალარიბა** (ყიფში.,24) „რამ აგავსო შენისთანა ღარიბი (... სიღარიბის); **მალატაკა** „ისე ღატაკი, როგორც (... სიღატაკის) მუქე ეგოფშე სქანი **მალარიბა, მალატაკა** (ყიფში.,24) „რამ აგავსო (გაგამდიდრა) შენისთანა ღარიბი, ღატაკი (შენი სიღარიბის, სიღატაკის); **მაჭიჭა** „ისე პატარა, როგორც... (...სიპატარავის): ნამთინე წანეფც თიში **მაჭიჭა** იყ იი ყ ოვა: „ზოგიერთ წლებში ისეთი ცოტა (იმ სიპატარავის) იქნება მოსავალი; **მაჭკოლა** ისე მჭლე, როგორც... (...სიმჭლევის); **მახანა** „ხნისა, ტოლი“: ჩქიმი **მახანა** ქუა ვემწომჲ ნია სოთინი (ხალხ. სიბრ., 1, 164) „ჩემი ხნისა ქვა არ დევსო არსად“. ათეცალი ჭკუა

ულუ არმა ჩქიმი **მახანას** (მასალ., 53) „ამნაირი ჭკუა აქვს ყველა ჩემი ხნის (კაცს)“. **მახლა** „ისე ახლოს, როგორც... სიახლოვეს: მუჭო მორთუა თიშ **მახლაშა?** (ხუბ., 268) „როგორ მოვიდაო ასე ახლოს? (მის სიახლოვეს?)“; თიშ **მახლას** ქუდუხუნუდუ, მუსით გუუკვირდ „ისე ახლოს დამუდარიყო, მასაც გაუკვირდა“; **მაჯგირა** „ისე კარგი, როგორც... (...სიკარგის) ნანა, მუში **მაჯგირა** ლე ჩქიმოთ აკა თქვან ძირაფა (ქხს, 1, 50) „დედა, რა კარგია (რამ სიკარგის არის) ჩემთვის ერთი თქვენი ნახვა; **მაჯვეშა** „ისე ძველი, როგორც... (... სიძველის); **მაჰამა, მანწარა** „ისე ტკბილი, როგორც (... სიტკბოსი), „ისე მწარე, როგორც (... სიმწარის); დაჩხირი მუში **მაჰამა** რენი, თიში **მანწარა** რენია (ხალხ. სიბრ., 1, 35) „ცეცხლი როგორც ტკბილია (როგორი სიტკბოსიც არის), ისეთი მწარეც არისო (იმ სიმწარის არისო)“...

ქართულში, როგორც აღინიშნა, არა გვაქვს მეგრულისთვის დამახასიათებელი თანაბრობითი ხარისხის ფორმები: **მა-შხვ-ა** = ისე მსხვილი, როგორც... **მა-გინძ-ა** = ისე გრძელი, როგორც... მსგავსი თანაბრობითი ზედსართავები, გ. როგავას აზრით, ქართულსაც უნდა ჰქონოდა, რომელთა გაქვევებული ფორმებია **მ-ე** კონფიქსიანი ზედსართავი სახელები: **მ-წარ-ე, მ-ჟავ-ე, მ-ლაშ-ე, მ-ძიმ-ე, მ-ჩატ-ე, მ-ტვიც-ე** და სხვ. [გოგოლაშვილი..., 2010, 224].

გიორგი როგავას თვალსაზრისს მხარს უჭერს თანაბრობითის **მა- -ა, მა- -ანა** აფიქსების გამოყენება სხვა ფუნქციითაც: რიცხვითი სახელების, კერძოდ, რიგობითების წარმოებისას ზანურში.

ვვარაუდობთ, რომ საერთოქართველურ ფუძეენაში ზემოთაღწერილი ყველა ხარისხის ფორმა საკუთარი მარკერებით იყო წარმოდგენილი და წინაპარი ენისთვის შედარებით-ისტორიული შესწავლის გზით შესაძლებელია უფრო რთული ამოსავალი სისტემის რეკონსტრუქცია, სადაც (რომლის შიგნითაც) ფუნქციონირებდა შემდეგი ხარისხის ფორმები: დადებითი (ნეიტრალური), ოდნაობითი (***-არა**), თანაბრობითი (***მე- -ე**), შედარებითი (***უ- -ე**), აღმატებითი (***მა- -ე**). დიდი ალბათობით, გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება ის ფაქტიც, რომ, გარდა ოდნაობითისა, ყველა გარკვეული ნიშნით მარკირებული ხარისხის ფორმა კონფიქსური წარმოებისაა და ყოველი მათგანის მეორე (ბოლოსართულ) წევრად **-ე** სუფიქსი მეორდება.

I.2.18. შედარება-კნინობითობის სახელები.

მეგრულში გამოიყოფა ერთი წყება სახელებისა, რომელთაც **მსგავსება-ნაირობის** სემანტიკა აქვთ. თუკი **მა- -ა** აფიქსებით **თანაბრობა-იდენტურობის** აღნიშვნა ხდება, მსგავსება-ნაირობის სახელები გამოხატავენ **შედარება-კნინობითობას** (მაგვიმარაია „გვიმრის მსგავსი, მაგრამ რაღაც ნიშნით მასზე ნაკლები“), **ოდნაობას, მიახლოებულობას**, რისთვისაც თანაბრობითი ხარისხის მაწარმოებელ **მა- -ა** კონფიქსს დაერთო კნინობით სახელთა მაწარმოებელი **-ია** სუფიქსი [ცხადაია, 1996, 285-291; 2003, 106-117].

ნიმუშები:

მაცირია „ძალიან ახალგაზრდა გოგო. ცირა გასათხოვარი ქალიშვილია, უფრო ახალგაზრდას **მაცირია** ჰქვია“ (სამუშ., ქხპს, 125).

მაბოშია: „ძალიან ახალგაზრდა ბიჭი, მოზარდი, რომელიც უკვე ბიჭობს“;

მაისირაია ბოტან. ისლი (ა. მაყ.).

მაგვიმარაია, მაგვიმარია ბოტან. ჩადუნა. იხ. ლაგვიმორია, ლაგუმარაია (ა.მაყ.). შდრ. გვიმარა.

მსგავსება-ნაირობის გამოხატვისას მა- პრეფიქსის ნაცვლად შეიძლება ლა- შეგვხვდეს: ლაფართია, ლაგინძია, ლაბარსია...

ნიმუშები:

ლაგინძია, ლაგირძია, ლაგ რძია „მოგრძო, წაგრძელებული“: ლაგ რძია ტომბა (ქაჯაია) „მოგრძო (წაგრძელებული) ტბა“; ლაპარტყია „მობრტყო, წაბრტყელებული“; ლაბარტყია// ლაპარტყია „მობრტყო, წაბრტყელებული“; ლაფართია „მობრტყო, წაბრტყელებული“: ლაფართია დუდი ულუ (ქაჯაია) „წაბრტყელებული (მობრტყო) თავი აქვს“; ლაგვიმარაია//ლაგვიმორია ბოტან. ჩადუნა (ა. მაყ.). ლაგვიმარაია გვიმრის მსგავსი მცენარეა, იზრდება მაღალზე კონებად, ღერო რბილი აქვს. მწყემსებს ქვეშ დაგებული ჰქონდათ ლაგვიმარაია (მასალები, ტ. 4, ნაწ. 1, გვ. 215); შდრ. ლაგვაგვია ბოტან. გვიმრის ერთ-ერთი სახეობა...

ლა- -ია აფიქსიანი ფორმები ქართულში დადებითი და ოდნაობითი ხარისხის ფორმებით გადმოაქვთ: ლაბარტყია „ბრტყელი, მობრტყო“, ლაგირძია „გრძელი, მოგრძო“... თუმცა სხვა საკითხია, აპრიორულად რამდენად შეიძლება ამ შემთხვევაში ორ სხვადასხვა მნიშვნელობაზე მსჯელობა, ანუ რამდენად შეიძლება: ლაბარტყია „ბრტყელიც“ იყოს და „წაბრტყელოც“, ლაგირძია „გრძელიც“ იყოს და „წაგრძელოც“, - რანაირად იქნება ამ ტიპის ლექსიკური ერთეულები საგნის ამოსავალი თვისების მქონე და მისი მსგავსება-ნაირობის აღმნიშვნელიც, (შდრ.: ლაპარტყია „წაბრტყელო“ [სალია, 2003, 56]).

მსგავსება-ნაირობის სახელები კნინობითის -ია და -ა სუფიქსებითაც (პრეფიქსის გარეშე) იწარმოება. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ამოსავალი სემანტიკა კნინობითობის გამოხატვაა, სწორედ კნინობითის ფორმები გადააზრიანდება მსგავსება-ნაირობის სახელებად: ტაბაკ-ია „პატარა ტაბაკი“ (< ტაბაკი „ტაბლა“) > „ტაბაკივით ბრტყელი“: ტაბაკია დუდი „ტაბაკივით ბრტყელი თავი“. განსაკუთრებით ხშირია -ია და -ა სუფიქსებით წარმოქმნილი მსგავსება-ნაირობის გამომხატველი ზოონიმები:

ჭუკია (< ჭუკი „თავი“) - ძროხა, თავს იმით ჰგავს, რომ პატარა ტანისაა და ტყეში ყველგან მიძვრება; სქვერია (< სქვერი „შველი“) - ძროხა, რომელიც შველივით ცქციტია; შხურია (< შხური „ცხვარი“) - თხა, რომელსაც გრძელი და ფაფუკი ბეწვი აქვს; თუნთია (< თუნთი „დათვი“) - თხა, დათვივით დიდი და ბეწვიანი; მუნჩქვია (< მუნჩქვი „მაჩვი“) - თხა, რომელიც მაჩვივით მიწას ჩიჩქნის ფეხებით; ტორონჯია (< ტორონჯი „მტრედი“) - მტრედივით თეთრი ცხენი; ჩხომა (< ჩხომი „თევზი“) - ძროხა, რომელიც თევზს იმით ჰგავს, რომ ქვედა ყბა უკან აქვს გაწეული; კალმახა - კალმახივით დაწინწკლული ძროხა; ჯორა - ჯორივით ჯიუტი ცხენი; ერცქემა (< ერცქემა „არჩვი“) - თხა, რომელსაც ყველაფერი აკრთობს; ჯორიკია (< ჯორი „ჯორი“) - ჯორივით ტანდიდი თხა [ცხადაია, 1987, 426-475; კარტოზია..., 2010, 433].

საფიქრებელია და ალბათ გაცილებით ლოგიკური, თუკი მსგავსება-ნაირობის მაგალითებში (განსაკუთრებით ზოონიმებში) დადასტურებულ -ია და -ა სუფიქსებს დავაკავშირებთ არა კნინობითობის მასალობრივად ანალოგიურ მაწარმოებლებთან, არამედ მქონებლობის -ა-სთან ვეცდებით მათი ფუნქციური სიახლოვის ძიებას: ჩხომა - ეს არის ძროხა, რომელსაც ჩხომის (თევზის) რაღაც თვისება აქვს (თევზისებური ქვედა ყბა), კალმახა - ეს არის ძროხა, რომელსაც კალმახის რაღაც თვისება აქვს (წინწკლები), ჯორიკია ჯორივით

დიდი თხაა (ანუ, აქ კნინობითობაზე კი არა, პირიქით, სიდიდეზე შეიძლება მსჯელობა), ტაბაკია დუდი არის თავი, რომელსაც ტაბაკის ფორმა აქვს...

თვალშისაცემია ოდნაობითი ხარისხის ფორმათა მაწარმოებლების მასალობრივ-ფუნქციური კავშირი ზმნისწინებთან. ეს კავშირი შეინიშნება ქართულშიც: მოიგიჟებს, მოიზარმაცებს, წაითავხედებს, მოიავადმყოფებს, მოისულელებს, მოიბრიყვებს, წაიავებს, წაიბეჯითებს და სხვა მსგავს ფორმებში მო- და წა- ზმნისწინებს ზომით, მოცულობით ან ხარისხით ნაკლები მოქმედების გამოხატვის ფუნქცია აქვთ (შდრ.: გა-წითლდა - შე-წითლდა, გა-ხურდა - შე-ხურდა...); ეს კარგად ჩანს განმარტებებში:

მო-იგიჟებს „ცოტათი გიჟია“;	მეგრ. ელენხანგუანს;
მო-იზარმაცებს „ოდნავ ზარმაცია“;	მეგრ. ელეზარმაცუანს;
წა-ითავხედებს „ცოტა არ იყოს, თავხედა“;	მეგრ. ელეთავხედუანს;
მო-იკოჭლებს „ოდნავ კოჭლია“;	მეგრ. ელექულუანს;
მო-იავადმყოფებს „ოდნავ ავად არის“;	მეგრ. ელელებუანს, მილებუანს;
მო-იავადებს „ოდნავ ავად არის“;	მეგრ. ელელებუანს, მილებუანს;
მო-ისულელებს „ცოტა სულელია“;	მეგრ. ელებორუანს, ელეფორუანს...
მოიწითლებს „ცოტა წითელია“;	მეგრ. ელეჭითორუანს,

მიჭითორუანს...

შდრ.:

გინგმიჭით-ორ-უანს	წაიწითლებს/მოიწითლებს
გინგმიუჩ-ორ-უანს	წაიშავებს/მოიშავებს
გინგმიცვით-ორ-უანს	წაიყვითლებს/მოიყვითლებს
გინგმირჩი-ოლ-უანს	წაითეთრებს/მოითეთრებს

I.2.18.1. რიგობითი რიცხვითი სახელები.

მეგრულში რიგობითი რიცხვითი სახელის საწარმოებლად აღებულია რაოდენობითის ფუძე (რაოდენობითი რიცხვითი სახელი მარკირებული არ არის) და მას ერთვის მა- -ა (ქართული მე- -ე აფიქსების მორფოფონეტიკური შესატყვისობა):

მა-ჟირ-ა „მეორე“, მა-სუმ-ა „მესამე“, მა-ოთხ-ა / მა-ანთხ-ა > მა-ნთხ-ა „მეოთხე“, მა-ხუთ-ა „მეხუთე“, მა-ამშვ-ა > მა-მშვ-ა „მეექვსე“, მა-შქვით-ა „მეშვიდე“, მა-ჩხორ-ა „მერვე“, მა-ვით-ა „მეათე“, მა-ვითაართ-ა „მეთერთმეტე“, მა-ვითოჟირ-ა „მეთორმეტე“...

ო-ფუძიანი რაოდენობითი რიცხვითებია (ბ)რუო „რვა“ და ჩხორო „ცხრა“; ამათი რიგობითები განსხვავებულად იწარმოება. (ბ)რუო ფორმას მხოლოდ პრეფიქსი დაერთვის: (ბ)რუო „რვა“ > მა-(ბ)რუო „მერვე“; შდრ.: ჩხორო > მა-ჩხორო-ა > მა-ჩხორ-ა.

ლაზურში რიგობით რიცხვით სახელებს რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეთაგან აწარმოებს მა- -ა(ნ) პრეფიქს-სუფიქსი.

მა-ჟურ-ა „მეორე“, მა-სუმ-ა „მესამე“, მა-ოთხ-ა „მეოთხე“, მა-ხუთ-ა „მეხუთე“, მა-ანშ-ა > მა-ნშ-ა „მეექვსე“, მა-ნშქვით-ა > მა-შქვით-ა „მეშვიდე“, მა-ვით-ა „მეათე“...

შდრ.:

მა-ჟურ-ან-ი „მეორე“, მა-სუმ-ან-ი „მესამე“, მა-ოთხ-ან-ი „მეოთხე“, მა-ხუთ-ან-ი „მეხუთე“, მა-ნშ-ან-ი „მეექვსე“, მა-ჩხორ-ან-ი „მეცხრე“, მა-ვით-ან-ი „მეათე“...

მაართანი სერის (ჟღ., 14) (მეერთე) „პირველ ღამეს“, მაოთხანი სერი (ჟღ., 19) მეოთხე ღამე“, მაორვანი სი! (ჟღ., 136) „მერვე შენ!“; მაჟუანი ენ ნენა-ჭამონი (კარტ. 1,93) „მეორე არის ენაწამლიანი“; მაოშანი კოჩიში ოყვილუ (კარტ. 1, 133) „მეასე კაცის მოკვლა“; მაშქვითანი (მაშქვითა) ნდღას მენდვაცონუ (კარტ, 1, 132) „მეშვიდე დღეს წაიყვანა“.

მაჟუა ღნოსაი (ჟღ., 115) „მეორე ჭკვიანი“, მაოთხას – ჭიტას ჟურ ბერე უყონუნ (ყიფშ. დამ. ცნ. 645) „მეოთხეს – პატარას ორი შვილი ჰყავს“, მასუმა – „მესამე“, მაოშა – „მეასე“ და სხვა.

მხოლოდ მა- პრეფიქსითაც შეიძლება რიგითობა აღინიშნოს: მა-ორვო, მა-ნჩხორო.

ნიკო მარი შენიშნავს, რომ ლაზურში რიგობით რიცხვით სახელებს -ონ სუფიქსიც აწარმოებს: ვითოარ-ონ-ი „მეთერთმეტე“, ვითოჟურ-ონ-ი „მეთორმეტე“, ვითოსუმ-ონ-ი „მეცამეტე“... ეს -ონ/-ენ სუფიქსი დასტურდება, მისი აზრით, რაოდენობით რიცხვით სახელებში მეგრულშიც და ლაზურშიც: ჟარნეჩი/ჟურონეჩი/ჟურნეჩი, სუმონეჩი/სუმენეჩი, ოთხონეჩი/ ოთხენეჩი [მარი, 1910, 23].

-ონ/-ენ სუფიქსი ძველი ქართულის მე- ნაწილაკის ფარდი ჩანს: ორ-მე-ოცი (>ორ-მ-ოცი), სამ-მე-ოცი (>სამ-ოც-ი), ოთხ-მე-ოცი (>ოთხ-მ-ოცი): -ე-ო > -ო. მე- ნაწილაკის რეფლექსია ორმოც-სა და ოთხმოც-ში დარჩენილი -მ-, სამოც-ში ორიდან ერთი -მ- დარჩა, ფუძისეული.

ვ. თოფურია ფიქრობს, რომ -ონ/-ენ-ის რაობას სვანური არკვევს (ის სავსებით სამართლიანად უარყოფს ნ. მარის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ -ონ/-ენ ელემენტ(ებ)ის ფუნქცია მრავლობითობის გამოხატვა უნდა იყოს): სვანურში ამ სუფიქსის ბადალია -ინ, რომელიც აღნიშნავს ჯერადობას, „ჯერ“-ს; „ქართულ-მეგრულ-ჭანურსა და სვანურის თვლის თანაბარი სისტემა და მორფოლოგიური იდენტობა გვაფიქრებინებს, – წერს ის, – რომ ქართული მე-სა და მეგრულ-ჭანურ -ონ, -ინ-ს ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონდეთ დაკისრებული, როგორც დღეს სვანურში ცოცხლად დარჩენილ -ინ-ს. და თუ ეს ასეა, მაშინ ორმოცი = 2 X 20, სუმონეჩი = 3 X 20 და სხ.“ [თოფურია, შრომები, III,135-136].

ლაზურში გვაქვს ასევე -ენ-ერ-ი სუფიქსიანი რიგობითი რიცხვითი სახელები: ჟურ-ენ-ერ-ი „მეორე“, შუმ-ენ-ერ-ი „მესამე“, ოთხ-ენ-ერ-ი „მეოთხე“, ხუთ-ენ-ერ-ი „მეხუთე“... [მარი, 1910, 22].

I.2.18.2. წილობითი რიცხვითი სახელები.

წილობით სახელებს მეგრულში ნა- -ალ და ნა- -ორ აწარმოებს;

ნა- -ალ:

ნავითალი „ნაათალი, მეათედი“: ქონებაში ნავითარქ ქვერგუ ვითი დადოჯიმაშე (ქაჯაია) „ქონების მეათედი ერგო ათი და-მმისაგან“; ნანთხალი „ნაოთხალი, მეოთხედი“; ნაოშარი „ნაასალი, მეასედი“; ნაჟირალი, ნაჟე რალა „ნაორალი, - ტყუპის ცალი“: ფალუა რე ე ოროფაში ნაჟე რალი (სამუშ., ქართ. ზეპ., 19) „გაფურჩქვნაა სიყვარულის ორეული“; ნაჟირუ, ნაჟირუა „ტყუპი“: ნანთხალი, ნაონთხალი „მეოთხედი, ნაოთხალი“: ართი ნანთხალი მა ოკო ქომუჩევა (ქაჯაია) ერთი მეოთხედი მე უნდა მომცეო; ნაჟირუა ჯიმალეფიში არაკი (ხუბ., 295) „ტყუპი

ძმების არაკი. იხ. **ნაჟირალა**“; **ნახუთალ-ი** „მეხუთედი“: მუნაწიში ხვალე **ნახუთალი** მეჩუ (ქაჯაია) „მოსავლის მხოლოდ მეხუთედი მისცა“...

ნა- -ორ:

ნასუმორი „ნასამალი, მესამედი“: **ნასუმორიში** ეშე ვე იასხაპუ (ყიფშ.,45) „მესამედზე ზევით ვერ შეძლო ახტომა“;

მეგრულისა და ქართულის მასალის შეპირისპირება (**ნა-ნთხ-ალ-ი** - **ნა-ოთხ-ალ-ი**, **ნა-ხუთ-ალ-ი** - **ნა-ხუთ-ალ-ი**, **ნა-ვით-ალ-ი** - **ნა-ათ-ალ-ი**...) გვაფიქრებინებს, რომ დიაქრონიულად უფრო ძველი სწორედ **ნა- -ალ** წარმოება ჩანს; განსაკუთრებით საინტერესოა ფორმა **ნა-სუმ-ორ-ი** - **ნა-სამ-ალ-ი**, სადაც სუფიქსური შესატყვისობა ჩანს.

წილობითი რიცხვითი სახელები ლაზურში არ დასტურდება. მეტყველება წილობითის გამოსახატავად მიმართავს სხვადასხვა სინტაქსურ კონსტრუქციებს.

I.3. რთული სახელები (კომპოზიტები).

I.3.1. კომპოზიცია. კომპოზიციის არსი.

ახალი ლექსიკური ერთეულების მისაღებად არამხოლოდ აფიქსები გამოიყენება. ლაზურ-მეგრულში სიტყვაწარმოების საკმაოდ გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს კომპოზიცია. ცნობილია, რომ ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით მიღებულ სიტყვას **რთული სიტყვა**, ანუ **კომპოზიტი** ეწოდება.

კომპოზიტი თავიდანვე დამახასიათებელი ყოფილა ყველა ქართველური ენისათვის. კომპოზიციის არსებობა შეინიშნება ფუძეენურ დონეზეც: *ჟინ-ახ-ი „ვენახი“ > ძვ. ქართ. ვენახი, ზან. ბინო-ხი/ბინე-ხი, სვან. ჟენახ...

ყველაზე უფრო მდიდრად იგი წარმოდგენილია ქართულში, უპირატესად ლიტერატურულ ენაში (როგორც ძველში, ისე ახალში), შედარებით ნაკლებად – სვანურსა და მეგრულ-ლაზურში (განსაკუთრებით ლაზურში).

სიტყვაწარმოების საკითხები მეგრულ-ლაზურში არაერთი მკვლევრის მიერაა დამუშავებული.

რთული სიტყვა მეგრულში საკმაო სისრულით აქვს აღწერილი ი. ყიფშიძეს, – წერს ვ. თოფურია. იგი ყიფშიძის წიგნში მოყვანილ და თავის მიერ შეკრებილ მასალებს ქართულ კომპოზიტთა ჯგუფების მიხედვით ალაგებს, რაც ასეთ სახეს იღებს:

ფუძეგაორკეცებული ფუძეუცვლელებიდან ა) დო „და“ კავშირიანი, მსგავსი ქართული ცხენდაცხენ, კვალდაკვალ და სხვებისა, მეგრულში, ისევე როგორც სვანურში, არა გვაქვს, თუ ასეთად არ ჩავთვლით ტყა დო ტყა „ტყე და ტყე“, ჟი დო ჟი „ზევით და ზევით“, გა დო გას „მთა და მთაში“ და მათ მსგავსთ, რომლებიც კომპოზიტად ჯერ კიდევ შემტკიცებული არ ჩანან.

ბ) უმნიშვნელობო ფუძეთა გაორკეცების მაგალითები მეგრულშიც გვხვდება, მაგრამ არახშირად. მაგ.: ჩხვიჩხვი სიმინდის კატარი, გვაგვაფი „ძლიერი ცემა, ბრაგვანი“ (შდრ. გვაგვუა „ბეჟვა“, ჯგვაჯგვაფი „ჯახანი“ (შდრ. ჯგვაჯგვუა „ცემა“; გილეჯგვაჯგვუ „ზვიადად დადის“), ტურტურუე როჭო (ალბათ ნასესხებია); შდრ. ლათინ. turtur, რუს. тетерев: ყიფშიძე) და სხვ.

გ) დო „და“ კავშირი ივარაუდება მნიშვნელობის მქონე ფუძეთა შორის. მაგ.:

ლუკა-ლუკათ „ლუკმა-ლუკმად“, ფუჩხა-ფუჩხათ „ნამცეც-ნამცეცად“, შხუ-შხუ „მსხვილ-მსხვილი“, ჩხე-ჩხე „ცხელ-ცხელი“, სუმ-სუმი „სამ-სამი“, ოში-ოში „ას-ასი“, მუმ-მუმი „მის-მისი“, ვიშო-ვიშო „იქით-იქით“, მუკი-მუკი „ირგვლივ“ და სხვ. [თოფურია, 1929, 118].

ფუძეცვლილ კომპოზიტებში ის შემთხვევებია წარმოდგენილი, როდესაც „ადგილი აქვს ფონეტიკურ პროცესებს... კერძოდ, ხმოვნის შეცვლას (კირუ-კარუ...), პირველი კომპონენტის თავიდაური თანხმოვნის მოკვეცას (აცა-ბაცა...), ფუძის გაორკეცებისას: დისიმილაციას (გვარგვალი), ერთ-ერთი ფუძის მიერ თანხმოვნის დაკარგვას (ძვაძვალი... სვისვინი... ჟიჟირი... მუმუმი...)

ფუძეგანსხვავებულებში განხილულია კავშირიანი და უკავშირო შეერთების შემთხვევები:

1. დო „და-კავშირიანი ქართულისა და სვანურის შესაბამისად ზანურშიც რიცხვითი სახელებია ოცის შემდეგ. მაგ.: მეგრ. ეჩდოართი მეგრ.-ჭან. ეჩი დო ართი (ჭან. ეჩი დო არ) „ოცდაერთი“, ეჩდოჟირი ეჩი დო ჟირი (ეჩი დო ჟურ) „ოცდაორი“...

ოცამდის დო დაცულია ჭანურში, მაგრამ პარალელურად გამარტივებული (დ-დაკარგული) სახითაც გვაქვს, როგორც ეს მეგრულშია: მეგრ. ვითოჟირი, ჭან. ვიტოჟურ < || ვით დო ჟურ „თორმეტი“, ვითოსუმი, ჭან. ვიტოსუმ < ვით დო სუმ „ცამეტი“ და სხვ. [თოფურია, 1929, 118-119].

ამაზე უფრო საგულისხმოდ მიჩნეულია ის, რომ **დო** კავშირი დაცულია ისეთ სინონიმურ, ანტონიმურ და მნიშვნელობით ახლო მდგომ სახელთა შორის, რომლებიც ქართულში **და** ჩავარდნილ კომპოზიტებს წარმოადგენენ.

მაგ.:

და დო ჯიმა	და-მმა
დიდა დო მუმა	დედ-მამა
ჩილ დო ქომონჯი	ცოლ-ქმარი
ჩილ დო სქუა	ცოლ-შვილი
მუმა დო სქუა	მამა-შვილი
შქვილ დო კოპული	მშვილდ-ისარი და სხვ.

ამათ კომპოზიტობას თითქოს ის უნდა უჩვენებდეს, რომ სახელობითის -ი სუფიქსი შეიძლება არ იყოს ნახმარი: ჩილ დო ქომონჯი (|| ჩილი დო ქომონჯი), მგრამ სავსებით შემტკიცებული რომ არ არის, ამას ამჟღავნებს შესაძლებლობა კომპონენტთა ცალ-ცალკე ბრუნებისა და მრავლობით რიცხვში ხმარებისა (მოთხრ. ჩილქ დ ქომონჩქ, მრ. დალეფი დო ჯიმალეფი) /შდრ. ჭან. გრამ. ანალ. 71/. სხვა შემთხვევაში **დო** კავშირი ჩვეულებრივია ისევე, როგორც ქართულში:

ცა დო დიხა	ცა და დედამიწა
ჯა დო ქუა	ხე და ქვა
ოქრო დო ვარჩხილი	ოქრო და ვერცხლი
გერი დო ტურა	მგელი და ტურა
დლა დო სერი	დღე და ღამე და სხვა მრავალი

[თოფურია, 1929, 120].

სახელობითის ი- ნიშნის გამოვლენა ვერ იქნება იმის განმსაზღვრელი, კომპოზიტი გვაქვს თუ **და** კავშირით დაკავშირებული ორი სიტყვა. სახელობითის ნიშანს საერთოდ ახასიათებს მიდრეკილება დასუსტება-გაქრობისაკენ და, ამდენად, ეს ფაქტორი ამ შემთხვევაში რამე როლს ვერ შეასრულებს.

მეორეცაა, რომ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ნახევარი ხმოვანფუძიანია, – ასე რომ აქ საერთოდ მოიხსნა ეს საკითხი.

მესამე გარემოება, – ძალიან ძნელია ერთმანეთისგან გავარჩიოთ: **და დო ჯიმა, დიდა დო მუმა, მუმა დო სქუა, ცა დო დიხა, ჯა დო ქუა, ოქრო დო ვარჩხილი, დლა დო სერი**. არავითარი კრიტერიუმი არ არსებობს, რომლის მიხედვითაც ჩამოთვლილი ნიმუშებიდან ნაწილს კომპოზიტის სტატუსს მივანიჭებდით, ხოლო მეორე ნაწილს ამ სტატუსის გარეშე დავტოვებდით.

და მეოთხე: „შესაძლებლობა კომპონენტთა ცალ-ცალკე ბრუნებისა და მრავლობით რიცხვში ხმარებისა“ სწორედ იმის ნიშანია, რომ ორი ელემენტი, ორი კომპონენტი ერთ სიტყვად არ არის გააზრებული.

ქართულისებური ვითარება გვაქვს და ამ ვითარებისავე ანალოგიით დეფისით კომპენსირდება **და** კავშირის უქონლობა ორცნებიან კომპოზიტებში:

თო-ყუჯი	თვალ-ყური
დიდა-მუმა	დედ-მამა (ნაკლებ გავრცელებულია)
ოსე-სადილი	(<ოსერიშე სადილი „ვანხამ-სადილი“)
უჭუ-უხაშუ	„უწვავ-უხარშავი“

თაში-თეში	„ასე-ისე“
ათაურე-ეთეურე	„აქეთ-იქით“
ახა-ვაია	„ახ-ვაიო“ და სხვ.

ვ. თოფურიას შეფასებით, „თუმცა ასეთი წარმოება მეგრულისთვის უცხო არ არის, იგი ბუნებრივია, მაგრამ მას ისეთი ხშირი გავრცელება არა აქვს, როგორც ეს ქართულშია“ [თოფურია, 1929, 120].

უკავშირო ერთცნებიან კომპოზიტებში **დო** კავშირი არ ივარაუდება, ფუნქციით პირველი წევრი მსაზღვრელია და კომპოზიტიც განსაზღვრებითია (compozita determinativa).

არსებითი სახელი მსაზღვრელია იმავე არსებითისა:	
ქომოლსქუა ქომოლი სქუა	ვაჟიშვილი
ოსურსქუა ოსური სქუა	ქალიშვილი
ცირასქუა	ქალიშვილი
გურკოჩი გური კოჩი	(„გულ-კაცი“) სახელია
ოჩიკოჩი ოჩოკოჩი	(„ვაჟკაცი“)

მკვლევრის ვარაუდით, „აქაც პირველი წევრი შეიძლება ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი – **ოსურპატონი** „ქალბატონი“ – და ამან გადაწყვეტოს მისი კომპოზიტობა, თორემ სხვა ანალოგიურ შემთხვევაში არ ჩანს ზღვარი კომპოზიტსა და უბრალო მსაზღვრელ-საზღვრულს (შესიტყვებას) შორის“ [თოფურია, 1929, 120].

გავიმეორებთ, რომ თანხმობანფუძიანი სახელები საერთოდ გამოირჩევიან სახელობითი ბრუნვის ნიშნის დასუსტებითა და დაკარგვით და ეს გარემოება კომპოზიტობის დასადგენად ვერ გამოდგება.

მეგრულ-ლაზურში, ისევე როგორც ქართულში, სტრუქტურის მიხედვით გამოირჩევა:

1. რედუპლიცირებული კომპოზიტები;
2. ნაირფუძიანი კომპოზიტები

რედუპლიცირებული კომპოზიტები ფუძის გაორმაგებით მიიღება.

ნაირფუძიანი კომპოზიტების სტრუქტურაში არის ორი ან მეტი განსხვავებული ფუძე, ამ ფუძეთა ერთიანობა ქმნის ახალ, რთულ ლექსიკურ ერთეულს.

კომპოზიციის პროცესში მონაწილეობს სხვადასხვა მეტყველების ნაწილი:

ა) არსებითი + არსებითი:

ქომოლსქუა (<ქომოლი + სქუა), **ოსურსქუა** (ოსური + სქუა)...

ჭყონზოგა (<ჭყონიშ ბოგა) *ტოპ.* „მუხის ბოგირი“.

ბ) რიცხვითი + რიცხვითი:

ეჩდოართი (< ეჩი + დო + ართი)... სუმ-სუმი...

გ) რიცხვითი + არსებითი:

სუმკუჩხი (< სუმი + კუჩხი), **ჟირთოლი** (<ჟირი + თოლი)...

დ) ზედსართავი + ზედსართავი:

ჭითა-ჭითა „წითელ-წითელი“, **სქვამ-სქვამი** „ლამაზ-ლამაზი“, **ჯგირ-ჯგირი** „კარგ-კარგი“...

ე) არსებითი სახელი + ზედსართავი:

დუღჭიფე < დუდი + ჭიფე, ჯარგვალი (ჯა + რგვალი)

ჭყონდიდ-ი (ჭყონ + დიდი) ტოპ. „მუხადიდი“.

ვ) არსებითი სახელი + ნაცვალსახელი

დიაჩქიმი „დედაჩქიმი“ (დიდა + ჩქიმი), მუაჩქიმი (მუმა + ჩქიმი)...

ზ) ზმნისართი + ზმნისართი:

ვიშო-ვიშო „იქით-იქით“... ვიშო-აშო „იქით-აქეთ“... ათაურე-ეთეურე „აქეთ-იქით“... ექი-აქო „აქა-იქ“

გვხვდება რედუპლიკაციის სხვადასხვა სახეობა. ლ. სანიკიძე შემდეგ შემთხვევებს გამოყოფს:

- მარტივი (ფუძეუცვლელი) რედუპლიკაცია (მეგრ. ჩე-ჩე „თეთრი-თეთრი“... ლაზ. მსქვა-მსქვა „ლამაზ-ლამაზი“...)
- რედუპლიკაცია ხმოვნის შენაცვლებით (მეგრ. კირუ-კარუ... ლაზ. მჭიფე-მჭაფე)
- რედუპლიკაცია თანხოვნის დისიმილაციით (მეგრ. კარკალი... ლაზ. ბარბალი...)
- თავკიდურის გაორკეცება (მეგრ. კაკალი „ცალი“... ლაზ. ტეტელი „შიშველი“...)
- ბოლოკიდურის გაორკეცება (მეგრ. ბუცუცია „პაწაწა“... ლაზ. მუხუხი „თხუნელა“...)
- ტეხილი გაორკეცება (მეგრ. ბურბუ „დამურა“... ლაზ. ცანც-ა „კალათი“...)
- ღია მარცვლის გაორკეცება (მეგრ. ჩხვიჩხვი „ფესვი“... ლაზ. ფუფული „მუწუკი“)

[სანიკიძე, 1977].

ვ. თოფურიას დაკვირვებით, რედუპლიკაციისას ხმოვნის შენაცვლება არ არის დამახასიათებელი ზანურისთვის, ამის მაგალითები ცოტაა. ასევე ფიქრობს ლ. სანიკიძეც.

ვ. თოფურიას აზრით, არც თანხმოვანთა და მარცვალთა შენაცვლების მაგალითები ჩანს, მაგრამ ამას არ ეთანხმება ი. არონია, რომელსაც მონოგრაფიულად აქვს დამუშავებული კომპოზიტები მეგრულ-ლაზურში [იხ. არონია, 2010]. იგი სამართლიანად თვლის, რომ „საკმაო რაოდენობით ვხვდებით ხმოვანმონაცვლეობის შემთხვევებს, მეტიც, ამ ცვლილებათა გარკვეულ მოდელებს. იგივე შეიძლება ითქვას თანხმოვანთა და მარცვალთა შენაცვლების ფაქტებზეც“ [არონია, 2010, 41].

I.3.2. სახელთა რედუპლიკაცია.

მარტივი რედუპლიკაციის დროს კომპოზიტის კომპონენტებად გვაქვს იდენტური ერთეულები; შეიძლება გაორმაგდეს ყველა სახელი (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი).

არსებითი სახელის გაორმაგება:

აღსანიშნავია, რომ ერთობ იშვიათია **თავთავი**, **იაია** ტიპის რედუპლიკაცია.

ეს ტიპი კომპოზიციისა იშვიათია თავად ქართულშიც: **ქუჩა-ქუჩა**, **უბან-უბან**, **ტყე-ტყე** და მისთ. რედუპლიცირებული არსებითი სახელებია, მაგრამ **ფუნქციურად** ზმნისართებია. ფორმალურად ესენი ფუძეგაორკეცებულ არსებით სახელებად უნდა განვიხილოთ;

იაია და **ქუჩა-ქუჩა** ფუნქციურად ერთ სიბრტყეზე ვერ დადგება, თუმცა ეს უკვე სხვაგვარი ანალიზის საკითხია.

მეგრულსა და ლაზურში ჩვეულებრივია **ქუჩა-ქუჩა** ტიპის არსებითი სახელების რედუპლიკაციის მაგალითები (ძირითადია „უმნიშვნელობო“ მასდარებისა და ბგერწერითი ფორმების რედუპლიცირების შემთხვევები):

მეგრ.:

სერ-სერი გილულა ვემიოტუ თე ბაღანაქე (არონ., 28) „ღამ-ღამე სიარული არ მიატოვა ამ ბავშვმა“; **გვალა-გვალათ** მეურს „მთა-მთა მიდის“; **ტყა-ტყას** გილშეს „ტყე-ტყე დადიოდნენ“; **დუდ-დუდით** გილულუ ქიანა (არონ., 28) „თავით დააქვს მთელი ქვეყანა“; ანწი **ხე-ხეთ** გილედი ენა (არონ., 28) „ანწი ხელიხელ ატარე ეს“; ირო **შარა-შარას** გილახუნა მის უძირ (არონ., 28) „ყოველთვის გზა-გზა ჯდომა ვის უნახავს“; შუკა-შუკა ელვაყუნი დო მიდაფრთი „შუკა-შუკა გაყვევი და წავედი“; **ფურხა-ფურხა** ნამცეც-ნამცეცი. ბოშიქ ქაყ ოთჟ მუში საგანი, მარა **ფურხა-ფურხა** ცალო თექ ქიმკიხინკოლჟ (ხუბ., 180) „ბიჭმა ესროლა თავისი ისარი, მაგრამ ნამცეც-ნამცეცივით იქ მიიფშენა“...

შდრ. ლაზ.:

სეე-სეე „ღამ-ღამე“: მიკალა გულუ ანდეი **სეე-სეე** (კარტ. II, 265) „ვისთან დადიხარ ჯანდაბა ღამ-ღამე?“; **იერი-იერი** „ადგილ-ადგილ“: **იერი-იერი** ოხორეფე დიუ (კარტ. II, 193) „ადგილ-ადგილ სახლები იყო“; **დერე-დერე** „კლდე-კლდე“: **დერე-დერე** იდუ (კარტ. II, 195) „კლდე-კლდე წავიდა“; **ლუკმა-ლუკმა** „ლუკმა-ლუკმა“: დაღის ქოგძირინა **ლუკმა-ლუკმა** ქოგომხორ (ჩიქ., 1, 43) „ტყეში თუ გნახე, ლუკმა-ლუკმა შეგჭამ“; **ღალი-ღალი** „ღელე-ღელე“; ჰა კოჩი უშკური ეზდუ დო **ღალი-ღალი** დიდო ამაფონუ (ყდ., 1938, 34); **დუშუნი-დუშუნი** თენ „ფიქრი-ფიქრით“: **დუშუნი-დუშუნი** თენ დომღული (ჩიქ., 113) „ფიქრი-ფიქრით დავდნი“; **მჯიხი-მჯიხი** „მუჭა-მუჭა“: ოხორჯალეფექ **მჯიხი-მჯიხ** ფარა ნოღამისას თიზ ოქბღამან „ქალები მუჭა-მუჭა დედოფალს ფულს თავზე აყრიან“ (ყდ., 1938, 116); **ქა-ქვა** < **ქვა-ქვა** „ქვა-ქვა“: **ქა-ქვა** ნობღაფს (კარტ., 70) „ქვა-ქვა აყრიდა“...

როგორც აღინიშნა, ძალიან გავრცელებულია ე. წ. „უმნიშვნელობო“ ფუძეთა გაორკეცების შემთხვევები [შდრ. თოფურია, 1979, 119]; ძირითადად ეს არის **მასდარული** რედუპლიცირებული ფუძეები:

დგარდგალი „დგანდგარი, დგრიალი, გრიალი“. ქიმიოგანდეს ჭოკის დო ჩერთიშე იე უაფუდუ ნეძიში **დგარდგალი** „ქვევიდან მიარტყამდნენ (გრძელ) ჯოხს და ჩელტიდან ნიგოზი ხმაურით (დგანდგარით, გრიალით) ჩამოცვივდებოდა“.

დგვარდგვალი „ზათქით სროლა, გრიალი“. იე უუ თოფეფიში **დგვარდგვალქ** „შეიქნა თოფების გრიალი“.

დვარდვალი „უმწოდ და ურცხვად ლაპარაკი, ყველაფრის თქმა, რომვა, ყბედობა“. მუს დვარდვალანსინი, კინიი მუს ვაუჩქუ „რას რომავს, ისევ მან არ იცის“.

ვარვალი „ვარვარი; ბრწყინვა, ელვარება“. გაგმილუ დანა-ჩანგალი დო ვარვარლი ქოდააწყაფუუ, გოვარვალუუ „გამოიტანა დანა-ჩანგალი და ვარვარი დააწყებინა, გაავარვარა“.

თქვართქვალი 1. თხიერი მასის (მაგ., ჩირქის ან სხვა რამის...) ერთბაშად, თქრიალით წამოსვლა, დაღვრა. 2. რისამე შერუჯვა (გარუჯვა). შდრ. **დგვარდგვალი**, **ტკვარტკვალი**.

კარკალი, კარკალუა სახელი **კარკალანს** ზმნისა 1. კანკალი. ჩხურუქ გემოჲ ოთუ დო ქიდმოჰყაფუუ **კარკალი** „სიცივემ ამიყვანა და დამაწყებინა კანკალი“. 2. კაკანი (ქათმისა). დადულ ქოთომქ ქე დიიჰყე **კარკალი** (ხუბ., 220) „დედალმა ქათამმა ქე დაიწყო კაკანი“.

სვარსვალი იგივეა, რაც **სარსალი**. ნინაში **სვარსვალი** „ენის სავსავი, ტარტარი“.

სვასვალი „დაბალ ხმაზე ნაზად ლაპარაკი“.

ღვარღვალი ცრემლის ძლიერი ღვრა, ფრქვევა;

ძგვანძგვალი იგივეა, რაც ძგვამძგვალი, „ძუნძულით, უთავბოლოდ სირბილი; იმედგაცრუებული სვლა“. **შდრ. ცქვანცქვალი; წკვანწკვალი.**

კერკელი „კოტრიალი, გორაობა“.

ზურზული „ხმამალა ტირილი, ზლუქუნი; ღმუილი, ყმუილი“. თიში **ზურზული** ქიანას გინორჩქედუ „მისი ზლუქუნი მთელ ქვეყანაზე ისმოდა“.

გვაგვაფი „მომრგვალო საგნის მაგრად დაცემის ხმა“ (ჭარ); ძლიერი ცემა, ბრაგვანი; მაგრად გადაგდება. გეგლანთხუ ჯაშე დო **გვაგვაფი** გააჲ ა რ ე ბ ა ფ უ უ „ჩამოვარდა ხიდან და ბრაგვანი გაადინა“.

გვარგვალი „ძლიერი დუღილი, თუხთუხი, ქაფქაფი, ჩუხჩუხი“. ამარ-ემერი წყურგილეფი **გვარგვალით** ეშმაფუნცუ (აია, 1, 25) „აგერ-ეგერ წყაროები თუხთუხით იფრქვევა (ქვევიდან)“.

დგადგაფი „ბრეგვის, მაგრად ცემის დროს გამოცემული ხმა, ბრაგუნი“. იში **დგადგაფიში** ხუმა მაჟირა სოფერს ირჩქილედუა „იმისი ბრაგვის ხმა მეორე სოფელში ისმოდაო“.

დგირდგინი, დგირდგინუა სახელი **დგირდგინუნს** ზმნისა - „დგირალი, დგანდგარი, ძლიერი ხმაური, გრიალი“. ტრაქტორიშ **დგირდგინიშ** ხმა ირჩქილედუ „ტრაქტორის დგანდგარის ხმა ისმოდა“.

დღირდღინი იგივეა, რაც **დღიდღინი**, „დუდღუნი, ცხვირში უბნობა“ (საბა). **შდრ. თხირთხინი, ტყირტყინი.**

ზირზინი, ზე რზე ნი, ზირზინუა სახელი **ზი/გ რზი/გ ნუ/გ ნს** ზმნისა „ზურზუნი, ზმუილი; ხმამალა ტირილი; ყვირილი“.

თხირთხინი, თხირთხინუა სახელი **თხირთხინუნს** ზმნისა „დუდღუნი, ყრუ (ცხვირში) ლაპარაკი“; „სურდოს დროს სუნთქვის ხმა“.

კარკატი, კარკატაფა, კარკატუა სახელი **იკარკატუ(ნ)** ზმნისა „ბრუნვა, ტრიალი; ხვევა“.

კარკაცი, კარკაცუა სახელი **კარკაცანს** ზმნისა „კისკისი; ხმამალა, გადაჭარბებული სიცილი“. პულემიოტიქ ქე დიჰყე მიცა... **კარკაცი** „ტყვიამფრქვევმა დაიწყო სიცილი,... კისკისი“.

კვაკვალი „განუწყვეტილ ლაპარაკი“ (ჭარ.).

ცანცალი „თრთოლა, კანკალი, ცანცარი, ცახცახი“. ელაფირი მაფუ მა **ცანცალი** (ქხს, 1, 134) „ავარდნილი მაქეს მე კანკალი“.

ცქურცქუტი „ჩერჩეტი, ჩურჩუტი“. **ცქურცქუტი** კოჩი „ჩერჩეტი კაცი, „კაცი, რომელიც სწორ პასუხს ვერ მოიტანს, გამოთაყვანებულია“.

ცქუცქუტი „ცბიერი“ (მასალა წარმოდგენილია ო. ქაჯაიას ლექსიკონის მიხედვით)

ჯვიჯვინი კბილების ჩენით უშნო სიცილი: **ჯგე რჯგინ-ი** ჯახუნი, ძლიერი ხმაური. **შდრ.**

ჭკე რჭკინი;

ჯვინჯვინი იგივეა, რაც **ჯვიჯვინი**, „მსხვილი ცხვირპირიანის უშნოდ ყურება“;

ჭვიჭვინი „ღვივება“;

ჭკირჭკინი, ჭკე რჭკინი „ჭრიალი, ჭრიჭინი“; „კრაჭუნი, ჭრაჭა-ჭრუჭის ხმა“: თექი ორდასე ნგარა დო კიბირიში **ჭკირჭკინი** (ცაგ.,94) „იქ იყოს ტირილი და კბილების კრაჭუნი (ღრჭიალი)“;

ჭყირჭყინი, ჭყე რჭინი „ჭიჭყინი“...

დასტურდება მასდართა და ზმნიზედათა ფუძეების ჩვეულებრივი გაორკეცება:

რკიაფ-რკიაფი: რკიაფ-რკიაფით გემნორთეს „კვილ-კვილით შევიდნენ“;

რულაია-რულაია: რულაია-რულაიათ ქმერთუ თეიშახ „სირბილ-სირბილით მივიდა იქამდე“;

ჭარუა-ჭარუა: ჭარუა-ჭარუათ ირფელ საქმე გეკეთუ „წერა-წერით ყველა საქმე გაიკეთა“;

სოფილ-სოფილი: ირო სოფილ-სოფილი ბარგევი მუკაქუნდუ „ყოველთვის დახეულ-დახეული ტანსაცმელები ეცვა“;

წვირილ-წვირილი: წვირილ-წვირილი დიშკა ართო ქუდანწყუ „დაპობილ-დაპობილი შეშა ერთად დააწყო“...

გაორმაგებულია ზედსართავი სახელი:

მეგრ.:

ჯგირ-ჯგირ-ი იგივეა, რაც **ჯგი-ჯგირი**; **ჭიეჭიე** იგივეა, რაც **ჭიჭე-ჭიჭე**, - „პატარ-პატარა“: ჩქიმი ქოთომეფი ტანო **ჭიე-ჭიე** რე (ქაჯაია), ჩქიმი ქათმეხი ტანად პატარ-პატარა არის (პატარებია)“; **ხოზო-ხოზო** „დიდ-დიდი, მსხვილ-მსხვილი“: **ხოზო-ხოზო** ტიეფი ქუმუჲ ონაფუ ე უჩა (ქაჯაია) „დიდ-დიდი ტილები მოუყვანია სახლში“; **ჭიკუ-ჭიკუ, ჭირკუ-ჭირკუ** „პატარ-პატარა“: **ჭიკუ-ჭიკუ** უმქურეფი „პატარ-პატარა ვაშლები“; **ხვიჩა-ხვიჩა** „კაშკაშა, მოჩახჩახე“: **ხვიჩა-ხვიჩა** მურიცხეფი - და დო ჯიმა ჩქიმი (ქსს, 1, 10) „მოჩახჩახე ვარსკვლავეფი და და ძმა ჩქიმი“; **გვანილ-გვანილ-ი** „მსუქან-მსუქანი“: **გვანილ-გვანილ** კირიბეფით ქვარა აფუდეს რძლელი (ქსს, 1, 288) „მსუქან-მსუქანი ბატკნებით მუცელი ჰქონდათ მამდარი“; დოჲ ვილუ... **გვანილ-გვანილ** ხოჯეფი (ხუბ., 39) „დაკლა... მსუქან-მსუქანი ხარები“; **ჭვილი-ჭვილი-ი** „შემწვარ-შემწვარი“: **ჭვილი-ჭვილი** ქოთომეფი, კოს გუგანწყუმუ გური (ქსს, 1, 18) „შემწვარ-შემწვარი ქათმეხი, კაცს გაგეხსნება გული“; **ფართო-ფართო:** წაკურთხიას მივოტეთ **ფართო-ფართოში** რაგადი (სამუშ., ქსს, 134) „წყალკურთხევას (დღეს) მივატოვეთ ფართო-ფართოს თქმა“; **ჩხე-ჩხე** „ცხელ-ცხელი“: ჩხე-ჩხე ოჭკომალეფი - ცხელ-ცხელი საჭმელები. **ძლიუ-ძლიუ** „ძალიანპატარა“: სიმიდი ჰკუჰკუტიათი ჩანდუ დო **ძლიუ-ძლიუ** ტარეფი გიიკეთუ „სიმიინდი სქლად იდგა (იყო) და ძალიან პატარა ტაროები გაიკეთა“; **რიხვა-რიხვა** „მაღალ-მაღალი (და მსხვილი)“: წოწორიეფი არძა **რიხვა-რიხვა** რენა „წოწორიეფი ყველა მაღალ-მაღალი (და მსხვილი) არიან“; **როფა-როფა** „მსხვილ-მსხვილი“: მოფუნდუ დო უროს გუდუ, წყარიშ გვარგვალ **როფა-როფა** (ქსს, 1, 315) „მოდულდა და უროს ჰგავდა წყლის გვარგვალი მსხვილ-მსხვილი“...

ლაზ.:

მჭიფე-მჭიფე „წვირილ-წვირილი“: **მჭიფე-მჭიფე** შეეფექ ჰექ გოლაღუმენან (ჩიქ., 150) „წვირილ-წვირილებს იქ ჩამოდებენ“; **კაი-კაი** „კარგი-კარგი“: **კაი-კაი** გინძე გზას ქოგებდით (ჩიქ., 150) „კარგა გრძელ გზას დავადექით“; **მონკა-მონკა** „მძიმე-მძიმე“: ჰაშოთენ **მონკა-მონკა** ფშვანუმტით (კარტ., 2, 263) „და ასე მძიმე-მძიმედ ვსუნთქავდით“; **უჩა-უჩა** „შავ-შავი“: სევდა ჩქიმის მუფერ ნომსქუნ **უჩა-უჩა** თოლეფე? (ფიფ., 1994, 44) „ჩემს სევდას როგორ უხდება შავ-შავი თვალები“; ართ კვირაშკულე მეფთი დო **დიდო-დიდო** ნენაფე დომსვი (კალანდ., 19) „ერთი კვირის შემდეგ მივედი და ბევრი-ბევრი სიტყვები დავაწყვე“; ჭელუკაშ აეინე **დიდი-დიდი** ჭუბუთიში ნჯა მოკვათუფტეს (კალანდ., 86) „ნავის ნაცვლად დიდ-დიდ წაბლის ხეს მოჭრიდნენ“; **გინძე-გინძე** ალაფე, **ხჩე ფიმფლონი** ბაბაფე (კალანდ., 118) „მაღალ-მაღალი (გრძელ-გრძელი) თავადები, თეთრწვერა მამები“; მან აწი **მციქა-მციქა** შაირი ფთქვამინონ (კალანდ., 125) „მე ახლა მოკლე-მოკლე („ცოტა-ცოტა“) ლექსი მინდა ვთქვა; სიჯას უწვეს, **მონკა-მონკა** ნენა თქვია (კალანდ., 139) „სიძეს უთხრეს მძიმე-მძიმე სიტყვა თქვიო“; სოდანი **ჭიფე-ჭიფე** დოჰჰკიათ (კალანდ., 146) „ხახვი წვირილ-წვირილი დავჭრათ“...

გაორმაგებულია რიცხვითი სახელი:

ხუთუთი ||< **ხუთ-ხუთი**: „ხუთ-ხუთი“: გინაჯინენი, თითო ჯინჯი **ხუთუთი** ტარიში დოხარგელი (სამუშ., ქართ ზეპ., 84) „რომ გადახედო, თითოეული ძირი ხუთ-ხუთი ტაროთია დატვირთული“; **ხუთ-ხუთ-ი** „ხუთ-ხუთი“: დინოშე **ხუთ-ხუთი** კოს ოჯღონანდეს „სანათესაოდან ხუთ-ხუთ კაცს აგზავნიდნენ“; **გვერდედ-ი** ||<**გვერდ-გვერდი**: „ნახევარ-ნახევარი“: **გვერდედი** ქიმეჩეს „ნახევარ-ნახევარი (კი) მისცეს“; **ჟირ-ჟირი** ||< **ჟირ-ჟირი**, „ორ-ორი“. **ჟირ-ჟირო//ჟერ-ჟერო ზმნზ.** „ორ-ორად“. ირფელი **ჟირ-ჟირო** ქიდანწყიის „ყველაფერი ორ-ორად დააწყვეს“. **სუსუმ-ი** ||< **სუმ-სუმი** „სამ-სამი“. თითო სიმინს **სუსუმი** ტარი ელმუდუ „თითოეულ სიმინდს სამ-სამი ტარო ამოაქვს“...

გაორმაგებულია ნაცვალსახელი:

ჩქინჩქინი: **ჩქინ-ჩქინ-ი** „ჩვენ-ჩვენი“; „თითოეული“, „ცალ-ცალკე“. **ჩქინ-ჩქინი** საქვარი ვაკეთათ „ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ“. ოკო იბდათი **ჩქინ-ჩქინით**, მობრსათენი **ჩქინ-ჩქინ** ჭარა (აია, 1, 20) „უნდა წავიდეთ ჩვენ-ჩვენი გზით, რომ გამოვცადოთ ჩვენ-ჩვენი ბედისწერა“. **ჩქინ-ჩქინო ზმნზ.** ჩვენ-ჩვენთვის.

მუშუმ-ი ||< **მუშ-მუში**, „მის-მისი, თავ-თავისი“. მარულე გამკვიწყუნეს **მუშუმში** (ყიფშ., 17) „მორბენალი გამოიყვანეს თავ-თავისი“. ირფელი **მუშუმ** რიგო ოკო ქოლოლას (ხუბ., 142) „ყველაფერი თავ-თავის (მის-მის) რიგად უნდა გააკეთოს. არძას არზენც **მუშუმისც** (ქხს, 1, 158) „ყველას აძლევს თავ-თავისას. **მუშუმ** დუდშო „თავ-თავისთვის“: **მუშუმ** დუდშო იკვარკვანტე (მასალ., 70) „თავ-თავისთვის ბზრიალებს“; **მუშუმ** რჩქილა, თოლიშ ჯინა, **მუშუმდუთმო** თაშ გორთენი (სამუშ., ქხპს, 141) „ყურის სმენა, თვალის ხედვა, თავ-თავისთვის ასე რომ გაყო“... (ქაჯაია).

თქვან-თქვანი: **თქვან-თქვანი** საქმეს მეხვარით არძაქ „თქვენ-თქვენს საქმეს მიხედეთ ყველამ“;

შხვა-შხვა იგივეა, რაც **შხვადოშხვა**, „სხვა-სხვა“. არძო **შხვა-შხვა** გვარი რე (ყიფშ.,156) „ყველა სხვადასხვა გვარია“. ოთხი დრო ულუ მოკავშირე, **შხვაშხვა** ჰაერც მომიდანა (სამუშ., ქხპს, 116) „ოთხი დრო აქვს მოკავშირე, სხვადასხვა ჰაერს მოგვიტანენ“...

I.3. 3. ფონეტიკური პროცესები რედუპლიკაციისას.

რედუპლიკაციისას ხშირია სხვადასხვა ფონეტიკური მოვლენა. ზოგიერთ მათგანზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ყველაზე გავრცელებულია თანხმოვანთა (განსაკუთრებით ორი რ-ს) დისიმილაცია; მაგ.:

ჯვარჯვალი „ცეცხლზე ჭურჭლის ძლიერ გამურვა“; **ჯღარჯღალი-ი** „იგივეა, რაც ჯაჯღალი, ჯღაჯღალი, ჯაჯღანი“; **ჯღაჯღალი-ი** „ჯაჯღანი“; **ჯღვაჯღვალი-ი** „ჯაჯღანი“; **ჭვარჭვალ-ი** 1. სითხის (წყალი, არაყი...) წვეთ-წვეთად წამოსვლა, - წვეთვა, წანწკარი; **ჭყარჭყალ-ი**, **ჭყაჭყალ-ი** „ჭაჭყანი, ჭიჭყინი“; **ხვარხვალ-ი** „იქით-აქეთ ბრუნვა, მოუსვენარი ტრიალი, - ხვანხვალი, წრიალი“: ართ ოჭუმარეს გივოჯინინი, მეუტებუდეს **ხვარხვალი** (სამუშ., ქხპს, 148) „ერთ დილას რომ დავხედე, შეეწყვიტათ მოძრაობა (ძრომა)“; **კვარკვალია** „მრგვალი“: ბურთი **კვარკვალია** რე, ვიშოთ იხერკელ დო აშოთი (ხალხ. სიბრ., 1, 21) „ბურთი მრგვალია, იქითაც გაგორდება და აქეთაც“; **ჯგარჯგალი-ი** „კანკალი, ცახცახი, მაგმაგი“; **გვარგვალი** „ძლიერი დუდილი, თუხთუხი, ქაფქაფი, ჩუხჩუხი“: ამარ-ემერი წყურგილეფი **გვარგვალით** ეშმაფუნცუ (აია, 1, 25) „აგერ-ეგერ წყაროები თუხთუხით იფრქვევა (ქვევიდან)“; **ჭურჭულ-ი** „სახელი

ჭურჭულანს ზმნისა - გალობა, ჭიკჭიკი, ჭუკჭუკი, ჟღერტული“; **კერკელ-ი** „კოტრიალი, გორაობა“...

I.3.2.1. რედუპლიკაცია ხმოვნის შენაცვლებით.

ჭიუ-ჭაუ „წვრილ-წვრილი“; **ხარახურა** „ნაყარ-ნუყარი, ხარახურა“; **ჩიმ-ჩამუ/ჩიმუ-ჩამუ** „ჩამი-ჩუმი“: ლე მაქ მეჭყორდ..., **ჩიმ-ჩამუ** ვარე „ბრძოლა დამთავრდა, ჩამი-ჩუმი არაა“. ვერჩქილედას **ჩიმუ-ჩამუ** (ქხს, 1, 286) „არ ისმოდეს ჩამი-ჩუმი“; **ფართი-ფურთი** „ფართი-ფურთი, „ფაფხური, ფაცი-ფუცი“. **ფართი-ფურთი** კოჩიე „ფაფხურა კაცია“; **ხიპუჭ-ხაპუჭი** იგივეა, რაც **ხირუ-ხარუ**, - წვრილმანი, უბრალო რამის გროვა. **ხიპუჭ-ხაპუჭეფი**, მუთუნი ქულულუდე-და, აკუშყარულუდე - წვრილმანები, თუ რამე ჰქონდა, მოეგროვებინა; **ტკიპურ-ტკაპურ-ი** „ტკიპურ-ტკაპურს იძახე“ (ქხს, 2, 465) „ტკიპურ-ტკაპურს იძახის (ხმას გამოსცემს)“; **ხირუ-ხარუ** იგივეა, რაც **ხიპუჭ-ხაპუჭი**, „წვრილმანი რამ მოგროვილი; ძველმანები“. **შდრ. მიკონ-მოკონი**; **ხიჩუ-ხაჩუ** „ნაყარ-ნუყარი“. **ხიჩუ-ხაჩუთი** ოხოლე, შხვეფითი დო ჩქე ნ თურეფი (მასალ.,82) „ნაყარ-ნუყარც ურევა, სხვებიცა და ჩვენებურებიც“; **ზირზოლ-ი**, **ზირზოლუა** სახელი **იზირზოლუ(ნ)** ზმნისა „ფუთფუთი (ადამიანებისა), ჟრიამული, ზუზუნი, თავმოყრილი ადამიანების შემფოთებული ხმიანობა“; **ზღირზლოლ-ი** „ფუთფუთი, ბევრის ერთად რევა“...

I.3.2.2. რედუპლიკაცია დასაწყისი მარცვლების შენაცვლებით/ცვლილებით.

ხიჭუ-მაჭუ იგივეა, რაც **ხიჭმუჭუ**, „წვრილმანი; უმნიშვნელო რამ“. მუაჩქიმი, ათეჯგურა **ხიჭე - მაჭუეფი** გოულტუათ გინძევადამი მოსვანჯაშა „მამაჩემო, ასეთი უმნიშვნელოები (წვრილ-წვრილები) გავუშვათ გრძელვადიან მოსვენებაზე“. **შდრ. მიკენ-მოკონი**; **კინტურ-მანტური** „გადაკრული, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკი“. დაანები დუდი **კინტურ-მანტურ** რაგადის! „დაანებე თავი ამ გადაკრულ ლაპარაკს!“; **ბირდუ-ბარდუ** „აბდაუბდა; უაზრობა. არამკითხე“: **ბირდუ-ბარდუ**, მი გიმარდუ! (სახოკ., 243) „ბირდუ-ბარდუ, ვინ გიმადლის!“... (ქაჯაია).

ნგარა-მარა „ტირილ-მირილი“. სქანი **ნგარა-მარაში** მა მუთა მიჩქუნია „შენი ტირილ-მირილის მე არაფერი ვიცო“; **ბუქი-შუხი** „ქარიშხალი, კორიანტელი“. ბჟადალე ჟ ე უცებას **ბუქი-შუხიქ** გელასოფუ „დასავლეთიდან უცბად ქარიშხალი ამოვარდა“; **აზა-კვაზა** „კოპწია, კოხტა“. **აზა-კვაზა** ძღაბიე „კოხტა გოგოა“; **ალანურ-მალანური** „ალანურ-მალანური“ (თოფ. სიტყ., ვ1, 297); **ანახ-განახი** „ძალა, ღონე“. **ანახ-განახი** გიშალუაფირი მაფუ „ღონე გამოლეული მაქს“...

შდრ. ლაზ.:

მუ ბილეთი? **ბილეთი-მილეთი** ვა ენ (კალანდ., 140) „რა ბილეთი? ბილეთი-მილეთი არ არის“...

ცალკე გამოყოფენ მართულმსაზღვრელიან რედუპლიცირებულ კომპოზიტებს: **მუმუში** <||**მუმუმუში... ჯვეშიშჯვეში...** [იხ. სანიკიძე, 1977, 59, 65, არონია, 2010, 39].

აღნიშნულია, რომ „მეგრულში ასევე დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, სადაც გაორკეცებული ფუძის პირველი კომპონენტი დგას მოქმედებით ბრუნვაში. მაგალითად:

მათანძალო (ძალათინძალო > ძათინძალო > ძათინძალო > ძათანძალო) „ძალით“... [არონია, 2010, 39].

გამოიყოფა რედუპლიცირებული სახელები ქონებისა:

დგირდგინა კოჩი „ხმაურიანი, ხმამაღლა ლაპარაკის მოყვარული კაცი“;

დგირდგონა „თხუპნია“;

დვარდვალა „მოლაყბე; მროშავი“;

დღადღალა „ვისაც დადღანი სჩვევია, დადღანა“;

დღარდღალა „უშნოდ მოლაპარაკე, დადღანა“: **დღარდღალა** კოჩი „დადღანა, უშნოდ მოლაპარაკე კაცი“;

დღვადღვალა „დუდღუნა“.

დღვიდღვა „ვინც იბღვირება, - ბღვერია“: **დღვიდღვა** კოჩი რე „ბღვერია კაცია“;

დღიღღინა//ღღი[რ]ღღინა „იგვივა, რაც **დღვადღვალა**, დუდღუნა, ვინც ცხვირში ლაპარაკობს, ცხვირში მოლაპარაკე“;

ღღირღღინა „იგვივა, რაც **დღიღღინა**, დუდღუნა; ცხვირში მოლაპარაკე“;

წირწინა „ვისაც წირწინი სჩვევია, წირიპინა“;

ჭყირჭყინა „ვისაც ჭიჭყინი სჩვევია, ჭირვეული ადამიანი, ჭინჭყელი“;

ღვენღვერია: „ღვენღვერია კოჩი „უწყინარი კაცი“...

I.3.4. ნაირფუძიანი კომპოზიტები.

I.3.4.1. სიტყვათა კომბინაციის სტატუსი.

ორი (ან მეტი) სიტყვის კომბინაციას შეიძლება განსხვავებული კვალიფიკაცია მიენიჭოს, - ერთ შემთხვევაში ეს იყოს მსაზღვრელ-საზღვრული, ხოლო მეორე შემთხვევაში კომპოზიტი.

როდის არის ერთი და როდის მეორე?

ეს, ერთი შეხედვით, მარტივად გადასაწყვეტი საკითხი არცთუ იშვიათად სირთულეებთან არის დაკავშირებული არათუ მეგრულისა და ლაზურისთვის (სადაც ორთოგრაფიული ნორმები არ არეგულირებს პროცესებს), არამედ ქართულისთვისაც კი (ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონში არსებული სურათი ამის ილუსტრაციას წარმოადგენს).

ნათელია სურათი ფუძეების რედუპლიცირებისას: ამ შემთხვევაში ნამდვილად კომპოზიტები გვაქვს; ამის გაფორმება ხდება ორგვარად: ფუძეები **ერთად** (რაკრაკი...) ან **დეფისით** (ნელ-ნელა...) იწერება. ორივე მოდელი კომპოზიტის მოდელია.

კომპოზიტობა იმის მიხედვით ვერ დადგინდება, სიტყვებს ერთად დავწერთ თუ ცალ-ცალკე. სიტყვებს ერთად ან ცალ-ცალკე მათი სტატუსის მიხედვით ვწერთ.

თუ კომპოზიტია (რთული სიტყვაა), მაშინ ვწერთ ერთად, თუ მსაზღვრელ-საზღვრულია ან ორი სინტაქსურად ერთმანეთზე დამოკიდებული სიტყვებია, მაშინ ცალ-ცალკე ვწერთ.

კომპოზიციის პროცესი ცოცხალი, დინამიკური პროცესია. დროთა განმავლობაში მსაზღვრელ-საზღვრული შეიძლება კომპოზიტად ჩამოყალიბდეს. ამის მაგალითი უამრავია.

თუმცა, ცხადია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა მსაზღვრელ-საზღვრული შეიძლება კომპოზიტად გარდაიქმნას.

რა კრიტერიუმების მიხედვით შეიძლება იმის დადგენა, სიტყვები ერთად უნდა დაიწეროს თუ ცალ-ცალკე?

ძირითადი წესი რამდენიმეა.

ერთცნებიანი კომპოზიტის ნაწილები ერთად იწერება: პირისახე, მკათათვე... თავმჯდომარე, ახალგაზრდა, თორმეტი, **ორ-** და **მეტცნებიანი** კი – დეფისით: ტოლ-ამხანაგი, მთა-მინდორ-ველი და სხვ. [შანიძე, 1980, 148]. ლოგიკა მარტივია: ერთი ცნების გამომხატველი სიტყვა უნდა აღვიქვათ არა როგორც ჯამი მისი კომპონენტებისა, არამედ როგორც ერთი სიტყვა, რომელსაც აქვს კონკრეტული მნიშვნელობა.

ქართულში, ჩვეულებრივ, კომპოზიტის პირველი კომპონენტი **სახ. ბრუნვის** ნიშანს არ დაირთავს: **გულწასული**, **გულთბილი**, **წყალდიდობა**, **გლეხკაცი**...

არ დაირთავს **ნათ. ბრუნვის** ნიშანს: ცხვირსახოცი < ცხვირის სახოცი, პირსახოცი < პირის სახოცი...

მეგრულში სახელობითის ნიშნის დართვა-დაურთველობა არარელევანტურია, – იმის გამო, რომ სახელობითი ბრუნვის ნიშნის გამოვლინებას საერთოდაც ლაზილური ხასიათი აქვს.

მაგრამ აქ რელევანტურია სხვა ფაქტორი: სინტაქსური მიმართება. თუ კომპოზიტად სახელდებული ერთეული შეიძლება მსაზღვრელის ფუნქციით ვიხილოთ, ანუ თუ მას აქვს მსაზღვრელის პოტენციალი, ეს არის კომპოზიტი; კომპოზიტია, მაგალითად, **გურმულირი** „გულმოსული“, როდესაც ის არის მსაზღვრელი: **გურმულირი** კოჩი „გულმოსული კაცი“;

ასევე კომპოზიტია ის არის ზმნასთან: **გურმულირი** რე „გულმოსულია“.

მაგრამ კომპოზიტი არ არის აფუ ზმნასთან: **გურ მულირი** აფუ „გული მოსული აქვს“.

ასეა ეს ქართულშიც: ვამბობთ და ვწერთ: **გულმოსული** კაცი, გულმოსული არის > **გულმოსულია**, მაგრამ **შდრ. გული მოსული** აქვს.

მეგრულსა და ლაზურშიც მოქმედებს ეს მექანიზმი (გურჩამა < გურიშ ჩამა „მიხვედრა“... გურჭუა იგივეა, რაც გურიჭუა, გურიიჭუა, „გულისტკივილი, სიბრალული“. **გურჭუაქ** გემიოლუ „გულისტკივილი ამივარდა... **გურჯიბე** „გულის ჯიბე“. **გურჯიბეს** იპუაფუდი (ყიფშ.,165) „გულჯიბეში ვიქნებოდი... **შურდგე** მა იგივეა, რაც **შურდგუმა**, „სულდგმა; სიცოცხლე. მა **შურდგე** მა მუშო მოკო: (ქსს, 1, 242) „მე სიცოცხლე (სულდგმა) რად მინდა“..), მაგრამ ამ შემთხვევაში სულ სხვა მექანიზმი მოქმედებს.

სწორედ ამგვარი მექანიზმების დეტალური ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს ფორმათა კლასიფიკაცია და კვალიფიკაცია.

ასე შეგვიძლია ორნაირად წარმოვადგინოთ ფორმები და ორივე შემთხვევაში დაწერილობა სწორი იქნება:

გურჭითა რე („გულწითელა“) ან **გურჭითა** ჩიტი („გულწითელა ჩიტი“);

შდრ.:

გურ(ი) ჭითა აფუ „გული წითელი აქვს“;

დუდგინძე რე („თავგრძელი“) ან **დუდგინძე** კოჩი („თავგრძელი კაცი“);

შდრ.:

დუდ(ი) გინძე ულუ „თავი გრძელი აქვს“;

ჩხვინდგინძე რე („ცხვირგრძელი“) ან **ჩხვინდგინძე** კოჩი („ცხვირგრძელი კაცი“);

შდრ.:

ჩხვინდ(ი) გინძე ულუ „ცხვირი გრძელი აქვს“;

გურმულირ რე („გულმოსულია“) ან **გურმულირი** კოჩი („გულმოსული კაცი“);

შდრ.:

გურ(ი) მულირ აფუ „გული მოსული აქვს“...

ხეგოფაჩილი რე („ხელგაშლილია) ან **ხეგოფაჩილი** კოჩი („ხელგაშლილი კაცი“);

შდრ.:

ხე გოფაჩილი აფუ „ხელი გაშლილი აქვს“);

ხეგუმოდალირი რე „მშრომელია“ (სიტყვასიტყვით: „ხელგამოტანილია“, ხელგამოღებულია“) ან **ხეგუმოდალირი** კოჩი („ხელგამოღებული კაცი“);

შდრ.:

ხე გუმოდალირი აფუ „ხელი გამოღებული აქვს“);

ხედამშვენებული რე („ხელდამშვენებულია“) ან **ხედამშვენებული** კოჩი („ხელდამშვენებული კაცი“);

შდრ.:

ხე დამშვენებული აფუ „ხელი დამშვენებული აქვს“);

ხემეჭვილი რე („ხელდამწვარია“; გადატ. ძუნწია) **ხემეჭვილი** კოჩი რე („ძუნწი კაცია“);

შდრ.:

ხე მეჭვილი აფუ „(ხელი დამწვარი აქვს“)...

ნიმუშები ტექსტებიდან:

გურმულირი „გულმოსული“: **გურმულირქე** თიჯგურა ვათქუა, შერიგებაში დროს ონჯლორე გიჩქედასია (ხალხ. სიბრ., 1, 33) „გულმოსულმა ისეთი არ თქვა, (რომ) შერიგების დროს გრცხვენოდესო (სირცხვილი იცოდეო). მალასოფუ გვერშაპიქ **გურმულირო** (ხუბ., 12) „წამოვიდა ვეშაპი გაბრაზებულად“;

გურმწუხარე „გულმწუხარე“: ვორდი **გურმწუხარეთ** (მასალ.,97) „ვიყავი გულმწუხარედ“;

შურგოტებული „სულწასული, სულმოკლე“: მუს რე, ჯიმა, **შურგოტებულო** უჯინექიე? (ხუბ.,57) „რასაა, ძმაო, სულწასულად რომ უყურებო?“;

შურმალაფუ „სულთმოზრმავი, მომაკვდავი“: **შურმალაფუ** ღურუდასგ, ინა ვარე საცოდალი (ქხს, 1, 97) „სულთმოზრმავი რომ კვდებოდეს, ის არაა საცოდავი (შესაცოდებელი)“.

შურუბადო „მსუნაგი, ავისული“: გვალო ქოიძირგნო თოლო **შურუბადო**, ურძაფელა (ქხს, 1, 303) „სულ თვალითა დაგინახავს მსუნაგი, გაუმადლარი“;

შურცინცი „სულწასული (ჭამა-სმაში)“. *შდრ.* ცინცი. *შდრ.* რაჭ. სუნცინცი ჭამაში სულწასული (ბერ.).

შურწულირი იგივეა, რაც **შურწავლირი** „სულწაწყმედილი, სულწამხდარი“. მუ ოკოდ **შურწულირიც** (ქხს, 1, 191) „რა უნდოდა სულწაწყმედილს“...

როგორც აღინიშნა, ფრიად მნიშვნელოვანია ფუძეგანსხვავებულ კომპოზიტთა დიფერენცირება იმის მიხედვით, რამდენცნებიანებია ისინი. ფუძეგანსხვავებული კომპოზიტი შეიძლება იყოს ერთცნებიანიც და ორ- მეტცნებიანი. ზოგჯერ კომპოზიტის კომპონენტები ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობებს. ასეთ შემთხვევაში კომპოზიტი გამოხატავს იმდენ ცნებას, რამდენი მარტივი ფუძეც შედის მასში. თუ კომპოზიტი გამოყენებულია ერთი ცნების აღსანიშნავად და მასში შემავალ ფუძეებს არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ის ერთცნებიანი იქნება [მემიშიში, 1988, 155].

ორცნებიანია ასეთი კომპოზიტები:

დიდა-სკუა „დედა-შვილი“: **დიდა-სკუა** ბაზარმა მეურს „დედა-შვილი ბაზარში მიდის“;

დულა-დაჩხირ-ი „მდულარე (და) ცეცხლი“: მარდულ დიდამ ხვამა-კურთხევა მუკობრთუდას **დულა-დაჩხირო** (ქხს, 1, 76) „გამზრდელი დედის ლოცვა-კურთხევა მომბრუნებოდეს მდულარედ (და) ცეცხლად (დაფიცება)“;

გურ-ჭკუა „გული და ჭკუა“. ჩქიმ **გურ-ჭკუაქ** მიქყოლოფუ (ქხს, 1, 89) „ჩემმა გულმა (და) ჭკუამ მიწყალობა“;

თუთა-ბჟა „თამაშის ერთ-ერთი სახეობა“ (მაკალ.,280).

ნათესე-მოჯგ რე „ნათესავ-მოკეთე“;

ოსე-სადილ-ი („ოსერიშე+ სადილი) „სადილი და ვახშამი“ (ყიფშ.);

შურ-გურით „სულით-გულით“: ათე ამბე **შურ-გურითი** მოკო დობხანტურე (ქხს, 1, 328) „ეს ამბავი სულით-გულით მინდა დავასურათო (დავხატო)“...

შდრ.:

გური დო შური-ი „გული და სული“. კოჩიში **გური დო შური** რე „კაცის გული და სულია“;

თოლი-წარბი-ი „თვალ-წარბი“: **თოლი-წარბი** აღმასიში (ქხს, 1, 82) „თვალ-წარბი აღმასისა“;

შდრ.:

თოლ დო წარბი-ი „თვალ-წარბი“: თიში **თოლი დო წარბი** უჩას აკა ქინმოჯინუას (ყიფშ.,156) „იმის შავ თვალ-წარბში ერთი (კი) ჩამახედა“...

ამ ტიპის (უკავშირო) კომპოზიტები უფრო ბუნებრივი ჩანს ლაზურისთვის;

მაგ.:

ხე-პიჯი: ხე-პიჯი დიბონუ, გაი ქოჭკომუ (კალ., 53) „ხელ-პირი დაიბანა, საჭმელი ჭამა“;

ნანა-ბაბა: კულანიში **ნანა-ბაბას** ეგერ ვა უნტეს-ნა, ვარია, დო ამბაი ნუმჩინაფტეს (კალ., 68) „გოგოს დედ-მამას თუ არ უნდოდა, არაო, და ამბავს შემოთვლიდნენ“; **ნანა-ბაბა** მეტკომერ, ვიყოფუ მუშიკალა (კალანდ., 36) „დედ-მამას დავტოვებ, ვიქნები მასთან“; **ნანა-ბაბაქ** ბეე ყოფს, ბეექთი **თი-მუში** დაა ყოფს (კალანდ., 110) „დედ-მამა შვილს ყვარობს, შვილი(ც) თავის თავს უფრო ყვარობს“;

ბიჭეფე-კულანეფე: ია **ბიჭეფე-კულანეფეს** ბახჩიში მაჩაპტუ (კალ., 72) „იმ გოგო-ბიჭებს საჩუქარს აძლევდა“; კულანიქთი, ნოდამისაქთი, ია **ბიჭეფე-კულანეფეს** ბახჩიში მაჩაპტუ (კალანდ., 72) „გოგოც, პატარძალიც გოგო-ბიჭებს საჩუქარს აძლევდნენ“;

დაული-ზურნა: ნჯამ გემალუ შენლუღეფეთენ იყვეტუ, **დაული-ზურნა** გელაჩამერი (კალ., 80) „ხის ჩამოტანა გართობა-მხიარულებით ხდებოდა („იქნებოდა“), დოლ-ზურნის დაკვრით“;

ბიჭი-ბეე: პოდიას **ბიჭი-ბეე** ქოგილუხუნაფტეს, ედო გეხვამუფტეს: დიდო **ბიჭი-ბეე** გაყვასია (კალანდ., 71) „კალთაში ბიჭ-ბავშვს დაუსვამდნენ, ჰოდა, დალოცავდნენ: ბევრი ბიჭი-ბავშვი გეყოლოსო“;

ხე-პიჯი დიბონუ (კალანდ., 53) „ხელ-პირი დაიბანა“...

ორცნებიანთა რიგშია **ანტონიმური** კომპოზიციაც:

უმოს-უკლაში „უფროს-უმცროსი“: ნამუ დე **უმოს-უკლაში** თენეფიშე? (ხუბ.,262) „რომელი იყო უფროს-უმცროსი ამათგან?“;

უნჩაშ-უკლაში „უფროს-უმცროსი“: გამნიირთ ქიანაქ, **უნჩაშ-უკლაში** ვარჩქ (ქხს, 1, 174) „გადაბრუნდა ქვეყანა, უმცროს-უფროსი არ ჩანს“;

ჭიჭე-დიდი „დიდ-პატარა“: **ჭიჭე-დიდი**, **უნჩაში-უკლაში** არძა მუნმაფოფოჲ ნა (სამუმ., ქართ.ზეპ., 87) „დიდ-პატარა, უფროს-უმცროსი ყველა თავში გვიჩაჩქუნებს“.

უნჩაშ-უკლაშალა „უფროს-უმცროსობა“: **უნჩაში-უკლაშალა** კითენს მიოხენია (მერჩქუნია) (ხალხ. სიბრ., 1, 134) „უფროს-უმცროსობა თითებს ემჩნევაო“;

უმარდული-უგვერდული „სანახევროდ არამადლიერი“;

ცოდა-მარდი „ცოდვა-მადლი“: მუთუნ დარდისგ , **ცოდა-მარდისგ** გური ვე მეფი (მასალ., 26) „არავითარ დარდს, ცოდვა-მადლს გული არ მივეცი“;

მიკმალ-მოკმალუ „გამვლელ-გამომვლელი“;

მიკორთ-მიუკორთი „მიბრუნ-მობრუნება, მიხვრა-მოხვრა“;

ეხი-მოხი „მიხვრა-მოხვრა“: **ეხი-მოხი** ვაულენი, ფერი კოჩიე „მიხვრა-მოხვრა რომ არ აქვს, ისეთი კაცია“ (ქაჯ.);

ერთი-მორთი „მიხვრა-მოხვრა“: სინაზე დო **ერთი-მორთი**, ულა გილუ სი სქვერიში (ქხს., 1, 113) „სინაზე და მიხვრა-მოხვრა, სიარული გაქვს (შენ) შვლისა“;

მელენ-მოლენ-ი „გაღმელ-გამოღმელი“: **მელენ-მოლენი** ართი ვორეთ (სამუმ., ქხპს, 147) „გაღმელ-გამოღმელი ერთი ვართ“;

აურენ-თეურენ-ი, „აქაურ-იქაური“...

ორცნებიანია სინონიმური ან ახლო მნიშვნელობის მიხედვით შექმნილი კომპოზიციები:

კვეს-აბედი „კვეს-აბედი“.

რჩევა-ზუკოლ-ი „რჩევა-დარიგება“: ქომერჩანს დობტური **რჩევა-ზუკოლს** „მოგცემს ექიმი რჩევა-დარიგებას“.

ხვამა-კურთხევა „ლოცვა-კურთხევა“: მარდულ დიდაშ **ხვამა-კურთხევა** მუკობრთუდას დულა-დაჩხირო

სადმთო-საოხორო სახლის სალოცავი, სრულდებოდა აღდგომა დღეს, - საგანგებო ქვევ-რი ჰქონდათ განკუთვნილი ე. წ. სადმთო-საოხორო (სადვთო-სამოსახლო) (მაკალ., 315-316);

შუმა-ჭკუმუა „სმა-ჭამა“: **შუმა-ჭკომუაქ** გეთუ (სახოკ., 252) „სმა-ჭამა დამთავრდა“;

ართი-ჟირ-ი „ერთი-ორი“: **ართი-ჟირი** ბერგი ირო ძუდუ უ უდეს „ერთი-ორი თოხი ყოველთვის გვექონდა (იღო) სახლში“;

ქისე-პიჩუა „საშობაო მარხვა (შობა-მარხვა);

ძუმ-კიდირ-ი „ძუმუ-მკერდი“: **ძუმ-კიდირით** ხვამა „ძუმუ-მკერდით დალოცვა“. ნამუ ქულენი, არძენც ფარას დო **ძუმ-კიდირით** უხვამანც შარას (აია, 1, 19) „თუ რამ ფული აქვს, ამღევს (ფულს) და ძუმუ-მკერდით ულოცავს გზას“...

ასეთი კომპოზიციები დეფისით უნდა დაიწეროს.

ასევე დეფისით უნდა დაიწეროს რედუპლიცირებული (რომელთაც რედუპლიკაციისას ფონეტიკური ცვლილებები არ განუცდიათ) და ნაირფუძიანი რიცხვითი სახელები:

ერ-ერი „ოც-ოცი“;

ომ-ომი „ას-ასი“;

ვითოხუთ-ვითოხუთი „თხუთმეტ-თხუთმეტი“...

ჟირ-სუმი „ორი-სამი“;

სუმ-ოთხი „სამი-ოთხი“;

ვით-ვითოხუთი „ათი-თხუთმეტი“...

ასეა ლაზურშიც:

სუმ-ოთხო საატიშა ბღაღაღაპტით (კალანდ., 24) „სამ-ოთხ საათამდე ვლაპარაკობდით“; **არ-ჟურ** საატის ქოდომოქაჩეს (კალანდ., 19) „ერთი-ორი საათი გაგვაჩერეს“; **სუმ-ოთხო** დღაშკულე ჩარჩაფი გუიკილენ (კალანდ., 40) „სამი-ოთხი დღის შემდეგ ჩადრი შემოუხვევია“; **სუმ-ოთხო** კოჩი (კალანდ., 88) „სამი-ოთხი კაცი“; **ოთხო-ხუთ** ქოთუმე ვა მუყონათ-შა, ფილაის ხე ვა მეფთხიპთა (კალანდ., 71) „ოთხ-ხუთ ქათამს სანამ არ მოიყვანთ, ფლავს ხელს არ მოგვიდებთო“; აშო **სუმ-ოთხო** საატი იყვეტეს (კალანდ., 72) „ასე სამი-ოთხი საათი იქნებოდნენ“; სიჯა **ჟურ-სუმ** კოჩი ელაკათეი ნოდამისაშ ოხოიშა ქომულვან (კალანდ., 62) „სიძე ორ-სამ კაცთან ერთად პატარძლის სახლში მოვა“; **ანშ-შქვით** მეტრონი ფიცაი ტუ ჭკადეი

(კალანდ., 87) „ექვს-შვიდმეტრიანი ფიცარი იყო დაჭედული“; **ოვრო-ვიტოჟურ** თანე ბირდემი დოლოზღაფან ტოფელის (კალანდ., 93) „რვა-თორმეტ ცალს ერთად ჩაყრიან თოფში“; მინდიტეს მენდრა მზოდამა **სუმ-ხუთ** კილომეტრიშა (კალანდ., 93) „მიდიოდნენ ზღვაში სამ-ხუთი კილომეტრზე“; **ეჩ-ეჩდოხუთ** მეტროშა ხეს ქოდილინსვაუფან (კალანდ., 99) „ოც-ოცდახუთ მეტრამდე ხელში ჩაიკეცავენ („ჩაიწყობენ“); არ კალათის უნონ ნჩხორო-ვით დოდგმალე (კალანდ., 103) „ერთ გოდორს უნდა ცხრა-ათი დასადგამი“; არ ჭიტა ბეე, **ვით-ვიტოჟურ** წანეი ბეე ქობძიათ (კალანდ., 41) „ერთი პატარა ბავშვი, ათი-თორმეტი წლის ბავშვი ვნახოთ“;

I.3.5. კომპოზიტების დერივაცია.

შესაძლებელია კომპოზიტების დერივაციაც.

კომპოზიტების დაწერილობისას ფრიად გასათვალისწინებელია სიტყვამაწარმოებელი აფიქსების როლი. წესი მარტივია: თუ ასეთი აფიქსი გვაქვს, კომპონენტები ერთად უნდა დაიწეროს, - ისევე, როგორც ეს არის ქართულში.

ამ შემთხვევაში ეს წესი და მექანიზმი არა ქართულის ანალოგიით გადმოიღოს მეგრულ-ლაზურში, არამედ იმ წმინდა ლინგვისტური ლოგიკის თანახმად, რომლითაც ესა თუ ის სიტყვამაწარმოებელი მორფემა არა რომელიმე ერთ კომპონენტს უცვლის მნიშვნელობას, არამედ კომპოზიციის შედეგად მიღებულ სიტყვას მთლიანად.

კომპოზიტების დერივაციის ნიმუშებია:

-ა-სუფიქსიანები ქონებისა:

თოლიპირჭა „თვალდაპრაწული“: ჩქიმი **თოლიპირჭა** ძღაბი, მორთი აშო! „ჩემო თვალდაპრაწულო გოგოვ, მოდი აქ“!

თოლიყ ირზა, თოიყ ირზა „თვალეზგადმოკარკლული“: ორე ართი **თოლიყ ირზა** კოჩი „არის ერთი თვალეზგადმოკარკლული კაცი“;

თოლტყვიზა „იგივეა, რაც **თოლიყირზა** – თვალეზგადმოკარკლული“;

თოლიხვირა „თვალფართო; თვალჟუჟუნა“: მუჭომი **თოლიხვირა** ბაღანა რე „როგორი თვალფართო ბავშვია“;

თოლიხვიჩა „თვალვარსკვლავა“: ტანშვინგალი, მუთ ჩეჯა რე, **თოლიხვიჩა**, პიჯი ბჟა რე (აია, 1, 24) „ტანად სწორია, როგორც ალვის ხე, თვალვარსკვლავა და პირმზეა“;

კიბირიჩა „კბილ[ებ]ლაჯუნა, უშნო და დიდი კბილების მქონე“;

კიბირმგიძგა „კბილ[ებ]გადმოყრილი“;

კიბირხიჩა „ვისაც სიცილის დროს კბილები უჩანს (ლამაზად)“;

კიბირხიჭა „იგივეა, რაც **კიბირხიჩა**“;

დუდრიგვა „მსხვილთავა“: ქოყ უნს ართი **დუდრიგვა** ბაღანა „ჰყავს ერთი მსხვილთავა ბავშვი“...

-იან/-ამ/-ონ სუფიქსიანი ქონების კომპოზიტები:

გურღანჯამი „გულღვარძლიანი, გულმრუდე“: ნაბეტანი **გურღანჯამი** კოჩიე „ნამეტანი გულღვარძლიანი კაცია“;

ოთხბორკამი „ოთხბარკლიანი, ოთხფეხიანი“: ზოგადი სახელი პირუტყვისა საერთოდ. **ოთხბორკამი** იყოფა: **ჭიფებორკამი** (წვრილბარკლიანი) და **შხუბორკამი** (მსხვილბარკლიანი);

სუმკუჩხამი „სამფეხიანი, სამფეხა“;
სუმცუჯონი ტოპონ. სამყურიანი ადგილი: ჩხოუქე დოფორე სუმცუჯონი „ძროხამ დაფარა
სამყურიანი ადგილი“;
გურჟღამიანი „გულდმო, გულშხამიანი“;
ჩილდოსქუამი „ცოლ-შვილიანი“...

ლაზ.:

თიმანდილონი, თიმენდილონი „მანდილოსანი, თავმანდილიანი“;
ოთხო კუჩხონი ლეტას გიულუნ (კალანდ., 95) „ოთხფეხა მიწაზე დადის“;
შდრ.:
ოთხო-კუჩხონის თომა ულუნ (კალანდ., 95) „ოთხფეხას თმა აქვს“;
ართოლონი „ცალთვალა“;
ხჩეფიმფილონი „თეთრწვერა“: ჯუმა ჩქიმი ხჩე-ფიმფილონი არ ბადი რე მარი, 1910, 119)
„ჩემი ძმა ერთი თეთრწვერა მოხუცია“; გემა იყვასენ ხჩეფიმფილონი (კალანდ., 38) „ტყე იქნება
თეთრწვეროსანი“;
თიმანდილონი, თიმენდილონი „მანდილოსანი, თავმანდილიანი“;
ართოლონი „ცალთვალა“;
ვორსიგურონი „გულკეთილი“,
კაიგურონი „კარგულიანი“;
ხავიგურონი „ცუდგულიანი“;
პიათიგურონი „ბოროტი“, „ცუდგულიანი“...

ზედსართავი წინ არის:

დიდგურამი იგივეა, რაც დიდგურა, დიდგულიანი.
დიდგურამი იგივეა, რაც დიდგურა, - „დიდგულიანი“;
დიდღუდამი „ დიდთავიანი“: დიდღუდამი ბაღანა ე უნს „დიდთავა (დიდთავიანი)
ბავშვი ჰყავს“; შდრ. დუდირიგვა;
დიდთოლამი „დიდთვალა, დიდთვალისანი“: დიდთოლამი კოჩიქ ქომორთუ
„დიდთვალისანი კაცი (კი) მოვიდა“;
დიდფარამი „დიდფულიანი“: ჩქე ნ სოფელს თეში მანგი დიდფარამი კოჩი მაჟე რა ვარე
„ჩვენს სოფელში ამის მსგავსი დიდფულიანი კაცი მეორე არაა“;
დიდქალამი, დიდქამი „დიდრქიანი“: დიდქალამი თხალეფი გოცილე ნანია, გარაგუნანია
მეტის (ხუბ.,306) „დიდრქიანი თხები გეცილებიანო, გეჯახებიანო (გირქენენო) მეტს“;
დიდქვარამი „დიდმუცლიანი“: ბრელც შუნც დო ქვარაქე მარდუ, დიდქვარამო გინირთუ
„ბევრს სვამს და მუცელი გაეზარდა, დიდმუცლიანად იქცა (გახდა)“;
დიდჩქვამი „დიდემშებანი“: კერი თხოზე დიდჩქვამი (ყიფშ.,121) „კერატი სდევს
დიდემშებანი“;
დიდღვანწკამ-ი „დიდლოყებიანი“;
დიდღ ვამი „დიდშუბლიანი, დიდშუბლა“;
დიდღ უჯამი „დიდყურა, დიდყურებიანი“;
დიდჩხვინდამი „დიდცხვირა, დიდცხვირიანი“;
შხუბორკამი იგივეა, რაც შხუკუჩხამი, „მსხვილფეხა (საქონელი)“. შდრ. ჭიფებორკამი
„წვრილფეხა“;
შხუთოლამი „მსხვილთვალისანი, მსხვილთვალეზა“...

ზედსართავი მოსდევს:

ე ვაწინდამი „შუბლწიდიანი“: კგ პა რექო, მეურქუნი? სი ჩიჩიე, ე ვაწინდამი (მასალ.,101)
„კიპა ხარ, რომ მიდიხარ? შე გლახაკო, შუბლწიდიანო!“;
კართემარდიან-ი „კალთამადლიანი“...

I.3.5.1. უქონლობის კომპოზიტები.

ერთი ჯგუფის რთული სიტყვები უქონლობას გამოხატავენ. მაგ.:

უთოლჷ უჯე იგივეა, რაც **უთოჷ უჯე**.

უთოჷ უჯე უყურადღებო (სიტყვასიტყვით: უთვალყურო). უჯერო დო **უთოჷ უჯეს** ტანჯა მოძე ომინერი (ციფმ.,117) „დაუჯერებელსა და უყურადღებოს ტანჯვა მოსდევს ასნაირი“...

I.3.5.2. აბსტრაქტული კომპოზიტები.

ჩვეულებრივ, არ არის **დიდა-სქუა, მუმა-სქუა, და-ჯიმა, ჩილ-ქომონჯი...** მაგრამ არის:

დიდასქუალობა, მუმასქუალობა... **დიდასკუალობა** „დედაშვილობა“. **დიდასკუალობას**, ეთი კარანჩხა ქომომილი! „დედაშვილობას, ის პატარა კალათი მომიტანე!“; **დიდასქუალობა** ქორწანსი-და, მაჟირაშა ვათქუა თეჯგურა საარიკო „დედაშვილობა თუ გწამს, მეორეჯერ არ თქვა ასეთი საარაკო“ (ქაჯაია);

მუმასქუალობა „მამაშვილობა“: კოჩი ვერგუ-და, **მუმასქუალობა** მუ მოლე რენია (ხალხ. სიბრ., 1, 72) „კაცი თუ (თვითონ) არ ვარგა, მამაშვილობა არარას ჰრგებსო (რა მაქნისიაო)“;

დიდკოჩანა „დიდკაცობა“: უჷ ორს დიდკოჩანა „უყვარს დიდკაცობა“;

ოსურსქუალობა, ოსურსკუალობა „ქალიშვილობა“;

ქომოლსქუალობა, ქომოლსკუალობა „ვაჟიშვილობა“;

ხეგოფაჩილობა „ხელგამლილობა“;

პატონჭკორალა „ბატონყმობა“: კალ-კალეშა ქოგაშინე **პატონჭკორალაში** ხანა (ქხს, 1, 36) „ზოგჯერ (ხანდისხან) გაახსენდება ბატონყმობის დრო“...

შდრ. და-კავშირიანი:

დადოჯიმალობა „დამძობა“: ჯგირ **დადოჯიმალობა** უღუდეს „კარგი დამძობა ჰქონდათ“;

ჩილიდოქომონჯალა „ცოლქმრობა“: ბაღანეფი **ჩილიდოქომონჯალას** ლაქაფენდეს „ბაეშეფი ცოლქმრობანას თამაშობდენ“;

ჩილიდოქომონჯობა „იგივეა, რაც ჩილი დო ქომონჯალა, - ცოლქმრობა“: წვეულენქ თინენს **ჩილიდოქომონჯობა** ქიმიახვამეს „მოწვეულებმა იმათ ცოლქმრობა მიულოცეს“; **ჩილიდოქომონჯობაში** გორჩქინუ ღორონთი! (აია, 1, 26) „ცოლქმრობის გამჩენო ღმერთო!“...

I.3.5.3. წარმომავლობის კომპოზიტები.

ასეთია:

დიდასქუალური „დედაშვილური“: ნანდული **დიდასქუალური** უ როფა უღუნა „ნამდვილი დედაშვილური სიყვარული აქვთ“;

მუმასქუალური „მამაშვილური“: **მუმასქუალური** უ როფაშა მუთუნს ვაწარინე „მამაშვილურ სიყვარულს წინ არაფერი დაუდგება (არ შეიძლება დაუდგეს)“. **მუმასქუალური ზმნზ.** „მამაშვილურად“: უკული **მუმასქუალური** გოდურჯოლეს ართიანი (აია, 1, 22) „შემდეგ მამაშვილურად გადაკოცნეს (გადაეხვივნენ) ერთმანეთი“;

დიდკოჩური „დიდკაცური“: **დიდკოჩური** რინა-უ ოფაშა მიშეელუ (ცაგ.,4) „დიდკაცურ ყოფაში შევიდა“; **დიდკოჩური ზმნზ.** დიდკაცურად. დიდკოჩური ხედესუ (ქხს, 1, 230) „დიდკაცურად ისხდნენ“...

ამგვარ შემთხვევებში ენობრივი ლოგიკის თანახმად სიტყვები ერთად უნდა დაიწეროს, თუმცა ტექსტებში ამგვარი ლოგიკა ხშირად არ არის გათვალისწინებული.

I.3.6. ატრიბუტულმსაზღვრელიანი და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები მეგრულში.

კომპოზიტები ორი ან მეტი სიტყვის სინთეზის შედეგად იქმნება. ხშირად ეს სიტყვები ერთმანეთის მიმართ წარმოშობით მსაზღვრელ-საზღვრულია. ნაირფუძიან კომპოზიტებში გამოიყოფა ატრიბუტულმსაზღვრელიანი და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები.

მსაზღვრელად გამოიყენება:

- არსებითი სახელი
- ზედსართავი სახელი
- რიცხვითი სახელი
- ნაცვალსახელი.

ამათგან არსებითი სახელი და ზედსართავი სახელი რთულ სიტყვაში შეიძლება იკავებდეს როგორც პირველ, ისე მეორე ადგილს. რიცხვითი სახელი და ნაცვალსახელი მეგრულში თითქმის ყოველთვის პირველ ადგილზეა, ე. ი. მისთვის დამახასიათებელია პრეპოზიციული წყობა, თუმცა გვაქვს დიაჩქიმი „დედაჩემი“, მუაჩქიმი „მამაჩემი“... [არონია, 2010, 60].

მსაზღვრელია არსებითი სახელი:

ოსურკოჩი, ქომოლკოჩი, ცირასქუა...

მსაზღვრელია ზედსართავი სახელი. გვხდება როგორც პრეპოზიციის, ისე პოსტპოზიციის შემთხვევები.

ზედსართავი + არსებითი:

ფუჯკამბეში „ფურკამეჩი“.

ფუჯგინი „ფური-ხბო“. **შდრ. ხოჯგინი.**

შქაგური „შუაგული“. **შქაგურ** სინჩხეს მოირთუო უ ვანაშა ულაქ? „შუაგულ სიცხეში მოგინდა (მოგივიდა) ყანაში წასვლა?“

შქადიხა „იგივეა, რაც **შქადიხა, შქაბანდიხა**“: ქემშმოჲ ოთჲ მა **შქადიხას** (ყიფშ.,139) „ჩამაგდო მე შუა ადგილას“.

შქადლა იგივეა, რაც **შქადლა**, „შუადლე“. ძღაბის შქადლას ქუდუუჴყუ ქვარაში ჴუა (ყიფშ.,83) „გოგოს შუადლეზე დაუწყო მუცლის ტკივილი“.

შქაკიდა/შქაკიდალა „შუაკედელი“.

შქასერი იგივეა, რაც **შქასერი** „შუაღამე“: **შქასერი** რე უკუმელა (მასალ., 70) „შუაღამეა კუნაპეტი“;

შქაღვინი „შუა ღვინო; სახარჯო ღვინო“: შქაღვინი შვი შურამია (ცაგ., 8) „შუაღვინო სვი სუნინიო“.

შქაყებური, შქაკებური-ი „შუაკერია, კერიის შუა ადგილი“;

შქაშარა „შუაგზა“;

შქაწყარი „შუაწყალი“: **შქაწყარს** დიიქ უწყუ (ყიფშ., 40) „შუაწყალზე დევმა უთხრა“...

ჩეტარამი „თეთრტარიანი“: **ჩეტარამი** ლეკური მიღუ (მასალ., 89) „თეთრტარიანი ლეკური მაქვს“;

ჩელართამი „თეთრღართიანი, თეთრჩოხიანი“;

ჩეჲ ვამი „თეთრშუბლიანი, თეთრშუბლა“;

ჩეკუჩხამი „თეთრფეხა“: ჩეკუჩხამი ცხენი ე უნს „თეთრფეხა ცხენი ჴყავს“...

არსებითი + ზედსართავი:

გურალალი „გულალალი“: გურალალი კოჩი მეიდანს გილედიარდუა (სახოკ., 245) „გულალალი კაცი მოედანზე შოულობდა საჭმელსაო“.

გურმანგარი „გულმანგარი“;

გურუჩა „გულშავი, ვისაც გული შავი აქვს, ე.ი. ბოროტია“: გურუჩა კოჩიე „გულშავი კაცია“. *შდრ.* გურჩე.

გურღია „გულღია“: გურღია კოჩიე „გულღია კაცია“;

გურყვინთელი „მკერდყვინთელი“, ჩიტია ერთგვარი, - მოლაღური.

გურჩქიჩქუ „გულჩვილი“. იგივეა, რაც **ჩქიჩქუგურამი** „გულჩვილიანი“. **გურჩქიჩქუ** ბაღანა რე, ხათე ნგარას იჴყანს „გულჩვილი ბავშვია, მაშინვე ტირილს იწყებს“;

ღუდუჩა „თავშავი“ (გვარია).

ღუდშუ „თავმსხვილი“: ქორდუ ართი **ღუდშუ** კოჩი „იყო ერთი თავმსხვილი კაცი“;

პიჯისქვამ-ი „ლამაზი პირი, პირლამაზი“: წოხოლეშე **პიჯისქვამი**, უკახალე თუმა ფალო (სამუშ., ქართ. ზეპ., 30) „წინიდან პირლამაზი, უკნიდან თმა-შთენილი (მარტო)“;

პიჯიფართო „პირფართო“: ქიდოვდგათ **პიჯიფართო** ჴკუდი! „დავდგათ პირფართო ჴურჴელი“;

ღალუჩა *ტოპონ.* „პატარა ღელე“ : ს. ვედიდკარში (მარტვილის რაიონი). *შდრ.* მუხურჩა.

ღალჴიჴე *ტოპონ.* „პატარა ღელე“;

ყვარჩე იგივეა, რაც ე **ვაჩე** „პატარა თეთრი ნიშანი შუბლზე“; *შდრ.* **ღურჩე**;

ე **უჯიფირა/ე უჯფირა** „ყურფართო“; „დიდყურა“: ის ოსქუნი, მიღუ თინა: ორჩქილარო - ე უჯი-ფირა (ყიფშ., 170) „მას რომ შვენის, მაქვს ის: სასმენად -ყური-ფართო“; *შდრ.* ე **უჯი-ფიჩა**;

ე **უჯჴიქურუ, ე უჯჴიქურუა** „პატარაყურიანი“. აქედან თიკუნი: **ჴურუ** პატარაყურიანი. გიორგიჴურუ პატარაყურიანი გიორგი.

შურთარი იგივეა, რაც **თარშური** „მთავარი სული“. შურთარი ჩუ[ურ]ცხინულუ „მთავარი სული ამოართვა, - ძალიან შეაწყუხა“.

შურკუნტა „სულმოკლე“: ნინა გინძე მისჲ თ უღუნი, **შურკუნტა** რენია (ხალხ. სიბრ., 1, 105) „ვისაც გრძელი ენა აქვს, სულმოკლე არისო“.

ჩხვინდ(ი)ჴიფე „წვრილცხვირა“;

ჭკუათხითხუ „ჭკუათხელი“: ჭე ჭკუათხითხუ კოჩი რჩქუ „ცოტა მოსულელო კაცი ჩანს“;
ჭკუაკუნტა „ჭკუამოკლე“; შდრ. **შურკუნტა**;
ჭკუაჩატე „ჭკუამჩატე“: **ჭკუაჩატე** კოჩი რე „ჭკუამსუბუქი კაცია“...
ჩხვინდ(ი)გინ/რძე „ცხვირგრძელი“: ართი ჩხვინდ(ი)გირძე ძღაბი ქოყ უნს „ერთი ცხვირგრძელი გოგო კი ჰყავს“...

რიცხვითი სახელი + არსებითი სახელი:

ჟირდუდამი „ორთავიანი“;
სუმკურჩხი „სამფეხი“;
ხუთწანიანი „ხუთწლიანი“;
ოშწანიანი „ასწლიანი“;
ჟირპიჯამი „ორპირიანი, ორპირა, ორლულიანი“;
სუმტონიანი „სამტონიანი“...

პრეპოზიციური მსაზღვრელია ნაცვალსახელი:

ირწუთის „ყოველწუთს“;
ირწამს „ყოველწამს“
ირდღას „ყოველდღე“
ირთუთას „ყოველთვე“;
ირწანას „ყოველწელს“;
ათერიგი „ასეთი, ასეთნაირი“;
ათეჟანს „ამ ჟამს“;
ირფერ/ლი „ყველაფერი“;
ირნერი... „ყველანაირი“...

პოსტპოზიციურ მსაზღვრელად ნაცვალსახელი არცთუ იშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით ერთი რიგის კომპოზიტებში:

დიაჩქიმი (დიდა + ჩქიმი);
მუაჩქიმი (მუმა + ჩქიმი);
ბებ(ი)ჩქიმი (ბები + ჩქიმი)
ბაბ(უ)ჩქიმი (ბაბუ + ჩქიმი)...

აქ მეგრული ქართულზე უფრო შეზღუდულია, არა გვაქვს, მაგ., ქართ. **ბიძაჩემის, ბიცოლაჩემის, მამიდაჩემის, დეიდაჩემის** ფარდი კომპოზიტები. სამაგიეროდ, ლაზური რიგ შემთხვევებში ქართულზე უფრო შორს არის ამ თვალსაზრისით წასული:

ოხოი-მუში: მუში-კალა ხჩინიკალა **ოხოი-მუშიშა** იგზალეენ (კალანდ., 40) „თავის ნათესავ დედაბერთან ერთად თავის სახლში („სახლთავისში“) წასულა“;

ჯუმა-მუში: არ სემთის **ჯუმა-მუში** ხე გიაკნეფს (კალანდ., 64) „ერთ მხარეს მისი ძმა („ძმამისი“) მოვიდებს ხელს“; **ჯუმა-ჩქიმის** ჩხომი ოჭოფინუმენი წოწლიკინა დოლოშვაფი (კალანდ., 95) „ძმა-ჩემს თევზის დასაჭერად თევზსაჭერი კალათა მოვაქსოვინე“;

ჯუმა-ჩქიმი: **ჯუმა-ჩქიმის** ჩხომი ოჭოფინუმენი წოწლიკანა დოლოშვაფი (კალანდ., 95) „ცემს ძმას („ძმაჩემს“) თევზის დასაჭერად თევზსაჭერი კალათა მოვაქსოვინე“

ოდა-მუში: ნისაქ **ოდა-მუში** მოწიფხუფს (კალანდ., 67) „რძალი თავის ოთახს (ოთახსთავისას“) გამოაწყობს“;

კულანი-თქვანი: ასთერიშ ბიჭის **კულანი-თქვანიში** ოგორუ უნონ (კალანდ., 73) „ამა და ამის ბიჭს თქვენი გოგოს („გოგოთქვენის“) შერთვა („მომებნა“) უნდა“;

დამთიე-ჩქიმი: **დამთიე-ჩქიმი** დიდო კაი ოხორჯა ტუ (კალანდ., 76) „ჩემი დედამთილი („დედამთილჩემი“) ძალიან კარგი ქალი იყო“;

სიჯა-მუში: **სიჯა-მუში** ნა-იჩინუ: აა მუ მკაფუ ტეენია (კალანდ., 134) „თავისი სიძე რომ იცნო, ეს რა ტურა ყოფილაო“;

ოდა-მუში: ნისაქ **ოდა-მუში** მოწიფხუფს (კალანდ., 67) „რძალი თავის ოთახს გამოაწყობს“;

თი-მუში: დიდო მოწონდუ **თი-მუში** (კალანდ., 108) „დიდად მოსწონდა თავი თვისი“;

ოხორჯა-ჩქიმი: **ოხორჯა-ჩქიმის** გუპიჯის თი მეოდვი (კალანდ., 129) „ცოლს ჩემსას გულზე თავი მივადე“;

ღორმოთი-ჩქიმი: **ღორმოთი-ჩქიმი**, დობაღინე მომჩი დო წანაშენისთი მომიჭიშინი! (კალანდ., 105) „ღმერთო ჩემო, საკმარისი მომეცი და გაისის მოსავალს მომასწარი!“

კულანი-თქვანი: ასთერიშ ბიჭის **კულანი-თქვანიში** ოგორუ უნონ (კალანდ., 73) „ამა და ამის ბიჭს გოგო-თქვენის შერთვა („მომებნა“) უნდა“;

პიჯი-სქანი: **პიჯი-სქანის** შექერი! (კალანდ., 105) „პირს შენსას შაქარი!“

ყუჯეფე-სქანი: **ყუჯეფე-სქანი** დოგიდგითას (კალანდ., 106) „ყურები შენი დაგიდგეს!“;

ბეე-სქანი: **ბეე-სქანისთი** ლაზიმი აყვენ (კალანდ., 107) „შენს შვილსაც დასჭირდება“; **ბეე სქანიქთი** სი მოგიყონასინონია (კალანდ., 107) „შენმა შვილმაც შენც ისე უნდა მოგიყვანოს“;

ბეე-ჩქიმი: იდი დო **ბეე-ჩქიმის** გუწუდი (კალანდ., 143) „მიდი და შვილს ჩემსას გამოართვი“

ოხორჯა-სქანი: ქომომიყონი **ოხორჯა-სქანი** (კალანდ., 130) „მომიყვანე ცოლი შენი“...

პოსტოზოზიციისას ხშირია კომბინაცია **არს. სახ. + მიმღეობა:**

დიდაღურელ-ი შორისდ. ჰაი დედასა! (სიტყვასიტყვით: „დედამკვდარი“) ამბობენ დანანების დროს. ჰა, **დიდაღურელი**, ვემუოჭიშე, გააჭყორუ ღორონთქ! „ჰა, ჰაი დედასა! (დედამკვდარი) ვერ მივუსწარი, გაუწყრა ღმერთი!“

ჯიმაღურელი! *შორისდ.* სიტყვასიტყვით: ძმა-მკვდარი, - იტყვიან გაკვირვების, განცვიფრების, დანანების, მწუხარების, წყენის გამოსახატავად, - დაახლოებით უდრის: ეკ, ღმერთო ჩემო; ეს ოხერი. **ჯიმაღურელი**, მუდგარენი, ჩქიმი ღურას ანჭუაფუ (ქხს, 1, 57) „ეს ოხერი (ძმამკვდარი), რაღაც ჩემს სიკვდილს ესწრაფვის“;

დიდაჟ ვილირ-ი „დედამოკლული“: ოხეს ქინოღვარანცია **დიდაჟ ვილირი** გინი! (მასალ., 59) „ეზოში ბღავისო დედამოკლული ხბო“;

დიდაშმაჟ ვილარ-ი შორისდ. „დედისმკვლეელი“!, - ამბობენ დანანების დროს: დოჰჭუა, **დიდაშმაჟ ვილარქ**, დო აკა აშო ქიმუჯინუდუკოვე! (ხუბ., 199) „დამწვაო, დედისმკვლელმა, და ერთხელ აქეთ მოეხედაო ნეტავი“;

მუმაჩხონაფილ-ი „მამაცხონებული“. ამბობენ ვისიმე მიმართ ქების ან საყვედურის გამოსახატავად, - კარგი კაცი, კარგი ადამიანი, დალოცვილი: ელი დო ვალიე ე **მუმაჩხონაფილი** „ელი და ელვაა ეს მამაცხონებული“;

დიდაჟ ონერ-ი „დედინაცვალი“: **დიდაჟ ონერიში** ტყები ჟი სხვენს გიმაფორუდუა დო თუდო სქუაჟ ონერს ომქურუდუა (სახოკ., 246) „დედინაცვლის ტყავი ზევით სხვენზე ევარა და ქვევით გერს ეშინოდაო“;

მუმაჟ ონერ-ი, **მუმაჟ ონირ-ი** (მუმაჟ ონე/ირს) მამინაცვალი (ნამყენი მამა). მუმაჟ შურქ ქოშაჭყორდუ დო მუმაჟ ონირიშის იფუჩუანდუა (სახოკ., 253) „მამის სული დაავიწყდა და მამინაცვლისას იფიცებდაო“;

ჯიმაფუჩილ-ი „ძმადნაფიცი“;

ხეაკოკირილ-ი „ხელშეკრული“;
ხეგედვალირ-ი „ხელდადებული“;
ხეგეწკურილ-ი „ხელდაკრეფილი“: კიდას მიკოხედეს **ხეგეწკურილო** „კედელთან ისხდნენ ხელდაკრეფილად (ხელგადაჯვარედინებულად)“;
ხეგეწკურილ-ი იგივეა, რაც **ხეგეწკურილი**, - „ხელდაკრეფილი“;
ხემოჭარილ-ი „ხელმოწერილი“; „ხელწერილი“: იქ იი **ხემოჭარილი** დოდვალირი (ხუბ.,35) „იქნება ხელწერილი (ხელმოწერილი) დადებული“;
ხემოჭკადილ-ი „ხელმოჭედილი“; **ხემოჭკადილი** რენია (ხალხ. სიბრ., 1, 183) „ხელმოჭედილი არისო“;
ჭირჭკომილ-ი „ჭირნაჭამი“; მუშ მამალას ოჭკომუ ე **ჭირჭკომილ/რქ** „რა სწრაფად შეჭამა ამ ჭირნაჭამმა“;
ჭკუაგონწყიმილ-ი „გონებაგახსნილი“;
ჭკუადინაფილ-ი „ჭკუა(გონება)დაკარგული“; იშა მუთუნი ვეეკითხირე, **ჭკუადინაფილი** რე „იმას ვერაფერს (ვერ) ჰკითხავ, გონებადაკარგულია“.
ჭკუადობხუნელ-ი „ჭკუადამჯდარი“;
ჭკუაეფაჩილ-ი „ჭკუაშლილი, „შეშლილი“, „შერყეული“;
კინჩხ(ი)მიკორთელ-ი „კისერმობრუნებული“, „კისერმოქცეული“;
კინჩხ(ი)მიკოტახილ-ი „კისერმოტეხილი“: სო იდე თეზუმა ხანს კინჩხმიკოტახილ/რქ? „სად წავიდა ამდენ ხანს კისერმოტეხილი?“ (ქაჯაია)...

I.3.7. ფონეტიკური პროცესები ნაირფუძიანი კომპოზიციის პროცესში.

მართულმსაზღვრელიან კომპოზიტებში სუსტდება ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, მარტივდება და არცთუ იშვიათად საერთოდ იკარგება:

იშ > შ (> 0), -იშ > ი, -შ > 0:

გურ-კიზი (გურ-კიზის) გულის კოვზი. გურ-კიზის გიმამქვანცე ნი, გიმმოჲ ოთანც ხასილაშა (სამუშ., ქხპს, 126) „გულისკოვზზე რომ დამარტყამს, გამწვდება გვერდებამდე“.

გურკოჩი იგივეა, რაც **გურიკოჩი** „გულის კაცი, გულიანი კაცი“. ანთროპ.: გურიკოჩა/გურკოჩა.

გურჭუა იგივეა, რაც **გურიჭუა**, **გურიიჭუა** „გულისტკივილი, სიბრალული“. **გურჭუაქ** გემიოლუ „გულისტკივილი ამივარდა“.

გურჯიბე „გულის ჯიბე“: **გურჯიბეს** იპუაფუდი (ყიფშ.,165) „გულჯიბეში ვიქნებოდი“;

უფალთანაფა იგივეა, რაც **ოსურთანაფა** „ქალების აღდგომა“. (ჩვეულებრივ) აღდგომის მომდევნო კვირა დღე ითვლება ქალების აღდგომად, **ოსურთანაფად**.

ღალწყარი „ღელის წყალი“;

კიბირჭუა „კბილის ტკივილი“;

კიბირჯინჯი „კბილის ძირი“;

კანჩაფულა იგივეა, რაც **კანჩაფე** ლა, **კანჩაფია**, „ქალამანი, კანის (ტყავის) ფეხსაცმელი (შინდამზადებული)“: ართ ე აზახიქ, მოხუცებულქ, ართი **კანჩაფულა** დო ჩახვია ქე მულუნ ფერქ, ქაუხვადე (ხუბ.,41) „ერთი გლეხი, მოხუცებული, ერთი ქალამანი და ჩახვი (ტყავის ქისა) რომ მოაქვს ისეთი, (კი) შემოხვდა“...

ე **უიჯინჯი** „ყურის ძირი“;

პიჯი-სახე „პირი-სახე, სახე“: მუ კოსუ რე, ახარენს **პიჯისახე** სქანი, ვარდი? (ყიფშ., 164) „ვისაა (რა კაცსაა), რომ არ ახარებს შენი პირისახე, ვარდი?“;

ქირსეთუთა „ქრისტესშობის თვე“. **ქირსეთუთას** ბრელი ე ინე (ქხს, 1, 232) „დეკემბერში ბევრი ყინვა (დიდი ყინვები იყო)“...

ღალიძგაპიჯი „ღალიძგას პირი“. მერჭულე ოხორანდგ , ასე მოლე - ღალიძგაპიჯე (სამუშ., 94) „მერჭულე სახლობდა გამოღმა, ღალიძგას პირად“.

ღურადღა „სიკვდილის დღე“. ქე მაჭიმუღ ღურადღაქ (ყიფშ.,55) „მოუსწრო სიკვდილის დღემ“.

პაპასკირი პაპასკირი < პაპაშ+სკირი მღვდლის შვილი (მე) (=ქართ. ხუციშვილი);

ულა-დღა „წასვლის დღე“: ულადღასე დოგიჩინე (ყიფშ.,138) „წასვლის დღეს დაგიბარა“;

თუთაჩხორია „მთვარის სხივები“: **თუთაჩხორიათ** ჯუნუნცუ მემარეში ვარდიშ პირცე „მთვარის სხივებით უკოცნის მგზავრის ვარდის ყვავილს“;

ზღვაპიჯი „ზღვის პირი“: ართი ჯვეში ფილუკა... ზღვაპის მითონთხორილი ქოძირუ (ყიფშ.,5) „ერთი ძველი ნავი ზღვისპირას დამარხული ნახა“;

შარა-ოკართუ იგივეა, რაც **შარააკართუ**, „გზაჯვარედინი“. ჯიმალეფქ დო თექ, უკულაშიქ, გაკოხვადეს თე **შარა-ოკართუს** კე ნი (ხუბ.,233) „ძმები და ეს, უმცროსი, ისევ შეხვდნენ ამ გზაჯვარედინზე“;

შარა-ორთუ, შარა-ორთუ იგივეა, რაც **შარააკართუ**, შარა ოკართუ, „გზაჯვარედინი, გზაგასაყარი“: **შარაორთუს** გილარენი, თი კოჩიში ბიძგი მუთუნც ნიშნენცია (ხალხ. სიბრ., 1, 157) „გზაჯვარედინზე რომ დგას იმ კაცის ბიძგი რაიმეს (რადაცას) ნიშნავსო“;

შარაპიჯი „გზისპირი“: შარაპიჯ გილახედე (ყიფშ., 48) „გზისპირას იჯდა“;

ქუმუწყარი „ქუმელის წყალი (სასმელია)“...

I.3.8. ატრიბუტულ და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები ლაზურში.

ლაზური კომპოზიტებით ღარბია. ლაზურში არსებული კომპოზიტები წარმოების თვალსაზრისით ქართულის წესს იცავს, ოღონდ აქ უფრო შეზღუდული წარმოება ჩანს. ეს მოსალოდნელიც იყო - ლაზური მეტყველება განიცდის უცხო ენის გავლენას, ამიტომ არათუ მდიდრდება კომპოზიტებით ლექსიკური შემადგენლობა, არამედ ღარბდება და კნინდება.

ლაზურში განსაზღვრებითი კომპოზიტები მეტწილად შემორჩენილია გეოგრაფიულ, მცენარეთა და ნათესაობის აღმნიშვნელ სახელებში. განსაზღვრებითი კომპოზიტები დასტურდება აგრეთვე დღისა და თვის აღმნიშვნელ სახელებში, ეგზოცენტრულ განსაზღვრებებსა და სხვადასხვა სახელში.

განსაზღვრებით კომპოზიტებში მეტწილად ორი წევრი მონაწილეობს. კომპონენტები ერთიმეორის მიმართ მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს.

დასტურდება პრეპოზიციური და პოსტპოზიციური წყობა.

მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი ყოველთვის პრეპოზიციურია. პრეპოზიციურია ისეთი კომპოზიტებიც, რომელთა პირველი წევრი რიცხვითი სახელი ან ნაცვალსახელია. სხვა შემთხვევაში მოპოვებული მასალის მიხედვით მეტწილად კომპოზიტის შემადგენელ ნაწილთა პოსტპოზიცია გვაქვს - მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს.

ამგვარად, განსაზღვრებითი კომპოზიტების ბაზას წარმოადგენს ატრიბუტული და მართული მსაზღვრელები. კომპოზიტები მიღებულია შესიტყვებებისაგან.

რთულ სახელებში შემადგენელ წევრებად გამოყენებულია: არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, მიმღეობა, მასდარი, უფორმო სიტყვები.

ფუძეთა შედგენილობის მიხედვით ლაზურში განსაზღვრებითი კომპოზიტები ორ ჯგუფად იყოფა. პირველ ჯგუფს განეკუთვნება კომპოზიტები, რომელთა პირველი კომპონენტი წარმოადგენს ფუძეს (ამოსავალში იგულისხმება სახელობითი ბრუნვა).

კომპოზიტების მეორე ჯგუფს შეადგენენ ისეთი ძირეული სიტყვები, რომელთა პირველი წევრი ნათესაობითი ბრუნვითაა გაფორმებული (იგულისხმება მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები). აღნიშნული ტიპის სახელებში მსაზღვრელ სიტყვას მოკვეცილი აქვს ბრუნვის ნიშანი ან ბრუნვის ნიშანს ფონეტიკური ცვლილება განუცდია.

განხილულ კომპოზიტებში ყოველთვის ვერ ხერხდება შემავალი წევრების სემანტიკის დადგენა, რამდენადაც ლაზურში აღნიშნული სიტყვები დამოუკიდებლად არ იხმარება, ფუძე დაიკარგა, შეცვალა უცხო სიტყვამ, კომპოზიტმა კი შემოინახა როგორც არქაული ენობრივი ერთეული. ზოგჯერ ჭირს გამოცნობა - კომპოზიტში შემავალი წევრი მეტყველების რომელ ნაწილს განეკუთვნება, ანდა რომელი ბრუნვის ფორმით იყო წარმოდგენილი (ასეთ შემთხვევაში სიტყვა ფუძის სახითაა წარმოდგენილი). ამ რიგ შემთხვევებში საკონტროლო საშუალებად მონათესავე ენების მონაცემები ივარაუდება, თუ შესატყვისი გვაქვს ამ ენებში.

შესაძლოა, ზოგიერთი აქ წარმოდგენილი მაგალითთაგანი საეჭვო იყოს და არ წარმოადგენდეს ნამდვილ კომპოზიტს, მაგრამ აქ მთავარია ის გარემოება, რომ ეს სიტყვები კომპოზიტებივით არის აგებული და გარდამავალი საფეხურის შთაბეჭდილებას ახდენს შესიტყვებასა და კომპოზიტებს შორის.

გ. როზენი თავის შრომაში [როზენი, 1844, 6] აღნიშნავდა, რომ მსაზღვრელი და საზღვრული ისე იბრუნვის, თითქოს კომპოზიტი იყოსო. როზენისთვის **ვორსი გზა** - „კარგი გზა“ კომპოზიტია, რადგანაც მსაზღვრელი ნაწილი უცვლელი რჩება ყველა ბრუნვაში [ჩიქობავა, 1936, 70; მისივე, 1965, 144].

ნ. მარი კომპოზიტსა და დამოუკიდებელ სიტყვებს (მსაზღვრელ-საზღვრული) განარჩევს მახვილის საშუალებით. ნ. მარის მიხედვით კომპოზიტი სახელებს ერთი მახვილი ახასიათებს ბოლო კომპონენტზე, ხოლო დამოუკიდებელ სიტყვებს ცალ-ცალკე თავისი მახვილი აქვთ [მარი, 1910, 76].

მახვილის საშუალებით კომპოზიტის გამოვლენა დიდ სირთულეს ქმნის, რადგანაც ლაზურში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში უცვლელი რჩება, როგორც ეს კომპოზიტს ახასიათებს, და ამიტომ რთული სიტყვის გამოყოფა ორწევრიანი შესიტყვებისგან ჭირს. მაგრამ ნ. მარის ვარაუდი მაინც ანგარიშგასაწევია.

რა უნდა იყოს ამოსავალი საზომი, რომ გაირჩეს კომპოზიტი და შესიტყვება ერთმანეთისგან? ასეთ საზომად სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი წესი. სახელდობრ: შემადგენელ ნაწილთა გათიშვა (გადასმით ან შიგ სხვა სიტყვის ჩართვით). სადაც შესიტყვება კომპოზიტად არის უკვე ქცეული, გათიშვა შეუძლებელი ხდება (კომპოზიტის მნიშვნელობა იშლება). სადაც გათიშვა დაუბრკოლებლად მიმდინარეობს, შესიტყვება გვაქვს და არა ერთი რთული სიტყვა, კომპოზიტი. სადაც გადასმა შესაძლებელია, მაგრამ საჩოთიროა, იქ კომპოზიტად ქცევის პროცესი დამთავრებული არაა, გარდამავალ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე [ჩიქობავა, 1952, 227].

ატრიბუტულმსაზღვრელიან კომპოზიტიში ორი წევრი მონაწილეობს - საზღვრული არსებითი სახელი და მსაზღვრელი ზედსართავი სახელი. წყობა პოსტპოზიციურია. მეტწილად წინამდგომ მსაზღვრელს მოკვეცილი აქვს ბოლო ხმოვანი, იქნება იგი ხმოვანფუძიანი თუ თანხმოვანფუძიანი.

ნან-დიდი „დედა დიდი“, დიდედა, ბებია:

ბაბა ჩქიმიქ ნანა ჩქიმიში ნანა **ნანდიდი** ელამიკათუ, ვიწემა მენდომოჩქუ (ჩიქ., 2, 23) „მამაჩემმა დედაჩემის დედა - დიდედასთან ვიწეში გამგზავნა“; ჩქიმი ბეროლას ნოღამენ **ნან-დიდიქ** არ აღნე კიცი ქომულუ (ყიფშ., 8) „ჩემს ბავშვობაში დიდედაჩემმა ქალაქიდან, ბაზრიდან ერთი ახალი კეცი მოიტანა...“

კომპოზიტი ისეა აგებული, როგორც ქართული **დი-დედა < დიდი დედა**, ოღონდ განსხვავებულია შემავალ კომპონენტთა თანამიმდევრობა, თუმცა ლაზურსავე მეტყველებაში დასტურდება ქართულისებური მოდელიც: **დიდი-ნანა** „დიდი დედა“, რაც ახალი წარმონაქმნი ჩანს, შესაძლოა, ქართულის გავლენით.

ხოფურ მეტყველებაში **ნან-დიდის** გვერდით შეინიშნება გამარტივებული ფორმებიც: **ნან-დიე**, ან მიმართვის ფორმა **ნან-დი**, სადაც მსაზღვრელ ზედსართავ სახელში ჩავარდნილია მჟღერი თანხმოვანი, ანდა მთელი მარცვალი.

ბა-დი - „მამა დიდი“, ბერი კაცი, მოხუცი:

სთეამელი ნა ნიტეს, ბერეფეს არ **ბადი** კოჩიქ უწუ (ჩიქ., 1, 61) „ბავშვები თამამ-თამამით რომ მიდიოდნენ, ერთმა მოხუცმა კაცმა უთხრა“.

ბადი აგებულია ისე, როგორც სხვა კომპოზიტი სახელები, სადაც კომპოზიტი შემავალ წევრებს მოკვეცილი აქვთ ბოლო მარცვლები. **ბა-დი** მიღებულია **ბაბა დიდი-სგან**, შდრ. მეგრული **ბა-დიდი**. ბაბუის პაპის აღმნიშვნელი ფორმა **დიდი ბაბა** „დიდი მამა“, პაპული.

ნათესაობის აღმნიშვნელ სახელთა გამარტივებული ფორმებია:

ჯუმა-დი < ჯუმა დიდი „მამა დიდი“, ბიძა: მან ვიწეს **ჯუმადი** ჩქიმიკალა ბორტი (ჩიქ., 2, 23) „მე ვიწეში ბიძასთან ერთად ვიყავი“.

და-დი < **და-დიდი** „და დიდი“, დეიდა, მამიდა, ბიცოლა: მან **დადი** ჩქიმიკალა ნოღედიშა ვიგზალი (ჩიქ., 1, 97) „მე დეიდა ჩემთან ერთად ნოღედში წავედი“.

დიდი ზედსართავის შემცველი კომპოზიტები ხშირია გეოგრაფიულ სახელებშიც. ი. ყიფშიძე თავისი მოგზაურობის დღიურში ხოფი უბნის სოფლების ქართულ სიაში ასახელებს **ზენ-დიდს** [ყიფშ., 1937, 154] (შდრ. **ზედ-დიდი** - სოფელი აჭარაში). კომპოზიტი სახელის საზღვრული წევრი დადასტურებულია ლაზურ ტექსტებშიც, ეგვე სიტყვა ცოცხალია მეგრულშიც - **რზენი**, **რზენი|ზენი** მეგრულ-ლაზურში ვაკეს, ველს ნიშნავს. აღნიშნული ტოპონიმი ქართული დიდ-ვაკის, ვაკე-დიდის ბადალია. **ღალ-დიდი** „ღელე დიდი“ ჰიდრონიმია; **ქვა-დიდი** „ქვა დიდი“ (სარფის უბანი) მიუთითებს დიდ ქვაზე და მის მიდამოებზე; **ნოღე-დი|მაკრიალი** სოფლის სახელია. „ტრაპიზონის ქრონიკაში“ ეს სახელი ერთგან „მაკროსეგიალოსის“ ფორმით იხსენიება, ხოლო მეორეგან - „მაკროგიალოს“ [პანარეტოსი, 1960, 61].

აღ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ „მაკროსეგიალოს გრძელ ნაპირად ითარგმნება, მაგრამ სრულიად შესაძლოა ადგილობრივი ლაზურ-ქართული სახელწოდებაა შემდეგ ასე გააზრებული ბერძნების მიერ“ [პანარეტოსი, 1960, 42].

გადმოცემით, სოფელ **ნოღედს|მაკრიალს** ჭანეთის სხვა სოფლებთან შედარებით ყველაზე გრძელი ნაპირი აქვს. წარმოდგენილი ტოპონიმი რთული სიტყვაა და მასში ორი

წევრი მონაწილეობს. **ნოლა/ე** სხვა გეოგრაფიულ სახელებშიც გვხვდება. იგი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება ქართული ენის დასავლურ დიალექტებში, მრავალმნიშვნელოვანია ლაზურშიც. მ. ალავიძეს სარწმუნოდ მიაჩნია ნიკო მარის თვალსაზრისი - „**ნოლა**, კერძოდ, ნაპირს უნდა აღნიშნავდესო“ [ალავიძე, 1959, 4].

ნოლა/ე ლაზურში ნაწარმოები სიტყვა ჩანს (ნო-ღ-ე, შდრ. ნა-პირი). კომპოზიტის მსაზღვრელი ნაწილი **დიდი** ზედსართავი სახელის გამარტივებული ფუძეა (შდრ.: ბა-დი, მეგრ. ბა-დიდი, და-დი < და დიდი).

ამგვარად, **ნოღე-დი** < **ნოღე-დიდი** ლაზური ტოპონიმია და აღნიშნავს გრძელ ნაპირს, „ნაპირი დიდი“.

სარფსა და მაკრიალის რეგიონში ფიქსირებულია **დიდი ოჯალი** [სიხარულიძე, 1977, 39] „დიდი ოჯახი“; **დიდი მაკრიალი** [ლიოზენი, 1905-1907, 159] „დიდი მაკრიალი“ - სოფლის სახელია; არსებობს **ჭიტა მაკრიალიც** „პატარა მაკრიალი“. აღნიშნული სახელები კომპოზიტებია წევრთა პრეპოზიციური წყობით.

ჭან-დიდი „ძირმწარა“ [მაყაშვილი, 1961, 151] მიღებულია **ჭამ-დიდისაგან** და ნიშნავს: „წამალ-დიდი“, შდრ. აჭარული **წამალ დიდი** [მაყაშვილი, 1961, 9].

რთულ სახელებში ატრიბუტულ მსაზღვრელებად გამოყენებულია სხვა ზედსართავი სახელებიც: **ლორი-გინძე** [ყიფშ., 1937, 177] - ადგილის სახელწოდებაა. რთული სიტყვის მეორე წევრი ქართული **გრძელი**-ს ფარდია, საძიებელია მსაზღვრელი წევრის მნიშვნელობა.

ლორი-გინძე სარფის მეტყველებაშიც გამოიყენება ეგზოცენტრული განსაზღვრების სახით და გარკვეულ გამოთქმებში იგი მიანიშნებს ტანაყრილ, ტანმალა ადამიანზე; შესაძლოა **ლორი** ქართული **ლარი**-ს ფარდი ლექსემა იყოს. მეგრულსა და სვანურში შესატყვისი ფუძეები არა ჩანს. ქართულში აღნიშნული სიტყვა მრავალმნიშვნელოვანია; მოხეურში **ლარი** გრძელი და განიერი სკამის მნიშვნელობით იხმარება (ქეგლ, 4).

ი. ყიფშიძეს ხოფის რეგიონში დასახელებული აქვს ადგილის სახელწოდება **წკარ-ყინა** [ყიფშ., 154] „წყალ-ცივი“, წყარო. ორი წევრი მონაწილეობს: **წკარ** - „წყალი“, წყარო, **ყინ**-ა - „ცივი“ ა- მატოპონიმებელი ელემენტით [მაკალათია, 1974, 6];

ქვა-მჩირე [ყიფშ., 1937, 165] - ტყე, „ქვა-ფართო“ (შდრ. **ქვა-მჩირეთი** მურღულის ხეობაში) [ყიფშ., 1911, 9]. მსაზღვრელი წევრი ზანური სიტყვაა და ნიშნავს ფართოს [როგავა, 1959, 8];

ქვა-მორგვალი||**ქვა-მარგვალი**||**ქვა-მურგვალი** „ქვა მრგვალი“ სარფის მიკროტოპონიმიაში შემოდის და ზღვის სანაპიროზე მრგვალი ქვის სახელწოდებაა.

ლუხჩე||**ლულჩე** <**ლულ-ხჩე** „ლეღვთეთრა“;

ლულ-ციმუ „ლეღვცმელი“;

მცხულ-ლოყა [მარი, 1910, 216] „მსხალ ტკბილი“;

წკარ-მაფხა||**წა-მაფხა** „წყარო“. პირველი წევრი **წყალ** ფუძის ადეკვატია, მსაზღვრელი კომპონენტი კი ძველი ქართულის **ნეფხუვა**, **ნეფხვა**, **ნეფხუა** („სიცივე“, „თოში“, „ყინვა“, „თრთვილი“) [აბულაძე, 1973, 328] ფარდი ფუძე ჩანს. მაშასადამე, **წკარ-მაფხვა** „წყალ-ცივი“ კომპოზიტში მომხდარი ფონეტიკური ცვლილება (**წა-მაფხა**) გამოწვეულია რთულ სახელებში კომპლექსთა გამარტივებით, რომელიც სხვა ქართველურ ენებშიცაა ცნობილი [როგავა, 1973, 136].

განსაზღვრებით კომპოზიტებში მონაწილეობს ვნებითი გვარის მიმღობის ფორმები და ამ სახის კომპოზიტებში მოპოვებული მასალის მიხედვით მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიცია გვაქვს.

ქვა ნჭარერი (მარი, 1910, 610) ათინის უბნის სოფლის სახელწოდებაა და წარწერიან ქვაზე მიუთითებს; ზედმიწევნით: ქვა-/და/წერილი;

კირი-ჭვერი (ყიფშ., 1937, 177); „კირი დამწვარი“;

ქვა ტახერი (სიხარულიძე, 1977, 33) „ქვა/გა/ტეხილი“ - ქვის კარიერი გონიოს უბანში;

ქვა-ჭკადერი „ქვა-/და/ჭედელი“ - სარფის უბანი;

ხჩინი-გელაღურერი (სიხარულიძე, 1977, 71) „დედაბერი მკვდარი“;

ჟურ-მჩანაფუა-ლული (სარფის მეტყვ.) „ორ-მსხმოიარე ლეღვი“.

კომპოზიტა და შესიტყვებას შორის გარდამავალი საფეხურის შთაბეჭდილებას ტოვებენ ისეთი სიტყვები, როგორიცაა:

ჯუმა-მოგაფერი - „მობილი, მმად რგებული“, „მმა მოგებული“;

და-მოგაფერი - დობილი, დად რგებული, „და მოგებული“;

ლეტა მჭითა||მჭითა ლეტა - წითელი მიწა;

მწკო გუდა||გუდა-მწკო - „გუდა წყავი“;

ყომურ მჭითა||მჭითა ყომური - „წითელი ტყემალი“...

განსაზღვრებით კომპოზიტში მსაზღვრელი არსებითი სახელი მოსდევს საზღვრულს და საგანს განსაზღვრავს აღნაგობის, მსგავსების ან თვისების მიხედვით.

ღალ-ტიბა „ღელე ტბა“, სოფელი, ოთხო წანას **ღალ-ტიბას** დიკითხერეტუ (ჩიქ., 1, 46)

„ოთხი წელი ღალტბაში ესწავლა“;

ქვა-მწკილი „ქვა წვეტი“, მაღალი წვეტიანი ქვის სახელია სარფის უბანში;

ქვა-ჭადანა „ქვა კიბორჩხალაა“;

ქვა-ლოძგო - **ლოძგო**: „ღორჯო“, თევზის სახეობა;

ქვა-კამარა „ქვა კამარა“, კამარიანი ქვა;

ქვა-ხერხი „ქვა ხერხი“, დაკბილული კლდე.

ქვა-მურგი [სიხარულიძე, 1977, 58], – იქვე განმარტებულია, როგორც მრგვალი ქვა. **მურგი** ლაზურ კილოკავებში მოქმედი სიტყვაა და ნიშნავს გორგალს, მორგვს. **ქვა-მურგი** ქართული „ქვა მორგვის“ ფარდი სიტყვაა;

ქვა-ჭაჭი (ასათ., 72) - ქვიანი ადგილი სარფის რეგიონში. პირველი წვერი განმარტებას არ საჭიროებს, მეორე წვერს ი. სიხარულიძე ზანურ სიტყვად მიიჩნევს [სიხარულიძე, 1977, 79].

გ. ბედომვილის აზრით, **ქვა-ჭაჭი** ისეთი სახელწოდებაა, რომელიც ობიექტის აღნაგობასა და თვისებაზე მიგვანიშნებს. მკვლევარი იქვე იმოწმებს მოხეურ სიტყვას **ჭაჭი** („ქვის თხელი და მოგრძო ფიქალი“) და ფიქრობს, რომ იგი „შესაძლოა ფიქლოვან კლდოვან ადგილს ნიშნავდესო“ [ბედომვილი, 1979, 4], თუმცა უპრიანია ვიფიქროთ, რომ **ქვა-ჭაჭი** უდრიდეს **ქვა-სხმულს**, შდრ. მეგრ.-ლაზ. **ჭაჭ(უ)ა** „ასხმა, აცმა მრავლისა“.

ეგევე კუთხური სიტყვა შესულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში: **ჭაჭი** *კუთხ.* (მოხევ.) ასპიდის ფიქალი (ქეგლ, ტ. 8). მამასადაძე, **ჭაჭი** ქართველური სიტყვაა და ქვის სახეობაზე მიანიშნებს;

ლულ-ბადრიჯანი „ლეღვ-ბადრიჯანი“ ბადრიჯნის მსგავსი ლეღვის სახელწოდებაა;

მცხულ-გვერდანი - მსხლის ჯიში. **გვერდანი** ლაზურში მოქმედი სიტყვაა და კვირისთავს ეწოდება, ე. ი. **მსხალ კვირისთავა** (შდრ. კვირისთავა – მსხლის ჯიში აჭარაში (ქეგლ, 3);

მცხულ-კვანცა დოქის მოყვანილობის მსხლის ჯიშია, სიტყვაც მიუთითებს; **კვანცა** ვიწურ-არქაბულში დოქის აღმნიშვნელი სიტყვაა, ხოფურში ამავე ფუძის გამომხატველია **ბათმანი** - **მცხულ-ბათმანი** „მსხალ ბათმანი“;

სხვა ნიმუშები:

- მსხულ-ჯუმორი „მსხალმმარა“;
- მცხულ-კვინჩი „მსხალჩიტა“;
- მცხულ-მეტაქსი „მსხალაბრეშუმი“;
- მცხულ-ოქრო „მსხალოქრო“;
- მცხულ-შექერი „მსხალშაქარი“;
- მცხულ-შუკა „მსხალკიტრა“;
- მცხულ-ხეჭეჭული||მცხულ-ხეჭეჭური „მსხალ ხეჭეჭური“;
- ყომურ-ლავა „წითელი ქლიავი“ (მარი, 204);
- ყომურ-ბული (სარფის მეტყველება) „ბალტყემალა“;
- ყომურ-ღეჯი „ღორტყემალა“...

მცენარეულობის აღმნიშვნელ ზოგიერთ სახელთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს გარკვეული ფონეტიკური თავისებურებანი ხოფურ კილოკავში; სახელდობრ, კომპოზიტის საზღვრულ წევრს თანხმონით დაწყებულ მსაზღვრელებთან ეკვეცებათ ბოლოკიდური თანხმონი (მცხულ > მცხუ > მჩხუ): **მცხულ-შუკა** > მცხუ-შუკა > მჩხუ-შუკა; **მცხულ-მჟვაბუ** „მსხალ-გომბეშო“ > მცხუ-მჟვაბუ > მჩხუ-მჟვაბუ; **მცხულ-შექერი** > მცხუ-შექერი > მჩხუ-შექერი.

აღსანიშნავია, რომ საზღვრული არსებითი სახელი გააზრებულ იქნა ზედსართავ სახელად (**მცხულ** „მსხალი“ > მცხუ > **მჩხუ** - „მსხვილი“) და პარალელურად გაჩნდა საპირისპირო სახელწოდება **მჭიფე** შექერი „წვრილი შაქარი“ (მსხლის ჯიში);

საზღვრულ სახელში კომპლექსთა (**ცხ** > **ჩხ**) ცვლილება ფონეტიკურ კანონზომიერებას ექვემდებარება. საქმე ისაა, რომ მსაზღვრელი სახელის თავკიდურმა შიშინა ბგერებმა გამოიწვია **ცხ** კომპლექსის ასიმილაცია. სხვა შემთხვევაში საზღვრული სახელი სრულად არის შენახული: **მცხულ-ლოყა** „მსხალ ტკბილი“, **მცხულ-აღი** „მსხალ ცხიმი“, **მცხულ-ოქრო** „მსხალ ოქრო“ და მისთ.

იშვიათად, მაგრამ მაინც კომპოზიტის მსაზღვრელ წევრად გამოიყენება ნაწარმოები ფორმები:

ქვა-ონჩამურე - ადგილი სარფის უბანში. ლაზ. **ო-ნჩამურ-ე**, მეგრ. **ო-ჩამურ-ე** ქართული **სა-ცემარის** ადეკვატია [ჩიქობავა, 1938, 166] – ქვა საცეხველი, „ქვა საცემარი“;

ქვა-ოსფაო||ქვა-ოსპაო – ქვის სახელწოდება; **სფაო||სპაო** თევზის სახეობაა, **სასფაოე** ქვა, „ქვა სასფაოე“;

ქვა-ოწუდე – ქვის სახელი. **ო-წუდე** ლაზურში თევზების ჩამოსაწყობი თაროს აღმნიშვნელია; შდრ. ძველი ქართული **წედი** - თევში, ყვავილნარი, სანერგე [აბულაძე, 1973, 541]; **ოწუდე**-ს ამოსავალი მნიშვნელობა უნდა იყოს სათეფშე; **ქვა-ოწუდე** - „ქვა სათეფშე“, სათეფშე ქვა;

ქვა-ომხაზი||ქვა-მხაზი||ქა-ომხაზი||ქა-უმხაზი - დიდი ლოდი ზღვაში; ი. სიხარულიძე მას „ქვა დასერილად“ განმარტავს [სიხარულიძე, 1977, 41]. მსაზღვრელ სახელში **მხაზ** ფუძის პირველი ფორმა იქნება **მხაზუფს** – „ხაზავს“, „სერავს“.

ერთეულ შემთხვევებში კომპოზიტ სახელებში მონაწილეობს რიცხვითი სახელი პრეპოზიციური წყობით: **ჟურ-პიჯი** [ყიფშიძე, 1937,154] „ორ-პირი“, სოფელი; შდრ. სოფელი იმერეთში - **ორპირი**; სუმ-ჯუმა „სამი ძმა“, – სოფლისა და ლოდის სახელია სარფის უბანში.

განსაზღვრებით კომპოზიტში შემავალი მსაზღვრელი წევრი ზმნისართის ფუძეებიდანაა ნაწარმოები და წინ უძღვის საზღვრულ სიტყვას: **თუდენი ნაფშითი და ჟილენი ნაფშითი**

[სიხარულიძე, 1977, 71] – „ქვემო ნაფშითი“, „ზემო ნაფშითი“; თუდენი ბულეფი [ყიფშ., 1937, 158] „ქვემო ბულეფი“; ჟინი გზა „ზედა გზა“ - ტყე სარფის უბანში; ნ. მარი [მარი, 1910, 610] და ყიფშიძე [ყიფშიძე, 1937, 171] ათინის უბანში ასახელებენ სოფლის სახელწოდებას **მელესქური** „გაღმა ხევი“.

განსაზღვრებით კომპოზიტთა დიდ ჯგუფს ქმნის მართული მსაზღვრელებით წარმოდგენილი რთული სახელები. მსაზღვრელად გამოყენებული საზოგადო და საკუთარი სახელები; ერთეულ შემთხვევაში ნაწარმოები ფუძეები სათანადო ბრუნვაში დგას სრული დაბოლოებით და მომდევნო სახელს განსაზღვრავს კუთვნილების, მასალის მიხედვით:

ბურბუმ-ოხვამე (ყიფშ., 165) „ღამურას სამლოცველო“; **ბარდიშ-ღალი** „ბარდნალის ღელე“, ღელე და მისი მიდამოები სარფის უბანში; **აბანოში-წკარი** „აბანოს წყალი“, წყარო (სარფი); **პერონითიშ-წკარი** „პერონითის წყალი“; **პლაკიშ-თი** „კლდის თავი“; **მაკრიალიშ-ზენი** „მაკრიალის ველი“ (ლიოზ., 151); **მაისკიშიშ-ოფუტე** „მაისკის უბანი“; **კიკინცაშ-რაკანი** (სიხარ., 77) „კიკინცას სერი“; **კაკალიშ-ყონა** „კაკლის ყანა“ (სარფის უბანი); **დუზიშ-ოფუტე** „ვაკის უბანი“ (სარფი); **ფატამშ-კურხე** (მარი, 610) „ფატმას ფეხი“, სიპის ქვა; **ქვამ-ხინჯი** „ქვის ხიდი“; **ბურთაშ-ღალი** „ბურთას ღელე“; **ოჭინახუმ-ოფუტე** „საწინახლის უბანი“...

სუფიქსმოკვეცილი მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი სახელების ნიმუშები:

მაფა-წკარი (მარი., 610) „მეფის წყალი“, წყარო; **ფიცხელა-წკარი** (მარი., 614) „ფიცხელას წყალი“, მდინარე; **ხოფა-წკარი** „ხოფის წყალი“, მდინარე; **მაკრიალ-წკარი** „მაკრიალის წყალი“, მდინარე; **ვიწე-წკარი** „ვიწეს წყალი“, მდინარე ვიწეში; **მელესქური-წარი** „მელესქურის წყალი“, მდინარე ათინის უბანში; **არქაბე||არჰავე-წკარი** (სიხარ., 77) „არქაბის წყალი“; **ქარმატა-ღალი** „წისქვილის ღელე“, არქაბის უბანი; შდრ. **მსქებუმ/-ღალი** „წისქვილის ღელე“ სარფის უბანში; **ნოლა-დუზი** „ნოლას ვაკე“, სარფის უბანი; **ყომურ-მენი** (ყიფშ., 165) „ტყემლის ველი“; **ლეჯი-ტალახონა** „ღორის სატალახო“; **ფუჯი-ონჯირე** „ძროხის საწოლი“, სამოვარი; **წკან-კოპალი** < **წკარ-კოპალი** < **წკარიშ-კოპალი** „წყლის კომბალა“, თავკომბალა...

მსგავსი მოდელები შეინიშნება **ოხორის** (სახლის) შემცველ ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელ სახელებშიც:

ოხორ-ჯა < **ოხორ-ჯალ** < **ოხორიშ-ჯალ**||**ოხორ-მა** < **ოხორ-მალ** „ქალი, ცოლი, სახლს რძალი“: ხოჯაში **ოხორჯა** გალე ქაგამახთუ (ჩიქ., 1, 4) „ხოჯას ცოლი გარეთ გავიდა“.

კომპოზიტის საზღვრული წევრი - **ჯა/ლ||მა/ლ** ქართულ **რ-მალ** ფუძის ვარიანტია [ჩიქობავა, 1938, 33].

ოხორისგან ნაწარმოებია: **ოხორ-ჭ-კურა||ოხო-ჭ-კუა** (ხოფური), **ოხორ-ჭ-კურა||ოხორ-კურა** (ვიწურ-არქაბული) – „დიასახლისი, სახლის ქალბატონი“. რთული სიტყვის მეორე კომპონენტი ბერძნულიდანაა მიღებული და ქალბატონს აღნიშნავს [ჩიქობავა, 1938, 151]. პირველ წევრს დაკარგული აქვს ბრუნვის ნიშანი ან ფონეტიკურად ცვლილია. ბრუნვის ნიშნისეული -**შ** ერთ შემთხვევაში დაიკარგა, როგორც სხვა კომპოზიტ სახელებში, მეორე შემთხვევაში ფონეტიკური გზით მკვეთრის მეზობლობაში იქცა **ჭ**-დ (ოხორ-ჭ-კურა||ოხორ-ჭ-კუა).

მეგრულ-ლაზურში კომპოზიციის პროცესი არ არის ისეთი აქტიური, როგორცაა ქართულში და ამის მიზეზი ამ ენათა განსხვავებული სტატუსი და ფუნქციებია.

ქართულ ჩვეულებრივ კომპოზიტებთან ერთად (როგორცაა: და-ძმა, ცოლ-ქმარი, სულცხონებული, გულდიდი, თავხედი, თვალგახელილი და მრავალი სხვა) მოიპოვება მრავალზე მრავალი მწიგნობრული გზით შეთხზული და საერთოდ ენაში გავრცელებული

რთული სიტყვები: მუშახელი, შრომადღე, ზომა-წონა, ანგარიშგება, დღეღამური, ერთპიროვნული, ვადაგასული, თავდაცვა, თვითღირებულება, თვითმფრინავი, თვითკრიტიკა, მიწათმოქმედება, გრძელვადიანი, მაღალკვალიფიციური, საერთაშორისო და სხვ. ახალი ყოფის დამკვიდრება, მეცნიერებისა და ტექნიკის, საერთოდ, კულტურის, ფართო განვითარება, გამოწვეულია ხალხის პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების გარდატეხითა და ამალღებით, ენაში აჩენს სხვადასხვა ახალი ცნების გამომხატველ სიტყვებს, რომელთა წარმოქმნაში კომპოზიცია ერთ-ერთი მთავარ საშუალებათაგანია. ქართულში მრავალი კომპოზიტი საკუთარ ნიადაგზე ჩნდება, ბევრიც სხვა ენის გავლენით წარმოიქმნება [თოფურია, 1979, 127].

საყურადღებო და მისაღები ჩანს ვ. თოფურიას დასკვნები:

1. კომპოზიტი თავიდანვე დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის. ყველაზე უფრო მდიდრად იგი წარმოდგენილია ქართულში, უპირატესად ლიტერატურულ ენაში (როგორც ძველში, ისე ახალში), შედარებით ნაკლებად – სვანურსა და ზანურში.
2. კომპოზიტთა მეტსა თუ ნაკლებ გავრცელებულობას გარკვეული მნიშვნელობა აქვს მათი გენეზისის სარკვევად. შენიშნულია, რომ რთული სიტყვების სიჭარბე ლიტერატურულ ენაში გამოწვეულია ახალ ცნებათა გადმოცემის საჭიროებით, ზოგი ახალი კომპოზიტის წარმოქმნა ნაწილობრივ აიხსნება ქართულთან კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაში მყოფი ლიტერატურული ენების გავლენით.
3. ქართველურ ენებში დადგენილია კომპოზიტის ორი ძირითადი ტიპი: ფუძეგაორკეცებული და ფუძეგანსხვავებული როგორც კავშირიანი, ისე უკავშირო (ასინდეტური). თითოეულ მათგანს ახასიათებს სხვადასხვა სახეობა. უფრო ხშირია უკავშირო კომპოზიტები. ფუძეგაორკეცებული შეიძლება იყოს ფუძეუცვლელი და ფუძეცვლილი.
4. ფუძეგაორკეცებულებიდან არა გვაქვს სვანურსა და ზანურში და კავშირიანი კომპოზიტები (მსგავსი კვალდაკვალ ტიპისა), სვანურში საძებნია უაზრო მარცვლების გაორკეცების შემთხვევები (ბუტბუტი ტიპისა), ხოლო ზანურში ხმოვანმონაცვლე, თანხმოვან- და მარცვალმონაცვლე რთული სიტყვები (როგორცაა: წარამარა, ქონმახი და სხვ.).
5. ფუძეგანსხვავებულიდან შეზღუდულია ზანურში უკავშირო ორცნებიანი კომპოზიტების ხმარება, ხოლო სვანურსა და ზანურში ერთცნებიანებიდან – მიმღობიანი კუთვნილებითი კომპოზიტები. ამ სხვაობას თავისი საფუძველი აქვს [თოფურია, 1979, 127].

ძირითადი ლიტერატურა:

აბულაძე, 1973: ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ალავიძე, 1959: მ. ალავიძე, რას ნიშნავს „ნოღა“, გაზ. „სოფლის ცხოვრება“, 1959, N 59;

- არაბული, 1997: ა. არაბული, სახელისა და ზმნის დერივაციის ურთიერთმიმართების საკითხები ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1997.
- არონია, 2010: ი. არონია, კომპოზიციები მეგრულ-ლაზურში, თბ., 2011;
- ასათიანი, 1974: ჭანური (ლაზური) ტექსტები. I. ხოფური კილოკავი, 1974;
- ასათიანი, 2011: რ. ასათიანი, ლაზურის გრამატიკის კონსპექტი, თბ., 2011;
- ახმანოვა, 1966: О. С. Ахманова, Словарь лингвистических терминов, Мос. 1966.
- ბედომვილი, 1979: გ. ბედომვილი, საყურადღებო ნაშრომი, გაზ. „წიგნისსამყარო“, 1979, N13.
- გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965;
- გოგოლაშვილი..., 2011: გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 2011;
- გოგოხია, 2001: ლ. გოგოხია, დრო-ჟამის სახელთა მაწარმოებელ -დედ სუფიქსი ჭანურში; XXI რესპ. დიალექტ. სესია; მასალ.; ბათ., 2001;
- გუდავა, 1975: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, 1975.
- გუდავა, 1969: მახვილის ადგილისათვის მეგრულში, გ. ახვლედიანი - 80, საიუბ. კრებ., 1969
- გუდავა, გამყრელიძე, 1981: თანხმოვანტკომპლექსები მეგრულში, აკაკი შანიძეს, თბ., 1981;
- დავითიანი, 1973: აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I, თბ., 1973.
- დანელია, 1986: კ. დანელია, სახელობითი ბრუნვის ი- ნიშნის ფუმესთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში, თსუ შრ., ტ. 267 (ენათმეცნიერება), 1986;
- დანელია, 2006 - კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006;
- დეგტიარევი, 1982: В. И. Дегтярев, Происхождение имен plauralia tantum в славянских языках, Вопросы Языкознания, №1, М. 1982.
- დეეტერსი, 1930: Deeters G., Deeters, Das Kartvelischen Verbum, , A., 1930.
- ერკერტი, 1895: Erckert R., Die Sprachen des kaukasischen Stammes, Wien, 1895;
- თოფურია, 1927: ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, საქართველოს არქივი, II, 1927;
- თოფურია, 1929: ვ. თოფურია, ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი, „ახალ სკოლისაკენ“, N 7-8, თბ., 1929;
- თოფურია, 1937: ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV, ბუნებრივი კომპლექსებისათვის, ენიმკის მოამბე, I, 1937;
- თოფურია, 1938: ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, I, ნე-, ნი-, ნა-პრეფიქსებისათვის; ტფ. უნივ. შრ., VII, 1938;
- თოფურია, 1956: გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იკე, VI, გადაბეჭდილია კრებულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956;
- იესპერსენი, 1958: О. Есперсен, Философия грамматики, М., 1958.
- კარტოზია, 2005: ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, 2005;
- კარტოზია, 2004: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი, თბ., 2004;

- კარტოზია, 2005: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.
- კარტოზია, 2010: გ. კარტოზია, რუსუდან გერსამია..., მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010;
- კლიმოვი, 1964: Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964;
- კლიმოვი, 1962: Г. А. Климов, Склонение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, М., 1962;
- ლელ, 1990: Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990;
- ლომთაძე, 1954: მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა მეგრულში, იკე, VI, 1954, 2;
- ლომთაძე, 1987: ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში, თბ., 1987.
- ლომია 2005: მ. ლომია, მეგრულში განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა და ზმნისართთა აგებულების საკითხი და ჰიპოტაქსი, ენათმეცნ. საკ., 1-2, თბ., 2005;
- მაკალათია, 1974: ფ. მაკალათია, ა ხმოვნის მასუბსტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქციისათვის, თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესიის თეზისები, თბ., 1974;
- მარი, 1910: Марр Н. Я., Хрестоматия чанского языка. См. Н. Я. Марр, Грамм. чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем; С.-Пб.; 1910;
- მარტიროსოვი, 1964: ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, 1964;
- მაცაშვილი, 1961: ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961;
- მემიშიში, 1989: ატრიბუტულ და მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტები ჭანურში, მაცნე, N4, თბ., 1989.
- ონიანი, 1989: ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკის საკითხები, თბ., 1989;
- პანარეტოსი, 1960: მ. პანარეტოსი, ტრაპიზონის ქრონიკა, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკე, 33, თბ., 1960.
- ჟღენტი, 1953: ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953;
- როგავა, 1988: გ. როგავა, ზანური -ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში, იკე, XXVII, 1988;
- როგავა, 1945: გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -გვ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, ტ. VI, N 8, 1945;
- როგავა, 1959: გ. როგავა, დასავლეთ საქართველოს ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების ეტიმოლოგიისათვის, თსუ ფილოლოგიის ფაკ. მე-4 სამეცნ. სეს. თეზ., თბ., 1959;
- როგავა, 1962: გ. როგავა, ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, I, თბ., 1962;
- როგავა, 1973: გ. როგავა, ზოგი თავისებური ფონეტიკური პროცესი ქართველურ ენათა კომპოზიტებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, N 2.
- როზენი, 1844: G. Rozen, Über die sprache der Lazen, Berlin, 1844;
- სალია, 2003: მ. სალია, - ქართული ჩხირ-, ჩხაჟ- ჩხაშ- და მეგრულ-ჭანური ცხირ-, მცხაჯ-ფუძეთა მიმართების საკითხისათვის, ქართველ. კრებ., II, 2003.
- სანიკიძე, 1977: რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში, იკეწ, IV, 1977;
- სიხარულიძე, 1977: ი. სიხარულიძე, ჭანეთი (ლაზეთი), საისტორიო გეოგრაფიის მასალები, 1, ბათ., 1977;
- უთურგაიძე, 1976: თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976;
- ფენრიხი, სარჯველაძე, 1990: ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990;

- ფენრიხი, სარჯველაძე**, 2000: ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (II შევს. და გადამ. გამოცემა), 2000;
- ქალდანი**, 1974: ქალდანი მ., სახელობითი ბრუნვისა და მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელ სუფიქსთა საკითხისათვის სვანურში; ქესს, IV; თბ., 1974;
- ქაჯაია**, 2001: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I- IV, 2001;
- ქაჯაია**, 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, 2002.
- ქაჯაია**, 2002: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, 2002.
- ქობალავა**, 1979: ი. ქობალავა, მეგრული სიტყვაწარმოებიდან, იკე, XXI, 1979;
- ყიფშიძე**, 1911: Кипшидзе И. А., Дополнительные сведения о чанском языке (Из лингвистической экскурсии в русский Лазистан) ; С.-Петербург (Мат. по яфет. языкознанию, III); 1911;
- ყიფშიძე** 1914: Кипшидзе И. А., Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем; С.-Петербург (Мат. по яфет. языкознанию, VII); 1914;
- ყიფშიძე**, 1937: ი. ყიფშიძე, საანგარიშო მოხსენება ჭანეთში საენათმეცნიერო მივლინებისა 1917 წ. ზაფხულს, ენიმკის მოამბე, 1, 1937.
- შანიძე**, 1953: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953.
- შანიძე**, 1980: ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980;
- შონია**, 2006: ა. შონია, მორფონოლოგიური ცვლილებები მცენარეთა კრებულის აღმნიშვნელ სახელებთან, ქართველოლოგიური კრებული, V, თბ., 2006.
- ჩიქობავა**, 1926: არნ ჩიქობავა, - **ონ** სუფიქსი მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, 1926;
- ჩიქობავა**, 1936: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936;
- ჩიქობავა**, 1938 : არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938;
- ჩიქობავა**, 1939: არნ ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. X, 1939;
- ჩიქობავა**, 1942: არნ ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942;
- ჩიქობავა**, 1952: არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952;
- ჩიქობავა**, 1965: არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია, თბ., 1965;
- ჩიქობავა**, 1974:
- ჩიქობავა**, 2008/1: ჩიქობავა არნ., შრომები, III, თბ., 2008.
- ჩიქობავა** 2008/2: ჩიქობავა არნ., შრომები, IV, თბ. 2008.
- ჩუხუა**, 2012¹: მ. ჩუხუა, სახელური -**იშენი** დაბოლოების კვალიფიკაციისათვის ლაზურ-მეგრულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXIII, 2012;
- ჩუხუა**², 2012: მ. ჩუხუა, ზედსართავ სახელთა ბრუნების ერთი თავისებურებისათვის მეგრულში, XXXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სეს. მას., თბ., 2012;
- ცხადაია 1999 - ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, 1999;
- ჯანჯღავა**, 1999: სახელის მორფონოლოგიური ანალიზი მეგრულში (საკანდ. დისერტ.), 1999.

წყაროები:

- ასათ.: ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები. I. ხოფური კილოკავი, 1974;
- გუდ.: ტ. გუდავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975;
- დან.: კ. დანელია, ა. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ). ტ. II, 1991.
- დიუმეზ.: დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, 2009.
- კალანდ.: თ. კალანდია, ლაზური ტექსტები, თბ., 2008;
- კარტ. 1970: კარტოზია გ., ლაზური ტექსტები (ათინური კილოკავის ნიმუშები), მაცნე, №4, 1970;
- კარტ. I: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, 1972;
- კარტ. II: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, 1993;
- ლოლ.: ლ. ბასილაია, ლოლა ნანა, თბ., 2007;
- ჟღ., ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, 1938;
- სამ.: კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), 1971.
- ქბპ: ქართული ზეპირსიტყვიერება (მეგრული ნიმუშები), 1990;
- ყიფშ., ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები [ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური კილოკავები], 1939;
- ჩიქ., I: არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები. ნაკვეთი პირველი. ხოფური კილოკავი, 1929;
- ჩიქ., II: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936;
- ცან.: ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები, თბ., 1990;
- ხალხ.: რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ანდაზები, 1994.
- ხუბ.: მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, 1937.

II ნ ა წ ი ლ ი .
ზმნა. ნაზმნარი სახელები.

II. 1. ზმნის პირი და რიცხვი.

II.1.1. ზმნის პირი.

აგლუტინაციურ და ამავედროულად პოლიპერსონალურ ენებში ზმნური ფორმა ასახავს იმ და იმდენ პირს, რომელსაც და რამდენსაც შეიწყობს, არა მხოლოდ მატერიალურად მარკირებულს, არამედ ნულოვანი მარკირების მქონესაც. პირის კატეგორია დაკავშირებულია სუბიექტისა და ობიექტის ცნებებთან, ენის ლოგიკურ-სემანტიკური დონის უნივერსალურ კატეგორიებთან. ნებისმიერი ფორმალური კატეგორია (ვალენტობა, აქტანტები, ადგილიანობა...) „ფორმალური მორფოლოგიისა და სინტაქსის აგებას ემსახურება, პირთა რომლობა და როგორობა კი დეფინიციის ძალით, მათ სემანტიკურ, შინაარსობლივ დატვირთვას გულისხმობს“ [მაჭავარიანი, 1987, 79].

პირის რომლობის განსაზღვრისას უნდა შევჩერდეთ ე. ბენვენისტის მიდგომაზე: I და II პირი უპირისპირდება III პირს, როგორც დიალოგში მონაწილე პირები – არამონაწილეს, შესაბამისად I, II ~ III დიქტომია განიხილებოდა, როგორც მარკირებულ ~ არამარკირებულ ფორმათა დაპირისპირება [ბენვენისტი, 1974].

ე. ბენვენისტმა ქართულისთვის დამახასიათებელი ფაქტი – III პირის მარკირება – ახსნა, როგორც „სიმეტრიისაკენ მისწრაფება“, თუმცა თ. უთურგაიძის სამართლიანი შენიშვნით, მას არ აუხსნია ამგვარი „მისწრაფების“ საფუძველი. მეცნიერის აზრით, საფუძველად შეიძლება მივიჩნიოთ III პირისთვის „ისეთი ფუნქციების მინიჭება, რომელიც აქვთ I და II პირებს, ესენია: ინიციატორობა, პაციენსობა და ადრესატობა, ამათ საფუძველზე მოხდა S_3 -ის, O_3^d -ისა და O_3^{Ind} -ის მარკირება ქართულში, შესაბამისად რიგისა“ [უთურგაიძე, 2002, 42].

ცხადია, რომ ქართულ (resp. ქართველურ) ენაში I, II, III პირები, როგორც რომლობის მიხედვით დაპირისპირებული ჰომოგენური ფორმები, ქმნიან ზოგადად პირის კატეგორიას.

თ. უთურგაიძის თვალსაზრისით, „ჰომოგენურობის საფუძველს ქმნიან სუბიექტობა, ირიბობიექტობა და პირდაპირობიექტობა: სუბიექტობის სემანტიკა არის ინიციატორობა, პირდაპირობიექტობისა – პაციენსობა, ირიბობიექტობისა – ადრესატობა. ესენი პირმომართი აქტანტებია – მათ აქვთ საკუთარი სემანტიკა და ფორმალური გამოხატულება“ [უთურგაიძე, 2002, 44]. შესაბამისად, მეცნიერი სუბიექტს, პირდაპირ ობიექტსა და ირიბ ობიექტს მიიჩნევს დამოუკიდებელ კატეგორიად.

მთავარი არგუმენტი, რის გამოც $S \sim O$ დაპირისპირება, მკვლევრის აზრით, ვერ განიხილება კატეგორიად, გახლავთ ის ფაქტი, რომ პირდაპირი და ირიბი ობიექტები საერთო ნიშნით გამოიხატება. ეს წესი განზოგადდება სამივე ქართველური ენისთვის. იმის გათვალისწინ-

ნებით, რომ ფონოტაქტიკის გამო ქრონოლოგიურ დონეზე ენაში ხორციელდება მორფოლოგიური ხასიათის გარდაქმნები, \emptyset ნულოვანი მარკერი ისეთივე ღირებულებისაა, როგორც ბგერით გამოხატული. მაგალითად, მეგრულში O_3^d და O_3^{Ind} – ორივე უნიშნაა, ანუ ნულოვანი მარკერის მქონეა ისევე, როგორც S_2 , რომლის ნიშანიც უნდა გამოეყენებინა ენას ჯერ O^d -ის, შემდეგ O^{Ind} -ის აღსანიშნავად (ქართულის ანალოგიით). მეორე მხრივ, S_1 -ის ვ-პრეფიქსი და O_1 -ის მ-პრეფიქსი მორფოლოგიური გარდაქმნების შედეგად გვაძლევს ერთსა და იმავე ალომორფებს – **ბ, ფ, პ** მეგრულ-ლაზურში. მაგალითად, **ბ-გორუნქ** ფორმა შეიძლება ნიშნავდეს ბ-გორუნქ მა თის „ვეძებ მე მას“, ბ-გორუნქ სი მა „მეძებ შენ მე“.

როგორც ჩანს, მთავარი საფუძველი, რის გამოც დასაშვებია ერთი და იმავე მარკერით აღინიშნებოდეს S , O^d და O^{Ind} , სწორედ ის დასკვნაა, რასაც გვთავაზობს თ. უთურგაიძე: „ S , O^d , O^{Ind} კატეგორიები ხასიათდებიან საკუთარი სემანტიკითა და ამ სემანტიკის მქონე დაპირისპირებული ელემენტებით, რაც განხორციელებულია პირთა რომელობის ფარგლებში დაპირისპირებით“ [უთურგაიძე, 2002, 46]. მაშასადამე, პირი, როგორც აქტანტური კატეგორია, ფორმისა და შინაარსის მთლიანობაა.

ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესოდ გვესახება პირის გამოხატვის სისტემა მეგრულ-ლაზურში. მით უმეტეს, რომ „პირთა სახით საქმე გვაქვს ავტონომიურ მორფოლოგიურ სისტემასთან მორფოლოგიურ ცვლილებათა საკუთარი მექანიზმით“ [უთურგაიძე, 2002, 73].

მეგრულ ზმნაში ეს მექანიზმი შესწავლილ იქნა და კანონზომიერებაც დადგინდა ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის მნიშვნელოვანი ნაშრომით „თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში“. მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი თანხმოვანთკომპლექსების გარდაქმნების კვალდაკვალ გამოწვლილვით გამოვლინდა პირის (S_1 , O , O_2) გამომხატველ ალომორფთა სისტემა [ეზუგბაია 2010, კარტოზია..., 2010]. ლაზურის ფონოტაქტიკის წესების [ქუთელია, 2005] გათვალისწინებით შესაძლებელი გახდა პირის ნიშანთა მორფოლოგიური ცვლილებების მექანიზმის დადგენა ლაზურშიც [ეზუგბაია, 2010].

II.1.1.1. სუბიექტური პირის გამოხატვა.

II.1.1.1.1. პირველი სუბიექტური პირის ნიშნები.

S_1 -ის გამოხატვა მეგრულ-ლაზურში ვ-თავსართით ხდება, თუმცა, როგორც წესი, ის წარმოდგენილია ალომორფებით თანხმოვნისწინა პოზიციაში ჰომოგენურობის საფუძველზე, თუმცა ამ წესს აბსოლუტური ხასიათი არა აქვს. ალომორფთა დისტრიბუცია მეგრულსა და ლაზურში ხასიათდება როგორც საერთო კანონზომიერებით, ასევე განსხვავებული ტენდენციითაც. ეს უკანასკნელი თვალშისაცემია ბაგისმიერი თანხმოვნების წინა პოზიციაში. ლაზურში **ბ, ფ, პ** თანხმოვნით დაწყებული ფუძეების წინ პირველი სუბიექტური პირის ვ-პრეფიქსი იკარგება და ძირითადად \emptyset ნულოვანი მარკერი გვაქვს, თუმცა შეიძლება ჰომოგენური მარკერიც დაჩნდეს:

ა.-#ბ პოზიციაში:

ბერგუმ (ჩიქ, II, 25,16) „ვთოხნი“; ხოლო დომბახუ. მან-თი **ბახა-მა** (ჩიქ, I, 56,1) „კიდევ მცემა. მეც ვცემო...“

მაგრამ ასევე მოსალოდნელია **/ბ-/** ალომორფი:

არ კატი **დობზერგი...** ჯურ კატი **დობზერგი** (ჩიქ., I, 89) „ერთხელ გავთოხნე, მეორედ გავთოხნე“; მა **დობზანიკი**, სი ხოლო ბანიკარე (ასათ. ლექს. 10) „მე დავტკეპნე, შენც დატკეპნე“.

ბ. -#ფ პოზიციაში:

დობჭუმ დო **ფალუმ** ე-დო ოხაჩქუ ზამანი აპრილი მოხთა-ის... (ჩიქ, II, 25,23) „დავწვავ და გავასუფთავებ და გათოხვნის დრო – აპრილი რომ მოვა“... ჰემ დაღი ოპჭვითუკო, უკაჩხე **დოფალითუკო** (ყიფშ. 55,4) „ეს ტყე დაგვეწვა, მერე გაგვეწმინდა“; ჩხომი ოპჭოფათ... დოფხარათ, **დოფალათ** (ასათ.ლექს. 265) „თევზი დავიჭიროთ, გავფართოთ, გავასუფთავოთ“; ოკულე ბურთი ვასთომეთ დო **დოფაშუფთ...** **დოფაშათ**, ვიმტეთ (ასათ. 78, 12) „მერე ბურთს ვითამაშებთ და დავფუშავთ... დავფუშავთ, გავიქცევით“; ილა **ფაშამინონ** მარქვალ-ა... (ასათ. 95.67) „დამიმტვრევია კვერცხიო“...

ნულოვანი ნიშნის გარდა, მოსალოდნელია **ვ-** და **ფ-** ალომორფები: თქვი, მა **ვეფუთხურ** (ჩიქ, I, 74, 11) „თქვი, მე ვფართხალე“; ეკულე საბუცხელითე **დოფვათხუფთ** (ჩიქ, I, 135, 18) „მერე საბერტყით დავბერტყავთ“; „**ეფფუთხარეა**“-ში ვა დაფუთხონუ (კარტ. 182,7) „ავფრინდებო“ (მაგრამ) ვერ აფრინდა“; მჟოლი **ფვათხით** დო ქოპჭკომით (ასათ. ლექს.263) „თუთა დავფერთხეთ და შევჭამეთ“.

ბ- ალომორფს **მ** ლაბიალის წინ ვხვდებით **გ.** კარტოზიას მასალაში: ოკულე ჩქვა **გობმკუცხი** (!) დო ჩქვა მუთუ ვა ბძირი (კარტ. 178,17) „მერე გავიღვიძე და სხვა ვერაფერი ვნახე“; ეშებულუტათში, ბაზი ძერის მა ბიინეთა დო ბიჭვაფუთ-მა დო **ბმლორარე** (!) (კარტ. 178,6) „რომ ამოვდიოდეთ, რაღაც ადგილას ვიქნებითო და ვიწვებით-მეთქი, ვიყვირებ“... როგორც ვხედავთ, მკვლევარს ორივეგან ძახილის ნიშანი დაუსვამს – თითქოს არ იყო მოსალოდნელი პირის ალომორფი ამ პოზიციაში, მით უფრო, რომ ორივე ფორმაში მორფმათა საზღვარზე წარმოიქმნება ლაზურისთვის არაბუნებრივი თანხმოვანთმიმდევრობა **ბმკ, ბმღ**, ასევე ორივეგან **მ-** განვითარებული ბგერა და არა ფუძისეული.

რა ვითარებაა მეგრულში ბაგისმიერი თანხმოვნების წინა პოზიციაში? პირველ რიგში, თვალშისაცემია კილოკავური სხვაობა: ზუგდიდურ-სამურზაყანოულში ძირითადად ხდება **ვ-** პრეფიქსის მეტათეზისი, რის შედეგად სხვა ალომორფები (ასევე ჰომოგენურობის წესით) დაჩნდება ფუძის შიგნით, ხოლო სენაკურ-მარტვილურში საპირისპირო ტენდენციაა ძირითადი [ყიფშიძე, 1914, 055-056; გუდავა, გამყრელიძე, 1981, 218].

აღსანიშნავია, რომ გადასმა ხდება მარცვლის შემდეგ და არა თანხმოვნის მომდევნოდ, მაგალითად: **ვ-მუმენქ > მუ-ფ-შენქ** „ვმუმაობ“, **ვ-ბარუნქ > ბა-ვ-რუნქ** „ვბარავ“, **ვ-პუტორუნქ > პუ-პ-ტორუნქ** „ვპუტავ“... ამგვარი გამოსავალი არის შედეგი არაბუნებრივი თანხმოვანთმიმდევრობის დაძლევისა როგორც ამოსავალ, ასევე მეორეულ ვითარებაში.

როგორც ვხედავთ, ლაზურმა და მეგრულმა სხვადასხვა გზა აირჩია „მორფონოლოგიური შეუთავსებლობის“ დასაძლევად. როგორც თედო უთურგაიძე შენიშნავს, ქართულში პირველი სუბიექტური პირის **ვ-** მორფემის ზღვარზე მორფონოლოგიური წინააღმდეგობის დაძლევის გზები ყოველთვის ერთზე მეტია. ენას შეუძლია 1. რანგობრივი სიმტკიცის ხარჯზე ეს თანამიმდევრობა დატოვოს (ვ-წერ, ვ-ბარავ), 2. შეუძლია ნიშანი დაკარგოს, მაგრამ ნულოვანი მარკერით შეუნარჩუნდეს მნიშვნელობა (მო-ვედი, მო-ვალ), 3. ან მეტათეზისით

დაძლიოს წინააღმდეგობა (თუშურში: ტვირი, დვნები... შავშურში: ჭვამ, ხვედავ... ასევე ძვ. ქართულში ობიექტ. პირის **ხ-** პრეფიქსთან მეტათეზისით მიღებული **ხვ->ხუ** მიმდევრობა). მნიშვნელოვანია მეცნიერის დასკვნა: „ენობრივ დონეთა სისტემები ხასიათდებიან სპეციფიკური – მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი თვისებებით, რომლებიც ენას გასდევნ არსებობის მთელ მანძილზე – ეს გენეტიკური თვისებებია, უმეტესობას მონათესავე ენებშიც ვხვდებით“ [უთურგაიძე, 2013, 85].

როგორც ჩანს, ამ სპეციფიკიტაა შეპირობებული სხვადასხვა გზა, რომელიც მეგრულმა და ლაზურმა აირჩია, უფრო ზუსტად, მეგრულსა და ლაზურში კილოკავური განსხვავების საფუძველი გახდა. ერთი მხრივ, გვაქვს მეგრულისა და ლაზურისთვის საერთო ტენდენცია: **ვ-** ალომორფის შენარჩუნება (ცენტრალური არეალი), მეორე მხრივ, განსხვავებული მიმართულება: ლაზურში ნულოვანი მარკერის ქონა, მეგრულში – მეტათეზისი (განაპირა არეალი). ამავე დროს ეს სხვაობა ინოვაციაა და არა რომელიმე ტრადიციული არქაიზმის მაჩვენებელი.

მეგრულსა და ლაზურში თანხმოვნისწინა პოზიციაში **ვ-** პრეფიქსის ძირითადი ალომორფებია: **ბ-** მჟღერის წინა პოზიციაში, **ფ-** ფშვინვიერის წინ, **პ-** მკვეთრების წინ. ბუნებრივია, აქაც გვაქვს გამონაკლისები, რაც ხშირად დიალექტური თავისებურებით არის გამოწვეული. კერძოდ, ლაზურში ალომორფთა დისტრიბუცია ასეთია:

ა) -**ც** მჟღ.:

ამ პოზიციაში ძირითადია **ბ-** ალომორფი მაგ.:

ბძირი (ჯღ. 18,29) „ვნახე“, **ბლუაეა** (კარტ. 163, 32) „მოკვდებიო“, **ბღურუ(რ)** (ჟღ. 14,6) „კვდები“, **ებზდიმ** (კარტ. 172,17) „ავიღებ (ავზიდავ)“, **ბზოპონ** (ყიფშ. 6,4) „ვლაპარაკობ“, **გოშაბღვია** (კარტ. 167,13) „დავდეო შუაში“, **ბგორათ** (ყიფშ. 73,7) „ვეძებოთ“...

ბ- ალომორფი გამოვლინდება ფშვინვიერთა წინაც:

ქომობთი (ყიფშ. 1. 30) „მოვედი“, **ბხაჩათენ** (ჟღ. 6,22) „გავთოხნოთ“, **ქომებჩი** (ჟღ. 52,2) „მივეცი“, **ქოდობსქიდით** (ყიფშ. 3,2) „დავრჩით“... ასევე მოსალოდნელია მკვეთრების წინაც: **ბჰკომარე** (ჟღ. 39, 30) „ვჭამო“, **ებჰოფი** (ჟღ. 43, 33) „ავიღე, ვიყიდე“, **ბკითხარე** (კარტ. 48, 30) „ვკითხო“.

ბ) -**ც** ფშ.:

ამ პოზიციაში დასტურდება **/ფ-/** ალომორფი. მაგ.:

მეფჩამტი (კარტ. 170,33) „მივემდი“, **ფჩვარეა** (კარტ. 170,11) „შევიწახო“, **ელაფხერთა** (კარტ. 177, 13) „(გვერდით) ვზივართო“, **ოფშვათი-ა** (ყიფშ. 4,7) „დავლიოთო“, **გამაფჩამ** (კარტ. 89,11) „ვიყიდი“, **ფთხორარე** (ჩიქ. II, 103,32) „ვთხარო, ვხნა“, **ოფშკომით** (ჩიქ. II, 104,22) „შევეჭამეთ“, **გოფთარე** (კარტ. 91,8) „წავიდე“, **ფცადი** (კარტ. 93,28) „შევეხედე“, **ფსქიდუთ** (კარტ. 26,7) „ვეცხოვრობო“, „ვრჩებით“, **ფცხუნუმთ** (კარტ. 25,33) „ვსხლავო“...

ფ- ალომორფი დაჩნდება მკვეთრებთანაც:

დოფტახათ „დავტეხოთ“, **ქეფჰოფი** (ჩიქ. 104,24) „ავიღე, ვიყიდე“...

გ) -**ც** მკ.:

ამ პოზიციაში, როგორც წესი, **პ-** ალომორფია გამოყენებული. მაგ.:

პკორეცხუმთ (ჩიქ. II, 101,23) „ვითვლით“, **დოპკვათი** (ჩიქ. II, 105,26) „დავჭერი“, **დოპკოდი** (კარტ. 24,6) „ავაგე“, **ქეპჰოფი** (ჩიქ. II, 104,6) „ავიღე“, **პჰოფარე** (კარტ. 95,28) „დავიჭირო“, **პჰა-**

რუმ (ქლ. 39,1) „ვეწერ“, დოპწოფხი (ჩიქ. II, 101,24) „ავაშენე“, პწათენ (ჩიქ. II, 106,25) „ვეკრიფოთ“, დოპტახი (ჩიქ. II, 105,8) „დავტეხე“, პტკობუ (კარტ. 165,20) „ვიმაღლები“...

ათინურში გამოვლინდა /ვ-/ ალომორფი თანხმოვნების წინ. მაგ.:

ვლურურთ (ჩიქ. II, 132,31) „ვეკვდებით“, ქოდოვსქუდით (ჩიქ. II, 133,7) „დავრჩით“, მენდავ-
თათ (ჩიქ. II, 133,8) „წავიდეთ“, ქომეიოვთა (ჩიქ. II, 133,31) „მივიდე“...

ეს უკანასკნელი ზმნური ფუძე [რ]თ „სვლა“ ყურადღებას იქცევს იმით, რომ მხოლოდ მასთან დასტურდება **ქ-** ალომორფი, რომელიც **ფ-** ალომორფის მონაცვლეა თურქულის გავლენით:

მოქთი (ჩიქ. II, 103,19) „მოვედი“, მექთარე (ჩიქ. II, 103,5) „მივიდე“, მეშკაქთა (ჩიქ. II, 134,13) „გავიდე, გავერიო“ და ა. შ.

ამავე დროს ეს ერთადერთი ფუძეა, რომელთანაც დავადასტურეთ ყველა ალომორფი: **ქომოთი, გოფთარე, მენდავთათ, მოქთი.**

ამრიგად, ლაზურში თანხმოვნისწინა პოზიციაში **ბ-** ალომორფი შეიძლება განზოგადდეს განურჩევლად თანხმოვნის რაგვარობისა. **ფ-** ალომორფი მოსალოდნელია მკვეთრებთანაც. ფაქტობრივად, **ბ-** და **ფ-** ალომორფები მორფემათა ზღვარზე წარმოქმნიან ლაზურისთვის არაკანონიკურად მიჩნეულ ორწევრა და სამწევრა თანხმოვანთკომპლექსებს, თუმცა ეს არ უშლის ხელს ამ ფორმათა არსებობას.

მსგავსი ვითარებაა მეგრულშიც, სადაც ყველა პოზიციაში შეიძლება განზოგადდეს **ბ-** და **ვ-** ალომორფი. ეს უკანასკნელი უფრო აქტიურია სენაკურ-მარტვილურ დიალექტში, სადაც ყველა პოზიციაში გვხვდება **ვ-** პრეფიქსი: გვედირთვთ (კარტოზია..., 157) „ავდგებით“, მიდავრთათია (კარტოზია..., 157) „წავიდეთ“, ქიდივჭყითია (კარტოზია..., 157) „დავიწყეთ“, ქოვთქუა (კარტოზია..., 157) „ვიტყვი“, ქოვძირია (კარტოზია..., 157) „ვწახეო“, ქივტოხია (კარტოზია..., 157) „ვიტყვი (თავზე)“, გვეშვია (კარტოზია..., 157) „დავლიეო“... „სენაკურ-მარტვილური დიალექტის ტექსტური მასალა მოწმობს, რომ **ვ-** ალომორფი თავისუფლად მონაცვლეობს ყველა დანარჩენთან... დასაშვებია **ბ-** ალომორფის განზოგადებაც: **ბ-თასუნქ/ფ-თასუნქ/ვ-თასუნქ** „ვთესავ“. დასტურდება, აგრეთვე, **ფ/ბ, პ/ბ** მონაცვლეობის შემთხვევები: **ბ-ჭარუნქ** „ვეწერ“, **დაუ-ბ-ჩარებექ** „გავშავებულვარ“, **მუ-ბ-შენქ** „ვმუშაობ“, **ბ-ტიბუქ** „ვთბები“, **ბ-თირანქ** „ვეცვლი“ [კარტოზია..., 2010, 158].

გამოითქვა მოსაზრება, რომ მეგრულში „ბილბაგისმიერი **ვ-**ს პარალელურად და თითქმის ყველა იმ პოზიციაში, რომლებშიც ის გვაქვს, წყვილბაგისმიერი **უ-ც** გამოვლინდება“, განსაკუთრებით სენაკურ-მარტვილურ კილოკავში [ჯანჯღავა, 2009, 281].

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ დიალექტში **ნ-** ბგერით დაწყებული ფუძის წინ დაჩნდება **მ-** ალომორფი, თუმცა ფუძისეული **ნ-** ხშირად იკარგება კიდეც: **ვ-ნატრულენქ > მ-ნატრულენქ** „ვნატრობ“, **ვ-ნთხორუნქ > მ-თხორუნქ** „ვთხრი“, **ვ-ი-ნგარქ > ი-ვ-ნგარქ > ი-მ-გარქ** „ვტირი“... ანალოგიურად, ლაზურშიც **ნ-** ნაზალით დაწყებულ ფუძეებში **ნ** იკარგება, სამაგიეროდ პირის ნიშნად ბაგისმიერი ნაზალი **მ-** გვრჩება: **გო-მ-წკუმ** „გავხსნი“, შდრ. **გო-ნ-წკი-მუ** „გახსნა“, **მ-თხორარე** „დავხსნა“, შდრ. **ო-ნ-თხორუ** „ხვნა“, **ქოკო-მ-დღვარი** „ავზილე“, შდრ. **ო-ნდღვარ-უ** „ზელვა“, **ი-მ-გაა** „ვიტირო“, შდრ. **ო-ნგარ-უ** „ტირილი“ [ჩიქობავა, 1936, 88; ეზუგბაია, 2010, 173].

მეგრულის სენაკურ-მარტვილურ კილოკავში აღნიშნული მოვლენა არ დასტურდება [კარტოზია..., 2010, 158].

მეგრულში **რ, ლ, ნ** თანხმოვნებით დაწყებულ ფუძეებთან თავისუფლად მონაცვლეობს **ვ-** და **ზ-** ალომორფი, მაგრამ შეზღუდვა გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ ფუძე იწყება კომპლექსით: **რ, ლ, ნ + ჩქამიერი თანხმოვანი**. როგორც წესი, პირის ნიშანი ჰომოგენურობის პრინციპით ევარდება შესაბამის ჩქამიერ თანხმოვანს [გუდავა, გამყრელიძე, 1981, 217]: **ვ-რდუნქ>ზ-რდუნქ** „ვზრდი“, **ვ-რჩხუნქ>ფ-რჩხუნქ** „ვრეცხავ“, **ვ-ნწყუნქ>პ-წყუნქ** „ვხსნი“...

კიდევ ერთი თავისებურება მეგრულში უკავშირდება **წ-** თანხმოვნით დაწყებულ ფუძეებს: მორფმათა ზღვარზე ხდება **ვ-** ალომორფის გამკვეთრება, ხოლო შემდეგ ფუძისეული თანხმოვნის დაკარგვა: **ვ-წიდულენქ>*პ-წიდულენქ>პ-იდულენქ** „ვყიდულობ“, **ვ-ქუნქ>*პ-ქუნქ>პ-უნქ** „ვყავარ“ [ყიფშიძე, 1914, 097, 420-421; გუდავა, გამყრელიძე, 1981, 217].

ბოლო გამოკვლევებით სენაკურ-მარტვილურში დადასტურდა მსგავსი გარდაქმნა **ლ-** ფუძის წინ, რომელიც **რ-** ფუძის მონაცვლეა და „სვლას, სიარულს“ აღნიშნავს: მინი-პ-ი (<მინი-ვ/ზ-ლი) „შემოვედი“, გინი-პ-ი (<გინი-ვ/ზ-ლი) „გადავედი“, ეკი-პ-ი (ეკი-ვ/ზ-ლი) „ავედი“ [კარტოზია..., 2010, 159].

მეგრულ-ლაზურში ხმოვნისწინა პოზიციაში ძირითადია **ვ-** მორფმა, თუმცა აქაც იჩენს თავს ფონოლოგიური პროცესები.

მეგრულში **/ვ-/** დასტურდება **ა, ე, ო** ხმოვნების წინ, ხოლო **ი** და **უ** ხმოვნის წინ კილოკავური სხვაობა ჩნდება: ზუგდიდურ-სამურზაყანოულში **ი-**ს წინ ხდება მეტათეზისი, ხოლო **უ** ხმოვნის წინ იკარგება, სენაკურ-მარტვილურში კი **/ვ-/** პრეფიქსი შენარჩუნებულია **ი** და **უ** ხმოვნების წინაც. მეგრულის ცენტრალურ და დასავლურ არეალში **/Ø-/** ნულოვანი ნიშანი შესაძლებელია გაჩნდეს **ო** ხმოვნის წინა პოზიციაშიც [დადიანი, ფუტყარაძე, 2004, 35; კარტოზია..., 2010, 154-157].

ასეთი პოზიციებია:

1. თუ ზმნას ერთვის **ვა-** უარყოფითი „არ“ ნაწილაკი, რის შედეგად მორფმათა ზღვარზე წარმოიქმნება **ავო** მიმდევრობა. მაგალითად, ერთი მხრივ, გვაქვს ფორმა **ვა-ვ-ორექ** : მა იშენ ვავორექია (ხუბ. 43, 36) „მე მაინც არა ვარო“; მეორე მხრივ – ფორმა **ვა-ორექ** : დომიშინდუ გურქგ, ვაორექ მეტი (ჩიქვ. 14) „გამისივდა გული, მეტი არა ვარ“. საქმე ისაა, რომ II და III პირის ფორმებში **ა + ო** → **ა** გარდაქმნის შედეგად ვღებულობთ **ვარექ** „შენ არ ხარ“ და **ვარექ(ნ)** „არ არის“ ფორმებს. შესაბამისად, **ს₁-ის** ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში ფორმა მაინც განსხვავებული რჩება. როგორც ჩანს, **ვა-** ნაწილაკის ლაბიალური ელემენტი ხელსაყრელ პირობას ქმნის **ს₁-ის ვ-ს** დაკარგვისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ტენდენცია ძალიან სუსტია მეგრულში, ძირითადად ზუგდიდურ-სამურზაყანოულში ხდება. ჩვეულებრივ, **ვ-** პრეფიქსი არ იკარგება **ა-ვ-ო** მიმდევრობისას, თუ **ა** ელემენტი ზმნისწინისეულია – ქართულიდან ნა-სესხებ **და-, გა-, ჩა-, წა-**, აგრეთვე **-ლა-, -შა-, -მა-** ნაწილაკებით გართულებულ ზმნისწინებში. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ხდება **ა** ხმოვნის რედუქცია. მაგ., **გილვონწკარანქ < გელა-ვ-ონწკარანქ** „ვალაგებ, ვაწყობ რაღაცაზე“, **მიშვორღვა < მეშა-ვ-ორღვა** „ვყრი შიგნით“... თუმცა დასაშვებია **ა** ხმოვნის შენარჩუნებაც: **მითმაგორღვა < მე-თი+მა-ვ-ორღვა** „ვყრი ქვემოდან შიგნით“ [ეზუგბაია, 2010, 165];

2. **ვ-** პრეფიქსი შეიძლება დაიკარგოს **ო-ვ-ო** მიმდევრობისას, თუ ზმნას ერთვის **დო-, გეგნო-, გო-** ზმნისწინები (**-მო-, -და-, კო-, -წო-, -თო-** ნაწილაკებით გართულებული ვარიანტებით) და **ქო-** დადასტურებითი ნაწილაკი. როგორც წესი, მორფმათა საზღვარზე პირველი პირის **ვ-** ნიშნის დაკარგვისას არ მოქმედებს ფონოლოგიური კანონზომიერება და ამით ხდება პირველი და მეორე პირების გამოჯვნა. ესაა ზოგადი წესი, რომელიც ქართველურ ენებზე ვრცელდება [ეზუგბაია, 2010, 163-165].

მასასადამე, **დო-ვ-ოჭარაფუანქ** ფორმაში პირის ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში უცვლელად უნდა დარჩენილიყო **-ოო-** მიმდევრობა: „**დოოჭარაფუანქ**“, თუმცა **ოო** მიმდევრობას ენაცვლება **უო** მიმდევრობა. როგორ უნდა მიგველო **-უო-** კომპლექსი **დუოჭარაფუანქ** ტიპის ფორმებში? როგორც ჩანს, რჩება ერთი გზა: **დო-ვ-ოჭარაფუანქ** → **დუ-ვ-ოჭარაფუანქ** → **დუო-ჭარაფუანქ**, ანუ პირის ნიშნის დაკარგვა ხდება არა ამოსავალ ფორმაში, არამედ მეორე ეტაპზე – ზმნისწინის ხმოვნის ასიმილაციის შემდეგ. „უკანასკნელ ფორმაში **ვ-**ს ალომორფად უნდა მივიჩნიოთ **Ø** (ნული), ხოლო **უ-** – ზმნისწინის ხმოვნით ელემენტად. თანამედროვე მეგრულ მეტყველებაში პარალელურად დასტურდება სამივე ტიპის მიმდევრობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ თვით მოვლენა არის შედარებით ახალი“ [კარტოზია..., 2010, 157].

როგორც აღვნიშნეთ, ზუგდიდურ-სამურზაყანოულში მეტათეზისი დამახასიათებელია **ი-** პრეფიქსიან ზმნურ ფორმათათვის: **ვ-ი-რდუქ > ი-ვ-რდუქ > ი-ბ-რდუქ** „ვიზრდები“, **ვ-ი-თოლუნქ > ი-ვ-თოლუნქ > ი-ფ-თოლუნქ** „ვითლი“ და სხვა. როგორც წესი, გადასმის შედეგად ვიღებთ **ბ-, ფ-, პ-** ალომორფებს ჰომოგენურობის პრინციპით. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „პირის ნიშნის გადასმის დროს ზმნას **ი-** პრეფიქსის წინ კვლავ დაერთვის პირველი პირის ფორმანტი და ვიღებთ პირველი პირის ორმაგ ნიშანს: **ი-**ს წინ **ვ-**ს და მის მომდევნოდ – **ბ-, ფ-, პ-, მ-**ს: ვიგურუანქ / იბგურუანქ / ვიბგურუანქ... ოდენ **ვ** პრეფიქსიანი ვარიანტი დამახასიათებელია სენაკური კილოკავისთვის, გადასმული პირის ნიშნები და ორმაგი აფიქსაცია – ზუგდიდურ-სამურზაყანოული კილოკავისთვის“ [ჯანჯღავა, 2009, 282].

ამ უკანასკნელ მოსაზრებას დამატებითი კვლევა სჭირდება, რადგან სამურზაყანოულ მეტყველებაში ორმაგი აფიქსაცია ჩვენ ვერ დავადასტურეთ.

ლაზურში **ვ-** პრეფიქსის ალომორფთა განაწილება დიალექტური მახასიათებელია. ხმოვნისწინა პოზიციაში ლაზურის ყველა კილოკავში ყოველთვის დასტურდება პირის ნიშანი, მიუხედავად ხმოვნის რაგვარობისა, განსხვავებით მეგრულისაგან, სადაც **უ** ხმოვნის წინ, ნაწილობრივ **ო-**ს წინაც, არ იხმარება პირის ნიშანი. ათინურში ძირითადად **/ვ-/** პრეფიქსია გაბატონებული: **ვიონათ** (ჩიქ. II, 87,25) „წავიყვანოთ“, **ვიჩილარე** (ჩიქ. II, 97,7) „დავაქორწინებ“, **ვიწოლემთ** (ჩიქ. II, 89,25) „ვეტყვი, ვუწოდებთ“, **ვიგზალი** (ჩიქ. II, 103,23) „ვიმგზავრე“, „წავედი“, **ვიკაპინი** (ჩიქ. II, 108,10) „გავაქციე; გავაგდე“ და სხვა.

აღსანიშნავია, რომ არნ. ჩიქობავას ათინურ ტექსტებში არის მასალა, რომელიც გამოირჩევა **ბ-** ალომორფის ხმარებით ყველა პოზიციაში, მათ შორის ხმოვნისწინა პოზიციაშიც: **ბიტურთ** (ჩიქ. II, 109,22) „ვიტყვი“, **ბულურ** (ჩიქ. II, 110,4) „დავდივარ“ (თუმცა იქვე ხმარობს **ვულურ** ფორმასაც), **ბორ** (ჩიქ. II, 109, 5) „ვარ“, **ბიჩილარ** (ჩიქ. II, 111,4) „ცოლს ვირთავ“ და ა. შ.

ბ- ალომორფი მიჩნეულია ვიწურ-არქაბული კილოკავის ძირითად მახასიათებლად. როგორც არნ. ჩიქობავას, ასევე ს. ჟღენტის ვიწურ-არქაბულ ტექსტებში ხმოვნისწინა პოზიციაში მხოლოდ **ბ-** ალომორფი დასტურდება: **ბორტი** (ჩიქ. II, 25,8) „ვიყავი“, **ბოწკეტი** (ჩიქ. II, 25,8) „ვხედავდი“, **ბიდა** (ჩიქ. II, 25,16) „წავიდე“, **ბოდოდი** (ჟღ. 19,22) „გავუკეთე“, **ბიქომ** (ჟღ. 18,2) „ვიზამ“, **ბოქაჩამ** (ჟღ. 15,1) „დავიჭერ ხელში“, „ვეჩაგვ“, **ბივატი** (ჟღ. 16,32) „ვიყავით“ და სხვ.

განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს გ. კარტოზიას ვიწურ-არქაბული მასალა. მართალია, **ბ-** პრეფიქსით გაფორმებული ზმნებიც გვხვდება, მაგრამ ფაქტობრივად ძირითადად **ვ-** ალომორფია წარმოდგენილი ხმოვნისწინა პოზიციაში: **ვოეთ-ქი** (კარტ. 118,25) „რომ ვართ“, **ვოჩქუმე** (კარტ. 121,7) „ვაგზავნი“, **ვუწვი-ქი** (კარტ. 121,25) „რომ ვუთხარი“, **ვულუ** (კარტ. 120,1) „მივდივარ“, **ვოწკეტი** (კარტ. 123,11) „ვხედავდი“, **ვიჩალიშა** (კარტ. 123,15) „ვიჩალიჩო (საქმე გავაკეთო)“, **ვისი-მადი** (კარტ. 123,21) „ვისმენდი“ და ა. შ.

ხოფურ კილოკავში პირველი სუბიექტური პირი ხმოვნისწინა პოზიციაში ყოველთვის ვ-პრეფიქსით გამოიხატება. ამ თვალსაზრისით ყველა გამოქვეყნებული მასალის ავტორები ერთსულოვანნი არიან. მაშასადამე, ხოფურსა და ათინურში ძირითადია ვ- ალომორფი, თუმცა უკანასკნელში მოსალოდნელია ბ- ალომორფიც. ჯერ კიდევ ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ვიწურ მეტყველებაში ვ- პრეფიქსი არ იხმარება და ის ბ- ნიშანმა გამოდევნაო [მარი, 1910, 44], ხოლო არნ. ჩიქობავამ ეს მოვლენა განაზოგადა ვიწურ-არქაბულზე [ჩიქობავა, 1936, 88], თუმცა გ. კარტოზიას მასალიდან გამომჩნდა, რომ ხმოვნისწინა პოზიციაში ვიწურ-არქაბულშიც ჩვეულებრივია ვ- ალომორფის გამოყენება. არქაბულში გვაქვს ვ-/ბ- მონაცვლეობა, ვინაიდან ცალკე კილოკავია და მრავალ სხვა შემთხვევაშიც არ მიჰყვება ვიწურს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზურში ხმოვნის წინ პირის ნიშანი არ იკარგება (ერთადერთი მაგალითი შეგვხვდა, სადაც ვ- პრეფიქსი ფრჩხილებშია ჩასმული: ფადიშაის-თი მუ-თუ ვა-თი (ვ)უწვა! (ჩიქ. II, 100,29) „ხელმწიფვსაც არც არაფერი ვუთხრა!“). თუ პირის ნიშნის წინ აღმოჩნდა ზმნისწინი ან ნაწილაკი, ხოფურში ბუნებრივია ნიშნის დაკარგვა, ანუ ინტერვოკალურ პოზიციაში Ø- ნულოვანი ალომორფია დასაშვები. ეს ფაქტი გაანალიზებულია არნ. ჩიქობავას მიერ: „ვ-ს დაკარგვის შემდეგ დარჩენილი ხმოვნები ასიმილაციას არ განიცდიან, სხვა შემთხვევაში კი ამგვარ ხმოვანთა ასიმილაცია ნორმალური მოვლენაა ხოფურისათვის; შეიძლება ეს იმიტომ ხდებოდეს, რომ ყველა ზემოხსენებულ კომპლექსში ვ- სუბიექტური პრეფიქსია პირველი პირისა, და თუ ასიმილაცია მოხდებოდა, პირველისა და მეორე პირის ფორმა ერთმანეთს დაემსგავსებოდა; მაგალითად: მოვულურ „მოვდივარ“ > მოულურ; მოულურ „მენ მოდიხარ“ > მულურ; თუ პირველი პირის ფორმაში ვ-ს დაკარგვის შემდეგ ასიმილაციას ექნებოდა ადგილი, უნდა მიგველო მულურ, ე. ი. იგივე, რაც გვაქვს მეორე პირში...“ [ჩიქობავა 1936, 24]. შდრ. მეგრ. მა მოულუ/მულუ, სი მოულუ/ქოულუ...

ამ შემთხვევაში ზმნისწინს ეკისრება პირთა განმასხვავებლის ფუნქცია, რაც გვხვდება მეგრულშიც და ქართული ენის მთის დიალექტებშიც [უთურგაიძე, 1976, 21-22].

აღსანიშნავია, რომ V-V პოზიციაში ვ- პრეფიქსის დაკარგვა ყოველთვის ხდება განურჩევლად ხმოვანთა რაგვარობისა, განსხვავებით მეგრულისგან, სადაც იგივე მოვლენა V-ვ-უ ან ო-ვ-ო მიმდევრობისას დასტურდება. წარმოვადგენთ თითო მაგალითს:

ავუ > აუ: ანთეფე გოწაული დო... (კარტ. 43,29) „ესენი წავართვი და...“

ევუ > ეუ: მან თრანგიშა ოხვამუშენი მეულუა (კარტ. 18,8) „მე ღმერთთან სალოცავად მივდივარო“;

ოვუ > ოუ: კაია, სქანიშენითი დოპკითხუფა, დოუწუმეა (კარტ. 8,14) „კარგიო, შენთვისაც გამოვკითხავო, ვეტყვიო“;

ავი > აი: ადა კუის დოლოხეტუ დო ეშაიყონით (კარტ. 28,32) „ესო ჭაში (ორმოში) იჯდა და ამოვიყვანეთ“;

ევი > ეი: მა მუთხანი შეინახამინონ (კარტ. 120,21) „მე რაღაცას შევინახავ“;

ევა > ეა: აწი მან მუჭოში პა, ქერვანჯეფე მესაშქვა (კარტ. 51,8) „ახლა მე როგორ მოვიქცე, მექარავნები მივატოვო“;

ევო > ეო: კაი, მა მეოჭკიაფა (კარტ. 56,36) „კარგი, მე მოვჭრიო“;

ოვო > ოო: მან დოოკააფ, დოვოსაღეფ (კარტ. 27,16) „მე მოვარჩენ, გამოვაჯანმრთელებ“.

ხოფურისაგან განსხვავებით, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში ინტერვოკალურ პოზიციაში სუბიექტი პირველი წარმოდგენილი იქნება ვ- და ბ- ალომორფებით იმავე შეფარდებით, როგორც ეს ითქვა ხმოვნისწინა პოზიციის შემთხვევაში:

არქაბული – მოზუნჯლონი (ჟღ. 51,37) „მოვუგზავნე“, მოზულუ (ჟღ. 9,27) „მოვდივარ“, ემე-ბილათ (ჟღ. 7,16) „ავიდეთ“, დობონჭარაფი (ჟღ. 29,1) „დავაწერინე“, ებუჭოფარე (ჟღ. 55,14) „ავულო“ და სხვა; ათინური – ქოგოვობი (ჩიქ. II, 105,34) „დავასხი“, ქოშკოვიდამ (ჩიქ. II, 105,37) „ამოვიტან“, მენდევილით (ჩიქ. II, 106,4) „წავილეთ“, ჯევოთასარე (ჩიქ. II, 106,8) „დავთესო“, ქე-ვუჭოფათ (ჩიქ. II, 106,25) „ავულოთ“ და ა. შ.

წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით პირველი სუბიექტური პირის ალომორფების სისტემა მეგრულსა და ლაზურში კილოკავების მიხედვით ასე გამოიყურება:

ზანური	პოზიცია პრეფიქსი	-V	V-V	-ც ^{მჟღ}	-ც ^{ფშვ}	-ც ^{მჟვ}	$\begin{bmatrix} \text{ბ} \\ \text{ფ} \\ \text{პ} \\ \text{მ} \end{bmatrix}$
		ზუგდ.- სამურზ.	{ვ-}	ვ,ბ-//ფ- //პ-, ∅-	ვ-//∅-	ბ-//ვ-	ფ-//ვ- //ბ-
მარტ. სენაკ.	{ვ-}	ვ-	ვ-	ვ-//ბ-	ვ-//ფ-//ბ-	ვ-//პ-//ბ-	ვ-
ხოფ.	{ვ-}	ვ-	∅-	ბ-	ფ-//ბ-	პ-//ბ-//ფ-	∅//ბ-//ფ- //ვ-//მ
ვიწ. არქ.	{ვ-}	ბ-//ვ-	ბ-	ბ-	ფ-//ბ-	პ-//ბ-//ფ-	∅//ბ-//ფ- //ვ-//მ
ათინ.	{ვ-}	ვ-//ბ-	ვ-	ბ-//ვ-	ფ-//ბ-//ვ- //ფ-	პ-//ბ-//ფ- //ვ-	∅//ბ-//ფ- //ვ-//მ

როგორც ვხედავთ, ზოგადად მეგრულსა და ლაზურში საერთო ვითარებაა პირველი სუბიექტური პირის ვ- ნიშნის ალომორფთა პოზიციური განაწილების თვალსაზრისით, სხვაობა შიდა განაწილების წესშია. ამ სხვაობას ბაგისმიერთა წინა პოზიციაში განაპირობებს მეტათეზისი ზუგდიდურ-სამურზაყანოულში, ნულოვანი ნიშანი – ლაზურში; ხმოვნისწინა პოზიციაში ლაზურსა და მეგრულში ალომორფთა განაწილება კილოკავური მახასიათებელია, თუმცა ზუგდიდურ-სამურზაყანოულში სხვაობა მეტათეზისის შედეგია; ინტერვოკალურ პოზიციაში ერთმანეთს უახლოვდება ზუგდიდურ-სამურზაყანოული და ხოფური ნულოვანი მარკერის გაჩენით; ყველაზე მეტად მეგრული და ლაზური ერთმანეთს მიჰყვება ალომორფთა განაწილების წესით თანხმოვნისწინა პოზიციაში, თუმცა აქაც შესამჩნევია კილოკავური სხვაობა ამა თუ იმ ალომორფის განზოგადების მიხედვით: ვ- განზოგადდება მეგრულის ყველა კილოკავსა და ლაზურის ათინურ კილოკავში, ხოლო ბ- განზოგადდება ხოფურში, ვიწურსა და ათინურში. შეიძლება ითქვას, რომ ვ- მორფემის ფონოლოგიური გარდაქმნის პროცესი ყველაზე სუსტია სენაკურ-მარტვილურ

მეტყველებაში, ხოლო პროცესი ძლიერდება განაპირა არეალისკენ: დასავლეთით სამურზაყანოულის მიმართულებით, აღმოსავლეთით ათინურის მიმართულებით.

II.1.1.1.2. მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის გამოხატვის საკითხი.

მეგრულსა და ლაზურში მეორე სუბიექტური პირი არ აღინიშნება. როგორც ჩანს, ნულოვანი მარკერი ასახავს შედეგს: ისტორიულად ისე განვითარდა მორფონოლოგიური პროცესები, რომ არ დარჩა კვალი სავარაუდო *ჰ- მორფემისა. თუმცა ამგვარი გარდაქმნით პირის მნიშვნელობა არ იცვლება. „სწორედ ამან გამოიწვია მნიშვნელობის მქონე ნულოვანი ალომორფების შექმნა სტრუქტურულ ანალიზში“ [უთურგაიძე, 2013, 97].

ნულოვანი ალომორფით დასრულდა მეორე სუბიექტური პირის გამოხატვა ქართულ სალიტერატურო ენაშიც. მეორე სუბიექტური პირის ნიშნით აღინიშნებოდა მესამე ობიექტური პირიც, შესაბამისად, მორფონოლოგიური გარდაქმნები აქაც ანალოგიურად განვითარდა: ძველ ქართულშივე უკვე თითქმის არ აღინიშნებოდა მიცემითში დასმული პირდაპირი ობიექტი, ამიტომაც გამოიყო ერთი ჯგუფი „დაჰბადა“ ტიპის ზმნებისა, სადაც ზმნისწინით შექმნილი პოზიცია შეფასდა პირის ნიშნის შემკავებელ ფაქტორად, რადგან იმავე ზმნათა უზმნისწინო ფორმებში ობიექტის ნიშანი არ ჩანს [შანიძე, უთურგაიძე].

ირიბი ობიექტის მარკირებაც ექვემდებარება გარკვეულ ფონემატურ შეზღუდვებს. მეგრულ-ლაზურში მესამე ობიექტური პირი საერთოდ არ აღინიშნება, ფაქტობრივად, მეორე სუბიექტის და მესამე ობიექტის (ირიბისა და პირდაპირის) მარკერი სინქრონიულ დონეზე ნულოვანი ალომორფია. სუბიექტისა და ობიექტის ნიშანთა ჩანაცვლება ნულოვანი მარკერებით საერთოდ არღვევს S – O დაპირისპირების ფორმალურ საფუძველს. როგორც ჩანს, არსებითია აქტანტური კატეგორიების სემანტიკა და ის ფაქტორი, რომ აქტანტური კატეგორიები იზოლირებულია და მათი კომბინაციებით წარმოქმნილი ფორმები არა მხოლოდ გამოხატულების პლანში, არამედ შინაარსითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

რაც შეეხება ისტორიულ პროცესებს, ჩვენც ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ზანურშიც ამოსავალი მორფემა უნდა ყოფილიყო *ჰ-. პირველი სუბიექტური პირის ალომორფების ანალიზიდან ცხადია, რომ მეგრულ-ლაზურში მორფონოლოგიური გარდაქმნები ძლიერია თანხმონის წინა პოზიციაში ჰომოგენურობის მიხედვით. მოსალოდნელია, რომ ჰ-მორფემის შემთხვევაშიც ცვლილებებისთვის გადამწყვეტი იქნებოდა თანხმონის წინა პოზიცია.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ქართული ენის დიალექტების მიხედვით გამოვლენილი ორი ტენდენცია: ჰ- მორფემის გადასვლა **ა**-ში ხმონის მომდევნო პოზიციაში (ქართლ-კახური და მათი გავლენის ქვეშ მყოფი დიალექტები) და ჰ-ს ჰომორგანული და ჰომოგენური ვარიანტების, მათ შორის **ბ**- ალომორფის, მიღება ფუძისეული თანხმონის წინა პოზიციაში („ფხოური“ დიალექტები, დასავლური დიალექტები კლარჯულის ჩათვლით).

თედო უთურგაიძის აზრით, „დიალექტთა განსხვავებული ჯგუფების სპეციფიკა განსხვავებულ-ი ისტორიული მიდრეკილების გამოვლინებაა, ანუ ამ ჯგუფებს განსხვავებული დიალექტური წარმომავლობა აქვთ, კერძოდ: ერთ დიალექტში ან დიალექტთა ჯგუფში საერთო ქართველური {*ჰ-} არ იძლეოდა /**ბ**-/ ალომორფს, მეორე ჯგუფში, პირიქით, {*ჰ-}-ს ჰქონდა /**ბ**-/ ალომორფი“ [უთურგაიძე, 2013].

ასე უნდა ჩამოყალიბებულიყო ხანმეტი და ჰაემეტი დიალექტები, რომლებიც სხვადასხვა დროს სალიტერატურო ენის საფუძვლად ქცეულა. თედო უთურგაიძის აზრით, ხანმეტი დიალექტის ჩამოყალიბების სავარაუდო არეალია იმერეთი-აჭარა [უთურგაიძე, 2013].

პარალელურად, როგორც ჩანს, ზანურშიც მიმდინარეობდა ჰ- მორფემის ცვლილება ჰომოგენურობის წესით, რაც საბოლოოდ დამთავრდა ნიშნის გაქრობით. ეს პროცესი უნდა დასრულებულიყო ზანურის დაშლამდე მეგრულ და ლაზურ დიალექტებად, რაც ქრონოლოგიურად ემთხვევა ძველ ქართულში ჰ- მორფემის ალომორფებად გარდაქმნის პერიოდს (IX-X სს).

სავარაუდოდ, ამ პერიოდიდან იწყება სუბიექტური პირის მარკირება -ქ სუფიქსით მეგრულში, -რ სუფიქსით ლაზურში. სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულში -ქ სუფიქსი დაერთვის ზმნის I და II პირის ფორმებს აწმყო-მყოფადში, I თურმეობითსა და IV სერიის II თურმეობითშიც განურჩევლად გარდამავლობისა [ყიფშიძე, 1994 [1914]; ჩიქობავა, 2008/1 [1936]].

ქ მორფემის კორელატადაა მიჩნეული ლაზურში რ სუფიქსი, რომელიც ერთპირიან ვნე-ბითსა და ზოგიერთ საშუალი გვარის ზმნაში გვხვდება, როგორცაა: მეგრ. ბ-ღურუ-ქ, ლაზ. ბ-ღურუ-რ „ვკვდები“, მეგრ. მე-[ვ]-ურ-ქ, ლაზ. ვ-ულუ-რ „მივდივარ“ [ჩიქობავა 2008 [1936]].

ირ. ასათიანის თვალსაზრისით, ლაზურში -რ არ უნდა გაიმიჯნოს წინმავალი ე, უ ხმოვნებისგან, არამედ -ერ, -ურ სუფიქსები აწმყოს ფუძის მაწარმოებლად შეიძლება ჩაითვალოს I და II პირში [ასათიანი, 1996, 11-12].

ი. ყიფშიძის აზრით, -ქ სუფიქსი S₂-ის ოდინდელი *ხ//ჰ პრეფიქსის ფონეტიკური ვარიანტია, რომელიც სუფიქსად მოიქცა და ანალოგიით I პირშიც გაჩნდა [ყიფშიძე, 1994, 108 [1914]].

ეს თვალსაზრისი არ გაიზიარა არნ. ჩიქობავამ, თუმცა ამ სუფიქსს რომ მორფოლოგიური ფუნქცია უნდა ჰქონოდა, ეჭვს არ იწვევდა [ჩიქობავა, 2008/1 [1936]]

-ქ მორფემის ფუნქციის კვლევა მოითხოვს სუბიექტისა და ობიექტის, როგორც დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიების სემანტიკის გათვალისწინებას. ეს კარგად ჩანს ორპირიანი გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების ანალიზითაც, კერძოდ, ის ფორმებია საინტერესო, სადაც S₂O₃ კომბინაციაში S₂ და O₃ ნულოვანი ნიშნითაა მარკირებული:

ხანტუნ-ქ	სი თის	„ხატავ შენ მას“
აკეთენ-ქ	სი თის	„აკეთებ შენ მას“
ატყობუ-ქ	სი თის	„ემალეები შენ მას“
უტიბუ-ქ	სი თის	„უთბები შენ მას“.

S→O სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართებაში -ქ მორფემით აქცენტირებულია სწორედ ის სახელი, რომელიც მიმართავს მოქმედების ვექტორს ობიექტისაკენ. ესაა სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი. შესაბამისად, დგება ზმნური კონსტრუქციების საკითხი. ერთი მხრივ, გვაქვს ნომინატიური კონსტრუქცია, სადაც პირის სუბიექტურობა ზმნაში მარკირებულია -ქ მორფემით. მეორე მხრივ, გვაქვს ერგატიული კონსტრუქცია (II სერია), სადაც პირის სუბიექტურობის განმსაზღვრელია მოთხრობითი ბრუნვა ასევე განურჩევლად ზმნის გარდამავლობისა.

{დო}-ხანტუ	თიქ თინა	„დახატა მან ის“
{გა}-აკეთუ	თიქ თინა	„გაკეთა მან ის“

და-ტყობუ	თიქ თინას	„დაემალა ის („მან“) მას“
გუტიბუ	თიქ თის	„გაუთბო ის („მან“) მას“

როგორც ჩანს, ზმნაში დადასტურებული -ქ მორფემა და სახელის მოთხრობითის ნიშანი -ქ სუფიქსი ერთი და იმავე მორფოლოგიური ფუნქციის მქონეა. ჩვენ მას ვუწოდებთ **სუბიექტობის სემანტიკის** გამოხატველ მორფემას, თუმცა თ. მახარობლიძის მიერ ის შეფასდა, როგორც მხოლოდ **ვინ-სულიერობის კატეგორიის** აღმნიშვნელი ზმნაში [მახარობლიძე, 2009, 93; ეზუგბაია, 2010, 144-146].

ამ საკითხს მივუბრუნდებით გარდამავლობის კატეგორიასა და ზმნური ფორმაწარმოების პრობლემებზე მსჯელობისას.

II.1.1.1.3. მესამე სუბიექტური პირის ნიშნები.

მესამე სუბიექტური პირი სუფიქსებით აღინიშნება. მათი განაწილება მორფოლოგიური პრინციპით ხდება, თუმცა ისინი გვამღევენ ფონოლოგიურად შეპირობებულ ალომორფებს, რაც კილოკავური განსხვავების მაჩვენებელიცაა. მაგალითად, მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ მეტყველებაში მორფოფონემატური ცვლილებების ტენდენცია უფრო ძლიერია, ვიდრე სენაკურში. ამას ადასტურებს **სა**-ის ნიშნებზე დაკვირვება როგორც გამოცემული ტექსტების, ასევე ცოცხალი მეტყველების მიხედვით [ეზუგბაია, 2003].

ძირითადად, მესამე პირის გამოხატვა აკისრია **-ს**, **-უ** და **-ნ** მორფემებს როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში. ზოგადად, მათი განაწილება მწკრივთა მიხედვით ერთნაირ სურათს გვიჩვენებს: **-ს** გამოიყენება გარდამავალი ზმნის, ასევე სტატიკური ზმნების აწმყო-მყოფადში, ასევე კავშირებითი კილოს ყველა ფორმაში განურჩევლად ზმნის გარდამავლობისა, **უ** სუფიქსით მარკირებულია ნამყო დროის მწკრივები, ხოლო **-ნ** მორფემა წარმოდგენილია ვნებითისა და პოტენციალისის ფორმებში, ასევე თურმეობითში განურჩევლად გარდამავლობისა. როგორც აღვნიშნეთ, ამ შემთხვევაშიც გვაქვს სამივე მორფემის ალომორფები. განვიხილავთ ცალ-ცალკე.

მეგრულში **-ს** ალომორფი ყოველთვის გვაქვს კავშირებითის ფორმებში, რასაც კავშირებითი კილოს ფორმანტის **ა**-ს მომდევნო პოზიცია განაპირობებს: **დოჭარუნდ-ა-ს** „დაწერდეს“, **ჭარ-ა-ს** „წეროს“, **ტიბუდ-ა-ს** „თბებოდეს“, **გოტიბ-ა-ს** „გათბეს“...

-ს სუფიქსი დაჩნდება გარდამავალი ზმნის, ასევე სტატიკური ზმნების აწმყო-მყოფადშიც, თუმცა ძირითადად **-ც** ალომორფი გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ეს ალომორფები ერთსა და იმავე პოზიციაში იჩენენ თავს.

ა) **ფუძე + -ს/-ც :**

გილმაწენს (ქხს, II, 324, 24) „წვეთავს“; **დიცხურცხინუანც** (სამ. 85, 12) „მცხუნვარებს“;

ბ) **ფუძე + -ს/-ც + უ/გ/ი** მავრცობი:

ვა **ლურცუ** (სამ. 11, 5-17) „არ სძინავს“... **მეურსი** (ქხს, II, 302, 27) „მიდის“; **მიგოდინუანცი** (სამ. 38, 19) „დაგლუპავს“; **ქგმონწყუნსგ** (ყიფ. 26, 1) „აქცევს“; **გეცენცგ** (სამ. 28, 19-16) „აცვივა“...

გ) ფუძე + -ს/-ც/ + ჯ/ უ+ნი კავშირი:

ვაშრომენსჯნ (ყიფ. 316, 1) „(რომ) არ შრომობს“; მიყვიყვიანანცჯნი (სამ. 30, 15) „(რომ) მოწყენილია“; ქოჯიონსუნი (ქხს, II, 328, 11) „ რომ იყვილებს“... გინოსხაპუნცჯნი (სამ. 29, 19-16) „გადახტის“...

დ) ფუძე + -ს / ც + ია/იე ნაწილაკი :

ცხოვრენსია (ქხს, II, 328. 1) „ ცხოვრობსო“; ოსქილიდუანციე (ყიფშ. 36, 23) „მოარჩენსო“...

სენაკურში ყველა ზემოთ წარმოდგენილ პოზიციაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გ მავრცობი მოსდევს პირის ნიშანს, დასტურდება მხოლოდ -ს ალომორფი.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ს → ც დამახასიათებელია ზუგდიდურ-სამურზაყანოულისთვის სახელებშიც. მიცემითი ბრუნვის ნიშანი წარმოდგენილია -ს და -ც ალომორფებით [ყიფშიძე, 1994, 75-76; ჯანჯღავა, 1999].

მეგრულში გარდამავალი ზმნის აწმყო-მყოფადის ფუძეები -ან, -ენ, -უნ, -ჯნ თემატურ ნიშნებს დაირთავს და, შესაბამისად, III პირში ფუძის ბოლოს გვაქვს ნს თანხმოვანთმიმდევრობა, რაც ბუნებრივია მეგრულისთვის. აღსანიშნავია, რომ გარდაუვალი ზმნების იმ ფუძეებთან, რომლებიც ბოლოვდება რ სონორზე, გვხვდება -ც ალომორფი -ს სუფიქსის პარალელურად. მაგალითად, ქიმურცუ „მიდის“, ლურცუ „სმინავს“, ვამჭყორც „არ მიწყრება“, გიფორც „გიყვარს“, წაურცჯნი „რომ წახდება“...

ვფიქრობთ, რომ ნ და რ სონანტთა მომდევნოდ -ც ალომორფის გაჩენა ის ფონოლოგიური პროცესია, რომელიც თანდათან გაძლიერდა ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში.

ლაზურშიც -ს მორფემა გვამღევს ალომორფებს, რაც კილოკავური სხვაობის მაჩვენებელია. ათინურში ს > ჯ გარდაქმნა ხდება აწმყოს ფორმებში. კერძოდ, თემატური ნიშნის -ამ, -ემ, -უმ, -ომ მომდევნოდ წარმოიქმნება -მს თანხმოვანთმიმდევრობა, რაც არ წარმოადგენს დაბრკოლებას -ს მორფემის ფუნქციონირებისათვის. თუმცა, როგორც ჩანს, ხდება ამ კომპლექსის დაშლა, ანუ იკარგება მ თანხმოვანი ელემენტი და თემატური ნიშნის ხმოვნის გვერდით აღმოჩნდება პირის ნიშანი, რომლის იოტიზაცია ხდება. მაგალითები:

ცხენი ხირხინამს // ხირხინამ „ცხენი ხვიხვინებს“, ფუჯი მღორამ (//მღორამს) „ფური ბღავის“, შურონი პეტელამ (//პეტელამს) „თხა კვიხვებს“, ლაჭი ლალომ (//ლალომს) „ლეკვი ყეფს“, კატუ კრიაამ (//კრიაამს) „კატა კვიხს“ (ჩიქ. II, 114-26-29).

არნ. ჩიქობავას ფრჩხილებში მოუთავსებია პარალელური ფორმები, თუმცა სხვა შემთხვევაში ამგვარ პარალელებს არ იძლევა:

ქორმე მაქვალი დოსქუდ (ჩიქ. II, 115-2) „... კვერცხს დებს“, ჰუდ მჭიმა მჭიამ (მჭიამ-თი ითქვენ, მჭიამს-თი ითქვენ) (ჩიქ. II, 115-3-4) „ასე (წვიმა) წვიმს“ (მჭიამ-იც ითქმება და მჭიამს-იც ითქმის)... ჰიმუ დიშქა კვათუდ (ჩიქ. 115, 11) „ის შეშას ჩეხს“, ოხორჯა ბერე ოწუდ (ჩიქ. II, 115-20) „რძალი ბავშვს არწევს“... ჩილი მუში იბგამ (ჩიქ. II, 116-22) „მისი ცოლი ტირის“...

აღსანიშნავია, რომ -ჲ ალომორფი შეიძლება დაჩნდეს კავშირებითის ფორმებში, სადაც -ს მორფემა ყოველთვის ერთვის მწკრივის ნიშანს – ა ხმოვანს, ხოლო ხმოვნის მომდევნოდ, ანუ აუსლაუტის პოზიციაში ხშირად წარმოიქმნება დიფთონგები.

როგორც ნ. ქუთელია შენიშნავს, „აუსლაუტის იოტიზაციის ტენდენცია განსაკუთრებით იჩენს თავს ათინურ კილოკავში და უმეტესად ზმნებში ხორციელდება“ [ქუთელია, 2005, 26-27].

კავშირებითის ფორმებია:

ჰუჩუმეთიშა მენდიონაჲ! (ჩიქ. II, 117, 9) „უკუნეთში წაიყვანოს!“ გური ვა მოგალაჲ-ნა, გვერდი მეგმარე (ჩიქ. 11, 126, 10) „გული რომ არ მოგივიდეს, ნახევარს მოგცემ“...

ანალოგიური პროცესი მრავლობითის -ეს სუფიქსის დართვისას გვაქვს ისევე ათინურ კილოკავში.

აღსანიშნავია, რომ ათინურისთვის დამახასიათებელი S₃-ის ს>ჲ პროცესი ბუნებრივია კახური დიალექტისათვის, სადაც ჰ და ს ბგერების რეფლექსია როგორც პირის ნიშნებში, ასევე მიცემითი და ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტებშიც [ჯორბენაძე, 1989, 315-316].

შეიძლება ითქვას, რომ უკიდურესი დასავლური ქვესისტემა (ლაზური) და აღმოსავლური ქვესისტემა (კახური) ერთგვაროვანი პროცესების მარჯვენებელია.

აღმოჩნდა, რომ კავშირებითის ფორმებში -ს და -ჲ ალომორფების გვერდით /-Ø/ ნულოვანი მარკერიც მოსალოდნელია -შკულე ნაწილაკის დართვისას:

ნოკაჩხულე გეგჩა-შ-კულე ნოცინცხალე დიბლასენ... მახვა მესქურას-შ-კულე, ნოშქერი დი-ვენ. მახვა დიყა-შ-კულე – ნომჩქა. ნომჩქა დიბლა-შ-კულე, ტუტა დივენ (ჩიქ. II, 73, 25-27). „ფი-ჩხები რომ დაინთოს, შემდეგ ნაკვერცხალი გაჩნდეს. ნაკვერცხალი რომ ჩაქრეს, შემდეგ ნახშირად იქცეს. ნამწვი რომ დაიფერფლება – შემდეგ ნაცარი. ნაცარი რომ დაიფშენას – ნაცარ-ტუტად იქცეს“.

ანალოგიურ პოზიციაში, ანუ -შკულე, -ში ნაწილაკების დართვისას S₃-ის მრავლობითის -ეს სუფიქსის თანხმომენითი ელემენტიც იკარგება:

- | | |
|--|--------------------------|
| იპარამითამტე-ში < იპარამითამტე-ეს-ში (დიუმ. 93, XII-171) | „რომ ლაპარაკობდნენ“; |
| დიგურე-ში < დიგურ-ეს-ში (დიუმ. 99, XIII-39) | „როცა ისწავლეს“; |
| ქოგოჭკე-შ-კულე < ქოგოჭკე-ეს-შკულე (ყიფ. 12, 17) | „რომ დაიწყეს შემდეგ“; |
| ქოდოგურე-შკულე < ქოდოგურ-ეს-შკულე (დიუმ. 26, 1-251) | „რომ ისწავლეს, შემდეგ“ . |

-ეს > -ეშ გარდაქმნა ნაწილაკების წინა პოზიციაში არქაბულისთვის არის დამახასიათებელი, განსაკუთრებით უხვადაა დიუმეზილის არქაბულ ტექსტებში.

როგორც ჩანს, ნულოვანი მარკერის გაჩენა ლაზურში კილოკავური ტენდენციაა. გ. კარტოზია შენიშნავს, რომ „ხოფურ-ჩხალურ-არქაბული მყოფადის ნამყოს III პირში ძირითადი ზმნა სუფიქსის გარეშეა წარმოდგენილი (მოხთა-ტუ „მოვიდოდა“, მოხთა-ტეს „მოვიდოდ-ნენ“) ...ვიწურში ჯერ კიდევ შემორჩენილია ეს სუფიქსი. მხ. რ. III პირში პარალელურად იხმარება სუფიქსიანი (ამოსავალი) და უსუფიქსო (პარადიგმის გასწორების შედეგად მიღებულ-ლი) ფორმები: მოხთას-ტუ//მოხთა-ტუ. მრ. რიცხვში -ს სუფიქსი არა გვაქვს: მოხთა-ტეს (მოხთას-ტეს არ დასტურდება)“ [კარტოზია, 2005, 122].

როგორც ვხედავთ, ნაწილაკების და მეშველი ზმნების დართვისას მორფემათა საზღვარზე მიმდინარეობს ფონოლოგიური ცვლილება, რის შედეგად -ს სუფიქსი შეიძლება დაიკარგოს.

ხოფურ (სარფულ) მეტყველებაში დადასტურებულია -ს > -ზ გადასვლა მესამე სუბიექტური პირის ნიშანში: სქანი ტაზაჲ (<ტასია) (კარტ. II.3-11) „შენი იყოსო“; ბაშქაქ ხუთ მანათის გიმეზ-ნა (<გიმეს-ნა), მან ოთხოს გიმერ-მა (ჩიქ. II. 92-29) „სხვა თუ ხუთ მანეთად წაგიღებს, მე ოთხად წაგიღებ-მეთქი“ [კარტოზია 2005, 51].

ზოგადად, ს მორფემის ალომორფთა განაწილება შეიძლება შეფასდეს, როგორც ლაზურის კილოკავური დიფერენციაციის მორფონოლოგიური მახასიათებელი: -ს-ს გვერდით -ზ ალომორფი დასტურდება ხოფურში, -ჲ – ათინურში, ხოლო /-Ø/ ნულოვანი მარკერი თავს იჩენს ათინურსა, ხოფურ-ჩხალურსა და ვიწურ-არქაბულში.

მეგრულისა და ლაზურის მონაცემების შეპირისპირება გვიჩვენებს, რომ -ს მორფემის გარდაქმნის ტენდენცია თვისებრივად განსხვავებული პროცესია: ერთი მხრივ, გვაქვს -ს მორფემის აფრიკატიზაცია -ს>-ც, ხოლო მეორე მხრივ, იმავე მორფემის იოტიზაცია -ს>-მ, დაკარგვა -ს>Ø ან ასიმილაციური გამჟღერება -ს>-ზ.

მეგრულში ნამყოს ფორმებში მესამე პირის -უ მორფემა წარმოდგენილია -უ და -გ ალომორფებით. ი. ყიფშიძის ტექსტების მიხედვით, -გ ალომორფის ხმარების სიხშირე თითქმის 3-ჯერ აღემატება -უ-ს სიხშირეს.

გ. როგავამ აღნიშნა, რომ მეგრულში უ → გ მონაცვლეობა დამახასიათებელია ღია ბოლო მარცვალში როგორც სახელებში, ასევე ზმნებში: კგდგ< კიდუ, დოჭარგ< დოჭარუ... ამასთანავე მიუთითა, რომ ზმნის III სუბიექტური პირის ნიშანი -უ „ე / ე და ი აორისტიკული სუფიქსის მქონე ზმნებთან არ გადადის -გ-ში არალაბიალური თანხმოვნების მეზობლადაც, რამდენადაც -უ პირის ნიშანთან შერწყმული ჩანს ზმნური თემატური ნიშანი -ევ. მაგალითად, ოგურ-უ < ო-გურ-უ-უ < ო-გურ-ო-უ < *ო-გურ-ევ-უ“ [როგავა, 1962].

ამგვარი შეზღუდვა უ → გ პროცესისა, მართლაც, ბუნებრივი ჩანს იმ ფორმებში, სადაც დასტურდება პოზიციურად გრძელი უ. მაგალითად:

ათე ამბე ირიფელი ქუჭუჭუ ლორონცგ (ყიფ. 290, 18) „ეს ამბავი ყველაფერი უთხრა ღმერთს“; თქუუ მაჟირაქ (ყიფ. 294, 16) „თქვა მეორემ“; იცუუ ხარებაქ (ყიფ. 299, 14) „იქნა მხიარულება“; კეტი ქალებიჯუუ (ყიფ. 305, 26) „ჯოხი ამოიბჯინა ილღიაში“; ქოჩორაქ ართი ქადისოფუუ დო ჭყორიცალო შური გოტუუ (ყიფ. 306, 32-33) „ქოჩორამ ერთი გაიბრძოლა და მწყერავით სული განუტევა“...

სხვაგან თანამედროვე ეტაპზე -უ და -გ ალომორფთა გვერდით რელევანტურია /Ø/ ალომორფიც. ამას მხარს უჭერს ტექსტებიდან მოძიებული მასალაც და ჩვენი დაკვირვებაც. წყვეტილსა და უწყვეტელში ბუნებრივია შემდეგი ფორმები: გინმიღანდ (სამ. 102, 431) „გადაჰქონდა“, ინწყუნდ (სამ. 116, 9) „(შიგ) ჰყოფდა“; აშარდ (სამ. 97, 216) „(შიგ) იღვა“; გერდ (სამ. 99, 292) „იღვა“; მუნოხედ (სამ. 102, 433) „აჯდა (თავზე)“; ქგმადგროთ (სამ. 95, 153) „მოადგა“; გაგგნმორ (სამ. 90,65-71) „დააგრძელა“; მიპეყ (სამ. 94, 95-96) „მიიწვია“; კითხ (სამ. 98, 267) „ჰკითხა“ და ა. შ. მართალია, ასეთი მაგალითები უხვადაა კ. სამუშიას ტექსტებში, რომლებიც პოეზიას წარმოადგენს და უფრო სენაკური მასალაა, მაგრამ არც ზუგდიდურ-სამურზაყანოული მეტყველებისთვისაა უცხო [ეზუგბაია, 2010].

ეს პროცესი შეიძლება განსხვავებულად მიმდინარეობდეს: სენაკურში პირდაპირ იკარგება -უ სუფიქსი, ხოლო სამურზაყანოულში /Ø/ ალომორფი დაჩნდება იმ ფორმებთან, სადაც -უ-ს თავისუფლად ენაცვლება -გ. მიუხედავად იმისა, რომ S₂-ის ნიშანი /Ø/ ნულოვანი ალომორ-ფითაა წარმოდგენილი, მეორე პირის ფორმა არ ემთხვევა მესამე პირის ფორმას, რადგან მეორე პირში ყოველთვის წარმოდგენილია მწკრივის ნიშანი: Ø-ჭარუნ-დ-ი „წერდი“, ჭარუნ-დ-Ø „წერდა“... დო-Ø-ჭარ-ი „დაწერე“, დო-ჭარ-Ø „დაწერა“...

-უ სუფიქსის დაკარგვა მსგავსია იმ ტენდენციისა, რომელიც დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებშიც: მესამე სუბიექტური პირის ნიშანი /ა/ პაუზის წინა პოზიციისაში, როგორც წესი, იკარგება: ჰქონდ-ა → ხქონდ, დაიშალ-ა → დაიშალ... [ჯორბენამე, 1998, 636].

ლაზურში -უ მორფემა ყოველთვის დასტურდება ყველა ტიპის ზმნაში ნამყო დროის მწკრივებში, მაგ.: გიბუ „ჩაასხა, დაასხა“; დობახუ „გალახა, სცემა, უბათქუნა, მიტყიპა“; ოგორუ „აგინა“; იგურაფტუ „სწავლობდა“; ნოდგიტუ „იღვა“...

მეგრულის ორივე კილოკავის ნორმად იქცა **S**-ის **-ნ** სუფიქსის დაკარგვა. ძირითადად ნულოვანი ალომორფითაა მარკირებული ვნებითი გვარის ზმნები III პირში: **ორე-∅** „არის“, **ხე-∅** „ზის“, **ტიბუ-∅** „თბება“...

-ნ ალომორფი თავს იჩენს ინტერვოკალურ პოზიციაში – სხვათა სიტყვის **-ია** ან კითხვითი ნაწილაკის **-ო-ს** დართვისას: **ორე-ნ-ია** „არისო“, **ორე-ნ-ო** „არის?“ **ტიბუ-ნ-ია** „თბებაო“, **ტიბუ-ნ-ო** „თბება?“ იშვიათად **-ნ** ალომორფი შენარჩუნებულია **დო** „და“ ან **და** „თუ“ კავშირების წინა პოზიციაში: ვართ სქანი ოსური **შუნ დო** ვართ მუთუნ (ხუბ. 111,24) „არც შენი ცოლი ახსოვს და არც არაფერი“, ათენა სოთინი **ქორენდა**, ოკო დობგორე (ხუბ. 43,4) „ეს სადმე თუ არის, უნდა მოვძებნო“ [კარტოზია..., 2010, 162].

შევნიშნავთ, რომ ე. წ. ინვერსიულ ზმნებში **-ნ** სუფიქსთან ერთად შეიძლება დაიკარგოს სტატიკურობის **-უ** მაწარმოებელი. მაგალითად, **ოსაჭირ** (სამ. 99, 317) შდრ.: **ოსაჭირ-უ-ნ-ო?** „სჭირდება?“.

ლაზურში, მეგრულისგან განსხვავებით, **-ნ** სუფიქსი ყოველთვის გამოიყენება ვნებით გვარში, სტატიკურ ზმნებში, პოტენციალის აწმყოს ფორმებში. არანაირი შეზღუდვა არ შეიმჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ **ნ** სუფიქსი დღემდე სტაბილურია ლაზურში, რასაც ვერ ვიტყვით მეგრულზე.

ამრიგად, მეგრულსა და ლაზურში **S**-ის სუფიქსები მორფოფონემატური გარდაქმნების შედეგად წარმოდგენილია შემდეგი ალომორფებით:

ზან.	პოზიცია		[V6] ₋ [V8] ₋	[V6] ₊ ნაწილაკი	აუსლაუტი	აუსლაუტი V-V*
	სუფიქსი					
მეგრ.	{-ს}		-ს//ც	-ს//ც	-	-
	{-უ}		-	-	-უ//ც//∅	-
	{-ნ}		-	-	-∅	-ნ
ლაზ.	{-ს}		-ს//ც	-ს//∅	-	-
	{-უ}		-	-	-უ	-
	{-ნ}		-	-	-ნ	-ნ

II.1.1.2. ობიექტურ პირთა ნიშნები მეგრულ-ლაზურში.

II.1.1.2.1. პირველი ობიექტური პირის ნიშნები.

მეგრულ-ლაზურში პირველი ობიექტური პირის ძირითადი ნიშანია **მ-** მორფემა, რომელიც უცვლელად დასტურდება ხმოვნის წინა პოზიციაში: მეგრ. **მ-არძენს** „მამლევეს“, **მ-იხანტუნს** „მიხატავს“, **მ-ეჩიებუ** „მიყვება“, **ქუ-მ-ოცქვანს** „მაქებს“, **ვა-მ-აჭარე** „ვერ ვწერ“...

ასევე ლაზურშიც: **მ-ოგურამს** „მასწავლის“, **მ-იწუ** „მითხრა“, **მ-ანჯირენ** „მემძინება“, **ქო-მ-იჩქუნ** „ვიცი“, **დო-მ-იბალუნ** „მეყოფა“.

მაგრამ განსხვავებული ვითარებაა თანხმოვნის წინა პოზიციაში, კერძოდ, მეგრულში

პირველი ობიექტური პირი წარმოდგენილია /ვ-/ , /ზ-/ , /ფ-/ , /პ-/ ალომორფებით. ეს პრეფიქსები ჰომოგენურობის პრინციპით ნაწილდება თანხმომავების წინა პოზიციაში [გუდავა, გამყრელიძე, 1981]. ამ მხრივ პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ანალოგიური ვითარებაა:

#C მეღ. მ>ბ:

ღო-ბ-დვანს „დამდებს“, ბ-ძირუნს „მნახავს, მიპოვის“, ბ-ჯუნუნს „მკოცნის“...

#C ფშვ. მ>ფ:

ფ-ჩანს „მაჭმევს“, ფ-თირანს „მცვლის“, ფ-ხაჩქუნს „მოთხნის“...

#C მკვ. მ>პ:

პ-ტახუნს „მტეხავს“, პ-წილუნს „მკრეფს“, პ-ჭარუნს „მწერს“...

ყველა ზემოთ აღნიშნულ პოზიციაში შეიძლება განზოგადდეს ბ- ალომორფი. ასევე, მარტივი სონორების წინ მ- ალომორფს თავისუფლად ენაცვლება ბ- ალომორფი: ბ-რეფუ/მ-რეფუ „მთხლიშა“, ბ-ლურს/მ-ლურს „მძინავს“, ბ-ნახუნს/მ-ნახუნს „მრეცხავს“... „როდესაც ზმნური ფუძე იწყება თანხმომავანტოკომპლექსებით, რომელშიც პირველ ადგილზეა სონორი თანხმომავანი, O₁-ის ნიშნებში გვაქვს მონაცვლეობა: მ-/ზ-, მ-/ფ-, მ-/პ- იმის მიხედვით, თუ როგორი თანხმომავანი მოსდევს თავკიდურა სონორს... მ-რდუნქ/ზ-რდუნქ „მზრდი“, მ-ნწყუნქ/პ-ნწყუნქ „მხსნი“, მ-რჩხუნქ/ფ-რჩხუნქ „მრეცხავს“... ლაბიალური ბ, ფ, პ, მ თანხმომავანებით დაწყებულ ზმნურ ფუძეებში O₁-ის მორფემა წარმოდგენილია, როგორც [მ-]: მ-ბარუნს „მბერავს“, მ-ფორუნს „მფარავს“, მ-ფულუნს „მმაღავს“, მ-პუტორუნს „მპუტავს“. ამგვარ ფორმებში დასაშვებია O₁-ის მორფემის გადასმა ფუძეში მეორე თანხმომავნის წინ, რის შედეგადაც O₁-ის მორფემა -ვ- და -ბ- (-ფ-, -პ-) ინფიქსის სახეს იღებს (შესაბამისად მომდევნო თანხმომავნის რაგვარობისა): მ-ბარუნს// ბა-ვ-რუნს//ბა-ბ-რუნს „მბერავს“, მ-ფორუნს// ფო-ვ-რუნს//ფო-ბ-რუნს „მფარავს“, მ-ფულუნს// ფუ-ვ-ლუნს// ფუ-ბ-ლუნს „მმაღავს“... [გუდავა, გამყრელიძე, 1981, 172-173].

მეგრულის კილოკავური ანალიზის შედეგად ჩანს, რომ „სენაკურ-მარტვილურ დიალექტში O₁ პირის ალომორფად არცთუ იშვიათად გვაქვს ვ-: ქეშე-ვ-ხვადუ (<ქეშე-მ-ხვადუ): მეფემ კარს მიივში დო სუმ ტორონჩქ ქეშე-ვ-ხვადუ „მეფის კარზე მივდიოდი და სამი მტრედი შემხვდა“... [კარტოზია..., 2010,164].

O₁-ის ალომორფები ემთხვევა S₁-ის ალომორფებს, რის შედეგად გრამატიკული ომონიმია წარმოიქმნება კომბინაციებში: S₁O₃, S₁O₃^P, S₂O₁:

ბ-∅-ძირუნქ	მა თის	„ვნახავ მე მას“
ბ-∅-ძირუნქ-∅	მა თინეფს	„ვნახავ მე მათ“
∅-ბ-ძირუნქ	სი მა	„მნახავ შენ მე“

როგორც ვხედავთ, ნულოვანი ალომორფით ფორმების ჩაწერისას აშკარაა განსხვავებული შინაარსი და ფორმაც. ისტორიულად მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირის ნიშნების დაკარგვამაც განაპირობა შემდგომი ფონოლოგიური გარდაქმნები, მაგრამ ეს პროცესი არაერთგვაროვნად წარიმართა მეგრულსა და ლაზურში. კერძოდ, პირველი სუბიექტური პირის ნიშნის მორფონოლოგიური ცვლილება საერთო სურათს გვიჩვენებს, ხოლო პირველი ობიექტური პირის შემთხვევაში ვითარება რადიკალურად განსხვავებულია: ლაზურში მ- მორფემა სტაბილურია თანხმომავნისწინა პოზიციაში მიუხედავად თანხმომავნის

რაგვარობისა:

- C^{მჟლ}: **მჯობონს** „მეძახის, მქვია“, **დომბახეს** „მცემეს“...
- C^{ფშვ}: **მომჩით** „მომეციო“, **მჩუმედა** „დამიფარეო, დამმალეო“...
- C^{მჰვ}: **ომჭოფეს** „დამიჭირეს, ამიყვანეს“, **მკითხუმ** „მეკითხები“...

მ- პრეფიქსის პოზიციები მყარია და ამ მხრივ ლაზურის კილოკავური მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა ხოფურში ჩქამიერი თანხმოვნების წინ **მ-** პრეფიქსის პარალელურად შესაძლებელია **ბ-/ფ-/პ-** ალომორფების გაჩენა ჰომოგენურობის პრინციპით [ჩიქობავა, 1936,92].

ზოგადად, ლაზურში ძალიან სუსტია **მ-** მორფემის ფონოლოგიური გარდაქმნის ტენდენცია, რაც შესაძლებელია მორფოლოგიური ომონიმის თავიდან აცილებით აიხსნას, ან ფორმათა კონსერვაციის მექანიზმით, რომელიც ამოქმედდება ენობრივ ერთეულში იზოლაციის შემთხვევაში. ლაზურის სრული იზოლაცია მეგრულისგან ხელს უწყობს მეგრულში ინოვაციურ და უფრო ძლიერ ფონოლოგიურ პროცესებს, ხოლო ლაზურში არქაული ფორმების სტაგნაციას და კონსერვაციას მოძალებული არაქართველური ენობრივი ზეგავლენის ფონზე.

როგორც ჩანს, **მ-** მორფემის განსხვავებული ქცევა მეგრულსა და ლაზურში ერთ-ერთი არსებითი მორფოლოგიური სისტემური მახასიათებელია.

O₁-ის ალომორფთა ტაბულა:

	პოზიცია პრეფიქსი	V	V-V	-C ^{მჟლ}	-C ^{ფშვ}	-C ^{მჰვ}	-რ/ლ/ნV	-რ/ნC ^{მჟლ}	-რ/ნC ^{ფშვ}	-რ/ნC ^{მჰვ}	-ბ/ფ/პ
მეგრ.	მ-	-	მ-	ბ-//ვ-	ფ- //ბ- //ვ-	პ- //ბ- //ვ-	მ-//ბ-	მ-//ბ-	მ-//ფ-	მ-//პ-	მ-
ლაზ.	მ-	-	მ-	მ- //ბ-	მ- //ფ-	მ- //პ-	მ-	მ-	მ-	მ-	მ-

II.1.1.2.2. მეორე ობიექტური პირის ნიშნები.

მეორე ობიექტური პირის ნიშანია **გ-** მორფემა. როგორც მეგრულში, ასევე ლაზურშიც მორფემათა ზღვარზე ხდება ცვლილება. მეგრულში ხმოვნისწინა პოზიციაში ყოველთვის დასტურდება **გ-** პრეფიქსი: **გ-იხანტუნს** „გიხატავს“, **გ-აკეთენს** „გაკეთებს“, **გ-ოცქვანს** „გაქვებს“, **გ-ეჩიებუ** „გიყვება“...

მაგრამ ინტერვოკალურ პოზიციაში, კერძოდ, ზმნისწინისეული/ნაწილაკისეული ხმოვნისა და **-ი-** მაქცევრის შუაში თუ მოექცევა, **გ-** პრეფიქსი იკარგება და ნულოვანი მარკირება რჩება: **V-გ-ი > V-ი: მო-ილუ < მო-გ-ილუ** „მოგაქვს“, **გა-იკეთენს < გა-გ-იკეთენს** „გაგიკეთებს“, **ვა-იხანტუნს < ვა-გ-იხანტუნს** „არ დაგიხატავს“.

ამ მოვლენას მეგრულში ასეთი ახსნა აქვს: „**V-გ-ი** პოზიციაში **O₂-ის** ნიშნის **გ-**ს გადასვლა

Ø-ში ქმნის ხმოვანთმიმდევრობებს, რომლებიც უნდა გარდაქმნილიყო მეგრულში მოქმედი ხმოვანთკონტრაქციის წესების მიხედვით. ამ შემთხვევაში ამგვარ გარდაქმნებს არა აქვს ადგილი და ხმოვანთმიმდევრობა შენარჩუნებულია პირვანდელი სახით, რამდენადაც ხმოვანთა შორის ასეთ ფორმებში ივარაუდება პირის ნულოვანი ნიშანი, რომლის პარალელურად ყოველთვის დასტურდება იგივე პირის ნიშანი -გ-ს სახით. ამგვარად, არაკონტრაპირებული ხმოვანთმიმდევრობა ამ ფორმებში ერთგვარი სიგნალია ნიშნის ნულოვანი სახით ფუნქციონირებისა: შდრ. ვა-გ-ილუ → ვაილუ (ე. ი. ვა-Ø-ილუ) „არა აქვს“, მაგრამ ვა ილუ → ველუ < ვა-ილუ „არ წაილო“ [გუდავა, გამყრელიძე, 2000, 176].

ლაზურში ამგვარი გარდაქმნა არ ხდება. როგორც წესი, ინტერვოკალურ პოზიციაშიც ყოველთვის დასტურდება გ- პრეფიქსი: გ-ოგურამს „გასწავლის“, გ-იწუ „გითხრა“, გ-ალოდუ „დაგემართა“, ქო-გ-იჩქინი „იცი“, დო-გ-იბალუნ „გეყოფა“...

მეგრულში თანხმოვნისწინა პოზიციაში /გ-/ ალომორფის ადგილს იჭერს /რ-/ ალომორფი: რ-გორუნს „გეძებს“, რ-დვანს „გდებს“, რ-ჩანს „გაჭმევს“, რ-კითხენს „გკითხავს“, რ-ძირუნს „გნახავს“, რ-ჭარუნს „გწერს“, რ-ხანტუნს „გხატავს“...

სონორების წინა პოზიციაშიც რ- ალომორფი იხმარება, თუმცა რ-ზე დაწყებული ფუძეების წინ O₂-ის ნიშნად უპირატესად გ- გვაქვს, თუმცა პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს რ-ც და ნულიც: გ-რეფუნს/რ-რეფუნს/Ø-რეფუნს „გთხლიშავს“, გ-რაცუნს//რ-რაცუნს//Ø-რაცუნს „გაგრეკავს“... „როდესაც ზმნის ფუძის თავკიდურ რ-ს მოსდევს თანხმოვანი (ან თანხმოვანთა კომპლექსი), მაშინ გ- მორფემა მჟღერობა-სიყრუე-სიმკვეთრის მხრივ შეიძლება შეეგუოს ფუძისეული თავკიდურა რ-ს მომდევნო თანხმოვანს (ასიმილაციის გზით), ე.ი. გ-ს ნაცვლად ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით შეიძლება გვქონდეს ქ და კ“: გ-რთუნს//ქ-რთუნს „გყოფს; გადაგზურავს“, გ-რჩხუნს//ქ-რჩხუნს „გრეცხავს“, გ-რჭიპუნს//კ-რჭიპუნს „გჭიმავს, გწელავს“ [გუდავა, გამყრელიძე, 2000, 175].

როგორც ვხედავთ, მეგრულში თანხმოვნისწინა პოზიციაში წარმოდგენილია რ-, ქ-, კ-, Ø- ალომორფები.

ლაზურში თანხმოვნისწინა პოზიციაშიც ძირითადი ნიშანია გ-:

- C^{მლ}: გძირათ „გნახოთ“, დოგგორა „მოგძებნო“, გჯოხონს „გემახის, გქვია“.
- C^{შპ}: მეგჩარე „მოგცემ“, გცადარე „შეგხედავ, შეგაფასებ“
- C^{მპ}: გქკომათ „შეგჭამოთ“, ქეგჭოფუ „დაგიჭირა, აგიყვანა“, მოგწონანი „მოგწონთ“.

ამავე დროს შეინიშნება ტენდენცია მორფონოლოგიური გარდაქმნებისა ფშვინვიერ და მკვეთრ თანხმოვანთა წინა პოზიციაში. არნ. ჩიქობავა მიუთითებდა მხოლოდ ერთ ზმნურ ფუძეზე: მე-ქ-ჩა < მე-გ-ჩა „მოგცე“ [ჩიქობავა, 1936, 92]. ამას ყურადღება მიაქცია გ. კარტოზიამ მის მიერ მოპოვებულ მასალაშიც [კარტოზია, 2005, 49-55], თუმცა ს. ჟღენტის არქაბულ ტექსტებშიც თვალშისაცემია მსგავსი მოვლენა.

ჩვენი დაკვირვებით, გ-ს ალომორფები ძირითადად თავს იჩენს არქაბულ მეტყველებაში, იშვიათად – ხოფურში, თითქმის არა – ათინურში.

/ქ-/ ალომორფი, პირველ რიგში, ფშვინვიერ თანხმოვნებთან დასტურდება. მაგალითად:

მა სი ქომექცადი: ფორჩა გამაქთერი დოლოგოქუნს (ჟღ. 28, 17) „მე შენ დაგინახე: პერანგი „გამოცვლილი“ გაცვია“; სქანი მოხთიმაფაშა ჩქინ აქ ქრუმეთ (კარტ. 61, 6) „შენს მოსვლამდე ჩვენ აქ დაგეწიეთ (დაგასწართ)“; მაქვალი გეგიტაღანაზ-მა დო, ხუ[რა] დოგიბონა-ში-ა, მაქვალი ქოქჩაზ-მა (ჟღ. 60, 30) „კვერცხი მოგიტანოსო, ხელი დაგბანოსო და კვერცხი გაჭამოსო“; სი ორდო მოხთი-ნა, სი მჩვი, მა ორდო მოფთი-ნა, მა ქჩვარე (ჟღ. 87, 6) „შენ თუ მოხვალ ადრე, მე შემინახე, მე თუ მოვალ ადრე, მე შეგინახავ“; ნანა-სქანიქ გაი მუ ქჩაპტუ-მა? (კარტ. 58, 31) „დედაშენმა რა საჭმელი გაჭამათო“; მან ხოჯ გექჩინაღვეეტი, ნეკნა მითის ვა გუნწკამა... ნეკნა მოთ

გონწი? (კარტ. 45, 36) „მე რომ გიბარებდი, კარი არავის გაუღო, რატომ გააღე?“ **ქშუნსი**, ეზ წა-
ნაშ წოხლე ემრი მეჩი-ქი (კარტ. 49, 28) „გახსოვს, ოცი წლის წინ რომ მიეცი“...

შესაძლებელია გ-ს გადასმა ფუძის შიგნით, შესაბამისად, პრეფიქსი მომდევნო
თანხმოვნის ჰომოგენური ხდება:

კი-ქ-თხათენ < გ-კითხათენ (ჟღ. 39, 1) „გკითხოთ“.

მოულოდნელი იყო ქ- ალომორფის გაჩენა მკვეთრი თანხმოვნის წინ:

მე-ქ-ჭიშასში (ჟღ. 38, 5) „რომ დაგეწიოს“, **ე-ქ-ჭოფუმს** (ჟღ. 22, 2) „აგიყვანს, დაგიჭერს“.

კ- ალომორფი წარმოდგენილია მკვეთრების წინ:

სი კილანენ-მა, სი **კწამანენ-მა** (კარტ. 99, 16) „შენ მოგკლავენო, შენ გაწამებენო“; სი მითიქ
ვა **ეკჭოფუ** (კარტ. 214, 17) „შენ ვერვინ ვერ აგწია, აგიყვანა“; იგზალია, მასუმა მულუნ, **ოკჭკომა-
სენმა** (კარტ. 165, 29) „წადიო, თორემ მესამე რომ მოვა, შეგჭამსო“; კუი გინთხორეს ნეცნას თუ-
დელე, **დოლოკტოჩანოე** დო გოგონდინანოე (კარტ. 156, 1) „ორმო გაგითხარეს კარებს ქვეშ,
რომ გესროლონ და გაგაქრონ“; მან სი ფადიშაი **დოკწიფხია** (კარტ. 73, 10) „მე შენ ხელმწიფედ
გაქციეო „გაგხადე“; სინ მუ გალოდუ... ხე-კუჩხე ვარ **კწკუფს** (კარტ. 74, 23-24) „შენ რა დაგემარ-
თა, ხელ-ფეხს რომ ვერ შლი „ხსნი“...

საინტერესოა, რომ ყ თანხმოვნის წინა პოზიციაში ხდება არა მარტო ობიექტის ნიშნის გა-
მკვეთრება, არამედ ყ-ს ასიმილაცია და შემდეგ იდენტური თანხმოვნების შერწყმა:

გ- + ყ > გყ // კყ : გყორფ (ჩიქ. II, 146, 8), **კ-ყოფთ** (კარტ. 16, 28) „გყვარობ(თ)“

გყ > კყ > კკ // კ: კ-კორომ (კარტ. 259, 24) „გყვარობ“, **კ-კოროპტი** (იქვე) „გყვარობდი“,

დო-კ-კილომთა (კარტ. 171, 19) „დაგხოცავთო“, **კ-ილითა** (ჩიქ. II, 178, 15) „მოგკალი-
თო“.

შეიძლება ითქვას, რომ გ- მორფემა ლაზურში გვადლევს ქ- და კ- ალომორფებსაც, რომლებიც
მეგრულშიც შეინიშნება, თუმცა სხვაობა მაინც არის: ამ უკანასკნელში **-რც** მიმდევრობის წინ
ხდება ამგვარი გარდაქმნები და სპეციალურ ლიტერატურაში შეფასებულია, როგორც მეგრული
ინოვაცია, რაც განხორციელებულია როგორც მორფემათა საზღვარზე, ისე მორფემის
ფარგლებში. ლაზურში ამოსავალი ვითარება დაცულია [გუდავა, გამყრელიძე, 2000, 176].

სქემატურად მეორე ობიექტური პირის ალომორფები შემდეგნაირად შეიძლება წარმო-
ვადგინოთ:

O₂-ის ალომორფთა ტაბულა:

	პოზიცია	-V	V-V	-C ^{მჯდ.}	-C ^{ფშგ.}	-C ^{მკვ.}	-რV	-რC
	პრეფიქსი							
მეგრ.	გ-	გ-	გ-//∅-	რ-	რ-	რ-	გ-//რ- //∅-	გ-, ქ-, კ-
ლაზ.	გ-	გ-	გ-	გ-	გ-//ქ-	გ-//კ- //ქ-	გ-	გ-

სუბიექტური პირის ნიშნისგან განსხვავებით, ობიექტური პირის ნიშნები ლაზურში უფ-
რო მდგრადია და ნაკლებად ექვემდებარება მორფემათა ზღვარზე მოსალოდნელ ფონეტიკურ
გარდაქმნებს. თუმცა ცვლილებათა ტენდენცია ორივეგან შეპირობებულია მეგრულ-ლაზურ-
რის ფონოტაქტიკის წესებით, რომლებიც ზანურის წიაღშია წარმოქმნილი. ამ ცვლილებათა

შედეგი უმეტესწილად ფონოლოგიზებულია [ქუთელია, 2005, 332], რაც გვამღევეს საფუძველს ვისაუბროთ პირის ნიშანთა ალომორფებზე.

II.1.2. ზმნის რიცხვი.

ზმნაში რიცხვის კატეგორია ლოგიკური თვალსაზრისით არ ემთხვევა სახელთა მრავლობითის ჩვეულებრივ გაგებას.

როგორც წესი, ზმნაში აისახება მასთან შეწყობილი პირის (აქტანტის) რიცხვი (მხოლოდ პირი შეიძლება იყოს ამა თუ იმ რიცხვის მქონე), შესაბამისად, საკითხი ასე დგება: აისახება თუ არა პირთა რომელობა და როგორება რიცხვის გამოხატვის სისტემაში.

ე. ბენვენისტის აზრით, აისახება, მაგრამ „პირისა“ და „არაპირის“, ანუ I, II პირისა და III პირის მრავლობითის გაგება განსხვავებულია. III პირთან გვაქვს ნამდვილი ზმნური პლურალიზმი [ბენვენისტი 1974, 268-269].

აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ I და II პირი უპირისპირდება III პირს, რომელიც ე. ბენვენისტის მიერ არაპირად კვალიფიცირდება, რაც საკამათოა. ერთი მხრივ, ცხადია, რომ პირველი და მეორე პირები მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელია, ხოლო მესამე პირი – ადამიანისაც და არაადამიანისაც. მეორე მხრივ, პირველი პირის სიმრავლის აღმნიშვნელი „ჩვენ“ გრამატიკულად და ლოგიკურადაც გულისხმობს მე (პირველი პირი) + სხვა პირს, რა თქმა უნდა, „სხვა ადამიანს“, რომელიც შეიძლება იყოს „შენ“ და „ის“. ეს კარგად ჩანს იმ ენებში, სადაც ინკლუზივი და ექსკლუზივი გარჩეულია:

ჩვენ (ინკლუზივი) = მე (პირველი პირი) + შენ (მეორე პირი)
= მე (პირველი პირი) + თქვენ (შენ + ის) (მესამე პირი)
= მე (პირველი პირი) + თქვენ (შენ + ისინი) + ის (მესამე პირი) + ისინი (მესამე პირები)

ჩვენ (ექსკლუზივი) = მე (პირველი პირი) + ის (მესამე პირი)
= მე (პირველი პირი) + ისინი (ის + ისინი) (მესამე პირები).

თქვენ შესაბამისად იქნება შენ (მეორე პირი) + ის (მესამე პირი) ან ისინი (ის + ისინი, მესამე პირები). ამ კომბინაციებიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ის (მესამე პირი) პირია, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ მიემატებოდა პირველ და მეორე პირებს და ვერ შექმნიდა მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელს.

ნათელია, რომ ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელებში მოაზრებული მესამე პირი ისეთივე პერსონალური პირია, როგორც, მე და შენ. მაგრამ არსებობს მეორე კატეგორიის (თუ რიგის) მესამე პირი, უფრო სწორად ინპერსონალური პირი, რომელიც, ბენვენისტის ტერმინოლოგიით, არაპირია. იგულისხმება სწორედ სახელთა ის სემანტიკური ჯგუფები, რომლებიც ადამიანს არ აღნიშნავენ. შესაბამისად ნაცვალსახელი ისინი თავისი არსით ორგვარია:

- (1) ისინი = ის (ადამიანი) + ის (ადამიანი) : მესამე პირი
- (2) ისინი = ის (არაადამიანი) + ის (არაადამიანი) : მესამე არაპირი

თავისთავად, ისინი ნაცვალსახელის „ორმაგი“ ბუნება კარგად ჩანს მორფოსინტაქსურ დონეზე. კერძოდ, უსულო სახელებით გადმოცემული ქვემდებარის რიცხვის მარკირება ზმნა-შემასმენელში არ ხდება [ეზუგბაია 2010, 121-126].

მესამე პირის სემანტიკურმა „დუალიზმმა“ განაპირობა მორფოლოგიურ დონეზე რიცხვის გამოხატვისას გარკვეული ასიმეტრია, რაც კარგად გამოჩნდა მეგრულ-ლაზურის მაგალითზეც.

II.1.2.1. სუბიექტური პირის რიცხვის გამოხატვა.

მეგრულ-ლაზურში ისევე, როგორც ქართულში, პირველი და მეორე სუბიექტური პირები მრავლობით რიცხვში მარკირებულია -თ სუფიქსით ყველა შესაძლო კომბინაციაში: S_1O_2 , S_1O_3 , S_2O_1 , S_2O_3 . ეს პრინციპი ერთნაირად ვრცელდება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებზე I და II სერიის მწკრივთა ფორმებში [ეზუგბაია, 2010, 54-60].

მეგრულში, რანგობრივი თვალსაზრისით, -თ მორფემა ძირითადად ბოლოკიდური სუფიქსია შემდეგი დისტრიბუციით: თემის ნიშნის მომდევნოდ – ვაკეთ-ენ-თ „ვაკეთებთ“, ან მწკრივის ნიშნის მომდევნოდ – ვაკეთენდ-ი-თ „ვაკეთებდით“, გავაკეთ-ი-თ „გავაკეთეთ“, ან კილოს ნიშნის მერე – ვაკეთ-ა-თ „ვაკეთოთ“. ეს წესი ირღვევა პირობით მწკრივებში, სადაც პირობითობის სემანტიკის შემომტანი -კონ მორფემა ყოველთვის ბოლოკიდურია: ბზიმუნდი-თ-ი/გ-კონ) „რომ ვზომავდეთ“, ბზიმი-თ-ი/გ-კონ) „რომ გვეზომა“.

ცხადია, რიცხვის ნიშნისა და პირობითის სუფიქსის ზღვარზე წარმოქმნილი არაკანონიკური -თუ- მიმდევრობა გაითიშა ი ხმოვნით, რომელიც ზუგდიდურ-სამურზაყანოულ კილოკავში ნაწილობრივ რედუცირდება. -კონ სუფიქსიანი წარმოება დამახასიათებელია ლაზურისთვისაც. შესაბამისად, მრავლობითობის -თ სუფიქსი წინ უსწრებს -კონ სუფიქსს, თუმცა ათინურ-ართაშენულში -კო დაბოლოება ზმნის ბოლოკიდური თანხმოვნის (მრ. რ. -თ სუფიქსის ან -ეს სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტის) წინ არის გადასმული: პჭარიკოთ [<პჭართ-კო] „გვეწერა“, ჭარეკოს [<ჭარეს-კო] ... [მარი, 1911,53; კარტოზია, 2005,123].

ლაზურში II კავშირებითის ფუძეს შეიძლება დაერთოს:

უნონ მეშველი ზმნა ხოფურში (ჩხალური ვარიანტით);

-ერე მეშველი ზმნა ვიწურ-არქაბულსა და ათინურში;

-ორენ მეშველი ზმნა არქაბულში.

უნონ მეშველზმნიან ფორმებს ამჯერად არ შევხებით, რადგან ის ინვერსიული ზმნების ტიპს განეკუთვნება და მრავლობითის გამოხატვაც სხვა პრინციპს მიჰყვება.

ხშირია -ერე სუფიქსის ცვეთა: -ერე||-რე||-ე. ხმოვნების შემდეგ -რე მიერთვის ზმნას, თანხმოვნების მომდევნოდ კი -ერე||-ე გვაქვს. არქაბულში -ერე-ს ბადალია ენ<ორენ დაბოლოება. როგორც წესი, მრავლობით რიცხვში, I და II პირში, -ერე და -ენ სუფიქსების წინ რიცხვის ნიშანი -თ დგას, მაგ., პჭკომა-თ-ენ (დიუმ. 60, V-7) „ვჭამთ“, ძირა-თ-ენ (ყოფ. I, 13, V-24) „ნახავთ“; ვცა-და-თ-ერე (ყოფ. II, 76, 22) „ვეცდებით“; მევიხირა-თ-ერე (ყოფ. II, 77, 16) „მოვიპარავთ“; მექა-თ-ერე (ჩიქ. II, 98, 23) „მოგცემთ“ ... [ეზუგბაია 2010, 60-61]

მეგრულში არ დასტურდება -თ მორფემის ფონოლოგიური ვარიანტები, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე.

ს. ჟდენტი შენიშნავს, რომ არქაბულში „როდესაც ზმნებში მრავლობითის მაჩვენებელ თ-ს მოსდევს სხვათა სიტყვის გადმოსაცემი ნაწილაკი - და, თ მჟღერდება. მაგ.:

„მოძლი ფარა, ოკობირთად-და“ (117¹⁰-90²⁰) მოიტანე ფული, გავიყოთ; „ჩქუ ოჩალიშუმე

მებულად“-მა – ჩვენ სამუშაოდ მივდივართ; „თქვეს: **დობინჯირად**-მა“ – თქვეს: დავიძინო-
თო; **ბოხორონად**-მა (ტექ. 62, 8) ვიცეკვოთო, **პად**-მა (ტექ. 86, 10) ვქნათო; „ფორჩა **მომილიდ**“-მა
(ტექ. 62, 10) – პერანგი მომიტანეთო და სხვ.“ [ჟღენტი, 1938, XV]. მსგავსი მაგალითი შეგვხვდა
სხვა ტექსტშიც: ბოხოქ უწუ-ქი: **დობინჯირად**-მა (კარტ. 1972, 166, 32) „გოგომ უთხრა დავწვე-
თო“...

როგორც ჩანს, არქაბულში შეიძლება დაჩნდეს მრავლობითობის /-დ/ ალომორფი.

-კონ ნაწილაკიან ფორმებში მორფემათა ზღვარზე **-თკ-** მიმდევრობა ძირითადად ასატანია და ხმოვნით გათიშვა არ ხდება: **ბზუმუმტი-თ-კონ** „რომ ვზომავდეთ“, **ბზუმი-თ-კონ** „რომ გვეზომა“, თუმცა შესამჩნევია **თკ>ტკ** გადასვლა: მციქა ჩქვა ორდო **ქომუყონეტიტკონ**-ნა [**ქომუყონეტიტკონ**-ნა] დიყვეტუ (ჩიქ. I, 113-2) „ცოტა ადრე რომ მოგეყვანათ, იქნებოდაო“; ია ვარ **აებზდეტიტკონ**-ნა [**აებზდეტიტკონ**-ნა], აშო ვარ მალოდეტეს (კარტ. II, 52-11) „ის რომ არ აგველო, ასე არ დაგვემართებოდა“. ამგვარი გამკვეთრება გავრცელებულია ხოფურ-ჩხალურში [კარტოზია 2005, 54]. როგორც ჩანს, ლაზურში შესაძლებელია გამოიყოს მრავლობითის **-ტ** ალომორფიც.

ამრიგად, S₁, S₂ პირების მრავლობითი მეგრულში გამოიხატება მხოლოდ **-თ** სუფიქსით, ხოლო ლაზურში **-თ**, **-დ** და **-ტ** ალომორფებით.

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვა **-ან**, **-ეს**, **-ნ** მორფემებს აკისრია როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში. მათი განაწილება მწკრივთა მიხედვით ხდება, კერძოდ, აწმყო დროის ფორმებში **-ან** სუფიქსი გამოიყენება, ნამყო დროის მწკრივებში – **-ეს** სუფიქსი, ხოლო კავშირებითში **-ნ** ფორმანტი. აღსანიშნავია, რომ ამ მორფემებს ფონოლოგიური ვარიანტები მოეპოვება როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში.

მეგრულში, როგორც წესი, **ან** სუფიქსის თანხმომავითი ელემენტი დაკარგულია: ჭარუნ-ა < ჭარუნ-ან „წერენ“, აკეთენ-ა<აკეთენ-ან „აკეთებენ“. **-ან** სუფიქსი სრულად იხმარება შემდეგ შემთხვევებში:

1. თუ მას მოსდევს კითხვითი ნაწილაკი **-ო** (ჭარუნ-ან-ო? „წერენ?“), ან სხვათა სიტყვის **-ია** ||-იე ნაწილაკი (ჭარუნ-ან-ია „წერენო“).

2. არცთუ იშვიათად **-ან** სუფიქსი სრული სახითაა წარმოდგენილი **დო** „და“, **და** „თუ“ კავშირების წინ. მაგ.: ჯარი **უჩქენან** დო გემოჩანა საქონელს (ხუბ. 129, 12) „შეკრება (ყრილობა) იციან და ყიდიან საქონელს“; ნაყიდერ ჩხოუს **ჭვალენან** დო **ოგორანა** მარდუალს (ტ. I, 169, 240-1) „ნაყიდ ძროხას წველიან და აგინებენ გამზრდელს“; ჩქიმი ულა დო მოშორება **ქაწუხენანდა**, ოკო გაგმოფცადევა (ხუბ. 33,23-24) „თუ ჩემი წასვლა და მოშორება ამ ზომამდე აწუხებთ, უნდა გამოვცადო“... [ეზუგბაია 2010, 56; კარტოზია..., 2010, 168].

მეგრულისგან განსხვავებით, ლაზურში ყოველთვის უცვლელად შენარჩუნებულია **-ან** სუფიქსი III პირის მრავლობითის ფორმებში: **მეკირუფ-ან** „შეკრავენ, შეახვევენ“, **ქოჩაფ-ან** „აჭმევენ“, **ხაშქუმ-ან** „თოხნიან“... **ზოპონ-ან** „ლაპარაკობენ“...

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ თავისებური ვითარებაა გარდაუვალ ზმნებსა და მედიოპასივებში [კარტოზია..., 2010, 168-169].

ამ ტიპის ზმნებში მეგრულსა და ლაზურში S₃ ნიშანი არის **-ნ** სუფიქსი, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი დისტრიბუცია მეგრულსა და ლაზურში განსხვავებულია. მეგრულში მას ენაცვლება ნულოვანი ალომორფი გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც ანალოგიურია **-ან** სუფიქსის მორფონოლოგიური პოზიციებისა.

მეგრულში ჩვეულებრივია ფორმები: ხე < ხე-ნ „ზის“, რე < რე-ნ „არის“, ღურუ < ღურუ-ნ „კვდება“, იჭარუ < იჭარუ-ნ „იწერება“, აღვენუ < აღვენუ-ნ „ექნება“, ასევე პოტენციალისის

ფორმები: აჭარე < აჭარე-ნ „შეუძლია წერა“, აკეთებე < აკეთებე-ნ „შეუძლია კეთება“... მრავლობით რიცხვში, როგორც წესი, აღდგება ეს ნ, თუმცა მას პირის ნიშნის კვალიფიკაციას ვერ მივცემთ [ჩიქობავა, 1936, 91], რადგან მესამე პირის და რიცხვის გამომხატველი -ან სუფიქსია თავისი ალომორფებით: ხე „ზის“: ერთი მხრივ, ხე-ნ-ა < ხე-ნ-ან „სხედან“, მეორე მხრივ, ხე-ნ-ან-ია „სხედანო“, ღურუ: ღურუ-ნ-ა < ღურუ-ნ-ან „კვდებიან“; ღურუ-ნ-ან-ია „კვდებიანო“... მაგრამ დაისმის საკითხი: რას უნდა მივაკუთვნოთ ნ ელემენტი: ფუძეს, როგორც ი. ყიფშიძე ვარაუდობდა [ყიფშიძე, 1914, 072; 080-081] თუ მრავლობითის სუფიქს და გამოიყოს -ნან ალომორფი [კარტოზია, 2005, 93].

ეს ფაქტი მოგვაგონებს სახელთა მრავლობითში არსებულ დალფი „დები“ ტიპის ფორმებს, სადაც ლ- ელემენტი მორფემათა ზღვარზე ხმოვანთმიმდევრობის გასათიშად ჩნდება. შეიძლება, აქაც გამოგვეყო მრავლობითის ნიშნის -ლეფ ალომორფი, რომ არა ერთი გარემოება: იმავე ფუძეებისგან სახელთა წარმოებისას ისევ თავს იჩენს ლ ელემენტი: დალამი „ვისაც და ჰყავს“, ქალამი „რქიანი“, ხელამი „ხელიანი“.

როგორც ჩანს, სახელებსა და ზმნაშიც მუშაობს მეგრულის ფონოტაქტიკის წესი: მორფემათა საზღვარზე ხმოვანთმიმდევრობა დაუშვებელია. ამიტომაც ჩვეულებრივია და-ლ-ეფ-ი „დები“, ქა-ლ-ამ-ი „რქიანი“, ხე-ნ-ა(ნ) „სხედან“ ფორმები. ლ სახელებში და ნ ზმნაში მრავლობითის ფორმაში ფონეტიკური ჩანართი ჩანს.

ზანურში -ნან ალომორფის გამოყოფა შესაძლებლად მიიჩნია თ. უთურგაიძემაც, თუმცა ძველი ქართულის მასალის, როგორცაა მაქუნ/მაქუნს და მქუნან, შდრ. მილუნ, მილუნან, ანალიზისას დასკვნის, რომ „მაქუნ-ს, დგან-ედ და ჩან-ს ტიპის ფორმებში -ნ S₃-ის ნიშნად მხოლოდ წარმოშობით ჩაითვლება. ამ ფორმებში ნ ფუძის შემადგენლობაშია გადასული“ [უთურგაიძე, 2009, 82].

მეგრულშიც შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ ხე = ხენ-ან წყვილში გვაქვს ორფუძიანობა. გრამატიკული მარკერები: ნულოვანი ნიშანი მესამე პირისა და -ან სუფიქსი მესამე პირის რიცხვისა მიერთვის ხე და ხენ ფუძეებს. ამას მხარს უჭერს ლაზურის ვითარებაც, სადაც არ ხდება მესამე პირის ნიშნის -ნ სუფიქსის დაკარგვა, ამიტომ გვაქვს ასეთი წყვილები: დგი/უ-ნ = დგინ-ან „დგას=დგანან“, ხე-ნ = ხენ-ან, იყვე-ნ = იყვენ-ან, ღურუ-ნ = ღურუნ-ან...

ცხადია, რომ გრამატიკული მარკერები -ნ და -ან სუფიქსებია, ხოლო მრავლობითში ფუძესთან ფონეტიკურ ჩანართად ნ-ს გაჩენა ფორმალურ/ფონემატურ ომონიმისა ჰქმნის. ის არ არის გრამატიკული მნიშვნელობის მქონე.

ამრიგად, აწმყო დროის მწკრივებში მეგრულში მესამე სუბიექტური პირის რიცხვის გამოხატვა ხდება -ან და -ა ალომორფებით, ხოლო ლაზურში -ან სუფიქსით. გარდაუვალ ზმნებსა და მედიოპასივებში მრავლობითში ფონეტიკური ჩანართის გაჩენა შედეგია:

ერთი მხრივ, ხმოვანფუძიანობისა: ხე-, ო-რე-, დგი/უ-;

მეორე მხრივ, ზმნათა ფორმაწარმოების მოდელისა: ვნებითისა და პოტენციალისის გამოხატვა ხდება ხმოვანი სუფიქსებით უ და ე: ბ-ღურ-უ-ქ/ბ-ღურ-ურ „კვდები“, ა-ჭარ-ე-ნ „შეუძლია წერა“.

ყველა შემთხვევაში -VC სტრუქტურის მორფემის დართვისას წარმოიქმნება ხმოვანთ-მიმდევრობა, რომლის დაძლევაც ხდება მორფემის თანხმოვანი ელემენტისთვის ჰომორგანული და ჰომოგენური თანხმოვნის ჩართვით.

S₃-ის მრავლობითობის ნიშანი ნამყო დროის მწკრივებში არის -ეს სუფიქსი. კერძოდ, მეგრულ-ლაზურში ამ მორფემით მარკირებულია უწყვეტლის, ხოლმეობითის, პირობითი I და

II, წყვეტილის ფორმები განურჩევლად ზმნის გარდამავლობისა.

როგორც ცნობილია, **-ეს** S₃-ის რიცხვის აღმნიშვნელია ქართულშიც, მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაში მხოლოდ გარდამავალ ზმნებს შემორჩათ ეს დაბოლოება, ხოლო გარდაუვალ ზმნებში მისი ადგილი დაიკავა **-ნენ** დაბოლოებამ. თუმცა **-ეს** ნიშანი შეიძლება შეგვხვდეს „გარდამავალთაგან გამოსულ გარდაუვალ ზმნებში **ცელქობს-იცელქებს** ტიპისა“ [შანიძე, 1980, 178].

მეგრულში, ასევე ლაზურშიც, **-ეს** მორფემა განზოგადებულია – თანაბრად მოუდის როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი და საშუალო გვარის ზმნებს. ამ პრინციპით ის უახლოვდება ძველ ქართულს, სადაც **-ეს** მორფემას ასევე განზოგადებული ფუნქცია ჰქონდა [ეზუგბაია, 64-68].

მეგრულსა და ლაზურში **-ეს** მორფემა წარმოდგენილია ალომორფებით, რაც მორფემათა ზღვარზე მიმდინარე ფონოლოგიური გარდაქმნის შედეგია.

მეგრულში ამგვარი ცვლილება ხდება მხოლოდ წყვეტილის ფორმებში. უწყვეტელში ჩვეულებრივად **-ეს** ალომორფით გადმოიცემა პირის სიმრავლე: აკეთენდეს „აკეთებდნენ“, ჭარუნდეს „წერდნენ“, სხაპუნდეს „ცეკვავდნენ, ხტებოდნენ“, მირულედეს „გარბოდნენ“, ტიბუდეს „თბებოდნენ“, აჭკუმედეს „შეეძლოთ ეჭამათ“... წყვეტილში **-ეს** ალომორფის გვერდით დაჩნდება **-ის** ალომორფიც: ქოთქვიის//ქოთქვის და ქოთქუეს „თქვეს“, ქოთხიის/ქოთხის და ქოთხუეს „თხოვეს“, გოუტიის და გოუტუეს//გოუტეს „გაუშვეს“... მორფონოლოგიური ცვლილებისთვის პირობას ქმნის მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი გარკვეული ხმოვანთმიმდევრობა, თუმცა, როგორც ჩანს, ისტორიულად ერთი ტიპის ზმნებში უნდა განხორციელებულიყო ეს პროცესი [კარტოზია..., 2010, 170-172].

ესაა საერთოქართველურში არსებული უძველესი **-ოვ** თემატური დაბოლოების მქონე ზმნები, როგორცაა თხოვ-ს ტიპის ზმნა.

გ. კარტოზიას აზრით, ზანურში „**-ოვ** სეგმენტმა მომდევნო სუფიქსურ ხმოვანთან ერთად სხვადასხვაგვარი გარდაქმნა განიცადა: **ოვ-ა > უა, ოვ-ი > იი, ოვ-ე > უე, ოვ-უ > უუ**“ [კარტოზია 2005, 25].

ჩვენთვის საყურადღებო **ოვი** და **ოვე** მიმდევრობა, რადგან ორივე დასტურდება წყვეტილის ფორმებში: ესაა პირველი და მეორე პირის ფორმები, სადაც მწკრივის **-ი** სუფიქსი დაჩნდება: *თხოვ-ი > თხი „თხოვე“, *ქმოვ-ი > შიი „ქსოვე“ და მესამე პირის მრავლობითის ფორმები: *თხოვ-ეს > თხუ-ეს > თხი-ის „თხოვეს“, *ქმოვეს > შუეს > შიის „ქსოვეს“... **-უე** მიმდევრობის შემდგომი გარდაქმნის შედეგია **-ის** სუფიქსის გაჩენა: **-უე > -ეე > -ეი > იი – თხუეს > *თხეეს > თხეის > თხიის**. აღსანიშნავია, რომ **ქოთხეის** „თხოვეს“, **გოუტეის** „გაუშვეს“ ფორმები დამახასიათებელია მარტვილურ-სენაკური მეტყველებისთვის, ხოლო ზუგდიდურ-სამურზაყანოულში **იი > ი** ცვლილების შედეგად დასტურდება ფორმები: **თხის** „თხოვეს“, **შის** „ქსოვეს“...

რაც შეეხება **გოუტუეს > გოუტეეს** „გაუშვეს“, **ქიმკისქუეს > ქიმკისქვეეს** „მიიბეს“ სიტყვაფორმებს, პარალელურად იხმარება, თუმცა ზუგდიდურ-სამურზაყანოულში აქაც ერთ ხმოვანში გადადის: **გოუტეს, ქიმკისქვეს**... როგორც ვხედავთ, მეგრულში კილოკავების მიხედვით წარმოდგენილია **-უე** მიმდევრობის გარდაქმნის ყველა ეტაპი. **-ის** ალომორფის არეალი თანდათან გაფართოვდა და სხვა ტიპის ზმნებშიც გაჩნდა (იხ. ქვევით):

თიჯგურა მოცადინეჟ **იციის**, წანამოწანას ჯგირი დუქანი **გოგუმანწყიის** (ყიფ. 3, 13) „ისეთი ბეჯითები აღმოჩნდნენ, რომ წელიწადში კარგი დუქანი გამართეს („გამოაწყვეს“); გედირთეს ტარიელემქე, ქიგედოხოდეს მუშუში რაშემცე **გოურქიისგ**... (ყიფ. 87, 29) „ადგნენ ვაჟავცე-

ბი, დასხდნენ თავიანთ რაშებზე, გააჭენეს“; ბრელი იჩიის შხვა დო შხვა... (ჩიფ. 94, 1) „ბევრი ილაპარაკეს სხვა და სხვა“; იმაგორილი კოჩეფქუ **გაგმიძიის** (ყიფ. 5, 3) „რჩეულმა კაცებმა გამოიძიეს“; სქულენქ მუმა **გამვირგის** (ყიფ. 79, 12) „შვილებმა მამა გამოიგლოვეს“; ღობერი სერთ **დოხიის** (სამ. 89, 65-19) „ღობე ღამით დაშალეს“; ე შხვა სინჯალემქე **გეგნოცის** (ყიფ. 100, 33) „სხვა სიძეები გადაიკარგნენ“; **გამეთხიის** ართიანსე (ტ. II, 20, 3) „გამოეთხოვნენ ერთმანეთს“... **გაგმიინწყისე** დო მიდართესე გვალაშა (ყიფ. 56, 10) „გამოეწყვნენ და წავიდნენ მთაში“, ათენერი პლანიშა **ოკოცის** (ხუბ. 51, 2) „ამგვარი სახით დაიშალნენ“; **თქვის** სუმი ხოლო ჯიმალენქ (ხუბ. 194, 4) „თქვეს სამივე ძმებმა“;...**იჩიის** ჭიჭეხანს (ტ. II, 298, 38) „ისაუბრეს ცოტა ხანს“.

შეიძლება ითქვას, რომ მეგრულში **ს₃**-ის რიცხვის ნიშანი **-ეს** წარმოდგენილია **-ეს** და **-ის** ალომორფებით, თუმცა ამ უკანასკნელის ხვედრითი წილი მინიმალურია.

ლაზურში **ს₃**-ის მრავლობითობის **-ეს** ფორმანტს სხვადასხვა სახის ფონეტიკური ცვლილება მოსდის. ცნობილია, რომ ლაზურში **ღ** შედეგია **ი**-ს დასუსტებისა, ან რეფლექსია **რ**, **უ**, **ყ** (**ღ**) ბგერებისა [ჩიქობავა, 1936, 13; ქუთელია 1985].

აღსანიშნავია, რომ გ. კარტოზიას მიერ 1970 წელს ჩაწერილ ათინურ ტექსტებში **ღ** იჭერს **-ეს** მორფემის თანხმონითი ელემენტის ადგილს, ანუ **ს** ბგერის რეფლექსადაც გვევლინება **ეს** >ე, მაგ.:

ზენგინი **დიეი** ჰინი (კარტ. 223, 7, 5) „გამდიდრნენ („მდიდარი გახდნენ“) ისინი“; შქუ ბითუშა ლაზუტი ვარ **ულურტეი** (219, 1-9) „ჩვენ რომ მივდიოდით, სიმინდი არ ჰქონდათ“; არჰავე მილეთი მუაჯირი **მენდახტეი** (კარტ. 220, 3, 7) „არქაბეში ხალხი მუჰაჯირად წავიდა („წავიდნენ“)“; აჩილი ვა **გამეილამტეი**, **აშქურინერტეი** (კარტ. 219, 1-9) „ამკარად არ გამოჰქონდათ, ეშინოდათ“; ჰინი ლაზუტი **ქულურტეი** (კარტ. 219, 1-8) „მათ სიმინდი ჰქონდათ“.

ს. ჟღენტს შენიშნული აქვს მიცემითი ბრუნვის ნიშნის **-ს**'ს ასიმილაცია (გამჟღერება) სხვათა სიტყვის **ა**-ს დართვის დროს. მაგ. ქორბაზ-მა ← ქორბას-მა „მუცელსო“, არ ნჯაზ-მა ← არ ნჯას-მა „ერთ ხესო“ და სხვ. [ჟღენტი 1938, XV].

ამგვარი გამჟღერება შეიძლება მოუვიდეს **-ეს** სუფიქსის თანხმოვანსაც **-ა** ნაწილაკის დართვისას **-ეს** > **-ეზ**. მაგ.:

ვეზიფეს ვა **აჯგინეზმა** დო ქელოლლანი მინ იენია (კარტ. 1972, 158, 28) „ვეზირები ვერ მოერივნენო („აჯობეს“) და ქელოლლანი ვინ არისო“; უშქურის ეფთი დო ჩქარი ვარ **შემინახეზმა** (ჟღ. 84, 24) „ვამლის ხეზე ავედი და არაფერი არ შემინახესო“; კუჭუინაქ ნანა სქანიში გდარი მუჭო **მიხენეზმა** (ჟღ. 60, 17) „კუჭუინამ დედაშენის საჭმელი როგორ გავციკეთაო“...

ლაზურში „რომ“, „როცა“ კავშირების როლს ასრულებს **-ში** ნაწილაკი, რომელიც მიერთვის ზმნის პირიან ფორმას [ჩიქობავა, 1936, 185]. თუ ეს ნაწილაკი აღმოჩნდა **-ეს** რიცხვის ფორმანტის მომდევნოდ, **ს** თანხმოვანი იკარგვის: **-ეს** > **-ე**, მაგალითად:

იპარამითამტე-ში < **იპარამითამტე-ეს-ში**: ჰანთეფექ იპარამითამტე-ში ოხოიშე არ ალაჯაკული ქომობთუ (დიუმ. 93, XII-171) „ესენი რომ ლაპარაკობდნენ, სახლში ერთი მევალე მოვიდა“;

დიგურე-ში < **დიგურ-ეს-ში**: ჩირაღეფექ მუნდეს ზანახათი დიგურე-ში ჰემორას დოღურინუ (დიუმ. 99, XIII-39) „შეგირდებმა როცა ხელობა/ხელოსნობა ისწავლეს, იმ დროს მოკლა“;

დაჭკინდე-ში < **დაჭკინდე-ეს-ში**: დაჭკინდე-ში ბაბამუშიქ მუამედის უწუ-დორენ (დიუმ. 122, XXIII-3) „რომ დაჭრეს, მამამისს მუჰამედისთვის უთქვამს“...

ზოგჯერ **-ში** ნაწილაკს მოსდევს **-უკული|კული** „შემდეგ“ თანდებული და ვიღებთ **შკუ-ლე** დაბოლოებას: **ქოგაოჭკე-შ-კული** < **ქოგაოჭკე-ეს-შკული**:

მუხარებეს (კაბლას) **ქოგოჰჰე-შ-ჟულე**, მთელის უღუტეს ჩაქმალონი ტუჭელი (ყიფ. 12, 17) „მუხარებეში ომის დაწყების შემდეგ („რომ დაიწყეს შემდეგ“), ყველას ჰქონდა იარაღი“;

იდე'შ-ჟულე < **იდ-ეს-შ-ჟულე**: ჰამოფეთე დიდო გზას იდე'შ-ჟულე არ ბადი ქონაგეს (ჟღ. 27, 5) „ამგვარად გზას რომ დაადგენ, შემდეგ შემოხვდათ ერთი მოხუცი“; იდე-იდ-შ-ჟულე ხოლო არ ლეჯი ქოძირეს (ყიფ. 36, 31) „რომ იარეს, იარეს, შემდეგ ერთი ღორი ნახეს“;

ქოდოგურე-შჟულე < **ქოდოგურ-ეს-შჟულე**: დივეფექ გზა ქოდოგურე-შჟულე გომქეთეს-ღორენ (დიუმ. 26, 1-251) „დევებმა გზა რომ ისწავლეს, შემდეგ მობრუნებულან“...

მასალიდან ჩანს, რომ **-ეს** > **-ე** პროცესი არქაბულისთვის არის დამახასიათებელი, განსაკუთრებით უხვადაა დიუმეზილის არქაბულ ტექსტებში.

შეგვხვდა **ეს** > **ემ** პროცესის მაგალითიც ასევე **-ში** ნაწილაკის გავლენით (ასიმილაცია):

ქეხრი, შუქრი დო ახმედი ჯამემენ ოხორიმა **იშიტემ-ში** (ჩიქ. I, 55, 14) „ფეხრი, შუქრი და ახმედი ჯამედან სახლში რომ მიდიოდნენ“...

ამრიგად, ლაზურში **-ეს** მრავლობითობის სუფიქსი შეიძლება შეგვხვდეს შემდეგი ალომორფებით: **-ემ**, **-ეზ**, **-ემ**, **-ე**.

ზანურში დიდი ადგილი უჭირავს კავშირებითის, ანუ ნატვრითი კილოს ფორმებს. რა არის **S₃**-ის რიცხვის ნიშანი ამ მწკრივებში?

ი. ყიფშიძე მეგრულში ნატვრითი (აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი) და II კავშირებითის ფორმებზე მსჯელობისას აღნიშნავს, რომ „в 3-м лице ед. ч. а присоединяется суффикс **ს(ი)**, а во мн. ч. — **ნ(ი)**“ [ყიფშიძე, 1914; 067; 065]. შესაბამისად, უღლების პარადიგმებში III პირის ფორმები შემდეგი სახითაა შეტანილი: დვან-და-ნ(ი), ჭარუნ-და-ნ(ი), ოგორან-და-ნ(ი)...

-ნ სუფიქსი ისტორიულად მომდინარეობს **-ან** სუფიქსისაგან, რომელიც კავშირებითი კილოს **-ა**- სუფიქსის გავლენით კარგავს ხმოვანს – ეს პროცესი ერთნაირად განვითარდა მეგრულ-ლაზურში. ამის გათვალისწინებით არნ. ჩიქობავა კავშირებითის ფორმებში **S₃**-ის რიცხვის ნიშნად **-ან** სუფიქსს ასახელებს [ჩიქობავა, 1936; 140, 142].

ალ. ონიანი III სუბიექტური ანუ „სავალდებულო“ პირის ნიშნებად მრავლობითში მეგრულისთვის გამოყოფს **/-ან/, /-ა/, /-ნ/** და **/-ეს/** სუფიქსებს და აღნიშნავს: „**/-ან/, /-ა/** ალომორფები თანხმოვანთა მომდევნოდ დასტურდებიან, ხოლო **/-ნ/** – ხმოვნის მომდევნოდ, ამდენად, მათ განაწილებაში ფონოლოგიური პოზიცია იღებს მონაწილეობას“ [ონიანი 1978, 74].

ჩვენი მხრივ, აღვნიშნავდით, რომ მეგრულში **ფონოლოგიურად** შეპირობებული ალომორფებია: **-ა**, **-ან**, **-ეს**, **-ის/** ხოლო ლაზურში – **-ეს**, **-ემ**, **-ეზ**, **-ე** სუფიქსები. რაც შეეხება **-ნ** სუფიქსს, ის **მორფონოლოგიურად** შეპირობებულია, რადგანაც **-ან** > **-ნ** პროცესი განხორციელდა მორფემათა – კავშირებითი კილოს **-ა** სუფიქსისა და რიცხვის **-ან** მორფემის – ზღვარზე. ეს პროცესი მთლიანად გავრცელდა მეგრულ-ლაზურზე და, შეიძლება ითქვას, რომ სინქრონიულ დონეზე უღლების პარადიგმაში **-ნ** სუფიქსს თავისი მყარი ადგილი აქვს:

მეგრ:

დო უზოჯჯ მუში ჯარც ზღვაპიჯითგ **დიკინანი**, ხმელო **გეგენოჩოჩანი** დო ძულეთ ზღვაშა **ინილანი**... (სამ. 103, 66, 457-460) „და უბრძანა თავის ჯარს, ზღვისპირეთით დაიხიონ, ხმელეთზე გაიჩორონ და ყულევით ზღვაში ჩავიდნენ“... მუნეფიში მამულუმენი **გეგემირჩინანი** ქომოლობა (სამ. 101, 66-369) „თავისი მამულისთვის გამოიჩინონ ვაჟკაცობა“; წყარი ქოჩი, წოხოლენი კურხეფი ვა **დიშოლანენი**, თეში (ყიფ. 8, 33) „წყალი დააღვინე, წინა ფეხები რომ არ დაისვე-

ლონ ისე“...

ლაზ:

ოდარღალუ მუსაიბეთიმ-კულე დელიკანლეფე მაჟურანი ოდაშა ონჯირუმა იგზალან (ყიფ. 9, 24) „ყურანზე საუბრის შემდეგ გმირები სხვა ოთახში დასაძინებლად წავიდნენ“; ქამე-წილუფან დო სუმ დღა უგაელებეჟე ქუიმზონან (კარტ. 1972, 87, 9) „დაკრიფონ და სამი დღის უჭმელებმა შეჭამონ“; ნოდამისაში კოჩეჟეჟ, ჯუმალეჟეჟ აკვანან ბახჩიში! (ჩიქ. I, 133, 25) „პატარძლის მოყვრებმა („კაცებმა“), ძმებმა მოუტანონ საჩუქარი“; ბაბა! ენთეფეს უწვი დო სო-თი ე კოჩი ოხოი ჩქინიშა ვარ-მუნდიყონან! (ჩიქ. I, 21-16) „მამა! ამათ უთხარი და... ეს კაცი ჩვენს სახლში არ წაიყვანონ“.

ამრიგად, სინქრონიულ დონეზე მეგრულ-ლაზურ ზმნაში სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოხატვა ხდება შემდეგი მორფემებით:

I და II პირებისთვის – **-თ** მორფემა, რომელიც ლაზურში წარმოდგენილია **-დ** ალომორფითაც;

III პირისთვის – **-ან, -ეს, -ნ** მორფემებით, რომელთა განაწილება ხდება მკაცრად დაცული კანონზომიერებით: **-ან** – აწმყოსა და მყოფადში; **-ეს** – უწყვეტელში, წყვეტილსა და პირობითის მწკრივებში; **-ნ** – I და II კავშირებითებში.

ამავე დროს, მეგრულში **-ან** სუფიქსის ალომორფებია: **-ან, -ა**; ეს სუფიქსი წარმოდგენილია: **-ეს, -ის** სუფიქსებით. ლაზურში **-ეს** მორფემის ალომორფებია: **-ემ, -ეზ, -ემ, -ე**.

II.1.3.1. ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვა.

ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად მეგრულ-ლაზურში იგივე მორფემებია გამოყენებული, რაც სუბიექტთან: **-ან, -ნ, -ეს, -თ**. მაგრამ თითოეული მათგანის გამოყენებისას მკაცრი კანონზომიერებაა დაცული, რაც ორი ფაქტორითაა განპირობებული:

1. ობიექტური პირის რომელობა;
2. სუბიექტური პირის რომელობა და მისი კომბინაციები ობიექტურ პირთან.

(I) მოდელი, რომელიც გამოიკვეთება მეგრულ-ლაზურში, დაკავშირებულია სუბიექტური და ობიექტური პირების შემდეგ კომბინაციებთან: S_1O_2 ; S_2O_1 . ამ შემთხვევაში O_1 და O_2 -ის მრავლობითობა გამოიხატება **-თ** სუფიქსით (როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ობიექტისა). მაგალითად:

ა) O_1 და O_2 რიცხვის გამოხატვა მეგრულში

S_2O_{11} :

ჩქითი კოჩი ვორეთ დო ნემ ბლოლანთ ცოდაში გადიდებასია (ყიფშ., 158, 18) „ჩვენც კაცნი ვართ და ნუ გვიზამთ“ ცოდვის გადიდებასაო“; სქანი მეტი მითა პუნანია დო სი ხოლო მიდინეთია (ყიფშ., 235, 19) „შენს მეტი არავინ გყავსო და შენც გვეკარგებო“; მიოჯინი სქანი ღორონს დო სი დგმაზეეთია (ყიფშ., 44, 5) „შეხედე შენს ღმერთს და დაგვაზავე“; დგმართითგ სი უკულია დო ართო მიიბზათია (ყიფშ., 64, 21) „დაგვიბრუნდი მერე შენ და ერთად წავიდეთო“...

S_1O_{12} :

გაჭირებას მუგოშინანთ ჩქიმი გური ხაშილითი (ტ. I, 168, 132-3) „გაჭირებას მოგახსენებთ ჩემი დარდიანი („მოხარშული“) გულით“; მა თქვა მუჟანს ქორძირითგნ, ხეთე ქი-

მელოროფით (ტ. I, 155, 137-3) „როცა მე თქვენ გნახეთ, მაშინვე შემეყვარდით“; მა გაგიგონით დო დაჩხირი აკოგირზით (ყიფშ., 8, 28) „მე გაგიგონეთ და ცეცხლი დაგინთეთ“; ართის დოგიჩინანთია დო თქვა გიჩქ ნანია შიასრულენთია და... (ყიფშ., 26, 25) „ერთ რამეს დაგიბარებთ და თქვენ იცითო, როგორ შეასრულებთო!“

ბ) O_1 და O_2 -ის რიცხვის გამოხატვა ლაზურში

$S_2O_{P_1}$:

ჰამ ოხორჯას უწევს „გააი დომიხენამთია?“ (კარტ. 1972, 161-10) „ამ ქალს უთხრეს: „საჰმელს გაგიკეთებო“ ჩქუ მენდებილათენ-ა, სი ჰემო მემათხოზათე-ა (ჟდ. 57, 11) „ჩვენ წავიღებთო, შენ კიდევ დაგვედევნეო“; ჩქინ-ნა აქ ზძირით, მითიკალა ვარ თქვა (ჩიქ. I, 46, 26) „ჩვენ რომ აქ გვნახე, არავისთან არ თქვა“; ჩქუნ მიწვით დო ჩქუნ-თი ზხაჩქათენ (ჟდ. 6, 21) „ჩვენ გვითხარი და ჩვენც დავთოხნით“. ჩქუნ მის მემიშქვით, ხასანი ჩქიმი! (ჟდ. 10, 1) „ჩვენ ვის შეგვატოვე, ჩემო ხასან!“

$S_1O_{P_2}$:

ჰაწი მა ბიდარე, გარი მოგიდათენ (ჟდ. 61, 8) „ახლა მე წავალ, საჰმელს მოგიტანთ“; მა ოშკური დეგიბლათერე, მა-თი მიშინახით! ვა მიშინახათ-ნა, დუდი მეგიკვათათერე! (ყიფ. 80, 15) „მე ვაშლს ჩამოგიყრით, მეც შემიწახეთ, თუ არ შემიწახავთ, თავს მოგჭრით!“ ჰიტა აქინი ძიუში, „ბეეფე ქოგეკვიშით-ა“ დო უჯოხუ (კარტ. 1968, 159, 47) „ცოტა ახლოს რომ ნახა, „ბავშვებო, დაგეწითო“ და დაუძახა“; ამა მა თქვა ქოდოგოგუამთ (კარტ. 1972, 174, 5) „მაგრამ მე თქვენ გასწავლით“; ჰაწი ნთაროს დოქშინახათ-ა (დიუმ. 24, I-183) „ახლა თაროში დაგმალავთო“...

ამრიგად, მეგრულ-ლაზურში O_1 და O_2 -ის I და II სუბიექტურ პირებთან დაწყვილებისას ობიექტის მრავლობითობა აღინიშნება -თ სუფიქსით. ამის საპირისპიროდ O_3 -ის რიცხვი აღუნიშვნელი რჩება S_1O_3 , S_2O_3 კომბინაციებში. ამჯერად I, II და III პირთა დიქლომია მიღწეულია იმით, რომ მარკირება ხდება I და II ობიექტური პირისა, ხოლო III ობიექტური პირი არამარკირებულია. პირობითად ეს მოდელი ასე შეიძლება ჩაიწეროს: -თ[I, II] ~ [III] Ø.

ეს მოდელი ირღვევა, როგორც კი I და II ობიექტური პირი მესამე სუბიექტურ პირთან დაწყვილდება: S_3O_1 , S_3O_2 . ამჯერად ამოქმედდება მრავლობითობის გამოხატვის სხვა პრინციპი. კერძოდ, ობიექტის რიცხვის მარკირება ხდება S_3 -ის ფორმანტებით – -ან, -ეს, -ნ. მათი განაწილება მწკრივთა მიხედვით ხდება: -ან – აწმყო დროის მწკრივებში, -ეს – ნამყო დროის მწკრივებში, -ნ – კავშირებითებში.

აქვე შევნიშნავთ, რომ ეს მორფემები იმავე ალომორფების სახით დასტურდება, როგორც სუბიექტური პირის მრავლობითის შემთხვევაში იყო გაანალიზებული. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

ა) O_1 და O_2 -ის რიცხვის აღნიშვნა S_3O_1 , S_3O_2 კომბინაციებში

მეგრ.

$S_3O_{P_1}$:

აწმყო-მყოფადის ა < -ან სუფიქსიანი ფორმები:

ჩქით ოპკომუნანია თინავა (ხუბ. 240, 6) „ჩვენც შეგვჭამსო ისო“; ირი ჩქენ გასაჭირშე თინა ბთხილანა(ყიფ. 137, 23) „ყოველი ჩვენი გასაჭირიდან ის გვიცავს“; ზოთონც თერი მოჩხუპუნა... (ყიფ. 162, 30) „ზამთარში თოვლი გვეჩხუბება“; ბექოქ ქეშმატყევს და, ჟირხოლოს დოპილუნა (ხუბ. 96, 25) „ბექომ თუ შეგვატყო, ორივეს მოგვკლავს“; დედაქ ვეშემი-

ტყვან(ი), ვარა **გობლახუნა** ჟირხოლოს (ტ. I, 247, 103, 3) „დედამ არ შეგვიტყოს, თორემ გვცემს ორივეს“; ვარ, თენა **ვაბლოლანა** ჯგირსია (ხუბ. 237, 18) „არა, ეს არ დაგვმართებს სიკეთესო“...

უწყვეტელი: -ეს სუფიქსიანი ფორმები:

თქვანი სქუა ქორდგკონი, პატის თინა **ქოფცენდეს** (ხუბ. 93, 28) „თქვენი შვილი რომ ყოფილიყო, პატის ის გვცემდა; ოჭმარეს მუდგენ ჟამს **დობგორუნდესია**, **ქემობრაყენდესია**, **გეპჭვალუნდესია** (ხუბ. 112, 5) „დილით როდისმე მოგვმეზნიდაო, მოგვრეკავდაო, მოგვწველიდაო“; ულალუდუკონია დო **დამიფარუნდესია** (ხუბ. 137, 15) „ეყეფა და დაგვიფარავდაო“; ათე პატონი მუს ჯოხოდ, კისერს **მუნობხედესინი** (ტ. I, 289, 412-9, 10) „ეს ბატონი ვინ იყო („რას ერქვა“), კისერზე რომ გვასხდა“...

წყვეტილი: -ეს სუფიქსიანი ფორმები:

ჩქი მუ შქას ვორეთია, მართახით ოჭიში **გემიჭვესია** (ხუბ. 162, 3) „ჩვენ რა შუაში ვართო, მართახით ზურგი რომ აგვიწვაო“; შარას გლახა დღაქ **ქომგმოჭიშესე** (ყიფ. 22, 18) „გზაში ცუდმა ამინდმა („დღემ“) მოგვისწრო“; აპ, ღორონქ სქანი ბედნიერობა **ქემომირესია** (ხუბ. 106, 6) „აპ, ღმერთმა შენი ბედნიერება გვაჩვენაო“; **ვედემორჩილეს** ყაზახიქია (ხუბ. 156, 2) „არ დაგვმორჩილდა გლეხიო“. ღრუბელქ **ქიგმანთხეს** (ხუბ. 75, 32) „ღრუბელი დაგვეცა“...

S₃O^{pl}₂:

-ან სუფიქსიანი ფორმები:

თქვა სქუა **ქედგებადებუნა** წანამოწანაშა (ყიფშ. 277, 15) „თქვენ შვილი დაგებადებათ ერთ წელიწადში...“ მარა ვა **გგგანჭყორანი** ღორონთქ (ყიფ. 79, 4) „მაგრამ ღმერთი არ გაგიწყრეთ“; პილათენი, მუს **გიკეთენანი?** (ყიფშ. 37, 5) „რომ მომკლათ, რას „გაგიკეთებთ“ („არას გარგებთ“); გეწყენ და ვაგმაჭყორა, ნაჭარა მუს **გოციღუნა?!** (სამ. 64, 47-35) „თუ გეწყინა, არ გამიწყრე, წერილი რას დაგიშავებთ“...

ბ) O₁ და O₂-ის მრავლობითობის აცნიშვნა

S₃O₁, S₃O₂ კომბინაციებში ლაზურში

S₃O^{pl}₁:

-ან სუფიქსიანი ფორმები:

ჩქუნ-თი ხეს **მოქაჩუნან!** (ჟღ. 17, 32) „ჩვენც ხელზე გვექაჩება“; მუნდეს ბაბა ცქანიქ დულუნ **მიხენანორენ**, მუნდეს **ოკომჭარანორენ**, ჰემინდოს მა ცქანი ბორე (ჟღ. 50-15) „როდესაც მამაშენი ქორწილს გაგვიმართავს, როდესაც (ჯვარს) დაგვეწერს, მაშინ მეც შენი ვარ“; სინთი ხომ ვა გინონ, ქი ჩქინი ასქეი ექ **დომაცვილან?** (კარტ. 1968, 168, 110) „შენც ხომ არ გინდა, რომ ჩვენი ლამქარი იქ დაგვეხოცოს?“ ჩქუ ჰეაქ **დომპილანენ** (ყიფ. 64, 26) „ჩვენ ის მოგვკლავს!“ ხოჯაქ იროთე **მომოღერდინამან** (ჩიქ. II, 88, 7) „ხოჯა ყოველთვის გვატყუებს“...

-ეს სუფიქსიანი ფორმები:

ადა კულანიქ **მემიზარგეს** ოხოი (ასათ. 143, 91-21) „ამ გოგომ მიგვილაგა სახლი“; ოხ-რასქირიქ ტოფელი გვერდი გზას **მემოღერეს** (ვან. 166, 2) „მაზღმა შუა გზაზე თოფი დაგვიმიზნა“; ქელოლლანიქ კავე მუშენი **მომიღეს** მუსაფირეფეკალა? (ჟღ. 72, 2) „ქელოლლანმა ყავა რატომ მოგვიტანა სტუმრებთან?“... ამა მანჯე მუშიქ ხოჯი **მემიზირეს-და** (ჟღ. 30, 30)

„მაგრამ პატრონმა ხარი მოგვპარაო“; ქჩინი, ჰადა თანგრქი **მომჩეს**” (დიუმ. 60, V-35) „დე-დაბერო, ეს ღმერთმა მოგვცა“; რუსიქ **დომევეს, დომხალეს**, ამბაი ვარ გიჩქინი-ი? (ყიფ. 20, 9) „რუსმა დაგვწვა, დაგვბუგა, ეს ამბავი არ იცი?...“

S₃O₂:

-ან სუფიქსიანი ფორმები:

ჰამ კოინი მიში'ნ, ფადიშია **გიჭითხანენ**, ჩაქჩაქ ფადიშიაში კოინეფე' ნან თქვითა (კარტ. 1970, 225, 16) „ეს ცხვრები ვისიაო, ხელმწიფე რომ გკითხავთ, ჩაქჩაქ ხელმწიფის ცხვრებია-თქო, უთხარით“; არ ქუკარაში ბერექ მუფე **გოლოდამან** (ჟდ. 77, 7) „ერთი ღარი-ბის ბიჭი რეებს დაგიშავებთ („გაგიკეთებთ“).

-ნ სუფიქსიანი მყოფადი (II კავშირებითისაგან ნაწარმოები):

ფადიშია მულუნ ასკერითე, თქვა **კილანენ** (კარტ. 1970, 225, 19) „ხელმწიფე მოდის ჯა-რით, თქვენ დაგხოცავთ“; ალაქ ოგნას-ნა, დუდი **მემიკვათა-ნ-ენე** (ყიფ. 80, 28) „ბატონმა რომ გაიგოს, თავს მოგვჭრის!“

როგორც ვხედავთ, **(II)** მოდელის მიხედვით, O₁ და O₂ სიმრავლის აღნიშვნა ხდება S₃-ის რიცხვის ფორმანტებით: **-ან, -ეს, -ნ**. მესამე ობიექტური პირის მრავლობითობა აქაც აღუნიშვნელია: S₁O₃, S₂O₃, S₃O₃ კომბინაციებში ობიექტური პირის **Ø** ნულოვანი მარკერი გვაქვს.

ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის (II) მოდელი პირობითად ასე შეიძლება ჩაიწეროს:

/-ან-ეს-ნ- [I, II] ~ [III] Ø

მაშასადამე, ობიექტური პირის რიცხვის აღნიშვნის (I) და (II) მოდელში მკაცრადაა დაცული I-II ~ III პირთა დიქტომია. პირველი და მეორე ობიექტი მარკირებულია, ერთი მხრივ, **-თ** სუფიქსით, მეორე მხრივ – **-ან, -ეს, -ნ** მორფემებით. მათ უპირისპირდება III ობიექტური პირი თავისი უნიშნობით. როგორ შეიძლება აიხსნას ეს ფაქტი მეგრულ-ლაზურში?

-თ სუფიქსით ობიექტის მარკირებისას, კომუნიკაციის აქტში მონაწილეობს I და II პირები, რომელთა ფუნქცია ურთიერთჩანაცვლებადაა. **S₁O₂** კომბინაციაში მეორე პირი მსმენელია, ხოლო პირველი პირი – მოუბარი. მაგრამ **S₂O₁** კომბინაციაში პირთა როლები შეცვლილია. როგორც ე. ბენვენისტი შენიშნავს, პირველი და მეორე პირის ამგვარ ურთიერთმიმართებაში დევს ენის, როგორც სუბიექტურობით აღბეჭდილი სისტემის არსი. ის, ვისაც „მე“ ვუწოდებ „შენ“, თავის თავს განიხილავს როგორც „მე“-ს, ხოლო „მე“ – როგორც „შენ“. შესაბამისად, ენა არსებობს იმდენად, რამდენადაც კომუნიკაციის აქტში ჩართული „მე“ და „შენ“ პირები თავის თავს მოიაზრებენ სუბიექტად, ანუ საკუთარ რეალობას ანიჭებენ „ეგო“-ს გაგებას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეგრულ-ლაზურში ობიექტის მრავლობითის გამოხატვის მოდელების მიხედვით, ერთი მხრივ, დაცულია სუბიექტური ეგოცენტრულობის პრინციპი – აღნიშვნა ადამიანის გამომხატველი I და II პირის მრავლობითი რიცხვი; მეორე მხრივ, განზე რჩება მესამე პირი, როგორც არამარკირებული წევრი. მაგრამ რამდენადაც „მარკირება ყოველთვის გარკვეულად გაპირობებულია“ [მაჭავარიანი 1987, 25], პოტენციურად არის შესაძლებლობა არამარკირებული წევრის მარკირებისა, როგორც კი სათანადო პირობები შეიქმნება. ისტორიულად ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი ჩანს ინვერ-

სია, რომელსაც უკავშირდება მორფოლოგიური ობიექტის, იმავე რეალური სუბიექტის მრავლობითობის წარმოების სისტემა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ორგანულ კავშირშია ობიექტური პირის რიცხვის გამოხატვის (II) მოდელთან.

II.1.4. ინვერსია.

გავრცელებული განმარტებით, პირთა ინვერსია პირის ნიშანთა შენაცვლებას, როცა „რეალურ სუბიექტს“ გამოხატავს ობიექტის ნიშანი, ხოლო „რეალურ ობიექტს“ – სუბიექტის ნიშანი. მთელი ეს მსჯელობა ემყარება სუბიექტის გაგებას, როგორც ქმედების ჩამდენისას [შანიძე, 196].

ქართულ ენაში ინვერსიის რამდენიმე გრამატიკულ-სემანტიკური საფუძველია გამოყოფილი:

- 1) მანის რიგის აქტიობა, ეგოცენტრული ფუნქციის ზრდა;
- 2) ზმნის სტატიკურობა (პოლიპერსონალური ბუნების სტატიკურ ზმნაში ლოგიკურად პასიური სუბიექტისა და ლოგიკურად აქტიური ობიექტის არსებობა);
- 3) ირიბი ობიექტის მიმართება ვინ ჯგუფის სახელთან (ის ყოველთვის ადამიანის, პიროვნების გამომხატველია).

ეს უკანასკნელი, ჩვენი აზრით, მთავარი სემანტიკური ფაქტორია, რადგანაც სუბიექტის ცნება ენაში უშუალოდ პიროვნების, ადამიანის რაობასთან არის დაკავშირებული (ადამიანი ~ არაადამიანი – ეს დიქტომია ვლინდება ენობრივ აზროვნებაში ყველა დონეზე). გრამატიკულ დონეზე ინვერსიის პროცესისთვის, როგორც ჩანს, ხელსაყრელი პირობები სტატიკურ ზმნებში შეიქმნა.

„ეს არჩევანი შემთხვევითი არ იყო: სტატიკურ ზმნებს პერფექტული ბუნება ჰქონდათ, რაც აქტივებს გადაეცათ სტატიკურ ზმნათა გამოხატულების პლანის შეუცვლელად, რასაც ხელი შეუწყო ირიბი და პირდაპირი ობიექტის საერთო ნიშნებმა. აქტივიზება ამ ფორმებისა, გარდა ობიექტის შეცვლისა, მოხდა გეზის ზმნისწინის შეყვანით საზიარო ფორმაში, რამაც მკვეთრად დააცილა სტატიკური და დინამიკური ზმნების პარადიგმები“ [უთურგაიძე, 2009, 134].

რელატიურ-სტატიკურ ზმნებში ინვერსიის პროცესის მიმდინარეობა კარგად ჩანს მეგრულ-ლაზურშიც. რამდენადაც ინვერსია ირიბ ობიექტთან არის დაკავშირებული, დგება მიცემითი ბრუნვის მორფო-სინტაქსური დატვირთვის საკითხიც მეგრულსა და ლაზურში. მეგრულში მიცემითი ბრუნვის ფუნქციური დატვირთვა ქართულის მსგავსია: ის არის როგორც ირიბი, ასევე პირდაპირი ობიექტის ბრუნვა, ასევე – III სერიაში ინვერსიული გარდამავალი ზმნების რეალური სუბიექტი და რელატიურ-სტატიკური ზმნების **RS**-იც მიცემითში დგას.

მიცემითი ბრუნვის პოზიცია მეგრულში მყარია, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე. ლაზურში მხოლოდ ირიბი ობიექტური პირი და ინვერსიული რელატიურ-გარდაუვალი ზმნების რეალური სუბიექტი გადმოიცემა მიცემითი ბრუნვით. ითვლებოდა, რომ გარდამავალ ზმნებში ინვერსია ნაკლებპროდუქტიული აღმოჩნდა – აქ თურმეობითების წარმოების სხვა სისტემა დამკვიდრდა [მარი, 1910, 46; ჩიქობავა, 1936, 145], კერძოდ, სპეცი-

ალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თურმეობითის წყებაში მეგრულ ერთპირიან ზმნასთან გვაქვს **აღწერითი** და **ორგანული** წარმოება. აღწერით წარმოებას ახასიათებს - **ერე**(||→ეე||→ე) სუფიქსი.

როგორც ი. ასათიანი შენიშნავს, „-**ერე** სუფიქსიანი წარმოება თურმეობითისა მეგრულსა და ლაზურს საერთო უნდა ჰქონდეთ. ოღონდ ლაზური ამ მხრივ უფრო შორსაა წასული. -**ერე** სუფიქსიანი წარმოება თურმეობითისა ლაზურში თუ ერთადერთი არა, ყოველ შემთხვევაში ყველაზე გავრცელებული, ძირითადი წარმოებაა ყველა სახის ზმნებში. მეგრულში იგი მხოლოდ ერთპირიან, გარდაუვალ ზმნებშია“ [ასათიანი, 1970, 151].

ლაზურში -**ერე** სუფიქსიანი თურმეობითი ძირითადად გავრცელებულია ხოფურ კილოკავში, ხოლო ვიწურ-არქაბულსა და ათინურ კილოკავებში არაინვერსიული თურმეობითები იწარმოება მეშველი ზმნების **დორენ** „არის“, **დორტუნ** „იყო“ დართვით [ჩიქობავა, 1936, 141; 144].

გ. კარტოზიამ თავისი გამოკვლევებით აჩვენა, რომ „სინამდვილეში, ინვერსიული თურმეობითები ლაზურში ნაშთის სახით კი არ არის შემოჩენილი, არამედ საყოველთაოდ არის გავრცელებული. უფრო მეტიც, მათ გამოყენების არე გაუფართოებიათ და, მეგრულის მსგავსად, ზოგ გარდაუვალ ზმნასაც ეწარმოება“... [კარტოზია, 2005, 98]. თანაც, „ისახება ტენდენცია, გაუთანაბრდეს ზმნის ინვერსიული ფორმები პირდაპირი წყობის ზმნებს სინტაქსური ძალის მიხედვით... აქ არა მარტო ირიბი ობიექტი ინარჩუნებს თავის ბრუნვას, არამედ სუბიექტიც იმავე ბრუნვაში რჩება, რა ბრუნვაშიცაა პირდაპირი წყობის დროს“ [კარტოზია, 1968, 145].

ჯერ კიდევ არნ. ჩიქობავამ **უძირამუნ** „უნახავს“ ფორმის ანალიზისას მიუთითა პირდაპირ წყობაზე ინვერსიულის ნაცვლად, რაც ათინური კილოს თავისებურებად მიიჩნია [ჩიქობავა, 1936, 153], მაგრამ გ. კარტოზიამ ჟ. დიუმევილის, ს. ჟღენტის მიერ ჩაწერილ არქაბულ ტექსტებში და მის მიერ მოპოვებულ ხოფურ მასალაშიც გამოავლინა მსგავსი შემთხვევები. მეცნიერის აზრით, „პირდაპირი წყობის ზმნებთან ინვერსიულ ფორმათა გათანაბრების ტენდენცია რელიეფურად იჩენს თავს გარდაუვალ ზმნებში“ [კარტოზია, 1968, 145-146].

მიუხედავად ინვერსიული კონსტრუქციის რღვევისა ლაზურში, მორფოლოგიურ დონეზე რელატიურ-სტატიკური ზმნა თავის ინვერსიულ სტრუქტურას ინარჩუნებს. ცნობილია, რომ რელატიურ-სტატიკური ზმნები მცირერიცხოვანია ქართულში და, შესაბამისად, ზანურშიც. მაგრამ ინვერსიულ ფორმათა რაოდენობას ზრდის პოტენციალისის კატეგორიის არსებობა მეგრულ-ლაზურში. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, პოტენციალისის ერთ-ერთი ნიშანი ინვესიულობაა, რადგანაც პოტენციალისის რელატიური ფორმა ჩვეულებრივ გამოხატავს რეალური სუბიექტის ქმედების შესაძლებლობას [ჩიქობავა, 1936, 110-112; შეროზია 1984, 6-7]. ესაა ა-...-ე პრეფიქსით-სუფიქსით ნაწარმოები ფორმები, რომლებიც ქართულში -ე-ნიანი ვნებითების ტოლფარდია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლაზურში რელატიურ-სტატიკურ ზმნათა ობიექტური წყობის კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში ირღვევა, მაგრამ ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა უცვლელია. ამდენად, მეგრულსა და ლაზურში ფორმალურად ინვერსიის საერთო მოდელია გამოყენებული. კერძოდ, რეალური სუბიექტი წარმოდგენილია მანის რიგის პირის ნიშნებით, ხოლო რეალური ობიექტი მესამე სუბიექტური პირის ნიშნებით.

ორივე შემთხვევაში პირის ნიშნები სათანადო ალომორფებით იქნება გადანაწილებული. გარდამავალი ზმნის მესამე სერიის მოდელებს წარმოვადგენთ ძირითადი მორფემების

მიხედვით, თუმცა შევნიშნავთ, რომ მანის რიგის ნიშნები ყოველთვის ხმოვნის წინა ან ხმოვნებს შორის პოზიციაში მოექცევა, შესაბამისად, მხოლოდ მეგრულშია მოსალოდნელი ნულოვანი ალომორფი ინტერვოკალურ პოზიციაში: ქო-Ø-იძირუ-Ø < ქო-გ-იძირუ-ნ „გინახავს“.

I თურმეობითი:

RS /მ-/ო/გ-/ო/Ø-/ ~ RO[I,II,III]/-ნ/

მეგრ.:

მ-იძირუ-Ø<	მიძირუნ	მა თინა	მინახავს	მე ის
გ-იძირუ-Ø<	გიძირუნ	სი თინა	გინახავს	შენ ის
Ø-უძირუ-Ø<	უძირუნ	თის თინა	უნახავს	მას ის

ლაზ.:

მ-იძირამუ-ნ	მა ჰეა	მინახავს	მე ის
გ-იძირამუ-ნ	სი ჰეა	გინახავს	შენ ის
Ø-უძირამუ-ნ	ემუს ჰეა	უნახავს	მას ის

II თურმეობითი:

RS /მ-/ო/გ-/ო/Ø-/ ~ RO[I,II,III]/-უ/

მეგრ.:

მ-იძირუდ-უ	მა თინა	მენახა	მე ის
გ-იძირუდ-უ	სი თინა	გენახა	შენ ის
Ø-უძირუდ-უ	თის თინა	ენახა	მას ის

ლაზ.:

მ-იძირამუტ-უ	მა ჰეა	მენახა	მე ის
გ-იძირამუტ-უ	სი ჰეა	გენახა	შენ ის
Ø-უძირამუტ-უ	ემუს ჰეა	ენახა	მას ის

III კავშირებითი:

RS /მ-/ო/გ-/ო/Ø-/ ~ RO[I,II,III]/-ს/

მეგრ.:

მ-იძირუდა-ს	მა თინა	მენახოს	მე ის
გ-იძირუდა-ს	სი თინა	გენახოს	შენ ის
Ø-უძირუდა-ს	თის თინა	ენახოს	მას ის

ლაზ.:

მ-იძირამუტა-ს	მა ჰეა	მენახა	მე ის
გ-იძირამუტა-ს	სი ჰეა	გენახა	შენ ის
Ø-უძირამუტა-ს	ემუს ჰეა	ენახა	მას ის

III პირობითში გამოყენებულია II თურმეობითის მოდელი, რომელიც გართულებულია

მწკრივის მაწარმოებელი -კო(ნ) სუფიქსით: მიძირუდუკო „რომ მენახა“.

გარდაუვალ ზმნებში ინვერსიული ფორმები გვაქვს აწმყოს წრის პარადიგმებში, შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილი სამივე მოდელი ასე გადაწილდება:

აწმყო: RS /მ-/ო/გ-/ო/Ø-/ ~ RO[I,II,III]/-ნ/;

უწყვეტელი: RS /მ-/ო/გ-/ო/Ø-/ ~ RO[I,II,III]/-უ/;

მყოფადი: RS /მ-/ო/გ-/ო/Ø-/ ~ RO[I,II,III]/-ს/.

შევნიშნავთ, რომ რეალური სუბიექტი წარმოდგენილი იქნება ობიექტური პირის ალომორფებით ჰომოგენურობის პრინციპით. გარდა ამისა, მედიოპასიურ ზმნათა ერთ ჯგუფში აწმყოში მოდელი შეიცვლება იმით, რომ რეალური ობიექტის ნიშნად გვექნება /-ს/ სუფიქსი: RS /მ-/ო/გ-/ო/Ø-/ ~ RO[I,II,III]/-ს/.

წარმოვადგენთ აწმყოს პარადიგმებს:

მეგრ.:

მ-ოჭირ-ს/ც	მა თინა	მჭირს მე ის	ბ-ჯოგუ-Ø	მა თინა მძულს მე ის
გ-ოჭირ-ს/ც	სი თინა	გჭირს შენ ის	რ-ჯოგუ-Ø	სი თინა გძულს შენ ის
Ø-ოჭირ-ს/ც	თის თინა	სჭირს მას ის	Ø-ჯოგუ-Ø -	თის თინა სძულს მას ის

ლაზ.:

მ-ჯოხონ-ს	მა ჰეა	მქვია მე ის
გ-ჯოხონ-ს	სი ჰეა	გქვია შენ ის
Ø-ჯოხონ-ს	ემუს ჰეა	ჰქვია მას ის

ლაზურში რეალური სუბიექტის მრავლობითობა ზმნაში გამოხატულია -ან სუფიქსით აწმყო-მყოფადის მწკრივში, -ეს სუფიქსით ნამყოს მწკრივებში; კავშირებითი მოსალოდნელია -ნ სუფიქსის დართვა: ულუტ-ან „ჰქონდეთ“, აშქუინ-ან „შეეშინდეთ“...

მრავლობით რიცხვში რელატიურ-სტატკურ ზმნებში ინვერსიული წყობა უფრო მყარია, ვიდრე მხოლოობითში.

გ. კარტოზიას აზრით, ლაზურში ინვერსიულ ზმნებთან „ნაირიბალი პირმიუმართავი ობიექტის მიცემითი დასმის შემთხვევები“ სრულ ანალოგიას პოვებს ძველ ქართულში დადასტურებულ მოვლენასთან: „მესამე სერიის მწკრივებში ნაირიბალი პირმიუმართავი ობიექტი სპორადულად მიცემითშია დასმული“, როგორც ქართულში, ასევე ლაზურშიც ეს პროცესი გვიანდელი ჩანს [კარტოზია, 1968, 144-145].

ჩვენი აზრით, ამის დასტურად მრავლობითის ფორმებიც გამოდგებოდა. ვფიქრობთ, რომ მრავლობითობის -ან, -ეს, -ნ სუფიქსების არსებობა ზმნაში ძლიერი არგუმენტია ინვერსიული წყობის შესანარჩუნებლად, რადგანაც, ფაქტია, რომ ქართულშიც და მეგრულ-ლაზურშიც ინვერსიის პროცესი დასრულდა მაშინ, როცა ის გრამატიკულადაც გაფორმდა ენაში, ანუ ზმნის ფორმაში გაიჩინა თავისი წარმომადგენელი მრავლობითობის სუფიქსის სახით [მელიქიშვილი, 1978; ჯორბენაძე, 1981].

ლაზურში, სადაც მიცემითი ბრუნვის ფუნქციები მინიმალურია და საუკუნეთა მან-

მიღზე არამონათესავე (ბერძნული, თურქული) ენების ძლიერ ზეწოლას განიცდიდა, ბუნებრივი იქნებოდა, რომ არა თუ რელატიურ-გარდაუვალ ზმნებს შეენარჩუნებინათ ნომინატიური კონსტრუქცია, არამედ რელატიურ-გარდამავალი ზმნებიც გადასულიყვნენ ნომინატიურ კონსტრუქციაზე, მაგრამ ეს პროცესი არ მოხდა. პირიქით, ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა განაპირობებს კონსტრუქციის შენარჩუნებასაც. რელატიურ-სტატიკურ ზმნებში დამკვიდრებული მოდელი **RS**-ის რიცხვის გამოხატვისა საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა. ამ მოდელის თანახმად, **RS₃**-ის მრავლობითობის გამომხატველი ფორმანტები ანალოგიით გადავიდა პირველსა და მეორე პირში.

მაგალითები:

ა) RS₁-ის რიცხვის აღნიშვნა ლაზურში:

-ან სუფიქსიანი ფორმები:

ანთეფე ოხორის **მინონან...** (ყიფ. I, 10, 11-8) „ესენი სახლში გვინდა“; კაბათი ხვალა ჩქინ ვა **მილუნან** (კარტ. 1972, 45, 23) „ღვინო მარტო ჩვენ არა გვაქვს“; მსქიბუს ჩქი კოჩი მითი ვა **მიყოლან** (ასათ. 123, 73-22) „წისქვილში ჩვენ კაცი არავინ არა გვყავს“; ჩქუ ჰადა ვარ **მაჰკომენან** (ჟღ. 56, 9) „ჩვენ ეს არ გვექმევა“; ეკონაი ჭიათი მომჩი, მუკო ნა ანდლა ოხორის **დომიბალუნან** (კარტ. 1968, 172, 12) „იმდენი („იმდენი ფასი“) მომეცი, რამდენიც დღეს შინ გვეყოფა“; ჩქუ გუი ვა **მომალემან!** (ჩიქ. II, 66, 7) „ჩვენ გული არ მოგვდის“; ჩქუ ვეზირიშა **მაშქურნაფუნან** (ყიფ. 31, 5) „ჩვენ ვეზირისა გვეშინია“; ხოჯაქ მუ თქვასერე, შქუ ვა **მაჯერენან!** (ჩიქ. II, 88, 8) „ხოჯამ რაც უნდა თქვას, ჩვენ არ გვჯერა“; სანქის ვა **მახორონენან** (ჩიქ. I, 50, 9) „...არ გვეცეკვება“.

-ეს სუფიქსიანი ფორმები:

ჩქინ ყონა **მილუტეს** (ასათ. 207, 119, 12) „ჩვენ ყანა გვექონდა“; ეგერ ბაბა ჩქიმი ვა რტუკონ-ნა, უშქიი ჰიჩ ვა **მაჰკომეტეს** (ჩიქ. I, 67, 23) „მამაჩემი რომ არ ყოფილიყო, ვაშლს ვერ შევჭამდით („ვერ შევძლებდით ჭამას“)“; ჰაწი არ შეი **გომოყკონდეს** ჰე ქარმატეში, ჰე-თი დოფთქვათ! (ჩიქ. II, 61, 17) „ახლა ერთი რამ დაგვაავიწყდა წისქვილზე, ისიც ვთქვათ“; ჩქუნ ჰაშო **მემაჭიკირეს** (ჟღ. 3, 25) „ჩვენ ასე მოგვაფიქრდა“; სოლუნი გადრი **მამშქორინეს** (ყიფ. 32, 16) „...საჭმელი მოგვშივდა“...

ბ) RS₂-ის რიცხვის გამოხატვა ზმნაში:

ჰეშო **მეგომსქუნან** ზენგინეფეს (ჟღ. 56, 17) „ასე მოგიხდებათ მდიდრებს!“ კულანეფე-ჩქიმი, ნანათქვანი ვორე, ვა **გაშქუნან** (ასათ. 1968, 114, 31) „ჩემო შვილებო, დედათქვენი ვარ, ნუ გეშინიათ“; სო რენ, სო **გონუნან?** (ჟღ. 17, 27) „სად არის, სად გყავთ“; ჩქიმი ხალი თქვან ვა **გიჩქინან** (კარტ. 1972, 13, 29) „ჩემი მდგომარეობა თქვენ არ იცით“; ნგაჰი **გინონან-ი?**-და მკითხეს (დიუმ. 164, LIV-6) „საჭმელი გინდათო?“ – მკითხეს“; ჯუშალეფე-თი **ქოგაჰკომენან** (ასათ. 156, 98-36) „ძმებიც შემოგეჭმევათ“...

ამრიგად, ლაზურში რელატიურ-სტატიკურ ზმნათა მრავლობითის წარმოების მოდელი ასეთია: როდესაც **RO** მესამე პირია და მასთან კომბინაციაში შემოდის **RS₁, RS₂, RS₃** – სამსავე შემთხვევაში **RS**-ის რიცხვი აღინიშნება ერთი და იმავე აფიქსით: **-ან** მორფემით აწმყო დროის მწკრივებში; **-ეს** სუფიქსით – ნამყო დროის მწკრივებში, **-ნ** სუფიქსით – კავშირებითში.

ეს მოდელი ვრცელდება მთლიანად მეგრულზეც. მოვიყვანთ **მეგრულის** საილუსტრაციო მასალას:

ა) RS-ის მრავლობითობის გამოხატვა.

აწმყო-მყოფადში -ან > ა სუფიქსით:

I პირი:

ოქკომალი ირფელი მიღუნანია (ხუბ. 150, 18) „საჭმელი ყველაფერი გვაქვსო“; სი ვარია, ჩქითი ქომიჭირანია (ყიფ. 27-20) „შენ კი არა, ჩვენც გვიჭირსო“; ჟირი დღას შურ(ი) მიდგენა დო ხოლო ართიან(ი) ვა მოცოდენა (სამ. 62, 46-33) „ორი დღე სული გვიდგას და ერთმანეთი კი არ გვეცოდება“; თენა ირკოც ბჯოგენა (სამ. 16, 11-6) „ეს ყველას გვბულს“; ხემა ვადმახვარხვალენა ხუჯ თოფიში ტახილეფი (ტ. I, 279, 395-11) „ხელს ვერ ვანძრევთ („არ შეგვეძლება განძრევა“) თოფით მხარდატეხილები“...

II პირი:

გიოდვით სახელი, მუ გოკონანი (ხუბ. 26, 22) „დაარქვით სახელი, რაც გინდათ“; თით შეგილებუნა ასე დემორჩილათიე (ხუბ. 158, 3) „ისიც შეგიძლიათ, ახლა დაემორჩილოთ“; თქვა ვა გოსქუნა ჩქიმი ნჯარება (სამ. 63, 46-54) „თქვენ არ გმვენით ჩემი გამოჯავრება“; ჩელა, ბუსქა, მუ გიჭირა, კოლექტივი მინჯეთ რქუნა (ტ. I, 36, 63-13, 14) „ჩელა, ბუსკა რა გიჭირთ, კოლექტივი გყავთ პატრონად“; აღმასეფი გიცორა დო ვართ ხვარენთი მანჯანეფს (ტ. I, 113, 202-31) „აღმასეფი გიყვართ და არც კადრულობთ („ხმარობთ“) მარჯნებს“...

III პირი:

დასურო ჩქიმი გურიჭუა ქულუნანდა (ხუბ. 35, 32) „თუ მართლა ჩემი გულისტკივილი აქვთ“; მუ ოჭირნანი ვა მიჩქ... (სამ. 87, 63-57) „რა სჭირთ, არ ვიცი...“ ძღაბენს ქომონჯ ვაშიბუნა (ტ. I, 238, 33-3) „გოგოებს ქმარი ვერ უშოვიათ“; ონარღენა დალეფს (ხუბ. 135, 14) „ენაღვლებათ დებს“...

ბ)RS-ის რიცხვის გამოხატვა -ეს სუფიქსით:

უწყვეტილი:

I პირი:

სქუა ჩქ ვაპუნდეს (ხუბ. 93, 30) „ჩვენ შვილი არ გყავდა“; თე ჩქიმი ჯიმა დინგდენ მიჩქედესია (ხუბ. 106, 37) „ეს ჩემი ძმა დაიკარგებოდა, გვეგონაო“; სახორციელესია ხოლო ბჯოგუდესია ჩქია ართიანია (ხუბ. 111, 31) „სიცოცხლეშიც გვბულდაო ჩვენო ერთმანეთი“; ჩქია სახორციელესია ხოლო თაში მიცორდეს ართიანია (ხუბ. 111, 28) „ჩვენ სიცოცხლეშიც ასე გვიყვარდა ერთმანეთი“...

III პირი:

მუჭო მუნეფს აშქიდირუაფუდესენი თეში (ხუბ. 33, 4) „როგორც მათ ეკადრებოდათ ისე“; მარა პაპაში უმუშოთ ხვამა ვემულებუდესე (სამ. 92, 66-13) „მაგრამ მღვდლის გარეშე ლოცვა არ შეეძლოთ“; ინეფიში სახენწფოში დიხაშა კუჩხიში გედგემაშათი ოშქურუდესე (ყიფ. 81, 31) „იმათ სახელმწიფოში მიწაზე ფეხის დადგმისაც ეშინოდათ“; გრანიცეფიშა პარახოდეფი გილალედესე (ყიფ. 3, 15) „საზღვარგარეთ ხომალდები დაუდიოდათ“...

წყვეტილი:

I პირი:

ვეგელუდი დო ქ მორთიე, მახიოლესია (ხუბ. 39, 28) „არ გელოდი და რომ მოხვედი, გაგვიხარდაო“...

III პირი:

ექ **ეწყინეს** უჩაში დალენს (ხუბ. 61, 18) „ეს ეწყინათ უფროს დებს“; ქიმერთუნ, **ახი-ოლეს** (ხუბ. 45, 12) „რომ მივიდა, გაუხარდათ“, ბოლოს **გეურჩქინდეს** ართ ოსურსქუაქ (ხუბ. 138, 29) „ბოლოს გაუჩნდათ ერთი ქალიშვილი“; ულა დროს ოშქარი დო უკულაში **ჯიმალენქ(!)** მუმაში ნარაგად **ქეგააშინესგ** (ყიფ. 79, 15) „მერე წასვლის დროს შუათანა და უმცროსმა ძმებმა მამის ნათქვამი გაახსენეს“...

RS-ის მრავლობითობა კავშირებითში **-ნ** სუფიქსით არის მარკირებული. მაგ.:

გიყორდ-ა-ნ-ი ართიანი (ყიფ. 79, 6) „გიყვარდეთ ერთმანეთი“; **რწანდ-ა-ნ-ია** ართიანი (სამ. 90, 65-78) „გწამდეთო ერთმანეთის“; ათექ **ვაშქოყყორდ-ა-ნ...** (სამ. II, 5-39) „ეს არ დაგავიწყდეთ...“

ამრიგად, რელატიურ-სტატიკურ ზმნებში მიცემითი ბრუნვით გადმოცემული პირი ყოველთვის გამოხატავდა ადამიანს, პიროვნებას. ინვერსიის შედეგად, მიცემითი, როგორც პერსონალური პირი, ლოგიკურად, ფუნქციურად სუბიექტად იქნა გაგებული. შესაბამისად, **RS₃-მა** შეიძინა + პიროვნების ნიშანი.

შეიძლება ითქვას, რომ ინვერსიულ ზმნებში **RS₁, RS₂, RS₃** – თანაბარი ძალის მქონე პირებია, რომელთა მრავლობითობის გამოხატვაც ერთსა და იმავე მორფემას ეკისრება. შესაბამისად ინვერსიულ ზმნებში გვაქვს მხოლოდ ერთი სახის დაპირისპირება: **RS-RO**, ანუ სუბიექტისა და არასუბიექტის დაპირისპირებაში მრავლობით რიცხვში მხოლოდ სუბიექტია მარკირებული.

თუ გავითვალისწინებთ, რომ III სერიის გარდამავალი ზმნების ინვერსიული ფორმებიც ისტორიულად გარდაუვალ ზმნებადაა მიჩნეული [როგავა, 1975, 277; მელიქიშვილი, 1978; არაბული, 1984, 25-26], არაა მოულოდნელი, რომ **RS**-ის მრავლობითობის გამოხატვის მოდელი რელატიურ-სტატიკური ზმნებიდან გავრცელდა III სერიის ინვერსიულ გარდამავალ ზმნებზე. მოვიყვანთ საილუსტრაციო მასალას:

RS-ის რიცხვის აღნიშვნა III სერიის მწკრივებში:

I თურმეობითი:

-ან სუფიქსიანი ფორმები:

ხვალე ვორდითა დო კოჩი **ქიშებძინებუნანია** (ყიფ. 102, 1) „მარტო ვიყავით და კაცი შეგვეძინაო“; ჭურია დო კახეშ(ი) დუცუ **მიცხოვრებუნა** შხვაფარანც (სამ. 117, 78-42) „ჭურია და კახეს თავზე გვიცხოვრია ერთხანს“; აი, ჯიმაღურელი, მუზმა ხანც **ქენობრულუნანია** (ყიფ. 81, 22) „აი, ჩემო ძმაო („მამაკვდარო“) რამდენ ხანს გვძინებიაო“; აი ათენერი ხერხით **დუღორებუნა** (ყიფ. 12, 15) „ამგვარი ხერხით მოუტყუებიათ მგზავრები, ხარი სახლში მიუტანიათ და დრო უტარებიათ“; **ეუკინუნა** დო **დუუყვილუნა** ხოჯი (ყიფ. 12, 8) „ამდგარან და დაუკლავთ ხარი“; ართიმახ თე **ვეზირენს** ძალამი მუთუნი სამართალი **გუურჩქინუნანი** (ტ. II, 330, 19) „ერთხელ ამ ვეზირებს გვარიანი სამართალი რომ გაუჩენიათ“...

II თურმეობითი:

-ეს სუფიქსიანი ფორმები:

მეფეში **ოსურისკუალენს**, სუმს **მეძინაფუნა** ოქროში ბეჭედეფი (ტ. II, 326, 36). გიმასიზმარ, ღორონთემც **გეგმურთუმუდესი** თუდო (ტ. I, 23, 40-1) „დამესიზმრა, ღმერთები ჩამოსულიყვენენ ქვევით“; გორდემს მეურემეფი ვიშო **გოულახუდეს** (ტ. I, 232, 347-20) „ბაყაყებს მეურმეები იქით უცემიათ“; მეურემეფს ულუნა დო სუდის **უჩივლებუდეს** (ტ. I, 232, 347-22) „მეურმეებს უვლიათ და სასამართლოში უჩივლიათ“; ხაზინას **ქიგენტხაფუ-**

დეს, კარი გეგლუტახუდეს, ფარა გეგმულალუდეს, ნაზადი ქიგნაფახუდეს (ტ. I, 231, 347, 13-16) „ხაზინას თავს დასხმიან, კარი ჩამოემტვრიათ, ფული გამოეტანათ და ნაზადი წამოეფარათ“...

გ. კარტოზიას მიერ ლაზურის დიალექტების მიხედვით მოპოვებულ მასალაშიც გარდამავალი თუ გარდაუვალი ზმნების ინვერსიულ ფორმებში **RS**-ის მრავლობითობა გამოხატულია **-ან** და **-ეს** სუფიქსებით შესაბამის მწკრივებში. მაგალითებს მოვიყვანთ მისი მონოგრაფიიდან: „ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში“ (გვ. 99-102):

I თურმეობითი:

ქოდულუბღაფუნან „ჩაუყრიათ“ (კარტ. II, 306₁₁), **ქოდოგურაფუნან** „დაუსწავლიათ“ (კარტ. II, 306₁₅), **ქოდუდგიძუნან** „დაუდგამთ“ (კარტ. II, 306₁₃), **უზოპინუნან** „უთქვამთ“ (აჭარ. 104₂₆)...

II თურმეობითი:

დუკიდაფუტეს „აემნებინათ“ (ჩიქ. I, 146₁₉), **მიძიამუტეს** „გვენახა“ (= გვენახეთ)“ (კარტ. II, 156₃₈), **გაუხთიმუტეს** „ჩა(მო)სულიყვენენ“ (კარტ. I, 203₂₄).

ათინურ-ართაშენულში **-ეს > -ე** ვარიანტიც არის წარმოდგენილი: **უზირამუტე** „ენახათ“ (კარტ. II, 205₁₆).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მეგრულ-ლაზურში მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის გამოხატვის მოდელი კარგად წარმოაჩენს რიცხვის კავშირს პერსონალური პირის კატეგორიასთან. ინვერსიის განხორციელების გადამწყვეტი ფაქტორი გახდა პერსონალური პირის რაობა, რითაც ვლინდება კიდევ ენის ეგოცენტრულობა.

ინვერსიულ ზმნებში რიცხვის გამოხატვის ზანური მოდელი ასე შეიძლება ჩავწეროთ:

RS [I, II, III] =/-ან-ეს-ნ-ნ/.

მეგრულში ინვერსიულობა რელატიურ-სტატიკურ ზმნებში ერთ თავისებურებასაც წარმოაჩენს. რეალური ობიექტის (მორფოლოგიური სუბიექტის) მრავლობითობის გამოხატვისას მხოლოდ ერთი მოდელი მოქმედებს განურჩევლად პირთა კომბინაციებისა. სქემატურად წარმოვადგენთ მაგალითებს:

RO ^{pl} ₁	სი ჩქი გიცორ-თ	შენ ჩვენ გიყვარვართ
	თის ჩქი ვუცორ-თ	მას ჩვენ ვუყვარვართ
RO ^{pl} ₂	მა თქვა მიცორ-თ	
	თის თქვა უცორ-თ	მე თქვენ მიყვარხართ
		მას თქვენ უყვარხართ
RO ^{pl} ₃	მა თინეფ მიცორს	მე ისინი მიყვარს
	სი თინეფ გიცორს	შენ ისინი გიყვარს
	თის თინეფ უცორს	მას ისინი უყვარს.

როგორც ვხედავთ, **RO₃**-ის რიცხვი ამჯერადაც არ აღინიშნება, ხოლო **RO₁** და **RO₂**-ის მრავლობითი რიცხვი **-თ** სუფიქსით გამოხატება კომბინაციებში: **RS₁RO₂, RS₂RO₁; RS₃RO₁, RS₃RO₂**, ანუ **S₃**-ის ჩართვა არ იწვევს ობიექტის რიცხვის გამოხატვის (II) მოდელის ამოქმედებას.

ვფიქრობთ, ამას განაპირობებს რეალური სუბიექტის გამომხატველი სამივე პირის (I,

II, III) გათანაბრება + პიროვნების ნიშნით, რაც რეალური ობიექტის (მორფოლოგიური სუბიექტის) რიცხვის გამოხატვისას უფრო მეტად წინ წამოსწევს ენისთვის დამახასიათებელ სუბიექტურ ეგოცენტრიზმს – I და II RO რიცხვის გამოხატვისას ამოქმედდება მხოლოდ თ-ანიანი მოდელი.

მორფოლოგიური თუ რეალური ობიექტის რიცხვის გამოხატვის სისტემის ანალიზმა ალ. ონიანი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „საერთოქართველურში (აგრეთვე გარკვეულ საფეხურამდე ქართველურ ენებშიც) არასავალდებულო პირთა [ე. ი. ობიექტურ პირთა] რიცხვი სეგმენტური მორფოლოგიური ერთეულით არ აღინიშნებოდა; სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასავალდებულო პირთა მრავლობითობა მორფოლოგიურად არ იყო გამოხატული“ [ონიანი, 1978, 212]. რეალურად ობიექტის რიცხვის გამოხატვა სამსავე ქართველურ ენაში უკვე არსებული სისტემის მოდიფიკაციის გზით მოხდა.

II.1.5. სუბიექტა და ობიექტა კომბინაციები მეგრულ-ლაზურში.

ქართულის მსგავსად, სუბიექტა და ობიექტა კომბინაციები მეგრულ-ლაზურშიც განიხილება რელატიური ზმნების მიხედვით. სწორედ კომბინაციათა სიმრავლე განსაზღვრავს მწკრივის კატეგორიას. ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, ქართული ენის რელატიური ზმნის უღლების პარადიგმაში ერთი მწკრივის შიგნით დასაშვებია 28 ფორმა, ანუ სუბიექტისა და ობიექტის 28 კომბინაცია. თუმცა რეალურად საუბარია 18 გრამატიკულ ფორმაზე მწკრივის ფარგლებში [შანიძე, 1980, 227-231; ჩიქობავა, 1950].

თ. უთურგაიძის ფუნდამენტური ნაშრომის – „გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში“ – მიხედვით ცხადია, რომ 28-ვე ფორმას აქვს დამოუკიდებელ ერთეულად არსებობის უფლება, რადგან ფუნქციურად არცერთი მათგანი არ იმეორებს მეორეს. ეს ნათელი ხდება მაშინვე, როგორც კი თითოეული ფორმის ჩაწერისათვის დაშვებული იქნება პირისა და რიცხვის ნიშანთა ნულოვანი ალომორფი. მაგალითად, **გაქებთ** ფორმა, რომელიც ოთხ კომბინაციაში მეორდება, ოთხსავე შემთხვევაში განსხვავებულად ჩაიწერება:

$S_1O_2^P$	გაქებთ:	\emptyset -გ-აქებ-თ O^P
$S_3O_2^P$	გაქებთ:	გ-აქებ- \emptyset -თ O^P
$S_1^PO_2$	გაქებთ:	\emptyset -გ-აქებ-თ S^3
$S_1^PO_2^P$	გაქებთ:	\emptyset -გ-აქებ-თ S^P - $\emptyset O^P$

აქედან გამომდინარე, თ. უთურგაიძე პრინციპულად გამორიცხავს გრამატიკულ ფორმათა დამთხვევას, რადგან „ესა თუ ის გრამატიკული ფორმა თავის სტატუსს კონკრეტული პარადიგმის ფარგლებში იღებს და გადამწყვეტი არ არის მისი გამოხატულების პლანი. პარადიგმას შეუძლია მარკერის გაუქმებაც, მისთვის ფუნქციის შეცვლაც (სხვა პარადიგმასთან მიმართებით) და ბოლოს სპეციფიკური ფორმების შექმნა, სადაც კატეგორიალურ მარკერთა როლში ენობრივ ელემენტთა თავისებური დისტრიბუცია გვევლინება...“ [უთურგაიძე, 2002, 84-89].

სუბიექტთა და ობიექტთა შესაძლო კომბინაცია და მწკრივში ფორმათა რაოდენობა წარმოაჩენს მეგრულ-ლაზური ზმნის თავისებურებას: მორფემათა ზღვარზე მორფონოლოგიური გარდაქმნების შედეგად ჩნდება ე. წ. „დამთხვეული“ ფორმები. გრამატიკულ ომონიმას ხელს უწყობს პირისა და რიცხვის გამოხატვის ის სისტემა, რაც მეგრულ-ლაზურისთვისაა დამახასიათებელი.

ცნობილია, რომ მეგრულ-ლაზურშიც გარდამავალი ზმნა ორპირიანია ან სამპირიანი, ხოლო „სამპირიან ზმნაში პირუცველი ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი) ყოველთვის ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი. პირუცველი ობიექტი ყოველთვის მესამე პირია, მისი ადგილი არის პირცვალებადი ობიექტის ნიშნის მომდევნოდ“ (უთურგაიძე, 2002, 54).

მაშასადამე, პირთა კომბინაციათა რაოდენობის თვალსაზრისით, პირუცველი ობიექტი არაფერს არ ცვლის. გარდა იმისა, რომ სამპირიანი ზმნური ფორმის ჩაწერისას ჩნდება ∅ ნულოვანი მარკერი მესამე პირუცველი ობიექტისა.

არსებითად შემოვიფარგლებით ორპირიანი ფორმების ანალიზით განურჩევლად გარდამავლობისა, რადგან პირის ნიშანთა განაწილება დამოკიდებულია ფონოლოგიურ შეპირობებულობაზე.

პირველ რიგში, განვიხილავთ თანხმოვნით დაწყებული ზმნური ფუძეებისა და პირის და რიცხვის ნიშანთა კომბინაციებს. შევნიშნავთ, რომ ფუძისეული თანხმოვნის რაგვარობა ამჯერად არაარსებითია, რადგან კომბინაციებში გამეორდება ერთი კონკრეტული ალომორფი: **ვ- / ზ- / ფ- / პ-**.

იგივე ითქმის სხვა პირის მორფემებზეც. ცალ-ცალკე წარმოვადგენთ მეგრულისა და ლაზურის ფორმებს უღლების ცხრილებში. საანალიზოდ ავიღებთ წყვეტილის მწკრივს, რადგან შესაპირისპირებლად უფრო ნათელია, ვიდრე აწმყო, სადაც თემატური ნიშნებით განსხვავდებიან მეგრული და ლაზური, ასევე თვალში საცემია **-ქ** დაბოლოება მეგრულის I და II პირის ფორმებში. თუმცა ჩამოთვლილი არც ერთი ფაქტორი არ განსაზღვრავს კომბინაციათა და დამთხვეულ თუ განსხვავებულ ფორმათა რაოდენობას მწკრივის შიგნით.

მეგრული: **ზ-გორი** „ვ-ძებნე“

O	1	2	3	1 ^P	2 ^P	3 ^P
		რ-გორი „გძებნე“	ზ-გორი „ვძებნე“		რ-გორი-თ „მოგძებნეთ“	ზ-გორი „ვძებნე“
	ზ-გორი „მძებნე“		გორი „ძებნე“	ზ-გორი-თ „გვძებნეთ“		გორი „ძებნე“
	ზ-გორ-უ „მძებნა“	რ-გორ-უ „გძებნა“	გორ-უ „ძებნა“	ზ-გორ-ეს „გვძებნა“	რ-გორ-ეს „მოგძებნეს“	გორ-უ „ძებნა“
P		რ-გორი-თ „გძებნეთ	ზ-გორი-თ „ვძებნეთ“		რ-გორი-თ „მოგძებნეთ“	ზ-გორი-თ „ვძებნეთ“
P	ზ-გორი-თ „მძებნეთ“		გორი-თ „ძებნეთ“	ზ-გორი-თ „გვძებნეთ“		გორი-თ „ძებნეთ“
P	ზ-გორ-ეს „მძებნეს“	რ-გორ-ეს „გძებნეს“	გორ-ეს „ძებნეს“	ზ-გორ-ეს „გვძებნეს“	რ-გორ-ეს „მოგძებნეს“	გორ-ეს „ძებნეს“

ცხრილი 1

ლაზური: ბ-ძირი „ვნახე“

0	1	2	3	1 ^P	2 ^P	3 ^P
		გ-ძირი „ვნახე“	ბ-ძირი „ვნახე“		გ-ძირი-თ „ვნახეთ“	ბ-ძირი „ვნახე“
	მ-ძირი „მნახე“		ძირი „ნახე“	მ-ძირი-თ „გვნახე“		ძირი „ნახე“
	მ-ძირ-უ „მნახა“	გ-ძირ-უ „ვნახა“	ძირ-უ „ნახა“	მ-ძირ-ეს „გვნახა“	გ-ძირ-ეს „ვნახათ“	ძირ-უ „ნახა“
^P		გ-ძირი-თ „გვნახეთ“	ბ-ძირი-თ „ვნახეთ“		გ-ძირი-თ „გვნახეთ“	ბ-ბირი-თ „ვნახეთ“
^P	მ-ძირი-თ „მნახეთ“		ძირი-თ „ნახეთ“	მ-ძირი-თ „გვნახეთ“		ძირი-თ „ნახეთ“
^P	მ-ძირ-ეს „მნახეს“	გ-ძირ-ეს „ვნახეს“	ძირ-ეს „ნახეს“	მ-ძირ-ეს „გვნახეს“	გ-ძირ-ეს „ვნახეს“	ძირ-ეს „ნახეს“

ცხრილი 2

ორივე ცხრილში წარმოდგენილია გარდამავალი ორპირიანი ზმნის 28 ფორმა, რომლებიც განსხვავებულ კომბინაციას გვაძლევს. ამ 28 ფორმიდან რამდენიმე მეორდება სხვადასხვა კომბინაციაში, ხოლო რამდენიმე თითო კომბინაციაშია წარმოდგენილი. კომბინაციების მიხედვით თუ შევაპირისპირებთ ფორმებს, ასეთ სურათს მივიღებთ:

კომბინაცია	მეგრული	ლაზური
(1) S ₁ O ₃ S ₁ O ₃ ^P	ბ-გორი	ბ-ძირი
(2) S ₂ O ₁	ბ-გორი	მ-ძირი
(3) S ₁ O ₂	რ-გორი	გ-ძირი
(4) S ₂ O ₃ S ₂ O ₃ ^P	გორი	ძირი
(5) S ₃ O ₁	ბ-გორ-უ	მ-ძირ-უ
(6) S ₃ O ₂	რ-გორ-უ	გ-ძირ-უ
(7) S ₃ O ₃ S ₃ O ₃ ^P	გორ-უ	ძირ-უ
(8) S ₂ O ₁ ^P S ₂ ^P O ₁ S ₂ ^P O ₁ ^P	ბ-გორ-ი-თ	მ-ძირ-ი-თ
(9) S ₁ ^P O ₃ S ₁ ^P O ₃ ^P	ბ-გორ-ი-თ	ბ-ძირ-ი-თ
(10) S ₁ O ₂ ^P S ₁ ^P O ₂ S ₁ ^P O ₂ ^P	რ-გორ-ი-თ	გ-ძირ-ი-თ
(11) S ₂ ^P O ₃ S ₂ ^P O ₃ ^P	გორ-ი-თ	ძირ-ი-თ
(12) S ₃ O ₁ ^P S ₃ ^P O ₁ S ₃ ^P O ₁ ^P	ბ-გორ-ეს	მ-ძირ-ეს
(13) S ₃ O ₂ ^P S ₃ ^P O ₂ S ₃ ^P O ₂ ^P	რ-გორ-ეს	გ-ძირ-ეს
(14) S ₃ ^P O ₃ S ₃ ^P O ₃ ^P	გორ-ეს	ძირ-ეს

ამ 14 ფორმიდან მეგრულში (2) იმეორებს (1)-ს, ხოლო (9) იმეორებს (8)-ს. შესაბამისად, მეგრულში მწკრივის მიხედვით გვაქვს 12 განსხვავებული ფორმა, ხოლო ლაზურში – 14 განსხვავებული ფორმა. სხვაობის მიზეზია ობიექტური პირის ნიშანი: როგორც ტა-

ბულა 3 გვიჩვენებს, ლაზურში O_1 -ის მორფემა „არ ემორჩილება“ ჰომოგენურობის პრინციპს განსხვავებით მეგრულისგან, სადაც მ- პრეფიქსი ბ- ალომორფს გვაძლევს მჟღერი თანხმობის წინ, რითაც ის ემთხვევა S_1 -ის ალომორფს (იხ. ტაბ. 1). მაშასადამე, ბ-გორი (1) და (2) კომბინაციებში ფუნქციურად განსხვავებულია:

ბ-გორი	მა თინა	ვ-ძებნე	მე ის
ბ-გორი- \emptyset	მა თინეფი	ვ-ძებნე- \emptyset	მე ისინი
\emptyset -ბ-გორი	სი მა	\emptyset -მ-ძებნე	შენ მე

როგორც კი ნულოვანი ალომორფებით აღინიშნა სუბიექტისა და ობიექტის პირისა და რიცხვის ნიშნები, მაშინვე ცხადი გახდა სხვაობა, ერთი მხრივ, ბ-გორი ~ ბ-გორი- \emptyset ფორმებს შორის, მეორე მხრივ, ბ-გორი ~ \emptyset -ბ-გორი ფორმებს შორის, მესამე მხრივ, ბ-გორი- \emptyset ~ \emptyset -ბ-გორი ფორმებს შორის. ესაა დაპირისპირება ობიექტის რიცხვის (ა), პირების (ბ), რიცხვისა და პირის (გ) მიხედვით.

იგივე ვითარებაა (8) და (9) კომბინაციების შემთხვევაშიც:

\emptyset -ბ-გორი-თ ^P	სი ჩქი	\emptyset -გვ-ძებნე	შენ ჩვენ
\emptyset -ბ-გორი-თ ^S	თქვა მა	\emptyset -მ-ძებნე-თ	თქვენ მე
\emptyset -ბ-გორი-თ ^S - \emptyset ^P	თქვა ჩქი	\emptyset -გვ-ძებნე-თ- \emptyset	თქვენ ჩვენ
ბ- \emptyset -გორი-თ	ჩქი თინა	ვ- \emptyset -ძებნე-თ	ჩვენ ის
ბ- \emptyset -გორი-თ ^S - \emptyset ^P	ჩქი თინეფი	ვ- \emptyset -ძებნე-თ- \emptyset	ჩვენ ისინი.

აღსანიშნავია, რომ ამ კომბინაციების შესატყვის ქართულ ფორმებში მხოლოდ ერთი ფორმა მეორდება ორ კომბინაციაში: **ვძებნეთ ჩვენ ის** და **ვძებნეთ ჩვენ ისინი**. სხვა კომბინაციებში განსხვავებული ფორმები გვაქვს, რაც გვიჩვენებს მეგრულ-ლაზურში პირისა და რიცხვის გამოხატვის განსხვავებულ სისტემას.

მეგრულში განსხვავებული ფორმა თითო-თითო კომბინაციით წარმოდგენილია 3 შემთხვევაში; ესენია:

S_1O_2	–	რ-გორი
S_3O_1	–	ბ-გორ-უ
S_3O_2	–	რ-გორ-უ

ლაზურში – 4 შემთხვევაში:

S_2O_1	–	მ-ძირი
S_1O_2	–	გ-ძირი
S_3O_1	–	მ-ძირ-უ
S_3O_2	–	გ-ძირ-უ.

დანარჩენ კომბინაციებში ერთნაირად მეორდება ფორმები მეგრულსა და ლაზურში გარდა (8) და (9) შემთხვევებისა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მეგრულსა და ლაზურში მწკრივის ფარგლებში გვაქვს შესაბამისად 12 და 14 განსხვავებული ფორმა. რაოდენობრივი სხვაობა არის შედეგი O_1 -ის მორფემის განსხვავებული მორფონოლოგიური ქცევისა მეგრულსა და ლაზურში.

როგორც ტაბულებიდან ჩანს, ხმოვნისწინა პოზიციაში **S**-ისა და **O**-ის ნიშნები წარმოდგენილია ძირითადი მორფემით (იხ. ტაბ. 1, 3, 4).

გამონაკლისია ლაზური, სადაც **S**₁-ის **ვ**- და **ბ**- ალომორფები დიალექტების მიხედვით ნაწილდება. საინტერესოა, ასეთ შემთხვევაში იცვლება თუ იგივე რჩება განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა მწკრივის მიხედვით. მაგალითისთვის ვაუღლებთ მეგრულ **ვ-ა-კეთ-ი** „გავაკეთე“ და ლაზურ **ვ-ო-ლოდ-ი** „გავაკეთე“ ზმნებს.

მეგრული: **(გა)²-გ-ა-კეთ-ი** „(გა)-გ-ა-კეთ-ე“

○ S	1	2	3	1P	2P	3P
1		(გა)-გ-ა-კეთ-ი -გაგაკეთე“	(გა)-გ-ა-კეთ-ი -გაგაკეთე“		(გა)-გ-ა-კეთ-ი-თ -გაგაკეთეთ“	(გა)-გ-ა-კეთ-ი -გაგაკეთე“
2	(გა)-მ-ა-კეთ-ი -გამაკეთე“		(გა)-ა-კეთ-ი > გაკეთი -გააკეთე“	(გა)-მ-ა-კეთ-ი-თ -გამგაკეთეთ“		(გა)-ა-კეთ-ი -გააკეთე“
3	(გა)-მ-ა-კეთ-უ -გამაკეთა“	(გა)-გ-ა-კეთ-უ -გაგაკეთა“	(გა)-ა-კეთ-უ > გააკეთუ -გააკეთა“	(გა)-მ-ა-კეთ-ეს -გამგაკეთეს“	(გა)-გ-ა-კეთ-ეს -გაგაკეთათ“	(გა)-ა-კეთ-უ -გააკეთა“
1P		(გა)-გ-ა-კეთ-ი-თ -გაგაკეთეთ“	(გა)გ-ა-კეთ-ი-თ -გაგაკეთეთ“		(გა)-გ-ა-კეთ-ი-თ -გაგაკეთეთ“	(გა)-გ-ა-კეთ-ი-თ -გაგაკეთეთ“
2P	(გა)-მ-ა-კეთ-ი-თ -გამაკეთეთ“		(გა)-ა-კეთ-ი-თ > გაკეთით -გააკეთეთ“	(გა)-მ-ა-კეთ-ით -გამგაკეთეთ“		(გა)-ა-კეთ-ი-თ -გააკეთეთ“
3P	(გა)-მ-ა-კეთ-ეს -გამგაკეთეს“	(გა)-გ-ა-კეთ-ეს -გაგაკეთეს“	(გა)-ა-კეთ-ეს > გაკეთეს -გააკეთეს“	(გა)-მ-ა-კეთ-ეს -გამგაკეთეს	(გა)-გ-ა-კეთ-ეს -გაგაკეთეს“	(გა)-ა-კეთ-ეს -გააკეთეს“

ცხრილი 3

* **გ-ა**-ზმნისწინის პარალელურად გვაქვს **გ-ო**-ზმნისწინი. **გ-ა**-ზმნისწინის დართვისას მორფემათა საზღვარზე წარმოიქმნება ხმოვანთმიმდევრობა და ხდება მათი შერწყმა: აა > ა. გო-ზმნისწინის დართვის შემთხვევაში მოსალოდნელია შემდეგი გარდაქმნები:

*გ-ო-გ-ა-კეთ-ი > გგ-გ-ა-კეთ-ი

*გ-ო-ა-კეთ-ი > გგ-ა-კეთ-ი > გაკეთი

ლაზური: **გზ-ოდოდი** „გაკეთე“

ს	1	2	3	1P	2P	3P
1		გ-ოდ-ი -გაკეთე	ბ/ვ-ოდ-ი -გაკეთე		გ-ოდ-ი-თ -გაკეთე	გზ-ოდ-ი
2	მ-ოდ-ი -მაკეთე		(დო)-ოდ-ი > დოდ-ი -გაკეთე	მ-ოდ-ი-თ -გაკეთე		(დო)-ოდ-ი -გაკეთე
3	მ-ოდ-უ -მაკეთა	გ-ოდ-უ -გაკეთა	(დო)-ოდ-უ > დოდ-უ -გაკეთა	მ-ოდ-ეს -გაკეთა	გ-ოდ-ეს -გაკეთა	(დო)-ოდ-უ -აკეთა
1P		გ-ოდ-ი-თ -გაკეთე	გზ-ოდ-ი-თ -გაკეთე		გ-ოდ-ი-თ -გაკეთე	გზ-ოდ-ი-თ -გაკეთე
2P	მ-ოდ-ი-თ -მაკეთე		(დო)-ოდ-ი-თ > დოდ-ი-თ -გაკეთე	მ-ოდ-ი-თ -გაკეთე		(დო)-ოდ-ი-თ > დოდ-ი-თ -გაკეთე
3P	მ-ოდ-ეს -გამაკეთეს	გ-ოდ-ეს -გაკეთეს	(დო)-ოდ-ეს > დოდ-ეს -გაკეთეს	მ-ოდ-ეს -გაკეთეს	გ-ოდ-ეს -გაკეთეს	(დო)-ოდ-ეს -გაკეთეს

ცხრილი 4

* **დო-** ზმნისწინის დართვისას თავს იყრის ორი **ლ** და ხდება მათი შერწყმა: **ოდ > ო**.
 შევნიშნავთ, რომ ჩვენ შეგნებულად გვერდს ვუვლით ზმნისწინიან ფორმებს, რადგან ეს სისტემურ ანალიზს მოითხოვს, რაც სცილდება ამ თავში განსახილველ პრობლემატიკას. ზმნისწინის სისტემის სირთულე და მრავალფეროვნება ზანურში, განსაკუთრებით მეგრულში, საგანგებო კვლევის საგანია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზანურში ზმნისწინი არაა რომელიმე კატეგორიის / კატეგორიების აღმნიშვნელი მორფემა. ზმნისწინი უფრო ზეკატეგორიაა, ერთგვარი ტრანსლაცივი, რომელიც ზმნის მთელ სისტემას ფარავს (ეზუგბაია 2009).

მე-3 და მე-4 ცხრილებში წარმოდგენილი 28 საუღლებელი ერთეული კომბინაციებში გვაძლევს განსხვავებულ და დამთხვეულ ფორმებს. ისინი ასე გადანაწილდებიან:

კომბინაცია	მეგრული	ლაზური
(1) S_1O_2	გ-ო-ცქვ-ე „გაქე“	გ-ო-ლოდ-ი
(2) $S_2O_2^P S_1^P O_2 S_1^P O_2^P$	გ-ო-ცქვ-ე-თ „გაქეთ“	გ-ო-ლოდ-ი-თ
(3) $S_1O_3 S_1O_3^P$	ვ-ო-ცქვ-ე „ვაქე“	ვ/ზ-ო-ლოდ-ი
(4) $S_1^P O_3 S_1^P O_3^P$	ვ-ო-ცქვ-ე-თ „ვაქეთ“	ვ/ზ-ო-ლოდ-ი-თ
(5) S_2O_1	მ-ო-ცქვ-ე „მაქე“	მ-ო-ლოდ-ი
(6) $S_2O_1^P S_2^P O_1 S_2^P O_1^P$	მ-ო-ცქვ-ე-თ „მაქეთ“	მ-ო-ლოდ-ი-თ
(7) $S_2O_3 S_2O_3^P$	ო-ცქვ-ე „აქე“	ო-ლოდ-ი
(8) $S_2^P O_3 S_2^P O_3^P$	ო-ცქვ-ე-თ „აქეთ“	ო-ლოდ-ი-თ
(9) S_3O_1	მ-ო-ცქ-უ „მაქო“	მ-ო-ლოდ-უ
(10) S_3O_2	გ-ო-ცქ-უ „გაქო“	გ-ო-ლოდ-უ
(11) $S_3O_3 S_3O_3^P$	ო-ცქ-უ „აქო“	ო-ლოდ-უ
(12) $S_3O_1^P S_3^P O_1 S_3^P O_1^P$	მ-ო-ცქვ-ეს „მაქეს“	მ-ო-ლოდ-ეს
(13) $S_3O_2^P S_3^P O_2 S_3^P O_2^P$	გ-ო-ცქვ-ეს „გაქეს“	გ-ო-ლოდ-ეს
(14) $S_3^P O_3 S_3^P O_3^P$	ო-ცქვ-ეს „აქეს“	ო-ლოდ-ეს

როგორც ვხედავთ, ამჯერადაც მწკრივის შიგნით გამოიყოფა 14 განსხვავებული ფორმა არა მხოლოდ ლაზურში, არამედ მეგრულშიც. ფონოლოგიური გარდაქმნების შეზღუდვამ მოხსნა S_1 -ისა და O_1 -ის ალომორფთა დამთხვევა. შესაბამისად 14-ივე ფორმა იმავე კომბინაციებშია წარმოდგენილი, როგორც 1-სა და მე-2 ცხრილში. მაგალითად, თითო კომბინაციაში წარმოდგენილი ფორმებით:

S_1O_2	გ-ო-ცქვ-ე „გაქე“	გ-ო-ლოდ-ი
S_2O_1	მ-ო-ცქვ-ე „მაქე“	მ-ო-ლოდ-ი
S_3O_1	მ-ო-ცქ-უ „მაქო“	მ-ო-ლოდ-უ
S_3O_2	გ-ო-ცქ-უ „გაქო“	გ-ო-ლოდ-უ

რეალურად იკვეთება საერთო სურათი სუბიექტთა და ობიექტთა კომბინაციებთან დაკავშირებით მეგრულ-ლაზურში. ხმოვნისწინა პოზიციაში პირის ნიშანთა განაწილების თვალსაზრისით არაფერი იცვლება მიუხედავად იმისა, ხმოვანი ელემენტი ქცევის ნიშანია, კაუზატივისა თუ გვარისა. თუმცა კომბინაციებში ცვლილება მოსალოდნელია რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით ვნებითი გვარის ორპირიან ფორმებში, სადაც III ირიბი ობიექტური პირის სიმრავლე აღინიშნება S_3 -ის რიცხვის ნიშნებით, როცა ის დაწყვილებულია მხოლოდობითი დასმულ S_3 სუბიექტურ პირთან (იხ. ტაბულა 5).

მაგალითისათვის, ავიღებთ მეგრ. **დგ-მ-ა-ჭკ-უ-ტ** ლაზ. **დო-მ-ა-ჭკ-უ-ჟ** „დამეწვა“ ზმნებს:

ს	1	2	3	1P	2P	3P
1	(დგ)-გ-ა-ჭკ-ი (დო)-გ-ა-ჭკ-ი „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ი (დო)-გ-ა-ჭკ-ი „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ი (დო)-გ-ა-ჭკ-ი „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ი (დო)-გ-ა-ჭკ-ი „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ი (დო)-გ-ა-ჭკ-ი „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ი (დო)-გ-ა-ჭკ-ი „დაგეწვი“
2	(დგ)-მ-ა-ჭკ-ი (დო)-მ-ა-ჭკ-ი „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ი (დო)-მ-ა-ჭკ-ი „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ი (დო)-მ-ა-ჭკ-ი „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ი (დო)-მ-ა-ჭკ-ი „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ი (დო)-მ-ა-ჭკ-ი „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ი (დო)-მ-ა-ჭკ-ი „დამეწვი“
3	(დგ)-გ-ა-ჭკ-უ (დო)-გ-ა-ჭკ-უ „დაგეწვა“	(დგ)-გ-ა-ჭკ-უ (დო)-გ-ა-ჭკ-უ „დაგეწვა“	(დგ)-გ-ა-ჭკ-უ (დო)-გ-ა-ჭკ-უ „დაგეწვა“	(დგ)-გ-ა-ჭკ-უ (დო)-გ-ა-ჭკ-უ „დაგეწვა“	(დგ)-გ-ა-ჭკ-უ (დო)-გ-ა-ჭკ-უ „დაგეწვა“	(დგ)-გ-ა-ჭკ-უ (დო)-გ-ა-ჭკ-უ „დაგეწვა“
1P	(დგ)-გ-ა-ჭკ-ით (დო)-გ-ა-ჭკ-ით „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ით (დო)-გ-ა-ჭკ-ით „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ით (დო)-გ-ა-ჭკ-ით „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ით (დო)-გ-ა-ჭკ-ით „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ით (დო)-გ-ა-ჭკ-ით „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ით (დო)-გ-ა-ჭკ-ით „დაგეწვი“
2P	(დგ)-მ-ა-ჭკ-ით (დო)-მ-ა-ჭკ-ით „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ით (დო)-მ-ა-ჭკ-ით „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ით (დო)-მ-ა-ჭკ-ით „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ით (დო)-მ-ა-ჭკ-ით „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ით (დო)-მ-ა-ჭკ-ით „დამეწვი“	(დგ)-მ-ა-ჭკ-ით (დო)-მ-ა-ჭკ-ით „დამეწვი“
3P	(დგ)-გ-ა-ჭკ-ის (დო)-გ-ა-ჭკ-ის „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ის (დო)-გ-ა-ჭკ-ის „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ის (დო)-გ-ა-ჭკ-ის „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ის (დო)-გ-ა-ჭკ-ის „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ის (დო)-გ-ა-ჭკ-ის „დაგეწვი“	(დგ)-გ-ა-ჭკ-ის (დო)-გ-ა-ჭკ-ის „დაგეწვი“

ცხრილი 5

* **დო-** ზმნისწინის გარდაქმნას -ჭკ- ფუძისეული ლაბიალი იწვევს: *დო-ა-ჭკ-ი > დე-ა-ჭკ-ი.

** მეგრულში S₃-ის ნიშნად უ-ს ბარალელურად შეიძლება იყოს ე ან ღ ნულოვანი ალომორფი, იხ. ტაბ. 2.

*** ლაზულში -ეს მორფმა შეიძლება იყოს წარმოდგენილი ალომორფებით: ეა, ეზ, ე (იხ. ტაბ. 5).

მე-5 ცხრილში მოცემული ფორმები კომბინაციების მიხედვით ასე გადანაწილდება:

კომბინაცია	მეგრული	ლაზური
(1) S_1O_2	გ-ა-ჭვ-ი	გ-ა-ჭვ-ი
(2) $S_1O_2^3$ $S_1P_0_2$ $S_1P_0_2^P$	გ-ა-ჭვ-ი-თ	გ-ა-ჭვ-ი-თ
(3) S_1O_3 $S_1O_3^S$	ვ-ა-ჭვ-ი	ვ/ზ-ა-ჭვ-ი
(4) $S_1P_0_3$ $S_1P_0_3^P$	ვ-ა-ჭვ-ი-თ	ვ/ზ-ა-ჭვ-ი-თ
(5) S_2O_1	მ-ა-ჭვ-ი	მ-ა-ჭვ-ი
(6) $S_2O_1^P$ $S_2P_0_1$ $S_2P_0_1^P$	მ-ა-ჭვ-ი-თ	მ-ა-ჭვ-ი-თ
(7) S_2O_3 $S_2O_3^P$	ა-ჭვ-ი	ა-ჭვ-ი
(8) $S_2P_0_3$ $S_2P_0_3^P$	ა-ჭვ-ი-თ	ა-ჭვ-ი-თ
(9) S_3O_1	მ-ა-ჭვ-უ/Ø	მ-ა-ჭვ-უ
(10) S_3O_2	ა-ჭვ-უ/Ø	ა-ჭვ-უ
(11) S_3O_3	ა-ჭვ-უ/Ø	ა-ჭვ-უ
(12) $S_3O_1^P$ $S_3P_0_1$ $S_3P_0_1^P$	მ-ა-ჭვ-ეს	მ-ო-ჭვ-ეს/ე/ეზ/ე
(13) $S_3O_2^P$ $S_3P_0_2$ $S_3P_0_2^P$	გ-ა-ჭვ-ეს	გ-ა-ჭვ-ეს/ე/ეზ/ე
(14) $S_3O_3^P$ $S_3P_0_3$ $S_3P_0_3^P$	ა-ჭვ-ეს	ა-ჭვ-ეს/ე/ეზ/ე

როგორც ჩანს, განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა იგივე დარჩა ლაზურსა და მეგრულში – 14 საუღლებელი ერთეული, მაგრამ მათი კომბინაციებში გადანაწილებისას ცვლილება შევიდა (11) და (14) კომბინაციებში. (11)-ში მოსალოდნელი ორი კომბინაციიდან S_3O_3 $S_3O_3^P$ ერთ-ერთი ($S_3O_3^P$) გადავიდა (14)-ში სწორედ O_3^P -ის რიცხვის გამოხატვის წესის გამო: კერძოდ, ა-ყვ-ეს ფორმა ასე შეიძლება ჩაიწეროს:

$S_3O_3^P$ ა-ჭვ-ეს: Ø-ა-ჭვ-Ø ^{S^P} -ეს ^{O^P}	თიქ თინეფს	და-ეწვა(თ) ის მათ
$S_3P_0_3$ ა-ჭვ-ეს: Ø-ა-ჭვ-ეს ^{S^P}	თინეფქ თის	დაეწვნენ ისინი მას
$S_3P_0_3^P$ ა-ჭვ-ეს: Ø-ა-ჭვ-ეს ^{S^P} -Ø ^{O^P}	თინეფქ თინეფს	დაეწვნენ ისინი მათ

ამ ცვლილების კვალდაკვალ თითო კომბინაციაში წარმოდგენილია არა 4, არამედ 5 ფორმა. ესენია:

S_1O_2	გ-ა-ჭვ-ი	
S_2O_1	მ-ა-ჭვ-ი	
S_3O_1	მ-ა-ჭვ-უ	(მეგრულში მოსალოდნელია მაჭვ/მაჭვ)
S_3O_2	გ-ა-ჭვ-უ	(მეგრულში: გაჭვ-/გაჭვ)
S_3O_3	ა-ჭვ-უ	(მეგრულში: აჭვ-/აჭვ)

შეიძლება ითქვას, რომ ხმოვნისწინა პოზიციის მიხედვით პირის ნიშანთა განაწილება ორპირიან გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში ერთნაირად ხდება. სხვაობას იწვევს ობიექტის რიცხვის გამოხატვის მოდელი: გარდამავალ ზმნებში III ობიექტურ პირს სიმრავლე არ აღენიშნება (არც ირიბისა და არც პირდაპირისა), ხოლო გარდაუვალ ზმნებში ირიბი ობიექტის რიცხვი S_3O_3 კომბინაციაში აღინიშნება. მიუხედავად ასეთი თვისებრივი ცვლილებისა, მთლიანობაში მწკრივის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა (14 ერთეული) იგივე რჩება.

ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ სუბიექტ-ობიექტთა კომბინაციაზე, როცა S_1 და O_1 , O_2 ნიშნები მოექცევა ინტერვოკალურ პოზიციაში. როგორც წესი, ეს ხდება:

- ა) ზმნისწინების დართვისას
- ბ) ქო დადასტურებითი ნაწილაკის დართვისას
- გ) ვა უარყოფითი ნაწილაკის დართვისას.

როგორც ცნობილია, ინტერვოკალურ პოზიციაში მეგრულ-ლაზურში ყოველთვის წარმოდგენილია O_1 -ის მ- მორფემა. ლაზურში ასევე ყოველთვის დასტურდება O_2 -ის გ- მორფემა, ხოლო მეგრულში გ- იკარგება -ი ხმოვნის წინ: **V-გ-ი** მიმდევრობისას, დანარჩენ შემთხვევებში გ- მორფემა იხმარება.

რაც შეეხება S_1 -ის ალომორფებს, ინტერვოკალურ პოზიციაში მეგრულში ძირითადად გვაქვს ვ- მორფემა. **V-ვ-უ** მიმდევრობისას, როგორც წესი, \emptyset ნულოვანი ალომორფი გვაქვს. ასევე **V-ვ-ო** მიმდევრობისას, თუ **V** წარმოადგენს ნაწილაკის ა ხმოვანს, პირის ნიშანი იკარგება, ხოლო **ო-ვ-ო** მიმდევრობისას დაჩნდება უ ალომორფი. ლაზურში კი დიალექტური სხვაობა აღინიშნება იმითაც, რომ ხოფურ კილოკავში ინტერვოკალურ პოზიციაში S_1 -ის ნიშანი იკარგება.

როგორც ვხედავთ, ინტერვოკალურ პოზიციაში პირის პრეფიქსები ფონოლოგიურადაა შეპირობებული, რაც აისახება საუღლებელ ერთეულებშიც. ჯერ გავანალიზოთ მეგრულის სასხვისო ქცევის ფორმები. როგორც წესი, ზმნისწინის დართვისას წარმოიქმნება **V-ვ-უ** და **V-გ-ი** მიმდევრობები, სადაც უ, ი სასხვისო ქცევის ნიშნებია, ხოლო **V** შეიძლება იყოს ნებისმიერი ხმოვანი ზმნისწინის შემადგენლობაში. წარმოვადგენთ უღლების ნიმუშებს. ამჯერად \emptyset ნულოვან მარკერს ჩავსვამთ S_1, S_2 და O_2 ნიშანთა ადგილას.

ბუნებრივია, ცხრილში წარმოვადგენთ სამპირიანი ზმნის უღლებას. როგორც წესი, ცხრილის შიგნით მოქცეულია პირცვალებადი ირიბი ობიექტი, ხოლო ცხრილის გარეთ დგას პირუცვლელი პირ. ობიექტი. მაგალითისათვის ავიღებთ შემდეგ ზმნას: *მო-გ-ი-ღ-ი > მო-იღი „მოგიტანე“, *მო-ვ-უ-ღ-ი > მო-უღი „მოვუტანე“.

ცხრილში წარმოდგენილი 28 ფორმა კომბინაციების მიხედვით ასე შეიძლება გადავანაწილოთ:

	კომბინაცია	მეგრ.
(1)	$S_1O_2^{ind}O_3^d$	მო-ღ-ი-ღ-ი < *მო-გ-ი-ღ-ი
(2)	$S_1O_3^{ind}O_3^d$ $S_1O_3^{indp}O_3^d$ $S_2O_3^{ind}O_3$ $S_2O_3^{indp}O_3$	<div style="display: flex; align-items: center;"> <div style="margin-right: 20px;"> <p>მო-ღ-უ-ღ-ი</p> <p>მო-ღ-უ-ღ-ი</p> </div> <div style="margin-right: 20px;"> <p>*მო-ვ-უ-ღ-ი</p> <p>მო-ღ-უ-ღ-ი</p> </div> </div>
(3)	$S_1O_2^{indp}O_3^d$ $S_1^3O_2^{ind}O_3^d$	მო-ღ-ი-ღ-ი-თ < *მო-გ-ი-ღ-ი-თ
(4)	$S_1P_3^{ind}O_3^d$ $S_1P_3^{indp}O_3^d$ $S_2P_3^{ind}O_3^d$ $S_2P_3^{p3}O_3^p$	<div style="display: flex; align-items: center;"> <div style="margin-right: 20px;"> <p>მო-ღ-უ-ღ-ი-თ</p> <p>მო-ღ-უ-ღ-ი-თ</p> </div> <div style="margin-right: 20px;"> <p>*მო-ვ-უ-ღ-ი-თ</p> <p>მო-ღ-უ-ღ-ი-თ</p> </div> </div>
(5)	$S_2O_1^pO_3^p$	მო-მ-ი/-ღ-ი-
(6)	$S_2O_1^{ind}O_3^p$ $S_2^pO_1^{ind}O_3^d$ $S_2^pO_1^{indp}O_3$	მო-მ-ი/-ღ-ი-თ
(7)	$S_3O_1^{ind}O_3$	მო-მ-ი-ღ-უ//ღ
(8)	$S_3O_2^{ind}O_3^d$	მო-ღ-ი-ღ-უ//ღ < *მო-გ-ი-ღ-უ
(9)	$S_3O_3^{ind}O_3^d$ $S_3O_3^{indp}O_3^d$	მო-უ-ღ-უ//ღ
(10)	$S_3O_1^{ind}O_3^d$ $S_3^pO_1^{ind}O_3^d$ $S_3^pO_1^{indp}O_3^d$	მო-მ-ი/-ღ-ეს
(11)	$S_3O_2^{indp}O_3^d$ $S_3^pO_2^{ind}O_3^d$ $S_3^pO_2^{indp}O_3^d$	მო-ღ-ი-ღ-ეს < *მო-გ-ი-ღ-ეს
(12)	$S_3^pO_3^{ind}O_3^d$ $S_3^pO_3^{indp}O_3^d$	მო-უ-ღ-ეს

განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა შეიცვალა: 12 ფორმა მეორდება სხვადასხვა კომბინაციაში. მათ შორის თითო კომბინაციით წარმოდგენილი ფორმებია:

$S_1O_2^{ind}O_3^d$	მო-შ-ი-ლ-ი მოგიტანე	მა სი თინა მე შენ ის
$S_2O_1^{ind}O_3^d$	მო-მ-ი-ლ-ი მომიტანე	სი მა თინა შენ მე ის
$S_3O_1^{ind}O_3^d$	მო-მ-ი-ლ-უ მომიტანა	თიქ მა თინა მან მე ის
$S_3O_2^{ind}O_3^d$	მო-შ-ი-ლ-უ მოგიტანა	თიქ სი თინა მან შენ ის

ცხადია, {გ}-მორფემის მონაცვლე \emptyset ნულოვანი მარკერი ფორმათგანმასხვავებელი ფუნქციის მქონეა ოპოზიციაში: მო-მ-ი-ლ-ი ~ მო-შ-ი-ლ-ი; მო-მ-ი-ლ-უ ~ მო-შ-ი-ლ-უ.

შესაბამისად, **0z**-ის \emptyset ნულოვანი ალომორფით გამოხატვა მწკრივის შიგნით განსხვავებულ ფორმათა რაოდენობას ვერ ცვლის. მაგრამ სულ სხვა ვითარება იქმნება **S1**-ის \emptyset ნულოვანი მარკერით გამოხატვისას.

მო-უ-ლ-ი ფორმა სამპირიანია. თუ ნულოვანი ნიშნით ჩავწერთ სამივე აქტანტის მორფემას, მივიღებთ ასეთ ჩანაწერს:

$S_1O_3^{ind}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი მოვუტანე	მა თის თინა მე მას ის
$S_1O_3^{indp}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი- \emptyset მოვუტანე	მა თინეფს თინა მე მათ ის
$S_2O_3^{ind}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი მოუტანე	სი თის თინა შენ მას ის
$S_2O_3^{indp}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი მოუტანე	სი თინეფს თინა შენ მათ ის.

მოუღით ფორმა კომბინაციების მიხედვით ასე ჩაიწერება:

$S_1pO_3^{ind}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი-თ მოვუტანეთ	ჩქი თის თინა ჩვენ მას ის
$S_1pO_3^{indp}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი-თ- \emptyset მოვუტანეთ	ჩქი თინეფს თინა ჩვენ მათ ის
$S_2pO_3^{ind}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი-თ მოუტანეთ	თქვა თის თინა თქვენ მას ის
$S_2pO_3^{indp}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი-თ- \emptyset მოუტანეთ	თქვა თინეფს თინა თქვენ მათ ის.

ისმის კითხვა: აქვს თუ არა \emptyset ნულოვან მარკერებს დინსტინქტური ფუნქცია (ღირებულება) ოპოზიციაში:

$S_1O_3^{ind}O_3^d$	~	$S_2O_3^{ind}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი	~	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი
$S_1pO_3^{ind}O_3^d$	~	$S_2pO_3^{id}O_3^d$	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი-თ	~	მო-შ-შ-შ-უ-ლ-ი-თ

ეს ის შემთხვევაა, როცა გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აქტანტთა რანგებს ზმნის სტრუქტურაში:

„პირთა რანგები ქცევის (ან კაუზაციის) უჯრის წინ განლაგდებიან რიცხვითი ინდექსების მიხედვით – მარცხნივ ყოველთვის შედარებით დაბალი ინდექსის („უმცროსი“) მქონე პირი იქნება (1-2-3-, ე. ი. მე-შენ-ის).

თუ სამივე პირმომართი აქტანტის ინდექსი 3 (სამი) იქნება, დაგვჭირდება მხოლოდ ობიექტურ პირთა რანგების განსაზღვრა, რადგან S_3 -ის ნიშანი სუფიქსია. ორი O_3 -იდან წინ (მარცხნივ) მოექცევა პირცვალებადი ობიექტის რანგი, რადგან I და II პირებში წინ უძღვის მეორე ობიექტს, რომელიც მუდამ III პირშია, მაშასადამე, რანგთა განსაზღვრა ამ შემთხვევაში ხდება უღლების რეალური პარადიგმიდან ამოსვლით“ [უთურგაიძე, 2002, 56].

აქედან გამომდინარე, მო-უ-ღ-ი ფორმაში მასთან შეწყობილი აქტანტების მიხედვით შეიძლება \emptyset ალომორფთა კვალიფიკაცია:

$S_1O_3^{ind}O_3^d$	მო- $\emptyset S_1$ - $\emptyset O_3^{ind}$ - $\emptyset O_3^d$	-უ-ღ-ი
$S_2O_3^{ind}O_3^d$	მო- $\emptyset S_2$ - $\emptyset O_3^{ind}$ - $\emptyset O_3^d$	-უ-ღ-ი
$S_1O_3^{indp}O_3^d$	მო- $\emptyset S_1$ - $\emptyset O_3^{indp}$ - $\emptyset O_3^d$	-უ-ღ-ი- \emptyset^{indp} და ა. შ.

მსგავსი შემთხვევა, როცა სამივე პირი \emptyset ნულოვანი ალომორფებით გამოიხატება, ქართულში გვაქვს $S_2O_3^{ind}O_3^d$ კომბინაციაში: **მოუტანე** (შენ მას ის) ფორმა ანალოგიურად ჩაიწერება: **მო- $\emptyset S$ - $\emptyset O^{ind}$ - \emptyset^d -უ-ტან-ე**, ხოლო ქართული ენის დიალექტებში S_1 -ის ნიშნის დაკარგვა -**უ** ხმოვნის წინა პოზიციაში ასევე ბუნებრივია: რეალურად ცოცხალ მეტყველებაში **ვ**-პრეფიქსი არც ისმის.

როგორც ვხედავთ, მეგრულში მორფონოლოგიური პროცესები უფრო შორს წავიდა. მეგრულში არა თუ O_3^d , არამედ O_3^{ind} მარკერიც დიდი ხანია დაკარგულია. ამ პროცესს სავარაუდოდ წინ უსწრებდა S_2 -ის ნიშნის გაქრობაც. ამჯერად ინტენსიურად ეხება ეს პროცესი S_1 -ის მარკერსაც სათანადო პოზიციაში.

რეალურად იკვეთება ტენდენცია, რომ პირის მარკერს ეკარგება ფორმათგანმასხვავებელი ფუნქცია, უკვე არაა არსებითი, პირები მატერიალურად არიან წარმოდგენილი თუ ნულოვანი ალომორფებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „არ არსებობს საფუძველი იმისთვის, რომ $S \sim \emptyset$ (ობიექტი \sim სუბიექტი) დაპირისპირება კატეგორიად მივიჩნიოთ“ და როგორც ჩანს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ $S \sim \emptyset$ დაპირისპირებისას „შეუძლებელი იქნებოდა პირდაპირი და ირიბი ობიექტების საერთო ნიშნით გამოხატვა“ [უთურგაიძე, 2002, 44-45], არამედ იმიტომაც, რომ S -ისა და \emptyset -ის მარკერთა ჩანაცვლება ნულოვანი მარკერებით საერთოდ არღვევს $S \sim \emptyset$ დაპირისპირების ფორმალურ საფუძველს. როგორც ჩანს, არსებითი და მთავარია აქტანტური კატეგორიების სემანტიკა და ის ფაქტორი, რომ „აქტანტური კატეგორიები იზოლირებულია – ამათი სიმრავლის ელემენტები ერთი კონკრეტული აქტანტის ფარგლებს ვერ გასცდებიან, ამიტომ სიმრავლებს იქმნიან საკუთარი რომელობის ელემენტთა დაპირისპირებით“ [უთურგაიძე, 2002, 46].

რა ხდება ლაზურში ანალოგიურ ვითარებაში? აქ უკვე დიალექტურ ნაირსახეობებზე შეიძლება საუბარი. თუ მეგრულში ყველა კილოკავში S_1 -ის **ვ**-მარკერს **V-ვ-უ** მიმდევრობისას ენაცვლება \emptyset ნულოვანი მარკერი, მსგავსი ვითარება ლაზურს ხოფური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი, თანაც ნებისმიერ ხმოვნებთან: **V-ვ-V** პროზიციაში **ვ** ყოველთვის იკარგება. ამავე დროს ვიწურ-არქაბულსა და ათინურში S_1 ყოველთვის მარკირებულია **ვ ბ** ალომორფებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ O_2 -ის პრეფიქსი ინ-

ტერვოკალურ პოზიციაში არ იკარგება, ცხადია ლაზურში ოდნავ განსხვავებული ვითარება იქმნება.

ნიმუხისთვის ვაულებთ გოწავული „წავართვი“ ფორმას ხოფურში:

O ₃ ძ						
$\frac{0}{s}$	1	2	3	1p	2p	3p
1	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“
2	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“
3	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“
1p	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“
2p	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“
3p	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“	ცოწამ-ი-ღ-ი „წამართვი“

ცხრილი 7

|

ცხრილის მიხედვით განსხვავებული ფორმები ასე წარმოგვიდგება

- | | | |
|------|--|--|
| (1) | $S_1O_2^{ind}O_3^d$ | გოწა-გ-ი-ღ-ი |
| (2) | $S_1O_3^{ind}O_3^d$
$S_1O_3^{indp}O_3^d$
$S_2O_3^{ind}O_3$
$S_2O_3^{indp}O_3$ | გოწა-ვ-უ-ღ-ი
გოწა-ღ-უ-ღ-ი
გოწა-ღ-უ-ღ-ი |
| (3) | $S_1O_2^{indp}O_3^d$
$S_1pO_2^{ind}O_3^d$ | გოწა-გ-ი-ღ-ი-თ |
| (4) | $S_1pO_3^{ind}O_3^d$
$S_1pO_3^{ind}O_3^d$
$S_2pO_3^{ind}O_3^d$
$S_2pO_3^{ind}O_3^d$ | გოწა-ვ-უ-ღ-ი-თ
გოწა-ღ-უ-ღ-ი-თ
გოწა-ღ-უ-ღ-ი-თ |
| (5) | $S_2O_1^{ind}O_3^d$ | გოწა-მ-ი-ღ-ი |
| (6) | $S_2O_1^{indp}O_3^d$
$S_2pO_1^{ind}O_3^d$
$S_2pO_1^{indp}O_3$ | გოწა-მ-ი-ღ-ი-თ |
| (7) | $S_3O_1^{ind}O_3$ | გოწა-მ-ი-ღ-უ |
| (8) | $S_3O_2^{ind}O_3^d$ | გოწა-გ-ი-ღ-უ |
| (9) | $S_3O_3^{ind}O_3^d$
$S_3O_3^{indp}O_3^d$ | გოწა-უ-ღ-უ |
| (10) | $S_3O_1^{ind}O_3^d$
$S_3pO_1^{ind}O_3^d$
$S_3pO_1^{indp}O_3^d$ | გოწა-მ-ი-ღ-ეს |
| (11) | $S_3O_2^{indp}O_3^d$
$S_3pO_2^{ind}O_3^d$
$S_3pO_2^{indp}O_3^d$ | გოწა-გ-ი-ღ-ეს |
| (12) | $S_3pO_3^{ind}O_3^d$
$S_3pO_3^{indp}O_3^d$ | გოწა-უ-ღ-ეს |

როგორც ვხედავთ, ლაზური იმეორებს მეგრულის ვითარებას იმ თვალსაზრისით, რომ აქაც 12 განსხვავებული ფორმა ფიქსირდება. ცხადია, მიზეზი ისევ და ისევ S_1 -ის მარკერის დაკარგვაა. O_2 -ის მარკირება გ-ან \emptyset - პრეფიქსით სურათს ვერ ცვლის.

ხოფურისგან განსხვავებული სურათი გვექნება დანარჩენ კილოკავებში, სადაც წესისამებრ 14 განსხვავებული ფორმა გვექნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ლაზურში მორფონოლოგიური პროცესი არაა ისეთივე ინტენსიური, როგორც მეგრულში.

სუბიექტთა და ობიექტთა კომბინაციების ანალიზმა აჩვენა, რომ რელატიური ზმნის უღლების პარადიგმაში მწკრივის მიხედვით გრამატიკულ ფორმათა რაოდენობა არ უნდა განისაზღვროს გამოხატულების პლანში განსხვავებულ ფორმათა რაოდენობის მიხედვით:

ა) განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა მეგრულ-ლაზურში მერყეობს 12-სა და 14 ერთეულს შორის, რაც გამოწვეულია პირის ნიშანთა ფონოლოგიური პოზიციითა და რიცხვის გამოხატვის სისტემით.

პირველი ფაქტორის მოქმედება ძლიერია მეგრულში, როცა თანხმოვნისწინა პოზიციაში S_1 -ის და O_1 -ის მორფემათა ალომორფები ერთმანეთს ემთხვევა, შესაბამისად, მეგრულში 12 განსხვავებული ფორმა გვაქვს, ხოლო ლაზურში 14, რადგან O_1 -ის მარკერს ფონოლოგიური ვარიანტები არა აქვს.

პირის ნიშანთა მორფონოლოგიური გარდაქმნები შეზღუდულია ხმოვნისწინა პოზიციაში, რითაც მეგრულ-ლაზური საერთო სურათს გვიჩვენებს, თუმცა სხვაობა თავს იჩენს ორპირიან გარდაუვალ და გარდამავალ ზმნათა საუღლებელ ერთეულთა შეპირისპირებისას: მართალია, ორსავე შემთხვევაში გამოხატულების პლანში განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა 14 ერთეულია, კომბინაციათა მიხედვით ანალიზისას ირკვევა, რომ გარდაუვალ ზმნაში რიცხვის გამოხატვის განსხვავებული მოდელი მოქმედებს, რის გამოც კომბინაციების მიხედვით ფორმები სხვაგვარად გადანაწილდება გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნებში.

ბ) ფონოლოგიის მნიშვნელობა იზრდება ზმნისწინა და ნაწილაკიან ფორმებში. ასეთ შემთხვევაში S_1 , O_1 და O_2 პირთა მარკერები აღმოჩნდებიან ინტერვოკალურ პოზიციაში, რაც იწვევს მთელ რიგ ფონოლოგიურ გარდაქმნებს. შესაბამისად, ეს პროცესი სხვადასხვა ინტენსივობით ხასიათდება მეგრულ-ლაზურში, თუმცა გამოხატულების პლანში განსხვავებულ ფორმათა რაოდენობა 12 ერთეულს არ აღემატება.

ამავე დროს მორფონოლოგიური პროცესის მრავალპლანიანობა თვალში საცემია სამპირიანი საობიექტო ვერსიის ფორმებში, რადგან ფონოლოგიური პროცესები განსხვავებულია არამარტო ბგერათმომდევრობის გამო, არამედ დიალექტური ნიშნითაც: ერთი მხრივ, მეგრულსა და ლაზურს შორის, მეორე მხრივ, საკუთრივ ლაზურის კილოკავებს შორის.

დიალექტური თვალსაზრისით, მორფონოლოგიური პროცესის ინტენსივობა ძლიერია მეგრულში, რომლის ვითარებას უახლოვდება ლაზურის ხოფური დიალექტი, ხოლო ვიწურ-არქაბულსა და ათინურში ეს პროცესი უფრო სუსტადაა გამოხატული.

გ) როგორც ორპირიანი, ასევე სამპირიანი ზმნების მიხედვით პირთა კომბინაციების ანალიზმა წარმოაჩინა \emptyset ნულოვანი ალომორფის როგორც ფორმათგანმასხვავებელი, ასევე კატეგორიათა განმასხვავებელი ფუნქცია. გამოიკვეთა ტენდენცია პირის აღმნიშვნელ პრეფიქსთა დაკარგვისა. ეს პროცესი ბოლომდე დასრულდა S_2 -ის, O_3^{dir} და O_3^{ind} პირთა შემთხვევაში. მიმდინარეობს S_1 -ისა და O_2 -ის ნიშანთა დაკარგვა ინტერვოკალურ პოზიციაში, თუმცა \emptyset ნულოვანი მარკერი შესაძლებელია სხვა პოზიციაშიც დაჩნდეს. პირის ნიშანთა დაკარგვის ტენდენცია მეგრულ-ლაზურში ადასტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ თვალსაზრისს, რომ ისტორიულად ამ პრეფიქსთა ფუნქცია არ იყო პი-

რის გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა. თავისთავად ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ბგერათმომდევრობა შეიძლება გამოხატავდეს როგორც პირველი, ასევე მეორე სუბიექტური პირის ფორმებს, მიუთითებს იმაზე, რომ ზმნური ფორმა ვერ განიხილება მხოლოდ გამოხატულების პლანის მიხედვით. აქტანტური კატეგორიები დამოუკიდებელი სემანტიკური კატეგორიებია და მათი კომბინაციით წარმოქმნილი ფორმა არა მხოლოდ გამოხატულების პლანში, არამედ შინაარსითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეგრულ-ლაზურის ორპირიანი ზმნის უღლების პარადიგმაში მწკრივის შიგნით გრამატიკულ ფორმათა რაოდენობა სინქრონიულ დონეზე 28 ერთეულით განისაზღვრება ისევე, როგორც დანარჩენ ქართველურ ენებში. უფრო მეტიც, იდენტურ პირთა კომბინაციებსაც თუ განვიხილავთ დამოუკიდებელ გრამატიკულ ფორმებად (S_1O_1 , S_2O_2 , $S_1P_1O_1P$, $S_2P_2O_2P$), მაშინ 32 ერთეულამდე გაიზრდება ზმნურ ფორმათა რაოდენობა.

II.2. გარდამავლობა.

გარდამავლობა მორფოსინტაქსური კატეგორიაა. ქართულში გარდამავლობის სინტაქსური კრიტერიუმია – ობიექტი სახელობითში, სუბიექტი მოთხრობითში; რაც შეეხება მორფოლოგიურს, სპეციალურ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია, თუმცა ძირითადად ის აზრია გატარებული, რომ გარდამავლობა ისეთივე საკლასიფიკაციო ნიშანია, როგორც სტატიკურობა-დინამიკურობა [ჩიქობავა, 1981, 9]. ის ერთგვარად ზეკატეგორიაა, რომელიც ისტორიულად წინ უსწრებდა გვარის, ასევე ქცევის, კაუზატივის კატეგორიების ჩამოყალიბებას.

ამავდროულად, გვარის სამწევროვან ოპოზიციაში მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, ხოლო ვნებითი და უგვარო – გარდაუვალია. შესაბამისად, მოქმედებითი გვარის მარკირება გარდამავლობის მარკირებაცაა. ამიტომაც გარდამავალ ზმნებში ახმოვანპრეფიქსი განიმარტება, როგორც გარდამავლობის ნიშანი, ნასახელარ გარდამავალ ზმნათა მაწარმოებელი, მოქმედებითი გვარის, კაუზატივის, საარვისო (ნეიტრალური) ქცევის პრეფიქსი, ზმნათა გარკვეულ ჯგუფში საზედაო სიტუაციის, ირიბი ობიექტისადმი მიმართების აღმნიშვნელი ნიშანი [გოგოლაშვილი..., 2011, 435].

ა- პრეფიქსი იკარგება გარდამავალ ზმნათა გარდაუვალად მოქცევისას, ხოლო *დრეკს*, *ხატავს* ტიპის ზმნებში ა- პრეფიქსის არქონა მეორეულ ფაქტადაა მიჩნეული, რასაც მხარს უჭერს ქართველური ენების ვითარება: ა- პრეფიქსს კანონზომიერი შესატყვისი მოეპოვება ზანურსა და სვანურში:

მეგრ. ვ-ო-რძ-ან-ქ, *ლაზ.* ვ-ო-გზ-აფ „ვანთებ“,

სვან. ხუ-ა-ჳნ-ი „ვხნავ“.

მეგრულსა და ლაზურში ო- ხმოვანპრეფიქსი ძირითადად გვაქვს:

1. ორპირიან გარდამავალ ზმნებში: მეგრ.: ო-რძანს „ანთებს“, ო-რღვანს „ყრის“, ო-რჩანს „აგებს“, ო-განს „აგებს“; ლაზ.: ო-მტინამს „გააქცევს“, ო-რგამს „რგავს“, ო-რდაფს „ზრდის“...

2. სამპირიან გარდამავალ ზმნებში: მეგრ.: **ო-ძირანს** „აჩვენებს, ანახებს“, **ო-ჩინანს** „აბარებს“, **ლაზ.: ო-მსქვანამს** „აწონებს“, **ნ-ო-ნცახუ** „მიაკრა, მიაწება“, **ნ-ო-ნცუ** „წამოაცვა“, **ო-ჩქინაფუ** „გააცნო, გააგებინა“

3. „უნიშნო ვნებითაგან“ ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში: მეგრ.: **ო-ტიბუანს** „ათბობს“, **ო-ხუმუანს** „ახმობს“, **ლაზ.: ო-ღურინაფს** „აკვდინებს, კლავს“, **ო-სქირინუ** „გააშრო“, **ო-ტუბინუ** „გაათბო“...

4. უგვარო ზმნათა ფუძისაგან ნაწარმოებ გარდამავალ ზმნებში: მეგრ.: **ო-ძიცინუანს** „აცინებს“, **ო-ნგარინუანს** „ატირებს“, **ლაზ.: ო-ფუთხინუ** „ააფრთხილა“, **ო-სთერუ** „ათამამა“...

5. შუალობითი კონტაქტის ფორმებში: მეგრ.: **ო-ჭარაფუანს** „აწერინებს“, **ო-ხანტაფუანს** „ახატვინებს“, **ლაზ.: ო-ზუმდაფუ** „გააზომვინა“, **ო-პარამითაფუ** „აალაპარაკა“...

მაგრამ **ო-** პრეფიქსი გარდაუვალ ზმნებშიც დასტურდება:

1. სტატიკური მედიოპასივებში: **ლაზ. ნ-ო-ბ-უ-ნ** „ჰკიდია“, **ო-ბღ-უ-ნ** „ყრია“, **ო-გზ-უ-ნ** „ანთია“; მეგრ. **ო-სხუპ-უ** „აყვანილი ჰყავს ხელში“, „ჰკიდია“, **ო-ნტ-უ** „უკიდია ცეცხლი“, **ო-ნჭ-უ** „წვდება“, **ო-ბ-უ** „ჰკიდია, ეკიდება“...

2. მეგრულ ინვერსიულ მედიოპასივებში: **მ-ო-კ-ო** „მინდა“, **მ-ო-ხიოლ-უ** „მიხარია“, **მ-ო-ცოდ-უ** „მეცოდება“, **მ-ო-რჩქინ-ა-ს** „მაცოდინა“, **მ-ო-ჩქარ-უ** „მეჩქარება“...

3. მეგრულ „მიჩნევის“ ვნებითებში: **ო-მეტუ(ნ)** „ემეტება“, **ო-ჭიჭარუ(ნ)** „ეპატარავება“, **ო-ეჭვუ(ნ)** „ეეჭვება“...

4. მეგრულ დეპონენსებში: **ო-ხვეწუ** „ეხვეწება“, **ო-პირუ** „პირდება“, **ო-ხვარუ** „ეხმარება“, **ო-ინალუ** „ემსახურება“, **ო-კითხუ** „ეკითხება“, **ო-ნირზუ** „ენიძლავება“...

„მიჩნევის“ ვნებითები და დეპონენსები მეგრულში აჩვენებს, რომ **ო-** პრეფიქსი დინამიკური ვნებითების მაწარმოებელიცაა და ქართული **ე-** პრეფიქსის ფარდია. **ო-** პრეფიქსით ნაწარმოები დეპონენსებს მყოფადსა და წყვეტილში საკუთარ ფორმები არ გააჩნიათ და ქართულიდან იღებენ **ე-**ნიანი წარმოების ყალიბს [ჯღარკავა, 2002, 324].

როგორც ზემოთ ვნახეთ, მეგრულ-ლაზურში **ო-** პრეფიქსი შეესატყვისება, ერთი მხრივ, ქართულის **ა-** პრეფიქსს როგორც გარდამავალ, ასევე გარდაუვალ ზმნებში; მეორე მხრივ, დინამიკური ვნებითების **ე-** პრეფიქსს. არნ. ჩიქობავას აზრით, ერთი და იმავე ფორმანტის არსებობა გარდამავალსა და გარდაუვალ ზმნაში კანონზომიერია: გარდამავალ ზმნაში ის უახლოეს (ე. წ. პირდაპირ) ობიექტზე მიუთითებს, გარდაუვალში კი – სუბიექტზე [ჩიქობავა, 1977, 19]. ამდენად, გარდამავლობა დაკავშირებულია ბრუნვაცვალებად ობიექტთან, თუმცა სინტაქსური კონსტრუქცია მეგრულსა და ლაზურში განსხვავებულად განვითარდა.

ლაზურში მოთხრობითი ბრუნვა იქცა გარდამავალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად განურჩევლად დრო-კილოსი, ხოლო სახელობითი – გარდაუვალი ზმნის სუბიექტის ბრუნვად ასევე განურჩევლად მწკრივისა და, რაც მეტად საყურადღებოა, სახელობითში დგას გარდამავალი ზმნის ობიექტიც ასევე განურჩევლად დრო-კილოსი (რა თქმა უნდა, ინვერსიულ ზმნებს თუ არ გავითვალისწინებთ), ანუ გარდამავალი ზმნის საკონვერსიო ობიექტი, იგივე სუბიექტი გარდაუვალი ზმნისა, ერთსა და იმავე ბრუნვაში დგება. მაშასადამე, ლაზურში I და II სერიაში, ასევე არაინვერსიულ თურმეობითებში ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციები ჩამოყალიბდა როგორც სუბიექტ-ობიექტის ოპოზიცია,

შესაბამისად, მოთხოვრებით ბრუნვაში დასმული სახელი, ყოველთვის სუბიექტია, ხოლო სახელობითში – ყოველთვის ობიექტია ან კონვერსიული პასივის სუბიექტი. ამის საპირისპიროდ, მეგრული უგულვებელყოფს გარდამავლობა-გარდაუვალობას იმ თვალსაზრისით, რომ სუბიექტი ყოველთვის მოთხოვრებითში დგას მეორე სერიის ფორმებში: **კოჩი-ქ** ქიდარძუ **დაჩხირი** „კაცმა დანთო ცეცხლი“, **დაჩხირ-ქ** ქიდირძუ „ცეცხლი (ცეცხლმა) დაინთო“.

მიუხედავად ამგვარი კანონზომიერებისა, ისიც ცხადია, რომ ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის განვითარების სხვადასხვა ტენდენციაა.

ჟ. დიუმეზილი შენიშნავდა, რომ ლაზურში ზოგჯერ „არალეგიტიმური ერგატივი“ იჩენს თავსო [დიუმეზილი 2009, 12].

არნ. ჩიქობავას არ გამორჩენია ის ფაქტი, რომ „ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში მოთხოვრებითი მოშლილი ჩანს და მიცემითიც ამავე გზაზე დამდგარი. მაგრამ ათინურს მთლიანად ეს არ ეხება“ [ჩიქობავა, 1936, 181].

მართლაც, ტექსტების ანალიზიდან ჩანს, რომ გარდამავალი და გარდაუვალზმნიანი კონსტრუქციები უმეტესად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ანუ ხშირ შემთხვევაში ზმნასთან შეწყობილი ყველა აქტანტი სახელობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი [ეზუგბაია, 2010, 147].

გ. კლიმოვა საგანგებოდ შეისწავლა ერგატიული კონსტრუქცია ლაზურში და „ანო-მალიად“ შეაფასა ის ფაქტი, რომ ერგატიული კონსტრუქცია გააჩნიათ არა მარტო გარდამავალ, არამედ გარდაუვალ ზმნებსაც. მან გამოყო სამი ჯგუფი ზმნებისა, რომლებსაც აერთიანებს ის, რომ ისინი გამოხატავენ აქტიური დენოტატის – „სულიერის“ მოქმედებას. ესენია, ძირითადად, მედიაოქტიური ზმნები **ო-ძიგინ-უ** „სიცილი“, **ო-ხორონ-უ** „ცეკვა“, **ო-პარამით-უ** „ლაპარაკი“, **ო-პეტელ-უ** „კიკინი“, **ო-ლალ-უ** „ყეფა“, **ო-წკედინ-უ** „ყურება“, **ო-ხვეწინ-უ** „ხვეწნა“ და ა. შ. ტიპისა, რომელსაც აქტიურ ზმნებს უწოდებს გ. კლიმოვი და მიიჩნევს, რომ ისტორიულად ლაზურში ადგილი ჰქონდა აქტიური და სტატიკური ზმნების ლექსიკურ ოპოზიციას, რაც განაპირობებდა აქტიურ და ინაქტიურ კონსტრუქციებს, რაც, თავის მხრივ, სისტემურ კოორდინაციას ჰქმნიდა არსებით სახელთა აქტიურ (სულიერ) და ინაქტიურ (უსულო) ჯგუფებთან [კლიმოვი, 1976].

მეორე მხრივ, აქტიური წყობის ტრანსფორმაცია ნომინატიურ წყობად, მკვლევრის აზრით, განაპირობა აქტიური და სტატიკური ზმნების ოპოზიციის შეცვლამ ტრანზიტულ და ინტრანზიტულ ოპოზიციად. შესაბამისად, ინტრანზიტულ ზმნებთან -ქ ნიშნით გაფორმებულ ბრუნვას უნდა მიეცეს არა ერგატივის, არამედ ნომინატივის კვალიფიკაცია, ხოლო საკუთრივ -ქ მორფემა უნდა ჩაითვალოს ნომინატივის ალომორფად ∅ ნულოვან ალომორფთან ერთად [კლიმოვი, 1976, 154-156]. ასეთ შემთხვევაში, მკვლევრის შეხედულებით, გასაგები ხდება მოთხოვრებითბრუნვიანი კონსტრუქციის მქონე წინადადებების ფართო სპექტრი ყველა ზმნასთან გრამატიკული დროის განურჩევლად.

აღსანიშნავია, რომ გ. კლიმოვს არც ის გამორჩენია, რომ გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის გაფორმება -ქ სუფიქსით ხშირად დამოკიდებულია ზმნის ადგილზე (პოზიცია) წინადადებაში, კერძოდ, როცა წინადადებაში გვაქვს ერთგვარი შემასმენლები და მათ შორის ერთ-ერთი ეკუთვნის კლიმოვის მიერ გამოყოფილ ზმნურ ჯგუფებს.

ჩვენი მხრივ, დავაზუსტებდით, რომ ასეთი ზმნა უშუალოდ მოსდევს ქვემდებარეს, ხოლო მომდევნო ზმნა (ზმნები) გარდამავალია. მაგ.

არ ნდღას არ მჩხვაფა ტარონის ჩილ-ქომოჯიქ ონტულეშა ქოდოლოხთეს დო ხაჩქუმ-ტეს (აბაშ. 77, 10) „ერთ დღეს მზიან ამინდში ცოლ-ქმარი ბოსტანში შევიდნენ და თოხნიდნენ“; ქომოჯი მუშიქ ნასერუ დო ოსთერუს ქოგაოჭკეს (აბაშ. 77, 14) „მისმა ქმარმა ითამაშა და თამაშობა დაიწყეს“...

მეორე ვითარება, რასაც გამოყოფს გ. კლიმოვი, ეხება ისეთ წინადადებას, რომელშიც ქვემდებარესა და ზმნა-შემასმენელს შორის მოქცეულია სახელმზმნური ვითარების გარემოება. მაგ. **ბაბაქ ხორონერ-ხორონერი** ოხორიშა იდუ „მოხუცი ცეკვა-ცეკვით წავიდა სახლში“ [კლიმოვი, 1976, 153].

აღსანიშნავია, რომ ზმნური ლექსიკური დუბლეტების კვლევამ ქართულში გამოავლინა სულიერი ~ უსულო დიქოტომია (წოლა ~ დება, წაქცევა ~ დავარდნა), ხოლო ქონა-ყოლის ზმნების სემანტიკის შესწავლამ ძველ ქართულში გამოავლინა პიროვნება ~ ნივთის დაპირისპირება [შენგელია, 2006, 86-122]. ასევე „ვინ“ და „რა“ ნაცვალსახელთა დაპირისპირება თავს იჩენს როგორც ზმნასთან შეხამებისას, ასევე უღლების პარადიგმებშიც: „ვინ“ ნაცვალსახელის სემანტიკითაა გაპირობებული, რომ ძველ ქართულში მას არა აქვს მოქმედებითი (ინსტრუმენტალისი) და ვითარებითი (ტრანსფორმატივი) ბრუნვები, რომლებიც „რა“ კითხვით ნაცვალსახელს ეწარმოება. ხოლო „რამან“ ბრუნვა ძველ ქართულში იშვიათად დასტურდება.

აქედან გამომდინარე, მ. სუხიშვილი დაასკვნის: „ნივთის სემანტიკური კლასის აღმნიშვნელი სახელების ერგატიული ბრუნვით ხმარება შეზღუდულია (თავიანთი სემანტიკით ისინი მხოლოდ სუბიექტის III პირის სახელებად შეიძლება მოგვევლინონ სათანადო ზმნებთან). მიგვაჩნია, რომ ამ სახელებში ერგატივის გამოყენება გვიანდელი უნდა იყოს. ძველი ქართულის ზოგიერთი ფაქტი შეიძლება მიგვანიშნებდეს ნივთის აღმნიშვნელ სახელებში ერგატიკული ბრუნვის ჩამოყალიბების დინამიკას“ [სუხიშვილი, 1999, 19].

ჩვენს დაკვირვებით, ადამიანი ~ ნივთი, სულიერი ~ უსულო დაპირისპირება გადამწყვეტია ერგატიული კონსტრუქციის გაჩენისას ლაზური გარდაუვალი ზმნების, ასევე გარდამავალი ზმნების III სერიის ფორმებში. მოვიყვანთ მაგალითებს:

(1)

მა ბძირი შკულე **დამთირექ** დო **ბიჭიქ** ხოლო **იძიცამტეს** ჰეშო (აბაშ. 70, 21);
მა ბძირი შკულე დამთირექ-ქ S^{erg} დო ბიჭი-ქ S^{erg} ხოლო ი-ძიცამტ-ეს V^{intran} ჰეშო
„მე რომ ვნახე, სიდედრი („სიდედრმა“) და ბიჭიც („ბიჭმა“) იცინოდნენ იქით“;

(2)

ნუსაქ ნოკაჩუ შქულე... (აბაშ. 78, 6)
ნუსა-ქ S^{erg} ნოკაჩ-უ V^{intran} შქულე
„რძალმა (რომ) ამოიოხრა შემდეგ“

(3)

ჟურ **ბიჭიქ** სუმ ნდღა დო სუმ სერის **დისიმადეს** (აბაშ. 91, 14)
ჟურ ბიჭი-ქ S^{erg} სუმ დღა დო სუმ სერის დისიმად-ეს V^{intran}
„ორი ბიჭი („ბიჭმა“) სამი დღე და სამი ღამე ფიქრობდნენ“.

(4)

ლომეში **ბიჭიქ გეხთუ** ცხენიშენ (აბაშ. 111, 14)
ლომეში ბიჭი-ქ S^{erg} გეხთ-უ V^{intran} ცხენიშენ

„ლომის ბიჭი („ბიჭმა“) შეჯდა ცხენზე“.

(5)

დივეფე ჰეკო წკარ-თის გელუხენან დო ვარ მომჩამან-ა (აბაშ. 112, 9)
დივეფე-ქ S^{erg} ჰეკო წკარ-თის გელუხენ-ან V^{intran} დო ვარ მომჩამა-ან-ა V^{tran}
„დევები („დევებმა“) წყაროს სათავეს უსხედან და არ გვაძლევენო“;

(6)

მთუთიქ მციქა ნისიმინუ დო... (აბაშ. 129, 17)
მთუთი-ქ S^{erg} მციქა ნისიმინ-უ V^{intran} დო...
„დათვმა ცოტა იფიქრა და...“

(7)

მკ აფუქ ოხოტკვაცინერი იდუ... (აბაშ. 131, 17)
მკ აფუ-ქ S^{erg} ოხოტკვაცინერი ი-დ-უ... V^{intran}
„ტურა („ტურამ“) თოფნაკრავივით წავიდა („აფეთქებული წავიდა“);

(8)

ბადი მთუგიქ იმსიმინუ... (აბაშ. 26, 28)
ბადი მთუგი-ქ S^{erg} ი-მსიმინ-უ... V^{intran}
„ბებერი თავვი („თავვმა“) შეფიქრიანდა“;

(9)

ვეზირიქ დიხაზიუ (კალან. 235, 20)
ვეზირი-ქ S^{erg} დიხაზიუ V^{intran}
„ვეზირი („ვეზირმა“) გაემზადა“;

(10)

ჩობანიქ ქოგეხტუ ცხენის (კალან. 238, 16)
ჩობანი-ქ S^{erg} ქოგეხტ-უ V^{intran} ცხენის
„მწყემსი („მწყემსმა“) შეაჯდა ცხენს“;

(11)

დიდო ვახთის ოხვეწაპტუ ჩობანიქ (კალან. 238, 28)
დიდო ვახთის ოხვეწაპტუ V^{intran} ჩობანი-ქ S^{erg}
„დიდხანს ეხვეწა მწყემსი („მწყემსმა“);

(12)

ენტეფე ხელებათენ ნაგეს ართიმაჟრას (კალან. 239, 6)
ენტეფე-ქ S^{erg} ხელებათენ ნაგ-ეს V^{intran} ართიმაჟრას
„ესენი („ამათმა“) სიხარულით შეხვდნენ ერთმანეთს“;

(13)

კულანიქ მეხთუ ცხენიმა (კალან. 242, 15)
კულანი-ქ S^{erg} მეხთ-უ V^{intran} ცხენიმა
„გოგო („გოგომ“) მივიდა ცხენთან“;

(14)

მსქიბუს დოლოხე არ ჭიტა მთუგიქ წიაფტუ (კალან. 242, 25);
მსქიბუს დოლოხე არ ჭიტა მთუგიქ S^{erg} წიაფტ-უ V^{intran}
„წისქვილში შიგნით ერთი პატარა თავგი („თავგმა“) წრიპინებდა“;

(15)

ედო მთელიქ მზოლამ კონალიშა იგზალეს (კალან. 244, 29)
ედო მთელიქ S^{erg} მზოლამ კონალიშა იგზალ-ეს V^{intran}.
„ჰოდა, ყველანი („ყველამ“) ზღვის სასახლისკენ გაემგზავრნენ“;

(16)

ოხორჟაქ ფადიშაიმ წოხლე ქოდოდგითუ, კულანეფექ სადი დო სოლიკელე ჰოდუდ-
გითეს (კალან. 245, 15)

ოხორჯაქ S^{erg} ფადიშაიმ წოხლე ქოდოდგით-უ V^{intran}, კულანეფექ S^{erg} სადი დო სო-
ლიკელე ჰოდუდგით-ეს V^{intran}

„ცოლი („ცოლმა“) ფადიშაჰის წინ დადგა, ქალიშვილები („ქალიშვილებმა“) კი მარ-
ჯვნივ და მარცხნივ დაუდგნენ“.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის გამოყენება გარდაუვალ ზმნებთან ძირითადად მაინც დამახასიათებელია II სერიის ფორმებთან, თუმცა ის ასევე დასტურდება I სერიის ფორმებთანაც. როგორც ჩანს, ამგვარი ვითარება დამახასიათებელია ლაზურის ყველა კილოკავისთვის, ხოლო მაღალი სიხშირე სარფულ მეტყველებაში შეიძლება აიხსნას მეგრულთან სიახლოვით, სადაც ყველა ტიპის გარდაუვალ ზმნასთან II სერიაში (განურჩევლად სტრუქტურისა და სემანტიკისა) ქვემდებარე ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაში დგას.

ერგატიული კონსტრუქციის განვითარების ტენდენციების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ლაზურში სამი მიმართულებით მიმდინარეობს პროცესი:

- ა. ერგატივის მოშლა გარდამავალ ზმნებთან;
- ბ. ერგატივის გაჩენა მიცემითი ბრუნვის ნაცვლად ე. წ. ინვერსიულ ზმნებში;
- გ. ერგატივის გაჩენა სახელობითი ბრუნვის ნაცვლად გარდაუვალ ზმნებში.

ამათგან ძლიერია მესამე (გ) ტენდენცია, მით უფრო მეგრულთან ახლოს მდგომ კილოკავებში. რაც შეეხება პირველ ორ (ა), (ბ) ტენდენციას, ძირითადად თავს იჩენს ათინურში, მაგრამ არც სხვა კილოკავებისთვისაა უცხო. აღსანიშნავია, რომ ერგატივის მოშლის ტენდენცია მიცემითის მოშლის პარალელურად მიმდინარეობს, ანუ ანომალიად სწორედ ეს პროცესი შეიძლება შეფასდეს, რაც ლაზურზე თურქული სინტაქსის ზეწოლის შედეგი ჩანს. მეორე მხრივ, ერგატივის განვითარება გარდაუვალ ზმნებში, ლაზურს აახლოებს მეგრულთან, თუმცა სისტემა მათი დრო-კილოს მიხედვით განაწილებისა საკუთრივ ლაზური რჩება.

ზოგადად, მეგრულ-ლაზურში ერგატიული კონსტრუქციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მორფოსიტაქსური მახასიათებლები და მარკირების პრინციპები განპირობებულია შესიტყვების – ზმნისა და მასთან დაკავშირებული სახელის (სუბიექტის) – სემანტიკით. ასევე ერგატიულობის შინაარსიც პიროვნება ~ ნივთის დაპირისპირებაა. როგორც ჩანს, მეგრულ-ლაზურის გრამატიკულ სისტემას, კერძოდ კი აქტანტურ კატეგორიებს განმსჭვალავს ადამიანი ~ არაადამიანი, სულიერი ~ უსულო დიქოტომია.

გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების კონსტრუქციებში მეგრულსა და ლაზურში განხორციელებული პროცესები ერთმანეთს უახლოვდება ერთი ტენდენციით: გარდაუვალ

ზმნებშიც გვაქვს ერგატივი. ეს ტენდენცია ბოლომდე განხორციელდა მეგრულში და ლაზურის მაგალითზე უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ჩაისახა აქტიური დენოტატის მქონე ზმნებში. ზოგადად, ქართულშიც მიუთითებენ სემანტიკით შეპირობებულ გადასვლაზე გარდაუვალიდან გარდამავალ ზმნებისაკენ: „მედიაოქტივისებრი გარდამავალი“ ზმნების ჯგუფი (ანგარიშობს, გალობს, გლოვობს, თაობს, თაკილობს...) არსებითად ცნობიერების (ძირითადად, მეტყველების) წრის ზმნებია, რომლებიც ადამიანის ფსიქიკურ აქტივობასა და მისი შესაბამისი შინაარსების ერთობლიობას გამოხატავენ. ასევე ამ ზმნების დარად, ოდენ ბრუნვაცვალებადსუბიექტიანი **იხარა** მან, **შეხედა** მან მას და მისთ., პირდაპირი დამატების შეწყობითაც და მის გარეშეც, გარდამავალი, უფრო ზუსტად, ფსევდოგარდამავალი ზმნებია [გოგოლაშვილი..., 2011, 473-478].

როგორც ჩანს, მეგრულში კონსტრუქციის დონეზე განხორციელდა გარდამავლობის ნეიტრალიზაცია, რაც უნდა მიუთითებდეს **ო-** პრეფიქსის კავშირს ირიბი ობიექტის პოვნეირებასთან და არა გარდამავლობის მარკირებასთან. ამით შეიძლება აიხსნას მეგრულში ქართული **ა-**პრეფიქსიანი ყალიბის გაჩენა გარდამავალი, იმავე მოქმედებითი ზმნების გამოსახატავად: მხედველობაში გვაქვს ქართ. **ა-კეთ-ებ-ს** ტიპის წარმოება, როგორცაა მეგრულში: **ა-კეთ-ენ-ს** „აკეთებს“, **ა-რმ-ენ-ს** „ამღვებს“, **ა-შენ-ენ-ს** „აშენებს“, **ა-წუხ-ენ-ს** „აწუხებს“, **ა-რიგ-ენ-ს** „არიგებს“, **ა-უჩარ-ენ-ს** „აშავებს“....

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართველურ ენებში გარდამავლობის მორფოლოგიური მარკირება მეორეულია. ისტორიულად ზმნური აქტანტების ბრუნვებს და კონსტრუქციულ ტიპებს დაუკავშირდა გარდამავლობა, რასაც, თავის მხრივ, ზმნურ და სახელურ ფუძეთა სემანტიკა განაპირობებდა.

II.3. დროის კატეგორია.

დრო ზმნის ერთ-ერთი უმთავრესი კატეგორიაა კილოსთან ერთად. უღლების სისტემას დრო-კილოთა სისტემადაც მოიხსენიებენ. ნიკო მარი საუღლებელ ერთეულს სულაც დროს უწოდებდა და რვა დროს გამოყოფდა, რაც აკაკი შანიძის სამართლიანი შენიშვნით გაუმართლებელია, რადგან „იწვევს არევ-დარევას დროის გაგებაში“.

„გრამატიკაში დრო ეწოდება ისეთ ფორმას ზმნისას, რომელიც გვიჩვენებს **მოქმედების მომენტის შეფარდებას უბნობის (ანუ ლაპარაკის) მომენტთან**. ამ შეფარდების მიხედვით ირკვევა, რომ ზმნით გამოხატული **მოქმედება ხდება ან უბნობის მომენტში ან სხვა დროს**. დროული გამოხატვა მოქმედებისა იმაზეა დამოკიდებული, რომ ყოველგვარი ამბავი, რომელიც კი მომხდარა, ხდება თუ გინდა მოხდეს, გადმოცემულია მოუბრის თვალსაზრისით და მისი უბნობის მომენტთან შეფარდებით... **გრამატიკული დრო შეიძლება მხოლოდ სამი იყოს: ეხლანდელი, წარსული და მომავალი**. ეხლანდელია ფორმა ზმნისა, რომელიც წარმოდგენას გვაძლევს, რომ მოქმედების მომენტი უბნობისას ემთხვევა; **წარსულია** ფორმა, რომელიც გვაგებინებს, რომ მოქმედება უბნობის მომენტს უსწრებდა და **მომავალია** ფორმა, რომელიც აღნიშნავს, რომ მოქმედება უბნობის მომენტის შემდეგ ხდება“ [შანიძე, 1980, 199].

აკაკი შანიძესთან დრო კატეგორიადაა მიჩნეული, მაგრამ მის მორფოლოგიურ გამოხატვაზე არაა საუბარი.

არის თუ არა დრო მორფოლოგიური კატეგორია? – დასმულია კითხვა სპეციალურ ლიტერატურაში.

ამასთან დაკავშირებით ასეთი მსჯელობაა წარმოდგენილი:

„ჩვეულებრივ დროსა და კილოს მორფოლოგიურ კატეგორიებად მიიჩნევენ პირის, რიცხვის... კატეგორიათა გვერდით (ა. შანიძე, არნ. ჩიქოვავა, გ. მაჭავარიანი...). ეს საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისია. რამდენადაც დრო და კილო მორფოლოგიურ კატეგორიებად გაიზარება, არის ცდა ამ კატეგორიათა მორფოლოგიური ნიშნის ძიებისა... ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დროის კატეგორიის მორფოლოგიურ გამოხატვაზე მხოლოდ წარსულის მიმართ საუბრობენ. აწმყოსა და მყოფადის მორფოლოგიურ გამოხატვაზე (მორფოლოგიურ ნიშანზე) არაა მსჯელობა. გამოდის: დროის სამწევრიანი სისტემიდან მარკირებულია ერთი, არამარკირებული – ორი. ამ წინააღმდეგობის მოხსნას ცდილობს გ. მაჭავარიანი, რომელიც დროის ორწევროვან სისტემას გვთავაზობს: მარკირებული ნამყო – არამარკირებული აწმყო ზოგადი (მომავალი დრო დამატებითი გრამატიკული მნიშვნელობაა დიფერენციალურ ნიშანთა კონისათვის: აწმყო ზოგადი + გრძლივი + სრული ასპექტი).

წარსული დროის მორფოლოგიურ ნიშნებად გამოიყო: -დ (უწყვეტლისა), -ე, -ი (წყვეტილში), უ-ი (I თურმეობითში), ე-ინ (II თურმეობითში).

საგულისხმო ფაქტია, რომ დასახელებული აფიქსები ძირითადად სხვაგვარადაა კვალიფიცირებული (ზოგჯერ ერთსა და იმავე ავტორებთანაც!).

მაგრამ წარსული დროის ნიშნად მიჩნეული აფიქსების მორფოლოგიური კვალიფიკაციის საკითხში არაა აზრთა ერთგვარობა. არსებობს ურთიერთგამომრიცხველი თვალსაზრისებიც, ჩვენთვის ამჟამად არსებითი ისაა, რომ ისინი არ არიან დროის გამომხატველი აფიქსები; აზრთა ასეთი სხვადასხვაობაც სწორედ ამის მიმანიშნებელია.

ა. შანიძესთან, რომლის გრამატიკულ ნააზრევშიც დრო ზმნის ერთ-ერთ ძირითად კატეგორიადაა მიჩნეული, დროის მორფოლოგიურ გამოხატვაზე არაა საუბარი.

ამგვარად, იმ თვალსაზრისზე დამყარება, რომ „მორფოლოგიური კატეგორია სათანადო აფიქსებით უნდა იქნეს წარმოდგენილი“, „ამა თუ იმ ფაქტის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევას მორფოლოგიური ნიშნის ქონა-უქონლობა წყვეტს“ – დროს მორფოლოგიურ კატეგორიად ვერ გაგვააზრებინებს. დროის გამოხატვა მორფოლოგიურად არ ხდება.

თუ დავუშვებთ, რომ დრო მორფოლოგიური კატეგორიაა, ესა თუ ის ზმნური ფორმა ამა თუ იმ დროის გამომხატველია, მაშინ, თავისთავად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ერთი რომელიმე მწკრივის ფორმა ნებისმიერ კონტექსტში მხოლოდ ერთ დროულ მნიშვნელობას უნდა გადმოგვცემდეს. ა. შანიძე ასეც მსჯელობს: დრო მწკრივის ელემენტია; ელემენტები მწკრივის ფარგლებში უცვალელებელია.

არის თუ არა დრო უცვალელებელი ერთი მწკრივის ფარგლებში? სხვაგვარად: ერთი მწკრივის ფორმას აქვს თუ არა მხოლოდ ერთი დროის გაგება?

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღნიშნულა, რომ ამა თუ იმ მწკრივის ფორმამ, გარდა ძირითადი დროული მნიშვნელობისა, გარკვეულ კონტექსტში სხვა დროის მნიშვნელობაც შეიძლება გადმოსცეს; მაგალითად, აღნიშნავენ, რომ „ერთმა და იმავე ფორმამ შეიძლება ეხლანდელის გაგებაც მოგვცეს და მომავლისაც“. ასეთი „პოლისემიური ფორმებია: ჭამს, ბრძანებს, ასწავლის, სცემს, განაგრძობს, უყურებს, იძინებს, შეადგენს, არჩენს, ათამამებს

და სხვ...“ „ერთი და იგივე ფორმა შეიძლება ერთ შემთხვევაში დროიანი იყოს, სხვა შემთხვევაში კი – უდროო“ (ა.შანიძე). დროის მიხედვით ცვალებადობას ა. შანიძე ჩვეულებრივ მიაწინებს მწკრივთა დახასიათებისას, თუმცა ამგვარ მსჯელობას ძირითადი დებულება – „დრო უცვალებელი ელემენტია ერთი მწკრივის ფარგლებში“ – არ შეუცვლია“ [გოგოლაშვილი..., 2011, 324-327].

ნაშრომში ლ. გეგუჩაძის გამოკვლევების საფუძველზე წარმოდგენილია „ცალკეულ მწკრივთა ფორმების მიერ დროულ მნიშვნელობათა გადმოცემის შესაძლებლობის ზოგადი სურათი“:

„აწმყოს მწკრივს შეიძლება ჰქონდეს **ახლანდელი, მომავალი** ან ე. წ. **„ზოგადი აწმყოს“** მნიშვნელობა. ნამყო უწყვეტელი მხოლოდ **წარსული** დროის გამოხატველია. აწმყოს კავშირებითი **ახლანდელ** ან **მომავალ** დროს აღნიშნავს. მყოფადის მწკრივი გადმოგვცემს **მომავალ** ან **ახლანდელ** დროს. შეიძლება ჰქონდეს ზოგადი აწმყოს გაგებაც. მყოფადის ხოლმეობითი **წარსული** დროის გადმომცემი მწკრივია, მაგრამ შეუძლია შეითავსოს **მომავალ** ი დროის მნიშვნელობაც. მყოფადის კავშირებითი მხოლოდ **მომავალი** დროის გაგებით გვხვდება. წყვეტილის მწკრივს უნარი აქვს გამოხატოს როგორც **წარსული**, ისე **მომავალი** დრო. II კავშირებითი **მომავალთან** ერთად ითავსებს **ახლანდელი** დროის მნიშვნელობასაც. I თურმეობითი შეიძლება შეგვხვდეს **ახლანდელი, წარსული** ან **მომავალი** დროის ფუნქციით. II თურმეობითი ძირითადად **ნამყო დროს** გადმოსცემს, მაგრამ მისი კავშირებითი კილოს ფუნქციით ხმარებისას შეფარდებით **მომავალსა** ც გამოხატავს. III კავშირებითი უპირატესად **წარსულ** დროს ითვალისწინებს, მას შეიძლება ჰქონდეს **მომავალი** დროის გაგებაც“ [გოგოლაშვილი..., 2011, 327-328].

ავტორები თვლიან, რომ „ეს ანალიზი ამომწურავი არ არის; ზოგი რამ შეიძლება კიდევ დაზუსტებულიყო. მაგ.: წყვეტილის ფორმამ შეიძლება გარკვეულ შემთხვევაში აწმყო დროის გაგებაც გადმოსცეს. რადგან „ბრძანებითობა თავისი ბუნებით ისეთი აქტია, რომელიც შეიძლება აწმყოში ან მომავალში ხორციელდებოდეს“ [ფ. ერთელიშვილი]. აქედან გამომდინარე, წყვეტილის ფორმისათვის აწმყო დროის გაგებაც არ ჩანს უჩვეულო.

უზმნისწინო ფორმებს ნამყო ძირითადისას ბრძანებითი კილოს შემთხვევაში აწმყო დროის გაგება შეიძლება ჰქონდეს:

„აქრე, სინათლე აქრე, მე მაინც ავანთებ მას“ (ჭ. ლომთ.);

„ისმინე, სწავლის მძებნელო“ (დ. გურამ.)...

აწმყოს გაგებას შეიცავს აგრეთვე ზოგი ზმნის წყვეტილის პირველი პირის ფორმა მსგავს შემთხვევაში:

„ელიზბარი: მე წავედი (წამოდგება), მირიანი: მოიცა“ (ა. ჩხ.);

„უცებ ქალბატონი დორა შეჩერდა და თქვა: „მე წავედი“ (თ. ჭილ.);

„აბა გავიქეცი, თორემ დამაგვიანდა“ (ო. მამფ.)“ [გოგოლაშვილი..., 2011, 328].

„მე წავედი“, „გავიქეცი“ მართლაც აწმყოს გაგებას შეიცავს მოცემულ კონტექსტში, ოღონდ ისინი კალკებს წარმოადგენენ და ამავე დროს მათი გამოყენების არე ძალიან შეზღუდულია (გ. კვარაცხელია), – ასეთია ამ ფაქტის შეფასება, მაგრამ ეს არ არის სერიოზული დაბრკოლება ნაშრომის ავტორთათვის: „ჩვენ ვსაუბრობთ ენობრივ ფაქტებზე, რომლებიც დასტურდება თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ენაში. მათ წარმომავლობას ამჯერად ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს; ამგვარი წარმოშობის არაერთი ფორმა დღეს ბუნებრივ ქართულად აღიქმება. მთავარი ისაა, რომ ამგვარი ფორმების გამოყენება არ ტოვებს არაბუნებრიობის შთაბეჭდილებას“, – ასეთია მათი ახსნა და დასკვნა,

რომ „ამგვარად, წყვეტილის ფორმისათვის აწმყო დროის გამოხატვაც არ არის უცხო... თითო დროს გამოხატავს მხოლოდ უწყვეტელი და მყოფადის კავშირებითი; სხვა მწკრივები ორ-ორი ან მეტი დროის გამოხატველია. თერთმეტი მწკრივიდან მხოლოდ ორი მწკრივი გამოხატავს ერთ დროს; ორ დროს გამოხატავს ხუთი მწკრივი; სამ დროს – სამი მწკრივი; აწმყოს მწკრივს სამი დროული გაგება შეიძლება ჰქონდეს (ერთი – ზოგადი აწმყო, ანუ დაცლილის კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან)“ [გოგოლაშვილი, 2011, 328].

უარყოფითია პასუხი კითხვაზე – არის თუ არა დრო მორფოლოგიური კატეგორია? – იმიტომ, რომ:

„1. არ ხდება დროის გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებით;

2. ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ მწკრივისა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა დროის გაგებას იძენს, ანუ მწკრივის ფორმას დროულ მნიშვნელობას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის ბუნება და ხასიათი, კონსტრუქციაში შემავალი წევრების მნიშვნელობა შეაპირობებენ ამ ფორმის დროულ გაგებას.

როცა მიანიშნებენ ერთი და იმავე ფორმის მიერ სხვადასხვა დროული მნიშვნელობის გამოხატვის შესაძლებლობაზე, საუბრობენ ძირითად დროულ ფუნქციაზე. რომელია ძირითადი დროული მნიშვნელობა გააკეთე ფორმისათვის – წარსული თუ მომავალი? წარსულში ერთგზისი, დასრულებული მოქმედების გამოხატვა თუ მომავალში შესასრულებელ მოქმედებაზე ყურადღების მიქცევა? ვფიქრობთ, ორივე. II პირის წართქმითი ბრძანებითის გამოხატვა მხოლოდ ამ ფორმით ხდება. რით შეიძლება აიხსნას ან დასაბუთდეს, რომ ფრაზაში – „გიბრძანებ, გააკეთე!“ – უკანასკნელი ფორმის დროული მნიშვნელობა წარსულია, მაგრამ ამ შემთხვევაში მომავალს გამოხატავს? ამგვარი მსჯელობა, ვფიქრობთ, ალოგიკურიც იქნება. პასუხს მოითხოვს კითხვაც: თუ გააკეთე ფორმის ძირითადი დროული მნიშვნელობა წარსულია, რა ანიჭებს მას ამ გაგებას სათანადო კონტექსტში, ანდა რა იწვევს სხვა შემთხვევაში მომავალი დროის მნიშვნელობის მინიჭებას. სხვაგვარად: წარსული დროის მნიშვნელობის გამოცვლას? და, საერთოდ, კონტექსტის გარეშე, იზოლირებულად, შეიძლება თუ არა ზმნური ფორმა დახასიათდეს დროული მნიშვნელობის მიხედვით?

როცა ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება სხვადასხვა დროული მნიშვნელობით მოგვევლინოს, თავისთავად ცხადია, კონტექსტის გარეშე დროულ მნიშვნელობაზე საუბარი გაუმართლებელი ხდება.

შედარებისათვის: ფორმა **კაც** კონტექსტის გარეშე არ შეიძლება დახასიათდეს როგორც სუბიექტი, ან ირიბი ობიექტი, ან პირდაპირი ობიექტი; სხვადასხვა შემთხვევაში ყველა მათგანის გამოხატვა შეიძლება იკისროს:

კაცს უთქვამს – სუბიექტია,

კაცს უთხრა – ირიბი ობიექტია,

კაცს კლავს – პირდაპირი ობიექტია.

როცა ვმსჯელობთ კონტექსტზე, ფორმის გარეთ არსებული დროული მნიშვნელობის შემაპირობებელ მოვლენებზე, ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებთ ინტონაციას; მაგალითისათვის:

– მოიტანე. – პასუხი კითხვაზე: გამოიცან, მოვიტანე თუ არ მომიტანია?

– მოიტანე! – პასუხი კითხვაზე: მოვიტანო?

ორივე შემთხვევაში წყვეტილის ფორმა წინადადების ტოლფასია. სხვაობას ინტონაცია ქმნის. ეს სხვაობა დროული სხვაობის საფუძველია. ამ შემთხვევაში სხვადასხვა ინტონაციას

სხვადასხვა კილოს გაგება შემოაქვს. სხვადასხვა კილოს გაგების შემოტანა სხვადასხვა დროული მნიშვნელობის საფუძველია. ამ შემთხვევაში ინტონაცია კონტექსტის ტოლფასია.

ეს უკანასკნელი მაგალითი იმის დასტურიცაა, რომ ცალკე აღებულ ზმნურ ფორმაზე მსჯელობა დროული მნიშვნელობის გასარკვევად შეუძლებლად მიგვაჩნია: ფორმის წარმოთქმას ყოველთვის ახლავს გარკვეული ინტონაცია; წყვეტილს, ჩვეულებრივ, თხრობითი. ეს კი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ფორმის დროული მნიშვნელობა წარსულია.

ასევე შეიძლება მსჯელობა სხვა მწკრივის შესახებაც. **კონტექსტის გათვალისწინება ყოველთვის იქნება საჭირო დროის მიხედვით პოლისემანტიკური ფორმების დროულ მნიშვნელობებზე მსჯელობისას.**

ამა თუ იმ ფორმის „ძირითად“ და „არაძირითად“ დროულ მნიშვნელობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, როგორია სიხშირე ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისა, ასევე არ ჩანს გამართლებული. ფაქტია: აწმყოს მწკრივის ფორმის ახლანდელი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები გაცილებით ჭარბობს იმავე ფორმის მომავალი დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს; ისევე როგორც წყვეტილის ფორმის შემთხვევაში მომავალი დროის მნიშვნელობას – წარსული დროის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევები. ნიშნავს ეს იმას, რომ აწმყოს მწკრივის ფორმის ძირითადი დროული მნიშვნელობა ახლანდელია, ხოლო წყვეტილისა – წარსული? ვფიქრობთ, არა. რადგან: აქ იმ ფაქტორის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომ ენაში სიხშირე იმგვარ კონსტრუქციათა, რომლებშიც საანალიზო მწკრივის ფორმა ე. წ. „ძირითადი დროული მნიშვნელობით“ გვხვდება, გაცილებით ჭარბობს ე. წ. „არაძირითადი დროული მნიშვნელობის“ მიმნიჭებელ კონსტრუქციათა სიხშირეს.

დასკვნა ასეთია: **დრო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არ ხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) დროული მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში ი. კონტექსტის გარეშე ფორმის დროული მნიშვნელობა ვერ გაირკვევა; დროის გაგებას ფორმას კონტექსტი ანიჭებს.**

დრო სემანტიკური კატეგორიაა... ზმნის ფორმა ზოგ შემთხვევაში შეიძლება დაცლილი იყოს კონკრეტული დროული მნიშვნელობისაგან: როცა საუბარია ისეთ მოქმედებაზე, რომელიც ზოგადად არის დამახასიათებელი სუბიექტისათვის: მხატვარი ხატავს, თევზი ცურავს, ფრინველი ფრინავს (არა ახლა, არამედ საერთოდ, ზოგადად)... ასეთ შემთხვევებს ზოგად აწმყოს ვუწოდებთ. „სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა სიკვდილი სახელოვანი“, – წერს რუსთაველი. **წერს** ზმნური ფორმა აწმყო დროის გამომხატველია, თუმცა რეალურად საუბარია წარსულში მომხდარ მოქმედებაზე...

მსგავსი შემთხვევების მოყვანა სხვაც შეიძლება...

საუბრობენ წარსულზე მომავალში, და მომავალზე წარსულში... ანდა ახლო წარსულზე და შორეულ წარსულზე; ახლო მომავალზე და შორეულ მომავალზე... ამ შემთხვევაში საუბარია არა აბსოლუტურ დროებზე, არამედ რელატიურ დროებზე: დრო ამ შემთხვევაში განისაზღვრება არა ლაპარაკის მომენტთან შეფარდებით, არამედ სხვა დროსთან მიმართებით. მაგალითად, პერფექტი გამოხატავს წარსულ მოქმედებას აწმყოსთან მიმართებით; წინარე წარსული (ანუ პლუსკვამპერფექტი) – წინარე მოქმედებას წარსულთან მიმართებით და ა. შ.

დროის მომენტის ამგვარი გააზრება სემანტიკური ანალიზის საგანია“ [გოგოლაშვილი..., 2011, 330-333].

ჩვენთვის მისაღებია და დამაჯერებელი დროის კატეგორიის განხილვა არა მორფოლოგიურ, არამედ სემანტიკურ კატეგორიად.

ამ დებულების მთავარი არგუმენტიც სწორედ ის არის, რომ **დროის მარკირება სპეციალური გრამატიკული ნიშნებით არ ხდება**, დროის გრამატიკული მნიშვნელობა სისტემურად არ გამოიხატება მორფოლოგიური საშუალებებით (ანუ: არ ჩანს კავშირი გრამატიკულ მნიშვნელობასა და გრამატიკულ ფორმას შორის) – ესე იგი, არ გვაქვს მორფოლოგიური კატეგორია.

ეს ისეთი არგუმენტია, რომელიც სრულიად საკმარისია წარმოდგენილი დებულების დასასაბუთებლად.

ამდენად, შეიძლება უარი ვთქვათ მეორე არგუმენტზე, რომელიც არაფრით ამყარებს მას. მით უმეტეს, რომ **გრამატიკული ფორმა საზოგადოდ და ხშირ შემთხვევაში (არამხოლოდ აწმყოს ან წყვეტილის ფორმები, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ) პოლისემიურია, პოლიფუნქციურია.**

ყოველ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ ერთი მწკრივის ფორმას შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი დროის გაგება, ვერ აუფასურებს ფორმისა და შინაარსის დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ არგუმენტს, არანაირად არ მოდის მასთან წინააღმდეგობაში.

თავად აკაკი შანიძე სავსებით მართებულად შენიშნავს ამასთან დაკავშირებით: „მწკრივის ფორმა ერთი აქვს, ფუნქცია კი – ხშირად სხვადასხვა. სახელი მწკრივს შეიძლება ერთი ფუნქციის მიხედვით ჰქონდეს დარქმეული, მაგრამ როგორსა და რამდენ ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს ამა თუ იმ შემთხვევაში, ფორმით ის მაინც ერთი ერთეულია, ნომენკლატურამ არ უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში. აწმყოს მწკრივმა შეიძლება დრო მომავალი გადმოსცეს და მყოფადის მწკრივმა – ეხლანდელი. რომ ნათელი იყოს ნათქვამი, აღნიშნულ მოვლენას პარალელი მოვუძებნოთ სახელთა ბრუნვებში: **სახელობითი მუდამ სახელობითია, ასრულებს ის სუბიექტის ფუნქციას, თუ ობიექტისას**: მართლაც, ახირებული რამ იქნებოდა, რომ ერთ შემთხვევაში „ამხანაგი“ სახელობითად (ნომინატივად) მიგვეჩნია („ამხანაგი მოვიდა“), სხვა შემთხვევაში კი – შემასმენლობითად (აკუზატივად: „ამხანაგი მოიყვანეს“)... ამგვარადვე, მიცემითი მუდამ მიცემითია, გადმოგვეცემს ის სუბიექტს („ამხანაგს მოუყვანია“), თუ ირიბ ობიექტს („ამხანაგს მოწმე მოუყვანეს“). მსგავსადვე მოქმედებითი ბრუნვა მოქმედებითია, გადმოგვეცემს ის საშუალებას („სათვალეებით წაიკითხა“), თუ ვითარებას, როგორ მიმდინარეობს მოქმედება, როგორც პროცესი (სიამოვნებით წაიკითხა“) [შანიძე, 1980, 224].

სხვა ბევრი მაგალითის მოყვანაც შეიძლება იმის საილუსტრაციოდ, რომ ამა თუ იმ ფორმას კონტექსტების მიხედვით სხვადასხვა გრამატიკული შინაარსის გამოხატვა შეუძლია, მაგრამ ამით მისი სტატუსი არ იცვლება (შეიძლება დავასახელოთ, ვთქვათ, დეპონენსები, რომელთაც ფორმა პასივისა აქვთ, სემანტიკა კი აქტივისა. იცვლება ამით მათი მორფოლოგიური სტატუსი? რა თქმა უნდა, არა, **ეს ზმნები რჩებიან პასივებად** (სწორედ ფორმის გამო!), ხოლო რამდენად ადეკვატურია აქტიური ზმნის პასივის ფორმით წარმოდგენა, ეს უკვე ფუნქციური კვლევის სფეროა).

ნამდვილად შეიძლება „ერთმა და იმავე ფორმამ ეხლანდელის გაგებაც მოგვეცეს და მომავლისაც“, ამას ადასტურებს წარმოდგენილი „პოლისემიური ფორმები: ჭამს, ბრძანებს, ასწავლის, სცემს, განაგრძობს, უყურებს, იძინებს, შეადგენს, არჩენს, ათამაშებს და სხვ...“;

მაგრამ ვნახოთ ის ზმნები, რომელთა აწმყოს მწკრივის ფორმებთან სტაბილურად არის დაკავშირებული ახლანდელი დროის სემანტიკა: მალავს... ჭრის... მუშაობს... ბანს... აგდია...

უყვარს... აწერს... მიდის... დრეკს... ადგენს... ანგრევს... ახრჩობს... იჭერს... აჭერინებს... იცინის... წითლდება... იყიდება... ენანება...

ეს არ არის ცალკეული ზმნების ჩამონათვალი; შეუიარაღებელი თვალითაც, სპეციალური სტატისტიკური სამუშაოების ჩატარების გარეშეც ჩანს, რომ ძალიან შთამბეჭდავი იქნება იმ ზმნათა რაოდენობა, რომელთაც აწმყოს ფორმებიც სტაბილურად ახლანდელ დროს გამოხატავენ.

და არანაირად არ არის ამ შემთხვევაში კონტექსტის გათვალისწინების აუცილებლობა, არც „იმ ფაქტორის გათვალისწინებაა აუცილებელი, რომ ენაში სიხშირე იმგვარ კონსტრუქციათა, რომლებშიც საანალიზო მწკრივის ფორმა ე. წ. „ძირითადი დროული მნიშვნელობით“ გვხვდება, გაცილებით ჭარბობს ე. წ. „არაძირითადი დროული მნიშვნელობის“ მიმნიჭებელ კონსტრუქციათა სიხშირეს“.

აწმყოს ნაკვთის ფორმათა ერთ-ერთი ძირითადი გრამატიკული მახასიათებელია **ახლანდელი დრო**, – და არაფერს ცვლის ის გარემოება, რომ ზოგჯერ (ხანდახან, შიგადაშიგ, დროდადრო...) ამ ფორმით შესაძლებელია სხვა დროც გამოიხატოს.

აქვე შევნიშნავთ, **ზოგადი აწმყო** არის **აწმყოს სახესხვაობა**. ამიტომ ჰქვია მას **ზოგადი აწმყო** და არა **ზოგადი მომავალი** ან **ზოგადი წარსული**.

ზოგადი აწმყოს (და არა წარსული დროის) ფორმებია: **წერს** შოთა რუსთაველი, **ამბობს** ილია ჭავჭავაძე, **გვასწავლის** დავით გურამიშვილი...

ერთი სიტყვით, აწმყოს ფორმას აქვს ახლანდელი დროის მნიშვნელობა და ეს ელემენტარული მორფოლოგიური ანალიზის დროს ფიქსირდება, როცა ვამბობთ, რომ, ვთქვათ, **„ჭამს“** არის ახლანდელი დროის გამომხატველი ფორმა. ეს კონტექსტის გარეშეც, მორფოლოგიის დონეზეც შეიძლება ითქვას. ხოლო თუ გვაქვს კონტექსტი, ბუნებრივია, უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქციაში წარმოდგენილი **ეს შემასმენელი გადმოცემულია აწმყოს მწკრივით, თუმცა მას აქვს (თუ აქვს!) მომავალი დროის გაგება**.

ფორმასა და ფუნქციაზე მსჯელობისას აკაკი შანიძე, ჩვენი აზრით, ლოგიკურ პარალელს ავლებს ზმნისა და სახელის სისტემებს შორის.

მაგრამ, ძნელია „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ ავტორებს დავეთანხმოთ ამგვარივე პარალელის ძიებისას იმაში, რომ „ფორმა **კაც** კონტექსტის გარეშე არ შეიძლება დახასიათდეს როგორც სუბიექტი, ან ირიბი ობიექტი, ან პირდაპირი ობიექტი; სხვადასხვა შემთხვევაში ყველა მათგანის გამოხატვა შეიძლება იკისროს: **კაცს** უთქვამს – სუბიექტია, **კაცს** უთხრა – ირიბი ობიექტია, **კაცს** კლავს – პირდაპირი ობიექტია“.

საქმე ის არის, რომ **კაც** ფუძეს **არც კონტექსტით და მით უმეტეს, არც კონტექსტის გარეშე არ შეუძლია არანაირი ფუნქციის გამოხატვა**.

ამა თუ იმ ფუნქციას გამოხატავს არა ფუძე, არამედ გრამატიკული ფორმა.

კონტექსტის გარეშე არ შეიძლება დახასიათდეს არა **კაც**, არამედ **კაცი**. კონტექსტის გარეშე ვერაფერს ვიტყვით **„კაცი“** ფორმის ფუნქციაზე, თუმცა არაფერი გვიშლის ხელს, რომ ის აპრიორი სახელობითი ბრუნვის ფორმად ჩავთვალოთ.

ძნელი გასაზიარებელია „მე წავედი“, „გავიქეცი“ ფორმებთან დაკავშირებული მსჯელობა; სადავოა არა ის, რომ ამ ფორმებს გარკვეულ კონტექსტში შეუძლიათ ახლანდელი დროის გამოხატვა; რთულია დაეთანხმო დასკვნას, რომელიც არასალიტერატურო ფორმათა ანალიზს ემყარება. ვერაფერი არგუმენტია ის გარემოება, რომ ეს „ენობრივი ფაქტები დასტურდება თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ენაში“.

თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის ენაში ბევრი არალიტერატურული ფორმა დასტურდება (სხვადასხვა მიზეზის გამო), მაგრამ მათი ანალიზით შეიძლება მხოლოდ ამ ნაწარმოებების ენობრივ თავისებურებებზე ვიმსჯელოთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ამ ფორმების გამოყენება ერთობ იშვიათად ხდება. ეს სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ქართულისთვის ხელოვნურია და არაბუნებრივი.

საერთოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი სტაბილური ფორმა დროის, კერძოდ, ახლანდელი დროის გამოსახატავად, არის აწმყოს ნაკვთის ყალიბი: **ზმნის ფუძე + თემის ნიშანი** (აკეთ-ებ) – ეს ის მოდელია, რომლითაც ზმნათა დიდი უმრავლესობა ახლანდელ დროს გადმოსცემს.

მაგრამ ამ სისტემის გარეთაც რჩება საკმაო რაოდენობა ზმნებისა (პირველ რიგში, სტატიკური ფორმები: დგას, აგდია, უყვარს...).

თითქოს ასევე სტაბილურია წყვეტილის მიერ წარსული დროის გამოხატვა. აწმყოსა და მყოფადის ფორმობრივ დაპირისპირება-დიფერენცირებაზე მსჯელობაც არ არის უსაფუძვლო (აწმყოსა და წყვეტილის ყალიბები, სტრუქტურული მოდელები ძირითადად განსხვავებულია ერთმანეთისაგან).

მაგრამ თუ აწმყოს მწკრივთან პრაქტიკულად მხოლოდ ახლანდელი დროის მნიშვნელობაა „მიბმული“, ასევე არ არის წყვეტილის შემთხვევაში: **წარსულ დროს გამოხატავს არამხოლოდ წყვეტილი, არამედ სხვა მწკრივებიც.**

აქედან გამომდინარე, ვერ ვიმსჯელებთ წარსული დროის სტაბილურ ფორმაზე: **მას შეიძლება სხვადასხვა ფორმა ჰქონდეს.**

რა თქმა უნდა, წყვეტილია და დროის მიხედვით წარსულია, ხოლო კილოს მიხედვით – თხრობითი „გააკეთე“: **გავაკეთე, გააკეთე, გააკეთა, გავაკეთეთ, გააკეთეთ, გააკეთეს** პარადიგმის წევრი.

რა თქმა უნდა, სხვა პარადიგმის წევრია და, შეიძლება ითქვას, სხვა ზმნაა ბრძანებითი კილოს ფორმა **გააკეთე!**

ამ შემთხვევაში კილოს ფაქტორს შეუძლია კორექტივების შეტანა: თხრობითი კილოს ფორმები მართლა წარსული დროის აღმნიშვნელია, ხოლო ბრძანებითი კილო მომავალ დროს გულისხმობს გრამატიკული (და არამხოლოდ გრამატიკული) ლოგიკით.

დრო სულ სამია, მწკრივი კი 11 (სხვა ვერსიებით: 8 ან 16). ყველა მწკრივი გამოხატავს ამა თუ იმ დროს.

ზოგი მწკრივი კონტექსტების მიხედვით სხვადასხვა დროს გამოხატავს.

ეს უკვე აპრიორი, დამატებითი ანალიზის გარეშე, გამორიცხავს საკითხს დროის კატეგორიის აფიქსებით მარკირების შესახებ;

მარკირების საკითხი ბუნებრივად დადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ გვექნებოდა ამ სამ დროსთან სტაბილურად დაკავშირებული სამი ფორმა; მადიფერენცირებელი ნიშანი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც მორფემა, ისე მორფოლოგიური ყალიბი, სტრუქტურა ზმნისა. მორფოლოგიური კატეგორიები სწორედ ფორმათა შეპირისპირების საფუძველზე დგინდება.

მორფოლოგიური ანალიზის დროს როგორ დავახასიათოთ ესა თუ ის კონკრეტული ფორმა? ვთქვათ, წყვეტილის ფორმა? რომ ეს ფორმა დროის მიხედვით არის წარსული და ახლანდელი?

შუალობითი კონტაქტის ფორმა (მაგალითისთვის ავიღოთ ზოგადი სემანტიკის მქონე ფორმა: „აკეთებინებს“) კონტექსტის მიხედვით შეიძლება სხვადასხვა შინაარსს გადმოსცემდეს:

იმას, რომ მოქმედება ხდება სუბიექტის მიზეზით ან იძულებით (სუბიექტი მოქმედების ინიციატორია, მოქმედებს ირიბი ობიექტი);

იმას, რომ მოქმედება ხდება სუბიექტის დახმარებით (სუბიექტური პირი ხელს უწყობს ირიბ ობიექტურ პირს მოქმედების განხორციელებაში; რეალურად მოქმედია ირიბი ობიექტი);

იმას, რომ მოქმედებას ორი შემსრულებელი ჰყავს (სუბიექტი და ირიბი ობიექტი ერთად, ერთობლივად არულებენ მოქმედებას).

რას ნიშნავს ეს? იმას, რომ კონტაქტის კატეგორია არ არსებობს? ეს ყველაფერი (ეს ცვლილებები) ხდება სწორედ ერთი მწკრივის ფარგლებში, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გრამატიკული მნიშვნელობა იკითხება.

სხვადასხვა კონტექსტში ზმნის სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობა ვლინდება. ერთ კონკრეტულ კონტექსტში ფორმას ერთი კონკრეტული მნიშვნელობა აქვს.

მწკრივების ფუნქციური დახასიათება-ანალიზისას ყურადღების მიღმა რჩება უმთავრესი საკითხი: რის მიხედვით ვადგენთ კატეგორიას, გრამატიკულ კატეგორიას?

ანუ, საკითხი უფრო მარტივად უნდა გადაწყდეს (ისევე, როგორც წყდება სხვა შემთხვევებში).

II.4. კილოს კატეგორია.

კილო არის ფორმა ზმნისა, რომელიც გვიჩვენებს, რომ მოუბრის მიერ დასახელებული მოქმედება უნდა იქნეს გაგებული ან როგორც უეჭველი ფაქტი, ან როგორც შესაძლებელ-სავარაუდებელი, ან კიდევ როგორც შესასრულებელი“ [შანიძე, 1980, 204].

ამის მიხედვით კილოს 3 სახეობას გამოყოფენ, ანუ, გვაქვს კილოს სამწვერიანი სისტემა: თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი.

თხრობითი კილოს ფორმა მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც ფაქტს;

კავშირებითი კილოს ფორმით ხდება არა ფაქტის კონსტატირება, არამედ შესაძლებელი მოქმედების გამოხატვა;

ბრძანებითი კილოს ფორმა აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას აღნიშნავს.

კილოს ზმნის მორფოლოგიურ კატეგორიად მიიჩნევენ. ა. შანიძის აზრით, იგი „მწკრივის ელემენტია“ და „უცვალელებელი მწკრივის ფარგლებში“.

სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვა დროს განიხილებოდა კილოს შემდეგი სახეობები: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი, თხოვნითი, აკრძალვითი, პირობითი, შედეგობითი, ნატვრითი.

ნაშრომში – „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია“ (თბ., 2011) ავტორები განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ „ერთ თვალსაზრისზე, კერძოდ, იმ ცდაზე, რომლის მიხედვითაც კილოს ორი სახეობა შეიძლება გამოიყოს: **რეალური** კილო და **ირეალური** კილო.

„საუღლებელ ერთეულთა ძირითადი ნაწილი კილოური თვალსაზრისით ორ ჯგუფად შეიძლება გაიყოს:

1) ნაკვებები, რომლებიც გადმოსცემენ რეალური მოქმედების, რეალური კილოს შინაარსს და 2) ნაკვებები, რომლებიც ირეალური კილოს შინაარსს გადმოსცემენ. რეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი, – ზმნის მოქმედება გაგებულ იქნეს როგორც ფაქტი, – შესრულებული ან შესასრულებელი. ირეალური იქნება კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი, – ზმნის მოქმედება გაგებულ იქნეს როგორც საექვო, შესაძლებელი სავარაუდო მოვლენა, ირეალობა“ (ა. პაპიძე). აქ კილოს ტრადიციული ერთეულები (კავშირებითი, ნატვრითი, პირობითი...) ამ ორი ძირითადი ერთეულის (რეალური, ირეალური) სემანტიკურ ჯგუფში შემავალ ერთეულებად განიხილება... ამდენად, კილოს კატეგორიის არსებობა სადავოდ არ არის გამხდარი“ [გოგოლაშვილი..., 2011, 334].

არის თუ არა კილო მორფოლოგიური კატეგორია და, შესაბამისად, უცვალელებელი ერთი მწკრივის ფარგლებში?

პასუხი უარყოფითია: კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: ა) არხდება მისი გამოხატვა მორფოლოგიურად; ბ) კილოური მნიშვნელობა ცვალეებადია ერთი მწკრივის ფარგლებში. კონტექსტის გარეშე ფორმის კილოური მნიშვნელობა ვერ გაირკვევა; კილოური მნიშვნელობას ფორმას კონტექსტი ანიჭებს [გოგოლაშვილი..., 2011, 338].

ხდება თუ არა კილოს გამოხატვა მორფოლოგიურად? – დასმულია კითხვა წარმოდგენილ მონოგრაფიაში, პასუხი კი ასეთია: „ზოგ ავტორთან კავშირებითის მწკრივებში გამოვლენილი -ა, -ე, -ო სუფიქსები კავშირებითი კილოს მორფოლოგიურ ნიშნებადაა გააზრებული. საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით კი იგივე აფიქსები მწკრივის მაწარმოებელი ფორმანტებია და არა კილოსი“.

რომელი მწკრივის მაწარმოებელი სუფიქსებია -ა, -ე, -ო?

აწმყოს კავშირებითის, მყოფადის კავშირებითის, მეორე კავშირებითის, მესამე კავშირებითის. ეს ასეა „საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისით“. ეს ნამდვილად ნიშნავს იმას, რომ ეს მორფემები კავშირებითი კილოს ნიშნებია, ამ მორფემების საშუალებით კავშირებითის გრამატიკული მნიშვნელობა გამოიხატება.

კილოს მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევასთან დაკავშირებით კონტრარგუმენტაცია ასეთია: „როცა არის მსჯელობა კილოს მორფოლოგიურ გამოხატვაზე, საუბარია მხოლოდ კავშირებითზე; თხრობითისა და ბრძანებითის კილოთა მორფოლოგიური გამოხატვა არ ხდებაო. გამოდის: კილოს სამწევრიანი სისტემიდან (როგორც ითქვა, ზოგი კლასიფიკაციით კილოთა რაოდენობა მეტია...) მარკირებულია ერთი; ეს თავისთავად ეჭვქვეშ სვამს საკითხს ა, ე, ო სუფიქსთა ამგვარი კვალფიკაციისას. ამ წინააღმდეგობის მოხსნის ცდაა კილოს ორწევრიანი სისტემის დაშვება, რაც ასევე სადავოდ მიგვაჩნია. შეიძლებოდა, არ გვეძებნა კილოს კატეგორიის გამომხატველი მორფოლოგიური ელემენტი და ამ კატეგორიის გამომხატველად ამა თუ იმ მწკრივის ფორმა ჩაგვეთვალა (ფორმის სტრუქტურა, ყალიბი), რომ ერთი არსებითი ხასიათის დაბრკოლება არ იყოს: თუ დავუშვებთ, რომ მწკრივის ფორმა არის ამა თუ იმ კილოს მორფოლოგიური გამოხატულება, მაშინ ამა თუ იმ ფორმას მხოლოდ ერთი კილოური მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აღნიშნავენ კიდევ, რომ კილოს კატეგორია ერთი მწკრივის ფარგლებში უცვალელებელი კატეგორიაა (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...).

არის კი ასე? მივმართავთ ისევ სპეციალურ ლიტერატურას: „...შეიძლება, რომ მწკრივი, რომელიც უმთავრესად ერთ კილოს ემსახურება, ზოგ შემთხვევაში სხვა კილოს

გადმოსაცემად იყოს გამოყენებული“; „დამოუკიდებლად (უკავშიროდ) ხმარებული კავშირებითი შეიძლება ბრძანებითად იქნეს გამოყენებული: წავიდეს! წავიდეთ!“;

„ბრძანებითი კილოს საკუთარი ფორმები არ გააჩნია, იყენებს ან თხრობით, ან კავშირებით კილოს ფორმებს“ (ა. შანიძე).

არის სხვაგვარი პოზიცია: თ. უთურგაიძის აზრით, „ბრძანებითი კილოს უარყოფა ქართულ ენაში შეუძლებელია... სრულ პარადიგმატულ სისტემაში ბრძანებითისა და მასთან დამთხვეული წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმები სრულიად განსხვავებულ კონვერსიულ ფორმებს იძლევიან, რაც დადასტურებაა მათი ფორმალურ-გრამატიკული განსხვავებულობისა“ [უთურგაიძე 2002, 89].

ფაქტია, რომ ერთი და იგივე ზმნური ფორმა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა კილოური მნიშვნელობის გამომხატველი შეიძლება იყოს. სხვაგვარად:

კილოური მნიშვნელობის ცვლა დამახასიათებელია ამა თუ იმ ზმნური ფორმისათვის; კილო არაა უცვალელებელი კატეგორია ერთი მწკრივის ფორმებში.

სამეცნიერო ლიტერატურაში იმასაც აღნიშნავენ, რომ კილოური მნიშვნელობის გამოვლენას კონტექსტი შეაპირობებს. გავიხსენოთ: უკავშიროდ ხმარებული კავშირებითის მწკრივი ბრძანებითი კილოს ფუნქციას იძენს (ა. შანიძე). გამოდის: კავშირებითის ფუნქცია კონტექსტითაა შეპირობებული. იმ კონტექსტური გარემოს მოშლა კილოური მნიშვნელობის ცვლას იწვევს. ანდა: „ამ ორი კილოს გაგება (პირობითისა და შედეგობითის) თხრობითს ფორმას კონტექსტში ეძლევა“ (ლ. კვაჭაძე).

რამდენიმე მაგალითი:

წყვეტილის ფორმას სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა კილოს გამოხატვის შესაძლებლობა აქვს: კილო თხრობითია: „ამ ყოფით **გავშორდი** ვლადიკავკაზს და პირი ჩემი ქვეყნისაკენ **ვქენი**“ (ილია).

კილო ბრძანებითია: „შენ **ასრულე**, რასაც გიბრძანებენ!“ (აკაკი).

კილო კავშირებითია: „თუ ის იმერელი **წააქციე**, რაც გინდა მთხოვე“ (მ. ჯავახ.).

მაგალითების გაზრდა უსასრულოდ შეიძლება.

ასევე: მეორე კავშირებითის მწკრივის ფორმით შეიძლება გადმოიცეს როგორც კავშირებითი კილოს მნიშვნელობა, ასევე თხრობითი და ბრძანებითი კილოს მნიშვნელობები. მაგ.:

„ეგებ დამძიროს მორევმა“ (ვაჟა) – კილო კავშირებითია;

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“ (გალაკტიონი) – კილო ბრძანებითია;

„ამ შემოდგომაზე ვეღარ დაიჭიროს ჩირიკმა ხელთ მაჭრის ჯამი“ (გ. ლეონიძე) – კილო თხრობითია (ა. პაპიძე).

მაგალითების გაზრდა ყველა შემთხვევისთვისაა შესაძლებელი.

წარმოდგენილი მსჯელობა და ფაქტები ცხადყოფს, რომ ამა თუ იმ მწკრივის ფორმას ქართულში აქვს შესაძლებლობა სხვადასხვა კილოური მნიშვნელობის გამოხატვისა.

ისევე როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, აქაც მსჯელობენ „ძირითად, ამოსავალ“ და „მეორეულ, შეძენილ“ კილოურ მნიშვნელობაზე.

თუმცა არ ჩანს პასუხი კითხვაზე: როცა ერთსა და იმავე ფორმას რამდენიმე კილოს გამოხატვის შესაძლებლობა აქვს, რის მიხედვით უნდა მიეცეს კვალიფიკაცია ძირითადი და არაძირითადი მნიშვნელობისა? სიხშირული მონაცემი ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისა არ უნდა იყოს ენობრივი ფაქტის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი; კითხვა, რომელიც დროის კატეგორიის მიმართ დაისვა, უნდა გავიმეოროთ: რა ანიჭებს მწკრივის

ფორმას ე. წ. „ძირითად კილოურ მნიშვნელობას“; ანდა, რა არის ის, რაც ერთ კონტექსტში გამოვლენილი „ძირითადი კილოური მნიშვნელობის“ გაქრობას და ახალი კილოური მნიშვნელობის მინიჭებას იწვევს?

ფაქტია: 1. არ ხდება კილოს გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებებით. 2. ერთი და იგივე ფორმა ამა თუ იმ მწკრივისა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა კილოს გაგებას იძენს. სხვაგვარად: კილოურ მნიშვნელობას ამა თუ იმ მწკრივის ფორმას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტის სახეობა, კონსტრუქციაში შემავალ წევრთა სემანტიკა შეაპირობებენ ფორმის კილოურ მნიშვნელობას.

საერთოდ, არის კი შესაძლებელი ცალკე აღებული, კონტექსტისაგან იზოლირებული, ზმნური ფორმის კილოურ მნიშვნელობაზე საუბარი?

ვფიქრობთ, არა: როგორც ზემოთმოყვანილი თვალსაზრისებიდან ჩანს, თითქმის ყველა შემთხვევაში ხდება გათვალისწინება კონტექსტის ხასიათისა, კონსტრუქციის სახეობისა ამა თუ იმ ფორმის კილოური მნიშვნელობის დახასიათებისას.

კილოური მნიშვნელობის გამოვლენა რომ კონტექსტზეა დამოკიდებული, ამის გამოა ისიც, რომ არაა ერთგვაროვანი აზრი კილოთა რაოდენობის შესახებ. მორფოლოგიური კატეგორია, ფორმობრივად შეპირობებული მნიშვნელობა ამგვარ სხვადასხვაობას კატეგორიის შემადგენელ ერთეულთა რაოდენობის შესახებ არ უნდა იძლეოდეს.

ისევე, როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, ამა თუ იმ ფორმის „ძირითად“ და „მეორეულ“ კილოურ მნიშვნელობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, თუ როგორია სიხშირე რომელიმე კილოური მნიშვნელობის გამოვლენისა, ასევე არ ჩანს გამართლებული. ფაქტია, წყვეტილის ფორმის გამოყენების შემთხვევები თხრობითი კილოს მნიშვნელობით უფრო ხშირია, ვიდრე ბრძანებითი თუ კავშირებითი კილოს მნიშვნელობით... ეს კი შედეგია იმისა, რომ ენაში იმგვარ კონსტრუქციათა სიხშირე, რომელშიც წყვეტილის ფორმას თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს, ჭარბობს იმ ტიპის კონსტრუქციათა სიხშირეს, რომელშიც იგივე ფორმა სხვა კილოურ მნიშვნელობას იძენს. ასევე შეიძლება ითქვას სხვა მწკრივის ფორმათა შესახებაც“ [გოგოლაშვილი..., 2011, 337-338].

წინააღმდეგობრივი ჩანს დებულებები:

ერთი მხრივ: „სიხშირული მონაცემი ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისა არ უნდა იყოს ენობრივი ფაქტის შეფასების ძირითადი კრიტერიუმი“...

„ისევე, როგორც დროის კატეგორიის შემთხვევაში, ამა თუ იმ ფორმის „ძირითად“ და „მეორეულ“ კილოურ მნიშვნელობაზე მსჯელობა იმის მიხედვით, თუ როგორია სიხშირე რომელიმე კილოური მნიშვნელობის გამოვლენისა, ასევე არ ჩანს გამართლებული“.

მეორე მხრივ: „ფაქტია, წყვეტილის ფორმის გამოყენების შემთხვევები თხრობითი კილოს მნიშვნელობით უფრო ხშირია, ვიდრე ბრძანებითი თუ კავშირებითი კილოს მნიშვნელობით... ეს კი შედეგია იმისა, რომ ენაში იმგვარ კონსტრუქციათა სიხშირე, რომელშიც წყვეტილის ფორმას თხრობითი კილოს მნიშვნელობა აქვს, ჭარბობს იმ ტიპის კონსტრუქციათა სიხშირეს, რომელშიც იგივე ფორმა სხვა კილოურ მნიშვნელობას იძენს“.

თუ სტატისტიკა (სიხშირულ მონაცემებს) ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოვლენისას არ უნდა მივიჩნიოთ ენობრივი შეფასების ძირითად კრიტერიუმად, მაშინ რაღა საჭიროა აპელირება იმაზე, რომ წყვეტილის ფორმის გამოყენება თხრობითი კილოს მნიშვნელობით სჭარბობს ბრძანებითი მნიშვნელობით გამოყენებას?!

ყველა ნაკვთის ფორმა (და საერთოდ, ყველა გრამატიკული ფორმა) ამა თუ იმ ლოკალური საკომუნიკაციო ამოცანების შესაბამისად გამოყენება.

კავშირებითის ფორმას სპეციფიკური მოდალური სემანტიკა აქვს და ეს სემანტიკა წარმოჩენილია სათანადო პარადიგმით.

ასევე სპეციფიკური იყო ისტორიულად ბრძანებითის გამოხატვის ფორმა, – იმდენად, რომ ძველ ქართულში ის ცალკე ნაკვთად გამოიყოფოდა.

და თუ დღეს ბრძანებითის გამოხატვისას არის მსჯელობა იმაზე, რომ ხან კავშირებითის ფორმა გამოყენებული და ხან წყვეტილისა, ეს სწორედ იმას ნიშნავს, რომ მას **საკუთარი, შერეული პარადიგმა** აქვს.

საყურადღებოა თ. უთურგაიძის არგუმენტაციაც: „ბრძანებითის მწკრივი იმითაცაა თავისებური, სხვებისგან განსხვავებული, რომ მის პარადიგმაში... გაერთიანებულია სხვადასხვა მწკრივებთან ბუნებრივად დამთხვეული ფორმები, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს დებულებას, რომ ესა თუ ის გრამატიკული ფორმა თავის სტატუსს კონკრეტული პარადიგმის ფარგლებში იღებს და გადაწყვეტი არ არის მისი გამოხატულების პლანი: პარადიგმას შეუძლია მარკერის გაუქმებაც, მისთვის ფუნქციის შეცვლაც (სხვა პარადიგმასთან მიმართებით) და ბოლოს სპეციფიკური ფორმების შექმნა, სადაც კატეგორიულ მარკერთა როლში ენობრივ ელემენტთა თავისებური დისტრიბუცია გვევლინება“ [უთურგაიძე, 2002, 89].

ერთია კიდევ: რამდენად გამართლებულია ბრძანებითის სემანტიკის მქონე წყვეტილის ფორმაზე მსჯელობისას ინტონაციის ფაქტორის გამორიცხვა. ზუსტი ლინგვისტური ჩანაწერის გაკეთებისას ეს უნდა დაფიქსირდეს; ანუ: სხვანაირად უნდა ჩაიწეროს **გაკეთე**, როგორც თხრობითი კილოს ფორმა და **გაკეთე**, როგორც ბრძანებითი კილოს ფორმა.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად შეიძლება ერთმა ფორმამ სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობა გამოხატოს სხვადასხვა კონტექსტში, – ამაში გასაკვირი არაფერია; ჩვეულებრივია, რომ ერთმა და იმავე გრამატიკულმა ინვენტარმა კონტექსტების მიხედვით სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა მიიღოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთდროულად, ერთ კონკრეტულ კონტექსტში შეიძლება ერთმა ფორმამ განსხვავებული სემანტიკური ნიუანსები წარმოაჩინოს.

„ვილოური მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში“, – ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტულ კონტექსტში ფორმას კონკრეტული მნიშვნელობა აქვს“: ვთქვათ, თხრობითი კილოს ან ბრძანებითის.

თუ სემანტიკური სპეციფიკის მიხედვით გავაკეთებთ განზოგადებას, კილოს კატეგორია ნამდვილად შეიძლება ორწევრიანი სისტემის სახით წარმოვაჩინოთ: ერთი მხრივ გვექნება **ნეიტრალური (თხრობითი)** კილო, მეორე მხრივ – **კავშირებითი** (კავშირებითი კილოს ფორმათა ტრადიციულად აღნუსხული სემანტიკურ-მოდალური მახასიათებლები (სურვილი, მისწრაფება, თხოვნა, გაფრთხილება, აკრძალვა, ნატვრითობა, საეჭვობა, ვარაუდი, ვალდებულება, შესაძლებლობა, პირობითობა...) კავშირებითობის ფუნქციონირების დონის კერძობითი მნიშვნელობებია [გოგოლაშვილი..., 2011, 394])

მოდალური კილოს ფორმებში გაერთიანდება კავშირებითი და ბრძანებითი თუ სხვა მოდიფიკაციები (რა თქმა უნდა, ალოგიკურია, ბრძანებითი კილოს გვერდით, ცალკე აკრძალვითი კილოს ფორმების გამოყოფა: **გაკეთე!** და **არ გააკეთო!** ორივე ბრძანებითი ფორმა).

მეგრულ-ლაზურში არამარკირებულია თხრობითი კილოს ფორმები, მარკირებულია კავშირებითის, პირობითისა და ბრძანებითის ფორმები (ბრძანებითის მარკირებაში შერეული პარადიგმა და სპეციფიკური ინტონაცია იგულისხმება).

ამდენად, სულაც არ არის მოულოდნელი მეგრულ-ლაზური პირობითისა და კავშირებითის ნაკვთთა ფუნქციური ნიშნით ერთად განხილვა, – ამის საფუძველს მათი გრამატიკული შინაარსი იძლევა (იხ. ქვევით).

II.4.1. კავშირებითი კილოს გამოხატვა.

კავშირებითის ნაკვთების სპეციფიკას ლაზურში -ა სუფიქსი გადმოსცემს: ბ-ზუმ-უმ-ტ-ა „ვზომავდე“, ზუმ-უმ-ტ-ა „ზომავდე“, ზუმ-უმ-ტ-ა-ს „ზომავდეს“, ბ-ზუმ-უმ-ტ-ა-თ „ვზომავდეთ“, ზუმ-უმ-ტ-ა-თ „ზომავდეთ“, ზუმ-უმ-ტ-ა-ნ „ზომავდნენ“; ბ-ზუმ-ა „ვზომო“, ზუმ-ა „ზომო“, ზუმ-ა-ს „ზომოს“, ბ-ზუმ-ა-თ „ვზომოთ“, ზუმ-ა-თ „ზომოთ“, ზუმ-ა-ნ „ზომონ“...

ეს -ა უნდა იყოს ქართულში კავშირებითის მაწარმოებელი ძირითადი სუფიქსის -ე-ს კანონზომიერი შესატყვისი. შეიძლება გვეფიქრა, – წერს არნ. ჩიქობავა, – რომ ეს -ა -ე-ს კი არ შეესატყვისება, არამედ იგივე -ა სუფიქსია, რომელსაც ქართული იყენებს II კავშირებითში (ვთქვ-ა, ვქნ-ა...), მაგრამ მას უფრო მართებულად პირველი ვარაუდი მიაჩნია [ჩიქობავა, 1936, 139].

-ა სუფიქსის გავლენით მესამე სუბიექტური პირის მრავლობითის ფორმა ცვლილებას განიცდის; კერძოდ, მოსალოდნელი -ან სუფიქსის ნაცვლად აქ მისი გამარტივებული ვარიანტი – ნ გვექნება (ზუმ-უმ-ტ-ა-ან > ზუმ-უმ-ტ-ა-ნ, ზუმ-ა-ან > ზუმ-ა-ნ).

-ა სუფიქსია კავშირებითის მაწარმოებელი მეგრულშიც: ბ-ზიმ-უნ-დ-ა, ზიმ-უნ-დ-ა, ზიმ-უნ-დ-ა-ს, ბ-ზიმ-უნ-დ-ა-თ, ზიმ-უნ-დ-ა-თ, ზიმ-უნ-დ-ა-ნ; ბ-ზიმ-ა, ზიმ-ა, ზიმ-ა-ს, ბ-ზიმ-ა-თ, ზიმ-ა-თ, ზიმ-ა-ნ...

მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობას აქაც გამარტივებული სუფიქსი გამოხატავს: -ან > ნ (ზიმ-უნ-დ-ა-ან > ზიმ-უნ-დ-ა-ნ, ზიმ-ა-ან > ზიმ-ა-ნ...).

ა-სთან ერთად კავშირებითის მაწარმოებლად -ე სუფიქსსაც გამოყოფენ მეგრულში.

ი. ყიფშიძე სათანადო ფორმებს ნატვრითებს უწოდებს, -ა სუფიქსიანი წარმოება მისთვის ნატვრითი პირველია (желательное I), ხოლო -ე-სუფიქსიანი – ნატვრითი მეორე желательное II):

მხ. რ.

ბ-დვან-და	ბდვან-დე	პ/ვ-ჭარუნ-და	ბ-ჭარგნ-დე
დვან-და	დვან-დე	ჭარუნ-და	ჭარგნ-დე
	დვან-და-ს(ი)		ჭარუნ-და-ს(ი)

მრ. რ.

ბ-დვან-და-თ	პ/ვ-ჭარუნ-და-თ
დვან-და-თ	ჭარუნ-და-თ
დვან-და-ნ(ი)	ჭარუნ-და-ნ(ი).

დრო-კილოთა II ჯგუფის ანალოგიური წარმოება, როგორც ჩანს, ფუნქციური ნიუანსების გათვალისწინებით, სხვაგვარად არის სახელდებული: -ა-სუფიქსიანი წარმოება აქ

კავშირებითი პირველია (составительное I), ხოლო -ე-სუფიქსიანი – კავშირებითი II (составительное II) [ყიფშიძე, 1994, 118-119]:

მხ. რ.			
ბ-დვა	ბდვე	ვ-ჭარა	ბ-ჭარე
დვა	დვე	ჭარა	ჭარე
დვ-ა-ს(ი)		ჭარა-ს(ი)	

მრ. რ.	
ბ-დვა-თ	ვ-ჭარა-თ
დვა-თ	ჭარა-თ
დვა-ნ(ი)	ჭარა-ნ(ი).

ი. ყიფშიძეს მოცემული აქვს -ა და -ე სუფიქსების დისტრიბუციის წესი:

ა) -ე-ზე დაბოლოებული კავშირებითი (resp. ნატვრითი) იხმარება:

1) **ოკო-ს** („უნდა“) შემდეგ, მაგ. **ოკო ქიმეფჩე** „უნდა მივცე“; მა **ოკო ბჭარე** „უნდა ვწერო“. 2) დამოკიდებულ პირობით წინადადებაში, მაგ. თექი **ვორდენი**, ჯგირი იცი „იქ რომ ვიყო, კარგი იქნება“; **ფქიმინე** ნი, ჯგირი იქუაფუ „რომ გავაკეთო, კარგი იქნება“.

ბ) -ა-ზე დაბოლოებული კავშირებითი (resp. ნატვრითი) იხმარება:

1) მომავალი დროის მნიშვნელობით, მაგ., ჭყელი **ვორდა**, **ქიმნარლა** და, ოღონდ ირო სი **გიჯინა!** „წყეული ვიყო, თუ ვინაღვლო, ოღონდ სულ შენ გიყურო“; სქანი სქუა **ქიჩინა** და, მიდექონი „შენი შვილი თუ იცნო, წაიყვანე“.

2) უარყოფითი ბრძანებითის ფორმებში.

3) კითხვით წინადადებებში, მაგ., მუ ფქიმინა? „რა ვენა?“ **ბჭკომა-ო?** „ვჭამო?“ მუჭო **ჩევერცხა?** „როგორ დავეხსნა?“ [ყიფშიძე, 1994, 191].

მეგრულში კავშირებითის ფორმათა პარალელურ წარმოებაზე ყურადღებას ამახვილებს არნ. ჩიქობავაც. მისი აზრით, მხოლოდითი რიცხვის I-სა და II პირში ა-ს პარალელურად გამოვლენილი -ეე „უნდა იყოს ფონეტიკურად გამარტივებული დამხმარე სიტყვა **ერე** „რომ“; **ერე** ამ მნიშვნელობით ახლაც იხმარება სვანურში: ეჯლა **ერე** „იმიტომ, რომ“ [ჩიქობავა, 1936, 140].

ამ აზრს იზიარებენ გ. როგავა და ს. ჟღენტი [როგავა, 1945, 647; ჟღენტი, 1953, 55].

მ. მარგველაშვილის ვარაუდით, „გამორიცხული არ არის, **ბჭარუნდეე** „ვწერდე“ ფორმაში მეორე ე მომდინარეობდეს **ერე** (რომ) კავშირისაგან **რე-ს** ჩამოკვეცით, რასაც ხშირად აქვს ადგილი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მეგრულში, ხოლო პირველი ე იყოს ნასესხები“ [მარგველაშვილი, 1982, 47].

„რომ“ კავშირიან სემანტიკას აფიქსირებს -ე-სუფიქსიან წარმოებაში გ. კარტოზიაც, მხოლოდ მისთვის ამ -ე-ს ამოსავალი ფორმა არის არა **ერე** („რომელიც უცხოა მეგრულისთვის“), არამედ **ინი** – „რომ“ კავშირი. მკვლევარი აღნიშნავს, რომ **„ბჭარუნდეე, ბჭარეე“** მნიშვნელობით არ უდრის **„ბჭარუნდა, ბჭარა“** ფორმებს. **ბჭარუნდა = ვწერდე, ბჭარუნდეე = რომ ვწერდე**. ასევე, **ბჭარა = ვწერო, მაგრამ ბჭარეე = რომ ვწერო**. -ა სუფიქსიანი კავშირებითი მისთვის ერთგვარი „წმინდა“ კავშირებითია, -ე სუფიქსიანი კი „რომ“ კავშირიანი“. -ე-სუფიქსიანი კავშირებითები, ისევე როგორც სხვათა სიტყვის -ე-ნაწილაკიანი ფორმები, „რომ“ კავშირის გაგებას შეიცავენ და მიღებულია შესაბამისად -ა-სუფიქსიანი და -

ა- ნაწილაკიანი ფორმებისაგან მათზე **ინი** („რომ“) კავშირის სრული ფორმის დართვის შედეგად: -ა + **ინი** = ეე||ე [კარტოზია, 1958, 235].

ხმოვნის მომდევნო პოზიციაში მომხდარმა პროცესებმა (კავშირის თავკიდური ხმოვნის დაკარგვამ, ე-ში გადასვლამ) გამოიწვია კავშირად **ნი**-ს გააზრება და პარადიგმის გასწორება: **ინი**-ს თავკიდური **ი** იმ რიგის ვიწრო ხმოვნად ჩაითვალა, რომლითაც შეიძლება გართულდეს თანხმოვნით დაბოლოებული ნებისმიერი სიტყვა მეგრულში. ამის შედეგად **ინი**-ს **ი** ხმოვანს ენაცვლება პარალელური ვიწრო **გ** და **უ** ხმოვნები (დოჭარეს-გ-ნი || დოჭარეს-უნ-ი „რომ დაწერეს“).

კავშირად **ინი**-ს ნაცვლად **ნი**-ს გააზრებამ, მკვლევრის დაკვირვებით, ხელი შეუწყო **ნი** კავშირის განზოგადებას ა ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებთანაც. როცა „რომ“ კავშირის გაგება აქვს სხვათა სიტყვის ნაწილაკიანი (ე. ი. -ა-ზე დაბოლოებულ) სიტყვებს, მორფემათა ზღვარზე **ა + ი = ეე** (*დოჭარა+ინი > დოჭარეენი „რომ დაწერო“, *დოჭარასია+ინი > დოჭარასიეენი), მაგრამ ამ ჩვეულებრივად გავრცელებული ფორმების გვერდით დასტურდება „რომ“ კავშირის წინ მდგომი სიტყვის ბოლოკიდური ა-ს უცვლელად შემონახვა. ეს კი ამ პოზიციაში **ნი** კავშირის დამკვიდრების გვიანდელი პროცესის განხორციელების შედეგად მიიჩნევა. წარმოდგენილია სათანადო ნიმუშები: გუმაჯინი, წიე, მიქუ რე **მორთუანი!** (დანელია, ცანავა, 1991, 300 17) „გახედე, ბიჭო, ვინ არის, რომ მოვიდაო“. **მორთუანი**-ს ნაცვლად მოსალოდ-ნელი იყო **მორთუენი**. მუ ორენია, სია თაქია **მითოხვილუქიან**, უწუ (ხუბუა, 1937, 3014) „რა არისო, შენო აქაო ჩამწყვედული რომ ხარო, უთხრა“. **მითოხვილუქიან** < **მითოხვილუქიე(ნი)**. თექ მუთ გაშინიე, თიმ გვერდი ოკო **ქომუჩევან** (ხუბუა, 1937, 22312) „იქ რასაც იშოვო, იმის ნახევარი უნდა („უნდა, რომ“) მომცო. ოკო **ქომუჩევან** < ოკო **ქომუჩევენ** (შდრ. წინამავალ ზმნასთან დაცული ძველი ვითარება: *გაშინია+ინი > გაშინიე). ჟირ გვალეფ ეკანთხენ თექნეშევა ოკო **გიშელევა** (ხუბუა, 1937, 240, 36) „ორი მთა რომ [ერთმანეთს] ეხლება, იქ უნდა გახვიდო“. ოკო **გიშელევა** < ოკო **გიშელევე** [კარტოზია, 1996, 80-81].

წარმოდგენილი მოსაზრება დამაჯერებელი და არგუმენტირებული გვეჩვენება, ერთ (როგორც ჩანს, მექანიკურ) უზუსტობაზე მივუთითებდით მხოლოდ: **მითოხვილუქიან** < **მითოხვილუქიე(ნი)**, ოკო **ქომუჩევან** < ოკო **ქომუჩევენ**, ოკო **გიშელევა** < ოკო **გიშელევე** მიმართებებში ამოსავალი ფორმების საკითხი პირიქით დგას; ანუ: ამოსავალია, ვთქვათ, **მითოხვილუქიან**, ხოლო მისგან მიღებული – **მითოხვილუქიე(ნი)**. ეს ეხება დანარჩენ დაწყვილებულ ფორმებსაც.

აღსანიშნავია, რომ **ნი** ფაკულტატურად შეიძლება გამოითქვას როგორც **ნ** (ბოლოკიდური ვიწრო ი-ს გარეშე), ზოგჯერ კი თანხმოვნითი ელემენტიც იკარგება, მაგრამ „რომ“ კავშირის არსებობა სიტყვაში მაინც იგულისხმება, რაზეც მიუთითებს მახვილის გადაწევა სიტყვის ბოლოსკენ: შდრ. დჭარი || დჭარ „დაწერე“ – დოჭარი-ნი || დოჭარი-ნ || დოჭარი „რომ დაწერე“; დჭარუ || დჭარგ || დჭარ „დაწერა“ – დოჭარუ-ნი || დოჭარგ-ნი || დოჭარუ-ნ || დოჭარგ-ნ || დოჭარუ || დოჭარგ „რომ დაწერა“; დოჭარეს || დოჭარესი || დოჭარესგ || დოჭარესუ „დაწერეს“ – დოჭარესი-ნი || დოჭარესგ-ნი || დოჭარესუნი || დოჭარესი-ნ || დოჭარესგ-ნ || დოჭარესუ-ნ || დოჭარესი || დოჭარეს || დოჭარესუ „რომ დაწერეს“ [კარტოზია, 1996, 79].

მახვილი ამ შემთხვევაში მოძრავი (ი. ყიფშიძის დაკვირვებით, საერთოდ, მეგრული მახვილი უფრო მოძრავია, ვიდრე ქართული [იხ. ყიფშიძე, 1994, 65]) და გრამატიკული ფუნქციის მქონე გამოდის, – და ეს არ არის ამის ერთადერთი შემთხვევა, იგი საფუძველს

უმაგრებს დებულებას იმის შესახებ, რომ მახვილს (მისი მოძრავი ბუნებიდან გამომდინარე) შეიძლება ფონოლოგიური ღირებულება ჰქონდეს მეგრულში (ასევე ლაზურში).

ეს მოვლენა შენიშნული ჰქონდა ი. ყიფშიძესაც: „ნი ნაწილას, – წერს იგი, – რომელიც ენკლიტიკურად ერწყმის (сливаясь,) წინა სიტყვას, ბოლოსკენ გადააქვს (перетягивает) მახვილი, ზოგჯერ კი, შერწყმისას მთლიანად კარგავს თავის თანხმონით ელემენტს, მაგ., ქემორთასი (ქემორთასგ ნი-ს ნაცვლად)“ [ყიფშიძე, 1994, 192-193].

როგორც აღინიშნა, -ა სუფიქსიანი კავშირებითი მნიშვნელობის თვალსაზრისით განსხვავებულად მიიჩნევა -ე-სუფიქსიანი კავშირებითისაგან. რამდენადაა ასეთ შემთხვევაში გამართლებელი და ლოგიკური ამ წარმოებათა მიჩნევა პარალელურად და სათანადო პარადიგმაში ერთად წარმოდგენა? ვფიქრობთ, ამ კითხვას ნეგატიური პასუხი უნდა გაეცეს.

დავიწყოთ იმით, თუ რა არის პარალელიზმი. პარალელიზმია, ვთქვათ, ქართ. დავამყნ-ა – დავამყნ-ო, დაიწვ-ა-ს – დაიწვ-ე-ს, იქნ-ა-ს – იქნ-ე-ს... ტიპის წარმოება. წარმოდგენილ ერთეულებს შორის არანაირი განსხვავება არ არის ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით (ამგვარი პარალელიზმი ძველი და ახალი წარმოებისა თუ სალიტერატურო და დიალექტურ ფორმათა გვერდიგვერდ არსებობით იხსნება [იხ. შანიძე, 1973, 449; კოტინოვი, 1959, 382-383]).

ერთგვარი პარალელიზმია **გაკეთოს, გახსნას, შეხვდეს...** ტიპის წარმოება (როგორც ცნობილია, ქართულში კავშირებითი II-ის ფორმალური ნიშნებია -ა, -ე და -ო სუფიქსები, რომელთა შორისაც დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაა). ამ რიგის ფორმები ერთი დონის გრამატიკული მონაცემებია, – ეს არის კავშირებითი II-ის ფორმები, რომელთაც იდენტური ფუნქციურ-სემანტიკური პარამეტრები გააჩნიათ.

სულ სხვა ვითარებაა მეგრული კავშირებითების წარმოების დროს; წარმოვადგენთ რამდენიმე პარადიგმას (ზემოთ მოცემული იყო ი. ყიფშიძის პარადიგმა):

ვ/ბ-დვ-ან-დ-ა/ე	ვდებდე	ვ/ბ-დვ-ან-დ-ა-თ	ვდებდეთ
დვ-ან-დ-ა/ე	დებდე	დვ-ან-დ-ა-თ	დებდეთ
დვ-ან-დ-ა-ს(ი)	დებდეს	დვ-ან-დ-ა-ნ(ი)	დებდნენ
დო-ვ/ბ-დვ-ა/ე	დავდო	დო-ვ/ბ-დვ-ა-თ	დავდოთ
დო-დვ-ა/ე	დადო	დო-დვ-ა-თ და	დადოთ
დო-ვ/ბ-დვ-ა-ს	დადოს	დო-დვ-ა-ნ	დადონ
		[ქაჯაია, 2001, 66-68];	
ვ-ჭარ-ა/ე	დავწერო	ვ-ჭარ-ა-თ	დავწერო
ჭარ-ა/ე	დაწერო	ჭარ-ა-თ	აწერო
ჭარ-ა-ს	დაწეროს	ჭარ-ა-ნ	დაწერონ
		[მ. მარგველაშვილი, 1984, 135]	
ვ-ჭარუნდ-ა/ე	ვწერდე	ვ-ჭარუნდ-ა-თ	ვწერდეთ
ჭარუნდ-ა/ე	წერდე	ჭარუნდ-ა-თ	წერდეთ
ჭარუნდ-ა-ს	წერდეს	ჭარუნდ-ა-ნ	წერდნენ
დო-ვ-ჭარ-ა/ე	დავწერო	დო-ვ-ჭარ-ა-თ	დავწერო
დო-ჭარ-ა/ე	დაწერო	დო-ჭარ-ა-თ	დაწერო

დო-ჭარ-ა-ს	დაწეროს	დო-ჭარ-ა-ნ [ქობალავა, 2001, 114-120];	დაწერონ
მი-ვ/ზ-რდ-უ-დ-ა/ე	ვიზრდებოდე	მი-ვ/ზ-რდ-უ-დ-ა-თ	ვიზრდებოდეთ
მი-რდ-უ-დ-ა/ე	იზრდებოდე	მი-რდ-უ-დ-ა-თ	იზრდებოდეთ
მი-რდ-უ-დ-ა-ს	იზრდებოდეს	მი-რდ-უ-დ-ა-ნ	იზრდებოდნენ
მი-ვ/ზ-რდ-ა/ე	გავიზარდო	მი-ვ/ზ-რდ-ა-თ	გავიზარდო
მი-რდ-ა/ე	გაიზარდო	მი-რდ-ა-თ	გაიზარდო
მი-რდ-ა-ს	გაიზარდოს	მი-რდ-ა-ნ	გაიზარდონ

[დადიანი, 2002, 41, 64]...

წარმოდგენილი პარადიგმების მიხედვით ადგილი აქვს განსხვავებული მნიშვნელობის ფორმათა გაერთმნიშვნელებას (მეგრული სათანადო ზმნური ფორმების ქართული თარგმანების მიხედვით ისეთი სურათი იხატება, თითქოს ამ შემთხვევაშიც „იქნ-ა-ს – იქნ-ე-ს...“ ტიპის პარალელიზმი გვექონდეს, – არადა, როგორც აღინიშნა, „ბჭარუნდეე, ბჭარეე“ მნიშვნელობით არ უდრის „ბჭარუნდა, ბჭარა“ ფორმებს [კარტოზია, 1958].

კოტინოვი სარწმუნოდ მიიჩნევს გ. კარტოზიას ახსნას -ე სუფიქსთან დაკავშირებით და ასკვნის, რომ -ე ნიშნიანი კავშირებითიც მეგრულში -ა ნიშნიანზე დაიყვანება (მხოლოდითი რიცხვის I-სა და II პირში -ა-ს პარალელურად გამოვლენილ -ეე-სუფიქსიან წარმოებაზე, როგორც აღინიშნა, არნ. ჩიქობავაც ამხვილებს ყურადღებას, მაგრამ მეგრულის კავშირებითების პარადიგმებში მას მხოლოდ -ა სუფიქსიანი ფორმები აქვს წარმოდგენილი [იხ. ჩიქობავა, 1936, 142]).

ვფიქრობთ, „წმინდა“ კავშირებითისა და „რომ“ კავშირიანი „კავშირებითის“ ერთ პარადიგმაში წარმოდგენას არც წარმოების თვალსაზრისითა აქვს გამართლება.

სინამდვილეში -ე დაბოლოებიან („რომ კავშირიან“) წარმოებას თავისი (-ა-სუფიქსიანისაგან დამოუკიდებელი) პარადიგმა აქვს და ის ასე გამოიყურება:

I კავშირებითი

ვ-ჭარუნდ-ა-ინი > ვჭარუნდ-ე(ნ)	რომ ვწერდე
ჭარუნდ-ა-ინი > ჭარუნდ-ე(ნ)	რომ წერდე
ჭარუნდ-ა-ს-ი(ნ)	რომ წერდეს

ვ-ჭარუნდ-ა-თ-ი(ნ)	რომ ვწერდეთ
ჭარუნდ-ა-თ-ი(ნ)	რომ წერდეთ
ჭარუნდ-ა-ნ-ი(ნ)	რომ წერდნენ

II კავშირებითი

ვ-ჭარ-ა-ინი > ვჭარ-ე(ნ)	რომ დავწერო
ჭარ-ა-ინი > ჭარ-ე(ნ)	რომ დაწერო
ჭარ-ა-ს-ი(ნ)	რომ დაწეროს

ვ-ჭარ-ა-თ-ი(ნ)	რომ დავწეროთ
----------------	--------------

ჭარ-ა-თ-ი(ნ)	რომ დაწეროთ
ჭარ-ა-ნ-ი(ნ)	რომ დაწერონ

III კავშირებითი

დო-მ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ს-ი(ნ)	რომ დამეწეროს
დო-გ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ს-ი(ნ)	რომ დაგეწეროს
დო-უ-ჭარ-უ-დ-ა-ს-ი(ნ)	რომ დაეწეროს

დო-მ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ნ-ი(ნ)	რომ დაგვეწეროს
დო-გ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ნ-ი(ნ)	რომ დაგეწეროთ
დო-უ-ჭარ-უ-დ-ა-ნ-ი(ნ)	რომ დაეწეროთ

IV კავშირებითი

დო-ნო-ბ-ჭარ-უ-ე-დ-ა-ინი > დო-ნო-ბ-ჭარ-უ-ე-დ-ე(ნ)	რომ დავწერდე თურმე
დო-ნო-ჭარ-უ-ე-დ-ა-ინი > დო-ნო-ჭარ-უ-ე-დ-ე(ნ)	რომ დაწერდე თურმე
დო-ნო-ჭარ-უ-ე-დ-ა-ს-ი(ნ)	რომ დაწერდეს თურმე

დო-ნო-ბ-ჭარ-უ-ე-დ-ა-თ-ი(ნ)	რომ დავწერდეთ თურმე
დო-ნო-ჭარ-უ-ე-დ-ა-თ-ი(ნ)	რომ დაწერდეთ თურმე
დო-ნო-ჭარ-უ-ე-დ-ა-ნ-ი(ნ)	რომ დაწერდნენ თურმე

შენიშვნა: ო. ქაჯაიას მიერ წარმოდგენილ პარადიგმებში კავშირებითის ფორმათა ქართული განმარტების ფორმულირებებში მხოლოდ IV კავშირებითის შემთხვევაში გამოიყენება განმარტების ელემენტად „რომ“: დო-ნო-ვ/ბ-დვალ-უ-ე-დ-ა/ე „რომ დავდებდე თურმე“; დო-ნო-დვალ-უ-ე-დ-ა/ე „რომ დადებდე თურმე“; დო-ნო-დვალ-უ-ე-დ-ა-ს(ი) „რომ დადებდეს თურმე“; დო-ნო-ვ/ბ-დვალ-უ-ე-დ-ა-თ(ი) „რომ დავდებდეთ თურმე“; დო-ნო-დვალ-უ-ე-დ-ა-თ(ი) „რომ დადებ-დეთ თურმე“; დო-ნო-დვალ-უ-ე-დ-ა-ნ(ი) „რომ დადებდნენ თურმე“ [ქაჯაია, 2001, 69]; დანარჩენ შემთხვევებში სათანადო ქართული ეკვივალენტები ამ ერთეულის გარეშეა წარმოდგენილი (-ა და -ე წარმოებათა დიფერენცირება, როგორც ზევით აღინიშნა, არ ხდება).

ზუსტი არ არის პარადიგმის ერთეულთა ასე განმარტება: მ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ს „რომ მეწერა“; გ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ს „რომ გეწერა“; უ-ჭარ-უ-დ-ა-ს „რომ ეწერა“; მ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ნ „რომ გვეწერა“; გ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ნ „რომ გეწერათ“; უ-ჭარ-უ-დ-ა-ნ „რომ ეწერათ“ [იხ. ქობალავა, 2001, 128].

უნდა იყოს: მ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ს „მეწეროს“; გ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ს „გეწეროს“; უ-ჭარ-უ-დ-ა-ს „ეწეროს“; მ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ნ „გვეწეროს“; გ-ი-ჭარ-უ-დ-ა-ნ „გეწეროთ“; უ-ჭარ-უ-დ-ა-ნ „ეწეროთ“.

ამრიგად, (ი)ნ(ი) კავშირი შეიძლება დაერთოს კავშირებითის ფორმას, მაგრამ ამის გამო ის კავშირებითის მაწარმოებლად არ უნდა მივიჩნიოთ (აღნიშნული კავშირი შეიძლება ზმნის ნებისმიერი ნაკვთის ფორმას ან მეტყველების სხვა ნაწილსაც დაერთოს, მაგრამ, ცხადია, ამის გამო იგი კავშირებითის მაწარმოებლად ვერ იქცევა ამ ფორმებში).

სათანადო ფონეტიკურ გარემოცვაში (როცა გვაქვს ა + ი მიმდევრობა) -ე-ს ვიღებთ; როცა ასეთი კომბინაცია არა გვაქვს, ცხადია, იქ -ე არ მიიღება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გვაქვს ამოსავალი ვითარება, რომელიც ი(ნ)ი კავშირიან სტრუქტურას ნათლად წარმოაჩენს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ზანურში კავშირებითის ნაკვეთებს ერთი მორფემა – -ა სუფიქსი აწარმოებს.

ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რატომაა რომ ეს „ქართულისებური“ -ე მხოლოდ მხ. რიცხვის I-II პირში ჩნდება? პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ მხ. რიცხვის I-II პირში ხელსაყრელი ფონეტიკური პირობებია კომბინატორული ტრანსფორმაციისთვის, (ი)ნ(ი) „რომ“ კავშირის დართვისას -ა-ი > -ე-ე გადასვლისათვის, ხოლო მესამე პირსა და მრავლობითის სამსავე პირში ასეთი ფონეტიკური გარემოცვა არ ჩანს.

სხვანაირადაც შეიძლება დაისვას საკითხი: თუ -ე სუფიქსი კავშირებითის დამოუკიდებელი მორფემაა, გაუგებარია, რატომ აქვს მას შეზღუდული ფუნქციონირების სფერო მესამე პირისა და მრავლობითის ფორმებში?

რატომ არ გვაქვს ჭარუნდ-ე-ს, პჭარუნდ-ე-თ, ჭარუნდ-ე-თ, ჭარუნდ-ე-ნ ფორმები?

ერთი სიტყვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზანურში კავშირებითის ნაკვეთებს ერთი მორფემა – -ა სუფიქსი აწარმოებს.

ასეა ეს დღეს ლაზურში, ასევეა მეგრულშიც.

მეგრულის სათანადო ფორმებში გამოვლენილი -ე მეორეულია.

აწმყოს კავშირებითის ნაკვეთის პარადიგმა ჭარუნს (წერს) ზმნისა ასეთია ზანურში:

მეგრ.:

პ-ჭარ-უნ-დ-ა	პ-ჭარ-უნ-დ-ა-თ
ჭარ-უნ-დ-ა	ჭარ-უნ-დ-ა-თ
ჭარ-უნ-დ-ა-ს	ჭარ-უნ-დ-ა-ნ

ლაზ.:

პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ა	პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-თ
ჭარ-უფ/უმ-ტ-ა	ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-თ
ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-ს	ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-ნ

აწმყოს კავშირებითის ნაკვეთის საუღლებელი ერთეულის ზოგადი მოდელი (ყალიბი) მესამე პირისთვის ასეთი იქნება:

მეგრული:

R_ა-S_ა,

სადაც R_ა უწყვეტლის ფუძეა, -ა – კავშირებითის მაწარმოებელი, S_ა – მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი.

ანალოგიური სტრუქტურისაა აწმყოს კავშირებითის ყალიბი ლაზურში.

II.4.2. პირობითი კილოს გრამატიკული შინაარსის მარკირების საკითხი.

მეგრულსა და ლაზურში, როგორც აღინიშნა, პირობითი კილოს ფორმები მარკირებულია: კო(ნ) მორფემას, რომელიც წარმოშობით მოდალური ზმნაა, მორფოლოგიური დანიშნულება აქვს.

სპეციალურ ლიტერატურაში სათანადო პარადიგმაში წარმოდგენილი ზანური პირობითის ნაკვეთების ქართულად ინტერპრეტირებისას „რომ“-კავშირიან კომბინაციებს იყენებენ.

არნ ჩიქობავა წერს: „პირობითი პირველი იწარმოება ნამყო უსრულისაგან -კონ-ის მიმატებით ყველა პირში... ჭანური პირობითი პირველი მეგრულსაც მოეპოვება; წარმოებით იგივეა; საერთო წესის თანახმად ბოლოკიდური ნ არა ჩანს. ქართულში პირობითი პირველი გადმოიცემა ქართულში ნამყო უსრულით „რომ“ კავშირის დამატებით ანდა თურმეობითი მეორით, აგრეთვე „რომ“-დართულით“... პირობითი მეორე იწარმოება აორისტის ფუძისაგან იმავე მაწარმოებლით, რაც პირობითს პირველში იყო გამოყენებული. ქართულს ეს დრო არა აქვს. ეს დრო გადმოიცემა ქართულში უმთავრესად თურმეობითი მეორით, რომელსაც დაერთვის „რომ“ [ჩიქობავა, 1936, 140, 143]. წარმოდგენილია პარადიგმები:

პირობითი პირველი:

ჭანური:

მა	ბზუმ-უმ-ტ-ი-კონ	ჰეა	მა	ბზიმ-უმ-ტ-ი-კონ	ია
სი	ზუმ-უმ-ტ-ი-კონ	ჰეა	სი	ზიმ-უმ-ტ-ი-კონ	ია
ემუქ	ზუმ-უმ-ტ-უ-კონ	ჰეა	ემუქ	ზიმ-უმ-ტ-უ-კონ	ია
ჩქუნ	ბზუმ-უმ-ტ-ი-კონ	ჰეა	ჩქინ	ბზიმ-უმ-ტ-ი-თ-კონ	ია
თქვან	ზუმ-უმ-ტ-ი-თ-კონ	ჰეა	თქვან	ზიმ-უმ-ტ-ი-თ-კონ	ია
ჰემთეფექ	ზუმ-უმ-ტ-ეს-კონ	ჰეა	ენთეფექ	ზიმ-უმ-ტ-ეს-კონ	ია

მეგრული:

მა	ბ-ზიმ-უნ-დ-ი-კო(ნ)	თის	მე რომ ვზომავდე, მე რომ მეზომა...
სი	ზიმ-უნ-დ-ი-კო(ნ)	თის	
თინა	ზიმ-უნ-დ-უ-კო(ნ)	თის	
ჩქი	ბ-ზიმ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)	თის	
თქვა	ზიმ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)	თის	
თინეფი	ზიმ-უნ-დ-ეს-კო(ნ)	თის	

პირობითი მეორე:

ჭანური:

მა	ბ-ზუმ-ი-კონ	ჰეა	მა	ბ-ზიმ-ი-კონ	ია
სი	ზუმ-ი-კონ	ჰეა	სი	ზიმ-ი-კონ	ია
ჰემუქ	ზუმ-უ-კონ	ჰეა	ჰემუქ	ზიმ-უ-კონ	ია
ჩქუნ	ბ-ზუმ-ი-თ-კონ	ჰეა	ჩქუნ	ბ-ზიმ-ი-თ-კონ	ია
თქვან	ბ-ზუმ-ი-თ-კონ	ჰეა	თქვან	ბ-ზიმ-ი-თ-კონ	ია
ჰემთეფექ	ბ-ზუმ-ეს-კონ	ჰეა	ჰემთეფექ	ბ-ზიმ-ეს-კონ	ია

მეგრული:

მა	ბ-ზიმ-ი-კონ თინა	მე რომ მეზომა ის...
სი	ზიმ-ი-კონ თინა	
თიქ	ზიმ-უ-კონ თინა	
ჩქი	ბ-ზიმ-ი-თ-კონ თინა	
თქვა	ზიმ-ი-თ-კონ თინა	
თინენქ	ზიმ-ეს-კონ თინა	

[ჩიქობავა, 1936, 140, 143].

დრო-კილოთა სქემაში პირობითი პირველი ზუმ-უმ-ტ-უ-კო ფორმით არის წარმოდგენილი, ხოლო პირობითი მეორე – ზუმ-უ-კო(ნ) სახით [იხ. ჩიქობავა, 1936, 156].

ასეთივე არაერთგვაროვანი სურათია სხვა მკვლევართა პარადიგმებშიც (იხ.: [როგავა, 1953, მარგველაშვილი, 1982, ჭუმბურიძე, 1986, ქაჯაია, 2001...]).

„რომ“-კავშირიანი ქართული ინტერპრეტაცია გვაქვს კ. დანელიას მიერ წარმოდგენილ პარადიგმაში:

მა	ბ-ჭარ-უმ-ტ-ი-კონ	ჰეა	„რომ ვწერდე“
სი	ჭარ-უმ-ტ-ი-კონ	ჰეა	
ემუქ	ჭარ-უმ-ტ-უ-კონ	ჰეა	
ჩქუნ	ბ-ჭარ-უმ-ტი-თ-კონ	ჰეა	
თქვან	ჭარ-უმ-ტი-თ-კონ	ჰეა	
ჰემთეფექ	ჭარ-უმ-ტი-ეს-კონ	ჰეა	

მეგრული

მა	ვ-ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)	„რომ ვწერდე“
სი	ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)	
თინა	ჭარ-უნ-დ-უ-კო(ნ)	
ჩქი	ვ-ჭარ-უნ-დ-ით-კო(ნ)	
თქვა	ჭარ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)	
თინეფი	ჭარ-უნ-დ-ეს-კო(ნ)	

ი. ყიფშიძე -კო ელემენტზე მსჯელობს. „აორისტისაგან, – წერს იგი, – ბოლოში უპირო ოკო>კო-ს დამატებით იწარმოება პირობითი კილო... ასეთივე ფორმა იწარმოება ნამყო უსრულისგანაც“;

სხვაგან აღნიშნულია: „ნამყო უსრულისაგან კო-ს დართვით იწარმოება პირობითი კილო: ქვ-ვორდი-კო если бы я был [ყიფშიძე, 1994, 120, 153]. წარმოდგენილია პარადიგმები:

ბ-ჭარ-ი-კო	чтобы я писал, если бы я писал
ჭარ-ი-კო	
ჭარ-უ-კო	
ბ-ჭარითგ-კო	
ჭარითგ-კო	
ჭარესგ-კო	

ბ-ჭარუნდი-კო	ბ-ჭარუნდითგ-კო
ჭარუნდი-კო	ჭარუნდითგ-კო

აორისტისა და ნამყო უსრულის მსგავსად, ი. ყიფშიძის მიხედვით, წინარეწარსულის ფორმებს ერთვის კო (<ოკო), მაგ., მი-ჭარგდგ-კო, მრ. მი-ჭარგდესგ-კო [იქვე, 140].

თარგმანის მიხედვით აქაც „რომ“-კავშირიანი კომბინაცია გვაქვს.

III სერიის სათანადო საანალიზო ფორმებს კავშირებით მესამედ მიიჩნევს ტ. გუდავა, მის მიერ წარმოდგენილ ქართულ თარგმანში „რომ“ კავშირი არ ჩანს: „კავშ. III დო-ქორად-ე-დ-უ-კო „დამპალიყო“, მე-ჩი-ლათ-ე-დ-უ-კო „შემცდარიყო“...“ [გუდავა, 1974, 136].

ი. ქობალავას მიერ წარმოდგენილ სათანადო პარადიგმებშიც ძირითადად ანალოგიური მდგომარეობა – თარგმანის კონსტრუქციაში „რომ“ კავშირი გამოიყენება [იხ. ქობალავა, 2001, 118, 123, 130], განსხვავება მხოლოდ პირობითი IV-ის შემთხვევაშია, სადაც ეს კავშირი არ ჩანს [იქვე, გვ. 135; მკვლევრისთვის ეს ნაკვთი უწყვეტლის კავშირებითის თურმეობითია]:

ნოვჭარუედი-კო	„მეწერა თურმე“
ნოჭარუედი-კო	„გეწერა თურმე“
ნოჭარუედუ-კო	„ეწერა თურმე“
ნოვჭარუედით-კო	„გვეწერა თურმე“
ნოჭარუედით-კო	„ეწერა თურმე“
ნოვჭარუედეს-კო	„ეწერათ თურმე“.

„რომ“-კავშირიანი კომბინაციით გადმოიცემა -კო-ელემენტისანი ზმნები ე. დადიანის პარადიგმებში [დადიანი, 2001, 112, 119, 128, 136].

გ. კარტოზიასთან ასეთი სურათია: პირობითი პირველია – **ჭარუფტუკონ** (ხოფ.-ჩხალ.)||**ჭარუმტუკონ(ნ)** (ვიწ.-არქ., ათინ.-ართაშ.); განმარტება ამგვარია: „ეწერა, რომ ეწერა“; პირობითი მეორეა – **ჭარუკონ(ნ)** (ათინ.-ართაშ., ვიწ., ჩხალ.); განმარტება: „ეწერა, რომ ეწერა“; მყოფადის ნამყოს პირობითი – **ჭარატუკონ(ნ)** (ხოფ., არქ.) „ეწერა“; პირობითი მესამე – **უჭარუტუკონ(ნ)** – „ეწერა, რომ ეწერა“ [კარტოზია, 2004, 89].

ხშირად პირობითის ნაკვთის ფორმას კო- ელემენტის სახით წარმოგვიდგენენ, ხოლო სათანადო საილუსტრაციო კონსტრუქცი-ებში კონ- ელემენტი ჩანს ან პირიქით.

-კონ ელემენტი **ოკონ(ნ)** „უნდა“ ზმნისაგან მომდინარედ მიიჩნევა [ყიფშიძე, 1994, ჩიქობავა, 1936...].

„ჭანურში და მეგრულში, – წერს ს. ჟღენტი, – პირობითი პირველი და პირობითი მეორე იწარმოება -კონ-ის დართვით, რომელიც მომდინარეობს **ოკონ(ნ)** ზმნისაგან. ჭანურის კილოკავებში დასტურდება პარალელური ფორმები, ნარიანი და ნარ-მოკვეცილი; მეგრულ წარმოთქმაში **ნ** ყოველთვის გაუჩინარებულია. მაგ.: ეჰ! არ ჰემამის ვორტიკონ... (ჩიქ. I, 10,8) „ეჰ, ერთი აბანოში რომ ვიყო“, მაგრამ პარალელურად გვაქვს: ჰემ ბოზო ჰაწი სი ქომირიკო, იჩინატი-ა (ყიფ. I, 66, 32) „ეს გოგო ახლა შენ რომ გენახა, იცნობდიო“; **ოფშატუკო** (დუმეზ., 37, 3) „სავსე რომ ყოფილიყო“; **ქომიჩქიტუკო**-ია (იქვე, 44, 25) „რომ მცოდნოდაო“; სი მა ქეკჰოფიკო... (იქვე, 65, 14) „მე შენ რომ მეყიდე“ და სხვ. მისთ.“ [ჟღენტი, 1953, 169-170].

მეგრულში **ოკონ(ნ)** ზმნა დამოუკიდებლად იხმარება, აქვს ულღების საკუთარი პარადიგმა; ამასთან ერთად, იგი იხმარება **მოდალური ნაწილაკის** ფუნქციითაც; ამ შემთხვევაში ის მასთან დაკავშირებული ზმნის (რომელსაც დებიტივის სემანტიკური ნიუანსით ტვირთავს) წინაც (პრეპოზიციურად) შეიძლება შეგვხვდეს და მომდევნოდაც

(პოსტპოზიციურად); იშვიათად ის ძირითადი ზმნის ორგანულ ნაწილად არის წარმოდგენილი ტექსტების მიხედვით:

ვარი, პატონია, ენა რაშეფიმ მინჯეს **მეფუჯონეოკონია**, – ბოშიქ თქუ (დან., 272) „არა, ბატონო, ეს რაშების პატრონს უნდა მივუყვანო, – ბიჭმა თქვა“; ჩქიმ ჯიმა, მა სი **ორჭკომეოკონია** (დან., 252) „ჩემო ძმაო, მე შენ შეჭკამო უნდაო“; ღურელ ქომოძირითია, **გავაცოცხლეოკონია** (დან., 252) „მკვდარი მაჩვენეთ, გავაცოცხლო უნდაო“...

მოცემულ ილუსტრაციებში **ოკო(ნ)** მოდალური ნაწილაკი უშუალოდ (ენკლიტიკურად) დაერთვის ზმნის ფორმას (შდრ. ლაზური წარმოება: **პკარაუნონ** „ვეწრო უნდა“).

ამ შემთხვევაში, **ოკონ** ზმნის კავშირებითის ფუძეს მოსდევს, განსხვავებით პირობითის – **კო(ნ)** მაწარმოებლისაგან.

ერთად იქნება წარმოდგენილი ზმნა და მოდალური ნაწილაკი თუ ცალ-ცალკე, ამით მათი გრამატიკული სტატუსი არ იცვლება (დანელია-ცანავას „ხალხური სიტყვიერებაში“ რატომღაც ერთად არის წარმოდგენილი ის ფორმები, რომლებიც „ორიგინალში“ ცალ-ცალკე დაუფიქსირებია ავტორს – მ. ხუბუას: კოჩი მუჭო ქემურსინი, **დიძახასოკო** კარს (დან. 122) „კაცი როგორც კი მივა, უნდა დაიძახოს კართან“. სი თაქ **ქორდეოკონია** ჩქიმი მულაშავა, სოთინი ვეგნორთავა (ხუბ. 731) „შენ აქ უნდა იყოო ჩემს მოსვლამდე, სადმე არ გადახვიდეო“)...

ვიმეორებთ, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს; ფუნქციონალური ხასიათის ცვლილებას მხოლოდ -**კო(ნ)** მორფემიზებული ნაწილაკი იწვევს.

-**კო(ნ)** მორფემა, როგორც წესი, ენკლიტიკურად დაერთვის ზმნის ფუძეს, მაგრამ ტექსტებში ძალზე იშვიათად ისეთი შემთხვევებიც დასტურდება, როცა ის მორფემაც ცალკე დგას (მაგ. ბოშიქ დოღურუ, მარა მუ **ქიძინ კო?** (დან. 30) „ბიჭი მოკვდა, მაგრამ რა ექნა (=უნდა ექნა)?“, – როგორც აღნიშნა, არც ეს (საერთოდ, ენკლიტიკურად დართვა-დაურთველობა) ასრულებს რამე როლს აღნიშნული ელემენტების გრამატიკულ კვალიფიკაციაში, იმდენად, რამდენადაც ეს უკვე ნორმის საკითხია, რაც მეგრულისთვის, როგორც არასალიტერატურო სისტემისთვის, არ არის აქტუალური საკითხი. მთავარია ფუნქციურად დატვირთული მორფოლოგიური ინვენტარის პოვნაობა.

შეიძლება ზმნა და **ოკო(ნ)** ნაწილაკი სხვა სიტყვით იყოს გათიშული (რაც ასევე არ ცვლის მათ სტატუსს):

ოკო ქუს **დილაფურცქინე...** (ხუბ., 32₁₀) „უნდა ყურში ჩასჭურჭულო“; ექ **ოკო** საქმე **აკეთას** ალუწკუმა (ხუბ., 165₈) „ამან უნდა საქმე აკეთოს ალესთან“; ნდი ლონიერიენ დო დემახვამილაფარქ **ოკო** გამოცდილებით **მექცას** (ხუბ., 30₁₂) „დევი ლონიერია და დამხვდური უნდა გამოცდილებით მოექცეს“; თინეფი **ოკო** არძო **უჭოფუდესგოკონი** დო ხენწიფემა **ქემუუუნაფუდესგოკონი** (ყიფშ., 53₁₈) „ისინი უნდა ყველანი დაეჭირათ და ხელმწიფისთვის მოეყვანათ“...

ძირითადი მიმდევრობა პრეპოზიციურია:

ათე შკაფიშა **ოკო მითილევე!** (ხუბ. 227₁) „ამ კარადაში („შკაფში“) უნდა შეხვიდეო!“ ფარამი **ოკო რდას** თე საკი (ყიფშ., 8₉) „ფულიანი უნდა იყოს ეს ტომარა“; ართი **ოკო ოჭკომას**, მაჟია კგნი აშო ქიმიდას, ქოთი **ოკო დოთუხას**, ქოთი **ოკო დოზუას** დო ქოთი ირფელი **ოკო ქიღოლას** თე მონტყორს (ხუბ., 140₂₋₄) „ერთი უნდა შეჭამოს, მეორე ისევ აქეთ („უკან“) მოიტანოს, კიდევაც უნდა დაართას, კიდევაც უნდა მოზილოს და კიდევაც ყველაფერი უნდა უქნას ამ მატყლს“; **ოკო გინაგფუას** (ხუბ., 72₅) „უნდა გადაახდევინოს“; მუ **ოკო ქიძინუკო?** (ყიფშ., 9₆) „რა უნდა ექნა?“; თი საქმე **ოკო გიწუე** დო **ოკო გიწიკონი** (ხუბ., 34₂₁) „ის საქმე უნდა გითხრა და უნდა მეთქვა“; თინაქ **ოკო იყუას** თიში ქომონჯქ (ხუბ., 353) „ის უნდა იყოს მისი ქმარი“; ასე მუ **ოკო** რღოლე?

ტანს **ოკო გომკვიგოწყე**, ჩქიმი თორქი **ოკო ვა რძირასგნი** (ყიფშ., 5₁₃) „ახლა რა უნდა გიყო? ტანზე უნდა გაგხადო, ჩემმა თვალმა არ უნდა გნახოს“; პირობა უღუდუა სქან მუმას დო **ოკო შევარსულათია** (ხუბ., 249₁₈) „პირობა ჰქონდაო შენს მამას და უნდა შევასრულოთო“; თექ **ოკო რდანი** (ხუბ., 249₂₇) „იქ უნდა იყვნენ“; სი ხოლო მემიდინიკონი, მა უკული მუ ფკიმინიკო, მიქ **ოკო მოდიაროუკო?** (ხუბ., 178₃₀) „შენც რომ დამეკარგე, მე მერე რა უნდა მექნა, ვის უნდა ვერჩინე?“, მუნერო **ოკო ორზგკო** თიქ თინერი დაჩხირი, ნამდა პაპას ოხვამეს ქგმუტუბუკონი (ყიფშ., 8₂₂) „როგორ უნდა დაენთო ისეთი ცეცხლი, რომ ის გაეთბო“...

წყობა პოსტპოზიციურია:

უწყე ოკო (ხუბ., 32₁₁) „უთხრა უნდა“; **დიძახას ოკო** კარს (ხუბ., 35₂₀) „დაიძახოს უნდა კარში“; უმოსი ღონეში კოჩქ **გობლათ ოკო** მალას დო **ქგდობლათ ოკო** თი რაში წკალა (ხუბ., 29₃₇) „მეტი ღონის გავვარდეთ უნდა და გავჩნდეთ იმ რაშთან“; **დირთან ოკო** ფარა (ხუბ., 73₃) „დაიყონ უნდა ფული“; **წაყონას ოკო** ასე (ხუბ., 254₁₀) „გააფუჭოს უნდა ახლა“...

ოკო(ნ), როგორც აღინიშნა, მოდალური ნაწილაკია, მაგრამ ზმნური წარმომავლობის ნაწილაკი, ამის გამო მას შეიძლება გარკვეულ შემთხვევებში ზმნური ნიშნები, კერძოდ, პირის სუფიქსი ჰქონდეს (ცხადია, სათანადო ფონოლოგიურ გარემოცვაში):

სი მოირთგ გურქიადა, დორცვილე **ოკონია**; მა მომირთგ გურქედა, მა დოპილე **ოკონია** (ხუბ., 235₁₄₋₁₅) შენ თუ მოგივიდა გულიო, მოგკლა უნდა; მე თუ მომივიდა გულიო, მე მომკლა უნდაო; სი თაქ ქორდე**ოკონია** ჩქიმი მულაშავა, სოთინი ვეგნორთავა (ხუბ., 7₃₁) „შენ აქ უნდა იყოო ჩემს მოსვლამდე, სადმე არ გადახვიდეო“; ვარი, პატონია, ენა რაშეფიშ მინჯეს მეფუცონე**ოკონია**, – ბოშიქ თქუ (დან. 272) „არა, ბატონოო, ეს რაშების პატრონს უნდა მიუფყვანოო, – ბიჭმა თქვა“; ჩქიმ ჯიმა, მა სი ორჭკომე**ოკონია** (დან. 252) „ჩემო ძმაო, მე შენ შეგჭამო უნდაო“; ღურელ ქომოძირითია, გავაცოცხლე**ოკონია** (დან. 252) „მკვდარი მაჩვენეთ, გავაცოცხლო უნდაო“...

ოკო(ნ) ზმნის ფორმოზრივ-ფუნქციური ტრანსფორმაციის მესამე საფეხურია მისი მორფემიზება, ენკლიტიკურად დართვა ზმნის ფორმასთან და ნაკვთის საწარმოებელ საშუალებად ქცევა.

აღსანიშნავია, რომ **ოკო(ნ)** ზმნა (რომელიც -კო-ს ამოსავალია) ზანურის მეგრულ დიალექტში გვაქვს, ლაზურშიც გვაქვს **კონ-||კო-**, – ამოსავალი ფორმა კი აქ არ გვხვდება, მის ნაცვლად გვაქვს **უნონ**, ძვ. ქართული **უნა** ზმნის ეკვივალენტი.

შეიძლებაოდა გვეფიქრა, რომ ლაზურს წარმოების წესი აქვს მეგრულიდან აღებული, მაგრამ უფრო სარწმუნო ჩანს არნ. ჩიქობავას მოსაზრება: „მართალია, – წერს იგი, – „უნდა“ ჭანურად არის „უნონ“ და არა „ოკო(ნ)“, მაგრამ პირობითი კილოს საწარმოებლად ჭანური ხმარობს **ო-კო-ს**. აქედან ჩანს, რომ ეს ზმნა ჭანურისთვის უცხო არ არის [ჩიქობავა, 1938, 291].

ამ თვალსაზრისით საინტერესო ჩანს ლაზური **(რ)კვა-** ზმნური ფუძე, რომელსაც „თხოვნის“ მნიშვნელობა აქვს:

ნანა-მუმშია იდუ და ჭიტა ყვალი დო მჭკიდი **აკვანდუ** (ჩიქ., I, 103₂₄) „თავის დედასთან მივიდა და ცოტა ყველი და მჭადი სთხოვა“; არ ვი(თ) ნდღამ კულე კონქში მოხთუ დო ჭურკი **აკვანდუ** (ჩიქ., II, 9₁₁) „ერთი ათი დღის შემდეგ მისი მეზობელი მოვიდა და ქვაბი სთხოვა“; აწი სიჯას **აკვანან** ბახჩიში... ნოლამისაში კოჩიფექ, ჯუმალეფექ **აკვანან** ბახჩიში (ჩიქ., I, 133₂₃₋₂₅) „ახლა სიმეს სთხოვენ საჩუქარს... პატარძლის მომყოლნი, ძმები სთხოვენ საჩუქარს“... მა ჟურენეჩ ასთან მუმენი **გაკვან**, გიჩქინ-ი? (ჩიქ., I 20₁₅) „იგი, ორმოც ასთან რატომ გთხოვ?“... ჰემუში ქარტალი ქომჩი! მუსტენდიქ **მაკვანს** (ჩიქ., II, 28₃₀) „იმის ქაღალდი მომეცი! გამომძიებელი მთხოვს (მოითხოვს)“...

მკვლევრის დაკვირვებით, ეს ძირი მეგრულში იშვიათია, მაგრამ უცხო არ არის: ნარკვანი – „ნანატრი“ ახლაც იხმარება [ჩიქობავა, 1938, 290].

კვან>კონ ჩვეულებრივი პროცესია, არც მნიშვნელობათა დაკავშირება ჩანს წინააღმდეგობრივი: **თხოვნა > მოთხოვნა > ვალდებულება** სემანტიკური გადაწევის ბუნებრივ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს.

ზანურში არის კიდევ ერთი საერთო ზმნური ფუძე **კორ-**, რომელიც ასე განიმარტება: „უნდა, სჭირია“:

ბაგენი ვა ივუ. დიდო **მიკორემს** (ჩიქ., II, 4₂₄) „სასიმინდე არ გათავდა (არ იქნა). ძალიან მჭირია (მინდა)...“; თქუ-ქი „ჰაკო ქოთუმეს არ მამული **უკორემს**“ (ჩიქ., II, 14₃₁) „თქვა, რომ ამდენ ქათამს ერთი მამალი სჭირდება...“

მეგრულში გვაქვს მასდარი **კორინება** „ნდომა“; **კორ-** ჩანს პირიან ფორმაშიც: ვეკორინუ „არ ინდომა“.

ზმნები **უკორემს, ოკონ**, არნ. ჩიქობავას აზრით, კავშირში უნდა იყოს **კვან-||კვან-დ-** ძირთან [ჩიქობავა, 1938, 296]⁹.

ასეა თუ ისე, ლაზური -**კო** მორფემის საკუთრივ ლაზურ ნიადაგზევე ახსნა სირთულეს არ წარმოადგენს. ყველა შემთხვევაში, ამ მონაცემის ზმნური წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს.

„უნდა“ ზმნური წარმომავლობის მოდალური ნაწილაკის მორფემიზაცია არც ქართული ენის დიალექტებისთვის არის უცხო: „კახურში ნაწილაკ-მორფემოიდი **უნდა** წარმოდგენილია თავდაპირველი სახით: **უნა...** გვხვდება ასეც: **უნ:** „უნ დაფარული იყოს“.

მორფემად ქცევის ტენდენცია ნათლად დაჩნდება ამ რიგის ფორმებში: „ისნა (=ის უნდა) შეერთო, მეცნა (=მეც უნდა) წავიდეო“...

აჭარულში ვალდებულებითი კილო იწარმოება **უნდა > ნდა და||ნა** ნაწილაკ-მორფემოიდებით... შესაძლოა მიერთოს როგორც წინამავალ ფორმას, ასევე საკუთრივ ზმნას... მიერთვის კავშირებითის ფორმებს...

უნდა ფორმოზრივად იცვლება სამცხურ-ჯავახურშიც: **-ნა || -და || -ნდა**; ამათგან ძირითადია **-ნა...** **-ნა** ორ პოზიციაში დასტურდება: 1. ზმნის წინ, ენკლიტიკურად მიერთვის ზმნის წინამავალ სიტყვას (მე-**ნა** წავიდე „მე უნდა წავიდე“... 2. მოსდევს ზმნას და ამ შემთხვევაში ამ ზმნას მიერთვის ენკლიტიკურად“ [ჯორბენაძე, 1989, 332, 393, 565].

ქართულ დიალექტებში **უნდა** მოდალური ზმნა ფუნქციურ-სემანტიკურ ცვლილებას არ განიცდის, – ცალკე მდგომი იქნება ის, თუ გაცვეთილი და **ნა-**ს სახით ძირითადი ზმნის ფორმაზე ენკლიტიკურად დართული, – ამით მისი მნიშვნელობა არ იცვლება, იგი იყო და რჩება **დებიტივის** სემანტიკის გამომხატველ მოდალურ ელემენტად. ამისგან თითქოს განსხვავებული ვითარება ჩანს მეგრულში, სადაც **-კო** ელემენტი ნაკვთს აწარმოებს, იმ დონის მორფოლოგიურ მონაცემად არის ქცეული, როგორცაა, ვთქვათ, კავშირებითის მაწარმოებელი **-ა** მორფემა. თუ ეს ასეა, მაშინ მეგრ. **ოკო** და ქართ. (დიალ.) **უნდა|უნა|უნ|ნდა|ნა** ფუნქციურ-გრამატიკული თვალსაზრისით ერთ სიბრტყეზე დადგება, მაგრამ სულ სხვა გრამატიკული დატვირთვა ექნება ნაკვთის მაწარმოებელ **-კო** მორფემას.

⁹ ამ დაკავშირებას არ ეთანხმება პროფ. მ. ჩუხუა; მისთვის ლაზ. **კორ-** (მეგრ. **კორ-ინ-**, მი-**კორ-ინ-**უ), **კვანდ-** →//**კვან-** (სვან. **კვენდ-**), **-კო-ნ** აბსოლუტურად სხვადასხვა ძირებია.

ერთი სიტყვით, საკითხი ასე დგას: რამდენად არის **დესემანტიზებული** ზანურის პირობითის ფორმებში დადასტურებული **-კო** მორფემა?

საგულისხმო ფაქტია, რომ ლაზურში სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელი **-თ** სუფიქსი სპორადულად **-კო** მორფემას დაერთვის (და არა ზმნის ფუძეს, როგორც ეს მეგრულშია საერთოდ და როგორც იმავე ლაზურშია ჩვეულებრივ); „აკად. ნ. მარის ჩვენებით (იხ. ჭან. გრამ. § 87, გვ. 53), – წერს არნ. ჩიქობავა, – მრავლობითში **-კო-** ჩაერთვის მრავლობითის ნიშნის წინ. ჩვენი ტექსტების მიხედვით კი მრავლობითშიაც **-კო(ნ)** დაერთვის ზმნის დამთავრებულ ფორმას (ხოფურშიც და ვიწურ-არქაბულშიც). ასევე იწარმოება ეს ჩხალურში (ი. ყიფშიძე, § 87)“ [ჩიქობავა, 1936, 143].

საინტერესოა, რომ იმავე ი. ყიფშიძის ტექსტებში გვხვდება იმის ნიმუშები, რომ მრავლობითობის სუფიქსი მოსდევს **კო-** მორფემას:

„ხუსეინ ექენდი, ჯუმა-შქიმი ოხორიშე **ემკაფითკოთ!**“ (ყიფშ., 86₁₃) „ხუსეინ ევენდი, ჩემი ძმის სახლში წავსულიყავით“; ღორმოთიქ მუჭე გზა მოწირეს, **ვიდიკოთ** (ყიფშ., 74₃₆) „ღმერთმა როგორც გზა გვაჩვენა, უნდა წავსულიყავით“...

გ. კარტოზიას დაკვირვებით, „ათინურ-ართაშენულში **-კო** დაბოლოება ზმნის ბოლო-კიდური თანხმოვნის (მრ. რ. **-თ** სუფიქსის ან **-ეს** სუფიქსის თანხმოვნითი ელემენტის) წინ არის გადასმული: პჭარიკოთ [< პჭარიტ-კო] „გვეწერა“, ჭარეკოს [< ჭარეს-კო] „ეწერათ“. ზოგ თქმაში მრავლობითის სუფიქსისეული ე ხმოვნის გავლენით **-კო** დაბოლოების **ო** ასიმილირებულია: **კო > კე** (ჭარეს-კო > ჭარეკოს > ჭარეკეს)“ [კარტოზია, 2004, 115].

როგორც ირკვევა, **-კო-ელემენტის** ზანურ ფორმებში (**ოკო(ნ)** მოდალური ელემენტის გარეშე) არ არის მიჩქმალული დებიტივის სემანტიკა და არ შეიძლება ეს შემთხვევითი იყოს; მაგ.:

ბედაურს გედოხოლია გიწუე, **ქოიციდირუდუკოვა** ართი ჭკოლა ცხენი, **ეწოყუნაფუდიკო** წოხოლე დო დოშურდუდინ, **ქიგეიხუნუდუკო** დო ბედაური იციდუა. ახალი ოსური გიწუე, **მოიყონაფუდუკო** უსქვამური ოსური. წანამოწანაშე აკაშა **დოინჯირუდუკო** დო ირო ახალი იყუაფუდუა. მეგვანაფილი გიწუე, **ქემშიადგუმუდუკო** კოტოთ ლებია დო ეთინა **გიჭკომუდუკოვა...** (ხუბ. 41₂₂₋₂₉) „ბედაურზე შეჯექიო, რომ გითხრაო, გეყიდაო ერთი მჭლე ცხენი, გაძლოლოდი წინ და რომ დაიღლებოდი, შემჯდარიყავი და ბედაური იქნებოდაო. ახალი ცოლი რომ გითხარიო, მოგეყვანა ულამაზო ქალი. წელიწადში ერთხელ დაწოლილიყავი და სულ ახალი იქნებოდაო. ნასუქიო რომ გითხრაო, შეგედგა ქოთნით ლობიო და ის გეჭამაო“.

წარმოდგენილი საანალიზო ზმნური ერთეულები (ქოიციდირუდუკოვა (გეყიდაო = უნდა გეყიდაო), ეწოყუნაფუდიკო (გასძლოლოდი = უნდა გასძლოლოდი), ქიგეიხუნუდუკო (შემჯდა-რიყავი = უნდა შემჯდარიყავი), მოიყონაფუდუკო (მოგეყვანა = უნდა მოგეყვანა), დოინჯირუდუკო (დაწოლილიყავი = უნდა დაწოლილიყავი), ქემშიადგუმუდუკო (შეგედგა = უნდა შეგედგა) ფუნქციურად დებიტივის ფორმებია. სათანადო მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება:

გურქ ვა აჩინგ, მუ **ქიმინგკო?** (ყიფშ., 54₁₇) „ვერ მიხვდა, რა ექნა? (=უნდა ექნა)“; ღობერი **დოგიტახგდგკო**, ცელი **დოგიტახგდგკო**, კოჩი **დოგიჯვილგდგკო** დო მორიებული აყიდი თინენც (ხუბ., 218₅₋₆) „ღობე დაგემტვრია („დაგეტეხა“=უნდა დაგეტეხა), ცელი გაგეტეხა („დაგეტეხა“ =უნდა დაგეტეხა), კაცი მოგეკლა (=უნდა მოგეკლა) და მორეული ექნებოდი მაგათ“; მუს **მეფხვადიკო** სი კოჩია (ხუბ., 41₁₈₋₁₉) „რას უნდა მივმხვდარიყავი, შე კაცოო“; დღა დო სერს ვფიქრენდი, მუ **ვლოიკო** დო მუჭო **მიფხვარიკონ** (დან., 334) „დღე და ღამე ვფიქრობდი, რა მექნა (=უნდა მექნა) და როგორ მომეხმარა (=უნდა მომეხმარა) (ქონება)“; ქოფხვადუნ დო

ქომილუდას, ქუდეს **ქუდობტერიდიკო!** (ხუბ., 325₃₋₆) „მეკუთვნის და მქონდეს, სახლში დავტულიყავი (=უნდა დავტულიყავი)!“ ეწყინე ძალამქე, მარა მუ **ქიმინგკო?** (დან., 30) „ეწყინა ძალიან, მაგრამ რა ექნა (=უნდა ექნა)?“ სიავა მითომტევე ტყას... ძალა ვაილუდგ დო მუ **ქიმინიკოვა** (დან., 258) „შენო რომ დამტოვე ტყემიო... ძალა არ გქონდაო და რა გექნაო (=უნდა გექნაო)“; **გიხაჩქუდკო, გიბარგუდკო, გიჭკომუდკო** ლეზია (ხალხ., 21) „გეთოხნა (=უნდა გეთოხნა), გემარგლა (=უნდა გემარგლა), გეჭამა (=უნდა გეჭამა) ლობიო“; ფარას ხოლო მერჩანდია იშო დო კოჩი **ვაიწვილუდგკონია!** (ხუბ., 193₁₈) „ფულს კიდევ მოგცემდიო იქით და კაცი არ მოგეკლავო (=არ უნდა მოგეკლავო); საჭირო დუ, ირ დღიური მუშობათი **უჭკომუდუკო** აუკმა დო ჩიი დო სკუა **გუხარებუდუკო** (დან., 334) „საჭირო იყო, ყოველდღიური მუშობით ეჭამა (=უნდა ეჭამა) ლუკმა და ცოლ-შვილი გაეხარებინა (უნდა გაეხარებინა)“; მუდიგა ევერი ძვირი **უთხუდუკონი**, შესრულებუდუ (დან., 106) „რაც უნდა ძვირი ეთხოვა, შეუსრულდებოდა“...

საინტერესოა შემდეგი პარალელიზმი, რომელიც დასტურდება ი. ყიფშიძის ტექსტებში:
მა თიშენი მოლაერთი, სიმინდი **ოკო იპიდე (ქომციდირუდუკო)** (ყიფშ.1₁₈) „მე იმიტომ წამოვედი, სიმინდი უნდა ვიყიდო (უნდა მეყიდა)“.

სხვა შემთხვევაში დებიტივის სემანტიკის გამომხატველი **ოკო(ნ)** მოდალური ნაწილაკია (როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში ერთგვარი ფუნქციური დუბლირება უნდა ხდებოდეს):

თისია ოსურო **ოკო მიდვაწუნიკოვე** (ხუბ., 255₁₀) „მაგას ცოლად უნდა წავყოლოდიო“; ძალა ვაილუდგ დო მუ ქიმინიკოვა (ხუბ. 71₃₄) „ძალა არ გქონდა და რა უნდა გექნაო“; მისგთ წოხოლეშე გური მალედგნ, თიქ **ოკო იწუკო** ცვილირქ (ხუბ., 235₃₅) „ვისაც უფრო წინ გული მოუვიდოდა, ის უნდა ყოფილიყო მოკლული“; მურთგ პაპას გურქ, მარა მუ **ოკო ქიმინგკო?** „მოუვიდა მღვდელს გული, მაგრამ რა უნდა ექნა?“ (ყიფშ. 9); ნამდგა ჯგუფი ორჯგინანდგნ, ეთინაქ **ოკო იწუკო** გამარჯვებულქ (ხუბ., 242₁₂) „რომელი ჯგუფიც აჯობებდა, ის უნდა ყოფილიყო გამარჯვებული“; მავითოჟირა წანას ათე ხენწგფემ ოსინდალგმა **ოკო ქიმერთგკო** თი ბოშიქ (ხუბ., 249₉) „მეთორმეტე წელს ამ ხელმწიფის სასიძოდ უნდა მისულიყო ეს ბიჭი“; ჩქიმი წიმოძახება ხრისტაგანი-ტარიელიში მეტი შხვაქ **ოკო ვაგაბედგკო** (ყიფშ. 85₂₄) „ჩემი წამოძახება ხრისტაგანი-ტარიელის მეტს სხვას ვერ უნდა გაებედა“; გინოდგე ართი ყორში, ნამუშე ირი ონჯუას **ოკო გინაკჟინგკო** მუში ღვამალას, სოლე დააშქურინუეკო ნდემეფი (ყიფშ. 55₈₋₉) „ედგა თურმე ერთი კოშკი, საიდანაც ყოველ სადამოს ხმამალა უნდა გადაეძახა თავისი სამფლობელოსთვის, რომ დაემინებინა დევები“; ატუს გუუკვირდუ ექ, მარა მუ **ოკო ქიმინუკო?** (ყიფშ. 10₁₇) „ატუს გაუკვირდა, მაგრამ რა უნდა ექნა?“ დააჭყე ფირქი მუნერო **ოკო ორზგკო** თიქ თინერი დაჩხირი... (ყიფშ. 8₂₁₋₂₂) „დაიწყო ფიქრი, როგორ უნდა დაენთო ისეთი ცეცხლი...“ ათე დღას **ოკო გიშულეზუდესკო** ცალკე მხეცეფს დო ცალკე ფრინველეფს ოჩხუპუშა (ხუბ. 242₁₉₀) „ამ დღეს უნდა გამოსულიყვნენ ცალკე მხეცეები და ცალკე ფრინველები საჩხუბრად“; ენა სქანდა მა იშენი **ოკო მირაგადუდუკონი** (დან. 116) „მე ეს შენთვის მაინც უნდა მეთქვა“; ართი საქმე რენ დო თი საქმე ოკო გიწუე დო **ოკო გიწიკონი** (დან. 120) „ერთი საქმე არის და ის („საქმე“) უნდა გითხრა, [ადრეც] უნდა მეთქვა“.

ოკო(ნ) მოდალური ნაწილაკის ერთ-ერთი ფუნქციაა **სავარაუდო** მოქმედების გამოხატვა. ნიშანდობლივია, რომ **-კო**-სუფიქსიანი „პირობითის“ ფორმით (**ოკო(ნ)** მოდალური ელემენტის გარეშე) შესაძლებელია ამ გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემა; განსაკუთრებით ნათლად ეს ჩანს უარყოფის ფორმებში:

ვაკეთენდუკო („ხომ არ აკეთებდა“), **ვაჭარუნდუკო** („ხომ არ წერდა“), **ვარდუკო** („ხომ არ იყო“), **ვადვარანდუკო** („ხომ არ ყვიროდა“), **ვადომჭურონდუკო** („ხომ არ შემინდა“), **ვამულუდუკო** („ხომ არ მოჰქონდა“)...

სავარაუდო მოქმედების გამოხატვა, ჩვეულებრივ, **ოკო(ნ)** მოდალური ნაწილაკის ერთ-ერთი ფუნქციაა; პირობითის ნაკვთების მაწარმოებელ **-კო(ნ)** მორფემას ეს ფუნქცია შენარჩუნებული აქვს და კონტექსტურად ეს მკაფიოდ ვლინდება:

გითაჯინი, ეშმაკური **ვაქიმინუკო** მუთუნი თი კოჩქია (ხუბ. 58₅) „უყურე, რამე ეშმაკური არ ჰქონდეს გაკეთებული იმ კაცსო“. შდრ.: ჩქიმ ქომონჯიქ ოკო **ქემორთუკო** დო ათე შკაფიშა ოკო მითილევე (ხუბ. 227₁) „ჩემი ქმარი უნდა მოსულიყოს და ამ კარადაში („შკაფში“) უნდა შეხვიდეო“; ლობერიშა ქემურქ, დაბა თი ჩხუ ღვარანდგნ, აშო ვა მენოტახუკოვა! (ხუბ., 139₁₁) „ღობესთან მივალ, ის ძროხა რომ ზღაოდა, ხომ არ შემოამტვრია ერთი აქეთ“...

სპეციალურ ლიტერატურაში ამგვარი ფორმების ანალიზისას გამოთქმულია აზრი, რომ „ვა ნაწილაკი... „ხომ არ“, „ალბათ“, „შეიძლება“ ნაწილაკების ფუნქციას ასრულებს“ [დადიანი, 2001, 116].

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სათანადო კონტექსტებში **ვა** ნაწილაკი ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მას საერთოდ გააჩნია, ანუ ის არის უარყოფის გამომხატველი ფუნქციური ელემენტი, ხოლო ვარაუდისა თუ ალბათობა-შესაძლებლობის სემანტიკა კი, ბუნებრივია, ზმნის ფორმაში დადასტურებულ **კო(ნ)** მორფემას მიეწეროს.

წარმოდგენილ ილუსტრაციებში ყველგან **-კო** მორფემა გვაქვს, „რომ“ კავშირი ინტერპრეტირების ფორმულირებაში არ ჩანს.

-კო სუფიქსიანი წარმოების სხვა ნიმუშები:

აი უბედური ტურუ, ჭახანს **ქიგლეშიკო** გალე (ხუბ. 331₁₈) „აი, უბედურო ტურუ, ცოტა ხანს გევლო გარეთ“; ნიტე სქანი სინთელეთი, შურო **ვაგიჩინენდიკო**. გაჩინებული თოლეფითი შორშე ვა **გიჯინედიკო!** ართი გურით მიგორდი დო გლახას სი ვა **ფირქენდიკო!** „ნეტავ, შენს სიკეთეს, სულ არ მცნობოდი. გაცნობილი თვალებით შორიდან არ მეყურებინა! ერთი გულით გიდგებოდი და ცუდი არ გეფიქრებინა!“

ასეთივე სურათია ლაზურშიც, – **-კო** ელემენტიანი ფორმით დებიტივის ან სავარაუდო მოქმედების გრამატიკული შინაარსი გადმოიცემა:

აღრემი ცონა, აღნე-ნა იხაჩქენ ცონას უწუმენან. არ დადი **ქოგეფთხვითუკო**, უკაჩხე ჰემ დადი დაჩხურითო **ოპჭვათუკო**, უკაჩხე **დოფადითუკო**, უკაჩხე-თი **დოფხაჩქითუკო**, – ჰემ ორას ჰემ აერის აღრემი (აღნე)ცონა უწუმენან. არ ოხაჩქონი აერი არ ჭარა **დოფხაჩქითუკო**, უკაჩხე არ დაჰა **დოფხაჩქითუკო**. უკაჩხე არ წანას ვა **ფხაჩქითუკო**, უკაჩხე ხოლო-თი ჰემ აერი **დოფხაჩქითუკო**, ჰემ ორას ჰემ აერის ვიწორეფექ (ვიწურეფექ) მოდული უწუმენან (ყიფშ., 155₁₋₁₀) „ამ ადგილს ვიწელები მოდულს ეძახიან“. იდუმუნამს: „სიჯა შქიმიშ ოხოი არ **ქომბირიკო**“-დეი (ჩიქ., II, 98₁₃) ფიქრობს: „ჩემი სიძის სახლი ერთი უნდა მენახაო“... არ **ქოგბირიკო**-ია (ყიფშ. 66₈) ერთი (უნდა) მენახეო“; ორდო **მენდაფითუკო** (ჩიქ., I, 82) „საჩქაროდ უნდა წავსულიყავი“; ღორმოთიქ მუჭე გზა მოწირეს, **ვიდიკოთ** (ყიფშ., 74₃₆) „ღმერთმა როგორც გზა გვაჩვენა, უნდა წავსულიყავით“; აწი მა-თი **ქომბირატიკონ** (ასათ., 161) „ახლა მეც უნდა მენახა“; მეგის გუი ქუმუხთუ დო დიფიშმანუ: ია ხვალა **ჰოპჭკომეეტიკონა!** (კარტ. I, 11₂₃) „მგელს გული მოუვიდა და ინანა: მარტო ის უნდა შემეჭამაო!“; ეფჩ-ი-ა, ბიჭეფე-აა, ააა, ააღ-აღაში... გიინი ვა **რტუკონა!** (ჩიქ. I, 117₂₀) „ბიჭოს, ბიჭებო, ეს ალი-აღას ვირი არ ყოფილიყოსო!“...

შეიძლება დავასკვნათ, რომ **-კო** მორფემიზებული ნაწილაკი, რომელიც ნაკვთის მაწარმოებლის ფუნქციით გამოდის, ბოლომდე დესემანტიზებული არ არის, – არცთუ

იშვიათად იგი იმ სემანტიკურ ნიუანსებს გამოხატავს, რაც საზოგადოდ აკისრია **ოკო(ნ)** მოდალურ ნაწილაკს [შდრ. ქობალავა, 2001, 118]. ამით ის ახლოს დგას ქართულ (დიალ.) სათანადო (**უნდა|უნა|უნ|ნდა|ნა**) ცალთან.

მაგრამ მხოლოდ ეს არ ამოწურავს მის გრამატიკულ ფუნქციას, – მისი ძირითადი გრამატიკული დანიშნულებაა ნაკვეთების წარმოება. ასე რომ, ფუნქციური თვალსაზრისით, ერთი დონის მონაცემებად შეგვიძლია ჩავთვალოთ მეგრ. **ოკო(ნ)** და ქართ. (დიალ.) **უნდა|უნა|უნ|ნდა|ნა** ნაწილაკები, ხოლო **-კო(ნ)** მორფემის ძირითადი დანიშნულება ნაკვეთის (resp. „პირობითის“ ნაკვეთის) წარმოებაა.

-კო(ნ) მოდალური ნაწილაკის მორფემიზების ნიშანია ის ფაქტი, რომ ზმნა დებიტივისთვის **ოკო** ნაწილაკს მოითხოვს: **ოკო** ქიმერთუკო, **ოკო** გაკეთუკო...

შესაძლოა **-კო** სუფიქსი წარმოდგენილი იყოს **-ნ/-ნი** ელემენტთან ერთად (ამის ილუსტრაციები ზევიტაც იყო მოცემული):

ათე დღაშა **ბღურიკონი**, ათას წილო ჩქიმო ნოჯგვე (ხუბ. 331¹⁴) „ამ დღემდე რომ მოვმკვდარიყავი, ათასწილად ჩემთვის სჯობნებია“; ფუჩით შეთხუ მუჰამბიქ, მუ რდუნ, **ქოთქუკონი** (დან. 110) „ფიცით სთხოვა მუჰამბიმ, რომ რა იყო [საწუხარი], ეთქვა (რომ ეთქვა)“; ართიშა ათე ტყაშიკოჩქ მიდართ მუში არდგილი **გეშეელუკო ნი**, მუთუნი **ვადააოხრესკო ნი** ნდემენქ (ყიფშ. 82¹¹) „ერთხელ ეს ტყისკაცი წავიდა, რომ თავისი [კუთვნილი] ადგილები დაეველო, რამე რომ არ აეოხრებინათ იმ დევებს“; მიში ქუდესგთი ინგარდესი დო იჩინენდესი თე ღურელცე ნი, თინეფი **ოკო** არძო **უჭოფდესგკო ნი** დო ხენწიფეშა **ქემუქუნაფდესგკო ნი** „ვის სახლშიც იტირებდნენ და მკვდარს იცნობდნენ, ისინი ყველანი უნდა (რომ) დაეჭირათ და ხელმწიფისთვის მიეყვანათ“; ღორონთიშა ცოოფუ პიჯალა მეჩამილი, დღასე კოჩიშა **ვეგშართუკონი**, ირო ტყას **დოდირთუკონი** (ყიფშ. 82⁶⁻⁷) „ღმრთისთვის ჰქონია პირობა მიცემული, რომ არასდროს ხალხში არ გამოსულიყო და ყოველთვის ტყეში მდგარიყო“; სი ჯგირი ოსური **ქორდიკო ნი**, სქანი ქომონს ღეჯენს ვარგთი ოთხილაფუნდია (ყიფშ. 527) „შენ კარგი ქალი რომ ყოფილიყავი, შენს ქმარს ღორებს არ ამწყემსვინებდიო“; მუმას ოკორდგ, სქუას მუთუნი ხელობა **ქედაგურუკო ნი** (ყიფშ. 9¹⁵) „მამას უნდოდა, რომ შვილისთვის რამე ხელობა ესწავლებინა“; ართიშახ, ჭუმე პეტრობა **რდუკო ნი**, ამუსერი ართი სოფელსი მეუხირუნა ხოჯი (ყიფშ. 12⁶) „ერთხელ, ხვალ რომ პეტრობა უნდა ყოფილიყო, ამაღამ ერთ სოფელში მოუპარავთ ხარი“; ჯორქ ატუ ქიჩინგ, ვაუჩქედ მუ **ქიმინგკონი: გინირთუკო** ბოშონი, ვაგუტენდგ, ჯორო **ორდგკონი**, წვალებას იქიდგ ირო (ყიფშ. 10²⁹⁻³⁰) „ჯორმა ატუ იცნო, არ იცოდა, რა უნდა ექნა: ბიჭად რომ გადაქცეულიყო, არ გაუშვებდა, ჯორად რომ ყოფილიყო, წვალებაში იქნებოდა სულ“; თაში ვა **გიქიმინდგკო ნიე**, მა მიდებშია ქუდეშა (ყიფშ. 33⁶) „ასე რომ არ გექნაო, მე წავიდოდით სახლში“; დემქე პიჯალა ქიმეჩგ **დასაქილიდუკონი** (ყიფშ. 51⁴) „დევემა პირობა მისცა, რომ მოარჩენდა“; ითამ წგნდუკო ნი, თეში ნიჩვიში ჩირქოლი დუუჭყუა (ყიფშ. 44¹⁹) „ვითომ რომ წოვდა, ისე პირით წვალება დაუწყო“; გინი იშენი შურო ვა შიილებედგ ჯორს **ქუუხუდგკო ნი** (ყიფშ. 44²⁶) „ხბო ისე სულ არ შეიძლებოდა რომ ჯორს დაეხადა“; ოკოდგ თიმი დღასე ჭე უმოსი არდგილი **მიილგკო ნი** (ყიფშ. 57¹⁰) „უნდოდა, რომ იმ დღეს ცოტა მეტი ადგილი მოეველო“; ქიმერთესგ დო ქოთხეის, **მოლოურთემუდუკონი** (დან. 262) „მივიდნენ და სთხოვეს, რომ წამოსულიყო“; თქვანი სქუა **ქორდგკონი**, პატის თინა ქოფცენდეს (ხუბ. 93²⁸) „თქვენი შვილი რომ ყოფილიყო, პატის ის გვემდა“; რაშიქ გეიოლგ დო ოკოდგ ცას ქიმკაშგრგკო ნი გიმახვენჯი, მარა ბოშიქ ქვარას ქათასახაპუ; რაშის ოკოდგ დიხას **ქიგიოშგრგკო ნი**, ბოშიქ ხასილას ქიმკასახაპუ (ყიფშ. 61³⁵) „ავარდა რაში და უნდოდა, რომ ცაზე მიესრისა მხედარი („მჯდომარე“), მაგრამ ბიჭი მუცელზე მოეველო, რაშს უნდოდა, რომ მიწაზე დაესრისა, ბიჭი გვერდზე („ვერდზე“) ჩააფრინდა“; ვააკოდგ მუში სქუაქ ნდემეფცე **ქიმკალურუკონი** (დან. 44) „არ უნდოდა, თავისი შვილი დევებს შეჰკვდომოდა“; ვითოჟირი წანერი ვორდი, მოკოდ ტორონჯი **ბჰოფიკონი**, ჩქიმ დუდიში გემუვანო ჩქიმი ხეთგ **მოზრდიკონი**. ართ შარაშა

მიდაბრთი დო გალია ოკო მიბლიკონი, თი ტორონჯი თი გალიათ ცუდეს მოკოდ მობრდიკონი (სამუშ. 126-127) „თორმეტი წლისა ვიყავი, მინდოდა მტრედი დამეჭირა, ჩემი თავის გემოვნებით ჩემივე ხელით გამეზარდა. ერთგან წავედი და გალია უნდა მომეტანა, იმ გალიით ის მტრედი მინდოდა სახლში გამეზარდა“...

რა შეიძლება იყოს ეს -ნ ელემენტი? საერთოდ, რა გრამატიკული დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს ზმნის ფორმის ბოლოს წარმოდგენილ ნ-ს?

იგი შეიძლება იყოს:

ა) მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი. ამის აშკარა ნიმუში იქნება შემდეგი მაგალითები: ვაკეთენდუკონია (ხომ არ აკეთებდაო), ვახანტუნდუკონია (ხომ არ ხატავდაო), ქიმინუკონია (ექნაო), ჭარუკონია (ეწერაო) და სხვ. წარმოდგენილ -კონ-დაბოლოებიან ფორმებში ბოლოკიდური -ნ მესამე სუბიექტური პირის ნიშანია, ამ შემთხვევაში გამოიყოფა -კონ მორფემიზებული მოდალური ელემენტი, რომელსაც ოკო(ნ) მოდალურ ელემენტთან ერთად ან მის გარეშე დებიტივის, ალბათობის სემანტიკა შემოაქვს ძირითადი ზმნის სემანტიკაში. მაგრამ -ნ სუფიქსი სუბიექტური პირის ნიშნად, ცნობილი წესის მიხედვით, მეგრულის სათანადო ფორმების აბსოლუტურ ბოლოში ვერ ძღვება. ხშირად არც შესაფერის ფონეტიკურ გარემოცვაში აღდგება იგი (ნ+ვ დაშვებული კომბინაციაა მეგრულში; მაგ.: გინვაკეთენქ, ენვორექ, ინვოძუქ, კინვოხექ, მინვორღვანქ...), რაც -კონ მორფემის ნაწილობრივი სემანტიკური დაზნელების შედეგი უნდა იყოს;

მაგ.:

მა თე კოჩი ქორდიკონ ქომიჩქუდუკოვე, ჭკის ვემერჩანდია (ხუბ., 41₂₉) „მე, ის კაცი რომ იყავი რომ მცოდნოდაო, მჭადს არ მოგცემდიო“; დოჩინელი აფუდუა, ართი სერს ოხვამეს ქედვოსვანჯეთუკოვე (ხუბ., 72₃₃) „დაბარებული ჰქონდაო, რომ ერთი ღამე სამლოცველოში დაგვე-სვენებინა“; პატონია, ეთი მაბირე ჯამ ნოყველა მოკოდუა ვიხირიკოვა (დან., 272) „ბატონო, ამ მომღერალი ხის ტოტი მინდოდა მომეპარაო“; უკული მივრავადეთია, მაბირე ჯამ ნოყველა ქომიშიბუდესიკოვა (დან., 276) „მერე მოვილაპარაკეთო, რომ მომღერალი ხის ტოტი გვეშოვაო“; თინა ვა ბძირიკონ, თემ ქომონს ვაგაყუნიკოვე, თე პირობა მილუდუა გურსია (ხუბ., 249₃₄) „ის რომ არ მენახა, ისე ქმარს რომ არ გავყოლოდიო, ეს პირობა მქონდა გულშიო“; თი სქუაქ ჩქიმი ჯგურაქ ქიყუკოვე – თქვა მოინალეთ ქარგუდითავო? (ხუბ., 93₃₄) „ის შვილი ჩემისთანა რომ გამხდარიყო (ყოფილიყო), თქვენ მსახურებად თუ გამოადგებოდითო?“; ჩქიმადა ხოლო აფუდუა რაგადებული, თე სერს თაქ ქოფთხილეკოვე (ხუბ., 72₃₅) „ჩემთვისაც ჰქონდაო ნათქვამი, რომ ამ ღამეს აქ მედევენებინა თვალ-ყურიო“...

-კო(ნ) მორფემის ზმნური წარმომავლობა (ამაზე ზევითაც იყო მსჯელობა) ფორმალურ ასპექტშიც ვლინდება. წარმოდგენილი „პირობითის“ ფორმები ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა, რამდენადაც მათ მოეპოვებათ -ნ სუფიქსიანი პარალელური წარმოებებიც:

ქომიჩქუდუკოვე || ქომიჩქუდუკონია,
ვიხირიკოვა || ვიხირიკონია,
ქომიშიბუდესიკოვა || ქომიშიბუდესიკონია,
ქიყუკოვე || ქიყუკონია...

ბ) კავშირი (ნ<ინი), რომელიც ასევე შეიძლება დაიკარგოს (იხ. ქვევით).

მაგრამ პარადიგმაში საუღლებელი ერთეულის წარმოდგენისას მოცემული უნდა იყოს ზმნის ძირითადი ფორმა, ყოველგვარი კავშირისა თუ ნაწილაკის გარეშე.

აორისტის ფორმაა, მაგალითად, რომელიმე **გაკეთუ** – „გაკეთა“ და არა **გაკეთუნ** – „რომ გააკეთა“, **დოჭარუ** – „დაწერა“ და არა **დოჭარუნ** – „რომ დაწერა“;

ასევე: კავშირებითის ნაკვთის ფორმაა **გაკეთას** – „გაკეთოს“, **დოჭარას** – „დაწეროს“ და არა **გაკეთასინ** – „რომ გააკეთოს“, **დოჭარასინ** – „რომ დაწეროს“.

ანუ: ძირითადი საუღლებელი ერთეულია (ნაკვთის ფორმაა) **დოჭარუკო(ნ)** „დაეწერა“, **დოჭარან** „დაწერონ“, **დუჭარუ(ნ)** „დაუწერია“ და ამ შემთხვევაში ზმნაში წარმოდგენილი **ნ** მხოლოდ და მხოლოდ პირის ნიშნად შეიძლება გავიაზროთ და არა კავშირად, აქედან გამომდინარე – ინტერპრეტირებისას აბსოლუტურად ზედმეტია **რომ** კავშირით მანიპულირება.

ობიექტურ სირთულეს განაპირობებს ის ფაქტი, რომ ორივე მონაცემი – სუბიექტური პირის სუფიქსიცა (**ნ**) და კავშირიც (**ინი > ნ**) ერთსა და იმავე პოზიციაში დასტურდება, თანაც ეს პოზიცია (აუსლაუტი) არახელსაყრელია მათთვის (ამის შედეგია, რომ არაიშვიათად ფორმალური ანალიზისას ამ ორი ელემენტის კვალიფიკაციისას უზუსტობა იჩენს თავს; მაგალითად, „პირიანი ზმნის მსგავსად **ნ** სუფიქსის აღდგენის“ ნიმუშად არის მოტანილი შემდეგი ილუსტრაცია:

თაში **ვაგიქიმინგდკონიე**, მა მიდებშია ქუდეშა (ყიფშიძე, 237) „ასე რომ არ გექნა, მე წავიდოდით სახლში“ [დადიანი, 2001, 106].

ამ შემთხვევაში **ვაგიქიმინგდკონიე** ფორმაში **ნი** კავშირი გვაქვს და არა სუბიექტური პირის სუფიქსი). პირის სუფიქსის დაკარგვა ამ შემთხვევაში დასაშვებია იმდენად, რამდენადაც მესამე სუბიექტური პირის ფორმა (დოჭარუნდუკო) პირველ-მეორე პირისას არ ემთხვევა (დოჭარუნდიკო – დოჭარუნდიკო).

თითქოს ასევე შეიძლება დაიკარგოს კავშირიც, მაგრამ ამ შემთხვევაში სათანადო გრამატიკული შინაარსიც დაიკარგებოდა – ამის თავიდან აცილება ხდება **(ი)ნ(ი)** კავშირის რეფლექსით – სიტყვის ბოლოსკენ გადაწეული მახვილი იქნება ფუნქციურად დატვირთული; სხვა გრამატიკული ნიშანი, რომლის საფუძველზეც შეიძლება **რომ**-კავშირიანი ჰიპოტაქსური მიმართების ახსნა და გააზრება, კონსტრუქციაში არ ჩანს (ამასთან დაკავშირებით იხ. [გ. კარტოზია, 1996]):

ჭუმე თანაფა **გოთმოთანდუდუკო**, ამდლა ქოთომს დოქვილუნდეს (დად. 118) „ხვალ აღდგომა რომ ყოფილიყო, დღეს ქათამს დაკლავდნენ“; ბაღანეფ ჯგირო **ორდუკო**, თიშენ დუდ ვაზოგუდუ (დად. 118) „ბავშვები კარგად რომ ყოფილიყვნენ, იმიტომ თავს არ ზოგავდა“; ირფელ **უჩქუდუკო**, თიმ გურშენ ბრელს კითხულენდუ (დად. 118) „ყველაფერი რომ სცოდნოდა, იმისთვის ბევრს კითხულობდა“...

ხშირია ამგვარი ნიმუშები ლაზურშიც (სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ჭანურში **ოკონ** ზმნის III სუბიექტური პირის ნიშანი შენარჩუნებულია, მეგრულში, ჩვეულებრივ, იკარგება, მაგრამ სხვათა სიტყვის და კითხვითი ნაწილაკების დართვისას აღდგება“ [დადიანი, 2001, 105-106])

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ **ოკონ** ზმნა ლაზურში საერთოდ არ ჩანს, ხოლო თუ ლაპარაკია **ოკონ** ზმნისაგან მიღებულ **კო(ნ)** მორფემაზე, იგი საკმაოდ ხშირად გვხვდება **ნ** სუფიქსის გარეშე); მაგ.:

ღორმოთქ ჯოღორის გური **დუხენატუკო**, ნცაშენ ილეფე დომთუტუ (ხალხ., 257) „ღმერთს ძალისთვის გული რომ გაეკეთებინა, ციდან ძვლები ითოვებდა“; ხონცას მჟორაშენ

აშქუინეტუკო, ნცა ვა ონტრეცინამტუ (ხალხ., 264) „ქუხილს მზისა რომ შეშინებოდა, ცას ვერ შეაზანზარებდა“;

შდრ.:

უთოლე ქოჩიქ თქვერენ: „არ თოლი **ქომილუტუკოა**“-ში, ღორმოთიქ სუმ ქომეჩუში, ვართი ხვამუ (ხალხ., 252) „უსინათლო (უთვალო) კაცს უთქვამს: ერთი თვალი რომ მქონოდაო და ღმერთმა სამი რომ მისცა, არც დალოცა“; ნცა სუბუქი **ქორტუ-კო**, იხიქ მენდიმეტუ (ხალხ., 243) „ცა მსუბუქი რომ ყოფილიყო, ქარი წაიღებდა“; ჰემ ბოზო ჰაწი სი **ქომირიკო**, იჩინატი-ი-ა, უწუ (ყიფშ., 66) ეგერ ნანა-ბაბა **მიწონუტუკო**, ოჭარუ-თი ბიგურამტი, ოკითხუთი ბიგურამტი (II, 25) „დედ-მამა რომ მყოლოდა, წერასაც ვისწავლიდი, კითხვასაც ვისწავლიდი“; მციქა წოხლე **მოხთატიკო-ა**, ქიძირეტუა-ა (ჩიქ., II, 29₂₅) „ცოტა ადრე რომ მოსულიყავიო, მოიძებნებოდაო“; ჰამ ქითაბ **ქომომჩიკო...** (მარი, 94₂₄) „ეს წიგნი რომ მოგეცა...“; ჰიმუთი **მენდებიონიკო**, ბაბაშკიმი მოკაპინასენ გალე (კარტ., 220) „ისიც რომ წამეყვანა, მამაჩემი გამაგდებდა გარეთ“; ამ ფურნი მა არაბას **ქოგებდგიკო**, კაი ტუ! (ჩიქ., II, 112) „ეს ფურნე მე ურემზე რომ დამედგა, კაი იყო!“ „ეგერ ახმეტიქ მა ვარ **ემჭოფათუკო** თი-ჩქიმი გომდინარე მა!“ ბზოპონტი (დიუმეხ., I, 84₁₇) „ახმეტს რომ არ შევერთე, თავს დავილუპავ-მეთქი, ვამბობდი“; სი პიჯი ვარ **მეჩიკო**, ჰაა ვარ ახვენუტუ (ჩიქ., II, 16₁₄) „შენ რომ პირი არ შეგეთქვა („არ მიგეცა“), ამას ვერ იზამდა“; ჯუმუ **ფხაჩიკო**, ვა იჩინატი-ი? (ჩიქ., II, 21₇) „მარლი რომ დამეთესა, არ იხერებდა?“ „ჰემ ბოზო ჰაწი სი **ქომირიკო**, იჩინატი-ი-ა, უწუ (ყიფშ., 66₃₂) „ჩემი ქალიშვილი შენ რომ გენახა, იცნობდიო, უთხრა“...

ლაზურში აუსლაუტის **ნ** მაინც მეტი სიმყარით გამოირჩევა (მეგრულთან შედარებით); არცთუ იშვიათად აქ შეიძლება შევხვდეთ **ნ + ნ** კომბინაციას, რომელთაგან პირველი **ნ** პირის სუფიქსი იქნება, მეორე კი კავშირის კომპონენტი:

ბუტკუჯიქ თქუ-ქი: „მა-ნა მებუჭკომარე კოჩი **დოღურატუკონ-ნა**, არ კოჩიშენი არ ფუთი თოფური დობიქომტი“ (ჩიქ., 69₃₂) „ფუტკარმა თქვა, რომ „მე რომ ვუკბენ კაცს, ის რომ მოკვდეს, ერთი კაცისათვის ერთ ფუთ თაფლს გავაკეთებდიო“; ვა **იდატუკონ-ნა**, კაი იყვეტუ (ასათ., 113) „რომ არ წასულიყო, კაი იყო“; **ბთქვატიკონ-ნა...** ეშუქ თქვატუ-ნა (ასათ., 112) „რომ მეთქვა. მას რომ ეთქვა“; ბერე კითხეი ვა **რტუკონ-ნა**, მოღორდასუნტუ (ჩიქ., I, 196) „ბავშვი რომ ნასწავლი არ ყოფილიყო, მოტყუვდებოდა“; ამუს ნეკნა აქოლენდო **ულუტუკონ-ნა**, კაი ტუ (ჩიქ., I, 69) „ამას რომ კარი აქეთკენ ჰქონოდა, კარგი იყო“; **ბთქვატიკონ-ნა...** (ასათ., 112) „რომ მეთქვა“; ია ვარ **ფეზბდიკონ-ნა**, აშო ვარ მალოდეტეს (კარტ., 52₁₁); „ის რომ არ აგველო, ასე არ დაგვემართებოდა“; ჰაივა **მოიდეტიკონ-ნა**, ჩქიმი ხალი მუ იყვატუ (კარტ., I, 141₂₈) „მე რომ კომში მომეტანა, რა დღეში ვიქნებოდი („ჩემი მდგომარეობა რა იქნებოდა“)“; ოხირუთენ კოჩი **იყვეტუკონ-ნა**, მთუგითე დიყვეტუ (ხალხ., 246) „ქურდობით კაცად გახდომა რომ შეიძლებოდა, თავიც გახდებოდა“; ემ კოჩეფე ვარ **ბძირატიკონ-ნა**, მა მუ მალოდასუნტუ (ჩიქ., I, 47) „ის კაცები რომ არ მენახა, მე რა მომივიდოდა“; **ინჯირატუკონ-ნა**-თი ესქიჯიში ოყურუთუნ გოკუცხუტუ (ჩიქ., I, 17₂₃) „რომც დაეძინა, მეჯღანის ყვირილზე გაიღვიძებდა“; ეშო ვა **პეეტიკონ-ნა**, შქვით ქაოი ენთეფექ ნოოსქინასინტეს (კარტ., II, 33₇) „ისე რომ არ მექნა, ისინი შვიდ სოფელს დაავსებდნენ“; ვა **მეხვატუკონ-ნა**, ეთი ლია დვაყვეტუ (კარტ., I, 106₃) „რომ არ გადაეყარა, ისიც ლირად გადაიქცეოდა“; მციქა ჩქვა ორდო **ქომუყონეტიკონ-ნა**, დიყვეტუ (ჩიქ., I, 113₂) „ცოტა ადრე რომ მოგეყვანათ, შეიძლებოდა („იქნებოდა“); ეგერ მეხსუს **ყვილირეტიკონ-ნა**, ვით ეკო ჩქვა სრაფი დოგაყვეტუ-ა (ჩიქ., I 90) „განგებ რომ მოგეკლა, ათი იმდენი ჯარიმა დაგეკისრებოდაო“...

შდრ.:

ჰაშო დო ჰაშო დულაა **დივატუკო-ნა**, კაი ვა ივეტუ-ი? (ჩიქ., II, 62₁₅) „საქმე ასე და ასე თუ მოწყობოდა (იქნებოდა), კარგი არ იქნებოდა?“ ორთალი კაი **ტუკონ ნა**, ოხორჯათი ივეტუ-ა (ხალხ., 245) „ზიარი რომ კარგი ყოფილიყო, ცოლიც იქნებოდაო“...

დაკარგულია პირის სუფიქსი; **-ნ**, რომელიც ზმნის ფორმასთან დასტურდება, კავშირისეული კომპონენტია;

მაგ.:

ჩი თექ ოფრი ეგერ ლაზუჯე **თქვიკონი**, ჟურხინჯი **თქვიკონი**, მითის ვარ ამირე (კარტ., II, 303₂₄) „ჩი თექ ოფრი ლაზურად რომ გეთქვა, ჟურხინჯი რომ გეთქვა, ვერავინ მიხვდება („ნახავს“)“; არ ჩქინთი **ვიდიტონა**, მაჭოფენანია? (კარტ., II, 308₃₇) „ერთი ჩვენც რომ წავსულიყავით, დავიჭერთო?“ ეგერ ხელვიქ ია ხუთ კაპიკი **დიხმარელეტუკონი**, ჰემ დიძაბუნეტუ, ჰემ-თი ჰიმეთუ ვარ აყვეტუ (ჩიქ., I, 56₂₁) „ხელვის ის ხუთი კაპიკი რომ დაეხარჯა („მოეხმარა“), თანაც დაავადებოდა, თანაც სრულებით არაფერი ექნებოდა“; ხოხარა ბერეფეს **კითხიკონი**, ვარ უჩქინ (კარტ., II, 304₁₉) „ხოხარა“ ბავშვებისთვის რომ გეკითხა, არ იციან“; **დოიყურატიკონი** ა-და **მევეუნთხატიკონი**, ეშქურდუტუ დო მელაპტუ (ჩიქ., I, 56₄) „რომ დამეყვირა, შეშინდებოდა და ჩამოვარდებოდა“; **იგზალატუკონი**, კაი ივეტუ. **მენდახთატუკონი**, კაი ივეტუ. **თქვატუკონი**, **მიწვატუკონი**, კაი ივეტუ (ასათ., 112) „რომ წასულიყო, კარგი იქნებოდა. რომ წასულიყო, კარგი იქნებოდა. ეთქვა, ეთქვა (ჩემთვის), კარგი იქნებოდა“; ჰე უშქურის ბერე ჩქიმი **ქეხთატუკონ** დო ხომულა ტოტის **გამახთუკონ**, ტოტი **მეტროხუკონ**, ბერე **მელატუკონ**, ჩქუნ მო ბიქომტი? (ჟღ., 319) „იმ ვაშლის ხეზე ჩემი შვილი რომ ასულიყო და ხმელ ტოტზე რომ გასულიყო, ტოტი რომ მომტყდარიყო, ბიჭი რომ ჩამოვარდნილიყო, ჩვენ რას ვიზამდით?“ ოხოიშა **ქამიყონეეტესკონ** დო ვა მეხვატუკონ-ნა, ეთი ლია დვაყვეტუ (კარტ., 106₂) „შინ რომ შეეყვანათ და რომ არ გადაეყარა, ისიც ლირად გადაექცეოდა“; **ულუნტუკონ** ლაზური ჯოხო გედუმერტუ (ასათ., 208) „რომ ჰქონოდა, ლაზურ სახელს დაარქმევდა“; ია ვა **მიწვატიკონ** დო კოი **დომპილატიკონ**, დაა კაი ტუა (კარტ., II, 43₃) „ეგ არ გეთქვა და თუნდაც მოგეკალი, უკეთესი იყო“; სინ ახჩამი კონაის **იდუმუნერეტიკონ-დო** მუსლულის წკაი **ქოდოლებერეტიკონ-ი**, ართელი აქსობა იყვასინტურ-ი? (ჩიქ., I, 57₃₀) „შენ სალამოს რომ მოგეფიქრებინა და პირსაბანში („ონკანში“) წყალი რომ ჩაგესხა, ერთი უსიამოვნება იქნებოდა?“ „სადი **ვორტიკონ-დო**, თქვან დოგოლოდაპტით“-ია (ჩიქ., II, 9₃₀) „ცოცხალი რომ ვყოფილიყავი, თქვენ გიჩვენებდით სეირსო („გიზამდითო“) ეშო ფუჯიქ დიძლორატუ-ქი, არ კარდალა **ინჭალტუკონ-ა** „ისეთ ძროხას დაებდავლა, რომ ერთ ქვაბს იწველიდესო“; სქანი-კათა ქვაფერი ბადის კუჭუინა **აჭოფუკო-ნა**, დელიკანეფექ ზათი მუ იქომტეს? (ჟღ., 59₁₀) „შენისთანა დამპალ ბერიკაცს კუჭურინას დაჭერა რომ შესძლებოდა, ყმაწვილკაცები, საერთოდ, რას იზამდნენ?“ ბაშქაში ბოზო **ქომეზხატიკო-ნა**, ბექი გურის დოლანგონეტუ (ჟღ., 27₁₁) „სხვისი ქალიშვილი რომ მიმეცა, იქნებ გულში ჩარჩენოდა“; დიდო **ქომემაშველატუკო-ნა**, მათი დიდიო კაი მაწონეტუ (კარტ., II, 319₃₁) „მალიან რომ დაგხმარებოდი, მეც ძალიან მომეწონებოდა“...

ჩამოთვლილ ნიმუშებში პირობითის ფორმები პირობით დამოკიდებულ წინადადებაში დასტურდება. ამდენად, **ნ(<ი)ნ(ი) (რომ)** კავშირი აშკარად ჩანს კონსტრუქციაში, – დასტურდება იგი ზმნის ფორმასთანაც. საერთოდ, ამ **ნ** სუფიქსის კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტი ფაქტორი სწორედ კონსტრუქციის სახეობაა, კერძოდ კი დამოკიდებული წინადადების სახეობა, თუ დამოკიდებული წინადადება პირობითია, მაშინ შესაძლებელია (შესაძლებელია და არა აუცილებელი), რომ პირობითის ფორმა **ნი** („რომ“)-კავშირიანი იყოს.

საქმე ის არის, რომ საერთოდ, ზანურში **ნი** („რომ“) კავშირს კონსტრუქციაში სტაბილური ადგილი არა აქვს, იგი მოძრავია და შეიძლება წინადადების სხვადასხვა წევრს დაერთოს; მაგ.: მომქურდუ, სი ხოლო მიდართიკო თინეფიში **ოგორუშანი** (ხუბ. 78₃₀). ამ კონსტრუქციაში **ნი**

პირობითის ფორმას არ დაერთვის, მაგრამ შეიძლება დართვოდ (ასე: მოშქურუდგ, სი ხოლო მიდართიკონი თინეფიმი ოგორუმა) და ეს წინადადების გააზრებაში კორექტივებს არ გამოიწვევდა.

ანუ: წარმოდგენილი კონსტრუქცია იმიტომ კი არ არის რომ-კავშირიანი, რომ აქ პირობითის ფორმა დასტურდება (რომელსაც, ჩვეულებრივ, რომ-კავშირიანად გაიაზრებენ რატომღაც), არამედ იმის გამო, რომ აქ გვაქვს რომ კავშირი. ეს კავშირი ნებისმიერი ნაკვთით წარმოდგენილ ფორმასთან შეიძლება დასტურდებოდეს, მაგრამ, ერთხელ უკვე აღვნიშნეთ: ეს არ ნიშნავს, რომ ნი (>ნ) კავშირიანი ზმნური ფორმა პარადიგმის ძირითად საუღლებელ ერთეულად წარმოვადგინოთ.

მაგალითად: მი რე, თე წერილს ჭარუნსინი „ვინ არის, რომ ამ წერილს წერს“ ტიპის კონსტრუქციაში ჭარუნსინი ნი-კავშირიანი ზმნაა, მაგრამ მისი ძირითადი საუღლებელი ფორმა, ცხადია, უკავშიროდ უნდა წარმოვადგინოთ – ჭარუნს.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ნი ელემენტის დამოკიდებული წინადადება არ იცის ლაზურმა. „მეგრულში -ნი ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების დაკონკრეტება ხდება ქართულის ანალოგიით წარმოქმნილი მიმართებითი ნაცვალსახელებითა და ზმნისართებით, როგორცაა:

მითი „ვინც“

მუთი „რაც“

ნამუთი „რომელიც“

სოთი||სოდეთი „სადაც“

მიქითი (მიქითი მიდართუნი, აშო დიირთუ „ვინც წავიდა, უკან დაბრუნდა“);

სოდეთი (სოდეთი მიდართუნი, აშო დაართინეს „სადაც წავიდა, უკან დაბრუნეს“);

ნამუთი (ნამუთი ქობირუნი, არმა მოლეღუ „რომელიც ნახა, ყველა წამოიღო“)...

-ნი ნაწილაკის გარეშე ასეთი ქვეწყობილი წინადადება არაა ბუნებრივი მეგრულში, ამდენადვე, მეგრულში არაა ჩამოყალიბებული ოდენ მიმართებით ნაცვალსახელიანი დამოკიდებული წინადადება... რამდენიმე რთული შედგენილობის განსაზღვრელობითი ნაცვალსახელისა და ზმნისართის გაანალიზების შედეგად, – წერს გ. როგავა, – ირკვევა, რომ -ნი სუფიქს-ნაწილაკი ჭანურის კუთვნილებაც ყოფილა... ზანურში დადასტურებულ მუთხანი „რამე“, მითხანი „ვინმე“ ნაცვალსახელებს მკვლევარი მეგრულის მიდგარენი >||მიდგენი „ვინმე“ და მუდგარენი>||მუდგენი „რამე“ ფორმათა ანალოგიური აგებულებისად მიიჩნევს. მეგრულის მითინი და მუთუნი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელების მსგავსად ჭანური მითხანი და მუთხანი -ნი კავშირნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადებისაგან უნდა იყოს მიღებული: ჭან. მითხანი < *მითხა-რე-ნი < *მითხა-რე(ნ)-ნი, ზედმიწ. „ვიღაცა რომ არის“, მუთხანი < *მუთხა-რე-ნი < *მუთხა-რე(ნ)-ნი, ზედმიწ.: ვიღაცა რომ არის... ავტორის აზრით, ჭანურში -ნი ნაწილაკიანი წინადადების მოშლა უნდა მიეწეროს სხვა ოჯახის ენების, ჯერ ბერძნულისა და შემდეგ თურქულის გავლენებს [როგავა, 1988, 224-225].

როგორც ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, -ნი (>ნ) კავშირი ლაზურის პირობითი ნაკვთის ფორმებში რეალურად დასტურდება. არის შემთხვევები, როდესაც ის არ ჩანს ზმნის ფორმაში, მაგრამ მის ფუნქციას ასრულებს სიტყვის ბოლოსკენ გადაწეული მახვილი (ისევე, როგორც მეგრულში).

ყოველივე რომ შევაჯამოთ, ასეთი სურათი გამოიკვეთება:

1. -კო(ნ) წარმომავლობით ნაზმნარი ნაწილაკია (-კონ < ოკო(ნ)/გოკო(ნ)/მოკო(ნ);

2. **-კო(ნ)** მორფემიზებულია. აბსოლუტურ ბოლოში ლაბილურად გამოვლენილი **ნ**-ს კვალიფიკაცია ცალსახა ვერ იქნება; ეს ელემენტი შეიძლება იყოს:

ა) **ს₃** ნიშანი – არაჰიპოტაქსური რთული და მარტივ-შერწყმული კონსტრუქციების პირობითის ნაკვთის ფორმაში;

ბ) კავშირის **(ი(ნ)ი** – რომ კავშირის) რეფლექსი (როდესაც ჰიპოტაქსური კონსტრუქცია გვაქვს, თანაც, – დამოკიდებული წინადადება პირობითია).

ნებისმიერ შემთხვევაში, უღლების ძირითად ფორმად (resp. პირობითის ფორმად) უნდა წარმოვადგინოთ **კო(ნ)**, რომლის ინტერპრეტირების ფორმულირებაშიც **რომ**-კავშირიანი კონსტ-რუქცია არ იქნება (წინააღმდეგ შემთხვევაში, უღლების ერთეულად უნდა გამოვიტანოთ **ჰარუნსინი** „რომ წერს“), **ჰარუნდუნი** („რომ წერდა“, **ჰარუნდასინი** („რომ წერდეს“) და ა. შ.

3. **-კო(ნ)** მორფემა ბოლომდე დესემანტიზებული არ არის (მისი საშუალებით ზმნას შეუძლია **დებიტივ-ალბათობის** ნიუანსების გამოხატვა. ამ ნიშნის მიხედვით ის ჰგავს ქართ. (დიალ.) ზმნურ ფორმებში გამოვლენილ მორფემიზებულ **-ნა** (**აუნა** | **უნდა**) ელემენტს, მაგრამ მისგან არსებითად იმით განსხვავდება, რომ ნაკვთებს აწარმოებს.

4. **(ი)ნ(ი)** კავშირი შეიძლება ჩავარდეს, არ ჩანდეს პირობითის ფორმასთან, მაგრამ მისი კომპენსირება სიტყვის ბოლოსკენ გადაწეული მახვილით ხდება.

5. ლაზურ ტექსტებში რეალურად დასტურდება **ნ(ი)** კავშირი (პირობითის ფორმებში) [შდრ. როგავა, 1988, 224-225].

დაბოლოს, რაც შეეხება თავად ტერმინთან დაკავშირებულ საკითხს – ფაქტია, რომ სახელდებისთვის ამოსავალი არის ფუნქციური მომენტი: პირობითის ფორმები გამოიყენება პირობით დამოკიდებულ წინადადებაში.

საზოგადოდ, „სემანტიკური თვალსაზრისით ნაკვთის შესწავლა რთულ ვითარებას ამჟღავნებს; ერთი რომელიმე ფუნქციით ნაკვთის დახასიათება, რა თქმა უნდა, მით უფრო შეუძლებელია... გაუგებრობას აგვაცილებდა ნაკვთის სახელი სტრუქტურული თვალსაზრისით მოგვეცა (უბრალო ნუმერაციის წესითაც კი!), ხოლო თუ ფუნქციებზე დაყრდნობით დავახასიათებდით ნაკვთს, ძირითადი ფუნქცია უნდა გამოვყოთ და არ ვივარაუდოთ, თითქოს ამით სრული ფუნქციური დახასიათება წარმოვადგინეთ“ [ჩიქობავა, 1962, 102].

ანალოგიურია ნაკვთების სახელდების პრინციპთან დაკავშირებით ა. შანიძის პოზიციაც: „ტრადიციის უგულებელყოფა რომ შესაძლებელი იყოს, სულ შესაცვლელია მთელი კომპლექტი მწკრივთა სახელებისა. იდეალური იქნებოდა, რომ მწკრივთა სახელების დარქმევის დროს მხედველობაში არ ყოფილიყო მიღებული მათი შემადგენელი ელემენტები, როგორცაა დრო, კილო, გზისობა და სხვა, არამედ მონახულიყო სრულიად ნეიტრალური სახელები, – თუნდაც ხელოვნური, – რომლებიც მიეკუთვნებოდა ამა თუ იმ მწკრივს; ვთქვათ, სახელები დარქმეოდათ მათ ხეების სახელების მიხედვით: არყისა, ფიჭვისა, ნამდვისა, სოჭისა, წიფლისა, რცხილისა, წაბლისა, მუხისა და სხვა, რაც არსებითად ერთგვარი რეფორმა იქნებოდა. მაგრამ რადგანაც ამის შესაძლებლობა არ არის, ისეთი ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნილი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს“ [შანიძე, 1980, 217].

ნაკვთთა სახელდება უბრალო ნუმერაციის წესით ან ხელოვნურად (მაგალითად, ხეების სახელების მიხედვით), როგორც ჩანს, არც ისე მარტივი გადაწყვეტაა საკითხისა, რადგან მისი დანერგვა აქამდე არავის უცდია.

ფუნქციური მხარე, ამდენად, ის ერთადერთი მომენტი, რომელიც ნაკვთების სახელდების საფუძვლად გამოიყენება ამ შემთხვევაში. აქვე აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ საზოგადოდ ტერმინს გარკვეულწილად ახასიათებს **კონვენციურობა** ანუ პირობითობა. პირობითია თვითონ ნომინაცია – ცნებას შეიძლება სახელი ეწოდოს მოლაპარაკის განზრახვის მიხედვით და ამდენად კონვენციურია ტერმინის, როგორც ნიშნის მნიშვნელობა; მეორე მხრივ, სახელდება და მნიშვნელობა შეიძლება მხოლოდ პირობით იქნეს მიღებული და ორივე პირობით დადგენილი, თუმცა, ცხადია, ტერმინის კონვენციურ ბუნებაზე მსჯელობა სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ყველა ტერმინი შემოდებულია პირობითად.

ამდენად, რომელიმე აბსოლუტურად ნეიტრალური, სემანტიკურად არამოტივირებულ ტერმინზე რაციონალური ყოველთვის იქნება რამდენადმე მაინც მოტივირებული ტერმინი, რომელიც შეიძლება მოვლენის არსებით მხარეს არც კი ასახავდეს (მხოლოდ ერთ რომელიმე სპეციფიკურ ნიუანსზე იყოს აქცენტირებული), მაგრამ გარკვეული კონვენციური მოსაზრებებიდან გამომდინარე, კონკრეტული ფუნქციით გამოიყენებოდეს.

ეს არ არის აუცილებელი და გადამწყვეტი ფაქტორი. შეუძლებელია ტერმინში სრულად ჩაიდოს ნაკვთის სემანტიკური ნიუანსების კლასი. საერთოდ, არ არის სავალდებულო, რომ ტერმინი ერთბაშად გვაძლევდეს იმ იდეათა ჯამს, რომელიც ჩადებულია ცნებაში [ვინოკური, 1939, 51]. მთავარი მაინც ამა თუ იმ სპეციფიკური ნიუანსის წინ წამოწევა ჩანს სახელდებისას.

ავიღოთ იგივე ტერმინი „პირობითი“: არის კი ეს ტერმინი სემანტიკურად მოტივირებული ან თუნდაც ისეთი, რომელიც „მოვლენის არსებით მხარეს“ წარმოაჩენს?

სპეციალურ ლიტერატურაში სავსებით მართებულად არის შენიშნული, რომ პირობითის ფორმების „საშუალებით გადმოიცემა **პირობითობა** არა ყველა დროში, არამედ მხოლოდ წარსულში. ახლანდელი და მომავალი დრო კი შეიძლება გადმოიცეს როგორც კავშირებითის, ასევე თხრობითი კილოს ნაკვთებით. მაგალითად:

მუთუნი საქმე **უღუნდა**, აშ **ქომურს** „რამე საქმე თუ აქვს, აქეთ მოვა“ (აწმყო – მყოფადი);

ჯიმუშ მათხუალშა ჯიმუ **ვე მგგაჩენდა**, იშენ ჯიმუამი სიტყვა **ქუუწი** „მარილის მთხოვნელს მარილს თუ ვერ მისცემ, მარილიანი სიტყვა მაინც უთხარი“ (მყოფადი – ნამყო სრული).

თენა **ქოთქუასგდა**, ქუა-რგილო **გინირთასია** „ეს თუ თქვას, ცივ ქვად გადაიქცესო“ (II კავშირებითი – II კავშირებითი).

დემქ **ქემორთასდა**, **ომიჭოფი** დო **ქედგმოხვამილევა** „დევი თუ მოვიდეს, დამიჭირე და დამახვედრეო“ (II კავშირებითი – ნამყო სრული).

ნებას **ქომუჩანდასგნ**, ქუდეს **გამკუორთინუანქია** „ნებას რომ მომცემდეს, სახლს შემოვაბრუნებდიო“ (მყოფადის კავშ. – მყოფადი).

თხოვნას **შემისრულენთინ**, უღულო სანთელს **პჭუნქ** „თხოვნას რომ შემისრულებთ, წყვილ სანთელს დავწვავ“ (მყოფადი – მყოფადი).

ნათელია, – დაასკვნის ავტორი, – რომ პირობითი მოდალობის გამოხატვა მხოლოდ „პირობითის“ ნაკვთთა ფუნქციას არ წარმოადგენს [დადიანი, 2001, 110].

მეორე მხრივ, – არამხოლოდ პირობით დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება პირობითის ფორმები. პირობითის ფორმები ხშირად დასტურდება ვითარების, დროის, მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებებში, აგრეთვე, დათმობითი შინაარსის წინადადებებში; სხვა სახის დამოკიდებულ წინადადებებში იშვიათია [დადიანი, 2001].

ჩვეულებრივია პირობითების გამოყენება არაჰიპოტაქსურ და, საერთოდ, მარტივ ან შერწყმულ წინადადებებში, სადაც, მას ცხადია, ვეღარ ექნება პირობითობის გამოხატვის ფუნქცია.

აქვე, ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება პარალელის გავლება ქართულთან, სადაც პირობითის ამგვარი „სპეციალური“ ფორმები არ არსებობს, მაგრამ პირობით დამოკიდებულ წინადადებაში სხვადასხვა ნაკვეთის ფორმები ისევე უპრობლემოდ გამოხატავს სათანადო (პირობითობის) მნიშვნელობას, როგორც ეს შესაბამის ზანურ კონსტრუქციებში ხდება – პირობითის ფორმების გამოყენების გარეშე (მეგრული პირობითი მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვლინდება, როცა ქართულში თურმეობითი მეორე გვაქვს).

საინტერესო იქნება ამ თვალსაზრისით ქართული პირობითი დამოკიდებული წინადადებების ნიმუშებისა და მათი შესაბამისი ზანური ინტერპრეტაციების წარმოდგენა. საილუსტრაციოდ მოგვაქვს ლ. კვაჭაძის „ქართული ენის სინტაქსში“ მოცემული პირობითი დამოკიდებული წინადადებების შემცველი ჰიპოტაქსური კონსტრუქციები:

კოლოც კი წააქცევს ცხენსა, თუ დიდი მგელი უშველის (კვაჭ. 381) „კოლოცა ხოლო ეკართინუანს ცხენს, დიდ გერქ ქიმეხვარუდა“; თუ არწივი მთებში ცხოვრობს, თავის ბუდეს მაღალსა და მიუვალს კლდეებში აკეთებს. თუ ბინა ვაკე ტყეში აქვს, მაშინ ბუდეს მაღალსა და მიუდგომელს ხეებზე იშენებს (გოგ. 147). „არწივი გვალას ქოცხოვრენსდა, მუში ბუდეს მაღალ დო ვემირთენ ფერ ადგილს აკეთენს. ბინა ვაკე ტყას ქულუნდა, თიწკუმა ბუდეს მაღალ დო ვემირთენ ფერ ჯალეფს აკეთენს“; ვაჟკაცობა თუ სისულელესთან არის დაკავშირებული, ჩალად არა ღირს (ვაჟა, 6) „ვაჟკაცობა სიბორუეწკუმა ქორე დაკავშირებულდა, ჭა ვადირუ“; გული ადგილიდან უნდა დასძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა (ილია, 425) „გურს ადგილმე ოკო დუკინას კორქ, კოს კორის სიკეთე ქაკოდა“; თუ აქ მერცხლები გამრავლდნენ, მაშინ ჭივჭავებს საზრდო გამოეღვათ! (აკაკი, 7) „ათაქ მაჭირხოლენქ გემრავლესდა, თიწკუმა ჭივჭავებს საზდო ქაშაკორდუნა“; თუ მთელ ღამეს ასე ითოვა, ხვალ ვერც ერთი ავტომობილი გარაჟიდან ვერ გამოვა (გვეტ. 241) „მთელ სერს თაშ დოთუდა, ჭუმე ართი ავტომობილს ხოლო ვაგმართე გარაჟიშე“; თუ მტერს ის გორაკი დაუთმეს, ერთი კაციც ვეღარ გავა ამ ჯოჯოხეთიდან (ჯავ. 3); მტერს ეთი გორაკი დუთმესდა, ართ კოს ხოლო ვეგმართე ათე ჯოჯოხეთიშე „თუ ხელი გაგინძრევიათ, აქვე გაგათავებთ“ (ჯავ. 3, 288) ხეშა ქუდოიქანცუაფუნანიადა, ათაქ გუგათენთ“; თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (გურ.) „კოს ვარენო რქქინა ვაულუდა, გატანჯენს წუთისოფელი“; თუ ძალიან მოგწონს, გაჩუქებ (ჯავ. 2, 577) „მანგარო ქუმორწონსდა, ქუგაჩუქენქ“; თუ ღამის გათევა გინდა მუქთად, ჯერ რამე უნდა დააშაო (გვეტ. 365) „სერიშ გოთანაფა ქუგოკო მუქთათადა, მუდგაინი ოკო ქუდაშუე“; თუ განათლებულებში სდებ თავს, განათლებულადაც იცხოვრე (ბარნ. 1, 321) „განათლებულებშა დვანქ დუსდა, განათლებულოთ იცხოვრი“; თუ მაღლა ხეებს ახედავ, მრავალგვარ ფრინველს შენიშნავ (გოგ. 57) „ჟი ქელაჯინექ ჯალეხსდა, შხადოშხვანერ ფრინველს ქომირუნქ“; თუ ვაჟი იტყვის სიტყვას, ქალი იქნეს მოკლული, თუ ქალს წამოცდება სიტყვა, ვაჟს მოეკვეთოს თავი! (ლორთქ. 2, 328) „ბოში ქოთქუანს სიტყვასდა, ძღაბიქ დიქვილას, ძღაბის ქაუოლ სიტყვაქდა, ბოშის მიაკვათას დუთქ“; თუ ვინმე გაზედავდა აუგის თქმას, ენას მოჰკვეთდნენ (ბარნ. 3, 67) „მითინ ქუგაბედულ გლახაშ თქულასდა, ნინას ქიმოიკვათანდეს“; რაღა მიჭირდა, თუ მტრისას გაჟლეტას გავიგონებდი (ვაჟა, 3, 174) „მუ მიჭირდუ, მტერიშ სირუას ქიგებგონენდიდა“; მოკვდეს ბიჭი ფიცხელა, თუ ადამიანს ჩაუვარდეს ხელში! (ვაჟა, 6, 169) „დოლურედას ბოში ფიცხელა, ადამიანს ქეშუოლას ხესდა“; ეს კეთილი და გონიერი ფინია რომ არ შესწრებოდა, რასაკვირველია, საწყალი ბავშვი დაიხრჩობოდა (გოგ. 169) „ათე კეთილი დო ჭკვერი ფინიას ვემუჭიშუაფუდუკონ, მუშო ოკო რაგადი, საწყალი ბალანა დიშკვიდუდუ“; მე რომ დღიური მეწერნა, ამაზე უკეთესს ვერ დავწერდი (ჯავ. 3, 365) „მა დღიური მიჭარუდუკონ, თემ უჯგუში ვამაჭარედუ“; მამაჩემი რომ არ მატანდეს ძალას, სამჭედლოში სულაც არ შემოვადგამდი ფეხსა

(რაზ. 358) „მუაჩქიმი ვამანძალენდასინ, ოჭკადურემა შურო ვემნობდგუნდი კუჩხის“; შენ რომ მხარში ამომიდგებოდე, ჩვენს ბედს ვერ შეარყევდა ეს მოულოდნელი ქარიშხალი (ბარნ. 2, 242) „სი ვარენო ხუს ქელამდირთუდენ, ჩქინ ბედმა ვადაქანცედუ ათე ქარიშხალს“; მერცხალი შემოდგომაზეც ჩვენთან დარჩებოდა, რომ მარცვლეულობის და ხილეულობის ჭამა შეეძლოს (გოგ. 119) „მაჭირხოლი დამორჩილსით ჩქინწკუმა გაჩერდუდუ, კაკალიშ დო ხილის ჭკომუა ქეშულებუდასინ“; მე რომ თქვენი ხელმწიფე არ ვიყო, ერთი წლის განმავლობაში ბელურეთი სულ ამოვარდებოდა (რაზ. 246) „მა თქვანი ხენწიფე ვავორდენი, ათე ართი წანამ განმავლობას ბადირეთი გვალო გეშალუდუ“; კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა! (ჭავ. 447) კოჩქ ვარენო ბორუეფიშ კიბირებში ჭკირჭკინს გეიაწყუნასინ, სო ურს!; გულში რომ შური შევა, მაშინ სულიც დასნეულდება! (აკაკი, 7, 148) „გურმა ნჯარი გემშურსუნ, უკული შურ ხოლო დელახებუ“; დედალი მაიმუნები ბრძოლაში მაშინ გაერევიან, როცა იმათი სიცოცხლე და იმათი შვილები ხიფათში ჩავარდება (გოგ. 190) „დადული მაიმუნეფი ჩხუპის თიწკუმა ქაკათუნა, მუჟამსითი თინეფიში სიცოცხლე დო თინეფიში სკუალეფი ხიფათის ქინანთხუნან“; ზაფხულის ღამეში ნამი მხოლოდ მაშინ გაჩნდება, როცა დღისით ძლიერ თბილა და ღამით კი მეტად გრილა (გოგ. 209) „ზარხულიშ სერს ნამი ხვალე თიწკუმა გორჩქინდუ, მუჟამსით დღამით მანგარ სიტება რე და სერით ნამეტანი სირგილე რე“; მოსპე, თორემ მოგსპობს (ბარნ. 3, 58) „მოსპი, ვარა მორსპუნს“; დიდი დარდისთვის და სიხარულისთვისაც ადამიანი წინდაწინვე უნდა შეამზადოთ, თორემ მოულოდნელად ჭირიც და ლხინიც ადვილად გაჰყლებტენ მას (ჯავ. 1, 412) „დიდი დარდიშო დო ხიოლიშო ადამიანი წინასწარ ოკო მამზადათ, ვარა მოულოდნელო ჭირით დო რხინით ადვილო გოჰყილონტუნა თის“; ოფიცერი რომ ქვეითად ყოფილიყო, ჯარისკაცებისაგან ვერავინ გაარჩევდა (კლდ. 29) „ოფიცერი კუჩხით ქორდუკონ, ჯარიშკოჩეფეშე მითინს ვაგარჩიებედუ“; თუ ეგრე გეშინოდა ჩემი დანახვისა, ქალი რაღად მოიტაცე? (ყაზბ. 27) „ათამ ქუგომჰურუდუ ჩქიმ ძირაფამა და ძდაბი მუშენი იხვამილე“; თუ ტყუილი გამოდგეს, დამსმენს თავი გააგდებინე! (ბარნ. 1, 372) „ტყურაქ ქიყუდა, მარაგადეს დუდი ქუმწაქოთინაფე“; თუ ბავშვის გაყვიზინებას ახლავე თავი არ დაანებე, ინანებ! (ბარნ. 1, 143) „ბაღანამ გაყვიზინებას ასეშე ვაღანები დუდიდა, დენარდენქ“; აქ რომ ყოფილიყვენ, ხომ არ დაემართებოდათ ეგ უბედურება?! (ვაჟა, 6, 39) „ათაქ ქორდესკონ, ხომ ვალოლედეს ათე უბედურობა?!“; თუ მოყვარე ხარ, მამ გამარჯობა! (ილია, 149) „მოყვარე ქორექდა, გამარჯობა სკანი!“; ვაი იმის დედას, თუ მეორეჯერ ჩამივარდა ხელში! (ჯავ. 2, 168) „ვაი თიმ დიდას, კინე ქეშამიოლგ ხეშადა!“

ცხადია, მოცემული ტერმინის სემანტიკურ მოტივირებულობაზე მსჯელობა გაძნელებულია, წინა პლანზე კონვენციურობის მომენტი იქნება წამოწეული.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში მართებულად არის დანახული ფუნქციური სიახლოვე კავშირებითისა და პირობითის ნაკვთებს შორის, აქედან გამომდინარე, აყენებენ ტერმინოლოგიური შესაბამისობის საკითხსაც: -კო ნაწილაკიანი ფორმების შემთხვევაშიც ზმნური მოქმედება ხასიათდება როგორც წარსულში შესაძლებელი (შეუძლებელი), სასურველი (არასასურველი) ან სანატრელი (არასანატრელი), სავარაუდებელი (არასავარაუდებელი)... ფუნქციურ-სემანტიკური იგივეობიდან გამომდინარე, ვჭარუნდიკო ტიპის ფორმების ნამყო უწყვეტლის კავშირებითად მიიჩნევენ (აწმყოს კავშირებითის ანალოგიით) [იხ. ქობალავა, 2001, 119].

ამავე საფუძველზე „ტრადიციულ პირობით მეორეს“, რომელსაც მიიჩნევენ აორისტის მოდალურ ვარიანტად, განიხილავენ როგორც აორისტის კავშირებითს [იქვე, 124].

ასეთივე მსჯელობაა „მესამე სერიაში შემავალ მეორე მოდალურ მწკრივთან“ დაკავშირებითაც. ამ მწკრივს, როგორც ეს დრო-კილოთა სქემიდან ჩანს, ნამყო წინარეწარსულის კავშირებითი უნდა ეწოდოს [იქვე, 141].

და ბოლოს, პირობითი IV-ის ნაცვლად გვთავაზობენ ტერმინს: **ნამყო უწყვეტლის კავშირებითის თურმეობითი** [იქვე, 132].

ტერმინის ერთ-ერთ ღირსებად მისი სიმოკლე, ლაკონიურობა მიიჩნევა; „ბუნებრივია, ტერმინი მოუხერხებელია, თუ ის მოკლებულია სისხარტეს. ცნობილია, რომ გრძელი და წარმოსათქმელად მოუხერხებელი ტერმინების შემოდება ამა თუ იმ ტერმინის არდანერგვას დიდად შეუწყობს ხელს“ [ლამბაშიძე, 1986, 50].

სხვა მხრივ იდეალურიც რომ იყოს, ტერმინი **ნამყო უწყვეტლის კავშირებითის თურმეობითი** სამეცნიერო მიმოქცევაში ვერ დაინერგება, გზას ვერ გაიკვლევს თავისი არარაციონალური და არაპრაქტიკული სტრუქტურის გამო.

ე. დადიანისთვის პირობითის ფორმები მეგრულში არის წარსული დროის სემანტიკის გამომხატველი და არა მხოლოდ პირობითი შინაარსისა. პირობითობა ერთ-ერთი მოდალობაა, მნიშვნელობაა, რომელიც გადმოიცემა როგორც კავშირებითის, ასევე პირობითის ნაკვთებით... ანალოგიური დანიშნულებით შეიძლება შეგვხვდეს ინდიკატიური ფორმებიც...

ე. წ. პირობითის ფორმები ნამყო დროის კავშირებითობას გამოხატავენ. სწორედ ამ მთავარი და განმსაზღვრელი ფუნქციის მიხედვით მიზანშეწონილად და მართებულად არის მიჩნეული გამოვიყენოთ ტერმინი „ნამყო კავშირებითი“, რომელიც, ავტორის აზრით, ზუსტად მისადაგება ნაკვთის სემანტიკას. უღვლილების სისტემაში აღნიშნული ფორმები ასე განლაგდება:

- I ნამყო კავშირებითი;
- II ნამყო კავშირებითი;
- III ნამყო კავშირებითი;
- IV ნამყო კავშირებითი.

სახელდებაში ასახულია ძირითადი ნიშნები: ნაკვთის ფუნქცია და ჯგუფის ნომერი [დადიანი, 2001, 110-111].

თავისთავად, პირობითისა და კავშირებითის ნაკვთთა ფუნქციური ნიშნით ერთად განხილვა საინტერესო და ლოგიკური ჩანს, მაგრამ ამ საკითხის ფორმალური (ტერმინოლოგიური) თვალსაზრისით გადაწყვეტისას, ვფიქრობთ, ანგარიში, ტრადიციასთან ერთად, მათი წარმოების თავისებურებებსა თუ კანონზომიერებებსაც უნდა გაეწიოს; კავშირებითის ნაკვთები წარმოების თვალსაზრისით განსხვავდებიან პირობითებისაგან (განსხვავებულია საყრდენი ფუძეები, მაწარმოებელი მორფემები). ამ ორი ჯგუფის ნაკვთები განსხვავებულად იწარმოება. თუნდაც ამ ნიშნის გათვალისწინებით სასურველი ჩანს მათი დიფერენცირება.

უწყვეტლის პირობითის ნაკვთის პარადიგმა **ჭარუნს** (წერს) ზმნისა:

მეგრ.:

- პ-ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)
- ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)
- ჭარ-უნ-დ-უ-კო(ნ)

- პ-ჭარ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)
- ჭარ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)
- ჭარ-უნ-დ-ეს-კო(ნ)

ლაზ.:

- პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-კო(ნ)
- ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-კო(ნ)
- ჭარ-უფ/უმ-ტ-უ-კო(ნ)

- პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-თ-კო(ნ)
- ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-თ-კო(ნ)
- ჭარ-უფ/უმ-ტ-ეს-კო(ნ)

უწყვეტლის პირობითის საუღლებელი ერთეულის მოდელი (ყალიბი) მესამე პირისთვის ზანურში ასეთი იქნება:

მეგრული:

R_ჟ-კონ,

სადაც R_ჟ უწყვეტლის ფორმაა, -კონ(ნ) – პირობითის მაწარმოებელი.

ანალოგიური სტრუქტურისაა აწმყოს კავშირებითის ყალიბი **ლაზურში**.

II.5. ასპექტის კატეგორია მეგრულ-ლაზურში.

II.5.1. ასპექტი მეგრულში.

ასპექტის გამოხატვის მხრივ მეგრული ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს როგორსაც ახალი ქართული. გაირჩევა **სრული და უსრული** ასპექტი, **სრული ასპექტი გადმოიცემა ზმნისწინის მეშვეობით, ხოლო უზმნისწინო ფორმა უსრულასპექტიანია.**

მეგრულში პირველ სერიაში ერთმანეთს უპირისპირდება მწკრივთა ორი წრე, აწმყო გამოხატავს უსრულ ასპექტს, ხოლო მეოფადი სრულასპექტიანი ფორმებითაა წარმოდგენილი, მაშასადამე, პირველი სერიის ერთსა და იმავე მწკრივში ორივე ასპექტი ვერ გამოიხატება. მეორე და მესამე სერიებში სრული და უსრული ასპექტის გარჩევა შესაძლებელია ერთი მწკრივის ფარგლებშიც: პრევერბიანი და უპრევერბო ფორმები ორივე ერთ მწკრივს ეკუთვნის და მათგან ერთი სრულ ასპექტს გამოხატავს, მეორე – უსრულს.

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ მეგრულში სრულასპექტიან ფორმათა წარმოების რამდენიმე გზა არსებობს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ზმნისწინების დართვა. მიანიშნებენ იმაზეც, რომ სრული ასპექტის მაწარმოებელი ზმნისწინები არ ცვლიან ლოკალურ სემანტიკას: შდრ. **გინმიჯინე „ყურება (ზევიდან ქვევით)“ – გი-გნიჯინუ „გადაიხედა“.** ორიოდ შემთხვევაში **გო-** და **დო-** ზმნისწინები ასპექტის აღნიშვნასთან ერთად ზმნის მნიშვნელობასაც ცვლიან: დო-ჰკირუ „დაჭრა“, გო-ჰკირუ „გაჭრა შუაზე“ [კარტოზია..., 2010, 193].

ასეთი ფაქტები ი. ქობალავას მოსაზრებით, ახალი მოვლენაა და ქართულის გავლენაზე მიანიშნებს [ქობალავა, 2010, 237].

სრულ ასპექტს მეგრულში აწარმოებენ მარტივი **გე, გო, დო, მე, მო...**, და ქართულიდან ნასესხები **გა, და, შე, ჩა** ზმნისწინები.

ი. ყიფშიძის მიხედვით, სრული ასპექტის მაწარმოებელი ზმნისწინებია: **მე, დო, ო, გა, გო** [ყიფშიძე, 1994, 0107-0109].

ზ. ჭუმბურიძე **გა-** და **გო-**ს ფონეტიკურ ვარიანტებად მიიჩნევს, რომელთაც მიეკუთვნება აგრეთვე **გე-** [ჭუმბურიძე, 1986, 140].

ზმნისწინის ადგილი ფუძის დასაწყისში, ან პირისა და ქცევის ნიშნების, ან უშუალოდ ძირის წინაა: ხანტუნს „ხატავს“, დო-ხანტუ „დახატა“; უ-ჰანს „უკერავს“, დო-

უ-ჭუ „შეუკერა“, ფ-თას-უნ-ქ „ვთესავ“, დო-ფ-თასი „დავთესე, გინა-ფორუნს „აფარებს“, გე-გინა-ფორუ „გადაფა-რა“ [კარტოზია..., 2010, 194].

აწმყოსაგან მომავალი დროის წარმოქმნაც სრული ასპექტის მაწარმოებელი ზმნისწინების მეშვეობით ხდება: **ჭარუნს** „წერს“ – **დოჭარუნს** „დაწერს“. **ჭარუნდუ** „წერდა“ – **დოჭარუნდუ** „დაწერდა“, **ჭარუნდას** „წერდეს“ – **დოჭარუნდას...** „დაწერდეს“...

სრული ასპექტის საწარმოებლად ზმნისწინი შეიძლება გამოყენებული იქნეს პირველი სერიის მყოფადის წრის, მეორე, მესამე და მეოთხე სერიის მწკრივებში: **ჭარუნს** „წერს“ – **დო-ჭარუნს** „დაწერს“, **ჭარუ** „წერა“ – **დოჭარუ** „დაწერა“; **უჭარუ** „უწერია“ – **დო-უჭარუ** „დაუწერია“; **ნოჭარუე(ნ)** „წერდა თურმე – **დო-ნოჭარუე(ნ)** „დაწერდა თურმე“.

ქართული ენის ასპექტურ სისტემაში ძველი სისტემა შეიცვალა ახლით – ზმნისწინის დართვა-დაურთველობით. უმწერლობო ქართველურ ენებსაც განვითარების მხრივ ქართულის მსგავსი გზა უნდა ჰქონდეთ გავლილი. თუმცა ზმნისწინის დართვის მიუხედავად, ზოგი ზმნა მაინც უსრულ ასპექტს გამოხატავს. მაგ., **გერე** „დგას“, **მითოხე** „ზის“ [კარტოზია..., 2010, 194].

ამ შემთხვევაში ზმნისწინის ფუნქცია ასპექტის წარმოება არ არის.

მეგრულში ხშირად ზმნას ზმნისწინთან ერთად ერთვის მტკიცებითი ნაწილაკიც **-ქო** (**ქა, ქე, ქი, ქუ, ქგ**): ჩანს „აჭმევს“ – **ქო-ჩანს** „აჭმევს“ (მომავალში), თხიინს „სთხოვს“ – **ქო-თხიინს** „სთხოვს“ (მომავალში). უმინჯანს „პატრონობს“ – **ქუ-უმინჯანს** „უპატრონებს“, დვანს „დებს“ – **ქგ-დო-დვანს** „დადებს“; ინჯირუ „წვება“ – **ქგ-დი-ნჯირუ** „დაწვება“, უზალენს „უსურვებს“ – **ქუ-ზალენს** „უსურვებს“ (მომავალში).

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სრული ასპექტის უსრულისაგან გასარჩევად, ანუ მასპექტირებელი ზმნისწინის ფუნქციით, გამოიყენება მტკიცებითი ნაწილაკი [ჭუმბურიძე, 1986, 143; მარგველაშვილი, 1980, 166]: **იბირს** „მდერის“ – **ქი-იბირუ** „იმდერა“, **ინგარს** „ტირის“ – **ქი-ნგარუ** „იტირა“, **ფუნს** „დულს“ – **ქო-ფუ...** „ადულდა“...

ი. ქობალავას აზრით, **ქო-** ნაწილაკი იშვიათად უსრულასპექტიან ფორმებშიც გვხვდება როგორც დაპირისპირების ან მტკიცების გამომხატველი (მე-ურს//ქე-მეურს „მიდის“//„კი (ქე) მიდის“), მაგრამ ჩვეულებრივ, დამატებითი მაწარმოებელია ისეთ ზმნებთან, რომელთაც ასპექტი ზმნისწინის გარეშე, სხვა საშუალებებითაც უწარმოებიათ: 1. ფუძემონაცვლე ზმნებთან: აწმ. **ო-რწყე** „ხედავს“ – აორ. **ძირუ ქო-ძირუ** „დაინახა“. 2. ქცევამონაცვლე ზმნებთან: აწმ. **ნარტენს** „ნატრობს“ – აორ. **ინარტუ > ქი-ინარტუ** „ინატრა“. 3. ზმნებთან, რომლებიც ასპექტს ოდენ აორისტის ფუძით გამოხატავენ. შდრ. აორ. **თქუ > ქო-თქუ** „თქვა“. **ზოჯუ > ქო-ზოჯუ** „ბრძანა“ [ქობალავა, 2010, 237].

მიუთითებენ ასპექტის წარმოების სხვა სახეებზეც: ფუძეთა მონაცვლეობა: **არძენს** „აძლევს“ – **მეჩუ** „მისცა“, **მეჩანს** „მისცემს“; **რაგადანს** „ლაპარაკობს“ – **თქუ** „თქვა“, **თქუანს** „ილაპარაკებს“; **ორწყე** „ხედავს“ – **ძირუ** „ნახა“, **ძირუნს** „ნახავს“; ქცევის სახეები: საარვისო –სათავისო: **გურაფულენს** „სწავლობს – **იგურუ** „ისწავლა“, **იგურუანს** „ისწავლის“; საარვისო –სასხვისო: **ყარულენს** „ყარაულობს“, **უყარულუ** „უყარაულა“, **უყარულენს** „უყარაულებს“ [კარტოზია, 2010, 195] (შდრ. ქვევით).

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მოქმედების უსრულობის გამომხატველი **თი, მა,** ან მათი შეერთებით მიღებული **თიმა** ნაწილაკები, რომლებიც ჩაერთვიან ზმნისწინსა და ფუძეს შორის, ზმნისწინიან ფორმებს უნარჩუნებენ უსრული ასპექტის გაგებას (იხ. ქვევით): **ო-თი-ოფმანს** „ავსებს“, – **ო-ოფმანს** „ავსებს“; **გი-თმი-ბუნს**

„ისხამს“ – გი-იბუნს „დაისხამს“; იკგ-მიორთინუანს „აქცევს“ – იკ-ორთინუანს „წააქცევს, დააქცევს“ [ყოფშიძე, 1994, 0107–0109; ჭუმბურიძე, 1986, 142] (იხ. ქვევით).

ზ. ჭუმბურიძის შეფასებით, „მტკიცებითი ნაწილაკებისა და მოქმედების უსრულობის აღმნიშვნელი ნაწილაკების გამოყენება აწმყოსა და მყოფადის ფორმათა გასარჩევად მეგრულის სპეციფიკური თავისებურებაა, რითაც ის განსხვავდება სხვა ქართველური ენებისაგან [ჭუმბურიძე, 1986, 143].

და მაინც, რა არის ამ თავისებურების საფუძველი? როგორც ჩანს, ზმნისწინთა განსხვავებულმა ფუნქციურ-სემანტიკურმა სისტემამ განაპირობა ასპექტის რთული კატეგორიის მარკირების ახალი სისტემა.

როგორც უკვე აღინიშნა, ზმნისწინები მეგრულსა და ლაზურში მოქმედების ადგილისა და მიმართულების ტოპოგრაფიული მარკერებია. ეს სემანტიკა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ზმნისწინის ახალი გრამატიკული კატეგორიებით „დატვირთვამაც“ ვერ დაჩრდილა. ამის თვალსაჩინო მაგალითია გე- ზმნისწინი, რომელიც ზოგჯერ ქო- დადასტურებითი ნაწილაკის ბადალია.

გე- ზმნისწინის ძირითადი მნიშვნელობაა „ზემოდან ქვევით“ მიმართულება, ოღონდ ეს „ქვევით“ ზედაპირია, ჰორიზონტალური სიბრტყე, რომელზეც „მოუბარი“ პირი იმყოფება: გერე „დგას ზედაპირზე“, გეხე „ზის ზედაპირზე“, გეჯანუ „წევს ზედაპირზე“, გესვანჯუ „ასვენია ზედაპირზე“, გებიჯუ „ეზღინება ზედაპირს“...

როგორც წესი, ძირითადად ხმოვნის წინა პოზიციამი გე- გვამღვეს გი- ფონეტიკურ ვარიანტს. მეგრულში გამოიყოფა საზედაო სიტუაციის გამომხატველი ზმნების ერთი წყება, რომელიც გე-/გი- ზმნისწინითაა წარმოდგენილი და, როგორც წესი, აწმყოს მწკრივის ფორმებია: გი-ო-ბირანს „ზედ ამღერის“, გიობიჯანს „ზედ აბიჯებს“, გიობუნს „ზედ ასხამს“, გიობუნუანს „ზედ (ყელზე) ჰკიდებს“, გიოგანს „ზედ აგებს“, გიოთასანს „ზედ თესავს“, გიოთვალანს „ზედ დასტირის“, გიონთხორანს „ზედ თხრის/ზედ ასაფლავებს“, გიოკიჟინანს „ზედ დასჭყვივლებს“, გიოკირანს „ზედ ახამს“, გიონწკარანს „ზედ ალაგებს/აწყობს“, გიორღვანს „ზედ აყრის“, გიოფორანს „ზედ აფარებს“... კონტექსტითაც და უკონტექსტოდაც ეს ფორმები მიუთითებენ აწმყო დროსა და უსრულ ასპექტზე, ამავე დროს, ამ ფორმების ნაწილს უზმნისწინო ვარიანტები ცოცხალ მეტყველებაში არ დაემდებნება: არაბუნებრივია ობირანს, ობიჯანს, ოთასანს, ოთვალანს, ოკიჟინანს...

გე-/გი- ზმნისწინი აღნიშნულ ფორმებში მოქმედების მიმართულების ზედაპირზე/სიბრტყეზე ლოკალიზაციას ახდენს და სემანტიკურად ნეიტრალურია დროულ-ასპექტური თვალსაზრისით. როგორც წესი, ასეთ ფორმებთან დროულ-ასპექტური ოპოზიციის მიღწევა ქო- მტკიცებითი ნაწილაკის დართვით: გიობირანს : ქიგიობირანს „ზედ ამღერებს“ : „დაამღერებს“, გიობიჯანს : ქიგიობიჯანს „ზედ ადგამს/აბიჯებს“ : „დაადგამს/დააბიჯებს“, გიოგანს : ქიგიოგანს „ზედ აგებს“ : „დააგებს“, გიოთასანს : ქიგიოთასანს „ზედ თესავს“ : „დაათესავს“, გიოკიჟინანს : ქიგიოკიჟინანს „დასჭყვივის/დაჰყვირის“ : „დასჭყვივლებს/დაჰყვირებს“...

არის შემთხვევები, როცა გე-/გი- ზმნისწინს მოსდევს ტოპოლოგიური ნაწილაკები, თუმცა ამით დროულ-ასპექტური მიმართება არ იცვლება. მაგალითად, ერთი მხრივ, გვაქვს გედგუნს : ქიგედგუნს „ზედ ადგამს : დაადგამს“ ოპოზიციური წყვილი და მეორე მხრივ, გილადგუნს : ქიგლადგუნს „ზედ კიდებუ დგამს : ზედ კიდებუ დაადგამს“, ასევე, გილარღვანს : ქიგლარღვანს „ზედ კიდზე ყრის: ზედ კიდებუ დაყრის“, გილანწყუნს : ქიგლანწყუნს „ზემოდან გვერდზე ხსნის: გვერდიდან დახსნის/ჩამოხსნის“...

მეგრულში აღნიშნავენ ე. წ. ორმაგად გამართულებელი გე- ზმნისწინის ხმარებას, როცა სიტყვის დასაწყისში თავს იყრის გეგე/გეგი/გეგ მიმდევრობები. აღსანიშნავია, რომ მათ ვხვდებით აწმყოს იმ ფორმებთან, რომელთა შემადგენლობაში დასტურდება თო-/თი- და მო-/მა- ნაწილაკები ცალცალკე ან ერთად. ერთი მხრივ, გვაქვს აწმყოს ფორმები: გიმირინუანს „იყენებს“, გიმარძანს „ამდობს“, გიმასვანჯუანს „გამოასვენებს ახლა“, გიმისოფანს „იგლეჯს“, გიმოქოსუნს „ხვეტს“, სადაც გე/გი ზმნისწინი ნეიტრალიზებულია დროულ-ასპექტური თვალსაზრისით, ხოლო ამ სემანტიკის შემოტანა ხდება გე- ზმნისწინის ხელახალი დართვით:

გეგმირინუანს (<გეგმირინუანს<გეგმირინუანს) „გამოიყენებს“,
 გეგმარძანს „გაამდობს“, გეგმასვანჯუანს „გამოასვენებს მომავალში“,
 გეგმისოფანს „გამოიგლეჯს“, გეგმაქოსუნს „გამოხვეტს“...

ანალოგიური ყალიბისაა შემდეგი წყვილები:

გითორჩხუნს : გეგთორჩხუნს „შიგნიდან ქვევით რეცხავს : გამორეცხავს“,
 გითოსხაპუნს : გეგთოსხაპუნს „შიგნიდან ხტება, ვარდება : გამოხტება/გამოვარდება“,
 გითოტახუნს : გეგთოტახუნს „შიგნიდან ქვევით ტეხს: გამოტეხს“,
 გითიტყურუნს : გეგთიტყურუნს „შიგნიდან ქვევით იტყუებს : გამოიტყუებს“,
 გითიილანს : გეგთიილანს „შიგნიდან გამოაქვს: გამოიტანს“,
 გითოწირუნს : გეგთოწირუნს „შიგნიდან ქვევით წურავს: გამოწურავს“ და სხვ.

არის შემთხვევები, როცა თი-, მა- ნაწილაკების ნაცვლად სხვა ნაწილაკებია წარმოდგენილი ოპოზიციურ წყვილებში:

გიშაჭოფუნს: გეგშაჭოფუნს „შიგნიდან იჭერს: გამოიჭერს“,
 გიშაჭუნს : გეგშაჭუნს „შიგნიდან წვავს: გამოწვავს“,
 გიშაგორუნს : გეგშაგორუნს „შიგნიდან არჩევს : გამოარჩევს“,
 გიწოტყურანს : გეგწოტყურანს „გამოსტყუებს ახლა: გამოსტყუებს“...

ზემოთ აღნუსხული ფორმების ერთი ნაწილი გვადლევს პარალელურ ფორმებს, ანუ ქოგორც ქო- ნაწილაკით, ასევე გე- ზმნისწინით გართულებულს. მაგალითად,

გიმარღვანს: გეგმარღვანს/ქიგმარღვანს „ზემოდან ყრის: გამოყრის/დაყრის“,
 გიმადგუნს : გეგმადგუნს/ქიგმადგუნს „ზედ დგამს : დაადგამს/შეადგამს“,
 გილასოფუნს : გეგლასოფუნს/ქელასოფუნს „გვერდიდან ხევს : აახევს“,
 გილაჭირინუანს : გეგლაჭირინუანს/ქეგლაჭირინუანს „კიდიდან აწვდის : მიაწვდის“

და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ აწმყო-მყოფადის და უსრული-სრული ასპექტის წარმოების შემდეგი მოდელები იკვეთება:

ა. გე + ო : ქო- + გე + ო , სადაც -ო- საზედაო სიტუაციის მარკერია და ის კაუზაციის ო-ს ბადალი ჩანს;

ბ. გე + მა/ლა.. : ქო + გე + მა/ლა...

გ. გე + თი/მა/შა/წო... : გე + გე + თი/მა/შა/წო...

ცხადია სამივე მოდელში მიმდინარეობს ხმოვნითი ელემენტების ცვლილება. შეიძლება თუ არა ბ. და გ. მოდელები განვიხილოთ ერთი მოდელის ფონეტიკურ ვარიაციებად? ვფიქრობთ, რომ გ. მოდელში გე- ზმნისწინის გაორმაგება კი არ ხდება, არამედ ქო- დადასტურებითი ნაწილაკის გამჟღერებული ფონეტიკური ვარიანტია წარმოდგენილი. ასეთ შემთხვევაში სისტემა სწორდება და ვიღებთ ერთ ძირითად მოდელს – გე + მაქცევარი/ნაწილაკი : ქო + გე + მაქცევარი/ ნაწილაკი. ამ მოდელის ოდენზმნისწინიანი ფორმა

დროულ-ასპექტური თვალსაზრისით ნეიტრალურია, ანუ, აწმყო და, შესაბამისად, უსრული მოქმედების აღმნიშვნელი, ხოლო ქო-(>გე-) ნაწილაკიანი ფორმა მყოფადია და სრული ასპექტის გამოხატველი.

როგორც ჩანს, მეგრულში ზმნისწინთა მიერ დროისა და ასპექტის გამოხატვის ახალ სისტემაზე გადასვლის პროცესი არაერთგვაროვნად წარიმართა. ქართულის მსგავსად, მარტივმა ზმნისწინებმა ნაწილობრივ შეითავსა დროისა და ასპექტის გამოხატვის ფუნქცია, მაგრამ როგორც მარტივი ზმნისწინის (გე-, მე-, ე-...), ასევე ყველა ტიპის რთული ზმნისწინის შემთხვევაში, მათი მკვეთრად გამოხატული ტოპოლოგიური შინაარსის გამო, სისტემის „გასასწორებლად“ მეგრულმა ქართულისგან განსხვავებული გზა აირჩია: ქო-დადასტურებითმა ნაწილაკმა შეიძინა მომავალი დროისა და სრული ასპექტის გამოხატვის ფუნქცია. ამ ნაწილაკის სემანტიკა იგუებს დროულ-ასპექტურ სემანტიკას: მომავალში დასრულებული მოქმედება მტკიცებით-დადასტურებით ლოგიკას ექვემდებარება.

შესაძლოა, ქართულიდან ზმნისწინების სესხებაც სწორედ ამ სისტემურ ცვლილებას უკავშირდებოდეს. მეგრულმა ზმნისწინების სემანტიკურ-ფუნქციური მდგრადობის გამო ასპექტური სისტემის გასამართავად ქართული მოდელები გამოიყენა, ხოლო სადაც ეს ვერ მოხერხდა, იქ საკუთარი მოდელი შეიმუშავა.

II.5.2. ასპექტი ლაზურში.

ასპექტის განვითარების მხრივ ქართულისა და მეგრულის მსგავსი გზა უნდა ჰქონდეს გავლილი ლაზურსაც, რომელიც კილოების მონაცემებითაც დასტურდება, თუმცა ლაზურს უფრო მეტად დაუცავს არქაული ვითარება, ვიდრე მეგრულს.

ლაზური მეგრულისა და ახალი ქართულის მსგავსად განსხვავებს სრულსა და უსრულ ასპექტს. ლაზურშიც ძველად ასპექტი სერიების მიხედვით უნდა ყოფილიყო გარჩეული, შემდეგ ეს სისტემა შეცვლილა ახლით, სადაც სრული და უსრული განირჩევა ზმნისწინით. სრული ასპექტი იწარმოება ზმნისწინთა მეშვეობით: „სრული ასპექტის აღსანიშნავად პრევერბები გამოყენებულია აორისტში, კავშირებითს მეორეში და თურმეობითის ჯგუფის დროებში: **ოჭოფუ** „დაიჭირა“, **ოჭკომუ** „შეჭამა“, **გონწუ** „გახსნა“, **გერუ** „დაარტყა, დასცა...“ [ჩიქობავა, 1936, 118].

ლაზურშიც სრულასპექტიან ფორმათა წარმოების რამდენიმე გზა არსებობს. სრულ ასპექტს ლაზურში აწარმოებენ მარტივი (ე, მე, მო, გა, გე, გო, დო...) და რთული (მეკა, მოკა, გეშა, გელა, ეწა, გოწა...) ზმნისწინები:

ჭარუმს	წერს	–	დო-ჭარუ	დაწერა
ხაჩქუფს	თოხნის	–	დო-ხაჩქუ	გათოხნა
მენდა-ხთეს	წავიდნენ			
გოწა-მილუ	გამომართვა	და	სხვ.	

პრევერბის ადგილი პირისა და ქცევის ნიშნების ან ძირის წინაა. მაგ. **ჭარუმს** „წერს“ – **დო-ჭარუ** „დაწერა“, **უჭარუმს** „უწერს“ – **დუ-ჭარუმს** <**დო-უ-ჭარუმს** „დაუწერს“, **პჭარუმ** „ვწერ“ – **დო-პ-ჭარუმ** „დავწერ“.

აწმყოს ფუძეზე დართული პრევერბი მყოფადს იძლევა: **ვიმერ** „მიმაქვს“ – **მენდა-ვიმერ** „წავიღებ“, **ჩითუფს** „აპობს“ – **დო-ჩითუფს** „გააპობს“.

არის ზმნათა მცირე წყება ზმნისწინის დართვის მიუხედავად მაინც უსრულ ასპექტს გამოხატავს: **დგინ** „დგას“ – **გე-დგინ** „დგას“; **ხენ** „ზის“ – **გე-ხენ** „ზის“, **მე-შახენ** „ზის შიგნით“...

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გზისობას ასპექტის სახესხვაობად მიიჩნევენ (გ. მაჭავარიანი, ზ. ჭუმბურიძე), თუმცა გამოითქვა მოსაზრება, რომ „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში გზისობა არ არის განმსაზღვრელი ნიშანი მწკრივთა სემანტიკური (ასპექტური) ოპოზიციის შექმნაში, ის არ შემოდის თხრობითი კილოს მწკრივების ძირითად სემანტიკურ ნიშნებში“ (გოგოლაშვილი..., 2011, 409). მით უმეტეს, ლაზურში ამგვარი სემანტიკა კონტექსტურია და შესაბამისად, ზმნისწინიანი ფორმების გვერდით უზმნისწინოც გამოიყენება: კაიმ ყოყოე მჭიფე-მჭიფე **ჭკიუფან...** გიბეი წკაის **ობლაფან...** ჯუმუ **უკათეფან...** **ნწიუფან...** „კაის გოგრას წვრილ-წვრილად ჭრიან... ადუღებულ წყალში ყრიან... მარილს უმატებენ... წურავენ...“

ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ლაზურში ზმნისწინის მაპერფექტივებელი ფუნქცია ისე მკაფიოდ გამოხატული არ არის, როგორც ქართულსა და მეგრულში. ქართულსა და მეგრულში უპრევერბო ზმნას სრული ასპექტის გაგება მაშინ შეიძლება ჰქონდეს, თუ ეს ზმნა პრევერბს საზოგადოდ ვერ იგუებს („თქვა“ ტიპის ზმნები) [ჭუმბურიძე, 1986,38] და იქვე წარმოდგენილია მაგალითები: **თქუ** „თქვა“, **უწუ** „უთხრა“, **კითხუ** „ჰკითხა“, **ყუ** „ყო“ და სხვ. თუმცა უწყებული ზმნები ზმნისწინებსაც დაირთავენ და სრული ასპექტის გაგებაც აქვთ: **თქუ** – **დო-თქუ** „თქვა“, **ყუ** – **დო-ყუ** „გააკეთა“, **უწუ** – **დუწუ** <**დო-უწუ** „უთხრა“ და მისთ.

აღნიშნავენ იმასაც, რომ „უპრევერბო“ აორისტი ზოგჯერ ასპექტის თვალსაზრისით არ უპირისპირდება პრევერბიანს. მაგ., „ყონას ჩხომი პჭოფი“ – „ყანაში თევზი დავიჭირე“, შდრ. ოხოორჯა გზას ოპჭოფი „ქალი გზაში დავიჭირე“ [მაჭავარიანი, 1952, 134].

ასევეა:

ვა **ვოგნი**, ჭიტა გეხთი დო ეშო მიწვი! (ასათ. 38) „ვერ გავიგე, ცოტა მოიწიე და ისე მითხარი“, შდრ. **ქობოგნი** ნა, სო იდარე, გჟული ჩქიმი (მარ.106.14) „მიხვდი/გავიგე, სად წახვიდე, ჩემო ვარდო“; სქანიკალა ნაკო სერი **ოთანეს?**! (ჟღ. 160.5) „შენთან რამდენი ღამე გაათენეს?“, შდრ. დოხუნედი **დოთანუ** (დიუმეზ. II. 81.86) „მჯდომარემ გაათენა“.

საერთოდ, პრევერბიანი და უპრევერბო ფორმათა პარალელური ხმარება ლაზურისათვის უცხო არ არის:

ვორგი და დოვორგი „დავრგე და დავრგე“, უწუდორენ დო დუწუდორენ „უთხრა და უთხრა“...

მათ შორის რაიმე განსხვავება ასპექტის მხრივ არ იგრძნობა. ანალოგიური მაგალითები ლაზურში საკმაოდ ხშირია და ამგვარ ფაქტებში უთუოდ იმდროინდელი ვითარებაა შემონახული, როცა ასპექტის გამოხატვა ზმნისწინებზე არ იყო დამოკიდებული.

ზმნისწინი ყოველთვის ვერ ცვლის დროის გაგებას და ზმნისწინიანი ფორმა ხშირად აწმყოდვე რჩება: ჭურკი მუშენი ვა **მომჩაფ-ია** „ქვაბს რატომ არ მამღევო“, ჰაქ ჯეხედუ დო ოკვაჩხე **მეკვათუმს** „აქ დაჯდა და უკან ჭრის“, ფუჯიში მჯაში კვალი **დოქუმან** „ძროხის რძის ყველს აკეთებენ“ და მისთ. [ჩიქობავა, 1936, 118-119].

ასევეა:

დაჩხუი **გამობოგზამთ** მჭიფე ცხიკითე (ჩიქ. II. 75,22) „ცეცხლს ვანთებთ წვრილი ფიჩხით“, არ წუკალის დიდი დაჩხურ **ეწუგზუნ** (დიუმეზ. 49,16) „ქვაბს დიდი ცეცხლი უნთია (ქვეშიდან)“, ობას მუ **მოლაგიძინ?** (კარტ. 206, 26) „უბეში რა გიდევეს (შიგ)“, დიდი კუკუმათენ წკაი **დობუფს** (ჩიქ. I. 129,20) „დიდი თუნგით წყალს ასხამს“, არ ძეის დიდი ლალი ზუღას **დოლობენ** (კარტ. 194,8) „ერთ ადგილას დიდი მდინარე ზღვას ერთვის“, ბოზო-ჩქიმიქ მა მშქომნედი **დომიტალამს** (დიუმეზ. 160, 12) „ჩემი ქალიშვილი მშიერს მტოვებს“, მხოლა პიჯის დიშქა **ელობღაფს** (ასათ. 26) „ზღვის პირას შემა ყრია“...

ჩამოთვლილი ზმნები პრევერბიანია და გამოხატავს აწმყოს და არა მყოფადს. აქ სრული ანალოგიაა ძველი ქართულისა, სადაც ზმნისწინს არ შეეძლო მწკრივის შეცვლა და როგორც უპრევერბო, ისე პრევერბიანი ფორმა აწმყოს მწკრივს ეკუთვნოდა.

ძველი ქართულის ვითარება დაუცავს ლაზურს იმ მხრივაც, რომ მყოფადის ფუნქციით ზოგჯერ იხმარება კავშირებითის მწკრივი: ფარა მომჩი დო **ქეგიჭოფა** „ფული მომეცი და გიყიდი (გიყიდო) [ჩიქობავა, 1944, 114].

ხშირად ზმნას ზმნისწინთან ერთად ერთვის მტკიცებითი ნაწილაკიც – **ქო-**ფონეტიკური ვარიანტებით, რომელიც სრულ ასპექტს განარჩევს უსრულისაგან:

დოლოხუნაფს „სვამს“ – **ქო-დოლოხუნაფს** „ჩასვამს“,

ძინ „დევეს, ძევს“ – **ქო-დოლოძინ** „ქე ძევს“...

ნაწილაკი დაერთვის ზმნის ძირს და ზმნისწინის ფუნქციას ასრულებს:

ხენ-ქოხენ „ზის, ქეზის“,

ძიროფს – **ქოძიროფს** „ხედავს – ქე ხედავს“ და სხვ.

ლაზურში სრული ასპექტი ზმნისწინის გარეშე სხვა საშუალებებითაც იწარმოება: სუბლექტურ ზმნებთან: **ოწკენ** „ხედავს, უყურებს“ – აორ. **ძირუ**, **ქოძირუ** „ნახა“. აორისტის ფუძით გამოხატული სრული ასპექტის ფორმა: **თქუ** > **ქოთქუ** „თქვა“ და მისთ.

არის თუ არა **ქო-** ნაწილაკის გამოყენების სისტემა მეგრულის ანალოგიური? ძირითადად ლაზური მიუყვება მეგრულს. ერთი მხრივ, გვაქვს უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები, უსრული ასპექტის სემანტიკისა და მეორე მხრივ **ქო-** ნაწილაკიანი – სრული ასპექტის შინაარსის:

ვორგი/ დოვორგი : **ქოდვორგი**

ობუნ/ნობუნ : **ქონობუნ**

კილუფს/მოლანკილუფს : **ქომულუნკილუფს**

ბოგზამთ/დობოგზამთ : **ქოდობოგზამთ**

უბარს/ნობარს : **ქონუბარს**

ობლუ/დობლუ : **ქოდობლუ**

ობუ/ნობუ : **ქონობუ**

ოგაფს/მოგაფს : **ქომოგაფს**

იტალეფს/დიტალეფს : **ქოდიტალეფს**

კვათუმს/მეკვათუმს : **ქომეკვათუმს**

დავრგე

ჰკიღია

კეტავს : დაკეტავს

ვანთებთ : დავანთებთ

უბერავს : დაუბერავს

ყარა ძირს : დაყარა

მიასხა

შოულლობს, იგებს : იშოვის, მოიგებს

ტოვებს : დატოვებს

ჭრის: მოჭრის და ა. შ.

პრინციპი საერთოა: მეგრულსა და ლაზურში ერთდროული პროცესი ჩანს ქო- ნაწილაკის გამოყენება სრულასპექტიანი ფორმების გამოსახატავად. ამიტაც აიხსნება ის ფაქტი, რომ მეგრულსა და განსაკუთრებით ლაზურში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ასპექტის გამოხატვის ძველი სისტემა, როცა ზმნისწინის დართვა არ განარჩევდა მოქმედების სრულობა-უსრულობას, ხოლო ახალი სისტემის აგებისას ფუნქციური დატვირთა მიენიჭა ქო- ნაწილაკს: მტკიცებითი სემანტიკის გაფართოებით მოქმედების სასრულობამდე.

და ბოლოს: ასპექტის კატეგორიის გრამატიკული სტატუსის შესახებ.

ტრადიციულ გრამატიკებში გაზიარებულია ა. შანიძის მოსაზრება, რომლის თანახმად, წარმოების ახალ სისტემაზე გადასვლით ასპექტი წარმოქმნის კატეგორიად გადაიქცა, თუმცა მეცნიერის ნააზრევში წინააღმდეგობრივი მსჯელობაც დასტურდება.

ამ საკითხის ახლებურ ინტერპრეტაციას „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“ ვხვდებით: ზმნის საუღლებელი ერთეული (მწკრივი) მორფოლოგიური (ფორმოზრივი) ნიშნით ანალიზისას 8 ერთეულია [გოგოლაშვილი..., 2011, 371-375], ხოლო სემანტიკური ანალიზით „ზმნის უღლების სრული სისტემა (პარადიგმა) თანამედროვე ქართულში წარმოდგენილი შეიძლება იყოს 16 საუღლებელი ერთეულის სახით“ (იქვე, 413). ამ ერთეულთა შემადგენელ სემანტიკურ ელემენტებად („დიფერენციალურ ნიშნებად“) მიჩნეულია კილო, დრო და ასპექტი. ეს კატეგორიები „ურთიერთიერარქიულ მიმართებაში სრულყოფილად ახასიათებს ქართული ზმნის მწკრივთა, როგორც ფორმოზრივ-სემანტიკურ ერთეულთა, სისტემას“ [იქვე, 409].

სხვაგვარად, რომ ჩამოვაცალიბოთ ეს ორი პოზიცია, ასეთ დებულებებს მივიღებთ:

ა) ასპექტი წარმოქმნის კატეგორიას (ა. შანიძე), – ეს ნიშნავს მის კვალიფიცირებას მორფოლოგიურ კატეგორიად.

ბ) ასპექტი მწკრივის შემადგენელი სემანტიკური ელემენტია (გოგოლაშვილი...), – ეს არის ასპექტის გააზრება სემანტიკურ კატეგორიად.

ასპექტუალური გარჩევა სისტემებზე ხდება ზმნისწინის დართვა-დაურთველობის ნიადაგზე. ზმნისწინი ამ შემთხვევაში ის მარკერია, ის მორფოლოგიური რესურსია, რომლის საშუალებითაც ხდება ფორმათა დაპირისპირება. ეს გარემოება ასპექტს სწორედ მორფოლოგიურ კატეგორიად გაგვააზრებინებს.

როდესაც ვმსჯელობთ იმის შესახებ, რომ ზმნისწინის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა უსრული ასპექტის ფორმათაგან სრული ასპექტის ფორმათა წარმოება, ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ნიშნავს იმას, რომ ზმნისწინით ხდება სრული ასპექტის ფორმათა მარკირება, ზმნისწინი ასპექტის ნიშანია.

ანუ: სინქრონიულ დონეზე ასპექტი მორფოლოგიური კატეგორიაა.

ზმნისწინთა ფუნქციების გაფართოებამ და სისტემურმა ცვლილებამ შეცვალა დროული და ასპექტური მიმართებანი, შესაბამისად ჩამოყალიბდა საუღლებელ ფორმათა ახალი პარადიგმა. ამ ცვლილებების მიზეზ-შედეგობრივი დინამიკის კვლევა მოითხოვს არა მხოლოდ ქართული ენის ყველა ქვესისტემის, არამედ ქართველური ენების სისტემურ შედარება-შეპირისპირებას, თუმცა ეს სხვა საკითხია.

II.6. ზმნისწინი ლაზურსა და მეგრულში.

ზმნისწინი მეგრულსა და ლაზურში მრავალფუნქციური და მრავალრიცხოვანია [მარი, 1911; ყიფშიძე, 1914; დანელია, 2006,137; კარტოზია..., 2010, 196-201].

ზმნისწინის სტრუქტურულ-ფონეტიკური ანალიზი და მნიშვნელობები გამოწველივით იქნა შესწავლილი ირინა ასათიანის მიერ, რომლის სადისერტაციო ნაშრომში „წინდებული ზანურში“ (1952) გამოითქვა მოსაზრება, რომ მეგრულში 92 ზმნისწინია. ამათგან 12 მარტივი ზმნისწინია, დანარჩენი – რთული. ლაზურში ზმნისწინების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია: 50 ზმნისწინიდან 8 მარტივია, ხოლო დანარჩენი – რთული [ასათიანი 1953].

ბოლო დროს ზმნისწინთა რაოდენობის შესახებ ჩამოყალიბდა შეხედულება, რომ „მეგრულში 30 რთული ზმნისწინია. ყოველ მათგანს (გარდა ამო- ზმნისწინისა) აქვს შესაბამისი ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთისაგან საწყისი ხმოვნებით განსხვავდებიან... მართალია, ეს ვარიანტები რაღაც განსხვავებულ ელფერს ატარებენ, მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს მათი დამოუკიდებელ ზმნისწინებად მიჩნევისა“ [კარტოზია..., 2010, 196-197].

„განსხვავებული ელფერი“ ტოპოლოგიური მარკერებია და მთქმელის პოზიციიდან აზუსტებს ადგილს (იხ. ქვევით „სივრცის ტოპოლოგია“). ზოგადად, მარტივი ზმნისწინები განსაზღვრავენ ზმნურ ფორმას, გრამატიკულ კატეგორიას, ხოლო რთული ზმნისწინები უფრო ტოპოლოგიური მარკერებია, რომლებიც სივრცეში ქმედების თუ მდგომარეობის ლოკალიზაციას ახდენენ.

II.6.1. ზმნისწინთა სტრუქტურა.

მეგრულსა და ლაზურში მარტივი ზმნისწინი შედგება თანხმოვნისა და ხმოვნისგან. არის გამონაკლისიც, ანუ მხოლოდ ხმოვნით გამოხატული. რთული ზმნისწინი კი ასეთი აგებულებისაა: თანხმოვანი + ხმოვანი+ თანხმოვანი + ხმოვანი ან ხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი. ხმოვანს შეიცავს ყველა ზმნისწინი, გამონაკლისია ლაზურის ნ- ზმნისწინი. მხოლოდ ხმოვნით არის წარმოდგენილი მარტივი ზმნისწინები: ე-, ა-, ო-; ეს უკანასკნელი იშვიათად დაერთვის ზმნას, თუმცა აქტიურად გვხვდება რთული ზმნისწინის ოკო-ს და ლაზურში ოხო-ს შემადგენლობაში. ყოველი ზმნისწინი, მარტივიც და რთულიც, ბოლოვდება ხმოვნით: მე-, მო-, გე-, გო-, მელა-, მოლა-...; რთულ ზმნისწინს ხმოვანი აქვს თანხმოვანთა შორისაც, თუ ხმოვნით არ არის დაწყებული: გელა-, გეკო-, გეშა-, მელა-, მოლა-... ზმნისწინს შესაძლებელია ხმოვანი ჰქონდეს თავკიდურადაც: ელა-, ეკო-, ეშა-... [ასათიანი, 1952, 448].

ზმნისწინთა თავკიდური და ბოლოკიდური ხმოვნებია: ა ე ო. ეს ხმოვნები რთული ზმნისწინების შუაშიც დასტურდება. მაგრამ მეგრულში თავს იჩენს ი//გ , მაგალითად, კი/გნო-, კი/გლა-... ი ჩანს ზმნისწინებში: მიკო-, მილა-, მინო-, მითო-, მიდა-... გამოთქმულია მოსაზრება, რომ აქ ი<ე, თუმცა ეს თავდაპირველი ე არ ჩანს ამ ზმნისწინებში [ასათიანი 1952, 449].

აღსანიშნავია, რომ ა დაბოლოებიანი მარტივი ზმნისწინები ქართულიდანაა ნასესხები. შესაბამისად, მარტივი ზმნისწინებია: მეგრულში – ა-, და-, გა-, ჩა-, წა-, დო-, გო-, მო-, ე, გე-, მე-, შე-; ლაზურში – და-, დო-, გო-, მო-, ე-, გე-, მე-, შე-.

როგორც ვხედავთ, სხვაობას განაპირობებს ქართულიდან სესხების ინტესიურობა. ბუნებრივია, მეგრულში სესხების პროცესი არასდროს შეჩერებულა, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე, რომლის იზოლაცია ქართულისაგან საუკუნეებს ითვლის.

რთული ზმნისწინების მეორე ელემენტებია: მეგრულში – -ლა-, -შა-, -და-, -მა-, [კი]ლა-, -კო-, -ნო-, -წო-, -თო-, -მო-, [კი]ნო-; ლაზურში – -კა-, -წა-, -ლა-, -შა-, -და-, -მა-, -აა//ყა-, -კო-, [ო]ხო-. როგორც ჩანს, ლაზურში მეტი ერთგვარობაა – ორიოდე გამონაკლისის გარდა ყველა რთული ზმნისწინის მეორე ელემენტის ხმოვნად ა ხმოვანია, როცა ო არის, ისიც წინა ხმოვანთან ასიმილაციის შედეგად მიღებული ჩანს [ასათიანი 1952, 450].

II.6.2. ფონეტიკური პროცესები ზმნისწინებში.

მეგრულსა და ლაზურში ზმნისწინი უცვლელადაც გვაქვს და შეცვლილი სახითაც. როგორც წესი, იცვლება ხმოვანი. ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ:

1. როგორ ფუძეს ერთვის ზმნისწინი: თანხმოვნით დაწყებულს თუ ხმოვნით დაწყებულს;
2. ერთვის თუ არა ზმნისწინს ქო, ვა ნაწილაკები ანდა ორმაგად გამართულებელი გა//გე//გო ზმნისწინები.

მეგრულში თანხმოვნით დაწყებულ ფუძესთან ზმნისწინი არ იცვლება, განურჩევლად იმისა, ეს თანხმოვანი ფუძისეულია, თუ პირის ნიშანი: დო-ბ-ხაჩქი „გავთოხნე“, დო-ხაჩქი „დათოხნე“, გე-ბ-ჯანუქ „ვწევარ ზემოდან“, გე-ჯანუქ „წევხარ ზემოდან“, გეკო-ბ-ხუშუნქ „დავხვეტ“, გეკო-ხუშუნქ „დახვეტ“...

მაგრამ ფონეტიკური ცვლილება მოხდება, თუ პირის ნიშანსა და ფუძეს შორის დაჩნდება მაქცევრები: -ა-, -ო-, ან ვნებითის -ა-, -ე-. ასეთ დროს ხდება ზმნისწინის ხმოვნის დავიწროება, ან მთლიანად დაკარგვა, რის შედეგად წარმოიქმნება თანხმოვანთმიმდევრობები. განსაკუთრებით ეს ეხება რთულ ზმნისწინებს, ან ქო- და ვა- ნაწილაკებით გართულებულ ზმნისწინებს. მაგალითები:

<i>მიღვობხუნუანქ</i> < მი-ლა-ვ-ო-ხუნუანქ	„დავსვამ შიგნით“
<i>წიმგადგინე</i> < წო+მო-გ-ა-დგინე	„შეგიძლია წამოდგე“
<i>მიშგახუნე</i> < მი+შა-გ-ა-ხუნე	„შეგიძლია ჩაჯდე“
<i>ვამწმობხუნუ</i> < ვა- მი+წო-მ-ო-ხუნუ	„არ დამსვა წინ“
<i>ქიღვობვილანქ</i> < ქო-ლა-ვ-ო-ხვილანქ	„შიგ დავამწყვდევ“...

აღსანიშნავია, რომ მეგრულში ქო-, ვა- ნაწილაკები ზეგავლენას ახდენენ ზმნისწინის ხმოვანზე, მაგრამ ასევე თავადაც განიცდიან ცვლილებას. ამგვარ პრეფიქსულ მიმდევრობაში გამოვლენილია წესი: პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში რედუქციას განიცდის (ე.ი. ამოიღება) ყველა ხმოვანი, გარდა მიმდევრობის თავკიდური და ბოლოკიდური მორფემის ხმოვნებისა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბოლოკიდური მორფემის – I რანგის ხმოვანი არის ი): ვა-მი+წო - მო - გ-ა > ვა - მ +წ- მ - გ-ა... [გუდავა, გამყრელიძე 2000, 194].

ამგვარ მიმდევრობაში ნაწილაკების ა ხმოვანიც იცვლება, თუ მომდევნო ზმნისწინი შეიცავს ი ან ე ხმოვანს: ამ ხმოვნების რედუქციის შედეგად პალატალიზაციის ნიშანი გადაეცემა ნაწილაკისეულ ა ხმოვანს, რის შედეგადაც ა > ე: ვა-მი+წო- ძუ „წინ არ დევს“ > ვე-მი+წო-ძუ.

ეგვე შეეხება ქო- ნაწილაკის ო ხმოვანსაც, რომელიც ანალოგიურ პოზიციაში გარდაიქმნება ე ხმოვნად: ქო-მი+თო-დუ > ქე-მ+თო-დუ „რისიმე ქვეშ შედო“, სამურზაყანოულ კილოკავში შეიძლება ე > გ: ქგ-მ+თო-დუ.

ლაზურში მარტივი ზმნისწინი უცვლელია თანხმოვნის წინა პოზიციაში. ცვლილება ხდება რთულ ზმნისწინებში, კერძოდ, ზმნისწინის ხმოვნის ასიმილაცია ფუძისეულ ხმოვანთან: მე+კე-მ-ი-ხთუ < მე +კო-მ-ი-ხთუ „მომადგა“, ქენემდგი < ქო-ნო-მიდგი „დამიდგი“... თუმცა ყოველთვის ასიმილაციით არ აიხსნება [ასათიანი 1952, 454].

მეგრულისგან განსხვავებით, ლაზურში პრეფიქსულ მიმდევრობაში სრული რედუქცია არ ხდება, ანუ არ წარმოიქმნება თანხმოვანთმიმდევრობები.

განსხვავება თავს იჩენს ხმოვნის წინა პოზიციაშიც. მეგრულში მოქმედებს შემდეგი წესი: როდესაც პრეფიქსულ მორფემათა ჯაჭვში არ არის წარმოდგენილი II რანგის მორფემა (ე.ი. პირის ნიშნები ვ-, გ-, მ-), I რანგის ოდენხმოვნიანი პრეფიქსი (მაქცევარი -ა-, -ო-, -უ-, -ო-, ან ვნებითის -ა-, -ო-, -ე-) უშუალო მეზობლობაში აღმოჩნდება წინამავალი მორფემის ხმოვანთან. ამგვარ ხმოვანთა კონტაქტირება იწვევს ხმოვანთა შერწყმას, ორი მეზობელი ხმოვნისაგან ერთი ხმოვნის წარმოქმნას [გუდავა, გამყრელიძე, 2000, 196].

ამის შედეგია: აა>ა, აი>ე, აუ>(ა)უ, აო>ა, აე>ე, ეა>ია, ეი>ი, ეუ>ეუ//უ, ეო>იო, ოა>ა, ოი>ი, ოუ>უ, ოო>ა.

ლაზურში ზმნისწინის ხმოვნის ცვალებადობა ნაკლებ ვარიანტებს იძლევა, რითაც იგი განსხვავდება მეგრულისგან. ესენია:

- აუ>უ: გოწაულუ>გოწულუ „გამოართვა“,
- ოუ>უ: ქოდოლდგუ>ქოდულდგუ „დაუდგა“,
- აო>ო: მენდაოჩქუ>მენდოჩქუ „გაგზავნა“,
- აი>ი: ეშიდლუ>ეშიდლუ „ამოიღო“,
- ოი>(ო)ი: დოიძიცუ>დიძიცუ „გაიცინა“, მაგრამ გოიქთუ „გაბრუნდა“,
- ეი>იი//ი: ქოგეიდგუ>ქოგიდგუ „დაიდვა“, მაგრამ ქოგეიდეს „ჩამოიდეს“,
- ოე>ე: ქოეშახთუ>ქეშახთუ „ამოვიდა, ავიდა“,
- ოა>ა//ვა: ქომოალუ>ქომალუ „მოედო“, მაგრამ დოაჭუ>დვაჭუ „დაეწვა“.

იდენტური ხმოვნები ერთ ხმოვნად შეირწყმიან.

არსებითად განსხვავებულია დიფთონგიზაცია ლაზურში. პალატალიზაციამ გამოიწვია მთელი რიგი ბგერებისა და ბგერათკომპლექსთა იოტიზაცია, რასაც მოჰყვა დიფთონგების წარმოქმნა [ქუთელია, 2005, 59], კერძოდ, ზმნისწინის ხმოვნის მომდევნო პოზიციაში ი ხმოვნის იოტიზაციის შედეგად წარმოიქმნება დიფთონგები:

- აი: ეშიდლუ<ეშიდლუ „შემოიღო“,
- ეი: გეიდლუ<გეიდლუ „ჩაიტანა“,
- ოი: გოდეურუ<დოიგურუ „დაისწავლა“,
- უი<ოი: გუდქთენ<გოდქთენ<გოიქთენ „მობრუნდება“...

ამდენად, ზმნისწინთა ფონეტიკური ვარიანტები მეგრულში მეტია, ვიდრე ლაზურში; განსხვავებულია რედუქციის მექანიზმიც: ლაზურში არასდროს არ წარმოიქმნება თანხმოვანთ-მიმდევრობები ზმნისწინთა ხმოვნის დაკარგვის შედეგად და ძირითადად ასიმილაცია-დისიმილაცია განაპირობებს ვარიაციულობას; ასევე ლაზურს ახასიათებს იოტიზაცია, რაც ზმნისწინისა და ხმოვან პრეფიქსის ზღვარზე წარმოქმნის დიფთონგებს.

II.6.3. ზმნისწინთა ფუნქციები.

ცნობილია, რომ ქართველურ ენებში ზმნისწინი გამოხატავს რამდენიმე გრამატიკულ კატეგორიას: დროს: წერს – და-წერს, ასპექტს: წეროს – და-წეროს; გეზს: გა-დის – შე-დის; ორიენტაციას: მი-დის – მო-დის.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ზმნისწინის შესახებ: ერთი მხრივ, ის განიხილება ოდენ ფლექსიურ ელემენტად, მეორე მხრივ, დერივაციულ ელემენტად. შესაბამისად, ზმნისწინს მიიჩნევენ როგორც ფორმაწარმომქმნელ, ასევე სიტყვაწარმომქმნელ ფორმანტად.

ცნობილია, რომ ზმნისწინის თავდაპირველ ფუნქციას წარმოადგენდა გეზისა და ორიენტაციის გამოხატვა, ანუ მხოლოდ მოქმედების, პროცესის სივრცითი დანაწევრების საშუალება იყო იგი და მოგვიანებით შეიძინა პროცესის უწყვეტობისა და წყვეტილობის, დროში მიმდინარეობის გამოხატვის უნარი. ასევე ცხადია, რომ ზმნისწინი ძირითად მოცემული მნიშვნელობის ცვლასაც იწვევს. მაგ., ა-აგებს სახლს; წა-აგებს თამაშს; მო-იგებს ფულს; და-აგებს საწოლს....

თავისთავად, ზმნისწინის ამგვარი ფუნქციური მრავალსახეობა წარმოშობს სადავო საკითხს: რა ადგილს იკავებს ზმნისწინი უღლების პარადიგმაში? არის თუ არა მისი ადგილი მორფოლოგიურ (ფორმალურ) პარადიგმაში, თუ სინტაქსური ან სულაც სემანტიკური პარადიგმის ნაწილია იგი.

მეგრულსა და ლაზურში ზმნისწინის სემანტიკურ მრავალფეროვნებას განსაზღვრავს არა მარტო ზმნისწინთა ტოპოლოგიური შინაარსი, არამედ საკუთრივ ზმნური ფორმა: მორფოლოგიური ყალიბი, ძირის ლექსიკური მნიშვნელობა, კონექტურ კატეგორიათა (ქცევა, კაუზატივი, გვარი) სახეობა. კონექტურ კატეგორიათა და ზმნისწინის შესაძლო კომბინაციები განაპირობებს არა მარტო ფორმოზრივ ცვლას, არამედ ლექსიკური ძირითად მოცემული მნიშვნელობის ნაწილობრივ ან სრულ ცვლასაც, რაც თავისთავად შეიძლება შეფასდეს, როგორც სუბკატეგორიალური ტრანსლაცია. ზმნისწინისა და ლექსიკური ძირის მიმართება, თავის მხრივ, დამოკიდებულია ზმნური ძირის სტრუქტურაზე, ანუ იმაზე, გახმოვანებულია თუ გაუხმოვანებული.

მეგრულში მაგალითისთვის ავიღოთ -გ- ზმნური ძირი, რომელიც გამოიყოფა ზმნებში: **ო-გ-ან-ს** და **ა-გ-ენ-ს**. პირველ შემთხვევაში გამოიყენება **ო-** პრეფიქსიანი საკუთრივ ზანური

მოდელი, ხოლო მეორე შემთხვევაში ა- პრეფიქსიანი ქართული მოდელი, რაც მათი მნიშვნელობითაც ჩანს: ო-გ-ან-ს „ა-გ-ებ-ს სახლს“, ა-გ-ენ-ს „ა-გ-ებ-ს თამაშს“. კერძოდ, ო-გ-ან-ს ფორმას არასდროს არ ექნება „წაგება-მოგების“ მნიშვნელობა. ო- პრეფიქსიან ფორმაში პირველადი მნიშვნელობა „აგება, გაკეთება“ არის გამოხატული.

იმავეს ვერ ვიტყვით ლაზურზე, სადაც ო- პრეფიქსიანი მოდელით გადმოიცემა როგორც „აშენების“, ასევე „მოგების, ფულის შოვნის“ მნიშვნელობა: მო-გ-უ „აშენა“, მო-გ-უ//მო-რ-გ-უ „ფული მოიგო“: კაი ფარა მოგაფს „ბევრი ფული მოიგო“, ჩქინ სუმ კაბლა მოვორგით „ჩვენ სამი ნავი ვიშოვეთ“ (ასათ. 36).

მეგრულში ო-გ-ან-ს, ა-გ-ენ-ს ფორმათა მნიშვნელობები ერთმანეთს უპირისპირდება სწორედ კაუზატიური მოდელის მიხედვით. თავის მხრივ, დამოუკიდებლად ო-გ-ან-ს ზმნის უღლების პარადიგმა და სემანტიკა დამოკიდებულია ზმნისწინზე ან დადასტურებით ნაწილაკზე. ო-გ-ან-ს ზმნას სხვადასხვა მნიშვნელობა ეძლევა შემდეგი ზმნისწინებით:

მარტივზმნისწინიანი:

- (1) და-გ-ან-ს < *დო-ო-გ-ან-ს „დააგებს (დომს//იატაკს)“; „დაზვინავს (თივას)“;
- (2) გე/ი-ო-გ-ან-ს „დაგება (ტარისა რაიმე იარაღზე)“ ; „დაბერვა (ზევიდან)“...
- (3) მი-ო-გ-ან-ს „არტყამს (ხელს)“; „უკრავს ინსტრუმენტზე“;
- (4) მა-გ-ან-ს<მო-ო-გ-ან-ს „წამოაგებს (სარზე)“; „წამოაცმევს (ბეჭედს)“.

რთულზმნისწინიანი:

- (5) წიმა-გ-ან-ს < *წიმო-ო-გ-ან-ს „წამოაცმევს (სარზე)“;
- (6) მიშმა-გ-ან-ს < *მიშამო-ო-გ-ან-ს „(დომს) ჩააზელს“;
- (7) ქიმშაგანს < *ქო-მიშა-ო-გ-ან-ს „ჩაარჭობს შუაში“;
- (8) ეიოგანს „აგებს (კედელს)“;
- (9) ეკაგანს < *ეკო-ო-გ-ან-ს „აგებს, აშენებს (სახლს)“;
- (10) გიშაგანს < *გეშა-ო-გ-ან-ს „ტიხრავს“;
- (11) გინიგანს < *გენო-ი-გ-ან-ს „გადაიხდის ფულს“.

აღსანიშნავია, რომ ყველა მაგალითში ზმნისწინი ოდენ გეზის მაჩვენებელია, თუმცა მეტწილად მნიშვნელობის ცვლას იწვევს. (11) მაგალითში ზმნა წარმოდგენილია სასუბიექტო ქცევის ფორმით, ასევე ექნება მას საობიექტო ქცევა: გეგნუგანს „გადაუხდის“, მაგრამ არ ექნება ნეიტრალური ვერსია ისევე, როგორც ქართულში, რასაც ზმნური ძირის სემანტიკა განაპირობებს.

-გ- ძირის ფორმაწარმოების მოდელის შეცვლით აღმოჩნდება, რომ იმავე ზმნისწინებს უკვე აღარ დაირთავს. ა-გ-ენ-ს ფორმის ზმნისწინიანი ვარიანტია:

- (12) ა-გ-ენ-ს _ წა-გ-ენ-ს < *წა-ა-გ-ენ-ს „წააგებს“

ხოლო ამავე მოდელის სასუბიექტო ვერსიაში სხვა მნიშვნელობას იძენს:

- (13) ი-გ-ენ-ს _ მი-გ-ენ-ს < *მი-ი-გ-ენ-ს „მოიგებს“

როგორც ვხედავთ, (12), (13) მაგალითებში ზმნისწინი არა მარტო მნიშვნელობას ცვლის, არამედ გრამატიკულ კატეგორიასაც, რადგან ზმნისწინიანი ფორმები მყოფადის გამოხატულია. (12), (13) მაგალითები საინტერესოა იმიტომაც, რომ ისინი სხვადასხვა ვერსიის

ფორმებია, კერძოდ, წა-გ-ენ-ს ფორმას ამავე მნიშვნელობის სასუბიექტო და საობიექტო ვერსია არა აქვს, ხოლო მი-გ-ენ-ს ფორმას – ამავე მნიშვნელობის ნეიტრალური ვერსია.

ვერსიის მიხედვით (12) და (13) მაგალითები შეიძლება ასე ჩაიწეროს:

	ნეიტრ.	სასუბ.	საობ.
(12)	ა-გ-ენ-ს წა-გ-ენ-ს	_____	_____
(13)	_____	ი-გ-ენ-ს მი-გ-ენ-ს	უ-გ-ენ-ს მო-უ-გ-ენ-ს

გამოდის, რომ წა- – მი- ზმნისწინთა ოპოზიცია ქცევის ფორმებსაც განასხვავებს. შეიძლება ითქვას, რომ (12)-(13) მაგალითებში ზმნისწინი სუბკატეგორიალური ტრანსლატივია, ანუ ზმნისწინი დროის და ვერსიის კატეგორიების მიხედვით ცვლის ზმნურ ფორმებს.

ლაზურშიც ზმნისწინის განაწილებასა და სემანტიკის განსაზღვრაში მნიშვნელოვანია ფორმაწარმოების მოდელები. ავიღოთ გვარის წარმოების ო-პრეფიქსიანი, ა- პრეფიქსიანი და უპრეფიქსო მოდელები. ი. ასათიანის „ლაზური ლექსიკონის“ მიხედვით -ნ-თხ- ზმნურ ძირს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს სწორედაც ამ მოდელების და შერჩეული ზმნისწინების მიხედვით:

ა- პრეფიქსიანი:

- (1) და (<დო-ა)-ნ-თხ-უ „დაეცა, დაენარცხა“
- (2) გო-ა-ნ-თხ-უ „დაეცა, განერთხო“
- (3) ე (<ე)-ა- ნ-თხ-უ „დაეცა“
- (4) გე (<გე)-ა-ნ-თხ-უ „დაეცა“
- (5) დოლა (<დოლო)-ა-ნ-თხ-უ „ჩაუვარდა (გულში)“

ო- პრეფიქსიანი:

- (6) გო (<გო-ო)-ნ-თხ-უ „გამალა“
- (7) გუ (<გო-უ)-ნ-თხ-უ „გაუწვდინა“
- (8) ე (<ე)-ო- ნ-თხ-უ „დახტა, დააგდო; დაანარცხა; დაჰკრა“
- (9) მო (<მო-ო)-ნ-თხ-უ „მოარტყა“
- (10) ნ-ო-ნ-თხ-უ „ჰკრა (ხელი)“

ნულოვანი პრეფიქსაცია:

- (11) მე-ნ-თხ-უ „მოჰკიდა, ჩასჭიდა ხელი“
- (12) გამა-ნ-თხ-უ „გამოყო (ენა)“
- (13) დოლო -ნ-თხ-უ „ჩამოვარდა“
- (14) გოშა-ნ-თხ-უ „გაიშხლართა“

როგორც ჩანს, მხოლოდ ზმნისწინზე არაა დამოკიდებული მნიშვნელობა. მაგალითად, გო- ზმნისწინი დაერთვის ა- პრეფიქსიანსაც (ვნებითი გვარი) (2) და ო- პრეფიქსიანსაც

(მოქმედებითი გვარი) (6), თუმცა მნიშვნელობა მაინც განსხვავებულია. მოცემულ მაგალითებში ზმნისწინი უპირველესად მიმართულების მაჩვენებელია, თუმცა ფორმაწარმოების მოდელთან კავშირში მას მნიშვნელობის შეცვლაც შეუძლია.

ავიღოთ ვერსიის მიხედვით განსხვავებული ფორმები:

- (15) დი (<დო-ი)-ტალ-უ „დაიტოვა“
- (16) დუ (<დო-უ)-ტალ-უ „დაუტოვა“,
მაგრამ ასევე: „დაუნარჩუნა; თავი დაანება; დაუბარა...“
- (17) გი (<გე-ი)-ტალ-უ „დაიტოვა, მოიტოვა“
- (18) გდუ (<გე-უ)-ტალ-უ „დააყარა, დაუშინა“, ასევე: შეახვედრა
- (19) ნ-ი-ტალ-უ „დაიტოვა“
- (20) ნ-უ-ტალ-უ „დაუტოვა“, ასევე: „მიუსია, მიუტია“
- (21) მუ (<მო-უ)-ტალ-უ „ისროლა, მოახვედრა, ჩაარტყა“
- (22) ეკუ (<ეკო-უ)-ტალ-უ „ჩაუშვა“
- (23) ოკუ (<ოკო-უ)-ტალ-უ „დაასმინა“

(14), (16), (18) მაგალითები სასუბიექტო ვერსიის ფორმებია და ზმნისწინის ცვლის მიუხედავად ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, მაგრამ დანარჩენ მაგალითებში – საობიექტო ვერსიის ფორმებში ზმნისწინის ცვლა იწვევს მნიშვნელობის ცვლასაც. მეორე მხრივ, საერთო ზმნისწინის მქონე სასუბიექტო და საობიექტო ვერსიის ფორმები მნიშვნელობითაც უპირისპირ-დებიან ერთმანეთს.

როგორც ვხედავთ, ლაზურშიც ზმნისწინი სუბკატეგორიული ტრანსლატივია და ფორმაწარმოების მოდელთან ერთად მონაწილეობს პარადიგმების აგებაში. მეგრულის მსგავსად, ლაზურშიც ჩვეულებრივია ზმნისწინის მიხედვით მნიშვნელობის ცვლა დამოუკიდებ-ლად ფორმაწარმოების მოდელებისა, მაგალითად,

- დო-ქთ-უ „გადააბრუნა მიწა//მოხნა“
- გო-ქთ-უ „დაატრიალა“
- დო(<ე-ო)-ქთ-უ „აურ-დაურია, არია“
- გდ(გე-ო)-ქთ-უ „წააქცია“
- ნ-ო-ქთ-უ „შეაქცია, მიუშვირა“
- მო-ქთ-უ „გადააყირავა“
- გელა-ქთ-უ „მოედრიცა, ჩაექინდრა თავი“... [ასათ. 2012,]

როგორც ჩანს, მეგრულსა და ლაზურში ზმნისწინი აქტიურად მონაწილეობს ზმნური ფორმების წარმოებაში არა მხოლოდ ასპექტისა და დროის კატეგორიების მიხედვით, არამედ გვარის, ქცევისა და კაუზატივის დონეზე, სადაც ტრანსლატივის უნარს იძენს და ცვლის ზმნის ფორმოზრივ და შინაარსობრივ პლანს.

II.6.4. ზმნისწინი და სივრცის ტოპოლოგია.

ქართველურ ენებში ზმნისწინთა სისტემა ტოპოლოგიური სივრცის ენობრივი მახასიათებელია. ქართველური ენების ამ მიმართულებით კვლევა საინტერესო შედეგებს

იმლევა. ტრადიციული გეზისა და ორიენტაციის კატეგორიების აღწერა ვერ ამოწურავს ზმნისწინთა ფუნქციურ-სემანტიკურ ქვესისტემებს.

როგორც აღვნიშნეთ, ზმნისწინთა სისტემა მეგრულ-ლაზურში წარმოდგენილია ორი ქვესისტემით. ერთი მხრივ, გვაქვს მარტივი ზმნისწინები კონკრეტული მიმართულების გამოსახატავად:

ზემოთ	–	ე-:	ე-კურს	„ადის“
ქვემოთ	–	გე-/გი-:	გი-მურს	„ჩადის“
იქით	–	მე-/მი-:	მე-ურს	„მიდის“
აქეთ	–	მო-/მუ-:	მო-ურს	„მოდის“
გარშემო	–	გო-:	გო-ქ-უნს	„გარს უვლის“.

დო- ზმნისწინი **გე-** ზმნისწინის მონაცვლეა, თუმცა სხვა ფუნქციაც გააჩნია (ინტენსივობის, მრავალგზისობის...):

დო-ლუ	„ეცემა“ (ძირს)
დო-თოლუნს	„და-თლის“...

მარტივ ზმნისწინებში განცალკევებით დგას **ო-** ზმნისწინი, რომელსაც მიმართულების გამოხატვა არ შეუძლია და ძირითადად სრული ასპექტის ფორმებს აწარმოებს. შესაძლოა ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ **ო-** ზმნისწინი სულ რამდენიმე ზმნასთან გვხვდება, თუმცა ლაზურში უფრო მეტად. ესენია: **ჭკომუ - ოჭკომუ** „ჭამა-შეჭამა“, **ჭოფუ - ოჭოფუ** „დაიჭირა“, **ფუთხუ - ოფუთხუ** „გაფრთხილდა“, **შუ - ოშუ** „სვა, დალია“.

მეგრულში ამ ფორმებიდან პირველი ორი დასტურდება. აღსანიშნავია, რომ **ო-** რთულ ზმნისწინებშიც გვხვდება, კერძოდ, მეგრულში **ო+კო-** ფონეტიკური ვარიანტებით და ლაზურში **ო+კო-** და **ო+ხო-** შესაბამისად ფონეტიკური ვარიანტებით (იხ. ქვევით).

ზმნისწინთა მეორე სისტემა რთული ზმნისწინებია, რომელთა მეორე ნაწილი დამოუკიდებლად არასდროს იხმარება და თითოეული მათგანი შედის კომბინაციაში პირველი სისტემის ნებისმიერ წევრთან. მნიშვნელობა ძირითადად პირველი კომპონენტის მიხედვით განისაზღვრება, თუმცა ხშირად მეორე კომპონენტი გადაფარავს.

ლაზურში რთული ზმნისწინებია:

კა- ელემენტია:

მეკა/მეკვა/მეკო/მეკი/მიკი-:

მეკახთუ	„გადავიდა“
მეკვასთოლუ	„ესროლა“
მეკოჯინამან	„დაანახვებენ“
მეკილუ	„გადავიდა“
მიკილაფს	„გაივლის“...

მოკა/მუკუ-:

მეკახთუ - მოკახთუ	„გაიარ-გამოიარა“
მიკულუ - მუკულუ	„გაიარ-გამოიარა“...

ეკა/ეკე/ეკუ/ეკო-:

ეკებუბამთ	„გადავასხამთ“
ეკუბლამან	„გადააყრიან“
ეკოპკორობა	„შევეკრიბო“...

ოკო/ოკუ/უკუ/ოკი/ოკვა/ოკა-:

ოკობღათ	„შევიკრიბოთ ერთად“
ოკუკიუფან	„მიაბამენ ერთმანეთზე“
უკუსვერენ	„წაუსვია ერთმანეთისთვის“
ოკიკათეს	„თავი მოიყარეს ერთად“
ოკვაკიდუ	„გადამეკიდა“
ოკაკიდეს	„ერთმანეთს წაეკიდნენ“...

კა- ელემენტი ზოგადად აღნიშნავს რაღაცის ახლოს მოქმედებას, თუმცა ბოლო შემთხვევაში ვხედავთ, რომ ერთად ან ერთმანეთის მიმართ ჩადენილ ქმედებას აღნიშნავს. შეიძლება ამას ხელს უწყობს რთული ზმნისწინის პირველი ელემენტის **ო-** ზმნისწინის გეზმიუმართავი სემანტიკა.

კა- ელემენტი ზოგჯერ უკან ადგილსაც მიუთითებს: მიკიხუნუ „შემოისვა უკან“, მოკუდგინ „უდგას ზურგს უკან“ , ეკაჭიმუ „დაეწია უკან“, ეკოწვენ „უყურებს უკნიდან“, ეკიკიდუ „აკიდა ზურგზე“.

წა-ელემენტიანი:

მეწა/მეწუ- :

ქომეწუკაპუ	„ჩამოხტა“...
------------	--------------

ენა/ენე/ენო/ენუ/ენი/ინუ-:

ენახენ	„ზის წინ“
ენებუდგამთ	„დავუდგამთ წინ“
ენოლაფს	„ავარდება“
ენუკაპუ	„ახტა“
ინუხეტუ	„წინ უჯდა“...

გეწა/გეწო-:

გეწადგუნ „დადგმულია ზედაპირზე“, გეწოკვათუ „ჩამოჰკვეთა“...

გოწა/გოწო/გოწუ/გუწუ/გოწვა- :

გოწაული	„გამოვართვი“
გოწობუნ	„ჩამოკიდებულია“
გუწუკიდაფან	„ჩამოუკიდებენ“
გოწვაკიდეტეენ	„წაჰკიდებია“...

მეწა- :

მეწუკაპუ	„დაახტა წინიდან“...
----------	---------------------

მოწა- : მოწუკაპუ	„გამოხტა წინ“...
------------------	------------------

როგორც ვხედავთ, **წა-** ელემენტიანი ზმნისწინი გამოხატავს **წინ** და **ქვეშ** ზმნიზედების მნიშვნელობას [ჩიქობავა, 2008/1, 130].

ლა- ელემენტისანი:

მელა/მელუ-:

მელადგარე „მიადგამ შიგ“
მელუბღუნ „შეყრილია შიგ“...

მოლა/მოლუ/მოლი- :

მოლახენან „სხედან შიგ“
მოლოხუნეს „ჩასვეს შიგ“...

დოლო/დოლი/დოლუ/დულუ/დელუ/დოლი/დოლა- :

დოლოობლაფთ „ჩავყრით“
დოლიბიშქვიდით „ჩავიხვრჩეთ“
დოლობლაპტუ „ჩაყრიან“...

დოლო- ზმნისწინში მეორე ელემენტად **ლო-** გამოიყოფა, მაგრამ ის **ლა-**სგან მომდინარე ჩანს წინა **ო** ხმოვანთან ასიმილაციით [ასათიანი 1952, 372].

მითითებულ ზმნისწინებში **ლა-** ელემენტი გამოხატავს შიგნით მიმართულ მოქმედებას. თუმცა სხვა ზმნისწინებში ის აღნიშნავს მოქმედებას რაღაცის ნაპირას, გვერდით:

ელა/ელე/ელუ/ ილუ/ელვა- :

ელახეტუ „იჯდა ნაპირას“
ელემობუნ „მობმული მაქვს“
ელუხედეს „უსხდნენ გვერდით“
ილუსუმერტუ „ჩაუჩურჩულა“...

ანალოგიური მნიშვნელობით გამოიყენება ქვემოთა მიმართულების აღმნიშვნელ **გე-** ზმნისწინთან: **გელა/გელი/გელუ/ჯელუ-** :

გელახთუ „ჩამოვიდა“
გელუხენ „ჰყავს ჩამომჯდარი“
გილუსუ „ჩამოუსვა“
ქოჯელიდუ „დაისვა“...

ლა- ელემენტის აღნიშნული მნიშვნელობები ნეიტრალიზებულია **გოლა-** ზმნისწინში, რომელიც ქართული **გადა-** ზმნისწინის შესატყვისია:

გოლახთუ „გადაიარა“
გოლუჰკადუნ „გადაჰედელია“
გოლიკორუ „გადაიკრა“...

შა- ელემენტისანი – **მეშა/მეშე/მეშუ/მიში/მეშვა-** :

მეშაძინ „დევს შიგ“
მეშუმელან „შიგ უყრიან“
მიშიყონუ „შიგ შეიყვანა“
მეშვატენ „შიგ შევიდოდა“...

მოშა/მოში/მუში- :

მოშახთუ „შიგნიდან ამოვიდა“
მოშილუ „გამოიღო შიგნიდან“...

ეშა/ეში/ეშე/იში- :

ეშავილა „ავიტანო“
ეშებილათ „ავიდეთ“
ეშიმერს „ამოიღებს“
იშილუ „ამოიღო“...

გეშა/გეში/გიშა- :

გეშადგიმან „შედგამენ შიგ“
გეშიქაჩუ „გაქაჩულია“...

გოშა/გოშო/გოშუ/გოში/გოშვა- :

გოშახეტუ „იჯდა შიგ“
გოშულუტუ „შეერია შიგ“
გოშიმელს „შეიღებს“...

შა- ელემენტი მიუთითებს შიგნით მოქმედებას, თუმცა ზოგჯერ ეს მნიშვნელობა იჩრდილება.

ჟა/ჟო- ელემენტისანი – მეჟა/მეჟო- :

მეჟოჩუ „დაწყევლა/გადასცა“...

მოჟა/მოჟო/მუჟუ- :

მოჟოობუტი „გადმომდგარი იყავი“
მუჟუცხონტუ „ზეხტა“...

გეჟო- :

გეჟოდვერენ „დადგამენ“...

ეჟა- :

ჟინ ეჟარჩაფულე „ზევით გადასაფარებელი“...

ჟა- ელემენტი ზევით მოქმედებაზე მიუთითებს. ამოსავალ ფორმად მიჩნეულია **აა-** ელემენტი [ჩიქობავა, 1936, 119].

ხო- ელემენტისანი ერთადერთი ზმნისწინია ოხო/ოხუ/ოხი/ოხვა- :

ოხოვუქთაფთ „შევურევთ“
ოხომიშქვი „გამიშვი“
ოხოწონაფუ „ანიშნა“
ოხინკანუ „შეირხა“
ოხვაგიბას „ადულდება“...

ამ ელემენტის სემანტიკა ბუნდოვანია. თუმცა გამოითქვა მოსაზრება, რომ **ობო-** ზმნისწინი ლაზურის **ოკო-**ს ენაცვლება მნიშვნელობით და შესაძლებელია, მასალობრივადაც მას უკავშირდებოდეს [ასათიანი, 1952, 474]. აქ იგულისხმება ერთად, ერთმანეთთან ახლოს მოქმედების მნიშვნელობა.

და- ელემენტის ზმნისწინებია **მედა/მენდა-**, რომლებიც მნიშვნელობით ქართული **წა-** ზმნისწინის ბადალია:

მენდახთუ	„წავიდა“
მენდაილით	„წავიღეთ“
მედილუ	„წაიღო“...

მა- ელემენტის ზმნისწინებია:

ამა/ამო/ამვა-:

ამახთუ	„შევიდა“
ამობოშქვი	„შემიშვი“
ამვალენ	„შევა“...

გამა/გამო/გამუ/გამი- :

გამაფჩამინონ	„უნდა გავყიდო“
გამამოდგითუ	„გამომადგა“
გამუნთხუ	„გამოუყო“
ქაგამილეს	„გამოიტანეს“...

როგორც ჩანს, **მა-** ელემენტის ზმნისწინები მნიშვნელობით ქართული **შე-** და **გამო-** ზმნისწინების შესატყვისია.

ნა- ელემენტის ზმნისწინებია **მენა/მენე-** და **გონა/გონუ/გონი-**, რომლებიც იშვიათად გამოიყენება:

მენებოშქვათ	„გადავუშვათ“
გონარჩუ	„გადაიშალა“
გონუმტამან	„გადაუშვეს“
გონილუ	„გადაიღო“...

როგორც ვხედავთ, ქართული **გადა-** ზმნისწინის მნიშვნელობისაა აღნიშნული ზმნისწინები. ასევე დასტურდება **ნა-** ელემენტით გართულებული რთული ზმნისწინები, როგორცაა **ოკონა-**, **გოწონა-**, **ელანა-** [ასათიანი, 1953, 446-447].

მეგრულში რთული ზმნისწინების წარმოქმნაში თითქმის იგივე ელემენტები მონაწილეობს. მეგრულს აკლია **ჟა-**, **ჟო-**, **ხო-** ელემენტები, სამაგიეროდ მეტია **თო-** და **ნო-** ელემენტები.

ნო- ელემენტის ზმნისწინებია: **მინო/მინა/მინუ/მინაუ/მინი-**:

მინოხე	„ზემოდან აზის“
მინაშქვეს	„შემოუშვეს“
მინურე	„შიგ ამყოფებს“
მინაულარი	„შემოსასვლელი“
მინილეს	„შევიდნენ“...

მონო/მუნო/მუნა/მუნუ/მონი/მუნი- :

მონოყონაფა	„შემოყვანა“
მუნოდგუნს	„ზემოდან ადგამს“
მუნაბუნს	„ზემოდან და შიგ ასხამს“
მუნურთინუანს	„გადაუბრუნებს“
მონილუ	„გადმოვიდა“
მუნილეს	„შემოვიდნენ ზემოდან“ ...

მონო- და **მინო-** ზმნისწინები ძირითადად ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც **საიქეთო** და **სააქეთო** ორიენტაციის მქონენი, თუმცა არცთუ იშვიათად ერთი და იმავე ფუნქციითაც გამოიყენება მეგრულში. რაც მთავარია, **ნო-** ელემენტი განსაზღვრავს მოქმედების ლოკაციას ჰორიზონტალურ სიბრტყეზე ზემოდან მოძრაობით, რაც ხშირ შემთხვევაში ქართული **გადა-**, **გადმო-** ზმნისწინების სემანტიკას უახლოვდება.

ენო/ინო/ენა/ინა/ინი-:

ენობუ	„ქვევით და შიგნით გდია“
ინოხე	„ქვევით და შიგნით ზის“
ენარღვანს	„ზემოდან შიგნით ყრის“
ინათასანს	„ზემოდან შიგ თესავს“
ინილეს	„ჩავიდნენ“ ...

აღნიშნულ ფორმებში **ე/ი** მარტივი ზმნისწინის სემანტიკა (ზემოთა მიმართულება) ნაწილობრივ იჩრდილება და იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვემოთ და შიგნით მიმართულებას გამოხატავს **ენო/ინო** ზმნისწინები. მაგრამ გასათვალისწინებელია მთქმელის პოზიცია, მისი ლოკალიზაციის ადგილი: ის ქვემოდან მაყურებელია, ყველაფერი ხდება ზემოთ და შიგნით მთქმელის ადგილისკენ.

დინო/დინა/დინუ/დინი-:

დინოდგუ	„შიგ დგას“
დინარჩანს	„შიგ დააფენს“
დინუბარანს	„ჩაჰბერს“
დინილეს	„შიგ ჩავიდნენ“ ...

გინო/გინა/გინუ/გინი-:

გინოჭყვიდეს	„გადაწყვიტეს“
გინახორეს	„გადაასახლეს“
გინუგეს	„გადაუხადეს“
გინირთუ	„გადაიქცა“ ...

გენო/გენა- :

გენოდორთეს	„გადადგნენ“
გენაჩქვეს	„შეუშვეს შიგნით და ქვეშ“ ...

გამნო<გამონო-:

გამნონჩურეს	„გადმოცურეს“
გამნართინუეს	„გადმოატრიალეს“
გამნუშქვეს	„შეუგზავნეს“
გამნილეს	„შემოიტანეს“...

გემნო<გემონო-:

გემნომიონეს	„შემიყვანეს“
გემნულეს	„გამოართვეს, გამოაცალეს“...

გომნო-:

გომნართინეს	„გადაატრიალეს“...
-------------	-------------------

გაგნო-:

გაგნორაყეს	„გააგდეს“...
------------	--------------

გეგინო-:

გეგინოჩეს	„გადასცეს“
გეგნალუ	„გადავარდა“...

როგორც ვხედავთ **გო-**, **გე-**, **გა-** ზმნისწინებზე დართული **ნო-** ელემენტის რთული ზმნისწინები ქართულის **გადა-** ზმნისწინის მნიშვნელობისაა, განსხვავებით დანარჩენი **ნო-** ელემენტის ზმნისწინებისაგან, რიმლებიც შიგნით ადგილსა და მიმართულებას გამოხატავენ.

თო- დართული ზმნისწინები:

მითო/მითა/მითოუ/მითუ/მითი-:

მითოფრთი	„შევედი“
მითაჯინე	„იხედება შიგ“
მითოურზანს	„დაუნთებს შიგ“
მითუხე	„უზის შიგ“
მითისოფუ	„შიგ ტრიალებს, ბორგავს“...

მოთო/მოთი/მუთუ-:

მოთილუ	„შემოვიდა“
მუთულა	„შესვლა“...

მითო/მოთო ზმნისწინები ორიენტაციის მიხედვით დაპირისპირებული ფორმებია, თუმცა **თო-** ელემენტი მიუთითებს მოქმედებას შიგნით, რისამე ქვეშ.

გემითო>გემთო/გემთი-:

გემითიქონეს	„შეიყვანეს“...
-------------	----------------

ეთო/ათო/ათუ-:

ეთოდგუმა	„რამის ქვეშ შედგმა“
ათონწყილი	„რამის ქვეშ დალაგებული“

ათაპონანს „შეუდგამს ქვევიდან“
ათულუ „ქვეშ გაუარა“...

გითო/გითა/გითი-:

გითოხე „რადაცის ქვეშ ზის“
გითაჯინე „გახედავს ქვეშიდან“
გითილენს „გამოვა ქვეშიდან“...

გაგითო>გაგათო-:

გაგათოლუ „ჩამოვარდება“...

გეგითო>გეითო-:

გეითოსხაპუ „გამოხტა“
გეითილუ „გამოიტანა ქვეშიდან“...

როგორც ჩანს, **თო-** ელემენტური ზმნისწინები სამი მნიშვნელობის მქონეა: 1. რისამე შიგნით ადგილისა და მიმართულების ჩვენება; 2. ქვეშ ადგილისა და მიმართულების ჩვენება; 3. ქვევით ადგილისა და მიმართულების ჩვენება. ასევე, ამოსავალია პირველი მნიშვნელობა. მისგან განვითარებულა მეორე და მესამე მნიშვნელობა [ასათიანი, 1952, 229-230].

კო- დართული ზმნისწინები:

მიკო/მიკა/მიკუ/მიკი/მიკვე-:

მიკომკირუ „მიბმული მყავს“
მიკარინუანს „მიაყენებს“
მიკუჯიკუ „მიუჯიკავა“
მიკიჯინუ „გახედა“
მიკვეხვენუ „მიმჯდარი იქნება“...

მოკო/მუკა/მუკა/მუკუ/მოკი/მუკი-:

მუკორდ „ზედ ნაპირზე იდგა“
მუკალუაფარი „მოსავლელი“
მუკმოჯინე „გამომხედავს გვერდულად“
მუკაქუნს „აცვია“
მუკუდგუნს „მიუდგამს“
მოკილით! „გამოიარეთ“
მუკილას „გამოიაროს“...

მიკო- და **მოკო-** ზმნისწინები საპირისპირო ორიენტაციისაა, თუმცა ზოგჯერ ასეთი გარჩევა ძნელი ჩანს. **კო-** ელემენტის სემანტიკა ლაზურის მსგავსია, ანუ გვიჩვენებს რაიმეს ნაპირას, კიდეზე, გვერდით მოქმედებას. მეგრულის თავისებურებაა ისიც, რომ რთული ზმნისწინების გართულება ხდება **გე-, გა-, გო-** ზმნისწინებით და ვლდებულობთ კიდევე უფრო გართულებულ ფორმებს: **გამკო-, გემკო-, გომკო-**, რომლებსაც თავის მხრივ ფონეტიკური ვარიანტები გააჩნიათ:

გამკომილე „გამომიარე“

გემკომილი „გამომიტანე“
 გამკაანწყუ „გახადა“
 გამვილუ „გამოიტანა“...

ეკო/იკო/ეკა/ეკუ/ევი/ივი-:

ეკოხედეს „რაცაცასთან გვერდით, კიდეზე ისხდნენ“
 იკოსერუა „შემოლამება“
 ეკაფშანს „ამოავსებს“
 ეკუჯიკუ „უჯიკავა“
 ევილენს „ამოვა“
 ივიანთხუ „დაემთხვევა“...

ოკო/აკო-:

ოკონთხაფა „შეტაკება“
 ოკოკირილი „ხელებშეკრული“...

ოკო-ს ფონეტიკური ვარიანტია აკო-:

აკოტახილი შდრ. ოკოტახილი „გატეხილი“ (შედგად ერთად ყრია ნატეხები)
 აკოშაყარელი შდრ. ოკოშაყარელი „ერთად თავმოყრილი“...

ხმოვნისწინა პოზიციაში მიღებული ვარიანტებია – ოკაა-/ოკა-/აკა-:

ოკაარზ „დაანთო ცეცხლი“
 აკარძამაფუ „დაანთებინა ცეცხლი“...

ოკუ-/აკუ-:

დუდი ოკუტახუ „თავი გაუტეხა (ნაწილებად აქცია)“
 აკოუსოფუდას „ნაგლეჯებად ექციოს“
 აკუჭოფუდას „თავი მოეყაროს ყველა/ყველაფრისთვის“...

ოკიი-/ოკი-/აკი-:

ოკისერას „შედამდეს“ (ბნელმა თავი მოიყაროს)
 ოკიამხანიგეს „შეამხანაგდნენ“
 აკიშაყარეს „თავი შეიყარეს“...

მეგრულში ოკო- ზმნისწინიანი ფორმები ლაზურის მსგავსად გამოხატავენ ერთად ან ერთმანეთის მიმართ ჩადენილ ქმედებას. ძირითადი სემანტიკა ასეთია: ერთის დაშლა ნაწილებად ან ნაწილების გაერთიანება.

გეკო/გეკა/გეკი/გაკო/გაკა/გაკუ/გაკი- :

გეკოცენს „დაიფანტება, დაინგრევა“
 გეკარღვეს „დამალეს, დაანგრის“
 გეკიბეს „შეებნენ ერთმანეთს“
 გაკოსოფუნს „ნაკუწევად დაგლეჯს“
 გაკარძანს „დაანთებს“

გაკურქუ „გაუტია“
გაკისერუ „შელამდა“...

როგორც ვხედავთ, გეკო- ზმნისწინი ოკო-ს მნიშვნელობას უახლოვდება, თუმცა ეკო-ს სემანტიკაც ჩანს.

დიკო/დიკა/დიკი-:
დიკომილითი „ჩამიხვედით“
დიკაჯინეს „გამოხედეს“
დიკილეს „ჩავიდნენ“...

კო- ელემენტთან ზმნისწინთა მნიშვნელობა შემდეგ ძირითად მნიშვნელობებზე დაიყვანება:

1. შეესატყვისება ქართულის გა- ზმნისწინს: მიკო-, მოკო-, აკო/ოკო-, გეკო-, გაკო.
2. ერთად, ერთმანეთზე მოქმედებას მიუთითებს: აკო/ოკო, გაკო.
3. გვერდით, ნაპირას, პირას სიტყვებს უკავშირდება ეკო-, გეკო-.
4. ზმნისწინში დომინანტურია პირველი ელემენტის მნიშვნელობა – ზევით მიმართულების აღნიშვნა: ეკო-, გეკო-.
5. მიკო-, მოკო-ს მნიშვნელობა, ჩვეულებრივ, პირველი ელემენტის მნიშვნელობას ემთხვევა.
6. გემკო-, გამკო-, გომკო- ზმნისწინები მიკო-, მოკო- ზმნისწინებით გამოხატული მოქმედების უკუქცევითობას უჩვენებენ [ასათიანი, 1952, 109-110].

წო- დართული ზმნისწინები:
წიმო/წგმა/წიმუ/წგმუ/წიმი/წუმუ-:
წიმოდგუ „დგას ზემოდან“
წგმაჯინგ „გახედა ზემოდან“
წუმუჯან „გაწოლილი ჰყავს“
წიმიკინგ „წამოიწია“
წიმუხე „წინ უზის (დაბრძანებული ჰყავს)“...

წიმო-ს ინვერსიული ფორმაა მიწო-, რომელიც იმავე მნიშვნელობით იხმარება:
მიწოხე „წინ ზის“
მიწოდგუ „დგას“...

წიმო- ზმნისწინის გართულებით მიიღება ზმნისწინები: გაწმო-, გამწო-, გემწო-:
გაწგმაქონით „წინ წაგვიძეხი“
გამგწოდირთუ „წამოდგა“
გემგწოსხაპუ „წამოხტა“...

ეწო/იწო/აწო-:
ეწოქუნაფა „გამდლოლა“
იწოქოთით „წინ დაუგდეთ“
აწოხვადუ „წინ მიეგებება“...

აწო-ს შეიძლება დაერთოს **მა-** ელემენტი :
აწმაპირე „მეჩვენება“...

აღნიშნულ ზმნისწინებში **წო-** ელემენტი ძირითადად მიუთითებს წინ, წინა მხარისკენ მიმართულ მოქმედებას.

გიწო/გიწა/გიწუ- :

გიწოუნუნს „წინ წარუმძღვარებს“
გიწულანს „გამოართმევს“

გე- ზმნისწინით გართულებული **გეგიწო-**, **გეგწო-** ან **გეიწო-** ვარიანტებით:

გეგწოილანს „გამოგართმევს“
გეიწოლანს „გამოგართმევს“...

აღნიშნულ შემთხვევებში წინისკენ ადგილს და მიმართულებას ფარავს რაღაცის ქვეშიდან ადგილის და მიმართულების მნიშვნელობა.

ლა- დართული ზმნისწინები:

მელა/მილა/მოლა/მულა-:

მელაჭკუმაფუ „მისაჭმელი“
მილახვილგ „შიგ არის დამწყვდეული“
მოლაბრთით „წამოვედით“
მულაძუ „შიგ აწყვია“...

როგორც ი. ასათიანი აღნიშნავს, **მილა-**, **მულა-** ზმნისწინები გამოხატავენ შიგნით, ჰორიზონტალურ ადგილს, სავსებით ემთხვევიან ერთმანეთს. განსხვავებულია **მოლა-** ზმნისწინი, რომელიც ქართული **წამო-** ზმნისწინის მნიშვნელობისაა, ხოლო **მელა-** ზმნისწინი „ჭკომ“ ძირთან დასტურდება ძირითადად [ასათიანი, 1952, 147-148].

ამ ზმნისწინებს შიგნით მნიშვნელობას **ლა-** ელემენტი ანიჭებს, ხოლო **გა-** ზმნისწინით გართულებული **გამულა/გამგლა-** ფორმები უკუქცევითობის მნიშვნელობისაა:

გამულასხაპუ „გამოუვარდა, გამოუხტა“,
გამგლაქათუ „გამოაგდო“...

ელა/ილა/ელუ/ელე-:

ელაღალა „ამოღება“
ილანჯირუ „დაუწვევა გვერდით“
ელუდგუნს „დაუდგამს გვერდით“
ელელენს „ამოვა“...

ელა/ილა- ზმნისწინების მნიშვნელობებში სამი მომენტია მთავარი: 1. აღნიშნავს შიგ, შიგნით ადგილსა და მიმართულებას: **ილა**ძუ „შიგ დევს“, 2. უჩვენებს ზევით ან საწინააღმდეგო ქვევით მიმართულებას: **ელე**ღანს „ამოიღებს“, ქელეღვანს „ჩაიდებს“, 3. აღნიშნავს რისამე გვერდით ადგილსა და მიმართულებას: **ელა**ხე „გვერდით ზის“ [ასათიანი 1952, 155-156].

ელა- ზმნისწინს სამივე მნიშვნელობით ენაცვლება **ალა-** ზმნისწინი.

გელა/გელე- :

გელავჳანქ „ამოვკერავ“
გელენწყი „ჩამოიხსენი“...

გილა/გილუ/გგლა/გილე-:

გილაპუ „დევს შიგნით და ზემოდან“
გილურს „დადის“
გგლასხაპუნს „დახტის“
გილეშუ „დადიოდა“ ...
გილა- ძირითადად გამოხატავს იქით-აქეთ მოძრაობას.

გა/გე- ზმნისწინებით გართულებული ზმნისწინები ქართული ჩამო- ზმნისწინის მნიშვნელობისაა:

გეგლასხაპუნა „ჩამოხტება“
გეგლაკვათუნს „ჩამოკვეთს, ჩამოჭრის“...

შა- დართული ზმნისწინები:

მიშა/მიშე/მუშა/მუშე/მიში-:

მიშახე „შიგნით შუაში ზის“
მიშელეს „შიგნით შევიდნენ“
მუშურენა „შუაში უყენიათ“
მიშისოფუ „შიგნით ტრიალებს“...

შა- ელემენტი მიუთითებს ადგილსა და მიმართულებას შიგნით და ასევე, შორის მრავლისა.

მიშე-ს გართულებული ფორმებია: **გემგშა-**, **გამგშა-**.

ეშა/იშა/ეშე/იშე/იშუ/იშე-:

ეშასოფუნს „შიგნიდან ამოხევეს“
იშანწყუნს „შიგნიდან ამოალაგებს“
ეშურს/იშურს „ადის“
ეშელეს „ავიდნენ“
იშელანს „ამოიტანს შიგნიდან“...

შა- ელემენტი მიუთითებს შიგნიდან ზევით მიმართულ მოქმედებას, მხოლოდ მთქმელის პოზიციას განსხვავებული: ის ჰორიზონტალური სიბრტყის ქვევით ან ზევით იმყოფება.

აშა- :

აშახე „შიგნით ზის“
აშურენა „შუაში უყენიათ“...

გეშა/გეშე/გეში-:

გეშურს „ავა“
გეშაჳკადუნს „გამოჳედავს“

გეშელეს „ამოიტანეს“
გეშიიჯინგ „აიხედა“...

გიშა/გიშუ/გიშე-:

გიშაგორუნს „ამოარჩევს“
გიშულუანს „გაუვლის“
გიშელენს „ავა“...

გეშა- ზემოთ მიმართულებას გვიჩვენებს, ხოლო **გიშა-** შიგნიდან, საგნების შორისიდან მიმართულებას.

გაშა-, **დიშა-** ზმნისწინებიც შიგნით, შორის და ქვევითაც ადგილს უჩვენებენ და ქართულის **შე-**, **ჩა-** და **და-** ზმნისწინების მნიშვნელობისაა.

და- ელემენტური ზმნისწინია **მიდა/მიდე-** რომელიც ძირითადად ერთსა და იმავე ფუძესთან გვხვდება:

მიდაღალა „წართმევა“
მიდეღუ „წაიღო“
მიდეღუ „წაართვა“...

მო/მა- ელემენტური ზმნისწინებია **გამო/გამა/გამე/გამი-:**

გამოსოფუნს „მოხვეს, მოჰგლეჯს“
გამაღანს „წაართმევს“
გამეეთხუ „გამოეთხოვა“
გამიინწყუ „გაიხადა“...

მნიშვნელობით ქართული **გამო-**ს შესატყვისია ისევე, როგორც ზმნისწინები: **გიმო/გიმა/გიმი/გემი/გემა-:**

გიმოწიმინდუა „გამოწმენდა, გამოგვა“
გიმაათანს „აგდებს ძირს“
გიმიილგ „გამოვიდა“
გემიჯინუ „გამოიხედა“...

ამ ზმნისწინებსაც ერთვის **გე/გა-** ელემენტები: **გეგმო-, გაგმო-**.

მეგრულში განსხვავებულია **კი/გლა-** ზმნისწინი, რომელიც მიუთითებს მიმართულებას რისამე გამჭოლ, გავლით, გადატარებით, თანაც ერთ ფუძესთან იხმარება:

კილეღუ ხურუშე „გამოვიდა ხვრელიდან“
ვაკგლართინე „ვერ გამოვა“...


კილა-სგან განსხვავებით **კინო/კენო-** ზმნისწინი მიუთითებს უკან მიმართულებას და ადგილს:

კინოდგუ „უკან დგას (რაღაცა)“
კინოხე „კუთხეში ზის“
კინორე „უკან დგას (ადამიანი)“...


რთული ზმნისწინებია **გაკვლა-**, **გეკვლა-**:
გაკვლავ „გამობურღა“
გეკვლეულ „გამოიტანა“...

ამრიგად, რთული ზმნისწინების მნიშვნელობები მეგრულსა და ლაზურში წარმოაჩენს სივრცის ტოპოლოგიურ ხატს. როგორც ბ. ქობალავა შენიშნავს, ზანურში „ზმნისწინიანი ფორმები უმეტესწილად შეიცავენ იმ ადგილის გეომეტრიულ-ტოპოლოგიურ დახასიათებასაც, რომელთან მიმართებითაც განისაზღვრება მოქმედების ადგილი/მიმართულება“ [ქობალავა, 2003, 54].

ზმნისწინთა ამგვარი სისტემა სქემატურად ასე წარმოდგება: ადამიანი **ego** დგას სამყაროს ცენტრში და იწყებს მოძრაობას სივრცის ოთხგანზომილებიან სისტემაში:



სივრცის ამგვარი დანაწევრება ჩვეულებრივია ნებისმიერი ეთნოსისა თუ ენის წიაღში, მაგრამ მეგრულ-ლაზურში სივრცითი ტოპოლოგიის განსხვავებული ხატი იქმნება, როგორც კი ზემოთ ნაჩვენებ სქემას ზედ დაედება ზმნისწინთა მეორე სისტემით წარმოდგენილი სქემა:



□ სიმბოლო კონკრეტული ადგილია ბე/ბი ში.

ე+წო
 ე+კო
 ე+ლა
 ე+შა

ამ სიმბოლოებში ისრის მიმართულება შეიცვლება იმის მიხედვით, თუ წინ მდგომი ზმნისწინი რომელი მიმართულების მაჩვენებელია. ამავე დროს, **ego**-სთან, იმავე პირველ პირთან მიმართებით მოქმედების ან მდგომარეობის ლოკალიზაცია სიმორე-სიახლოვის მიხედვითაც ხდება, განურჩევლად იმისა, ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ დერძზე მიმდინარეობს პროცესი. მაგალითად, მეგრულში ზემოთა მიმართულების ზმნისწინთან -**დგ**- „დგომა“ ძირითადი გადმოიცემა:

(1) **ე+წო-დგ-უ** „დგას **ego**-სგან შორს, ზევით და წინ“.

მას უპირისპირდება: **ა+წო-დგ-უ** „დგას **ego**-სთან ახლოს, ზემოდან, წინ“;

(2) **ე+კო-დგ-უ** „დგას **ego**-სგან შორს, ზემოთ და ნაპირას“.

მას უპირისპირდება:

ა+კო-დგ-უ „დგას **ego**-სთან ახლოს, ზემოდან და ნაპირზე“;

(3) **ე+ლა-დგ-უ** „დგას **ego**-სგან შორს, ზემოთ და გვერდით“.

მას უპირისპირდება: **ა+ლა-დგ-უ** „დგას **ego**-სთან ახლოს, ზემოდან გვერდით“.

აღსანიშნავია, რომ **-ლა-** გარკვეულ „სივრცით ინტერვალს“ გულისხმობს **-კო-**სგან განსხვავებით, რომლის მიხედვითაც მოქმედება საგანს/ადგილს უშუალოდ ეხება.

(4) **ე+შა-დგ-უ** „დგას **ego**-სგან შორს, ზემოთ და შიგნით/შიგ“.

მას უპირისპირდება: **ა+შა-დგ-უ** „დგას **ego**-სთან ახლოს, ზემოდან შიგნით“.

ა- ზმნისწინი მხოლოდ მეგრულში დასტურდება. ის, განსხვავებით **ა-**ზე დაბოლოებული ზმნისწინებისგან (**და-**, **გა-**, **წა-**, **ჩა-**), საკუთრივ მეგრულში ჩანს განვითარებული სწორედაც სიახლოვე-სიმორის სივრცული დანაწევრებისათვის. კერძოდ, სივრცის ცენტრში დგას „მე“, რომელთან სიახლოვეს მიუთითებს **ა-** ზმნისწინი, ხოლო სიმორეს – ბინარული სისტემა ზევით-ქვევით მიმართულებისა: **ე-/ი-** და **გე-/გი-** ზმნისწინები. შესაბამისად, **აშადგუ** „დგას ახლოს და ზემოდან შიგნით/ქვემოდან შიგნით“ ფორმა მიემართება როგორც **ეშადგუ** „დგას შორს, ზემოდან შიგნით“ ფორმას, ასევე **გიშადგუ** „დგას შორს, ქვემოდან შიგნით“ ფორმას.

შეიძლება ითქვას, რომ მეგრულში ზმნისწინთა მიერ მარკირებულ სივრცეში ორიენტაციის გამოხატვა ვერტიკალურ დერძზე **ა** და **ე** ხმოვნების ოპოზიციით ხდება, ხოლო ჰორიზონტალურ დერძზე – **ე** და **ო** ხმოვნების შეპირისპირებით: **მეუდგუ** „მიდგმულია“ – **მოუდგუ** „მოდგმულია“.

როგორც ჩანს, მეგრულსა და ლაზურში სიმორე-სიახლოვის გამოხატვის სისტემა დეიქტური ხმოვნების ბინარული ოპოზიციით ჩამოყალიბდა. ჩვენებით ნაცვალსახელებსა, ზმნისწინებსა და ზმნიზედებში ეს სისტემა ასე გამოიყურება:

ნაცვალსახელები:

ა/ე (ახლოს პირველ პირთან) – **ე/ი** (შორს მეორე/მესამე პირთან)

ზმნისწინები:

ა/ო (ახლოს პირველ პირთან) – **ე** (შორს მეორე/მესამე პირთან)

ზმნიზედები:

ა (ახლოს პირველ პირთან) – **ე** (შორს მეორე/მესამე პირთან).

ცხადია, რომ ძირითადი მოდელი **ა** და **ე** ხმოვნების ოპოზიციას გულისხმობს და საერთოა ყველა მორფოლოგიური ერთეულისთვის.

მეგრულსა და ლაზურში ორიენტაციის გამოხატვის სისტემა არ გასცილებია მე- და მო- ზმნისწინებს. უფრო მეტიც, ლაზურში მე- ზმნისწინიანი ფორმა ზოგჯერ ქართულად გადმოიციემა მო- ზმნისწინით ნაცვლად მი- ზმნისწინისა:

სქანი ფარა მექამინონ... „შენი ფული უნდა მოგცეთ“ (მიგცეთ); შდრ.: ქიმოლიქ ჯევაბი ვა მეჩაპტუ... „ქმარი პასუხს არ აძლევდა (მისცემდა)“; მანმაგერეფექ მემიშოლეს... მეზობლები მომეშველენ (მიმეშველენ)“...

ი. ასათიანის დაკვირვებით, მე- და მო- ზმნისწინით ნაწარმოები რთული ზმნისწინებიც მკვეთრად არ განასხვავებენ სააქეთო და საიქეთო მიმართულებას [ასათიანი, 1953, 475-477]. ზმნისწინთა მნიშვნელობების გადაფარვა არც მეგრულისთვისაა უცხო. მაგალითად, ჩხვინდი მეპკვათი „ცხვირი მოვკვეთე (მივკვეთე)“.

ასევე გე- ზმნისწინი მეგრულში შეიძლება გამოხატავდეს ზევითა მიმართულებასაც: გევოყოთი ჯა „ამოვაგდე ხე“, გეშვორღვი ბარგი „ამოვყარე ტანსაცმელი“, თუმცა ერთი რამ საგულისხმოა: ამგვარ ფორმებში ყოველთვის იგულისხმება მოქმედება ქვემოდან ზევით, კერძოდ, ევორღვანქ „ზემოთ ვყრი“, ანუ აქცენტი კეთდება მხოლოდ ზემოთა მიმართულებაზე, ხოლო გეშვორღვანქ „ქვემოდან ზევით ვყრი“ ფორმაში ხაზგასმულია რომ ქვემოდანაა მიმართული მოქმედება.

ამრიგად, მეგრულ-ლაზურში ზმნისწინთა სისტემა ახდენს სივრცის დანაწევრებას კონკრეტულ ადგილთან მიმართებაში, ანუ სამყაროს ცენტრში მყოფი ადამიანი მოძრაობს სივრცის კონკრეტული წერტილისკენ. მაშასადამე, ზმნისწინი გამოხატავს არა მარტო მიმართულებას, არამედ ადგილსაც, რითაც ითავსებს თანდებულისა და ზმნიზედის ფუნქციებს.

მიუხედავად ამისა, სისტემურად არაფერი იცვლება. ზმნიზედები დამოუკიდებლადაც იხმარება და თანდებულის ფუნქციითაც, თუმცა ზანური ზმნა ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს მათი საჭიროება. შესაბამისად, ზმნა მრავალპლასტიანი მთლიანობაა, რომელიც ძირითად შემთხვევაში მნიშვნელობას აზუსტებს დროსა და სივრცეში.

ჩვენი აზრით, სისტემური დაცობა ქართულსა და მეგრულ-ლაზურს შორის მოხდა სწორედ სივრცის დიფერენციაციის თვალსაზრისით: ერთი მხრივ, ეს აისახა ბრუნვათა სისტემაში, სადაც მიმართულებითი და დაშორებითი ბრუნვები ოდენ ლოკატიური ბრუნვებია, მიწვევითობისა და გამოსვლითობის სემანტიკით, რის გამოც თანდებულთა საჭიროება მოიხსნა (შდრ. ძვ. ქართულისა და მთის დიალექტების ლოკატიური ბრუნვები); მეორე მხრივ, ზმნაში მოხდა ზმნისწინთა ფუნქციების გაფართოება (თუ ქართულის ვითარებაა პირველადი!), თუმცა შეიძლება გვეფიქრა, რომ მეგრულ-ლაზურში არსებული ვითარება უფრო ახლოს დგას წინარე მდგომარეობასთან.

II.7. დრო-კილოთა სისტემა ლაზურსა და მეგრულში.

II.7.1. დრო-კილოთა სისტემის შესწავლის მოკლე ისტორია მეგრულ-ლაზურში.

მეგრულ-ლაზური (resp. კოლხური, ზანური) ზმნის წარმოების თავისებურებებზე პირველი დაკვირვებები გეორგ როზენის სახელს უკავშირდება. მის ნაშრომში – „ლაზთა ენის შესახებ“ [როზენი, 1844 წ.] არის მსჯელობა ზმნის პირდაპირი და არაპირდაპირი უღლების, ძირის, პრეფიქსების, სავრცობის, ზმნური დაბოლოებების, პირისა და რიცხვის აფიქსთა შესახებ.

ალ. ცაგარელი თავის სადისერტაციო ნაშრომში – „კავკასიურ ენათა იბერიული ჯგუფის მორფოლოგიის შედარებითი მიმოხილვა“ [ცაგარელი, 1871] იზიარებს როზენის რიგ საკვანძო პოსტულატებს, ამასთან, ეხება ცალკეული დროების (აწმყოს, ნამყო უსრულის, ნამყო სრულის, ნამყო წინარეწარსულისა და მყოფადის) წარმოების საკითხებს.

ნიკო მარის 1910 წელს გამოცემულ ნაშრომში („ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკა ქრესტო-მათითა და ლექსიკონით“) მეგრულისა და ლაზურის ენებად დაყოფის მნიშვნელოვან საფუძვლად მიჩნეულია ზმნა, კერძოდ: **მყოფადის** თავისებური წარმოება, რომელიც სრულიად უცხოა მეგრულისთვის; ასევე, **აორისტის** განსაკუთრებული წარმოება ლაზურში (ყველა ზმნას -ი დაბოლოება აქვს I-II პირში) და, აქედან გამომდინარე, ერთი უღლების არსებობა ამ ენაში; აწმყოს -ა და უ- (> ი) ნიშნიანი წარმოება და, ამის მიხედვით გამოყოფილია მხოლოდ ორი კლასი უღლებისა. ასევე ყურადღებაა გამახვილებული მასდარის თავისებურ წარმოებაზე ლაზურში.

ზმნის დროები ორ ძირითად ჯგუფად არის წარმოდგენილი: პირველ ჯგუფშია მთავარი დრო – **აწმყო** და მისგან ნაწარმოები **ნამყო უსრული**. მეორე ჯგუფშია მთავარი დრო – **აორისტი** და მისგან ნაწარმოები **კავშირებითი და მყოფადი**.

დრო-კილოთა მესამე ჯგუფთან დაკავშირებით მკვლევარი აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფის ფორმები არ არის უცხო ჭანურისთვის, მაგრამ საკმაოდ იშვიათია. მათი წარმოება ჩვეულებრივია, მაგ., **მიძიტაფუნ** „მისწავლია“ [მარი, 1910, 46]. აქვე მკვლევარი დასძენს, რომ როცა ჭანური ზმნები სრულად იქნება გამოკვლეული, მესამე ჯგუფში იქნება მოსათავსებელი **რენ** (resp. დორენ) ელემენტის ფორმები: **დიხინერენ** (< დიხინერ რენ), **დოხუმუედორენ** (< დოხუმუერ დორენ) [მარი, 1910, 46].

იოსებ ყიფშიძის ფუნდამენტურ ნაშრომში – „მეგრული (იბერიული) ენის გრამატიკა ქრესტომათითა და ლექსიკონით“ – დრო-კილოთა ორი ძირითადი ჯგუფია გამოყოფილი: **აწმყო** და **აორისტი**.

ცალკეა წარმოდგენილი ნაწარმოები დროები.

პირველი ჯგუფის ნაწარმოები დროებია: **ნამყო უსრული** (პ/ვ-ჭარუნ-დი; ჭარუნ-დი; ჭარუნ-დუ) და **ნატვრითი** (პ/ვ-ჭარუნ-და; ჭარუნ-და; ჭარუნ-და-(ი)).

მეორე ჯგუფის ნაწარმოები დროებია: **კავშირებითი I** (ვ-ჭარა, ბ-ჭარე; ჭარა, ჭარე; ჭარას(ი)); **კავშირებითი II** (ბ-ჭარი-კო; ჭარი-კო; ჭარუ-კო) [ყიფშიძე, 1914, 67].

აქვე, კავშირებითი II-ის ფორმებზე მსჯელობისას, უფრო სწორად, სათანადო პარადიგმის წარმოდგენისას აღნიშნულია, რომ „ასეთი ფორმა იწარმოება ნამყო უსრულისგანაც“, ავტორს მოაქვს სათანადო პარადიგმა: ბ-ჭარუნდი-კო; ჭარუნდი-კო; ჭარუნდუ-კო.

აწმყოსგან ნაწარმოებ დროთა პარადიგმაში ეს ნაკვეთი არ არის ასახული, მისი სახელდება რატომღაც არ არის მოცემული, მაგრამ მას პირობითად შეიძლება **აწმყოს კავშირებითი ვუწოდოთ**. ანუ: აწმყოსგან ნაწარმოებ ნაკვეთებს კიდევ ერთი უნდა დაემატოს.

მესამე ჯგუფის ნაწარმოებ დროებს ი. ყიფშიძე ასე წარმოგვიდგენს: **ნამყო სრული** (მი-ჭარუნ; გი-ჭარუნ; უ-ჭარუნ); **ნამყო წინარეწარსული**; **ნამყო კავშირებითი**.

ნამყო სრულის მოკლე ფორმებზე მხ. რიცხვში **დგ** (resp. დუ), ხოლო მრავლობითში **დ-ეს** მარცვლის დამატებით იწარმოება **ნამყო წინარეწარსული**, ხოლო მხ. რიცხვში **და-ს(ი)**, მრ. რიცხვში **და-ნ(ი)**-ს მიმატებით – **ნამყო კავშირებითი** [ყიფშიძე, 1914, 88].

აორისტისა და ნამყო უსრულის მსგავსად, – წერს მკვლევარი, – წინარეწარსულის ფორმებს ემატება **კო** (< ოკო), მაგ., მი-ჭარგდ-კო, მრ. მი-ჭარგდესგ-კო [ყიფშიძე, 1914, 88].

„ობიექტური წყობის ზმნებს, მეცნიერის დაკვირვებით, მესამე ჯგუფის დროებში წინ ერთვის წინდებული **ნო**, მაგ.: ნო-პ-უნუე(ნ) ან ნო-პ-ვე(ნ); ნო-რ-ცუნუე(ნ) ან ნო-რ-ცვე(ნ); ნო-ცუნუე(ნ) ან ნო-ცვე(ნ)“ [ყიფშიძე, 1914, 88].

იოსებ ყიფშიძის კლასიფიკაციაში არ ჩანს **მყოფადის** წრის ნაკვთები, რომელთაც სათანადოდ, აწმყოს წრის ნაკვთებისგან მხოლოდ ზმნისწინი განასხვავებს.

ზანურ დრო-კილოთა ფორმებს ორი ძირითადი ჯგუფის სახით წარმოგვიდგენს არნ. ჩიქობავა თავის „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“:

I. აწმყოს ჯგუფი: 1. აწმყო; 2. ნამყო უსრული; 3. კავშირებითი პირველი; 4. პირობითი პირველი; 5. ნანამყოუსრულარი თურმეობითი;

II. აორისტის ჯგუფი: 1. აორისტი; 2. კავშირებითი მეორე; 3. პირობითი მეორე; 4. თურმეობითი პირველი ნააორისტალი; 5. თურმეობითი მეორე ნააორისტალი; 6. კავშირებითი მესამე; 7. მყოფადი; 8. პირობითი მესამე; 9. პირობითი მესამისგან ნაწარმოები თურმეობითი.

ორი ძირითადი დროა გამოყოფილი მეგრულშიც:

აწმყოს ჯგუფი: 1. აწმყო; 2. ნამყო უსრული; 3. კავშირებითი პირველი; 4. პირობითი პირველი;

II. აორისტის ჯგუფი: 1. აორისტი; 2. კავშირებითი II; 3. პირობითი მეორე; 4. თურმეობითი პირველი; 5. თურმეობითი მეორე; 6. კავშირებითი მესამე.

გ. როგავამ მეგრულში **ნო-პრეფიქსიანი** ფორმები ცალკე გამოყო და მათ **IV სერიის** ფორმები უწოდა [როგავა, 1953].

აქედან მოყოლებული, ნაკვთთა სისტემა მეგრულში ძირითადად 4 სერიით არის წარმოდგენილი სხვადასხვა მკვლევართან, მაგრამ სხვაობაა გამოყოფილ ნაკვთთა რაოდენობაში: მაგ., მ. მარგველაშვილი 19 ნაკვთს (მწკრივს) გამოყოფს [იხ. მარგველაშვილი, 1983], ზ. ჭუმბურიძე – 21-ს [იხ. ჭუმბურიძე, 1986], ო. ქაჯაია ასევე 21-ს [იხ. ქაჯაია, 2001]....

ზ. ჭუმბურიძეს და ო. ქაჯაიას შემდეგი მწკრივები აქვთ გამოყოფილი:

I სერია

აწმყოს წრე

1. აწმყო: ჭარუნს
2. უწყვეტელი: ჭარუნდუ
3. აწმყოს კავშირებითი: ჭარუნდას
4. აწმყოს პირობითი: ჭარუნდუკო
5. მყოფადუსრული: ჭარუნდას იი
6. პირობითუსრული: ჭარუნდუკო

მყოფადის წრე:

7. მყოფადსრული: დოჭარუნს
8. ხოლმეობითი: დოჭარუნდუ
9. მყოფადის კავშირებითი: დოჭარუნდას

10. მყოფადის პირობითი: დოქარუნდუკონ

II სერია

11. წყვეტილი: დოქარუ
12. II კავშირებითი: დოქარას
13. II პირობითი: დოქარუკონ

III სერია

14. I თურმეობითი: დუქარუ(ნ)
15. II თურმეობითი: დუქარუდუ
16. III კავშირებითი: დუქარუდას
17. III პირობითი: დუქარუდუკონ(ნ)

IV სერია

18. III თურმეობითი: ნოქარუე(ნ)
19. IV თურმეობითი: ნოქარუედუ
20. IV კავშირებითი: ნოქარუედას
21. IV პირობითი: ნოქარუედუკონ(ნ).

მ. მარგველაშვილს მწკრივთა ამ ნუსხიდან თავის სისტემაში შეტანილი არა აქვს **მყოფადუსრული და პირობითუსრული** [იხ. მარგველაშვილი, 1982].

კ. დანელია თვლის, რომ „ზანურში ზმნათა განაწილების პრინციპი მწკრივებში იგივეა, რაც ქართულში. სერია აქაც სამია. I სერიის ძირითადი მწკრივია აწმყო, II სერიისა – წყვეტილი“ [დანელია, 2006, 147].

მეგრულ-ლაზურის I სერიის მწკრივები ასეა წარმოდგენილი: აწმყო; უწყვეტელი; კავშირებითი I; პირობითი; ამის შემდეგ მოდის „ნაუწყვეტლარი თურმეობითი“, რომელიც „მხოლოდ ჭანურშია, იგი იწარმოება უწყვეტლის ფუძეზე -ერე-ს დართვით (ასეა ხოფურში) ან -დორენ-ის დართვით (ვიწურ-არქაბულში)“ [დანელია, 2006, 150].

შემდეგ წარმოდგენილია II სერიის მწკრივები: წყვეტილი, კავშირებითი II, პირობითი II, ნაწყვეტილარი თურმეობითი I, ნაწყვეტილარი თურმეობითი II, ნაწყვეტილარი კავშირებითი III, მყოფადი, პირობითი III (რომლებიც „კავშირებითი II-სგან იწარმოება“ [დანელია, 2006, 152].

„სერია აქაც სამია“, – ბრძანებს მკვლევარი, მაგრამ ერთ-ერთი თავის სათაურია „III-IV სერიის მწკრივები“ [დანელია, 2006, 156];

ცალკე მწკრივად არ არის გამოყოფილი მყოფადის წრის მწკრივები და ლაზურის შემთხვევაში ეს ლოგიკური ჩანს, რადგან აქ გაზიარებულია თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ლაზური მყოფადი აორისტის ფუძისგან იწარმოება, მაგრამ მოსალოდნელი იყო მეგრულის ნაკვთთა სისტემაში თუნდაც მყოფადის, ქართულის ანალოგიური მყოფადის ცალკე წარმოდგენა, – მით უმეტეს, თუ: „მყოფადი იწარმოება კავშირებითი II-სგან სხვადასხვაგვარად ჭანურში (მეგრულში კი ქართულისებრია, პრევერბები აწარმოებს აწმყოსგან)“ [დანელია, 2006, 154].

სამ სერიას გამოყოფს ლაზურში გ. კარტოზია [იხ. კარტოზია, 2004]. მას წარმოდგენილი აქვს მწკრივთა ორი რიგი: 1) ძველი ანუ ძირითადი (მეგრულთან საერთო) და 2) ახალი, ძირითად მწკრივებზე დაყრდნობილი (საკუთრივ ლაზური) მწკრივები. სამ სერიაში ეს მწკრივები ასეა განაწილებული:

პირველი სერია:

1. ანმყო: ჭარუფს (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმს (ვიწ.-არქ., ათინ.-ართამ.) „წერს“.
2. ნამყო უსრული: ჭარუფტუ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმტუ (ვიწ.-არქ., ათინ.-ართამ.) „წერდა“.
3. კავშირებითი I: ჭარუფტას (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმტას (ვიწ.-არქ., ათინ.-ართამ.) „წერდეს“.
4. ნანამყოუსრულარი თურმეობითი: ჭარუფტერენ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმტუდორენ (ვიწ.-არქაბ., ათინ.-ართამ.) „წერდა თურმე“.
5. პირობითი I: ჭარუფტუკონ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუმტუკონ (ვიწ.-არქ., ათინ.-ართამ.) „ეწერა, რომ ეწერა“
6. მყოფადი I: (რ)ტასუნონ (ხოფ.-ჩხალ.) || (რ)ტასენ (ვიწ.-არქ.) || ორტასენ (ათინ.-ართამ.) „იქნება“
7. მყოფადი I-ის ნამყო: (რ)ტასუნტუ (ხოფ.-ჩხალ.) || ტასტუ (ვიწ.) || ორტასერტუ (ათინ.-ართამ.) „იქნებოდა“.

მეორე სერია:

1. აორისტი: დოჭარუ „(და)წერა“.
2. კავშირებითი II: ჭარას „წეროს“.
3. ნააორისტალი თურმეობითი I: ჭარელერენ || ჭარეენ || ჭარელენ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუდორენ (ვიწ.-არქ.) „დაუწერია“.
4. ნააორისტალი თურმეობითი II: ჭარელერეტუ || ჭარეეტუ || ჭარელეტუ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარუდორეტუნ (ვიწ.-არქ., ათინ.-ართამ.) „დაეწერა, დაწერა“.
5. ნააორისტალი კავშირებითი: ჭარელერეტას/ჭარეეტას/ ჭარელეტას (ხოფ.-ჩხალ.) „ეწეროს“.
6. პირობითი II: ჭარუკონ (ათინ.-ართამ., ვიწ., ჩხალ.) „ეწერა, რომ ეწერა“.
7. მყოფადი II: ჭარასუნონ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარასენ (ვიწ.-არქაბ., ათინ.-ართამ.) „დაწერს, უნდა დაწეროს“.
8. მყოფადი II-ის ნამყო: ჭარასუნტუ (ხოფ.-ჩხალ.) || ჭარატუ (ხოფ., ვიწ.-არქაბ.) || ჭარასერტუ (ათინ.-ართამ.) „დაწერდა, უნდა დაეწერა“.
9. ნააორისტალი თურმეობითის პირობითი: ჭარელერეტუკონ || ჭარეეტუკონ (ხოფ.) „დაეწერა“.
10. მყოფადის ნამყოს თურმეობითი: ჭარასუნტერენ (ხოფ.) || ჭარატუდორენ (არქ.) „უნდა დაეწერა თურმე“.
11. მყოფადის ნამყოს პირობითი: ჭარატუკონ (ხოფ., არქ.) „ეწერა“.

მესამე სერია:

1. ინვერსიული თურმეობითი I: უჭარუნ „უწერია“.
2. ინვერსიული თურმეობითი II: უჭარუტუ „ეწერა“.
3. კავშირებითი III: უჭარუტას „ეწეროს“.

4. პირობითი III: უჭარუტუკო(ნ) „ეწერა, რომ ეწერა“ [კარტოზია, 1993, 386-387].

აზრთა სხვადასხვაობა სპეციალურ ლიტერატურაში ზმნურ ფორმათათვის სათანადო კვალიფიკაციის მიცემისას, – ეს იჩენს თავს ნაკვთთა სისტემის ოპტიმიზაციისას. მაგრამ თუკი ეს საკითხი ასე თუ ისე დამაკმაყოფილებლად არის გადაწყვეტილი მეგრულისთვის (სადაც სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად განიხილავს ზოგიერთი ზმნური ფორმის გრამატიკული კვალიფიკაციის საკითხს), გვეჩვენება, რომ გაცილებით რთული ვითარებაა ლაზურში, სადაც რიგი საკითხებისა, ასე ვთქვათ, ტრადიციულისგან განსხვავებულ მიდგომასა და ანალიზს საჭიროებს.

II.7.2. ნაკვთის (მწკრივის) გრამატიკული სტატუსის საკითხი.

რა არის ნაკვთი (მწკრივი)? ძირითადი ვარიანტები ამ კითხვის პასუხად ასეთია:

ნაკვთი ზმნის ფუნქციონირების (ენაში ზმნის არსებობისა და გამოყენების) ფორმაა [ჯორბენაძე, 1984, 17].

არნ. ჩიქობავას აზრით, „ნაკვთი ტექნიკური ტერმინია“ [ჩიქობავა, 1948, 8].

ა. შანიძე იმავე მორფოლოგიური მონაცემისთვის იყენებს ტერმინს „მწკრივი“, მხოლოდ ეს უკანასკნელი მისთვის რთული კატეგორიაა („ზეკატეგორია“) [შანიძე, 1973, 236].

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ ნაკვთი მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად, ამიტომ ვერ იქნება იგი გრამატიკული კატეგორია („უფუნქციო კატეგორია“ არ არის კატეგორია), ისევე, როგორც გრამატიკულ კატეგორიას არ გულისხმობენ ტერმინები „ბგერა“, „მარცვალი“, „ხმოვანი“, „ფუძე“ [ჩიქობავა, 1948, 8]; მორფოლოგიური კატეგორია სათანადო აფიქსებით უნდა იქნეს წარმოდგენილი და არა ფუძის მნიშვნელობით. ამა თუ იმ ფაქტის მორფოლოგიურ კატეგორიად მიჩნევას მორფოლოგიური ნიშნის ქონა-უქონლობა წყვეტს [ჩიქობავა, 1952, 267].

ვ. თოფურიას აზრით, მწკრივს არ გააჩნია გრამატიკული კატეგორიის არც ფუნქცია და არც ფორმა, ხოლო მწკრივის საწარმოებელ ნიშნებად მიჩნეული სუფიქსები (-ა, -ე, -ო, -ი...) დროის, კილოსა და ჯერობის მაწარმოებელი აფიქსებია [თოფურია, 1956].

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინებს – „ნაკვთი“ და „მწკრივი“ სხვადასხვა დატვირთვა აქვს, ისინი მაინც სინონიმურ ტერმინებად გაიგება, რაც, ჩვენი აზრით შემთხვევითი არ არის, იმდენად, რამდენადაც ორივე იხმარება ერთი და იმავე მორფოლოგიური მონაცემის (უღვლების ერთეულის) აღსანიშნავად. ვთქვათ, რომელიმე (და)წერა არის წყვეტილის ნაკვთის ან მწკრივის ფორმა.

სანამ ნაკვთის გრამატიკული სტატუსის საკითხს შევეხებოდეთ, ორიოდ სიტყვა ზოგადად კატეგორიის არსის შესახებ:

ენობრივი კატეგორია ფართო გაგებით – ეს არის ნებისმიერი ჯგუფი ენობრივი ელემენტებისა, რომელიც გამოიყოფა რომელიმე საერთო ნიშნის საფუძველზე; არაიშვიათად, კატეგორიის ტერმინს ხმარობენ აღნიშნული ნიშნის (პარამეტრის) ერთ-ერთი მნიშვნელობისთვის [ლელ, 1990, 215]. გაკის მიხედვით, გრამატიკულ კატეგორიას გრამატიკული ფორმისა და გრამატიკული მნიშვნელობის ერთობა ქმნის [გაკვი, 1986].

ბონდარკოს დეფინიციით, გრამატიკული კატეგორიის გამოხატულების პლანი სისტემურად ორგანიზებული გრამატიკული საშუალებებია [ბონდარკო, 1976, 30].

საერთო აზრით, კატეგორიის საფუძველი ოპოზიციურ ფორმათა რელაციაა.

მორფოლოგიური ოპოზიცია გრამატიკული მნიშვნელობის მიხედვით დაპირისპირებას ემყარება. ამდენად, მორფოლოგიური ოპოზიცია პირველ რიგში პარადიგმატული ცნებაა [ნებიერიძე, 1991, 213].

ა. შანიძის მიხედვით, „ცნება, რომლის გამოსახატავად ენას მოეპოვება გარკვეული გრამატიკული საშუალება, წარმოადგენს გრამატიკულ კატეგორიას. გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს მორფოლოგიური ან სინტაქსური. მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება თანაზომიან ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე; ასეთებია: ა) სახელებში: ბრუნვა და რიცხვი; ბ) ზმნებში: პირი, რიცხვი, დრო, კილო, მწკრივი, ასპექტი, გვარი, ქცევა და სხვ.“ [შანიძე, 1980, 34].

აქვე საუბარია იმაზე, რომ „თვითეული საპირისპირო ფორმა თავისთავად კატეგორიაა; რიცხვში ვარჩევთ მხოლობითისა და მრავლობითის კატეგორიას; პირში ვარჩევთ ერთი მხრით სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის კატეგორიას, მეორე მხრით კი პირველისა, მეორისა და მესამე პირისას [იქვე, 340].

აღსანიშნავია, რომ სხვაგან ამ სახის „კატეგორიებს“ „ქვეკატეგორიებს“ უწოდებენ [იქვე, 381].

კონტაქტის კატეგორიას ა. შანიძე სულაც „ზეკატეგორიის“ კვალიფიკაციას ანიჭებს: „საშუალება მომეცა, – წერს იგი, – დამედგინა ზე-კატეგორია კონტაქტისა, რომელიც ეყრდნობა ორ ქვეკატეგორიას: უშუალოსა და შუალობითს, ანუ იმედიატსა და მედიატს“ [შანიძე, 1980, 016].

„პირის რომლობა, ავტორის განმარტებით, გულისხმობს სამ ქვეკატეგორიას: 1-ლ პირს, მე-2-სა და მე-3-ს. მეორე მხრით გვაქვს გაგება ვითარებისა ანუ როგორობისა, რაც ორ ქვეკატეგორიას გულისხმობს: სუბიექტისას და ობიექტისას“ [იქვე, 381].

ამგვარად, ა. შანიძე ტერმინ „კატეგორიასთან“ ერთად ხმარობს ტერმინებს – „ზეკატეგორია“ და „ქვეკატეგორია“. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ „ზეკატეგორია“ სხვა არაფერია, თუ არა „ჩვეულებრივი კატეგორია“, ხოლო „ქვეკატეგორია“ ოპოზიციურ სისტემაში შემავალი წევრების აღსანიშნავად გამოიყენება.

თუ ტრადიციული (და საყოველთაოდ მიღებული) დეფინიციიდან ამოვალთ, რომლის მიხედვითაც ზოგადად გრამატიკული კატეგორია ოპოზიციურ ფორმათა რელაციის საფუძველზე გამოიყოფა, მაშინ ასეთსავე პრინციპზე უნდა იყოს დამყარებული „ქვეკატეგორიაც“, არადა, ამის თქმა გაჭირდება (ვთქვათ, კონტაქტის შემთხვევაში – მის ქვეკატეგორიებად მიჩნეულ უშუალოსა და შუალობითის სახეობებს საკუთრივ არ გააჩნიათ ოპოზიციური ცალეები, რაც იქნებოდა მათთვის ამგვარი სტატუსის მიმნიჭებელი).

მარტივი ლოგიკის მიხედვით, ნებისმიერი A სიდიდე, რომელიც B და C მონაცემების ჯამს წარმოადგენს, არ შეიძლება ამავე დროს ერთ-ერთ ამ მონაცემს უდრიდეს: თუ $A = B + C$, მაშინ A არ შეიძლება უდრიდეს B-ს, ისევე როგორც არ შეიძლება უდრიდეს C-ს. ამავე ლოგიკით, საფუძველს მოკლებული ჩანს მსჯელობა, ვთქვათ, მოთხრობითი ბრუნვის კატეგორიაზე, მხოლობითი რიცხვის, ვნებითი გვარის, სათავისო ქცევის, კაუზატივის და ა. შ. კატეგორიებზე.

რა უდევს საფუძველად გვარის კატეგორიის გამოყოფას? – მოქმედებითის, ვნებითისა და საშუალის ფორმათა სისტემის არსებობა;

ქვევის კატეგორიის გამოყოფის საფუძველია სასუბიექტო, საობიექტო და ნეიტრალური ფორმების ოპოზიციური სისტემა;

პირის კატეგორიაზე ლაპარაკის საფუძველს იძლევა პირველი, მეორე და მესამე პირის ფორმათა სისტემის არსებობა;

მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა სისტემა რიცხვის კატეგორიის გამოყოფის საფუძველია და ა. შ.

ნაკვთი ისევე არ შეიძლება ჩაითვალოს გრამატიკულ კატეგორიად, როგორც ბრუნვა. ბრუნვა ბრუნების კატეგორიის რელაციური (სამიმართებო) ერთეულია, ნაკვთი (მწკრივი) – უღლების კატეგორიისა.

სახელი ფორმაცვალებადი სიტყვაა. ნებისმიერი სახელი 7 შეპირისპირებული, ოპოზიციური ფორმიდან (კაც-ი, კაც-მა, კაც-ს, კაც-ის, კაც-ით, კაც-ად, კაც-ო) ერთ-ერთის სახით შეიძლება შეგვხვდეს (ფორმათა რაოდენობის საკითხი ამ შემთხვევაში პრინციპული არ არის, მთავარია, ერთზე მეტი ფორმა გვექონდეს). ამ განსხვავებულ ფორმათა ერთობლიობა (სისტემა) ბრუნების კატეგორიის საფუძველია.

აუცილებელი გვეჩვენება ტერმინების – „ბრუნება“ და „ბრუნვა“ დიფერენცირება: „ბრუნება“ არის ზოგადად კატეგორიის (შდრ. უღლება), „ბრუნვა“ კი ამა თუ იმ კონკრეტული ფორმის აღმნიშვნელი ტერმინი, „ტექნიკური ტერმინი“. ამ მხრივ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტერმინოლოგიური დაზუსტების საჭიროება შეიმჩნევა. მაგ., გ. ნებიერიძე წერს: „ბრუნვის აღმნიშვნელი მორფემები... ბრუნვის კატეგორიაში გაერთიანდება“ [ნებიერიძე, 1991, 186]; იმავე გვერდზე კი უკვე „ბრუნების კატეგორიაზე“ საუბარი: „ბრუნება, როგორც სახელისთვის დამახასიათებელი კატეგორია, გამოხატავს გრამატიკულ, პოსესიურ და ლოკალურ მნიშვნელობებს“.

უღლება ზმნის მორფოლოგიაში იმავე რიგის მოვლენაა, რაც სახელთა მორფოლოგიაში ბრუნება [ჯორბენაძე, 1984, 17]. შეიძლება განვაზოგადოთ: ნაკვთი ზმნის მორფოლოგიაში იმავე რიგის მონაცემია, რაც სახელთა მორფოლოგიაში ბრუნვა.

როგორც სახელი არ არსებობს წმინდა ფუძის სახით (ყოველთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმითაა მოცემული), ასევე ზმნა არ არსებობს წმინდა ფუძის სახით (ყოველთვის ამა თუ იმ ნაკვთის ფორმითაა წარმოდგენილი [იხ. უთურგაიძე, 1983, 10]).

ნებისმიერი ზმნა პოტენციურად არსებული ფორმებიდან ერთ-ერთის სახით შეგვხვდება (ფორმათა რაოდენობის საკითხი, ცხადია, არც ამ შემთხვევაშია პრინციპული, მთავარია, ერთზე მეტი ფორმა გვექონდეს). ამ განსხვავებულ ფორმათა ერთობლიობა უღლების კატეგორიის საფუძველია.

ამდენად, უღლება ზოგადად კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინია, ნაკვთი კი ამა თუ იმ კონკრეტული ზმნური ფორმის აღმნიშვნელი ტერმინი (ამ თვალსაზრისით, ვთქვათ, წყვეტილის ნაკვთი იგივე მორფოლოგიური ოდენობა იქნება, რაც არის მოთხრობითი ბრუნვა; უბრალოდ, ესენი სხვადასხვა ოპოზიციური სისტემის წევრები არიან).

თანაზომიანი ჰომოგენური ზმნური ფორმების შეპირისპირება უღლებას, როგორც კატეგორიას გამოგვაცოფინებს. ოპოზიციური რელაციის წევრი რომელიმე |გა|აკეთა ფორმის გრამატიკული (მორფოლოგიური) სახელდება არის წყვეტილის ნაკვთის (მწკრივის) ფორმა და მისი ეს სახელდება ამავე დროს ვერ იქნება კატეგორია; ანალოგიურად: ოპოზიციური რელაციის წევრი რომელიმე სახლმა ფორმის გრამატიკული (მორფოლოგიური) სახელი არის მოთხრობითი ბრუნვის ფორმა და მისი ეს სახელდებაც ასევე ვერ იქნება კატეგორია.

სხვაგვარად: კონკრეტული ბრუნვის ფორმა ოპოზიციური რელაციის წევრია და, ამდენად, ის ბრუნების, როგორც კატეგორიის გამოყოფის საფუძველთაგანია; ასევე: კონკრეტული ნაკვთის (მწკრივის) ფორმა სხვა სისტემის ოპოზიციური რელაციის წევრია და, ამდენად, იგი უღლების, როგორც კატეგორიის გამოყოფის საფუძველთაგანია.

თუ ვმსჯელობთ კატეგორიაზე, უნდა ვიმსჯელოთ **უღლების კატეგორიაზე** და არა ნაკვთისა თუ მწკრივის კატეგორიაზე.

თითოეული ნაკვთის ფორმა გარკვეულ გრამატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს.

მაგრამ რა საშუალებებით ხდება ამ მნიშვნელობათა გამოხატვა?

„ფორმალური ნიშანი მოეპოვება მწკრივს და ამის საფუძველზე ის მორფოლოგიურ კატეგორიად უნდა ჩაითვალოს, ხოლო დრო (ასევე კილო) ფორმალური ნიშნით არ არის გამოხატული და მორფოლოგიურ კატეგორიას არ წარმოადგენს, – ის სემანტიკური კატეგორიაა და მწკრივის, როგორც ფორმოზრივი ერთეულის ძირითად სემანტიკურ მახასიათებელს წარმოადგენს“, – წერს ზ. ჭუმბურიძე [ჭუმბურიძე, 1990, 196-197].

რა შეიძლება ითქვას ამ პოზიციასთან დაკავშირებით? – ის, რომ ფორმალური ნიშანი მოეპოვება მწკრივს (მოეპოვება ბრუნვას), მაგრამ ეს ნიშანი ამა თუ იმ მწკრივს (ამა თუ იმ ბრუნვას) მოეპოვება სხვა მწკრივის (სხვა ბრუნვის) ფორმალურ ნიშნებთან მიმართებით (ნულიც ნიშნის ფუნქციას ასრულებს), – ამიტომ კატეგორია გვაქვს არა მაშინ, როდესაც „ფორმალური ნიშნის“ მქონე მწკრივი (ბრუნვა) გვაქვს, არამედ მაშინ, როდესაც გვაქვს ფორმალური ნიშნების მქონე მწკრივთა (ბრუნვათა) სისტემა, ერთობლიობა (რომელიც, სულ ცოტა, ორი წევრისაგან მაინც შედგება).

სხვაგვარად: ვთქვათ, ქცევის კატეგორიაზე მსჯელობის საფუძველი არის სასუბიექტო ქცევის მარკირება, საობიექტო ქცევის ასევე მარკირება და ქცევის თვალსაზრისით ნეიტრალური ფორმების არსებობა; ამ სამი სხვადასხვა სახის გრამატიკულ შინაარსს სპეციფიკური გამოხატვის პლანი აქვს. ქცევის კატეგორიაზე ვმსჯელობთ არა იმიტომ, რომ, ვთქვათ სათავისო ქცევას აქვს ფორმალური ნიშანი, ან სასხვისო ქცევას აქვს ფორმალური ნიშანი, არამედ იმიტომ, რომ გვაქვს სათავისო, სასხვისო და საარვისო ქცევის გრამატიკული შინაარსის სისტემური გამოხატვა მორფოლოგიური საშუალებებით: **შინაარსობრივი გარჩევადობა ფორმალური გარჩევადობითაა მიღწეული.**

ყველა ნაკვთს აქვს თავისი ფორმა. ამ ფორმას ქმნის მორფოლოგიურ ელემენტთა გარკვეული კომბინაცია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ აწმყოს ნაკვთი ფორმოზრივად განსხვავდება აორისტისა თუ თურმეობითისგან, უწყვეტელი – მყოფადისგან, მყოფადი – კავშირებითი მეორისგან და ა. შ.

სხვაგვარად: ზმნის მორფემულ ჯაჭვში სუფიქსურ მორფემათა რიგი (სერიების ფუძეთა მაწარმოებლები + უწყვეტლის მაწარმოებელი + კავშირებითი და პირობითი კილოს მაწარმოებლები) ემსახურება დრო-კილოთა სხვადასხვაგვარ კომბინაციათა **ფორმალიზებას... მწკრივები გამოიყოფა კომპლექსური ფორმალური ნიშნების საფუძველზე**, რომელთა ხასიათი უფრო ფლექსიურ პრინციპს მისდევს: ერთი და იგივე მარკერი გამოხატავს რამდენიმე მნიშვნელობას და, პირიქით, ერთი მნიშვნელობა გამოიხატება მორფემათა გარკვეული კომბინაციით [ასათიანი, 2011, 43].

უღლების მორფოლოგიური კატეგორია გრამატიკული მნიშვნელობების მორფოლოგიური გამოხატვის საფუძველზე არსებობს.

ადვილია ბრუნების კატეგორიის გამოყოფის საფუძველზე მსჯელობა; ასევე ადვილია ზმნის კატეგორიებიდან პირის, გვარის, კონტაქტის, ქცევის კატეგორიებზე მსჯელობა.

გაცილებით რთულია იმ გრამატიკული მნიშვნელობების ფორმალურ ნიშნებზე მსჯელობა, რომელთაც მწკრივთა სისტემა მოიცავს.

როგორც ჩანს, **მორფოლოგიური ნიშნის ფუნქცია უნდა ენიჭებოდეს ზმნურ ერთეულთა ყალიბს, სტრუქტურას.** ფაქტია, რომ ეს არის მოწესრიგებული სისტემა.

მწკრივთა წარმოება ფუძეთა წარმოებაა. ქართულში სულ გვაქვს განსხვავებული 11 ფუძე (აკაკი შანიძის მიხედვით), **სტრუქტურულად განსხვავებული 11 მწკრივი (ნაკვთი).** სწორედ ეს არის არსებითი: **გრამატიკული მნიშვნელობები დაკავშირებულია გამოხატვის გარკვეულ სპეციფიკასთან, გარკვეულ გრამატიკულ წესთან.**

11 მწკრივი თუ ნაკვთი (თუ კიდევ სხვა რამე) რომ გვაქვს, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს **11 კატეგორია.**

11 მწკრივი თუ ნაკვთი რომ გვაქვს, ეს ნიშნავს, რომ გვაქვს 11 **განსხვავებული ფორმა**, რის საფუძველზეც შეიძლება მსჯელობა **უღლების კატეგორიაზე.**

11 მწკრივი თუ ნაკვთი რომ გვაქვს, სწორედ ეს არის **უღლების კატეგორიის საფუძველი:** ისევე როგორც 7 ბრუნვა, 7 ბრუნვის ფორმა არის **ბრუნების კატეგორიის საფუძველი.**

როგორც სახელს აქვს ბრუნების კატეგორიის **პარალელურად** (მასთან ერთად) სხვა კატეგორიები – მორფოლოგიური კატეგორია (რიცხვისა) და სემანტიკური (ვინ ჯგუფის, რა ჯგუფის, სულიერთა და უსულოთა...), ასევე ზმნასა აქვს უღლების კატეგორიის **პარალელურად** (მასთან ერთად) სხვა კატეგორიები: **მორფოლოგიური** (რიცხვის, გვარის, ქცევის, კონტაქტის, ასპექტის...) და სემანტიკური (დროის...); ანუ: კონკრეტული ნაკვთით (მწკრივით) წარმოდგენილი ზმნური ფორმა შეიძლება დახასიათდეს სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით, სხვადასხვა მიმართებით, სხვადასხვა გრამატიკულ ჭრილში.

სახელთან შედარებით ზმნას შეუძლია გაცილებით მეტ ოპოზიციურ კომბინაციაში მიიღოს მონაწილეობა. ნებისმიერი ზმნა განიხილება სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით, – **უღლების კატეგორიის მიხედვით ეს იქნება ამა თუ იმ ნაკვთის (მწკრივის) ფორმა**, პირის კატეგორიის მიხედვით – **ამა თუ იმ პირის ფორმა**, რიცხვის კატეგორიის მიხედვით – **ერთ-ერთი რიცხვის ფორმა**, სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის კატეგორიის მიხედვით, – **აქტივისა თუ პასივის ფორმა**, კუთვნილება-დანაშინულების კატეგორიის მიხედვით – **სასუბიექტო, საობიექტო და ნეიტრალური ქცევისა და ა. შ.**

შეიძლება დავასკვნათ: **ბრუნება** – ეს არის სახელის ცვლილება ბრუნვათა მიხედვით. სწორედ ამგვარი **ცვლილებაა ბრუნების კატეგორიის საფუძველი.**

უღლება – ეს არის ზმნის ცვლილება ნაკვთების (მწკრივების) მიხედვით. სწორედ ამგვარი **ცვლილებაა უღლების კატეგორიის საფუძველი.**

ბრუნვა ბრუნების კატეგორიაში მოაზრებული ფორმალური ოპოზიციური რელაციის (მიმართებების) ერთეულია.

ნაკვთი უღლების კატეგორიაში მოაზრებული ფორმალური ოპოზიციური რელაციის (მიმართებების) ერთეულია.

ფორმალური რელაცია, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ ამ რელაციას ფუნქციური დატვირთვა აქვს (ანუ: როდესაც ვმსჯელობთ ფორმაზე, მხედველობაში გვაქვს არა აბსტრაქტული, განყენებული ფორმა, არამედ შინაარსის ფორმა). სხვა შემთხვევაში საერთოდ კატეგორიაზე საუბარს ნიადაგი ეცლება.

ნაკვთთა სისტემა ზანურში, ქართულის კვალობაზე, წარმოების პრინციპის და არა ფუნქციური პლანის გათვალისწინებითაა წარმოდგენილი. საერთოდ, „ნაკვთების წარმოება, როგორც ფუძეთა წარმოების ერთი ტიპი, მოითხოვს იმის გარკვევას, **რისგან იწარმოება ესა**

თუ ის ნაკვთი და რით (რა თავსართ-ბოლოსართების მეშვეობით) იწარმოება იგი. რაც შეეხება ნაკვთის ფუნქციას, აქ საჭიროა იყოს გათვალისწინებული ნაკვთის სემანტიკურ-სტილისტიკური შინაარსი, ერთი მხრივ, და სინტაქსური მხარე, ე. ი. კონსტრუქცია, რომელსაც ნაკვთი მოითხოვს. სემანტიკური თვალსაზრისით ნაკვთის შესწავლა რთულ ვითარებას ამჟღავნებს; ერთი რომელიმე ფუნქციით ნაკვთის დახასიათება, რა თქმა უნდა, მით უფრო შეუძლებელია... ნაკვთების წარმოება არის ფუძეთა წარმოება და, მაშასადამე, ნაკვთების სისტემაში ამა თუ იმ ნაკვთმა ის ადგილი უნდა დაიკავოს, რაც მას ეკუთვნის წარმოების თვალსაზრისით“ [ჩიქობავა, 1962, 102].

ნაკვთთა სისტემის აგებისას სწორედ წარმოების მომენტია არსებითი და მნიშვნელოვანი. ამდენად, ამ შემთხვევაში, საჭიროა წმინდა ფორმალური თვალსაზრისით განხილვა უღლების ერთეულებისა, მათი ურთიერთმიმართებებისა და ზოგადი თავისებურებებისა, კანონზომიერებების დადგენით საერთო სურათის წარმოჩენა.

ყოველივე ეს არ ნიშნავს, თითქოს საკითხის ასე დაყენება გამორიცხავდეს ან კრძალავდეს ფუნქციურ ანალიზს. ამგვარი ანალიზი დროდადრო უბრალოდ აუცილებელია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ ნაკვთის კვალიფიკაციის განსხვავებული გააზრება საჭიროებს ახალი არგუმენტით გამყარებას, ეს ახალი არგუმენტები კი სწორედ ფუნქციურ კვლევას, სიღრმისეულ დონეებზე გასვლას გულისხმობს.

ამა თუ იმ ნაკვთის ფორმა სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტებისაგან შედგება, როგორცაა: პირისა და რიცხვის აფიქსები, ზმნისწინი, თემა, თემის ნიშანი, სავრცობი, ნაკვთის მაწარმოებელი აფიქსები. შეიძლება ერთდროულად ყველა ელემენტი იყოს ფორმაში წარმოდგენილი (მაგ., მეგრ. დო-ხანტ-უნ-დ-ა-ს [ქართ. და-ხატ-ავ-დ-ე-ს], მაგრამ ამ ელემენტთა რაოდენობა არ შეიძლება ორზე ნაკლები იყოს; მაგ., მეგრ. ხანტ-უ [ქართ. ხატ-ა] ორელემენტისანი ფორმაა. ზმნის ფუძე (ვთქვათ, დო-ხანტ-უნ-დ-ა-) პირისა თუ რიცხვის აღმნიშვნელი ელემენტების დამატებისას ზმნის ახალი საუღლებელი ერთეული, ახალი ნაკვთის ფორმა ხდება: დო-ხანტ-უნ-დ-ა- – დო-ხანტ-უნ-დ-ა-ს, და-ხატ-ავ-და- – და-ხატ-ავ-დ-ე-ს.

ბოლოს, ორიოდ სიტყვით ტერმინების შესახებ: ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ნაკვთი და მწკრივი „ტექნიკური“ ტერმინებია. ამ და სხვა სინონიმურ ტერმინთაგან უპირატესობას არ ვანიჭებთ არცერთს.

სიტუაციის მიხედვით, შეიძლება თანაბრად გამოვიყენოთ როგორც უწყვეტილი, ისე ნამყო უსრული, აორისტი და წყვეტილი და ა. შ., – ანუ, ტრადიციულ გრამატიკაში უკვე კარგად დამკვიდრებულ ტერმინთაგან არცერთს არ ვუკრძალავთ არსებობის უფლებას (ცხადია, თუკი ამა თუ იმ ტერმინის გამოყენება არსებითი ხასიათის დისკომფორტს არ ქმნის ანალიზისას).

II.7.3. პირის აფიქსთა სისტემა მეგრულ-ლაზურში.

პირისა და რიცხვის გამომხატველი აფიქსები ზმნის ფორმის ელემენტებია.

პირის აფიქსთა სისტემა ზანურში ასე წარმოგვიდგება:

სუბიექტური პირის ნიშნები:

მეგრული:

მხოლ.	მრავლ.
ვ- (ბ-//ფ-//პ-//მ-)	-თ
0 (ნოლი)	-თ
-ნ, -ს (//ც), -უ (-გ//0[ნოლი])	-ან, -ეს

ლაზური:

მხოლ.	მრავლ.
ვ- (ბ-//ფ-//პ-//მ-)	-თ
0 (ნოლი)	-თ
-ნ, -ს//გ, -უ	-ან, -ეს

ობიექტური პირის ნიშნები:

მეგრული:

მხოლ.	მრავლ.
მ- (ბ-//პ-//ფ-)	-ან, -ეს, -თ
გ- (//რ-)	-ან, -ეს, -თ
0 (ნოლი)	-ან, -ეს

ლაზური:

მხოლ. მრავლ.	
მ- (ბ-//პ-//ფ-)	-ან, -ეს, -თ
გ-	-ან, -ეს, -თ
0 (ნოლი)	-ან, -ეს

ზმნის ფორმის ანალიზისას გასათვალისწინებელია ის მორფონოლოგიური წეს-ცვლილებები და კანონზომიერებები, რაც გვხვდება პირის აფიქსებთან დაკავშირებით:

ჩვეულებრივ, ვ- ხმოვნის წინა გვაქვს (სენაკურში თანხმოვნის წინაცაა); თანხმოვნის წინ ვ- > ბ-//ფ-//პ-//მ-: როგორც წესი, მჟღერებთან ბ- გვაქვს, ყრუ მკვეთრებთან – პ-, ყრუ ფშვინვიერებთან – ფ-, ხოლო ნ-ს წინ – მ-: ვ-გორუნქ > ბ-გორუნქ, ვ-ჭარუნქ > პ-ჭარუნქ, ვ-შუნქ > ფ-შუნქ, ვ-ნატრენქ > მ-ნატრენქ;

როცა ვ- პრეფიქსს ი- ხმოვანპრეფიქსი მოსდევს, ჩვეულებრივია პირის ნიშნის გაინფიქსება: ვ-ი-ჭარუნქ > ი-პ-ჭარუნქ... ვ-ი-რძლუქ > ი-ბ-რძლუქ...

ასევე ხდება ვ-სა და მისი ალომორფების გაინფიქსება იმ შემთხვევაში, თუ ზმნის ფუძე ბ, ფ, პ, მ თანხმოვნებით იწყება: ვ-მუშენქ > მუ-ფ/ვ-შენქ, ვ-პუტორუნქ > პუ-პ-ტორუნქ, ვ-ბარდუნქ > ბა-ბ-რდუნქ...

ამ ორი წესის რეალიზაციის საფუძველზე უფრო რთული ფონეტიკური პროცესი (ორმაგი მეტათეზისი) ხორციელდება: ვ-ი-ვარანქ > ი-ბ-ვარანქ > ი-ვ-ა-ბ-რანქ...

ვ- იკარგება იმ შემთხვევაში, როცა მას უ ხმოვანი მოსდევს: ვ-უჭარუნქ > უჭარუნქ, ვ-ურჩქ-ილექ > ურჩქ-ილექ...

ზოგჯერ ვ-/ზ უ- ხმოვნის შემდეგ გადაჯდება: ვ-უქვენქ > უფქვენქ, და-ზ-უჩორებექ > და-უ-ზ-ჩორებექ...

სონორების მომდევნო პოზიციაში მესამე პირის -ს სუფიქსი აფრიკატიზაციას განიცდის: -ს > -ც: ჭარუნ-ს > ჭარუნ-ც, იგარ-ს > ინგარ-ც...

ზუგდიდურ-სამურზაყანოულში უმახვილო -უ > -გ: დოჭარ-უ > დოჭარ-გ, ჭარუნდ-უ > ჭარუნდ-გ.

აბსოლუტურ ბოლოში -უ სუფიქსი შეიძლება საერთოდაც დაიკარგოს: დოჭარ-უ > დოჭარ-გ > დოჭარ.

აუსლაუტში მესამე სუბ. პირის -ნ სუფიქსი იკარგება: ღურუ-(ნ), ხე-(ნ)... საკმარისია ბოლოში ხმოვანი დაერთოს ზმნის ფორმას, რომ -ნ აღდგება: ღურუ-ნ-ო? ხე-ნ-ო?

იკარგება მრავლობით რიცხვში სუბიექტური პირის აღმნიშვნელი -ან სუფიქსის თანხმოვანი: ჭარუნ-ა(ნ), ხანტუნ-ა(ნ)... ხმოვნის წინა პოზიციაში -ნ აქაც აღდგება: ჭარუნ-ან-ო? ხანტუნ-ან-ო?

იკარგება მრავლობითში სუბიექტის აღმნიშვნელი -ან სუფიქსის ხმოვანი (-ან > -ნ) კავშირებითებში მწკრივის ნიშნის (ა-ს) გავლენით: ჭარუნდ-ა-ან > ჭარუნდ-ა-ნ, ჭარ-ა-ან > ჭარ-ა-ნ...

სუბიექტური პირის ნიშანთა განაწილების წესი ასეთია:

-ნ გვხვდება გარდაუვალ ზმნებში (აწმყო – იჭარუ-(ნ), მყოფადი – დიჭარუ-(ნ), I თურმეობითი – დოჭარე-(ნ), III თურმეობითი – ნოჭარუე-(ნ), ასევე გარდამავალი ზმნების I და IV სერიაში (დეჭარუ-(ნ), ნოჭარუე-(ნ));

-ს გარდამავალი ზმნების აწმყო-მყოფადში გვხვდება (ჭარუნ-ს – დოჭარუნ-ს);

-უ სუფიქსი – ყველა ზმნის წარსულ დროში (ჭარუნდ-უ...);

-ა(ნ) სუფიქსი გამოიყენება მაშინ, როცა მხოლოდობითი მესამე სუბ. პირის ნიშანი არის -ნ ან -ს: ხე-(ნ) – ხე-ნ-ან-ია, შუნ-ს/ც – შუნ-ან-ია...

-ეს სუფიქსი გვაქვს მაშინ, როცა მხოლოდობითი მესამე სუბ. პირის ნიშანი არის -უ: დოჭარუ – დოჭარეს...

ობიექტური პირის გამომხატველ აფიქსებთან დაკავშირებით შემდეგი წესებია გასათვალისწინებელი:

მ- პრეფიქსი ხმოვნების წინაა, თანხმოვნებთან კი – ბ-, პ-, ფ- [მჟღერებთან – ბ [მ-გორუნს > ბ-გორუნს], ყრუ მკვეთრებთან – პ- (მ-კითხუ > პ-კითხუ), ყრუ ფშვინვიერებთან – ფ (მ-თხულენს > ფ-თხულენს)];

გ- პრეფიქსი ხმოვნების წინა პოზიციაშია მეგრულში (მ-იხანტუნს), რ- კი თანხმოვნების წინ (გ-ხანტუნს > რ-ხანტუნს).

ხმოვნებს შორის პოზიციაში გ- იკარგება: ვა-გ-იხანტუნქ > ვაიხანტუნქ...

მრავლობითის -ან სუფიქსი სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში, წესისამებრ, თანხმოვანს კარგავს, მაგრამ აღიდგენს იმ შემთხვევაში, თუ მის მომდევნოდ ხმოვანი დაერთვის ფორმას (ფხანტუნ-ან > ფხანტუნ-ა > ფხანტუნ-ან-ო).

ობიექტთა მრავლობითობა სუბიექტის მესამე და მეორე პირის მრავლობითობის სუფიქსებით აღინიშნება.

ა) პირდაპირი წყობის შემთხვევაში პირველი და მეორე ობიექტური პირის მრავლობითობა აღინიშნება, მესამე პირის მრავლობითობა – არა (ფხანტუ თიქ მა – ფ-ხანტ-ეს თიქ ჩქ-ი; რ-ხანტუ თიქ სი – რ-ხანტ-ეს თიქ თქვა; ხანტუ თიქ თინა – ხანტუ თიქ თინეფი).

ბ) თუ ზმნა ინვერსიულია, სამივე პირის მრავლობითობა აღინიშნება (ფ-შუ-(ნ) მა თინა – ფ-შუ-ნ-ა(ნ) ჩქ-ი თინა; რ-შუ-(ნ) სი თინა – რ-შუ-ნ-ა(ნ) თქვა თინა; შუ თის თინა – შუ-ნ-ა(ნ) თინენს თინა).

ზმნას ქართველურ ენებში აქვს საშუალება ასახოს სხვადასხვა ხასიათის მიმართება მასთან შეწყობილ აქტანტებს შორის; ამოსავალი, ცხადია, იქნება ის ვითარება, როდესაც ამ აქტანტებს შორის დამოკიდებულება ნეიტრალური ხასიათისაა მოქმედების შედეგის მიმართ აქტანტთა კუთვნილება-დანაშინულების, ამავე აქტანტთა აქტიურობა-პასიურობის ხარისხისა თუ მოქმედების პროცესში მათი მონაწილეობა-ინიცირების საკითხში.

ასევე მნიშვნელოვანი მორფოლოგიური ელემენტია ზმნისწინი (განსაკუთრებით აქტუალურია ზმნისწინის საკითხი აწმყო-მყოფადის ფორმათა სტატუსის გარკვევისას).

II.7.4. პირველი სერიის ფორმათა წარმოება ზანურში.

II.7.4.1. აწმყოს ფუძის წარმოება მეგრულ-ლაზურში.

ზანური ზმნის უღვლილების პარადიგმაში ფუძე შეიძლება ორი სახით იყოს წარმოდგენილი: გვაქვს მარტივი და რთული ფუძეები.

მარტივი ფუძეებია: ბონ-ს „ბანს“ (ლაზ. ხე იბონს I 619 ხელს იბანს; შდრ. უმბონამტუ... II 118¹⁵ ბანდა...), იბირ-ს „მღერის“, იგარ-ს „ტირის“, ჭკუნ-ს „ჭამს“... (შდრ. პარალელური ჭკ-უმ-უნ-ს);

რთული ფუძეებია: ხანტ-უნ-ს, ჭარ-უნ-ს, აკეთენს, გიოხანტანს...

ათემატური ზმნების რაოდენობა ერთობ მცირეა თემისნიშნისებთან შედარებით.

თემატური ნიშნის ძირითადი ვარიანტი ზანურში -VC სტრუქტურისაა.

„აწმყო დროის ფუძეს მოქმედებითი გვარის ზმნებთან გარკვეული სუფიქსები აწარმოებს; გაბატონებული წარმოებაა -უმ სუფიქსის საშუალებით; ამ სუფიქსის ხოფური ვარიანტია -უფ, ზოგჯერ უ > ი: -იფ; ვიწურში -უმ სუფიქსის ადგილი შეიძლება დაიჭიროს -ომ სუფიქსმა; საკმაოდ ხშირია -ამ სუფიქსიც; ამ სუფიქსის ხოფური ვარიანტი -აფ არის... მაგალითები ვიწურ-არქაბული და ათინური: გუბუმს II 34³⁷ ხარშავს („აგობს“), ჭარუმს II 71²¹ „წერს“, ჭოფუმს II 68¹² „იჭერს“, კვათუმს II 31³³ „ჭრის, კვეთს“, ხორხუმს II 31³³ „ხერხავს“, ყაზუმს II 31³⁴ „თლის“, ტახუმს II 34¹² „ტეხს“, ჭკორუმს II 75⁴ „ჭრის“, ცხუნუმს II 76¹³ „არჩევს“ (მაგ., ცერცვს), ჭვალუმს II 113³² „წველის“, წორუმს II 113³³ „წურავს“, თორუმს II 104¹⁸ „ათრევს“, შუმს II 75²³ „ქსოვს“, შუმს კავე II 97³⁷ „სვამს ყავას“, იქუმს II 69¹⁸ იქომს II 68³¹ 71³³, 97³ „იქმს“, დოლოდგუმს II 74²⁴ „ჩადგამს“ (მაგრამ აქა-იქ): ქოლადგიმს II 70³ წკიმს II 68⁷ „ხსნის, აძრობს“: -იმ- სუფიქსი -უმ-ის ადგილს იჭერს. ხოფური: კვათუმს I 98^{15,16} „ჭრის, კვეთს“, გორუმს I 90²², 93³² „ემებს“, წილუმს I 110²⁰ „კრევს“, ლოკუმს I 101³¹ „ლოკავს“, კირუმს I 93²⁵ „კრავს, კონავს“, მთუმს I 102¹⁵ „თოვს“, ცხუნუმს I 109³³ „არჩევს“, იქიმს I 81¹⁸, 97² „იქმს“, აფიდიუმს I 82¹ „ასწევს, აზიდავს“, გედგიუმს I 109²⁶ „დადგამს“... -ამ||-აფ მოუდის მეტწილად ისეთ ზმნებს, რომელნიც წარმოების მიხედვით ან კაუზატივს წარმოადგენენ (კაუზატივის მნიშვნელობა

არა აქვთ!) ანდა კაუზატურ წარ-მოებასთან კავშირში იმყოფებიან. ამის მაგალითებია ვიწურ-არქაბულსა და ათინურში: დობვამს II, 68₂, 32₁₄ „დამარხავს“, ოგნამს II 35_{15,17} „ესმის, ისმენს“, ოწირამს II 30₃₁ „აჩვენებს“, დუხენამს II 30₂₉ „გაუკეთებს“, მენდიონამს II 30₃₀ „წაიყვანს“, დობლამს II 104₂₉, „დაყრის“, გოწკამს II 75₂₃ „გახსნის“, დორგამს II 104₁₉ „დარგავს“, მლორამს II 32₃₈ „ყვირის, ბღავის“... ხოფურში: ორგავს I 85₁₅ „რგავს“, ოფშავს I 109₂₀ „ავსებს“, დოლოკიდაფს I 88₂₄ „ჩაკიდებს“, მოგავს I 84₈ „იგებს (ფულს)“, ოლოდაფს I 82₁₈ „უკეთებს, უშვრება“, თი ნოჭკირაფს I 83₄, „მოჭრის თავს“, მლორაფს I 101₁₉, „ყვირის, ბღავის“... [ჩიქობავა, 1936, 131-132]

„აწმყოს ფუძეში სპორადულად სხვა სუფიქსიც შეიძლება შეგვხვდეს: უწოლემს (ათინ.) II 101_{30,31,32}, „ეუბნება, ეტყვის“, ძირემს II 96_{7,10}, „ნახავს“... ამ ემ-ის ბადალია -ეფ- ხოფურში: იჩალიშეფს I 87₂₅, „მუშაობს, იმუშავებს“, ჩხე მუხთეფს I 107₂₈, „ავიებს, მალარიის შეტევა აქვს“... ჯოხონს II 69₁₆, „ქვია“- ხოფ. ჯოხოფს I 88₅, ყოროფს I 84₃₀, „უყვარს“... გომიყონოფს I 93₁, „დავყავარ“... აგრეთვე: მსხულეფე მეჩანს I 97₂₈, „მსხალი ასხია“... ჯანს I 96₄, „მინავს“... ზოპონს I 90₂₅, „ლაპარაკობს“... უხირხინს I 91₂, „უჭიხვინებს“... წიპინს II 76₁₉, „წივის (წიწილი)“... უნკანს II 57₃₄, „არწევს (ბავშვს)“... საერთო შთაბეჭდილება მაინც ისეთია, რომ ჭანურში აწმყოს ფუძის მაწარმოებელ სუფიქსთა ერთგვარი უნიფიკაცია მოხდა და ამ გზით გაბატონდა -უნ- ||-უფ-, -ამ||-აფ სუფიქსი; ამ მხრივ ძალაუზნებურად გვაგონდება ჯავახური კილო ქართული ენისა, რომელსაც აწმყოს თითქმის ერთად ერთ მაწარმოებლად -ამ აქვს: ფარამს, ტეხამს, აქამს, აკეთამს... ამ სუფიქსებიდან -ამ||-აფ ქართულ -ებ- სუფიქსს შეესატყვისება; ო-რგ-ამ-ს-ის ტიპი ქართული ა-კეთ-ებ-ს ტიპს უდრის: ო- – ამ: ა- – ებ. რაც შეეხება -უმ სუფიქსს: -უმ < -ომ, რომელიც ვიწურს აქვს შემონახული და რომელიც კანონზომიერი შესატყვისია ქართული -ამ სუფიქსისა... მეგრულში... აწმყოს ფუძის მაწარმოებელი აფიქსებიდან ყველაზე გავრცელებულია -უნ, სხვა სუფიქსებიდან მნიშვნელოვანია -ან, -ენ, -ინ. ამ სუფიქსებიდან -უნ მიღებულია -უმ სუფიქსისაგან ისევე, როგორც მრავლობითი რიცხვის მოთხრობითისა და მიცემითის -ენ სახელებში: ჯიმალ-ეფ-ი – მოთხრ.: ჯიმალ-ეფ-ქ < ჯიმალ-ემ-ქ||ჯიმალ-ენ-ქ; ჯიმალ-ეფ-ს < ჯიმალ-ემ-ს||ჯიმალ-ენ-ს... ამავე წესით, -ან სუფიქსი სახეცვლილი -ამ იქნებოდა, ქართულიდან ნასესხები (ანდა: ებ- სუფიქსის ბადალი), ხოლო -ენ ქართულიდან ნასესხები - ებ > ეფ > ემ. მაგალითები: -უნ: ჭარუნს „წერს“, გორუნს „ემებს“, „ძებნის“, ბარუნს „ბარავს“, „ბერავს“, ჭოფუნს „იჭერს“, კვათუნს „კვეთს, ჭრის“, ჭკირუნს „ჭრის“, თასუნს „თესავს“, ხონუნს „ხნავს“, ბარგუნს „მარგლავს“, „თოხნის“, დგუნს „დგამს“, შუნს, „სვამს“; „ქსოვს“; თუხუნს „ართავს“... -ან: ღორანს „ყვირის“, „ბღავის“, ციანს „ყივის“, რკიანს „კივის“, ოცქვანს „აქებს“, ორგუანს „რგავს“, ოგანს (ყუდეს) „აგებს (სახლს)“, ოღვანს „ყრის“, ოჯღონანს „გზავნის“, ოფუნუანს „ადუღებს“... ენ: აკეთენს „აკეთებს“, ამენენს „ამენებს“, აწუხენს „აწუხებს“, არიგენს „არიგებს“, ახერხენს „ახერხებს“, აჭითარენს „აწითლებს“, აუჩარენს „აშავებს“ [ჩიქობავა, 1936, 131-133].

არნოლდ ჩიქობავას დაკვირვებით, „ქართულში აწმყოს წარმოება მრავალფეროვანია, ჭანურსა და მეგრულში უფრო ერთფეროვანი; ფორმანტებად გამოყენებულია ქართულში ხმარებული სუფიქსები (ზანურისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური სახეობით)... სალიტერა-ტურო ქართულში გავრცელებულობის მიხედვით უმნიშვნელო როლს თამაშობს სწორედ ის -ამ სუფიქსი, რომლის ეკვივალენტი -უმ// -უნ აწმყო დროის ძირითად მაწარმოებლად გვევლინება ჭანურსა და მეგრულში“ [იქვე, 133];

აქედან გამომდინარე, მეგრ. -უნ ქართ. -ამ-ის შესატყვისად მიიჩნევა.

რა შეიძლება ითქვას ყოველივე ამასთან დაკავშირებით?

პირველ რიგში, შევნიშნავთ, რომ უთემისნიშნო ზმნათა რიგშია წარმოსადგენი: **მეჩანს** „ასხია“, **ჯანს** „სძინავს“ (მეგრული ჯან-უ-ნ „წევს“), **უხირხინს** „უჭიხვინებს“, **წიპინს** „წივის“... ფორმებში; **-ან**, **-ინ** აქ აწმყოს ფუძის მაწარმოებელი არ არის.

ასევე გაჭირდება აწმყოს მაწარმოებელ სუფიქსზე მსჯელობა ქართ. **იქ(ა)მ-ს** ზმნის ზანურ შესატყვისში **იქომ-ს/იქუმს/იქუნს/იქიფს** (ისევე, როგორც ქართულ ვარიანტში).

საინტერესოა და საჭირო ზანური აფიქსების წარმომავლობის დადგენა და იმ კრიტერიუმების მოძიება, რომელთა საშუალებითაც შეიძლება ქართულ-ზანური მასალის ურთიერთმიმართების მაქსი-მალურად ნათელი და მკაფიო სურათის წარმოდგენა,

ნიშანდობლივია ნ. ნათაძის ასეთი პოზიცია: **-ან/-ამ/-ავ** სუფიქსი, რომელიც დღეს ერთია ზანურში, წარმოშობით ოთხი სხვადასხვა სუფიქსისაგანაა მომდინარე. აღნიშნულ სუფიქსს ქართულში ხუთი მორფოლოგიური შესატყვისი აქვს, ამიტომ მისი ქართულთან მატერიალურად დაკავშირების საკითხი რთულია. ბევრს არაფერს ცვლის ამ სუფიქსების სიიდან **-ობ** სუფიქსის ამოღება. როგორც ხმოვნითი (**ა**), ისე თანხმოვნითი (**ნ**) ნაწილი სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა წარმოშობისაა და დამთხვევა შემთხვევით ხასიათს ატარებს [ნათაძე, 1959, 142].

თემის ნიშნების ტრანსფორმაციებზე (resp. არაკანონიკურ თანხმოვანთკომპლექსების კანონიკურად გარდაქმნაზე) მსჯელობისას გასათვალისწინებელია ის ფონეტიკური გარემოცვა, რომელშიც შეიძლება აღმოჩნდეს ამოსავალი მორფემის კონსონანტური ელემენტები, პოზიციები, რომლებშიც დასტურდება ეს ელემენტები.

„მეგრული ფონოტაქტიკით **ს, ქ, თ** თანხმოვანთა წინ ბაგისმიერი ბგერები (**მ, ზ, ფ**) გარდაიქმნიებიან **ნ**-დ (ჭვიმ-ს > ჭვინს „წვიმს“, შდრ. ჭვიმა „წვიმა“, დოჭვიმუ „იწვიმა“...). კომპლექსთა ამ ტიპის ტრანსფორმაციები იწვევს ზმნური ფუძის მონაცვლეობას უღვლილების პარადიგმაში... ამ გზით წარმოქმნილი მორფემული მონაცვლეობა განსაკუთრებით გავრცელებულია ზმნურ თემის ნიშნებში, რომლებიც თანხმოვანთა შედგენილობისდა მიხედვით სხვადასხვა ფონოლოგიურ ვარიანტებს გვიჩვენებენ. ეს თემის ნიშნებია: **{-უმ-}, {-ამ-}, {-ებ-}, {-ავ-}**. მაგალითები:

დგ-უმ+ს > დგ-უნ-ს „დგამს“, ვ-დგ-უმ+ქ > ვ-დგ-უნ-ქ „ვდგამ“, ვ-დგ+უმ-თ > ვ-დგ-უნ-თ „ვდგამთ“, შდრ. დოდგ-უმ-ა „დადგმა“, დუ-დგ-უმ-უ(ნ) „დაუდგამს“;

მე-ჩ-ამ+ს > მე-ჩ-ან-ს „მისცემს“, მე-ფ-ჩ-ამ+ქ > მე-ფ-ჩ-ან-ქ „მივცემ“, მე-ფ-ჩ-ამ+თ > მე-ფ-ჩ-ამ-თ „მივცემთ“, შდრ. მე-ჩ-ამ-ა „მიცემა“, მე-უ-ჩ-ამ-უ(ნ) „მიუცია“;

მი-ო-გ-ამ+ს > მი-ო-გ-ან-ს „დაარტყამს“, „დაუკრავს“, მი-ვ-ო-გ-ამ+ქ > მი-ვ-ო-გ-ან-ქ „დავარტყამ“, მი-ვ-ო-გ-ამ+თ > მი-ვ-ო-გ-ან-თ „დავარტყამთ“, შდრ. მე-გ-ამ-ა „დარტყმა, დაკვრა“, მე-უ-გ-ამ-უ(ნ) „დაურტყამს, დაუკრავს“;

ო-გორ-ავ+ს > ო-გორ-ან-ს „ლანძღავს, აგინებს“, ვ-ო-გორ-ამ+ქ > „ვაგინებ“, ვ-ო-გორ-ავ+თ > „ვაგინებთ“, შდრ. გორ-ავ-ა „გინება, ლანძღვა“, უ-გორ-ავ-უ(ნ) „უგინებია“, „ულანძღავს“;

ი-ჭყ-ავ+ს > ი-ჭყ-ან-ს „იწყებს“, ვ-ი-ჭყ-ავ-ქ > ვ-ი-ჭყ-ან-ქ „ვიწყებ“, ვ-ი-ჭყ-ავ-თ > ვ-ი-ჭყ-ან-თ „ვიწყებთ“, შდრ. დო-ჭყ-ავ-ა „დაწყება“ დუ-ჭყ-ავ-უ(ნ) „დაუწყია“;

ა-კეთ-ებ+ს > ა-კეთ-ენ-ს „აკეთებს“, ვ-ა-კეთ-ებ+ქ > ვ-ა-კეთ-ენ-ქ „ვაკეთებ“, ვ-ა-კეთ-ებ+თ > ვ-ა-კეთ-ენ-თ „ვაკეთებთ“, შდრ. კეთ-ებ-ა „კეთება“, უ-კეთ-ებ-უ(ნ) „უკეთებია“ (ზმნა ნასესხებია ქართულიდან)

თანხმოვანთკომპლექსთა ამგვარ გარდაქმნებს ემყარება **-უმ-, -ამ-, -ავ-** და ქართულიდან შესული **-ებ-** თემის ნიშანთა **-უმ- ~ -უნ-, -ავ- ~ -ან-** და **-ებ- ~ -ენ-** პარადიგმატულად მონაცვლე ვარიანტების წარმოქმნა.

ქართული -ევ- თემის ნიშანი (აძლ-ევ-ს, არბ-ევ-ს და მისთ.) მეგრულში შეთვისებულია -ენ- ფორმის სახით მომდევნო თანხმოვნის მეზობლობაში არაკანონიკური ვ+C > ნ+C გარდაქმნის შედეგად.

ქართ. აძლ-ევ-ს > მეგრ. არბ-ენ-ს.

ზემოთ განხილული -უმ-, -უმ-, -აფ- თემის ნიშნები საკუთრივ მეგრული მორფემებია, რომელთაც ქართულში ზუსტი შესატყვისი მოეპოვება -ამ- (ვ-დგ-ამ), -ემ- (მი-ვ-ც-ემ), -ებ- (ვ-ა-გინ-ებ) ერთეულთა სახით, ხოლო {-ებ-} თემის ნიშანი მეგრულში შედარებით გვიანდელია და უშუალოდ ქართულიდანაა შეთვისებული:

ქართული	მეგრული
-ამ-	-უმ- ვარიანტებით [-უმ-] და [-უნ-]
-ემ-	-ამ- ვარიანტებით [-ამ-] და [-ან-]
-ებ-	-ეფ- ვარიანტებით [-აფ-] და [-ან-]
-ებ-	-ებ- ვარიანტებით [-ებ-] და [-ენ-]
-ევ-	

ამგვარად, თანხმოვანთმიმდევრობათა ფარგლებში გარკვეული გარდაქმნების შედეგად მეგრულში ჩამოყალიბდა გრამატიკული ომონიმია მორფემათა დონეზე: სხვადასხვა ზმნური თემის ნიშნის განსაზღვრული ვარიანტები ერთმანეთს დაემთხვა ფონემური შედგენილობით. რომელიმე -ან- თემის ნიშანი ოგორ-ან-ს „აგინებს“ ფორმაში არ არის მორფოლოგიურად იგივე, რაც -ან- თემის ნიშანი მეჩ-ან-ს „მისცემს“ ფორმაში, რამდენადაც პირველს ენაცვლება -აფ- ვარიანტი (შდრ. უგორ-აფ-უ „უგინებია“), ხოლო მეორეს – -ამ- (მეუჩ-ამ-უ „მიუცია“). ამდენად, ეს ერთეულები სხვადასხვა მორფემის ელემენტებს წარმოადგენენ [გუდავა, გამყრელიძე, 2000, 164-166].

შენიშვნა: -ევ სუფიქსი ქართულში თემის ნიშანთა რიგში არ დგას თავისი განსხვავებული მორფოლოგიური ქცევის გამო, მაგრამ საინტერესოა ამ -ევ სუფიქსიანი ზმნების ტრანსფორმაციები ზანურში: -ევ სუფიქსის ვ-ც ისევე გადადის ნ-ში, როგორც -ებ სუფიქსის -ბ: აძლევს > არძენს.

აღსანიშნავია, რომ ზანური -ევ-სუფიქსიანი ზმნების აწმყოსთვის საყრდენად ხშირად ქართული სათანადო ფუძის **აორისტს** იღებს, ანუ: ამოსავალია გახმოვანების ი-საფეხურიანი ფორმა:

- ქართ. *მიაძლიევს – მიაძლია > ზან. მიაძმინს „შეაძლევს“
- ქართ. აქცევს – აქცია > ზან. აქციენს „აქცევს“
- ქართ. არევს – არია > ზან. არიენს „არევს“...

წარმოების ეს წესი იგივეა, რაც ქართულში დადასტურებული **ჩხვლიტავს, ყვლიფავს, დრიკავს, ჩქმიტავს, ზნიქავს, კვნიტავს, გრიხავს, ხვრიტავს** და სხვ. ფორმებში გვაქვს (ეს ფორმები სალიტერატურო ნორმების თვალსაზრისით უმართებულოდაა მიჩნეული, რაც, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი წარმოება არ არსებობს ან არ არის გამოყენებული მეტყველებაში).

- ასევე ი-საფეხურიანი ფორმითაა ქართულიდან შეთვისებული -ენ სუფიქსიანი ზმნები:
- შიძინენს „შიეძენს“
- მითმინენს „მოითმენს“

დადგინენს „დაადგენს“...

ვ/ზ/მ > მ/ნ/ფ გადასვლა არამხოლოდ **ს/ქ/თ**-ს წინა პოზიციაში ხდებაამგვარი გარდაქმნა ჩვეულებრივია უწყვეტლის **დ/ტ**-ს წინა პოზიციაშიც (მაგ.: **ჭვიმდუ/ჭვიმდუ > ჭვინდუ/ჭვიენდუ... აკეთენდუ...**)

II.7.4.2. ზან. **-უნ/-უმ/-უფ** : ქართ. **-ავ**:

გ. მაჭავარიანის დაკვირვებით, „ზანურში თეორიულად **-ოვ** უნდა ყოფილიყო, მაგრამ თანამედროვე ზანურში მას ვერ ვიპოვით. ამჟამად ზანურში **-ავ** სუფიქსის შესაბამისად სხვა სუფიქსი დასტურდება: ჭანურში **-უმ**, **-უფ** (ვიწურში, არქაბულში, ხოფურში), მეგრულში **-უნ**: ვიწურ-არქაბული, ათინური – ყვილ-**უმ**-ს („კლავს“), ხოფური – ყვილ-**უფ**-ს, მეგრული ყვილ-**უნ**-ს. მეგრულში შეიძლება **ს**-ს წინ **მ > ნ**. ამდენად, **-უნ** მეორეული უნდა იყოს. **ფ**-საც შეუძლია **ნ** მოგვეცეს **მ**-ს გავლით. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რომელი არის ამოსავალი, მაგრამ ერთის თქმა მაინც შეიძლება: მეგრულში ვითარება მეორეულია. მეგრულში **-ავ** სუფიქსის შესატყვისი **-ოვ/-ომ** არა გვაქვს. სიძნელეა ის, რომ იგივე შესატყვისები შეემლო მოეცა **-ამ/-ემ** სუფიქსსაც... ზანურს უნდა ჰქონოდა ქართული **-ავ** და **-ამ** სუფიქსების შესატყვისები, მაგრამ უნიფორმაციის პროცესის შედეგად პირიან ფორმებში **-უნ**, **-უმ**, **-უფ** გაბატონდნენ, მასდარსა და მიმღეობაში – **-უ**“ [მაჭავარიანი, 2002, 116-117].

ტოგო გუდავა **-უნ** სუფიქსს ქართული **-ავ** სუფიქსის შესატყვისად მიიჩნევს (**-უნ < -ავ**, როცა ***-ოვ-ს < -ავ** თანხმოვანი მოსდევს (***ქარ-ოვ-ს > ქარ-ომ-ს > ქარუმს > ქარუნს** „წერს“) [გუდავა, 1974, 137].

-უნ სუფიქსი, რომელიც აწმყოს ფუძის მაწარმოებლად გვევლინება მეგრულში, სხვადასხვა წარმომავლობისა ჩანს:

ერთი მხრივ, **-უნ < ქართ. -ამ**

მეორე მხრივ, **-უნ < ქართ. -ავ**.

მეგრული მასდარისა თუ კაუზატივის ფორმა ერთგვარი საკონტროლო სამუალებას სუფიქსის წარმომავლობის დასადგენად. **-უ-ა** დაბოლოება, ბუნებრივია, ***-უფ-ა** რთული მორფემის გამარტივების შედეგად მივიჩნით, რასაც ვერ მოვახერხებთ იმ შემთხვევაში, თუ ხმოვნებს შორის **ვ**-ს არ ვივარაუდებთ: ***ქარ-უფ-ს > *ქარ-უფ-ა > ქარ-უ-ა**.

ირკვევა, რომ როცა მეგრ. **-უნ** ქართული **-ამ**-ის შესატყვისია, მისი ალომორფი **-უმ** მასდარში ან კაუზატივის საყრდენ ფუძეშიც დადასტურდება, ანუ, როგორც მოსალოდნელი იყო, ინტერვოკალურ პოზიციაში **-მ** არ დაიკარგება: **შ-უნ-ს (< *შ-უმ-ს < *შ-ომ-ს) < სვ-ამ-ს, დგ-უნ-ს (< *დგ-უმ-ს < *დგ-ომ-ს) < დგ-ამ-ს... შდრ.:** მასდარი **შ-უმ-ა, დგ-უმ-ა...** კაუზატივი: **ო-შ-უმ-ავ-უ-ან-ს, ო-დგ-უმ-ავ-უ-ან-ს...**

მეგრული ზმნის პირიან ფორმებში (თუ არ ჩავთვლით **ოშუმაფუანს** ტიპის ფორმებს, სადაც **-უმ**- თემატური ნიშნის ფუნქციას ადარ ასრულებს) სრული უნიფიკაციაა გატარებული; ქართ. **-ავ** და **-ამ** სუფიქსებისაგან მიღებული სათანადო თემატური ნიშანი მხოლოდ **-უნ** მორფემის სახით ფუნქციონირებს.

შეიძლება გაირჩეს ორი შემთხვევა: პირველი, როცა ქართულ-ზანური აწმყოს ფუძეები ერთნაირადაა გაფორმებული (ზანურში დასტურდება ქართული -ავ ნიშნის მორფოლოგიკური შესატყვისი – **-უნ/-უმ/-უფ**):

ბარუნს	„ბერავს“, „ბარავს“
ყვილუნს	„კლავს“
დალუნს	„დაღავს“
ქარგუნს	„ქარგავს“
ხაზუნს	„ხაზავს“
ხანტუნს	„ხატავს“
ლობუნს	„ლობავს“
ცალუნს	„ცელავს“
ნათუნს	„ნათლავს“
კირუნს	„კრავს“
ლანძლუნს	„ლანძლავს“
ლახუნს	„ლახავს“
ყინტუნს	„ყლაპავს“
წირუნს	„წურავს“
ხაშუნს	„ხარშავს“
ხონუნს	„ხნავს“ და მისთ.

მეორე შემთხვევაში ხდება თავისუფალი მონაცვლეობა ქართ-ზან. თემის ნიშნებისა და ფუძის მაწარმოებელი ელემენტებისა (ამაში უჩვეულო და მოულოდნელი არაფერია); მაგ.:

ზოგენს	<i>შდრ.</i> „ზოგავს“
ჩაგრენს	<i>შდრ.</i> „ჩაგრავს“
ტანჯენს	<i>შდრ.</i> „ტანჯავს“
კითხენს	<i>შდრ.</i> „კითხავს“
რშვინუნს	<i>შდრ.</i> „სტვენს“
ფასენს	<i>შდრ.</i> „ფასობს“
ვაჭრენს	<i>შდრ.</i> „ვაჭრობს“
შიძინენს	<i>შდრ.</i> „შიძინს“
კუსანს	<i>შდრ.</i> „კვენის“...

„ლაზურში **-უმ** სუფიქსიანი წარმოებაა გაბატონებული აწმყოს ფუძის წარმოებისას; **-ამ** სუფიქსის ხოფური ვარიანტია **-უფ**, ზოგჯერ **უ > ი :-იფ**. ვიწურში **-უმ** სუფიქსის ადგილი შეიძლება დაიჭიროს **-ომ** სუფიქსმა; საკმაოდ ხშირია **-ამ** სუფიქსიც; ამ სუფიქსის ხოფური ვარიანტი **-აფ** არის“; ნიმუშები: ვიწურ-არქაბული და ათინური: გუბუმს II 34³⁷ ხარშავს („აგობს“), ჭარუმს II 71²¹ „წერს“, ჭოფუმს II 68¹², 75¹¹ „იჭერს“, კვათუმს II 31³³ „ჭრის“, „კვეთს“, ტახუმს II 34¹² „ტეხს“... დოლოდგუმს II 74 „ჩადგამს“ (მაგრამ აქა-იქ: ქოლადგიმს II 70³, წკიმს II 68⁷ ხსნის, ამრობს: **-იმ** სუფიქსი **-უმ**-ის ადგილს იჭერს!). ხოფური: კვათუფს I 9815,16 „ჭრის“, „კვეთს“, გორუფს I 9022 9332 „ემებს“, წილუფს I 11020 „კრეფს“... იქიფს I 8118 „იქმს“, იეზდიფს I 821 „ასწევს“, „აზიდავს“, გედგიფს I 10926 დადგამს...“ [ჩიქობავა, 1936, 131].

ხშირად საწარმოებელ ფუძედ გამოყენებული ზმნის ფორმა – აწმყო შეიძლება სხვადასხვა სუფიქსით იყოს გაფორმებული, რასაც უმეტესად კილოკავური განსხვავება ქმნის, მაგ.:

- ებზდიფ (ხოფ.) „ვიღებ“
- ებზდუმ (ვიწ.)
- ებზდუმერ (ვიწ.-არქ)
- ეზდიმუ, ეზდიმუ „აღება“;
- გომწკიფ (ხოფ.) „ვალებ“, „ვხსნი“
- გომწკუმ (ვიწ.)
- გომწკუმ (ათინ.)
- მეუნთხამ (ათინ.)
- მეუნთხიფ (ხოფ.) „ხელს ვკრავ“, „ვარტყამ“
- დობდუმ (ათინ. ვიწ.) „(და)ვღებ“
- დობდვამ (ვიწ.)
- დობდუფ//დობდუმერ (ხოფ.) [იქვე, გვ.141].

აწმყოს პარალელური (სხვადასხვა სუფიქსით გაფორმებული აწმყო) ერთსა და იმავე კილოკავსა თუ თქმაშიც შეინიშნება, მაგალითად:

- მოოდვაფ//მოოდუმერ (ხოფ.) „ვაცმევ (ფეხზე)“
- დოდგიფს//ქოდოდგუფს (ხოფ.) „დადგამს“
- დობდუფ//დობდუმერ (ხოფ.) „დავღებ“.

ასეთივე პარალელური ფორმები შენიშნულია სარფულშიც:

- ვუჯლონოფ//ვუჯლონაფ „ვუგზავნი“
- გიხვენუფს//გიხვენოფს „გიკეთებს“
- იხვამეფს//იხვამაფს „ლოცულობს“
- ქოგილუბაფ//ქოგილუბუფ „დაასხამ“
- (თი) ქამოჟოჭკიაფს//ქამოჟოჭკიუფს „თავს მოჭრის“
- იპირვაფს//იპირუფს „მარხულობს“... [იქვე, გვ. 142].

ბოლოკიდური ს-ს (სუბიექტური პირის ნიშნის) წინა პოზიციაში შეიძლება აღმოჩნდეს -- უმ თემისნიშნისეული -მ და ეს -მ იკარგება (არა აქვს მნიშვნელობა, -ს წინამავალი თანხმოვნის დაკარგვამდე გადადის მ-ში თუ დაკარგვის მერე, ფაქტია, რომ -მ იკარგება და ამის გამო -უმ, -ომ და -ამ -VC სტრუქტურის თემატური მორფემა მარტივდება: -უმ > უ, -ომ > ო, -ამ > ა (ამგვარ შემთხვევებში, არნ. ჩიქობავას აზრით, სავსებით შესაძლებელი ჯერ წინა თანხმოვანი იკარგებოდეს და შემდეგ სუსტდებოდეს – ს მ-დ, ე. ი. ს მ-დ იქცეოდეს ხმოვნის და არა თანხმოვნის შემდეგ. თუ ჩვენ მაინც ვლავარაკობთ თანხმოვნის შემდეგ ს-ს დასუსტებაზე, – დასძენს მკვლევარი, – მხედველობაში გვაქვს ის კომპლექსი, რომელიც პროცესისთვისაა ამოსავალი [ჩიქობავა, 1936, 29] (ნიმუშები იხ. ქვევით).

ლაზურში -უმ/-უფ > -იმ/-იფ:

- ქოლადგიმს II, 70
- წკიმს II, 68 „ხსნის“, „ამრობს“
- ეზდიფს I, 82 „ასწევს“, „აზიდავს“

გედგიფს I, 109 „დადგამს“
ხე ვარ მემთხიპტით „ხელს ვერ ვახლებდით“ (ყიფშ. 6)...

ლაზურში გვაქვს **-უმ/-უფ/-უპ (-მ/-ფ** სხვაობა დიალექტურია; ამასთან, ხოფურ-ჩხალურში ხშირია თემისნიშნისეული ყრუ ფშვინვიერი **ფ**-ს გამკვეთრება **-ტ** სავრცობის წინ უწყვეტელსა და მასზე დამყარებულ ნაკვეთებში: **ტ**-ს გავლენით **მ/ფ > პ** [იხ. ჩიქობავა, 1936, 150; ჟღენტი, 1953, 122]):

სადიკ-ჩაუში ბგორუმ (ჩიქ., II 54₂₀) „სადიკ-ჩაუშ ვეძებ“; გიბუფთ, ბგიბუფთ დო იშია-ში, პეტმეზი იყვენ (ჩიქ., I 158₃₅) „ვხარშავთ, ვხარშავთ და როცა ჩაშრება, ბექმეზი იქნება“; ხორცი გუბუმან (ჩიქ., II 34₃₆) „ხორცს ხარშავენ“; ეფუდუმს დო კორეცხუმს (ჩიქ., II 7₉) „იღებს და თვლის“; არ თანეე წარი თორუმს (ჩიქ., II 104₁₈) „ერთი წყალს ზიდავს...“; ცხენიქ თურუმს (ჩიქ., II 4₂₉) „ცხენი ზიდავს“; ქურიქ წიპილი ჭოფუმს (ჩიქ., II 75₁₁) „ქორი წიწილს იქერს“; ხოჯიქ თხორუმს ლეტა (ჩიქ., II 3₇) „ხარი ხნავს („თხრის“ მიწას)“; ჰაწი ხაჯი პკაკალუმთ (ჩიქ., II 74₁) „ამ ლობიოს ვმარცვლავთ“; ჩალა დოკვათუმან (ჩიქ., II 80₁₇) „ჩალას მოჭრიან“; მუსთენდიკიქ კითხუფს (ჩიქ., I 16₃₃) „გამომძიებელი ეკითხება“; ემუშენი ბუცხუფან (ჩიქ., I 137₂₅) „იმისათვის ფოცხავენ“; ეშო დულაა გოლოდაფ-ქი, სი ქაგონდგინუფ (კარტ., I 71₂₀) „ისეთ საქმეს დამართებ, რომ შენ დაგლუპავ!“ ჯუმუ, ლერი დო პეპერი დოკანკუფან (ჩიქ., I 139₃₁) „მარილს, ნიორსა და პიპილს დანაყავენ“; მჭიმს დიდო, მთუფს (ჩიქ., II 4₆) „ბევრს წვიმს, თოვს“; ია კოობუფს ჩიქ., I 118₂₆ „იმას აკრეფს“; ვარ გომდინუფ სქანიშენი ემელი (კარტ., I, 215₁₃) „არ დავკარგავ შენზე („შენთვის“) ამაგს“; მცხული... ფათხუბტუ (ჩიქ., I 28₃) „მსხალს ბერტყავდა“; მან ბაზიქერე ბაბაშ კარზინკა ფთირუბტი (ჩიქ., I 62₉) „მე ზოგჯერ მამის კალათას ვეზიდებოდი“; ...ნე ვით მანათი გომდინუბტი (ჩიქ., I 95₁₀) „არც ათ მანეთს დავკარგავდი“; ყონა მჩალუბტი (ჩიქ., I 41₂) „ყანას ვმკიდი“; აქ ოხორი მო კიდუბტას (ყიფშ., 6) „აქ სახლს ნულარ აიგებს!“

გარდამავალ ზმნათა ერთ ჯგუფს ლაზურში **-(უმ-ერ//-(უმ-ელ** სუფიქსი უდასტურდება აწმყოსა და მასზე დამყარებულ ნაკვეთებში:

ჩქი ბზოპონთ, ფთქუმერთ (ასათ., 112) „ჩვენ ვლაპარაკობთ“; ოხორჯაქ ქიმოლი მუშის უწუმერს (ჩიქ., II, 16₂) „ცოლი თავის ქმარს ეუბნება“; მა ფჩუმერ დო გამახთა-ში, ოპჭოფუმ (იქვე) „მე ვდარაჯობ და რომ გამოვა, დავიჭერ“; სი ვით უჩუმერ დო ხუთ მუჩუმერ (ჩიქ., II, 6₂₁) „შენ ათს აძლევ და ხუთს იღებ“; წკარი ტუბუტაშაქის მქვერი... ეშეზიმერთ (იქვე, II, 61₃₅₋₃₆) „წყლის გათბობამდის ფქვილს ... ამოვიღებთ“; მქვერი ხაროს ეშეზიმერთ (ჩიქ., II, 61₃₇) „ფქვილს ხაროდან ამოვიღებთ“)...

-უმ-ერ სუფიქსიანი ზმნებია: ქოგებდ-უმ-ერ „დაადებ“, მოოთ-უმერ-ს მიაყუდებს, მეაშქ-უმერ-ს „გამოუშვებს“, მენდაუჩ-უმერ-ს „გალალავს“...

პარალელურად დასტურდება **-უმ-ელ** ვარიანტიც:

ენტეფეე ზოპონან, თქუმელან (ასათ., 112) „ისინი ლაპარაკობენ“; ქომოლი მუშის უწუმელს (ჩიქ., II, 5₁₄) „თავის ქმარს ეუბნება“; ვიდა-დო, ჩქინ-ნა მჩუმელან, მურა ჯოლორის დოფუჯოხა-ა (იქვე, 68₂₀) „წავიდე და, ჩვენ რომ გვიცავს, იმ მურა ძალს დავუძახო-ო“).

-უმ-ერ/-უმ-ელ სუფიქსის უ შეიძლება დავიწროვდეს და დაიკარგოს **-(უმ-ერ/-უმ-ელ > *-ვმ-ერ/- *-ვმ-ელ > -მ-ერ/-მ-ელ)**:

მითიქ ნენა ვა იშიმერს (ასათ., 88) „არავინ ენას არ იღებს“; ქუთაიშიშენ მუმერტეს (იქვე, 138) „ქუთაისიდან მოჰქონდათ“; ჰენ წოხლე არ ქვა იწისთომერ (იქვე, 130) „უპირველეს ყოვლისა ერთ ქვას აისვრი“; ბიჭიმ კოჩეფე ოხოიშა მინდიმელან (იქვე, 58) „ბიჭის კაცები შინ წაიღებენ“.

S₃ პირის აღმნიშვნელ ს მორფემასთან **-უმ-ერ** სუფიქსის **რ** შეიძლება დაიკარგოს, მაგრამ **რ-**ს დასუსტება-დაკარგვას **ს-ს** წინ **ს-ს** ასიმილაცია უნდა უძღოდეს:

ჩუმერს > ჩუმესს III 39₁₄, 39₃₃; ჩუმეს „უყურებს, უცდის“... ამოშქუმერს > ამოშქუმესს > ამოშქუმეს II 34₉; „ამოშქუმებს“, მენდოჩქუმერს > მენდოჩქუმესს II 30₁₇; მენდოჩქუმეს „გაგზავნის“ [ჩიქობავა, 1936, 23].

ამგვარი გამარტივების შედეგად **-მ-ერ (-უმ-ერ)** დაბოლოება **-უმ-ე** სახით იქნება წარმოდგენილი. **რ-ს** დაკარგვის მიზეზი S-ის ნიშანი **-ს** არ არის ყოველთვის, ბოლოკიდურ პოზიციამდე იკარგება აღნიშნული ელემენტი; მაგ.:

ჩქვა მუთუ ვა გიწუმე (ასათ., 1974, 66) „მეტს არაფერს გეტყვი“; მა გიწუმე ... ამბაი (იქვე, გვ. 89) „მე გეტყვი ამბავს“; კიცის ქოგედუმე (იქვე, 111) „კეცზე დადებ“; ეკულე ტეპსის ალი ქოგუსუმე დო ცომი ქოგედუმე, კაი ქაგონთხიფ დო ჟინ ალი ქომუჟუსუმე... ჟინ საჯი ქომოთუმე (იქვე, 63) „მერე ტაფას ერბოს წაუსვამ და ცომს დადებ, კარგად გაათხელებ და ზევიდან ერბოს წასცხებ... ზევიდან თანაქს დააფარებ“...

შდრ.:

ნაღანის ალი ქოგებდუმერ (იქვე, 63) „ტაფაზე ერდოს დავადებ“... ამგვარად, **-უმ-ერ** სუფიქსს შეიძლება შემდეგი ვარიანტები გააჩნდეს:

- უმ-ელ (,,უწ-უმ-ელ-ს“)
- მ-ერ (,,იში-მ-ერ-ს“)
- მ-ელ (,,მინდი-მ-ელ-ან“)
- უმ-ეს (,,ამოშქ-უმ-ეს-ს“)
- მ-ეს (,,ქომეშატკო-მ-ეს“)
- უმ-ე (,,ქოგედ-უმ-ე“)
- მ-ე (,,ვი-მ-ე“).

შენიშვნა: ზოგჯერ **-მ-ერ/-მ-ელ** სუფიქსის ადგილს **-ლ-ემ** იჭერს: ათინური ამ ზმნასთან (იგულისხმება უწუმერს/უწუმელს ფორმა – ჭ. ქ.) აწმყოში არ ხმარობს **-მ-ერ/-მ-ელ** სუფიქსს; მის ადგილს **-ლ-ემ** სუფიქსი იჭერს: ვუწოლემ, უწოლემ, უწოლემს; ბაბაში ბაბას პაპუ ვუწოლემთ, ნანაში... ბაბას-თი პაპუ პაპუ ვუწოლემთ... II 101₃₀ (აგრეთვე: 31,32,33); „მამის მამას პაპას ვეტყვით, დედის მამასაც პაპას ვეტყვით“... მჭიფეში ვა გიწოლემ... 105₂₃ „წვრილმანებს არ გეუბნები“.

[ჩიქობავა, 1936, 73].

უწოლემს ფორმისათვის ამოსავალია უწ-ომ-ელ-ს, სადაც **-ომ** ქართ. **-ამ** თემატური სუფიქსის მორფო-ფონეტიკური შესატყვისია, ხოლო **-ელ/-ერ** მეშველზმნური ელემენტის ვარიანტი. ასე რომ, **-ოლ-ემ** ვარიანტი მეტათეზისის შედეგია (**-ოლ-ემ** < **-ომ-ელ**).

აღსანიშნავია, რომ უწ-ოლ-ენ-ს (<უწ-ოლ-ემ-ს) მეგრულშიც დასტურდება უწ-ინ-ს ფორმის პარალელურად. ანუ: უწოლენს ფორმა მეგრულშიც ისევე იხსნება, როგორც ლაზურში: მისთვის ამოსავალია უწომერს/უწომელს.

უნდა ითქვას, რომ ეს არ არის ამ ტიპის მეტათეზისის ერთადერთი შემთხვევა ზანურში; ამ მხრივ საინტერესოა შემდეგი ფორმა: მასდ. (მე)ხვ-ალ-ამ-ა (შდრ. (მი)ო-ხვ-ამ-ილ-უანს), სქილადა (შდრ. სქიდუ „რჩება“; ამოსავალი რომ სქილადა იყოს, სქირდუ გვექნებოდა და არა სქიდუ, ისევე, როგორც გვაქვს ჩირთუ, რომელიც ამოსავლად ჩილათ ფუძეს გულისხმობს ან ოჭყორდუ, რომლის ამოსავალია (გო)ჭყოლადა- ფუძე – თანხმოვანი + ლ მეგრულში თანხმოვანი + რ-ს იძლევა). **-ოლ-ემ** < **-ომ-ელ** მეტათეზისი ადრინდელი ჩანს, მანამდე

განხორციელებული, სანამ მოხდებოდა **ოაუ მ**-ს გავლენით (შდრ.: უწ-უმ-ელ-ს). ამდენად, თვით **უწოლემს** უფრო ადრინდელი და, ცხადია ამოსავალი ფორმაა.

„ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ თავისებური უღვლილების ზმნათა რიგშია განხილული **-უმ-ერ/-უმ-ელ** სუფიქსის შემცველი ფორმები (**ოტკომერს** „გადააგდებს“, „გადაისვრის“, „გადატყორცნის“, **ფეზდუმერს** „ზიდავს“, **გედუმერს** „დებს“, **მენდოჩქუმერს** „გაგზავნის“, **მოითუმერს** „ჩამოაცვამს“, **ჩუმერს** „უცდის“, „ელოდება“); „ამგვარს შემთხვევაში, – წერს არნ. ჩიქობავა, – აწმყოს ფუძის მაწარმოებლად რთული სუფიქსი გვევლინება (**-უმ-ერ**), მაგრამ **ოტკომერს**, **ნიმერს** და მაგვარი მაგალითები აბრკოლებენ აწმყოს ამ მაწარმოებლის ასე გაგებას [ჩიქობავა, 1936, 174]. დასახელებული ზმნები (**ოტკომერ**, **ნიმერს**) ფუძემონაცვლებად არის მიჩნეული: ფუძეს იცვლის... ზმნა **იმერს**:

მა მევიმერ (//მოზიმერ), სი მუმერ, ჰემუქ მუმერს

მომაქვს, მოგაქვს, მოაქვს...

მა მევიმერ (//მეზიმერ), სი ნიმერ, ჰემუქ ნიმერს

მიმაქვს, მიგაქვს, მიაქვს...

შეიძლებოდა გვეკონოდა: **მენდიმერს** „წაიღებს“, **გამიმერს** „გამოაქვს“ და სხვ. აორისტში გვაქვს:

მა **მოვილი** (//მოზილი), სი **მული**, ჰემუქ **მულუ** – მოვიტანე, მოიტანე, მოიტანა (შდრ.: ძვ. ქართულის მოვიღე, მოიღე, მოიღო: „წყალობა მოიღო“ ...

მა **მევილი** (//მეზილი), სი **ნილი**, ჰემუქ **ნილუ** – მივიტანე, მიიტანე, მიიტანა...

ოტკომერს „გადააგდებს, გადაისვრის, გადატყორცნის“ აწმყოში **-მერ** სუფიქსით იწარმოება, აორისტში კი იძლევა **-ოტკოჩ** ფუძეს: ვოტკომერ (//ზოტკომერ), ჰემუქ **ოტკომერს** – გადავაგდებ, გადააგდებ, გადააგდებს... **ვოტკოჩი** (**ზოტკოჩი**), **ოტკოჩი**, ჰემუქ **ოტკოჩუ** – გადავაგდე, გადააგდე, გადააგდო“ [ჩიქობავა, 1936, 172-173].

ეს აზრია გატარებული „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონშიც“: „ღ ძირისაგან ნაწარმოები ფუძეები ჭანურში თითქმის ყოველთვის დროთა მეორე (და მესამე) ჯგუფში იხმარება, აწმყოს ჯგუფში სხვა ფუძეა (მოვი-მერ, ეშავი-მერ, მენდავი-მერ...) გამოყენებული“ [ჩიქობავა, 1938, 344].

შეიძლება დაზუსტდეს, რომ **-უმერ** სუფიქსიან დასახელებულ ფორმათაგან პრევერბიანი ფორმები მყოფადის ნაკვთისაა, მაგრამ მათ, რა თქმა უნდა, აწმყოდან გადაჰყვებათ დასახელებული სუფიქსი. **-უმ-ერ** რთული მორფემა ჩანს, **-უმ** და **-ერ** სუფიქსებად იშლება. **-უმ**, რომელიც თემის ნიშანია, ზოგჯერ ხმოვანს კარგავს (რედუქციის მიზეზით), **-ერ** – „**ორენ**“ მემწველი ზმნის ფონეტიკური გამარტივების შედეგი უნდა იყოს (**ორენ**) >**-ერენ**) >**-ერ**); არც ის არის მოულოდნელი, რომ **-უმ** სუფიქსის ნაცვლად ზოგჯერ მისთვის ამოსავალი **-ომ** სუფიქსი გვხდება.

ჩვენ დაკვირვებით, **ნიმერს**, **ოტკომერს** ფუძემონაცვლე ზმნები არ არის, ფუძე ერთი ჩანს პირველი და მეორე სერიის ფორმებისათვის; **ნიმერს** ფორმა მეორეულია, ამოსავალი ჩანს ***ნილ-მერს** ვარიანტი, რომელიც ძირეულ მორფემას წარმოაჩენს (შდრ.: აორისტი: **ნილ-უ**).

„ლაზური ფონოტაქტიკის თვალსაზრისით დაუშვებელია სონანტები **მ/ნ** ველარული მჟღერი ნაპრალოვნის მომდევნო პოზიციისაში... ისტორიულ ზანურში არაკანონიკური **ღმ** სუპერირებულია ხმოვნით“ [ქუთელია, 1986, 154-159].

ჩვენთვის საინტერესო შემთხვევაში სუპერირების სხვა საშუალებაა გამოყენებული: აქცესიურ კომპლექსში შემავალი პირველი თანხმოვნის დაკარგვა (გ. ახვლედიანის მიერ დადგენილია აქცესიურ ჯგუფთა სუპერაციის ექვსი შესაძლებლობა: 1. გადასმა; 2.

გასპირანტება ან გახმოვანება – გასპირანტების გზით; 3. მარცვალთგასაყრის შექმნა; 4. ასიმილაცია; 5. კომპლექსში შემავალი პირველი თანხმოვნის დაკარგვა; 6. წარმოთქმის მკაფიობა [ახვლედიანი, 1949, 335]).

ნიმერს, ოტკომერს ტიპის ფორმები ისტორიულად ფუძემონაცვლე ზმნებად არ მიიჩნევა, ვინაიდან ამოსავალი ფუძე ერთი ჩანს პირველი და მეორე სერიის ფორმებისათვის, ამიტომაც **ნიმერს** ფორმა მეორეულად გვესახება, პირვანდელი ჩანს ***ნილ-მერს** ვარიანტი, რომელიც ძირეულ მორფემას წარმოაჩენდა (შდრ.: აორისტი: **ნილ-უ**). ხოლო **ლ+მ** და სხვა ნებისმიერი კონსონანტური ჯგუფი (**ც+მ**) აწმყოში ქმნიდა აღმავალი ღიაობის კომპლექსებს, რომლებიც ლაზურში და მეგრულში (ისევე, როგორც პროტოზანურში) დაიდლეოდა სხვადასხვა საშუალებებით, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო აკრძალული თანმიმდევრობის სუპერაცია ძირეული ხმოვნის ჩავარდნა/დაკარგვით მომდევნო სონორის ზემოქმედებიდან გამომდინარე, ანუ როგორც ქართ. **ბლიკვი** > მეგრ. **ლიკვი**-ი, ბრუო > რუო „რვა“..., ისე ლაზ. ***ქომეშატკობმერს** > **ქომეშატკომერს** „შემაღავს“, ***ნილმერს** -> **ნიმერს** „იღებს“, შესაბამისად აორისტი წარმოგვიდგენს ძირეულ თანხმოვანს: **ქომეშატკობუ** „შემაღა“, **ნილუ** „წაიღო“, ხოლო აწმყო ლაზური ფონოტაქტიკის გამო კარგავს მას.

ნიშანდობლივია, რომ „ათინურსა და ზოგჯერ ვიწურ-არქაბულშიც არის შემთხვევა I სერიაშიც იმ ფუძის გამოყენებისა, რაც აორისტიში გვაქვს: თილჩი მენდულუნ, არ კაპილი ძირემს, **ქომოღამს** ქარმატეშე, ვით კაპევი ძირემს, **ქომოღამს** ქარმატეშე III 967; „მელია წავა, ერთ კაპიკს იშოვის, მოიტანს წისქვილში, ათ კაპიკს იშოვის, მოიტანს წისქვილში“; ორსავე შემთხვევაში მოსალოდნელი იყო: **ქომუ(ი)მერს** ქარმატეშე... აგრეთვე: **ქოშკოვიღამ** II 10536 ამოვიტან; უნდა ყოფილიყო: **ქოშკოვიმერ**. ...მუთუ ბელა თის **მოგიღამს...** II 515 „რაიმე უბედურებას მოგიტანს“; უნდა ყოფილიყო: **მოგიმერს...** [ჩიქობავა, 1936, 172].

როგორც ირკვევა, **წაღება** ზმნის აწმყოს წარმოებაში პარალელიზმია: ერთი მხრივ, გვაქვს -**მ-ერ** (**-უმ-ერ**) სუფიქსიანი ფუძე, მეორე მხრივ, უფრო მარტივი – **-ამ** თემისნიშნისანი. პირველ შემთხვევაში ძირეული მორფემა არაკანონიკური ბგერათკომპლექსის დასაძლევად ჩავარდება, მეორე შემთხვევაში **ღ-ს** შესანარჩუნებლად ხელსაყრელი ფონეტიკური გარემოცვაა.

ანალოგიურად შეიძლება **ოტკომერს** ფუძის სტრუქტურული ანალიზი: ამოსავალ ვარიანტად აქ შეიძლება ***ოტკოჩ-მერ** ფუძის აღდგენა.

ლაზური ფონოტაქტიკით დაუშვებელია **მ, ნ, რ** სონანტები თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში [ქუთელია, 1986, 154] (მსგავსი სურათია მეგრულშიც: ტ. გუდავასა და თ. გამყრელიძის წესის მიხედვით დაუშვებელია სონანტები **რ, ნ** თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში) [გუდავა, 1981, 202] – ძირისეული **ჩ** ელემენტი ჩავარდება. აორისტიში ძირისეული მორფემის გამოვლენისთვის ფონეტიკური დაბრკოლება არ არსებობს.

ძირისეული ელემენტის ჩავარდნის ნიმუშად სხვა ზმნებიც შეიძლება მოვიტანოთ:

ისტომერს: მთუგის **ასთომეს** (ასათ. 156) „თავს ესვრის“; ოკულე ბურთი **ვასთომეთ** (იქვე, 128) „მერე ბურთს ვესვრით“.

ამოსავალი ვარიანტია ***ისტოლ-მერს**;

შდრ.:

ეკულე არ ქვა **იწისტოლაგინონ** (იქვე, გვ. 130) „შემდეგ ერთი ქვა უნდა აისროლო“.

ასევე მეორეულია ფორმა **ქომეშატკომეს** („შემაღავს“):

ბეგ-ნა ენ ლემში დაჩხიის **ქომეშატკომეს** (იქვე, გვ. 155) „ვაჟი რომ არის, ნემსს ცეცხლში შემაღავს“.

ამოსავალი ვარიანტია *ქომემატკობ-მეს (შდრ.: აორისტი: ქომემატკობუნ).

ასთომეს, ქომემატკომეს ფორმებში თემის ნიშანი -მ-ს სახით არის წარმოდგენილი.

საინტერესო ვითარებაა შენიშნული სარფის მეტყველებაში: უწ-უმ-ერ-ს, ნი-მ-ერ-ს, ოტკ-ომ-ერ-ს ფორმათა პარალელურად თავს იჩენს უწ-უმ-ეფ-ს, ნი-მ-ეფ-ს, ოტკ-ომ-ეფ-ს და ამგვარი ვარიანტები [მემიშიში, 2001, 75], ესე იგი, -ერ მეშველი ზმნის ადგილს -ეფ იჭერს, რაც ამ -ერ ელემენტის ფუნქციის დაბნელებისა და, აქედან გამომდინარე, თემის (-ეფ) ნიშნად გადააზრიანების შედეგი უნდა იყოს.

მეგრულის ზუგდიდურ-სამურზაყანოულ დიალექტში ჩვეულებრივია -უნ > გნ; მაგ.:

თე დროს გინოჩე ზოჯუა: „მითი თე ლეკურს იმაწყე ნქე ნი, თისე ჩქიმი ოსურისქუას ქემეზჩანქია (დან., 14) „ამ დროს გასცა ბრძანება: „ვინც რომ ამ ხმაღს ამოაძრობ, იმას ჩემს ქალიშვილს მივცემო“; იე უუ უბედურობა ანბექე , მარა მუს იქე ნდესე ? (დან., 16) „შეიქნა ერთი უბედურება (ამბავი)“; ფაიტონითე მიდაზოჯე ნთე და, აღე რუაფუ ჟირი მანათი, დერეჟანითე ართი (ყიფშ., 206) „ფაიტონით თუ წაბრანდებით, ეღირება ორი მანეთი, დილიჟანით ერთი“; შვიდებით ზოჯე ნდათ, პატენი! (ყიფშ., 207) „მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო!“; ჯგირი, უწუ რჩინ კოჩქ, მარა სი სო რძირე ნქ? (ყიფშ., 213) „კარგი, უთხრა მოხუცმა კაცმა, მაგრამ შენ სად გნახავ?“ ღორონთი გიჭყორე ნო, მუსე ორთე ქე ? (ყიფშ., 216) „ღმერთი გიწყრება? რას აკეთებ?“; სი მუმა ოხერი, ამუდლა გორე ნქე ნი, გოლა სო ორდი დო ვარა აე ურე მუ გოკო? (ყიფშ., 217) „შე მამაოხერო, დღეს რომ ემებ, გუმინ სად იყავი ან აქეთ რა გინდა?“ იდესე დო იდესე , წოხოლე ქაწოხვადესე ართი კოცე , ვითოჟირი ულუ კამეჩი ქუუსქუდუ დო ხონე ნდე დიხასე . ნახონა დიხასე ყინტე ნდე (ყიფშ., 219) „იარეს, იარეს, წინ შემოხვდათ ერთი კაცი, თორმეტ უღელი კამეჩი ჰყავდა შებმული და ხნავდა მიწას. ნახნავ მიწას ყლაპავდა“; კოცე ქე გოძირა, მარა სითი დორე ვილე ნცე დო მათი (ყიფშ., 222) „კაცს გაჩვენებ, მაგრამ შენც მოგკლავს და მეც“; თინა პილე ნსო მა?! ისე გეუნჭირა კუჩხისე დო გობჭყილიტე (ყიფშ., 223) „ის მომკლავს მე? მაგას ფეხს დავაბიჯებ და გავჭყლეტ“; კოცე არგუნი უკებუ დო დიშქასე კვათე ნცე (ყიფშ., 222) კაცს ნაჯახი უჭირავს და შეშას ჭრის“; ართი მარუო რე მა სი რგორე ნქე დო ვა რძირი (ყიფშ., 223) „ერთი კვირაა მე შენ გემებ და ვერ გნახე“; მა მუშე ბგორე ნდი (ყიფშ., 223) „მე რატომ მეძებდი?“ ტურა გერე შორსე დო უკიჟინე ნცე კოცე (ყიფშ., 224) „ტურა შორიდან დგას და უკივის კაცს“; მორთი ათე სქუას მობრდე ნქია (ხუბ., 37) „მოდო, ამ შვილს გაგზრდიო“; ვაგაჟოფენია წიე, სი ინავა, ართი, დო მაჟია დორე ვილე ნსია უწუ. ქო, მა ის ოპქოფე ნქია, უწუ, ნება ქომუჩი ოღონ სია (ხუბ., 67) „ვერ დაიჭერო, ბიჭო, შენ მაგას, ეს ერთი, და მეორე, მოგკლავსო, უთხრა. მე მას დავიჭერო, უთხრა, ოღონდ ნება მომეცი შენო“; ათენა ორწყე ირფელს, მუს ორთე ნა თე ბოშისე ნ (ხუბ.,) „ეს ხედავს ყველაფერს, რას უშვრებიან ამ ბიჭს“...

მეგრულში ქართული -ავ სუფიქსის მორფო-ფონეტიკური შესატყვისებად -უნ/-უ დასტურდება, ლაზურში – -უმ/-უფ.

II.7.4.3. ზან. -უნ/-უმ/-უფ : ქართ. -ამ.

განსხვავებული წარმოშობისაა -უნ სუფიქსი, რომელიც ვლინდება შემდეგ ფორმებში: დგუნს „დგამს“, შუნს „სვამს“, ნწყუნს „ხსნის“.

ამას ემატება ფიზიოლოგიური მოთხოვნებთან შესრულების გამოსახატავად გამოყენებული ორი ზმნა.

საიდან ჩანს ზანური **-უნ/-უმ/-უფ** მორფემის კავშირი ქართულ **-ამ** სუფიქსთან?

ინტერვოკალურ პოზიციაში აღდგება თავდაპირველი, ამოსავალი თანხმოვანი: დგ-უნ-ს – დგ-უმ-ა, შ-უნ-ს – შ-უმ-ა, ნწყ-უნ-ს – ნწყ-უმ-ა...

ეს **-უნ/-უმ/-უფ** მიღებული ჩანს **-ომ**-იდან, რაც ქართული **ამ**-ის ზუსტი შესატყვისობაა.

-ომ სუფიქსიანი აწმყოს წყების ფორმები შედარებით იშვიათია, შემორჩენილია ვიწურ-არქაზულ კილოკავში [ნადარეიშვილი, 1970, 140].

-ო-საფეხურიანი თემის ნიშნები (რომელიც შეიძლება გამარტივდეს) ლაზურს შემოუნახავს:

ჩითომს: დიშქა ჩითომს (ჩიქ., II, 79₁₆) „შეშას აპობს“;

ლალომს: ლაჭი ლალომ (ჩიქ., II, 114_{26, 30}) „ძალი ყეფს“

და-ჩქიმი ჩხომიში ქორბაშენ ქაეშაყონოფთოა (კარტ., II 48₁₁) „ჩემს დას თევზის მუცლიდან ამოვიყვანთ“; ქოსე ქოჭოუფან, გამიყონოფან... (კარტ., II, 21₃₄) „ქოსას დაიჭერენ, გამოიყვანენ...“;

ჩქიმი ილეფე მო გონდინომ-ა! (ყლ., 63₂₆) „ჩემს ძვლებს ნუ დაკარგავო!“;

ვუჯღონოფ//ვუჯღონაფ „ვუგზანნი“ [ჩიქ., 1936, 131].

„...ბომინე თი-სქან მო გონდინომ“ა (დიუმეზ., I, 84₁₇) „ტყულიად თავს ნუ დაილუპავო“.

ფათიშაიქ-თი ძიოფს, ამმა მუთუ ვა უწუმესს (ჩიქ., II, 416);

იჩინოფ-ა (ჩიქ., II, 416)

აღბათ არ იქნება უსაფუძვლო, თუ ამ შემთხვევებში ქართ. **-ობ** სუფიქსის ზანურ **-ოფ** შესატყვისობაზე ვიმსჯელებთ:

ასთეი ფადიშაი **იჩინოფია?**, ქო, **ვიჩინობა** (< **ვიჩინოფა**), უწუ (I, 22₃₂) „ამა და ამ ხელმწიფეს იცნობო?, კი, ვიცნობო, უთხრა“;

ყოროფს „უყვარს“ (შდრ. ყვარობს).

ფაქტია, რომ ზანური **-უნ** თემატური აფიქსი სხვადასხვა წარმომავლობისად უნდა მივიჩნიოთ:

ერთი მხრივ, იგი ქართული **-ავ** თემის ნიშნის შესატყვისია, მეორე მხრივ კი **-ამ** სუფიქსისა.

ძალიან საინტერესოა ი. ყიფშიძის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მეგრულისთვის დამახასიათებელია **ვ**-ს განვითარება ხმოვნებს შორის: გვაქვს **ჭარუ-ვ-ა** **ჭარუა**-ს გვერდით, **ნთხორუ-ვ-ა** და **ნთხორუა**, **ფთქუ-ვ-ათ** და **ფთქუათ** (ყიფშიძე, 1914, 08).

ამ ენობრივი ფაქტისთვის შეიძლება განსხვავებული კვალიფიკაციის მიცემა, მისი მიჩნევა იმის დასტურად და საბუთად, რომ **-უნ** ნიშნიან ფორმებში **-უნ** სწორედ ქართ. **-ავ** სუფიქსის მორფო-ფონოლოგიური შესატყვისია და ამ მორფემის თანხმოვანი ხმოვნებს შორის პოზიციაში სპორადულად შეიძლება გამოვლინდეს კიდეც (კი არ განვითარდეს!), ისევე როგორც ეს ამ ნიმუშებშია:

ართი დღასე თე ბოშიქ ოტყალეშა მიდართე დო **ონჯუვას** ცუდეშა მიიშე ნი, ართი კოკამი ოსური ქომირე წყურგილიშა მიმაალე (ყიფშ., 31) ერთ დღეს ეს ბიჭი ტყეში წავიდა და საღამოს სახლში რომ მიდიოდა, ერთი კოკიანი ქალი ნახა წყაროზე მიმავალი“; თექე **ჩუვანცე** ეგებუ ფუჩხა ინომედასე ნი, - უწუ ოსურქე (ყიფშ., 95) იქ, ქვაბში შეიძლება ნაფხვენები იდოსო, - უთხრა ქალმა“; გეედირთე ქოჩორაქე, გამკვილე **ჩუვანი**, ოჭკუმუ ოჭკუმალი ყიფშ., 95) „ადგა ქოჩორა, გამოიტანა ქვაბი, ჭამა საჭმელი)...

ჯუჯ- ბუნებრივად უკავშირდება ქართ. **ძოჯ-** ძირს, ხოლო **ჩუჯ-** ქართულ **ცაჯ-** ძირს (ამდენად, **ჩუჯანი** ეტიმოლოგიურად იხსნება, როგორც საცავი, საჭმელის შესანახი ქურჭელი, ქვაბი).

ამ შემთხვევებშიც უპრიანია მსჯელობა არა ხმოვნებს შორის **ვ-**ს განვითარებაზე, არამედ მის, როგორც ძირეული მასალის გამოვლინებაზე.

II.7.4.4. -უ სუფიქსის საკითხი მეგრულ-ლაზურში.

-უ ელემენტი გვაქვს ზანურ ე. წ. უნიშნო ვნებითის (**ღურ-უნ** ტიპის) ფორმებში. ამ -უ სუფიქსს კ. დანელია თემატურ სუფიქსად მიიჩნევს: „-უ სუფიქსი... დანიშნულებით თემატური ნიშანია. გავრცელებულობით და ხმარებით ის ქართულ ებ-ს ეტოლება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისგან არ მომდინარეობს. -უ-ს ვერც ქართული ი-ს ბადად მივიჩნევთ (იქნება ეს ი თემის ნიშანი თუ ხოლმეობითისა). -უ, საფიქრებელია **ოვ-**ისაგან მომდინარეობდეს, ხოლო ეს უკანასკნელი კი ქართული **ავ-**ის შესატყვისი იყოს (**ავ > ოვ > უვ > უ**). **ო > უ** პროცესისათვის **ვ-**საც უნდა შეეწყო ხელი, თუმცა უიმისოდაც დასტურდება ასეთი გადასვლა: **დოჭარ-უ (< დოჭარ-ო)** „დაწერა“. ასე რომ: **ღურ-უნ < ღურ-უვ-ნ < ღურ-ოვ-ნ**; ამდენად, „ღურ-უნ“ ტიპის წარმოება ამოსავლად უნდა გულისხმობდეს არა **კუდ-ებ** ტიპის თემას (კუდ-ებ-ი-ს), არამედ **კუდ-ავ** ტიპს (***კუდ-ავ-ნ**, შდრ. **მო-კუდ-ავ-ი**)“ [დანელია, 1976, 172].

ამგვარად, ამ ტიპის ზმნებში უნდა ვივარაუდოთ შემდეგი პროცესები: ***ღურ-ოვ-ნ... > ღურ-უნ-ნ > ღურ-უ-ნ**.

ეს ახსნა ჩვენთვის მისაღებია. -უ თემატური ნიშანი თეორიულად შეიძლება ქართ. -ამ სუფიქსისგანაც მოდიოდეს, მაგრამ მაშინ ხელსაყრელ ფონეტიკურ გარემოცვაში უნდა გამოჩნდეს მისი კონსონანტური ელემენტი.

უ-ს წარმომავლობისთვის საინტერესო ჩანს საერთო ძირეულ მასალაზე დაკვირვება (ავიქსური მასალის შედარება ამ შემთხვევაში ვარაუდის ფარგლებს მაინც ვერ სცდება: არა გვაქვს ამ ვარაუდის შესამოწმებელი საკონტროლო საშუალება).

პირველ რიგში ის მასალაა საყურადღებო, სადაც ქართულ ვარიანტში -ავ გვაქვს: ქართ. (ი)ცავ-ს ფორმის შესატყვისად მეგრულში **ჩუ-ან-ს (< ჩუვ-ან-ს)** გვაქვს, შუალედური საფეხურია ***ჩოვ-ან-ს**.

აქ ეჭვმიუტანლად ჩანს ქართული -ავ ძირეული მასალის ის ფონოლოგიური ტრანსფორმაცია, რომელიც ივარაუდება კ. დანელიას მიერ ავიქსური მასალის ანალიზის შემთხვევაში.

ასეთივე მაგალითია ქართული ჰ-ყავ-ს ფორმის მეგრული შესატყვისი **ქუნ-ს**: ზუსტი შესატყვისობაა **ყავ: ქოვ**, აქედან მივიღეთ: **ქუვს > ქუნს**.

ასევე საინტერესოა ის მაგალითები, სადაც ქართული ძირეული -ოვ მეგრულში **უნ (<უვ)** სახით ჩანს: ქართ. ახსოვს: მეგრ. შუ(ნ)(ნ), ქართ. ქსოვს: მეგრ. შუნს, ქართ. წოვს : მეგრ. წუნს.

აწმყოს ფუძეში -ოვ არ ჩანს, მაგრამ პარადიგმის რომელიმე სეგმენტში შეიძლება მისი რეფლექსის დაფიქსირება: **სთხოვს** ზმნა მეგრულად არის **თხინს**, მაგრამ, ვთქვათ, მეორე

კავშირებითში იქნება თხუას (<*თხუვას), მასდარია თხულა (<*თხუვალა), ასევეა იშოვის – იშინს (||შიბულენს – ეს სხვა წარმოება), მეორე კავშირებითშია: ქიშუას (<*ქიშუვას).

ერთი კითხვა მაინც ჩნდება: **ღურუ(ნ)** ტიპის ზმნათა მესამე პირის ფორმებისთვის ყველაფერი მარტივად იხსნება, მაგრამ პრობლემატურია პირველი და მეორე პირი, სადაც ვ-სგან მიღებული **ნ** აუსლაუტში არ არის, მას მოსდევს **-ქ** სუფიქსი, **-ნ-ქ** კომპლექსი შეიძლება ერთად დაიკარგოს (როგორც ეს ხდება გარდამავალი ზმნების შემთხვევაში: პ-ჭარ-უნ-ქ – პ-ჭარ-უ... „ვწერ“):

-ნ-ქ > -ქ, ჩვეულებრივ, არ ხდება, თუმცა ნაბეჭდ ტექსტებში არსებობს ამგვარი გამარტივების დამადასტურებელი ორიოდე მაგალითი, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა:

მა სქანი დუს შხვას ვადვანებექია (ხუბ, 6₁₂) „მე შეს თავს სხვას არ დავანებებო“; ნანა, სქუავა! ჩქიმი სქუას სი ხოლო დუმასთი, მა ხოლო დუმასთუქია, ჩქიმი ქონება ჭკომათ თინა მოკონია (ხუბ, 173₂₉₋₃₀) „ნანა, შვილოო! ჩემს შვილს შენც „გაუმასტე“, მეც „გავუმასტავ“, ჩემი ქონება ჭამოთ, ის მინდაო“.

უფრო მაინც ის უნდა ვიფიქროთ, რომ **-უ (<-უნ <-უვ <-ოვ) გამარტივებული, გაცვეთილი სახით მკვიდრდება, როგორც თემის ნიშანი (ყველა პირში) და ამ გამარტივებულ ვარიანტს დაერთვის მოგვიანებით -ქ სუფიქსი პირველსა და მეორე პირში.**

ამ მოსაზრებას მხარს უჭერს ის შემთხვევები ლაზურში, როდესაც **-უ** სუფიქსი გვევლინება თემის ნიშნად არააუსლაუტის პოზიციაში:

იქუმს > იქუ-ო: დემირი დემირჯი იქუჲ, საფანი უსთა იქუჲ (ჩიქ., II, 110₁₈) „რკინას მჭედელი აკეთებს, სახნისს ოსტატი აკეთებს“;
დოსქ-უმ-ს > დოსქ-უ: ქორმე მაქვალი დოსქუ-ო (ჩიქ., II, 115₁₂) „ქათამი კვერცხს დებს“;
კოხნ-უმ-ს > კოხნ-უ: ქორმე კოხნუ (ჩიქ., II, 115₂₂) „ქათამი კრუხუნებს“;
კვათ-უმ-ს > კვათ-უ: ჰიმუ დიშქა კვათ-უ-ო (ჩიქ., II, 115₁₁) „ის შემას ჭრის“;
კორეცხ-უმ-ს > კორეცხ-უ: ჰემუ ვა კორეცხუ (ჩიქ., II, 115₉) „ის არ თვლის“.

ტიბჲ, ღურჲ, სქირჲ ტიპის ფორმებში, არნ. ჩიქობავას მიხედვით **-უ** არის ვნებითი გვარის ნიშანი.

ამ შემთხვევაში ჩნდება კითხვა, რატომ არ ჩანს ეს **-უ** მეორე სერიაში? ვნებითი ნიშანი მეორე სერიაშიც გამოხატავს სათანადო გრამატიკულ მნიშვნელობას.

ამ ზმნათა მეორე სერიის ფორმებია: **გოტიბ-უ, დოღურ-უ, გოსქირ-უ.**

-უ აქ მესამე სუბიექტური პირის ნიშანია.

ისლა დაგვრჩენია, ამ რიგის ზმნები **უნიშნო ვნებითებად** ჩავთვალოთ, – მათი შესაფერისია ქართული **თბება, კვდება, შრება** ფორმები.

შეიძლება თუ არა სხვა თემატური სუფიქსების სტატუსის დადგენაც?

როგორც ჩანს, შეიძლება.

II.7.4.5. ზან. -ან/-ამ/-ავ : ქართ. -ებ.

-ებ ქართულში ყველაზე გავრცელებული თემის ნიშანია [შანიძე, 1980, 397]. მისი ზანური შესატყვისია **-აფ/-ამ/-ან:**

ა-ქ-ებ-ს – ო-ცქვ-ან-ს (< ო-ცქვ-აფ-ს),

შდრ.: მასდარი ცქვ-აფ-ა, კაუზატივი ო-ცქვ-აფ-უ-ან-ს,

ა-გინ-ებ-ს – ო-გორ-ან-ს (შდრ.: მასდარი გორ-აფ-ა, კაუზატივი ო-გორ-აფ-უ-ან-ს),

ა-ფარ-ებ-ს – ო-ფორ-ან-ს (შდრ.: მასდარი ფორ-აფ-ა, კაუზატივი ო-ფორ-აფ-უ-ან-ს),

ა-ვს-ებ-ს – ო-ფშ-ან-ს (შდრ.: მასდარი ე-ფშ-აფ-ა, კაუზატივი ო-ფშ-აფ-უ-ან-ს),

ა-ძლ-ებ-ს – ო-რძლ-ან-ს (შდრ. მასდარი რძლ-აფ-ა, კაუზატ. ო-რძლ-აფ-უ-ან-ს),

ი-წყ-ებ-ს – ი-ჭყ-ან-ს (შდრ.: მასდარი დო-ჭყ-აფ-ა, კაუზატივი ო-ჭყ-აფ-უ-ან-ს)...

ასევე ქართული **-ებ** სუფიქსის შესატყვისია მეგრული კაუზატიური ფორმების **-ან:**

ოჭარ-აფ-უ-ან-ს „აწერინებს“,

ოჭკირ-აფ-უ-ან-ს „აჭრევენებს“,

ოზინდ-აფ-უ-ან-ს „აზიდვენებს“...

ცნობილია, რომ ქართულში, ისევე, როგორც საზოგადოდ, ქართველურ ენებში, კაუზატიური წარმოებისათვის გამოყენებული საყრდენი მორფემა თემისნიშნანია; ამდენად, თუ ეს საყრდენი მორფემა **-ებ** თემატურ სუფიქსით არის წარმოდგენილი, გაკაუზატიურებისას აწმყოს ფუძე მეორე თემატურ სუფიქსს – ისევე **-ებ** ნიშანს დაირთავს და მთლიანად პირველი სერიის კაუზატიურ საყრდენ ფუძეში ორი **-ებ** გვექნება, რომელთაგან ერთი ფუნქციას კარგავს და ფუძეს უხორცდება, ხელმეორედ დართული მასალობრივად იდენტური სუფიქსი კი ჩვეულებრივ აწარმოებს აწმყოს ფუძეს (აკეთ-ებ-ს >აკეთებინ-ებ-ს, აშენ-ებ-ს > აშენებინ-ებ-ს...).

ზანურშიც ეს წესია გატარებული, – განსხვავება ისაა, რომ აქ აწმყომი ყოველთვის ორი **-აფ** (<ქართ. **-ებ**) გვაქვს, რომელთაგან წინა კაუზატივის კატეგორიის მაწარმოებელ სუფიქსადაა რეინტერპრეტირებული (ლაზ. ო-ჭარ-აფ-აფ-ს/ო-ჭარ-აფ-ამ-ს, მეგრ. ო-ჭარ-აფ-უ-ან-ს; შდრ. ქართ. ა-წერ-ინ-ებ-ს; ლაზ. ო-რგ-აფ-აფ-ს/ო-რგ-აფ-ამ-ს, მეგრ. ო-რგ-უ-აფ-უ-ან-ს; შდრ. ქართ. ა-რგვ-ევინ-ებ-ს...).

საინტერესოა, რომ კაუზატიურ ფორმათა ერთ ჯგუფში ქართ. **-ებ** სუფიქსი სამი სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობით გვხვდება: საკუთრივ **-ებ** და მასთან: **-აფ, -ან** (ო-შენ-ებ-აფ-უ-ან-ს, ო-კეთ-ებ-აფ-უ-ან-ს...). აქედან ცხადია, **-აფ** და **-ან** ერთი და იგივე სუფიქსებია და ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში არიან: ხმოვნის წინ გვაქვს **ფ**, ხოლო თანხმოვნის წინ – **ნ**.

გამოდის, რომ ქართული **-ებ** სუფიქსი ორი სახით რეალიზდება მეგრულში: ერთ შემთხვევაში, მეგრული სესხებას მიმართავს, ამ დროს, იგი როგორც წესი, **-ებ** სუფიქსთან ერთად ა- პრეფიქსსაც იღებს), სხვა შემთხვევაში კი ქართული **-ებ** სუფიქსის შესატყვისობას წარმოაჩენს: მეგრ. **-ან < -ამ < -აფ** : ქართ. **-ებ**.

ლაზურში გვაქვს **-ამ/აფ/აპ** (ეს უკანასკნელი ისევე უწყვეტლის ტ < დ სავრცობის წინ დასტურდება):

ბაკლავას **გობაფან** (I 143₂₆) „ბაკლავას გადასახამენ“; პილავი **დოლუბლაფან** (I 162₁₀) „ფლავს ჩაუყრიან“; ემუქ ომიცინუშენი **ზანდალაფს**-ა (ჩიქ., I 70₇) „ის სასაცილოდ დამუნძულეებსო“; ააზული ვა რენი, აშოფეთენ ოჭკომალე **გონდინაფ?** (კარტ., I, 36₂₁) „ცოდვა არ არის, ასე საჭმელს (რომ) ღუპავს?“ არ ჩქვა ათმაჯას **ნუნგაფს** (ჩიქ., I, 154₃₀) „ერთი სხვა[ც] მიმინოს ჰგავს“; თემბელი დოჭკინდერი რენ დო **კუსაფს** (ჩიქ., I, 38₁₉) „ზარმაცი დალილია და კვენის“; აა ბიჭი კაბლა **გონდინაფს** (კარტ., I, 42₁₉) „დაიწყო ბრძოლა. ეს ბიჭი ბრძოლას აგებს; მეგრელეფეში ხარშოს **ნუნგამს** (ჩიქ., II 75₇) „მეგრელების ხარშოს წააგავს“; ჰაწი ჰემ გუნძე ცუჯონიქ ოხოიშე **ოგნამს**

(ჩიქ., II 384) „ახლა ეს გრძელყურიანსაც შინიდან (სახლიდან) ესმის; ჟურ საათიშა ჭუმანინერი დერსეფე ჩქინი ვიგურაფთ (ჩიქ., I 124²⁸) „ორ საათამდის ხვალინდელ ჩვენს გაკვეთილებს ვსწავლობთ; არ კოჩი კრიაშს (ჩიქ., II 137⁹) ერთი კაცი გაჰკვივის“; მონჭა კროხამს (ჩიქ., II 2²¹) „კრუხი კრუხუნებს“; მა და-თქვანიშენი თი-ჩქიმი გობონდინამ (დიუმეზ., 40⁶) „მე თქვენი დისთვის თავს ვწირავ“; მჟუა ქაგამახთუ დო მთვირი ონდლულაპტუ (ჩიქ., I 96¹²) „მზე გამოვიდა და თოვლს ადნობდა“; აჭუნტუ დო კუსაპტუ (ჩიქ., I 68⁴) სტკიოდა და კვენსოდა...“; ომიცინუშენი ბანდალაპტუ [მთუთი] (ჩიქ., I 70⁴) „სასაცილოდ მუნძულეობდა [დათვი]“; ჩქინ-თი დინხა მო მეფჩაპტათ ფარათე (ყიფშ., 6) „ჩვენც მიწას ნუ მივყიდით (მივცემთ)“; ბოზოფეს ოჭარუ მო ვოგურაპტათ! (ყიფშ., 6) „ქალებს (გოგონებს) წერა-კითხვას ნუ ვასწავლით!“

მეგრულში ქართული -ებ სუფიქსის -ან(<-ამ)/-ავ მორფო-ფონეტიკური შესატყვისები დასტურდება, ლაზურში -ამ/-ავ.

-ან სუფიქსი მეგრულში შეიძლება გამარტივებული სახით გვექნოდეს – -ან-ქ > -ა (ცხადია, არა აქვს მნიშვნელობა -ან სუფიქსის წარმომავლობას): ვ-ო-ნჯ-ან-ქ > ვ-ო-ნჯ-ა „ვალე“, ვ-ო-რზ-ან-ქ > ვ-ო-რზ-ა „ვანთე“, ვ-ო-ცქვ-ან-ქ > ვ-ო-ცქვ-ა „ვაქე“... (იხ. ქვევით).

მესამე პირის ფორმის გამარტივების შედეგად ამოსავალი ვარიანტიდან -ა რჩება ლაზურშიც (მხოლოდ, განსხვავებულ პოზიციაში, არა აუსლაუტში)

- ხირხინამს > ხირხინაა:
- ცხენი ხირხინაა, ჩიქ., II, 114, 26, 30 (ცხენი ჭიხვინებს);
- მლორამს > მლორაა:
- ფუჯი მლორაა, ჩიქ., II, 114, 26, 30 (ძროხა ბლავის);
- პეტელამს > პეტელაა:
- შურონი პეტელაა, ჩიქ., II, 114, 26, 30 (თხა კიკინებს);
- კრიაშს > კრიაა:
- კატუ კრიაა, ჩიქ., II, 114, 26, 30 (კატა კნავის)...

II.7.4.6. ზან. -ან/-ამ/-ავ : ქართ. -ემ.

სულ სხვა წარმომავლობისაა -ან სუფიქსი შემდეგ ფორმებში:

- ო-რზ-ან-ს („აგზებს“) შდრ.: მასდარი დო-რზ-ამ-ა, კაუზატივი და-რზ-ამ-ავ-უ-ან-ს
- მი-ო-გ-ან-ს („მიაგებს“) შდრ.: მასდარი მე-გ-ამ-ა, კაუზატივი მიოგ-ამ-ავ-უ-ან-ს
- ო-ნჯ-ან-ს („აღებს“) შდრ.: მასდარი გო-ნჯ-ამ-ა, კაუზატივი ო-ნჯ-ამ-ავ-უ-ან-ს...

როგორც ცნობილია, ქართულში -ემ სუფიქსი მხოლოდ ერთ ზმნასა აქვს თემატურ ნიშნად: [მი]ს-ც-ემ-ს; მეგრულში მისი მორფო-ფონეტიკური კანონზომიერი შესატყვისი გვაქვს – მე-ჩ-ან-ს (< მე-ჩ-ამ-ს), (შდრ.: მასდარი მე-ჩ-ამ-ა)...

ამ შემთხვევაში ნათლად ჩანს, რომ -ან თემატური სუფიქსი მეორეულია, იგი -ემ (და არა -ებ) სუფიქსის შესატყვისია.

ბუნებრივია, ერთ რიგში მოვაქციოთ ზემოთ წარმოდგენილი -ამ-ნიშნისანი ფორმები.

მამსადაძამე, აწმყოს ფუძის მაწარმოებლად მეგრულში ორი სხვადასხვა წარმომავლობის -ან სუფიქსი გვაქვს, რომელთაგან ერთი ქართ. -ებ სუფიქსის შესატყვისია, მეორე კი ქართ. -ემ სუფიქსის მორფო-ფონეტიკური შესატყვისობა ზანურში (შდრ.: ჩიქობავა, 1936, 133);

ამდენად, ზანურში სხვადასხვა წარმომავლობისაა -ან, რომელიც ზმნის პირიან ფორმებში ვლინდება თემის ნიშნად.

მეგრულში ქართული -ემ სუფიქსის -ან/-ამ მორფო-ფონეტიკური შესატყვისები დასტურდება, ლაზურში -ამ/-ავ.

II.7.4.7. ზან. -ან : ქართ. -ავ.

ერთი რიგის მეგრულ ზმნებში გამოვლენილი -ან სუფიქსი ქართულიდან შეთვისებული და ფონეტიკურად სახეცვლილი -ავ თემის ნიშანი ჩანს (ხმოვანი იგივეა, შეცვლილია თანხმოვანი ცნობილი წესის მიხედვით);

ეს ფორმებია:

ფილტრანს

შდრ. „ფილტრავს“

შურანს

შდრ. „სუნავს“

წამალანს

შდრ. „წამლავს“ და მისთ.

II.7.4.8. ზან. -ენ/-ემ/-ეფ/-ებ : ქართ. -ებ.

ქართული -ებ სუფიქსი ხშირად ნასესხები და ფონეტიკურად სახეცვლილია მეგრულში: ა-კეთ-ებ-ს – ა-კეთ-ენ-ს (შდრ.: მასდარი კეთ-ებ-ა, კაუზატივი ო-კეთ-ებ-ავ-უ-ან-ს), აშავებს – ა-უჩარ-ენ-ს (შდრ.: მასდარი დაუჩარ-ებ-ა, კაუზატივი ო-უჩარ-ებ-ავ-უ-ან-ს), ა-შენ-ებ-ს – ა-შენ-ენ-ს (შდრ.: მასდარი შენ-ებ-ა, კაუზატივი ო-შენ-ებ-ავ-უ-ან-ს)... უ-წოლ-ემ-ს „ეუბნება“, ი-ჩა-ლიმ-ეფ-ს „მუშაობს“, ჩხე მუ-ხთ-ეფ-ს „აციებს“...

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ფუძე მეგრულია თუ ქართულიდან ნასესხები (ამ უკანასკნელ ჯგუფში არის ისეთი მაგალითები, რომლებშიც -ენ სუფიქსი მეგრულ ფუძეს დაერთვის (ა-უჩარ-ენ-ს), მაგრამ უმეტესობა ქართულიდან ნასესხებ სიტყვას წარმოადგენს (ა-კეთ-ენ-ს, ა-შენ-ენ-ს, ა-წუხ-ენ-ს, ა-რიგ-ენ-ს...); ცხადია, აქ -ებ სუფიქსია ამოსავალი; ამ სუფიქსს უნდა გაეგლო ზემოხსენებული გზა: -ებ > -ეფ > -ემ > -ენ (ისევე, როგორც სახელთა მრავლობითის -ებ სუფიქსს [ჩიქობავა, 1936, 133]).

საინტერესოა იმ შემთხვევების ანალიზი, როდესაც ქართულში გვაქვს -ევ სუფიქსი, რომელიც, როგორც ცნობილია, თემის ნიშანი არ არის, მაგრამ საზოგადოდ, ფუძის მაწარმოებელი აფიქსის სტატუსით სარგებლობს.

არკვევს

არკვეინს

–

გარკვეება

აზღვევს

აზღვეინს

–

დაზღვეება

არჩევს	არჩიენს	–	გარჩიება
იწვევს	იწვიენს	–	მოწვიება: მოწვიება/მოწვიება/მოწვივა
იქნევს	ირქიენს	–	რქიება
აქცევს	აქციენს	–	მოქციება: ცირასქუას ვასქვანც, მა სი

მექციებუქუ (მასალ.,42) „ქალიშვილს არ შეშვენის შენ რომ მე მექცევი“.

ერევა მერიებუ/ურიენს–მორევა/მორიება/მორება/მორია/ მორუება:
ქაჯ.

მორიება ნდის მერიებუქია, – უწუუ ძღაბიქ (ხუბ., 4) „დევს მოერევიო, – უთხრა გოგომ“.

ელევა ელიებუ – დალიება.

მეგრულში -ევ- სუფიქსის -ი (<-ივ) ვარიანტი ჩანს, რომელიც აწმყოში ქართულიდან ნასესხები -ებ თემატური ნიშნით რთულდება, ნასესხებია მორფემათა კომპლექსი: ი-ებ < ივ-ებ.

მეგრულში ქართული -ებ სუფიქსის -ენ/-ებ ალომორფები დასტურდება, ლაზურში -ემ/-ეგ.

ქართულში გვაქვს ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომელთაც აწმყოს ფორმაში თემის ნიშნის წინ -ულ მორფემა უდასტურდებათ: ყიდულობს, სესხულობს, კადრულობს, ფიცულობს, კითხულობს, თხოულობს, გებულობს...

სათანადო ზანურ ფუძეებშიც ასეთივე სურათი გვექნება: ციდულენს, სესხულენს, კითხულენს, თხულენს, გებულენს...

ზოგჯერ აწმყოს ფუძე კიდევ უფრო რთულდება: შკიდაფულენს, ფუჩაფულენს...

ასევე საკუთრივ ზანურ ფუძეებშიც (რომელთაც სათანადო ფორმოზრევი შესატყვისი არა აქვთ ქართულში): ხირულენს...

ამ შემთხვევაში აწმყოს ფუძეში გამოვლენილი -ულ მიმღობის სუფიქსია და ახალი, რთული ფუძის წარმოქმნა ფუნქციური საჭიროებით უნდა აიხსნას: იყიდა, ისესხა, იკითხა (წიგნი)... ფორმებს აწმყოს ფუძე არა აქვთ, ახალი ფორმაც სემანტიკური პარადიგმატული ხაზის გამთლიანებისთვის გამოიყენება.

ინტერვოკალურ პოზიციაში ქართულიდან შეთვისებულ ფუძეებში ვ იკარგება: უტენს < უტეენს < უტევენს, მასდარი: გოტეება > გოტება „გაშვება“; შდრ. ქართ. უტეევბს, განუტეევბს, მიუტეევბს; მეგრულში ფონეტიკური პროცესების შედეგად -ტევ- ძირი ტ-ზეა დასული.

ქართული -ობ-სუფიქსიანი ზმნები ზანურში, ჩვეულებრივ, -ენ სუფიქსითაა გაფორმებული (ეს -ენ სუფიქსიც ქართული მასალაა: შდრ. ვაჭრენს – უვაჭრებუ, ჩხუპენს – უჩხუპებუ...):

ვაჭრობს	–	ვაჭრენს
ჩხუბობს	–	ჩხუპენს
არშიყობს	–	არშიყენს
ბურთაობს	–	ბურთენს
ყარაულობს	–	ყარულენს
ეჭვობს	–	ეჭვენს
პატრონობს	–	პატრონენს
პოეტობს	–	პოეტენს
ქეიფობს	–	ქეიფენს
ღალატობს	–	ღალატენს

შრომობს	–	შრომენს
ჩქარობს	–	ჩქარენს
ცხოვრობს	–	ცხოვრენს
ხარობს	–	ხარენს
ხმაურობს	–	ხმაურენს

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ **-ობ** სუფიქსის სანაცვლოდ მეგრულს აქვს ქართული **-ებ**, ტრანსფორმირებული მეგრულის ფონოლოგიური წესების მიხედვით.

მეგრულში პირველსა და მეორე პირში მარტივდება **-ენ-ქ** სუფიქსიც:

(ვ)ა-კეთ-ენ-ქ > (ვ)ა-კეთ-ე „(ვ)აკეთებ“, (ფ)ხირულ-ენ-ქ > (ფ)ხირულ-ე „(ვ)იპარავ“ (იხ. ქვევით).

ლაზურში, თემის ნიშნის თანხმოვანი კომპონენტი **(-ფ)** შეიძლება გამჟღერდეს: „ფ ბოლოკიდურად გვხვდება **-აფ, -უფ, -ოფ, -იფ, -ეფ** თემისნიშნისა ზმნებში. ეს თემის ნიშნები კი მხოლოდ ხოფურ-ჩხალურს ახასიათებს (ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში მათ მ-თანხმოვნიანი სუფიქსები ენაცვლება).

ფ > ზ გადასვლის მაგალითებია:

მუ ჯოღაბი მომჩაბა (< მომჩაფა)? (1, 52₃₄) „რა პასუხს მამლევი?“; სქანი ართეი კულანი მომჩია! ეგერ ვა მომჩაბ-ნა (< მომჩაფ-ნა), ქოგიმხოდა (I, 30₃₃) „შენი ერთი ქალიშვილი მომეციო! თუ არ მომცემ, შეგჭამო“; მა ჰოპჰოფუბა (< ჰოპჰოფუფა) (I, 24₃) „მე დავიჭერო“; სქანიშენი მიეონუბ-ნა (< მიეონუფ-ნა), ასთახოლო მეველუა (II, 21₈) „შენთვის თუ მიგყავარ, ახლავე მოვდივარო“; ასთეი ფადიშაი იჩინოფა?, ქო, ვიჩინობა (< ვიჩინოფა), – უწუ (I, 22₃₂) „ამა და ამ ხელმწიფეს იცნობო?, კი, ვიცნობო, – უთხრა“. მუ იქიბა (< იქიფა)? (I, 134₁₃) „რას აკეთებო?“; ვა იქიბ-ნა (< იქიფ-ნა), ეშო დულაა გოლოდაფ-ქი... (I, 71₉) „თუ არ იზამ, ისეთ საქმეს დაგმართებ, რომ...“; ვა გეგიეონება (< გეგიეონეფა) „არ ჩამოგიყვანო“ [კარტოზია, 2004, 48].

მეგრ. **იქუნს**, ლაზ. **იქიფს/იქიბს** ფორმებში **-უნ/-იფ/-იბ** სუფიქსებს თემის ნიშნად მიიჩნევენ, თუმცა სათანადო ქართულ ფუძესთან შეპირისპირებითაც ჩანს, რომ ესენი ძირისეული ელემენტებია: შდრ. ქართ ი-ქ(ა)მ-ს > ქ(ა)მ-ენ-ა > ქმნ-ა, სა-ქმ-ე. თემის ნიშნით გართულდება ამ ფუძისა მეორეულია ზანურში; შდრ. ქიმინ-უნ-ს – აორ. ქიმინ-უ.

ასევე არ არის თემის ნიშანი **-უნ** შემდეგ ფორმაში: **ჭკუნ-ს**, შდრ. ქართ. **ჭამ-ს**; მაგრამ თუ ქართული უთემისნიშნოდ რჩება, მეგრული თემის ნიშნით ართულებს ამ ფუძეს, – **ჭკუნს** ფორმის პარალელურად გვაქვს **ჭკუმ-უნ-ს**.

ჭკუნს/ჭკუმუნს საინტერესო ფორმაა იმ მხრივაც, რომ აქ თვალნათლივ ჩანს ქართული მ-ს შესატყვისი მეგრული მ-ს გადასვლა ნ-ში ს-ს წინ და პირვანდელი ვარიანტი ხმოვნის წინ: ქართ. ჭამს : მეგრ. ჭკუმს > ჭკუნს, მაგრამ: ჭკუმუნს, ჭკუმუა.

II.7.4.9. -ინ/-იმ/-იფ სუფიქსი ზანურში.

-ენ და **-ან** სუფიქსების რიგშია მოცემული მორფოლოგიური წონის მიხედვით **-ინ** სუფიქსიც („სხვა სუფიქსებიდან მნიშვნელოვანია **-ან, -ენ, -ინ**“ [ჩიქობავა, 1936, 134]), თუმცა

თუ თემის ნიშნის ტრადიციული დეფინიციით ვისარგებლებთ, სულ ორიოდე ზმნური ფორმა აღმოგვაჩნდება, სადაც საკუთრივ აწმყოს ფუძის მაწარმოებლად **-ინ** გვექნება.

ნ. ნათაძის მიხედვით, ეს არის ქართული თხ-**ოვ**-ებ-ა/გათხ-**ოვ**-ებ-ა-ს შესატყვისი ათხ-**ინ**-ს/ოთხ-**ინ**-ს. ამ შემთხვევაში, როგორც მკვლევარი თვლის, მეგრ. **-ინ** სუფიქსის ქართ. **-ოვ** მორფემასთან დაკავშირება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს: **-ოვ > -უვ > -უმ/-უნ > -ინ** [ნათაძე, 1959, 140].

ქართული **-ოვ** სუფიქსი თემის ნიშანს არ წარმოადგენს, თუმცა მისი და მეგრ. **-ინ** ელემენტის ერთ მასალობრივ ოდენობამდე დაყვანა, ბუნებრივია. საინტერესო ის არის, რომ მეორეულ (მეგრ. **-ინ**) ფორმაში ამოსავალი (ქართ. **-ოვ**) მასალის მორფოლოგიური რეინტერპრეტირება მოხდა. ფაქტია: ათხ-**ინ**-ს/ოთხ-**ინ**-ს ფორმებში **-ინ** თემის ნიშანია.

ასევე **-ინ** თემატური ნიშანი ჩანს ფორმაში ი-შ-**ინ**-ს – იშ**ოვ**-ი-ს. **-ინ** ამ შემთხვევაშიც **-ოვ**-ის ფონეტიკური ვარიანტი ჩანს; ქართული მეორეული შ-**ო-ულ**-ობ-ს ფორმის შესაბამისად მეგრულში შ-**იბ-ულ**-ენ-ს გვექნება (მყოფ. ი-შ-**ინ**-ს „იშოვის“, შდრ.: აორ.: ქიშ-უ); ასევე გვაქვს შესაბამისი მასდარი – შ-**იბ**-ა; ეს ფორმები თემატური ნიშნის ფუნქციით **-იბ**-სახესხვაობას წარმოაჩენენ.

-ინ თემისნიშნია უ-წ-**ინ**-ს „ეტყვის“ (შდრ. აორისტი უწუ „უთხრა“).

ამგვარად, თემის ალომორფთა სისტემა ზანურში ასეთი სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:

- ოვ, -ომ, -ობ, -ობ (> -ო);**
- უნ/გნ,-უმ, -უფ, -უბ, -უპ, უ, -მ, უა;**
- ან, -ამ, -აფ, -აბ, -აპ (> -ა);**
- ემ, -ენ, -ებ, -ეფ, -ეპ, (> -ე);**
- ინ, -იმ, -იფ, -იბ, იპ (> -ი).**

II.7.4.10. კიდევ ერთხელ -ქ და -რ სუფიქსების შესახებ მეგრულ-ლაზურში

ვნებითი და საშუალი გვარის ზმნათა ერთ ნაწილს ლაზურში **-რ** სუფიქსი დაერთვის, მეგრულში კი აწმყო დროის მხოლოდითი რიცხვის პირველსა და მეორე პირში **-ქ** მოეპოვება ყველა ზმნას (მეგრ. ვორე-ქ, ლაზ. ვორე-რ „ვარ“... მეგრ. პტიბუ-ქ, ლაზ. პტუბუ-რ „ვთბები“... ფთასუნ-ქ „ვთესავ“...

მაგ.:

გარდაუვალი ზმნები:

ართი მარუო რე, მა სი რგორგნქე დო ვა რძირი (ყიფშ., 223) „ერთი კვირაა, მე შენ გემებ და ვერ გიპოვე“; სი ოღონგ შორიშე ქემოდირი კოჩი დო მა უკული გოგიტეენქე (ყიფშ., 222) „შენ ოღონდ შორიდან მაჩვენე კაცი და მე მერე გაგიშვებო“; გიძიცანქენი, ცა ისარკუ, მოწყინდქენი, დიშუნუაფუ (სამ. 45) „რომ გაიცინებ, ცა ბრწყინდება (ისარკება), რომ მოიწყენ, იღრუბლება“; გილართხოზგქ ლანდიშორო (სამ., 42) „დაგდევ ლანდივით“; სისმარო მოძირუქუ, ცხადო გოილუა დუცუ, ვოხექენი, ალ მონტუუ, გილურქუნ, გილაპუნქუ (სამ., 42) „სიზმრად მეჩვენები, ცხადად შემოგავლებ თავს, რომ ვზივარ, ალი მიკილია, რომ დავდივარ, დამყავხარ“;

მირსიოლუქ უმუხარცქო (სამ., 38) „მისრიალებ შეუწყვეტლად“; მუ დაიშენ ვემებხვადი, მუმგურშენი **მონდურუქი** (სამ., 36) „რა დაგიშავე, ვერ მივხვდი, რისი გულისთვის მემდური“; მუ ჟამიშა, უჩა ბედი, მა თაშ **გილამთგრჯენქნი**, უკული რენო **მაკეთენქე**, ხეს **ქაშკონდლულუქნი**? (სამ., 36) „რა დრომდე (უნდა იყოს), შავო ბედო, მე რომ ასე გათრევე, მერე ამამენებ (გამაკეთებ), ხელში რომ ჩაგადნები?“; **იბჭულუქ** დო **იბთებუქუ** (სამ., 126) „ვიწვები და ვთავდები“; თის **მოწონქენ**, თინა ვარა, ვართ სი **რექ** განძია (სამ., 132) „იმას რომ მოსწონხარ, ისაა, თორემ არც შენა ხარ განძიო“; აქია ვართ მა **ეკმაწონინექ** დო ვართ სი **ეკაწონინექია** (ხუბ., 19) „აქო ვერც მე აგიყვან და ვერც შენ ამიყვანო“; ვარ, ვარ, **ვებლორინექ** (ყიფშ., 174) „არა, არა არ მოვტყუვდები“; სქუა, სი მა **მოკოქ** ნოსათია (ხუბ., 21) „შვილო, შენ მე მინდიხარ რძლადო“; მა იში ერთგულო **ვეგნიფრთინექე** (სამ., 151) „მე მის ერთგულად ვერ გადავიტყვი“; **გობხვალუნქია** (ხუბ., 20) „დავახველებო“; მა **გობოლუქ** პატონი (ხუბ., 18) „მე გახლავარ, ბატონო“.

გარდამავალი ზმნები:

ნამუ დიხა ითოქოცენცგნი, არძოსგ სი **ყინტჯენქენ** დო **იძახკექ** „ფშქირენცგ“ (დან., ცან., 266) „რაც (რომელი) მიწაც იყრება, ყველას შენ ყლაპავ და იძახი: „მშია“; ირ წანას **ფხაჩქუნქ** თაქ სიმინს (ხუბ., 23) „ყოველ წელს ვთოხნი აქ სიმინდს“; **იზარებუქე** სი, ვარა ეს **გოსოფუნქე** დო **ირტებუქე**, უწულუ კოჩქ (ყიფშ., 224) „იზარებ შენ, თორემ ამას გაწყვეტ და გაიქცევიო, უთხრა კაცმა“; მუსუ რე **ორთუქი**? (ყიფშ., 224) „რასაა, რომ შვრები?“ მუს **თხულენქე**? იქ უწულუ: მა ღვინს **ვთხულენქე** (ყიფშ., 224) „რას ითხოვ? მან უთხრა: მე ღვინოს ვითხოვ“; ქონებას **გოდირანქია** (ხუბ., 38) „ქონებას გაჩვენებო“; სი **გეუნწყუნქ** მუშა რექ მულირიე (ხუბ., 17) „შენ აუხსნი, რისთვის ხარ მოსულიო“; მუს **მიზოჯუნქია**? (ხუბ., 45) „რას მიბრძანებო?“; ათე ქესას მუ უჩქუნქიე, მა **ქუდგოგურუანქიე** (ხუბ., 49) „ამ ქისას რა შეუძლია, მე გასწავლიო“; მუსით **ინატრენქიე**, ირფელი გეგალენია, უწუ (ხუბ., 49) „რასაც ინატრებ, ყველაფერი აგიხდებაო, უთხრა“; მა სადილს **ოჭკომუნქ** ოროს (ხუბ., 52) „მე სადილს შევჭამ ჩრდილში“; ა ბაბა, სქანი ფარას **მერჩანქ** (ხუბ., 54) „ა ბაბა, შენს ფულს მოგცემო“; მა გაზეთის **დოპკარუნქია** (ხუბ., 89) „მე გაზეთში დავწერო“...

ქ- სუფიქსი აწმყოსა და წარმოების თვალსაზრისით მასზე დამოკიდებულ ნაკვთებში გხვდება: I, III და IV სერიის ფორმებში (შდრ. არნ. ჩიქობავა: „...მეგრულში ეს -ქ გარდამავალ ზმნებშიც გვაქვს, ე. ი. ყველა ზმნას ახასიათებს აწმყო დროის პირველსა და მეორე პირში მხოლოდობითს რიცხვში (არც მრავლობითში, არც აწმყო დროის გარდა სხვა დროებში ეს -ქ არსად ჩანს“ [ჩიქობავა, 1936, 115]).

-ქ სუფიქსის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა ვარაუდი: ეს სუფიქსი მიიჩნის ქართ. **ხ-//ჰ-ს** შესატყვის **ს₂** ნიშნად, პირველ პირში მისი გაჩენა ანალოგიით ახსნეს [ცაგარელი, 1872, 056; ყიფშიძე, 1914, 056].

გ. დეეტერსმა -ქ პირის ნიშანთა დაბოლოებებში განიხილა და ვინაიდან მონათესავე ჭანური მას არ იცნობსო, მეორეულ აფიქსად მიიჩნია [დეეტერსი, 1930, 131].

არნ. ჩიქობავას აზრით, -ქ-ს პირის ნიშნად მიჩნევა არ ხერხდება: „ეს -ქ იგივე ოდენობა უნდა იყოს, რაცაა სვანური **-ხ (ხ-უ-არ-ი, ხ-ა-რ-ი „ვარ, ხარ“)**; ეს მეგრული -ქ და სვანური **-ხ** პირველ პირშიც ისეთივე კანონიერი პირველადი მონაცემი უნდა იყოს, როგორც მეორეში: ანალოგიის საკითხი უნდა მოიხსნას“ [ჩიქობავა, 1936, 96-97].

„-ქ სუფიქსის პირის ნიშნობის საკითხი მოიხსნა, მაგრამ მისი ფუნქცია მაინც გაურკვეველი დარჩა“ [ლომთათიძე, 1946, 132].

„არსებობს შესაძლებლობა, – წერს არნ. ჩიქობავა, – ჭანური -რ სუფიქსი და მეგრული -ქ სუფიქსი ერთმანეთს დაუკავშირდეს მორფოლოგიური ფუნქციის მიხედვით“ [ჩიქობავა, 1936, 133].

ეს აზრი გაზიარებულ იქნა (როგორც -რ, ისე -ქ ერთი და იმავე მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვას ემსახურებიან, მაგრამ არც ერთ მათგანს თავდაპირველი ფუნქცია მთლიანად უცვლელად არ დაუცავს [ლომთათიძე, 1946, 134]); გამოითქვა ვარაუდი: „ჭანურში -რ სუფიქსის შეზღუდულად, მხოლოდ საშუალო და ვნებითი გვარის ზმნებთან გამოყენება შედარებით მეტ სიახლოვეს უნდა აჩენდეს მის პირვანდელ ფუნქციას... ხსენებულ სუფიქსებს (-ქ, -რ) იგივე ფუნქცია უნდა შეესრულებინათ, რასაც მეშველი ზმნა ასრულებს სტატიკურ ზმნებთან (resp. სტატიკურ ფორმებთან) აფხაზურსა და ყაბარდოულში... მათ ეკისრებოდათ სტატიკურობის, „მდგომარეობის“, არსებობის აღნიშვნა, რისთვისაც შესაფერისი სწორედ აწმყო დრო იყო“ [ლომთათიძე, 1946, 134].

-ქ, -რ სუფიქსების წარმომავლობა ასე აიხსნა: „საფიქრებელია, რომ ჭანური -რ მეშველი **ორენ(ნ)//რენ(ნ)** „არის“ ზმნის ნაშთი იყოს; ფუნქციის დაბნელებას ფორმის გაცვეთა უნდა გამოეწვია. მეგრულში ცვეთა დადასტურებითი ნაწილაკის შემცველი (**ქორენ**) ფორმა უნდა გაცვეთილიყო (აქვე აღინიშნა, რომ ქართულში სტატიკურობის გამომხატველ ყველა საშუალო გვარის ზმნას აქვს დართული მეშველი ზმნა, გარდა „არის“ ზმნისა და ეს სწორედ იმიტომ, რომ იგი თვით იყო ამ ფუნქციით გამოყენებული. ამიტვე აიხსნება, რომ ჭანურში არა გვაქვს „ვორერ“ ფორმა [ლომთათიძე, 1946, 136-137].

-**ორენ** მეშველი ზმნა შესაძლოა პრაქტიკულად ყველა მოსალოდნელი ფონეტიკური სახესხვაობით დასტურდებოდეს (იხ. ქვევით), **-ქორენ** ფორმის ცვეთის შედეგად კი არსებითად ერთი ელემენტი დაკანონდა: **-ქ**.

ერთადერთი ზმნა, რომელიც აწმყოში -ქ-ს გარეშე შეიძლება იყოს წარმოდგენილი, არის **მეულუ** („მივდივარ“). იგი ქართულიდან ნასესხებადაა მიჩნეული [ლომთათიძე, 1946, 135], თუმცა არის საფუძველი ვილაპარაკოთ შესატყვისობაზე: „ჭანური და მეგრული **ვულ-** და **ვიდ-** ქართ. **ვალ** და **(ვედ)-ვიდ-** ფუძეთა კანონზომიერი შესატყვისი აღმოჩნდება: **ვულ < ვოლ**“ [ჩიქობავა, 1938, 274].

ი. ყიფშიძე თვლის, რომ ულუ ზმნის ბოლოკიდური **-რქ** დაიკარგა (ისევე, როგორც **-ნქ** იკარგება): **გილუ-ვუ < გილუვურქ** [ყიფშიძე, 1994, 0105]. ამასთან დაკავშირებით ი. ასათიანი წერს: „იკარგება **რ ქ**-სთან ერთად თუ მხოლოდ **რ**. იქნებ **ქ** არც დართვია და **რ**-ს დაკარგვა კი, როგორც ცნობილია, მეგრულისთვის უცხო არ არის“ [ასათიანი, 1973, 283].

ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ (მე)ულ ზმნის ფორმაში ძირისეული **ლ-ს რ-დ** გადაქცევას სწორედ **-ქ** სუფიქსის დართვა იწვევს. საინტერესო ამ პარალელიზმის ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **-ქ** სუფიქსის დართვა-დაურთველობის მიზეზია, თორემ ფაქტი ასეთია: როცა დაერთვის **-ქ** სუფიქსი, ძირისეული **ლ რ**-ში გადადის, წინააღმდეგ შემთხვევაში, **ლ-** უცვლელი სახით დარჩებოდა და რჩება კიდევაც (ისე, **გილუვუ** ფორმა მეგრულში რეალურად არც არსებობს).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ „უნდა გვექონოდა **მეულურ** (და არა **მეულურქ**)“ [ასათიანი, 1973, 283].

მეულ „მივდივარ“ არქაული ფორმა ჩანს, იმდროინდელი, როცა მეშველზმნური წარმოება არ გვექონდა. შემდგომ, **-ქ** სუფიქსის წინა პოზიციაში **ლ > რ**; მივიღეთ **მეურქ** ფორმა. პარალელურად შემოგვრჩა ძველი ფორმა.

იშვიათად შესაძლოა **ქორენ** ზმნის ფუძისეული **-რ** ელემენტი ჩანდეს მეგრულ ზმნაშიც. ამ საკითხს სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა ი. ასათიანმა [იხ. ი. ასათიანი, 1973]; მოტანილია სათანადო ნიმუშები:

მულახერდღ „იჯდა (შიგ)“, ეკოხერ „უზიხარ“, უხერდღ „უჯდა“, მოკორთ „გვინდიხართ“, ოკორთ „უნდიხართ“, მოკორდღ „მინდოდა“, გოკორდღ „გინდოდა“, ოკორდღ – ვაკორდღ „უნდოდა – არ უნდოდა“, ჯოხორდღ „ერქვა“, იქერდღ „იქნებოდა“, ქიგეხერდენი „რომ იჯდე“, მოკოხერდღ, მითოხერდღ „იჯდა“, ჯოხორდღ, ოკორქ „უნდიხარ“, მოკორდღ „მინდოდა“, გოკორდღე „გინდოდე“, მიჯინერქ „მიყურებ“, ოკორდღ „უნდოდა“, ჯოხორდღ „ერქვა“, გოჯინერდღ „დახედავდა“, მალერდღ „შემღებდა მოეტანა“, იპეირქ//იპიირქ „ვიქნები“, იქიირდ//იქეირდ „იქნებოდა“, იქერდღ „იქნებოდა“, მითვოხერქ „ვზივარ (რამეში)“, ბხერქ „ვზივარ“, ბხერდი „ვიჯექი“, ვოხერქ „ვზივარ“, მოკორქ „მინდიხარ“, მოკორდი „მინდოდი“, ბჯოხორდღ „მერქვა“, მიჯოხორდღ „ერქვა ჩემსას“, იბჯინერქ „ვიყურები“, იბჯინერდღ „ვიყურები“, იბჯინერდი „ვიყურებოდი“, ვუჯინერქ „ვუყურებ“, ვიქიირდი //იპიირდი, იპეირდი „ვიქნებოდი“, მაქიირდას „მექნებოდე“, მამალინერდას, მამალერდღ „შემეძლო მომეტანა“, იბჭარუერქ „ვიწერები“.

საფიქრებელია, – წერს მკვლევარი, – რომ თავდაპირველად მეგრულშიც ჭანურის მსგავსად გზა გაიკაფა **-რ** სუფიქსმა, მომდინარემ **ორენ**-ისაგან – ამოსავალი მეგრულისა და ჭანურის საერთო ვითარებაა. **-რ** სუფიქსი მეგრულში დღეს არქაიზმად გამოიყურება... **ქ** სუფიქსი, მომდინარე **ქორენ**-ისგან, უფრო გვიანდელი ჩანს. მერმინდელმა **ქ**-მ შეზღუდა **რ**-ს განვითარება, თვითონ კი საყოველთაოდ გავრცელდა [ასათიანი, 1973, 282].

განსაკუთრებით საინტერესოა ფორმები, სადაც ორივე ელემენტი – **-რქ** დასტურდება. არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „პროფ. ი ყიფშიძეს მეგრულისთვისაც აქვს ნაჩვენები **-რ** ორ ზმნაში: ბ-ხე-**რქ** ვზივარ... იბჯინერ-**რქ** ვიყურები, მაგრამ საეჭვოა, რომ ეს კონტამინაციის შედეგი არ იყოს“ [ჩიქობავა, 1936, 135].

მ. მარგველაშვილის აზრით, **-რ** სუფიქსი მეგრულში დადასტურებულ ფორმებში განვითარებული უნდა იყოს და არა ჭანური **რ**-სა და მეგრული **ქ**-ს ბადალი [მარგველაშვილი, 1983, 41].

ი. ასათიანის აზრით, „**ქ** სუფიქსით გაფორმდა შესაძლებლობის პირობებში **-რ**-იანებიც და ამ გზით მივიღეთ ორმაგ **-რ** და **-ქ** სუფიქსიანი ფორმები“ [ასათიანი, 1973, 282].

ვფიქრობთ, ფორმები, სადაც **-რქ** დაბოლოება გვაქვს, **ქორენ** მეშველი ზმნის ცვეთის ***ქრ** საფეხურს წარმოგვიდგენს. მეგრულის ფონოტაქტიკით **-ქრ** > **-რქ** (*ბხე-ქორენ > *ბხე-ქურენ > *ბხექრენ... > *ბხე-ქრ > ბხერქ).

საერთოდ, ფორმის ამგვარი ცვეთა-გამარტივება უცხო არ არის ზანურისთვის და არამხოლოდ ზანურისთვის (შდრ.: **მა ფთქვი** „მე ვთქვი“ > **მაქ** „მეთქი“)

მეშველზმნისეული ელემენტის (**-ქ**-ს) გავრცელების არე მეგრულში შეუდარებლად უფრო ფართოა, ვიდრე ლაზურში. **-ქ** პირველსა და მეორე პირში პრაქტიკულად ყველა ტიპის (როგორც გარდაუვალ, ისე გარდამავალ) ფორმებში დასტურდება („ტექნიკური მიზეზების გამოა, რომ III პირში მხოლოდითსა და მრავლობითში არ ჩანს ხოლმე მეგრულში ეს მეშველი ზმნა“ [ლომთათიძე, 1946, 139]; მეორე მხრივ, **-რ** სუფიქსი ჭანურში გარკვეულ საფეხურზე (არა იმთავითვე) განსაზღვრულ ზმნათა აწმყო დროის პირველსა და მეორე პირში უნდა გვექონოდა და აქედან უნდა გავრცელებულიყო იგი მრავლობითში [ლომთათიძე, 1946, 133].

ის გარემოება, რომ ქართველურ ენებში III პირი და მრავლობითი რიცხვი (ყველა პირისა) სუფიქსებითაა წარმოდგენილი, ლ. ბარამიძის აზრით, არ უნდა იყოს მეშველი ზმნის დაურთველობის მიზეზი. იგი თვლის, რომ პირისა და რიცხვის ნიშნების სუფიქსობა ვერ

იქნება დამაბრკოლებელი მეშველი ზნის დართვისათვის ამა თუ იმ პირსა თუ რიცხვში. მკვლევარი შემდეგ გარემოებას ემყარება: მეგრულშიცა და ჭანურშიც მეშველი ზმნის საშუალებით მწკრივთა წარმოებას ფართო გასაქანი აქვს. ამ საფუძველზე აქ ქართულისაგან განსხვავებული რამდენიმე მწკრივია ჩამოყალიბებული: ესენია პირობითი I და II, ნანამყოუსრულარი თურმ. და სხვ. ყველა მწკრივში მეშველი ზმნები ერთნაირადაა გამოყენებული სამივე პირის ორსავე რიცხვში. ამას ხელს არ უნდა უშლის სუფიქსებით წარმოდგენილი პირისა და რიცხვის ნიმუშები. მკვლევარს მოაქვს **ბ-ხე-რ** „ვზივარ“ ზმნის უღლების პარადიგმა უწყვეტლის ნაკვეთში (ორსავე რიცხვში): 1. ბ-ხე-რ-ტი; 2. ხე-რ-ტი-ი; 3. ხე-რ-ტი-უ; 1. ბ-ხე-რ-ტი-ი-თ; 2. ხე-რ-ტი-ი-თ; 3. ხე-რ-ტი-ეს. როგორც ვხედავთ, განაგრძობს ავტორი, მეშველი ზმნა (-რ) აქ მოთავსებულია არა მხოლოდ რიცხვის გამომხატველი სუფიქსის წინ, არამედ უწყვეტლის მაწარმოებელ -ტი სუფიქსის წინაც. გაკეთებულია დასკვნა: „მამასადამე, გამოდის, რომ პირისა და რიცხვის ნიშნების სუფიქსობა ვერ იქნება დამაბრკოლებელი მეშველი ზმნის დართვისათვის ამა თუ იმ პირსა და რიცხვში“ [ბარამიძე, 1964].

არ დასტურდება -ქ სუფიქსი აწმყოში, კერძოდ:

1. ობიექტური წყობის გარდამავალ ზმნებში (ფხანტუნს „მხატავს“, რხანტუნს, „გხატავს“; ზლახუნს „მცემს“, რლახუნს „გცემს“...);
2. ინვერსიულ ზმნებში (მიცორს „მიყვარს“, გიცორს „გიყვარს“; ფშვირენს „მშია“, რშვირენს „გშია“...).

სტაბილურია -ქ-ს ადგილი ვნებითი გვარის ფორმებში (I-სა და II პირში): ის არ იკარგება – იბჭარუქ „ვიწერები“, იჭარუქ „იწერები“ (შდრ. III პირი: იჭარუ „იწერება“).

წარმოდგენილი პარადიგმიდან ისიც ჩანს, რომ -ქ-ს გარკვეული მორფოლოგიური დატვირთვაც აქვს: გაარჩიოს მეორე (იჭარუ-ქ) და მესამე პირის (იჭარუ) ფორმები ერთმანეთისაგან: ერთადერთი სადიფერენციაციო ელემენტი ამ შემთხვევაში -ქ გახლავთ (თვით აღნიშნული ფორმების დამთხვევას იწვევს S_3 ნიშნის დაკარგვა);

ასევე მადიფერენცირებელი, მორფოლოგიური დატვირთვისაა -ქ S-ურ და O-ურ პირთა კომბინაციის ცვლილებისას: მოკო მა თინა (O_1S_3), გოკო სი თინა (O_2S_3), მაგრამ: მოკოქ მა სი (O_1S_2). რომ არა -ქ, აღნიშნული ზმნები ფორმის თვალსაზრისით დაემთხვეოდა ერთმანეთს (ისევ და ისევ იმის გამო, რომ ამ შემთხვევებში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი პრაქტიკულად ნულია).

ქ-ს (და მასთან ერთად, თემისნიშნისეული -ნ-ს) მოკვეცას ზოგჯერ ხელს უშლის ის გარემოება, რომ ამან შეიძლება აწმყოსა და აორისტის ფორმათა დამთხვევა გამოიწვიოს; იგულისხმება -ინ-თემისნიშნისანი ფორმები (მიფთხ-ინ-ქ „მოვითხოვ“ – მიფთხი „მოვითხოვე“, იფშ-ინ-ქ „ვიშოვი“ – იფში „ვიშოვე“ უწ-ინ-ქ „ვეტყვი“ – უწი „ვუთხარი“).

-ქ, როგორც აღინიშნა, არ იკარგება გარდაუვალ ზმნებში. ამას გარკვეული საფუძველი უნდა ჰქონდეს, კერძოდ, გასათვალისწინებელი გვეჩვენება შემდეგი გარემოება: გარდაუვალ (ვნებითი და საშუალი გვარის) ზმნებში, როგორც წესი, -ნ სუფიქსი გამოხატავს მესამე სუბიექტურ პირს: ბჯან-უ-ქ „ვწევარ“, ჯან-უ-ქ „წევხარ“, ჯან-უ-(ნ) (შდრ. ჯანუნო? „წევს?“ -ნ სუფიქსი, როგორც აღინიშნა, ჩვეულებრივ, არ ვლინდება ზმნის ფორმაში (აბსოლუტურ ბოლოში). ასე რომ, ქ-ს დაკარგვა მეორე და მესამე პირის ფორმათა დამთხვევას გამოიწვევდა.

პირველ სერიაში გარდამავალ ზმნებთან -ს მიუთითებს მესამე სუბიექტურ პირზე, და ეს პირი ყოველთვის გამოიხატება სათანადო აფიქსით, ამიტომ მეორე პირის ფორმაში ქ-ს დაკარგვა ვერ გამოიწვევს მესამე პირის ფორმასთან დამთხვევას: -ქ-ს არსებობა ამგვარ (გარდამავალ) ზმნებში მორფოლოგიურად მოტივირებული არ არის, ეს კი შესაძლებელს

ხდის მის დაკარგვას (ბჭარ-უნ-ქ > ბჭარ-უ მა თის „ვწერ მე მას“, ფხანტ-უნ-ქ > ფხანტ-უ მა თის „ვხატავ“ მე მას...) და, საერთოდ, გვაფიქრებინებს, რომ სათანადო (გარდამავალი) ფორმების გართულება -ქ სუფიქსით ოდენ განზოგადების, უნიფიკაციის შედეგი იყოს.

ნიშანდობლივი უნდა იყოს ამ თვალსაზრისით ის ფაქტი, რომ -ინ სუფიქსიანი ზმნები ნ-ქ დაბოლოებას არ მოიკვეცენ – აწმყოს ფორმაში გვექნება აუცილებლად **იფშინქ, უწინქ, ვოთხინქ**, ხოლო **იფში, უწი, ვოთხი** უკვე აორისტია.

ჩვეულებრივ, როგორც აღინიშნა, იკარგება არამხოლოდ -ქ, არამედ -ნქ: „აქ ჩვენ ქ-ს დაკარგვასთან ან -ქ-ს არდართვასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მთლიანად -ნქ-ს დაკარგვასთან: -ნ-სთან ერთად იკარგება ქ-ც... [ლომთათიძე, 1936,132]. შეიძლება ითქვას, რომ ქ-ს დაკარგვა ავტომატურად იწვევს -ნ-ს გაუჩინარებას – აბსოლუტურ ბოლოში დარჩენილი ნ-ს პოზიცია ძალიან სუსტია. მაგ.:

ქგგომირა (< ქგგომირანქ): კოც **ქგგომირა** (< ქგგომირანქ), მარა სითი დორცვილუნცე დო მათი (ყიფშ., 222) „კაცს გაჩვენებ, მაგრამ შენც მოგკლავს და მეც“;

გეუნჭირა (< გეუნჭირანქ), გოპჭყილიტე (< გოპჭყილიტენქ): ის **გეუნჭირა** კუჩხისე დო **გოპჭყილიტე** (ყიფშ., 223) „მას დავაჭერ ფეხს და გავჭყლეთ“.

ქიმიიბლა (< ქიმიიბლანქ): ჩქიმი საჩხუბარი იარაღი ირიფელი ცუდეს მიღუ, თინეფს **ქიმიიბლა** დო უკული გერკინებუქე (ყიფშ., 223) „ჩემი საომარი იარაღები ყველაფერი სახლში მაქვს, იმათ მოვიტან და მერე გეჭიდავები“;

ქიმიიბლა (< ქიმიიბლა): იარაღებს **ქიმიიბლა**, მარა ჩქიმი მუულამა სი ირტებუქე (ყიფშ., 223) „იარაღებს მოვიტან, მაგრამ ჩემს მოსვლამდე შენ გაიქცევი“;

ქგდგოკირა (< ქგდგოკირანქ): **ქგდგოკირა** დო უკული ეგება ვა გარტინასი, – უწუუ კოჩქ (ყიფშ., 223) „დაგაბამ და მერე ეგებ ვერ გაიქცეო, – უთხრა კაცმა“...

იფქე (< იფქენქ): მა **იფქე** ირფელსია დო ცუნს ცოროფილო (ხუბ., 38) „მე ვიზამ (ვიქმ) ყველაფერსო და ჰყავს შეყვარებულად“;

ლანძღე (< ლანძღენქ): სქან მრევლის მუშე **ლანძღე** (სამ, 81) „შენს მრევლს რატომ ლანძღავ“;

ფიფქრე (< ფიფქრენქ): **ფიფქრე**, ოკო ორდუკონი სოციალისტეფიში ნაწურეფი (სამ., 154) „ვფიქრობ, უნდა ყოფილიყო სოციალისტების მინასწავლები“;

გოილუა (< გოილუანქ): ცხადო **გოილუა** დუცუ (სამ., 42) „ცხადად შემოგავლებ თავს“;

გგვორჩქინა (< გგვორჩქინანქ): ჩქიმი ოსურს თაქ **გგვორჩქინა** (ხუბ., 16) „ჩემს ცოლს აქ გავაჩენ“;

გარზე (< გარზენქ): ასე მა **გარზე** სიტყვას (ხუბ., 18) „ახლა მე გამღევე სიტყვას“;

მუგოშინა (< მუგოშინანქ): დიდ თურქალაში ამბეს **მუგოშინა** (ხუბ., 14) „დიდი თურქობის ამბავს მოგახსენებ“;

დობდვა (< დობდვანქ): დუს **დობდვა** ოკვათალო (ხუბ., 17) „თავს დავდებ მოსაკვეთად“;

გილვოდვანკა (< გილვოდვანკანქ): დალიებური **გილვოდვანკა** (სამ., 122) „დალეული დავლასლასებ“;

ფიფქრე (< ფიფქრენქ): დღამ დო სერთ სქამო **ფიფქრე** (სამ., 124) „დღე და ღამე შენზე ვფიქრობ“;

ქოფთქუა (< ქოფთქუანქ): დადია, ლერსის **ქოფთქუა** (სამ., 108) „დადიანო, ლექსს ვიტყვი“;

ფხანდე (< ფხანდენქ): სქანო **ფხანდე**, სქანო ვორექ (სამ., 158) „შენთვის ვმრომობ, შენთვისა ვარ“;

ითვინე (< ითვინენქ), ხაჩქე (< ხაჩქენქ), ბარგე (< ბარგენქ), ეურღვა (< ეურღვანქ): ვო, ჯიმა, სესია, მუთ **ითვინე** თესია, შხვამო **ხაჩქე**, შხვამო **ბარგე**, შხვას **ეურღვა** ღერცია (სამ., 149) „ვო, ძმაო სესია, როგორ ითმენ ამას, სხვისთვის თოხნი, სხვისთვის მარგლავ, სხვის ღეროებს (სიმინდისას) თხრი“;

მუშე (< მუშენქ): სი მუშე დო შხვას მეულუ, მუ მერჩანც ხვესია (სამ., 75) „შენ მუშაობ და სხვას მიაქეს, რა მოგცემს ბარაქას (ხვავს)“;

გოგინჯა (< გოგინჯანქ), მუნგაშქვა (< მუნგაშქვანქ): კარც გოგინჯა, მუნგაშქვა ჩქიმი ოთახგმა (ხუბ., 217) „კარს გაგიღებ, შემოგიშვებ ჩემს ოთახში“;

მოგოშინა (< მოგოშინანქ): გამარჯობას მოგოშინა (სამ., 100) „გამარჯობას მოგახსენებ“;

ევჭოფუ (< ევჭოფუნქ), დგახვამა (< დგახვამანქ), მიგახვამა (< მიგახვამანქ): ათე ჭირქას ევჭოფუ დო პირადო სი დგახვამა, გვალო ტყურაიათ ვარ, ტოლბაშობას გ (სამ., 141) „ამ ჭირქას ვიღებ და პირადად შენთან გადმოვდივარ ალავერდს, მთლად ტყუილად არა, თამადლობას გილოცავ“...

იშვიათად -ნ შეიძლება -ქ-ს გარეშეც დადასტურდეს; ეს ხდება იმ მაშინ, როცა -ქ დო კავშირისეული დ თანხმოვნის წინა პოზიციაში აღმოჩნდება (ასეთ შემთხვევაში -ნ პრაქტიკულად აუსლაუტში არ არის, ზმნური ფორმა კავშირთან ერთად მოიაზრება, ისინი ერთ ერთეულს ქმნიან):

გეიჯუმან დო: სი ოში მანათი მერჩე მუმაქენ თინა ქომუჩია დო დგვოლეკა უკული ფარასია, სით გეიჯუმან დო დუსგთია, უწუ (ხუბ., 196, 4-5) „შენ რომ ასი მანეთი მოგცა მამამ, ის მომეციო და დავახვავებ მერე ფულსო, შენც გარჩენ და თავსაცო, უთხრა“;

ქიმერჩან დო: ასევა ფარას ქიმერჩან დო ვაჭრუა ქიდიჭყია უწუ (იქვე, 222, 17) „ახლა ფულს მოგცემ და ვაჭრობა დაიწყეო“;

მეუჯღონან დო: სი ფერი კოჩი რექია, სია ოშურეთიშა მიდმაჩქვია, მუაჩქიმს ქადარდის მეუჯღონან დო ქიმემილია უწუ (იქვე, 109, 33-34) „შენ იმფერი კაცი ხარო, რომ სასულეთში გამეგზავნე, მამაჩემს წერილს გაუგზავნი და წამიღეო, უთხრა“;

ქოლოლანდო, ქოლოლანდა: ცუდეს მუკუორთინუანქია, ბჟა იოლგშე პიც ულოლანქია გირაგადგნია! ქოლოლანდო ვარია! ქოლოლანდა, ქოილოლამ, ვარდა დუც მერკვათეგქია (იქვე, 215, 30-32) „სახლს მოვაბრუნებო, მზის ამოსასვლელისკენ პირს ვუზამო გითქვამსო! გააკეთებ თუ არაო! თუ გააკეთებ, გაგიკეთებია, თუ არადა, თავს მოგაჭრიო!“;

ქიმიბდვან-დო: მუ მუგოღალაფუანს, ვარა, ეთიში ძაგარს ქუმომიღანდე, დუდიშა ქიმიბდვან-დო ხათე დოფსქიდუქია – უწუ დაქ (იქვე, 8, 35-36) „როგორ უნდა მოიტანო, თორემ იმის ჯაგარს რომ მომიტანდე, თავქვეშ ამოვიდებ და უცებ მოვრჩებო – უთხრა დამ“.

მეორე მხრივ, -ნ-ქ დაბოლოების გამარტივებით მხოლოდ -ქ რჩება:

ვადვანებექია: მა სქანი დუს შხვას ვადვანებექია (იქვე, 6, 12) „მე შეს თავს სხვას არ დავანებებო“;

დუმასთუქია: ნანა, სქუავა! ჩქიმი სქუას სი ხოლო დუმასთი, მა ხოლო დუმასთუქია, ჩქიმი ქონება ჭკომათ თინა მოკონია (იქვე, 173, 29-30) „ნანა, შვილოო! ჩემს შვილს შენც „გაუმასტე“, მეც „გავუმასტავ“, ჩემი ქონება ჭამოთ, ის მინდაო“.

მსგავსი ფორმები უფრო გამონაკლისია, ვიდრე კანონზომიერების ილუსტრაცია, მაგრამ გარკვეულ ინტერესს მაინც აღძრავს თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ გარდაუვალ ფორმებში ამგვარი გამარტივება გამორიცხულია.

ამგვარად, გარდამავალ ზმნებს ჩვეულებრივია ასეთი გამარტივება: **-უნ-ქ > უ;** იშვიათად, **-უნ-ქ > -უნ ან -უნ-ქ > -ქ.**

-ქ-სთან დაკავშირებით ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას: **ეს არის აშკარად ფუნქციური დატვირთვის მქონე ელემენტი**, რასაც მოწმობს მისი სტაბილური გამოვლინება ზმნის სათანადო ფორმებში. ფონოტაქტიკური შეუთავსებლობის არგუმენტაცია ძნელად გასაზიარებელი ჩანს; შეიძლება პარალელი გავავლოთ სახელის სისტემაში მოთხრობითი

ბრუნვის -ქ-ს ფონოტაქტიკურ ქცევასთან – მიუხედავად ფონოლოგიური გარემოცვისა, ეს ელემენტი არ შეიძლება დაიკარგოს (არადა, ეგეც აუსლაუტში გვხვდება).

რატომ არ იკარგება?

ვიმეორებთ:

იმიტომ, რომ მას გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქცია აქვს, ფუნქცია, რომელიც სხვა საშუალებით, სხვა გრამატიკული რესურსით არ გამოიხატება.

ქარუნს (წერს) ზმნის აწმყოს პარადიგმა ზანურში:

	მეგრ.:	
პ-ქარ-უ(ნ-ქ)		პ-ქარ-უნ-თ
ქარ-უ(ნ-ქ)		ქარ-უნ-თ
ქარ-უნ-ს		ქარ-უნ-ა(ნ)
	ლაზ.:	
პ-ქარ-უფ/უმ		პ-ქარ-უფ/უმ-თ
ქარ-უფ/უმ		ქარ-უფ/უმ-თ
ქარ-უფ/უმ-ს		ქარ-უფ/უმ-ან

აწმყოს ნაკვთის საუღლებელი ერთეულის ზოგადი მოდელი (ყალიბი) ზანურში ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

მეგრული:

მხ. რ.:

- (P^{Pr})-თ(მ)V-(Pr^v)- R- (R_t)-ქ
- (Pr^v)- თ(მ)V- Pr^v -R-(R_t)- R_t-ქ
- (Pr^v)- თ(მ)V- Pr^v -R-(R_t)-S₃

მრ. რ.:

- (P^{Pr})- თ(მ)V-(Pr^v -R- (R_t) - S₁
- (P^{Pr})- თ(მ)V-(Pr^v -R-(R_t) - S₂
- (Pr^v)- თ(მ)V-(Pr^v -R-(R_t)- S₃

ლაზური:

მხ. რ.:

- P^{Pr} (Pr^v)-R-(R_t)/(რ)
- (Pr^v)-R-(R_t)/(რ)
- (Pr^v)-R-(R_t)- S₃

მრ. რ.:

- P^{Pr} (Pr^v)-R-(R_t)- S₁
- (Pr^v)-R-(R_t)- S₂
- (Pr^v)-R- (R_t)- S₃

[P^{pr} – პირის პრეფიქსია, Pr^v – ხმოვანი პრეფიქსი, თ(მ)V- ნაწილაკი, R – თემა, R_t – თემის ნიშანი, S – სუბ. პირისა და/ან რიცხვის სუფიქსი].

II.7.5. უწყვეტლის წარმოება.

უწყვეტლის ნაკვთის საწარმოებლად აწმყოს ფუძეს სავრცობი ემატება: **ჭარუნ–ჭარუნდუ**. მეგრულში სავრცობია **-დ**, ხოლო ლაზურში მისი დაყრუბული ვარიანტი – **-ტ**. ნამყო უსრულის მაწარმოებელი **-ტ**-ს დართვისას აწმყოს ფუძის **-ფ**- ლაზურში (ხოფურში) ხშირად **-პ**-დ იქცევა: ნოჭკირაფს, ნოჭკირაფტუ || ნოჭკირაპტუ...

ორსავე რიცხვის პირველსა და მეორე პირში სავრცობს **-ი** ელემენტი დაერთვის, რომელსაც გამოკვეთილი მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნია, აქედან გამომდინარე, მას შეიძლება უწყვეტლის ნართაული **-ი** ეწოდოს.

მაგალითები.:

მეგრული:

ვითოჯირი უღუ კამეჩი ქუუსქუდუ დო **ხონგნდგ** დიხსაგ (დან., 266) „თორმეტი უღელი კამეჩი ჰყავდა შებმული და ხნავდა მიწას“; მა მუშე ბგორუნდი? (ყიფშ., 19) „მე რატომ მეძებდი?“; ათი ოსტატის **ქუნდგ** ართი სქუა, ქომოლი (ყიფშ., 215) „ამ ოსტატს ჰყავდა ერთი შვილი, ვაჟი“; ინტუ უკული დო ჩილი დო სქუა **ჭუნდუ** გურს (ხუბ., 48) „გაიქცა მერე და ცოლი და შვილი სწავდა გულს“; ქომორთუ სიმინქ ომაჟირალო, სუმი დღას **ქომაჟირანდეს** (ხუბ., 47) „მოვიდა სიმინდი სამარგლავად, სამი დღე ქემარგლავდენ“; ართის ოჭგმარეს **პჭკუმუნდი** (ხუბ., 67) „ერთს დილით ვჭამდი“; ცვანაშა მინიბლენდითია – **პჭკუმუნდითია** შხვაშ ცვანას (ხუბ., 112) „ყანაში შევიდოდით და ვჭამდითო სხვის ყანას“; ცვანაშ მინჯე დო ჩქენი მინჯე **ოგორანდეს** ართიანს, **აკანთხედესია** (ხუბ., 112) „ყანის პატრონი და ჩვენი პატრონი აგინებდნენ ერთმანეთს, თათხავდნენ“; ტყას **ვორდითია** (ხუბ., 112) „ტყეში ვიყავითო“; რაში **უბარდგნ** თინა რდგ ორგილუანგნი, ვარა მუს რე ემა გარზინენ? (ხუბ., 127) „რაში რომ უბერავდა, ის იყო რომ აგრილებდა, თორემ ამას რა გაუძლებს?“; ღარიბი კოჩეფს (კათას) **ვადებულენდუ** (ყიფშ., 207) „ღარიბ კაცებს (ხალხს) არ იღებდა“...

ლაზური:

მცხული... **ფათხუპტუ** (ჩიქ., I, 28) „მსხალს ბერტყავდა“; ყონა **მჩალუპტი** (ჩიქ., I, 41) „ყანას ვმკიდი“; მან ბაზიქერე ბაბაშ კარზინკა **ფთირუპტი** (ჩიქ., I, 62) „მე ზოგჯერ მამის კალათას ვეზიდებოდი“; მჟუა ქაგამახთუ დო მთვირი **ონდლულაპტუ** (ჩიქ., I, 96) „მზე გამოვიდა და თოვლს ადნობდა“; აჭუნტუ დო **კუსაპტუ** (ჩიქ., I, 684) „სტკიოდა და კვენესოდა...“; ოძიცინუშენი **ბანდალაპტუ** [მთუთი] (ჩიქ., I, 70) „სასაცილოდ მუნძულებდა [დათვი]“; მჟუა ქაგამახთუ დო მთვირი **ონდლულაპტუ** (ჩიქ., I, 480) „მზე გამოვიდა და თოვლს ადნობდა“; ღომამჯი **ვალუმტუ**, **ხონცუტუ** (ჩიქ., II, 305); „წუხელ ელავდა, მეხი ვარდებოდა“; წკაი **ზდიმტუ** (ჩიქ., II, 320). „წყალს ეზიდებოდა“ (ჩიქ., I, 486); ...ხოლო ყინითენ **თირთინტუ** (ჩიქ., I, 450) „მანც ყინვისგან კანკალებდა (თრთოდა)“; მან ბაზიქერე ბაბაშ კარზინკა **ფთირუპტი** „მე ზოგჯერ მამას კალათას ვეზიდებოდი (ვათრევდი)“; ა ბერე **კრიამტუ** (ჩიქ., II, 359) „ეს ბიჭი კიოდა“; გიმერაქ ბოჩოლა **ლოკუპტუ** (ჩიქ., I, 485) „გიშერა ბოჩოლას ლოკავდა“...

უწყვეტლის ნაკვთის პარადიგმა **ჭარუნს** (წერს) ზმნისა ზანურში:

მეგრ.:

პ-ჭარ-უნ-დ-ი	პ-ჭარ-უნ-დ-ი-თ
ჭარ-უნ-დ-ი	ჭარ-უნ-დ-ი-თ
ჭარ-უნ-დ-უ	ჭარ-უნ-დ-ეს

ლაზ.:

პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი	პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-თ
ჭარ-უფ/უმ-ტ-ი	ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-თ
ჭარ-უფ/უმ-ტ-უ	ჭარ-უფ/უმ-ტ-ეს

უწყვეტლის ნაკვთის საუღლებელი ერთეულის ზოგადი მოდელი (ყალიბი) ზანურში მესამე პირისთვის ასეთი იქნება:

მეგრული:

R-დ-S₃,

სადაც **R აწმყოს ფუძეა**, -დ – უწყვეტლის ნიშანი (სავრცობი), **S₃** – სუბიექტის სუფიქსი.

ლაზური:

R-ტ-S₃

სადაც **R აწმყოს ფუძეა**, -ტ – უწყვეტლის ნიშანი (სავრცობი), **S₃** – სუბიექტის სუფიქსი.

II.7.6. აწმყოს კავშირებითის წარმოება.

აწმყოს კავშირებითის საწარმოებლად უწყვეტლის ფუძეს კავშირებითის მაწარმოებელი ემატება: ჭარ-უნ-დ – ჭარ-უნ-დ-ა-ს. უწყვეტლის ფუძეა ჭარ-უნ-დ-, ხოლო აწმყოს კავშირებითისა – ჭარ-უნ-დ-ა-.

მაგალითები:

მეგრული:

სქუამ ნაჭარა ქლარდი დოსოფჟ ე ოსურქ დო დოუჭარგ შხვა, სქუა ჭარუნდას თემ (ხუბ., 143) „შვილის დაწერილი ფურცელი (ქალაღდი) დახია ამ ქალმა და დაწერა სხვა, შვილი რომ წერდეს ისე“; ართი სქანი სიტყვა ქიმეპუნდას დიხაშა (ხუბ., 216) „ერთი შენი სიტყვა მიმყვებოდეს მიწაში“; გალე მუდგა მუკაქუნდას (ხუბ., 275) „გარეთ რაც გინდა ეცვას“; სით იფიქრი, მუ მარდი რე სქან ქოროფა მა პკუნდასჟ (ხუბ., 315) „შენც იფიქრე, რა მადლია, შენი სიყვარული რომ მე მწვავდეს“; სქანოთ ვარე სასახელო, სქანდე გური მაჭუდასჟ (ხუბ., 315) „შენთვის არ არის სასახელო, შენგან გული რომ მტკიოდეს“; თეზგმა ჩქიმი შეწუხება ანწი ვარა

ბალუდასგ (ხუბ., 315) „ამდენი ჩემი შეწუხება აწი მაინც ყოფნიდეს (საკმარისი იყოს)“; ვარიში გამათ ოქოს **ფთქუანდე** (ხუბ., 321) „უარის სანაცვლოდ დასტურს ვამბობდე“; თიცალი ოსური მიქონი, ხეში სქიბუთ **ქუნდასგნი**, ვართ **იბონდას**, ვართ **ირცხონდას**, ტუტას **მიშამგდასგ** ნი (ხუბ., 326) „ისეთი ცოლი მოიყვანე, ხელის წისქვილით ფქვავდეს, არც იბანდეს, არც ივარცხნიდეს, სულ ნაცარში იყოს“; ფერი დაჩხირს ხე ვემეთხა, **რჭუნდასგ** ნი (ხალბ., 140) „ისეთ ცეცხლს ხელი არ ახლო, რომ გწვავდეს“; მუზმა გიჭირდასია, თიზმა გირხინდასია (ხალბ., 97) „რამდენიც გიჭირდესო, იმდენი გილხინდესო“; ათე ზაკაკი **მოსეფენდასგ**, კაშგნს შურს (ხუბ., 34) „ეს ზაკაკი რომ მუსაიფობდეს, ოხრავს (ითქვამს სულს)“; ბორო **ვარდასგნი**, ჭკვერს ფასი ვეგიაძვენუ (ხალბ., 61) „სულელი რომ არ იყოს, ჭკვიანს ფასი არ დაედებოდაო“...

ლაზური:

ჩქინ ვარ გამაფჩათ-ში, ჩქინი დიხაშა, ჩქინი ერიშა თურქი ვარ ნულუნ დო ჩქინი-თი დიხა მო **მეფჩაპტათ** ფართე! ჩქინ ხვალა **ვორტათ!** ბოზოფეს ოჭარუ მო **ვოგურაფტათ!** (ყიფშ., 6) „ჩვენ თუ არ გავყიდით, ჩვენს მიწაზე, ჩვენს ადგილებზე თურქი არ მოვა და ჩვენც ნუ გავყიდით! ჩვენ მარტო ვიყოთ! ქალებს წერა-კითხვას ნუ ვასწავლით!“; აქ ოხორი მო **კიდუპტას** (ყიფშ., 6) „აქ სახლს ნულარ ააგებს! (ააგებდეს)“; ოხვამეს-ნა ტეს, ქეშიშეფეს **ოგნაფაპტეს** (ყიფშ., 7) „ეკლესიაში რომ იყვნენ, იმათ ატყობინებდნენ“; არ ოხორის ჟურ ჯუმა ნა **სქიდუტას**, ენთეფეში დულიაა წოხლე ვარ ულუნ (ხალბ., 201) „ერთ სახლში ორი ძმა თუ ცხოვრობს, მათი საქმე წინ არ წავა“; აშო **ქოვორტათ!** (ყიფშ., 5) „ასე ვიყოთ“; **გიჩქიტას**, საპრის სულამეთი ულუნ (ხალბ., 206) „იცოდე, მოთმინებას სამშვიდობო აქვს“; ინნადი კოჩიში მუთუ მო **გინტას** (ხალ., 219) „ჯიუტი კაცისა არაფერი გინდოდეს“; ზულა-პიჯის სქიდუ-ნა, დაღის ფაცხა **გილუტას** (ხალბ., 216) „ზღვისპირზე თუ ცხოვრობ, ტყეში ფაცხა გქონდეს“; სქანი დულაა სი **გიჩქიტას** (ხალბ., 250) „შენი საქმე შენ იცოდე“; ფარა **გილუტას** დო ოკოეცხუ მო **გიჩქიტას** (ხალბ., 252) ფული გქონდეს და დათვლა არ იცოდე“; კაი დოლომოქუნს-აა დო ალა მო **გიჩქიტას** თი სქანი (ხალბ., 220) „კარგად მაცვიაო და ბატონი არ გეგონოს შენი თავი“; კაიკელე ყუჯი **გილუტას**, პატიკელე ყუჯის ნითვი (ხალბ., 221) „კარგისკენ ყური გქონდეს, ცუდისკენ დაიყრუე“; კატუს მთუგი **ალანდეტუ** (ხალბ., 223) „კატას თავგი ელანდებოდაო“; კოჩის კოჩობა **გილუტას**, ჯოხი მუთხან გინონ **გჯოხონტას** (ხალბ., 226) „კაცს კაცობა გქონდეს, სახელი რაც გინდა გერქვას“; აა კაი სიჯა **გიყოონტასინონ**, აა კაი ეშელია (ხალბ., 243) „ან კარგი სიძე უნდა გყავდეს, ან კარგი ვირიო“; ოხორიშ ამბაი გალენის ვარ **ურქიტასინონ** (ხალბ., 246) „ოჯახის ამბავი გარემემ არ უნდა იცოდეს“; ოხორჭკუას არ ხე მხირსუზი **ულუტასინონ** (ხალბ., 247) „დიასახლისს ცალი ხელი მპარავი უნდა ჰქონდეს“...

კავშირებითების წარმოების ზოგად თავისებურებებსა და სპეციფიკაზე ზემოთ, კილოს კატეგორიის განხილვისას გვქონდა მსჯელობა.

აწმყოს კავშირებითის ნაკვთის პარადიგმა **ჭარუნს** (წერს) ზმნისა ასეთია მეგრულ-ლაზურში:

	მეგრ.:	
პ-ჭარ-უნ-დ-ა		პ-ჭარ-უნ-დ-ა-თ
ჭარ-უნ-დ-ა		ჭარ-უნ-დ-ა-თ
ჭარ-უნ-დ-ა-ს		ჭარ-უნ-დ-ა-ნ
	ლაზ.:	
პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ა		პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-თ

ჭარ-უფ/უმ-ტ-ა
ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-ს

ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-თ
ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-ნ

აწმყოს კავშირებითის ნაკვთის საუღლებელი ერთეულის ზოგადი მოდელი (ყალიბი) მესამე პირისთვის ასეთი იქნება:

მეგრული:

R_ა-S_ა,

სადაც R_ა უწყვეტლის ფუძეა, -ა – კავშირებითის მაწარმოებელი, S_ა – მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი.

ანალოგიური სტრუქტურისაა აწმყოს კავშირებითის ყალიბი ლაზურში.

II.7.7. უწყვეტლის პირობითის წარმოება.

უწყვეტლის პირობითისა და, საერთოდ, პირობითების წარმოებისას ერთი თავისებურებაა თვალშისაცემი: ამოსავალია არა ფუძე რომელიმე ნაკვთისა, როგორც სხვა შემთხვევებში ხდება, არამედ ამა თუ იმ (შესაბამისი) ნაკვთის ფორმა მთლიანად ედება საფუძვლად ახალი ნაკვთს [შდრ. მაგ., ფორმულირება: „აწმყოს პირობითი იწარმოება უწყვეტლის ფუძეზე -კონ-ის მიმატებით” [ქაჯაია, 2001, 64]).

აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ამ ნაკვთს უწყვეტლის პირობითი დავარქვათ. თანაც, ეს ზანურის სპეციფიკური ნაკვთია. ამით უშუალოდ ამოსავალ ფორმაზე გავამახვილებთ ყურადღებას: პ-ჭარ-უნ-დ-ი – პ-ჭარ-უნ-დ-ი-კონ, ჭარ-უნ-დ-ი – ჭარ-უნ-დ-ი-კონ, ჭარ-უნ-დ-უ – ჭარ-უნ-დ-უ-კონ...

მაგალიტები:

მეგრული:

ნიტე სქანი სინთელეთი, შურო ვაგიჩინენდიკო. გაჩინებული თოლეფითი შორშე ვა გიჯინენდიკო! ართი გურით მიგორდი დო გლახას სი ვა ფირქენდიკო! (ხუბ., 325) „ნეტავ, შენს სიკეთეს, სულ არ მცნობოდი. გაცნობილი თვალებით შორიდან არ მეყურებინა! ერთი გულით გიდგებოდი და ცუდი არ გეფიქრებინა!"; ფარას ხოლო მერჩანდია იშო დო კოჩი ვაიცილუდგკონია! (ხუბ. 193₁₈) „ფულს კიდევ მოგცემდიო იქით და კაცი არ მოგეკლათ (=არ უნდა მოგეკლათ)"; ითამ წგნდუკო ნი, თეში ნიჩვიში ჩირქოლი დუუჭყუა (ყიფშ. 44₁₉) „ვითომ რომ წოვდა, ისე პირით წვალეა დაუწყო"; დაბალ ხალხით ვა გონდურუ, ჯგირი რდიკონ, მა მოკოდუ (ხუბ., 310) „დაბალი ხალხი არ გემდურის, კარგი ყოფილიყავი, მე მინდოდა"; მათ მოკოდუ გიჯორდიკონ, მუჭოთ გიჯორდუნი შხვანი (ხუბ., 311) „მეც მინდოდა გყვარებოდი, როგორც გიყვარდა სხვები"; მავა თენა ოსური მაფუდუკონი თეში მილუდუ გურსია (ხუბ., 220) „მეო ესო ცოლად რომ მყოლოდა, ისე მქონდა გულშიო"; ირფელ უჩქუდუკო, თიმ გურშენ ბრელს კითხულენდუ (დად., 118) „ყველაფერი რომ სცოდნოდა, იმისთვის ბევრს კითხულობდა"; ვეშილებედუავო თიში მინჯეს ნასისხერი ჟირი თიზუმა ქიგეპუდუკონიე (ხუბ., 21) არ შეიძლებოდა იმის პატრონს ნასესხები ორი იმდენი რომ ჰქონოდაო ვალი? მავა თენა ოსური მაფუდუკონი თეში მილუდუ გურსია (ხუბ., 220) „მეო ეს ცოლად რომ მყოლოდა, ისე მქონდა გულშიო"; ჭუმე პეტრობა რდუკო ნი, ამუსერი ართი სოფელსი მეუხირუნა ხოჯი (ყიფშ., 12) „ხვალ რომ პეტრობა ყოფილიყო, ამაღამ ერთ სოფელში მოუპარავთ ხარი"; მინიილუ

ოზეშა, კეტი ქალეებიჯუუ, ითამე ჩიჩიე მათხუალი **ორდუკო** ნი, თეში (ყიფშ., 101) შვეიდა ეზოში, ჯოხი დაიჭირა, ვითომ საწყალი მათხოვარი ყოფილიყო ისე“...

ლაზური:

ემო ფუჯიქ დიმლორატუ-ქი, არ კარდალა **ინჭალტუკონ**-ა (ხალხ., 214) „ისეთ ძროხას დაებღავლა, რომ ერთ ქვაბს იწველიდაო“; ამუს ნეკნა აქოლენდო **ულუტუკონ-ნა**, კაი ტუ (ჩიქ. I, 69) „ამას რომ კარი აქეთკენ ჰქონოდა, კარგი იყო“; ბერე კითხეი ვა **რტუკონ-ნა**, მოლორდასუნტუ (ჩიქ. I, 196) „ბავშვი რომ ნასწავლი არ ყოფილიყო, მოტყუვდებოდა“; კასაფე ოფშა ლირაფე, დიდო კონაღეფე, აერეფე, არაბაფე, ფაითონეფე, ოფთომობილეფე **მიყოუნტუკონ**, ემ ვახთის სი ჰიჩ ვარ იხალიშეპტი (ჩიქ., I, 63) „ლირებით სავსე სალაროები, ბევრი შენობა, მიწები, ურმები, ფაიტონები, ავტომობილები რომ მყოლოდა, მაშინ შენ სულ არ იმუშავებდი“; მუ პა? ფარა **მულუტუკონ-ნა**, მთელი ქომექჩაპტი (ჩიქ. I, 20²¹) „რა ვქნა? ფული რომ მქონოდა, ყველას მოგცემდი“; თომას ნოსი **ულუტუკონ-ნა**, კათა ფერის ვარ იტუ (ხალხ., 218) „თმას ჭკუა რომ ჰქონდეს, ყველგან არ ამოვიდოდა“; კოჩის მგერიშენ ვარ **აშქურინეტუკონ-ნა**, ჯოლორი ვარ შინახუფტუ (ხალხ., 226) „კაცს მგლის რომ არ შინებოდა, ძაღლს არ შეინახავდა“; იკვანტე-ში თურქეფექ უწუმტეს-ქი: თქვან ისა კოჩი **ტითკონ**, მუაჯირი ვარ ივეტით – რომ ითხოვდნენ, თურქებმა უთხრეს: რომ თქვენ (ნამდვილი) მართალი კაცი რომ ყოფილიყავით, მუაჯირად არ იქნებოდით (ჟღ., 37); სიჭთემენ **ქომიჩქიტკონ-ნა** მენდაგინჯლონოპტი“ – ადრიდანვე, რომ მცოდნოდა, გაგიგზავნიდი (ჩიქ., II, 31¹⁶); დიშქა **ტუკონი** თოკითენ კირელი იყვეტუ „შეშა რომ ყოფილიყო, თოკით (ბაწრით) შეკრული იქნებოდა (ჩიქ., II, 45¹⁵); ეჰ! არ ჰემამის **ვორტიკონ** დო სინ აშო ვარ ზოპონტი – ეჰ! ერთი აბანოში ვყოფილიყავი და შენ ასე არ იტყოდით (ჩიქ., II, 10⁷)“...

პირობითის ნაკვთებისთვის სპეციფიკური მორფემა **-კონ** სუფიქსია (უფრო დეტალურად პირობითების წარმოების სპეციფიკასთან დაკავშირებით იხ. ზევით).

უწყვეტლის პირობითის ნაკვთის პარადიგმა **ჭარუნს** (წერს) ზმნისა:

	მეგრ.:	
პ-ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)		პ-ჭარ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)
ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)		ჭარ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)
ჭარ-უნ-დ-უ-კო(ნ)		ჭარ-უნ-დ-ეს-კო(ნ)
	ლაზ.:	
პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-კო(ნ)		პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-თ-კო(ნ)
ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-კო(ნ)		ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-თ-კო(ნ)
ჭარ-უფ/უმ-ტ-უ-კო(ნ)		ჭარ-უფ/უმ-ტ-ეს-კო(ნ)

უწყვეტლის პირობითის საუღლებელი ერთეულის მოდელი (ყალიბი) მესამე პირისთვის ზანურში ასეთი იქნება:

მეგრული:

R_ჟ-კონ,

სადაც **R_ჟ** უწყვეტლის ფორმაა, **-კო(ნ)** – პირობითის მაწარმოებელი.

ანალოგიური სტრუქტურისაა აწმყოს კავშირებითის ყალიბი **ლაზურში**.

II.7.8. მყოფადის ნაკვთის წარმოების საკითხი ქართულში.

ქართულში I სერიის ნაკვთები ორ წრედ არის წარმოდგენილი – აწმყოსა და მყოფადის წრედ [იხ. შანიძე, 1980; ზ. ჭუმბურიძე, 1986; კვაჭაძე, 1981; კიზირია, 1984...].

ჩვეულებრივ, მყოფადის წრის ნაკვთებისთვის ამოსავალია აწმყოს სათანადო ფორმები; ზმნისწინდართული აწმყო მყოფადის ნაკვთს იძლევა, ასეთივე უწყვეტელი – უწყვეტლის ხოლმეობითს, ხოლო აწმყოს კავშირებითი – მყოფადის კავშირებითს.

ეს პოზიცია უალტერნატივო არ არის.

არის კი ზმნისწინი ის ელემენტი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ აწმყო-მყოფადის ნაკვთთა განმასხვავებლად? სხვაგვარად: აწმყო-მყოფადის ფორმათა დაპირისპირება შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ როგორც დაპირისპირება სხვადასხვა საუღლებელი ერთეულებისა? საერთოდ, გვაქვს კი რაიმე ფორმოზომიერი საფუძველი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად მიჩნევისა? – ასე სვამს საკითხს გ. გოგოლაშვილი [გოგოლაშვილი, 1988, 87].

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ შემთხვევებზე, როდესაც ზმნისწინის დანიშნულება სცილდება ამ ფუნქციას:

ა) მოქმედებითი გვარის ზმნათა **უმრავლესობაში** (ხაზი ჩვენია – ჭ. ქ.) აწმყოსა და მყოფადის ფორმებს ზმნისწინი განასხვავებს (აკეთებს – გააკეთებს...), მაგრამ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება ამ ტიპის ზმნებშიც არაა ყოველთვის ერთგვარი. თუ ზმნისწინიანი ფორმა ჩვეულებრივ მხოლოდ მყოფადი დროის მნიშვნელობებს გამოხატავს, უზმნისწინოს შესწევს უნარი გამოხატოს როგორც აწმყო, ასევე მყოფადი დრო [დამოწმებულია ა. შანიძე, 1973, 218]. ამგვარი ფორმები კონტექსტისდა შესაბამისად შეიძლება ერთ შემთხვევაში აწმყოს გამოხატავდეს, სხვა შემთხვევაში მყოფადს (ვჭამ : ვჭამ – შევჭამ) – ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება მყოფადი დროის გამოხატვის შემთხვევაში ასპექტური იქნება, ისევე, როგორც II და III სერიაში;

ბ) „არის ერთი ნაწილი გარდამავალი ზმნებისა, რომლებიც ზმნისწინის დართვის უნარს მოკლებულია“ და „ერთი და იმავე ფორმით გადმოსცემს როგორც ახლანდელ დროს, ისე მომავალს. ასე მაგალითად, **ადღევრძელებს** ნიშნავს როგორც „სადღევრ-ძელოს ეუბნება“, ასევე „სადღევრძელოს ეტყვის“. ამ ტიპის ზმნებია **აიძულებს, ანიშნებს, აგემებს...** ასეთივეა ვითარება მხოლოდ სასხვისო ქცევით წარმოდგენილ მოქმედებითი გვარის ზმნებში: **უანდერძებს, უბოძებს...** აწმყო და მყოფადი გარჩეული არაა უზმნისწინო ზმნათა შუალობითი კონტაქტის ფორმებშიც: **აგებინებს, აცემინებს...** [დამოწმებულია ჭუმბურიძე, 1986, 89]);

გ) არის ზმნათა საკმაოდ დიდი ჯგუფი, რომელიც მოქმედებას უპირატესად ხანგრძლივი პროცესის სახით წარმოგვიდგენს და უსრული ასპექტის ფორმით იხმარება. ასეთი ზმნები მყოფადში უფრო ხშირად უზმნისწინოდ გვხვდება, ასე რომ, აწმყოსა და მყოფადის (უსრულის) ფორმათა დამთხვევა ამ ზმნებში სისტემატურ ხასიათს ატარებს: აბოდებს, ათამაშებს, აკვნესებს, აკოტრიალებს... [დამოწმებულია ჭუმბურიძე, 1986, გვ. 95-96].

ყველა ამ შემთხვევაში, აღნიშნავს მკვლევარი, – უზმნისწინო ფორმა გამოხატავს როგორც აწმყოს, ასევე მყოფადის მნიშვნელობას [იხ. გოგოლაშვილი, 1988, 87-89].

წარმოდგენილია სხვა შემთხვევებიც, როდესაც ზმნისწინს არა აქვს მყოფადის გრამატიკული ნიშნის სტატუსი:

ფორმით აწმყოა და უმთავრესად ახლანდელი დროის გაგებას ატარებს, მაგრამ ამჟამად მომავალი დროის გაგებითაც შეიძლება შეგვხვდეს ენიანი ვნებითის ფორმები: ეალერსება, ეარშიყება, ებაასება, ედუდუნება, ეთამაშება... ზოგი ამგვარი ფორმა მყოფადში ზმნისწინითაც შეიძლება წარმოგვიდგეს, რითაც გაირჩევა მყოფადის სრული და უსრული ასპექტი; მაგ.: ეალერსება – მოეალერსება, ეარშიყება – გაეარშიყება...

არის შემთხვევები, როდესაც ზმნისწინიანი ფორმები გამოხატავს როგორც აწმყოს, ასევე მყოფადის მნიშვნელობასაც. „ზმნები, რომლებიც აწმყოშიც ზმნისწინიანია, ზმნისწინს ვერ იცილებენ იმ შინაარსობრივი სხვაობის გამო, რაც ამ ზმნისწინის მეშვეობით არის გამოხატული... მაგალითად: მიბრძანდება, მიაგებს... მოასწავებს, მოუწოდებს, მოიხსენიებს... დაედგომება, დაეჯერება, დაიშვება... გადმოჰყურებს, გადმოსცემს... შეიცავს, შეეხება...“ განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ასეთ შემთხვევაში **აღ-**, **აღმო-** და **გან-**, **გამო-** ზმნისწინები: აღაშფოთებს, აღბეჭდავს, აღადგენს... აღმოფხვრის, აღმოაცენებს, განაგებს, განაგრძობს, განავრცობს... გამორიცხავს, გამოსახავს და სხვ... რაკი ეს ზმნები აწმყოშიაც ზმნისწინიანები არიან, აწმყოსა და მყოფადს ვეღარ განასხვავებენ და ორივე მწკრივში ერთი ფორმით წარმოგვიდგებიან... საზიარო ფორმათა შორის განსხვავება კონტექსტის მეშვეობით მყარდება [დამოწმებულია ჭუმბურიძე, 1986, გვ. 89-96].

ისეთი შემთხვევებიც არის, როცა ზმნას აქვს როგორც უზმნისწინო, ასევე ზმნისწინიანი ფორმები, მაგრამ დროული მნიშვნელობა მხოლოდ აწმყოსი აქვს; ასეთი ვითარება, ჩვეულებრივ, საშუალო გვარის ზმნებთან გვაქვს: რბის – მირბის, ქრის – დაქრის, ხტის – დახტის... [გოგოლაშვილი, 1988, 90].

არის შემთხვევებიც, როცა ზმნისწინიან თუ უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ მყოფადის გაგება აქვს: ითამაშებს – გაითამაშებს, ირბენს – გაირბენს, იფრენს – გაიფრენს, იკითხავს – წაიკითხავს... ეს უკანასკნელი შემთხვევა სხვა მხრივაც არის საინტერესო: თუ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ აწმყოს გაგება აქვთ, ისინი იმავე ფუძისაგან მყოფადს ვერ იწარმოებენ: ნასესხები ფორმებით ივსებენ ნაკლებ ნაკვეთებს: რბის – ირბენს, ქრის – იქროლებს, ხტის – იხტუნებს... შესაბამისად, ზმნისწინიან ან უზმნისწინო ფორმებს მხოლოდ მყოფადის გაგება აქვთ, აწმყოში სხვა ფუძისაგან წარმოებული ფორმები ენაცვლებათ: ითამაშებს – თამაშობს, იფრენს – ფრენს||ფრინავს, იკითხავს – კითხულობს...

არის მსჯელობა „საგანგებო შემთხვევებზე“, როცა მყოფადის მნიშვნელობის მქონე უზმნისწინო ფორმებს ზმნისწინის დართვა აწმყოს მნიშვნელობას ანიჭებს: იგიჟებს – მოიგიჟებს, იზარმაცებს – მოიზარმაცებს, ითავხედებს – წაითავხედებს, იკოჭლებს – წაიკოჭლებს, მოიკოჭლებს, იავადმყოფებს – მოიავადმყოფებს, იავადებს – მოიავადებს, ისულელებს – მოისულელებს... ასევე: იბრიყვებს და მოიბრიყვებს, იავებს და წაიავებს, იბეჯითებს და წაიბეჯითებს და მისთანანი“ [იხ. გოგოლაშვილი, 1988, 90-91].

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ნიმუშებში **მო-** და **წა-** ზმნისწინებს ზომით, მოცულობით ან ხარისხით ნაკლები მოქმედების გამოხატვის ფუნქცია აქვს (**მდრ. გა-წითლდა – შე-წითლდა, გა-ხურდა – შე-ხურდა...**);

ეს კარგად ჩანს განმარტებებში:

მოიგიჟებს – „ცოტათი გიჟია“;

მოიზარმაცებს – „ოდნავ ზარმაცია“;

წაითავხედებს – „ცოტა არ იყოს, თავხედია“;

მოიკოჭლებს – „ოდნავ კოჭლია“;

მოიავადმყოფებს – „ოდნავ ავად არის“;

მოიავადებს – „ოდნავ ავად არის“;

მოისულელებს – „ცოტა სულელია“.

ვფიქრობთ, დასახელებული წყვილები ერთი სემანტიკური სისტემის წევრებად არც უნდა განვიხილოთ: **იგიყებს** არის **გიჟობს** ზმნის სემანტიკური მყოფადი, **ზარმაცობს** ზმნის სემანტიკური მყოფადია **იზარმაცებს** და ასე შემდეგ: **თავხედობს** – **ითავხედებს**, **კოჭლობს** – **იკოჭლებს**, **ავადმყოფობს** – **იავადმყოფებს**, **ავადობს** – **იავადებს**, **სულელობს** – **ისულელებს**, **ბრიყვობს** – **იბრიყვებს**, **ავობს** – **იავებს**, **ბეჯითობს** – **იბეჯითებს**.

რაც შეეხება **მოიგიყებს**, **მოიზარმაცებს** და ა. შ. ფორმებს, ესენი ზოგადი აწმყო სემანტიკის მქონე ზმნებია, რომელთაც მყოფადის სემანტიკის გადმოცემა არც შეუძლიათ.

მყოფადის „ორდინარული“, ზმნისწინიანი ფორმები იქნება: **გაიგიყებს** (**იგიყებს** [თავს] ზმნის მყოფადია), **გაიზარმაცებს** (აწმყო: **იზარმაცებს** [თავს]), **დაიავადებს** (აწმყო: **იავადებს** [თავს]), **გაიბრიყვებს** (აწმყო: **იბრიყვებს** [თავს]), **გაიავებს** (აწმყო: **იავებს** [თავს]), **დაიკოჭლებს** (აწმყო: **იკოჭლებს** [თავს]), **დაიავადმყოფებს** (აწმყო: **იავადმყოფებს** [თავს]), **გაისულელებს** (აწმყო: **ისულელებს** [თავს]), **გაიბეჯითებს** (აწმყო: **იბეჯითებს** [თავს]), **გაითავხედებს** (აწმყო: **ითავხედებს** [თავს]).

ანუ: რომელიმე **იგიყებს** ფორმა ორი სხვადასხვა პარადიგმის წევრი გამოდის:

1. **გიჟობს** – **იგიყებს** [ფორმოზრივ-სემანტიკური **აწმყო** – სემანტიკური **მყოფადი**];

2. **იგიყებს** (თავს) – **გაიგიყებს** (თავს) [ფორმოზრივ-სემანტიკური **აწმყო** – ფორმოზრივ-სემანტიკური **მყოფადი**]. ასევე გვექნება სხვა შემთხვევებშიც.

განხილული შემთხვევების განზოგადების შედეგად კეთდება დასკვნა, რომ ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დაპირისპირება არაა მყარი საფუძველი აწმყოსა და მყოფადის სხვადასხვა ნაკვეთებად გამოყოფისა; სხვაგვარად: აწმყოსა და მყოფადის ნაკვეთებზე მსჯელობისას განზოგადება იმისა, რომ მყოფადის ფორმა იწარმოება აწმყოსაგან ზმნისწინის დართვით, არ ჩანს გამართლებული, რადგან სურათი ასეთია:

უზმნისწინო ფორმას აქვს:

1. მხოლოდ აწმყოს გაგება

2. აწმყოსა და მყოფადის გაგება

3. მხოლოდ მყოფადის გაგება

ზმნისწინიან ფორმას აქვს:

1. მხოლოდ აწმყოს გაგება

2. მხოლოდ მყოფადის გაგება

3. აწმყოსა და მყოფადის გაგება.

რა შეიძლება ითქვას წარმოდგენილ ზოგად დასკვნებთან დაკავშირებით? აუცილებელი იქნება მათი დიფერენცირებულად განხილვა. პირველ რიგში ის შემთხვევები უნდა განვიხილოთ, როდესაც გრამატიკული ფორმისა და შინაარსის თვალსაზრისით ყველაფერი რიგზეა:

1. უზმნისწინო ფორმას მხოლოდ აწმყოს გაგება აქვს – ეს იქნება აწმყოს ნაკვეთის ფორმაც;

2. ზმნისწინიან ფორმას მხოლოდ მყოფადის გაგება აქვს – ცხადია, **მყოფადის ფორმა** გვექნება.

ცალკე უნდა განვიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ ფორმასთან კონკრეტული გრამატიკული მნიშვნელობა (ან აწმყოს ნაკვეთისა, ან მყოფადის ნაკვეთისა) არ არის მიბმული:

1. უზმნისწინო ფორმას აწმყოსა და მყოფადის გაგება აქვს;
2. ზმნისწინიან ფორმას ასევე აწმყოსა და მყოფადის გაგება აქვს.

ზ. ჭუმბურიძის აზრით, ზმნისწინიანი თუ უზმნისწინო ფორმები, რომლებიც გვხვდება როგორც აწმყოს ისე მყოფადის გაგებით, მწკრივის მიხედვითაც პოლისემიურად უნდა ვცნოთ და თუ ახლანდელი დროა, აწმყოს მწკრივს მივაკუთვნოთ, თუ მომავლის გაგება აქვს, მაშინ – მყოფადის მწკრივს [ჭუმბურიძე, 1986, 91].

საკითხის ასე დაყენებას არ ეთანხმება (ვფიქრობთ, სამართლიანად) გ. გოგოლაშვილი, რადგან ამ შემთხვევაში ირღვევა ნაკვეთთა გამოყოფის ფორმოზრივი საფუძველი, – ნაკვეთის სახელდება კონტექსტის მიხედვით ხდება; ფორმოზრივი საფუძველი დაპირისპირებისა ირღვევა... როცა ზმნისწინიან ფორმებს მხოლოდ აწმყოს გაგება აქვს, ანდა უზმნისწინო ფორმებს – მხოლოდ მყოფადისა. საბოლოოდ აწმყო-მყოფადის გამოყოფა ძირითადად სემანტიკურ პრინციპს ემყარება და არა ფორმოზრივს. ფორმოზრივი პრინციპის გატარება სემანტიკურს დაარღვევს... [გოგოლაშვილი, 1988, 96];

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა (და ჩვენთვის მისაღები) ა. შანიძის პოზიცია; იგი წერს: „თუ ფორმას ორივე დროის გაგება შეიძლება ჰქონდეს, ზმნისწინიანები მყოფადში უნდა მოვათავსოთ (მაგ.: განსაზღვრავს, აღნიშნავს...), ხოლო უზმნისწინოები – აწმყომი (მაგ.: ადღევრძელებს, ავახშმებს...)“ [შანიძე, 1973, 275].

ასეთი გადაწყვეტა საკითხისა ლოგიკურია და იგი თანამიმდევრულად უნდა გატარდეს ფორმოზრივი ანალიზის დროს.

თითქოს უფრო რთულდება ვითარება, როდესაც უზმნისწინო ფორმა მხოლოდ მყოფადს გამოხატავს, ხოლო ზმნისწინიანი – მხოლოდ აწმყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს საკითხი ზმნათა მცირე ნაწილს ეხება, რომლებიც გარკვეულ ჯგუფს ქმნიან – პირველ რიგში, ესაა ე. წ. საშუალო გვარის ზმნები (resp. სტატიკური სემანტიკის ზმნები), რომელთაც, როგორც ცნობილია, საერთოდ აქვთ შეზღუდული ფორმაწარმოების საშუალებები და სხვა ტიპის ზმნებს (დინამიკურებს) ამ (და სხვა) თვალსაზრისით ვერ მიჰყვებიან, თუმცა ენის დინამიკაში გარკვეული ტენდენციებიც შეიმჩნევა ამ მიმართულებით.

ასეთი ტენდენციის გამოხატულებაა, ჩვენი აზრით, მეგრ. ფუნს „დულს“: ქო-ფუნს „იდულეს“, თუნს „თოვს“: დო-თუნს, ჭვენს „წვიმს“: დო-ჭვენს... (მდრ. ქართ. წვიმს – იწვიმებს, თოვს – ითოვებს...) წარმოება, როდესაც უკვე სტატიკური ზმნის მყოფადის ფორმაზეც შეგვიძლია მსჯელობა.

გასათვალისწინებელი გვეჩვენება ის გარემოებაც, რომ მოძრაობის აღმნიშვნელ ფორმებში ზმნისწინს გამოკვეთილი ფუნქცია აქვს და ეს არის მისი ერთადერთი ფუნქცია – მიმართული გეზის მარკირება. ამ ტიპის ზმნისწინი თავისი ფუნქციით განსხვავდება მყოფადის ფორმებში დადასტურებული ნეიტრალური ზმნისწინისაგან (იხ. ქვევით).

და ბოლოს: არსებობს ფორმისა და შინაარსის ზოგადი პრობლემა – არ არსებობს ისეთი სისტემა, რომელიც იდეალური იქნება ფორმისა და შინაარსის „ჰარმონიულობის“ თვალსაზრისით. შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია გავიხსენოთ, ვთქვათ, გვარის ან კონტაქტის კატეგორიის სისტემაში დადასტურებული „შეუსაბამობები“; ასე, მაგალითად, იკვრევენება, ირტყევენება ტიპის ზმნური ფორმები გვარის მიხედვით ვნებითია, ხოლო

კონტაქტის მიხედვით – შუალობითი, მაგრამ არც ვნებითი გვარის სემანტიკას გამოხატავენ და არც შუალობითი კონტაქტისა. სანიმუშოდ მოტანილი ზმნები ვნებითი გვარისა და შუალობითი კონტაქტის ფორმებია, – იმის მიუხედავად, რომ ისინი სათანადო გრამატიკული მნიშვნელობისაგან ერთობ შორს არიან (ვნებითი გვარის სისტემაში გამოყოფილი ჯგუფი **დეპონენსებისა** სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ფორმისა და შინაარსის შეუსაბამობა).

ასე რომ, ჩვენი აზრით, თუკი ბოლომდე თანამიმდევრულები ვიქნებით და ფორმაწარმოებისას ბოლომდე გავატარებთ ფორმაწარმოების პრინციპებს (კერძოდ, მას ფუნქციური ანალიზის პრინციპებისაგან მკვეთრად გავმიჯნავთ), გაცილებით ნაკლები სირთულეები იჩენს თავს.

ძველ ქართულში ფორმაწარმოების სისტემა ამ მხრივ უფრო მოწესრიგებული ჩანს. აქ აწმყოს უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები დროის თვალსაზრისით არ განსხვავდება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ასპექტის გამოხატვის სისტემაში არსებითი ცვლილება ხორციელდება, ამავე **პროცესის თანამდევნი პროცესი ხდება დროის თვალსაზრისით უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმათა დიფერენცირება**, რასაც შედეგად მყოფადის წრის ნაკვთების გამოყოფა მოჰყვა.

სპეციალურ ლიტერატურაში ექვის ქვეშ არამხოლოდ მყოფადის ნაკვთის სტატუსი დგება. „თუ დავუშვებთ, – წერს გ. გოგოლაშვილი, – რომ ამგვარი დაპირისპირება საკმარისია **წერს და დაწერს** ფორმათა სხვადასხვა ნაკვთებად მიჩნევისათვის, გაჭირდება ამგვარივე საფუძვლის მოძებნა **წერდა – დაწერდა** ფორმათათვის“ [გოგოლაშვილი, 1988, 83].

აქვე მოცემულია უწყვეტლისა და ხოლმეობითის ზოგადი მახასიათებლები: „უწყვეტელი – დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით თხრობითი, გზისობის მიხედვით, მრავალგზისი; ხოლმეობითიც ასევე – დროის მიხედვით წარსულია, კილოს მიხედვით თხრობითი, გზისობის მიხედვით, მრავალგზისი. „ამგვა-რად, დასძენს ავტორი, – „უღლების კატეგორიების“ მიხედვით უწყვეტლისა და ხოლმეობითის ნაკვთებს შორის სხვაობა არაა. თუმცა ხოლმეობითის ნაკვთისაგან უწყვეტლისათვის განმასხვავებელ ნიშნად თანამდევრობაც მიიჩნევა, ხოლო ეს უკანასკნელი, – ამავე მკვლევრის სამართლიანი შენიშვნით, – „თუკი საერთოდ შეიძლება ჩაითვალოს კატეგორიად, არაა მორფოლოგიური კატეგორია“ [იქვე, 84].

უწყვეტლისა და ხოლმეობითის ფორმათა მიმართების ანალოგიურია მიმართება, გ. გოგოლაშვილის აზრით, აწმყოს კავშირებითსა და მყოფადის კავშირებითს შორის: „აწმყოს კავშირებითი. შედგება ორი ელემენტისაგან: დროისა და კილოსაგან. დრო ეხლანდელია ან მომავალი, კილო – კავშირებითი... მყოფადის კავშირებითი. ამ მწკრივს მოეპოვება ორი ელემენტი: დრო (მომ.) და კილო (კავშ.)“ [დამოწმებულია ა. შანიძე, 1973, 219];

როგორც ვხედავთ, – კეთდება დასკვნა, – ამ ორ ნაკვთს შორის არსებითი სხვაობა არაა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ აწმყოს კავშირებითს, როგორც აღნიშნავენ, შეიძლება ზოგჯერ ახლანდელი დროის გაგებაც ჰქონდეს... რა განასხვავებს არსებითად უწყვეტელს ხოლმეობითისაგან და აწმყოს კავშირე-ბითს მყოფადის კავშირებითისაგან? სხვაობა ასპექტურია: „აწმყოს წრის მწკრივები უსრული ასპექტისაა, მყოფადის წრისა კი – სრულისა“ [დამოწმებულია ა. შანიძე, 1973, 263]) **ვწერდი და ვწერდე** უსრული ასპექტის ფორმებია, **დავწერდი და დავწერდე** – სრულისა... სხვა სხვაობა ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმათა შორის არაა... ყურადღება გამახვილებულია იმ მომენტზე, რომ საზოგადოდ ასპექტი წარმოქმნის კატეგორიას და უღლების საკითხების განხილვისას, კერძოდ, ნაკვთთა

გამოყოფისას, მხედველობაში არ მიიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენიშნავს მკვლევარი, – აკეთა და გააკეთა სხვადასხვა ნაკვთის ფორმებად ჩაითვლებოდა [გოგოლაშვილი, 1988, 84].

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ „პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით ახალმა სისტემამ აწმყოს ჯგუფის სამი მწკრივისაგან წარმოქმნა სამი ახალი მწკრივი, განსხვავებული ერთიმეორისაგან შესაბამისად არა მარტო ასპექტის მიხედვით, არამედ დროისა და **სხვა ელემენტების** მიხედვითაც“ [შანიძე, 1973, 270].

ნაკვთა ზოგადი ფუნქციური ანალიზის ზემოთ წარმო-დგენილი სურათის მიხედვით განსხვავება აწმყოსა და მყოფადის წრის ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმებს შორის არ არსებობს (განსაკუთრებული აქცენტი იყო გაკეთებული უწყვეტელ-ხოლმეობითისა და აწმყოს კავშირებით-მყოფადის კავშირებითის ფორმებზე), მაგრამ ზოგადი, ორ-სამპარამეტრიანი ფუნქციური დახასიათების მიხედვით გაკეთებულ დასკვნაში სრული სურათი ვერ აისახება. ამ გზით თუ წავალთ, სხვა ნაკვთებსაც „ვუპოვით“ საერთო ფუნქციებს.

მაგალითად, **კავშირებითი მეორე** მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ელემენტებისაგან შედგება, – ისევე როგორც იგივე **აწმყოს კავშირებითი** თუ **მყოფადის კავშირებითი**;

ასევე ანალოგიური ფუნქციები აღმოაჩნდებათ **წყვეტილსა და თურმეობით პირველს**: დრო – წარსული, კილო თხრობითი...

საანალიზო ფორმებს შორის განსხვავება ნამდვილად რომ არსებობს, ეს შეიძლება ნათლად გამოჩნდეს სპეციალური სკრუპულოზური ფუნქციური ანალიზის გარეშეც (ასე ვთქვათ, შეუიარაღებელი თვალთაც) – იმ შემთხვევაში, თუ შევეცდებით, რომ სათანადო წყვილები (უწყვეტელ-ხოლმეობითისა და აწმყოს კავშირებით-მყოფადის კავშირებითის ფორმები) ნებისმიერი წესით ჩავანაცვლოთ ერთმანეთს; ვთქვათ, ასეთ კონტექსტში:

წერდა – დაწერდა:

კალამი რომ ჰქონოდა, ბავშვი დავალებას **დაწერდა**;

ვერ ვიტყვით:

კალამი რომ ჰქონოდა, ბავშვი დავალებას წერდა;

ბავშვი დავალებას დამოუკიდებლად უნდა **წერდეს**;

ვერ ვიტყვით:

ბავშვი დავალებას დამოუკიდებლად უნდა დაწერდეს.

თავად გ. გოგოლაშვილი გვემოწმება, რომ „ერთი და იმავე ზმნის სხვადასხვა ფუძის მქონე ფორმები ერთ ნაკვთად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ ნებისმიერ კონტექსტში მათი ჩანაცვლება შესაძლებელია“ [გოგოლაშვილი, 1988, 99].

შესაძლებელია, გარკვეულ კონტექსტებში მნიშვნელობათა გადაფარვა მოხდეს, მაგრამ ამასთან ერთად თითოეულ ნაკვთს ის სპეციფიკაც, სიღრმისეულ ნიუანსთა სისტემა აქვს, რაც არის სწორედ მათი დამოუკიდებელი ნაკვთის სტატუსით ფუნქციონირების გრამატიკული საფუძველი და ფაქტორი.

და ეს სხვაობა სულაც არ არის მხოლოდ ასპექტუალური. მხოლოდ ასპექტუალური განსხვავების ნიმუში იქნება მეორე და მესამე სერიის შემთხვევაში (წერა – დაწერა: ბავშვმა დავალება წერა – ბავშვმა დავალება დაწერა), როდესაც სხვა განმასხვავებელი სემანტიკური ნიშანი უზმნისწინო და ზმნისწინიან ფორმებს შორის არ არსებობს.

ი-კეთ-ებ-ს – ი-მეფ-ებ-ს, უ-თვალთვალ-ებ-ს – უ-პატრონ-ებ-ს, და-ფრინ-ავ-ს – და-ხატ-ავ-ს ტიპის წარმოება სპეციალურ ლიტერატურაში ერთი და იმავე ნაკვთის ფორმებადაა

მიჩნეული; შენიშნულია, რომ „ერთგვარი წარმოების შემთხვევები სხვადასხვა ნაკვეთად იქნა აღქმული“; მათ აქვთ მინიჭებული აწმყო-მყოფადის ნაკვეთის სტატუსი [იხ. გოგოლაშვილი, 1988, 95].

აშკარაა, რომ **იმეფებს** და **უპატრონებს** მყოფადის სემანტიკის ზმნებია, მაგრამ, ჩვენი აზრით, რადგან ყალიბი აწმყოსი აქვთ, წარმოების თვალსაზრისითაც აწმყოს (და არა აწმყო-მყოფადის და, მით უმეტეს, მყოფადის) ფორმათა რიგში უნდა იდგნენ.

ვფიქრობთ, საკითხი ამოწურულად შეიძლება ჩაითვალოს მაშინვე, როგორც კი განვაცხადებთ, რომ ზმნათა ერთი ჯგუფი („საშუალო გვარის“ ზმნები) მყოფადის საწარმოებლად **„სესხულობენ“** აწმყოს ფუძეს – **„აწმყოს ფუძის სესხება“** სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ ამ შემთხვევაში აწმყოს ფუძე გვექნება (და არა მყოფადისა!), რომლის ფუნქციური ანალიზიც უკვე სულ სხვა სფეროა კვლევისა.

„ერთგვარი წარმოების შემთხვევები რომ სხვადასხვა ნაკვეთად იქნა აღქმული“, ამის ნიმუშად (ზემოთ წარმოდგენილ ფორმებთან ერთად) მოტანილია **დაფრინავს – დახატავს** წყვილიც.

ჩვენი აზრით, მიუხედავად მასალობრივი იდენტურობისა, ეს ორი **და-** სხვადასხვა ფუნქციის მქონე ზმნისწინია – **დახატავს** ფორმაში დადასტურებული **და-** ნეიტრალური, ზოგადი სემანტიკური მნიშვნელობისაა (ჩვეულებრივ, ასეთია მყოფადის ბაზისურ ფორმაში ზმნისწინის გრამატიკული მნიშვნელობა), მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს **და-** ზმნისწინს სხვა გრამატიკული დატვირთვა არ ჰქონდეს. კერძოდ, **დაფრინავს** ზმნის **და-** ზმნისწინის ფუნქციაზე შეიძლება ვიმსჯელოთ **ფრინავს – დაფრინავს, ხტის – დახტის, ცურავს – დაცურავს** ტიპის ფორმათა ანალიზის საფუძველზე.

ამ **და-** ზმნისწინთან დაკავშირებით ა. შანიძე წერს: „და“ ზმნისწინი მოქმედების გეზის აღნიშვნის საკითხში საზოგადოდ ა-ს უპირისპირდება, მაგრამ მრავალ შემთხვევაში ის უპირისპირდება **მი-**ს და **მო-**ს; უპირისპირდება იმ მხრივ, რომ თუ ესენი აღნიშნავენ მოძრაობას გარკვეული მიმართულებით (**მი** – იქეთ, **მო** – აქეთ), **და-** ნეიტრალიზაციას უშვება მათ და აღნიშნავს მოძრაობას საერთოდ, გარკვეული მიმართულების დაუსახელებლად, ასე ვთქვათ, გაურკვეველი მიმართულებით. მაგალითი: **მი-რბის** – იქეთ, **მო-რბის** – აქეთ, მაგრამ **და-რბის** – სხვადასხვა მიმართულებით. ამ მნიშვნელობით ეს **და-** სხვა ზმნისწინებსაც უპირისპირდება“ [შანიძე, 1980, 254].

და-ფრინავს ფორმაში წარმოდგენილი ზმნისწინის ფუნქცია არ არის ნაკვეთის წარმოებასთან დაკავშირებული, – იმდენად, რამდენადაც ამ ზმნისწინების გარეშე ჩვეულებრივად იწარმოება აწმყოს ფორმა (ამ შემთხვევაში მოცემულ ზმნას ზოგადი აწმყოს მნიშვნელობა აქვს, – მას მყოფადის გაგება არც ექნება).

ფაქტია, რომ ზმნათა ერთმა ჯგუფმა არ აუწყო ფეხი იმ ტენდენციას, რომლითაც **პრევერბი + აწმყო** გახდა მყოფადის წარმოების ყალიბი.

ამის მიზეზი მარტივია: ერთი მხრივ, **ჰბანს//განჰბანს** ტიპის აწმყოს ფორმებში ზმნისწინის გრამატიკული ფუნქცია მკვეთრად გამოხატული არ იყო (ძველ ქართულში), მეორე მხრივ, **რბის – მირბის, გორავს – მიგორავს** ტიპის ზმნებში ზმნისწინის დანიშნულება კარგად იყო და არის გამოკვეთილი: **მას არა აქვს ნაკვეთის წარმოებასთან შეხება, მაგრამ აქვს მიმართული გეზის გამოხატვის ფუნქცია.**

ეს ფუნქცია ამ რიგის ზმნებში ზმნისწინს შენარჩუნებული აქვს (ისტორიული სურათი ამ მხრივ არ შეცვლილა);

მაგრამ ზმნათა დიდ ნაწილში (დინამიკურ ზმნებში) პრაქტიკულად უფუნქციო ზმნისწინმა გრამატიკული ფუნქცია შეიძინა – **აწარმოა სრული ასპექტი, პარალელურად – ახალი ნაკვთი.**

ზმნისწინი, საერთოდ, პოლიფუნქციური ელემენტია. ა. შანიძე მის ფუნქციებს ასე წარმოგვიდგენს: მან უნდა „1) აღნიშნოს მიმართულება და, ამასთანვე ერთად, 2) ორიენტაცია 3) სრული სახით წარმოგვიდგინოს მოქმედება და 4) აწარმოოს სრულიად ახალი ზმნა. მესამე ფუნქცია ზმნისწინისა, – წერს მკვლევარი, – არ გამოირიცხავს პირველ ორს, არამედ ჩვეულებრივ მათთან ერთად იხმარება. ამიტომ ზმნისწინს შეუძლია ერთსა და იმავე დროს აღნიშნოს გეზიც, ორიენტაციაც და მოქმედების სრული სახეც“ [შანიძე, 1980, 239].

ჩვენი აზრით, ლოგიკური ჩანს გეზისა და „ამასთანვე ერთად“ ორიენტაციის კატეგორიების დაყვანა ერთ ზოგად, კერძოდ, **გეზის** კატეგორიამდე.

როგორც ცნობილია, გეზის სახელით აღინიშნება „ზმნით გამოხატული მოქმედების დამოკიდებულება სივრცეში მდებარე სხვადასხვა პუნქტთან, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ ეს დამოკიდებულება **უარყოფითია ან დადებითი.** თუ უარყოფითია, ზმნა არ აღნიშნავს არავითარ მიმართულებას არც ერთი პუნქტისაკენ, – მოქმედება აბსოლუტურია, ყველა პუნქტისადმი ნეიტრალურია, დადებით შემთხვევაში მოქმედება მიმართულია რომელიმე პუნქტისაკენ... ამის მიხედვით გვაქვს ორი გეზი: მიმართული და მიუმართავი“ [შანიძე, 1980, 239].

ორიენტაციის სახელით აღინიშნება „გრამატიკული კატეგორია, რომელიც გვიჩვენებს მოუბარი პირის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატულ მოქმედებასთან, რომლის მიხედვით ირკვევა, განიხილავს მოუბარი პირი ამ მოქმედებას როგორც ისეთს, რომელიც მიმართულია იმ პოზიციისაკენ, რომელიც თვითონ უჭირავს სივრცეში, თუ როგორც ისეთს, რომელიც საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. ამის მიხედვით გვაქვს ორი ორიენტაცია: **მაახლოებელი და მაშორებელი, ანუ, სააქეთო და საიქეთო**“ [შანიძე, 1980, 238].

ამგვარ ანალიზს ბოლომდე თუ მივყვებით, მაშინ „წარმოქმნის“ სხვა კატეგორიების გააზრებაშიც მოგვიწევს კორექტივების შეტანა; ვთქვათ, ქცევის კატეგორიის გაგება შეიძლება ასეთი იყოს: აქტანტა შორის კუთვნილება-დანაშინულების მიმართება ზმნის ფორმაში შეიძლება გამოიხატოს ან არ გამოიხატოს.

ამის მიხედვით გვექნება ორი ქცევა: **არამარკირებული და მარკირებული.**

ზოგადი სურათი მართლაც ასეთია, მაგრამ მსჯელობის მეორე ნაწილში საჭირო გახდება მარკირებული ქცევის სახეების (სასუბიექტო, საობიექტო) განხილვა უკვე სხვა კატეგორიის ფარგლებში (როგორც მიმართული გეზის ქვესახეობების კვალიფიცირება მოხდა ახალი მორფოლოგიური კატეგორიის შემოტანის საფუძველზე).

ვფიქრობთ, აჯობებდა, გვემსჯელა ერთ ზოგად – **გეზის** კატეგორიაზე (მით უმეტეს, რომ „მიმართული გეზის აღნიშვნა ორიენტაციასაც გულისხმობს“ [შანიძე, 1980, 253], ხოლო **მაახლოებელი** თუ **მაშორებელი ორიენტაცია** იქნებოდა არა სხვა კატეგორია, არამედ მიმართული გეზის სახეობები.

ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ერთი ტიპის ზმნებს (**მიჩქევს ~ მოჩქევს...**) „ორიენტაცია აქვთ, მაგრამ არა აქვთ გეზი“ [იხ. უთურგაძე, 2002, 61], – თუკი მიმართული გეზი ორიენტაციასაც გულისხმობს, არ შეიძლება მათ შორის საპირისპირო ურთიერთობაც არ იყოს (**მიჩქევს** და **მოჩქევს** ფორმები მიმართულებას ნამდვილად გამოხატავენ).

ვიმეორებთ, ორიენტაცია უნდა განვიხილოთ, როგორც მარკირებული (მიმართული) გეზის სახეობა და აქედან ამოსვლით უნდა ვიმსჯელოთ საკუთრივ მის ტიპებზე.

ზმნისწინის ფუნქციებში დასახელებული არ არის ნაკვეთის გამოხატვის ფუნქცია, არადა, ფაქტია, – მყოფადის წარმოების **ერთადერთი მორფოლოგიური მექანიზმია ზმნისწინი + აწყო** მოდელი. ამ შემთხვევაში ზმნისწინი ასპექტის სრულ სახესთან ერთად მყოფადის ნაკვეთის მაწარმოებელი ელემენტია [იხ.: ჭუმბურიძე, 1986, 97; კვაჭაძე, 1981, 254; კიზირია, 1984, 94...].

ზმნისწინისთვის ამგვარის სტატუსის მინიჭებას არ ეთანხმება გ. გოგოლაშვილი [იხ. გოგოლაშვილი, 1988, 86-87] და ეს ბუნებრივი ჩანს მისი საერთო პოზიციიდან გამომდინარე: თუკი ჩვენთვის მყოფადის წრის ნაკვეთები ცალკე არ გამოიყოფა (ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების ერთად დაჯგუფების საფუძველზე მკვლევარი I სერიას სამი ნაკვეთის სახით წარმოგვიდგენს: პირველი ნაკვეთი **აწყო-მყოფადია**, მეორე **უწყვეტელ-ხოლმეობითი**, მესამე – **I კავშირებითი**), თუკი ვთვლით, რომ აწყოსა და მყოფადის სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად მიჩნევის ფორმობრივი საფუძველი არ არსებობს, ცხადია, ამ ცალკე არარსებული ნაკვეთის მაწარმოებელ ელემენტებზეც ვერ ვიმსჯელებთ.

საკითხის ასე დაყენებასთან დაკავშირებით, როგორც გ. გოგოლაშვილი აღნიშნავს, სიფრთხილეს იჩენდა ა. შანიძეც, რომელმაც უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმების დიფერენ-ცირება მოახდინა I სერიაში, მაგრამ ზმნისწინისთვის ნაკვეთის მაწარმოებლის კვალიფიკაცია ასე ცალსახად არ მიუცია.

მაგრამ, მეორე მხრივ, ფაქტია ისიც, რომ თუკი გავიზიარებთ მყოფადის წრის ნაკვეთების ცალკე გამოყოფის იდეას (რასაც, ჩვენი აზრით, გაცილებით მეტი საფუძველი აქვს ანალიზის წმინდა ფორმალური კრიტერიუმებიდან ამოსვლით), ასევე ცხადი და ლოგიკური იქნება მსჯელობა იმ **სპეციფიკურ ელემენტზე**, რომლის გამოსობითაც ერთი ნაკვეთის ფორმა თავისი სტატუსით განსხვავდება მისთვის ამოსავალი ნაკვეთის ფორმისაგან. ასეთი ელემენტი, როგორც აღინიშნა, შეიძლება **მხოლოდ ზმნისწინი** იყოს აწყოსა და მყოფადის ფორმებში.

ზმნისწინი, რომელიც აწყოს ფორმას მყოფადის ფორმად აქცევს, არის ერთადერთი ელემენტი, რომლის საშუალებითაც **ახალი ნაკვეთი** იწარმოება, – ამდენად, მორფოლოგიური დანიშნულების თვალსაზრისით, ის არაფრით განსხვავდება, ვთქვათ, უწყვეტლის **-ოდ** სავრცობის ან კავშირებითის **-ო** სუფიქსისაგან.

საერთოდ, ზმნისწინის ფუნქციონირების სფერო (ამ ფაქტორის გათვალისწინებით და, საერთოდაც) ალბათ შეიძლება უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი; მისი ფუნქციებიდან აღსანიშნავი ჩანს:

1. მხოლოდ გეზის გამოხატვა (მირბის);
2. მხოლოდ სრული ასპექტის გამოხატვა (გააკეთა);
3. მყოფადის ნაკვეთისა და სრული ასპექტის გამოხატვა (გააკეთებს);
4. მყოფადის ნაკვეთის, სრული ასპექტისა და გეზის გამოხატვა (გაფრინდება);
5. სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა, ამასთან, სრული ასპექტისა და მყოფადის გამოხატვა (შეაწითლებს, გადააკეთებს...).

ფორმაწარმოების ფუნქცია შესაძლოა ენის განვითარების დინამიკაში მიიღოს ამა თუ იმ ელემენტმა. ამის მაგალითად გამოდგება ზმნისწინი, რომელიც ისტორიულად პირველადი ფორმამაწარმოებელი ელემენტი არ არის, მაგრამ სინქრონიულ დონეზე იგი ახალი ნაკვეთებს აწარმოებს (მისი საშუალებით იწარმოება **მყოფადი, ხოლმეობითი და მყოფადის კავშირებითი**);

ანუ: დღეს მყოფადის ნაკვთის **სისტემური წარმოება მორფოლოგიური საშუალებებით** შეუძლებელია ზმნისწინის გარეშე („ზმნათა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის წრის ნაკვთთა დაპირისპირება მხოლოდ ზმნისწინის საშუალებით ხდება“ [გოგოლაშვილი, 1988, 93]): აკეთებს, აშენებს, ხატავს, მალავს, აღნობს, ჭამს... ფორმათა მყოფადი სხვა საშუალებით არ იწარმოება.

ერთიგაა: ნაკვთი რომ მხოლოდ იმის მიხედვით გამოიყოფოდეს, რამდენად სრულად მოიცავს იგი წარმოების მორფოლოგიური საშუალებების მიხედვით გაერთიანებულ ფორმებს, ერთი ნაკვთიც არ გვექნებოდა, – ასეთი აბსოლუტურად **სრულყოფილი და უგამონაკლისო** კლასიფიკაცია ზმნური ფორმებისა, უბრალოდ, არ არსებობს.

II და III სერიათა ნაკვთთა ფორმებში ზმნისწინს ამ (**პირველადი** ფორმაწარმოების) თვალსაზრისით არანაირი ფუნქცია არა აქვს. თუ ამ სერიათა ფორმებში გამოვლინდება ზმნისწინი (ეს იქნება **მეორეული** ფორმაწარმოების ფორმები – იხ. ქვევით), იგი სულ სხვა ფუნქციისა იქნება: ვთქვათ, სრული ასპექტის მაწარმოებელი (**დაწერა**), ან ასპექტისა და გეზისა (**ჩაწერა**).

უღლების ზოგადი საკითხების ანალიზისას თავს იჩენს პრობლემა ზმნურ კატეგორიათა უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით, რომელიც თ. უთურგაიძის შენიშვნით, „**არაადეკვატურია**“ [იხ. უთურგაიძე, 2002, 75].

მკვლევარი მიიჩნევს, რომ „თეორიულად გამორიცხულია, ზმნურმა კატეგორიამ ლექსიკური მნიშვნელობა უცვალოს ზმნას, რადგან კატეგორიის ფარგლებში და კატეგორიათ-შორის სისტემაში აგენსი ქმედების ერთსა და იმავე სახეობას ეწევა“ [უთურგაიძე, 2002, 75].

როგორც ჩანს, უღლების კატეგორიები (დროის, კილოს, გზისობის, აქტის, თანამდევრობის კატეგორიები) და წარმოქმნის კატეგორიები (გეზის, ორიენტაციის, ასპექტის, გვარის, ქცევის, კონტაქტის, სიტუაციის კატეგორიები) სხვა არაფერია, თუ არა სემანტიკურ კატეგორიათა (ერთი მხრივ) და მორფოლოგიურ კატეგორიათა (მეორე მხრივ) სისტემა.

აკაკი შანიძის განმარტებით, უღლების კატეგორიები „მოდიფიკაციას უშვრებიან ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას... წარმოქმნის ფორმა ზმნაში იმით განსხვავდება უღლების ფორმისაგან, რომ ის ზმნას ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის და ახალს აძლევს. მაგრამ ეს ახალი ხშირად ისე ახლოს დგას ძირეული ზმნის მნიშვნელობასთან, რომ ძნელია მისგან გამორჩევა. ამიტომ უნდა მოხახულ იქნეს ისეთი ნიშანი, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება უღლებისა და წარმოქმნის ფორმათა გარჩევა. ეს ნიშანია მწკრივის გამეორება“ [შანიძე, 1980, 236].

წარმოქმნისად მიჩნეულ კატეგორიათა სათანადო სტატუსი უსაფუძვლოდ არის მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაში; კერძოდ, გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით ნათქვამია: „გვარი რომ წარმოქმნის კატეგორია იყოს, ე.ი გვარის შეცვლა რომ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლას იწვევდეს, ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ერთი საწყისი ჰქონოდათ გვარის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს. იგივე შეიძლება გავიმეოროთ სხვა კატეგორიების მიმართაც, რომლებიც წარმოქმნისად მიიჩნევიან გვარის კატეგორიის გვერდით“ [უთურგაიძე, 2002, 81].

ვფიქრობთ, ზოგადად **უღლება (უღლების პროცესი) უნდა განვიხილოთ, როგორც ფორმაწარმოება (ფორმაწარმოების პროცესი)**, მხოლოდ მისი ორი სახეობით: **პირველადი ფორმაწარმოებითა და მეორეული ფორმაწარმოებით**.

ფორმები, რომლებიც პირველადი ფორმაწარმოების პროცესში არის ჩართული, პირველადი ფორმებია, ხოლო ფორმები, რომლებიც მეორეული ფორმაწარმოების პროცესში მონაწილეობენ – მეორეული.

პირველადი ფორმაწარმოებისაა ის ფორმები, რომლებშიც ნაკვთის ფორმირებისთვის აუცილებელი და საკმარისი მორფოლოგიური კომპონენტებია მოცემული.

პირველადი ფორმაწარმოების ფორმა ტრადიციული „უღლების კატეგორიების“ მიხედვით მოაზრებულ ფორმას უტოლდება. აუცილებლობის მომენტზე, მხოლოდ უღლების კატეგორიებთან მიმართებით, ყურადღებას ამახვილებს ა. შანიძე: „უღლებისა კატეგორია, თუ ის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას არა ცვლის და ამასთანავე ერთად აუცილებლად საჭიროა ამა თუ იმ მწკრივის საწარმოებლად“ [შანიძე, 1980, 165]). ეს არის ძირითადი მიმოსახრელი, ფლექსიური ფორმები.

მეორეული ფორმაწარმოების ფორმები (ეს ის ფორმებია, რომელთაც ა. შანიძე წარმოქმნილს უწოდებს) პირველადი ფორმებისაგან მომდინარეობს. მათგან განსხვავებით, ამ ფორმებში, როგორც წესი, წარმოდგენილია ამა თუ იმ მორფოლოგიური კატეგორიის მარკერი.

სწორედ ამ, უღლებისთვის ჭარბი, არააუცილებელი და არაარსებითი ნიშნით განსხვავდებიან აღნიშნული სისტემის წევრები პირველადი, ამოსავალი, ბაზისური ფორმებისაგან.

ცხადია, ამ ფორმებსაც აქვთ უღლების პარადიგმა, – ისევე, როგორც აქვს პარადიგმა პირველად სახელსა და წარმოქმნილ სახელს (ანუ, წმინდა ფორმალური მიმართებების თვალსაზრისით სახელებსა და ზმნებში იდენტური სურათია, სხვა საკითხია სემანტიკური მიმართებები), მაგრამ ამათი პარადიგმები პრაქტიკულად ერთნაირი წესებით იგება – კაც-ი, ისევე იბრუნება, როგორც უკაცურ-ი ან ნაკაცარ-ი, ასევე ერთი ექნებათ ძირითადი წესი უღლებისა რომელიმე აკეთა და აკეთებინა ფორმებს.

ის სხვაობები, რაც შეიძლება ამ ორი რიგის ფორმათა ბრუნებისა თუ უღლებისას საერთოდ შეიმჩნეოდეს, – ვგულისხმობთ ბრუნებისა თუ უღლების ტიპებად დაყოფის საფუძველს – ამათი ფორმალური მიმართებებისგან გამომდინარე არ არის.

იმ სემანტიკურ კატეგორიებს, რომლებიც პირველადი ფორმაწარმოების გრამატიკულ მნიშვნელობას განსაზღვრავენ, შეიძლება ვუწოდოთ პირველადი ფორმაწარმოების კატეგორიები.

მორფოლოგიურ კატეგორიებს, რომლებიც მეორეული ფორმაწარმოების გრამატიკული მიმართებების გამოსახატავად გამოიყენება, მეორეული ფორმაწარმოების კატეგორიები უნდა ეწოდოთ.

ზმნის სისტემისათვის, საზოგადოდ, არც სიტყვაწარმოების, ანუ წარმოქმნის (ამ ცნების, ასე ვთქვათ, კლასიკური გაგებით) სფეროა უცხო. აგებს, წააგებს, დააგებს... შეასვენებს, წაასვენებს... ტიპის სიტყვაწარმოება თავისი არსით (სიტყვაწარმოების, წარმოქმნის ტრადიციული გაგებიდან გამომდინარე) არაფრით განსხვავდება კაცი – საკაცე – უკაცური... სიტყვაწარმოებისაგან. ორივე შემთხვევაში ფუძეზე რაღაც ელემენტის (თუ ელემენტების) დამატება სიტყვებს ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის.

სიტყვაწარმოების ასეთივე ნიმუშად შეიძლება განვიხილოთ აწითლებს – შეაწითლებს, მღერის – წაუღერებს ტიპის მიმართება, რომელიც საინტერესო პარალელს პოულობს დიდი – მოდიდო სისტემასთან.

ძალიან საინტერესოა ასევე მოისულელებს – მოსულელო ფორმათა შედარება და ანალიზი.

ამ შემთხვევაში ზმნისწინიან ფორმაში ზმნისწინის ფუნქციაზე ითქმის: იგი გამოხატავს მოქმედებას, რომელიც „ცოტაა ზომით ან მოცულობით ან ნაკლებია ხარისხით“.

ოდნობითის ფორმები (**მოდიდო, მოსულელი...**) ამოსავალი (**დიდი, სულელი...**) ფორმებისაგან, ასე ვთქვათ, მასშტაბურობის ხარისხით (ნაკლები მასშტაბურობით) გამოირჩევა (ამიტომაც ჰქვია ოდნობითი). ყოველ შემთხვევაში, ამოსავალი და წარმოქმნილი ფორმების მიმართების თვალსაზრისით ასეთი დაკავშირება ლოგიკური ჩანს.

ასე რომ, სიტყვაწარმოება (წარმოქმნა) ზმნის სისტემაშიც საკმაოდ აქტიური პროცესია და იგი, პირველ რიგში, სწორედ **ზმნისწინს** უკავშირდება.

უნდა მოვიაზროთ თუ არა ზმნისწინი ფუძის შემადგენელ ნაწილად?

ფუძის დეფინიცია ასეთია: „ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები, მწკრივის ფუძე ჰქვია“ [შანიძე, იმნაიშვილი, კვაჭაძე, 1980, 134];

ლ. კვაჭაძე: „ამა თუ იმ მწკრივის ფორმებს მოეპოვებათ მწკრივის საყრდენი საერთო ნაწილი, რომელსაც მწკრივის ფუძე ჰქვია. იგი მწკრივის ფორმათა ის ნაწილია, რომელსაც არ ახლავს პირისა და რიცხვის ნიშნები“ [კვაჭაძე, 1981, 278].

ა. კიზირია: „ფუძე ეწოდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელ ნაწილს, რომელსაც არა აქვს პირისა და რიცხვის ნიშანი. იგი საერთოა ერთი მწკრივის ფარგლებში. ასე, მაგალითად, **ვხატავ** ზმნაში ფუძეა **ხატავ**; **აკეთებენ** ზმნაში – **აკეთებ**; **დავხატავთ** ზმნაში – **დახატავ**; **დავხატე**, **დახატა** ზმნაში – **დახატე** [კიზირია, 1984, 108].

არსებობს ზმნის ფუძის განსხვავებული გააზრება (საინტერესოა, რომ ეს ხდება ერთსა და იმავე ავტორებთან), რომელიც პირველ დეფინიციასთან წინააღმდეგობაში მოდის:

ა. შანიძე: „ფუძე ჰქვია იმ ნაწილს ზმნისას, რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა. ეს ნაწილი მყარია, მოიპოვება ამა თუ იმ ზმნის ყოველგვარ პირიანსა თუ უპირო ფორმაში და წარმოდგენილია ერთი, ორი ან მეტი ბგერით. მაგალითები:

ერთ-ბგერიანი ფუძეებია: **ქ, ღ, გ, ზ**, რომელთაგან ნაწარმოებია შესაბამისად ზმნები: ქება, ღება, გება, ზმა (ვა-ქ-ებ, ვა-ღ-ებ, ვა-გ-ებ, ვა-ზ-ამ).

ორ-ბგერიანი ფუძეებია: **წყ, ცხ, სვ, შვ**, რომელთაგანაც ნაწარმოებია შესაბამისად: ვი-წყ-ებ; ვა-ცხ-ებ, ვ-სვ-ამ, ვუ-შვ-ებ.

სამ-ბგერიანი ფუძეებია: **წერ, ხედ, ხურ, თეს**, რომელთაგანაც ნაწარმოებია შესაბამისად: ვ-წერ, ვ-ხედ-ავ, ვ-ხურ-ავ, ვ-თეს-ავ.

ოთხი ბგერისგანაა შემდგარი შემდეგი ფუძეები: **ვიწყ, ყვარ**, რომელთაგანაც ნაწარმოებია ზმნები: ვი-ვიწყ-ებ, მი-ყვარ-ს...

მრავალ შემთხვევაში ზმნის ფუძე იგივეა, რაც ძირი. საზოგადოდ ერთ-თანხმოვნისანი ფუძეები ამავე დროს ძირებია; ეგევე ითქმის უმეტესად ორ-თანხმოვნისანი ფუძეების შესახებაც. მაგ., **ზ**, რომლისგანაც ნაწარმოებია **ზ-მა** (ვა-ზ-ამ, დავა-ზ-ი, დავა-ზ-ა) ფუძეც არის ზმნისა და ძირიც; აგრეთვე წყ, რომლისაგან ნაწარმოებია ვი-წყ-ებ, დაი-წყ-ო, ფუძეც არის და ძირიც...“ [შანიძე, 1980, 387].

ამგვარი გააზრების და წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით **ფუძე** და **ძირი** სინონიმური ტერმინები გამოდის, არც ის ჩანს, როდის აღნიშნავენ ისინი განსხვავებული ელემენტებს (ერთადერთი მაგალითია **წერ-**, რომელიც გამოდგება იმის საილუსტრაციოდ, რომ ის არის ძირი და, ამავე დროს, საზიარო საყრდენი ფუძეა აწმყოსა და აორისტისთვის).

ა. კიზირია: „ზმნის მარტივი ფუძე არის ძირი... ამჟამად ძირად მიჩნეული მარტივი ფუძე შეიძლება დაიშალოს, თუ მის ისტორიას გავითვალისწინებთ“ [კიზირია, 1984, 108].

ლ. კვაჭაძე: „ზმნის იმ ნაწილს, რომელიც საერთოა მისგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვის, მარტივი ფუძე ჰქვია. ფუძესთან არის დაკავშირებული ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა. მაგ., წაუღებს, წაიღებს, წაიღო, წაუღია ფორმებში საერთოა ლ. მაშასადამე, ლ მარტივი ფუძეა, რომელიც ერთი ბგერისგან შედგება. ზოგი ფუძე ორბგერიანია (დაი-წყ-ო), ზოგი – სამბგერიანი (და-წერ-ს), ზოგიც ოთხიანი (უ-ყვარ-ს)“ [კვაჭაძე, 1981, 276].

დაახლოებით ამგვარი პოზიციდან ამოსვლით არის მოაზრებული ფუძის ცნება სხვა შემთხვევაშიც, როდესაც აწმყოს ნაკვთის ზოგად მოდელი ასეთი სახით არის წარმოდგენილი: **prev. + R + th. suf** („ფუძე აღნიშნულია **R** სიმბოლოთი, თემატური სუფიქსი – **th. suf.**, ზმნისწინი – **prev.** სიმბოლოთი“ [მელიქიშვილი, 2001, 49].

სხვათა შორის, ფუძის განმარტებისას ერთნაირია (და ეს ლოგიკურია) ზმნური და სახელური ფორმების ანალიზი (ცხადია, მათი სპეციფიკური მორფოლოგიური კატეგორიების გათვალისწინებით): **ზმნის ფორმის სეგმენტირებისას ფუძე პირისა და რიცხვის ნიშნების გამორიცხვით, ხოლო სახელის ფორმის სეგმენტირებისას ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების გამორიცხვით დგინდება.**

გ. გოგოლაშვილი მიიჩნევს, რომ „გარკვეული პასუხი კითხვაზე – ზმნისწინი შედის თუ არა ზმნურ ფუძეში (ნაკვთის ფუძეში) – არაა გაცემული. მეტიც, ეს საკითხი არცაა დასმული სამეცნიერო ლიტერატურაში“ [გოგოლაშვილი, 1988, 93], თუმცა თვითონვე აღნიშნავს: „ზმნური ფუძის განმარტებისას ყურადღება პირისა და რიცხვის ნიშნებზეა გამახვილებული („ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები“).

ამ განმარტების შესაბამისად, ზმნისწინი, თავისთავად ცხადია, ფუძის ნაწილად გაიზარება“ [გოგოლაშვილი, 1988, 92].

ე. ი. **ზმნისწინს ფუძის ნაწილად მიიჩნევენ** და ეს **ცხადად** ყოფილა მიჩნეული.

გ. გოგოლაშვილი ფუძეს ზმნისწინის გარეშე მოიაზრებს. ფუძის განმარტებისას მისთვის ძალაში რჩება „ტრადიციული თვალ-საზრისი მცირე განმარტებით“: „ნაკვთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები“ [გოგოლაშვილი, 1988, 97].

მკვლევარი იმ სირთულეებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც საკითხის ამგვარად გადაწყვეტას ხელს უშლის: „არის ფაქტორები, – წერს იგი, – რომლებიც ზმნისწინს ფუძისეულად გაგვაზრებინებს. ჯერ ერთი: ცალკეული ჯგუფის ზმნები ამა თუ იმ ნაკვთის ფორმებში უზმნისწინოდ არ გვხვდება. მაგ.: „უწინდებულად **დონიანი** ვნებითი (კეთდა, შენდა, ძლიერდა...) ნამყო ძირითადად შეუძლებელია [დამოწმებულია არნ. ჩიქობავა, 1950, 81]; ისიც ცნობილია, რომ ზმნისწინი ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის: „წინდებულის დართვისას ფუძის მნიშვნელობა შეიძლება არსებითადაც შეიცვალოს. შდრ.: გა-იგო, მო-იგო, და-იგო“ [დამოწმებულია, არნ. ჩიქობავა, 1950, 061]; გარდა ამისა, „იშვიათად ისეთი ზმნებიც გვხვდება, რომლებიც უზმნისწინოდ არ იხმარება: „გვაქვს: მივიდა, მო-ვიდა... მაგრამ ცალკე **ვიდა** ამჟამად არ მოგვეპოვება“ [დამოწმებულია, ა. შანიძე 1973, 239]; ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა სხვადასხვა სალექსიკონო ერთეულებად მიჩნევა (მაგ. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“) ზმნისწინის ფუძისეულობას დაუჭერდა მხარს. და, როგორც ითქვა, აწმყოს წრისა და მყოფადის წრის ნაკვთთა სხვადასხვა საუღლებელ ერთეულებად წარმოდგენა მხოლოდ ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით შეიძლება: ზმნათა უმრავლესობაში აწმყოსა და მყოფადის წრის ნაკვთთა ფორმების დაპირისპირება მხოლოდ ზმნისწინის საშუალებით ხდება“ [გოგოლაშვილი, 1988, 93].

ამას შეიძლება დავუმატოთ ის შემთხვევები, როდესაც ზმნისწინის ფუნქციაა მიმართულების ჩვენება (მიფრინავს, მიცურავს...), – ალოგიკური იქნება ამ ფუნქციის მქონე ზმნისწინის ჩამოცილებაც ზმნის ფუძიდან.

და რა წინააღმდეგობები ახლავს ზმნისწინის ფუძისეულად გაგებას?

თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, – წერს გ. გოგოლაშვილი, – იმდენი ფუძე გვექნება ერთი და იმავე ზმნური ძირისაგან ნაწარმოები, რამდენიც ზმნისწინიანი ვარიანტი გვაქვს ამა თუ იმ შემთხვევაში. მაგ.: დაწერს, ჩაწერს, მიწერს, მოწერს, გაწერს, აღწერს, ამოწერს, გადაწერს, გამოწერს, ჩამოწერს, გადმოწერს... დღეს მიღებული თვალსაზრისის მიხედვით ყველა ეს ფორმა ერთი და იმავე წერს ზმნის მყოფადის ფორმებია, ზმნისწინით განსხვავებული. სხვადასხვა ფუძეზე ან სხვადასხვა ზმნაზე ამ შემთხვევაში ჩვეულებრივ არ საუბრობენ. ზოგადად მიენიშნება, რომ ფორმა ზმნისწინიანია და ნიმუშად რომელიმე მათგანს (ჩვეულებრივ **ნეიტრალური, ზოგადი სემანტიკური მნიშვნელობისას**) წარმოადგენენ (მაგ. **წერს** ზმნისათვის **დაწერს** ფორმას). თუ ზმნისწინს ფუძისეულად გავიაზრებთ, იმდენ ფუძეზე უნდა ვილაპარაკოთ, რამდენი ზმნისწინიანი ფორმაც გვაქვს... მყოფადის წრის ნაკვთთა გამოყოფის გამართლება ზმნისწინს ფუძისეულად გაგვაზრებინებს“ [გოგოლაშვილი, 1988, 93-94].

და რა უშლის ხელს ზმნისწინის ფუძისეულად გააზრებას? – ვფიქრობთ, არაფერი.

დაწერს, ჩაწერს, მი-ს-წერს, მო-ს-წერს, გაწერს, აღწერს, ამოწერს, გადაწერს, გამოწერს, ჩამოწერს, გადმოწერს სხვადასხვა სიტყვაა.

წერს ზმნის მყოფადი არის **დაწერს** და არა **ამოწერს** ან **გადაწერს** ან ნებისმიერი სხვა.

აწითლებს ზმნის მყოფადი არის **გააწითლებს** და არა **შეაწითლებს**.

აწმყოში არ ჩანს ის ნიუანსი, რაც მყოფადში გამოჩნდება. **სწორედ ამიტომ ეს ფუძეები ცალ-ცალკე უნდა შევიდეს განმარტებით ლექსიკონში.**

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში **აწითლებს** ლექსიკურ ერთეულთან ერთად ცალკე მისი მყოფადის ფორმის წარმოდგენა გაუმართლებელია: **გააწითლებს** არ არის სხვა სიტყვა. ის არის **აწითლებს** ფორმის მყოფადი; ასეთი ფორმები **აწითლებს** ზმნას კიდევ ბევრი აქვს (აწითლებდა, აწითლებდეს, გააწითლებდა, გააწითლებდეს, გააწითლა...);

რამდენად ლოგიკურია ცალკე ლექსიკურ ერთეულად **გააწითლებს** ფორმის გამოტანა და, ვთქვათ, **გააწითლა** ფორმის იგნორირება?

რატომ არის აუცილებელი მყოფადის ფორმის გამოტანა და არ არის საჭირო აორისტი?

რა თქმა უნდა, სხვაგვარად დგას საკითხი **შეაწითლებს, გადააწითლებს, წამოაწითლებს...** ფორმებთან მიმართებით. ესენი **აწითლებს** ზმნის მყოფადის ფორმებია კი არა, სულ სხვა ლექსიკური ერთეულებია და, ამდენად, აბსოლუტურად მართებულად აქვთ მიჩენილი კუთვნილი ადგილი ლექსიკონში.

ვთქვათ და გამოვრიცხეთ ზმნისწინი ფუძიდან. რას მივაწეროთ ის სემანტიკური ცვლილება, რაც გვექნება ამ შემთხვევაში: **აწითლებს** „წითელს ხდის“ : **შეაწითლებს** „ოდნავ გააწითლებს“, **კოჭლობს** „კოჭლობით დადის“ : **მოიკოჭლებს** „ოდნავ კოჭლია“ და მისთ.

გააწითლებს – შეაწითლებს, გაზრდის – დაზრდის, ააშენებს – გადააშენებს... ფუძეებიდან ზმნისწინის გამორიცხვა ლექსიკური სხვაობის ნიველირებას ნიშნავს, და ეს იგივეა, რომ, ვთქვათ, სახელური ფორმები – **საკაცე, კაბიანი, გულადი...** შესაბამისად **კაც-, კაბა** და **გულ-**... „ფუძეებზე“ დავიყვანოთ.

ზ. ჭუმბურიძე წერს: „ქართულს არ მოეპოვება ზმნით გამოხატული მოქმედების სიმცირის, ოდნაობის აღმნიშვნელი სპეციალური ზმნისწინები. ამ ფუნქციით სხვადასხვა

ზმნასთან გვხვდება ზმნისწინები **მო-, შე-, წა-, წამო-**. ოდნაობის აღნიშვნა აგრეთვე არ არის დამახასიათებელი აწმყოს წრის მწკრივებისთვის და ამ ფუნქციით ხმარებისას ზემოხსენებული აწმყოს ზმნისწინები შეიძლება შეგვხვდეს მეტწილად მხოლოდ მყოფადსა და მყოფადის წრის მწკრივებში.

ასეთია, მაგალითად: მო-ბერდება, მო-თენდება, მო-სვამს, მო-სველდება, მო-სუქდება, მო-შუადღევდება, მო-ცოცხლდება, მო-ძლიერდება, მო-მჯობინდება... შე-თბება, შე-თეთრდება, შე-თვრება, შე-თხელდება, შე-წითლდება, შე-ხურდება... წა-ითამაშებს, წა-თოხნის, წა-ჭამს... წა-მოიზრდება, წამო-იჩიტება, წამო-წითლდება...

ვნებითი გვარის ფორმებში **წა-** და **მო-** ზმნისწინები შეიძლება შეგვხვდეს აწმყოს გაგებითაც: მო-იავადმყოფებს („ცოტა ავადაა“), მოიბრიყვებს („ცოტა ბრიყვია“, მო-იგიჟებს, მო-იზანტებს, მო-იზარმაცებს, მო-იკოჭლებს, მო-იმწარებს, მო-ისულელებს, მო-ისუსტებს, მო-იძველებს, მო-იძუნწებს, მო-იწუწებს... წა-იავადმყოფებს, წა-იბრიყვებს, წა-იზარმაცებს, წა-იკოჭლებს და ა. შ.“ [ჭუმბურიძე, 1986, 103-104].

ზ. ჭუმბურიძის შეფასებით, „ეს ფორმები საზიაროა აწმყოსა და მყოფადისათვის, სხვა ოდნაობის პრევერბიან ზმნებს კი აწმყოს გაგება არა აქვთ და მხოლოდ მყოფადის წრეში იხმარებიან. **და-** ზმნისწინთან რიც შემთხვევებში დაკავშირებულია მოქმედების სიხშირე, რაც პირდაპირი ობიექტების სიმრავლეს ან ერთი ობიექტის მიმართ მოქმედების მრავალგზის განმეორებას გულისხმობს. „რიგრიგობის“ **და-** ზმნისწინი, ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებით, „ერთმანეთის მიყოლებით, სათითაოდ შესრულებულ მოქმედებას გულისხმობს და მისი შინაარსი აწმყოსთან შეუთავსებელია. ამიტომ „რიგრიგობის“ **და-** ზმნისწინიან ფორმებს აწმყოს წრის მწკრივები აკლიათ და მხოლოდ მყოფადისა მოეპოვებათ“ [ჭუმბურიძე, 1986, 103].

ჩამოთვლილია სათანადო ფორმები: „დააშიშვლებს, დაადრობს, დააცხობს, დააღვიძებს, დაზრდის, დათათხავს, დათითხნის, დათლის, დათოკავს, დათოშავს, დათხუპნის, დაკაფავს, დაკბენს, დაკბენს, დაკერავს, დაკვანძავს, დალანძღავს, დალახავს, დალესავს, დალექსავს, დამკის, დამოსავს, დაჰპარავს, დაპარსავს, დაპოხავს, დარანდავს, დაროზგავს, დაწყავს, დასინჯავს, დასხლავს, დატეხს, დატრუსავს, დაქსელავს, დაქსოვს, დაღებავს, დაღობავს, დაყიდის, დაშოლტავს, დაცვლის, დაწვრთნის, დაწუწავს, დაჭამს, დახდის, დახედნის, დახეთქავს, დახსნის და სხვ.“ [ჭუმბურიძე, 1986, 103].

აბსოლუტურად სწორად არის შენიშნული, რომ ჩამოთვლილ ფორმებს **აკლიათ აწმყო, ამათი აწმყო არ არის** შესაბამისად: აშიშვლებს, ადრობს, აცხობს, აღვიძებს, ზრდის, თათხავს, თითხნის, თლის, თოკავს...

მეორე მხრივ, ჩამოთვლილ ფორმებში **და-** ზმნისწინი მხოლოდ მყოფადის მაწარმოებელი არ არის: ის არის **მეორეული ფორმაწარმოების** ელემენტი და **მხოლოდ ამასთან ერთად – მყოფადის მაწარმოებელი** (მყოფადისა და, მასთან ერთად, სრული ასპექტის მაწარმოებელი იქნება ამ შემთხვევაში: გააშიშვლებს, გაადრობს, გამოაცხობს, გააღვიძებს, გაზრდის, გათათხავს, გათითხნის, გათლის, გათოკავს...).

როგორც კი ზმნისწინს ვანიჭებთ „ოდნაობის“, „განუსაზღვრე-ლობის“, „რიგრიგობისა“ თუ სხვა ამგვარ სტატუსს, ეს ავტომატურად ნიშნავს მის **სიტყვამაწარმოებელ** ელემენტად მიჩნევას, რაც თავისთავად გამორიცხავს ამ ელემენტის **ფორმამაწარმოების მექანიზმში** ჩართვას, ანუ: მას არა აქვს უშუალო კავშირი არც აწმყოს და არც მყოფადის წარმოებასთან. ყველა წარმოდგენილი მაგალითი **სიტყვაწარმოების**, უფრო ზოგადად თუ შევაფასებთ, **მეორეული ფორმაწარმოების** ნიმუშია.

ერთი სიტყვით, ჩვენი პოზიცია ასეთია: **წერს** ზმნის მყოფადი არის **დაწერს** (და არა: ჩაწერს, გადაწერს, გაწერს...), – ის ლექსიკური მნიშვნელობა, რაც აქვს **წერს** ფორმას, **დაწერს** ფორმაშიც გადადის, იცვლება მხოლოდ მისი მორფოლოგიური მნიშვნელობა, მორფოლოგიური შინაარსი.

როგორც აღინიშნა, ეს მომენტი არ არის გათვალისწინებული ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, სადაც აკეთებს – გააკეთებს ტიპის ფორმები ცალ-ცალკეა შეტანილი.

სხვადასხვა საუღლებელი ერთეული არ არის: აკეთებს, იკეთებს, უკეთებს, კეთდება, აკეთებინებს. ყველა ეს ფორმა აწმყოს ფორმაა.

ასევე ერთი და იმავე ნაკვეთის ფორმებია: დაწერს, ჩაწერს, ამოწერს, გადაწერს, გადმოწერს, ჩამოწერს... ესენი მყოფადის ფორმებია, ხოლო სხვაობა მათ შორის წმინდა სემანტიკური ხასიათიასა; **დაწერს** და **ამოწერს** განსხვავებული მიმართებების გამომხატველი ფორმებია. ამდენად, ლოგიკურია მათი ცალ-ცალკე დაფიქსირება ლექსიკონში.

მყოფადის ფორმის წარმოებაში ზმნისწინის როლი არსებითია, რასაც ვერ ვიტყვით II და III სერიის ფორმებზე – ეს ნაკვეთები უზმნისწინოდ იწარმოება:

ხატ-ავ- აწმყოს ფუძეა, **და-ხატ-ავ-** – მყოფადის;

ხატ- – II სერიის საყრდენი ფუძეა (საზიარო აორისტისა და მეორე კავშირებითისთვის);

უხატ-ავ- – I თურმეობითი, **ეხატ-** – II თურმეობითი, **ეხატო-** – III კავშირებითი.

საინტერესო სურათი იკვეთება პასივების (საზოგადოდ) II-III სერიის ფორმათა წარმოებისას: ეს ფორმები, ჩვეულებრივ, ზმნისწინთან ერთად გვხვდება.

თ. უთურგაიძის თვალსაზრისით, „აწმყოს ვ-დრკ-ებ-ი, ს-დრკ-ებ-ი, დრკ-ებ-ი-ს ფორმები აორისტის I და II პირებში უნდა გადასულიყო ვ-დრკ-, სდრკ- სახით. მათი ამ სახით წარმოდგენა კი უხმოვნობის გამო შეუძლებელი იყო. ენას გააჩნდა სხვადასხვა საშუალება მათ გასახმოვანებლად: (1) ერთ-ერთი გზა იყო ზმნისწინით გახმოვანება... ზმნისწინის აუცილებლობა გაუხმოვანებელი ფუძეების წინ არ არის „შემთხვევითი“ ფაქტი ან მნიშვნელობას მოკლებული მორფოლოგიური პროცესების-თვის: ზმნისწინის ხმოვანს მისი მარცვლის იმპლოზიურ ნაწილში მიაქვს გაუხმოვანებელი ფუძის თანხმოვანი/თანხმოვნები დამარ-ცვლის ქართული წესების დაცვით და ამით ხელს უწყობს გაუხმოვანებელი ფუძეთა რეალიზაციას (შეკრ-ბე-ბის, შეკრ-ბა და სხვა). ზმნისწინი ამ თვალსაზრისით საკმარისი იყო აორისტის მესამე პირში, სადაც ფორმათა ბოლოში ჩნდება S₃-ის -ა და S₃^P-ის -ეს ხმოვნიანი სუფიქსები (შეკრბ-ა, შეკრბ-ეს), I და II პირებში კი ფორმათა ბოლოს გრამატიკული წესებით რაიმე ხმოვანი არ ივარაუდება, თანაც ფუძისეული კომპლექსები გართულებული იყო S₁-ისა და S₂-ის ნიშნებით (შე-ვ-კრბ-, შე-ჰ-კრბ-), რაც ფორმათათვის აუცილებელს ხდიდა მეორე ხმოვნის გაჩენას, რომელიც ზმნისწინის ხმოვანთან ერთად გაიყოფდა მორფემათა საზღვრებზე დაგროვებულ ხმოვნებს (ვ-კრ-ბ-, ჰ-კრ-ბ)“ [უთურგაიძე, 2002, 127].

უნდა აღინიშნოს, რომ უზმნისწინოდ არამხოლოდ უნიშნო ვნებითის II-III სერიათა ფორმები არ იწარმოება; უნიშნო ვნებითი აქ, ასე თუ ისე, შეიძლება უზმნისწინოდაც შეგვხვდეს (მაგ.: „ხმა, ხმა და აღარ გახმა“; „შრა, შრა და აღარ გაშრა“...), მაგრამ დონიანი ვნებითების სათანადო ფორმებისთვის ზმნისწინი აუცილებელია, – მიუხედავად იმისა, რომ მათი ფუძეები გახმოვანებულია; არ გვაქვს: **კაცდა, ქალდა, წითლდა, მწვანდა...**

ანუ: თუ უნიშნო ვნებითებში ზმნისწინი გაუხმოვანებელი ფუძის გასახმოვანებლად არის საჭირო, რა ფუნქცია აქვს მას დონიანი ვნებითის ფორმებში, სადაც ეს პრობლემა არ დგას?

საფიქრებელია, რომ ეს იყოს საერთო მოვლენა პასივის მეტნაკლებად ყველა ფორმისათვის.

ფაქტია, რომ უზმნისწინოდ პასივის II-III სერიათა ფორმებს უჭირს, აქედან გამომდინარე, საჭირო იქნება საერთო მიზეზებისა და კანონზომიერებების გამოვლენა.

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ პასივის II-III სერიის ფორმებში ისეთივე სტატუსი უნდა ჰქონდეს ზმნისწინს, როგორც მას მყოფადის ფორმებში აქვთ?

თითქოს ანალოგიური ვითარებაა – ერთი მხრივ, მყოფადი ზმნისწინის გარეშე არ იწარმოება, მეორე მხრივ, არ იწარმოება ზმნისწინის გარეშე პასივების II-III სერიათა ფორმებიც.

საქმე ის არის, რომ II-III სერიათა სათანადო ფორმებს, უბრალოდ, **უსრული ასპექტის ცალები აკლიათ.**

ასე რომ, ეს სულ სხვა პრობლემაა.

II-III სერიათა ფუძე ამ შემთხვევაში ზმნისწინიანი იქნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ უზმნისწინოდ ამ სერიათა ფორმები არ იწარმოება. მხოლოდ, ფორმალურად აქ ზმნისწინი იქნება იმავე ფუნქციისა და ღირებულების მონაცემი, რაც არის **გაკეთა, დაწერა...** რიგის ფორმებში;

განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ **გაკეთა, დაწერა...** ფორმებში ზმნისწინი ცალსახად ასპექტის მაწარმოებელია, ხოლო **დაკაცდა**-ში მის ამგვარ გრამატიკულ დანიშნულებაზე მსჯელობა გამწვანდება **საპირისპირო (უსრული ასპექტის) ფორმის უქონლობის გამო.**

ზევით გვქონდა მსჯელობა პირველად ფორმაწარმოებასთან დაკავშირებით, რომელიც ნაკვთის ფორმირებისათვის არსებით (აუცილებელ და საკმარის) ელემენტთა კომბინაციას გულისხმობს.

პირველადი ფორმაწარმოების სისტემა ამ პრინციპით – **წარმოებისთვის აუცილებელი და საკმარისი მორფოლოგიური ელემენტების კომბინირებით მიღებული ფორმების სისტემაა.**

მორფოლოგიური საშუალებებით მყოფადის წარმოება შეუძლებელია ზმნისწინის გარეშე, მაგრამ II და III სერიათა ნაკვთებისთვის ზმნისწინს ამ თვალსაზრისით არანაირი დატვირთვა არა აქვს, იგი თავისუფალია ამ მორფოლოგიური ფუნქციისაგან. თუ ამ სერიათა ფორმებში გამოვლინდება ზმნისწინი, იგი სულ სხვა ფუნქციისა იქნება: ვთქვათ, **ასპექტის მაწარმოებელი (დაწერა), ან ასპექტისა და გეზისა (ჩაწერა).**

ამდენად, ელემენტი, რომელიც ნაკვთს აწარმოებს, არ შეიძლება ამ ნაკვთის ორგანული ნაწილი არ იყოს.

მყოფადის ფორმებში წარმოდგენილი ზმნისწინი ზმნის ფუძეში შედის.

ყველა სხვა შემთხვევაში ზმნისწინი მეორეული ფორმა-წარმოების ფორმებში გვხვდება, მაგრამ როდესაც ფუძის საკითხი დგება, მისი იგნორირება ისევე არ შეიძლება, როგორც არ შეიძლება, ვთქვათ, კაუზატიურ ფუძეებში კაუზატივის ნიშნის ამოგდება: **აკეთებინებ**ს ზმნის ფუძე იქნება **აკეთებინებ** და არა **აკეთებებ**.

ერთი სიტყვით, ზმნის ფორმაში გამოვლენილი ზმნისწინი შეიძლება იყოს:

ა) პირველადი ფორმაწარმოების ერთ-ერთი არსებითი კომპონენტი (მყოფადის ნაკვთის ფორმაში) და, ამდენად, ფუძისაგან მოუცილებელი;

ბ) მეორეული ფორმაწარმოების ელემენტი, რომელსაც ნაკვთის წარმოებასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს, მაგრამ იმ ფუნქციის გათვალისწინებით, რაც მას აკისრია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ასევე ფუძისეულ ელემენტად უნდა მოვიაზროთ.

II.7.8.1. ფუძეთა მიმართების საკითხი.

ერთი სერიის ნაკვთებს საერთო საყრდენი ფუძე აქვთ, მხოლოდ აქ გასარჩევია ორი შემთხვევა:

1. ფუძეები ერთმანეთს მიემართება ჯაჭვური პრინციპით, – ეს არის ფუძეთა წარმოების ჯაჭვური პრინციპი;

2. სერიის ნაკვთების საყრდენი ფუძეები იდენტურია, – ამ შემთხვევაში გვაქვს ფუძეთა წარმოების ჩანაცვლების პრინციპი [ჯორბენაძე, 1980, 124].

ჯაჭვური პრინციპით ფუძეთა წარმოებისას სერიის საყრდენი ფუძე ამოსავალი ნაკვთის ფუძეცაა, მისგან (მასზე) ახალი ელემენტის დართვით ახალი ნაკვთის ფუძე იწარმოება, ამ უკანასკნელის კიდევ უფრო გართულებით შემდეგი ნაკვთის ფუძეს ვიღებთ: აკეთ-ებ- – აკეთ-ებ-დ- – აკეთ-ებ-დ-ე-;

I სერიის საყრდენ ფუძეზე ნეიტრალური ზმნისწინის დართვით მყოფადის ფუძე იწარმოება და ა. შ.: გააკეთ-ებ- – გააკეთ-ებ-დ- – გააკეთ-ებ-დ-ე-.

მეორე სერიის საყრდენი ფუძეა აკეთ-; ეს არის საზიარო ფუძე აორისტისა და II კავშირებითისთვის:

აორისტი:

აკეთ-

აკეთ-ე

II კავშ.:

აკეთ-

აკეთ-ო

პირველადი ფორმაწარმოების სისტემაში აკეთებს ზმნას შემდეგი ფუძეები ექნება:

აწმყო:	ა-კეთ-ებ-
უწყვეტ.:	ა-კეთ-ებ-დ-
აწმყოს კავშ.:	ა-კეთ-ებ-დ-ე-
მყოფადი:	გა-ა-კეთ-ებ-
ხოლმეობითი:	გა-ა-კეთ-ებ-დ-
მყოფადის კავშ.:	გა-ა-კეთ-ებ-დ-ე-

აორისტი:	ა-კეთ-ე
II კავშ.:	ა-კეთ-ო-
I თურმ.:	უ-კეთ-ებ-ი-
II თურმ.:	ე-კეთ-ებ-ინ-
III კავშ.:	ე-კეთ-ებ-ინ-ო-

„შეკეთება“ ზმნა „კეთება“ ზმნისაგან განსხვავებული ლექსიკური ერთეულია; შეაკეთებს ზმნის აწმყო არ შეიძლება იყოს აკეთებს; აკეთებს ზმნაში არ ჩანს ის ლექსიკური ნიუანსი, რაც

არის შეაკეთებს ზმნაში და ეს იქიდანაც დასტურდება, რომ აკეთებს ზმნას აქვს უზმნისწინო მასდარი (აკეთებს – კეთება), ხოლო შეაკეთებს ზმნის მასდარი აუცილებლად შე- ზმნისწინით უნდა იყოს წარმოდგენილი: შეაკეთებს – შეკეთება (შდრ.: აკეთებს – კეთდება და მათი საზიარო მასდარი – კეთება, ასევე: იკეთებს – უკეთებს და მათი საზიარო მასდარი – ასევე კეთება).

შე- ზმნისწინი არცერთ ნაკვეთში არ სცილდება ზმნის ფორმას – მის გარეშე ზმნა თავის სპეციფიკურ ლექსიკურ მნიშვნელობას დაკარგავს; ამ სპეციფიკის გადმოცემა არ შეუძლია მას აწმყოს წრის ნაკვეთებში, ეს ფორმები მას არა აქვს, ამდენად, მისი პარადიგმა არასრულია:

აწმყო:	–
უწყვეტ:	–
აწმყოს კავშ:	–
მყოფადი:	შე-ა-კეთ-ებ-
ხოლმეობითი:	შე-ა-კეთ-ებ-დ-
მყოფადის კავშ:	შე-ა-კეთ-ებ-დ-ე-
აორისტი:	შე-ა-კეთ-ე-
II კავშ:	შე-ა-კეთ-ო-
I თურმ:	შე-უ-კეთ-ებ-ი-
II თურმ:	შე-ე-კეთ-ებ-ინ-
III კავშ:	შე-ე-კეთ-ებ-ინ-ო-

ადღეგრძელებს ზმნას ასეთი ფუძეები ექნება:

აწმყო:	ადღეგრძელ-ებ-
უწყვეტ:	ადღეგრძელ-ებ-დ-
აწმყოს კავშ:	ადღეგრძელ-ებ-დ-ე-
მყოფადი:	–
ხოლმეობითი:	–
მყოფადის კავშ:	–
აორისტი:	ადღეგრძელ-ე-
II კავშ:	ადღეგრძელ-ო-
I თურმ:	უ-დღეგრძელ-ებ-ი-
II თურმ:	ე-დღეგრძელ-ებ-ინ-
III კავშ:	ე-დღეგრძელ-ებ-ინ-ო-

ამ მონაცემებს პირისა და რიცხვის ნიშნები რომ დაემატება, მივიღებთ სათანადო ნაკვეთის ფორმებს.

ეს არის პირველადი ფორმაწარმოების ფორმათა წარმოების პრინციპი ქართულისთვის და არამხოლოდ ქართულისთვის, – მეგრულ-ლაზურისთვისაც.

მასალაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მეგრულ-ლაზურში ქართულის ანალოგიურად, I სერიის ფორმები ორ ჯგუფს ქმნიან: აწმყოსა და მყოფადის წრის ჯგუფებს.

II.7.9. მყოფადის წარმოება მეგრულ-ლაზურში.

II.7.9.1. მყოფადი მეგრულში.

მყოფადის წარმოება მეგრულში ქართულის ანალოგიურად ხდება. პრევერბიანი (ან პრევერბის ფუნქციის ქო-/ვა ნაწილაკიანი) აწმყო მომავალი დროის თხრობითი კილოს გამოსახატავად გამოიყენება:

ქარუნს	„წერს“	– დოქარუნს	„დაწერს“,
თასუნს	„თესავს“	– დოთასუნს	„დათესავს“,
ტახუნს	„ტეხავს“	– გოტახუნს	„გატეხავს“,
ფუნს	„დულს“	– ქოფუნს	„იდუღებს“...

მაგ.:

დოყვილუნს, ხამი უღუ, **გოტყაბარანს** (ხუბ., 113) „მოკლავს, დანა აქვს, გაატყავებს“; ართის **ოჭკომუნს** (ხუბ., 114) „ერთს შეჭამს“; ართი ოსური **დორხვადუნია** თექ (ხუბ., 116) „ერთი ქალი დაგხვდებაო იქ“; ართ დღას მათ **გიშველენქია** (ყიფმ., 241) „ერთ დღეს მეც გიშველიო“; კერქ: მავა ჩქვათია **გოფსოფუნქ** ბაწარსია (ხუბ., 116) „კერატმა (ტახმა): მეო ეშვით გავწყვეტ ბაწარსო“; ქკლორქ თქუ: მავა **გუაუნუქია** მუკი-მუკი დო ეშე **გევოფოთანქია** (ხუბ., 116) „ხოხობმა თქვა: მეო, გავუყვები ირგვლივ და ზევით ავაგდებო“; გიშელენქია თექიე, წყარს **ქომირუნქია** (ხუბ., 116) „რომ გამოხვალ იქო, წყალს ნახავო“; ფასის ბრელს **ეჭოფუნქია** (ხუბ., 129) „ფასს ბევრს აიღებო“...

როგორც ზევით აღინიშნა, **-ქ სუფიქსი არამხოლოდ აწმყოს ნაკვეთში ვლინდება;** მყოფადი, რომელიც, ჩვეულებრივ, აწმყოს ფორმას ემყარება წარმოების თვალსაზრისით, ასევე **-ქ სუფიქსით** იქნება წარმოდგენილი, – იმ იშვიათ შემთხვევებშიც, როცა განსხვავებული ფუძეები გვაქვს:

ბჭარუნქ	„ვწერ“	– დობჭარუნქ	„დავწერ“,
ფხაჩქუნქ	„ვთოხნი“	– დოფხაჩქუნქ	„გავთოხნი“,
ვონჯანქ	„ვალებ“	– გუვონჯანქ	„გავალებ“...

შდრ.:

ურაგადუქ (<ვურაგადუქ)	„ვეუბნები“	– უწინქ (<ვუწინქ)	„ვეტყვი“,
ბრაგადანქ	„ვლაპარაკობ“	– ფთქუანქ	„ვიტყვი“,
ვორწყექ	„ვხედავ“	– ბძირუნქ	„ვნახავ“...

მაგ.:

გიშელენქია თექიე, წყარს **ქომირუნქია** (ხუბ., 116) „რომ გამოხვალ იქო, წყალს ნახავო“; მავა ჩხვირდიმა ხეს **ქიმიფთხენქია**, უკული **ქომიჩინენქია** (ხუბ., 217) „მეო ცხვირზე ხელს რომ მოვიკიდებ, მერე მიცნობო“; ათე ფინიას **ქკდოიტენქია** სია (ხუბ., 113) „ამ ფინიას დაგიტოვებო შენო“; ირემქ: მავა ქათ **ქკვოფოთანქია**, ქაშა **ქიგიპოთანქია** დო **გეშებლანქია** (ხუბ., 116) „ირემმა: მეო რქით გადავაგდებო, რქაზე დავიგდებო და ამოვიღებო“; მა ამსერი სქანი წკუმა **ქკდებჯირუქია**, უწუ (ხუბ., 113) „მე ამალამ შენთან დავწვებო, უთხრა“; სქუა **ქკდგებადებუნ**, მორდი თინავა (ხუბ., 113) „შვილი რომ გაგიჩნდება (დაგებადება), გაზარდე ისო“...

მარტივ და პრევერბიან აწმყოს შორის განსხვავებას ი. ყიფშიძე მხოლოდ ასპექტში ხედავს, რაც მას საფუძველს აძლევს ერთ ნაკვთად მოიაზროს ისინი [ყიფშიძე, 1994, 059].

მაგრამ სხვაობაა არამხოლოდ ასპექტუალური, არამედ დროის თვალსაზრისითაც, რის გათვალისწინებითაც მყოფადის ნაკვთი ცალკეა გამოსაყოფი, – თვლის ზ. ჭუმბურიძე [ჭუმბურიძე, 1986, 132].

II.7.9.2. მყოფადისა და აორისტის „საზიარო“ ფორმები მეგრულში.

სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მეგრულში გვხვდება ერთი ჯგუფი ზმნებისა, რომლებსაც წყვეტილისა და მყოფადის ფორმები საზიარო აქვთ:

გოთანდუ ნიშნავს როგორც „გათენდა“, ასევე „გათენდება“, **გოჭითონდუ**: „გაწითლდა“, „გაწითლდება“, **გედირთუ**: „ადგა“, „ადგება“, **დაშვენდუ**: „დამშვენდა“, „დამშვენდება“, **გაჩერდუ**: „გაჩერდა“, „გაჩერდება“, **მედინუ**: „გაიქცა“, „გაიქცევა“ (შეცდომითაა ნათარგმნი, უნდა იყოს: „დაიკარგა“, „დაიკარგება“ – ჭ. ქ), **გოკურცხუ**: „გაიღვიძა“, „გაიღვიძებს“, **ვა სქიდუ**: „არ ამორჩა“, „არ მორჩება“, ვა(დო)ლურუ: „არ მოკვდა“, „არ მოკვდება“ და სხვ.“ [ჭუმბურიძე, 1986, გვ. 145-146].

„ამ ფორმათა დამთხვევა, – წერს მკვლევარი, – გვიანდელი მოვლენა ჩანს და შესაძლოა ხმოვანთა შერწყმის შედეგი იყოს. (შდრ. მიირდუ „გაიზარდა“ – მიირდუ „გაიზრდება“, დიიჭუ „დაიწვა“ – დიიჭუ „დაიწვება“ და სხვ.) [ჭუმბურიძე, 1986, გვ. 146].

„დამთხვევა“ მესამე პირის ფორმებში გვაქვს, ამის უშუალო მიზეზი კი მესამე სუბიექტური პირის გაუჩინარებაა (როგორც ცნობილია, ეს ნიშანი (-ნ) კითხვითი ნაწილაკის დართვისას, – ანუ, იმ შემთხვევაში, როცა აუსლაუტში არა ჩანს, შენარჩუნებულია მომდევნო ხმოვნის წინა პოზიციაში; მაგ., **გოკურცხუ**, მაგრამ: **გოკურცხუნო?**

ეს არ არის იმ რიგის „დამთხვევა“, როგორცაა, მაგ., ქართული **დაუხატავს** (ის მას მას) – **მყოფადი** და **დაუხატავს** (მას ის) – **I თურმეობითი**;

ან ასეთი: წავიდნენ (ისინი) – **წყვეტილი** და **უნდა** წავიდნენ (ისინი) – **II კავშირებითი**...

ამის მაგალითი ბევრია ზმნის პარადიგმატიკაში.

მეგრული სათანადო ფორმების შემთხვევაში დამთხვევა არანაირად არა გვაქვს, თუ წერილობით (resp. გრაფიკულად) ზუსტად დავაფიქსირებთ იმას, რასაც წარმოვთქვამთ: **გოთანდუ** „გათენდება“ და **გოთანდუ** „გათენდა“ სხვადასხვანაირად წარმოითქმება; პირველ შემთხვევაში ბოლოკიდური უ უფრო სრულია და ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მახვილი სწორედ ამ ბოლო ხმოვანზე მოდის (და ამიტომ ეს ხმოვანი არ შეიძლება დავიწროვდეს ან დაიკარგოს), ხოლო მეორე შემთხვევაში მახვილი ბოლოდან მესამე ხმოვანზე მოდის და ბოლო ხმოვანი სუსტია.

ამასთან დაკავშირებით, ურიგო არ იქნება სიტყვათმახვილის შესახებ ზოგიერთი საკვანძო საკითხის გახსენება.

სიტყვათმახვილი ქართულში ბოლოდან მეორე მარცვალზე მოდის ორმარცვლიანებში, სამ- და მეტმარცვლიანებში – ბოლოდან მესამეზე [ახვლედიანი, 1949, 135].

ექსპერიმენტული მასალის ანალიზზე ი. თევდორაძე ასკვნის: ქართულში გვაქვს დინამიკური სიტყვათმახვილი და ეს მახვილი სიტყვას პირველ მარცვალზე მოუდის

(დასაწყისიდან); ეს დასკვნა მიღებულია როგორც იზოლირებულად წარმოთქმული სიტყვების სმენითი და ოსცილოგრაფიული ანალიზის შედეგად, აგრეთვე, გაბმული მეტყველებისა [თევდორაძე, 1970, 64].

ხმოვანთა გარჩევა სიგრძე-სიმოკლის მიხედვით უცხოა ქართული სალიტერატურო ენისათვის უძველესი ხანიდან დღემდე, დიალექტებში კი გრძელი ხმოვნები სპორადულად დასტურდება მთიულურში, თუშურში, ქართლურში, აჭარულში, მაგრამ როგორც მკვლევარნი აღნიშნავენ, ეს გრძელი ხმოვნები მიღებულია პოზიციურად, – მახვილის გავლენით ან ხმოვანთა შერწყმის შედეგად. გრძელ ხმოვნებს ქართული ენის დიალექტებში არა აქვს ფონემური ღირებულება; ასე რომ, ამ მონაცვლეობის მიხედვით ხმოვანთა პირველადი ანუ ისტორიული სიგრძე ქართულში არ ივარაუდება. ასეთივე სურათია ზანურში.

რაკი ქართულისა და ზანურის აქა-იქ დადასტურებული გრძელი ხმოვნები მეორეულია (პოზიციური) და ბუნებრივად ანუ ისტორიულად გრძელ ხმოვნებს არ წარმოადგენს, ცხადია, მათ საერთო-ქართველური ფუძემდის ხმოვანთა სისტემის გადმონამ-თადაც ვერ ჩავთვლით და ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკისათვის არსებით მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ.

როგორც ჩანს, ეს გრძელი ხმოვანი არის დინამიკური მახვილის აკუსტიკური შთაბეჭდილება (მახვილიანი ხმოვანი ჩვეულებრივ უფრო გრძელია, ვიდრე უმახვილო [გ. ახვლედიანი, 1949, 122]).

ტ. გუდავას აზრით, „მახვილის ადგილი მეგრულში საკმაოდ დაუდგარია, მნიშვნელოვანი სხვაობა გვაქვს თქმების მიხედვით, ხშირია პარალელური ფორმებიც“ [გუდავა, 1969]; წარმოდგე-ნილია დასკვნა: „თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვს (**დოჭარუნს** „დაწერს“, **ჯიმალენქ** „ძმებმა“)... ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვაში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა (**დოჭარუ** „დაწერა“, **ჯიმალეფი** „ძმები“... თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებში მახვილი მუდამ მესამე მარცვალზე აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარ სიტყვებს მუდამ შეიძლება ხმოვანი დაერთოს: **დოჭარუნს// დოჭარუნსი** „დაწერს“, **ჯიმალენქ//ჯიმალენქი** „ძმებმა“. მახვილი დასმული ჩანს ხმოვანდართული ვარიანტის მიხედვით“ [გუდავა, 1969, 111].

ამ წესის მიხედვით მახვილი ფიქსირებული, უძრავი გამოდის მეგრულში (ისევე, როგორც ქართულში), თუმცა, ამავე დროს, არ შეიძლება ეს „უძრავი“ მახვილი „დაუდგარიც“ იყოს.

ჭანურ-მეგრულის მახვილი, ს. ჟღენტის აზრით, მოძრავია. მას მოაქვს ორიოდე ნიმუში, როდესაც მახვილი ბოლო მარცვალს ეცემა: „მეგრული „ქვა“ როგორც ორი მარცვალი ისე წარმო-ითქმის: ქვა, ვინაიდან უ მახვილს ატარებს... მაშინ, როდესაც ჭანურში ა-ზეა მახვილი (ისე, როგორც ქართულში!): ქვა დო ნჯა (ყიფ., I, 43, 25) – ქვა და ხე (შდრ. ჭან დვა – ლოყა, მაგრამ მრავლობითშია: **ღჭალეფე** (მარი, 221), მეგრ. **სნა//ფსნა** – ფრთა; ჭან. **მ-სვს //ფსვს...** [ჟღენტი, 1953, გვ. 192-193].

„მარცვლოვანი [უ] პოზიციამი თანხმოვანსა და ხმოვანს შორის დასტურდება მეგრულ-ჭანურში, როგორც წესი, მახვილიანი პოზიციამი“ [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 57-58]; „ორმარცვლიანი [Cუა] სტრუქტურის ფორმებში, – აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, – მახვილის გადანაცვლების შედეგად წინამავალ მარცვალზე მივიღეთ მახვილიანი [უ], რომელიც დაცულ იქნა ამ პოზიციამი ისტორიული ხანის ჭანურ და განსაკუთრებით

მეგრულის ფორმებში: მეგრ. ქნა < *ქუს, ფთქუა < *ვთქუს, მეგრ.-ჭან. სნა//ფსნა < *სუს „ფრთა“; მეგრ. ჭან. ზღნა < *ზღუს (შდრ. ქართ. [ზღუნ]...)“ [გამყრელიძე-მაჭავარიანი, 1965, 59].

უფრო ბუნებრივი ხომ არ იქნებოდა იმის დაშვება, რომ **[ჭუა]** პოზიციაში (სიტყვა ორმარცვლიანია) უ თავიდანვე, ამოსავალშივე იყო მახვილიანი და შემდგომ მახვილის მარჯვნივ გადაწევამ დაავიწროვა იგი; ე. ი. მახვილი გადაწეული უნდა იყოს არა მარჯვნიდან მარცხნივ, არამედ პირიქით, სიტყვის აბსოლუტური ბოლოსკენ, უმახვილო მარცვლოვანი **[უ]** **#C-** პოზიციაში დავიწროვდა და უმარცვლო **[უ]** იქცა **[ვ]** ელემენტად.

„მეგრულში დადასტურებული ვითარება (CუV: ქუა, თქუალა და მისთ.), თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, ვერ ჩაითვლება მომდინარედ მახვილის გადმოწევის შედეგად ჭანურში დადასტურებული ვითარებისაგან (CვV: ქვა, თქვალა და მისთ.), რამდენადაც მახვილი ვერ გადაინაცვლებდა ხმოვნიდან უმარცვლო **[ვ]** ელემენტზე [შდრ. ჩიქობავა, 1942, 191 და შმდ.]; მახვილის ამგვარი გადაინაცვლების წინაპირობა უნდა ყოფილიყო მახვი-ლიანი ხმოვნის წინ მარცვლოვანი **[უ]** ელემენტის არსებობა: CუV' > CვV [გამყრელიძე-მაჭავარიანი, 1965, 58].

აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ **CუV'** პოზიციაში უ მარცვლოვნობას ვერ შეინარჩუნებდა, ამდენად, მახვილის მარცხნივ გადაწევას უმარცვლო ელემენტის გამარცვლიანება არ შეეძლო. **(C)CვV** ამოსავალი უნდა იყოს არამხოლოდ მეგრულ-ლაზურისთვის, არამედ ქართულისთვისაც; მეგრულს სწორედ ეს ამოსავალი ვითარება უნდა გვქონდეს შენარჩუნებული, ხოლო ზანური ამ მხრივ ქართულს მიჰყვება. ასე რომ, საერთოქართველური ფუძე ენის დონეზე არქექტიპად ის ვარიანტი უნდა იქნას წარმოდგენილი, სადაც უ **#(C)C – V'** პოზიციაში მახვილიანია (ე. ი. აღდგება: *ქუა → * ქართ. ქვა

- * მეგრ. ქნა
- * ჭან. ქვა

შდრ.:

საერთოქართვ. *ყნა → * ქართ. ყნა

- * მეგრ. ქვა
- * ლაზ. ყვა
- * სვან. ყუა//ყუვა

ტ. გუდავა წერს: „ხმოვნით დაბოლოებული სიტყვების ერთი ნაწილი მახვილს ბოლოდან მეორე მარცვალზე იღებს (და არა მესამეზე): **დოდნრუ** „მოკვდება“, **გოფნრუ** „გახურდება“... **დიჭარუ** „დაიწერება“, **დაჭარუ** „დაეწერება“... იქ, სადაც ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვს, ხშირად იგრძნობა ბოლოკიდური ხმოვნის სიგრძე. ეს სიგრძე ხან (იდიოლექტურად) სრულებით მიჩქმალულია (და მაშინ **დღღურუ** „მოკვდა“ და **დოდნრუ** „მოკვდება“... ერთმანეთს მხოლოდ მახვილით უპირისპირდება), ხანაც ბოლოკიდური ხმოვანი ოდნავ გრძელია ან ორ ხმოვანსაც კი უდრის (**დოდღურუ** „მოკვდა“, **დოდღურუ//დოდღურუ** „მოკვდება“... ზუგდიდურ (სამურ-ზაყანულ) კილოკავში, სადაც ხმოვანთა სიგრძე უკეთაა დაცული, ვიდრე საკუთრივ სენაკურში, ყველა ასეთს შემთხვევაში ბოლოკიდური ხმოვანი მართლაც გრძელია ანუ ორმაგი“ [გუდავა, 1969, 107].

იქვე, სქოლიოში, ავტორი წერს: „ამ სიგრძეს პირდაპირ ადასტურებს ერთი საინტერესო ფონეტიკური კანონზომიერებაც, – ბოლოკიდური ვიწრო ხმოვანი (**უ, ი, გ**) მუდამ შეიძლება მოიკვეცოს (კოჩგ//კოჩ, ქომორთუ//ქომორთ „მოვიდა“...), მაგრამ **თუ ეს ხმოვანი გრძელია** (ან გრძელისგან მომდინარეობს), **ის არ იკვეცება**. ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ხმოვნით

დაბოლოებული სიტყვები, რომელთაც მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზე აქვთ, შეიძლება ჩაიწეროს (და გამოითქვას) ასეც: დოღრუ, გოფღრუ, დოშქრტუ, აჭარუ, ათასუ, იჭარუ, ითასუ, დოჭარუ, გელაფუ, ქომცთხი, ვამაშუ, ქემქჩი, ქემქჩუ...“ [გუდავა, 1969, 107].

ამ სახით ჩაწერილი ზევით წარმოდგენილი ნიმუშების თარგმანი ასეთი იქნება:

დოღრუ „მოკვდა“, გოფღრუ „გახურდა“, დოშქრტუ „ჩაქრა“, (ვა)აჭარუ „ვერ დაწერა“; „ვერ ეღირსა“, (ვა)ათასუ „ვერ დათესა“, (ვე)ჭარუ „ვერ დაიწერა“, (ვე)თასუ „ვერ დაითესა“, დოჭარუ „დაწერა“, გელაფუ „ავარდნია“, ქომცთხი „მოკიდე (ხელი)“, ვამაშუ „ვერ დავლიე“, ქემქჩი „მიეცი“, ქემქჩუ „მისცა“.

ყველა ეს ფორმა შეიძლება სხვანაირადაც ჩაიწეროს (წარმოთქმის მიხედვით, ცხადია) და ადვილი შესამჩნევი იქნება სათანადო სემანტიკური ცვლილებებიც:

დოღურნ „მოკვდება“, გოფურნ „გახურდება“, დოშქრტნ „ჩაქრება“, აჭარნ „ეწერება“, „ეღირსება“, ათასნ „ეთესება“, იჭარნ „იწერება“, ითასნ „ითესება“, დოჭარნ „დასწერია“ (მას ის), გელაფნ „წამოდუღდა“, ქომოთხი, „მათხოვე“, ვამამნ „ვერ ვიშოვე“ ქემქჩი, „მიამბე“, ქემქჩნ „მიამბო“.

არ მუშაობს ის წესი, რომლის თანახმადაც „თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვას მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე აქვს... ხმოვნით დაბოლოებულ სიტყვაში მახვილი ბოლოდან მესამე მარცვალზეა... თანხმოვნით დაბოლოებულ სიტყვებში მახვილი მუდამ მესამე მარცვალზე აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარ სიტყვებს მუდამ შეიძლება ხმოვანი დაერთოს... მახვილი დასმული ჩანს ხმოვანდართული ვარიანტის მიხედვით [გუდავა, 1969, 111].

განსხვავებულია მარცვალთა რაოდენობა, მაგრამ მახვილი ყველა შემთხვევაში ბოლო ხმოვანზე მოდის: ღურნ, ქენოღურნ, ქელაღურნ, ქიმშაღურნ... ხუმნ და გოხუმნ, ქენოხუმნ, ქიმშახუმნ, გეგნოხუმნ, ქელახუმნ...

ფაქტია, რომ საანალიზო ფორმების ბოლოს ნამდვილად დასტურდება გრძელი ხმოვანი; შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს არის დინამიკური მახვილის აკუსტიკური შთაბეჭდილება.

გრძელი ხმოვნის მიღების საფუძველი კარგად ჩანს კაუზატიურ ფორმებში, რომელთა აწმყოსაც -უ-ან დაბოლოება ახასიათებს; -ან თემის ნიშანია და ის მეორე სერიაში ჩამოსცილდება ზმნას, მაგრამ -უ რჩება. ამ უ-ს ემატება პირის სუფიქსი და ვიღებთ კომბინაციას: -უ+უ: ოჭარ-აფ-უ-ან-ს – ოჭარაფ-უ-უ „აწერინა“, ოხაჩქ-აფ-უ-ან-ს – ოხაჩქაფ-უ-უ „ათოხნინა“... ასეა პრაქტიკულად -უ-ან დაბოლოების მქონე ყველა ფორმაში.

მაგრამ ყოველთვის არ ჩანს ასეთი საფუძველი. მაგ.: გვაქვს აწმყო: ჭანს „კერავს“ – აორ.: დოჭნ „შეკერა“;

შდრ.

აწმყო: ჭუნს „წვავს; აცხოზს“; აორ.: დცჭუ; „დაწვა, შეწვა; გამოაცხო“.

აწმყო: ცენს „ცვივა“; აორ.: ქოდოცნ „დაცვივდა“

შდრ.:

აწმყო – ცენს „სცემს“; აორ. ქცცუ „სცა“;

ასევე გაურკვეველია, როგორ უნდა მიგველო გრძელი თუ მახვილიანი უ შემდეგ შემთხვევებში: ფუნს „დულს“ – ქოფუუ/ნ „ადუღდა“, ხუნს „შლის“ – დოხუუ/ნ „დაშალა“, შდრ. ხანს „შობს“ ქოხნ „შობა“ (მან ის), ქუნს „ფქვავს“ – დოქუუ/ნ „დაფქვა“, იძიცანს „იციინს“ – იძიცუუ/ნ „იციინა“, შაყარანს „აგროვებს“ – დოშაყარუუ/ნ „მოაგროვა“...

თუ ზუსტ გრამატიკულ ჩანაწერს გავაკეთებთ, მაშინ დამთხვევა ასევე არ გვექნება, ფორმები ადვილად გაირჩევა ამ შემთხვევებში:

მყოფადი: **გოხუმუ(ნ)** „გახმება“ – აორ.: **გოხუმუ** „გახმა“ (შდრ. ლაზურის ვითარება, სადაც არ დგას ეს საკითხი სწორედ იმის გამო, რომ აუსლაუტში ნ-ს გამოვლინებას გაცილებით სტაბილური ხასიათი აქვს, ვიდრე მეგრულში: დოდგითუ „გაჩერდა“; დოდგითუნ „გაჩერდება“; ქაგონდუნუ – „დაიკარგა“; გონდუნუნ „დაიკარგება“; გოკუცხუ – „გაიღვიძა“; გოკუნცხუნ „გაიღვიძებს“ და ა. შ.)

გრძელი ხმოვანი თუ მახვილი **სიტყვათგანმასხვავებელია** მეგრულის რიგ შემთხვევებში: **ტიბუ** „თბილი“ – **ტიბნ** „თბება“, **გოტიბნ** „გათბება“; *შდრ.*: **გოტიბუ** „გათბა“; **ღურუ** „სიკვდილი“ – **ღურნ** „კვდება“, **დოღურნ** „მოკვდება“; *შდრ.* **დოღურუ** „მოკვდა“ **სქირუ** „მშრალი“ – **სქირნ** „თბება“, **გოსქირნ** „გაშრება“; *შდრ.* **გოსქირუ** „გათბა“...

შეიძლება დავასკვნათ, რომ **გოხუმნ/უ** „გახმება“ – **გოხუმუ** „გახმა“ ტიპის ნიმუშები **მყოფადისა და აორისტის ფორმათა დამთხვევის მაგალითებად არ გამოდგება**, რადგანაც:

1. ზუსტი გრამატიკული ჩანაწერის შემთხვევაში ამ ფორმების სადიფერენციაციო ნიშანია **ს** სუფიქსი, რომელიც **აქვს მყოფადს** (აქ პირის ნიშანია -**ნ**: **გოხუმ-უ-(ნ)** „გახმება“; *შდრ.* **გოხუმუნო?** „გახმება?“) და **არა აქვს აორისტს** (აქ პირის ნიშანია -**უ**: **გოხუმ-უ** „გახმა“; *შდრ.*: **გოხუმუო?** გახმა?);
2. **გოხუმუ** „გახმება“ და **გოხუმუ** „გახმა“ ზეპირი მეტყველებისას სხვადასხვაგვარად წარმოითქმის; წარმოთქმულის ზუსტად დაფიქსირებისას მყოფადის ფორმის ბოლოს უნდა ჩანდეს გრძელი/მახვილიანი ხმოვანი.

და თუ მაინც ვიმსჯელებთ ფორმათა დამთხვევაზე, მაშინ უპირიანი იქნება ერთმანეთს შევადაროთ არა მყოფადისა და აორისტის, არამედ მყოფადისა და თურმეობითი პირველის საობიექტო ქცევის ამგვარი ფორმები:

ღურნ „კვდება“ – **დოღურნ(ნ)** „მოკვდება“ (ის), – **დოღურუ** მოკვდა (ის);
შდრ.: **დოღურნ** „მოჰკვდომია“ (მას ის).

II.7.9.3. მტკიცებითი და უარყოფითი ნაწილაკები.

მტკიცებითი ნაწილაკებისა და მოქმედების უსრულობის აღმნიშვნელი ნაწილაკების გამოყენება აწმყოსა და მყოფადის ფორმათა გასარჩევად მეგრულის სპეციფიკური თავისებურებაა, რითაც ის განსხვავდება სხვა ქართველური ენებისაგან“... როცა ზმნა ზმნისწინს ვერ იგუებს, აწმყოსაგან მყოფადის გასარჩევად მხოლოდ მტკიცებითი ნაწილაკი არის ხოლმე გამოყენებული:

აწმყო	მყოფადსრული
ზოჯუნს („ბრძანებს“)	ქო-ზოჯუნს („ბრძანებს [მომავალში]“)
ჩანს („აჭმევს“)	ქო-ჩანს („აჭმევს [მომავალში]“)
თხიინს („სთხოვს“)	ქო-თხიინს („სთხოვს [მომავალში]“)
ოყოთანს („ესვრის“)	ქა-ყოთანს („ესვრის [მომავალში]“)

იბირს („მღერის“)	ქი-ბირს („იმღერებს“)
ინგარს („ტირის“)	ქი-ნგარს („იტირებს“)
უზალენს („უსურვებს“)	ქუ-ზალენს („უსურვებს“ [მომავალში])
იხუტოლუანს („იხუტებს“)	ქი-ხუტოლუანს („ჩაიხუტებს“)
ფუნს („დულს“)	ქო-ფუნს („ადუღდება“)
უმინჯანს („პატრონობს“)	ქუ-მინჯანს („უპატრონებს“)

[ჭუმბურიძე, 1986, 143].

ამავე ფუნქციით გვხვდება უარყოფითი ვე ნაწილაკიც: ინგარს („ტირის“) – ვენგარს („არ იტირებს“), იბირს („მღერის“) – ვებირს („არ იმღერებს“), ზოჯუნს („ბრძანებს“)- ვაზოჯუნს („არ ბრძანებს“)...

შეიძლება დავამატოთ: ეს არის ერთ-ერთი გზა, რომელსაც მიმართავს მეგრული აწმყოსა და მყოფადის ფორმათა დიფერენცირებისათვის.

ეს გზა არც ლაზურისთვისაა უცხო. საინტერესოა, რომ ლაზურში მტკიცებითი ნაწილაკი და ზმნისწინი ფუნქციურად პრაქტიკულად გაიგივებულია და ერთი მეორის ნაცვლად ჩვეულებრივ გამოიყენება (დოთქუ= ქოთქუ „თქვა“... თურმეობითის დორენ = ქორენ...).

„არაიშვიათად ზმნას ზმნისწინთან ერთად ერთვის მტკიცებითი ნაწილაკიც – ქო (ქა, ქე, ქი, ქუ, ქგ); მაგალითად:

დვანს („დებს“)	ქგდო-დვანს	(„დადებს“)
	ქგგე-დვანს	(„დადებს რამეზე“)
	ქგმო-დვანს	(„შედებს, ამოდებს [ქვეშ]“)
იგენს („იგებს“)	ქგგე-გენს	(„გაიგებს“)
	ქგმი-იგენს	(„მოიგებს“)...
იგურუანს („სწავლობს“)	ქგდი-იგურუანს	(„ისწავლის, დაისწავლის“)
ოგურუანს („ასწავლის“)	ქგდა-გურუანს	(„ასწავლის [მომავალში]“)
იჭყანს („იწყებს“)	ქგდი-იჭყანს	(„დაიწყებს“)
ორჩანს („შლის [ლოგინს]“)	ქგდა-არჩანს („გაშლის“) და სხვანი და სხვანი“	

[ჭუმბურიძე, 1986, 142].

შეიძლება ითქვას, რომ ასეთ შემთხვევაში ნაწილაკი თავის ძირითად (დადასტურების) ფუნქციას ასრულებს, ხოლო მყოფადს ზმნისწინი აწარმოებს.

ანუ: მტკიცებითი ნაწილაკის დართვა ყოველთვის და უსათუოდ მყოფადზე როდი მიუთითებს, – ისევე როგორც ზმნათა ნაწილში (მოძრაობის გამომხატველ ზმნებში) ზმნისწინი ვერ ცვლის აწმყოს ნაკვეთის სტატუსს (აწმყო აწმყოდვე რჩება); მაგ. ტექსტებიდან:

ზაკაიკი ქეგეხე კარს, კილეშა ქეგლუმუ ართი დიდი ბიგა დო ქოთოლუნს, ქოხოწყუნს თეს დო ქიგარს (ხუბ., 34) „ზაკაიკი ქე ზის კარზე, მკლავზე ქე უდევს ერთი დიდი ხელჯოხი და ქე თლის, ქე ხვეწს ამას და ქე ტირის; ქომქირენს, ქოცუმენს (ხუბ., 113) „ქე შია, ქე სწყურია“; ქოშუნს (ხუბ., 113) „ქე სვამს“... ამშვი ოსურისქუა ქოპუნცუ და შხვასგ აწი გავაკეთე (ყიფშ., 16) „ექვსი ქალიშვილი ქემყავს და სხვას აწი გავაკეთებ“...

ასევეა ლაზურშიც:

ბოზოს არ მაწკინდი **ქომოძინ** ხეს, ართი მენდილი ანის **ქელუძინ** (ჩიქ., II, 35) „ქალს ერთი ბეჭედი წამოცმული აქვს თითზე („ხელზე“), ერთი მანდილი გვერდით უძევს“; მედაწკედუ-ში, ხოლო **ქონ** (ჩიქ., II, 1621) „რომ შეხედა, კიდევ ქე არის“...

II.7.9.4. (თ)მV ნაწილაკის ფუნქციისათვის მეგრულში.

კიდევ ერთხელ მივუბრუნდებით აწმყოს წარმოების საკითხს (მყოფადთან მიმართებით); კერძოდ, იმ თავისებურებაზე გავამახვილებთ ყურადღებას, რაც დაკავშირებულია (თ)მV ნაწილაკის გამოვლინებასთან მეგრული აწმყოს ფორმებში.

ამის ნიმუშები საკმაოდ გვხვდება ტექსტებში:

მა მუჭოთ მუჰამბარინ, თის **გითვოდვანქ** მუჰამბის (ხუბ., 26) „მე, როგორც მუჰამბარი, იმას ვარქმევ მუჰამბის“; ათე ნდემიში რაშიში ფოლო **მოთმოხვადუ** ქუეფს (ხუბ., 31) „ამ დევის რაშის ფლოქვი ხვდება ქვებს“; მა მუშენი **გეთმოდინუთ**, მოხუცებულ, საწყალეფი? (ხუბ., 358) „მე რატომ მლუპავთ („მკარავათ“) მოხუცები, საწყლები?“ ოქროში მადენი დიხას ოფურუანს დო თიშენი რე ევანას დაჩხირი **გუთმურჩქინდუნე** (ხუბ., 24) „ოქროს მადანი მიწას ახურებს და იმიტომ არის, რომ ყანას ცეცხლი ეკიდებაო („უჩნდებაო“); ათე ჟირი დალენქ ვარენო იფიქრეს დო ეჩის ართიანსგნ, ირფელს **გითმეგენს** უკულაში ძღაბი (ხუბ., 61) „ამ ორმა დამ რაც იფიქრა და ელაპარაკა ერთმანეთს, ყველაფერს იგებს უმცროსი გოგო“; თე დრო რე ასე, ნამგდა ალექსანდრე ამგსერი გურგინს **გეთმიდგუნს** მუში ოსურიშა (ხუბ., 91) „ის დროა ახლა, რომ ალექსანდრე ამალამ გვირგვინს იდგამს თავისი ცოლისთვის“; ათაქ თუდოლე კაკაბჯგურა წყარი **გითმურსუნი**, თინა ორკოლით ქიმილი (დან., 95) „აქ ქვევით კამკამა წყალი რომ გამოდის, ის დოქით მოიტანე“; ჩქიმ უჩამ ჯიმა ჩქიმი ოსურიშა გვირგვინს **გითმიდგუნსია** (დან., 276) „ჩემი უფროსი ძმა ჩემს ცოლზე ქორწინდებაო („გვირგვინს ადგამსო“); უკუდელე ჩხოუ კუდელამს ჭანჯის **გითიორაქანდლა** (ყიფშ., 178) „უკუდო ძროხა კუდიანს ბუზს უგერიებდაო“; ქვიითი ცხენამს **გეთიაძიგანდლა** ყიფშ., 178) „ქვეითი ცხენიანს დასცინოდაო“; ათენერო **მითმისვანჯუ** (ხუბ., 5) „ასეთნაირად ისვენებს“; თე დრო რე ასე, ნამგდა ალექსანდრე ამგსერი გურგინს **გეთმიდგუნს** მუში ოსურიშა (ხუბ., 91) „ის დროა ახლა, რომ ალექსანდრე ამალამ გვირგვინს იდგამს თავის ცოლთან“; მუჭო ცხენც **გითმე-დოხოდგდუ** დო მუჭო ქაშქვილი დო ქასაგანს ხვარენდგნ, უჯინგ თეს ირფელს ბოშიქ დო ქიმიკონგ (ხუბ., 95). „როგორ ცხენზე ჯდებოდა და როგორ შშვილდსა და ისარს ხმარობდა, უყურა ამას ყველაფერს ბიჭმა და დაიმახსოვრა“; ჩილამური **ალმწლგ** თოლიშე დო ტყვაცაფია დო რიზინამ კრაოტის **გითმეღგ** (ხუბ., 200) „ცრემლი უვარდება თვალიდან და ტკაცანით რეზინის საწოლზე ვარდება“; მა მუშენი **გეთმოდინგთ**, მოხუცებულ, საწყალეფი? (ხუბ., 358) „მე რატომ გადამყვებით, მოხუცებულეხო საწყლებო?“ სანთელი გაუჩემენს ბაწარს დო ათენერო **მოთმისვანჯუ** ბოში (ხუბ., 38) „სანთელი გაუჩერებს ბაწარს და ასე ისვენებს ბიჭი“; ნდიქ უწუ: ათაქ თუდოლე კაკაბი ვგურა წყარი **გითმურსუნი** თინა ორკოლით ქიმილი (ხუბ., 8) „დეგმა უთხრა: აქ ქვევით კაკაბივით წყალი რომ გამოდის, ის სოქით მომიტანეო“; ოქროში მადენი დიხას ოფურუანს დო თიშენი რე ე ვანას დაჩხირი **გუთმურჩქინდუნე** (ხუბ., 24) „ოქროს მადანი მიწას ახურებს და იმიტომ არის ყანას რომ ცეცხლი უჩნდებაო“...

თი/მა ნაწილაკები პირველად ი. ყიფშიძემ გამოყო: წინდებულები **თი** და **მა**, ზოგჯერ ერთად – **თიმა**, მკვლევრის დაკვირვებით, დაუსრულებელ მოქმედებაზე მიუთითებს: მი-თი-ვოგორანქ „ვპოულობ“, მაგრამ აორისტი – ქემი-ვოგორე, მუ-თი-დვანქ „ვიცმევ“, მი-იბდვანქ

„ჩავიცმევ“, აორისტი – ქემი-იბდვი, გინგ-მუ-ვურქ „გადავდივარ“, გინ-ივლი „გადავედი“, გე-თემე-ვგონენქ „ვისმენ“, გე-ვგონენქ „მოვისმენ“, აორისტი – გე-ვგონი [ყიფშიძე, 1994, 0107].

თე და მე/ო ნაწილაკებს გამოყოფს მ. ხუბუა, ამასთან, იგი მე/ო-ს თე ნაწილაკთან ერთად განიხილავს, თან მხოლოდ მარტივი ზმნისწინების შემდეგ [ხუბუა, 1942, 750].

თ(ი)მ(ა) ნაწილაკზე ყურადღებას ამახვილებს ზურაბ ჭუმბურიძე:

„მეგრულს მოეპოვება მოქმედების უსრულობის გამომხატველი ნაწილაკები (თი, მა, თიმა), რომლებიც ჩაერთვიან ზმნისწინსა და ფუძეს შორის (სხვადასხვა ფონეტიკური ცვლილებით), მათი მეშვეობით მეგრული ინარჩუნებს ახლანდელი დროის გაგებას ზმნისწინიან ფორმებში. ასე რომ, ზმნისწინიანი ფორმები თი და მა ნაწილაკებთან ერთად იხმარება აწმყოში, ამ ნაწილაკების ჩამოშორებით კი მიიღება მყოფადი:

ი-თი-ოფშანს	(„ავსებს“)	ი-ოფშანს	(„აავსებს“)
იკგ-მგ-ორთინუანს	(„აქცევს“)	იკგ-ორთინუანს	(„წააქცევს“, „დააქცევს“)
გი-თმიბუნს	(„ისხამს“)	გი-ბუნს	(„დაისხამს“)
ში-თმი-(ი)ტყვენს	(„იტყობს“)	ში-(ი)ტყვენს	(„შეიტყობს“)
გი-თმე-გენს	(„იგებს“)	გი-(ი)გენს	(„გაიგებს“)
გი-თმი-კურცხინუანს	(„იღვიძებს“)	გიკურცხინუანს	(„გაიღვიძებს“)
ში-თმი-(ი)ნახუ	(„ინახავს“)	ში-ინახუ	(„შეინახავს“)
მი-თმი-იგანს	(„ირტყამს“)	ქი-მი-იგანს	(„დაირტყამს“)

და ა. შ.“ [ჭუმბურიძე, 1986, 143].

მკვლევრის შეფასებით, „მტკიცებითი ნაწილაკებისა და მოქმედების უსრულობის აღმნიშვნელი ნაწილაკების გამოყენება აწმყოსა და მყოფადის ფორმათა გასარჩევად მეგრულის სპეციფიკური თავისებურებაა, რითაც ის განსხვავდება სხვა ქართველური ენებისაგან“ [ჭუმბურიძე, 1986, 143].

აღნიშნული ნაწილაკები მხოლოდ აწმყოში როდი გვხვდება: ნაკვთთა დიფერენცირების საკითხი მხოლოდ აწმყო-მყოფადის შემთხვევაში არ დგას; აქედან გამომდინარე, ზმნისწინთან ერთად **თ(ი)მ(ა)**-ს აქვს ანალოგიური მორფოლოგიური ფუნქცია და დატვირთვა დანარჩენი ნაკვთების (უწყვეტელ-ხოლმეობითისა და აწმყოს კავშირებით-მყოფადის კავშირებითის) შემთხვევაშიც; ნიმუშები:

ნირზი **შითმედგროთდგ** თიშა, ნამდა ნდიი ორჯგინანდგ და, ცირასქუალეფცე ვე მეჩანდგ (ყიფშ., 16) „ნიძლავი იმაში შედგებოდა, რომ თუ დევი აჯობებდა, ასულებს არ მისცემდა“; იპიან ღორონთქ დო მოგებულქ იყუ მუჰამბიქ და, ჟი ზარბაზანიშა მგკმარენჯი კოჩი გაყოთანს ხათე, მუჰო თექიანი დოჰყავილო აშო-აშო **გუთმოლუდას** თეში (ხუბ., 36) „თუ ინება („იპრიანა“) ღმერთმა და მოგებული გახდა მუჰამბი, მაშინ ზევით ზარბაზანთან მდგომი კაცი გაისვრის უცებ, როგორც იქ დაწყებული რომ აქეთ-აქეთ ვარდებოდეს ისე“; მიდართე ბოშიქ დო ტყას ქიმთიტყობგ, თეურე დუჰყეგ ჯინა, მუჰო ცხენც **გითმედობოდგდგ** დო მუჰო ქაშქვილი დო ქასაგანს ხვარენდგნ „მივიდა ბიჭი და ტყეში დაიმალა, იქიდან დაუწყო ყურება, როგორ ჯდებოდა ცხენზე და როგორ ხმარობდა მშვილდსა და ისარს“; ათე ოჯახი ართ დღამ ნაშიბის ართნერო **გუთმურთუნდუ** არძოს (დან., 334) „ეს ოჯახი ერთი დღის ნაშოვნს ერთნაირად უყოფდა ყველას“; ოსური სერით სინათეს ხოლო **ვეთმიორზანდუ** (დან., 334) „ცოლი ღამით სინათლესაც არ ანთებდა“...

(თ)მV ელემენტის ხმოვანი განისაზღვრება უშუალოდ წინამავალი პრეფიქსის ხმოვნით. კერძოდ, იმ ხმოვნით, რომელიც ივარაუდება სრული სახის (რედუქციამდელ) წინამავალ

მორფემაში: მი-ლ-მა-დვანს < *მი-ლ-ა-მა-დვანს „შიგ (მაგ., ოთახში) დებს““. შდრ. ასევე ისეთი ფორმები, როგორიცაა ვა-მ-წ-მო-დვანს < „წინ არ დებს“, მი-შ-მა-დვანს „რისამე შორის დებს“, მი-კ-მო-დვანს „რისამე კიდევ დებს“ და მისთ., რომლებშიც **(თ)მV** მორფემის ხმოვანი ასახავს წინა მორფემის რედუქციამდე ვოკალს; ე. ი. შესაბამისად აღდგება: ვა-მი-წო-მო-დვანს, მი-შა-მა-დვანს, მი-კო-მო-დვანს... [გუდავა, გამყრელიძე, 2000, 189].

(თ)მV ნაწილაკი, ჩვეულებრივ, ზმნისწინს მოსდევს.

თე- ნაწილაკს მ. ხუბუა ქართულ -ცა ნაწილაკს უკავშირებს [იხ. ხუბუა, 1942, 749-750].

საინტერესო დაკავშირებაა.

მეგრული **თ-**ს დაკავშირებას ქართულ **ც-**სთან იზიარებს ი. ქობალავა, თუმცა იგი ხმოვნების საკითხის გადაწყვეტას სხვაგვარად ფიქრობს [იხ. ქობალავა, 2010, 247].

(თ)მV ელემენტს ზოგჯერ აწმყოს **ფუძის მაწარმოებელს** უწოდებენ (იხ. მაგ. კარტოზია, გერსამია..., 252), თუმცა ეს ნამდვილად არ არის **თემის ნიშანი** – აწმყოს ფუძის მაწარმოებლად თემის ნიშანი მიიჩნევა ტრადიციულად. თემის ნიშნებსა და ამ ელემენტებს შორის არსებითი – **ფუნქციური** ხასიათის განსხვავებაა, სწორედ ამიტომაც საჭირო მათი დიფერენცირება ტერმინოლოგიის დონეზეც.

ცნობილია, რომ მეგრულში, ისევე როგორც ქართულში, სტრუქტურის მიხედვით გამოიყოფა მარტივი (ა-, ე-, გე-, გო-, და-...) და რთული (აკო-, ალა-, აშა-, აწო-, გილა-, გინო-...) ზმნისწინები.

ქართულისგან განსხვავებით, გამოყოფენ ასევე ზერთულ ან ორმაგად რთულ ზმნისწინებს: გეგწო- < გე-გი-წო-, გეგთო < გე-გი-თო-, გეგნო < გე-გი-ნო-, გემშა- < გე-მი-შა-... [ყიფშიძე, 1914, 0108; ასათიანი, 1997, 47-50, ქაჯაია, 2001, 60].

ი. ქობალავას აზრით, ამგვარ („ზერთულ“) ზმნისწინებში გამოვლენილი **გე-, გო-, დო-, მო-** მასპექტირებელი ანუ სრული ასპექტის მაწარმოებელი ზმნისწინებია [ქობალავა, 2010, 238].

ზმნისწინის ერთ-ერთ ფუნქციად სრული ასპექტის ფორმათა წარმოება მიიჩნევა.

ამ თვალსაზრისით არ არის გამორჩეული რომელიმე ზმნისწინი ან ზმნისწინთა ჯგუფი; მით უმეტეს, ზმნისწინის ნაწილი. ამდენად, გაუგებარია, ვთქვათ, **გე-გი-ნო** ზმნისწინში **გე-** კომპონენტის გამოყოფა და მხოლოდ მისთვის მინიჭება იმ ფუნქციისა, რომელიც აქვს ამ შემთხვევაში **გეგინო-** ელემენტს მთლიანად.

უფრო მისაღები ჩანს ო. ქაჯაიას ვარაუდი: „ე. წ. ზერთულ ზმნისწინებში **გე-** დადასტურებითი ნაწილაკი ჩანს, როგორც **ქო-**“ [ქაჯაია, 2001, 60].

გე- ასეთი ფუნქციისა ჩანს. ზმნისწინიანი ფორმის უფრო გართულება **გე-**თი ამ შემთხვევაში კარგად იხსნება.

რა ფუნქცია აქვს **(თ)მV** ნაწილაკს? რისი მარკერია ის? როდის და რატომ გვხვდება?

(თ)მV ელემენტი იხმარება მხოლოდ პრევერბთა მომდევნოდ აწმყოში და საშუალებას აძლევს პრევერბიან ფორმას აწმყოდვე დარჩეს და მომავლის გაგება არ მიიღოს (რაც ქართულში ვერ ხერხდება).

ამ ელემენტის გარეშე ფორმას მყოფადის მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც, რომ ქართულად ადვილად ითარგმნება რუს. переписал როგორც **გადაწერა**; ასევე переписет – **გადაწერს**, მაგრამ ძნელდება პრევერბიანი აწმყო переписывает ფორმის თარგმნა (შდრ. მეგრ. გინმო-ჭარუნს < გი-ნო-მო-ჭარუნს переписывает, გი-ნო-ჭარუნს переписет, გი-ნო-ჭარუ переписал). **(თ)მV** – მორფემის **თ** მხოლოდ მაშინ ჩანს, როცა წინამავალი პრევერბი ხმოვნია. მაგ., ე-თმე-ჭარუნს „აღწერს“ (აწმყო), ე-თმე-ჭოფუნს „იღებს“ [იხ. გუდავა, გამყრელიძე, 2000, 195].

ე. ი. ერთი მხრივ, გვაქვს:

	აწმყო		მყოფ.
მეგრ.:	ჭარუნს	–	დოჭარუნს
ქართ.	წერს	–	დაწერს
რუს.	пишет	–	напишет

მეორე მხრივ:

	აწმყო		მყოფ.
მეგრ.	გინმოჭარუნს	–	გეგნოჭარუნს
ქართ.	–	–	გადაწერს
რუს.	переписывает	–	перепишет

ქართ. **გადაწერს** ფორმას შესაბამისი აწმყო არა აქვს.

მეგრულს (ისევე როგორც, მაგ., რუსულს) აღმოაჩნდა გრამატიკული რესურსი აწმყოშიც მოძებნოს სათანადო ფორმა.

პრევერბის მიერ მიმართულების გამოხატვის ფუნქცია ძველია და ის იმთავითვე მოიცავდა ზმნათა გარკვეულ ჯგუფს. ამ მხრივ არ მომხდარა რაიმე ცვლილება: ზმნისწინი ისევე იმ ჯგუფისა და ტიპის (მოძრაობის აღმნიშვნელ) ზმნებთან რჩება მიმართულების (resp. მიმართული გეზის) მარკირების ფუნქციით.

ამასთან, ზმნისწინმა შეიძინა ახალი ფუნქცია: აწმყოს, ე. ი. უსრული ასპექტის ფორმათაგან აწარმოოს მომავალი დროის სრული ასპექტის ფორმები. ეს ხდება სულ სხვა ტიპის ზმნებთან.

დისტრიბუცია ასეთია: **გეზის გამოხატვის შემთხვევაში ზმნისწინიანი აწმყო რჩება აწმყოდვე;**

მეორე მხრივ, **სრული ასპექტისა და მყოფადის წარმოებისას ზმნისწინს არა აქვს გეზის ჩვენების ფუნქცია**, ის ნეიტრალურია ამ თვალსაზრისით.

წერს, დაწერს, (და)წერა, დაწერილი ერთი სემანტიკური სისტემის წევრებია. ამ პარადიგმაში არ არის **ჩაწერს, აღწერს, ამოწერს, ჩამოწერს, გადაწერს, გადმოწერს...** ფორმათა ადგილი, – ამ ფორმებს აწმყო არა აქვთ (აწმყოს ფორმის ადგილი პარადიგმაში ცარიელია), მაგრამ აქვთ სათანადო უპირო ფორმები: **ჩაწერა/ჩაწერილი, აღწერა/აღწერილი, ამოწერა/ამოწერილი, ჩამოწერა/ჩამოწერილი, გადაწერა/ გადაწერილი, გადმოწერა/გადმოწერილი...**

-(თ)მV ნაწილაკს მიაწერენ უსრული ასპექტის გამოხატვას [ყიფშიძე, 1914, 0107; ხუბუა, 1942, 747; მარგველაშვილი, 1980, 166; ქაჯაია, 2001, 60; ჭუმბურიძე, 1986]

ი. ქობალავა შენიშნავს, რომ ასპექტის წარმოების ის სახე, რომელიც მეგრულში ჩამოყალიბდა, საიმედო მექანიზმია აწმყო-მყოფადის ფორმათა გასარჩევად, ამიტომ ახალი, რთული მაწარმოებლის გაჩენა უსრულობის გამოსახატავად თავკიდურის ისედაც რთულ მორფოლოგიურ სტრუქტურაში ნაკლებ სავარაუდოა. უფრო სარწმუნო ჩანს იმის დაშვება, რომ ახალი მაწარმოებელი შეიძლებოდა გაჩენილიყო იმთავითვე სხვა ისეთი ფუნქციით, რომლის გამოხატვაც აუცილებელი გახდა სემანტიკური თვალსაზრისით, მაგრამ რომლის გადმოცემაც უსრულასპექტიან აწმყოს ფორმებს არ შეეძლო [ქობალავა, 2010, 262-266].

თავისთავად, **უსრულობის გამოხატვა** სპეციალური ინვენ-ტარით, ცხადია, არანაირად არ არის აწმყოს ფორმისთვის აქტუალური საკითხი; ეს არის აწმყოსთვის, ახლანდელი დროი-

სთვის, ასე ვთქვათ, ბუნებრივი სტატუსი და ამ გრამატიკულ მნიშვნელობას მარკირება არ სჭირდება; უბრალოდ, არ არსებობს ფორმა, რომელიც ახლანდელი დროის გაგებას შეიცავს და ამავე დროს უსრული ასპექტისა არ იქნება.

მაშ რისი მარკირება ხდება?

იმის, რაც ისედაც გამოხატულია?

რამდენად ლოგიკურია ამგვარი გრამატიკული დუბლირება?

გამოთქმულია მოსაზრება, რომ (თ)მV ნაწილაკი „აწმყოს ჯგუფის გამომხატველი ელემენტი“ ან „აწმყოს მაწარმოებელი პრეფიქსია“; (თ)მV ელემენტი საშუალებას აძლევს პრევერბიან ფორმას აწმყოდვე დარჩეს და მომავლის გაგება არ მიიღოს“ [იხ. გუდავა, გამყრელიძე, 2000, 189].

კიდევ ერთხელ შეიძლება ყურადღება გავამახვილოთ პრევერბის მთავარი ფუნქციებზე; ეს არის:

მიმართულების გამოხატვა: როდესაც მას ეს ფუნქცია აქვს და ამ ფუნქციით დაერთვის აწმყოს ფორმას, **აწმყო აწმყოდვე რჩება და ეს ლოგიკურია და ბუნებრივი.** ზმნისწინს ამ შემთხვევაში აქვს არა მყოფადისა და სრული ასპექტის გამოხატვის, არამედ გეზის ჩვენების ფუნქცია და ამ ფუნქციას ის ასრულებს კიდევაც: **ზმნის ფორმა მარკირებულია გეზის თვალსაზრისით.**

ახალი, მყოფადის ნაკვთის წარმოება და, მასთან ერთად, ინფორმაციის წარმოდგენა იმის შესახებ, რომ მოქმედებას **ექნება დასრულებული** სახე: ამ შემთხვევაში **გვაქვს მიუმართავი გეზის ფორმები.**

არის შემთხვევები, როდესაც **მყოფადისა და სრული ასპექტის გამოხატვასთან ერთად ზმნის ფორმა მიმართულ გეზსაც გამოხატავს;** სწორედ ამის ნიმუშია **გადაწერს, გადმოწერს...** ფორმები. სწორედ ამ შემთხვევაში ჩნდება ქართულში სათანადო აწმყოს ფორმების პრობლემა.

რა განსხვავებაა **მეურს, მეფურინუნს...** და **გინმოჭარუნს, ეშმაჭარუნს...** ფორმებს შორის?

ორივე შემთხვევაში გვაქვს ზმნისწინები, რომელთა საშუალებითაც ხდება **მიმართული გეზის მარკირება;**

ასპექტი ორივე შემთხვევაში **უსრულია,** – ზმნისწინი ამ შემთხვევებში სრულ ასპექტს არ აწარმოებს;

განსხვავება ამ ზმნისწინების სტრუქტურულ და ფუნქციურ-სემანტიკურ ნიუანსებს უკავშირდება: **მარტივი ზმნისწინებით (მე-ურს „მიდის“...) მარტივი ლოკაციური მიმართებები გამოიხატება, რთული ზმნისწინებითა და მათთან ერთად (თ)მV ნაწილაკით (გინმოჭარუნს „გადაწერას ახდენს ახლა“)** - **რთული ლოკაციური კომბინაციები.**

(თ)მV ნაწილაკიან ზმნას (რომელიც, ჩვეულებრივ, დინამიკურია) სრული პარადიგმა აქვს:

აწმყო

გინმოჭარუნს

ეშმაჭარუნს

მყოფადი

გინოჭარუნს/გეგნოჭარუნს

ეშაჭარუნს/გეშაჭარუნს

მეგრულში ქო- ნაწილაკის საშუალებით სტატიკურმა ზმნისწინიანმა ფორმებმაც შეიძლება მყოფადი აწარმოონ (რასაც მოკლებულია ქართული):

აწმყო	მყოფადი
მეფურინუნს „მიფრინავს“	ქიმეფურინუნს
მენჩურუნს „მიცურავს“	ქიმენჩურუნს
მესხაპუნს „მიხტის“	ქიმესხაპუნს

აკაკი შანიძე ქართულში ხუთი სახის მიმართულებას გამოყოფს, რომელთაც შესაბამისი ზმნისწინები გამოხატავენ:

ქვევიდან ზევით (ზმნისწინები: ა- : ამო-);

ზევიდან ქვევით (ზმნისწინები: და- : დამო-; დამო- ზმნისწინი თანამედროვე ქართულში აღარ ფუნქციონირებს);

შიგნიდან გარეთ (ზმნისწინები: გა- : გამო-);

გარედან შიგნით (ზმნისწინები: შე- : შემო-);

დაბრკოლების გადალახვა (ზმნისწინები: გადა- : გადმო-).

მკვლევარი ასევე მსჯელობს ორმაგ მიმართულებაზე: მიმართულება გარედან შიგნით შეიძლება გართულდეს ახალი მომენტის მიმატებით: თუ შიგნითა პუნქტი გარეთაზე დაბლა ძევს, შეიძლება აღნიშნულ იქნეს, რომ ა) მოქმედება მიმართულია გარედან შიგნით და ამასთანავე ერთად ბ) ზევიდან ქვევით. ამისთვის მოგვეპოვება წყვილი ზმნისწინი: ჩა- და ჩამო-... მოქმედებას წინა და უკანა არეში აღნიშნავს კიდევ ორი წყვილი: წა- და წამო- [შანიძე, 1980, 244-245].

ქართულში არსებული 15 ზმნისწინი აქტიური და პროდუქტიული მორფოლოგიური ინვენტარია. მეგრულში რამდენჯერმე მეტია ზმნისწინთა რაოდენობა და, ბუნებრივია, ყველა ზმნისწინს აქვს თავისი სფერო ფუნქციონირებისა, თავისი გრამატიკული დანიშნულება, ბუნებრივია, გადმოიცემა ისეთი ლოკაციური მიმართებებიც, რისი გადმოცემაც ქართულში ვერ ხერხდება.

ხდება პირიქითაც: ზოგჯერ შეიძლება მეგრულში არ იყოს გადმოცემული ის სემანტიკური ნიუანსი, რომელიც ქართულში მკაფიოდ ჩანს.

მეგრულში, ქართულის მსგავსად, გარჩეულია სააქეთო და საიქეთო ორიენტაციის ფორმები (მეურს „მიდის“ – მოურს „მოდის“, მეფურინუნს „მიფრინავს“ – მოფურინუნს – „მოფრინავს“, მესხაპუნს „მიხტის“ – მოსხაპუნს „მოხტის“...), თუმცა ყოველთვის არ იძებნება საიქეთო ფორმის შესაბამისი სააქეთო ფორმები; მაგ., არის მიბირს „მიიმღერის“, მაგრამ არ არის მობირს (შდრ., ქართ. მოიმღერის), არის მიჩიებუ „მილაპარაკობს“, არ არის მოჩიებუ (შდრ., ქართ. მოლაპარაკობს), არის მირულე „მირბის“, არ არის მორულე „მორბის“ (შდრ., ქართ. მორბის)...

(თ)მV ნაწილაკიან ზმნებში ზოგჯერ საერთოდ არ არის გარჩეული, – სააქეთო ორიენტაცია გვაქვს თუ საიქეთო. მაგ., გინმოჭარუნს – გეგნოჭარუნს, გინმოხანტუნს – გეგნოხანტუნს... ესენი ითარგმნება, როგორც „გადაწერს“, „გადახატავს“, მაგრამ იმავე ფორმებით გამოიხატება „გადმოწერს“, „გადმოხატავს“ სემანტიკაც. ანუ: ამ შემთხვევაში საზოგადოდ გვაქვს გეზის მარკირება, მაგრამ ორიენტაციის მიხედვით არ ხდება ფორმათა დიფერენცირება.

ისევე რომ (თ)მV ნაწილაკს მივუბრუნდეთ:

ი. ქობალავას დაკვირვებით, აწმყოს სემანტიკა უშვებს ისეთი მოძრაობის გამოხატვას, რომელიც მიმდინარეობს ლაპარაკის მომენტში. რთულზმნისწინიან ფორმებში, სადაც ზმნისწინის მომდევნოდ მოსალოდნელია **თმV**-ს გამოჩენა, ზმნა აღნიშნავს ან მოძრაობის დაწყების, ან მოძრაობის დასრულების პროცესს: გით-მ-ურ-ს < გითო-მო-ურ-ს „გამოდის გვერდიდან“; გილ-მ-ურ-ს < გილა-მო-ურ-ს „ჩამოდის ზევიდან“; დინ-მ-ურ-ს < დინო-მო-ურ-ს „შიგ ჩადის“; დიკ-მ-ურ-ს < დიკო-მო-ურ-ს „დაღმართზე ჩადის“; ეკ-მ-ურ-ს < ეკო-მო-ურ-ს „აღმართზე ამოდის“ მაგ., „მზე“; ეშ-მ-ურ-ს < ეშე-მო-ურ-ს „ქვევიდან ამოდის“ და ა. შ. [ქობალავა, 2010, 242].

მსგავსი წარმოება, მკვლევართა აზრით, დასტურდება სხვა დინამიკურ ზმნებთანაც, რომლებიც არ აღნიშნავენ მოძრაობას, მაგრამ რამდენადაც ასეთ ზმნებს არა აქვთ დაწყებისა და დასრულების ფაზები, **თმV** მაწარმოებელიც მხოლოდ მოქმედების მიმდინარეობის დროს აღნიშნავს: გე-ფორ-უ-ა „დაფარება“, გე-თმი-ო-ფორ-ან-ს „აფარებს ახლა“; ე-ჭარ-უ-ა „აღწერა“, ე-თმე-ჭარ-უნ-ს „აღწერს ახლა“, გინო-ჭკირ-უ-ა < გადაჭრა“ გინ-მო-ჭკირ-უნ-ს „გადაჭრის ახლა“ და ა. შ. [კარტოზია, გერსამია..., 265].

აწმყოს სპეციფიკა სწორედ ის არის, რომ გამოხატოს ისეთი მოძრაობა, რომელიც მიმდინარეობს ლაპარაკის მომენტში. ცხადია, **უნდა ვიმსჯელოთ არა მხოლოდ მოძრაობის, არამედ ზოგადად მოქმედების პროცესზე** (მოძრაობა ხომ მოქმედების სახეობაა).

ამის გამოხატვა „რთულზმნისწინიან ფორმებში“ (თ)მV მაწარმოებლის გარეშეც ხდება.

საკითხავია ისიც, რამდენად შეიძლება ამ (თ)მV-ს მიეწეროს მოძრაობის დაწყების თუ დასრულების პროცესის გამოხატვა. საერთოდ, რამდენად ლოგიკურად დგას აქ მოძრაობის დაწყებისა და დასრულების მარკირების საკითხი: წარმოდგენილი მასალის ქართულ პერიფრაზებს („გამოდის გვერდიდან“; „ჩამოდის ზევიდან“; „შიგ ჩადის“; „დაღმართზე ჩადის“; „აღმართზე ამოდის“, „ქვევიდან ამოდის“) თუ დავაკვირდებით, აქედანაც ჩანს, რომ ამგვარი გააზრებისთვის ნაკლები საფუძველია.

აღსანიშნავია, რომ ზევით, ი. ქობალავას მიერ წარმოდგენილ მეგრულ ფორმებში (გით-მ-ურ-ს < გითო-მო-ურ-ს „გამოდის გვერდიდან“; გილ-მ-ურ-ს < გილა-მო-ურ-ს „ჩამოდის ზევიდან“; დინ-მ-ურ-ს < დინო-მო-ურ-ს „შიგ ჩადის“; დიკ-მ-ურ-ს < დიკო-მო-ურ-ს „დაღმართზე ჩადის“; ეკ-მ-ურ-ს < ეკო-მო-ურ-ს „აღმართზე ამოდის“, მაგ., „მზე“; ეშ-მ-ურ-ს < ეშე-მო-ურ-ს „ქვევიდან ამოდის“), **საერთოდ არ დასტურდება (თ)მV** ნაწილაკი: გით-მ-ურს ფორმაში **გითო+მო-** ზმნისწინი გვაქვს (შდრ.: გითო-რე, გითო-ხე, გითო-ჯანუ...), სხვაგან: გილა-მო-, დინო-მო, დიკო-მო, ეკო-მო, ეშე-მო.

ამ შემთხვევაში მეგრულსა და ქართულს ერთნაირადა აქვს ნაწარმოები არამხოლოდ მარტივზმნისწინიანი (მეურს – მიდის, მოურს – მოდის), არამედ რთულზმნისწინიანი ფორმებიც: გინო-მე-ურს – გა-და-დის/გადმოდის, გილა-მო-ურ-ს – ჩადის/ჩა-მო-დის, ეშე-მო-ურს – ა-მო-დის/ადის, მუნო-მო-ურს – შე-მო-დის/შედის...

უფრო გამართლებული იქნება, თუ მეგრული ფორმის შესატყვისად მოვიყვანთ ძველქართულ ვარიანტებს: გინო-მე-ურს – გა-და-ვალს, გილა-მო-ურ-ს – ჩა-მო-ვალს, ეშე-მო-ურს – ა-მო-ვალს, მუნო-მო-ურს – შე-მო-ვალს. ამ შემთხვევაში გვექნება ზუსტი ფორმობრივ-სემანტიკური შესაბამისობა (როგორც ცნობილია, აწმყოს ჩამოთვლილი ფორმები შემდგომ მყოფადად გადააზ-რიანდა, ფორმობრივად გამარტივდა, გაცვდა და ასე მივიღეთ: გადა-ვა, ჩამო-ვა, შემო-ვა და სხვ.).

როგორც ქართული, ისე მეგრული ფორმებისთვის **საერთო სემანტიკური ნიშანია: გეზის თვალსაზრისით მიმართული მოქმედების პროცესი ახლანდელ დროში.**

იმას, რასაც აღნიშნავს მყოფადის ფორმები – „გადაწერს“, „ამოწერს“, „ჩაწერს“... აღნიშნავს (თ)მV მაწარმოებლიანი ფორმები აწმყოში: **გინმოჭარუნს** „გადაწერს ახლა ან გადაწერას ახდენს“, **ემმეჭარუნს** „ამოწერს ახლა ან ამოწერს ახდენს“; **ენმაჭარანს** „ჩაწერს ახლა ან ჩაწერას ახდენს“...

მოდრაობის გამომხატველ სტატიკურ და დინამიკურ ზმნებს შორის განსხვავებას არ ქმნის ის, რომ თითქოს პირველ შემთხვევაში ზმნის სემანტიკაში მოძრაობის დაწყებისა და დასრულების სემანტიკა ჩანს. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი რამ ამ რიგის ზმნებში არ შეინიშნება. ორივე შემთხვევაში მხოლოდ მოქმედების მიმდინარეობის დრო და პროცესი აღინიშნება (აწმყოა!).

არ არის (თ)მV ნაწილაკი აწმყოს ფორმაში უსრულობის გამომხატველი – აწმყოს ნაკვეთი ამის გარეშე უსრული ასპექტისაა;

მიმართული გეზის შემთხვევაში ხდება მოქმედების მარკირება ლოკალიზაციის თვალსაზრისით. მეგრულში, ზმნისწინთა სოლი-დური რაოდენობიდან გამომდინარე, ხდება როგორც მარტივი, ისე რთული ლოკაციური ნიუანსების გამოხატვა.

გინმოჭარუნს – ეს არის **აწმყოს მიმართული გეზის** ფორმა (მარკირებულია გეზის თვალსაზრისით);

გეგნოჭარუნს – გადაწერს: ეს არის **მყოფადის მიმართული გეზის** ფორმა (მარკირებულია გეზის თვალსაზრისით);

დოჭარუნს – ეს არის **მყოფადის მიუმართავი გეზის** ფორმა (არამარკირებულია გეზის თვალსაზრისით);

ჭარუნს – წერს: ეს არის **აწმყოს მიუმართავი გეზის** ფორმა (არამარკირებულია გეზის თვალსაზრისით).

ზმნისწინი + (თ)მV კომბინაციით დინამიკურ ზმნათა **აწმყოს მიმართული გეზის სემანტიკა** გადმოიცემა.

პირველადი ფორმაწარმოების ფორმებია: **აშენენს** „აშენებს“ – **გეაშენენს** „ააშენებს“;

მეორეული ფორმაწარმოებაა: **გითმიაშენენს** „დაშენებას ახდენს“ – **გიაშენენს** „დააშენებს“; **ემმაშენენს** „ამოშენებას ახდენს“ – **გეშაშენენს** „ამოაშენებს“; **ინმაშენენს** „ჩაშენებას ახდენს“ – **ქინაშენენს** „ჩააშენებს“...

პირველადი ფორმაწარმოებაა: **თხორუნს** „თხრის“ – **გოთხორუნს** „გათხრის“;

მეორეული ფორმაწარმოებაა: **გინმოთხორუნს** „გადათხრას ახდენს“ – **გინოთხორუნს** „გადათხრის“; **ემმათხორუნს** „ამოთხრას ახდენს“ – **გეშათხორუნს** „ამოთხრის“...

პირველადი ფორმაწარმოება: **ჭკირუნს** „ჭკრის“ – **გოჭკირუნს** „გაჭკრის“.

მეორეული ფორმაწარმოებაა: **მუთმოჭკირუნს** „მოჭკრას ახდენს“ – **მოჭკირუნს** „მოჭკრის“; **გინმოჭკირუნს** „გადაჭკრას ახდენს“ – **(გე)გინოჭკირუნს** „გადაჭკრის“; **ემმაჭკირუნს** „ამოჭკრას ახდენს“ – **გეშაჭკირუნს** „ამოჭკრის“...

ქართულში ნეიტრალური სემანტიკის ზმნისწინები მონაწილეობს მყოფადის ფორმირებაში. მაგრამ **თუ მყოფადის ფორმაში არანეიტრალური ზმნისწინია**, ასეთ მყოფადს **შესაბამისი ამოსავალი ფორმა – აწმყო არ გააჩნია**.

მეგრულში (თ)მV ნაწილაკის მეშვეობით **პარადიგმული დეფექტი გასწორებულია:** გვაქვს ორივე ფორმა: აწმყოცა და სათანადო მყოფადიც.

II.7.9.4. ფორმათა მონაცვლეობის საკითხი მეგრულში.

ზ. ჭუმბურიძის დაკვირვებით, „აწმყოსა და მყოფადის გასარჩევად მეგრული ხშირად იყენებს ფორმათა მონაცვლეობის ხერხსაც, რაც ძალიან დამახასიათებელია სხვა ქართველური ენებისთვისაც. შენაცვლებისას მეტწილად გამოყენებულია იმავე ფუძიდან ნაწარმოები ფორმები. მაგალითად, ზოგი ზმნა აწმყოსეულ უნ/გნ ნიშანს მყოფადში ან-ით იცვლის, თან კი ამავე დროს ზმნისწინსაც დაირთავს: გურგინუნს („გრგინავს“) – მიოგურგინანს („იგრგინებს“), ვალუნს („ელავს“) – მიოვალანს („იელვებს“, ღირწკინუნს („ჭრიალებს“) – მიოღირწკინანს („დაიჭრიალებს“), ლალგნს („ყეფს“) – მიოლალანს („მიაყეფს“) და სხვა.

„ფორმათა მონაცვლეობის ერთ-ერთი გავრცელებული სახეა სხვადასხვა ქცევის ფორმათა შენაცვლება, რაც ქართულიდან კარგად არის ჩვენთვის ცნობილი. საკმაოდ გავრცელებულია იგი მეგრულშიც, ოღონდ მეტწილად ქართულიდან ნასესხებ ფუძეებში. ყველაზე ხშირად ერთმანეთს ენაცვლებიან საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმები; საარვისო ქცევა აწმყოში გვაქვს, სათავისო ქცევა გამოყენებულია მყოფადისათვის“ [ჭუმბურიძე, 1986, 144]; წარმოდგენილია მაგალითები:

აწმყო	მყოფადი
მუმენს („მუმაობს“)	იმუმენს („იმუმავებს“)
ცხოვრენს („ცხოვრობს“)	იცხოვრენს („იცხოვრებს“)
ცოცხლენს („ცოცხლობს“)	იცოცხლენს („იცოცხლებს“)
ხანდილენს („ცოდვილობს“)	იხანდილენს („იცოდვილენს“)
ნინალენს („მსახურობს“)	ინინალენს („იმსახურებს“)
ქეიფენს („ქეიფობს“)	იქეიფენს („იქეიფებს“)
ფირქენს („ფიქრობს“)	იფირქენს („იფიქრებს“)
ნებენს („ნებაავს“)	ინებენს („ინებებს“)
ნანენს („ნანობს“)	ინანენს („ინანებს“)
ნატრენს („ნატრობს“)	ინატრენს („ინატრებს“)
ფართქალენს („ფართქალებს“)	იფართქალენს („იფართქალებს“)
გვარგვალანს („ჩუხჩუხებს“)	იგვარგვალანს („იჩუხჩუხებს“)
	და სხვანი“ [ჭუმბურიძე, 1986,144];

იმავეს თქმა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, – წერს მკვლევარი, – „როცა აწმყოსა და მყოფადში ერთმანეთს ენაცვლებიან... საარვისო და სასხვისო ქცევის ფორმები (უმეტესად მაშინ, როცა ზმნას ირიბი ობიექტი ახლავს):

შველენს („შველის“)	უშველენს („უშველის“)
ყარაულენს („ყარაულობს“)	უყარაულენს („უყარაულებს“)
ღალატენს („ღალატობს“)	უღალატენს („უღალატენს“)
ქალგნს („ხმას იღებს“)	უქალგნს („ხმას ამოიღებს“)
	და სხვ. [ჭუმბურიძე,1986, 144].

განხილულია ის შემთხვევებიც, როცა „სხვადასხვა ქცევის ფორმათა მონაცვლეობას თან ახლავს ფუძეში სხვა ცვლილებებიც: თემის ნიშნის შეცვლა ან უთემისნიშნო და თემისნიშნიან ფორმათა შენაცვლება, ფუძისეული ხმოვნის ცვლა და სხვანი; მაგალითად: ოშქურუ („ეშინია“) – აშქურინე („ეშინება“, „შეეშინდება“), შულენს („შოულობს“) – იშილენს („იშოვის“) და სხვა“ [ჭუმბურიძე, 1986, 145].

„ზოგი ზმნა, რომელსაც უზმნისწინობის მიუხედავად სრული ასპექტის გაგება შეუძენია, – წერს მკვლევარი, – მყოფადს ეკედლება, აწმყოში კი ნაკლს ივსებს იმავე ფუძის მიმღებური ფორმებით:

თხულენს („თხოულობს“)	ქითხინს („ითხოვს“)
ხვამულენს („ლოცულობს“)	იხვამანს („ილოცებს“)
კითხურენს („კითხულობს“)	იკითხენს („იკითხავს“)
	წეკითხენს („წაიკითხავს“) და სხვა.

აქაც, როგორც ვხედავთ, მეგრულში სავსებით ქართულის ანალოგიური ვითარება გვაქვს“, – ასეთია მისი დასკვნა [ჭუმბურიძე, 1986, 145].

წარმოდგენილი შემთხვევები და სათანადო ნიმუშები იმის ილუსტრაციაა, როგორ მიჰყვება მეგრული ქართულს, მაგრამ აწმყოსა და მყოფადის ფორმოზრივ დაპირისპირებაზე მსჯელობა უსაფუძვლო ჩანს.

დიახ, ამ შემთხვევაში ნამდვილად გვაქვს აწმყოსა და მყოფადის **სემანტიკური** (კერძოდ, დროული) გარჩევა, მაგრამ **ამ გარჩევას ფორმალური მიმართებების სახე არა აქვს, არა გვაქვს წარმოების თვალსაზრისით ერთმანეთთან დაკავშირებული მორფოლოგიური ყალიბები.**

აბსოლუტური დამთხვევა ფორმათა წარმოების მექანიზმებში ქართულსა და მეგრულში ყოველთვის არა გვაქვს (და ეს არ არის გასაკვირი); მაგ., **ტირის** ზმნას ქართულში სხვა ფუძე ენაცვლება – **იტირებს**, მაგრამ მეგრულის აწმყოში გვაქვს **ი(ნ)გარს**, ხოლო მყოფადში – **ქი(ნ)გარს**. ე. ი. დაცულია წარმოების პრინციპი, არა გვაქვს განსხვავებული ფუძეები. ამის ნიმუშად შეიძლება სხვა ფორმების დასახელებაც:

იბირს – ქიბირს	(შდრ. ქართ. მდერის – იმდერებს);
იძიცანს – გიძიცანს	(შდრ. ქართ. იცინის – გაიცინებს);

ე. ი.: თუ ერთი მხრივ ფიქრენს („ფიქრობს“) – იფიქრენს („იფიქრებს“) დასტურდება, რაც ფორმათა მონაცვლეობის ნიმუშია, მეორე მხრივ, გვაქვს წარმოების თვალსაზრისით დაკავშირებულ ფორმათა სისტემა.

ბოლო რამდენიმე მაგალითში **-ულ** სუფიქსიანი აწმყოს ფორმებია წარმოდგენილი. ამგვარი მორფოლოგიური ინვენტარი მეგრულს არ გააჩნია, ასე რომ, **მთელი ყალიბი ქართულიდან არის აღებული** (ქართულში „-ულ დაერთვის I სერიის, კერძოდ, აწმყოსა ან მყოფადის ნაკვთის ფუძეს... -ულ სუფიქსიანი მიმღებობა ზოგჯერ გამოყენებულია ზმნის ფუძედ: ყიდულობს, ღებულობს, გებულობს, ლოცულობს... ამ რიგის ფორმათა წარმოება უფრო ხშირია დიალექტებში“ [ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988, 390-391].

ზმნათა ერთ ნაწილში აწმყოს ფორმათა სრული დამთხვევა – ფუძეების დონეზე (თემა+**ულ**), ხოლო მყოფადში რაიმე კანონზომიერების დადგენა ქართულშიც და მეგრულშიც ერთნა-ირად ჭირს: აქ სათანადო სემანტიკური ხაზის გასაგრძელებლად ხან ზმნისწინიანი ფორმები გამოიყენება, ხან ქცევის პრეფიქსიანი, ხან – ნაწილაკიანი (მეგრულში); **-ულ**

სუფიქსი მყოფად არ ჩანს. ერთი სიტყვით, ფუძეთა შორის წარმოების თვალსაზრისით კავშირი ნამდვილად არ გვაქვს:

თხულენს „თხოულობს“	ქითხინს „მოითხოვს“
სხებულენს „სესხულობს“	ქისხენს „ისესხებს“
კითხულენს „კითხულობს“	წეკითხენს „წაიკითხავს“
ყიდულენს „ყიდულობს“	ქიყიდენს „იყიდის“
კისრულენს „კისრულობს“	იკისრენს „იკისრებს“
გებულენს „გებულობს“	გეგენს „გაიგებს“
შიბულენს „შოულობს“	იშინს „იშოვის“
ნატრულენს „ნატრულობს“	ქინატრენს „ინატრებს“
ღებულენს „ღებულობს“	მიღენს „მიიღებს“
ჩიულენს „ჩივის“	ქიჩიულენს „იჩივლებს“
ძინულენს „მატულობს“	მიძინანს „მოიმატებს“
ჩინებულენს „ცნობს“	ქიჩინენს „იცნობს“
რკებულენს „კლებულობს“	მირკენს „მოიკლებს“...

მეგრულში ეს **-ულ** ისეთ ფუძეებთანაც გვხვდება, რომლებიც ქართულთან არ არის საერთო, ანუ, ამ სუფიქსს გაფართოებული აქვს ფუნქციონირების არეალი, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ იგი ძალიან პროდუქტიულია; მაგ.:

შკიდაფულენს/შკიდულენს „კადრულობს“ ქიშკიდანს „იკადრებს“

ხირულენს „იპარავს“	მიხირს „მოიპარავს“
ხანდულენს „შრომობს“	იხანდენს „იშრომებს“
გურაფულენს „სწავლობს“	იგურუანს „ისწავლის“
გაფულენს „იხდის“	გინიგანს „გადაიხდის“...

განხილული შემთხვევებიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: მეგრულში ქართულის ანალოგიური ვითარება გვაქვს; პირველ სერიაში ორი წრე გამოიყოფა: აწმყოს წრე და მყოფადის წრე. მათი დიფერენცირება ფორმალური ანალიზის გზით ხდება;

მადიფერენცირებელი ელემენტია ზმნისწინი, რომელიც აწმყოს პირველადი ფორმაწარმოების ფორმას არა აქვს და აქვს მყოფადის ფორმას.

გეზის გამომხატველ ზმნისწინს საკუთრივ ნაკვთის ფორმათა წარმოებასთან კავშირი არა აქვს.

ფორმათა დიფერენცირებისთვის მეგრულს აქვს დამატებითი მორფოლოგიური რესურსები: ეს არის დადასტურებითი/ უარყოფითი (**ქო/ვა**) და (**თ**)**მV** ნაწილაკები.

ეს ნიშნავს იმას, რომ ენა ეძებს ფორმათა სისტემატიზების, კლასიფიკაციის ახალ გზებს.

II.7.10. მყოფადი ლაზურში.

სპეციალური ლიტერატურის მიხედვით, მყოფადის ნაკვთი ლაზურში აორისტისაგან ნაწარმოებად მიიჩნევა [იხ.: მარი, 1910, 46; ჩიქობავა, 1936, 148...]).

არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, „მყოფადისთვის ჭანური იყენებს: 1. პრევერბიან აწმყოს; 2. კავშირებით მეორეს და 3. კავშირებითი მეორისაგან ნაწარმოებ თავისებურ ნაკვთს. პირველი ორი შედარებით იშვიათია, მესამე ტიპი – დამახასიათებელი თანამედროვე ჭანურისათვის“ [ჩიქობავა, 1944, 113];

ჭანურის მყოფადთან დაკავშირებით მეცნიერი წერს: „მყოფადი იწარმოება კავშირებითი მეორისგან სხვადასხვაგვარად. ვიწურ-არქაბულსა და ათინურში კავშირებით მეორეს დაერთვის -ერე||-რე||-ე: ხმოვნების შემდეგ -რე (ელიზია!), თანხმოვნების შემდეგ – -ერე||-ე... ხოფურში მყოფადის საწარმოებლად გამოყენებულია **მინონ** მეშველი ზმნა; ის იცვლის პირსა და რიცხვს, ზმნა კი მხოლოდობითში რჩება. როგორც პროფ. ი. ყიფშიძე განმარტავს, ჩხალურში -**უნონ** უცვლელად რჩება მესამე პირში, ზმნა კი პირსაც იცვლის და რიცხვსაც“ [ჩიქობავა, 1936, 148].

მეორე მხრივ, – „ჭანურის გრამატიკული ანალიზის“ ერთ-ერთ შენიშვნაში აღნიშნულია, რომ „ჭანურში მოიპოება პრევერბიანი აწმყოს ხმარება მყოფადის მნიშვნელობით, ე. ი. ის წარ-მოება, რომელიც სპეციფიკურია მეგრულისათვის და ქართულისათვის“ [ჩიქობავა, 1936, 149];

კიდევ სხვაგან მითითებულია, რომ „აწმყოს ფუძეს დართული პრევერბი მყოფადს იძლევა: **მენდაფუმერ** წავუღებ, **გოწაფუმერ** გამოვართმევ... დიშქა **დოფრითომთ**, დაჩხური **ქოდობოგზამთ**, გრესთა **ქებოდგამთ**, კუმათე წკარი **ქეკებუდგამთ**... მქვერი **დომცორუმთ**, მქვერის მჭიფე ჯუმუ **ქობუკათამთ**... ჩაჩუნა წკაითე მქვეი **დომქიმინუმთ**... კაი **დოპტკაპუმთ** სარდას, **დობომურგვალამთ**, ოკულე **ქოგებიმეთ**, გრესთა კაი **დოფათხუმთ**, ცომი... **გებდუმეთ**, კაი **დოპტკაპუმთ**, **დობოდუზანამთ**, ჟინდოლე მშქეიმი ბუტკა **ებოთუმეთ**... ბუტკაჟი ჟინდოლე მარხვა **ებობდამთ**... მქკული **დიჭვენ**... II 61-61... შემას დავაპობთ, ცეცხლს დავანთებთ, კეცს ზედ დავდებთ, სურით წყალს მივუდგამთ... ფქვილს გავცრით. ფქვილს წვრილს მარილს გავურევთ... ნელთბილი წყლით ფქვილს დავზელთ, კარგად დავტკეპნით (ხელით) გობზე, დავამრგვალებთ. შემდეგ კეცს გადმოვიღებთ, კეცს კარგად გავფერთხავთ, ცომს... დავაკრავთ („დავდებთ“), კარგად დავტკეპნით (ხელით), გავასწორებთ. ზევიდან შქერის ფოთოლს დავაფარებთ („დავახურავთ“)... ფოთოლს ზემოდან დველფს დააყრით... მჭადი გამოცხვება („შეიწვება“)...” [ჩიქობავა, 1936, 118].

ნ. ნათამის აზრით, „ჭანურის მოქმედ მორფოლოგიურ სისტემაში მყოფადის გამოსახატავად მხოლოდ კავშირებითი მეორე გამოიყენება“ [ნათამე, 1961, 31].

ზ. ჭუმბურიძის აზრით, „ჭანურში (ლაზურში) მყოფადის მწკრივი ნაწარმოებია ან აწმყოს ფუძისაგან ზმნისწინის დართვით, ან კავშირებითი მეორის ფუძისაგან დამხმარე სიტყვების მეშვეობით“ [ჭუმბურიძე, 1986, 217].

ქართულ-მეგრულის მსგავსი მყოფადი (პრევერბი + აწმყო) ნაკვთთა სისტემაში მკვლევარს წარმოდგენილი არა აქვს.

ჭანური ტექსტების მიხედვით პრევერბიანი ან ზმნისწინის ფუნქციის მქონე **ქო-/ვა-**ნაწილაკიანი მყოფადი ჩვეულებრივია; ნიმუშები:

დიშკა ხაზირი მიღუნან. **დოფრითომთ**, დაჩხური **ქოდობოგზამთ**, გრესთა **ქებოდგამთ**, კუკუმათე წკარი **ქეკებუდგამთ**. წკარი ტუბუტაშაქის მქვერი ხაროს **ებებიმერთ** დო ონცორუს **ქოგებობდამთ**... სარდა **ეწებუდგამთ** დო **დომცორუმთ**, მქვერის მჭიფე ჯუმუ **ქობუკათამთ**. ჩუჩანა წკაითე მქვეი **დომქიმინუმთ**, კაი ხამური **დობიქომთ**... (ჩიქ., II, 621) „შეშა მზად გაქვს. დავაპობთ, ცეცხლს დავანთებთ („დავაგზებთ“), კეცს ზედ დავდებთ, „სურით“ წყალს

მიუღებამთ (ცეცხლს). სანამ წყალი გათბებოდეს, საფეხილიდან („ხაროდან“) ფეხილს ამოვიღებთ და საცერზე დავყრით... ქვეშ გობს შევუდგამთ და გავცრით. ფეხილს წვრილ მარილს გავურევთ, ნელთბილი წყლით ფეხილს დავზელოთ, კარგ ცომს გავაკეთებთ...“
 წკა=მანგანა... მუჭო იქიფან, გიჩქინ-ი? ჯა **მეკვათუფან, დოყაზუფან, ცუჯი-კელე ქაეშახტონუფან.** წკაის **ქონუდგიფან,** ცუჯჯი-კალა-თი ჯა **ქოდოდუმელან.** ევულე ია გამახტონეი წკაითე ქაიფმას-ში, ეწოლაფს, წკაი ქანიყონენ დო წკა-მანგანა **გატენ** ჯას დო ზოი სესი **გამულუნ.** სესი მთუთიქ შიგნას-ში, კოჩი ენ-აა და უნკაპუნ დალი-კელე. ყონაშა მოხთიმუშენი აშქუინენ (ჩიქ.,II, 137) „...წყალ-მანგანას“... როგორ იქმენ („აკეთებენ“) ხომ იცი? ხეს მოჭრიან („ქვე მოკვეთენ“), გათლიან, „ყურის მხარეს“ ამოხოტრავენ. წყალს მიუდგამენ. ყურის მხარესაც დადებენ. მერე ის „ამოხოტრილი“ წყლით რომ აივსება, დაწვეს, წყალი დაიღვრება და წყალ-მანგანა დაეცემა ხეს და ძლიერ ხმას გამოსცემს („ძლიერი ხმა გამოვა“). ხმას დათვი რომ გაიგონებს, კაციაო და გაიქცევა ტყისაკენ. ყანაში მისვლისა შეეშინდება („ეშინის“).

„ორივე ნაწყვეტში, – წერს ამ ნიმუშებთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა, – პრევერბიანი აწმყო მყოფადს გადმოგვცემს. პრევერბის ძირითადი ფუნქცია – მიმართულების ჩვენება – აქ დაჩრდილულია ისეთ გარდაუვალ ზმნებშიც კი, როგორიცაა **გატენ, გამულუნ.** ჭანურის ეს პრევერბიანი ფორმები არაფრით განსხვავდება ანალოგიური მეგრული თუ ქართული წარმოებისაგან“ [ჩიქობავა,1944, 114].

ამ შემთხვევაშიც და სხვაგანაც **საუბარია მყოფადზე, რომელიც აწმყოსაგან მომდინარეობს, მაგრამ თვით მყოფადის ნაკვთი წარმოდგენილი არ არის სათანადო სისტემაში;** ამგვარი იგნორირების საფუძველი, ცხადია, არ შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ ეს ნაკვთი „შედარებით ახალი ფორმაციისაა“ [ჩიქობავა, 1944, 115];

ასევე ახალი ფორმაციისაა ქართული და მეგრული მყოფადიც, თუმცა ეს გავლენას არ ახდენს ამ ნაკვთების გრამატიკულ სტატუსზე. მით უმეტეს, რომ, როგორც ირკვევა, „ასეთი წარმოება მყოფადისა... საკმაოდ ხშირია“ [ჩიქობავა, 1936, 119].

ერთი სიტყვით, პრევერბიანი მყოფადი ცალკე ნაკვთის სახით არ ჩანს. არადა, რაღაც სტატუსი ხომ უნდა ჰქონდეს იმ პრევერბიან აწმყოს, „მყოფადისთვის რომ იყენებს ჭანური“?

არ ჩანს ეს პრევერბიანი აწმყო აწმყოსაგან ნაწარმოებ ნაკვთთა სქემატურ სისტემაშიც, რომელიც „ჭანურის გრამატიკულ ანალიზშია“ წარმოდგენილი (იხ. [ჩიქობავა, 1936, 156]):

- | | | |
|----------------------------|---|---------------------|
| | | 3. კავშ. I |
| 1. აწმყო > 2. ნამყო უსრული | > | 4. პირ. I |
| | | 5. თურმ. ნამყ. უსრ. |

არნ. ჩიქობავა წერს: „ჭანურში მოიპოვება პრევერბიანი აწმყოს ხმარება მყოფადის მნიშვნელობით, ე. ი. ის წარმოება, რომელიც სპეციფიკურია მეგრულისა და ქართულისთვის... ამისდა მიუხედავად, მყოფადის წარმოების მხრივ ჭანური არსებითად შორდება მეგრულს, რომელიც ამ შემთხვევაში ქართულს იმეორებს: გააკეთენს – გააკეთებებს, დოჭარუნს – დაწერს, დოთასუნს – დათესავს...“. გარდაუვალი ზმნების მთავარ დროთა სქემაში ასეთი ვითარებაა:

აწმყო:	თინა ღურუ-(ნ)	ის კვდებ-ა
	თინეფი ღურუ-ნ-ა(ნ)	ისინი კვდებ-ი-ან
ნამყო უსრ.:	თინა ღურუდ-უ	ის კვდებ-ოდ-ა

	თინეფი ღურუდ-ეს	ისინი კვდებ-ო-დ-ენ
კავშ. I:	თინა ღურუდ-ა-ს	ის კვდებ-ოდ-ეს
	თინეფი ღურუდ-ან	ისინი კვდებ-ოდ-ენ
აორ.:	თიქ დოღურ-უ	ის მოკვდ-ა
	თინენქ დოღურ-ეს	ისინი მოკვდ-ენ
კავშ. II:	თიქ დოღურ-ა-ს	ის მოკვდ-ეს
	თინენქ დოღურ-ა-ნ	ისინი მოკვდ-ენ
მყოფ.:	თინა დოღურ-უ-(ნ)	ის მოკვდებ-ა
	თინეფი დოღურ-უნ-ა(ნ)	ისინი მოკვდებ-ი-ან
თურმ. I:	თინა დოღურ-ელ-ე(ნ)	ის მომკვდარ-ა
	თინეფი დოღურ-ელ-ენ-ა(ნ)	ისინი მომკვდარ-ან
თურმ. II:	თინა დოღურ-ელ-ე-დ-უ	ის მომკვდარ-იყო
	თინეფი დოღურ-ელ-ე-დ-ეს	ისინი მომკვდარ-იყვნენ

[იხ. ჩიქობავა, 1936, 170].

აქედან გამოდის, რომ მეგრულშიც მყოფადის ნაკვთი კავშირებით მეორეზე ყოფილა დამყარებული.

სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ასე არ არის: მყოფადი (დო-ღურ-უ-(ნ)) ამ შემთხვევაში ზმნისწინით გართულებული აწმყოა (ღურ-უ-(ნ) > დოღურუ(ნ)).

საზოგადოდ, მყოფადის, ისევე, როგორც რომელიმე სხვა ნაკვთის ფუნქცია შეიძლება ამა თუ იმ ფორმით გადმოიცეს, მაგრამ საკუთრივ მყოფადის ფორმაზე საუბრის საფუძველი არ ჩანდეს. ამ თვალსაზრისით, რასაკვირველია, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს სწორედ კავშირებითი მეორე (კავშირებითის გამოყენება მყოფადის ფუნქციით ცნობილია ძველი ქართულიდან და საერთოდ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ძველად ქართველური ენებისათვის.

„ამ მხრივ, – წერს არნ. ჩიქობავა, – ჭანურში უთუოდ ძველი ვითარებაა დაცული“ [ჩიქობავა, 1944, 115];

ნიშანდობლივია, რომ „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ ა. შანიძე სათანადო მწკრივების აღსანიშნავად I კავშირებითთან ერთად I მყოფადსაც ხმარობს, II კავშირებითთან ერთად – II მყოფადს, შერეულ კავშირებითთან ერთად კი – შერეულ მყოფადს [იხ. შანიძე, 1976, 90-103]).

მყოფადის ნაკვთი არა გვაქვს ძველ ქართულში, მაგრამ გვაქვს მომავალი დროის გამომხატველი ნაკვთები – ძირითადად, კავშირებითები. ზმნისწინიანი აწმყოს ფორმები დროის თვალსაზრისით უზმნისწინო ფორმათაგან არ განსხვავდებოდა.

სისტემურმა ცვლილებამ პრევერბიანი აწმყო მყოფადის ნაკვთად აქცია, – და ამ პროცესისგან ლაზური გამიჯნული არ არის. ლაზურშიც, ისევე როგორც მეგრულში (და ისევე როგორც ქართულში) მომავალი დრო სხვადასხვა ნაკვთით გადმოიცემა, მაგრამ არსებობს მყოფადის ნაკვთიც, რომლის მთავარი ფუნქცია მომავალი დროის გამოხატვაა. ეს არის ჩვეულებრივი, პროდუქტიული წარმოება, სათანადო ფორმები სულაც არ არის სანთლით სამებნი (თუმცა შედარებით იშვიათადაც რომ გვხვდებოდეს, ეს არ ამართლებს მათ იგნორირებას, – ნაკვთის სტატუსი ზმნურ ფორმათა პრაქტიკულად გამოყენების სტატისტიკურ მაჩვენებლებზე არ არის დამოკიდებული);

მაგ.:

კურკაში კომა **მებუბკომამ** (ბუტკუჯის) „ნაქურჩელას კვამლს „მოვუკვამლებ“ (ფუტკარს)“ (ჩიქ., II, 317); ბუტკათე **დობკიუმით** (ჩიქ., 51) „ფოთლით შეეკრავთ“; ჩალა **დოჭკორუმან**, ხეში **დოკორუმან** (ჩიქ., II, 297) „ჩალას მოჭრიან, „ხელეულს“ შეკრავენ“; **დოკორუმს** მიგარა (ჩიქ., 263) „დაახვევს („შეკრავს“) პაპიროსს (სიგარეტს)“; (ტები...) **დობოლობინამით** (ჩიქ., II, 347) „ტყავს დავალობით“; ოკულე კაი **დობტკაპუმით** სარდას, **დობომურგვალამით** (ჩიქ., II, 298) „მერე კარგად „დავტკეპნით“ გობზე, დავამრგვალებთ; რაკანი ძეის კალივი **დობკიდეუმით** „მთიან ადგილას კარავს ავაგებთ“ (ჩიქ., I, 516); ადი **გოვობაფთ** (ასათ., 71) „ერბოს გადავასხამთ“; ეკულე ბურთი, მურგი ვიქიფთ, **დობურთონოფთ** (ასათ., 71) „მერე ბურთს, გუნდას გავაკეთებთ, დავაგუნდავებთ“; ყურძენი ნა პწილათ, **დომწილახუფთ**, ეკულე **დომწიუფთ** ტუათენ. დაჩხიის **დობგებუფთ** (ასათ., 71) „ყურძენს რომ მოვკრეფთ, დავწურავთ. შემდეგ გავწურავთ საწურით („ტომსიკით“). ცეცხლზე მოვადულებთ“; ლაზუტი **ემიმენან**, სარდას **ქოგობდამან** (ჩიქ., II, 61) „სიმინდს ამოიღებენ, გობზე დაყრიან“; ოთხომი თუთუნის **ქომსოვიდამ** (ჩიქ., II, 105) „ოთხას „თუთუნს“ ამოვიღებ“; დივეფექ ჰაწი **ოკოსინაფამან** (ჩიქ., II, 38) „დევები ახლა მოილაპარაკებენ ერთმანეთთან“; კერემულის **ამაზოკიდეამით** დო **ბოხომინამით** (ჩიქ., II, 50) „შუაცეცხლის ჯაჭვზე შევკიდეებთ და ვაშრობთ“; ჰემო ოხორჯ ივენ-ქი, ქომოლი ნოსის **ქოგამოონამს** (ჩიქ., II, 41) „ისეთი ქალი იქნება, რომ ქმარს ჭკუაზე შემლის („გონებიდან გამოიყვანს“)...

ფაქტია, ლაზურშიც ცალკეა გამოსაყოფი მყოფადის ნაკვთი, რომელიც აწმყოს ემყარება და ანალოგიურია ქართულ-მეგრული მყოფადისა. პრევერბიანი ან **ქო-/ვა-** ნაწილაკიანი აწმყო მყოფადის ფორმაა და მან სათანადო ადგილი უნდა დაიკავოს უღლების სისტემაში.

მყოფადის ნაკვთის პარადიგმა **ჭარუნს (წერს)** ზანური ზმნისა:

მეგრ.:

დო-პ-ჭარ-უნ-ქ	დო-პ-ჭარ-უნ-თ
დო-ჭარ-უნ-ქ	დო-ჭარ-უნ-თ
დო-ჭარ-უნ-ს	დო-ჭარ-უნ-ა(ნ)

ლაზ.:

დო-პ-ჭარ-უფ/უმ	დო-პ-ჭარ-უფ/უმ-თ
დო-ჭარ-უფ/უმ	დო-ჭარ-უფ/უმ-თ
დო-ჭარ-უფ/უმ-ს	დო-ჭარ-უფ/უმ-ან

აწმყოს ნაკვთის საუღლებელი ერთეულის ზოგადი მოდელი (ყალიბი) მესამე პირისთვის მეგრულ-ლაზურში ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

Z-R-S₃,

სადაც **Z-** ზმნისწინია, **R-** აწმყოს ფორმა, **S₃** - მესამე სუბიექტური პირის ნიშანი.

II.7.11. მყოფადუსრულისა და პირობითუსრულის საკითხი მეგრულში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „მეგრულში გამოყოფენ რთული აგებულების ზმნურ ფორმებს და მწკრივთა წარმოებაში განიხილავენ „მყოფადუსრულის“ სახელწოდებით; იგი შედგება კავშირებითი I-სა და იცი||იყუაფუ მეშველი ზმნისაგან (თოფურია, 1967, 112; ჭუმბურიძე, 1986, 135-139):

კორობუნდას იცი იყუაფუ	„კრეფდეს იქნება“;
ხუნდას იცი იყუაფუ	„არღვედეს იქნება“;
დგუდას იცი იყუაფუ	„იჯდეს იქნება (იჯდება, იჯდომება)“...
ხედას იცი იყუაფუ	„იჯდეს იქნება (იჯდება, იჯდომება)“...

კითხვაზე – რამდენად სწორია მყოფადუსრულის მიჩნევა მეგრულში ცალკე მწკრივად, რაკი ის „შედგენილია“, „რთულია“, პასუხი ასეთია: „ეს გარემოება მწკრივის გამოყოფის ხელშემშლელ მიზეზად არ ჩაითვლება“.

პარალელი გავლებულია ლაზურთან, სადაც, მკვლევრის აზრით, „ასეთივე რთული შედგენილობისაა მყოფადის ყველაზე გავრცელებული სახეობა... საერთოდ, ასეთი რთული შედგენილობის „დროები“ მრავალ ენაში არის ცნობილი. სახელდობრ, მყოფადის წარმოებისა და გრამატიკული შინაარსის მხრივ სავსებით მეგრულის ანალოგიური ვითარებაა რუსულში, სადაც აგრეთვე გაირჩევა ორი სახის მყოფადი – უსრული და სრული... ამათგან მყოფადსრული რუსულშიც აწმყოსაგან იწარმოება ზმნისწინის მეშვეობით, მყოფადუსრული კი მეშველი ზმნისა და საწყისის შეერთებით მიიღება. რუსულისაგან განსხვავებით, მეგრულში იუღლება ძირითადი ზმნა და არა მეშველი, რომელიც ამ შემთხვევაში თითქმის უკვე ნაწილაკად არის ქცეული“ [ჭუმბურიძე, 1986, 136].

პირველ რიგში, შევნიშნავთ, რომ მყოფადუსრულის (და, საერთოდ, ამა თუ იმ ნაკვთის) სტატუსის განსაზღვრისას არ შეიძლება ამოსავალი იყოს მისი სტრუქტურული სიმარტივე-სირთულე.

რთული სტრუქტურის (კერძოდ, მოდალურე-მენტიანი) ზმნური წარმოების ნიმუშები, ლაზურს რომ არ მივმართოთ (სადაც, ჩვენი აზრით, რთული შედგენილობის „მყოფადის ყველაზე გავრცელებული სახეობებს“ განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, – იხ. ქვევით), ისევ მეგრულშია – პირობითის ფორმები ამის მშვენიერი ნიმუშებია: როდესაც ნაწილაკად (და არა თითქმის ნაწილაკად) ქცეულმა მოდალურმა ელემენტმა (ზმნისაგან მომდინარემ) ნაკვთის მაწარმოებელი ფორმალური ნიშნის სტატუსი მიიღო.

კიდევ ერთი მომენტი დასაზუსტებელი:

„რუსულისაგან განსხვავებით, მეგრულში იუღლება ძირითადი ზმნა და არა მეშველი“, – წერს მკვლევარი.

ეს ნიშნავს ამას:

ა) თუ რუსულში მყოფადუსრულს მეშველი ზმნა და საწყისი აწარმოებს, ხოლო მეგრულში ძირითადი ზმნა და მეშველი, ე. ი. განსხვავებული ვითარება ყოფილა წარმოების თვალსაზრისით;

ბ) თუ რუსულში მყოფადუსრულს მეშველი ზმნა და საწყისი აწარმოებს, ანუ, თუ ამ კომბინაციაში საწყისი + უპირო ფორმა მონაწილეობს, მისი (უპირო ფორმის) უღლების საკითხი საერთოდ ვერ უნდა დადგეს.

კონსტრუქციით – **ჭარუნდას იყუაფუ/იცი** = ალბათ წერს (უნდა წერდეს იქნება), – გამოიხატება სავარაუდო მოქმედება.

ასეთივე შინაარსის გამომხატველია **ჭარუნდას ოკო** (= უნდა წერდეს, ალბათ წერს).

არც ერთსა აქვს მომავლის გაგება და არც მეორეს. ვარაუდის გამოხატვის თვალსაზრისით ეს ფორმები თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს: **ჭარუნდას ოკო = ჭარუნდას იცუაფუ/იცი**.

ოკო „უნდა“ ზმნა სურვილის სემანტიკას გამოხატავს. ამ დროს ის პირთა მიხედვით იცვლება. მისგან მიღებული მოდალური **ოკო** ვალდებულების (დებიტივის) მნიშვნელობას ანიჭებს ძირითად საუღლებელ ერთეულს. გარდა დებიტივისა, **ოკო** ვარაუდის, ალბათობის მოდალურ სემანტიკასაც გამოხატავს. ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ **ოკო**-ელემენტები კონსტრუქციები თავისუფლად ენაცვლება **იცი** „იქნება“ ელემენტთან კონსტრუქციებს [დადიანი, 2001, 19]: ამ მხრივ **იცი||იცუაფუს** შემცველი შეხამება შეიძლება შევადაროთ **ოკო** „უნდა“ ნაწილაკთან შესიტყვებას, რომელიც, ასევე, ორგვარი დანიშნულებით გვხვდება: გადმოსცემს **ვალდებულება-აუცილებლობას** და **ვარაუდს** (იმ განსხვავებით, რომ **ოკო** ძირითადად ახლანდელ დროზე მიუთითებს, **იცი||იცუაფუ** კი მომავალ დროს გულისხმობს). ორსავე შემთხვევაში **ოკო** ნაწილაკია, რომელიც კონტექსტის შესაბამისად განასხვავებს აღნიშნულ მნიშვნელობებს. მაგალითად: **ჭარუნდას ოკო** „წერდეს უნდა“ (აუცილებლობა და ვარაუდი). **ოკო** (ნაწილაკი) < **ოკო** (ზმნა).

მყოფადუსრულის მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ შეიძლება **ჭარუნდას** იი ტიპის ფორმებში ჩანდეს, როცა ეს ფორმები მომავალი დროის ზმნისართებთან იქნებიან დაკავშირებული. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, მომავალი დროის გამოხატვა სწორედ ზმნისართს დაფუკავშიროთ.

ჭარუნდას იცი გრამატიკულად ასე განიმარტება: „წერდეს იქნება“, „წერის პროცესში იქნება (სავარაუდოდ)“. ამ პროცესის, დაუსრულებელი, უწყვეტი პროცესის აღსანიშნავად ხდება უწყვეტლის სავრცობიანი საყრდენი ფუძის გამოყენება.

ჭარუნდას იცი აწმყოს კავშირებითის ფორმად უნდა ჩაითვალოს, ისევე როგორც აწმყოს კავშირებითის ფორმა **ჭარუნდას ოკო**.

მოდალური ნაწილაკები ზმნის მორფოლოგიურ სტატუსზე გავლენას ვერ ახდენენ, ანუ: ისინი ზმნას გარკვეულ სემანტიკურ ელფერს უცვლიან, მაგრამ ისეთ არსებით და სტაბილურ ფუნქციურ ცვლილებებს ვერ იწვევენ, რაც ცალკე ნაკვთად გამოყოფისთვის იქნებოდა აუცილებელი.

წინააღმდეგ შემთხვევაში, უღლების ერთეულთა (ნაკვთთა) რაოდენობა იმდენით გაიზრდებოდა, რამდენი მოდალური ელემენტსაც იგუებდა ესა თუ ის ფორმა.

ზანურში გვაქვს შემთხვევა, როდესაც ფუნქციადაკარგული (ამოსავალი მნიშვნელობისაგან დაცლილი) მოდალური ელემენტი ნაკვთის ფორმირებაში იღებს მონაწილეობას, – ვგულისხმობთ -**კო**-სუფიქსიან (-**კო** < **ოკონ** „უნდა“) წარმოებას, რომელთაც პირობითებს უწოდებენ. ამ ელემენტის გარეშე აღნიშნული ნაკვთები არ იწარმოება, ამდენად, ეს მორფემა უკვე ნაკვთის მაწარმოებელთა რანგში გადის (როგორცაა, ვთქვათ, კავშირებითის -**ა** მაწარმოებელი).

სტატიკური ზმნების კავშირებითის ფორმას ენაცვლება წარსული დროის მიმღეობა: დგუდას იცი||დოდგუმილ იცი; ხედას იცი||დოხუნელ იცი; კირუდას იცი||დოკირილ იცი „ებას იქნება, დაბმული იქნება“...

დინამიკური ზმნის კავშირებითს ამგვარი მონაცვლე არა აქვს, ვნებითს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში შინა-არსობრივი სხვაობა საგრძნობია:

იზუაფუდას იცი||იცუაფუ „იზილებოდეს იქნება“;
ზელი იცი||იცუაფუ „მოზელილი იქნება“... [გულუა, შეროზია, 1998, 93-94].

არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ყურადღებას იქცევს: „სტატისკური ზმნა + იცი||იყუაფუ“ კონსტრუქციის სემანტიკურად უფრო ზუსტი ეკვივალენტი ალბათ ისევ სტატისკურის მარტივი ფორმები იქნება:

დგუ – დგუდას იცი||იყუაფუ – იდგვენუ

ძუ – ძუდას იცი||იყუაფუ – იძვენუ

ხე – ხედას იცი||იყუაფუ – იხვენუ (შდრ.: [ნ. გულუა, რ. შეროზია, 1998]).

ამ ფორმებს კიდევ სათანადო ქართული ფორმობრივ-ფუნქციური ეკვივალენტები გააჩნია: იდგვენუ – იდგმება, იძვენუ – იძება, იხვენუ – იჯდება...

ასე ქართულშიც უნდა გამოვყოთ მყოფადუსრული. ასე, ცხადია, საკითხი ვერ დადგება.

ასევე დადგება საკითხი იცი||იყუაფუ მეშველზმნიან პირობითებთან დაკავშირებითაც:

ჭარუნდუკო ოკო = ალბათ წერდა (გამოიხატება სავარაუდო მოქმედება, დრო წარსულია)

ჭარუნდუკო იცილუ = ალბათ წერდა (გამოიხატება სავარაუდო მოქმედება, დრო წარსულია).

„იცი||იყუაფუ, – წერს ე. დადიანი, – ისევე, როგორც ქართული „იქნება“, ორი დანიშნულებით გამოიყენება: 1) როგორც დამოუკიდებელი ზმნური ერთეული და 2) როგორც მოდალური ელემენტი [დადიანი, 2001, 17] (დამოწმებულია [ჯორბენაძე, 1993, გვ. 269])“.

როცა დამოუკიდებელი ზმნური ერთეულია, ის პირისა და რიცხვის მიხედვით ჩვეულებრივად იცვლება. ასევე იცვლება, როცა მეშველი ზმნა, – ამ დროს ძირითადი გრამატიკული ინფორმაციის მომწოდებელი სწორედ მეშველი ზმნაა (მაგალითად, „იქნება“ მეშველი ზმნა აწარმოებს: შედგენილ შემასმენელს; აღწერითი ვნებითის ფორმებს. ამ დროს ის იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით).

იცი||იყუაფუ („იქნება“) **ორენ** („არის“) ზმნის მომავალი დროის ფორმაა. დამოუკიდებლად ეს არის თავისებური უღლების, კერძოდ, ნაკვთთა მიხედვით ფუძემონაცვლე ზმნა.

ის შეიძლება შეგვხვდეს **სასურველობის, ვარაუდის, ალბათობის** მოდალური ნიუანსი გამომხატველ ელემენტად.

მოდალური ფუნქციით, როგორც აღინიშნა, ქართულშიც გამოიყენება „იქნება“.

„როცა იცი||იყუაფუ მოდალური დანიშნულებით იხმარება, იგი აღნიშნული ზმნური კატეგორიების მიხედვით არ იცვლება. კავშირებითისა და „პირობითის“ ფორმებთან შეხამებაში იცი|| იყუაფუ, ქართული „იქნებას“ მსგავსად, ჩვეულებრივ, იცვლება პირის, რიცხვისა და დრო-კილოთა მიხედვით“ [დადიანი, 2001, 18].

აღსანიშნავია, რომ სხვათა სიტყვის ან კითხვითი ნაწილაკის დართვისას მეშველ (დამხმარე) ზმნაში დაჩნდება სუბიექტური პირის სუფიქსი: პჭარუნდე იცი „ვწერდე იქნება“ მაგრამ შდრ.: პჭარუნდე იცინო? „ვწერდე იქნება?“ პჭარუნდე იცინია „ვწერდე იქნებაო“; ასევე: ჭარუნდე იცი, მაგრამ შდრ.: ჭარუნდე იცინო? „წერდე იქნება?“ ჭარუნდე იცინია „წერდე იქნებაო“; ჭარუნდას იცინო? „წერდეს იქნება?“ ჭარუნდას იცინია „წერდეს იქნებაო“.

ე.ი: საკითხი ასე უნდა დავსვათ: „(ო)რენ(ნ)“ ზმნა გრამატიკულად პოლიფუნქციურია: მის ფუნქციებს შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1) გამოიყენება, როგორც დამოუკიდებელი ზმნური ერთეული და აქვს უღლების საკუთარი პარადიგმა (ვორექ... იპიქ... პოფე[რექ]...); უღლებისას იგი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა;

2. ასრულებს მემველი ზმნის ფუნქციას (ხანტილ ვორექ...); ამ შემთხვევაში ის სახელურ ნაწილთანაა კომბინაციაში

3. „იქნება“ ზმნას დამოუკიდებელ ზმნურ მნიშვნელობასთან ერთად აქვს მეორე ფუნქცია – გამოხატავს შესაძლებლობის მოდალობას (უკვე როგორც მოდალური ელემენტი). სწორედ ეს ნიუანსი შემოაქვს იცი||იყუაფუ ელემენტს ზმნასთან კომბინაციაში.

ასე რომ, იცი||იყუაფუ შეიძლება იყოს:

(ო)რე(ნ) ზმნის სემანტიკური მყოფადი;

(ო)რე(ნ) ზმნისაგან მომდინარე მოდალური ელემენტი, რომელსაც **ალბათობის, ვარაუდის, შესაძლებლობის** ნიუანსი შემოაქვს მასთან დაკავშირებული ზმნის სემანტიკაში.

ჭარუნდას იცი არ არის **ზმნა+ზმნა კომბინაცია**. ეს არის **ზმნა+ნაწილაკი კომბინაცია**, რომელიც გამოხატავს სავარაუდო მოქმედებას, გამომდინარე იცი „იქნება“ ნაწილაკის სემანტიკური სპეციფიკიდან.

ანალოგიური სემანტიკური ნიუანსი შეაქვს ზმნის მნიშვნელობაში **ოკო** ნაწილაკსაც ამ შემთხვევაში: **ჭარუნდას ოკო**.

არც ეს კომბინაციაა ახალი ნაკვთის ფორმად ჩასათვლელი.

II.7.12. მყოფადის ხოლმეობითი მეგრულ-ლაზურში.

მყოფადის ხოლმეობითი ზმნისწინით გართულებული უწყვეტლის ფორმაა, – ისევე, როგორც ეს არის ქართულში.

მეგრული:

მუმა დო სქუას ჟირხოლოს **დოჯვილუნდეს** თექ (ხუბ., 22) „მამა და შვილს ორივეს მოკლავდნენ იქ“; **დიპტყოზუდითია** ჩქგ, – ის დუს **ვაგოძირანდით** (ხუბ., 112) „დავიმალეზოდით ჩვენ, – მას თავს არ ვაჩვენებდით“; **ცვანაშა მინიზლენდითია** – პჭკუმუნდითია შხვამ ცვანას (ხუბ., 112) „ყანაში შევიდოდით და ვჭამდითო სხვის ყანას“ ოჭგმარეს მუდგენ ჟანს **დობგორუნდესია, ქემობრაყგუნდესია, გეპჭვალუნდესია** (ხუბ.,112) „დილით რომელიღაც ჟამს მოგვძებნიდნენო, მოგვრე-კავდნენო, მოგვწველიდნენო“; ნგგას **მივოგანდით** კუჩხის (ხუბ., 112) „სათლს მივარტყამდით (ვკრავდით) ფეხს“; ათე გვერი პიჯიშე ვეკომქოთინაფუაფუდკონ, სი **დაგამარცხენდუა** (ხუბ., 224) „ეს გველი პირიდან რომ არ წამომეგდებინებინა, შენ დაგამარცხებდაო“; თეჯგურა ნოსა ვოუგორუდუკო თი კოს მუში გურიში აზრიშინი, მუმა დო სქუას ჟირხოლოს **დოჯ ვილუნდეს** თექ (ხუბ., 22) „ასეთი რძალი რომ არ მოეძებნა იმ კაცს თავისი გულის აზრისა, მამა და შვილს ორივეს მოკლავდნენ“; ის დუს ვავოძირანდით, ტყას ვორდითია ჩქიმი პატონი დო ოჭგმარეს მუდგენ ჟანს **დობგორუნდესია, ქემობრაყ გნდესია, გეპჭვალუნდესია** (ხუბ., 112) „მას თავს არ ვანახებდით, ტყეში ვიყავითო, ჩემო ბატონი, და დილით როცა იქნებოდა მოგვძებნიდა, მოგვრეკავდა, მოგვწველიდა“; ვარა მუთუნ ქოთქუკონი, ჩხვისნ **გამწუკვათუნდეს** (ხუბ., 342) „ან თუ რამეს იტყოდა, ცხვირს მოაჭრიდნენ“; თექ ყაზაყიქ მინილკონ, **გემწუყ ოთანდეს** თოლს (342) „იქ გლეხი რომ შესულიყო, წამოუგდებდნენ თვალს“; **დობორკვინდეს** ყაზაყის, ულუს **ქგედგგუნდეს** (ხუბ., 342) „დაბორკავდნენ გლეხს, უღელს დაადგამდნენ“; ქემიფშითიე -- ნგგას ქათომდგუნდესია (ხუბ., 111) „რომ მოვიდოდით, სათლს დაგვიდგამდნენო ქვეშ“...

ლაზური:

...ნე ვით მანათი **გომდინუპტი** (ჩიქ., I 950) „არც ათ მანეთს დავკარგავდი“; ჭიტა ენვერიქ ბითთუმ კოჩი-ნა ძიატუ, ნენა **გამანთხიპტუ**, თოლეფე **გამეფზაპტუ** და ოწკერტუ (ჩიქ., I, 486) „პატარა ენვერი ყოველთვის კაცს რომ ხნავდა, ენას გამოუყოფდა, თვალებს გადმოკარკლავდა („გამოუნთებდა“) და უყურებდა“; დოიყურატიკონი... **ემქურდუტუ** დო **მელაპტუ** (ჩიქ., I, 444) „რომ დამეყვირა, შეშინდებოდა და ჩამოვარდებოდა“; არ ბადი კოჩიქ ბალის მცხული **გომპონაპტუ** (ჩიქ., I., 449) „ერთი მოხუცი ბაღში მსხალს [და]ამყნობდა“; ფადიშაჰიქ ჟურ ჭუტალეფეს ზანახატ **დოფურამტუ** დო დიდი ჯუმა მუშიკალა **გოფონამტუ** (დიუმეზ., 18) „ფადიშაჰი ორ უმცროსს ხელობას ასწავლიდა და უფროსი ძმა თავისთან დაჰყავდა“; მა ხოჯეფეს **გოწოზუდგირტი** დო ჯუმა ჩქიმიქ ონთხორაფემტუ (დიუმეზ., 24) მე ხარებს გაფუძვებოდი და ჩემი ძმა ხნავდა („ახვნევიანებდა“); უკაჩხე ლაზუტი დიმონჭაშუკულე, **დოპტახუმ-ტით**, გოდორით **მოზოკიდამტით** დო ფთორუმტით ოხორიშა (კარტ., 1970, 226) „შემდეგ, სიმინდი რომ მოიწოდა, მოგტეხდით, გოდორით მოვიკიდებდით და ვზიდავდით შინ“; ბუტკუჯიქ თქუ-ქი: „მა-ნა მებუჭკომარე კოჩი დოლურატუკონ-ნა, არ კოჩიშენი არ ფუთი თოფური **დოზიქომტი**“ (ჩიქ., II, 305) „ფუტკარმა თქვა, რომ: მე რომ ვუკბენ კაცს, ის რომ მოკვდეს, ერთი კაცისთვის ერთ ფუთ თავლს გავაკეთებდიო“; საღი ვორტიკონ-დო, თქვან **დოგოლოდაპტით-ია** (ჩიქ., I, 403) ცოცხალი რომ ვყოფილიყავი, თქვენ გაჩვენებდით სეირსო („გიზამდითო“); მუ პა? ფარა მილუტუკონ-ნა მთელი **ქომექჩაპტი** (ჩიქ., I., 413) „რა ვქნა, ფული რომ მქონოდა, ყველას მოგცემდი“; ეშკიაფე ზენგინი კოჩეფე **ნუნჩინამტეს**, ქარტალი **ნუნჭარამტეს** (კარტ., 1970, 226) „ყაჩაღები მდიდრებს შეუთვლიდნენ, წერილს მისწერდნენ“; აჩილი ვა **გამეილამტეფ**, აშქურიინერტეა (კარტ., 1970, 219) „აშკარად არ გამოჰქონდათ, ეშინოდათ“; ემ ვახთის მან ოკითხუ დო ოჭარუ ქომიჩქუტუკონი, ნე ვით მანათი **გომდინუპტი** დო ბაშფორთი-თი ორდო **დოვიქიფტი** (ჩიქ., I, 95) „მაშინ მე რომ წერა და კითხვა მცოდნოდა, არც ათ მანეთს დავკარგავდი და პასპორტსაც მალე ავიღებდი („გავაკეთებდი“); ღორმოთიქ ჯოღორის გური დუხენატუკო, ნცაშენ ილეფე **დომთუტუ** (ხალხ. 257) „ღმერთს ძაღლისთვის გული რომ გაეკეთებინა, ციდან ძვლები ითოვებდა“; ღომან სი ვარ ტიკონარი, ჩქუნ ჰაკო ცხენეფე, ოქრო დო კოჩეფეთი **გუმდუნუტით** (ჟღ. 35) „გუმინ შენ რომ არ ყოფილიყავი, ჩვენ, ამდენი ცხენები, ოქრო და ადამიანებიც დავიკარგებოდით“ (ჟღ., 35) **დოფსთიბურტი**, მის უჩქინ, ბორტიკონ-ნა მათ ქვაში (კარტ., II, 243) „გავჭუმდებოდი, ვინ იცის, მეც რომ ქვისა ვყოფილიყავი“; ეშელი ჩქიმი! აქ გელადგატი-ნა, ვარ **მეყოლაფტია** (ხალხ., 214) „ჩემო ვირო, აქ რომ (ფეხი) დაგედგა, არ გადაიჩეხებოდიო“...

მყოფადის ხოლმეობითის ნაკვთის პარადიგმა **ჭარუნს (წერს)** ზმნისა:

მეგრ.

დო-პ-ჭარ-უნ-დ-ი	დო-პ-ჭარ-უნ-დ-ი-თ
დო-ჭარ-უნ-დ-ი	დო-ჭარ-უნ-დ-ი-თ
დო-ჭარ-უნ-დ-უ	დო-ჭარ-უნ-დ-ეს

ლაზ.

დო-პ-ჭარ-უფ/უმ-ტი-ი	დო-პ-ჭარ-უფ/უმ-ტი-თ
დო-ჭარ-უფ/უმ-ტი-ი	დო-ჭარ-უფ/უმ-ტი-თ
დო-ჭარ-უფ/უმ-ტი-უ	დო-ჭარ-უფ/უმ-ტი-ეს

მყოფადის ხოლმეობითის საუღლებელი ერთეულის ზოგადი მოდელი (ყალიბი) მესამე პირისთვის ასეთი იქნება:

Z-R₂-S₃,

სადაც

Z- ზმნისწინია, R₂ – უწყვეტლის ფორმა, S₃ – მესამე სუბიექტური პირის ნიშანი.

II.7.13. მყოფადის კავშირებითი მეგრულ-ლაზურში.

მყოფადის კავშირებითი ზმნისწინით გართულებული აწმყოს კავშირებითის ფორმაა, – ისევე, როგორც ეს არის ქართულში.

მეგრული:

ჟინი გილმალუ სი ქორცუნდასია დო თუდონი მავა – უწუ ჭუკიქ (ხუბ., 48) „ზევით მავალი შენ გყავდესო და ქვევითა მეო, – უთხრა თავგმა“; მუთუნ ვაკო მეტ, თე წყარიშა ქიმიართედას (ხუბ., 113) „არაფერი არ უნდა მეტი, ამ წყალთან მივიდოდეს (შეძლებდეს მისვლას)“; სქან ბედი ცოფენ დო სი ქორცუნდას (ხუბ., 223) „შენი ბედი ყოფილა და შენ გყავდეს“; ნეტე პაპა ქემიშას, გურგინს ქიგემდგუნდასია (ხუბ., 336) „ნეტავ მღვდელი მოვიდოდეს, გვირგვინს დაგვადგამდეს“; მუ მიჭირს ანწი, მაჟია დგმაგორედასია (ხუბ., 181) „რა მიჭირს აწი, მეორეს მოგებენიდე“; ხემ მოჭარუა ქედმაგურედასიე, მეტ მუთ მოკონია (ხუბ., 285) „ხელის მოწერას ვისწავლიდე, მეტი რა მინდაო“; იქ ოკო ქიგედოხოდას დო იდას ირიათო გვალას (ხუბ., 30) „ის უნდა დაჯდეს და იაროს სულ მთაში“; თის გეშამიდანდანი, გოფჩურუნდი ზღვასია (ხალხ., 162) „იმას რომ ამომიღებდნენ, გავცურავდი ზღვაშიო“; ათე ქუდი ქოილუდასია ჟირი მანათი დო გვერდიშავა (ხუბ., 73) „ეს ქუდი გქონდეს ორ მანეთად და ნახევრადო“...

ლაზური:

ჩქინ-თი დიხა მო მეფჩაპტათ ფართე (ყიფშ., 6) „ჩვენც მიწას ნუ მივყიდით (მივცემდეთ)“; ჩქინ ვარ გამაფჩათ-ში, ჩქინი დიხაშა ჟერიშა თურქი ვარ მულუნ დო ჩქინ-თი დიხა მო მეფჩაფტათ ფართე! (ყიფშ., 6) „ჩვენ თუ არ გავყიდით, ჩვენს მიწაზე, ჩვენს ადგილებზე თურქი არ მოვა, და ჩვენც მიწას ნუ გავყიდით“ (ნუ მივცემდეთ ფულით)“; სი მო გამჭურინეტას, დივის ჩქიმდე მუთ ვარ ახენენ (დიუმეზ., 64) „შენ ნუ შეგეშინდებოდეს, დევი მე ვერაფერს მიზამს“; მთელ კოჩეფ ჭუმანიშ ჰაქ ოკიბდან, არ-თელ ოხორ-მუშის მო დოსქიდუტაზ-ია (დიუმეზ., 72) „ყველა კაცი ხვალ აქ შეიყაროს, ერთიკ კი თავის სახლში არ დარჩესო (დარჩებოდესო)“; მით მო ამულუტას“-ია დო ბოზოს ქოდანდვუ „არავინ არ შემოვიდესო (შემოვიდოდესო) და გოგოს გაანდო“; კოჩი: „ოხორზა-შკიმი მო გამიშვიდეტას“-დეი, ჩაბული-ჩაბული ჩაირეფე მოჩოდინამტუ (კარტ, 2008) „კაცმა [იფიქრა]: ჩემი ცოლი არ გამოიხრჩოსო („გამოიხრჩობოდესო“) და ბალახებს ჩქარ-ჩქარა ყრიდა“; პოტე მოთ გოგოჭკონდუტას – არასდროს დაგავიწყდეს („დაგავიწყდებო-დეს“) (დიუმეზ., 115)...

მყოფადის კავშირებითის ნაკვთის პარადიგმა ჭარუნს (წერს) ზმნისა:

მეგრ.

დო-პ-ჭარ-უნ-დ-ა
დო-ჭარ-უნ-დ-ა
დო-ჭარ-უნ-დ-ა-ს

დო-პ-ჭარ-უნ-დ-ა-თ
დო-ჭარ-უნ-დ-ა-თ
დო-ჭარ-უნ-დ-ა(ნ)

ლაზ.

დო-პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ა
დო-ჭარ-უფ/უმ-ტ-ა

დო-პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-თ
დო-ჭარ-უფ/უმ-ტ-ა-თ

მყოფადის კავშირებითის საუღლებელი ერთეულის ზოგადი მოდელი (ყალიბი) მესამე პირისათვის ასეთი იქნება:

Z-R- S₃, სადაც:

Z- ზმნისწინია, **R** – აწმყოს კავშირებითის ფორმა, **S₃** – მესამე სუბიექტური პირის ნიშანი.

II.7.14. მყოფადის პირობითი მეგრულ-ლაზურში.

მყოფადის პირობითი ზმნისწინით გართულებული აწმყოს პირობითის ფორმაა, – ეს ნაკვთი არ არის ქართულში.

მეგრული:

ჭუმე თანაფა გოთმოთანდუდუკო, ამდღა ქოთომს დოცვილუნდეს (დად. 118) „ხვალ აღდგომა რომ ყოფილიყო, დღეს ქათამს დაკლავდნენ“; ინა დღასი ვახომუდუ, მა სი ქოგიცორდიკონი (ხალხ., 152) „ის არასოდეს არ გახმებოდა, მე რომ შენ გყვარებოდი“; ლეჯის ქალეფი ქოულუდუკონი, ქიანას გემნართინუანდუა (ხალხ., 148) „ღორს რომ რქები ჰქონოდა, ქვეყანას გადააბრუნებდაო“; თქვანი სქუა ქორდგკონი, პატის ქოფცენდეს (ხუბ., 93) „თქვენი შვილი რომ ყოფილიყო, პატივს გვცემდა“; მა სი ქოგიცორდიკონი, თეზგმა ხანს მუთ ითვინი? (ხუბ., 334) „მე თუ შენ გიყვარდი, ამდენ ხანს როგორ მოითმინე?“, ვეშილებედუავო თიში მინჯეს ნასისხერი ჟირი თიზუმა ქიგეძუდუკონი? (ხუბ., 21) „არ შეიძლებოდაო მის პატრონს ნასესხები ორი იმდენი მართებოდაო?“, მა თე კოჩი ქორდიკონ ქომჩქუდუკოვე, ჭკის ვემერჩანდია (ხუბ., 41) „მე ეს კაცი რომ იყავი რომ მცოდნოდაო, მჭადს არ მოგცემდიო“...

ლაზური:

ემ ვახთის მან ოკითხუ დო ოჭარუ ქომიჩქუტუკონ, ნე ვით მანათი გომდინუპტი დო ბაშგორთი-თი ორდო დოვიქიფტი (ჩიქ., I, 95) „მაშინ მე რომ წერა და კითხვა მცოდნოდა, არც ათ მანეთს დავკარგავდი და პასპორტსაც მალე ავიღებდი („გავაკეთებდი“); უთოლე ქოჩიქ თქვერენ: „არ თოლი ქომილუტუკონა“-ში, ღორმოთიქ სუმ ქომუჩუში, ვართი ხვამუ (ხალხ. 252) „უსინათლო (უთვალო) კაცს უთქვამს: ერთი თვალი მქონოდაო და ღმერთმა სამი რომ მისცა, არც დალოცა“; დუნას მუთ ვარ მინონ, ბერე-ჩქიმი ტახტი-ჩქიმიზ ნა გელახედასენ ქომეჩქიტუკო-ა (დიუმეზ., 40) „ამქვეყნად არაფერი მინდა, ჩემი შვილი ჩემს ტახტზე რომ მცოდნოდაო“...

მყოფადის პირობითის ნაკვთის პარადიგმა ჭარუნს (წერს) ზმნისა:

მეგრ.

დო-პ-ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)

დო-ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ)

დო-ჭარ-უნ-დ-უ-კო(ნ)

დო-პ-ჭარ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)

დო-ჭარ-უნ-დ-ი-თ-კო(ნ)

დო-ჭარ-უნ-დ-ეს-კო(ნ)

ლაზ.

დო-პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-კო(ნ)
დო-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-კო(ნ)
დო-ჭარ-უფ/უმ-ტ-უ-კო(ნ)

დო-პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-თ-კო(ნ)
დო-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი-თ-კო(ნ)
დო-ჭარ-უფ/უმ-ტ-ეს-კო(ნ)

მყოფადის პირობითის საუღლებელი ერთეულის ზოგადი მოდელი (ყალიბი) მესამე სუბიექტური პირისათვის ასეთი იქნება:

Z-R- S₃, სადაც:

Z- ზმნისწინია, R – აწმყოს პირობითის ფორმა, S₃– მესამე სუბიექტური პირის ნიშანი.

ამგვარად, ლაზურში პირველი სერიის ნაკვთთა სისტემა მეგრულის ანალოგიურია, რაც ამავე დროს ნიშნავს ქართულთან მის სისტემურ თანხვედრას.

ქართულისგან განსხვავებით მეგრულ-ლაზურში მეტია სპეციფიკური ფორმები – პირობითის ნაკვთები.

II.8. მეორე სერია მეგრულ-ლაზურში.

მეგრულსა და ლაზურში პირველი და მეორე სერიის ფუძეები სტრუქტურულად განსხვავდებიან ერთმანეთისგან: მეორე სერიაში არა გვაქვს აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსი, თემის ნიშანი.

გვაქვს ათემატური ფუძეებიც, მაგრამ მათი რაოდენობა (ისევე როგორც ქართულში) ერთობ უმნიშვნელოა; ეს არის მაგ.: იგარ-ს „ტირის“ – აორ.: იგარუ „იტირა“, უბარს „უბერავს“ – აორ.: უბარუ „უბერა“...

შდრ.: ქართ. წერს – წერა, ტეხს – ტეხა...

ამგვარ შემთხვევებში აწმყოსა და აორისტს საზიარო ფუძეები აქვთ (იგარ-, უბარ-...).

მეორე სერია სამი ნაკვთით არის წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურში; ესენია: **აორისტი**, **II კავშირებითი** და **II პირობითი**.

II.8.1. „ფუძედრეკადი“ ზმნები.

ქართულში ცალკე ჯგუფს წარმოადგენს ე. წ. **ფუძედრეკადი** ზმნები, რომელთა პირველი და მეორე სერიის ფუძეებიც გახმოვანების მიხედვით არიან გარჩეული.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საზოგადოდ ხმოვანთმონაცვლეობისა და **აბლაუტის** საკითხი.

ტრადიციული დეფინიციით, აბლაუტი მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანთ-მონაცვლეობაა. „მისი დახასიათება სრული არ იქნება, თუ ერთმანეთისაგან არ გაიმიჯნება

ფუნქციონალური ხმოვანთმონაცვლეობა და მარტივი ხმოვანთმონაცვლეობა, რომელიც მოკლებულია მორფოლოგიურ ღირებულებას და მთლიანად ენის ფონოლოგიურ დონეს განეკუთვნება... ფუნქციონალური ხმოვანთმონაცვლეობა ანუ აბლაუტი ფონოლოგიისა და მორფოლოგიის საზიარო მოვლენაა; იგი შეიძლება დახასიათდეს, როგორც მორფოლოგიური მოვლენა“ [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, 176-178].

აბლაუტისაგან განსხვავდება ხმოვანთა უბრალო ალტერნაცია, რომელიც მთლიანად ფონოლოგიას განეკუთვნება [იქვე, 178].

„მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანთმონაცვლეობა, ანუ აბლაუტი წარმოშობით შეიძლება ფონეტიკური ხასიათისა იყოს, შეპირობებული ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე არსებული ფონეტიკური გარემოცვით. ფონეტიკურ ნიადაგზე აღმოცენებულმა ხმოვანთმონაცვლეობამ შესაძლებელია გარკვეული მორფოლოგიური ფუნქცია შეიძინოს და წმინდა მორფოლოგიური ღირებულების ხმოვანთმონაცვლეობად იქცეს მას შემდეგ, რაც მოისპობა ამ მონაცვლეობის გამომწვევი ფონეტიკური მიზეზები. ამგვარი მორფოლოგიური ფუნქციის მქონე მონაცვლეობა სინქრონიულად უკვე მოკლებულია ფონეტიკურ მოტივაციას; იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც შედეგი ოდინდელ ფონოლოგიურ მონაცვლეობათა მორფოლოგი-ზაციისა“ [იქვე, 1965, 177].

ამ დებულების საილუსტრაციოდ წარმოდგენილია შემდეგი მაგალითი ინგლისური ენიდან: „მველ ინგლისურში **fōt** „ტერფი“ ფორმის **ō** გახმოვანების გადაბგერება **ē** გახმოვანებად აწარმოებს მრავლობით რიცხვს **fēt** ფორმის სახით. **ō** : **ē** მონაცვლეობა აქ მთლიანად მორფოლოგიური ღირებულებისაა; სინქრონიული თვალსაზრისით აღნიშნული მონაცვლეობა ფონოლოგიურად არამოტივირებულია. მაგრამ გენეზისში **ō** : **ē** აბლაუტი ფონეტიკური ბუნებისაა, შეპირობებული ფონეტიკური გარემოცვით, რომელსაც მრავლობითი რიცხვის მაწარმებელი **-i** ფორმანტი ქმნიდა **fōti** > **fēti** > **fēt**. **ō:ē** აბლაუტი დიაქრონიული თვალსაზრისით განიხილება, როგორც შედეგი სუფიქსში არსებული პალატალური ხმოვნით გამოწვეული უმლაუტის მორფოლოგიზაციისა“ [იქვე, 177-178].

დიაქრონიულად ფონეტიკური ხასიათის ცვლილებამ ფორმები გახმოვანების თვალსაზრისით გაარჩია ერთმანეთისაგან, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში გვაქვს გახმოვანების სხვადასხვა საფეხურის მქონე **ფორმათა დაპირისპირება**, დაპირისპირება რიცხვის კატეგორიის თვალსაზრისით, მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის ფორმათა გარჩევა ემყარება ფუნქციონალური დატვირთვის მქონე ალტერნაციას – **აბლაუტს**. მხოლოდ ამ ალტერნაციის საშუალებითაა შესაძლებელი ფორ-მათა სტატუსის განსაზღვრა რიცხვის კატეგორიის მიხედვით.

ქართული აბლაუტის ანალიზისას ყურადღება ზმნურ ფუძეებზეა გამახვილებული, მიჩნეულია, რომ „სწორედ ზმნის სისტემამ შემოგვინახა სრული სახით აბლაუტური მექანიზმი...“ (იქვე, 1965, 179); მხედველობაში აქვთ „გარდამავალი ფუძედრეკადი ზმნები და მათი შესაბამისი გარდაუვალი კორელატები, რომლებსაც ჩვეულებრივ ე. წ. „უნიშნო ვნებითის“ კატეგორიას მიაკუთვნებენ“ [იქვე, 1965, 179].

ფუძედრეკადად ტრადიციულად ის ზმნები ითვლება, რომელთაც I და II სერიის ფუძეები განსხვავებული აქვთ გახმოვანების თვალსაზრისით (დრეკს – დრიკა...).

აკაკი შანიძეს მოქმედებითი გვარის უშუალო კონტაქტის ზმნური საწარმოებელი ფორმები თემათა მიხედვით ორ ჯგუფად აქვს დაყოფილი: „ერთი მხრით გვაქვს ერთ-თემიანი ზმნები, მეორე მხრით კი ორ-თემიანები“ [შანიძე, 1980, 388].

ერთთემიან ზმნებს ერთი და იგივე თემა აქვთ ორივე სერიაში; ორთემიანებს I სერიის თემა რთული აქვთ (თემის ნიშნითა აქვთ გართულებული), მეორე სერიისა – მარტივი (ესე იგი, განსხვავებული სტრუქტურის თემები გააჩნიათ). მკვლევარი გამოყოფს „ერთ ჯგუფს ზმნებისას, რომელთაც მწკრივთა ორსავე სერიაში მარტივი თემები მოეპოვებათ, განსხვავება ამ თემებს შორის შინაგანი ხმოვნის შენაცვლებაზე აქვს დამყარებული. ეს შენაცვლება ყოველთვის ერთი ტიპისაა: პირველ სერიაში ე, მეორეში ი (ე – ი); მაგალითად, ვგრეხ და ვგრიხე...“ [იქვე, 390].

ხმოვანმონაცვლეთა ჯგუფშია წარმოდგენილი -ენ და -ევ-სუფიქსიანი ზმნებიც, მათი წარმოების თავისებურებიდან გამომდინარე [იქვე, 392].

თუ ამოსავლად მივიღებთ თემათა განსხვავებულობას სერიების მიხედვით, ამ ნიშნით ხმოვანმონაცვლე ანუ ფუძე-დრეკადი ზმნები ორთემიანი ჩანს (განსხვავებული თემები აქვთ).

ამგვარი ალტერნაცია ფუძისეული ხმოვნებისა ის ფორმალური ნიშანია, რომელიც, როგორც ითქვა, სხვადასხვა სერიის ზმნურ ფუძეებს განასხვავებს.

აწმყოსა და აორისტის ფუძეებში დადასტურებულ ე/ი მონაცვლეობაზე ყურადღება გაუმახვილებია გ. დეეტერსსაც, რომელიც აღნიშნავს: ეს ხმოვანთმონაცვლეობა წმინდა ფონეტიკურად შეპირობებული არ უნდა იყოს, რაზეც მეტყველებს ბევრი მაგალითი ე გახმოვანების მქონე აწმყოს ფუძისა, რომელსაც აორისტში ისევ ე ექნება: ვსთესე, ვრეკე, ვტეხე, ვწერე (დეეტერსი, 1930, 106).

უნდა ითქვას, რომ ამგვარი ზმნების რიცხვი უმნიშვნელოა, მაგრამ თავად ფაქტი ყურადსაღები ჩანს. ჩამოთვლილი ფორმებიდან ფაქტობრივად, ათემატურია „წერს“, დანარჩენები თემატურია ან გათემატურების მიდრეკილებას ავლენენ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფუძეთა დიფერენცირების საკითხი პრაქტიკულად ნაკლებადაქტუალური ხდება.

თავად ამ გათემატურების ტენდენციასაც შეიძლება სწორედ ფუძეთა გარჩევის შინაგანი გრამატიკული იმპულსი ედოს საფუძვლად. ეს ფაქტი (ათემატური ფუძის გათემატურება), ამდენად, იმ გრამატიკული მოვლენის ტოლფასი გამოდის, რომელსაც აბლაუტს უწოდებენ.

საყურადღებოა ჰ. ფოგტის დაკვირვება: „სინკოპეს მოვლენა ზმნაშიაც ფონეტიკურადაა შეპირობებული: ალტერნაცია შალ-ე/შლ- მხოლოდ ა- ვოკალიზმიან ზმნებშია, ალტერნაცია კალ-/კლ- არსებობს მხოლოდ მარტივ თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებში, ე და ა ვოკალიზმთან (გამონაკლისია ქეც/ქც-), მაგრამ აქ არ შეიძლება წინასწარ იცოდე, დაუშვებს თუ არ დაუშვებს ამ ფონეტიკური პირობების დამაკმაყოფილებელი ძირი ძირეული ხმოვნის სინკოპეს. მალ-, პარ-, წერ- ზმნების ძირები თავიანთი ფონეტიკური სტრუქტურის მხრივ არ განსხვავდებიან მნიშვნელოვნად კალ-, ჭერ- ზმნებისაგან, რომლებიც ყველანი ფუძეკუმშვადნი არიან. ისინი შედიან სხვა მორფოლოგიურ ჯგუფებში, რომლების არსებობა არ შეიძლება აიხსნას სინქრონიული თვალსაზრისით, მაგრამ რომლებიც შემონახული არიან ტრადიციითა და თვით სისტემის სტრუქტურით“ (ფოგტი, 1939, 132).

გ. ახვლედიანი ერთი რიგის ფორმებში აწმყოსა და ნამყო წყვეტილის ფორმათა დიფერენცირების საფუძვლად აბლაუტის სამ სახეობას ადგენს: 1. ნულოვანი და ა-ხმოვნიანი (ან ე-ხმოვნიანი) საფეხური: კ-ლავს – კ-ლა / ვკალ(ი); ხ-ნავს – ხნა / ვხან(ი); ჭ-რის – ჭრა / ვჭერ(ი); ც-რის – ც-რა / ვცერ(ი)... 2. ე/ი – ი: კრეფს / კრიფა – ვკრიფე; გრეხს / გრიხა – ვგრიხე... 3. ი/ა – ა: თლის / თალა – ვთალე; თხ-რის / თხარა – ვთხარე (ახვლედიანი, 1949, 299).

უნდა ითქვას, რომ ამ სახეობებიდან ფუნქციონალურად გარკვეულად დატვირთული მეორეა, იმდენად რამდენადაც ამ შემთხვევაში აპოფონიის საფუძველზე ხდება ფუძეთა

დიფერენცირება. პირველ და მესამე შემთხვევაში ფონეტიკურ ცვლილების საფუძველზე მიღებული ცვლილება არ არის ის რელევანტური ნიშანი, რაც არსებითია თუნდაც ფუძეთა განსასხვავებლად (არსებობს ამ ფუნქციის სხვა მორფოლოგიური ელემენტებიც). და თუ დგება ეს საკითხი საერთოდ, დგება ალბათ სწორედ ე. წ. ფუძედრეკად ან „წერს“ ტიპის ათემატურ ზმნებთან მიმართებით.

„როდესაც ვწერთ, რომ ამა თუ იმ ფონეტიკურ პროცესს დაუკავშირდა მორფოლოგიური ფუნქცია, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ფუნქცია გამოხატულია მხოლოდ ამით... ეს ფონეტიკური პროცესი წარმოადგენს მხოლოდ დამატებითს შინაგან ფლექსიას“, – აღნიშნავს გ. ახვლედიანი [ახვლედიანი, 1949, 299].

აბლაუტის განხილვა მორფოლოგიური ღირებულების მქონე ხმოვანთმონაცვლეობად ამ ალტერნაციის ფუნქციური დატვირთვით გამოკვეთილობას უნდა გულისხმობდეს, ანუ: ეს გრამატიკული საშუალება ცალსახად უნდა იყოს ფორმათა განსასხვავებელი გრამატიკული ნიშანი (ამის ილუსტრაციაა ზემოთ წარმოდგენილი კონკრეტული მაგალითი ინგლისური ენიდან). სხვაგვარად, როდესაც ამა თუ იმ სახის აპოფონიას მკაცრად განსაზღვრული გრამატიკული (მორფოლოგიური) ფუნქცია არა აქვს, მისი სახელდება მორფოლოგიურ ნიშნად, ალბათ, გაჭირდება.

ქართულის შემთხვევაში, როდესაც ლაპარაკია ფორმათა განსხვავებაზე, როგორც ჩანს, მაინც „ფუძის ფორმა“ იგულისხმება.

მაგრამ არც სახელი არსებობს წმინდა ფუძის სახით და არც ზმნა: „ფუძე ლინგვისტური ანალიზის საჭიროებით გამოყოფილი ნაწილია სახელისა. რეალურ, მოქმედ ენაში ფუძე არ არსებობს, სახელი ყოველთვის რომელსამე ბრუნვაშია“ [უთურგაიძე, 1983, 10].

ამ დებულების განზოგადება ზმნის სისტემაშიც შეიძლება: არც ზმნა არსებობს მოქმედ ენაში ფუძის სახით. ის ყოველთვის ამა თუ იმ ნაკვთის ფორმით არის წარმოდგენილი, იგი სხვა გრამატიკულ ელემენტებთან კომბინაციაში ქმნის ამა თუ იმ მორფოლოგიური სტატუსის მქონე ერთეულებს (საერთოდ, მატერიალური თვალსაზრისით ესა თუ ის მორფოლოგიური მნიშვნელობა ყოველთვის არ დაიყვანება რაღაც კონკრეტულ ნიშნამდე, მაგრამ ამ მნიშვნელობის გამოხატვა სხვადასხვა საშუალებით მაინც ხერხდება).

ასე რომ, თუ ფუძეთა განსხვავება არ დაიყვანება ფორმათა განსხვავებამდე, აბლაუტის მორფოლოგიური ფუნქცია ნათლად არ იკვეთება.

საერთოდ, საკითხი ალბათ შეიძლება ასე დაისვას: რამდენად აქტუალურია ფუძეთა დიფერენცირება, ვთქვათ, ქართული ზმნის სისტემისათვის? არცთუ იშვიათად გვაქვს არათუ ფუძეთა, არამედ მთლიანად ზმნურ ფორმათა ომონიმის შემთხვევებიც კი (დაიხატა ის – დაიხატა მან ის...), მაგრამ ამ ფორმათა დიფერენცირება მაინც ხერხდება. აქედან გამომდინარე, ფუძეთა გარჩევა არ არის მორფოლოგიური სტატუსისათვის აქტუალური და, მით უმეტეს, განმსაზღვრელი საკითხი.

იგივე მეგრ. ბერგი „თოხი“ და ბარგუნს „თოხნის“ ტიპის ნიმუშები კლასიკურია ხმოვანთა ალტერნაციის თვალსაზრისით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს სახელის ფორმა და ზმნის ფორმა ამ ნიშნით იყოს გარჩეული, თითქოს ეს იყოს არსებითი ნიშანი სახელისა და ზმნის ფორმათა დიფერენცირებისათვის.

სპეციალურ ლიტერატურაში თავად აბლაუტის თეო-რეტიკოსთა მიერ მართებულად არის შენიშნული, რომ „ქართველური აბლაუტი, მსგავსად ინდოევროპულისა, მორფოლოგიური სიჭარბის მოვლენაა, ისე რომ აპოფონიური მონაცვლეობა ა/ე ზმნისა და სახელის ფუძის განსასხვავებლად (მეგრ. ბერგი „თოხი“, მაგრამ ბარგუნს „თოხნის“; მეგრ.

ტყები „ტყავი“, მაგრამ ტყაბარანს „ატყავებს“; მეგრ. ჭვეთი „წვეთი“, მაგრამ ჭვათუნს „წვეთავს“ და სხვ), ან ე/ი მონაცვლეობა ზმნის აწმყოსა და ნამყოს ფუძეების საწარმოებლად (ფენ-ს/ფინ-ა) არ არის აუცილებელი, რადგან სხვა მორფოლოგიური საშუალებანი (სახელის ბრუნვის ნიშნები, ზმნის პირის ნიშნები და სხვა აფიქსები) საკმარისია ამავე დაპირისპირებათა გამოსახატავად. ეს კარგად ჩანს ისეთი მაგალითებიდან, როგორცაა მეგრ. თასი „თესლი“ / თასუნს „თესავს“ ან ქართ. წერ-ს / წერ-ა და სხვ., მსგავსად იმისა, როგორც ეს გვაქვს ინდოევროპულში, სადაც მონაცვლეობა $ei > i$ სიტყვაში *liktós (<*leiǵ^o) არის ჭარბი ნიშანი, რადგან ისეთი ფორმები, როგორცაა *pektós (<*peǵ^o), მოწმობენ, რომ -tó საკმარისია იმავე კატეგორიის გამოსახატავად [წერეთელი, 1964, 015-016].

ამგვარი გააზრება საკითხისა წინააღმდეგობას ქმნის აბლაუტის, როგორც მორფოლოგიურად დატვირთული აპოფონიის გაგებასთან.

საინტერესოა, რომ ვდრკები – შევდერკ სახის მაგალითებში სინქრონიულ დონეზე დაპირისპირება ნულხმოვნისანი საფეხური – ხმოვნისანი საფეხური აღარ არის (გვაქვს: ვდრკები – შევდრკი), თუმცა ამას ფორმათა მორფოლოგიურ სტატუსზე გავლენა არ უნდა მოეხდინა და არც მოუხდენია.

აბლაუტის თეორიის მიხედვით დრეკ/დერკ ოდენ მორფოლოგიური დაპირისპირებაა და ეს ფორმები ერთი-მეორისგან არ გამოიყვანება. დაპირისპირების საფუძველია განსხვავებულად გახმოვანებული ფუძეები.

აბლაუტის სისტემის ისტორიულ საფუძველთან დაკავშირებით გამოთქმულია აზრი, რომ „ასეთი სისტემის ყოველი კომპონენტი დიაქრონიულად გამართლებული უნდა იყოს, კერძოდ: *დერ-ეკ მორფმათა სავარაუდო მიმართება (მიმართება ძირეულ და სუფიქსურ მორფემებს შორის) რომ ჩამოყალიბებულიყო დრეკ ~ დერკ მორფოლოგიურ დაპირისპირებათა სახით, ამისათვის უნდა დავუშვათ ამოსავალ დიაქრონიულ ჭრილში CVS-VC ურთი-ერთობაში ისეთი ფონეტიკური პროცესიც, რომლის დროს -VC სუფიქსში შესაძლებელი იყო ხმოვნის ჩავარდნა CVS მორფემის მომდევნოდ, ე. ი. ადგილი უნდა ჰქონოდა CVS-VC → CVSC პროცესს. ქართველურ ენებში კარგად არის ცნობილი CVS-VC → CS-VC (კარ-ებ → კრ-ებ, მაგ., კრებს) პროცესი, მაგრამ უცნობია CVS-VC → CVS-C (ვთქვათ, კარ-ებ → კარ-ბ) პროცესი, რაც ხელს უშლის უკანასკნელის რეკონსტრუქციას, ყოველ შემთხვევაში, ძველი ქართული ენა და თანამედროვე ქართული ენა ამ ფონეტიკურ ცვლილებას არ გვიჩვენებენ. ვფიქრობთ, ამიტომ არის, რომ აბლაუტის თეორიას ესაჭიროება რიგი დაშვებები, როგორცაა შეუკუმშავი ფუძის განვრცობა (დრეკ-ენ), ხან კი, პირიქით, შეკუმშული ფუძის განვრცობა (მეგრ. დირკი) და სხვანი“ [უთურგაძე, 2002, 124-125].

ე ხმოვანი, რომელიც ვ-დერკ ტიპის პასივებში იჩენს თავს, მიჩნეულია ანაპტიქსურ ხმოვნად, რომელიც გაჩნდა პასივის პარადიგმის აწმყოდან აორისტში გადმოსულ გაუხმოვანებელ ფუძეში. ფუძედრეკადი აქტივები აორისტში იჩენენ -ე სუფიქსს. სწორედ მას მიეწერება ფუძის დრეკა დიაქრონიულ ასპექტში. ამათი კონვერსიული პასივები კი გაუხმოვანებელი ფუძეებით გადადიოდა აორისტში, მამასადამე, აწმყოს ვ-დრკ-ებ-ი, ს-დრკ-ებ-ი, დრკ-ებ-ი-ს ფორმები აორისტის I და II პირებში უნდა გადასულიყო ვ-დრკ-, ს-დრკ- სახით. მათი ამ სახით წარმოდგენა კი უხმოვნობის გამო შეუძლებელი იყო [უთურგაძე, 2002, 125].

არის თუ არა ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში და თუ არის, რა ნიშნები ახასიათებს მას? – სვამს კითხვას ტ. გუდავა [გუდავა, 1974, 132].

პასუხი დადებითია: „მეგრულში დასტურდება ფუძედრეკადი ზმნები, ე. ი. ისეთი ზმნები, რომლებიც სხვადასხვა ნაკვთთა წარმოების დროს ფუძისეულ ხმოვანს იცვლიან. ეს მონაცვლეობა ხმოვნებისა მორფოლოგიური ხასიათისაა“ [იქვე, 132].

მკვლევარი მსჯელობს ფუძედრეკადი ზმნებისთვის ნიშან-დობლივ „მკაფიოდ გამოხატულ ნიშნებზე“: „ასეთი ზმნები ხასიათდებიან ფუძის გახმოვანების სამი სხვადასხვა ფორმით“ [იქვე, 132].

ფუძის ისეთ ფორმას, როდესაც სუფიქსურ ნაწილში ი ხმოვანი გვაქვს (ქორიდ, შქირიტ-), ტ. გულდავა უწოდებს ფუძის გახმოვანების ი საფეხურს, ა ხმოვნის შემცველს (ქორად-, შქირატ-) – ფუძის გახმოვანების ა საფეხურს, ხოლო ამავე ფუძის ისეთ ვარიანტს, რომელსაც სუფიქსურ ნაწილში ხმოვანი არა აქვს (ქორდ-, შქირტ-), – ფუძის გახმოვანების **ნოლ** საფეხურს. წარმოდგენილია ფუძის გახმოვანების სამი საფეხურის (ი, ა, ნოლი) მქონე ფუძედრეკადი ზმნები:

ი საფეხური	ა საფეხური	ნოლ საფეხური	
1.			
წირიდ-	წირად-	წირდ-	„დაწრეტა“
ქორიდ-	ქორად-	ქორდ-	„ლპობა“
დირიკ-	დირაკ-	დირკ-	„დრკება“
შქირიტ-	შქირატ-	შქირტ-	„ჩაქრობა“, „შრეტა“
კირიჭ-	კირაჭ-	კირჭ-	„ღმეჭა“, „კრეჭა“
ბურიცხ-	ბურაცხ	ბურცხ-	„ხრუკვა“
ღირიკ-	ღირაკ-	ღირკ-	„მოდრეკა“, „მოხრა“
ცირიც-	ცირაც-	ცირც-	„ცრეცა“
ჩურიტ-	ჩურატ-	ჩურტ-	„ჩვრეტა“, „ჩუტვა“
2.			
ჩილით-	ჩილათ-	ჩირთ-	„ცდომა“, „ცდენა“
ჭყოლიდ-	ჭყოლად-	ჭყორდ-	„დავიწყება“
ჭყილიტ	ჭყილატ-	ჭყირტ-	„ჭყლეტა“
წყილიტ-	წყილატ-	წყირტ-	„ჭყლეტა“
ჩხილიტ-	ჩხილატ-	ჩხირტ-	„სხლეტა“, „გადაცდენა“
ზილიტ-	ზილატ-	ზირტ-	„დასრიალება“
ღილიტ-	ღილატ	ღირტ-	„ღლეტა“
სქილიდ	სქილად-	სქიდ-	„რჩენა“.

მკვლევრის დაკვირვებით, „ზოგჯერ დასტურდება **ო** გახმოვანებაც (ამგვარ ზმნებს მეტწილად აკლიათ **ნოლ** საფეხური), რომელიც აქა-იქ გამოდის, როგორც პარალელური ფორმა სხვა საფეხურისა:

ი საფეხური	ა საფეხური	ო საფეხური	
დღირიზ-	დღირაზ-	დღიროზ-	„დღლეზა“
გირიხ-	გირაზ-	გიროხ-	„გრეზა“
თხირიშ-	თხირაშ	თხიროშ-	„გლეჯა, თხლეშა“
დირიკ-	დირაკ-	დიროკ- დირკ-	„დრეკა“

ღირიკ-	ღირაკ-	ღიროკ- ღირკ-	„ღრეკა“, „მოხრა“
ცირიცი-	ცირაცი-	ციროცი- ცირცი-	„ცრეცა“
ხირციქ-	ხარციქ-	ხორციქ-	„ხლეჩა“, „ხევა“.

მეგრულ ფუძედრეკად ზმნათა ქართულთან შედარების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები: ერთი და იგივე ზმნა ფუძედრეკადია ქართულშიც და მეგრულშიც (ასეა მეტწილად):

ა) დრეკ-/დრიკ-/დრკ- – დირაკ-/დირიკ-/დირკ-, წყვედ-/წყვიდ-/წყდ- – ჭყოლად-/ჭყოლიდ-/ჭყორდ-¹⁰, ღლეტ-/ღლიტ – ღილატ-/ღილიტ-/ღირტ-, სხლეტ-/სხლიტ-/სხლტ – ცხილატ-/ცხილიტ-/ცხირტ-... დღლეზ-/დღლიზ – დღირაზ-/დღირიზ-/დღიროზ-...

ბ) მეგრულში ზმნა ფუძედრეკადია, ქართულში – არა: **-ცეთ** „შეცდომა“ – ჩილათ-/ჩილით-/ჩირთ-, **-შ(ე)თ** „დარჩენა“ – სქილად-/სქილიდ-/სქიდ-, **ყარ-** „ყარს“ – ცორად-/ცორიდ-/ცორდ-; გ) ქართულში ზმნა ფუძედრეკადია, მეგრულში – არა: კრებ-/კრიბ-/კრბ- – **კოროფ-** „კრეფა, კრება“, თქვეფ-/თქვიფ- – **თქვაფ-** „თქვეფა“, ხვრეტ-/ხვრიტ – **რხ(ვ)** „ხვრეტა“, ტკეც-/ტკი- – **ტკაჩ** „ატკეცა“, ჩხრეკ-/ჩხრიკ – **ჩხირკ-** „ჩხრეკა“ (გუდავა, 1974, 134).

შენიშვნა: მოულოდნელია **ცეთ**, **შ(ე)თ** ქართულ ფუძეთა მიჩნევა არადრეკადად; თუკი ნულხმოვნის და ხმოვნის ფუძეთა დაპირისპირება საზოგადოდ ხმოვანმონაცვლეობის (resp. ფუძედრეკადობის) ერთ-ერთ სახეობად მიიჩნევა, მაშინ ეს ფორმებიც ხმოვანმონაცვლე ზმნებად უნდა იქნას მიჩნეული (შდრ. ვცთები ~ შევცეთ, ვშთები ~ დავშეთ).

ფუძეთა არაერთგვაროვანი გახმოვანება ფაქტია, მაგრამ მეორე საკითხია ამ ალტერნაციის დატვირთვა ფუნქციური (მორფოლოგიური) როლით.

გ. ახვლედიანის მიხედვით, ხმოვანთმონაცვლეობა, რომელიც მოქმედებითი და ვნებითი გვარების ერთმანეთისაგან განსასხვავებლად გამოიყენება, გრამატიზებულია. ესაა ტიპური აბლაუტი [ახვლედიანი, 1949, 298].

დასკვნა გაკეთებულია სვან. დიგე „აქრობს“ – დეგენი „ქრება“ ტიპის მასალის ანალიზის შედეგად.

თუ ფორმათა (ამ შემთხვევაში მოქმედებითისა და ვნებითის) გარჩევა მხოლოდ ამ საშუალებით ხდება, ცხადია, აბლაუტი მორფოლოგიური ფუნქციის მქონე გამოდის, მეტიც: მისი კვალიფიცირება ცალსახად უნდა მოხდეს გვარის მარკერად.

თუ ფორმათა გარჩევაში ხმოვანთა ალტერნაცია არსებით როლს არ ასრულებს (ანუ, თუ იგი **ჭარბი ნიშანია**), ეს ალტერნაცია აბლაუტად (მისი დეფინიციიდან გამომდინარე) ვერ მიიჩნევა.

იგივე პრობლემატიკა იჩენს თავს ზანურ მასალასთან დაკავშირებითაც. ტ. გუდავა წერს: „მეგრულში ფუძედრეკად ზმნათა გვარისათვის ფუძის გახმოვანების **ნოლ** საფეხურზე დგომა უფრო არსებითიც კი ჩანს, ვიდრე ვნებითის ნიშნად **უ**-ს მიჩნევა, რამდენადაც **უ** მხოლოდ I სერიაში ჩანს, **ნოლ** საფეხური კი I-შიცა და მეორე სერიაშიც“ (გუდავა, 1974, 136).

საბოლოო დასკვნა მაინც ნეგატიურია: „ფაქტობრივ, ცხადია, ვნებითის არც ერთი ეს ნიშანი ნამდვილ ნიშანს არ წარმოადგენს. ამ ტიპის ზმნები ე. წ. უნიშნო ვნებითებია ქართულშიცა და მეგრულშიც“ (იქვე).

¹⁰ არასწორია წყვედ – ჭყოლად ფუძეთა დაკავშირება; წყვედ- ფუძის შესატყვისად მეგრულში ჭყვად- დასტურდება.

ამგვარ დაშვებას ისიც უშლის ხელს, რომ ე. წ. უნიშნო ვნებითის ფორმები არამხოლოდ ფუძედრეკადად კვალიფიცირებულ ზმნებსა აქვთ; ასე რომ, სხვა (ვთქვათ, ლურჯ „კვდება“ თურმ. I – დოღურე(ლე); შდრ. ლურჯ „სიკვდილი“...) ტიპის ზმნათა სტრუქტურაში ა არ გამოვლინდება.

ხმოვანთმონაცვლეობაზე მსჯელობისას აუცილებელი ჩანს ანალიზი ერთი სისტემის, ერთი პარადიგმის ფარგლებში (ვთქვათ, ქართული მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთ წყებაში (დრეკს/დრიკა ტიპისა) დადასტურებული ალტერნაცია ხმოვნებისა, რაც ძირითადი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთი მორფოლოგიური საშუალებაა **ფუძეთა** გასარჩევად (და, ამდენად, აქ, ასე თუ ისე, კიდევ შეიძლება ალტერნაციის ფუნქციონალურ ასპექტზე ლაპარაკი).

ასევე აქტუალური ნამდვილად არ არის იმავე გვარის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა დიფერენცირება, რომელიც სხვადასხვა მორფოლოგიურ (არაფერს ვამბობთ სინტაქსურზე) პარამეტრებს ემყარება.

ასევე არ არის აქტუალური ზმნის პირიანი და უპირო ფორმების გარჩევის საკითხი, იმდენად, რამდენადაც იმავე უპირო ფორმებს გარკვეული წესი აქვთ წარმოებისა, განსხვავებული პირიან ფორმათა წარმოების წესისაგან.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ, რომ სპორადულად ზმნის პირიანი ფორმა და შესაბამისი მასდარი აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს ფორმის თვალსაზრისით, მაგრამ ამ შემთხვევაში აბლაუტის ან სხვა მექანიზმი რატომღაც არ მუშაობს (ვგულისხმობთ **წერა** მან ის – **წერა** (მასდ.) სახის მორფოლოგიურ ომონიმას (შდრ. კრეფს – კრიფა და მასდ. – კრეფა).

ამის აუცილებლობა სწორედ იმიტომ არ ჩანს, რომ ეს ერთეულები სხვადასხვა **მორფოლოგიური სისტემის წევრები არიან.**

„გრეხს ~ გრიხა დაპირისპირება, ანუ მორფოლოგიური სისტემის **აწმყო ~ წყვეტილი** დაპირისპირება მაშინ იქნებოდა აბლაუტის ძირითადი მახასიათებელი, – წერს თ. უთურგაიძე, – მის გვერდით რომ არ იყოს **წერს ~ წერა** ტიპის წყვილები, რომელთაც არ ახასიათებს ფუძის დრეკა, მაგრამ აბსოლუტურად იმავე ტიპის დაპირისპირებას გვიჩვენებენ ყველა გრამატიკული პარამეტრის მიხედვით, რაც **გრეხს ~ გრიხა** დაპირისპირებაში გვაქვს. იმიტომ **გრეხს ~ გრიხა** წარმოადგენს **წერს ~ წერა** მიმართების ქვეტიპს: **წერს ~ წერა** წყვილში დაპირისპირება **აწმყო ~ წყვეტილი** ხდება სუბიექტური მესამე პირის -ს ~ -ა სუფიქსთა მორფოლოგიურად შეპირობებულ დამატებით დისტრიბუციაზე დამყარებით: -ს (S₃) სუფიქსით დაბოლოებული ფორმა აწმყოა, -ა (S₃) სუფიქსიანი – წყვეტილი. ეს წესი საერთოა **წერს ~ წერა** და **გრეხს ~ გრიხა** ტიპებისათვის... ამ დაპირისპირებაში ფუძის დრეკა **ჭარბი ნიშანია**; ამით გამოიყოფა **გრეხს ~ გრიხა** ძირითად ჯგუფს, სადაც არსებითია -ს ~ -ა დაპირისპირება, რომელიც ყველა ჯგუფს მოიცავს“ (უთურგაიძე, 2002, 123).

მეგრულში **დრეკს/დრიკა** ტიპის ანალოგიური ფორმოზომიერი ოპოზიცია მოქმედებითი გვარის ზმნებში **საერთოდ არა გვაქვს**. ე. წ. ი-საფეხურიან ფუძედრეკად ზმნას **მთელ პარადიგმაში** ეს ი ექნება; ამის ილუსტრაციაა თავად ტ. გუდავას მიერ წარმოდგენილი ზოგადი პარადიგმატული სურათი:

აწმყო	ქორიდ-უნს	„ალპობს“
ნ. უსრ.	ქორიდ-უნდუ	„ალპობდა“
კავშ. I	ქორიდ-უნდას	„ალპობდეს“
აორისტი	ქორიდ-უ	„ალპო“

კავშ. II	ქორიდ-ას	„აღპოს“
აწმყო	ჩილით-უნ-ს ¹¹	„აცდენს“
ნ. უსრ.	ჩილით-უნდუ	„აცდენდა“
კავშ. I	ჩილით-უნდას	„აცდენდეს“
აორისტი	ჩილით-უ	„აცდინა“
კავშ. II	ჩილით-ას	„აცდინოს“.

მკვლევრის დაკვირვებით, „თურმეობითებს ი საფეხურზე მდგომი ფუძეები (მოქმედებითი გვარისა) წესიერად აწარმოებენ (თურმ. I უქორიდ-უ(ნ) „ულპია“, უჩილით-უ(ნ), „უცდენია“... თურმ. III ნოქორიდ-უ-ე(ნ) „თურმე აღპობდა“, ნოჩილით-უ-ე(ნ) „თურმე აცდენდა“). **ნოლ** გახმოვანების ფუძეები კი (ვნებითი გვარის ზმნები) თურმეობითის მწკრივებს აწარმოებენ განსხვავებული, გახმოვანების ა საფეხურზე მდგომი ფუძით: თურმ. II ქორად-ე-დ-უ „თურმე დამპალა“, მე-ჩილათ-ე-დ-უ „თურმე შემცდარა“... ამრიგად, დასძენს მკვლევარი, – ფუძედრეკადი ზმნის ფუძე გახმოვანების ი საფეხურზე დგას მოქმედებით გვარში, ნოლ საფეხურზე – ვნებითში. ფუძის გახმოვანება აქ გვარის ნიშნად გამოიყურება“. გახმოვანების ა საფეხურზე მდგომი ფუძე გამოყენებულია ნაზმნარ სახელებში – მასდარში, მიმღობებში და, როგორც ვნახეთ, თურმეობითებში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ეს საფეხური (ა გახმოვანება) ენაცვლება **ნოლ** გახმოვანებას“ [გუდავა, 1974, 136].

„საერთო-ქართველურ ცალმორფემიან ფუძედრეკად ზმნათაგან, – აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, – მეგრულ-ჭანურმა მხოლოდ გარდაუვალი ვარიანტები („უნიშნო ვნებითები“) შემოინახა... სათანადო გარდამავალი ფორმები კაუზატიურად იწარმოება“ [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 206].

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საანალიზო გარდაუვალი ფორმების შესატყვისი გარდამავალი ფორმები ზანურში სამი ტიპისაა:

1. ის ზმნები, რომელთაც ა. შანიძე ფუძედრეკადებს უწოდებს და სერიათა მიხედვით (მოქმედებითი გვარის პარადიგმაში) ე/ი მონაცვლეობით გამოირჩევიან, ზანურშიც ცალკე ჯგუფს ქმნიან. ესენია: **ღირიკუნს, წირიდუნს, შქირიტუნს, ღირიკუნს, ჭყილიტუნს, ქორიდუნს...** უკანასკნელი ფორმა ქართულთან შეპირისპირებისას **-დ** ელემენტით გამოირჩევა (შდრ. ქართ. ყარს, აყროლებს; ითარგმნება როგორც „აღპობს“), წარმოდგენილი ზმნა ამკარად აქტივია შინაარსით, თანაც ეს **-დ** ელემენტი მას მესამე სერიაშიც გადაყვება, ასე რომ, იგი წარმოადგენს არა ვნებითის ნიშანს, არამედ ისეთსავე კონსონანტურ სუფიქსურ ელემენტს, როგორცაა სხვა შემთხვევებში **კ (იკ), ტ (იტ)** და სხვ.

2. კაუზატიური წესი წარმოებისა აქვთ ცალმორფემიანი „უნიშნო ვნებითების“ უმრავლესობას: ხუმუ („ხმება“) – ოხუმუნს („ახმობს“), ფურუ („ხურდება“) – ოფურუნს („ახურებს“), დინუ („იკარგება“, ეტიმ. „დნება“) – ოდინუნს („კარგავს“, ეტიმ. „ადნობს“).

3. იშვიათად გვხვდება სუპლეტური წარმოება: ღურუ („კვდება“–ქვილუნს („კლავს“), ხორცქუ („სკდება“, „იხევა“, „წყდება“) – სოფუნს („ხეთქავს“, „ხევის“, „წყვეტს“).

„კოლხურში, წერს კ. დანელია, – ვნებითი გვარის ფუძე რედუქციას განიცდის, მოქმედებითისა კი – არა. მაგალითები: **შქირიტ-უნ-ს** „აქრობს“ („შრეტს“) და **შქირტ-უ(ნ)** „ქრება“ („შრტება“), **ღირიკ-უნ-ს** „დრეკს“ („დრიკავს“) და **ღირკ-უ(ნ)** „იდრიკება“ („დრკება“),

¹¹ ჩილითუნს, ჩილითუ... ხელოვნურ ფორმებს ჰგავს; ყოველ შემთხვევაში ტექსტებში ასეთი ფორმები არ დასტურდება.

წირიდ-უნ-ს „წრეტს“ („წრიტავს“) და **წირდ-უ-(ნ)** „იწრიტება“ („წრდება“). ამ ტიპის ზმნათა თავისებურება ის არის, – განაგრძობს მკვლევარი, – რომ მათ ვნებითის ახალი, პარალელური, პრეფიქსიანი ფორმებიც ეწარმოებათ. ამ შემთხვევაში ვნებითს ფუძე მოქმედებითთან საერთო ექნება“ (დანელია, 1976, 167).

წარმოდგენილ მსჯელობაში არაფერია ნათქვამი ფორმათა მიმართებაზე წარმოების თვალსაზრისით, მაგრამ საინტერესო იმ მხრივაც იგი, რომ ვნებითის ფორმები რედუცირებულად მიიჩნევა (თუმცა არ არის დაკონკრეტებული, რომელი ხმოვანი უნდა ამოვარდნილიყო სათანადო ფუძიდან).

ჩვენი აზრით, **ნული** გახმოვანების (რედუცირებულ) ფუძეებში უნდა აღვადგინოთ ის ა ხმოვანი, რომელიც თურმეობითებში ჩანს: **წირდ-** < ***წირ-ად-** „იწრიტება“ (დოწირადე „დაწრეტილა“, **ნოწირადეუ** „თურმე იწრიტებოდა“), **დირკ-** < ***დირაკ-** „იდრიკება“, **შქირტ-** < ***შქირატ-** „იშრიტება“...

ეგვევ ა გახმოვანება ჩანს ზმნის უპირო ფორმებში: წირადა – წირადილი, დირაკა – დირაკილი, შქირატა – შქირატილი...

ა გახმოვანება ზანურში III-IV სერიის ფუძეებსა და ზმნის უპირო ფორმებში (მასდარებსა და მიმღებობებში) იჩენს თავს, რაც, ბუნებრივია, ურთიერთკავშირშია განსახილველი. ამ შემთხვევაში ა გახმოვანება (დირაკ/უ/ა, დირაკილი, გოდირაკე) ქართული ე გახმოვანების ფარდია (შდრ.: დრეკა, დრეკილი, დრეკილა).

აწმყოს ფუძეში ნულოვანი გახმოვანება ისევე იხსნება რედუქციის საფუძველზე, როგორც ქართულში (დრეკება > დრკება).

რაც შეეხება **დირიკუნს**, **წირიდუნს** ტიპის ზმნებს, მათი უშუალო ამოსავალი ფორმები არ შეიძლება იყოს სათანადო გარდაუვალი ცალები; ანუ: **დირიკუნს** ვერ მიიღება **დირკუ-** საგან, არც **წირდუ** ფორმა ამოსავალი **წირიდუნს** ფორმისათვის და ა. შ. ეს ფორმები ქართული გათემატურებული ფუძედრეკადი ზმნების ზუსტი სტრუქტურული (და არამხოლოდ სტრუქტურული) შესატყვისობებია: **დრიკავს – დირიკუნს**, **წრიტავს – წირიდუნს**, **შირიტუნს – დრიკავს**, **დრიკუნს**, **ჰყლიტავს – ჰყლიტუნს**...

საინტერესოა **წყვედ-** ფუძის წარმოების თავისებურებები: მისი ზანური ფონეტიკური შესატყვისობაა **ჰყვად-**, რომელიც მოქმედებითი გვარის აწმყოს ფორმას **ჰყვად-უნ-ს** სახით წარმოგვიდგენს, რაც ქართული **„წყვეტ-ავ-ს“** ფორმის მორფო-ფონეტიკური შესატყვისია. პარალელურად დასტურდება **ჰყვიდ-უნ-ს**, – ეს უკვე მოქმ. გვარის ზმნათა წარმოების საერთო წესის მიხედვით გაკეთებული ფორმაა (შდრ. ქართ. **წყვიტ-ავ-ს**).

აღსანიშნავია, რომ სათანადო „უნიშნო ვნებითის“ ფუძეში **ო** გახმოვანება გვექნება: **ჰყორდუ** (რ განვითარებულია **დ-ს** წინ, **-ო** კი ვა კომპლექსის რეფლექსი ჩანს).

ა გახმოვანების მქონე მასდარები არქაულადაა მიჩნეული. აღნიშნულია, რომ ამგვარ მასდართა პარალელურად ფუძე-დრეკად ზმნებს გამოყენებული აქვთ გახმოვანების ი საფეხურზე მყოფი ფუძისაგან ნაწარმოები მასდარიც. ასეთი მასდარი მუდამ უ თემიანია და მოქმედებითი გვარის შინაარსისაა, რითაც უპირისპირდება ზემოთ განხილულ ფორმებს (ქორად-ა, ჩილათ-ა), რომლებიც გვარის თვალსაზრისით ნეიტრალურნი არიან (ან ვნებითი შინაარსის, თუ ი ფუძიან მასდარებს დავუპირისპირებთ), მაგ.: ქორიდ-უ-ა „დალპობა“ (ძალით, საგანგებოდ), შდრ. ქორად-ა „ლპობა“, ჩილით-უ-ა „გაცდენა, შეცდენა“ (ძალით, საგანგებოდ), შდრ. ჩილათ-ა „ცდენა, ცდომა“, შქირიტ-უ-ა „ჩაქრობა“ (მოქმედებითი გვარი), შდრ. შქირატა „ქრობა“ (არა მოქმ.) და მისთ. [იხ. გულავა, 1974, 137].

უფრო ადრე ვ. თოფურიაც მიუთითებდა, რომ „მეგრულში მორფოლოგიური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა უნდა გვექონდეს საერთო ძირის მქონე მოქმედებით და ვნებით ზმნებსა თუ ნაზმნარ სახელებში, როგორცაა: შქირიტუა „შრეტა“, შქირატუა „შრტომა“ [თოფურია, 1941, 62].

ზმნის უპირო ფორმათა დაპირისპირება აქტიურობა-პასიურობის მიხედვით ანარეკლია მათი ამოსავალი პირიანი ფორმების სათანადო მორფოლოგიური შინაარსისა: მოქმე-დებითი გვარის ზმნის მასდარი სახელია აქტიური შინაარსის ზმნისა, ამდენად, ეს ფორმა სათანადო ამოსავალი ფუძის სტრუქტურას (და შინაარსს) წარმოაჩენს;

ასევე: პასიური შინაარსის პირიანი ფორმა იქნება ამოსავალი სათანადო მასდარისთვის, თუმცა ამგვარი პასიური (თუ ნეიტრალური) შინაარსის გამოხატვა უპირო ფორმით უფრო ძნელად (და უიშვიათესად) ხდება, ამგვარი ფორმალურ-სემანტიკურ დაპირისპირების შემთხვევები თითზე ჩამოსათვლე-ლია, მას სისტემის სახე არა აქვს. ამ შემთხვევაში წარმოდგენილ ერთეულთა სემანტიკური დიფერენცირებისათვის სხვა ფორ-მალური (resp. გრამატიკული) ნიშანი არ ჩანს, ამდენად, *o* ~ *a* მონაცვლეობას ფუნქციონალურ დატვირთვა აქვს. თუმცა, როგორც აღინიშნა, ამგვარი ხმოვანთმონაცვლეობა ერთობ სპორადულად დასტურდება, ამდენად, მისი გრამატიკული ღირებულება პრაქტიკულად ნულია.

ასე რომ არ ყოფილიყო (შქირიტუა – შქირატუა ოპოზიციას სისტემის სახე რომ ჰქონოდა), მაშინ ამ (ზმნის უპირო ფორმის) მიკროსისტემაში დადასტურებულ ხმოვანთმონაცვლეობას ნამ-დვილად ექნებოდა ფუნქციონალური მორფოლოგიური ღირებულება და თავად ამ მოვლენას შეიძლებოდა აბლაუტის კვალიფიკაცია მისცემოდა.

ამგვარ მსჯელობას კიდევ უფრო ამყარებს ტ. გუდავას დაკვირვებაც: „გახმოვანების ა საფეხურზე მდგარი ფუძეა გამოყენებული მიმდებარებულშიც, თუმცა აქ დასაშვებია *o* საფეხურზე მდგარი ფუძის ხმარებაც. ამ ორი ფორმის მნიშვნელობა ზოგჯერ მთლად იდენტური არ არის. მაგ., აწმყო დროის მიმდებარებაში გვაქვს *ma-ora-d-a-l-i* // *ma-ori-d-a-l-i* „დამპობი“, *ma-ori-l-a-t-a-r-i* // *ma-ori-l-i-t-a-r-i* „გამცდენი“. აქ უფრო გავრცელებულია *o* გახმოვანება. ნამყო დროის მიმდებარებაში *a* გახმოვანების ფუძეა უფრო ბუნებრივი: *o-ora-d-i-l-i* „დამპალი“, *o-ori-l-a-t-a-r-i* „შემც-დარი“. დასაშვებია *o-ori-d-e-l-i* და *o-ori-l-i-t-a-r-i* (*o* ხმოვნით). ისინი აქტიური მოქმედების შედეგს გადმოსცემენ (მაგ., ქართ. „დალპობილი“, „შეცდენილი“). ასევე: ნაქორადა, ნაჩილათა... ნაქორიდა, ნაჩილითა... „ნალპობი“, „ნაცდენი“. მყოფადი დროის მიმდებარებაც ორივე (*a*, *o*) გახმოვანების ფუძეს იყენებს: *o-ora-d-a-l-i*, „სალპობი“, *o-ori-l-a-t-a-r-i* „საცდენი“, შდრ. *o-ori-d-a-l-i*, *o-ori-l-i-t-a-r-i*... აქ ხაზგასმულია აქტიური მოქმედება“ [გუდავა, 1974, 137].

ფაქტია, რომ ხმოვანთა მონაცვლეობას (დრეკ-დრიკა) ქართულში **ფორმათგანმასხვავებელი ფუნქცია არ გააჩნია**, ამდენად, ეს ალტერნაცია ძნელად დასაკავშირებელი ჩანს აბლაუტთან (მისი კლასიკური გაგებით).

ცხადია, ამის განცხადება არ ნიშნავს იმას, თითქოს ამ მონაცვლეობის საფუძველი საერთოდ არ არსებობდეს.

ზანურში უფრო მარტივად წყდება საკითხი, – **დრეკს ~ დრიკა** ტიპის ხმოვანთმონაცვლეობა და ფორმათმონაცვლეობა აქ საერთოდ არ დასტურდება **ერთი პარადიგმის ფარგლებში**.

II.8.2. აორისტი მეგრულ-ლაზურში.

აორისტის (და საერთოდ, მეორე სერიის) ფუძე სტრუქტურულად გამარტივებულია პირველი სერიის ფუძესთან შედარებით; მთავარი მადიფერენცირებელი ელემენტია თემის ნიშანი, რომელიც პირველი სერიის ფორმებში ვლინდება, მაგრამ არა აქვს მეორე სერიის ფორმებს.

მეგრული:

გაკეთეს პირობეფი, დოჭარეს, მანგარო შეამოწმეს (ყიფშ., 4) „გაკეთეს პირობები, დაწერეს, მაგრად შეამოწმეს“; იშაგორილი კოჩეფქუ გაგმიძის (ყიფშ., 5) „გამორჩეულმა კაცებმა გამოიძიეს“; დათაქ დეეთანხმუ (ყიფშ., 17) „დათა დაეთანხმა“; ნდიიქ დოჯვილგ ლეჯეფი, დოხაშე დო ტაბაკისგ ქიგლანწკარგ (ყიფშ., 17) „დევმა მოკლა ღორები, მოხარმა და ტაბაკზე დააწყო“; ოჩუქებელი ხოლო გაგმანწყის (ხუბ., 33) „საჩუქებელიც გამოაწყვეს“; ენეფი შქას გორთეს (ხუბ., 32) „ესენი შუაზე გაყვეს“; გომირთი სიმინდია (ხუბ., 48) „გამიყავი სიმინდით“; ოსურქ ოჩინუ, ნამუდა... (ხუბ., 22) „ქალმა დააბარა, რომ...“; ტორონჯო გინირთინუ დუდი (ხუბ., 130) „მტრედად გადაიქცია თავი“; ოკურქუ დო ჟირხოლო ზაბორეფს ქასხაპინუ (ხუბ., 37) „მოუქნია და ორივე ღობეზე („ზაბორზე“) გადაახტუნა“; მასუმა დღას მასუმა ცხენით ქემორთგდო ქეშასხაპინუ (ყიფშ., 45); „მესამე დღეს მესამე ცხენით მოვიდა და აახტუნა“; მოლეედეს ღურელი დო ირ დიხა დაალინესგ (ყიფშ., 53) „წამოიღეს მკვდარი და ყველა ადგილი მოატარეს“; ვარიაქე ავა ნდემცგთი ვა გააბედინუ (ყიფშ., 65) „უარი დევმაც ვერ გაბედა“; ლურქ ქუმანდომინუ ძღაბის (ყიფშ., 102) „ძილი მოუნდა გოგოს“; ივანე დათუაშვილი ქიგიოდვია სქუასია, უწუ (ხუბ., 113) „ივანე დათუაშვილი დაარქვიო შვილსო, უთხრა“; სუმი ხოლო ჩქიმი ბაღანეფი შემეწირებუ, – თქრ ფენიაქ (ხუბ., 93) „სამივე ჩემი შვილი შემეწირავს, – თქვა ფენიამ“; [შდრ.: თქოუ: ...ქემორთუ კოჩქე დო თქოუ (ყიფშ., 105) „მოვიდა ერთი კაცი და თქვა“; ნდემიში მორდილქე შური გაწოთინაფუუ ნდემც (ყიფშ., 63) „დევის გაზრდილმა სული გააფრთხოვინა დევს“; მუჭო ფურკი გეიოდგინაფუუ ქუას (ყიფშ., 40) „როგორც კვამლი აადენინა ქვას“; ჭიჭე ხანიში უკული ფარა ქიდატებაფუუ (ყიფშ., 8) „ცოტა ხნის შემდეგ ფული დაატოვებინა“; სანარტიაქ თი ოსურიში ქომონჯი... ჩირს ქემაწონაფუ დო მუში ხეთ ძალამი გაბონაფუუ დო სადიდკოჩო მუკოქუნალით გაგმანწყაფუ დო ქემკააქუნაფუუ (ყიფშ., 52) „სანატრიამ იმ ქალის ქმარი ... ცოლს მოაყვანინა და თავისი ხელი კარგად დააბანინა და სადიდკაცო ტანსაცმლით გამოაწყოვინა და ჩააცმევინა“; ე ბოშიქ მიოგუ მართახი – ოხვამეთ გინართინდ (ხუბ., 52) „ამ ბიჭმა ჰკრა მართახი – სალოცავად გადააქცია“; ვემგახვარინე მუთუნი სიავა (ხუბ., 121) „ვერ მომეხმარები ვერაფერს შენო“...

ლაზური:

ნანა-მუშიქ ობეჯღინუს ქოგოჭკუ (ჩიქ., II, 16) „დედამისმა ყვირილი დაიწყო“; ნან-დიდი მუშიქ ქოგონჯირუ ოწწელის (ჩიქ., II, 57) „ბებიათისმა ჩააწვინა აკვანში“; ბუძი ქოფჩი ბეეს (ჩიქ., I, 122) „ბუძე მივეცი ბავშვს“; ა ბერექ აშოთენ დიდო ფარა მოგუ (ჩიქ., I, 66) „ამ ბიჭმა ამგვარად ბევრი ფული მოიგო“; ბოზო ვა გოკუნცხინუ (ჩიქ., II, 35) „ქალი არ გააღვიძა“; ბაბა მუში დობახუ (ჩიქ., I, 111) „მამამისი სცემა“; კავე ვა გემიბეს (ჩიქ., II, 55) „ყავა არ დამისხეს“; ეჩი ნდღამ-კულე არ-კატი დობბერგი (ჩიქ., II, 31) „ოცი დღის შემდეგ ერთგზის გავთოხნე“; ვით ნდღამ ოკაჩხე მაჟუანი ობერგუ ქოგევოჭი (ჩიქ., II, 105) „ათი დღის უკან მეორედ გათოხნა დავიწყე“; ჰაშო ბიჭეფექ იბირეს (ჩიქ., II, 66) „ასე ყმაწვილკაცებმა იმღერეს“; კოჩი დობონუ (I, 41) „კაცი დაბანა“; კაი-თი პიჯი დოიბონი, ნუნუ დოიბონი, გჳარი ქოპჭკომი (ჩიქ., I, 93) „კარგადაც პირი დავიბანე, სახე დავიბანე, საჭმელი ვჭამე“; ლაზუტი გამაჩეს დო ფარა მოგეს (ჩიქ., I, 51) „სიმინდი

გაყიდეს და ფული მოიგეს“; გზას ემედენი ია მთუთი **ქონაგუ** (ჩიქ.,I, 42) „გზაზე უცებ ის დათვი შეხვდა“; მა დაჩხური **ქოდობოჯი...** რიზა – **ქოდვოჯუ** (ჩიქ.,II, 115) „მე ცეცხლი დავანთე... რიზამ – დაანთო“; ჯამიშიში საჰიბიქ **ქოგნუ** (ჩიქ.,II, 12) „კამეჩის პატრონმა გაიგო“; ოკაჩხე ხოწი **დიჯიბუ** (ჩიქ.,II, 76) „მერე ხორცი მოიხარშა“; სუფრა **დოხაზიუ, ქოდოდგუ,** ჩხომი **ქოგედგუ** სუფრას (ჩიქ.,I, 17) „სუფრა გამოაწყო, დადგა, თევზი ზედ დადგა“; კიში **დოდგითუ** (ჩიქ.,I, 43) „ზამთარი დადგა“; გზას გედგითუ დო ნიტუ (ჩიქ.,I, 50) „გზას დაადგა და მიდიოდა“; მუში მენდილი **ქოდუდუ** (ჩიქ.,II, 35) „თავისი მანდილი დაუდო“; არ ბოჰკა **გედუ** დო **მენდილუ** ნოლაშე (ჩიქ.,II, 43) „ერთი ბოჰკა დადო ზედ და წაიღო ქალაქში“; ბაბა ჩქიმიში აერი **გონდუნუ** (ჩიქ.,II, 23) „მამაჩემის ადგილი დაიკარგა“; ართელიში აინემა ბიდი (ჩიქ.,II, 23) „ერთის ნაცვლად მე წავედი“; **ეზდეს** თილჩი დო ჩხომეფეში ორთას **ქოგოშადვეს** (ჩიქ.,II, 11) „აიღეს მელია და თევზების შუაში ჩადვეს“; ჩალა **დოჰჰკორი, დობზიდი...** (ჩიქ.,II, 31) „ჩალა მოვჭერი, მოვზიდე“; ფარა **დოზუმუ** (ჩიქ.,II, 96) „ფული დაზომა“; **დოთანუ.** ბოზომოთა ვა **გოკუცხუ** (ჩიქ.,II, 125) „გათენდა. ქალიშვილმა არ გაიღვიძა“; დიდო მთვირი **დომთუ** (ჩიქ.,I, 96) „დიდი თოვლი დადო („დათოვა“)“; ჩქინ არდაშიქ... **თქუ** (ჩიქ.,I, 89) „ჩვენმა ამხანაგმა თქვა...“; მსვავე **გონთხუ** დო ზოი **დიყურუ** (ჩიქ.,I, 82) „ფრთები გაშალა და ძლიერ დაიყვირა...“; **კვათუ, კვათუ** დო ყა **მეტუხუ** (ჩიქ.,I, 9) „ჭრა, ჭრა და ტოტი მოტყდა“...

ქართულში აორისტის I-II პირის ფორმებს ორნაირი დაბოლოება აქვს: ზმნათა დიდ ნაწილს -ე სუფიქსი უდასტურდება, მცირე ნაწილს – -ი:

„ნამყო ძირითადში (აორისტში) ყველაზე გავრცელებულია, მასთან ძველი სუფიქსია -ე (ვაკეთე, ვაშენე, ვხატე, ვთესე, ვასწორე, ვზარდე, ვნახე... შედარებით ნაკლებად გავრცელებულია -ი: გავწითლდი-ი, გავფითრდი-ი, შევწუხდი-ი, გავთბი-ი, ვთქვი-ი, ვსვი-ი, ავდექი-ი, დავწექი-ი, გავხსენი-ი... (ისეთ ზმნებში, როგორცაა: ვსვი-ი, ვთქვი-ი, ავდექი-ი, დავწექი-ი, გავხსენი-ი... -ი ბოლოსართი მეორეულია და შედარებით ახალი)“ [ჩიქობავა, 1950, 062].

დგება საკითხი, ერთი მხრივ, ამ სუფიქსების წარმომავლობის, ხოლო მეორე მხრივ, იმის შესახებ, არსებობს თუ არა რაიმე კანონზომიერება, რის მიხედვითაც მონაცვლეობს ეს ორი სუფიქსი; ანუ: რა შემთხვევაში გვაქვს -ე და რა შემთხვევაში -ი. ამასთან დაკავშირებით აკაკი შანიძე წერს:

„ქართულში წყვეტილს „მწკრივის ნიშანი არა აქვს, ან, თუ აქვს, ეს ნიშანია ე, უნიშნო წყვეტილი გარკვეული ჯგუფის ზმნებს ახასიათებს (მეტად მცირერიცხოვანს), დიდ უმეტესობას კი მწკრივის ნიშნად -ე მოუდის... აწმყოს არა აქვს ნიშანი საზოგადოდ მოქმ. გვარის ზმნებში, წყვეტილს კი ნიშანი არა აქვს გარკვეულ ზმნებში, რომლებიც უხსოვარი დროიდან აქვს ენას შემონახული. თუ ამ ზმნებს ფუძე I სერიაში შეკუმშული ჰქონდა, აქ იგი გაეშლება. ეს გაშლილი ფუძე პირველსა და მეორე პირში დაჩნდება, მესამეში კი – არა, რადგანაც პირის ნიშანთა დართვის გამო ისევ შეეკუმშება. ამ ჯგუფის ზმნათათვის დამახასიათებელია ნართაული ი, რომე-ლიც თანხმოვანთ გასაყარად არის გაჩენილი მრავლობითში და იქიდან მხოლობითშია გადმოსული. ეს ი დღეს მხოლო-ბითისათვის აუცილებელია უმარცვლო ფუძეებში, სხვებში კი აუცილებელი არაა, თუმცა მისი დართვა ჩვეულებრივია. თუ ამ ნართაულ ინს მწკრივის ნიშნად ჩავთვლით (ისიც, რა თქმა უნდა, პირობით) შეგვიძლია ვთქვათ, რომ წყვეტილის ნიშანია ი ან ე. ...ზმნები, რომლებიც წყვეტილში მწკრივის ნიშნად ნართაულ ი-ს მიიღებენ, შემდეგია:

ა) ამიანთაგან ყველა გამოუკლებელივ: დავაბამ, დავაბი, შევსვამ, შევსვი, დავდგამ, დავდგი, ჩავიცვამ, ჩავიცვი და მისთ... ბ) ამიან ზმნათა თვისებას იზიარებს ზმნები ორი ავიანი ფუძისა: ვწვაგ – ვწვი, ვფქვაგ – ვფქვი და ერთი ებ-იანისა: ვუშვებ – ვუშვი... გ) ათიოდე ავ

თემისნიშნის ზმნას ფუძე გაეშლება და გამოჩნდება ხმოვანი: ვთხზავ – შევთხზა (ძვ. ქ.), ვხზავ – დავხაზე (ძვ. ქ.), ვკლავ – დავკალ, ვკრავ – შევკარ... ამავე ჯგუფს უერთდებიან: ებ: ვასწრებ – დავასწარ, მო-, მი- ... ობ: ვიპყრობ – დავიპყარ, შე- ...ვიცნობ – ვიცან, გა- ... ოფ: გავყოფ (გავყვ[ყოფ)– გავყავ; დ) რამდენიმე ცალკე მდგომ ფუძეთა ზმნებს აღუდგება ფუძეში ე; ესენია: ავ: ვიცავ (*ვიცავ)– დავიცავ; ებ: ვდებ (*ვდებ)– დავდე, ვაკლებ – ვაკელ (და-ვაკელ), ვძლებ – შე-ვძლებ, გავძლებ, ვახლებ – ვახელ; ობ: ვშობ (*ვშობ)– ვშევ (ძვ.ქ.); ე) ინიანი და ობიანი ზმნების შეკუმშულ ფუძეთაგან აქ შემოდის ისეთები, რომლებიც ე ხმოვანს აღიდგენენ. ამ ზმნებს ფუძის ბოლოკიდურად აქვთ ნ ან რ: ნ: ვამყენ – ვამყენ, ვღრღნი – დავღრღენ, ვრყენი – გავრყენ... რ: ვ-ფხვრი – აღმოვფხვერ, ვჭრი – გავჭერ, ვ-ცრი – გავცერ... გ, დ, ე მუხლებში მოყვანილ ზმნებს არსად არ უზის ნართაული ი, მაგრამ ის შეიძლება დაერთოს, შეიძლება არა: დავკალ და დავკალი... გავხსენ და გავხსენი... ეს ნართაული ი დღეს აუცილებელია მრავლობითში: დავკალით, შევკარით, ვუძღვენი და მისთ.“ [შანიძე, 1980, 426-429].

-ე სუფიქსთან დაკავშირებით აღნიშნულია: „დიდი უმეტესობა მოქმ. გვარის ზმნებისა წყვეტილის ნიშნად ე-ს გვიჩვენებს, რომელიც მხოლოდ პირველსა და მეორე სუბ. პირში ჩანს, მესამეში კი პირის ნიშნები უშუალოდ ერთვის ფუძეს. აქ შემოდის: ა) ერთ-თემიანი ზმნები ყველა: ვწერ – ვწერე, ვტებ – ვტებე და სხვები; ბ) ხმოვან-მონაცვლე ყველა (მათ შორის ევიანებიც): ვგრებ – ვგრიხე, ვჟღებ – ვჟღიტე, დავლევ – დავლიე და სხვები; გ) ინიანთაგან ყველა, გარდა ზემოთ (ამავე პარაგრაფის 1, ე მუხლში) ჩამოთვლილებისა: ვთლი – ვთაღე, ვთოხნი – ვთოხნე და მისთ.; დ) ავიანთაგან ყველა, გარდა ზემოთ (1, ე მუხლში) ჩამოთვლილებისა: ვხატავ – დავხატე, ვმართავ – გავმართე და მისთ.; ე) ებიანთაგან თითქმის ყველა, რამდენიმეს გამოკლებით (ვდებ, ვასწრებ, ვაკლებ, ვახლებ, ვუშვებ: 1, ბ, გ, დ): ვაკეთებ – ვაკეთე, ვაშენებ – ვაშენე და მისთ. ამათვე განეკუთვნება, რა თქმა უნდა, ყველა შუალობითი კონტაქტის ზმნა: ვაკეთებინებ – გავაკეთებინე და მისთ. ობიანი ზმნები ყველა, ორიოდეს გარდა (ვგრძნობ, ვცნობ): ვათობ – ვათბე, ვახმობ – ვახმე და მისთ.“ [იქვე, 429].

წარმოდგენილ მსჯელობაში -ე-სა და -ი-ს განაწილების საკითხთან დაკავშირებით აქცენტი გაკეთებულია სამ სხვადასხვა მომენტზე:

თემის ნიშნებზე („ნართაულ -ი-ს მიიღებს „ამიანთაგან ყველა...“);

გვარზე („დიდი უმეტესობა მოქმ. გვარის ზმნებისა წყვეტილის ნიშნად ე-ს გვიჩვენებს“...);

ფუძის მარცვლიანობაზე („ეს ი დღეს მხოლოდითისათვის აუცილებელია უმარცვლო ფუძეებში“...).

საბოლოო მკაფიო სურათი მაინც არ იკვეთება – როდის გვექნება სუფიქსად -ი და როდის – ე?

კიდევ ერთი საკითხია საგულისხმო: აკაკი შანიძე მწკრივის ნიშნად მიიჩნევს -ე სუფიქსს („ქართულში წყვეტილს „მწკრივის ნიშანი არა აქვს, ან, თუ აქვს, ეს ნიშანია ე“). -ი სუფიქსი, „ნართაული -ი“ მისთვის თანხმოდანთგასაყარია და მხოლოდ პირობითად შეიძლება ჩაითვალოს მწკრივის ნიშნად.

ამასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ეს -ი სუფიქსი, მისი წარმომავლობის მიუხედავად დღეს, სინქრონიულ დონეზე, ფორმათა გარკვეულ ნაწილს აორისტში ისევე სჭირდება, როგორც -ე; -ი პრაქტიკულად გვხვდება ყველა შემთხვევაში, როდესაც არა გვაქვს -ი.

ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შორის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაა (მხოლოდ, ამ დისტრიბუციის საფუძველი არ არის ჯერ კიდევ ბოლომდე დაზუსტებული). აქედან გამომდინარე, ლოგიკურია მათი ფუნქციონალური თვალსაზრისით გაიგივება: თუ -ე

არის მწკრივის (ნაკვთის) ნიშანი, ეს ფუნქცია აქვს -ი სუფიქსსაც. -ი სუფიქსი ისევე საჭირო და აუცილებელია წყვეტილის (აორისტის) საწარმოებლად, როგორც -ე.

ასე რომ, შეიძლება -ი სუფიქსის სტატუსზე მსჯელობა როგორც აორისტის ნიშანზე ყოველგვარი პირობითობის გარეშე (**დავკალ – დავკალი** სახის წყვილებიდან ბოლო ვარიანტებმა უკვე გაიკვალა გზა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, – აღარაფერს ვამბობთ **შევთხაზ – შევთხზე** ტიპის წყვილებზე).

-ი სუფიქსი, რომელიც აორისტში ვლინდება, მისი წარმომავლობის მიუხედავად არის ნაკვთის (მწკრივის) ნიშანი. **მის გარეშე გვექნება აორისტის ფუძე (გათბ-, გაუშვ-...), მაგრამ არ გვექნება აორისტის ნაკვთი, – ისევე, როგორც -ე-ს გარეშე გვექნება აორისტის ფუძე (აკეთ-, აშენ-...), მაგრამ არ გვექნება აორისტის ნაკვთი.**

გ. გოგოლაშვილი სადავოდ მიიჩნევს აორისტში გამოვლენილი -ი ელემენტის ყველა შემთხვევაში ერთი და იმავე ოდენობად მიჩნევას [გოგოლაშვილი, 1984, 37]. „-ი ელემენტის ნამყო ძირითადის წარმოებაში, – წერს ის, – ორი შემთხვევა უნდა გაირჩეს: ერთი, როცა I და II პირის ფორმებში -ი ელემენტი თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან, და მეორე, როცა ამ ფორმებში -ი ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან“.

პირველი შემთხვევა მისთვის ნამყო ძირითადის წარმოების I ყალიბია, ხოლო მეორე, შესაბამისად, ნამყო ძირითადის წარმოების II ყალიბი [გოგოლაშვილი, 1984, 39].

ასევე ორი შემთხვევაა გარჩეული -ე-სუფიქსიანი ნამყო ძირითადის წარმოებაში:

ერთი, როცა ამ ფორმანტით წარმოებულ ზმნებს მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ა სუფიქსი მოუდის და, მეორე, როცა სუბიექტური მესამე პირის ნიშანი -ო სუფიქსია: **მარცვლოვანი უკუმშველი საყრდენი მორფემა + -ე სუფიქსი** (გავშალე... ავაშენე...) ნამყო ძირითადის წარმოების III ყალიბია (აქ -ე ფორმანტი თავისთავადი, დამოუკიდებელი მაწარმოებელია), ხოლო ყალიბი – **უმარცვლო საყრდენი მორფემა + -ე სუფიქსი** I და II პირში და -ო სუფიქსი III პირში (ავაგე < ავაგევ... გავათბე < გავათბევ...) არის ნამყო ძირითადის წარმოების IV ყალიბი (აქ -ე სუფიქსი -ევ-იდან მომდინარე ჩანს) [იქვე, 41-42].

-ი და -ე სუფიქსების წარმომავლობის დადგენა, ცხადია, მნიშვნელოვანია, მაგრამ **ამის დადგენით წარმოდგენილი სუფიქსების განაწილების კანონზომიერება არ ვლინდება.**

როგორც აღინიშნა, ქართულში აორისტის დაბოლოება ე-ზეა დაყვანილი, ხოლო ი ფონეტიკურ დანართად არის გააზრებული, მაგრამ **ფუნქცია ამ უკანასკნელსაც იგივე აქვს.**

რა ხდება ზანურში?

ლაზურში **უნიფიკაციაა**: ყველა ტიპის ზმნაში -ი გვაქვს და ეს -ი აქაც შეიძლება ქართულის მსგავსად ისტორიულ ფონეტიკურ დანართად განვიხილოთ.

საინტერესო პარალელია ქართული ენის ინგილოურ დიალექტში: კაკურ კილოკავში ნამყო ძირითადი მხოლოდ -ი ელემენტით იწარმოება. -ე სუფიქსიანი ნამყო ძირითადი კაკურმა არ იცის. ალიაზადურ კილოკავში კი ძირითადად -ე სუფიქსი აწარმოებს ამ ნაკვთის ფორმებს, ისეთ შემთხვევებშიც კი, სადაც სალიტერატურო ქართულში -ი ელემენტი გვაქვს [იქვე, 45].

აორისტის სპეციფიკა სტრუქტურული სიმარტივეა I სერიის ფუძეებთან შედარებით (როგორც წესი).

მეგრულში ორნაირი დაბოლოება გვაქვს (ქართულის მსგავსად): -ე და -ი.

-ე დაბოლოება მეგრული აორისტის ფორმებში სისტემურ გვაქვს კაუზატიურ ფორმებში (როგორც ქართულში):

ვოჭარაფე („ვაწერინე“) – ოჭარაფე („აწერინე“), ვორაგადაფე („ვათქმევიინე“) – ორაგადაფე („ათქმევიინე“), ვოკეთებაფე („ვაკეთებინე“) – ოკეთებაფე („ოკეთებაფე“), ვოწილაფე („ვაკრეფინე“) – ოწილაფე („აკრეფინე“), ვოტახაფე („ვატეხინე“) – ოტახაფე („ატეხინე“)..

არამხოლოდ კაუზატივებს აქვს ასეთი წარმოება.

არაკაუზატიური ფორმებიდან ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ყველა ზმნა, რომელსაც აწმყოში -უ-ან დაბოლოება აქვს:

ორგუანს („რგავს“): დუვორგე („დავრგე“) – დარგე („დარგე“), ოფურუანს („ახურებს“): გუვოფურე („გავახურე“) – გაფურე („გაახურე“), ონდლულუანს „ადნობს“): დუვონდლულე („გავადნე“) – დანდლულე („გაადნე“), ოტიბუანს („ათბობს“): გუვოტიბე („გავათბე“) – გატიბე („გათბე“)..

ამავე ჯგუფში შედის -ან-სუფიქსიანი ფორმების ნაწილიც:

ხანს („შობს“): ქოფხე („ვშობე“) – ქოხე („შობე“), ჭანს („კერავს“): დოპჭე („შეკვერე“) – დოჭე („შეკერე“), ზანს („ზელს“): დობზე („მოვზილე“) – დოზე („მოზილე“), ღოლანს („იზამს“, „უზამს“): ქობლოლე („ვექენი“, „ვუქენი“) – ქოდლოლე („ქენი“, „უქენი“), ტყაბარანს („ატყავებს“): გოპტყაბარე („გავატყავე“) – გოტყაბარე („გაატყავე“), თირანს („ცვლის“): გოფთირე („გავცვალე“) – გოთირე („გაცვალე“), ჩოლანს („ცლის“) გოფჩოლე („დავცალე“) – გოჩოლე („დაცალე“).. რკიანს („კივის“): ბრკიე („ვიკივლე“) – რკიე („იკივლე“), ღვარანს („ყვირის“): ბღვარე („ვიყვირე“) – ღვარე („იყვირე“), კუსანს („კვნესის“): პკუსე („ვიკვნესე“) – კუსე („იკვნესე“).. კვაკვალანს („ლაპარაკობს [ზევრს]“), პკვაკვალე („ვილაპარაკე [ზევრი]“) – კვაკვალე („ილაპარაკე [ზევრი]“, რაქვალანს („ლაპარაკობს [ზევრს]“): ბრაქვალე („ვილაპარაკე [ზევრი]“)- რაქვალე („ილაპარაკე [ზევრი]“).. ოცქვანს („აქებს“): ვოცქვე („ვაქე“)– ოცქვე („აქე“).. იბიცანს („იცივის“): იბიციე („ვიცინე“)- იბიციე („იცინე“)..

შეიძლება განვაზოგადოთ:

-ე დაბოლოება მოსალოდნელია ძირითადად იმ ზმნების აორისტში, რომლებიც აწმყოში - (უ)-ან სუფიქსით არიან გაფორმებული, – ეს არის მოქმედებითი გვარის ზმნათა ერთი ნაწილი (გამონაკლისებია: ფთქუანქ (> ფ-თქუ-ი >) – ფთქვი, ფჩუანქ (ფჩუ-ი >) – ფჩვი...).

მოქმედებითი გვარის ზმნათა მეორე ნაწილს, კერძოდ, -უნ/-ენ/-ინ/-უ თემის ნიშნის მქონე ან უთემისნიშნო ზმნებს აორისტის დაბოლოებად ძირითადად -ი აქვთ.

ასევე -ი აქვთ ვნებითი გვარის ფორმებს: იბრდულქ „ვიზრდები“ – მიბრდი „გავიზარდე, იპჭულქ „ვიწვი“ – დიპჭვი „დავიწვი“, პტიბულქ „ვთბები“ – გოპტიბი „გავთბი“, პჭითონდულქ „ვწითლდები“ – გოპჭითონდი „გავწითლდი“..

II.8.2.1. -უ-ან სუფიქსის -უ- და -ე-ე/ე-ი/ო-უ დაბოლოების საკითხი მეგრულში.

კაუზატივებსა და კაუზატიური წარმოების ზმნებს აწმყოში -უ-ან სუფიქსი უდასტურდებათ.

რა შეიძლება ითქვას ამ რთული სუფიქსის -უ ელემენტის შესახებ?

გ. როგავა კაუზატიურ ფორმათა -უ-ს -ევ სუფიქსისგან მომდინარედ მიიჩნევა: ვო-ჭარ-აფ-უანქ < *ვოჭარ-აფ-ევ-ანქ – „ვაწერინებ“, ვოჭარ-აფ-ე < *ვოჭარ-აფ-ევ „ვაწერინე“, ვოჭარ-აფ-უ-ა < *ვოჭარ-აფ-ევ-ა „ვაწერინო“.

„ევ სუფიქსს, – წერს მკვლევარი, – აწმყოსა და კავშირებითის ფორმებში ერთნაირი ფონეტიკური ცვლილება განუცდია: გადასულა -უ-ში. გარდამავალ საფეხურად ვგულისხმობთ ო-ს (უ < ო < <ევ). აორისტის მესამე პირის ფორმაშიც -ევ სუფიქსი -უ-ში გადასული ჩანს (ო საფეხურის გავლით): ოგურ-უ-უ < ოგურ-ევ-უ „ასწავლა“. უკანასკნელ შემთხვევაში -ევ-ს ო (> უ)-ში გადასვლა არ იწვევს ეჭვს. მესამე სუბიექტური პირის -უ სუფიქსთან მეზობლობაში -ევ სუფიქსი მოგვცემდა ო-ს და შემდეგ უ-ს ასიმილაციის საფუძველზე“ [როგავა, 1945, 651].

აორისტის -ე სუფიქსი, გ. როგავას აზრით, -ევ სუფიქსისაგან მომდინარეობს: I-სა II პირებში -ევ სუფიქსის ვ ელემენტი დაკარგულა: *ვოჭარაფევ > ვოჭარაფე „ვაწერინე“, ოჭარაფევ – ოჭარაფე „აწერინე“ [იქვე].

რა არის მიზეზი ე-ს დაგრძელებისა?

-ე-ს დაგრძელება ახსნილია -ე-სთან ი-ს შერწყმით: *ვოჭარაფევი > ვოჭარაფეი > ვოჭარაფეი > ვოჭარაფე [იქვე, 649].

თუმცა ამავე დროს არის მსჯელობა იმაზე, რომ „ვუწ-ე-ი ფორმაში რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე უნდა იყოს მიღებული იი დაბოლოება: ვუწ-იი < ვუწ-ე-ი, ვოთხ-იი < ვოთხ-ე-ი და სხვ. [იქვე].

მაგრამ როგორ აღმოჩნდა -ი დაბოლოება აორისტის -ე სუფიქსის შემდეგ?

გ. როგავას აზრით, საქმე უნდა გვექონდეს კონტამინაციურ წარმოებასთან. მკვლევარი ემყარება არნ. ჩიქობავას შემდეგ ვარაუდს: „არის შემთხვევები, როცა ე-თი წარმოებული აორისტი -ი-ს დაირთავს: ჯვარულშია – გიწოლეი „გითხარი“; სხვაგან გავრცელებული გიწიი „გითხარი“ აქედან უნდა იყოს მიღებული. ძნელი სათქმელია, რამდენად მოასწავებს ეს ფაქტი ე-თი წარმოების პირველადობას ი-თ წარმოებასთან შედარებით. შეიძლება აქაც კონტამინაციასთან გვექონდეს საქმე“ [ჩიქობავა, 1936, 136].

გიწიი ფორმის ამოსავლად, ბუნებრივია, აწმყოს გიწინქ მივიჩნით (ვოთხი ფორმის ამოსავლად ვოთხინქ), ხოლო რაც შეეხება უწოლენს (I. მიწოლენს, II. გიწოლენს) ფორმას, მისი ახსნა ზევით გვექონდა წარმოდგენილი და გავიმეორებთ:

აქ გვაქვს ლაზურში ერთი რიგის ფორმებთან გავრცელებული მერ/მელ რთული სუფიქსი: ზოგჯერ -მ-ერ/-მ-ელ სუფიქსის ადგილს -ლ-ემ იჭერს: ათინური ამ ზმნასთან აწმყოში არ ხმარობს -მ-ერ/-მ-ელ სუფიქსს; მის ადგილს -ლ-ემ სუფიქსი იჭერს: ვუწოლემ, უწოლემ, უწოლემს. უწოლემს ფორმისათვის ამოსავალია უწ-ომ-ელ-ს, სადაც -ომ ქართ. -ამ თემატური სუფიქსის მორფო-ფონეტიკური შესატყვისია, ხოლო -ელ/-ერ მეშველ-ზმნური ელემენტის ვარიანტი.

ასე რომ, -ოლ-ემ ვარიანტი მეტათეზისის შედეგია (-ოლ-ემ < -ომ-ელ). სწორედ ეს ვარიანტი გვაქვს მეგრულში – უწ-ოლ-ენ-ს (<უწ-ოლ-ემ-ს) დასტურდება უწ-ინ-ს ფორმის პარალელურად. ანუ: უწოლენს ფორმა მეგრულშიც ისევე იხსნება, როგორც ლაზურში: მისთვის ამოსავალია უწომერს/უწომელს.

ი-ი დაბოლებიან ზმნებს (ვუწ-ი-ი, ფთხ-ი-ი...) ი. ყიფშიძის ყურადღებაც მიუქცევია თავის დროზე. მისი ახსნა ასეთია: „ამ ზმნების ფუძის ბოლოკიდური თანხმოვანია ვ, რომელიც რიგ ზმნათა აწმყოსა და ყველა ფორმის პირობითში გამოითქმის როგორც უ, ხოლო აორისტში უ დაშლილად გვხვდება ვი მარცვალში, მაგ., ფთქვი, ამასთან, თან მიიერთებს ი სავრცობს, რის შედეგადაც ვიღებთ ორ ი-ს აორისტის ფორმის ბოლოში (ფთქვი); ზმნათა უმეტესობაში ვ აორისტში იკარგება, მაგრამ კვალს ტოვებს პირველი ი-ს სახით: ვუწი < ვუწვი“ [ყიფშიძე, 1994, 061].

ამ თვალსაზრისის გაზიარება ჭირს: „არ არის დამაჯერებელი, თითქოს ძირისეული ვ ბგერა იღებდეს უ-ს სახეს და შემდეგ ვი კომპლექსად იშლებოდეს (უწ-ვი), ხოლო ამის შემდეგ დაირთავდეს აორისტის ი დაბოლოებას (უწ-იი < *უწ-ვი-ი). ისეთი ზმნებიც, რომელთაც მართლაც გააჩნიათ ძირისეული ვ ბგერა ფუძის დაბოლოებად (მაგალითად, დოჭვი-ი, გოსქვი-ი – დაწვი, გასკვენი და სხვ.) აორისტის ფორმაში არ დაირთავენ ორ ი-ს; დობჭვი-ი, დოჭვი-ი დაწვი, დაწვი, გოფსქვი-ი, გოსქვი-ი გავსკვენი, გასკვენი და სხვ.“ [როგავა, 1945, 659].

სირთულეებთან არის დაკავშირებული *-ევ > უ პროცესის დაშვება არაკაუზატიურ ფორმებში, სადაც კაუზატივისეული ფ-ს მასიმილირებული გავლენის საკითხი მოხსნილია, – ამას თავად ბატონი გიორგი როგავაც აღნიშნავს: „თითქოს უფრო საეჭვო ჩანს -ევ-ს გადასვლა ო (> უ)-ში პირველს ორ შემთხვევაში (იგულისხმება აწმყოსა და კავშირებითი პირველის ნაკვეთები), რამდენადაც სხვა მაგალითი არ გვეგულება მეგრულში, რომ ევ კომპლექსი იძლეოდეს ო-ს“ [იქვე, 651].

დავუშვათ, რომ -უ-ან დაბოლოებიან კაუზატიურ და არაკაუზატიურ ფორმათათვის ე. წ. კონტამინაციური (-ე-ი) წარმოებაა დამახასიათებელი; ბუნებრივია, გაჩნდეს კითხვა: რა უნდა მოეცა ამ დაბოლოებას – -ე-ე (-ე-სა და -ი-ს შერწყმის შედეგად) თუ -ი-ი (რეგრესული ასიმილაციის საფუძველზე)?

ტ. გუდავას აზრით, „ძველად დაბოლოება -ევი რომ გვექონოდა (ე. ი. ვოჭარაფევი „ვაწერინე“), ეს მოგვეცემდა არა ვოჭარაფე-ს (როგორც დღეს გვაქვს), არამედ ვოჭარაფი-ს (რაც არ დასტურდება). შდრ. ევი > ი[ი]: მდევი > ნდი[ი], მზითევი > მზითი[ი]...“ [გუდავა, 1984, 75].

სხვათა შორის, (მ)დევი ფორმა მეგრულში არამხოლოდ ნდი-ს სახით გვხვდება; დასტურდება გარდამავალი დეი ვარიანტიც, ანუ, ინტერვოკალურ პოზიციაში დაკარგულია ვ (ეს სწორედ ის პოზიციაა, რომელშიც გ. როგავა ვარაუდობს აორისტის ფორმებში *-ევ-ი > ეი > ი გადასვლას (მაგრამ აქედან, როგორც ტ. გუდავა აღნიშნავს, გვაქვს არა (ნ)დეი, არამედ ნდი ფორმა):

დევი > დეი:

ჭიჭე ხანქ ქიე უნ, ქე მოურს ჩე რაშის გეხენ ფერი დეი. ეთიწკე მა თე ბოშიმ ხოლომა ქე მორთე ნი, თე დეი გეხენ ფერი რაშიქ... დეიქ უწუ... (ხუბ., 209) „ცოტა ხანი რომ გავიდა („იყო“), ქემოდის თეთრ რაშზე რომ ზის ისეთი დევი. მაშინ ამ ბიჭთან ახლოს რომ მოვიდა, ეს დევი რომ ზის ისეთი რაში... დევმა უთხრა...“; ქაე ოთე დეის ქაშქვილი დო ქასაგანი, დეი დოე ვილე , ზდას ქინარაგუ... ხოლო მორთე უჩა რაშის გეხენ ფერ დეიქ... ხოლო უწუ, დეიქ რაშის... (ხუბ., 209) „ესროლა დევს მშვილდ-ისარი, დევი მოკლა, ზღვაში ჩააგდო... კიდევ მოვიდა შავ რაშზე რომ იჯდა ისეთი დევი... კიდევ უთხრა დევმა რაშს...“; „ემელით აშოვა!“ უწუ დეიენც, დო დინახალე ინგოხუნუანთია. ოდო ხენწე ფეში ჯიხა გეპჭოფათია! ქე დიჭყეს დეიენქ ეშულა ჯიხაშა. მუჭო ეშართეს დეიენქ ჟინ თემ, თი ბოშიქ დუდი მეკვათე არძოს... დეიეფი არძო დოე ვილე ... (ხუბ., 210) „ამოდით აქეთო“, - უთხრა დევებს და შიგნით ჩავსვამთო. ჰოდა ხელმწიფის ციხე ავილოთო. დაიწყეს დევებმა ასვლა ციხეზე. როგორც ავიდნენ დევები ზევით, ისე იმ ბიჭმა თავი მოჰკვეთა ყველას... დევები ყველა მოკლა“ ...

შდრ.:

ჰაი ჯიმაია, ჩქინი უჩაში, ჩქინი მუმატაცებელი ორე ნდია (ხუბ., 4) „ჰაი, ძმაო, ჩვენი უფროსი, ჩვენი მომტაცებელი არის დევიო“; ათე ბოჭკენს დუთირუათ მუშუში ადგილი დო ნდი დუვალორათია... ქიმერთეს დო ბოჭკეფი დოთირეს. ნდი ათე ბოჭკას ქუმკასხაპანსე ნ, სი ეთი ბოჭკას ქუმკუდირთია დო შვია მუსხი გამვენეი. ნდის ღონე მიდაღალუ, სი ღონე ირიათო მუგამინუნია დო ნდის მერიებუქია, - უწუ ძღაბიქ (ხუბ., 4) „ამ კასრებს ადგილი შეეუცვალოთო... მივიდნენ და კასრები გაცვალეს. დევი ამ კასრს რომ მიახტება, შენ იმ კასრს

მიუდევრო და სვით, რამდენსაც დალევო. დევს ღონე წაერთმევა, შენ ღონე სულ მოგემატება და დევს მოერევიო, - უთხრა გოგომ“; გამკვივარეს ვითოჟირი **ნდიენქ**... გეკიბეს ათე ბოშიქ დო **ნდიენქ**. ბოშიქ ორჯგინუ არძას დო დუდი მეკვათუ... გიმელუნი, ქოძირუ, ღურელი **ნდიეფი** ქოწკარუნა (ხუბ., 7-8) „გამომწკრივდნენ თორმეტი დევები... შეიბნენ ეს ბიჭი და დევები. ბიჭმა აჯობა ყველას და თავი მოჰკვეთა... რომ გამოვიდა, დაინახა, მკვდარი დევები დაწყობილია“...

შდრ. ასევე:

ათე **ნდემიში** რამიში ფოლო მოთმოხვადუ ქუეფს. (ხუბ., 29) „ამ დევის რამის ფლოქვები ხვდება ქვებს“; მოიჯინუო, ქემუნჯირალე ართი **დემი** ჯგურა კოს თე წყარიშა დო ქოშუნს (ხუბ., 56) „რომ შეხედა, მისწოლია ერთი დევივით კაცი ამ წყალს და ქესვამს“; ქიმერთეს თენენქ ართი **ნდემიშ** ე უდემა. თე **ნდემს** ე უნს ვითოჟირი ოსურსქუა ზესნახეფი (ხუბ., 78) „მივიდნენ ესენი ერთი დევის სახლში. ამ დევს ჰყავს თორმეტი ქალიშვილი მზეთუნახავები“; მის ლურს დო მის ვარია - დნახე **დემქ**. (ხუბ., 78) „ვის სძინავს და ვის არაო, - დაიძახა დევმა“; გოფურაფილი შანთი ქიგედე კამბემენს **ნდემქ** დო არძა დოჰე (ხუბ., 78) „გაცხელებული შანთი დაადო კამბეებს დევმა და ყველა დაწვა“; მანგიორი თენენსეთ ოკო ქობლოლუ მა, - იფიქრე **ნდემქ** (ხუბ., 78) „მაგიერი ამათ უნდა ვუქნა მეო, - იფიქრა დევმა“; დნჰყე რკია დო ქიმირულე **ნდემქ** (ხუბ., 78) „დაიწყო კვილი და მოირბინა დევმა“...

მეგრულის ჯვარულ თქმაში დადასტურებული ფორმები თავისთავად ძალიან საინტერესო მასალაა და ბუნებრივია, ანალიზსა და ახსნას მოითხოვს.

ნიმუშები:

გაბონაფეს ხე (ხუბ., 93) „დაბანინეს ხელი“; ფენიაშა **მირაგადეა**... (ხუბ., 92) „ფენიას გადაეციო...“ („უთხარი ჩემგანო“); სი ენა მუშენ **მიწეა** (ხუბ., 89) „შენ ეს რატომ მითხარიო“; ჩქიმდა მუთაქ ალოლესი, ნათესეფს **ქოუციის**, „არსენა ოჰოფითია“, ირო თინა უწეის, ჰოფეს, თოკეს, აწვალეს, ციხეშა დუდი **ქოუნწყევის** (ყიფშ., 157) „მე ვერაფერი მიქნეს, ნათესავებს დაერივნენ, „არსენა დაიჭირეთო“, სულ ეს უთხრეს, იჭირეს, თოკეს, აწვალეს, ციხეში თავი უკრეს“; ჰალეს **მიწეის** ნათესემქ, **გოუნწყეის** სტოლი ფართო (ყიფშ., 158) „ჰალაში მიიწეის ნათესავებმა, გაუწყვეს მაგიდა ფართო“; ბოლო დროს **გომეტის** (ყიფშ., 156) „ბოლო დროს გამიშვეს“; **გარჩიებაფეა** სქანი ვეზირენც (ხუბ., 88) „გარჩევინეო შენს ვეზირებს“; ჰა ხანც ვა გიქუნანთია, – **უწეის** (ყიფშ., 105) „ცოტა ხანს არ წავიყვანთო, – უთხრეს“; ასე ჯიმალენქ **აკირაგადეის** (ხუბ., 187) „ახლა ძმებმა მოილაპარაკეს“; ალიშქერქოუ უმინჯურო **ქედნის** (ხუბ., 185) „ალიშქერქოუ უპატრონოდ დატოვეს“; ენა თენა რე, ინა თინა რენია, მარა მუთუნშია **ვეიშანწყეინეს** (ხუბ., 20) „ესა, ისა, მაგრამ ვერაფრით ვერ ამოხსნეს“. სქანი ოსური **იპირქია** (იპირქია), ვარდა ვამორკოქია! (ხუბ., 188) „შენი ცოლი ვიქნებო, თუ არადა, არ მინდინარო“. სი ქოგიჩქუნ, მა მუ ფთქუა, მა **ქიფში** სქანოთ ჯადო (ხუბ., 312) „შენ ქე იცი, მე რა ვთქვა, მე ვიშოვე შენთვის ჯადო“. იმენდი მილუ მეხვადუქ, სით მუთუნი **ქომიწი**, უბარათეთ ვა დოპილა, თანაგრძნობა **გამიწი**. სქან ნაჰარას კვითხულენქ, ირო აწმადირექი, ნიტე დღას ქორძირუნქო! **წეპკითხინი** თაში **ფთქევი** (ხუბ., 340) „იმედი მაქვს, მიხვდები, შენც რამე მითხარი, უბარათოდ არ მომკლა, თანაგრძნობა გამიწი. შენს ნაწერს ვკითხულობ, სულ თვალწინ მიდგახარ. ნეტავ ოდესმე („დღემი“) თუ გნახავ. რომ წავიკითხე, ასე ვთქვი“; ზოთონც ვა **მაე ეი ჩხურუ** (ხუბ., 345) „ზამთარში არ შემცივდება („არ მექნება სიცივე“)“; **გაგმინწყეის** გივიქ, როსთომქე დო გურგენქ (ყიფშ., 106) „გამოეწყვენენ გივი, როსტომი და გურგენი“...

პირველ რიგში, მეგრულის ის ფორმებია საყურადღებო, სადაც ქართული -ევ- ელემენტი (ავიქსური ან ძირისეული) ჩანს. ზევით, აწმყოს ფორმებზე მსჯელობისას წარმოდგენილი იყო ამგვარი მასალა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ **არკვევს, აზღვევს, არჩევს, იწვევს, იქნევს,**

აქცევს, ერევა, ელევა... ტიპის ე-გახმოვანების მქონე ფუძეები მეგრულში ი-გახმოვანებული ვარიანტითაა გვაქვს; ანუ, აწმყოში გვაქვს აორისტიდან მომდინარე ფუძე: ქართ. არკვია > მეგრ. არკვიენს „არკვიევს“ (<არკვიებს), ქართ. აზღვია > მეგრ. აზღვიენს „აზღვიევს“ (<აზღვიებს), ქართ. არჩია > მეგრ. არჩიენს „არჩიევს“ (<არჩიებს), ქართ. აქცია > მეგრ. აქციენს „აქციევს“ (<აქციებს), ქართ. მოერია > მეგრ. მერიებუ „მოერევა“, ქართ. დაილია > მეგრ. ილიებუ „ილევა“...

ასევეა -ენ სუფიქსიანი ზმნების შემთხვევაში: ქართ. ადგენს – დაადგინა > მეგრ. ადგინენს „ადგინებს“...

ეს არის ქართ. ადგინებს, აჭირებს (=აჭერს), ალხინებს... ტიპის წარმოება.

ზოგჯერ -ი-ე წარმოების პარალელურად დასტურდება -ევ სუფიქსიანი მეგრული ადაპტირებული ვარიანტიც:

იწვიენს||იწვენს (*<იწვევენს) „იწვევს“:

ოდო კამპანია ქოქიმიძე: **მიწვიუ** სახენწეფეფი დო მიახვამეს ხენწეფალა (ხუბ., 206) „ჰოდა, წვეულება ქნა: მიიწვია სახელმწიფოები და მიულოცეს ხელმწიფობა“;

შდრ.:

მეგაწვენს, მარა ორქოში სქამს ვეგედოხოდა, გიჩქუდას, მოწამალერიე (ხუბ., 35) „მოგაწვევს, მაგრამ ოქროს სკამზე არ დაჯდე, იცოდე, მოწამლულია“).

აქციენს||აქცენს (<*აქცევს) „აქცევს“, „ექცევა“:

ტურა თხას მუნერო **მიქციებუდე?** (ხუბ., 307) „ტურა თხას როგორ მოექცეოდა?“, დუდ კვათილო ქედოგიტენტ, უბადოთ **მიქციათგნი!** (ხუბ., 358) „თავმოკვეთილად დაგტოვებთ, ცუდად თუ მოიქცევით („მოიქცეთ“).

შდრ.:

მითინს **ვაქცენს** ყურადღებას „არავის არ აქცევს ყურადღებას“. თქვა მა ვა რე ვილუნთ მარა, თქვა **მიქციით** ჩქიმიწკუმა უსვინდისეთ (ხუბ., 164) „თქვენ მე არ მოგკლავთ, მაგრამ თქვენ მოიქცევით ჩემთან უსინდისოდ“;

ურქიენს||ურქენს (<*ურქევს):

ჯგირი ცხენენცე გეხენან დო **მეურქენა** მართახისე (ყიფშ., 149) „კარგ ცხენებზე სხედან და მიაქნევენ მათრახებს“; ვა **ურქენსე** კუჩხი დო ხესე . (ყიფშ., 175) „არ აქნევს ფეხსა და ხელს“; მუჭო **მურქენქ** ლეკურსუნი, მეტირხე ლეკური დო არაბი სი დორე ვილუნსია (ხუბ., 168) „როგორც გაუქნევ ლეკურს, გატყდება ლეკური და არაბი შენ მოგკლავსო“.

შდრ.:

მოურქიუ ცხენს დო ჟი-დი-ჟი ქოფურინე ჭიშკარს (ხუბ., 102) გაუქნია ცხენს და ზევით-ზევით გადააფრინა ჭიშკარს“. ლეკური **გურქიუ** დო გრღე ჟირხოლო (ხუბ., 114) ლეკური გაუქნია და გააპო ორივე“; **აკურქიუ** მუმ რაშის, ოტაკინუ უზარმაზარ ზაბორს (ხუბ., 183) „გაუქნია თავის რაშს, დაატაკა უზარმაზარ ზაბორს“; მორთი, მიდგა ართ **მორქიათ** გიდანს შქას თე ლურელს დო თე კუბოსგნ, თიში ორდას თე ლეკურია (ხუბ., 226) „მოდო, ვინც ერთი მოქნევით შუაზე გააპობს მკვდარს და ამ კუბოს, მისი იყოს ეს ლეკურიო“.

საინტერესოა ეს მასალაც:

რევ- (>რი-):

ნდის მერიებუქია, – უწუუ ძღაბიქ (ხუბ., 4) „დევს მოერევო, – უთხრა გოგომ“; დო **გერიუ** ე კოჩქ (ხუბ., 201) „და მოერია ეს კაცი“

რკვევ- (>რკვი-):

გარკვეება სახელი **გაარკვიენს, გეერკვიებუ(ნ)** ზმნათა „გარკვევა“ (ქაჯაია); ჭუმე ირფელს **გარკვიენს** „ხვალ ყველაფერს გაარკვევს“.

რჩევ-(რჩი-):

გაარჩიებაფედა სქანი ვეზირენც (ხუბ., 88) „საქმე გაარჩევინეო შენს ვეზირებს“; **ვარჩიათ**, მარა მუთუნნერო დუთქ ვეგმადგინესია, – თქუ ვეზირქ (ხუბ., 87) „გავარჩიოთ, თორემ ვერაფრით თაავი ვერ დაგვიდგამს“.

ლევ- (>ლი-):

ჩქიმი სოფელს **ველიებგ** ართი შაურიში ხინა (ხუბ., 345) ჩემს სოფელში არ დაილევა ერთი შაურის ქინაქინა“; საკვეცი დო ობედიქ **დალიებაშა** ქიმიოჭირინულუ ნი, ოკარზგ ძალამი დიდი დაჩხირი (ყიფშ. 47) „კვესმა და აბედმა დალევას რომ მიადწია, დაანთო ძალიან დიდი ცეცხლი“; **ქგ გოლიებუ** ხოლო-ხოლოს დუდიშ მიოგამალი ჯალეფი (ყიფშ., 86) „შემოლევა ახლო-ახლოს თავის მისარტყმელი ხეები“; ესე იგი, ასე **დელიუ** მუმას ორინჯიმ ჯოგიქ (ხუბ., 203) „ესე იგი, ახლა დაელია მამას საქონლის ჯოგი“; ჩქიმ ქონებაქ **დელიუა** (ხუბ., 204) „ჩემი ქონება დაილიაო“.

აორისტში -ივ-V > -ი სხვა შემთხვევებშიც დასტურდება:

ცი- (<ქართ. ცვივ-):

ქაშაციუ დიხას (ხუბ., 162) „დაცვივდა მიწაზე“; ირ კოჩქ დიხას **ქაშაციუ** (ხუბ., 161); „ყველა მიწაზე დაცვივდა“; თიწკუმა დემენქ **ქუციუ** (ხუბ., 205) „მაშინ დევები მიცვივდენ“;

შდრ.:

არმაქ ართო დიხას ქაშაცე (ხუბ., 162) „ყველა ერთად მიწაზე დაცვივდა“;

პატი- (<ქართ. პატივ-):

თი კოჩი ხოლო **ქიპატიუ** (ხუბ., 189) „ის კაციც იპატია“; ქეგიოფურინგ თე ბოშის ხუსგ დო უწუ: „სი გიჩქე ნია, ბოში, **ქომიპატიენქია** და“. „დააფრინდა ამ ბიჭს მხარზე და უთხრა: „შენ იციო, ბიჭო, თუ მიპატიებო“ („მიშველიო“).

შდრ.:

ე ბოშიქ ეთი **ქიპატიუ** მუში მათხოზინეშე (ყიფშ., 37) ამ ბიჭმა ესეც იპატია („უშველა“) თავისი მდევნელისგან“.

რკვი- (>რკვი-):

რამიქ **მიორკიუ** (ხუბ., 167) „რამმა იკვილა“;

შდრ.:

რკიოლუ უკულაში ძღაბიქ, ბოშის **დინარკიოლუ** (ხუბ., 5) „იკვილა უმცროსმა გოგომ, ბიჭს შეჰკვილა“; **მიორკიოლუ** დო დუმახუ მუმას (ხუბ., 6) „მიაკვილა და დაუმახა თავის მამას“;

მიორკიოლუ დო დუმახუ მუმას (ხუბ., 22) „დაიკვილა და დაუმახა მამას“;

ყივ (>ყი-):

მუმურქ **ქიმიოყიუ** (ხუბ., 210) „მამალმა დაიყივლა“. მუმურქ **მიოყ იუ** ჯას (ხუბ., 209) „მამალმა შეჰყივლა ხეზე“.

აორისტის მესამე პირში იმავე ჯვარულში გვხვდება -ოუ დაბოლოება (რომელსაც გ. როგავა -ეუ-საგან მიღებულად მიიჩნევს):

კოჩი ქიმოუზადოუ დო გემეჲ უნუ მუში ბინაშა... მაფაქ გეეგე თე ამბე ნი, ქიჭანოუ, მარა ბოშიქ ვე მერთე ... ბოშიქ ულა გაპიროუ იარაღამო (ყიფშ., 105) „კ ა ც ი მ ი ა გ ე ბ ა და ა ი ყ ვ ა ნ ა თ ა ვ ი ს ბ ი ნ ა შ ი ... მ ე ფ ე მ რ ო მ გ ა ი გ ო ე ს ა მ ბ ა ვ ი , და ი ბ ა რ ა , მ ა გ რ ა მ ბ ი ჭ ი ა რ მ ი ვ ი დ ა ... ბ ი ჭ მ ა და ა პ ი რ ა ი ა რ ა ლ ი ა ნ ა დ“. ბოში ოჲ ვილჲ შა მეჲ უნდესი, თეში ქე მაჭიშოუ (ყიფშ., 105) „ბიჭი მოსაკლავად რომ მიჰყავდათ, ისე მიუსწრო“. ქიჩინგე ბოში დო დააჭყე ღაჭალი: „ენა ოჲ ვილარი ვა რენია“, დო გატალეზაფოუ (ყიფშ., 106) „იენო ბიჭი და დაიწყო გაწყრომა: „ეს მოსაკლავი არ არისო“, და გააშვებინა“; ბოშიქ გეეკვიროუ დო კითხე (ყიფშ., 106) „ბიჭმა გაიკვირვა და ჰკითხა“; გამკიტოუ ხვალე აკა თი ვეზერი (ყიფშ., 106) „მოიტოვა მხოლოდ ეს ვეზირი“; გეუწუროუ მუში შქვილი დო საგანი რო ქანე ოთე (ხუბ., 181) „დაუმიზნა თავისი მშვილდ-ისარი და ესროლა“; ქედაკენოუ ხეც დო უწუ (ხუბ., 180) „დააკავა ხელში და უთხრა“; გვერდ თუთა რე გინი ხოუ (ხუბ., 348) „ნახევარი თვეა, ხბო მოიგო“; ჰკადუქ გიძიცოუ (ხუბ., 180) „მჭედელმა გაიცინა“; ბოშიქ გიძიცოუ (ხუბ., 180) „ბიჭმა გაიცინა“. გეეხარე გივიქ და თქოუ (ყიფშ., 106, 18) გაიხარა გივიმ და თქვა; ბეჟანიში ჯაბრიშენი ტყურა ქოთქოუ, მითამ თინა დეჯის აკოუსოფუდასე (ყიფშ., 105, 30-31) „ბეჟანის ჯავრის გამო ტყუილი თქვა, ვითომ ის ღორს დაეგლიჯოს“; სქუაქ ხე ოუჭოფუ დო დაჩხირიშა ქემწუჭოფოუ (ხუბ., 178) „შვილმა ხელი დაუჭირა და დედას ცეცხლზე დადებინა“; მა უკული მუ ფქიმინიკო, მიქ ოკო მოდიაროუკო? (ხუბ., 178) „მე მერე რა უნდა მექნა, ვის უნდა ვერჩინე („ექშია“)...

ეს -ო-უ დაბოლოება ზოგჯერ ადვილად იხსნება, როგორც ქართულიდან მომდინარე:
თხოვ-:

გურგენც მოთხოუ ბეჟანქ პასუხი: "სი ტყურა მუშენი თქვია ჩქიმი გურიშენი: „დეჯქ აკოსოფუე?“ (ყიფშ., 107) გურგენს მოსთხოვა ბეჟანმა პასუხი: „შენ ტყუილი რატომ თქვიო ჩემი გულისთვის: „ღორმა დაგლიჯაო?“; მარიგებელემქ ჩხუბი დოულასეს, მარა იშენი ქიითხოუ ბეჟანქ (ყიფშ., 107) „მომრიგებლებმა ჩხუბი დაუშალეს, მაგრამ მაინც ითხოვა ბეჟანმა“; სიხალისექ დამეთხოუ (ყიფშ., 129) „სიხალისე დამეთხოვა“...

შდრ.:

ათე ძღაბი ოსქე ლიდუანდგ ბოშის ნათხეირი ოჭკუმალით (ყიფშ., 106)

ეთხუებუ < ეთხუვებუ < ეთხოვებუ („ეთხოვება“):

მა ართი წანამოწანათ გემგეთხუებუქ სი (ხუბ., 11) „მე ერთი წლით გამოგეთხოვები შენ“;

შდრ.:

გამგეთხიუ ენენს დო მიდართი (ხუბ., 90) „გამოეთხოვა ამათ და წავიდა“.

-ე-უ > -ო-უ (-უ-უ > უ) გადასვლის ნიმუშია დერივაციული ფორმა ნაკარეუ:

ნაკარუ, ნაკაროუ ნაკარავი; ადგილი, სადაც ადრე კარავი იდგა. აფხაზა ნაკარუს გიხვამანდუა (ი. ყიფშ., გვ. 179) „აფხაზი ნაკარავზე (სადაც ადრე კარავი იდგა) ლოცულობდაო“.

შდრ.

პირველადი ფორმაა ქართ. კარავი (> *კარაი > კარე);

ასევე შეიძლება -ეუ დაბოლოების დაკავშირება -ევ-უ-სთან:

რქევ > რქეუ (<ქართ. ქნევ-):

მუკირქეუ დო ქაახე ოთე უშქური (ყიფშ., 107); ართი დეჯქ ჩქვა ილოურქეუ დო ჯაჭვიში მუკოქუნალი გოჭკე რე (ყიფშ., 105)...

წევ- („სხმა, ღვრა“, ზმნაა): *წევ-უ > წე-უ:

ოსურც წყარქ ქგგაწეუ (ხუბ., 178) „ქალს წყალი შეესხა“;
ამის ამოსავალია წენს:

ჩხე წყარი გოჲ უნს თიცალი, ნამუდა მუსჲ თჲ მიკაწენსჲ ნი, ირიფელსჲ დოჰუნსჲ
(ყ ი ფ შ ., 87) „ცხელი წყალი გაჰყვება ისეთი, რომ რასაც მიესხმება, ყველაფერს დაწვავს“;
მიოჯინუ ნი, ჯას თოფური გილმაწენს (ყიფშ., 5) „რომ შეხედა, ხეს თაფლი სდის“;

შდრ.:

დუსუ ლაფიქ გინგოწიუ (ხუბ., 351) „თავს ლაფი დაგესხა“;

მეორე მხრივ, მეგრ. წენ- ქართულ წევ- ფუძეს უკავშირდება (ნასესხობაა):

მანგიერო ხეჩო ირო ჯგერო საქვარს ორთჲ დჲ დო იწენდჲ ბრელი ქობალი დო ღვინს
(ყიფშ., 20) „სამაგიეროდ, ყოველთვის კარგად საქმეს აკეთებდა და იწევდა ბევრ პურსა და
ღვინოს“;

შდრ.:

ართი წანას მუნაწიქ დიირკჲ (ყიფშ., 20) „ერთ წელს მოწეულმა დაიკლო“;

შემთხვევათა უმეტესობაში ძირისეულ თუ აფიქსისეული -ევ სუფიქსის რეფლექსზე ასე
გასვლა შეუძლებელია.

შეიძლება ითქვას, რომ ეს საკითხი დამატებით კვლევას საჭიროებს.

-ე-ი > ე-ე და -ე-უ / > -ო-უ > უ-უ კომბინაციაში დაკარგული რომ ინტერვოკალური -გ- არ
უნდა იყოს (ანუ, მეორე სერიაში -ევ არ უნდა გვექნოდეს), ამას ისიც მიუთითებს, რომ
აღნიშნული კომბინაციები არა მხოლოდ აორისტში გვხვდება, შეიძლება აწმყო-მყოფადში,
მესამე სერიაში ან სულაც სახელში გამოვლინდეს (ცხადია, ვერც ამ შემთხვევაში გამოდგება
არსებული ახსნა):

ვა არწყეჲო ქიბჰოუქ, დღას მუთუნქ ვე მიმეხვარჲ , თიზჲ მას ქიგლემქილოუქ? (ყიფშ., 163)
„ვერ ხედავ, რომ ვიწვები, ვერასოდეს ვერაფერმა მიშველა, იმდენს დავეპრივარ?“; მუჟამი
დებსუსთებუქჲ ნი, დორჩელის ქემემჯიროუქჲ (ყიფშ., 163) „როცა დავსუსტდები, ლოგინში
ჩავწვები“; ცხენი ქინჯიროუ დო ფაშატიში დოშქუმალას აპირენც (ხუბ., 181) „ცხენი წვება და
ფაშატის მოგებას აპირებს“; თინა მუჟანც მირდოუნე, ოჰოფი, დოხენდი, გედოხოდი დო
გილართია (ხუბ., 181) „ის რომ გაიზრდება, დაიჭირე, გახედნე, დააჯექი და იარეო“, საარიკო
საქმე ქორე ინგერჰესის ირთოუნი (სამ., 95) „საარაკო საქმე კია, რაც ენგურჰესში ტრიალებს“;
თირიგი მონკა ე ოფერდჲ , კოც ვე ეჰოფოუდუ (ყიფშ., 106) „ისერიგი მძიმე ყოფილა, კაცს ვერ
შეძლებოდა მისი აწევა“... თე ურემცჲ ქოუსქევესჲ ჰკოლა ხოჯეფი - მაჲ ვინთოუ (ქხს, 1, 233) „ამ
ურემს შეაბეს გამხდარი (მჭლე) ხარები - მოლასლასე (მთვლემარე)“; ქიჩინუ საორინჯოუ რაში
(ხუბ., 31) „იციო საორინჯო (სამომავლო) რაში“;

შდრ.:

ათე რაშის ჯოხო საორინჯო რაში (ხუბ., 29) ამ რაშს ჰქვია საორინჯო (სამომავლო) რაში“;

როგორც ჩანს, რიგ შემთხვევებში უნდა ვიმსჯელოთ არა კონტამინაციაზე, არამედ -ევ-ი >
ე-ი გამარტივებაზე, – მხოლოდ ტრანსფორმაციის შემდეგი საფეხურის გარეშე;

ამის მაგალითად გამოდგება, ერთი მხრივ: დევი > დეი – ამ ეტაპზე გაჩერებული
პროცესი;

მაგრამ მეორე მხრივ: დეი > დიი.

ამისავე (-ევ-ი > ე-ი) მაგალითებად შეიძლება ჩავთვალოთ:

წევ- > *წევ-ი > წე-ი (შდრ.: უწევს - გაუწია):

უბრალოდ ვა დოპილა, თანაგრძნობა გამიწეი (ხუბ., 340) „უბრალოდ არ მომკლა, თანაგრძნობა გამიწეი“;

შდრ.:

მიფშათ ჩქე ხენწეფემა, ქოფთხუათ ფარა, ქეშმენწიებუნა ჭეს (ხუბ., 220) „მივიდეთ ჩვენ ხელმწიფესთან, ვთხოვთ ფული, შეგვეწევა ცოტას“;

შდრ.:

მოწიული „მოწიული“: სქანი ხეში მოწიული (ხუბ., 104) „შენი ხელით მოწიული“.

ტევ-: უტევებს - განუტევა (=„გაუშვა“):

თიჯგუა დიხაშა გოუტეითა, ჩქე იშენი ცხორცხალო ვა დომიტენანია (ხუბ., 205) „იმგვარ ადგილას გავუშვით, ჩვენ მაინც ცოცხალს არ დაგვტოვებსო“; მა ციხეშე გომიტეის (ყიფშ., 156) „მე ციხიდან გამომიშვეს“;

შდრ.:

მაგენაფალი გოუტეუს თე კაპეკ გემენ თე კოჩიშ ე უდეშა (ხუბ.,224) „ამბის მიმტანები გაუშვეს ამ კაპიკი რომ მართებს იმ კაცის სახლში“.

ნაქური< ნაქურიევი „ნაქუსლევი“:

ნაქური || ნაქურიევი „ნაქუსლარი“, „ნაკვალევი“ (ელიავა, 1997, 246; ჭარაია, 1997, 101).

წვევ- > *წვევ-ი > წვე-ი:

ჭალეს მიწვევის ნათესემქ, გოუნწყეის სტოლი ფართო (ყიფშ., 158).

მიწვევის ფორმის საფუძვლად შეიძლება ჩავთვალოთ წვევ- ფუძე (იწვენს < იწვ-ე-ენს < იწვ-ევ-ენს „იწვევს“);

თუმცა, მეორე მხრივ გვაქვს იწვ-ი-ენს ფორმაც და მისი შესაბამისი ფორმაწარმოება:

მუშა მომიწვითია? (ხუბ., 156) „რაზე მომიწვიეთო?“; გენარე წვიულ კათენც გურქ (ხუბ., 189) გაიხარა მოწვეულმა ხალხმა“; მიწვიუ სახენწეფეფი დო მიახვამეს ხენწეფალა (ხუბ., 206) „მოიწვია სახელმწიფოები და მიულოცეს ხელმწიფობა“; რადგანს გიშნაწვიებუდგ ადამურიშინ, წგმან მორაჲ ავა თიში რდგ (ხუბ., 275) „რადგან გამოწვეული იყო ადამურის, ჯერ მოქნევა მისი იყო“...

ასევე საინტერესოა:

ქართ. ყავ- > *ყ ოვ- > ყ ო-უ:

ოჭკომალიშა გურქ ქნყ ოუ (ხუბ., 181) „საჭმელი მოუნდა“.

ქართ. თავ- > *თოვ- > თო-უ:

მოჭყუდიქ კოლოფი ქომირუნი, ღურა გათოუ (ხუბ., 189) „პატარძალმა კოლოფი რომ დაინახა, სიკვდილი გაათავა“.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულ შემთხვევებში (ნასესხებ ფუძეებში), როგორც ჩანს, ნამდვილად აქვს საფუძველი ე-ზე, როგორც -ევ სუფიქსის რეფლექსზე მსჯელობას; მეგრულში ჩვეულებრივია -ი(ვ) საფეხურიანი ვარიანტი აწმყოში (-ევ-იანის პარალელურად), რომელსაც ბუნებრივად ექნება აორისტშიც ეს -ი: ირქიენს/ირქენს – ირქიუ, არკვიენს/არკვენს – გარკვიუ, აქციენს/აქცენს – მიაქციუ...

პარალელიზმი ყოველთვის არ გვაქვს; მაგალითად, ამ შემთხვევებში: **ურიენს** „ურევს“ – **მურიუ** „მოურია“, **იძიენს** „იძიებს“ – **გეგმიძიუ** „გამოიძია“...

ზოგჯერ გახმოვანების განსხვავებული საფეხური ფორმათა სემანტიკურ დიფერენცირებას იწვევს; ამის მაგალითია **არზიენს** „აძლიებს“ – **არზენს** „აძლევს“; ამ შემთხვევაში **არზიენს** „აძლევს“ და **არზიენს** „აძლიებს“ სხვადასხვა ზმნაა – როგორც ქართულში (შდრ. **აძლევს** და **შეაძლევს**).

გ. მაჭავარიანი -უ-ს **ოვ** სუფიქსიდან მომდინარედ მიიჩნევს. „**ოვ** სუფიქსიანი კაუზატივების ნ. ძირითადში, – ავტორის ვარაუდით, – ძველად **-ოვ-ი** დაბოლოება უნდა გვექნოდა“ (-ი დაბოლოება წმინდა ფონეტიკური წარმოშობისად არის მიჩნეული). ასიმილაციის შედეგად ***-ოვ-ი** > ***ევ-ი** > **-ე-ი** > **-ე-ე** > **ჲ** > **ე** (ვ-ო-გურ-ე < ვ-ო-გურ-ეე < *ვ-ო-გურ-ე-ი < *ვ-ო-გურ-ევ-ი < *ვ-ო-გურ-ოვ-ი) [მაჭავარიანი, 1988, 96].

ერთი წინააღმდეგობა (***ევ** > **უ** პროცესის დაშვება არაკაუზატიურ ზმნებში), რომელსაც აწყდებოდა გ. როგავა, გ. მაჭავარიანთან იოლად იხსნება (***-ოვ** > **უ** გადასვლა, როცა **-ოვ** სუფიქსს -ა ან -ე მოსდევს, ბუნებრივია), მაგრამ რჩება მეორე: **-ე-ი** იძლევა არა **-ეე-ს**, არამედ **-იი-ს** [იხ. გუდავა, 1984, 75].

ტ. გუდავა -უ სუფიქსს **-ავ-**ისგან მომდინარედ მიიჩნევს: „როგორაა მიღებული **ვოჭარაფეე**, **ოჭარაფუუ** და მისთ. ფორმები? **-ეე** დაბოლოება მიღებულია **-ავი** დაბოლოებისაგან მეგრულ-ლისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური წესის თანახმად: **ავი** > **ე[ე]** (ასევე **აი** > **ე[ე]**), მაგ.: ხვაავი > ხვე[ე], ჭვაავი > ჭვე[ე], ნათესავი > ნათესე[ე], ამბავი > ამბე[ე]... შდრ. **აი** > **ე[ე]**: მაისი > მე[ე]სი, *ბამბაი > ბამბე[ე], ვაილუ > ვე[ე]ლუ „არ წაილო“... ამრიგად:

1. **ვოჭარაფე[ე]** < ***ვოჭარაფ-ავ-ი** **ვოჭარაფე[ე]** < **ვოჭარაფ-ავ-ი-თ**
2. **ოჭარაფე[ე]** < **ოჭარაფ-ავ-ი** **ოჭარაფე[ე]** < ***ოჭარაფ-ავ-ით** [გუდავა, 1984, 75].

მესამე პირის მორფემა ხმოვანია (მხ. რიცხვში) ან ხმოვანს შეიცავს (მრ. რიცხვში); ამით არის, მკვლევრის აზრით, განპირობებული, რომ მისი წინამავალი ***-ავ** მორფემა გახმო-ვანების ნულოვან საფეხურზეა წარმოდგენილი: „თუ პირველ პირში გვექნოდა ***ვ-ო-ჭარ-ავ-ავ-ი**, მესამე პირში უნდა გვექნოდა ***ო-ჭარ-ავ-ვ-უ**, რომელიც მოგვეცემა **ოჭარაფუუ-ს** (რადგანაც **მეგრულში თანხმოვანი + ვ + ხმოვანი იძლევა თანხმოვანი + უ + ხმოვანს**: ქვა > ქუა). მრავლობით რიცხვში მესამე პირში ფუძეს დაერთვის **-ეს** მორფემა. აქაც წინა მორფემა გახმოვანების ნულოვან საფეხურზე აღმოჩნდება, ამიტომ **ოჭარაფვეს** > **ოჭარაფუეს**“ [გუდავა, 1984, 75].

მაგრამ ***-ავ** სუფიქსს ხმოვანი მოსდევს არა მარტო მესამე პირში, არამედ პირველსა და მეორეშიც (აორისტის დაბოლოება); თუ მესამე პირისთვის ვივარაუდებთ **-ავ** მორფემის გამარტივებას (-ა-ს რედუქციას), ასეთივე პროცესი უნდა დავუშვათ პირველსა და მეორე პირშიც:

მხ. რ.:

- I. ***ვოჭარაფ-ავ-ი** > ***ვოჭარაფ-ვ-ი**
- II. ***ოჭარაფ-ავ-ი** > ***ოჭარაფ-ვ-ი**
- III. ***ოჭარაფ-ავ-უ** > ***ოჭარაფ-ვ-უ**

მრ. რ.:

- I. ***ვოჭარაფ-ავ-ი-თ** > ***ვოჭარაფ-ვ-ი-თ**
- II. ***ოჭარაფ-ავ-ი-თ** > ***ოჭარაფ-ვ-ი-თ**

III. *ოჭარაფ-ავ-ეს > *ოჭარაფ-ვ-ეს

როგორც პარადიგმიდან ჩანს, ამ შემთხვევაში *ავ-ი დაბოლოება არ გვექნება პირველსა და მეორე პირში, ე. ი. -ეე დაბოლოებას ვერ მივიღებთ.

ეს წინააღმდეგობა დაიძლევა, თუ *-ავ სუფიქსის რედუქციას საერთოდ გამოვრიცხავთ. პირველსა და მეორე პირში *ავ-ი > ეე გადასვლა ბუნებრივი ჩანს; რაც შეეხება მესამე პირს, აქ ასეთი პროცესი უნდა ვივარაუდოთ: *ოჭარაფ-ავ-უ > *ოჭარაფ-ა-უ > *ოჭარაფ-ო-უ > *ოჭარაფ-უ-უ.

მკვლევარი საგანგებოდ არ მსჯელობს ფონეტიკურ ტრანსფორმაციებზე, რომელთაც I სერიაში უნდა ჰქონდეს ადგილი. აწმყოში, ალბათ, უნდა აღვადგინოთ:

მხ. რ	მრ. რ.
I. *ვოჭარ-ავ-ავ-ანქ	*ვოჭარ-ავ-ავ-ანთ
II. *ოჭარ-ავ-ავ-ანქ	*ოჭარ-ავ-ავ-ანთ
III. *ოჭარ-ავ-ავ-ანს	*ოჭარ-ავ-ავ-ანა(ნ)

კაუზატივისეული ლაბიალური ფ-ს გავლენით *-ავ სუფიქსისეული ა > ო > უ (*ვოჭარ-ავ-ავ-ანქ > *ვოჭარ-ავ-ოვ-ანქ > ვოჭარ-ავ-უვ-ანქ), ამ პოზიციაში -უვ-ა > უ-ა გამარტივება ბუნებრივია. ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

არის ერთი ფაქტორი: -უ დასტურდება არამხოლოდ მეორეული კაუზაციის (შუალობითი კონტაქტის) ზმნებში. **ოდინუანს, ორგუანს...** ტიპის ფორმებისთვის *-ავ > უ დაშვების ფონეტიკური პირობა არ ჩანს (ეს საკითხი გადაუჭრელი დარჩა გ. როგავასაც, რომელიც, როგორც ითქვა, -უ-ს *-ევ-ისგან მომდინარედ მიიჩნევდა).

პრობლემატურია და განსხვავებულ ახსნას მოითხოვს ასევე მეორე კავშირებითში **ოჭარაფუას... ოდინუას... ტყაბარუას...** რიგის ფორმებში გამოვლენილი -უ.

იგივე შეიძლება ითქვას **ნოჭარაფუე... ნოდინუე... ნოტყაბარუე...** ფორმებში დადასტურებულ -უ-ზეც.

როგორც ზევით აღინიშნა, კ. დანელიას -უ სუფიქსი ქართული -ავ სუფიქსის -ოვ შესატყვისის რეფლექსად მიაჩნია (*ღურ-ოვ-ნ... > ღურ-უნ-ნ > ღურ-უ-(ნ), რაც დამაჯერებელი ჩანს. -უ სუფიქსი თემის ნიშანია ვნებითის ფორმებში (იხ. ზევით): ხუმუ (ხმება), ტიბუ (თბება), სქირუ (შრება)...

-უ აქ ქართ. -ებ სუფიქსის ფუნქციური შესატყვისია, მასალობრივად კი იგი -ავ მორფემასთან ჩანს ადვილად დასაკავშირებელი. ეს დაკავშირება ბუნებრივად ხსნის -ავ-ის ზანური შესატყვისი -ოვ სუფიქსის გამარტივებას: -ოვ > უვ > უნ-(ნ) > უ-(ნ).

-უ-ან დაბოლოების მქონე პირველადი კაუზაციის ზმნათათვის სწორედ -უ-სუფიქსიანი გარდაუვალი ფორმებია ამოსავალი: ტიბ-უ „თბება“ – ო-ტიბ-უ-ან-ს „ათბობს“, სქირ-უ „შრება“ – ო-სქირ-უ-ან-ს „აშრობს“, ხუმ-უ „ხმება“ – ო-ხუმ-უ-ან-ს „ახმობს“, ფურ-უ „ხურდება“ – ო-ფურ-უ-ან-ს „ახურებს“, დინ-უ „იკარგება“ – ო-დინ-უ-ან-ს „კარგავს“...

ამგვარი, კაუზაციური წესი წარმოებისა გვაქვს ქართულშიც: **თბება** ტიპის უნიშნო ვნებითები მოქმედებითი გვარის ზმნათათვის ამოსავალი ფორმებია, მოქმედებითი იწარმოება ამგვარი ვნებითებისგან (ა-თბ-ობ-ს).

სათანადო ქართულ მორფოლოგიურ ყალიბთან შეპირისპირებით ეს მასალა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: **ტიბ-უ-ნ – *თბ-ავ-ნ, ღურ-უ-ნ – *უდ-ავ-ნ...** („-უ სუფიქსი... გავრცელებულობით და ხმარებით ქართულ ებ-ს ეტოლება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისგან არ მომდინარეობს... „ღურ-უ-ნ“ ტიპის წარმოება ამოსავლად უნდა გულისხმობდეს არა **კუდ-ებ**

ტიპის თემას (კუდ-ებ-ი-ს), არამედ კუდ-ავ ტიპს (*კუდ-ავ-ნ, შდრ. მო-კუდ-ავ-ი)“ [დანელია, 1976, 172]).

ტიბ-უ... ტიპის ვნებიტისგან ნაწარმოები პირველადი კაუზაციის **ო-ტიბ-უ-ან-ს...** ტიპის ფორმებს „ქართულად ინტერპრეტაციისას“ ასეთი სახე ექნება: ***ა-თბ-ავ-ებ-ს...** ანუ, სტრუქტურულად და მორფოლოგიური ყალიბის მიხედვით **ო-ტიბ-უ-ან-ს... = *ა-თბ-ავ-ებ-ს...**

წარმოდგენილი ზმნების ე. წ. მეორეული კაუზაციისას მივიღებთ ფორმებს: **ო-ტიბ-ავ-უ-ან-ს** „ათბობინებს“, **ო-სქირ-ავ-უ-ან-ს** „ამრობინებს“, **ო-ხუმ-ავ-უ-ან-ს** „ახმობინებს“, **ო-ფურ-ავ-უ-ან-ს** „ახურებინებს“, **ო-დინ-ავ-უ-ან-ს** – „აკარგვინებს“...

ო-ტიბ-უ-ან-ს ტიპის ფორმებისგან მეორეული კაუზაციის წარმოებისას საყრდენი მორფემა არა **ტიბ-უ-**, არამედ **ტიბ-**...

აორისტის -ე სუფიქსი ნასესხებია მეგრულში (მას სათანადო ფონოლოგიური შესატყვისობა -ა-ს სახით არ გააჩნია). **საფიქრებელია, რომ მისი დამკვიდრება უკავშირდებოდა ქართული კაუზაციური ფორმების ჩამოყალიბებას და ამ ზმნათა წარმოების მოდელის შეთვისებას მეგრულის მიერ.**

ამას გვაფიქრებინებს, პირველ რიგში, ქართული და მეგრული კაუზაციური (პირველადი და მეორეული) ფორმების პრაქტიკულად სრული თანხვედრა აორისტის დაბოლოების მიხედვით (ვაწერინე – ვოჭარაფე, ვაკეთებინე – ვოკეთებაფე... საკუთრივ მეგრული მასალა ამგვარ ფორმებში მხოლოდ ხმოვანპრეფიქსია).

მეტიც: ამ პროცესში ჩართულია არამხოლოდ **-უ-ან** (ქართ. **ავ-ებ**) სუფიქსიანი, არამედ ზოგადად **-ან** თემატური ნიშნის მქონე უპრეფიქსო ზმნები (ქართ. **-ებ = მეგრ. -ან**).

როგორც აღინიშნა, მკვლევრები (გ. როგავა, გ. მაჭავარიანი, ტ. გუდავა) ცდილობენ მეგრული კაუზაციური ფორმების აორისტში (პირველ-მეორე პირში) გამოვლენილი **-ე-ე-ს** წარმოშობის დადგენას და მას ხსნიან ხან **-ევ-ი**, ხან **-ოვ-ი** და ხანაც **-ავ-ი** კომბინაციების ფონოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად. ამ შემთხვევაში საანალიზო მასალა მხოლოდ კაუზაციური ზმნებია, მაგრამ **-ე-ე** დაბოლოება არამხოლოდ კაუზაციურ ფორმებშია,

ასეთი დაბოლოება აქვს **-ან** სუფიქსიანი ზმნებს: ფშაყარანქ „ვაგროვებ“ – დოფშაყარეე „მოვაგროვე“, ბრაგადანქ „ვლაპარაკობს“ – ბრაგადეე „ვილაპარაკე“, პჭყანქ „ვწყევლი“ – პჭყეე „ვწყევლე“, ბრაქვალანქ „ვლაპარაკობ (ბევრს)“ – ბრაქვალეე „ვილაპარაკე (ბევრი)“... ამ ფორმებში უკვე სხვა ფონოლოგიური გარემოა.

ამათგან განსხვავებით **-ან** თემის ნიშნიანი **ო- პრეფიქსიანი ზმნები საზედაო სიტუაციის ფორმებია** და მათ **-ი** დაბოლოება აქვთ აორისტში: ვოჭარანქ – მუვოჭარი, გივოხანტანქ – გივოხანტი, გევოთასანქ – გევოთასი...

როგორც ჩანს, ეს ძველი, საკუთრივ ზანური წარმოებაა.

საინტერესოა, რომ ქართულიდან ნასესხებ არაკაუზაციურ ფორმებში დაბოლოებად ასევე **-ი** გვაქვს: ვაკეთენქ – ვაკეთ-ი, შდრ. ქართ. ვაკეთ-ე, ვაშენენქ – ვაშენ-ი, შდრ. ქართ. ვაშენ-ე... **ვაშენენქ – ვაშენი** ფორმებში მთელი მორფოლოგიური ინვენტარი ქართულია, მხოლოდ აორისტის დაბოლოებაა მეგრულის წარმოების წესის მიხედვით წარმოდგენილი.

საკითხის დაყენებისა და კვლევის თვალსაზრისით სავსებით ლოგიკური იქნება, თუ სხვადასხვა მეგრულ ფორმაში გამოვლენილ ყველა **-უ** ელემენტს მივიჩნევთ ერთსა და იმავე მორფოლოგიურ ელემენტად; ანუ ერთნაირ კვალიფიკაციას მივცემთ ტიბ-უ „თბება“, ოჭარაფ-უ-ანს „აწერინებს“, ოდინ-უ-ანს „კარგავს“, ოჭარაფ-უ-ას „აწერინოს“ (შდრ. ჭარას „წეროს“), (დო)მიჭარ-უ „(და)მიწერია“, ნოჭარ-უ-ე „წერდა თურმე“, ჭარ-უ-ა „წერა“ (მასდ.)

ფორმებში დადასტურებულ -უ-ს და ჩავთვლით მას ქართული -ავ მორფემის მეგრული შესატყვისის ფონოლოგიურად ტრანსფორმირებულ მორფემად.

საინტერესოა მეგრული და ქართული სათანადო მორფოლოგიური ყალიბების, განსაკუთრებით მეორეული კაუზატივების (შუალობითი კონტაქტის ფორმების) საყრდენი მორფემების შედარება.

მეგრულში გვაქვს კომბინაცია: **ო- პრეფიქსი + ძირი + -ავ (კაუზატივის ნიშანი) + უ (< ქართ. -ავ) + -ან (თემის ნიშანი) + -ს (პირის ნიშანი).**

შევადაროთ ეს კომბინაცია ქართული -ავ თემისნიშნისანი ზმნის კაუზატიურ სტრუქტურას: **ა-ხატ-ვ-ინ-ებ-ს**; აქ გვაქვს: **ა- პრეფიქსი + ძირი + -ვ (<-ავ) + -ინ (კაუზატივის ნიშანი) + -ს (პირის ნიშანი).**

რა არის განსხვავება? რედუცირებული და ფუნქცია-დაკარგული თემის ნიშნის და კაუზატივის ნიშნის ადგილი: **მეგრულში ჯერ გვაქვს კაუზატივის ნიშანი და მას მოსდევს -უ (-ავ +უ), ხოლო ქართულში პირიქითაა (-ვ + -ინ).** საერთო ძირეული და აფიქსისეული მასალის მიხედვით ასეთი სურათი ჩანს: **ო-ჭარ-ავ-უ-ან-ს – ა-ხატ-ვ-ინ-ებ-ს.**

საინტერესოა, რომ მეორეული კაუზაციისთვის საყრდენ მორფემად ჩანს არა **ტიბუ-, სქირუ-...** (რაც არის ქართული **მაღავ-, ხატავ-...** ტიპის საყრდენი მორფემის მოდელის ანალოგი), არამედ **ტიბ-, სქირ-...** (ანუ: **მალ-, ხატ-...** ტიპის მოდელი).

ქართული და მეგრული კაუზატიური ყალიბების შედარებისას ჩანს:

1. **მეგრული ფორმა ერთი სტრუქტურული კომპონენტით (-უ სუფიქსით) მეტია ქართულ შესაბამის (ა- – ებ წარმოების) ფორმაზე:** აკეთენს – **ო-კეთ-ებ-ავ-უ-ან-ს** „ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს“, აფასენს „აფასებს“ – **ო-ფას-ებ-ავ-უ-ან-ს** „ა-ფას-ებ-ინ-ებ-ს“... ჭარუნს „წერს“ – **ო-ჭარ-ავ-უ-ან-ს** „ა-წერ-ინ-ებ-ს“... ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მეგრული კაუზატივები ქართული **-ებ-ინ-ებ-** დაბოლოების შესატყვისია.
2. **მორფემათა რაოდენობა იდენტურია:** ხანტუნს „ხატავს“ – **ო-ხანტ-ავ-უ-ან-ს** „ა-ხატ-ვ-ინ-ებ-ს“, ბარუნს „ბარავს“ – **ო-ბარ-ავ-უ-ან-ს** – „ა-ბარ-ვ-ინ-ებ-ს“, ფორუნს „ფარავს“ – **ო-ფორ-ავ-უ-ან-ს** „ა-ფარ-ვ-ინ-ებ-ს“...

მეორე შემთხვევაში შეგვიძლია ვიმსჯელოთ ორი სისტემის სტრუქტურულ კომპონენტებზე არა მხოლოდ რაოდენობრივი, არამედ **ფუნქციური იდენტურობის** თვალსაზრისითაც.

ლაზურში არ არის -უ-ან დაბოლება. კაუზატიურ ფორმას აწმყოში აქ აქვს **-ავ-ამ-** დაბოლოება, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულ **-ებ-ინ-ებ-** დაბოლოების მქონე ფორმათა შესატყვისად ლაზურ კაუზატივში ერთი სტრუქტურული ერთეულით ნაკლები დასტურდება (მეგრულში პირველი **-ებ** ნასესხობის სახით ვლინდება კაუზატივში, ხოლო **-უ-** ის ელემენტია რომელიც ქართულისთვის (ისევე, როგორც ლაზურისთვის) უცხოა და, როგორც აღინიშნა, აქ ყოველთვის დასტურდება): **ო-დვ-ავ-ამ-ს** – „ა-დ-ებ-ინ-ებ-ს“, **ო-ლ-ავ-ამ-ს** „(წა)ა-ლ-ებ-ინ-ებ-ს“...

ასევეა ქართ. **-ავ, -ამ** თემისნიშნისანთა შესატყვისობის შემთხვევაშიც: **ო-ზუმ-ავ-ამ-ს** – „ა-ზომ-ვ-ინ-ებ-ს“, **ო-თას-ავ-ამ-ს** „ა-თეს-ვ-ინ-ებ-ს“, **ო-გუმ-ავ-ამ-ს** „ა-ხარშ-ვ-ინ-ებ-ს“...

სტრუქტურული დამთხვევა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა ქართული კაუზატივი ათემატურ საყრდენ მორფემას ემყარება: **ო-კვათ-ავ-ამ-ს** – „ა-კვეთ-ინ-ებ-ს“, **ო-ჭარ-ავ-ამ-ს** „ა-წერ-ინ-ებ-ს“...

მეგრული უ-ს წარმომავლობისა და ისტორიისთვის საყურადღებო ჩანს ზოგი გარდამავალი ზმნის ამგვარი სამსაფეხურიანი ტრანსფორმაციები:

I. რგ-უნ-ს < *რგ-უვ-ს „რგ-ავ-ს“;

აქედან კაუზაციის წესითაა მიღებული:

II. ო-რგ-უ-ან-ს (< *ო-რგ-უვ-ან-ს < *ო-რგ-ოვ-ან-ს) „ა-რგ-ავ-ს“....

მეორეული კაუზაციით მივიღეთ:

III. ო-რგ-უ-ავ-უ-ან-ს < *ო-რგ-უვ-ავ-უვ-ან-ს „არგვევინებს“...

I. ჭ-უნ-ს < ჭვ-უნ-ს „წვ-ავ-ს“ (შდრ. აორ. დობჭვი „დავწვი“)

II. გი-ო-ჭ-უ-ან-ს < *გი-ო-ჭვ-უვ-ან-ს „და-ა-წვ-ავ-ს“

III. (გი)-ო-ჭ-უ-ავ-უ-ან-ს < *(გი)-ო-ჭვ-უვ-ავ-უვ-ან-ს (და)-ა-წვ-ევინ-ებს-ს“

I. რთ-უნ-ს < რთვ-უნ-ს „ხურ-ავ-ს“ (შდრ. აორ.: დობრთვი „გადავხურე“)

II. გი-ო-რთ-უ-ან-ს < *გი-ო-რთვ-უვ-ან-ს „და-ა-ხურ-ავ-ს“

III. (გი)-ო-რთ-უ-ავ-უ-ან-ს/ო-რთვ-ავ-უვ-ან-ს < *ო-რთვ-უვ-ავ-უვ-ან-ს „ახურვინებს“

I. ხ-უნ-ს „შლის“

II. გი-ო-ხ-უ-ან-ს < *გი-ო-ხ-უვ-ან-ს „და-ა-შლ-ის“

III. (გი)-ო-ხ-უ-ავ-უ-ან-ს < *(გი)-ო-ხ-უვ-ავ-უვ-ან-ს „(და)-ა-შლ-ევინ-ებს-ს“

საზედაო სიტუაციის ზმნებისთვის **-უ-ან** დაბოლოება არ არის დამახასიათებელი, ძირითადია სტრუქტურულად უფრო მარტივი, **-ან** სუფიქსით წარმოდგენილი ფორმები:

- ბონუნს - გიობონანს
- ხაჩქუნს - გიოხაჩქანს
- ბარუნს - გიობარანს
- ქოსუნს - გიოქოსანს
- ფორუნს - გიოფორანს
- ნახუნს - გიონახვანს
- თასუნს - გიოთასანს...

შდრ.:

რჩხ-უნ-ს „რეცხავს“

გი-ო-რჩხ-უ-ან-ს „და-ა-რეცხ-ავ-ს“

მაგრამ:

ო-რჩხ-ავ-უ-ან-ს „არეცხვინებს“;

სკ-უნ-ს „სკვნ-ის“

გი-ო-სკ-უ-ან-ს < *გი-ო-სკვ-უვ-ან-ს „(ზედ) ასკვნის“

მაგრამ:

ო-სკუ-ავ-უ-ან-ს „ასკვნევინებს“.

-უ-ან სუფიქსის **-უ** თემის ნიშანი არ არის, **-უ-ს ან-თან** ერთად ვერ განვიხილავთ, როგორც რთულ თემატურ აფიქსს: **-ან** შორდება მეორე სერიაში ფუძეს, **-უ** კი მეორე

სერიაშიცაა (და სხვაგანაც): ისევე როგორც ქართ. ამაღ-ვ-ინებს ფორმაში -ვ (< -ავ) არ არის ამგვარი სტატუსის მქონე.

თემის ნიშნის ფუნქციის მქონე -უ მეორე სერიაში ვერ იქნება და არც ჩანს:

აწმყო: პტიბ-უ-ქ, ტიბ-უ-ქ, ტიბ-უ;

აორისტია: გოპ-ტიბ-ი, გო-ტიბ-ი, გო-ტიბ-უ (გო-ტიბ-უ-ს -უ სუბიექტური პირის სუფიქსია).

კავშ. მეორე: გო-პ-ტიბ-ა, გო-ტიბ-ა, გო-ტიბ-ა-ს...

საინტერესოა აორისტის მესამე პირში დადასტურებული პარალელური ფორმები:

ოჭარაფუეს||ოჭარაფეე/ეს, ოდინუეს|| ოდინეე/ეს...

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც ბოლო ხმოვანი გრძელია/მახვილი ბოლო ხმოვანზე (-ე-ზე) მოდის.

ხომ არ არის ეს სწორედ იმის ილუსტრაცია და დასტური, რომ ხდება -უე > ეე გადასვლა: ეს პარალელური ფორმები იმას ნიშნავს, რომ მესამე პირში -უე > -ეე/ეს ფაქტობრივი მონაცემია.

ხომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველსა და მეორე პირშიც მომხდარა ამგვარი გადასვლა (ვოჭარაფუე > ვოჭარაფეე/ეს, ოჭარაფუე > ოჭარაფეე/ეს... ვოდინუე > ვოდინეე/ეს, ოდინუე > ოდინეე/ეს...) და ამიტომ არ ჩანს -უ?

მეგრული, როგორც ჩანს, ქართულის მსგავს ვითარებას აჩვენებს; აქ ჩანს, ერთი მხრივ, ქართულიდან ნასესხები -ე, ხოლო -ი აქაც უწყვეტლის -ი-ს ანალოგიურად არის დართული: დაახლოებით იმ ტიპის ზმნებთან, რომლებთანაც ქართულში გვაქვს -ი; სრული თანხვედრა და დამთხვევა ამ შემთხვევაში არ გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს.

აორისტის -ე დაბოლოება და მთელი ყალიბი ქართულიდან ნასესხები ჩანს; ქართულში კაუზატივები (შუალობითი კონტაქტის ფორმები) და ე. წ. პირველადი კაუზატიური ზმნები აორისტში -ე-სუფიქსიანებია; მეგრული ქართულს მიჰყვება: ა-წერინებს... ვ-ა-წერინ-ე/ა-წერინ-ე... ა-თბობს... გავ-ა-თბ-ე/გა-ა-თბ-ე... შდრ. მეგრ.: ო-ჭარაფუანს... ვ-ო-ჭარაფე/ო-ჭარაფე...; ო-ტიბუანს... გუვ-ო-ტიბ-ე/გა-ა-ტიბ-ე (<გაოტიბე)...

ანუ: მთლიანად, ქართული წარმოების წესია აღებული.

შეგვიძლია შევადაროთ ერთმანეთს ქართულ-ზანური მოდელები (R სიმბოლოთი კაუზატივის საყრდენი მორფემა აღნიშნული):

ქართ.:

აწმყო:

III. ა-R-ევინ-ებ-ს ან ა-R-ებ-ინ-ებ-ს

აორისტი:

I. ვ-ა-R-ევინ-ე / ვ-ა-R-ებ-ინ-ე;

II. ა-R-ევინ-ე / ა-R-ებ-ინ-ე;

შდრ.:

მეგრ.:

აწმყო:

III. ო-R-ავ-უ-ან-ს;

აორისტი:

I. ვ-ო-R-ავ-ე;

II. ო-R-ავ-ე.

ქართული კაუზატიური (ფართო გაგებით) ზმნები -**ებ** თემისნიშნებია, **მეგრულში მათ შესატყვისად -ან** სუფიქსი გვაქვს.

განზოგადების შედეგად ყველა -**ან**-იანი ზმნა (რომელთაგან აბსოლუტური უმრავლესობა კაუზატივის ფორმაა) აორისტში -**ე**-ს დაირთავს.

ამგვარი დამთხვევა, როგორც აღინიშნა, კაუზატიური სტრუქტურის ფორმებში ხდება. სხვა შემთხვევაში მეგრული, ჩვეულებრივ, -**ი**-დაბოლოებიანია, – იმ შემთხვევებშიც, როცა ქართულში -**ე** გვაქვს: **პჰარ-ი – ვწერ-ე, ფხანტ-ი – ვხატ-ე, ვასაღ-ი – ვასაღ-ე, ვაკეთ-ი – ვაკეთ-ე, ვაშენ-ი – ვაშენ-ე...**

როგორც აღინიშნა, აორისტის წარმოების მხრივ მეგრულ-ლაზური იმავე სუფიქსებს იყენებენ, რასაც ქართული, ოღონდ მეგრულს ორივე სუფიქსი შემოუნახავს, ლაზურში კი წარმოების მხოლოდ -**ი** დაბოლოება ჩანს.

საყრდენ მორფემას თუ აღვნიშნავთ **R** სიმბოლოთი, მაშინ:

ქართული აორისტის მოდელის წარმოდგენა ასე შეიძლება:

R +ე/ი (I-II პირში),

R + S₃ (III პირში).

ასევეა **მეგრულში**;

ლაზურში გვაქვს:

R + ი მოდელი (I-II პირში),

R + S₃ (III პირში).

II.8.3. II კავშირებითი მეგრულ-ლაზურში.

კავშირებით მეორის ფუძე აორისტის ფუძისგან -**ა** სუფიქსით განსხვავდება: **ხანტ-უ** „ხატ-**ა**“– **ხანტ-ა**-ს „ხატ-ო-ს“, **ჰარ-უ** „წერა“– **ჰარ-ა**-ს „წერ-ო-ს“...

მეგრული ნიმუშები:

ქოდობხოდათე დო **ბჰკომათია** (ყიფშ., 41) „დავსხდეთ და ვჰამოთო“; ასე უჩაში **გაიშაბგორათ** დო **მიფშვათია** – თქვის (ხუბ., 2) „ახლა უფროსი გამოვარჩიოთ და წავიდეთო, – თქვეს“; მორთი, **ქიმიფრჩქვანუათ** დო **ოჰჰოფათ** (ხუბ., 97) „მოვიჩვიოთ და დავიჭიროთ“; ვარა ცქვაფა მიშო **ფთქუა**, მისე **დავეთანდაბალა?** (ყიფშ., 108) „ან ქება ვისთვის ვთქვა, ვის ვეთავმდაბლო?“, გლახა **ვამშმორაგადუა**, მითინი ღორონთიში ჰყერქ! (ხუბ., 320) „ცუდი რამე არ თქვა, ვინმე ღვთისგან დაწყევლილმა!“ ჩქი ჩქინი **ფქიმიწათე** დო, მის ოკონი **ღვარუას** (ხუბ., 24) „ჩვენ გავაკეთოთ („ვქნათ“) და ვისაც უნდა, იყვიროს“; მუ **ბლოლუათ** თენეფსია (ხუბ., 270) „რა ვუყოთ იმათო“; გგრგნიში ტვინი **ოჰკუმას** დო ხეთე დოსქედე (ხუბ., 289) ვირის ტვინი შეჰამოს და უცებ მორჩება“; ღურა დღამა ჩქიმი დუდი სი **ქუგოგიხვარუას**. ჩქი ჩქინი **ფქიმიწათე** დო, მის ოკონი **ღვარუას** (ხუბ., 324) „სიკვდილის დღემდე ჩემი თავი შენ მოგახმაროს, ჩვენ ჩვენი ვქნათ და ვისაც უნდა, იყვიროს“; ანთას მანათ **ქიმერჩას** სინე, ართი კაპეკი ქარკუდასგნ, ვეჰოფგნს (ხუბ., 225) „ათასი მანეთი რომ მოგცეს შენ, ერთი კაპიკი რომ აკლდეს, არ აიღებს“...

როგორც აღინიშნა, აორისტის საყრდენი მორფემაა გაათემატურებული, ანუ სტრუქტურულად გამარტივებული აწმყო: ხატ-ავ-ს - ხატ-ა.

ეგვეა კავშირებითი მეორის საყრდენი მორფემა. აორისტსა და კავშირებით მეორეს **საზიარო საყრდენი მორფემა** აქვთ ქართულში. ასევე მეგრულ-ლაზურშიც.

კავშირებითი მეორის მოდელია:

ქართულში: R + ა/ე/ო;

მეგრულში: R + ა;

ლაზურში: R + ა.

R + ა/ე/ო მოდელის მიხედვით წარმოდგენილი ფორმა ქართულში მომავალ დროს გამოხატავს, მაგრამ მას **კავშირებითი მეორის ნაკვთის (მწკრივის)** და არა **მყოფადის ნაკვთის (მწკრივის)** კვალიფიკაცია აქვს.

კავშირებით მეორედ ითვლება მეგრული **R + ა** კომბინაციაც.

თანამიმდევრულობის შემთხვევაში ასევე უნდა შევავსოთ ლაზური **R + ა** მოდელის მიხედვით წარმოდგენილი ფორმებიც. მყოფადის ნაკვთის კვალიფიკაცია კი, ქართულისა და მეგრულის ანალოგიურად, **ზმნისწინი + აწყო** მოდელს უნდა მიენიჭოს.

II.8.3.1. კავშირებითი + უნონ წარმოება ლაზურში.

როგორც ზევით აღინიშნა, არნ. ჩიქობავა მყოფადის გამომხატველ ნაკვთებად მიიჩნევს კავშირებით მეორესა და „კავშირებითი მეორისგან ნაწარმოებ თავისებურ ნაკვთს“ [ჩიქობავა, 1944, 113].

ხომ არ ნიშნავს ყოველივე ეს იმას, რომ ორი თუ სამი სახის მყოფადის ნაკვთზე შეიძლება მსჯელობა?

ფუნქციური ანალიზი ამჯერად ჩვენი კვლევის საგანი არ არის (და საერთოდაც, მორფოლოგიური კვლევის ეტაპზე, როდესაც ფორმისთვის კვალიფიკაციის მინიჭებისა და პარადიგმაში, სისტემაში ადგილის მიჩენის საკითხი დგას, აქტუალური არ არის, – ეს გრამატიკული ანალიზის სხვა დონეა; მორფოლოგიაში დგინდება ფორმა, რომელსაც შეიძლება სხვადასხვა ფუნქციური გამოხატულება ჰქონდეს, რომლითაც შეიძლება სხვადასხვა გრამატიკული შინაარსი გადმოიცეს).

სანამ ზემოთ დასმულ კითხვაზე ვეცდებოდეთ პასუხის გაცემას, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამჟამად გაბატონებული წარმოება მყოფადისა, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი შეხედულების მიხედვით, ასეთია: **კავშირებითი პლუს უნონ//ერე...**

„არც ქართულმა, არც მეგრულმა, არც სვანურმა ასეთი წარმოება მყოფადისა არ იცის...“ [ჩიქობავა, 1944, 115];

საგულისხმოა, რომ არც თურქულს მოეპოვება ანალოგიური არაფერი [იქვე].

ცალ-ცალკე განვიხილოთ ეს წარმოებები; პირველ რიგში, გავაანალიზოთ **კავშირებითი + მინონ/გინონ/უნონ წარმოება**.

ქართ. უნდა ზმნის შესატყვისი ფორმა ლაზურში არის **უნონ** (უფრო სწორად, **უნონ** არის ძვ. ქართ. **უნა**-ს შესაბამისი ფორმა. იგი, ისევე, როგორც დღევანდელი აწმყოდ გაგებული **უნდა**, დამოუკიდებელი ზმნური ერთეულია, ჩვეულებრივად იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით, აქვს საკუთარი პარადიგმა, მართალია, ნაკლები (არა აქვს ყველა ნაკვთის ფორმა), მაგრამ ამ თვალსაზრისით მართო არ დგას, იუღლება ობიექტური წყობის გარდაუვალ ზმნათა ერთ-ერთი (სტატიკური რელატიური) ტიპის მიხედვით. წარმოვადგენთ ზოგიერთი ნაკვთის პარადიგმას:

აწმყო:

მ-ი-ნ-ო-ნ	მ-ი-ნ-დ-ა	მ-ი-ნ-ო-ნ-ან	გვ-ი-ნ-დ-ა
გ-ი-ნ-ო-ნ	გ-ი-ნ-დ-ა	გ-ი-ნ-ო-ნ-ან	გ-ი-ნ-დ-ა-თ
უ-ნ-ო-ნ	უ-ნ-დ-ა	უ-ნ-ო-ნ-ან	უ-ნ-დ-ა-თ

შდრ. ძვ. ქართ.:

მ-ი-ნ-ა	მ-ი-ნ-ა/გვ-ი-ნ-ა
გ-ი-ნ-ა	გ-ი-ნ-ა
უ-ნ-ა	უ-ნ-ა

ნამყო უწყვ.:

მ-ი-ნ-ტ-უ	მ-ი-ნ-დ-ო-დ-ა	მ-ი-ნ-ტ-ეს	გვ-ი-ნ-დ-ო-დ-ა
გ-ი-ნ-ტ-უ	გ-ი-ნ-დ-ო-დ-ა	გ-ი-ნ-ტ-ეს	გ-ი-ნ-დ-ო-დ-ა-თ
უ-ნ-ტ-უ	უ-ნ-დ-ო-დ-ა	უ-ნ-ტ-ეს	უ-ნ-დ-ო-დ-ა-თ

შდრ. ძვ. ქართ.:

მ-ი-ნ-დ-ა	მ-ი-ნ-დ-ა/გვ-ი-ნ-დ-ა
გ-ი-ნ-დ-ა	გ-ი-ნ-დ-ა
უ-ნ-დ-ა	უ-ნ-დ-ა

თურმ. პირვ.:

მ-ი-ნ-ტ-ერე-ნ	მ-დ-ომ-ებ-ი-ა	მ-ი-ნ-ტ-ერე-ნ-ან	გვ-დ-ომ-ებ-ი-ა
გ-ი-ნ-ტ-ერე-ნ	გ-დ-ომ-ებ-ი-ა	გ-ი-ნ-ტ-ერე-ნ-ან	გ-დ-ომ-ებ-ი-ა-თ
უ-ნ-ტ-ერე-ნ	ნ-დ-ომ-ებ-ი-ა	უ-ნ-ტ-ერე-ნ-ან	ნ-დ-ომ-ებ-ი-ა-თ

თ

უნონ, როგორც აღინიშნა, ზმნასთან, კერძოდ, კავშირებითის ნაკვთებთან კომბინაციაშიც გვხვდება.

პირველ რიგში, აუცილებლად მიგვაჩნია **უნონ** ელემენტის მორფოლოგიური სტატუსის დაზუსტება. სპეციალურ ლიტერატურაში მას **მეშველი ზმნას** უწოდებენ.

რა არის მეშველი ზმნა? – ეს არის „ზმნის ანალიზურ ფორმებში გრამატიკულ ფორმათა საწარმოებლად გამოყენებული დამხმარე ზმნა. **მ. ზ.**ები წარმოშობით დამოუკიდებელი ზმნის ფორმებია. **მ. ზ.**-ებია: ვარ, ხარ, იყავ, იყო... ზოგიერთ ზმნას მეშველი დაერთვის მხოლოდ I და II პირში: ვუყვარვარ, უყვარხარ, მაგრამ უყვარს; ვუყვარვართ, უყვარვართ, მაგრამ უყვართ,

ზოგიერთს კი – სამსავე პირში: გავზრდილიყავ, გაზრდილიყავ, გაზრდილიყო. ძვ. ქართულში მეშველად დასტურდება აგრეთვე შემდეგი ზმნები: ყოფს (ლაღად-ყო), იქმნა (უტყუ-იქმნა), უჩნს (ტკბილ-უჩნს), სდებს (სახელ-სდებს), სცა (ნათელ-სცა; წარწერად-სცა). თანამედროვე ქართულში **მ. ზ.** ყველაზე ხშირად შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილად გამოიყენება. აქ დასტურდება **ვარ** და მისი მონაცვლე ზმნები. **ვარ** ზმნას მხოლოდ აწმყოს მწკრივის ფორმები მოეპოვება (ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან). მყოფადის წრეში მას ენაცვლება **ვიქნები** (ვიქნებოდი, ვიქნებოდე), II და III სერიის მწკრივებში კი **ყოფა** ზმნისგან აქვს შევსებული“ [ქართული ენა, 2008, 320].

მეშველ ზმნას არა აქვს გამოკვეთილი ფუნქციურ-სემანტიკური სპეციფიკა (ამ მხრივ იგი ნეიტრალურია, მთავარი ზმნის სემანტიკურ მახასიათებლებს არ ცვლის), ისეთი, როგორც აქვს მოდალურ ელემენტს, რომელსაც მოდალობის ნიუნასი შეაქვს ზმნის სემანტიკაში.

აქვე გავიხსენოთ, რომ: „**მ.** (მოდალობა – ჭ.ქ) კომპლექსური, მრავალასპექტიანი მორფოსინტაქსური კატეგორიაა, რ-იც სხვა ფუნქციურ-სემანტიკურ კატეგორიათა მთელ სისტემასთან მჭიდრო კავშირშია წარმოდგენილი. **მ.**-ის კატეგორია, ამასთანავე, გულისხმობს შემდეგ პოზიციათა არსებობას და ურთიერთ-დამოკიდებულებას: მოლაპარაკე (ანუ სუბიექტი), მოსაუბრე (ანუ ობიექტი), გამონათქვამის შინაარსი და სინამდვილე. ცალკეული ენის შესაძლებლობათა და რეალიზაციის საშუალებათა ღრმა შესწავლა წარმოაჩენს არა მარტო ენის მიერ ამ კატეგორიის გადმოცემის სპეციფიკას, არამედ თავად **მ.**-ის, როგორც უნივერსალური კატეგორიის არსსაც. ქართულში **მ.**-ის გამოხატვის ფუნქცია ეკისრება მოდალურ ელემენტებს (ბ. ჯორბენაძე), რ-ებიც ენაში გამოიყენება როგორც მოდალური დანიშნულებით, ასევე ზმნური ფუნქციით. მოდალურ ელემენტთა დიდი წილი ზმნური წარმომავლობისაა (ეგებ, იქნებ, ლამის უნდა, გინდა, თუგინდა, ეტყობა, თითქმის...). სწორედ ამ ზმნათა სემანტიკამ და სინტაქსური კონსტრუქციის თავისებურებამ განაპირობა აღნიშნულ ფორმათა მიერ თანდათანობით ზმნური ნიშნების დაკარგვა. ეს ზმნები მოდალური მახასიათებლებით თავიდანვე გამოირჩეოდნენ და თავიანთ ზმნურ შინაარსს სხვა ზმნურ ფორმებთან ერთად გადმოსცემდნენ მასდარული კონსტრუქციით ან ჰიპოტაქსის მეშვეობით“ [ქართული ენა, 2008, 328-329].

უნდა მოდალური ელემენტი ქართულში **უნდა** ზმნისგანაა მიღებული (რომელიც სურვილის, საჭიროების სემანტიკის გამომხატველია): „**უნდა** პირიანი ფორმაა წარმოშობით (მინდა, გინდა, უნდა), მაგრამ ნაწილაკად არის ქცეული: არ იცვლება პირებთან: მე უნდა, შენ უნდა, ის უნდა“ [შანიძე, 1980, 616].

უნდა ასეა წარმოდგენილი „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“: „მოდალური ფორმა, მორფემოიდი, რომელიც მიერთვის კავშირებითის ფორმას და გამოხატავს ვალდებულებას, აუცილებლობას (დებიტივს): უნდა ვაკეთებდე, **უნდა** გავაკეთო... გვხვდება II შედეგობითის ფორმასთანაც, როცა ეს უკანასკნელი გამოყენებულია კავშირ-რებითის ფუნქციით: **უნდა** გამეკეთებინა...“

შენიშვნა 1: „უნდა“ უპირატესად ზმნის წინ დგას („უნდა გავაკეთო“), მაგრამ დასაშვებია მოსდევდეს ზმნას („გავაკეთო უნდა“).

შენიშვნა 2: მესხურში, ჯავახურსა და აჭარულში წარმოდგენილია -ნა||-ნდა||-და'-ს სახით (უფრო ხშირია -ნა); გავაკეთო'-ნა||გავაკეთო'-ნდა||გავაკეთო'-და... შეიძლება უსწრებდეს ზმნას: რა'-ნა გავაკეთო? („რა უნდა გავაკეთო?“, იშვიათად გვხვდება კონტამინირებული სახითაც: რა'-ნა გავაკეთო'-ნა?..

შენიშვნა 3: წარმოშობით „უნდა“ დამოუკიდებელი ზმნაა, გამოიყენება კიდევ „სურვილის“ გამოხატვის დანიშნულებით; ამ შემთხვევაში იცვლება პირების მიხედვით: **მინდა** გავაკეთო, **გინდა** გააკეთო, **უნდა** გააკეთოს... მორფემოიდის ფუნქციით გამოყენებისას პირების მიხედვით უცვლელია: **უნდა** გავაკეთო, **უნდა** გააკეთო, **უნდა** გააკეთოს...“ [ჯორბენაძე, 1988, 395].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი მოდალური დატვირთვა აქვს მეორე პირის **გინდა** (=მეგრ. გოკონდა – „თუ გინდა“) ფორმასაც.

გინდა მოდალური ზმნა ქართულში **უნდა**-სთან შედარებით... ფუნქციურად უფრო მყარია და გამოკვეთილიც. მეტი მოდალური თავისუფლების გამო **უნდა**-ნაწილაკიანი კონსტრუქცია ნაკლებად კონკრეტულია და, მაშასადამე, სტაბილურობაც მცირე აქვს. შესაძლოა ეს გარკვეულწილად დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ **უნდა**, როგორც წარმოშობით III პირის აღმნიშვნელი, უფრო ზოგადია და ფართო სემანტიკური ველის მქონე, ხოლო II პირის გამომხატველი **გინდა** ამ მხრივ შეზღუდულია [პაპიძე, 1993, 309].

მოდალურზმნიანი წინადადება თანამედროვე ქართულში, ნ. კოტინოვის აზრით, უმეტეს შემთხვევაში უკავშიროდაა წარმოდგენილი (ანალიზი ემყარება **მინდოდა მეკითხნა, შეუძლიან სთქვას...** ტიპის კონსტრუქციებს); ავტორის აზრით, ამ შემთხვევებში ორი ზმნა ერთ საერთო მოქმედებას აღნიშნავს, ისინი ერთ სიტყვადაა გაერთიანებული და ამდენად რთულ ქვეწყობილ წინადადებაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში შეუძლებელია... [კოტინოვი, 1986, 92].

ასეთივე დასკვნაა გაკეთებული სათანადო ლაზური მასალის ანალიზის შედეგად [იქვე, 93].

არსებობს აღნიშნული საკითხის განსხვავებული გააზრება (ქართული მასალის მიხედვით): ბ. ჯორბენაძის აზრით, ამ შემთხვევაში „საქმე გვაქვს რთული ქვეწყობილი წინადადების ერთ-ერთ ნაირსახეობასთან: **მინდა ვაკეთებდე** ან **მინდა გავაკეთო** არსებითად იგივეა, რაც: **მინდა, რომ ვაკეთებდე**, ან: **მინდა, რომ გავაკეთო...** ამიტომაც **მინდა ვაკეთებდე** ზოგჯერ ასეც არის წარმოდგენილი: **მინდა, ვაკეთებდე** ან **მინდა, გავაკეთო** (ე. ი. ისე, როგორც უკავშირო რთული ქვეწყობილი წინადადება)“ [ჯორბენაძე, 1993, 275].

საგულისხმოა, რომ „ორსავე შემთხვევაში (მაშინაც, როცა **უნდა** წარმოდგენილია ზმნის ფუნქციით, და იმ შემთხვევაშიც, როცა **უნდა** მოდალური ელემენტია) დასაშვებია **უნდა** ფორმისა და ზმნის გათიშვა ზმნისართებით: **მინდა** (/გინდა/უნდა) სწრაფად (კარგად, დღეს, ხვალ...) გავაკეთო (/გააკეთო/გააკეთოს), შდრ.: **უნდა** სწრაფად (კარგად, დღეს, ხვალ...) გავაკეთო (/გააკეთო/ გააკეთოს)“ [ჯორბენაძე, 1993, 276].

ამ შემთხვევაში მორფოლოგიური ანალიზისას მოდალური და მთავარი ზმნის განხილვა, ცხადია, ცალ-ცალკე უნდა მოხდეს იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ სინამდვილეში აქ გვაქვს ორი ზმნა; აქედან გამომდინარე, ამ ორი ზმნის ადეკვატური სინტაქსური მონაცემი „ერთი სიტყვა“ (resp. **ერთი შემასმენელი**) ვერ იქნება, ანუ: გვექნება ჰიპოტაქსური წინადადების ორი სხვადასხვა შემასმენელი.

ნ. კოტინოვი მიიჩნევს, რომ „ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა რთულ ქვეწყობილ წინადადებასთან, არამედ ახალი ტიპის ორშემასმენლიან მარტივ წინადადებასთან“; მისი აზრით, „ახლადჩამოყალიბებული წინადადების სინტაგმატური ანალიზი ხორციელდება ჩვეულებრივი მარტივი წინადადების მსგავსად, კერძოდ, ბივერბალური კონსტრუქცია შედის სინტაგმებში, როგორც ერთიანი, კომპლექსური შემასმენელი“ [კოტინოვი, 1986, 91; 103].

ეს ბუნებრივი დანასკვია ამ საკითხთან დაკავშირებით განვითარებული მსჯელობისა, მაგრამ, ვფიქრობთ, პრობლემის სხვაგვარი ასპექტებით განხილვას მეტი საფუძველი გააჩნია.

„ბივერბალური ანუ ორზმნიანი კონსტრუქცია, – წერს მკვლევარი, – წარმოადგენს თანამედროვე ქართულში ფართოდ გავრცელებულ სინტაქსურ კონსტრუქციას (ვცდილობ ავამაღლო), რომლის პირველი კომპონენტი ჩვეულებრივ მოდალური ზმნაა (მინდა, მსურს, შემიძლია, ვლამობ, ვცდილობ და მისთ.), ხოლო მეორე – კავშირებითი კილოს ფორმა (ავამაღლო, ვწერო, ვხატო...), მათ საერთო ქვემდებარე შეესაბამება წინადადებაში“ [კოტინოვი, 1986, 98].

უნდა შევნიშნოთ, რომ **ვცდილობ ავამაღლო**-ს შემთხვევაში მართლა საერთო ქვემდებარე ჩანს, მაგრამ **ვცდილობ აამაღლო, ვცდილობ აამაღლოს ან ცდილობს ავამაღლო, ცდილობს აამაღლო** ტიპის კონსტრუქციებში ორი ქვემდებარე იქნება, ანუ: სინტაქსურად ჰიპოტაქსური წინადადების მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებაში სხვადასხვა ქვემდებარე იქნება წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, მხოლოდ ამ ასპექტის გათვალისწინებაც იკმარებს იმისათვის, რომ აღნიშნული შემთხვევები მარტივი წინადადებისა და, აქედან გამომდინარე, ბივერბალური კონსტრუქციის ნიმუშებად ვერ ჩავთვალოთ.

ამ, ჩვენი აზრით, ერთგვარი წინააღმდეგობის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ არ ხდება მოდალურ და არამოდალურ მონაცემთა დიფერენცირება მათი პარადიგმატული თავისებურებების გათვალისწინებით.

„უნდა“ ზმნა, – წერს ნ. კოტინოვი, – საშუალ ქართულში სამი სხვადასხვა მოდალური ნიუანსით გვხვდება:

1. უნდა = სურს (хочет),
2. უნდა = სჭირდება, საჭიროა (нужно, надо)
3. უნდა = მოვალეობის ნაწილაკს (რუს. должен).

ეს, ასე ვთქვათ, სამი **უნდა** მოდალურობის ნიშნითაა გაერთიანებული, არადა, ნამდვილად გაჭირდება მოდალური ნიუანსის მქონედ მიჩნევა **უნდა** ზმნისა ამის საილუსტრაციოდ წარმოდგენილ კონტექსტებში:

გვინდოდა თქვენი ნახვა და კარგსა ადგილსა ზედა გნახეთ (ვისრ., 227);

თუ ჩემი ქალი **გინდოდა**, რად არა შემაგებინე (ვეფხ. 652, 2)... [იხ. კოტინოვი, 1986, 89].

ცხადია, ასევე ვერ ჩაითვლება მოდალურ ზმნად ლაზური **უნონ** ამ ტიპის კონტექსტებში: აბდულის ოკითხუ **უნონ** (ჩიქ., I, 106) „აბდულს კითხვა უნდა“...

ამ შემთხვევაში ქართულ-ზანური ერთნაირ სურათს აჩვენებს.

მოდალური ზმნისა და ნაწილაკის ერთ ფუნქციურ სიბრტყეზე განხილვის ნიმუშად გამოდგება შემდეგი ადგილი გამოკვლევებიდან:

„...მოდალური ზმნა და კავშირებითი ზოგჯერ ისეა დაახლოებული ერთმანეთთან, რომ მათი ცალკე სიტყვებად გამოყოფა საკმაოდ ჭირს (შდრ. ჭანური **ფეზდაგინტუ = აილო გინდა**; ჯავახური და აჭარული „გაკეთოსნა“), ან კიდევ: მოდალური ზმნა კავშირებითის დანამატად, ნაწილაკად იქცა (შდრ. ქართული „უნდა“ მეგრული „ოკო“, ჭანური **უნონ**, სვანური „ხეკვეს“) [კოტინოვი, 1986, 97].

ჭანური **ფეზდაგინტუ** ზმნა პირის მიხედვით ცვალებადია, მისგან განსხვავებული ჩანს ჯავახ.-აჭარ. „გაკეთოსნა“-ში დადასტურებული -ნა, რომელიც აშკარად **ნაწილაკია (უნდა||უნა > ნა)** და არა მოდალური ზმნა, – ამდენად, მისი პოზიციური სიახლოვე (ენკლიტიკურად დართვა) მოულოდნელი სულაც არ არის.

საინტერესოა, რომ მოდალური ნაწილაკი და მისი ამოსავალი ზმნური ფორმა არანაწილების თვალსაზრისითაც განსხვავდებიან ერთმანეთისგან. განაწილების ზოგადი წესი ასეთია:

მოდალური ნაწილაკი ზმნის პირიან ფორმასთან გვხვდება (**უნდა გააკეთოს...**), – ამგვარი კომბინაცია დასაშვებია და ბუნებრივი (**უნდა** ამ შემთხვევაში პირიანობის გაგებისაგან დაცლილია);

მისგან განსხვავებით, „**უნდა**“ **ზმნა** მასდართან და სახელებთან (**უნდა** გაკეთება, **უნდა** ბურთი...) კომბინირებს.

ფაქტია, რომ კონსტრუქციის ცვეთა, ენობრივ საშუალებათა ეკონომიის ტენდენცია სინტაქსური თვალსაზრისით იერარქიული ხასიათის ორ სხვადასხვა მონაცემს პოზიციურად აახლოებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამით მათი გრამატიკული კვალიფიკაცია არ იცვლება.

ნ. ნათაძის დაკვირვებით, „**მინონ**მეშველზმნიანი მყოფადი ჭანურში, გარდა იმისა, რომ მომავალს გამოხატავს, ერთგვარად თავისებური შინაარსობრივი ნიუანსის შემცველია... განსაკუთრებით იგრძნობა ერთგვარი ვალდებულების ან სურვილის ნიუანსი, ისეთი, როგორც აქვს ქართულ **მინდა წავიდე, უნდა წავიდე** ფორმებს... უფრო ხშირად ეს ფორმები აღნიშნული ნიუანსით იხმარება“ [ნათაძე, 1961, 35].

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ **ვალდებულების (დებიტივის), სურვილის** თუ სხვა ნიუანსი საანალიზო ერთეულის **გრამატიკული სტატუსზეა** დამოკიდებული: დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი **უნდა** ზმნის ძირითადი მნიშვნელობა სურვილის გამოხატვაა, ეს მნიშვნელობა უცხოა **მოდალური** სტატუსის მქონე **ნაზმნარი ნაწილაკისთვის**.

მოდალური ნაწილაკია **უნონ/ინონ** (რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება სხვადასხვა ნაკვთის ფორმით იყოს წარმოდგენილი ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში – იმის მიხედვით, რომელი დროის გადმოცემის საჭიროებაა კონტექსტის მიხედვით) შემდეგ მაგალითებში:

აა კაი სიჯა **გიეონტასინონ**, აა კაი ეშელა (ხალხ., 243) „ან კარგი სიძე უნდა გყავდეს, ან კარგი ვირიო“; ბერე კითხეი ვარტუკონ-ნა, **მოლორდასუნტუ** (ჩიქ., I, 19,6) „ბავშვი ნასწავლი რომ არ ყოფილიყო, მოტყუვდებოდა (=უნდა მოტყუებულებოდა)...“; მუ **ყვასინტუ** ზურაბიქ? (ჩიქ., II, 31,17) „რა უნდა ექნა ზურაბს?“; ნანა მუშიში ბირაფაში სერსი-ნა შიგნუ, მუთხანი **გვაშინასინტუ...** (ჩიქ. I, 32,21) „დედის სიმღერის ხმა რომ გაიგონა, რაღაც უნდა მოჰგონებოდა...“; აქონი კოჩეფე მციქა ზენგინი **რტასინტეს** (ჩიქ., I, 29,25) „აქაური მაცხოვრებლები ცოტა მდიდარი უნდა ყოფილიყვნენ...“; აა დუბარათენ ხოჯამ თიკანი **ჭკომასინტეს** (ჩიქ., I, 8,25) „ამ ეშმაკობით ხოჯის თიკანი უნდა შეეჭამათ...“

საყურადღებოა ერთი გარემოება: ფორმაცვალებადი **უნონ**, ესე იგი, მონაცემი, რომელსაც თავისი პარადიგმატული მაჩვენებლებით ზმნის კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს, ფუნქციურად შეიძლება ნაწილაკის რანგში გამოდიოდეს. ამ შემთხვევაში გვაქვს **ზმნის ფორმა**, რომელიც ფუნქციონალურად **მოდალური ნაწილაკია** (ეს ეხება აღნიშნული ზმნის სხვა დროის ფორმებსაც). და ამის მაგალითი ცოტა როდია, ეს არის მთელი სისტემა და წესი წარმოებისა.

მაგალითები:

დალიშა ვიდამინონ დო ჯა **გეფთირამინონ**-აა (ჩიქ., I, 726) „ტყეში მინდა (=უნდა) წავიდე და ხე მინდა (=უნდა) ჩამოვათრიო“; თუთუნი სკანი მომში, არ ციგარა **ყოფუმამინონ** (ჩიქ., I, 122) „მომეცი შენი თუთუნი, პაპიროსი მინდა (=უნდა) გავაკეთო“; აშო გეაკნატი დო **გოქთამინტუ-ია** (ჩიქ., I, 71) „ასე მომეკიდა და მინდოდა (=უნდა) შემომებრუნებინაო“; ია ქურუმი ჩქინ ვა

პკომამინონა, გამაფრამინონა დო ემუშენი (ასათ. 45) „ის ღმოს კაკალი ჩვენ არ გვინდა (=უნდა) ვკამოთ, გვინდა (=უნდა) გავყიდოთ და იმისათვის“; მა **გეფთამინონია** (ასათ. 54) „მე მინდა (=უნდა) ჩავიდეო“; მციქა პეჯი **ქიმინაგინონ** (ასათ. 63) „ცოტა სქელი გინდა (=უნდა) მოზილო“; აწი **პკამინონ**. აწი ვა **პკამინონ** (ასათ. 78) „ახლა მინდა (=უნდა) ვწერო. ახლა არ მინდა (=უნდა) ვწერო“; ვით წანას-აა ოროსფა **ყვაგინონ-აა** (ასათ. 81) „ათ წელიწადს გარყვნილება გინდა (=უნდა) ქნაო“; სი ილლა **მექრამინონ-აა** (ასათ. 81) „შენ აუცილებლად მინდა (=უნდა) მოგცეო“; ფაა მოგაფუშა **ვიდამინონ-აა...** ილლა **ვიდამინონ-აა** (ასათ. 84) „ფულის მოსაგებად (საშოვარში) მინდა (=უნდა) წავიდეო... უსათუოდ მინდა (=უნდა) წავიდეო“; **ელაგანჯირამინონ-აა** (ასათ. 87) „მინდა (=უნდა) მოგიწვეო“; სინ მი რექი, მან ჩქიმი კულანიშ ამზაი **მიწვაგინონ?** (ასათ. 89) „შენ ვინა ხარ „რომ მე ჩემი გოგოს ამზავი გინდა (=უნდა) მითხრა?“; ია კულანი, პაპუწი-ნა კუჩხეს აყვას, ია **ბგომინონ-აა** (ასათ. 104) „ის გოგო, ქოში რომ ფეხზე მოერგება („ექნება“), ის მინდა (=უნდა) შევირთოო (ვნახოო)“; ლექსი **ფთქვამინონ...** ანდლა ბათუმიშა **ვიდამინონ...** ემუქ **თქვასინონ...** ბათუმიშა **იდასუნონ...** **იდასუნონ**-თი. ბათუმიშა **ვიდამინტუ** დო ვა მალუ (ასათ. 112) „ლექსი მინდა (=უნდა) ვთქვა; დღეს ბათუმში მინდა (=უნდა) წავიდე... იმან უნდა თქვას... ბათუმში უნდა წავიდეს. ბათუმში მინდოდა (=უნდა) წავსულიყავი და ვერ წავედი“; ბუნდლა ეკულე **ბჭუნამინონ**, მჭიფე **ბჭუნამინონ** დაჩხირის (ასათ., 119) „ბუნდლა შემდეგ მინდა (=უნდა) მოვრუჯო, წმინდა ბუნდლა მინდა (=უნდა) მოვრუჯო ცეცხლზე“; ლაზუტი მენდავილი მსქიბუშა დო **გეუდვამინონ** (ასათ. 123) „სიმინდი წავილე წისქვილში და მინდა (=უნდა) დავუდვა“; დო ოთხო ქვა **ფეზდაგიონ**. ეკულე არ ქვა **იწისთოლაგიონ** დო სუმ ქვა **ფეზდაგიონ** (ასათ. 130) „და ოთხი ქვა გინდა (=უნდა) აილო. შემდეგ ერთი ქვა გინდა (=უნდა) აისროლო. და სამი ქვა გინდა (=უნდა) აილო“; მის **უნტკობაგინონ?** მუთუ ვამიჩქინ. მის **ვიტკობამინონ?** ბიჭიქ ტაქიმის ასთეის **უნტკობაგინონ** (ასათ. 136) „ვის გინდა (=უნდა) მოერიდო? არაფერი არ ვიცი. ვის მინდა (=უნდა) მოვერიდო? ბიჭის მხარეს ასეთს გინდა (=უნდა) მოერიდო“; მან-თი ილლა მუთუ ვილამინონ ოხოიშა (ასათ. 147) „მეცო უსათუოდ რამე მინდა (=უნდა) მივიტანო შინ“; ... კულანი **დულუტკობასინტეს...** (ასათ. 146) „გოგო უნდოდათ (=უნდა) ჩაეგდოთ“; ააა ქვა ჟინ **ფონგიბონაგიონ-აა** (ასათ. 151) „ეს ქვა ზევით გინდა (=უნდა) ააგოროო“; **ოჩალიშაფაგიონი**, ვანა ვარ, მა მიჩქინია (ასათ. 153) „გინდა (=უნდა) ამუშაო, თუ არადა, მე ვიციო“; ააა ჟილენ **ილონჭაგინონ** (ასათ. 160) „ეს ზევით გინდა (=უნდა) ასწიო“; სიჯა ჩქიმის დიდო ქუმე **უხვენამინონ**. ეკულე-კალა თხიი კომელი დო ნიშესტე-თი **მეულამინონ**. ბურელი, ბაკლავა, დოლმათენ ბირდენ მეფთამინონ. უ, გელინი აკო შეეფე ბირდემ ქონულა-ში, მაჟუაშა ნა ნიტა, მუ **ნულაგინონ!** (ასათ. 194-195) „ჩემს სიმეს ბევრი ქუმე მინდა (=უნდა) გავუკეთო. ქუმესთან ერთად მოხალული თხილი და „ნიშესტეც“ მინდა (=უნდა) წავულო. ბურელი-ბაკლავა-დოლმასთან ერთად, მინდა (=უნდა) წავიდე. უი, რძალო, ამდენ რამეს ერთად რომ მიუტან, მეორეჯერ რომ წახვიდე, რა გინდა (=უნდა) მიუტანო!“; დალიშა **ვიდამინონ** დო ჯა **გეფთირამინონ-აა** უწუ: (ჩიქ. ხოფ, 726) „ტყეში მინდა (=უნდა) წავიდე და ხე მინდა (უნდა) ჩამოვართიო“; მა მჯვეშეფიშენ-ნა მიძირუნ, ეშო **პამინონ** (ყიფშ. 8) „ძველებისგან რომ მინახავს, ისე მინდა (=უნდა) ვქნა“; დო აწი სი **მიზდაგინონ-ია** (ასათ. 32) „და შენ გინდა (=უნდა) მოხუროო“; სი მა-ნა **მებლამინტუ**, ქოგიჩქიტუ დო მუნდეს **ბლუამინონ** ე-თი ქოგიჩქინ... (ჩიქ., I 9,18) „შენ, მე რომ მინდოდა (=უნდა) ჩამოვვარდნილიყავი, იცოდი და მე როდის მინდა (=უნდა) მოგვკდე, ისიც იცი“;

„ჭანურში, წერს ნ. კოტინოვი, – მოდალური ზმნა და კავშირებითი კილოს ფორმა ისეთ მიმართებასაც აღნიშნავს, რომელიც ქართულში გვაქვს, კერძოდ, მთქმელის განწყობას, დამოკიდებულებას შემასმენლით გამოხატული მოქმედებისადმი. მაგალითად:

აშო გეაკნატი დო **გიოქთამინტუ-აა**: ხოფური, 7,1 (ასე მომეკიდა და მინდოდა შემომებრუნებინაო); ოთხონეჩდოვიტონჩხოვრო **ვაფეზდაგინტუ**, ილლა ოშია! (იქვე, 3,25)

(ოთხმოცდაცხრამეტი არ გინდოდა აგელო, უსათუოდ ასიო!"; თუთუნი სკანი მომჩი, არ ციგარა ყოფუამინონ: ჭან. გრამატ. 122 (მომეცი შენი თუთუნი, პაპიროსი მინდა გავაკეთო) და სხვ.“

„ამ უკანასკნელ მაგალითებში, – განაგრძობს ავტორი, – ერთმანეთის გვერდით წარმოდგენილია მოდალური ზმნა **მინონ, მინტუ** – „მინდა“, „მინდოდა“ + სხვა **ზმნის კავშირებითის ფორმა**, რომლებიც მიუთითებენ ერთ გარკვეულ მოქმედებაზე და ამ მოქმედებასთან მოსაუბრის დამოკიდებულებაზე, ე. ი. ორი ზმნა ერთ საერთო მოქმედებას აღნიშნავს, ისინი ერთ სიტყვადაა გაერთიანებული და ამდენად რთულ ქვეწყობილ წინადადებაზე ლაპარაკი ამ შემთხვევაში შეუძლებელია... უდავოა, რომ ჭანურში მოდალურზმნიანი წინადადების განვითარების უმაღლესი საფეხურია წარმოდგენილი. ამგვარი ვითარება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დებულებას, რომ ქართულში მოდალური ზმნა – კავშირებითი კილოს კონსტრუქციის შემცველი წინადადება აღარ შეიძლება ჩაითვალოს რთულ ქვეწყობილ წინადადებად“ [კოტინოვი, 1986, 93].

ლაზურის კონკრეტული ვითარებიდან თუ ამოვალთ, ეს არის შემთხვევა, როცა **უნონ** სამსავე პირშია განზოგადებული, ანუ, როცა **უნონ** ელემენტი ფორმაწარმოების შესაძლებლობას მოკლე-ბულია და არსებითად გაქვავებული სახითაა წარმოდგენილი ზმნის ფორმასთან (როგორც წესი, ისევ კავშირებით II-სთან). **უნონ** მოდალური ელემენტი, რომელიც დებიტივის (ვალდებულების) სემანტიკას სძენს მასთან შეხამებულ ზმნას, ნამდვილად გამორიცხავს **ბკითხაუნონ** ტიპის სტრუქტურათა გაგებას ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებად, წინააღმდეგ შემთხვევაში, **დებიტივის** მნიშვნელობა დაიკარგება და წინ ისევ **სურვილის** სემანტიკა წამოიწევს [ასეა ქართულშიც – იხ. ჯორბენაძე, 1993, 275-276].

ვფიქრობთ, საკითხის ამგვარად დაყენება თავისთავად აცლის საფუძველს **კავშირებითი II + მინონ/გინონ/უნონ** ფორმათა ტრადიციულ კვალიფიკაციას, კერძოდ, მათ ჩათვლას მყოფადის ნაკვთის ფორმებად.

აღნიშნულ სტატუსთან დაკავშირებით ნ. ნათაძე წერს: „**მინონ** მეშველზმნიანი მყოფადი ჭანურში, გარდა იმისა, რომ მომავალს გამოხატავს, ერთგვარად თავისებური შინაარსობრივი ნიუანსის შემცველია. განსაკუთრებით ითქმის ეს **მინონ**ზმნიანი წარმოების შესახებ. აქ განსაკუთრებით იგრძნობა ერთგვარი **ვალდებულების** ან **სურვილის** ნიუანსი, ისეთი, როგორც აქვს ქართულ **მინდა წავიდე, უნდა წავიდე** ფორმებს... უფრო ხშირად ეს ფორმები აღნიშნული ნიუანსით იხმარება“ [ნათაძე, 1961, 35].

ავტორის დაკვირვებით, სარფის მეტყველებაში მყოფადში მოსალოდნელი „ლიტონი კონსტატაციისათვის“ მხოლოდ პრევერბიანი აწმყო იხმარება, **მინონ**მეშველზმნიანს კი მუდამ **განზრახვის** ან **ვალდებულების** ნიუანსი დაჰკრავს... **მინონ**ზმნიანი ფორმები **ვალდებულების** ან **განზრახვის** მნიშვნელობითლა იხმარება“; წარმოდგენილია მაგალითები:

გონიაშა **იდა-გინტუ** დო მაშინას ხრეში **მოკიდა-გინტუ** „გონიოში უნდა წასულიყავი და მანქანა ხრეშით უნდა დაგეტვირთა“; ოთხონეწდოვიტონჩხოვრო **ვაჟეზდაგინტუ**, ილლა ოშია! (ხოფ. ტექსტები, 3) „ოთხმოცდაცხრამეტი არ უნდა აგელო (არ აპირებდი აგელო), უსათუოდ ასიო!“; ამა დუბარეთენ ხოჯამ თიკანი **ჭკომასინტეს** (იქვე, 8) „ამ ეშმაკობით ხოჯას თიკანი უნდა შეეჭამათ“.

გაანალიზებული მასალის მიხედვით გაკეთებულია საყურადღებო დასკვნა: „მყოფადის მნიშვნელობის ძირითადი მატარებელი კავშირებითზე დამყარებული ჭანური მყოფადის ყველა ვარიანტში **თვით კავშირებითის ფორმაა; მყოფადი კავშირებითის სემანტიკური დერივატია**“ [ნათაძე, 1961, 35-36].

არნ. ჩიქობავა დაკვირვებით, „გურულში ჩვეულებრივია ჩხალური მყოფადის სრული ანალოგონები წარმოების მიხედვით; **ვზომო უნდა, ზომო უნდა, ზომოს უნდა...** მოვიდეს უნდა, მოხვიდე უნდა, მოვიდე უნდა...“, მხოლოდ, მისი აზრით, „ამგვარ წარმოებას მყოფადის მნიშვნელობა არა აქვს“ [ჩიქობავა, 1936, 149].

ვფიქრობთ (და ამას ადასტურებს ზემოთ წარმოდგენილი მასალაც) ლაზურის სათანადო ფორმებთან არამხოლოდ წარმოების თვალსაზრისით დადგება გურული **ვზომო უნდა...** ჯავახ.-აჭარ. **გააკეთოს'ნა...** ტიპის ფორმები, არამედ ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისითაც. **გააკეთოს'ნა** ტიპის ფორმათა მორფოლოგიური კვალიფიკაციისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ მოდალური ზმნა გაცვეთილია (უნდა > ნა) და უშუალოდ დაერთვის ზმნის ფორმას (და არა ფუძეს), ასევე არაფერს ცვლის ზმნის ფორმაზე **მინონ** მოდალური ზმნის დართვა ყველა თავისი ვარიაციით.

ამავე სისტემაში თავისუფლად ჩაჯდება არამხოლოდ დიალექტური **გააკეთოს'ნა**, არამედ სალიტერატურო ქართული ფორმებიც: **უნდა გააკეთოს/გააკეთოს უნდა, უნდა გაეკეთებინა/ გაეკეთებინა უნდა...** ასევე მეგრულიც: **ოკო პჭარა / პჭარა ოკო,**

თუ მყოფადია ლაზური **ორდაგინონ, ტასინონ...** რიგის ფორმები, მაშინ მყოფადია ქართ. სალიტ. **უნდა გააკეთოს/ გააკეთოს უნდა,** მეგრ. **ოკო პჭარე / პჭარე ოკო,** გურული **ვზომო უნდა...** ჯავახ.-აჭარ. **გააკეთოს'ნა...**

ან, სხვანაირად რომ ვთქვთ: ლაზური **ორდაგინონ, ტასინონ...** რიგის ფორმები ისეთივე მყოფადია, როგორი მყოფადიცაა ქართ. სალიტ. **უნდა გააკეთოს/გააკეთოს უნდა,** მეგრ. **ოკო პჭარა / პჭარა ოკო,** გურული **ვზომო უნდა...** ჯავახ.-აჭარ. **გააკეთოს'ნა...**

თავი გავანებოთ იმას, რომ ორდინარული მოდალური ელემენტისაგან განსხვავებით **მინონ** პარადიგმატული თავისუფ-ლებით გამოირჩევა, – იცვლება პირის, რიცხვისა და დროების მიხედვით. თვით მესამე პირის ფორმითაც კი (**უნონ** სახით) მისი დამკვიდრება არ ცვლის მასთან კომბინაციაში არსებული ზმნური ფორმის მორფოლოგიურ სტატუსს წარმოების თვალსაზრისით – ცვლის მის სემანტიკას.

ამ მიმართულებით თუ ვივლით, შეგვიძლია მეგრული **ოკო პჭარა/პჭარა ოკო, ოკო პჭარუდას / პჭარუდას ოკო, ოკო პჭარიკო / პჭარიკო ოკო, ოკო მიჭარუდუკო / მიჭარუდუკო ოკო** ტიპის კომბინაციების დაფიქსირებით ახალ საუღლებელ ერთეულებზე მსჯელობა, რაც ცხადია, გაუმართლებელი იქნება.

მთავარ ზმნასა და მოდალურ ელემენტს (მოდალურ ზმნას) პარადიგმატული თავისუფლება აქვთ;

ბატონი გ. კარტოზია წერს: „ხოფურში... პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება როგორც ძირითადი, ისე მეშველი ზმნა (გამონაკლისს შეადგენს მრ. რ. III პირი, სადაც ძირითადი ზმნა მხ. რ. ფორმით არის წარმოდგენილი)“, ე. ი. გვაქვს ასეთი პარადიგმა:

შეუხორცებელი

შეხორცებული

ა) მყოფადი I

ვორტა-უნონ	ვორტა-მინონ „ვიქნები, უნდა ვიყო“
(რ)ტა-უნონ	(რ)ტა-გინონ „იქნები, უნდა იყო“
(რ)ტას-უნონ	(რ)ტას-უ/ინონ „იქნება, უნდა იყოს“
(რ)ტათ-უნონ	(რ)ტა-გინონან „იქნებით, უნდა იყოთ“
ვორტათ-უნონ	ვორტა-მინონან „ვიქნებით, უნდა ვიყოთ“
(რ)ტათ-უნონ	(რ)ტას-უ/ინონან „იქნება, უნდა იყოს“

გილუტან-უნონ
ულუტან-უნონ

გილუტას-უ/ინონ „გექნებათ, უნდა გქონდეთ“
ულუტას-უ/ინონან „ექნებათ, უნდა ჰქონდეთ“

ბ) მყოფადი II

მექა-მინონ	„მოგცემ“
მეფა-მინონ-	„მივცემ“ [მე მას/მათ]“
მომჩა-გინონ	„მომცემ“
მეჩა-გინონ	„მისცემ“ [შენ მას/მათ]“
მომჩას-უნონ	„მომცემს“
მექას-უნონ	„მოგცემს“
მეჩას-უნონ	„მისცემს [ის მას/მათ]“
მექათ-მინონან	„მოგცემთ [ჩვენ შენ/თქვენ; მე თქვენ]“
მეფათ-მინონან	„მივცემთ [ჩვენმას/მათ]“
მომჩათ-გინონან	„მომცემთ; მოგვცემ; მოგვცემთ“
მეჩათ-გინონან	„მისცემთ [თქვენ მას/მათ]“
მომჩას-უნონან	„მომცემენ; მოგვცემს; მოგვცემენ“
მექას-უნონან	„მოგვცემენ; მოგვცემთ [ის თქვენ]“
მეჩას-უნონან	„მისცემენ“ [კარტოზია, 2004, 107].

წარმოდგენილია სათანადო ილუსტრაციები ტექსტებიდან:

მან თქვან უშქი **მექათმინონან** (კარტ., II, 80) „მე თქვენ ვაშლს მოგცემთ“; მუთხანი ზოპონ ჭიათი, თქვი, ჩქინ სი **მექათმინონან** დო ამ ქეპეი **მომჩათგინონ**¹² „რა ფასსაც ამოვბ, თქვი, ჩვენ შენ მოგცემთ და ამ ქამარს მოგვცემ (=ეს ქამარი უნდა მოგვცე)!“; სუმითი აქ ქოდოხედითია, მუთხანი **გიწვათმინონანა** (კარტ., I, 72) „სამივე აქ დასხედით, რაღაცა უნდა გითხრათო [მე თქვენ]“; ჩქინი ქიმოლეფე **მოხთასუნონ** დო ლოყა დო კაი გაი **ვუხვენამინონანა** (კარტ., II, 83) „ჩვენი ქმრები მოვლენ („მოვა“) და ტკბილ და კარგ საჭმელს გაუფუკეთებთო“; კაი ირი შეი ყვათგინონან, სთოლის **გესვათგინონან** დო ონჯირეს **ამახთათგინონან** (კარტ., II, 83) „ყველაფერი კარგი უნდა გააკეთოთ, სუფრაზე უნდა დააწყოთ და ლოგინში შეწვეთ („შეხვიდეთ“); ონჯირეს ხვალა ფორჩა **მოგოძიტასუნონან** (კარტ., II, 83) „ლოგინში მხოლოდ პერანგი უნდა გეცვათ“; თოლეფეს მოთვალერი **გილუტასუნონან** (კარტ., II, 83) „თვალეზე დაფარებული უნდა გქონდეთ“ [კარტოზია, 2004, 108-109].

¹² ბოლო სიტყვასთან დაკავშირებით შენიშვნაში ნათქვამია, რომ „უნდა გქონდეს **მომჩათგინონან**, რადგან I და II პირის კომბინირებისას მნიშვნელობა არა აქვს იმას, სუბიექტი იქნება მრავლობითში თუ ობიექტი: მეშველ ზმნაში ეს სიმრავლე აუცილებლად გამოიხატება (შდრ. წინა და მომდევნო ფრაზები **მექათმინონან**, **გიწვათმინონან** [მან თქვან], სადაც ირიბი ობიექტის სიმრავლე მეშველ ზმნაშიც ასახულია, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი მხოლოდობითში დგას). როგორც ჩანს, საქმე გვაქვს მეტყველების ლაფსუსთან, რომლის ანალოგი მყოფადის შეხორცებულ წარმოებაშიც შეიძლება დაიძებნოს. შდრ. [მან თქვან] ვა **გოჭკიამინონ** [ვა **გოჭკიამინონან**] (კარტ., I, 16) „[მე თქვენ] არ დაგკლავთ“ [კარტოზია, 2004, 108-109]

მთავარი ზმნისა და მოდალური ელემენტის (მოდალური ზმნის) პარადიგმატული თავისუფლება მხოლოდ პირისა და რიცხვის მარკირებით როდი ამოიწურება:

კავშირებითი II + მინტუ (მინდოლა) არნ. ჩიქობავას მიხედვით, პირობითის ნაკვეთია; მოცემულია პარადიგმა:

მა	ბ-ზიმ-მინტუ	ჩქინ	ბ-ზიმ-ა-მინტეს
	მე გავზომავდი...		ჩვენ გავზომავდით...
ს ი	ზიმ-ა-გინტუ		თქვან ზიმ-ა-გინტეს
ემუქ	ზიმ-ა-ს-უნტუ		ენტეფექ ზიმ-ა-ს-უნტეს
	ზიმ-ა-ს-ინტუ		ზიმ-ა-ს-ინტეს

„სარფში მარწმუნებდნენ, – წერს არნ. ჩიქობავა, – ამ უკანასკნელი დროისაგან შეიძლება თურმეობითის წარმოებაო, **ერ-ე-ს** დართვით ახალი დროის მიღებაო: მა ბ-ზიმ-ა-მინტ-ერ-ე, ს ი ზიმ-ა-გინტ-ერ-ე, ემუქ ზიმ-ა-ს-უნტ-ერ-ენ (ანდა: ზიმ-ა-ს-ინტ-ერ-ენ)... ტექსტებში ასეთი წარმოების თითო-ოროლა შემთხვევა გვაქვს [ჩიქობავა, 1936, 149-150].

ლაზურში არსებული ენობრივი რეალობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, **მოდალურ ზმნად** უნდა ჩაითვალოს ზმნა, რომელსაც **ფორმაცვალების უნარი აქვს**, მაგრამ **ფუნქციით** ამა თუ იმ **მოდალობის** გამომხატველი ნაწილაკია.

ამ შემთხვევაში სწორედ ის **გარდამავალი საფეხური გვაქვს, როდესაც ზმნის მოდალურ ელემენტად რეინტერპრეტირება ხდება. ფორმა ძველი შემორჩა, ფუნქცია ახალია.**

საერთოდ, ეს პროცესი საკმაოდ გვიანდელი ჩანს და ლაზურში იგი ბოლომდე არც არის მისული: იმავე ლაზურის ჩხალურ თქმაში მხოლოდ მესამე პირის ფორმებია განზოგადებული მოდალობის მარკირებისთვის, რაც უთუოდ ნიშანდობლივი ფაქტია და იმაზე მიუთითებს, რომ ლაზური სათანადო ენობრივ მიკროსიტუაციაში განვითარების იმავე გზას ადგას, ისეთსავე ტენდენციებს ავლენს, რასაც მისი დიალექტური სახესხვაობა მეგრულის სახით (ოკო ჭარას – უნდა წეროს), რასაც ქართული ენა თავისი დიალექტებით.

ასე რომ, **უნონ** (მეგრ. **ოკო**, ქართ. **უნდა**) ერთეული შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ფორმობრივ-ფუნქციური ტრანსფორ-მაციის სამი საფეხურის მონაცემი:

1. დამოუკიდებელი ერთეული უღლებისა (ლაზ. **ოკითხუ უნონ**, მეგრ. **კითხირი ოკო** – ქართ. **კითხვა უნდა**);

2. უღლებადი (resp. ფორმაცვალებადი) სიტყვა სათანადო ფუნქციონალური გრამატიკული პლანის გარეშე (ლაზ. **პჰარამინონ/ჰარაგინონ/ჰარასუნონ**, რაც ნიშნავს: **უნდა ვწერო/წერო/წეროს**);

3. ფორმაუცვლელი სიტყვა, ნაწილაკის სტატუსის მქონე, რომელსაც მოდალობის გრამატიკული სემანტიკა აქვს (ლაზ. **პჰარაუნონ/ჰარაუნონ/ჰარასუნონ** – ჩხალურში **-უნონ** უცვლელად რჩება მესამე პირში, ზმნა კი პირსაც იცვლის და რიცხვსაც [ყიფშიძე, 1994, 641; ჩიქობავა, 1936, 148; ჩიქობავა, 1944, 113]; მეგრ. **ოკო** **პჰარა/ჰარა/ჰარას**; ქართ. **უნდა ვწერო/წერო/წეროს**).

ეს სამი საფეხური განვითარების, ენობრივი ტენდენციის გამოხატულების სამი სხვადასხვა დიაქრონიული საფეხურია, – მეორე საფეხური პირველისგან მომდინარეობს, მესამე – მეორისგან.

ქართულ ენობრივ სინამდვილეში სინქრონიულ დონეზე ორი საფეხურის მონაცემები არსებობს: პირველი და მესამე. მეორე საფეხური, რომელიც გარდამავალია, არც ზანური ენის მეგრულ დიალექტში ფიქსირდება პრაქტიკულად. შემოუნახავს მხოლოდ ლაზურს (მესამე

საფეხურის პარალელურად) საკითხის ასე განხილვა ბერძნულის გავლენის საკითხსაც იოლად მოხსნის [შდრ. ჩიქობავა, 1944, 115].

უთუოდ ნიშანდობლივია და საყურადღებო ვითარება ხოფურ-ჩხალურში, სადაც უნტუ „უნდოდა“ მეშველზმნიანი წარმოება წარმოდგენილია უღლების სამი ტიპით: შეუხორცებლით, შეხორცებულთ და ნარევით:

- 1) მოფთათ-უნტუ 2) მოფთა-მინტეს 3) მოფთათ-მინტეს

„მოვიდოდით“

მოხთათ-უნტუ

მოხთა-გინტეს

მოხთათ-გინტეს

„მოხვიდოდით“

მოხთან-უნტუ

მოხთას-უნტეს

მოხთას-უნტეს

„მოვიდოდნენ“

[კარტოზია, 2004, 113].

კომბინაცია – კავშირებითი + მინონ/გინონ/უნონ ზმნის კავშირებითის გრამატიკული შინაარსისა და დებიტივის სინთეზია, ამ სპეციფიკის გათვალისწინებით იგი მომავალი დროის სემანტიკის თავისუფალი ინტერპრეტირების შესაძლებლობას იძლევა (მომავალი დროის გაგება აქვთ გასაკეთებელია, ასაშენებელია... ტიპის მიმღეობებსაც, მაგრამ ამის გამო ეს არ არის მყოფადის ნაკვთის ფორმები);

ნიშანდობლივია, რომ გ. კარტოზიას ზემოთ წარმოდგენილ პარადიგმებში ლაზური ვორტა-მინონ/გინონ/უნონ/გინონან/ მინონან/უნონან და გილუტას/ულუტას ზმნების პერიფრაზირებისას გამოიყენება ფორმულა: „ვიქნები, უნდა ვიყო“, „იქნები, უნდა იყო“, „იქნება, უნდა იყოს“, „იქნებით, უნდა იყოთ“, „იქნებით, უნდა ვიყოთ“, „იქნება, უნდა იყოს“, „გექნებათ, უნდა გქონდეთ“, „ექნებათ, უნდა ჰქონდეთ“.

თავისუფალი ინტერპრეტირების მაგალითები ჩვეულებრივია სათანადო ლაზური მასალის ქართულ თარგმანებში.

მსგავსი ინტერპრეტირების საშუალებას კავშირებითი II + ერე წარმოება (-ერე ნამდვილად მეშველი ზმნაა) არ იძლევა და ეს ლოგიკურია ამ ელემენტის იმანენტური სპეციფიკიდან გამომდინარე.

საყურადღებოა ისიც, რომ ყოველთვის როდია იმის საშუალება, კომბინაცია – კავშირებითი + მინონ/გინონ/უნონ წავიკითხოთ და გავიგოთ, როგორც მყოფადი, ყოველთვის როდია შესაძლებელი აღნიშნული კომბინაციის დეკოდირება მომავალი დროის შინაარსის მქონე გრამატიკულ ინფორმაციად (ამის საილუსტრაციო მასალა ზემოთაც არის წარმოდგენილი):

მენონჰკვალე ვარ ელოკაგინონ (ხალხ., 230) „გადა-ნაფურთხი არ უნდა ალოკო“; მითხანიშ არაბას გეხე, ემუში ობირუ იბირაგინონ (ხალხ., 235) „ვის ურემზეც ზიხარ, იმისი სიმღერა უნდა იმღერო“; არ ზანაათიში საჰები ტაუნონ (ჩიქ., I, 63) „ერთი ხელობის პატრონი უნდა იყო“; ბორჯიშე მენდრა იყვაუნონ (ჩიქ., I, 59) „ვალისგან შორს უნდა იყო“ (შდრ.: ბორჯიშენ მენდრა იყვაგინონ (ხალხ. 205) „ვალისგან შორს უნდა იყო“); აია ყვილაუნონ, ნოჰკიაუნონ, გონდინაუნონ (კარტ., I, 13) „ეს უნდა მოკლა, დაკლა, დაღუპო“; ართელი ქაურქი, კათთა თომას უჯის თითო ოღრანწვილონი ულუტასინონ (კარტ., I, 25) „ერთი ქურქი, თითოეული თმის

ბოლოს თითო ეყვანი უნდა ჰქონდეს“; მჟას ყოროფ-ნა – ფუჯისთი **ყოროფტაგინონ** (ხალხ., 235) „რძე თუ გიყვარს, ძროხაც უნდა გიყვარდეს“; ნანაში ნენას **ნუსიმიანა-უნონ** (ხალხ., 240) „დედის სიტყვას უნდა მოუსმინო“; ნენა სქანიში საები **ტაგინონ** (ხალხ., 241) „შენი სიტყვის პატრონი უნდა იყო“; ნენას მთელიში ვარ **ოთქვაფაგინონ** (ხალხ., 241) „ენას ყველაფერი არ უნდა ათქმევინო“; ოთქუ დო ოხვენუ არ **ტასინონ** (ხალხ., 244) „თქმა და ქმნა ერთი უნდა იყოს“; ოთქუმში **ითქვასინონ**, ოყვილში **იყვილასინონ** (ხალხ., 244) „სათქმელი უნდა ითქვას, მოსაკლავი უნდა მოიკლას“; ოხორიშ ამბაი გალენის ვარ **უჩქიტასინონ** (ხალხ., 246) „ოჯახის ამბავი გარემომ არ უნდა იცოდეს“; ძაბუნობაქ ვარ **გოჯგინასინონ**, სი **ოჯგინაგინონ** (ხალხ., 261) „ავადმყოფობამ არ უნდა გაჯობოს, შენ უნდა აჯობო“; ხუთ **უჩვაგინონ** და ვით **მუჩვაგინონ** (ხალხ., 265) „ხუთი უნდა გადენო და ათი უნდა მოდენო“; ჯოლორიშ ვარ ნა, საეში ხატორო **ყვაგინონ** (ხალხ., 266) „ძაღლის თუ არა, პატრონის ხათრით მაინც უნდა ქნა“; აა ვა დუბალუნ! გვერდი ლირა ჩქვა **მომჩაგინონ!** (ჩიქ.ი 62₂₉) „ეს არ ეყოფა! ნახევარი ლირა კიდევ უნდა მომცე!...“; მითხანე აღანე ღურელი რეთ, ჟუროშ-ჟუროშ თულულა **ილაგინონან!**.. თანაფაშა ემაღლ **ოჩოდინაგინონან**. დოთანა-ში-თი, ენა ტით'სთერი ხოლო **ინჯირაგინონან!** (ჩიქ.ი 39) „ვინც ახალი მიცვალებული ხართ, ორას-ორასი აგური უნდა წაიღოთ... გათენებამდის ატანა უნდა დაამთავროთ! როცა გათენდება, როგორც იყავით, ისე უნდა დაწვეთ...“; ბერეს ართიმენ **აშქურინასინონ** (ხალხ. 204) „ბავშვს ერთის უნდა ემინოდეს“; ბერე **ორდაგინონ** მუჭო დუმმანი დო ნა ირდას, სქანიშენი არგურონი იყვენ (ხალხ. 204) „ბავშვი უნდა გაზარდო როგორც მტერი და რომ გაიზრდება, შენი ერთგული იქნება“; მთელი შეი მუში აერის **ტასინონ** (ხალხ., 233) „ყველაფერი თავის ადგილზე უნდა იყოს“...

მინონ/გინონ/უნონ ელემენტების პოზიცია ლაზურში ქართულ-მეგრულის ანალოგიურად თავისუფალია: იგი შეიძლება ზმნის წინაც შეგხვდეს და უკანაც, შეიძლება ზმნის პირიან ფორმასთან ერთადაც განვიხილოთ (როგორც ეს არის ქართულის დიალექტებში ან მეგრულში), შეიძლება შეხორცებული ან შეუხორცებელი იყოს მთავარ ზმნასთან (იხ. [კარტოზია, 2004, 80], თუმცა ამ მოვლენის არსი ცოტა ბუნდოვანია ჩვენთვის) მაგრამ ამით მისი სტატუსი, მისი ფუნქციურ-სემანტიკური მახასიათებლები არ იცვლება.

ქართულში ნაწილაკად ქცეული **უნდა...** ფუნქციური მრავალფეროვნებითა და გავრცელებულობით გამოირჩევა... აღნიშნავს მომავალს, „უნდაობითობას“, ვალდებულებას, ვარაუდს, შესაძლებლობას... [პაპიძე, 1993, 309].

ასეა ეს ლაზურშიც.

II.8.3.2. კავშირებითი II + ერე წარმოება ლაზურში.

-**უმ-ერ** დაბოლოებიანი ზმნებზე მსჯელობისას -**უმ** სუფიქსს თემის ნიშნის კვალიფიკაცია მივეცი (იხ. ზემოთ), რაც ვფიქრობთ, ბუნებრივია; რაც შეეხება ამ კომბინაციის მეორე კომპონენტს, იგი უნდა იყოს ერთ-ერთი ფონეტიკური სახესხვაობას -**ორენ** მეშველი ზმნისა, რომელიც სხვადასხვა ნაკვეთთან დასტურდება. -**ორენ** ზმნის ფონეტიკური ვარიაციებიდან ყურადღებას გავამახვილებთ -**ერე** ელემენტზე, რომელსაც მყოფადის მაწარმოებელ ერთ-ერთ მორფემად მიიჩნევენ ლაზურში.

-**ერე**, რომელიც II კავშირებითის ფუძეს ერთვის, არნ. ჩიქობავას აზრით, არის დამხმარე სიტყვა „რომ“ [ჩიქობავა, 1936, 140]. მკვლევარს მოტანილი აქვს **ზუმუმს** („ზომავს“) ზმნის

ულლების პარადიგმა. მის ყურადღებას იქცევს „ზუმანენ“ ფორმა: „არქაბულში, – წერს იგი „ჭანურის გრამატიკული ანალიზის“ ერთ-ერთ შენიშვნაში, – „მხოლოდობითის მესამე პირში შეიძლება გვექონდეს **-ორენ**: ზუმასორენ, რაიც აკად. ნ. მარს აფიქრებინებდა, რომ მყოფადს აწარმოებს მეშველი ზმნა **ორენ** „არის“; მყოფადი განიაზრებოდა, როგორც „არის, რომ ვზომო, ზომო, ზომოს“ [ჩიქობავა, 1936, 149].

იქვე, მეორე შენიშვნაში, აღნიშნულია, რომ „ზუმანენ“ მიღებულია **ზუმანენ**-საგან **-ნ**-ს დართვით“, მითითებულია ისიც, რომ „ამ **ნ**-ს მორფოლოგიური ფუნქცია არ ჩანს“ [ჩიქობავა, 1936, 140].

თუ აფხაზურთან პარალელურ წარმოებას მოვიგონებთ, – წერს ამასთან დაკავშირებით ქ. ლომთათიძე, – ნ. მარის ახსნა დამაჯერებელი ჩანს [ლომთათიძე, 1946].

ნ. ნათაძის აზრით, „მყოფადის ფორმის შინაგანი მოტივაციის თვალსაზრისით ორივე ახსნა ლოგიკური ჩანს“, მაგრამ უფრო სარწმუნოდ იგი მაინც მარის მოსაზრებას მიიჩნევს [ნათაძე, 1961, 32].

ნ. მარის მოსაზრებას იზიარებს ზ. ჭუმბურიძეც [ჭუმბურიძე, 1986, 153].

ჩვენთვისაც ეს არის უფრო დამაჯერებელი ახსნა (თუნდაც იმ გარემოების გამო, რომ **ნ**-ს საკითხი ადვილად იხსნება; გარდა ამისა, სხვა რა კვალიფიკაცია შეიძლება მიენიჭოს **-ორენ** ფორმას, რომელიც აშკარად ამოსავალი ჩანს იმავე **-ერენ** ფორმისათვის;

ამასთან, ერთობ საგულისხმოა ისიც, რომ **ერე** როგორც ჭანურში, ისე მეგრულში თურმეობითის ფორმებშიც იხმარება [იხ. ლომთათიძე, 1946, 137-139].

-ორენ მეშველზმნიანი ფორმების ნიმუშებია:

ხოშაკალი მოხთას-ნა, თუთუნი ბიწასენ, სტახიში ფარა **მომჩანორენ** (ჩიქ., II 6921) „თუ სეტყვა მოვიდა, თამბაქოს დაფლეთს, დაზღვევის ფულს მომცემენ“; ბერეფე მოთ გოიტანს! **დიზანორენ** (იქვე, 4426) „ბავშვები ნუ გაივლიან! გაიჭყლიტებთან“; პექ ოხორეფე **მეგაგანორენ** ლაზიში (იქვე, 5412) „იქ ლაზის სახლები შეგხვდება“; ბერეფე ჩქიმიქ ადლი-ადლი გარო **ჭკომანორენ** (ჟღ., 199) „ჩემი ბავშვები (მსუქან) კარაქიან საჭმელს შეჭამენ“; ჰამ სერი ჰაქ ბიჭეფე მშქორინერი **დოსქიდანორენ** (იქვე, 197) „ამაღამ ბიჭები აქ მშვირები დარჩებიან“; **იხვეწანორენ** ნოლამისამ-კელე (ჩიქ., II, 6512-13) „ხვეწნას დაიწყებენ პატარძლის მხრივ“; კოჩი დოლოხედასენ, **იკანწურანორენ** (იქვე, 7611) „კაცი ჩაჯდება, იქანავებენ (იქანავოს)“; ჯუმუ ქომოიზდიფს, **დინჯუმორენ** (ჩიქ., II 16516) „მარილს შეიწოვს (დამარილდება)“...

ნიშანდობლივი და საყურადღებო ფაქტია, რომ **დორენ** ფორმა, რომელიც ზმნისწინიანი მეშველი ზმნაა და ჩვეულებრივ არაინვერსიულ თურმეობითებთან დასტურდება, შეიძლება აწმყოს ფორმებთანაც შეგვხვდეს (სხვადასხვა ფონეტიკური ვარიაციით), რაც **დო-** ზმნისწინის მეგრ. **ქო-** ნაწილაკთან (რომელიც ზმნისწინის ფუნქციასაც ითავსებს რიგ შემთხვევებში), და საერთოდ, **დორენ** და **ქორენ** ფორმათა ფუნქციურ იგივეობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს:

ბახუმსდორენ „სცემს, ურტყამს“ (კარტ., II 320²⁰) **რედორენ** „არის“ (ჟღ., 24¹³); **(ქო)ენდოე** „იდ“ (კარტ., II, 120¹², 125⁶, 133⁹, 323⁸); **ისაღენდორენ** „გაცოცხლდება“ (ჟღ., 24¹³); **მულუნდოე** „მოდის“ (კარტ., II 125⁷); **გულუნდონ** „დადის“ (კარტ., II 101¹⁷) **იქომსდორენ** „იქმს, აკეთებს“ (ჟღ., 11¹⁹); **გაღუნდორენ** „გაქვს, გქონია“ (ჟღ., 14²⁵; კარტ., II 317²⁹); **ულუნდოე** „აქვს, ჰქონია“ (კარტ., II, 119¹, 323³); **მიონუნდოენ** „მყავს“ (კარტ., II 105²); **მეჩამანდორენ** „ადლევენ“ (დიუმ., II 133, XXXI¹²); **მოლოგიძინდორენ** „გიდევს, გდება“ (ჟღ., 24¹⁴); ვა **ნახონდინენდოე** „ვერ უძლებს“ (კარტ., II, 319²); **ითქვენდოენ** „ითქმის“ (კარტ., II, 159¹⁹); **კიამსდოენ** „ყივის“ (კარტ., II, 152³¹) [იხ. კარტოზია, 2004, 94].

-ორენ > -რენ:

ბოზო კაი რენ, მარი მუ **ლოდარენ** (ჟღ., 35¹⁹) „გოგო კარგია, ბაყაყს რას აქნევ“; უჯი ნუკუმა მომილი დო მტკობაშა მუნთხანი **გიწვარენ** (ჟღ., 25²⁹) „ყური პირთან მომიტანე, და ფარულად რალაცას გეტყვი“...

ართაშენულის ზოგ ქცევაში, გ. კარტოზიას დაკვირვებით, საშუალი გვარის ზმნათა აწმყოში **რენ** „არის“ მეშველი ზმნა იჩენს თავს. მასვე მოაქვს სათანადო მაგალითები გაბმული ტექსტებიდან:

ჰაიხინჯი-პიჯი **ჯოხურენ** [=ჯოხუნ] (კარტ., II 189²⁶) „აქაურობას („აქ“) ხიდისთავი („ხიდისპირი“) ჰქვია“; შკუ ა მუთუმენი „მილუნ“ ბიტურთ... ზღემურეფე **„მილურენ“** იტუნან. „მიშკუნ“ შკუ ბიტურთ, ჰინი – **მიშკურენ** (კარტ. II, 328²⁵⁻²⁶) „ჩვენ რამეზე „მილუნ“ (= „მაქეს“-ს ვამბობთ... ძღემელები „მილურენ“-ს ამბობენ. „მიშკუნ“ („ვიცი“-ს ჩვენ ვამბობთ, ისინი – „მიშკურენ“-ს“. მა მუ მიშკურენ! „მე რა ვიცი!“; ლაზებურა **ქუმკურენ** [=ქუმკუნ] „ლაზური იცის“; მუჭოთე **ულურენ** [=ულუნ]? „როგორ წავა?“ თახსითი **ქუნურენ** [=ქუნუნ] „ტაქსიც ჰყავს“.

„ამგვარი მეორადი ფორმების წარმოქმნისათვის, – წერს მკვლევარი, – ხელი უნდა შეეწყო ნამყო უსრულისა და პირველი სერიის სხვა მწკრივთა ანალოგიას. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთა **-რტუ, -რტას** (და ა. შ.) სეგმენტები (ულურტუ „ჰქონდა“, უშკურტუ „იცოდა, ეგონა“, ჯოხურტუ „ერქვა“, ულურტას „იცოდეს, ეგონოს“, ჯოხურტას „ერქვას“... მეშველი ზმნის ნამყოუსრულად, კავშირებით პირველად (და ა. შ.) იქნა გააზრიანებული და მათი გავლენით აწმყო შესაბამისად (მეშველი ზმნის აწმყოს დართვით) გაფორმდა“ [კარტოზია, 2004, 135-136].

საინტერესო ახსნაა.

ფაქტია, რომ ამ შემთხვევებში მეშველი ზმნა დასტურდება. თანაც, საერთო სურათში ბუნებრივად ჯდება ამგვარი წარმოება.

-ორენ > -ორე:

ანდლა ტასენ სელაჯეს **გემდვანორე**, უჩა ლეტას მძონა, **მეშამდვანორე**, ჰემ ლეტა დო ჰემ ქვა **ემოდვანორე** (ყიფშ., 52²²⁻²⁴) „დღეს იქნება „სელაჯეზე“ დამდო, შავ მიწაში წამოყვან, ჩამოყვან (ჩამიყვანო), მიწასაც და ქვასაც დამადებ (დამადო)“; **გისვანორე** ზემზემი დო გულ-აღი (იქვე, 53⁴) „წაგისვა „ზემზემი“ და ვარდის ზეთი“)...

-ორენ მეშველი ზმნის სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტია დადასტურებული შემდეგ საინტერესო მაგალითში:

კოლი **ციალანორე** (ცილანენ, ცილანორე – მთელი არ ეენ!) (ჩიქ., 21¹⁸) „კალიას მოკლავენ = მოკლან (ცილანენ, ცილანორე – სულ ერთია!“).

-ორე > -ერე:

ორთალი ვიათერე (ჩიქ., II 96⁴) „ამხანაგები ვიყოთ“; სი ქარმატეშე მუში **ეგაჭოფასერე**... (ჩიქ., II, 96⁴) „შენ წისქვილიდან რის აღებასაც შეძლებ...“;

-ორენ > -ოენ:

მიონუნდოენ (კარტ., II 105²) „მყავს“; ვა **ნახონდინენდოე** (კარტ., II, 319²) „ვერ უძლებს“; **ითქვენდოენ** (კარტ., II, 159¹⁹) „ითქმის“; **კიამსდოენ** (კარტ., II, 152³¹) „ყივის“...

-ორენ > -ოე:

(ქო)ენდოე „იდ“ (კარტ., II, 120¹², 125⁶, 133⁹, 323⁸); მულუნდოე (კარტ., II 125⁷) „მოდის“...

-ორენ > -ონ:

გულუნდონ (კარტ., II 101¹⁷) „დადის“; ულუნდონ (კარტ., II, 119¹, 323³) „აქვს, ჰქონია“...

-ერენ> -ეენ> ენ:

ოთხო კოჩი დოლოხედასენ (ჩიქ., II 76¹⁶) „ოთხი კაცი ჩაჯდება“; ბინეხი იმოდასენ, ყურძენი იჩანასენ (ჩიქ., II, 109¹⁸) „ვაზი გაიზრდება, ყურძენს გამოისხამს“; ნა-მოსქიდასენ, დოპტახუმთ (ჩიქ., II, 80²⁴) „რაც დარჩება, მოვტეხთ“; ნოდას წკაი მიგზდასენ (ჩიქ., II, 80³²) „ქალაქში წყალს მიუტანს“; უკულე მოინჭასენ, პტახათენ (ჩიქ., II, 31⁰) „მერე მოიწევა (დამწიფდება), მოვტეხთ“; სი კილანენ-აა, კწამანენ-აა (ჩიქ., II, 99¹⁶) „შენ მოგკლავენ, გაწამებენ“; ცილი... დაჩხიის გოტობანა-ში, დიკაპეტანენ (ჩიქ., II, 164⁶) „ცილა ცეცხლზე რომ გაათბო, გამაგრდება“; ქართალი დოქარეს-ქი, მითხანიმ ცხენი გოლუხთასენ, მაჟუანიქ ბახჩიში ცხენი ჰემუს მეჩასენ (ჩიქ., II, 44²³) „ქალაქი დაწერეს, რომ ვისი ცხენიც გაუსწრებს, მეორე საჩუქრად იმას მისცემს“; კაპულას-აა თითო ნალიში ტამურლა გეგრათენ-აა (ჟღ., 207) „ზურგში თითო ნალის დაღს დაგკრავთ“...

-ენ > -ინ:

ბაბასქანი ვადი ულუნ, მემოკვათასინ! (ჩიქ., II, 121²⁹) „მამამენს პირობა აქვს, უნდა მომკლას!“; სი ბერე რე! ვარ ცეგაზდასინ! (ჩიქ., II 122²⁴) „შენ ბავშვი ხარ! ვერ აწევ“...

-ინ > -ი:

მათი მბილასი! (ჩიქ., II, 122¹⁵) „მეც მომკლავს!“; ჰიმდორა დოღურასი! (ჩიქ., II 122¹⁸) „მამინ მოკვდება! („მოკვდეს“)“...

მეშველი ზმნისაგან -რე ელემენტი ჩანს:

ბგუბარე, უკულე ბოხომბინარე, კელემბურის გელაპკიდარე; დოხომბასენ, ხომბაშკულე, დოგჯახარე (ჩიქ., II 2³⁰) „აბედს მოვხარშავ, მერე გავაშრობ, შუაცეცხლის ჯაჭვზე დავკიდებ. გაშრება, როცა გაშრება, დავბეგვავ“; ბიგზალარე დო ბინჯირარე (ჩიქ., II, 4¹⁶) „წავალ და დავიძინებ“; საიუზის მეზულარე, ბოწონაფარე (ჩიქ., II 69¹) „საიუზს“ მივუტან, ავაწონინებ“; სი ქოგიჩქინ, მა მუნდეს ბლურარე (ჩიქ., II 82⁷) „შენ იცი, მე როდის მოვკვდები“; მუთხა ბუკითხარე (ჩიქ., II 68³³) „რადაცას ვკითხავ“; ჰამსერი მა გიფონარე! სი ბერე რე! ვარ ცეგაზდასინ! ცემაზდენ!“ (ჩიქ., II, 122) „ამაღამ მე წაგიყვან! („წაგიყვანო“) შენ ბავშვი ხარ! ვერ აწევ („არ აგწევა“)! „აგწევ“ („ამეწევა“)! მევიხირარე, ჰაქ მოვილარე ქარმატეშე! (ჩიქ., II 96³) „მოვიპარავ, აქ მოვიტან წისქვილში“...

მხოლოდ -რ- ვლინდება:

ქონა დოფხონარ, თასი დოფთასარ (ჩიქ., II 115³³) „ყანას დავხნავ, თესლს დავთესავ“; ლობერი დოღობარ, ოტი ფუჯი მო ამიტა! (ჩიქ., II 115³⁰) „ღობეს შემოავლებ („დაღობავ“), რომ ძროხა არ შემოვიდეს“; მჭიფე-მჭიფე ხორცი დოპიტოლარ... ფრინძი უნტალარ, პრასა უნტალარ, ვროსი დომდღვალარ... (ჩიქ., II 114⁶⁻⁸) „წვრილ-წვრილად ხორცს დავჭრი, ბრინჯს ავურევ... პრასას ავურევ, კარგად ავურევ“; ოკაჩხე ჩითაბი მომიჯლონარ? (ჩიქ., II 113¹³) „მერე წიგნს გამომიგზავნი?“...

შდრ.:

თუთუნის თასი **ჯეგოთასარე** (ჩიქ., II 1068) „თამბაქოს თესლს დავთესავ“;

აწმყოს ფორმებში, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივია **-რ** სუფიქსი (იხ. ზევით):

სქირი, **ბღურურ** (ჩიქ., II 1226) „შვილო, ვკვდები“; „ვარ **ვულურთ**“-ია მიწვეს (ჩიქ., II 18) „არ მოვდივართ,-ო, მითხრეს“; მუშენი **ნულურ?** (ჩიქ., II 261) „რატომ მიდიხარ?“; სირტის ოხვამეზე **მებულურ**-ა (ჩიქ., II 2526) „გორაკზე სალოცავში მივდივარ-ო“; მა თოლითე **ოკობიწერ** (ჩიქ., II 1134) „მე თვალთ ვხედავ“; მა თხირნალი **ფხერ** (ჩიქ., II 1726) „მე თხირნალში ვსახლობ (ვზივარ)“...

ზმნათა ერთ ჯგუფს, როგორც აღინიშნა, **-ერ/-ელ** უდასტურდება აწმყოში (იხ. ზევით):

მა **ფრუმერ** დო გამახთა-ში, ოპოფუმ (ჩიქ., II 8218) „მე ვდარაჯობ და რომ გამოვა, დავიჭერ“; სი ვით **ურუმერ** დო ხუთ **მურუმერ** (ჩიქ., II 621) „შენ ათს აძლევ და ხუთს იღებ“;

შდრ.:

ვიდა-დო, ჩქინ-ნა **მრუმელან**, მურა ჯოდორის დოვუჯობა-ა (ჩიქ., II 6820) „წავიდე და, ჩვენ რომ გვიცავს, იმ მურა ძაღლს დავუძახო-ო“;

ჩქინ ბზოპონთ, **ფთქუმერთ**, ენთეფექ ზოპონან, თქუმელან (ასათ., 112) „ჩვენ ვლაპარაკობთ, ისინი ლაპარაკობენ“; მითიქ ნენა ვა **იშიმერს** (ასათ., 88) „არავინ ენას არ იღებს“; ოხორჯაქ ქიმოლი მუშის **ურუმერს** (ჩიქ., II 162) „ცოლი თავის ქმარს ეუბნება“;

შდრ.:

ქიმოლი მუშის **ურუმელს** (ჩიქ., II 514) „თავის ქმარს ეუბნება“...

მესამე სუბიექტური პირის სუფიქსი **(-ს) -ერ** ელემენტისეული **რ-ს** ასიმილაციის მიზეზი ხდება:

ჩუმერს > ჩუმესს > ჩუმეს „უყურებს“, „უცდის“; ამოშქუმერს > ამოშქუმესს > ამოშქუმეს „ამოუშვებს“; მენდოჩქუმერს > მენდოჩქუმესს > მენდოჩქუმეს „გაგზავნის“ [ჩიქობავა, 1936, 23].

ამგვარად, დასახელებულ შემთხვევაში მეშველი ზმნისაგან **-ეს** ელემენტი მიიღება, რასაც შემდგომი გამარტივება მოჰყვება **(-ეს > -ე)**; **-ე** ელემენტი დარჩენილი **-ორენ** ფორმის გაცვეთის შედეგად:

ჩქვა მუთუ ვა **გიწუმე** (ასათ., 66) „მეტს არაფერს გეტყვი“; მა **გიწუმე**... ამბაი (ასათ., 89) „მე გეტყვი... ამბავს“; კიცის **ქოგედუმე** (ასათ., 111) „კეცზე დადებ“; ეკულე ტეპსის ალი ქოგუსუმე დო ცომი ქოგედუმე, კაი ქაგონთხიფ დო ჟინ ალი **ქომუჟუსუმე**... ჟინ საჯი **ქომოთუმე** (ასათ., 63) „მერე ტაფას ერბოს წაუსვამ და ცომს დადებ, კარგად გაათხელებ და ზევიდან ერბოს წაცხებ... ზევიდან თანაქას დააფარებ“;

შდრ.:

ტაღანის ალი **ქოგებდუმერ** (ასათ., 63) „ტაფაზე ერბოს დავადებ“.

დორენ > დონ (ამგვარი ფორმები განსაკუთრებით თვალშისაცემია დიუმეზილის მიერ ჩაწერილ მასალაში):

სი ხუთ მჭითა ლირა გიქადუმ!-ა დო **ურუ-დონ** (დიუმეზ., 80) „შენ ხუთ წითელ ლირას გპირდებიო“, – და უთქვამს; ხამალ **იდუ-დონ** დო **ქოდოხუ-დონ** (დიუმეზ., 80); „მუშა წასულა და ერთი საფლავი გაუთხრია“; კაი ვარ **დოგახუ-დონ**, ოწკედი: ხოლ ქომოხთუ“-ა დო (დიუმეზ., 80); „კარგად არ დაგიმარხავს, ნახე, ისევ მოვიდაო“; მუქთიმ ჯენაზე **ქოწირუ-დონ** (დიუმეზ., 80) „მუფთის ცხედარი უჩვენებია“...

ამგვარად, **-ორენ/-დორენ** მეშველი ზმნა პრაქტიკულად ყველა შესაძლო ფონეტიკური ვარიანტით შეიძლება ერთვოდეს ზმნას:

-ორენ/-დორენ, -დონ, -ორე, -ოენ, -ონ, -ერენ, -ერე, -ერ//-ელ, -რე, -რ, -ეს, -ენ, -ინ, -ი, -ე.

საკითხი ასე შეიძლება დადგეს:

რამდენად ლოგიკური იქნება ერთმანეთისგან გავმიჯნოთ მეშველზმნიანი და უმეშველზმნო კავშირებითი II და განს-ხვავებული გრამატიკული კვალიფიკაცია მივცეთ მათ?

ამ ორ მორფოლოგიურ ერთეულს შორის სტრუქტურულის გარდა არანაირი სხვაობა არ არის, ისინი აბსოლუტურად ფარავენ ერთმანეთს ფუნქციურ-სემანტიკური პლანის თვალსაზრისით.

მათი გამიჯვნა იგივეა, ვტირი და ვტირივარ, ვმლერი და ვმლერივარ, წასვლოდა და წასვლიყო, დასწეროდა და დასწერიყო... სხვადასხვა ნაკვთის ფორმებად მივიჩნით.

ეს იგივეა, რომ მეგრული ზიმას ოკო და ქართული ზომოს უნდა სხვა ნაკვთებად ჩავთვალოთ და შესაბამისად, ზიმას და ზომოს – მათგან განსხვავებულ ნაკვთად.

მით უმეტეს, რომ საქმის ვითარების ამგვარად წარმოდგენას ხელს არ უწყობს ქართველურ ენათა მონაცემებიც – „მონათესავე ქართველურ ენებში კავშირებითს მყოფადი არ ემყარება“ [ჩიქობავა, 1944, გვ. 115]).

ზუმას, ზუმასერე, ზუმასე... ზუმასუნონ... („ზომოს“), ჩვენი აზრით, ერთი და იმავე ნაკვთის ფორმებია და ეს ნაკვთი კავშირებითი მეორეა.

ასე რომ, ტრადიციულად მყოფადად სახელდებულ ნაკვთსაც II კავშირებითის ნაკვთის კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს. **ზუმას/ზუმასერე/ზუმასე... ზუმასუნონ...** („ზომოს“), ჩვენი აზრით, სწორედ კავშირებითი მეორის ფორმებია.

გვეჩვენება, რომ მყოფადის შესახებ არსებულ სპეციალურ ლიტერატურაში მყოფადის ნაკვთის ფორმა და მყოფადის ნაკვთის ფუნქციაა აღრეული.

ფაქტია, რომ ყველა ის ფორმა, რომელიც მყოფადის ფუნქციას გამოხატავს, მყოფადის ნაკვთად ვერ ჩაითვლება (მყოფადის ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს აწმყოსაც და აორისტსაც): მყოფადის ნაკვთს სათანადო აუცილებელ და საკმარის ელემენტთა ერთობლიობა აყალიბებს ნაკვთად.

ლაზურში ჩვეულებრივია ქართულისა და მეგრულის ანალოგიური (მარტივი, უმეშველზმნო თუ მოდალური ელემენტის გარეშე წარმოდგენილი) კავშირებითი მეორე:

„ოფჰოფათ დო ოფშომათ“, თქვეს (ყიფშ., 83) „დავიჭიროთ და შეეჭამოთო, თქვეს“; არ შეი გიწუმერ/ლ, ემუშენი ვარ ვა დოთქვა! (იქვე, 5). „ერთ რამეს გეტყვი და იმისი უარი არ თქვა“; მუჭო პათ ჩქინ (იქვე, 5) „რა ვქნათ ჩვენ?“; ჩქინ თესლიმი დოვოყვათ! (იქვე, 5) „ჩვენ დავმორჩილდეთ“; მუთუ პატინობა ვა დიყვას (იქვე, 5) „არაფერი ცუდი არ შეემთხვეს“; პეტროქ „ა მუთხანი ბზოპონ, ემ ნენას ვარ გუიქათ“-ია (იქვე, 5) „პეტრომ – ერთ რამეს ვიტყვი, იმ სიტყვას არ გადახვიდეთო“; აწი თელი ბერეფე დოპილათ-ნა, ვარ იყვენ დო აშო ქოვორტათ! (ყიფშ., 5) „ახლა ყველა ბავშვი რომ დავხოცოთ, არ შეიძლებაო და ასე ვიყოთ!“ ...ოკითხუშენი ფადიშაის ვოხვეწათ, იზნი ქომომჩან-ნა, ხოლო წოხლენი-სტერი დოვიყოფურთ! (ყიფშ., 6) „...სკოლის შესახებ ფადიშაჰს ვსთხოვოთ. თუ ნება დაგვრთო, წინანდებურად ვიქნებითო“; ემუშენი გევოლარაფთ-ქი, აღნე კიცის თოლი ვარ მატას დო ვარ ტკვაცას (იქვე, 8) „იმისათვის გავხაზავთ, რომ ახალ კეცს თვალი არ ეცეს და არ გასკდეს“; დოპწინათ დერდი ჩქიმი დო სქანი (ჩიქ., 1936, 144) „ავწონოთ ჩემი დარდი და შენი დარდი“ მუთხანი-ნა ლაზიმი ენ ია აფჰოფათ (იქვე, 108) „რაც საჭიროა, ის ვიყიდოთ (ავილოთ“; მუ მევიხირა? (ჩიქ., I, 20) „რა მოვიპარო?“; ენთეფემ მარქვალეფეს კაზ-იალი გოვობათ დო დოპჰვათ (ჩიქ., I, 112_ა) „იმათ კვერცხებს ნავთი

გადავასხათ და დავწვავთ“; არ გზა ქოდომოგური დო მა ვიგზალა (II 99¹⁷) „ერთი გზა მასწავლე და მე წავალ“; ნაშქვით, სო იდას! (II 125²⁹) „გაუშვით, სად წავა!“; ყურძენი ნა **დოწილან**, ნწილახუფან დო მუში ლოყა **დოდგიფან** (დიუმეზ., 160) „ყურძენს რომ მოკრეფენ („რომ დაკრიფონ“), წურავენ და ბადაგს („მის ტკბილს“) დააყენებენ“ („დააყენონ“); წიწილასტერი ჯინდო **გევგა** (ჩიქ., II, 122) „გველივით ზევით დავკრავ („დავკრა“)“; ჯამუში დოლოხე დოლოხენ, ჰაწი ბიდუმინი-ქი, მუჭო **ემებოონა-მა?** (ჩიქ., II, 57) „კამეჩი შიგნით (ჭაში) ზის, ახლა ვიფიქრე, თუ როგორ ამოვიყვანო-მეთქი“; **მენდებილათ** ჩარჩიმა დო გამაფჩათენ (ჩიქ., II, 81) „წავილოთ ბაზარში და გავყიდოთ“; არ მუთხანი ქობძირი, ზოდას **ქოგამაბილათ** (ჩიქ., II, 43) „ერთი რაღაც ვნახე, ზღვიდან გამოვიტანოთ“; მან ია ნოკუნჩხენი **ბძირა**-ში, მუ თოლი **ოკობდვა**-ი (ჩიქ., 140) „მე იმ ნაკვალევს რომ ვნახავ, თვალი როგორ დავხუჭო? („დავწუხო“, „ერთმანეთთან დავდო“)“; ლეტა **ოკოპწკა** დო ლეტას **მეშაფთა**-ი (ჩიქ., II, 140) „მიწა გავთხარო („ერთმანეთს დავხსნა“) და მიწაში ჩავიდე?“ ჭუბუის... **გოწკა** ტკები, **ოკოდრიკარე** (ჩიქ., II, 51) „წაბლს გააძრო ქერქი, „მოდრიკო“;

შდრ.

ქართ.:

წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ ვუთხრა ჭირისა („ლექსი ვეფხისა და მოყმისა“)...

II.8.3.2. II პირობითი მეგრულ-ლაზურში.

II პირობითი იწარმოება **აორისტის ფორმისგან** მორფემიზებული -**კო(ნ)** ნაწილაკის დართვით [იხ. დანელია, 2006, 153; შდრ. ქაჯაია, 2001, 64]:

წყვეტ.		II პირობ.	
ჭარუ	„წერა“	ჭარუკო(ნ)	„ეწერა“
თასუ	„თესა“	თასუკო(ნ)	„ეთესა“
ხანტუ	„ხატა“	ხანტუკო(ნ)	„ეხატა“
შუ	„სვა“	შუკო(ნ)	„ესვა“
ჭკირუ	„ჭრა“	ჭკირუკო(ნ)	„ეჭრა“
ხონუ	„ხნა“	ხონუკო(ნ)	„ეხნა“
(გო)ხუმუ	„გახმა“	(გო)ხუმუკო(ნ)	„გამხმარიყო“
(გო)სქირუ	„გამრა“	(გო)სქირუკო(ნ)	„გამშრალიყო“...

ასევეა ლაზურში, **ამოსავალი აქაც აორისტია** და არა აორისტის ფუძე [შდრ. ჩიქობავა, 1936, 143].

მაწარმოებელი იგივეა, რაც პირობით პირველშია გამო-ყენებული: **-კო(ნ) < -ოკონ** „უნდა“; „აკად. ნ. მარის ჩვენებით მრავლობითში **-კო-** ჩაერთვის მრავლობითობის ნიშნის წინ, ჩვენი ტექსტების მიხედვით კი მრავლობითშიაც **-კო(ნ)** დაერთვის ზმნის დამთავრებულ ფორმას (ხოფურშიც და ვიწურ-არქაბულშიც). ასევე იწარმოება ეს ჩხალურში (ი. ყიფშიძე, *დიპ. ცვ.* § 87). ქართულს ეს დრო არა აქვს. ეს დრო გადმოიცემა ქართულში უმთავრესად თურმეობითი მეორით, რომელსაც დაერთვის „რომ“ [ჩიქობავა, 1936, 143].

ლაზურისთვის წარმოდგენილ პირობითი II-ის ფორმათა პარადიგმას ქართული თარგმანი არ ახლავს:

მა	ბ-ზუმ-ი-კონ	ჰეა	მა	ბ-ზიმ-ი-კონ	ია
სი	ზუმ-ი-კონ	ჰეა	სი	ზიმ-ი-კონ	ია
ჰემუქ	ზუმ-უ-კონ	ჰეა	ემუქ	ზიმ-უ-კონ	ია
ჩქუნ	ბ-ზუმ-ი-თ-კონ	ჰეა	ჩქინ	ბ-ზიმ-ი-თ-კონ	
ია					
თქვან	ზუმ-ი-თ-კონ	ჰეა	თქვან	ზიმ-ით-კონ	ია
ჰემთეფექ	ზუმ-ეს-კონ	ჰეა	ენთეფექ	ზიმ-ეს-კონ	ია

ქართული ინტერპრეტაცია გვაქვს მეგრულის სათანადო ფორმათა პარადიგმაში:

მა	ბ-ზიმ-ი-კონ(ნ)	თინა	მე რომ მეზომა ის...
სი	ზიმ-ი-კონ(ნ)	თინა	
თიქ	ზიმ-უ-კონ(ნ)	თინა	
ჩქი	ბ-ზიმ-ით-კონ(ნ)	თინა	
თქვა	ზიმ-ი-თ-კონ(ნ)	თინა	
თინენქ	ზიმ-ეს-კონ(ნ)	თინა	

[ჩიქობავა, 1936, 143]¹³.

„რომ“ კავშირი თარგმანში ზედმეტია; ეს ფორმები კონსტრუქციაში (განსხვავებულ კონტექსტებში) შეიძლება სხვადასხვაგვარად განიმარტოს; ვთქვათ ასე: ამდღა **ოკო ბზიმეკო** თენა „დღეს უნდა გამეზომა ეს“;

ნიმუშები:

მეგრული:

მუ **ოკო ქიმინუკო?** (ყიფშ., 96) „რა უნდა ექნა?“ სი ხოლო **მემიდინიკონი**, მა უკული მუ **ფვიმინიკო**, მიქ **ოკო მოდარიოუკო?** (ხუბ., 178₃₀); „შენც რომ დამეკარგე, მე მერე რა უნდა მექნა, ვის უნდა ვერჩინე?“; მუნერო **ოკო ორზგო** თიქ თინერი დაჩხირი, ნამდა პაპას ოხვამეს **ქემუტუბუკონი** (ყიფშ., 822); როგორ უნდა დაენტო ისეთი ცეცხლი, რომ ის გაეთბო; მუს **მეფხვადიკო** სი კოჩია (ხუბ. 41₁₈); „რას მივმხვდარიყავი (=უნდა მივმხვდარიყავი), შე კაცო“; ეწყინე ძალამქე, მარა მუ **ქიმინგო?** (დან. 30) „ეწყინა ძალიან, მაგრამ რა ექნა (=უნდა ექნა)?“; სიავა მითომტევე ტყას... ძალა ვაილუდგ დო მუ **ქიმინიკოვა** (დან., 258) „შენო რომ დამტოვე ტყემიო... ძალა არ გქონდაო და რა გექნაო (=უნდა გექნაო)“; ბოშიქე დოღურუ, მარა მუ **ქიმინკო?** (დან. 30) „ბიჭი მოკვდა, მაგრამ რა ექნა (=უნდა ექნა)?“; თისია ოსურო **ოკო მიდვაქუნიკოვე** (ხუბ., 255₁₀) „მაგას ცოლად უნდა წავყოლოდიო“; ძალა ვაილუდგ დო მუ **ქიმინიკოვა** (ხუბ. 71₃₄) „ძალა არ გქონდა და რა უნდა გექნაო“; მისეთ წოხოლეშე გური მალედგენ, თიქ **ოკო იქუკო** ცვილირქ (ხუბ., 235₃₅) „ვისაც უფრო წინ გული მოუვიდოდა, ის უნდა ყოფილიყო მოკლული“; მურთე პაპას გურქ, მარა მუ **ოკო ქიმინგო?** „მოუვიდა მღვდელს გული, მაგრამ რა უნდა ექნა? (ყიფშ. 9)“; ნამდგა ჯგუფი ორჯგინანდგენ, ეთინაქ **ოკო იქუკო** გამარჯვებულქ (ხუბ., 242₁₂); რომელი ჯგუფიც აჯობებდა, ის უნდა ყოფილიყო გამარჯვებული; მავითოჟირა წანას ათე ხენწიფეშ ოსინდალგშა **ოკო ქიმერთგო** თი ბოშიქ (ხუბ., 249₉) „მეთორმეტე წელს ამ ხელმწიფის სასიძოდ უნდა მისულიყო ეს ბიჭი“; ჩქიმი წიმოძახება ხრისტაგანი-ტარიელიში მეტი შხვაქ **ოკო ვაგაბედგო** (ყიფშ. 85₂₄) „ჩემი წამოძახება ხრისტაგანი-ტარიელის მეტს სხვას ვერ უნდა გაებედა“; გინოდგე ართი ყორში, ნამუშე ირი ონჯუას **ოკო გინაკკჟინგო** მუში ღემალას, სოლე

¹³ კ. დანელიას გამოყოფილი აქვს პირობითი I და პირობითი III, პირობითი მეორე არა აქვს.

დააშქურინუკო ნდემეფი (ყიფშ. 55^{გ.9}) „ედგა თურმე ერთი კოშკი, საიდანაც ყოველ საღამოს ხმამაღლა უნდა გადაემახა თავისი სამფლობელოსთვის, რომ დაემინებინა დევები“; ატუს გაუკვირდუ ექ, მარა მუ ოკო **ქიმინუკო?** (ყიფშ. 10¹⁷) „ატუს გაუკვირდა, მაგრამ რა უნდა ექნა?“; დააჰყვ ფირქი მუნერო ოკო **ორზგო** თიქ თინერი დაჩხირი... (ყიფშ. 8²¹⁻²²) „დაიწყო ფიქრი, როგორ უნდა დაენთო ისეთი ცეცხლი...“; გითაჯინი, ეშმაკური **ვაქიმინუკო** მუთუნი თი კოჩქია (ხუბ. 58⁵) „უყურე, რამე ეშმაკური არ ჰქონდეს გაკეთებული იმ კაცსო“. *შდრ.*: ჩქიმ ქომონჯიქ ოკო **ქემორთუკო** დო ათე შკაფიშა ოკო მითილევე (ხუბ. 227¹) „ჩემი ქმარი უნდა მოსულიყოს და ამ კარადაში („შკაფში“) უნდა შეხვიდეო“; ლობერიშა ქემურქ, დაბა თი ჩხუ ღვარანდგნ, აშო **ვა მგნოტახუკოვა!** (ხუბ., 139¹¹) „ღობესთან მივალ, ის ძროხა რომ ზღაოდა, ხომ არ შემომამტვრია ერთი აქეთ“...

ლაზური:

ხუსეინ ექენდი, ჯუმა-შქიმი ოხოროშე **ეშკაფითუკო!** (ყიფშ. 86¹³) „ხუსეინ ექენდი, ჩემი ძმის სახლში წავსულიყავით“; ღორმოთიქ მუჰქე გზა მოწირეს, ვიდიკოთ (ყიფშ. 74³⁶) „ღმერთმა როგორც გზა გვაჩვენა, უნდა წავსულიყავით; ეგერ ... ვარ **ბიდიკო** II 25⁶ „რომ არ წავსულიყავ...“; ნეკნა... **დოვიკო** II 10^{32,34,35}, 11⁴, „კარი რომ გაგეკეთებინა...“; არაბას **ქოგებდგიკო** II 11² „ურემზე რომ დამედგა...; **იბგარუკო... დიჩინდუკო** II 91²⁷⁻²⁸ „რომ ეტირა... დაეცხიკვებინა“; **მენდემიონითუკო** II „რომ წავეყვანეთ...“; სი **ქოგექჩესკონ** II 14¹⁹ შენთვის რომ დაერტყათ...; ილუშუნამს: „სიჯა შქიმიშ ოხოი არ **ქომბირიკო**“-დეი (ჩიქ. II, 98¹³) „ფიქრობს: „ჩემი სიძის სახლი ერთი უნდა მენახაო“...; არ **ქოგმირიკო**-ია (ყიფშ. 66⁸) „ერთი (უნდა) მენახეო“; ორდო **მენდაფითუკო** (ჩიქ. I, 82) „საჩქაროდ უნდა წავსულიყავი“; ღორმოთიქ მუჰქე გზა მოწირეს, ვიდიკოთ (ყიფშ. 74³⁶); „ღმერთმა როგორც გზა გვაჩვენა, უნდა წავსულიყავით“; არ ოხაჩქონი აერი არ ქარა **დოფხაჩქითუკო**“ (ყიფშ., 55) „ერთი დასათესი ადგილი ერთხელ რომ დაგვეთესა“...

პირობითი მეორის მოდელი მეგრულ-ლაზურში ასეთია:

RA -კო(ნ), სადაც

RA არის აორისტის ფორმა (საყრდენი ფუძე პირობითი მეორისთვის), **-კო(ნ)** პირობითის მაწარმოებელი.

II.8.4. III სერია მეგრულ-ლაზურში.

ქართულში ფორმაწარმოების საერთო სისტემიდან ამო-ვარდნილია მესამე სერიის ნაკვეთა წარმოება. ვერ ვიტყვით, რომ აქ საერთოდ არ არის დაცული საწარმოებელი ფუძის პრინციპი, თუმცა ისეთი სიმწყობრე და თანამიმდევრულობა არ შეინიშნება, როგორც გვაქვს პირველ და მეორე სერიაში;

თურმეობითის ჯგუფს ყოველთვის არ მოეპოვება საერთო ფუძე, ამოსავლად რომ გვექონდეს წარმოებისას (აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, მეორე სერია – აორისტის ფუძეზე).

მესამე სერიის გარდამავალ ზმნებს ახასიათებს **ინვერსია**.

მესამე სერიის ზმნურ ფორმებს **ქცევის გამოხატვა** არ შეუძლიათ.

პირველი სერიის ნომინატიურ და მეორე სერიის ერგატიულ კონსტრუქციებს მესამე სერიაში **დატიური** ენაცვლება, – ესეც გარდამავალ ზმნებზე ვრცელდება და მიუხედავად იმისა, რომ ეს სინტაქსური კრიტერიუმია, ერთ-ერთ სადიფერენციაციო საშუალებად შეიძლება ვცნოთ.

მესამე სერიაში ფორმაწარმოებისას რამდენიმე შემთხვევა გაირჩევა; სხვადასხვაგვარად იწარმოება:

1. გარდამავალი ზმნები;
2. გარდაუვალი ერთპირიანი ზმნები;
3. გარდაუვალი ორპირიანი ზმნები.

თუნდაც სისტემიდან ამოვარდნილობისა და რიგი სპეციფიკური დეტალების გამო შეიძლება მესამე სერიის ფორმათა ცალკე დაჯგუფება: „როგორც ჩანს, დრო-კილოთა III ჯგუფის ნაკვთთა ერთად გაერთიანება ენის აღწერისათვის უფრო ლოგიკური და მართებულია არა ერთი რომელიმე ნიშნის გამო, არამედ იმ განსხვავებულ ნიშანთა კომბინაციების, იმ თავისებურებათა ერთიანობის გამო, რასაც სხვადასხვა კონსტრუქციის ზმნები ამ ჯგუფში იჩენენ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით. ეს დაჯგუფება უმარტივესი გზა იქნება დრო-კილოთა III ჯგუფის აღწერის თვალსაზრისითაც“ [არაბული, 1984, 20].

ქართულში ზმნათა ერთ ნაწილს მესამე სერიის ნაკვთები აწმყოზე ფუძეზე დამყარებითა აქვს ნაწარმოები (აკეთ-ებ-ს – გააკეთა – გაუკეთ-ებ-ია, გაეკეთ-ებ-ინა, გაეკეთ-ებ-ინოს); მეორე ნაწილისთვის საყრდენი ფუძე აორისტია: აღ-ებ-ს – გააღო – გაუღია, გაეღო, გაეღოს).

ამ შემთხვევებში მესამე სერიის ნაკვთებს საერთო წარმოება აქვთ.

მაგრამ ყოველთვის ასე არ არის: ზმნათა ერთი ჯგუფის თურმეობითი პირველი აწმყოს ეფუძნება, ხოლო II თურმეობითი და III კავშირებითი – აორისტს: ადგენს – დაადგინა – დაუდგენია; შდრ: დაედგინა, დაედგინოს... ამ შემთხვევაში სხვა ფუძე აქვს პირველი თურმეობითსა და სხვა – მეორე თურმეობით-მესამე კავშირებითს.

ქართულის ანალოგიურად მეგრულშიც შეიძლება მესამე სერიის ფორმათა ცალკე წარმოდგენა მათთვის დამახასიათებელი ისეთი სპეციფიკური ნიშნების საფუძველზე, როგორცაა:

- მოქმედებითი გვარის ზმნათა **ინვერსიულობა**
- **უნახაობის, თურმეს** გაგება
- **-ე (<რე < ორე)** „არის“ მეშველზმნიანი წარმოება ვნებითისა და ერთპირიანი ფორმებისთვის (არამეშველზმნიანი წარმოების პარალელურად)
- სათავისო და სასხვისო **ქცევის ფორმათა არარსებობა** [კარტოზია..., 243].

აქვე, ქართულის ანალოგიით, შეიძლება დავამატოთ მეოთხე – **სინტაქსური ნიშანი**: გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმები პირველსა და მეორეს ამ თვალსაზრისითაც უპირისპირდება: ხანტუნს თინა თის – დოხანტუ თიქ თინა – დუხანტუ თის თინა.

მეგრულის მესამე ჯგუფის დროებს ი. ყიფშიძე ასე წრმოგვიდგენს: **ნამყო სრული** (მი-ჭარუნ; გი-ჭარუნ; უ-ჭარუნ); **ნამყო წინარეწარსული**; **ნამყო კავშირებითი** (ყიფშიძე, 1994, 086).

კ. დანელია მესამე სერიის ფორმებად მიიჩნევს **ნო-** პრეფიქსიან წარმოებასაც: „III თურმეობითის ნაკვთებს მეგრული ორი განსხვავებული პრინციპით აწარმოებს:

- 1) ქართულისებურად, ინვერსიით, წყვეტილის ფუძეზე დაყრდნობით; ესაა ნაწყვეტლარი III სერიის ნაკვთები (მიკვათუ მა თინა „მიკვეთია მე ის“, მიჭკირუ

„მიჭრია“...). 2) **ნო** პრეფიქსიანი წარმოება, რომელიც I სერიას, კერძოდ, აწმყოს ფუძეს ეყრდნობა (ნოვკვათუექ)“ [დანელია, 2006, 159].

ამგვარად, **ნო-** პრეფიქსიან ფორმებს მესამე სერიის ნაკვთთა ვარიანტებად მიიჩნევენ. რამდენად საფუძვლიანად? – ამაზე ქვემოთ იქნება მსჯელობა.

არნ. ჩიქობავას ლაზური მესამე სერიის ფორმები ცალკე არა აქვს წარმოდგენილი. მისი სქემის მიხედვით სულ ორი ჯგუფია: **ნანამყოუსრულარი თურმეობითი** დრო-კილოთა პირველ (აწმყოს) ჯგუფშია, ხოლო **თურმეობითი პირველი ნააორისტალი, თურმეობითი მეორე ნააორისტალი, კავშირებითი მესამე, პირობითი მესამე და პირობითი მესამისგან ნაწარმოები თურმეობითი დრო-კილოთა მეორე (აორისტის) ჯგუფში** [ჩიქობავა, 1936, 156].

II.8.4.1. თურმეობითი პირველი მეგრულში.

მეგრულში, ქართულის ანალოგიურად, ინვერსიულია გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმები; ნიმუშები:

ვაგაფჩენდიო – თქუ კერქ – ართი ხანირე ნდიეფი ვამაწუხენსგნი, თურმე ლევანს **დუზლოდუაფუ** (ხუბ., 9) „არ გამიკვირდა? – თქვა ტახმა – ერთი ხანია დევები არ მაწუხებენ, თურმე ლევანს დაუხოცავს“; უნელო **ქემუნტებაფუაფუ** სანთელიშე ჭაშა დაჩხირი (ყიფშ., 62) „უნებურად მოუკიდებინებია სანთლისგან ჩალისთვის ცეცხლი“; სუმი ხოლო ჩქიმი ბალანეფი **შემიწირებუ**, – თქნ ფენიაქ (ხუბ., 93) „სამივე ჩემი შვილი შემიწირავს, – თქვა ფენიამ“; თურმე ჟვაბუს მინდორიშა ხოჯი **ქოწმუხვილუაფუ**, დახარბებუ თიმ სიდიდა, დახე თოლი გაწმოლაფუ (ყიფშ., 171) „თურმე გომბეშოს მინდორში ხარი უნახავს, დახარბებია მისი სიდიდე, კინაღამ თვალი გამოვარდნია“; თხალეფს **უთქუალე** ნამდა, თქვა ჩქენი პატრონი იკუაფუთ (ხუბ., 306) „თხებს უთქვამს, რომ თქვენ ჩვენი პატრონი იქნებით“; მიდურთუმე დო ართ დიხას **დრშაყარ** არძა ტურა დო ართ დიხას **ქიმეუჩამუ** ბინა (ხუბ., 306) „წასულა და ერთ ადგილას მოუგროვებია ყველა ტურა და ერთ ადგილას მიუცია ბინა“; გამარჯობა **უთქუალ** თხალეფიშა. ინეფც სალამი **მეუჩამუნა** (ხუბ., 306) „გამარჯობა უთქვამს თხებისთვის. იმათ სალამი მიუციათ“; ათე ბორჯისე გერცე ე ბოში **ქუუხვამილუაფუ** (ყიფშ., 12) „ამ დროს მეგელს ეს ბიჭი გაუტაცია“; დიდასე ამბე **ქეშუტყეებუ**, ურკიუ, უნგარე ბრელი (ყიფშ., 12) „დედას ეს ამბავი რომ შეუტყვია, უკვილია, უტირია ბევრი“; მუჟამს მუნეფიში სოფელი **დუუღარიბებუნა** ნი, უკული შხვადო **დუუჭყაფუნა** ხირუა (ყიფშ., 12) „როცა თავიანთი სოფელი გაუღარიბებიათ, მერე სხვაგან დაუწყიათ მოპარვა“; ართიშახ, ჭუმე პეტრობა რდუკო ნი, ამუსერი ართი სოფელსი **მეუხირუნა** ხოჯი, მარა, ეტყეებუ, ღორონსით **გაურისხეებუ** თინეფი დო შარას ქუგოთანაფუნა (ყიფშ., 12) „ერთხელ, ხვალ პეტრობა ყოფილიყო, ამაღამ ერთ სოფელში მოუპარავთ ხარი, მაგრამ, ეტყობა, ღმერთსაც შეურისხავს ისინი და გზაში შემოსთენებიათ“; **ეუკინუნა** დო **დუუცვილუნა** ხოჯი (ყიფშ., 12) „აუწევიათ და დაუკლავთ ხარი“; ხეშკეტეფიშა **ქეგეუკირაფუნა** დო **დუუქუნუნა** ნოშოთი დო **დუუჭყაფუნა** ღვარა (ყიფშ., 12) „ხელკეტებზე დაუკრავთ და დაუფარავთ ნეშოთი და დაუწყიათ ყვირილი“; მეშარეფს **უკითხირუნა**: მუქ გალოლესია? (ყიფშ., 12) „შემხვდურებს უკითხავთ: რა მოგივიდათო?“; **უპასუხებუნა**: სუმი ჯიმა ვორდითი, ართის პეტრეია ჯოხორდგ (ყიფშ., 12) „უპასუხიათ: სამი ძმა ვიყავით, ერთს პეტრეია ერქვა“; აი ათენერი ხერხით **დუუღორებუნა** მოშარეფი, ხოჯი **ქუდეშა ქემეულალუნა** დო დრო **უტარებუნა** (ყიფშ., 12) „აი ასეთი ხერხით მოუტყუებიათ („მოუღორებიათ“) შემხვდურები, ხარი სახლში წაუღიათ და დრო უტარებიათ“; სუმი მუში ნოსალეფს გოჯოგუუ ნდო გინორობუმა **ქუურაგუაფუნა** (ყიფშ., 42) „თავის სამ რძალს შესძულებია და ხევში გადაუგდიათ“...

ინვერსიულია, ქართულისავე ანალოგიით, **ვკივი, ვტირი, ვიცი, ვყვირი, ვმღერი, ვცეკვავ... ვმუშაობ, ვშრომობ, ვვაჭრობ...** ტიპის გარდაუვალ სტატიკურ ზმნათა მესამე სერიის ფორმები:

მირკიუ, მინგარუ, მიძიცუ, მიღვარ, მიბირუ, მისხაპუ... მიმუშებუ, მიხანდებუ, მივაჭრებუ...

შდრ. ქართ.:

მიკივლია, მიტირია, მიცინია, მიყვირია, მიმღერია, მიცეკვია... მიმუშავია, მიშრომია, მივაჭრია...

გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითის წარმოება, როგორც აღნიშნა, არაერთგვაროვანია ქართულში: ამოსავალია **ძირითადად აწმყოს** ფუძე (ხატავს – დაუხატავს, აკეთებს – გაუკეთებია, ადგენს – დაუდგენია, აქცევს – დაუქცევია...), **მაგრამ შეიძლება აორისტი იყოს ამოსავალი** (ადებს – გაუღია, აქებს – შეუქცია...).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ მეგრული ზმნის **თურმეობითი პირველი იყენებს წყვეტილის ფუძეს** [ქაჯაია, 2001, 65, დანელია, 2006, 159, კარტოზია... 245...].

ნამდვილად ასეა ეს ერთი რიგის ფორმებში: გარდამავალი ზმნების ერთ ნაწილში, – კერძოდ: როდესაც აწმყოში გვავს **-უნ** (< ქართ. -ავ):

ხანტუნს „ხატავს“	დოხანტუ	დუხანტუ
ჭარუნს „წერს“	დოჭარუ	დუჭარუ
ფორუნს „ფარავს“	დოფორუ	დუფორუ
ხაჩქუნს თოხნის“	დოხაჩქუ	დუხაჩქუ
თასუნს „თესავს“	დოთასუ	დუთასუ
ცალუნს „ცელავს“	დოცალუ	დუცალუ
ზომუნს „ზომავს“	დოზომუ	დუზომუ
ჭუნს „წვავს“	დოჭუ	დუჭუ
		<i>შდრ.</i> მასდარი: ჭუალა „წვა“
ჭოფუნს „იჭერს“	ოჭოფუ	უჭოფუ...

ასევეა:

ჭანს („კერავს“) – დოჭან – დუჭან,

შდრ. მასდარი: ჭალა „კერვა“

ხანს („შობს“) – ქოხან – ქუხან,

შდრ. მასდარი: ხალა „შობა“

ოჯღონანს („აგზავნის“) – ოჯღონუ – უჯღონან,

შდრ. მასდარი: ჯღონა „გზავნა“

ორჩქინანს („აჩენს“) – გარჩქინუ – გურჩქინან,

შდრ. მასდარი: გორჩქინა „გაჩენა“

წამალანს („წამლავს“) – წამალან – დუწამალან,

შდრ. მასდარი: წამალუა „წამვლა“...

ამ შემთხვევაში მესამე სერიის ფორმები ათემატურია, ისევე როგორც მეორე სერიისა, რაც მათ ფორმოზრივ კავშირზე მიუთითებს.

მაგრამ ყოველთვის როდია ამოსავალი აორისტი.

ხშირად ამოსავალია აწმყო. საინტერესოა, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი ენიჭება თემის ნიშანთა წარმომავლობას, ანუ: აპრიორი ვერ ვიტყვით, რომ თუ ზმნას, ვთქვათ, თემის ნიშნად აქვს **-უნ**, თურმეობითის ფორმაშიც გამოვლინდება ეს სუფიქსი;

თუ აწმყოს თემატური ნიშანი **-უნ** ქართული **-ამ** სუფიქსის შესატყვისია, მაშინ ასეთი **-უნ** პირველ თურმეობითშიც ჩანს, ესე იგი, **თურმეობითისთვის საყრდენია აწმყოს ფუძე**;

იმდენად, რამდენადაც **-უნ**-ნიშნიან ზმნათაგან მხოლოდ მცირე ნაწილშია ეს **-უნ** ქართ. - **ამ**-ის შესატყვისი (**-ამ**-ნიშნიანი ზმნები ხომ ცოტაა ქართულშიც), ამგვარი (აწმყოს ფუძიდან მომდინარე) თურმეობითების ნიმუშები ცოტაა; ესენია:

აწმყო	აორისტი	თურმ. I
დგუნს „დგამს“	დოდგუ	დუდგუმუ
შუნს „სვამს“	გეშუ	გეუშუმუ
ნწყუნს „ხსნის“	გონწყუ	გუნწყუმუ
ფსუნს „ფსამს“	ფსუ	უფსუმუ

აწმყოს ფუძეა საყრდენი პირველი თურმეობითისთვის, როცა **-ან < -ამ**:

აწმყო	აორისტი	თურმ. I
მეჩანს „[მი]სცემს“=„ამღევს“	მეჩუ	მეუჩამუ
ოცოთანს „აგდებს“	ოცოთუ	უცოთამუ
ონჯანს „აღებს“	განჯუ	გუნჯამუ
ორზანს „აგზნებს“	დარზუ	დურზამუ
მიოგანს „ურტყამს“	მიოგუ	მეუგამუ

ან როცა **-ან < -აფ**:

აწმყო	აორისტი	თურმ. I
ოგორანს „აგინებს“	ოგორუ	უგორაფუ
ორღვანს „ყრის“	ორღუ	ურღვაფუ
ოგანს „აგებს“	დაგუ	დუგაფუ
ოცქვანს „აქებს“	ოცქუ	უცქვაფუ
ოფშანს „ავსებს“	ოფშუ	გეუფშაფუ
იჭყანს „იწყებს“	დიჭყუ	დუჭყაფუ

შდრ.: მიოგანს „ურტყამს“ - მიოგუ - მეუგამუ

ასევეა კაუზატიური სტრუქტურისა თუ წარმოების ზმნების შემთხვევაში (ამ ზმნათა რაოდენობა ერთობ სოლიდურია).

ორგუანს	–	დორგუ	–	დურგუაფუ,
ოხუმუანს	–	ოხუმუ	–	უხუმუაფუ,
ოფუნუანს	–	ოფუნუ	–	უფუნუაფუ...
ოკეთებაფუანს	–	გაკეთებაფუ	–	გუკეთებაფუაფუ,
ოთასაფუანს	–	დათასაფუ	–	დუთასაფუაფუ,
ოჭარაფუანს	–	დაჭარაფუ	–	დუჭარაფუაფუ...

რა თქმა უნდა, არც ის შემთხვევებია უგულვებელსაყოფი, როდესაც ქართული წარმოებაა (**ა- ებ**) შეთვისებული (მხოლოდ ეს წარმოება რომ იყოს, მაინც დადგება ამოსავალი ფუძის

საკითხი და, ბუნებრივია, გადაწყდება იგი აწმყოს ფუძის სასარგებლოდ; საჭიროა და აუცილებელი ყველა ენობრივი ფაქტის აღწერა, სათანადო კვალიფიკაციის მინიჭება და ადგილის მიჩენა სისტემაში):

-ენ < -ებ:

აწმყო		აორისტი	თურმ. I
აჭითარენს	„აწითლებს“	დაჭითარუ	დუჭითარებუ
აუჩარენს	„აშავებს“	დაუჩარუ	დუუჩარებუ
აკეთენს	„აკეთებს“	გაკეთუ	გუკეთებუ
აბარენს	„აბარებს“	ჩაბარუ	ჩუბარებუ
აღორენს	„აღორებს“	დაღორუ	დუღორებუ
უტენს	„უშვებს“, „უტევენს“	გუტუ	გუტებუ
ზოგენს	„ზოგავს“	დაზოგუ	დუზოგებუ...

შესაძლოა ამოსავალი იყოს მასდარის ფუძე:

თქუანს „იტყვის“ – უთქუალუ „უთქვამს“;

შდრ.: მასდ.: თქუალა;

კითხულენს „კითხულობს“ – უკითხირუ „უკითხავს“;

შდრ.: მასდ.: კითხირი;

ციდულენს „ყიდულობს“ – უყიდირუ „უყიდა“;

შდრ. მასდ.: ციდირი...

ერთი სიტყვით, თუ მივიღებთ მხედველობაში თემის ნიშანთა ხვედრით წილსა და როლს აწმყოს ფუძის წარმოებაში, შეიძლება ითქვას, რომ მეგრულშიც უმეტესად აწმყოს და არა აორისტის ფუძეს ემყარება გარდამავალი ზმნის პირველი თურმეობითის ფორმა.

პირველი თურმეობითის სტრუქტურა განსხვავებულია გარდამავლობის მიხედვით.

გარდამავალ ზმნის პირველი თურმეობითის სტრუქტურა პირების მიხედვით ასეთია:

1. (Z)-მ-ი-R₁-უ-(ნ), გ-ი-R₁-უ-(ნ), უ-R₁-უ-(ნ) – სადაც (Z) ზმნისწინია, R₁ - პირველი სერიის თემა (მ-ი-გორაფ-უ-(ნ), გ-ი-გორაფ-უ-(ნ), უ-გორაფ-უ-(ნ))
2. (Z)-მ-ი-R₂-უ-(ნ), გ-ი-R₂-უ-(ნ), უ-R₂-უ-(ნ) – სადაც (Z) ზმნისწინია, R₂ მეორე სერიის თემა (მ-ი-ხაჩქ-უ-(ნ), გ-ი-ხაჩქ-უ-(ნ), უ-ხაჩქ-უ-(ნ));
3. (Z₁)-მ-ი-R₃-უ-(ნ), გ-ი-R₃-უ-(ნ), უ-R₃-უ-(ნ) – სადაც Z₁ მტკიცებითი ნაწილაკია, ფუნქციით ზმნისწინის ბადალი, R₃ არის მასდარი (მ-ი-ციდირ-უ-(ნ), გ-ი-ციდირ-უ-(ნ), უ-ციდირ-უ-(ნ)).

-უ, რომელიც პირის სუფიქსის წინ სტაბილურად ვლინდება (გუკეთებ-უ), ერთი შეხედვით თითქოს ქართულ სათანადო ფორმებში (გაუკეთები-ა) დადასტურებული -ა სუფიქსის შესა-ტყვისობაა (შდრ. აორისტი: გააკეთ-ა – გაკეთ-უ), ანუ სუბიექტური პირის მარკერი, თუმცა სინამდვილეში მას ეს ფუნქცია არა აქვს, პირის ნიშანია -ნ, რომელიც, როგორც ცნობილია, ხმოვნის დართვისას აღდგება (გუკეთებ-უ-ნ-ო? შდრ. აორისტი: გაკეთ-უ-ო?)

-უნ თემისნიშნაანების შემთხვევაში შეიძლება ასევე გვეფიქრა, რომ -უ სწორედ -უნ სუფიქსის ნაშთია: დოუხანტ-უნ-ნ > დოუხანტ-უ-(ნ).

თუმცა -უ თურმეობითში იმ შემთხვევაშიც ჩანს, როცა თემატური ნიშანი უკვე არის წარმოდგენილი: დოუდგ-უმ-უ-(ნ)... გოუნჯ-ამ-უ-(ნ), გუტ-ებ-უ-(ნ)...

უფრო საფიქრებელია, რომ ეს -უ იგივე მონაცემი იყოს, რაც ვლინდება სტატიკურ ფორმებში: უხანტ-უ-(ნ) „უხატა“, უჰარ-უ-(ნ) „უწერია“... დგ-უ-(ნ) „დგას“, ძ-უ-(ნ) „ძევეს“, ჯან-უ-(ნ) „წევს“...

ქართულში გარდაუვალი ზმნა მხოლოდ ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის (თბება ის – გათბა ის – გამთბარა ის), მეგრულში მეორე სერიის ერგატიული კონსტრუქცია არღვევს ამ სისტემის თანამიმდევრულობას: ტიბუ თინა – გოტიბუ თიქ – გოტიბაფე თინა; ანუ: სინტაქსური თვალსაზრისით გარდაუვალი ზმნის პირველი და მესამე სერიები ერთადაა და ამ მხრივ უპირისპირდება მეორეს. რაც შეეხება გარდამავალ ზმნას, ამ მხრივ ქართულსა და მეგრულს შორის განსხვავება არ არის: ჭარუნს თინა თის „წერს“ (ის მას – დოჭარუ (თიქ თინა) „დაწერა“ (მან ის) – დუჭარუ (თის თინა) „დაუწერია“ (მას ის).

გარდაუვალი ერთპირიანი და ორპირიანი ზმნები ქართულში მეშველი ზმნის საშუალებით აწარმოებენ პირველ თურმეობითს: დავხატულვარ, დახატულხარ, დახატულა... დავხმარებივარ, დახმარებიხარ, დახმარებია...

მეგრულში გარჩეულია გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების მესამე სერიის ფორმათა წარმოება. თვით გარდაუვალ ზმნებშიცაა სხვაობა: სხვადასხვაგვარად იუღლება აბსოლუტური და გარდაუვალი რელატიური ზმნები.

აწმყოზეა (ან მყოფადზე) დამყარებული ორპირიანი გარდაუვალი ზმნების პირველი თურმეობითი:

ესურ-ებ-უ-(ნ) „ესტუმრება“ – ესურ-უ „ესტუმრა“ – სურ-ებ-უ-(ნ) „სტუმრებია“;
ეწუხ-ებ-უ-(ნ) „უწუხდება“ – შეწუხ-უ „მეწუხდა“ – შეწუხ-ებ-უ-(ნ) „მესწუხებია“;
ეთხი-ებ-უ-(ნ) „ეთხოვება“ – დეთხი-უ „დაეთხოვა“ – დათხი-ებ-უ-(ნ) „დასთხოვებია“;
ემინჯ-ებ-უ-(ნ) „ეპატრონება“ – დემინჯ-უ „დაეპატრონა“ – დამინჯ-ებ-უ-(ნ) „დაჰპატრონებია“;

ენჯარ-ებ-უ-(ნ) „შემურდება“ – ენჯარ-უ „შემურდა“ – ნჯარ-ებ-უ-(ნ) „შემურებია“;
ეხანგ-ებ-უ-(ნ) „უგოჟდება“ – გეხანგ-უ „გაუგოჟდა“ – გახანგ-ებ-უ-(ნ) „გაჰგოჟებია“;
ეცოდ-ებ-უ-(ნ) „შეეცოდება“ – ეცოდ-უ „შეეცოდა“ – ცოდ-ებ-უ-(ნ) „მესცოდებია“
ეხარ-ებ-უ-(ნ) „უხარდება“ – გეხარ-უ „გაუხარდა“ – გახარ-ებ-უ-(ნ) „გაჰხარებია“
აშ-უმ-უ-(ნ) „უთვრება“ – დაშუმ-უ „დაუთვრა“ – დოშ-უმ-უ-(ნ) „დასთრობია“;
ანწყ-უმ-უ-(ნ) „უხსნება“ – განწყ-უ „გაეხსნა“ – გონწყ-უმ-უ-(ნ) „გაჰხსნია“;

აშაყარ-უ-(ნ) „უგროვდება“ – დაშაყარ-უ „დაუგროვდა“ – დოშაყარ-უ-(ნ) „დაჰგროვებია“
აჭარ-უ-(ნ) „ეწერება“ – დაჭარ-უ „დაეწერა“ – დოჭარ-უ-(ნ) „დასწერია“;
ათას-უ-(ნ) „ეთესება“ – დათას-უ „დაეთესა“ – დოთას-უ-(ნ) „დასთესვია“;
ახანტ-უ-(ნ) „ეხატება“ – დახანტ-უ „დაეხატა“ – დოხანტ-უ-(ნ) „დაჰხატვია“...

გარდაუვალი რელატიური ზმნების პირველი თურმეობითის ყალიბი მარტივია და ის ასე გამოიყურება:

I პირი: Z-R-უ-(ნ)

II პირი: Z-R-უ-(ნ)

III პირი: Z-R-უ-(ნ)

სადაც Z ზმნისწინია, ხოლო R – საყრდენი მორფემა.

რაც შეეხება **აბსოლუტურ** ზმნებს: პირველი, რაც თვალშისაცემია ამ **ზმნების** პირველ თურმეობითში, ის არის, რომ აწმყოს ანალოგიურად აქ პირველსა და მეორე პირში გვაქვს მემშველი ზმნის რეფლექსი -ქ სუფიქსი: მობრდელე-ქ „გავზრდილვარ“, მორდელე-ქ „გაზრდილხარ“, დოფშუმერე-ქ „დავმთვრალვარ“, დომშუმერე-ქ „დამთვრალხარ“...

ყურადღებას იქცევს ასევე **-ერე/ელე** დაბოლოება. ამის ნიმუშები საკმაოდ ხშირია დაბეჭდილ ტექსტებსა და ზეპირ მეტყველებაში:

თე ოსური **გერჩქინელე** (სამ., 73) „ეს ქალი გაჩენილა“; მუნაფათ **გინორთელე** (ხუბ., 101, 9) „ღრუბლად გადაქცეულა“; მა **პოფერექ** ჯოდორია (სამ., 63) „მე ვყოფილვარ ძაღლიო“; სი ოშურეთით **დორთელექ** (ხუბ., 111) „შენ სასულეთიდან დაბრუნებულხარ“; უჩა დღაში გუნარჩქინა **პოფერექო** უბედური? (ხუბ., 330) „შავ დღეს გაჩენილი ვყოფილვარ უბედური?"; სი მიქვა მიგოხირე ნი, თითი ჯგირი კოჩი **ყოფერენია** (ყიფშ., 53) „შენ რომ მიქვა მოგპარა, ისიც კარგი კაცი ყოფილაო“; ბოლო დროს გაგმორჩქინდგ, თენა მუჭო ალიშქერქუმი ჯიმა **ყოფერენი** (ხუბ., 181) „ბოლო დროს გამოჩნდა, რომ ეს ალიშქერქულს ძმა ყოფილა“ (*მდრ.: ქოყოფენა* ართი ჩილი დო ქომონჯი კათა (ყიფშ., 12); „ყოფილან ერთი ცოლი და ქმარი ხალხი“; **ქოყოფე, ქოყოფე** ჟირი ჯიმა კოჩი (ყიფშ., 12); „ყოფილა, ყოფილა ორი ძმა კაცი“; თიცალი მახინჯი **ყოფენა** თინეფი, ნამუდა ქიქანას ნორგილაფუნა (ყიფშ., 12) „ისეთი ქურდები ყოფილან ისინი, რომ ქვეყანას აცივებდნენ“); ლევანი **მორდელენდო** ქუმოპჭიმაფუნი, აწი მა მუ მიჭირსია (ხუბ., 9) „ლევანი გაზრდილა და რომ მომსწრებია, აწი მე რა მიჭირსო“; გიჩქუდას, **გერჩქინელე** სქან ყოროფა წორეთ ჩქიმო (ხუბ., 324) „იცოდე, გაჩენილა შენი სიყვარული სწორედ ჩემთვის“; **აკოშაყარელენა** აქ ქიანაში ოსურეფი დო ორე ართი გარგატი (ხუბ., 18) „შეკრებილან აქ ქვეყნის ქალები და არის ერთი ამბავი“; ეთინა ჩქიმი მუმა დემი რე! მუნაფათ **გინორთელე** დო ასე რე გიმანთხუნანი. მარჯვას ორდა! (ხუბ., 101) „ის ჩემი მამა დევია! ღრუბლად გადაქცეულა და ახლაა რომ დაგვეცემა. მარჯვედ იყავი!“; სია ოშურეთით **დორთელექ** დო ამარ ქემურქია უწის (ხუბ., 111) „შენო სულეთიდან დაბრუნებულხარ და აგერ მოდიხარო, უთხრეს“; ფილუკა ზღვაქ სოგიდენი მიდეელუ, ვართი წყარს დინურთუმუ, ვართი **დინაფერე** (ყიფშ., 5) „ნავი ზღვამ საითაც წაილო, არც წყალი შესულა, არც დაკარგულა“; მიდართე ე კოჩქე დო ქომირე: ირიფელი ართო **დოჭერე** სვეტი დო მართახიში მეტი (ყიფშ., 14) „წავიდა ეს კაცი და ნახა: ყველაფერი ერთად დამწვარა სვეტისა და მათრახის მეტი“; სარხინოლეფი **დომშუმერე**, ეუკუნით ტაბაკიშე (ყიფშ., 133) „სალხინოლეფი დამთვრალან, ასწიეთ ტაბაკიდან“; „ხოჩქე მუჭო მორჯგინასგ?“ დიდი ქემეუჭყიაფუ, **გოზინდერე, გომბარელე** (ყიფშ., 171) „ხარმა როგორ მაჯობოს? დიდად დაუჭყივლია, გაჭიმულა, გაბერილა“; ასე გვალო **გორჭიპელე**, ჟვეპური ლეჩქვის ქეგლატებუ (ყიფშ., 17) „ახლა მთლად გაჭყეპილა, ქაფი ლაშზე გადმოსვლია“...

-ერ-ე/-ელ-ე დაბოლოებიან ფორმებს შეიძლება პირობითად **რთული** ფორმები ვუწოდოთ.

ჩვეულებრივია გამარტივებული, **მოკლე** ფორმები, სადაც არ ჩანს **-ერ-ე**, გამარტივების შედეგად მისგან დარჩენილია **-ე**:

ოსური ოჯახისგ **ქედოსქელადე** (ყიფშ., 12) „ცოლი ოჯახში დარჩენილა“; სანუგეშოთ ჩე ვარდეფი თქვანი ბაღეფიშ კარს **მორდე** (ხუბ., 331) „სანუგეშოდ თეთრი ვარდები თქვენი ბაღების კარზე გაზრდილა“; თურმე ათე კერი დო ათე გერი ჯიმალეფი **ყოფენა** (ხუბ., 10) „თურმე ეს კერატი და ეს მგელი ძმები ყოფილან“; გორდეფი **დომაყარენან** დო ქიმახე ნა „მოლართი“-სგ ; (ყიფშ., 149) „ბაყაყები შეკრებილან და იმახიან „წამოდი“-ს“; ნაბეტანი **გორჭიპექი** (ყიფშ., 171) „ნამეტანი გაჭყეპილხარ“; **ქოყოფე, ქოყოფე** ართი ხელმწიფე (ყიფშ., 78) „ყოფილა, ყოფილა ერთი ხელმწიფე“...

-**ერე**, ი. ყიფშიძის ვარაუდით, რთული სუფიქსია და -**ერ** მიმღეობის სუფიქსისა და -**რე** მეშველი ზმნის კომბინაციას წარმოადგენს [ყიფშიძე, 1010, 090].

ცნობილია, რომ -**ერე** მეშველი ზმნა მოქმედი ელემენტია არაინვერსიული თურმეობითების წარმოებისას ლაზურში.

ქ. ლომთათიძის აზრით, ჭანური თურმეობითის -**ერე** მომდინარეობს **ორენ** „არის“ მეშველი ზმნისაგან [ლომთათიძე, 1946, 138].

არნ. ჩიქობავა წერს: „ხოფურში ნამყო უსრულის ფუძეს ემატება -**ერ-ე**; მესამე პირის სუბიექტის სუფიქსია -**ნ** მხოლობითში, -**ან** მრავლობითში. კაცი იფიქრებდა, -**ერ** მიმღეობის მაწარმოებელია, -**ე** კიდევ იგივე -**ე**, რაც ვ-**ორ-ე** მეშველ ზმნას აქვსო, მაგრამ გაუგებარია, რატომ დაერთვის მიმღეობის მაწარმოებელი -**ერ** ნამყო უსრულის ფუძეს“ [ჩიქობავა, 1936, 141].

ამ შემთხვევაში იგულისხმება **ზიმ-უფ-ტ-ერე-ნ** ტიპის წარმოება.

არნ. ჩიქობავა კიდევ ერთ გარემოებაზე მიუთითებს, რომელიც ნააორისტალი თურმეობითის წარმოებისას იქცევა ყურადღებას და ხელს გვიშლის იმაში, რომ -**ერ** მიმღეობის სუფიქსად ვცნოთ.

იგულისხმება **ზიმ-ერე-ნ** ტიპის წარმოება.

პრობლემას ის გარემოება ქმნის, რომ მიმღეობის მაწარმოებელი -**ერ** და **ორენ** მეშველი ზმნის -**ერ** ვარიანტი მასალობრივად ერთია.

უნდა დავაკვირდეთ ამოსავალ ფუძეს.

ზიმ-უფ-ტ-ერენ ფორმაში ნამდვილად არ შეიძლება -**ერ** მიმღეობის მაწარმოებელი იყოს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ აქ ზმნის პირიანი ფორმის ფუძე (ნამყო უსრულის ფუძე) ჩანს და არა მიმღეობის.

აქ გვაქვს **ნამყო უსრულის (უწყვეტლის) ფუძე + ერე (<ორენ) მეშველი ზმნის კომბინაცია**.

მაგრამ სხვა ვითარებაა **ზიმ-ერე-ნ** ფორმის შემთხვევაში: **ზიმ-** შეიძლება მიმღეობის საყრდენი მორფემაც იყოს და აორისტისაც.

ტერმინი „ნააორისტალი თურმეობითი“ იმას ნიშნავს, რომ თურმეობითისთვის ამოსავალია აორისტის და არა მიმღეობის ფუძე.

თუ ეს მართლა ასეა, მაშინ ავტომატურად იხსნება საკითხი იმის შესახებ, რომ -**ერ** არის მიმღეობის მაწარმოებელი.

ეს საკითხი დგას ლაზურში.

ასევე დგას მეგრულში.

ირ. ასათიანის აზრით, „-**ერე** მეგრულისა ზოგ ისეთ მომენტს წარმოაჩენს, რომელიც ჭანურის -**ერე** სუფიქსში არა ჩანს და, რომელიც მისი და ამდენად ჭანურის -**ერე** სუფიქსისაც შედგენილობისა და წარმოშობის ახსნაში დაგვეხმარებოდა. -**ერე** სუფიქსის შედგენილობის გარკვევას ხელს უნდა უწყობდეს ის რამდენიმე შემთხვევა, რომელშიც -**ერე** ელემენტი IV ჯგუფის ნაკვეთებში შეგვხვდა“ [ასათიანი, 1970, 149].

წარმოდგენილია სათანადო ილუსტრაციები, სადაც დას-ტურდება **ნოყოფურექია** „ყოფილხარ“, **გინობერდგ** „ნადება“, **ყოფერდგ** „ყოფილა“, **ნოყვერდგ** „ნაყოლება“.

ავტორის ვარაუდით, ეს ფორმები **ერე**-იანი წარმოებისა და IV ჯგუფის ნაკვეთთა კონტამინაციის შედეგი უნდა იყოს. ჩვეულებრივი თურმეობითი IV-საგან განსხვავდება -**რე**-თი, წინამავალი -**ე** ნაკვეთთა IV ჯგუფის ფორმებშიც ივარაუდება.

IV ჯგუფის ნაკვეთებს სხვა სპეციფიკა აქვთ. ცხადია, იქაც დგება ამოსავალი ფუძის საკითხი და იგი შედარებით მარტივად წყდება სწორედ **მიმღეობის** სასარგებლოდ. **დო-შ-უმ-**

ე(რე) „დამთვრალა“ და **ნო-შ-უმ-უ-ე** „ნასვამა“ ფორმებს განსხვავებული სტრუქტურა აქვთ (რითიც ხდება განსხვავებული ფუნქციების გამოხატვა).

ნაკვეთა IV ჯგუფის -ე სუფიქსს გ. როგავა მეშველი ზმნის რეფლექსად მიიჩნევს (იგულისხმება **ნოშუმუ-ე, ნოხანტუ-ე...** რიგის ფორმები); აქედან გამომდინარე, ი. ასათიანი ფიქრობს, რომ „იგივე -ე სუფიქსი უნდა გამოიყოფოდეს -ერე სუფიქსშიც: **ე-რე**“ [ასათიანი, 1970, 149].

ამრიგად, დაასკვნის ავტორი, **-ერე (-ელე)** რთული შედგენილობის სუფიქსი ჩანს, რომლის პირველი -ე მეშველზმნისეული წარმოშობისა უნდა იყოს. მომდევნო -რე-ც მეშველზმნისეულია. მისი დართვა შესაძლებელი გახდა, რადგანაც გაუჩინარებულია წინა ე-ს წარმომავლობა და ვლებულობთ გაორმაგებულ სუფიქსს [ასათიანი, 1970, 150].

უნდა დავაზუსტოთ, რომ **-ერე**-ში ორი ე ელემენტი. გ. როგავა **ნო-ჭკირ-უ-ე** ფორმისთვის ამოსავლად მიიჩნევს **ნო-ჭკირ-უ-(ო)-რე(ნ)** ფორმას. მას **-ერე** საერთოდ არა აქვს გაანალიზებული, მაგრამ მის მიერ სეგმენტირებული ფორმის მიხედვით სწორედ **რ-ს** მომდევნო ე-ზეა აქცენტი.

ი. ასათიანთან მსჯელობა არ არის ამოსავალი ფუძის შესახებ; ამის გარეშე კეთდება დასკვნა იმის შესახებ, რომ სანაალიზო ფორმებში რაღაც ფუძეს დაერთვის ერთი და იგივე მეშველი ზმნა ორჯერ. ამგვარი ახსნა ძნელად გასაზიარებელი ჩანს.

ზევით ითქვა, რომ ლაზური **ზიმ-** შეიძლება მიმღობის საყრდენი მორფემაც იყოს და აორისტისაც; ანუ, **ზიმ-ერე-ნ** ფორმისთვის ამოსავლად თანაბრად დასაშვებია ორივე:

1. **ზიმ-ერ-** მიმღობური ფუძეა,

ან

2. **ზიმ-** აორისტის ფუძე, რომელსაც ემატება მეშველი ზმნა.

ასევეა მეგრულშიც: **დოტყობინ-ერე-(ნ)** „დამალულა“, **გოჭყორ-ელე-(ნ)** „გამწყრალა“, **გორჩქინ-ელე-(ნ)** „გაჩენილა“... ფორმათათვის საყრდენი ფუძე მიმღობურია (შდრ.: **ტყობინ-ერ-ი** „მალული“, **გოჭყორ-ელ-ი** „გამწყრალი“, **გორჩქინ-ელ-ი** „გაჩენილი“...).

რა კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს სუბიექტური პირის სუფიქსის წინ გამოვლენილ -ე-ს? – იგივე, რაც გ. როგავას მიერ აქვს მინიჭებული **ნოჭკირ-უ-ე < ნო-ჭკირ-უ-(ო)-რე(ნ)** ფორმის ანალიზისას.

ანუ, ეს უნდა იყოს მეშველი ზმნის ნაშთი.

საბოლოოდ, მივდივართ ი. ყიფშიძის ახსნამდე, რომლითაც **-ერ-ე** რთული სუფიქსია და მიმღობის **-ერ** და **ე (<ორენ)** მეშველი ზმნის კომბინაციას წარმოადგენს.

აორისტს, როგორც საყრდენ ფუძეს, გამორიცხავს ამ რიგის მასალა:

ტიბნ(ნ) „თბება“ – **გოტიბ-აფ-ე-(ნ)** „გამთბარა“; შდრ. აორ.: **გოტიბ-უ** „გათბა“

სქირნ(ნ) „შრება“ – **გოსქირ-აფ-ე-(ნ)** „გამშრალა“; შდრ. აორ.: **გოსქირ-უ** „გაშრა“

ხუმნ(ნ) „ხმება“ – **გოხუმ-აფ-ე-(ნ)** „გამხმარა“; შდრ. აორ.: **გოხუმ-უ** „გახმა“

ფურნ(ნ) „ხურდება“ – **გოფურ-აფ-ე-(ნ)** „გახურებულა“; შდრ. აორ.: **გოფურ-უ** „გახურდა“

დინნ(ნ) „იკარგება“ – **მედინ-აფ-ე-(ნ)** „დაკარგულა“; შდრ. აორ.: **მედინუ** „დაიკარგა“

ნდლულნ(ნ) „დნება“ – **გონდლულ-აფ-ე-(ნ)** „დამდნარა“; შდრ. აორ.: **გონდლულ-უ**

„დადნა“...

შურდნ(ნ) „იღლება“ – **დოშულად-ე-(ნ)** „დაღლილა“; შდრ. აორ.: **დოშურდუ** „დაიღალა“

სქიდნ(ნ) „რჩება“ – **დოსქილად-ე-(ნ)** „დარჩენილა“; შდრ. აორ.: **დოსქიდუ** „დარჩა“

ჩირთნ(ნ) „ცდება“ – **მეჩილათ-ე-(ნ)** „შემცდარა“; შდრ. აორ.: **მეჩირთუ** „შეცდა“

დირკენ(ნ) „დრკება“ – გოდირაკ-ე-(ნ) „დამრკალა“; შდრ. აორ.: გოდირკუ „დადრკა“
შქირტენ(ნ) „ვქრები“ – დომქირატ-ე-(ნ) „ჩამქრალა“; შდრ. აორ.: დომქირტუ „ჩაქრა“
ხორცქენ(ნ) „სკდება“ – გოხარცქ-ე-(ნ) „გამსკდარა“; შდრ. აორ.: გოხორცქუ „გასკდა“
ქორდენ(ნ) „ლპება“ – დოქორად-ე-(ნ) „დამპალა“; შდრ. აორ.: დოქორდუ „დალპა“

ჭითონდენ(ნ) „წითლდება“ – გოჭითინ-აფ-ე-(ნ) „გაწითლებულა“; შდრ. აორ.: გოჭითონდენ
„გაწითლდა“

სისონდენ(ნ) „ისუსება“ – გოსისინ-აფ-ე-(ნ) „გასუსულა“; შდრ. აორ.: გოსისონდენ „გაისუსა“

ხიხონდენ(ნ) „შრება“ – გოხიხინ-აფ-ე-(ნ) „გამომშრალა“; შდრ. აორ.: გოხიხონდენ
„გამომშრა“...

იხანგებუ(ნ) „გიჟდება“ – გახანგ-ებ-ე-(ნ) „გაგიჟებულა“; შდრ. აორ.: გეხანგუ „გაგიჟდა“

იშერებუ(ნ) „შტერდება“ – გაშერ-ებ-ე-(ნ) „გაშტერებულა“; შდრ. აორ.: გეშერუ „გაშტერდა“

იფოცებუ(ნ) „ფრთხება“ – გაფოც-ებ-ე-(ნ) „დამფრთხალა“; შდრ. აორ.: გეფოცუ
„დაფრთხა“

იჟღამებუ(ნ) „ღიზიანდება“ – გაჟღამ-ებ-ე-(ნ) „გაღიზია-ნებულა“; შდრ. აორ.: გეჟღამუ
„გაღიზიანდა“

იორხებუ(ნ) „ოხრდება“ – გაორხ-ებ-ე-(ნ) „გაოხრებულა“; შდრ. აორ.: გეორხუ „გაოხრდა“

ინწარებუ(ნ) „მწარდება“ – განწარ-ებ-ე-(ნ) „გამწარებულა“; შდრ. აორ.: გენწარუ
„გამწარდა“

ირჩიოლებუ(ნ) „თეთრდება“ – გარჩიოლ-ებ-ე-(ნ) „გათეთრებულა“; შდრ. აორ.:
გერჩიოლუ „გათეთრდა“

იტანჯებუ(ნ) „იტანჯება“ – გატანჯ-ებ-ე-(ნ) „გატანჯულა“; შდრ. აორ.: გეტანჯუ
„გაიტანჯა“...

ინწყუმუ(ნ) „იხსნება“ – გონწყ-უმ-ე-(ნ) „გახსნილა“; შდრ. აორ.: გინწყუ „გაიხსნა“

იდგუმუ(ნ) „იდგმება“ – დოდგ-უმ-ე-(ნ) „დადებულა“; შდრ. აორ.: დიდგუ „დაიდგა“...

დგება ერთი საკითხი: მეგრული ვნებითი გვარის მიმღეობებისთვის, ერთი შეხედვით, -
ირ/-ილ მაწარმოებელია უფრო დამახასიათებელი და პროდუქტიული, ვიდრე -ერ.

საინტერესოა ამ თვალსაზრისით ნაშრომი, სადაც სწორედ ამ სუფიქსთან მიმართებასა და
ფუნქციაზეა მსჯელობა [იხ. ჩუხუა, 2014]. ავტორის მიხედვით, -ერ/-ელ სუფიქსის
დისტრიბუციის დასადგენად მნიშვნელოვანია მასდარის მაჩვენებელი, გარ-კვეული
კანონზომიერება ვლინდება იმის მიხედვით, თუ რა გვაქვს საწყისის ნიშნად. აქ არის
წარმოდგენილი ყველა ის შემთხვევა, როდესაც -ერ/-ელ აწარმოებს მიმღეობას;

როდის ხდება ეს? - როცა გვაქვს:

ა) -ა მასდარიანი ზმნები:

ძინ-ერ-ი	„მატებული“	–	ძინ-ა	„მატება“
ჯოგ-ერ-ი	„შეძულებული“	–	{გო}-ჯოგ-ა	„შეძულება“
ხუნ-ერ-ი	„დამჯდარი“	–	ხუნ-ა	„ჯდომა“
ქუნ-ერ-ი	„გაყოლილი“	–	ქუნ-ა	„გაყოლა“
შქვიდ-ერ-ი	„დამხრჩვალა“	–	შქვიდ-ა	„ხრჩობა“;

ბ) -ინ(ი)//-ინ-ა მასდარიანი ზმნები:

ჩრქინ-ელ-ი „მცოდნე“	–	ჩრქინ-ა/ი	„ცოდნა“
ჭყორ-ელ-ი „გამწყრალი“	–	ჭყორ-ინ-ი	„გაწყრომა“
რ-ინ-ელ-ი „დამდგარი“	–	გე-რ-ინ-ა/ი	„დადგომა“
ფურ-ინ-ელ-ი „ფრენილი“	–	ფურ-ინ-ი	„ფრენა“
ხორ-ინ-ელ-ი „დასახლებული“	–	დო-ხორ-ინ-ი/ა	„დასახლება“;

გ) -ალ-ი მასდარიანი ზმნები:

რაყვ-ალ-ერ-ი „დამფრთხალი“	–	რაყვ-ალ-ი	„ფრთხოვა, ცანცარი“
რანტ-ალ-ერ-ი „აცეტებული“	–	რანტ-ალ-ი	„აცეტება, რეტიანობა“
პარტყ-ალ-ერ-ი „გაპარტყუნებული“	–	პარტყ-ალ-ი	„პარტყუნი“
ტარკ-ალ-ერ-ი „გატლევკილი“	–	ტარკ-ალ-ი	„ტლიკინი“
ჟღარტ-ალ-ერ-ი „უძალოდ ქცეული“	–	ჟღარტ-ალ-ი	„უღონო მცდელობა“;

დ) -უ-ა მასდარიანი ზმნები:

ლასირ-ელ-ი „გალესილი“	–	ლასირ-უ-ა	„ლესვა“
თხილ-ერ-ი „დაცული“	–	თხილ-უ-ა	„გაფრთხილება, დაცვა“
შაყარ-ელ-ი „შეკრებილი“	–	შაყარ-უ-ა	„შეკრება, შეყრა“
შილ-ერ-ი „გახედნილი“	–	შილ-უ-ა	„ხედნა“
შქვილ-ერ-ი „მოზიდული“	–	შქვილ-უ-ა	„მოზიდვა“;

ე) -ურ და -ულ სუფიქსის შემცველი ზმნები უგამონაკლისოდ:

ძღაბ-ულ-ერ-ი „ჯღაბნილი“ – ძღაბ-ულ-ი//ძღაბ-ულ-უ-ა „ჯღაბნა“
ცაბ-ულ-ერ-ი „გაფხვიერებული“ – ცაბ-ულ-ი//ცაბ-ულ-უ-ა „გაფხვიერება“
ყურშ-ულ-ერ-ი „დახუნძლული“ – გო-ყურშ-ულ-ი//გო-ყურშ-ულ-უ-ა „დახუნძვლა“
ცხაცხ-ულ-ერ-ი „დაცხაცხებული“ – გო-ცხაცხ-ულ-ი//გო-ცხაცხ-ულ-უ-ა „დაცხაცხვა“
ცქაფ-ულ-ერ-ი „ულაზათოდ ნაკეთები“ – გო-ცქაფ-ულ-ი//ცქაფ-ულ-უ-ა „ულაზათოდ
კეთება“

ჭყაპ-ურ-ელ-ი „გატიტყნილი“ – ჭყაპ-ურ-ი//ჭყაპ-ურ-უ-ა „ტიტყნა“
ხანტ-ურ-ელ-ი „გაფერადებული“ – გო-ხანტ-ურ-ი//ხანტ-ურ-უ-ა „გაფერადება“
თხაპ-ურ-ელ-ი „გათხუპნული“ – გო-თხაპ-ურ-ი//თხაპ-ურ-უ-ა „თხუპნა“
ტატ-ურ-ელ-ი „შელესილი“ – გო-ტატ-ურ-ი//ტატ-ურ-უ-ა „შელესვა (მსუბუქად)“;

ვ) -უნ-ი სუფიქსიანი ზმნები:

ტარკუნ-ელ-ი „გაჭორილი“ – ტარკ-უნ-ი „გაჭორვა“...

ზ) თითქმის ყველა ნასახელარი ზმნისაგან ნაწარმოები ნამყო დროის ოდენსუფიქსური მიმღობა:

ძვალ-ერ-ი „გაძვალტყავებული“ – გო-ძვალ-უ-ა „ყვლევა“, შდრ. ქართ. ძვალ-ი;
ჭაპან-ერ-ი „დახუნძლული“ – ჭაპან-უ-ა „დახუნძვლა“, „დატვირთვა“, შდრ. ქართ. ჭაპან-
ი;

ჭარგ-ელ-ი „აჭრელებული“ – გო-ჭარგ-უ-ა „დაჭრელება“, შდრ. ჭარგა „ჭრელი“;
ხაბაკ-ერ-ი „ცარიელი“ – გო-ხაბაკ-უ-ა „გაცარიელება“, შდრ. ხაბაკ-ი „ბარგი-ბარხანა“;

ბუძგურ-ელ-ი „აბურმგნული“ – ბუძგურ-უ-ა „აბურმგნა“, შდრ. ბუძ-გურ-ია „ბურმგლი“.

ასევე -ერ სუფიქსს დაირთავს, ავტორის დაკვირვებით, -ალ-ა მასდარიანი ზმნებიც მეგრულში, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ -ალ-ა მარკერი ჩამოშორდებათ მიმღებობის წარმოებისას, შდრ.: ჭ-ერ-ი // ჭ-ელ-ი „შეკერილი“ – ჭ-ალ-ა „კერვა“; ზ-ერ-ი // ზ-ელ-ი „მოზელილი; ცომი“ – ზ-ალ-ა „მოზელა“...

სხვა შემთხვევაში ავტორი გამორიცხავს -ერ-ის ხმარებას: თქუ-ალ-ა „თქმა“, მაგრამ თქუ-ალ-ირ-ი; ჩუ-ალ-ა „შენახვა“, მაგრამ ჩუ-ალ-ირ-ი „შენახული“; მო-დვ-ალ-ა „ჩაცმა“, მაგრამ მო-დვ-ალ-ირ-ი „ჩაცმული“; მო-ჩქუმ-ალ-ა „მიგზავნა“, მაგრამ მო-ჩქუმ-ალ-ირ-ი „მიგზავნილი“; მო-ჯუმ-ალ-ა „მოტანა“, მაგრამ მო-ჯუმ-ალ-ირ-ი „მოტანილი“ და ა. შ., რაც, მისი დაკვირვებით, მეორეული მო-ვლენაა და -ირ სუფიქსის გავრცელების არეალის გაზრდის ტენდენციით უნდა აიხსნას, თუმცა კონფიქსური წარმოების დროს -ერ სუფიქსს ამ (-ალ-ა მასდარიან) ტიპის ზმნებშიც აქვს შენარჩუნებული კუთვნილი პოზიციები, რასაც თვალნათლივ ადასტურებს შემდეგი ნიმუშები: ნო-თქუ-ერ-ი // ნო-თქუ-ელ-ი „ნათქვამი“, ნო-ჩუ-ერ-ი // ნო-ჩუ-ელ-ი „დანამალი“, მო-ნა-დვ-ერ-ი // მუ-ნა-დვ-ელ-ი „ჩანაცმევი“...

და რომ პროცესი -ირ/-ერ სუბსტიტუციისა არ დამთავრებულა იქიდანაც ჩანს, რომ გარკვეულ ზმნებში დღემდე ხშირია პარალელური ფორმების ხმარების შემთხვევები, – როცა ერთსა და იმავე ფუძესთან ხან -ერ → // -ელ იჩენს თავს, ხანაც – -ირ → // -ილ, შდრ.: ჩოლ-ერ-ი // ჩოლ-ირ-ი „დაცლილი“ – ჩოლ-უ-ა „დაცლა“; ბარს-ელ-ი // ბარს-ილ-ი „გაბრტყელებული“ – ბარს-უ-ა „გაბრტყელება“; გო-ჯღონ-ერ-ი „დაგზავნილი“ // მო-ჯღონ-ირ-ი „მოგზავნილი“ – ჯღონ(უ)-ა „გზავნა“; აკო-რთ-ელ-ი „გზებ-გაყრილი“ // აკო-რთ-ილ-ი „გაყრილი გზები“ – აკო-რთ-ა „განყრა“; გო-ქუნ-ერ-ი // გო-ქუნ-ილ-ი „შემოხურული“ – გო-ქუნ-უ-ა „შემოხურვა“; გო-თახვ-ალ-ერ-ი // გო-თახვ-ირ-ი „ჭანჭყართ ამორეცხილი“ – თახვ(-ალ-)-ი „ჭანჭყართ რეცხვა“; გო-რდ-ელ-ი „გარს შემოზრდილი // გო-რდ-ილ-ი „გა-ზრდილი“ – რდუ-ალ-ა „ზრდა“... [ჩუხუა, 2014, 70-74].

მ. ჩუხუა შენიშნავს, რომ მეგრულში ლაზურის საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე: თუ ლაზურში -ერ → // -ელ გახდა ერთადერთი მაწარმოებელი ნამყო დროის მიმღებობაში, მეგრულში იმავეს ცდილობს -ირ → // -ილ სუფიქსი, თუმცა ლაზურში პროცესი ბევრად უფრო წინ არის წასული. უნიფიკაციის პროცესი აქ დასრულებულია.

ავტორი საგულისხმოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ I თურმეობითში ვნებითი გვარის ზმნები, ისევე, როგორც ქართულში -ილ სუფიქსიანი წარმოება, ეყრდნობა ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღებობას, როგორც საყრდენ ფუძეს, და მეგრულში აქ მხოლოდ -ერ-ელ სუფიქსიანი მიმღებობები გვიდასტურდება: დო-ჭარ-ელ-ე „და-წერ-ილ-ა“, დო-ხანტ-ერ-ე „და-ხატ-ულ-ა“, დო-დვალ-ერ-ე „და-დებ-ულ-ა“, დო-ტახ-ერ-ე „და-ტეხ-ილ-ა“, დო-ნჭყოლ-ერ-ე/დო-ჭკირ-ელ-ე „და-ჭრ-ილ-ა“, დო-ღალ-ერ-ე „შემინებულა, და-ღლ-ილ-ა“, დო-ხარქც-ელ-ე „და-ხლეჩ-ილ-ა“, მო-ძინ-ერ-ე „მომატებულა, შე-ძენ-ილ-ა“...

საყურადღებოა მკვლევრის დასკვნა, რომ პირველი თურმეობითის წარმოება მხოლოდ -ერ-ელ სუფიქსიან ნამყო დროს ვნებითის მიმღებობებს წარმოაჩენს, რაც ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ მეგრულშიც, ლაზურის მსგავსად, თავდა-პირველად მხოლოდ -ერ-ელ ფორმანტი აწარმოებდა ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღებობას; -ირ/ილ პარალელური დერივაციის გაჩენა შეიძლება უკავშირდებოდეს სალიტერატურო ენის ზეგავლენას მეგრულ მეტყველებაზე, რასაც დიდი ხნის უწყვეტი ისტორია აქვს და დღემდე გრძელდება [ჩუხუა, 2014, 75].

პირველი თურმეობითის წარმოების მხრივ მეგრული და ქართული საერთო სტრუქტურულ მოდელებს ავლენენ: დო-ჭარ-ელ-ე იმავე კომპონენტებისგან შედგება, რისგანაც შედგება და-წერ-ილ-ა(რს), – **ორივეგან გამოიყოფა ზმნისწინი, ზმნური ძირი, მიმღეობის მაწარმოებელი, მეშველი ზმნა.**

შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთპირიან გარდაუვალ ზმნებს აქვთ თურმეობითი პირველის წარმოების ერთი წესი; **ამოსავალია მიმღეობის ფუძე.**

აბსოლუტური ზმნების პირველი თურმეობითის ყალიბი ასეთია:

I პირი: R_M-ექ

II პირი: R_M-ექ

III პირი: R_M-ენ

R_M - მიმღეობის ფუძეა, **-ენ – -ორენ** მეშველი ზმნის ნაშთი (პირველსა და მეორე პირში გვაქვს **-ექ < ვორექ/ორექ**).

II.8.4.2. I თურმეობითი ლაზურში.

ლაზურში მოშლილია სხვაობა გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა უღლებას შორის; დროთა მესამე ჯგუფს გარდაუვალი ზმნებიცა და გარდამავალნიც ერთნაირად აწარმოებენ [ჩიქობავა, 1936, 168].

ნ. მარმა დააფიქსირა ლაზური ინვერსიული ფორმები მესამე სერიაში, მაგრამ აქვე მიუთითა, რომ მათი გამოყენება ერთობ შეზღუდულად ხდება [მარი, 1910, 46].

ი. ყიფშიძის დაკვირვებით, პირიქით, ნამყო წინარეწარსულის ინვერსიული ფორმები საკმაოდ ხშირად გამოიყენება ჭანურში როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ფორმებში [ყიფშიძე, 1911, 3-4].

„ინვერსიული წყობის თურმეობითები ჭანურში მხოლოდ ნაშთის სახით მოიპოვება“, – წერს ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა [ჩიქობავა, 1936, 203]. ის ინვერსიულ თურმეობითებს ცალკე ნაკვეთებად არ გამოყოფს.

ჟ. დიუმეზილს ლაზური ზმნის უღლების სისტემაში ინვერსიული თურმეობითებიც შეაქვს [დიუმეზილი, 1967, 7, 11].

გ. კარტოზიას დაკვირვებით, „სინამდვილეში, ინვერსიული თურმეობითები ლაზურში ნაშთის სახით კი არ არის შემორჩენილი, არამედ საყოველთაოდ არის გავრცელებული. უფრო მეტიც, მათ გამოყენების არე გაუფართოებიათ და მეგრულის მსგავსად, **ზოგ გარდაუვალ ზმნასაც ეწარმოება**“ [კარტოზია, 2004 90].

მკვლევარს მოჰყავს სათანადო ნიმუშები ლაზურის დიალექტების მიხედვით:

მიზახაფუნ (კარტ., I, 105²⁵) „მიცემია“; **ქოდულუბლაფუნან** (კარტ.,II, 306¹¹) „ჩაუყრიათ“; **მიგნაფუნ** (ყიფშ., 436; 728; კარტ., II, 84²⁷, 866) „გამიგია, გამიგონია“... **მიგნაფუნან** (ყიფშ., 420; კარტ., II, 81²⁶) „გაგვიგია, გაგვიგონია“; **ქოდუგურაფუნან** (კარტ.,II, 306¹⁵) „დაუსწავლიათ“; **ქოდუდგიმუნან** (კარტ.,II, 306¹³) „დაუდგამთ“; **ჰოგაუდვალუნან** (კარტ.,II, 314⁹) „დაურქმევიათ“; **ქოდუდვალუნან** (კარტ.,II, 306¹⁷) „დაუდვიათ“; **ნუდვაფუნ** (კარტ.,I, 43²⁰) „მიუდვია“; **უზოპინუნან** (აჭარ., 104²⁶) „უთქვამთ“; **მითქუნ** (კარტ.,II, 40¹¹) „მითქვამს“... **დუკიდუნან** (კარტ.,II, 311³⁵) „აუშენებიათ, აუგიათ“; **მირდაფუნ** (კარტ.,I, 88²²) „გამიზრდია“;

დუფაშაფუნან (კარტ.,II , 306¹⁶) „დაუმლიათ, დაუხსნიათ“; ჰაგუმალონ (კარტ.,II, 311³⁶) „ჩამოუტანია“; ქამუშუმალუნან (კარტ.,II, 306¹⁶) „გამოუღლიათ“; უყოფუნ (კარტ.,II, 314³) „გაუკეთებია“... დუყოფუმუნან (კარტ.,II, 306¹⁰) „გაუკეთებიათ“; უყოუნან (ჩიქ.,I, 101¹³) „წაუყვანიათ“; მენდუყონაფუნ (ყიფშ.,18¹⁰) „წაუყვანია“; ქოშუნახუნ (ყიფშ.,17⁴) „შეუნახავს“; უშუმუნან (ყიფშ.,18²⁴) „უსვამთ, დაუღევიათ“; მინჩვიუნ (კარტ.,II, 305³⁷) „მიცურავია“; მიძი(რ)უნ (ყიფშ.,18¹⁴, 8¹⁹; ჩიქ.,I, 19¹⁵, 38⁸, 101¹⁷, 159³... „მინახავს“; გომინწვიმუნ (კარტ.,I, 46¹) „გამიხსნია, გამიღია“; ფუნჭაფუნან (კარტ.,II, 312³³) „აუწევიათ“; უჭარუნ (ჩიქ.,I, 107²²) „უწერია“; დუჭარუნან (კარტ.,II, 313²⁷); მიჭკომუნ (ჩიქ.,I, 19²⁷) „მიჭამია“... გიჭკომუნ (ჩიქ.,I, 159²) „გიჭამია“; უჭკომუნ (ჩიქ.,I, 82²³) „უჭამია“; ოუჭოფუნ (ყიფშ., 17³) „დაუჭერია“; მიხონუნ (ასათ., 181, 102²⁵⁶) „გამიკეთებია“... დოგიხვენუნ (კარტ.,II, 40²⁶) „გაგიკეთებია“; მიხთიმუნ (ასათ., 42, 7²³, 7², 34³⁷) „წავსულვარ, მივღია“; მიხთიმუნან (ასათ., 135, 84²⁹) „წავსულვართ, გვივღია“... ქანუხირაფუნან (კარტ.,II, 311¹⁰) „მოუპარავთ“; მინჯიუნ (კარტ.,I, 130²²) „მიძინია“... ოკოგიბრიწუნ (კარტ., II, 194³⁶,185²⁹) „გაგიგლეჯია“; მიგნაფუნ (კარტ., II, 100¹⁴) „გამიგია, გამიგონია“... უთქვალუნ (ჟღ., 148¹¹) „უთქვამს“; მისთერუნ (ყიფშ., 68²²) „მითამაშია“; მიმჩვიუნ (კარტ.,II, 326³²) „მიცურავია“... უძირუნ (დიუმეზ., I, 115²⁷; ჟღ., ჟღ., 79⁸) „უნახავს“... მიჭკომუნ (ყიფშ., 31²²; ჟღ., 25¹⁸) „მიჭამია“; მიჭკომუნან (კარტ.,II, 125³⁷) „გვიჭამია“; უჭკომუნ (კარტ.,I, 195⁷, კარტ.,II, 138¹²) „უჭამია“, გემიხუნუნ (კარტ.,I, 156¹⁵) „დავმჯდარვარ, შევმჯდარვარ“; მიხენუნ (ჩიქ.,II, 28²⁷) „გამიკეთებია“; გომოხთიმუნ (კარტ.,II, 156¹⁵) „გამივღია“; ემიხთიმუნ (დიუმეზ.,I, 101) „ავსულვარ“... დოგიგურაფუნ (კარტ.,II, 217²³, 221²⁴) „გაგიგია, გაგიგონია“; მიძიტაფუნ (მარი, 95¹) „მისწავლია“; მიზიტაფურან (ყიფშ., 72¹⁵) „გვითქვამს“; მომიღვაფუნ (მარი, 85¹) „მოვსულვარ“; მიძირუნ (ყიფშ.,91²⁶) „მინახავს“; მიზირამუნან (კარტ.,II, 211²⁷) „გვინახავს“... მიშკომაფუნ (ჩიქ.,II, 99¹³) „მიჭამია“; მიხენაფუნ (მარი, 84¹) „მიქნია, გამიკეთებია“; ჩქუ ჰაშო მასაფეს დიდო დომიხუნუნან, მიშუნან, ამა ჰაქ ნა ბძიისთერი ვა მიძიუნან (კარტ., 2008, 78) „ჩვენ ასეთ სუფრებზე ბევრჯერ ვმსხდარვართ, გვისვამს, მაგრამ აქ ნანახისთანა არ გვინახავს“...

რომელი ფუძეა ამოსავალი ინვერსიული ნაკვთებისთვის?

ასეთია მასდარი (უფრო სწორად, მასდარის ფუძე). თურმეობითები მასდარის მქონე ყველა გარდამავალი ზმნისაგან იწარმოება; იმ ზმნებს, რომელთაც მასდარი არ ეწარმოებათ, თურმეობითებიც არა აქვთ. მაგ., მხოორ-||ფხოორ- (იმხოორს „ჭამს“), ქ- (იქიფს || იქომს || იქუმს „იქმს, აკეთებს“, წვ- (უწუმერს||უწოლემს „ეტყვის, ეუბნება“, უწვი „უთხარი“) ფუძეებისგან არც მასდარი იწარმოება და არც ინვერსიული თურმეობითები. ზოპ- ფუძე (ზოპონს || ზოპუმს „ამბობს, ლაპარაკობს“), ჩვეულებრივ, მასდარს ვერ აწარმოებს და არც თურმეობითები ეწარმოება. ზოგ თქმაში დასტურდება ამ ზმნის მასდარი: ზოპინი „ლაპარაკი“. ამ თქმებში, სესაბამისად, დასტურდება თურმეობითის ფორმაც: უზოპინუნან „უთქვამთ“ (აჭარ. 104²⁶, მარი, 119²⁸) [იქვე, 91].

ინვერსიულთან ერთად არსებობს არაინვერსიული, მეშველ-ზმნიანი თურმეობითიც, რომელსაც ნააორისტალ თურმეობითს უწოდებენ (ამოსავალი ფუძის მიხედვით).

ნ. მარი მსჯელობს თურმეობითზე, რომელიც მიმღეობის ფუძეს ემყარება.

გ. კარტოზია წერს: ნ. მარს თურმეობითის მიმღეობური წარმოების ნიმუშად მოჰყავს დიხინერენ (<დიხინერ რენ) „გახუნებულა“ და გოხომუედორენ (<გოხომუერ დორენ) „გამხმარა“. მკვლევარს მიაჩნდა, რომ აქ მეშველი ზმნა დაერთვის მიმღეობის შეკვეცილ (სახელობითის ნიშანდაკარგულ) ფორმას. ნ. მარი მათგან განარჩევდა თურმეობითის ისეთ წარმოებას, როცა მეშველი ზმნა დაერთვის ზმნის პირიან ფორმას, კერძოდ, აორისტს: დიგუ დორენ „გამხდარა“. მაგრამ ასეთი ახსნა არ უნდა იყოს ზუსტი. დიხინერენ ხოფურ

ნააორისტალ თურმეობით I-ს წარმოადგენს. ამაზე მიუთითებს ზმნაში ვნებითის ი-პრეფიქსის არსებობა: **დიხინერენ** < *დო-ი-ხინ-ერენ. რაც შეეხება **დოხუმუედორენ** ფორმას, ექვს იწვევს მისთვის ამოსავლად ნავარაუდევი **დოხუმუერ-** მიმღეობის არსებობა ლაზურში. უფრო სავარაუდოა, რომ აქაც ნააორისტალი თურმეობითი I გვაქვს ვიწურ-არქაბული წარმოებისა: **დოხომუ-დორენ**. გარდაუვალ ზმნათაგან თურმეობითა მეშველზმნიანი წარმოება ლაზურში დღეს ერთადერთ **ყოფ-** ფუძეს აქვს შემონახული: **ყოფერენ** < ყოფერ-რენ „ყოფილა“. *შდრ.*: ა-თი თამარ მეფემ **ყოფერენ** (ტერენ) (ყიფშ., 53) „ესეც თამარ მეფისა ყოფილა“; ეკულე ექთი ექაეჯი ბადი **ყოფერენ** დო ეშუქ ენთეფეს უწვერენ-ქი (ჩიქ.I, 11722) „მერმე იქაც მეზღაპრე ბერიკაცი ყოფილა და იმას მათთვის უთქვამს“; არ ფათიზაი **ყოფერენ** დო სუმ ბიჭი უყოუნტენ (კარტ., I, 22) „ერთი ხელმწიფე ყოფილა და სამი ვაჟი ჰყოლია“; ემ ფერის-თი მთელი აფრი-აფრი **ყოფერენან** (ყიფშ., 116) „იქაც სულ ცალ-ცალკე ყოფილან“. ჰრ. აჭარიანის მიერ ჩაწერილ ტექსტებში (რომლებიც გადაბეჭდილი აქვს ნ. მარს თავის ქრესტომათიაში), დასტურდება **ყოფ-** ფუძისგან ნაწარმოები მიმღეობური თურმეობითის კიდევ ერთი ვარიანტი – **დოყოფუმერენ** (<*დოყოფუმერ-რენ): აა მეფეფე **დოყოფუმერ რენ** (მარი, 122ა) „ეს ხილი დამწიფებულა, მოწეულა („ქნილა“) [იქვე, 103].

დიხინერენ ფორმის ზემოთ აღნიშნულ ანალიზთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ვნებითის ი-პრეფიქსის არსებობა ასევე მოულოდნელია თურმეობით I-შიც!

აორისტში ზმნის ფორმაში გამოვლენილი ვნებითის ნიშანი არ ნიშნავს იმას, რომ იგი ზმნას თურმეობითის ფორმებშიც გადაჰყვება: **მესამე სერიის ფორმებში ვნებითის გრამატიკული შინაარსი არ არის მარკირებული არც ქართულში, არც მეგრულში და არც ლაზურში**. ასე რომ, **დიხინერენ** ფორმის კავშირი ი-პრეფიქსიან აორისტთან თავისთავად გამორიცხულია.

-ერ-ე დაბოლოებიანი თურმეობითი ყოველთვის არ იხსნება მიმღეობაზე დაყრდნობით, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ამგვარი საკითხის ასე დაყენება სავსებით ლოგიკური ჩანს და თანაც ამით იქმნება საერთო ქართულ-მეგრულ-ლაზური სურათი.

ამოსავალი ფუძის დადგენა პრინციპული საკითხია **-ერე** დაბოლოებიანი ზმნების სტატუსის გარკვევისას.

გ. კარტოზია წერს: „ლიტერატურაში ადრევე გამოითქვა ვარაუდი, რომ ლაზურ თურმეობითა საწარმოებლად გამო-ყენებულია გარდაუვალ ერთპირიან ზმნათა თურმეობითის ყალიბი: **ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობა + მეშველი ზმნა**. ფიქრობენ, რომ ხოფურ ნააორისტალ თურმეობითებში **-ერე** და **-ელ-ერე** სუფიქსების მონაცვლეობა დაკავშირებულია ნამყო დროის მიმღეობის ორგვარ წარმოებასთან. ზმნები, რომელთა ფუძეში არ არის **რ** თანხმოვანი, მიმღეობას **-ერ** სუფიქსით აწარმოებენ (კიდ-ერ-ი „აშენებული“), იმ ზმნურ ფუძეებს კი, რომელთაც **რ** აქვთ, მიმღეობის სუფიქსად **-ელ** ერთვის: სუფიქსისეული **რ** დისიმილაციას განიცდის ფუძისეული **რ**-ს გავლენით (ჭარ-ელ-ი < ჭარ-ერ-ი „დაწერილი“). ვარაუდობენ, რომ **-ერ** სუფიქსიან მიმღეობას მეშველ ზმნად ერთვოდა **რენ** ფორმა (*კიდერ-რენ > კიდერენ „უშენებია“), **-ელ** სუფიქსიანს კი (რადგან **ელ-რენ** თანმიმდევრობა ფონეტიკურად შეუწყნა-რებელია) **-ორენ** (ჭარელ-ორენ > ჭარელერენ „უწერია“ (დამოწმებულია ნ. ნათაძე, 1961, 34). ამიტომ ზმნები, რომლებსაც ნამყო დროის (ვნებითი გვარის) მიმღეობა **-ერ** სუფიქსით ეწარმოებათ, თურმეობითში **-ერე** დაბოლოებას ავლენენ; ის ზმნები კი, რომლებსაც მიმღეობის სუფიქსად **-ელ** აქვთ, თურმეობითში **-ელ-ერე**-ს ირთავენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, თურმეობითში **-ერე**-დაბოლოებიანი ზმნები მიმღეობას **-ერ** სუფიქსით აწარმოებენ, ხოლო **-ელ-ერე**-დაბოლოებიანი – **-ელ**-ით. სწორედ ამ

თვალსაზრისითაა საინტერესო ის ფაქტი, რომ ზმნები, რომელთა ფუძეში **რ** თანხმოვანი გავექვს, მაგრამ არაბოლოკიდურ პოზიციაში, და რომლებიც თურმეობითს **-ერე** სუფიქსით აწარმოებენ, ვნებითის მიმღებებს ორგვარად წარმოგვიდგენენ: მიმღებობის მაწარმოებლად **-ელ** სუფიქსიც გვაქვს და **-ერ** დაბოლოებაც. ხოფურ-ჩხალური დიალექტი, რომელშიც სხვა ლაზური დიალექტებისაგან განსხვავებით, მეტად ძლიერია ორი **რ**-ს დისიმილაციის ტენდენცია (დამოწმებულია ჟღენტი, 1953, 130 შმდ.), არაბოლოკიდური **რ** თანხმოვნის მქონე ზმნური ფუძეებისაგან ვნებითი გვარის მიმღებობის წარმოებისას ნაკლებად ამჟღავნებს ამ ტენდენციას, შდრ.: **ხოცქერი** [**ხროცქერი**] (ჩიქ., I, 914) „მკვდარი“; **შქურინერი** (ჩიქ., I, 451) „შეშინებული“, **მშქიროენერი** (ჩიქ., I, 4120) „მშვიერი“... ზმნები, რომელთა ფუძე **რ-ზე** ბოლოვდება, ხოფურ-ჩხალურში ყოველთვის **-ელ** სუფიქსით აწარმოებენ ვნებითი გვარის მიმღებობას: **ჭარელი** „დაწერილი“, **ღურელი** „მკვდარი“, **მეჭკი-რელი** „მოჭრილი“... **ჭარერი**, **ღურერი**, **მეჭკირერი** და მსგავსი ფორმები აქ შეუძლებელია. ამიტომაც ამ ზმნებს თურმეობითში **-ელ-ერე** აქვთ და არა **-ერე**... ვნებითი გვარის მიმღებობისა და თურმეობითების წარმოების კავშირი კარგად ჩანს იმ ზმნების მაგალითზეც, რომლებსაც ფუძე ბოლოხმოვნიანი აქვთ“ [იქვე, 104-105].

რამდენად არის ლოგიკური და თავსებადი ერთსა და იმავე დროს მსჯელობა მიმღებობურ საყრდენ მორფემასა და აორისტზე?

თუ თურმეობითში გამოვლენილი **-ერ/-ელ** სუფიქსი მიმღებობის სუფიქსია, რამდენად შეიძლება ამ შემთხვევაში ამოსავლად აორისტის საკითხი დადგეს საერთოდ?

ისევე, როგორც, მეორე მხრივ, არ შეიძლება დადგეს საკითხი მიმღებობური ფუძის შესახებ, როდესაც აშკარად ჩანს, რომ **-ერ/-ელ** ნამყო უსრულის ფუძეს დაერთვის (იგულისხმება ზიმ-უფ-ტ-ერენ ტიპის წარმოება): **მიმღებობის მაწარმოებელი სავრცობიან მორფემას არ დაერთვის**.

ასევე: თუ ვმსჯელობთ მიმღებობურ წარმოებაზე, მაშინ აორისტი უნდა გამოირიცხოს საყრდენ მორფემად.

არადა, სპეციალურ ლიტერატურაში **ბჭარ-ელ-ერ-ე** ტიპის ფორმების ანალიზისას არის მსჯელობა აორისტის ფუძეზე: „თუ აორისტის ფუძე **რ**-ს შეიცავს, ხოფური თურმეობითს აწარმოებს **ელ + ერ + ე**-ს დართვით: მა ბ-ჭარ-ელ-ერ-ე (მე მიწერია), მა ბ-გორ-ელ-ერ-ე (მე მიძებნია), მა ბ-ძირ-ელ-ერ-ე (მე მინახავს)“ [ჩიქობავა, 1936, 145].

აქვეა ეს წინააღმდეგობა დაფიქსირებული, თუმცა არ არის მოხსნილი: „თუ **ერ** მიმღებობის მაწარმოებელი სუფიქსია, რადაა ეს **-ელ?** **-ერ**-ის ვარიანტი? მაგრამ რით აიხსნება მათი ერთად ხმარება? ამაზე დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა მოითხოვს მეტს ფაქტურ მასალას (ტექსტებს!), ვინმე ჩვენს განკარგულებაშია, ამიტომ კითხვა ღიად რჩება“ [ჩიქობავა, 1936, 145].

-ელ და **-ერ**, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დანიშნულების მორფემებია; ერთია მიმღებობის მაწარმოებელი (ამ შემთხვევაში **-ელ**), ხოლო მეორე (**-ერ**) მეშველი ზმნა, ამიტომ არის შესაძლებელი და (აუცილებელიც!) „მათი ერთად ხმარება“.

ვფიქრობთ ასევე, რომ საჭიროა კორექტივების შეტანა წარმოდგენილ ფორმათა სეგმენტირებაში; უფრო ზუსტი იქნება ამ ფორმათა ასე გააზრება: ბ-ჭარ-ელ-ერენ, ბ-გორ-ელ-ერენ, ბ-ძირ-ელ-ერენ. ლაზურში სუბიექტის სუფიქსი **-ნ** სტაბილურად ვლინდება აუსლაუტში (მეგრულისგან განსხვავებით); ასე რომ, უფრო ზუსტი გრამატიკული ჩანაწერი იქნება **-ერენ** და არა **-ერე**.

„ფაი, კაი და მსგავს ბოლოხმოვნთან ფუძეთაგან ნაწარმოები ზმნები, – წერს გ. კარტოზია, – რომლებსაც ნააორისტალ თურმეობითებში **-ელ-ერე** მაწარმოებელი ახასიათებთ, მიმღეობებს **-ელ** სუფიქსით აწარმოებენ: **ფა-ელ-ი** „განაწილებული“, **კა-ელ-ი** „მორჩენილი“ [კარტოზია, 2004, 105]... თურქული silah „იარაღი“ სარფულში ორგვარად გამოითქმის: **სილაი** || **სილაჰი**. ის პირნი, რომელნიც აღნიშნულ სახელურ ფუძეში ბოლო თანხმოვანს იცავენ (**სილაჰი**), თურმეობითებში **-ერე** დაბოლოებას იყენებენ (**გუისილაჰენ** „შეიარაღებულა“; ისინი კი, რომლებიც ამ თანხმოვანს კარგავენ (**სილაი**), თურმეობითებს **-ელ-ერე**-თი აწარმოებენ (**გუისილაელენ**). მსგავსი ვითარებაა მიმღეობის წარმოების დროსაც. ის, ვინც **სილაჰი**-ს ამბობს, მიმღეობას **-ერ** სუფიქსით აწარმოებს: **გო-სილაჰ-ერ-ი** „შეიარაღებულნი“ (შდრ. ჩიქ., I, 30²³, 31¹⁸, 31²⁷); **სილაი**-ს მთქმელი კი **-ელ**-სუფიქსიან მიმღეობას იტყვის: **გოსილა-ელ-ი**. აღნიშნული პარალელიზმი, – დასძენს მკვლევარი, – სარფული თურმეობითისა და ვნებითი გვარის მიმღეობის წარმოებაში შემთხვევითი არ უნდა იყოს. **ელ-ერე** დაბოლოებაში **-ელ** სუფიქსი წარმოშობით, მართლაც, მიმღეობის მაწარმოებელია“ [კარტოზია, 2004, 105].

ამავე დროს, როგორც ზევით ვნახეთ, არის მსჯელობა, რომ გარდაუვალ ზმნათაგან თურმეობითთა მეშველზმნიანი წარმოება ლაზურში დღეს ერთადერთ **ყოფ-** ფუძეს აქვს შემონახული: **ყოფერენ** < **ყოფერ-რენ** „ყოფილა“... ჰრ. აჭარიანის მიერ ჩაწერილ ტექსტებში (რომლებიც გადაბეჭდილი აქვს ნ. მარს თავის ქრესტომათიაში), დასტურდება **ყოფ-** ფუძისგან ნაწარმოები მიმღეობური თურმეობითის კიდევ ერთი ვარიანტი – **დოყოფუმერენ** (<*დოყოფუმერ-რენ): აა მეფევე **დოყოფუმერ რენ** (მარი, 122⁸) „ეს ხილი დამწიფებულა, მოწეულა („ქნილა“) [იქვე, 103].

თუ **“-ელ** სუფიქსი წარმოშობით მართლაც მიმღეობის მაწარმოებელია“, მაშინ უნდა ვიმსჯელოთ არა **ნააორისტალ**, არამედ **ნამიმღეობარ თურმეობითზე**.

ანუ, ძალიან მარტივად დგას საკითხი: **თუ ამოსავლად აორისტი ჩანს, ბუნებრივია, ვმსჯელობთ ნააორისტალ წარმოებაზე, მაგრამ თუ მიმღეობას ემყარება წარმოება, თუ ჩანს მისი მაწარმოებელი, მაშინ გვაქვს ნამიმღეობარი წარმოება**. ეს თურმეობითის წარმოების სულ სხვა ტიპია.

ამდენად, ვფიქრობთ, გასაზიარებელია ნ. მარის თვალსაზრისი იმასთან დაკავშირებით, რომ ცალკეა გამოსაყოფი ის შემთხვევა, როდესაც **აორისტის** ფორმას დაერთვის **დორენ** მეშველი ზმნა; ამის ნიმუშია მისთვის **დივე დორენ** „გამხდარა“.

ასევე **ნააორისტალი** თურმეობითია აშკარად ასეთ შემთხვევებში: **გიულუტ-ეს-რენ** „თურმე ჩამოდიოდნენ“, **იგზალ-უ-ენ** „წასულა“, **ქომეჩ-უ-ენ** „მიუცია“...

აქ ყველაფერი გარკვეულია და ნათელი. ეს სხვა ტიპის თურმეობითია და განსხვავდება იმ წარმოებისაგან, რომელსაც ჰქვია **მიმღეობის ფუძეზე** დამყარებული წარმოება (იგივე ქართული **„გამხდარა“** სწორედ მიმღეობაზე დამყარებული წარმოებაა).

საერთოდ, ლაზურს (ისევე, როგორც მეგრულს) მესამე სერიის ფორმები ორგვარად ეწარმოება: **ორგანულად**, **სინთეზურად** (ინვერსიული ფორმები) და **ანალიზურად** (არაინვერსიული ფორმები).

ანალიზური წარმოებისას იგივე სურათია, რაც გვაქვს ქართულში: **ნამყო დროის საობიექტო მიმღეობა + მეშველი ზმნა** (პირველ თურმეობითში აწმყოს „არის“, მეორე თურმეობითში ნამყოს „იყო“ და მესამე კავშირებითში მეორე კავშირებითის „იყოს“ ფორმით): **დამალულ-ა(რს)**, **დამალულ-იყო**, **დამალულ-იყოს**.

მიმღეობის ფუძე + -ენ (<ორენ) წარმოება დამახასიათებელია როგორც გარდაუვალი, ისე გარდამავალი ფორმებისთვის. რ შეიძლება ჩავარდეს ხმოვნებს შორის:

ნიმუშები:

ონჯღორეთენ მითი ვარ ღურელერენ (ხალხ., 245) „სირცხვილით არავინ მომკვდარა“; ონჯღორეთენ ყვა მითის ვარ გოლაჭვერენ (ხალხ., 245) „სირცხვილით შუბლი არავის დასწვია“; ა კოჩი სოლენ მოხთუ? ა კოჩი დიდელერენ (თან.) ეს კაცი საიდან მოვიდა? ეს კაცი გადარეულა; ალაქ ვა იჯერელერენ ე-დო სკურაფითე ხანუმი ქანოჭკირელერენ ტყეში ერთი თხა დაუკლავს (ჩიქ., I, 1527) „ბატონს არ დაუჯერებია და სამართებით ქალბატონი დაუკლავს“; ია-თი მოხთიენ დო ხე ქუკუკიელიენ (ჩიქ., I, 1421) „ისიც მოსულა და ხელი შეუკრავს“; დალის არ თხა ქანოჭკიელიენ (ჩიქ., I, 145); კულანის მენდაწკედუში, ქობა დვაბაელიენ! (კარტ., 2008, 57) „გოგოს რომ შეხედა, მუცელი გაჰბერვია!“... დოღურელიენან, ვარ დოსქიდეენ მითი (კარტ., II, 31338) „დახოცილან, არავინ დარჩენილა“; მითხაქ ქანიხირელიენ (კარტ., II, 31111) „ვიდაცას მოუპარავს“; ემ ვახთის ბზოპონქი: ქუძირამუნან, ქობირელიენან (კარტ., II, 3119) „მაშინ ვამბობ: უნახავთ, უნახავთ“... არ დღას ოხორჯა დობახეენ (ჩიქ., I, 1416) „ერთ დღეს ცოლი გაულახავს“; ისკანდერიქ დოგორეენ არ ჯოხო (ჩიქ., I, 16512) „ისკანდერს მოუძებნია სახელი“; კადის უწვეენ (ჩიქ., I, 1418) „ყადისთვის უთქვამს“; არქადაშიქ მექთუბი დოჭარეენ (ჩიქ., I, 16623) „ამხანაგს წერილი დაუწერია“; უჩურუმში თუდე მატოი-კალა თელლი დინჩხვაეენან (დიუმეზ., III, 40, 616) „ხრამში („ხრამის ქვეშ“) ნავითურთ ყველანი დამსხვრეულან“; იგზალეენ დადიშა დო თხა ქონოჭკიეენ (კარტ. II, 7714) „წასულა ტყეში და თხა დაუკლავს“; დადიშა იგზალეენან დო ქეშაონთხოეენან კუი (კარტ., II, 7717) „ტყეში წასულან და ამოუთხრიათ ორმო“... ბაბა-სქანი ვა ღურეენია! (კარტ., II, 7426) „მამაშენი არ მომკვდარაო!“; დიდი ნანა-ჩქიმიში ჯუმა ბათუმის დოღუეენ (კარტ., II, 8510) „ბებიაჩემის ძმა ბათუმში მომკვდარა“; ეჩდოვიტონჩხორო დოღურეენ, ართელი თოფალი ქოდოსქიდეენ (კარტ., I, 15326) „ოცდაცხრამეტი დახოცილა, ერთი კოჭლი დარჩენილა“; იდუ, იდუ, იდუში, დვაჭკინდუ დო ჰოდვანჯიელიენ გზას (კარტ., 2008, 69) „რომ იარა, იარა, იარა, დაიღალა და დასძინებია გზაზე“; დო იქინეი ელჩიქ დილიხოსაელიენ კუის ედო მუქ ქოდოლოლიენ (კარტ., 2008, 70) „და პირველ მაჭანკალს ჩაუჭვრეტია ორმოში და თვითონ ჩავარდნილა“....

პირველი თურმეობითის ყალიბი ლაზურში ორნაირია; გვაქვს:

1. ინვერსიული წარმოება:

(Z)-O-ი/უ-R-უ-ნ

სადაც (Z) ზმნისწინია, O - ობიექტური პირის მარკერი, -ი/უ - ხმოვანპრეფიქსები, -R - საყრდენი მორფემა, -ნ - სუბიექტის მარკერი

2. ანალიზური წარმოება:

R_m-(ერ)ენ,

სადაც R_m მიმღეობის ფუძეა, -(ერ)ენ – მეშველი ზმნა.

II.8.4.3. თურმეობითი მეორე მეგრულში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრულსა და ჭანურში II თურმეობითი იმავე ფუძეს იყენებს, რასაც I თურმეობითი, ოღონდ მას უწყვეტლის -დ სუფიქსს ურთავს: მიზიმ-უ(ნ)>მიზიმ-უ-დ-უ... [ჩიქობავა, 1936, 145-147; ყიფშიძე, 1994, 086-088].

თურმეობითი II-ის წარმოებისას საყრდენად თურმეობითი პირველის ფორმას გამოყენებული (და არა ფუძე); ნიმუშები:

მეგრული:

თინა დას დუდიშახ **ეუფშაფუდუ** ჩილამურითი (ხუბ., 13) „ის დას თავამდე აევსო ცრემლით“; თენა ხოლო ნდის **დუგურუაფუდუ**, ვარა ძღაბის მუ უჩქუდუ (ხუბ., 10) „ესეც დევს ესწავლებინა“; ლევანიში სენიშა შურო ართი ჭვეთი ჩილამური **ვეგუბუმუდუ** (ხუბ., 13) „ლევანის თეფშისთვის ერთი წვეთი ცრემლი არ დაექცია“; თენეფი არძო **ქიგუნწყუაფუდუ** ნისორიშა (ყიფშ., 22) „ესენი ყველაფერი დაეწყო გობზე“; მარა სოლე-გიდა რდგ ნი, **ქუუგინაფუდუ** ათე მაფაში მუარხეს, ნამგ და სანარტიაქ ქიძინგ თი ოქიმინალი საქვარეფი (ყიფშ., 50) „მაგრამ საიდანდაც იყო, გაეგო ამ მეფის მოახლეს, რომ სანატრიამ გააკეთა ეს გასაკეთებელი საქმეები“; ცირასგ ოზეში მასარეფი კოჩიში დუდითე **მუუბშაფუდუ** (ყიფშ., 77) „ქალს ეზოს მესრები კაცის თავით აევსო“; თიში უჯგუში ცა დო დიხა შქას მუთა **დაბადებუდუ** (ყიფშ., 82) „მისი უკეთესი ცა და მიწას შორის არაფერი დაჰბადებოდა“; თირიგი მონკა ე ოფერდგ , კოც ვე **ეჭოფოუდუ** (ყიფშ., 106) „ისეთი მძიმე იყო, კაცს ვერ აეწია“; თიჯგურა დიდი **ქოყ ოფედუ** თე გვერშაპი ნამუდა, ართი ჟირი საჯენი ქიე უაფუდუ ზღვა პის ძვალი გეხიბუდუნ (ხუბ., 12) „ისეთი დიდი ყოფილიყო ეს გველეშაპი, რომ ერთი-ორი საჟენი იქნებოდა ზღვის პირას ძვალი რომ იყო დახვავებული“; ლუმუ **ეკორთედუ**-ვოდა, ლეჯი ქოჭკუმუნცგ (ყიფშ., 142) „ღომი წაქცეულიყო ჰოდა ღორი ქე ჭამს“; წარმოწანა **ქიმუჩამუდეს** ასტროჩკა ჟენიაშა (ლოლ., 78) „ერთი წელი მიეცათ გადავადება ჟენიასთვის“; მელენტის **მიდურთუმუდუ** ხოჯეფიში ოციდეშა დო ქათე ოლია **ქუძირგ დუ**, აპაი დიდა. ათენა ბაღანა ძღაბი **ყოფედუ**, გვალა ბაღანა ძღაბი, **მუწონაფუდესგ ნი** (ლოლ., 80) „მელენტი წასულიყო ხარების საყიდლად და ეს ოლია ენახა, აპას დედა. ეს ჯერ კიდევ ბავშვი ყოფილიყო, მთლად ბავშვი (ბავშვი გოგო), როცა მოეყვანათ“; მელენტის ბარდაშა **ულუდუ** ხოჯის ოციდეშა დო თექ **უძირგ დუ** (ლოლ., 80) „მელენტი ბარდაში წასულიყო ხარის საყიდლად და იქ ენახა“; თე ქვალი მიკნობედ ჟი ოხომაფალო დო თექ **გემურთუმუდუ** (ლოლ., 80) „ეს ყველი ეკიდა თურმე (ნაკიდება) ზევით გასახმოზად და იქ ასულიყო“; უკული ჩხუბი **გეუტახგ დეს** თექ. მეინციშა პაგონეფი **გეუნწყუმუდეს** (ლოლ., 86) „მერე ჩხუბი აეტეხათ იქ. მილიციისთვის სამხრეები დაეხსნათ“; **ქუმურთუმუდუ** ართი წასაგებეი ოსურსუ, ნაჭყებხეს დო **გეგწუტყურუდუ** ჩქიმი ნოსაშა ბრელი საქონელეფი, **გეგწუტყურუდ, მიდულაღ დ** ნისიათ... **მიდულალუდუ** ჟირი შალვარი დო კასტუმი, ჟირი ტუფლი **მიდულალუდუ**, ჟირი პალტო **მიდულალუდუ** (ლოლ., 88) „მოსულიყო ერთი გაფუჭებული ქალი, ნაჭყებია, და გამოეტყუა ჩემი რძლისთვის ბევრი საქონელი, გამოეტყუა, წაელო ნისიად... წაელო ორი შარვალი და კოსტიუმი, ორი ფეხსაცმელი წაელო, ორი პალტო წაელო“; ქუთემური ბოშეფგ შა მანქანა **ქუთხუაფუდუ** (ლოლ., 30) „ქუთაისელი ბიჭებისთვის მანქანა ეთხოვებინა“; ჯამ ჯინს პალატკა **ქუმუქალუდგ დ** მიდგასგ დგ ნი დო ბაღანა ქე დმონჯირაფეეს თექ (ლოლ., 42) „ხის ძირში კარავი მოეტანა ვიღაცას და ბავშვი დაგვაწვენიწეს იქ“; ეკირუმუ დო ჭუბერიშა **ქე მურთუმუდუ** მურთაზის (ლოლ., 42) „შესაღამოვდა და ჭუბერში მოსულიყო მურთაზი“; ავტომატი გინაბუდუ მურთაზის დო ავტომატი **მიდულალუდეს** (ლოლ., 44) „ავტომატი ეკიდა მურთაზს და ავტომატი წაერთმიათ“; ციცოს, ა, თუთაში **ქე მოკათაფუდუ** (ლოლ., „ციცოს, ა, ეპილეფსია დამართნოდა“; ოდო აპას აშო **ქუმუწონაფუდუ** ვალია (ლოლ., 52) „ჰოდა, აპას აქეთ მოეყვანა ვალია“...

დოუტახუ – დოუტახუდუ, გიშულეზუ – გიშულეზუდუ... რიგის ზმნები ფორმის თვალსაზრისით განსხვავებულია, მაგრამ ფუნქციური პლანის მიხედვით ესენი თითქოს ერთმანეთს ფარავენ, ერთს შეუძლია მეორის ჩანაცვლება – ეს ნიშნავს, რომ ერთი ფორმა ზედმეტი (ერთ შინაარსს ორი ფორმა არ სჭირდება; პირიქით შეიძლება და ჩვეულებრივცაა ფორმათა პოლისემანტურობა, მრავალფუნქციურობა).

ეს ისეთივე მოვლენაა, როგორცაა, ვთქვათ, ქართ. სალიტ. **გაჰკეთებოდა** : დიალ. **გაჰკეთებიყო**; ესენი ფორმით განსხვავ-დებიან ერთმანეთისგან, მაგრამ სემანტიკურ პლანში არ განსხვავდებიან და თუ ამჟამად ორივე არსებობს, არსებობს სხვადასხვა ენობრივ სივრცეში, სხვადასხვა ენობრივ ქვესისტემაში.

მეგრულში სალიტერატურო ენის ნორმები არ არეგულირებს ფორმათა სტატუსსა და ადგილს სისტემაში. ამიტომ ბუნებრივია ფორმათა თანაარსებობა. შესაძლოა, დროთა განმავლობაში „ზედმეტი“ ფორმა დაიკარგოს, მაგრამ ესეც ენის შინაგანი განვითარების კანონზომიერების შესაბამისი პროცესის ლოგიკური შედეგი იქნება. დღესდღეობით ორივე ფორმა საკმაოდ აქტიურ მიმოქცევაშია. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ II თურმეობითის ფორმებს გრამატიკული აქტუალურობა არ დაუკარგავს.

ყოველ შემთხვევაში, ეს ტენდენცია **დოუტახუ, გიშულეზუ...** წარმოების სასარგებლოდ ამკარად არის გამოკვეთილი.

მეგრულში ორპირიანი გარდაუვალი ზმნების წარმოება ორგანულია: II თურმეობითი იმეორებს ვნებითი გვარის ზმნის უწყვეტელს: დაბადებუ-დ-უ „დაჰბადებია“, შეხვალამუ-დ-უ „შეხვედროდა“, გოჰყოლადუ-დ-უ „დაჰვიწყებოდა“...

მეგრულში ერთპირიანი ზმნები ეყრდნობა I თურმეობითის ფორმას და დაირთავს -დ სავრცობს: დოჰველე-დ-უ „დამწვარიყო“...

მეგრული მეორე თურმეობითის ყალიბია:

R - დ-S₃,

სადაც **R** არის პირველი თურმეობითის ფორმა, **-დ – სავრცობი**, **S₃** – მესამე სუბიექტური პირის ნიშანი.

II.8.4.4. თურმეობითი მეორე ლაზურში.

წარმოების პრინციპი მეგრულის ანალოგიურია ლაზურშიც: მეორე თურმეობითი პირველი თურმეობითის ფორმას იყენებს წარმოებისას.

გ. კარტოზიას წარმოდგენილი აქვს ინვერსიული თურმეობითი მეორის ნიმუშები:

უბირაფუტუ (ჩიქ.,I, 3219) „ემღერა“; **მითქვაფუტუ** (ჩიქ.,I, 15827) „მეთქვა, ნათქვამი მქონდა“; **დუკიდაფუტეს** (ჩიქ.,I, 14619) „აეშენებინათ“; **ნუსუმუტუ** (ჩიქ.,I, 323) „გაესვა“; **უძიამუტუ** (ჩიქ.,I, 8210) „ენახა“; **გუნწვიმუტუ** (ჩიქ.,I, 9912) „გაეხსნა“... **უგნუტუ** (კარტ.,I, 20223) „გაეგო, გაეგონა“; **ეწუზდიმუტუ** (დიუმეზ.,I, 329) „აეწია“; **მილოდინუტუ** (ჩიქ.,II, 5621, 5636) „გამეკეთებინა“; **მიძირუტუ** (ჟლ., 3311) „მენახა“... **მიხენაფუტუ** (კარტ.,I, 18712) „მექნა“; **გამუხთიმუტუ** (დიუმეზ.,I,

316) „გამოსულიყო“... **მუხთიმუტუ** (დიუმეზ.,II, 155, LI5) „მოსულიყო“... **მიგნაფურტუ** (ჩიქ.,II, 137²³) „გამეგო, გამეგონა“; **უძირაფურტუ** (ყიფშ., 72³⁴) „ესწავლა“; **ულვაფუტუ** (ჩიქ., II, 92³¹) „წასულიყო“; **უზირამუტუ** (კარტ.,II, 206³³); **უზირამუტეჲ** (კარტ.,II, 205¹⁶)... [კარტოზია, 2004, 93-95].

სხვა ნიმუშები:

ოხორის ჩქარ გალე ვარ **გამუხთინუტუ** (დიუმეზ., 32) „სახლიდან აგრეთ სულ არ გამოსულიყო“; ფადიშაჰიმ ბერეს ჰაშო მსქ-ა ბოზო პოტე ვარ **უძირუტუ** (დიუმეზ., 64,71) ფადიშაჰის ვაჟს ასეთი ლამაზი გოგო არასოდეს არ ენახა“; ორძოს მუნდი ნა ვარ **ეწუხდიმუტუ** მემეტის ჰაშო ნა ნაჭარასენ პოტე ვარ გამინეტუ (დიუმეზ., 32, 14) „სკამიდან უკანალი რომ არ აუწევია, მემეტს ეს რომ მოუვიდოდა, არ ელოდა“; ჰაქ-შაქი პოტე-თი –არ **მუხთიმუ-ტუ** (დიუმეზ., 236, 5) „აქამდე არასდროს არ ყოფილა (არ მოსულა)“; „ოხორჯას პოტე ძალი ვარ **უძირუტუ**“ (დიუმეზ., IV, 144) „ქალს არასდროს სარკე არ ენახა“...

პარალელურად ფუნქციონირებს ანალიზური წარმოების თურმეობითი მეორეც:

ია მოქეიძეფეჲ შიშლიკი ნა **ჭვეეტეს**, ქოშვეს, ქოჭკომეს (კარტ., 2008, 60) „იმ მოქეიფეებმა, მწვადი რომ შეეწვათ, დალიეს, ჭამეს“; „დაჩხირიმ ალევიქ ამერეფე **დო-თანერეტუ**“ (თანდილავა, 18) ცეცხლის ალს აქაურობა გაენათებინა; უქუმეთიქ ჰონაგნუ, ოხორჯა ნა **ჭოფეეტუ**, ჰანაშქუ (კარტ., 2008, 56) „მთავრობამ გაიგო, რომ ქალი დაეჭირა (=დაჭერილიყო), გამოუშვა“; დაა მწკუფი ტუა, მჟუაა ვა **ფხთეეტუა** (კარტ., 2008, 58) „ჯერ სიბნელე იყო, მზეო არ ამოსულიყო“; მეგერე მუშაფეჲ-ნა ლაღუმი ისთოლეს, გზაშა **ქაგილინგიბონერეტუ** (ჩიქ., I, 91³²) „თურმე მუშებმა რომ ლაღუმი ისროლეს, გზაზე ჩამოგორებულიყო“; ოხოშია ნა მოფთი, ნანა ვა რტუ, **დოღულეეტუ** (კალანდ., 172) „შინ რომ მივედი, დედა აღარ დამხვდა, გარდაცვლილიყო“...

ინვერსიული წარმოებისას ლაზური თურმეობითი მეორის ყალიბი ასეთია:

R - ტუ,

სადაც **R** არის პირველი თურმეობითის ფორმა, **-ტ** – სავრცობი, **უ** – მესამე სუბიექტური პირის ნიშანი;

ანალიზური წარმოება:

R_M-(ერე)ტუ-ნ,

სადაც **R_M** მიმდებარის ფუმეა, **-(ერე)ტუ** – მეშველი ზმნა ნამყო უსრულში.

II.8.4.5. კავშირებითი მესამე მეგრულში.

კავშირებითი მესამე ემყარება **თურმეობითი მეორის ფუმეს**, – მას ემატება კავშირებითის ნიშანი **-ა**; ნიმუშები:

მეგრული:

ირფელამო **დოჭველედას**, მის ცოროფა ვა წანსგნი! (ხუბ., 331) „ყველაფრიანად დამწვარიყოს, ვისაც სიყვარული არ სწამს“; ვიშო **ქიმთოჭველედას**, თენერ უბედური, კვარჩხი! (ხუბ., 359) „იქით დამწვარიყოს ასეთუ უბედური, უკუდმართი!“ ბეჟანიში ჯაბრიშენი ტყურა ქოთქოუ, მითამ თინა ლეჯის **აკოუსოფუდას** (ყიფშ., 105, 30-31) „ბეჯანის ჯავრის გამო ტყუილი თქვა, ვითომ ის ღორს დაეგლიჯოს“; ნოთირი პატივი ცემა სქანი კეთილი საქმეში **მემიღებუდას** (ხუბ., 28) „სანაცვლო პატივისცემა შენს კეთილ საქმეში მიმედოს“; ითამ დიდა

დო მუმას უჭარუდას თემ გაგმუნწყუ თე მზაკვალ ოსურს (ხუბ., 143) „ვითომ დედა და მამას ეწეროს ისე გამოუწყო ამ მზაკვარ ქალს“; ჯვეში კათამ მოულაშა დუს ვემკორწყუნაფუდას (ხუბ., 37) „მველი ხალხის მოსვლამდე თავი არ გტკენოდეს“; ჩქიმი ჯგურავა სქანდა სქანი ჯიმალენს ქულოლამუდასია (ხუბ., 185) „ჩემისთანაო შენთვის შენს მძებს ექნასო“; ჭირი ქობლოლამუდასგ სქანი ჩელა კისერიში (ხუბ., 314) „ჭირი დამმართნოდეს შენი თეთრი კისრის“; თექე მიდგას აუოლას დუჯ ვილუდას ალიშიქიქარს! (ხუბ., 318) „ეს ვისაც წამოსცდეს, მოეკლას ალიშიქიქარს!“ მუქ გარჩქინუ თე უ ოროფან, ღორონს დოუჭყუდას თინა! (ხუბ., 324) „რამაც გააჩინა სიყვარული, ღმერთს დაეწყევლოს ის!“ ინა ჩქიმოთ გედგგმუნო, უჩათ ქიგერჭუდასგინი! (ხუბ., 326) „ის ჩემთვის დაგიდგამს, შავად რომ დაგწვოდეს!“ თემ მაკითხე დო მარჩქილეს დუცუ ვარჭუებუდანი (ხუბ., 105) „ამის წამკითხავს და მსმენელს თავი არ გტკენოდეთ“; სკუალეფი დობღურუდას, ტყურა ქოიწუა-და (ლოლ., 38) „შვილები მომკვდომოდეს, თუ ტყუილი გითხრა“; მუჭო თი ჩქიმი მოთალეფინი, თეში, თეში თინეფი მა გაფხარებუდას (ლოლ., 50) „როგორც ის ჩემი შვილიშვილები, ისე, ისე ესენი გამხარებოდეს“...

მესამე კავშირებითის ყალიბია:

R + ა + S₃,

სადაც **R** არის პირველი თურმეობითის ფუძე, **-ა** – კავშირებითის ნიშანი, **- S₃** – სუბიექტის ნიშანი.

II.8.4.6. კავშირებითი მესამე ლაზურში.

მეგრულის ანალოგიურად ლაზური ინვერსიული კავშირებითი მესამე ემყარება თურმეობითი მეორის ფუძეს, – მას ემატება კავშირებითის ნიშანი **-ა**; ნიმუშები:

გ. კარტოზიას დაკვირვებით, იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ინვერსიული კავშირებითი მესამის წარმოებაც [კარტოზია, 2004, 95], აქვე წარმოდგენილია სათანადო ნიმუშები:

კაი გურითე გიხთიმუტას (ასათ., 216, 129¹⁵) „კარგი გულით გევლოს“; დოგირჩაფუტას ფაჭავრა ედო სი ამ გაუნახეფემ გიკვანდაფუტასა! (კარტ., II, 85¹⁻²) „დაგეფინოს ჭინჭი და შენ ამ ცოდვების გულისთვის გემათხოვროსო!“

ანალიზური კავშირებითი მესამის ნიმუშები ასევე ნაკლებად ჩანს ტექსტებში:

აწიშკულე ხოლო ჩქინი ოხორიშა ორდო-ორდო მოხთეეტა! (ასათ., 139) „ამის შემდეგ კიდევ ჩვენს სახლში ხშირ-ხშირად მოვსულიყავი!“ სანქის იგზალეეტას (ასათ., 113) „თითქოს წასულიყოს“.

ლაზური კავშირებითი მესამის ყალიბია:

1. ინვერსიული წარმოება:

R + ა + S₃,

სადაც **R** არის პირველი თურმეობითის ფუძე, **-ა** – კავშირებითის ნიშანი, **-S₃** – სუბიექტის ნიშანი.

2. ანალიზური წარმოება:

R_M - (ერე)ტა- S₃,

სადაც **R_M** არის მიმღეობის ფუძე, **-(ერე)ტა** – მემველი ზმნა კავშირებითის ფორმით, **-S₃** – სუბიექტის მარკერი.

II.8.4.7. პირობითი III მეგრულში.

პირობითი მესამე საყრდენად იღებს მეორე თურმეობითის ფორმას, – ეს არის საყრდენი ფუძე, რომელსაც ემატება პირობითობის მორფემა – **-კო** სუფიქსი.

მაგ.:

ბედაურს გედოხოდია გიწუე, **ქოიციდირუდუკოვა** ართი ჭკოლა ცხენი, **ეწოწუნაფუდიკო** წოხოლე დო დომურდუდინ, **ქიგიხუნუდუკო** დო ბედაური იციდუა. ახალი ოსური გიწუე, **მოიწონაფუდუკო** უსქვამური ოსური. წანამოწანაშე აკაშა **დოინჯირუდუკო** დო ირო ახალი იცუაფუდუა. მეგვანაფილი გიწუე, **ქემშიადგუმუდუკო** კოტოთ ლეზია დო ეთინა **გიჭკომუდუკოვა...** (ხუბ. 41²²⁻²⁹) „ბედაურზე შეჯექიო, რომ გითხრაო, გეყიდაო ერთი მჭლე ცხენი, გასძლოლოდი წინ და რომ დაილლებოდი, შემჯდარიყავი და ბედაური იქნებოდაო. ახალი ცოლი რომ გითხარო, მოგეყვანა ულამაზო ქალი. წელიწადში ერთხელ დაწოლილიყავი და სულ ახალი იქნებოდაო. ნასუქიო რომ გითხრაო, შეგედგა ქოთნით ლობიო და ის გეჭამაო“; ლობერი **დოგიტახდუკო**, ცელი **დოგიტახდუკო**, კოჩი **დოგიწვილდუკო** დო მორიებული აყიდი თინენც (ხუბ. 218⁵⁻⁶); „ღობე დაგემტვრია, ცელი გაგეტეხა, კაცი მოგეკლა და მორეული ექნებოდი მაგათ“; ქოფხვადუნ დო ქომილუდას, **ქუდეს ქუდოპტერიდიკო!** (ხუბ. 325³⁻⁶) „მეკუთნის და მქონდეს, სახლში დავტეულიყავი! **გიხაჩქუდუკო**, **გიბარგუდუკო**, **გიჭკომუდუკო** ლეზია (ხალხ. 21) „გეთოხნა (=უნდა გეთოხნა), გემარგლა, გეჭამა ლობიო“; საჭირო დუ, ირ დლიური მუშობათი **უჭკომუდუკო** აუკმა დო ჩიი დო სკუა **გუხარებუდუკო** (დან. 334); ათე დღას ოკო **გიშულეზუდუკო** ცალკე მხეცეფს დო ცალკე ფრინველეფს ოჩხუპუშა (ხუბ. 242¹⁰) „ამ დღეს უნდა გამოსულიყო ცალკე მხეცევი და ცალკე ფრინველები საჩხუბრად“; ხენწეფეში დუდი-კათაქ ქიმერთეს დო ქოთხეის, **მოლოურთგმუნდუკო** ნი (ყიფშ., 106³⁻⁴) „ხელმწიფის თავი-ხალხი მივიდნენ და სთხოვეს, რომ მოსულიყო“; თინეფი ოკო არმო **უჭოფუდესგოკონი** დო ხენწიფეშა **ქემუწუნაფუდესგოკონი** (ყიფშ., 53¹⁸) „ისინი უნდა ყველანი დაეჭირათ და ხელმწიფისთვის მოეყვანათ“; მინოფცუმუექ კოჩი ღართამო, ჩქიმი ოსური თექ **მიდამიყ ონაფუდუკონ** (ხუბ., 18) „დავილუპებოდი კაცი, ჩემი ცოლი რომ იქ წამეყვანა“; თექია ეფერი რაგადი ოკო **გეგმოინწყუდუკოვე**, თექიანი ეკულა ვართი სი **გიგინაფუდუკო** დო ვართ თისიე (ხუბ., 22) „იქო ისეთი ლაპარაკი უნდა გამოგეწყო, იქაური ასვლა ვერც შენ გაგეგო და ვერც იმასო“; მინოფცუმუექ კოჩი ღართამო, ჩქიმი ოსური თექ **მიდამიყ ონაფუდუკონ** (ხუბ., 18) „დავილუპებოდი თურმე კაცი ჩოხიანად, ჩემი ცოლი რომ იქ წამეყვანა“...

ამგვარად, პირობითი მესამის ყალიბია:

R - კო(ნ),

სადაც **R** არის მეორე თურმეობითის ფორმა, **-კო(ნ)** – პირობითის მორფემა.

II.8.4.8. პირობითი მესამე ლაზურში.

გ. კარტოზიას აზრით, ლაზურში მესამე სერიის მწკრივთა მყარ პოზიციას იხილავს მეტყველებს, რომ სავსებით რეალურია თურმეობითი მეორისგან ნაწარმოები პირობითი მესამის ხმარება. სარფში მას გაუგონია: **გიგუაფუტუკონ-ნა** „რომ გესწავლა“, **უმიუტუკონ-ნა** „რომ ენახა“ და მსგავსი ფორმები [იხ. კარტოზია, 2004, 95].

ნიმუშები:

„კაკალის ყოყოე **მეჩანტუკონ-ნა**, თიქაკომილეტუ“ (კარტ., 141¹⁵) „ნიგოზს კვახი რომ ბმოდა, თავი გამისკდებოდა“; „ხონცას მჟორა **ენაშქუანეტუკონ** ცა ვაონტრეცინამტუ“ (კარტ., 228⁴⁰) „გვრგვინვას მზის არ შეშინებოდა, ცას არ ჩააშვავებდა“; დიშქა **ტუკონი** თოკითენ კირელი იყვეტუ (ჩიქ., I, 45¹⁵) „შეშა რომ ყოფილიყო, თოკით (ბაწრით) შეკრული იქნებოდა; „დუნდას მუთ ვარ მინონ, ბერე-ჩქიმი ტახთი-ჩქიმიზ ნა გელახედასენ **ქომეჩქიტუკონ**“-და (დიუმეზ. 40, 63) „ამქვეყნად არაფერი მინდა, ჩემი შვილი ჩემს ტახტზე რომ დაჯდება რომ მცოდნოდაო“...

მეგრ. **დოღურელედუკონ** ტიპის პირობითი მესამის ნიმუშებია:

ეგერ ხელკიქ ია ხუთ კაპიკი **დიხმარელეტუკონი**, ჰემ დიძაბუნეტუ, ჰემ-თი ჰიჩ მუთუ ვარ აყვეტუ (ჩიქ., 56²¹) „ხელკის ის ხუთი კაპიკი რომ დაეხარჯა („მოეხმარებინა“), თანაც დაავადებოდა, თანაც სრულებით არაფერი ექნებოდა“; სინ ახჩამი-კონაის **იდღუშუნერეტიკოდო** მუსლუთის წკაი **ქოდოლობერეტიკონი**-ი, ართელი აქსობა იყვას-ინტურ-ი? (ჩიქ., 57³⁰⁻³¹) „შენ სადამოს რომ მოგეფიქრებინა და პირსაბანში („ონკანში“) წყალი ჩაგესხა, ერთი უსიამოვნება იქნებოდა?“; კეზათეხ-ნა გაყვილუშენი ცხენიში დიძითი მეჩაფ ოქსე, ეგერ მეხსუს **ყვილერეტიკონ**-ნა, ვით ეკო ჩქვა სრაფი დოგაყვეტუ-ია (ჩიქ., 90³⁰) „მარცხად რომ შემოგაკვდა, იმიტომ ცხენის ფასს იხდი, თორემ განგებ რომ მოგეკლა, ათი იმდენი სხვა დაგეხარჯებოდაო“; მციქა ჩქვა ორდო **ქომყონეტიკონ**-ნა, დიყვეტუ (ჩიქ., 113²) „ცოტა ადრე რომ მოგეყვანათ, შეიძლებოდა („იქნებოდა“); მგეის გუი ქომუხთუ დო დიფიშმანუ: ია ხვალა **ჰოპკომეტიკონია!** (კარტ., 11²³) „მგელს გული მოუვიდა და ინანა: „მარტო ის შემეჭამაო!“; ოხოიშა **ქამიყონეტიკონ** დო ვა მეხვატუკონ-ნა, ეთი ლია დვაყვეტუ (კარტ., 106²) „შინ რომ შეეყვანათ და რომ არ გადაეყარა, ისიც ლირად გადაეცეოდა“...

ლაზური პირობითი მესამის ყალიბი მეგრულის ანალოგიურია:

1. ინვერსიული წარმოება:

R - კონ, სადაც

R მეორე თურმეობითის ფორმაა, -კონ – პირობითის მორფემა.

2. ანალიზური წარმოება:

R_M - (ერე)ტუ-კონ, სადაც

R_M არის მიმდებარის ფუძე, -(ერე)ტუ-კონ – მეშველი ზმნა კავშირებითის ფორმით, -კონ – პირობითის მორფემა.

II.8.5. მეოთხე სერიის ნაკვთები მეგრულში.

თურმეობითის ნო- პრეფიქსიან სპეციალისტები დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ნაკვთთა ვარიანტებად განიხილავდნენ.

გიორგი როგავამ საჭიროდ ჩათვალა მათი დიფერენცირება იმის გამო, რომ „წარმოდგენილი პარალელური ფორმები ფუნქციების მიხედვითაც განსხვავებული არიან ერთიმეორისაგან“ [როგავა, 1953, 17].

მკვლევარი წერს: „პირველი რიგის ნაკვთები, თის უჭკირუ თინა „მას უჭრია ის“ გამოხატავს დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ნაკვთების შესაბამის თურმეობითებს: თის უჭკირუ თინა („მას უჭრია ის“) აღწერთი სახით იქნება – თიქ ჭკირუ თურმე თინა „მან ჭრა თურმე ის“. ამ რიგის თურმეობითის ნაკვთები ფუნქციის მიხედვით სავსებით ემთხვევა ქართულის სათანადო თურმეობითის ნაკვთებს. მათ შეიძლება ვუწოდოთ დრო-კილოთა მეორე ჯგუფის შესაბამისი თურმეობითის ნაკვთები, შემოკლებით **აორისტის თურმეობითის ნაკვთები**.

მეორე რიგის ნაკვთები – ნო- პრეფიქსიანები გამოხატავენ დრო-კილოთა პირველი ჯგუფის ნაკვთების შესაბამის თურმეობითებს: **თინა ნოჭკირუე თის** აღწერთი სახით იქნება – თინა ჭკირუნს||ჭკირუნდუ თურმე თის „ის ჭრის||ჭრიდა თურმე მას, თინა ნოჭკირუედუ თის – თინა ჭკირუნდუ თურმე თის „ის ჭრიდა თურმე მას“... ამდენად, ამ ჯგუფის ნაკვთებს შეიძლება ვუწოდოთ დრო-კილოთა აწმყოს ჯგუფის თურმეობითები, შემოკლებით – **აწმყოს თურმეობითის ნაკვთები**.

აწმყოს თურმეობითის ნაკვთები (ნო-პრეფიქსიანები) მეგრულში მიზანშეწონილი იქნება გამოიყოს აორისტის თურმეობითების ნაკვთებისაგან დრო-კილოთა ცალკე ჯგუფად, მეოთხე ჯგუფად და ამასთან დაკავშირებით ამ ჯგუფის ნაკვთებისათვის ვინმაროთ ტერმინები: თინა ნოჭკირუე თის – თურმეობითი მესამე, თინა ნოჭკირუედუ თის – თურმეობითი მეოთხე, თინა ნოჭკირუედას თის – კავშირებითი მეოთხე, თინა ნოჭკირუედ(უ)კო(ნ) თის პირობითი მეოთხე“ [როგავა, 1953, 18].

გ. როგავა მსჯელობს ნო-პრეფიქსიანი თურმეობითის ნაკვთების ცალკე ჯგუფად გამოყოფის მორფოლოგიურ და სინტაქსურ საფუძვლებზე:

1. თურმეობითების ეს ორი ჯგუფი – მესამე და მეოთხე ჯგუფები – **დამოუკიდებელი ნაკვთების სისტემის მქონეა;**
2. გარდამავალი ზმნა აწმყოს თურმეობითის ნაკვთებში **ნომინატიური კონსტრუქციისაა** – თ ი ნ ა ნ ო ჭ კ ი რ უ ე თ ი ს , ხოლო აორისტის თურმეობითის ნაკვთებში **დატიური კონსტრუქციისაა** – თ ი ს უ ჭ კ ი რ უ თ ი ნ ა .
3. ისტორიულად ისინი **სხვადასხვა დროის წარმონაქმნებია**

[როგავა, 1953, 18].

საყურადღებოა მკვლევრის დებულებები:

ა. ზმნებს, რომელთაც ხილულ დრო-კილოებში მოეპოვებათ ორივე (I და II) ჯგუფის ნაკვთები, უხილავ დრო-კილოებშიც გააჩნიათ შესაბამისად ორივე (III და IV) ჯგუფის ნაკვთები.

ბ. ზმნებს, რომელთაც ხილულ დრო-კილოებში მხოლოდ პირველი ჯგუფის ნაკვთები მოეპოვებათ, უხილავ დრო-კილოებშიც მხოლოდ მათი შესაბამისი თურმეობითის, ე. ი. დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები აქვთ.

გ. ზმნებს, რომელთაც ხილულ დრო-კილოებში მხოლოდ დრო-კილოთა მეორე ჯგუფის ნაკვთები მოეპოვებათ, უხილავ დრო-კილოებში მხოლოდ მათი შესაბამისი აორისტის თურმეობითების (მესამე ჯგუფის) ნაკვთები აქვთ [როგავა, 1953, 18-22].

აწმყოს თურმეობითის ნაკვთები უნდა იყოს მხოლოდ აბსოლუტური მიმართებისა, რამდენადაც ამ ნაკვთთა შემადგენელი ზმნური ელემენტი (მეშველი ზმნა) **ორენ** („არის“) ერთპირიანია. ნოჭარუე < ნო-ჭარ-უ-ორენ, შდრ. ქართ. დაწერილ-ა < დაწერილ-არს. მეგრულში აბსოლუტური ზმნის ფორმა გამოყენებულია აგრეთვე რელატიურისთვისაც. დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთებში ზმნა იმდენივე პირის მქონეა, რამდენი პირის მქონეცაა დრო-კილოთა პირველსა და მეორე ჯგუფებში. ამიტაც განსხვავდება აწმყოს ჯგუფის თურმეობითის ნაკვთები აორისტის ჯგუფის თურმეობითის ნაკვთებისაგან, რამდენადაც ყოველი სამპირიანი გარდამავალი ზმნა თურმეობითის ჯგუფში (მესამე ჯგუფში) ორპირიანი ხდება [როგავა, 1953, 24].

როგორც აღინიშნა, **მეოთხე ჯგუფის ნაკვთთა ფუძეები საზიაროა აბსოლუტური და რელატიური ზმნებისთვის.**

ასევე **საზიარო ფუძეები აქვთ აქ მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის ზმნებს** (დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ნაკვთებში გარჩეულია გარდაუვალი და გარდამავალი ზმნის წარმოება, თვით გარდაუვალეებში ერთპირიანის წარმოება ორპირიანისაგან).

მეოთხე ჯგუფში, მსგავსად მესამე ჯგუფისა, არ არის გარჩეული ქცევის კატეგორია.

გარჩეულია ასპექტისა და კონტაქტის კატეგორიები [როგავა, 1953, 25-26].

განსხვავებულია ფორმები, განსხვავებულია ფუნქციები, – სავსებით საკმარისი პირობებია ახალი მორფოლოგიური ერთეულების შესახებ მსჯელობისთვის.

II.8.5.1. თურმეობითი მესამე მეგრულში.

რაც შეეხება კონკრეტულ ფორმათა სტრუქტურას: მეგრულში III თურმეობითი ანალიზური წარმოების ნაკვთია: **ნო- -უ** პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებ მიმდევობას დაერთვის **ორენ** მეშველი ზმნა: ნო-ჭკირ-უ-ე(ნ) < ნო-ჭკირ-უ-ორენ(ნ), ნო-ჭარ-უ-ე(ნ) < ნო-ჭარ-უ-ორენ(ნ)...

დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთებში უფრო ხშირად იხმარება თურმეობითი III. უკანასკნელი გამოხატავს როგორც აწმყო-მყოფადის თურმეობითს, ისე ნ. უსრულის თურმეობითსაც: **თინა ნოხორუე** – ის სახლობს თურმე || ის სახლობდა თურმე.

ნიმუშები:

თიგალი მახინჯი ცოფენა თინეფი, ნამუდა ქიქანას **ნორგილაფუნა** (ყიფშ., 12) „ისეთი ქურდები ყოფილან ისინი, რომ ქვეყანას აცივებდნენ“; ოღონ კოჩი ონჯლორე-შენი **ვანოღურუე** ვარა ალიშქერქოუქ დახე ონჯლორეთ დოღურ (ხუბ., 180); „ოღონდ კაცი სირცხვილისგან თურმე არ კვდება, თორემ ალიშქერქოუ კინაღამ სირცხვილით მოკვდა“; სი ამარი ართი მარუო რე **ქუნობზადებუექ** ჩქიმი ორკინეთ (ყიფშ., 19) „შენ აგერ ართი კვირაა თურმე რომ ემზადები ჩემთან საჭიდაოდ“; თეს მუთა **ნოხვარუენია** (ხუბ., 108) „ამას თურმე არაფერი შველისო“; ვა **ნოფხვარუექია** მა თისია მუთუნსია (ხუბ., 204) „თურმე ვერ ვშველიო მე მასო ვერაფერსო“; ბოში ვითოჟირი ბაღანეფიწკგმა **ნოლაყაფუე** (ყიფშ., 12) „ბიჭი თორმეტ ბავშვებთან ერთად თამაშობდა თურმე“; ვა **ნოპალუნა** მუთუნი, ართი ქომოლი სქუაში მეტი (ყიფშ., 12) „არ ებადათ თურმე არაფერი, ერთი ვაჟიშვილის მეტი“; სი ჯგირი **ნოყოფუერექია!** (ყიფშ., 53) „შენ კარგი ყოფილხარო“; უკულაში ჯიმასჲ **ნოჯოხობუე** დათა(ყიფშ., 14) „უმცროს ძმას რქმევია

დათა“; **ნოკობუნა** ვითოჟირი და ოსურეფიში თხუალა ჩილო (ყიფშ., 14) „ნდომებიათ თორმეტი და ქალები თხოვა ცოლად“; დაჩხირი ნდიეს **ნორზუე** (ყიფშ., 27) „ცეცხლი დევებს ჰქონიათ დანთებულია“; თენა **ნორხვალამუნია**, ვარა უშქურქუ მუშენი რქვილუა (ყიფშ., 107) „ეს გხვდებოდა თურმე, თორემ ვაშლმა როგორ მოგკლავ“; თე ჟირი ჯიმაში ცოფა-ქცევა თელი სოფელსი **ნორქე** (ყიფშ., 12) „ამ ორი ძმის ყოფა-ქცევა მთელმა სოფელმა იცოდა თურმე“; ბოშენქ თქვის ნამუდა ენა **ქუნორგებე** ჩქინი ჯიმათია დო დეჯიმალეს (ხუბ., 2) „ბიჭებმა თქვეს, რომ ეს ვარგებულა ჩვენს ძმადო და დამმოხილდნენ“; კარს **მიკნოჭარუე**: მით თე გირას ეჭოფუნს დო თეთ კარს ტახუნსიე, თიში მეტის ვოულ უ ნება მიწულაშია (ხუბ., 3) „კარზე ეწერა თურმე: ვინც ამ გირს აწევს და ამით კარს გატეხს, იმის მეტს არა აქვს ნება შემოსვლისო“; ათე ნდის **ნოყ უნუე** ქიანაში სქა (ხუბ., 4) „ამ დევს ნაყოლება ქვეყნის ფუტკარი“; თურმე ათე ართი ძვალს მითი დუდიშა ვარენო მიდვანს ნი, არმა **დუნოდურუე** (ხუბ., 13) „თურმე ამ ერთ ძვალს ვინც თავქვეშ ამოიდებს, ყველა მოკვდება თურმე“; სი მუთ ვარდუო ქომიწინი, ირფელი მართალი უ ოფე დო **მინოფცუმუექ** კოჩი ღართამო (ხუბ., 18) „შენ რაც მითხარი, ყველაფერი მართალი ყოფილა და დავიკარგები თურმე კაცი ჩოხიანად“; ჩქიმი ამხანაგის **ნორქე** კარტიშ ლაყ აფი (ხუბ., 44) „ჩემს ამხანაგს სცოდნია კარტის თამაში“; ტყურათ **ნობლორებუე** მა ოსურია (ხუბ., 52) „ტყუილად მატყუებდა თურმე მე ცოლიო“; **ნონადირუე** თე ტყას გინოხონი ხენწე ფეში სქუა დო ქეშეხვადგ თე ძღაბის (ხუბ., 75) „ნადირობდა თურმე ამ ტყეში გაღმელი ხელმწიფის შვილი და შეხვდა ამ გოგოს“; დეშიშე დემქ დო გეგნოლგ , ენა იშენი **დგ ნოპილუე** მავა დო (ხუბ., 81) „შეშინდა დევი და გავარდა, ეს ისედაც მომკლავს თურმე მე და“; ართ ხენწე ფე უ ოფენ დო ართი ოსურსქუა **ნოხვე. ნოხვილუე** თე ოსურსქუაშო სინდას (ხუბ., 81) „ერთი ხელმწიფე ყოფილა და ერთი ქალიშვილი ჰყავდა თურმე. სჭირდებოდა თურმე ამ ქალიშვილისთვის სიძე“...

მეგრული III თურმეობითის ყალიბი ასეთია:

(Z)-Rm-ე(ნ),

სადაც **(Z)** ზმნისწინია, **Rm** – ნო-პრეფიქსიანი მიმლეობა, **ე(ნ)** – **-ორენ** მეშველი ზმნის ნაშთი.

II.8.5.2. თურმეობითი მეოთხე მეგრულში.

თურმეობითი მეოთხე ნაწარმოებია თურმეობითი მესამის ფორმაზე უწყვეტლის -დ სუფიქსის დართვით [როგავა, 1953, 23].

უფრო თუ დავაზუსტებთ, ამ შემთხვევაში თურმეობით მესამესა და თურმეობით მეოთხეს აქვთ **საზიარო ფუძე** (ნოჭკირუ-), რომელსაც დაერთვის **ორენ** „არის“ მეშველი ზმნის ნამყო უსრულის ფორმა: ნო-ჭკირ-უ-ე-დ-უ < ნო-ჭკირ-უ-ორე-დ-უ (მდრ. ქართ. **დამჭკნარ-ა(რს) – დამჭკნარ-იყო, დამწვარ-ა(რს) – დამწვარ-იყო...**). ნიმუშები:

ათე კოჩიში სოფელიშე გინილეს ჟირი ჯიმა ვაჭარენქ დო ქემერთეს თი სახენწე ფოშა, სიდეთ თე კოჩი **ნოცხოვრებუედუნ** (ხუბ., 83) „ამ კაცის სოფლიდან გავიდნენ ორი ძმა ვაჭრები და მივიდნენ იმ სახელმწიფოში, სადაც ეს კაცი ნაცხოვრება“; თე ძღაბისე თ **ქგ ნოღვედგ** ართ ხუთ ცხენიშ ხარგა ფარა (ხუბ., 148) ამ გოგოსაც ჰქონოდა ერთი ხუთი ცხენის ტვირთი ფული“; ართ დროს ართი კოს ართი სქუა **ნოყ ვერდგ** (ხუბ., 34) „ერთ დროს ერთ კაცს ერთი შვილი ჰყოლია“; ეშ ფარა მუთუნი **ვაყოფედუ** მიშაღალირი (ლოლ., 76) „ამისი ფული არაფერი არ

ყოფილიყო შეტანილი“; აურე ფარას **ნოდებუედუ** ანდრო თენეფზე (ლოლ., 78) „აქეთ ფულს იღებდა თურმე (ნაღება) ანდრო ამათგან“; ი კათა **ვანორბეზუედეს** (ლოლ., 136) „ის ხალხი თურმე არ იძლეოდა“; კირლე დო თინა ჯგირი ამხანაგეფი ორდეს, ართო **ნომუშეზუედეს** (ლოლ., 142) „კირილე და ის კარგი ამხანაგები იყვენენ, ერთად მუშაობდნენ თურმე (ნამუშევარან)“...

მეოთხე თურმეობითის ყალიბი ასეთია:

Rm-დუ

სადაც **Rm** ნო-სუფიქსიანი მიმღეობის ფორმაა, **-დუ** (<**ორედუ**) – მეშველი ზმნა უწყვეტელში.

II.8.5.3. კავშირებითი მეოთხე მეგრულში.

გ. როგავას მიხედვით, კავშირებითი მეოთხე ნაწარმოებია თურმეობითი მეოთხის ფორმაზე კავშირებითის -ა სუფიქსის დართვით: ნო-ჭკირ-უ-ე-დ-ა-ს < ნო-ჭკირ-უ-ორე-დ-ა-ს.

ამ შემთხვევაშიც საფუძვლიანი ჩანს **საზიარო ფუძეზე** მსჯელობა: კავშირებით მეოთხეს საზიარო ფუძე აქვს თურმეობით მესამესა და თურმეობით მეოთხესთან და ეს ფუძეა **ნო-პრეფიქსიანი მიმღეობა** (ნო-ჭკირ-უ), რომელსაც ემატება **-ორენ** მეშველი ზმნის კავშირებითის ფორმა (ორედ-ა-ს).

მეოთხე კავშირებითის ფორმები ერთობ იშვიათად გვხვდება ნაბეჭდ ტექსტებში.

ნიმუშები საექსპედიციო მასალებიდან:

სკან გამნარყი ირ ჯგირობუას **ნოკათუედას** „შენი შთამომავლობა ყველაფერ კარგში ყოფილიყოს (გარეული)“; თემ ოსვისვინანს, ვითომ მუთუნი დანაშაული **ვანოღვედასინ** „ისეა გატრუნული, თითქოს არაფერი დანაშაული არ ჰქონდეს“; სკან ოჯახის ირო **ნოხოწუედან** დო **ნოთასუედან** „შენს ოჯახში სულ ეხნათ და ეთესოთ“...

მეოთხე კავშირებითის ყალიბი:

Rm-ედას

სადაც **Rm** ნო-სუფიქსიანი მიმღეობის ფორმაა, **-ედას** (<**ორედას**) – მეშველი ზმნა კავშირებითში.

II.8.5.4. მეოთხე სერია ლაზურში.

საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. როგავას იმის შესახებ, რომ ჭანურმაც იცის აწმყოს თურმეობითის გამოხატვა, ოღონდ აქ არ არის **ნო-** პრეფიქსიანი წარმოება [როგავა, 1953, 26].

მკვლევარი წერს: „სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია ჭანურის ნ. უსრულის თურმეობითის ორი დიალექტური ვარიანტი: ვიწურ-არქაბული – ნ. უსრულის ნაკვთზე -

დორენ მეშველზმნა დართული: მა ბ ზ უ მ უ ტ ი - დ ო რ ე ნ ჰეა „მე ვზომავდი თურმე მას“ და ხოფური – იმავე ნ. უსრულის ნაკვთზე **-ერე** ელემენტ დართული: მა ბ ზ ი მ უ ფ ტ - ე რ ე ია „მე ვზომავდი თურმე მას“¹⁴. ჭანური ბ ზ უ მ უ ტ ი დ ო რ ე ნ || ბ ზ ი მ უ ფ ტ ე რ ე – მეგრული ნ ო ბ ზ ი მ უ ე დ ი ს (ვზომავდი თურმე) ტოლფარდია [როგავა, 1953, 26-27].

გამოყოფილია სხვა ნაკვთებიც: „ჭანურში, გარდა ე.წ. ნანამყოუსრულარი თურმეობითისა (აწმყოს თურმეობითისა), ცნობილია აგრეთვე აორისტის ფუძეზე იგივე **დორენ** და **ერე** დართული ნაკვთებიც, ე. წ. ნააორისტალი თურმეობითი პირველი. მა ბ ზ უ მ ი - დ ო რ ე ნ ჰეა || მა ბ ზ ი მ - ე რ ე ია „მე მიზომავს ის“. ნააორისტალი თურმეობითი მეორე – მა ბ ზ უ მ ი - დ ო რ ტ უ ნ ჰეა || მა ბ ზ ი მ ე რ ტ ი ია „მე მეზომა ის“, ნააორისტალი კავშირებითი მესამე – მა ბ ზ უ მ ი - დ ო რ ტ ა ს ჰეა || მა ბ ზ ი მ ე რ ტ ა ია „მე მეზომოს ის“ (დამოწმებულია არნ. ჩიქობავას დასახ. ნაშრ., გვ. 143-144). ჭანურის ნანამყოუსრულარი თურმეობითები ფუნქციის მიხედვით ემთხვევა ქართულის (აგრეთვე მეგრულის) მესამე ჯგუფის ნაკვთებს“ [იქვე, 27].

ყურადღებაა გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ „ჭანურში გვხვდება ქართულისა და მეგრულისთვის დამახასიათებელი მესამე სერიის ნაკვთები ინვერსიული წყობისა: მიძირუნ || მიძირამუნ „მინახავს“, გიძირუნ || გიძირამუნ „გინახავს“, უძირუნ || უძირამუნ „უნახავს“ [იქვე, 27]

„ამგვარად, – დასძენს მკვლევარი, – ჭანურს ახასიათებს აორისტის თურმეობითების ორი ვარიანტი: ერთი – ე.წ. ნააორისტალი თურმეობითი – მა ბ ზ უ მ ი - დ ო რ ე ნ ჰეა || მა ბ ზ უ მ - ე რ ე ია „მე მიზომავს ის“ და მეორე – საერთო ქართულთან და მეგრულთან – თურმეობითი პირველი – მა მ ი ზ უ მ უ ნ || მ ა მ ი ზ უ მ ა მ უ ნ ია „მე მიზომავს ის“. უკანასკნელი ნაკვთი უფრო ძველია. იგი ამჟამად გზას უთმობს ე. წ. ნააორისტალი თურმეობითების ნაკვთებს“ [იქვე, 27].

ვფიქრობთ, **ბ-ზიმ-ერ-ე** არ უნდა განვიხილოთ **ბზუმი-დორენ** ფორმის პარალელურ ვარიანტად; ეს, ჩვენი აზრით, ქართული და მეგრული **არაინვერსიული ნამიმლეობარი თურმეობითი პირველია**, დო-ღურ-ე(ლე), მო-მკვდ-არ-ა ფორმათა შესატყვისი (იხ. ზევით) და ასე უნდა გავიაზროთ: **ბ-ზიმ-ერ-რე**.

ასევე:

ანალიზური წარმოების ნამიმლეობარ თურმეობითად უნდა განვიხილოთ **ბზიმერტი** (< ბზიმერ-რტი), ხოლო ასევე ანალიზურ არაინვერსიულ ნამიმლეობარ კავშირებით მესამედ – **ბზიმერტა** (< ბზიმერ-რტას).

გამჭვირვალეა ფორმის სტრუქტურა და ნათლად ჩანს ამოსავლად აორისტი ამ შემთხვევაში: **ბზუმი-დორენ**, **ბზუმი-დორტუნ**, **ბზუმი-დორტას**.

ლოგიკური ჩანს ბ ზ უ მ უ მ ტ ი დ ო რ ე ნ || ბ ზ ი მ უ ფ ტ ე რ ე ფორმათათვის ამოსავლად უწყვეტლის მიჩნევა (**ბზიმეფტ-ერე** ნამიმლეობარი ფორმა ვერანაირად ვერ იქნება, ის აშკარად უწყვეტელს ემყარება), თუმცა გაჭირდება მათი განხილვა პარალელურ ვარიანტებად.

ასევე, ნააორისტალი თურმეობითია **გიულუტესრენ** („თურმე ჩამოდიოდნენ“), **იგზალუნენ** („წასულა“), **ქომეჩუნენ** („მიუცია“) და სხვა ფორმები, – ამ შემთხვევაში ამოსავლად მიმლეობის მიჩნევის საკითხი არ დგება.

¹⁴ დამოწმებულია არნ. ჩიქობავას ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 141, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მითითებულ გვერდზე წარმოდგენილ სათანადო პარადიგმებში გვხვდება არა ბზუმუტიდორენ, არამედ ბზუმუმტიდორენ, ზუმუმტიდორენ და ა. შ. ანუ, თემის ნიშანი სრული სახითაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფორმები ტრადიციულ პარადიგმებში რატომღაც არ ჩანს, იგნორირებულია.

აქვე შევნიშნავთ: თუ ლაზური ბ ზ უ მ უ მ ტ ი დ ო რ ე ნ || ბ ზ ი მ უ ფ ტ ე რ ე – მეგრული ნ ო ბ ზ ი მ უ ე დ ი ს („ვზომავდი თურმე“) ტოლფარდია, მაშინ მა ბ ზ უ მ ი დ ო რ ე ნ ჰეა ფორმის ინტერპრეტირებისას უფრო ზუსტი იქნება ასეთი გრამატიკული ჩანაწერი: „მე ვზომავდი არის თურმე მას (resp. „ის“)“ (და არა „მე მიზომავს ის“, რაც მიზომუნ ფორმით გამოიხატება).

ასევე იქნება:

ბზუმი-დორენ ფორმისთვის (=„ვზომე არის თურმე“)

ბზუმი-დორტუნ (=„ვზომე იყო თურმე“)

ბზუმი-დორტას (=„ვზომე იყოს თურმე“).

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტი გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემა სხვა ენაზე ყოველთვის არ ხერხდება. გამოცემულ ტექსტებში ლაზურის მეოთხე ჯგუფის ფორმები ჩვეულებრივ მესამე ჯგუფის ფორმებითაა გადმოცემული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ შორის ფუნქციური იგივეობაა.

ცხადია, დასაშვებია ტექსტების შედარებით თავისუფალი თარგმანი თუ ინტერპრეტირება (როცა სხვა ენაზე ინტერპრეტირებისას ძნელია ან შეუძლებელია ადეკვატური ფორმის მოძებნა, სპეციფიკური ნიუანსების გათვალისწინება; განსაკუთრებით რთულია ეს მორფოლოგიის დონეზე, კონტექსტის გარეშე). ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანალიზის დროს უარი ვთქვათ ფაქტის ზუსტ გრამატიკულ აღწერასა და კონსტატაციაზე.

არნ. ჩიქობავას ასე აქვს ფორმები წარმოდგენილი: მა ბზუმიდორენ ჰეა/მა ბზიმერე ია „მე მიზომავს ის“; „მე ნაზომავარ მას“; მა ბზუმიდორტუნ ჰეა/მა ბზიმერეტი ია „მე მეზომა ის“; „მე ნაზომავიყავ მას“; მა ბზუმიდორტას ჰეა/მა ბზიმერეტა ია: „მე მეზომოს ის“; „მე ნაზომავიყო მას“ [ჩიქობავა, 1936, 144].

კიდევ უფრო ზედმიწევნით, ასე ვთქვათ, ბწკარედული ინტერპრეტაცია იქნება: მა ბზუმიდორენ ჰეა: მე ვზომეარის ის; მა ბზუმიდორტუნ ჰეა: მე ვზომეიყო ის; მა ბზუმიდორტას ჰეა „მე ვზომეიყოს ის“.

ლაზურშიც გამოიყოფა დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფი და მისი გამოყოფის საფუძველი, პირველ რიგში წარმოების თვალსაზრისით დაკავშირებული ფორმების სისტემაა. ამას ემატება ის ნიუანსები, რაც მეგრული მეოთხე სერიის ფორმათათვის არის ნიშანდობლივი.

საინტერესოა გ. კარტოზიას დაკვირვება: ინვერსიული თურმეობითი მეორე ვიწურ-არქაბულში ზოგჯერ **დორენ||რენ** „არის“ მეშველი ზმნით არის გართულებული (**დორენ** აქ ნამყო უსრულისა და აორისტის ფორმებს ერთვის და არაინვერსიულ თურმეობითებს აწარმოებს [კარტოზია, დისერტ., 94]; ამ ერთგვარად კონტამინირებული ფორმების ნიმუშებია:

უძირუტუდორენ (დიუმ.,II, 144, XXXVIII₃) „ენახა“; **გაიუხტიმუდორენ** (დიუმ.,II, 144, XXXIX₁) „ჩასულიყო“; **მუხტიმუტუდორენ** (ყიფშ., დამ. 14, VI₂₇) „მოსულიყო“; **უგნაფუტესრენ** (კარტ.,II, 317₂₇)...

დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფს ლაზურში ოთხი ნაკვეთი წარმოადგენს, რომელთაგან სამი ნააორისტალია (**ბზუმი-დორენ**, **ბზუმი-დორტუნ**, **ბზუმი-დორტას**), ხოლო ერთი – ნანამყოუსრუ-ლარი (**ბზუმუტი-დორენ**).

ვგიქრობთ, აუცილებელია ტერმინების დაზუსტება:

თუკი აღვადგენთ ქართულისა და მეგრულის შესაბამის მესამე ჯგუფს, ცხადია, ამ ჯგუფში შემავალი ფორმების დასახელებებიც ქართულისა და მეგრულის ანალოგიური უნდა იყოს: თურმეობითი I, თურმეობითი II, კავშირებითი III, პირობითი III.

საცვებით ლოგიკური იქნება, თუკი მეოთხე ჯგუფის ფორმათა სახელდებისას მეგრულის ვითარებას გავითვალისწინებთ და მასთან შესაბამისობაში მოვიყვანთ სათანადო ტერმინოლოგიასაც;

მაშინ აქაც გვექნება:

თურმეობითი III: **ზუმუ-დორენ**

თურმეობითი IV: **ზუმუ-დორტუნ**

კავშირებითი IV: **ზუმუ-დორტას**

უწყვეტლის თურმეობითი: **ზუმუმტუ-დორენ**

გ. კარტოზია შენიშნავს, რომ ვიწურ-არქაზულსა და ათინურ-ართაშენულში ნააორისტალი კავშირებითის მაწარმოებლად **დორტას** დაბოლოებას მიუთითებენ (დამოწმებულია არნ. ჩიქობავას ჭანურის გრამატიკული ანალიზი, გვ. 144), თუმცა ასეთი წარმოება ტექსტებში არ დასტურდება [კარტოზია, 1993, 396].

თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ კავშირებითი IV ხელოვნური ნაკვთია და ამოსადებია დრო-კილოთა სისტემიდან.

II.8.5.4.1. თურმეობითი მესამე ლაზურში.

როგორც აღინიშნა, თურმეობითი III-სთვის საყრდენია **აორისტის ფორმა**.

ნიმუშები:

თილქიქ, არაბეფე ძირუშ-კულე, კუჩხეფე **დომთინუდორენ** (ჩიქ., II 11²⁰) „მელიამ, მას შემდეგ, რაც ურმები ნახა, ფეხები გაჭიმა“; მთუთი ძირუშ-კულე ჯოლორი... **ნანთხუდორენ** (ჩიქ., II 736) „დათვი რომ უნახავს, ძალი სცემია...“; ფიცართე დო ნჯათე ოფშა ზოლაქ **დობლუდორენ, ქელობლუდორენ** (ჩიქ., II, 43); „ფიცარი და ხე ზღვას სავსე ამოუყრია, ნაპირზე დაუყრია“; დოლოხე დოლიწკედუშ-კულე, დიდი კუი **დონთხორესდორენ** (ჩიქ., 39) „შიგნით რომ ჩაიხედეს დიდი ჭა ამოუთხრიათ“; არ ნდლას ფადიშაჰიმ ენ კად ავჯი **დიზაზუნუ-დორენ** და **დოდურუ-დორენ** (დიუმეზ., 122,4) „ერთ დღეს ფადიშაჰის (ყველაზე) კარგი მონადირე რომ არის, ავად გამხდარა და გარდაცვლილა“; ავჯი ღურუტუ-შკულე არ ვესიდეთი **დოჭარუ-დორენ** (დიუმეზ., 122,6) „მონადირეს სიკვდილამდე ერთი ანდერძი დაუწერია“; ავჯიქ ჰა ვესიდეთი ოხორჯა-მუშის **ქომეჩუ-დორენ** დო **უწუ-დორენ** (დიუმეზ., 122,8) „მონადირეს ეს ანდერძი თავისი ცოლისთვის მიუცია და უთქვამს“; ოხორჯაქ სუმ თუთა-შ-ქულე არ ბიჭი ბერე **ქოდორინუ-დორენ** (დიუმეზ., 122,10) „ქალს სამი თვის მერე ერთი ბიჭი გაუჩენია“; დაღის არ კინჩი **დოაღლუ-დორენ** დო ფადიშაჰის **ქომულუ-დორენ** (დიუმეზ., 122,12) „ტყეში ერთი ჩიტი მოუკლავს და ფადიშაჰისთვის მოუტანია“; ფადიშაჰიქ ბერეს: “მიშ ბერე რე?”-და დო **კითხუ-დორენ** (დიუმეზ., 122,14) „ფადიშაჰს ბიჭისთვის: “შენ ვისი შვილი ხარო?” და უკითხავს“; ბერე ავჯილუდიშე იდუ-შ-ქულე ამ რაკანის **მოაღლუ-დორენ**. იქინდი-ორას მაშქითან რაკანის **ქონახოლუ-დორენ** (დიუმეზ., 122,24-25) „ბიჭი სანადიროდ რომ წავიდა, ექვსი გორაკი გადაუვლია. შუადღისას მეშვიდე გორაკს მიახლოვებია“; ბერე: “ბაბა-ჩქიმიქ ჰემუშენი ვესიდეთი **დომიტალუ-დორენ** (დიუმეზ., 122,32) „ბიჭმა: “მამაჩემს ანდერძი ამიტომ

დაუტოვებია“; ქ-ას ტეტელი არ ბერე **მოხთუ-დორენ** დო **ქოგებედუ-დორენ** (დიუმეზ., 122,36) „ქვასთან ერთი შიშველი ბიჭი მისულა და დამჯდარა“; ჟურ საატი-კონარი ბერე **დინჯირუ-დორენ** დო ოკულე კამიშლუდეფემ-კელე **დოლილეს-დორენ** (დიუმეზ., 122,37) „ორი საათის მანძილზე ბიჭს სძინებია და მერე ლერწმიანებისკენ წასულან“; „კოჩეფეს პატი ნგადა **ამშქი-რონესდორენ**“ (ა. თ.) „კაცებს საჭმელი ძალიან მოშივებიათ“...

ლაზურს ინტერვოკალურ პოზიციაში **რ** თანხმოვნის დასუსტება-დაკარგვა ახასიათებს, ამდენად თურმეობითა აღნიშნული მაწარმოებლები გამარტივებული სახითაც გვხვდება: **დორენ > დოენ > დონ, დორე > დოე** (კარტოზია, 2004, 95).

ნიმუშები:

ორჭაფეე ოდინე დევამლი ნოლაშე გიულუტესრენ დო ჯუმუ **ეჭოფუმტესდოენ** (კარტ., II, 3167); **თქუდოენ**-ქი (კარტ., II, 31514) „უთქვამს, რომ...“; ალი ჯუმადიქთი **ქომეჩუდოენ** არ თენექე ლაზუტი (კარტ., II, 31710) „ალი ბიძიასაც მიუცია ერთი თუნუქი სიმინდი“; მუთუ ვა **მიჩქიტესდოენ** (კარტ., 2008, 78) „არაფერი არ გვცოდნია“; ლაზეფე სო **სქიდუტესდოენ**, ჰაქ დობიგუით. ჰაქო თქვა გბიითშკულე, ნაკო ექსულეფე **მილუტესდოენ**, ქოდობიგუით. დიდო კაი დულაა გილუნან. თქვა ჰაშო **გაგითდოენ**, ვა **გოგოჭკონდესდოენ** (კარტ., 2008, 78) „ლაზებს სად უცხოვრიათ, აქ გავიგეთ. აქ თქვენი ნახვის შემდეგ, რამდენი ნაკლიც გვქონია, გავიგეთ. ძალიან კარგი საქმე გაქვთ. თქვენ ასე დასჩვევიხართ, არ დაგვიწყებიათ“...

დედე-ჩქიმიში ნანა, ჰარბი იქომტესჩქულე, რუს ჰარბინდე, მუაჯირი **ეძელესდოე** (კარტ., 2008, 78) „პაპაჩემის დედა ომის დროს, რუსის ომის დროს, მუჰაჯირად აყრილან“; აგი ნა ულუნ კოჩეფეს ონტულე **უხაჩქუმტესდოე** (კარტ., 2008, 78) „მიწა რომ აქვთ იმ კაცებს ბოსტანს უთოხნიდნენ თურმე“; ონდლეშაქ **ხაჩქესდოე** ონტულე. ონდლეი გაი **მულესდოე** (კარტ., 2008, 78) „შუადღემდე უთოხნიათ ბოსტანი. შუადღეს მიუტანიათ საჭმელი“; **მეჩესდოე** დო ნა ელოკათუნან ოხორჯალეფეს **უწუდოე** (კარტ., 2008, 78) „მიუციათ და მასთან ერთად მყოფი ქალებისთვის უთქვამს“; დო ვა **ჭკომუდოე**. დედე-ჩქიმიში ნანას ჰაჯეიბეაიში **უწუმეტესდოე** (კარტ., 2008, 78) „და არ უჭამია. პაპაჩემის დედას ჰაჯერ ბეაიში რქმევია“...

აორისტის ფორმას დაერთვის -ერენ/რენ/ენენ/ენ:

ორჭაი კურბეთიშე **იგზალუნ** დო ოხორჯა ჰაქოლე ნაშქუ ხვალა (კარტ., II, 31625) „ორჭელი საშოვარზე წასულა და ცოლი აქ დატოვა მარტო“; **თქურენ**-ქი (კარტ., II, 31514) „უთქვამს, რომ...“; არ ხუთ-ამ კოჩი **ოკიკათესრენ** დო მუქტიშე **ქოგებთესრენ** (კარტ., II, 31523-24) „ერთი ხუთი-ექვსი კაცი შეყრილა და მუფთისთან ჩასულან“; გზას **გაულუმჯესრენ** (კარტ., II, 3161) „გზაზე დაღამებიათ“; ტუქელე **ელიკიდესრენ** (კარტ., II, 31617) „თოფები აუსხამთ“; დუმემექ არალუდ **ქომეჩუნ** (კარტ., II, 31629) „იატაკს ღრიჭოები მიუცია“; ჰამუქ **ოჭკომურენ** (კარტ., II, 31710) „ამას შეუჭამია“; დიდო **დომაჭკინდურენ** (კარტ., II, 3324) „ძალიან დავდლილვარ“...

თურმეობითი III-ის ყალიბი ასეთია:

RA-დორენ/ერენ (<ორენ),

სადაც **RA** არის აორისტის ფორმა, ხოლო **-დორენ/ერენ (<ორენ)** – მეშველი ზმნა;

II.8.5.4.2. თურმეობითი მეოთხე ლაზურში.

თურმეობითი IV-სთვის ასევე აორისტია საყრდენი ფუძე: **ზუმუ-დორტუნ**; III თურმეობითისგან მას განასხვავებს მეშველი ზმნის დრო (დორენ – დორტუნ; შდრ. ქართ.: მომკვდარ-ა(რს) – მომკვდარ-იყო).

ნიმუშები:

ფადიშაჰიჰ ჰაჰა **ოგნუ-დორტუნ** დო უძირამუ **დაოროფუ-დორტუნ** (დიუმეზ., 122,19) „ფადიშაჰს ეს გაეგო და უნახავად შეჰყვარებოდა“; ერემ მოფონუშენი ნა უფონუტუ ენ დიდი ფეჰლივანეფე **მენდოშქუ-დორტუნ** ამა ჩქარის-თი –არ **მაფონუ-დორტუნ** (დიუმეზ., 122,20) „ბავშვის მოსაყვანად რომ ჰყავდა დიდი ფალავნები, გაეგზავნა, მაგრამ ვერავისაც ვერ მოყვანა“; ფადიშაჰის არ ჩქ-ა ბოზო ქუფონუტუ დო ჰე-თ ვეზირი-მუშის **ქომეჩუ-დორტუნ** (დიუმეზ., 18,5) „ფადიშაჰს ერთი სხვა გოგო ჰყავდა და ისიც თავისი ვეზირისთვის მიეცა [მიეთხოვებინა]“; არ ნდღას ფადიშაჰი ჰუტა ბერ-მუშეკალ გოფტეშქულ, გზას დიდი ნჯალეფე **ნაგეზ-დორტუნ** (დიუმეზ., 18,20) „ერთ დღეს ფადიშაჰი თავის უმცროს ვაჟთან ერთად რომ სეირნობდა, გზაზე დიდი ხეები შეხვედროდათ“; ჰა ბერე ჩქიმ დიციხირიშ ვა რენ, ჩქიმ ბერეფეს ვარ ნუგამს“-მა დო ჰემორაშქულ გურის შუფე **ქოდოლუ-დორტუნ** (დიუმეზ., 18,26) „ეს ბიჭი ჩემი სისხლის არ არის, ჩემს შვილებს არ ჰგავსო“. და იმ დროის შემდეგ გულში ეჭვი ჩავარდნოდა“; ჰამ ბერე გეტკოჩუშქულ, ჰუტა **დირახატუ-დორტუნ** (დიუმეზ., 18,28) „ეს ვაჟი რომ გააგდო, ცოტა დამშვიდებულიყო“; ბერეჟ ეჩ-დო-ვითორგო ნეკნა **ქოგონწყუ-დორტუნ** (დიუმეზ., 20,50) „ვაჟს ოცდათვრამეტი ოთახი გაელო“; ჟურ ოდა **დისქიდუ-დორტუნ** (დიუმეზ., 20,54) „ორი ოთახი დარჩენილიყო“; ნეკნაზ გამახთეზ-დო-ვა-ნა, ბადეფე-თ ბოზომ ოდას **ქამახთეზ-დორტუნ** (დიუმეზ., 20,69) „კარებში გავიდნენ თუ არა, მოხუცებიც გოგოს ოთახში ამოსულიყვნენ“; დივეფემ ოფუტემ ფადიშაჰის „დივეფემ მპილაფუ“ **ქოგოდვეზ-დორტუნ**. ჰამ ჯოხო ირ ძერის **იგნუ-დორტუნ** (დიუმეზ., 22,107-108) „დევების ქვეყნის ფადიშაჰისთვის „დევების მკვლელი“ შეერქვათ. ეს სახელი ყოველ მხარეს გაეგოთ“; ბერეჟ იჩინუ დო უწუ ქი: „სი არ ნდღას მა სარადის გემტკოჩი დო **მოგზალი-დორტუნ** (დიუმეზ., 24,116) „ვაჟმა იცნო და უთხრა, რომ: “შენ ერთ დღეს მე სასახლიდან გამაგდე და გამომიშვი“; ეფედ ორაშქულ შქაზ ნა გომოტკუტუ ჭიშქელუდეფ **დომამონკანუ-დორტუნ** დო ვარ მაგზალეტუ (დიუმეზ., 24,27) „ამასობაში წელზე რომ მეკიდა სავაზნეები, დამმძიმებოდა და ვერ მივდიოდი“; ხე მენთხუ-შ-კულე, **დოღურუდორტუნ** (ჩიქ., II 7820) „ხელი რომ მოკიდა, მომკვდარიყო“...

თურმეობითი IV-ის ყალიბი:

RA-დორტუნ,

სადაც RA არის აორისტის ფორმა, ხოლო **-დორტუნ** – **-დორენ** მეშველი ზმნის უწყვეტელი;

II.8.5.4.3. კავშირებითი მეოთხე ლაზურში.

საყრდენი ფუძე აქაც აორისტია, მას ემატება მეშველი ზმნის კავშირებითის ფორმა: -
დორტას: ზუმუ-დორტას, ჭარუ-დორტას, ხანტუ-დორტას...

ლაზურში, როგორც აღინიშნა, **-დორტას** მაწარმოებლიანი ფორმები ტექსტებში არ ჩანს.

მეოთხე კავშირებითის ყალიბია:

RA-დორტას,

სადაც:

RA არის აორისტის ფორმა, ხოლო -დორტას – -ორენ მეშველი ზმნის კავშირებითი.

II.8.5.4.4. უწყვეტლის თურმეობითი ლაზურში.

უწყვეტლის თურმეობითი, როგორც ნაკვთის სახელიდან ჩანს, **უწყვეტლის ფორმაზეა დამყარებული**, სწორედ უწყვეტლისა და **დორენ** მეშველი ზმნის კომბინაციით მიიღება ეს ნაკვთი: ზუმ-უმ-ტუ-დორენ, ჭარ-უმ-ტ-უ-დორენ, ხანტ-უმ-ტუ-დორენ.

იგბალი **ულუტუდორენ** (ჩიქ., II, 7129) „იღბალი ჰქონია, თურმე იღბალი ჰქონდა“; ბექიმდა გუდაუთას **რტიდორენ** დო გუდაუთაშე მულურ (ჩიქ., II, 7022) „ვთქვათ გუდაუთაში იყავი და გუდაუთიდან მოდიხარ“; არ ბადი კოჩი **ქორტუდორენ**. დიდი ფუკარა **ტუდორენ** (ჩიქ., II, 478) „ერთი მოხუცი კაცი ყოფილა (თურმე იყო), ძალიან ღარიბი იყო თურმე“; არ ქომოლი დო აქ ოხორჯა **რტესდორენ...** არ ქაოს. ჰე ქაოიში კოჩეფეს ჰე კოჩი ვარ **უნტესდორენ** (ჩიქ., II, 439) „ერთი ცოლ-ქმარი თურმე იყო... ერთ სოფელში. იმ სოფლის მცხოვრებლებს ეს კაცი თურმე არ უნდოდათ“; მუს დიდო ავჯეფე **უფონუტუ-დორენ** (დიუმეზ., 122,3) „მას ბევრი მონადირე ჰყოლია“; ფადიშაჰის არ ოროფერი ბერე **ქუფონუტუ-დორენ** (დიუმეზ., 122,3) „ფადიშაჰს ერთი საყვარელი ბიჭი ჰყოლია“; ავჯი ბერეჟ სერი დო ნდღალერი ჰა მტკორი ბერეს ოპარამითუ **დოგურამტუ-დორენ** (დიუმეზ., 126,84) „მონადირე ბიჭი ღამე და დღეები ამ ტყიურ ბიჭს ლაპარაკს ასწავლიდა თურმე“; ბერე –არ **იმტუ-დორენ** (დიუმეზ., 126,93) „ბიჭი არ გაქცეულა“; ჰამ დაღის არ სარაჲ **დგიტუ-დორენ** (დიუმეზ., 128,171) „ამ ტყეში ერთი სასახლე მდგარა“; ბოზო არ აჟლიდაჟ **ორომტუ-დორენ** (დიუმეზ., 138, 376) „ქალიშვილი ერთ ურჩხულს ჰყვარებია“; არკელე-თი **იბგარტუ-დორენ**, ჰეშოთენ დანჯირუ-დორენ (დიუმეზ., 142, 10) „თანაც ტიროდა თურმე და ასე ჩასძინებია“; „ორჰადა არ კოჩი პოტე ნულაშე ვარ **გაუხთი-მუტუ-დორენ**“ (დიუმეზ., IV, 144) „ერთი ორჭელი კაცი არასდროს ქალაქში არ იყო ჩასული“...

საყრდენ ფუძედ ჩანს **უწყვეტელი**, რომელსაც დაერთვის -**ერენ** მეშველი ზმნა:

არ მჩხუი **უყოუნტენ**. კათთა გაიშ ვახთის **ნოჰკირაპტენან**, ხოჯაჟ თალიბეფე მუშკალა ბარაბერ **იმხორტენან**, ეკულე ყვილეფე არ ეერის **ქოკობლაფტერენან** დო ხოჯაჟ დუა **იქიფტენ** დო თალიბეფეჟ ამინ **ზოპონტერენან**. ია მჩხუი ხოლო **დისაღეტერენ**, ე-ნა ტუსთეი მჩხუი **დიყვეტენ**. კათთა გააობაში ვახთის აშო **იქიფტენან** (ჩიქ., I, 77-12) „ერთი ცხვარი თურმე ჰყავდა. ყოველი სადილობის (პურის ჰამის) დროს თურმე დაკლავდნენ, ხოჯა თავის მოწაფეებთან ერთად თურმე ჰამდა. შემდეგ ძვლებს ერთ ადგილას თურმე აგროვებდნენ და ხოჯა თურმე ლოცულობდა და მოწაფეები თურმე ამინს ამბობდნენ. ის ცხვარი თურმე ისევ ცოცხლდებოდა. როგორც იყო, ისეთი ცხვარი ხდებოდა თურმე. ყოველი სადილობის დროს თურმე ასე შვრებოდნენ“; ორჰაეფე ოდინე დევამლი ნოღაშე **გაულუტესრენ** დო ჯუმუე ეჰოფუმტესდორენ (კარტ., II, 3167) „ორჭელები წინათ მუდამ ქალაქში ჩამოდიოდნენ თურმე და მარილს ყიდულობდნენ თურმე“; არ თანე კოჩი **ქორტენ** (კარტ., 2008, 68) „ერთი კაცი ყოფილა“...

უწყვეტლის თურმეობითის ყალიბია:

Ru-დორენ/ერენ,

სადაც:

Русარის უწყვეტლის ფორმა, ხოლო -დორენ/ერენ – მეშველი ზმნა.

II.8.6. ნაკვთთა სისტემა მეგრულში.

საბოლოოდ, ვფიქრობთ, მეგრულისთვის ოპტიმალური ჩანს 19-ნაკვთიანი სისტემა.

ქართულისგან განსხვავებით აქ მეტი გვაქვს:

1. აწმყოს პირობითი,
2. მყოფადის პირობითი,
3. მეორე პირობითი (აორისტის პირობითი),
4. მესამე პირობითი.

ასევე მეტია მთლიანად მეოთხე სერიის ნაკვთები:

1. მესამე თურმეობითი,
2. მეოთხე თურმეობითი,
3. მესამე კავშირებითი,
4. მეოთხე პირობითი.

ჩამოთვლილი რვა ნაკვთიდან ხუთი პირობითის ნაკვთია. **სწორედ ესენი უნდა ჩაითვალოს მეგრულისთვის სპეციფიკურ ფორმებად.**

რაც შეეხება მეოთხე თურმეობითის ნაკვთებს (მეოთხე პირობითის გამოკლებით): ეს „ნაკვთები უცხოა სალიტერატურო ქართულისათვის. არ იცის იგი არც ერთმა აღმოსავლურმა დიალექტმა, მაგრამ, როგორც ცნობილია ლიტერატურაში, იგი გვხვდება ქართულის დასავლურ დიალექტებში – იმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში... ნა- პრეფიქსიანი თურმეობითის ნაკვთები ქართულის დასავლურ დიალექტებში იმავე ფუნქციების მქონეა, რა ფუნქციაც აქვს ნო- პრეფიქსიან მეგრული ზმნის ნაკვთებს: **მინავალა** თურმე || მიდიოდა თურმე, **მინავალიყო** „მიდიოდა თურმე“ და სხვ... სინტაქსური კონსტრუქციაც ქართულ ნა-პრეფიქსიან ნაკვთებს ისეთივე აქვთ, როგორც მეგრულში აქვთ ნო-პრეფიქსიან ნაკვთებს: **თინა ნოჭარუე თის – ის ნაწერა მას; თინა ნოჭარუედუ თის – ის ნაწერიყო მას.** აღნაგობის მიხედვითაც ქართულის ხსენებული ნაკვთები თითქმის ემთხვევა მეგრულის სათანადო ნაკვთებს: ორივე ნაწარმოები ჩანს არს, მეგრ. **ორე** მეშველი ზმნის საშუალებით, ე. ი. ისე, როგორცაა ნაწარმოები ერთპირიანი გარდაუვალი ზმნის დრო-კილოთა მესამე ჯგუფის ნაკვთები (დაწერილ-ა < დაწერილ-არს)... ქართულის დასავლურ კილოებშიც ნა-პრეფიქსიანი თურმეობითის ნაკვთები, ისევე როგორც მეგრულში სათანადო ნაკვთები, შეიძლება გამოიყოს ცალკე ჯგუფად, მეოთხე ჯგუფად: **მინავალა** – თურმეობითი III, **მინავალიყო** თურმეობითი IV და შესაძლებელი ფორმა **მინავალიყოს** კავშირებითი IV... ქართულის დასავლურ კილოებში მხოლოდ გურულ-აჭარულმა არ იცის დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები. მოსალოდნელი კი იყო გურულ-აჭარულშიც ამ ნაკვთების გაჩენა, რამდენადაც გურულ-აჭარულში საერთოდ ცნობილია ზანურის გავლენა. მაგრამ ზანიზმები გურულში (აჭარულშიც) ძველისძველი შენაძენია, იმ დროისა, როცა ეს ტომები უფრო

მჭიდრო ენობრივ კონტაქტში იყვნენ ერთმანეთთან. იმ ხანებში კი მეგრულს, უნდა ვიფიქროთ, ჯერ კიდევ არ უნდა ჰქონოდა ჩამოყალიბებული აწმყოს თურმეობითის (მეოთხე ჯგუფის) ნაკვთები. მეგრულის ტიპის (ნა- პრეფიქსიანი) თურმეობითის ნაკვთა ჩამოყალიბება ქართულის სხვა დასავლურ კილოებში (ქვემოიმერულში, რაჭულში, ლეჩხუმურში) უფრო გვიანდელი მოვლენა ჩანს“ [როგავა, 1953, 28-30].

მკვლევრის დაკვირვებით, „აწმყოს ჯგუფის თურმეობითი ახასიათებს სვანურ ენასაც... ოღონდ უნდა აღინიშნოს, რომ სვანურში აწმყოს თურმეობითის ნაკვთები ვერ ქმნიან ისეთ მწყობრ სისტემას, როგორც ამას ადგილი აქვს მეგრულში“ [როგავა, 1953, 27].

მისი დასკვნა ასეთია: „დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები სამსავე ქართველურ ენაშია გავრცელებული, ოღონდ მეტ-ნაკლებად. უფრო მწყობრი სისტემის მქონე ეს ნაკვთები მეგრულშია“ [როგავა, 1953, 29].

ნაკვთა სისტემას ასეთი სახე აქვს მეგრულში:

1. აწმყო	ჭარუნს	ღურუ(ნ)
2. უწყვ.	ჭარუნდუ	ღურუდუ
3. აწმყოს კავშ.	ჭარუნდას	ღურუდას
4. აწმყოს პირ.	ჭარუნდუკო (ნ)	ღურუდუკო(ნ)
5. მყოფადი	დოჭარუნ-ს	დოღურას
6. მყოფ. ხოლმ.	დოჭარუნდუ	დოღურუდუ
7. მყოფ. კავშ.	დოჭარუნდას	დოღურუდას
8. მყოფ. პირ.	დოჭარუნდუკო	დოღურუდუკო
9. აორისტი	ჭარუ	ღურუ
10. II კავშ.	ჭარას	ღურას
11. II პირ.	ჭარუკო(ნ)	ღურუკო(ნ)
12. I თურმ.	უჭარუ(ნ)	ღურ(ელ)ე(ნ)
13. II თურმ.	უჭარუდუ	ღურ(ელ)ედუ
14. III კავშ.	უჭარუდას	ღურ(ელ)ედას
15. III პირ.	უჭარუდუკო(ნ)	ღურ(ელ)ედუკო(ნ)
16. III თურმ.	ნოჭარუე(ნ)	ნოღურუე(ნ)
17. IV თურმ.	ნოჭარუედუ	ნოღურუედუ
18. IV კავშ.	ნოჭარუედას	ნოღურუედას
19. IV პირ.	ნოჭარუედუკო(ნ)	ნოღურუედუკო(ნ)

II.8.7. ნაკვთთა სისტემა ლაზურში.

ასევე 19-ნაკვთიანი სისტემაა, ჩვენი აზრით, ოპტიმალური ლაზურისთვისაც; ჩვენი ანალიზის მიხედვით სწორედ ასეთი სურათი გამოიკვეთა.

ლაზურის ნაკვთთა ტრადიციული სისტემებიდან ამოვიღეთ ე. წ. კავშირებითისგან ნაწარმოები მყოფადი, მაგრამ მის ნაცვლად სისტემაში ადგილი მივუჩინეთ **ქართულისა და მეგრულის ანალოგიური წარმოების მყოფადს**, რომელიც ნეიტრალური სემანტიკის ზმნისწინისა და აწმყოს ფორმის კომბინირებით მიიღება. ამ გზით საერთოდ აღვადგინეთ **მყოფადის წრე**.

ნაკვთთა სისტემიდან ამოვიღეთ ფორმები, რომელთა კომპონენტებიც იყო: **უნონ/უნტუ/უნტერენ**. ჩავთვალოთ, რომ ეს არის **უნდაობითობის** სემანტიკის გამომხატველი ელემენტები და სწორედ ეს ნიუანსი შეაქვთ მათ შესაბამის ზმნის ფორმებში, რომლებიც ამათგან დამოუკიდებლად გამოხატავენ ამა თუ იმ ნაკვთის გრამატიკულ შინაარსს.

ნაკვთთა სისტემიდან ამოვიღეთ **ზუმატუ** ტიპის ფორმები, რომელსაც **პირობითი მესამის** ([ჩიქობავა, 1936, 156] ან **მყოფადის მეორის ნამყოს** [კარტოზია, 1993, 387] კვალიფიკაცია აქვს სპეციალისტების მიერ მიანიჭებული.

ამოვიღეთ **ზუმატუკონ** ტიპის ფორმები, რომელიც **მყოფადის ნამყოს პირობითად** არის სახელდებული [იხ. კარტოზია, 1993, 387].

უკანასკნელ ორ შემთხვევასთან დაკავშირებით ზევით, ნაშრომის ძირითად ნაწილში არ გვქონია სპეციალური მსჯელობა, მაგრამ, ვფიქრობთ, **ზუმატუ, ჭარატუ... ზუმატუკონ, ჭარატუკონ...** ფორმებში თემის ნიშანი ჩანს გამარტივებული: **ზუმატუ < ზუმაფ/პტუ... ზუმატუკონ < ზუმაფ/პტუკონ**,

ვფიქრობთ, რომ ეს არის **უწყვეტელ-ხოლმეობით-პირობითის** ფონოლოგიურად გამარტივებული ვარიანტები;

ამასვე ადასტურებს საანალიზო ფორმების **ფუნქციური შედარებაც**:

ბოზოქ ჰაწ მუშებურა: „არ მამულიქ ქოდიკიდალუ დო **მოზუჩითატი**“-მა, ზოპონტუ (დიუმეზ., 20) „ქალიშვილი ახლა თავისთვის: „ერთი მამალმა დაიყვილოს და გადავრჩებოდიო“, – ამბობდა“. მუ-თუ ვარ გადლუ-ნა, ტოქსერი ნა ილი-დორტუნ ავი **ქომომილატი** დო ჰეა ობიფხორტი“-მა, უწუ-დორენ (დიუმეზ., 2) ვერაფერი თუ ვერ მოკალი, ადრე [ამას წინებზე] რომ მოგიკლავს ნანადირევი, მომიტანდი და მას შეეჭამდიო“, - უთქვამს. **დოლურატი** დო **მოზუჩითატი**“-მა, უწუმეტუ (დიუმეზ., 74) „მოკვდებოდე („მოკვდებოდი“) და გავთავისუფლდებო („გავთავი-სუფლდებო-დიო“), – ეუბნებოდა“; **დოფშვატი**; ძელუკა მიყოუნტეს, აა მოსა მზოლას ვუდგიპტით, ჩხომი პჰოუფტით“ (კალანდ.,80) „მოვქსოვდით; ნავი გვყავდა, ამ ბადეს ზღვაში ვდგამდით, თევზს ვიჭერდით“; ქომოფთი აქა, თქვან სოლუნეი ნენა მომჩით-მა, მუ **ფთქვატია?** კარტ., II, 58) „მოვედი აქო, თქვენ საბოლოო სიტყვა მომეცითო, რას ვიტყვოდიო?“, დიდიქ მუ მულუ-ქი, ჭიტაქ **მულატუ!** (ხალხ., 210) „უფროსმა რა მოიტანა, რომ უმცროსს მოეტანა („მოუტანდა“)!“...

ამგვარ ახსნას ხელს ვერ შეუძლის ის გარემოება, რომ **ზუმ-უმ-ს** ფორმაში **-უ-** ჩანს (და არა **-ა-**): თემის ნიშანთა მონაცვლეობა საკმაოდ გავრცელებული პროცესია არა მხოლოდ ზანურში, არამედ საერთოდ, ქართველურ ენებში.

ზუმ-ა-ტუ ჩავთვალოთ **ზუმ-უმ-ტუ**-ს პარალელურ ვარიანტად;

და ანალოგიურად: **ზუმ-ა-ტუ-კონ < ზუმ-აპ-ტუ-კონ...**

ერთი სიტყვით, ვფიქრობთ, რომ ფონოლოგიური გამარტივების შედეგად მიღებული **ბზუმატი, ბზუმატიკონ** ტიპის ფორმებში მომხდარია ცვლილება: აპ>ა.

ამის საფუძველზე **ბზუმატი** მივიჩნით არა ახალ ნაკვთად, არამედ **უწყვეტლად**, უწყვეტლის ვარიანტად, ამავე ლოგიკით **ბზუმატიკონ** – **უწყვეტლის პირობითის ფონოლოგიურად გამარტივებულ ვარიანტად**.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი ლაზურის ნაკვთთა სისტემა არამხოლოდ ნაკვთთა რაოდენობის მიხედვით ემთხვევა მეგრულის სათანადო სისტემას.

ლაზურშიც იგივე 19 ნაკვთი გამოიყოფა, რაც მეგრულში გვაქვს.

ამ ცხრამეტი ნაკვთიდან ხუთია ლაზურისთვის/მეგრულისთვის სპეციფიკური; დანარჩენი ნაკვთები **ქართულთან** (იგულისხმება არა სალიტერატურო ენა) **საერთოა**.

ნაკვთთა სისტემა ლაზურში:

1. აწმყო	ჭარუმ/ფს	ღურუნ
2. უწყვ.	ჭარუმ/ფტუ/ჭარატ-უ	ღურუტუ
3. აწმყოს კავშ.	ჭარუმ/ფტას	ღურუტას
4. აწმყოს პირ.	ჭარუმ/ფტუკონ/ჭარატუკონ	ღურუტუკონ
5. მყოფადი	დოჭარუმ/ფს	დოღურუნ
6. მყოფ. ხოლმ.	დოჭარუმ/ფტუ	დოღურუტუ
7. მყოფ. კავშ.	დო-ჭარუმ/ფტას	დოღურუტას
8. მყოფ. პირ.	დოჭარუმ/ფტუკონ	დოღურუტუკონ
9. აორისტი	ჭარუ	დოღურუ
10. II კავშ.	ჭარას	დოღურას
11. II პირ.	ჭარუკონ	დოღურუკონ
12. I თურმ.	უჭარუ/ჭარელერენ	დოღურელერენ
13. II თურმ.	უჭარუტუ/ჭარელერეტუ	დოღურელერეტუ
14. III კავშ.	უჭარუტას/ჭარელერეტას	დოღურელერეტას
15. III პირ.	უჭარუტუკონ	დოღურელერეტუკონ
16. III თურმ.	ჭარუდორენ/ჭარუერენ	დოღურუდორენ
17. IV თურმ.	ჭარუდორტუნ	დოღურუდორტუნ
18. IV კავშ.	ჭარუდორტას	დოღურუდორტას
19. IV პირ.	ჭარუფტუდორენ/ჭარუფტერენ	დოღურუტუდორენ/ღურუტერენ

II.8.8. ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციის პრინციპები და უღლების ტიპები.

ზმნურ ფორმათა მიმართებებთან, წარმოების კანონზომიერებებთან, კვალიფიკაციასა და კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ქართულში ასეთი სურათი იკვეთება:

ა. შანიძე ზმნებს ოთხ სახეობად ყოფს უღლების მიხედვით:

I ტიპი. უღლება მოქმ. გვარის ზმნებისა. ამათი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ისინი III სერიის ფორმებს ინვერსიულად აწარმოებენ. ამას გარდა, პირდაპირი მიმართების ფორმები მხოლოდ აქ არის შესაძლებელი;

II ტიპი. უღლება დინამიკური ვნებითი გვარის ზმნებისა, ძირითადი განსხვავება პირველი ტიპის ზმნათა უღლებისაგან III სერიაში იჩენს თავს. თანაც აქ ზმნები განიყოფება იმის მიხედვით, ერთპირიანია ფორმა თუ ორპირიანი: ამას თავისი წარმოება აქვს და იმას – თავისი. ამას გარდა, ამ ტიპის ზმნებს პირველი ტიპის ზმნათაგან განასხვავებს სავრცობი (ოდ);

III ტიპი. უღლება საშუალ-მოქმედებითი (მედიოაქტივი) ზმნებისა. ამ ზმნებს შენაცვლების წესით აქვთ ნაწარმოები II და III სერიის ფორმები, აგრეთვე I სერიის მყოფადის წრისა. შენაცვლებისას გამოყენებულია იმავე ფუძის მოქმედებითის სათავისოს ან სასხვისოს ფორმები;

IV ტიპი. უღლება საშუალ-ვნებითი (მედიოპასივი) ზმნებისა და სტატიკური ვნებითი გვარის ზმნებისა. ამათ ყველას აერთიანებს მწკრივების კლება (ან II სერიისა მთლიანად ან უწყვეტლისა და აწმყოს კავშირებითისა I სერიიდან). ამას გარდა, აწმყოში ესენი მეშველ ზმნას დაირთავენ პირველსა და მეორე პირში [შანიძე, 1980, 489].

როგორც მკვლევარი აღნიშნავს, „ქართულ ზმნათა დაჯგუფებას გარკვეული საკლასიფიკაციო ნიშანი უნდა დაედოს საფუძვლად. კაცმა რომ თქვას, დაჯგუფება ხდება არა ერთის, არამედ რამდენიმეს მიხედვით“ [იქვე, 489], – სწორედ ესაა წარმოდგენილი კლასიფიკაციის მნიშვნელოვანი ხარვეზი; სისტემა, რომელსაც სხვადასხვა, არაერთგვაროვანი ნიშნები უდევს საფუძვლად, ბოლომდე გამართული ვერ იქნება, „ენის აგებულების აღწერა რომ მეცნიერული იყოს, ის გარკვეულ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა იყოს თანამიმდევრული და ამისათვის კი საჭიროა, მოვლენათა კლასიფიკაცია მოახდინოს **არსებითი** ნიშნის მიხედვით – სტრუქტურის მოვლენები – სტრუქტურული ნიშნის მიხედვით დააჯგუფოს, ფუნქციური ცნებები – ფუნქციურ მომენტებზე დააფუძნოს. ადვილი არ არის იმის გარკვევა, რა მიეკუთვნება სტრუქტურის სამყაროს და რა უნდა დახასიათდეს ფუნქციის თვალსაზრისით. მაგრამ სიძნელე არ იკლებს იმის გამო, რომ სტრუქტურისა და ფუნქციის მომენტები ერთმანეთში ირევა, განურჩევლად იქნება ხან ერთი, ხან მეორე გამოყენებული საყრდენად. არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ საკვალიფიკაციოდ ნიშნების ცვლა მოვლენათა აღწერის პროცესში მეცნიერებისათვის სავალდებულო ელემენტარული ნორმის უგულვებელყოფა იქნებოდა“ [ჩიქობავა, 1962, 102].

არნ. ჩიქობავა უღლების სამ ტიპს გამოყოფს:

I. დინამიკური ზმნები (ი- ვნებითიანი ტიპი);

II. დინამიკური ზმნები (დ- ვნებითიანი ტიპი);

III. სტატიკური ზმნები: ა) სტატიკური ერთპირიანი ზმნები; ბ) სტატიკური ორპირიანი ზმნები [ჩიქობავა, 1950, 063-074].

კლასიფიკაციისთვის, ერთი შეხედვით, დინამიკურობა-სტატიკურობის ნიშანი ჩანს ამოსავალი (საერთოდ, არნ. ჩიქობავას მიხედვით, „ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეულებია: სტატიკური და დინამიკური ზმნები, ერთის მხრივ, გარდაუვალი და გარდამავალი ზმნები, მეორე მხრივ“ [ჩიქობავა, 1950, 051].

ზმნათა დიფერენცირება სტატიკურობა-დინამიკურობისა თუ გარდამავლობა-გარდაუვალობის თვალსაზრისით არის სემანტიკური კლასიფიკაცია ზმნური ფორმებისა

(სტატიკური ზმნა საგნის ან მოქმედების მდგომარეობას გამოხატავს – ამის საპირისპირო გრამატიკული შინაარსის მქონეა დინამიკური ზმნა, რომელიც მოქმედების პროცესს გამოხატავს; ე. ი. გვაქვს ორი წყება ზმნებისა, რომელთაც აქვთ განსხვავებული სემანტიკა). ამ შემთხვევაში სემანტიკური სისტემატიზაციის საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია საგნის ან მოქმედების სტატუსი – მდგომარეობა ან მოქმედების პროცესი.

ასევე წმინდა სემანტიკური კლასიფიკაციაა ზმნათა დაჯგუფება, ერთი მხრივ, გარდამავლებად, მეორე მხრივ, გარდაუვალებად. ამჯერად საკლასიფიკაციოდ სულ სხვა ნიშანი იქნება აღებული.

სემანტიკურ კლასიფიკაციას შეიძლება საფუძვლად დაედოს სხვა ნიშანიც (სემანტიკური კლასიფიკაცია სახელების სისტემაშიც გვაქვს სხვადასხვა ნიშნის მიხედვით: გამოიყოფა **ვინ** და **რა** ჯგუფის, **სულიერთა** და **უსულოთა** და ა. შ. სემანტიკური ჯგუფები).

ბუნებრივია, ამა თუ იმ სემანტიკური ნიშნის მიხედვით გაკეთებული კლასიფიკაცია ამავე დროს (და თავისთავად) ვერ იქნება ფორმალური კლასიფიკაცია (კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად წმინდა ფორმალური მიმართებები უდევს). ფორმალური კლასიფიკაცია სხვა პრინციპებს ემყარება. თუკი, ვთქვათ, დინამიკური და სტატიკური, ერთი მხრივ, ან გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები, მეორე მხრივ, უღლების თვალსაზრისით განსხვავებულ სურათს აჩვენებენ და ეს განსხვავება იქნება ცალსახად სტატუსისა თუ გარდამავლობის ნიშანზე დამყარებული, ცხადია, გვექნება სემანტიკურ-ფორმალური კლასიფიკაცია, სემანტიკური კლასიფიკაცია ფორმალურ კლასიფიკაციას დაემთხვევა. მაგრამ ასეთი რამ ამ შემთხვევაში არა გვაქვს – ვთქვათ, დინამიკური ზმნები (ერთი მხრივ, გარდამავლები, მეორე მხრივ, გარდაუვალები) ერთი ტიპის უღლების წესით ვერ გაერთიანდებიან, ისევე, როგორც, ვთქვათ, გარდაუვალი ფორმები (ერთი მხრივ, სტატიკურები, მეორე მხრივ, დინამიკურები).

არნ. ჩიქობავას კლასიფიკაციაში „მთლად ნათელი არაა I და II ტიპების გამოყოფის აუცილებლობა: ვნებითის წარმოების ტიპის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფების წარმოდგენა. მესამე ტიპის ვნებითის ფორმათა საკითხიც გარკვევას საჭიროებს... გამოდის, რომ: **ზრდის** და **იზრდება**, /**ეზრდება** ერთი ტიპის უღვლილების ზმნებია, **ტეხს** და **ტყდება** – მეორისა, ხოლო **წუხს**, **ცხოვრობს** და **უყვარს** – მესამისა... **დგას**, **ზის** და ა. შ. ტიპის ზმნებიც ალბათ აქ შემოვა (თუმცა ამის თაობაზე მითითება არაა)... როგორც პირველი, ასევე მეორე თვალსაზრისის მიხედვით ძირითადი ყურადღება ზმნურ ფორმათა წარმოების თავისებურებაზეა გამახვილებული. კლასიფიკაციის ამგვარ პრინციპზე დამყარება გამოყოფილ ერთეულთა სიმრავლეს ქმნის და, რაც მთავარია, არ ხერხდება ფორმათა წარმოების თვალსაზრისით ყველა სახის ზმნის გათვალისწინებაც. გარდა ამისა, არაა ერთგვაროვანი პრინციპი გატარებული“ [გოგოლაშვილი, 1988, 141].

უღლების ტიპებად დაყოფა გულისხმობს ერთი ზოგადი ნიშნის შერჩევას საკლასიფიკაციოდ. საერთოდ, სხვადასხვა კლასიფიკაცია შეიძლება სხვადასხვა ნიშნის მიხედვით გაკეთდეს, იმის მიხედვით, რა არის კვლევის მიზანი.

ასე, მაგალითად, შეიძლება მთელი ზმნური ლექსიკური კორპუსი ინვერსიულობის ნიშნის მიხედვით ორი ჯგუფის სახით წარმოვადგინოთ: ამ შემთხვევაში ორი ტიპის ზმნური ერთეულები გვექნება: **ინვერსიული** და **არაინვერსიული**. მთელი ზმნური ფორმები ამ ორ ტიპში გადანაწილდება. ეს არის სრულფასოვანი კლასიფიკაცია – ყველა ზმნას თავისი ადგილი მიეკუთვნება სისტემაში. მაგრამ, ცხადია, ამ კლასიფიკაციას საერთო არაფერი ექნება

უღლებს თვალსაზრისით გაკეთებულ კლასიფიკაციასთან, რომელსაც სულ სხვა სპეციფიკა ექნება.

ა. შანიძის კლასიფიკაციის ერთ-ერთი საფუძველი არის **ზმნურ ფორმათა წარმოების პოტენციალი** უღლების არსებულ პარადიგმაში – ამაზე მსჯელობა კი მხოლოდ **საწარმოებელ ფუძეთა ერთგვარობის** შემთხვევაშია გამართლებული.

გ. გოგოლაშვილი მხოლოდ ამ ნიშანს უღებს საფუძვლად ფორმალურ კლასიფიკაციას, რაც, ჩვენი აზრით, მისაღებია და გამართლებული, რამდენადაც საშუალებას იძლევა ერთი განმაზოგადებელი ნიშნის მიხედვით იყოს განთესილი ყველა ზმნური ფორმა უღლების სისტემაში.

ზმნათა უღლება აღნიშნული კრიტერიუმის მიხედვით წარმოდგენილია სამ ტიპად: 1. ზმნები, რომელთაც მხოლოდ პირველი ნაკვთის (აწმყო-მყოფადის) ფორმები მოეპოვებათ; 2. ზმნები, რომელთაც მხოლოდ I სერიის ფორმები ეწარმოებათ; 3. ზმნები, რომელთაც ყველა ნაკვთის ფორმები აქვთ [გოგოლაშვილი, 1988, 145-146].

ნაშრომში – „ქართული უღვლილებების სისტემა“ – წარმოდგენილია სურათი, რომელიც გვაქვს უღლების სისტემაში ზმნურ ფუძეთა მიმართებების თვალსაზრისით; დაზუსტებულია მოსაზრება: „თურმეობითის ჯგუფს არ მოეპოვება საერთო ფუძე“ [ჩიქოვაძე, 1950, 062]: ერთადერთი გამონაკლისია ერთპირიან გარდაუვალ ზმნათა შემთხვევაში, როცა III სერიის სამივე ნაკვთის წარმოება ერთგვაროვან პრინციპზეა დამყარებული (**გამთბარხარ, გამთბარიყავ, გამთბარიყო...**); ავტორის მიხედვით, ფორმა-წარმოების თვალსაზრისით III სერიის ნაკვთთა ცალკე გამოყოფას მხოლოდ ამ ტიპის ზმნათა წარმოება დაუჭერდა მხარს... მაგრამ, როგორც აღნიშნულია, ეს საგანგებო შემთხვევაა – გვაქვს აღწერითი წარმოება მიმდებარე ფორმათა გამოყენებით. ეს გარემოება პრინციპულად განასხვავებს ამ ტიპის ფორმებს სტატიკურ ზმნათა აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითის წარმოებისაგან, სადაც აღწერითი წარმოება ზმნურ ფუძეზეა დამყარებული: **ვ-ზი-ვარ, ვ-ტირი-ვარ... და-უ-ხატავ-ხარ, ა-უ-შენები-ხარ**. ყველა სხვა ტიპის ზმნასთან I თურმეობითის წარმოება სხვაობს II თურმეობითისა და III კავშირებითის წარმოებისაგან [გოგოლაშვილი, 1988, 135].

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე ხმოვან-პრეფიქსთა საკითხზე, აღნიშნავს, რომ III სერია სხვაობს I-II სერიისაგან ხმოვანპრეფიქსთა თვალსაზრისით: გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში I და II სერიაში გამოყენებული **0, ა, ი, უ** ხმოვანპრეფიქსთა მონაცვლედ საობიექტო ქცევის **უ(/ი)** პრეფიქსი გვევლინება: **0-ხატავს – და-უ-ხატავს, ა-კეთებს – გა-უ-კეთებია, ი-კეთებს – გა-უ-კეთებია, უ-კეთებს – გა-უ-კეთებია**. დამთხვევა ხდება მხოლოდ საობიექტო ქცევის შემთხვევაში. ამავე ტიპის ზმნებთან სრულიად განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს II თურმეობითი და III კავშირებითი: ყველა შემთხვევაში ხმოვანპრეფიქსთა მონაცვლედ **ე**- გვევლინება: **0-ხატავს – და-ე-ხატა – და-ე-ხატოს, ა-კეთებს – გა-ე-კეთებინა – გა-ე-კეთებინოს, ი-კეთებს – გა-ე-კეთებინა – გა-ე-კეთებინოს, უ-კეთებს – გა-ე-კეთებინა – გა-ე-კეთებინოს**. ხმოვანპრეფიქსთა თვალსაზრისით ერთგვაროვანია ვითარება II თურმეობითისა და III კავშირებითში, განსხვავებული I-II სერიისაგან. ასევე: ერთგვაროვანია ვითარება II თურმეობითისა და III კავშირებითში, განსხვავებული, ერთი მხრივ, I-II სერიისაგან და, მეორე მხრივ, I თურმეობითისაგან. **ე**-პრეფიქსიან ზმნებთან დაკავშირებითაც ასევე დგება საკითხი: ზმნები, რომელთაც I-II სერიაში **ე**-პრეფიქსი აქვთ, III სერიაში ჩვეულებრივ ამ ხმოვანპრეფიქსის გარეშე წარმოდგენილი: **ე-ზრდება – გაზრდია, გაზრდოდა, გაზრდოდეს...** როგორც შენიშნულია, III

სერია ამ შემთხვევაში განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს და განსხვავდება პრინციპულად I-II სერიისაგან. ანალოგიურია ვითარება ი-პრეფიქსიან ზმნებშიც: III სერიაში აღწერითი წარმოება გვაქვს და ხმოვანპრეფიქსის საკითხი აქ არ დგას: ი-შლება – გა-შლილ-ა, გა-შლილ-იყო, გა-შლილ-იყოს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ხმოვანპრეფიქსებს, I თურმეობითის ფუძის სტრუქტურა ერთ შემთხვევაში ემთხვევა აწმყო-მყოფადის სტრუქტურას; აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძეა გამოყენებული I თურმეობითისთვისაც. ამგვარ ვითარებას გვიჩვენებს ერთი ნაწილი გარდამავალი ზმნებისა (ხატ-ავ-ს – და-უ-ხატ-ავ-ს...); ერთი ჯგუფის გარდამავალ ზმნათა I თურმეობითი საყრდენად II სერიის ფუძეს იყენებს (ა-ქ-ო – უ-ქ-ი-ა...). თავისებური ვითარება დასტურდება გარდაუვალი ორპირიანი ზმნების შემთხვევაშიც: I თურმეობითის საყრდენი ფუძე არ ემთხვევა არც I და არც II სერიის ფუძეებს: უ-კეთ-დ-ებ-ა – გა-უ-კეთ-დ-ა – გა-ჰ-კეთ-ებ-ი-ა, ე-ზრდ-ებ-ა – გა-ე-ზარდ-ა – გა-ჰ-ზრდ-ი-ა, უ-დნ-ებ-ა – გა-უ-დნ-ა – გა-ს-დნ-ობ-ი-ა... ამგვარად, – კეთდება დასკვნა, – რელატიურ გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა I თურმეობითი ერთ შემთხვევაში I სერიის ფუძეს დაემყარება, მეორე შემთხვევაში – II სერიის ფუძეს, მესამე შემთხვევაში განცალკევებით დადგება. თუ ხმოვანპრეფიქსთა მონაცემსაც გავითვალისწინებთ, შეუძლებელი აღმოჩნდება I თურმეობითის I ან II სერიის ნაკვეთებთან გაერთიანება საწარმოებელი ფუძის მიხედვით [გოგოლაშვილი, 1988, 136-138].

ასეთივე დასკვნები კეთდება II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმათა ანალიზის საფუძველზეც: ა) გარდამავალ ზმნათა ერთი ჯგუფის II თურმეობითი II სერიის ფუძეს ემყარება (ხატ-ავ-ს – და-ხატ-ა – და-ე-ხატ-ა...); ბ) II თურმეობითის საყრდენ ფუძეს აწმყო-მყოფადის საყრდენი ფუძისაგან -ინ ფორმანტი განასხვავებს (ა-კეთ-ებ-ს – გა-ე-კეთ-ებ-ინ-ა...); გ) ორპირიან გარდაუვალ ზმნათა II თურმეობითის ფუძის სტრუქტურა განსხვავებულია როგორც I სერიის, ისე II სერიის ნაკვეთთა ფუძეთა სტრუქტურისაგან. სხვაობას ქმნის -ოდ სუფიქსი, რომელიც ყველა შემთხვევაში გამოვლინდება. იგივე -ოდ უწყვეტელშიც გვაქვს, მაგრამ სხვაობას ზოგ შემთხვევაში ვნებითის სუფიქსის უქონლობა ქმნის, სხვა შემთხვევაში – თემის ნიშანი (უ-კეთ-დ-ებ-ოდ-ა – გა-ჰ-კეთ-ებ-ოდ-ა, ე-ზრდ-ებ-ოდ-ა – გა-ზრდ-ოდ-ა...). თუ ამ შემთხვევაშიც ხმოვანპრეფიქსთა ვითარებას გავითვალისწინებთ, სხვაობა III სერიის ფუძეთა შორის უფრო აშკარა გახდება [გოგოლაშვილი, 1988, 138-139].

მკვლევარი კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ III სერიაში არაა ერთგვაროვნება, რაც გამორიცხავს შესაძლებლობას საწარ-მოებელი ფუძის პრინციპის მიხედვით ამ ნაკვეთთა I და II სერიაში გადანაწილებისა [იქვე, 139].

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე ერთი გარემოება იქცევა ყურადღებას: საწარმოებელ ფუძეთა ერთგვარობის პრინციპის ბოლომდე თანამიმდევრულად გატარების შემთხვევაში ირკვევა, რომ ტრადიციული, 11-ნაკვეთიანი სისტემიდან ამოსვლისას ვერ დავაფიქსირებთ ვერც ერთ ზმნას, რომელსაც ექნება ყველა (თერთმეტივე) ნაკვეთის ფორმა. სწორედ იმის გამო, რომ III სერიისა და I-II სერიის საწარმოებელი ფუძეები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისინი წარმოების თვალსაზრისით ერთმანეთის გვერდით ვერ დადგებიან.

ერთი საკითხია, რამდენად არის ლოგიკური III სერიის ნაკვეთების ერთად წარმოდგენა წარმოების თვალსაზრისით და მეორეა ამ ფუძეთა დაკავშირება I-II სერიათა ფუძეებთან. ნაშრომში – „დრო-კილოთა III სერიაში მომხდარ ფორმოზრივ ცვლილებათა შესახებ“ (იხ. [გოგოლაშვილი, 2001]) არის საინტერესო მსჯელობა III სერიის მწკრივთა პარადიგმაში გამოკვეთილი ერთგვაროვნების ტენდენციების შესახებ. ამ საკითხის (III სერიის ფუძეთა წარმოების თვალსაზრისით ერთად წარმოდგენის) პოზიტიურად გადაწყვეტა თავისთავად არ

ნიშნავს უღლების ზოგად პარადიგმაში ამ ფუძეთა წარმოდგენას. ყველაზე არსებითი ხასიათის დაბრკოლება ამ შემთხვევაში ხმოვან-პრეფიქსებთან დაკავშირებით იჩენს თავს. ფუძის ტრადიციული დეფინიცია ხმოვანპრეფიქსის იგნორირებას არ გულისხმობს: ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები („თვითეული მწკრივის შიგნით, – წერს ა. შანიძე, – იცვლება პირი და რიცხვი... უცვლელია: დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა. მწკრივები ერთმანეთს შორის განსხვავდებიან სწორედ უცვალელებელი ელემენტების მიხედვით“ [შანიძე, 1980, 216]).

გ. გოგოლაშვილისთვის „ზმნის ფუძის განმარტებისას... ძალაში რჩება ტრადიციული თვალსაზრისი მცირე დაზუსტებით: ნაკვთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები“ [გოგოლაშვილი, 1988, 97].

ზმნისწინის საკითხი (შედის თუ არა ის ფუძეში), ამჯერად არ არის ჩვენთვის აქტუალური, მაგრამ არსებითი ხასიათისა ნამდვილად გახლავთ ის გარემოება, რომ, ვთქვათ, **აკეთებდა ზმნის ფუძედ უნდა მივიჩნიოთ აკეთებდ- და არა კეთებდ- ან კეთებ- ანკიდევ კეთ-**.

შენიშვნა: უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ზმნის **ფუძის** კიდევ ერთი, ზოგადი დეფინიცია, რომლის მიხედვითაც „ფუძე ჰქვია იმ ნაწილს ზმნისას, რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა. ეს ნაწილი მყარია, მოიპოვება ამა თუ იმ ზმნის ყოველგვარ პირიანსა თუ უპირო ფორმაში და წარმოდგენილია ერთი, ორი ან მეტი ბგერით. მრავალ შემთხვევაში, აღნიშნავს ავტორი, ზმნის **ფუძე იგივეა, რაც ძირი**. საზოგადოდ ერთ-თანხმოვნიანი ფუძეები ამავე დროს ძირებია; ეგვევ ითქმის უმეტესად ორ-თანხმოვნიანი ფუძეების შესახებაც. მაგ., **ბ**, რომლისგანაც ნაწარმოებია **ბ-მა** (ვა-ბ-ამ, დავა-ბ-ი, დავა-ბ-ა) ფუძეც არის ზმნისა და ძირიც; აგრეთვე **წყ**, რომლისგანაც ნაწარმოებია ვი-წყ-ებ, დაი-წყ-ო, ფუძეც არის და ძირიც...“ [შანიძე, 1980, 387];

ვაბამ ზმნის ფუძედ, ჩვენი აზრით, უნდა მივიჩნიოთ **აბამ, დავაბი** ზმნის ფუძეა **აბი** და ასე შემდეგ შესაბამისად: **დავაბა – აბა, ვიწყებ – იწყებ, დაიწყო – იწყ;** ამ საკითხს იმიტომაცა აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ იგი პირდაპირ კავშირშია საზოგადოდ ნაკვთთა რაოდენობის საკითხთან: რამდენი ფუძეცა გვაქვს, იმდენ ნაკვთი არსებობს; თუკი დავუშვებთ, რომ, ვთქვათ, **ვაბამ, დავაბი, დავაბა** ზმნებში ფუძეა **ბ**, მხოლოდ ერთი ნაკვთი შეგვრჩება – იმიტომ, რომ ამ ზმნის ნებისმიერი ფორმა დავა ამ **ბ** ძირსა თუ ფუძეზე (ასეთი გაგებით).

ჩვენი დაკვირვებით, მაქსიმალური რაოდენობა წარმოების მიხედვით გაერთიანებული ფუძეებისა (resp. საუღლებელი ფორმებისა) ქართულში შეიძლება იყოს მხოლოდ 9 – ესეც მაშინ, როცა გვაქვს გარდამავალი ზმნის საობიექტო ქცევის ფორმა – ამ შემთხვევაში I-II სერიისა ნაკვთთა და I თურმეობითის ფუძეები ერთნაირია.

ეს იქნება **უკეთებს** ტიპის ზმნათა პარადიგმა: უ-კეთ-ებ-ს – უ-კეთ-ებ-და – უ-კეთ-ებ-და-ეს – გა-უ-კეთ-ებ-ს – გა-უ-კეთ-ებ-და – გა-უ-კეთ-ებ-და-ეს – გა-უ-კეთ-ა – გა-უ-კეთ-ო-ს – გა-უ-კეთ-ო-ა.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **მეფობს – იმეფებს** სხვადასხვა ზმნის ერთი და იმავე ნაკვთის ფორმებია [იხ. გოგოლაშვილი, 1988, 144], მხოლოდ **მეფობს** ჩვენთვის არის **აწმყოს** ფორმა, რომელსაც მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთები გააჩნია (**მეფობს – მეფობდა – მეფობდეს**); **იმეფებს** ასევე **აწმყოა** ფორმის თვალსაზრისით (შდრ. **იკეთებს**), რომელსაც ეწარმოება აწმყოს წრის ნაკვთები (**იმეფებს – იმეფებდა – იმეფებდეს**), გარდა ამისა, – მეორე სერიის ფორმებიც (**იმეფა – იმეფოს**). ამდენად, **მეფობს** 3-ნაკვთიან პარადიგმას წარმოადგენს, ხოლო **იმეფებს** – 5-ნაკვთიანს. აქედან გამომდინარე, ესენი სხვადასხვა ტიპის უღლებებში

მოექცევიან. მეფობს ტიპის ზმნებში მოიაზრება უყვარს, მიფრინავს, ჰყავს... რიგის ზმნები. იმეფებს ტიპის ზმნებშია განსახილველი იდგება, იჯდება... ფორმები.

ცალკეა გამოსაყოფი III სერიის ზმნური ფორმები, რომელთაც საერთო წარმოება აქვთ: **გამხმარა – გამხმარიყო – გამხმარიყოს**. ამ ტიპის ზმნები (ერთპირიანი გარდაუვალები) I-II სერიის სათანადო სემანტიკურ ცალებთან ფორმის თვალსაზრისით ვერ დადგებიან. ამ შემთხვევაში გვექნება 3-ნაკვთიანი პარადიგმა.

ცალკეა **გაეკეთებინა** ტიპის ზმნები. ამ შემთხვევაში გვექნება 2-ნაკვთიანი პარადიგმა (**გაეკეთებინა – გაეკეთებინოს**).

ზმნათა გარკვეულ ჯგუფს (სტატიკურთა ნაწილს) **მხოლოდ აწმყოს** ნაკვთები ეწარმოებათ. ესაა **არის** ტიპის ზმნები.

ამგვარი გააზრება საკითხისა, ანუ ზმნურ ფორმათა დაჯგუფება საწარმოებელი ფუძის მიხედვით III სერიის ფორმათა (განსაკუთრებით ეს ეხება II თურმეობითსა და III კავშირებითს) განკერძოებულობის აქცენტირებაა. არსებითად აქ გვაქვს ზუსტად ისეთივე ჩანაცვლება (სესხება) ფუძეებისა, როგორცაა აწმყოსა და მყოფადში ერთი რიგის ზმნებთან ა. შანიძის მიხედვით (მეფობს – იმეფებს).

თუ დასაშვებად მივიჩნევთ **მეფობს – იმეფებს** ტიპის ფორმებში ფუძეთა მონაცვლეობას და ამის საფუძველზე აღნიშნული ფორმების კვალიფიცირებას სხვადასხვა ნაკვთის ფორმებად, მაშინ ასევე დასაშვები და ლოგიკური იქნება I-II სერიის ფორმათა გაგრძელებად მივიჩნიოთ III სერიის ფორმებიც.

მეორე მხრივ, თუ ჩვენთვის **მეფობს – იმეფებს** სხვადასხვა ზმნის ერთი და იმავე ნაკვთის ფორმებია და მათ ვერ გავიაზრებთ როგორც **აწმყოსა** (მეფობს) და **მყოფადს** (იმეფებს) – იმის გამო, რომ მათ განსხვავებული ფუძეები აქვთ, – **ასევე ვერ დაიჭერს ამ ზმნათა პარადიგმაში ადგილს თურმეობითის ნაკვთები** (ისევ და ისევ საწარმოებელ ფუძეთა სხვაობის გამო).

ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, თითქოს III სერიის ნაკვთების უღლებს სისტემიდან უნდა ამოვიღოთ? ასე არაერთხელ დამდგარა საკითხი.

ცხადია, არა.

საქმე ის არის, რომ, ერთი მხრივ, მართალია, ნაკვთთა გამოყოფა საწარმოებელი ფუძის პრინციპს ემყარება [ჩიქობავა, 1962, 102], მაგრამ, მეორე მხრივ, იმდენ ნაკვთზე უნდა ვილაპარაკოთ, რამდენი განსხვავებული ფუძეც არსებობს.

სხვა საკითხია, რომ საწარმოებელი ფუძის მიხედვით ყველა ნაკვთის ერთ სისტემაში წარმოდგენა არ ხერხდება. პრობლემას **არამხოლოდ** III სერიის ნაკვთები ქმნიან.

სპეციალურ ლიტერატურაში **ტირის – იტირა** ტიპის ფორმათა ერთ პარადიგმაში წარმოდგენა ფორმოზრივი პრინციპის დარღვევადაა მიჩნეული [გოგოლაშვილი, 1988, 142].

ავტორის აზრით, უნდა გაირჩეს ერთმანეთისაგან სემანტიკური და ფორმოზრივი-სემანტიკური პარადიგმები (სემანტიკურ პარადიგმას მკვლევარი უწოდებს „იმ პარადიგმას, რომელშიც ფორმოზრივი პრინციპი დარღვეული და სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნები ერთ პარადიგმაში მხოლოდ სემანტიკური პრინციპითაა გაერთიანებული“;

აქვე წარმოდგენილი ფორმოზრივი-სემანტიკური პარადიგმის დეფინიციაც: „ფორმოზრივი-სემანტიკურს ვუწოდებთ იმ პარა-დიგმას, რომელშიც ორივე პრინციპია გატარებული – ფორ-მოზრივიც და სემანტიკურიც“ [გოგოლაშვილი, 1988, 142-143].

პარადიგმათა ამგვარი გარჩევა სავსებით ლოგიკურია, მხოლოდ, გვეჩვენება, რომ სემანტიკური პარადიგმის დეფინიცია „გამარტივების“ შემთხვევაში უფრო დაზუსტდება: **სემანტიკურია პარადიგმა, რომელშიც სხვადასხვა ფუძის მქონე ზმნები ერთ პარადიგმაში**

მხოლოდ სემანტიკური პრინციპითაა გაერთიანებული (ყოველ შემთხვევაში, ცნება „სემანტიკური პარადიგმა“ ჩვენ ასე გვესმის).

დეფინიციის ამ სახით წარმოდგენა, ე. ი. სემანტიკური პარადიგმის არსის ასე ცალსახად (და ლოგიკურად) გააზრება **ტირის – იტირებს – იტირა – უტირია** პარადიგმას ვერ განგვახილვინებს, როგორც სემანტიკურს. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში საწარმოებელი ფუძის ერთგვარობის პრინციპი დარღვეულია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ სემანტიკური ნიშნით გაერთიანებულ ფორმათა სისტემა გვაქვს. წარმოდგენილი ძირითადი ფორმებიდანაც ნათლად ჩანს, რომ **იტირებს – იტირა** წყვილი ერთმანეთთან წარმოების (resp. ფორმის) თვალსაზრისითაც არის დაკავშირებული.

აქედან გამომდინარე, ჩვენი აზრით, უპრიანი იქნებოდა, თუ **სწორედ ამ ტიპის პარადიგმებს ვუწოდებდით ფორმობრივ-სემანტიკურს**, ანუ „პარადიგმას, რომელშიც ორივე პრინციპია გატარებული – ფორმობრივიც და სემანტიკურიც“.

ასევე ფორმობრივ-სემანტიკური პარადიგმის კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს, ჩვენი აზრით, პარადიგმას, რომლის წევრებიც „სხვადასხვა ძირისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმებია“ [შდრ. გოგოლაშვილი, 1988, 143]:

ამბ-ობ-ს (ამბ-ობ-დ-ა, ამბ-ობ-დ-ე-ს) – ი-ტყვ-ი-ს (ი-ტყ-ოდ-ა, ი-ტყ-ოდ-ე-ს),

არ-ი-ს – ი-ქნ-ებ-ა (ი-ქნ-ებ-ოდ-ა, ი-ქნ-ებ-ოდ-ე-ს),

თქვ-ა (თქვ-ა-ს) – უ-თქვ-ამ-ს (ე-თქვ-ა, ე-თქვ-ა-ს),

ი-ყ-ო (ი-ყ-ო-ს) – ყოფილა (ყოფილიყო, ყოფილიყოს).

სემანტიკური პარადიგმა მაშინ გვექნებოდა, მხოლოდ **ამბობს – იტყვის – თქვა – უთქვამს, არის – იქნება – იყო – ყოფილა** ნაკვთები რომ დასტურდებოდეს. მაგრამ ფაქტია, რომ ამგვარ ფუძემონაცვლეობასთან ერთად პარადიგმის ფარგლებში გვაქვს ფუძეთა წარმოებაც (ამბობს – ამბობდა – ამბობდეს...).

ჩვენი დაკვირვებით, წმინდა სემანტიკური პარადიგმები ქართული ზმნის უღლების სისტემაში პრაქტიკულად არცა გვაქვს. ის პარადიგმები, რომელთაც **სემანტიკური პარადიგმები** ეწოდა, **ფორმობრივ-სემანტიკური პარადიგმებია**. ასეთ პარადიგმებს, ამდენად, შეიძლება **შერეული** პარადიგმებიც ეწოდოს.

ფორმობრივ-სემანტიკური ანუ შერეული პარადიგმების ნიმუშია ტრადიციული 11-ნაკვთიანი პარადიგმა [ა. შანიძე], 16-ნაკვთიანი [ა. არაბული], 8-ნაკვთიანიც [გ. გოგოლაშვილი].

8-ნაკვთიან პარადიგმაში ყურადღება გამახვილებულია იმ წინააღმდეგობებზე, რაც I სერიის ფორმათა წარმოებისას იჩენს თავს. ჩვენი აზრით, საკვებით სამართლიანად არის მოხსნილი ფუძეთა სესხების საკითხი, მაგრამ ამ სისტემაში III სერიის ნაკვთებიც მოიაზრება – არადა, ცნობილია, რომ წარმოების ზოგადი სისტემიდან III სერია ამოვარდნილია. **ტირის – იტირებს – იტირა – უტირია** ისეთივე ფორმობრივ-სემანტიკური (შერეული) პარადიგმა იქნება, როგორცაა **წერს – წერა – უწერია** [შდრ. გოგოლაშვილი, 1988, 143].

ფუძეთა შენაცვლება ორსავე შემთხვევაში აშკარა ფაქტია; ბოლომდე არ არის გატარებული საწარმოებელი ფუძის პრინციპი.

როდესაც არის მსჯელობა სემანტიკურ და ფორმობრივ-სემანტიკურ პარადიგმებზე, ბუნებრივად დგება საკითხი ფორმობრივ პარადიგმასთან დაკავშირებით (თავად ცნებები – სემანტიკური პარადიგმა, ფორმობრივ-სემანტიკური პარადიგმა აბსოლუტურად ლოგიკურად გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს ფორმობრივი პარადიგმაც). არსებულ

დეფინიციებში კორექტირების საჭიროება ამ ფაქტორმაც განაპირობა – წმინდა ფორმოზრივი პარადიგმის დეფინიცია ამ დაზუსტების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

ფორმოზრივი პარადიგმა უნდა ეწოდოს პარადიგმას, რომელიც მხოლოდ ფორმოზრივი პრინციპის მიხედვით არის შედგენილი. ეს არის პარადიგმა, რომელიც ოდენ ერთგვაროვან ფუძეებს აერთიანებს (ცხადია, ტერმინი ფორმოზრივი პარადიგმა არ შეიძლება ნიშნავდეს და არც ნიშნავს იმას, თითქოს ამ სისტემაში ფორმები განყენებულად, სემანტიკის გარეშე იყოს წარმო-დგენილი; ასეთი ფორმები, სემანტიკის გარეშე, ელემენტარულად არ არსებობს. უბრალოდ, ამ შემთხვევაში მხოლოდ ის ფორმები იქნება სისტემატიზებული, რომელთაც საერთო წარმოება, საერთო ფუძეები გააჩნიათ).

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს თავი რომ მოვუყაროთ, შეიძლება დავასკვნათ: ქართული ზმნისთვის აქტუალურია ფორმოზრივი-სემანტიკური (შერეული) და ფორმოზრივი (წმინდა ფორმოზრივი) პარადიგმები. წმინდა სემანტიკური პრინციპების მიხედვით გამართული ზმნური პარადიგმები ქართულში პრაქტიკულად არა გვაქვს.

და მაინც: ალბათ უფრო გავამარტივებთ საქმეს ზემოთ აღნიშნული ფორმოზრივი-სემანტიკურ პარადიგმების პირობითად სემანტიკურ პარადიგმებად სახელდებით; ანუ: ერთი მხრივ გვექნება **სემანტიკური პარადიგმები** – სადაც ფუძეთა სისტემურ სიმწყობრეს არღვევს სწორედ სემანტიკური დაწოლა; ამის საპირისპიროდ, **ფორმოზრივი პარადიგმაში** წარმოების თვალ-საზრისით ერთმანეთთან დაკავშირებული ფუძეების გამართული სისტემა გვექნება.

ცხადია, განსხვავებული პარადიგმის ზმნებს განსხვავებული უღლება ექნებათ.

წმინდა ფორმოზრივი პარადიგმები, როგორც ითქვა, მკაცრი ფორმალური მიმართებების გათვალისწინებით ყალიბდება; იგი მხოლოდ წარმოების თვალსაზრისით ერგვაროვან ფუძეებს აერთიანებს, – რის საფუძველზეც წარმოგვიდგება სწორედ უღლება სისტემის სახით. ქართულში გამოიყოფა რამდენიმე ტიპი:

1. უკეთებს, უწერს... ტიპის ზმნები, რომელთაც **9-ნაკვთიანი პარადიგმა** აქვთ:

აწმყო – უწყვეტელი – აწმყოს კავშ. – მყოფადი – უწყვ. ხოლმ. – მყოფადის კავშ. – აორისტი – II კავშ. – I თურმეობითი: უკეთებს – უკეთებდა – უკეთებდეს – გაუკეთებს – გაუკეთებდა – გაუკეთებდეს – გაუკეთა – გაუკეთოს – გაუკეთებია;

2. წერს, იწერება, ეწერება, ხმება, უკეთდება, კეთდება... ტიპის ზმნები, რომელთაც **8-ნაკვთიანი პარადიგმა** აქვთ:

აწმყო – უწყვეტელი – აწმყოს კავშ. – მყოფადი – უწყვ. ხოლმ. – მყოფადის კავშ. – აორისტი – II კავშ.: წერს – წერდა – წერდეს – დაწერს – დაწერდა – დაწერდეს – დაწერა – დაწეროს;

3. იმეფებს, იღგება... ტიპის ზმნები, რომელთაც **5-ნაკვთიანი პარადიგმა** აქვთ:

აწმყო – უწყვეტელი – აწმყოს კავშ. – აორისტი, II კავშ.: იმეფებს – იმეფებდა – იმეფებდეს – იმეფა – იმეფოს;

4. მეფობს, ეჯავრება, ეყვარება, სძულს... ტიპის ზმნები, რომელთაც **3-ნაკვთიანი პარადიგმა** აქვთ:

აწმყო – უწყვეტელი – აწმყოს კავშ.: მეფობს – მეფობდა – მეფობდეს;

5. გამხმარა... ტიპის ზმნები, რომელთაც ასევე **3-ნაკვთიანი პარადიგმა** (მხოლოდ სხვა ნაკვეთების სახით) აქვთ:

I თურმ. – II თურმე. – III კავშ.: გამხმარა – გამხმარიყო – გამხმარიყოს;

6. გაეკეთებინა... ტიპის ზმნები, რომელთაც **2-ნაკვთიანი პარადიგმა** აქვთ:

II თურმ., III კავშ.: გაეკეთებინა – გაეკეთებინოს;

3. საშუალო არის გვარის კატეგორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ამავე დროს იგი სტატიკურია. მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს საშუალო გვარის ზმნა უპირისპირდება, როგორც სტატიკური ფორმა – დინამიკურს [ჯორბენაძე, 1975, 177].

მეგრულ-ლაზური მასალა მხარს უჭერს არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს. გვარი მხოლოდ ორია ზანურში: მოქმედებითი და ვნებითი. რაც შეეხება ე. წ. საშუალო გვარის ზმნებს, აქ გასაზიარებელი ჩანს თ. უთურგაიძის პოზიცია, რომ ეს ზმნები (ქრის, წუხს, დულს, დგას, წევს...) გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ გახდნენ მედიუმები [უთურგაიძე, 2002, 117].

ასევე საყურადღებოა დ. მელიქიშვილის თვალსაზრისი, რომ ამ ზმნების მოქმედების აგენსი იგივე პაციენსია (წუხს ის – თვითონვეა მწუხარე). ამ ზმნების სუბიექტი თვითმოქმედია, მისი მოქმედება უკუმიმართებისაა, უკუქცევითია [მელიქიშვილი, 2001, 64].

და თუ მაინც ცალკე გამოსაყოფია ე. წ. საშუალო გვარის ზმნათა წყება, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქმნიან ისეთ ზმნათა ჯგუფს, რომელსაც უგვარო ზმნები შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან გვარი არ განუვითარდათ, და ამას ნაწილობრივ მათი სემანტიკა და მნიშვნელოვანწილად სტატიკურობა განსაზღვრავდა.

ამავე ზმნებს გვარი არ განუვითარდათ და მხოლოდ ამის შემდგომ ხდება შესაძლებელი მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფა, ვინაიდან საშუალო-მოქმედებითებში აშკარაა, რომ პირდაპირი ობიექტია ყველგან დაკარგული და ამის ხარჯზე მოხდა სწორედ ის, რომ მოქმედება, რომელიც სუბიექტიდან ობიექტზე გადადიოდა, თვითონ ხდება სუბიექტ-განმცდელი ამისა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ სხვა ტიპის ზმნასთან გვაქვს შეხება, მაშინ როდესაც განსხვავებას ქმნის მხოლოდ ერთერთი ობიექტის დაკარგვა (!).

ამის დანახვა მეგრულ-ლაზურში შეუძლებელია, ვინაიდან აქ პირის ნიშნები იკარგება, მაგრამ ძველ ქართულში ამისათვის თვალყურის მიდევნება არ გაჭირდება. ზემოთქმულის დასამტკიცებლად საკმარისია განვიხილოთ თანამედროვე **მეფობს-ს** ზმნის ჩვენება. კერძოდ, თუ ახალ ქართულში პირველ სერიაში გვაქვს **მეფობს** და II სერიაში **ი-მეფ-ა**, ძვ. ქართულში შესაბამისად გვექნება **ჰ-მეფ-ობს-ს – ჰ-მეფ-ა**. აქ აშკარაა, როცა ორი პირის ნიშანია წარმოდგენილი **ჰ** (ობიექტი) და **-ა** (სუბიექტი), ზმნაში დაკარგულია ბრუნვაცვალებადი ობიექტი (ე. წ. პირდაპირი ობიექტი = უახლესი ობიექტი), მაგრამ იგი დაიკარგა ზმნის სემანტიკიდან გამომდინარე, თორემ ზმნაში პირის ნიშნის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ **ჰ-მეფ-ა** უდრის/ნიშნავს **მეფობა ქმნა**, ანუ **იმეფა მეფობა**, ამიტომაც გვაქვს ორი პირის ნიშანი ზმნაში რეალიზებული.

ზუსტი იყო ი. ყიფშიძის მიდგომა, როცა ე. წ. საშუალო გვარის ზმნათა უღლებას ცალკე არ გამოყოფდა, ვინაიდან იგი თვლიდა, რომ, მაგალითად, ე. წ. მედიოაქტიური ზმნები მეგრულში ისევე იუღლებიან როგორც მოქმედებითი გვარის ზმნები [ყიფშიძე, 1994, 057].

მეგრულში მედიოაქტიურობას ახასიათებთ: ბრუნვაცვალებადი ობიექტის არქონა, ერთპირიანობა, ან ორპირიანობა [ახალაია, 2004] და ინვერსია მესამე სერიაში. ამასთანავე, აქ სუბიექტის ბრუნვა საკლასიფიკაციო ნიშნად არ გამოდგება, რადგან ცნობილია, რომ მეგრულ ნამყო ძირითადის (აორისტის) ფორმებში სუბიექტი ნებისმიერ ზმნასთან მოთხრობით ბრუნვაში (ერგატივში) დგას (არნ. ჩიქობავა) და ამაში სხვაობას ვერ შეიტანს ვერც ზმნის გარდამავლობა და ვერც გვარებში სხვაობა. მაგრამ საყურადღებოა ამ თვალსაზრისით, ლაზურის ჩვენება, სადაც, როგორც ვიცით, ნებისმიერი გარდამავალი ზმნა აწმყოშიც და აორისტშიც სუბიექტს ერგატივში (მოთხრობით ბრუნვაში) შეიწყობს.

რა ხდება ლაზურის „მედიაექტივებში“? – როგორც ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები აჩვენებენ, აქ მეგრულისა და ლაზურის ჩვენებები განსხვავებულია, კერძოდ, ლაზურში ე. წ. მედიაექტივების სუბიექტი, ისევე, როგორც სხვა გარდამავალ ზმნათა სუბიექტი, დგას ერგატივში (მოთხრობით ბრუნვაში) და, ცხადია, ეს გამორიცხავს ამ ზმნათა ვნებითობას, რადგანაც ვნებითი გვარის ზმნათა სუბიექტს ლაზურში ერგატიული ბრუნვა არ ახასიათებს და ეს ამ ენობრივ ქვესისტემაში მკაცრად გატარებული წესია (უგამონაკლისო). ასე მაგალითად, გვექნება:

ლაზ.: ბერე-ქ ინჩვირ-ს „ბავშვმა ცურავს“,
შდრ.

მეგრ.: ბალანა ნჩურ-უნ-ს „ბავშვი ცურავს“, მაგრამ ბალანა-ქ ქო-ნჩურ-უ „ბავშვა იცურავა“;

ლაზ. ჯოღორი-ქ ლალ-უფ-ს „ძალმა ყეფს“,
შდრ.

მეგრ.: ჯოღორ-ი ლალ-უნ-ს „ძალი ყეფს“, მაგრამ ჯოღორი-ქ ლალ-უ „ძალმა იყეფა“;

ლაზ. წყარი-ქ ფ-უმ-ს „წყალმა დულს“,
შდრ.

მეგრ.: წყარ-ი ფ-უნს „წყალი დულს“, მაგრამ წყარ-ი-ქ ქო-ფ-უ „წყალმა ადულდა“;

ლაზ. ჭუჭულ-ი-ქ წი-აფ-ს „წიწილამ წივის“,
შდრ.

მეგრ.: ჭუჭულ-ი წი-ან-ს „წიწილა წივის“, მაგრამ ჭუჭულ-ი-ქ წი-უ „წიწილამ იწივლა“;

ლაზ. მთხა-ქ პეტელ-აფ-ს „თხამ კიკინებს“,
შდრ.

მეგრ.: თხა პეტელ-ან-ს „თხა კიკინებს“, მაგრამ თხა-ქ პეტელ-უ „თხამ იკიკინა“;

ლაზ. კოჩ-ი-ქ ი-ძიც-აფ-ს „კაცმა იცინის“,
შდრ.

მეგრ.: კოჩ-ი ი-ძიც-ან-ს „კაცი იცინის“, მაგრამ კოჩ-ი-ქ ი-ძიც-უ „კაცმა იცინა“;

ლაზ. ოხორჯა-ქ ი-ხორონ-ს / ხორონ-აფ-ს „ქალმა ცეკვავს“,
შდრ.

მეგრ.: ოსურ-ი სხაპ-უნ-ს „ქალი ცეკვავს“, მაგრამ ოსურ-ქ სხაპ-უ „ქალმა იცეკვა“;

ლაზ. მაფშალე-ქ ი-ბირ-ს „იადონმა მღერის/გალობს“,
შდრ.

მეგრ.: მაფშალია ი-ბირ-ს „ბულბული მღერის/გალობს“, მაგრამ მაფშალია-ქ ი-ბირ-უ „ბულბულმა იმღერა“;

ლაზ. კოჩ-ი-ქ ი-მცქვამ-ს „კაცმა იკვების“,
შდრ.

მეგრ.: კოჩ-ი ი-ცქვ-ან-ს „კაცი იკვების“, მაგრამ კოჩ-ი-ქ ი-ცქვ-უ „კაცმა იკვება“;

ლაზ. მუსლიმი-ი-ქ ი-პიჩ-ავ-ს „მუსლიმმა იმარხავს/მარხულობს“,
შდრ.

მეგრ.: ქირსიანე ი-პიჩ-ან-ს „ქრისტიანი იმარხავს/მარხულობს“, მაგრამ ქირსიანე-ქ ი-პიჩ-
უ „ქრისტიანმა იმარხულა“;

ლაზ.

ოვალუ-ქ ვალ-უმ-ს „ელვამ ელავს“,
შდრ.

მეგრ.: ვალ-ი ვალ-უნ-ს „ელვა ელავს“, მაგრამ ვალი-ქ ვალ-უ „ელვამ იელვა“...

წარმოდგენილი ი-პრეფიქსიანი და თემისნიშნისანი (-ამ, -უმ, -უფ...) ზმნები მეგრულ-
ლაზურში დინამიკურ (აქტიურ?) ზმნებადაა კვალიფიცირებული ორსავე ენობრივ
ქვესისტემაში, ამიტომაც შეეწყობა მათ სუბიექტი ერგატივში, თორემ სტატიკურ ზმნებთან
ერგატივი არც არასდროს გამოჩნდება. სტატიკურობა-დინამიკურობა უთემისნიშნო ზმნებში
განსაზღვრავს დრო-კილოთა აორისტის წყების ქონა-არქონას, კერძოდ, თემისნიშნისანი
ზმნებში აორისტი გვექნება, უთემისნიშნო -ქ/-უ სუფიქსიანი სტატიკურ ზმნებში – არასდროს.
ეს არის მთელს მეგრულ-ლაზურში მკაცრად გატარებული წესი.

მეგრულ-ლაზურის მასალაზე თვალნათლივ გამოჩნდება სტატიკურ ზმნათა
გააქტიურების (დინამიკურად ქცევის) ტენდენცია, რაც უფრო ლაზურშია გამოკვეთილი.
როგორც ვიცით, ლაზურში -უნ თემისნიშნისანი არ არსებობს, იგი მხოლოდ მეგრულისათვის
არის დამახასიათებელი და გამოჩნდება მაშინ, როცა ლაზურში -უმ (ხოფურში -უფ)
ფიქსირდება, ეს უკანასკნელი ქართული -ამ (→ -ავ) თემის ნიშნის ზუსტი ფონეტიკურ-
ფუნქციური შესატყვისია. თუმცა ზოგჯერ -უნ ლაზურშიც ვლინდება თემის ნიშნად, მაგრამ
მისი წარმომავლობა განსხვავებულია და სწორედ ფუძის გააქტიურების ტენდენციითაა
მიღებული, რასაც პარალელური ფორმები ადასტურებს ლაზურშივე. მაგალითისათვის
ავილოთ -უ- სუფიქსიანი სტატიკური ზმნა ფუთხ-უ-ნ „ხტის, ფრინდება“, ითქმის კვინჩი
ფუთხ-უნ „ჩიტი ხტის“, ანუ, როგორც მოსალოდნელი იყო, სტატიკური ზმნის სუბიექტი
სახელობითი დგას, მაგრამ ამავე ზმნისგან **სჰ** პირის -ს ნიშნის დამატებით, რასაც თან ახლავს
ზმნის გრამატიკული შინაარსის გააქტიურება, ვიღებთ ლაზურისათვის თითქოს უჩვეულო
ფორმას (-უნ თემისნიშნისანი ზმნას), რომელიც დინამიკური ხდება და აწმყოში სუბიექტიც
ერგატივში შეეწყობა, როგორც ყველა სხვა გარდამავალ ზმნას: კვინჩი-ქ ფუთხ-უნ-ს „ჩიტმა
ფრთხება“.

იგივე სურათი ჩანს **სხაპ-** „ხტომა, ცეკვა“ ზმნური ფორმის შემთხვევაშიც, როცა **სხაპ-**
მეგრულში ხდება დინამიკური და თემისნიშნისანი ზმნა, შდრ.: ლაზ. **სხაპ-უნ** „ხტის“, მაგრამ
მეგრ. **სხაპ-უნ-ს** „ხტის, ცეკვავს“.

რამდენიმე სხვა ზმნაშიც დადასტურდა, როგორც ლაზურში ისე მეგრულში,
სტატიკურიდან დინამიკურზე გადასვლა (გააქტიურება ზმნის ფუძის გრამატიკული
შინაარსისა). ამ მხრივ შეიძლება ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშად ლაზურის კიდევ ერთი **-ბლ-**
„ყრა“ ზმნა გამოდგეს, რომელსაც ერთდროულად სტატიკური და დინამიკური ფორმები
უდასტურდება -ს პირის ნიშნის დამატების და ზმნური ფუძის რეინტერპრეტაციის გამო,
შდრ. ერთი მხრივ, ლაზ. **ოკოწ-უ-ბლ-უნ** „წინ უყრია“ და, მეორე მხრივ, **ქოკოწ-უ-ბლ-უნ-ს** „წინ
უყრის“ (უყრია – უყრის).

მეგრულ-ლაზურში იგივე პროცესი დასტურდება სხვაგანაც, ანუ ნ-ს როლის დასუსტება, როგორც პირის ნიშნისა, და სტატკურ ზმნათა გააქტიურება – ნ → ნ-ს:

ლაზური		მეგრული	
ჯობ-ო-ნ-ს		ჯობ-ო(-ნ)	„ჰქვია“
ა-ჭ-უ-ნ ა-ჭ-უ-ნ-ს		ა-ჭ-უ(-ნ)	
„სტკივა“			
ნ-ო-ნც-ო-ნ ნ-ო-ნც-ო-ნ-ს	„მირჩობილია“		
შ-უ-ნ-ს		შ-უ(-ნ)	„ახსოვს“
ტყვაც-უ-ნ	„ტკაცანებს“	ტყვაც-უ-ნ-ს	„ჭექს“
ნ-უ-მგ-უ-ნ ნ-უ-მგ-უ-ნ-ს		გ-უ(-ნ)	„ჰგავს“

ზმნის გარდამავლობა (დინამიკურობასთან ერთად) დამახასიათებელია მეგრულ-ლაზურ ე. წ. მედიოაქტიურ ზმნებთან; ასეთებია:

ა) ფრინველთა და ცხოველთა ხმიანობის აღმნიშვნელი ზმნები: ლაზ. ღეჯ-ი-ქ ღირინ-ს „ღორმა ღრენს“, მეგრ. ღეჯ-ი ღირინ-უნ-ს || „id“, ლაზ. მონჭვა-ქ კროხ-ამ-ს „კრუხი კრუხს“, მეგრ. მოჭვა კუხ-ან-ს „id“...

ბ) მეტყველების აღმნიშვნელი ზმნები: ლაზ. ბადი-ქ ღარღალ-ავ-ს „მოხუცმა ამბობს“, მეგრ. შუმილ-ი ღარღალ-ან-ს „მთვრალი მომაბეზრებლად საუბრობს“; ლაზ. ახმეტ-ი-ქ ზოპონ-ს „ახმედმა ამბობს“, მეგრ. მანმაგერ-ი რაგად-ან-ს „მეზობელი ამბობს“; ლაზ. ბერე-ქ ილაკირდ-ამ-ს „ბავშვმა ლაყბობს“, მეგრ. ლურენჯ-ი ბორდიშ-ან-ს „მძინარე ბოდავს“...

გ) ხმაურის აღმნიშვნელი ლექსიკა: ლაზ. მუმულ-ი-ქ კირ-ამ-ს „მამალმა ყივის“, მეგრ. ოსურ-ი რკი-ან-ს „ქალი კივის“; ლაზ. ფუჯი-ქ კირინ-ს „ძროხამ ღმუის“, მეგრ. ჩხოუ ბელენ-ან-ს „ძროხა ღმუის“; ლაზ. ლაკუტ-ი-ქ ჩხირ-ამ-ს „ლეკვმა ჩხივის“, მეგრ. ორინჯ-ი თხირინ-უნ-ს „საქონელი ხვიხვინებს“...

რაც შეეხება ბუნების მოვლენებს, მოსალოდნელი კი იყო, როგორც ზემოთ აღწერილ სემანტიკურ ქვეჯგუფებში, ერგატიული კონსტრუქცია, მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ რამდენიმე ზმნაში შეინიშნება (ვალ-უმ-ს / ვალ-უნ-ს, გურგულ-ამ-ს / გურგინ-უნ-ს „ელავს, ქუხს“...), აქ ძირითადად გარდაუვალ ზმნურ ფორმებთან გვაქვს შეხება და, შესაბამისად, სუბიექტიც (ლაზურში!) ნომინატივში დგას, თანაც არა აქვს მნიშვნელობა, ზმნა თემისნიშნის თუ უთემისნიშნო: ლაზ. იხ-ი ბარ-ს / უ-ბარ-ს „ქარის ქრის“, მეგრ. ბორია უ-ბარ-ს „id“; ლაზ. მთვირ-ი მთ-უფ-ს, მეგრ. თირ-ი თ-უნ-ს „თოვლი თოვს“; ლაზ. მჭიმა მჭიმ-ს, მეგრ. ჭვიმა ჭვინ-ს „წვიმა წვიმს“; ლაზ. ხონცინ-ი ხონც-უ-ნ „ქუხილი ქუხს“, მეგრ. ტყვაც-ი ტყვაც-უნ-ს „ჭექა ჭექს“; ლაზ. მჟორა ჩხატ-უ-ნ „მზე ბრწყინავს“, მეგრ. ჩხანაია ბარჩხალ-ან-ს „მზე ბრწყინავს“...

სხვაობა მეგრულსა და ლაზურს შორის თითქოს იმაში ჩანს, რომ ლაზურის -უ ტიპის სტატკური ფორმები მეგრულისთვის უჩეულოა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, სინამდვილეში მეგრულშიც თემისნიშნის სახეობებს შეიძლება გვერდში ამოუდგეს ი – უ კონფიქსიანი წარმოება, რაც ლაზურის უ სუფიქსსაც შეიცავს, შდრ.: მეგრ. ბარჩხალ-ან-ს || ი-ბარჩხალ-უ(-ნ) „ბრწყინავს“ (= ლაზ. ჩხატ-უ-ნ), მეგრ. ტყვაც-უნ-ს || ი-ტყვაც-უ(-ნ) „ჭექს“ (= ლაზ. ხონც-უნ-ს „ქუხს“), მეგრ. გურგინ-უნ-ს || ი-გურგინ-უ(-ნ) = ქართ. გრგვინ-ავ-ს... ე. ი. ოდენ სუფიქსური წარმოება (-უ აფიქსიანი) მეგრულში მთლიანად შეცვალა თემისნიშნის სახეობამ, მაგრამ

მისი არსებობის კვალი დაჩნდება ი – უ კონფიქსიან სტატიკურ ზმნებში, რაც ასევე აახლოვებს მეგრულს ლაზურის -უ- სუფიქსიან ფორმებთან.

რამ გამოიწვია ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნათა ნაწილში გარდამავლობის მოშლა და ნომინატიური კონსტრუქციის დამკვიდრება? – ვფიქრობთ, ამ სიტუაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა უახლოესი ობიექტის (ე. წ. პირდაპირი დამატების) დაჩრდილვა / გაუჩინარებას უნდა მიეწერებოდეს, ანუ ამოსავალში იყო ორპირიანი ფორმები: წვიმს ის მას, თოვს ის მას, ქუხს ის მას, ჭექს ის მას... ხოლო დროთა განმავლობაში ობიექტი იკარგება და ვითარება (მოქმედება) გადადის სუბიექტზე, რომელიც თვითონ ითვისებს მოქმედებასაც და ქმედებასაც (ვითარებას). ობიექტის დაკარგვის ტენდენცია დასახელებული ტიპის ზმნებში კარგად ჩანს ქართულის ნიადაგზე, სადაც მაგალითისათვის ელ-ავ-ს ზმნა ადრე ორპირიანი იყო – ელავ-ს ის მას, მაგრამ დღეს ელ-ავ-ს ერთპირიანი ზმნაა (ობიექტდაკარგული). ჯერ კიდევ დ. გურამიშვილის ეპოქაში ელავს ზმნა ორპირიანი იყო, რაზეც ნათლად მიუთითებს შემდეგი ამონარიდი: „ამად ვსწუნობ საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს“, ე. ი. რასაც საწუთრო ელავს, ბნელია, არ ანათებს (ელ-ავ-ს ის მას).

მეგრულ-ლაზურში დამოუკიდებელ ჯგუფად უნდა გამოიყოს უგვარო სტატიკური ზმნები, რომლებიც, როგორც მოსალოდნელი იყო, ვერ აწარმოებენ აორისტის დრო-კილოთა წყებას, ვინაიდან სტატიკურობა შეუთავსებელია აორისტის ნაკვთებთან, რადგანაც სტატიკას არ შეიძლება ახლდეს წყვეტა (შდრ. ქართ. ტერმ. წყვეტილი = აორისტი); ყოველ შემთხვევაში, ეს მოქმედი წესია სულ მცირე მეგრულ-ლაზურის შემთხვევაში. უგვარო სტატიკურ ზმნებში გამოიყოფა შედარებით მრავალრიცხოვანი კონფიქსური წარმოება:

ა)

ლაზური		მეგრული	
o ❖ –უ:			
ნ-ო-ბადგ-უ-ნ	„უბჯენია“	ო-ბად-უ(-ნ)	„ეყოფა“
ო-ბღ-უ-ნ	„ყრია“	ო-ნტ-უ-ნ	„ანთია“
ნ-ო-გზ-უ-ნ	„ანთია“	ო-რზ-უ(-ნ)	„ანთია“
გო-ო-თვ-უ-ნ		გი-ო-რთ-უ(-ნ)	„ახურავს, ახურია“
ო-თხოზ-უ-ნ-		გი-ო-თხოზ-უ(-ნ)	„მოსდევს“
ო-კათ-უ-ნ		ო-კათ-უ(-ნ)	„ურევია“
ო-ნჭ-უ-ნ		ო-ნჭ-უ(-ნ)	„აღწევს“
ო-რგ-უ-ნ		ო-რგ-უ(-ნ)	„არგია“
ნ-ო-ტკობ-უ-ნ	„ეპარება“	ო-შქურ-უ(-ნ)	„ემინია“
ო-რჩ-უ-ნ	„ჰფენია“	ო-ტყ-უ(-ნ)	„ატყობს“
ო-ქაჩ-უ-ნ	„უჭირავს“	გი-ო-რჩ-უ(-ნ)	„აფენია“
ო-ნტალ-უ-ნ	„ურევია“	ო-ძინ-უ(-ნ)	„ჰმეტობს, ემატება“
ო-ტკ-უ-ნ	„არტყია“	ო-რტყ-უ(-ნ)	„არტყია“
ო-ნდ-უ-ნ	„ენდობა“	ო-ნდ-უ(-ნ)	„ენდობა“...

ბ) დამოუკიდებელ ქვეჯგუფებად ასევე გამოსაყოფია უ – უ კონფიქსური ტიპი სტატიკურ ზმნებში, რომელიც ძირითადად ორპირიანია:

ლაზური	მეგრული
უ – უ:	

უ-ბლ-უ-ნ	„უყრია“	უ-ღ-უ(-ნ)	„აქვს“
უ-გნ-უ-ნ	„ესმის“	უ-ჯან-უ(-ნ)	„უწევს“
უ-ნკაპ-უ-ნ	„გარბის“	უ-ბალ-უ(-ნ)	„ეყოფა, ყოფნის“
უ-რანდ-უ-ნ	„უბრწყინავს“	უ-ნჭყორ-უ(-ნ)	„უწყობს“
უ-ჭარ-უ-ნ	„უწერია“	უ-ჭარ-უ(-ნ)	„უწერია“
უ-ღირ-უ-ნ	„უღირს“	უ-ღირ-უ(-ნ)	„უღირს“
უ-ჩქ-უ-ნ / უ-შქ-უ-ნ	„იცის“	უ-ჩქ-უ(-ნ)	„იცის“

გ) ამავე სუფიქსაციით (ოდენ **-უ**) საკმაოდ მრავალრიცხოვანია სტატიკური ზმნები მეგრულში, რომელსაც ლაზურში ზოგჯერ (უფრო ხშირად) **-ი** სუფიქსაცია შეესაბამება:

მეგრული	ლაზური	
უ(→ი):		
ჩქ-უ(-ნ)	ჩქ-ი-ნ	„ჩანს“
გე-რღ-უ(-ნ)	გე-ბღ-უ-ნ	„დაყრილია“
დგ-უ(-ნ)	დგ-ი-ნ / დგ-უ-ნ	„დგას“
ძ-უ(-ნ)	ძ-უ-ნ / ძ-ი-ნ	„დევს“
ღირღ-უ(-ნ)	ღირ-უ-ნ / ღირ-ს	„ღირს“
ჯან-უ(-ნ)	ჯან-უ-ნ / ჯან-ს	„წევს“
გ-უ(-ნ)	– –	„გავს“
დგინ-უ(-ნ)	– –	„დაყენებულია“
ჯოგ-უ(-ნ)	– –	„სმაგს / ეზიზღება“
შ-უ(-ნ)	შ-უ-ნ-ს	„ახსოვს“
ჭარ-უ(-ნ)	ჭარ-უ-ნ	„წერია“...

შენიშვნა: ამგვარი ზმნების სტრუქტურა მეგრულში უკეთ არის შემონახული. ლაზურში ადრე ეს მეგრულისებური **-უ** იყო და მოგვიანებით **-უ-ს ი** ფონეტიკურმა ვარიანტმა დაიკავა (**უ→ი**, შდრ. ქურ-ი → || ქირ-ი „ქორი“ ლაზურში), ხოლო შემდგომ **-ღ** სახეობა ჩაენაცვლა, შდრ. ჯან-ს „წევს“, ღირ-ს || ღირ-უ-ნ „ღირს“. და რომ **უ/ი** სუბსტიტუცია ფონეტიკურია მეგრულსა და ლაზურს შორის თვალნათლივ გამოჩნდება იქიდანაც, რომ, სადაც **ი** არის ისტორიულად ამოსავალი, იქ მეგრულიც და ლაზურიც **ე-ს** აჩვენებს, შდრ. ქართ. ვ-არ-ი : მეგრ.-ლაზ. ვ-ორ-ე „ვარ“...

-უ სუფიქსიანი სტატიკური (დგ-უ-ნ „დგას“) ზმნები მეგრულ-ლაზურში უფრო ძველად **ო** გახმოვანებისა უნდა ყოფილიყო. ამას გვასწავლის ზანურ-ქართული ხმოვნური ბგერათ-შესატყვისობები: ქართ. ა : ზან. **ო** (კაც-ი / კოჩ-ი) ანუ ზან. დგ-უ-ნ-ან = ქართ. დგ-ა-ნ-ან მიმართება ამოსავალში ზანურისთვის **ო** გახმოვანებას გულისხმობს, ე. ი. ს.-ქართვ. *ა → ზან. **ო** → უ. ჩვენი ვარაუდის რეალობას ამყარებს ზანურში ზოგ სტატიკურ ზმნასთან დღემდე შემორჩენილი **ო-ს** სუფიქსიანი დერივაცია:

ლაზური	მეგრული	
მ-ი-ნ-ო-ნ	ბ-ჯოხ-ო(-ნ)	„მქვია“
გ-ი-ნ-ო-ნ	რ-ჯოხ-ო(-ნ)	„გქვია“
უ-ნ-ო-ნ	ჯოხ-ო(-ნ)	„ჰქვია“

ბ-კვათ-ი-კ-ო-ნ	„უნდა გამეჭრა“	ო-კ-ო(-ნ)	„უნდა“
ბ-ჭარ-ი-კ-ო-ნ	„უნდა დამეწერა“	ბ-ჭარ-ი-კ-ო(-ნ)	„უნდა დამეწერა“

თუმცა ლაზურში, როგორც უ-ს შემთხვევაში, აქაც ერთ მაგალითში ხდება სტატიკურის -
ო სუფიქსის ფუნქციის რენტერპრეტაცია და იგი **-ონ** თემისნიშნითაა რიცხვში გადადის,
 შდრ. მეგრ. ბ-ჯობ-ო(-ნ) ~ ლაზ. მ-ჯობ-ო-ნ → || მ-ჯობ-ონ-ს „მქვია“; ლაზ. ნ-ო-ნც-ო-ნ → || ნ-ო-ნც-
 ონ-ს „მირჩობილია“ (მეგრ. გ-უ(-ნ) ~ ლაზ. ნ-უ-მგ-უნ-ს „ჰგავს“).

დ) უგვარო სტატიკურ ზმნებში ცალკე ჯგუფს ქმნიან ასევე **ო-პრეფიქსიანი** ზმნები, მაგრამ
 ფუძის სუფიქსაცია აქ შეიძლება განსხვავებული იყოს, კერძოდ, დასტურდება როგორც -
 ე სუფიქსი, ისე ნულ-სუფიქსი (მესამე პირში -ს პირის ნიშნით, შდრ. ქართ. ა-კლ-ს, ა-ჩნ-ს...):

ო – ე:			
ლაზური		მეგრული	
გ-ო-ხ-ე-ნ		გი-ო-ხ-ე(-ნ)	„ახის“
ო-წკ-ე-ნ		ო-რწყ-ე(-ნ)	„ხედავს“
ო-რ-ე-ნ		ო-რ-ე(-ნ)	„არის“
–		ო-ჭ-ე(-ნ)	„სჭირია, ჭირს“

-ე სუფიქსიანი სტატიკური ზმნების რაოდენობა მწირია მეგრულ-ლაზურში, აქვე
 აღსანიშნია ისიც, რომ ეს ზმნები (-ე სუფიქსიანი) თავისუფლად ენაცვლებიან ორსავე
 დიალექტში უპრეფიქსო სახეობებს, შდრ.: ო-რ-ე-ნ || რ-ე-ნ „არის“, ო-ხ-ე-ნ || ხ-ე-ნ „ახის“...

ო – ძ:			
ლაზური		მეგრული	
ო-კონ-ს	„არტყია“	(გი)-ო-ქუნ-ს	„აცვია ზემოდან, ახურია“
ო-ცონ-ს	„აცმულია“	ო-ჭირ-ს	„სჭირს“
ო-კორ-ს	„აკრავს“	(გი)-ო-ჩან-ს	„ზე ხარობს“...

ამავე **ძ** დაბოლოებით მეგრულ-ლაზურში საკმაოდ გავრცელებულია უპრეფიქსო
 სტატიკური ზმნები:

ლაზური		მეგრული	
წკუნ-ს	„სტკივა“	შინერ-ს	„სახსენებელი არის“
ჯან-ს	„წევს“	ჯერ-ს	„სჯერა“
ლირ-ს	„ძინავს“	ლურ-ს	„ძინავს“
შქირონ-ს	„შია“	შქირენ-ს	„შია“
ჩან-ს	„მცენარე ხარობს“	ჩან-ს	„ხარობს“...

ე) **ი – უ** ყალიბის კონფიქსური სტატიკური ზმნის ერთი შემთხვევა თავს იჩენს „თქმის“
 აღმნიშვნელ ზმნაში, რაც ორივე დიალექტისათვის ბუნებრივი ჩანს:

ლაზური		მეგრული	
ბ-ი-ტკ-უ-რ		ვ-ი-ტყ-უ-ქ	„ვიტყვი“

ი-ტკ-ურ	ი-ტყ-უქ	„იტყვი“
ი-ტკ-უნ	ი-ტყ-უ(-ნ)	„იტყვის“

ვ) სტატიკურ ზმნათა საკმაოდ მოზრდილ ჯგუფს ქმნის **-ენ** (←*-ემ) სუფიქსიანი (თემისნიშნიანი) დერივაცია მეგრულში. ფუძის შედგენილობის მიხედვით აქ გამოსაყოფია **-ენ**-ის გამოყენების სამი სახეობა I სერიის ნაკვეთებში:

1) მარტივი ოდენ **-ენ** სუფიქსიანი წარმოება:

ჩხომ-ენ-ს	„თევზაობს“
ხონ-ენ-ს	„მარხულობს“
წონ-ენ-ს	„წუნობს“
მაფ-ენ-ს მეფ-ენ-ს	„მეფობს“
წუხ-ენ-ს	„წუხს“...

2) სავარაუდოდ ნამყო დროის ვნებითი გვარის **-ულ** სუფიქსით გაშუალებული **-ენ** თემისნიშნიანი დერივაცია:

პიჩ-ულ-ენ-ს	„მარხულობს“
რგ-ულ-ენ-ს	„გლოვობს“
კითხ-ულ-ენ-ს	„კითხულობს“
გონ-ულ-ენ-ს	„იგონებს“
ჭიდ-ულ-ენ-ს	„ყიდულობს“
ხირ-ულ-ენ-ს	„ქურდობს“...

3) **-აფ** თემის ნიშნითა და მომღებური **-ულ** სუფიქსით დასრულებული **-ენ** თემისნიშნიანი წარმოება:

ჭან-აფ-ულ-ენ-ს	„იბარებს“
გ-აფ-ულ-ენ-ს	„იხდის (გადასახადს...)“
ძირ-აფ-ულ-ენ-ს	„ნახულობს“
გორ-აფ-ულ-ენ-ს	„მოიკითხავს“
გინ-აფ-ულ-ენ-ს	„იგრძნობს“
შკიდ-აფ-ულ-ენ-ს	„კადრულობს“...

მეგრულისებური **-ულ**- სუფიქსიანი წარმოება ლაზურისათვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო, რაზეც ჩვენს ხელთ არსებული ჯერჯერობით ერთადერთი ზმნური ფორმა მიგვითითებს:

ლაზური	ქართული
ვ-ი-ნწოფ-ულ-ამ	ვ-ი-წაფ-ავ
ვ-ი-ნწოფ-ულ-ურ	ვ-ი-წაფ-ებ-ი
ვ-ო-ნწოფ-ულ-ამ	ვ-წაფ-ავ / ვ-ა-წაფ-ავ

ვნებითი გვარის წარმოებისათვის მეგრულ-ლაზურში. ზანურ დიალექტებში ვნებითი გვარის წარმოებისას გამოიყოფა მრავალგვარი აფიქსაცია. აქ პოვნირია:

- ა) უნიშნო ვნებითი,
- ბ) **-ან** სუფიქსიანი ვნებითი,
- გ) **დონიანი** ვნებითი,
- დ) „კონფიქსური“: ა – ე, ი – ე, ა – უ, ი – უ, ო – უ, ი – ე, **-აფ** სუფიქსიანი ვნებითი.

განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

II.9.1.1. უნიშნო ვნებითი.

უნიშნო ვნებითისათვის დამახასიათებელია აწმყოში უ თემის ნიშანი (კ. დანელია), მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ნ მარკერი და მხოლოდითის I-II პირში ლაზურში -რ სუფიქსი, ხოლო მეგრულში, შესაბამისად, – -ქ. ასეთი ზმნები საკმაოდ არის გავრცელებული მეგრულ-ლაზურში:

ლაზური	მეგრული	
ტუბ-უ-ნ	ტიბ-უ(-ნ)	„თბება“
ღურ-უ-ნ	ღურ-უ(-ნ)	„კვდება“
სქიდ-უ-ნ	სქიდ-უ(-ნ)	„რჩება“
დგით-უ-ნ	(ე)-დირთ-უ(-ნ)	„დგება“
წროდ-უ-ნ	წირდ-უ(-ნ)	„იწრიტება“
დღულ-უ-ნ	ნდღულ-უ(-ნ)	„დნება, ლღვება“...

უნიშნო ვნებითებს უპრობლემოდ ეწარმოებათ აორისტის დრო-კილოები, წყვეტილში არ გადაყვებათ -უ- სუფიქსი და, როგორც კ. დანელიამ გაარკვია, ზანური -უ- კანონზომიერად შეესატყვისება ძვ. ქართულის -ავ/ -ვ სუფიქსაციას [დანელია, 1976, 169], ე. ი. ქართ. -ავ : ზან. *-ო... → უ. ოღონდ საგანგებოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ზანური უ, ვნებითებში თავჩენილი, უნდა განვასხვავოთ სტატიკურ ზმნათა -უ-საგან (დგ-უ-ნ „დგას“), რომელიც სხვა წარმოშობისაა და ასევე კანონზომიერად შეესატყვისება ქართ. -ა სუფიქსს სტატიკურ ზმნებში, შდრ. ქართ. ჩ-ა-ს : ზან. ჩქ-უ-ნ „ჩანს“, ქართ. დგ-ა-ნ-ან : ზან. დგ-უ-ნ-ან „დგანან“... ბარემ აქვე ვიტყვი ძვ. ქართ. -ავ/ -ვ სუფიქსის შესახებ, რომ ზანური უ-ს (ტიბ-უ-ნ) შეესატყვისი ქართული -ავ უნდა განვასხვავოთ ქართულში მეტად გავრცელებულ -ავ თემისნიშნისაგან, რომელიც სხვა წარმოშობისაა და ისტორიულად -ამ → -ავ (მ→ვ) ფონეტიკური გარდაქმნის წყალობით დაემსგავსა პასივის -ავ/-ვ ნიშანს ქართულში. რასაკვირველია, ამიტომაც შემცირდა -ამ თემისნიშნიან ზმნათა რაოდენობა ქართულში, ხოლო მ→ვ თანამედროვე მეტყველებაში ძირეულ ნაწილსაც გადასწვდა ზმნებში და ძალზე ხშირად ისმის ი-ზამ-ს ფორმის გვერდით ი-ზავ-ს.

II.9.1.2. დონიანი ვნებითი.

დონიანი ვნებითები შედარებით იშვიათად დაჩნდება მეგრულში, ლაზურში მისი გამოყენება უფრო აქტიურად ხდება (ალბათ ისტორიულად სალიტერატურო ქართულის მეტი ზეგავლენით). არის შემთხვევები, როცა ლაზურში უნიშნო ვნებითი ჩანს, მეგრულში კი – დონიანი ვნებითი: ლაზ. თან-უ-ნ „თენდება“ / მეგრ. თან-დ-უ-ნ „თენდება“. წარსულში დონიანი ვნებითის გამოყენება მეგრულშიც მეტი სიხშირით ხასიათდებოდა, რაზეც ტექსტებში ფიქსირებული მასალა მეტყველებს:

ლაზური

ჩქინ-დ-უ-ნ	
შქურ-დ-უ-ნ	
მე-ჭირ-დ-უ-ნ	„ბეზრდება“
მო-წყენ-დ-უ-ნ	
გო-მ-ა-კვირ-დ-უ-ნ	
გი-ო-კორ-დ-უ-ნ	
დო-ყონ-დ-უ-ნ	„ყოვნდება“
ნ-უ-ხონ-დ-უ-ნ	„ითმენს“
მო-ღორ-დ-უ-ნ	„ტყუვდება“
დო-ჭკინ-დ-უ-ნ	„იღლება“
მო-წონ-დ-უ-ნ	„მოეწონება“
დო-ჭკონ-დ-უ-ნ	„ევნება“
გო-ჭირ-დ-უ(-ნ)	„გაჭირდება“

მეგრული

რჩქინ-დ-უ(-ნ)	„ჩნდება“
შქურ-დ-უ(-ნ)	„შეშინდება“
გო-ჭირ-დ-უ-ნ	„გაჭირდება“
წყინ-დ-უ(-ნ)	„მოსწყინდება“
ო-კორ-დ-უ(-ნ)	„აკლდება“
შინ-დ-უ(-ნ)	„სივდება“
ჩენ-დ-უ(-ნ)	„ჩერდება“
რხინ-დ-უ(-ნ)	„ბერდება, ხუნდება“
რგი-დ-უ(-ნ)	„ცივდება“
თან-დ-უ(-ნ)	„თენდება“
ჩხონ-დ-უ(-ნ)	„ცხონდება“

როგორც ვხედავთ, ლაზურში მეტია დონიანი ვნებითის მაგალითები, ვიდრე მეგრულში, თუმცა მეგრულში დონიანი ვნებითი შეუერთდა სხვა ტიპის ვნებითებს და ორმაგ გაფორმებაში (სუფიქსაციაში) იღებს მონაწილეობას, რითაც თითქოს დონიან ვნებითთა რაოდენობა მეგრულში იზრდება. მხედველობაში გვაქვს -ან-იანი ვნებითები ზანურში, რომელიც ზედსართავებისაგან (სახელებისაგან) ნაწარმოებ ნასახელარ ზმნებში იჩენს თავს (იხ. მომდევნო პუნქტი).

II.9.1.3. -ან სუფიქსიანი ვნებითი მეგრულ-ლაზურში.

-ან-იანი ვნებითი დამახასიათებელი წარმოებაა ნასახელარ ზმნებში. ლაზურში იგი აუცილებლად დაირთავს ი- პრეფიქსს, რითაც პრეფიქსიანი ვნებითებს უახლოვდება. ლაზურშივე მას აწმყოში -ე სუფიქსაცია (თემის ნიშანი) ახასიათებს. ი- პრეფიქსი მეგრულშიც დასტურდება იშვიათად (სულ რამდენიმე ზმნაში), -ან-იანი ვნებითში, მაგრამ ყველა შემთხვევაში მას თან ახლავს ქართულიდან შესული -ებ თემისნიშანი, რაც ამგვარი დერივაციის მოშლის ტენდენციაზე უნდა მიუთითებდეს მეგრულში:

ლაზური

ვ-ი-ღულ-ან-ე-რ	
ვ-ი-ფართ-ან-ე-რ	
ვ-ი-მკულ-ან-ე-რ	„ვმოკლდები“
ვ-ი-მჭით-ან-ე-რ	„ვწითლდები“
ვ-ი-მჭიტ-ან-ე-რ	„ვპატარავდები“
ვ-ი-უჩ-ან-ე-რ	„ვშავდები“
ვ-ი-ქჩე-ან-ე-რ	„ვთეთრდები“...

მეგრული

ვ-ი-ღულ-ან-ებ-უ-ქ	„ვმრუდდები“
ვ-ი-ფართ-ან-ებ-უ-ქ	„ვფართოვდები“
ვ-ი-კურ-ან-ებ-უ-ქ	„კუროსავით ავტყდები“
ვ-ი-ბურთ-ან-ებ-უ-ქ	„ვბურთავდები“

ლაზურში ნასახელარ ზმნებში (ვნებითებში) -ან დერივაცია ერთადერთი ჩანს, მეგრულში კი ამგვარ ზმნებში სუფიქსაცია განსხვავებულია და, როგორც აღვნიშნეთ, ზმნათა ერთ წყებაში *-ან → -ონ დასტურდება, ოღონდ დონიანთან ერთად და, განსხვავებით ლაზურისაგან, ი-პრეფიქსის გარეშე:

მეგრული

ჭით-ონ-დ-უ(-ნ) ← *ჭით-ან-დ-უ(-ნ)	„წითლდება“
ჭვით-ონ-დ-უ(-ნ) ← *ჭვით-ან-დ-უ(-ნ)	„ყვითლდება“
ჭიჭ-ონ-დ-უ(-ნ) ← *ჭიჭ-ან-დ-უ(-ნ)	„ძლიერ ბრაზდება“
ხიკ-ონ-დ-უ(-ნ) ← *ხიკ-ან-დ-უ(-ნ)	„გახიკინდება, ძლიერ გახმება“
ხვირ-ონ-დ-უ(-ნ) ← *ხვირ-ან-დ-უ(-ნ)	„გაბრწყინდება, გაიბადრება“
ჩირ-ონ-დ-უ(-ნ) ← *ჩირ-ან-დ-უ(-ნ)	„შემდება, სახტად რჩება“
სის-ონ-დ-უ(-ნ) ← *სის-ან-დ-უ(-ნ)	„გაისუსება, გაიტრუნება“...

შდრ. სის-ან-დ-ობ-ა „გასუსვა“, „გატრუნვა“.

ლაზურში გამოყოფილი -ან სუფიქსიანი ვნებითის შესატყვისად მეგრულში -ონ-ის გამოჩენა შედეგია ა→ო ფონეტიკური გარდაქმნისა, რასაც ადასტურებს მომდევნო უ-ს პოვნირება აწმყოს წყებაში და მოქმედებითი გვარის სათანადო ფორმებში -ინ გახმოვანება, შდრ. გო-ჭით-ინ-აფ-ა „გაწითლება“, გო-ჭვით-ინ-აფ-ა „გაყვითლება“, გო-ჭიჭ-ინ-აფ-ა „ძლიერ გაბრაზება“, გო-ხიკ-ინ-აფ-ა „ძლიერ გახმობა“, გო-ხვირ-ინ-აფ-ა „გაბრწყინება“, გო-ჩირ-ინ-აფ-ა „გაშემება“, გო-სის-ინ-აფ-ა „გატრუნვა“... ვინაიდან ი/ ა, სუბსტიტუცია აქტივი / პასივის გამომხატველია ზანურში, შდრ. დირიკ-უ-ა „გადრეკა“/დირაკ-უ-ა „დრკომა“ (ვნებითი), პასივის ფუძეებში -ან სუფიქსაცია მიიჩნევა უწინარესად.

ზანურში -ან-იანი ვნებითის კორელატი ჩანს -ინ-იანი მოქმედებითი იმავე ფუძეებში, შდრ. მეგრული: ო-ჭით-ინ-უან-ს „აწითლებს“ ~ ჭით-ონ-დ-უ(ნ) ← *ჭით-ან-დ-უ-ნ „წითლდება“ (ლაზ. ი-ჭით-ან-ე-ნ, შდრ. მეგრ. გვარ-სახელი ჭით-ან-ავა), რაც სვანურში გამოვლენილი ი ~ ე აბლაუტის ტოლფასად გვეჩვენება: სვან. დიგ-ე „აქრობს“ ~ დეგ-ენ-ი „ქრება“. ამავდროულად დეგ-ენ-ი ფორმაში გამოვლენილი -ენ ზანურში ჩვენ მიერ გამოყოფილი -ან-ის ზუსტი ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისი უნდა იყოს – სვან. -ენ : ზან. -ან.

რაც შეეხება მეგრულის გე-ჭით-ორ-უ „გაწითლდა“ (მოქმ. გვარის ა-ჭით-ორ-ენ-ს „აწითლებს“) ფორმებს აქ გამონაწევრებული წარმოშობით ოდნაობითი ხარისხის -ორ-ა სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს (ლაზ. მო-/დო-მჭით-ორ-ა „მოწითალო“), რომლის სემანტიკა თვალნათლივ ცხადდება მეგრულის გინ¹მი-ჭით-ორ-უ-ან-ს „წაიწითლებს“ ტიპის დერივაციაში და არაფერი აქვს საერთო ქართულის -ელ (წით-ელ-) სუფიქსთან (შდრ. კ. დანელია), შდრ. სვან. -არა : წ²რნი-არა „მოწითალო“, თ...ეთ...ენი-არა „მოთეთრო“...

სალიტერატურო ქართულის ზეგავლენით, როგორც ეტყობა, შევიწროვდა დონიანი ვნებითის წარმოება მეგრულ-ლაზურში, რამაც პრეფიქსული წარმოების გააქტიურება გამოიწვია; ეს ტენდენცია განსაკუთრებით მეგრულში გამოიკვეთა და კარგად ჩანს ქართულიდან ნასესხებ ფუძეებში (შდრ. ქართ. შენ-დ-ებ-ა/მეგრ. ი-შენ-ებ-უ(-ნ)).

იგივე შეიმჩნევა ზედსართავი სახელებისაგან ვნებითის ფორმათა დერივაციისას ზედსართავი ფუძის ორ/-არ სუფიქსთა დართვასთან ერთად. ამიტომაც ხშირია პარალელური წარმოება მეგრულში: ჭით-ონ-დ-უ(-ნ) || ი-ჭით-ორ-ებ-უ(-ნ) „წითლდება“, ჭვით-ონ-დ-უ(-ნ) || ი-ჭვით-ორ-ებ-უ(-ნ) „ყვითლდება“...

ზოგ ფუძესთან დონიანი ვნებითი მოშლილია და მხოლოდ პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება დასტურდება, მაგ.: **ო-უჩ-ორ-ებ-უ(-ნ)** „შავდება“, **ო-რჩი-ოლ-ებ-უ(-ნ)** „თეთრდება“, **ო-ჭიჭ-ორ-ებ-უ(-ნ)** „პატარავდება“, **ო-დიდ-ორ-ებ-უ(-ნ)** „დიდება“...

რა წარმოშობისაა ამ კონფიქსურ დერივაციაში **-ორ→||-არ** სუფიქსი?

ვფიქრობთ, იგი ოდნობითი ხარისხის უძველესი ზანური სუფიქსი უნდა იყოს, რომელიც სპორადულად დღეს მხოლოდ ლაზურში იჩენს თავს: **დო-მჭით-ორ-ა** „მოწითალო“, **დო-გუნძ-ორ-ა** „მოგრძო“, **დო-უჩ-ორ-ა** „მოშავო“...

იგივე **-ორ** უნდა ჩანდეს ნაშთის სახით **-უან** სუფიქსით ნაწარმოებ ზედსართავი წარმომავლობის ნასახელარ ზმნებში: გინ^ნმი-**უჩ-ორ-უან-ს** „წაიშავებს, მოიშავებს“, გინ^ნმი-**ჭით-ორ-უან-ს** „წაუწითლებს“...

მორფოლოგიურად გამოხატული მიჩნევის ვნებითები ლაზურში არ ფიქსირდება, ამგვარი ვნებითები მხოლოდ აღწერიტად გადმოიცემა (დიდო მაძირენ „დიდად მეჩვენება“). რაც შეეხება მეგრულს, აქაც **-ორ/ -არ**, სუფიქსიანი წარმოება გვექნება **ო-** პრეფიქსთან ერთად [შეროზია, 1983]

მეგრული

მ-ო-ჭიჭ-ორ-უ(-ნ)	„მეპატარავება“
მ-ო-დიდ-ორ-უ(-ნ)	„მედიდება“
მ-ო-კუნტ-ორ-უ(-ნ)	„მემოკლება“
მ-ო-გინძ-ორ-უ(-ნ)	„მეგრძელაბა“
მ-ო-ჭით-ორ-უ(-ნ)	„წითლად მეჩვენება“
მ-ო-უჩ-ორ-უ(-ნ)	„შავად მეჩვენება“...

ე. წ. მიჩნევის ვნებითები მეგრულში სტატიკური ზმნებია, რომელთაც, როგორც ყველა სხვა სტატიკურ ზმნას, აორისტის დრო-კილოები (ნაკვთები) არ ეწარმოება. სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ, ვინაიდან „მე-პ სუბიექტური პირის ნიშანი (-ნ) აბსოლუტურ ბოლოში იკარგება, ამიტომ აწმყოსა და წყვეტილის ფორმები **-უ-ზე** დაბოლოვდა (აწმყოში **-უ** თემისნიშანია, წყვეტილში – მე-პ სუბიექტური პირის ნიშანი). რომ არა **ო-ს** შეცვლა ე-თი, აწმყოსა და წყვეტილის ფორმები ერთმანეთს დაემთხვეოდა. მაგალითად, **მ-ო-დიდ-არ-უ(-ნ)** „მედიდება“ – აწმყო : ***მ-ო-დიდ-არ-უ** (წყვეტილის **ო-თი** წარმოების შემთხვევაში), ამიტომ გვაქვს: **მ-ე-დიდ-არ-უ** „მედიდა“ (წყვეტილი) [კარტოზია..., 2010, 208]“, არ ითვალისწინებს მეგრულ-ლაზურში მკაცრად გატარებულ წესს, რომ სტატიკურ ზმნებს ზანურში ახასიათებთ მხოლოდ აწმყოს წყების დრო-კილოები (ნაკვთები) და საერთოდ არ ეწარმოებათ აორისტი (წყვეტილი). რაც შეეხება **მ-ე-დიდ-არ-უ** (აორისტი) ფორმას, ის ქართული გრამატიკის ფაქტია და ამაზე ე გახმოვანებაც მიუთითებს.

იგივე სურათი იკვეთება **ო-** პრეფიქსიან სხვა სტატიკურ ზმნებშიც, აწმყოში გვექნება **ო-ხვარ-უ(-ნ)** „ეხმარება“, მაგრამ აორისტში ქართულის ე-იანი **მ-ე-ხვარ-უ** გამოჩნდება (შდრ. **მ-ე-ხვარ-ებ-უ-ნ** „ეხმარება“), რადგანაც საკუთრივ მეგრული ფორმაწარმოება აორისტში სტატიკური ზმნებისთვის უცხოა (არაკანონიკურია).

II.9.1.4. „კონფიქსური“ ვნებითები.

სათაურშივე სიტყვა კონფიქსური ჩავსვით ბრჭყალებში, ვინაიდან ვფიქრობთ, რომ ვნებითის ეს ტიპი მხოლოდ აწმყოშია კონფიქსური, თორემ აორისტში მის ნებისმიერ სახეობას მხოლოდ პრეფიქსებილა შერჩება, ანუ ვნებითის მაწარმოებელი ზანურის ორსავე დიალექტში (ისევე, როგორც ქართულში) **ი-, ა-, ო-** პრეფიქსებია მხოლოდ; აღწერისას ძირითადად აწმყოს ფორმებს მივმართავთ, ამიტომაც თითოეული ვნებითის ტიპი წარმოდგენილი იქნება აწმყოსთვის დამახასიათებელი „კონფიქსების“ მიხედვით.

ა) **ი – ე** სტრუქტურის ერთპირიანი ვნებითი მიჩნეული იყო, რომ მხოლოდ ლაზურს ახასიათებდა [ჩიქოვაძე, 2008, 122-126]; ძირითადად მართლაც ასეა, მაგრამ მეგრულში დაიძებნა ისეთი ნიმუშები, როცა აქაც **ი – ე** ტიპის ვნებითი გვაქვს და ამავდროულად ამ ზმნებისათვის არ არის პოვნეირი პოტენციალისის გაგება (შინაარსი):

ლაზური		მეგრული	
ი-კანკ-ენ	„ირეკება, კაკუნობს“	ი-სიმ-ე(-ნ)	„ისმის“
ი-ხინ-ენ	„ხუნდება“	ი-რჩილ-ე(-ნ)	„ელოდება, ესმის“
ი-ბახ-ენ	„ირტყმევინება“	ი-რულ-ე(-ნ)	„ირბენს, მირბის“
ი-თორ-ე-ნ	„მიეთრევა“	ი-ჯინ-ე(-ნ)	„იყურება“
ი-წკ-ენ	„იყურება“	ი-რწყებ-ე(-ნ)	„გამოჩნდება, მოსჩანს“
ი-ძირ-ე-ნ	„ჩანს“	ი-ძირ-ე(-ნ)	„ჩანს“...

ბ) **ა – ე** ორპირიანი კონფიქსური წარმოებისათვის რაოდენობრივად კიდევ უფრო მეტი ნიმუში ვლინდება, ვიდრე **ი – ე** ვნებითის შემთხვევაში:

ლაზური		მეგრული	
გა-ა-თხოზ-ენ	„დაედევნება“	ა-ჯინ-ე(-ნ)	„ელოდება“
ა-ჭინ-ენ	„ილღება“	ა-სიმ-ე(-ნ)	„ესმის“
ა-ნჯუგ-ენ	„შეზიზღდება“	ა-რულ-ე(-ნ)	„არულ-ე(-ნ)“
	„ემინება“		
ა-წონ-ენ	„მიაჩნია“	ა-რჩილ-ე(-ნ)	„ესმის“
ნ-ა-დგ-ენ	„მიადგება“	ა-ნგარ-ე(-ნ)	„ეტირება“
ა-ჯერ-ენ	„ეჯერება, სჯერა“	ა-შქირენ-ე(-ნ)	„მოშივდება“
ა-ხვალ-ენ	„ახველებს“	მ-ა-ლ-ე(-ნ)	„მოსდის“
ა-ჯუნდ-ენ	„ეკოცნება“	დ-ა-გურ-ე(-ნ)	ონჯღორე „ესირცხვილება“
გა-ა-ნკაპ-ენ	„ეცემა“	გ-ა-შინ-ე(-ნ)	„გაახსენდება“
ა-შქურინ-ენ	„ეშინია“	ა-ჩოდ-ე(-ნ)	„ეცლება“
ა-ჭვ-ენ	„სტკივა“	ა-შქურინ-ე(-ნ)	„შეეშინდება“

ა-წკუნ-ენ	„სტკივა“	ა-ჭკ-ე(-ნ)	
„(ა)სტკივდება“			
ა-ძირ-ენ	„ემჩნევა“	ა-წყუნ-ე(-ნ)	„ატკივდება“
		ა-ძირ-ე(-ნ)	„ემჩნევა, უჩანს“...

გ) ა – უ, როგორც ცნობილია, მეგრულს ახასიათებს ორპირიანი, მიმართებითი ფორმის ვნებითისათვის, ა – უ და ი – უ ვნებითების გავრცელების გაფართოებით მეგრულმა მკაცრად (თუმცა არა ბოლომდე) გამოიჯნა ერთმანეთისაგან პოტენციალისი (ა – ე, ი – ე) და ვნებითი (ა – უ, ი – უ). ფაქტია, რომ ა – უ (ი – უ) მეგრულში მხოლოდ ვნებითია, მაშინ, როდესაც ა – ე და ი – ე პოტენციალისი შეიძლება იყოს და ვნებითიც (იხ. ზემოთ). რაც შეეხება ლაზურს, ა – უ ლაზურისთვისაც ბუნებრივია, თუმცა უფრო ხშირად ის -აფ თემისნიშნით არის გაშუალებული, რაც მეგრულშიც ბუნებრივია:

ლაზური		მეგრული	
ა-თხოზ-უ-ნ	„აედევნება“	ა-ჩამ-უ(-ნ)	„ჰკბენს, ექავება“
ა-ჭ(ვ)-უ-ნ	„ეწვის, სტკივა“	ა-ჭ(უ)-უ(-ნ)	„ეწვის, სტკივა“
ა-ლ-აფ-უ-ნ	„ვივლით“	ა-ჭყ-აფ-უ(-ნ)	„ეწყება“
ა-ხენ-აფ-უ-ნ	„ეკეთება“	ა-რაგ(ვ)-უ(-ნ)	„ეჯახება“
ა-ნტალ-აფ-უ-ნ	„გაერევა“	ა-ჭყვად-უ(-ნ)	„უწყდება“
ა-ჭვ-აფ-უ-ნ	„ეყოლება“	ა-ჭუ-აფ-უ(-ნ)	„ექნება, ეყოლება“
ა-ხელ-უ-ნ	„უხარია“	ა-ჩვაგ-უ(-ნ)	„ბრმად ხვდება“...

ვნებითის წარმოებისას კიდევ ერთი უგამონაკლისო წესი იკვეთება ზანურისათვის, კერძოდ, -აფ თემისნიშნიან ვნებითებში მეგრულიც და, რაც მთავარია, ლაზურიც მხოლოდ ა – უ სტრუქტურას აჩვენებს, ანუ *ა – აფ – ე ორსავე ქვესისტემაში აკრძალულია, რაც ვნებითი გვარის ჩასახვა-განვითარების ერთიან სისტემაში ჯდება და საერთოზანური მოვლენა ჩანს. მართალია, ესა თუ ის წარმოება ვნებითებში მეტ-ნაკლები სიხშირით არის დამახასიათებელი ზანური დიალექტებისთვის, მაგრამ ფაქტია, რომ წარმოების ტიპი ერთნაირად მრავალფეროვანია ვნებითი გვარის წარმოებისას.

დ) ი – უ წარმოება მეტად პროდუქტულია მეგრულში, მაგრამ ლაზურშიც დადასტურდა მაგალითები [ჩიქობავა, 1936, 110-114; კარტოზია, 2005, 140-141] ი – უ ვნებითებისა, თუმცა ძირითადად ი – აფ – უ სტრუქტურის ზმნურ ფუძეებში, მაშინ, როდესაც მეგრულში ორივე (ი – უ და ი – აფ – უ) ტიპი (სახეობა) მეტად გავრცელებულია და იფართოებს საკუთარ დისტრიბუციას; აქაც ისევე, როგორც ა – უ-ს შემთხვევაში მეგრულ-ლაზურში -აფ თემისნიშნიან ფუძეებში მხოლოდ ი – აფ – უ წარმოება არის დასაშვები, ხოლო *ი – აფ – ე ორსავე დიალექტში აკრძალულია სათანადო ვნებითების წარმოების დროს:

ლაზური		მეგრული	
ი-მფულ-უ-ნ	„იმალება“	ი-ფულ-უ(-ნ)	„იმალება“
ი-სტ-უ-ნ	„ისხლიტება“	ი-კაზ-უ(-ნ)	„იკაზმება“
ი-ნწოფულ-უ-ნ	„იწაფება“	ი-ჩოლ-უ(-ნ)	„იცლება“

გამ-ო-თხვ-აფ-უ-ნ	„თხოვდება“	ო-თხუ-აფ-უ(-ნ)	
	„თხოვდება“		
ო-მტ-აფ-უ-ნ	„გარბის“	ო-ნჭუ-აფ-უ(-ნ)	„ისწრაფვის“
გუ-ო-ქთ-აფ-უ-ნ	„გაბრუნდება“	ო-რთ-აფ-უ(-ნ)	„იბრუნვის“
ო-გუბ-აფ-უ-ნ	„იხარშება“	ო-გიბ-უ(-ნ)/ო-ხაშ-უ(-ნ)	„იხარშება“
ო-შირ-აფ-უ-ნ	„იცვითება“	ო-შირ-უ(-ნ)	„იცვითება“
გო-ო-თურ-აფ-უ-თ	„დაეთრევით“	ო-ჭყ-აფ-უ(-ნ)	„იწყება“
ო-გორ-აფ-უ-ნ	„იგინება“	ო-გორ-აფ-უ(-ნ)	„იგინება“...

ე) **ო – უ** „კონფიქსური“ ორპირიანი ვნებითი ხშირად არის სამეცნიერო ლიტერატურაში არეული **ო – უ** სტატიკურ ზმნებთან, თუმცა ამ უკანასკნელთ აორისტი საერთოდ არ გააჩნიათ; საპირისპიროდ, **ო – უ** ვნებითებს აწმყოს და აორისტის ნაკვთები უპრობლემოდ ეწარმოებათ. ამასთანავე **ო – უ** ვნებითების რიცხვი ძალზე მცირეა:

ლაზური	მეგრული	ქართული
ვ-ო-ჭკონდ-უ-რ	ვ-ო-ჭყორდ-უ-ქ	ვ-(ა)-წყდ-ებ-ი
ო-ჭკონდ-უ-რ	ო-ჭყორდ-უ-ქ	(ა)-წყდ-ებ-ი
ო-ჭკონდ-უ-ნ	ო-ჭყორდ-უ(-ნ)	(ა)-წყდ-ებ-ა
მ-ო-ჭკონდ-უ-ნ	მ-ო-ჭყორდ-უ(-ნ)	მ-(ა)-წყდ-ებ-ა
გ-ო-ჭკონდ-უ-ნ	გ-ო-ჭყორდ-უ(-ნ)	გ-(ა)-წყდ-ებ-ა
ო-ჭკონდ-უ-ნ	ო-ჭყორდ-უ(-ნ)	(ა)-წყდ-ებ-ა

ჯერ-ჯერობით ეს ზმნა არის ერთადერთი, რომელსაც **ო – უ** ვნებითი ეწარმოება და ამავდროულად მეგრულშიც და ლაზურშიც სრულად არის წარმოდგენილი; ქართული შესატყვისი იმისთვისაა მოხმობილი, რომ თვალნათლივ გამოჩნდეს ამგვარი წარმოების საერთოქართველურობა, ამასთანავე, გამორიცხოს მისი დონიან ვნებითებთან კავშირი, რასაც აქამდე უეჭველად მიიჩნევდნენ [ჩიქოზავა, 2008, 123; დანელია, 1976, 174].

ვ) **ო – ე** „კონფიქსური“ წარმოებაც ჯერჯერობით მარტო ერთი ნიმუშით არის წარმოდგენილი, ისიც მხოლოდ მეგრულში:

აწმყო			
გუ-ვ-ო-ჯინ-ე-ქ	„გავხედავ“	გუ-მ-ო-ჯინ-ე-ქ	„გამხედავ“
აორისტი			
გუ-ვ-ო-ჯინ-ი	„გავხედე“	გუ-მ-ო-ჯინ-ი	„გამხედე“

მეგრულში **ჯინ-** „ხედავ“ ზმნისთვის ასევე ბუნებრივია **ი-ნიანი** და **ა-ნიანი** ვნებითებიც: **ა-ჯინ-ე(-ნ)** „ელოდება“ – **ა-ჯინ-უ** „დაელოდა“; **ი-ჯინ-ე(-ნ)** „იყურება“ – **ი-ჯინ-უ** „იყურა“.

დასტურდება **ჯინ-**ისგან ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ფორმები: **ვ-ო-ჯინ-უან-ქ** „ვალოდინებ“ – **ვ-ო-ჯინ-ჭ** „ვალოდინე“ და კაუზატივი: **ვ-ო-ჯინ-აფ-უან-ქ** „ვაყურებინებ“ – **ვ-ო-ჯინ-აფ-ჭ** „ვაყურებინე“.

ზ) ე – უ კონფიქსური ვნებითი მეგრულისთვის ცალკე სახეობად არნ. ჩიქობავამ გამოყო შემდეგ მაგალითებში:

ე-ნატრებ-უ(-ნ)	„ენატრება“
ე-სურებ-უ(-ნ)	„ესტუმრება“
ე-წუხებ-უ(-ნ)	„უწუხდება“ [ჩიქობავა, 2008, 126].

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ფორმები არ განეკუთვნება მეგრულის მორფოლოგიას, იგი ნარევი მეტყველების ნიმუშად თუ გამოდგება მხოლოდ. აქ არც ფუძე და არც პრეფიქსაცია მეგრულს არ ეკუთვნის, და თუ მეგრულ შემადგენელზე მაინც ვისაუბრებთ, ასეთად მხოლოდ უ-(-ნ) დაბოლოება გვესახება. დასახელებულ ნიმუშთა საკუთრივ მეგრულ შესატყვისად ალბათ გამოდგებოდა შემდეგი სტატიკურ ზმნათა ფორმები:

ო-ნარტ-უ(-ნ)	„ენატრება“
ო-სურ-უ(-ნ)	„ესტუმრება / სტუმრობს“
ო-წუხ-უ(-ნ)	„უწუხს / აწუხებს“...

იგივე ითქმის ნ. მარის მიერ ლაზურში ფიქსირებული ე-ზარებ-უ-ნ / უ-ზარებ-უ-ნ „ეზარება“ ფორმის შესახებაც.

II.9.1.5. ვნებითის ინფიქსური გამოხატვა.

ვნებითის ინფიქსური გამოხატვის ერთი შემთხვევა დასტურდება ზანურის ორსავე დიალექტში, თანაც ერთსა და იმავე ძირში. ცნობილია, რომ ქართულის ტეხ-ს ზმნას ზანურში ტახ- შესატყვისება [ჩიქობავა, 1938, 322].

ამ შემთხვევაში დაცულია როგორც ფონეტიკური შესატყვისობა, ისე სემანტიკური ერთიანობაც. ქართულში ტეხ- ზმნისგან ვნებითი იწარმოება ედ-→/ -დ- სუფიქსის დართვით, რასაც თან ახლავს ფონეტიკური გარდაქმნები: ტეხ-ედ- → *ტხ-დ- → ტყ-დ, ანუ გა-ტყ-დ-ა-ში, როგორც ა. შანიძემ გაარკვია, ქართულისათვის უჩვეულო ტხ შეიცვალა ბუნებრივი ტყ კომპლექსით [შანიძე, 1930, 11].

განსხვავებული ვითარება გვაქვს მეგრულ-ლაზურში, აქ ვნებითობა იმავე ძირის (ტეხ- /ტახ-) ზმნისაგან გამოიხატება არა დონიანი ფორმების გამოყენებით, არამედ -ორ/ -ურ ინფიქსებით:

ლაზური		მეგრული / სამურზაყანოული
ტ-რუ-ხ-უ-ნ	„ტყდება“	ტ-ირ-ხ-უ(-ნ) ტ-ორ-ხ-უ(-ნ)
„ტყდება“		
ტ-უ-ხ-უ-ნ	„ტყდება“	ტ-რ-ხ-უ(-ნ)
„ტყდება“		
ტ-რო-ხ-უ-ნ ტ-ორ-ხ-უ-ნ	„ტყდება“	
გო-ტ-რუ-ხ-უ		გო-ტ-ირ-ხ-უ გო-ტ-ორ-ხ-უ „გატყდა“
გო-ტ-უ-ხ-უ	„გატყდა“	გო-ტ-რ-ხ-უ „გატყდა“

გო-ტ-რო-ხ-უ||გო-ტ-ორ-ხ-უ „მოტყდა“

მეგრულში -ირ- ინფიქსი სენაკურს ახასიათებს, -^რ- ზუგდიდურში დასტურდება, ორივე მომდინარეობს ამოსავალი (ლაზურისებური) -ურ-ისგან: -ურ- → -^რ- → -ირ-. რაც შეეხება სამურზაყანოულის -ორ- ინფიქსს, იგი იმეორებს ლაზურში ფაკულტატიურად გამოვლენილ ასევე ო გახმოვანებას. ფაქტია, რომ ოდესღაც ზანურში მოქმედებდა -ურ-||-ორ- ინფიქსური ვნებითის ტიპი, რომლის აშკარა ნაშთი მეგრულ-ლაზურ ტ-ურ-ხ/ტ-ორ-ხ- „ტყდება“ ზმნას შემორჩა.

მოვლენა უნიკალურია, მაგრამ ამავდროულად დიდ სიძველესაც აჩვენებს, ვინაიდან, მიგვაჩნია, რომ ზანურში თავჩენილი ეს -ურ-/-ორ- ვნებითების სუფიქსი გენეტიკურ კავშირშია სვანურის -ოლ სუფიქსიან, საკმაოდ გავრცელებულ ვნებითებთან, რომელიც, ისევე, როგორც მეგრულ-ლაზური, საერთოქართველური წარმომავლობისად მიიჩნევა და, საერთო-ქართველურისთვის რეკონსტრუირდება *-ოლ სუფიქსური ვნებითი.

არ გამოვრიცხავთ აგრეთვე ინფიქსური ვნებითების კვალს ისეთ მეგრულ-ლაზურ ზმნებში, როგორცაა: ლაზ. ჩ-ულ-ეთ- ~ მეგრ. ჩ-^ლ-ათ- / ჩ-ილ-ით-, ჩ-^რ-თ-უ(-ნ) „ცდება“, მეგრ. შ-ულ-ად- / შ-ულ-იდ-, შ-ურ-დ-უ(-ნ) „იღლება“, ჭყ-ოლ-ად- / ჭყ-ოლ-იდ-, მეგრ. ო-ჭყ-ორ-დ-უ(-ნ), ლაზ. ო-ჭკ-ინ-დ-უ(-ნ) (←*ო-ჭკ-ორ-დ-უ(-ნ) „ავიწყდება“, სქ-ულ-ედ- ~ სქ-^ლ-იდ / სქ-ილ-ად-, სქ-უ-დ-უ-ნ (*←სქ-ურ-დ-უ(-ნ) „მთება, რჩება“. ამ ტიპის ზმნებში დონიან ვნებითებს ხედავდნენ, ისევე როგორც მეგრულ ჭორ-დ-უ-ნ „ლპება“ ზმნაში [დანელია, 1976], მაგრამ მსგავსი სტრუქტურის ზმნებში დონიანი ვნებითის გამოყოფა უხერხულია, ვინაიდან მეგრ. ყორ-დ-უ-ნ ზმნაში (რომელიც ქართულ ყარ-ს ზმნას უკავშირდება გენეტიკურად) ეს -დ გამოჩნდება მოქმედებითი გვარის ფორმებშიც, შდრ. ჭორდ-უ(-ნ) „ლპება“, მაგრამ ჭორიდ-უნ-ს „ალობს“, ასევე შურდ-უ(-ნ) „იღლება“, მაგრამ შულიდ-უნ-ს „ღლის“ და ა. შ. ამდენად აქ -ოლ-/-ულ- და -დ სხვადასხვა წარმომავლობისაა.

ასე რომ, ცხადია, წინათ მეგრულ-ლაზურში საკმაო სიხშირით ფუნქციონირებდა -ოლ-/-ულ- სუფიქსიანი (სვანურისებური) ვნებითი, რომელნიც დროთა განმავლობაში CVC სტრუქტურის ზმნათა შიგნით აღწევენ და ასე თანდათანობით კარგავენ ვნებითობის გამოკვეთილ ფუნქციას და ხდებიან ფუძის ნაწილი; თუმცა შედარებითი ანალიზის გამოყენებით დღესაც ადვილად ხერხდება მათი გამონაწევრება და ოდინდელი (ვნებითობის) ფუნქციის დადგენა.

II.9.1.6. ე.წ. ფუძედრეკადი ანუ აბლაუტური ვნებითი.

ე.წ. ფუძედრეკადი ანუ აბლაუტური ვნებითი ზანურში ახასიათებს ზმნათა საკმაოდ ვრცელ რაოდენობას. ამასთან დაკავშირებით ჩვენ უფრო ვრცელი საუბარი აბლაუტური სახელზმნების წარმოებისას გვქონდა, მაგრამ აქაც შევნიშნავთ, რომ ვნებითის აბლაუტური დერივაცია გავრცელებული იყო მეგრულ-ლაზურში, ისევე, როგორც ქართულში და ხშირად პარალელური წარმოებითაც გამოირჩეოდა:

ლაზური	მეგრული
დურკ-უ-ნ	დირკ-უ(-ნ) „დრკება“ ი-დირკ(-უ)(-ნ) „იდრიკება“

შენიშვნა: ცალკე (სპეციალური) განხილვის ღირსია -ათ სუფიქსიანი ვნებითები მეგრულ-ლაზურში: ლაზ. მ-ა-მჩხვ-ათ-უ „დამცხა“, მეგრ. დე-მონკ-ათ-უ „დაფხმძიმდა“...

II.9.2. მოქმედებითი გვარი.

მოქმედებითი გვარი მეგრულ-ლაზურში ხასიათდება სტრუქტურული თავისებურებით, რაც გამოარჩევს მას ვნებითი გვარისაგან. კერძოდ, მოქმედებითი გვარის ზმნებს აწმყოში (I სერია) არ ექნებათ -უ და -ე სუფიქსები, რომელიც ვნებითი გვარის ზმნებისათვის არის დამახასიათებელი. და პირიქით, ვნებითი გვარის ზმნებში არასოდეს შეგვხვდება მოქმედებისათვის ბუნებრივი დაბოლოებები (თემის ნიშნები) აწმყოში; ასევე, მხოლოდ მოქმედებითი გვარის ზმნებში დგას II სერიაში უახლოესი ობიექტის ბრუნვა სახელობითში (ლაზურში ყველა სერიაში, მეგრულში მხოლოდ მეორეში). მოქმედებითი გვარის ზმნათა სუბიექტი ლაზურში ყოველთვის მოთხრობით (ერგატიულ) ბრუნვაშია (სერიებს მნიშვნელობა არა აქვს). ამ უკანასკნელი თვისებით ერთიანდება მოქმედებითი და გარდამავალი ზმნები ლაზურში.

მოქმედებითი გვარის ზმნათა მარკერად უნდა გამოიყოს **ო-** პრეფიქსი მეგრულ-ლაზურში, ვინაიდან ზმნათა გარკვეული კატეგორია (წყება) ამ **ო-** პრეფიქსის გარეშე არც ფუნქციონირებს:

ლაზური	მეგრული	
ო-ფმ-აფ-ს/ ო-ფმ-ამ-ს	ო-ფმ-ან-ს ← *ო-ფმ-ამ-ს	„ავსებს“
ო-ბლ-აფ-ს/ ო-ბლ-ამ-ს	ო-რღვ-ან-ს ← *ო-რღვ-ამ-ს	„ყრის“
ო-გ-აფ-ს/ ო-გ-ამ-ს	ო-გ-ან-ს ← *ო-გ-ამ-ს	„აგებს“
ო-გზ-აფ-ს/ ო-გზ-ამ-ს	ო-რზ-ან-ს ← *ო-გზ-ამ-ს	„ანთებს“
ო-რჩ-აფ-ს/ ო-რჩ-ამ-ს	ო-რჩ-ან-ს ← *ო-რჩ-ამ-ს	„აფენს“...

-აფ დაბოლოება ხოფურის კუთვნილებაა და **მ→ფ** ფონეტიკურ პროცესს ვარაუდობს, რაც -ს **ს** პირის ნიშნის წინ უნდა მომხდარიყო თავდაპირველად, შემდგომში იგი (ფ-იანი სახეობა) მთელს I სერიაში დამკვიდრდა (ანალოგიით). იგივე საფუძველი ჩანს **მ→ნ** გარდაქმნა-ნაზალიზაციის პროცესისათვის მეგრულში. მეგრული სხვა მხრივაც არის საინტერესო, აქ გარკვეულ **ო-** პრეფიქსიან ზმნებში, ლაზურისგან განსხვავებით, გამოჩნდება -**უ** „ინფიქსი“, რომელიც **განგრძობითობის აფიქსი** გვგონია, შდრ. ლაზ. ო-გურ-ამ-ს ~ მეგრ. ო-გურ-უ-ან-ს „ასწავლის“, ლაზ. ო-ნდლულ-ამ-ს ~ ო-ნდლულ-უ-ან-ს „ადნობს“.

ო- პრეფიქსი შეიძლება შეგვხვდეს უთემისნიშნო ზმნებთანაც, მაგ. ლაზ. მე-მ-ო-ბარ-ს, მეგრ. მე-მ-ო-ბარ(-ან)-ს „მომაბერავს“. **ო-** პრეფიქსთან შესაძლებელი ჩანს სხვადასხვა თემისნიშანთა გამოყენებაც, შდრ.: ლაზ. ო-ბ-უმ-ს / ო-ბ-უფ-ს (ხოფ.) ~ მეგრ. ო-ბ-უნ-ს ← *ო-ბუმ-ს „ასხამს“ და სხვ. **ო-**ს შეიძლება ჩაენაცვლოს **ი-** პრეფიქსიც, ასეთ ზმნათა რიცხვი შედარებით მცირეა მეგრულ-ლაზურში: ლაზ. ი-ბონ-ს ~ მეგრ. ი-ბონ-ს, ლაზ. ი-მგარ-ს ~ მეგრ. ი-ნგარ-ს „ტირის“, ი-ჰკ-ამ-ს ~ ი-ჰყ-ან-ს „იწყებ“, ი-ქუმ-ს ~ ი-ქუნ-ს „იზამს“...

მეგრულ-ლაზურში ყველაზე გავრცელებულ მოქმედებითი გვარის სახეობად შეიძლება ჩაითვალოს **-უმ** თემისნიშნიანი ზმნები (ხოფურში **-უფ**, მეგრულში **-უნ**):

ლაზური	მეგრული	
ბერგ-უმ-ს	ბარგ-უნ-ს	„მარგლავს, თოხნის“
ბახ-უმ-ს	ბახ-უნ-ს	„ურტყამს“
გორ-უმ-ს	გორ-უნ-ს	„ეძებს“
ნდრიკ-უმ-ს	დირიკ-უნ-ს	„დრეკს, ღუნავს“
თიფ-უმ-ს	თიფ-უნ-ს	„თიბავს“...

შენიშვნა: ლაზურში **-უმ**-ს ზოგჯერ **-იმ** შეენეცვლება: დგ-უმ-ს / დგ-იმ-ს, ხოფურში **-იფ**:- დგ-უფ-ს / დგ-იფ-ს „დგამს“...

ხშირია ასევე **-ამ** თემისნიშნიანი ზმნების გამოყენებაც: ლაზ. ჭ-ავ-ს / ჭ-ამ-ს ~ მეგრ. ჭ-ან-ს „კერავს“; ზ-ამ-ს ~ ზ-ან-ს „ჭყლეტს, ზილავს“; მე-ჩ-ამ-ს ~ მე-ჩ-ან-ს „მისცემს“; ღოდ-ამ-ს ~ ღოდ-ან-ს „უზამს“...

იშვიათია **-ონ** ძველი სუფიქსის გამოყენება ორსავე დიალექტში, ისიც მხოლოდ განსხვავებულ ზანურ ძირში ჩანს: ლაზ. ზოპ-ონ-ს „ამბობს“, ზოპ-უ „თქვა“, მეგრ. პ-ონ-ს „ჰყვავის“, პ-უ „აყვავდა“.

-ემ თემის ნიშანი მხოლოდ ერთ საერთო ზმნურ ფუძეში ჩანს: ლაზ. უ-წოლ-ემ-ს ~ მეგრ. უ-წოლ-ენ-ს „ეტყვის“.

მეგრულში **-ენ(←*ებ)** მეტად ხშირია სტატიკურ (ე. წ. მედიოაქტივებში, სადაც ის ქართული **-ობ** თემის ნიშნის ფუნქციური შესატყვისია) და ბუნებრივია უგვარო ზმნებშიც: დო-წ-ენ-ს – დო-წ-უ „დაიქცა (სითხე)“, დო-ც-ენ-ს – დო-ც-უ „დაცვივდა“...

ამდენად, ფაქტია, რომ **-უმ**, **-ამ**, **-ემ** თემისნიშნიანი ზმნები მხოლოდ მოქმედებითი გვარისა შეიძლება იყოს მეგრულ-ლაზურში და ისინი არასდროს განმეორდებიან ვნებითი გვარის ზმნებში. გამონაკლისს წარმოადგენს ე. წ. კონფიქსური ვნებითები – ი-დგ-უმ-უ-(ნ) „იდგმება“ / ა-დგ-უმ-უ-(ნ) „ედგმება“; ი-ჭყ-ავ-უ-ნ / ა-ჭყ-ავ-უ-ნ : ქართ. ი-წყ-ებ-ა / ე-წყ-ებ-ა, ი-რმ-ამ-უ-(ნ) „ინთება“ / ა-რმ-ამ-უ-(ნ) „ენტება“, მაგრამ აქაც ზმნის სტრუქტურა მკაცრადაა მოწერისგებული, ვინაიდან **-ავ**-ის მომდევნოდ I სერიაში ვნებითი გვარის ზმნები **-უ** აფიქსს გამოაჩენენ, რაც გამორიცხულია მოქმედებითი გვარის ზმნებში, რადგანაც **-უ** (აგრეთვე **-ე**) სუფიქსაცია მოქმედებითი გვარის ზმნებში არასოდეს გამოჩნდება, ისევე, როგორც **ნ** **ს** პირის ნიშნად.

II.9.3. ვნებითი გვარი და პოტენციალისის კატეგორია მეგრულ-ლაზურში.

როგორც ვნახეთ, ზანურ დიალექტებში გვარის კატეგორია მკაფიოდ არის გამოკვეთილი – მოქმედებითი და ვნებითი (საშუალო გვარი აქ თითქმის არ ჩანს და ლოგიკურია ფიქრი იმაზე, რომ იგი უგვარო ზმნებში უნდა განვიხილოთ).

ვნებითი გვარის ზმნები გარდაუვალია, მაშინ, როდესაც ყველა მოქმედებითი გვარის ზმნა ყოველთვის გარდამავალი ჩანს.

გამოყოფილია ვნებითის რამდენიმე მაწარმოებელი აფიქსი ორსავე დიალექტში:

უ-:

ლაზური	მეგრული	
ტუბ-უ-ნ	ტიბ-უ-(ნ)	„თბება“
ღურ-უ-ნ	ღურ-უ-(ნ)	„კვდება“
სქიდ-უ-ნ	სქიდ-უ-(ნ)	„რჩება, ცხოვრობას“
დგით-უ-ნ	ე-დირთ-უ-(ნ)	„დგება“
ხომ-უ-ნ	ხომ-უ-(ნ)	„ხმება“
სქირ-უ-ნ	სქირ-უ-(ნ)	„შრება“...

ო – ე:

ლაზური		მეგრული	
ო-ჰარ-ე-ნ	„იწერება“	ო-ჰარ-ე-(ნ)	„შეიძლება დაიწეროს“
ო-თას-ე-ნ	„ითესება“	ო-თას-ე-(ნ)	„შეიძლება დაითესოს“
ო-გუბ-ე-ნ	„იხარშება“	ო-გიბ-ე-(ნ)	„შეიძლება მოიხარშოს“
ო-ჭვ-ე-ნ	„იწვის“	ო-ჭვ-ე-(ნ)	„შეიძლება დაიწვას“
ო-შვ-ე-ნ	„ისმება“	ო-შვ-ე-(ნ)	„შეიძლება შეისვას“
ო-ჭკომ-ე-ნ	„იჭმება“	ო-ჭკომ-ე-(ნ)	„შეიძლება იჭამოს“ ¹⁵ ...

ა – ე:

ლაზური	მეგრული	
ა-ჰარ-ე-ნ	ა-ჰარ-ე-(ნ)	„შეუძლია წეროს“
ა-თას-ე-ნ	ა-თას-ე-(ნ)	„შეუძლია თესოს“
ა-გუბ-ე-ნ	ა-გიბ-ე-(ნ)	„შეუძლია ხარშოს“
ა-ჭვ-ე-ნ	ა-ჭვ-ე-(ნ)	„შეუძლია წვას“
ა-შვ-ე-ნ	ა-შვ-ე-(ნ)	„შეუძლია სვას“
ა-ჭკომ-ე-ნ	ა-ჭკომ-ე-(ნ)	„შეუძლია ჭამოს“ ¹⁶ ...

ო – ე და ა – ე კონფიქსური წარმოება ლაზურში საზიაროა როგორც ვნებითების, ისე პოტენციალისათვის, ამგვარი ფორმები ორივე შინაარსს (გრამატიკულ კატეგორიას) იტევს. სიტუაცია განსხვავებულია მეგრულში, ვინაიდან აქ ღურ-უ-ნ „კვდება“ ტიპის ვნებითობის -უ სუფიქსური იქნა გამოყენებული ვნებითი გვარის საწარმოებლად, რაც არ განხორციელდა (არ განვითარდა) ლაზურში, თუმცა -უ სუფიქსაცია მისთვისაც ბუნებრივი იყო (მდრ. ათინ. მ-ი-შქ-

¹⁵ ლაზურში ო – ე წარმოება მაგ. იჰარ-ე-ნ გამოხატავს როგორც „იწერებას“, ისე „შეიძლება დაიწეროს“, ხოლო მეგრულისათვის ო – ე წარმოებისას მხოლოდ „შეიძლება დაიწეროს“ შინაარსია წარმოდგენილი.

¹⁶ სხვა ტიპის ვნებითების წარმოება აქვე ცალკე იქნება განხილული საგანგებოდ.

უ-ნ „ვიცი“, მეგრ. მ-ი-ჩქ-უ-ნ „ვიცი“), მაგრამ ეს შესაძლებლობა (პოტენცია) ლაზურში არ იქნა რეალიზებული:

ი – უ:		ა – უ:	
მეგრული			
ი-ჭარ-უ-(ნ)	„იწერება“	ა-ჭარ-უ-(ნ)	„ეწერება“
ი-თას-უ-(ნ)	„ითესება“	ა-თას-უ-(ნ)	„ეთესება“
ი-ჭუ-უ-(ნ)	„იწვის“		ა-ჭუ-უ-(ნ)
	„ეწვის“		
ი-გიბ-უ-(ნ)	„იხარშება“	ა-გიბ-უ-(ნ)	„ეხარშება“...

როგორც ვხედავთ, მეგრულში თითქოს გაიმიჯნა ერთმანეთისაგან ვნებითი და პოტენციალისი, ხოლო ლაზურს მათთვის საზიარო წარმოება აქვს [ჩიქობავა, 2008, 125]. მაგრამ არსებობს ლაზურშივე ცალკეული ფორმები, რომლებიც მხოლოდ ვნებითებისათვისაა დამახასიათებელი და ამავედროულად მეგრულისთვისაც ბუნებრივი ჩანს.

მხედველობაში გვაქვს მეგრულისებური ი – უ და ა – უ დერივაციის ვნებითები ლაზურში, რომლებიც -აფ „ინფიქსით“ არის გამუალებული [ჩიქობავა, 2008, 125; კარტოზია, 2005, 140-142]:

ი – აფ – უ:		მეგრული	
ლაზური			
გა-მ-ი-თხვ-აფ-უ-ნ		ი-თხუ-აფ-უ-(ნ)	
„თხოვდება“			
ი-მტ-აფ-უ-ნ	„გარბის“	ი-ნჭ-უ-აფ-უ-(ნ)	„იჩქარის,
ჩქარობს“			
ი-ქთ-აფ-უ-ნ		ი-რთ-უ-აფ-უ-(ნ)	„ბრუნდება“
ი-შირ-აფ-უ-ნ		ი-შირ-უ-აფ-უ-(ნ)	„იცვითება“...

ა – აფ – უ:		მეგრული	
ლაზური			
ა-ვილ-აფ-უ-ნ		ა-ჭვილ-უ-აფ-უ-(ნ)	„ეკვლევინება“
ა-ჭკომ-აფ-უ-ნ		ა-ჭკომ-უ-აფ-უ-(ნ)	„ეჭმევინება“
ა-შქურინ-აფ-უ-ნ		ა-შქურინ-უ-აფ-უ-(ნ)	„(შე)ეშინდება“
ა-ხენ-აფ-უ-ნ		ა-ქიმინ-უ-აფ-უ-(ნ)	„ეკეთებინება“
ა-ჯგინ-აფ-უ-ნ		ა-რჯგინ-უ-აფ-უ-(ნ)	„ეძლევინება, ძლევს“...

ამგვარ ვნებითებში მეგრული „ზედმეტ“ -უ-ს ავლენს -აფ სუფიქსის წინ, რომელიც ფაკულტატიურად მხოლოდ განგრძობითობის შინაარსს აძლიერებს.

ჩვენ აქ დავსვით საკითხი მეგრულისებური ვნებითების შესახებ ლაზურში, მაგრამ, ბუნებრივია, ჩნდება დამატებითი კითხვა საპირისპირო მიმართულებით: თავჩენილია თუ არა ლაზურისებური ა – ე (ა-თას-ე-ნ „ეთესება“) სტრუქტურის ვნებითები მეგრულში?

პასუხი დადებითია, მაგრამ ძირითადად ამ ტიპის დერივაცია დასტურდება განსხვავებულ ძირ-ფუძეებში, რაც ისტორიულად ორივე ქვესისტემაში არსებული ერთიანი წარმოება/დერივაციის მხოლოდ გადმონაშთი ჩანს:

ა – ე:			
ლაზური		მეგრული	
ა-შქურინ-ე-ნ		ა-შქურინ-ე-(ნ)	„ემინია,
შეეშინდება“			
ა-ნტალ-ე-ნ	„გაერევა“	ა-ხიცინ-ე-(ნ)	„ეხიცინება“
ა-შირ-ე-ნ	„ეცვითება, ელევა“	ა-ძირ-ე-(ნ)	„გამოუჩნდება“...

დასახელებულ ფორმებში არ შეიმჩნევა პოტენციალისის შინაარსი არცერთ ენობრივ ერთეულში, რაც მნიშვნელოვანია პრობლემის არსიდან გამომდინარე, ანუ ა – ე კონფიქსიანი ვნებითი (ისევე როგორც პოტენციალისი) ბუნებრივი იყო მეგრულ-ლაზური ენისათვის, რაც ასახვას პოვებს ზანურის ორივე დიალექტის სათანადო მასალაში.

ა-შქურ-ინ-ე-(ნ) ტიპის სხვა ზმნები მეგრულში:

ი/ა-ნტირ-ე-(ნ)	„ი/ეტევა“
ი/ა-ძიცინ-ე-(ნ)	„ი/ეცინება“ = ლაზ. ა-ძიცინ-ე-ნ
ი/ა-ნგარ-ინ-ე-(ნ)	„ი/ეტირება“
ი/ა-კურცხინ-ე-(ნ)	„ი/ელვიძება“...

საკირისპიროდ, ნიშანდობლივია ის ფაქტიც მეგრულიდან, რომ **ი/ ა – ინ-ე** სტრუქტურის გარკვეულ ზმნებს (ზმნურ ფორმებს) მხოლოდ პოტენციალისის წარმოება შეუძლიათ და საერთოდ არ გააჩნიათ სათანადო ვნებითის ფორმები, მაგალითად, **ა-ლ-ინ-ე-(ნ)** „წაღება შეუძლია“ და **ი-ლ-ინ-ე-(ნ)** „წაღება შეიძლება“, აქვე მოსალოდნელი იყო ***ა-ლ-უ-ნ** „წაეღება“ და ***ი-ლ-უ-ნ** „წაიღება“ ტიპის ვნებითები (შდრ. ა/ი-ჭვ-ე-ნ „იწვის, შეიძლება დაიწვას“ და ა/ი-ჭ-უ-ნ „ე/იწვება“), მაგრამ მათი მსგავსი წარმოების ტენდენცია ამ ზმნური ძირიდან დღემდე არ შეინიშნება. იგივე სურათი დასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილ სხვა ზმნებშიც, რომელთაც მხოლოდ პოტენციალისის ფორმები ეწარმოებათ და ვნებითის გვარის ფორმები არ გააჩნიათ (არ განუვითარდათ):

ერთპირიანი	
ი-ლ-ინ-ე-(ნ)	„წასვლა შეიძლება, წაისვლება“
მი-ი-რთ-ე-(ნ) მი-ი-რთ-ინ-ე-(ნ)	„მიისვლება“
ი-ნდ-ინ-ე-(ნ)	„ნდობა შეიძლება, ინდობა“
ი-შვ-ე-(ნ)	„დალევა შეიძლება“
ი-ჯინ-ინ-ე-(ნ)	„ყურება შეიძლება“
ი-ჭიდირ-ე-(ნ)	„ყიდვა შეიძლება“
ი-ბირ-ე-(ნ)	„მღერა შეიძლება“
ი-გურ-ე-(ნ)	„სწავლა შეიძლება“
ი-ჭოთ-ინ-ე-(ნ)	„სროლა შეიძლება“

ი-ნჩურ-ე-(ნ)	„გაცურვა შეიძლება“
ორპირიანი	
ა-ლ-ინ-ე-(ნ)	„წასვლა შეუძლია“
მი-ა-რთ-ე-(ნ) მი-ა-რთ-ინ-ე-(ნ)	„მიესვლება“
ა-ნდ-ინ-ე-(ნ)	„ნდობა შეუძლია“
ა-შვ-ე-(ნ)	„დალევა შეუძლია“
ა-ჯინ-ინ-ე-(ნ)	„ყურება შეუძლია“
ა-ჭიდირ-ე-(ნ)	„ყიდვა შეუძლია“
ა-ბირ-ე-(ნ)	„მღერა შეუძლია“
ა-გურ-ე-(ნ)	„სწავლა შეუძლია“
ა-ჭოთ-ინ-ე-(ნ)	„სროლა შეუძლია“
ა-ნჩურ-ე-(ნ)	„გაცურვა შეუძლია“...

ისმის კითხვა: რატომ არ ეწარმოებათ ზემოჩამოთვლილ ზმნურ ძირებს ვნებითის ფორმები საერთოდ?

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში გასაზიარებელია არნ. ჩიქობავას მიერ სხვა კონტექსტში გამოთქმული აზრი, რომ ამგვარი ზმნები ასახავენ იმ ვითარებას, რომელიც არსებობდა პოტენციალისისა და ვნებითის დიფერენციაციამდე, როცა ვნებითი გვარი, როგორც ცალკე აღებული მორფოლოგიური კატეგორია, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული და საკუთარი ფორმები არ გააჩნდა [ჩიქობავა, 1937, 33].

მომდევნო ზმნური ყალიბი მხოლოდ პოტენციალისის წარმოებისათვის გამოიყენება და ვნებითის სათანადო ფორმა არ გააჩნია (შდრ. ა-ლ-ინ-ე-(ნ) / ი-ლ-ინ-ე-(ნ) „წაელემა / წაილემა“ ტიპი) [შეროზია, 1985, 55-88].

II.9.3.1. პოტენციალისი მეგრულ-ლაზურში.

ვნებით გვარზე მსჯელობისას ნიკო მარმა ცალკე გამოყო პოტენციალისის გამომხატველი რელატიური ზმნები ლაზურში [მარი, 1910, 45]. მეგრულშიც ასევე ვნებითი გვარის ოთხ ტიპად კვალიფიკაციის დროს იქნა შენიშნული პოტენციალისის ფორმები ი. ყიფშიძის მიერ [ყიფშიძე, 1914, 70-71].

პოტენციალისი, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი გრამატიკული (მორფოლოგიური) კატეგორია, ზანურში არნ. ჩიქობავამ აღწერა. მანვე მიუთითა პოტენციალისის ი – ე და ა – ე კონფიქსურ წარმოებაზე მეგრულ-ლაზურში. ავტორი შენიშნავდა, რომ ი – ე და ა – ე ტიპებს „მეგრულში მხოლოდ პოტენციალისის მნიშვნელობა აქვს, ვნებითებისათვის მეგრულს ახალი ტიპი აქვს გამომუშავებული: ი – უ ერთპირიანი ვნებითებისათვის და ა – უ ორპირიანი, მიმართებითი ფორმის ვნებითებისათვის: ი-ჭარ-უ-(ნ) „იწერება“; ა-ჭარ-უ-(ნ) „ეწერება, მისთვის იწერება, მისი იწერება, მას ხვდება წილადა“; ი-თას-უ-(ნ) „ეთესება მისი, ითესება, მისთვის ითესება“... ამგვარად, მეგრულში თითქმის მთლიანად გამიჯნულია პოტენციალისი და ვნებითი; ჭანურს კი მათვის საზიარო ერთი წარმოება აქვს, ვნებითისათვის ცალკე ფორმები არ გამოუმუშავებია“ [ჩიქობავა, 1936, 113].

სხვაგან არნ. ჩიქობავა იმაზეც მიუთითებს, რომ „ის წარმოება, რომელსაც მეგრულში პოტენციალის მნიშვნელობა აქვს, ჭანურში პოტენციალის ფუნქციებსაც ატარებს და ჩვეულებრივი ვნებითსას. ეს იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მეგრულშიც ერთ წარმოებაში უნდა ყოფილიყო შეთავსებული ჩვეულებრივი ვნებითებიცა და პოტენციალისიც. ამ წარმოების ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო პოტენციალისი; ჩვეულებრივი ვნებითი კი, (ი – უ, ა – უ) დიფერენციაციის გზით, შემდეგ უნდა მიგვეღო“ [ჩიქობავა, 1937, 33]. ავტორისეულ მსჯელობისას ცხადყოფს მის მიერვე მოხმობილი ნიმუშები ლაზურიდან და მეგრულიდან:

ლაზური	მეგრული
ი – ე:	
ი-ჭარ-ე-ნ „იწერება; შეიძლება დაიწეროს“ დაიწეროს“	ი-ჭარ-ე-(ნ) „შეიძლება“
ი-გუბ-ე-ნ „იხარშება; შეიძლება მოიხარშოს“ მოიხარშოს“	ი-გიბ-ე-(ნ) „შეიძლება“
ი-თას-ე-ნ „ითესება; შეიძლება დაითესოს“ დაითესოს“	ი-თას-ე-(ნ) „შეიძლება“
ა – ე:	
ა-ჭარ-ე-ნ „ეწერება; შეუძლია წეროს“	ა-ჭარ-ე-(ნ) „შეუძლია წეროს“
ა-თას-ე-ნ „ეთესება; შეუძლია თესოს“	ა-თას-ე-(ნ) „შეუძლია თესოს“
ა-გუბ-ე-ნ „ეხარშება; შეუძლია ხარშოს“	ა-გიბ-ე-ნ „შეუძლია ხარშოს“...

ჩვენი დაკვირვებით, ასევე საყურადღებო ჩანს ისეთი ფორმებიც, როდესაც პოტენციალისის ზემოთ აღწერილ მაგალითებში ქრება ვნებითობის შინაარსი ლაზურშიც, ხოლო -აფ (=ქართ. -ებ) სუფიქსის (ინფიქსის) დამატებით ვითარდება კაუზატივის სემანტიკა, რაც ერთნაირად არის დამახასიათებელი როგორც მეგრულისათვის, ისე ლაზურისათვის:

ლაზური	მეგრული
ი – აფ – ე:	
ი-ჭარ-აფ-ე-ნ	ი-ჭარ-აფ-ე-(ნ) „შეიძლება მისთვის დაწერინება“
ი-თას-აფ-ე-ნ	ი-თას-აფ-ე-(ნ) „შეიძლება მისთვის დათესინება“
ი-გუბ-აფ-ე-ნ	ი-გიბ-აფ-ე-(ნ) „შეიძლება მისთვის მოხარშვინება“...
ა – აფ – ე:	
ა-ჭარ-აფ-ე-ნ	ა-ჭარ-აფ-ე-(ნ) „შეუძლია მას დააწერინოს“
ა-თას-აფ-ე-ნ	ა-თას-აფ-ე-(ნ) „შეუძლია მას დაათესინოს“
ა-გუბ-აფ-ე-ნ	ი-გიბ-აფ-ე-ნ „შეუძლია მოახარშინოს“...

ჩვენ მიერ გამოვლენილი ფორმები, სტრუქტურული თვალსაზრისით, სრულ ანალოგიას პოვებს ძველ ქართულთან, შდრ.:

ი-ებ-ი:

ი-წერ-ებ-ი-ს „იწერება“
ი-თეს-ებ-ი-ს „ითესება“...

ე-ებ-ი:

ე-წერ-ებ-ი-ს „ეწერება“
ე-თეს-ებ-ი-ს „ეთესება“...

თუმცა სხვაობას ის ქმნის, რომ ძველ ქართულში მსგავსი სტრუქტურის ზმნებს მხოლოდ ვნებითობის შინაარსი ახასიათებთ, რაც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში პოტენციალისის არქონის დასტური ჩანს. საინტერესოა, ი-წვ-ი-ს / ი-წვ-ებ-ი-ს ფორმალურ-სტრუქტურული სხვაობის რეალიზაცია რატომ არ იწვევს გრამატიკული სემანტიკით დატვირთვას ძველ ან ახალ ქართულში (თუ იყო ამგვარი დიფერენცირება და გაქრა დროთა განმავლობაში?).

მეგრულში სხვაობაზე ვნებითებსა და პოტენციალისის შორის მიუთითებდა ი. ყიფშიძე, საქმე ისაა, რომ, ავტორის მითითებით, პოტენციალისის ფორმებს, განსხვავებით ვნებითი გვარის ზმნებისაგან, -ე სუფიქსის წინ უჩნდება -ინ კაუზატივის სუფიქსი (ინფიქსი), შდრ. მეგრ. ვ-ო-ნტ-ინ-უ-ან-ქ „ვდევნი, გავაქცევა“ ~ მ-ანტ-ინ-ე(ნ) „შემიძლია გაქცევა“, მ-ანტინ-ინ-ე(ნ) „შემიძლია გავაქციო ის“ [ყიფშიძე 1914, 58, 82].

-ინ სუფიქსიან პოტენციალისის ფორმებში შენიშნული ეს თავისებურება საფუძვლიანად გამოიკვლია რ. შეროზიამ და მიუთითა, რომ:

1. არსებობს პოტენციალისის ფორმებში შესაძლებლობა, როცა ერთი და იგივე ზმნა ზოგჯერ -ინ სუფიქსიანია, ზოგჯერ – არა. ამავდროულად აღნიშნული სუფიქსის დართვა (ან დაურთველობა) პოტენციალისის ფორმებზე, როგორც წესი, ზმნის ლექსიკური შინაარსის შეცვლას არ იწვევს. ეს ზმნებია: ა-ღ-ე(ნ) || ა-ღ-ინ-ე(ნ) „შეუძლია წაღება“; გ-ანჯ-ე(ნ) || გ-ანჯ-ინ-ე(ნ) „შეუძლია გაღება“; ეკ-გ-ა-ჭონ-ე(ნ) || ეკ-გ-ა-ჭონ-ინ-ე(ნ) „ვერ შეძლებ აყვანას“; მი-ა-ჩ-ე(ნ) || მი-ა-ჩ-ინ-ე(ნ) „შეუძლია მიცემა“; მი-ა-რთ-ე(ნ) || მი-ა-რთ-ინ-ე(ნ) „შეუძლია მისვლა“; ა-ლოლ-ე(ნ) || ა-ლოლ-ინ-ე(ნ) „შეუძლია ქმნა“; ა-ბანძ-ე(ნ) || ა-ბანძ-ინ-ე(ნ) „შეუძლია ბლადუნა“; გი-ა-შქვ-ე(ნ) || გი-ა-შქვ-ინ-ე(ნ) „შეუძლია დანტყმა“; ა-ტყობ-ე(ნ) || ა-ტყობ-ინ-ე(ნ) „შეუძლია დამალვა“...

2. ზოგიერთ ზმნასთან -ინ სუფიქსი არ დასტურდება: ა-ქოს-ე(ნ) „შეუძლია დაგვა“; გ-ა-ძირ-ე(ნ) „შეგიძლია ნახვა, მოძებნა“; მი-გ-ა-ტენ-ე(ნ) „შეგიძლია მიტოვება“; ა-რაგად-ე(ნ) „შეუძლია თქმა“; ა-თქუ-ე(ნ) „შეუძლია თქმა“...

3. ფიქსირდება ასევე რიცხვით მცირე რიგი ზმნებისა, რომლებიც ხან -ინ სუფიქსს დაირთავენ, ხანაც -ებ თემატურ ნიშანს და ამ შემთხვევებშიც ზმნის შინაარსი არ იცვლება: მ-ა-ხვარ-ინ-ე(ნ) || მ-ა-ხვარ-ებ-ე(ნ) „შეუძლია მოხმარება“, გ-არზ-ინ-ე(ნ) || გ-არზ-ებ-ე(ნ) „შეუძლია გაძლება“, დ-ა-მარგ-ინ-ე(ნ) || დ-ა-მარგ-ებ-ე(ნ) „შეუძლია დაკავება, დამაგრება“; ა-კეთ-ინ-ე(ნ) || ა-კეთ-ებ-ე(ნ) „შეუძლია გაკეთება“; გ-ა-ბედ-ინ-ე(ნ) || გ-ა-ბედ-ებ-ე(ნ) „გაბედვა შეუძლია“...

ამ და ზემოთ ჩამოთვლილ ზმნებში ანლაუტური ა-ს თავისუფლად (უპრობლემოდ) ჩაენაცვლება -ი თავსართი, როგორც ა-ჭარ-ე-(ნ) || ი-ჭარ-ე-(ნ) შემთხვევაში [შეროზია, 1985, 41-43].

შენიშვნა: ვფიქრობთ, გ-ა-ბედ-ინ-ე-(ნ) || გ-ა-ბედ-ებ-ე-(ნ) „გაბედვა შეუძლია“ ტიპის -ინ || -ებ კაუზატიური მონაცვლეობა ახალია, იგი ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი -აფ საკუთრივ-ზანური წარმოების შესუსტებითა და ქართულის -ებ მოდელზე გადასვლით აიხსნება, მდრ. ი-ჭარ-აფ-ე-(ნ) || ა-ჭარ-აფ-ე-ნ...

საზოგადოდ -ინ სუფიქსი (ინფიქსი) მეტად პროდუქტიულია მეგრულ ქვესისტემაში, შეიძლება ითქვას, იგი თითქმის ყველა მეგრულ ზმნაში გამოჩნდება სათანადო ფუნქციით და აქტიურად მონაწილეობს პოტენციალისის წარმოებაში, როგორც ერთპირიან, ისე ორპირიან ფორმებში:

ერთპირიანი

ი-ლ-ინ-ე-(ნ)	„წაღება შეიძლება; წაიღება“
დ-ი-დგ-ინ-ე(ნ)	„დადგმა შეიძლება; დაიდგმება“
ი-ლ-ინ-ე-(ნ)	„წასვლა შეიძლება; წაისვლება“
ი-ჭოთ-ინ-ე-(ნ)	„სროლა შეიძლება“
ი-ჭონ-ინ-ე-(ნ)	„წაყვანა/გაყოლა შეიძლება“

ორპირიანი

ა-ლ-ინ-ე-(ნ)	„წაღება შეუძლია“
დ-ა-დგ-ინ-ე(ნ)	„დადგმა შეუძლია“
ა-ლ-ინ-ე-(ნ)	„წასვლა შეუძლია“
ა-ჭოთ-ინ-ე-(ნ)	„სროლა შეუძლია“
ა-ჭონ-ინ-ე-(ნ)	„წაყვანა/გაყოლა შეუძლია“

ლაზურმა იგივე სემანტიკა (პოტენციალისის გაგება) შეიძლება აწარმოოს -ინ-ის გარეშეც, რაც ზოგჯერ მეგრულშიც ჩანს შესაძლებელი (თუმცა ხშირია განსხვავებული მნიშვნელობაც, მისი ცვლა), მაგრამ, ჩანს, ენობრივი ნორმა მეგრულის შემთხვევაში მაინც -ინ-იანი ფორმებია, რომელიც ყოველთვის ჩაენაცვლება უ-ინ-ო წარმოებას:

ლაზური

ი-ნგრინ-ე-ნ	„შეიძლება გაგორება/გაგორდეს“	
ი-ლ-ე-ნ	„წასვლა შეიძლება“,	ა-ლ-ე-ნ „წასვლა შეუძლია“
მ-ე-მ-ა-ჩ-ე-ნ	„მიცემა შემიძლია“	
ე-გ-ა-ლ-ე-ნ	„შეძლებ ალებას“	
მ-ა-ჭონ-ე-ნ	„შემიძლია წაყვანა“	
მო-გ-ა-გ-ე-ნ	„შეგიძლია მოგება“	

მეგრული

ი-რგინ-ე-(ნ)	„შეიძლება დაგორება“
ა-ლ-ე-(ნ)	„წაესვლება მას“
მი-მ-ა-ჩ-ე-(ნ)	„მიცემა შემიძლია“

მი-გ-ა-ღ-ე-(ნ)	„მიტანა შეგიძლია“
მ-ა-ჭონ-ინ-ე-(ნ)	„შემიძლია წაყვანა“
მუ-გ-ა-გ-ინ-ე-(ნ)	„შეგიძლია მოგება“...

საკმაოდ ხშირად დასტურდება შემთხვევები ლაზურშიც, როცა **-ინ** სუფიქსიანი პოტენციალისია თავჩენილი და მას ალტერნატივა არა აქვს. ცხადია, მაშინ მეგრულშიც **-ინ** გამოჩნდება:

ლაზური

ი-სურ-ინ-ე-ნ	„შეიძლება გასრიალება/გასრიალდეს“
ღ-ი-დგ-ინ-ე-ნ	„დაიდგომება, დაიდგმება“
ი-ღერდ-ინ-ე-ნ	„შეიძლება მოტყუება“

მეგრული

ი-რსიოლ-ინ-ე-(ნ)	„შეიძლება სრიალი“
ღ-ი-დგ-ინ-ე-(ნ)	„შეიძლება დადგომა“
ი-ღორ-ინ-ე-(ნ)	„შეიძლება მოტყუება“...

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ლაზურში **-ინ** სუფიქსიანი წარმოება გვაქვს, ხოლო მეგრულში **-ინ** არ ჩანს:

ლაზური

ა-ჩოდ-ინ-ე-ნ	„დაცლა (დაცდა) შეუძლია“
ა-ღოდ-ინ-ე-ნ	„შეუძლია ქნას“
ა-ჭიშ-ინ-ე-ნ	„შეუძლია მოსაწროს“

მეგრული

ა-ჩოლ-ე-(ნ)	„ შეუძლია დაცალოს“
ა-ღოლ-ე-(ნ)	„შეუძლია გააკეთოს“
ა-ჭიშ-ე-(ნ)	„შეუძლია გასწრება“...

მეგრულის თავისებურებად უნდა ჩაითვალოს ისეთი შესაძლებლობაც, როცა **-ინ** სუფიქსიანი პოტენციალისის შესატყვის ვნებითობის დერივაციად გამოჩნდება განსხვავებული სუფიქსაცია – ზოგან მარტივი, ზოგან რთული:

ალ-უ:

ვნებითი

მიშ-ი-დვ-ალ-უ-(ნ)	„ჩაიდება“
მიშ-ა-დვ-ალ-უ-(ნ)	„ჩაედება“
გ-ი-შქუმ-ალ-უ-(ნ)	„ჩაისობა“

პოტენციალისი

მიშ-ი-დვ-ინ-ე-(ნ)	„ჩადება შეიძლება“
მიშ-ა-დვ-ინ-ე-(ნ)	„ჩადება შეუძლია“
გ-ი-შქუმ-ინ-ე-(ნ)	„ჩასობა“

შეიძლება“

გ-ი-ა-შქუმ-ალ-უ-(ნ)	„ჩაესმება“
ი-თქუ-ალ-უ-(ნ)	„ითქმება“

გ-ი-ა-შქუმ-ინ-ე-(ნ)	„ჩასობა შეუძლია“
ი-თქუ-ე-(ნ)	„შეიძლება ითქვას“

ა-თქუ-ალ-უ-(ნ) „ეთქმება“ ა-თქუ-ე-(ნ) „თქმა შეუძლია“

შენიშვნა: ამ დერივაციას (-ალ-უ სუფიქსიანს) შეიძლება ჩაენაცვლოს უფრო რთული წარმოება მეგრულში, რაც გაბატონებისაკენ მისწრაფებითაც ხასიათდება; შდრ. ზემოთ ჩამოთვლილი ვნებითის პარალელური (უფრო რთული) სუფიქსაციის ნიმუშები: მიშ-ი-დგ-ალ-უ-აფ-უ-(ნ) „ჩაიდება“, მიშ-ა-დგ-ალ-უ-აფ-უ-(ნ) „ჩაედება“, გ-ი-შქუმ-ალ-უ-აფ-უ-(ნ) „ჩაისობა“, გი-ა-შქუმ-ალ-უ-აფ-უ-(ნ) „ჩაესობა“, ი-თქუ-ალ-უ-აფ-უ-(ნ) „ეთქმება“, ა-თქუ-ალ-უ-აფ-უ-(ნ) „ეთქმება, ეთქმევიანება“... ამგვარი ფორმებისთვის საგულისხმოა კაუზატივის გაგება (შინაარსი).

ამ-უ:

ვნებითი

პოტენციალისი

ი-ნჯ-ამ-უ-(ნ)	„იდება“	ი-ნჯ-ინ-ე-(ნ)	„შეიძლება გაღება“
ა-ნჯ-ამ-უ-(ნ)	„ედება“	ა-ნჯ-ინ-ე-(ნ)	„გაღება შეუძლია“
გიმ-ი-ჩ-ამ-უ-(ნ)	„იყიდება“	გიმ-ი-ჩ-ინ-ე-(ნ)	„შეიძლება გაყიდოს“
გიმ-ა-ჩ-ამ-უ-(ნ)	„ეყიდება“	გიმ-ა-ჩ-ინ-ე-(ნ)	„გაყიდვა შეუძლია“
ი-რძ-ამ-უ-(ნ)	„ინთება“	ი-რძ-ინ-ე-(ნ)	„შეიძლება დანთება“
ა-რძ-ამ-უ-(ნ)	„ენტება“	ა-რძ-ინ-ე-(ნ)	„დანთება“

შეუძლია“...

უმ-უ:

ვნებითი

პოტენციალისი

გიშ-ი-ნწყ-უმ-უ-(ნ)	„ამოიხსნება“	ემ-ი-ნწყ-ინ-ე-(ნ)	„შეიძლება ამოხსნა“
გიშ-ა-ნწყ-უმ-უ-(ნ)	„ამოეხსნება“	ემ-ა-ნწყ-ინ-ე-(ნ)	„ამოხსნა შეუძლია“
ი-დგ-უმ-უ-(ნ)	„იდგმება“	ი-დგ-ინ-ე-(ნ)	„დადგმა შეიძლება“
ა-დგ-უმ-უ-(ნ)	„ედგმება“	ა-დგ-ინ-ე-(ნ)	„დაუდგას“

შეუძლია“...

II.9.3.1.1. პოტენციალისის უარყოფითი ფორმები.

პოტენციალისის უარყოფითი ფორმები ზანური ენის ორსავე დიალექტში ერთნაირად იწარმოება. ამა თუ იმ ქმედების შეუძლებლობის გადმოსაცემად ლაზური და მეგრული გამოიყენებს პოტენციალისის დადებით ფორმებს, რომელსაც წინ ერთვის ვა(რ) (=ქართ. ვერ) ნაწილაკი.

მეგრულ-ლაზური ვარ ნაწილაკის გამოყენება, ქართულთან შედარებით, განსხვავებულია, იგი ორგვარი მნიშვნელობით ფუნქციონირებს: „არ“ და „ვერ“. მეგრულ-ლაზური დიალექტები უარყოფით ნაწილაკებს არ განასხვავებს, რადგანაც საჭირო განსხვავება თავად ზმნაში არის მოცემული.

ვარ ნაწილაკი მეგრულში პოტენციალის ფორმებთან ქართულ ვერ ნაწილაკს შესაბამება შინაარსობრივად, ყველა დანარჩენ შემთხვევაში, იქნება ზმნა გარდამავალი თუ გარდაუვალი, იგი უდრის ქართულ არ ნაწილაკს. მსგავსი სურათი იკვეთება ლაზურშიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პოტენციალის ფორმასთან არ ნაწილაკის მნიშვნელობითაც გვხვდება, როცა შესაბამისი ფორმა ვნებითობის სემანტიკითაა გამოყენებული [ჩიქობავა, 1937, 35; შეროზია, 1985, 73-74]. მოვიყვანოთ შესაბამისი მაგალითები:

მეგრულ-ლაზური

არ		ვერ	
ვა(რ)-ჭარ-უმ-ს	„არ წერს“	ვა(რ)-ა-ჭარ-ინ-ე-ნ	„ვერ წერს“
ვა(რ)-თქუ-ამ-ს	„არ ამბობს“	ვა(რ)-ა-თქუ-ე-ნ	„ვერ ამბობს“
ვა(რ)-ძირ-ამ-ს	„არ აჩვენებს“	ვა(რ)-ა-ძირ-აფ-ე-ნ	„ვერ ჩვენება“
ვა(რ)-ლოდ(ლ)-ამ-ს	„არ იზამს“	ვა(რ)-ა-ლოდ(ლ)-ინ-ე-ნ	„ვერ იზამს“
ვა(რ)-ჭკომ-უმ-ს	„არ ჭამს“	ვა(რ)-ა-ჭკომ-ე-ნ	„ვერ ჭამს“...

როგორც ზემოხსენებული ნიმუშები აჩვენებს, მეგრულ-ლაზურში უცვლელად დარჩა უარყოფითი ნაწილაკი – ვა(რ), მხოლოდ ზმნა იცვალა, ქართულ შესატყვისებში კი უცვლელად დარჩა ზმნა, იცვალა უარყოფითი ნაწილაკი – არ/ვერ, ანუ მეგრულ-ლაზურში პოტენციალისი ზმნამ აღნიშნა, ხოლო ქართულში იგივე ფუნქციის გადმოცემა ნაწილაკთა ცვალებამ იკისრა [ჩიქობავა, 1937, 35].

II.10. ქცევის კატეგორია.

ქცევის კატეგორიის ტრადიციული დეფინიცია ასეთია: ქცევა ზმნის პირებს შორის კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით არსებულ მიმართებას წარმოაჩენს: „სუბიექტური პირისა და ობიექტური პირის (ან პირების) უბრალო აღნიშვნის გარდა, ქართულ ზმნას მოეპოვება აგრეთვე საშუალება გამოხატოს, რომ

ა) ობიექტი, რომელსაც ობიექტური პირი ეფარდება ფორმაში, არავის კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა დანიშნული; ან

ბ) ობიექტი მოქმედ პირს, ანუ სუბიექტურ პირს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი; ან კიდევ

გ) ერთი ობიექტი მეორეს ეკუთვნის ან მისთვის არის განკუთვნილი... [შანიძე, 1980, 323].

ტრადიციულად, გამოიყოფა ქცევის სამი სახე: „საარვისო, სათავისო და სასხვისო, ანუ, რაც იგივეა, სამი ვერსია: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო.

საარვისო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი არავისი კუთვნილება არ არის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (დანიშნული): სახლს ვაშენებ, სურათს ვხატავ...

სათავისო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მოქმედ პირს, სუბიექტს, ან მისთვის არის განკუთვნილი: სახლს ვიშენებ, სურათს ვიხატავ... სათავისო ქცევას ი- თავსართი აქვს (ი-ხატავ-ს...) როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური წყობის მხოლოდობითსა და მრავლობითის ყველა ფორმაში.

სასხვისო ქცევის ფორმა გვიჩვენებს, რომ პირდაპირი ობიექტი ირიბს ეკუთვნის ან ირიბისთვისაა განკუთვნილი: სახლს ვუშენებ, სურათს ვუხატავ...“ [იქვე].

საარვისო ქცევის ფორმათა ერთი რიგის ზმნებს სპეციალური მაწარმოებელი არ გააჩნიათ (ხატავს ის მას, წერს ის მას, ჭამს ის მას, ჭრის ის მას, ფერთხავს ის მას, ხნავს ის მზას, თესავს ის მას...), – და ეს ლოგიკურია: **არარსებულ ფუნქციას არ სჭირდება მარკირება.**

საარვისო ქცევის ფორმათა მეორე წყებაში დასტურდება ა- პრეფიქსი (აკეთებს, აშენებს, ადუღებს, აფასებს, ატარებს, აგვარებს, აფარებს...), რომელსაც მეცნიერთა ნაწილი სწორედ საარვისოს გრამატიკულ ნიშნად მიიჩნევს, – და ეს ალოგიკურია.

არარსებული გრამატიკული მნიშვნელობის მორფემიზება ძნელი ასახსნელია (საერთოდ, ამ ა- პრეფიქსთან დაკავშირებით არ არის ერთიანი პოზიცია ლინგვისტებს შორის და ამის მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ, როგორც წესი, ცდილობენ მის მიბმას ერთ კონკრეტულ გრამატიკულ ფუნქციაზე; არადა, თავისუფლად შეიძლება გრამატიკულად ერთი და იგივე მასალა, ამ შემთხვევაში -ა პრეფიქსი სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენოს ენამ).

„საარვისო ქცევა უნიშნა ან მისი ნიშანია ა“ [იქვე, 327]: ეს ნიშნავს, რომ ენა ხან საჭიროდ მიიჩნევს კუთვნილება-დანიშნულებითი სემანტიკის **არგამოხატვას** გრამატიკულად, ხან – არა.

ეს გარემოება, ეს **სიჭარბე არაფრის აღმნიშვნელი გრამატიკული ნიშნისა**, ყველაფერს რომ გავანებოთ თავი, მით უფროა საერთო ენობრივი ლოგიკიდან ამოვარდნილი, რომ საარვისო ქცევის საპირისპიროდ არსებობს სათავისო და სასხვისო ქცევის **მარკირებული ფორმები** (ანუ ფორმათა გარჩევის საკითხი არ დგას):

სათავისოს გამოხატავს ი- პრეფიქსი: იკეთებს ის მას, იშენებს ის მას, იწერს ის მას, იხატავს ის მას, იფასებს ის მას, ითბობს ის მას, იფარებს ის მას...

სასხვისოს უ- და **ი/უ:** უკეთებს ის მას მას, უშენებს ის მას მას, უწერს ის მას მას, უდებს ის მას მას, უხატავს ის მას მას, უთბობს ის მას მას, უტარებს ის მას მას, უდუღებს ის მას მას...

მიკეთებს ის მე მას	-	გიკეთებს ის შენ მას	-	უკეთებს ის მას მას
მიშენებს ის მე მას	-	გიშენებს ის შენ მას	-	უშენებს ის მას მას
მიხატავს ის მე მას	-	გიხატავს ის შენ მას	-	უხატავს ის მას მას
მიწერს ის მე მას	-	გიწერს ის შენ მას	-	უწერს ის მას მას
მიდუღებს ის მე მას	-	გიდუღებს ის შენ მას	-	უდუღებს ის მას მას...

კუთვნილება-დანიშნულების სემანტიკა ჩანს როგორც **გარდამავალ**, ისე **გარდაუვალ** ზმნებში. გარდამავალ ზმნებში ქცევის სამწევრიან სისტემას გამოყოფენ, გარდაუვალეებში – ორწევრიანს.

სათავისო ქცევა მხოლოდ გარდამავალ ზმნებში გვხვდება. სათავისო ქცევის გარდამავალი ზმნა ორპირიანია და აღნიშნავს, რომ პირდაპირი ობიექტი ან მოქმედების შედეგი განკუთვნილია სუბიექტური პირისთვის (ვიშენებ მე მას, იშენებ შენ მას, იშენებს ის მას), ამიტომ სათავისო ქცევას სხვანაირად სასუბიექტო ქცევასაც უწოდებენ.

გარდამავალი ზმნის სასხვისო ქცევის ფორმა სამპირიანია. ამ ფორმის მიხედვით კუთვნილებით-დანიშნულებითი მიმართება ობიექტურ პირებს შორისაა; ამის გამო ამგვარ ფორმებს **საობიექტო** ქცევის ფორმებსაც უწოდებენ.

„ქართულში ქცევის კატეგორიის **სამწევრიან** სისტემად (ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო) ინტერპრეტაციის პარალელურად არსებობს ქცევის კატეგორიის **ორწევროვან** სისტემად(სასუბიექტო:საობიექტო) წარმოდგენის ცდებიც (ქ.ლომთათიძე; ფ. ერთელიშვილი...).

ფორმოზრივად, როგორც გარდამავალი ზმნების სამწევრიანი სისტემის, ასევე, გარდაუვალ ზმნათა ორწევრიანი სისტემის ოპოზიციური ცალები ერთმნიშვნელოვნად აკმაყოფილებენ მორფოლოგიური ოპოზიციის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოთხოვნებს: გარდამავალ სამწევროვან სისტემებში მარკირებულია ოპოზიციის მინიმუმ ორი წევრი:

ნეიტრალური	სასუბიექტო	საობიექტო
ხატავს	ი-ხატავს	უ-ხატავს
ა-შენებს	ი-შენებს	უ-შენებს

გარდაუვალ ორწევროვან სისტემებში მარკირებულია ოპოზიციის მინიმუმ ერთი წევრი:

ნეიტრალური	საობიექტო
შენდება	უ-შენდება
თბება	უ-თბება
ი-ხატება	ე-ხატება
წუხს	უ-წუხს
ჩანს	უჩანს

[გოგოლაშვილი..., 2011, 546]

ქცევის კატეგორიის ორწევროვან სისტემად გააზრებას საფუძველად უდევს ქცევის ცნების ზოგადი განსაზღვრისა (კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვა) და ქცევის კერძო სახეობის, ნეიტრალური (საარვისო) წევრის ცნების განსაზღვრის (კუთვნილებითი ურთიერთობის გამოუ-ხატველობა) არათანაზომადობა: ფორმა, რომელიც არ გამოხატავს კუთვნილებით ურთი-ერთობას, ვერ იქნება ამ ოპოზიციის სრულფასოვანი წევრი“ [გოგოლაშვილი..., 2011, 542].

ქცევის კატეგორიის ორწევრიან სისტემად წარმოდგენა კუთვნილების გამოხატვა-გამოუხატველობის მიხედვით არც გარდამავალი ზმნებისთვისაა შეუძლებელი; ერთი მხრივ გვექნება ფორმები, რომლებშიც კუთვნილება-დანნიშნულების სემანტიკა არ ჩანს (ნეიტრალური ქცევის ფორმები) და მეორე მხრივ კი ფორმები, რომლებშიც ეს სემანტიკა გამოხატულია (სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები).

ქცევის კატეგორიის გააზრება ბინარული სისტემის სახით ზოგადი, მაგრამ აბსოლუტურად გამართული კლასიფიკაციაა, რომლის საფუძველია ზმნური ფორმების დაჯგუფება კუთვნილება-დანნიშნულების გამოხატვა-გამოუხატველობის თვალსაზრისით; იგი კუთვნილება-დანნიშნულების მიხედვით დაპირისპირებულ ფორმათა სისტემას წარმოაჩენს, – სწორედ ეს არის ქცევის კატეგორიის საფუძველი. კუთვნილება-დანნიშნულების ანუ პოსესიურობის გამოხატვის მიხედვით შეიძლება გვქონდეს არარეფერენცირებული (resp. ნეიტრალური) და რეფერენცირებული (არანეიტრალური, პოსესიური) ფორმები.

და თუ კუთვნილება-დანნიშნულებითი მიმართების მიხედვით პირებს შორის შეიძლება სხვადასხვაგვარი კომბინაცია იყოს, ეს უკვე მარკირებული გრამატიკული მნიშვნელობის ფარგლებში და მისი ქვესახეობების დონეზე უნდა განვიხილოთ.

სხვაგვარად: გამოიყოფა ქცევის ორ ძირითადი სახე: ნეიტრალური და არანეიტრალური. მარკირებულია არანეიტრალური, პოსესიური ქცევა, რომელიც, თავის მხრივ, ორ ქვესახეობას წარმოადგენს:

1. სასუბიექტოს: მოქმედება ან მოქმედების შედეგი ეკუთვნის სუბიექტს

და

2. საობიექტოს: მოქმედება ან მოქმედების შედეგი ეკუთვნის ობიექტს.

ა. შანიძე ამასთან დაკავშირებით წერს:

„ქცევა ანუ ვერსია არის ფორმა, რომელიც აღნიშნავს, თუ რა ურთიერთობაა კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით სუბიექტსა და ობიექტს შორის. ეს აღნიშვნა ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი, ე. ი. კუთვნილება-დანიშნულებითი ურთიერთობა შეიძლება აღინიშნოს ან არ აღინიშნოს. საამისოდ მოიპოვება საოპოზიციო ფორმები, რომლებიც ერთმანეთს კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით უპირისპირდებიან“ [შანიძე, 1980, 323].

„ქცევის შინაარსში კუთვნილება-დანიშნულების თვალსაზრისით ნულოვანი მნიშვნელობის შემოტანით შესაძლებელი გახდა ქცევის კატეგორიის ბინარული ოპოზიციით დახასიათებაც:

კუთვნილებაგანუსაზღვრელი	კუთვნილებაგანსაზღვრული
<p>ნეიტრალური</p> <p>გრდმ. ხატავს, ა-შენებს</p> <p>გრდუვ. თბება, წუხ-დ-ება, ი-მალება</p>	<p>სასუბიექტო საობიექტო</p> <p>ი-ხატავს, უ-ხატავს, ი-შენებს უ-შენებს</p> <p>უ-თბება, უ-წუხდება, ე-მალება“ [გოგოლაშვილი ..., 2011, 543].</p>

პარალელისთვის: ამა თუ იმ გრამატიკული ნიშნის ქონა-არქონის მიხედვით ასევე უპირისპირდებიან ერთმანეთს, ვთქვათ, კონტაქტის ფორმები; ერთი მხრივ, გვაქვს ამოსავალი ფორმები: აკეთებს, ხატავს, წერს... ამ ფორმებს კაუზატიური შინაარსი არა აქვთ, ესენი ამ თვალსაზრისით არ იქცევენ ყურადღებას, უფრო სწორად, სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევენ ყურადღებას, ესენიც ისევე არიან ნეიტრალურები კაუზაციის მიხედვით, როგორც საარვისო ქცევის ფორმები არიან ნეიტრალურები კუთვნილება-დანიშნულების გამოხატვის თვალსაზრისით, ესენიც ისევე არიან არარეფერენციურები კაუზაციის მიხედვით, როგორც საარვისო ქცევის ფორმები არიან კუთვნილება-დანიშნულების გამოხატვის თვალსაზრისით.

მაგრამ არსებობს მათთან შეპირისპირებული ფორმები (აკეთებინებს, ახატვინებს, აწერინებს...), სადაც სუბიექტისა და ობიექტების ფუნქციები ამოსავალი ვითარებისაგან განსხვავებულადაა წარმოჩენილი და გადანაწილებული.

და ამ შეპირისპირებით ყალიბდება მორფოლოგიური კატეგორია, ხდება გრამატიკული მნიშვნელობის მორფემიზაცია, მორფოლოგიზაცია.

გარდაუვალ ზმნებთან პირდაპირი ობიექტის მიკუთვნება ირიბი ობიექტისათვის ვერ აისახება: გარდაუვალ ზმნებში ორი ობიექტი არა გვაქვს... და რაც არსებითია, გარდაუვალ ზმნებში არ გვაქვს პირდაპირი ობიექტი. ამიტომ ა. შანიძე გარდაუვალ ზმნებთან ქცევის განმარტებას აზუსტებს: „ქცევებრივი ურთიერთობის წართქმითი სახის დასამყარებლად გარდაუვალ ზმნაში მარტო ორი სინტაქსური ოდენობა გვაქვს: სუბიექტი და ირიბი ობიექტი (ან მათი მორფოლოგიური ფარდები: სუბიექტური პირი და ირიბობიექტური პირი), ამიტომ

განსაზღვრა კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით შეიძლება სუბიექტს (ან სუბიექტურ პირს) შეეხებოდეს“ (ა. შანიძე).

ამის მიხედვით კეთდება დასკვნა: „მაშასადამე, საობიექტო ქცევა აღნიშნავს კუთვნილებით ურთიერთობას ობიექტებს შორის გარდამავალ ზმნაში და ობიექტსა და სუბიექტს შორის გარდაუვალ ზმნაში; უფრო ზუსტად: საობიექტო ქცევა აღნიშნავს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს გარდამავალ ზმნაში: უ-ხატავს ის მას სურათს, უ-შენებს ის მას სახლს, უ-თბობს ის მას ხელებს... სუბიექტი ეკუთვნის ირიბ ობიექტს გარდაუვალ ზმნაში: უ-შენდება მას სახლი, უ-თბება მას ხელები, ე-ხატება მას სურათი...“

ამდენად, გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში არა საობიექტო, არამედ საირიბობიექტო ქცევა გვაქვს“ [გოგოლაშვილი..., 2011, 562].

შენიშვნა! ზმნის პირების წარმოდგენისას, როგორც წესი, ჯერ სუბიექტს წარმოადგენენ, მერე – ობიექტს, ასე რომ, სწორი ჩანაწერი იქნება: უ-შენდება ის (სახლი) მას, უ-თბება ის (ხელები) მას, ე-ხატება ის (სურათი) მას... ეს არ არის ე. წ. საკუთრივ ინვერსიული ზმნები, რომელთა გააზრებასა და გრამატიკულ შეფასებაშიც არ არის ერთსულოვნება სპეციალისტებს შორის (ერთი მხრივ: მინდა მე ის/გინდა შენ ის/უნდა მას ის, მეორე მხრივ: მინდა ის მე/გინდა ის/შენ, უნდა ის მას, ერთი მხრივ: მიყვარს მე ის/გიყვარს შენ ის/უყვარს მას ის, მეორე მხრივ: მიყვარს ის მე/გიყვარს ის შენ/უყვარს ის მას...).

შენიშვნა? გარდაუვალ ზმნებში მხოლოდ საირიბობიექტო ქცევა (უფრო სწორად, ქცევის ქვესახეობა) გვაქვს, მაგრამ გარდამავლებში შეიძლება ორივე იყოს: **ორპირიანებში** ქცევა მხოლოდ სასუბიექტოა, სამპირიანებში – მხოლოდ საირიბობიექტო.

ა. შანიძისეული დეფინიცია პირდაპირი ობიექტის კუთვნილება-დანიშნულებას აფიქსირებს, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ამ თვალსაზრისით ქცევა გარდამავალი ზმნის კატეგორიაა. ა. შანიძე აღნიშნავს კიდევ, რომ „ქცევათა ბუნებისა და თვისების გამოხატვა უფრო გარდამავალი ზმნის საშუალებით არის შესაძლებელი“ [შანიძე, 1980, 324].

„ეს საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში დროდადრო ისმის. შდრ., „ქცევის კატეგორია ზოგადად იქმნება სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობის ნიადაგზე და ამიტომ: იქ, სადაც ობიექტი არ მოიპოვება (ე.ი. ერთპირიან ზმნებში), ქცევის საკითხიც არ დაისმის. ქცევაზე ლაპარაკი მხოლოდ ორპირიან და სამპირიან ზმნებში შეიძლება“ (არნ. ჩიქობავა). ამ ფაქტიდან კეთდება ისეთი დასკვნაც, რომ ქცევის კატეგორია გარდამავალი ზმნის კატეგორიაა და გარდაუვალ ზმნებს (ვნებითსა და საშუალებას) ქცევის მიხედვით საპირისპირო ფორმები და, შესაბამისად, ქცევის კატეგორია არ ეწარმოება“ [გოგოლაშვილი..., 2011, 543].

ერთპირიანი ზმნა ქცევის თვალსაზრისით ნეიტრალურია (**ნეიტრალურია და არა უქცევო!**) ნეიტრალურია იმის გამო, რომ თავად არ გამოხატავს კუთვნილება-დანიშნულების სემანტიკას, თუმცა ამ სემანტიკის უქონლობით უპირისპირდება სხვა ფორმებს, მას სისტემურად მოეპოვება საპირისპირო – კუთვნილება-დანიშნულების გრამატიკული შინაარსის მქონე ფორმები.

მხოლოდ პოლიპერსონალურ ზმნას შეუძლია ჰქონდეს ვერსიის ზმნური პოსესიურობის კატეგორია [მახარობლიძე 2012, 155].

მესამე სერიაში ქცევის მორფოლოგიური კატეგორია არა გვაქვს, არა გვაქვს ფორმათა დაპირისპირება ქცევის სემანტიკის მიხედვით.

სწორედ ეს ფორმებია უქცევო, – მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს სათანადო მარკერები (ე. ი. გვაქვს ფორმა) და გვაქვს ქცევის პოზიტიური სახეობისათვის აუცილებელი პირები (ანუ, ერთზე მეტი პირი).

რაც შეეხება იმას, რომ, ვთქვათ, **ეხატება** (ის მას) და **უხატავს** (ის მას მას) ფორმათაგან ერთი უფრო გამოხატავს „ქცევათა ბუნებასა და თვისებას“, ვიდრე მეორე: არასწორია საკითხის ასე დაყენება, იმდენად რამდენადაც პოსესიურობის სემანტიკა ორივე შემთხვევაში ერთნაირად ჩანს, აბსოლუტურად **იდენტურია ინტერპრეტაციის სქემაც**:

ეხატება ის მას = იხატება ის **მისთვის**

უხატავს ის მას მას = ხატავს ის მას **მისთვის**.

უხატავს (ის მას მას) რომ კუთვნილებით-დანიშნულებით სემანტიკას გამოხატავს, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ **ეხატება** (ის მას) ფორმასაც აქვს ეს გრამატიკული მნიშვნელობა, – არც ამაზეა აზრთა სხვადასხვაობა (იმდენად ნათელია ამ ფორმებში კუთვნილება-დანიშნულების სემანტიკა). მათ შორის განსხვავება გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით არ არის.

ვფიქრობთ, რაციონალური იქნება, თუ დადგება **დეფინიციის დაზუსტების** საკითხი: მასში მხოლოდ და სწორედ ის სპეციფიკა უნდა წარმოჩინდეს **ზოგადად**, რომ ზმნის ფორმით შეიძლება **იყოს** ან **არ იყოს** გადმოცემული კუთვნილება-დანიშნულების სემანტიკა: ანუ, ტრადიციული დეფინიციიდან ამოვარდეს **პირთა შორის მიმართების მომენტი**.

ფაქტია, რომ გარდაუვალ ზმნებში დგება კუთვნილება-დანიშნულების სემანტიკის მარკირების საკითხი. ვნებითის კუთვნილებით-დანიშნულებით ფორმებში ე- პრეფიქსი დასტურდება, რომელიც პასივის ნიშანია. მაშ რითი გამოიხატება ქცევის სპეციფიკა? ე- პრეფიქსი ორივე ფუნქციას ასრულებს?

აკაკი შანიძეს აქვს კიდევაც ასეთი ახსნა.

ფაქტია, რომ არსებობს სპეციფიკური გრამატიკული მნიშვნელობა და მას აქვს საკუთარი ფორმა და, განსაკუთრებით გავუსვამთ ხაზს, – **პარადიგმა (რაც ფორმის ტოლფასია)**.

როგორც აღინიშნა, გარდამავალ ზმნებს ქცევის ფორმა მესამე სერიაშიც აქვთ (ი-/უ- მორფემებით წარმოდგენილი), თუმცა ეს არის შინაარსისგან დაცლილი ფორმა: ქცევის მნიშვნელობა, საპირისპირო ფორმების უქონლობის გამო, გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმებში ნეიტრალიზებულია (აკეთებს, ი-კეთებს, უ-კეთებს ფორმებს მესამე სერიაში საერთო ფორმა აქვთ: გა-უ-კეთებია; ე. ი. გრამატიკული მნიშვნელობები ნიველირებულია)¹⁷.

ამ ფონზე ძალიან საინტერესოა, რომ გარდაუვალ ზმნებს „ქცევებრი განსხვავება რამდენადმე III სერიაში შეუძლიათ მოგვცენ საპირისპირო ფორმების წყალობით“ (ა. შანიძე).

ამის გარემოების გათვალისწინებით მსჯელობა იმაზე, რომ ქცევა მხოლოდ გარდამავალი ზმნის კატეგორიაა, კიდევ უფრო გაჭირდება.

¹⁷ არსებობს მოსაზრება, რომ მესამე სერიაში წარმოდგენილი ქცევის მარკერები უფუნქციო არ არის: „გარდამავალი ზმნების მესამე სერიაში ვერსიის ნიშნები ჩნდება ორი მიზეზის გამო: ზმნიდან გასული ირიბი ობიექტის პოსესიურ-დესტინაციური სემანტიკის გადმოსაცემად და პერფექტის პოსესიური სემანტიკის გადმოსაცემად. ამდაგვარი კომბინირებული საფუძველი საკმარისია იმისთვის, რომ ეს ნიშნები არ ჩაითვალოს უფუნქციოდ. ქართულში ზმნათა ხმოვანპრეფიქსები პოლიპერსონალური აფიქსებია სინთეტური მორფოლოგიური მნიშვნელობებით და ისინი გადმოსცემენ კონკრეტული ფორმების სემანტიკურ კონტენტს. გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებში წარმოდგენილია ინვერსიული პოსესიურობა და დატიური კონსტრუქციით გადმოცემული ერგატიული კონტენტის შესაბამისად, ამ ფორმებში ადგილი აქვს ობიექტის აქტუალიზაციას, რაც გამოხატულია ინვერსიით“ [მახარობლიძე 2012, 155].

მით უფრო, რომ მედიოპასივთა ერთ ნაწილსა და სტატიკურ ვნებთებში ქცევის სემანტიკის მარკირება ჩვეულებრივად ხდება ი-/უ- ნიშნების საშუალებით:

ნეიტრალური	კუთვნილებით-დანიშნულებითი
(ა)გდია	მ-ი-გდია
	გ-ი-გდია
	უ-გდია
კიდია	მ-ი-კიდია
	გ-ი-კიდია
	უ-კიდია
წერია	მ-ი-წერია
	გ-ი-წერია
	უ-წერია
ხატია	მ-ი-ხატია
	გ-ი-ხატია
	უ-ხატია...

რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ ამ ფორმებს შორის კუთვნილება-დანიშნულების მიხედვით ოპოზიციური მიმართება არ არსებობს?

იმას, რომ, ვთქვათ, „მიწერია“ არ არის საოზიექტო ქცევის ფორმა?

ამ შემთხვევაში გვაქვს კლასიკური სისტემური დაპირისპირება, ფორმოზრივ-სემანტიკური ოპოზიცია, გვაქვს ის საფუძველი, რაც გრამატიკული კატეგორიისთვისაა აუცილებელი.

ერთპირიან ზმნაში არ შეიძლება კუთვნილებით-დანიშნულებითი სემანტიკა ჩანდეს: კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა მინიმუმ ორი პირის ურთიერთობას ნიშნავს.

მეორე მხრივ, არც ორპირიანობა და არც სამპირიანობაა საკმარისი პირობა კუთვნილებით-დანიშნულებითი შინაარსის გადმოსაცემად. ნეიტრალური ქცევის ფორმა შეიძლება იყოს **ერთპირიანი** ზმნაც (წერია...), **ორპირიანიც** (წერს...) და **სამპირიანიც** (სწერს...).

ორპირიანობა და სამპირიანობა **აუცილებელი**, მაგრამ **არასაკმარისი** პირობაა იმისათვის, რომ კუთვნილებით-დანიშნულების თვალსაზრისით პოზიტიურ ფორმებზე ვიმსჯელოთ.

ერთპირიანი ფორმები ყოველთვის ნეიტრალურია;

ორპირიანი და სამპირიანი ფორმები შეიძლება იყოს ნეიტრალურიც და არანეიტრალურიც, ნეგატიურიც და პოზიტიურიც, არარეფერენციურულიც და რეფერენციურულიც.

II.10.1. ქცევა მეგრულ-ლაზურში.

მეგრულ-ლაზურში ქართულის ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ ქცევის ორ ზოგად სახეობაზე: **ნეიტრალურ** (საარვისო) და **არანეიტრალურ** (კუთვნილებით-დანიშნულებით) ქცევაზე;

კუთვნილებით-დანიშნულებითი ქცევა, თავის მხრივ, ორ სახეობად იშლება: სასუბიექტო (სათავისო) ქცევა და საობიექტო (სასხვისო) ქცევა.

ნეიტრალური ქცევის ფორმებია: ვაკეთენქ „ვაკეთებ“, პჰანქ „აკერავ“, ფთასუნქ „ვთესავ“, პჰკირუნქ „აკირი“, ფაფრთხუნქ „ფაფრთხავ“, ფშუნქ „ვსვამ“...

სასუბიექტო ქცევის ფორმების საწარმოებლად იგივე ინვენტარი გამოიყენება, რაც ქართულშია, – **ი-პრეფიქსი**:

- ვ-ი-კეთენქ/ი-პკეთენქ „ვიკეთებ“, ი-კეთენქ „იკეთებ“, ი-კეთენს „იკეთებს“
- ვ-ი-ჰანქ/ი-პჰანქ „ვიკერავ“, ი-ჰანქ „იკერავ“, ი-ჰანს „იკერავს“
- ვ-ი-თასუნქ/ი-ფთასუნქ „ვითესავ“, ი-თასუნქ „ითესავ“, ი-თასუნს „ითესავს“
- ვ-ი-ჰკირუნქ/ი-პჰკირუნქ „ვიჰკირი“, ი-ჰკირუნქ „იჰკირი“, ი-ჰკირუნს „იჰკირის“
- ვ-ი-ფართხუნქ/ი-ფაფრთხუნქ „ვიფრთხავ“, ი-ფართხუნქ „იფრთხავ“, ი-ფართხუნს „იფრთხავს“
- ვ-ი-შუმუნქ/ი-ფშუმუნქ „ვთვრები“ („ვითვრები“), ი-შუმუნქ „თვრები“, ი-შუმუნს „თვრება“...

საობიექტო ქცევის ფორმებს **უ-** ან **ი-/უ-** აწარმოებს:

- ა)
- (ვ)-**უ**-კეთენქ „ვუკეთებ“, **უ**-კეთენქ „უკეთებ“, **უ**-კეთენს „უკეთებს“
 - (ვ)-**უ**-ჰანქ „ვუკერავ“, **უ**-ჰანქ „უკერავ“, **უ**-ჰანს „უკერავს“
 - (ვ)-**უ**-თასუნქ „ვუთესავ“, **უ**-თასუნქ „უთესავ“, **უ**-თასუნს „უთესავს“
 - (ვ)-**უ**-ჰკირუნქ „ვუჰკირი“, **უ**-ჰკირუნქ „უჰკირი“, **უ**-ჰკირუნს „უჰკირის“
 - (ვ)-**უ**-ფართხუნქ „ვუფრთხავ“, **უ**-ფართხუნქ „უფრთხავ“, **უ**-ფართხუნს „უფრთხავს“...

- ბ)
- მ-ი-კეთენს „მიკეთებს“, გ-ი-კეთენს „გიკეთებს“, **უ**-კეთენს „უკეთებს“
 - მ-ი-ჰანს „მიკერავს“, გ-ი-ჰანს „გიკერავს“, **უ**-ჰანს „უკერავს“
 - მ-ი-თასუნს „მითესავს“, გ-ი-თასუნს „გითესავს“, **უ**-თასუნს „უთესავს“
 - მ-ი-ჰკირუნს „მიჰკირის“, გ-ი-ჰკირუნს „გიჰკირის“, **უ**-ჰკირუნს „უჰკირის“
 - მ-ი-ფართხუნს „მიფრთხავს“, გ-ი-ფართხუნს „გიფრთხავს“, **უ**-ფართხუნს „უფრთხავს“...

ნეიტრალური ქცევის ფორმებში ზოგჯერ **ი-** პრეფიქსი ჩანს, მაგრამ მას ისევე არაფერი აქვს საერთო ქცევის სემანტიკის მორფოლოგიკაზიასთან, როგორც მის ქართულ შესატყვის ა-პრეფიქსს.

„სასუბიექტო ქცევა მეგრულშიც და ქართულშიც ორი ფუნქციის მქონეა: აღნიშნავს როგორც იმას, რომ მოქმედება ეხება **სუბიექტის საგანს**, ისე იმასაც, რომ მოქმედება ეხება სუბიექტისთვის განკუთვნილ საგანს:

პის	ი-ბონს	–	პირს იბანს	(ბანს თავის პირს)
თომას	ი-რცხონუნს	–	თმას ივარცხნის	(ვარცხნის თავის თმას)
დუს	ი-ყვილუნს	–	თავს იკლავს	(კლავს თავის თავს)...

მაგრამ:

ი-კეთენს	–	იკეთებს	(აკეთებს თავისას ან თავისთვის)
ი-ჰანს	–	იკერავს	(კერავს თავისას ან თავისთვის)

ო-თასუნს	–	ითესავს	(თესავს თავისას ან თავისთვის)
ო-ხაჩქუნს	–	ითხონის	(თხონის თავისას ან თავისთვის)
<i>ასევე:</i>			
უ-კეთენს	–	უკეთებს	(აკეთებს სხვისას ან სხვისთვის)
უ-ჭანს	–	უკერავს	(კერავს სხვისას ან სხვისთვის)
უ-თასუნს	–	უთესავს	(თესავს სხვისას ან სხვისთვის)
უ-ხაჩქუნს	–	უთხონის	(თხონის სხვისას ან სხვისთვის)...

ქართულის ანალოგიურია ვითარება ვნებითის ნეიტრალური და არანეიტრალური ქცევის სახეობებს შორის: **ო-** პრეფიქსიანი ვნებითი ნეიტრალურია ქცევის კუთვნილება-დანაშინულების გამოხატვის თვალსაზრისით, ხოლო შესაბამისი **ა-** პრეფიქსიანი (ქართ. ე-პრეფიქსიანის შესატყვისი) პოსესიური სემანტიკისაა:

ო-ხანტუ	„იხატება“	ა-ხანტუ	„ეხატება“
ო-ჭარუ	„იწერება“	ა-ჭარუ	„ეწერება“
ო-ხაჩქუ	„ითხნება“	ა-ხაჩქუ	„ეთხნება“
ო-ბარუ	„იბარება“	ა-ბარუ	„ებარება“
ო-რჩინუ	„იბერდება“	ა-რჩინუ	„ებერდება“

ლაზურშიც გამოიყოფა ნეიტრალური და არანეიტრალური ქცევის ფორმები.

ნეიტრალურია:

ბონუფს „ბანს“, ჭარუფს „წერს“, ხაჩქუფს „თხონის“, ზუმუფს „ზომავს“...

არანეიტრალურია:

1. **სასუბიექტო ქცევის ფორმები:** იბლავს „იპარსავს“, იბონუმს „იბანს“, იკვათუფს „იჭრის“...

2. **საობიექტო ქცევის ფორმები:** უბლავს „ჰპარსავს“, უბონუმს „ჰბანს“, უჭარუფს „უწერს“, უხაჩქუფს „უთხონის“...

არნ. ჩიქობავა წერს: „სასუბიექტო ქცევის შესახებ სარფელები აცხადებდნენ: იგი აღნიშნავს, რომ ობიექტი სუბიექტის კუთვნილებას წარმოადგენს, მაგრამ არ აღნიშნავს, იმას რომ ობიექტი განკუთვნილია სუბიექტისთვისო: „ყველს იჭრის“ (ე. ი. „ჭრის თავისთვის“ ჭანურად არ ითქმისო: „ხე იკვათუმს“, „კითი იკვათუმს“ (ხელს იჭრის“, თითს იჭრის“), ითქმის: „ხელი“, „თითი“ სუბიექტისაა და „იკვათუმს“ ნიშნავს: „ჭრის თავისასო“ (უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თავის სხეულის ნაწილს და არა თავისთვის). სარფელები მარწმუნებდნენ: „იჭარუფს“ „იწერს“ არ იხმარებაო; იჭარუფს იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ თავის სხეულზე დაიწყებდა წერასო, და აბა როგორ იქნებოდა... იბონს, იბლავს“... ბუნებრივია იმიტომ, რომ სუბიექტი თავის პირს იბანს, იპარსავსო... შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ სათავისო ქცევის შინაარსის ასეთი დავიწროება გამოწვეულია იმით, რომ ჭანურის მორფოლოგიური სტრუქტურა შერყეულია და ამასთან დაკავშირებით სამეტყველო ფსიქოლოგიაც შეიბღალა, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ეს მოვლენა მეორეული რიგისა არ არის: ქართულში, მეგრულსა და სვანურშიც სასუბიექტო ქცევის ძირითადი და პირველადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო სწორედ ის, რაც აქაა

შენახული: მოქმედება **სუბიექტის** საგანზე (და არა სუბიექტისთვის განკუთვნილ საგანზე!) ისევე, როგორც სასხვისო ქცევისათვის ძირითადი უნდა ყოფილიყო – მოქმედება **სხვის** ობიექტზე და არა სხვისთვის განკუთვნილ ობიექტზე; თავი მოიკლა (= თავისი თავი მოკლა), მტერს გული მოუკლა (= მტრის გული მოკლა). თუ ეს ასეა, სასუბიექტო ქცევის მნიშვნელობა სარფულში არქაულ მოვლენად უნდა მიგვეჩნია და არა ნეოლოგიზმად. სასხვისო ქცევას ორივე მნიშვნელობა აქვს: მოქმედება ეხება ობიექტის საგანს ანდა ობიექტისთვის განკუთვნილ საგანს. ეს მეორე მნიშვნელობა, ალბათ, შემდეგაა განვითარებული“ [ჩიქობავა, 1936, 107-108].

ერთი სიტყვით, ლაზურის სათავისო ქცევის ფორმებში **კუთვნილების (პოსესივის)** სემანტიკა დომინირებს და არ ჩანს **დანაშნულების** სემანტიკა.

ამგვარი, ცალსახად პოსესიური სემანტიკის მქონე ზმნების ჯგუფი ქართულშიც გვაქვს და მეგრულშიც; შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ფორმათა ინტერპრეტაციის სქემები:

ქართ.:	იბანს პირს:	ბანს თავის პირს
მეგრ.:	იბონს დუს:	ბონუნს მუშ დუს
ქართ.:	ივარცხნის თმას:	ვარცხნის თავის თავს
მეგრ.:	ირცხონს თუმას:	რცხონუნს მუშ თუმას
ქართ.:	იხეხავს კბილს:	ხეხავს თავის კბილს
მეგრ.:	იხეხუნს კიბირს:	ხეხუნს მუშ კიბირს
ქართ.:	იხვრეტს ყურს:	ხვრეტს თავის ყურს
მეგრ.:	ირხუნს ცუც:	რხუნს მუშ ცუც
ქართ.:	იმშრალებს ტანს:	ამშრალებს თავის ტანს
მეგრ.:	ოსქირუანს ტანს:	ოსქირუანს მუშ ტანს
ქართ.:	იჭრის ფრჩხილებს:	ჭრის თავის ფრჩხილებს...
მეგრ.:	იჭკირუნს ბირცხეფს:	ჭკირუნს მუშ ბირცხეფს...

შდრ.:

ქართ.:	იდუღებს ჩაის:	ადუღებს (ჩაის) თავისთვის
მეგრ.:	ოფუნუანს ჩაის:	ოფუნუანს (ჩაის) მუშო(თ)
ქართ.:	იჭრის პურს:	ჭრის (პურს) თავისთვის
მეგრ.:	იჭკირუნს ქობალს:	ჭკირუნს (ქობალს) მუშო(თ)
ქართ.:	იშენებს სახლს:	აშენებს სახლს თავისთვის
მეგრ.:	იშენენს ცუდეს:	აშენენს ცუდეს მუშო(თ)
ქართ.:	იკეთებს საქმეს:	აკეთებს საქმეს თავისთვის
მეგრ.:	იკეთენს საქმეს:	აკეთენს საქმეს მუშო(თ)
ქართ.:	იმზადებს სადილს:	ამზადებს (სადილს) თავისთვის...
მეგრ.:	იმზადენს სადილს:	ამზადენს (სადილს) მუშო(თ)...

ლაზურს არამხოლოდ პირველსა და მეორე სერიაში შეუძლია ქცევის თვალსაზრისით ფორმათა გარჩევა: „ჭანურში სასუბიექტო და საობიექტო ქცევები ზმნებს დროთა მესამე ჯგუფშიაც გადაჰყვება: ცონას ჩხომი პკორობი, ოხორჯას ქომეფჩი, ემუქ ვა **მიტაღანუდორენ** II 616,10 „ყანაში თევზი დაკვრიბე, ცოლს მივეცი, იმას კი არ შეუწვავს“... ეს იმიტომ, რომ დროთა მესამე ჯგუფში ჭანური ზმნები ინარჩუნებენ პირდაპირ წყობას; ქართულში, მეგრულში და

სვანურში კი ზმნას მესამე ჯგუფში ინვერსიული წყობა აქვს და ქცევების საკითხი იხსნება“ [ჩიქობავა, 1936, 108-109].

მიტალანუდორენ ფორმის ზედმიწევნითი თარგმანი ასეთი იქნება: „შემიწვა ყოფილა“.

შეიძლება დავაზუსტოთ, რომ ქართულის მესამე სერიასა და მეგრულის მესამე-მეოთხე სერიაში ინვერსიული ან მიმდებური (მიმდებობის ფუძეზე დამყარებული) წარმოება გვაქვს. ინვერსიულ ფორმაში ქცევის ნიშანი ჩანს, მაგრამ მას საპირისპირო ფორმები არ გააჩნია, – ამიტომაც ის ქცევის გაგებას მოკლებული.

ზმნის უპირო ფორმებში (მასდარსა და მიმდებობაში) ქცევის ნიშნები საერთოდ არ ჩანს, – ბუნებრივია, არ იქნება ის მასზე დამყარებულ მეორეულ ფორმებშიც.

II.11. კონტაქტის კატეგორია.

კონტაქტი ზმნის ერთ-ერთი ძირითადი და კარგად გამოხატული კატეგორიაა ქართველურ ენებში.

აკაკი შანიძე კონტაქტის სახელით აღნიშნავს „გარდამავალი ზმნის ფორმას, რომელიც გვიჩვენებს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ ან სხვა პირის შუალობით. ამის მიხედვით გვაქვს ორი კონტაქტი: უშუალო და შუალობითი (resp. უმეშვეო და მეშვეობითი).

უშუალოა კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად: ვწერ, ვხატავ, ვაშენებ, ვიჭერ.

შუალობითია კონტაქტი, რომელიც აღნიშნავს, რომ სუბიექტური პირი მოქმედებს პირდ. ობიექტზე სხვა პირის შუალობით: ვაწერინებ, ვხატავინებ, ვაშენებინებ, ვიჭერინებ.

შუალობითი კონტაქტის ფორმას დამოუკიდებლად კაუზატივს ეძახიან, ანუ ფაქტიტივს, ზოგჯერ აგრეთვე იძულებითაც“ [შანიძე, 1980, 358].

შევნიშნავთ, რომ კონტაქტი შეიძლება იყოს არა **ფორმა**, არამედ გარკვეული გრამატიკული ნიშნის მიხედვით ფორმირებული ოპოზიციურ ფორმათა სისტემა, ანუ კატეგორია.

კონტაქტის კატეგორია უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმათა სისტემის საფუძველზე გამოიყოფა.

კაუზაცია მიზეზობრივ განპირობებულობას გულისხმობს. მარუზოს განმარტებით, კაუზატივის ფორმაში ჩანს, „რომ „სუბიექტი თვით კი არ მოქმედებს, არამედ სხვას აიძულებს შეასრულოს მოქმედება“ [მარუზო, 1960, 261], მოქმედების მიზეზია S-ური პირი¹⁸.

გ. მაჭავარიანი თვლის, რომ „კაუზატივი უდრის პირველ რიგში იმას, რასაც პროფ. ა. შანიძე შუალობით კონტაქტს (ანუ გზას) უწოდებს. მაგრამ ეს არის კაუზატივის ვიწრო გაგება. ფართო გაგებით (და არსებითადაც!) კაუზატივის კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი წარმოებაც, როგორცაა: წუხ-ს – ა-წუხ-ებ-ს, დგ-ა-ს – ა-დგ-ენ-ს, რბ-ი-ს – ა-რბ-ევ-ს, თბ-ებ-ა (ძვ. ტფ-ებ-ი-ს) – ა-თბ-ობ-ს (ძვ. ქართ. ა-ტფ-ობ-ს), ძვ. ქართ. კუდ-ებ-ი-ს – ა-კუდ-ინ-ებ-ს

¹⁸ ტერმინ კაუზატივის ქართული ეკვივალენტი იქნება „მიზეზობითი“ (ლან. Causa „მიზეზი“ [იხ. მაჭავარიანი, 1988, 65].

(შდრ. მო-მ-ა-კვდ-ინ-ებ-ელ-ი)“ [მაჭავარიანი, 1988,62; იხ. აგრეთვე: ჩიქობავა, 1950, 059; გეწაძე..., 1969, 12; დამენია, 1982, 30].

„სამპირიანი კაუზატივის შემთხვევაში, – წერს გ. მაჭავარიანი, – იძულება ეხება „ირიბ“ ობიექტს, ორპირიანი კაუზატივის შემთხვევაში – „პირდაპირ“ ობიექტს. ამით განსხვავდება გარდამავალი ზმნისაგან ნაწარმოები კაუზატივი გარდაუვალი ზმნისაგან ნაწარმოები კაუზატივისაგან... მო-ა-კვდ-ინ-ა ისეთივე კაუზატივია, როგორც და-ა-წერ-ინ-ა. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ მო-ა-კვდ-ინ-ა ორპირიანია, და-ა-წერ-ინ-ა – სამპირიანი. ეს კი... შედეგია საწარმოებელ ფუძეთა სხვადასხვაობისა: პირველი გარდაუვალი ზმნისაგან არის ნაწარმოები, მეორე კი – გარდამავლისგან [მაჭავარიანი, 1988, 65]¹⁹.

იან ბრაუნზე დამყარებით მკვლევარი სამპირიან კაუზატივებს „ორმაგ“ ან „მეორეულ“ კაუზატივებს“ უწოდებს, ხოლო ორპირიანებს – „ერთმაგ“ ან „პირველად“ კაუზატივებს“ [იქვე, 65].

„პირველად“ კაუზატივთათვის სათანადო მორფოლოგიური სტატუსის მინიჭება გაუმართლებელი ჩანს რამდენიმე გარემოების გამო:

1. „პირველად“ კაუზატივებს (რომლებიც აგრეთვე მოქმედებითი გვარის ზმნებია) ძალიან ხშირად არა აქვთ ამოსავალი, ძირეული ფორმები, – გრამატიკული კატეგორია კი სწორედ საპირისპირო ფორმათა სისტემის არსებობას ემყარება [შანიძე, 1980, 381]. პირველადი კაუზატიური ფორმები მოქმედებითი გვარის ფორმებია; „ვნებითი იწარმოება... მოქმედებითისგან“, მაგრამ „რა აწარმოებს მოქმედებითს რისგან იწარმოება მოქმედებითი?“ [ჩიქობავა, 1950, 059].

„ზმნის უღვლილების ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით“ არნ. ჩიქობავა ვარაუდობს: წარმოებისთვის ამოსავალია სტატიკური ზმნა. მაწარმოებლად იმგვარივე თავსართი და ბოლოსართი უნდა გვქონოდა, როგორც კაუზატივებშია გამოყენებული: მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება წუხ-ს და ა-წუხ-ებ-ს ზმნათა ურთიერთობა [იქვე, 060-061].

მაგრამ სტატიკური ფორმები ამოსავლად შეიძლება ვივარაუდოთ მოქმედებითი გვარის ზმნათა მცირე ჯგუფისთვის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „სტატიკური ზმნები ქართულში ცოტაა; დინამიკური ზმნები ქმნიან აბსოლუტურ უმრავლესობას“ [იქვე, 051].

გ. მაჭავარიანისთვის დასაშვებია „პირველადი“ კაუზატივის ძირეულ (ე. ი. არაკაუზატიურ) ფორმად სახელის ფუძის მიჩნევა: „დიდი – ა-დიდ-ებ-ს (ა-დიდ-ა), ლამაზი – ა-ლამაზ-ებ-ს (ა-ლამაზ-ა), კეთილი – ა-კეთ-ებ-ს (ა-კეთ-ა), ვალი – ა-ვალ-ებ-ს (და-ა-ვალ-ა), სახლი – ა-სახლ-ებ-ს (და/-ა-სახლ-ა)“ [მაჭავარიანი, 1988, 69].

რა თქმა უნდა, აქ საეჭვო ის კი არ არის, რომ ზმნური წარმოება სახელურ ფუძეს ემყარება; ეს ფაქტია. მხოლოდ, არ შეიძლება დავუშვათ, რომ, ვთქვათ, **დიდი – ადიდებს** კაუზატიურობის თვალსაზრისით დაპირისპირებული ფორმებია, ე. ი. ა. შანიძის ტერმინები რომ მოვიშველიოთ, თითქოს „დიდი“ არის უშუალო კონტაქტის ფორმა, „ადიდებს“ კი – შუალობითისა.

¹⁹ საინტერესოა, რომ ცოტა ზემოთ ავტორი ასე მსჯელობს „მოაკუდინა“ და „დააწერინა“ ფორმებზე: „მოაკუდინა არსებითად იმასვე ნიშნავს, რასაც „მოკლა“. ეს უკანასკნელი კი ჩვეულებრივი ორპირიანი გარდამავალი ზმნაა და კაუზატივად, რასაკვირველია, ვერ ჩაითვლება. მეორე მხრივ, სამპირიანი გარდამავალი ზმნა „დააწერინა“ აშკარად გამოხატული კაუზატივია (ჩვეულებრივი გაგებით), ე. ი. შუალობითი გზაა [მაჭავარიანი, 1988, 64].

2. პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ ფორმისათვის კაუზატივის სტატუსის მინიჭებისას, პრაქტიკულად უდიდესი განზოგადების შესაძლებლობას იძლევა.

მ. დამენიას აზრით, „კაუზატიურად უნდა ჩაითვალოს ზმნური ფორმები: ა-დულ-ებ-ს, ა-ტრიალ-ებ-ს, ა-ტირ-ებ-ს, ა-წვ-ენ-ს, ა-ძინ-ებ-ს, ა-ცინ-ებ-ს, ა-ღ-ებ-ს, ა-ხრჩ-ობ-ს, ა-ძღ-ებ-ს... ჩამოთვლილი ზმნები კაუზაციის სიტუაციაში იმყოფებიან, რადგან აკმაყოფილებენ კაუზაციისათვის საჭირო პირობას: „ცეცხლი ადულებს წყალს“ – წყალი განიცდის მოქმედებას, რადგან მას განაპირობებს ცეცხლი; ცეცხლი აგენსია, წყალი – პაციენსი; „წყალი ატრიალებს ბორბალს“, – წყალი აგენსია, ბორბალს (ბორბალი ტრიალებს) – პაციენსი; „კაცი ადებს კარს“ – კაცი აგენსია, კარი (რადგან იღება) – პაციენსია...“ [დამენია, 1982, 110].

კაუზატიურად მიჩნეული ზმნებისთვის შექმნილია გარკვეული მოდელი პერიფრაზირებისა: „ა-ჩენ-ს (ის ჩანს იმიტომ, რომ მას აჩენენ), ა-დულ-ებ-ს (ის დულს, რადგან მას ადულდებენ), ა-ტრიალ-ებ-ს (ის ტრიალებს, რადგან მას ატრიალებენ), ა-ტირ-ებ-ს (ის ტირის, რადგან მას ატირებენ)... რევს (იგი ირევა, რადგან მას მას იგი რევს), ჩეკს (იგი იჩეკება, რადგან მას ჩეკენ), ბადებს (იგი იბადება, რადგან მას ბადებს) და სხვა“ [დამენია, 1982,112]²⁰.

ამ „პრინციპით“ კაუზატიური გამოდის ნებისმიერი გარდამავალი ზმნა; მაგ.: კლავს ის მას (ის კვდება/იკვლება იმიტომ, რომ მას კლავენ), წერს ის მას (ის იწერება იმიტომ, რომ მას წერენ), ჭამს ის მას (ის იჭმება იმიტომ, რომ მას ჭამენ), ჭრის ის მას (ის იჭრება იმიტომ, რომ მას ჭრიან), ხნავს ის მას (ის იხვნება იმიტომ, რომ მას ხნავენ), თიბავს (ის თიბება იმიტომ, რომ მას თიბავენ)...

მეორე მხრივ, მიზეზ-შედეგობრივი მიმართება შეიძლება „აღმოვაჩინოთ“ გარდაუვალ ზმნებშიც; მაგ.: ის იხატება (იმიტომ, რომ მას ხატავენ), ის იკვლება (იმიტომ, რომ მას კლავენ), ის ხმება (იმიტომ, რომ მას ახმოებენ) და ა. შ.

3. „პირველადი“ კაუზატივების კლასიფიკაციისას ყურადღების მიღმა რჩება ერთი არსებითი ხასიათის მომენტი: ის პირი, რომელსაც ზმნის ფორმის მიხედვით „აიძულებენ“ (რეალური მოქმედი), სულიერი უნდა იყოს.

ეს კაუზაციის იმანენტური ფაქტორია, შინაგანად განმაპირობებელი და მამოძრავებელი, შეიძლება ითქვას, მაპროვოცირებელი აუცილებელი პირობაა.

„ბატონი ყმას ამუშავებს“ ტიპის წინადადებები, – წერს გ. ნებიერიძე, – აკ. შანიძის მიხედვით, არ წარმოადგენენ კაუზატიურ კონსტრუქციებს, არ გამოხატავენ შუალობით კონტაქტს... თუ კაუზაციას აღვნიშნავთ „აიძულებს“ სიტყვით, მაშინ მოცემული წინადადების სტრუქტურა ასე უნდა წარმოვიდგინოთ: **ბატონი აიძულებს ყმას... ყმა მუშაობს**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ბატონი ყმას ამუშავებს“ წინადადებაში გამოიყოფა **მატრიცული** (ბატონი აიძულებს ყმას) და **ჩართული** (ყმა მუშაობს) წინადადებები, რომელთა კაუზატიური გაერთიანების შედეგად მიიღება „ბატონი ყმას ამუშავებს“ წინადადება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ამუშავებს“ ზმნა კაუზატივია, ხოლო ამ ზმნის შემცველი „ბატონი ყმას ამუშავებს“ წინადადება – კაუზატიური კონსტრუქცია“ [ნებიერიძე, 1984, 158-160].

პრინციპულად გამოსარიცხი არ არის, რომ ორპირიანი გარდამავალი ზმნის ფორმით კაუზატიური სემანტიკა გადმოიცეს. ამის ერთ-ერთი ილუსტრაციაა სწორედ „ამუშავებს“ ზმნა, რომლის არაკაუზატიური ძირეული ცალია „მუშაობს“.

²⁰ „ა-დულ-ებ-ს ის მას“ ასე განიმარტება მ. მაჭავარიანის მიერ: „ის აკეთებს ისე, რომ სხვა დულს“ [მაჭავარიანი, 1987, 8].

მაგრამ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ „ამუშავებს“ კაუზატიურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის პირი, რომელსაც „მუშაობას აიძულებენ“, კონტექსტის მიხედვით **სულიერია** („ბატონი ყმას ამუშავებს“).

მაგრამ ვნახოთ ასეთი კონტექსტი: „ყმა მიწას ამუშავებს“.

რა თქმა უნდა, ვერ წარმოვადგენთ მოცემული წინადადების სტრუქტურას ასე: ყმა აიძულებს მიწას... მიწა მუშავდება.

ფაქტია, რომ „ამუშავებს“ აღნიშნულ კონტექსტში არაკაუზატიური ფორმაა, მისი საოპოზიციო კაუზატიური ფორმაა „ამუშავებინებს“ („ბატონი ყმას მიწას ამუშავებინებს“).

ამგვარად, „ამუშავებს“ ფორმა თავისთავად არ იძლევა არავითარი დასკვნის გაკეთების საშუალებას (კაუზაციის თვალსაზრისით); მხოლოდ კონტექსტი წარმოაჩენს, იძულებით, რაღაც მიზეზით განპირობებული თუ „ჩვეულებრივი“ მოქმედება სრულდება.

თუ პირი, რომელსაც „აიძულებენ“, ანუ, ჩართული სუბიექტი უსულოა, კაუზატიური სემანტიკა არა გვაქვს.

4. თანამიმდევრული მორფოლოგიური ანალიზი შეუძლებელს ხდის „პირველადი“ კაუზატივების ფორმალური ნიშან-მახასიათებლების, მარკერების გამოყოფას.

ამგვარად, თუ ყველა ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, „პირველადი კაუზატივის“ მორფოლოგიური სტატუსი საკმაოდ დაეჭვების საფუძველს იძლევა;

„პირველადი კაუზატიური“ ფორმების კლასიფიკაციაშიც არ არის ერთიანი პოზიციაც²¹, – იმ დროს, როცა გვაქვს უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმების (მკვეთრად დაპირისპირებულ ფორმოზრივ-სემანტიკური ცალების) სისტემა, მკაფიოდ გამოკვეთილი გრამატიკული, მორფოლოგიური კატეგორია.

კაუზაცია შუალობითი კონტაქტის მორფოლოგიურ ფორმაში ვლინდება სისტემებრ.

როგორც წესი, კაუზატიური ზმნის ირიბი ობიექტი (ე. ი. ის პირი, რომელსაც „აიძულებენ“) **სულიერია**.

²¹ გ. ნებერიძე შენიშნავს, რომ „სპეციალურ ლიტერატურაში გვაქვს ცდა კაუზაციის ფართო გაგებისა ქართულში, მაგრამ ეს ცდა წარმოუდგენლად აფართოებს კაუზაციის სფეროს, რადგანაც კაუზატიურ ზმნებად განიხილება ამკარად არაკაუზატიური ზმნებიც [ნებერიძე, 1984, 165].

უნდა შევნიშნოთ, რომ არც მისი კონცეფცია ემყარება თანამიმდევრულ ანალიზს. მაგ., მკვლევარი წერს: „...მართალია, „დედა აშრობს კაბას“ წინადადება, რომელიც „კაბა შრება“ პასიური წინადადების ტრანსფორმია, არ უდრის „დედა აიძულებს კაბას... კაბა შრება“ წინადადებას, მაგრამ ძალდატანების მომენტი ამ წინადადებაში მაინც არის, რადგან პირველადმა სუბიექტმა იგივე მოქმედება დამოუკიდებლად შეიძლება განახორციელოს (შდრ. კაბა შრება). ამიტომ „დედა კაბას აშრობს“ აქტიურ წინადადებაში სუბიექტი (დედა) უნდა განვიხილოთ როგორც მატრიცული სუბიექტი, რომელიც იძულების წესით მოქმედებს, ასე ვთქვათ, თავს ახვევს პირდაპირ ობიექტს ისეთ მოქმედებას, რომელიც მან დამოუკიდებლად შეიძლება განახორციელოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „დედა კაბას აშრობს“ წინადადების პირდაპირი ობიექტი ჩართული სუბიექტია და, მაშასადამე, „აშრობს“ ზმნა კაუზატივია... წინადადებაში „დედა არწევს აკვანს“, რომელიც „აკვანი ირწევა“ პასიური წინადადების ტრანსფორმია, სუბიექტი (დედა) მატრიცული სუბიექტია, ხოლო პირდაპირი ობიექტი (აკვანს) ჩართული სუბიექტი... მატრიცული სუბიექტი ჩართულ სუბიექტს ასრულებინებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მან დამოუკიდებლად შეიძლება განახორციელოს (ე. ი. აკვანი თავისით შეიძლება ირწეოდეს?! – ჭ. ქ.). ამიტომ მატრიცული სუბიექტის ზემოქმედება ჩართულ სუბიექტზე ძალდატანებით ხასიათს ატარებს, ე. ი. საქმე გვაქვს კაუზაციასთან“ [იქვე, 161-162];

გამოთქმულია ასევე თვალსაზრისი, რომ „კაუზატივებად შეიძლება განვიხილოთ... ზმნები, რომელთაც სუპლექტურობის წესის მიხედვით უნიშნო ვნებითის ფორმები ეწარმოებათ. ესენია: კლავს – კვდება, წყვეტს – წყდება, ტეხს – ტყდება, ხეთქს – სკდება...“ [იხ. იქვე, 166]. ფაქტია, რომ გ. ნებერიძის კონცეფციითაც საკმაოდ ფართოვდება კაუზაციის სფერო.

საარვისო ქცევის კაუზატიურ ფორმაში, ჩვეულებრივ, სამი პირი დასტურდება: სუბიექტური, ირიბობიექტური და პირდაპირობიექტური²²: რალურად მოქმედებს არა ერთი პირი, არამედ ორი: პირი, რომელიც ხელმძღვანელობს მოქმედებას, და პირი, რომელიც უშუალოდ მოქმედებს და პირადად ასრულებს ხელმძღვანელის დავალებას.

ხელმძღვანელი პირი – ეს არის საქმის მოთავე, ინიციატორი, ორგანიზატორი, ხოლო ვინც უშუალოდ მოქმედებს, ერთგვარი იარაღია საქმის ორგანიზატორის ხელში. ამ ორ პირს გარდა არის კიდევ მესამე პირი, რომელიც წარმოადგენს მათი მოქმედების საგანს. აღნიშნოთ ეს პირები შესაბამისად ამ ტერმინებით: ხელმძღვანელი, შემსრულებელი, სამიზნო; მოვიტანოთ მაგალითიც: „პეტრემ პავლეს ქურდი დააჭერინა“. ამ წინადადების მიხედვით მოქმედებენ პეტრე და პავლე, მაგრამ მათი როლები ამ მოქმედებაში სხვადასხვანაირია: პეტრეა დაჭერის **ინიციატორი**, ხოლო პავლე **ფაქტობრივი შემსრულებელი** ამ დაჭერისა: ქურდთან საქმე უშუალოდ პავლეს აქვს. ამგვარად, პეტრე ხელმძღვანელობას უწევს პავლეს, რომელიც თავის მოქმედებაში სხვისი ნების განმახორციელებელია. ესენი ორივენი მოქმედებენ მესამეზე – ქურდზე, რომელიც არის დაჭერის საგანი ანუ სამიზნე [შანიძე, 1980, 358].

რამდენად შეესაბამება რეალურ ვითარებას აღნიშნული ახსნა? – ვფიქრობთ, ნაწილობრივ; გათვალისწინებული არ არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: პავლე ერთ შემთხვევაში მართლაც არის „სხვისი ნების განმახორციელებელი“ ძალა; პეტრეს სურვილი (ბრძანება, იძულება, თხოვნა, დავალება...) ჩაადენინებს პავლეს აღნიშნულ აქტს, კაუზაცია (მიზეზობრიობა) ფაქტია. პეტრე მართლაც უფრო პასიურია, ვიდრე პავლე.

მაგრამ მეორე მხარე ვნახოთ: შეიძლება თუ არა აღნიშნული ზმნით გამოხატულ მოქმედებას ასეთი წანამდგარი ჰქონდეს: პავლემ **სთხოვა** პეტრეს, რომ ქურდის დაჭერაში დახმარებოდა, პეტრეც დაეხმარა და ერთობლივად დაიჭირეს ქურდი. შეიძლება თუ არა ზმნის სემანტიკაში ეს ნიუანსი (რომ პეტრე პავლეს ქურდის დაჭერაში დაეხმარა) ჩანდეს?

შეიძლება.

„პეტრემ პავლეს ქურდი დააჭერინა“ ორნაირად შეიძლება გავიგოთ:

- (1) პეტრემ **აიძულა** პავლე, რომ მას ქურდი დაეჭირა;
- (2) პეტრე **დაეხმარა** პავლეს ქურდის დაჭერაში, პეტრემ და პავლემ ერთად დაიჭირეს ქურდი, პავლემ პეტრეს **დახმარებით** დაიჭირა ქურდი.

მეორე შემთხვევისთვის, პირველისგან განსხვავებით, სპეციფიკურია შემდეგი მომენტი: სუბიექტური და ობიექტური პირები **თანაბრად მონაწილეობენ** ზმნით აღნიშნული მოქმედების რეალიზაციაში (თანამონაწილეები არიან), თანაბარ აქტიურობას იჩენენ პირდაპირ ობიექტურ პირთან მიმართების თვალსაზრისით.

ვნახოთ სხვა მაგალითებიც:

„დავითმა მეზობელს ყანა გაათოხნინა“ – ნიშნავს თუ არა ეს, რომ დავითმა მაინცდამაინც აიძულა მეზობელი, რომ მას ყანა გაეთოხნა?

²² „...არის შემთხვევებიც, სადაც ერთ ფორმაში ორი ირიბია მოსალოდნელი. ეს მოვლენა უფრო აშკარად მაშინ ჩანს, როცა პირდაპირად 1-ლი ან მე-2 პირია. ავიღოთ სამ-პირიანი ფორმა უშუალო კონტაქტისა „გამოასალმა“ ასეთს წინადადებაში: „მონადირემ თოფი მასროლინა და ნუკრი სიცოცხლეს გამომასალმებინა“. „გამომასალმებინა“ ფორმა ორ ირიბს იგუებს, რომელთაგან ერთი შემსრულებელია („მე“), მეორე – უბრალო („სიცოცხლეს“)“... ასეთივეა: „წამიდღვნენ, ძღვენი მიმირთვეს, ხელმწიფესა სალამი მიმაცემინეს“ (რუსუდ. კ. IV, ანთოლ. II, 83, 12)... უშუალო კონტაქტის სასხვისო ყოველთვის სამ-პირიანია. შუალობითში გადაყვანით შემსრულებელი პირი ემატება და ოთხიანი უნდა გახდეს“ [შანიძე, 1980, 370].

პირველ რიგში და ბუნებრივად გააზრების შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ დავითი **დაეხმარა** მეზობელს ყანის გათოხნაში (სუბიექტური პირი რეალურად ისევე აქტიურია, როგორც ირიბობიექტური).

ნაკლებად ბუნებრივია, მაგრამ გამოსარიცხი მაინც არ არის ამ ინფორმაციის ასე გააზრება: დავითმა **აიძულა** მეზობელი, რომ მას ყანა გაეთოხნა.

„დედამ შვილს დავალება დააწერინა“: ამ გრამატიკული ინფორმაციის ბუნებრივი გააზრება ასეთია: სუბიექტური პირი (დედა) აქტიურია: ის **დაეხმარა** შვილს დავალების დაწერაში“;

არ არის გამოსარიცხი ასეთი გაგებაც: დედამ **აიძულა** შვილი, რომ მას დავალება დაეწერა.

ეს არ არის ცალკეული შემთხვევები. ამგვარი მაგალითების წარმოდგენა უსასრულოდ შეიძლება. სუბიექტურ და ობიექტურ პირთა როლი მოქმედების რეალიზაციაში შეიძლება განსხვავებული იყოს და ეს ვითარება ნაწილობრივ ასახულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში („სემანტიკური ანალიზის ერთ-ერთი საშუალებაა სემანტიკური პრეიფრაზირება, რის კარგ ნიმუშსაც განმარტებითი ლექსიკონები იძლევიან. ამის მიხედვით აშკარად წარმოჩნდება ამა თუ იმ ფორმის სემანტიკური სტრუქტურა“ [ჯორბენაძე, 1983, 44].

ქეგლ-ის მიხედვით შუალობითი კონტაქტის ფორმები ასეთი ფორმულირებებით წარმოგვიდგება: **აიძულებს ან საშუალებას აძლევს, დაავალებს (რადაც გააკეთოს), დაეხმარება (რადაცის გაკეთებაში), ხელს შეუწყობს, საშუალებას მისცემს, აიძულებს ან სთხოვს, აიძულებს ან ხელს შეუწყობს...**

ამ ფორმულირებების მიხედვით აშკარად ჩანს, რომ **კაუზატივის დეფინიცია ზუსტი არ არის** და თავად ამ კატეგორიის გააზრება ცალმხრივია, არ არის გათვალისწინებული არსებითი ხასიათის სემანტიკური ნიუანსები.

აკეთებს მოქმედების გამომხატველი ზოგადი ფორმაა; ამ ზმნის კაუზატიური ფორმის განმარტებაში სწორედ რომ კარგად არის წარმოდგენილი კომპლექსური სემანტიკური დახასიათება:

აკეთებინებ-ს (‘გა’აკეთებინა, ‘გა’უკეთებინებია) კაუზატ. **აკეთებს** ზმნისა **ავალებს** აკეთოს, კეთების **საშუალებას აძლევს, კეთებაში ეხმარება**. უფროს ქალიშვილს არაფერს აკეთებინებს (კ. ლორთქ.). მოსე მამასახლისს და სოფლის მსაჯულებს, როგორც უნდოდა, ისე ატრიალებდა, რაც თითონ სურდა, იმას აკეთებინებდა (ე. ნინოშ.).

მკაცრი ლინგვისტური მიდგომის შემთხვევაში ყველა ზმნის განმარტება-პრეიფრაზირებისას თანმიმდევრულად უნდა გამოვიყენოთ ამ **აკეთებინებს** ზმნის **განმარტების დეტალები, მოდელი, სქემა**.

შუალობითი კონტაქტის ფორმათა განმარტებისას სრულად უნდა ჩანდეს ის წინაპირობა, ის მექანიზმი, რაც არის მოქმედების მიზეზი (causa), რის გამოც ხდება ან მოხდა მოქმედება.

მაგ., **აჭერინებს** ზმნა ასეა ქეგლში განმარტებული:

აჭერინებ-ს (‘და’აჭერინა, ‘და’უჭერინებია) კაუზატ. **იჭერს** ზმნისა **საშუალებას აძლევს ან ავალებს დაიჭიროს**. ზოგს (= მუხას) ფუტკარი ჰყავდა ფულუროში და თაფლს ქორიას «აძლევდა», ზოგს – კვერნების საძვრომი და კვერნებს აჭერინებდა (გ. ხორნ.).

რატომღაც ცოტა განსხვავებულია ამ ზმნის მყოფადის ფორმის განმარტების ელემენტები (კატეგორიის არსი და შინაარსი დროებისა და ნაკვეთების მიხედვით არ უნდა შეიცვალოს!):

დაჭერინებ-ს (დააჭერინა, დაუჭერინებია) კაუზატ. დაიჭერს ზმნისა **დაავალებს** ან **შეადლებინებს** დაიჭიროს, დაჭერის **საშუალებას მისცემს**. 1. თავისუფლად მოძრაობის საშუალებას მოასპობინებს (ვინმესთვის), შეაპყრობინებს.

აკეთებინებს ზმნის მიხედვით **აჭერინებს** ზმნა ასე შეიძლება განიმარტოს: კაუზატ. **იჭერს** ზმნისა **ავალებს** დაიჭიროს, დაჭერის **საშუალებას აძლევს**, დაჭერაში **ეხმარება**.

ეს სქემა ყოველთვის არა, მაგრამ ხშირად ჩანს; მაგ.:

ახატვინებ-ს (და'ახატვინა, 'და'უხატვინებია) კაუზატ. ხატავს ზმნისა **ავალებს** ან **საშუალებას** აძლევს ხატოს; ხატვაში **ეხმარება**. ბავშვს ფერადებით ახატვინებს. – ჯერ ვახატვინებ, მერე მათი ნახატების მიხედვით ვარჩევ ბგერებს (ნ. გელ.).

ათოხნინებ-ს (ათოხნინა, უთოხნინებია) კაუზატ. თოხნის ზმნისა **ავალებს** ან **საშუალებას** აძლევს თოხნოს; თოხნაში **ეხმარება**.

აბარვინებ-ს (და'აბარვინა, 'და'უბარვინებია) კაუზატ. ბარავს ზმნისა **ავალებს**, **საშუალებას** აძლევს ან **ეხმარება** ბაროს. ხვალ მეზობელს ვეხმარები: საბოსტნე მიწა უნდა ვაბარვინო. – ვენახს ვაბარვინებდი, დღიური მუშა მეყენა (თ. რაზიკ.).

ამ პრინციპის დაცვით შეიძლება სისტემის გამართვა სხვა ზმნური ფორმების განმარტების შემთხვევაშიც. ამის კიდევ რამდენიმე ნიმუშს წარმოვადგენთ;

ქეგლშია:

აწერინებ-ს (აწერინა, უწერინებია) კაუზატ. წერს, აწერს, იწერს, უწერს ზმნისათა **ავალებს** ან **საშუალებას** აძლევს 'და'წეროს, 'და'იწეროს, 'მო'აწეროს, 'გამო'უწეროს. შვილიშვილთან წერილს აწერინებს. – საკონტროლო სამუშაოს აწერინებს. || ოქმზე ხელს აწერინებს. || ექიმს გულის წვეთებს აწერინებს. || შეაშინა და ამით აწერინებს ჯვარს (ე. ნინოშ.).

უფრო ზუსტი იქნებოდა: **ავალებს** დაწეროს, დაწერის **საშუალებას** აძლევს, დაწერაში **ეხმარება**.

აჭრევინებ-ს (აჭრევინა, უჭრევინებია) 1. კაუზატ. ჭრის ზმნისა **აიძულებს**, **ავალებს** ან **საშუალებას** აძლევს ჭრას, 'გა'ჭრას, 'მო'ჭრას, 'და'ჭრას, 'გამო'ჭრას.

უფრო ზუსტი იქნებოდა: **ავალებს** ჭრას, ჭრის **საშუალებას** აძლევს, ჭრაში **ეხმარება**.

ათესვინებ-ს (და'ათესვინა, 'და'უთესვინებია) კაუზატ. თესავს ზმნისა **ავალებს** თესოს, თესვაში **ეხმარება**. სიმინდს ათესვინებს. – პურს ათესვინებს. – ახვნევენებს, ათესვინებს, თოხით დაჰყავს სათოხარში (აკაკი). ფიგურ. დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა დალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესვინა, რა გვამკვევინა? (ილია).

ეხმარება და **საშუალებას აძლევს** ელემენტები (სხვადასხვა მოდიფიკაციით) შეიძლება ერთად განვიხილოთ, როგორც სუბიექტური პირის **აქტიურობის**, **თანამონაწილეობის** წარმომჩენი კომპონენტები;

სუბიექტური პირის რეალური პასიურობისა და ირიბობიექტური პირის რეალური აქტიურობის წარმომჩენია **აიძულებას**, **ავალებს** ელემენტები (სხვადასხვა მოდიფიკაციით).

ამდენად, ასევე ცალმხრივი და არასრულია დეფინიცია: არაკაუზატიურ ზმნებში მოქმედების ჩამდენი, შემსრულებელი, თავისი ნებით მოქმედი სუბიექტია (წერ-ს ი ს წერილს), კაუზატიურ ზმნებში შემსრულებელი სხვისი (სუბიექტის) ნების კარნახით, სხვისი ინიციატივით მოქმედი ირიბი ობიექტია (ა-წერ-ინ-ებ-ს ის მ ა ს წერილს) [გოგოლაშვილი..., 2011, 584].

II.11.1. კაუზატივის ფორმალური ნიშანი.

კაუზატივის მაწარმოებლად -ევ, -ინ და -ევინ ნიშნებს გამოყოფენ. ა. შანიძე წერს: „ევ მოუდის თითო-როლა ზმნას, როგორცაა: ჭამ-ს - აჭმ-ევ-ს, სვამ-ს - ასმ-ევ-ს, იცვამ-ს - აცმევს. ეგვივე -ევ გვაქვს ართმ-ევ-ს და არქმ-ევ-ს ზმნებშიც, მაგრამ ამათ დაკარგული აქვთ შუალობითი კონტაქტის გაგება... ძველსა და საშუალო ქართულში უფრო გავრცელებული იყო -ევ-ის ხმარება... ინ მოუდის ზმნათა დიდ უმეტესობას... ევინ აფიქსი რთულია, წარმომდგარია ევ-ისა და ინ-ის შეერთებისაგან“; გართულების მიზეზი, მკვლევრის აზრით, ის არის, რომ „ევ სუფიქსი არ აღმოჩნდა საკმარისი შუალობითი კონტაქტის საწარმოებლად“ [შანიძე, 360-361].

„ინ მოუდის ზმნათა დიდ უმეტესობას, ხოლო „ევ გარკვეული ტიპის ზმნებს მოუდიოდათ“, დღეს კი „ევ მოუდის თითო-როლა ზმნას“.

თანამედროვე ქართულში -ევ სუფიქსიანი კაუზატიური ზმნები პრაქტიკულად არა გვაქვს; შუალობით კონტაქტს ორი მორფემა აწარმოებს: -ინ და -ევინ.

კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსები დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან, ე. ი. ერთი რიგის საყრდენ მორფემასთან დასტურდება -ევინ (ისტორიულად -ევ), მეორესთან – -ინ. ამ კანონზომიერებაზე მიანიშნებს ა. შანიძე 1930 წელს გამოცემულ გრამატიკაში: რთული -ევინ დაერთვის სამი კლასის ზმნებს: ი-ნიანს, ავ-იანს და ამ-იანს, მაგრამ მხოლოდ იმათ, რომელთა თემაც უმარცვლოა აწმყოში შეკუმშვის წყალობით ხმოვნის დაკარგვითა თუ ხმოვნის სრულიად უქონლობის გამო [შანიძე, 1930, 142], მაგრამ, როგორც აღნიშნავს ა. თაყაიშვილი, რატომღაც ეს აზრი შემდგომ გამოცემებში აღარაა გამეორებული და განვითარებული [თაყაიშვილი, 1974, 8].

ბ. რუდენკოს დაკვირვებით, „თუ მოქმედების სახელის ფორმა არ შეიცავს არავითარ ხმოვანს (რა თქმა უნდა, მასდარის ა-ს გამოკლებით), მაშინ კაუზატივის -ინ ფორმანტი რთულდება -ევ ელემენტით“ [რუდენკო, 1940, 201]²³.

მასდარზე აქცენტის გაკეთება საინტერესოა და ეფექტური ხერხია იმის დასადგენად, როდის არის მოსალოდნელი კაუზატიურ ფორმაში -ევინ სუფიქსის გამოჩენა და როდის – -ინ სუფიქსისა (თუმცა ეს თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ კაუზატიური ფორმის საყრდენ მორფემად მასდარი მივიჩნიოთ).

კაუზატივის მაწარმოებელ ფორმანტთა განაწილების წესმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო: „კაუზატივის -ევინ ნიშანი გვხვდება საწყისში ყველა ნულმარცვლიანი ფუძის (resp. თემის) მქონე ზმნასთან... -ინ მოუდის ისეთ ზმნებს, რომელთაც საწყისში მარცვლოვანი ფუძე resp. თემა) აქვთ [თაყაიშვილი, 1974, 8-9].

ავტორთა ერთი ნაწილი თვლის, რომ კაუზატივის მაწარმოებლად უნდა გამოვიყენოთ არა სუფიქსი, არამედ პრეფიქს-სუფიქსი ან მხოლოდ ა- პრეფიქსი (იხ.: [ჩიქობავა, 1950]; [მაჭავარიანი, 1988]; [თაყაიშვილი, 1974]; [გეურქოვა, 1971]; [გეურქოვი, 1969]; [ქავთარაძე, 1954]; [სარჯველაძე, 1984]...).

²³ დასაზუსტებელია, რომ „უმარცვლო ფუძეების კაუზატივში -ინ ფორმანტი კი არ რთულდება - ევ ელემენტით, არამედ პირიქით: -ევ რთულდება ინ-ით“ [თაყაიშვილი, 1974, 9].

პრეფიქს-სუფიქსის გამოყოფა კაუზატივის მაწარმოებლად არ არის გამართლებული შემდეგ გარემოებათა გამო:

1. არ დასტურდება ა- პრეფიქსი ვნებითის ფორმებში, მაგრამ კაუზატიური სემანტიკა გადმოიცემა (-ინ და -ევი სუფიქსებით): ე-ლანძვ-ინ-ება, ე-ჭერ-ინ-ება... ე-კვლ-ევი-ება...
2. არ დასტურდება ა- პრეფიქსი სასუბიექტო და საობიექტო ქცევის ფორმებში, მაგრამ კაუზატიური სემანტიკა მაინც გადმოიცემა (-ინ და -ევი სუფიქსებით): ი-კეთებ-ინ-ებს, ი-ჭრ-ევი-ებს... უ-წერ-ინ-ებს, უ-კერვ-ინ-ებს...
3. არ დასტურდება ა- პრეფიქსი მასდარულ და მიმღობურ ფორმებში, მაგრამ კაუზატიური სემანტიკა მაინც გადმოიცემა (-ინ და -ევი სუფიქსებით): გაკეთებ-ინ-ება, გაშლ-ევი-ება... დაჭერ-ინ-ებული, გათრ-ევი-ებული...
4. არ დასტურდება ა- პრეფიქსი მესამე სერიის ფორმებში, მაგრამ კაუზატიური სემანტიკა მაინც გადმოიცემა (-ინ და -ევი სუფიქსებით): გაუკეთებ-ინ-ებია, გაუღებ-ინ-ებია... გაეკეთებ-ინ-ებინა, გაეღებ-ინ-ებინა...
5. ა- პრეფიქსი თანაბრად არის დამახასიათებელი როგორც კაუზატიური, ისე მისთვის ამოსავალი არაკაუზატიური ფორმებისათვის: ალებს – ალებინებს, აკეთებს – აკეთებინებს... (იხ.: [შანიძე, 1980, 361]; [გეწაძე..., 1969, 49]; [დამენია, 1982, 119]).

მასდარსა და მიმღობებში ა- პრეფიქსის დაუდასტურებლობას, გ. მაჭავარიანის აზრით, თავისი მიზეზები აქვს: „ჯერ ერთი, მასდარსა და მიმღობებში არც ქცევის ი- და უ- პრეფიქსები გვქვს, მაგრამ მათს ქცევის ნიშნობაში არავინ დაეჭვებულა... მეორე, მასდარი და მიმღობა პირიან ზმნასთან შედარებით მეორეული წარმონაქმნებია (არსებითად ისინი სახელებია და არა ზმნები). ისეთი სპეციფიკურზმნური კატეგორიების გენეზისის რკვევისას, როგორცაა კაუზატივი, უპირატესობა პირიანი ზმნის ჩვენებას უნდა მიეცეს კსნ-ევ-ა, მო-კვლ-ევ-ინ-ებ-ულ-ი, და-სა-წვ-ევ-ინ-ებ-ელ-ი... (ზოგიერთი მათგანის ერთგვარ ხელოვნურობასაც რომ ყურადღება არ მივაქციოთ) გვიანდელი წარმოშობის ფორმებია. ამგვარი ფორმების წარმოქმნა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა გამხდარიყო შესაძლებელი, რაც კაუზატივის წარმოება სუფიქსებს (-ევ, -ენ და სხვ.) დაეკისრა. დასასრულ, ა- პრეფიქსი დღეს არ ჩანს მასდარში, მაგრამ ძველად უნდა ყოფილიყო: ძვ. ქართ. ა-ხარ-ებს-ს – ს-ა-ხარ-ებ-ა, ა-ლმ-ობს – ს-ა-ლმ-ობ-ა; შდრ. აგრეთვე მიმღობები მ-ა-შენ-ებ-ელ-ი, მ-ა-ხარ-ებ-ელ-ი, (მო)-მ-ა-კუდ-ინ-ებ-ელ-ი (<(მო)-ა-კუდ-ინ-ებ-ს)... [მაჭავარიანი, 1988, 93].

საწყისსა და მიმღობასთან დაკავშირებით ასევე ფიქრობს ა. თაყაიშვილი: „დაბრკოლებას არ ქმნის ის, რომ კაუზატივის საწყისსა და მიმღობაში... ა- არ დასტურდება... საქმე ისაა, რომ საწყისი და მიმღობა პირიან ზმნებთან შედარებით მეორეული წარმონაქმნებია; ამასთან, ა- პრეფიქსი ძველ ქართულში ზოგჯერ უპირო ფორმებსაც უდასტურდება [თაყაიშვილი, 1974, 32].

დავიწყოთ იმით, რომ კონტაქტის კატეგორია საერთოდ გვიან ჩამოყალიბებული მორფოლოგიური კატეგორიაა. სანამ კაუზაციის გამოსახატავად სპეციალური მაწარმოებელი ელემენტები არ გამოიყო მორფემული ინვენტარიდან, ეს იყო სემანტიკური კატეგორია. სპეციალური მორფემებით სათანადო სემანტიკის გამოხატვისთანავე გახდა ენისთვის აქტუალური საკითხი იმის შესახებ, როდის, რა შემთხვევაში არის შესაძლებელი ამ გრამატიკული ოპერაციის ჩატარება. აღმოჩნდა, რომ -ინ და -ევი მორფემებს მასდარსა და მიმღობაშიც შეუძლია კაუზატიური ნიუანსების წარმოჩენა. ხელოვნურია ეს ფორმები თუ

დიალექტური ელფერის მქონე, ფაქტია, რომ სათანადო ყალიბები შეიქმნა და ასეთი ყალიბები თავისით არ იქმნება, ამას ენა ქმნის.

არც ისაა დაბრკოლება, რომ „მასდარი და მიმღობა პირიან ზმნასთან შედარებით მეორეული წარმონაქმნებია (არსებითად ისინი სახელებია და არა ზმნები)“.

ჯერ ერთი ამ „სახელებში“ ზმნური კატეგორიებიცაა ასახული (გვარის, ასპექტის, დროის);

მეორე მხრივ, ისინი ნამდვილ სახელებადაც რომ მივიჩნიოთ, მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ „ნამდვილ“ სახელებში კაუზატიური სემანტიკის გამოხატვა ხდება და ეს ფაქტი ნამდვილად უკავშირდება სწორედ -ინ/-ეინ სუფიქსებს.

ერთი სიტყვით, არის მორფოლოგიური ინვენტარი – არის სათანადო გრამატიკული მნიშვნელობა; ან პირიქით: არის მნიშვნელობა – არის მისი მარკერი.

რაც შეეხება იმას, რომ „ა- პრეფიქსი ძველ ქართულში ზოგჯერ უპირო ფორმებსაც უდასტურდება“, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს ა- კაუზატივის ნიშანია.

რა თქმა უნდა, ვერ გამოდგება არგუმენტად დებულება იმის შესახებ, რომ „მასდარსა და მიმღობებში არც ქცევის ი- და უ- პრეფიქსები გვაქვს, მაგრამ მათს ქცევის ნიშნობაში არავინ დაეჭვებულა“: ქცევის ი- და უ- პრეფიქსები რომ არ დასტურდება, სწორედ ამიტომ არა გვაქვს სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმები მასდარსა და მიმღობაში!

რატომ არა გვაქვს ა- პრეფიქსი სასუბიექტო ქცევის კაუზატივებში?

„იქნებ იმიტომ, – წერს გ. მაჭავარიანი, – რომ ა- პრეფიქსი მოეკვეცა ი- და უ- პრეფიქსების დართვისას?“ იქვე უარყოფილია ამგვარი შესაძლებლობა, გაკეთებულია რამდენადმე კომპრომისული განცხადება; „ა- პრეფიქსი კაუზატივის მაწარმოებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული ქართველურ ენათა განვითარების გარკვეულ ეტაპზე. უფრო ადრე კი მას სხვა ფუნქცია უნდა ჰქონოდა, სახელდობრ, რა ფუნქცია? ამის დადგენა ამჟამად ჭირს“ [მაჭავარიანი, 1959, 28, 109; მაჭავარიანი, 1988, 94].

ამგვარად, კაუზატივი გარდამავალი ზმნის მორფოლოგიური კატეგორიაა და მას ქმნის უშუალო და შუალობითი კონტაქტის ფორმათა დაპირისპირება.

II.11.2. კაუზატივი მეგრულ-ლაზურში.

კაუზატიური სემანტიკის გამოხატვას მეგრულ-ლაზურში -აფ მორფემას უკავშირებენ [ჩიქობავა, 1936, 157; მაჭავარიანი, 1988, 99; გუდავა, 1984, 72...].

-აფ სუფიქსთან ერთად კაუზატიურ ფორმაში დასტურდება ო- პრეფიქსიც, რომელიც ქართული ა-ს მორფო-ფონეტიკური შესატყვისობაა.

რა თქმა უნდა, მათ საერთო გრამატიკული ფუნქცია აქვთ, მხოლოდ არა კაუზატიურობის გამოხატვისა. ამ შემთხვევაში მეგრულ-ლაზურისთვისაც ისევე დგას საკითხი, როგორც ქართულისთვის; არგუმენტებიც იგივეა (იხ. ზევით).

ამ -აფ სუფიქსს მეგრულში, ლაზურისგან განსხვავებით, -უ მოსდევს. მეგრულ კაუზატიურ ზმნას პირველ სერიაში -აფ-უ-ან დაბოლოება ახასიათებს (დაწვრილებით იხ. ზევით).

ის ზმნები, რომელთაც ქართულში მხოლოდ სემანტიკა აქვთ კაუზატიური, ზანურში საკმაოდ ხშირად სათანადო ფორმითაც არიან წარმოდგენილი:

ოღვარ-აფ-უ-ან-ს – „აყვირებს“: მუ გოღვარაფუნცია? (62, 194) „რა გაყვირებსო“?

ოგარ-აფ-უ-ან-ს – „ატირებს“: კათას დუვოგარაფე (62, 194) „ხალხს დავატირ[ებინ]ე“;

მაწონ-აფ-უ-ან-ს – „მოაწონებს“: ოცადუდეს მუთუნფერო, თინერო ქიმერთესკო ხანიშა ნამუდა, დუდი მაწონაფესკონი (62, 14) „ცდილობდნენ, რამენაირად ისე მისულიყვნენ ხანთან, რომ თავი მოეწონებინათ“;

ოძიტ-აფ-ამ-ს – „ასწავლის“: წულუ დესტეფე ოძიტაფამს (64, 95) „დაწყებით საგანს ასწავლის“;

ოპარამით-აფ-ამ-ს – „ალაპარაკებს“: ე ბიჭის მითინქ ვარ აპარამითაფუ (23, 118) „ეს ბიჭი ვერავინ ალაპარაკა“, „ამ ბიჭს ვერავინ ვერ ალაპარაკა“;

ობირ-აფ-ამ-ს – „ამღერებს“: დიდო ყოროპტუ ნანა მუშიში ობირუს დო ბითთუმ ობირაფაფტუ (51, 29) „დიდად უყვარდა დედამისის სიმღერა და ყოველთვის ამღერებდა“...

იშვიათად მორფოლოგიური კაუზატივის პარალელურად დასტურდება სემანტიკური კაუზატივი:

ორაგად-აფ-უ-ან-ს („ათქმევინებს“, „ალაპარაკებს“): ითამუ ვაკოდუ ძღაბის რაგადი, მარა ბოშიქ ქარაგადაფუ (62,10) „ვითომ არ უნდოდა გოგოს ლაპარაკი, მაგრამ ბიჭმა ათქმევინა“;

ორაგად-უ-ან-ს: მარა მოსვანჯა ვე მეჩ ჩირქ დო ქარაგადუ ქომონს ათე გვერიშ ამბეე (65,59) „მაგრამ მოსვენება არ მისცა ცოლმა და ათქმევინა ქმარს ამ გველის ამბავი“.

ამგვარი პარალელიზმი არ არის გასაკვირი. ქართულში ამის მაგალითია:

აყლაპებ-ს (აყლაპა, უყლაპებია) გრდმ. აიძულებს ყლაპოს, – იგივეა, რაც **აყლაპვინებს**. ავადმყოფს აბებს აყლაპებს. – ინდოურს ცომს **აყლაპებენ**. – მოხუცისათვის ლოგინში მოესწრო ნიაღვარს, **ეყლაპებინა** რამდენჯერმე წყალი (ნ. ლომ.).

აყლაპვინებ-ს (აყლაპვინა, უყლაპვინებია) კაუზატ. **ყლაპავს** ზმნისა აიძულებს ყლაპოს. ზარმაცად ჭამდა დამნაშავე მიწის კვერს, მაგრამ ხალხი სტენიდა პირში და ძალად აყლაპვინებდა (ვაჟა). ◊ ნერწყვს **აყლაპვინებს** ტყუილუბრალოდ სადერდელს აუშლის. ◊ ცრემლს **აყლაპვინებს** ცრემლის შეკავებით, ჩუმად ატირებს. ტატემ... პირველად შეიგრძნო რაღაც უცნაური ტკივილი, არა ის, ბავშვს ცხელ ცრემლს რომ **აყლაპვინებდა** (რ. ბუჯან.).

ქეგლ-ში არ ჩანს, მაგრამ რეალურად დასტურდება **ასუნთქებს** ფორმის პარალელურად **ასუნთქვინებს** – მეტიც, ეს უკანასკნელი ნორმის თვალსაზრისით უფრო მართებული ფორმაა (იხ. [ღვინაძე, 1979,107]).

ასუნთქებ-ს (ასუნთქა, უსუნთქებია) გრდმ. 1. ავალებს ან ეხმარება ისუნთქოს. ექიმმა ავადმყოფი გასინჯვისას დიდხანს **ასუნთქა**. 2. სასუნთქად მისცემს რასმე, აყნოსვინებს. გულწასულს ნიშადურის სპირტი ასუნთქეს.

მეორე მხრივ, ქეგლ-ში არის **აყვინთვინებს**, მაგრამ არ არის **აყვინთებს**, რაც ასევე რეალური ფორმაა.

აყვინთვინებ-ს (ჩა'აყვინთვინა, ჩა'უყვინთვინებია) გრდმ. აიძულებს ან ეხმარება ჩა'ყვინთოს. [გამრეკელმა] ცხრა მუხის ქვემოთ, ლიახვის მორევეში **აყვინთვინა** ბანაობის დროს აბაზაიძეს (კ. გამს.).

ქეგლ-ის მიხედვით **აკითხებს** და **აკითხვინებს** პარალელური ფორმებია:

აკითხებ-ს¹ (წა'აკითხა, წა'უკითხებია) გრდმ. წასაკითხავად აძლევს, – კითხვას ავალებს, სთხოვს წაკითხოს. ზოგს აწერინებდა, ზოგს **აკითხებდა** (ილია). ამის შემდეგ ახალ მოსულს წერილებს [ასმათი] სულ ნათელას **აკითხებდა** (გ. წერეთ.). იმედა ჯავარას... გვერდს ეჯდა,

წიგნს აკითხებდა, წერა-კითხვაში სწავლავდა (ბაჩ.). თუ წიგნს აკითხებს თინა მასწავლებელი, [გოგონა] ყოჩაღად კითხულობს (რ. ინან.).

აკითხვინებ-ს¹ (წა'აკითხვინა, წა'უკითხვინებია) კაუზატ. უკითხავს ზმნისა იგივეა, რაც აკითხებს 1. პაპა შვილიშვილს გაზეთს აკითხვინებს.

აკითხვინებს² (აკითხვინა, უკითხვინებია) 1. კაუზატ. უკითხავს, იკითხავს ზმნათა ავალებს უკითხოს, იკითხოს (შდრ. აკითხებს2). შვილის ამბავი აკითხვინა. – კუზამამ შარაგანს აკითხვინა, ქარავნით რა მიაქეთო (შ. დად.). 2. ძვ. კაუზატ. უკითხავს ზმნისა სთხოვს უმკითხაოს. ხვარამზე დადიოდა მკითხავებთან და აკითხვინებდა (ე. ნინოშ.) იცი, დათუა, რას გეტყვი? აკითხვინე მკითხავს! (ნ. ლომ.).

სპეციალურ ლიტერატურაში აკითხებს და აკითხვინებს პარალელურ ფორმებად არ მიიჩნევა, იმდენად რამდენადაც მათ შორის „სემანტიკური სხვაობაა და ისინი განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენება: აკითხებს (წერილს, წიგნს), მაგრამ აკითხვინებს (რადაცას ვილაცისთვის. აკითხვინა - შეკითხვა მიაცემინა). ამიტომ ისეთი მაგალითები, როგორიცაა „აკითხვინებდა ფსალმუნს“, „ჟამნს აკითხვინებდა“, „გაზეთს აკითხვინებდა“... ფორმათა აღრევად უნდა ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში უნდა იყოს: აკითხებდა ფსალმუნს, ჟამნს, გაზეთს“ [ღვინაძე, 1979,107].

ამ შემთხვევაში არსებითია არა ის, თუ რომელ ფორმას მიუჩენს ენა სათანადო სტატუსს (ნორმის მიხედვით გამართლებული და სწორი ფორმის სტატუსს), არამედ ის, რომ ამ შემთხვევაში ვლინდება ტენდენცია, – კაუზატიური სემანტიკის მქონე ფორმა სათანადო მაწარმოებელს დაირთავს.

ლაზურის არქაულ კილოკავში მახვილს ფონოლოგიური ღირებულება აქვს [ქუთელია, 1984]. იგი „ასხვავებს ზმნის ფორმათა ისეთ მნიშვნელოვან ნიუანსებს, რომელიც ქართულში არ გვხვდება, მაგ.: ოჭკომაფუ – „შეაჭამა“ - ჭკკომაფუ – „შეაჭამა“ (ძალით, მას არ უნდოდა), ან ოჭკომაფეს – აჭმევდნენ (მოქმედება გრძელდება ამ მომენტამდე), ჭკკომაფეს – უკვე აჭამეს (ძალით აიძულეს ეჭამათ)“ [ქუთელია, 1984, 230].

იმავე არქაულში „ხშირად ზმნის ინფინიტივი ან ნაზმნარი სახელი წყვეტილში ზმნის მესამე პირისაგან ფორმით არ განსხვავდება; განსხვავებას აქ ქმნის მხოლოდ მახვილის ადგილი, რომელიც ინფინიტიურ ფორმას ორმარცვლიან სიტყვებში სიტყვის თავში მოუდის, ხოლო ზმნის მესამე პირის ფორმას ბოლოში, მაგ.: ცილუ < ოყვილუ < ოყვილუ – მოკვლა, კვლა - ოღლღ – მოაკვლევინა: მუსტაფაქ ოღლღ მემედი – მუსტაფამ მემედი მოაკვლევინა“ [იქვე, 230].

ქართ. ამუშავებს ორვალენტიანი ზმნაა, მაგრამ მას შეუძლია კაუზატიური მნიშვნელობის გადმოცემა. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როცა მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებელი სულიერია;

მაგ., ბატონი ყმას ამუშავებს: ეგზეკუტორია „ბატონი“, მოქმედებას ასრულებს „ყმა“ – პირდაპირი ობიექტი.

საინტერესოა, როგორია მეგრულის დამოკიდებულება ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა „ამუშავებს“ ზმნის მიმართ:

„ყმა მიწას ამუშავებს“ მეგრულად ასე გადმოიცემა: ჭკორი დიხას ამუშენს;

„ბატონი ყმას ამუშავებს“: პატონი ჭკორს ომუშებაფუნს.

ანუ: პირველ შემთხვევაში ქართ. ამუშავებს არაკაუზატიურია მეგრულისთვის, მაგრამ კაუზატიური მაწარმოებლით არის წარმოდგენილი მეორე შემთხვევაში, რადგანაც კონტექსტის მიხედვით ობიექტური პირი სულიერის აღმნიშვნელი სახელით გადმოიცემა.

ქართული **ამუშავებინებს** არაკაუზატიური (ფორმის თვალსაზრისით) ზმნის გაკაუზატიურების მაგალითია. კაუზატიური **ამუშავებს** და **ამუშავებინებს** მეგრულ-ლაზურში ერთნაირად გადმოიცემა:

მეგრ.:

ოჭუმარეშე ონჯუაშა შქირენულო **ომუშებაფუანდუ** „დილიდან საღამომდე მშიერს **ამუშავებდა**“; ქუმაკათუ ნოდექ დო დიხა **დამუშებაფეს** „მოუვიდა ნადი და მიწა **დაამუშავებინეს**“...

ლაზ.:

ოჩალიშაფაგიონი, ვანა ვარ (2, 1530 „უნდა **ამუშაო**, თუ არა“; ქონა (ლეტა) **დობოჩალიშაფე** „ყანა (მიწა) **დავამუშავებინე**“...

II.11.3. კაუზატივის მორფემის წარმომავლობა მეგრულ-ლაზურში.

კაუზატივის ნიშნად გამოყოფილი **-აფ** სუფიქსი მასალობრივად ემთხვევა აწმყოს ფუძის მაწარმოებელს, ანუ თემის ნიშანს, რომელიც ზოგჯერ ფონეტიკურად გადასხვაფერებულია (**-ამ//**-ან მისი ფონეტიკური ვარიანტებია).

კაუზატივისა და აწმყოს ფუძის მასალობრივი ერთიანობა ბუნებრივ კითხვას ბადებს: ხომ არა გვაქვს აქ პრაქტიკულად იმგვარივე ვითარება, როგორცაა ქართულში, სადაც ზმნის ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები (**-ევ** და **-ენ**) კაუზატივის ნიშნად განზოგადდა (**-ევ** და **-ინ** სახით)?

კაუზატივის **-აფ** სუფიქსის კავშირი თემატურ **-აფ** მორფემასთან არ შეიძლება ექვს იწვევდეს (იხ.: [მაჭავარიანი, 1988, 99]); შდრ.: [მაჭავარიანი, 1987]), მაგრამ მეგრულ-ლაზურში მაინც სპეციფიკური ჩანს ვითარება ქართულთან შედარებით.

მხოლოდ ლაზურის ხოფურ კილოკავში გვაქვს **-აფ-აფ** კომბინაცია აწმყოს რიგის ნაკვეთებში. სხვა კილოკავებსა და მეგრულში ასეთი კომბინაცია არა გვაქვს (გვაქვს: ვიწ.არქ. - **აფ-ამ** და მეგრ. **-აფ-უ-ან**).

თურმეობითში, სათანადო ფონოლოგიური გარემოცვის არსებობის პირობებში მეგრულშიც დაჩნდება ორი **-აფ**: უჭარ-**აფ-უ-აფ-უ** „დაუწერინებია“...

მეორე სერიაში თემის ნიშანი არ სჭირდება ზმნას. აქ გამოვლენილი **-აფ** უკვე ცალსახად კაუზატივის ნიშანია. მას უკავშირდება სათანადო გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვა.

სწორედ ამ გარემოებამ გახადა შესაძლებელი მეორე სერიის ფუძე კაუზატიური წარმოებისთვის ამოსავლად მიეჩნიათ.

ასე ფიქრობს არნ. ჩიქობავა. იგი წერს: „კაუზატივის წარმოება ჭანურში ერთფეროვანია: აორისტის ფუძე დაირთავს **ო-** წინსართსა და **-აფ** ბოლოსართს, აწმყოში კი ამგვარად ნაწარმოებ ფუძეს აორისტისას დაერთვის აწმყოს მაწარმოებელი სუფიქსი; ეს სუფიქსი ათინურსა და ვიწურ-არქაბულში **-ამ-აა**, ხოფურში კი - **-აფ**. მაგალითები:

პირდაპირი გზა:

ჰემუქ

ზუმ-უ

ჰეა

მან ზომა ის

ჰემუქ	კვათ-უ ჰეა	მან ჭრა ის
ჰემუქ	თას-უ ჰეა	მან თესა ის
ჰემუქ	გუბუ ჰეა	მან ხარშა ის

შუალობითი გზა (კაუზატვი):

ჰემუქ	ო-ზუმ-აფ-უ ჰემუს	ჰეა	მან აზომვინა	მას ის
ჰემუქ	ო-კვათ-აფ-უ ჰემუს	ჰეა	მან აჭრევინა	მას ის
ჰემუქ	ო-თას-აფ-უ ჰემუს	ჰეა	მან ათესვინა	მას ის
ჰემუქ	ო-გუბ-აფ-უ ჰემუს	ჰეა	მან ახარშვინა	მას ის

აწმყო:

პირდაპირი გზა:

ჰემუქ ზუმ-უმ-ს ჰეა
ის ზომავს მას

ემუქ ზიმ-უფ-ს

ჰემუქ კვათ-უმ-ს ჰეა
ის ჭრის (კვეთს) მას

ემუქ კვათ-უფ-ს ია

ჰემუქ თას-უმ-ს ჰეა
ის თესავს მას

ემუქ თას-უფ-ს ია

ჰემუქ გუბ-უმ-ს ჰეა
ის ხარშავს მას

ემუქ გუბ-უფ-ს ია

შუალობითი გზა (კაუზატვი):

ჰემუქ ო-ზუმ-აფ-ამ-ს ჰემუს ჰეა
ის აზომვინებს მას მას

ემუქ ო-ზუმ-აფ-ამ-ს ემუს ია

ჰემუქ ო-კვათ-აფ-ამ-ს ჰემუს ჰეა
ის აჭრევინებს მას მას

ემუქ ო-კვათ-აფ-ამ-ს ემუს ია

ჰემუქ ო-თას-აფ-ამ-ს ჰემუს ჰეა
ის ათესვინებს მას მას

ემუქ ო-თას-აფ-ამ-ს ემუს ია

ჰემუქ ო-გუბ-აფ-ამ-ს ჰემუს ჰეა

ის ახარშვინებს მას მას

ემუქ ო-გუბ-აფ-ამ-ს ემუს ია

აქედან ჩანს, რომ კაუზატიური აწმყო კაუზატივის აორისტისაგან არის ნაწარმოები და არა პირდაპირი გზის აწმყოსგან“ [ჩიქობავა, 1936, 157-159].

პერმანსივის ფუძეს ვარაუდობს ამოსავლად გ. მაჭავარიანი: „ძირეული ზმნის თემატიური ნიშანი -უნ (<*-უმ) კაუზატივებში არა ჩანს. ეს გარემოება გვაგვარაუდებინებს, რომ კაუზატივის საწარმოებლად აორისტ-პერმანსივის (კერძოდ, პერმანსივის) ფუძე უნდა ყოფილიყო გამოყენებული“ [მაჭავარიანი, 1988, 98].

კაუზატიური წარმოებისათვის ამოსავლად რომ აწმყოს ფუძე უნდა ჩაითვალოს, ამას მოწმობს შემდეგი გარემოება: როცა ზმნაში (პირველ სერიაში) გვაქვს მხოლოდ ერთი -აფ, იგი თემატიური ნიშნის ფუნქციას ასრულებს (კაუზატიური სემანტიკა ამ დროს არ გადმოიცემა).

გვაქვს ო- პრეფიქსი და -აფ სუფიქსი – არა გავქვს კაუზატიური გრამატიკული მნიშვნელობა:

ლაზ. ო-რგ-აფ-ს||ო-რგ-ამ-ს||მეგრ. ო-რგ-უ-ან-ს „რგავს“,

ლაზ. ო-გზ-აფ-ს||ო-გზ-ამ-ს||მეგრ. ო-რზ-ან-ს „აგზებს“,

ლაზ. ო-ფშ-აფ-ს||ო-ფშ-ამ-ს || მეგრ. ო-ფშ-ან-ს „ავსებს“,

ლაზ. ო-ტიბ-აფ-ს||ო-ტიბ-ამ-ს||მეგრ. ო-ტიბ-უ-ან-ს „ათბობს“,

ლაზ. ო-სქირ-აფ-ს||ო-სქირ-ამ-ს||მეგრ. ო-სქირ-უ-ან-ს „აშრობს“...

-აფ, რომელიც დასახელებულ ნიმუშებში დასტურდება, რეინტერპრეტირდება კაუზატივის მაწარმოებლად, თუ ზმნის ფორმაში მეორე თემის ნიშანი (ისევე -აფ ან მისი ალომორფი) გამოჩნდება:

ო-რგ-აფ-აფ-ს||ო-რგ-აფ-ამ-ს||ო-რგ-უ-აფ-უ-ან-ს „არგვევინებს“,

ო-გზ-აფ-აფ-ს|| ო-გზ-აფ-ამ-ს||ო-რზ-აფ-უ-ან-ს „აგზებინებს“,

ო-ფშ-აფ-აფ-ს||ო-ფშ-აფ-ამ-ს||ო-ფშ-აფ-უ-ან-ს „ავსებინებს“,

ო-ტიბ-აფ-აფ-ს||ო-ტიბ-აფ-ამ-ს||ო-ტიბ-აფ-უ-ან-ს „ათბობინებს“,

ო-სქირ-აფ-აფ-ს, ო-სქირ-აფ-ამ-ს||ო-სქირ-აფ-უ-ან-ს „აშრობინებს“...

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება პარალელი არ გავავლოთ ქართულთან, სადაც მსგავსი კანონზომიერება შეიმჩნევა სახელის სისტემაში: „ბრუნვიან ფორმათა მთლიან სისტემაში, როდესაც ბრუნვის ნიშნის წინ სხვა ბრუნვის ნიშანი მოექცევა, ეს უკანასკნელი ბრუნვის გამოხატვის ფუნქციას კარგავს და მაშინვე რეინტერპრეტირდება წარმოქმნის ელემენტად“ [უთურგაიძე, 1983, 6].

ერთი და იმავე ელემენტის ფლექსიური და დერივაციული დანიშნულებით ფუნქციონირებასთან დაკავშირებით უფრო ადრე გამოითქვა მოსაზრება, რომ მტკიცე ზღვარი ამ ორი სხვადასხვა დონის მორფემებს შორის არ არის: „ერთი და იმავე მორფემა შეიძლება იყოს სასიტყვათშორისო ურთიერთობის შესაცვლელადაც იქნეს გამოყენებული და ლექსიკური მნიშვნელობის შესაცვლელადაც, ე. ი. მიმოხრასაც განეკუთვნებოდეს და წარმოქმნასაც“ [შანიძე, 1980, 33].

ქართულში ახალი (კაუზატიური) მნიშვნელობის გამოსახატავად ენამ არსებული ფორმოზომიერი ინვენტარი გამოიყენა – მოხდა ფუძის მაწარმოებლის რეინტერპრეტაცია და განზოგადება კაუზატივის მაწარმოებლად, მორფოლოგიური ელემენტის ფუნქციონირების

ხასიათი (და სფერო) შეიცვალა; ამის შედეგად შეიქმნა ერთგვარი „აპოზიციური“ წყვილი სუფიქსებისა:

-ევ (ფუძის მაწარმოებელი მორფემა) : -ევ (გრამატიკული მნიშვნელობის გამომხატველი მორფემა);

ასევე მოხდა (მოგვიანებით) -ენ ფუძის მაწარმოებელი ელემენტისა და -ინ (<-ენ) გრამატიკული მნიშვნელობის გამომხატველი ელემენტის ფუნქციური დიფერენცირება.

აწმყო უნდა იყოს ამოსავალი მეგრულ-ლაზურში იმ კაუზატივებისათვის, რომელთა ძირეულ ფორმაშიც -ან/-ამ/-ავ თემატური სუფიქსი დასტურდება – **კაუზატივის ნიშნად სწორედ ეს სუფიქსი გადააზრიანდება.**

ზოგჯერ (ისევე, როგორც ქართულში) კაუზატივის მორფემის წინ ვლინდება მასდარისთვის დამახასიათებელი სუფიქსები:

-ალ:

ჩუ-ალ-ა „შენახვა“ – ო-თქუ-ალ-ავ-უ-ან-ს „ათქმევინებს“ (შდრ. აწმყო: ჩუ-ან-ს „ინახავს“);

თქუ-ალ-ა „თქმა“ – ო-თქუ-ალ-ავ-უ-ან-ს „ათქმევინებს“ (შდრ. მყოფ. თქუ-ან-ს „იტყვის“);

(დო)დვ-ალ-ა „(და)დება“ – ო-დვ-ალ-ავ-უ-ან-ს „ადებინებს“ (შდრ. აწმყო: დვანს „დებს“);

-ირ:

კითხ-ირ-ი „კითხვა“ – ო-კითხ-ირ-ავ-უ-ან-ს „აკითხებს“ (შდრ. აწმყო: კითხულენს „კითხულობს“);

ციდ-ირ-ი „ყიდვა“ – ო-ციდ-ირ-ავ-უ-ან-ს „აყიდვინებს“ (შდრ. აწმყო: ციდ-ულ-ენ-ს „ყიდულობს“).

ზოგჯერ მასდარში -ალ სუფიქსთან ერთად -უმ თემის ნიშანიც ვლინდება:

მე-შკ-უმ-ალ-ა „მიგზავნა“ – მი-ო-შკ-უმ-ალ-ავ-უ-ან-ს „მიგზავნინებს“ (შდრ. აწმყო: ო-შკვ-ან-ს < ო-შკუ-ანს „აგზავნის“).

მასდარის ფორმა კაუზატიური წარმოების საფუძვლად ქართულშიც ჩანს, მაგრამ ეს ხდება იშვიათად, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში.

II.12. საწყისი და მიმდებარე.

II.12.1. მასდარი (საწყისი).

მასდარის ძირითად მაწარმოებელთა ცალსახა სხვაობა – მეგრულში -უა ლაზური ო - უ კონფიქსების საპირისპიროდ – თავის დროზე ნ. მარის მიერ დასახელდა სამთავან ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად მეგრულსა და ლაზურს შორის, რასაც დაეყრდნო (მყოფადისა და აორისტის წარმოებასთან ერთად) ლაზური მეტყველების ცალკე ენად გამოცხადების ავტორისეული თეორია [მარი, 1910, 62].

არნ. ჩიქობავამ დამაჯერებლად აჩვენა, რომ ლაზურის ო - უ ცირკუმფიქსიანი მასდარი ვერ იქნებოდა წყალგამყოფი მეგრულ და ლაზურ ენობრივ სისტემებს შორის, ვინაიდან მეგრულშივე მეტად პროდუქტიულია (გარკვეულ გამოთქმებში კი ერთადერთი) ო - უ დერივაცია: ო-ჭკომ-უ „ჭამა, საჭმელად“, ო-ძირაფ-უ „ნახვა, სანახავად“, ო-ჭარ-უ „წერა, საწერად“... [ჩიქობავა, 2013 : 241].

საკითხავია, რა ვითარება იყო ისტორიულ ლაზურში?

როგორც ირკვევა, მეგრულისებური -უა სუფიქსიანი მასდარი ასევე გაბატონებულია ლაზურის ჩხალურ თქმაში, აქ ჩხალური რეგულარულად, თითქმის ყველგან, -უა დაბოლოებას გვიჩვენებს, რითაც ეს ლაზური მეტყველება მეგრულს უახლოვდება;

შდრ.:

მეგრული/ჩხალური	ლაზური	
ბარ-უ-ა	ო-ბარ-უ	„ბერვა (უბერავს)“
ბახ-უ-ა	ო-ბახ-უ	„ცემა“
ბონ-უ-ა	ო-ბონ-უ	„დაბანა“
ჭკად-უ-ა	ო-ჭკად-უ	„ჭედვა“
ჭარ-უ-ა	ო-ჭარ-უ	„წერა“
ჭიკონ-უ-ა	ო-ჭიკონ-უ	„დაფლეთა“...

უფრო მეტიც, ჩხალურის ვითარება მთელი ლაზურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რაშიც ნათლად გვარწმუნებს ამ ენობრივ სისტემაში შემორჩენილი გასუბსტანტივებული მასდარები. მხედველობაში გვაქვს -ვა დაბოლოებიანი არსებითი სახელები ლაზურში, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია: წილ-ვა „ნოემბერი“ (მეგრ. წილ-უა „კრეფა“), ტახ-ვა „ოქტომბერი“ (მეგრ. ტახ-უა „მოსავლის აღება“), ჩხალ-ვა „სექტემბერი“ (მეგრ. ნჩხალ-უა „ჩხვერა“), ცინ-ვა „ზამთარი“ (მეგრ. ცინ-უა „ყინვა“), ბჟალ-ვა „რძე“ (მეგრ. ბჟალ-უა/-აფა „რძის გამოსვლა“), ბარ-ვა „ნიავი“ (მეგრ. ნბარ-უა „ქროლა, ბერვა“), ხაჩქ-ვა „თოხნის დრო“ (მეგრ. ხაჩქ-უა „თოხნა“), წიწ-ვა „ჩხუბი, გაწეწვა“, ჟულ-ვა „ფეხის სრიალი“, პირჩ-ვა „მარხვა“ (მეგრ. დო-პირჩ-უა „დაურწყება“), კორ-ვა „ერთი შეკვრა“ (კირ-უა „შეკვრა“)...

ამ ნიმუშებში მსგავსებასთან ერთად შეიმჩნევა განსხვავებაც უა → ვა ფონეტიკური პროცესის სახით ლაზურში, როცა ხდება უ-ს რედუქცია, რაც, ალბათ, განხორციელდა მხოლოდ გასუბსტანტივების მომდევნო ეტაპზე, ე. ი. ადრეულ ეტაპზე ლაზურშიც ორივე წარმოება ო - უ და -უა გავრცელებული იყო მასდარის წარმოებისას, ხოლო როცა -უა დერივაციის არეალი შეიკვეცა და -უა დაბოლოებიანი მასდარები თანდათანობით სახელებად იქცნენ ლაზურში, იმავდროულად, უმახვილო უ-ს არაენერგიული არტიკულაციის გამო, განხორციელდა მარცვლოვნობის კარგვა, რამაც საბოლოოდ უ → //... → ვ ფონეტიკურ პროცესამდე მიგვიყვანა, რაც სხვა შემთხვევაშიც ფიქსირდება მეგრულსა და ლაზურს შორის (თანაც სახელურ ფუძეებში), შდრ. მეგრ. ქუალ-ეფი – ლაზ. ქვალ-ეფე „ქვები“, მაგრამ მეგრ. ქვალონ-ი „სოფელი სამეგრელოში“, ეტ. „ქვავნარი“, ლაზ. მჩხუ – მეგრ. შხუ „მსხვილი“, მაგრამ მეგრ. მა-შხუ-ა → მა-შხვ-ა „იმის სიმსხო“...

და თუ ლაზურისათვის (ისტორიულად, ხოლო ჩხალური თქმისთვის დღესაც) დამახასიათებელი იყო -უ-ა (→ ||-ვა) სუფიქსური წარმოება მასდარებში, მეგრულში /-უ-ა/ დღესაც გაბატონებული დერივაციაა და დასტურდება აწმყოში თავჩენილ შემდეგ თემისნიშნიან (თითქმის ყველა ტიპის) ზმნასთან:

ა) -უნ (← -უმ):

გორ-უნ-ს	„ემებს“	~	გორ-უ-ა	„მებნა“
ნთხორ-უნ-ს	„თხრის“	~	ნთხორ-უ-ა	„თხრა“
ნკორ-უნ-ს	„ცოხნის“	~	ნკორ-უ-ა	„ცოხნა“...

ბ) -ან (←-ამ / -აფ):

თხილ-ან-ს	„მწყემსავს“	~	თხილ-უ-ა	„მწყემსვა, ფრთხილობა“
ჩოლ-ან-ს	„ცლის“	~	ჩოლ-უ-ა	„ცლა“
კილ-ან-ს	„კეტავს“	~	კილ-უ-ა	„დაკეტვა“, კვლ-ა „გასაღები“

გ) -ენ (←-ემ/-ეფ||-ებ):

ვარჭ-ენ-ს	„ვაჭრობს“	~	ვარჭ-უ-ა	„ვაჭრობა“
ი-გონ-ენ-ს	„იგონებს“	~	გონ-უ-ა	„მოგონება“
ც-ენ-ს	„ცვივდება“	~	დო-ც-უმ-ა დო-ც-ი-ა...	

მეგრულშივე შეიმჩნევა ტენდენცია, ანალოგიით გაჩნდეს -უ-ა სუფიქსი მასდარის მაწარმოებლად იქაც, სადაც (ადრინდელ მასდარებში) შენელებულია მასდარული ფუნქცია:

ჭყოლ-ოფ-ა	→	ჭყოლ-ოფ-უ-ა	„წყალობა“
შუმ-ა	→	შუმ-უ-ა	„სმა“
გო-რჩქინ-ა	→	გო-რჩქინ-უ-ა	„გაჩენა“
ბათქ-ინი	→	ბათქ-ინ-უ-ა ბათქ-უ-ა	„ხეთქება“
ჭარ-ა	→	ჭარ-უ-ა	„წერა“
ჯღონ-ა	→	ჯღონ-უ-ა	„გაგზავნა“
ჯუნ-ა	→	ჯუნ-უ-ა	„კოცნა“
ჭყუდ-ა	→	ჭყუდ-უ-ა	„გამზითვება“...

მსგავსი ტენდენცია ლაზურისთვისაც დამახასიათებელი ჩანს ო- პრეფიქსიანი მასდარული წარმოებისას, როცა სუფიქსაცია შეიძლება უ-სგან განსხვავებულიც გვექნდეს (ამაზე ქვემოთ):

ო-გორ-უ	„მებნა“
ო-ჭარ-უ	„წერა“
ო-რგ-უ	„დარგვა“
ო-ზუმ-უ	„გაზომვა“
ო-კითხ-უ	„კითხვა, სწავლა“...

ლაზურშივე მიუთითებდნენ ო- პრეფიქსის დაკარგვის შესახებ პრევერბიან მასდარებში [ჩიქობავა, 1936, 174], შდრ.:

*გე-ო-დგიმ-უ	→	გე-დგიმ-უ	„დადგმა“
*მო-ო-ხთიმ-უ	→	მო-ხთიმ-უ	„მოსვლა“
*გე-ო-ჩამ-უ	→	გე-ჩამ-უ	„დაკვრა“
*დოლო-ო-სკარ-უ	→	დოლო-სკარ-უ	„ჩაწყობა“...

მაგრამ გარკვეულ სიტყვა-ფორმებში ო- პრეფიქსი პრევერბთა მიმდევნო პოზიციაშიც დასტურდება, ამგვარი საილუსტრაციო მასალა საკმაოდ მდიდარია ლაზურში და სუფიქსაციაც ასევე - არაერთგვაროვანი:

ა) პრევერბი + ო – უ

გე-ო-ბ-უ	„დაკიდება“
მე-ო-თას-უ	„ხელახლა დათესვა“

მე-ო-გამინ-უ	„დამაგინება“
მე-ო-ჩამ-უ	„გადაცემა, წყევლა“
მე-ო-წიმიდ-უ	„გადაწმენდა“

ბ) პრევერბი + ო – ალ-უ

მე-ო-ბ-ალ-უ	„ჩამოკიდება“
მე-ო-ნტ-ალ-უ	„ხელახლა დაპენტვა“
მე-ო-დვ-ალ-უ	„მიდგმა“

გ) პრევერბი + ო – იმ-უ

მე-ო-დვ-იმ-უ	„დარტყმა“
მე-ო-ხთ-იმ-უ	„მისვლა“

დ) პრევერბი + ო – ინ-უ

მე-ო-შლეთ-ინ-უ	„გადარჩენა“
მე-ო-ჩოდ-ინ-უ	„დამთავრება“

ე) პრევერბი + ო – ა

მე-ო-კლიმ-ა	„გადადება, შერთვა“
-------------	--------------------

ვ) პრევერბი + ო – ვ-ა

მე-ო-ლ-ვ-ა	„გადასვლა მოპირდაპირე მხარეს“
------------	-------------------------------

შდრ.: უზმნისწინო:

ო-ძირამ-ა	„ნახვა“
ო-თქუმ-ა	„თქმა“
ო-კვანდ-ა	„თხოვნა“
ო-ჩალიშ-ა	„მუშაობა“

ზ) პრევერბი + ო – აფ-ა

მე-ო-ბ-აფ-ა	„დასხმა“
მე-ო-ტკომალ-აფ-ა	„გადაგდება“.

ჯერ კიდევ ნიკო მარი მიუთითებდა რამდენსამე მაგალითში -უ სუფიქსიან დერივაციაზე ლაზურ მასდარებში [მარი, 1910, ლექსიკონი]:

კუცხ-უ კუნცხ-უ	„გაღვიძება“
ცოროფ-უ ყოროფ-უ	„ყვარება“
ტონ-უ	„ჩამირვა, ჩაყვინთვა“
ხოტორ-უ	„პარსვა თმისა, მატყლისა“
ძღ-უ ო-ძღ-უ	„გამღომა“.

მსგავსი წარმოება დღესაც ბუნებრივია ლაზურ ქვესისტემაში და შეიძლება მივუთითოთ არაერთ სხვა ნიმუშზეც: ულ-უ „სვლა, სიარული“, წუწონ-უ „წუწნა“, ცხუნ-უ „გარჩევა“,

ცირცინ-უ „ხილის გარსის შემოჭრა“, წიფხ-უ „მოქარგვა“, წ-უ „წოვა, წუწნა“, ჭაფხ-უ „გასხლვა“, ხინწ-უ „ბრინჯის გაცრა“...

ზოგან მეგრულიც აჩვენებს -უ სუფიქსიან მასდარებს როგორც ზმნისწინიან, ისე უზმნისწინო ფორმებში, რაც დღევანდელი მდგომარეობით, რა თქმა უნდა, რელიქტურია, მაგრამ გავრცელების ოდინდელ არსებობაზე მიუთითებს და აახლოვებს მეგრულს ლაზურთან, შდრ.:

სხუნ-უ	„თათბირი, საბჭო“ (ლაზ. ცხუნ-უ)
გო-ნწყუმ-უ	„გახსნა“, კვლემ გო-ნწყუმ-უ „მკლავის გამოხსნა“
გო-შინ-უ	„გახსენება; გამხსენებელი“ (ლაზ. გონო-შინ-უ)
გო-რჩენ-უ	„გაჩენა; გამჩენი“
ღურ-უ	„სიკვდილი“, შდრ. ღურ-ა „კვდომა“
მიკა-ლ-უ-მუკალ-უ	„გავლა, გამოვლა“ (ლაზ. მიკალ-უ „გავლა“)...

როგორც ვნახეთ, ლაზურში **ო - უ** კონფიქსის გვერდით ხშირია **ო - ა** მასდარიანი ფორმებიც: **ო-ძირამ-ა** „ნახვა“, **ო-ღვა-ა** „სიარული, სვლა“, **ო-თქუმ-ა** „თქმა“, **ო-კვანდ-ა** „თხოვნა“, **ო-ჩალიშ-ა** „მუშაობა“ [მარი 1910 : 62; კლუგე 1913 : 292, 313; ნადარეიშვილი 1965 : 74], რასაც ემატება იმავე წარმოების -**ერ-ა** რთულსუფიქსიანი დერივაცია ქართულის „-**იანობა**“ სემანტიკით:

ო-ჩილ-ერ-ა	„დაცოლიანება“ (შდრ. ჩილ-ერ-ი „დაცოლიანებული“)
ო-ჩინ-ერ-ა	„გაცნობიანობა“ (შდრ. ჩინ-ერ-ი „ცნობილი“)
ო-წილ-ერ-ა	„კრეფიანობა, კრეფის სეზონი“ (შდრ. წილ-ერ-ი „კრეფილი“)
ო-გუმ-ერ-ა	„მკიანობა, მისი დასასრული“ (შდრ. გუმ-ერ-ი „მომკილი“)
ო-ტახ-ერ-ა	„მოსავლის კრეფიანობა ოქტომბერში“ (შდრ. ტახ-ერ-ი „აღებული“)...

ლაზურში **ო-უ, -უ, პრევერბი + -უ** ტიპის მასდარებში საკმაო სიხშირით თავჩენილია **-უ-ს** წინა პოზიციაში გარკვეული „ინფიქსები“, რომლებიც ძირ-ფუძეს არ განეკუთვნება, მაგრამ დღეს ცალკეულ მორფემად ენობრივ სისტემაში არ მოიაზრება; საყურადღებოა იგივე აფიქსების პოვნა მეგრულშიც:

ა) ო-ალ-უ / -ალ-ი		
ო-ბარბ-ალ-უ	„სიზმარში ლაპარაკი“	(შდრ. მეგრ. ბარბ-ალ-ი „უშნო ლაპარაკი“)
მე-ნთხვ-ალ-უ	„მირტყმა“	(შდრ. ლაზ. მე-ნთხ-უ „მირტყმა“)
ო-ბანგ-ალ-უ	„გულისცემა“	(შდრ. ლაზ. ბანგ-ალ-ი „გულისცემა“)
ო-ბანდ-ალ-უ	„ბარბაცი“	(შდრ. მეგრ. ბანდ-ალ-ი „ბარბაცი“).

მეგრულ-ლაზური **-ალ-ი** დაბოლოება ქართულში იგივეობრივ **-ალ-ი** და ფუნქციურ -**ურ-ი / -უნ-ი** მარკერებს შეისატყვისებს: მეგრ. ლაჟვ-ალ-ი – ქართ. ბოდი-ალ-ი, მეგრ. ბაძლ-ალ-ი – ქართ. ფხაკ-ურ-ი, მეგრ. კანტ-ალ-ი – ქართ. კანტ-ურ-ი, მეგრ. ბარდლ-ალ-ი – ქართ. ფართხ-უნ-ი, მეგრ. რანწკ-ალ-ი – ქართ. წკარ-უნ-ი...

ბ) **ო-ოლ-უ / -ოლ-ი:**

ო-ჭირტ-ოლ-უ „შეხმატკბილებული ლაპარაკი“ / **ჭირტ-ოლ-ი** „ჩურჩული“ (შდრ. მეგრ. **ჭრტ-ოლ-ი** „ენის ჭარტალი“)

ო-წინკ-ოლ-უ	„დასვრა“	(შდრ. ო-წინკ-უ, მეგრ. წიკ-უ-ა „დასვრა“)
წი-ოლ-ი	„კივილი“	(შდრ. ო-წი-უ, მეგრ. წი-აფ-ი „წივილი“)
ო-ღირღ-ოლ-უ	„ღრღნა“	(შდრ. ქართ. ღრღ-ნ-ა)
ო-ქურჩ-ოლ-უ	„დაფშვნა“	(შდრ. მეგრ. ქურჩ-ოლ-ი „გარჩევა, გაწმენდა, (სიმინდისა)“)
ო-ქურც-ოლ-უ	„ღრენა“	(შდრ. სვან. ქუც-ირ-ილ „ძაღლის სახელი“)...

ლაზური წი-ოლ-ი „კივილი“ ტიპის მასდარები ხშირია მეგრულშიც: ფუცხ-ოლ-ი „ფურცხუნი“, ქინჩ-ოლ-ი „ქაჩვა“, ბუმ-ოლ-ი „ბზუილ-ტრიალი“, ბუმდ-ოლ-ი „ულაზათოდ კეთება“, პურპ-ოლ-ი „ცმაცუნი“, რქუმ-ოლ-ი „ხმაურით ჭამა“, რტუმ-ოლ-ი „მტვრევა“, ზირზ-ოლ-ი „ზრზენა“, რხუმ-ოლ-ი „ხრაშუნი“, ქურჩ-ოლ-ი „გარჩევა, გაწმენდა“ (სიმინდისა), ჯიმ-ოლ-ი „მარილში ასვრა“ (შდრ. ჯიმ-უ „მარილი“)...

გ) ო-ორ-უ / -ორ-ი

ო-ხუტ-ორ-უ	„ღრღნა“	(შდრ. მეგრ. ხუტ-ორ-ი „ღრღნა, ხრამუნი“)
ო-ხუჭ-ორ-უ	„ბევრის ჭამა“	(შდრ. მეგრ. ხუჭ-ორ-ი „ჩახრამუნება“)
ღილ-ორ-ი	„ტალახის აზელა“	(შდრ. მეგრ. ღილ-უ-ა „გაშლა“, ღილ-ე „გაშლილი“)
ო-ნჯუმ-ორ-უ	„დამარილება“	(შდრ. მეგრ. -ლაზ. ნჯიმ-უ ნჯუმ-უ „მარილი“).

-ორ-ი დაბოლოებიანი სახელზმნები მეგრულში ბევრად უფრო პროდუქტიულია ლაზურთან შედარებით: ბიწკ-ორ-ი „ცხენის სვლა ფეხის წვერებით“, ხინტკ-ორ-ი (|| ხინტკ-უ-ა) „ფხეკა“, კინტ-ორ-ი „კირკიტი, ჩხიკინი“, ჟუმ-ორ-ი „წვრილი წვიმა“, წი-ორ-ი „წერწეტით სიარული“, ცი-ორ-ი „ხმის რხევა“, ფუც-ორ-ი „ფუსფუსი“, თხუპ-ორ-ი „თხუპნა“...

დ) ო-ირ-უ / ო-რ-უ:

ო-პაფს-ირ-უ	(შდრ. ლაზ. ო-პაფს-უ „დაწყნარება, დამშვიდება“)
ო-ლას-ირ-უ	(შდრ. მეგრ. ლას-ირ-უ-ა : ქართ. ლეს-ვ-ა)
ო-ყინდ-რ-უ „ყიდვა“	(შდრ. მეგრ. ჰიდ-ირ-ი „ყიდვა“)
ო-შივ-რ-უ „დასევა“	(შდრ. ქართ. და-სევ-ა : სვან. ში- „ჩხუბი“).

მეგრულ-ლაზური ლას-ირ- (ქართ. ლეს-) ფუძის ანალიზი ცხადად მიუთითებს, რომ -ირ (→|| -რ) ზმნური სუფიქსის ძირთან შეხორცების ტენდენცია საერთოზანური პროცესია, რომელიც მეგრულში ნაწილობრივ, ლაზურში კი ბოლომდეა გატარებული; ამიტომაცაა, მეგრული ქვესისტემის რამდენსამე მასდარში -ირ-ი, ქართული ტირ-ილ-ი ტიპის ზუსტი სტრუქტურულ-ფონეტიკური შესატყვისი, აქ უცვლელადაა შემორჩენილი [დეეტერსი, 1930, 217].

კითხ-ირ-ი	„კითხვა“
მო-კინდ-ირ-ი	„მოკიდება“ (შდრ. მო-კინდ-აფ-ა „id“)
ჰიდ-ირ-ი	„ყიდვა“
ხოდ-ირ-ი	(ლაზ. ო-ხოდ-უ) „coire“
კიბ-ირ-ი	(შდრ. მეგრ. კიბ-ირ-უ-ა, ლაზ. მკიბ-ინ-ი „კბენა“)

ე) ო-ულ-უ / -ულ-ი:

მე-კვართ-ულ-უ

„სროლა“

გურგ-ულ-ი

(მეგრ. გურგ-ინ-ი „გრგვინვა“)

ფუთქ-ულ-ი

„ბარაქიანობა“.

ულ-ი სუფიქსური წარმოება მეგრულ მასდარებში (ლაზურთან შედარებით) მეტად პროდუქტიულია და, შესაბამისად, მრავალ ზმნათა ფუძეში დასტურდება: ბად-ულ-ი „გართობა“, ბაჯ-ულ-ი „ზანტად ძებნა“, ზოკ-ულ-ი „რჩევა-დარიგება“, პატ-ულ-ი „ბავშვური გართობა“ (შდრ. მეგრ. ბად-ულ-ი), ჟურჟ-ულ-ი „გულამოსკვნით ტირილი“, ქურქ-ულ-ი „ვიშვიში, კრუსუნ“ და მრ. სხვ.

ვ) ო-ურ-უ:

ო-პუსტ-ურ-უ

„გაბრაზება“

ო-წურ-ულ-უ (← *ო-წურ-ურ-უ)

„წვეთება“.

-ურ აფიქსი, როგორც ვხედავთ, მხოლოდ ორი ნიმუშითაა ლაზურ მასდარებში წარმოდგენილი, ისიც მხოლოდ ო- -უ კონფიქსის შემადგენელ „ინფიქსად“, საპირისპიროდ მეგრული საკმაოდ მდიდარ მასალას წარმოაჩენს, რაც ისტორიულად ლაზური ქვესისტემისათვისაც ასევე უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი: ბად-ურ-ი „ჯღაბნა“, თხაპ-ურ-ი „თხუპნა“, კაფ-ურ-ი „ყეფა“, ლამ-ურ-ი „ლამუნი“, ფუჭ-ურ-ი „ბუზვა, ფუყვა“, ღამ-ურ-ი „ბლლარძუნი“, კამ-ურ-ი „ხვნეშა“...

ზ) ო-ონ-უ / -ონ-ი:

ო-ტიშ-ონ-უ (შდრ. მეგრ. ტიშ-ონ-ი)

„თავის ხილვა“

ო-ჭიკ-ონ-უ (შდრ. მეგრ. ჭიკ-ონ-ი)

„გაპუტვა, კაწვრა“

ო-ხიტ-ონ-უ (შდრ. მეგრ. ხიტ-ონ-ი)

„ჩხრეკა, ხიცინი“

ყირ-ონ-ი (შდრ. მეგრ. ჭი-ონ-ი)

„ყვირილი“...

მეგრულში ამოსავალი ონ-ი დაბოლოება გარკვეულ სახელზმნებში ფონეტიკურ ნიადაგზე შეიცვალა და ასიმილაციით (ნაწილობრივი) -ენ-ი ალომორფით იქნა ჩანაცვლებული:

ჭელ-ენ-ი ← *ჭელ-ონ-ი

„ბღავილი“

ჭუმ-ენ-ი ← *ჭუმ-ონ-ი

„წყურვილი“

ბელ-ენ-ი ← *ბელ-ონ-ი

„ყვირილი“...

და რომ ეს პროცესი მეგრულში ნამდვილად განხორციელდა, ამას ცხადყოფს ერთი საერთოქართველური ზმნური ფუძის ანალიზი, რომელიც უფრო ძველი სახით, როგორც ეტყობა, ლაზურში შემოგვენახა, შდრ. ქართ. მშევ-ა : ლაზ. მშქირ-ონ-ი || ფშქირ-ონ-ი ~ მეგრ. შქირ-ენ-ი „მოშიება, შიმშილი“; ცხადია, მეგრ. შქირ-ენ-ი ← *შქრ-ონ-ი, რასაც მრავალი სხვა -ონ ფუძიანი მასდარი ადასტურებს საკუთრივ მეგრულში: ბურგ-ონ-ი „რბევა, ბრაგა-ბრუგი“, თირხ-ონ-ი „ენერგიული სირბილი“ (შდრ. თირხ-უ-ა), ლიბჟ-ონ-ი „ლოშნა“, ჩი-ონ-ი „ცხვირის დაცემინება“, ფურცხ-ონ-ი „ფურცხუნი“ (შდრ. ფუცხ-ოლ-ი „id“)...

თ) ო-ან-უ:

ო-მონკ-ან-უ

„დამძიმება“; შდრ. მონკა „მძიმე“, მეგრ. დე-მონკ-ათ-უ „დაფხმძიმდა“

- ო-მკოლ-ან-უ „გამწარება“; შდრ. კოლო „მწარე“
- ო-მკულ-ან-უ „დამოკლება“; შდრ. მკულე „მოკლე“
- ო-წურ-ან-უ „გასწორება“; შდრ. მეგრ. გე-წურ-აფ-ა „გასწორება, დამიზნება“
- ო-ჭუტ-ან-უ „დაპატარავება“; შდრ. ჭუტა „პატარა“...

ამ ლაზურ სახელწოდებებში წარმოდგენილი -ან „ინფიქსი“ სინამდვილეში ვნებითი გვარის ისტორიული მაწარმოებელია, რომელიც დამახასიათებელი იყო ძველი ქართული ნასახელარი ზმნებისათვის და დღემდე მოქმედია სვანურში (დეგ-ენ-ი „ქრება“ – დიგ-ე „აქრობს“...). ლაზურისებური -ან მეგრულში ნაკლებპროდუქტიულია, მაგრამ ორადორ მასდარში და, შესაბამისად, ნასახელარ ზმნაშიც ის გამოჩნდება, შდრ.: ო-ლულ-ან-უ „გამრუდება“, დი-ლულ-ან-უ „გამრუდება“; ო-ფართ-ან-უ „გაფართოება“, გი-ფართ-ან-უ „გაფართოვდა“. შეიძლება ასევე საერთოკოლხური -ან სუფიქსის არსებობის კვალი ჩანდეს მეგრულ კოჩ-ან-ა „კაცობა“ ფორმაში (შდრ. ძვ. ქართ. გან-კაც-ნ-ა „გაკაცდა“) და გვარსახელში ჭით-ან-ავა...

არის სხვაობაც, კერძოდ, ლაზური ო – ა დერივაცია (ო-ძირ-ამ-ა „ნახვა“, ო-ლვ-ა „სვლა“, ო-თქ-უმ-ა „თქმა“; შდრ. ო-თქვ-აფ-ა, ო-ლურ-ინ-აფ-ა „მისიკვდილება“, ო-ხც-აფ-ა „დალპობა“, ო-ქთირ-აფ-ა „გამოცვლა“...) უცხო ჩანს მეგრულისთვის, ალბათ ო – უ წარმოებამ გამოდევნა.

სამაგიეროდ იგივე ა- ოდენ სუფიქსური წარმოება ერთნაირად ფართოდ არის გავრცელებული როგორც ლაზურში, ისე მეგრულში:

ლაზური

- ხვამ-ა, ხვამ-აფ-ა
- პიჩვ-ა, პიჩვ-ალ-ა
- ღურ-ა
- ბგარ-ა || მგარ-ა
- ხარცქ-ა
- მჭიმ-ა
- ჭარ-ა „წერა; მეცნიერება“;
- ჭანდ-ა
- შვანჯ-ა
- შინ-ა, მარა-შინ-ა
- მგვან-ა
- კვან-ა

მეგრული

- ხვამ-ა, ხვამ-უ-ა „დალოცვა“
- პიჩუ-ა, დო-პიჩუ-აფ-ა „მარხვა“
- ღურ-ა „სიკვდილი“
- ნგარ-ა || გარ-ა „ტირილი, ტირება“
- ხარცქ-ა, ხარცქ-უ-ა „სკდომა“
- ჭვიმ-ა || ჭვემ-ა „წვიმა“
- ჭარ-ა „წერა, ბედისწერა“
- დიარ-ა „ქორწილი; პურობა“
- შვანჯ-ა || სვანჯ-ა „სულის მოთქმა, მოსვენება“
- შინ-ა „გახსენება, მარა-შინ-ა „მარიამობა“
- გვან-ა || გვან-აფ-ა „სუქება“
- რკვან-ა || რკვან-უ-ა „მოკაზმვა, კმაზვა“...

მეგრულ-ლაზურში მეტად გავრცელებული -ა მასდარული სუფიქსაცია ხშირად საყრდენი ფუმის წარმოებისას სხვადასხვა სუფიქსებს (თემის ნიშნებს) იყენებს ორსავე ქვესისტემაში:

ლაზური

- ა) -ალ-ა:
- ღვ-ალ-ა
- თვ-ალ-ა

მეგრული

- ღვ-ალ-ა „ღება“
- რთუ-ალ-ა „დაფარვა, დახურვა“

ღვარ-ალ-ა „ნიაღვარი“
გედვ-ალ-ა
სქიდ-ალ-ა „ცხოვრება“

ღვარ-ალ-ა „ნიაღვრების დრო“
გედვ-ალ-ა „სახელის დარქმევა“
სქილად-ა ← *სქიდ-ალ-ა „ცხოვრება; მორჩენა“...

შენიშვნა: მეგრულისაგან განსხვავებით, ლაზური ქვესისტემა -ალ აფიქსს სხვა სუფიქსებთან კავშირშიც გამოიყენებს, ანუ აქ -ალ-ის გავრცელების არეალი უფრო ფართოა, შდრ.: ამა-თვ-ალ-უ || ამა-თვ-ალ-ა „აფარება“, ჭკირ-ალ-უ „ჭირალი“, მე-თქვ-ალ-უ || მე-თქვ-ალ-ა „მოთქმა, (შდრ. თქ-უმ-ალ-უ//ა, მე-თქვ-ალ-აფ-ა), ამა-ბლ-ალ-უ || ამა-ბლ-უ „შეყრა“, ბანგ-ალ-აფ-ა „ბარბაცი“...

ბ) -ამ-ა:

ჩ-ამ-ა „დარტყმა“
ხორ-ამ-ა „დასახლება“
ძირ-ამ-ა „ნახვა“
გზ-ამ-ა

ჩ-ამ-ა „დარტყმა, ჭმევა“
ხორ-ამ-ა „id“, ო-ხორ-ან-დ-უ „სახლობდა,“
ღოლ-ამ-ა „ქმნა“
რზ-ამ-ა || დო-რზ-ამ-ა „დანთება“...

გ) -იმ-ა

გო-ნწყ-იმ-ა
ფს-იმ-ა
ზდ-იმ-ა „წევა; მოჭერა“
დგ-იმ-ა „აყუდება“

გო-ნწყ-იმ-ა || გო-ნწყ-უმ-ა „გახსნა“
ფს-იმ-ა || ფს-უმ-ა „შარდვა“
წ-იმ-ა || წ-უმ-ა „სითხის დაქცევა“
ც-იმ-ა || ც-უმ-ა „ცვენა“...

როგორც ლაზურში, ისე მეგრულში მასდარული -იმ-ა დაბოლოება განვითარდა ფონეტიკურ ნიადაგზე, კერძოდ, უ → [^] → ი ფონეტიკური პროცესის წყალობით, რაზეც, სხვა კონტექსტში, სამართლიანად მიუთითებდა გიორგი როგავა, შდრ.: ქურ-ი → || ქირ-ი „ქორი“, ჯუმორ-ი → || ჯ[~]მორ-ი || ჯიმორ-ი „ძმარი“, ჯუმა → || ჯ[~]მა || ჯიმა „ძმა“ [როგავა, 1962]...

ამიტომაც, ცხადია, ისტორიულად -იმ-ა დაბოლოებას წინ უსწრებდა -უმ-ა სუფიქსაცია, რაც დღესაც ბუნებრივია ორივე ენობრივი ქვესისტემისათვის: ლაზ. ძგ-უმ-ა, მეგრ. ნძგ-უმ-ა „ჯმა“, ლაზ. თქ-უმ-ა „თქმა“ მეგრ. რთ-უმ-ა „შვრომა“, ლაზ. შ-უმ-ა, მეგრ. შ-უმ-ა „სმა“, ლაზ. გო-ნდ-უმ-ა „გადება“, მეგრ. ბ-უმ-ა „ბმა“...

ლაზურში -უმ თემის ნიშანს შეიძლება -უ მასდარული სუფიქსიც მისდევდეს: ო-ყოფ-უმ-უ „ყოფა, ქნა“, მე-თქ-უმ-უ „მითქმა“; ასევე -უმ ლაზურში შეიძლება სხვა სუფიქსთა წყების პრეპოზიციისაში აღმოჩნდეს მასდარის წარმოებისას: მე-ხ-უმ-ალ-აფ-ა „გადაყრა“..., რაც უჩვეულო ჩანს მეგრულისათვის.

დ) -ომ-ა || -ოფ-ა

ლაზური
ჭორ-ომ-ა || ჭორ-ოფ-ა „სიყვარული“
სტირ-ომ-ა „თამაშობა“
ჭიკლ-ომ-ა „ჩხუბი“
წირ-ომ-ა „წივილი“

მეგრული
ჭორ-ოფ-ა „სიყვარული“
გოლ-ოფ-ა „გვალვა“
ჭორ-ოფ-ა „წყალდიდობა, წვიმიანობა“
ჭყოლ-ოფ-ა „წყალობა“...

ლაზური ჭორ-ომ-ა || ჭორ-ოფ-ა „სიყვარული“ კარგად აჩვენებს, რომ ამოსავლად ორივე -
ომ-ა || **-ოფ-ა** სუფიქსაცია დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მეგრულ-ლაზურში, მაგრამ
 დროთა განმავლობაში **-ოფ-ა** ლაზურში მოიშალა და გზა დაუთმო **-ომ-ა**-ს, მაშინ, როდესაც
 მეგრულში, პირიქით, **-ომ-ა** გადაშენდა და მის ნაცვლად **-ოფ-ა** გაბატონდა ყველგან. ეს
 უკანასკნელი მეგრულ-ლაზურში ქართულისებური **-ობ-ა** მჟღერი ალომორფისგან
 მომდინარეობს, ამას ო-ჩინ-ობ-უ „(გა)ცნობა“ სახელზმნა ამოწმებს ლაზურში, რასაც ჩინ-ებ-ა
 ← *ჩინ-ობ-ა „ცნობა“ შეეფარდება მეგრულში.

განსაკუთრებული გავრცელებით ხასიათდება **-აფ-ა** რთულსუფიქსიანი წარმოება
 მეგრულ-ლაზურში, რომელსაც ზოგჯერ კაუზატიურობის გაგება თან ახლავს:

-აფ-ა:

ლაზური

მეგრული

ბირ-აფ-ა

ბირ-აფ-ა „მღერა, მღერება“

თან-აფ-ა

თან-აფ-ა „თენება; აღდგომა“

ჩან-აფ-ა

ჩან-აფ-ა „მოსხმა“

ღირ-აფ-ა

ღირ-აფ-ა „ღირება; ფასი“

ქირ-აფ-ა || ქორ-აფ-ა

ქქ̣-რ-აფ-ა „გაცივება, გამაგრება“

ტიბ-აფ-ა || ტიბ-აფ-ა

ტ̣-ბ-აფ-ა „გათბობა“

ფშ-აფ-ა

ფშ-აფ-ა „ვსება, ავსება“...

ზოგან ლაზურ აფ-ა დაბოლოებას მეგრულში **-აფ-ი** შეესიტყვება, მაგალითად, ლაზ. ყურ-
აფ-ა ~ მეგრ. ჭურ-აფ-ი „ყვირილი“; სტრუქტურულად ჭურ-აფ-ა ბუნებრივი ჩანს
 მეგრულისათვისაც, მაგრამ სემანტიკურად სხვაობა **-აფ-ა** და **-აფ-ი** ყალიბის მასდარებს
 შორის დიდია, ვინაიდან ჭურ-აფ-ა მხოლოდ კაუზაციას, სხვის აყვირებას (და არა ყვირილს)
 უდრის. აქვე მოვიყვანოთ **-აფ-ი** მასდარული დერივაციის სხვა მაგალითებს მეგრულიდან:

ბათქ-აფ-ი

შდრ.

ბათქ-უ-ა „ბეთქვა“

ბანძლ-აფ-ი

შდრ.

ბანძლ-უ-ა „არ მოსვენება, კირკიტი“

ზარდ-აფ-ი

შდრ.

ზარდ-უ-ა „გაბრტყელება“

ზინდ-აფ-ი

შდრ.

ზინდ-უ-ა „ზიდება, ქაჩვა“

თქვაშ-აფ-ი

შდრ.

თქვაშ-უ-ა „თხლემა“

კაკ-აფ-ი

შდრ.

კაკ-უ-ა „კაკუნია“

კირტ-აფ-ი

შდრ.

კირტ-უ-ა || კირტ-ინ-ი „ჩხიკინი“...

შეიძლება დაისვას საკითხი მეგრ. **აფ-ი** დაბოლოების წარმომავლობის შესახებ, რომელიც,
 საფიქრებელია, ლაზურში გავრცელებული **-აფ-უ** (წინ-აფ-უ „გაწუწვა“, ძირ-აფ-უ „ნახვა“,
 გორ-აფ-უ „ძებნა“...) ტიპის წარმოების ზუსტი შესატყვისი იყოს, თუ დავუშვებთ, რომ აქ,
 ფუძის აბსოლუტურ ბოლოში, **-უ→^ˆ→ი** (*-აფ-უ→აფ-^ˆ→აფ-ი) ფონეტიკური გარდაქმნა
 განხორციელდა, რაც სხვაგანაც შეინიშნება მეგრულში, შდრ.: ჭკად-უ || ჭკად-^ˆ || ჭკად-ი
 „მჭედელი“, ხიტონ-უ || ხიტონ-^ˆ || ხიტონ-ი „ხრამუნა“, კორობ-უ || კორობ-^ˆ || კორობ-ი
 „მკრეფავი, კრეფია“... ასე რომ, აქაც ერთგვაროვანი დერივაცია უნდა იყოს საგულვებელი
 მეგრულსა და ლაზურში.

ცალკე, საკმაოდ პროდუქტიულ ჯგუფად, უნდა გამოვყოთ მეგრულ-ლაზურში -ი დაბოლოებიანი მასდარები, რომლებიც, ოდენ -ი-ს გარდა, საყრდენად (ენობრივი ერთეულების მიხედვით) მეტნაკლები ინტენსივობით -ერ-||-ელ-ი, -ინ-ი, -აშ-ი, -ომ-ი რთული შედგენილობის სუფიქსაციით გამოირჩევა:

ა) -ი:

ლაზური

ფარფალ-ი || ო-ფარფალ-უ
 ფიჩხ-ი „ყანის დასუფთავება“
 ქსინ-ი „ცუილი“
 ლალილ-ი „მკრთალად ხედვა“
 მონტროც-ი „ჩამოშლა (მიწის)“

მეგრული

ფარფალ-ი „შუქის ციმციმი“
 პარპალ-ი „ენის ჭარტალი“
 რსინ-ი „ცუილი“
 წარწალ-ი „ხეტიალი“
 პუტორ-ი „პუტვა“...

ბ) ერ-ი → || -ელ-ი:

ხომრობ-ერ-ი „ლაპლაპი“

ბულ-ერ-ი „გაბუქვა“, შდრ. ბულ-ინ-ი
 ბერჯღ-ელ-ი „ისტერიული ტირილი“
 ჟერჟ-ელ-ი „რხევა, კონწიალი“
 ხერხ-ელ-ი „ჩანჩალი“...

გ) -ომ-ი:

ხინჯიხ-ომ-ი „ორომტრიალი“

თხირ-ომ-ი „მლიგინი, ჯლიგინი“.

შენიშვნა: მეგრულში -შ- თანხმოვნია ე. წ. საყრდენი მორფემები სხვა გახმოვანებითაც ბუნებრივია, რასაც ვერ ვადასტურებთ ლაზურში; შდრ. მეგრ. -ომ-ი: ბორდ--ომ-ი „ბოდვა“, კურტ-ომ-ი „ტლინკაობა“... მეგრ. -აშ-ი: ქარქ-აშ-ი „ლაღად, თავისუფლად სიარული“, ქვარქვ-აშ-ი „დაწვრალება“. ვფიქრობთ, ეგევე -ომ-ი, ოღონდ უკვე ფუძეს შეხორცებული, უნდა ჩანდეს მეგრ.-ლაზ. ჭ-ომ-აფ-ა „მისწრება“ (შდრ. ნჭ-აფ-ა „მიწევა“) ჭყ-ომ- „მჭყმსვა“ (შდრ. ნჭყ-ალ-ა „ხედნა“) და სხვ. ზმნებშიც.

დ) -უნ-ი:

ლაზური

ზლაპ-უნ-ი „ღეჭვა“
 ჩით-უნ-ი „გადარჩენა“

მეგრული

ტარკ-უნ-ი „ზელა, თითხნა“

ე) ცალკე განხილვის ღირსია -ინ-ი მასდარული წარმოება მეგრულ-ლაზურში, რომელიც მეტად პროდუქტიული ჩანს ორსავე ქვესისტემაში:

ლაზური

ღუმ-ინ-ი || ო-ღუმ-ინ-უ
 ღმუილი)
 ჩამ-ინ-ი || ო-ჩამ-ინ-უ
 ღირ-ინ-ი || ღი-ინ-ი
 ხვეწ-ინ-ი
 ჯოხ-ინ-ი
 ბგარ-ინ-ი

მეგრული

ღუმ-ინ-ი „ცეცხლის გრგვინვა“ (ქართ.
 ჩამ-ინ-ი „ფხანა“
 ღირ-ინ-ი „ღრენა“
 ხვეწ-ინ-ი „ხვეწნა“
 ჯოხ-ინ-ი (შდრ. ძახ-ინ-ი „id“) „ძახილი“
 ნგარ-ინ-ი „ტირილი“...

შენიშვნა: ორსავე ერთეულში შეიმჩნევა მერყეობა **-ინ-ი** || **-ინ-ა** სახეობებს შორის, რომელიც ფონეტიკურად არ უნდა იყოს შეპირობებული: ლაზ. შკურ-**ინ-ა** „შიში“ (მეგრ. შქურ-**ინ-ი**), ლაზ. ჩოდ-**ინ-ა** || ჩოდ-**ინ-ი** „დაცლა“, მეგრ. რჩქ-**ინ-ა** „ცოდნა“ (ლაზ. ჩქ-**ინ-ი**), მეგრ. რტ-**ინ-ა** || რტ-**ინ-ი** „გაქცევა“, მეგრ. რ-**ინ-ა** || რ-**ინ-ი** „ყოფა, ცხოვრება“ (შდრ. ო-რ-**ინ-ჯ-ი** „საქონელი“)...

ლაზურში და ნაწილობრივ მეგრულშიც **-ინ** ხშირად იკავებს **-აფ** (=ქართ. **-ებ**) სუფიქსის (თემის ნიშნის) ადგილს მასდარებში, რასაც პარალელური ფორმები გვიდასტურებს: გო-სინჯ-**ინ-უ** || გო-სინჯ-**აფ-ა** „გასინჯვა“, ო-ტახ-**ინ-უ** || ო-ტახ-**აფ-უ** „გატეხინება“, ო-ნწირ-**ინ-უ** || ო-ნწირ-**აფ-უ** „გაწვალება“, მო-ჩით-**ინ-უ** || მო-ჩით-**აფ-ა** „გადარჩენა“, მო-შქვ-**ინ-უ** || მო-შქვ-**აფ-ა** „მოშვება“ თხოზ-**ინ-უ** (მეგრ. თხოზ-**ინ-ი**) || თხოზ-**აფ-ა** „თხზვა“... მაგრამ მეგრულთან სხვაობას ლაზურში ის ქმნის, რომ **-ინ** აფიქსს შეუძლია პასიური შინაარსის ზმნებისაგან აწარმოოს აქტიური სემანტიკა, შდრ.:

მეგრ.-ლაზ.	ღურ-ა „კვდომა“	~	ლაზ. ღურ- ინ-ი „მოსიკვდილება“
მეგრ.-ლაზ.	სქად- „დარჩენა“	~	ლაზ. მე-სქად- ინ-აფ-ა „მორჩენინება(?)“
მეგრ.-ლაზ.	სვ- „ჩამოსმა“	~	ლაზ. გოლო-სვ- ინ-უ „ძალად ჩამოსმა“...

და თუ პირველ ორ ნიმუშში **ინ-ის** მსგავსი ფუნქცია ქართულშიც იკითხება (მაგალითად მო-კვდ-**ინ-ებ-ა**), მესამე მაგალითი სრულიად უნიკალური ჩანს **სვ-** ძირისგან კაუზატივის წარმოების თვალსაზრისით.

სხვაგან მეგრულსა და ლაზურში **ინ-ის** გამოყენებისას ერთგვაროვანი სურათიც შეინიშნება: მეგრ.-ლაზ. ტიბ-**ინ-აფ-ა** „თბუნება“; „მადლის გადმოსვლა“, მონდ-**ინ-აფ-ა** „დასამწიფებლად ხილის დადება, დამწიფებინება“, ო-ჭოფ-**ინ-უ** (მეგრ. ვა-ჭოფ-**ინ-ეს**) „დაჭერინება“, გო-კურცხ-**ინ-აფ-ა** „გალვიძება“ (შდრ. კურცხ- „ლვიძილი“), დო-დგ-**ინ-უ/ა** „დაყენება“..., თუმცა ლაზურში **ინ-ის** გამოყენების არეალი გაცილებით მეტია და ზოგჯერ ქართულსაც აჭარბებს ხოლმე. აქ (ლაზურში), შეიძლება ითქვას, ნებისმიერი ზმნისაგან იწარმოება **-ინ** სუფიქსის შემცველი მასდარი, რაშიც ქვემოთ მოყვანილი მაგალითები ადვილად დაგვარწმუნებენ:

მცუდ-ი „ტყუილი“	→	ო-მცუდ- ინ-უ	„მოტყუება“
დვ-ალ-ა „ჩადენა“	→	ამა-დვ- ინ-უ	„ჩადენინება“
ო-წაპ-უ „წვეთება“	→	ო-წაპ- ინ-უ	„წვეთინება“
მო-ჩით-უ „მორჩენა“	→	მო-ჩით- ინ-უ	„გადარჩენა“...

ლაზურში ბუნებრივია როგორც **-ინ-აფ-** (=ქართ. **-ინ-ებ-**), **-აფ-ინ-** (ქართ. **-ებ-ინ-**) მასდარული დერივაცია:

ა) **ინ-აფ-**: მო-ჭიშ-**ინ-აფ-ა** „მოსწრებინება“ (შდრ. მო-ჭიშ-უ „მოსწრება“), მო-ჩით-**ინ-აფ-ა** „გადარჩენინება“ (შდრ. მო-ჩით-უ „რჩენა“), მო-შქვ-**ინ-აფ-ა** „მოშვებინება“ (შდრ. მო-შქვ-აფ-ა „მოშვება“), მე-ჯუნდ-**ინ-აფ-ა** „კოცნინება“ (შდრ. მე-ჯუნდ-აფ-ა „კოცნა“), მე-ჯოხ-**ინ-აფ-ა** „დაძახებინება“ (შდრ. მე-ჯოხ-აფ-ა „მიძახება“), მო-რკ-**აფ-ინ-უ** „მოტაცებინება“ (შდრ. მო-კრ-აფ-ა „მოტაცება“), მე-მცხვ-**აფ-ინ-უ** „შეერთებინება“ (შდრ. მე-მცხვ-აფ-ა „შეერთება“), მო-გ-**აფ-ინ-უ** „მოგებინება“ (შდრ. მო-გ-აფ-უ „მოგება“)...

და ბოლოს, ლაზურში დადასტურდა ორმაგად **-ინ** სუფიქსის გამოყენების შემთხვევებიც: მე-დგ-**ინ-აფ-ინ**-უ „მიდგმევინ(ებინ)ება“, მე-ხუპ-**ინ-აფ-ინ**-უ „შეკრევინ(ებინ)ება“, მე-ჭირდ-**ინ-აფ-ინ**-უ „შეწუხებინ(ებინ)ება“..., რაც ქართველური ენებიდან ახალი ქართულშიც არის შესაძლებელი, შდრ. ქართ. გაკეთებ-**ინ-ებ-ინ-ებ-ა**, დაჯერებ-**ინ-ებ-ინ-ებ-ა**...

განსხვავებით ლაზურისაგან, მეგრულ-ლაზურში გავრცელებულია **-ი** დაბოლოებიანი მასდარის კიდევ ერთი მაწარმოებელი და სხვა, ქართულთან საერთო, ამავდროულად ლაზურისგან განსხვავებული კონფიქსური წარმოება:

ა) **-იორ-ი** || **-იოლ-ი** (ქართ. **-იალ-ი**): ფ-**იორ-ი** „ფრიალი“, შხ-**იორ-ი** „შხივილი“, ჩხ-**იორ-ი** „ჩხრიალი“, ც-**იორ-ი** „ჩქამის გაღება“, რჟ-**იოლ-ი** „ჟრიალი“, რს-**იოლ-ი** „სრიალი“, რთ-**იოლ-ი** „ბრუნვა-ტრიალი“...

ბ) **სი-ა** (ქართ. **სი – ე →|| სი – ო**): სი-ზისქ-ა „სიბლანტე“, სი-თხითხ-ა „სითხელე“, სი-ტიბ-ა „სითბო“, სი-მონკ-ა „სიმძიმელი“, სი-რგილ-ა „სიგრილე“, სი-სქვამ-ა „სილამაზე“, სი-ჯგირ-ა „სიკარგე“, სი-ჭით-ა „სიწითლე“...

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მასდარის წარმოების ძირითადი ტიპი ლაზურში **/ო – უ/** პრეფიქსულ-სუფიქსურია, რაც არსებითად არ განსხვავდება მეგრულისგან, ისევე, როგორც მეგრულის ძირითადი ოდესუფიქსური **/-უ-ა/** დერივაცია თავს იჩენს ლაზურში აქა-იქ **-ვ-ა** დაბოლოების სახით: ბარ-**ვ-ა** „ქროლვა“, წილ-**ვ-ა** „კრეფა“, ჭარ-**ვ-ა** „წერა“, ტახ-**ვ-ა** „ტეხა“, შდრ. შესაბამისად მეგრული: ბარ-**უ-ა**, წილ-**უ-ა**, ჭარ-**უ-ა**, ტახ-**უ-ა**, რაც მეგრულისებური სახეობით მეორდება ლაზურის ჩხალურ თქმაში; ამდენად, ეს მონაცემიც აერთიანებს ლაზურს მეგრულთან და არა პირიქით.

ლაზურისა და მეგრულის მასდარის სუფიქსური წარმოებაც (მეტ-ნაკლები დისტრიბუციით) ემთხვევა ერთმანეთს: **-ა, -აფ-ა, -ალ-ა, -უ**.

ლაზურსა და მეგრულს შორის სახელზომნური ფუძის შენების თვალსაზრისითაც სხვაობა არ შეიმჩნევა, ორივე ენობრივ ქვესისტემაში დასტურდება მასდარი, რომელიც როგორც აორისტის შედარებით მარტივი ფუძისაგან, ისე აწმყოს თემისნიშნის ფორმებისგანაც იწარმოება.

მეგრულისებური **-ირ** მასდარული სუფიქსის კვალი ლაზურშიც აღმოჩნდა, რაც ასევე აახლოვებს ლაზურს მეგრულთან ისტორიულად.

-ინ- სუფიქსიანი მასდარული ფორმები, რომლებიც ლაზურში მეტად არის გავრცელებული, თავჩენილია მეგრულშიც.

მეგრულისათვის თავისებური **-აფ-ი** დაბოლოებიანი მასდარი ლაზურში უფრო ძველ **-აფ-უ** (→ მეგრ. **-აფ-ი**) სახეობას შეისატყვისებს.

აწმყოსფუძიან მასდარულ ფორმებში მეგრული და ლაზური ჩვეულებრივ ერთგვაროვან სურათს აჩვენებს: **-უმ, -აფ, -ალ**.

მეგრულ-ლაზურში ბუნებრივია ქართულისებური მასდარის უთემისნიშნო ფორმებიც: ტახ-ა „ტეხა“, ჭარ-ა „წერა“, ხვამ-ა „ლოცვა“...

ლაზურისათვის დამახასიათებელი **-ოლ-** სუფიქსი მეგრულშიც გამოჩნდა: ლაზ. წი-**ოლ-**ი „კივილი“, მეგრ. ქინჩ-**ოლ-**ი „ქაჩვა“, რტუმ-**ოლ-**ი „მტვრევა“...

მეგრულ-ლაზურს ასევე აერთიანებს **-ორ** სუფიქსის ფაკულტატიური გამოყენება მასდარებში: ლაზ. ღილ-**ორ-**ი „ტალახის ზელა“, მეგრ. ხინტკ-**ორ-**ი „ფხეკა“, ჟუმ-**ორ-**ი „წვრილი წვიმა“...

მეგრულისათვის პროდუქტიული **-ულ-**ი (ქურქ-ულ-ი „ვიშიში“) ლაზურშიც ხშირად დაჩნდება: გურგ-ულ-ი „გრგინვა“, მე-კვართ-ულ-უ „სროლა“ (შდრ. ქართ. რბ-ოლ-ა; ქართ. -ოლ : ზან- -ულ).

შედარებით არაპროდუქტიული **-ურ-** სუფიქსიც ორივეგან დასტურდება. ქართულში უხმოვნო **-ნ-** მეგრულ-ლაზურში **-ონ-** გახმოვანებით ასევე ბუნებრივი ჩანს: ტიშ-ონ- „ტის-ნ-ა“...

მეგრულის **-ან-** (კოჩ-ან-ა „კაცობა“) ლაზურშიც დაჩნდება: ო-მონკ-ან-უ „დამძიმება“, ო-წურ-ან-უ „დამოკლება“...

მართალია, გვაქვს სხვაობაც (ლაზ. ო-ა, მეგრ. სი-ა, -იორ-ი), მაგრამ უძირითადეს ნაწილში მეგრულ-ლაზურში მასდარის წარმოება ერთგვაროვანია, რაც აღწერილ ენობრივ ერთეულებს შორის სხვაობის ზღვარს დიალექტური დიფერენციების ხარისხთან აახლოვებს და, შესაბამისად, ამ მონაცემით (მასდარის წარმოებით) აღწერილი ქვესისტემები კვალიფიცირდება როგორც ერთი ზანური (კოლხური) ენის ორი დიალექტი – ლაზური და მეგრული.

II.12.2. მიმღობა.

საზოგადოდ მიმღობის წარმოებას ზანურში მრავალფეროვნება ახასიათებს, მეგრული დიალექტის შემთხვევაში სავსებით ადეკვატური იქნებოდა გაგვემორებინა აკაკი შანიძის სამართლიანი შენიშვნა, გამოთქმული თანამედროვე ქართულისათვის: „არსად არ არის არეული ერთმანეთში სხვადასხვა ეპოქისა და სხვადასხვა კილოს ქონება, როგორც მიმღობის ფორმებში“ (შანიძე, 1953, 588).

მეგრულში სიტუაციას ართულებს ის ფაქტორიც, რომ, თუ ქართულში საშუალება გვეძლევა ენის ისტორიის გათვალისწინებისა ძველქართული წერილობითი ძეგლების არსებობის გამო, მეგრულში ამგვარი შესაძლებლობა არ გვაქვს, ვინაიდან მეგრულ-ლაზუბი იმთავითვე საერთოქართული დამწერლობით სარგებლობდნენ უძველესი პერიოდიდან დღემდე. თუმცა ფორმათა ნაირგვარობის ახსნა კილოკავური (დიალექტური) მონაცემების ურთიერთშედარების საფუძველზე მაინც ხერხდება.

ორივე ენობრივ ერთეულში გავრცელებული ჩანს მიმღობის პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება. მოქმედებითი გვარისა და გვარის არმქონე ზმნური ფუძეებიდან ნაწარმოებ მიმღობას ერთ ჯგუფად განვიხილავთ და გამოვყოფთ მაწარმოებელი აფიქსების მიხედვით.

გავრცელებულია **მ – უ** კონფიქსური დერივაცია, ლაზურში სრულად, ხოლო მეგრულში თავკიდური **მ** ფონოტაქტიკური მიზეზების გამო **ნ**-ში გადადის (ნაზალიზაცია – **მ → ნ**), ან სულაც იკარგება:

მ- -უ:

ლაზური		მეგრული	
მ-ჯგინ-უ	„ჯობნი“	რჯგინ-უ	„ჯობნი“
მ-ცხუნ-უ	„მრჩველი“	სხუნ-უ	„ბჰე, მრჩველი“
მ-შუმ-უ	„მსმელი“	შუმ-უ	„მსმელი,,

მ-ჩუმ-უ მცველი“	„მცველი“	{ტყა}ჩუმ-უ ჩ-უ	„ტყის
მ-ჭინახ-უ	„მწნეხელი“	ჭინახ-უ ჭინახ-უ	„მწნეხელი“
მ-ჭკად-უ	„მჭედელი“	ჭკად-უ	„მჭედელი“...

თვალსაჩინოებისათვის ეს ნიმუშებიც იკმარებს, თუმცა მათი რიცხვი გაცილებით მეტია, განსაკუთრებით ლაზურში, სადაც ამგვარი წარმოება მეტად პროდუქტიულია.

მეგრულის -უ დაბოლოება პოზიციურად ცვალებადია, მას ხშირად ენაცვლება -^h და -ⁱ ალომორფები, ამიტომაც ბუნებრივია როგორც ჭკად-უ, ისე ჭკად-^h და ჭკად-ⁱ სახეობები. ზოგ ფუძეში ეს უკანასკნელი -ი დამკვიდრდა ერთადერთ ვარიანტად, შდრ.: კორობ-ი „მკრეფავი“ (შდრ. ლაზ. წიწილა მ-კორობ-უ „ყარყატი“, ზედმიწ. „გველის მკრეფავი“), ჩაკა-ზიდ-ი „კალათის მზიდავი“...

მ-ალ||მა-ალ:

ლაზური

- მ-გიბ-ალ-ე
- მ-რდ-ალ-ე
- მ-ჭკომ-ალ-ე
- მ-შვ-ალ-ე
- მ-ჭ-ალ-ე

მეგრული

- მა-გიბ-ალ-ი „მხარშველი“
- მა-რდ-ალ-ი „მზრდელი“
- მა-ჭკომ-ალ-ი „მჭამელი“
- მა-შუ-ალ-ი „მესოველი“
- მა-ჭ-ალ-ი „მკერავი“

აქაც, ამ შემთხვევაშიც მეგრულში მა- პრეფიქსის არსებობა, ლაზურის უხმოვნო მ-ს წილ, შეპირობებულია ფონოტაქტიკური შეზღუდვით, ვინაიდან მ+C მეგრულში აკრძალულ თანამიმდევრობათა ჯგუფს განეკუთვნება; შდრ. ასევე ლაზ. მ-შინ-ე „მხსენებელი“, მეგრ. მა-ჯინ-ე „მაყურებელი“, სადაც მ – ე შეიფარდებს მა – ე კონფიქსს მეგრულში.

ლაზურის ბოლოკიდური ე სახელობითი ბრუნვის ნიშანი ჩანს და იგი მეგრულში ი-ს შეისატყვისებს, შდრ. ლაზ. კუნჩხ-ე – მეგრ. კუნჩხ-ი „ფეხი“ (არნ. ჩიქობავა). ასე რომ, ლაზ. მ-ალ-ე და მეგრ. მა-ალ-ი ერთგვარ მონაცემად უნდა იყოს შეფასებული. და რომ ეს ნამდვილად ასე არის, შეიძლება დამტკიცდეს ლაზურში ფიქსირებული პარალელური ფორმებით:

მ-ჭკომ-უ მ-ჭკომ-ალ-ე	„მჭამელი“
მ-ჩუმ-უ მ-ჩვ-ალ-ე	„მცველი“
მ-შუმ-უ მ-შვ-ალ-ე	„მსმელი“
მ-გიბ-უ მ-გიბ-ალ-ე	„მხარშველი“...

საყურადღებოა ე. წ. ქართული ტიპის მოქმედებითი გვარის დერივაციის წარმოჩენა ლაზურ მიმდევრობებში, რომელიც მეგრულში უფრო მეტად არის გავრცელებული; ასეთია მა-ალ-ე ლაზურში, მა-ალ-ი – მეგრულში:

ლაზური	მეგრული	
მა-მჩვირ-ალ-ე	მა-ნჩურ-ალ-ი	„მოცურავე“
მა-მცუდ-ალ-ე	მა-წუ-ალ-ი	„მწოველი“
მა-ბირ-ალ-ე	მა-ბირ-ალ-ი	„მომღერალი“

მა-გურ-ალ-ე „მასწავლებელი“ მა-კირ-ალ-ი „შემკვრელი“ ...

მა – უ:

ლაზური

მა-მპილ-უ „მკლავი“

მა-მპონ-უ „მცნობი“

მეგრული

მა-ჭვალ-უ||-^

მა-შილ-უ

მა-ჭვინთ-უ

მა-რდ-უ

მა-რთ-უ

„მეწველი“

„მხედვნიელი“

„მყვინთავი“

„მზარდი“

„მბრუნავი“ ...

ამგვარი წარმოება მეგრულ ქვესისტემაში მეტი ფუნქციური დატვირთვით გამოირჩევა.

-აფ თემისნიშნის ფუძეებზე დაყრდნობით იწარმოება ასევე სხვადასხვაგვარი მიმღებები როგორც ვნებითი გვარისა, ისე უგვარო. ეს დერივაცია ასევე გავრცელებულია ორსავე ენობრივ ერთეულში (თუმცა მეგრულში უფრო ხშირია მისი გამოყენება):

ლაზური

მა-ნტინ-აფ-უ „გამქცევი“

მა-მცქვ-აფ-უ „მკვებარა“

მ(ა)-ხირ-აფ-უ „მპარავი“

მ(ა)-ყირ-აფ-უ „მაყივნიელი“

მა-რდ-აფ-უ „მზარდი, მოზარდი“

მეგრული

მა-გურ-აფ-უ

მა-ცქვ-აფ-უ

მა-ნჭ-აფ-უ

მა-ძირ-აფ-უ

მა-დინ-აფ-უ

„მსწავლელი“

„მკვებარა“

„მოსწრაფე“

„მნახელი“

„ვინც იკარგება“ ...

როგორც ზემოთ ვნახეთ, მეგრულ-ლაზურში ამგვარი წარმოების ნიმუშები -აფ თემის ნიშნის გარეშეც ბუნებრივია.

ლაზური

მ-ურ-ა||მა-ურ-ი:

მ-თან-ურ-ა „მნათობელი“

მ-ხაჩქ-ურ-ა „მთოხნელი“

მ-ჩალიშ-ურ-ა „მომუშავე“

მეგრული

მა-თან-ურ-ი

მა-ხაჩქ-ურ-ი

მა-ჩალიჩ-ურ-ი

მა-გაფ-ურ-ი

მა-ზად-ურ-ი

მა-კათ-ურ-ი

„მნათობელი“

„მთოხნელი“

„გამჩალიჩებელი“

„გადამხდელი“

„შემხვედრი“

„მოზიარე, მონაწილე“

ლაზურისა და მეგრულის ჩვენება აქაც ემთხვევა, ოღონდ, თუ ქართულს მოვიხმობთ, კარგად გამოჩნდება, რომ ლაზური მ-კბენ-არ-ა ტიპს მიეყვება, როცა მეგრული მა-კბენ-არ-ი || მ-კბენ-არ-ი ყალიბს ანიჭებს უპირატესობას. ვფიქრობთ, იგივე მ-ურ-ა კონფიქსი უნდა ჩანდეს ლაზურ მ-ულ-ა დისიმილაციურ სახეობებშიც, შდრ. ლაზ. მ-ჭკირ-ულ-ა ← *მ-ჭკირ-ურ-ა „მჭრელი“ ... და მ-უ-ა სახეობაშიც: მ-ჩამ-უ-ა ← *მ-ჩამ-ურ-ა „მცემელი, მორქენალი“, მ-ხთიმ-უ-ა ← *მ-ხთიმ-ურ-ა „მსვლელი, მომსვლელი“ ...

მა – ე:

ლაზური

მა-ნჯირ-ე „მძინარი“

მა-კარკალ-ე „მოკაკანე“

მეგრული

{დუ-}მა-ნჯირ-ე „დამწოლი“

მა-კარკალ-ე „მოკაკანე“

მა-კვანდ-ე	„მათხოვარი“	მა-თხოზინ-ე	„მდევარი“
მა-ღალღალ-ე	„მოლაპარაკე“	მა-ღარღალ-ე	„მბოდავი“
მა-ძიცინ-ე	„მოცინარი“	{ელ-}მა-ძიცინ-ე	„ჩამცინარი“...

შენიშვნა: ამ ტიპის მიმდევრებში მეგრული გარკვეულ რყევას აჩვენებს, ბუნებრივია შემდეგი პარალელები: მა-რაგად-ე || მო-რაგად-ე „მთქმელი“, მა-თირ-ე || მო-თირ-ე „შემცვლელი“, მა-კითხირ-ე || მო-კითხირ-ე „მკითხველი“. სახეზეა მა-/ მო- სუბსტიტუცია.

გარკვეული კანონზომიერება იკვეთება -ჯ- სუფიქსიან მიმდევრებთან წარმოებისას ლაზურსა და მეგრულში; კერძოდ, თუ ლაზურში -ჯ- სუფიქსია ჩვეულებრივ გახმოვანებული და -აჯ-ე დაბოლოების სახით დასტურდება მ- პრეფიქსთან ერთად (მა-აჯ-ე), მეგრულში პირიქით, თავკიდური მ პრეფიქსია ყოველთვის გახმოვანებული, ხოლო, დაბოლოების ნორმა -ჯ-ი/ -ე გახმოვანებაა მხოლოდ (მა-ჯ-ი/-ე). ცხადია, აუსლაუტური -ე/ -ი ლაზურში და -ი/ -ე მეგრულში ოდინდელი სახელობითი ბრუნვის ნიშნებია:

ლაზური		მეგრული	
მ-გარინ-აჯ-ე	„მტირალა“	მა-ნგარინ-ჯ-ე	„მტირალა“
მ-შქურინ-აჯ-ი/ -ე	„მშიშარა“	მა-შქურინ-ჯ-ე	
	„მშიშარა“		
მ-ხირ-აჯ-ე	„ქურდი“	მა-ხირ-ჯ-ი მა-ხინ-ჯ-ი	„ქურდი“
მ-თხოზინ-აჯ-ე	„მდევარი“	მა-თხოზინ-ჯ-ე მა-თხოზენ-ჯ-ი	„მიმდევარი, მდევარი“
მ-ტყორინ-აჯ-ე	„მკუანა“	მა-ტყორინ-ჯ-ე მა-ტყორენ-ჯ-ი	„მკუანა“
მ-სქინ-აჯ-ე	„მცუანა“	მა-რსენ-ჯ-ი მა-რსინ-აია)	„მცუანა“...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყოველთვის ასეთი წარმოების ტიპი საყრდენ ფუძედ -ინ თემისნიშნის ფორმებს ირჩევს: გარ-ინ- „ტირილი“, შქურ-ინ- „შიში“, თხოზ-ინ- „დევნა“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, ყველა ის მიმდევრა, რაც დამახასიათებელია ლაზურისათვის, მეტნაკლებად მეორდება მეგრულშიც, თუმცა პირიქით დაშვების შემთხვევაში, ლაზური მეგრულს ბევრად ჩამორჩება, მეგრულში გაცილებით მეტია კონფიქსური ინვენტარი მიმდევრების საწარმოებლად:

მა-არ-ი:	მა-ნჭყოლ-არ-ი	„დამჭრელი“
	{წა-}მა-ჭონ-არ-ი	„გამფუჭებელი“
	მა-შქიდ-არ-ი	„დამხრჩობი“
	მა-ჭვილ-არ-ი	„მკვლელი“...
მა-უ:	მა-ჭოროფ-უ	„მოყვარული“
	მა-დიარ-უ	„მძოველი“
	მა-ძირაფ-უ	„მნახველი“...
მა-ორ-ი:	მა-ზიმ-ორ-ი	„დამზავებელი“
	მა-ქუდ-ორ-ი	„გადმომხურავი“
	მა-ჭვიმ-ორ-ი	„მაწვიმარი“

მა-ჭირხ-ოლ-ი ← *მა-ჭირხ-ორ-ი „მერცხალი“...

მეგრული მოქმედებითი გვარის მიმღობებში კონფიქსურ /მა-ორ/ წარმოებას ენაცვლება ოდენ-სუფიქსური -ორ დერივაცია, რაც, სავარაუდოა, მომდინარეობდეს *მ- -ორ-ისაგან, თავკიდური მ-ს დაკარგვით ფონოტაქტიკური შეზღუდვის გამო:

- ქვილით-ორ-ი ← *მ-ქვილით-ორ-ი „მოქვირითე“, შდრ. ქვილით-უ-ა „ქვირითის ყრა“;
- ჩიხ-ორ-ი ← *მ-ჩიხ-ორ-ი „დამგუბებელი“, შდრ. ჩიხ-უ-ა „დაგუბება“;
- ხვით-ორ-ი ← *მ-ხვით-ორ-ი „განაყოფიერებელი“, შდრ. ხვით-უ-ა „განაყოფიერება“;
- ჯინ-ორ-ი ← *მ-ჯინ-ორ-ი „მოთვალთვალე“, შდრ. ჯინ-ა „ყურება“;
- ჯინჯ-ორ-ი ← *მ-ჯინჯ-ორ-ი „ფესვისგამდგმელი“, შდრ. ჯინჯ-უ-ა „ფესვადგმა“...

მა-ო(ნ)ჯ-ი: მა-თხ-ონჯ-ი | მა-თხ-ოჯ-ი „მათხოვარი; შეუხედავი“

მა-ანჯ-ე: მა-ტყურ-ანჯ-ე „მატყურა“

მა-ო: მა-ხორ-ო „მოსახლე“

მა-ერ-ი: მა-ნჯღვ-ერ-ი „მძლოლი, ხელმძღვანელი“
 მა-ტახ-ერ-ი | მა-ტახ-ერ-ია „მტეხი, მყიფე“
 მა-ცაბ-ერ-ი „მოცუნდრუკე“
 მა-წვი-ერ-ი „მომწვევი“
 მა-ჭუ-ერ-ი „ტკივილის მომყენებელი“

მა-ჯ-ე: მა-რაგვინ-ჯ-ე „მრქენია, მრჩოლი“

მა-აფ-ურ-ი: მა-გ-აფ-ურ-ი „გადამხდელი“

მა-ელ: მა-შიბ-ელ-ი „მშოვნელი“

მა-უ: მა-ბორ-უ „მბერავი“
 მა-ბურთ-უ „მობურთალი“

მე-იშ: მე-ნჯარ-იშ-ი „შურიანი“

მე-უ: მე-ჯინ-უ „შემყურე“

მა-უ-უ: მა-რდ-უ-უ „მზარდი“
 მა-თხ-უ-უ „მათხოვარი“
 მა-ღურ-უ-უ „მომაკვდავი“
 მა-ნწყ-უ-უ „ხელშემწყობი, ვინც ხელს უწყობს“...

შენიშვნა: აქ ორი უ-ს ცალკე, ერთიან სუფიქსად გამოყოფა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, ვინაიდან პარალელური წარმოების მიხედვით ირკვევა, რომ წინა -უ- ფუძის კუთვნილებაა, შდრ. მა-რდ-უ-უ || მა-რდ-უ-ალ-ი მზრდელი”, მა-თხ-უ-უ || მა-თხ-უ-ალ-ი „მთხოვნელი“, მა-ნწყ-უ-უ || მა-ნწყ-უ-ალ-ი „შემწყობი“...

მა-ია:	მა-ტყურ-ია	„მატყურა“
	მა-რწკინ-ია	„მბრწყინავი“
	მა-რულ-ია	„მძინარა“
	მა-ნტებ-ია	„მწველი, მხუთავი“
	მა-ხარ-ია	„მახარობელი“...

შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის მიმღეობები ლაზურში არ არის გავრცელებული, მ-ია კონფიქსის ხმარების ერთი შემთხვევა მაინც დადასტურდა: მ-სქუმ-ია „კვერცხმღები ქათამი“.

მა-აია:

მა-ზიმ-აია	„ერთგვარი მუხლუხო“
მა-ნჯგალ-აია	„მოლაჯე, ვინც მიალაჯებს“
მა-სარსალ-აია	„ციყვივით მბტომარე“
მა-ტახ-აია	„მეტეხი, რაც ტყდება“
მა-ქანც-აია	„მერყევი“
მა-ცვანთ-აია	„მთვლემარე“

მა- აშ-ე:

ლაზური	მეგრული
მა-ზ-აშ-ე	მა-ზ-აშ-ე „რაც იზილება“
მა-რდ-აშ-ე	მა-რდ-აშ-ე „მოზარდი“
მა-წილ-აშ-ე	მა-წილ-აშ-ე „რაც იკრიფება“...

შენიშვნა: ეგვე -აშ ორსავე ქვესისტემაში ბუნებრივია მყოფადი დროის ვნებითი გვარის მიმღეობათა წარმოებისას, შდრ.: მეგრ.-ლაზ. **ო-ზ-აშ-ე** „საზელი“, **ო-რდ-აშ-ე** „საზრდელი“, ლაზ. **ო-წილ-აშ-ე** // მეგრ. **ო-წილ-აშ-ე** „საკრეფელი (ხილისა)“, ლაზ. **ო-პირინ-აშ-ე** „სასტვენი, სალამური“...

-აშ სეგმენტს მეგრულში -იშ სახეობაც ჩაენაცვლება გარკვეული ზმნებისგან ნაწარმოებ მიმღეობებში: მა-ნჯარ-იშ-ე „მოშურნე“ (შდრ. მე-ნჯარ-იშ-ი „შურიანი“), მა-კერ-იშ-ე „მკერძავი“.

მო-უ:	მო-რდ-უ	„გამზრდელი“
	მო-ჭყუდ-უ	„პატარძალი“ ← ეტ. „მზითევის მომტანი“, შდრ. ჭყუდ-ა „გამზითევა“
	მო-კითხ-უ	„მომკითხველი“
	მო-სინთ-უ	„მანათობელი“
	მო-რთ-უ	„მორევი“, „რაც ირევა“...

მეგრულისთვის დამახასიათებელი წარმოება „სასუბიექტო“ მიმღეობებში თითქოს ირღვევა, როცა გამოჩნდება თითო-ორი შემთხვევა ოდენსუფიქსური დერივაციისა, რაც პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოებისათვის დამახასიათებელი ნორმიდან გადახვევად შეიძლება მოგვეჩვენოს. სინამდვილეში აქაც, როგორც ლალ-უ-უ ← მ-ლალ-უ-უ „მყევარი“, გორ-უ-უ ← *მ-გორ-უ-უ „მმებნელი“, შუმ-უ ← *მ-შუმ-უ „მსმელი“... შემთხვევაში, თავკიდურა მ ფონეტიკურად არის დაკარგული (მ + C ტიპის თანმიმდევრობათა არქონის გამო მეგრულში):

ლურ-ენჯ-ი ← *მ-ლურ-ენჯ-ი	„მბინარე“
კურცხ-ენჯ-ი ← *მ-კურცხ-ენჯ-ი	„მღვიპარი“, შდრ. მეგრ. კურცხ-ე ← *მ-კურცხ-ე „id“
ჭყონრინ-ჯ-ა ← *მ-ჭყონრინ-ჯ-ა	„მწყრალა“
ხვატ-არ-ი ← *მ-ხვატ-არ-ი	„მკვნიტელი“, შდრ. ხვატ-უ-ა „კვნიტა“
ნჯღვ-ერ-ი ← *მ-ჯღვ-ერ-ი	„მძლოლი“, შდრ. მა-ნჯღვ-ერ-ი „id“...

-აფ თემისნიშნის ფუძეებზე დაყრდნობით იწარმოება ასევე სხვადასხვაგვარი მიმღეობები როგორც ვნებითი გვარისა, ისე უგვარო. ეს დერივაცია გავრცელებულია ორსავე ენობრივ ერთეულში (თუმცა მეგრულში უფრო გავრცელებულია):

ლაზური		მეგრული	
მა-ნტინ-აფ-უ	„გამქცევი“	მა-გურ-აფ-უ	„მსწავლელი“
მა-მცქვ-აფ-უ		მა-ცქვ-აფ-უ	„მკვეხარა“
მ(ა)-ხირ-აფ-უ	„მპარავი“	მა-ნჭ-აფ-უ	„მოსწრაფე“
მ(ა)-ყირ-აფ-უ	„მაყივნიბელე“	მა-ძირ-აფ-უ	„მნახველი“
		მა-დინ-აფ-უ	„ვინც იკარგება“

მეგრულ-ლაზურში ბუნებრივია ამგვარი წარმოების ნიმუშები -აფ თემის ნიშნის გარეშეც:

ლაზური		მეგრული	
მა-მპილ-უ	„გამქცევი“	მა-ჭვილ-უ	„მკლავი“
მა-მპონ-უ		მა-ჭონ-უ	„მყნობი“
		მა-დიარ-უ	„მძოველი“
		მა-თირ-უ	„მცველი“
		მა-ყინტ-უ	„მელაპავი / ყლაპია“...

შენიშვნა: აქ არ განვიხილავთ ისეთ კონფიქსურ წარმოებას მიმღეობებში, სადაც სალიტერატურო ქართულიდან შემოსული აფიქსებია გაბატონებული, მაშინაც კი, როცა საწარმოებელი ფუძე საკუთრივ ზანურია, შდრ.: მე-ჭკად-რ-ე „მჭედელი“ (შდრ. ჭკად-უ ← *მ-ჭკად-უ || მა-ჭკად-ალ-ი „მჭედელი“, მე-ტყურ-ე „მატყურა“, მე-შურბუმ-ე „მდუმარე“...

II.12.2.1. ვნებითი გვარის მიმღეობა.

ვნებითი გვარის მიმღეობა ზანურში გამოირჩევა მაწარმოებელ აფიქსთა სიუხვით. ოდენსუფიქსურ ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობას ლაზურში მხოლოდ **-ერ||-ელ** სუფიქსი აწარმოებს, რომელსაც მეგრულში ხან **-ირ||-ილ**, ხანაც **-ერ||-ელ** ალომორფები შეესატყვისება. მაგრამ ნამყო დროის მიმღეობათა წარმოება ლაზურ-მეგრულში ვითარება სავსებით მარტივია. ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობას ლაზურში ოდენსუფიქსური დერივაციისას მხოლოდ **-ერ** (დისიმილაციით **-ელ**) სუფიქსი აწარმოებს:

-ერ:	ტახ-ერ-ი	„გატეხილი“
	ტკობინ-ერ-ი	„დამალული“
	თან-ერ-ი	„განათებული, გაბრწყინებული“...
-ელ:(← -ერ):	მე-ხარ-ელ-ი	„ჩამოხეული“
	მე-კირ-ელ-ი	„მიბმული“
	ოკო-რთ-ელ-ი	„გაყოფილი“...

-ოფ-ერ-ი:

ლაზ.	ჩინ-ოფ-ერ-ი ჩინ-ობ-ერ-ი	„ცნობილი“
შდრ.	ჩინ-ერ-ი	

ჭანურის ათინურ და არქაბულ კილოკავებში ზემოაღწერილი წესი არ მოქმედებს; ამ ქვესისტემაში, ფუძის აგებულებისდა მიუხედავად – არის ძირში **რ** ვარიანტი, თუ არა, მხოლოდ **-ერ** სუფიქსიანი წარმოება გვაქვს. ამით, შეიძლება ითქვას, უნიფიკაციის პროცესი ბოლომდე იქნა მიყვანილი: ათინურ-არქაბულში ფუძისეული **რ**-სთან **-ერ** სუფიქსისეული **რ** ძლებს და ფონეტიკურ პროცესებს (დისიმილაციას) არ ექვემდებარება [მარი, 1910, 62; ნადარეიშვილი, 1965, 153-154], შდრ.:

ათინ., არქაბ.	ხოფ.	
ჭარ-ერ-ი	ჭარ-ელ-ი	„დაწერილი“
ღურ-ერ-ი	ღურ-ელ-ი	„მკვდარი“
ნჯირ-ერ-ი	ნჯირ-ელ-ი	„დაწოლილი“
რდ-ერ-ი	რდ-ელ-ი	„გაზრდილი“...

ხოფური კილოკავისათვის (განსაკუთრებით სარფის მეტყველებისათვის) დამახასიათებელია ძირეული და სუფიქსისეული **რ** ვიზრანტის ჩავარდნა/დაკარგვა: *მე-კირ-ერ-ი → მე-კირ-ელ-ი // მე-კიღ-ელ-ი „მიბმული“; *ოროფ-ერ-ი → ოროფ-ეღ-ი „შეყვარებული“; *მო-წიფხ-ერ-ი → მო-წიფხ-ეღ-ი „მორთული, გამოწყობილი“ [ყიფშიძე, 1911, 6; ნადარეიშვილი 1965, 154].

რაც შეეხება მეგრულს, **-ერ** ოდენსუფიქსიანი წარმოება აქაც ბუნებრივია, ოღონდ აქ მისი დისტრიბუცია შეზღუდულია და პარალელურად

-ირ (ქართული **-ილ**-ის შესატყვისი) მარკერიც დაჩნდება.

რომ შევადართო მეგრულის მონაცემები ლაზურის ზემოაღწერილ ფორმებთან, აღმოჩნდება, რომ ზოგან მეგრული ლაზურს მიჰყვება, სხვაგან ქართულისებური მდგომარეობაა:

მეგრული **-ერ // -ელ**

ლაზური **-ერ // -ელ**

ტკობინ-ერ-ი	ტკობინ-ერ-ი	„დამალული“
{გო}-თან-ერ-ი	თან-ერ-ი	„განათებული“
ოკო-რთ-ელ-ი	ოკო-რთ-ელ-ი	„გაყოფილი“
ღურ-ელ-ი	ღურ-ელ-ი	„მკვდარი“
ნჯირ-ელ-ი	ნჯირ-ელ-ი	„დაწოლილი“

მეგრული -ირ // -ილ	ლაზური -ერ // -ელ	
ტახ-ირ-ი	ტახ-ერ-ი	„გატეხილი“
კირ-ილ-ი	კირ-ერ-ი	„ბმული“
რთ-ილ-ი	რთ-ელ-ი	„გაყოფილი“
ჭარ-ილ-ი	ჭარ-ელ-ი	„გაყოფილი“

ფონეტიკურ პროცესებსაც თუ დავაკვირდებით, ამოსავალი ვითარება ორსავე დიალექტში ემთხვევა, კერძოდ, ისტორიულად ძირითადია -ერ სუფიქსი (მეგრულში -ერ, -ირ), მაგრამ, როცა ფუძე/ძირი რ ვიბრანტს შეიცავს ამოქმედდება რ – რ → რ – ლ დისიმილაციური პროცესი. მეგრულის ზუგდიდურ და სამურზაყანოულ კილოკავებში დღეს რ // ლ მონაცვლეობა ისედაც (რ-ს გარე-შეც) დასტურდება, მაგრამ თუ ფუძე (ძირი) ლ-ს შეიცავს, მაშინ რ-ს პოზიცია (-ერ, -ირ) ურყევია, შდრ.: ლახ-ირ-ი „ნაცემი“, ნჭყოლ-ირ-ი „დაჭრილი“, ცალ-ირ-ი „ცელილი“ ..., კალიფ-ერ-ი „კრეფილი“, კილ-ერ-ი „დაკეტილი“, ლიმ-ერ-ი „ნემსილი, შეკერილი“ ...

ეს წესი მეგრულის ყველა ქვესისტემაზე ვრცელდება.

როგორც ვნახეთ, -ირ და -ერ სუფიქსები მეგრულში ხშირი გამოყენებისაა, მაგრამ ძირითადი მაინც -ირ (→//ილ) არის, ამიტომაც შევეცადეთ -ერ (→//ელ) სუფიქსის დისტრიბუცია დაგვედგინა, რაშიც გარკვეული კანონზომიერებანი გამოვლინდა იმისდა მიხედვით, თუ რა გვაქვს საწყისის ნიშნად მეგრულში.

ქვემოთ აღწერილი იქნება ყველა შესაძლო შემთხვევა, სადაც თავჩენილია -ერ (→//ელ) სუფიქსური წარმოება მეგრულ დიალექტში.

ა) -ა მასდარიანი ზმნები:

ძინ-ერ-ი	„მატებული“	–	ძინ-ა	„მატება“
ჯოგ-ერ-ი	„შეძულებული“	–	{გო}-ჯოგ-ა	„შეძულება“
ხუნ-ერ-ი	„დამჯდარი“	–	ხუნ-ა	„ჯდომა“
ჭუნ-ერ-ი	„გაყოლილი“	–	ჭუნ-ა	„გაყოლა“
შქვიდ-ერ-ი	„დამხრჩვალი“	–	შქვიდ-ა	„ხრჩობა“

ბ) -ინ(ი)//-ინ-ა მასდარიანი ზმნები:

რჩქ-ინ-ელ-ი	„მცოდნე“	–	ჩრქ-ინ-ა/ი	„ცოდნა“
ჭყორ-ელ-ი	„გამწყრალი“	–	ჭყორ-ინ-ი	„გაწყრომა“
რ-ინ-ელ-ი	„დამდგარი“	–	გერ-ინ-ა/ი	„დადგომა“
ფურ-ინ-ელ-ი	„ფრენილი“	–	ფურ-ინ-ი	„ფრენა“
ხორ-ინ-ელ-ი	„დასახლებული“	–	დო-ხორ-ინ-ი/ა	„დასახლება“

გ) -ალ-ი მასდარიანი ზმნები:

რაჭვ-ალ-ერ-ი	„დამფრთხალი“	–	რაჭვ-ალ-ი	„ფრთხოვა, ცანცარი“
--------------	--------------	---	-----------	--------------------

რანტ-ალ-ერ-ი რეტიანობა“	„აცეტებული“	–	რანტ-ალ-ი	„აცეტება,
პარტყ-ალ-ერ-ი	„გაპარტყუნებული“	–	პარტყ-ალ-ი	„პარტყუნი“
ტარკ-ალ-ერ-ი	„გატლევკილი“	–	ტარკ-ალ-ი	„ტლიკინი“
ჟდარტ-ალ-ერ-ი	„უმალოდ ქცეული“	–	ჟდარტ-ალ-ი	„ულონო მცდელობა“

დ) -უ-ა მასდარიანი ზმნები:

ლასირ-ელ-ი	„გალესილი“	–	ლასირ-უ-ა	„ლესვა“
თხილ-ერ-ი	„დაცული“	–	თხილ-უ-ა	„გაფრთხილება, დაცვა“
შაყარ-ელ-ი	„შეკრებილი“	–	შაყარ-უ-ა	„შეკრება, შეყრა“
შილ-ერ-ი	„გახედნილი“	–	შილ-უ-ა	„ხედნა“
შქვილ-ერ-ი	„მოზიდული“	–	შქვილ-უ-ა	„მოზიდვა“

ე) -ურ და -ულ სუფიქსის შემცველი ზმნები უგამონაკლისოდ -ერ წარმოებას მისდევენ:

ძღაბ-ულ-ერ-ი	„ჯღაბნილი“	–	ძღაბ-ულ-ი//ძღაბ-ულ-უ-ა	„ჯღაბნა“
ცახ-ულ-ერ-ი	„გაფხვიერებული“	–	ცახ-ულ-ი//ცხ-ულ-უ-ა	„გაფხვიერება“
ყურშ-ულ-ერ-ი	„დახუნძლული“	–	გო-ყურშ-ულ-ი//გო-ყურშ-ულ-უ-ა	„დახუნძვლა“
ცხაცხ-ულ-ერ-ი	„დაცხავებული“	–	გო-ცხაცხ-ულ-ი//გო-ცხაცხ-ულ-უ-ა	„დაცხავება“
ცქაფ-ულ-ერ-ი	„ულაზათოდ ნაკეთები“	–	გო-ცქაფ-ულ-ი//ცქაფ-ულ-უ-ა	„ულაზათოდ კეთება“
ჭყაპ-ურ-ელ-ი	„გატიტყნილი“	–	ჭყაპ-ურ-ი//ჭყაპ-ურ-უ-ა	„ტიტყნა“
ხანტ-ურ-ელ-ი	„გაფერადებული“	–	გო-ხანტ-ურ-ი//ხანტ-ურ-უ-ა	„გაფერადება“
თხაპ-ურ-ელ-ი	„გათხუპნული“	–	გო-თხაპ-ურ-ი//თხაპ-ურ-უ-ა	„თხუპნა“
ტატ-ურ-ელ-ი	„შელესილი“	–	გო-ტატ-ურ-ი//ტატ-ურ-უ-ა	„შელესვა (მსუბუქად)“

ვ) -უნ-ი სუფიქსიანი ზმნებიც ყოველთვის -ერ სუფიქსიან ვნებითის მიმღეობას გამოაჩენს, რითაც ისინი -ინ-ი დაბოლოებიან ზმნებს უტოლდებიან, შდრ. ტარკუნ-ელ-ი „გაჭორილი“ – ტარკ-უნ-ი „გაჭორვა“...

ზ) თითქმის ყველა ნასახელარი ზმნისაგან ნაწარმოები ნამყო დროის ოდენსუფიქსური მიმღეობა მეგრულში მხოლოდ -ერ სუფიქსს იყენებს:

ძვალ-ერ-ი	„გაძვალტყავებული“	–	გო-ძვალ-უ-ა	„ყვლევა“, შდრ. ქართ. ძვალ-ი;
-----------	-------------------	---	-------------	---------------------------------

ჭაპან-ერ-ი	„დახუნძლული“	–	ჭაპან-უ-ა	„დახუნძვლა“,
„დატვირთვა“,				შდრ. ქართ. ჭაპან-ი;
ჭარგ-ელ-ი	„აჭრელებული“	–	გო-ჭარგ-უ-ა	„დაჭრელება“,
				შდრ. ჭარგა „ჭრელი“;
ხაბაკ-ერ-ი	„ცარიელი“	–	გო-ხაბაკ-უ-ა	„გაცარიელება“,
				შდრ. ხაბაკ-ი „ბარგი-ბარხანა“;
ბუმგურ-ელ-ი	„აბურძგნული“	–	ბუმგურ-უ-ა	„აბურძგნა“,
				შდრ. ბუმგურ-ია „ბურ-ძგლი“.

ასევე -ერ სუფიქსს დაირთავს -ალ-ა მასდარიანი ზმნებიც მეგრულში, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ -ალ-ა მარკერი ჩამოშორდებათ მიმღეობის წარმოებისას;

შდრ.:

ჭ-ერ-ი // ჭ-ელ-ი	„შეკერილი“	–	ჭ-ალ-ა	„კერვა“;
ზ-ერ-ი // ზ-ელ-ი	„მოზელილი; ცომი“	–	ზ-ალ-ა	„მოზელა“...

სხვა შემთხვევაში -ერ-ის ხმარება გამოირიცხვება:

თქუ-ალ-ა	„თქმა“,	მაგრამ	თქუ-ალ-ირ-ი	„თქმული“
ჩუ-ალ-ა	„შენახვა“,	მაგრამ	ჩუ-ალ-ირ-ი	„შენახული“;
მო-დვ-ალ-ა	„ჩაცმა“,	მაგრამ	მო-დვ-ალ-ირ-ი	„ჩაცმული“;
მო-ჩქუმ-ალ-ა	„მიგზავნა“,	მაგრამ	მო-ჩქუმ-ალ-ირ-ი	„მიგზავნილი“;
მო-ჯუმ-ალ-ა	„მოტანა“,	მაგრამ	მო-ჯუმ-ალ-ირ-ი	„მოტანილი“...

ეს, ჩვენი დაკვირვებით, მეორეული მოვლენაა და -ირ სუფიქსის გავრცელების არეალის გაზრდის ტენდენციით უნდა აიხსნას, თუმცა კონფიქსური წარმოების დროს -ერ სუფიქსს ამ (-ალ-ა მასდარიან) ტიპის ზმნებშიც აქვს შენარჩუნებული კუთვნილი პოზიციები, რასაც თვალნათლივ ადასტურებს შემდეგი ნიმუშები:

ნო-თქუ-ერ-ი // ნო-თქუ-ელ-ი	„ნათქვამი“,
ნო-ჩუ-ერ-ი // ნო-ჩუ-ელ-ი	„დანამალი“,
მო-ნა-დვ-ერ-ი // მუ-ნა-დვ-ელ-ი	„ჩანაცმევი“...

და რომ პროცესი -ირ/-ერ სუბსტიტუციისა არ დამთავრებულა იქიდანაც ჩანს, რომ გარკვეულ ზმნებში დღემდე ხშირია პარალელური ფორმების ხმარების შემთხვევები, – როცა ერთსა და იმავე ფუძესთან ხან -ერ → // -ელ იჩენს თავს, ხანაც -ირ → // -ილ.

შდრ.:

ჩოლ-ერ-ი // ჩოლ-ირ-ი	„დაცლილი“	–	ჩოლ-უ-ა	„დაცლა“;
ბარს-ელ-ი // ბარს-ილ-ი	„გაბრტყელებული“	–	ბარს-უ-ა	„გაბრტყელება“;
გო-ჯღონ-ერ-ი	„დაგზავნილი“	//	მო-ჯღონ-ირ-ი	„მოგზავნილი“ – ჯღონ(უ)-ა „გზავნა“;
აკო-რთ-ელ-ი	„გზებგაყრილი“	//	აკო-რთ-ილ-ი	„გაყრილი გზები“ – აკო-რთ-ა „განყრა“;
გო-ქუნ-ერ-ი // გო-ქუნ-ილ-ი	„შემოხურული“	–	გო-ქუნ-უ-ა	„შემოხურვა“;
გო-თახვ-ალ-ერ-ი // გო-თახვ-ირ-ი	„ჭანჭყართ ამორეცხილი“	–	თახვ(-ალ-)	„ჭანჭყართ რეცხვა“;
გო-რდ-ელ-ი	„გარს შემოზრდილი“	//	გო-რდ-ილ-ი	„გაზრდილი“ – რდუ-ალ-ა „ზრდა“...

ცხადია, მეგრულში ლაზურის საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე, თუ ჭანურში -ერ → // -ელ გახდა ერთადერთი მაწარმოებელი ნამყო დროის მიმღეობაში, მეგრულში იმავეს

ცდილობს -ირ → // -ილ სუფიქსი, თუმცა ლაზურში პროცესი ბევრად უფრო წინ არის წასული. უნიფიკაციის პროცესი აქ დასრულებულია.

რაც შეეხება ამოსავალ ვითარებას, მიმდევობებში საერთოზნაური მდგომარეობისთვის აღსადგენია მეგრულისებური პარადიგმა, რაც ყოველი გრამატიკული მოვლენის სათანადოდ შესწავლის გზით უნდა წარიმართოს. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ II თურმეობითი ვნებითი გვარის ზმნები, ისევე, როგორც ქართულში -ილ სუფიქსიანი წარმოება, ეყრდნობა ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმდევობას, როგორც საყრდენ ფუძეს, და მეგრულში აქ მხოლოდ -ერ||-ელ სუფიქსიანი მიმდევობები გვიდასტურდება, ანუ -ირ||-ილ – -ერ||-ელ სუბსტიტუცია-მონაცვლეობა II თურმეობითის წარმოებისას, რომლის ფუძეც ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმდევობას ეყრდნობა, ნეიტრალიზებულია -ერ||-ელ ფორმანტის სასარგებლოდ;

შდრ.:

მეგრული	ქართული
დო-ჭარ-ელ-ე	და-წერ-ილ-ა
დო-ხანტ-ერ-ე	და-ხატ-ულ-ა
დო-დვალ-ერ-ე	და-დებ-ულ-ა
დო-ტა-ერ-ე	და-ტეხ-ილ-ა
დო-ნჭყოლ-ერ-ე დო-ჭკირ-ელ-ე	და-ჭრ-ილ-ა
დო-ღალ-ერ-ე „შეშინებულა“	და-ღლ-ილ-ა
დო-ხარც-ელ-ე	და-ხლეჩ-ილ-ა
მო-ძინ-ერ-ე „მომატებულა“...	შე-ძენ-ილ-ა...

მაგალითების მოხმობა უსასრულოდ შეიძლებოდა, მაგრამ წარმოება ამავდროულად უკამონაკლისოდ მხოლოდ, როგორც ითქვა, -ერ||-ელ სუფიქსიან ნამყო დროს ვნებითის მიმდევობებს წარმოაჩენს, რაც ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ მეგრულშიც, ლაზურის მსგავსად, თავდაპირველად მხოლოდ -ერ||-ელ ფორმანტი აწარმოებდათ ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმდევობას; -ირ||-ილ პარალელური დერვაციის გაჩენა შეიძლება უკავშირდებოდეს სალიტერატურო ენის ზეგავლენას მეგრულ მეტყველებაზე, რასაც დიდი ხნის უწყვეტი ისტორია აქვს და დღემდე გრძელდება.

ნო- პრეფიქსიანი ნამყოს მიმდევობები გავრცელებულია როგორც ლაზურში, ისე მეგრულში:

ლაზური	მეგრული	
ნო-ქთირ-ე	ნო-თირ-ი	„გაცვლილი, გამონაცვალი“
ნო-ხირ-ე	ნო-ხირ-ი	„ნაპარი, მონაპარი“
ნო-რგ-ე	ნო-რგ-ი	„ნარგავი, ნერგი“
ნო-ღურ-ე	ნო-ღურ-ი	„ნამკვდრევი“
ნო-შირ-ე	ნო-შირ-ი	„დაცვეთილი, დაღეული“...

ლაზურის სუფიქსაცია განსხვავდება მეგრულისაგან – ლაზ. -ე : მეგრ. -ი, რაც კანონზომიერია, თუ მივიჩნევთ, რომ -ი და -ე სახელობითი ბრუნვის ნიშნებია, შდრ. ლაზ. კუჩხ-ე : მეგრ. კუჩხ-ი „ფეხი“, ლაზ. კოჩეფ-ე : მეგრ. კოჩეფ-ი „კაცები“...

საზოგადოდ, ლაზ. ე : მეგრ. ი შესატყვისობა ფუძის აბსოლუტურ ბოლოში ხშირად დაჩნდება და ყოველთვის ასახავს ისტორიულ -ე-ს, სახელობითი ბრუნვის ნიშანს ზანურში,

რომელიც მეგრულმა თითქმის ყველგან დაკარგა, ხოლო ლაზურმა აქა-იქ შემოინახა, რასაც გრამატიკული ინვენტარიც ნათლად ადასტურებს.

თუმცა არის შემთხვევები, როდესაც **ნო-** პრეფიქსიან ნამყოს მიმღობებში მეგრულივით ლაზურშიც **-ი** გამოჩნდება, მაგრამ ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც გვაქვს ზმნური ფუძის ა → ე აბლაუტი, რაც უფრო ინტენსიურად მეგრულში შეინიშნება:

ლაზური

ნო-ტეხ-ი ← ***ნო-ტახ-ი**

ნო-თქვ-ეფ-ი ← ***ნო-თქვ-აფ-ი**

„ნათქვამი“

მეგრული

ნო-ტეხ-ი „ნატეხი“ ← ***ნო-ტახ-ი**

ნო-კვეთ-ი „ნაკვეთი, ნაჭერი“, ← ***ნო-კვათ-ი**

ნო-სვერთ-ი „ჩამონათალი“ ← ***ნო-სვართ-ი**

ნო-გ-ეფი „ნაგები“ ← ***ნო-გ-აფი**, მდრ. **გ-აფ-ა=გება**

მართალია, სხვადასხვა ფუძეში, მაგრამ თითო შემთხვევა **ნო-** ელ კონფიქსური წარმოებისა ორივე ენობრივ ქვესისტემაში დავადასტურეთ:

ლაზური

ნო-მგარ-ელ-ი „ნამტირალევი“

მეგრული

{მუ-} **ნო-რთ-ელ-ი** „ნაბრუნევი“

მეგრულში **ნო-** ელ კონფიქსის პარალელურად დასტურდება: **ნო-ალ**: **ნო-რჩ-ალ-ი** „ქვეშაგები, ნარეცი“, **ნო-უ-ენ**: **ნო-წირ-უ-ენ-ი** „ნაწირევი“, **ნო-უ-ერ**: **ნო-ხაჩქ-უ-ერ-ი** „თოხნის გასამრჯელო“, **ნო-ჭარ-უ-ერ-ი** „წერის გასამრჯელო“ [როგავა, 1953, 23] დერივაციაც.

ნა- პრეფიქსთან მეგრულში ძირითადად **-ა** დაბოლოება არის გავრცელებული: **ნა-რკაპ-ა** „ნაკვები“, **ნა-როკ-ა** „ნახტომი“, **ნა-ტორკ-ა** „ნაცემი“ და მრავალი სხვა; დამახასიათებელი ჩანს **ნა- ა//ნა-უ-ა** სუბსტიტუცია: **ნა-მინ-ა//ნა-მინ-უ-ა** „შეძენილი“, **ნა-ჭყ-ა//ნა-ჭყ-უ-ა** „ნაწყველი“... თუმცა ერთ ზმნურ ძირთან მეგრულშიც და ლაზურშიც **ნა-** **-უ** კონფიქსური დერივაციაც არის თავჩენილი:

ლაზური

ნა-ჭვალ-უ

მეგრული

ნა-ჭვალ-უ „ნაწველი“, **ჭვალ-** „წველა“

მეგრულისთვის **ნა-** პრეფიქსი ბუნებრივია სხვაგვარი სუფიქსაციითაც - **ნა-ელ**: **ნა-ღ-ელ-ი** „წანაღები“, **ნა-თქუ-ელ-ი** „ნათქვამი“, **ნა-ჯუმ-ელ-ი** „ნაპურევი, წანაღები“, **ნა-ერ**: **ნა-ყიდ-ერ-ი** „ნაყიდი“, **ნა-ულ-ერ-ი** „ნავალი“, **ნა-კითხ-ერ-ი** „ნაკითხი“, **ნა-ირ**: **ნა-თხ-ირ-ი** „ნათხოვარი“...

ნამყო დროს ვნებითი გვარის მიმღობათა წარმოებაში ასევე ერთიან სურათს აჩვენებს მეგრულ-ლაზური მიმღობის უკუთქმითი ფორმებიც, რომლებიც **უ-უ** პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება; ცხადია, საყრდენი ფუძეებიც მეორდება ორივე ქვესისტემაში:

ლაზური

უ-ქიმინ-უ „მოუზელელი (ცომი)“
„გადაუზელელი (ყველი)“

მეგრული

უ-ქიმინ-უ

უ-გუბ-უ||უ-გბ-უ

უ-გბ-უ

„მოუხარშავი“

უ-მონჭ-უ უ-მონჭინ-უ	უ-მონჭ-უ(უ-მონჭ-ე) „უმწიფარი“
უ-ჭკომ-უ	უ-ჭკომ-უ „უჭმელი“
უ-შუმ-უ	უ-შუმ-უ „უსმელი“.

-აფ (=ქართ. -ებ) თემისნიშნისანი ვნებითი გვარის ზმნებისაგან ნაწარმოები -ირ → // -ილ სუფიქსიანი მიმღობები მეტად პროდუქტიულია ზანური ენის მეგრულ დიალექტში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ იგი (-აფ-ერ → // -აფ-ელ) ლაზურშიც საკმაოდ ყოფილა გავრცელებული:

ლაზური	მეგრული
მე-ნგ-აფ-ა → მე-ნგ-აფ-ერ-ი „მიმსგავსებული“	მე-გ-აფ-ა → მე-გ-აფ-ილ-ი „მიგნებული“
გნ-აფ-ა → გნ-აფ-ერ-ი „შეგნებული“	გინ-აფ-ა → გინ-აფ-ილ-ი „ნაგრძნობი“
ხც-აფ-ა → ხც-აფ-ერ-ი „დალპობილი“	რცუ-აფ-ა → რცუ-აფ-ილ-ი „გაცვეთილი“
ხტ-აფ-ა → ხტ-აფ-ერ-ი „აჭრილი“	რტუ-აფ-ა → რტუ-აფ-ილ-ი „დალტობილი“
ხვენ-აფ-ა → ხვენ-აფ-ერ-ი „გაკეთებული“	კათ-აფ-ა → კათ-აფ-ილ-ი „შერთული“
ხელ-აფ-ა → ხელ-აფ-ერ-ი „გახარებული“	ძირ-აფ-ა → ძირ-აფ-ილ-ი „ნახული“
ჩხვინ-აფ-ა → ჩხვინ-აფ-ერ-ი „გაცხელებული“	წინ-აფ-ა → წინ-აფ-ილ-ი „მოწოვებული“...

ლაზურში ბუნებრივია ამ დაბოლოების გამოყენება კაუზატიური -ინ სუფიქსის წინრთვით – -ინ-აფ-ერ-ი:

დო-ქთ-ინ-აფ-ა „მობრუნება“ → დო-ქთ-ინ-აფ-ერ-ი „მობრუნებული“;

დო-სქიდ-ინ-აფ-ა → დო-სქიდ-ინ-აფ-ერ-ი „დარჩენილი“;

ხელ-ინ-აფ-ა „გახარება“ → ხელ-ინ-აფ-ერ-ი „გახარებული“,

შდრ. მეგრ.:

დო-რთ-ინ-აფ-ა „მობრუნება“ → დო-რთ-ინ-აფ-ილ-ი „დაბრუნებული“...

ლაზურშივე დასტურდება იგივე რთული სუფიქსაცია შებრუნებული წყობით – -აფ-ინ-ერ-ი:

მე-გნ-აფ-ინ-აფ-ა „გაგებინება“ → მე-გნ-აფ-ინ-ერ-ი „გაგებული“,

შდრ.

მე-გნ-აფ-ინ-აფ-ერ-ი „გაგებინებული“...

საზოგადოდ -ერ სუფიქსიან დერივაციაში ძირითადი სხვაობა მეგრულსა და ლაზურს შორის ის გახლავთ, რომ ნებისმიერ ლაზურ სახეობაში, იმავე შინაარსით, ალტერნატიულ ვარიანტად შეიძლება მოგვევლინოს უთემისნიშნო (მოკლე) ფორმაც: მე-ნგ-ერ-ი, გნ-ერ-ი, ხც-ერ-ი, ხტ-ერ-ი, ხვენ-ერ-ი, ხელ-ერ-ი, ჩხვინ-ერ-ი..., რაც მეგრულში მხოლოდ ზოგიერთ ფუძესთან რეალიზდება, შდრ.: კათ-ელ-ი, ძირ-ელ-ი, წინ-ელ-ი;

თანაც, როგორც ვხედავთ, მეგრულის მოკლე მიმღობებში მხოლოდ -ელ (←-ერ) სუფიქსიანი ფორმებია შესაძლებელი, რაც ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ მეგრულივით ისტორიულ ზანურში (resp. კოლხურში) უფრო გრძელ, -აფ თემისნიშნისანი ვარიანტებში, -ილ

დაბოლოება იყო რეალიზებული, ხოლო მოკლემში – **-ელ (←-ერ)** აფიქსი. აქ აღწერილი სურათი რამდენადმე ემსგავსება ქართულის სიტუაციას, სადაც ასევე გაირჩეოდა გრძელი და მოკლე ვარიანტები, შდრ. **და-წყ-ილ-ი** და **და-წყ-ებ-ულ-ი**. საფიქრებელია, რომ ადრეულ ეტაპზე **და-წყ-ილ-** ტიპს უპირისპირდება **და-წყ-ებ-ულ-** კაუზატიური შინაარსის ვარიანტი.

-აფ თემისნიშნის ფუძეებისგან ნაწარმოები მეგრულ-ლაზური მიმღობები ასევე ერთიან სურათს გვიჩვენებენ უკუთქმით ფორმებშიც, რომლებიც **უ-აფ-უ** პრეფიქს-სუფიქსით იწარმოება; ცხადია, საყრდენი ფუძეებიც მეორდება ორივე ქვესისტემაში:

ლაზ.	უ-მონჰ-აფ-უ	„დაუმწიფებელი“	
მეგრ.	უ-ძირ-აფ-უ	„უნახვი“	
ლაზ.	უ-ჩოდინ-აფ-უ	„გაუთავებული“	
ლაზ.	უ-გეგ-აფ-უ	„შეუჩვეველი“,	ლაზ. გე-გ-აფ-უ „მიჩვეული“
მეგრ.	უ-გურ-აფ-უ	„უსწავლელი“	
ლაზ.	უ-გნ-აფ-უ	„გაუგონარი, უგრძნობი“	
მეგრ.	უ-გინ-აფ-უ	„უგრძნობი“...	

მიმღობათა საყრდენად გამოყენებულ ფუძეებში ასევე თავჩენილია **-ამ** და **-იმ** თემისნიშნები ლაზურში, ხოლო მეგრულში შესაბამისად – **-ამ** და **-უმ**:

ლაზ.:

ლოდ-ამ-ა „ქმნა“ → ლოდ-ამ-ერ-ი „ქმნილი“; ჩ-ამ-ა „ჭმევა“ → ჩ-ამ-ერ-ი „ჭმული“;

მეგრ.:

ლოლ-ამ-ა „ქმნა“ → ლოლ-ამ-ირ-ი „ქმნილი“; ჩ-ამ-ა „ჭმევა“ → ჩ-ამ-ირ-ი „ჭმული“;

ლაზ. :

მე-ჰკოდ-იმ-აფ-ა „მოწყვეტა“ → მე-ჰკოდ-იმ-ერ-ი „მოწყვეტილი“; მე-ზდ-იმ-აფ-ა „გაწევა“ → მე-ზდ-იმ-ერ-ი „გაწეული“;

მეგრ.:

შ-უმ-ა „სმა“ → შ-უმ-ირ-ი „სმული“; დო-წ-უმ-ა „დაქცევა სითხის“ → დო-წ-უმ-ირ-ი „დაქცეული“...

მეგრულში ყურადღებას მიიქცევს **-ურ//ულ** სუფიქსიან მიმღობათა დერივაცია, რომელიც ზმნათა შეზღუდულ რაოდენობას ახასიათებს:

შქირენ-ულ-ი	„მოშიებული“
ჰუმენ-ულ-ი	„მოწყურებული“
კიბ-ულ-ი	„დატერასებული“
ღორებ-ულ-ი	„მოტყუებული“
გოტებ-ულ-ი	„გაშვებული“
დალუ-ურ-ი	„გათავებული“...

უკანასკნელ მაგალითში შემორჩენილია ამოსავალი **-ურ** სახეობა, რომელიც **ი-ს** წინა პოზიციაში ქართული **-ულ** სუფიქსის კანონზომიერ შესატყვისად გვევლინება (ზან. **-ურ-ი** : ქართ. **-ული**). გარდა ამისა, **-ურ** ალომორფის პირველადობაზე მიუთითებს მყოფადი დროის ვნებითი გვარის მიმღობათა კონფიქსური წარმოებაც, სადაც **-ურ** სუფიქსი უალტერნატივო ჩანს, შდრ.:

ო-სხუნ-ურ-ი	„რჩეული, სარჩევი“
ო-ფუჩ-ურ-ი	„საფიცებელი, საფიცარი“
ო-გაფ-ურ-ი	„გადასახადი“
ო-ცეკაფ-ურ-ი	„საქები, საქებარი“
ო-ჭყუდ-ურ-ი	„სამზითვეი, სამზითვო“
ო-ჩამ-ურ-ი	„საკვები, სამასპინძლო“...

-ურ სუფიქსს უფრო მეტი გავრცელების არეალი რომ ჰქონდა ისტორიულად, ეს იმითაც მტკიცდება, რომ უ-პრეფიქსიან უარყოფითი ვნებითი გვარის მიმღეობებში -ურ გამოჩნდება მაშინაც, როცა დადებით ფორმებში დღეს განსხვავებული სუფიქსაცია გვაქვს:

უ-ჭკომ-ურ-ი	„უჭმელი“	–	ჭკომ-ილ-ი	„შეჭმული“
უ-შუმ-ურ-ი	„უსმელ“	–	შუმ-ილ-ი	„დალეული“
უ-გიმ-ურ-ი	„მოუმკელი“	–	გიმ-ილ-ი	„მომკილი“
უ-კათ-ურ-ი	„შეურეველი“	–	კათ-ილ-ი	„შერთული“
უ-ხვამ-ურ-ი	„ულოცველი“	–	ხვამ-ილ-ი ხვამ-ელ-ი	„დალოცვილი“
უ-ჭყუდ-ურ-ი	„უმზითვოდ“	–	ჭყუდ-ილ-ი	„გამზითვებული“... გათხოვილი“

ამით იმის თქმა გვსურს, რომ ადრე ვნებითი გვარის მიმღეობებში -ილ / -ირ და -ელ / -ერ წარმოების პარალელურად -ურ / -ულ სუფიქსაციაც ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, ანუ გვექნებოდა: *ჭკომ-ურ-ი „ჭმული“, *შუმ-ურ-ი „სმული“, *კათ-ურ-ი „შერთული“, *ჭყუდ-ურ-ი „გამზითვებული“ და ა. შ., ანუ ისე, როგორც ეს სალიტერატურო ქართულშია დღემდე შემორჩენილი: ჭმ-ულ-ი, სმ-ულ-ი, რთ-ულ-ი, სრ-ულ-ი, კრ-ულ-ი, წნ-ულ-ი...

ჩვენს ვარაუდს ამყარებს ლაზური მონაცემებიც, სადაც დღეისათვის მიმღეობის -ურ / -ულ სუფიქსიანი წარმოება საერთოდ მოშლილია, მაგრამ იძებნება მაგალითები, სადაც გასუბსტანტივებულ მიმღეობებში საკმაოდ ხშირია -ურ / -ულ დერივაცია:

ჩიბ-ულ-ი ჩიბ-ურ-ი	„კარაქში მრგვლად შემწვარი კვერცხი“; ეტ. „შემწვარი“
სკ-ულ-ი სკ-ურ-ი	„მათრახივითა“; ეტ. „განასკვეული“
თან-ულ-ი	„განთიადი“; ეტ. „თენებული“
კლემ-ურ-ი	„ჯაჭვი, შუაცეცხლზე ჩამოკიდებული“; ეტ. „ჩამოკიდებული“
მე-მცხ-ურ-ი მე-ნცხ-ურ-ი	„გადაბმული“; „მიერთებული“
მე-ნჯღიმ-ურ-ი	„ნაღრძობი“, შდრ. მე-ნჯღიმ-უ „ჭყლეტა“.
ტენ-ურ-ი	„ოთხკუთხედი, ტვირთის ზურგზე მოსაკიდებლად“; ეტ. „წნული“
მე-სთ-ურ-ი	„შეწყვეტილი“, შდრ. მე-სთვ-ერ-ი „მომწყდარი“
მო-წკიმ-ურ-ი	„გახდილი“, შდრ. მო-წკიმ-ერ-ი „მოხსნილი, გახდილი“.

ლაზურშივე რამდენიმე ნიმუში ასევე გამოაჩენს ო - ურ კონფიქსიან ისტორიულ მიმღეობებს, რომლებიც დღეს მხოლოდ სუბსტანტივებად მოიაზრება: ო-ნჭკათ-ურ-ი

„საწვეთური“, შდრ. ნჭათ- „წვეთა“, ო-ნჭამ-ურ-ი/ე „კალო“, შდრ. ნჭამ- „მოსავლის აღება“, მო-მჭკომ-ურ-ი „მომჭამელი“, შდრ. მეგრ. გო-ჭკომ-ურ-ი „სამასპინძლო, გადასახადი“.

შენიშვნა: თუმცა როგორც ლაზური, ისე მეგრული, იშვიათად, მაგრამ მაინც, გამოაჩენს - ულ სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღეობებსაც:

ლაზური		მეგრული	
ტაფ-ულ-ე	„გაბრტყელებული“	ხიბ-ულ-ი	„ჩახერგილი“
გო-ტკაფ-ულ-ე	„სარტყელი“	ბზად-ულ-ი	„ნამზადი“
გე-თას-ულ-ე	„ნათესი“	შიბ-ულ-ი	„ნაშოვნი“

საყურადღებოა, რომ იგივე -ულ გამოჩნდება მოქმედებითი გვარის ლაზურ მიმღეობებში: მა-კვანდ-ულ-ე „მთხოვნელი“, მა-კვათ-ულ-ე „მაკვეთარი“...

ლაზურისაგან განსხვავებით, მეგრულში დასტურდება -ალ სუფიქსიანი ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღეობები, რომლებიც მასდარებში აუცილებლად -ინ-ი დაბოლოებას დაირთავენ:

ბიზ-ალ-ი	„გაბერლი“	შდრ. ბიზ-ინ-ი	„გაბერვა“
ბითვ-ალ-ი	„აფუებული“	შდრ. ბიფ-ინ-ი	„სუქება“
ბიდლ-ალ-ი	„გაბლენძილი“	შდრ. ბიდლ-ინ-ი	„გაბლენძა“
რიჭვ-ალ-ი	„შეცბუნებული“	შდრ. რიჭვ-ინ-ი	„შეცბუნება“
ღვიბ-ალ-ი	„ჩაღულღუდებული“	შდრ. ღვიბ-ინ-ი	„ჩაღუდღუდება“
ღიფ-ალ-ი	„მღამარი, გაღიმებული“	შდრ. ღიფ-ინ-ი	„გულიანი ღიმილი“...

II.12.2.1.1. ვნებითი გვარის მყოფადი დროის მიმღეობა.

ვნებითი გვარის მყოფადი დროის მიმღეობათა წარმოებისას ბუნებრივი ჩანს პრეფიქსულ-სუფიქსური დერივაცია როგორც ლაზურში, ისე მეგრულში. აქ ძირითადი პრეფიქსია ქართული სა-||-ა (ა-ბან-ო) ალომორფთა კანონზომიერი ფონეტიკურ-მორფოლოგიური შესატყვისი ო- ზანურში, რომელსაც თან ახლავს სხვადასხვა სუფიქსები:

ო-ალ-:	ლაზური	მეგრული	
	ო-ჭკომ-ალ-ე	ო-ჭკომ-ალ-ი	„საჭმელი“
	ო-შუმ-ალ-ე	ო-შუმ-ალ-ი	„სასმელი“
	ო-ქოს-ალ-ე	ო-ქოს-ალ-ი	„საგველი“, „ცოცხი“
	ო-რგ-ალ-ე	ო-რგ-ალ-ი	„სარგავი“...

ზოგ ფუძესთან ო- პრეფიქსის როლს პრევერბი (ზმნისწინი) არსულებს, ამ შემთხვევებში ლაზური კარგავს თავად ო- პრეფიქსს, თანაც უკვალოდ, მეგრულში ო-ს არსებობის კვალი შეინიშნება, რასაც ფონეტიკური პროცესები აჩვენებს:

ლაზური		მეგრული	
დო-დგიმ-ალ-ე		დ%ი-დგუმ-ალ-ი ← დო-ო-დგუმ-ალ-ი	„დასადები“
ეჟა-რჩ-ალ-ე	„გადასაფარებელი“	დ%ი-რჩ-ალ-ი ← *დო-ო-რჩ-ალ-ი	„დასაფენი“
მე-ციგ-ალ-ე	„გულსაბნევი“	მე-ო-ციკ-ალ-ი მ%ი-ციკ-ალ-ი	„წამოსაცმელი“...

ო- ე კონფიქსური წარმოება ლაზურში გასუბსტანტივებულ მონაცემებშია უფრო შემორჩენილი, რაც (გასუბსტანტივება) ასევე ბუნებრივია მეგრულში, მაგრამ ამ უკანასკნელში ო- ე მყოფადი დროის მიმღობები დღემდე პროდუქტიულია:

ლაზური		მეგრული	
ო-ხვამ-ე		ო-ხვამ-ე	„სალოცავი, ტაძარი“
ო-ნჩამურ-ე		ო-ჩამურ-ე	„საცეხველი“, ეტ. სა-ცემ-არ-ი
ო-კანწურ-ე	„საქანელა“	ო-კვანწუ-ე ო-კვანწ-აია ო-კანწ-ე-(შ-ია)	„საქანელა“
ო-ბარ-ე	„სამხრეთ-დას. ქარი“	ო-ბარ-ე-(შ-ი)	„დასაბერი“
ო-მჩახულ-ე	„სადღვებელი“	ო-ჩახვალ-ე	„სარეცხის გასავლები ადგილი“

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზოგ შემთხვევაში ო- ე კონფიქსი მიღებულია უფრო ძველი, ისტორიული ო-ელ სრული სახეობისაგან, რაზეც მსგავს ფორმათა მერყეობა უნდა მიუთითებდეს მეგრულსა და ლაზურში, შდრ.: ლაზ. ო-ნწ-ელ-ი : მეგრ. ო-ნწ-ე ← *ო-ნწ-ელ-ი „აკვანი“, „სარწევი“, ლაზ. ო-კანწუ-ელ-ი||ო-კანწუ-ე „საქანელა“, მეგრ. ო-ჩხომ-ელ-ი||ო-ჩხომ-ე „სათევზაო“...

პროდუქტულია ლაზურში ო-ონ პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოება, რომელიც მეგრულში მხოლოდ ორ მაგალითშია გაქვავებული სახით შემორჩენილი, შდრ.:

ლაზ.:	
ო-ნდრიკ-ონ-ი, ო-ღვანჭ-ონ-ი	„საკრეჭი“
ო-შქურინ-ონ-ი	„დასაშინებელი“
ო-ჩილ-ონ-ი	„დასაცოლიანებელი“
ო-ტახ-ონ-ი	„დასატეხი“...

მეგრ.:	
ო-დიარ-ონ-ი	„დასაპურებელი“,
ო-კაწი-ონ-ი	„შესაქცევი ადგილი, სადაც ორი მდინარის ტოტი იღვრება ერთმანეთში“.

შენიშვნა: ო- ე კონფიქსური წარმოების ადრეული სახეობა უნდა ყოფილიყო, რასაც ორივე ქვესისტემაში რელიქტურად შემორჩენილი ო- ა კონფიქსი ადასტურებს: ლაზ. ო-სტულინ-ა „სასრილო“, ო-სტულინ-უ „სრილი“; ო-სქვამ-ა „საკვერცხო, კვერცხის დასადები, საბუდარი“; მეგრ. ო-რდგ-ა „სადგომი ადგილი აკვანში“, ო-წყინ-ა „საფლობი“ (წყინ- „ჩაფლობა“), ო-ჯოლ-ა „დასაცურებელი“...

მყოფადი დროის მიმდევრება წარმოებისას მეტად საყურადღებოდ გვეჩვენება **ო-აშ-ე** სამკომპონტიანი გრამატიკული ინვენტარი, რომელიც ორივე ენობრივი ქვესისტემისათვის არის დამახასიათებელი, მაგრამ არ ჩანს საერთო ზმნურ ფუძეებში, რისი მიზეზიც იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ძირითადად ეს სახეობა გასუბსტანტივებულ ფორმებშია შემორჩენილი და გასუბსტანტივების პროცესი დამოუკიდებლად მიმდინარეობდა მეგრულსა და ლაზურში.

ო-აშ-ე:

ლაზური	მეგრული
ო-ზუმ-აშ-ე „საზომი“	ო-ზ-აშ-ე „საზელი, სანაყი“
ო-ღარ-აშ-ე „საღარავი“, „ანკესი“	ო-რგ-აშ-ე „ნერგი; დასარგავი“
ო-ნკილ-აშ-ე „საკეტი“, „კლიტე“	ო-რგუ-აშ-ე „სამგლოვიარო ტანსაცმელი“
ო-კან-აშ-ე „სასროლი“ (ბადე?)	ო-კიდ-აშ-ე „ტიხარი; გასატხირი“

მყოფადი დროის მიმდევრების შინაარსი აქვს აგრეთვე **ო-უ** კონფიქსურ წარმოებასაც, რომელიც ამავედროულად მასდარის ფორმებს ემთხვევა.

ო-უ:

ლაზური	მეგრული
ო-მგარინ-უ „სატირალი; ტირილი“	ო-ნგარ-უ „სატირალი; ტირილი“
ო-ნცორ-უ „გასაცერი; გაცრა“	ო-ცირ-უ „id“
ო-გორ-უ „სახმარი; ძებნა“	ო-გორ-უ „id“
ო-ყვილ-უ „საკლავი; კვლა“	ო-ჭვილ-უ „id“
ო-კვათ-უ „საჭრელი; ჭრა“	ო-კვათ-უ „id“ ...

როგორც სხვა შემთხვევაშიც ვნახეთ, აქაც შესაძლებელია ორივეგან **ო-** პრეფიქსს ჩაენაცვლოს გარკვეული ზმნისწინები, რასაც **ო-** პრეფიქსის დაკარგვა ახლავს თან. ამ თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას მიიქცევს „ფეხსაცმლის“ აღმნიშვნელი კომპოზიტი მეგრულ-ლაზურში. ლაზურში უფრო ძველი, სრული სახე არის შემორჩენილი ამ კომპოზიტში – კუჩხე-შ-მო-დვალ-უ „ფეხსაცმელი“, რომელსაც მეგრულში ნათესაობითის **-იშ** ნიშანმოკვეცილი კუჩხ-[^]-მო-დვალ-უ „ფეხსაცმელი“ შეესიტყვება, თუმცა **მო-დვალ-უ** ერთგვაროვანი მყოფადი დროის მიმდევრება ორივეგან უცვლელად არის შემონახული.

მყოფადი დროის მიმდევრებათა **ო-** პრეფიქსიანი წარმოება, სუფიქსაციის კუთხით, უფრო მრავალფეროვანი ჩანს, აქ სხვა კონფიქსებიც ვლინდება: **ო-აია:** **ო-ბათქ-აია** „ბათქუნა/მობუთქუნე“, **ო-ბაკ-აია** „ბაკუნა/მობაკუნე“, **ო-ბანდალ-აია** „მოტორტმანე“, **ო-ბანძლ-აია** „ხლართუნა/მოხლართუნე“, **ო-ბარჩხალ-აია** „ჩახჩახა/მოჩახჩახე“, **ო-ბარხალ-აია** „ბრახუნა/მობრახუნე“, **ო-ფაშქინ-აია** „მოტკაცუნე“... **ო-აფ-ურ-ი:** **ო-ჭიმ-აფ-ურ-ი** „და-/მო-სასწრები“, **ო-ელ-ი:** **ო-რჩინ-ელ-ი** „საბერებელი“, **ო-ერ:** **ო-ხვამ-ერ-ი** „სალოცავი“, **ო-ყუდ-ერ-ი** „საყუდარი“, **ო-ირ-ე:** **ო-ჭკად-ირ-ე** „სამჭედლო“, **ო-ყიდ-ირ-ე** „სამყიდველო“, **ო-კითხ-ირ-ე** „სამკითხავი“, **ო-უ/ე:** **ო-რაგად-უ/ო-რაგად-ე** „სათქმელი“, **ო-ღალ-უ/ო-ღალ-ე** „წასაღები“, **ო-ნჯირ-უ/ო-ნჯირ-ე** „დასაწოლი“, **ო-უ-ე:** **ო-ხაჩქ-უ-ე** „სათოხნი“, **ო-უ-ერ-ი:** **ო-კათ-უ-ერ-ი** „საწევრო“, **ო-ყიდ-უ-ერ-ი** „საყიდელისა“, **ო-ა-შ-ი:** **ო-ფურინ-ა-შ-ი** „საფრენი“, **ო-ნჭყ-ა-შ-ი** „სამწყესი, საწვრნელი“, **ო-ე-შ-ი:** **ო-ბირ-ე-შ-ი** „სამღერისი“, **ო-რჩხ-ე-შ-ი** „სარცხისი“, **ო-უ-ე-შ-ი:** **ო-ჭკად-უ-ე-შ-ი** „საჭედლისი“.

ო პრეფიქსიანი მიმღეობები მეგრულში, განსხვავებით ლაზურისაგან, სა- პრეფიქსთან მონაცვლეობს; და ეს უკანასკნელი, სალიტერატურო ქართულის ზეგავლენით, იფართოებს გავრცელების არეალს; შდრ.: სა-ე: გო-სა-შინ-ე „გასახსენებელი“, მო-სა-სვანჯ-ე „მოსასვენებელი“, სა-ფულ-ე „საფლავი“, სა-ო: სა-რაგად-ო „სათქმელი“, სა-ხიოლ-ო „გასახარი“, სა-ჭ-ო „სატკივარი“...

ლაზურში ო პრეფიქსისა და -შენი მიზეზ-მიზნობითი ბრუნვის ნიშნის დართვით მიღებული ფორმა დანიშნულებას გადმოსცემს. მეგრულში (ისევე, როგორც ქართულში) ამ დროს ვითარებით ბრუნვაში დასმული მყოფადის მიმღეობა იხმარება: ო-ყონ-უ-შენი „წასაყვანად“, ო-ჭკომ-უ-შენი „საჭმელად“, ო-ჭოფ-უ-შენი „დასაჭერად“...

იმავე ლაზურში მოქმედებითი გვარის მიმღეობის ნაცვლად ზოგჯერ გამოყენებულია მასდარის ფორმა + -(ი)შ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: დოლობუ-შ-ი „ჩამსხმელი“, მეჩამუ-შ-ი „მიმცემი“, ელაკათუ-შ-ი „გამყოლი“... (ნადარეიშვილი 1972: 152). იგივე მოდელი გამოიყენება მყოფადი დროის მიმღეობის გამოსახატავად: ოგიბუ-შ-ი „მოსახარში“, გამაჩამუ-შ-ი „გასაყიდი“, მოწიფხუ-შ-ი „მოსართავი“ [ნადარეიშვილი, 1972, 159].

II.12.2.1.2. ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობა.

ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობის კონფიქსური წარმოება, არც ლაზურში და არც მეგრულში დღეს პროდუქტიული აღარ არის. ქართველური ქვესისტემებიდან ამგვარი დერივაცია ბუნებრივია სვანურში, სადაც მე- ე კონფიქსით იწარმოება მიმღეობები არამხოლოდ ფუძედრეკადი ზმნებისაგან; მეტი თვალსაჩინოებისათვის სვანური მასალა მოცემულია ლენტეხური კილოს მიხედვით, სადაც რედუქციის ფონეტიკური პროცესი შესუსტებულია, რაც ფუძის ამოსავალი სახეობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

მე- -ე:

მე-ბეჩ...-ე	„გაპობილი, გაჩეხილი“
მე-დეგ-ე	„ჩამქრალი“
მე-დღებ-ე	„გახრწნილი“
მე-კ...ეშ-ე	„მოტეხილი“
მე-რედ...-ე	„დანგრეული, დარღვეული“
მე-ტყ...ეფ-ე	„ატყავებული“
მე-ყ...ეფ-ე	„გახუნებული; ამოდრობილი“
მე-ხ...ეტ-ე	„ამოწყვეტილი“...

როგორც ვხედავთ, ქართულის ნამყო დროის -ილ/-ულ სუფიქსიანი ვნებითი გვარის მიმღეობების შესატყვისები სვანურში მე- ე კონფიქსით იწარმოება, რაც ძველ ვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს; ვფიქრობთ, მსგავსი დერივაცია დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ზანური კილოებისთვისაც. მეგრულის შემთხვევაში ამდაგვარი კონფიქსის გამოყოფა ხერხდება რამდენიმე მიმღეობაში, შდრ.: მეგრ. მე-რკ-ე „ნაკლული“ (რკ-აფ-ა „კლება“, ო-რკ-უ(ნ) „აკლია“), მე-რძლ-ე „დანაყრებული, დაყუათებული“ (რძლ-აფ-ა „ძლომა“), მე-სქ-ე

„შეუსვენებლივ, მიბმით, გამუდმებული“ (სქ-უ-აფ-ა „ბმა“), მე-რგ-ე „მორგებული“ (რგ-აფ-ა „მორგება“), მე-გ-ე „დამგვანებული“ (გ-უ(ნ) „ჰგავს“). მე-ე ასევე გამოწვევრდება რამდენსამე ლაზურ მიმღეობაში: ლაზ. მე-ნჭიპ-ე „ჩაჭურთული“ (ნჭიპ-აფ-ა „ჩაჭურთვა“), მე-კიდალ-ე „მიბმული“ (ო-კიდალ-უ „მიბმა“), მე-სპირ-ე „გალესილი“ (ო-სპირ-უ „გალესვა“), მე-ნზუმ-ე „თქმული, გალექსილი“ (ლაზ. ნზუმ- : ქართ. ზამ- „თქმა“).

ლაზურის ზოგ ფორმაში ბოლოკიდური ე მონაცვლეობს ა-სთან, შდრ.: მე-სპირ-ე||მე-სპირ-ა „გალესილი“, მე-ოქთ-ა „დახრილი“, რაც ბუნებრივი ჩანს ლაზური აუსლაუტისთვის (შდრ. მა-ბუძალ-ე || მა-ბუძალ-ა „მეძუძური“).

სვანურისებური მე-ე წარმოების ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობის კვალი უნდა იკითხებოდეს ვეფხისტყაოსნის შემდეგ ტაეპში (იხ. 689-ე):

„მის ყმისა მოსვლა უხარის ყოველსა მუნ მეკრეფესა“.

ცხადია, ბოლო სიტყვა-ფორმის სეგმენტაცია მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს – მე-კრეფ-ე, რაც კრეფ- „შეკრება“ ზმნის ნამყო დროის მე-ე კონფიქსით ნაწარმოები მიმღეობაა ვნებითი გვარისა და შინაარსით უდრის შეკრებილს; ე. ი. რუსთაველმა რითმის აუცილებლობიდან გამომდინარე გაააქტიურა მე-ე წარმოება, რომელიც მისი ეპოქის ქართულისათვის ჯერ კიდევ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო.

თუ ჩვენი მსჯელობა სწორია, მაშინ სავარაუდოა, რომ სვანურისებური ვითარება ოდესღაც ახასიათებდა ქართულ-ზანურსაც, რასაც ცხადყოფს ზემომოყვანილი რუდიმენტები მე-ე კონფიქსური დერივაციისა.

ზმნური ფუძისეული ხმოვნის აბლაუტით ნაწარმოები მიმღეობები ასევე ბუნებრივი ჩანს მეგრულ-ლაზურისათვის, რომელიც თავს იჩენს ლაზურში -ერ||-ელ სუფიქსიან ვნებითი გვარის ნამყო დროის მიმღეობებში, რასაც მეგრულშიც ასევე -ერ||-ელ სუფიქსიანი სახეობები შეეფარდება.

ყურადღებას მიიქცევს -ილ/-ალ აბლაუტი ლაზური ზმნის ფუძეებში, სადაც აბლაუტი ხდება არაპირეულ მონაცემშიც, შდრ.:

ლაზური

ტკომ-: „გაგდება, გასროლა“ → ო-ტკომ-ილ-უ → ტკომ-ილ-ერ-ი „გაგდებული, გასროლილი“ || მე-ტკომ-ალ-უ → მე-ტკომ-ალ-ერ-ი „id“

წკომ-: „ჩახედვა“ → გე-წკომ-ილ-უ → გე-წკომ-ილ-ერ-ი „ჩახედული“ || გე-წკომ-ალ-უ → გე-წკომ-ალ-ერ-ი „id“

ნტომ-: „ჩაყვინთვა“ → გე-ნტომ-ილ-უ → გე-ნტომ-ილ-ერ-ი „ჩაყვინთული“ || გე-ნტომ-ალ-ა(ფა) → გე-ნტომ-ალ-ერ-ი „id“...

მსგავსი ვითარება დასტურდება მეგრულის მხოლოდ ორადორ ზმნაში, როცა -ილ/-ალ აბლაუტი არაპირეულ მასალაში გამოჩნდება:

ხვამ-: „შეხვედრა, მიტაცება“ → ხვამ-ილ-აფა → ხვამ-ილ-ერ-ი „შეხვედრილი“, შდრ. ხვამ-ალ-ა||ხვალ-ამ-ა „შეხვედრა“, შე-ხვალ-ამ-ირ-ი „შეხვედრილი“;

ჩომ-: „მოცლა, დროის გამონახვა“ → ჩომ-ილ-აფა → ჩომ-ილ-ერ-ი „მოცლილი“, შდრ. ჩოლ-ამ-ა „მოცლა“, ჩოლ-ამ-ირ-ი „მოცლილი“.

უფრო თვალსაჩინოა ლაზურსა და მეგრულს შორის სხვაობა, როცა ა-ი აბლაუტი ძირეულ ხმოვანში იჩენს თავს:

ლაზური	მეგრული	
ბრიწ-ელ-ი ბრაწ-ელ-ი	ბურიწ-ელ-ი ბურაწ-ილ-ი	
„დაფხრეწილი“		
დო-სქიდ-ინ-ერ-ი დო-სქად-ერ-ი	დო-სქილიდ-ერ-ი დო-სქილად-ირ-ი	„დარჩენილი“
მე-ნდრიკ-ელ-ი მე-ნდრაკ-ელ-ი	დირიკ-ელ-ი დირაკ-ილ-ი	„მოდრეკილი“
მე-ჭკვიდ-ერ-ი მე-ჭკვად-ერ-ი	მე-ჭყვიდ-ელ-ი მე-ჭყვად-ილ-ი	„წყვეტილი“
ხლიპ-ერ-ი ხლაპ-ერ-ი „ხვრეპილი“	შქირიტ-ელ-ი შქირატ-ილ-ი	„ჩაქრობილი, ჩამქრალი“
შინ-ერ-ი შან-ერ-ი „ნიშანმოგებული“	შულიდ-ერ-ი შულად-ირ-ი	„დაღლილი“
მე-ნტრიც-ერ-ი ნტრაც-ერ-ი	ჭორიდ-ელ-ი ჭორად-ილ-ი	„დამპალი, დაღპობილი“
„ჩაშვავებული“		

ლაზურში თითქოს წაშლილია სხვაობის კვალი **ი** და **ა** აბლაუტიან მიმდებობებს შორის, მაგრამ მეგრულში აშკარაა სემანტიკური ოპოზიცია, კერძოდ, მაგალითად, დირიკ-ელ-ი, ანუ ძირეული ხმოვნის **ი** გახმოვანება, მიუთითებს **გ ა დ რ ე კ ა ზ ე**, რომელიც განხორციელდა გარეშე ძალის ზემოქმედებით, ამიტომაც ზმნა მოქმედებითი გვარის ფუძეს გამოაჩენს – დირიკ-უნ-ს „დრეკს“, ხოლო დირაკ-ილ-ი აშკარად მიუთითებს *თვით გადრეკაზე* და, შესაბამისად, მასდარი დირაკ-უა ითარგმნება როგორც დრკომა. მეგრულ მიმდებობებში ამასთანავე გაირჩევა განსხვავებული სუფიქსაცია: **ი** გახმოვანება თითქმის ყოველთვის **-ერ||-ელ** სუფიქსს დაირთავს – დირიკ-ელ-ი „გადრეკილი“, მაშინ, როდესაც **ა** გახმოვანება მხოლოდ **-ირ||-ილ** სუფიქსით არის წარმოდგენილი – დირაკ-ილ-ი, შქირატ-ილ-ი, შულად-ირ-ი, ბურაწ-ილ-ი და ა. შ.

ვფიქრობთ, ამჟამად მეგრულ-ლაზური ფრაგმენტულად (ნაწილობრივ) წარმოაჩენს ისტორიულად ენაში ფართოდ გავრცელებულ **აზი** აბლაუტს, როდესაც ს.-ქართვ. ე გახმოვანებას მეგრულ-ლაზურში კანონზომიერი **ა** შეეფარდა (ქართ. დრეკ- / ზან. დირაკ-), ხოლო **ი** საფეხური იდენტური შესატყვისით უცვლელად არის შენარჩუნებული ორსავე ენაში – ქართ. დრიკ- / ზან. დირიკ- [იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965].

ძირითადი ლიტერატურა:

არაბული, 1984: ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984;
 ასათიანი, 1970: ი. ასათიანი, -ერე სუფიქსიანი თურმეობითი მეგრულში, იკვ, ტ. XVII, 1970;
 ასათიანი, 1973: ი. ასათიანი, რ- სუფიქსის კვალი მეგრულ ზმნაში, იკვ, ტ. XVIII, 1973;

- ასათიანი, 2011: რ. ასათიანი, ლაზურის გრამატიკის კონსპექტი, თბ., 2011;
- ახალაია 2004: ნ. ახალაია, საშუალო გვარის წარმოება მეგრულსა და ქართულში, სამაგისტრო ნაშრომი (ხელნაწერის უფლებით), თბ., 2004.
- ახვლედიანი, 1949: გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949;
- ბარამიძე, 1964: ლ. ბარამიძე, ზოგიერთი ტიპის მემველზმნიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 9, თბ., 1964;
- ბონდარკო, 1976: Бондарко А.В. Теория морфологических категорий, Л., 1976.
- გაკი, 1986: В. Г. Гак, Теоретическая грамматика французского языка, морфология, М. 1986;
- გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965;
- გეურქოვი, 1969: ე. გეურქოვი, კაუზატივის წარმოება ქართულსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში (კაუზატივის მაწარმოებლები ქართულში), სმამ, ტ. 56, თბ., 1969;
- გეურქოვა, 1971: ე. გეურქოვა, კაუზატივის წარმოება ქართულსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში, მაცნე N 2, თბ., 1971;
- გეწაძე..., 1969: Гецадзе, Недялков, Холодович, Морфологический каузатив в грузинском, Типология каузативных конструкций, Л., 1969;
- გოგოლაშვილი, 1984: გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984;
- გოგოლაშვილი, 1988: გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988;
- გოგოლაშვილი..., 2011: გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 2011;
- გუდავა, 1969: ტ. გუდავა, მახვილის ადგილისათვის მეგრულში, გ. ახვლედიანი - 80, საიუბ. კრებ., 1969;
- გუდავა, 1974: ტ. გუდავა, ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში, მაცნე, N 4, 1974;
- გუდავა, 1984: ტ. გუდავა, -უან დაბოლოების შესახებ მეგრულ კაუზატივებში, საენათმ. კრებ., I, თბ., 1984;
- გუდავა, გამყრელიძე, 2000: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმომვანთკომპლექსები მეგრულში, კრებ.: თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველ. შრ., თბ., 2000;
- გულუა, რ. შეროზია, 1998: ნ. გულუა, რ. შეროზია, სამეტყველო კოდების შერევისათვის მეგრელთა ქართული სალიტერატურო ენაზე მეტყველებისას, ქართველური მემკვიდრეობა, ქუთაისი, 1998;
- დადიანი, 2001: ე. დადიანი, კავშირებითის ნაკვთები მეგრულში (სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით), დისერტაცია, თბ., 2001
- დამენია, 1982: მ. დამენია, ქართული ზმნის მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982;
- დანელია 1976 : კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, თსუ ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბ., 1976.
- დანელია, 2006: კ. დანელია, კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბ., 2006.
- დეეტერსი, 1930: G. Deeters, Das Khartvelische verbum, Leipzig, 1930;
- დიუმეზილი, 1967: Dumézil, Documents Anatoliens sur les langues et les traditions du Caucase. IV. Récits lazes en dialecte d'arhavi, Paris, 1967;
- თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

- თაყაიშვილი, 1974: ა. თაყაიშვილი, კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, ქესს, IV, თბ., 1974;
- თევდორაძე, 1970: ი. თევდორაძე, სინტაგმის მახვილი ქართულ ენაში, მაცნე, № 3, თბ., 1970;
- თოფურია, 1956: ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, იკე, VI, გადაბეჭდილია კრებულში, სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956.
- თოფურია, 1967: ვ. თოფურია, შრომები, ტ. I, თბ., 1967;
- კარტოზია 2005 : გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბ., 2005.
- კარტოზია, 1958: გ. კარტოზია, კავშირებითა წარმოებისათვის მეგრულში, სტუდ. შრ. კრებ., ტ.8,, თბ., 1958.
- კარტოზია, 1993: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბ., 1993;
- კარტოზია, 1996: გ. კარტოზია, მეგრულის *ნი(<*ინი)* „რომ“ კავშირის გენეზისისათვის, ქესს, VI, თბ., 1996.
- კარტოზია, 2004: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, ხელნაწერი, თბ., 2004;
- კარტოზია..., 2010: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010;
- კვაჭაძე, 1977: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1977;
- კვაჭაძე, 1981: ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981;
- კიზირია, 1984: ა. კიზირია, ქართული ენა, პრაქტიკუმი, თბ., 1984;
- კლუგე, 1913: Beitrage zur mingrelischen Grammatik. – Zeitschrift f. die Kunst und Kultur-Geschichte des alten Orients, vol. VII, H. 1/2, 1913.
- კოტინოვი, 1959: ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია ქართულ ენაში, თელავის პედინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1959;
- კოტინოვი, 1986: ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986;
- ლეღ, 1990: Лингвистический энциклопедический словарь, М., 1990;
- ლომთათიძე, 1946: ქ. ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, იკე, I, 1946.
- მარგველაშვილი 1980: მ. მარგველაშვილი, მყოფადის წარმოება მეგრულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ., 1980.
- მარგველაშვილი, 1982: მ. მარგველაშვილი, მწკრივთა წარმოება მეგრულში (საკანდ. დისერტ.), 1982.
- მარგველაშვილი, 1984: მ. მარგველაშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნათა II სერიის მწკრივების წარმოება მეგრულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 25, 1984.
- მარი 1910: Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, СПб, 1910.
- მარი, 1910: Марр Н. Я., Хрестоматия чанского языка. См. Н. Я. Марр, Грамм. чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем; С.-Пб.; 1910;
- მარუზო, 1960: Марузо Ж., Словарь Лингвистических терминов М., 1960;
- მაჭავარიანი 1952: გ. მაჭავარიანი „განგრძობითი ასპექტის წარმოებისათვის ქართველურ ენებში, ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, VI (თეზისები), თბ., 1952.
- მაჭავარიანი, 1959: გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქესს, I, 1959;

- მაჭავარიანი, 1987, მ. მაჭავარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987;
- მაჭავარიანი, 1987: ნ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორიის აფიქსები ქართულსა და აფხაზურში, მაცნე, 1, 1987;
- მაჭავარიანი, 1988: გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, XXVII, 1988;
- მაჭავარიანი, 2002: გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, ლექციების კურსი, 2002;
- მახაროზლიძე 2012: თამარ მახაროზლიძე, ვერსიის კატეგორიის შესახებ ქართულში, კადმოსი 4, თბ., 2012;
- მელიქიშვილი 2001 : დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 2001.
- ნადარეიშვილი, 1965: ლ. ნადარეიშვილი, ნაზმნარი სახელები ზანურში, დისერტაცია ფილ. მეცნ. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1965.
- ნადარეიშვილი, 1970: ლ. ნადარეიშვილი, მასდარის წარმოების შესახებ ჭანურში, იკე, XVII, თბ., 1970;
- ნათაძე, 1959: ნ. ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში, იკე, XI, 1959;
- ნათაძე, 1961: ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში, ქესს, ტ. II, 1961;
- ნებიერიძე, 1984: გ. ნებიერიძე, გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში, საენათმეცნიერო კრებული, I, თბ., 1984;
- ნებიერიძე, 1991: გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991;
- პაპიძე, 1993: ა. პაპიძე, ერთი ტიპის კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში, ქსკს, X, 1993;
- ჟღენტი, 1953: ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, 1953;
- როგავა, 1945: გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ჟ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სმამ, ტ. VI, N 8, 1945;
- როგავა, 1953: გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართვ. ენებში, იკე V, თბ., 1953;
- როგავა 1962: ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962.
- როგავა, 1988: გ. როგავა, ზანური -ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში, იკე, XXVII, 1988;
- როზენი: G. Rozen, Über die sprache der Lazen, Berlin, 1844;
- რუდენკო, 1940: Грамматика грузинского языка, М., 1940;
- სარჯველაძე, 1984: ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984;
- უთურგაიძე, 1983: თ. უთურგაიძე, სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში, საენათმეცნიერო მიეზანი, V, თბილისი, 1983;
- უთურგაიძე 2002: თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.
- ფოგტი, 1939: Vogt H., Alternances vocaliques en géorgien, NTS, XI, 1939;
- ქავთარაძე, 1954: ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954;
- ქართული ენა, 2008: ენციკლოპედია, თბ., 2008;
- ქაჯაია, 2001: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, 2001;
- ქობალავა, 2001: ი. ქობალავა, კავშირებითი კილო მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, 4, 2001;

- ქობალავა, 2010: ი. ქობალავა, აწმყოს ფუძის ერთი თავისებურებისათვის მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბ., 2010;
- ქუთელია, 1984: ნ. ქუთელია, მახვილის ფონოლოგიური ღირებულებისათვის ლაზურში, საენათმეცნიერო კრებული, I, თბ., 1984;
- ქუთელია, 1986: ნ. ქუთელია, არაკანონიკური კონსონანტური ჯგუფების სუპერაციისათვის ლაზურში, მაცნე, N 3, 1986;
- ღამბაშიძე, 1986: რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986;
- ღვინაძე, 1979: თ. ღვინაძე, კაუზატივის ფორმათა მართლწერისათვის თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, II, თბ., 1979;
- ციფშიძე 1911: И. Кипшидзе, Дополнительные сведения о чанском, СПб, 1911.
- ციფშიძე 1994: ი. ციფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994.
- შანიძე 1930: ა. შანიძე, ქართული გრამატიკა, I, მორფოლოგია, ტფ. 1930.
- შანიძე 1953: ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
- შანიძე, 1973: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1973;
- შანიძე, 1976: ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976;
- შანიძე, 1980: ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1980;
- შანიძე..., 1980: ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ლ. კვაჭაძე, ქართული ენის გრამატიკა, I ნაწილი, V-VI კლასების სახელმძღვანელო, თბ., 1980;
- შეროზია 1983: რ. შეროზია, მიჩნევისა ლა პოტენციალისის კატეგორიები და ინვერსიის საკითხი ზანური ენის მეგრულ დიალექტში, ენათმ. ინსტ.-ის ასპ. კონფერენცია, თეზ., თბ., 1983.
- შეროზია 1985: რ. შეროზია, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში (სადისერტაციო ნაშრომი ფილ. მეცნ. კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად), თბ., 1985.
- ჩიქობავა 1937: არნ. ჩიქობავა, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, ენიმკ-ის მოამბე, ტ. I, ტფ. 1937.
- ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ., 1938.
- ჩიქობავა 1948: არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948.
- ჩიქობავა 2008: არნ. ჩიქობავა, შრომები III, თბ., 2008.
- ჩიქობავა, 1936: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936.
- ჩიქობავა, 1944: არნ. ჩიქობავა, ჭანური მყოფადის წარმოებისათვის, სმამ, ტ. V, №1, თბ., 1944;
- ჩიქობავა, 1948: არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948;
- ჩიქობავა, 1950: არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, I, თბ., 1950;
- ჩიქობავა, 1953: არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, V, თბ., 1953.
- ჩიქობავა, 1962: არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის ნაკვეთელთა დაჯგუფების პრინციპისათვის, იკე, XIII, თბ., 1972;
- ჩიქობავა, 2013: არნ. ჩიქობავა, შრომები VII, თბ., 2013.
- ჩუხუა, 2014: მ. ჩუხუა, მიმღეობა ლაზურსა და მეგრულში, ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები, თბ., II

- ცაგარელი 1872:** Цагарели А., Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков. СПб. 1872г. 2 изд. Тбилиси. 1957 г.;
- წერეთელი, 1964:** გ. წერეთელი, სონანტებისა და აბლაუტის თეორიის გამო ქართველურ ენებში, სონანტის სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965;
- ჭუმბურიძე, 1986:** ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986;
- ხუბუა, 1942:** მ. ხუბუა, თე ნაწილაკის ბუნებისა და მნიშვნელობისათვის მეგრულში, სმამ, ტ.№7, 1942.
- ჯორბენაძე 1975:** ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები, თბ., 1975.
- ჯორბენაძე, 1980:** ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზრევი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980;
- ჯორბენაძე, 1983:** ბ. ჯორბენაძე, მოქმედებითისა და ვნებითის დაპირისპირების პრინციპისათვის ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983;
- ჯორბენაძე, 1984:** ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები, ქართული ზმნის უღვლილების ფორმოზრევი და სემანტიკური ანალიზი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XVI სამეცნ. სეს. მას., თბ., 1984;
- ჯორბენაძე, 1989:** ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989;
- ჯორბენაძე, 1993:** ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, X, თბ., 1993;
- ჯორბენაძე..., 1988:** ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988;

წყაროები:

- ასათ.:** ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები. I. ხოფური კილოკავი, 1974;
- გუდ.:** ტ. გუდავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, I, პოეზია, თბ., 1975;
- დან.:** კ. დანელია, ა. ცანავა, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები (ქართული თარგმანითურთ). ტ. II, 1991.
- დიუმეზ.:** დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, 2009.
- კალანდ.:** თ. კალანდია, ლაზური ტექსტები, თბ., 2008;
- კარტ. 1970:** კარტოზია გ., ლაზური ტექსტები (ათინური კილოკავის ნიმუშები), მაცნე, №4, 1970;
- კარტ. I:** გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, 1972;
- კარტ. II:** გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, 1993;
- ლოლ.:** ლ. ბასილაია, ლოლა ნანა, თბ., 2007;
- ჟლ.,** ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, 1938;
- სამ.:** კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები (მეგრული ნიმუშები), 1971.

- ყიფშ., ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები [ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური კილოკავები], 1939;
- ჩიქ., I: არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები. ნაკვეთი პირველი. ხოფური კილოკავი, 1929;
- ჩიქ., II: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, 1936;
- ცან.: ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები, თბ., 1990;
- ხალხ.: რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ანდაზები, 1994.
- ხუბ.: მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, 1937.

III ნ ა წ ი ლ ი .

ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები

III. 1. ზმნიზედა.

არის თუ არა ზმნიზედა მორფოლოგიური ოდენობა? ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთი მხრივ, ზმნიზედა ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია და გააჩნია მთელი რიგი მორფოლოგიური მახასიათებლები (შანიძე, 1953, შალამბერიძე 1959), მეორე მხრივ, ზმნიზედა ზმნის ატრიბუტივია, რომელსაც ბრუნვის ფორმებიც გააჩნია და ის უნდა გაერთიანდეს სახელების კლასში [გაბუნია, 1993], თუმცა ზმნიზედა, როგორც ბრუნვის პარადიგმიდან გამოსული სახელი, სინტაქსური კლასიფიკაციის საგანი შეიძლება იყოს [უთურგაიძე, 1986].

ზმნიზედის სპეციფიკა სწორედ გრამატიკული და ლექსიკური თვისებების ერთობლიობაა. მისი ფორმაუცვლელობა სტატუსია, რომელსაც მორფოლოგიური წანამდღვარი აქვს, რეალიზებულია კონტექსტის საშუალებით და სემანტიკურად ფართო სპექტრის მქონეა. ამიტომაც ზმნიზედის ანალიზი ემყარება შემდეგ კრიტერიუმებს: **სტრუქტურა, შინაარსი, ფუნქცია.**

ამათგან სტრუქტურა და შინაარსი მორფოლოგიური კვლევის საგანია.

სტრუქტურულად ზმნიზედები იყოფა ორ კლასად: ძირეული და წარმოქმნილი. თავის მხრივ, თითოეულს აქვს მოდელური ნაირსახეობები. ძირეული ზმნიზედები უძველეს ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის და აშკარაა მისი კავშირი ნაცვალსახელურ ძირებთან,

დეიქსისებთან, ზმნისწინებსა და თანდებულებთან. ბუნებრივია, ქართველური ენობრივი საერთო მასალა სწორედ ამ უბანში დასტურდება, თუმცა ეს არ გამოორიცხავს ზმნიზედების წარმოქმნის საერთო მოდელს, ესენია: სუფიქსური წარმოება, ბრუნვის ნიშნით წარმოება, კომპოზიციით წარმოქმნა.

ზმნიზედა მეგრულ-ლაზურში მრავალრიცხოვანია, განსაკუთრებით დროული და სივრცითი სემანტიკის ჯგუფი, რომელიც არაერთი კვლევის საგანი ყოფილა ბოლო პერიოდში [ლომაია, 2006], თუმცა ყველა სემანტიკური ჯგუფის ზმნიზედის შეპირისპირებითი ანალიზი მეგრულსა და ლაზურში აქამდე არ განხორციელებულა.

ზმნიზედის ანალიზის პრინციპი ასეთია: სემანტიკური ჯგუფების მიხედვით აღიწეროს მეგრულისა და ლაზურის საერთო და განსხვავებული მასალა აღნიშნული სტრუქტურული მახასიათებლებით.

III. 1.1. ადგილის ზმნიზედები.

ლაზურსა და მეგრულში ფორმისა და შინაარსის მიხედვით გამოიყოფა ადგილის ზმნიზედათა ორი მორფოლოგიური ჯგუფი: პირველადი და წარმოქმნილი. პირველი შედარებით მცირე რაოდენობითაა, მეორე უფრო მრავალრიცხოვანია და იწარმოება სუფიქსებით, ბრუნვის ნიშნებითა და კომპოზიციით [მარი, 1910, 38, ლომაია, 2006].

ლაზურში ძირეული, პირველადი ზმნიზედები წარმოდგენილია ორი ძირითადი ჯგუფით:

1. ზმნიზედები, რომელთაც ძირეული მასალა საზიარო აქვთ თანდებულებთან და ზმნისწინებთან [მარტიროსოვი, 1946, 155];

2. ხმოვანთავსართული ზმნიზედები [ფოჩხუა, 1958, 80,84].

პირველი ჯგუფის მარტივი ზმნიზედაა **ჟინ/ჟი** „ზევით“ (**ჟი** ქართული **ზე** ელემენტის (ზმნიზედებში ზედა, ზევით, ზე თანდებული) შესატყვისია):

ჟინ ნჯას კულანი გეხენ (კარტ., I, 62) „ზევით ხეზე გოგო ზის“, ათი ქებთუ **ჟინ** (კარტ., I, 69) „ესეც ავიდა ზევით“, კუდელი **ჟინ** მოთ გოქაჩუნ-აა (ყიფშ., 19) „კუდი ზევით რატომ აგიწევია“...

მარტივ ზმნიზედად არის მიჩნეული **თუდე** „ქვევით, ქვემოთ, ქვეშ“ [კიზირია, 1967, 72; ლომაია, 2006, 29]:

თუდე ვა გახთუ (კარტ., I, 22) „ქვევით არ ჩავიდა“, ქომემახთუ ქვამ **თუდე** (ყიფშ., 16) „შევიდა ქვის ქვემოთ“, **თუდე** არ სერსი დივუ (ყიფშ., 32) „ქვევით ერთი ხმა გაისმა“, **თუდე** ქოდოდგუ (ყიფშ., 37) „ქვევით დადგა“.

მარტივად შეიძლება ჩაითვალოს თურქულიდან ნასესხები **მენდრა** „შორს“:

პაპული მუშიშენ **მენდრა** ტუ ბერე (ლექსიკონი 515) „ბაბუამისგან შორს იყო ბავშვი“, **მენდრა** ქასოიშენ მოფთი ((კარტ., I, 65) „შორი სოფლიდან მოვედი“, **მენდრა** იგზალეს (კარტ., I, 28) „შორს წავიდნენ“...

მეგრულშიც ლაზურის მსგავსად პირველად ზმნიზედებში გამოიყოფა ისეთი ერთეულები, რომელთაც ძირეული მასალა საერთო აქვთ ზმნისწინებთან და თანდებულებთან. ამავე დროს ეს ჯგუფი გაცილებით მრავალრიცხოვანია და ადგილს ყველა

მიმართულებით გამოხატავს, მათ ბ. ფოჩხუა „ლოკატიურ ზმნისართებს“ უწოდებდა [ფოჩხუა, 1958, 84].

ა. „ზევით, ზემოთ“ სემანტიკის მქონე ზმნიზედებია: **ჟი/ჟიი/ ჟინ, ეშე/იშე** „ზევით“. ეს უკანასკნელი ზმნისწინის სახითაც გვაქვს: **ემეურს/ემურს** „ადის“. მაგალითები:

მანგარო ჩხურუმ გამო, **ჟი** ეშულამა მომქურუდუ „ძლიერი სიცივის გამო, ზემოთ ასვლის მეშინოდა“; მორთი ქობძირათო **ჟიი** მიშ ხონარ ისიმე „მოდი ვნახოთ ზემოთ ვისი ხმა ისმის“; **ჟინ** კიბეში ეშულას ირო კუჩხი მიზგირტუდუ „ზემოთა კიბეზე ასვლისას, ფეხი ყოველთვის მისრიალებდა“; **ეშე** ეიბჯინ დო ცას ქიანა მურიცხი ქორდუ „ზემოთ რომ ავიხედე, ცაზე ბევრი ვარსკვლავი იყო“...

ბ. „ქვევით, ქვემოთ“ მნიშვნელობას გამოხატავს: **თუდო, გიმე/გჰმე/გიმი, ოშე**. ეს უკანასკნელი ითავსებს მეორე მნიშვნელობასაც: „შიგნით, შუა ადგილას“. **გიმე/გჰმე** ზმნისწინებად დასტურდება: **გიმურს** „ჩადის“, **გიმერულე** „ჩამორბის“. მაგალითები:

მიდეღჷ დო ქიდარღჷ **თუდო** „წაიღო და დაყარა ქვევით“ (ქაჯაია, II, 64), ვართ ეშე ეშეხოტე, ვართ **გიმე** გიმეხოტე „არც ზევით მოფხან, ვერც ქვევით მოფხან“ (ქაჯაია, I, 341), კოლონამა უბაზუნ დო **ოშე** ქაშურგინუაფუ „კოლოსათვის უხეთქია და ძირს დაუნარცხებია“ (ქაჯაია, II, 459); ლეტას **ოშე** ქაშანთხჷ „ტალახში შიგნით ჩავარდა“ (ქაჯაია, II, 459)...

გ. „მაღლა, აღმა“ მნიშვნელობის მქონეა ზმნიზედება: **ეკი/ეკე, ელე**. ეს უკანასკნელი ასევე აღნიშნავს „გაღმა, იქითა მხარეს“, „გვერდით“ მნიშვნელობასაც. ისინი ზმნისწინის ფუნქციასაც ასრულებენ: **ეკურს** „ადის“, **ეკირულე** „აირბენს“, **ელემვიტუნს** „ამოიჩრის“. მაგალითები:

ლეჯი, მიოგია ჩქვა დო **ეკი** გეკაბოთია „ღორი, მიარტყიო ეშვი და მაღლა ამოაგდო“ (ქაჯაია, I, 532), **ელე** დოურზიალე, ცაშა ქოვოფურინე „აღმა შევაბზრიალე, ცაში ავაფრინე“ (ქაჯაია, II, 550)...

დ. „დაბლა, დაღმა“ სემანტიკის გამომხატველია **დიკი/დიკე/ დჷკე** და **გილე/გელე** ზმნიზედები. ეს უკანასკნელი ითავსებს „გვერდით, აღმაცრივ“ მნიშვნელობასაც. ისინი დასტურდება ზმნისწინებად: **დიკინანს** „დაიწევს დაბლა“, **გილებუნუნანს** „დაიკიდებს ძირს“.

ათე კოჩიში **დიკი** წყარი ართი ყინტი ვემურს „ამ კაცის იქით (ქვევით) წყალი ერთი წვეთიც არ მიდის“ (ქაჯაია, I, 465), სუა **გილე** ქიგლეფორუ „ფრთა დაბლა ჩამოიფარა“ (ქაჯაია, I, 339)...

ე. „იქით, გაღმა“ მნიშვნელობის ზმნიზედები დამატებით ნიუანსებს გადმოსცემენ: **გინი/გინიი/გინო** „იქითაა მხარეს; გადაღმა“ ; **მიკი/მიკე** „იქით, მიღმა“; **მინი/მინე** „იქით, შიგნით სიღრმეში“. თიოეული მათგანი ზმნისწინებადაც გვაქვს: **გინირულე** „გადაარბის“, **მიკოხე** „ზის მიღმა“, **მინირულე** „შერბის“:

ჟირი ვერსის **გინი** ქოლჷ „ორი ვერსის იქით გავარდა“ (ქაჯაია, I, 348), ხოლო ულა იბსხუნეთ **მიკე**, იშო, გვალეფიშა „კიდევ წასვლა ვარჩიეთ მიღმა, იქით, მთებისკენ“ (ქაჯაია, I I, 267), მინილჷ **მინი** ხენწჷფეში ოზეშა „შევიდა შიგნით ხელმწიფის ეხოში“ (ქაჯაია, I I, 279)...

ვ. „შიგნით, შიგ სიღრმეში“ შინაარსის გადმოცემა ხდება ზმნიზედებით: **დინი/დინო, მითი/მითე, მიშე/მიშე**. ასევე ზმნისწინების სახითაა წარმოდგენილი: **დინიჯინე** „შიგნით იხედება“, **მითოხე** „შიგნით ზის“, **მიშენჯირუ** „შიგ წვება“:

ათე ჟირი ჯიმაღენქ ბაწარი **დინი** ქედნაყოთეს „ამ ორმა ძმებმა ბაწარი შიგნით ჩააგდეს“ (ქაჯ., I, 468), მითილუ **მითე** „შევიდა შიგნით სიღრმეში“ (ქაჯ., I I, 264), ჟირი სათის **მიშე** იღია „ორი საათი შიგნით (სიღრმეში) იარეო“ (ქაჯ., I I, 287)...

ზ. „შიგნიდან გარეთ“ მიმართული ზმნიზედაა **გიშე/გუშე/გჷშე**: გაგმაბოთუ გიშე „გამოაგდო გარეთ (შიგნიდან)(ქაჯაია, I, 366), შდრ. ზმნისწინი გიშე-: **გიშელოთანს** „ამოიგდებს“. საერთოდ, ზმნისართთა შედგენილობაში გამოიყოფა **შე/შა** ელემენტი, რომელიც შიგ მყოფობას აღნიშნავს და „გარედან შიგნით“ ან „შიგნიდან გარეთ“ მიმართულებების გამომხატველ პრევერბებში გვხვდება – **მიშე, გოშა, მუშა, მოშა** [ასათიანი, 1953, 265].

თ. „ქვევიდან, ქვედა მხრიდან გარეთ“ შინაარსის გამომხატველია **გჷთე/გითე** ზმნიზედა: გაგთიღჷ **გჷთე** დო ოძირაფ ადგილს ქიგედუ „გამოიტანა ქვევიდან გარეთ და საჩინო ადგილას დადო“ (ქაჯ., I, 325)...

ი. „წინ“ მნიშვნელობის მქონე ზმნისწინია **წიმი/წიმე/წიმიი/წჷმიი**, თუმცა დროის აღმნიშვნელადაც გამოიყენება:

„მერე, შემდეგ“. **წჷმაჯინჷ წიმიი** დო ქოძირჷ „გაიხედა წინ და დაინახა“ [ქაჯ., III, 415].

კ. „უკან“ სემანტიკის მატარებელია **კინი/კჷნი/კინიი** ზმნიზედა. ასევე გამოხატავს ვითარებასაც:

„ისევ, კვლავ“. მეურსჷ დო **კინი** იჯინე „მიდის და უკან იხედება“ (ქაჯ., II, 144), შდრ. ზმნისწინი კინი- **კინიკუნანას** „დაიწევს უკან“...

როგორც ვხედავთ, პირველადი ზმნიზედებით გამოხატულია სივრცის ოპოზიციური ადგილები: ზევით, მაღლა და ქვევით, დაბლა; შიგნით და გარეთ; წინ და უკან. მეწყვილის გარეშე ჩანს იქითა მიმართულების ზმნიზედა, რაც გამოწვეულია ხმოვანთავსართული ზმნიზედების ჩანაცვლებით.

როგორც ცნობილია, ხმოვანთავსართულ ზმნიზედებს საერთო ძირი აკავშირებთ ჩვენებით ნაცვალსახელთან. მეგრულში ასეთია -ქ- ძირი, რომელიც რამდენიმე ფონეტიკური ვარიანტითაა წარმოდგენილი. როგორც წესი, აქეთ და იქით ადგილის მითითება ხდება ა დ ე დეიქტური ხმოვნებით. ერთი მხრივ, გვაქვს **აქ/აქი/აქჷ** „აქ“ და **ექ/ექი/ექჷ** „იქ“მარტივი ზმნიზედები, ხოლო, მეორე მხრივ, ნაცვალსახელური **თ** ძირით გართულებული ფორმები, რომლებიც, თავის მხრივ, გავრცობილი და გაუვრცობელი სახითაა წარმოდგენილი: **თაქ/თაქი/თაქჷ, ათაქ/ათაქი/ათაქჷ** „აქ“და **თექ/თექი/თექჷ, ეთექ/ეთექი/ეთექჷ** „იქ“. ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს **ნთაქ/ნთაქი** „აქ“ ფორმები [ყიფშიძე 1994, 401].

მეგრულში ასევე ნაცვალსახელური წარმოშობისაა -შ- ძირით წარმოდგენილი ზმნიზედები: **(ვ)იშო/იშო/იში/იშ** „იქით“ და **აშო/აში/აშ** „აქეთ“ [კლიმოვი 1964, 94].

ეს ზმნიზედები ვითარების მნიშვნელობასაც იძენენ, ხოლო **ვიშო** ნაწილაკადაც იხმარება [ლომაია, 2006, 43].

სავარაუდოდ, **მ** ნაცვალსახელური ძირი ჩანს ზმნიზედებში: **ამარი/ამარე** „აგერ, აქ“, **ემერი/ემერე** „ეგერ, იქ“.

ლაზურშიც მეგრულის მსგავსი ვითარებაა. აქაც გვაქვს ხმოვანთავსართული ზმნიზედები: **აქ/ჰაქ, აქო/ჰაქო** „აქ“, **ექ/ჰექ, ექო/ჰექო** „იქ“, **აშო/ჰაშო** „ასე, აქეთ“, **ეშო/ჰეშო** „ისე, იქეთ“:

აქ ჩობანიში ოხორი რენ (კარტ., I, 69) „აქ მწყემსის სახლია“, აქ ჩქინდა მოხთი (ყიფშ., 19) „აქ ჩვენთან მოხვედი“, აქ დოხუნუ ონჯლორე ვა რენ-ი (ყიფშ., 11) „აქ ჯდომა სირცხვილი არ არის?“ მა ჰაქო ვარ ბიჩილერ (ყიფშ., 57) „მე აქ არ დავქორწინდები“, ჰაქ მოხთუ (ლექსიკონი, 371) „აქ მოვიდა“, ექ მოთ მოფთათ (ყიფშ., 2) „იქ რატომ მოვიდეთ“, ექ ვორტი (ლექსიკონი, 194) „იქ ვიყავი“, აწი-თი ჰექ რენ (ყიფშ., 1) „ახლაც იქ არის“, ჰექო იგზალუ (ყიფშ., 56) „იქ წავიდა“...

ამ ზმნიზედებში გამოყოფენ ძირეულ ქ მორფემას [ჩიქობავა, 1939:194; თოფურია, 1941:194], ხოლო ა პრეფიქსი პირველ პირთან საგნის სიახლოვის გამომხატველია, ე კი გამოხატავს მესამე პირთან სიახლოვეს [კიზირია, 1982: 233].

დადასტურებულია ქ>გ ფონეტიკური პროცესიც:

ჰეგ-მა ვარ მალუ-მა (ყდ. 67,28) „იქ(ა) არ წამესვლებო“, ბოზო ჰეგ რენ (კარტ., 125,33/1993) „გოგო იქ არის“ (ლომაია, 2006,41)...

ლაზურში აშო/ჰაშო „ასე, აქეთ“, ეშო/ჰეშო „ისე, იქეთ“ ზმნიზედებისთვის პირველადია ადგილის გამოხატვა, ხოლო მეორეული – ვითარებითის მნიშვნელობისა. შ. ლომიას დაკვირვებით, ადგილის ზმნიზედის ფუნქციით იშვიათად დასტურდება: აშო წალენდო ვიდამინონ... (ჩიქ. I, 49, 28) „აქეთ ქვევითკენ წავალ“, ჰაშო ჩხინდიშა ქონულუ (კარტ. 110, 9/1993) „აქეთ ცხვართან მოუტანა“, გუიყონაჲ ეშო-აში (ასათ. 218, 133,1) „დაატარებენ იქით-აქეთ...“ „ეშო წინადადებაში შეიძლება ნაწილაკის ფუნქციითაც შეგვხვდეს: სი ნა მიწვისთერი მან დოპია ეშო... (კარტ. 146,5/1972) „შენ რომ მითხარი, („მითხარისნარი“) მე გავაკეთეო კიდეც“ [ლომაია, 2006, 44].

ლაზურსა და მეგრულში ზმნისწინთა წარმოქმნა ხდება შემდეგი საშუალებებით:

1. სპეციალური წარმომქმნელი სუფიქსებით
2. ბრუნვის ნიშნებით
3. კომპოზიციით.

წარმომქმნელი სუფიქსებია: -ლე/-ლენ, -დო/-დე/-დონ/დენ, -ხე/-ხენ, -მთი/-მთე.

ლაზურში ხშირია ფორმები, რომლებშიც ერთდროულად წარმოდგენილია ლე და დო ელემენტები სხვადასხვა მიმდევრობით. ერთი მხრივ, გვაქვს ჟილე/ჯილე „ზემოთ“, ჟილენდო/ჟილენდონ, „ზემოთ, ზემოდან, ზემოთკენ“ და მეორე მხრივ, ჟინდო/ჯინდო „ზემოთ, ზემოდან“, ჟინდოლე/ჟინდოლენ „ზემოთ, ზემოდან, ზემოთკენ“ ზმნიზედები:

ვიპიჩვაჲ ჩხვინდიშ ჟილე (სარგ. მასალ.) „ვმარხულობ ცხვირს ზემოთ“, სალათას ჯინდო... ქოგოძობლეს (კარტ. 206, 20/1993) „სალათს ზემოდან... დააყარეს“, ჟინდოლენ კოჩიქ დოლოზდაფტუ (კარტ., I, 37) „ზემოდან კაცი ყრიდა“, დუჯოხუ ჟინდოლე (ყიფშ., 29) „დაუძახა ზემოდან“, ჟილენდო ე ლ ა ხ თ უ (ჩიქობ. I. 127. 4) „ზემოდან ამოვიდა“, ბაბა მუში ჟილენდონ ნოტკობუტუ... (ჩიქობ. I. 76.25) „მამამისი ზემოთ იმალებოდა თურმე...“

გვაქვს -კალე ნაწილაკით გაფორმებული ფორმაც:

ჟინკალე ქეხთეს (ყიფშ., 71) „ზევითკენ ავიდნენ“...

ჟილე, ჟიდო ფორმები დასტურდება მეგრულშიც. ლაზურისგან განსხვავებით ნ ელემენტი არა გვაქვს, თუმცა მის ადგილას იჭერს -მო- ელემენტი -ლე სუფიქსის წინ:

ჟიმოლე მიკახორანა „ზემო მხარეს სახლობენ“ (ქაჯ., II, 500).

პარალელურად გვაქვს ჟიდოლე ფორმაც, შდრ. ლაზ. ჟინდოლე.

გალე „გარეთ“, გალენდო/გალენდონ „გარედან“ ზმნიზედებში გამოყოფენ გ მორფემას, ქართული გ-ს (გარეთ) ძირეული მორფემის შესატყვისს [გაბუნია, 1993, 77]:

ოხორიმ **გალე** (მარი, 134) „სახლის გარეთ“, **გალე** ვარ გამუხტიმუტუ (დიუმეზ., 32) „გარეთ არ გამოსულა“, **გალენდო** ონწკიალონიშ სესეფე ქომოხთუ (დიუმეზ., 26) „გარედან საწკრიალებლების ხმები ისმოდა (მოვიდა)“, ჰიმ კოჩეფე **გალენდო** მოხთეს (ლექსიკონი, 251) „გარედან ის კაცები მოვიდნენ“, **გალენდონ** მსიჯი გოკირს (ჩიქობ. I. 115.50) „გარედან სურო ახვევია“...

მეგრულში ჩვეულებრივია **გალე** ფორმა:

ხათე-ხოლო გაგმაალესჲ **გალე** „მამინათვე გამოვარდნენ გარეთ“ (ქაჯაია, I, 283).

უფრო გართულებული სუფიქსური ვარიანტი არ დასტურდება.

ლაზურსა და მეგრულში **მელე** „გაღმა“, **მოლე** „გამოდმა“ ზმნიზედებში **მე** და **მო** იქეთა და აქეთა მიმართულების ზმნისწინებია. მაგალითად,

ლაზური:

ღალიშ **მელე** – სარფულეფე (ჩიქობავა, III, 262) „ღელის გაღმა – სარფულები“, **მელე** ნა ძირომთ ნჯაშა იდით (დიუმეზ., 56) „გაღმა რომ ხედავთ ხესთან მიდით“, **მელე** არ დივის ოხორის იგიბენ (დიუმეზ., 44) „გაღმა ერთი დევის სახლში იხარშება“, **მოლე** – მაკრიალურეფე (ჩიქობ., III, 262) „გამოდმა – მაკრიალულები“, **მოლე** მოლილი (ლექსიკონი, 568) „გამოდმა მოვიტანე“...

მეგრული:

მელე ენგირი, **მოლე** სკურჩა „გაღმა ენგური, გამოდმა სკურჩა“, **მელე** თურქეფი დო **მოლე** აფხაზეფი „გაღმა თურქები და გამოდმა აფხაზები“ (ქაჯაია, II, 244)...

მეგრულისგან განსხვავებით ლაზურში გვაქვს **დო** ელემენტით გართულებული ფორმებიც:

მელენდო „გაღმა, გაღმით, გაღმიდან“, **მოლენდო** „გამოდმა, გამოდმით, გამოდმიდან“ ფორმებიც: ჟინ **მელენდო** სირტო გ ო ლ ა ძ ი ნ (ასათ., ლექსიკონი, 404) „ზევით გაღმა სირტო დევს“, ხოჯაქ **მოლენდო** დოლოქუნუ ო ბ ლ უ (ჟდ., 114, 25) „ხოჯამ გამოდმიდან ტანსაცმელი დაყარა“...

მეგრულში **თუდო** ზმნიზედაზე -**ლე** სუფიქსის დართვით მიღებულია **თუდოლე** „ქვემოთ, ქვემო მხარეს“:

ე წყარსჲ თუდოლე გერეფი ჭოფუნა „ამ წყალს ქვევით მგლები იჭერენ“ (ქაჯაია II, 64)...

ლაზურში ფონეტიკური ვარიანტი მეტია: **თუდენ/თუდელე/თუდენდონ/თუდენიდო** „ქვემოთ, ქვემოდან, ქვემოთკენ“ ფორმებში წარმოდგენილია **ლე** და **დო** სუფიქსები:

თუდელე კითხუმტეს (ყიფშ., 26) „ქვემოთ კითხვადნენ“, კუი გინ თხოეს ნეცნას **თუდელე** (კარტ., I, 56) „ორმო გაგითხარეს კარს ქვემოთ“, თილქიქ **თუდენდონ** ნთხორუ (ჩიქობ., I. 36.10) „მელამ ქვემოდან გათხარა“, თუდენიდო საჰები მუშიქ ქოძირუ (ჩიქობ., II, 20, 20) „ქვემოდან პატრონმა მისმა ნახა...“

ლაზურში დასტურდება ზმნიზედა **წალე/წალენდო** „ქვემოთ, ქვემოთკენ“:

ლეტა დო მთელი გეიმერტუ **წალე** (ოკითხ., 21.3) „მიწა და ყველაფერი აიზილა ქვემოთ“, ედლული დოყვი დო გზას **წალე** ისთოლია (ასათ., 208) „სიკეთე ქენი და გზას ქვემოთკენ გაჰყვივო“, ხოჯაქ გ ო ქ თ უ ჭურუნე **წალენდო** (ჩიქობ., I. 6. 6-12) „ხოჯამ გააკეთა ფურნე ქვემოთ“, ექ **წალენდო** ლეჯი ყ ვ ი ლ უ პ ტ ე ე ნ ა ნ (ჩიქობ. I. 115. 8) „იქ ქვემოთკენ ღორს კლავენ“...

საინტერესოა -**კელე** ნაწილაკიანი ფორმაც:

ოხორი წკუ დო წალენდოკელეში ქოგელაკოდუ (ჟღ., 35. 36) „სახლი დამალა და ქვემოთკენ აავო“...

ლაზურში ხმოვანთავსართულ ზმნისწინებსაც ერთვის **ლე** და **დო(ნ)** სუფიქსები:

აქოლე/ჰაქოლე/ჰაქოლენ „აქეთ“, **ექოლე/ჰექოლე** „იქეთ“:

აქოლე ბიჭეფე მოხთეს (ლექსიკონი, 33) „აქეთ ბიჭები წამოვიდნენ“, **ჰაქოლე** გოლახთი (ლექსიკონი, 371) „აქ, აქეთ გაიარე“, **ექოლე** მოხთი (ლექსიკონი, 194) „იქეთ მოდი“, **ექოლე** მენდიწკედუ (კარტ. ,I, 612) „იქეთ გადახედა“...

ჰაქოლენდო/აქოლენდონ „აქედან“, **ჰიქოლენდო** „იქიდან“:

აქოლენდო გიოჭკი დო იკითხი (ჩიქობ. I. 122.11) „აქედან დაიწყე და იკითხე“, **ჰიქოლენდო** ეკნა დალეფეს ჯანთხას-ის... (ყიფშ. 82.16) „იქიდან კართან დები რომ წვანან...“

ხმოვანთავსართულ ზმნიზედებში **ლე** სუფიქსური წარმოება მეგრულისთვისაც ჩვეულებრივია: **ვიქილე/იქილე**, **ვიქლე/იქლე**, **ვიქიე/იქიე**, „იქით, ცოტა იქით“, **აქილე/აქიე** „აქეთ, ცოტა აქეთ“:

თიშ **იქილე** მინდორი რე, თიშ **იქილე** დიდი ტყა რე „იმის იქით მინდორია, იმის იქით დიდი ტყეა“ (ქაჯაია, II, 93), თიშ **ვიქილე** გირძემი რე... „იმის იქით გურძემია“ (ლომაია, 2006,42), მუაჩქიმს **აქილე** ქომირუნქ... „მამაჩემს აქეთ ნახავ“ (ქაჯაია, II, 93)...

მეგრულისთვის უფრო დამახასიათებელია **-ნე** დაბოლოებიანი ხმოვანთავსართული ზმნიზედები. ეს სუფიქსი ქართული დასავლური დიალექტების ანალოგიური დაბოლოების ფარდი ჩანს: **აქინე**, **იქინე**... ამგვარი ფორმებია: **ათაქინე/თაქინე/თაქინე/აქინე** „აქ“, **ეთექინე/თექინე/თექინე/ექინე** „იქ“, მაგალითები:

ათაქინე დუცუ ქაწგოღვილა „აქ თავს მოვიკლავ (შენ წინ)“ (ქაჯაია, I, 166), გემნიბირჲ თე ოჯახიშა **თაქინე** „სიმღერით შევიდა ამ ოჯახში აქ“ (ქაჯაია, II, 38), **თექინე** ღურელი რე „იქ მკვდარია“ (ქაჯაია, II, 44)...

ასევე **ნე** დაბოლოებიანი ზმნიზედებია: **ამარინე/ამარნე** „აგერ, აქ“, **ემერინე/ემერნე** „ეგერ, იქ“.

სუფიქსური ზმნიზედები იწარმოება **-ხ/-ხე** სუფიქსით. ლაზურში ასეთია შემდეგი ადგილის ზმნიზედები: **დოლოხ/დოლოხე** „შიგნით“: გამოიყოფა **დოლო** ელემენტი, რომელიც გვაქვს მიმართულების გამომხატველ ზმნისწინებში (მიმართულება გარედან შიგნით, ზემოდან ქვემოთ):

აჲ წკაის **ქოდოლოხუნათ** ე-დო დ ი შ ქ ი დ ე ნ (ჩიქობ., I. 26. 30) „ეს წყალში ჩავსვათ და დაიხრჩობა“.

ზმნიზედის მაგალითებია:

კოლი გულუნ ყონაში **დოლოხე** (ჩიქობ., III, 261) „კალია დადის ყანის შიგნით“, **დოლოხე** ვარ ოწკედუს (ყიფშ., 61) „შიგნით არ ნახეს“, კულანი ქონაშქვეს ოხოიში **დოლოხე** (კარტ., I, 67) „გოგო დატოვეს სახლში (სახლის შიგნით)“, **დოლოხ** თე ქამახთუ (დიუმეზ., 26) „შიგნით სინათლე შევიდა“, ქარმატეს **დოლოხ** იქეთტუ (დიუმეზ., 26) „წისქვილში შიგნით დადიოდა“...

ხე სუფიქსის მომდევნოდ შეიძლება დაჩნდეს **დო(ნ)** ელემენტიც, მაგალითად:

დოლოხენდო-თი ჟურ კარჭი ქოგერუ (ჟღ., 137, 18) „შიგნითაც ორი ლურსმანი დააჭედა“, დოლოხენდონ არ სესი შიგნუ... (ჩიქობ., I, 47, 24) „შიგნიდან ერთი ხმა გაიგონა“...

ხე სუფიქსიანი ზმნისართები ლაზურში როგორც ადგილის, ასევე დროის აღმნიშვნელიცაა. ამგვარი სემანტიკური გადააზრება სივრცული მიმართებიდან დროულისკენ ზოგადად დამახასიათებელია ზანურისთვის. წინ და უკან ზმნიზედებიც ქართულში კონტექსტის მიხედვით დროსაც გამოხატავს და ადგილსაც. ამგვარივე ფორმებია ლაზურში: უკარხე/უკვარხე/უკაშხე, ოკარხელე/ოკარხენდონ/უკაშქენდო „უკან, უკნიდან; ადრე, ძველად“. იგი ადგილის აღმნიშვნელია შემდეგ წინადადებებში:

უკვარხე გზა ...ვა ენა (კარტ., 81, 21/1993) „უკან გზა არ არისო“, არქადაში ჩქიმი ოკარხელე მუჭო დობოხუნა (ჟღ., 104, 3) „ამხანაგი ჩემს უკან როგორ დავსვა“... უკარხეთი დოფხარქით (ყიფშ., 55) „უკანაც გავთოხნეთ“...

წოხლე და უკარხე ფორმების პარალელურად ლაზურში გამოიყენება თურქულიდან ნასესხები სიტყვები: ოღინე/ოგინე/ოღინდე „წინ“ და გე(რ)ი/ჯერი/გე(რ)იდე/გერინდე „უკან“ [ლომაია, 2006, 37].

მეგრულშიც -ხ სუფიქსით ნაწარმოები ზმნიზედების ერთი ნაწილი დროსაც გამოხატავს და ადგილსაც. ესენია: წოხოლე/წოხლე/წოხჲლე და მათი ო- პრეფიქსიანი ვარიანტები: ოწოხოლე/ოწოხლე/ოწოხჲლე „წინ, წინათ, ადრე“, უკახალე/უკახლე/უკოხჲლე/უკოხოლე/ოკოხოლე „უკან, უწინ“. როგორც ვხედავთ, -ხ სუფიქსის მომდევნოდ -ლე სუფიქსიც დაჩნდება. ამგვარივე წარმოებისაა ფორმები: დინახალე/დინოხოლე/დინახლე/დჲნახლე/დჲნოხჲლე „შიგნით, შიგ სიღრმეში“, მითახალე/მითოხოლე „შიგ“, მინახლე/მინახჲლე/ მინახალე/ მილახალე/ მულახალე „იქით შიგნით“, მიშახალე „შიგნით“. -ლე სუფიქსის გარეშე გვხვდება ისეთი ფორმები, როგორიცაა: დინოხჲ „შიგ, შიგნით“, დიკოხჲ/დიკოხო/დიკოხუ/დჲკოხჲ „დაბლა, ქვემოთ, დაღმა“, მიშახჲ „შიგ“, მინოხჲ/ო/მინოხ „იქით, იქით მხარეს“, ელახჲ/ელახ/ელახუ „აღმოსავლეთი“, ეკოხო „ზემოთ“, გინოხ/გინოხჲ „გაღმა, გადაღმა, იმ მხარეს, იქით“ [ლომაია, 2006, 31-34].

ლაზურში წარმოქმნილი ჩანს მეკა „იქით“, მოკა „აქეთ“ ზმნისწინები, რომლებიც ძირითადად კომპოზიტად გამოიყენება და შეესატყვისება ქართულ გადა-, გადმო- დაბრკოლების პრევერბებს:

მეკა-მოკა გულუნ (სარგ. მეტყ.) „იქეთ-აქეთ დადის“, ნოდის მეკა-მოკა ართიკართის გააბრტეს (სარგ. მეტყ.) „ნადში იქეთ და აქეთ ერთმანეთს ეშაირებოდნენ“, მეკა-მოკა გუიყონოვან მოთა (სარგ. მეტყ.) „აქეთ-იქით დაყავთ შვილიშვილი“...

ლაზურსა და მეგრულში ზმნიზედური ფუძეები წარმოდგენილია ბრუნვის ფორმებით. ლაზურში მიცემითი და მიმართულებითი ბრუნვის ფორმით ძირითადად წარმოდგენილია პირველადი ზმნიზედები, ხოლო დამორებით ბრუნვაში გვაქვს როგორც პირველადი, ასევე წარმოქმნილი ზმნიზედები. მეგრულში მსგავსი ვითარებაა იმ განსხვავებით, რომ მიმართულებით ბრუნვაში ასევე წარმოდგენილია ნასახელარი ზმნიზედები.

III. 1.1.1.1. მიცემითი ბრუნვისნიშნისანი ფორმები.

ლაზურში ნასახელარი ზმნიზედის მიცემითის ფორმაა **ხოლოს** „ახლოს“, რომელსაც ხშირად ენაცვლება ნასესხები ფორმები: **აანი** „ახლოს, გვერდით, პირას“, **აქინი/აკინი** „ახლოს“. აღსანიშნავია, რომ ნასესხები სიტყვები ადგილის ზმნიზედის მნიშვნელობით გამოიყენება მიცემითი და მიმართულებითი ბრუნვის ფორმებით:

აქინის დოდგიმერტუ (თანდ., 302) „ახლოს დადგმული იყო“; ბიჭიქ ხომ ბოზო **აქინიშა** ვა ნიხოლამს (თანდ., 506) „ბიჭი ხომ გოგოს ახლოს არ იკარებს“ დერეში **აანის** არ დიდი ნჯამე ქორენ (თანდ., 603) „ღელის პირას ერთი დიდი მეჩეთი არის“; გერმა კოჩიქ: „კუი სო რენ-ა“ დო იდუ კუიში **აანიშა** (თანდ., 502) „ტყის კაცმა, ორმო სად არისო და წავიდა ორმოს ახლოს“...

ანტონიმური მნიშვნელობის გამოსახატავად გამოყენებულია მხოლოდ თურქულიდან ნასესხები სიტყვა **მენდა/მენდრა/მენდრალე** „შორს“.

მეგრულშიც ჩვეულებრივია **ხოლოს/ხოლოსჲ/ხოლოს** „ახლოს“ ფორმები. ამავე მნიშვნელობით უარყოფის გამომხატველ ზმნებთან გამოიყენება **სარხოსჲ/სარხოს/სახოს** „ახლოს, ახლო-მახლო, შორიახლოს, სიახლოვეს“: **სარხოს** ვარე მუთინ „ახლო-მახლო არავინაა“. „შორს“ მნიშვნელობა გადმოიცემა ზმნიზედით **შორს/შორსჲ/შორც**. როგორც ჩანს ქართულიდანაა ნასესხები [ლომაია, 2006, 47].

ლაზურსა და მეგრულში გვაქვს **ძგას** „კიდეზე, ნაპირზე“ ზმნიზედა შესაბამისი ფონეტიკური ვარიანტებით: ლაზური **ძგას/მძგას**:

ტეტელი ხუვარდა **მძგას** ელადგიტუ (თანდ., 881) „შიშველი საყვარელი კუთხეში იდგა“; ქელუკა ელიმელ ქელენგითე **ძგას** ჯა გედუმელ დო ელიდამ ჟილუ (ასათ., 322) „ნავს ამოიტანენ ფელენგით (სპეციალური ძელით), ნაპირზე ძელს ადებენ და ამოათრევენ ზევით“...

მეგრული **ძგას/ძგასჲ**:

იკიბლენდი ხოლო **ძგას** (ქაჯაია, III, 376) „ამოვიდოდი კიდევ ნაპირზე“.

ლაზურში **შქას** „შუაში“, „წელზე“ ზმნიზედა ამ ორი მნიშვნელობიდან უფრო გამოიყენება მეორე ფუნქციით:

შქას ქოგაუდგეს თოკი დო ქოგანჭეს (თანდ., 190) „წელზე მოაბეს თოკი და ჩაუშვეს“.

„შუაში“ მნიშვნელობით ასევე გამოიყენება **ორთას**:

გზაშ **ორთას** გომოვოლაფი (თანდ., 255) „გზის შუაში გავატარე“; არაბაში **ორთას** გუშუმწკეს (თანდ., 255) „ურმის შუაში ჩააგდეს“...

მეგრულშიც ჩვეულებრივია **შქას/შქასჲ/შქას** „შუაში, შუა ადგილას“ ფორმები. პარალელურად გამოიყენება **ო-** პრეფიქსიანი ვარიანტები: **ოშქას/ოშქათ/ოშქაშეთ/ოშქაშეს**:

ოშქაშეს დუუტენდეს რხვილს „შუაში დაუტოვებდნენ ხვრელს“, **ოშქაშეთ** დიდი საორიო ჯა ქიგეჩანს „შუაში დიდი საჩრდილო ხე დგას“ (ქაჯაია, II, 460)...

მეგრულში ზმნიზედის მნიშვნელობით გამოიყენება:

დუს/დუსჲ „თავში, თავზე“:

დუს მუნორდჲ დო თემ ოქარაფუანდჲ „თავზე ადგა და ისე აწერინებდა“,

ბოლოს:

ბოლოს ირკოჩის გემეთხუ „ბოლოს ყველას დაემშვიდობა“...

III. 1.1.2. დაშორებითბრუნვიანი ფორმები.

ლაზურში დაშორებით ბრუნვაში დასმული ზმნიზედები გამოხატავენ მნიშვნელობას „საიდან“. ასეთი ფორმებია: **ჟინშენ/ჟილეშენ/ჟინდოლეშენ** „ზემოდან“, **თუდენშენ/თუდელეშე** „ქვემოდან“, **დოლოხეშენ** „შიგნიდან“, **გალეშე** „გარედან“, **მელეშენ** „გალმით“, **წოხლეშენ** „წინიდან“, **მენდრაშენ/მენდრალეშენ/მენდრაშენდონ** „შორიდან“. ზოგჯერ იკარგება ბრუნვის ნიშნისეული **შ**: **თუდეენ** „ქვემოდან“. ბრუნვის ნიშნით ფორმდება -**კალე** თანდებულისანი ზმნიზედებიც: **ჟილენდოკელეში** „ზემო მხარისკენ“, **წალენდოკელეში** „ქვემოთკენ“... [ლომაია, 2006, 57-58].

მეგრულში მრავალრიცხოვანი ფორმები გვაქვს დაშორებით ბრუნვაში. ძირითადად ისინი გამოხატავენ დაშორებას, თუმცა არცთუ იშვიათად ადგილ-მდებარეობასაც მიუთითებენ, განსაკუთრებით ზუგდიდურ-სამურზაყანოულ მეტყველებაში [ლომაია, 2006, 55-56].

რა თქმა უნდა, წარმოქმნილი ზმნიზედები გვხვდება ამ ბრუნვაში, თუმცა შეიძლება პირველადი დადასტურდეს, როგორცაა: **ჟიშე** „ზემოდან“, **თუდოშე** „ქვემოდან“, ასევე ნასახელარი ზმნიზედები: **ხოლოშე** „ახლოდან“, **შორიშე/შორშე** „შორიდან“, **ძგაშე** „კიდიდან“, **ბოლოშე** „ბოლოდან“, **დუდშე** „თავიდან, დასაწყისში“.

დანარჩენი ზმნისართებია: **ჟიდოშე/ჟიდოხიშე/ჟიდოხუშე**, **ჟიმოხუშე** „ზემოდან, მაღლიდან“, **ჟილეშე**, **ჟიმოლეშე**, **ჟიდოლეშე** „ზემოდან“, **თუდოხიშე/თუდოხიშე/თუდოხუშე**, **თუდოლეშე** „ქვემოდან“, **დინოხიშე/დინოხუშე**, **დინახალეშე/დინახალეშე**, **დინოხოლოშე/ დინოხლეშე** „შიგნიდან“, **გალეშე** „გარედან“, **მელეშე/მელეხიშე/მელეხუშე/მელეხიშე** „გალმიდან“, **მოლეშე/მოლეხიშე/მოლეხუშე/მოლეხიშე** „გამომდიდან“, **წოხოლეშე/წოხილეშე**, **ოწოხოშე/ოწოხუშე/ოწოხიშე/ოწოხიშე** „წინიდან“, **უკოხოლეშე/უკოხლეშე/უკახალეშე/უკახლეშე/უკახიშე/ უკოხიშე/უკოხუშე/უკოხიშე** „უკნიდან“, **დიკოხიშე/დიკოხუშე/დიკოხიშე** „ქვევიდან“, **ელახიშე/ელახუშე/ ელახიშე** „ადმოსავლეთიდან“, **მინოხუშე** „აქეთა მხრიდან“ [ლომაია, 2006, 50-53].

დაშორებით ბრუნვაში დასტურდება ხმოვანთავსართიანი ზმნიზედებიც. ლაზურში ასეთი ფორმებია:

ჰაქშენ „აქედან“, **ჰექშენდონ** „იქიდან“, **ჰექოლეშენ** „იქიდან“, **ჰაქოლეშენ** „აქედან“. ამ ტიპის ზმნიზედებში არც თუ იშვიათად გვაქვს ნათესაობითი ბრუნვის ფორმებიც:

აქონაჲ/აქონაში „აქ, აქაურობაში“:

აქონაი ჭიტა დოფსქიდიტ... „აქაურობაში ცოტანი დავრჩით“; მუ იქიფ პაპული **აქონაში**? „რას აკეთებ, ბაბუა, აქაურობაში? (თანდ., 48);

ექონაჲ/ექონაში „იქ, იქაურობაში“:

ვანა მუ ყვან **ექონაჲ**? „თ არა, რა ქნან იქაურობაში“? მაშენა ქაკუიხუდო ქოდოსქიდიუ **ექონაში** „მანქანა გაფუჭდა და დარჩა იქაურობაში“ (თანდ., 394).

ასევე იხმარება **ჰაქთონ** „აქ“, **ჰექთონ** „იქ“ ფორმები, რომელშიც შ. ლომაია გამოყოფს -**თონ** ელემენტს, რომელშიც, თავის მხრივ, -**ონ** ადგილის მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს [ლომაია, 2006, 55].

ვფიქრობთ, -თონ იგივე -დონ წარმომქმნელი ელემენტია, რომლის დ ელემენტი ფუძისეული ქ-ს მომდევნოდ გაფშვინიერდა.

ყოველთვის ადგილ-მდებარეობას გამოხატავს დაშორებითბრუნვიანი ხმოვან-თავსართული ზმნიზედები მეგრულში.

ესენია: ათაქინეზე/ათაქნეზე/თაქნეზე/აქნეზე/აქინეზე „აქ“, ეთექინეზე/ეთექნეზე/თექნეზე/თექინეზე/ექნეზე/ექინეზე „იქ“.

ზოგჯერ ამ ფორმებს მიცემითის ნიშანიც დაერთვის. როგორც ჩანს, დაშორებითი ბრუნვის ნიშანი წარმომქმნელ ელემენტადაა გადააზრებული: თექნეშის/ექინეშის „იქ“, თაქნეშის/აქინეშის „აქ“.

ასევე პარალელურად დასტურდება შემდეგი ფორმები: აქილეზე, აქილეშეს „ცოტა აქეთ“, იქილეზე, იქილეშეს „ცოტა იქით“, ამარინეზე/ამარნეზე/ამარეზე, ამარინეშეს/ამარნეშეს/ამარეშეს „აქ“, „აგერ“, ემერინეზე/ემერნეზე, ემერინეშეს/ ემერნეშეს „იქ“, „ეგერ“.

III. 1.1.3. მიმართულებითბრუნვისნიშნისანი ფორმები.

ლაზურში ასეთი ზმნიზედები მცირერიცხოვანია, რაც შეიძლება იმით აიხსნას, რომ მიმართულებითი ბრუნვა სუსტადაა გამოხატული და ძირითადად დაშორებითი ბრუნვა ითავსებს ამ ფუნქციას:

ჟინშა „ზემოთ, ზემომდე“; **ჟილეშა** „ზევით“: წკაიში ჟილეშა ქელმაყონუ (თანდ., 382) „წყლის ზევით ადგილამდე ამყვა (ამაცილა)“.

წალეშა „ქვევითამდე“: წალეშა-კადარ გელაფთი“ (თანდ., 133) „ქვედამდე ჩავედით“.

გალეშა „გარეთ“...

მეგრულში მიმართულებით ბრუნვაში წარმოდგენილია მხოლოდ ხმოვანთავსართული და ნასახელარი ზმნიზედები.

ხმოვანთავსართული ზმნიზედები: **თაქიშა/თაქშა/თაიშა/თაიშა/აიშა/აიშა** „აქამდე“, **თექიშა/თექშა/თეიშა/თეიშა/ეიშა/ეიშა** „იქამდე“.

აღსანიშნავია, რომ ამ ფორმებს შეიძლება დაერთოს -ხ სუფიქსი: **თაქიშახჷ/თაიშახჷ/აიშახჷ... თექიშახჷ/თეიშახჷ/ეიშახჷ...**

ასევე პარალელური ფორმებით გვაქვს მიცემით ბრუნვაში გაქვავებული ზმნიზედები: **ხოლოშა/ხოლოშახჷ** „ახლოს“, **შორშა/შორიშა/შორშახჷ** „შორს“, **შქაშა/შქაშახჷ** „შუამდე“, **ძგაშა/ძგაშახჷ** „კიდემდე“.

III. 1.1.4. კომპოზიციის გზით მიღებული ზმნიზედები.

აფიქსური და ბრუნვის ნიშნით წარმოქმნილი ზმნიზედების გარდა მეგრულ-ლაზურში გვხვდება კომპოზიციის გზით მიღებული ზმნიზედები.

ლაზურში ფუძის გაორკეცებით იწარმოება ადგილის ზმნიზედები:

თუდე-თუდე „ქვევით-ქვევით“, **ჟინ-ჟინ** „ზევით-ზევით“, **ჟილე-ჟილე** „ზევით-ზევით“, **წალე-წალე** „ქვემოთ-ქვემოთ“, **დოლოხე-დოლოხე** „მიგნით-მიგნით“, **გალე-გალე** „გარეთ-

გარეთ“, აშო-აშო/ჰაშო-ჰაშო „აქეთ-აქეთ“, ჰექოლე-ჰექოლე „იქით-იქით“, წოხლე-წოხლე „წინ-წინ“, მენდრა-მენდრა „შორ-შორს“, ენი-ენი „ახლო-ახლო“, ბაზი-ბაზი „შიგადაშიგ“, გერი-გერი/გეი-გეი „უკან-უკან“ [ლომაია, 2006,63-64].

დასტურდება ნაირფუძიანი შეერთებით მიღებული ზმნიზედები: -აშო-ემო „ასე-ისე“, „აქეთ-იქით“, ჟინ-თუდე „ზემოთ-ქვემოთ“, ჟილე-წალე „ზევით-ქვემოთ“, დოლოხე-გალე „შიგნით-გარეთ“, ჟინდოლე-თუდელე „ზემოთ-ქვემოთ“, მელე-მოლე „გაღმა-გამოდმა“...

გაორკეცებული ზმნიზედების პირველი კომპონენტის თავკიდური თანხმოვანი მეორე კომპონენტში სხვა თანხმოვანითაა შეცვლილი და მნიშვნელობის არმქონე სიტყვაა: ჟილე-მილე „ზევით მევით“, თუდე-მუდე „ქვევით-მევით“, წალე-მალე „ქვევით-მევით“ .

მეგრულში მეტი ზმნიზედაა, თანაც ყველა ქმნის კომპოზიტურ ერთეულს, შესაბამისად, კომპოზიტური ზმნიზედები მრავალრიცხოვანია. რედუპლიკაცია ეხება როგორც ძირეულ ზმნიზედებს, ასევე სუფიქსური წარმოების მქონეთ. ასეთ ზმნიზედებში გამოყოფენ ორ ჯგუფს: მხოლოდ ფუძეთა გამეორების გზით მიღებული ფორმები და მიცემითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული რედუპლიკაციური ზმნიზედები.

პირველი ჯგუფისაა:

- ჟი-ჟი „ზევით-ზევით“,
- თუდო-თუდო „ქვევით-ქვევით“,
- ვიშო-ვიშო/იშო-იშო/იშ-იშ „იქით-იქით“,
- მიკი-მიკი/მჰკ-მჰი/მიკჰ-მიკჰ „იქით-იქით, ირგვლივ“,
- ეკი-ეკი/ეკე-ეკე/ეკჰ-ეკჰ „აღმა-აღმა“,
- ეშე-ეშე/იშე-იშე „ზევით-ზევით“,
- აშო-აშო/აშ-აშ „აქეთ-აქეთ“,
- გიმე-გიმე „ქვევით-ქვევით“,
- მელე-მელე „გაღმა-გაღმა“,
- მოლე-მოლე „გამოდმა-გამოდმა“,
- გალე-გალე „გარეთ-გარეთ“,
- ჟიდო-ჟიდო „ზევით-ზევით“,
- დინი-დინი/დინოხლე-დინოხლე/დინახლე-დინახლე „შიგნით-შიგნით“,
- უკახლე-უკახლე „უკან-უკან“,
- წიმი-წიმი/წჰმი-წჰმი „წინ-წინ“,
- კინი-კინი „უკან-უკან“,
- ათაქ-ათაქ/თაქ-თაქ/აქი-აქი/ აქ-აქჰ „აქ-აქ“,
- ეთექ-ეთექ/თექ-თექ/ექი-ექი/ექ-ექ „იქ-იქ“,
- აქილე-აქილე „აქეთ-აქეთ“, იქილე-იქილე „იქით-იქით“...

მეორე ჯგუფის ფორმებია:

- ხოლო-ხოლოს „ახლო-ახლოს“,
- შქა-შქას „შუა-შუა“,
- ძგა-ძგას „კიდე-კიდე“,
- შორ-შორს „შორ-შორს“.

ნაირფუძეთა შეერთებით მიღებულია ზმნისართთა უმრავლესობა:
იშო-აშო „იქით-აქეთ“,

მელე-მოლე „გარმა-გამოღმა“,
ემე-გიმე „ზევით-ქვევით“,
ეკე-დიკე „ზევით-ქვევით“,
წიმე-კიმე „წინ და უკან“,
თექ-თაქ „იქ-აქ“,
ექი-აქი „იქ-აქ“,
ამარ-ემერ „აქა-იქ“ და ა. შ.

ცხადია, კილოკავების მიხედვით წარმოდგენილია მათი სხვადასხვა ფონეტიკური ვარიანტი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რედუპლიკაციის დროს შეერთება უკავშიროს [თოფურია, 1959, 296, სანიკიძე, 1977, 48], თუმცა არაიშვიათად გვხვდება დო კავშირით შეერთებული ზმნიზედებიც [ლომაია, 2006, 67]: **ქილოჟი** „ზევით-ზევით“, **გადოგას** „სერ და სერ“, **მგადოდგას** „კიდე-კიდე“, **მელე დო მოლე** „გალმა-გამოღმა“... ლაზურშიც იშვიათად გვხვდება **დო** კავშირიანი კომპოზიტები: **ჟინ დო ჟინ** „ზევით-ზევით“, **ჟილე დო წალე** „ზევით და ქვევით“, **ჰემკელე დო ჰამკელე** „იქით-აქეთ“... [ლომაია, 2006, 67-68].

მეგრულში ადგილის ზმნიზედა შეიძლება მიღებული იყოს სხვადასხვა ფუძის შეერთებით, რომელთაგან ერთი ზმნიზედაა, ხოლო მეორე არსებითი სახელი.

ი.ყიფშიძის აზრით, ფორმებში **აურე/ავრე/აზურე**, **ათავრე/ათაურე/ათაზურე/ათაქურე** „აქეთ, ამ მხარეს“, **ეურე/ევრე/ ეზურე**, **ეთევრე/ეთეურე/ეთეზურე/ეთექურე** „იქით, იმ მხარეს“ ხმოვანთავსართულ ზმნიზედურ ფუძეს ერთვის **ზურე** „მხარე“ სახელური ფუძე [ყიფშიძე, 1994, 626].

ეს ზმნიზედები შეიძლება შეგვხვდეს დაშორებით ბრუნვაშიც: **თევრეშე** „იქიდან“, **თავრეშე** „აქედან“... უფრო მეტიც, მიცემითის ნიშანსაც დაირთავს: **აურეშეს** „აქედან“ [ლომაია, 2006, 71-72].

ადგილის ზმნისართები შედიან ვითარებითი ზმნიზედების რთულ ფორმებშიც: **დუდგიმე** „თავდაღმა“, **პიჯიეშე/პიჯეშე** „პირაღმა“...

მეგრულ-ლაზურში ადგილის ზმნიზედის ფუნქციით გამოიყენება სახელის გაორკვევებით მიღებული ფორმები.

ლაზურში, როგორც წესი, ორივე კომპონენტი წარმოდგენილია სახელობითის ფორმით: **დადი-დადი** „ტყე-ტყე“, **ღალი-ღალი** „ღელე-ღელე“, **დერე-დერე** „კლდე-კლდე“, **დუზი-დუზი** „ბაღნარ-ბაღნარი“...

მეგრულში მეორე კომპონენტი მიცემითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული: **შარა-შარას** „გზა-გზა“, **ტყა-ტყას** „ტყე-ტყე“, **ღალჟ-ღალჟს** „ღელე-ღელე“, **წყარ-წყარს** „წყალ-წყალ“ და ა. შ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქართველურ ენებში სივრცული და დროული მიმართებების ურთიერთგადახლართვა ისევე დამახასიათებელია, როგორც ზოგადად ნებისმიერი ენისთვის [აბულაძე, 1986, ჩიქობავა, 1945, შანიძე 1973, გაბუნია, 1993].

მიიჩნევა, რომ დროის იდეა სივრცის იდეის შემდეგ განვითარდა. სივრცისა და დროის გეომეტრიული ასახვაც ერთნაირად ხდება: დროს გამოხატავენ ჰორიზონტალური ხაზით, რომელსაც აქვს მიმართულება მარცხნიდან მარჯვნივსავე რაღაც მოძრავი წერტილით, რომელიც აწმყოს გამოხატავს. ამის მაჩვენებელია ქართულში **წინ** და **უკან** ზმნიზედების დროითი მნიშვნელობები, აგრეთვე სიტყვები: **გუშინწინ**, **შარშანწინ**... „მაგრამ ქართულ ენაზე მოლაპარაკეთათვის დამახასიათებელი ჩანს აგრეთვე დროის ღერძის ვერტიკალური

წარმოდგენაც. ქართულში გვაქვს, მაგ., ხვალზევით „ზეგ“ (შდრ. ჭანურში: გე-ნ-დღ-ან-ი „ზეგ“ („ზე-დღე“). ამის საბუთად შეიძლება გამოდგეს კიდევ: წუთი-წუთზე, დღე-დღეზე, ძველ ქართულში: ზედადს-ზედა „ზედიზედ“ [აბულაძე, 1986,9].

მეგრულ-ლაზურში დროის სივრცული წარმოდგენა კარგად ჩანს ადგილის ზმნიზედათა მაგალითზეც. მეგრულში ხმოვანთავსართული ზმნიზედებიდან ყურადღებას იქცევს **თაიშა/თაიშახ, აიშა/აიშახ** „აქამდე“, **თეიშა/თეისახ, ეიშა/ეიშახ** „იქამდე“ ფორმები. ესაა მიმართულებითი ბრუნვის ნიშნიანი ზმნიზედები, რომლებიც პარალელურად **ხ** სუფიქსს დაირთავენ. ტ. გუდავას აზრით, ესაა ქართული -მდე თანდებულის ფარდი ელემენტი [გუდავა, 1947, 188-189], ხოლო რ. შეროზიამ ის **ხოლო** ნაწილაკს დაუკავშირა [შეროზია, 1999, 178].

მიმართულებითი ბრუნვის საპირწონეა დაშორებითი ბრუნვა, რომელიც ზანურში დაშორებას, გამოსვლითობას გამოხატავს, ხოლო ზმნიზედებში – ადგილ-მდებარეობასაც, მიმართულებითი ბრუნვა მოქმედების სასრულობის, ზმნიზედებში კი – ადგილის გამომხატველია. შესაბამისად, იქით და აქეთ მოძრაობა ერთნაირად გამოიხატება ორივე ბრუნვით. ასეთ ვითარებაში ხდება ის, რომ დაშორებითი ბრუნვა რჩება სივრცითი მიმართების აღმნიშვნელად, ხოლო მიმართულებითი გადააზრიანდება დროის მაჩვენებლად.

ერთი მხრივ, **თეიშა** გამოხატავს ადგილს:

ოწურუ შარა, სიდე ირემ გეძუდუ **თეიშა** (ხუბ., 185, 34) „გზა მიასწავლა, სადაც ირემი იწვა („იდო“) იქამდე“,

მეორე მხრივ, დროს:

„გერქ თქუ: სოიშა მინჯეს ვოუზალეზუნ **თეიშა** მა მუთუნ ვა მიჭკომუნია(ხალხ. სიბრძ., 26,183) „მგელმა თქვაო: სანამ პატრონს არ უსურვებია, მანამ მე არაფერი მიჭამიაო“.

ლაზურში მიმართულებითი ბრუნვა სუსტად არის გამოხატული და მას დაშორებითი ითავსებს. საინტერესოა, რომ დაშორებითბრუნვიანი ხმოვანთავსართული ზმნიზედა **ჰაქშენ** „აქ, აქედან“, **ჰექშენ** „იქ, იქიდან“ ყოველთვის ადგილს გამოხატავს, ხოლო დროის ზმნიზედის მნიშვნელობას იძენს **ჰაქ** ფუძეზე - **შაქის** თანდებულის დართვით:

მუ იქომტ-ია **ჰაქშაქის** ოხორის-მა? (ჟღ., 152, 21) „აქამდე სახლში რას აკეთებდიო“, შდრ.: **ჰაქშენ** გებდგითით, ათინაშე მენდაბთით... (კარტ., 1993, 101) „აქედან ავდექით, ათინაში წავედით“...

მეგრულში ყურადღებას იქცევს **ამარ** „აგერ; აი, აქ“ და **ემერ** „ეგერ; აი, იქ“ ხმოვანთავსართული ზმნიზედები.

ჩვეულებრივ, ადგილის აღმნიშვნელი ფორმებია: **ამარ** მეურს „აგერ აქ მიდის“, **ემერ** გითორე მაღახას „ეგერ იქ დგას ნალიის ქვეშ“...

რედუპლიკაციის გზით მიღებული ზმნიზედა იძენს დროის გამოხატვის ფუნქციასაც: **ამარი-ამარი** ბოში ორჯგინანც ნდემც... (ყიფშ., 265, 1) „საცაა, აგერ-აგერ, ბიჭი აჯობებს დევს“, **ამარ-ამარ** გოთანდუ „საცაა გათენდება“. იგივე ითქმის **ვიშო/იშო** ზმნისართზეც, რომლის კომპოზიტიური ფორმა ადგილსაც გამოხატავს და დროსაც: ბოლოს ათეს მიაჭუნუ **იშო-იშო** დო კოჩო გიშელჟი „ბოლოს ამას მიჰყვა მერე-მერეც და კაცი დადგა“ [ლომაია, 2006, 65].

დროის სივრცული აღქმა მეგრულ-ლაზურშიც უკავშირდება წინ და უკან მნიშვნელობას. მეგრულში ადგილსა და დროს გამოხატავს წოხოლე/ოწოხოლე ზმნიზედა (ფონეტიკური ვარიანტების ჩათვლით) არა მხოლოდ სახელობითის ფორმით, არამედ დაშორებითი ბრუნვის ფორმითაც:

ოწოხოლე ყოროფა მეტი რდჷ „უწინ მეტად უყვარდათ ერთმანეთი (მეტი სიყვარული იყო)“, **ოწოხოლე** ბზხირას გილებშით ართიანშა „წინათ უფრო ხშირად დავდიოდით ერთმანეთთან“...

მიმართულებითი არ ეწარმოება, რის გამოც შესაძლებელია მოხდა დაშორებითის ფორმის გადააზრებაც დროის ზმნიზედად. ლაზურშიც ანალოგიური ვითარებაა:

წოხოლე არ კოჩიქ ირო ჯუმუ ექოფუმტუ (ჩიქობ. 21, 6) „ადრე ერთი კაცი ყოველთვის მარილს ყიდულობდა“; სი **წოხოლეშენ** ვა მიტკობუტი! (ჩიქ., 150, 11) „შენ წინათ არ მემალეობდი“.

მეგრულში „წინათ“ მნიშვნელობას გამოხატავს წიმი/წიმე/წიმახ/წჷმახჷ/ოწჷმახჷ ფორმებიც:

წჷმახჷ დეენირხესჷ, მით უმოსი ღვინცჷ შუნდჷ (ყიფშ., 268, 35) „პირველად (წინასწარ) დანიძლავდნენ, ვინ უფრო მეტ ღვინოს დალევდა“, **წიმი** იჯინჷ დო საშველი ქიბი „მომავლისკენ გაიხედე და საშველიც იქნება“...

ცნობილია, რომ უკან ზმნისართი ქართულში „წინათ“ დროის ზმნიზედის მნიშვნელობითაც იხმარება. არც მეგრულ-ლაზურისთვისაა უცხო მსგავსი გააზრება. **კინოხჷ/კჷნოხჷ/კინოხუ** ზმნიზედები დროის აღმნიშვნელიცაა:

კინოხ მისჷთ უძირჷქჷნ, ასე თისჷ ვავოგუქჷ „წინათ ვისაც ვუნახივარ, ახლა იმას არა ვგავარ“, **კინოხ** დას მეხასიათჷ ოთახუეფიში მირაფაქ „წელან დას მოეხატრა ოთახების დათვალიერება“ (ლომაია, 2006, 120).

ლაზურში იმავე ფუნქციით გამოიყენება **ოკაჩხე/უკაჩხე** „უკან“ ზმნიზედა:

ოკაჩხე ბაბა-მუშიქ ჩხომი ჭოფუპტენ (კარტ., 1972, 58,37) „ადრე მისი მამა თევზს იჭერდა თურმე“, **ოკაჩხე** ჰე ბერე დირდუ (კარტ., 1972, 155, 11) „მას მერე ეს ბავშვი გაიზარდა“, **უკაჩხე** კატუ ჰექ ელახეტუ (ყიფშ., 55) „მერე კატა იქ იჯდა“, **უკაჩხე** ჩობანის უჯოხუ (ყიფშ., 66) „შემდეგ მწყემსს დაუძახა“, **უკაჩხე** ჯარი ოშკომუ (ყიფშ., 76) „შემდეგ საჭმელი ჭამა“...

შ. ლომიას მიერ შენიშნულია, რომ მეგრულში **ანწი** და **უკული** დროის ზმნიზედები ადგილის მნიშვნელობითაც გამოიყენება: **ანწი** ეთი კოჩი გერე „ამის შემდეგ ის კაცი დგას“, **წოხოლე** მეურს ამირანიშ მანქანა, **უკული** – კოწიასი „წინ მიდის ამირანის მანქანა, უკან – კოწიასი“ [ლომაია, 2006, 122].

ლაზურშიც დასტურდება **ეკული/ოკული/უკული** ზმნიზედები დროის მნიშვნელობით:

ეკული არ დეის ქომოიშვაჯეს (კარტ., I, 66) „მერე ერთ ადგილას შეისვენეს“, **ეკული** თილქი ქომოხთუ (კარტ., I, 11) „მერმე მელა მოვიდა“, **უკული** თქუ-ქი (ყიფშ., 15) „მერმე თქვა რომ...“ **უკული** ქიმოლი ქონდინჯირუ (ყიფშ., 15) „მერე ქმარი დაწვა“, **ოკული** არღეის ქოკიბლეს (ყიფშ., 5) „მერმე ერთ ადგილას შეგროვდნენ“...

ოკული პოლიმა მოიტუ (ყიფშ., 27) „მერე პოლში (სტამბულში) მოდიოდა“, **ოკული** ავროფაშა დონჯლონუ (ყიფშ., 27) მერმე ევროპაში გაგზავნა...

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ადგილის ზმნიზედები მეგრულსა და ლაზურში ითავსებენ თანდებულის ფუნქციასაც. ერთი მხრივ, გვაქვს ზმნისწინი და მისგან ნაწარმოები ზმნიზედები: **ეშე**, **ეკე** „ზევით“, **დინი** „ქვევით“... მეორე მხრივ, ზმნიზედები, აგრეთვე თანდებულების ფუნქციით: **ოხორიშ ჟი** „სახლის ზემოთ“, **ჯაში თუდო** „ხის ქვეშ“, **ღალის წოხოლე** „ღელის წინ“, **სქან უკულ** „შენ მერე“...

მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ზმნისწინები და ზმნიზედები თანდებულების მინიმალიზაციის წინაპირობაა.

III. 1.2. დროის ზმნიზედები.

ზოგადლინგვისტურ თეორიაში სივრცული და დროული მიმართებები მნიშვნელოვანი საკითხია. განსხვავებული მოსაზრებებია იმის შესახებ, ენაში სივრცული აღქმა წინ უსწრებს დროულს, თუ პირიქით [აბულაძე, 1986].

ერთი რამ ცხადია, დრო და სივრცე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც კარგად ჩანს მეგრულ-ლაზური ზმნიზედების სისტემური ანალიზის საფუძველზე. ზემოთ უკვე შევეხეთ იმ ლექსემებს, რომლებიც კონტექსტის მიხედვით ადგილსა და დროსაც მიუთითებენ. საკუთრივ დროის ზმნიზედები მრავალფეროვანია როგორც შინაარსობრივად, ასევე სტრუქტურულად. ძირითადად მარტივი და რთული სტრუქტურის მქონე ზმნიზედებია წარმოდგენილი, თუმცა თითოეული ჯგუფის შიგნით გვაქვს თემატური და სტრუქტურული ქვესახეობები.

შინაარსობრივად დროის ზმნიზედები შეიძლება დავაჯგუფოთ ასე: **დროის კონკრეტული მონაკვეთის აღმნიშვნელი ზმნიზედები** და **დროის მიმართებითი ზმნიზედები**.

დროის კონკრეტული მონაკვეთები ციკლურია, ანუ გამოხატულია დღე-ღამისა და წლიური მონაკვეთები:

დღეს, გუშინ, ხვალ, გუშინწინ, ზეგ, მასზეგ...

დილას, შუადღეს, საღამოს, ღამე...

წელს, შარშან, გაისად, მერმისად...

მეგრულსა და ლაზურში შესაბამისი ლექსიკა საინტერესოა, როგორც საერთო მასალის მიხედვით, ასევე სემანტიკური გადააზრების კუთხითაც.

მეგრულში დღე-ღამის მონაკვეთების აღმნიშვნელი ზმნიზედებიდან მარტივი სტრუქტურის მქონედ მიიჩნევა:

გოლა/გოღვა „გუშინ“:

გოლა თექი ვორდი, ამუდლა აშო ქჷმობრთი (ქხს, 2, 36) „გუშინ იქ ვიყავი დღეს აქეთ მოვედი“, **გოღვა** მორთჷ ოგურაფუშე (ლომაია, 2006, 75) „გუშინ მოვიდა სასწავლებლიდან“...

ი. ყიფშიძე ამ ფუძეს უკავშირებს ქართულ **ძოდან** ფუძეს [ყიფშიძე, 1994, 423], რასაც არ იზიარებს გ. როგავა, რომლის აზრითაც **გოლა** ***გოდლა**-საგან ჩანს მიღებული. მსგავსი სტრუქტურისაა **გედღანი>გედანი** „ზეგ“, რომლის ამოსავალი ფორმა ლაზურში დასტურდება **გენღანი** [როგავა, 1973, 135].

აღსანიშნავია, რომ ორივე ამოსავალ ფორმას ერთნაირი სტრუქტურა უნდა ჰქონოდა: გე-ნ-დღ-ან, *გო-დღ-ან, სადაც ლექსიკურ მორფემას **დღა>დღ** ერთვის დეტერმინანტი **-ან** სუფიქსი (შდრ. ლაზ. ლომან/ლომა და მეგრ. ღუმა), ხოლო თავში, სავარაუდოდ, სივრცული მიმართების აღმნიშვნელი ელემენტი წარმოდგენილი: **გენდღანი** ზედმიწევნით შეიძლება ითარგმნოს, როგორც „ზე-დღე“, ხოლო ***გოდღა** როგორც – უკუ-დღე.

ზემოთ წარმოდგენილი დროული და სივრცული მსჯელობის თანახმად, ჰორიზონტალურ ღერძზე მოძრავი დროითი წერტილი იქნება ნეიტრალური სემანტიკის ლექსემა **ამდღა** „დღეს“, ხოლო ამ წერტილის მოძრაობის წინა სივრცე **გედღანი** „ზედღე“ იქნება, ხოლო უკან მოტოვებული სივრცე გოლა<*გოდღან „უკანადღე“ იქნება.

აღსანიშნავია, რომ **გე-** ზმნისწინი მეგრულ-ლაზურში „ზევით“ მიმართულებას გამოხატავს: **გეჩანს** „ზე-დგას“, გერე „ზე-დგას“, **გეურს** „ამოვა, აღმოცენდება“.

გო- ზმნისწინი „ირგვლივ, გარშემო“ სემანტიკის მქონეა: **გოუნს** „გარს უვლის“.

ლაზურში „გუშინ“ მნიშვნელობით გამოიყენება **ლომა/ლომან** ზმნიზედა, რომლის მეგრული შესატყვისი **ღუმა** „წუხელ“ მნიშვნელობისაა:

ლომან ოხორის ფხეტი-ში... (ჩიქობ., I, 475,2) „გუშინ შინ რომ ვიჯექი...“, **ლომა** ორა ბინი ტუ (ჩიქობ., II, 244, 22) „გუშინ ციოდა (ცივი ამინდი იყო)...

არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ ამოსავალი მნიშვნელობა „წუხელ, ღამე“ იყო ლაზურშიც, თუმცა შემდგომ გადააზრიანდა „წინა დღის“ მნიშვნელობით და შესაბამისად „წუხელ“ სემანტიკის გადმოსაცემად ლაზურში გაჩნდა **ლომაძგი** ზმნიზედა: **ლომაძგი** ჯუმაღეფე ჩქიმი მზოღაშა იდერეტეს „წუხელ ჩემი ძმები (სათევზაოდ) ზღვაზე წასულიყვნენ“ [ჩიქობავა, 2008, 204]. აღსანიშნავია, რომ **ლომაძგი** მეგრულში წარმოდგენილია **ღუმენჯი/ღუმანჯი** ფორმებით და ნიშნავს „გუშინ საღამოს“. ფორმაწარმოების თვალსაზრისით **-ძგი/-ნჯი** ელემენტი იგივე ოდენობა უნდა იყოს, რაც გვაქვს ლაზურ ზმნიზედაში **ღუმჯიას/ღუმჯის/ღიმჯის/ღიმჯიმ** „საღამოს“. **მ** და **ნ** ფონეტიკური ჩანართებია, ხოლო **ჯ** იგივე ძირი უნდა იყოს, რაც **ჯ**-ან-ს, **ჯ**-ირ -ში – „წევს“, „ძილი“ – გვაქვს [ჩიქობავა, 2008, 203].

მეგრულსა და ლაზურში „ხვალ“ მნიშვნელობის ზმნიზედური ფუძეა **ჭუმ-ე** შესაბამისი ფონეტიკური ვარიანტებით:

მეგრულში გვაქვს **ჭუმე/ჭუმან/ჭუმანი**:

ამდღა – სქანი, **ჭუმან** – შხვაში (ქს, I, გვ. 83) „დღეს – შენი, ხვალ – სხვისი“, ამდღარიში უჯგუში **ჭუმანი** რე (ყიფშ. 56) „დღევანდელზე უკეთესია ხვალ“.

ლაზურში დასტურდება: **ჭუმანი/ჭუმენ/ჭუმე**:

ჭუმენ თიკანი სქანი ქოჰკომათ! (ჩიქობ., I, 402, 2) „ხვალ შენი ბატკანი შევჭამოთ“, **ჭუმე** ბელქი კაი ორა იძვასენ (ჩიქობ., II, 244, 12) „ხვალ ეგების კაი ამინდი იქნეს“, **ჭუმანი** ლიმჯი მეფთარე (ჩიქობ., II, 1, 11) „ხვალ საღამოს მივალ“...

ლაზურში **ან** და **ენ** დეტერმინანტი სუფიქსით გარჩეულია ორი მნიშვნელობა: **ჭუმან** „დილას“ აღნიშნავს, ხოლო **ჭუმენ** „ ხვალეს“, თუმცა ეს გადააზრება მეორეულია, არც თუ იშვიათად **ჭუმან** ფორმა „ხვალე“-საც აღნიშნავს, მაგ. ათინური გამოთქმა **ჭუმანი ჭუმანიშე** „ხვალ დილიდან“ [ჩიქობავა, 2008, 202].

ზემოთ უკვე ვახსენეთ „ზეგ“ ზმნიზედა, რომლის ფონეტიკური ვარიანტებია მეგრულში **გედან/გედანი/გიღანი**, ლაზურში – **გენდღანი/ჯენდღანი**:

მეურს ე ბაღანა ამდღა, ჭუმე, გელანი (ხუბ., 53) „მიდის ეს ბავშვი დღეს, ხვალ, ზეგ“, თაქ გჷვორჩქინა ჭუმე ონჯუაშე გელან ორდოშა (ხუბ., 16) „აქ გავაჩენ ხვალ საღამოდან ზეგ დილამდე“...

გენდლანი ჯამეს მუეზინი ვიყვამინონ-და! (ჩიქობ., 2008/1, 403) „ზეგ ჯამეში მუეძინი უნდა ვიყო“, ჯენდლანი ვა მემალას ნა, ჰიმალთი დღას მეჭთარე (ჩიქობ., 2008/1, 337) „ზეგ თუ ვერ მივალ, მომდევენო დღეს მივალ“...

მეგრულში მარტივი ფუძეა ზმნიზედა წი/წჷ/წუ „წელს“:

გოწოს ვხარენდი, ვიტანჯებუქ წი „ შარშან ვხარობდი, ვიტანჯები წელს“, წი ქოთომი ვაპუნს (ქხს,1,226) „წელს ქათამი არ მყავს“.

ლაზურში იგივე ფუძე ჩანს კომპოზიტურ წარმოებაში ჰამწო „წელს“, სადაც ჰამ „ეს“ ჩვენებითი ნაცვალსახელური და წო-წუ სახელური ფუძეებია შეერთებული:

ჰამწოში დიდო მხვავა რტუ (ჩიქობ., 2008/1, 344) „წელს ძალიან ცხელი (სიცხე) იყო“.

წო ფუძე გვაქვს გოწო/გოწოს „შარშან“ ფორმებშიც:

გოწოს ბაბა ჩქიმი აქ მოხთერეტუ (ჩიქობ., 2008/1, 539) „შარშან მამაჩემი აქ მოსულიყო“, გოწო კიში დიდო ზინი რტუ (ჩიქობ., II, 111, 13) „შარშან ზამთარში დიდი სიცხე იყო“...

სავარაუდოდ, მიცემითი ბრუნვისნიშნიანი ფორმა მეორეულია. მეგრულში მხოლოდ ასე დასტურდება:

გოწოს/გოწოსჷ „შარშან“: ბირა ირჩილედეუ გოწოს დო გოწოხ (ქაჯაია, 2002, I, 404) „სიმღერა ისმოდა შარშან და შარშანწინ“...

საყურადღებოა ეს ფორმები, რამდენადაც აქაც გამოიყოფა გო ელემენტი: გო-წო-გო-წუ მსგავსად გოლა-გო-დღა ფორმისა. ამის საპირწონედ შეიძლება განვიხილოთ გეწანას „გაისის მომავალ წელს“, ზედმიწევნით „ზე-წელს“.

წლების დროული ციკლის აღქმაც სივრცულია: ჰორიზონტალურ ღერძზე მოძრავი წერტილი არის ფორმა წი-წო „წელს“, რომლის უკანა სივრცე იქნება გოწოს „შარშან“, ხოლო წინა სივრცე – გეწანას, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა შესაძლოა ყოფილიყო „გაიასად“, მაგრამ წო-ს პარალელური ფორმა წანა მიცემითის ფორმით გადააზრებულ იქნა როგორც „მომავალი წელი“ და წანას „მომავალ წელს“ დამკვიდრდა მეგრულსა და ლაზურში სათანადო მნიშვნელობით,

ლაზ. :

სუმ წანას ბარაბერ დოსქიდეს (ქდ., 87, 35) „სამ წელს ერთად დარჩენენ“,

მეგრ.:

წი ქოთომი ვაპუნსუ დო წანას ქუმუმაკითხე (ქხს, 1, 226) „წელს ქათამი არ მყავს და გაისად მომაკითხე“.

ვფიქრობთ, გე და გო ელემენტებით დღე-ღამის და წლიური ციკლების მონაკვეთების აღნიშვნა მეგრულ-ლაზურის საერთო ენობრივი მოდელია, რითაც ის განსხვავდება დანარჩენი ქართველური ენებისგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიცემითი ბრუნვის ნიშნიანი ფორმები ზმნიზედებად ჩვეულებრივია მეგრულისა და ლაზურისათვის. უნდა ითქვას, რომ ეს ზმნიზედები ფუძეების მიხედვით განსხვავებული სტრუქტურის მქონეა.

გვაქვს: მარტივფუძიანები, პრეფიქსული ან პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ფუძეებიანი, მასდარული ფუძეებით.

მეგრულში **მარტივფუძიანი ფორმებია:**

დღას/დღასჷ „დღეს“. ეს ზმნიზედა მსაზღვრელთან ერთად არის წარმოდგენილი: მაჟირა **დღას** ორზოლამო მიდართჷ (ყიფშ., 217, 9) „მეორე დღეს საგზლითურთ წავიდა“, თიმ **დღას** დიარა ოკო გეგმუნწყუათჷ (ყიფშ., 295, 27) „იმ დღეს ქეიფი უნდა გავმართოთ“. დამოუკიდებლად ხმარებისას უარყოფით მნიშვნელობას იძენს: დღას ონჯღორე ვა უძირჷ „არასდროს სირცხვილი არ უნახავს“, დღასი მისი გუგონებუ „ვინმეს ოდესმე გაუგონია...“ (ლომაია, 2006, 84).

სერს „ღამე, ღამით“. ეს ზმნიზედა დამოუკიდებლადაც იხმარება და მსაზღვრელთან ერთადაც: **სერს** მუშა მიშით „ღამე რისთვის მიდიოდით“, ართ **სერს** აკოხვადეს ართიანს „ერთ ღამეს შეხვდნენ ერთმანეთს“.

შეიძლება მოქმედებითი ბრუნვის ნიშნითაც შეგვხვდეს: სერით მუს გულურთ „ღამით რას დადიხართ“.

ლაზურშიც „დღეს“ მნიშვნელობის ზმნიზედაა **დღას/ნდღას**, რომელიც მეგრულის მსგავსად მსაზღვრელთან ერთად დასტურდება:

არ **დღას** ოჭკომალე ვარ უღუტესდორენ (ჩიქობ., II, 11, 17) „ერთ დღეს საჭმელი არ ჰქონიათ“, სუმ **ნდღას** იმგარან (ჩიქობ., 2008/1, 540) „სამ დღეს ტირიან“.

ლაზურში **ღღა** ფუძისგან ნაწარმოები ზმნიზედებია: **მდღურა/ნდღურა/მდღუა/მდღოა/მდღორა/ნდღორა** „წელან“ :

ნდღურა ამუს ვა მეჩუ ქიჭიტი (ჩიქობ., II, 263, 7) „წელან ამას არ მისცა ასანთი“, მდღოათი ჰაშო მიღუტუ-ია? (ჩიქობ., II, 266, 33) „წელანაც ასე მქონდაო?“...

მეგრულის მსგავსად „ღამეს“ ნიშნავს **სერს/სერის/სეის** ფორმები მსაზღვრელთან ერთად:

სუმ ღღა დო სუმ **სერის**... დიდი ბაირამი დოვეს (ჟღ., 83, 26) „სამი დღე და სამ ღამეს ... დიდი ბაირამობა გამართეს“, ჰეჟ ქობორტით არ **სეის** (ჩიქობ., II, 53, 26) „იქ ვიყავით ერთი ღამე“...

ლაზურში ეს ზმნიზედა ფუძის სახითაც გამოიყენება:

სერ ოხორჯაჟ ხჩე დოლოქუნი ქოდილიქუნუ (ჩიქობ., I, 41, 34) „ღამით ცოლმა თეთრი ტანსაცმელი ჩაიცვა“...

ასევე – სახელობითი ბრუნვის ფორმით:

სერი მენდახთუ (ჟღ., 31,30) „ღამით წავიდა“, **სეი** მსქვეი ქომოხთუ (კარტ., 1968, 161, 4) „ღამე ირემი მოვიდა“...

პრეფიქსული წარმოების ფუძეები მიცემითი ბრუნვის ფორმით დასტურდება მეგრულსა და ლაზურში ასევე დღის მონაკვეთების აღმნიშვნელ ზმნიზედებში, ძირითადად ესაა ო-პრეფიქსით ნაწარმოები ფუძეები, თუმცა შეიძლება სუფიქსიც იყოს წარმოდგენილი.

მეგრული **ოჭუმარეს/ოჭმარეს/ოჭმარესჷ** „დილას“ ზმნიზედაში **ჭუმ** ძირს ერთვის ო-პრეფიქსი და -არე სუფიქსი. თუმცა ლაზურში ეს ზმნიზედა წარმოდგენილია უსუფიქსოდ: **ოჭუმე**, შდრ, ჭუმე<ჭუმენ, თანაც მიცემითის ნიშნის გარეშე.

მეგრული **ონდღეს/ონდღესჷ** „შუადღეს, შუადღეზე“ ზმნიზედას ლაზურში უკვე პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ფორმა შეესატყვისება: **ონდღერის/ონდღეის**, ამჯერად

-ერ სუფიქსი გვაქვს, შდრ. მეგრ. **ჭუმენერი/ჭუმანერი** „ხვალინდელი“ . მაგრამ -ერ სუფიქსი მეგრულშიც დაჩნდება ფორმაში **ნაონდლერს** „ნაშუადღევს“. სავარაუდოდ, **ო-ნ-დღ-ე** ფორმაში ე დაბოლოება -ერ სუფიქსის ნაშთია. მეგრულში პარალელურად დასტურდება **ნაონდლუს** ფორმაც (ქაჯაია, II, 360).

პრეფიქსულ-სუფიქსური წარმოების ჩანს მეგრული **ონჯუას/ოინჯუას/ონჯუვასჲ/ონიჯუას** „საღამოს, საღამოზე“. ლაზურში მას შეესატყვისება **ლუმჯიას/ლუმჯის/ლიმჯის/ლიმჯიმ** „საღამოს“. არნ. ჩიქობავას აზრით, „თავსართები **ლუ-/ო-** ფუნქციით შეესატყვისებიან ერთმანეთს“... ძირად გამოიყოფა **ჯ**, რაც **ჯან-, ჯირ-** ფუძეებში გვაქვს წოლის და ძილის მნიშვნელობით. **ლუმჯი/ლიმჯი** და **ონჯუა** იგივეა, რაც „ძილის დრო“, სამინებელი დრო“ [ჩიქობავა, 2008, 203].

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა დეტერმინანტი სუფიქსის მიუხედავად, საერთო მოდელი გვაქვს, რაც გულისხმობს **ო-** პრეფიქსიანი ფორმების გამოყენებას ზმნიზედებად. **სა-ღამ-ო** სიტყვაწარმოების ქართული მოდელის შესატყვისია **ო-ნ-ჯ-უა**, ოღონდ ეს მოდელი, ქართულისგან განსხვავებით, განზოგადებულია დღის მონაკვეთების აღმნიშვნელ ლექსემებში.

ყურადღებას იქცევს **ონჯუა** და **ლუმჯი** ფუძეებისგან ნაწარმოები ზმნისართები.

ესაა ზმნისწინებით გაფორმებული ფორმები. მეგრულში, ერთი მხრივ, გვაქვს **ოკონჯუას/აკონჯუას/გაკონჯუას** „მოსაღამოვებულზე“ და მეორე მხრივ, **გეონჯუეთ/მოონჯუეთ** „საღამო ხანს, მისაღამოვებულზე“.

ამავე ფუძეს უკავშირდება **მაინჯეთ** „საღამოს“ ზმნიზედაც.

ლაზურშიც გვაქვს ზმნისწინიანი ფორმა **ოკოლუმჯუს** „მოსაღამოვებულზე“. ფაქტობრივად, ესაა მიმდებარე წარმოების ფორმები, რომელთა ზმნური ამოსავალი ფორმები, თავის მხრივ, სახელური წარმოებისაა: **ონჯუა** „საღამო“ > **ეკონჯუანს** „საღამოვდება“.

მეგრულ-ლაზურში გვაქვს ზმნური (მასდარული) წარმომავლობის ზმნიზედაც. ასეთია მეგრული **გოთანას/აგოთანას/მოგოთანეს** „გამთენიისას, ალიონზე“, ლაზური **გონთანას** „გამთენიისას“. აქაც ზმნისწინიანი ფორმებია წარმოდგენილი. ამავე მნიშვნელობით მეგრულში გამოიყენება სახელური ფუძე **ღიუს** „გამთენიისას“.

ანტონიმური მნიშვნელობისაა მეგრულში მასდარული წარმოების ზმნიზედა **გილართას/გილართეს** „დაბინდებისას“. ეს ფორმა გვაქვს შესიტყვებაში **გილართა ბორჯის** „შებინდების ჟამს“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დროის ზმნიზედების მეორე ლექსიკური ჯგუფი **მიმართებითი, რეფლექსური** შინაარსისაა. ესაა ზმნიზედები, რომლებიც ახასიათებენ დროს მოქმედებასთან მიმართებით, ანუ საკუთრივ დრო კი არ აღინიშნება, არამედ მოქმედება დროში.

მეგრულში მარტივფუძიანი ფორმებია: **ხეთე/ხათე** „უცებ, მაშინვე“: რაშიქ **ხეთე** ქიჩინჲ მუში მიხჯე (ხუბ., 98, 35) „ცხენმა მაშინვე იცნო თავისი პატრონი“, დიდა დო მუმაქ **ხათე** გიორგი იკითხუ (ხუბ., 150, 5) „დედ-მამამ მაშინვე გიორგი მოიკითხა“. ი. ყიფშიძეს დადასტურებული აქვს **ხათე** ფორმაც, რომლის ამოსავალი შ. ლომაიას აზრით დაშორებითი ბრუნვის ფორმა **ხათეშე** უნდა იყოს (ლომაია, 2006, 77).

დიო „ჯერ“ ზმნიზედა ასევე დამახასიათებელია მეგრულისთვის:

გვერქ თქუა: **დიო** დუს ქუაჩამუქ დო უკულ შხვასია (ხალხ. სიბრძ., 27, 194)

„გველმა თქვა: ჯერ თავს ვუკბენ და მერე სხვასო“...

ამ ზმნიზედის გვერდით გვაქვს ფორმები **დიორდე/დიოდე**: **დიორდე** ბძირათია თენავა (ხუბ., 146, 19) „ჯერჯერობით ეს ვნახოთ“. ი. ყიფშიძის აზრით რედუპლიკაციის გზით მიღებული ფორმაა **დიორდე <დიო-რ-დიო** [ყიფშიძე, 1994, 431], ხოლო შ. ლომაიას მოსაზრებით, **დიო** დაირთავს **-დე** სუფიქსს [ლომაია, 2006, 78].

ნაცვალსახელური წარმომავლობის ხმოვანთავსართებით გაფორმებული დროის ზმნიზედებია: მეგრულში **ანწი/აწი/აწ** „აწი, ამიერიდან, ამის შემდეგ“:

ანწი მაჟია დუს მითინ ვამნორდგუნსია (ხუბ., 8,24) „აწი მეორე თავს არავინ დაგადგამსო“, **აწ** მუთა მახანძღე მა სქანდავა (ხუბ., 171, 34) „ამიერიდან შენთვის ვერ გავირჯები“.

შეიძლება **-ნე** სუფიქსიც დერთოს: **ანწინე/აწინე/აწინე**. ამ ფორმებში გამოიყოფა წ თანხმოვნური ძირი, რომელიც ქართულ **წ-ი-ნ**, **უ-წ-ი-ნ** და **წარ** ზმნისწინში გვაქვს [ჩიქობავა, 1937, 45].

ა ხმოვანი ელემენტი ნაცვალსახელური დეიქსური წარმომავლობისაა, რასაც ადასტურებს ლაზური ფორმა **ჰაწი/აწი** „აწი, ახლა“, შდრ. **ჰაშო** „ასე“: მა **ჰაწი** თი ჩქიმიშენ გიწვა! (ჩიქ., 2008/1, 263) „მე ახლა ჩემ შესახებ მოგიყვები“, **აწი** ხაჯი ქონოკიდუ (ჩიქ., 2008/1, 271) „ახლა ლობიო დაადგა (დაჰკიდა)“.

ლაზურისთვისაც დამახასიათებელია **აწინე** ფორმა.

მეგრულში წარმოდგენილია **ასე** „ახლა, ამჟამად, ამ მომენტში“ ზმნიზედა, რომელსაც დაერთვის **-დე** სუფიქსი: **ასერდე/ასედე** „ახლახან“ და ოდნავ ცვლის მნიშვნელობას:

ასე გვალო გეერისხჷ ხენწიფექჷ... (ყიფშ., 238, 6) „ახლა მთლად გაბრაზდა ხელმწიფე“, **ასერდე** მუნორთეს ლუდემა „ახლახან შევიდნენ სახლში“ ...

ეს ზმნიზედა არა გვაქვს ლაზურში.

ამავე რიგისა ჩანს მეგრ. **ამარდე** „ახლახან“.

როგორც ადგილის ზმნიზედების ანალიზისას აღვნიშნეთ, დროის გამომხატველიცაა ზმნიზედა **უკული/იკული** „მერე, შემდეგ, ამის შემდეგ“, ლაზურში – **ოკულე/უკულე/აკულე** „მერე, შემდეგ“. აქ გამოიყოფა **კუ-** ძირეული ელემენტი მსგავსად ქართული **უ-კუ-ანა** ფორმისა. მასვე უნდა უკავშირდებოდეს მეგრულში **კინ-**ი „კვლავ“, **კინ-**ობ „წინათ, მას უკან“ ძირებიც [მარი, 1914,112].

ნაცვალსახელური წარმოშობისაა ზმნიზედა **ირო** „მუდამ, მარადის, ყოველთვის“:

მეგრ.:

მუმა ირო ვარე, მარე დიდა თხილანს **ირო** ზედმეტის თეს (ხუბ., 174, 20) „მამა ყოველთვის არ არის, მაგრამ დედა დარაჯობს ყოველთვის ზედმეტად ამას“...

ლაზ.:

იო/ირო... ირ... პანდა მიცინეი ტათ! (ჩიქ., 1998/1, 300) „ყოველთვის... ყველა... ყოველთვის გაცინებული იყავით“...

ირო-ს მნიშვნელობით იხმარება თურქული **პანდა**.

მიმართებითი დროის ზმნიზედები მიცემითის გაქვავებული ფორმებითაც გვხვდება.

მეგრულში იხმარება ზმნიზედა **მერქას** „ჩქარა, წამში, თვალის დახამხამებაში“:

თოლიში მერქას გინიბლით სუკი, ლაკადა დო რხენი (სამუშ., III, 113, 23) „ერთ წამს (,თვალის დახამხამებაში“) გადავიარეთ სერი, გორაკი და დაბლობი“...

ასევე გამოიყენება ქართულიდან ნასესხები ფუძე **მალას/მალასჲ** „მალე, ჩქარა“:
ჰე, ჭარილი, მეუ **მალასჲ** (სამუშ. III, 65, 47-55) „ჰე, წერილო, წადი მალე“...

მამალას „სისწრაფით“ ზმნიზედა თანაბრობითი ხარისხის ფორმა ჩანს, შდრ. **მაჯგირა** „თანა-კარგი“ [ზურაბ., 1957, 144]: ვალიში მამალას ქუმორთჲ (ყიფშ. 275, 6) „ელვის სისწრაფით მოვიდა“.

ასევე ქართულიდანაა ნასესხები **გვიანას** „გვიან“, რომელიც გვხვდება სხვაგვარი გაფორმებითაც: **გვიანო/გვიანაშე**. ამავე მნიშვნელობისაა ლაზურში **ანო** :
დო არ წანა **ანო** გოჩქვი (ასათ., 134, 83-10) „და ერთი წლით გვიან გავუშვი“.

მეგრულსა და ლაზურში გვაქვს **ორდოსჲ, ორდო** ზმნიზედა, რომელსაც მეგრულში აქვს „დილას“ მნიშვნელობა, ხოლო ლაზურში – „ადრე, ჩქარა“ მნიშვნელობა. **ორდო** ქართული **ადრე**-ს ეკვივალენტია [ყიფშიძე, 1994, 294; ჩიქობავა, 2008, 205]:

მეგრ.:

ართი **ორდოს** ოხეს გინილჲ (ყიფშ., 227, 29) „ერთ დილას ეზოდან გავიდა“, სკანიშენ ორდო ქომოხთუ (ჩიქობ., II, 272, 4) „შენზე ადრე მოვიდა“.

მეგრულში ყურადღებას იქცევს **ო- ე** პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილი ზმნიზედა: **ოსოგოთე/ოსოგოთე/ოსოგოთე/ოსოგჲთე/ოსოქთე/ოსოქჲთე** „დღენიადაგ, განუწყვეტლივ, მუდამ“ (ქაჯაია, 2002, II, 450). გამოიყოფა **სოგოთე/სოგიდ/სოქით** ფუძე, რაც **სოდგა/სოდგა** „სადღაც“ ადგილის ზმნისართისეული ფუძე უნდა იყოს [ლომაია, 2006, 89].

მეგრულში მიცემითი ბრუნვის ნიშანი დაერთვის **-ობა** სუფიქსიან სიტყვებსაც: **ათემობას/ემობას** „ამასობაში“, **ვიშონანს** „იქითობისას“, **აშონანს** „აქეთობისას“.

მეგრულსა და ლაზურში დროის ზმნიზედები იწარმოება დაშორებითი, მიმართულებითი, ნაწილობრივ, მიცემითი და მოქმედებითი ბრუნვის ნიშნებით. ზემოთ გადმოცემული ყველა ტიპის დროის ზმნიზედა შეიძლება შეგვხვდეს აღნიშნულ ბრუნვებში.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მეგრულში ბრუნვის ნიშნები ერთვის როგორც ზმნიზედურ ფუძეებს, ასევე მათგან ნაწარმოებ ატრიბუტულ სახელებსაც. მაგალითად, „ხვალიდან“ მნიშვნელობას გვიჩვენებს **ჭუმეშე/ჭუმანშე**, შდრ. **ჭუმე/ჭუმან**, ასევე **ჭუმანერშე/ჭუმენერშე**, სადაც **ჭუმანერი/ჭუმენერი** „ხვალინდელი“ ფუძე ატრიბუტული წარმოებისაა.

ანალოგიური წარმოებისაა: **გოლაშე/გოლანერშე** „გუშინიდან, გუშინდლიდან“, **გელანშე/გელანერშე** „ზეგიდან, ზეგინდლიდან“...

-იან სუფიქსური წარმოების ატრიბუტული ზმნიზედური ფუძე **ანწიანი** „აწინდელი“ დაშორებითი პარალელურ ფორმას გვაძლევს: **ანწშე/ანწინეშე/ანწიანშე** „ამიერიდან, დღეიდან“.

დაშორებითის ფორმითაა წარმოდგენილი დროის ზმნიზედები: **ასეშე** „აქედანვე“, **დიორდეშე** „ჯერ-ჯერობით“, **უკულნეშე** „შემდგომ, მერე“, **ხათეშე/ხეთეშე** „მაშინათვე, მაშინვე“...

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ხშირად დაშორებითბრუნვიანი ფორმა მიცემითის ნიშანსაც დაირთავს: **დიორდეშეს/დიორდეშის**, **უკულნეშეს/უკულნეშის**, **ხეთეშესი**...

ლაზურში ძირითადად ზმნიზედური ფუძეები გვაქვს დაშორებით ბრუნვაში, გამონაკლისია **ლუმჯი**: ერთი მხრივ, დასტურდება **ლუმჯუმე** „დაბინდებიდან“, მეორე მხრივ, ატრიბუტული წარმოების ფუძე: **ლუმჯერიშე** „დაბინდებიდან“; შდრ. **ლუმჯერი** „შებინდებული“.

შ. ლომიას დაკვირვებით, ლაზურში დაშორებითი ბრუნვის ფორმა უფრო ხშირად გამოყენებულია ქართული მიცემითი ბრუნვის მაგივრად: **ჭუმანიშე** გებთუ... დო ქურქი დიჭუ (ჩიქ., II, 45, 29) „დილას ჩავიდა ...და ქურქი შეიკერა“, **ოლუმჯიშე** ბოზოში ბაბა ქომოხთუ (ყდ., 28, 29) „სალამოს გოგოს მამა მოვიდა“.

ასევე -**შე** დაბოლოებამ ზოგიერთ ზმნიზედურ ფუძესთან შეიძლება ვერ აწარმოოს ახალი ზმნისართი: ჰუდ მოხთასერე **ორდოშე** (ჩიქ., II, 21) „ახლა მოვა მალე“, ისეღიით **აწიშენ!** (ჩიქ., I, 39, 9) „ადექით აწი!“

იშვიათად, დაშორებითი ქართული ვითარებითის ნაცვლად გამოიყენება: წანაშე მა მახოშა მოფთარე... (ჩიქ., II, 1,15) „გაისად მე მახოში მოვალ“ [ლომაია, 2006, 100].

მიმართულებითი ბრუნვა ასევე პროდუქტიულია მეგრულში. დაშორებითის მსგავსად აქაც გვაქვს პარარელური ფუძეები: **ჭუმეშა/ჭუმენერშა** „ხვალამდე“, **გოლაშა/გოლანერშა** „გუშინდლამდე“...

ადგილის ზმნიართების მსგავსად, მიმართულებით ბრუნვაში მდგარ დროის ზმნიზედებსაც დაერთვის -**ხ/ხჲ** სუფიქსი: **ონჯუაშა/ონჯუაშახჲ** „სალამომდე“, **ოჭმარეშა/ოჭმარეშახ** „დილამდე“, **ორდოშა/ორდოშახჲ** „დილამდე“...

ხ სუფიქსი გვაქვს **გოწოხ**, შდრ. **გოწოს** „შარშან“ ზმნიზედაშიც, რომელიც ამ სუფიქსს ინარჩუნებს დაშორებით ბრუნვაში: **გოწოხშე/გოწოხონერშე**, შდრ. **გოწოშე/გოწონერშე** „შარშანდლიდან“, ხოლო მიმართულებითი ბრუნვა არ ეწარმოება.

ლაზურშიც ვლინდება ზმნიზედები მიმართულებითის ფორმით, როგორცაა: **ჭუმანიშა/ჭუმანიშაღა** „დილამდე“, **ოლუმჯიაშა** „დაბინდებამდე“, **ონდღერიშა/ონდღეშაქის** „შუადღემდე“, **აწიშა** „აქამდე“.

მეგრულში მოქმედებითი ბრუნვაც აწარმოებს ზმნიზედებს: **სერიტ** „ღამით“, **დღაშიტ** „დღისით“, **ოსერიშეთ/ოსერჲშეთ** „ვახშმობისას“. **სერ-** ფუძე ლაზურშიც დაირთავს მოქმედებითის ნიშანს: **სერიტე** ქოდომინჯირით... (ყდ., 147, 32) „ღამით დავიძინეთ“ [ლომაია, 2006, 102].

ლაზურში ზმნიზედის წარმოების თავისებურებად შეიძლება ჩაითვალოს -**ერ** სუფიქსით ნაწარმოები ფორმა **ნდღალერი/ნდღალეი** „დღისით“:

ფათიშაღ-თი-ქ სერი-**ნდღალერი** ნჯირი ვა იქომს (ჩიქ., 2008/1, 331) „ფადიშაჰსაც არ ძინავს („ძილს არ შვრება“) ღამით თუ დღისით“, ია მა ოხოი ჩქიმის **ნდღალეი** ვა მაძიენ! (ჩიქ., 2008/1, 412) „მას ჩემს სახლში დღისით ვერ ვხედავ („არ შემეძლება ნახვა“)“...

მიმღობური ფორმა **თანური/თანუი** გამოიყენება დროის ზმნიზედად „გათენებულზე“:

თანუი იგზალუ-ში... გზას ქოგოდგინეს [კარტოზ., 185.37] „გათენებულზე რომ იარეს... გზას დაადგენ“.

მეგრულსა და ლაზურში დროის ზმნიზედების საწარმოებლად გამოიყენება კომპოზიცია. **კომპოზიტური წარმოების მოდელები** მრავალფეროვანია. წარმოვადგენთ შ. ლომიას კლასიფიკაციის მიხედვით [ლომაია, 2006, 103-117]. ნაირფუძიანი შეერთების გზით მიღებული ფორმები ასე გამოიყურება:

1. კომპოზიციის ორივე კომპონენტი ზმნიზედაა, შესაბამისად, შეერთებულია მხოლოდ ფუძეები:

მეგრ.: **ამდლა-ჭუმე** „დღეს-ხვალ“, **ჭუმე-გელან** „ხვალ-ზეგ“; ლაზ.: **ჭუმენ-გენდლანი** „ხვალ-ზეგ“;

პირველი ფუძე დგას ნათესაობით ბრუნვაში, მეგრ. **ჭუმემ-გელან** „ზეგ“ (ხვალის ზეგ)“; ხშირად კომპოზიციის ორივე ფუძე ერწყმის ერთმანეთს. ასეთია მეგრულში: **გოლაწო/გოლვაწო** (გოლა „გუმინ“, წო(ხ)“წინ“) „გუმინწინ“, **ლუმანჯი/ლუმანინჯი/ლუმანჯი/ლუმანიჯი** „გუმინ სალამოს“, ლაზურში: **ლომამჯი** „გუმინ სალამოს“, **ლომასერი** „გუმინ ლამით“.

2. ზმნიზედა + არსებითი სახელი მოდელით ნაწარმოებ კომპოზიტებში გვხვდება სახელები **დლა** „დღე“, **სერი** „ღამე“.

ლაზურში საყურადღებოა **ტოქსეი/ტოცხერი/ტოცხეი** „ამას წინათ, წინა დღეებში“ ფორმა, სადაც ნ.მარი **ტოქ/წოქ** ფუძეს უკავშირებს **წოხ** „წინა“ ფუძეს, რომელიც ერწყმის **სერ-** ‘ღამე’ ფუძეს [მარი, 1910, 183].

ბუნებრივი ჩანს **ტოქ** ფუძის დაკავშირება ქართ. **ტოქ**-თან (მე-ტოქ-ე, ტოქ-ობა) და აქედან გამომდინარე, იმის დაშვება, რომ **ტოქ-სერი** არის „წინა ღამე“; შდრ. **მე-ტოქ-ე**, ანუ „წინ მყოფი“.

ამ მოდელში შეიძლება მოვაქციოთ **ბიჩინ-დლა/პიჩინ-დლა** „გუმინწინ“ (ბიჩინ/პიჩინ „გუმინ“) ზმნიზედა. საყურადღებოა ლაზური ზმნიზედა **მეტგენდლანი** „ზეგისზეგ, მასზეგ“.

მეგრულში უფრო მრავალრიცხოვანია ამ მოდელით მიღებული ზმნიზედები: **გოლასერი/გოლვასერი/გოლვასერჲ** „გუმინ სალამოს“, **ლუმასერი/ლუმასერჲ** „წუხელ სალამოს“, **გელანსერი/გელანსერჲ** „ზეგ სალამოს“, **ჭუმსერი/ჭუმსერჲ/ჭუმანსერი** „ხვალ სალამოს“, **დიოდლა/დიოდლარო** „ჯერჯერობით“.

3. პირველ კომპონენტად გამოყენებულია ნაცვალსახელოვანი ფუძეები: მეგრულში **ამ**, **იმ**, ლაზურში **ჰამ**, **ჰიმ**, **ჰემ**. მეგრულში ეს ჩვენებითი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად არ იხმარება განსხვავებით ლაზურისგან, ამიტომაც ლაზურში კომპოზიციის გვერდით შესიტყვებაც გვაქვს.

კომპოზიტური წარმოებისაა: **ჰამდლა/ჰანდლა/ანდლა** „დღეს“, **ჰამსერი/ამსერი/ამსეი** „ამაღამ“.

კომპოზიტთან ერთად შესიტყვებაც გვაქვს: **ჰემ სეის/ჰემსერი**:

ჰეჟ **ჰემ სეის** დოდგითანორე... (კარტ., 1993, 115, 29) „იქ იმ ღამე დამდგარან“, **ჰემსერის** კაი გდარი ქომჩეს (ჩიქ., 2008/1, 291) „იმ სალამოს კარგად გვაჭამეს“.

ლაზურში გვაქვს **ამჭუმანი** „ამ დილას“ ფორმაც. თუმცა ამგვარი ზმნიზედა უფრო მეგრულისთვისაა დამახასიათებელი: **ამჭუანი/ამჭვანი/ამჭუვანი** „ამ დილით“.

შესაძლოა მათზე დაშორებითი და მიმართულებითი ბრუნვის ნიშნების დართვაც: **ამჭუანშე** „ამ დილიდან“, **ამჭუანშა** „ამ დილაამდე“...

მეგრულისთვის ბუნებრივია ფორმები: **ამდლა/ამუდლა/ამჲდლა** „დღეს“ (ზედმიწ.: „ეს დღე“), **ამსერი/ამუსერი/ამჲსერი** „ამ სალამოს“ (ზედმიწ.: „ეს ღამე“), **თიმუსერს/იმუსერსჲ** „იმ ღამეს“ ფორმები კი მიცემითის ნიშანს დაირთავს.

ამავე რიგისაა ფორმები: **ამნინჯი/ამინჯი/ამიჯი** „ამ სალამოს“ (შდრ. ამ „ეს“, ონჯუა „საღამო“).

მეგრულში საყურადღებოა **ამიორს/ამიორც** „არასოდეს, მის დღეში“. **ამარ-** ადგილის ზმნიზედაზე -**დე** სუფიქსის დართვით მიღებული დროის ზმნიზედებია: **ამარდე** „ახლახანს“, **ამარდეშა** „აქამდე“.

4. მეორე კომპონენტად წარმოდგენილია უკუქცევითი ნაცვალსახელი **მუში** „მისი“. მეგრულში **დლა** „დღე“ სახელთან ხდება **მუში** ნაცვალსახელის დაკავშირება, შესაბამისად, გვაქვს: **დლამუშის/დღემუშის** ორი მნიშვნელობით:

1. „მუდამ“, „ყოველთვის“;
2. „არასოდეს“.

გვაქვს შებრუნებული წყობითაც: **მუშდლას** „მუდამ“, ასევე შესიტყვება: **მუშ დლა დო მოსწრებას** „თავის დღე და მოსწრება“. ყურადღებას იპყრობს **სადღემუშოთ** „სამარადისოდ“ ფორმა, რომელიც ქართულ **სამიღღემშიო** ფორმაწარმოებას მოგვაგონებს და შეიძლება განვიხილოთ ქართული და მეგრული კონტამინირებული ვარიანტი (დღე + მუში) [ლომაია, 2006,114-115]. ლაზურში უკუქცევითი ნაცვალსახელით ნაწარმოები კომპოზიტიური ზმნიზედაა **ორა-მუშის** „თავის დროზე“ (ლაზ. ორა „დრო“: ძვ. ქართ. არე).

5. ზოგიერთი ზმნიზედა იწარმოება **ხოლო** ნაწილაკის მეშვეობით. მეგრულში ამგვარი წარმოებისაა ზმნიზედები: **ხათე-ხოლო/ხეთე-ხოლო** „მამინათვე, უცებვე“, **ასე-ხოლო** „ახლავე“, **დიოხოლო** „ჯერ კიდევ“, შებრუნებული მიმდევრობით: **ხოლო-ჟამო** „ახლო-ჟამად“, **ხოლო-ხანო** „ახლო-ხანს“. ლაზურში ამ მოდელითაა მიღებული ფორმები: **ასთახოლო** „ახლავე“, **მანიშახოლო** „მაშინვე, იმ წუთში“.

მეგრულში რედუპლიკაციის რამდენიმე სახე გამოიყოფა:

1. ფუძეუცვლელი (მარტივი) გაორკეცება: **ადრე-ადრე** „ადრე-ადრე“, **ხათე-ხათე/ხეთე-ხეთე** „უცებ, მამინათვე“, **გოშა-გოშა** „ხანდახან“;

2. გაორკეცებით მიღებული ზმნიზედის ორივე კომპონენტი წმინდა ფუძეა, მთლიანად კი ზმნიზედურ მნიშვნელობას სძენს მიცემითი ბრუნვის ნიშნით გაფორმება: **ოჭუმარე-ოჭომურეს** „დილდილობით“, **ონჯუა-ონჯუას** „სადამო-სადამოობით“, **ორდო-ორდოს** „დილდილობით“, **ონდღე-ონდღეს** „შუადღე-შუადღეობით“, **მალა-მალას/მალ-მალას** „მალ-მალე“, **მამალა-მამალას** „სწრაფ-სწრაფად“;

3. გაორკეცებული ფუძის პირველ კომპონენტს დაკარგული აქვს ფუძისეული თანხმოვანი: **წაწამს** „წამს წამში“;

4. რედუპლიცირებულ ფუძეს დაერთვის მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი: **სერი-სერი/სერ-სერით** „ღამ-ღამობით“, **დლა-დლათჲ** „დღითი-დღე“, **დლა-დლაშე** „დღე-დღეზე“;

5. რედუპლიცირებულია ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი, მთლიანად კომპოზიტი კი მოქმედებით ბრუნვაშია: **დლაშ-დლაშითჲ** „დღისით“.

მეგრულში მოიპოვება განუსაზღვრელი ნაცვალსახელისგან ნაწარმოები დროის ზმნიზედაც: **კალ-კალეშა/კალ-კალეშახჲ/კალ-კანიშა/კარ-კალეშა** „ზოგჯერ, ხანდახან“.

ნაცვალსახელური წარმოშობისაა ზმნიზედები: **მინშა-მინშა** „ზოგჯერ, ზიგ-ზოგჯერ“, **ნამთინეშა-ნამთინეშა** „ზოგჯერ, ხანდახან“.

ლაზურში რედუპლიკაციის მხოლოდ ერთი სახე დასტურდება – ესაა მარტივი გაორკეცება: **მანი-მანი** „მალ-მალე“, **სერი-სერი/სეი-სეი** „ღამღამობით“, **ორდო-ორდო** „ადრე-ადრე, მალე-მალე, ხშირ-ხშირად“, **ანო-ანო** „გვიან-გვიან“, **ჭიტა-ჭიტა** „ნელ-ნელა“.

III. 1.3. ვითარების ზმნიზედები.

ვითარების ზმნიზედა გამოხატავს მოქმედების როგორობას, ვითარებას და მთავარი კითხვაა როგორ? რანაირად?

მეგრულსა და ლაზურში კითხვითი ვითარების ზმნიზედაა **მუჭო?** „როგორ“, რომელიც ლაზურში ფონეტიკური ვარიანტებითაა წარმოდგენილი: **მუჭო/მუჭე**. ი. ყიფშიძეს ის **მუ** „რა“ ნაცვალსახელის მიმართულეებითი ბრუნვის ფორმისაგან მიღებულად მიაჩნია (**მუშო>მუჭო**) [ყიფშიძე, 1994, 047], თუმცა მეგრულში **მუჭო**-სგან ნაწარმოები კითხვითი ნაცვალსახელიც გვაქვს – **მუჭომი**, რომლის განსხვავებული ახსნაც არსებობს [აბესაძე, 1965,245].

როგორც ჩანს, ეს ზმნიზედა ნაცვალსახელური წარმოშობისაა და ლაზურში მოქმედებითი: **მუჭოთე/მუჭეთე** „როგორ, რანაირად (რით)“ და ნათესაობითი: **მუჭოში** „როგორ, როგორი“ [თანდილავა, 2013] ბრუნვის ფორმებით გვხვდება.

მეგრულში დასტურდება სუფიქსური წარმოების ფორმები: **მუჭოდგა/მუჭოდგია** „როგორმე, ზერელედ, როგორც არ უნდა იყოს“, რომელშიც შესაძლოა იმავე სუფიქს-ნაწილაკების გამოყოფა, როგორც განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებში **მუდგა, მიდგა, მუგიდა** „ვიღაცა“: **მუჭო +დი +გა >მუჭოდგა**.

მეგრულში გამოიყენება ზმნიზედა **მუნერო** „რარიგად, რანაირად, როგორ“, რაც კითხვითი ნაცვალსახელის **მუნერი** ? „როგორი, რანაირი“ ვითარებითი ბრუნვის ფორმაა (იხ. გვ).

საერთო ლექსიკა ჩანს მეგრულსა და ლაზურში **ასე, ისე** ვითარებითი ზმნიზედის სემანტიკური და მასალობრივი კორელატები. მეგრულის ვარიანტებია: **ათაშ(ი)/თაშ(ი)/აშ(ი)** „ასე“, ლაზურის ფორმებია **ჰაშო/აშო** „ასე“.

მეგრულში მარტივი და რთული ფუძეები გვაქვს, რომლებშიც გამოიყოფა **თ** და **შ** ნაცვალსახელური ძირები, შდრ. **ათენა/თენა/ენა** „ეს“ ნაცვალსახელები. **შ** ძირი ქართული ს ძირის ფონეტიკური შესატყვისი ჩანს [გაბუნია, 1993, 48].

ლაზურში წარმოდგენილია მხოლოდ **შ** ძირიანი ფორმა, თუმცა დაბოლოების გამო ის სტრუქტურულად ემთხვევა **აშო** „აქეთ“ ადგილის ზმნიზედას. მეგრულში აშო ადგილის ზმნიზედაა, თუმცა აში/აშ ვარიანტებიც გააჩნია, რაც ასევე ომონიმის საფუძველია. რთულია ამ სემანტიკური გადააზრების ახსნა ამ ზმნიზედურ ფორმებში.

ლაზურში ყურადღებას იქცევს **აშოთენ** „ამნაირად, ამრიგად, ასეთად, ამგვარად“ ერთეული, რომელიც **აშო**-ს მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა. როგორც ჩანს, ლაზური, მეგრულისგან განსხვავებით, ამ ბრუნვის ფორმას ფუნქციურად ათანაბრებდა ვითარებითი ბრუნვის ფორმასთან.

ლაზურში იქითა ორიენტაციის ზმნიზედებია **ჰიშო/ჰეშო/ეშო** „ისე“ **ჰიშოთ/ჰიშოთე/ჰიშოთენ** „ისეთად, იმნაირად“, **ჰიშოთეფე** „ისე“. ეს უკანასკნელი საინტერესოა იმით, რომ მრავლობითის ფორმა აქვს. ლაზურისთვის დამახასიათებელია **ეფე/ფე** ნიშნით ზმნური ფორმებისა და ზმნიზედების გაფორმებაც: **შქალეფე** „შუანები“, **დიდოფე** „ძალიანები“ [ეზუგბაია, 2010, 27-29].

მეგრულში იქითა ორიენტაციის სემანტიკა აქვს **ეთეშ(ი)/თეშ(ი)/ეშ(ი)** „ისე, იმნაირად, ისეთად“ ზმნიზედებს. როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში ამ ზმნიზედებში გამოიყოფა

ხმოვანთავსართები: ლაზურში ჰა/ა და ჰი/ჰე/ე დეიქსისები, ხოლო მეგრულში ა და ე ხმოვანთავსართები. შესაძლოა ეს ელემენტები გახდა წინაპირობა ვითარებისა და ადგილის ზმნიზედების სემანტიკის შეთავსებისა. როგორც ლიტერატურაში აღნიშნულია, ვითარების ზმნიზედებშიც გვაქვს ორწევრა ა – ე/ი სივრცული მიმართება: მთქმელთან ახლოს და შორს. ნაცვალსახელების მსგავსად, ზმნიზედებშიც არ ჩანს მეორე პირი.

წარმოქმნილი ვითარების ზმნიზედები უხვადაა მეგრულში, ზოგი ქართულის გავლენით დამკვიდრებული ფორმებია: **ეგებუ/ეგებ** „ეგებ“, **ითამუ** „ვითომ“, **მალას** „მალე“, **უცბას/უცბაშე** „უცებ“, **უცებო** „უცბად“, **შეწორეთ** „თანასწორად“, **შხირას/ხშირას** „ხშირად“; ზოგიც ქართულის შესატყვისია: **მორძგვას** „მარჯვედ“, **მორძგვიშე** „მარჯვნივ“, **პიჯიგიმე** „პირდაღმა“, **პიჯიეშე** „პირაღმა“...

ლაზურშიც გვაქვს კომპოზიტიური ფორმები: **პიჯამამთე/პიჯამამთი/პიჯიამამთი** „პირაღმა“, **პინწკოპა/პინჭკოპა/პინჭკუპა/პიჭკოპა/პიჭკუპა** „პირდაღმა“, რომლებშიც გამოიყოფა **პიჯი>პიჭ/პინჭ/პინწ** „პირი“ ფუძე, ხოლო **კოპა/კუპა** „კოპ“-თან ჩანს დაკავშირებული, თუმცა **კოპასი** „უკუღმა“ ფორმაც დასტურდება.

ფუძეგაორკეცებით მიღებული ზმნიზედებია: ლაზ. **მანი-მანი** „ხშირად, ჩქარ-ჩქარა“, **ორდო-ორდო** „ჩქარ-ჩქარა“, მეგრ. **იშენ-იშენი** „მაცნადაცნა“, **მუნი-მუნი** „უკუღმა“, **მალ-მალას** „სწრაფად“.

ლაზურში თურქული ნასესხობებიც დასტურდება: **გოა** „ვითომ“, **სანქი||სანქის** „ვითომ“, **ფუზიკური** „პირდაღმა“.

აღსანიშნავია საერთო ლექსიკა ქართულთან: **დიდო** „ძალიან“, **მთელი** „მთლად“. მეგრულში მათი ბადალი ფორმებია: **ძალამ** „ძალიან“, **მთელო**, **მთლიანო** „მთლად“.

ლაზურში ვითარებითი ზმნიზედის წარმოების ერთი საკუთარი მოდელიც დასტურდება. ეს არის მიმდებარე ფუძის რედუქციაცია. კომპოზიტის ორივე ფუძე დგას სახელობით ბრუნვაში. ქართულში მოქმედებითი ბრუნვის ფორმას უტოლდება ფუნქციით, თუმცა ქართულ შესატყვის ზმნიზედებში მასდარული ფუძეებია წარმოდგენილი. აღსანიშნავია ისიც, რომ იშვიათად ლაზურშიც მასდარის რედუქციაციითაც გადმოიცემა ვითარების ზმნიზედა. მაგალითები წარმოდგენილია ირ. ასათიანის „ლაზური ლექსიკონის“ (2012) მიხედვით.

დობერი-დობერი/დობეი - დობეი „დაღვრიტ, დასხმით“: დიციხი წაპინერ-წაპინერის (დ ო ბ ე რ - დ ო ბ ე რ) იგზალუ (ყდ. 107, 27) „სისხლის ღვრით იარა“, დისხიდი დ ო ბ ე ე - დ ო ბ ე ე იგზალუ (დიუმეზ. II 57,50) „სისხლის ღვრით იარა“.

ბანდალერი-ბანდალერი „ბანცალით, ბანცალ-ბანცალით“ შეიძლება გამეორების გარეშეც შეგვხვდეს ზმნიზედის ფუნქციით: თოლი-ქმოი კულანი... ბ ა ნ დ ა ლ ე ი გუიტენ (ასათ., 97, 6) „ბრმა გოგო ბანცალით გაუშვიათ“, ოჭკომეს დო ოშვეზ-მა. ჰემოეფე ბ ა ნ დ ა ლ ე რ ი - ბ ა ნ დ ა ლ ე რ ი ქოდოსქიდეს (ყდ., 55, 5) „ჭამეს და სვესო. ესენი ბანცალ-ბანცალით იდგენ“.

ერთი მხრივ, გვაქვს მასდარული **ობახუ-ობახუთე** „ცემა-ცემით“, „ცემა-ტყეპით“ ფორმა, მეორე მხრივ, მიმდებარე წარმოება **ბახერი-ბახერი/ბახეი-ბახეი** „ცემა-ტყეპით, ცემა-ცემით“. ბ ა ხ ე ი - ბ ა ხ ე ი მეტკოჩუ გალე (კარტოზ., 21, 15) „ცემა-ცემით მოისროლა გარეთ“.

ბგარინე[რი]-ბგარინე[რი]/მგარინე[რი]-მგარინე[რი]/ზგაინეი-ზგაინეი/ზგაინე-ზგაინეი „ტირილ-ტირილით“: ბოზო ბგაინეი-ზგაინეი ნულუნ (ყდ., 63,8) „გოგო ტირილ-ტირილით მიდის“, ზავალლი ბოზო ზგაინე-ზგაინეი (-ზგარინერი...) გზას ქოგედგითუ (დიუმეზ., II.80.25) „გოგო ტირილით გზას დაადგა“, დოღურედერენ... დიდო იმგარეს... მგარინეი-მგარინერი სერი დოთანუ... (ჩიქოზ., I.130,9) „მომკვდარა... ძალიანდაიტირეს... ტირილ-ტირილით გათენდა ღამე“.

აღსანიშნავია, რომ მოქმედებითი გვარის მიმდებარე შეიძლება ზმნიზედის ფუნქციით შეგვხვდეს: **გომგარელი** 1. „მტირალი“, 2. „ტირილ-ტირილით“: მან მუნდემა გომგარელი გოფთა (ჩიქობ., II.142,7) „მე იქამდე ტირილ-ტირილით მივიდე“;

ნგიბონერ-ნგიბონერი-ი „გორვა-გორვით“: ეკულე ნგიბონერ-ნგიბონერი დალიმა ქაგებთერეტუ (სარგ. მასალ.) „მერე გორვა-გორვით დელეში ჩავარდნილიყო“.

ოგორუ-ოგორუთენ „მებნა-მებნით“: ოგორუ-ოგორუთენ... სინი იფშუ ოჭკომალეთი (ყიფშ., 10.17) „მებნა-მებნით თეფში აივსო საჭმელით“;

ზდერი-ზდერი/ზდეი-ზდეი „მოზიდვა-მოზიდვით“, „მოქნევით“: ხოპე ზდეი-ზდეი... იგზალეს (ჩიქობ., I. 126.32) „ბარის ქნევით იარეს“;

თირთინერი-თირთინერი/თირთინეა-თირთინეა „თრთოლა-თრთოლით“: ნთხა-ზოზო თირთინეა-თირთინეა დოღურუ (დიუმეზ., II. 7.78) „გოგო თრთოლა-თრთოლით მოკვდა“

თოფალერი-თოფალერი/თოფალეი-თოფალეი „კოჭლობით“: ეისელი დო თოფალეი-თოფალეი, ბიგა ბამგეი-ბამგეი... ვიგზალი (სარგ. მასალ.) „ავდექი და კოჭლობით, კეტზე დაბჯენით... წავედი“;

კაპინერი „სირბილით“ მთუთი მულუნ კაპინერი (ყიფშ., 37,31) „დათვი მოდის სირბილით“, დოლოქინუ ეფხდუ დო კაპინეი ოხოიმა იგზალუ (ჩიქობ., I. 18,19) „ტანსაცმელი აიღო და სირბილით სახლში წავიდა“;

კაპინერი-კაპინერი „სირბილ-სირბილით“: ჭუკარა კაპინერ-კაპინერი ნულუნ ხელინერი (ჟღ., 54,1) „ღარიბი სირბილ-სირბილით მოდის...“ ნოღამისა კაპინერი-კაპინერი ნოღამე მუშიმა მეხთუ (ჟღ., 15,27) „სარძლო სირბილით მივიდა თავის საქმროსთან“.

ეწანკაპინერი-ეწანკაპინერი „ხტუნვა-ხტუნვით“: ეწანკაპინერი-ეწანკაპინერი ნულუნ (ასათ., 102.130) „ხტუნვა-ხტუნვით მიდის“;

კვანდინერი-კვანდინერი/კვანდინეი-კვანდინეი „თხოვნა-თხოვნით“: კვანდინეი-კვანდინეი ია შეჰერის გოხთუ (კარტოზ., 24.15) „თხოვნა-თხოვნით ის შეჰერში ჩავიდა“;

კუსინერ-კუსინერი „კვნესა-კვნესით“: ბადი კუსინერ-კუსინერი ნულუნ ოხოიმა (ჟღ., 59.2) „მოხუცი კვნეს-კვნესით მიდის სახლში“ .

III. 1.4. ზომა-ოდენობის ზმნიზედები.

ამ სემანტიკის ზმნიზედებსაც აქვს კავშირი ნაცვალსახელურ ფუძეებთან. მეგრულში ზომა-ოდენობის კითხვითი ნაცვალსახელების ნათესაობითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმები კონტექსტურად ზმნისართებია: **მუ ზომაშა?** „რა ზომით“, **მუსხიშა?** „რამდენად“, **მუშა?** „რამდენად“. ლაზურში ანალოგიური წარმოების ფორმები არ ჩანს, ანუ ნაცვალსახელები **ნაკო/მუკო** „რამდენი“ ზმნიზედის ფუნქციით არ დასტურდება. ამ მნიშვნელობით გამოიყენება თურქულიდან ნასესხები სიტყვა **კაჩე** „რამდენად“, თუმცა არქაბულში დამოწმებულია **ნაკოთირენ** „უფროდა-უფრო“, „მეტისმეტად“ (ნენაფუნა, 2007, 616).

მეგრულში ნაცვალსახელური წამომობის ზმნიზედებია: **ათიზომაშა/თეზომაშა** „ამზომამდე“, **ეთიზომაშა/თიზომაშა** „იმზომამდე“, რომლებიც კომპოზიტური წარმოებისაა და შედგება ჩვენებითი ნაცვალსახელური ფუძისა **ათი/თე**, **ეთი/თი** და სახელური **ზომა** „ზომა“ ფუძისაგან. ეს ზმნიზედები მიმართულებითი ბრუნვის გაქვავებული ფორმებია.

მეგრულში გამოიყენება **გვერდ-** „ნახევარი“ ფუძისგან მიღებული ფორმები: **გვერდო, ოგვერდალო** „ნახევრად“. პირველი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოებია, მეორე – **ო-ალ** კონფიქსით.

ეს ფუძე ლაზურისთვისაც ჩვეულებრივია. იშვიათად **გვერდი** ზმნიზედის ფუნქციითაც გვხვდება: **გვერდი** „ნახევარი“: გვერდი მშქომნეჲ დუტალამტუ „ნახევარ მშიერს ტოვებდა“ (დიუმეზ., IV 80).

საინტერესოა **გვერდახა** ფორმა ა.თანდილავას ლექსიკონში „ნახევრის“ მნიშვნელობით, თუმცა არ გამოვრიცხავთ **-ხ** სუფიქსის გამოყოფას, რაც რიგობით-ჯერობის მნიშვნელობის მაწარმოებელია: **გვერდახა** „ნახევარჯერ“. მართალია, ეს სუფიქსი მეგრულისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ ნ. მარი მას ლაზურშიც ადასტურებს, როგორც დაშორებითი ბრუნვის **-ხ/-ხა** „-მდე“ თანდებულს [მარი 1910, 36]. შესაძლებელია, **გვერდახა** მიღებულია **გვერდ-შა-ხა** ფორმისაგან ბრუნვის სუფიქსის თანხმობის დაკარგვის გზით.

ლაზურში **დიდო** ზმნისწინი პოლისემიურია და „ბლომად“ მნიშვნელობასაც გამოხატავს.

მეგრულში დასტურდება ქართულიდან შესული ფორმები: **ნარკებო** „ნაკლებად“, **მეტიშმეტო** „მეტისმეტად“, თუმცა საკუთარი ლექსიკაც ჩანს: **უმოსო** „მეტად“, **ჭეთ/ჭიჭეთ** „ცოტად“... აღსანიშნავია ფუძეგაორკვეცებული ფორმები: **ჭიე-ჭიეთ/ჭიჭე-ჭიჭეთ** „ცოტ-ცოტად“, **ჭიჭე-ჭიჭეს** „ცოტ-ცოტას“.

საინტერესოა, რომ ლაზურში ამ ტიპის ზმნიზედებში სახელობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენება. მაგალითად, **ჭიტა-ჭიტა** „ცოტ-ცოტა“ ზმნას განსაზღვრავს შემდეგ მაგალითებში:

ჭიტა-ჭიტა გომაშინენ მუფეე (ყიფშ., 21. 28) „ცოტ-ცოტათი მახსენდება რამეები“; მოგანჭუ-ნა, **ჭიტა-ჭიტა** სინ-თი ქონანჭი (ყიფშ., 14, 22) „რომ მოგხედა, ცოტათი შენც მიხედე/მიაქციე ყურადღება“...

ასევე **მციქა** „მცირე, ცოტა“ ზმნიზედის ფუნქციითაა წინადადებებში:

მციქა ილინკანტას-ში, თოფალი იყვენ, კუჩხე ვა ულუტას-ში, უკუჩხედი იყვენ (ჩიქობ., I. 152,15) „ცოტას რომ ირხევა (კოჭლობს), კოჭლი იქნება, ფეხი რომ არ ექნება, უფეხო იქნება“; გუი **მციქა** გუინდუმეს... (კარტ., 54.37) „გული ცოტათი გაუმაგრდა“; **მციქა** ქომებიპარამითი არ-ჟურ კოჩიკალა (ჩიქობ., II. 55,12) „ცოტა ვისაუბრე ერთ-ორ კაცთან“; ჰაწი რახატი ბორე, დობირახატი **მციქა** (ჩიქობ., II. 24.25) „ახლა დასვენებული ვარ, ცოტა დავისვენე“; **მციქა** დობირდი-შ-კულე, თი ჩქიმიშა ნოსი მოხთუ... „ცოტა რომ გავიზარდე, თავშიც ჭკუა მომივიდა“...

ამგვარი შემთხვევები როგორც მეგრულისთვის, ასევე ქართულისთვისაც დამახასიათებელია.

III. 1.5. რიგობა-ჯერობის ზმნიზედები.

მეგრულში რიგობა-ჯერობის ზმნიზედები წარმოდგენილია მიმართულებითი ბრუნვის ფორმით ან **-ხ** სუფიქსიანი მიმართულებითი ბრუნვით. ძირითადი კითხვაა

მუზმაშა/მუზმაშახ? „რამდენჯერ?“ უნდა ითქვას, რომ ზომა-ოდენობის ზმნიზედისგან განსხვავებით, აქ გვაქვს შეკუმშული ფუძე: **მუზო/უმ-შა >მუზმა-შა?**

ამ გზით მიღწეული ფონეტიკური სხვაობა სემანტიკური დიფერენციაციის საშუალებას იძლევა: ერთი მხრივ, **მუ ზომამა?** „რა ზომამდე, რა ზომით“, მეორე მხრივ, **მუზმაშა?** „რამდენჯერ“. შესაბამისად, რიგობა-ჯერობის ზმნიზედებია: **ათეზმაშა/თეზმაშა/ეზმაშა** „ამდენჯერ“, **ეთიზმაშა/თიზმაშა/იზმაშა** „იმდენჯერ“.

ამ ფორმების პარალელურად მეგრულის სენაკურ-მარტვილურ კილოკავში დასტურდება შეუკუმშავი ფორმები, თუმცა ამ შემთხვევაში აუცილებლად ერთვის **-ხ** სუფიქსი: **ათეზუმმაშახ/ თეზუმმაშახ/ეზუმმაშახ** „ამდენჯერ“, **ეთიზუმმაშახ/თიზუმმაშახ/იზუმმაშახ** „იმდენჯერ“. სავარაუდოდ, **-ხ** სუფიქსი იგივე ოდენობაა, რაც გვაქვს ადგილის ზმნიზედებში: **თეიშახ** „აქამდე“, **სოიშახ** „სანამდე“... ეს მორფემა ქართ. **-მდე** თანდებულის კორელატი ჩანს [გაბუნია, 1993, 91-93].

მეგრულისთვის ბუნებრივია რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელებისაგან ზმნიზედის წარმოება. აქაც გვექნება პარალელური ფორმები: **მასმაშა/მასუმმაშახ** „მესამედ, მესამეჯერ“, **მანთხაშა/მანთხაშახ** „მეოთხედ, მეოთხეჯერ“... **ნასუმორი/ჰ/ნასუმორიშახ** „მესამედად“, **ნავითალი/ჰშა/ ნავითალიშახ** „მეათედად“...

ლაზურში თითქმის არ დასტურდება რიგობა-ჯერობის ზმნიზედები. სავარაუდოდ, **ნაკო** „რამდენი“ ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა ზოგჯერ ითავსებს „რამდენად“ ზმნიზედის ფუნქციას, მაგალითად:

ნოშქე **ნაკოს** გამაჩამ? ნაკო კაპელის გამაჩამ? (ჩიქობ.) „ნახშირს რამდენად ჰყიდი? რამდენ კაპიკად ჰყიდი?“ ჰაია **ნაკოს** გამაჩამ? (ნენაფუნა, 2007,616) „ამას რამდენად ჰყიდი?“

III. 1.6. მიზეზისა და მიზნის ზმნიზედები.

მიზეზისა და მიზნის ზმნიზედის ფუნქციით მეგრულსა და ლაზურში ნაცვალსახელები გამოიყენება. მიზეზის ზმნიზედის კითხვითი ფორმაა **მუშენი?** „რატომ“, რომელსაც ლაზურში ფონეტიკური ვარიანტიც მოეპოვება – **მუშაშენი?** ეს ფორმები კონტექსტის მიხედვით შეიძლება მიზნის სემანტიკისა იყოს – მეგრ.: **მუშენი** შრომენქ „რისთვის შრომობ?“ ლაზ.: „სი **მუშენ** მოხთი?-ია დო კითხესდორენ „შენ რისთვის მოდიო და უკითხავთ (დიუმეზ., IV,26).

როგორც წესი, მიზეზის ზმნიზედებიც მიუთითებენ სივრცულ ორიენტაციას. ეს ბუნებრივია ნაცვალსახელური ფორმებისთვის:

მეგრ.: **ათეშენი/თეშენი/ეშენი** „აი, ამიტომ, ამისთვის“, **ეთიშენი/თიშენი/იშენი** „აი იმიტომ, იმისთვის“;

ლაზ.: **ჰამუშენი/ამუშენი** „ამიტომ, ამისთვის“, **ემუშენი** „იმიტომ, იმისთვის“.

ცხადია, კონტექსტის მიხედვით ამ ფორმებს მიზნის ზმნიზედის გამოხატვაც შეუძლია.

მიზეზის ზმნიზედებს შორის მეგრულისთვის დამახასიათებელია ქართულისებურ-რი შესიტყვება: **მუშ(ი) გურშენი/გურიშენი?** „რისი გულისთვის“. შესაბამისად, გვექნება: **ათეშ(ი)/თეშ (ი)/ეშ(ი) გურიშენი/გურშენი** „ამის გულისთვის“, **ეთიშ(ი)/თიშ(ი)/იშ(ი) გურიშენი/გურშენი** „იმის გულისთვის“.

საინტერესოა, რატომ არ გვაქვს მეგრულში საკუთრივ მიზეზის ზმნიზედა, როგორც ეს ქართულშია (რატომ? ამიტომ, იმიტომ) და ლაზურშიც დასტურდება, კერძოდ, კითხვითი ზმნიზედა **მო/მოთ/მუთ?** „რატომ“:

მო ჭარუმ „რატომ წერ?“ **მო** მეჩამ „რატომ მიეცი?“ სი ჯევაბი **მო** ვა მომჩამ? „რატომ არ მაძლევ პასუხს?“ (მარი, 1910,168); მა **მოთ** ამიგდეფ (თანდ., 2013,12) „მე მასხრად რატომ მიგდეფ?“ აშო უსულა **მოთ** ულურ? (თანდ., 2013,59) „ასე ნელა რატომ მიდიხარ?“ ბადიკატუსთერი **მოთ** გულურ? (თანდ., 2013,69) „ხნიერ კატასავით რატომ დადიხარ?“...

როგორც ჩანს, მიზეზის ზმნიზედათა ნაცვალსახელური სისტემით სრული ჩანაცვლება მოხდა მეგრულში, ხოლო ნაწილობრივ ლაზურში. რაც შეეხება მიზნის ზმნიზედებს, აქ ორგვარი ტენდენციაა მეგრულში: ერთი მხრივ, მიზეზის ზმნიზედები ითავსებენ მიზნის ზმნი-ზედის ფუნქციას, მეორე მხრივ, გამოიყენება კუთვნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების ვითარებითი ბრუნვის გაქვავებული ფორმები: **მიშო(თ)?** „ვისთვის“, **მუშო(თ)?** „რისთვის“, **ათეშო(თ)/თეშო(თ)/ემო(თ)** „ამისთვის“, **ეთიშო(თ)/თიშო(თ)/იშო(თ)** „იმისთვის“.

ლაზურისთვის ამგვარი წარმოების ზმნიზედები არაა დამახასიათებელი. ფაქტობრივად, ერთი და იგივე ზმნიზედები გამოხატავენ მოქმედების მიზეზსაც და მიზანსაც, რაც კონტექსტით გაირჩევა.

როგორც ვხედავთ, მიზეზისა და მიზნის ზმნიზედების დამოუკიდებელი წარმოება თითქმის არ დასტურდება მეგრულ-ლაზურში. ამ ფუნქციით ნაცვალსახელური ფორმები გამოიყენება.

III. 1.7. კითხვითი ზმნიზედები.

კითხვითი ფორმები ზმნიზედის ყველა სემანტიკურ ჯგუფს მოეპოვება. მათი სტრუქტურაც განსხვავებულია, თუმცა ნაცვალსახელური წარმომავლობა აქაც დასტურდება. ადგილის ზმნიზედის გარდა, ყველა დანარჩენი **მუ** „რა“ და **მი** „ვინ“ კითხვით ნაცვალსახელს ემყარება. ესენია:

მეგრულში:

მუდოს? /მუდის?	(<მუ დროს?) როდის? რა დროს ?
მუჟამს/მუჟანს?	როდის, რა ჟამს?
მუდოშე/მუდროშე?	რა დროიდან?
მუდროშახ/მუდოშახ?	რა დრომდე?
მუზმა ხანს?	რამდენ ხანს?
მუჭო?	როგორ?
მუნერო?	რანაირად?
მუ ზომიშა?	რა ზომით?
მუსხი?	რამდენი?
მუსხიშა?	რამდენად?
მუშა?	რამდენად?
მუზმაშახ?	რამდენჯერ?

მუშენი?	რატომ, რისთვის?
მიშო(თ)?	ვისთვის?
მუშო(თ)?	რისთვის?
ლაზურის ფორმები:	
მუნდე/მუდეს/მუნდეს/მუნდას?	როდის?
მუნდეშა?	როდემდე?
მუ ვაკიტს? მუ ვახთის? მუ ორას?	როდის, რა დროს?
მუჭო/მუჭე?	როგორ, რანაირად?
მუჭოთე?	როგორ, როგორად?
მუჭოში?	როგორ, როგორი?
ნაკოს?	რამდენად?
მუშენი?	რატომ, რისთვის?
მუაშენი?	რატომ, რისთვის?

ნ. მარის განმარტებით, მუნდას ფორმა თავისი ვარიანტებით მიღებულია მუნ „რა“ ნაცვალსახელისა და დლა „დლე“ სახელის შერწყმით: მუნ დლას>მუნდას [მარი, 1910,70].

ადგილის კითხვითი ზმნიზედა მეგრ. სო/სოდე/სიდე? ლაზ. სო/სოდ/სომ? ქართული სად? ზმნიზედის კანონზომიერი შესატყვისია. მეგრულში ამ ფუძიდან ნაწარმოები კითხვითი ზმნიზედებია: სოლე? სოლეშე? სოურეშე? სოდეშე? სოდეხუშე? „საიდან?“, სოიშა(ხ)? სოშა(ხ)? სოლეშა(ხ)? „სადამდე?“.

ლაზურის ფორმებია: სომერ? სომ ძეის? სოკალა? „სად? რა ადგილას?“, სოლე/სოლა? „საით“, სოშა? სოშაქის? სომეიშა? „სანამდე? სადამდე?“, სოქელე? სოლენ? სოლეშენ? სოლენდო/სოლენდონ? „საიდან?“.

ლაზურში ადგილის კითხვითი ზმნიზედა სხვა ფუძითაც დასტურდება: ნაქ? ნაკონ? (<ნაქ ონ) „სად, საით“, ნაქელე? „საიდან“. ნაქ ფუძე მიღებული ჩანს ნა „რა“ ნაცვალსახელური და ჰაქო/აქო „აქ“ ზმნიზედური ძირების შეერთებით.

III. 2. თანდებული

ცნობილია, რომ მეგრული და ლაზური, ქართულისაგან განსხვავებით, გამოირჩევიან თანდებულთა სიმცირით. ისინი ამ დანაკლისს, ერთი მხრივ, მნიშვნელობით მრავალფეროვან

ზმნისწინთა სისტემით ივსებენ, მეორე მხრივ, ბრუნვათა სისტემით (თანდებულისა და ბრუნვების შესახებ იხ. ზევით).

ზანურში დასტურდება რამდენიმე ერთეული თანდებულისა და ზმნისართები თანდებულის ფუნქციით. მასალობრივად ზმნისწინები, თანდებულები და ზმნისართები საერთო წარმომავლობისაა, თუმცა მეგრულსა და ლაზურში დამოუკიდებლად განვითარებისა და, შესაბამისად, ფონეტიკური ვარიანტების ფუნქციური გადააზრების ფაქტებიც დასტურდება.

განვიხილოთ მეგრული **-წკუმ-ა//წკელ-ა//წკალ-ა** „-თან“ თანდებულის, მაგალითები:

ჩქიმი **წკუმა** ხოლოს ცხოვრენს ჩქიმ ნათესე „ჩემთან ახლოს ცხოვრობს ჩემი ნათესავი“; **სკანწკუმა** მოურქ ჭუმან სტუმარო „შენთან მოვდივარ ხვალ სტუმრად“; **სკანწკელა** ართო ულა მოკო „შენთან ერთად წასვლა მინდა“... **სკანწკელა** ვორდი ღუმენჯ „შენთან ვიყავი სადამოს“; **სკანწკელა** ჟუდეს ვჭუნთ ხაჭაპურს „შენთან სახლში ვაცხობთ ხაჭაპურს“; **სკანწკელა** ართო მიდურქ კინოშა „შენთან ერთად წამოვალ კინოში“...

ეს თანდებული ი. ყიფშიძეს გაუფორმებელი ნათესაობითი ფორმის დართულად მიაჩნდა: კოჩი-**წკალა** „ადამიანთან“, ბირგული-**წკაჷმა** „მუხლთან“ [ყიფშიძე, 1994, 325], ხოლო ვ. თოფურიას მიხედვით, პირვანდელი სახე ამ თანდებულებისა არის **კალა/კელა/კუმა** (ნ-განვითარებულია), სადაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **-შ** ელემენტისა და თანდებულის თავკიდური **კ**-ს შერწყმის შედეგად **შკ** იქცა **წკ**-დ: **კოჩ-იმ-კალა** > **კოჩიწკალა** [თოფურია, 1937, 119-121].

რთული შედგენილობის ამ თანდებულთა წარმომავლობის დადგენა მეგრულის ნიადაგზე ვერ მოხერხდებოდა, რომ არ გვექონოდა სათანადო ეკვივალენტები, შესაბამისად, დიფერენცი-რებული სემანტიკით ლაზურ დიალექტში: ლაზ. **-კულ-ე** „შემდეგ“, **-კელ-ე** „-კენ“, **-კალ-ა** „-თან“, კერძოდ:

-კალა „თან“ დაერთვის ნათესაობით ბრუნვას, რომლის ნიშანიც იკარგება და ამიტომ ეს ბრუნვა სახელობითს ემსგავსება.

მაგალითები:

ბერეფეკალა ოსთერამუს ქოგაგერეტუ (ჩიქ., 2008/1, 441) „ბავშვებთან თამაშს შეჩვეულიყო“; **პატი ბერეფეკალა** მო ისთე (ჩიქ., 2008/1, 441) „ცუდ ბავშვებთან ნუ თამაშობ“; **ჰუქუმეთიში კოჩიკალა** დოსტობა ვა ყვათ-და (ჩიქ., 2008/1, 407) „ხელისუფლების კაცებთან მოყვრობა არ ქნათ“; **ვიგზალათ ჩქინიკალა** კაიდეიშა (კარტ., 1972, 13) „წავიდეთ ჩვენთან ერთად კარგ ადგილზე“... **ქოდინჯირუ ნეკნაკალა** (კარტ., 1972, 14) „დაიძინა კართან“; **მოადგილე სქანიკალა** დულმა ულუტუ (კარტ., 1972, 159) „შენს მოადგილესთან საქმე ჰქონდა“...

-კელე უდრის ქართული **-კენ** („კერძ“) თანდებულს, დაერთვის ნათესაობითსა და დაშორებითს [ჩიქობავა, 2008/1, 83]:

კოჩი რენ ქესერისთერი, მუშიკელე კვათუმს (ჩიქ., I, 305) „კაცი ექოსავითაა, თავისკენ ჭრის“; **ნეკლაკელე** უნკაპუ (კარტ. 1972, 14) „კარისკენ გაიქცა“; **მზოლაკელე** იხი ბარტუ (ჩიქ., 2008/1, 436) „ზღვისკენ ქარი ქროდა“; **ზოლაკელე** ვიწკეტი (ჩიქ., 2008/1, 526). „ზღვისკენ ვიყურებოდი“...

დაშორებითი ბრუნვის ნიმუში: **ჩქიმდეკელე** „ჩემსკენ“, **სქანდეკელე** „შენსკენ“.

-კულე „შემდეგ“ თანდებული ლაზურში მიერთვის როგორც სახელს ნათესაობით ბრუნვაში, ასევე **-ში** „რომ, როცა, როდესაც“ ნაწილაკით გაფორმებულ ზმნასაც.

მაგალითები:

მჩხუ **მჭიმა-შ-კულე** გონცასენ-ი, ვარ მიჩქინ (ჩიქ., I, 74) „მსხვილი წვიმის შემდეგ გადაი-
ღებს თუ არა, არ ვიცი“; არ **დეკიკე-შკულე** თი-მეკვათერი გალე მელუ (ჟდ., 50) „ერთი წუთის
შემდეგ თავმოკვეთილი გარეთ დავარდა“; მა ჯოხო ჩქიმი ოლუმჯიაშე **გაარიშ კულე** ბინჯი-
ტათ-ში, გიწვარე (ჟდ.,16) „მე ჩემი სახელი საღამოს, საჭმლის შემდეგ, დაწოლისას უნდა გი-
თხრა“; გზას **გედგითა-ში-კულე** თელ ბოზოფემ ბაში(რე) (ყიფშ., 23,27) „გზაზე რომ დადგები,
მთელი გოგოების თავი (თვალი) ხარ“; კიცი **გამომჭკვინაფტუ-შკულე** ნოშქერი ეზდუ“ (ყიფშ.,
8,2-3) „კეცს რომ ახურებდა (გამოწვავდა), ნახშირი აიღო“; **გელაჩუშკულე** კავალიქ აშო დიჯო-
ხუ (კარტ., 1972, 31, 25-26) „დაუკრა მერე, საღამურმა ასე დაიძახა“...

ვფიქრობთ, მეგრულის შიგნით არსებული ფორმალური ხასიათის სხვაობები იმის
მანიშნებელი ჩანს, რომ აქაც ლაზურით ისტორიულად **-წკუმ-ა** ნიშნავდა „შემდეგ“-ს, -
წკელ-ა - „-კენ“-ს, ხოლო **-წკალ-ა** - „-თან“-ს, მაგრამ დროთა განმავლობაში ფორმათა შორის
ფუნქციურმა სხვაობამ ნეიტრალიზაცია განიცადა, რაც მნიშვნელობის მხრივ სრული
უნიფიკაციით დასრულდა – ფორმა არსებობს, ფუნქცია კი არ ჩანს. შესაბამისად, მეგრულში
გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემა დამოუკიდებელმა სიტყვებმა იტვირთეს: მეგრ.
უკული „შემდეგ“ (= ლაზ. -კულ-ე), მეგრ. - **ეურე** „-კენ“ (= ლაზ. -კელ-ე).

ხოფურში ფიქსირებულია **-ჭკულე** ფორმა.

მაგალითები:

აწიჭკულე დღას გოგორდუნ (თანდ., 2013) „ამის შემდეგ დღეს აკლდება“; ოთხო დღაჭ-
კულე ქაგაქვეს (ჩიქ., I, 146,30) „ოთხი დღის შემდეგ ჩამოხსნეს“; **ემუშჭკულე** მთუთიქ მა-
მუდის უწუ (ჩიქ., I, 43,4) „იმის შემდეგ დათვმა მამუდს უთხრა“...

-ჭკულე იძლევა გასაღებს მეგრ. **წკ** (-უმ-ა//-ელ-ა//-ალ-ა) კომპლექსის წარმომავლობის
დასადგენად. აღმოჩნდა, რომ თავკიდური **ჭ** სიბილანტი ნათესაობითი ბრუნვის **-იმ** მარკერი-
სეული **-ში** შიშინა სპირანტის აფრიკატიზებული ალოფონია. აფრიკატიზაცია მომდევნო **-კ-**
მკვეთრი ხშულის ასიმილაციური ზეგავლენით განხორციელდა: * **შკულ-ე** -> **ჭკულ-ე**
[ჩიქობავა 2008/1, 190-191]. მეგრულის ვითარება სწორედ ამ მეორეული **-ჭკ-** კომპლექსის
განვითარების მომდევნო საფეხურს ასახავს: ***შკ** -> **ჭკ** -> **წკ**.

სხვა სიტუაციაში თვით ლაზურშიც ანალოგიურად წარიმართა პროცესები.
მხედველობაშია **-სთერ-ი** თანდებულიანი ბრუნვის გენეზისი ლაზურში. ამ უკანასკნელის
ფუნქციურ შესატყვისად ქართულში **-ვით** თანდებულიანი ფორმები გვევლინება: ლაზ. ჩქიმ-
ი-**სთერ-ი** „ჩემსავით/ ჩემისთანა“, კოჩ-ი-**სთერ-ი** „კაცივით/კაცისთანა“...

ნ. მარი თვლიდა, რომ აქ თანდებულად **-თერ-ი** გამოიყოფა, ხოლო წინამავალი **-ს**
მიცემითი ბრუნვის ნიშანია. მარის მიხედვით ფორმალური სეგმენტაცია უნდა მოხდეს
შემდეგნაირად: კოჩ-ს-**თერ-ი**, სადაც კოჩ-ი-ს მიცემითი ბრუნვის ფორმაა, სწორედ მას
ეყრდნობა **-თერ-ი** (= ქართ. -თანა), და არა კოჩ-ის-**თერ-ი** (მარი 1910).

ვფიქრობთ, ამ უკანასკნელში **-ის** სეგმენტის სახით ისტორიული **-იმ** ნათესაობითი
ბრუნვის ნიშნის კვალი იკითხება, ე. ი. ***კოჩ-იმ-თერ-ი** -> **კოჩ-ის-თერ-ი**, ანუ **შთ** კომპლექსი,
მიღებული მორფემათა საზღვარზე, გასისინდა და **სთ-ში** გადავიდა (**შთ** -> **სთ**), ისევე,
როგორც ეს განხორციელდა მეგრულის შემთხვევაში: **შკ** -> **ჭკ** -> **წკ**.

ლაზურის მონაცემი, (**შთ** -> **სთ**) გასისინების პროცესი, ადვილად აიხსნება, მას
საფუძვლად ფონოტაქტიკური შეზღუდვა დაედო. ვინაიდან ისტორიულად ლაზურში ყველა
სახის **შთ**, ძირეულიც და მორფემათა საზღვარზე თავმოყრილიც, **სთ** სისინა სახეობაში
გადავიდა, – ამ წესს გამონაკლისები არ უდასტურდება, მასვე ემორჩილება ნასესხებ

სიტყვათა სათანადო ინვენტარიც, შდრ.: ქართ. ბუმტ-ი -> ლაზ. ბუსთ-ი//ბუსტ-ი, ტამტ-ი -> ტასთ-ი//ტასტ-ი...

ასე რომ, ლაზურში **-თერ-ი** (= ქართ. თან-ა, სვან. -თე „-კენ“) თანდებული ეყრდნობა **-იმ** ნათესაობით ბრუნვიან ყალიბს ისევე, როგორც ქართულში მისი მონათესავე **-თან-ა** თანდებული: ლაზ. *კოჩ-იმ-თერ-ი -> კოჩ-ის-თერ-ი = ქართ. კაც-ის-თან-ა.

ლაზურში **-სთერი//სთეა//თერი** ვარიანტების გარდა გვხვდება **-სტერი** ფორმაც:

სი-თი ჩქიმი სტერი არ კოჩი რე (ქლ., 14) „შენც ჩემსავით ერთი კაცი ხარ“; ქოგოჭკეს ქო-თუმე-სტერი ოკაკანუს (ჩიქ., I, 14) „დაიწყეს ქათამსავით კაკანი“; მა სქანისტერი კოჩი ვა მიძირუნ (ჩიქ., I, 19,15) „მე შენნაირი კაცი არ მინახავს“...

შევნიშნავთ, რომ ნათესაობითი ბრუნვისნიშნისეული შ სიბილიანტის კვალს ხედავს გ. კარტოზია მეგრულ **-ჯგურ-**ა მსგავსების სემანტიკის თანდებულშიც, რომელიც, თითქოს, ქართ. **გვარ-** ფუძის მეგრული **გურ-** შესატყვისია: კოჩ-იჯგურ-ა <- *კოჩი-იჟგურ-ა <- *კოჩი-იმ-გურ-ა = კაც-ის-გვარ-ი „კაცისნაირი“ [კარტოზია, 1961, 251]. ამგვარი კვალიფიკაციის დროს, გარდა ფონეტიკური სიძნელეებისა (შ-> ჟ ->ჯ), გადაულახავ პრობლემად ის ფაქტი გვევლინება, რომ ასეთი **გურ-** ფუძე, ქართულისგან განსხვავებით, მეგრულ ლექსიკაში არ არის ფიქსირებული. უფრო ლოგიკური იქნებოდა მეგრული **-ჯგურ-**ა, როგორც ერთიანი ფუძე (ბგერათ-შესატყვისობა ქართ. **ჯ** : ზან. **ჯგ.**), დაგვეკავშირებინა ქართული ენის ფშაური დიალექტიდან ცნობილი ამავე შინაარსის **-ჯურ-**ა „ნაირი“, **ჯურა-ჯურა** „ნაირ-ნაირი“ თანდებულისათვის; მეტიც, ინგილოურ დიალექტში თავჩენილია **ჯურა-**ს გამოყენების მეგრულისებური ვითარება; შდრ. მეგრული **ათეჯგურა** = ინგილ. **ამჟურა**. მეგრული **იჯგურა** = ინგილ. **იმჟურა**.

-ჯგურა თანდებულიანი ფორმების მაგალითები:

ანგელოზიჯგუა ბლანას მუმაქ მოჯინგ (ლომ., 18-19) „ანგელოზით ბავშვს მამამ შეხედა“; იქილე გერენ თინემქ დოლანდეს ადამონიჯგუა მუდგარენ (ლომ., 20-21) „იქით რომ დგანან, იმათ დალანდეს ადამიანისმაგვარი რაღაცა“; ათეჯგურა ძღაბ თე სოფელს ვეგლურს „ასეთი გოგო ამ სოფელში არ დადის“...

„მსგავსი“, „ნაირი“ თანდებულის მნიშვნელობით მეგრულში დასტურდება **-გვარ**, რომელიც გ. კარტოზიას აზრით, ქართულია და მას შემდეგ შევიდა მეგრულში, რაც **გურა-**ს შ იქცა **ჯ-**დ [კარტოზია, 1961, 251], მაგალითები:

თეგვარ კომპიუტერ მოკო იბიდე „მსგავსი (ამნაირი) კომპიუტერი მინდა ვიყიდო“; **თეგვარ** კაბა მიკაქუნდ ჩქიმ დიდას „მსგავსი (ამგვარი) კაბა ეცვა დედაჩემს“; **თეგვარ** Fუდე მოკო ავაშენე „ამნაირი (ამგვარი) სახლი მინდა ავაშენო“; **თემგვარ** ჯოღორ მითინს ვაქუნს „მსგავსი(ამგვარი) ძალი არავის არ ჰყავს“; **ჩქიმგვარ** ლობერ მითინს ვაულუ „ჩემნაირი (ჩემგვარი) ლობე არავის არა აქვს“....

მეგრულში მსგავსების აღსანიშნავად სხვა თანდებულებიც გამოიყენება:

-ცალ//ცა „-ვით, ნაირი“ : **ათეცალი//ათეცაი** „ამნაირი, ამისთანა“:

ოსურიში **ფუჩიცალი** რენია (ქაჯაია, III, 340) „ქალის ფიცით (ფიცის მსგავსი) არისო“; **სქანიცალი** შხვას მის ჭუნსუ? (ყიფშ., 125) „შენნაირი სხვას ვის ჰყავსო?“

-შორო „ვით, როგორც, მსგავსად“ :

ტვერიშორო გეგოჩქვანქია (ქაჯაია, III, 267) „როგორც მტვერი ისე გაქცეო“; გეფთხოზიჰნა მაჩამინდა **გვერიშორო** (ქაჯაია, III, 267) „მოგვდევენ მკბენარა გველივით“...

ამ თანდებულს უკავშირებენ სვანურ **-შალ** „ვით“ [თოფურია, 2002, 204; ფენრიხი, სარჯველაძე, 2000].

-მანგი „დარი, ნაირი, ტოლი, შესაფერი“:

სინათლე დო ვალიშ მანგი (ქაჯაია, II, 212) „სინათლისა და ელვის დარი (ნაირი)“...

მეგრულში ნათესაობითის ფორმებთან დასტურდება თანდებული **-გამათ**, რომლის ქართული მნიშვნელობაა „გარდა“, „ნაცვლად“ [კარტოზია..., 2010, 300], მაგალითები:

კაბაშ **გამათ** მადვალარი ქემეულეს „კაბის ნაცვლად ფეხსაცმელი მიუტანეს“; თეშ **გამათ** „ამის ნაცვლად“...

-გეშა თანდებული იხმარება „შედარებით“, „შესახებ“ თანდებულების მნიშვნელობით, ის დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას:

თიშ **გეშა** „იმასთან შედარებით“; ფიქრენდუ ფარეფიში **გეშა** (ყიფშ., 0122) „ფიქრობდა ფულის შესახებ“; კვარჩხანიშ **გეშა** მარძგვან უმოს მორძგვიე „მარცხენასთან შედარებით მარჯვენა უფრო მარჯვეა“...

მეგრულში თანდებული **-ხ//ხჷ//ხი** „მდე“ დაერთვის მიმართულებით ბრუნვას [ყიფშიძე, 1914, 0122]. ამავე მნიშვნელობით ლაზურში ნ. მარს შენიშნული ჰქონდა **ხ//ხა** მიმართულებით ბრუნვასთან [მარი, 1910, 36]. ეს თანდებული პროდუქტიულია ზმნიზედების წარმოების თვალსაზრისითაც (იხ. ზემოთ).

მეგრულის მაგალითები:

ჩქიმშახ თაქ მითინს ვამურთუმუ „ჩემამდე აქ არავინ მოსულა“, ჩქიმ **ყუდეშახი** ვამგართუ „ჩემ სახლამდე ვერ მოხვედი“; **უნივერსიტეტშახ** ვამმართუ „უნივერსიტეტამდე ვერ მოვედი“...

თანდებულად შეიძლება განვიხილოთ მეგრულში **ბურე/ურე**, რომელიც დამოუკიდებლად ხმარებისას „მხარეს, ადგილს“ აღნიშნავს, თუმცა მიერთვის სახელურ ფუძეს ან სახელობითი ბრუნვის ფორმას და „-კენ, -კერძო“ თანდებულის მნიშვნელობისაა.

მაგალითები:

ჭაბუკუქ მოლართჷ ასე თი **დემეფ ბურე** (ხუბ., 241) „ჭაბუკა წამოვიდა ახლა იმ დევებისკენ“, თოლიშ სინთე მიდამილჷ **თქვანიბურე** ჯინაქჷნი (ქხს., I, 341) „თვალის სინათლე რომ წამართვა თქვენკენ ცქერამ“, **ბუდეურე** ვეჯინე შურო (ქაჯაია, III, 235) „სახლისკენ არ იყურება სრულებით“.

ლაზურის თავისებურებაა ნაწილაკების გამოყენება კავშირებად და თანდებულებად. ასეთია **-ქის** თანდებული, რომელიც ქართული **მდის/მდე**-ს ფუნქციით იხმარება და დაერთვის მიმართულებით ბრუნვას.

მაგალითები:

ახჩამიშაქის ქომოხთეს (ჩიქ. 1936, 301) „სადამოდის მოვიდნენ“; ჭუმანიშაქის ონჯირეს ვარ ანჯირუ (ჩიქ. 2008, 254) „დილამდის საწოლში ვერ დაიძინეს“; ჭუმანიშაქის ხეტუ (ჩიქ., 2008/1, 248) „დილამდის იჯდა“; სუმ თუთაშაქის ვარ მოფთინა-ა (ჩიქ., II, 275) „სამ თვემდის თუ არ მოვედიო“...

აღსანიშნავია, რომ ზმნურ ფორმებს პირდაპირ **-ქის** არ მიერთვის. როგორც წესი, ზმნის პირიანი ფორმა დაირთავს **-შა** ბრუნვის ნიშანს და მერე ემატება **-ქის**. მართალია, ზოგჯერ -

შაქის გამოყოფენ, როგორც ერთიან მორფემოიდს [ჩიქობავა, 2008/1, 191; თანდილავა, 2013], მაგრამ ხშირად ზმნურ ფორმებთან შეკვეცილი სახითაც, ანუ **-შა-**თი გვხვდება;

მაგალითები:

ოხორჯა **ქომოხთა შაქის** ქომოლი მუშიქ არ დიგარა დოვუ, ოშუ (ჩიქ., 2008/1, 247) „ცოლის მოსვლამდე (სანამ ცოლი მოვიდა) ქმარმა ერთი სიგარა დაადრო, მოწია“; მა ჰაწი ვიწეს ოხორის **ბორტი შაქის** ასკერი დობივი (ჩიქ., 2008/1, 267) „მე უწინ სახლში ყოფნამდე (სანამ სახლში ვიყავი) ჯარისკაცი ვიყავი“; ბაბა ჩქიმი ვარ **ღურუ-შა...** მუარებე ივუ (ჩიქ., 2008/1, 191) „მამაჩემი სანამ მოკვდებოდა („არ მომკვდარამდე“), ომი დაიწყო“; ფადიშად ოხორი **ნოხოლუტუ-შა**, თილჩიქ უწუ... (ჩიქ., 2008/1, 191) „სანამ ხელმწიფის სახლს მიუახლოვდებოდნენ („მიახლოვებამდე“), მელიამ უთხრა...“

ზმნური პირიანი ფორმის ტრანსლაციის საკითხს ჩვენ შევხებით რიცხვის კატეგორიასთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ). როგორც ჩანს, **-ქის** თანდებულის დართვა მიმართულებითი ბრუნვის ფუნქციური დასუსტების შემდგომი მოვლენაა როგორც სახელებში, ასევე ზმნურ ფორმებში.

ლაზურში ა. თანდილავა გამოყოფს **-დონ//დონი** „დან“ თანდებულს, რომელიც ზმნიზედებთან დასტურდება;

მაგალითად:

ბერექ **თუდენ-დონ** დიჯოხუ „ბავშვმა ქვევიდან დაიმახა“ (თანდ., 2013, 218).

ზმნიზედების განხილვისას **დო/დონ** ჩვენ მიერ შეფასებულია, როგორც ზმნისართის წარმომქმნელი სუფიქსი, თუმცა არ გამოვრიცხავთ ამ მორფემოიდის დართვას სახელებზეც. აღვნიშნავთ, რომ მხოლოდ „დიდ ლაზურ ლექსიკონში“ არის დადასტურებული ამგვარი შემთხვევა, თანაც **-დონი** ვარიანტის სახით:

ბერობაშენ დონი მა ვორტი სქანი „ბავშვობიდან მე შენი ვიყავი“ (ნენაფ., 173)...

-დონი განსხვავებული მნიშვნელობითაც არის წარმოდგენილი ა. თანდილავას ლექსიკონში:

-დონი თანდ. **-ურთ**:

„ჭიფეთენ-**დონი** დოტაღანუ“ – წვრილებიანად მოტაფა (კარტოზია – ლაზური ტექსტები, გვ. 90^{ა7}) (თანდ., 2013, 218).

ამ თანდებულის ფონეტიკური და ფუნქციური მრავალფეროვნება მიანიშნებს განსხვავებულ კილოკავურ მოვლენაზე და ლაზურის სპეციფიკურ თავისებურებად შეიძლება შეფასდეს.

მეგრულსა და ლაზურში ადგილისა და დროის ზმნიზედები დაერთვიან მიცემითი ან ნათესაობითი ბრუნვების ფორმებს და ასრულებენ თანდებულის ფუნქციას:

მეგრული:

ოზეში გალე „ეზოს გარეთ“, **ქვარაში დინახალე** „მუცელში“, თე **ზღვაშ მელე** „იმ ზღვის გაღმა“, **ნასუმორიშ ეშეე** ვე იასხაპუ „მესამედზე ზემოთ ვერ ახტა“, **ბუდეში წიმი** გეპუდუ „სახლის წინ ეგდო“; ათე **კოჩიში დიკი** წყარი ართი ყინტი ვემურს „ამ კაცის იქით (ქვევით) წყალი ერთი წვეთიც არ მიდის“ (ლომაია, 2006, 29).

ლაზური:

რაკანის ჟინ ქებთუში, ქომირუ მადარა (კარტ., 1972, 171, 9) „გორაკზე ზემოთ რომ ავიდა, ნახა ბეღელი“, **ქვას თუდე** ჰომეშადუ (კარტ., 1972, 144, 1) „ქვას ქვემოდან ჩადო“, **ხე-სქანიშ თუდელე** (კარტ., 1993, 131, 40) „შენი ხელის ქვემოთ“, **სარღაშ დოლოხე...** წკაი ბუკათარე (ჩიქ., II, 3, 14) „გობის შიგნით... წყალს გავურევთ“...

შ. ლომიას დაკვირვებით, ლაზურში ზმნისართი-თანდებული წინ უძღვის ხოლმე საზღვრულს: **წოხლე-მუში** ქოდუდგუ „წინ მისა დაუდგა“, ქომირუ **ოღინე-მუში** „წინ მისა ნახა“. მკვლევრის აზრით, ასეთ შემთხვევაში ზმნისართი თანდებულად კი არ იხმარება, არამედ თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს [ლომაია. 2006, 38].

III. 3. კავშირი.

კავშირი არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა, რომელიც მნიშვნელობას სხვა სიტყვებთან ხმარებით იძენს: ის აკავშირებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას.

შედგენილობით კავშირი შეიძლება იყოს **მარტივი** და **რთული**.

მარტივია: **და, თუ, ხოლო, ან** და სხვ.

რთულია: **ვიდრე (ვიდ-რე), თუნდაც (თუ უნდა-ც), თორემ (თუ არა-მ < თუ არა-მ)** და სხვ.

კავშირის ფუნქციების განხილვის ადგილი სინტაქსშია, მაგრამ ზოგადად შეიძლება მორფოლოგიაშიც ითქვას ორიოდე სიტყვა.

ერთი და იგივე კავშირი ზოგჯერ სხვადასხვა ფუნქციის მქონეა.

ფუნქციის მიხედვით კავშირები იყოფა ორ დიდ ჯგუფად: პირველში შედის მაერთებელი კავშირები, მეორეში – მაქვემდებარებლები.

მაერთებელ კავშირებში გამოიყოფა შემდეგი ქვეჯგუფები: მაჯგუფებელი, მაცალკეებელი, მაპირისპირებელი კავშირები, მეორეში – მაქვემდებარებლები [შანიძე, 1980, 605].

ქართულში **მაერთებელი** კავშირები შემდეგ ქვეჯგუფებად არის წარმოდგენილი:

1. **მაჯგუფებელი** კავშირები: **და, თუ;**
2. **მაცალკეებელი** კავშირები: **თუ, ან** (ვარიანტებითურთ: **ან - ან, ან - ან არადა, ან - ანდა**), **ხან - ხან** (ვარიანტები: **ხან - ხან კი**), **ხან - ხანაც**), **გინდ - გინდ (გინდ - გინდაც)**, **თუნდ - თუნდ (თუნდა - თუნდაც)**;
3. **მაპირისპირებელი** კავშირები: **მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ;**
4. **მაიგივებელი** კავშირები: **ანუ, ესე იგი.**

ცალკე გამოიყოფა **მაქვემდებარებელი** კავშირები, წარმოდგენილი სემანტიკური ჯგუფების სახით:

1. **ადგილისა:** **სადაც, საითაც...**
2. **დროისა:** **როდესაც, ვიდრე, სანამ[დის], მანამ[დის]...**
3. **მიზეზისა:** **რადგანაც, იმიტომ რომ...**
4. **მიზნისა:** **რათა...**

5. დათმობისა: თუმცა...

[შანიძე, 1980, 607].

III. 3. 1. კავშირი მეგრულში.

მეგრულშიც იგივე ჯგუფები გამოიყოფა, რაც ქართულში, ოღონდ **მაიგივებელ** კავშირად გამოიყენება ან ქართული **„ესე იგი“**, ან მაიგივებელი შინაარსი გადმოცემულია რთული ქვეყნობილი წინადადებით: **თიჯგუა... ნამდა...** „ისეთი ... რომ ...“ [კარტოზია..., 2010, 301].

ი. ყიფშიძე გვთავაზობს პროდუქტიული კავშირების კლასიფიკაციას; სულ რვა ჯგუფშია გადანაწილებული ეს კავშირები:

1. მაერთებელი: **დო „და“, და „და“, ნამუდა||ნამგდა||ნამდა „რომ“, ნი > ი „რომ“**;
2. მაცალკეებელი: **ვარა... ვარა „ან... ან“, ვარი „ან“**;
3. შედარებითი: **ე-ფერი (თი-ცალი)... ნამუდა „ისეთი... რომ“, მუჭო[თი]... [ე]თეში „როგორც... ისე“, თეში (თაში) ნამუდა „ისე რომ“, თეში... ნი „ისე რომ“, ეფერინერო... ნამუდა „ისე... რომ“, მუდა... [თ]იდა „რამდენიც... იმდენი“**
4. პირობითი: **და „თუ“, ნი „თუ“**;
5. მიზეზისა: **რახან, რაღან „რადგან“, [ა]თეშენი (თიშენი) ნამუდა „იმიტომ რომ, [თ]ეშენი „ამიტომ“, თიშენი „იმიტომ“**;
6. მიზნისა: **[ა]თეშენი (თიშენი) ნამუდა „იმისათვის რომ“, „იმისათვის“**
7. მაპირისპირებელი: **ვარა „ან“, მარა „მაგრამ“, ხოლო „მაგრამ“, „მხოლოდ“**;
8. დათმობითი: **ვარა „ან“** [ყიფშიძე, 194, 0122-0123].

მაერთებელ კავშირთა ჯგუფში წარმოდგენილია: **დო „და“, და „და“, ნამუდა||ნამგდა||ნამდა „რომ“, ნი > ი „რომ“**. აქედან მაერთებელი, კერძოდ, მაჯგუფებელი კავშირია **დო „და“, ხოლო** დანარჩენი მაქვემდებარებელი კავშირებია [კარტოზია..., 2010, 301].

ი. ყიფშიძის გრამატიკას დართული აქვს მეგრულ-რუსული ლექსიკონი, სადაც განმარტებულია კავშირთა და კორელატთა წარმომავლობა, მოცემულია მათი მორფოლოგიური დახასიათება [ფაჩულია, 1997, 10].

ზანურში, ქართულის მსგავსად, გამოიყოფა მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები. მაქვემდებარებელი კავშირები ნაცვალსახელური წარმოშობისაა და მეგრულში უფრო მცირე რაოდენობითაა, ვიდრე ქართულსა და სვანურში [აბესაძე, 1965, 114].

მაგალითები:

დო:

ლევანქ გიაშქუ ლეკური **დო** შქაბანიას გაყ ოთინაფუ (ხუბ.,120 „ლევანმა დაარტყა ლეკური და შუაზე გაჭრა (გააგდებინა)“; მურქუ ბოშიქე ლეკური **დო** შქაბანსე გოჭკირე (ცაგ., 11) „მოუქნია ბიჭმა ლეკური და შუა ადგილას გაჭრა“; გირინქ დუდი დიტყობინუა **დო** ტურაქ კუდელი ქამაჭკუმუა (ცან., 103) „ვირმა თავი დამალა და მელამ კუდი მოაჭამაო“; ირო გინოშვარშვალერი თქვანი ორტვინი **დო** ე ვანა (სამუშ., ქართ. ზეპ., 104) „ყოველთვის ბიბინებდეს (აბიბინებული) თქვენი ბოსტანი და ყანა“; მიიშე თე ოსური **დო** გითიობსე ნდგ ჟი ნდემცე (ყიფშ.,60) „მიდიოდა ეს ქალი და აფსამდა ზევით დევს“; ეთექ მიგირს ქე მთოდოხოდუ ძღაბამო, ქობალამო **დო** ღვინამო (ხუბ., 171) „იქ კვალში შეჯდა (შიგ) ქალიშვილიანად, პურიანად და ღვინიანად“; ე ვალქ ვეეძირე : ვართ სელეგე ნქ **დო** ვართ

კაზილაქ (ხუბ., 193) „ყველი ვერ იქნა ნახული: არც სულუგუნი და არც უბრალო (გადაუზღელებელი ყველი)“...

ქოჩქუ-და, მინი მაჩქუ: ოსური **დო** კოჩი „თუ იცი, ვინ გამოაგზავნა: ქალი თუ კაცი?“; წყარი გოკონ **დო** ღვინი? „წყალი გინდა თუ ღვინო?“; ღორონთი აკეთენსო კოსუ **დო** ეშმაკი?(ყიფშ., 6) „ღმერთი აკეთებს კაცს თუ ეშმაკი? ნამუ კაჭაში ათოყოთამა უჯგუ: დინახალენი **დო** გალენი? „რომელი სარმის გამოდება სჯობია: შინაგანი თუ გარეგანი?“; ოკოდუ **დო** ვაკოდუნი, პატონიშო დეჯი იშენ ოკო მორდუკონი „უნდოდა თუ არ უნდოდა, ბატონისთვის ღორი მაინც უნდა გაეზარდა“ (ქაჯაია)...

ვარა, ვარა... ვარა:

ჩონგური, ნიკერკემუქ, **ვარა** დუს გოგიდანქ ტვერიცადო (ქხს, 1, 180) „ჩონგურო, ნუ გორაობ, თორემ (თავს) გადაგიქცევ მტვრად“; მუ ლატი უჭკომუნა, **ვარა** მუ ჯგირ ტარამი (ქხს, 1, 184) „დედა! რა სიმინდი უჭამიათ, ან რა კარგტაროიანი“; მინ რექე **დო ვარა** სოურე მოურქია? – კითხე თიქე „ვინა ხარ შენ, ან საიდან მოდიხარ? – ჰკითხა მან (ყიფშ., 438); ომურეთიშა ქლარდი მიდედი, **ვარა** ოსურს მიდაიდანქია (ხუბ., 110), სასულეთში ქალადი წაილე, თორემ ქალს წაგართმევო“. ათეჯგუა წარმოდგენა მილუდ, **ვარა** ენა იშენ მიუწვდომელი რდუ ჩქინო „ასეთი წარმოდგენა მქონდა, თორემ ეს მაინც მიუწვდომელი იყო ჩვენთვის“ (ხუბ., 117). პატრონს ლურსუ **დო** ვა გააკურცხინუა, **ვარა** გობლახე ნსია (ყიფშ., 438) „ბატონს სძინავს, არ გააღვიძო, თორემ მცემს...“

ვარა გეშვი, **ვარა** ოკოგიჭვი ბედი „ან დალიე, ან ადექი, ან შავ დღეს დაგაყრი/დაგიწვავ ბედს (გულ., 261)“; მუთი ქომილუდუნი, **ვარა**, ფარა, **ვარა** ბარგი, – არძოქ მემიდინე (ყიფშ., 438) „რაც მქონდა მე, – ან ფული, ან ბარგი – ყველაფერი დამეკარგა; მუთ ქომილუდუნი, **ვარა** ფარა, **ვარა** ბარგი, – არძაქ მემიდინუ (ქაჯაია) რაც მქონდა, ან ფული, ან ბარგი, – ყველა დამეკარგა. **ვარა** გეშვი, **ვარა** გედი! (ქაჯაია) „ან შესვი ან ადექი!“ **ვარა** დიხას, **ვარა** ცასე სოლეთინი ვონჭუდე (ქხს, 1, 45) „ან მიწას ან ცას საიდანმე ვწვდებოდე“. **ვარა** ლურელს, **ვარა** თელსე აკას მუთუნს ვორგუდე! (ქხს, 1, 45) „ან მკვდარს, ან ცოცხალს (მთელს) ვინმეს (ერთს) რაიმეს ვრგებდე!“...

ნი/ნე /ნ:

ქაშედე ლეკური თაქ ხოლო, ტანქ ვამკაწაწუკო ართიანსე **ნ** თიშენი (ხუბ., 147) „ჩაიდო ლეკური აქ, ტანი რომ არ შეხებოდა ერთმანეთს იმიტომ“; კოჩიქ ქომინდომასე **ნი**, გვალას ეკართინუანსია (ხალხ. სიბრ., 1, 75) „კაცმა რომ მოინდომოს, მთას წააქცევსო“; ჯოდორს კუდელიშა ვამანჭასიე წყარქინი, თეში ვანჩურუნსია (ცან., 132) „მაღლს კუდამდე თუ არ მისწვდა წყალი, ისე არ გაცურავსო“; სი მიქვა მიგოხირუნი, თითო ჯგირი კოჩი ყოფერენია (დან., ცან., 308) „შენ შარვალი რომ მოგპარა, ისიც კარგი ვაჰკაცი ყოფილა“...

მარა:

გილართუ ე ხენწიფექ, **მარა** სოთინი ვაშუ იჯგურა მარკინექ (ხუბ., 1) „იარა ამ ხელმწიფემ, მაგრამ ვერსად ვერ იშავა ისეთი (იმნაირი) მოჭიდავე“. ბრელი მაფუნია ორაგადე, **მარა** პიჯი წყარით მაფუნია ევშა (ქაჯაია) „ბევრი მაქვსო სათქმელი, მაგრამ პირი წყლით მაქვსო სავსე“. ბოში ვორექ ჯგირი, **მარა** ჯიბეს ვარე ჭყელი ფარა (ყიფშ., 167) „ბიჭი ვარ კარგი, მაგრამ ჯიბეში არაა წყეული ფული“; **მარა** მუ ოკო უწუე სქანცალ ქიანამ მანწყულს? (ეკური, 384) „მაგრამ რა უნდა ვუთხრა შენისთანა ქვეყნის დამქცევს?“ **მარა** მუჭო ართიანი ქომირესენი, ჟირხოლოქ ეკირთე ბრელი ხიოლით (ქაჯაია) „მაგრამ როგორც კი ერთმანეთი დაინახეს, ორივე წაიქცა დიდი სიხარულით“...

ხოლო:

მა დივრთი, **ხოლო** თიქ ვიშო გააგრძელუ შარა (კარტოზია..., 2010, 302) „მე დავბრუნდი, ხოლო მან იქით გააგრძელა გზა“; დიდაქ ქიმიაკითხუ, **ხოლო** სქუაქ აშო იყუ ულირქ (კარტოზია..., 2010, 302) „დედამ მიაკითხა, ხოლო შვილი აქეთ შეიქნა წამოსული“; ართიქ თაურე მიდართუ, ხოლო მაჟირაქ - თეურე (ქაჯაია) „ერთი აქეთ წამოვიდა, ხოლო მეორე - იქით“...

ნამუდა||ნამგდა||ნამდა:

კურგომ თიჯგურა ბალავერი ქიგუქუნუ, **ნამგდა** მუთუნს ვემნართე (ხუბ., 86) „ირგვლივ ისეთი ბალავარი შემოავლო, რომ ვერაფერი ვერ შემოვა“; ეშეელე ყორშიში დუდიშა დო თიცალი ქიმიოკჟინგ, **ნამუდა** მურიცხეფცე ქედუქანცალუ (დან., ცან., 44) „ავიდა კოშკის თავზე და ისეთი დაიყვინა, რომ ვარსკვლავები შეაზანზარა“; ცოფე ართი ომბოლი, ეფერი ღარიბი, ეფერი, **ნამუდა** ცა დო დიხა შქას მუთა ნოპალუე (ყიფშ., 23) „ყოფილა ერთი ობოლი, ისეთი ღარიბი, ისეთი, რომ ცასა და მიწას შუა არაფერი ებადა (გააჩნდა)“. მუუჩინუ... ხენწიფეს, **ნამუდა** მა მეიჩქვანქ მარკინეს (ხუბ., 1) „შემოუთვალა ... ხელმწიფეს, რომ მე გამოგიგზავნი მოჭიდავეს“. მიჩქ, **ნამგდა** ტყურა რენი (ქაჯაია) „ვიცი, რომ ტყუილია“...

რახანი, რახანო, რახანს, რახანგ:

რახან არძო თაქიეთინი, ოკო ქოფთქუე ოთქუალი (ქაჯაია) „რადგანაც ყველა აქ ხართ, უნდა ვთქვა სათქმელი“; **რახანს** გური გემლამიდი, სკანოთ ვარა მიიხვარი (ქხს, 1, 105) „რადგან გული ამომართვი, შენთვის მაინც მოიხმარე“; **რახანო** სი ვარჯერსუნი, მა ქოგომირანქ თი კოცე (ქაჯაია) „რადგანაც შენ არ გჯერა, მე გაჩვენებ იმ კაცს“...

თეშენი ნამდა:

არძაქე დომქურონდუა, **თეშენი ნამდა** ვითოჟირხოლოში ნაკლების ვამენართინედე თი კარდილავა (ქხს, 2, 22) „ყველა დაშინდაო, იმიტომ რომ თორმეტივეზე (დევზე) ნაკლებს არ შეეძლო იმ ქვაბის გადაბრუნებაო“; შური მალაფუო გინირთე, **თეშენი ნამუდა** თიში შური ცოფე თურმე თენა (ცაგ., 25) „მომაკვდავი გახდა, იმიტომ რომ მისი სული ყოფილა თურმე ეს“...

დო („და“) კავშირთან ერთად შესამჩნევი პროდუქტიულობით გამოირჩევა **ნი** („რომ“) კავშირი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა კვალიფიცირებული:

ქ. ლომთათიძე ძველ ქართულში ზმნის წინ დართულ **რაა/რა** კავშირსა და მეგრული **ნი**-ს ფუნქციურ სიახლოვეზე მიუთითებს [ლომთათიძე, 1958, 115].

ს. ჯანაშია **-ნი** კავშირ-ნაწილავს აფხაზურიდან ნასესხებად მიიჩნევს [ჯანაშია, 1959, 226].

გ. კარტოზიას აზრით, **-ნი** ნაცვალსახელური წარმოშობისაა და მასალობრივ ემთხვევა კითხვით **მინ/მინი** „ვინ“ ნაცვალსახელს და უნდა მომდინარეობდეს ადრინდელ **ვინ/ვინი** ფორმისაგან. მკვლევარი **-ნი** კავშირის ოდინდელ სრულ სახედ **-ინი**-ს ვარაუდობს [კარტოზია, 1996, 79-82].

ი. ყიფშიძესთან **-ნი** ხან კავშირია, ხან ნაწილაკი [ყიფშიძე, 1914:52,122], ხოლო ლექსიკონში ჩამოთვლილია **-ნი**-ს მნიშვნელობები: 1. когда, как 2. чтобы, что 3. что, который [იქვე, 289].

ნ. აბესაძე **-ნი**-ს კავშირად მიიჩნევს [აბესაძე, 1965, 247-251].

გ. როგავას მიხედვით, **ნი** კავშირი ან ნაწილაკია [როგავა, 1987, 198].

ვ. ახალაიას აზრით, **-ნი** ნაწილაკია [ახალაია, 1999, 183].

ცნობილია ისიც, რომ -ნი კავშირ-ნაწილაკი ცვეთის შედეგად ხშირად წარმოდგენილია ოდენ თანხმონით ან ოდენ ხმონით: ნ/ი/გ.

განსხვავებულია -ნი-ს არამართო კვალიფიკაცია, არამედ დაწერილობაც: ზოგი მას ცალკე წერს [ი. ყიფშიძე, ნ. აბესაძე], ზოგი დეფისით გამოყოფს [არნ. ჩიქობავა, გ. როგავა], ზოგიც იმ სიტყვასთან ერთად, რომელსაც დაერთვის [გ. კარტოზია].

აღბათ (წარმოთქმის ნიუანსებს თუ დავაკვირდებით) უფრო გამართლებულია მისი ენკლიტიკურად წარმოდგენა და, ცხადია, ამ შემთხვევაში არ უნდა გაეწიოს ანგარიში იმ გარემოებას, თუ როგორ იწერება მისი ქართული ფუნქციური ანალოგი „რომ“.

და ეს ვერ იქნება მისი გრამატიკული კვალიფიკაციის განმსაზღვრელი.

მეგრულ კავშირებშიც არის სხვაობა სტრუქტურის თვალსაზრისით; ერთი მხრივ გვაქვს მარტივი, ხოლო მეორე მხრივ რთული კავშირები.

მარტივია: დო, და, მინ, ნი/ნ...

რთულია: ნამუდა/ნამგდა/ნამდა, ვარა/ვარდა, ვართი, ქოთი...

მეგრული ნამუდა ქართული „რომ“ კავშირის მორფოლოგიური შესატყვისია. მისი პირველადი მნიშვნელობაა „თუ რომელი“; იგი ასე იშლება: ნამუ+და [აბესაძე, 1965, 250].

ვარდა ორი ნაწილისგან შედგება: ვარ („არა“) + და. ზუსტი ქართული შესატყვისია „არა და“ [გ. კარტოზია..., 379].

ვართ(ი): ვარ = „არა“ + თი = „ც“ = „არც“; შდრ. ლაზ. ნეთი (ლაზურში უკუთქმით წინადადებაში „არც“ კავშირის ფუნქციას „ნეთი“ ასრულებს: გვხდება თი = „ც“ ნაწილაკიანად ან მის გარეშე. საკავშირებელ საშუალებად ისევე მიღებული, როგორც ვართი: ნეთი < ნე = „არ“ + თი „ც“ [ფაჩულია, 1997, 46]);

ქოთ(ი): ქო „კი“ + თი „ც“;

მინშა „ხან“: მინ + შა.

გოკონდა: გოკონ + და;

მუზმა: მუ + ზმა (<ზომა);

მუჟამს: მუ + ჟამს...

დასტურდება ქართულთან საერთო მასალაც: რადგან/რახან/რადან (რადგანს/ც, რახანს/ც, რადანს/ც), ხოლო, ოლონდ/ოლონდა/ოლონ, ვითამ „ვითომ“, მარა „მაგრამ“..

მორფოლოგიური ანალიზი ცხადყოფს, რომ ლაზურ-მეგრულში კავშირთა ერთი ნაწილი ნაწილაკური წარმოშობისაა (მაგ.: ვართ(ი) < ვარ = „არა“ + თი = „ც“ = „არც“...), ზოგი ნაცვალსახელურ-ზმნიზედური წარმომავლობისაა (მაგ.: სოდეთი < სოდე = „სად“ + თი = „ც“ = „სადაც“... ნამუთი < ნამუ = „რომელი“ + თი = „ც“ = „რომელიც“...), ზოგსაც ზმნური საწყისები აქვს (გოკონდა < გოკონ = გინდა + და = „თუ გინდა“, „გინდ“) [ფაჩულია, 1997, 17]

III. 3. 2. კავშირი ლაზურში.

ზანურში კავშირების შესწავლის ისტორია პრაქტიკულად ნ. მარის „ქანური (ლაზური) ენის გრამატიკით“ იწყება, სადაც მკვლევარი განიხილავს რამდენიმე კავშირს და მათ ადგილს წინადადებაში; როგორც მკვლევარი აღნიშნავს, კავშირებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დო „და“, თი „ასევე“, ნა... თი მხოლოდ ენკლიტიკურად ვლინდება, ნა წინადადების ბოლოს დაისმის [მარი, 1910, 71].

ამასთან დაკავშირებით ლ. ფაჩულია აღნიშნავს: ნ. მარის დაკვირვება რამდენიმე დაზუსტებას მოითხოვს. მკვლევრის მიერ კავშირად გამოცხადებული „-თი“ ზანურში ჩვენებითი ნაცვალსახელიცაა და ენკლიტიკური ნაწილაკიც... ზანური „-თი“ ქართული „-ცა“ ნაწილაკის ბადალია: ნ. მარმა თვითონ დაუკავშირა ისინი ერთმანეთს. ჩვენ მიერ გაანალიზებულ ლაზურ ტექსტებში „-თი“ კავშირის ფუნქციით არ ჩანს. მეორეც, ნა||ნ = „რომ“, „როცა“, „თუ“ ყოველთვის როდი გვხვდება დამოუკიდებელი წინადადების ბოლოს. იგი იწყებს დამოკიდებულს: ნა ილუ, ჰემუმი ოხორჯა ქეჟოფუ „რომ მოკლა, იმისი ცოლი ითხოვა“ (კარტ., 12, 62), დამოკიდებული წინა-დადების შუაშია (მა ნა მათრეფერტუ, ვა მომჩუ „მე რომ მიყვარდა, არ შემრთო“) [ფაჩულია, 1997, 7].

პროდუქტიულობით (ფუნქციიდან გამომდინარე) განსაკუთრებით გამოირჩევა კავშირი **დო/ე-დო** „და“.

მაგალითები:

ბერეფექ თითო მაქვალი აფხედეს **დო** ქომინახეს (ჩიქობ., 2008, 255) „ბავშვებმა თითო კვერცხი აიღეს და შეინახეს“. გოიქეთეს **დო** ხოლო დულაშა იგზალეს (ჩიქობ., 2008, 271) „დაბრუნდნენ და კვლავ საქმეზე წავიდნენ“. ნოკეფე პამინონ ე-**დო** გამაფჩამინონ, ე-**დო** სქანი ფარა მექჩამინონან (ჩიქობ., 2008, 398) „მაფი უნდა გავაკეთო და უნდა გავყიდოთ, და შენი ფული უნდა მოგცეთ“. მჩხუი მევოჭკირათ **დო** ქოპჭკომათ (ჩიქობ. 2008, 305) „ცხვარი დავკლათ და შევჭამოთ“. გეხედუ **დო** იგზალე (ყიფშ., 1939:59) „დაჯდა და წავიდა“; მუარებეთი დიჩოდუ **დო** ოხოი-ჩქიმიშა ქომოფთი (კარტ. 1972, 12) „ომიც გათავდა და ჩემს სახლში წამოვედი“.

ნა/ე-ნა ფართოდ გავრცელებული კავშირია ლაზურის კოლოკაციებში. მას ქართულში ძირითადად შეესატყვისება **რომ** და **თუ, რადგანაც...** **ნა** კავშირს შეუძლია გამოხატოს **როცა, როდესაც, რადგანაც...** კავშირების ფუნქციაც.

ნ. მარი თავის ჭანური ენის გრამატიკაში ეხება რა ამ კავშირს, აღნიშნავს, რომ სხვა კავშირებთან ერთად **-ნა** განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და ერთვის წინადადების ბოლოს (მარი, 1910:71).

-ნა კავშირთან დაკავშირებით ნ. მარს არც საილუსტრაციო მაგალითები აქვს მოყვანილი და არც კავშირის ფუნქციაზე მიუთითებს. მაგრამ, იმავე შრომაში, სადაც განხილულია სიტყვაწარმოების საკითხები, ისევ უბრუნდება ამ კავშირს და მის ლექსიკურ კვალიფიკაციაში დამატება შეაქვს: მხოლოდ კავშირს კი არ უწოდებს მას, არამედ ნაცვალსახელსაც. იქვე აღნიშნავს, რომ **ნა** გამოხატავს მოქმედ პირს და ასახელებს მაგალითებს: ევნა ნა ჩუმს „კარს რომ იცავს“. კარის მცველი; გარი ნა ჭუმს „პურს“ რომ აცხობს“, მცხობელი [მარი, 1910, 74]. ეს წინადადებები, ცხადია, **ნა** კავშირიანი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებებია და ცნობილია ისიც, რომ ძველ ქართულში „განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით გადმოსაცემი შინაარსი შეიძლება გადმოიცეს მიმდებარე კონსტრუქციითაც“ [კიზირია, 1969, 68; შანიძე, 1948, 97; ჩხუბიანაშვილი, 1961, 192].

შემდეგ ნ. მარი **ნა** კავშირის შესახებ თავს უყრის ყველაფერს ლექსიკონში და განმარტავს: ნა „რა“ (ნაცვალსახელი); „როცა“, „თუ“; იქვე მოჰყავს **ნა** კავშირის შემცველი წინადადებები გოფთი-**ნა** „თუ ვიარე“, მინონ-**ნა** „თუ მინდა“ [მარი, 1910,172].

არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, რომ „**ნა** კავშირი ენკლიტიკური ნაწილაკის მსგავსად მიერთვის წინადადების ამა თუ იმ წევრს, ზოგჯერ წინაც უძღვის მათ; პირდაპირი მნიშვნელობა ამ ნაწილაკისა „რა“ უნდა იყოს [ჩიქობავა, 1936, 184].

ზემოთქმულიდან გამომდინარე ირკვევა, რომ **ნა** ლაზურში მიჩნეულია კავშირად, ნაცვალსახელად, ნაწილაკად, სიტყვაწარმოების ელემენტად. **ნა** კავშირის სინტაქსური ფუნქციები ცხადყოფს, რომ იგი ლაზურის კუთვნილებას წარმოადგენს და მას ძირითადად აქვს კავშირის ფუნქცია [მემიშიმი, 2005, 141].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ „**ნა** ნაწილაკი მეგრულსაც მოეპოვება -და ნაწილაკის სახით; ეს უკანასკნელი ქართულისთვისაც არაა უცხო: ნომქვერს გამიჩანქ-და, სუმ შაურს მერჩა „თუ ნახშირს იყიდი, სამ შაურს მოგცემ“. „ლაპარაკობს-და, ილაპარაკოს, მიდის-და წავიდეს“. ამგვარს მაგალითებში **და**, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივს **და**- კავშირს არ წარმოადგენს [ჩიქობავა, 1936, 184-185].

აღნიშნული მაგალითები ლაზურში **ნა** კავშირით გადმოიცემა: ღაღაღაფს-**ნა**, ღაღაღას „ლაპარაკობს-და, ილაპარაკოს“... მაშასადამე, ლაზურ **ნა** კავშირს მეგრულსა და ქართულში „და“ შეესატყვისება, რომელიც თუ კავშირის ბადალია. მაგალითები:

აში ნდლა რენ, ჰაქ-**ნა** მოფთი, სუმნდლა რენ, გარი-**ნა** ვარ მიჭაკომუნ (ყიფშ., 1939, 31) ექვსი დღეა, აქ რომ მოვედი, სამი დღეა, საჭმელი რომ არ მიჭამია. ცხენიშენ მელუ-**ნა**, დო ღურუნა, ფარა ურუმიში რენ (ყიფშ., 1939, 57) ცხენიდან თუ ჩამოვარდა, თუ მოკვდა, ფული ბერძენისაა, ალაქ, **ნა** ულუტუ ფარა, მა თესლიმი დომოლოდუ (ყიფშ., 32) ბატონმა, რაც ფული ჰქონდა მე ჩამაბარა. **ნა** მახენენ, დულა დორენ-**ნა**, მა დობიქომ (ჟღ., 35) რაც მე შემოდლია საქმე თუ არის, მე გავაკეთებ“. ჰა ბერეს ჯუმადი მუშიშე გური-**ნა** მუხთუ-თე სოხუმიშა იგზალუ (ჟღ., 1938, 39). ამ ბავშვს ბიძამისისგან გული რომ მოუვიდა, სოხუმში წავიდა“...

ლაზურში რომ კავშირის მნიშვნელობით აგრეთვე იხმარება თურქულიდან ნასესხები -ქი (/ჩი – ათინურში) და ბერძნულიდან გადმოღებული -ოტი.

მაგალითები:

ოხორჯა მუშიქ ქიმოლის უწუ-ქი „არ ხოჯეფე ქოდოდგინი“ (ჩიქ., II, 247) „მისმა ცოლმა ქმარს უთხრა, რომ ერთი ხარები დააყენე!“ თილჩი-თიქ უწუ-ჩი „ჰიმ კუღს ქოგელეგიონა თუდე (ჩიქობ., 1936, 334) „მელიამაც უფხრა, რომ იმ ორმოში ჩაგიყვან ძირს“; დობერი დოლიზარ, **ოტი** ფუჯი მო ამიტაჲ (ჩიქ., II, 349). „დობეს შემოავლებ, რომ ძროხა არ შემოვიდეს“. მეჯლისიქ თქუ-**ოტი** „არ ... ლაზის დობკითხათ (ყიფშ., 11) „მეჯლისმა თქვა რომ ერთი ლაზს ვკითხოთ!“

თურქულიდან შემოსულია აგრეთვე ჰამა/ამა მაპირისპირებელი კავშირის ფუნქციით.

კაჰავ (კავე) უჩა რენ, ამა ალა დო ბეგიქ შუფან (ყიფშ., 1939, 12) „ყავა შავია, მაგრამ ალა და ბეგი სვამს. დიდო გორუ ჰამა კოჩის მუში ცხენი ვა აძირუ „ბევრი ეძება, მაგრამ კაცმა თავისი ცხენი ვერ ნახა“.

ვანა რთული მაპირისპირებელი კავშირია; მიღებულია ვარნა-საგან: ვარ „არა“, ნა „თუ“ – თუ არა, ან, ანდა. შდრ. მეგრ. ვარა←ვარდა „თუ არა“. ქართულში ვანა გადმოიცემა თორემ კავშირით.

მაგ.:

ხოლოთი ხე ვანა კუჩხე მემაკვათაში (ჟღ., 33) „ვიდევ (კვლავ) ხელი ანდა ფეხი თუ მომეკვება“; ბიჭიში ნინაქ ფორჩა ვანა ხირკა გამაქთერი დოლიქუნამს (ჟღ., 28), „ბიჭის დედა კაბას ან ქურთუკს გადმობრუნებულს ჩაიცმევს“; დელი რენი, ვანა მა დელი ბორე-ი? (ჟღ., 29) „გიჟია თუ არა მე ვარ გიჟი?“ ოხორიშა ქომოხთი ვანა ჩქვა ვარ გოჩქუმერ „სახლში მოდი თორემ სხვა დროს არ გაგიშვებ“...

მაპირისპირებელი კავშირია **და/ადა... და/ადა** „ან/ანდა... ან/ანდა“. მაგ.:

ა სი მოხთი ა მან ქომობულუ „ან შენ მოდი ან მე წამოვალ; ა ფარა მეჩი. ადა გარი ჩი „ან ფული მიეცი ანდა საჭმელი აჭამე“.

რომ, როცა, როდესაც კავშირის როლში გამოდის ზმნაში დართული ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი: **-ში** და **-ის/-სი**. **-ში** მეტ-ნაკლებად ლაზურის ყველა კილოკავშია გამოყენებული.

-ის/-სი უპირატესად ათინურში იხმარება, ნაწილობრივ ვიწურშიაც.

მაგ.

არ ხონჯიშენ მიკიდუ-ში, ტიბას თუთაში ლანდე ქომირუ (ჩიქ., I, 401) „ერთ ხიდს როცა გადიოდა, ტბაში მთვარის ლანდი ნახა“; სუმ წანერი ბორტიში, ბაბათი დომილურუ (ჩიქ., II, 263) „სამი წლის რომ ვიყავი, მამაც მომიკვდა“; ნიკოლა მოხთუსი, თუთუნია მენდაქითი (კარტ., 1993, 170) „ნიკოლოზი რომ მოვიდა, თუთუნზე წავედით“...

ლ. ფაჩულიას თავის ტაბულებში წარმოდგენილი აქვს მიმართებები ქართულ და ლაზურ-მეგრულ კავშირებს შორის:

მაჯგუფებელი კავშირები

ქართ.	ლაზ.	მეგრ.
და	დო	დო
არც... არც	ნე ნეთი	ვართ(ი)
ვერც... ვერც	-	-
ნურც...ნურც	-	-
კიდეც...კიდეც	-	ქოთ(ი)

მაცალკევებელი კავშირები

ქართ.	ლაზ.	მეგრ.
ან... ან	ვარა ვანა, აა აან	ვარა
ხან... ხან	-	მინ მინშა მინიშა
გინდ... გინდ	გინონ... გინონ	გოკონდა... გოკონდა

მაპირისპირებელი კავშირები

ქართ.	ლაზ.	მეგრ.
მაგრამ	მარა ჰამმა ჰამა ამა	მარა
კი არა	-	ვარიე

მაქვემდებარებელი კავშირები

ქართ.	ლაზ.	მეგრ.
რომ, როცა, თუ	-ნა -ნ	-ნი -ნ
რომ	-ქი (თურქ.), -ოტი (ბერძნ.) -ში, -შა, -ის -სი	ნამუდა ნამგდა ნამდა -
თორემ	ვარა ვანა	ვარა
რადგან	-	რადგანს რახან რადან
თუ	-	და

ცალკეა წარმოდგენილი საკავშირებელ სიტყვებად გამოყენებული:

მიმართებითი ნაცვალსახელები:

ქართ.	ლაზ.	მეგრ.
ვინც	მითხანი მინთხა	მითი მითგ მით მიდგა მიდგათ(ი) მიდიგა
რაც	მუთუ მუ მუთხანი	მუთი მუთგ მუთუ მუთ მუდგა მუდგათ(ი)
რომელიც	ნამუთხანი	ნამუთი ნამუთგ ნამუთ
რამდენიც	ნაკო ნაკონაი	მუზმა მუზგმა მუზმათ(ი) მუსხით(ი)

მიმართებითი ზმნიზედები:

ქართ.	ლაზ.	მეგრ.
სადაც	სოთი სოთხანი სოთხანითი	სოთი სოთ სოდეთი სიდეთი
საითკენაც	სოლენდო	სოლე სოლეთი
საიდანაც	-	სოლემე სოლემეთი
რომელი მხრიდანაც	-	ნამუგანიშე
როდესაც, როცა	-	მუჟანსით მუჟანგთ მუჟამსგთი
სანამ, ვიდრე	-	სონდარო ონდარო
სანამდის	-	სომახ სომახგთ
რამდენ ხანშიც	-	მუშ მამალას
როგორც	მუჭო	მუჭო მუჭოთ მუჭოთი

[ფაჩულია, 1997, 18-92].

III. 4. ნაწილაკი.

მეგრულსა და ლაზურში ნაწილაკები წარმოდგენილია დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვით, ბევრით თუ ბევრათა კომპლექსით. ნაწილი ცალკე მდგომია, ნაწილიც მიერთვის სიტყვას ან წინადადებას, ზოგიც მოსდევს სიტყვას ან წინ უსწრებს. ამავე დროს ზოგიერთი ნაწილაკი მრავალფუნქციურია და გარდა ლექსიკურისა, გრამატიკული მნიშვნელობის მქონეცაა.

ნაწილაკთა ერთი ჯგუფი საერთოა მეგრულ-ლაზურისთვის მასალობრივად, ხოლო მეორე ჯგუფი საკუთრივ მეგრულის ან ლაზურის კუთვნილებაა, ხშირად ნასესხები შესაბამისად ქართულიდან და თურქულიდან.

ნაწილაკის ფუნქცია წინადადებაში განსხვავებულია, კერძოდ, გვაქვს: კითხვითი, ჩვენებითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, დადასტურებითი, გაძლიერებითი, სხვათა სიტყვის, მოდალური ნაწილაკები.

III. 4.1. კითხვითი ნაწილაკი.

მეგრულში -ო კითხვითი ნაწილაკია და ის ძირითადად დაერთვის ზმნას, შეიძლება სახელსაც დაერთოს. ქართულში მისი შესატყვისია -ა, რომელიც ძველ ქართულში გამოიყენებოდა [ჩიქობავა, 2008/1, 193; შანიძე, 1953, 628].

ი. ყიფშიძის მიხედვით, კითხვითი მახვილი ნაწილაკზე არ მოდის; მახვილი წინმავალ ხმოვანზეა. იქვე იგი მიუთითებს, რომ -ო ნაწილაკი ხელს უწყობს მესამე სუბიექტური პირის ნიშნის ნ-ს აღდგენას [ყიფშიძე, 1994, 144]: კოჩი გერე „კაცი დგას“, მაგრამ: კოჩი გერე-ნ-ო? „კაცი დგას?“, ღვინჯ ქუდუდგუმჯ „ღვინო დაუყენებია“, მაგრამ: ღვინჯ ქუდუდგუმუ-ნ-ო? „ღვინო დაუყენებია?“

ლაზურის -ი კითხვითი ნაწილაკი ფონეტიკურად ვერ დაუკავშირდება ვერც მეგრულს და ვერც ქართულს: მხოლოდ ფუნქციური შესატყვისობაა მათ შორის, თუმცა არნ. ჩიქობავას აზრით, ლაზური -ი „უნდა იყოს იგივე -ი, რასაც სვანური იყენებს კითხვითს წინადადებაში [ჩიქობავა, 2008/1. 193].

ლაზურშიც -ი ნაწილაკი ერთვის ზმნას;

მაგალითები:

ჰაწი ვიწური გიწვა-ი სი? (ჩიქ. II, 251, 11) „ახლა ვიწურად გითხრა შენ?“ ჩხომეფე სო ოლი? დოტალანი-ი? (ჩიქ. II, 247, 26) „თევზები სად წაიღე? შეწვი?“

III. 4.2. ჩვენებითი ნაწილაკები.

ცნობილია, რომ ჩვენებითი ნაწილაკები, დეიქსისები მეგრულსა და ლაზურში მიერთვის ნაცვალსახელებს და სიშორე-სიახლოვის სემანტიკას მიანიშნებს (იხ. ზემოთ). ამავე დროს ისინი დამოუკიდებლადაც გამოიყენება. ამგვარია მეგრულში ჩვენებითი ნაწილაკი ა//აა „აი, აგერ//აჰა“, რომელსაც გასუბსტანტივების შემთხვევაში მიერთვის სხვათა სიტყვის -ა ნაწილაკი, რის გამოც ჩნდება ხმოვანთგამყრელი ვ: აა-ააა-ვ-ა.

მაგალითები:

ა ხორცი, ა ზვალი, ა ჭკიდი, დოხოდი დო ჭკომი! (ქაჯაია, I, 161) „აი (აგერ) ხორცი, აი, ყველი, აი, მჭადი, დაჯექი და ჭამე!“ აა, ოკო ოჭოფას ტორონჯინი (ხუბ., 130) „აგერ-აგერ, უნდა დაიჭიროს მტრედი...“ ააგა, დო მუში ოში მანათი ქაწუკვაზინუ (ხუბ., 237) „აიო, და მისი ასი მანეთი წინ დაუდო“...

შევნიშნავთ, რომ მისალმებისას აა მიმდევრობა შორისდებულის ფუნქციით იხმარება და სასიამოვნოდ გაოცებას გამოხატავს:

აა! თენა თქვა ზოჯუნთო? (ქაჯაია, I, 161) „აა, ეს თქვენ ბრძანდებით?“

ა//აა ნაწილაკს ენაცვლება ე ნაწილაკიც, რომელიც ასევე მიუთითებს საგანზე:

ე, თი კოჩისით ქუმურთუმუ! „აი//ეგერ ის კაციც მოსულა“...

ლაზურშიც გვაქვს მითითებითი ნაწილაკები მსგავსივე ფუნქციით, მასალობრივადაც საერთო:

ა//აჰა „აი“:

ა, სი ნა-გორუმტი ჰაქ ძუნ/ძინ (ნენაფ., 29) „აი, შენ რომ ეძებდი, აგერ დევს“, აჰა, ჰაქ რენ (ნენაფ., 320) „აი, აქ არის“...

ე//ეჰე „აი//ეგერ“:

ე, ოხორიშქუნი ჰეი ონ! (ნენაფ., 189) „აი. ჩვენი სახლი ეგერ არის“, ეჰე ჰექ რენ (ნენაფ., 193) „აი, იქ არის“...

მეგრულში ქართულიდან ჩანს შესული აი „აი“ ნაწილაკი, რომელიც მიუთითებს:

იმაზე, რაც თვალწინ არის ან ხდება:

აი, ათენერო დოულორებუნა მემარეფი „აი, ამნაირად მოუტყუებიათ მგზავრები“...

იმაზე, რაც უნდა ითქვას:

აი, მუჰო ზოფერე თე ამზე „აი, როგორ ყოფილა ეს ამბავი“(ქაჯაია, I, 169)

III. 4.3. განუსაზღვრელობითი ნაწილაკები.

განუსაზღვრელობითი ნაწილაკები ძირითადად წარმოდგენილია ნაცვალსახელებში. მეგრულში ეს ნაცვალსახელებია: **მიდგა/მიდა** „ვიღაცა“, **მუდგა/მუდა** „რღაცა“, **ნამდგა/ნამუდგა/ნამუდა/ნამდა** „რომელიღაცა“, **მუჭომდგა/მუჭოიდგა/მუჭოდგა/მუჭოდგა** „როგორიღაცა“. მათში წარმოდგენილია ნაწილაკები -გი <-გა და -და <-თა <-თი.

ლაზურში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებია: **მითხა/მინთხა < *მინთგა<*მინ-თი-გა** „ვიღაცა, ვინმე“, **მუთხა/მუნთხა < *მუნთგა <*მუნ-თი-გა** „რღაცა, რაიმე“, რომლებშიც გამოიყოფა **თი** და **გა** ნაწილაკები (იხ. ზემოთ).

მეგრულში განუსაზღვრელობითი ნაწილაკები ერთვის ადგილის ზმნიზედებსაც: **სოდგა/სოდიგა/სოგიდა** „სადღაც“, **სოლედგა** „საიდანღაც“. ამ შემთხვევაშიც -დგა მიმდევრობა იმავე გზითაა მიღებული, როგორც ნაცვალსახელებში.

III. 4.4. უკუთქმითი (უარყოფითი) ნაწილაკი.

უარყოფითი ანუ უკუთქმითი ნაწილაკი მეგრულში რეალიზდება შემდეგი ფორმებით: **ვა/ვარ** „არ(ა)“, „ვერ“. ის თავში დაერთვის ზმნას.

ვარ სრული ფორმა გამოიყენება გამეორებისას ან უსრული წინადადების სახით დიალოგისას:

ვარ, ვარ, ვებლორინეჟი (ყიფშ., 174) „არა, არა, არ შეიძლება ჩემი მოტყუება“, ზუჩა მეურქო? – **ვარ**. „სახლში მიდიხარ? – არა“...

ასევე გასუბსტანტივებული **ვარ** ნაწილაკი იძენს „უარი“ სიტყვის მნიშვნელობასაც:

ვარს გერე „ უარზე დგას“ (ქაჯაია, I, 579).

ი. ყიფშიძე ცალკე წერდა ვა ნაწილს [ყიფშიძე, 1914,013], თუმცა ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან ნაწილაკების ხმოვნითი ნაწილი გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდის, რის გამოც ნაწილაკი ვა ბუნებრივად ერწყმის ზმნურ ფორმას: ვაიჯინე < ვა-გ-ი-ჯინ-ე „არ გიყურებს“, ვეკითხა < ვა-ი-კითხ-ა „არ წაიკითხო“, ვაოთა < ვა-ო-ბოთ-ა „არ ისროლო“...

ვა ნაწილაკი გამოხატავს ჩვეულებრივ და შესაძლებლობის უარყოფას (პოტენციალის ფორმებთან). შენიშნულია, რომ უარყოფითი ნაწილაკი მეგრულში ფუნქციურად მეტად დატვირთულია: ჯერ ერთი, ამ ნაწილაკის გამოყენების სიხშირე აღემატება ქო- დადასტურებითი ნაწილაკის გამოყენებას, მეორეც, უარყოფითი ნაწილაკი დადასტურების ფუნქციითაა გამოყენებული, მაგალითად:

მა ვამირტინუაფუდუკო-და, გლახათი დუ იში საქმე „მე რომ არ გამექცია, ცუდად იყო მისი საქმე“, თე ქუა ვარენო მა გიშვოგორაფე? „ეს ქვა არ არის მე რომ ამოვარჩევინე?“ (ლომია, 2011, 43)...

საინტერესოა ვა და ქო ნაწილაკების თანხვედრაც ზმნური ფორმის დასაწყისში: ვაქუ-მორთუო „ქე არ მოვიდა?“ ვაქუწუო? „ქე არ უთხრა?“ ასეთ კითხვით-რიტორიკულ კონსტრუქციებში „ვა ელემენტი უნდა განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა, უარყოფის ნაწილაკი, რომელიც არ წარმოადგენს პრეფიქსულ მორფემას და არ შედის პრეფიქსთა ჯაჭვში. ასეთი ვა არ ექვემდებარება რედუქციის წესებს და არც ასიმილაციას განიცდის“ [გუდავა, გამყრელიძე, 2000, 194].

ლაზურში, მეგრულისგან განსხვავებით, ვარ სრული ფორმაც გამოიყენება ზმნებთან და დამოუკიდებელ სიტყვას წარმოადგენს, მაგალითად:

თოკი ვარ მეგჩარე დო ემუშენი გიწუმერს! (ჩიქ., II, 9) თოკი არ უნდა მოგცე და იმისათვის გეუბნები! ქომოლიქ თქუდორენ – მა ინანი ვარ ბიქომ! (ჩიქ., 2008/1, 279) „ქმარმა თქვა, რომ მე არ ვენდობიო (ნდობას არ/ვერ ვიზამო)“; მა სერი ვარ მაძირენ (ჩიქ., 2008/1, 280) „მე ღამე ვერ ვხედავ“...

ვარი ფორმა დასტურდება დიალოგურ კონსტრუქციებში:

ჩქიმი და მერემის, ძაბუნი ნა რენ, მცხული აწყენს-ი-ა? ნანაქ – ვარი-ა ში, ღალიბიქ ჯებემენ მცხული იშილუ დო და მუშის ქომეჩუ (ჩიქ., 2008/1, 445) „ჩემს დას მერემის, ავად რომ არის, მსხალი აწყენსო? დედამ – არა-ო (რომ უთხრა), ღალიბმა ჯიბიდან მსხალი ამოიღო და დას მისცა“.

ვა ვარიანტი თავისუფლად ენაცვლება ვარ ფორმას ზმნების წინ ყველა პოზიციაში; მაგალითები:

ბოზო ვა გოკუნცხინუ. დაჰა მითი ვა ენ... ბოზოს ვა უჩქინ... ხვალა ვა გამამაონენ-მა... მუ-თუ ბოზო ჩქიმის ნა ვა ოლოდუ-მა... (ჩიქ., 2008/1, 275) „გოგო არ გააღვიძა. კიდევ არავინაა... გოგომ არ იცის... მარტო ვერ გამოვიყვანო... თუ ჩემს გოგოს არ დაუშავაო...“

ლაზურში ვა/ვარ ნაწილაკის მორფემად გადაქცევა არ მომხდარა.

მეგრულში გვაქვს ქართულიდან ნასესხები ნუ/ნუმ/ნუმუ/ნჷმ/ნუმჷ „ნუ“ ნაწილაკი ფონეტიკური ვარიაციებით [ქაჯაია, II,402-403];

მაგალითები:

ნუ გომქურუნია ჩქიმდა (ყიფშ., 174) „ნუ გეშინიაო ჩემი“; ნუმ რაგადა ბოდიშის (ქხს., I, 310) „ნუ ლაპარაკობ ბოდიშს“; გოხვეწჷქ, ნუმუ წაბუნე ათე ჩქიმი ბოშალას (ყიფშ., 164) „გეხვეწები“

ნუ გააფუჭებ ამ ჩემს ბიჭობას“; **ნუმჰ** მიღუნა შხვაში იმენდი (ყიფშ., 169) „ნუ გვაქვს სხვისი იმედი“...

შენიშნულია, რომ ამ ნაწილაკის გამოყენება ძირითადად ხდება აწმყო-მყოფადის ფორმებთან [კარტოზია,... 2010, 307].

ლაზურში თურქულიდან ნასესხებია **ნე** „არ“ ნაწილაკი, რომელიც დაირთავს **თი** „ც“ ნაწილაკს და **ნე-თი** ფორმა მიიღება, რომელიც მიმართებითი ნაწილაკის „არც“ ფუნქციით გამოიყენება [თანდილავა, 2013, 570]:

ჰამდუნმას ჩქვა მუთუ ვარ ულუტუ, **ნე-თი** უფონუტუ“ (ჟღ. 20) „ ამ ქვეყანაზე არაფელი არ ჰქონდა, არც არავინ ჰყავდა“; **ნე** სუმელური ვორე, **ნე-თი** აბური (ყიფშ. 90) „არც სუმელადან ვარ, არც - აბუდან“...

III. 4.5. დადასტურებითი ნაწილაკი.

მეგრულსა და ლაზურში დადასტურებითი ნაწილაკია **ქო** „კი, დიახ“. ქართულში მისი ეკვივალენტია **ქე-ქუე**. **ქო** ნაწილაკი ცალკე იხმარება კითხვა-მიგების დროს და ზმნაში ზმნისწინთან ერთადაც. იგი ძირითადად სიტყვის თავშია.

დამოუკიდებლად ხმარებისას ის მიგებითი სიტყვაა; მაგალითები:

მეგრულში:

–**ქო**, მა ის ოპჰოფუნქია (ხუბ., 67) „კი, მე მას დავიჭერო“; **ქო**, ქომიჩქუ დასურო ღურელიში გათელებერი წამალია (ხუბ., 11) „კი, მართლა ვიცი მკვდრის გასაცოცხლებელი წამალი“...

ლაზურში:

დელიკანლიქ-თი –**ჰო**, ბერე სკანი ბორე-მა. **ქო**, **ჰო** –ჟური-თი ითქვენ (ჩიქ., 2008/1, 286) „ახალგაზრდამაც, –**ჰო**, შენი შვილი ვარო“...

ქო და **ჰო** ორივე ითქმის:

ბექი-ა ქოთუმემ ხორცი ოგაჰკომაფუტუ-ი-ა? –**ქო**, ობიფხორტი! (ჩიქ., 2008, 287) „ბექი, ქათმის ხორცი გეჭმევო? –**კი**, ვჰამდი“; კაი დოგოდოდეს, კაი გარი ქოგგეს-ი, კაი დოგონჯირეს-ი? –**ქო**, დიდო კაი მოლოდეს-მა, –**ბუწვით** (ჩიქ., 2008, 291) „კარგად გაგიკეთეს, კარგი საჭმელი მოგცეს, კარგად მოგასვენესო (დაგაწვინესო)? –**კი**, ძალიან კარგად მიგვიღეს-მეთქი, –**ვუთხარით**“...

მეგრულში **ქო** ნაწილაკს მიერთვის სხვათა სიტყვის ა ნაწილაკი, რის გამოც წარმოქმნილი **ოა** მიმდევრობა გარდაიქმნება უფრო ბუნებრივ **ოვა** მიმდევრობად, მაგალითად:

კიბე ქუულუნიავო? – **ქოვა** (ყიფშ. 28) „კიბე აქვსო? –**კიო**“...

ლაზურში სხვათა სიტყვის ნაწილაკი **ია** მიერთვის, რის გამოც **ქოია** > **ქომა** გარდაქმნა ხდება:

ცხენი ჩქიმი კაპინერი იდუ ნა, სი ბაღჩიში მოლოდარე-ი? –**ქო-მა**, –**უწუ!** (ჩიქ., 2008, 282) „ჩემი ცხენი ხტომით რომ წავიდა, შენ ბაღჩაში საქმიანობდიო? –**კიო**, –**უთხრა**“...

მეგრულში **ქო** ნაწილაკი ზმნურ ფორმაში პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში შედის და წარმოგვიდგება ფონეტიკურ ვარიანტებად, რაც დამოკიდებულია **ო+V** მიმდევრობის

ცვლილებათა წესებზე, შესაბამისად, გვაქვს: ქე/ქჷ/ქი Cი-ს წინა პოზიციაში და ქუ/ქჷ/ქი Cო-ს წინა პოზიციაში: ქო-მითო-ხე>ქემთოხე/ქჷმთოხე/ქიმთოხე „ქვემ კი ზის“, ქო-მო-რთუ>ქუმორთუ/ქჷმორთუ/ქიმორთუ (სამურზაყანოულში ქჷმორთუ) „მოვიდა“ [გუდავა, გამყრელიძე, 2000, 191].

ლაზურშიც ქო ნაწილაკი წარმოდგენილია ფონეტიკური ვარიანტებით ხმოვანთა ასიმილა-ციის წესების მიხედვით, თუმცა ეს ვარიანტულობა დამახასიათებელია ხოფური მეტყველები-სთვის, ნაკლებად ვიწურ-არქაზულისთვის, იშვიათად – ათინურისთვის.

ქო ნაწილაკის ხმოვანზე გავლენას ახდენს მომდევნო ზმნისწინის ხმოვანი, ასევე პირის ნიშნის მომდევნო ა, ი, ო, უ, ი ხმოვნები. აქვე დავძენთ, რომ ზმნური ფორმის პრეფიქსულ მორფემათა რანგობრივი ჯაჭვი, მეგრულისგან განსხვავებით, წარმოდგენილია ოთხი რანგით, რადგანაც მეგრულში სპეციფიკური ზმნისწინი თიმა//თჷმა ზრდის რანგს.

ამგვარად, ლაზურში ქო ნაწილაკს მოსდევს ზმნისწინი (მარტივი ან რთული), შემდეგ სუბიექტისა და ობიექტის პირის ნიშანი (ვ/მ(ზ//ფ//პ), გ), შემდეგ ხმოვანი პრეფიქსი და ფუძე. ამის გათვალისწინებით, გვაქვს შემდეგი ფონეტიკური ვარიანტები:

ქო > ქე გარდაქმნა ხდება, როდესაც ქო ნაწილაკს მოსდევს ე მარტივი ზმნისწინი, ან რთული ზმნისწინები, რომელთა პირველი კომპონენტი ე გახმოვანებისაა (ელა, ეკა, გელა/ჯელა, ეშა/ეშკა, მედა, მეშა/მეშკა, ეწა, გეწა, მე(ა)ა, ე(ა)ა), შესაბამისად, ვიღებთ ქოე>ქე. მაგალითები: ქეშახტუ < ქო-ე-შახტუ „ამოვიდა“, ქეპჭოფათ < ქო-ე-პჭოფათ „ავილოთ“, ქეწუსქიდუნ < ქო-ე-წა-უ-სქიდუნ „დაურჩება“, ქელიწკუ < ქო-ე-ლა-ი-წკ-უ „ჩამოიხსნა“, ქელონსვარამან < ქო-ე-ლა-ნ-სვარამ-ან „ამოუსვამენ“...

ლული დომიკოეცხეს [დომიკორეცხეს]დო ჟურ-ჟურ კაპეკიშენ ფარა ქემიჭოფეს (ჩიქ., 2008, 293) „ლეღვი დამითვალეს და ორ-ორ კაპიკად აიღეს“; ცხენის გეხედი-ა დო ლული სქანი ქეზ-დი-ა დო! (ჩიქ., 2008, 293) „ცხენზე დაჯექიო და შენი ლეღვი აიტანეო“; ოხორის ქელახენ-მა, ბუწვი! (ჩიქ., 2008, 293) „სახლთან ზის-მეთქი, ვუთხარი“; დოლობუჯოხი დო ქეშახთუ (ჩიქ., 2008, 294) „დაუმახა და ავიდა“; ქელანჭგარუმან ბურჭულითე (ჩიქ., 2008, 296) „აჭრიან წალდით“...

თუმცა არის შემთხვევები, როცა მოსალოდნელი ქე-ს ნაცვლად გვაქვს ქა ვარიანტი: ქაეჭოფუ <ქო-ე-ჭოფუ (ჩიქ., 2008, 53), ზოგჯერ ქა ვარიანტიც: ქაეჭოფუ (ჩიქ., 2008, 404,14) „აილო, აიყვანა“, ქაეზდუ (ჩიქ., 2008/1, 423, 8) „ქეწაიყვანა“, ქაეჩქინდუ (ჩიქ., 2008, 433, 2) „ქეგაუჩნდა“, ქაეშახთუ (ჩიქ., 2008, 349, 10) „ქეავიდა“, ქაემიხთუ-მა. (ჩიქ., 2008/1, 404, 29) „ქემივიდაო“, ქაეწკუ (ჩიქ., 2008, 417, 3) „ქეამოხდა“.

ქა ნაწილაკი გვაქვს ორ შემთხვევაში:

1. როცა ქო ნაწილაკს მოსდევს რთული ზმნისწინები ა-მა, გა-მა და ხდება სრული ასიმილაცია: ოა>ა – ქამაფთი < ქო-ამა-ფთი „დავდექი, ქეამოვედი“, ქამიყონეს < ქო-ა-მა-ი-ყონეს „მიიღეს (სკოლაში)“, „ქეამოიყვანეს“ (ჩიქ., 2008, 55), ჟუჭულეფე ქაგამაწილა-მა (ჩიქ., 2008, 430, 35) „წიწილები გამოვჩეკო“, არ ოხორის ხირსუზი ქამახთერენ (ჩიქ., 2008, 412, 19) „ერთ სახლში ქურდი ქეამოსულა“.

2. როცა ქო ნაწილაკს ო გახმოვანების რთული ზმნისწინები (გოლა, გოშა/გოშკა, გოწა, მოკა, მოლა, მოშა/მოშკა, მო(ა)ა, ოხო, ოკო) მოსდევს: ქაგუწულუ <ქოგოწულუ „გამოართვა“, ქამუიწკუ < ქომოიწკუ „გაიხადა“ (ჩიქ., 2008, 54, 57), ვა გძირი, ქამოშახთი! (ჩიქ., 2008, 427, 10) „ვერ გნახე, ქეამოვედი“; ბერექ კურბალაჯი ქამუშლეთინუ (ჩიქ., 2008, 425, 9) „ბიჭმა კურბალაჯი (ერთგვარი ფრინველია) გადაარჩინა“; ნანა დო ბაბა მუში დო ოხორი მუში ქაგოჭკონდინეს (ჩიქ., 2008, 422, 21) „დედ-მამა და სახლ-კარი ამოუწყვიტეს“; თის ბიგა გოკირუ ოხორჯას დო ქაკონაყვილუ (ჩიქ., 2008, 422, 3).

ქუ ვარიანტი თავს იჩენს საობიექტო ვერსიის უ ხმოვნის წინა პოზიციაში: ქოუ>ქუ – ქულუტუ<ქოლუტუ „ჰქონდა“(ჩიქ., 2008/1, 52), ქუყოუნტუ<ქოყოუნტუ „ჰყავდა“(ჩიქ., 2008, 424, 14), კოდნი ქუდონუნ! (ჩიქ., 2008, 335,14) „ცხვარი მოუყვანა“, ჰემუს ქუშქუნ (ჩიქ., 2008, 341,17) „მან ქეიცის“, თომა ირის ქუნჩარან დუდის (ჩიქ., 2008, 342, 11) „თმა ყველას ქეაქვს თავზე“.

აღსანიშნავია, რომ თუ ქო ნაწილაკსა და საობიექტო ვერსიის უ ხმოვანს შორის მოექცევა ე ზმნისწინი, მაშინ ოეუ მიმდევრობა გარდაიქმნება იუ მიმდევრობად: ქდუჭოფუ <ქო-ე-უჭოფუ „უყიდა“, „აულო“, ქდუხთუ < ქო-ე-უ-ხთუ „ამოუვიდა“ (ჩიქ., 2008/1, 56), ქდულეს (ჩიქ., 2008, 417, 6) „ქემიუტანეს“.

ქი ნაწილაკი გვაქვს, თუ უ მაქცევრის წინ მოექცა ლა ნაწილაკ-ზმნისწინი:

ბარდიმ აერიკალა ქილუბდი <ქო-ლა-უ-ბდი (ჩიქ. 2008, 478, 6) „ბარდის ადგილთან დაგუყარე“, თოლის-თი ქილუნცახუფან < ქო-ლა-უ-ნცახუფან (ჩიქ. 2008, 532, 20) „თვალსაც აუხვევენ“...

ასევე ფუძისეული ი ხმოვნის წინა პოზიციაში: ქილინჯირუ <ქო-ლა-ინჯირუ (ჩიქ. 2008, 431, 14) „წამოწვება გვერდზე“, ქისელუ-ში (ჩიქ. 2008, 423, 35) „რომ წავიდა“.

ამრიგად, ლაზურში ქო ნაწილაკის ვარიანტებია: ქა//ქე//ქუ//ქი//ქი.

ქო ნაწილაკის გრამატიკული ფუნქციის შესახებ მეგრულსა ა ლაზურში იხილეთ „ასპექტის კატეგორია“.

III. 4.6. გამლიერებითი ნაწილაკები.

მეგრულსა და ლაზურში საერთო ნაწილაკებია გამლიერებითი სემანტიკის მქონე ხოლო და თი მორფემოიდები, რომლებიც ქართული -ც(ა) ნაწილაკის მორფოლოგიური შესატყვისია. მათგან ხოლო ზმნიზედის „ისევ, კიდევ, მაინც“ ფუნქციასაც ასრულებს ორივე ენობრივ ერთეულში (იხ. ზემოთ).

ხოლო, როგორც ნაწილაკი, მიერთვის ნებისმიერ სახელს, ასევე ზმნიზედებსაც, თუმცა იწერება ცალკე. მეგრულში ამ ნაწილაკს ფონეტიკური ვარიანტი არ მოეპოვება, მაგალითები:

თეზმა ხანს ჯოდორქ ხოლო ქიმიოლალუ „ამდენ ხანს ძალმაც დაიყევა“ (კარტოზია..., 2010, 306); მა ხოლო ჰეს ქიმგეხვარებუქ (ხუბ., 4) „მეც ცოტას მოგეხმარები“; დაჩხირი ოტიბუანს, მარა ჰუალა ხოლო უჩქუნია (ხალხ. სიბრძ., I, 35) „ცეცხლი ათობს, მაგრამ დაწვაც იცისო“; თე ამბეში უკულ ხოლო ართიანს ლანძლუნდეს „ამ ამბის მერეც ერთმანეთს ლანძლავდნენ“; ათაშ ხოლო ვეშილეზე „ასეც არ შეიძლება“...

ლაზურში ნაწილაკი წარმოდგენილია რედუცირებული სახითაც: ხოლ//ხოლო. არნ. ჩიქობავას ტექსტებში ჩაწერილია აპოსტროფით: ხოლ', მაგალითები:

ოწკედუ ის, მაჟურა ხოლ' ძირუ (ჩიქ., 2008, 247) „ხედავდა მას, მეორეც ნახა“; არ საათი'ჰკულე ხოლ' დუჯოხუ მუსთენდიკიქ (ჩიქ., 2008, 248,4) „ერთი საათის მერეც დაუმახა მუსთენდიკმა“; მუსთენდიკიქ ხოლ' უჯოხუ ის (ჩიქ., 2008, 248, 11) „მუსთენდიკმაც დაუმახა მას“; ა/არ ნდღას ხოლო ხოჯა არ ოდას ქამახთუ (ჩიქ., 2008, 248, 27) „ერთ დღესაც ხოჯა მოვიდა“; არ ჩქვა კოჩი ხოლო ქომოხთუ (ჩიქ., 2008, 252, 20) „ერთი სხვა კაციც მოვიდა“; მა ხოლო თი ჩქიმიშენ გიწვარე! (ჩიქ., 2008/1, 265) „მეც ჩემთავის შესახებ გეტყვი“...

ხოლო ნაწილაკი მეგრულსა და ლაზურში ითავსებს განსაზღვრებითი ნაწილაკის ფუნქციასაც და ქართული **-ვე** ნაწილაკის ფარდია. ის მიერთვის რიცხვით სახელებსა და ზმნიზედებს, მაგალითები:

მეგრულში:

ჟირიხოლო ტარიელეფია დო, მუჭო მულადო, **ხათეხოლო** დორბვილუნანია (ხუბ. 2) „ორივე ტარიელეფიო და, როგორც მოსვლა და, მაშინვე მოგკლავენო“, მიდეტონით **ასე ხოლო** დო დობვილით... (ქხს. II, 128) „წაიყვანეთ ახლავე და მოკალით“...

ლაზურში:

ჟური ხოლო უნკაპეს ოხორიკელე (ჩიქ., 2008, 485, 12) „ორივე გაიქცა სახლისკენ“; ქჩე ჯოდორი, უჩა ჯოდორი, **ჟური-ხოლო** ჯოდორი (ნენაფ., 958) „თეთრი ძაღლი, შავი ძაღლი, ორივე ძაღლი“; **მანიშა-ხოლო** მან დანი სქანის ქეფქინდუ-და (ჩიქ., 2008, 425, 20) მაშინათვე მე შენს გვერდით გავჩნდები“; **მანიშა ხოლო** ბაბა მუშის მექთუბი დუჭარუ (ჩიქ., 2008, 438, 1) „მაშინვე მამამისს წერილი მისწერა“...

გარდა ამისა, ამ ნაწილაკით იწარმოება ლაზური განსაზღვრებითი ნაცვალსახელებიც:

ირი-ხოლოქ ათმაჯა ნუტალემტეს (ჩიქ., 2008, 253, 33) „ყველა/ყოველი მიმინოს უშვებდა“; აწი მანმაგერეფე სერიში გვერდის **მთელი ხოლო** ქისელეს... (ჩიქ., 2008, 510, 24) „ახლა მეზობლებიც შუაღამეს ყველა ადგა...“

თ(ი) წარმოშობით ჩვენებითი ნაწილაკია [როგავა, 1948, 377; ბაბუნაშვილი, 1957, 226; ლომთათიძე, 1963, 78].

მეგრულში **-თი//თჱ//თ** ვარიანტებით არის წარმოდგენილი, ხოლო ლაზურში მხოლოდ **თი** ფორმით იხმარება. ნაწილაკი გაძლიერებითი მნიშვნელობისაა, თუმცა მიმართებითობის ფუნქციითაც გამოიყენება, კერძოდ, **-თი** აწარმოებს მიმართებით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს.

გაძლიერებითობის მნიშვნელობით მიერთვის როგორც სახელებს, ასევე ზმნიზედებსაც. აღსანიშნავია, რომ მეგრულში მოთხრობითსა, მიცემითსა და ნათესაობითში ბრუნვის ნიშანსა და **თი** ნაწილაკს შორის ჩნდება მავრცობი/თანხმოვანთგამყარი **ი** ხმოვანი, განსხვავებით ლაზურისგან, სადაც **თი** ნაწილაკი პირდაპირ მიერთვის ბრუნვის ფორმას, მაგალითები:

მეგრული:

არძოქ გალე გიმილეს: **რჩინუქი-თი** დო **ახალგაზრდაქი-თი**, **კოჩქი-თი** დო **ოსურქი-თი**, **ოსურსქუაქი-თი** დო **ქომოლსქუაქი-თი** (ქაჯაია, II, 46) „ყველა გარეთ გამოვიდა: ბებერიც და ახალგაზრდაც, კაციც და ქალიც, ქალშვილიცა და ვაჟიშვილიც“; **მუმასი-თ** უჯგუ დო **დიდასი-თჱ** „მამასაც ჯობია და დედასაც“; ოზეს **წოხლე-თ** გოხუმუნქჱ დო **უკოხლე-თ** „ეზოს წინაც დახვეტ და უკანაც“...

ლაზური:

ბაბა **მუშიქ-თი** აშო მუჭარუ (ჩიქ., 2008, 438, 2) „მამამისმაც ასე მოსწერა“; არ **თუთას-თი** ზინდანის ქომოლახეტეს (ჩიქ., 2008, 439, 31) „ერთი თვე სატუსალოში ისხდნენ“; **მან-თი** მიწვერეტუ-და (ჩიქ., 2008, 440, 29) „მეც მეუბნებოდაო“; აა ესქიჯიში ოხორიში **წოხლე-თი** არ ზენგინიმ ოხორი ქორტუ (ჩიქ., 2008, 442, 2) „ამის სახლის წინაც ერთი მდიდრის სახლი იყო“; **ექ-თი** კაი იჩალიში (ჩიქ., 2008, 451, 32) „იქაც კარგად რომ საქმობდა...“; ბაზი **თუდე-თი** ნუტკომეტუ (ჩიქ., 2008, 455, 7) „ზოგი ქვევითაც იმალებოდა“...

მეგრულში მიმართებითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები საკავშირებელ სიტყვებად გამოიყენება რთულ წინადადებაში:

თექ ქიგიასერჷ, **სოდეთ** თე ბოში ჯანჷდჷნ (დან., ცან., 1991, 106) „იქ შემოაღამდა, სადაც ეს ბავშვი იწვა“; თასუას **მუქეთ** ირაგადუ, მოწიას თიქ იბუა (დან., ცან., 1991, 428) „თესვის დროს რაც ითქვა, მოწევისას ის იქნაო“...

ლაზურის თავისებურებაა რთული კონსტრუქციები, სადაც საკავშირებელ სიტყვებად გამოდის ნაწილაკები. ერთ-ერთი ასეთი ნაწილაკია **ნა**, რომელიც მიერთვის ზმნას და „რომ“, „თუ“ კავშირების ფუნქციური შესატყვისია. აღმოჩნდა, რომ ამგვარ წინადადებაში **ნა**-ს ან იმ ზმნას, რომელსაც ახლავს, შეიძლება ერთვოდეს **თი** ნაწილაკიც:

ხცაფეი **ნა ენ-თი**, დოკარაფან-ა! (ჩიქ., 2008, 441, 22) „დამპალი რომც/რაც არის, დაკრი-ფონო“; მან-თი ქომჩაფან ჩხომი, ვა **მჩეს ნა-თი** ზოითენ მთელი-თი ქაგოწაუმე... (ჩიქ., 2008, 459, 8) მეც მომცემენ თევზს, თუ (თუმც) არ მომცემენ, ძალით ყველასაც გამოვართმევ“...

III. 4.7. სხვათა სიტყვის ნაწილაკები.

სხვათა სიტყვის ნაწილაკები საერთოა მეგრულსა და ლაზურში, თუმცა ფონეტიკური ვარიანტები განსხვავებულად მოეპოვებათ.

პირველი პირის ნათქვამის გადმოცემა ხდება: მეგრულში **მაქ**, ლაზურში **მა** ნაწილაკით, რომელიც ქართული **-მეთქი**-ს შესატყვისია.

ი. ყიფშიძის აზრით, **-მაქ** მიღებულია შესიტყვებისგან: **მა ფთქვი** [ყიფშიძე, 1914, 0142].

არნ. ჩიქობავა მეგრულში **მა**- ნაწილაკთან **ქ**-ს დართვას პირველი პირის ნათქვამის გადმოსაცემად ბუნებრივად მიიჩნევს [ჩიქობავა, 2008/1, 192] იმის გათვალისწინებით, რომ პირველი და მეორე პირის ფორმები აწმყოში **ქ**-ს დაირთავს: იბჩიებუ-ქ „ვლაპარაკობ“, იჩიებუ-ქ „ლაპარაკობ“.

მეგრულში გვაქვს **-მაქ//მაქი//მაქჷ//მაქუ** ვარიანტები [ქაჯაია, II, 228]; მაგალითად:

ვაგძირან-მაქ დო შიშის ვლურუდი (ქხს., I, 289) „არ მნახონ-მეთქი და შიშით ვკვდებოდი“; სო უეფაშო **გიმიჩამუ-მაქი** სიმინდი (ყიფშ., 1) „სად უფრო იაფად იყიდება-მეთქი სიმინდი“; დუცუ **დიპილჷნქჷ-მაქჷ** (ყიფშ., 163) „თავს მოვიკლავ-მეთქი“...

ლაზურის მაგალითები:

ეკულე **ქოპჷკომათ-მა**, გიწუმერთ (ჩიქ., I, 396, 11) „მერე ვჰამოთ-მეთქი, გეტყვით“, ოხოიშა **მინდილი-მა**, ვუწვი დო **დომიტაღანი-მა** (ჩიქ., I, 409, 35) „შინ წაიღე-მეთქი, ვუთხარი და შეწვი-მეთქი“, მოხთი **მიწვეს-მა** დო მობოლორდინი (ნენაფ., 465) „მოდო მითხრეს-მეთქი და მოვატყუე“...

-შო ნაწილაკი შეეფარდება ქართულ **-თქო**-ს. ნაწილაკი **-შო** მეორე პირის ნათქვამს გადასცემს მესამე პირს. მაგალითები:

მეგრული:

ჩქიმიშენი ქუუწით: თიქ **მორმოჩქუ-შო** (ყიფშ., 206) „ჩემზე უთხარით: იმან გამომგზავნა-თქო“; აკა სი **რექჩ-შო**, ალმასი **რექჩ-შო**, **აბრეშუმო-შო აწმაპირექჩ-შო** (ყიფშ., 145) „ერთი შენ ხარ-თქო, ალმასი ხარ-თქო, აბრეშუმად-თქო მეჩვენები-თქო“...

ლაზური:

თითო მარქვალე ქოდოსქვით დო **ქოპკომათ-შო**, თქვი... (ჩიქ., I, 396, 3) „თითო კვერცხი დადევით და ვკამოთ-თქო“; ნანა შკიმიქ **მიწუ-შო**, თქვი (ნენაფ., 885) „დედაჩემმა მითხრა-თქო, თქვი“...

ა ნაწილაკი III პირის ნათქვამს გადმოგვცემს. მას ქართულში შეესატყვისება სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკი.

მეგრულში ა ნაწილაკი დაერთვის სახელებს შემდეგი წესით: თანხმონით დაბოლოებული ბრუნვის ნიშნის მომდევნოდ აუცილებლად დაჩნდება ი მავრცობი ხმოვანი: კოჩი-ა „კაციო“, მაგრამ: კოჩი-ა „კაცმაო“, კოჩისი-ა „კაცსაო“, კოჩიში-ა „კაცისაო“, კოჩიშოთი-ა „კაცისთვისო“... ასევე ხდება ზმნის პირიან ფორმებთან: ბჰარუნქ-ი-ა „ვწერო“, ჰარუნს-ი-ა „წერსო“, ბჰარუნთ-ი-ა „ვწერთო“, ჰარუნან-ი-ა „წერენო“.

ზმნურ ფორმებში ა-ს ზოგჯერ ენაცვლება ე :

მორთი-ე, წიე „მოდიო ბიჭო“; თამ მიწი-ე-ნი, გამკვირდუ-ა „ასე რომ მითხარო, გამიკვირ-დაო“...

თავს იჩენს ერთი თავისებურებაც: ა, ე, ო ხმოვნებზე დაბოლოებულ ფუძეებთან ხმოვანთგამყარი ვ დაისმის, შესაბამისად, -ვა დაბოლოება გვაქვს: მავა „მეო“, დიდავა „დედაო“, ბამბევა „ბამბაო“, ჰუმევა „ხვალო“, თხოლოვა „თხლეო“, კოტოვა „ქოთანო“.

ლაზურში გვაქვს -ა/-მა ვარიანტები. მათი განაწილება ხდება შემდეგი წესით: ი-ზე დაბოლოებულ სახელებთან და ზმნურ ფორმებთან გვაქვს -ა, ხოლო ა, ე, ო, უ ხმოვნებისა და თანხმონების მომდევნოდ – -მა, მეგრული ია და ლაზური მა ერთი და იგივე ჩანს; ასევე, მა ლაზურში თანხმონის მომდევნოდაც გამოიყენება, რასაც ცხადყოფს მოხმობილი მაგალითები:

გკკომამინონ-მა „შეგკამო“, **მილუნ-მა** „მაქესო“, **დოპა-მა** „გააკეთეო“, **მენდრაშენ-მა** „შორიდანო“, **ვუნკაპუ-მა** „გავიქვევო“, **ეფცონტუ-მა** **მოიქთე-მა** „მოვბრუნდეო“, **ოგკკომა-მა** „შეგკამო“, **ოკვაჩხენდო-მა** „უკნიდანო“...

მგეი გოკუცხუ ში მუში თის უწვეენ – გზას ქოძიოფ არ თხა-მა, **ოკკომი-ა**, **დიძლი-ა** დო დანი მუშის **ქოდინჯი-ა**. სი მო ოლოდაფ **ოინი-ა**, – თი მუშის უწუმესს, ცირკიში დიდი იყვა **გინონ-ი-ა**?! გზას ქოძიოფ არ **ცხენი-ა**, – **ოკკომი-ა** დო **ინჯი-ა**: სი მო ოლოდაფ **ბარათი-ა**! **ჯამეში-ა** ხოჯა იყვა **გინონ-ი-ა**? (ჩიქ., 2008/1, 459) „მგელმა რომ გაიღვიძა თავის თავს უთხრა: გზაში თუ ნახავ ერთ თხასო, შეჭამეო, გამეხიო და მის ადგილას დაწექიო. შენ რატომ აკეთებ ოინსო, თავის თავს უთხრა: გინდაო უფროსი გახდე?! მაშინ გზაზე რომ ერთ ცხენსო ნახავ, შეჭამეო და დაწექიო: შენ რატომ აკეთებ ბარათსო? ჯამეშიო ხოჯა გახდე გინდაო?“...

ლაზურში მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად ასევე იხმარება თურქულიდან ნასესხები -დერი//დეი ნაწილაკი:

„ოხოი შქიმი **იჭვენდეი!**“ – კიუ; კონქშეფე ვა მოხთეს – „ხოჯაქ ხოლო **მომოდერდინამანდეი!**“ (ჩიქ., 2008, 192) „ჩემი სახლი იწვისო“, – იყვირა; მეზობლები არ მოვიდნენ: ხოჯა კიდევ მოგვატყუებსო!“...

III. 4.8. მაკონსტრუირებელი ნაწილაკები.

მეგრულში, განსაკუთრებით ლაზურში, გამოიყენება ნაწილაკები, რომელთა დანიშნულება რთული წინადადების კონსტრუირებაა, ამიტომაც მათ შეიძლება ეწოდოს **მაკონსტრუირებელი ნაწილაკები**.

მეგრულში ამგვარი ნაწილაკია **-ო**, რომელიც ქვეწყობილი წინადადების თავისებურ სტრუქტურას ქმნის: დამოკიდებული წინადადება ყოველთვის პირველ ადგილზეა და თავისებურად წარმოითქმის: **-ო** ნაწილაკი სიტყვას ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის ინტონაციური მახვილი. აღნიშნული ნაწილაკი ძირითადად დაერთვის ზმნას, რომელიც ასევე იწყებს წინადადებას, იშვიათად – სხვა წევრს [კარტოზია, ... 2010, 396]. მაგალითები:

მიოჯინუაო, ქომირჷ ბომიქჷ, ვითოჟირხოლო დუდი კინი ქიირდუენი (დან., ცან., 64,49)
„რომ გაიხედა, დაინახა ბიჭმა, რომ თორმეტივე თავი ისევ იზრდება“; **მერთესო**, მიკი-მიკი ქუგურენა კათა (ხუბ., 15) „რომ მოვიდნენ, ირგვლივ ახვევია ხალხი“; გამნაწყუ **შქართუნო**, მუში ცირასქუალეფი ღურელო ქომირჷ (ხუბ., 78) „საბანი რომ გადახადა, თავისი ქალიშვილები მკვდარი ნახა“...

ო ნაწილაკი **რომ** კავშირის ფუნქციით გამოიყენება. მის შესახებ განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული;

ერთი მხრივ, ის მიიჩნევა კითხვით ნაწილაკად [აბესაძე, 1963, 19], მეორე მხრივ, **ორენ** „არის“ მეშველი ზმნის ნაშთად: **უჯინუ +ორე>უჯინუ-ო** [ციკოლია, 1977, 87].

ამ ნაწილაკთან ფუნქციურად ჩანს დაკავშირებული ქართულის დიალექტებში, კერძოდ, ინგილოურში დადასტურებული **-ა** ნაწილაკი, რომელიც „არის“ მეშველი ზმნისგანაა მიღებული [კვანტალიანი, 1990, 102; კარტოზია, ..., 2010, 397-398].

ო. ქაჯაიას შენიშნული აქვს, რომ **ო** ნაწილაკი გვაქვს **თუ** კავშირის მნიშვნელობითაც და ენაცვლება **და** ნაწილაკს პირობით წინადადებაში: ქომუჩანქო (=ქომუჩანქ-და), დოგირთინუანქ „თუ მომცემ, დაგიბრუნებ“ [ქაჯაია, II, 419].

-და ნაწილაკი პირობითი დამოკიდებული წინადადების ბოლო წევრს დაერთვის და **თუ** კავშირის ფუნქციას ასრულებს:

ვამორთესია-და, ჩქი იშენი ქიმეურთია (დან., ცან., 300, 26) „თუ არ მოვიდნენ, ჩვენ მაინც მივალთ“...

ლაზურში **-და** ნაწილაკის ფარდია **-ნა** ნაწილაკი, რომელიც ენკლიტიკური ნაწილაკის მსგავსად მიერთვის წინადადების ამა თუ იმ წევრს, ზოგჯერ წინაც უძღვის. პირდაპირი მნიშვნელობა ამ ნაწილაკისა „რა“ უნდა იყოს, თუმცა **რომ**, **თუ** კავშირების ფუნქციას ასრულებს რთულ წინადადებაში [ჩიქოზავა, 2008/1, 190]:

ნოშქეი **გამაჩაფ-ნა**, ვიტოხუთ კაპილი მექჩამთ (ჩიქ., II, 325, 9) „ნახშირს თუ ყიდით, თხუთმეტ კაპიკს მოგცემთ“; **ცხენის-ნა** მოზუნ, მუაა ონუ? (ჩიქ., II, 324, 36) „ცხენს რომ ჰკიდია, რა არის?“ **ნა-მოსქიდასენ**, დობტახუმთ (ჩიქ., II, 315, 23) „რაც დარჩება, მოგტეხთ“...

III. 4.9. მოდალური ნაწილაკები.

მეგრულსა და ლაზურში მოდალური ნაწილაკები ცოტაა, მეგრულში ქართულიდან არის შესული არაერთი ნაწილაკი, თუმცა საკუთრივ ზანური წარმომავლობისა სულ რამდენიმეა. როგორც ცნობილია, მოდალური ნაწილაკები გამოხატავენ მთქმელის მიმართებას ნათქვამთან. როგორც წესი, უმრავლესობა ზმნური წარმომავლობისაა [ჯორბენაძე, 1993, 273].

მეგრული **ოკო** ნაწილაკი ქართული **უნდა** ნაწილაკის მორფოლოგიური შესატყვისია, ის მიღებულია **ოკო-ნ** „უნდა“ ზმნისაგან და სურვილს, საჭიროებას გამოხატავს. **ოკო** ნაწილაკი მოსდევს ან წინ უძღვის ზმნის პირიან ფორმას, რომელიც, წესისამებრ, კავშირებითის ან პირობითი მწკრივის ყალიბისაა. მაგალითად:

მა დო სი ისინდით **ოკო ქიბლაჯათია** (ხუბ., 268) „მე და შენ ისინდით უნდა ვითამაშოთ“; **ოკო, იკო, ირ კოჩქ იგურუას, დიხა ხვალე ბუტუქ ოკო ხაჩქასია** (ხალხ. სიბრძ., I, 108) „**ოკო, იკო, ყველამ ისწავლოს, მიწა მარტო ბუტუმ უნდა თოხნოსო**“; შქა აპრილშ უკულ სუნელ იფრელ **დოთასე ოკო** (დად., 1996, 88) „შუა აპრილის მერე მწვანილი ყველაფერი დათესო უნდა“...

ოკო ნაწილაკი ასევე აღნიშნავს ვარაუდს, ალბათობას, მთქმელი არაა დარწმუნებული ნათქვამის სისწორეში:

ფარამი **ოკო რდას** თე საკი „ფულიანი უნდა იყოს ეს ტომარა“, ჩქიმ ბიძისქუას **ოკო უჩქუდას** შელორსა „ჩემმა ბიძაშვილმა უნდა იცოდეს შელოცვა“ (დად., 1996, 88)...

ოკო>კო ნაწილაკი მონაწილეობს პირობითი ნაკვთის წარმოებაში (იხ. ზემოთ).

ლაზურშიც პირობითი მწკრივი იწარმოება **კო/კონ/კონი** ნაწილაკით, თუმცა მოდალური ნაწილაკის ფუნქციით იშვიათია. ა. თანდილაგას მიერ დაფიქსირებულია, ერთი მხრივ, - **იკო** ზმნური ნაწილაკი: „კითხუ-ქი ჰემ ბოზო ჰაწი სი ქიძირიკო, იჩინატი-ია, უწუ“ – ჰკითხა, რომ ის გოგო ახლა შენ რომ გენახა, იცნობდი თუ არაო, უთხრა“...; მეორე მხრივ, **კო** ნაწილაკი: „ბისმილ-ლა ვარ ქვა-ნა, მუ-თი ეაუთვი-კო ვარ იენ“ – ბისმილლა რომ არ თქვა, რამე რომც დაახურო, არ იქნე-ბა... „ხოჯაქ უწუ-ქი-ა მა სი ქეკჭოფი-კო, ვარ იენ-ი-ა“ – ხოჯამ უთხრა რომ მე შენ აგიყვანო არ იქნე-ბაო... (თანდ., 2013, 376).

სავარაუდოდ, **კო** ნაწილაკი ვარაუდის, ალბათობის სემანტიკის გამომხატველია აღნიშნულ მაგალითებში. ამ ნაწილაკის მოდალური სემანტიკით გამოყენების შეზღუდვა შეიძლება უკავშირდება იმას, რომ, მეგრულისგან განსხვავებით, **მინდა** ზმნის მნიშვნელობით სხვა ფუძეც გამოიყენება ლაზურში: **მინონ** „მინდა“, **გინონ** „გინდა“, **უნონ** „უნდა“.

ფიქრობენ, რომ ეს მეშველი ზმნა აქტიურად მონაწილეობს მყოფადის წარმოებაში და გამოყოფენ შეხორცებული და შეუხორცებელი უღლების ტიპებს.

გ. კარტოზიას ხოფურში შენიშნული აქვს ისეთი კონსტრუქციაც, როცა მეშველი ზმნა ზმნის წინ დგას მოდალური ნაწილაკის მსგავსად: სი **უნონ ოხოწანა** „შენ უნდა გაიგო“, ეთი **უნონ მიწვა** „ისიც უნდა მითხრა“, ვა **უნონ გოგოჭკონდას** „არ უნდა დაგავიწყდეს“. მკვლევრის აზრით, ეს მოვლენა ქართულის კალკს უნდა წარმო-ადგენდეს და ინდივიდუალური სიახლე ჩანს.

ჩვენი აზრით კი ეს კიდევ ერთი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ **უნონ** ელემენტი მყოფადის წარმოებაში არ მონაწილეობს (იხ. ზემოთ).

სარფულში ჩვეულებრივია შეხორცებული ფორმები, რითაც განზოგადებული მოქმედება გამოიხატება. მაგ., არ ზანათიში საპები **ტაუნონ** „ერთი ხელობის პატრონი უნდა იყო“; ბორჯიშე მენდრა **იყავუნონ** „ვალისგან შორს უნდა იყო“ [კარტოზია, 2005, 114].

ნატვრას გამოხატავს **ნოტე/ნიტე** „ნეტა, ნეტავი“:

ნოტე ჯიხას ვონდუდეე (ყიფშ., 144) „ნეტავი ციხეს ვენდობოდე“; **ნიტე** მითინს გაწუხენსო? (ხუბ., 315) „ნეტავი ვინმეს გაწუხებს?“...

მეგრულში თვალსაჩინოა ფიცილის ნაწილაკები **გე/გეე** და **მე/მეე**, რომლებიც ფიცის გამომხატველ წინადადებებში გამოიყენება, თუმცა შეზღუდულია იმ სიტყვათა წრე, რომელსაც მიერთვის ეს ნაწილაკები. ესენია: ნათესაობის ლექსიკა (ბაბა, ნანა, დიდა, სქუა, ბები, ბაბუ, ჯიმა, ბიძი), თოლი „თვალი“, შური „სული“, ღორონთი „ღმერთი“. ეს ნაწილაკები მიერთვის სახელობითის ფორმას, მაგალითები:

მუ ბქიმინა, **ბაბაგე!** (ქხს., I, 21) „რა ვქნა, ბაბა“; ირო ორდა მახარია, **თოლიგე** დო **შურიგე!** (ქხს., I, 315) „სულ იყავი მახარია, თოლიგე და შურიგე!“, **ღორონთიგე** ღორონცჷ ქოკითხი! (ყიფშ., 70) „ღვთის გულისათვის, ღმერთს ჰკითხე!“

აღსანიშნავია, რომ **ღორონთიგე** ფორმას ხშირად ენაცვლება **ღორონდგიე**. ეს უკანასკნელი, ს. ჟღენტის აზრით, მოთხრობითი ბრუნვის -ა კითხვითნაწილაკიანი ფორმისგან ჩანს მიღებული: **ღორონთქია >ღორონდგიე**, შესაბამისად, აქედან მომდინარეობს -**გე** ნაწილაკი [ჟღენტი, 1953, 125].

გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებებიც:

გე ნაწილაკი **გეგე** „წმინდა“, „წმინდა გიორგი“ სიტყვის ნაშთია [ბალათურია, 1987];

მე და **გე** ნაწილაკები პირიანი ფორმების გაცვეთის შედეგად დარჩენილი ობიექტური პირის ნიშნებია, სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს ქართული ზმნები **გეფიცები** ან **გენაცვალოს/მენაცვალოს** [ბოედერი, 1988];

შეიძლება **მე** და **გე** ნაწილაკები მეგრული მეშველი ზმნის **მაბი** „მექმნება“, **გაბი** „გექმნება“ ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენდეს [კარტოზია, 1997, 116].

მე ნაწილაკი მონაწილეობს ფიცილის შორისდებულებებში: **ღორონთუმე/ღორონთიმე** „ღმერთმანი“, **შურუმე/შურიმე** „სულს ვფიცავ“, **მარდიმე/მარდუმე** „მადლმა“ [ქაჯაია, II, 238].

ლაზურში გამოიყენება **თო** ნაწილაკი ლოცვისა და წყევლის ფორმულებში -**მცა** ნაწილაკის ფუნქციით [თანდილავა, 2013]:

ლეტა **თო** მეშკახტას „მიწამც დაგეყაროს!“ ნდდა **თო** ნულურა „დღემც დაგელიოს“; ნდდა **თო** მოგანძინას! „დღემც მოგემატოს!“ (ნენაფ., 902)...

მეგრულში გვაქვს ნაცვალსახელური წარმოშობის ნაწილაკი **იშენ/იშენი/იშენით** „მაინც“:

მა **იშენი** დოპილწნც სქანი მუმა (ხუბ., 5) „მე მაინც მომკლავს შენი მამა“; მარა ქუა **იშენით** მეურს გიმე (ხუბ., 3) „მაგრამ ქვა მაინც მიდის დაბლა“...

ნაწილაკის ფუნქციით გვხვდება რიცხვითი სახელი **აკა** „ერთი“:

აკა, კოჩ ქორექდა, ქემეჩი თე ამბე „ერთი, თუ კაცი ხარ, მომიყევი ეს ამბავი“...

მეგრულში ქართულიდან შესული მოდალური ნაწილაკებია:

ეგებ, ეგებას, ეგებუ „ეგებ, ეგება, ეგების, იქნებ; შეიძლება“:

ბოში, მუსუ მიჯინექ? **ეგებას** გოკორდე? „ბიჭო, რას მიყურებ, ეგების გინდოდე“; **ეგებუ** დასურო ეშელუკო... „ეგებ მართლა ამოვიდა“ (ქაჯაია, I, 527).

დახერდე/დახე/ჯახე „კინალამ, თითქმის“ (ი. ყიფშიძე მას ქართული **დახედე** ზმნისგან მიღებულად მიიჩნევს [იხ. ყიფშიძე, 1994, 222]):

დახე დოპილესჲ „კინალამ მომკლეს“; **დახე** თაშ ქოუჯგჲ „თითქოს ასე ჯობია“...

მითამ//ვითომ „ვითომ“:

მითამ თინა ლეჯის აკუსოფუდასჲ (ყიფშ., 105) „ვითომ ის ღორს დაეგლიჯოს“...

რთუმე//თურმე „თურმე“:

რთუმე თი გოჯოგერი კოჩი მახინჯი ვაბოფერენო! „თურმე ის შეძლებული კაცი ქურდი არ ყოფილა!“ (ქაჯაია, II, 525)...

ლაზურში, როგორც მოსალოდნელი იყო, მოდალური ნაწილაკები თურქულიდანაა ნასესხები. ესენია:

შანა „ნეტავი“:

შანა ბედი სქანის! „ნეტავი შენს ბედს!“

აწკალდი „კინალამ“:

აწკალდი დოგიშქვიდით „კინალამ დავიხრჩვით“ (ჩიქ. II, 1936, 94)...

ბარემ „ბარემ, მაინც“:

ბარემ ჩქიმიშენი ქობძირა კაი დერი „ბარემ ჩემთვის ვნახო კარგი ადგილი“ (კარტ., 1315)...

ეფთო „თურმე“:

ეფთო (მეგერ) დიდო ჩიჩქუ ტუ დო კუზი მეტრუხუ „თურმე ძალიან (ჩვილი) რბილი იყო და კოვზი გატყდა“ (ჩიქობავა, 1936, 66)...

სანქი || **სანქის** „ვითომ“:

სანქი კურშუმი გემჩი „ვითომ ტყვია მომარტყი“ (ჩიქ, II, 148)...

ანდასენი/ანჯახოტი „ეგებ, იქნებ“: ეს ერთეულები წარმოდგენილია ა. თანდილავას „ლაზური ლექსიკონის“ მიხედვით, სადაც დაფიქსირებულია ქართულიდან შესული **მითამ** ნაწილაკიც.

III. 5. შორისდებული.

აკაკი შანიძის მიხედვით შორისდებულები უდეტრების ჯგუფშია გაერთიანებული. მისთვის შორისდებული არის ბგერა, ბგერათა კომპლექსი ან სიტყვა, რომელიც ადამიანს აღმოხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამო, როგორც მოკლე, სწრაფი და უშუალო

გამოძახილი ამ განცდისა. ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება განსხვავებულად შეფასდეს, – იმის მიხედვით, თუ რა გუნებაზეა ადამიანი ან რა თვალსაზრისით უყურებს მოვლენას; ამიტომ, წერს მკვლევარი, – გრძნობათა გამომხატველ შორისდებულებში სუბიექტური შეფასებაა ყოველთვის მოცემული. როგორი მრავალფეროვანაცაა ბუნების მოვლენები და საზოგადოებრივი ურთიერთობის გამოვლენის სახეები, ისეთი მრავალ-ფეროვანი და ჭრელია შორისდებულებიც, რომლებიც წარმოადგენენ გულიდან ამონახეთქს ამ მოვლენათა განცდის გამო. ისინი განსხვავდებიან არა მარტო კუთხეების მიხედვით, არამედ სხვადასხვა დროის მიხედვითაც ერთი და იმავე ადამიანის მეტყველებაში [შანიძე, 1980, 621].

შორისდებულების ზუსტი წერილობითი დაფიქსირება ყოველთვის როდია შესაძლებელი: ზოგი შორისდებული შეიცავს ისეთ ბგერას, რომელიც სალიტერატურო ენაში გამოყენებული ასოებით ვერ გადმოიცემა. საჭიროების შემთხვევაში ასეთ ბგერებს ან მიახლოებით გადმოსცემენ, ან სულაც აღუნიშვნელად ტოვებენ ხოლმე. ასეთია, მაგ., შორისდებული ა, რომელიც აკრძალვას გულისხმობს: „ა, ხელი არ ახლო!“ ამ ხმოვანს ჩვეულებრივ მიუძღვის ბგერა, რომელიც დაახლოებით იგივეა, რაც დასუსტებული ყ მეგრულ „ქოროფა“-ში (ქოროფა – „სიყვარული“). იგივე ბგერა მოისმის იმერულ გაკვირვების შორისდებულში, რომელსაც სამი ნიშნით გადმოსცემენ ხოლმე: იმე! = ციმე!) [იქვე].

გამოიყოფა შორისდებულთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით:

- ა) შორისდებულები, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილს წარმოადგენენ;
- ბ) შორისდებულები, რომლებიც მოუბრის ნება-სურვილს ასახავენ;
- გ) ფიცილის, ალერსის... გამომხატველი შორისდებულები [იქვე].

გრძნობის გამომხატველი შორისდებულები ყველაზე მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვანი. ამ შორისდებულებით გამოიხატება: აღტაცება-სიხარული (ოჰ!, ოი!...), მწუხარება (ავაჰმე!, ვაჰ!, ოჰ!...) დაღონება (ეეხ!...), გაკვირვება-განცვიფრება (ბიჭოს! ერიჰა!...) ზიზღი (ფუ!, ფუჰ!..., ნატვრა (ოჰ!, ახ!, უჰ!...), შეცოდება-შებრალება (აახხ!, უი!...), დანაწება (აფუსუს!, აახხ!, ეჰ!...), წყენა (ვაჰმე!, ოჰ!...), გაჯავრება (ოჰ!...), განრისხება-გაბრაზება (ჰოი!...), მოწონება (იფ, იფ!...), ტკივილი (ვაი!, ვაიმე!...) და სხვ.

მოუბრის ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულებია: ჰა, აჰა, აბა, აგე (აგრე)... ამ შორისდებულთა ჯგუფში შეჰყავს ა. შანიძეს „ცხოველთა და ფრინველთა დასაძახებელი შესაძლებელი თუ გასაწყრომი ბგერათვომპლექსები“, როგორცაა: აჩუ!, ხი, მო!, მამო!, ოჰოო!, დიიდე!, დიიდო! ჰაცე!, აცე! აქშა! ქშა! აცხა!, ჰაუ, ჰაუ!... [შანიძე, 1980, 625].

შორისდებულთა რიგებში დგას დღეს ზოგიერთი სიტყვა, რომელიც ითქმის საფიცრად, მისალმების დროს, საალერსოდ და სხვა. ასეთია:

ფიცილის ფორმულები: ღმერთმანი, დედაშვილობამ, მამაშვილობამ, ძმობამ, დაძმობამ, ჩემმა მზემ, შენმა მზემ...

მოკითხვა-გამოთხოვების სიტყვები: გამარჯობა, გაგიმარჯოს, გადღეგრძელოს, მშვიდობით, ნახვამდის...

საალერსო და სამადლობელი სიტყვები: გენაცვალე, გეთაყვანე, შენი ჭირიმე, გმადლობთ... [შანიძე 1980, 625-626].

III. 5. 1. შორისდებული მეგრულში.

ი. ყიფშიძე მეგრულში გამოყოფს ყველაზე მეტად გამოყენებულ შორისდებულებს:

1. ა, resp. აა, აი||აჲ!
2. აბა, resp. დაბა!
3. აცა „აი“
4. ე, resp. ეე!
5. ეი ||ეჲ!
6. ეჰე!
7. ვა-ვა! ან ვო-ვო!
8. ვაი! ან ახა-ვაი!
9. ვაჰ, ვაჰ!
10. ო: ო, ნანა!
11. სუთ, სუთ!
12. წა!
13. წე!
14. ჰა!
15. ჰე!
16. ჰატ, ჰაატ!

[ყიფშიძე, 1914, 0123]

„მეგრულის გრამატიკულ ანალიზში“ წარმოდგენილია შორისდებულთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით:

მწუხარების:

ვა-ვა!, ვაი!, ახა-ვაი! ვაჰ, ვაჰ!

ვა-ვა, მურე გეგონი! „ვაი-ვაი, ეს რა გავიგე!“;

ახა-ვაი ჩქიმი ცოდა! „ვაიმე, ჩემი ცოდვა!“

ვახ-ვახ, მუქ მალოდუ „ვაი-ვაი, რა მომივიდა!“...

დანანების:

ეხ! ახ! ეჰ! ეე! ეეჰ!

ეხ, მუდრო რდუ, მუ დრო! „ეხ, რა დრო იყო, რა დრო!“;

ეჰ, იფრელე წყარს ქენომიცუ! „ეჰ, ყველაფერი წყალში ჩამეყარა!“;

ახ, იფრელს მაჰუ! „ახ, ყველაფერი მტკივა!“;

ეჰ, მუჭო დიბრჩინი! „უჰ, როგორ დავბერდი!“...

ნიშნის მოგების (წაქეზების):

აბა/დაბა

აბა, ართო ჯიმალეფ! „აბა, ერთად ძმებო!“.

დაბა, ქოვძირუნე მუმ მაკეთებელ რეე! „აბა, დავინახავ, რისი გამკეთებელი ხარ!“...

შეძახილის:

ჰატ-ჰაატ! ჰაიტ! ჰე-ჰე!

ჰე-ჰე, ვაგარჩქილენო ჩქიმ ხონარ? „ჰე-ჰე არ გესმის ჩემი ხმა?“;

ჰაიტ, დიწიმინდი თაურეშე ვიშო! „ჰაიტ, დაიკარგე აქედან იქეთ!“

ჰატ, უჯინ მუ ამბესი რეე! „ჰატ, უყურე, რ დღეშია!“...

უარყოფის:

ცა/ცაჰ!

ცა, ვაქიმინა თეჯგურა საქმე! „არა, არ ქნა ამგვარი საქმე“

დადასტურების:

ცაა/აა:

აა, თენა სი რექ! „აა, ეს შენ ხარ!“ [კარტოზია,... 2010, 309].

აქვე (ზუგდიდურ-სამურზაყანოული არეალის საექსპედიციო მასალებსა და ზეპირმეტყვე-ლებაში (განსაკუთრებით დიალოგებში, მეორე პირის რეპლიკაში) ავტორებს დაუფიქსირებიათ „გამოცემული ტექსტებისა და ლექსიკონების მიხედვით აქამდე უცნობი შორისდებლური ლექსიკური ერთეული - **სქემე**, რომელიც ბოლოდან მეორე მარცვალზე ინტონაციური მახვილით წარმოითქმის“ [კარტოზია,... 2010, 309]. ავტორები მას სემანტიკურად დაახლოებით ქართული „ნეტამც“ ლექსიკური ერთეულის ფარდად წარმოგვიდგენენ. წარმოდგენილია სათანადო ილუსტრაცია:

- თიზმა ფარა ქომუჩენი, თე გაჭირებული ხალხიშოთ დომიზასი!
- „იმდენი ფული მომცა, ამ გაჭირებული ხალხისთვის რომ მეყოს!“
- **სქემე**, ეს მუ უჯგუ!
- ნეტამც, ამას რა სჯობია! [კარტოზია,... 2010, 309].

ეს სიტყვა, რომელიც ნამდვილად შორისდებულია, დაფიქსირებულია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ და ასე განიმარტება: **შვილოსა! კარგია, კარგი დაგემართოს!** [ქობალია, 2010, 598].

ვფიქრობთ, ეს განმარტება უფრო ზუსტია.

ამ შორისდებულის სემანტიკურ ნიუანსებს საკმაოდ ზუსტად გადმოსცემს ასევე ქართული „**გაგიხარია!**“

ზოგჯერ, მიმართვის გასაძლიერებლად, სახელს წინ უძღვის შორისდებული: (ვ)ო ძღაბი! „**ო**, გოგო!“ [თოფურია, 1937, 319; ჯანჯღავა, 2000, 63; დანელია, დუნდუა, 2009, 184; კარტოზია..., 2010, 113].

მეგრულ ლექსიკონებში შორისდებულებს ჩვეულებრივ ახლავს სემანტიკური დახასიათება, ანუ, ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელ სემანტიკურ ჯგუფში შედის წარმოდგენილი ესა თუ ის შორისდებული; ამის საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონსა“ (თბ., 2010] და და ოთარ ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონს“ (ტტ.1-4: თბ., 2001-2009).

„მეგრული ლექსიკონი“:

ვააჰვა!

შორისდ. გოდებისა;

ვავაჰ!

შორისდ. მწუხარებისა;

ვაი!

შორისდ. მწუხარებისა;

აფუ!

შორისდ. აღტაცებისა;

ვოი!

შორისდ. მწუხარებისა;

ვოუ!

შორისდ. მწუხარებისა;

ვოუი!		შორისდ. გაკვირვებისა;
ვოჰ!		შორისდ. მწუხარებისა;
ვუვა!		შორისდ. მწუხარებისა;
ოჰ!		შორისდ. მწუხარებისა;
ოხ!		შორისდ. გაკვირვებისა;
უი!/უია!		შორისდ. მწუხარებისა;
ჰა, ბეჩა!	„აფერუმ!“	შორისდ. დანანებისა;
ჰა და!	„აბა ჰა!“	შორისდ. წაქეზებისა;
ჰავავა!		შორისდ. ვაებისა;
ჰავაი!		შორისდ. დანანებისა;
ჰაიტ!/ჰატი!		შორისდ. დაფრთხობისა;
ჰა, ნანა!		შორისდ. დანანებისა;
ფუ!/ფუი!		შორისდ. დანანებისა;
ვაი, ახავაი!	„ვაგლახ!“	შორისდ. დანანებისა;
ვო, დიდა!	„დედა!“	შორისდ. მწუხარებისა;
ვოე! ვოე! ვოე!		შორისდ. მწუხარებისა;
ვო, სქუა!	„ვაი, შვილო!“	შორისდ. მწუხარებისა;
ვოუ, ნანა!		შორისდ. მწუხარებისა;
ვავაი!/ვავაია!		შორისდ. მწუხარებისა;
ჰნი!		შორისდ. გაკვირვებისა;
ჰეი, ჰეი!		შორისდ. დანანებისა;
უიტ!		შორისდ. შეშინებისა;
უ!		შორისდ. გლოვა-მწუხარებისა;
ვაი, ახავაი, ჩქიმ ცოდა!	„ვაი, ჩემი ცოდვა!“	შორისდ. დანანებისა;

არცთუ იშვიათად შორისდებულს რთული სემანტიკური სტრუქტურა აქვს და ეს ჩანს მისი განმარტებისას:

ჰა!	შორისდ. წაქეზებისა, შეგულიანებისა, გაფრთხილებისა, შეკრთომა-გაოცებისა, გაწყრომისა, დაფრთხობისა, შეხმიანებისა;
ჰაატ!	შორისდ. დაფრთხობა-გაფრთხილებისა;
ჰაბა!	შორისდ. წაქეზებისა, შეგულიანებისა;
ჰაბა და!	შორისდ. წაქეზებისა, შეგულიანებისა;
ჰაბა ჰე!	შორისდ. წაქეზებისა, შეგულიანებისა;
ჰაბა ჰო!	შორისდ. წაქეზებისა, შეგულიანებისა;
ჰაბა ჰოი!	შორისდ. წაქეზებისა, შეგულიანებისა;
ჰაჰაიტ!/ჰაჰაჰაიტ!	შორისდ. დაფრთხობისა, დანანებისა;
ჰე!ჰეე!	შორისდ. წაქეზებისა, შეგულიანებისა;
ვოვა!	შორისდ. გაკვირვებისა, მწუხარებისა, გამოჯავრებისა;
ვავა!	შორისდ. მწუხარებისა, დანანებისა, გამოჯავრებისა;

„მეგრულ-ქართულ ლექსიკონი“:

უუჰ! *შორსდ.* მოწონებისა: **უუჰ**, საყვარელია, დო ქიფუჩონუანს კიდირიშა (ხუბ., 176) „უუჰ, საყვარელოო, და ხელს ისვამს მკერდზე“;

ოჰ! *შორსდ.* გაკვირვების, სიმწრის, მწუხარების გამომხატველი.

უი! *შორსდ.* გამოხატავს მწუხარებას, დანანებას, ტკივილს, შიშს.

უუო! *შორსდ.* წყენის, განცვიფრების გამომხატველი: **უუო**, ენა ქიგეგონინი, გემუათხოზი დო მეზობელიში კარი გენკვორვილე! „ოხ, ეს რომ გავიგონე, გამოვეკიდე და მეზობლის კარი გავარბენინე“;

უუო! რუსი მუშო გოკო? (აია, 2, 86) „რაო! რუსი რაღად გინდა?“;

ჰაიტ!/ჰაიტუ!ჰაიტე! *შორსდ.* გამოხატავს **დანანებას**; შემახილს **მწუხარებაზე**: მარა, **ჰაიტ**, უფარობა შუროთ ვარე სიღარიბე (ბერ., 160) „მაგრამ, ჰაი, უფულობა სრულებით არაა სიღარიბე“. გედირთე: **ჰაიტუა**, დიძახე (ხუბ.,165) „ადგა: ჰაიტო, - დაიძახა“.

ჰაატ!/ჰაატე! *შორსდ.* გამოხატავს **სინანულს**, **შეცოდებას**; **დატუქსვას**. **ჰაატე**, ბოში, დობღურია! (ცაგ., 28) „ჰაი, ბიჭო მოვკვდიო“.

ჰატ!/ჰაჰატ! *შორსდ.* იგივეა, რაც **ჰაიტ!**: გამოხატავს **გაწყრომას**, **გაჯავრებას**, **გამხნეებას**, **გაკვირვებას**. **ჰატ**, ნუ გაშქურინენია! (ხუბ.,4) „**ჰატ**, ნუ შეგემინდებაო! **ჰატ**, ეს კილულებუნიაო! (ხუბ.,228) „**ჰატ**, ეს ჩამოსულაო!“; **ჰატ**, მაზაკვარსია, ასე ხოლო გევოჭიშუა; (ხუბ.,51) „**ჰატ**, მზაკვარსო, ახლავე დავეწვიო“.

ვაჰ! *შორსდ.* (ჩვილი): **ვაჰ**, ღორონთი, მუ შერცოდი (ხუბ., 323) „ვაჰ, ღმერთო, რა შეგცოდე“;

ჯიმა-ვალერი! *შორსდ.* **გაოცების** გამომხატველი; მიმართვის ფორმაცაა, მაგ., **ჯიმა-ვალერი**, დამანები დუდი! (ეტყვიან, როცა ვინმე თავს მოაბეზრებს) „თუ ძმა ხარ, დამანებე თავი!“
შდრ. **ჯიმაგაჯა**.

ჰოი/ჰოი! *შორსდ.* 1. **შემახილი** მიმართვისას: **ჰოი**, ჩქიმჩიქაჯაგა, ჩქიმი ჩელა! (ყიფშ.,167) „**ჰოი**, ჩემო ჯაგავ, ჩემო ჩელავ (ხარის სახელებია)! 2. გამოხატავს **გაჯავრებას**: **ჰოი**, თიწკუმა, საყვარელი, თქვენი გური ქუმაძირედას! (ქხს, 1, 83) „**ჰოი**, მაშინ, საყვარელო, შემემძლოს თქვენი გულის ნახვა!“;

ჰო, ჰო, ჰოია! *შორსდ.* გამოხატავს **კმაყოფილებას**: **ჰო, ჰო...** სო მეგოგესია? - კოფე დუსია. - **ჰო, ჰო, ჰოია!** მახიოდუა! (ყიფშ.,112) „სად მოგარტყესო? - კინკრიხოზეო (თავის თხემზეო). **ჰო, ჰო, ჰოიო!** - გამიხარდაო“; **ჰო, ჰო, ჰოო!** გიმიცუ ოთაიქ (ხუბ.,276) „**ჰო, ჰო, ჰოო!** - გაიცინა ოთაიქ“;

ჰეე! *შორსდ.* გამოხატავს **გაკვირვებას**: **ჰეე**, სი უცვაძქარევა, მა იჯგურა სუმი გემიდგენია (ხუბ., 67) „ჰე, შე უბედუროო (უბედისწეროო), მე ისეთი სამი მიდგასო“;

ჰე! *შორსდ.* მოწოდება: **ჰე**, ბოშეფი, გებდირთათ! „**ჰე**, ბიჭებო, ავდგეთ!“; **ჰე**, ასე თე ბოშიქ ეშელე (ხუბ., 126) „**ჰე**, ახლა ეს ბიჭი ავიდა“;

ჰეი/ჰეი! *შორსდ.* **შემახილი** მიმართვისას, მოწოდებისას: **ჰეი**, სი მორთი აში! „ეი, შენ მოდი აქ!“; **ჰეი**, ვარა! **ჰეი**, ვარა! დუს დიპილუნდი, მარა ხვათახვალე ვადმატენექ გვალო (ქხს, 1, 91) „**ჰეი**, ვარა! თავს მოვიკლავდი, მაგრამ მარტოდმარტო ვერ დაგტოვებ მთლად“;

ჰეე! *შორსდ.* გამოხატავს **გაკვირვებას**: **ჰე! ჰეე**, - ქოთქუ ასე მუდგარენი სარკო „**ჰე!** - თქვა ახლა რაღაც საარაკო“;

ჰეჰ! *შორსდ.* **დანანებისა**: **ჰეჰ! ჰეჰ**, ასე სია, რადგან სი მიგოჩქექე მა ოსუროვე (ხუბ., 126) „**ჰეჰ**, ახლა შენო, რადგან შენ მე მიგაჩნივარ ცოლადო (ქალადო)“;

ჰაუ! *შორსდ.* შემახილი ფრინველის **დასაფრთხოზად**: **ჰაუ**, ქოთომი, იშო! „**ჰაუ**, ქათამო იქით!“;

ჰარიქა/არიქა! *შორსდ.* **საგანგაშო ძახილი საშველად**, **მისახმარებლად**: **ჰარიქა**, ნანა, მომთვინით (სამუშ., ქხპს, 132) **არიქა**, დედა, მოგვითმინეთ. **არიქა**, ირკოჩქ გებდგრთათ (სამუშ., ქხპს, 132) „**არიქა**, ყველანი წამოვდგეთ“;

ფუ! / ფუი! შორსდ. გამოხატავს დაწუნებას, ზიზღს; შერცხვენას... ფუი! ფუი, თეცალეფქ დინთხორი! (სამუშ., ქართ. ზეპ., 30) „ფუი, ასეთები დაიმარხე!“; ფუი, თეში გააქარი! (ყიფშ., 187) „ფუი, ასე გააქარვე!“;

ფუჰ! შორსდ. ზიზღის, შერცხვენის, დაწუნების გამომხატველი - **ფუჰ!**

ფუჰ! შორსდ. გამოხატავს ზიზღს, დაწუნებას: **ფუჰ! ფუჰ,** ცუროფა დინთხორი! „ფუ, სიყვარულო, დაიკარგე (დაიმარხე)!“;

ჯიმა-ვალერი! / ჯიმაყვალერი! შორსდ. გაკვირვების, განცვიფრების, დანანების, მწუხარების ... გამოსახატავად;

ჯიმა-ყაჯა! შორსდ. იტყვიან **გაოცების, გაკვირვების** გადმოცემის დროს: მუ გოკო თეშა, **ჯიმა-ყაჯა**, ქოდინტირი სქანო! „რა გინდა ამასთან, ძმაო, დაეტე შენთვის!“; ახავაი, **ჯიმა-ყაჯა**, თის მუთუნქ ქეშემთხუ-და! „ვაი, ძმაო, იმას რაიმე თუ შეემთხვა!“;

ჯიმაყაჰამი! შორსდ. **გაოცების** გამომხატველი: ჯიმა-ყაჰამი „ძმა-ჯიუტი“ („დაუჯერებელი“) იხ. **ჯიმაყაჯა**;

ჯიმაღურელი! შორსდ. სიტყვ.-სიტყვ. „ძმა-მკვდარი“, - იტყვიან **გაკვირვების, განცვიფრების, დანანების, მწუხარების, წყენის** გამოსახატავად, - დაახლოებით უდრის: „ეჰ, ღმერთო ჩემო!“; „ეს ოხერი“: **ჯიმაღურელი**, მუდგარენი, ჩქიმი ღურას ანჭუაფუ (ქხს, 1, 57) „ეს ოხერი (ძმამკვდარი), რაღაც ჩემს სიკვდილს ესწრაფვის“; მი ოკო რდას, **ჯიმაღურელი**, ღორონთიცალი კოჩქ ფაცხაშა მინორთენი (ყიფშ., 99) „ვინ უნდა იყოს, ღმერთო ჩემო, ღმერთისნაირი კაცი ფაცხაში რომ შევიდა“; შორი შარა გემიძე დო, **ჯიმა ღურელი**, ვამებდინა (ყიფშ., 188) „შორი გზა მიძევს და, ეს ოხერი, არ დავილუპო (დავიკარგო)“. ცოუ, **ჯიმა ღურელია**, ისია ზღვაშა მიღურთემგნია (ქხს, 1, 166) „ოხ, ღმერთო ჩემო, ისო ზღვაში წასულაო. შდრ. დიდა-ღურელი!“

III. 5. 2. შორისდებული ლაზურში.

ნ. მარი მიუთითებს რამდენიმე შორისდებულზე ათინურ კილოკავში: ე, ჰე [მარი, 1910, 5]. ლაზურშიც გამოიყოფა რამდენიმე ერთეული შორისდებულთა ჯგუფებისა:

მწუხარების:

ახ-ვახ! ვახ-ვახ!

ახ-ვახ, მუ პატი დულდა მალოდეს „ახ, ვახ რა ცუდი საქმე დაგვემართა“;

ვახ, ვახ, მუფერი კოჩი გონდუნუ „ვაჰ, ვაჰ რა კაცი დაიკარგა“...

დანანების:

ეხ, ეჰ!

ეხ, მუ ვაქითი მილუტეს „ეხ, რა დრო გვექონდა“;

ეჰ, მთელიშიე ქაგომინდუნუ „ეჰ, ყველაფერი დამეკარგა“...

წაქეზების:

ჰელე!

ჰელე, ბიჭეფე, მხუჯი მეზჩათ „აბა, ბიჭებო მხრი მიცვით“...

უარყოფის:

ვარ-ვარ!

ვარ, ვა ყვა ამკათა დულაა „არა არ გააკეთო ასეთი საქმე...“

დადასტურების:

აა/ჰაა!

აა, სინ ქომოხთიი? „აა, შენ მოხვედი“...

შორისდებულების საკითხი ლაზურში სპეციალურად გამოიკვლიეს ქეთევან ლორთქიფანიძემ და ნატო ახალაიამ [იხ. მათი: **შორისდებულთა კლასიფიკაციისათვის ლაზურში**, ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები. III, თბ., 2015]. მათ ნაშრომში წარმოდგენილია შორისდებულთა ჯგუფები:

უარყოფითი გრძნობების (**მწუხარების, დარდის, სინანულის...**) გამომხატველი შორისდებულები: **ვოი! ოი ოი! ოი! ოი! ვაი, ვაი! ვუუ! უუუ! ხოი! აჰ! ოჰ! ვაჰ ვაჰ! ახხ! ჰეჰეჰე!...**

ოი, თრანგი ჩქიმი-ა, უწუმეეს... „**ოი**, ღმერთო ჩემო, - უთხრეს...“ (ჩიქ., 2008, 396 26);

ვაჰ! ვაჰ! ემუშენი ვა ეგაჭოფუ ფურჭა-ი-მა, ვუწვი მემედის „**ოჰ! ოჰ!** ამიტომ ვერ შეძელი ყიდვა ჯაგრისისა, ვუთხარი მემედს“ (იქვე, 463 24) ;

„**ოი** მჯვეში დიციხირი ჩქიმი, **ოი** ვაშა აწი იჩქინი“ „**ოი**, ძველო სისხლო ჩემო, ნუთუ ახლა წარმოჩნდი“

„კანაფეთის ფურქეფე, **ოი ოი** ობიჭვი“ „კანაფეთის ყვავილები, **ოი, ოი, დავიწვი**“ (<http://www.kolkhoba.org/teksti19.htm>; Yılmaz Avcı- HELESSA. 28.01.2015)

„**ახხ**, სქირი ჩქიმი. იშთე აწი ირი შეი დიჩოდუ“ „**ეხხ**, შვილო ჩემო, ახლა ყველაფერი დამთავრდა“ (Alkumru, 2011, 295)

„**ჰეიგახ** ნანა, სუფრას ქოგემდვეს, თუცა მჭკიდი კალა მიმხორან“ „**ოი** ნანა, სასთუმალდე დამდეს, ცხელ მჭადთან ერთად მჭამენ“ (იქვე, 294);

„**უუუაა**, წანაშეთია აშოაა მო ვიძიეტათა!“ „**უი**, მომავალ წლამდე ასე არ დავენახოთ“ (კარტ., 1993, 53 20)

„**ვუუუ**, ააა მუ ყვეეა!“**დო** ბადი ოხოიშენ მეტკოჩუ „ეს რა გაგიკეთებია, მოხუცი კაცი გარეთ გაგიგდია“ (კარტ., 1972, 203 10)

ვოი, თი მაწკუნუ აკო ოლაღალუთენ... **ვოი**, თავი მეტკინა ამდენი ლაპარაკით...

ოი ოი, მენდამიყონი მუ იყვენ? **ოი ოი**, წამიყვანე აქიდან რა იქნება? (ახალაია)

ოოოი ხანგრძლივი მწუხარების დროს ითქმის, **ოიიი** კი – მყისიერი და ხანმოკლე ტკივილის განცდისას, **ე** გამოიყენება მაშინ, როდესაც პირველი წარმოთქმისას ვერ ვიგებთ სხვის ნათქვამს და გამეორებას ვითხოვთ [ი. ბუჯაქლიში, გ. კოჯიმა 2003, 87].

ლაზური მასალა, ავტორების დაკვირვებით, გვიჩვენებს, რომ ის ასევე გამოიყენება **მიმართვის, ყურადღების მიქცევის ფორმიტაც.** მაგ.:

„**ე** ნანა ჩქიმი, ნანა, მუ იყვენ დომოჩილანა“ „**ე** დედაჩემო, რა იქნება, რომ დამაცოლშვილო“;

„**ე** სკირი დოგოჩილაფ ვარ გასქედინენ ვანა“ „**ე** შვილო დაგაცოლშვილებ მაგრამ ვერ შეინახავ“ (Alkumru, 2011, 175)

„ე მსჯეა ბოზო თოლი მონი, ეკო მოთ რე ყოროფონი“ „ე ლამაზო ქალო თვალებბრიალა, ასე რად ხარ საყვარელი“ (<http://www.kolkhoba.org/teksti19.htm>; Xasan Xelimişi- **XOPURİ XELESİ** ; 28.01.2015)

ქჩინიქ: „ე სქირი!-მა, სი სოლე მოხთი?“ დედაბერმა: „ე, შვილო! შენ საიდან მოხვედი?“ (დიუმეზ., 2008, 69¹⁷³)

[ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 13-14].

ე ნა! ე-ნნა! დე ნა! ჰე ნა! კი სპეციფიკურ, ფართო მოხმარების შორისდებულებად მიიჩნევა. აღნიშნულია, რომ ლაზი მათ **ლოცვის, წყევლის, გინების** ანდა **კეთილი სურვილების** გამმაფრებულად გამოხატვის დამატებით საშუალებად იყენებს (ძირითადად გვხვდება ათინურ კილოკავში).

„ე ნა წარი სდუერი ნა იმორდარე“ **ნეტავ**, წყალივით რომ გაიზარდო;
„ე ნა ფიმფილი დიხაშა ნა სიუუდარე“ **ნეტავ**, იცხოვრე მანამ სანამ წვერი მიწამდე ჩამოგეშვება (http://www.lazuri.com/lazuri/lazuri_oxvamupe_do_meyocamape.html (27.01.2015)

[ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 15]

გაკვირვებას, გაოცებას ლაზურში შემდეგი შორისდებულები გადმოსცემენ:
აააა! ჰომა, უ-მა! ჰო! ჰაა! ვუჰ! აჰხ! ნანაა! ენანა! ენანაჩ მა! ინანანაა! ე-ჩა! ეეჩა! ...

აააა! ხოჯაქ ფეშინ ფარა მომჩასუნონ- მა დო მუჭო გახელუ?! ვაა! ხოჯა ნაღდ ფულს მომცემსო და როგორ გაუხარდა?! (ჩიქ., 2008, 398²⁴)

ჰომა, ჰო! „მუთუ ვა გაჰკომენ-ი“-ა? „ი! არაფერი შეგიძლია ჰამო“ (იქვე, 413²¹)

მა! მუ ლოყა ჩხომეფე გილუტერენან“- მა დო იმტუ „ვა! რა გემრიელი თევზები გქონიათო და გაიქცა“ (იქვე, 459³⁹)

„**ჰაა**, აა მთინი ეენ!“ მორო მან მცუდი მითქვაფუტუ-ი? „ვა, ეს სიმართლეა! მარა (მაშ) მე ტყუილს ვიტყვოდი?“ (იქვე, 536²³)

ნანაა! ა ბეე დელი ტენ! უი დედა! ეს ბავშვი გიჟი ყოფილა! (იქვე, 536³²)

„**უ-მა!** ხომ გელდუნ“-მა ოლოდეს „ვაა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება-უთხრეს“ (იქვე, 277¹⁰)

ვუჰ! სი აქ მუ იქიფ!“ „სქანი ოგოლუშა მოფთით! უფ! შენ აქ რას აკეთებ! შენს საძებნელად მოვედით!“ (იქვე, 438¹⁷)

აჰხ! სინ მასრაჟეფე ჩქინი ვა გიჩქინ „ეხ! შენ ჩემი ხარჯები არ იცი“ (იქვე, 449²⁶)

[ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 16].

გულისტკივილის გამომხატველ შორისდებულებად წარმოდგენილია: **ევაალა და ე-ჩა (ეეჩა)!** – ანალოგიურად ქართულისა (**ბეჩა**), „ბეჩა, რომელიც მიღებულია „ბედ-შა [ვ]ო“-საგან (**დშ - ჩ**): ბედშაო – ბეჩაო, ბეჩავ, ბეჩა. იგი აქა-იქ „ეჩა“-დ გადაკეთებულია (შანიძე 1980, 627).

ევაალა! ჩქიმი კარზინკა მცეჟა მონკა რენ. სი ვა გაღენ! „ოჰ ღმერთო! ჩემი „კარზინკა“: ცოტა მძიმეა. შენ ვერ წაიღებ!“ (ჩიქ., 2008, 450²³)

ეჩა მა დო **ეჩა** მა!“ ვაჰ (ვაი) მე, ვაჰ მე! (კოჯიმა, ბუჯაქლიში, 2003, 86)

[ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 16]

ლაზთა მეტყველებაში მომეტებული სიამოვნების, კმაყოფილების, სიხარულის განცდისას გამოყენებულ შორისდებულად კვალიფიცირდება: **ოო! ოხხხ! ოოო ხოხოხოხ! ოხ! აჰა! ეჰე! იიი ჰუ ჰუ ჰუ ჰუუუ!**...

ოხ! მუ კაი იყუ! ფაა ქობითო! „**ოხ!** რა კარგია! ფული ვიპოვეთ!“ (ჩიქ., 2008, 468 ¹⁷)

ბოზოქ: „**ეჰე**, ქომოლი ჩქიმი ჰადა ეენ“ - და „ქალიშვილმა: „**აჰა**, ჩემი ქმარი ეს არისო“ (დიუმეზ., 2009, 159 ¹¹⁶)

ოხხხ! მა მუფე მახელუ ადა ამზად „**ოხხხ!** როგორ გამიხარდა ეს ამბავი“ **ოოო ხოხოხოხ**, მუფეი კაი ნისა ეენ...

და მუფეი ამბავი მეაგნი ან დლა?! „**აუ** როგორი ამბავი გავიგე დღეს?!“ (ახალაია)

[**ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 16-17.**]

აღნიშნულია ერთი საინტერესო გარემოება: ლაზური განასხვავებს ქალთა და მამაკაცთა შორისდებულებს. მაგ., **ოჰო! ჰო, ჰო! ჰოდ!** მამაკაცთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი შორისდებულია, რომელსაც ისინი წარმოთქვამენ კოლექტიურად, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების ჟამს.

ჰე დამო! ქალთა კოლექტივში წარმოითქმის ერთხმად, ერთსულოვნების გამოხატვის ნიშნად. ასევე ჟ. დიუმეზილი გამოყოფს **ჰე** (ძირითადად კაცების მიმართ) და **ქალე** (ქალების მიმართ) შორისდებულებს, რომლებიც გამოიყენება შეძახილისას, წოდებითის წინ (დიუმეზილი, 2009, 121). ეს შორისდებულები თითქმის მივიწყებულია დღევანდელ ხოფურ კილოკავში.

ქომოლ-მუშის „**ჰე კოჩი**, ფუჯიქ იპარამითამს!“ - და დო უწუ თავის ქმარს „**შე კაცო**, ძროხა ლაპარაკობსო“ და უთხრა“ (დიუმეზ., 2009, 147 ⁸¹)

„**ქალე ოხორჯა**, მუთუ უარ იპარამითამს“-და დო იდუ... „**შე ქალო**, არაფერს არ ამბობსო “ და წავიდა... (იქვე, 147 ⁸⁸)

ჰე, სინ ვაგიჩქინი?- ჰკითხუ ბაბაქ ბერეს „**ბიჭო**, შენ არ იცი? - მამამ ჰკითხა შვილს“

ქალე ბოზო სო გულუ, ოხომა მოთ ვამულუ? „ქალიშვილო სად დადიხართ, სახლში რატომ არ მოდიხარ?“ (ახალაია)

ცალკე კვლევის საგანად არის მიჩნეული ის **შეძახილის** შორისდებულები, რომლებსაც ლაზი მამაკაცები წარმოსთქვამენ ცეკვა „ხორონის“ შესრულებისას [ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 18].

ამგვარ შორისდებულებს **გენდერული შორისდებულების** კვალიფიკაცია ენიჭება [იქვე]

მახვილისა და ტონალობის მიხედვით, იმპერატიულ შორისდებულთა ჯგუფში არის გაერთიანებული, რიგი შორისდებულებისა, როგორცაა: **ოჰა! ოოჰა! ეე! ეე ეე!**... (ოჰა! ოჰჰა! – ამ შორისდებულთა ძირითადად საქონელს მიმართავენ, ადამიანებთან ურთიერთობაში კი ამას დამაკნინებელი მნიშვნელობა აქვს).

ოჰა! ოოჰა! ქოდოდგითი ხოჯი! ჩხომი რენ აქ! „**ოჰ!** გაჩერდი ხარო, თევზია აქ!“ (ჩიქობ., 2008, 409 ¹⁸)

„**ეე!** სინ მუ გორუფ? „**მან** დულდა მიდუნ! „**ეე!** შენ ვის ემებ? „**მე** საქმე მაქვს!“ (იქვე, 496 ⁷)

„**ეეე**, სი ნა გორუმ კოჩი, ეზრავლი, მა ბორე, მა!“ „**ეჰე**, შენ რომ ემებ ის კაცი, ეზრავლი (მიქელ-გაბრიელი) მე ვარ, მე!“ (კარტ., 1993, 94)

[იქვე]

ადამიანის მიმართვას უფლის მიმართ (სხვადასხვაგვარ ემოციათა კვალობაზე), ე. წ. **შორისდებულური ფრაზების** კვალიფიკაცია აქვს. მაგ.:

ალაჰ! ალაჰ! ა მუფერი კოჩი ენ, ჯანუმ! „ო ღმერთო! ეს რანაირი კაცია, შემოგველე“ (ჩიქ., 2008, 4116)
ღორმოთი ჩქიმი, სინ გოგიხთა, - კაი ტაონი ჩქინ მომჩით „**ღმერთო ჩემო**, შენ შემოგველე, კარგი ამინდი ჩვენ მოგვეცი;“

თრანგი ჩქიმი, სქანი ომუდილე ვოე! „**ღმერთო ჩემო**, შენ იმედად ვარ!“ (ახალაია)
[ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 19].

მოხმობილ მაგალითებში „ღორმოთი“ ლაზური სიტყვაა, **ღმერთის** მნიშვნელობით. „თრანგიც“ (ალაჰი) ღმერთს აღნიშნავს, ოღონდაც ის თურქულიდანაა ლაზურში შესული [იქვე].

ლაზურ მასალაში ავტორებმა დააფიქსირეს გარკვეული რაოდენობა თურქული ნასესხობებისა, რომლებიც მიმართვის ფორმებს წარმოადგენენ და რომლებიც შორისდებულებად კვალიფიცირდებიან.

მაგ.: **ჯანუმ, გულსუნ ჰანუმ; იბრაჰიმ ეფენდი, ჯუმა ჩქიმი, ბერე ჩქიმი, ნანა ჩქიმი..**

ჯანუმ! სი მუფეი კოჩი ე? ყინიშენი შექიაეთი იქიფ! „შემოგველე! შენ რანაირი კაცი ხარ? ყინვის გამო, რომ ჩივი“ (ჩიქ., 2008, 412 7);

ჯუმა ჩქიმი! აჰა, არ ასთანა ქომექჰა დო ჟუნენჯ ბელაშენ ართელი იგზალას! „მმაო! აჰა, ერთ ასთანს მოგცემ და ორმოცი უბედურებიდან ერთი წავა!“ (იქვე, 413 7)

„ნანა-ჩქიმი, მოხთი ჩქიმდე, ხე ქოგომისვი... „დედაჩემო, მოდი ჩემთან , ხელი მომისვი (მომეფრე)“ (კარტ., 1993, 259 19)

[ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 19-20].

შორისდებული **ჰაიდე**, რომელიც მომდინარეობს თურქული **Haydi/hadi**-დან ბევრ ენაში ფიქსირდება. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია, რომ: „თურქ. **ჰაიდა** „ჰაი“, „აბა“ იგივეა რაც ზმნა „**წადი**“. იხმარება, როცა ვისიმე **წაქეზება** სურთ წასასვლელად (ქეგლი); ანუ, ეს შორისდებული შინაარსობრივად **იმპერატიულ შორისდებულთა** რიგს განეკუთვნება. თურქულში მას, გარდა **იმპერატიულისა, წაქეზებითი** შინაარსისა კიდევ რამდენიმე სემანტიკური მახასიათებელი გააჩნია. ლაზურში, ძირითადად, იმპერატიულ მაგალითებია დაფიქსირებული:

ხჩინიქ უწუ ნისას: „**ჰაიდე** გოხთიმუშა, ღალი-პიჯიშეკელე ვიდათაა!“ მოხუცმა უთხრა რძალს: წავიდეთ სასეირნოდ , მდინარის სანაპიროზე!“ (კარტ., 1993, 47 25)

„**ჰაიდე** ძარი გოლაშა, რაკანიშ კაპულაშა“... „წამო საყვარელო მთაში, კლდის ზურგზე (უკან)“...

„**ჰაიდე** ბიგზალათ ჰაიდე, ვა რენ მითიშენ ფაიდე“... „წამო, წავიდეთ, წამო, არავისგან არ არის ხერი“

„**ჰაიდე** ბიგზალათ ჰაიდე, გოლობილათ ბიგზალათ“ „წამო, წავიდეთ, წამო, გადავიდეთ წავიდეთ“ (<http://www.kolkhoba.org/teksti19.htm>; Musa Karaalioglu-**GOLOBİLAT BİGZALAT**; 28.01.20)

[იქვე]

აღნიშნული შორისდებული, ავტორების ვარაუდით, დასაბამს იღებს თურქული ზმნიდან **haydamak (haydalamak)** მნიშვნელობებით: „გარეკვა, ნახირის გარეკვა“ და ეს შორისდებულიც თავდაპირველად ნახირის გარეკვისათვის გამოიყენებოდა მეტყველებაში.

საერთოდ, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ენებში **ზმნური წარმომავლობის შორისდებულები** არცთუ ცოტა რაოდენობით ფიქსირდება.

თავისი სტრუქტურით შორისდებულები (ისევე, როგორც ხმაბაძვითი სიტყვები) ახლოს დგანან მეტყველების დამხმარე ნაწილებთან, მნიშვნელობით კი მეტყველების ისეთ დამოუკიდებელ ნაწილთან, როგორცაა ზმნა [შანიძე, 1980, 627].

აკაკი შანიძე უდებრებთან (შორისდებულებთან) დაკავშირებით აღნიშნავს, რომ შორისდებულად შეიძლება იქცეს სახელი, ზმნა და ამის მაგალითებიც აქვს მოყვანილი თავისი „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ (შანიძე 1980, 627).

ლაზ რესპონდენტებთან საუბრისას ყურადღება მიექცა მეტყველებაში ხშირად გამოყენებულ, თურქული ენიდან შემოსულ შორისდებულს: „**ეი (ოა) გიდი / ჰაი გიდი**“

ეი გიდი, მუფეი კაი ნდლაღეფე ტუ... **ჰაი გიდი**, როგორი კარგი დღეები იყო... **ეი, გიდი**, მუფეი სერსემი ვორტი, მუჰო ვამეაგნი... **ჰაი გიდი**, როგორი სულელი ვიყავი, როგორ ვერ მივხვდი... **ეი გიდი**, დელიკანობაში წანაფე მუფეი ორდო იდუ.. **ჰაი გიდი**, ახალგაზრდობის წლები რა უცებ წავიდა... (ახალაია)

„**ოა გიდი**, ლუყუ, მო ტატყალაფ-ქი, ქოდოლოგილაფ!“... „**ოა გიდი**, ფხალივით (დურილისას), ნუ ტარტალებ, ჩაგვივარდები (კარტ., 1972 15³⁷); **ეი გიდი**, უღუტუი, უღუტუი, გელინი - ჩქიმიია? - კონშის უწუ; **ჰაი გიდი**, ჰქონდა, ჰქონდა რძალო ჩემოო- მეზობელს უთხრა (იქვე 203¹⁰)

აღნიშნული შორისდებული თურქულში ასევე იხმარება დამცინავი ელფერიტაც, შენიშვნის მიცემისას. მაგ., **Seni gidi seni** ნიშნავს: „ეხ, შე უსირცხვილო“.

ზემომოტანილი ლაზური მასალის ქართული თარგმანი „ეი გიდის“ შესატყვისად – „ჰაი გიდის“ გვთავაზობს.

ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს შემდეგი მოსაზრებები:

ო. გაჩეჩილამის მონოგრაფიაში („შორისდებული თანამედროვე სალიტერატურო ქართულში“) **აი, გიდი! ჰაი, გიდი!** ქეგლ–ზე დაყრდნობით, **ქითი** მიიჩნეულია თურქულ–სპარსულ სიტყვად, მნიშვნელობით – „ქვეყანა, სამყარო“ [გაჩეჩილაძე, 1979, 78].

ჟ. დიუმეზილი მიიჩნევს, რომ ლაზურში აღნიშნული შორისდებული თურქულია და როგორც წესი გინებას უძღვის წინ. მოცემულ და სხვა მრავალ მაგალითში ეს შორისდებული გამოხატავს სინანულს და თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში უმრავლეს შემთხვევაში, დადებითი კონტექსტითაა გამოყენებული.

ამას ადასტურებს სელმა კოჩივას, გერმანიაში მცხოვრები ლაზი პოეტი ქალის, თურქეთში გამოცემული ერთ-ერთი წიგნის სათაურიც: „Ah gidi Karadeniz“ (Koçiva 2001, 6). ამასთანავე, ეს არის ანონიმი პოეტის მიერ თურქული ენის დიალექტზე შექმნილი სალექსო სტროფის პირველი სტრიქონი:

„Ah gidi Karadeniz
Sularun ne karadur
Senunda benum gibi
Yureğın mı yaradur“

ამ სტროფის მიხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ ავტორი ამ შორისდებულით კი არ „დასცინის“ შავ ზღვას, არამედ პირიქით, ეფერება მას [ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 22].

რაც შეეხება ამ შორისდებულის ეტიმოლოგიას, ამასთან დაკავშირებით გვინდა გამოთქმულია მოსაზრება, რომ იგი ისევე როგორც „ჰაიდა“ დასაბამს იღებს სავარაუდოდ ზმნიდან. **gidi** უნდა მომდინარეობდეს **წასვლა** ზმნიდან „**gitmek**“, რომლის ქართული

თარგმანია **მიდი! გაიარე!** ამ მოსაზრების სისწორეს ერთი გარემოებაც ამყარებს. მაგ., ლაზურის ათინურსა და ვიწურ კილოკავებში ფიქსირებული **გიდი, გიდი, გიდი!** შემახილით ლაზები მიერეკებიან წვრილფეხა საქონელს. ფიქსირდება ასევე **კიდი, კიდი, კიდი!** ფორმაც. ხოფურში გავრცელებულია **პიტი, პიტი, პიტი!** (**ჰემ, ჰემ, ჰემ!**) [ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 23]

იმპერატიულ შორისდებულთა რიგში ასევე აერთიანებენ იმ შორისდებულებსაც, „რომლებსაც იყენებენ ცხოველთა და ფრინველთა მოხმობის, გარეკვის (გაგდების), შემახებისა და გაფრთხობის საჭიროების დროს“ (გაჩეჩილაძე, 1979, 96). ამ მხრივ ლაზური ფრიად მდიდარი აღმოჩნდა. მის აღმოსავლურ და დასავლურ კილოკავებში ხშირია განსხვავებული ფორმები. განსხვავდება ერთმანეთისგან მაგ., წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის დამახებისა და გარეკვის, ძაღლის, კატის დამახებისა და გაძევების შორისდებულები. მაგ., განსხვავებულია ქათმის დამახების ფორმები ათინურში – **ორი ოული!** ბორჩხაში (ჩხალა) – **ბრრრრჯე! ბრრრრჯე!** ხოფურში: **ჯუ, ჯუ, ჯუ! ბრდუე, ბრდუე!** არქაბულში – **წიპა, წიპა, წიპა!** მათი გაფრთხობის შორისდებულები კი ასე თუ ისე მსგავსია: **ქში! ქშა! ქშო! ქში! ქშა!** (შდრ. ქართ. აქშა!) [ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 23].

რეფლექსურ შორისდებულთა კვალიფიკაციას ენიჭება მაგ., ცხოველების: კატის, ძაღლის, საქონლის, ფრინველის მიერ გამოცემულ ხმებს. რომლებიც ლაზურის კილოკავებში, თავისებურად ფიქსირდება: **პეე, ჭუმმმ, მიაგ, ბეეე, ჰავ ჰავ...**

არსებული ლაზური ტექსტებისა და მოპოვებული ემპირიული მასალის საფუძველზე ავტორები აკეთებენ დასკვნას, რომ ლაზური გამოირჩევა შორისდებულთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით (კილოკავების დონეზეც კი) [ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015, 24].

ზემოთ წარმოდგენილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ მეგრულისთვის არანაკლებ დამახასიათებელია შორისდებულთა „სიუხვე და მრავალფეროვნება“.

ლიტერატურა:

- აბესაძე, 1963:** ნ. აბესაძე, „რომ“ კავშირი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 96, თბ., 1963;
- აბესაძე, 1965:** ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წევრ-კავშირები მეგრულში: თსუ შრ. ტ. 114, თბ., 1965;
- აბულაძე, 1986:** ლ. აბულაძე, სივრცული და დროული ორიენტაციის აღმნიშვნელ სიტყვათა წყვილების შესახებ. იკე, ტ. XXV, თბ., 1986;
- ასათიანი 1953:** ი. ასათიანი, ზმნისწინები ზანურში (სადისერტაციო ნაშრ.), თბ., 1953.;
- ახალაია 1999:** ვ. ახალაია, ზანური ჰიპოტაქსის ძირითადი საკითხები, გორი, 1999.
- ახალაია, 2013:** ნ., ლაზეთში მოპოვებული ემპირიული მასალა, 2012- 2013;

ბაბუნაშვილი, 1957: ე. ბაბუნაშვილი, -ცა, -ლა, -მე ნაწილაკები ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ.67, თბ., 1957;

ბალათურია, 1987: ნ. ბალათურია, მეგრულის საკულტო ლექსიკიდან (სიტყვაწარმოებითი ერთი ფორმანტის გენეზისისათვის), საქართველოს მეცნ. აკად. ენისა და ლიტ. განყოფილებასთან არსებული ფოლკლორის საკოორდინაციო საბჭოს XXVI სამეცნიერო კონფერენციის თეზისები, თბ., 1987;

ბოედერი 1988: W. Boeder, „Über einige Anredeformen im Kaukasus“, Georgica 11, Iena-თბ., 1988;

გაბუნია, 1993: ვ. გაბუნია, ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში;

გაჩეჩილაძე, 1979: ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბ. 1979.

გუდავა, 1947: ტ. გუდავა, ერთი აფხაზური თანდებული ზანურში. სმამ, ტ. VIII, N 3, თბ., 1947;

გუდავა, გამყრელიძე 2000: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ. 2000;

დადიანი, 1997: ე. დადიანი, ოკო ნაწილაკი მეგრულში, ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთ., 1997;

დიუმეზილი, 2009: ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბილისი, 2009;

ეზუგბაია, 2010: ლ. ეზუგბაია, მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები, თბ., 2010;

ზურაბიშვილი, 1957 : თ. ზურაბიშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957;

თანდილაგა, 2013: ა. თანდილაგა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013;

თოფურია, 1937: ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, IV, ენიკის მოამბე, ტ. I, ტფ., 1937;

თოფურია, 1941: ვ. თოფურია ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში, მეცნ. აკად. მოამბე, ტ. II, 1-2;

თოფურია, 2002: ვ. თოფურია, შრომები, II, თბ., 2002;

თოფურია, 1959: ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, VI, კომპოზიტი, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბ. 1959;

კარტოზია, 1961: გ. კარტოზია, ერთი თანდებულის გენეზისისათვის მეგრულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბ., 1961;

კარტოზია, 1996: გ. კარტოზია, მეგრულის ნი (<ინი) „რომ კავშირის გენეზისისათვის: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. VI, თბ., 1996;

კარტოზია, 1997: გ. კარტოზია, ფიცის ნაწილაკები მეგრულში, ეტიმოლოგიური ძიებანი, VI, თბ., 1997;

კარტოზია, 2005: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისის ადგილი ქართველურ ენათა სისიტემაში, თბ., 2005;

კარტოზია გ., ლაზური ტექსტები II, გამომც. „მეცნიერება“, თბ. 1993;

კარტოზია გ., ლაზური ტექსტები, თბ., 1972;

კარტოზია..., 2010: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბ., 2010;

- კვანტალიანი, 1990:** ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990;
- კიზირია, 1969:** ა. კიზირია, რთული წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში. თბ., 1969;
- კიზირია, 1982:** მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982;
- კლიმოვი, 1964:** Г. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., 1964;
- ლომაია, 2003:** შ. ლომაია, ადგილისა და დროის ზმნისართები მეგრულ-ლაზურში (სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატი), თბ., 2003;
- ლომაია, 2006:** შ. ლომაია, ადგილისა და დროის ზმნისართები მეგრულ-ლაზურში, თბ., 2006;
- ლომთათიძე 1958:** ქ.ლომთათიძე, ზმნის ინფინიტიური წარმოების კვალი ძველ ქართულში: იკვ, ტ. XIII, თბ., 1958;
- ლომთათიძე, 1963:** ქ. ლომთათიძე, ქართული აქვს ზმნა მეგრულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, თბ., 1963;
- ლომია, 2011:** მ. ლომია, უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები მეგრულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXII, 2011;
- ლორთქიფანიძე, ახალაია, 2015:** ლორთქიფანიძე ქ., ახალაია ნ., შორისდებულთა თანამედროვე ლინგვისტური კლასიფიკაციისათვის ლაზურში, ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები. III, თბ., 2015;
- მარი, 1910:** Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка Б С П б. 1910.
- მარტიროსოვი, 1946:** ა.მარტიროსოვი, ზმნისწინების შემადგენლობა და მათი ფუნქციები, იკვ, ტ. 4, თბ., 1946;
- მემიშიში, 2005:** ო. მემიშიში, ნა კავშირიანი დამოკიდებული წინადადება ლაზურში, ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრ. IV, ბათუმი, 2005;
- ჟღენტი, 1953:** ს. ჟღენტი, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბ., 1953;
- როგავა, 1948:** გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედაგოგიკის შრ., ტ. 8, ქუთაისი, 1948;
- როგავა, 1987:** გ. როგავა, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში, იკვ, ტ. XXVI, თბ., 1987;
- სანიკიძე, 1977:** ლ. სანიკიძე, რედუპლიკაცია სვანურსა და ზანურში, იკვს წელიწადეული, ტ. IV, თბ., 1977;
- უთურგაიძე, 1986:** თ. უთურგაიძე, ქართული ენის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986;
- ფაჩულია, 1997,** კავშირები ზანურ ენაში (სადისერტაციო ნაშრ.), თბ., 1997;
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000:** ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2000;
- ფოჩხუა, 1958:** ბ. ფოჩხუა, ხმოვანთავსართული ზმნისართები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. I, თბ., 1958;
- ქაჯაია, 2001:** ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001;
- ყიფშიძე, 1914:** И. Кипшидзе, Грамматика мингрелского (иверского) языка, С П б., 1914;
- ყიფშიძე, 1994:** ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბ., 1994;
- შალამბერიძე, 1959:** გ. შალამბერიძე, ზმნისართი ძველ ქართულ ენაში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, წიგნი I, თბ., 1959;

- შანიძე, 1948:** მ.შანიძე, „რომელ“ ნაცვალსახელის ფუნქციისა და ადგილისათვის ძველ ქართულში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ნაწ. III, 1948;
- შანიძე, 1953:** ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბ., 1953;
- შანიძე, 1973:** ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები I, თბ., 1973;
- შანიძე 1980:** ა.შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ. 1980;
- შეროზია, 1999:** რ. შეროზია, კვლავ ხ- თანდებულის წარმომავლობისათვის მეგრულში, ქუთაისური საუბრები, VI, მოხსენებათა თეზისები, ქუთ., 1999;
- ჩიქობავა 1936:** ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 1936;
- ჩიქობავა 1939:** არნ. ჩიქობავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრ., ტ. 10, თბ., 1939;
- ჩიქობავა, 1937:** არნ. ჩიქობავა, წარ- პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში, ენიმკის მოამბე, ტ. I, თბ. 1937;
- ჩიქობავა, 1945:** არნ. ჩიქობავა, ზოგი სიტყვის მნიშვნელობის განვითარებისათვის ძველ ქართულში, ფსიქოლოგია, ტ. III, თბ., 1945;
- ჩიქობავა, 2008:** არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IV, თბ., 2008;
- ჩხუბიანიშვილი, 1961:** დ. ჩხუბიანიშვილი, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში, ქართველურენათსტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961;
- ციკოლია 1977:** მ. ციკოლია, აფხაზურ-ქართული სინტაქსური პარალელები, აფხაზეთის ენის, ლიტერატურის, ისტორიის ინსტიტუტის მოამბე, VI, სოხუმი, 1977;
- ძიძიგური 1973:** შ.ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973;
- ხუბუა 1942:** მ. ხუბუა, მტკიცებითი ქო ნაწილაკის ხმარებისათვის მეგრულში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, III, თბ., 1942;
- ჯანაშია 1959:** ს. ჯანაშია, შრ., ტ. III, თბ., 1959;
- ჯორბენაძე 1993:** ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ტ. X, თბ., 1993;
- Alkumru 2011:** Alkumru N., Laz kültür tarihi, yayın kolektifi lazika, İstanbul, 2011;
- Ameka 1992:** Ameka F., Interjections: the universal yet neglected part of speech, Journal of Pragmatics. -1992;
- Kojima, Bucaklışi, 2003:** Kojima G., Bucaklışi İ, A., Lazca Gramer, Chiviyazılar/Mjora, İstanbul 2003; <http://www.kolkhoba.org> (28.02.2014); http://www.lazuri.com/lazuri/lazuri_oxvamupe_do_meyocamape.html (27.01.2015);
- Коçима 2001:** Коçима S., Ah Gidi Karadeniz, Kaldıraç Yayınevi, İstanbul 2001;
- Серѣда, 2003:** Серѣда E. B., Нерешенные Проблемы Изучения Междометии, „Русский язык“, N11/2003.

წყაროები:

- ასათ., 1974: ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ. 1974;
- ასათ., ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2012;
- გუდ. 1975: ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები), I, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო ტ. გუდავამ, თბ., 1975.

დან., ცან. 1991: ქართული ხალხური სიტყვიერება (მეგრული ტექსტები ქართული თარგმანით), II, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ, თბ., 1991
 დიუმეზ. : ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზღაპრები და გადმოცემები, თბ., 2009;
 თანდ.: ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013;
 კარტ.: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, I, თბ., 1972;
 კარტ.: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბ., 1993;
 ნენაფ: ისმაილ ბუჯაქლიში, ჰასან უზუნჰასანოღლუ, ირფან ალექსივა, დიდი ლაზური ნენაფუნა, 2007.
 ლომ.: მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბ., 2005
 ლომია, გერსამია 2012: მ. ლომია, რ. გერსამია, მეგრული ტექსტები, ნაწ. II, თბ., 2012.
 მარი: Н.Март, Грамматика чанского (лазского) языка, с.Петербург, 1910.
 ჟღ. : ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები. არქაბული კოლოკავი, თბ., 1938
 სარფ. მეტყ.: სარფის მეტყველება.
 ქაჯაია I: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001;
 ქაჯაია II: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002;
 ქაჯაია III: ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., 2002;
 ქხპ. : კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1971;
 ყიფშ.: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები, თბ., 1939.
 ჩიქ. I: ა. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, I, თბ., 1929.
 ჩიქ. II: ა. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ნაწილი II, ტექსტები, თბ., 1936.
 ჩიქ. 2008: ა. ჩიქობავა, შრომები, ტ. III, თბ., 2008.
 ხალხ. სიბრძ.: ხალხური სიბრძნე, I, მეგრულ-ლაზური ანდაზები, შემდგენლები: რ. შეროზია, ო. მემიშიძე, თბ., 1994;
 ხუბ. 1937:მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, ტფ., 1937.

დასკვნითი დებულებები

1. ლაზურ-მეგრული ენის აღსანიშნავად **ზან-** ფუძის გამოყენებას, რომელიც არნ. ჩიქობავამ შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, გააჩნია როგორც მეგრული, ისე ლაზური საფუძველი, ვინაიდან **ზან-** (**ზან-**ათ-ი) თურქეთის ლაზეთში დაფიქსირდა. ირკვევა, რომ სვანურ მგ-ზან „მეგრელი“ და მკ. ქართ. მ-ეგურ-ელ-ი ერთგვაროვანი აგებულებისაა და მდინარის-პირელს ნიშნავს, შესაბამისად: მგ-ზან (=ზან-ელ-ი), მ-ეგურ-ელ-ი (=ენგურ-ელ-ი), ანუ მდინარის-პირელი, ხოლო ზღვისპირა ზოლში მცხოვრებ კოლხებს (ლაზებსაც და მეგრელებსაც) **ლაზი** ერქვა, ამიტომაც ადრემუასაუკუნეების ბერძნულ წყაროებში ისტორიულ ლაზეთსაც და ოდიშსაც (სამეგრელოს) ბერძენი ავტორები **ლაზიკედ**

მოიხსენიებდნენ. მთაში მცხოვრები ზანები (კოლხები) იყვნენ ჭან-ები, რაც ლაზებში ნაწილობრივ დღესაც ჩანს. მეგრელებშიც **ჭანები** მთაში მოსახლეს აღნიშნავდა, **ჭან** ფუძეს ორი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა: *მთა* და *მთიელი*, რასაც ადასტურებს ჰიდრონიმები ჭან-ი-წყარ-ი „ჭანისწყალი“ (= მთის წყალი), ამგვარი სახელდება კავკასიურ სინამდვილეში მოულოდნელი არ ჩანს, ვინაიდან დადასტურებული ფაქტია, რომ მდ. არაგვი-ის ოსურში აღქმულია როგორც ხობ-დონ „მთის მდინარე“ (ხობ „მთა“, დონ „წყალი, მდინარე“); ტოპონიმი ჭაქვინჯ-ი ასევე შეიძლება ასახავდეს *მთის ძირს*: ჭან „მთა“ + ქვინჯ-ი „ძირი, ფსკერი“ → ჭა-ქვინჯ-ი. ამით ისიც ცხადი ხდება, თუ რატომ ჰქვიათ მთიელ მეგრელებს წან-არ-ებ-ი (resp. ჭან-არ-ებ-ი): ჭან-/წან- „მთა“, ჭან-არ-ი → // წან-არ-ი (= ჭან-ელ-ი) „მთიელი“. ადრეული პერიოდის ქართული წყაროები ლ ა ზ - / ჭ ა ნ / -ს არ იცნობენ, ლაზეთიც და სამეგრელოც ძველ ქართულში ს ა მ ე გ რ ე ლ ო დ არის მოხსენიებული. ამავდროულად სინონიმური ტერმინი ო დ ი შ ი ბუნებრივი ჩანს ძველი ქართულისათვის: „დედა ო დ ი შ ს დაწერილი იყო და სიტყუასა სცვალებდა“ [სარჯველაძე, 2000, 23]. დასაშვებია, რომ მეგრულ-ლაზის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ქართულში კ ო ლ ხ - ი იყო, რომლის შესატყვისი ზანური ფორმა უნდა ვლინდებოდეს კულხ-ა / კილხ-ა ალომორფებში. ამ უკანასკნელთა მეგრულ-ლაზურობას ხაზს უსვამს უ → ი ფონეტიკური გარდაქმნა (კულხ-ა → // კილხ-ა), რაც ორივე ქვესისტემისთვის (როგორც ლაზურისთვის, ისე მეგრულისთვის) დამახასიათებელი მოვლენაა: ქურ-ი / ქირ-ი „ქორი“, შდრ. ბერათმესატყვისობა ქართ. ო (კოლხ-ი) : ზან. უ → ი (კულხ-ა / კილხ-ა).

2. ისტორიულად ლაზურ-მეგრული მეტყველება გავრცელებული იყო შავი ზღვის სანაპირო ზოლში სინოპ-სამსუნ-ტრაპიზონიდან მდინარე ფსოუმდე და მოიცავდა გურია-აჭარა-იმერეთს (შორაპნამდე) მთლიანად. დღევანდელი მდგომარეობით ლაზური მეტყველება მოიცავს შავი ზღვის სანაპირო ზოლს სარფიდან ქემერამდის, ასევე მდინარე ჩხალის ხეობას; აფხაზეთში ლაზური შეერია აფხაზურ-მეგრულს, ანაკლიაში ლაზური მეგრულში ითქვიფება. მეგრული გავრცელებულია აღმოსავლეთითა და სამხრეთით ცხენისწყალ-რიონ-ფიჩორამდის, დასავლეთით – შავ ზღვა-ღალიძგამდის, ჩრდილოეთით აფხაზეთ-სვანეთის მთისწინეთამდის.

ლაზური და მეგრული ერთი (ზანური, კოლხური) ენის ორი დიალექტია და არა ცალ-ცალკე (დამოუკიდებელი) ენები. ლაზურის კილოკავებია: ათინური, ვიწური, არქაბული, ხოფური. მეგრული სამ კილოკავს ითვლის: სენაკურ-მარტვილური, ზუგდიდურ-ჯვარული, სამურზაყანოული.

მეგრულ-ლაზური, როგორც ლინგვისტური ერთეული, ხასიათდება გამორჩეული მონოლითურობით, შეიძლება ითქვას, იგი მთლიანად ქართველური ტიპის ენაა, მასში არ იკითხება სხვა წრის ენათა გავლენის კვალი. ჩვენ მიერ განხილული უბანი – მორფოლოგია, უფორმო სიტყვები და საერთო ლექსიკა (მეგრულ-ლაზური ძირ-ფუძეები) ცხადად აჩვენებს, რომ მეგრულ-ლაზურში მოქმედებს ერთიანი ლინგვისტური ნორმები, რომ აქ აფხაზურ-ადიღური (ან სხვა ენათა) უძველესი ნასესხები ფენა პრაქტიკულად არ მოიპოვება. მომდევნო პერიოდში, როდესაც გაწყდა პირდაპირი კავშირი მეგრულსა და ლაზურს შორის, ლაზურზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს ბერძნული, შემდგომ – თურქული. მეგრულს მხოლოდ სალიტერატურო ქართულის ზემოქმედების კვალი ეტყობა. ამგვარი ზეგავლენა არანაკლებ მძლავრი უნდა ყოფილიყო მეგრულ-ლაზური ტერიტორიული მთლიანობის პერიოდშიც; ამის ერთ ნიმუშს დავასახელებთ, მაგალითად, ქართ. **ცხემლ-** ძირის ისტორიულ ზანურ დიალექტში ლაზური ც ხ ე მ უ რ - / მ ც ხ ე ბ რ - და მეგრული ც ხ ე მ უ რ - / ც ხ ი მ უ რ -

სახეობები შეეფარ-დება, მაშინ, როდესაც ზუსტი შესატყვისი, რომელიც ჩ ხ ა მ უ რ - სახისა უნდა ყოფილიყო, შემორჩენილია მხოლოდ ტოპონიმის სახით ო - ჩ ხ ა მ უ რ - ში. რაც იმას ნიშნავს, რომ ქართულ-ზანური ბილინგვიზმის პირობებში სახელმწიფო ენის (ქართულის) ზეგავლენით იქმნებოდა, ქართულთან ადაპტირებული ფორმები, რომლებიც თანდათანობით იკავებდნენ საკუთრივ ზანური შესატყვისების ადგილს, რისი ნიმუშიც ხ ე მ ლ -ის ფარდი ფუძეებია მეგრულსა და ლაზურში.

ქართულის ადრეული ზემოქმედების კვალი ლაზურში უფრო თვალსაჩინოა, რაც ლექსიკური ნაირსახეობების სახით ვლინდება. არის შემთხვევები, როცა ლაზურშია შემორჩენილი უძველესი საკუთრივ ქართული ესა თუ ის ფუძე, მაშინ, როდესაც არც ძველ ქართულში, არც ახალში შესაბამისი ლექსემა არ იმეზნება. ისევ მაგალითებს მივმართოთ; მ ო მ წ ი ფ ე ბ უ ლ ი ს გაგების აღსანიშნავად ქართულში მ წ ი ფ ე გვაქვს, მეგრულ-ლაზურში – მ ო ნ ჭ ა , მაგრამ ჩვენს ენებში ცალკე სიტყვა (ძირი) არსებობდა ს ი მ წ ი ფ ე შ ი შ ე ს უ ლ ი ს გამოსახატავად, რაც დღეს მეგრულშია უწყევად შემონახული მონოლითური ხ ო ნ ჭ კ ა ძირის სახით, მაგრამ მეტად საინტერესო აღმოჩნდა ლაზურის ვითარება, სადაც მეგრული ხ ო ნ ჭ კ ა -ს ეკვივალენტი (უფრო სრული ფორმით) ხ ო ნ ჭ კ ა ლ - შემოგვინახა, მაგრამ ამავდროულად, რაც კიდევ უფრო საყურადღებოა, ქართულისათვის სავარაუდო ზუსტი შესატყვისი ხ ა ნ ჭ ე ლ - სიტყვაც ლაზურშია შემორჩენილი, ოღონდ მხოლოდ სახელურ ფუძეში – ლაზ. (← ქართ.) ხ ა ნ ჭ ე ლ -ი „ნახევრად მწიფე, სიმწიფეში შესული“, შდრ. მეგრ. ხ ო ნ ჭ კ -აფ-ა „სიმწიფეში შესულა“, ხ ო ნ ჭ კ -ა „სიმწიფეში შესული“. ფიქსირდება შემთხვევა, როცა ძველქართული უძველესი ყოფის აღმნიშვნელი კომპოზიტია ლაზურში შემორჩენილი. ასეთად მივიჩნევთ ლაზურ ქ ა რ მ ა ტ ე „წისკვილი“ სიტყვას. ჩვეულებრივ წისკვილის აღსანიშნავად ლაზურში მ ს ქ ი ბ უ გამოიყენება, მაგრამ ლაზურშივე თავჩენილი ქ ა რ მ ა ტ ე ქართულიდან უნდა იყოს შემოსული. არნ. ჩიქობავა აქ ქ არ - კომპონენტს გამოყოფდა და ფიქრობდა, იგი ქ არ -მატე „ქარის წისკვილის“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო [ჩიქობავა, 1938, 153]. ეტყობა, საქართველოში გავრცელებული იყო როგორც ქარის წისკვილი (ქარ-მატე), ისე წყლის დოლაბიანი წისკვილი (მეგრ.-ლაზ. (მ)სქიბუ). ლაზურმა ორივე სიტყვა შემოგვინახა. ცხადია, ქ არ -მატე-ში ქ არ - დღევანდელი სალიტერატურო ქარია, მაგრამ რა არის მატე? – მისი განმარტება მხოლოდ ლაზური შესატყვისის მოხმობით არის შესაძლებელი. კერძოდ, ქართ. მ ა ტ ე სახელის სტრუქტურულ-სემანტიკური შესატყვისი უნდა ჩანდეს ლაზურ მ ო ტ ა სახელში, რომელიც აღნიშნავს იმ ნაწილს, რითაც რეგულირდება წისკვილის ფუნქციონირება. ქართ. მ ა ტ ე : ზან. (ლაზ.) მ ო ტ ა მიმართება ზუსტად ასახავს ქართულ-ზანურ ბგერათშესატყვისობათა ჩვენებას – ქართ. ა : ზან. ო ; ქართული მატე-ს შესატყვისი უნდა ჩანდეს ლაზურ ზმნაში მ ო ტ ა -ლ-ა / მ ო ტ ა -ფ-ა „მორტყმა, მოხვედრა“, რაც მიმართულების მიცემის ტოლფასია. სხვა მასალის მოტანაც ადვილად შეიძლებოდა, მაგრამ ამ ჯერზე ნათქვამით დავკმაყოფილდებით.

საზოგადოდ კი მეგრულ-ლაზურ ძირ-ფუძეთა შედარებითი განხილვა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დავასკვნათ: ძირითადი ლექსიკური ფონდი საერთოა, ლაზურშიც და მეგრულიც ქართულის მიმართ წარმოაჩენს მტკიცე სტრუქტურულ-ფონეტიკურ იგივეობას და ძირთა ერთნაირ შესატყვისობას იძლევა.

3. მეგრულ-ლაზური მორფოლოგიის დამახასიათებელ თვისებად გვევლინება ბრუნების ერთი ტიპი. ა) მარტივ ბრუნვათა რაოდენობა ორსავე ენობრივ ერთეულში ძირითადად ემთხვევა:

	ლაზური	მეგრული
სახელობითი	კოჩ-ი	კოჩ-ი
მოთხრობითი	კოჩ-ი-ქ	კოჩ-ი-ქ / კოჩ-ქ
მიცემითი	კოჩ-ი-ს	კოჩ-ი-ს / კო-ს
ნათესაობითი	კოჩ-იმ	კოჩ-იმ
მოქმედებითი	კოჩ-ით-ე(ნ)	კოჩ-ით
ვითარებითი	[კოჩ-ო(თ)]	კოჩ-ო(თ)

ერთადერთ სხვაობას ქმნის ვითარებითი ბრუნვის სპორადულობა ლაზურში, თუმცა, როგორც ირკვევა ვითარებითი ბრუნვის ფორმები გამოქვეყნებულ ტექსტებში მაინც იჩენს თავს, ოღონდ მხოლოდ თანხმომავანფუძიან სახელებში, ხმომავანფუძიანებთან ვითარებითის გამოხატვა ლაზურში უკვე შეუძლებელია, არ დადასტურდა ამის არცერთი შემთხვევა. თანხმომავანფუძიან სახელებთან შემდეგი სურათი იხატება, მეგრულივით ხან გვაქვს მხოლოდ -ო (= ქართ. -ად), ზოგჯერ, უფრო ხშირად სრული სახეობა -ოთ (=ქართ. -ად) → -ო : დიდ-ო „ძალიან“, ირ-ო „ყოველთვის“; -ოთ : მჯგემ-ოთ „ძველად“, ართ-ოთ „ერთად“, ლაზურ-ოთ „ლაზურად“...

უფრო საყურადღებო ამ კონტექსტში ის აღმოჩნდა, რომ მეგრულსა და ლაზურში მიცემითის -ს მარკერთან ერთად დადასტურდა ქართული ნაპირ-ას ფორმებში შემორჩენილი VC ტიპის ხმოვნაანი ბრუნვის ნიშანი ზანურისათვის ბუნებრივი შიშინა გახმომავანებით; მხედველობაშია მეგრ. ჭიფ-აშ-ე // ჭიფ-აშ-ო და ლაზ. ჭიფ-აშ-ა „წვრილად“, სადაც სამურზაყანოული ჭიფ-აშ-ო უძველესია (ლაზ. ა, მეგრ. ე ← სამურზ. ო) და ამავდროულად ნათლად აჩვენებს, რომ -ო (← -ოთ) ვითარებითი ბრუნვის ნიშანი მკვიდრად იჯდა ლაზურის ბრუნვათა სისტემაში, რატომღაც, ალბათ უცხო ენათა ზეგავლენით, მოგვიანებით ხდება ლაზურში ამ ბრუნვის ფუნქციური დატვირთვის შესუსტება, მაგრამ ამით ლაზური მეგრულისგან არ განსხვავდება, პირიქით, დიაქრონიულად საერთო სურათი იხატება.

ბ) ბრუნვათა სისტემის ერთგვაროვნება შენარჩუნებულია ნანათესაობითარ ბრუნვებში ლაზურსა და მეგრულში, რომელიც საბოლოოდ მეორეულ ბრუნვებად მიიჩნევა, მაგრამ ეს მეორეულობა ზოგ ბრუნვასთან ადის საერთოქართველურ დონემდე, ამიტომაც ამ სიტუაციაში ბრუნვათა მეორეულობაზე საუბარი მეტად პირობით ხასიათს ატარებს, ვინაიდან ის, რაც მეგრულში გვაქვს კოჩ-იმ-ო(თ) რთული შედგენილობის სახით ფიქსირდება ძველ ქართულში კაც-ის-ად და მეორდება თანამედროვე ქართული ენის მთის დიალექტებში, უფრო მეტიც, -იმ-დ (← *-იმ-ად) შეკუმშული სახეობა სვანურისთვისაც არ არის უცხო.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ დანიშნულებითი, ისევე, როგორც ვითარებითი, ლაზურს აკლია და მეგრულში მოქმედია, მაგრამ იგი ლაზურშიც მეგრულისებური მოდელით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, – ნანათესაობითარი ფუძე + ო(თ) : კოჩ-იმ-ო(თ) „კაცისად“, და-შ-ო(თ) „დისად, დისთვის“. ვითარებითი რომ არ მოშლოდა ლაზურს, დანიშნულებითიც შეუნარჩუნდებოდა.

სამაგიეროდ, სხვა ნანათესაობითარი ბრუნვები მეგრულ-ლაზურში ერთნაირად იწარმოება და მისი სამივე სახეობა შენარჩუნებულია ორივე დიალექტში:

	ლაზური	მეგრული	
მიმართულებითი	კოჩ-იმ-ა	კოჩ-იმ-ა	„კაცისკენ“
დაშორებითი	კოჩ-იმ-ე	კოჩ-იმ-ე	„კაცისგან“

მიზეზ-მიზნობითი	კოჩ-იმ-ენ(ი)	კოჩ-იმ-ენ(ი)	„კაცისთვის/-გამო“
დანიშნულებითი	{კოჩ-იმ-ო(თ)}	კოჩ-იმ-ო(თ)	„კაცისად“

ამასთან, ფაქტია, რომ მოთხრობითი (-ქ), მიცემითი (-ს), ნათესაობითი (-იმ/-შ) ბრუნვის ნიშნები იდენტურია მეგრულსა და ლაზურში, თითქოს განსხვავებას ქმნის სახელობითი ბრუნვის მარკერი, რომელიც ლაზურში ზოგ ფუძესთან -ე-ს სახით რეალიზდება : ბერ-ე (მეგრ. ბერ-ი) „ბავშვი“, კუჩხ-ე (მეგრ. კუჩხ-ი) „ფეხი“, ჩელამურ-ე (მეგრ. ჩილამურ-ი) „ცრემლი“..., მაგრამ ისეთი ფორმებიც დაიძებნება, სადაც ორივეგან, როგორც ლაზურში, ისე მეგრულში -ე დაჩნდება სახელობითი ბრუნვის ნიშნად, მაგალითად, მეგრ.-ლაზ. ნოთ-ე „სანთელი, კვარი, სხივი“, რაც იმას ამტკიცებს, რომ ისტორიულად სახელობითი ბრუნვის -ე მარკერი საერთო იყო ზანური ენის ორივე დიალექტისათვის. **თუმცა სინქრონიული ანალიზის დროს არც ლაზურში და არც მეგრულში -ე ბრუნვის ნიშნად არ გამოიყოფა, ის დღეს ფუძეს არის შეხორცებული და ყველა ე-ზე დამთავრებული სახელი ისეთივე ხმოვანფუძიანია, როგორც ა, ე, ო, უ ხმოვანფუძიანი სახელები მეგრულ-ლაზურში.**

თავად ბრუნების პროცესისათვის დამახასიათებელი ზოგადი კანონზომიერებაც ერთნაირად ურყევია როგორც ლაზურში, ისე მეგრულში: **ზანური ენის ორსავე დიალექტში სახელის ფუძე არც იკუმშება და არც იკვეცება**, ხოლო ხმოვანზე დამთავრებული სახელის ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანთან შეხვედრის დროს (როგორც წესი, უგამონაკლისოდ) ფუძისეული ხმოვნის ზეგავლენით ბრუნვის ნიშანი ყოველთვის კარგავს მარკერის საწყის ხმოვანს. **ბრუნვის ნიშნისეულ ხმოვანზე შემოქმედების ასეთივე ძალა გააჩნია ფუძესშეხორცებულ წარმოშობით კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ -ე ფუძის კუთვნილებასა და არ წარმოადგენს ბრუნების პროცესში ჩართულ მარკერს.**

ამოსავალში რომ მართლაც -ე იყო სახელობითი ბრუნვის ნიშანი (ი-სთან ერთად), ამას განამტკიცებს ის გარემოება, რომ სახელთა მრავლობით რიცხვში ლაზური მრ. ნიშანი ყოველთვის -ეფ-ე ფორმით არის წარმოდგენილი, განსხვავებით მეგრულისაგან, სადაც ქართულივით -ეფ-ი (= ქართ. ებ-ი) დასტურდება: ლაზ. კოჩ-ეფ-ე, მეგრ. კოჩ-ეფ-ი „კაცები“. მრავლობით რიცხვში სხვა ტენდენციაც საცნაურია, კერძოდ, მეგრულში ა-ხმოვანფუძიანი სახელები მრავლობითის -ეფ ნიშნის ზეგავლენით იკვეცება, ლაზურში პირიქით, როგორც ბრუნების პროცესში, ცვლილებას გრამატიკული ინვენტარი (resp. ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშანი) განიცდის – მეგრ. დიხა-/დიხ-ეფ-ი „მიწები“, ლაზ. დიხა/დიხა-ფ-ე „მიწები“, თუმცა ო, ე, უ ხმოვანფუძიანებთან სისტემა სწორდება, მეგრულშიც მრავლობითობის ნიშნისეული ე ხმოვანი იკარგება.

ლაზური და მეგრული ერთიანობას ინარჩუნებს მრავლობითი რიცხვის წარმოების იმ სახეობაშიც, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში და -ლ -ეფ -ი „დები“ ტიპის სახელითაა ცნობილი, როცა ამოსავალი ძირისეული -ლ სონორი, რომელიც მოკვეცილია მხოლობითში, მრავლობითის ფორმებში შენარჩუნებულია, ისევე, როგორც სიტყვათწარმოების დროს, შდრ. მეგრ.-ლაზ. ჯა „ხე“ (= ძვ. ქართ. ძელ-ი) – მრ. რ. ძალ-ეფ-ი/ე „ხეები“, ო-ჯალ-ეშ-ი „სამელისი“, ჯალ-ონა „ხეივანი“...

მართალია, სახელთა მრავლობითი რიცხვი დღეს ერთფეროვანი ჩანს ლაზურშიც და მეგრულშიც, შესაბამისად, წარმოდგენილი -ეფ-ე და -ეფ-ი მარკერებით, მაგრამ განსაკუთრებული ღირებულების მოვლენად გვესახება ცალკე ლაზურში და ცალკე მეგრულში ჩვენებით ნაცვალსახელთან წარმოჩენილი რელიქტური ნაშთები **ნართანაინი** მრავლობითისა, შდრ. ლაზ. ჰა-ნ-ი „ესენი“, ჰი-ნ-ი „ისინი“ (როგორც ქართულში) და **მუ-ნ-ეფ-**

ი „ისინი“ მეგრულში, ხოლო **მუ-თ-ეფე** „ისინი“ ლაზურში. გამონაწევრებული **ნ** მეგრულსა და ლაზურში და **თ** ლაზურში ნართანიანი მრავლობითის მაწარმოებლად იმიტომაც მიიჩნევა, რომ მეგრულის გარკვეულ სინტაგმებში აშკარაა **თან-იანი** სუფიქსაცია: მეგრ. წვა-**თა** წვანჯ-ი ← *წვანჯ-**თა** წვანჯ-ი (= წვერ-**თა** წვერ-ი), ჯი-**თა** ჯინჯ-ი ← *ჯი-**თა** ჯინჯ-ი (= ძირ-**თა** ძირი), ტყუ-**თა** ტყურა ← *ტყურა-**თა** ტყურა (=ტყუილ-**თა** ტყუილ-ი)...

უფრო მეტიც, არნ. ჩიქობავას მიერ ვიწელთა მეტყველებაში ფიქსირებული მუთ-**ე(რ)-ე** „ისინი“, ჰათ-**ე(რ)-ე** „ესენი“ და ჰეთ-**ე(რ)-ე** „ისინი“ ფორმები აშკარად მიუთითებს მეგრულ-ლაზურში ოდინდელი **-ერ** (←-***ორ**) სუფიქსიანი მრავლობითი რიცხვის არსებობაზე სახელებში, რომელიც ლამის ერთადერთი მოქმედი მრავლობითობის მარკერია სვანურში: ხან - ხან-არ „ღორები“, თხჷმ - თხუმ-ან „თავეები“, შიყ - შყყ-ან „ზურგები“ ... ეგვე **-არ** შეიძლება ქართულ **ნ-არ**-შიც ჩანდეს - ბუჩქ-**ნ-არ**-ი, წაბლ-**ნ-არ**-ი, თხილ-**ნ-არ**-ი...

ნაცვალსახელთა ბრუნება იმითაც აღმოჩნდა საინტერესო ლაზურსა და მეგრულში, რომ პირის ნაცვალსახელებთან დაცულია ერთგვაროვნება, რაც მიმართულებით და დაშორებით ბრუნვებში **-დ-ა/-დ-ე** სუფიქსაციას წარმოაჩენს, აქაც მეგრული და ლაზური იდენტურად ერთიანდება, ერთ ენობრივ სისტემას მიჰყვება:

ლაზური

მიმართ.	ჩქიმ-დ-ა	სკან-დ-ა	ჩქუნ-დ-ა/ჩქინ-დ-ა	თქვან-დ-ა
დაშორ.	ჩქიმ-დ-ე(ნ)	სკან-დ-ე(ნ)	ჩქუნ-დ-ე(ნ)/ჩქინ-დ-ე(ნ)	თქვან-დ-ე(ნ)

მეგრული

მიმართ.	ჩქიმ-დ-ა	სქან-დ-ა	ჩქინ-დ-ა/ჩქენ-დ-ა	თქვან-დ-ა
დაშორ.	ჩქიმ-დ-ე	სქან-დ-ე	ჩქინ-დ-ე/ჩქენ-დ-ე	თქვან-დ-ე

ჩვენებითი ნაცვალსახელები, განსხვავებით პირის ნაცვალსახელებისაგან, ისევე იბრუნვიან, როგორც არსებითი სახელები, სხვაობა ლაზურსა და მეგრულს შორის არც არსებობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის პოზიციათა შესუსტებას (პრინციპში გადაშენებას) ლაზურში:

ლაზური

მეგრული

სახ.	მუ-ქ	მუ „იგი“
მოთხ.	მუ-ქ	მუ-ქ „მან“
მიც.	მუ-ს	მუ-ს „მას“
ნათ.	მუ-შ(ი)	მუ-შ(ი) „მის“
მოქმ.	მუ-თე(ნ)	მუ-თ(ი) „მით“
ვით.	-----	მუ-თ „მად“
მიმართ.	მუ-შ-ა	მუ-შ-ა „მისდა“
დაშორ.	მუ-შ-ე(ნ)	მუ-შ-ე „მისგან“
დანიშნ.	----	მუ-შ-ო(თ) „მისთვის“
მიზეზ.-მიზნ.	მუ-შენ(ი)	მუ-შენ(ი) „მისთვის, მის გამო“

გ) მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნების დროს ზანური ენის ორსავე დიალექტში მოშლილია განსხვავება ხმოვანზე დაბოლოებულსა და თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს შორის: ერთად წარმოებისას არც ლაზურში და არც მეგრულში მსაზღვრელი ბრუნვას არ იცვლის, ამავედროულად არც რიცხვი იცვლება. მეგრულ-ლაზურის ეს ქცევა

იმდენად თვალსაჩინოა, რომ ჯერ კიდევ გ. როზენი აღნიშნავდა: მსაზღვრელი და საზღვრული ისე იბრუნვის, თითქოს კომპოზიტი იყოს: დიდი კოჩი „დიდი კაცი“, დიდი კოჩი-ქ „დიდმა კაცმა“, დიდი კოჩ-იშ „დიდი კაცის“...

4. ზედსართავი სახელი ქართველურ ენებში გამოირჩევა ხარისხის კატეგორიის პოვნეირებით. მეგრულ-ლაზურში დადებითი ხარისხის ფორმები ხშირ შემთხვევაში იდენტური ჩანს: მეგრ.-ლაზ. უჩა „შავი“, ჭითა „წითელი“, გინძე/გუნძე/გირძე „გრძელი“, დიდ-ი „დიდი“, კუნტა „მოკლე“ (ლაზ. კუნტ-ურ-ა „თებერვალი“ = მოკლე თვე), ჭიფე „წვრილი, ვიწრო“, სქვამ-ი/მსქვამ-ი/მსქვა „ლამაზი“, უნჩაშ-ი/ურჩაშ-ი „უფროსი“, ჯვეშ-ი/მჯვეშ-ი/მჯვე „ძველი“, ქჩე/ხჩე/რჩე/ჩე „თეთრი“ ...

უფროსობითი ხარისხის ფორმები მეგრულში უფრო მრავალრიცხოვანია, აქ დერივაცია ჩვეულებრივ პროდუქტიულია; ლაზურში შეიმჩნევა ფორმათა სინაკლებე, მაგრამ აფიქსაცია მეორდება. უ- -აშ კონფიქსი, ქართული უ- -ეს პრეფიქს-სუფიქსის მორფოლოგიურ-ფონეტიკური შესატყვისია, ორივე ქვესისტემაში დაცულია: ლაზ.-მეგრ. უ-მკილ-აშ-ი/უ-კულ-აშ-ი „უმცროსი“, უ-დიდ-იშ-ი/უ-დიდ-აშ-ი „უდიდესი“, უ-ნჩ-აშ-ი/ურ-ჩ-აშ-ი „უფროსი“... ერთგან, როგორც ლაზურში, ისე მეგრულში, ფუძისეული ხმოვნის ზეგავლენით ა ჩავარდნილია -აშ → -ში: ლაზ. უ-ჯგი-ში-ი/მეგრ. უ-ჯგუ-ში-ი „უკეთესი“. საყურადღებოდ გვეჩვენება ჯერ-ჯერობით ერთადერთი რუსთველისეული უ- -ე დერივაციის ნიმუში ლაზურში - უ-მჩან-ე „უფროსი“, რომელიც უფროსობითი ხარისხის ფორმით მხოლოდ ერთხელ დასტურდება, შდრ. სვან. მეჩ-ი „მოხუცი“.

ზანურ კილოებში დამატებით ვლინდება თანაბრობითი ხარისხის ორგანული წარმოება: მეგრ. მა-შხუ-ა // მა-შხვ-ა „ისე მსხვილი, როგორც..“, ლაზ. მა-პეჯან-ა „id“.

საყურადღებო ჩანს ჩვენ მიერ ფიქსირებული ლაზური ოდნაობითი ხარისხის -ორა (მო-//დო-)მჭით-ორა „მოწითალო“ სუფიქსური წარმოებაც, რაც ქართულსა და მეგრულში თავჩენილი /მო- -ო/ : /მო- -ე/ (მო-შავ-ო : მო-ურ-ე) კონფიქსური დერივაციისაგან მატერიალურად განსხვავებული ჩანს. მისი წარმომავლობის დადგენის თვალსაზრისით, ჩვენს ყურადღებას იპყრობს სვანური -არა (სგელ-არა „მოსქელო“) სუფიქსიანი დერივაცია, სადაც ლაზური სუფიქსის ზუსტი შესატყვისი გამოვლინდა: ლაზ. -ორა : სვან. -არა. ლაზურის შემთხვევაში ისიც არის საინტერესო, რომ თავკიდურ პოზიციაში ვითარება ქართულ-მეგრულისებურია, ზმნისწინი გამოიყენება, ხოლო ბოლოკიდური აფიქსი სვანურისას ემთხვევა და საერთოქართველური ფუძე-ენის *-არა მორფემას ასახავს.

5. მორფოლოგიური თვალსაზრისით, ლაზურსა და მეგრულში ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი ან ორპირიანი. ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტის პირი აღინიშნება, ორპირიანში - ობიექტისა და სუბიექტისა, სამპირიან ზმნაში, ისევე, როგორც ორპირიანში, მხოლოდ ერთ-ერთი ობიექტის (ბრუნვაუცვლელის) მარკერი დაჩნდება, ანუ, ვიმეორებთ, მორფოლოგიური პარამეტრებით მეგრულ-ლაზური ზმნა მხოლოდ ორი პირით არის რეალიზებული. ამით ლაზური და მეგრული ისევ ერთიანდება, ორივე დიალექტი განსხვავებას ქმნის ძველქართულთან და სვანურთან მიმართებით, სადაც ზმნაში მესამე პირიც აღინიშნება, თუნდაც ბრუნვაუცვლელადი ობიექტის მრავლობითი რიცხვის გამოხატვით: ძველქართულში -ნ, სვანურში -ალ.

ლაზურ-მეგრულში I, II, III პირები, ისევე, როგორც ქართულში, ქმნიან ზოგადად პირის კატეგორიას. S₁ ორსავე დიალექტში გამოხატულია {ვ-} თავსართით და ორივეგან სათანადო ალომორფები დაჩნდება თანხმოვნისწინა პოზიციაში. ზოგადად მეგრულსა და ლაზურში საერთო ვითარებაა პირველი სუბიექტური პირის {ვ-} ნიშნის ალომორფთა პოზიციური

განაწილების თვალსაზრისით, სხვაობა შიდა განაწილების წესშია. ყველაზე მეტად მეგრული და ლაზური ერთმანეთს მიჰყვება ალომორფთა განაწილების წესით თანხმოვნისწინა პოზიციაში, თუმცა აქაც შესამჩნევია კილოკავური სხვაობა ამა თუ იმ ალომორფის განზოგადების მიხედვით: /ვ-/ განზოგადდება მეგრულის სამსავე კილოკავსა და ლაზურის ათინურ კილოკავში, ხოლო /ზ-/ განზოგადდება ხოფურსა და ვიწურ-ათინურში. შეიძლება ითქვას, რომ {ვ-} მორფემის ფონოლოგიური გარდაქმნის პროცესი ყველაზე სუსტია სენაკურ-მარტვილურ მეტყველებაში, ხოლო პროცესი ძლიერდება განაპირა არეალისკენ: დასავლეთით სამურზაყანოულის მიმართულებით, აღმოსავლეთით ათინურის მიმართულებით. ანუ ალომორფთა დისტრიბუციაც მეგრულსა და ლაზურში ძირითადად საერთო კანონზომიერებით ხასიათდება, თუმცა აქვე თავჩენილია სპეციფიკური ტენდენციებიც; კვლევის შედეგებს ადეკვატურად ასახავს ქვემოთ მოტანილი ტაბულა:

ზანური	პოზიცია	-V	V-V	-ც ^{მლ}	-ც ^{მზ}	-ც ^{მპ}	$\begin{bmatrix} \text{ბ} \\ \text{ვ} \\ \text{პ} \\ \text{მ} \end{bmatrix}$
	პრეფიქსი						
ზუგდ.- სამურზ.	{ვ-}	ვ-ბ-//ფ- //პ-, ∅-	ვ-//∅-	ზ-//ვ-	ფ-//ვ- //ზ-	პ-//ვ-//ზ-	ზ-//ფ-//პ- //მ-
მარტ. სენაკ.	{ვ-}	ვ-	ვ-	ვ-//ზ-	ვ-//ფ-//ზ-	ვ-//პ-//ზ-	ვ-
ხოფ.	{ვ-}	ვ-	∅-	ზ-	ფ-//ზ-	პ-//ზ-//ფ-	∅//ზ-//ფ- //ვ-//მ
ვიწ. არქ.	{ვ-}	ზ-//ვ-	ზ-	ზ-	ფ-//ზ-	პ-//ზ-//ფ-	∅//ზ-//ფ- //ვ-//მ
ათინ.	{ვ-}	ვ-//ზ-	ვ-	ზ-//ვ-	ფ-//ზ-//ვ- //ფ-	პ-//ზ-//ფ- //ვ-	∅//ზ-//ფ- //ვ-//მ

მეორე სუბიექტური პირი როგორც მეგრულში, ისე ლაზურში არ აღინიშნება. ჩანს, ნულოვანი მარკერი ასახავს ძველი პროცესის შედეგს: ისტორიულად ისე განვითარდა მორფონოლოგიური მოვლენები, რომ არ დარჩა კვალი სავარაუდო *ჰ- მორფემისა. თუმცა ამგვარი გარდაქმნით პირის მნიშვნელობა არ შეიცვლილა. ზანურში მიმდინარეობდა ჰ-მორფემის ცვლილება ჰომოგენურობის წესით, რაც საბოლოოდ დამთავრდა ნიშნის გაქრობით. ეს პროცესი უნდა დასრულებულიყო ზანურის დაშლამდე მეგრულ და ლაზურ დიალექტებად. სავარაუდოდ, ამ პერიოდიდან იწყება სუბიექტური პირის მარკირება -ქ სუფიქსით მეგრულში, -რ სუფიქსით ლაზურში. მეგრულში -ქ სუფიქსი დაერთვის ზმნის I და II პირის ფორმებს აწმყო-მყოფადში, I თურმეობითა და IV სერის II თურმეობითშიც

განურჩევლად გარდამავლობისა. ქ მორფემის კორელატად რ სუფიქსი მიიჩნევა ლაზურში, რომელიც ერთპირიან ვნებითსა და ზოგიერთ უგვარო ზმნაში გვხვდება: მეგრ. ბ-ღურუ-ქ, ლაზ. ბ-ღურუ-რ „გვკვები“, მეგრ. მე-ცვ-ურ-ქ (მდრ. პარალელური გაუფორმებელი მე-ცვ-ულუ), ლაზ. ვ-ულუ-რ „მივდივარ“...

მესამე პირის გამოხატვა აკისრია {-ს}, {-უ} და {-ნ} მორფემებს როგორც მეგრულში, ასევე ლაზურში. ზოგადად, მათი განაწილება მწკრივთა მიხედვით ერთნაირ სურათს გვიჩვენებს: {-ს} გამოიყენება გარდამავალი ზმნის, ასევე სტატიკური ზმნების აწმყო-მყოფადში, ასევე კავშირებითი კილოს ყველა ფორმაში განურჩევლად ზმნის გარდამავლობისა, {უ} სუფიქსით მარკირებულია ნამყო დროის მწკრივები, ხოლო {-ნ} მორფემა წარმოდგენილია ვნებითისა და პოტენციალისის ფორმებში, ასევე თურმეობითში, განურჩევლად გარდამავლობისა.

ობიექტური პირის ნიშნების გამოხატვაც იდენტური ჩანს ლაზურ-მეგრულში. პირველი ობიექტური პირის ძირითადი ნიშანია { მ- } მორფემა, რომელიც უცვლელად დასტურდება ხმოვნის წინა პოზიციაში: მეგრ. მ-ოცქვანს „მაქებს“, ვა-მ-აჭარე „ვერ ვწერ“, მ-იწუ „მითხრა“... ასევეა ლაზურშიც: მ-ოგურამს „მასწავლის“, მ-იწუ „მითხრა“, მ-ანჯირენ „მემძინება“, მ-იჩქუნ „ვიცი“, მ-იბალუნ „მეყოფა“...

განსხვავებული ვითარებაა თანხმოვნის წინა პოზიციაში, კერძოდ, მეგრულში პირველი ობიექტური პირი წარმოდგენილია /ვ-/ (მხოლოდ სენაკურ-მარტვილურში), /ზ-/ , /ფ-/ , /პ-/ ალომორფებით. ეს პრეფიქსები ჰომოგენურობის პრინციპით ნაწილდება თანხმოვნების წინა პოზიციაში. ამ მხრივ პირველი სუბიექტური პირის ნიშნის ანალოგიური ვითარებაა. ლაზურში კი მ- პრეფიქსის პოზიციები მყარია და ამ მხრივ ლაზურის კილოკავური მონაცემები ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა ხოფურში, მსგავსად მეგრულისა, ჩქამიერი თანხმოვნების წინ მ- პრეფიქსის პარალელურად შესაძლებელია /ზ-/ , /ფ-/ , /პ-/ ალომორფების გაჩენა იმავე ჰომოგენურობის პრინციპით.

O₁-ის ალომორფთა ტაბულა:

	პოზიცია	V	V-V	-C ^{მჟღ}	-C ^{ფშ}	-C ^{მპ}	-რ/ლ/ნ	-რ/ნC ^{მჟღ}	-რ/ნC ^{ფშ}	-რ/ნC ^{მპ}	-ბ/ფ/პ
	პრეფიქსი										
მეგრ.	მ-	-	მ-	ბ-//ვ-	ფ- //ზ- //ვ-	პ- //ზ- //ვ-	მ-//ზ-	მ-//ზ-	მ-//ფ-	მ-//პ-	მ-
ლაზ.	მ-	-	მ-	მ- //ზ-	მ- //ფ-	მ- //პ-	მ-	მ-	მ-	მ-	მ-

ხმოვნისწინა პოზიციაში მეორე ობიექტური პირის ნიშანი {გ-} მორფემა მყარად ზის ზანურის ორსავე დიალექტში, მაგრამ მორფემათა ზღვარზე როგორც მეგრულში, ისე ლაზურში ცვლილება ხდება. მეგრულის ინტერვოკალურ პოზიციაში, კერძოდ, ზმნისწინისეული/ ნაწილა-ვისეული ხმოვნისა და -ი- მაქცევრის შუაში, გ- პრეფიქსი იკარგება და ნულოვანი მარკირება რჩება: V-გ-ი>V-ი: მო-იღუ < მო-გ-იღუ „მოგაქვს“.

ლაზურში ამგვარი გარდაქმნა არ ხდება. როგორც წესი, ინტერვოკალურ პოზიციაშიც ყოველთვის დასტურდება გ- პრეფიქსი: ქო-გ-იჩქინ „იცი“, დო-გ-იბალუნ „გეყოფა“...

მეგრულში თანხმოვნისწინა პოზიციაში /გ-/ ალომორფის ადგილს იჭერს /რ-/ ალომორფი: რ-გორუნს „გეძებს“, რ-დვანს „გდებს“, რ-ჩანს „გაჭმევს“, რ-კითხენს „გკითხავს“, რ-ძირუნს „გნახავს“, რ-ჭარუნს „გწერს“..., თუმცა რ-ზე დაწყებული ფუძეების წინ O₂-ის

ნიშნად უპირატესად **გ**- გვაქვს, ამავდროულად **რ**-ს ნაცვლად ჰომოგენურობის პრინციპის დაცვით შეიძლება გვქონდეს **ქ** და **კ**: **გ**-რთუნს//**ქ**-რთუნს „გყოფს; გადაგხურავს“, **გ**-რჩხუნს//**ქ**-რჩხუნს „გრეცხავს“, **გ**-რჭიპუნს // **კ**-რჭიპუნს „გჭიმავს, გწელავს“. **[გ-]** მორფემა ლაზურშიც გვადლევს **/ქ-/** და **/კ-/** ალომორფებს: მე-**ქ**-ჩა < მე-**გ**-ჩა „მოგცე“ ე-**ქ**-ჭოფუმს „აგიყვანს, დაგიჭერს“, კ-ყოროფთ „გყვარობ(თ)“, რითაც ნათლად გამოჩნდა, რომ ლაზური და მეგრული ინოვაციებშიც ძირითადად ერთმანეთს მიჰყვებიან.

უფრო მეტიც, თუ მეგრულში თანხმოვნის მომდევნოდ პირველი სუბიექტური პირის ნიშნის გადასმა ხდება: **ვ-პუტორუნქ > პუ-პ-ტორუნქ** „ვპუტავ“... ლაზურში შესაძლებელია მეორე ობიექტური პირის ნიშან **გ**-ს გადასმა ფუძის შიგნით: **კი-ქ-თხათენ < გ-კითხათენ** „გკითხოთ“... და ორივეგან პრეფიქსი მომდევნო თანხმოვნის ჰომოგენური ხდება, თანაც მეგრულშიც და ლაზურშიც მარკერის მეტათეზა ხორციელდება მარცვლის შემდეგ და არა თანხმოვნის მომდევნოდ.

მესამე ობიექტური პირის მარკირება ზანურში გარკვეულ ფონემატურ შეზღუდვებს ექვემდებარებოდა. თანამედროვე მეგრულ-ლაზურში მესამე ობიექტური პირი საერთოდ არ აღინიშნება, ფაქტობრივად, მეორე სუბიექტის და მესამე ობიექტის მარკერი სინქრონიულ დონეზე ნულოვანი ალომორფია. როგორც ეტყობა, ისტორიულად ზანურში ამოსავალი მორფემა ***ჰ**- უნდა ყოფილიყო (და არა ***ხ**-). მოსალოდნელია, რომ **ჰ**- მორფემის შემთხვევაში ცვლილებებისთვის გადამწყვეტი ყოფილიყო თანხმოვნის წინა პოზიცია.

დიაქრონიულად რიცხვის კატეგორიის გამოხატვა ზმნაში იდენტური მაჩვენებლებით ხასიათდებოდა ზანურ დიალექტებში. ისტორიული სურათი დღემდე თითქმის უცვლელად შემოგვინახა.

მინიმალურ ცვალებათა გათვალისწინებით, სინქრონიულ დონეზე მეგრულ-ლაზურ ზმნაში **სუბიექტური** პირის მრავლობითობის გამოხატვა ხდება შემდეგი მორფემებით:

I და II პირებისთვის: **-თ** მორფემა, რომელიც ლაზურში ფაკულტატიურად წარმოდგენილია **/-დ/** ალომორფითაც;

III პირისთვის: **{-ან}, {-ეს}, {-ნ}** მორფემებით, რომელთა განაწილება ხდება მკაცრად დაცული კანონზომიერებით: **-ან** – აწმყოსა და მყოფადში; **-ეს** – უწყვეტელში, წყვეტილსა და პირობითის მწკრივებში; **-ნ** – I და II კავშირებითებში.

ამავე დროს, მეგრულში **-ან** სუფიქსის ალომორფებია: **/-ან/, /-ა/;** **-ეს** სუფიქსი წარმოდგენილია: **/-ეს/, /-ის/** სახეობებით. ლაზურში კი **-ეს** მორფემის ალომორფებია: **/-ემ/, /-ეზ/, /-ემ/, /-ე/**.

ობიექტის მრავლობითობის აღსანიშნავად როგორც მეგრულში, ისე ლაზურში იგივე მორფემებია გამოყენებული, რაც სუბიექტთან: **-ან, -ნ, -ეს, -თ**. მაგრამ თითოეული მათგანის გამოყენებისას მკაცრი კანონზომიერებაა დაცული, რაც ორი ფაქტორითაა განპირობებული:

1. ობიექტური პირის რომელობა;
2. სუბიექტური პირის რომელობა და მისი კომბინაციები ობიექტურ პირთან.

მეგრულ-ლაზურში O_1 და O_2 -ის I და II სუბიექტურ პირებთან დაწყვილებისას ობიექტის მრავლობითობა აღინიშნება **-თ** სუფიქსით. ამის საპირისპიროდ O_3 -ის რიცხვი აღუნიშვნელი რჩება S_1O_3, S_2O_3 კომბინაციებში. ამჯერად I, II და III პირთა დიქტომია მიღწეულია იმით, რომ მარკირება ხდება I და II ობიექტური პირისა, ხოლო III ობიექტური პირი არამარკირებულია. პირობითად ეს მოდელი ასე შეიძლება ჩაიწეროს: **-თ[I, II]**
~ [III] \emptyset .

ეს მოდელი ირღვევა, როგორც კი I და II ობიექტური პირი მესამე სუბიექტურ პირთან დაწყვილდება: S_3O_1 , S_3O_2 . ამჯერად ამოქმედდება მრავლობითობის გამოხატვის სხვა პრინციპი. კერძოდ, ობიექტის რიცხვის მარკირება ხდება S_3 -ის ფორმანტებით – **-ან**, **-ეს**, **-ნ**. მათი განაწილება მწკრივთა მიხედვით ხდება: **-ან** – აწმყო დროის მწკრივებშია, **-ეს** – ნამყო დროის მწკრივებში, **-ნ** – კავშირებითებში. და ეს მორფემები იმავე ალომორფების სახით დასტურდება, როგორც **სუბიექტური** პირის მრავლობითის შემთხვევაში.

6. რელატიურ-სტატიკურ ზმნათა ინვერსიის პროცესის მიმდინარეობა კარგად ჩანს მეგრულ-ლაზურში. რამდენადაც ინვერსია ბრუნვაუცვლელ ობიექტთან არის დაკავშირებული, დადგა მიცემითი ბრუნვის მორფო-სინტაქსური დატვირთვის საკითხიც მეგრულსა და ლაზურში. მეგრულში მიცემითი ბრუნვის ფუნქციური დატვირთვა ქართულის მსგავსია: ის არის როგორც ბრუნვაუცვლელი, ასევე ბრუნვაცვალებადი ობიექტის ბრუნვა, ასევე – III სერიაში ინვერსიული გარდამავალი ზმნების რეალური სუბიექტი და რელატიურ-სტატიკური ზმნების RS-იც მიცემითში დგას. ანუ მიცემითი ბრუნვის პოზიცია მეგრულში მყარია, რასაც ვერ ვიტყვით ლაზურზე. ლაზურში მხოლოდ ბრუნვაუცვლელი ობიექტური პირი და ინვერსიული რელატიურ-გარდაუვალი ზმნების რეალური სუბიექტი გადმოიცემა მიცემითი ბრუნვით. გარდამავალ ზმნებში ინვერსია ნაკლებპროდუქტიული აღმოჩნდა – აქ თურმეობითების წარმოების სხვა სისტემა დამკვიდრდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ლაზურში რელატიურ-სტატიკურ ზმნათა ობიექტური წყობის კონსტრუქციები ხშირ შემთხვევაში ირღვევა, **ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა უცვლელია**. ამდენად, მეგრულსა და ლაზურში ფორმალურად ინვერსიის საერთო მოდელია გამოყენებული. კერძოდ, რეალური სუბიექტი წარმოდგენილია **მანის** რიგის პირის ნიშნებით, ხოლო რეალური ობიექტი მესამე სუბიექტური პირის ნიშნებით.

მეგრულ-ლაზურში რეალური სუბიექტის მრავლობითობა ზმნაში გამოხატულია **-ან** სუფიქსით აწმყო-მყოფადის მწკრივში, **-ეს** სუფიქსით ნამყოს მწკრივებში; კავშირებითში მოსალოდნელია **-ნ** სუფიქსის დართვა: ულუტ-**ან** (=მეგრ. ულუდ-**ან**) „ჰქონდეთ“, აშქურინ-**ან** (=მეგრ. აშქურინ-**ან**) „შეეშინდეთ“.

7. ზმნისწინთა სტრუქტურა მეგრულსა და ლაზურში ძირითადად ემთხვევა ერთმანეთს. ორივეგან მარტივი ზმნისწინი თანხმოვნისა და ხმოვნისგან შედგება. დასტურდება გამონაკლისიც, ანუ მხოლოდ ხმოვნით გამოხატული ზმნისწინებიც; ასეთია მარტივი ზმნისწინები: **ე**, **ა**, **ო**. რთული ზმნისწინი კი ასეთი აგებულებისაა: თანხმოვანი + ხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი ან ხმოვანი + თანხმოვანი + ხმოვანი. ხმოვანს შეიცავს ყველა ზმნისწინი, გამონაკლისია ლაზურის **ნ**- ზმნისწინი. ზმნისწინთა სისტემა მეგრულ-ლაზურში წარმოდგენილია ორი ქვესისტემით. ერთი მხრივ, გვაქვს მარტივი ზმნისწინები კონკრეტული მიმართულების გამოსახატავად: ზემოთ – **ე** „ა“; ქვემოთ – **გე/გი** „ჩა“; იქით – **მე/მი** „მი“; აქეთ – **მო/მუ** „მო“; გარშემო – **გო** „გა“; **დო** ზმნისწინი **გე/გი** „ჩა“ ზმნისწინის მონაცვლეა, თუმცა სხვა ფუნქციაც გააჩნია (ინტენსივობის, მრავალგზისობის...):

დო-ლუ-ნ „ეცემა“ (ძირს); **დო**-თოლუმს (=მეგრ. **დო**-თოლუნს) „და-თლის“... მეორე მხრივ, აღმოჩნდა, რომ მეგრული რთული ზმნისწინების წარმოქმნაში თითქმის იგივე ელემენტები მონაწილეობს, რაც ლაზურში. თუმცა მეგრულს აკლია **ჟა**-, **ჟო**-, **ხო**- ელემენტები, სამაგიეროდ, აქ მეტია **თო**- და **ნო**- სეგმენტები.

მეგრულ-ლაზურ მარტივ ზმნისწინებში განცალკევებით დგას **ო**- წინდებული, რომელსაც მიმართულების გამოხატვა არ შეუძლია და ძირითადად სრული ასპექტის ფორმებს აწარმოებს: ჰკომუ „ჰამა“- **ო**-ჰკომუ „მეჰამა“, ჰოფუ „ჰირა“- **ო**-ჰოფუ „დაიჰირა“...

ზმნისწინით ასპექტის წარმოების მეორეულობას ამტკიცებს ზმნათა ის ჯგუფი, რომელნიც, ამა თუ იმ პრევერბის დართვის მიუხედავად, მაინც უსრულ ასპექტს გამოხატავენ: **დღუნ** „დგას“ – **გე-დღუნ** „დგას“; **ხენ** „ზის“ – **გე-ხენ** „ზის“, **მე-შა-ხენ** „ზის შიგნით“...

8. ზმნის უღლებასთან დაკავშირებით ნაშრომში განვითარებულია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ **უღლება** არის ზმნის ცვლილება ნაკვეთების (მწკრივების) მიხედვით. და სწორედ ამგვარი ცვლილებაა მიჩნეული უღლების კატეგორიის საფუძვლად. ანუ ნაკვეთი ზმნის მორფოლოგიაში იმავე რიგის მონაცემია, რაც სახელთა მორფოლოგიაში ბრუნვა.

ცხადია, ნებისმიერი ზმნა პოტენციურად არსებული ფორმებიდან ერთ-ერთის სახით შეგვხვდება. ამ განსხვავებულ ფორმათა ერთობლიობა უღლების კატეგორიის საფუძველია.

ამდენად, უღლება ზოგადად კატეგორიის აღმნიშვნელი ტერმინია, ნაკვეთი კი ამა თუ იმ კონკრეტული ზმნური ფორმის აღმნიშვნელი ტერმინი (ამ თვალსაზრისით, ვთქვათ, **წყვეტილის ნაკვეთი** იგივე მორფოლოგიური ოდენობა იქნება, რაც არის **მოთხრობითი ბრუნვა**; უბრალოდ, ესენი სხვადასხვა ოპოზიციური სისტემის წევრები არიან).

თანაზომიანი ჰომოგენური ზმნური ფორმების შეპირისპირება უღლებას, როგორც კატეგორიას გამოგვაცოფინებს. ოპოზიციური რელაციის წევრი რომელიმე მეგრ.-ლაზ. **ქოქიმიწუ** „გააკეთა“ ფორმის **გრამატიკული (მორფოლოგიური) სახელდება** არის **წყვეტილის ნაკვეთის (მწკრივის) ფორმა** და მისი ეს სახელდება ამავე დროს ვერ იქნება კატეგორია; ანალოგიურად: ოპოზიციური რელაციის წევრი რომელიმე მეგრ.-ლაზ. **ოხორიქ** „სახლმა“ ფორმის **გრამატიკული (მორფოლოგიური) სახელი** არის **მოთხრობითი ბრუნვის ფორმა** და მისი ეს სახელდებაც ასევე ვერ იქნება კატეგორია. თუ ვმსჯელობთ კატეგორიაზე, უნდა ვიმსჯელოთ **უღლების კატეგორიაზე** და არა ნაკვეთისა თუ მწკრივის კატეგორიაზე. სხვაგვარად: კონკრეტული ბრუნვის ფორმა ოპოზიციური რელაციის წევრია და, ამდენად, ის ბრუნების, როგორც კატეგორიის გამოყოფის საფუძველთაგანია; ასევე: კონკრეტული ნაკვეთის (მწკრივის) ფორმა სხვა სისტემის ოპოზიციური რელაციის წევრია და, ამდენად, იგი უღლების, როგორც კატეგორიის გამოყოფის საფუძველთაგანია. თითოეული ნაკვეთის ფორმა გარკვეულ გრამატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს.

ყველა ნაკვეთს აქვს თავისი ფორმა. ამ ფორმას ქმნის მორფოლოგიურ ელემენტთა გარკვეული კომბინაცია. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ აწმყოს ნაკვეთი ფორმოზრევად განსხვავდება აორისტისა თუ თურმეობითისგან, უწყვეტელი – მყოფადისგან, მყოფადი – კავშირებითი მეორისგან და ა. შ.

მორფოლოგიური ნიშნის ფუნქცია უნდა ენიჭებოდეს ზმნურ ერთეულთა ყალიბს, სტრუქტურას. ფაქტია, რომ ეს არის მოწესრიგებული სისტემა.

როგორც სახელს აქვს ბრუნების კატეგორიის **პარალელურად** (მასთან ერთად) სხვა კატეგორიები – მორფოლოგიური კატეგორია (რიცხვისა) და სემანტიკური (ვინ ჯგუფის, რა ჯგუფის, სულიერთა და უსულოთა...), ასევე ზმნასა აქვს უღლების კატეგორიის **პარალელურად** (მასთან ერთად) სხვა მორფოლოგიური (რიცხვის, გვარის, ქცევის, კონტაქტის, ასპექტის...).

უღლების კატეგორიის მიხედვით ეს იქნება ამა თუ იმ ნაკვეთის (მწკრივის) ფორმა, პირის კატეგორიის მიხედვით – ამა თუ იმ პირის ფორმა, რიცხვის კატეგორიის მიხედვით – ერთ-ერთი რიცხვის ფორმა, სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის კატეგორიის მიხედვით, – აქტივისა თუ პასივის ფორმა, კუთვნილება-დანაშინულების კატეგორიის მიხედვით – სასუბიექტო, საობიექტო და ნეიტრალური ქცევისა და ა. შ.

კლასიფიკაციის პრინციპი ასეთია: **ბრუნვა** ბრუნების კატეგორიაში მოაზრებული ფორმა-ლური ოპოზიციური რელაციის (მიმართებების) ერთეულია. **ნაკვთი** უღლების კატეგორიაში მოაზრებული ფორმალური ოპოზიციური რელაციის (მიმართებების) ერთეულია.

ფორმალური რელაცია, ცხადია, იმას გულისხმობს, რომ ამ რელაციას ფუნქციური დატვირთვა აქვს (ანუ: როდესაც ვმსჯელობთ ფორმაზე, მხედველობაში გვაქვს არა აბსტრაქტული, განყენებული ფორმა, არამედ შინაარსის ფორმა). სხვა შემთხვევაში საერთოდ კატეგორიაზე საუბარს ნიადაგი ეცლება.

ნაკვთა სისტემა ზანურში, ქართულის კვალობაზე, წარმოების პრინციპის და არა ფუნქციური პლანის გათვალისწინებითაა წარმოდგენილი: „**ნაკვთების წარმოება არის ფუძეთა წარმოება** და, მაშასადამე, ნაკვთების სისტემაში ამა თუ იმ ნაკვთმა ის ადგილი უნდა დაიკავოს, რაც მას ეკუთვნის წარმოების თვალსაზრისით“ (არნ. ჩიქობავა).

9. ლაზური აწმყოს თავისებურების საკითხი ნაშრომში ახლებურად არის გააზრებული, კერძოდ, **ნიმერს, ოტკომერს** ტიპის ფორმები ისტორიულად ფუძემონაცვლე ზმნებად არ მიიჩნევა, ვინაიდან ამოსავალი ფუძე ერთი ჩანს პირველი და მეორე სერიის ფორმებისათვის, ამიტომაც **ნიმერს** ფორმა მეორეულად გვესახება, პირვანდელი ჩანს ***ნილ-მერს** ვარიანტი, რომელიც ძირეულ მორფემას წარმოაჩენდა (შდრ.: აორისტი: **ნილ-უ**). ხოლო **ლმ** და სხვა ნებისმიერი კონსონანტური ჯგუფი (C+m) აწმყოში ქმნიდა აღმავალი დიაობის კომპლექსებს, რომლებიც ლაზურში და მეგრულში (ისევე, როგორც პროტოზანურში) დაიდლეოდა სხვადასხვა საშუალებებით, რომელთა შორის ერთ-ერთი იყო აკრძალული თანმიმდევრობის სუპერაცია ძირეული ხმოვნის ჩავარდნა/დაკარგვით მომდევნო სონორის ზემოქმედებიდან გამომდინარე, ანუ როგორც ქართ. **ბლიკვი** -> მეგრ. **ლიკვი**-ი, ისე ლაზ. *ქომემატკობმერს -> ქომემატკომერს „შემალავს“, *ნილმერს -> ნიმერს „იღებს“, შესაბამისად აორისტი წარმოგვიდგენს ძირეულ თანხმოვანს: ქომემატკობუ „შემალა“, ნილუ „წაილო“, ხოლო აწმყო ლაზური ფონოტაქტიკის გამო კარგავს მას.

ლაზურშიც ცალკე სისტემად გამოიყოფა მეგრულისებური პრევერბიანი მყოფადის ნაკვთი, რომელიც აწმყოს ემყარება და ანალოგიურია ქართულ-მეგრული მყოფადისა. პრევერბიანი ან **ქო-ვა-** ნაწილაკიანი აწმყო ლაზურშიც მყოფადის ფორმაა და მას სათანადო ადგილი უკავია უღლების იმ სისტემაში, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ. სანიმუშოდ **ქარ-წერა**“ ზანური ზმნის მყოფადის ნაკვთის პარადიგმა იკმარებს, მით უმეტეს, როცა ამგვარი წარმოება საკმაო სიხშირით არის ფიქსირებული გამოქვეყნებულ ლაზურ ტექსტებში:

მეგრული

პ-ქარ-უნ-ქ	„ვწერ“	დო-პ-ქარ-უნ-ქ	„დავწერ“
ქარ-უნ-ქ	„წერ“	დო-ქარ-უნ-ქ	„დაწერ“
ქარ-უნ-ს	„წერს“	დო-ქარ-უნ-ს	„დაწერს“

ლაზური

პ-ქარ-უფ/უმ	„ვწერ“	დო-პ-ქარ-უფ/უმ	„დავწერ“
ქარ-უფ/უმ	„წერ“	დო-ქარ-უფ/უმ	„დაწერ“
ქარ-უფ/უმ-ს	„წერს“	დო-ქარ-უფ/უმ-ს	„დაწერს“

ჩვენი თვალსაზრისის მართებულობას ადასტურებს მყოფადის ხოლმეობითის ნაკვთის პარადიგმა იგივე **ჭარ- „წერა“** ზმნისა, როცა სისტემური ერთიანობა ეჭვს გარეშეა:

მეგრული

პ-ჭარ-უნ-დ-ი	„ვწერდი“	დო-პ-ჭარ-უნ-დ-ი	„დავწერდი“
ჭარ-უნ-დ-ი	„წერდი“	დო-ჭარ-უნ-დ-ი	„დაწერდი“
ჭარ-უნ-დ-უ	„წერდა“	დო-ჭარ-უნ-დ-უ	„დაწერდა“

ლაზური

პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი	„ვწერდი“	დო-პ-ჭარ-უფ/უმ-ტ-ი	„დავწერდი“
ჭარ-უფ/უმ-ტ-ი	„წერდი“	დო-ჭარ-უფ/უმ-ტი	„დაწერდი“
ჭარ-უფ/უმ-ტ-უ	„წერდა“	დო-ჭარ-უფ/უმ-ტ-უ	„დაწერდა“

მყოფადის კავშირებითიც როგორც მეგრულში, ისე ლაზურში ზმნისწინით გართულებული **აწმყოს კავშირებითის** ფორმაა (მეგრ. დო-პ-ჭარ-უნ-დ-ა , ლაზ. დო-პ-ჭარ-უნ-ტ-ა „დავწერ-დე“); მასვე მიჰყვება **მყოფადის პირობითი**, რომელიც ზმნისწინით გართულებული **აწმყოს პი-რობითი** ჩანს (მეგრ. დო-პ-ჭარ-უნ-დ-ი-კო(ნ), ლაზ. დო-პ-ჭარ-უნ-ტ-ი-კო(ნ) „რომ დავწერდე“).

ამდენად, **ლაზურში პირველი სერიის ნაკვთთა სისტემა მეგრულის ანალოგიურია, რაც ამავე დროს ნიშნავს ქართულთან მის სისტემურ თანხვედრას.** თუმცა ქართულისაგან განსხვავებით მეგრულ-ლაზურში მეტია სპეციფიკური ფორმები – **პირობითის** ნაკვთები.

10. ჩვენ მიერ აგებული ნაკვთთა სისტემა, რომელიც ორი ზმნური ძირით **ჭარ- „წერა“** და **ღურ- „კვდომა“** წარმოვადგინეთ, მეგრულ-ლაზურში შემდეგი სახით წარმოჩნდება:

მეგრული

აწმყო	ჭარუნს	„წერს“	ღურუ(ნ)	„კვდება“
უწყვ.	ჭარუნდუ		ღურუდუ	
აწმყოს კავშ.	ჭარუნდას		ღურუდას	
აწმყოს პირ.	ჭარუნდუკო(ნ)		ღურუდუკო(ნ)	
მყოფადი	დოჭარუნ-ს		დოღურას	
მყოფ. ხოლმ.	დოჭარუნდუ		დოღურუდუ	
მყოფ. კავშ.	დოჭარუნდას		დოღურუდას	
მყოფ. პირ.	დოჭარუნდუკო		დოღურუდუკო	
აორისტი	ჭარუ		ღურუ	
II კავშ.	ჭარას		ღურას	
II პირ.	ჭარუკო(ნ)		ღურუკო(ნ)	
I თურმ.	უჭარუ(ნ)		ღურ(ელ)ე(ნ)	
II თურმ.	უჭარუდუ		ღურ(ელ)ედუ	

III კავში.	უჭარუდას	ღურ(ელ)ედას
III პირ.	უჭარუდუკო(ნ)	ღურ(ელ)ედუკო(ნ)
III თურმ.	ნოჭარუე(ნ)	ნოღურუე(ნ)
IV თურმ.	ნოჭარუედუ	ნოღურუედუ
IV კავში.	ნოჭარუედას	ნოღურუედას
IV პირ.	ნოჭარუედუკო(ნ)	ნოღურუედუკო(ნ)

ლაზური

აწმყო	ჭარუმ/ფს „წერს“	ღურუნ „კვდება“
უწყვ.	ჭარუმ/ფტუ/ჭარატ-უ	ღურუტუ
აწმყოს კავში.	ჭარუმ/ფტას	ღურუტას
აწმყოს პირ.	ჭარუმ/ფტუკონ/ჭარატუკონ	ღურუტუკონ
მყოფადი	დოჭარუმ/ფს	დოღურუნ
მყოფ. ხოლმ.	დოჭარუმ/ფტუ	დოღურუტუ
მყოფ. კავში.	დოჭარუმ/ფტას	დოღურუტას
მყოფ. პირ.	დოჭარუმ/ფტუკონ	დოღურუტუკონ
აორისტი	ჭარუ	დოღურუ
II კავში.	ჭარას	დოღურას
II პირ.	ჭარუკონ	დოღურუკონ
I თურმ.	უჭარუ/ჭარელერენ	დოღურელერენ
II თურმ.	უჭარუტუ/ჭარელერეტუ	დოღურელერეტუ
III კავში.	უჭარუტას/ჭარელერეტას	დოღურელერეტას
III პირ.	უჭარუტუკონ	დოღურელერეტუკონ
III თურმ.	ჭარუდორენ/ჭარუერენ	დოღურუდორენ
IV თურმ.	ჭარუდორტუნ	დოღურუდორტუნ
IV კავში.	ჭარუდორტას	დოღურუდორტას
IV პირ.	ჭარუფტუდორენ/ჭარუფტერენ	დოღურუტუდორენ/ღურუტერენ

ტრადიციულ სისტემასთან შედარება დაგვანახებს, რომ სხვაობა საგრძნობია, თუმცა ამას სათანადო არგუმენტაცია ახლავს, მართალია, ლაზურის ნაკვთთა ტრადიციული სისტემებიდან ამოვიღეთ ე. წ. კავშირებითიგან ნაწარმოები მყოფადი, მაგრამ მის ნაცვლად სისტემაში ადგილი მივუჩინეთ **მეგრულთან ანალოგიური წარმოების მყოფადს**, რომელიც ნეიტრალური სემანტიკის ზმნისწინისა და აწმყოს ფორმის კომბინირებით მიიღება. ამ გზით საერთოდ აღვადგინეთ **მყოფადის წრე**.

ნაკვთთა სისტემას ჩამოშორდა ფორმები, რომელთა კომპონენტებიც იყო: **უნონ/უნტუ/უნტერენ**. ჩავთვალეთ, რომ ეს არის **უნდაობითობის** სემანტიკის გამომხატველი

ელემენტები და სწორედ ეს ნიუანსი შეაქვთ მათ შესაბამის ზმნის ფორმებში, რომლებიც ამათგან დამოუკიდებლად გამოხატავენ ამა თუ იმ ნაკვთის გრამატიკულ შინაარსს.

ნაკვთთა სისტემიდან ამოვიღეთ **ზუმატუ/ზუმატუკონ** ტიპის ფორმები, როგორც დამოუკიდებელი ნაკვთის ფორმები, ვინაიდან ვფიქრობთ, **ზუმატუ, ჭარატუ... ზუმატუკონ, ჭარატუკონ...** წარმოებაში თემის ნიშანი ჩანს გამარტივებული: **ზუმატუ < ზუმაფ/პტუ... ზუმატუკონ < ზუმაფ/პტუკონ**, ანუ რეალურად ისინი **უწყვეტელ-ხოლმეობით-პირობითის** ფონოლოგიურად გამარტივებული ვარიანტებია. ამგვარ ახსნას ხელს ვერ შეუშლის ის გარემოება, რომ **ზუმ-უმ-ს** ფორმაში **-უ-** ჩანს (და არა **-ა-**): თემის ნიშანთა მონაცვლეობა საკმაოდ გავრცელებული პროცესია არა მხოლოდ ზანურში, არამედ საერთოდ, ქართველურ ენებში; ამიტომაც **ზუმ-ა-ტუ** ჩაითვალა **ზუმ-უმ-ტუ-ს** პარალელურ ვარიანტად; და ანალოგიურად: **ზუმ-ა-ტუ-კონ < ზუმ-აპ-ტუ-კონ...** ერთი სიტყვით, ფონოლოგიური გამარტივების შედეგად მიღებული **ბზუმატი, ბზუმატიკონ** ტიპის ფორმებში მომხდარია ცვლილება: **აპ>ა**. ამის საფუძველზე ლოგიკურია, რომ **ბზუმატი** მივიჩნიეთ არა ცალკე ნაკვთად, არამედ **უწყვეტლად**, უწყვეტლის ვარიანტად, ამავე ლოგიკით **ბზუმატიკონ – უწყვეტლის პირობითის ფონოლოგიურად გამარტივებულ ვარიანტად**.

წარმოდგენილი ლაზურის ნაკვთთა სისტემა არამხოლოდ **ნაკვთთა რაოდენობის** მიხედვით ემთხვევა მეგრულის სათანადო სისტემას. **ლაზურშიც იგივე 19 ნაკვთი გამოიყოფა, რაც მეგრულში გვაქვს**. ამ ცხრამეტიდან რვა ნაკვთია ლაზურ-მეგრულისთვის სპეციფიკური (მათ შორის 4 ნაკვთი – ე.წ. მეოთხე სერიის ფორმები იცის ქართული ენის ზოგიერთმა დიალექტმა); დანარჩენი ნაკვთები **ქართულთან საერთოა**.

11. განვიხილავთ რა **გვარის** მორფოლოგიურ კატეგორიას, ზმნის სტრუქტურული (ფორმალური) ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ გვარი მხოლოდ ორია ზანურში: მოქმედებითი და ვნებითი. რაც შეეხება ე. წ. საშუალი გვარის ზმნებს, აქ გასაზიარებელი ჩანს თ. უთურგაიძის პოზიცია, რომ ეს ზმნები (ქრის, წუხს, დულს, დგას, წევს...) გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ გახდნენ მედიუმები. და თუ მაინც ცალკე გამოსაყოფია ე. წ. საშუალი გვარის ზმნათა წყება, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქმნიან ისეთ ზმნათა ჯგუფს, რომელსაც უგვარო ზმნები შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან გვარი არ განუვითარდათ, და ამას ნაწილობრივ მათი სემანტიკა და მნიშვნელოვანწილად სტატიკურობა განსაზღვრავდა. ამ ზმნებს გვარი არ განუვითარდათ და მხოლოდ ამიტომაც შესაძლებელი მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფა, ვინაიდან საშუალ-მოქმედებითებში აშკარაა, რომ პირდაპირი ობიექტია ყველგან დაკარგული. **ამის ხარჯზე მოხდა სწორედ ის, რომ მოქმედება, რომელიც სუბიექტიდან ობიექტზე გადადიოდა, თვითონ ხდება სუბიექტ-განმცდელი ამისა და იქმნება შთაბეჭდილება, რომ სხვა ტიპის ზმნასთან გვაქვს შეხება, მაშინ როდესაც განსხვავებას ქმნის მხოლოდ ერთ-ერთი ობიექტის დაკარგვა, შდრ. ძვ. ქართ. ჰ-ყივ-ი-ს – ჰ-ყივ-ა (!), მაგრამ ახ. ქართ. ყივ-ი-ს – ი-ყივლ-ა.**

ი-პრეფიქსიანი და თემისნიშნიანი (-ამ/-აფ, -უმ/-უფ...), ლაზ. ოხორჯა-ქ ი-ხორონ-ს / ხორონ-აფ-ს „ქალმა ცეკვავს“ ტიპის ზმნები მეგრულ-ლაზურში დინამიკურ (აქტიურ) ზმნებადაა კვალიფიცირებული ორსავე ენობრივ ქვესისტემაში, ამიტომაც შეეწყობა მათ სუბიექტი ერგატივში, თორემ სტატიკურ ზმნებთან ერგატივი არც არასდროს გამოჩნდება. სტატიკურობა-დინამიკურობა უთემისნიშნო ზმნებში განსაზღვრავს დრო-კილოთა აორისტის წყების ქონა-არქონას, კერძოდ, თემისნიშნიან ზმნებში აორისტი გვექნება, უთემისნიშნო **-ე/-უ** სუფიქსიან სტატიკურ ზმნებში – არასდროს. ეს არის მთელს მეგრულ-ლაზურში მკაცრად გატარებული წესი.

მეგრულ-ლაზურის მასალაზე თვალნათლივ გამოჩნდა სტატიკურ ზმნათა გააქტიურების (დინამიკურად ქცევის) ტენდენცია, რაც უფრო ლაზურ მასალაშია გამოკვეთილი. როგორც ვიცით, ლაზურში **-უნ** თემის ნიშანი არ არსებობს, იგი მხოლოდ მეგრულისათვის არის დამახასიათებელი და გამოჩნდება მაშინ, როცა ლაზურში **-უმ** (ხოფურში **-უფ**) ფიქსირდება, ეს უკანასკნელი ქართული **-ამ** (→ **-ავ**) თემის ნიშნის ზუსტი ფონეტიკურ-ფუნქციური შესატყვისია. მაგრამ **-უნ** ლაზურშიც ვლინდება თემის ნიშნად, თუმცა მისი წარმომავლობა განსხვავებულია და სწორედ ფუძის გააქტიურების ტენდენციითაა მიღებული, რასაც პარალელური ფორმები ადასტურებს ლაზურშივე. მაგალითისათვის ავიღოთ **-უს** ფიქსიანი სტატიკური ზმნა ფუთხ-**უნ** „ხტის, ფრინდება“, ითქმის კვინჩი ფუთხ-**უნ** „ჩიტი ხტის“, ანუ, როგორც მოსალოდნელი იყო, სტატიკური ზმნის სუბიექტი სახელობითში დგას, მაგრამ ამავე ზმნისგან **სა** პირის **-ს** ნიშნის დამატებით, რასაც თან ახლავს ზმნის გრამატიკული შინაარსის გააქტიურება, ვიღებთ ლაზური-სათვის თითქოს უჩვეულო ფორმას (**-უნ** თემისნიშნის ზმნას), რომელიც დინამიკური ხდება და აწმყოში სუბიექტიც ერგატივში შეეწყობა, როგორც ყველა სხვა გარდამავალ ზმნას: კვინჩი-ქ ფუთხ-**უნ**-ს „ჩიტმა ფრთხება“.

იგივე სურათი ჩანს **სხაპ-** „ხტომა, ცეკვა“ ზმნური ფორმის შემთხვევაშიც, როცა **სხაპ-** უკვე მეგრულში ხდება დინამიკური და თემისნიშნის ზმნა, შდრ.: ლაზ. **სხაპ-უნ** „ხტის“, მაგრამ მეგრ. **სხაპ-უნ**-ს „ხტის, ცეკვავს“.

ზანურ დიალექტებში ვნებითი გვარის წარმოებისას გამოიყო მრავალგვარი აფიქსაცია, ზოგიერთი სულაც პირველად. გამოჩნდა, რომ ყველა ის სახეობა, რაც ადრე ცალკეული დიალექტების თავისებურებად იყო კვალიფიცირებული, მეტ-ნაკლები სიხშირით დამახასიათებელი ყოფილა ორივე დიალექტისათვის:

ა) უნიშნო ვნებითი: ტუბ-**უნ**/ტიბ-**უნ**(-ნ) „თბება“

ბ) **-ან** სუფიქსიანი ვნებითი: ვ-ი-ღულ-**ან**-ერ/ვ-ი-ღულ-**ან**-ებ-**უნ**-ქ „ვმრუდდება“

გ) **დონ**იანი ვნებითი: შქურ-**დ-უნ**/შქურ-**დ-უნ**(-ნ) „შემინდება“

დ) „კონფიქსური“: **ა – ე** (ა-წკუნ-**ენ** „სტკივა“/ა-ჭკენ(-ნ) „(ა)სტკივდება“), **ი – ე** (ი-წკენ-**ენ** „იყურება“/ი-რწყებ-**ენ**(-ნ) „გამოჩნდება, მოსჩანს“), **ა – უ** (ა-ჭ(ვ)-**უნ** „ეწვის, სტკივა“, /ა-ჭ(უ)-**უნ**(-ნ) „ეწვის, სტკივა“), **ი – უ** (ი-მფულ-**უნ** „იმალება“/ი-ფულ-**უნ**(-ნ) „იმალება“), **ო – უ** (ო-მფულ-**უნ** „იმალება“/ო-ფულ-**უნ**(-ნ) „იმალება“), **ო – ე** (ვ-ო-ჭკონდ-**ურ**/ვ-ო-ჭყორდ-**ურ**-ქ „ვ-(ა)წყდ-ებ-ი“), კონფიქსური და **-ავ** სუფიქსიანი ვნებითი (გამ-**ი-თხვ-ავ-უნ** „თხოვდება“/ი-თხუ-**ავ-უნ**(-ნ) „თხოვდება“ ..., ა-ჭვ-ავ-**უნ** „ეყოლება“ /ა-ჭუ-ავ-**უნ**(-ნ) „ექნება, ეყოლება“ ...).

12. ლაზურ-მეგრულში ქართულის ანალოგიურად შეიძლება ვიმსჯელოთ ქცევის ორ **ზოგად** სახეობაზე: **ნეიტრალურ** (საარვისო) და **არანეიტრალურ** (კუთვნილებით-დანიშნულებით) ქცევაზე;

კუთვნილებით-დანიშნულებითი ქცევა, თავის მხრივ, ორ სახეობად იშლება: სასუბიექტო (სათავისო) ქცევა და საობიექტო (სასხვისო) ქცევა.

ნეიტრალური ქცევის ფორმებია: ვაკეთენქ „ვაკეთებ“, პჰანქ „კვარავ“, ფთასუნქ „ვთესავ“, პჰკირუნქ „ვჭრი“, ფაფრთხუნქ „ვფერთხავ“, ფშუნქ „ვსვამ“...

სასუბიექტო ქცევის ფორმების საწარმოებლად იგივე ინვენტარი გამოიყენება, რაც ქართულშია, – **ი**-პრეფიქსი: ვ-**ი**-ჰანქ/ი-პჰანქ „ვიკვარავ“, **ი**-ჰანქ „იკვარავ“, **ი**-ჰანს „იკვარავს“...

საობიექტო ქცევის ფორმებს **უ-** ან **ი-უ-** აწარმოებს: ა) (ვ)-**უ**-ჰანქ „ვუკვარავ“, **უ-**ჰანქ „უკვარავ“, **უ-**ჰანს „უკვარავს“... ბ) მ-**ი**-ჰანს „მიკვარავს“, გ-**ი**-ჰანს „გიკვარავს“, **უ-**ჰანს „უკვარავს“...

ნეიტრალური ქცევის ფორმებში ზოგჯერ **ო-** პრეფიქსი ჩანს, მაგრამ მას ისევე არაფერი აქვს საერთო ქცევის სემანტიკის მორფოლოგიცაზიასთან, როგორც მის ქართულ შესატყვის ა-პრეფიქსს.

ქართულის ანალოგიურია ვითარება ვნებითის ნეიტრალური და არანეიტრალური ქცევის სახეობებს შორის: **ი-** პრეფიქსიანი ვნებითი ნეიტრალურია ქცევის კუთვნილება-დანაშნულების გამოხატვის თვალსაზრისით, ხოლო შესაბამისი **ა-** პრეფიქსიანი (ქართ. **ე-** პრეფიქსიანის შესატყვისი) პოსესიური სემანტიკისაა: **ი-ხანტუ** „იხატება“, **ა-ხანტუ** „ეხატება“...

ლაზურის სათავისო ქცევის ფორმებში კუთვნილების (პოსესივის) სემანტიკა დომინირებს და არ ჩანს დანაშნულების სემანტიკა. ამგვარი, ცალსახად პოსესიური სემანტიკის მქონე ზმნების ჯგუფი ქართულშიც გვაქვს და მეგრულშიც.

ლაზურს არამხოლოდ პირველსა და მეორე სერიაში შეუძლია ქცევის თვალსაზრისით ფორმათა გარჩევა: ეს იმიტომ, რომ დროთა მესამე ჯგუფში ჭანური ზმნები ინარჩუნებენ პირდაპირ წყობას; ქართულში, მეგრულში და სვანურში კი ზმნას მესამე ჯგუფში ინვერსიული წყობა აქვს და ქცევების საკითხი იხსნება“ (ჩიქობავა).

13. **კაუზატიური** სემანტიკის გამომხატველი ლაზურ-მეგრულში **-აფ** მორფემაა, რომელიც მასალობრივად ემთხვევა აწმყოს ფუძის მაწარმოებელს, ანუ თემის ნიშანს.

-აფ სუფიქსთან ერთად კაუზატიურ ფორმაში დასტურდება **ო-** პრეფიქსიც, რომელიც ქართული **ა-**ს მორფო-ფონეტიკური შესატყვისობაა. მათ საერთო გრამატიკული ფუნქცია აქვთ, მხოლოდ არა კაუზატიურობის გამოხატვისა. ამ შემთხვევაში მეგრულ-ლაზურისთვისაც ისევე დგას საკითხი, როგორც ქართულისთვის.

ამ **-აფ** სუფიქსს მეგრულში, ლაზურისგან განსხვავებით, **-უ** მოსდევს. მეგრულ კაუზატიურ ზმნას პირველ სერიაში **-აფ-უ-ან** დაბოლოება ახასიათებს. თურმეობითში, სათანადო ფონოლოგიური გარემოცვის არსებობის პირობებში მეგრულში დაჩნდება დისტანცირებული ორი **-აფ**: უჭარ-**აფ-უ-აფ-უ** „დაუწერინებია“...

ლაზურის ხოფურ კილოკავში გვაქვს **-აფ-აფ** კომბინაცია აწმყოს რიგის ნაკვეთებში, ვიწურ-არქაბულში – **-აფ-ამ**.

აწმყო უნდა იყოს ამოსავალი მეგრულ-ლაზურში იმ კაუზატივებისათვის, რომელთა ძირეულ ფორმაშიც **-ან/-ამ/-აფ** თემატიური სუფიქსი დასტურდება – კაუზატივის ნიშნად სწორედ ეს სუფიქსი გადააზრიანდება.

ზოგჯერ (ისევე, როგორც ქართულში) კაუზატივის მორფემის წინ ვლინდება მასდარისთვის დამახასიათებელი სუფიქსები:

-ალ: ჩუ-**ალ-ა** „შენახვა“ – **ო-თქუ-ალ-აფ-უ-ან-ს** „ათქმევინებს“ (შდრ. აწმყო: ჩუ-ან-ს „ინახავს“); **-ირ**: კითხ-**ირ-ი** „კითხვა“ – **ო-კითხ-ირ-აფ-უ-ან-ს** „აკითხებს“ (შდრ. აწმყო: კითხულენს „კითხულობს“);

მასდარის ფორმა კაუზატიური წარმოების საფუძვლად ქართულშიც ჩანს, მაგრამ ეს ხდება იშვიათად, მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში.

14. **საწყისი** და **მიმღეობა** ლაზურსა და მეგრულს ერთნაირად ეწარმოება; ნ. მარი მასდარის ძირითად მაწარმოებელთა „ცალსახა სხვაობას“ (მეგრულში **-უა** – ლაზური **ო - უ** კონფიქსების საპირისპიროდ) ლაზური მეტყველების ცალკე ენად გამოცხადების არგუმენტად იყენებდა; მაგრამ აღმოჩნდა, რომ მეგრულისებური **-უა** სუფიქსიანი მასდარი ასევე გაბატონებულია ლაზურის ჩხალურ თქმაში, აქ ჩხალური რეგულარულად, თითქმის

ყველგან, -**უა** დაბოლოებას გვიჩვენებს, რითაც ეს ლაზური მეტყველება მეგრულს დაუხლოვდა;

შდრ.:

მეგრული/ჩხალური	ლაზური	
ბარ-უ-ა	ო-ბარ-უ	„ბერვა (უბერავს)“
ბახ-უ-ა	ო-ბახ-უ	„ცემა“
ბონ-უ-ა	ო-ბონ-უ	„დაბანა“...

უფრო მეტიც, ჩხალურის ვითარება მთელი ლაზურისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, რაშიც ნათლად გვარწმუნებს ამ ენობრივ სისტემაში შემორჩენილი გასუბსტანტივებული მასდარები. მხედველობაში გვაქვს -**ვა** დაბოლოებიანი არსებითი სახელები ლაზურში, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია: წილ-**ვა** „ნოემბერი“ (მეგრ. წილ-**უა** „კრეფა“), ტახ-**ვა** „ოქტომბერი“ (მეგრ. ტახ-**უა** „მოსავლის აღება“), ჩხალ-**ვა** „სექტემბერი“ (მეგრ. ნჩხალ-**უა** „ჩხვერა“), ცინ-**ვა** „ზამთარი“ (მეგრ. ცინ-**უა** „ყინვა“), ბჟალ-**ვა** „რძე“ (მეგრ. ბჟალ-**უა**/-**ავა** „რძის გამოსვლა“), ბარ-**ვა** „ნიავი“ (მეგრ. ნბარ-**უა** „ქროლა, ბერვა“), ხაჩქ-**ვა** „თოხნის დრო“ (მეგრ. ხაჩქ-**უა** „თოხნა“), წიწ-**ვა** „ჩხუბი, გაწეწვა“, ჟულ-**ვა** „ფეხის სრიალი“, პირჩ-**ვა** „მარხვა“ (მეგრ. დო-პირჩ-**უა** „დაურწყება“), კორ-**ვა** „ერთი შეკვრა“ (კირ-**უა** „შეკვრა“)...

მართალია, გვაქვს სხვაობაც, როგორც მასდარის, ისე მიმღეობის წარმოებაში (ლაზ. **ო-ა**, მეგრ. **სი-ა**, -**იორ-ი**), მაგრამ უძირითადეს ნაწილში მეგრულ-ლაზურში სახელზმნის წარმოება ერთგვაროვანია.

15. სახელები და ზმნები კარგად გამოყოფილი ჯგუფებია ენის სისტემაში, რომელთაც თავ-თავისი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული გრამატიკული ნიშნები მოეპოვებათ. მაგრამ ყოველ ენაში და, კერძოდ, ქართულში, მოიპოვება სიტყვები რომლებიც არც სახელებია და არც ზმნები. ამ ჯგუფში შემავალი სიტყვები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსური თვისებებით (შანიძე).

მეტყველების ნაწილებს, რომლებიც არც ზმნებია და არც სახელები, აკაკი შანიძე უდეტრებს უწოდებს. უდეტრებია: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული.

არის თუ არა **ზმნიზედა** მორფოლოგიური ოდენობა? ამ კითხვაზე პასუხი არაერთგვაროვანია სამეცნიერო ლიტერატურაში. ერთი მხრივ, ზმნიზედა ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია, მაგრამ გააჩნია მთელი რიგი მორფოლოგიური მახასიათებლები (შანიძე; შალამბერიძე); მეორე მხრივ, ზმნიზედა ზმნის ატრიბუტივია, რომელსაც ბრუნვის ფორმებიც გააჩნია და ის უნდა გაერთიანდეს სახელის კლასში (გაბუნია), თუმცა ზმნიზედა, როგორც ბრუნების პარადიგმიდან გამოსული სახელი, სინტაქსური კლასიფიკაციის საგანი შეიძლება იყოს (უთურგაძე). ზმნიზედის სპეციფიკა სწორედ გრამატიკული და ლექსიკური თვისებების ერთობლიობაა. მისი ფორმაუცვლელობა სტატუსია, რომელსაც მორფოლოგიური წანამდვარი აქვს, რეალიზებულია კონტექსტის საშუალებით და სემანტიკურად ფართო სპექტრის მქონეა. ამიტომაც ზმნიზედის ანალიზი ემყარება შემდეგ კრიტერიუმებს: სტრუქტურა, შინაარსი, ფუნქცია. ამათგან სტრუქტურა და შინაარსი მორფოლოგიური კვლევის საგანია.

სტრუქტურულად ზმნიზედები წარმოდგენილია ორ კლასად: ძირეულად და წარმოქმნილად. თავის მხრივ, თითოეულს აქვს მოდელური ნაირსახეობები. ძირეული ზმნიზედები უძველეს ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის და ამკარაა მისი კავშირი ნაცვალსახელურ ძირებთან, დეიქსისებთან, ზმნისწინებსა და თანდებულებთან. ბუნებრივია,

ქართველური ენობრივი საერთო მასალა სწორედ ამ უბანში დასტურდება, თუმცა ეს არ გამოირიცხავს ზმნიზედების წარმოქმნის საერთო მოდელებს, ესენია: სუფიქსური წარმოება, ბრუნვის ნიშნით წარმოება, კომპოზიციით წარმოქმნა.

ზმნიზედა მეგრულ-ლაზურში მრავალრიცხოვანია, განსაკუთრებით დროული და სივრცითი სემანტიკის ჯგუფი, რომელიც არაერთი კვლევის საგანი ყოფილა ბოლო პერიოდში, თუმცა ყველა სემანტიკური ჯგუფის ზმნიზედის შეპირისპირებითი ანალიზი მეგრულსა და ლაზურში აქამდე არ განხორციელებულა.

სემანტიკური ჯგუფების მიხედვით აღიწერა მეგრულისა და ლაზურის საერთო და განსხვავებული მასალა აღნიშნული სტრუქტურული მახასიათებლებით, ფორმისა და შინაარსის მიხედვით გამოიყო პირველადი და წარმოქმნილი ზმნიზედები.

გამოყოფილია და გაანალიზებულია ადგილის, დროის, ვითარების, ზომა-ოდენობის, რიგობა-ჯგერობის, მიზეზისა და მიზნის, კითხვითი ზმნიზედები. გამოკვეთილია არსებული ლაზურ-მეგრულ-ქართული მიმართებები.

მეგრული და ლაზური, ქართულისაგან განსხვავებით, გამოირჩევიან **თანდებულთა** სიმცირით. ისინი ამ დანაკლისს, ერთი მხრივ, მნიშვნელობით მრავალფეროვან ზმნისწინთა სისტემით ივსებენ, მეორე მხრივ, ბრუნვათა სისტემით. მასალობრივად ზმნისწინები, თანდებულები და ზმნისართები საერთო წარმომავლობისაა, თუმცა მეგრულსა და ლაზურში დამოუკიდებლად განვითარებისა და, შესაბამისად, ფონეტიკური ვარიანტების ფუნქციური გადააზრების ფაქტებიც დასტურდება. განხილულია მეგრულ-ლაზური თანდებულები: - წკუმ-ა/-წკელ-ა/-წკალ-ა, -კულე/-ჭკულე, სთერ, -ჯგურ-ა, -ცალ/ცა, -შორო, -მანგი, -გემა, -ხ/-ხჷ/-ხი, -ქის, -დონ/-დონი.

ნაწილაკთა ერთი ჯგუფი საერთოა მეგრულ-ლაზურისთვის მასალობრივად, ხოლო მეორე ჯგუფი საკუთრივ მეგრულის ან ლაზურის კუთვნილებაა, ხშირად ნასესხები, შესაბამისად, ქართულიდან და თურქულიდან.

ნაწილაკის ფუნქცია წინადადებაში განსხვავებულია; გაანალიზებულია კითხვითი, ჩვენებითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, დადასტურებითი, გამღიერებითი, სხვათა სიტყვის, მოდალური ნაწილაკები. გამოიყო ასევე ნაწილაკები, რომელთა დანიშნულება რთული წინადადების კონსტრუირებაა და ამიტომ მათ ეწოდა მაკონსტრუირებელი ნაწილაკები.

შორისდებულები ემოციათა გამომხატველი გრამატიკული საშუალებებია. ემოციების ზუსტი გრაფიკული (წერილობითი) დაფიქსირება ყოველთვის როდია შესაძლებელი არსებული ფონეტიკური რესურსებით.

გამოიყო შორისდებულთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით: შორისდებულები, რომლებიც ამა თუ იმ გრძნობის გამოძახილს წარმოადგენენ; შორისდებულები, რომლებიც მოუბრის ნება-სურვილს ასახავენ; ფიცილის, ალერსის... გამომხატველი შორისდებულები. უფრო დეტალურად, ეს არის შემდეგი სახის შორისდებულები: მწუხარების, დანანების, ნიშნის მოგების (წაქეზების), შეძახილის, უარყოფის, დადასტურების და სხვ. გამოიკვეთა, რომ ლაზური გამოირჩევა შორისდებულთა სიუხვითა და მრავალფეროვნებით (კილოკავების დონეზეც კი) შორისდებულთა ნაწილი ლაზურს თურქულიდან აქვს შეთვისებული.

კავშირის ფუნქციების განხილვის ადგილი სინტაქსშია, მაგრამ ზოგადად შეიძლება მორფოლოგიაშიც ითქვას ორიოდ სიტყვა (შანიძე). პირველ რიგში, ეს ეხება კავშირების სტრუქტურასა და წარმომავლობას.

ზანურში კავშირების შესწავლის ისტორია პრაქტიკულად ნ. მარის „ჭანური (ლაზური) ენის გრამატიკით“ იწყება, სადაც მკვლევარი განიხილავს რამდენიმე კავშირს და მათ ადგილს წინადადებაში [მარი, 1910, 71].

წიგნში ნაჩვენებია მიმართებები ქართულ და ლაზურ-მეგრულ მაჯგუფებელ, მაცალ-კევებელ, მაპირისპირებელ და მაქვემდებარებელ კავშირებს შორის.

საბოლოოდ შეიძლება შევაჯამოთ ყოველივე ზემოთქმული და დავასკვნათ, რომ მეგრული და ლაზური ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე აჩვენებს ერთიან სისტემას, ხასიათდება გამორჩეული მონოლითურობით, იგი მთლიანად ქართველური ტიპის ენაა და **მასში არ იკითხება სხვა წრის ენათა გავლენის კვალი.** აღწერილ ენობრივ ერთეულებს შორის წარმოჩენილი სხვაობის ზღვარი თითოეულ მათგანს ერთმანეთის მიმართ დიალექტური დიფერენცირების ხარისხთან აახლოებს და, შესაბამისად, ლინგვისტურ მონაცემებზე დაყრდნობით, აღწერილი ქვესისტემები კვალიფიცირდება, როგორც ერთი – ზანური (კოლხური) ენის ორი დიალექტი: ლაზური და მეგრული.

ლაზურისა და მეგრულის საერთო ძირ-ფუძეთა ლექსიკონი (ინდექსი)

ა

*აზორა „გომი, ბოსელი“

ლაზ. აზორა ~ მეგრ. აზორა / აზურა „გომი, ბოსელი“

*აკო- „ერთი“

ლაზ. (ათინ.) აკო „ერთხელ“ ~ მეგრ. აკო-შა || აკა-შა „ერთხელ“

*ალან- „თანატოლი, ახალგაზრდა“

ლაზ. ალან-ი „თანატოლი“ ~ მეგრ. ალან-ი ახალგაზრდა, ვაჟკაცი; თანატოლი“

*ა...შ- „ექვსი“

ლაზ. ანშ-ი // აშ-ი ~ მეგრ. ამშვ-ი; შდრ. ქართ. ექვს-ი ← *ე...ს-ი

*ა...შ-ოშ-ი „ექვსასი“

ლაზ. ანშ-ოშ-(ი) ~ მეგრ. ამშ-ოშ-ი; შდრ. ქართ. ექვს-ას-ი

*ამ- „ეს“

ლაზ. ამ-დლა ~ ან-დლა ~ ამ-დლა „დღეს“, ამ-არ-ი „აგერ“; შდრ. ქართ. ამ-, ამ-ერ-(იმ-ერ)-ი

*ანთ-ეფ- „ესენი“

ლაზ. ანთეფე / ჰანთეფე ~ მეგრ. ათენეფ-ი / ათ^ჲნეფ-ი „ესენი“

***არ-** „ერთი“

ლაზ. არ- ~ მეგრ. არ-, არ-წორ-ო „ერთად“, შდრ. ქართ. (გურ.) ერ- „ერთი“, ძვ. ქართ. ერ-გ-ას-ი, სვან. ერ-ხი : მეგრ. არ-ხ-ი „ზოგიერთ“

არგუნ- „ნაჯახი“

ლაზ. არგუნ-ი ~ მეგრ. არგუნ-ი; შდრ. ქართ. არგან-ი „ჯოხი, კვერთხი“

***ართ-** „ერთი“

ლაზ. ართ-(ი) ~ მეგრ. ართ-ი; შდრ. ქართ. ერთ-ი

***ართ-ო** „ერთად“

ლაზ. ართ-ო „ერთად“ ~ მეგრ. ართ-ო „ერთად“, შდრ. ქართ. ერთ-ად

***ატამა** „ატამი“

ლაზ. ანტამა / ატამზა ~ მეგრ. ატამა; შდრ. ქართ. ატამ-ი

***აფხა** „საქსოვი დაზვის სავარცხელი“

ლაზ. აფხა „საქსოვი დაზვის სავარცხელი“ ~ მეგრ. აფხა „საფეიქრო სავარცხელი“; შდრ. მეგრ. აფხა ~ ქართ. ფხა

***აქ-** „აქ“

ლაზ. აქ // ჰაქ / ჰაქ-ო „აქ“, აქ-ონ-ი „აქაური“, მეგრ. აქ- /ათ-აქ „აქ“; შდრ. ქართ. აქ, აქა, აქა-ურ-ი

***აშ-ო** „ასე“

ლაზ. ჰაშ-ო /აშ-ო ~ მეგრ. აშ-ი; შდრ. ქართ. ას-ე

***აწალა** „ზვინი/ჩალა ხეზე დაკიდებული“

ლაზ. აწალა „წვრილი ზვინი ძნისა (მაღალი)“ ~ მეგრ. ანწალა „ხეზე აკიდებული ჩალა“; შდრ. სვან. ჰაწ- უ- ალ „ხეზე დადგმული ზვინი“

***აწ-ი** „ახლა“

ლაზ. აწ-ი || ჰაწ-ი „ახლა“ ~ მეგრ. ანწ-ი „ახლა“; შდრ. ქართ. აწ-ი

აჭარ- „ეწერი“

ლაზ. აჭარ-ა, დიდ-აჭარა (ტოპ.) ~ მეგრ. აჭარ-ა; შდრ. ქართ. ეწერ-ი, ეწერ-ა „გვიმრა“

ბ

***ბ-** „კიდება, ბმა“

ლაზ. გო-ო-ბ-უ-ნ ~ მეგრ. გი-ო-ბ-უ-(ნ) „ჰკიდია“; შდრ. ქართ. ა-ბ-ია, დიალ. ღ-ბ-ავ

***ბ-** „გადასხმა (სითხის)“

ლაზ. ქო-გო-ბ-უ ~ მეგრ. ქო-გა-ა-ბ-უ ← *ქო-გო-ო-ბ-უ „გადაასხა“

***ბაბა** „მამა“

ლაზ. ბაბა, ბაბა-ოცხე „მამინაცვალი“ ~ მეგრ. ბაბა, ბაბა-ჩქიმ-ი „მამაჩემი“; შდრ. ქართ. (დიალ.)

ბაბა-ღ

***ბად-** „ბადება“

ლაზ. ო-ბად-უ „დაბადება“, დო-ბად-ონა „სამშობლო“ ~ მეგრ. დო-ბად-აფა „დაბადება“, ო-დო-ბად-ე „სამშობლო“; შდრ. ქართ. და-ბად-ებ-ა

***ბად-** „ბერიკაცი“

ლაზ. ბად-ი ~ მეგრ. ბად-იდ-ი ← *ბად-დიდ-ი, შდრ. მეგრ.-ლაზ. ჯიმა-დ-ი / ჯუმა-დ-ი: ქართ. ძმა-დ-ი (საბა)

***ბაზ-** „ცემა, მაგრად დარტყმა“

ლაზ. ო-ბაზ-უ „ცემა“ ~ მეგრ. ბაზ-უ-ა „მაგრად დარტყმა“; შდრ. ქართ. ბეზ-ვ-ა

***ბათა** „ბუთხუზა; მამაკაცის სახელი“

ლაზ. ბათა ~ მეგრ. ბათა „ბუთხუზა“, ბათა „მამაკაცის სახელი“, შდრ. ბათა ქექია

***ბაკ-** „ბაკი“

ლაზ. ბაკ-ი „ბაკი“, ნო-ბაკ-ენ-ი ~ მეგრ. ბაკ-ი „ბაკი“; შდრ. ქართ. (ხევს.) ბეკ-ი

***ბანდალ-** „ძუნძული; რყევით სიარული“

ლაზ. ბანდალ-აფ-ს ~ მეგრ. ბანდალ-ან-ს / ი-ბანდალ-უ; შდრ. ქართ. ბანდალ-ი (საბა)

***ბარ-** „ბერვა“

ლაზ. ბარ-ს ~ მეგრ. (უ)-ბარ-ს „ბერავს, უბერავს“; შდრ. ქართ. ბერ-ავ-ს, უ-ბერ-ავ-ს

***ბარბონ-** „წითელი თევზი“

ლაზ. ბარბონ-ი „წითელი თევზი“ ~ მეგრ. ბარბონ-ი „თევზის სახეობა“

***ბარტყ-** „პენტვა, ბერტყვა“

ლაზ. ბატკ-აფა, ო-ბატკ-უ „პენტვა“ ~ მეგრ. ბარტყ-უ-ა „ბერტყვა“; შდრ. ქართ. ბერტყ-ვ-ა

***ბარჩხალ-** „ჩახჩახი, კაშკაში“

ლაზ. ო-ბარჩხალ-უ ~ მეგრ. ბარჩხალ-ი „ჩახჩახი“, ო-ბარჩხალ-აია „ჩახჩახა“, ი-ბარჩხალ-უ-(ნ) „ჩახჩახებს“

***ბარწკვენ-** „გარეული მოცვი“

ლაზ. ბარწკენ-ია „გარეული მოცვი“ ~ მეგრ. ბარწკვენ-ია || ბარწკვენ-ია || ბარწკინ-ია „ერთგვარი ველური მცენარე“

***ბატა** „სუსტი; მშიშარა“

ლაზ. ბატა „სუსტი, უსიცოცხლო; მშიშარა“ ~ მეგრ. ბატა „სუსტი, რბილი, მშიშარა“

***ბალ-** „ყოფნა, კმაყოფა“

ლაზ. ბალ-უნ ~ მეგრ. ბალ-უ-(ნ) „კმარა“, შდრ. მეგრ.-ლაზ. ბალ-უ: ქართ. ბედ-ელ-ი

***ბალუ** „ბედელი“

ლაზ. ბალუ ~ მეგრ. ბალუ; შდრ. ქართ. ბელო „სამნე სახლი“ (საბა)

***ბალ-** „კმარება, მყოფინება“

ლაზ. ო-ბალ-ინ-უ „კმარება“ ~ მეგრ. ო-ბალ-უ(ნ) „ეყოფა“, ო-ბალ-ინ-უ „იკმარა, იმყოფინა“

***ბალულ-** „ნალია“

ლაზ. ნო-ბალულ-ე „ნალია“ ~ მეგრ. ნო-ბალულ-ენ-ი „ნაბელღავი, ბაღჩეული“; შდრ. მეგრ. ო-ბალულ-ე „ხილის ჩასაკრეფი გოდორი“ : ქართ. ბედელ-ი

***ბაძგ-** „მიბჯენა“

ლაზ. ბაძგ-, ნ-ო-ბაძგ-უ „მიბჯინა“ ~ მეგრ. ბაძგ-, მ-ა-ბაძგორ-უ „ძლივს, ვიწროდ, წვერზე მიბჯენით აცვია“; შდრ. ქართ. ბჯ-ენ-ა (?)

***ბაძგარ-** „ეკლიანი ხე, ჭყორნალი“

ლაზ. ბაძგარ-ი „ეკლიანი ჭყორნალი“, ბაძგარ-ა „ირმის საკნეტელა“ ~ მეგრ. ბაძგარ-ი „ეკლიანი ხე“

***ბაძღ-** „ჯღაბნა“

ლაზ. ბაძღ-აფა „ჯღაბნა“ ~ მეგრ. ბაძღ-ულ-უა „ჯღაბნა“, ბაძღ-ურ-ი „თხუპნა, ჯღაბნა“, ბაძღ-ულ-ერ-ი „ჯღაბნილი“; შდრ. ქართ. ჯღაბ-ნ-ა შდრ. მეგრ. ძღაბულ-ერ-ი, ძღაბულუა (ჭ. ქ.)

***ბაცუ** „ზღმარტლი“

ლაზ. {ბაცუ}, ჭარ-ბაცუ (მიკროტოპ., ღანა) ~ მეგრ. ბაცუ „ზღმარტლი“

***ბახ-** „ცემა, გაღახვა“

ლაზ. ო-ბახ-უ // ო-მბახ-უ- ~ მეგრ. ბახ-უ-ა „ცემა“

***ბაჯგ-** „ხის ორკაპიანი ტოტი“

ლაზ. ბაჯგ-ი „ხის ორკაპიანი ტოტი“ ~ მეგრ. ბარჯგ-ი „ორკაპა ჯოხი“; შდრ. მეგრ. ბორჯგ-ი

***ბგარ-** „ტირილი“

ლაზ. ბგარ-ა / მგარ-ა „ტირილი“

ო-ბგარ-ს // ო-მგარ-ს „ტირი“ ~ მეგრ. ნგარ-ა / გარ-ა „ტირილი“, ო-ნგარ-ს / ო-გარ-ს „ტირის“, შდრ. ქართ. ბგერ-ა „ხმა“, ბგერ-ებ-ა „ხმაური“

***ბერგ-/*ზარგ-** „თოხნა, გამარგვლა“

ლაზ. ო-ბერგ-უ ~ მეგრ. ბარგ-უ-ა; შდრ. მეგრ.-ლაზ. ბერგ-ი „თოხი“

***ბერგ-** „თოხ-ი“

ლაზ. ბერგ-ი ~ მეგრ. ბერგ-ი, შდრ. ზმნური ძირი ბერგ-/ზარგ- „გათოხნა, გამარგვლა“

ბერ- „შვილი, ძე, ბავშვი“

ლაზ. ბერ-ე ~ მეგრ. {ბერ-ი}, გვარებში თუთა-ბერ-ი „მთვარის შვილი“, კაკუ-ბერ-ი „კაკუს შვილი“; შდრ. ქართ. ბელ-ი „დათვის შვილი“

***ბერწულ-** „ბროწეული“

ლაზ. ბერწულ-ი ~ მეგრ. ბერწულ-ი „ბროწეული“; შდრ. ქართ. ბრაწ-ი „გრაკის ხე“ (საბა)

***ბერჯღ-** „ხმამალა ტირილი“

ლაზ. ბერჯღ-აფა „ხმამალა ყვირილი, ტირილი“ ~ მეგრ. ბერჯღ-ელ-ი „ისტერიული ტირილი (ბავშვისა)“

***ბიგა** „ჯოხი“

ლაზ. ბიგა ~ მეგრ. ბიგა; შდრ. ქართ. (ზ. იმერ.) ბიგე „ხის სამაგრი სახლისთვის“

***ბინეხ-** „ვაზი“

ლაზ. ბინეხ-ი ~ მეგრ. ბინეხ-ი; შდრ. ძვ. ქართ. ვენაჳ-ი, სვან. ...ენაჳ

***ბირ-** „სიმღერა, თამაში“

ლაზ. ი-ბირ-ს „მღერის“, ო-ბირ-უ „სიმღერა“ ~ მეგრ. ი-ბირ-ს „მღერის“, ო-ბირ-უ „სამღერი, მღერა“, ო-ბირ-ე-ში-ი „სიმღერა; გასართობი ადგილი“, შდრ. ქართ. ბირ-ებ-ა : მეგრ.-ლაზ. ბირ-აფ-ა „სიმღერა“

***ბირბილ-** „ბიბილო; ყურები“

ლაზ. ბიბილ-ი „ბიბილო“ ~ მეგრ. ბირბილ-ი „დაირის ყურები“; შდრ. ქართ. ბიბილო

***ბობოლ-** „ობობა“

ლაზ. ბობოლ-ა /ბომბულ-ა ~ მეგრ. ბობოლ-ია /ბორბოლ-ია; შდრ. ქართ. ბორბალ-ა „ობობა“

***ბოგა** „ბაგა; გომი; ხის ხიდი“

ლაზ. ბოგა „გომი; ხის ხიდი“ ~ მეგრ. ბოგა „გომის იატაკი; ხის ხიდი“; შდრ. ქართ. ბაგა

***ბოდ-** „ბოდვა“

ლაზ. ო-ბოდ-უ ~ მეგრ. ბორდ-იშ-ი; შდრ. ქართ. ბოდ-ვა

***ბოდა** „ბადე“

ლაზ. ბოდა „ბადე“, ო-ბოდ-ალ-ე „ბადისებური ტომარა“ ~ მეგრ. {ბოდა}, მიკროტოპ. ნო-ბოდ-ენ-ი = ნა-ბად-ევ-ი; შდრ. ქართ. ბადე

***ბონ-** „დაბანა“

ლაზ. ო-ბონ-უ /ო-მბონ-უ ~ მეგრ. ბონ-უ-ა /ო-ბონ-უ „დაბანა“; შდრ. ქართ. ბან-ა, ბან-ს, ა-ბან-ო = ო-ბონ-უ

***ბონ-** „შეზნევა“

ლაზ. ოკო-მბინ-უ „შეზნევა“; დოლო-ბინ-უ || დოლო-ბონ-უ „ჩამოვიდება, შევიდება“ ~ მეგრ. ოკო-ბინ-უ-ა, ბინ-უა „შეზნევა, შეკვრა“, ბინ-ილი-ი „შეკრული“; შდრ. ქართ. შე-ზნ-ევ-ა, სვან. ბენ-„შეზნევა“, ლე-ზნ-ე „შესაზნევი“

***ბორდ-უ** „ეკალ-ბარდი“

ლაზ. ბონდო „ეკალ-ბარდი“, ~ მეგრ. ბურდუ „ხმელი ბალახ-ბულახი“; შდრ. სვან. ბიდ „კანაფის ჩენჩო“

***ბორკ-** „დატორვა, ბრკმა“

ლაზ. ო-ბორკ-უ || ო-ბროკ-უ „დატორვა, წიხლვა“ ~ მეგრ. ბორკ-უ-ა „კანჭი, ფეხი“; შდრ. ძვ. ქართ. ბრკ-მ-ა

***ბორკ-** „ფეხი, კანჭი“

ლაზ. ბორკ-, ბორკ-ელ-ა „გრძელი უფორმო ფეხის მქონე (ადამიანი, ცხოველი...)“ ~ მეგრ. ბორკ-ი „ფეხი, კანჭი“, ბორკ-ულ-ა „ფეხურა“; შდრ. ქართ. ბარკ-ალ-ი, სვან. ბარკ-ა[Ⓢ] „მრუდეფეხა, კოჭლი“

***ბორჩ-** „ბორძიკი, დაცემა“

ლაზ. ო-ბორჩ-უ „ბორძიკი“, მე-გ-ა-ბორჩ-ას „წაიბორძიკოს“ ~ მეგრ. ფორჩ-უ-ა / ფორჩ-აფ-ი „ძირს მიწაზე დაცემა, გამხლართვა მრავლის“; შდრ. ქართ. ბანც-ალ-ი, ბარ-ბაც-ი

***ბორჯგ-** „ბარჯი“

ლაზ. ბოჯგ-ი „დატოტვილი ხე“ ~ მეგრ. ბორჯგ-ი / ბოჯგ-ი „საყრდენი ბარჯი“; შდრ. ქართ. ბარჯ-ი

***ბოტ-** „ბოტი“

ლაზ. ო-ბოტ-უ „კუროსთან, ბულასთან ატეხილი საქონლის მიყვანა“ ~ მეგრ. ბეტ-არ ← *ბოტ-არ-ი „ბოტი“; შდრ. ქართ. ბოტ-ი

***ბჟა** „მზე“

ლაზ. მჟა / ბჟა / მჯა / მჯა ~ მეგრ. ბჟა; შდრ. ქართ. მზე

*ბჟა-შ-დლა „კვირა დღე“, ლაზ. მჟაჩხა / ბჟაჩხა ~ მეგრ. ჟაშხა / ჟეშხა, შდრ. სვან. მიჟ-ლადედ

***ბჟოლ-** „თუთა“

ლაზ. ბჟოლ-ი / მჟოლ-ი ~ მეგრ. ბჟოლ-ი; შდრ. ქართ. ბზა

***ბრაგ-** „როშვა; უაზროდ დათრობა“

ლაზ. **ბრანგ**-ა „მთვრალი, მოლაყბე“, **ო-ბრანგ**-უ „როშვა“ ~ მეგრ. **ბრანგ**-უ-ა „უაზროდ დათრობა“, **გო-ბრანგ**-ილ-ი „გალეშილი“

***ბრანგ-** „დარტყმის ხმა, ხმაური; დარტყმა“

ლაზ. **ო-ბრანგ**-ალ-უ „რახუნი, ხმაური“ ~ მეგრ. **ბრანგ**-აფ-ი „დარტყმა“, შდრ. ქართ. **ბრეგ**-ა / **ბრიგ**-ა

***ბუზ-** „ბზუილი“

ლაზ. **ბუზ**-ალ-ა „ბზუილი“ ~ მეგრ. **ბუზ**-ინ-ი „კუილი“; შდრ. ქართ. **ბუზ**-ი, **ბზუ**-ილი

***ბუკ-** „კუნძი“

ლაზ. **ბუკ**-ი ~ მეგრ. **ბუკ**-ი; შდრ. ქართ. **ბოკვ**-ი

***ბულ-** „ბოლი, ბოლება“

ლაზ. **ბულ**-ერა „ბოლი“, **ო-ბულ**-ერა „ბოლება“ ~ მეგრ. **ბულ**-აფ-ი || **მბულ**-აფ-ი „ბოლება“; შდრ. ქართ. **ბოლ**-ი, **ბოლ**-ებ-ა

***ბულეკ-** „ბოლოკი“

ლაზ. **ბულეკ**-ი → || **ბულეჭ**-ი ~ მეგრ. **ბულეკ**-ი; შდრ. ქართ. **ბოლოკ**-ი

***ბულ-** „ბალი“

ლაზ. **ბულ**-ი, **ბულ**-ობ-ა „ივნისი“ ~ მეგრ. **ბულ**-ი, **ბულ**-ობ-ა „ბლობა. ივნისი“; შდრ. **ბალ**-ი, **ბლ**-ობ-ა „ივნისი“

***ბუმბულ-** „ბუმბული“

ლაზ. **ბუმბულ**-ი ~ მეგრ. **ბუმბულ**-ი „სქელი ლეიბი ბუმბლისა“; შდრ. ქართ. **ბუმბულ**-ი

***ბუჟდ-** „ნისლი, ბურუსი“

ლაზ. **{ბუჟდ-ი-}, ბუჟდ**-ონა (ტოპ., მუშკალა) ~ მეგრ. **ბუჟდ**-ი „ბურუსი, ერთგვარი ნისლი“; შდრ. მეგრ. **ბუჟდ**-უ (ანთროპ.)

***ბურ-** „თავზე დახურვა; დაკერება“

ლაზ. **ო-ბურ**-უ „დაკერება“ ~ მეგრ. **ბურ**-უ-ა „დაფარება“; შდრ. ქართ. **ბურ**-ვა

***ბურბ-უ** „ღამურა“

ლაზ. **ბურბუ** ~ მეგრ. **ბურბუ** „ღამურა“; შდრ. ქართ. **ბრბ**-უნ-ვა „უსინათლოს ბეცება“ (საბა), **ბრბო**

***ბურგულ-** „მუხლი“

ლაზ. **ბურგილ**-ი/**ბურგულ**-ი ~ მეგრ. **ბირგულ**-ი „მუხლი“; შდრ. სვან. ლი-ბ^რგ-იელ „ჭიდაობა“ ← ეტ. მუხლაობა

***ბურდ-** „დახლართვა“

ლაზ. ო-**ბურდ**-უ „დახლართვა“ ~ მეგრ. დო-**ბურდ**-უ-ა „დახლართვა“, **ბურდ**-ინ-ი „დახლართული საუბარი“; შდრ. ქართ. **ბლანდ**-ვ-ა

***ბურდლ**- „ბრდღენა“

ლაზ. ო-**ბურდლ**-ოლ-უ / ო-**ბუნდლ**-ოლ-უ ~ მეგრ. **ბურდლ**-ონ-ი / **ბურდლ**-ოლ-ი; შდრ. ქართ. **ბრდღენ**-ა

***ბურდლა** „ბურტყლი“

ლაზ. **ბუნდლა** ~ მეგრ. **ბურდლა**; შდრ. ქართ. (ხევს.) **ბარდღლ**-ი „ბალანი“

***ბურდლ**- „ბუზღუნ“

ლაზ. **ბუნდღინ**-ი ~ მეგრ. **ბურდღინ**-ი; შდრ. ძვ. ქართ. **ბრდღ**...ენ-ა

***ბურიწ**- „ხევა, ფრეწა“

ლაზ. ო-**ბრეწ**-უ / ო-**ბრიწ**-უ ~ მეგრ. **ბურიწ**-უ-ა; შდრ. ძვ. ქართ. **ფრეწ**-ს – **ფრიწ**-ა

***ბურკ**- „გადაჭრილი, ამოღრუნტული ხე“

ლაზ. **ბურკ**-ი „გადაჭრილი ხე“ ~ მეგრ. „**ბუკ**-ი“ „გადაჭრილი, ამოღრუნტული ხე“;

***ბურლ**- „ერთგვარი ტყის მცენარე; ბუერა“

ლაზ. **ბურლ**-ი ~ მეგრ. **ბურლ**-ი; შდრ. ქართ. **ბურლ**-ავ-ა-ღ / **ბურღვ**-ელ-ა

***ბურჩხ**- „სარეველა“

ლაზ. **ბურჩხ**-ი ~ მეგრ. **ბურჩხ**-ი; შდრ. ქართ. **ბურცხ**-ალ-ა „სარეველა“

***ბურცხა** „ფრჩხილი“

ლაზ. **ბუცხა** ~ მეგრ. **ბირცხა** „ფრჩხილი“, აკა-**ბურცხა** „ფრჩხილის ოდენა“; შდრ. ძვ. ქართ. **ფრცხილ**-ი

***ბურძოლ**- „კამათი, რია-რია“

ლაზ. ო-**ბურძოლ**-უ || ი-**ბურზოლ**-უ „კამათი“ ~ მეგრ. **ბურძოლ**-ი „რია-რია, ჩოჩქოლი“, ი-**ბურძოლ**-უ-ნ „ირევა“

***ბურწუმოლ**- „ბრწამლი“

ლაზ. **პურწუმოლ**-ი „ეკალ-ღიჭი“ ~ მეგრ. **ბურწუმელ**-ი „ბრწამლი“; შდრ. ქართ. **ბრწამლ**-ი (საბა)

***ბურჭულ**- „წალდი“

ლაზ. **ბურწულ**-ი / **ბურჭულ**-ი ~ მეგრ. **ბურჭულ**-ი „წალდი“, **ბურჭულ**-ია (ანთროპ.); შდრ. ქართ. **ფიწალ**-ი

***ბურჯ**- „ბრძოლა; ბრძანება“

ლაზ. ო-**ბურჯ**-უ „ბრძანება“ ~ მეგრ. **ბურჯ**-აფ-ი „ბრძოლა, რქენა“; შდრ. ქართ. **ბრძ**-ოლ-ა, **ბრძ**-ან-ებ-ა, სვან. ი-**ბურჯ**-იელ „ირქინება“

***ბუტკუჯ**- „ფუტკარი“

ლაზ. **ბუტკუჯ**-ი ~ მეგრ. {**ბუტკუჯ**-}, ტოპ. **ბუტკუჯ**-იშ-ი, შდრ. ქართ. **ფუტკარ**-ი

***ბულინ**- „ხარივით ბღავილი; გაბუქვა“

ლაზ. ო-**ბულინ**-უ „ხარივით ბღავილი“ ~ მეგრ. **ბულინ**-ი „ხმამაღლა, გაბუქული ლაპარაკი“

***ბუცხ**- „ფოცხვა“

ლაზ. ო-**ბუცხ**-უ ~ მეგრ. **ბუცხ**-უ-ა / ო-**ბუცხ**-უ; შდრ. ქართ. **ფოცხ**-ვა

***ბუცხ**- „ფოცხი“

ლაზ. **ბუცხ**-ი ~ მეგრ. **ბუცხ**-ი; შდრ. ქართ. **ფოცხ**-ი

***ბუძგ**- „თმის გაბურძგნა“

ლაზ. ო-**ბუძგ**-უ // ო-**ბუძგ**-ინ-უ ~ მეგრ. **ბუძგ**-ურ-ია „ბურძლი“; შდრ. ქართ. **ბურძგნ**-ა / **ბურძგლ**-ი

***ბუძგ**- „დაბუჭება“

ლაზ. უ-**ბუძგ**-უნ „უბუჭდება“ ~ მეგრ. მუ-მ-ო-**ბიძგ**-უ-(ნ) „ვიწროდ მაცვია“ – ფონეტიკურად **ბუძგ**- → **ბძგ**-/**ბიძგ**- მეგრულში; სემანტიკურად **დავიწროება** → **დაბუჭება** ლაზურში
შდრ. **ბუძგ**-ურ-ია

***ბუძღოლ**- „ჯღაბნა“

ლაზ. ო-**ბუძღოლ**-უ ~ მეგრ. **ბუძღოლ**-ი, **ბუძღოლ**-უ-ა „ჯღაბნა“

***ბუძღოლ**- „ჩეჩვა, წეწვა; ულაზათოდ კეთება“

ლაზ. გო-**ბუძღოლ**-აფა „აჩეჩვა, აწეწვა“ ~ მეგრ. გო-**ბუძღოლ**-ი „თითხნა, ულაზათოდ კეთება“; შდრ. ქართ. **ბლარძღ**-უნ-ი

***ბუხ**-ო „დიდი, მსხვილი“

ლაზ. {**მბუხ**-ი}, ქვა-**მბუხ**-ი = ქვა-დიდი (მიკროტოპ., ათინ.) ~ მეგრ. **ბოხო** „დიდი“; შდრ. ქართ. **ბუხ**-უნა

***ბუჯ**- „საგნების ერთმანეთში დაწყობა“

ლაზ. ნო-**ბუჯ**-ი „ერთმანეთში დაწყობილი საგნები“ ~ მეგრ. **ბუჯ**-, ო-**ბუჯ**-ი (ტოპ.)

ბ

***გ**- „მოგება“

ლაზ. მო-გ-აფ-ა ~ მეგრ. მო-გ-აფ-ა „მოგება“; შდრ. ქართ. მო-გ-ებ-ა

***გ-** „აგება“

ლაზ. ო-გ-აფ-უ „აშენება“ ~ მეგრ. დო-გ-აფ-ა „აგება, დაგება“; შდრ. ქართ. ა-გ-ებ-ა, და-გ-ებ-ა

***გ-** „შეხვედრა, მოხვედრა“

ლაზ. მე-მ-ა-გ-უ „შემხვდა“ ~ მეგრ. მე-მ-ა-გ-უ „მომხვდა“

***გ-** „დაჩვევა“

ლაზ. გე-გ-უ ~ მეგრ. გე-გ-აფ-ა „დახვევა“, გე-გ-აფ-ირ-ი „დაჩვეული“; შდრ. ქართ. შე-გ-უ-ებ-ა

***გ-** „მგვანება, მსგავსება“

ლაზ. გ-აფ-ს / ნგ-ამ-ს ~ მეგრ. გ-უ-(ნ) „ჰგავს“; შდრ. ქართ. ჰ-გ-ავ-ს, მ-ს-გ-ავ-ს-ი

***გალე** „გარეთ“

ლაზ. გალე „გარეთ“, გალე-ნ-ი „გარეთა“ ~ მეგრ. გალე, გალე-ნ-ი „გარეთა“; შდრ. ქართ. გარე, გარე-თა, გარე-მო

***გალენ-იშ-** „ტყისკაცი; მიღმიერი სამყაროსი“

ლაზ. გალენ-იშ-ი „მიღმიერი, მიცვალებულთა სამყარო“; შდრ. მეგრ.-ლაზ. გალე : ქართ. გარე

***განგ-** „ბლაგვი კბილებით ღეჭვა“

ლაზ. ო-განგ-უ ~ მეგრ. განგ-უ-ა „უკბილოდ ღეჭვა“, განგ-ულ-ა „უკბილო, ბლაგვი“

***განგ-** „ღრღნა; ულაზათოდ ჭამა“

ლაზ. გო-განგ-უ „ღრღნა“ ~ მეგრ. განგ-უ-ა „ულაზათოდ, უკბილოდ ჭამა“

შდრ. კანკუა

***გე-დღ-ან-** „ზეგ“

ლაზ. გენდღან-ი ~ მეგრ. გელან-ი ← *გედღან-ი; შდრ. მეგრ.-ლაზ. დღა: ქართ. დღე

***გენ-** „ხბო“

ლაზ. გენ-ი / ნგენ-ი / ნჯენ-ი ~ მეგრ. გენ-ი / გინ-ი; შდრ. მეგრ. გან-უ-ა: ქართ. გენ-ვა

***გერმა-კოჩ-** „ტყის კაცი“

ლაზ. გერმა-კოჩ-ი „ტყისკაცი“ ~ მეგრ. გერმა-კოჩ-ი „ოჩოკოჩი, ტყისკაცი“

***გერგე** „კვიცი“

ლაზ. {გერგე}, გერგე-ბოქინა (ტოპ., წალენ-ნაფშითი), გერგ-ავათ-ი (ტოპ., ღავრა) ~ მეგრ. გერგე „ცხენის ნაშიერი“, გერგ-აია (ანთროპ.); შდრ. ქართ. გიგლ-ია „ნაშიერი“; სვან. გიგლ-ემ-იან-ი (ანთროპ.)

***გე-წანა** „მომავალი წლის მომდევნო წელი“

ლაზ. გენწანა-შე „მომავალი წლის მომდევნო წელი“ ~ მეგრ. გეწანა „მომავალი წლის მომდევნო წელი“, გეწანა-შე „მომავალი წლის მომდევნო წელი“

***გვან-** „გასუქება“

ლაზ. გვან-ერ-ი „მსუქანი“ ~ მეგრ. გვან-ილ-ი „მსუქანი“, გვან-აფ-ა „სუქება“; შდრ. სვან. ლუ-გ...არ „მსუქანი“

***გვერ-** „გველი“

ლაზ. მგვერ-ი ~ მეგრ. გვერ-ი / ნგვერ-ი; შდრ. ქართ. გველ-ი

***გზ-** „დანთება, გზება“

ლაზ. დო-გზ-აფ-ა ~ მეგრ. დო-რზ-აფ-ა (რზ ← გზ) „დაგება, დანთება“; შდრ. ქართ. გზ-ებ-ა

***გზა** „გზა“

ლაზ. გზა ~ მეგრ. ზა ← *გზა; შდრ. ქართ. გზა

***გზ-ალ-** „გამგზავრება“

ლაზ. ო-გზ-ალ-უ ~ მეგრ. ზ-ალ-აჟ-ა ← *გზ-ალ-აჟ-ა „გამგზავრება“; შდრ. ქართ. გზავ-ნ-ა, მ-გზავ-რ-ი

***გიბონ-** „სვლა, გორება დიდი რისამე“

ლაზ. ო-გიბონ-უ „გორება დიდი რისამე“ ~ მეგრ. გიბონ-ი // გიბონ-უ-ა „სიარული, სვლა დიდი რისამე“

***გიდელ-** „ყურძნის საკრეფი კალათი“

ლაზ. გიდელ-ი ~ მეგრ. გ`დელ-ი || გიდელ-ი; შდრ. ქართ. გუდელ-ი (?)

***გინ-** „გრძნობა, მიხვედრა“

ლაზ. ო-გინ-ი „მიხვდი, შეიგნე“ ~ მეგრ. ი-გინ-ი „გრძენი“, ო-გინ-უ-(ნ) „ხვდება“; შდრ. ქართ. შე-გნ-ებ-ა, შე-ი-გნ-ო

***გინგ-ოლ-** „დასვრა; წვინტლი“

ლაზ. გინგილ-ი „წვინტლი“ ~ მეგრ. გინგოლ-უ-ა „დასვრა, ამოსვრა“; შდრ. ქართ. ამო-განგვლ-ა

***გირახ- / გირიხ-** „გრეხა“

ლაზ. გო-გირიხ-უ „გადაგრეხა“ ~ მეგრ. გირახ-უ-ა „გრეხა“; შდრ. ქართ. გრეხ- / გრიხ-

***გო-** „გა- ზმნისწინი“

ლაზ. გო- ~ მეგრ. გო-, შდრ. ძვ. ქართ. გან-

***გონ-** „განი, განიერი“

ლაზ. გონ-იო „განიერი ადგილი“, ტოპ. ~ მეგრ. გონ-იე, გონ-ი-ორ-ე; შდრ. ქართ. გან-იერ-ი

***გორ-** „გონება“

ლაზ. ო-გორ-უ „აგინა, იგინება“ ~ მეგრ. ო-გორ-უ „აგინა“, გორ-აფ-ა „გინება“

***გორ-** „ძებნა“

ლაზ. ო-გორ-უ „ძებნა“ ~ მეგრ. გორ-უ-ა / ო-გორ-უ „ძებნა“

გო-წო „გასული წელი“

ლაზ. გოწო, გოწო-ს „შარშან“ ~ მეგრ. გოწო, გოწო-ს „შარშან“

***გო-წო** || გო-წო-ს „შარშან“; შდრ. მეგრ.-ლაზ. წო- || წო || წი „წელს“

***გრ-ინ-** „გორვა“; „გდება“

ლაზ. ო-ნგრინ-უ „გადაგდება“ ~ მეგრ. რგ-ინ-ა(ფ-ა) „შეგორება; შეგდება“

***გუბ-** „ხარშვა“

ლაზ. ო-გუბ-უ / ო-გიბ-უ ~ მეგრ. გუბ-უ-ა / გიბ-უ-ა; შდრ. ძვ. ქართ. გბ-ობ-ა

***გუგულ-** „გუგული“

ლაზ. გუგულ-ი ~ მეგრ. გუგულ-ი, შდრ. ქართ. გუგულ-ი

***გუდა** „გუდა“

ლაზ. გუდა ~ მეგრ. გუდა; შდრ. ქართ. გუდა, სვან. გუდ-რა

***გუმ-** „მკა“

ლაზ. გუმ-უმ-ს ~ მეგრ. გუმ-უნ-ს / გიმ-უნ-ს „მკის“, იხ. მეგრ.-ლაზ. გუმ-ა-თუთა „მკათათვე, ოქტომბერი“; შდრ. ქართ. გმ-ერ-ვა

***გუმა-**თუთა „ოქტომბერი“, ლაზ. გუმათუთა / გიმუა ~ მეგრ. გიმათუთა; შდრ. გუმ-/გიმ- „მკა“, ქართ. მკა-თა-თვე

***გუმ-** „მალლობი / მალლა“

ლაზ. გუმ-ი, გუმ-ი ონა = მალლაყანა ~ მეგრ. გუმ-ი, გუმ-იშ-თა → გუმ-ის-თა (აფხაზეთი); შდრ. ქართ. გომ-ი „მალლობი“

***გურ-** „სწავლა“

ლაზ. ი-გურ-ამ-ს ~ მეგრ. ი-გურ-უ-ან-ს „სწავლობს“, მეგრ.-ლაზ. ქო-დო-ი-გურ-უ- → ქო-დ-ი-გურ-უ „დაისწავლა“, შდრ. ქართ. გვარ- „მიმსგავსება, მიმგვანება“; მა-გვარ-ი = მეგრ. მო-გურ-ი

***გურგ-ინ-** „გრგვინვა“

ლაზ. გურგ-ულ-ი „გრგვინვა“, გირგ-ინ-ი „ქუხილი“ ~ მეგრ. გურგ-ინ-ი „ქუხილი; გრგვინვა“; შდრ. ქართ. გრგვინ-ვა / გურგვალ-ი

***გურ-** „გული“

ლაზ. გურ-ი / გუ-ი ~ მეგრ. გურ-ი; შდრ. ქართ. გულ-ი

*გურინ-ი „ვირი“

ლაზ. გურუნ-ი / გირინ-ი „ვირი“ ~ მეგრ. გ^რნ-ი // გირინ-ი „ვირი“

*გურუფ- „ტოპონიმური სახელი“

ლაზ. გურუფ-ით-ი (ტოპ., ვიწე) ~ მეგრ. გურუფ-ულ-ი (ტოპ., ხობი)

*გურშა „სანატრელი“

ლაზ. გუშა- || გურშა-, გურშა-თ-ი (მიკროტოპ., ჟურხინჯ-ი) ~ მეგრ. გუშა „სანატრელი, სანატრელო“

*გურძე „გრძელი“

ლაზ. გუნძე / გინძე ~ მეგრ. გ^ნძე / გირძე / გ^რძე, უძველესი ფორმა შემონახულია ტოპ. გურძ-ემ-ში; შდრ. ქართ. გრძ-ელ-ი

*გურჯ-ოლ- „კბილებით კრაჭუნი, გლეჯა“

ლაზ. ო-გურჯ-ოლ-უ „კბილების კრაჭუნი“ ~ მეგრ. გურჯ-ოლ-ი „გლეჯა“, გურჯ-ონ-ი „კბილებით გლეჯა“

*გურჯ- „ჩატენა; ხარბად სმა ბევრის“

ლაზ. გურჯ-, გურჯ-ოლ-უ „ჩაჩრა, ჩატენა“ ~ მეგრ. გურჯ-უ-ა „ჩაყლაპვა, ხარბად სმა“

*გუფ- „გუბე“

ლაზ. {გუფ-ი}, გუფ-ი (ტოპ., ღერე) ~ მეგრ. გუფ-ი „გუბე“; შდრ. ქართ. გუბ-ე

დ

*დად- „მამიდა, დეიდა“

ლაზ. დად-ი ~ მეგრ. დად-ი „დიდი მამიდა, დეიდა; დიდედა“; შდრ. სვან. დედ-ე „დედა“

*დადულ- „დედალი“

ლაზ. დადულ-ი ~ მეგრ. დადულ-ი; შდრ. ქართ. დედალ-ი

*და(ლ)- „და“

ლაზ. და, დალ-ეფე „დები“ ~ მეგრ. და, დალ-ეფ-ი „მრ. რ.“; შდრ. ქართ. და, დიალ. დან-ებ-ი

*დარდალ- „ცახცახი; მოუსვენრობა“

ლაზ. ო-დარდალ-უ „ცახცახი“, მ-ა-დარდალ-ენ „მაცახცახებს“ ~ მეგრ. დარდალ-ი „მოუსვენრად ყოფნა“, ი-დარდალ-უ-(ნ) „ვერ ისვენებს, ბევრს ლაპარაკობს, მოძრაობს“

*დაჩხურ- „ცეცხლი“

ლაზ. დაჩხი-ი / დაჩხირ-ი / დაჩხურ-ი ~ მეგრ. დაჩხირ-ი / დაჩხ^რ-ი / დაჩხერ-ი; შდრ. ქართ. ცეცხლ-ი ← *დეცხალ-ი

*დგ- „დადგმა“

ლაზ. დო-დგ-უ- „დადგა. დადგმა“ ~ მეგრ. დო-დგ-უ „დადგა“; შდრ. ქართ. დგ-ა-ს

*დგინ- „დაყენება“

ლაზ. დო-დგინ-უ ~ მეგრ. დო-დგინ-ა; შდრ. ქართ. დგენ-/დგინ- „დადგენა“

*დგუთ- „დგომა“

ლაზ. გე-დგუთ-უ / გე-გუთ-უ // გე-დგით-უ ~ მეგრ. გე-დირთ-უ / გე-დორთ-უ (სამურზაყ.) „დაადგა“; მეგრ. დირთ- / დორთ ← *დუგთ- / დგუთ- (გთ → რთ)

*დვ- „დადება“

ლაზ. ქო-დო-დვ-ი ~ მეგრ. ქო-დო-დვ-ი / ქუ-დო-დვ-ი „დადევი“, დო-დვ-ალ-ა „დადება“

*დვ- „დარქმევა“

ლაზ. გე-დვ-ალ-ა „დარქმევა“ ~ მეგრ. გე-დვ-ალ-ა „დარქმევა“

*დვ-ალ- „დახუჭვა“

ლაზ. ო-დვ-ალ-უ „დახუჭვა“ ~ მეგრ. თოლიშ აკო-/მე-დვ-ალ-ა „თვალის დახუჭვა“

*დიდა „დედა“

ლაზ. დიდა „ბებია“ ~ მეგრ. დიდა / დია; შდრ. ქართ. დედა

*დიდა-მთირ- „დედამთილი, სიდედრი“

ლაზ. და-მთირ-ე ~ მეგრ. დია-ნთილ-ი / დია-ნთირ-ი; შდრ. ქართ. დედა-მთილ-ი

*დიდ- „დიდი“

ლაზ. დიდ-ი ~ მეგრ. დიდ-ი; შდრ. ქართ. დიდ-ი

*დიდიბ- „ბებია, დედაბერი“

ლაზ. დიდიბ-ენა „ბებია“ ~ მეგრ. დედიბ-ი „დედაბერი“

*დინ- / *დუნ- „დაკარგვა“

ლაზ. გო-მ-დუნ-ი / გო-მ-დინ-ი ~ მეგრ. გო-ბ-დინ-ი „დავიკარგე“; შდრ. ქართ. დნ-, და-დნ-ა

*დინდგუ „ფისი; შავი ცვილი“

ლაზ. დინდგუ „შავი ცვილი“ ~ მეგრ. დგვინდგუ „ფისი“; შდრ. ქართ. დინდგელ-ი

*დიო „ჯერ“

ლაზ. დიო „ჯერ“ ~ მეგრ. დიო || დიო-რდე „ჯერ“; შდრ. ქართ. დია (?)

***დირიკ- / დირაკ-** „დრიკ-ა/დრეკ-ა“

ლაზ. დრიკ-უმ-ს ~ მეგრ. დირიკ-უნ-ს „დრეკს“, შდრ. მეგრ. დირიკ-უ-ა „დრეკა“ (მოქმ. გვ.), დირაკ-უ-ა (ვნ. გვ.)

***დირხ-** „დიდი ტანის, ზონზროხა“

ლაზ. დირხ-ინ-ა „დიდი, მალალი ტანისა“ ~ მეგრ. დირხ-ალ-ი „ზონზროხა“; შდრ. მეგრ. დირლ-ინ-ა „მკვეხარა“

***დისხირ-** „სისხლი“

ლაზ. დინცხირ-ი / დიცხირ-ი ~ მეგრ. ზისხირ-ი / ზისხ^რ-ი / ზისხერ-ი; შდრ. ქართ. სისხლ-ი

***დიშქა** „შეშა“

ლაზ. დიშქა / დიშქა ~ მეგრ. დიშქა; შდრ. ქართ. შეშა ← * დეშა

***დიც-** „სიცილი“

ლაზ. ო-ძიც-უ / ო-დიც-უ ~ მეგრ. ძიც-ა; შდრ. ქართ. სიც-ილ-ი ← * დიც-ილ-ი

***დიხა** „მიწა; ადგილი; ნიადაგი“

ლაზ. დიხა „მიწა; ნიადაგი“ ~ მეგრ. დიხა „მიწა; ადგილი“; შდრ. ძვ. ქართ. თიკა

***დო-** „და- ზმნისწინი“

ლაზ. დო- ~ მეგრ. დო-, შდრ. ქართ. და-

***დო** „და კავშირი“

ლაზ. დო ~ მეგრ. დო; შდრ. ქართ. და

***დობა** „მიწა; სახნავი მიწა“

ლაზ. {დობა}, დობა-წიწი „მიწის ჭია“ ~ მეგრ. დობ-ერ-ა / დობ-ირ-ა „სახნავი მიწა“, შდრ. ქართ. დაბა

***დობ-ირა** „დაბალი; ნოყიერი, დაბლარი მიწა“

ლაზ. დობირა „ნოყიერი მიწა“ ~ მეგრ. დობერა || დობირა „დაბლობი“; შდრ. ქართ. დაბალ-ი, დაბლ-ობ-ი

***დორ-** „დრო; დარი“

ლაზ. ჰემინ-დორ-ას „იმ დროს“ ~ მეგრ. ე-დორ-ია „მარჯვე დრო“; შდრ. ქართ. დარ-, დარ-ი, ავ-დარ-ი

***დრანც-** „გამოკვალვა, მოჭერა / გამოწყობა“

ლაზ. დოლო-დრანწ-უ „მოჭერა / გამოწყობა“ ~ მეგრ. მო-დრანც-უ-ა || მო-დაც-უ-ა „გამოკვალვა, გამოწყობა / მოჭერა“, მო-დრანც-ილ-ი || მო-დაც-ილ-ი „გამოწყობილი“; ც||წ საკუთრივ-ლაზური მოვლენაა – ხორც-ი || ხოწ-ი „ხორცი“; შდრ. ქართ. (ფშ.) დრეც-, გა-დრეც-ილ-ი „აჭიმული“

***დუდ-** „თავი, კეფა“

ლაზ. **დუდ**-ი „კეფა, თავის თხემი“ ~ მეგრ. **დუდ**-ი „თავი“ (ანატ.), შდრ. ქართ. (დიალ.) **დუდ**-ი „თავი“

***დუნ-ა** „დონე“

ლაზ. **დუნ**-ი „დონე“ ~ მეგრ. **დვინ-ა** „დონე“; შდრ. ქართ. **დონ-ე**

***დუნდღუბა-ა** „ყურძნის ჯიში“

ლაზ. **დუნდღუბა** ~ მეგრ. **დუნდღუბა**; შდრ. ქართ. **დონდღლაზ**-ი „ყურძნის ჯიში“

***დურდ-** „თავისთვის ლაპარაკი, დუდუნი“

ლაზ. **ო-დუნდ-ულ-უ** || **ო-დუდ-ულ-უ** „თავისთვის ლაპარაკი“ ~ მეგრ. **დურდ-ინ-ი** || **დუდ-ინ-ი** „დუდუნი“; შდრ. ქართ. **დუდ-უნ-ი**

***დურღუნ-** „მაცვალი“

ლაზ. **დურღუნ-ი** || **დურღენ-ი** „მაცვალი“ ~ მეგრ. **დურღინ-ი** || **დურღენ-ი** „მაცვლის ბუჩქი“

***დურჟ-** „ყლორტი“

ლაზ. **დურყ-ი** || **დუყ-ი** „ყლორტი“ ~ მეგრ. **დუჟ-ი** „ყლორტი“; შდრ. ქართ. **დუყ-ი** „ყლორტი“, ლაზ. **დუჟ-ი** „ბოძი“

***დურჩე** „დუცი, ძირთეთრა (მცენ.)“

ლაზ. **დურჩე** (ტოპ.), **დურჩე** (თურქეთის ლაზეთი) ~ მეგრ. **დ^რჩე** || **დირჩე** „ძირთეთრა (მცენ.)“; შდრ. ქართ. **დუც-ი**

***დუდ-** „დუღილი, დუღება“

